აფხაზეთმცოდნეობის ცენტრი

სერგი (გიორგი) საჯაია

დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალი ტალღა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) (1972-92 წლები)

თბილისი
2011

UDK (უაკ) 323.173(479.224)+323(479.22)+94(479.224)
ს _ 372

რედაქტორი თემურ ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი სიმონ გოგიძე

წიგნის აწყობაზე და კორექტურაზე მუშაობდა
ნინო ღონღაძე

ISBN 978-9941-0-3364-3

≈*≈

I

≈*≈

1. ედუარდ შევარდნაძის სახელთან დაკავშირებული “დიდი პოლიტიკა”, ანუ ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მიერ კრემლის საშუალებით ორგანიზებული საბჭოთა მაფიურ-კრიმინალური რეპრესიები, დივერსიული ეთნოფაბრიკაციები, ეთნიკური წმენდა და გენოციდი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ე.წ. აფხაზეთის ასსრ)

1972-2002 წლების გამზირი (პროსპექტი)

1. შესავალი _ საკითხის ისტორია (წინმსწრები ხლართები);

2. საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული პროცესები ჩრდილო-დასავლეთ-საქართველოში (ცხუმ-აფხაზეთში);

3. **ედუარდ შევარდნაძე** _ აგრესიული გლობალიზმის აგენტი და იმპერიათა მეგზური საქართველოში;

4. **ედუარდ შევარდნაძის** ბოლო ოცდაათწლიანი ეთნოდივერსიული საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში (საქართველოში);

ა) 1970-71 წლების მოვლენები საბჭოთა კავშირში (მოსახლეობის საკავშირო აღწერა, სკკპ XXIV ყრილობა) და **ე.შევარდნაძის** საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივნად დანიშვნის მიზეზები;

ბ) 1972-77 წლები _ საქართველოში **ე.შევარდნაძის** დივერსიული საქმიანობის დოკუმენტები და ფაქტები (ქართველი ერის გენოციდის პოლიტიკა ყოფაში, იდეოლოგიაში, კულტურაში, განათლებაში, სარწმუნოების საკითხებში და ა.შ.);

გ) **ე.შევარდნაძის** ეთნოდივერსიული საქმიანობის თავისებურებები თავისი მოღვაწეობის პირველ ხუთწლედში (1972-77წ.წ.);

5. 1978-1982 წლები (ფაქტები და დოკუმენტები ქართველი ერის პერმანენტული გენოციდის შესახებ);

6. **ე.შევარდნაძის** ეთნოდივერსიული საქმიანობის მეორე ხუთწლედის ქრონიკულ-მეტასტაზური ხასიათი და მისი გამხრწნელური შინაარსის თავისებურებები;

7. **ე.შევარდნაძის** დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული საქმიანობის მესამე ხუთწლედი _ 1983-88 წლები (ფაქტები და დოკუმენტები);

8. “დიდი პოლიტიკოსის” გამცემლურ-მოღალატური ფიზიონომიის არსობრივი საფუძველი მისი ეთნოდივერსიული საქმიანობის მესამე ხუთწლედში **(ე.შევარდნაძე**, როგორც შვონდერ-შარიკოვული და პავლიკ მოროზოვული ფენომენი);

9. **ე.შევარდნაძის** ანტიეროვნული საქმიანობის მეოთხე ხუთწლედი _ 1989-1993 წლები და ქართველი ერის ოკუპაცია-გენოციდის თანმიმდევრული შინაარსი:

ა) **ე.შევარდნაძე,** როგორც საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული ინკუბაციისა და ეთნოდივერსიული ინდუსტრიის ნაცადი მწარმოებელი;

ბ) კრემლიდანური იმპერიის საოკუპაციო ექსპედიცია საქართველოში (ახალი **სერგო ორჯონიკიძე**) და **ე.შევარდნაძის** ფართომასშატაბიანი აგრესია ქართველი ერის წინააღმდეგ;

გ) ქვეყნის თანმიმდევრული გასხვისება და ახლად აღდგენილი ეროვნული სახელმწიფოს კვლავ კოლონიურ მდგომარეობაში ჩაგდება;

10. **ე.შევარდნაძის** დანაშაულებრივი საქმიანობა თავისი ანტიეროვნული მოღვაწეობის მეხუთე ხუთწლედში (1998-2002 წლები);

ქართველი ერის ნახევრად მონურ მდგომარეობაში ჩაგდება, მისი მსოფლიოში უიაფეს მუშახელად და ტრეფიქინგის მსხვერპლად გადაქცევა, ცნობიერი და სულიერი გენოციდი, ეკონომიკური კაბალა, თვითგაუცხოება, კაპიტულანტურ-სერვილისტული პროპაგანდა, მამათმავლობის აპოლოგია, ქვეყნის სანაშენე თაობის ნარკო და სექსო ბიზნესის ნედლეულად გადახარისხება და ა.შ..[1]

≈*≈

2. ჟამი გატიალების სიბილწისა

ავტორისაგან:

წინამდებარე ნარკვევი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აქ წამოჭრილ თავსატეხთა ამომწურავ გაშუქებად იქნეს მიჩნეული.

იგი ამ საკითხებისკენ გამიზნული სვლაგეზია უფრო, ერთგვარი გამზირი (იგივე პროსპექტი).

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ასეთი მიზნის მისაღწევად ე.ი. ზემოთ დასახელებულ გამზირთან წინამდებარე თხზულების შესაბამისობაში მოსაყვანად _ სულ ცოტა, დასამუშავებელია სკკპ ცკ-ის, სსრკ ხელისუფლებისა და მთავრობის, საქართველოს კპ ცკ-ის, საქართველოს კპ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და ა.შ. დადგენილებები და სადირექტივო დოკუმენტები, მთელი არქივი, რომ არაფერი ვთქვათ კვლევის სხვა მიმართულებებზე.

ამის საშუალება მრავალი მიზეზის გამო ავტორს არ ჰქონდა.

ასეთ შემთხვევაში წამოჭრილი კითხვა: _ მაშ რა მრჯიდა? _ სწორიცაა და უპრიანიც და მე ვპასუხობ: _ მრჯიდა ის, რომ დღეს კვლავ ჯოგურად მოაზროვნე და უპირადხმო, ვინაობაართმეულ საზოგადოებას თუნდაც რაღაც წამგაელვებაში წარმოვუჩინო მისი გაუპატიურების დაზგას მომდგარ მოქალაქეთა კრებითობა _ ინტერფრონტული ეთნონედლეული (გუგულის კვერცხის სინდრომი).

ნურავინ იმშვიდებს თავს ამით, რომ დღეს სამზეოსათვის ბევრის ჩანასველი საწმერთული გამშრალია, ხოლო სისხლიანი ხელი _ გარეცხილი (მე არ მითქვამს დაბანილი, რადგან ასეთ ცოდვას ვერ მოიბან), ბევრჯერ განმიცხადებია და კვლავ ვიმეორებ, ჟაბთაბერთან საქმეს ვეღარავინ ჩააწყობს. _ "...რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა იყოს საიდუმლოდ, არამედ რაითა განცხადებულად მოვიდეს" (მარკოზი _ 4,22).

02.03.1999წ.

[1] ეს ვარიანტი (სულ 1500 გვერდი) დაიკარგა გაზეთ "მესიის მახვილის" რედაქციაში, რომლის პირველ-მეორე ნომერშიც დაიწყო ამ მასალის გამოქვეყნება. იგი, სამწუხაროდ, შემდეგ შეწყდა. ამჯერად ვაქვეყნებ 10 წლის შემდეგ მოძიებული ხელნაწერებისა თუ ჩანიშვნების მიხედვით აღდგენილ მასალას.

≈*≈

3. წინათქმა

“განქარვებულ ხართ ქრისტესაგან რომელნი – ეგე შჯულითა, განჰმართლდებით, მადლისა მისგან განვრდომილ ხართ.”

<u>გალატელთა მიმართ - 5,4;</u>

“...მოელიან ქართველების მანიფესტს, სადაც ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ აღარ სურთ უგზავნონ მუსტაფას თავიანთი ქალწულები. გულით მწადიან, რომ ეს გამოდგებოდეს და ყველა მშვენიერი ქალწული თქვენი მამაცი ოფიცრების ხელში გადავიდოდეს. მათ ისინი სავსებით დაიმსახურეს”...

<u>ვოლტერი-1770წ.2იანვარი.(იმპერატრიცა ეკატერინესადმი).</u>

“...აი, რას მოვუწოდებ მე არა მარტო ჩემს თავს, არამედ ყველას, ვისაც უყვარს საქართველო. მოვა დრო და საქართველო მაინც გახდება დამოუკიდებელი: განდევნეს არაბები, განდევნეს მონღოლები, ახლანდელ ნეოდამპყრობლებსაც მოუხდებათ საქართველოდან წასვლა. ეს გარდაუვალია. ახლა, როდესაც მე თქვენს ხელში ვარ... თუ ვინმე ზერელედ ან ორპირად მომექცევა, დაე, ჩაფიქრდეს, _ ქართველი კაცის ჯალათობა ძნელია...”

საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი გაგრელი ვლადიმერ ჟვანიას სიტყვა 1977 წლის 2 თებერვალს წარმოთქმული ქ .თბილისში, სხდომაზე, მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის წინ.

***

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართული იგივეობის (იდენტურობის) განადგურების მცდელობა, რომელიც ამ მხარეში საუკუნეების მანძილზე მიზნობრივად მიმდინარეობდა, 1993 წლის შემოდგომაზე დამთავრდა, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ერთი ავბედითი მოსაზღვრულობა ისტორიის კუთვნილებაა. აქაური დემოგრაფიული ვითარების ძალადობრივი შეცვლით (ეთნიკური წმენდით) ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული სინამდვილე დამყარდა. ქვეყნის ეს ნაწილი კვლავ რუსეთმა დაიპყრო. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ რუსისტული “ერთმორწმუნეობა” მხოლოდ და მხოლოდ ცენტრნაცმენური სუბორდინაციაა: _ **“...თუ საქართველოს**

დატოვება დაგვჭირდა, კარებს ისე გავიჯახუნებთ, რომ ქვა ქვაზე აღარ დარჩებაო” _ ამგვარად განმარტა იგი **ლევ ტროცკიმ.** ასეთ **ლენინურ** გულწრფელობაში ნაგულისხმევია რუსისტულ-თალმუდისტური სისხლაღრევის შინაარსი, ხასიათი და მიზნები. ამ წამოძახილიდან სულ მალე რუსიზმი ბოლშევიკური ჩექმებითა და საბჭოთა სახელმწიფო ხელბორკილებით შემოშლიგინდა საქართველოში (საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ მე არ ვქადაგებ ანტისემიტურ ან რუსოფობიურ სულისკვეთებას, პირიქით, როდესაც ვსაუბრობ რუსიზმის დიდმპყრობლურ უღელზე, _ იქვე თანაგრძნობით ვხედავ ამ უღელქვეშ საკუთარსახოვნება ართმეულ რუსეთს და ვინაობააღრეულ რუს ერს, ასევე პატივმიგებით ვესაუბრებით ქართველ ებრაელთა თვითმყოფად შემონაკადებას ქართულ შინაარსში).

იმისათვის, რომ რუსეთმა იპოვოს და აღიდგინოს საკუთარი ღვთივდადგენილი რაობა, საკმარისი არაა ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის (დიდება მის სახელს!) რიტუალურ-თეატრალიზებული, ანუ “თანამედროვე მსოფლიო წესრიგით” ნებადართულ მოსაზღვრულობაში “აღიარება”: მან (რუსეთმა) საკუთარ თავში უნდა მოიძიოს საიმისო ძალისხმევა, რათა გაიცნობიეროს (გაიმშობლიუროს) ამ ძლევამოსილი ხატის (კიდევ და კიდევ ჩვენი თავდადრეკა და თაყვანისცემა მას!) საიერიო შინაარსი. აქედან გამომდინარე, რუსეთმა თავისი ყოფითი ყოველდღიურობის ქცევის წესად უნდა დაიკანონოს ამ მადლმოსილებიდან გამომდინარე თვალგახელა.

ასეთ შემთხვევაში რუსეთი თავის თავსაც იპოვის, აღმოაჩენს ჭეშმარიტ თავისუფლებასაც, გადაიგდებს მონის უღელს და მოისვრის ოკუპანტის ჩექმასაც, შესაბამისად, აგრესორად არ დაიდგენს თავს სრულიად ივერიის მიმართ.

1922 წლის ბოლოსათვის რუსისტული დერჟავა გაისაგნა იმპერიის ახალ კონსტრუქციაში, რომელსაც “უბოროტო” და “კეთილმოსურნე” სახელი _ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დაერქვა.

საბჭოთა კავშირის მატროშკული ფორმა და ცენტრ-ნაცმენური შინაარსი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ე.წ. ადგილებზე (“ნა მესტახ”, ანუ მოკავშირე რესპუბლიკებში, საბჭოთა ავტონომიებსა და ა.შ.) თავისსავე თავის ზემოდან ქვემოთ, შედარებით ნაკლებ მოცულობაში განმეორებას გულისხმობდა: თუ კრემლი საეთნოდივერსიო ინდუსტრიის გიგანტი იყო, რეგიონალური ცენტრები, იერარქიულობისდა შესაბამისად, ანალოგიურ ძრავას წარმოადგენდნენ და მათ ექვემდებარებოდნენ სამხარეო მოსაზღვრულობები.

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაცია _ როგორც სსრკ-ის (მატროშკის) შიდა პირველი გარსი (სკნელი), ცენტრით თბილისში, გარეგნულად კი ქმნიდა “თბილისური” მეტროპოლიის (ვითომ ქართული დიდმპყრობლობის) პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ აბრას, მაგრამ სინამდვილეში იგი ნიშნავდა საქართველოს დანაღმვას ხანგრძლივი მოქმედების ეთნოდივერსიული ჭურვებით. ჯერ ერთი, ტფილისი, _ საქართველოს დედაქალაქი, იქცა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის ოქტომბრისენოვან სატახტოდ; მეორეც _ ეს ვითომცდა ზემდგომობა, გარკვეულწილად შორს ვერგახედულთა პატივმოყვარეობის საზღაურად (კომპენსაციად) დარჩა, რამაც მოადუნა ეროვნულ-სახალხო სიფხიზლე. ასეთ ვითარებაში ამიერკავკასიური ფედერაციის ფარგლებში, რომლის სატახტოც ტფილისი

იყო, საქართველოს ჩამოჭიდეს სამასკარადო "უფროსი ძმის", ანუ ლენინისენოვანი ფირნიში, ხოლო ამის სანაცვლოდ "ვასალ" რესპუბლიკებს საქართველოს ისტორიული მიწები მიუსხვისდათ. "ქართული" პარტოკრატია აინუნშიაც არ იყო, ეს მიწები ხომ მაინც "დიდმპყრობელ თბილისს" ემორჩილებოდა. ერთ დღეს კი, როცა "მოძმე" რესპუბლიკები ქართველთა მამულიანად გამოგვეყვნენ, მაშინღა გახდა ცხადი ამ წინგაუხედავებისთვის რაც მოხდა, თუმცა არც ამჯერად უთავისტკივილიათ ეს უბედურება დიდად, _ პროლეტარიატი ხომ ქვეყანათა შორის საზღვრებს ისედაც "ანგრევდა"! მესამეც _ საქართველო ამ გაკრეჭას არ დააჯერეს და ჯერ კიდევ მანამდე, თადარიგიანად უკვე მის გულბოყვში სამომავლო დივერსიისათვის ჩაინაღმა სამი ავტონომია. თავის მხრივ ამ ავტონომიურმა რესპუბლიკებმა მოითხოვეს სათანადო დემოგრაფიული დადასტურება _ ფაბრიკაციული "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხ"-ის სახით და მათი (ანუ "გუგულის კვერცხების") გამოინკუბატორებისათვის ამუშავდნენ სტახანოვური კონვეირები. საგანგებოდ შეიქმნა ე.წ. საბჭოთა ინდუსტრიის შესაბამისი საეთნოფაბრიკაციო დარგი.

ყოფასა და ცნობიერებაში ხელგამოღებით მკვიდრდებოდა ფაბრიკაციული სტერეოტიპი: **"რუსი _ სსრკ ხალხთა საერთო უფროსი ძმაა. აფხაზეთის სინამდვილეში ქართველიც ფაბრიკაციული აფხაზეცის, ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის უფროსი სახლიკაცია, მაგრამ თავისი სამოსახლო მას ენგურის გაღმა აქვს".**

ამ, ერთი შეხედვით, "უწყინარ" იდეოლოგიურ დებულებაში ჩანაღმული გამამანქურთებელი "ქიმიური იარაღის" შესაბამისად, ცხუმ-აფხაზეთის შვილი შვილთაგანი ქართველი _ დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგად, ჯერ არცთუ ხმამაღლა იგულისხმებოდა მოძმე, მაგრამ არამკვიდრ ხალხად. შემდგომში კი, როცა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მოსახლეობამ საკმარისად გაიპასპორტა აფხაზეცობა, თან აფხაზეთის ძირძველი ხანდაზმულები იმქვეყნად გადაბრძანდნენ და ამ მხარის მოსახლეობაში აფხაზის ქართულ შინაარსად მოღაღადე მეხსიერება მიზნობრივი ხელოვნურობით თითო-ოროლამდე დაიყვანეს, ქართველი კაცი საჯაროდ გამოცხადდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს არამკვიდრად.

როდესაც საუბარია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ანუ აფხაზეთში მკვიდრი მოსახლეობის ასეთი თანმიმდევრული დენაციონალიზაციის შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო კამპანიური ღონისძიება. ამ მიზნით აქ ეთნოდივერსიული ფაბრიკაციისათვის საჭირო დარგების კომპლექსი ერთ ინდუსტრიულ სტრატეგიად ჩამოყალიბდა _ ე.წ. "დიადი" მშენებლობები, რასაც მოჰყვა საჭირო მუშახელის გარედან შემოყვანა, სოფლის მეურნეობის განმშობლიურება, განათლების "საერთო" ენაზე გადაჩეხვა, ყოფითი ყოველდღიურობიდან ეროვნული წესრიგის გაძევება, ზღვისპირზე ქართული დასახლებების ან აყრა, ან შერეული მოსახლეობით გარუსულენოვნება და ა.შ. ყოველივე ამის ქმედუნარიანობას განაპირობებდა სათანადო სახელმწიფო პროგრამა (პოლიტიკა).

პრაქტიკულად საკითხი ეხებოდა ახალი "ერის" ხელოვნურ შეკოწიწებას, ანუ, რაკიღა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში შეიქმნა ე.წ. აფხაზეთის ასსრ, შესაბამისად უნდა გამოინკუბატორებულიყო მისი დემოგრაფიული დადასტურებაც _ ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი. ამ ხალხის საფაბრიკაციო

ეთნონედლეულს ქართველებთან ერთად წარმოადგენდნენ საკუთრივ აფსუები, არმენები, რუსები, თურქები, დროთა უცნაურობისგან აქ შემოჩიხული ზანგებიც კი და ა.შ (რაც შეეხება ცხინვალის ძირძველ ქართულ მხარეს, აქ ქართლის, რაჭისა და იმერეთის მიწებზე ხელოვნურად შექმნეს ოსებისთვის "გასხვაქვეყნებული" სივრცე, ე.წ. პოლიტიკური ავტონომია, რომელსაც მიზნობრივად შემოხიზნული თუ შემოსახლებული ოსების სახელი ეწოდა. შეადარეთ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში სამხარეო სახელს შეუქმნეს ავტონომია და მას გამოუინკუბატორეს თავისი "დემოგრაფიული დადასტურება", ხოლო ცხინვალში კი ხიზან ოსებს "გაუსამშობლოეს" აქაურობა და "ოსეთი" დაარქვეს).

ამრიგად, აფხაზეთში ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველად, მაშასადამე, არააფხაზეცად დარჩენილი ხალხი საბჭოთა ტერორისა და რეპრესიების საგნად დარჩა ისევე, როგორც ეს იყო მეფის რუსეთის დროს.

ასე მაგალითად: როგორც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა ედუარდ ჭანტურიამ მიამბო, მამამისი ლადი (ვლადიმერი), შემდგომში სოხუმის ა.მ.გორკის სახელობის პედინსტიტუტის პროფესორი, მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ბიჭვინთაში დაინიშნა საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც მეუღლესთან ერთად მოღვაწეობდა. ქალბატონი აფხაზეთში ცნობილი სათავადო გვარის გამნარყი გახლდათ.

ლადის პირადად ნესტორ ლაკობამ _ იმ დროს გასაბჭოებული აფხაზეთის ბატონ-პატრონმა შესთავაზა (უფრო სწორად მოსთხოვა) აფხაზეცად ჩაწერილიყო. სამაგიეროდ აფხაზეთის განათლების მინსტრად დანიშვნას შეპირდა.

ლადი ჭანტურიამ ამ მოთხოვნას ცივი უარით უპასუხა. ამის გამო აფხაზეთის ბოლშევიკურმა უშიშროებამ დევნა დაუწყო მას, თუმცა ემხვართა გავლენიან გვართან მოყვრობის გამო ფრთხილად მოქმედებდა.

ერთხელ ბიჭვინთის რომელიღაც დუქანში ლადი და მისი მეგობარი ნადიმობდნენ. მათ გაგრის მილიციის უფროსი რაღაც ყოფით წვრილმანზე აუხირდა და დედა დააგინა (დავიდარაბაში ჩაითრია).

ლადიმ იგი ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანა. საქმე გართულდა. ურჩიეს, ხიფათის ასაცილებლად ცოლთან ერთად დროებით გუდაუთში, თავის მოგვარე რაჟდენ ჭანტურიასთან გახიზნულიყო, რომელიც აფხაზეცად იყო ჩაწერილი და ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა.

ასეც მოიქცა. რაჟდენმა მოგვარე ყოველმხრივ დაიცვა, მაგრამ რაკი აფხაზეცად არ ეწერებოდა, უსაფრთხოებისთვის ლენინგრადში გაარიდა, სადაც მასაც დამ მის მეუღლესაც ხელი მოუმართა.

საინტერესოა, რომ იმ დროს გუდაუთში ძლერი მეგრული კომლები ცხოვრობდნენ, თვით ცნობილი ისტორიკოსის, გიორგი ძიძარიას მამას ალექსის (ალესის) იმ დროისათვის თავისი მეგრელობა ხაზგასმით ახსოვდა. დიახ, ეს ის გ.ძიძარიაა, რომელიც საბჭოთა ეთნოფაბრიკაციულმა დაზგამ აგრესიული სეპარატიზმის ერთ-ერთ წინამძღოლად აქცია. აქ განსაკუთრებით ერთი რამაა დასანანი, ამგვარად აგრესიული სეპარატისტი გაიზარდა ჭერქვეშ, რომლის დუდკოჩს მეგრულად ახმოვანებული სახელი _ ალესი ერქვა!..

ამდენად, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, იგივე აფხაზეთის ძირძველი ქართველობა გახლავთ ჯერ რუსიზმის, შემდეგ კი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი ხალხი.

ყოველივე ამის ცნობიერი ლეგიტიმაციისათვის იქმნებოდა "მეცნიერული" ნაშრომები და მხატვრული ნაწარმოებები ქართველთა და "აფხაზთა" იმგვარ ძმობაზე, რომელიც ცხუმ-აფხაზეთს საქართველოს მეზობელ ქვეყნად წარმოსახავდა (**1937 წელს** თბილისში გამომცემლობა "ფედერაციამ" გამოსცა ე.წ. აფხაზური ლიტერატურის ქრესტომათია, რომლის შესავალში **ხუხუტი ბღაჟბა** (შემდგომში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი) მადლიერებას გამოხატავდა ქართველებისადმი, რადგან მათ, თურმე, **"აფხაზებს უანგარო დახმარება გაუწიეს მტერთან ბრძოლაში"!**

თავის მხრივ საქართველოს სსრ საბჭოთა იდეოლოგია, როგორც რუსიზმის "ქართულენოვანი" ფორმა, ყოველმხრივ ხელს უწყობდა ოქტომბრისენოვან ეთნოდივერსიათა შედეგების დაკანონებას. ამის თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება გამოდგეს აკადემიკოს **გ.ჯიბლაძის** წერილები "აფხაზურ ლიტერატურაზე". ეს წერილები ცხუმ-აფხაზეთის საბჭოთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფასა (ეთნოფაბრიკაციასა) და სახელმწიფო კონსტრუქციებს ერთადერთ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა. ავტორი ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის მიზნობრივ ინკუბაციას ცხუმ-აფხაზეთის კანონიერ ეთნოსინამდვილედ აღიარებდა და, აქედან გამომდინარე, მოუწოდებდა "მოძმე" მწერლებს ინტერნაციონალიზმისაკენ: **"ავტორმა თავის ისტორიულ რომანში (გ.გულია, "შავი სტუმრები", ს.საჯ.) დაგვიხატა აფხაზების ტრაგედია, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის კოლორიტული სურათები, მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა რუსი ოფიცრების (გენერალი კრავჩენკო) ჩათვლით, მაგრამ გვიკვირს, რატომ აუქცია გვერდი აფხაზეთში იმ დროსაც ჭარბად მოსახლე ქართველების, სომხების, ბერძნების, აგრეთვე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ჩვენებას?" (გ.ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, VIII, თბ. "მეცნიერება", 1985წ. გვ. 353),** ხედავთ?! _ სულ ეს ყოფილა ცხუმ-აფხაზეთში ქართველთა ვინაობა, _ არმენებისა და ბერძნების უფლებებისოდენი!

აკადემიკოს **გ.ჯიბლაძის** დასკვნები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოზე (აფხაზეთზე), როგორც ქვეყნის რაობაზე, კვერს უკრავს აკადემიკოს **ა.სახაროვისეულ** დებულებას ჩვენს ქვეყანაზე, ანუ საქართველოს სს რესპუბლიკის "მცირე იმპერიად" გასაჯარისებას: **"ცალკე უნდა გამოვყოთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომლებიც შედიან საქართველოს სსრ შემადგენლობაში. ხსენებული რესპუბლიკისა და ოლქის სკოლაში მუშაობენ მშობლიურ ენაზე _ აფხაზურსა და ოსურზე, ქართული კი ისწავლება, როგორც ცალკე ენა" (იქვე, გვ. 482).**

აი, ესაა საბჭოთა უკონფლიქტობის თეორიის ("ლენინური ბედნიერების") ქრესტომატიული მაგალითი: ე.წ. სამხრეთ ოსური და ასევე ე.წ. აფხაზური სკოლები რუსულ ენაზე მუშაობდნენ, ხოლო ქართულს იქ არავინ აჭაჭანებდა.

როცა ამიერკავკასიის ფსსრ დაიშალა, როგორც უკვე მოგახსენეთ (და ეს სულ ვიმეოროთ), მისხვისებული მიწები "უფროსი ძმის" ოჯახიდან წამოსული "ნებიერა" ძმის უფლებით, ლეღვის ჩირივით ჯიბეში ჩაიჩურთეს ცალკე საკარმიდამოდ

(რესპუბლიკებად) დასახლებულმა "სახლიკაცებმა" _ აზერბაიჯანმა და არმენეთმა. ამასთან ერთად, რსფსრ საზღვრებში მოექცა ისტორიული ქართული მიწები ზღვისპირეთზე და ჩრდილო კავკასიის გასწვრივი სხვადასხვა მნიშვნელოვანი დასახლებები, სოფლები, მხარეც კი _ დვალეთი და ა.შ, რომ არაფერი ვთქვათ თურქეთის მიერ სხვადასხვა დროს მიტაცებულ საქართველოს ნახევარზე.

ამგვარი რუსისტული არშინით გადანაწილდა ამიერკავკასია XX საუკუნის **20-30-იანი წლებისათვის**, მაგრამ ასეთი შემოღობვა, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, სულაც არ გახლავთ კრემლიდანური გამონაგონი. ამისთვის ჯერ კიდევ **მე-18 საუკუნეში** (და უფრო ადრეც) იღწვოდნენ არმენი მოღვაწეები (სინამდვილეში მზირები), რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა **ისრაელ ორი**. მათი ოცნება იყო "ქართულ-არმენული" სახელმწიფოს შექმნა. ოღონდაც, ხმალთაქნევაში გართულ ქართველებს ზურგიდან "სახლიკაცთა" ღობეების ქვეყნის სიღრმეში შემოწევითა თუ საზურგე მახვილით "შემოეშველებოდნენ" ასეთ საქმეში ხელნაცდური არმენები.

ჯერ კიდევ **სტეფანე შაუმიანი**, ნაცადი რევოლუციონერი და ბოლშევიკი (ე.ი. ანტიქრისტე), იმ დროს, როდესაც მისი ქართველი თანაპარტიელები ხეპრეს წინგაუხადაობით ასხვისებდნენ ქართულ მიწას, იმ საარმენო თადარიგს იჭერდა და ამტკიცებდა, სამ ნაწილად დავყოთო ამიერკავკასია: დასავლეთის (ქუთაისის გუბერნია და ბათუმის მხარე; შუა (არმენეთი და აღმოსავლეთ საქართველო) და აღმოსავლეთი (აზერბაიჯანი და დაღესტანი). იხ. **სტ. შაუმიანი**, რჩ. თხზულებანი, ტ.2 გვ. 104). აი, ასე, სწორედაც რომ არმენული "კეთილმეზობლობის" გამოვლენა გახლდათ ამგვარი გადაწყვეტილება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმპერიები იმთავითვე ცდილობდნენ ცხუმ-აფხაზეთის გადაქცევას ვულგარული თუ ფაბრიკაციული ეთნოცენტრიზმის პოლიგონად. **ლენინურ-ქემალისტური** ეთნოდივერსიის შესაბამისად, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ანუ ცხუმ-აფხაზეთში სათანადო ძალების მიერ საგანგებოდ დაქსელილი ცრუ აფხაზურ-ჩერქეზული (ადიღეური) ეთნოცენტრიზმი დასაწყისშივე შორსგამიზნული იმპერიული პროგრამა გახდა. მისი პოლიტიკური ანატომია საფუძვლიანად აღწერა **ზ.გამსახურდიამ** ოქტომბრისენოვან ანუ აფხაზეც მწერალ **ფაზილ ისკანდერისადმი** მიწერილ წერილში: **"...ყოველივე ეს პროვოცირებული იყო მოსკოვიდან ველიკორუსული შოვინიზმის მიერ, აგრეთვე პროთურქული ელემენტების მიერ, რომლებიც აფხაზეთის რუსეთთან შეერთების ლოზუნგის ნიღაბქვეშ მალავდნენ ოცნებას _ აფხაზეთის თურქეთთან შეერთებისას, რასაც მოწმობს 70-ან წლებში თურქეთში ოფიციალურად გამოცემული რუქა, სადაც თანამედროვე აფხაზეთი შეერთებულია ჩრდილო კავკასიასთან, რომელიც თავის მხრივ თურქეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (ამ რუკის მიხედვით. ს.საჯ.)..." (1989წ. აპრილი, თვითგამოცემითი ჟურნალი "მატიანე", №4).**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ერი ყოველთვის დაუდგება გვერდში მოძმე ჩერქეზ ხალხს თავისი ნამდვილი მომავლისათვის ბრძოლაში.

ცხუმ-აფხაზეთის განმშობლიურება მთავარი სამოქმედო სტრატეგია გახლდათ ყველა დროის დამპყრობისთვის აფხაზეთში. როგორც გაზეთი "ცნობის ფურცელი" 1905 წელს (№2765) იუწყებოდა, რუსეთის იმპერიას ჯერ კიდევ XIX საუკუნეშივე

არაერთგზის ჰქონდა გამოცემული საგანგებო კანონები, რომელთა ძალითაც **“აეკრძალათ არარუსთ ამ ადგილებში მიწის საკუთრებად შეძენა და იჯარით აღება. მიზანი და აზრი ამ კანონის მარტივია და ადვილად შესაგნები: რუსეთის ბიუროკრატია საჭიროდ სცნობს ამ ადგილების დასახლებას რუსებით, და ამიტომ კანონიერ დაბრკოლებას ქმნის იმ არარუსთათვის, რომელნიც აქ ბინის გაჩენასა და დამკვიდრებას მოინდომებენ”.**

არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მსგავსი “კანონმდებლობა” საფუძვლიანად შეივსო XX საუკუნეშიც.

საინტერესოა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით რუსეთის იმპერიამ ივალდებულა **ბაგრატიონთა** ტახტის გარშემო ივერთა სისხლხორცეული მიწების გაერთიანება, მაგრამ სულ მალე რუსიზმმა ეს ვალდებულება ფეხქვეშ გათელა, გააუქმა **ბაგრატიონთა** ტახტი, საქართველო დაყო გუბერნიებად, ხოლო საქართველოს მხარეები ცალცალკე და განმხოლოებულად შეიერთა (აფხაზეთის სამთავრო **1864 წელს** გაუქმდა. ამ ფაქტს შემდგომში სეპარატისტები ერთ-ერთ არგუმენტად იყენებდნენ საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორების “აუცილებლობის” მტკიცებების დროს, ვითომცდა აფხაზეთი დამოუკიდებლად შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ).

ცხუმ-აფხაზეთში საბჭოთა ეთნოდივერსიული პროცესების წარსამართავად კრემლმა, უპირველეს ყოვლისა, ჩამოაყალიბა მძლავრი “სამეცნიერო საამქრო”.

“აფხაზეთის ისტორიის განხილვისას მთავარ საბუთად ყველა სახელმძღვანელოში სწერენ, რომ I საუკუნის მოხელემ და გამოჩენილმა სწავლულმა პლინიუს უფროსმა შეადგინა მსოფლიოს აღწერა თავის კრებულში “ნატურალის ისტორია”, სადაც აფხაზთა წინაპრები _ აპსილები ახსენა თანამედროვე ქალაქ ცხუმის (სოხუმის) სამხრეთით მდებარე მცირე რაიონში. ეს აპსილები კავკასიაში დღეს მცხოვრები მცირერიცხოვანი მოსახლეობის _ აფსუათა იგივეობად იყო გასაღებული... 1988 წელს მთლიანად წავიკითხე პლინიუსის ეს ნაშრომი და გავოცდი, რომ სწორედ პლინიუსის ცნობით აბსუები არამც თუ დღევანდელ აფხაზეთში, არამედ შავიზღვისპირეთში საერთოდ არ ცხოვრობდნენ... აბსუების ისტორია საბუთების გაყალბებაზეა დაფუძვნებული... რუსეთის საბჭოთა პროფესორებმა წაიკითხეს პლინიუსის ცნობა აბსუათა შესახებ და დაუმალეს საზოგადოებას, რადგან პლინიუსის ეს ცნობა ააშკარავებს აბსუათა და მეორეს მხრივ აფხაზთა სხვადასხვა ეროვნებისადმი კუთვნილებას, მათს სხვადასხვა არეზე განსახლების ფაქტს. აფხაზებისა და აბსუების ვითომდა იგივეობის ზღაპარზე სწორ პოლიტიკას ვერ ააგებდა რომელიმე სახელოვანი მეფეც კი, რაღა თქმა უნდა, რომ გაუჭირდებოდათ ამ რაიონის მართვა ორი კლასის განათლების მქონე ბოლშევიკ მმართველებს, რომელთაც სიმართლის ისევე ეშენოდათ, როგორც თხუნელას _ სინათლის” (ნათელა ფოფხაძე _ “აფხაზი აბსუა არ არის, აფხაზეთი აბსნი არ არის”. _ ჟურნალი “აია”, 1998წ, №2, გვ. 40).

ასეა თუ ისე, ცხუმ-აფხაზეთის განქართველების პროცესი იმ ეთნოდივერსიული პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იმთავითვე გახდა, რომელიც იმპერიამ მოგვახვია თავს. ამ საკითხის კვლევა, პირველ რიგში, მოითხოვს საბჭოთა სტერეოტიპებისაგან სრულ თავდახსნასა და გათავისუფლებას, ამავე დროს,

საქართველოს უახლესი ისტორიის (არა მხოლოდ ისტორიის) ახლებურ, უფრო სწორად, ჭეშმარიტ აღქმას.

30-იან წლებში **გიორგი შარვაშიძის, დავით ჩხოტუას, არზაყან ემხვარისა** და **აფხაზთა 1870 და 1916 წლების** დეპუტაციათა ნაცარტუტად გადაქცეულ მართლა აფხაზურ ნააკვნარზე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) დასახლდა და ფეხი მოიმაგრა "ოქტომბრისენოვანმა", მაშასადამე, ფაბრიკაციულმა მოსახლეობამ _ აფხაზეცობამ.

აფხაზეთის ასსრ-ის დივერსიული შინაარსის შესაბამისად, მისი დემოგრაფიული დადასტურება _ "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" შემადგენლობა,როგორც უკვე მოგახსენეთ, საგანგებოდ იმპორტირებულ ეთნონედლეულთან ერთად, სამწუხაროდ, გამანქურთებული ქართველობაცაა და იგი შეადგენს მის უპირატეს ნაწილს.

მარტივი ხერხია: რაკი გვაქვს აფხაზეთის ასსრ _ უნდა იყოს ამ "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხიც" _ აფხაზეცობაც...

აფხაზეცობა, როგორც საბჭოთა ეთნოკრატიული პრივილეგია, ამ შეღავათებს იღებდა და იღებს "ადგილებზე" ანტიმშობლიური საინტერვენციო ადმინისტრაციის დაკანონებისათვის. მას არაფერი აქვს საერთო მორდუობისა და ძუძუმტეობის სახლიკაცურ შინაარსთან, რაც მთავარია, ეროვნულ მეხსიერებასთან _ აფხაზობასთან (ქართველობასთან).

სამართლიანად აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით **ზ. გამსახურდია**: **"რატომ შეერქვათ აფსუებს აფხაზები? ისინი ხომ თავიანთ ენაზე თავის თავს აფხაზებს არ უწოდებენ? აქ მოხდა როგორც ჩანს, ისეთი მეტამორფოზა, როგორც პრუსიაში XIII საუკუნის დამდეგს. პრუსიაში შეიჭრნენ გერმანელები. გაჟლიტეს ადგილობრივი პრუსების ერი, რომელიც არ იყო გერმანელი ტომის ხალხი და თვით დაირქვეს მათი სახელი "პრუსიელი", პრუსაკი.**

ასევე დაირქვეს არაბებმა "ეგვიპტელები" ეგვიპტეში შეჭრის შემდგომ" (თვითგამოც. ჟურნალი "მატიანე",. 1989, №4).

ამავე დროს, ვინაიდან აფხაზეთში სახეზე იყო და არის, მართალია, ფაბრიკაციული, მაგრამ ფაქტიურად არსებული ხალხი, ქართველებმა, გამომდინარე თავიანთი ეროვნული ხასიათიდან, მათთან დაამყარეს მორდუობის, ძუძუმტეობისა და სახლიკაცური ცხოვრების წესი, მით უმეტეს, რომ ამ "გასხვახალხებულთაგან" უმეტესობა მისი ჯიშისმიერი სახლიკაცი იყო, რომელთანაც ერთად ჭირსა და ლხინში აკრიალოსნებდა ყოფით ყოველდღიურობას. ასეთ ურთიერთობას გარკვეულ დრომდე გულითადი უკუგებით პასუხობდა ხიზანი აფსუაც. სამწუხაროდ, საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის "აღმშენებლობამ" და ამ "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" ფაბრიკაციამ ისტორიულ მორდუშვილებს თავს მოახვია ურთიერთგაუცხოება. აქედან გამომდინარე, აფხაზეცობა საქრთველოში და საერთოდ, კავკასიაში საბჭოთა ეთნოდივერსიული აგრესიის პირმშოა[2] (აქ ერთიც უნდა აღინიშნოს,

---

[2] წინამდებარე ვერაგული დოკუმენტი, რომელიც "მოძმე" პოლონეთისათვის "დახმარების ხელის" გაწვდენის ნიღაბქვეშ ქვეყნის განმშობლიურებას გულისხმობდა, ბოლშევიკური ინტერნაციონალიზმის ერთერთი ტაქტიკური პროგრამაა.

სსრ კავშირის სპეცსამსახურების ეს ინსტრუქცია _ გრიფით სრულიად საიდუმლოდ (Москва 1947) 2/6 совершенно секретно К7 АА/СС приказ НК (003) 47, აღმოჩნდა ომისშემდგომი პოლონეთის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის (1947-1952 წწ.) სამუშაო კაბინეტში. ბერუტი ჯერ კიდევ ომამდე სსრკ სპეცსამსახურის აგენტი იყო.

გააფხაზეცებული აფხაზი (იგივე ქართველი), რომელიც ამ მიწაზე მკვიდრობდა, მართალია, დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგად გასხვახალხდა, მაგრამ მისი ამ მიწაზე მკვიდრობის შესახებ მეხსიერება შემორჩა და იგი გულწრფელია, როცა გაშმაგებით იმშობლიურებს მას. უბედურება ამ შემთხვევაში ისაა, რომ ის დედანში ვერ

სსრ კავშირის სპეცსამსახურების ამ ინსტრუქციის გაცნობისას მკითხველი დარწმუნდება, რომ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში იმ ორმოციოდე წლისა და საბჭოთა კავშირში 70 წლის მანძილზე დამკვიდრებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მხოლოდ ასეთი საიდუმლო მითითებების განხორციელების შედეგად

შეიძლებოდა მიღწეულიყო. სავარაუდოა, რომ მსგავსი ინსტრუქციები ეძლეოდათ 20-იან წლებში ხელმძღვანელ მუშაკებს იმ ქვეყნებსა და მხარეებში, მათ შორის საქართველოში, რომლებიც საბჭოთა რუსეთმა ძალის მეშვეობით შეიყვანა იმპერიის შემადგენლობაში:

<u>ᲛᲗᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲓ</u>

უნდა დაჩქარდეს ყველა პარტიისა და ორგანიზაციის გაერთიანება და მიღებულ იქნას ზომები, რათა ჩვენს სპეცსამსახურებში მყოფმა პირებმა დაიკავონ წამყვანი პოსტები.

აუცილებელია შეიქმნას ისეთი ვითარება, რომლის დროსაც სახელმწიფო მოსამსახურეთა (სპეცსამსახურებისა და სამხედრო მრეწველობის გარდა) შემოსავლები მცირე იქნება. ეს პირველ რიგში ეხება ჯანდაცვას, სასამართლოებს, სკოლებს, აგრეთვე ყველა ხელმძღვანელ მუშაკს.

მმართველობისა და უმრავლეს საწარმოთა ხელმძღვანელ ორგანოებში (ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე) უნდა დაინიშნოს ის ხალხი, რომლებიც თანამშრომლობენ ჩვენს სპეცსამსახურებთან. განსაკუთრებული გულმოდგინებით თვალყური უნდა ედევნოს იმას, რომ ადგილობრივი პრესა არ ბეჭდავდეს ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ოდენობისა და რა საქონელი გააქვთ ჩვენს ქვეყანაში (იგულისხმება სსრკ). ამას არც საქონელგაცვლა არ უნდა ეწოდოს. ასევე,

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პრესა ხაზს უსვამდეს შემოტანილი საქონლის ოდენობას, ამასთან, აქვე უნდა მიეთითოს, რომ ეს ხდება ორმხრივი საქონელგაცვლის ფარგლებში.

მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს სახნავი მიწები ანდა მიწის სხვა ნაკვეთები, უნდა მიეცეთ დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ მათ ებოძათ მიწა, და არა იმას, რომ ისინი მიწის მფლობელები არიან.

კერძო ფერმერული მეურნეობის მიმართ ისეთი პოლიტიკა უნდა გატარდეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს მეურნეობები წამგებიანი და უსუსურია. ამის შემდეგ უნდა შეუდგნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას.

ყველა ზომა უნდა იქნას მღებული, რათა ბრძანებები და გადაწყვეტილებები _ როგორც იურიდიული, ეკონომიკური, ისე ადმინისტრაციული, _ შეიცავდნენ არაკონკრეტულობის ელემენტებს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნებისმიერ საკითხს ერთდროულად სწავლობდეს რამდენიმე კომიტეტი, დაწესებულება და ორგანიზაცია. მაგრამ არც ერთ მათგანს არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ გავლენა მოახდინოს საწარმოთა საქმიანობაზე. ხელმძღვანელის როლი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ განკარგულების შესრულებით. ის ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც მუშაობენ პარტიულ, სახელმწიფო ან სამეურნეო აპარატში, ისეთ მდგომარეობაში უნდა ჩააყენონ, რაც სახელს გაუტეხს მათ ხელქვეითების თვალში ისე, რომ ძველ გარემოცვაში მათი დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი გახდეს. შეფერხებები უნდა მოხდეს ამა თუ იმ საქონლის მიწოდებაში.

მუშებს მხარდაჭერა უნდა ჰქონდეთ იმაში, რომ მსჯელობდნენ მწვავე საწარმოო საკითხებზე, აგრეთვე იმ მხრივაც, რომ აკრიტიკებდნენ წარსულსა და ადგილობრივ ცხოვრებას. მაგრამ არ უნდა მოხდეს გასაკრიტიკებელ მოვლენათა მიზეზების აღმოფხვრა. ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსული ხელმძღვანელების საჯარო სიტყვებში დასაშვებია ეროვნული ელფერის აზრები, მაგრამ მათ ხელი არ უნდა შეუწყონ ეროვნული ერთიანობის ზრდას.

სამრეწველო ობიექტების აღდგენისას და მშენებლობისას უნდა გაისარჯონ იმაზე, რომ საწარმოო ნარჩენები ხვდებოდეს წყალსატევებში, საიდანაც მოსახლეობა იღებს სასმელ წყალს. კერძო მეწარმეები და ხელოსნები უნდა მარაგდებოდნენ ისეთი მანქანებითა და ნედლეულით, რომლებიც შეუძლებელს გახდიან ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას. ფასები ამ პროდუქციაზე უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე სახელმწიფოსაზე.

ყველა დარგში შეძლებისდაგვარად უნდა წახალისდეს ადმინისტრაციული აპარატის მნიშვნელოვანი ზრდა. აპარატის კრიტიკა დასაშვებია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ადმინისტრაციული აპარატის შემცირება და მისი ნორმალური მუშაობისთვის ხელის შეშლა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკლესიას. კულტურული და აღმზრდელობითი მუშაობა ისეთნაირად უნდა წარიმართოს, რომ იგი ბადებდეს მტრობას რელიგიის კერების მიმართ. თვალყური უნდა ედევნოს და კონტროლი გაეწიოს საეკლესიო ლიტერატურას, არქივებს, რელიგიური სწავლების შინაარსსა და დაკრძალვის ცერემონიებსაც კი.

დაწყებითი და სპეცსკოლებიდან, უპირატესად კი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებიდან უნდა მოიშორონ ის პედაგოგები, რომლებიც ყველაზე უფრო აღიარებულნი არიან. მათ ადგილებზე უნდა დაინიშნონ ჩვენს მიერ გამწესებული პირები.

უნდა წაიშალოს განსხვავება საგნებს შორის, შეიზღუდოს ორიგინალების პუბლიკაციები, შეწყდეს ლათინური და ძველბერძნული ენების, ფილოსოფიის, ლოგიკისა და გენეტიკის სწავლება. ისტორიის გაკვეთილებზე არ უნდა აიხსნას ის ფაქტები, თუ წინანდელი პოლიტიკოსებისაგან ვინ ემსახურებოდა ან, ცდილობდა, ემსახურა სამშობლოსათვის. ყურადღება უნდა გამახვილდეს მეფეების ტირანიაზე და მათ წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლაზე. მხარი უნდა დაეჭიროს ისეთ კულტურულ-სპორტულ ღონისძიებებს, რომლებიც ეძღვნება ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლას უცხოელების, განსაკუთრებით გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ (გვერდი უნდა აევლოს რუსების წინააღმდეგ ბრძოლას) და ისეთებს, რომლებიც უმღერიან სოციალიზმისათვის ბრძოლას.

პოლიტიკური მოწინააღმდეგეები უნდა დააპატიმრონ. ისინი, ვისაც ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით აფასებს, უნდა დამუშავდნენ. ისინი უნდა მოექცნენ იზოლაციაში ვითომდა კანონების დარღვევისათვის, ანდა მოცილებულ იქნენ ე.წ. უბედური შემთხვევების მეშვეობით ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქმე ოფიციალურ დონეზე გახმაურდება. ადგილებზე ზომები უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ წამყვანი სპეციალისტები გადააყენონ თავიანთი სამუშაოებიდან და ისინი შეცვალონ მცირე განათლებისა და კომპეტენციის მქონე მუშაკებით. უმაღლეს სასწავლებლებში პირველ რიგში მიღებული უნდა იქნან ისინი, რომლებიც წარმოშობით მოსახლეობის დაბალი ფენებიდან არიან და რომლებსაც სპეციალობით ღრმა ცოდნის მიღება კი არ აინტერესებთ, არამედ მხოლოდ დიპლომი".

(გაზეთი "სახალხო განათლება" 1990, 29 XI, იბეჭდება მცირე შემოკლებით)

იცნობიერებს მის შინაარსს). საბჭოთა სინამდვილე ცხუმ-აფხაზეთში მიზნობრივად ამკვიდრებდა საბედისწეროდ სახიფათო რაობას: ხომ იყო რუსულ-ქართული "უფროს-უმცროს" ძმობა, რატომ არ უნდა ყოფილიყო რუსისტული მატროშკის ჯერმონაცვლე გარსში _ ამჯერად "ქართველთა სკნელში" მომდევნო "თავისთავადობა" _ აფხაზეცობა, იგივე "უმცროსი ძმები"! (ჰოდა, საჭირო დროს ამ "ძმა"-ს ერთმა ზემოდან და მეორემ ქვემოდან შიგ მკერდში გაგვიყარეს მახვილი).

ასეთ "უფროს-უმცროს ძმობას" სათანადო იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული "დასაბუთება" ახლდა. საბჭოთა პროპაგანდის მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თურმე, ისევე, როგორც რუსები, _ ჩვენ, ჩვენის მხრივ ქართველები აფხაზეცებს "თავისი მიწის" გათავისუფლებაში ვშველოდით, ე.ი იბერიელთა გარდახდილი ომები ცხუმ-აფხაზეთში სამამულო კი არ ყოფილა, არამედ "მეზობლის მოსახმარებლად" გარჯილან. ამნაირი "ძმობით" პირდაპირაა თქმული: კი ბატონო, მეგობარია აფხაზეთი, მაგრამ სხვა ქვეყანაა, არაო საქართველო. ბოლო წლებში ეს ძმობა ყავლაგასულად ჩათვალა სეპარატისტულმა იდეოლოგიამ და ამ მიწის მკვიდრი ქართველი ცხუმ-აფხაზეთში საბჭოთა ეთნოდივერსიულმა ინდუსტრიამ დიდმპყრობლის სინონიმად წარმოსახა.

საქმე გვაქვს უნიკალურ მოვლენასთან, სახელდახელოდ გამოინკუბატორებულ აფხაზეცურ ეთნოკრატიასთან, რომელიც თავის მხრივ სააფხაზეთო "კვოტებს", იმპერიული მატროშკის თავის კუთვნილ სკნელში იყოფდა "ზემდგომ" ვითომქართულ პარტოკრატიასთან. ამ ვითარებაში ის მკვიდრი მოსახლეობა (აფხაზობა, იგივე მეგრელობა, მაშასადამე, ქართველობა), რომელიც არც სეპარატისტების საინკუბაციო ეთნონედლეულად იქცა და ვერც "ქართული"პარტოკრატიის სტანდარტებს მოერგო (უბრალო ქართველად _ აფხაზად, მეგრელად დარჩა), იგი მთელი ამ წლების მანძილზე იყო უუფლებო, თავში ჩარტყმული, უვინაო. მათ სეპარატისტები თავიანთ უფლებებს არ უყოფდნენ, ხოლო "პარაშუტისტი ქართველი" პარტოკრატები თავისიანად არ მიიჩნევდნენ.

რაკი შეკოწიწდა "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი", ვითარებამ მოითხოვა ჰქონოდა მას "მშობლიური" ენა, ისტორია, დამწერლობა, სასწავლებელი და ა.შ.

ყოველივე ეს "საბჭოთა მზრუნველობით" შეიქმნა საქართველოს ვინაობის გაყალბების ხარჯზე. აფხაზეცური ცნობიერება, რა თქმა უნდა, "ოქტომბრისენოვანია". ამ მიზნით, პირველ რიგში, შეკოწიწდა ე.წ. აფხაზეცური ანბანი, რომლის თადარიგი ჯერ კიდევ რომანოვულმა იმპერიამ დაიჭირა, მაგრამ მისი "აყვავება" საბჭოთა სინამდვილეს უკავშირდება და ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთში გატარებული ბოლშევიკური რეპრესიების შედეგად (ისევე, როგორც სრულიად საქართველოში) **გიორგი შარვაშიძისა** და **არზაყან ემხვარის** სრულიად ქართველური (აფხაზური) ცნობიერება, როგორც თავადაზნაურული, ე.ი. "რეაქციული", პირისაგან მიწისა აღგავეს.

საინტერესოა, რომ **გიორგი შარვაშიძეს** დიდმა უნგრელმა მხატვარმა **მიხაი ზიჩიმ ტარიელის** პროტოტიპობა შებედა. ამ დიდი მოღვაწის მიხედვით ქართული გენის ლიტერატურული პორტრეტი **გრიგოლ რობაქიძემაც** შექმნა. თავად **გიორგი შარვაშიძე** ბრძანდებოდა **წმ. ილია მართლის** მახვილჩაუგები თანამოსანგრე. მისი ნამდვილი ვინაობა და ეროვნული პორტრეტი ამ სტრიქონებში იკითხება მკაფიოდ: **"მართალია, ჩვენს სამშობლო ევერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთ ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიახ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, იღბლის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს, ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული ქრისტეს**

მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეში. მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით მოვიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა. შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსება. შემოსეული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა. ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, ღონე და შეძლება დავკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მივაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვნიდით ჯაშუშობასა და სამშობლოს მტრობაში" (გიორგი შარვაშიძე "ლირიკა, ეპოსი, დრამა". სოხუმი 1946წ. გვ. 18-19).

ან კიდევ მისი წერილი **1911 წლის** რუსულ გაზეთში **"ზაკავკაზსკაია რეჩ"**-ში:

"...ასე უზაკველად ვცხოვრობთ ჩვენ და ბ-ნი ლორენცი რომ უფრო ღრმად ჩაწვდომოდა ყოფით მხარეებს, გაიგებდა ყველაფერს ამას და უფრო მეტს სხვა რამესაც: გაიგებდა, რომ ამ ხალხს, რომელიც მან ასე აბუჩად აიგდო და შეურაცხყო, აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული, რომ ქართველები არიან რაინდები, რომლებიც პირველი ქრისტიანობის დამცველებთან ერთად მონაწილეობდნენ ჯვაროსანთა ლაშქრობაში, ხმალაწვდილნი იდგნენ კავკასიონის კარიბჭესთან თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში იმიტომ კი არა, რომ შეჭრილიყვნენ უცხო ქვეყნებში და დაერბიათ სხვისი დოვლათი, არამედ სამშობლოს გადასარჩენად, ქრისტიანული კულტურისა და მოქალაქეობრივი ყოფაცხოვრების დასაცავად. აგრეთვე გაიგებდა, რომ ქართველებს აქვთ მსოფლიოში სახელგანთქმული ნაწარმოებების შესადარი უდიდესი ძველი ეპიკური ლიტერატურა, გაიგებდა, რომ ქართველი მეფეებისა და ხალხის იერარქიაში გვხვდება არაჩვეულებრივი გმირებისა და ბრძენ ადამიანთა სახელები..."

(დამოწმებულია გაზეთ **"ლიტერატურული საქართველოდან" _ 1989წ. 31 მარტი**).

რაც შეეხება **არზაყან ემხვარს**, იგი **1918-21 წლებში** ხემძღვანელობდა აფხაზეთის ხელისუფლებას, მის სახელთანაა დაკავშირებული ამ კუთხეში ბოლშევიკური ანარქიის ალაგმვა და ცხუმ-აფხაზეთის დედა საქართველოს შემადგენლობაში დამკვიდრება. თავის მხრივ, **არზაყან ემხვარი** დიდოსტატ კონსტანტინეს ლიტერატურული გმირის **თარაშ ემხვარის** პროტოტიპი ბრძანდება. ამ ცნობიერებისათვის რაოდენ არაბუნებრივი და გენეტიკურად უცხო სხეულია ჯერ კიდევ **სტალინის** სიცოცხლეში დაწერილი **გ.გულიას** რუსულენოვანი ნაწარმოები "გაზაფხული საკენში", რომელიც მაშინათვე კინოსტუდია "ქართულ ფილმში" გადაიღეს: თურმე, აფხაზეთის მთებში რუსს აღმოუჩენია მინერალი და ამით "გაბედნიერებულა" აფხაზი ხალხი (ასეთ აზროვნებას "ქართველი" **სტალინის** ზეობის დროს აძალებდნენ აფხაზეთს და იგი მისი პავლიკ მოროზოველი შვილების **(გ.გულიას)** ხელითაც ხორციელდებოდა). ამასთანავე, აფხაზეთის ასსრ საბჭოთა მწერლების კავშირად წოდებულ ბოლშევიკურ არტელში მისი წევრი ქართულენოვანი ლიტერატორების ხელით ასევე ითხზვებოდა ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორები, _ კომუნისტური იდეოლოგიის დაკვეთის შესაბამისად, _ თავგამოდებით "ამტკიცებდნენ" ცხუმ-აფხაზეთის "არაქართულობას" და გამომდინარე ამ "მტკიცებულებებიდან", საყოველთაოდ ასაჯარისებდნენ საბჭოთა რესპუბლიკათა (ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ) სახელების მატარებელი "ხალხების ლენინურ ძმობასა" და "დიადი რუსი ერის უანგარო კეთილმოსურნეობასა თუ კეთილმყოფლობას": **" _ უტუს უთქვამს, _ განაგრძობდა დიმიტრი, _ კაცი ყველა ერთნაირად იბადება და ერთნაირად კვდებაო, მაშასადამე, კაცის კაცი არ არსებობსო, ბატონი არ უნდა იყოსო.**

_ ხედავ, მამა, _ უთხრა მაიამ გიორგის, _ ეს დიდი ჰუმანური იდეები, <u>რომელიც რუსეთიდან ანკარა წყალივით მოჩუხჩუხებს,</u> (ხაზგასმა ს.საჯ.), სად შემოსულა

პირდაპირ უტუ მიქავასა და მართალია თოდუას სახლში შემოჭრილა” (ფუცუ დგებუაძე _ ფულარია, “ოქროს ბეჭედი”, თბილისი, “საბჭოთა საქართველო”, 1965 წელი, გვ. 182).

***

მრავალსაუკუნოვანმა დენაციონალიზაციის პროცესმა ცხუმ-აფხაზეთში ჩამოაყალიბა მძლავრი ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრია, რომელმაც შესძლო ამ მხარის მკვიდრი და მშობლიური ცნობიერების ნაწილობრივი გადაგვარება. თუ რა შინაარსისა იყო ეს მშობლიური ცნობიერება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის ქრესტომატიული მაგალითია **გიორგი შარვაშიძის, დავით ჩხოტუას, არზაყან ემხვარისა** და სხვათა მოღვაწეობა. **1970** და **1916 წლების** აფხაზთა დეპუტაციის მოთხოვნები, მისი გვირგვინია **დიდი ილიასა** და **სოხუმის საზოგადობრიობის** ეროვნულ-სახალხო ნადიმი ქ.სოხუმში საუკუნის გარიჟრაჟზე და ა.შ.

1903 წლის მაისში **ილია ჭავჭავაძე** იმყოფებოდა გაგრაში. იგი მიიწვია გრაფმა **ა.ოლდენბურგსკიმ.**

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეს უმშვენიერესი კუთხე მთლიანად უცხოელთა ხელში იყო იმხანად.

22 მაისს ერის სულიერი მამა გაგრიდან სოხუმში ჩამოვიდა. მას თან ახლდნენ **ალ. ორბელიანი** და **დიმ. ჩოლოყაშვილი**.

24 მაისს **ა.გ.შერვაშიძის** ოჯახში სოხუმის ქართული საზოგადოება საქართველოს უგვირგვინო მეფეს გულითადი პატივმიგებით შეხვდა. ნადიმს ესწრებოდნენ **თ.სახოკია, ივ.მიმინოშვილი, ს.თურქია, ე.გაბუნია, ა.ჩუკბარი, მაშო ანჩაბაძე (შალვა დადიანის და), გ.ნორაკიძე** და სხვები.

ნადიმზე **ი.ჭავჭავაძის** მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო ჩაიწერა **თ.სახოკიამ.** ამ შეხვედრის შესახებ ცნობა იმხანად გაზეთმა **“ივერიამაც”** გამოაქვეყნა. გთავაზობთ ი.ჭავჭავაძის სადღეგრძელოს:

“ბატონებო, დიდის პატივისცემით მოგესალმებით!

ბედნიერი გახლავართ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულს კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს... მადლობელი გახლავართ თქვენი დახვედრისათვის, ჩემის პატივისცემისა და დღეგრძელობისათვის!

თქვენ რომ გიყურებთ გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად ვერ დავეჩაგვრინებით. რომაელთა ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერით, ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსთვის მაინც მეთქი! თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არა ფიქრობს და სხვას შეჰყურებს, აცა, რამე გავარდეს ხელიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილად ნუ ეცდება შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილად იმედი ნუ აქვს ცხოვრების ჭიდილში ფონს გავიდეს; ასეთი ერი, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეით აცდება, ნასუფრალი თუ ხვდა ღმერთს მადლი შესწიროს! ყველასგან გათელილი, ყველასგან გაბრიყვებული, ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავის ძალღონით არ ჰლამობს ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე.

თქვენი მომმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალსნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიურ მოღონიერებისკენ. იქ ყველანი ჩვენ გვჩაგრავენ, თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათდება, სასოებით მევსება: მთელი ქალაქი თქვენს ხელშია; აქაურობის ბატონ-

პატრონი თქვენა ხართ, გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთიორად აქციოთ, ფხიზლობთ, ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე. ამისთვის თქვენთვის გამჩენს შნო მოუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კიდეცა. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონივრები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გაიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდრძევი შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს. თუ ვაჭრობას, ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს, ვუერთგულეთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება. რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლის, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერს და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ.

მაშ გაგიმარჯოსთ, ბატონებო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს: ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად...”

ამონარიდი გაზეთ “ივერიიდან”, 1903წ., 28 ივნისი: “მე ჩემი ამხანაგების მაგიერ და ჩემთავად დიდს მადლობას მოგახსენებთ ამ გადამეტებული პატივისიცემისაგან და ღმერთსა ვთხოვ გიხსნათ თქვენ იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავივით თვალთ ამეტუზა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე. დღეს აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე, შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზარავი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზ, ტურფას, მდიდარ ქვეყნას, რომ პირველ ხანში იქნებ მადლობელიც გაუხდეთ.

კიდევ ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელი მაცდურისაგან, ღმერთმა ჰქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეინარჩუნოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოდ და თქვენთა შვილთა და ახლობელთა საბედნიეროდ და თავმოსაწონად”.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიის ქართულობაზე საუბრობენ XVII საუკუნის რუსი ელჩები (უფრო სწორად, შენიღბული მზვერავები), **ფედოტე ელჩინი** და **პავლე ზახარიევი.** ისინი რუსეთის ხელმწიფისათვის წარდგენილ თავიანთ ჩანაწერებში აფხაზეთზე პირწმინდა მეგრულ ყოფით ყოველდღიურობას აშინაარსებდნენ.

<u>ცნობისათვის:</u> 1639-40 წლებში რუსეთის სამეფო კარის დავალებით მათ დაზვერეს და აღწერეს სამეგრელოს სამთავრო, ბუნებრივია, თავიანთ დღიურებში ასახეს იმ დროისათვის აფხაზეთის სინამდვილეც, რადგან იგი სამეგრელოს სამთავროს სისხლხორცეული ნაწილი გახლდათ და ჯერ კიდევ არ იყო ჩამოგლეჯილი მშობლიურ სამყაროს. ხაზგასმითაა აღსანიშნი, რომ **ფ.ელჩინისა** და **პ.ზახარიევის** დადასტურებით იმხანად აფხაზეთის მოსახლეობა მეგრელობაა (იგივე აფხაზობა) (დაწვრილებით იხილეთ “Материалы по церковной и этнологической истории Абхазии”, Тб. 2005г. ჯ.გამახარიას რედაქტორობით).

უნდა მოგახსენოთ, რომ XIX საუკუნეში აფხაზეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, მათ შორის მუჰაჯირების უპირატესი რაოდენობა, ისევ და ისევ მეგრულ (ქართულ) გვარ-სახელებს ატარებდა. მართალია, მათ მშობლიური ცნობიერება ამ დროისათვის საკმაოდ გაუბურუსდათ, მაგრამ პირველი შესაძლებლობისთანავე თითქმის საყოველთაოდ დაიწყეს აღორძინება მამა-პაპათა მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში. სამწუხაროდ, მათ ასეთ ხელგამოღებას წინ აღუდგა მართლმადიდებლური რუსეთი, რადგან მას ამ მხარეში ეთნიკური წმენდის "გასამართლებლად" სჭირდებოდა მაჰმადიანი მოსახლეობა და არა საკუთარ რჯულში აღმდგარი აფხაზი (ქართველი), რომელთა გაერთსხეულება ივერიის ტახტის გარშემო ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატით ივალდებულა მან

ამ მხრივ აღსანიშნავია ისიც, რომ 1903 წლის აპრილში ეგზარქოსმა **ალექსიმ** ავადსახსენებელ **ი.ვოსტორგოვთან** ერთად იმოგზაურა სამეგრელოსა და აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში). მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო შეეგროვებინათ "მტკიცებულებები" ადგილობრივი მოსახლეობის "არაქართველობის" შესახებ.

ამ მიზნით მათ ხელი გაიბეჯითეს გუდაუთაში, ლიხნში, ანაკოფიაში (ახალ ათონში), სოხუმში, დრანდაში და ა.შ.

მათ ასეთი "მტკიცებულებები" ვერ მოიპოვეს და ეს მოხდა იმ მხარეში, რომელიც საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილი იყო დედა საქართველოს.

აფხაზეთის მოსახლეობის უტყუარი განწყობა გამოხატულია **1870 წელს** თბილისის საადგილმამულო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარისადმი, გენერალ-ადიუტანტ **სვიატოპოლსკ-მირსკისადმი** მიწერილ ვრცელ წერილში, რომელსაც აფხაზეთის დეპუტაცია აწერდა ხელს: **"...ძველთაგანვე აფხაზეთი ყოფილი საქართველოს ნაწილს შეადგენდა. ქართველ მეფეთა უკანასკნელი დინასტია _ აფხაზური დინასტიაა. ბიჭვინთის უძველესი ტაძარიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე აფხაზთა და ქართველთა კათალიკოსების საკათედრო ტაძარი იყო... სულ უკანასკნელ დრომდე აფხაზეთში ჰყვაოდა დრანდის, მოქვისა და ბედიის საეპისკოპოსოები. ბედიის ტაძარი, აგებული აფხაზური დინასტიის პირველი მეფის _ ბაგრატის მიერ, თავის წიაღში იფარავს ამ სახელმწიფოებრივი მაშენებლის ნეშტს. მოქვის ტაძარი კი აგებულია ქართველთა და აფხაზთა მეფის დავით აღმაშენებლის მიერ. აფხაზ ხალხსაც უკანასკნელ დრომდე საქართველოსთან (აქ იგულისხმება ქართი _ ს.საჯ.), სამეგრელოსთან და იმერეთთან საერთო სარწმუნოება, ჩვეულება და კანონები ჰქონდა... ქართველ მეფეებს არასდროს გამოურიცხავთ აფხაზეთი დიდი ქართული ოჯახიდან და თავისი არსებობის მთელს მანძილზე _ როგორც სამეფოს გაყოფამდე, ასევე შემდგომაც, უკანასკნელ დრომდე... როცა გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოს (ქართის ს.საჯ.) მეფე ვახტანგ VI-მ კანონთა კრებულის შედგენა დაიწყო და ყოფილი საქართველოს სამეფოს ყველა პროვინციიდან წარმომადგენლობას იწვევდა, მან აფხაზეთიდანაც მოიწვია დეპუტატები..."** (**თარგმნეს და გამოსაცემად მოამზადეს ს.საჯაიამ და ვ.ბურკაძემ, გაზეთი "საქართველო", 1997წ. №34-38**).

სააფხაზოს რწმუნებით წერილის ავტორები იხვეწებიან, ნუ განგვასხვავებთ და ნუ გამოგვყოფთო დანარჩენი საქართველოდან, რადგანაც **"...თქვენს ბრწყინვალებას ვთხოვთ იმასაც მიაქციოს ყურადღება, რომ ძველ დროშიც და ამჟამადაც საცხოვრებლები, შესამოსელი, საზრდო, მიწათმოქმედების იარაღები, სოფლის მეურნეობის გაძღოლის წესი სრულიად იგივე იყო და არის აფხაზეთში, რაც სამეგრელოშია. ადგილებსაც უმეტესწილად ქართული სახელწოდებანი აქვთ. მცხოვრებთა უდიდესი ნაწილიც თავის მეგრულ თუ ქართულ (ქართი _ ს.საჯ.) წარმომავლობას აღიარებს და ბევრს თავისი ქართული და მეგრული გვარებიც კი აქვს**

შენარჩუნებული. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება საბაბს გვაძლევდეს საქართველოდან გამოყოფილად მივიჩნევდეთ აფხაზეთს _ აფხაზური ენა (ე.ი. ბოლო საუკუნეებში წარმოებული დენაციონალიზაციის პროდუქტი, ს.საჯ.), მაგრამ მასშიც სანახევროდ მეგრულ და ქართულ სიტყვებს ვხედავთ" (იქვე)

წერილის ავტორთა თქმით სააფხაზოს ყოფითი თუ ცნობიერი ყოველდღიურობა **"ზუსტად იგივე იყო, რაც სამეგრელოში და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან აფხაზეთი და სამურზაყანო ყოველთვის ერთ მთლიანს შეადგენდა სამეგრელოსთან ერთად და უკანასკნელ დრომდეც აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროები სრულიად მსგავს სამოქალაქო პირობებში არსებობდნენ..."** (იქვე).

წერილს სააფხაზოს მოსახლეობის რწმუნებით ხელს აწერდნენ თავადები _ **ბათა ემუხვარი, მისოუსტ მარშანი, ტიტუ მარღანი** და **კონსტანტინე ინალ-იფა** (გაზ. **"საქართველო"**, მითითებული ნომრები).

კიდევ უფრო გულმოდგინედ ჩამოჰყვა თავიანთ განცხადებას თბილისში აფხაზთა წარმომადგენლობა **1916 წელს**. როგორც ცნობილია, **26 აპრილს, დღის 4 სთ და 45 წთ-ზე** აფხაზთა დეპუტაცია თავად **ალ.შერვაშიძის** მეთაურობით (წევრები: თავადი **დ.მარშანია**, თავადი **ა.ინალ-იფა**, **გ.შარვაშიძე**, თავადი **პ.ანჩაბაძე**, გლეხები _ **ა.ჩუკბარი** და **ე.ზუხბაია**), წარუდგა მეფისნაცვალს, დიდ მთავარს _ **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს**. მათ მოითხოვეს: 1. არ განხორციელდეს გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ განზრახულია აფხაზეთის ეპარქიის გამოყოფა საქართველოს საეგზარხოსოდან; 2. ასევე, არ ჩამოშორდეს სოხუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას, მისი შავი ზღვის გუბერნიასთან მიერთების მიზნით.

ამავე საკითხზე აღნიშნულმა დეპუტაციამ შუამდგომლობა გაუგზავნა უწმინდეს სინოდს: მათ აღნიშნეს, რომ ტრადიციული წირვა-ლოცვა (ე.ი. ქართულ ენაზე) გაუქმდა, რის სანაცვლოდაც დეპუტაციის თქმით, **"მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა შემოღებულ იქნა ხალხისათვის გაუგებარ სლავიანურ ენაზე. ხალხსა და მოძღვართა შორის შეწყდა უშუალო დამოკიდებულება, რამაც ჩვენი ეკლესია მიიყვანა დღევანდელ სამწუხარო მდგომარეობამდე" ("სახალხო განათლება", 1989წ. 14 ივნისი).** ამდენად და საბედისწეროდ, XX საუკუნის ათიანი წლებიდან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ცხუმ-აფხაზეთში) დივერსიული ეთნოფაბრიკაციები გაისაგნა სეპარატისტული ეთნოკრატიის ლაგამამოუდებლობად, რომელმაც აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობისგან მოითხოვა გადაგვარება. იგი 1917 წლის სისხლის წვიმებისა და განსაკუთრებით **1921 წლის** საოკუპაციო რეჟიმის შემდეგ საბოლოოდ გამოიკვეთა ოქტომბრისენოვან ცნობიერებად (ფაბრიკაციული ავტონომიური რესპუბლიკა და მისი დემოგრაფიული დადასტურება _ ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი, ე.ი. ცხუმ-აფხაზეთის განმშობლიურება (განქართველება) სიცხადეში.

სწორედ ოქტომბრისენოვნება, შენიღბული ე.წ. აფხაზობაში (უფრო სწორად აფხაზეცობაში), ბოლშევიზმის ხელში **დიმიტრი გულიასა** და მისი მანქურთი თანამოაზრეების თაოსნობით, _ არის ის აღმგველი იდეოლოგია, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეერკინა ცხუმ-აფხაზეთის ჭეშმარიტად აფხაზურ (ქართველურ) დასაბამისმიერ ვინაობას: აფხაზთა **1870 და 1916 წლების** დეპუტაციათა, დიდი **გიორგი შარვაშიძის, დავით ჩხოტუას, არზაყან ემხვარისა** და მრავალთა სხვათა ჯიშისმიერ თვითშეგნებას.

1924 წლის რეპრესიებმა და შემდგომი წლების ეთნოფაბრიკაციათა დივერსიულმა ინდუსტრიამ პირწმინდად განამშობლიურა აფხაზეთი: რეალურად საკითხი ასე დაისვა _ **გიორგი შარვაშიძის** თუ **დიმიტრი გულიას** ცნობიერი გზით.

პირველი _ ნიშნავდა წინაპართა დარად დიდი **ილია მართლისა** და **ამბროსი ხელაიას** მსოფლმხედველობრივი გზით ჯიშისმიერ აღმავლობას, მეორე _ "ლენინური ეროვნული პოლიტიკის კეთილდღეობას". საუბედუროდ, ცხუმ-აფხაზეთს ეს უკანასკნელი მოახვიეს თავს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსიზმის "ძმური მეურვეობა", იგივე ასიმილატორული აღვირახსნილობა, თვით ცარისტულ-დიდმპყრობლურ უღელშიც არ ყოფილა ასე აშკარად გამოხატული, დაუფარავი და შიშველი, როგორც ეს ოქტომბრისენოვანი დიქტატურის ქვეშ დადგინდა. განსხვავება ისაა, რომ ცარიზმის დროს რუსისტული მიზნები, მისი პოლიტიკა უფრო შეფარულად ტარდებოდა, მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები უფრო კარგად იყო მორგებული, რაც მაშინდელი ჩინოვნიკური აპარატის მეტ პროფესიონალიზმზე და შედარებით უფრო მაღალ ინტელექტზე მეტყველებს. არადა, სიკვდილის ცელით მოდიოდა იგიც!

საერთოდ ქართულმა აზროვნების წესმა "აფხაზი" ქართველთა სანიშანსვეტო ჯიშისმიერებად დაიდგინა. როგორც სახალხო სიტყვიერება (თავსმოხვეული საბჭოთა სტერეოტიპების გარდა), ასევე ქართული მწერლობა დღემდე აფხაზურ შინაარსში მოიძიებს ქართულ მარადისობას და ეს ბუნებრივია იმდენად, რამდენადაც ცხუმ-აფახაზეთის საგანმანათლებლო თუ ცნობიერმა სკოლამ განაპირობა სრულიად საქართველოს აზროვნება პონტო-კავკასიაში. ათონელ მამათა სწავლება **"ახალსა ერსა ამას საღვთოსა"** აიყვანა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში, რომლის შედეგიცაა ჭყონდიდურ-აღმშენებლური საქართველო. დიდოსტატ **კონსტანტინეს თარაშ ემხვარი** სწორედაც რომ სატანასთან შერკინებული სახეზოგადობაა. ამ შემთხვევაში შორს წაგვიყვანს მხატვრულ სახეებზე საუბარი, მაგრამ არ შემიძლია არ შევიხსენო **ლ.ქიაჩელის "თავადის ქალი მაია".** დროის ავმოსურნეობისგან გაძარცულს, მას ისღა დარჩენია, თავი ინეგუშოს იმით, რომ ის ერთ დროს აფხაზის საცოლე გახლდათ, აფხაზის საცოლე, ანუ სრულიად საქართველოს სულიერი ლასკარის შესაძლო წევრი!..

ამ მხრივ, აფხაზეთში, ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში დივერსიული ეთნოფაბრიკაციების არსი საოცარი სიზუსტითაა ასახული იმავე **ლ.ქიაჩელის** ეპოქის პანორამად გადაქცეულ ნაწარმოებში **"ჰაკი აძბაში".**

ჰაკი აძბა აფსუაა, ხოლო მისი ძუძუმტე **უჯუშ ემხა** (ემხვარი) აფხაზი (ქართველი) გახლავთ. ეს მათ გულითადობას სულაც არ აბრკოლებს, რათა ერთმანეთისთვის თავი გასწირონ. ეს თავგანწირვა სავსებით ბუნებრივია, იგი სულის მოთხოვნილებაა.

ეს რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ საბჭოთა სინამდვილემ **(კუზმა მრისხანემ) ჰაკის** თანამოჯიშეებს და ჩვენს ძუძუმტეებს ვინაობად არა თავისი საკუთარი, არამედ **უჯუშ ემხას**, ე.ი. სახლიკაცების შინაარსი ჩააჯიბა, გადააგვარა (გაარუსა) და ამგვარად გაუკუღმართებულს პასპორტში ეროვნებად "абхазец-и" ჩაუწერა.

თუ აფსუა **ჰაკი** აფხაზისთვის (ქართველისთვის) თავს იმეტებს, გა-абхазец-ებული **ჰაკი უჯუშს** (ქართველს, ანუ აფხაზს) მახვილს სცემს გულისფიცარში (სხვათა შორის, **ქიაჩის** მადლმოსილი ხატი ავდროების გამო აფხაზეთიდანაა გადაბრძანებული ოდიშის ლაკადაში).

***

"ხალხთა ბედნიერებით" (ეთნოდივერსიული ფაბრიკაციებით) დასაქმებულმა ე.წ. საბჭოთა რესპუბლიკებისა და ასევე ე.წ. ავტონომიური წარმონაქმნების კონსტრუქტორებმა ბოლო დროს განსაკუთრებული თავგამოდებით მოითხოვეს საბჭოეთის რესპუბლიკებისა და ამ ფაბრიკაციული "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" ეთნოდივერსიული პროექტის საცდელი წარმოჩენა. სსრ კავშირი _ როგორც სათანადო ლაბორატორია და შესაბამისი პოლიგონი, ამისათვის მზად იყო. ყოველივე ამას დაერქვა პროგრესული სახელი _ გარდაქმნა, რომელსაც მოჰყვა

რუსიზმის მორიგი ეთნოდივერსიული ლაშქრობები ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში. ასეთი ავდროების შემოტევებისას, რომლის დროსაც "ქიმიურ იარაღად" იყენებდნენ ზემოაღნიშნულ ეთნოდივერსიულ ნედლეულს _ "რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხს", რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ამ აშკარა აგრესიის თავგამოდებული იდეოლოგები თვით მცირე ეთნიკური ერთეულების წარმომადგენლები იყვნენ, თუმცა უცნაური რად უნდა იყოს, პირიქით, კანონზომიერიცაა იმდენად, რამდენადაც ეს, უკვე სულიერად დასაჭურისებული პიროვნებები მხოლოდ ანკეტური მონაცემებით ითვლებოდნენ არარუსად, სინამდვილეში რუსისტული ცნობიერების მატარებლები და აგრესიული გზით მის დამამკვიდრებლებად იქცნენ ამ დროისათვის. მათ დამანგრეველი ძალა სწორედ რჯულდაგდების ხარჯზე შეიძინეს და, რადგან თავიანთი სამშობლოს პრობლემები მათთვის ყავლგასულ საქმედ იქცა, საოცარი ენთუზიაზმით ივალდებულეს აგრესიული კოსმოპოლიტიზმისა და ჭაობური ინტერნაციონალიზმის ქადაგება, ხოლო მის დასამკვიდრებლად შესაბამისმა ეთნოდივერსიულმა ინდუსტრიამ აფხაზეცურ-სეპარატისტულ ავანტიურას არაერთი გუგულის კვერცხი გამოუინკუბატორა (**ბ. შინკუბა, გ. ძიძარია, შ. ინალიფა, ტ. შამბა, ვ. არძინბა** და სხვები). სათანადო აფხაზეცური კადრების "სამჭედლოდ" იქცა ქ.მოსკოვში **მიკლუხო-მაკლაის** სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორის, აკადემიკოს **ი. ბრომლეის** (ასევე მცირე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის) ღვაწლი ამ საქმეში მართლაც რომ უდიდესია. თუ ადრე იგი ამას შეფარვით აკეთებდა, XX საუკუნის **80-ან წლებიდან** ე.წ. ცენტრალური პრესის ფურცლებზე მან თავის პუბლიკაციებში ქართველებს საკმაოდ "დასაბუთებული" ბრალდებები წამოუყენა, _ რომ ისინი არიან საბჭოთა კავშირის ხალხთა "ბუნებრივი" შერწყმის შემაფერხებელნი. რასაკვირველია, ასეთი ბრალდება ოქტომბრისენოვნებისკენ ფეხაწყობილ ჯოგად გადაქცეულ საბჭოთა ხალხს, არც თუ უსაფუძვლოდ გააგულისებდა საქართველოზე. ხუმრობა ხომ არაა, ხალხები "ხალისით" რუსდებოდნენ, ერთიანდებოდნენ ოქტომბრისენოვან (ანუ რუსისტულ) "ძმურ" ოჯახში და ამ დროს ქართული ეროვნული თვითშეგნება "დიდი" საბჭოეთისათვის წარსული _ სწორედაც რომ გადმონაშთი იყო და ყავლგასულ რაობად რჩებოდა.

საუბედუროდ, რუსიზმის ეთნოდივერსიული თარეშისა და მათი ადგილობრივი მეგზურების _ **ე. შევარდნაძისა** თუ **ვ. არძინბას** რჯულუცხო ამბიციებიდან გამომდინარე, ზემოთდამოწმებული აფხაზთა დეპუტაციის შთამომავალნი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ წესით მათთვისაც მშობლიურ საქართველოს, შედეგად 300000 აფხაზი (ქართველი) მშობლიური მიწიდან იძულებით აყრილი და დეპორტირებულია, ხოლო მეორე ნაწილმა გადამთიელების ჩექმებით გადაქუსლულ სამშობლოში ასე იზეიმა სასხვისო "ძლევაი": **"გამარჯვება გამოიჭედა გუდაუთის რაიონში, რომელიც აფხაზეთის დასაყრდენად იქცა. გამარჯვება გამოიჭედა ასევე ოჩამჩირის რაიონში, ტყვარჩელში... არმიაში მხარდამხარ იბრძოდნენ მრავალტანჯული აფხაზეთის მოქალაქეები _ აფხაზები, რუსები, სომხები და ბერძნები, ქართველები და მეგრელები... პატარა აფხაზეთის მოსახლეობა იმედით შეჰყურებს დიდ რუსეთს... მადლობა პრეზიდენტს (ბ.ელცინს-ს.საჯ.), ფედერაციულ კრებას აფხაზეთისათვის გაწეული ჰუმანიტარული დახმარებისათვის".**

(ვ. არძინბას სიტყვა წარმოთქმული ქ.სოხუმში 1994წ. 30 სექტემბერს "გათავისუფლების დღისადმი" მიძღვნილ მიტინგზე. გაზ. "საქართველო" (8-15 ოქტომბერი, 1994წ. №20).

1921 წლის 25 თებერვლის "მოზეიმე" თბილისიდან, ასევე 4 მარტით "მობედნიერე" სოხუმიდან, _ ამ სეპარატისტულ "გამარჯვებამდე" გამოჭენებული "საბჭოთა აღმშენებლობა", ანუ ეთნოფაბრიკაციული დივერსია, თავისი მიღწევებით

მნიშვნელოვანწილად გახლდათ დაკავშირებული **ი. სტალინის** (“ხალხთა მამის”) პირად ძალისხმევასთან. მიუხედავად ამისა, მისი სიკვდილისთანავე, **ლ. ბერიას** განადგურების შემდეგ, აფხაზეთში სეპარატისტული იდეოლოგია ახალი მკვებავი წყაროთი გაწყალუხვდა.

როგორც უკვე გითხარით, თავისთავად ე.წ. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეთნოდივერსიული ფაბრიკაცია გულისხმობდა ასევე ე.წ. “რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის” კონსტრუირებას _ ე.ი. გუგულის კვერცხის ინკუბაციას, რამაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ცხუმ-აფხაზეთში მოითხოვა დასაბამისმიერი ქართველების (აფხაზების, იგივე მეგრელების) ჯერ კანონგარეშედ გამოცხადება (ე.ი. მათთვის არა რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის სტატუსის გაპიროვნებას), რაც შემდეგ გადაიზარდა მათი არააბორიგენობის “დასაბუთებაში”. შემდეგ ამას მოჰყვა ქართველთა გადამშენებლური პროგრამის მიზანმიმართული განხორციელება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში.

ერთ-ერთ საამისო მეთოდად გამოყენებული იქნა უკვე აფხაზეთის ასსრ-ად წოდებულ ცხუმ-აფხაზეთში ე.წ. დამკვრელულ მშენებლობებზე მუშახელის “შემოშველება” “მოძმე” რესპუბლიკებიდან, ანუ მათი იმპორტი გარედან (დემოგრაფიული ექსპანსია). ეს “მუშახელი” ძირითადად რუსული და არმენულენოვანი იყო. ასევე სსრკ ევროპული ნაწილიდან 30-ანი წლებში შიმშილობას გამოქცეული და მოგვიანებით რუსეთ-გერმანიის ომის შედეგად აფხაზეთში ევაკუირებული რუსულენოვანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სამუდამოდ აქ დამკვიდრდა. იგი შეენაკადა საგანგებო მიზნობრივობით ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან ამ მხარეში ჩამოსახლებულ რუსულენოვან კოლონისტებს (ინტერფრონტული მოსახლეობის დისლოკაცია ცხუმ-აფხაზეთში).

ამრიგად, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში სრულიად უბოდიშოდ გაგრძელდა ამ მხარის განქართველებისა და მისი გაოქტომბრისენოვნების აგრესიული პროცესი.

მართალია, ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოდან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ცხუმ-აფხაზეთში) ჩამოსახლებული ქართველების მიერ აქ დაარსდა შვიდიოდე კოლმეურნეობა, მაგრამ ამან ვითარება ვერ გაამშობლიურა, ვერ მოახდინა საკმარისად გამბუნებრივებელი გავლენა მხარის ფაბრიკაციულ ეთნოხედზე, ხოლო სეპარატისტული პროპაგანდისათვის იგი იქცა არარსებული “ქართული დემოგრაფიული ექსპანსიის მამხილებელ ნივთმტკიცებად”, ეს მაშინ, როცა ცხუმ-აფხაზეთის რუსიფიცირება და არმენიზირება სავსებით შეუფერხებლად და მიზანმიმართული გეგმაზომიერებით მიმდინარეობდა. ამრიგად, ვინაიდან ჩრდილო-დასავლეთ საქართველო გაფორმდა აფხაზეთის ასსრ-ად, ანუ “არაქართულ” ქვეყნად, ქართველთა ჩამოსახლება ქართულსავე მიწაზე “ქართულ დიდმპყრობლობად” განიხილებოდა.

40-ანი წლების მეორე ნახევრისათვის დღის წესრიგში დადგა ახალი დივერსია საქართველოს წინააღმდეგ (ნურავის შეიყვანს შეცდომაში იმპერიის სათავეში **ი.სტალინის** ყოფნა, ამ დივერსიის ორგანიზატორი სწორედ ის გახლდათ). საბჭოთა იმპერიის ინტერესებმა მოითხოვეს ე.წ. მეგრელთა საქმის შეკოწიწება და ამ კუთხის “პირუმტკიცობის მხილება”. ამას თავისი მიზნები ჰქონდა და იგი მოსკოვს სჭირდებოდა სრულიად საქართველოს აღგვისათვის. რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, მოსკოვი თვით **ი.სტალინის** ზეობის დროსაც **ლენინ-ქემალის 1921 წლის 16 მარტის** გარიგებას ანგარიშს უწევდა, ამიტომ “მეგრელთა საქმეს” უნდა აეღებინა ხელი საქართველოსთვის ლაზეთისა და, აქედან გამომდინარე, დანარჩენი ქართული მიწების შემოერთებაზე. ასეთ შემთხვევაში დაიწყო მეგრელოფობიისათვის საჭირო პროპაგანდისტულ-ორგანიზაციული თადარიგი. ამისდა მიხედვით ცხუმ-აფხაზეთის მკვიდრი

ქართველები (აფხაზები, იგივე მეგრელები), რომლებიც, როგორც აფხაზეცური ეთნოკრატიისათვის, ასევე "ქართული" პარტოკრატიისათვის უკანონო შვილის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაგრეხილიყვნენ წელში.

სწორედ საამისოდ გათვლილი სატერორო თადარიგი გახლდათ ჯერ კიდევ **1947 წელს** სკპ(ბ) ცკ-ის მდივნისადმი **ა.კუზნეცოვისადმი** გაგზავნილი წერილი აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან, რომელსაც მოსკოვის დაკვეთით ხელს აწერდნენ **გიორგი ძიძარია, ბაგრატ შინკუბა, კონსტანტინე შაყრილი** _ სეპარატისტულ-ეთნოკრატიული მოძრაობის ახალი თაობის ლიდერები.

მათ მოითხოვეს "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის უფლებათა" ლენინური ნორმების შესაბამისად აღდგენა, ე.ი. დასაბამისმიერი მოსახლეობის ქართველების (აფხაზების, იგივე მეგრელების) კიდევ უფრო გაჩანაგება საბჭოთა კანონისა და სამართლიანობის სახელით.

50-ანი წლები იმითაც არის მძიმე, რომ **ი.სტალინის** დაკვეთით შეთითხნილმა მეგრელთა საქმემ აფხაზეთის პირობებში ეროვნული მეხსიერება შენარჩუნებული ქართველები, ამ შემთხვევაში მეგრელები, უფრო ზუსტად ჭეშმარიტად აფხაზები სინამდვილეში კანონგარეშედ გამოაცხადა. "მეგრელთა საქმემ" ისეთი მრავალგანტოტებადი და პროვოკაციული ხასიათი მიიღო, რომ იყო მცდელობა იგი გადაეზარდათ არა მხოლოდ აფხაზეც-მეგრელთა, არამედ ქართთა და მეგრელთა შუღლში. მისი ექო დიდხანს შოლტავდა ყურთასმენას ცხუმ-აფხაზეთსა და ეგრისში (და არა მხოლოდ აქ). როგორც აღვნიშნეთ, არც ისაა შემთხვევითი, რომ 1947 წლიდან იწყება აფხაზეცურ-სეპარატისტული დემაგოგიის გამოცოცხლება, რომელსაც თანამდევობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ანუ სამეგრელოს გამნარყ მხარეში მეგრელთა (ქართველთა) ენით უთქმელი რეპრესიები. ეს დრო ისევ და ისევ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში სამომავლოდაც ითადარიგებდა საქაღალდეებს მომავალი "მეგრელთა საქმისათვის". ამბობენ, რომ ამ საქმეში, ერთერთი აქტივისტი ჭაბუკი **ე. შევარდნაძეც** ყოფილა.

მახსოვს, ბესლეთის ხეობაში **1953 წლის შუა ზაფხულს** სიდარბაისლით განთქმულ კოლხ ბერიკაცებს თავი მოუყარა აგიტატორმა, **ვ. კიკვიძის** სახელობის კოლმეურნეობის მეთხევეობის მწყემსმა _ რაჭიდან ჩამოსახლებულმა **სტრიფონა ლობჟანიძემ** და **ლ. ბერიას** მეგრელობაზე და მის მავნებლობაზე "ლექცია" ჩაუტარა მათ. ასეთი "პოლიტმეცადინეობა" გამიზნული იყო ტომობრივი შუღლის ჩასახლართად, რაც მკვდრადშობილ მონდომებად დარჩა ადრესატების (იმავე კოლხი ფუძისკაცების) შორსგახედულების გამო.

რუსიზმის მიერ **ი. სტალინისა** და **ლ. ბერიას** კრიტიკა აფხაზეთის სინამდვილეში ისეთი ვერაგული ქვეტექსტებით წარიმართა, რომ ყველა უბედურება "ქართულ ტირანიას" მიეწერა, რაც თავისთავად არარსებული "ქართული შოვინიზმისა" და "ქართული დიდმპყრობლობის" "მხილების" ნიშნით წარიმართა. სოციალისტურმა სინამდვილემ საბჭოთა შემოქმედებას და საინფორმაციო სამსახურებს ამ დროიდან ნება დართო მხოლოდ აფერისტი, უჭკუო, ყაჩაღი, ლოთი, გაიძვერა, უკულტურო, უსაქმური, ხორცმეტი ქართველის სახე გაესაჯარისებინა ე.წ. საკავშირო სივრცეში.

როგორც ცნობილია, **40-ანი** წლების დასაწყისში აფხაზეთიდან შუა აზიაში გადაასახლეს რუსეთის მიერ აქ XIX საუკუნიდან ჩამოსახლებული გერმანელები და სხვადასხვა დროს ამ მხარეში დამკვიდრებული ლაზები (ამ უკანასკნელთ თურქობა მიაწერეს), ხოლო **1949 წელს** _ ამავე გზას გაუყენეს ბერძნები. ისინი (გერმანელების გარდა) 50-ანი წლების მეორე ნახევრიდან რეაბილიტირებული იქნენ და აფხაზეთს

დაუბრუნდნენ (ლაზების ნაწილი შემდგომში აღიწერა თურქად, ნაწილი კი აფხაზეცად, მცირე ნაწილმა მოახერხა და არ გადაგვარდა).

მართალია, ოფიციალური პროპაგანდა და კულუარული წამქეზებლობა ამ ხალხის უბედურებას არარსებულ "ქართულ დიდმპყრობლობას" აბრალებდა (რითაც სეპარატისტულ ავანტიურას მოკავშირეებს სძენდა), მაგრამ ასეთ ვითარებაშიც კი დასაბამისმიერი მოსახლეობის (მეგრელების, იგივე აფხაზების) სახალხო მეხსიერება, ასევე ჩამოსახლებული რაჭველების გუმანი ბესლეთის ხეობაში, საიდანაც ათასობით ბერძენი გასახლდა, ბერძენთა ოფიციალურ რეაბილიტაციამდეც სახლიკაცობდა მათ. რეპრესირებიული და გადასახლებიდან გამოქცეული ბერძნების ასობით ოჯახი წლობით იმალებოდა თავის ყოფილ მეზობლებთან _ ქართველებთან (მეგრელებთან) და, არც თუ იშვიათად, მათი სახლების ამჟამინდელ პატრონებთან (რაჭველებთან). ასეთი "კანონგარეშე" ქმედებისათვის გათვალისწინებული აშკარა საფრთხის მიუხედავად, აზრადაც არ მოსვლია ვინმეს, იმჟამად ეს უფლებააყრილი ხალხი ხელისუფლებასთან დაესმინა.

ამ დროისათვის საფხაზეთოდ შეთითხნილ ქართველთა "სიმტყუვნეში" თვით ქართველები დაარწმუნეს. სწორედ ეს იყო საბედისწერო, გეცხოვრა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში "არამკვიდრის" ყოველდღიურობით, ამ დროს შეითხზა მითი (რბილად რომ ვთქვათ) ქართული მუხანათობისა თუ არასრულფასოვნების შესახებ. აქედან გამომდინარე, უფრო საზარელ რამეშიც გვარწმუნებდნენ, _ აფხაზეთი არაა საქართველო.

ამას მყისვე მოჰყვა სეპარატისტების გააქტიურება, რომლის საფუძველზეც კრემლმა ოპერატიულად, **1953 წლის ზაფხულშივე** დაიწყო ახალი ბრალდების თითხვნა "ქართულ დიდმპყრობლობაზე და შოვინიზმზე", მას ასეთი კომპარტიული ფორმულირება მიეცა: "კაკ ისკაჟალას აბხაზსკაია კულტურა გრუზინამი". საინტერესოა, რომ **1952 წელს,** ჯერ კიდევ, **ი.სტალინის** სიცოცხლეში მოსკოვმა სახელდახელოდ დაუკვეთა მაბეზღარა წერილი მოსკოვში მიგნებულ ოქტომბრისენოვან ასპირანტებს _ დებს **ე.პ. და ტ.პ. შაყრილებს**. ეს იყო სამზადისი რუსიზმის მორიგი ეთნოდივერსიული შტურმისათვის აფხაზეთში, რასაც 1954 წელს, ასევე მოსკოვის დაკვეთით მოჰყვა ჯერმონაცვლე საჩივარი: ამჯერად კრემლს "წერილით" მიმართა აფხაზეთის სახალხო პოეტმა **დიმიტრი გულიამ.** მან ლენინური ეროვნული პოლიტიკის აღდგენა, ანუ ცხუმ-აფხაზეთის ეთნოკრატიული დიქტატურის გაძლიერება მოითხოვა. ყოველივე ამის შედეგად მოხდა"რესპუბლიკის სახელის მატარებელი", ოქტომბრისენოვანი ხალხის ისევ "მშობლიურ" რუსულ დამწერლობაზე გადაყვანა. საქართველო და ქართველი ხალხი საბჭოთა სახელმწიფო პროპაგანდის ქვეტექსტების მიხედვით აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შეირაცხა დამნაშავედ და კანონგარეშედ. ამასთანავე, ამ დროიდან დაიწყო კრემლის მიერ რეპრესირებული ხალხების ფარისევლური, გულსგარე "რეაბილიტაცია", რომელთა მთელი უბედურება **ი. სტალინსა** და **ლ. ბერიას**, მაშასადამე _ ქართველებს ბრალდებოდათ, რითაც შიდაკავკასიურ საკონფლიქტო ავანტიურას ეწყობოდა ხელი.

1956 წელს, ქართველ ხალხს, რომელმაც გაიბრძოლა თავისი ღირსების დასაცავად, საუბედუროდ, თავის ცრუ ნიშანსვეტთან, მაოხარი გზირის ძეგლთან, ესროლეს.

ასეთ დროს სწორედ რომ ზურგში მახვილის ჩაცემა და მოსკოვის მიერ გადათარეშების შედეგად ქართველი ახალგაზრდობის მტკვარში გადაყრილი ცხედრების შეგინება გახლდათ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის, პოეტ **ივანე თარბასა** და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **არხიპო ლაბახუას** მიერ საბჭოთა სადირექტივო ორგანოებში გაგზავნილი ცილისმწამებლური დაბეზღება, რომელშიც ავტორები, კვლავ და კვლავ, ლენინურ

ეროვნული პოლიტიკის აღდგენას მოითხოვდნენ, ანუ ქართველთსპობითი ინდუსტრიის ფორსირებას უჭერდნენ მხარს ცხუმ-აფხაზეთში. ამ ვერაგობას ამჯერად საფუძვლად ედო სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის **1956 წლის 10 ივნისის** მრისხანე დადგენილება "Об ошибках и недостатках в работе ЦК КП Грузии".

იმის გათვალისწინებით, რომ ეს დადგენილება სკკპ ცკ-ის მომდევნო _ **1972 წლის მარტის** დადგენილებასთან ერთად ქართველი ხალხის ეროვნულ უფლებათა მოთარეშებად იქცა, ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ფაბრიკაციული აფხაზეთის ასსრ-ის ე.წ. "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი", ამჯერად პოლიტიკური ზურგის ქარით კიდევ უფრო გამხნევებული, წერილობითი საჩივრებიდან მასობრივ გამოსვლებზე ღიად გადავიდა **(1957წ. 1967წ. 1978წ. 1989წ.),** ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში იმ ზომამდე დაიძაბა ვითარება, რომ ცხუმ-აფხაზეთში "დამნაშავე" ქართველებს ქართულ ნაფესვარზე სარეველად ამოსულ აფხაზეცობასთან თავის მართლებები და ბოდიშები აღაღადებინა კრემლიდანურმა ჩექმამ (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში თავი აიშვა ეთნოდივერსიების მორიგმა აულაგმაობამ, ამჯერადაც აფხაზეცური ეთნოფაბრიკაციის ნედლეულად გამოიყენებოდა ძირითადად ქართველი, ასევე აფსუა და შიგადაშიგ არმენი, ბერძენი, თურქი, რუსი და ა.შ. ეთნონედლეული).

1957 წლისათვის თბილისში უნდა ჩატარებულიყო ე.წ. აფხაზური ხელოვნებისა და კულტურის დეკადა, რაზედაც აფხაზეცურმა ეთნოკრატიამ მოსკოვის წაქეზებით უარი თქვა.

და მაინც, ორიოდე სიტყვით უნდა შევჩერდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის იმ ავადსახსენებელ დადგენილებაზე, რამაც ლაგამი ააწყვეტინა სეპარატისტულ დემარშებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში. თუ ვიტყვით იმას, რომ მასში ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს აღგვისა და ქართველი ერის საქარხნო წესით განადგურების პროგრამა, მიახლოებითაც კი ვერ მოვიცავთ ასეთი ქართველთსპობითი "საკანონმდებლო" დოკუმენტის ხალხთმოძულეობით შინაარსს. ამ დროისათვის, ხსენებული დოკუმენტის მზადებისას გზადაგზა, კულუარებში მიმდინარეოდა ხმამაღალი, აშკარად მყარი საფუძვლის მქონე საუბარი ქართველების ციმბირში გადასახლების თაობაზე. დიახ, ეს ხდებოდა მაშინ, როცა **ნ.ხრუშჩოვისეული** "ოტტეპელი" (ე.წ. დათბობა) საბჭოთა ტირანიის მიერ რეპრესირებულ ხალხებს "რეაბილიტაციით" ეფერებოდა ვითომ, თან საკუთარ სამკვიდრებელში აბრუნებდა და "თავის უფლებებში აღადგენდა" (ამაზე ქვემოთ).

თვით ამ "რეაბილიტაციის" მესვეურები ცდილობდნენ მთელი ამ უბედურების გადმობრალებას (აღწევდა კიდეც) არარსებული "დიდმპყრობელი საქართველოსათვის", ხოლო ჯოჯოხეთის გზაგამოვლილ, გაჩანაგებულ და მოტყუებულ ხალხებში შურისგების გრძნობა კმაყოფილებით აღიქვამდა **ი.სტალინის** (ე.ი. "ქართული დიდმპყრობლობის") დამხობას და ცხოვრების ლენინური, ე.ი. ოქტომბრისენოვანი ნორმების აღდგენას.

არავინ უფიქრდებოდა იმას, რომ ბოლშევიზმის ხელში ეს იყო მორიგი ეთნოდივერსიის სადროდაჟამო ტაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ საქართველოს კპ აფხაზეთის ორგანიზაციამ თავის 23-ე კონფერენციაზე (1956წ.) დაიწყო "ქართული დიდმპყრობლობის გამოაშკარავება".

ამ ტაქტიკამ აფხაზეთის ასსრ-ად გადაქცეულ დასაბამისმიერ ცხუმ-აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) ე.წ. ოქტომბრისენოვანი რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი "მასების მოძრაობად" და ქართველთსპობით სიმწყობრედ აქცია.

ასეთი ვითარების შედეგად 1956 წლის 16 აგვისტოს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციამ "ამხილა" "ქართული ტირანია". აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა.ლაბახუამ** მკაცრად გააკრიტიკა ქართველი ისტორიკოსები

აფხაზეთის ისტორიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად არგანხილვის, ანუ სწორად წარმოჩენის გამო.

მანამდე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **1956 წლის 10 ივნისს** სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება **"საქართველოს კპ ცკ-ის მუშაობაში არსებული შეცდომებისა და ხარვეზების შესახებ",** რითაც შეიქმნა მრისხანე დოკუმენტი ქართველთა "არასრულყოფილ და მტაცებლურ" ბუნებაზე, რომლის ქვეტექსტი გულისხმობდა ქართველი ერის გამოცხადებას დიდმპყრობელობისკენ მიდრეკილად და თუ საჭირო იქნებოდა, მათ გადასახლებასაც კი (მერე რა, გეოგრაფიული სახელი _ საქართველო ხომ დარჩებოდა _ ეგვიპტეში არც ერთი ეგვიპტელი არ ცხოვრობს, მას არაბები ფლობენ, მაგრამ ეგვიპტე ჰქვია მაინც!).

ამ პარტიული საბუთის სიმუხთლე განსაკუთრებით ის იყო, რომ სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება ქართველ ერს არც თუ ორაზროვნად დამნაშავედ აცხადებდა რუსიზმის სტრატეგიული მოკავშირეების არმენების, ოსებისა და "აფხაზეცების" წინაშე.

1956 წლის 6-8 აგვისტოს საქართველოს კპ ცკ-ის უჩვეულო სამდღიანი პლენუმი მიმდინარეობდა დღის წესრიგით **"საქართველოს კპ ცკ-ის მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებათა შესახებ და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები".** ამ პლენუმმა დაუწიხლავი, სულში ჩაუფურთხებელი და შეუგინებელი არ დატოვა არც ერთი ქართული სიწმინდე _ მწერლობა, მეცნიერება, კულტურა და ა.შ.

პლენუმმა საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივნად "აირჩია" მოსკოვიდან გამოგზავნილი პავლე **ვასილის ძე კოვანოვი** (საქართველოს კპ ცკ-ში რომელი ქართველი არ იყო მოსკოვის კადრი). პლენუმის შესახებ მწირი ანგარიში მხოლოდ **23 აგვისტოს** გამოქვეყნდა რესპუბლიკის პრესაში.

თუ რა თავხედურად ხდებოდა ამ პლენუმზე ფაბრიკაციული ოქტომბრისენოვნების დამკვიდრება, ნათლად ჩანს როგორც საქართველოს კპ ცკ-ს პირველი მდივნის **ვ.მჟავანაძის** მოხსენებიდან, ასევე აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა.ლაბახუას** გამოსვლიდან:

<u>ვ.მჟავანაძე:</u> _ **"ცნობილია, რომ ხალხის დაუძინებელი მტრის, იმპერიალიზმის აგენტის <u>ბერიას</u> დანაშაულებრივმა ანტიპარტიულმა და ანტისახელმწიფოებრივმა მოქმედებამ ზიანი მიაყენა საბჭოთა ხალხს და, განსაკუთრებით, ქართველ ხალხს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ახორციელებდნენ, ჩაენერგათ ქართველი მოსახლეობისათვის ეროვნული განსაკუთრებულობის გრძნობა, ჩაეკეტათ იგი ვიწროეროვნულ ჩარჩოებში, რათა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახისათვის მოეწყვიტათ ქართველი ხალხი, მოეხდინათ მისი იზოლაცია. განზრახ ატარებდნენ რა აფხაზი, სომეხი და ოსი მოსახლეობის ეროვნული კულტურის ლიკვიდაციის ხაზს, ისინი ამით ხელოვნურად აღვივებდნენ შუღლს ქართველებსა და ჩვენს რესპუბლიკაში მოსახლე სხვა ეროვნების ადამიანებს შორის და ახორციელებდნენ მათს ძალდატანებითს ასიმილაციას. ყოველივე ეს ძირს უთხრიდა საქრთველოში მოსახლე ხალხებს შორის საუკუნობით ჩამოყალიბებულ მეგობრობას. ბერია ყოველნაირად უჭერდა მხარს, ფარავდა და ხელს უწყობდა რესპუბლიკაში ნაციონალისტური ელემენტების აქტივიზაციას...**

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მხედველობიდან გაუშვა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, იდეოლოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის ბიურო, პროპაგანდისა და აგიტაციის, მეცნიერების, კულტურისა და სკოლების განყოფილებები ზერელედ, ფორმალურად წარმართავენ პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ

მუშაობას. დღევანდელი დღის ამოცანებს ოდნავაც ვერ უპასუხებს პოლიტიკური მუშაობა ინტელიგენციაში...

ბერია და მისი ხროვა ვერაგულად სპობდნენ რესპუბლიკის საუკეთესო პარტიულ და საბჭოთა კადრებს, ქართველი ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენლებს....

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით საქართველოში აღიზარდნენ ნიჭიერ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, მწერალთა, მსახიობთა, მხატვართა მრავალრიცხოვანი კადრები, ვისი შრომაც ამდიდრებს ჩვენი ხალხის ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას. ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგი. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ცუდად ვიყენებთ ამ დიდ ძალას. სუსტად ხორციელდება ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდა. მის წრეში არ ჩაღდება მწვავე, პრინციპული ამხანაგური კრიტიკა და თვითკრიტიკა, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილში, მართალია უმნიშვნელო ნაწილში, ადგილი აქვს ნაციონალიზმის გამოვლინებებს.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ცალკეულ მეცნიერულ შრომებში და მწერალთა ნაწარმოებებში აპარებდნენ ლენინიზმისათვის უცხო ნაციონალისტურ უბადრუკ იდეებს. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივებს სათანადო წინააღმდეგობა არ ეწოდა. მაგალითად, ქართულ და რუსულ ენებზე მრავალგზის გამოიცა, ისეთი უაღრესად ნაციონალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი წიგნი, როგორიც არის შ.დადიანის რომანი "იური ბოგოლიუბსკი". ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომებში გამოქვეყნდა მ.გურიელის "ზღაპარი", რომელიც მიმართულია რუსი ხალხის წინააღმდეგ. უკანასკნელ დრომდე გასავალი ჰქონდა 1919 წელს გამოცემულ დ.ჭიაბეროვის წიგნს "საქართველო და რუსეთი", რომელიც თავისი შინაარსით კონტრრევოლუციურია.

ცალკეულ სამეცნიერო შრომებში და მხატვრულ ნაწარმოებებში საქართველოს ისტორიული წარსული ანტიმარქსისტული პოზიციებიდან შუქდება. ყოველნაირად გაიდეალებულია მეფეების, მთავრებისა და მხედართუფროსების მოღვაწეობა და მიჩქმალულია ხალხის მასების როლი ისტორიაში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ კ.გამსახურდიას ტეტრალოგიის "დავით აღმაშენებლის" სამი წიგნი და სხვები. ანტიმარქსისტული პოზიციებიდან არის გაშუქებული ისტორიის საკითხები ისეთ მეცნიერ ისტორიკოსთა ზოგიერთ შრომაში, როგორიც არიან ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, სურგულაძე, დუნდუა, ცინცაძე. ამ შრომებში მიჩქმალულია რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა. ამასთან ერთად საქართველოს თანამედროვე ცხოვრება და მშრომელთა მიღწევები ვერ პოულობს ჯეროვან ასახვას ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებში...

ბერიასა და მისი თანამზრახველების მხილების შემდეგ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებით, მიღებულ იქნა ღონისძიებანი ლენინური ეროვნული პოლიტიკის დაშვებულ დამახინჯებათა ლიკვიდაციისათვის. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მუშაობა ძალიან ნელა, მოდუნებულად ახორციელებდა, კერძოდ, "არაქართველი ეროვნების ადამიანთაგან მუშაკების გაზრდისა და ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურების საქმეში" (გაზეთი "კომუნისტი", 1956წ. 23 აგვისტო).

როგორც ხედავთ, მოსკოვის ძალისხმევა მიმართული იყო ქართველთა ეროვნული ღირსების აღმოფხვრისაკენ. არც ამჯერად ასცდა "კოლხური კოშკი" ლენინურ თითისქნევას. ასევე ილიჩისებური პოზიციებიდან გამოვიდა "მოძმე აფხაზეთის" სახელით მოსკოვის ხელისბიჭად გადაქცეული **არქიპო ლაბახუა**, როგორც აღნიშნული გაზეთი იუწყებოდა: "აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა.ლაბახუას გამოსვლა მიეძღვნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის იმ სერიოზულ დამახინჯებათა

გამოსწორების საკითხებს, რომლებიც დაშვებული იყო აფხაზეთში. უკვე საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა. გაიხსნა სკოლები, რომლებშიც აფხაზი და სომეხი ბავშვები თავიანთ მშობლიურ ენაზე სწავლობენ. მუშაობენ აფხაზური და სომხური პედაგოგიური სასწავლებლები. სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა აფხაზური ენისა და ლიტერატურის სექტორი. უკვე გამოდის ჟურნალი აფხაზურ ენაზე "ალაშარა". ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე უფრო გაბედულად ხდება ეროვნული კადრების დაწინაურება. ამასთან ერთად, _ აღნიშნავს ამხ. ლაბახუა, _ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა არ მიიღო საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ ფართოდ განემარტა მასებისათვის იმ უხეშ ნაციონალისტურ დამახინჯებათა მავნებლური არსი, რომლებიც დაშვებულ იქნა რესპუბლიკაში და რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა წყობილებისათვის ძირის გამოთხრისაკენ. ეს ხელს არ უწყობდა მშრომელების აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით, მაგალითად, დღემდე არ ჩატარებულა განხილვა ისტორიკოს ინგოროყვას წიგნისა "გიორგი მერჩულე", რომელიც, ჩვენი აზრით, მანკიერია. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებმა ჯეროვანი ასახვა ვერ ჰპოვა საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის მუშაობაშიც" (გაზ. "კომუნისტი", 23 აგვისტო, 1980წ.).

როგორც ხედავთ, ამ პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს ხელისუფლება იმისათვის, რომ, თურმე, ისინი აზერბაიჯანულ და არმენულ დასახლებებში მათ მშობლიურ ენებზე არ აჩვენებენ კინოფილმებს, ეს მაშინ, როცა საინგილოში აშკარად ქართველთაღმგველი კამპანია იყო (და დღემდე არის) გაჩაღებული. თუმცა საპარტახო ყოველდღიურობა თვით საქართველოში მძვინვარებდა აულაგმავად, ხოლო ხსენებული პლენუმი ერთგვარი "სუდულიშჩე" იყო ქართველთა საწურთვნელად.

არადა, სწორედ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, მითვისებულ ქართულ მიწაზე, ე.ი. საინგილოში (უფრო სწორად ისტორიულ ჰერეთში) ქართველებს ქართველად თავის გამოცხადება ეკრძალებოდათ და სახელსაც და გვარსაც აზერბაიჯანულს უდგენდნენ. გარდა ამისა გარეჯისა და მტკვრისპირა ჩაყოლებაზე ქართული მიწები ცხვრის საძოვრად აზერბაიჯანელებს გადაეცათ, ხოლო ქართველები ყიზლარში, უცხოთა მიწაზე აძოვებდნენ საკუთარ ცხვარს. ეს ქართული მიწები დღეს აზერბაიჯანის საზღვრებშია, ხოლო აქაურ ქართველებს ყოველგვარი რეპრესიული საშუალებით ავიწყებენ თავის ქართველობას. ის კი არადა, ყოველდღიურად ჩვენსკენ სწევენ ისინი სასაზღვრო ღობეს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ იმ დღეებში **(1956 წლის 30 ივნისს)** იქნა მიღებული სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება "პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ" (გაზ. **"კომუნისტი", 3 ივლისი, 1956წ.**), რაც თავისთავად შემოთავაზებული და თავსმოხვეული შინაარსით "ქართულ დიდმპყრობლობასთან" ბრძოლას ნიშნავდა.

ქვეყანაში იძალა უღირსებობის ზეობამ და ქედდაღუნულმა მუცლით ხოხვამ. **1956 წლის 18 ივლისს** შედგა ოპერის _ **"ჩრდილოეთის პატარძალი"** განხილვა, რომლის ტექსტის ავტორი გახლდათ **ი.ნონეშვილი**, ხოლო მუსიკა დაწერა **დ.თორაძემ.**

მისი შეფასება ზუსტადაა გადმოცემული ერთ ქუჩურ ბილწსიტყვაობაში, რომელიც იმხანად გავრცელდა: **"ჩვენ ოპერას მოველოდით და გვაჭამეს პანტა ძალით, ნონეშვილის ნაც...რი და თორაძის ნაწ...წალი". ჯერ რუსეთის დედა მ...ნ, მერე მათი პატარძალი"...**

მოკლედ ქართველი ერი ბოროტების სათავედ და არასრულფასოვან სარეველა ხალხად გამოცხადდა.

ვნებათაღელვამ აფხაზეთში გადმოინაცვლა, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ზემოთხსენებულ პლენუმზე აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ **ა.ოტირბამ** კვლავ და კვლავ თითისქნევით "აუხსნა" ცხუმ-აფხაზეთს: **"პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს გარკვეული მუშაობა სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილების, _ "საქართველოს კპ ცკ-ის მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ" _ განსახორციელებლად.**

ამასთან, უპირველესი ამოცანა ის არის, რომ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან მავნე შედეგები ხალხის მტრის ბერიასა და მისი დამქაშებისა, რომლებმაც დიდი ზიანი მიაყენეს სამეურნეო და კულტურულ მუშაობას, აგრეთვე იდეოლოგიურ მუშაობას.

ნორმალურად არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ პროპაგანდისტულ და სააგიტაციო მუშაობაში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ეთმობა მშრომელთა აღზრდას ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსის, იმ უდიდესი ზიანის განმარტებას, რომელიც სტალინის პიროვნების კულტმა მიაყენა პარტიასა და ხალხს..." (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 25 სექტ. 1956წ.)

ნუ დაგაბნევთ ფრაზათა მაღალფარდოვნება და რაღაც ინტერნაციონალიზმზე საუბარი: _ პიროვნების კულტი ამ დროისათვის თითიდან მიზნობრივად გამოწოვილ "ქართულ დიდმპყრობლობას" ნიშნავდა, ხოლო ხალხისათვის მიყენებულ ზიანში ქართველთაგან ეროვნული პარტახისათვის ნურავინ ელის გამოსარჩლებას. ეს ყველაფერი სიცხადეში ქართველთა სპობას ნიშნავდა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **1956 წლის 9 მარტს** თბილისში ქართველ ახალგაზრდობას ტყვია დაუშინეს და ტანკებით გადაუარეს, ნაწილი კი მტკვარში ჩახოცეს და მოძებნილი ცხედრების გაპატიოსნებაც კი აკრძალეს, _ ყველაფერი გასაგები უნდა იყოს, ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა რუსიზმის მიერ ორგანიზებული ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს ფიზიკური, სულიერი და ცნობიერი აღგვის ჯერმონაცვლე პროცესებთან, რომლის დროსაც ე.წ. "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი" გამოყენებული იყო ხელისბიჭის უფლებებში. მას საქართველოსთვის ზურგში მარჯვედ უნდა ჩაეცა მახვილი. ყოველივე ამის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ძირძველ ქართველთა რეპრესიებმა და დენაციონალიზაციამ მიიღო თარეშული ხასიათი, რომლის შედეგად აგრესიულმა სეპარატიზმმა ადაუსჯელად განაგრძო ქართველთა გამოყენება ნედლეულად დივერსიული ეთნოფაბრიკაციისათვის. შედეგად, მარტო 1969 წლიდან 1970 წლამდე ე.წ. აფხაზეცთა რიცხვი გაიზარდა 69-დან 75 თასამდე. ესაა მსოფლიოში ყველაზე დიდი, თუმცა ძალზე საეჭვო მაჩვენებელი...

***

ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ **1957 წელს** თბილისში უნდა გამართულიყო ოქტომბრისენოვანი აფხაზეცობის "კულტურის" დღეები.

სეპარატისტებმა მოსკოვის წაქეზებით მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ამით კრემლმა საქართველოს **1956 წლის მარტის** ამბებისათვის "ჭკუა ასწავლა". დიდი ხვეწნისა და თხოვნა-მუდარის შემდეგ სეპარატისტების ფაბრიკაციული კულტურა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქს წარუდგა. საქართველო მისთვის თავსმოხვეული პარტახისათვის ბოდიშს უხდიდა გამპარტახებელს!

ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ დაბა **ბიჭვინთა** დასასვენებელ ადგილად ამოიჩემა **ნიკიტა ხრუშჩოვმა,** რომლის ყოველი "დასვენება" ახალი ანტიქართული პროვოკაციის მიზეზი ხდებოდა. მიმდინარეობდა მიზანმიმართული მუშაობა

აფხაზეთის ასსრ-ის კრასნოდარის მხარესთან მისაერთებლად. განახლდა საუბარი საქართველოდან ქართველების გასახლების თაობაზეც.

როგორც აღვნიშნეთ, **1956 წლის** საყოველთაო ეროვნულ პროტესტს, რომელიც მოჰყვა **ი.სტალინის** წარმოშობისდა მიხედვით, რუსისტული ღვარძლით აშკარად გამომწვევ გინებას, მოსკოვმა დაუპირისპირა საბჭოთა ჩექმა და ბოლშევიკური ტანკი. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ასევე მოსკოვის წაქსიანებით **1964 წლისათვის** აფხაზეთიდან ისევ აატალახა მომჩივანმა სეპარატისტულმა ეთნოკრატიამ მათთვის გულმოწყალე კრემლის კარები. მორიგი რეპრესიების ტალღამ ქვეყანას ისეთი ქარბორიით გადაუარა, რომ ამ მხრივ იგი თვით საბჭოთა სტანდარტებისათვისაც კი "მიუღებლად" იქნა მიჩნეული და იმავე **1964 წლიდან** დაიწყო **ნ.ხრუშჩოვის** მათრახის **ლ.ბრეჟნევისეული** "შაქარყინულით" შეცვლა[3].

იმპერიამ "დროებით" "კვლავ თავის უფლებებში აღადგინა საქართველო". გაიხსენა, რომ "სამამულო ომში" მან შვიდასი ათასი ჯარისკაცი გამოიყვანა გერმანიასთან საბრძოლველად", რომ მათგან 350 ათასი დაიღუპა. დაიწყო გრანდიოზული იუბილეების სერია: _ თურმე, ქართველს აზროვნებაც შენაძლება, _ რუსთაველი ჰყოლია (**1966წ**); თსუ დაუარსებია 50 წლის წინ (**1968წ**. თუ ვინ დააარსა, ამაზე, რა თქმა უნდა, სდუმდნენ); კინაღამ გამოგვრჩა, 1964 წელს, როგორც იქნა დაირღვა საბჭოთა დაუწერელი კანონი და ფეხბურთში სსრკ ჩემპიონი გახდა თბილისის "დიანამო". ამას მოჰყვა საბჭოთა საქრთველოს 50 წლისთავი და შესაბამისად, გრანდიოზული "ზეიმი". მანამდე **1967 წელს** გაიმართა და ფართოდ გასაჯარისდა საქართველოს კულტურის დღეები მოსკოვში და მოსკოვისა თბილისში. თუმცა ამ "ხვავრიელი საბჭოთა ბედნიერების" (ვ.მჟავანაძის დროის ბოლო შვიდწლეულის) ჟამსაც ისევ თავი იჩინა ეთნოფაბრიკაციული პათოლოგიის მორიგმა რეციდივმა, _ **1967 წლის** გაზაფხულზე ეთნოკრატ _ სეპარატისტთა გამოსვლებმა კვლავ მიიღეს აშკარად ქართველთმოძულეობითი ხასიათი და მათ კრასნოდარის მხარესთან (ე.ი. რსფსრ-სთან) მიერთება მოითხოვეს (დააკვირდით, _ მიერთება კრასნოდარის მხარესთან და არა რსფსრ-სთან. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოსაგან გამოყოფილი რეგიონი უშუალოდ უნდა მიერთებოდა რუსეთის რეგიონს, რადგანაც დაუწერელი სუბორდინაციისდა მიხედვით რუსეთის "მოკავშირე რესპუბლიკა" _ თავისი ფაქტობრივი მდგომარეობით მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის გუბერნიისოდენი იყო და ამ შემთხვევაში ერთ გუბერნიას (საქართველოს) ჩამოგლეჯილი აფხაზეთი, ასევე მეორე გუბერნიას, კრასნოდარის მხარეს უნდა მიერთებოდა. ასეთ შემთხვევაში გამოირიცხებოდა რსფსრ-სთან როგორც საქართველოს სსრ-ის, ასევე აფხაზეთის ასსრ-ის გატოლების ქვეტექსტი).

---

[3] ამასთან დაკავშირებით ვასილ მჟავანაძესთან დაახლოებული პიროვნება ტარიელ კაპანაძე _ გარდაბნის სანადირო მეურნეობის ყოფილი დირექტორი იგონებს (გაზეთი "დრო", 9-16 მარტი, 1999წ.): "...ოთახში ოთხნი ვართ: მჟავანაძე, ჯავახიშვილი, ინაური და მე. ვასილ პავლოვიჩმა ამოიოხრა: "ხრუშჩოვმა დამიძახა, საშინელი სიტყვებით მომმართა ... ქართველებს წვერ-ულვაშს დავაგლეჯ, წინდებს მოვიქსოვ და იმით ვივლი. გასახლებისათვის ყველაფერი მზად არის. ამ დღეებში კუსტანაი, აკმოლინსკი, ცელინოგრადი ქართველებს გელოდებათო"... მჟავანაძეს თურმე მოუხერხებია და გასახლება 6 თვით გადაუწევინებია ნიკიტასთვის, რასაც მოუსწრო 1964 წლის ოქტომბერმა.. ეტყობა ამ შეთქმულებაში ხრუშჩოვის წინააღმდეგ მჟავანაძე აქტიურად მონაწილეობდა. აი, რა შემთხვევებზე იყო დამოკიდებული საქართველოს ბედი. შემდეგ ავტორი განაგრძობს: "1964 წლის სეზონზე, ნადირობის დროს, დევი სტურუას ეუბნება (მჟავანაძე): "სასწრაფოდ სოხუმში ჩადი, ბიჭვინთაში პონომარიოვი და სუსლოვი გდიან. ხვალ აფხაზებს უნდა შეხვდნენ და ერთი ნაბიჯითაც არ მოსცილდე, სისულეები რომ არ იბლუყუნონ და ის ბრიყვი აფხაზები ჭკუიდან არ გადაიყვანონ." ისეთი იყო ვითარება, რომ თითქმის აიკრძალა საქართველოში ქართველობა (როდის არ იყო აკრძალული ან ადრე, ან უფრო გვიან, ან კიდევ დღეს!): თავისი გარდაცვალების წინადღეებში მ.მაჭავარიანმა სატელეფონო საუბრის დროს მითხრა, რომ 1964 წლის სექტემბერში (ეს ჯერ კიდევ ნ.ხრუშჩოვის დროა) თსუ-ს სტუდენტობამ შეხვედრა მოუწყო მას (დიდ პოეტს). სხვა ლექსებს შორის მან წაიკითხა "ნაკუწ-ნაკუწ კი არა...", "თუ ფიქრობს ვინმე...", "კვლავ დაიქუხოს საქართველომა"... და ა.შ. ამ "ენით უთქმელი აულაგმაობისთვის" მ.მაჭავარიანს, საქართველოს კპ ცკ-ის მდივნის, დ.სტურუას მითითებით, საქართველოს ალკკ ცკ-ის პირველმა მდივანმა ო.ჩერქეზიამ ბიუროს სხდომაზე ანტისაბჭოთა გამოსვლის გამო გამოუცხადა სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით და იგი გაათავისუფლა ჟურნალ "პიონერის" რედაქტორობიდან.

საერთო ჯამში ეს მოვლენები ჩაიფარცხა და გარდახდილი “უძილო ღამეებისათვის” საქართველოს “მზრუნველი კრემლიდან” კვლავ გადააყლაპეს ვარდისფერი აბები, რათა საღათას ძილში მოესაქმა ჯერ კიდევ შერჩენილი თვითშეგნება და ეროვნული მეხსიერება. **“ვ გრუზიი დელა ხარაშო იდუტ”-ო** _ “გული აუჩუყდება” **ლ.ბრეჟნევს**, მაგრამ სულ ამით ამოიწურა “ოტტეპელი” საქართველოში. გამოფხიზლებულმა და ნაცადმა ლენინელებმა მყისვე შუბლზე იტკიცეს ხელი: _ სახიფათოდ მოეჩვენათ ქართველი ხალხის თუნდაც საბჭოთა სტერეოტიპებში და სოციალისტურ ხელბორკილებში, მაგრამ მაინც ღირსებით წარმოჩენა. ამიტომ, ამ დროისათვის “ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად”, მთელი სიმძლავრით ამოქმედდა საგანგებო იდეოლოგიური მანქანა (სუსლოვისეული კონვეიერი), რომელმაც გაშმაგებით დაიწყო სსრკ-ის ხალხთა შერწყმის “ბუნებრივობის”, “აუცილებლობისა” და “პროგრესულობის” მტკიცება. **1970 წლის** საკავშირო აღწერით <u>10 მილიონმა არარუსმა</u> მშობლიურ ენად რუსული (უფრო სწორედ, ე.წ. ოქტომბრის) ენა აღიარა, რაც შეფასებული იქნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებად. აქედან გამომდინარე, ახალი აღმავლობით დაიწყო სსრ კავშირის მოდერნიზება ხალხთა ასიმილატორულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის ქმედით პოლიგონად. საქართველო, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ პროცესების ზურგის ქარად ვერ იქცა არა თუ საბჭოთა კავშირში, _ თვით საქართველოს შიგნითაც. შედეგიც სახეზე იყო: ამ ათი მილიონიდან გარუსებულ ქართველთა რიცხვი ბევრეულთა უკიდეგანო ფეხაწყობად ვერ იქცა.

ამის გამო შერისხული ქართველი ოფიციოზის კომუნისტურმა პროპაგანდამ დაიწყო იმის მტკიცება, რომ რუსეთი (რუსიზმი) ჩვენი მამა და მარჩენალია, ჩვენ (ქართველები) კი მისი უძღები შვილები და შერეკილები ვართ... ამგვარი შენიღბული აგრესია “საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლის” ლოზუნგებით შემოშლიგინდა საქართველოში. ამისდა მიხედვით **ე.შევარდნაძის** კომპარტიული მოღვაწეობის ახალი პერიოდი (**70-80-იანი წლები**), ქართველი ერის საქვეყნოდ და ხელაღებით გალანძღვის, მიზნობრივად გაშარჟების, კნინობითში წარმოჩენის, მისი სიწმინდეების შეგინებისა და “ქართულ” არასრულფასოვნებაზე გაუკუღმართებული შეხედულებების დამკვიდრების წლები გახდა...

ეს წლები ასე ხელის ერთი მოქნევით არ შემოსულა “საბჭოთა საქართველოს გასაბედნიერებლად”, მათ ფრთხილი და შორსგამიზნული დიდმპყრობელი სადავე ოსტატურად და საქმის ცოდნით მართავდა.

როგორც გახსოვთ, 10 მილიონი არარუსის მიერ “ლენინის ენის” მშობლიურ ენად აღიარება კრემლის ახალი აღფრთოვანების მიზეზი გახდა. გამომდინარე აქედან, სკკპ 24-ე ყრილობაზე **(1971წ. 30 მარტი-13 აპრილი)** მან დღის წესრიგში დააყენა ახალი საბჭოთა ადამიანის (პავლიკ მოროზოვის) მასობრივი ინკუბაცია (ეთნოფაბრიკაცია ეთნოდივერსიის გზით).

იმავე **1971 წელს**, ჯერ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XXXI კონფერენციაზე (14 იანვარი), ხოლო შემდგომ საქართველოს კპ 24-ე ყრილობაზე (გაიხსნა **27 თებერვალს**), შესაბამისად სკკპ 24-ე წინასაყრილობო მზადებისა, “ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირება” ლენინური ეროვნული პოლიტიკის “ბედნიერ” გასაგნებად იქნა მიჩნეული. კრემლმა ამჯერად ისევ წამოიწყო ფართომასშტაბიანი გრანდიოზული “აღმშენებლობანი”, რომელთა კომპლექსურ პროგრამაში ეთნოფაბრიკაციულ ინდუსტრიას საგანგებოდ დაუზუსტდა თავისი “დიადი” ამოცანები: **“ამხანაგებო, საბჭოთა ადამიანის სახე, მისი კომუნისტური მორალი და მსოფლმხედველობა ყალიბდება წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ მუდმივ და უკომპრომისო ბრძოლაში” (ლ.ი.ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენება სკკპ 28-ე ყრილობას, გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი” 01. 04. 1971წ.).**

შეადარეთ: 1. **1973 წელს** საქართველოს კპ ცკ-მა კომიტეტმა მიიღო დადგენილება **"რუსული ენის, მეორე მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესებაზე"**, ხოლო 2. _ **1975 წელს** საქართველოს დაუდგინა სახელმწიფო პროგრამა **"წარსულის მავნე გადმონაშთებისა და დრომოჭმული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ".**

როგორც ხედავთ, ლენინური ეროვნული პოლიტიკის დამკვიდრებისათვის ბრძოლამ მიიღო "წარსულის მავნე გადმონაშთის" ანუ ეროვნული მეხსიერების აღგვის ხასიათი, რაც ყოფით ყოველდღიურობაში ნიშნავდა ყოველგვარი საკუთარხმიერებისა და ლასკარული პოლიფონიზმის ერთხელ და სამუდამოდ გარჯულუცხოებას, სისხლაღრევას, მისგან ღირსების გრძნობის გაძევებას, საერთოდ გადაშენებას. საქართველოს სინამდვილეში ამ ამოცანის გადაჭრაში თავისი წვლილი შეჰქონდა უკანონო ე.წ. ავტონომიებსა და შესაბამისად მათ დემოგრაფიულ დადასტურებას _ ფაბრიკაციულ "რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხს", რომელთათვის ოქტომბრისენოვნება ბუნებრივი სახე გახდა. **1988 წელს** ე.წ. აფხაზური წერილის ავტორები სიამაყით აცხადებდნენ კიდეც: **"Несмотря на все затруднения, которые были созданы в Абхазии и в результате безраздельного господства грузинского языка, пробил себе дорогу абхазско-русский былингвизм: русский язык по существу стал вторым родным языком абхазов".** აი, მთელი შინაარსი და სიღრმისეულობა შეკოწიწებული ე.წ. "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" თვითგამორკვევისა და "თავისთავადობის."

რაც შეეხება "გოსპოდსტვო გრუზინსკოგო იაზიკა"-ს, აფხაზეთში კი არა, თბილისში არ გახლდათ იგი სახელმწიფო ენა (ისევე, როგორც ეს დღეს, 21-ე საუკუნის 10-იან წლებში). ცილისმწამებლები აქ გულისხმობენ იმ კანონზომიერ წინააღმდეგობას, რომელსაც ცხუმ-აფხაზეთში ეთნოდივერსიულ ავანტიურას უწევდა დასაბამისმიერი მკვიდრი მოსახლეობა ე.ი. ქართველობა (მეგრელები), მაშასადამე, არაოქტომბრისენოვანი აფხაზები.

ასე და ამრიგად, ამ დროისათვის სკკპ 24-ე ყრილობის ძირითადი დებულება _ **"ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირების შესახებ"** სახელმძღვანელოდ იქნა მიღებული. პირველი რიგის საცდელი თუ ლაბორატორიული ნაკვეთიც ხომ დადგენილი გახლდათ _ ბედკრული საქართველო და სათანადო აპრობაციამაც არ დაახანა: **1971 წლის 7 მაისს** აფხაზეთის რაიონებმა და ქალაქებმა გულმხურვალედ იზეიმეს საქართველოს სსრ გასაბჭოების 50 წლისთავი, ხოლო **10 მაისს** ქ.სოხუმმა _ "აფხაზეთის ასსრ დედაქალაქმა" იდღესასწაულა მომმე საბჭოთა საქართველოს ესოდენ ღირსახსოვარი თარიღი (საბჭოთა ცენტრ-ნაცმენური ვერტიკალი). მანამდე **4-5 მარტს** ასევე ფართოდ აღინიშნა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი. იგი პირდაპირ გადაიცა საქართველოს ტელევიზიით. საზეიმო სხდომას დაესწრო სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი **ვ.მჟავანაძე.** საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ.კობახიამ** თავის მოხსენებაში, მიმოიხილა რა საბჭოთა აფხაზეთის "გმირული" გზა, აღნიშნა: **"ამ ბრძოლაში აფხაზი ხალხი მარტო როდი იყო, იგი მუდამ გრძნობდა მომმე ქართველი ხალხის დახმარებას... აფხაზეთის მშრომელთა ყველა წარმატება ეკონომიკისა და კულტურის ქმნადობასა და განვითარებაში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის შედეგია. აფხაზმა ხალხმა ამ წარმატებებს მიაღწია დიდი რუსი ხალხის, ქართველი და ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხების უანგარო დახმარებით" (გაზ. "კომუნისტი", 5 მარტი, 1971წ.).**

1971წ. 4 მარტს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით აფხაზეთის ასსრ დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. **14 მაისს,** ასევე ოქტომბრის

რევოლუციის ორდენით დაჯილდოვდა საქართველოს სსრ. ამ "დაჯილდოებათა სადღესასწაულო" ქვეტექსტი გულისხმობდა: 1. აფხაზეთისა და საქართველოს, როგორც თანასწორუფლებიანი ქვეყნების პარიტეტს (გაყოფილი ქართული მიწების ხარჯზე); 2. ორივე ქვეყანა უშუალოდ და პირდაპირ კრემლის ქვემდებარე იყო (თბილის-სოხუმის საბჭოთა ცენტრ-ნაცმენურმა ვერტიკალმა ნომინალური, სულაც უმნიშვნელო ხასიათი მიიღო).

1971წ. 13 მაისს თბილისში ჩამოვიდა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი **ლ.ბრეჟნევი.**

როგორც ზემოთ მოგეხსენათ, ამ დროისათვის საქართველოს კპ ცკ **1970 წლის** საკავშირო აღწერის მაჩვენებლების მიხედვით იმ აუტსაიდერთა შორის მოექცა, სადაც აღწერილი მოსახლეობიდან შედარებით ნაკლებმა მიიჩნია რუსული მშობლიურ ენად (საბჭოთა კავშირში 10 მილიონმა არარუსმა მშობლიურ ენად რუსული აღიარა). ამ "სავალალო" მაჩვენებლების გამო საქართველოს ოფიციოზი ცდილობდა პოლიტიკური აუტსაიდერობიდან თავდაღწევას: საქართველოს სსრ გასაბჭოებისა და საქართველოს კპ 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თეზისებში იგი გაშმაგებული მოითხოვდა: **"ხალხთა ინტერნაციონალური შეკავშირების განმტკიცება, გადამწყვეტი ბრძოლა შოვინიზმისა და ნაციონალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, კომუნისტური პარტიის, თითეული კომუნისტის, ყველა მშრომელის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 23 მარტი, 1971წ. 26-ე თეზისი).**

1971წ. 14 მაისს გაიმართა საზეიმო სხდომა მიძღვნილი საქართველოს სსრ გასაბჭოებისა და საქართველოს კპ 50 წლისთავისადმი, რომელსაც დაესწრნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციები "მათი" კომუნისტური პარტიების პირველ მდივანთა ხელმძღვანელობით.

საზეიმო სხდომაზე **ლ.ბრეჟნევმა** თავის სიტყვაში კიდევ ერთხელ დააკონკრეტა საქართველოში საბჭოთა ლენინური ეროვნული აჯაფსანდალი და საქართველო კვლავ ამიერკავკასიის პროლეტარიატის ოქტომბრისენოვან ცენტრად განიხილა: **"მინდა ამხანაგებო, კვლავ გავიმეორო აქ ლენინის სიტყვები, რომლებიც შარშან მოვიყვანე საიუბილეო საღამოზე ქ.ერევანში. აი, ეს სიტყვები: "ჩვენში და კავკასიაში ს-დ. ქართველები + სომხები + თათრები + რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთ ს.დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა" (გაზ. "კომუნისტი", 15 მაისი, 1971წ.).**

1971წ. 15 მაისს თბილისში სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის, **ლ.ბრეჟნევის,** სსრკ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა პირველი მდივნების, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციათა თავკაცების თანდასწრებით გაიმართა სამხედრო პარადი, ამით საქართველო გააფრთხილეს, თუ როგორ დაიტორებოდა იგი კვლავაც, თუ თავს არ მიანებებდა საკუთარ ვინაობასთან გაერთსხეულებას.

სკკპ 24-ე ყრილობის მიერ დეკლარირებული ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირებას სჭირდებოდა შესაბამისი ინდუსტრიული პოლიგონი ყოფაში, ხოლო სახელდახელოდ გამოინკუბატორებულ ეთნოკრატიას შესაბამისი შენიღბვა. ამ მიზნით სკკპ ცკ-ის ნოემბრის (22-23) პლენუმმა მოისმინა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის **ლ.ბრეჟნევის** მოხსენება **"სკკპ ცკ-ის საერთაშორისო საქმიანობა 24-ე ყრილობის შემდეგ", ხოლო 24-25 ნოემბერს სსრკ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ _ სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა.ნ.კოსიგინის მოხსენება "გრანდიოზული აღმშენებლობის პროგრამა" (1971-75 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულების საკითხები 1972 წლისათვის).**

28 ნოემბერს (1971 წ.). "Правда"-მ გამოაქვეყნა მოწინავე _ **"ლენინური კურსი".** მასში ნათქვამი იყო: **"საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს სკკპ ცკ-ის პლენუმებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ეს გადაწყვეტილებანი**

შთააგონებენ საბჭოთა ადამიანებს ახალი შესანიშნავი მიღწევებისათვის სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1 დეკემბერი, 1971წ.).

ამრიგად, სსრკ ხალხთა გაოქტომბრისენოვნების სახელმწიფო პროგრამაში საქართველოს თავისი წილი სოციალისტური ვალდებულება გაუპიროვნდა, საუბარია ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირების საკითხებზე, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ახალი თაობის პავლიკმოროზოველთა სერიულ ინკუბაციას ასევე ნაცადი პავლიკმოროზოველი სჭირდებოდა. **ვ.მჟავანაძე** ამ საქმისთვის არ ვარგოდა, რადგან მას ხანდახან საკუთარი ვინაობა ქართველობას ავალებდა.

ამისათვის **70-ანი წლებიდან**, ჯერ პარტნომენკლატურაში, ხოლო შემდეგ "მასებში" (ჯოგური, უპირადხმო "აზროვნების" სინდრომი) იდეოლოგიურ და ორგანიზაციულ "გარდაქმნებს" (ე.წ. ბრძოლას მექრთამეობის, პროტექციონოზმის, წარსულის მავნე გადმონაშთებისა და კუთხურობის, ანუ იგივე "ცხოვრების ლენინური ნორმებიდან გადახვევის" წინააღმდეგ) წინ უძღოდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში კრემლიდან ინსპირირებული, მიზნობრივად დაკვეთილი საზოგადოებრივ მანკიერებათა ნახევარსიმართლით მხილება, რომლებიც საბჭოთა სინამდვილის ორგანულ თვისებად კი არ განიხილებოდა, არამედ მიზნობრივად ისაგნებოდა ქართველი კაცის ეროვნულ ხასიათად, რომელთა თარეში ჩვენს მიწაზე "კრემლიდანური საოკუპაციო რეჟიმის ბრალი კი არ იყო", არამედ, ამას ამკვიდრებდა ქართული ოფიციოზის მომხვეჭელობა და მას ხელს **ვ.მჟავანაძის** ვოლუნტარისტული ბუნება უწყობდა თურმე ხელს.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში დაიშტამპა ვითომ მხატვრული, მეამბოხე, ყალბად "მამხილებელი" ნაწარმოებები, რომლებიც მოსკოვის ეთნოდივერსიული პროგრამიდან გამომდინარე, ქართველ კაცს საბჭოთა სტერეოტიპების თანახმად, როგორც უკვე მოგეხსენათ, კნინობითობას, შერეკილობას, არაკეთილსაიმედოობას, პარაზიტობას, უშრომლობას და მავნებლობას მიაწერდნენ. სერვილისტურმა და ქედდაღუნულმა აზროვნებამ მოითხოვა "ქართული არასრულფასოვნების" მთელი სიგრძე-სიგანით წარმოჩენა. ახალი "ქართული" საბჭოთა ნაწარმოებების ძირითად ამოცანად იქცა რჯულდაგმობის "აუცილებლობისა და ბუნებრივობის" დამტკიცება. ეს არ გახლდათ ამა თუ იმ ყოფით, თუ საზოგადოებრივ (თუნდაც ეროვნულ) მანკიერებაზე ჭირისუფლის საუბარი, პირიქით, იგი, როგორც სრულიად საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა ეთნოდივერსიული აგრესიის შორსგამიზნული კომპარტიული თადარიგი, ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ძალადობის შესანიღბად შეიქმნა.

ამის დასტურია **გ.ფანჯიკიძის** გახმაურებული რომანი **"ნატვრისთვალი" (1971წ.)**, რომლის კინოვარიანტის **(1973წ.)** შესავალში სწორედ სკკპ ცკ-ის **1972წ. 6 მარტის** დადგენილების _ "პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ" მიმართ ჰიმნოგრაფიული საუბარი მონური მუხლმოდრეკის ხასიათს ღებულობდა. რაც შეეხება ამ დადგენილების რეალიზაციის "პირველ შედეგებს", მასზე მოგვითხრობს **რ.ჩხეიძის** კინოფილმი **"რაიკომის მდივანი" (1977წ.)**, (იგივე **ე.შევარდნაძის** ეკრანული სახე).

ეს იყო საქართველოში კოლაბორაციონისტული "შემოქმედების" არნახული აღზევების წლები.

იმ აზრს, რომ კომუნისტების წინა თაობამ, **ვ.მჟავანაძემ** დაუშვა "ლენინის ზნეობიდან" გადაცდომები, რასაც საქართველოს სსრ პირობებში მოჰყვა საზოგადოებრივი პარტახი, თორემ კომუნიზმი უეჭველად არის მიწიერი სამოთხე, სამწუხაროდ, თავის ნაწარმოებებში **ნოდარ დუმბაძეც** ასახავდა. იგი კომუნისტთა ახალ თაობაში, ანუ **ე.შევადნაძეში ხედავდა "ლენინური ნორმების"** აღდგენის გზას.

იმ ღრმადეროვნულობას, ხალხთმოყვარეობასა და მაღალმხატვრულობას, რომელიც **ნ.დუმბაძემ** გამოავლინა რომანებში "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", "მე ვხედავ მზეს" და არაერთ სხვა მოთხრობასა თუ ნოველაში, დასანანია, რომ შემდგომში მიენიაღვარა კომუნისტური კონიუნქტურით დაწერილი რომანები, მოთხრობები, წერილები და ა.შ., რომლებმაც გვერდი აუარეს მის, რიგ შემთხვევაში, საკაცობრიო მნიშვნელობის შემოქმედებას და ამ აშკარად მედროვე ნაწარმოებების ავტორი დაადგინა ქვეყანაში კომპრადორული ძალების თანამოსანგრედ.

ორი აზრი არაა იმაზე, რომ **ნ.დუმბაძე** დიდი მწერალი გახლდათ, მაგრამ სწორედ დიდი მწერლის აწონილი სიტყვაა ერის გადამრჩენი, ხოლო დიდმპყრობელთა საამებელი მედროვეობა, როგორც წესი, გადამჩეხია ქვეყნის.

თუ ზემოთ დამოწმებული **გ.ფანჯიკიძის "ნატვრისთვალი"** ასახავს სკკპ ცკ-ის **1972 წლის 6 მარტის** დადგენილების წინმსწრებ ნეგატიურ მოვლენებს (რაც საზოგადოებრივი აზრის გაპონური შემზადება და გაძღოლა გახლდათ ჩვენდა "საკეთილდღეო" სკკპ ცკ-ის ახალი რეპრესიების მისაგებებლად), **ნ.დუმბაძის "მარადისობის კანონი"** გვისურათხატებდა იმ "საბედნიერო" სინამდვილეს, რომელიც საქართველოში შეიქმნა სკკპ ცკ-ის პოლიტიკური და საორგანიზაციო დასკვნების შედეგად: რესპუბლიკის (გუბერნიის) სათავეში მოვიდა ახალი თაობა **(ე.შევარდნაძე),** რომელიც "ხმალჩაუგებლად ებრძოდა" დრომოჭმულს (ანუ ქართულს) და ამ ბრძოლაში მას გვერდით უნდა დავდგომოდით.

აქ პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ **ნ.დუმბაძის** ფხიზელ მზერას არ შეიძლება, გამოპარვოდა ის, რომ ქართველი ერის თავისუფლება არ შეიძლებოდა გამოეჭედა კრემლს **(ე.შევარდნაძეს).**

"ნიანგის" რედაქტორმა განა ვინმეზე ნაკლებ იცოდა იმ საძრახობათა უკიდეგანობა, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში მძვინვარებდა მექრთამეობის, მიწერებისა და ა.შ. სახით და, რომ ეს არ იყო ქართველი კაცის ბუნება. უფრო მეტიც, **ნ.დუმბაძემ**, როგორც **ე.შევარდნაძის** ახლო მეგობარმა, როგორ დავიჯერო, რომ არ იცოდა _ **დავით აღმაშენებლი** საქართველოს კპ ცკ-ის ამ ლიდერისგან არასოდეს არ გამოვიდოდა. მაშ, რა მოხდა, რანაირად მოხერხდა, რომ **ნ.დუმბაძის** კონიუნქტურულმა ნაწარმოებებმა, ისევე, როგორც **რ.ჩხეიძის** კინოფილმმა **"რაიკომის მდივანი"** (რომელიც, ვიმეორებ, სინამდვილეში **ე.შევარდნაძეს** ეძღვნებოდა), ზნეობრივი ლეგიტიმაცია მისცა დაბნეული საზოგადოების თვალში რუსეთის იმპერიის მუხლჩაუხრელ მეგზურს **ე.შევარდნაძეს.**

რაც შეეხება **რ.ჩხეიძის** კინოფილმს, ის მხატვრული თვალსაზრისით დახვეწილი გახლდათ, ხოლო მასში ქართველი ერისთვის მოურჩენელი წყლულისთვის **ე.შევარდნაძის** "ერისკაცობის" მიბმა, საქმეში ჩაუხედავ და მოტყუებულ საზოგადოებრივ სიმრავლეებში მართლა ქმნიდა "კარგი ქართველობის" ეფექტს.

ყოველივე ამის გასწვრივ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ **ნ.დუმბაძის** რომანი **"მარადისობის კანონი"** იმითაც გამოირჩეოდა, რომ მასში ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, ანუ აფხაზეთი გასახეზოგადებული გახლდათ "არაქართულ" ქვეყნად. ასევე, ერთგვარ ზნეობრივ საწყაოდ იყო გამოყვანილი მოწესე ქურდი, ეს "სამართლიანობის დარაჯი" გარკვეულწილად ეხმიანებოდა საბჭოთა სინამდვილეში გამოინკუბატორებულ **ჯ.იოსელიანს,** რომელიც სწორედ კომუნისტურმა სინამდვილემ შექმნა და მანვე გაუკაფა ასპარეზი, რათა საქართველოს მაოხრად არაერთჯერადად გამოეყენებინა.

ნ.დუმბაძის ნაწარმოებებში არცთუ იშვიათად გამოიყენებოდა ისეთი სტერეოტიპები, რომლებიც აყალბებდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის შინაარსს. ასე მაგალითად, "ვენეციელთა ხიდი" ("ჰელადოსში") გახლავთ "**თამარის**

ხიდად”[4] წოდებული ხიდი მდ. ბესლეთზე, რომელიც სინამდვილეში **ბაგრატ** III-ის ეპოქაში აშენდა, აქვეა **ბაგრატის მთა** და **ბაგრატის ციხე**, მაგრამ ამას ვერ იტყოდა **ნ.დუმბაძე**, რომელიც აფხაზეთში საბჭოთა დივერსიულ ეთნოფაბრიკაციებს ჭეშმარიტებად აღიარებდა. ის ქართველ-აფხაზეცთა ძმობას ქადაგებდა იმ მოსაზღვრულობაში, რის ნებართვასაც იძლეოდა საბჭოთა თითისქნევა.

1988 წელს სოხუმის **კ.გამსახურდიას** სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ცნობილმა რეჟისორმა **გ.ქავთარაძემ** დადგა **ნ.დუმბაძის “ჰელადოს”** და **“ბოშები”.** თავდაპირველად სპექტაკლის სათაურად ივარაუდებოდა **“საქართველოს ცის ქვეშ”,** მაგრამ აფხაზეთის პარტოკრატიამ ეს სათაური აკრძალა და მას ჩაანაცვლა **“ერთი ცის ქვეშ”,** ანუ საქართველო და აფხაზეთი _ “მოძმე”, მაგრამ “სხვადასხვა” ქვეყნები, საერთო ცის ქვეშ თანაარსებობენო. ასეთი აზრი, რა თქმა უნდა, ერთსხეულებრივ საქართველოს არ ნიშნავს.

ნებით თუ უნებლიედ, **ნ. დუმბაძე** თავის ნაწარმოებებში სწორედ ამგვარად წარმოაჩენდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს. არც ისაა დასამალი, რომ ხანდახან იგი ისე შორს მიდიოდა აფხაზეცური პარტოკრატიისადმი “კოჭების გაგორებაში”, რომ ყოვლად უადგილო გულაჩუყებით ესარჩლებოდა **ნ. ლაკობას** _ ამ ცნობილი ქართველთმოძულის ჭერქვეშეთს.

როგორც დრომ დაადატურა, ასე კრემლიდანურად თავსმოხვეული ძმობა მკვდრადშობილი აღმოჩნდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის.

ამავე ხანებში შეიქმნა **ბ. შინკუბას** საბჭოთა სტერეოტიპული რომანი **“უკანასკნელი უბიხი”,** რომელსაც კომუნისტურმა პროპაგანდამ მილიონობით მკითხველი შესძინა როგორც სსრკ-ში, ასევე საზღვარგარეთ, იგი კონვეირული წესით ასობით ხალხთა ენაზე ითარგმნა და გამოიცა.

ეს რომანი, მართლაც ასახავდა იმპერიული ექსპანსიის საუბედურო შედეგებს შავიზღვისპირეთის ერთ კუთხეში (დღევანდელი სოჭი-ტუაფსის მხარეში).

მასში ნაჩვენები იყო მკვიდრი მოსახლეობის აყრა და გასახლება, მაგრამ საბჭოთა ავტორი სჯერდებოდა ნახევარსიმართლეს და გაურბოდა რუსისტულ-თურანულ ზრახვათა ასიმილატორული და კანიბალური შინაარსის გამოაშკარავებას. იგი საერთოდ არ სცნობდა იბერიულ ერთობას, უფრო მეტიც, ნაწარმოებში ირიბი მინიშნებით მკითხველისათვის კეთდებოდა დასკვნა, რომ ეს ტრაგიკული ამბავი მხოლოდ აფხაზეცთა (ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის) ხვედრი გახლდათ, ესეც ნახევარსიმართლეა. რა თქმა უნდა, აფხაზეთიდან ათასობით მკვიდრი გადაასახლა (გაყარა) რუსეთმა და თურქეთმა ერთობლივად თურქეთში (ისევე, როგორც ჩრდილო კავკასიიდან და სამხრეთ საქართველოდან მილიონობით ადამიანი მოსწყვიტა მშობლიურ მიწას, გადააშენა ეროვნებები), მაგრამ აფხაზეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის 99 პროცენტი ქართული (მეგრული, ე.ი. ჭეშმარიტად აფხაზური) წარმოშობის რომაა, ამაზე **ბ. შინკუბა** შეგნებულად არაფერს ამბობდა. უფრო მეტიც, ქ.სოჭში, სადაც ბოლო საუკუნეებში დამკვიდრდნენ ჩერქეზული მოდგმის უბიხები და რომლებიც პირწმინდად გადაასახლეს, **მე-19 საუკუნის დასასრულს** ცხოვრობდა 10000-მდე მეგრელი (ქართველი), რომლებიც საბჭოთა სინამდვილეში, ანუ მწერალ **ბ. შინკუბას** თვალწინ გადაშენდნენ. მწერალი ამაზე დუმდა, მაგრამ სოჭელ მეგრელებზე ღაღადებს იქაური ტოპონიმიკა და თვით რუსეთის ენციკლოპედია (მოსკოვი, **1904წ.**). ის

---

[4] ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, მდ. ბესლეთის ხეობაში სოფ. აკაფის იმ ნაწილს, სადაც ფეხი ავიდგი, ასევე ზოგადად მთელს ხეობას, მე-19 საუკუნის დასასრულს აქ თურქეთის იმპერიიდან ჩამოსახლებული და დამკვიდრებული პონტოელი ბერძნები “დო მენგრელიდონ”-ს (მეგრელთა დასახლებას) უწოდებდნენ, ანუ მათ იცოდნენ რა მხარეშიც ჩამოსახლდნენ. საინტერესოა, რომ ისინი რუსულად საუბრის დროს “თამარის ხიდად” წოდებულ ნაგებობას “ვენეციანსკი მოსტ”-ს ეძახდნენ, მაგრამ ბერძნულ საუბარში ამ მიდამოებს, ისევ და ისევ, “დო მენგრელიდონ”-ად იხსენიებდნენ.

კი არა, ალეგორიულად იმის მტკიცებაც ილანდებოდა **ბ. შინკუბას** რომანში, თითქოს "ქართული ექსპანსიის" შედეგები ყოფილიყოს მუჰაჯირობა, რითაც სეპარატისტულ მოძრაობას მან **(ბ. შინკუბამ)** სამაგიდო წიგნი შესძინა სახელმძღვანელოდ. ამ ნაწარმოებში თითქოსდა მხილებული იყო რუსეთის მიერ კავკასიაში იბერიული რასის წინააღმდეგ თანმიმდევრულად განხორციელებული ეთნიკური წმენდა და გენოციდი. მაგრამ ისევ და ისევ ხმამაღლა ვამბობ, **ბ. შინკუბა** შეგნებულად არ ასახავდა სოჭი-ტუაფსის მიდამოებში უბიხებზე ადრე მცხოვრები ხალხის (ქართველობის) ვინაობას. არ საუბრობდა ოსმალეთის იმპერიის პირობებში საერთოდ კავკასიაში და კერძოდ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში განხორციელებულ ეთნოდივერსიებზე. მისი ყურადღების გარეშე დარჩა ქართველთა მიმართ განხორციელებული რეპრესიები ამ მხარეში, როგორც ცარისტულ, ასევე საბჭოთა სინამდვილეში. მიჩქმალული გახლდათ ქართველთა (მეგრელთა ანუ აფხაზთა) გამოყენება საეთნოდივერსიო ნედლეულად. არაფერი იყო თქმული ქართველ-აფსუათა ძუძუმტეობასა თუ სახლიკაცობაზე. არ იყო წარმოჩენილი პონტო-კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების გონითი განფენის სივრცეში მშობლიური შინაარსის აღორძინების აუცილებლობა. იგი საბჭოთა სტერეოტიპებზე აგებული და აგრესიულ სეპარატიზმზე მორგებული, თუმცა მხატვრული თვალსაზრისით გამართული ნაწარმოები გახლდათ. თუ როგორი დიდმპყრობელი გახლდათ ქართველი (აფხაზი) თავის მშობლიურ მიწა-წყალზე, ამაზე თავის დროზე სიმართლე დაწერა ცნობილმა აფხაზეცმა პოეტმა, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა 60-იან წლებში **ა. ჯონუამ** სტატიაში "ეროვნული კულტურის უმაგალითო აყვავება". როდესაც ეხებოდა "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" ეთნოკრატიულ ამბიციებს, ავტორი ამ პერიოდზე სამართლიანად წერდა: **"...იმ უსიხარულო წლებში, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მეფობის წლებში, აფხაზეთში მცხოვრები ქართველი და სხვა ეროვნების ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები მრავალგზის ცდილობდნენ, რომ მოეწესრიგებინათ, მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებინათ აფხაზი ბავშვების განათლება..." ("სახალხო განათლება", 12. V. 1971წ.).**

სამწუხაროდ **ალექსი ჯონუა** შემდგომში ე.წ. "აფხაზური წერილის" თაოსანთა რიგებში აღმოჩნდა და დაივიწყა მორდუობის კანონი.

სსრკ კინოკომიტეტისა და საკავშირო ტელევიზიის დაკვეთით **70-იან წლებში** საკავშირო და საქართველოს კინოსტუდიები იღებდნენ ფილმებს, რომლებშიც ქართველი ან ბაზრის გაიძვერად იხატებოდა, ან კიდევ გულდედალი და შერეკილი იყო ვითომ. ვინაიდან, იმ დროისათვის საბჭოთა სინამდვილეში რუსიზმის წინაშე დღის წესრიგში დადგა პოლიტიკური შტურმი "ერთა ლენინური შერწყმის" განსახორციელებლად, ხოლო კრემლი ამ საქმის ძირითად მოწინააღმდეგედ საქართველოს მიიჩნევდა, თანაც არც თუ უსაფუძვლოდ, ამისდა მიხედვით ახალი ძალით დაიწყო "მზრუნველი" პარტნომენკლატურული კამპანია საქართველოს ღირსების დისკრედიტირებისათვის. ამით რუსიზმს სურდა მსოფლიოს ეროვნულ მოძრაობათა, განსაკუთრებით სსრკ ხალხთა და მათ შორის კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების წინაშე სრულიად ქართველური ვინაობისა და რაობის პათოლოგიური და დესტრუქციული სახე შეექმნა. ქართულ მეცნიერებასა და შემოქმედებაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცუდ ტონად მიიჩნეოდა ეროვნული სულისკვეთების გაშუქება. ამიტომ, როგორც მაშინ ხუმრობდნენ, საბჭოთა პატრიოტიზმზე და ლენინურ ინტერნაციონალიზმზე ლამის უთოც კი ლაპარაკობდა. ყოველივე აღნიშნულის სისტემაში მოსაყვანად და კოორდინირებისათვის საჭირო გახდა საგანგებო სადირექტივო დოკუმენტი, რომელზეც აიგებოდა სათანადო იდეოლოგიური, პროპაგანდისტული, საორგანიზაციო და სხვა სახის ეთნოდივერსიული საქმიანობა.

ამავე დროს, მისი მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო პოლიტიკური და საორგანიზაციო დასკვნები, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საქართველოში ქართულ ვინაობასთან თანმიმდევრული ბრძოლა და ეროვნულ შინაარსში რუსისტული სულისკვეთების ჩანაცვლება. ეს უნდა მომხდარიყო მანკიერებასთან ბრძოლის სახით.

აი, ამ მიზნით **1972წ. 6 მარტს** გაზეთმა **"Правда"- მ** გამოაქვეყნა და მეორე დღესვე ქართულმა პრესამ გადმობეჭდა სკკპ ცკ-ის დადგენილება: **"სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".** როგორც ხედავთ, ეს მორიგი საავდრო ღონისძიება არ იყო მხოლოდ, როგორც მაშინ საბჭოთა პროპაგანდა გაჰყვიროდა, მექრთამეობის წინააღმდეგ "ბრძოლით" გამოწვეული. მექრთამეობა თუ ჰყვაოდა სადმე, პირველ რიგში _ მოსკოვში. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, საქმე ის გახლდათ, რომ, როგორც ზემოთ არაერთგზის მოგახსენეთ, _ **1970 წლის** საკავშირო აღწერით, რაკიღა 10 მილიონმა არარუსმა საბჭოთა კავშირში რუსული ენა აღიარა მშობლიურად და რადგანაც ეს "მოვლენა" მიჩნეული იქნა "ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებად", ისიც დადგინდა, რომ სოციალიზმის ამ უდიდეს მონაპოვარს" საქართველო ფეხათრევით მოსდევდა, რამაც კრემლის სამართლიანი შეშფოთება გამოიწვია, _ ასეთ დროს მოსკოვისათვის საჭირო გახდა საქართველოში კომუნისტურ ხელმძღვანელად დაეწინაურებინა ეროვნული გრძნობებისადმი ადრე არსებულზე უფრო ნიჰილისტურად განწყობილი პარტიული მოხელე და მის გარშემო დაერაზმა ქართული წარმოშობის პარტნომენკლატურულ ქართველთმოძულეთა სიმწყობრე, ანუ მაფიურ-კრიმინალური კლანი. ასეთნაირად ლობირებულ პარტიულ ელიტას კი "დიადი" ლოზუნგების ქვეშ ქართველი ერის პერმანენტული განქართველების საძრახი "პოლიტიკა" უნდა გაეტარებინა.

ეს დადგენილება გახლდათ, კრემლის ახალი პაროლი, რასაც მოჰყვა საბჭოთა (რუსიზმის) იდეოლოგიურ _ ორგანიზატორული თუ სამეურნეო ინტერვენციის მიზანმიმართული აღმავლობა ქართულ მიწაზე, ქვეყნის ეროვნულ ცნობიერებასა თუ ყოფაში. ყოველივე ამის მეგზურობა და საექსპედიციო ბრიგადის ხელმძღვანელობა დაევალა **ედუარდ შევარდნაძეს** _ საბჭოთა სპეცსამსახურების გენერალს.

პირველი, რაც მან საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივნად "არჩევისთანავე" გააკეთა, ეს იყო ეროვნული მოღვაწის აბრისათვის წასაპოტინებლად ხელგამოღება. საბჭოთა იდეოლოგიური და სხვა შესაბამისი უწყებები, პროპაგანდისა თუ საინფორმაციო სამსახურები ხელს უწყობდნენ "ტირანი, მექრთამე, რუსიფიკატორი **ვ.მჟავანაძის** გამომზეურებასა და მისი საძრახი საქმეების ცალმხრივად გასაჯარისებას, ხოლო ამის საპირისპიროდ ლაგამამოუდებლად ხდებოდა **ე.შევარდნაძის** "ერისკაცული" ხასიათის, "შეუპოვრობისა და თავდადების" ყოველმხრივი გაშუქება (სინამდვილეში, როგორც გახსოვთ, **ვ.მჟავანაძე** ჩვეულებრივი რუსი მოხელე იყო, რომელსაც ხანდახან მისი ქართული წარმოშობა ახსოვდა).

ამ მხრივ საინტერესოა **ე.შევარდნაძის** მიერ **1973წ. დასაწყისში** აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **გ.ბერულავას** (ქართველის) გათავისუფლების კულუარული კომენტარი, სადაც დაინტერესებული ძალები ხმებს ყრიდნენ, თითქოს, საქართველოს კომპარტიის ახალ თავკაცს **გ.ბერულავასთვის** ეთქვას: აფხაზეთში ამდენი არმენი რომ ჩამოასახლე, ქართველებისა და აფხაზებისათვის შეგეწყო ხელი და უბატონოდ ხმას არ გაგცემდიო! (არმენების ჩამოსახლება **ე.შევარდნაძის** დროს იკითხეთ. მარტო სოხუმის რაიონში ქალაქს რკალად შემოერტყა ძირითადად არმენული ახალშენები ეშერაში, გუმისთაში, აჩადარაში, ლეჩქოფში, იაშთხვაში, თავისუფლებაში, ბესლეთში, ბირცხაში, ვალადაროვკაში და ა.შ. მათ დაურიგდათ პოხიერი, მდინარისპირა და ზღვისპირა სავარგულები. იმავდროულად

ძირძველი ქართველი მოსახლეობისგან, მათთვის ხელოვნურად შექმნილი გაუსაძლისი პირობების გამო, გაუკაცრიელდა არაერთი სოფელი და დასახლება იმავე სოხუმის რაიონში. ასეთ გადაშენებას გადარჩენილი მრავალი მითაჟამინდელი ქართული (აფხაზური, იგივე მეგრული) სოფელი კი ინტერფრონტული ეთნონედლეულით შეივსო, რომლებმაც კოლხ ბერიკაცებს მამაპაპური მეტყველების ნაცვლად მათ საკარმიდამოებში საერთო, ანუ "დიდი ლენინის" ენაზე ალაპარაკება მოსთხოვეს. ასევე, ამავე დროიდან დაიწყო ქართველების მასობრივი გათავისუფლება თანამდებობიდან და ამავე ადგილებზე აფხაზეცთა სტახანოვური დანიშვნა).

ერისკაცის ნიღაბი რომ გაეპიროვნებინა და თავისი "ქართველობა" გაესაჯარისებინა, **ე.შევარდნაძემ** საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივნად მისი დანიშვნისთანავე მოინახულა **"კოლხური კოშკი"**, ესაუბრა დიდოსტატს, ხოლო **31 დეკემბერს** ახალი წელიც მიულოცა. ეს იყო ფარისევლური სტუმრობა. ამ ნაცად პავლიკ მოროზოველს სურდა დაეზუსტებინა, თუ რა ყალიბის ჭურვები დაეშინა შემდგომში მისთვის ე.ი. ეროვნული ცნობიერებისათვის. დაუშინა კიდეც რაღაც ნახევარ წელიწადში (ამაზე _ ქვემოთ).

რუსისტულ-დერჟავული ექსპანსიის ახალი დამანგრეველი იერიში _ კომპარტიული დოკუნეტების ვითომ კეთილმოსურნე დებულებებითა და შესაბამისი საორგანიზაციო დასკვნებით ხდებოდა, რასაც საგულდაგულოდ ნიღბავდნენ მაშინ. არც თუ იოლი იყო მათი ამოხსნა იმ დროს, თითო-ოროლა თუ ახერხებდა ამას.

ამასთან დაკავშირებით, პატივცემულ მკითხველს ვთავაზობ, ერთად გადავავლოთ თვალი იმ დროს ავმოსურნე მდინარეგას და გავერკვეთ, თუ როგორ მზადდებოდა ცხუმ-აფხაზეთში ამ მიწის მკვიდრთა ეთნიკური წმენდა, გენოციდი და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასხვისება.

ეს ყველაფერი, პირდაპირ თუ ირიბად, დაკავშირებულია **ე.შევარდნაძის** ე.წ. დიდ პოლიტიკასთან, იმ პიროვნების საქმიანობასთან, რომელიც საბჭოთა ველიკოდერჟავული გეგმებიდან გამომდინარე, საქართველოს თანმიმდევრული განმშობლიურებისა და ქართველი ერის მიზანმიმართული გენოციდის გასატარებლად წამოასკუპეს ჩვენს მამულს. დიახ, ეს კრემლისათვის ნაცადი პავლიკმოროზოველი საიმედო დასაყრდენი იყო რუსიზმისათვის ადგილზეც და ცენტრშიც, მთელი თავისი, ასე ვთქვათ, პოლიტიკური საქმიანობის მანძილზე.

საბჭოთა ეთნოდივერსიული ინდუსტრია, რომელიც **ე.შევარდნაძის** თავკაცობით ხორციელდებოდა (და ხორციელდება) საქართველოში _ განსაკუთრებული ფარისევლობით, სისასტიკით, ცინიზმით, ხალხთმოძულეობითა და ნეკრობიოზური (სიცოცხლის თანდათანობითი მოკვდინების) პოლიტიკით, რაც მთავარია, ამ საქმის ანუ უსჯულოების საიდუმლოს ზედმიწევნითი სიღრმისეული ცოდნით ხასიათდებოდა.

ქვემოთ გაგრძელებული საუბარი, სწორედ ამ ჭერჩამოქცევის თვალის გადავლებაა მხოლოდ.

<u>**მინაწერი:**</u> საქართველოში ქვეყნის განქართველების მიზანმიმართული ყოველდღიურობა სოდომ-გომორისეული სიბილწითა და ოიდიპური ცოდვის ჯერმონაცვლეობით, ხვანჯარჩახსნილი დგას ერის დედოსიწმიდესთან.

გადასაჯიშებლად ეღლაბუცებიან სრულიად საქართველოს ლასკარულ ცნობიერებას (აუპატიურებენ სულითა და სისხლით ნათესავთა ერთჭერქვეშეთს).

"დიდი პოლიტიკოსის" ნაცადი მარჯვენა ქართვლის დედის საკინძის ჩამოსაფხრეწად მოუსვენრობს ამჯერადაც.

თუ შევთანხმდებით, რომ **"ეროვნება არა აქვს ცხოველს" _ ზ.გამსახურდია** (მე პირადად ასე მწამს), _ მაშინ ცხადია, თუ რა მუხანათური შინაარსისაა საქართველოს რესპუბლიკის ე.წ. პარლამენტის მიერ **1999 წლის 14 იანვარს** (კალანდას, ჩიჩილაკის

შემობრძანების დღეს) შორსგამიზნულად ამოქმედებული უკანონობა _ **“კანონი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ”,** რომლის თანახმადაც მოქალაქეთა პასპორტებიდან ეროვნებისა და მამის სახელის აღნიშვნა საერთოდ ამოღებულია, რაც ქართველთა ვინაობის გაძევების ხარჯზე, ჯოგური (ცხოველური) კრებითობის მსოფლმხედველობრივი სიბერწის სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადებას ნიშნავს. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მანამდე ამ ე.წ. პარლამენტმა თავაუტკივებლად მიიღო “კანონი” მიწის გაყიდვის (გასხვისების) შესახებ, ცხადია, საოკუპაციო რეჟიმმა და მისმა ნამესტნიკურმა ხელისუფლებამ ამით იავარქმნა გიორგიანული ცხოვრების წესის გული და სული, ანუ მამული და ვინაობა (ეროვნება). აქედან გამომდინარე, უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ ამით ებრძვიან ქრისტეს. მასონური მატერიალიზმის, იგივე მომხმარებლურ-მერკანტილური შეგნების ტოტალური დაკანონებით “თანამედროვე მსოფლიო წესრიგი” ცდილობს სრულიად საქართველოს აართვას ზნეობრივი თვითშემეცნების უნარი და შეათრიოს იგი კოსმოპოლიტიზმის ჩიხში (შეთქმულება ღვთის წინააღმდეგ). მამული გახლავთ წმინდა სავანე, რომელიც მამა ღმერთმა მოუვლინა ჩვენს მოდგმას (ღვთისმშობლის წილხვედრილობა), მისი გაყიდვა (გასხვისება) ღვთისგმობაა, ხოლო ეროვნება (ვინაობა), რომელიც ღვთით დადგენილია დაუსაბამოდ, მარად და ყველგან თანმდევი სულია ჩვენი. მისი “გაუქმება” სულის ამოგლეჯაა, აქედან გამომდინარე გაუკუღმართებული შედეგებით (სოდომ-გომორისეული ცოდვით).

ცნობილია, რომ ანტიქრისტე ყველაფერში ბაძავს მაცხოვარს ჩვენსას. ამისდა შესაბამისად, შემოუძღვა რა ის საქართველოში საერთაშორისო ანტიეროვნული შეთქმულების კარგად შენიღბულ აგრესიას, სინამდვილეში რუსიზმის მუნდირის ქვეშ ამერიკანიზმის პოლიტიკურ შიდსს, **ე.შევარდნაძე** სიონის ეკლესიაში ვითომ მოინათლა და **გიორგი** (გიორგიანი) დაირქვა. ამით მისი საქმიანობა, მიზნობრივად გასაჯარისებული ორიენტაციის (გიორგიანობის) ფსევდოიდენტური გახდა, ურჯულომ რჯულიერი განასახიერა, რის შედეგადაც მარჯვედ შეუდგა ძირგამომთხრელ და დამანგრეველ საქმიანობას. **1995 წლის ნოემბრის** “იურიდიული” ძალადობით (ცრუ არჩევნებით) იგი საქართველოს ე.წ. პრეზიდენტად (სინამდვილეში ნამესტნიკად) მორიგი ვადით დადგინდა, საჯარო “ინაუგურაციის” დროს მან ბიბლიაზე ხელის დადებით წმიდა წიგნის მადლმოსილება “აღიარა” და გიორგიანული ყოფაქცევის სავალდებულო მიმდევრობა “ივალდებულა” (ანუ ღმერთს დასცინა).

აი, ეს გახლდათ საუკუნის თვალთმაქცობა და ენით უთქმელი მუხანათობის აბუმბერაზება: გიორგიანების მთავარი ძარღვები _ მიწა და ეროვნება ხელაუკანკალებლად ჩაწალდა.

ასეთ დროს წმიდა წიგნი მკაცრად გვაფრთხილებს: **“ადამის ძევ! გააგებინე იერუსალიმს მისი სისაძაგლეები და უთხარი, ასე ეუბნება-თქო უფალი ღმერთი იერუსალიმს: შენი დასაბამი და შენი სამშობლო ქანაანის ქვეყანაშია, მამაშენი ამორეველია, დედაშენი _ ხეთელი...” (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 16 _ 2,3).**

ასე ზედმიწევნით მიუთითებს ღვთისმიერი სწავლება (მამა ღმერთი) სადაურობის რეკვიზიტს და საგაკვეთილოდ ჩაგვძახის: **“მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, რადგან თქვენ მდგმურები და ხიზნები ხართ ჩემთან... თუ შენი მომმე გაღარიბდება და თავის სამკვიდრებელს გაჰყიდის, მოვიდეს მისი ახლო ნათესავი და გამოისყიდოს თავისი მომმის გაყიდული” (ლევიანნი, 25 _ 23,25).**

ნამესტნიკური ხელისუფლების მიერ ასევე გათელილი და ხელყოფილია ახალი აღთქმის შეგონება ეროვნებათა შესახებ: **“...შემდგომად ამისა ვიხილე და, აჰა, ერი ფრიადი, რომლისა აღრიცხუად ვერვინ შემძლებელ იყო, ყოველთაგან წარმართთა და ტომთა და ერთა და ენათა, მდგომარენი წინაშე საყდრისა და წინაშე კრავისა”**

(გამოცხადებაი 7, 9) "...და ვიხილე ანგელოზი მფრინვალე შორის ცისა და ქვეყნისა, <u>და აქ უნდა სახარებაი საუკუნოი ხარებად მკვიდრთა ქუეყნისათა და ყოველთა ერსა ზედა და ტომთა და ენათა და წარმართთა..."</u> (გამოცხ. 14, 6). ქართველთა სულიერი მისია _ ლაზარეს აღდგინებაა: "...არღარა მოემშიოს მათ, არცაღა მოეწყუროს" (გამოცხ. 7, 16).

უფლის მიერ დადგენილი ლასკარის ხელყოფა, ღვთითდადგენილ სინამდვილესთან ამაო დაპირისპირებაა, რადგან ზემოთ დამოწმებული წმიდა წიგნი გვასწავლის: "ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცათმდე აჰმაღლდები, არამედ ჯოჯოხეთამდე შთახდე, რამეთუ სოდომს თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს შენ შორის, ჰგონიამცა დღეინდელად დღემდე" (მათე 11, 23). "...მეორე ანგელოზი შეუდგა მას და იტყოდა: დაეცა ბაბილონი იგი დიდი, რამეთუ ღვინისა მისგან გულს წყრომისა სიძვისა მისისა ასუა ყოველთა წარმართთა..." (გამოცხ. 14, 8).

უმცდარია წმიდა სწავლება, ამიტომ ისეთი დიდი, შორსგამიზნული და მილიტარისტული პროგრამა, როგორიცაა "Стратегический план России на юге" _ რუსიზმის ჟღარუნისდა მიუხედავად, შედეგის პერსპექტივის თვალსაზრისით სწორედ ამერიკანიზმის მიერ შემოჩეჩებული მორიგი დივერსიაა, თუმცა იგი მკვდრადშობილი ხელგამოღებაა. ამას ადრე თუ გვიან თვით რუსეთი მიხვდება. დღეს კი, სამწუხაროდ, მისი ხელისუფლება კვლავ ვერაგული ხრიკებით გვისაფრდება. სხვა მრავალ დივერსიათა შორის ერთ ნაკლებად გასაჯარისებულ იმპერიულ დოკუმენტს გაგაცნობთ, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოში ნამესტნიკური ხელისუფლების მიერ ეროვნების აღმნიშვნელი რეკვიზიტების გაუქმებასთან: რუსეთის ფედერაციამ **1997 წელს** ჩატარებული საცდელი აღწერის დროს ქართველური ეთნოგრაფიული სინამდვილე: _ ლაზები, სვანები, მეგრელები და "საკუთრივ" ქართველები ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ ხალხებად წარმოადგინა. უფრო მეტიც მან (რფ-მ) სახელმწიფოთა სტანდარტის დონეზე მიიღო დოკუმენტი "Коды наименовании языков" (Гост 7, 75 _ 97), რომლის ანოტაცია ამას იტყობინება: "Внесен Гостандартом Российской федерации; Принят межгосударственным советом по стандартизации, метрологии сертификации (отчет технического секретариата №12-97 от 21 Ноября 1997г.);

Настоящий стандарт соответствует международному стандарту ИСО 6 39 _ 88 «Коды представления наименованний языков» _ в части 3 «основные принципы составления перечня наименований язиков; Часть 4 «основные принципы формирования кодов наименований языков»; Постановлением Государственного комитета Российской федерации по стандартизации, метрологии и сертификациии от 29 апреля 1998г. №169 межгосударственный стандарт гост 7, 75 _ 97 введен в действие непосредственно в качестве государственного стандарта Российской федерации с 1 января 1999г (როგორც ხედავთ 14 იანვარს ე.ი. ძველით ახალ წელს ეროვნების აღმნიშვნელი რეკვიზიტი გავიუქმეთ!..).

Наименование языка	Буквенный код		Цифровой код
	Кирил.	Латин	
Грузинский (стр. 3.)	гру	geo	158
Лазский (стр. 4.)	лаз	laz	365
Мегрельский (стр. 5.)	мег	mig	450
Сванский (стр. 5.)	свс	sva	585

(Коды наименований языков - ИПК издательство стандартов, 1998г. Минск.)[5]

უფრო დიდ "ბედნიერებას" 1998 წლის ნოემბრის ბოლოსკენ, გიორგობის დღეს, ქ.თბილისში, ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წინ გამოკრული ვეებერთელა პლაკატი (აინშტაინის ფოტოსურათით) გვპირდებოდა: **"ლტოლვილებს შეუძლიათ ბევრი რამ შემატონ თავიანთ ახალ სამშობლოს... აინშტაინიც ლტოლვილი იყო"...** 1. **"ლტოლვილი ის ადამიანია, რომელიც გამოექცა დევნას და გადაკვეთა საერთაშორისო საზღვარი"** (ჩვენს შემთხვევაში მდ. ენგური და ლიახვი, თურმე, საერთაშორისო საზღვარია მეზობელ ქვეყანასთან ს.ს.). 2. **UNKHCP - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისია; 3. ჩვენი ამოცანაა მთელს მსოფლიოში ლტოლვილთა პრობლემების გადაწყვეტისკენ მიმართული ძალისხმევის კოორდინირება.**

4. **ლტოლვილთა ძირითადი უფლების: სამსახურის, განათლების, რელიგიის თავისუფლების დაცვა, იურიდიული დახმარება**.

ეს ყველაფერი გარჯულუცხოების ხელშეწყობაა. რაც შეეხება ლტოლვილთა უპირველეს უფლებას სამშობლოზე და დედაენაზე, მას გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი არ სცნობს. სამაგიეროდ: 5. **"თქვენი დახმარება აუცილებელია იმისათვის, რომ ლტოლვილებს თავად შეეძლოთ ღირსეული, მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების დაწყება მსოფლიოს რომელიმე კუთხეში"!..**

ასეთ შემთხვევაში კი ეროვნების აღმნიშვნელი რეკვიზიტი, ანუ თვითშეგნება "ენა, მამული, სარწმუნოება", "თანამედროვე მსოფლიო წესრიგისათვის" "პროვინციული ფაშიზმია" მხოლოდ და მხოლოდ.

როგორ გგონიათ, ჩათრევას ჩაყოლას არ ვამჯობინებთ და ვერ დაგვტყუებენ საიმისო დასტურს?!.

ვაი, რომ ჩვენი ჯილაგისაა ამნაირი თვალგახელაც: **აკაკი წერეთელი** თავის "ჩემს თავგადასავალში" იგონებს, _ **თბილისის ჰოსპიტალში უპატრონოდ მყოფი სნეული <u>ალექსანდრე ყაზბეგის</u> გარდაცვალების წუთებში ქართველი საზოგადოებრიობა ქუდზეკაცური ხელგამოღებით მუშტაიდის ბაღისკენ თავგასართობად მიიჩქაროდა, სადაც აეროსტატით ვირი უნდა აეყვანათ მაღლა...**

---

[5]როგორც მოგეხსენებათ, 2010 წელს რუსეთის ფედერაცია საკუთარი მოსახლეობის მორიგი აღწერისათვის ემზადება. ამისათვის ამა წლის 27 იანვარს რუსეთის სტატისტიკის სამსახურის მიერ შექმნილი № 74 დოკუმენტი თავის მოქალაქეებს სთხოვს, დაასახელოს თავისი ეროვნება ("национальная принадлежность"). სავარაუდო პასუხებიც იქვეა ჩამოთვლილი: კერძოდ, სიაში 1840 დასახელებაა; ამათგან ზოგი მათგანის სახელი რამდენიმე ვარიანტითაა მოცემული, რათა გაუნათლებელ მოქალაქეს" გაუადვილოს თავისი ეროვნების დადგენა" მაგალითად, კუთხური წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელი: "აჭარელი" წარმოდგენილია ორი ვარიანტით: аджарели, аджарцы; იგი, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, აღწერის მონაცემების შეჯამებისას, როგორც წესი, პატივცემული რუსი სტატისტიკოსები მათ ორ ნაციად დააჯგუფებენ: аджарцы და грузины; პოლიტიზებული რ უსი ეთნოლოგების "გავლენით" მათ ამის საუკუნოვანი "ტრადიცია" აქვთ. 2010 წლის აღწერისათვის რუსი მოხელეები "მობილიზებულად" ემზადებიან და ეროვნების გრაფაში ქართველი ერი უფრო დაშლილადაა წარმოდგენილი (აღდგენილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსული "მოდელი"); კერძოდ, "გათიშე და იბატონეს" გზით საქართველოს (კავკასიის) სამუდამოდ დაპყრობის მოსურნე იმპერიის მესვეურნი ერთ ეროვნებად გაერთსხეულებულ ქართველებს ამჯერად ათზე მეტ დამოუკიდებელ ნაციად წარმოგვიდგენენ: аджарцы. грузины, гурийцы, имеретинцы, ингилойцы, кахетинцы, лазы, мегрелы, сваны, месхи, турки-месхетинцы, рачинцы, хевсуры.

≈*≈

4. რუსიზმის ნაქუსლარზე ჩაკრიალოსნებული თარიღები.
(1972-1977 წლები)

“ამას უკუ ვიტყვი და ვწამებ უფლისა მიერ, რაითა
ნუღარამცა ხუალთ ვითარცა სხუანი იგი ვლენან
ამაოებისა გონებისა მათისაისა”...
ეფესელთა მიმართ 4, 17

“კომუნისტური მშენებლობის პირობებში ეროვნული ურთიერთობის განვითარება მიმდინარეობს სოციალისტური ერების ნებაყოფილებითი კავშირის ყოველმხრივი განმტკიცებისა და სრულყოფის ხაზით”...
”...ამოცანა ის არის, რომ დღენიადაგ გავუწიოთ პროპაგანდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეებს, დროული პოლიტიკური შეფასება მივცეთ მტრულ ცდებს _ ააღორძინონ ნაციონალისტური განწყობილებანი და შეხედულებანი. გადაჭრით უნდა ვამხილოთ ანტიკომუნიზმის მემარჯვენე და “მემარცხენე” რევიზიონიზმის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის იდეები”

ე.შევარდნაძე
გაზ. “კომუნისტი” 22/II 1972წ.

E

1972 წლის თებერვალში მიღებული იქნა სკკპ ცკ-ის დადგენილება სსრკ-ის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”. 23 თებერვალი).

გამომდინარე სკკპ XXIV ყრილობის ამოცანებიდან, მომავალი ეთნოდივერსიებისათვის აღნიშნული დადგენილება იქცა ახალ კონცეპტუალურ ნიშანსვეტად, რომლის შესაბამისად უნდა დაჩქარებულიყო სსრკ ხალხთა შერწყმის პროცესი _ ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირება.

დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ სკკპ 24-ე ყრილობის, სკკპ ცკ-ის ნოემბრის პლენუმისა (1971წ.) და სსრკ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის (1971წ. ნოემბერი) გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა მშრომელები ამ ისტორიული თარიღის ღირსეულ აღნიშვნაში ხედავდნენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

საქართველოს სსრ და განსაკუთრებით აფხაზეთის ასსრ სინამდვილისათვის ასეთმა დადგენილებამ ამჯერადაც მიიღო ქართველთსპობითი ხასიათი.

ამ ხელახალი ანტიქართული კამპანიისათვის (პერმანენტული გენოციდის პოლიტიკისათვის) სკკპ ცკ-მა უმოკლეს დროში საბჭოთა სადირექტივო ორგანოებისათვის სახელმძღვანელოდ მიიღო ლოკალური ხასიათის კიდევ უფრო ვერაგული დადგენილება.

1972წ. 6 მარტი: გაზეთ “Правда”-ში გრიფით: “სკკპ ცენტრალურ კომიტეტში” _ დაიბეჭდა “სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ”.

ამ დოკუმენტის ჩასაფრებული ვერაგობა ასეთნაირად შეინიღბა და გასაჯარისდა:

“სერიოზული ნაკლოვანებები აღინიშნა პროპაგანდისტულ და მასობრივ პოლიტიკურ მუშაობაში. იგი სუსტადაა დაკავშირებული ცხოვრებასთან, საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივების წინაშე

დასახული კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტასთან. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მშრომელთა აღზრდას შრომისა და სოციალისტური საკითხებისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით. იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე საკმაოდ აქტიურად არ გამოდის პრესა, რადიო და ტელევიზია. მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში სათანადო მნიშვნელობა არ ენიჭება მშრომელთა, განსაკუთრებით _ ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის აღზრდას"... ამიტომ უმთავრესი სადირექტივო მითითება კრემლიდან ასეთი გახლდათ: "**...გააძლიერონ მუშაობა მშრომელთა აღზრდისათვის სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. სსრ კავშირის 50 წლისთავისათვის მზადების მსვლელობაში ყოველნაირად გააშუქონ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, საბჭოთა რესპუბლიკების ერთა მრავალეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, საბჭოთა რესპუბლიკების ერთ მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოდ გაერთიანების ისტორიული მნიშვნელობა..." (გაზეთი "საბჭოთა აფხაზეთი", 1972წ. 8 მარტი).**

ეს იყო სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის მიერ 1956 წლის 10 ივნისს (25 წლის წინ) საქართველოს შესახებ მიღებული მრისხანე დადგენილების ხელახალი გასაგნება ახალ რეპრესიულ აზვირთებაში, დადგენილების პროგრამა სხვა დამანგრეველ პროცესებთან ერთად ქართველი ერის ცნობიერი გენოციდის მორიგ დირექტივებსაც აზუსტებდა.

კრემლმა მისი მიღებისთანავე დინჯად და აუჩქარებლად დაიწყო შესაფერისი **პავლიკ მოროზოველის** შერჩევა, რისთვისაც მანამდე ჯერ, _ **1972წ. 19 მაისს** სკკპ ცკ-ის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება **1954 წლის** ნიმუშის ყველა პარტბილეთის გამოცვლაზე.

მისი გამოცვლის საჭიროება დღის წესრიგში დადგა "**...პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის, მასებში (ხალხი სკკპ-ისათვის მხოლოდ და მხოლოდ მასაა! _ ს.საჯ.) იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებისათვის" ("პარტიის ლენინური პოლიტიკის დიადი ძალა". გაზ. "Правда"-ს 21 მაისის მოწინავე, გაზ. "კომუნისტი", 1972წ. 22 მაისი).**

ამ, ერთი შეხედვით მშვიდობიან კამპანიაში ჩაიდო ქვეგამხედვარე მოგვერდი. ახალი ნიმუშის პარტბილეთებში მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ავტონომიის ნასახიც არ ჩანდა და სუყველა ერთად იწოდებოდა _ სკკპ-დ. ეს იყო მორიგი ნაბიჯი სსრკ ხალხთა შერწყმის გზაზე.

1972წ. 25 ივლისს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის თბილისის კომიტეტის X-პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის პირველ მდივნად არჩეული იქნა ნაცადი შვონდერ-შარიკოვი **ე.შევარდნაძე.**

1972წ. 28 ივლისს გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

ხელმძღვანელი მუშაკების პრეზიდიუმში ჯერ კიდევ **ო.ლოლაშვილი** იჯდა. ქვეტექსტებით მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა ტახტისათვის, მაგრამ მოსკოვი აშკარად **ე.შევარდნაძის** მხარეზე იყო.

იმავე დღეს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ბიუროს წევრობიდან გამოიყვანა **ოთარ ლოლაშვილი** და მის ნაცვლად **ედუარდ შევარდნაძე** შეიყვანა.

გაზეთმა "**თბილისმა**", საქართველოს კპ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის (ე.ი. ამხანაგ **ე.შევარდნაძის**) ორგანომ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შესახებ ინფორმაცია იმავე საღამოს დაბეჭდა, ხოლო მასალა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმის შესახებ მხოლოდ სამი დღის შემდეგ გამოაქვეყნა.

1972წ. 29 სექტემბერი: გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. **ვ. მჟავანაძის** მაგივრად საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივნად "არჩეული" იქნა **ე. შევარდნაძე.**

1972წ. 17 ოქტომბერს პ. გილაშვილი გათავისუფლდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. მის ნაცვლად სოხუმში გადმოიყვანეს გარუსებული **ბ. გიგიბერია.** იმ დღეებში სოხუმიდან თბილისში გაიწვიეს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **ვ. ხინთბა** და ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **პ. ბარციცი**. ისინი საქართველოს კპ ცკ-ში დაინიშნენ, რათა კვალიფიკაცია აემაღლებინათ და შემდგომში აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაეწინაურებინათ. **ვ. ხინთბას** ადგილზე. აფხაზეთის ასსრ შს მინისტრად დაინიშნა **პ. კოვალჩუკი**. მან მექრთამეობისა და პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ციხეები აავსო აფხაზეთის ძირძველი, მკვიდრი და ვიანაობაშენარჩუნებული, არააფხაზეცი (არა "რესპუბლიკის სახელის მატარებელი") ხალხით. ახალი აღმავლობით დაიწყო პოლიტიკური ინტრიგები ჭეშმარიტი აფხაზის (იგივე ქართველის (მეგრელის) გასაჩანაგებლად. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობის ცნობიერი განადგურება სახელმწიფო პოლიტიკად დარჩა კვლავ.

ე. შევარდნაძის მითითებით და პირადად **პ. კოვალჩუკის** ხელმძღვანელობით დაიწყო ე.წ. თამბაქოს საქმე გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში, "ჩაის საქმე" გალის რაიონში, რომლის გამოც ათასობით პატიოსანი ადამიანი მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მოგეხსენებათ, საბჭოთა სინამდვილე უკვე დანაშაულში თანამონაწილეობას ნიშნავდა, ამიტომ ოფიციოზს მიზნობრივად ყოველგვარ დროს შეეძლო შეეთითხნა და "დადასტურებული" დანაშაულის გამო პასუხისგებაში მიეცა ნებისმიერი.

ამგვარი რეპრესიები შეეხო მხოლოდ და მხოლოდ უძველეს მკვიდრ მოსახლეობას, ძირითადად ა-ზე დაბოლოებული გვარის მატარებელ ქართველებს, რომელთაც აფხაზეცი ვერ ეტყოდა აფხაზი არა ხარო. ამგვარმა სადამსჯელო ძალისხმევამ გადუგრიალა გალის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონების ქართულ დასახლებებსა და სოფლებს.

ამავე რაიონებში, იგივე მოსახლეობას _ მკვიდრ ქართველებს მიწის ნაკვეთების მითვისების საბაბით კარ-მიდამო აუზომეს და მამა-პაპისეული ეზოები ჩამოაჭრეს, ჩამონაჭრები კი თამბაქოს პლანტაციის გაშენების საბაბით ძირითადად არმენ მოსახლეობას დაურიგეს. ასევე დაანგრიეს ქართველების "უკანონოდ" და "არა პროექტის" შესაბამისად აგებული სახლები... ხოლო ქალაქში მაცხოვრებელ ქართველებს, რომელთაც სოფელში მშობელთა სახლ-კარი ჰქონდათ, ეს ქონება ჩამოართვეს და რჯულუცხო "თამბაქოს სპეციალისტებზე" გააპიროვნეს...

1972წ. 15 დეკემბერი, გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი. მოხსენებით გამოვიდა **ე.შევარდნაძე.**

საზეიმო სხდომამ მიიღო მიმართვა სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი,... რომელშიც გამოიხატა საქართველოს კპ ცკ-ის "ეროვნული" პროგრამა და, აქედან გამომდინარე, **ე.შევარდნაძის** საყურადღებო ამოცანები: **.."ჩვენ ყველანი, რომელ რესპუბლიკაშიც არ უნდა ვცხოვრობდეთ, საბჭოთა პატრიოტები, ერთი სოციალისტური სამშობლოს შვილები ვართ. ჩვენი მშობლიური მიწა, ჩვენი მამული _ ეს არის**

უკიდეგანო სივრცეები, რომელიც გადაჭიმულია წყნარი ოკეანიდან ბალტიის ზღვამდე...”

(გაზ. **“საბჭოთა აფხაზეთი” 1972წ. 16 დეკემბერი**)

1972წ. 21 დეკემბერს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, დილის 10 საათზე გაიმართა სკკპ ცკ-ის, სსრკ უმაღლესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა სსრკ-ის შექმნის 50 წლისთავს **(1922წ. 30 დეკ.)**. იგი გახსნა სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. პოდგორნიმ.** მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი _ **ლ. ბრეჟნევი.**

მეორე დღეს საზეიმო სხდომაზე აი, რის სათქმელად გაისარჯა მომავალი “დიდი პოლიტიკოსი”:

“ძვირფასო ამხანაგებო! მოსკოვში, საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის ამ დიად ზეიმზე რომ მოვეშურებოდი, ჩვენს დიდებულ კავკასიონს გადავუფრინეთ. მზეთუნახავ მთებს ღრუბლის საჭურველი მოეშორებინათ და ამაყად წამოემართათ უდრეკი, ქათქათა თოვლით დაფარული მწვერვალები...

თითქოს ლენინის დროშაზე, ოქროთი ამოჭედილი ლენინის სტილით, ლენინის ენით, ჭეშმარიტად ლენინის სიღრმით, გაქანებითა და სიბრძნითაა გამსჭვალული ყოველი აზრი, ყოველი ფრაზა ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საიუბილეო მოხსენებისა. ეს მხოლოდ მოხსენება როდია, ეს არის რევოლუციური, ჰეროიკული მოთხრობა საბჭოეთის ნახევარი საუკუნის სახელოვანი ისტორიული გზის შესახებ (არა მარტო მოთხრობა, არამედ სსრკ ხალხთა ინტერნაციონალური ძმობისა და ლენინური მეგობრობის ნამდვილი სიმფონიაცაა” (მქუხარე ტაში)... “ისტორიას მუდამ ეხსომება ის ფაქტი, რომ ქართულ მიწაზე სამარადისო მშვიდობა დაამყარა რუსმა ჯარისკაცმა”...

საქართველოს მშრომელებმა დამავალეს ამ მაღალი ტრიბუნიდან გადავცე რუს ხალხს _ ლომონოსოვისა და პუშკინის, გრიბოედოვისა და ტოლსტოის, ლერმონტოვისა და ჩაიკოვსკის, გორკისა და მაიაკოვსკის რუსეთს, მედროშე ხალხს დიდი მადლობა გულითადი და ერთგული ძმობისათვის, დახმარებისათვის, გულწრფელი და უანგარო ძმობისათვის (ტაში)”.

(გაზ. **“თბილისი”, 23 დეკემბერი 1972წ.**).

1972წ. 26 დეკემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მწერალთა კავშირების გაერთიანებული პლენუმი, რომელმაც საბჭოთა სადირექტივო ორგანოების მიერ მიღებული სსრკ 50 წლისთავის საიუბილეო დოკუმენტებიდან და სულისკვეთებიდან გამომდინარე, საყოველთაოდ დააკანონა ცნება _ **“ახალი ისტორიული ერთობა _ საბჭოთა ხალხი”** (საუბარია საბჭოთა ე.წ. კოლექტივიზმის ფორმაზე _ ჯოგურ აზროვნებაზე). გაერთიანებული პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში ითქვა: **“ჩვენი ლიტერატურა არა და არ შეიძლება მოწყვეტილი იქნას მრავალეროვნული ლიტერატურისაგან, მაინც რა არის მრავალეროვნული ლიტერატურა? ვითარდება რა საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ქვეყნის ნაციონალური ლიტერატურა, ისინი ერთად აღებულნი შეადგენენ საბჭოურ ლიტერატურას” _ (გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1972წ. დეკემბერი).**

1972წ. 31 დეკემბერს საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა **ე.შევარდნაძემ** ახალი წელი “მიულოცა” **დიდოსტატ კონსტანტინეს**, რომელსაც რამოდენიმე თვეში გაზეთ **“სოვეტსკაია კულტურას”** ფურცლებიდან დაუწყო საწიოკო ბრძოლა, რასაც დღემდე განაგრძობს “კოლხური კოშკის” წინააღმდეგ.

ეს მილოცვა იმ ფარისევლობის გაგრძელება იყო, სულ ცოტა ხნის წინ **“კოლხური კოშკის”** მოთვალიერებით და მის ბინადართა “მოკითხვით” რომ დაიწყო.

<u>1973 წლის 3 იანვარს</u> გაზეთმა **“საბჭოთა აფხაზეთმა”** გამოაქვეყნა **ა.ჯანელიძისა და მ.ჩაჩუას წერილი “მიწა ალაპარაკდა”.** მასში საუბარი იყო მიწათსარგებლობის უხეშ

დარღვევებზე. მხილებული გახლდათ მიწის დატაცების ფაქტები. საქართველოს კპ ცკ-ის მითითებით აფხაზეთში დაიწყო ბრძოლა მიწათსარგებლობის "მოწესრიგებისათვის", ამ საბაბით აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეებს _ ქართველებს ჩამოაჭრეს მიწები, ბულდოზერებით მოარღვიეს პაპისპაპათა დროინდელი ღობეები და ამოძირკვეს მსხმოიარე ხეხილი, გაჩეხეს ვენახები, სათამბაქოედ გამოთავისუფლებულ სავარგულებში კი საგანგებოდ ჩამოყვანილ არმენ "მეთამბაქოეებს" გაუპიროვნეს სათამბაქოე მიწა. მას შემდეგ, რაც შემოუღობავდნენ სათამბაქოეს, არმენებს ერთი ორი წელი კი მოჰყავდათ თამბაქო, მერე ჩარგავდნენ ბჟოლას "მეაბრეშუმეობისათვის", ბჟოლა რომ გაიზრდებოდა, ის თამბაქოს ჩრდილავდა და ვინაიდან ჩრდილქვეშ თამბაქო ვერ მოდიოდა, მორიგ, ამჯერადაც ქართველისაგან ჩამოჭრილ ნაკვეთს მოითხოვდნენ თამბაქოს "მოყვანის ოსტატები", ხოლო ბჟოლის ტევრში ყაჭისთვის (აბრეშუმის ჭიისთვის) ფარდულს ჩაადგმევინებდნენ სახელმწიფოს. ცოტა ხანში იმ ფარდულში ჩასახლდებოდა ძირ ოჯახს გამოყოფილი არმენი და ასე მკვიდრდებოდა ახალ კომლად. მერე ბჟოლის ძირებს მანდარინს მიურგავდა, რამოდენიმე წელიწადში ნელ-ნელა, არაერთბაშად ბჟოლას გაახმობდა, შემდეგ ამოძირკვავდა და...

1973წ. 31 იანვარი, გათავისუფლებულ იქნა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე _ **გიორგი ბერულავა**, არა იმიტომ, რომ იგი კარგი დახლიდარივით უცხო ხალხზე ყიდდა ცხუმ-აფხაზეთის მიწას, არამედ იმიტომ, რომ 1. ვითომ ქართული პარტოკრატიის ფონდიდან **ე.შევარდნაძემ** სეპარატისტულ ეთნოკრატიას ასიამოვნა და ერთი "ქართული" პორტფელი დაუთმო; 2. მან თავისი საკადრო პოლიტიკა აფხაზეთში ქართველებისადმი თითისქნევით დაიწყო (შეხეთ, ქართველი მექრთამე ყოფილა); 3. ეს იყო დაზვერვა, რიგში მეორე მოსახსნელი ქართველი ედგა. "აფხაზეთში წესრიგის აღსადგენად" ჯერ ქართველებს უნდა დარეოდა... და ქართველებითვე დაემთავრებინა უნდა; 4. ამით, ამჯერად განთქმული და ყელში ამოსული ქართველი მექრთამის ადგილზე წესიერი აფხაზეცის **ლ.მარშანიას** ჩანაცვლებით თვალს არ ხვდებოდა, რომ ქართველებს პარტოკრატიულ კვოტაში ერთი ადგილი მოაკლდათ.

1973წ. 31 მარტს გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრება. მოხსენებით _ **"გავაუმჯობესოთ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა" სკკპ 24-ე ყრილობის, სკკპ ცკ-ის დეკემბრის (1972წ.) პლენუმის და საქართველოს კპ ცკ-ის თებერვლის გადაწყვეტილებათა შუქზე,** _ გამოვიდა საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი **ე.შევარდნაძე.**

ცხუმ-აფხაზეთში თავისი პირველი ჩამოსვლისა და პირის გაღებისთანავე მან უყოყმანოდ დააკანონა ფაბრიკაციული და ეთნოდივერსიული განმარტება საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის და ასევე გაასაჯარისა არსი სოციალისტური "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხისა": **"აფხაზეთის ყველაზე დიდი სიმდიდრე, ყველაზე ძვირფასი რაც მასშია, ეს მისი შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხია, რესპუბლიკის სახელოვანი მშრომელები და მათი სული და გული აფხაზეთის ბუნებაზე ულამაზესია, აი, რატომაა, რომ აფხაზეთს უწოდებდნენ აბსნის _ სულის ქვეყანას... წარსულში ცალკეული ქართველი და აფხაზი მეცნიერები უშვებდნენ შეცდომებს ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში, ადგილი ჰქონდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებიდან გადახრის ცალკეულ ფაქტებს, საქართველოს კპ ცკ-ის მიერ დაგმობილი მსგავსი შეცდომები არასოდეს არ უნდა განმეორდეს.**

ნაციონალიზმის სიმპტომების თუნდაც უმნიშვნელო გამოვლინებანიც კი რკინის შანთით უნდა ამოიწვას. კომუნისტები ძლიერები არიან ხალხთა ლენინური

მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმით" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 13 აპრილი, 1973წ.).

აგრესიული სეპარატიზმის რეციდივთა მიჩქმალვა **ე. შევარდნაძის** რუსისტულ-ინტერფრონტული პოლიტიკის კონცეპტუალურ-ორგანიზაციული ტაქტიკა გახდა. ასე, მაგალითად ჯერ კიდევ **ვ. მჟავანაძის** მძლავრობის დროს შეიქმნა საქართველოს კპ ცკ-ის საგანგებო კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა **60-ანი წლებიდან** ახალი აღმავლობით აგორებული ოსი სეპარატისტების პროვოკაციულ ავანტიურათა ანატომია. მოხსენებით ბარათში, რომელსაც ხელს აწერდნენ ცნობილი პარტნომენკლატურული ავტორიტეტები **ო. ნოდია, რ. მიმინოშვილი, ი. ბოგომოლოვი, გ. ციციშვილი, ვ. შადური, მ. კიკვაძე, ნ. წერეთელი** და სხვები, მოყვანილი იყო ოსი ავანტიურისტების მიერ წარმოებული ეთნოდივერსიის არაერთი მაგალითი, რომლებიც **ე. შევარდნაძის** დროს ცხრაკლიტულში იქნა გამომწყვდეული და საზოგადოებას ამის შესახებ თავის დროზე არ ეუწყა, პირიქით, **ნაფი ჯუსოითი**, რომელიც ოსური აგრესიის **იდეოლოგადაა** ამ მოხსენებაში მიჩნეული, ფორსირებული ტემპით, ლამის სირბილით, არბოდა თავისი კარიერის **ე.შევარდნაძისეულ** კიბეზე. არადა, **1973წ.** აღნიშნული კომისია, რომელიც მუშაობას განაგრძობდა, აი რას აღნიშნავდა მის ორპირულ საქმიანობაზე: **"Н.Джусойты выступает как страстный поборник дружбы народов, сторонник тесных взаимосвязей братских литератур... Защишая... бесспорно правильную точку зрения на всесоюзной арене, Н.Джусойты... к сожалению, не всегда придерживается ее в своем художественном творчестве..." ("ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობათა ისტორია", "ცოდნა", თბ. 1991წ. გვ. 94).** სამწუხაროდ **ე.შევარდნაძის** ინტერნაციონალიზმი ქართველი ერის უფლებათა ხარჯზე ვითარდებოდა, რის გამოც ოსური პროვოკაციის მხილება მიჩუმათდა.

ოღონდაც, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ნ.ჯუსოითი 1988 წლიდან** ოსური აგრესიისა და მისი კონცეპტუალური თვითდამკვიდრების _ "ადამონ ნიხასის" (რუსიზმის მეგზურის) სულიერი მამა გახდა.

1973წ. 18 აპრილს გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, განხილული იქნა ორგანიზაციული საკითხი. **ა. ძაძუა** გათავისუფლდა მეორე მდივნის მოვალეობისაგან და ამ თანამდებობაზე დაინიშნა **ა. საყვარელიძე** (პრინციპი: თუ მოსკოვი აგზავნის ცენტრიდან მეორე მდივანს, გამომდინარე საბჭოთა ცენტრ-ნაცმენური ვერტიკალიდან, თბილისმაც უნდა გამოაგზავნოს თავისი წარმომადგენელი სოხუმში).

ამავე დროს ფაბრიკაციული აფხაზეთის ასსრ, თავისი შინაარსით ამ მკვიდრი მოსახლეობის გენოციდს ნიშნავდა. იგი მიზნად ისახავდა იმ მოსახლეობის გადაშენებას, რომელიც ვერ იქცა ეთნოდივერსიის ნედლეულად, შეინარჩუნა თავისი ეროვნული ვინაობა (აფხაზური, ე.ი. ქართველური ცნობიერება).

1973წ. 9 მაისს თბილისის **ზ. ფალიაშვილის** სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაჩნდა ხანძარი, რომლის დროსაც განადგურდა ქართული კულტურის საგანძური.

1973წ. 16 მაისს გაზეთ **"სახალხო განათლებაში"** (№39) გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორის, ქართული ენისა და ლიტერატურის კურატორის **კოლია (გიორგი) ბაკარაძის** წერილი, რომელშიც ავტორი აცამტვერებდა სოხუმის რაიონის სოფ. თავისუფლებაში ქართული საშუალო სკოლის გახსნის "მანკიერებას".

ამასთან დაკავშირებით ცოტა ვრცლად უნდა განვმარტო: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ სოფლებში ე.წ. ნამეტი მიწების ჩამოჭრა საკარ-მიდამოებიდან შეეხო მხოლოდ ქართველებს და მათ ყოფილ სამოსახლოებში არმენები ჩაასახლეს (ნამეტი საკარმიდამო

ძირძველ ქართველებს იმიტომ ჰქონდათ, რომ მათ ეს მამა-პაპისგან შემორჩათ). ასე ხდებოდნენ არმენები აფხაზეთის სოფლებში უმრავლესობა და სკოლებიც ძირითადად მათ ემსახურებოდა. ამჯერად აფხაზეთის ასსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში "ნეგატიური პროცესების" ძიება მხოლოდ ქართულ სასწავლებლებს შეეხო. იმხანად გაარმენებულ სოფელ თავისუფლებაში არმენულ სკოლასთან ქართველმა საზოგადოებრიობამ რაღაც სასწაულით შესძლო ქართული კლასების გახსნა და ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ვინ ვინ და... აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ქართული ენისა და ლიტერატურის კურატორმა (მეურვემ), მასთან ერთად ხელი გამოიღეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სხვა ქართველმა პასუხისმგებელმა პირებმაც.

1972 წლიდან აფხაზეთის ასსრ-ში არ გახსნილა არც ერთი ქართული საშუალო სკოლა. საუბარია ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთის, გაგრის რაიონებზე, სადაც უკეთეს შემთხვევაში შენდებოდა რუსულ-ქართული საშუალო სკოლები, ხოლო გალის პირწმინდად ქართულ რაიონში ამ დროისათვის გაიხსნა რამოდენიმე რუსული საშუალო სკოლა.

გავეცნოთ სახაზინო და საოქმე ენით დაწერილ ადგილებს ზემოთდასახელებული წერილიდან და გასაგები გახდება, თუ რა ქარბორიით გადუგრიალა **ე.შევარდნაძის** "მზრუნველობამ" ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ-საგანმანათლებლო საქმეს: **"სოხუმიდან სამიოდე კილომეტრით არის დაშორებული სოფელი თავისუფლება, სადაც კარგა ხანია სომხურ-ქართული სკოლა არსებობს (უფრო ზუსტად არმენულ საშუალო სკოლას მიკდელებული იყო ქართული სექტორის დაწყებითი კლასები. ს.საჯ.)... 1972-73 სასწავლო წლისათვის აღნიშნული სკოლის ქართული სექტორის მოსწავლეთა კონტინგენტი კიდევ უფრო შემცირდა, მაგრამ არავინ უწყის როგორ მოხდა _ მასწავლებელთა რაოდენობა გაიზარდა, რამაც გამოიწვია კლასების გახსნის და საათების გადიდების მოთხოვნილება. აუცილებელი გახდა სკოლაში გაეხსნათ ქართული სექტორის IX კლასი, როცა ამის შესახებ ნებართვა ვერ მიიღეს, მიმდინარე სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან IX კლასი გახსნეს...**

რაიონის განათლების განყოფილების გამგემ <u>კ. სიგუამ</u> 1972 წლის 5 ოქტომბერს თავისუფლების საშუალო სკოლის დირექტორს <u>გ. სგოციანს</u> გაუგზავნა მიმართვა (818) რომელშიც ვკითხულობთ: "იმის გამო, რომ თქვენი სკოლის ქართული სექტორის IX კლასის გახსნა 1972-73 სასწავლო წლისათვის გეგმით გათვალისწინებული არ იყო, ზემოაღნიშნული კლასის გახსნა სქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ არ დაამტკიცა, რის გამოც გავალებთ საწრაფოდ გაანაწილოთ მოსწავლეები ახლომდებარე სკოლებში, ამასთანავე, დღეიდანვე შეწყვიტოთ ზემოაღნიშნულ კლასში მეცადინეობა...

იმ დღეებში სკოლის დირექტორმა გ.სგოციანმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრ ა.კვაჭაძისაგან მიიღო ასეთი შინაარსის დეპაშა: "საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ თავისუფლების საშუალო სკოლის ქართული სექტორის IX კლასი დახურულია, ამ საკითხს მეტად აღარ დავუბრუნდებით. კოლეგიის წევრი ა.კვაჭაძე..." ასე და ამდაგვარად ჩასაფრებული ინსპექტორი გაზეთის ნახევარ გვერდზე "ააშკარავებდა" ქართველების "ენით უთქმელ თავხედობას" იმ სურვილის გამო, რომ მათ სურდათ ძირძველ ქართულ სოფელში ქართული საშუალო სკოლის გახსნა... ამიტომ იგი სინამდვილის გამრუდებასაც არ მოერიდა.

<u>**ცნობისათვის:**</u> საბოლოოდ სოხუმის რ-ნის თავისუფლების არმენულ საშუალო სკოლასთან გაიხსნა ქართული კლასები, მაგრამ ეს კლასები, ზემდგომი სადირექტივო უწყებების ჩასაფრების გამო რეპრესირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მხოლოდ

1989 წელს ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით გაიხსნა აქ დამოუკიდებელი საშუალო სკოლა.[6]

1973წ. 30 მაისს შ.თათარაშვილი თბილისმა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მოავლინა.

1973წ. 20 ივნისს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ **ე.შევარდნაძის** მეთაურობით, შეუდგა რა საქართველოში საბჭოთა ეთნოდივერსიული ინდუსტრიის განვითარებას, _ <u>თბილისისა და ასევე ქართლის რიგ რაიონში, როგორც "შეზღუდული განვითარებისა და უპერსპექტივო" 170 ქართული სოფელი გააუქმა.</u>

1973წ. 5 ივლისს ქ.თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა იდეოლოგიური მუშაკების ფორუმი, რომელმაც განიხილა მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებისა და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები.

1973წ. 6 ივლისი _ ე.შევარდნაძემ გაზეთ "Советская Культура"-ში გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც დაგმო ეროვნული მეხსიერებისა და საკუთარი ვინაობის ყოველგვარი გამოვლენა (ეს იყო შეფარული მუქარა "კოლხური კოშკის" ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ): **"Однако национальное сомосознание не может питать одно лишь гордость за культурное наследие прошлого... Национальная ограниченность многолика в своих проявлениях, а потому в связи с разговором о несовместимости наших принципов с такими антиподами, как идеализация прошлого, встает и такой вопрос: нужны ли сегодня науке, литературе и искуству образы идеализированных царей и полководцев? Мы знаем, что многие исторические деятели были прогресивными для своего времени. Но нуждаются ли они сегодня в ангельских крылях?" («Советская культура», 1973г. 6.VII).**

1973წ. 10 ივლისი: მიღებულ იქნა საქართველოს კპ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება: "რუსული ენა სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთობის ენაა".

დადგენილებაში აღინიშნა, რომ რუსული ენა მშობლიური ენაა. იგი კიდევ ერთხელ გამოცხადდა სსრკ ხალხთა ურთიერთობისა და შეკავშირების ენად.

"რუსული ენის ცოდნის საჭიროების შეუფასებლობას მივყავართ ეროვნული შეზღუდულობისა და ჩამორჩენილობისაკენ, რაც შეუთავსებელია კომუნისტურ მსოფლმხედველობასთან, საბჭოთა პატრიოტიზმთან და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებთან" (გაზ. "სახალხო განათლება", 1973წ.15 აგვისტო).[7]

აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაევალა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და განსაკუთრებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის სასწავლო საათების შემცირების ხარჯზე, რუსული ენისა და ლიტერატურისთვის კვირეული საათების გაზრდა (ამასთან, აუცილებლად ყველა სკოლაში უნდა ყოფილიყო რუსული ენის კაბინეტი და მისი გამგე სათანადო ანაზღაურებით). რუსული ენის სწავლება **1973 წლიდან,** როგორც მეორე მშობლიური ენისა (ჯერჯერობით), შემოღებულ იქნა პირველი კლასიდან.

ფინანსური კლასები, სადაც 25 მოსწავლეზე მეტი იყო, რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე იყოფოდა, მაშინ, როდესაც ქართული ენისა და

---

[6] თქვენი მონა-მორჩილი გახლდათ მისი პირველი დირექტორი. ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით აქ 1990-92 წლებში, ომის პირობებში აშენდა სასწავლო კომპლექსი, სპორტული დარბაზი და მოედანი, სახელოსნო, 2 ჰექტარზე შემოკავდა საცდელი ნაკვეთი და ა.შ.

[7] შეადარეთ დღევანდელ უცხოთუმეთა მიერ ინგლისურის "გამშობლიურებას".

ლიტერატურის გაკვეთილებზე 40 მოსწავლიან კლასებზეც არ ვრცელდებოდა ეს შეღავათი.

ამისდა შესაბამისად, უმოკლეს დროში საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიიღო საგანგებო დადგენილება **"რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".**

რუსული ენის სწავლების გასაძლიერებლად შესაბამისი საბაზისო დოკუმენტების მიღება ფორსირებული ტემპით წარმოებდა: **1973 წლის 26 ოქტომბერს** გაზეთმა "სახალხო განათლებამ" გამოაქვეყნა მოწინავე _ "მეორე მშობლიური ენა", რომელშიც იუწყებოდა: **"საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ ამ დადგენილებათა საფუძველზე (საუბარია "ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ" _ საქართველოს კპ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 ივნისის და "რესპუბლიკის სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს კპ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 10 ივლისის დადგენილებებზე), შეიმუშავა რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების ფართო პროგრამა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის განათლების განყოფილებას, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების გამგეებს დევალათ: გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების მიზნით დასახული ღონისძიებების განხორციელებისათვის".**

1973წ. 23 ივლისი: აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ, მოისმინა რა მინისტრთა საბჭოს ახლად დანიშნული თავმჯდომარის **შ.თათარაშვილის** მოხსენება, მიიღო დადგენილება: **"აფხაზეთის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების შესახებ".** ეს იყო აფხაზეთის (ძირითადად ქართული) სამედიცინო სამსახურის რიგებში კადრების გააფხაზეცების ღონისძიება.

1973წ. 27-28 ივლისს საქართველოს კპ ცკ-მა მორიგი პლენუმი მოიწვია.

მოხსენებით "**1973 წლის პირველ ნახევარში სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგებისა და პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს სოციალისტური შეჯიბრების, ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ"** _ გააკეთა ამხ. **ე.შევარდნაძემ.**

ერთ-ერთ საკითხად ასევე განხილულ იქნა საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივნის **ა.ჩურკინის** მოხსენება პლენუმებს შორის საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი შეეხო საკადრო პოლიტიკას. მან არასაკმარისად მიიჩნია საქართველოში მიმდინარე რეპრესიული პროცესი და მოითხოვა: **"ბოლო მოვუღოთო ლიბერალიზმის გამოვლინებას" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1973წ. 1 აგვისტო).**

შეიქმნა და **ივლისის** ბოლოს სამუშაო სხდომა ჩაატარა **დ.ი.გულიას** 100 წლისთავისადმი მზადების საიუბილეო კომისიამ. იგი ჩატარდა სეპარატისტულ-ფალსიფიკატორული სულისკვეთებით.

1973წ. 25 სექტემბერს სქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. **ა.საყვარელიძის** თავმჯდომარეობით გაიმართა აფხაზეთის პროპაგანდისტთა VI რესპუბლიკური შეკრება, რომელმაც მიიღო მიმართვა აფხაზეთის მშრომელებისადმი. იგი "მასებს" მოუწოდებდა ლენინური "ინტერნაციონალიზმისა" და საბჭოთა "პატრიოტიზმისაკენ".

1973წ. 3 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა სკკპ ცკ მდივანი **ა.კირილენკო.** მისი სამდღიანი ვოიაჟი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემით დაგვირგვინდა: **"ამხანაგებო... _** აღნიშნა "დიდმა სტუმარმა" საზეიმო შეკრებაზე, **_ ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომელსაც დღეს რესპუბლიკას გადავცემთ, აღსავსეა განსაკუთრებული მნიშვნელობით"... (არაა ნახსენები, რომელ რესპუბლიკას, იმიტომ, რომ საქართველოს ხსენება "ნაციონალისტურ ბაცილას" გულისხმობდა და ეს არ უხდებოდა სსრკ ხალხთა შერწყმის იდეოლოგიას - ს.საჯ.).**

აი, რა მნიშვნელობაზე მიგვითითებდა კრემლიდანური სტუმრობა:

"ჩვენთვის, ქართველებისთვის ისტორიულად ყოველთვის ჰქონდა დაუძლეველი, მომაჯადოებელი და მიმზიდველი ძალა რუსული გულის სიბრძნესა და სამართლიანობას, რუსული ხასიათის დიდსულოვნებას, მასშტაბურობას, სიმტკიცესა და ურყევობას, რუსული გონების სიმახვილესა და სიღრმეს, რუსი კაცის ბუნებისათვის თანდაყოლილ სამართლიანობას, სიკეთესა და თავისუფლების მოყვარეობას, ბოროტებისადმი სიძულვილს, რუსული ფსიქოლოგიის სიფაქიზესა და გულადობას, რუსული სულის სილამაზეს.

ახლა კი, როცა ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე სულ უფრო მტკიცდება ხალხთა ლენინური მეგობრობის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური საძირკველი, ჩვენ სულ უფრო მეტად ვამაყობთ ჩვენი ძმითა და მეგობრით _ დიდი რუსი ხალხით, რომელიც განასახიერებს ყველა საუკეთესო თვისებას, რაც კი საერთოდ შეიძლება გააჩნდეს ხალხს" _ ე.შევარდნაძის **საპასუხო სიტყვა** იმავე **შეკრებაზე (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1973წ. 9 ოქტომბერი).**

1973წ. 25 ოქტომბერს ქ.მოსკოვში მუშაობა დაიწყო მშვიდობისმოყვარე ხალხთა მსოფლიო კონგრესმა ("თანამედროვე მსოფლიო წესრიგის" ერთ-ერთი ფრაქციული ძალის ლეგალური კონფერენცია). მას დაესწრო 144 ქვეყნის 3.200 დელეგატი, 1.100 პარტია, 121 საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელი.

კონგრესი გახსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა, **რომეშ ჩანდრამ**. თავის მხრივ ამ თავყრილობაზე სკკპ "სამშვიდობო პროგრამით" წარსდგა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი **_ ლ. ბრეჟნევი.**

თუ როგორ განხორციელდა ეს რუსისტული მშვიდობა საქართველოში და საერთოდ კავკასიაში, ამის მოწმე გაპარტახებული კავკასია და მიწასთან გასწორებული საქართველოა დღეს.

1973წ. 3 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **_ ა. საყვარელიძე.**

აქედან გამომდინარე დევიზით "სანიმუშო წესრიგი დავამყაროთ მშრომელთა მომსახურების სფეროში" ჩატარებული კამპანიის შედეგად, იმ დღეებში პასუხისგებაში მიეცა ძირითადად ათასობით ქართველი მშრომელი. ასე მაგალითად, სოფ. თავისუფლების პარიკმახერი **თ. ჩიჩუა** ციხეში ჩასვეს იმის გამო, რომ 13 კაპიკით მეტი გადაახდევინა კლიენტს.

1974 წლის იანვარი: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, ხალხისადმი **_ "სკკპ ცკ მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს _ სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა ადამიანების მძლავრ მოძრაობას" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1974წ. 4 იანვარი).**

1974წ. იანვარი: საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება **"საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის ამოცანები პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცკ-ის მიმართვასთან**

დაკავშირებით" _ თავის მხრივ საქართველოს კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები (უკვე არ ხმარობდა ცნებას საქართველო _ ს.საჯ.) კვლავაც იქნებიან "მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინური კურსის ერთგული" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1974წ. 8 იანვარი).

1974წ. იანვარი: საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება _ **"გადაჭრით აღმოვფხვრათ დარღვევები მიწათსარგებლობასა და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში"**. ეს დოკუმენტი იქცა იურიდიულ საბუთად, რომელზე დაყრდნობითაც, საბჭოთა სადირექტივო ორგანოების მითითებიდან გამომდინარე, ზღვისპირა სამკილომეტრიან ზოლში ინდივიდუალური სახლთმშენებლობა და საკარმიდამოს ქონა აეკრძალა მკვიდრ მოსახლეობას (ქართველებს). სინამდვილეში განახლდა და უფრო ქმედითად გაგრძელდა ცხუმ-აფხაზეთის ზღვის სანაპირო ზოლიდან მკვიდრი მოსახლეობის აყრა და აქ მრავალბინიან სახლებში მათი აღრევა ოქტომბრისენოვან და ინტერფრონტული განწყობის ხალხთან. ამას სსრკ ხალხთა ძმობა და დაახლოება ერქვა (შავი ზღვის სანაპიროზე ეთნიური წმენდის წარმოებისას ცარიზმს უფრო გულახდილი და ზუსტი ტერმინოლოგია გააჩნდა).

1974წ. 18 იანვარი: ე. შევარდნაძე სკკპ დელეგაციის ხელმძღვანელის სტატუსით სიტყვით გამოვიდა ავსტრიის კპ XXII ყრილობაზე. მან აღნიშნა: **"კომუნისტურ პარტიას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია წარმატებით იბრძოლოს თავისი მიზნების განხორციელებისათვის, თუ თანმიმდევრულად ადგას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ კლასობრივ პოლიტიკას..."** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1974წ. 22/I.).

1974 წ. 3 თებერვალი: გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XXXII კონფერენცია. თანდათანობით ცნობიერებაში კანონიერდებოდა აფხაზეთისა და საქართველოს სხვადასხვაობის სტერეოტიპები, ამიტომ უკვე ქართულ-"აფხაზური" ვინაობა ისეთი "ძმური ურთიერთობა გახლდათ", რომლის პოლიტიკური ერთჭერქვეშეთი დაახლოებით ჩეხეთ-სლოვაკიის მოდელს გულისხმობდა. ამისდა შესაბამისად, კონფერენციაზე აღინიშნა: **"მხოლოდ საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში დიდი რუსი ხალხის, ქართველი და სხვა ხალხების ძმური დახმარებით აფხაზეთმა შესძლო გადაქცეულიყო კულტურულად და ეკონომიურად დიდად განვითარებულ ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად..."** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1974 წ. 7 თებერვალი).

1974 წ. 18 თებერვალი: გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა მიძღვნილი რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისადმი (დააკვირდით საბჭოთა საინფორმაციო საშუალებების მიერ წერილობით და ზეპირ მეტყველებაში დამკვიდრებულ ფორმულირებას _ "რესპუბლიკის" ანუ, თუმცა ისიც ეთნოდივერსიულია, მაგრამ მაინც ხაზგასმულად არ იხმარება (ტაბუდადებულია) _ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. შემოთავაზებული კონტექსტი გულისხმობდა მის გათანაბრებას საქართველოს სსრ-თან. ამ შემთხვევაში მიზანი ერთი იყო, რაც შეიძლება მალე გამოეძერწათ ჯერ სხვადასხვაობის და შემდეგ სხვადასხვაობათა ტოლობის ფაბრიკაციული სახე. ამის მიხედვით, აფხაზეთი და საქართველო წარმოადგენდნენ მთელის ნაწილს, აფხაზეთიც "თავისთავად" რესპუბლიკად მოიაზრებოდა და საქართველოც, მათ შორის უმნიშვნელო სუბორდინაციული ვერტიკალით!..

განსხვავება თბილისის ანალოგიური ზეიმისაგან თვით მსაგავსებაში გახლდათ: იქ **ა. კირილენკომ** ჩამოიტანა ორდენი, აქ **გ. ჯავახიშვილმა** _ საქართველოს სსრ მინისტრთა

საბჭოს თავმჯდომარემ. ასე თავაუტკივებლად, ტაშის გრიალში იქსელებოდა აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის აფხაზების, იგივე ქართველების სახუნდარი ბადე, მომავალში მათი კანონგარეშედ გამოცხადებისა და დეპორტაციისათვის.

1974წ. 23 აპრილს თბილისში გაიმართა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა სრულიად საკავშირო თათბირი. მისი დევიზი იყო _ **"პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია".** თათბირმა საბჭოთა შემოქმედებით კავშირებს მოუწოდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში სოციალისტური რეალიზმის კიდევ უფრო განმტკიცებისკენ, ამ თათბირზე სიტყვა წარმოთქვა **ე. შევარდნაძემ: "...რამდენადაც დაუვიწყარია, იმდენად უდავოა რუსი ხალხისა და რუსული ენისა და რუსული კულტურის განსაკუთრებულობა, უნივერსალური როლი გამათავისუფლებელი მოძრაობის და ამ მოძრაობის ყველა მონაწილე ხალხებისა და ეროვნების ინტერნაციონალური შეკავშირების სტიმულირებაში" (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 14 იანვარი, 1974წ).**

1974წ. 16 მაისს დაიწყო და **21-ში** დამთავრდა აფხაზეთის მშრომელებთან თბილისისა და სოხუმის მწერალთა შეხვედრა.

მისი ქვეტექსტი ასე იკითხებოდა: ორი ქვეყნის _ საქართველოსა და აფხაზეთის მწერლობა!

1974წ. 18 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება (№332), რომლის თანახმად ქ.სოხუმში წელიწადში ორჯერ უნდა გამოცემულიყო ქართულენოვანი ჟურნალი **"რიწა",** მაგრამ ეს დადგენილება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალმანახ **"რიწის"** უიშვიათეს გამოცემებს, სინამდვილეში იმხანად არ განხორციელებულა.

1974წ. 21 ივნისს გაზეთ **"ლიტერატურული საქართველო"** იტყობინებოდა, რომ **ივნისში** სოხუმში ჩატარდა საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს სხდომა. როგორც დრომ დაადასტურა, იგი სეპარატისტებისათვის დაყვავების სულისკვეთებით წარიმართა.

1974წ. 25 ივნისს გაზეთ **"საბჭოთა აფხაზეთში"** გამოქვეყნდა ჟურნალისტ **პავლე ჯაფარიძის** წერილი, რომელშიაც ფალსიფიცირებულად გაშუქდა გულრიფშის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის **ს. ეხვაიასადმი** წაყენებული ბრალდებები.

მასთან ერთად "მხილებული" იქნა სოხუმის რაიონის სასამართლოს მდივანი _ **ვ.სანაია.**

ვინმე აფხაზეცმა, ბუფეტის გამგემ _ **აიბამ,** "გულითადობისა და მეგობრობის ნიშნად" ჟილეტი შეაჩეჩა **ს. ეხვაიას** ოჯახს, რაც გამოყენებულ იქნა ქრთამის აღების "ნივთმტკიცებად" და **ს. ეხვაია** დააპატიმრეს. თბილისიდან საგანგებოდ ჩამოყვანილმა ცნობილმა ჯალათმა **იური ციმაკურიძემ** და "მისმა ბიჭებმა" პატიმარი გააუპატიურეს, რის გამოც მან საკუთარი პერანგისგან თოკი დაგრიხა და თავი ჩამოიხრჩო ციხის საკანში (საყურადღებოა, რომ ბრალდებულს ზნეობრივი ღირსებები და მოქალაქეობრივი სისპეტაკე, თვით პასკვილის ავტორმაც კი აღიარა). ეს აქცია გახლდათ აფხაზეთში ქართველად დარჩენილი ქართველების (ჭეშმარიტი აფხაზების) წრიდან გამოსული კომპეტენტური და ავტორიტეტული კადრების ხელაღებული დარბევების გაგრძელება.

ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროში (მინისტრი **კ. სიჭინავა** (ქართველი) გაიმართა კოლეგიის გაფართოვებული სხდომა, რომელზედაც სადირექტივო თითისქნევით გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **ა. საყვარელიძე.**

ეს შემთხვევა საფუძვლად დაედო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში პარტიულ-ადმინისტრაციული სამსახურების "წმენდას". ამ წმენდისათვის გაჩაღებულ კამპანიაში "ავლენდნენ" ა-ზე დაბოლოვებულ ქართული გვარებიდან "დამნაშავეებს". ეს იყო

პროვოკაცია ტომობრივი შუღლის გასაღვივებლად და მეხსიერება შენარჩუნებული ქართველების აღსაგველად.

შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზე დააპატიმრეს აფხაზეთში ცნობილი იურისტები. ასე მაგალითად, მეგრელ **ბორის რურუას** მიუგზავნეს რაჭველი ქალი, რათა მისთვის ქრთამი გადაეცა. როდესაც ეს ვერ შესძლო, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა **პ. კოვალჩუკმა**, ასეთი განკარგულება გასცა: რადაც არ უნდა დაჯდეს, გაუკეთეთ ორგანიზაცია მის მხილებასო!!

ამ წმენდის დროს დააპატიმრეს შინაგან საქმეთა, პროკურატურისა და სახალხო სასამართლოების მრავალი, მეტნაკლებად პატიოსანი ქართველი მუშაკი (განსაკუთრებით იდევ-ნებოდნენ მკვიდრი მეგრელები, იგივე აფხაზები, რომელთაც პასპორტში არ ჩაიწერეს "абхазец"-ი). მექრთამეები და რუსეთუმეები კი დააწინაურეს.

1974წ. 26 ივლისი _ საბჭოთა ხელისუფლებამ, განაგრძო რა ეთნოდივერსიული პროგრამის განხორციელება <u>დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებში 185 ქართული სოფელი, როგორც "შეზღუდული განვითარებისა და უპერსპექტივო" გააუქმა.</u>

1974წ. 28 აგვისტოს სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება №678, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს ავალებდა თადარიგში გასული საბჭოთა მოსამსახურეების "ადგილებზე" ("на местах") დამკვიდრებასა და მათთვის სათანადო პირობების შექმნას.

1974წ. 8 ოქტომბერი: გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. სხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა საკითხი სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ. ამ მრისხანე პოლიტიკურმა დოკუმენტმა მხოლოდ ქართველებზე გადაიქარიშხალა აფხაზეთში.

1974წ. 16 სექტემბერს ქ.თბილისში **დიმიტრი გულიას** 100 წლისთავთან დაკავშირებით დაიწყო "აფხაზური" კულტურის დღეები. იგულისხმებოდა ფაბრიკაციულ-აფხაზეცური, ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის და არა მისი ძირძველი, მშობლიური მოსახლეობის კულტურა, რომელთა ფოლკლორი, შემოქმედება, სამეურნეო, ყოფითი და სულიერი ცხოვრების წესრიგი მთელი ამ წლების მანძილზე საგანგებოდ იყო მიჩქმალული და მასზე საუბარი საბჭოთა აფხაზეთში ლენინური ეროვნული პოლიტიკიდან გადახვევას ნიშნავდა.

1974წ. 18 სექტემბერს ქ.თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროსა და მთავრობის წევრები. აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელი მუშაკები, კულტურისა და სახალხო მეურნეობის წარმომადგენლები. საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა _ **პ. გილაშვილმა.** მან აღნიშნა: **"შინაარსიანმა საუბრებმა და დისკუსიებმა შემოქმედებით ორგანიზაციებში ხელი შეუწყო საქმიანი კონტაქტების განმტკიცებასა და ურთიერთსულიერ გამდიდრებას, იგი გადაიქცა სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა ხალხების ძმობის იდეების გამარჯვების თვალსაჩინო დემონსტრაციად."** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1974წ. 20 სექტემბერი).

1974წ. 21 სექტემბერი _ სოხუმში გაიმართა **დ.გულიას** 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. იგი გახსნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. კობახიამ: "დ.ი. გულიას დაბადების 100 წლისთავის ზეიმი ყველგან გადაიქცა ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების, კულტურისა და ეკონომიკის მიღწევათა ნათელ დემონსტრაციად, ლენინური ეროვნული პოლიტიკის მონოლითური ერთობის, საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმობის ზეიმად".** თავის მხრივ საიუბილეო მოხსენებაში **ბ. შინქუბამ** დაუმატა: **"მინდა გავაშუქო ზოგიერთი ხასიათი დ.გულიას სახისა, რომელიც მუდამ ჩვენთან იქნება ხალხისა და**

კომუნისტური პარტიის საქმისათვის უანგარო სამსახურის ნიმუში...” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 1974წ. 24 სექტემბერი).

საზეიმო საღამოზე თბილისელი კომპარტიელი იერარქების თვალწინ მიმდინარეობდა იმის მტკიცება, რომ აფხაზეცები მადლიერი არიან რუსების, არმენების, უკრაინელების და, რა თქმა უნდა, ქართველების, ანუ რეალიზდებოდა “ხალხთა ძმობის ლენინური ეროვნული პოლიტიკა” სეპარატიზმის ანტიქართული პროგრამით.

1974წ. 11 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის XIV პლენუმი. მოხსენებით **“რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები შესრულების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემდგომი სრულყოფის დარგში და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის ბრძოლაში კომუნისტების, მთელი საზოგადოებრიობის აქტივობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ღონისძიებანი” _** გამოვიდა **ე.შევარდნაძე** (კრემლის ნამესტნიკი), ხოლო ინფორმაცია “პლენუმებს შორის (XIII-XIV) პერიოდში საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს საქმიანობის შესახებ” _ წარმოადგინა **ა. ჩურკინმა** _ საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანმა (კრემლის ჯაშუში).

ამ პლენუმის ძალისხმევით მიღებული იქნა საქართველოს კპ ცკ-ის დახურული წერილი, რომელიც სახელმძღვანელოდ დაეგზავნა რესპუბლიკის პარტორგანიზაციებს. იგი სიამაყით აუწყებდა სკკპ წევრებს, რომ პროტექციონიზმთან და მექრთამეობასთან, ცხოვრების მანკიერ მხარეებთან ბრძოლაში მხილებული იყო კინაღამ სრულიად საქართველო და ათიათასობით “მშრომელის ქურქში გახვეული მგელი” ციხეში ჩაამწყვდიეს, ეს წერილი კომუნისტური პათოსით მოუწოდებდა ე.წ. მასებს ლენინური სიფხიზლისა და პავლიკ მოროზოვობისაკენ.

1975 წელი, 7 იანვარი _ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ ეთნოდივერსიული მიზნით, <u>როგორც “უპერსპექტივო და შეზღუდული განვითარების”, კახეთში გააუქმა 36 სოფელი, ხოლო **17 იანვარს** კოლხეთში _ 46 სოფელი.</u>

1975წ. 20 იანვარი: საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის პლენუმმა გაათავისუფლა **ვ.კობახია** პირველი მდივნისა და **მ.ხვარწკია** მესამე მდივნის თანამდებობიდან. მათ ნაცვლად თბილისში დისლოცირებულმა რუსიზმმა ადრე სტაჟირებისათვის წაყვანილი **ვ. ხინთბა** და **ა. ბარციცი** გამოაგზავნა აფხაზეთში. **მ.ხვარწკიას** გათავისუფლებით აფხაზეთის პატიოსანი მოსახლეობა უპატრონოდ დარჩა. აფსუათა ნაწილი, რომელიც არ თანაუგრძობდა სეპარატისტულ აგრესიას, ზურგში მახვილჩაცემული აღმოჩნდა.

1975წ. თებერვალში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელსაც დაევალა საქართველოს კპ ცკ-ის მიერ აღებული პოლიტიკური კურსის მეცნიერული სისწორის დასაბუთება (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 1975წ., 28 თებერვალი). ეს კი აფხაზეთთან მიმართებაში ნიშნავდა აფხაზეთის ნამდვილი ისტორიისა და მისი შინაარსისათვის ტაბუს დადებას, ჭეშმარიტის ნაცვლად ფაბრიკაციული და ეთნოდივერსიული აფხაზეცობის წარმოჩენას. საბჭოთა ავტონომიისა და “რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის” გამოინკუბატორების “ბუნებრივი” პროცესის დასაბუთებასა და აფხაზეთში ქართველთა “არააბორიგენობის დამტკიცებას”.

1975წ. თებერვალ-მარტი. სოხუმში უჩვენეს **ბ. შინკუნბას** ნაწარმოების მიხედვით კიევის **ა. დოვჟენკოს** სახელობის კინოსტუდიაში გადაღებული მხატვრული ფილმი “თეთრი ბაშლიყი” (ასე ითარგმნა, თორემ “ბაშლიყს” ქართულად ყაბალახი ჰქვია) _ რომელიც ანტიქართული (ანტიაფხაზური) პროპაგანდით გამოირჩეოდა და ფაბრიკაციული “აფხაზური” რესპუბლიკის ჩანასახოვანი პერიოდის “გმირულ ჰეროიკას” უმღეროდა.

1975წ. მარტი _ გაგრძელება **1972 წლის** მიწურულიდან დაწყებული სრულიად საქართველოს და მათ შორის აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრების "ლენინური ნორმების შესაბამისად მოქცევა", ანუ რეპრესიები. აფხაზეთის ასსრ პირობებში მას ის თავისებურება გააჩნდა, რომ ეს აქცია, ნებით თუ უნებლიეთ, **50-იანი წლების** ავბედითი "მეგრელთა საქმის" მომთავრებად იქცა.

სოხუმის რაიონის პარტიულ-სამეურნეო კრებაზე საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. გვარამიამ** (აფხაზეცმა) წარმოადგინა მოხსენება **"რაიონში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისათვის სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებისა და მკაცრი დისციპლინის განმტკიცებისათვის შეურიგებელი, უკომპრომისო ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ დევიზით: "საბჭოთა ანტიპოდების ქვეშ მიწა უნდა იწვოდეს".** ორატორმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რაიონში მხილებულია და მიცემულია პასუხისგებაში 25 ნომენკლატურული მუშაკი, 34 კაცი პარტიიდან გაირიცხა, 20-ს მკაცრი პარტიული სასჯელი დაედო (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1975წ., **12 მარტი**).

მათი უმრავლესობა მკვიდრი მოსახლეობა იყო _ ა-ზე დამთავრებული გვარებით.

1975 წლის 13 მარტს კონგრესმენმა **ჯორჯ რიჩარდ (რიკ) ვაგონერმა** პირველად ახალ დროებაში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წინაშე წამოაყენა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. მან ასევე კონგრესს გააცნო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **ამბროსი ხელაიას** წერილი გენუის კონფერენციისადმი.

კონგრესს განემარტა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის **ამბროსი ხელაიას** წერილი ჯერ კიდევ **XX საუკუნის 20-იან წლებში** ცხადყოფდა, რომ საქართველო რუსეთის მიერ ოკუპირებული იყო და ის თავისი ნებით არ შესულა სსრკ-ის შემადგენლობაში.

ფაქტი: 1) სრულიად საქართველოს ნება _ აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. **1918წ. 26 მაისი;** 2) ქართველი ერის დაუმორჩილებლობა _ **1924 წლის** აჯანყება, წერილი გენუის კონფერენციას, არშეგუება საბჭოთა ტერორისადმი (სახალხო წინააღმდეგობანი) და ა.შ.

1975წ. 17 მარტს ამერიკის სენატში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის განხილვა განახლდა. იგი წარმოადგინა **რესპუბლიკელმა სენატორმა ჯეფრი ჰელმსმა.**

1975წ. 21 მარტი. აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის საქართველოს კპ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა ამჯერად დაევალა **ზ. პატარიძეს** _ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. ოღონდაც, აფხაზეთის მკვიდრი ქართველობა ციხეშია ჩაყრილი, გარეთ ვინცაა, ისინი სამსახურებში იდევნებიან, ე.წ. "აბნი" (**დ. გულიას** სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის, ეკონომიკისა და ა.შ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში) აყალბებს ცხუმ-აფხაზეთის ისტორიას, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი ფალსიფიკაციას ეწევა, ტაბუირებულია და არავინ აქცევს ყურადღებას აფხაზეთის მკვიდრი ქართველი (აფხაზი) მოსახლეობის ზეპირსიტყვიერებას, ეროვნული ყოფის კულტურას, პირიქით, მანკიერი გადმონაშთის საბაბით მას ებრძვიან, წალდავენ...

ზ. პატარიძემ, აფხაზეთის "მშრომელებს" მადლობა იმხანად მიღებული კვოტური პრინციპით გადაუხადა, _ დაასახელა ნაყალბევი აფხაზეცი შრომის გმირები, შემდეგ კვოტის შესაბამისად ნებადართული რაოდენობით ქართველისა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა გვარებიც ახსენა...

1975წ. 31 მარტს გაიმართა საქართველოს კპ _ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი: _ **"საქართველოს კპ ცკ-ის XIV პლენუმის შემდგომი და აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები შესრულების კონტროლისა და შემოწმების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში"**. მომხს. **ა.საყვარელიძე.**

"კომუნისტების აქტივობის შემდგომი ამაღლების საქმე" კი ის დაფარული პაროლი გახდა, რომლის შესაბამისად კოლექტიურ ჰოოპუნასა და ტაშის გრიალში წარმატებით მიმდინარეობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (ცხუმ-აფხაზეთის) განქართველება.

14 აპრილი _ საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმმა ნამესტნიკ **ა. ჩურკინის** ნაცვლად დანიშნა ("აირჩია") ნამესტნიკი **გ. კოლბინი.**

1975წ. ივნისის პირველ დეკადაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი _ **ე. შევარდნაძე** ზუგდიდის რაიონის რუხის №306 საარჩევნო ოლქში შეხვდა მის "სათაყვანებელ" ამომრჩევლებს, რომლებსაც შემდგომში "შემოაშველებს" და ზუგდიდში ჩაუსახლებს ათასობით ოქტომბრისენოვან საეთნოფაბრიკაციო ნედლეულს, ხვავრიელად გაუხსნის რუსისტულ სკოლებს, გაივლის ხანი და უკვე "დიდი პოლიტიკოსი" მრავალგზის დალაშქრავს ამ მხარეს...

1975წ. ივნისის მესამე დეკადაში ქ.თბილისში გაიმართა საბჭოთა ლიტერატურის დღეები თემაზე: **"ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობა საბჭოთა ლიტერატურის შთაგონების წყაროა."**

"...ჩვენი მომმე ხალხების წინაშე მთელი სისრულით წარსდგა ქართველი ხალხის სახე... ის, რომ მას ახლა იცნობს მსოფლიოს ბევრი ხალხი, უწინარეს ყოვლისა, ეს არის რუსი ხალხის დამსახურება, ყოველივე ეს მიღწეულია რუს ხალხთან მეგობრობითა და ძმობის მეოხებით... ჩვენმა ხალხმა კარგად იცის ეს, მტკიცედ ახსოვს და დიდად მადლიერი, მარად მადლიერი იქნება ჩვენი დიდი და კეთილი მეგობრის, ბრძენი და მტკიცე, მამაცი და დიდსულოვანი, ჩვენი ძვირფასი ძმის _ დიდი რუსი ხალხისა". ე.შევარდნაძის სიტყვა საბჭოთა მწერლების დღეების საზეიმო დასკვნით საღამოზე (გაზ. **"საბჭოთა აფხაზეთი", 1975წ., 27 ივნისი**).

1975წ. 27 ივნისი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული იქნა საქართველოს სსრ სახალხო განათლების კანონი, რომლის ღერძული მიმართულება ამგვარად ჩამოყალიბდა: **"უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა, როგორც ქალაქში, ისევე სოფლად, კარგად იცოდეს რუსული ენა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1975წ., 1 ივლისი).**[8]

1975წ. ივლისი _ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი **"გალის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ხალხთან მუშაობის სტილისა და მეთოდების შესახებ".** მიღებული დადგენილება რუბრიკით _ "გადაჭრით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები" _ ავტონომიური რესპუბლიკის პრესამ სამივე ენაზე გამოაქვეყნა **9 ივლისს** და ამით ქვეყანას მოსდო, რომ გალის რაიონი, ე.ი. მეგრელები "იჟდევენცური" და "ტუნიადეცური" ხასიათის მოსახლეობაა.

ეს დოკუმენტი საბჭოთა მატროშკულ იერარქიაში (ცენტრ-ნაცმენური პრინციპი) ემსგავსება "სააფხაზეთო" გარსში ნებადართულ ისეთ თითისქნევას, როგორითაც თავის დროზე სკკპ ცკ-მ "იზრუნა" თბილისის საქალაქო კომიტეტისათვის. ამჯერად კრემლიდანურმა ეთნოკრატიამ დაუქნია თითი გალის "ქართულ" პარტოკრატიას.

---

[8] ეს ასეა კი არა, უფრო უარესადაა დღეს, როცა განათლებულობა იგივდება საყველპურო ინგლისურის ცოდნასთან და მისდამი მონურ ქედდადრეკასთან.

1975წ. 17 ივლისს "კოლხურ კოშკში" გარდაიცვალა დიდოსტატი კონსტანტინე სრულიად საქართველოსა და განსაკუთრებით ცხუმ-აფხაზეთში ეთნოდივერსიული პროცესების წინააღმდეგ ხმალჩაუგები თოროსანი და ერის რულუკარება ჭირისუფალი.

1975წ. 1 აგვისტო _ დამთავრდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი. ხელი მოეწერა დასკვნით აქტს. საბჭოთა იდეოლოგიამ მისი გამოყენება სცადა საბჭოთა ინტერნაციონალიზმის საფაბრიკაცო სამსახურში.

1975წ. 10 აგვისტოს გაზეთ **"Правда"-ში** დაიბეჭდა **ე.შევარდნაძის** წერილი. სკკპ ცენტრალური ორგანოს ფურცლებიდან იგი საქვეყნოდ "ამხელდა" და ბრალს სდებდა საქართველოს ლენინიზმისათვის მიუღებელ ყოფა-ქცევაში, "კერძომესაკუთრულ ტენდენციებსა" და "დრომოჭმული ტრადიციებისადმი ერთგულებაში".

ე.ი. ქართველი ერი არ ექვემდებარება რჯულდაგდების ლენინურ-სტახანოვურ ტემპებს.

1975წ. 14 აგვისტოს, როგორც გაზეთი **"საბჭოთა აფხაზეთი"** იტყობინებოდა, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში გაიმართა მეცნიერულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: **"აღვზარდოთ პატრიოტ-ინტერნაციონალისტები".**

1975წ. 12 აგვისტოს საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა **ე.შევარდნაძე**. მან წარმოადგინა ვრცელი პროექტი საქართველოში მეცხოველეობის განვითარების შესახებ.

სინამდვილეში ამ პლენუმის შესაბამისად "მეცხოველეობის განვითარება" გახდა ერთ-ერთი თავსმოხვეული პარტახი ქართველი ერის ტრადიციული დარგისათვის, საბოლოოდ კი მისი გაჩანაგების მიზეზი.

1975წ. 17 ნოემბერი. მიღებული იქნა საქართველოს კპ ცკ-ის ვრცელი დადგენილება[9] **"მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ".** ამ დადგენილების მიხედვით ყოველივე ეროვნული და ღვთივდაშვებულად საადამიანო მიჩნეული იქნა დრომოჭმულ გადმონაშთად, ამიტომ გააფთრებით გაიშალა მის წინააღმდეგ ბრძოლა.

საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა საქართველოში ერის საყოველთაო გადაგვარება და საქვეყნოდ გალანძღვა იყო. მას მხოლოდ ასეთი უფლება უნარჩუნდებოდა: **"ქართველი ხალხი, რესპუბლიკის ყოველი მშრომელი განსაკუთრებულ საარსებო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ თითქმის ორი საუკუნის წინათ საძირკველი ჩაეყარა რუს ხალხთან მეგობრობასა და ურთიერთგაგებას, რაც ჩვენს საბჭოთა დროში ძმობად გადაიქცა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 27 ნოემბერი, 1975წ.).**

აფხაზეთში ამ პროგრამის წარმატებულ განხორციელებას ისიც განაპირობებდა, რომ ნაცადი პარტიული ხელმძღვანელი **ა.საყვარელიძე** აღნიშნულ პერიოდში აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა და თავად გახდა ამ დირექტივათა აღმასრულებელი. ისიც ხომ ცნობილია საყოველთაოდ, რომ მან ამ თანამდებობაზე ყოფნისას აფხაზეთის ქართველობის (აფხაზობის), ანუ მეგრელთა მორალური და ყოფითი დისკრიმინაცია სცადა.

1976წ. 7-8 იანვარს მიმდინარეობდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XXXIII კონფერენცია. ნიშანდობლივია, რომ ამ კონფერენციაზე **1967 წლის** სეპარატისტული გამოსვლები და ანტიქართული ავანტიურა პარტიის "მაღალი" ტრიბუნიდან რეაბილიტირებული იქნა. ასეთი დონის პოლიტიკურ დასკვნას პარტიის საოლქო ორგანიზაცია, ვინაიდან ეს მის კომპეტენციას აღემატებოდა, ვერ გაბედავდა

---

[9] ეს დადგენილება ძალიან ჰგავს დღეს საქართველოში დისლოცირებული ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტისა და მის მსგავს აგენტურათა დირექტივებს. ამგვარად დღეს აშშ-ს ვუწევთ ფეხებს. ეტყობა ქედდადრეკილს ზომიერების გრძნობა არ გააჩნია.

დამოუკიდებლად, ცენტრთან შეუთანხმებლად. "ცენტრმა" კი, როგორც გახსოვთ, **1973 წლის 31 მარტს**, **ე.შევარდნაძის** პირველი ჩამოსვლისთანავე, საქართველოს კომპარტიის ახალი ლიდერის პირით მოახდინა სეპარატიზმის ირიბი რეაბილიტაცია და ქართველები ცხუმ-აფხაზეთში მხოლოდ " არამკვიდრ მოძმე ხალხად" მიიჩნია. მთავარი, რაც ამით გაუხმოვანებლად ითქვა, გახლდათ ის, რომ თუ თბილისში არ ვარგოდა ხელისუფლება **1972 წლის 22 სექტემბრამდე,** თანახმად ცენტრ-ნაცმენური პრინციპისა, არ ვარგოდა ის სოხუმშიც.

"დიდი შევარდნაძის" "პატარა შევარდნაძემ" საკმაო ვირეშმაკობა გამოიჩინა და ამისთვის საჭირო გამთვალსაჩინოებელი ხმაური სეპარატისტებისთვის გულის მომგებ საკითხს მიაბა. ეს დაახლოებით ისეთი იყო, ერისკაცობის მოსახვეჭად "კოლხურ კოშკს" რომ ესტუმრა დანიშვნისთანავე **ე. შევარდნაძე.**

ასრულებდა რა კრემლის დავალებას, **ე. შევარდნაძის** ხელმძღვანელობით "საქართველოს" კომპარტია საჭირო პოხიერებას უქმნიდა აფხაზეცურ სეპარატიზმს. უფრო მეტიც, **ე.შევარდნაძის** ასეთი პოზიციით ზურგმომაგრებულმა **ვ. ხინთბამ** _ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **1967 წლის** სეპარატისტული მოვლენები წინა ხელმძღვანელობას შეახოცა და მისი გამართლება მოითხოვა. **"ისმება კითხვა _ სწორი იქნება თუ არა ბრალი დავდოთ იმ ადამიანებს, რომლებიც სამართლიანად იმაღლებდნენ ხმას? _ ალბათ არა!" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1976წ., 16 იანვარი).**

ამავე დროს, ასეთი დონის "პარტიულ ფორუმზე" **ვ.ხინთბამ** "ობიექტურად" და პარტიული მომთხოვნელობით დაგმო "ნეგატიური მოვლენები" გალის (ე.ი. ქართულ) რაიონში.

მანამდე საოლქო კომიტეტმა განიხილა საკითხი: **"აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თაობაზე კანონის შესასრულებლად მშრომელთა დეპუტატების გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ"**, რომელშიც არასაკმარისად მიჩნეულ იქნა ქ.გაგრის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული მუშაობა. ვინაიდან აქაც ჯერჯერობით "ქართველები" იყვნენ ხელისუფლებაში, მათ გადაყენებას პროპაგანდისტული დასაბუთება სჭირდებოდა. ეს იყო მორიგი ეთნოდივერსიული პაროლი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით გალის, გულრიფშის, სოხუმის რაიონსა და გაგრის ზონაში კადრების კიდევ ერთხელ სეპარატისტულ-აფხაზეცური ვარიანტით გადასახალისებლად.

1976წ. 22 იანვარს გაიხსნა საქართველოს კპ 25-ე ყრილობა. ამხანაგმა **ე.შევარდნაძემ** ჩვეული იერიში მიიტანა ეროვნულ ცნობიერებაზე და განსაკუთრებით აღნიშნა, რომ **"...კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა იდეოლოგიური ფრონტის და არა მარტო იდეოლოგიური ფრონტის, ერთერთი ყველაზე მთავარი მიმართულებაა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1976წ. 24 იანვარი).**

მომხსენებლის ქვეტექსტებში ეროვნული ფასეულობებისადმი თავდადება ნეგატიურ მოვლენად შეფასდა.

აქვე აღინიშნა, რომ **"რესპუბლიკაში რუსული ენის სწავლებისა და შესწავლის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კპ ცკ-ის გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის დასახული ღონისძიებანი მოიწონა მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ. ზოგ-ზოგებმა კი, რომლებმაც ვერ გაიგეს ამ დადგენილების არსი, უნდა შეიგნონ, რომ ასეთი რამ ან გონებაშეზღუდულობით ემართებათ, ან იმ მიზეზით, რომ მათ სურთ ჩვენი რესპუბლიკა და ჩვენი ხალხი**

ჩააგდონ პროვინციალიზმის, ეროვნული კარჩაკეტილობისა და შეზღუდულობის ჭაობში” (იქვე). [10]

---

[10] კიდევ ერთხელ ხმისჩახლეჩით ვბღავი: იხილეთ და შეადარეთ დღევანდელ ე.წ. დემოკრატ რეფორმატორთა ფრაზეოლოგიას. კომუნისტები რუსულის გასაბატონებლად იღვრებოდნენ ოფლად. ე.წ. დემოკრატები კი ყოველ მიზეზგარეშე ცდილობენ სრულიად საქართველოს ქუჩისფსკერული ინგლისურით აბლუკუნებას.

არ შეიძლება ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა ააგო ე.წ. ორი მშობლიური ენის (ბილინგვიზმის) მსოფლმხედველობაზე. ვის-ვის და ჩვენ ამის უმწარესი გამოცდილება გვაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ მე, დედით ბერძენმა, თითქმის აკვნიდანვე ვისწავლე დედაჩემის ენა, ჩემთვის გაუგებარია ორი დედა ენის ცნება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცოტად მიყვარდეს ის ენები (მათ შორის რუსული), რომლებიც ვიცი.

ისეთი მიდგომა სააზროვნო წესისადმი, რომელიც არ ეფუძნება მშობლიურ რჯულის კანონს, შედეგად იღებს ცნობიერ ქაოსს ან განუკითხაობას. თუ ქვეყნის კონსტიტუცია არ იქმნება ერის სააზროვნო წესრიგის თანახმად, ის, თუნდაც ქვეყნის ძირითადი კანონი იყოს, საზოგადოებრივ წესრიგს ვერ დაამყარებს, ვერ მიაღწევს თაობის ყოფაქცევაში ზრდილობისა და პირიანობის გასაგნებას ხასიათად.

ე.წ. ორი დედა ენის თეორია გახლავთ საფარი, რომლის ქვეშ დამპყრობი “კეთილმოყვრისა” და “სახლიკაცის” სახელით შემოდის, იმწუთიერად იწყებს ნადირობას ერისა თუ ცალკეული ადამიანის სულზე, მოდის ხორციელებით და არა სულიერებით, ანუ ანგარებით და ასე ჩამთრევი გზით იწყებს ქვეყნის შინაარსობრივი რაობის (ვინაობის) გადაგვარებას.

ასეთ ვითარებაში ამის თანმხლებად იქმნება მიზნობრივი აზრი იმის შესახებ, თითქოს ქართველობა უქნარა (“იუდეველეცი”) სიმრავლეა და მათ მეურნე ხალხი უნდა ჩაანაცვლონ (აფხაზეთში, მაგალითად, მეთამბაქოეობის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირის დროს “გამოუცდელი” და “ზარმაცი” ქართველების ნაცვლად არმენებს ამკვიდრებდნენ).

ეს ახალი ამბავი არაა, უბრალოდ, დასავლეთური აგრესიული გლობალიზმი (აქ არ ვგულისხმობ კონსტრუქციულ გლობალიზაციას –კულტურათა გაცვლას), დიახ, ტექნოკრატიული დასავლეთი ამას უფრო მოხერხებულად აკეთებს.

თუ გავიხსენებთ ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულს, კერძოდ, მე-19 საუკუნეს, დექართველიზაციის აზარტი რუსიზმს იქამდე გაექცა, რომ ის არც ფარავდა იმას, თუ რაგვარი შეღავათიანი საწყაოთი ბეგრავდა იმ დროის საქართველოში მოსახლეობას მიზნობრივად. მაგალითად, საქართველოში საგანგებოდ ჩამოსახლებულ რუსებს, გერმანელებს და ა.შ. უზარმაზარი გადასახადისგან ათავისუფლებდა (სხვათა შორის, საქართველოში ღვინის ფალსიფიცირება (შაქრიანი ღვინო) გერმანელებმა დაამკვიდრეს, მანამდე ღვინო ჩვენს ხალხში, როგორც წესი, უფლის სისხლთან იგივდებოდა).

რაც შეეხებათ ოსებს, არმენებსა და აზერბაიჯანელებს, იგივე რუსიზმი მათ ქართულ მიწაზე დასახლებისათვის უმნიშვნელო გადასახადს ახდევინებდა.

არ გაგიკვირდეთ, საკუთარ სამშობლოში კაბალური იყო საქართველოში ყველა სახის გადასახადი ისევე, როგორც დღეს, მხოლოდ ქართველისათვის.

ეს მიდგომები დასავლეთის აგრესიულ გლობალიზმს არ შეუცვლია ამჟამადაც; რაც, უნდა ითქვას პირდაპირ, ახალი დემოგრაფიული ექსპანსიისთვის კარის გახსნას ნიშნავს (თუმცა განსხვავებით რუსიზმისგან იგი ამას “ხავერდოვნად” აკეთებს).

აგრესიული გლობალიზმის მზაკვრობა მიუღებელი უნდა იყოს დასავლეთთან პოლიტიკური, კულტურული, ეონომიკური და ა.შ. ინტეგრაციის დროს. არ შეიძლება ხალხთა ბუნებრივ დაახლოებაში ეთნოდივერსიული ნაღმების მიხრახვნა.

ასეთი მიზნით დარაზმული ჩასაფრებულობა ამგვარ შემთხვევაში ქართველის სახეზოგადობას აიგივებს სიზარმაცესთან, უქნარობასთან და ა.შ., ხოლო საოკუპაციო ნამესტნიკების მიერ ხელოვნურად გაძარცული და გაპარტახებული ქვეყნის დუხჭირი მდგომარეობა ჩვენს “იუდეველეცურ” ბუნებას ბრალდება.

სწორედ ამიტომ, აგრესიული გლობალიზმის კარნახით “იქ, სადაც ჯერ არს”, ფიქრობენ, ამდენ “ჰუმანიტარულ” დახმარებას სჯობს, მათ მეურნე ხალხი ჩავანაცვლოთ, რათა სული მოვითქვათო, რაც, თავისთავად ქვეყნის არაქართული მოსახლეობით შევსებას ნიშნავს.

ასეთი “შევსებების” (ოკუპაციის) მარადიულსაყოფად, ანუ ქვეყნის დემოგრაფიული განადგურებისთვის ჩასაფრებული და არაკეთილმოსურნე ძალების მიერ მძიმე პირობები ხელოვნურად იქმნება, რათა საქართველოდან მკვიდრი მოსახლეობა გაიქცეს და მოძალებულმა მიგრანტებმა დამხვდურთა უმწეობის გამო თავი გაართვან ჩვენი სამშობლოს დემოგრაფიულ მონელებას.

როგორც რუსიზმის დროს, ზემოთხსენებულთა მიერ დღესაც დემოგრაფული ექსპანსია ხშირ შემთხვევაში მართლდება მუშახელის გარედან მოზიდვის “აუცილებლობით”. ეს ძალები წინდახედულად ავრცელებენ აზრს, თითქოს გარედან მოსული მუშახელი ქართველზე მაღლა იდგეს. ასეთი თადარიგი სამომავლოდ გამიზნულია იმისკენ, რათა ქართველები ადვილად დაითხოვონ სამსახურიდან (უმუშევარი სხვათა ქვეყანაში წავა).

ქვეყანაში ფეხი უნდა მოიმაგროს სიმრავლემ, რომელიც საქართველოს მომულეც იქნება და გაუწონასწორებელიც. საუბედურო ის გახლავთ, რომ ეს ძალა რუსის თითისქნევის გადმოასლებით საქართველოს დასავლური ღირებულებების სახელით (თვითმარქვიად) ანადგურებს.

რა თქმა უნდა, რუსეთი აუცილებლად წავა, ამიტომ აგრესიულ გლობალიზმს სურს “ახალ წესრიგში” საქართველომ ღატაკი “იუდეველეცის” ნიშა დაიმკვიდროს, ანუ ჩვენ ამ პოლიტიკაშიც არა სუბიექტები, არამედ ობიექტები ვიქნებით. ამისთვის კი საჭიროა დასავლურ ღირებულებათა განტოტებებში მომგებიანი ადგილი არ დავიმკვიდროთ. სწორედ ამითაა განპირობებული ის, რომ გარკვეულ ბერკეტებთან მოკალათებული სიმრავლე ცდილობს საქართველოდან გააძევოს ერის რჯულის კანონი და მას თავს მოახვიოს დაბალი მორალური და პროფესიული დონე. აქედან გამომდინარე, მისი ამოცანაა _ ქართველთა “უქნარობასთან” ერთად მისი “დაბალი” ბუნებრივი მონაცემები მიუსაჯარისოს მსოფლიოს.

თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ მთელი ტერმინოლოგია ამ მოხსენებისათვის სკკპ ცკ-ის კაბინეტში შეირჩა, გასაგები გახდება, რომ შემდგომში **ე. შევარდნაძის** მიერ ეროვნული წინააღმდეგობის მონათვლა "პროვინციულ ფაშიზმად" _ კრემლის დავალების შესრულება გახლდათ იმხანადაც.

1976წ. 24 თებერვალს გაიხსნა სკკპ 25-ე ყრილობა: **ე.შევარდნაძის** გამოსვლიდან: **"საქართველოს, ამხანაგებო, მზიურ ქვეყანას უწოდებენ, მაგრამ ჩვენი ჭეშმარიტი მზე აღმოსავლეთიდან კი არა, ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან ამობრწყინდა ლენინური იდეების მზე. საქართველო სამხრეთის თბილი რესპუბლიკაა, მაგრამ ჭეშმარიტი სითბო ჩვენში შემოვიდა ჩრდილოეთიდან, დარიალის ხეობიდან. იგი ლენინური იდეების სითბოა, ჩვენთან შემოვიდა ისტორიული საქართველოს სამხედრო გზით" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 26 თებერვალი, 1976წ.).**

1976წ. 16 მარტს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე **ე.შევარდნაძის** ხელმძღვანელობით განხილული იქნა საკითხი: **"სკკპ XXV ყრილობის შედეგები და საქართველოს კომპარტიის ამოცანები"**. ამ ამოცანებს ცეკას პირველი მდივანი ასეთნაირად ხედავდა: **"საქართველოს კპ ცკ აგრეთვე მოითხოვს ჩვენი საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებისაგან თავიანთი კვლევა დაუახლოვონ ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, ღრმად შეისწავლონ ჩვენი თანამედროვე, მშრომელი კაცი, მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი, შეისწავლონ ადამიანში ადამიანური _ კომუნისტური თვისებები: ჩვენი მშრომელებისათვის მტკიცე მარქსისტულ-ლენინური მრწამსისა და კომუნისტური ზნეობის ჩანერგვის პრობლემები" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1976წ., 19 მარტი).**

1976წ. 25 მარტს გაზეთ **"საბჭოთა აფხაზეთში"** გამოქვეყნდა ფაბრიკაციული "შრომის მოწინავის", ვინმე **გუბაზის** (აფხაზეცის) ინიციატივა მავნე გადმონაშთებთან (ე.ი. ქართველურ-აფხაზურ ვინაობასთან) ბრძოლის შესახებ.

მართალია მუშები და კოლმეურნეები აფხაზეთში ძირითადად ქართველები იყვნენ, მაგრამ მათი შრომის შედეგებით მონებივრე "მოწინავე" და "ინიციატორი" მხოლოდ და მხოლოდ "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი" შეიძლებოდა ყოფილიყო _ ამ შემთხვევაში ვინმე **გუბაზი.**

1976წ. 26 მარტს საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანმა **გ.კოლბინმა** გარდამავალი წითელი დროშა გადასცდა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკას.

1976წ. 16 აპრილი (იხ. 25 მარტი, 1976წ. ვინმე გუბაზის წერილი) საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ თავის მხრივ მიიღო დადგენილება: **"მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლას შეუნელებელი ყურადღება" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი, 23 აპრილი 1976წ.).**

აღმგველი გრიგალივით გადაუარა ამ დადგენილებამ აფხაზეთში ჯერ კიდევ ვინაობაშენარჩუნებულ, მითაჟამინდელ ქართულ სოფლებსა და დასახლებებს.

1976წ. ივლისში რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ მიიღო მიმართვა რესპუბლიკის მშრომელებისადმი: **"არც ერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო ჩვენს გვერდით".**

იგი იქცა მორიგ სოცდამკვრელურ შტურმად **"მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლაში".** ქარხნის აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა **ე. შევარდნაძე** (**გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1976წ., 14 ივლისი**).

1976წ. 3 აგვისტო _ საქართველოს ხელისუფლებამ განაგრძო დემოგრაფიული გენოციდის პოლიტიკა და ეთნოდივერსიული მიზნით <u>აფხაზეთში, როგორც "უპერსპექტივო და შეზღუდული განვითარების", გაუქმა 129 დასაბამისმიერი, ძირითადად მეგრული (ქართული) სოფელი, ხოლო აჭარაში 33 უძველესი ქართული დასახლება.</u>

1976წ. 1 ოქტომბერი, სოხუმის **ს. ჭანბას** სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს "მეჩაიეთა გამარჯვებას", სიტყვით გამოვიდა **ე. შევარდნაძე**.

1976წ. 20 ოქტომბერი: ქ.თბილისში გაიმართა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **"ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე".** მომხს. **ე. შევარდნაძე.**

მან ხმამაღლა განაცხადა: **"ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგები ამტკიცებენ, თითქოს ჩვენში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ ეროვნული ენის განვითარებას. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს.**

...ნაციონალიზმის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა პარტიის ეროვნულ პოლიტიკაზე ცილისწამების გავრცელების გზით ხალხთა ეროვნულ ცხოვრებაში პარტიის როლის დაკნინება" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1976წ.,7 დეკემბერი).

1977წ. 24 იანვარს ჩატარდა აფხაზეთის ასსრ მასწავლებელთა III ყრილობა. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ **კ.მაჭარიშვილმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა რუსული ენის სწავლების გაძლიერებას (თითქოს გარუსება აკლდა სოხუმს). ყოველივე ეს მაინც საკმარისად არ მოეჩვენა საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანს, ქართველ **ტ.ლორთქიფანიძეს** და მანაც უფრო მკაცრი თითისქნევით **ლენინის** ენის სწავლების გაძლიერებისაკენ მოუწოდა ავტონომიური რესპუბლიკის მასწავლებელთა ფორუმს.

1977წ. 31 იანვარი, სკკპ ცკ-მა მიიღო დადგენილება "დიდი" ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ.

1977წ. 10 მარტს პ.გილაშვილმა _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გარდამავალი დროშა გადასცა აფხაზეთის ოფიციოზს. საზეიმო შეკრების დროს მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სოციალისტური საკუთრების დაცვასა და მასების ინტერნაციონალურ დარაზმვაზე.

1977წ. მარტის ბოლოს თსუ-ში ჩატარდა პარტაქტივის მაგვარი გაფართოებული კრება, სადაც "ერთხმად" მოითხოვეს **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** დაპატიმრება.

1977წ. 19 აპრილს გაიხსნა და მომდევნო დღეებში მუშაობა განაგრძო საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობამ, რომელზეც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა **ე.შევარდნაძემ.** მან აღნიშნა: **"განსაკუთრებით სწორი აქცენტები უნდა დავსვათ იქ და იმ მოვლენათა სწავლებისას, რომლებიც შეეხება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას, ჩვენს ძმობას და მეგობრობას დიდ რუს ხალხთან... ჩვენ უნდა მივესალმებოდეთ საქართველოში მშობლიურთან ერთად რუსული ენის შესწავლის ტენდენციებს" (გაზ. "სახალხო განათლება", 6 მაისი, 1977წ.).**

1977წ. მაისში გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. თავისი მოხსენებით საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა _ **ვ.ხინთბამ** მოითხოვა საოლქო კომიტეტს პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება ადმინისტრაციული ორგანოებისადმი.

ამ "ხელმძღვანელობის" შედეგად ცხუმ-აფხაზეთში კიდევ უფრო აგორდა მკვიდრი ქართველი მოსახლეობის რეპრესიების ახალი ტალღა. თუ ვაღიარებთ, რომ ოქტომბრისენოვნება თავისთავად გენოციდია, აფსუა ხალხი იმ პერიოდში სტახანოვური ძალისხმევით რუსდებოდა.

1977წ. 4 ივნისი. პრესაში გამოქვეყნდა სსრკ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი.

1977წ. 4 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მოსამზადებელი კომისია.

1977წ. 8 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ გამოაქვეყნა ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მოსამზადებელი კომისიის შექმნის შესახებ.

1977წ. 8 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება **"სსრკ კონსტიტუციის პროექტი და აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების ამოცანები სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ.ი.ბრეჟნევის მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად".**

ეს დადგენილება სეპარატისტული მოძრაობისათვის ახალი დაშიფრული სახმობი (პაროლი) გახდა და ისინი სულ მალე აქტიურ შტურმზე გადმოვიდნენ.

1977წ. 10 სექტემბერს აფხაზეც-სეპარატისტთა ეთნოკრატიამ, აფხაზეთის მშრომელი საზოგადოებრიობის სახელით კვლავ თვითმარქვიად მიმართა წერილობითი განცხადებით სკკპ ცკ-ის სამდივნოს, რომელშიც თეთრი ძაფით ნაკერი ცილისწამებები და ბრალდებები წაუყენა ქართველ ერს.

1977წ. 3 ოქტომბერი. გაიმართა სკკპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი **"სსრკ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტი და მისი საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგების შესახებ"** (მომხს. **ლ.ბრეჟნევი**).

1977წ. 4-7 ოქტომბერი. გაიმართა სსრკ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესია, რომელმაც მიიღო სსრკ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი).

სსრკ ახალი კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) ძალაში შევიდა **1977 წლის 7 ოქტომბერს.**

1977წ. 14 ოქტომბრის საზეიმო სხდომით დასრულდა თბილისში აფხაზეთის ასსრ დღეები. აფხაზეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი ატარებდა ფაბრიკაციული ოქტომბრისენოვანი ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის ანტიმშობლიურ შინაარსს.

ამ საღამოზე **ვ.ხინთბამ** _ საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა აღნიშნა: **"ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, მნიშვნელოვანწილად არის მასებში ორგანიზაციების მიერ გაწეული იდეურ-აღმზრდელობითი და პროპაგანდისტული მუშაობის, მათ შორის მშრომელთა პარტიული და ინტერნაციონალური აღზრდის შედეგი... დღეს ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ რუსი და ქართველი ხალხების დახმარებისა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით, აფხაზეთის მუშათა კლასმა გმირული შრომით შესანიშნავ შედეგებს მიაღწია".**

აფხაზეთის მუშათა კლასში, რომელზედაც ამაყად საუბრობდა ამხანაგი **ვ.ხინთბა,** უპირატესი რაოდენობა სეპარატისტების მიერ კანონგარეშე მდგომარეობაში ჩაყენებული ქართველობა იყო, რომელთა ნაოფლარს ზემოთხსენებული ვინმე **გუბაზისნაირ** ფსევდო შრომის მოწინავეებს გაუპიროვნებდნენ ხოლმე. მიუხედავად სეპარატისტების მცდელობისა და ეთნოფაბრიკაციული მასშტაბების სიდიდისა, აფხაზეთს არ ჰყოლია აფსუაენოვანი აფხაზეცური მუშათა ორგანიზაცია.

ვ. ხინთბას მოხსენებაში იკითხებოდა საბჭოთა ფაბრიკაციულ-მიზნობრივი რესპუბლიკისა და ამ "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" ეთნოდივერსიული თავაწყვეტა.

თბილისში აფხაზეთის ასსრ დღეებს მომდევნო კვირას მოჰყვა აჭარის ასსრ "ბედნიერი დღეები". ამ დღეებისთვისაც თავსმოხვეული იყო სეპარატისტული რეციდივები, ხოლო დამამთავრებელ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის

დღეებზე, სტალინირული ავტონომიის ლიდერმა _ **ფელიქს სანაკოევმა** ხმამაღლა მოითხოვა: როცა თბილისში არის სასტუმროები "აფხაზეთი" და "აჭარა", უნდა იყოსო სასტუმრო "ოსეთიც" (**ფელიქს სანაკოევის** "მეგობრული" მოთხოვნის ქვეტექსტი ღაღადებდა, რომ საქართველოს შემადგენლობაში სტალინირი (ე.წ. სამხრ. ოსეთი) სხვა ქვეყანაა და საკმარისად უნდა დავფასდეთო)!....

...და ბოლოს ამხ. **ვ. ხინთბამ** თავისი მოხსენების დასაწყისში (ქ.თბილისში საზეიმო სხდომაზე) აფხაზეთი და საქართველო განიხილა როგორც ორი სხვადასხვა, მაგრამ მეგობრული რესპუბლიკები: **"საქართველოსა და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ახალი ფურცელი ჩაწერა ქართველი და აფხაზი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობის ისტორიაში. მას შემდეგ ეს მეგობრობა ვითარდება პრინციპულად ახალ, სოციალისტურ საფუძველზე" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1977წ.,16 ოქტომბერი).**

1977წ. 16 ნოემბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთში საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც "უპერსპექტივო და შეზღუდული განვითარების", **გააუქმა 205 ძირძველი, მამაპაპური ქართული სოფელი.**

1977 წლის ბოლოსათვის აფხაზეცმა სეპარატისტებმა ქართველი ერის მიმართ მორიგი ცილისმწამებლური წერილი გააგზავნეს სსრკ სადირექტივო ორგანოებში. როგორც გახსოვთ, **1976წ.** საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის XXXIII პარტკონფერენციაზე რეაბილიტირებული იქნა სეპარატისტების 1967 წლის ავანტიურა. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ.ხინთბამ** ყოველივე ამაში დაადანაშაულა პარტიის საოლქო კომიტეტის წინა ხელმძღვანელობა და საქართველოს კპ ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი **ვ.მჟავანაძე.**

ამით ფრთაშესხმულმა სეპარატისტებმა მორიგი მაბეზღარა და ღვარძლიანი წერილით, ე.წ. საკავშირო სადირექტივო ორგანოების წინაშე დასვეს საკითხი აფხაზეთის ასსრ-ის კრასნოდარის მხარისათვის მიერთების შესახებ, ვინაიდან, მათი თქმით, საქართველო და მისი ხელისუფლება მათ მიმართ ანხორციელებდა თანმიმდევრული განუკითხაობის, ჩაგვრისა და უკანონობის პოლიტიკას.

აი, ამ ვითარებაში, 1974-75 წლებში პირადად ე.შევარდნაძის მითითებით საქართველოში გაუქმდა 804 ქართული სოფელი, მათ შორის თითქმის ამის ნახევარი ე.წ. სამხრეთ ოსეთსა (ცხინვალის მხარესა) და აფხაზეთზე (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოზე) მოდიოდა.

≈*≈

5. წუთშესვენება ერის ქედდაუღუნავი ვინაობისათვის თვალშესავლებად (1972-1977წწ.)

"განგებავ, ამას ნუ მიწყენ, ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავიღუღუნო, მამაპაპური ვარადა..."
გიორგი შარვაშიძე

ახასიათებდა რა საბჭოთა სინამდვილეს, ზვიად გამსახურდია სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა, რომ კომუნისტური დიქტატურა მასად ქცეულ ხალხს თავს ახვევდა: 1. აზროვნებას მცდარი დოგმების მიხედვით; 2. სხვისი კარნახით, რაც მთავარია საეჭვო ზნეობით საქმიანობას (მოქმედებას); 3. ყალბი "იდეალის" სამსახურს (**ზ.გამსახურდია "დამოუკიდებელი საქართველოსათვის"**, მოსკოვი, **1996წ**).

აი, ამ ამოცანის (სსრკ ხალხთა შერწყმის დაჩქარების) უფრო ქმედითი რეალიზაციისათვის საქართველოს ნამესტნიკურ ხელისუფლებას კრემლმა სათავეში **ე. შევარდნაძე** ჩაუყენა.

ხელისუფლებაში მოსვლის დღეებშივე, **1972 წლის** შემოდგომაზე, იგი **"კოლხურ კოშკს"** ესტუმრა და მოათვალიერა ეროვნული სიფხიზლის თვალგახელა, გაესაუბრა **დიდოსტატ კონსტანტინეს** და მის ვაჟს _ **ზვიად გამსახურდიას.** ეს "სტუმრობა" კრემლიდანური ნამესტნიკების მრავალგანტოტებადი ტაქტიკური სვლა გახლდათ. პირველი და უმთავრესი ის იყო, რომ რუსიზმმა ძალიან კარგად იცოდა **"კოლხური კოშკის"** რაობა და მისი ბინადრების ვინაობა. ამდენად, ამ პარტნომენკლატურული აქციით კრემლი ცდილობდა რესპუბლიკის ახალი პარტიული ხელმძღვანლის "კეთილმოსურნე" შემობიჯება დიდოსტატთან მის ეროვნულ ორიენტაციად აღქმულიყო "მასებში". მეტროპოლიას სწორედ ამნაირი იმიჯის ნამესტნიკი სჭირდებოდა (სხვათა შორის დღესაც ამ იმიჯისათვის ეპოტინებიან ცრუ-გიორგები **ზვიადის** სახელს).

მეორეც, _ ამ სტუმრობას ძირითადად დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. რუსიზმს აინტერესებდა მისი ახალი, მაგრამ ცბიერი მეგზური რა სიმარჯვით ჩაწალდავდა **"კოლხური კოშკის"** მიდამოს.

საზოგადოების თვალსაწიერში **ედუარდ შევარდნაძე** უნდა აღქმულიყო არა ნამესტნიკად, არამედ "დიდ ქართველად", "ეროვნულ საქმეთა თოროსნად" და "კორუფციასთან დაუზავებელ მებრძოლად". ასეთ დაშიფრულ პაროლს მოითხოვდა საბჭოთა აუცილებლობა ეროვნული ძალისხმევის დეზორიენტაციისათვის. თუმცა ტაქტიკური მანევრირებები იცვლებოდა. იმავდროულად **ე. შევარდნაძე "Советская Культура"**-ში დაუსახელებლად ჰკილავდა **დიდოსტატ კონსტანტინეს** "ნაციონალიზმსა" და "წარსულის იდეალიზირებას".

ასევე, **1974 წლის თებერვალში ე.შევარდნაძემ** სასტიკად გააკრიტიკა "ფაშისტი" **გრიგოლ რობაქიძე,** საბოლოოდ აკრძალა მისი ხსენება და დაგმო ქართული "ნაციონალიზმი".

XX საუკუნის 70-იან წლებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ **1972 წლის** მოვლენები საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ცხოვრებაში. როგორც გახსოვთ, **7 აპრილს** მიიცვალა **კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ** II და მისი გარდაცვალებიდან ორი საათის შემდეგ აღისაყდრა **დავით** V. იმ დროისათვის საამწუთოდ ჩასაფრებულთა სხვადასხვა "ორგანიზაციული" ოინების შედეგად საპატრიარქო გაძარცვული აღმოჩნდა.

იმხანად **ზ.გამსახურდიამ** თსუ-სთან შეთავსებით მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში, მას საშუალება მიეცა გაცნობოდა იმ სავალალო მდგომარეობასა და განუკითხაობას, რომელშიც აღმოჩნდა ეროვნული კულტურის ძეგლები. აქედან გამომდინარე, ბატონი **ზვიადი** თანმიმდევრულად ამხელდა საქართველოს ეკლესიაში სუკ-ის მიერ ჩანერგილ და ღვთის სახლში ქვებუდანად მოკალათებულ ქვაბავაზაკებს. იგი ჩაება კარგად შენიღბული ანტიეროვნული აგრესიის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში.

1972 წლიდან ზ.გამსახურდიამ განაახლა ურთიერთობა ცნობილ სამარათალდამცავებთან და დისიდენტებთან. მთელი თავგანწირვითა და ჩვეული ენერგიულობით ჩაება ამ საქმიანობაში. გამოსცა და გაავრცელა ანტისაბჭოთა ლიტერატურა, საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებს მიაწოდა ცნობები საქართველოში მიმდინარე ეროვნული პარტახის შესახებ.

ზ.გამსახურდიასა და მისი თანამოაზრეების უმთავრესი მიზანი გახდა, უპირველეს ყოვლისა, ცნობიერად გაეთავისუფლებინათ ქართველი ერი.

სკკპ ცკ-ის **6 მარტის (1972წ.)** დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური და საორგანიზაციო დასკვნები _ ეროვნულ მეხსიერებას თავს ახვევდა ჯოგურ აზროვნებასა და ბრბოდქცეულთა ყოფაქცევას. სწორედ ამან განაპირობა **ზ.გამსახურდიას** გუნდის

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჯოგური ინსტინქტების წინააღმდეგ, რადგან ერისათვის არაფერია ისე საშიში, როგორც ფეხაწყობილი ბრბო.

70-ანი წლებიდან, როცა საბჭოთა კავშირში ფართოდ გაიშალა დისიდენტური (სხვაგვარად მოაზროვნეთა) საქმიანობა, **ზვიად გამსახურდიამ** და **მერაბ კოსტავამ** იატაკქვეშეთში ააღორძინეს კი არა, თავიდან ჩაუყარეს საფუძველი ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც საბჭოთა უშიშროებამ **20-30-40-იან წლებში** გაანადგურა _ მათ მიერვე შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფი, მას გაუპიროვნდა საქართველოსა და მისი კანონიერი მოსახლეობის სახალხო უფლებების ხელშეუხებლობისთვის ბრძოლა.

1974წ. მათ არალეგალურად გამოსცეს და საბჭოთა კავშირში გაავრცელეს **ა.სოლჟენიცინის "არქიპელაგი გულაგის"** 1-4 ნაწილი. ეს იმხანად მოქალაქეობრივი თავგანწირვა და ზნეობრივი გმირობა იყო. ასევე გამოსცეს კრებული **"ლოდების ქვემოდან".**

თავს უყრიდნენ და ავრცელებდნენ სხვადასხვა დისიდენტების გამზადებულ სტატიებს, თანამშრომლობდნენ საზღვარგარეთის რადიოსადგურებთან, საფუძველი ჩაუყარეს თბილისში მძლავრ თვითგამოცემით საქმიანობას. ნაყოფიერი იყო მათი თანამშრომლობა მოსკოვის თვითგამოცემით ორგანოსთან **"მიმდინარე ამბების ქრონიკა".** საბჭოთა სინამდვილეში მათ პირველებმა სტაციონარული ხასიათი მისცეს ქართველი ერის საბედისწერო მდგომარეობის შესახებ დასავლეთისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას.

იმხანად **მ.კოსტავამ** შეადგინა ვრცელი წერილი **"მოსკოვისა და საქართველოს ურთიერთობა".** ქართული თვითგამოცემითი ლიტერატურიდან იმ დროისათვის (**1976-77 წლები**) განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა **ზ.გამსახურდიას** რედაქტორობით გამომავალი **"საქართველოს მოამბე"** და **"ოქროს საწმისი".**

როგორც აღინიშნა, ისინი თანამშრომლობდნენ რადიოსადგურ **"თავისუფლებასთან",** სადაც **ნუგზარ შარიასთან** ერთად აშუქებდნენ საქართველოს კოლონიურ მდგომარეობას. ასევე თანამშრომლობდნენ **"ამერიკის ხმასთან"** და ევროპის სხვა ცნობილ რადიოსადგურებთან, დისიდენტებთან, თვითგამოცემით რედაქციებთან. სწორედ **ზვიადისა** და **მერაბის** ძალისხმევით **1975 წლის, 13 მარტს** ამერიკის კონგრესმა საქართველოს საკითხი განიხილა. როგორც უკვე მოგახსენეთ, მომხსენებელი გახლდათ კონგრესმენი **ვაგონერი** ლუიზიანას შტატიდან, რომელმაც ისაუბრა საქართველოს კოლონიური მდგომარეობის შესახებ და წამოჭრა საკითხი საქართველოს თვითგამორკვევის უფლებაზე. **1975-1976 წლებში ზ.გამსახურდიას** ხელმძღვანელობით გამოვიდა თვითგამოცემითი ჟურნალი **"ოქროს საწმისი"** (სულ გამოვიდა 4 ნომერი), ხოლო **1976 წელს** გამოიცა ასევე თვითგამოცემითი ჟურნალი **"საქართველოს მოამბე" (ორი ნომერი). "ოქროს საწმისში"** იბეჭდებოდა ქართველ მწერალთა ის ნაწარმოებები, რომლებიც შერისხული გახლდათ საბჭოთა ცენზურის მიერ, ხოლო **"საქართველოს მოამბე",** წარმოადგენდა რა პოლიტიკურ ჟურნალს, ამხელდა საბჭოთა რეჟიმის ოკუპანტურ ხასიათს.

გავუსწრებ მოვლენებს და აღვნიშნავ, რომ თვითგამოცემითი საქმიანობა შემდგომშიც გრძელდებოდა და იატაკქვეშეთში გამოიცა: საინფორმაციო ბიულეტენი (**1977წ.** №1, №2), რედაქტორი **მ.არჩვაძე; "ჯვარი ვაზისა" (1980წ.)** _ რელიგიურ-თეოლოგიური ჟურნალი, რედაქტორები **ზ.გამსახურდია, ე.გიორგაძე; "საქართველო"** (№1, №2 **1982-88წ.**) რედაქტორი **ზ.გამსახურდია; "ძელი ჭეშმარიტი"** (**1988წ.** №1, №2, №3, №4) _ რელიგიური ჟურნალი, რედაქტორი **ზ.გამსახურდია; "Вестник Грузии" (1989წ.)** რედაქტორი **ზ.გამსახურდია; "მატიანე" ("Летопись") 1989წ.** რედაქტორი

ზ.გამსახურდია; "ქართვლის დედა" _1989 წლის მაისიდან თვეში ერთხელ. რედაქტორი **ზ.გამსახურდია.**

ზ.გამსახურდია თავის თვითგამოცემით პუბლიკაციებში აშუქებდა საქართველოს ოკუპაციის ფაქტს, ერს აცნობდა დიდი მამულიშვილების _ **ამბროსი ხელაიას, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა** და სხვათა ღვაწლს, ამხელდა აზერბაიჯანის მიერ კრემლის თანხმობით მიტაცებულ საინგილოში (ისტორიულ ჰერეთში) წარმოებულ ძირძველ ქართველთა აღმგველ და ასიმილატორულ პოლიტიკას, აჭარიდან მკვიდრი მოსახლეობის რუსეთში გადინების ხელშეწყობას, აფხაზეთში ეთნოდივერსიულ პროცესებს, ე.წ. სამხრეთ ოსეთში (ცხინვალის მხარეში) მიმდინარე ანტიქართულ განუკითხაობას. მან განგაში ატეხა საქართველოს ეკლესიაში არსებული შეუსაბამობისა და საქართველოს კულტურის ძეგლების განადგურების პროცესის გამო. მან ასევე, პირველმა მიაქცია ყურადღება ისეთ მიზნობრივ დივერსიებს და შეაფასა ისინი, როგორც იყო ორგანიზებული ხანძრები (**1974წ. 9 მაისს** თბილისში დაიწვა **ზ.ფალიაშვილის** სახელობის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრი). **ზ.გამსახურდიამ** ასევე ამხილა საპატიმროებში არსებული ანტიხალხური, შემგინებელი მდგომარეობა და ვინმე **იური ცირეკიძისნაირთა** გამაუპატიურებელი საქმიანობა. მან აღიმაღლა ხმა თსუ-ს რუსიფიკატორების წინააღმდეგ, ამოიცნო და გაასაჯარისა ე.წ. მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის ნიღაბქვეშ წარმოებული ერის პერმანენტული გენოციდის პროცესი, ხმა აღიმაღლა საქართველოს სკოლებში საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის სწავლებაში არსებული განუკითხაობის წინააღმდეგ და ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მესხეთ-ჯავახეთიდან გასახლებული მაჰმადიანი ქართველების უფლებათა დაცვა, ზრუნვა მათი რეპატრიაციისათვის მიეწერება ზ.გამსახურდიასა და მ.კოსტავას, მათვე გაარკვიეს, რომ მესხეთ-ჯავახეთიდან გასახლებულ მაჰმადიან ქართველთა მოძრაობას კრემლმა ხელოვნურად მიაბა ამ მხარიდან და მეზობელი არმენეთიდან გასახლებული თურქული ექსტრემისტული ჯგუფები და ა.შ.

1975 წელს ზ.გამსახურდიასა და **მ.კოსტავას** ხელმძღვანელობით საქართველოში დაარსდა "**ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის**" და **ჰელსინკის შეთანხმებათა** შესრულების ხელშემწყობი ჯგუფი. მათ მიერ დასავლეთის სამართალდამცავ ინსტიტუტებს, მათ თვითგამოცემით ორგანოებსა და რადიოსადგურებს სისტემატიურად მიეწოდებოდა მასალები რუსიზმის მიერ საქართველოში განხორციელებული პერმანენტული გენოციდის შესახებ.

1972წ. მ.მაჭავარიანის რედაქტორობით გამოიცა საყმაწვილო კალენდარი **"მთიები". 1974წ.** მისივე რედაქტორობით ხელმეორედ გამოიცა საყმაწვილო კალენდარი **"მთიები",** მისი მთელი ტირაჟი განადგურდა;

1974წ. გამოვიდა **მ.მაჭავარიანის** ლექსების კრებული "**დუმილი რეკავს**", რომლის ეროვნული პათოსი საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე სასტიკად გააკრიტიკა **ე.შევარდნაძემ.**

1975 წლის 9 ივლისს ზ.გამსახურდია დაკითხა სუკ-ის გამომძიებელმა.

1975წ. 22 ივლისს ვლ.ჟვანიას მიერ ქ.სოხუმში, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობასთან მოწყობილი იქნა საპროტესტო აფეთქება.

1975წ 13 სექტემბერი ზ.გამსახურდიამ საზღვარგარეთის რადიოსადგურებისათვის გაავრცელა წერილი "**არტილერია ანადგურებს ფრესკებს**" (საკითხი ეხებოდა დავით გარეჯს).

1975 წელს ზ.გამსახურდიამ და **მ.კოსტავამ** შექმნეს ადამიანის უფლებათა დაცვის თბილისის საინიციატივო ჯგუფი.

1975წ. 25 სექტემბერს ზ.გამსახურდიამ გამოაქვეყნა მამხილებელი განცხადება ქართველი ერისათვის თავსმოხვეული განუკითხაობის შესახებ (**"ქართული თვითგამოცემის ქრონიკა". 23 სექტემბერი, 1975წ.**), იმავე **1975წ. 25 ოქტომბერს** _ ღია წერილი პროფესორ **დავით ლენგისადმი**. **1975 წელს** აშშ კონგრესმენმა **ვაგონერმა** წამოაყენა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ და კონგრესს **გააცნო** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის **ამბროსი ხელაიას** წერილი გენუის კონფერენციისადმი.

1976წ. 19 აპრილი: ხელნაწერის სახით გავრცელდა საქართველოს გათავისუფლების ფრონტის (ვლ.ჟვანიას) განცხადება: **"რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღოს ყველა ეროვნების ადამიანმა 16 წლის ზევით. რეფერენდუმამდე რამოდენიმე დღით ადრე საქართველოს გათავისუფლების ფრონტის წარმომადგენლებს ნება მიეცეთ ტელეარხით და გაზეთებით სიტყვით მიმართონ ქართველ ხალხს.**

თუ ხალხის 70% ხმას მისცემს საქართველოს რუსეთიდან გამოყოფას, მაშინ უნდა იქნეს მოწვეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს კრება საქართველოს გათავისუფლების ფრონტის წარმომადგენლობის მონაწილეობით" (ე.თავბერიძე, რატომ დახვრიტეს ვლადიმერ ჟვანია. ქუთაისი, "სარანგი", 1992წ. გვ. 8).

1976წ. ვლ.ჟვანიამ მოაწყო საპროტესტო აფეთქებები ქუთაისსა და თბილისში, რომლის დროსაც დაცული იყო მოსახლეობის უსაფრთხოება.

1976წ. 15 მაისს დააპატიმრეს **ვლ.ჟვანია**, საბჭოთა ტერორის წინააღმდეგ მეამბოხე და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი. ცხოვრობდა ქ.გაგრასა და ერთ ხანს ქ.სოხუმში, შემდეგ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონია.

1976წ. ჰელსინკის შეთანხმებათა განხორციელების ხელშემწყობი ჯგუფის მიერ გავრცელებულ იქნა **ვლ.ჟვანიას** დასაცავი დოკუმენტები (მიეწოდა საზღვარგარეთში მოღვაწე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ადამიანთა უფლებების დაცვას ემსახურებოდნენ).

1977 წელს დეკრეტულ შვებულებაში მყოფი **მანანა არჩვაძე-გამსახურდია,** ექიმი-პედიატრი, ხელისუფლებამ სამსახურიდან დაითხოვა.

1977წ. 2 თებერვალი. ვლ.ჟვანიას მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა _ დახვრეტა...

1977წ. 1 აპრილს გრ.აბაშიძის თავმჯდომარეობით ჩატარდა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც **ზვიად გამსახურდია** ეროვნულ-გამათავისუფლებელი საქმიანობისთვის მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხა.

1977წ. 5 აპრილს შ.რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში აკადემიკოს **ალ.ბარამიძის** თავმჯდომარეობით განხილული იქნა **ზვიად გამსახურდიას** საკითხი და მისი საქმიანობა მიჩნეული იქნა "ერისათვის საზიანოდ".

1977 წელს ზვიად გამსახურდიამ დაასრულა მუშაობა ნაშრომზე **"დილემა კაცობრიობის წინაშე",** რომელიც მასთან ერთად დააპატიმრეს.

1977წ. 7 აპრილს დააპატიმრეს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მოგვიანებით ბატონი ზვიადი ამის შესახებ დაწერს: **"მე დავინახე, რომ ამ სიტუაციისათვის ანგარიშის გაუწევლობა არ შეიძლებოდა. ეს ზიანს მოუტანდა ჩვენს ეროვნულ და სამართალდაცვით საქმიანობას, საერთო საქმეს, ჩვენს ერს. ამის გამო გადავწყვიტე შემეცვალა კურსი და პოზიცია, გამეწია ანგარიში არსებული კანონისათვის, რომელიც უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე ჰელსინკის ხელშეკრულება, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი, მით უმეტეს, რომ მე საბჭოთა მოქალაქეობაზე უარის თქმას არ ვაპირებდი, გადაწყვეტილი მქონდა მეცხოვრა ჩემს ქვეყანაში, საქართველოში, გამეზიარებინა ჩემი ერის ჭირ-ვარამი. უშიშროების კომიტეტი კი არაორაზროვნად მანიშნებდა, რომ მე მომიხდებოდა ადრე თუ გვიან საქართველოს დატოვება და ემიგრაცია" ("შეიცან სკამი შენი". ზ.გამსახურდია 1988წ. 18 მარტი).**

1978 წლის დასაწყისში ზვიად გამსახურდიასა და **მერაბ კოსტავას** დაკითხვისას ურთიერთწარდგომის დროს მათ ეროვნული მოძრაობის გადასარჩენად მოახერხეს ერთმანეთისათვის შეეთანხმებინათ ძიებასთან თავდაჭერის სტრატეგია და ტაქტიკა. აწონ-დაწონეს და დააზუსტეს შესაძლო "კომპრომისების" ფორმები.

≈*≈

6. ე.შევარდნაძისეული დამჩექმებლობის პირველი ხუთწლედი და მისი ძირითადი ხასიათი (1972-1977წწ.)

"იყვნეს ცრუ წინასწარმეტყველნი ერსა შორის, ვითარცა იგი თქვენ შორისცა ყოფად არიან ცრუ მოძღვარნი, რომელთა შემოიღონ წვალებაი წარწყმედისაი და განმათავისუფლებელსა მათსა უფალსა უარყოფენ და მოიზიდვიდენ თავისა მათისათვის მსთუად წარწყმედასა...."

წმ. მოციქულისა პეტრესი II _ 2, 1.

უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ სკკპ ცკ-ის 1972 წლის 6 მარტის დადგენილება **"საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ"** _ წარმოადგენს დაშიფრულ დოკუმენტს სრულიად საქართველოს პერმანენტული გენოციდის შესახებ. ამ დადგენილების დებულებებში გათვალისწინებული იყო ეთნოდივერსიის სტიმულირების ისეთი აპრობირებული ტექნოლოგია, როგორიც გახლდათ სეპარატისტული თარეში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ანუ ცხუმ-აფხაზეთში (ე.წ. აფხაზეთის ასსრ).

როგორც მოგეხსენებათ, მანამდე, 1956 წლის 10 ივნისს სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო მრისხანე დადგენილება საქართველოს კპ ცკ-ის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც, ქართველ ერს ადანაშაულებდა არმენების, აზერბაიჯანელების, რუსების, ოსების, ე.წ. აფხაზეცებისა და სხვათა მიმართ დიდმპყრობლობის გამოვლენაში. ამ დოკუმენტმა განსაზღვრა საქართველოში დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ერთი რეგლამენტი, ამჯერად საჭირო იყო ახალი საეთნოდივერსიო შტურმი. **1972 წლის 6 მარტის** დოკუმენტი ამ მიზანს მოემსახურა.

აქედან გამომდინარე, საქართველოში (ისევე, როგორც სხვა "მოკავშირე" რესპუბლიკებში), "საბჭოთა ხალხების სანუკვარი ოცნების" _ ე.წ. ლენინური ეროვნული პოლიტიკის საბოლოო რეალიზაციისათვის გაგრძელდა ეთნოფაბრიკაციულ-ეთნოდივერსიული ინდუსტრიის სრული დატვირთვით ამოქმედება. ამ დროისათვის საქართველოში და განსაკუთრებით მის პროვოკაციულ ავტონომიებში გაგრძელდა გიგანტური საწარმოების მშენებლობა, რომელთათვის მუშახელის ჩამოყვანის საბაბით, ქვეყნის გარედან ეპატიჟებოდნენ და პირობებს უქმნიდნენ სამომავლოდ "ინტერფრონტული" მოძრაობისათვის, უფრო სწორად, აგრესიისათვის საჭირო ეთნონედლეულს. იხსნებოდა მხოლოდ რუსული, ან რუსულს შეკედლებული ნაციონალური სექტორებით საშუალო სკოლები, სახალხო განათლების სისტემაში სწავლება მიმდინარეობდა ველიკოდერჟავული, ანტიეროვნული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. საბჭოთა იდეოლოგიამ ამჯერად ცოტა უფრო გვიანი ვადებით განსაზღვრა, მაგრამ შეუქცევადი სვლაგეზით განაგრძო კომუნიზმის უეჭველი დამყარებით "ხალხთა ბედნიერებისა" და მიწიერი სამოთხის პროპაგანდა.

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში მძვინვარებდა და ვერჩაწალდულ ქართულ სულიერებას თანმიმდევრულად ებრძოდა სუკ-ის მიერი ჩაქსელილობა და ა.შ....

ამდენად, **ბრეჟნევ-სუსლოვის** მესაჭეობით ფაბრიკაციული საბჭოთა ხალხის ინკუბაციამ კონვეირული ხასიათი მიიღო, ანუ საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს სახელის მატარებელი ე.წ. "საბჭოთა ხალხის" კონსტრუირება სახელმწიფოს გასაჯარისებული პოლიტიკა გახდა. ასე, მაგალითად, **1970წ.** საკავშირო აღწერის მიხედვით საბჭოთა კავშირში, როგორც უკვე ითქვა, 10 მილიონმა არარუსმა მშობლიურ ენად აღიარა რუსული ენა, რაც მომდევნო წლების იდეოლოგიურ მუშაობაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებად განიხილებოდა. ამისდა შესაბამისად, საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი **ე.შევარდნაძე**, მიუხედავად იმისა, რომ **1972წ. ოქტომბერში** ესტუმრა და მოათვალიერა **"კოლხური კოშკი"**, ეწვია და ესაუბრა მის ბინადართ, 7 თვეში საჯაროდ დაუპირისპირდა და დაგმო **"კოლხური კოშკიდან"** დანახული საქართველო გაზეთ **"Советская Культура"**-ში (**1973წ. 6 ივლისი**) ამდენად, სკკპ ცკ-ის **1972 წლის 6 მარტის** დადგენილების შესაბამისად იქმნებოდა მკვებავი პირობები უკვე წელში გამართული სეპარატისტული მოძრაობისთვის _ აფხაზეცობისათვის ("რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხისთვის"), ამავე დროს მუშავდებოდა რეკომენდაციები ამ მხრივ ახალი კერების (რეზერვების) ასამოქმედებლად. ასევე ხელი ეწყობოდა ტომობრივ შუღლს ქართველთა შორის და ყოფაში მკვიდრდებოდა გადმოასლებული რუსიზმის ცენტრ-ნაცმენური ურთიერთობა.

საქართველოსათვის მიზნობრივად თავს მოხვეული საბჭოთა პარანოიკული მდგომარეობა (ქართველი კაცის კნონობითში წარდგენა) სკკპ იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო. ამის მიხედვით კრემლი ქმნიდა რა ქართული არასრულფასოვნების კომპლექსს, ვაჭრუკანა, შერეკილი, უღირსებო, მხდალი და უკულტურო "ქართველთა" სტერეოტიპული სახეების ჩვენებით, მსოფლიოს არწმუნებდა, რომ ქართველობა სარეველა და პარაზიტი მდგომარეობაა.

სწორედ ამგვარი იყო **ე.შევარდნაძის** მიერ საქართველოში, განსაკუთრებით კი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში განხორციელებული ღონისძიებები, რომლებსაც საფუძვლად ედო ისეთი პოლიტიკური აბრა, როგორიცაა ბრძოლა ნეგატიური მოვლენებისა და მავნე ტრადიციების, პროტექციონიზმისა და მექრთამეობის წინააღმდეგ. ამგვარი ხელგამოღებით უკვე **1975წ. იანვრისათვის** საპატიმროში აღმოჩნდა საქართველოს სსრ 25-ათასი მოქალაქე, უპირატესად და ძირითადად ქართველი, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამავე დროს 17-ათასზე მეტი სკკპ და ალკკ წევრი, მათთან ერთად სხვადასხვა დონის საბჭოების დეპუტატი აღმოჩნდა დაპატიმრებული, გასაგები გახდება ხელახლა აგორებული რეპრესიის მასშტაბები ჩვენს ქვეყანაში.

სსრკ ყველა ქალაქში უბრალო მილიციელსაც კი ჯიბეში ედო ამონაწერი ბრძანებიდან, სადაც ნებისმიერი ქართველი სპეკულანტად განიხილებოდა, ამგვარმა იდეოლოგიამ მოახერხა და ქართველი ჩაასაგნა ვაჭრისა და აფერისტის სახესურათში. მარტო ასეთი გზით "წესრიგის დამყარებამ" ათიათასობით ქართველი იმსხვერპლა, ააცდინა გზას, მოსწყვიტა ოჯახსა და სამშობლოს.

ამდენად, სკკპ ცკ-ის **1972 წლის 6 მარტის** დადგენილება "თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ" რსფსრ ქალაქებში ქართველთა დარბევის ნებართვასაც ნიშნავდა.

1972-77 წლებში ცხუმ-აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობა, რომლებიც, როგორც თავად ამბობდნენ, აფხაზეთის მიწისგან მოიზილნენ, მათთვის გაუსაძლის პირობებში ჩავარდნენ. ბრძოლა მექრთამეობასა და პროტექციონიზმის, წარსულის მავნე

გადმონაშთებისა და დრომოჭმული ადათ-წესების წინააღმდეგ საქართველოს კპ ცკ-ისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტისათვის აფხაზეთის ასსრ პირობებში რატომღაც ქართველობა შენარჩუნებული მკვიდრი მოსახლეობის შევიწროებას, დარბევასა და მათ იძულებით აყრას ნიშნავდა.

თავისი საფხაზეთო ნაბიჯებისათვის **ე.შევარდნაძემ** საჭიროდ ჩათვალა "შაგომ მარშის" პრინციპით "გადავლა" ჩრდილო-დასავლეთ საქრთველოში, ანუ აფხაზეცობა ხელშეუხებელ კასტად დადგინდა. ვინაიდან ე.წ. აფხაზეცობა "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი" იყო, "შაგომ მარშისთვის" ქვეშ გაწოლის "სიამოვნება" ამ მხარის ძირძველ ქართველებს ერგოთ. ხელახალი ძალისხმევით დაიწყო ქართველების მიმართ რეპრესიული ღონისძიებების გატარება. <u>მოგეხსენებათ, აფხაზეთის ოფიციოზი იყოფოდა ერთის მხრივ სეპარატისტულ ეთნოკრატიად ("რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხად"), იგი პოლიტიკური აბრით თბილისზე, ხოლო მართვის ბერკეტებით მოსკოვზე იყო მიხრახნილი, მეორეს მხრივ, აქვე დაბოგინობდა აფხაზეთის ასსრ-ის ვითომ ქართული პარტოკრატია, რომელიც გახლდათ თბლისში დისლოცირებული სარუსიზმო "ქართული" ნომენკლატურის აფხაზეთური ქვეგანყოფლება. ის ეთნოკრატიისგან მსოფლმხედველობრივად არც განსხვავდებოდა, მასთან მხოლოდ ნომენკლატურული კვოტების გარშემო ჰქონდა უთანხმოება. საბოლოოდ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ესეც სეპარატისტული ინსტიტუცია იყო, ანტიქართული, ანტისახალხო...</u>

აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობამ თავისი ქართული პარტოკრატიის ნომენკლატურაში კვლავ განაახლა _ განსაკუთრებით ა-ზე დამთავრებული გვარის მატარებელი ქართველების შევიწროება და მათ მაგივრად თბილისიდან გამოგზავნილი საბჭოთა ოქტომბრისენოვანი კადრების "შემოშველება", რომელთაც ხმალჩაუგები ბრძოლა გამოუცხადეს აფხაზეთში ისტორიულ ქართულ (აფხაზურ) სოფლებსა და მოსახლეობას. ამ ხალხს აფხაზეცური ჟარგონით "პარაშუტისტებს" ეძახდნენ. მოვიდოდნენ, გაძღებოდნენ, სეპარატისტების საქმეს გააკეთებდნენ და წავიდოდნენ.

მათ მიერ ამ დროისათვის ორგანიზებული იქნა აფხაზეთის ასსრ სამართალდამცავ ორგანოებში (პროკურატურა, შს და იუსტიციის სამინისტროები, სახალხო სასამართლო, არბიტრაჟი, ადვოკატურა) კომპეტენტური და რაც მთავარია, ეროვნული კადრების დისკრედიტირება, პროვოცირება, დაპატიმრება, გაძევება, სამსახურიდან დათხოვნა.

აფხაზეთის ასსრ პირობებში **ე.შევარდნაძის** თითისქნევა შეეხო ძირითადად მხოლოდ ქართველებს, მათგან კი მითაჟამიდან მკვიდრ მაცხოვრებლებს _ ნამდვილ აფხაზებს (ამ ცნების სწორი შინაარსობრივი გააზრებით).

როგორც მოგახსენეთ, მუშახელის შემოშველების საბაბით კვლავ გაგრძელდა დემოგრაფიული ექსპანსია, საგანგებოდ დამუშავდა მათთვის სამოსახლო მიწების გამოთავისუფლების ტექნოლოგია: სეპარატისტებისა და ვინაობაშენარჩუნებული მოსახლეობის დაპირისპირება ხომ მიღწეული იყო, დღის წესრიგში დადგა ამ პროცესის გაძლიერება და რაც მთავარია, სრულყოფა: _ დაიწყო მეგრელების, რაჭველების, სვანებისა და ა.შ. ურთიერთწაქეზება.

მაგალითად, კოდორის ქვემო წელში, მაშინ, როდესაც აქ ხელგამოღებით სახლდებოდა რესპუბლიკის გარედან შემოსული ინტერფრონტული მოსახლეობა, კოდორის ზემო წელის (ჩხალთის მეწყერული ზონის) მოსახლეობის (სვანების) ჩამოსახლება იზღუდებოდა.

სოხუმის რ-ნის უძველეს ქართულ სოფელ აბჟაყვაში (ბესლეთში) კოლმეურნეობის თავმჯდომარე **რაჟიკო მაისურაძე** (ჩამოსახლებული რაჭველი) ბულდოზერით მიესია ქართველთა (მეგრელთა) უძველეს საკარმიდამოებს და ჩამონაჭერი მიწის ნაკვეთებზე მამაპაპური ჯიშის საუკუნოვანი ხეხილი და ტრიფოლიატის ღობეები ამოძირკვა,

გამოთავისუფლებული მიწები კი “თამბაქოს სპეციალისტ” არმენებს დაურიგდათ. უძველესი ქართული სოფელი **ბაგრატ** III ციხისა და **თამარის** ხიდის მიდამოებში, _ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, სადაც რამოდენიმე საუკუნის წინ დაარსებული ქართული სკოლა მანამდე შეუფერხებლად მუშაობდა, ასე იქცა ოქტომბრისენოვან სოფლად.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთხსენებული თავმჯდომარე შეცვალა **ბორის კაკუბავამ** (შემდგომში ვითომ დისიდენტმა). მის ხელში ეს სოფელი საბოლოოდ გარდაიქმნა არმენთა “სათამბაქოე მასივად”.

როდესაც საუბარია ცხუმ-აფხაზეთში ამ მიწის მკვიდრთა დენაციონალიზაციის (განქართველების, იგივე განაფხაზების) პროცესებზე, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში _აფხაზეთში გეგმაზომიერად წარმოებული გენოციდის ფორმასა და შინაარსს ატარებდა. პირველ რიგში უნდა გავიაზროთ, რომ ეს იყო ხანგრძლივი, მრავალი საუკუნის მანძილზე, სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთმოწინააღმდეგე იმპერიათა უღელქვეშ გაწეული ეთნოდივერსია, რომლის ბოლო, 70-წლიანი რეგლამენტი მკვიდრი მოსახლეობის გამანქურთებისათვის ყველაზე შედეგიანი გამოდგა. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკის მშენებლობა და “რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის” ფაბრიკაცია ამ შემთხვევაში ნიშნავდა აფხაზეცობის ეთნოაბრის მიღმა ჭეშმარიტი აფხაზობის საწინააღმდეგოდ კრემლიდან დადგენილი არმოქართულე (არმოაფხაზურე) შინაარსის დაკანონებას. იგი განსაკუთრებით **1972 წლიდან** დღემდე ატარებს აფხაზობის (მეგრელობის) სრულიად ქართველური მეხსიერების აღგვისა და დასაჭურისების ხასიათს.

ამ დივერსიული ეთნოფაბრიკაციისათვის გამოყენებული იქნა უვერაგესი ანტისახალხო, ანტიეროვნული მეთოდები და ხერხები, რომელთაგან ზოგიერთზე (მცირე ნაწილზე) თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ამჯერად:

1. საბჭოთა სახელმწიფოს მიზნობრივი კონსტრუქციის _ აფხაზეთის ასსრ-ისა და ე.წ. “რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის _ აფხაზეცობის” ეთნოდივერსიული ფაბრიკაცია, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებად ფასდებოდა, ბოლშევიკური დიქტატურის რუსისტულ წლებში გამორიცხავდა ქართველ (აფხაზ) _ აფსუათა მორდუობა-ძუძუმტეობისა და სახლიკაცობის წესრიგში ცხოვრებას. მთელი ამ წლების მანძილზე ამ მხარის (და არა მხოლოდ ამ მხარის) ქართველობა გამოიყენებოდა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ნედლეულად. ნაწილობრივ ასეთსავე, ანუ მისთვის არაბუნებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდა აფსუა ხალხი. აქედან გამომდინარე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქართველობა წარმოადგენს საბჭოთა სადენაციონალიზაციო რეპრესიების მსხვერპლ ხალხს.

1972 წლიდან დაიწყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) განქართველების ახალი აღმავლობა და მას პირადად **ე.შევარდნაძე** ხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ასსრ-ში ქართველობა სრულიად უუფლებოდ იქცა, მას კრემლიდანური კულუარების (და არა მხოლოდ) პროპაგანდა დიდმპყრობელს ეძახდა და მიზანმიმართულად ეწეოდა ამ ქართული მხარის გასხვაქვეყნებას. **ე.შევარდნაძემ** ეს დავალება გულწრფელად გაიპიროვნა.

2. **1972-77 წლებიდან** თვალში საცემად დაიწყო ცხუმ-აფხაზეთში ჯერ ორი მშობლიური ენის (რუსულისა და ეროვნულის) და შემდეგ მხოლოდ “დიადი ოქტომბრის ენის” განდიდება, რასაც თან ახლდა “ცენტრიდან” ეროვნული კულტურის, როგორც “წარსულის მავნე გადმონაშთის” კრიტიკის ქარცეცხლში გატარება. ამგვარად დახლართული კრემლიდანური ხვანჯი წამქეზებლურ ვითარებას ქმნიდა აგრესიული

სეპარატიზმის წასახალისებლად, მით უმეტეს, რომ იგი იმავე კრემლის მფარველობითა და საქართველოს კპ ცკ-ის მხარდაჭერით ყოველთვის საზრდოობდა.

1976წ. იანვარი. საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XXXIII კონფერენციაზე რეაბილიტირებული იქნა აგრესიული სეპარატიზმი. იგი, როგორც ფაბრიკაციული ეთნოსინამდვილე, თავის არსში მოიცავდა ოიდიპურ ცოდვას. იმ პერიოდში "გასხვაქვეყნებული" ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) რუსიზმის მიერ ცალსახად დადგინდა საქართველოს "მოძმე" ქვეყნად.

3. 1972 წლიდან აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში პარტიული ხელისუფლების ჩუმი განკარგულებით საერთოდ აიკრძალა ქართული სკოლების მშენებლობა (იშვიათი გამონაკლისი ხდებოდა გალის პირწმინდად ქართულ რაიონში). მის ნაცვლად ყველგან იხსნებოდა რუსულ-ქართული საშუალო სასწავლებლები, სადაც ყველა კლასგარეშე და სკოლის გარეშე ღონისძიება (კრებები, საზეიმო სხდომები და ა.შ.) რუსულ ენაზე ტარდებოდა, რის გამოც ქართული ენა ყავლაგასული საგნის მდგომარეობაში აღმოჩნდა და მომხმარებლური სულისკვეთების მოსახლეობამ მასიურად მიაშურა რუსულ-"ქართული" ზოგადსაგანმანათლებლო სკოლათა რუსულენოვან სექტორებს.

4. ამ პერიოდისათვის "წარსულის მავნე ტრადიციების" წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ფართოდ გაიშალა ქართული კულტურის წინააღმდეგ დამწიოკებლური შემოსევები, რასაც თან ახლდა მშობლიურისადმი სისასტიკემდე მისული ნიჰილიზმის დამკვიდრება. აფხაზეთის მუზეუმებში, საექსკურსიო ბიუროებში, მხარეთმცოდნეობით დაწესებულებებში და სხვა შესაბამის უწყებებში ფართოდ ინერგებოდა ფალსიფიცირებული აფხაზეცური ისტორია და "კულტურა". ამ "კულტურას" ასაჯარისებდა ოფიციალური თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ა.შ.

5. **1972 წლიდან** აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დემოგრაფიული ექსპანსიის ახალმა ტალღამ გადაიარა. გალის რაიონში საბჭოთა მეურნეობებისა და ენგურჰესის მომსახურებისათვის რუსეთიდან და არმენეთიდან მუშახელის შემოყვანის საბაბით, მიზნობრივად მომდინარეობდა ოქტომბრისენოვანი კოლონისტების ზოგჯერ ლეგალური, ხან კიდევ ნაჩუმათევი ჩასახლება. დიდმპყრობლური მოსკოვის ხელგამოღებით მიმდინარეობდა პირწმინდად ქართული რაიონის დემოგრაფიული აჭრელება. ამავე მიზნით გალის, გაგრის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებსა და ქალაქებში: _ სოხუმსა და ტყვარჩელში იგეგმებოდა მსხვილი საწარმოების მშენებლობა, რომელიც მუშახელის შემოყვანას რესპუბლიკის გარედან თავისთავად მოითხოვდა. სხვათა შორის, სრულიად გასაიდუმლოებულად და **ე.შევარდნაძის** ინიციატივით დაიწყო გალის რაიონის ტერიტორიაზე ატომური ელექტროსადგურის მშენებლობისათვის სამზადისი, რომელიც მომავალში ჩერნობილის ტრაგედიის გამო ჩაიშალა. მსხვილი საწარმოები გაიხსნა სოხუმის რ-ნში (ქარხანა "როტორი", ე.წ. საყვავილე მეურნეობა), რომლის მუშახელის 95% რუსეთიდან და არმენეთიდან ხელაღებით წამოყვანილი გახლდათ, ასევე აქ პოულობდა თავშესაფარს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანიდან ეთნიურ წმენდას გამოქცეული არმენი მოსახლეობა, ამას ემატებოდა სპიტაკის მიწისძვრას გამორიდებული არმენობა, კიდევ უფრო მანამდე კი აქ უკვე ჰქონდათ ახალშენები შუა აზიის რესპუბლიკებიდან ჩამოსახლებულ ოქტომბრისენოვან დიდმპყრობელ ხიზნებს. ამავდროულად ამ დროის მანძილზე საქართველოში გაუქმდა 804 ქართული სოფელი, მათ შორის 205 ე.წ. სამხრეთ ოსეთში, 33 _ აჭარაში და 129 აფხაზეთში.

6. აფხაზეთში დემოგრაფიული ექსპანსიის პარალელურად მომდინარეობდა ცხუმ-აფხაზეთის კულტურის ძეგლებისა და ტოპონიმიკის ფალსიფიცირება, უძველესი

სასაფლაოებისა თუ ქართული ისტორიული წარწერების განადგურება. ამ მიზნით სარიტუალო დაწესებულებებიც კი სათანადო დირექტივებს იღებდნენ.

7. აშკარად და ხელაღებით ნადგურდებოდა ცხუმ-აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის მშობლიური ფოლკლორი, რადგან აფხაზეთში აკრძალული იყო ადგილობრივი ქართული (მეგრული) ზეპირსიტყვიერების გაჭაჭანებაც კი. რაც შეეხება ხალხური სიმღერების ჰანგებს, რაკი მათ ქართული მხარე არ პატრონობდა, მას აფხაზეცური "კულტურა" ითვისებდა.

8. აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და **დ.გულიას** სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი გახდა ფაბრიკაციული ეთნოსის "კულტურის მიღწევათა" პროპაგანდისტი და ცხუმ-აფხაზეთის ჭეშმარიტი ისტორიის მიმჩქმალავი. საქართველოს კპ ცკ-ის მითითებით ტაბუ დაედო აფხაზეთის შესახებ სიმართლის წერას და მოსახლეობას შეაჩეჩეს ცხუმ-აფხაზეთის არაქართულობის შესახებ შეთითხნილი ფალსიფიცირებული ისტორია.

9. აფხაზეთში საგანგებო ბრძოლა გამოეცხადა მართლმადიდებელ რელიგიას, მაშინ, როცა ათეისტური პროპაგანდა ასე გააფთრებით არ ებრძოდა ისლამის გადმონაშთებს, იუდაიზმს, გრიგორიანულ სარწმუნოებასა თუ სხვადასხვა სექტებს.

10. აფხაზეცი სეპარატისტების პროვოკაციული ბრძოლა ე.წ. აფხაზეთის ტოპონიმიკის აღდგენისათვის ნიშნავდა საბჭოთა პერიოდში თავსმოხვეული რუსულ-თურქული ტოპონომიკის (პავლოვკა, ხურმალუ) ნაცვლად შემოღებული ახალი სახელწოდებების წინააღმდეგ პროტესტს. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელწოდებები ნაწარმოები იყო იმ კუთხის მიხედვით, საიდანაც ამა თუ იმ ადგილში ჩასახლეს მოსახლეობა. ასევე, ზოგიერთი სახელწოდება წარმოადგენდა თურქული ან რუსული ტოპონიმიკის ქართულ თარგმანს. ვინაიდან საქართველოს კპ ცკ-ის მხრიდან იკრძალებოდა აფხაზეთზე სიმართლის წერა, შეუძლებელი გახდა სადავო ტოპონიმიკის ნაცვლად ძველი და ნამდვილი (ქართული, ე.ი. აფხაზური და არა აფხაზეცური) ტოპონიმიკის აღდგენა. არადა, სადაო ტოპონიმიკაზე მსჯელობისას რომ აღედგინათ ისტორიული დასახელება, ამით მოდავესაც გააჩუმებდნენ, არ იქნებოდა "ქართული დიდმპყრობლობის ნივთმტკიცებაც" და ყველა დაინახავდა, რომ აქ ქართველები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ.

11. საქართველოს კპ ცკ-ის დანაშაულებრივი და საეჭვო დუმილის გამო პასუხი არ გაეცა აფხაზეც-სეპარატისტთა ბრალდებას ე.წ. ქართველთა დემოგრაფიული აგრესიის შესახებ. ის კი არადა, როგორც ზემოთ დაგიდასტურეთ, იმხანად 129 ქართული სოფელი გაუქმდა აფხაზეთში.

12. **1978 წლიდან**, ვინაიდან აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა მიიღო აშკარად ანტიქართული (ანტიაფხაზური) ხასიათი, სოხუმში შეიქმნა აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის (ქართველების, ანუ აფხაზების) მშობლიური სიმღერისა და ცეკვის მაღალპროფესიული ანსამბლი, რომელსაც აფხაზეთის ასსრ ხელისუფლებამ, საქართველოს სსრ ოფიციოზის ხელშეწყობით არ მისცა სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი, მაშინ, როდესაც ათამდე აფხაზეცურ-სეპარატისტულ თვითშემოქმედ და საოჯახო ანსამბლსაც კი შესაბამისი სტატუსი ეძლეოდა და ხელფასები ენიშნებოდა.

13. **1975წ.** ცნობილმა დადგენილებამ _ "მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა", ცხუმ-აფხაზეთში ეროვნული ადათ-წესების წინააღმდეგ შთაგონებული მიქსიანების ხასიათი მიიღო. ხელისუფლება ებრძოდა არა გაუკუღმართებულ რუსისტულ ღრეობებს, ლოთობას და ა.შ., არამედ სწორედ ქართულ (აფხაზურ), ანუ მშობლიურ ქორწილებს, ლხინს, ზეიმს, გლოვაში წესრიგს, გასვენებას, პანაშვიდს _ მოკლედ

ქართველად ყოფნას. “საბუტილნიკობისნაირ” ე.წ. ლხინსა და ქელეხებს ამ დროს ფარულადაც კი ეწყობოდა ხელი.

14. ოფიციალური თბილისი ფართოდ და მოყვარე მეზობლების ძმობად აშუქებდა ქართველებისა და აფხაზეცების ურთიერთობას. თვით საკითხის ამგვარად დაყენებაც კი უკვე ცხუმ-აფხაზეთის ცნობიერ გენოციდს ნიშნავდა, რადგან აფხაზი ამ მხარის ქართველია, ხოლო აფსუა მეზობელი კი არაა, ძუძუმტე და სახლიკაცი გახლავთ.

15. კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა გამსხვილების საბაბით გაჩაღდა ძირძველი ქართული (აფხაზური) სოფლების მიერთება რუსულენოვანი სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობებისათვის.

16. განსაკუთრებული საასიმილაციო პროგრამა ხორციელდებოდა ცხუმ-აფხაზეთის სამრეწველო საწარმოებში, სადაც საქმის წარმოება, ურთიერთობის წესი, აზროვნების ფორმა რუსული იყო, იქვე ინერგებოდა “პოლლიტრას” კულტი.

17. ცხუმ-აფხაზეთის სოფლებში ძირძველი ქართველების საკარმიდამოს ჩამონაჭრებზე მასიურად დაიწყო არაქართველი (ძირითადად არმენი) მოსახლეობის ჩასახლება, რომლებიც თამბაქოს მუშახელად (სპეციალისტებად) ჩამოჰყავდათ არმენეთიდან, აზერბაიჯანიდან და კრასნოდარის მხრიდან.

18. სასტიკად იდევნებოდა ქართველი (აფხაზი) ძირძველი გლეხის თაობიდან თაობაზე გადმოსული წესრიგი (მაგ: გლეხი კოლმეურნეობების პირობებშიც კი უანგაროდ უვლიდა მამაპაპისეულ ტყეს, არავის ანებებდა მის გაჩანაგებას, უვლიდა წყაროს, ამყნობდა ხეხილს, სხლავდა და ა.შ (დაუწერელი კანონით სხვა ძირძველი გლეხი არ ეპატრონებოდა მას). ეს ყველაფერი, ანუ პატივმიგება გარემოსათვის ამიერიდან მიტაცებად ითვლებოდა და აიკრძალა ამგვარი ზრუნვა მამაპაპისეულ ნარგავებზე, რასაც მოჰყვა განუკითხაობა და ბუნების გაჩანაგება.

19. ცხუმ-აფხაზეთის ქართველობა (აფხაზობა) მიეჯაჭვა საკოლმეურნეო კატორღულ შრომას, რომლის საფასურად მას მხოლოდ პირადი საკარმიდამო ჰქონდა. აქ მოყვანილი ნამეტი პროდუქციის გასაღების უფლება კი წაართვეს. ამას დაერქვა “პოგონია ზა დლინნიმ რუბლემ”. რუსეთის ქალაქებში, საქართველოს კპ ცკ-ის მითითების შესაბამისად, თუ ვინმე მოახერხებდა და გაიტანდა თავის ხილს, ციტრუსებს და სხვა ნამეტ საქონელს, იგი თუ ციხეს გადაურჩებოდა, საგანგებოდ რუსეთს მივლინებული ქართველი თუ ადგილობრივი რუსი “სამართალდამცავისაგან” ცხრატყავგაძრობილი ჩამოდიოდა. გლეხს მოუწოდებდნენ სახელმწიფოსათვის მიეყიდა ნამეტი პროდუქცია, მაგრამ ეს სახელმწიფო მას წლობით უგვიანებდა ანაზღაურებას. ასევე არ აძლევდა ან შეფერხებით აძლევდა საჭირო ტარას, შესაწამლ შხამ-ქიმიკატებს, სასუქს...

აფხაზეთში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმულ მეურნეს სახელმწიფო აყაჩაღებდა, რის გამოც ქართველი გლეხი იძულებული იყო ნამეტი ჭირნახული მიეყიდა არმენი თუ რუსი გადამყიდველებისათვის ჩალის ფასად.

ისეთი პრაქტიკა, რომ, ვთქვათ, მოკავშირე რესპუბლიკის რომელიმე მსხვილი საწარმოს თავის მუშებისათვის შეესყიდა უშუალოდ მწარმოებელი გლეხისაგან ხილი ან სხვა სასოფლო სამეურნეო ნაწარმი, არ ინერგებოდა.

ამავე დროს საქართველოში წარმოებული პროდუქციის რუსეთის ბაზრებში არაქართველ გადამყიდველებს “ქართველი სპეკულიანტი” ერქვა.

20. ხელისუფლების მიერ განსაკუთრებით იქნა ათვალისწუნებული ქართული მესაქონლეობა, ადგილობრივი ჯიშები ქართველი მეჯოგეების საქმიანობა ხომ ეროვნული ღალატის ტოლფასი გახდა ხელისუფლების თვალში და იკრძალებოდა საკუთარი ჯოგის ყოლა, რამაც მოშალა სახალხო სელექციის წესი.

21. **1972 წლიდან** საქართველოს კპ ცკ-ის მიერ კრემლის მითითებებით კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა სრულიად საქართველოში და განსაკუთრებით ცხუმ-აფხაზეთში

მშობლიურ საკარმიდამოზე გულაცრუების პროცესისათვის ხელშეწყობა, რასაც მოჰყვა ათობით ძირძველი და მდიდარი ქართული სოფლების აყრა და დაცარიელება, ან იქ არაქართული მოსახლეობის ჩასახლება. როგორც ზემოთ არაერთგზის შეგახსენეთ და ვნახეთ, ამ დროისათვის <u>საქართველოში გაუქმებულად გამოცხადდა 804 ქართული სოფელი.</u>

ე.შევარდნაძის პროპაგანდისტული მეთოდი და საერთოდ მისი იდეოლოგია, კრძალავდა აფხაზეთის რაობის ჭეშმარიტი გაშუქების ყოველგვარ გამოვლენას.

ზემოთ ჩვენ ვეცადეთ, გაგვერკვია **1970 წლის** სსრკ მოსახლეობის აღწერის შემდეგ, როცა 10 მილიონმა არარუსმა მშობლიურ ენად რუსული აღიარა და ეს ეთნოდივერსიული ინდუსტრია კრემლიდანური თვალსაზრისით საქართველოში საკმარისად არ განვითარდა, თუ რა აუცილებლობამ განაპირობა რესპუბლიკაში "საკადრო ცვლილებები" და კომპარტიის ახალი გააფთრებული "ბრძოლა წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ". ყოველივე ამას სსრკ მოსახლეობა და განსაკუთრებით ქართველი ხალხი იდეოლოგიურად უნდა შეემზადებინა იმისათვის, რომ მას **1977 წლის 7 ოქტომბერს** "მიეღო" სსრკ ახალი კონსტიტუცია და უკვე რუსისტული სახელმწიფოს ძირითადი კანონის დონეზე "ეღიარებინა" "ლენინური ეროვნული პოლიტიკის მორიგი გამარჯვება" _ <u>სსრკ მრავალეროვანი მოსახლეობის ერთ საბჭოთა ხალხად ჩამოყალიბება.</u>

აი, ეს იყო ის ნიშანსვეტი, რომლისკენაც ამიერიდან ახალი აღმავლობით, თანახმად ლენინის თითის მიმართულებისა, ჯოგურად უნდა ევლო "ნაციონალისტობასთან" საბრძოლველად ფეხაწყობილ უპირადხმო საბჭოთა კრებითობას.

ამ ფეხაწყობას თავისი ვერაგი მეთოდები გააჩნდა, რომელთა სერიული აპრობირება განახლებული დარაზმულობით გაგრძელდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკად წოდებულ დასაბამისმიერ ცხუმ-აფხაზეთში.

ასეთია ცხუმ-აფხაზეთში წარმოებული განქართველების (ქართველთა მრავალგანტოტებადი გენოციდის) ზოგიერთი მეთოდის ხასიათი.

1972-77 წლები მძიმე რეპრესიების წლებია. ათასობით ქართველთა ლასკარი გაუბედურდა ცხუმ-აფხაზეთში. მოგეხსენებათ, საბჭოთა სინამდვილე _ ეს დანაშაულებრივი ყოველდღიურობა გახლდათ, ამიტომ ძნელი არ იყო მიზნობრივი დანაშაულობების ფაბრიკაცია _ კაცის დაჭერა გინდოდა, რა იყო ამაზე ადვილი?!

სიმწრისაგან როგორ არ გაგეცინება კაცს, რა საწყაო იტევს ამდენ ფარისევლობას: **1974 წლის 16 სექტემბერს** სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა **ლ.ბრეჟნევმა** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკებს მიულოცა სახელმწიფო გეგმის შესრულება. ამასთან დაკავშირებით საქართველოში მიმდინარეობდა საზეიმო საღამოები, გარდამავალი დროშების გადაცემა. იყო ერთი ტაშისცემა, ტაშფანდურა და უცებ, **11-12 ნოემბერს** გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი... ახალი ხელაღებული რეპრესიების პაროლი.

არავინ კითხულობდა იმას, რომ ასე გასაჯარისებულმა დანაშაულებმა რომ განაპირობა ამ დროშების მიღება. საბჭოთა პირობებში სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება წარმოუდგენელი, შეუძლებელი იყო მიწერების გარეშე. მიუხედავად ამისა, გუშინდელი შრომის გმირები და მათთან ერთად ათასობით უდანაშაულო მუშა, კოლმეურნე ამ საზეიმო ჭერქვეშეთიდან პირდაპირ ციხეში მოხვდა.

ასე და ამგვარად შეითითხნა აფხაზეთში "თამბაქოს საქმე", "ჩაის საქმე" და ა.შ, რომლის დროსაც რჯულუცხო ხალხი ათასობით ქართველს აციმბირებდა.

ამის პარალელურად მიმდინარეობდა აფხაზეცური კულტურის აღმავალი ფაბრიკაცია. ასე მაგალითად, სოხუმის რაიონში საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის

ძალისხმევით შეიქმნა ხალხური სიმღერის გუნდი, რომლის რეპარტუარი შედგებოდა საეჭვო რეპუტაციის აფხაზეცური სიმღერებისაგან, მაშინ, როცა უგულებელყოფილი იყო რაიონის ქართველი მოსახლეობის, მათ შორის, თვით აფსუათა ფოლკლორი, სიმღერები, ზეპირსიტყვიერება, ყოფითი კულტურა და ა.შ. თავად გუნდში არც ერთი აფხაზეცი მომღერალი არ გახლდათ... და მათ მაინც "აფხაზეცი" მომღერლები ერქვათ.

ბრძოლა პროტექციონიზმის, მექრთამეობის, მავნე ტრადიციებისა და დრომოჭმული ადათ-წესების წინააღმდეგ იმ საგანგებო ნებადართულობად იქცა, რომლის მიხედვით აღმგველი ბრძოლა გამოეცხადა ყოველივე ეროვნულს, სახალხოს, ქართველურს (აფხაზურს)...

1975 წლის მარტში თანამდებობიდან გაათავისუფლეს და პასუხისგებაში მისცეს სოხუმის რ-ნის კელასურის სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარე _ **კოლია შონია** _ მთელს ხეობაში სიდარბაისლით პატივმიგებული პიროვნება, იმისათვის, რომ სამეზობლომ თამბაქოს საშრობ ფარდულში (ზამთარში, როცა უქმადაა) ქელეხი გაუმართა ხელმოკლე მეზობელს, პატივი მიაგო და ადამიანურად დაიტირა გარდაცვლილი.

მძიმეა **1972-77 წლები** სრულიად საქართველოსათვის, მაგრამ იგი განსაკუთრებით მძიმეა ცხუმ-აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობისათვის, ვინაიდან ეროვნულ სხეულში სეპარატიზმის მეტასტაზებს **ე.შევარდნაძის** მიერ გატარებული ღონისძიებები აღმაფრთოვანებელ და გამსალკდევებელ პირობებს უქმნიდა.

≈*≈

7. რუსიზმის ნაქუსლარზე ჩაკრიალოსნებული თარიღები...

(1978-1982 წლები)

"უგუნურო, შენ რომელ დასთესი,
არა ცხოვნდის, ვიდრემდე არა მოკუდის"
<u>კორინთელთა მიმართ 15, 6.</u>

1978 წელი: მიღებული იქნა "საქართველოს სსრ კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ." (**იხ. გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1978, 7 იანვარი**). საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** ხელმძღვანელობით აიძულა საქართველოს სსრ საბჭოთა ხელისუფლება მიეღო ასეთი დოკუმენტი.

1978წ. 12 იანვარს გაიხსნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XXXIV კონფერენცია, რომელზეც "ტაშის გრიალში" გამოვიდა **ე.შევარდნაძე.** იგი წარიმართა საბჭოთა უკონფლიქტობის თეორიის შესაბამისად. საქართველოს კომუნისტების ლიდერმა და ქვეყნის ნამესტნიკმა პატრონმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: **"საქართველოს კპ ცკ-ის დავალებით მეცნიერთა კომისიამ განიხილა საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლების სახელმძღვანელო და შეიტანა საჭირო შესწორებანი. სპეციალისტთა აზრით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ისტორიის საკითხები სახელმძღვანელოში ჯეროვნად აისახა".** ე.ი. საუბარია "აქამდე ქართველ ისტორიკოსთა მიერ "ისტორიის გაყალბებაზე" (**გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1978, 20 იანვარი**).

1978წ. 27 იანვარი: საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი **ე.შევარდნაძე** საქართველოში რუსიზმის წარმატებული რეალიზების გამო დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

1978წ. იანვარში საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ.შაკაია.** აღნიშნული კომისიის ამოცანა იყო, შეემუშავებინა წინადადებები "აფხაზეთის მშობლიური იერსახის აღსადგენად", ანუ ამ აბრის ქვეშ დაეკანონებინა რუსიზმის ეთნოფაბრიკაციული სინამდვილე და საგულდაგულოდ დაეგმანა ცხუმ-აფხაზეთის დასაბამისმიერი ვინაობა და რაობა.

ყოვლად გაუგებარია, რად ითრევდა ფეხს საქართველოს პარტოკრატია, როცა სეპარატისტთა მოთხოვნები ტოპონიმიკის აღდგენის შესახებ, თუ საკითხში გავერკვეოდით და უძველესს აღვადგენდით, პირწმინდად ქართული იყო.

ნუთუ ასე ძნელი იყო ნამდვილი და ნაყალბევი ტოპონიმიკის გარჩევა, მაგრამ ამ საკითხის განგებ გაზვიადება ხელს აძლევდა თავად ველიკოდერჟავულ წრეებს _ ისინი ამ საბაბს მარჯვედ იყენებდნენ გაუთვითცნობიერებელ ბევრეულთა პროვოკაციებში ჩასათრევად.

1978წ. მარტის შუა რიცხვებში შედგა ქართველი მწერლების შეხვედრა საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანთან **ე.შევარდნაძესთან** მესხელი თურქებისა და ძალად გათურქებული ქართველების თაობაზე. სამწუხაროდ, დასმულმა საკითხმა შესაბამისი სიცხადე ვერ მიიღო (ამ შეხვედრას იგონებს მწერალი **რ.ჯაფარიძე** - გაზ. **"კომუნისტი", 1 აპრილი, 1999წ.**)

1978წ. 18 მარტი _ გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელსაც წინ უსწრებდა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომა, განხილული იქნა ქართველი ერის მიმართ აფხაზეც სეპარატისტთა ცილისწამებლური წერილი. სეპარატისტთა პროვოკაცია იმდენად ავანტიურისტული იყო, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურო იძულებული შეიქმნა ეთნოკრატიის სულიერი მამები: ჟურნალ **"ალაშარას"** რედაქტორი, მწერალი **ა.ჯენია**, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი **ი.არგუნი,** გუდაუთის რაიონული გაზეთის **"Бзыбь"**-ის რედაქტორის მოადგილე **ი.ახიბა** სკკპ რიგებიდან გაერიცხა. თავის მხრივ **ვ.ხინთბამ** _ საქართველოს კპ აფხზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პარტიული აქტივის კრებაზე აღნიშნა: **"წერილის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება აფხაზეთის ისტორიის საკითხებში ქართველი მეცნიერების ცალკეულ შრომებში დაშვებულ შეცდომებს, აგრეთვე ტოპონიმიკის პრობლემებს. უნდა ითქვას, რომ თავის დროზე ნაწილი ამ შრომებისა სერიოზულად იქნა გაკრიტიკებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, რის შემდეგაც ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ავტორიტეტული მეცნიერების, კერძოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ.ა.ძიძარიასა და პროფესორ ზ.გ.ანჩაბაძის მტკიცებით, აფხაზეთის ისტორიის დამახინჯებას სერიოზულ სამეცნიერო შრომებში ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ფაქტოლოგიურ შეცდომებს, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით ცალკეული ავტორების შრომებში, მათს შესახებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტისა და სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შესაბამისი კადრების მეცნიერ მუშაკების მიერ შედგენილია დოკუმენტი, რომელიც გაეგზავნება კომპეტენტურ რესპუბლიკურ ორგანოებს მომავალში ასეთ დასანან შეუსაბამობათა თავიდან აცილების მიზნით" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1978, 21 მარტი).**

ვ.ხინთბას "მამხილებელი" წერილი-მოხსენება კონცეპტუალური კამათი არ გახლდათ სეპარატისტების ლიდერებთან. ეს არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაშინ მას უნდა უარეყო ცხუმ-აფხაზეთის ადგილზე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში შეკოწიწებული ფაბრიკაციული ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც ქართველთა

განმშობლიურების დივერსიული ფაქტი და მისი დემოგრაფიული დადასტურება _ "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი", ანუ ეთნოდივერსიული აფხაზეცობა. ამას ვერ იზამდა, რადგან თვითონ იყო ყოველივე ამის პირმშო, ამიტომ სხვა რამეს საყვედურობდა სეპარატისტული მოძრაობის თავკაცებსა და ცილისმწამებლური წერილების "მხილებულ" ავტორებს _ არაკომპეტენტურად იქცევით, ფეხი ვერ აუწყვეთო სეპარატიზმის გენერალური სტრატეგიის სვლაგეზს _ მიპარვითი და ეტაპობრივი ტაქტიკის ნაცვლად, ამჯერად მიზანშეუწონელ შტურმზე რად გადახვედითო!..

1978წ. 11 აპრილი: გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. აფხაზეთში სეპარატისტულ მოთარეშეთა აულაგმაობის შედეგად პირველი მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლებული **ვ.ხინთბას** ნაცვლად არჩეული იქნა **ბ.ადლეიბა.** სეპარატისტთა აზრით, 18 მარტს გამართული პარტიული აქტივი "ქართულ" მიზნებს ემსახურებოდა და ეს არ აპატიეს **ვ.ხინთბას**. პლენუმს თბილისიდან ესწრებოდა საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანი **გ.კოლბინი**. იმავე დღეს გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მერვე სესია. მოსმენილ იქნა **ლ.მარშანიას** მოხსენება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესახებ.

1978წ. 13 აპრილი: გაიმართა საქართველოს სსრ საკონსტიტუციო კომისიის სხდომა. მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის **ე.შევარდნაძის** შესაბამისი მოხსენება. კომისიამ მოხსენება მოიწონა და რეკომენდაცია მისცა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმს მიეღო განსახილველად.

1978წ. 14 აპრილი: გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი. განხილულ იქნა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი. მან დაადგინა: **"მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე.შევარდნაძის მოხსენება" "საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო განხილვის შედეგების შესახებ" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1978, 15 აპრილი).**

იმავდროულად დაიწყო და მომდევნო დღეებში მუშაობა განაგრძო საქათველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მერვე რიგგარეშე სესიამ. მან მიიღო დეკლარაცია საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ. საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) ძალაში შევიდა **15 აპრილიდან**. მანამდე, როგორც კი გამოქვეყნდა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი, საქართველოში სახალხო გულისწყრომა გამოიწვია კრემლის ვერაგულმა ხრიკმა, _ მას ფარატინა ქაღალდზეც კი არ უნდოდა დაეშვა ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი და გეზი მთლიანად სამარქაფო "მეორე მშობლიური" ენისკენ _ ლენინის ენისკენ იქნა აღებული. ახალი კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლი ასე ჩამოყალიბდა: **"საქართველოს სსრ რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1978, 24 მარტი).**

ეროვნული მოძრაობის ძალისხმევამ ჩაშალა რუსისტული ფარისევლობა. ყოველმხრივ იქნა მხილებული **ე.შევარდნაძის** კოლაბორაციონისტული მანევრები და ეროვნულმა ნებამ გაიმარჯვა _ კონსტიტუციის ეს მუხლი ასე დადგინდა: **"საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა".** ამის შემდეგ კრემლმა

მზაკვრული თადარიგი დაიჭირა რევანშისათვის. წინ იყო აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციასთან დაკავშირებული მოვლენები. მანამდე კი მის მიერ წახალისებულმა სეპარატისტებმა **ვ.ხინთბას** გათავისუფლება მორიგ გამარჯვებად აღიქვეს, მით უმეტეს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს მიერ სკკპ რიგებიდან გარიცხული აფხაზეცური მოძრაობის ლიდერები საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს მოთხოვნით ისევ აღადგინეს სკკპ რიგებში. სეპარატისტულ ავტონომიაში კვლავ აღსდგა ქართველთმოძულეობისა და აფხაზეცური აულაგმაობის თარეში.

ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ პროფესორ **გ.როგავას** მონაყოლს: "აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა მრავალბინიან სახლში ვცხოვრობდი სოხუმში. აქ ქართველებთან ერთად გვემეზობლებოდნენ აფსუები, რუსები, არმენები, ებრაელები და ა.შ. მეზობლები ახალ წელს ერთად ვხვდებოდით, დღესასწაულებზეც მოვიკითხავდით ერთმანეთს, ლხინი და ჭირი საერთო გვქონდა. ასე ჩანდა მაშინ.

ერთხელ, **1978 წლის გაზაფხულზე** ეზოში შემოვედი, ვხედავ ბავშვები ომობანას თამაშობენ. არის ერთი ჟივილ-ხივილი, მათგან მოშორებით კი ერთი ბავშვი გულამოსკვნილი ტირის. მივედი და მოვეფერე, ვკითხე, თუ რა ატირებდა. გაირკვა, რომ მას ომობანას თამაშის დროს ქართველი უნდა განესახიერებინა ე.ი. _ მტერი. **"არ მინდა ქართველობა, ისინი ძაღლები არიანო!.."** იგი გვარად **ბებია** გამოდგა (ეს მეგრული გვარია), მამამისი "აფხაზეცი" გახლდათ. ეს არ იყო გამონაკლისი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბეებზე თავის 6 წლის შვილიშვილთან ერთად ადიოდა ერთი აფსუა პროფესორი. ზემოდან ქართველი სტუდენტები ჩამოდიოდნენ და ქართულად ლაპარაკობდნენ. ბავშმა თავისი სათამაშო ავტომატით "ტყვიის ჯერი" გააყოლა მათ და თან მიაძახა: **"სმერტ გრუზინამო!.."** ასეთი იყო ოფიციალური და ყოფითი განწყობა ქართველებისადმი, რომელსაც ყოველმხრივ აღვივებდა და აქეზებდა რუსიზმი. აფხაზეცურ რესპუბლიკაში ხელისუფლება ეთნოკრატიულმა იატაკქვეშეთმა ჩაიგდო ხელში, ოფიციოზის საქმიანობა, სეპარატისტული შტურმისათვის მხოლოდ და მხოლოდ ამ მხრივ საჭირო სამართლებრივი ბაზისის შექმნის მცდელობადღა იქცა. სეპარატისტების ხულიგნურმა ჯგუფმა **1 მაისის წინადღეებში** მკაცრად გააფრთხილა გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **მ.კვანტალიანი**, რომ თუ იგი საპირველმაისო დემონსტრაციას მიიღებდა _ მას მოკლავდნენ. იგი აღმოჩნდა მხდალი და **1 მაისს** შინ ჩაიკეტა, ხოლო **4 მაისიდან** საერთოდ გაიპარა გაგრიდან.

1978წ. 15 მაისს გაიმართა აფხაზეთის ასსრ ახალი კონსტიტუციის მოსამზადებელი კომისიის სხდომა. მას თავმჯდომარეობდა **ბ.ადლეიბა** _ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. იმავე დღეს **ბ.შინკუბას** თავმჯდომარეობით შედგა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც 26 მაისისათვის საგანგებო სესია მოიწვია.

1978წ. 17 მაისს აფხაზეთის ასსრ პრესაში "აფხაზურ" (აფხაზეცურ), ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი.

1978წ. 18 მაისს აფხაზეთის ასსრ შს მინისტრი ქართველი **ო.ქოჩლაძე** გაათავისუფლეს და მის ნაცვლად მოსკოვიდან ჩამოიყვანეს რუსი **ი.კლიმოვი.** ამის შემდეგ **1989 წლის აგვისტომდე** აფხაზეთში შს სამინისტროს მოსკოველი მინისტრები ჰყავდა. ესე იგი ამ უწყებაში კრემლი მის თბილისელ ნამესტნიკებსაც არ ენდობოდა და უშუალოდ თავად დაიქვემდებარა. შედეგებიც აქედან გამომდინარეა.

სეპარატისტების გამოსვლების დროს მათი ნიღაბახდილი სახე ნათლად გამოჩნდა ისეთ პროვოკაციულ ლოზუნგებში, როგორც იყო **"სიკვდილი ქართველებს", "ძირს ქართული ენა", "ქართველებო, წაეთრიეთ აფხაზეთიდან".** იმ დღეებში პროვოკატორებმა დაამსხვრიეს **შოთა რუსთაველის** ბიუსტი **ს.ჭანბას** სახელობის სოხუმის სახელმწიფო

დრამატულ თეატრში. დაიწყო ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ აღვირახსნილი ტერორი და ქუჩებში მათთან ანგარიშსწორება. ასე მაგალითად, გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის პასუხისმგებელი მუშაკი **გოგრიჭიანი** პროვოკატორებმა სანადირო თოფით დაჭრეს, ხოლო სოფელს თვითნებურად უწოდეს **ორჯონიკიძე** (აფხაზეთში საქართველოს მტრის _ **სერგო ორჯონიკიძის** კულტი იყო).

1978წ. 21 მაისს ქ.სოხუმში **ვ.ი.ლენინის** მოედანზე დილიდანვე თავი მოიყარეს სეპარატისტებმა, მათ მიერ შეცდომაში შეყვანილმა აფსუა ეროვნების მოქალაქეებმა და პროვოკატორთა მიერ წაქეზებულმა ეგზალტირებულმა ბრბომ, რომელთაც წამოაყენეს ცილისმწამებლური და ქართველთმოძულეობითი ლოზუნგები. მოედანზე მოსულმა **ე.შევარდნაძემ** მათი დამშვიდება მოინდომა, მაგრამ აღნიშნულმა ბრბომ მას მიკროფონი ჩამოუგლიჯა. დაცვამ ძლივს მოასწრო საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის გარიდება თავაშვებული ხულიგნების წიხლებისაგან.

იმავდროულად მუშაობა დაიწყო საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის აქტივის კრებამ. სამსჯელოდ გამოიტანეს საკითხი **"აფხაზეთის ასსრ ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობის შესახებ".** მოხსენებით გამოვიდა **ბ.ადლეიბა**, თუ როგორ მიმდინარეობდა საგანგებოდ დაგმანულ დარაბებს მიღმა ეს "აქტივი", სულ მალე თვალსაჩინოდ აისახა სეპარატისტული ხროვის ლაგამამოუდებ თავაწყვეტაში. ამ კრებაზე ვრცელი სიტყვით წარსდგა სკკპ ცკ-ის მდივანი **ი.კაპიტონოვი.** მან ამჯერად რუსიზმის მიერ აგორებულ სეპარატისტულ თავაშვებულობას ნებადართულობის რეგლამენტი დაუზუსტა: **"წამოჭრილია საკითხი აფხაზეთის ასსრ საქართველოს სსრ შემადგენლობიდან რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში გადასვლის შესაძლებლობის შესახებ". "...და კიდევ ერთი საკითხის შესახებ, კონსტიტუციის საკითხის განხილვისას ცალკეულ კრებებზე შემოქვთ წინადადება სახელმწიფო ენის ჩამონათვალიდან ქართული ენის ამოღების შესახებ" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 23 მაისი, 1978წ.) ესეც შენი რევანშისტული პასუხი 14 აპრილისათვის!... ი.კაპიტონოვმა** სეპარატისტებს გააცნო ის "დათმობები", რაც თბილისში დისლოცირებულმა რუსიზმის შტაბმა ე.წ. საქართველოს კპ ცკ-ის საგანგებო დადგენილების სახით მიიღო და ეს გეყოფათო ამჯერად, მოუწოდა აფხაზეცობას: **"...სწორედ აქეთკენ _ ხალხთა შორის ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, თავის დროზე დაშვებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისკენაა მიმართული საქართველოს კპ ცკ-ის _ ძალისხმევა" (იქვე).**

კრემლმა აფხაზეთის არეულობებით სრული კომპენსაცია მიიღო თბილისური მარცხისათვის. უფრო მეტიც, საქართველოს კპ ცკ-ს ერთგვარი "მობოდიშების" დადგენილებაც მიუღია. კერძოდ, გაიმართა აფხაზეთის ასსრ-ის ცხელ წერტილებში პარტიული ე.წ. აქტივები: გაგრაში იგი **გ.კოლბინმა** ჩაატარა, გუდაუთის რაიონში _ **ზ.პატარიძემ** და **ჯ.პატიაშვილმა**, სოხუმში _ **ე.შევარდნაძემ**, **ვ.სირაძემ**, **ს.ხაბეიშვილმა**.

1978წ. 22 მაისს საქართველოს კპ გაგრის ქალაქკომის პლენუმმა ძირითადად გუდაუთელ სეპარატისტთა ბრბოს მიერ გაგდებული პირველი მდივნის (კაცმა რომ თქვას სამართლიანადაც, მან დაყიდა და გაასხვისა ქართული მიწები), **მ.კვანტალიანის** ნაცვლად **გ.ნაჭყებია** "აირჩია" საქართველოს კპ გაგრის ქალაქკომის პირველ მდივნად. მაგრამ იგი ამავე ბრბომ, იმ მიზეზით, რომ ახალი მდივანიც ქართველი იყო, რაიკომის შენობაში არ შეუშვა. **ე.შევარდნაძე, მ.კოლბინი,** და **ბ.ადლეიბა** იმწამსვე გაგრაში გაჩნდნენ. გუდაუთიდან საგანგებოდ ჩამოყვანილ დებოშიორებს გაგრის ქალაქკომის პირველი მდივნის რანგში გუდაუთიდანვე ჩამოყვანილი რაიკომის პირველი მდივანი **ასტიკო გვარამია** (აფხაზეცი) წარუდგინეს. გაოცებულ პარტაქტივთან და შეგინებულ ქართველ საზოგადობრიობასთან საქართველოს კპ ცკ-ისა და საოლქო კომიტეტის წარმომადგენლობამ შეხვედრა არ ინება.

1978წ. 23 მაისი სკკპ ცკ-ის მდივნის **ი.კაპიტონოვის** მიერ დამოწმებული საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილება **"აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას შორის ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ".** ურცხვად ამახათებდა თეთრ ძაფს: **"აფხაზი ერის მიმართ წარსულში დაშვებული შეცდომების დანაშრევებმა, აგრეთვე რიგი პრობლემების მოუგვარებლობამ ამჟამად აფხაზი მოსახლეობის საყვედურები გამოიწვია..." (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი, მაისი 1978წ.).**

ზემოთ თქვენ ნახეთ, თუ რას იხვეწებოდა ნახევარი საუკუნის წინ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა. ამდენად საშუალება გაქვთ შეადაროთ, თუ როგორ შეძლო მათი შთამომავლობის გარჯულუცხოება დივერსიულმა საბჭოთა ავტონომიამ და მისმა პროვოკაციულმა დადასტურებამ ე.წ. "რესპუბლიკის სახელის მატარებელმა ხალხმა". აქედან გამომდინარე, ტაქტიკური შეცდომა გახლდათ, როდესაც სეპარატისტული გამოხდომების გასწვრივ (და თუ გნებავთ, შემგომ) ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქართველი მოსახლეობა არ ითხოვდა **სტალინური** ეთნოფაბრიკაციების შედეგად რეპრესირებული ხალხის სტატუსს. ამის მიზეზი გახლდათ ის განგებ შემოჩეჩებული თავის მართლებები, რომლებიც მიზნობრივად შემოუქსელებს მას. შემდეგ მან დაიჯერა, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ის ძირძველი არ იყო.

1978წ. მაისის ბოლო დღეებში ოფიციოზმა ფართოდ აღნიშნა თბილისსა და სოხუმში **ი.ჭავჭავაძის** 140 წლისთავი. თავის მოხსენებაში **პ.გილაშვილმა** (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ) განაცხადა, რომ **ი.ჭავჭავაძე** თავისი აზროვნების დონით ვერ ამაღლდა მარქსიზმამდე, მისი შემოქმედება არ არის მსოფლიო მნიშვნელობის, მაგრამ ქართველები პატივს ვცემთ იმდენად, რამდენადაც ჩვენი თანამემამულეაო. რაც შეეხება სოხუმში გამართულ ღონისძიებას, გარეგნულად იგი უფრო პომპეზური იყო, ვიდრე თბილისისა.

ს.ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეტრში თავმოყრილ ეთნოკრატ და პარტოკრატ ნომენკლატურასა თუ სეპარატისტულ საზოგადობრიობას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **გ.ძიძარიამ** წაუკითხა ვრცელი მოხსენება, რომელიც **პ.გილაშვილისაგან** განსხვავებით **ი.ჭავჭავაძის** მოღვაწეობას საკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებდა. ამისდა მიხედვით, მომხსენებელმა აღნიშნა **ილიას** წვლილი "აფხაზი" ხალხისადმი თანადგომაში, რითაც შეპარვით განაცხადა: აფხაზეთი არ არისო საქართველო (რა თქმა უნდა, **ილია ჭავჭავაძე,** მისი საიმედო თანამებრძოლის **გიორგი შარვაშიძის** დარად, აფსუა ეთნოსის გენოციდის წინააღმდეგ იბრძოდა, ამ სასაკლაოს კი რუსეთი წარმართავდა. ამავე დროს **ილიამ** მშვენივრად იცოდა, თუ ვინ იყო აფხაზი).

ამ საუკუნის გარიჟრაჟზე **დიდი ილიას _ წმ. ილია მართლის** სტუმრობა აფხაზეთში უდიდესი ეროვნული მოვლენა გახლდათ. აფხაზეთში თავისი სახლიკაცების ღვაწლთან თანამოსანგრეობა სრულიად საქართველოს გაერთსხეულებას ნიშნავდა მხოლოდ და მხოლოდ!

1978წ. 26 მაისს ათიათასობით ბათუმელმა, ხელვაჩაურელმა, ქედელმა, შუახეველმა, ხულოელმა და ქობულეთელმა დემონსტრაცია მოაწყო ბათუმში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის შენობის წინ. მათი ძალისხმევა მიეძღვნა აჭარის ასსრ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვას. შიგადაშიგ იყო მოთხოვნები აჭარის ავტონომიის მიზანშეუწონლობის შესახებაც.

1978წ. 1 ივნისს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა აფხაზეთის ტოპონიმიკის მოწესრიგების კომისიის სხდომა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ მხარის

ტოპონიმიკა უნდა შეცვლილიყო აფხაზეც-სეპარატისტთა მიერ "მოძიებული და აღდგენილი" ნაყალბევი სახელებით.

თბილისური ოფიციოზისა და მისი სააფხაზეთო ვითომ ქართული ნომენკლატურისათვის თავზარდამცემი იყო ტოპონიმიკის საკითხებზე საუბარი. მათი აზრით, თუ ეთნოკრატია მიაღწევდა მის მიერ შერჩეული ტოპონიმიკის დამკვიდრებას, პარტოკრატია, როგორც ქართული ნომენკლატურა, ფუნქციას კარგავდა, მათ თავიანთი უვიცობის გამო ვერანაირი საპირწონე ვერ დაუდეს სეპარატისტებს. საქმე ის გახლავთ, რომ თურქმა და რუსმა დამპყრობლებმა ბოლო საუკუნეებში აფხაზეთის ტოპონიმიკა გადააკეთეს, შესაბამისად ჯერ თურქულით, შემდეგ რუსულით. მათი ნაწილი საბჭოთა პერიოდში შეიცვალა ან აშკარად აფხაზეცური ფორმით, ან კიდევ, რაჭულ-ლეჩხუმური სახელებით. ასე მაგალითად, მეგრული **ტკვა-რჩელი**, კიბე-ნაგები, გახდა აფხაზეცური ჟღერადობის **ტყვარჩალ** და სხვა. ისტორიული **აკაფა** ბესლეთის ხეობაში, რომელსაც რუსებმა არაერთხელ გადაარქვეს სახელი, "გაქართველების" შემდეგ ერთ ხანს რუსული დასახელებები მოაშორეს და ამგვარად დაიყო **ურავად, ოდიშად, ლინდავად, წინსვლად, ლეკუხონად.** აქ ღიმილისმომგვრელია ის, რომ გერმანული ლინდაუ (ლინდავაში გერმანელი კოლონისტები ცხოვობდნენ **მეოცე საუკუნის 40-იან წლებამდე**) სეპარატისტებს ქართული ეგონათ, არადა, იგი რუსული ექსპანსიის დროიდან დაერქვა მას. აფხაზეთში რუსების დამკვიდრების შემდეგ მთელ რიგ სოფლებს რუსული სახელწოდებები, ახალი მფლობლის ვინაობის აღნიშვნის შესაბამისად დაერქვა. ასე გაჩნდა პავლოვკა, კონსტანტინოვკა, ეკატერინოვკა, მარინსკოე და ა.შ. იმავე აკაფაში. კი ბატონო, აფხაზეთში გაჩნდა "ქართველთა" ე.წ. თეთრწყალა, შავწყალა, ცაგერა და ამგვარი _ აგრესიული სეპარატიზმისათვის აშკარად "დიდმპყრობლური ნივთმტკიცებები", მაგრამ არავინ არ იხედებოდა სამასი წლის იქეთ და არ მოითხოვდა ძირძველი ტოპონიმიკის აღდგენას, რომელიც პირწმინდად ქართული იყო. საბჭოთა ისტორიოგრაფიის დივერსიული სწავლებიდან გამომდინარე, საქმეში ჩაუხედავმა ქართულმა მხარემ, რაკიღა ზემოთხსენებული "ნივთმტკიცებები" მართლაც "პროვოკაციულად ჟღერდა", სეპარატისტთა სარჩელს ვერაფერი დაუპირისპირა, არადა, სულ მარტივი რამ იყო საჭირო: კი ბატონო, რა თქმა უნდა, აღვადგინოთ აფხაზეთის ტოპონიმიკა, მაგრამ აღვადგინოთ ჭეშმარიტი და არა თურქიზებულ-რუსისტული ფორმები, უფრო მეტიც, გამოვაქვეყნოთ მუჰაჯირობის დროს გადასახლებულთა გვარებიც (ისინი პირწმინდად ქართული (მეგრული) გვარებია, საუბედუროდ, თურქებმა მოახერხეს მათი ცნობიერების გარკვეულწილად გაბურუსება).

1978 წლის ივნისისათვის გუდაუთის რ-ნში თავი აიწყვიტა აგრესორ სეპარატისტთა ქართველთსპობითმა თარეშმა. ამ განუკითხაობის დროს მათ ს.ლიხნში მოკლეს ქართველი ახალაგზრდა **ბორის ჩალაძე.** ამის გამო დამნაშავეები არ გაუსამართლებიათ.

1978წ. 3 ივლისი: გამოქვეყნდა სკკპ ცკ-ის და სსრკ მინისტრთა საბჭოს **1978 წლის ივნისის** დადგენილება აფხზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. თუ საქართველოს კპ ცკ-ის ანალოგიური დადგენილება ერთგვარი მობოდიშებაა სეპარატისტების წინაშე, კრემლი ამჯერად თითს უქნევდა თბილისს და ასეთი ტონით ავალებდა **"მეტ მზრუნველობას მოითხოვს აფხაზეთის..." "...საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა 1979-81 წლებში უზრუნველყოს... და ა.შ (გაზ. გაზეთი "საბჭოთა აფხაზეთი", 1978, 3 ივლისი).**

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია ადრე დანიშნული **26 მაისიდან,** გასაგები მიზეზების გამო, სწორედ ამ დადგენილების გამოქვეყნების შემდგომი დროისათვის _ **6 ივნისისთვის** გადმოიტანეს. მანამდე საქართველოს კპ ცკ-ის მთელი ბიურო ღობე-ღობე, ბილიკ-ბილიკ დასდევდა სეპარატისტებს და ებოდიშებოდა.

1978წ. 6 ივნისს გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია. სეპარატისტთა სულიერმა მამამ **ბაგრატ შიკუნბამ** არაოფიციალური დირექტივა გასცა: მიღწეულს დავჯერდეთ, ამ ეტაპზე მეტის მონდომება მკვდრადშობილი საქმეაო. ყველაფრისდა მიუხედავად, სეპარატისტები ავანტიურაზე გადმოდიოდნენ და მაშინ, ასეთ უთანასწორო პირობებში ჩავარდნილმა აფხაზეთის ძირძველმა ქართველმა (მეგრელმა) მოსახლეობამ თავისი ვინაობისათვის საკადრისი სიტყვა სთქვა და შესაბამისი საჭიროებით მართული გაერთმუშტებაც აჩვენა: მან სეპარატისტების მიერ წინა კვირას საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის **ე.შევარდნაძის** ლენინის სახელობის მოედნიდან გაპანღურება ღირსების შეგინებად და სულში ჩაფურთხებად მიიჩნია (ბედის ირონიაა, თავად **ე.შევარდნაძეს** იგი ჩამოხოცილი ჰქონდა უკვე).

1978წ. 6 ივნისს, დილიდანვე, ცხუმ-აფხაზეთის ქართველობამ სამშვიდობო აქცია გამართა. ათიათასობით ქართველი, ფსოუდან ენგურამდე თავს იყრიდა ქ. სოხუმში **ვ.ი.ლენინის** მოედანზე და მოითხოვდა ოფიციოზთან შეხვედრას. ამასობაში სესიაზე ამ აქციის წყალობით (კრემლიდანური ოფიციოზი დაფრთხა), ძირითადი პერიპეტიები დასაბამისმიერი მოსახლეობისათვის დადებითად გადაწყდა. დღის ორ საათზე პარტიული ელიტა ლენინის მოედანზე შეკრებილთ წარუდგა. **ე.შევარდნაძემ** თავის სიტყვაში ისევ რუსეთისკენ მიაბრუნა სათაყვანოდ თავი: **"ჩვენ ქართველები და აფხაზები, საბჭოთა საქართველოში მცხოვრები ხალხები, გულითადი მადლობის სიტყვებით მივმართავთ დიდ რუს ხალხს, პირველს თანასწორთა შორის. როგორც საბჭოთა კავშირის ჰიმნშია ნათქვამი _ "თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1978, 8 ივნისი).**

1978წ. 7 ივნისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

1978წ. 3 აგვისტო: ქართველმა საზოგადოებრიობამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მძვინვარე საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების წინააღმდეგ ქ.გაგრაში ჩაატარა საპროტესტო მიტინგი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მხარეში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის.

1978წ. 1 სექტემბერს სეპარატისტებმა დაარბიეს სოფელ ბზიფის ქართული საშუალო სკოლა და კოცონზე დაწვეს ქართული წიგნები. გამოიფინა ლოზუნგები "სიკვდილი ქართველებს", "ქართველებო წაეთრიეთ!"

1978წ. 3 სექტემბერს ქ.გაგრაში დაინიშნა კანონგარეშე მდგომარეობაში აღმოჩენილ ქართველთა საპროტესტო გამოსვლები, რის გამოც **2 სექტემბერს** საქართველოს სსრ პარტიული ხელმძღვანელობისა და მთავრობის მიერ გაიცა განკარგულება გადაკეტილიყო აფხაზეთისაკენ სატრანსპორტო გზები.

1978წ. 5 სექტემბერს, როგორც კი ცხუმ-აფხაზეთში დაიწყო ქართული ეროვნული ცნობიერების სახალხო მიზანმიმართულებად ჩამოყალიბება, საქართველოს კპ ცკ-ის ბიურომ მიიღო დადგენილება, რომელიც კრძალავდა გამოსვლებს, იგი, სინამდვილეში მხოლოდ ქართველებზე გავრცელდა, ვინაიდან კრემლისგან წაქეზებული სეპარატისტები, ამ დადგენილებისდა მიუხედავად, როგორც მათ სურდათ, ისევ ისე დაპარპაშობდნენ.

1978წ. 21 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გარდაცვლილი **შ.თათარაშვილის** ნაცვლად დაინიშნა **იუზა ჯახოს ძე უბილავა.**

1978წ. 22 სექტემბერს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა იგი საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია. ამ დანიშვნას მოჰყვა სეპარატისტთა მღელვარებანი, რომელმაც განსაკუთრებით პროვოკაციული ხასიათი მიიღო ე.წ. ტაქსო-მოტორების პარკში _ გაიფიცნენ აფხაზეცი ტაქსისტები.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაქსისტად, როგორც პრესტიჟულ და შემოსავლიან სამსახურში, ძირითადად აფხაზეცები მუშაობდნენ. ამ უწყებაში ბობოქრობდა განუკითხაობა, მექრთამეობა, დაუსჯელობის სინდრომი.

ამის საპასუხოდ უკვე საკმაოდ აღშფოთებულმა ქართველობამ გალის, გულრიფშის, სოხუმის რაიონებსა და ქ.სოხუმში გამართეს მშრომელთა აქტივის კრებები. სოხუმის რაიონში მწვავე სიტყვით გამოვიდა რაიონის პროკურორი **ხუტა სალია**. მან, მისდა სასახელოდ, ამხილა სეპარატიზმის მკვებავი წყარო, რისთვისაც იგი იძულებული შეიქმნა აფხაზეთი დაეტოვებინა, უფრო გვიან საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა ეს ახალგაზრდა კაცი. გვიან, **1993 წელს** მისი ვაჟიც შეეწირა დატრიალებულ ავანტიურას. ამ დროისათვის ახალი აღმავლობით დაიწყო აფხაზეცური სეპარატიზმის პოტენციური მოკავშირის _ არმენული კლანის ლობისტურ "თვითგამორკვევად" გარდაქმნა.

ი.უბილავასთან ერთად, იმავე დღეს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა **სუმბატ აგასერის ძე სააკიანი,** საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის გამგედ **გეღამ უსიკის ძე ბანდურიანი**, არმენი კადრები მასიურად დაინიშნენ მინისტრთა საბჭოსა და რაიკომების ინსტრუქტორებად და ა.შ. ამათგან **ს.სააკიანმა** არ გაამართლა სეპარატისტთა იმედები. ის სისწორის მხარეზე დადგა. ხდება ასეთი გამონაკლისიც _ ასე, მაგალითად, სოხუმში **ქრ.ავდალბეკიანი** 1918-21 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მოღვაწეობდა.

1978წ. 24 ოქტომბერს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში ფართოდ ჩატარდა **სტეფანე შაუმიანის** 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

1978წ. 17 ოქტომბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეობის მოვალეობიდან გათავისუფლდა **ბ.შინქუბა** და მის ნაცვლად დაინიშნა **ვ.კობახია,** შინაარსობრივად ეს დანიშვნა სეპარატისტული მოძრაობის შესუსტებას არ ნიშნავდა. პირიქით, "გათავისუფლებულ" **ბ.შინქუბას** მიეცა საგანგებო _ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრჩევლის სტატუსი და იგიც უფრო ფრთებგაშლილი ეწეოდა თავის ჩვეულ საქმიანობას,_ ქართველთმოძულეობას.

1978წ. 27 ნოემბერს სკკპ ცკ-ის პლენუმმა პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია საქართველოში რუსიზმის ნაცადი დასაყრდენი **ე.შევარდნაძე.**

1978 წელს აფხაზეცმა სეპარატისტებმა ხელყვეს **შ.რუსთაველის** ძეგლი გაგრაში, სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და გალის რაიონის სოფელ აჩიგვარაში.

1979წ. 17 იანვრისათვის დასრულდა სსრკ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. სეპარატისტების ზეწოლის შედეგად წინასწარ იქნა გათავისუფლებული (მას შემდეგ, რაც ვერ გადაიბირეს) აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს ქართველი უფროსი **ტ.კვეკვესკირი** და მის ადგილზე დანიშნეს **ტ.ფიოდოროვა.** აღწერამ გააყალბა აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის მაჩვენებელი ეროვნების მიხედვით და ეთნოფაბრიკაციული აფხაზეცობა მომატებულად გაასაჯარისა, ასევე იყო ცალკეული მცდელობა ქართველების ტომობრივი ნიშნით დიფერენცირებისა და მათი ამ სახით აღწერის.

1979 წელს საბჭოთა იმპერიის დედაქალაქ მოსკოვში გამომცემლობა **"პლანეტამ"** უმაღლესი ხარისხის ქაღალდით მდიდრულად და მასობრივი ტირაჟით გამოსცა ფოტოალბომი **"Абхазия"**, რომელშიც ცხუმ-აფხაზეთის ისტორია, კულტურა, ყოფითი შინაარსი და ბუნებრივი ეთნოხედი ნაყალბევად იყო წარმოჩენილი.

1979წ. 23 იანვარი _ საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმმა ბიუროს წევრობის კანდიდატად აირჩია საქართველოს სამი ავტონომიის საოლქო პარტიული ორგანიზაციების პირველი მდივნები: **ბ.ადლეიბა, ვ.პაპუნიძე, ფ.სანაკოევი.**

1979წ. 8 თებერვალს სოხუმის **ა.მ.გორკის** სახელობის პედინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა მიტინგი პედინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნის გამო. მომდევნო დღეებში შეიცვალა ამ უმაღლესი სასწავლებლის აბრა. სეპარატისტებს არ მოეწონათ ის, რომ მას ეწოდა "გოსუდარსტვენნი უნივერსიტეტ აბხაზიი." მათი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ მისი სახელწოდება შეიცვალა ასე: **"აბხაზსკიი გოსუდარსტვენიი უნივერსიტეტ იმენი მ.გორკოგო".** ე.ი. აფხაზეთის კი არა, აფხაზური (იგულისხმება აფხაზეცურ _ ოქტომბრისენოვანი) უნივერსიტეტი.

1979წ. 6 მარტს საქართველოს კპ ცკ-ის მდივანმა **გ.კოლბინმა** გარდამავალი დროშა გადასცა აფხაზეთის მშრომელებს.

1979წ. 28 მარტს მოსკოვში ლიხაჩოვის საავტომობილო ქარხანაში გაიმართა სეპარატისტულ-პროპაგანდისტული ღონისძიება. "მადლიერი მკითხველები" შეხვდნენ და ესაუბრნენ **ბ.შინკუნბას.**

1979წ. 24 აპრილს სოხუმში გაიმართა მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება. მისი მუშაობა წარმართა **ე.შევარდნაძემ**. ამ შეკრებით საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა აჩვენა, რომ "სიტუაციას ის აკონტროლებს" აფხაზეთში.

1979წ. 21 ივლისს სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა.კოსიგინი** ეწვია გუდაუთის რ-ნის სოფლებს დურიფშსა და ლიხნს.

1979წ. 31 ივლისს "მაღალი სტუმარი" გახლდათ ჭიათურაში; **1 აგვისტოს** ზესტაფონში, წყალტუბოში, ქუთაისში, ცხაკაიაში, მომდევნო დღეს იყო ტყვარჩელში.

ამ ვოიაჟში მას ახლდნენ **ე.შევარდნაძე** და **ა.ინაური**.

ამავე პერიოდში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სწავლულმა მდივანმა (იგი აგრეთვე მუშაობდა სსკპ ცკ-ის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ) **ნ.ტრაპეზნიკოვმა** ქ.სოხუმში წაიკითხა ლექცია, რომლის დროსაც საჯაროდ განაცხადა, _ **ლ.ბერია** რომ არ დაეხვრიტათო რუსებს, ქართველები აფხაზებს აქედან გადაასახლებდნენო.

1979წ. 10 აგვისტოს ე.შევარდნაძე იყო ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და წალკის რაიონებში. ეს რაიონები არც მაშინ და არც დღეს არ იღებენ თბილისიდან ტელე და რადიო გადაცემებს, სამაგიეროდ აქ შეუფერხებლად მუშაობენ არმენეთის ტელე და რადიოსადგურები.

1979წ. 7 აგვისტოს საქართველოს კპ ცკ-მა მიიღო დადგენილება **"რესპუბლიკის აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ".** ასევე, იმავე ხანებში მიღებული იქნა ღონისძიებათა ჩამონათვალი **ქურთული** კულტურისა და ენის დაცვის თაობაზე. საქართველოს ოფიციალური იერარქიები ლამის ჯილდოებს ურიგებდნენ საქართველოში მცხოვრებ ინტერფრონტულ ეთნონედლეულს, ეს რა მადლი მოისხით, ჩვენთან რომ ასე აგრესიულად მოსახლეობთო!.. მთელი უბედურება ის გახლდთ, რომ ლენინური ინტერნაციონალიზმი ხალხთაშორის კეთილმოსურნეობას გამორიცხავდა. "ქართული" სტუმართმოყვარეობის შორსგაუხედაობითა და გულარხეინობით ერისა და ქვეყნის ეთნიკური გასარეველიანება, აი, ქართველთსპობითი აგრესიის ერთ-ერთი მეთოდი (სიმწრისგან გაგეცინება: არსებობს მეფე ერეკლე II-ის მიერ 1774 წელს გაცემული წყალობის წიგნი, რომლითაც მან ვინმე ოსს, **თუჯუკო კუდუხაშვილს** აზნაურობა უბოძა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ჩრდილო კავკასიიდან ოსები ლიახვის ხეობაში ბლომად ჩამოასახლა...).

ამ დროს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ **1978 წლის 14 აპრილს** ქართული ენის სახელმწიფოებრიობის სტატუსის შენარჩუნებას საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციაში, რომელიც სახალხო ძალისხმევით მოხდა, საქართველოს კპ ცკ-ს

თავისი არსებობის მანძილზე ჯერ ქართული ენისა და ეროვნული კულტურის დამცავი დადგენილება არ მიუღია!....

1979წ. 8 სექტემბერი. გაზეთმა **"საბჭოთა აფხაზეთმა"** გადმობეჭდა **ე.შევარდნაძის** საუბარი ჟურნალ **"Литературное Обозрение"-ს** კორესპონდენტთან: **"თბილისში ხალხთა მეგობრობის მუზეუმი დაარსდა, როგორც ფუნდამენტური მუზეუმი, რომელმაც, პირველ ყოვლისა, რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა უნდა ასახოს. მისი გახსნა იმ დიდი ზეიმის კომპლექსური პროგრამის ნაწილია, რომლითაც რესპუბლიკაში გეორგიევსკის ტრაქტატის მეორასე წლისთავი აღინიშნება. რუსი და ქართველი ხალხების სამარადისო ძმობასა და მეგობრობას ამ პირველი ისტორიული მანიფესტით მიეცა დასაბამი".** შემდგომში ეს გახდა პაროლი, რომლის შესაბამისადაც რესპუბლიკის საინფორმაციო სამსახურებმა დაიწყეს უღირსებო და ქედდაღუნული ლაქლაქი მონურ და ცალმხრივ "ძმობაზე დიდ რუს ხალხთან"...

1979წ. 17 სექტემბერს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც მთელ რიგ სირთულეებს ქმნიდა (თითქმის კრძალავდა) გეოგრაფიული სახელების (ტოპონიმიკის) დარქმევა-გადარქმევას. აფხაზეთის ასსრ სინამდვილეში მან მიიღო ისეთი ხასიათი, რომ აქედან გამომდინარე, შეუძლებელი გახდა ცხუმ-აფხაზეთში უძველესი ისტორიული სახელწოდებების აღდგენა, რაც სეპარატისტული აულაგმაობის ვითარებაში ახალ-ახალი დემაგოგიის საშუალებებს ქმნიდა.

ამ დროს აგრესიული სეპარატიზმის ძალისხმევის გასწვრივ საუბარი იმის შესახებ, რომ აღდგენილი უნდა ყოფილიყო ცხუმ-აფხაზეთის ბუნებრივი გეოგრაფიული სახელები (რუსიზმის მიერ გადარქმეული აფხაზური, ე.ი. მეგრული (ქართული) სახელები), რა თქმა უნდა, დღის წესრიგში არ დამდგარა, პირიქით.

1979წ. 1 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა საკავშირო თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი **"იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის,"** თავის მოხსენებაში საქართველოს კპ ცკ-ის მდივანმა **გ.ენუქიძემ** მობოდიშებასავით გაუბედა სსრკ-ის იმ გამომცემლობებს, რომლებიც აფხაზეთის შესახებ მასიური ტირაჟით გამოსცემენ სხვადასხვა გაყალბებულ წიგნებს: **"... подобные акции льют воду на мельницу националистической пропаганды, а зачастую являются и ее отголоском. В оценке таких проявлений очень важно видеть не ушербное причин их вредность последствий, но и четко, по партийному вскрить цель: чему и кому такие изыскания служат" (газ. «Заря Востока», 2 окт. 1979г.).**

საქართველოს კპ ცკ-ის მდივნის გამოსვლაში ცილისმწამებლურ და ნაყალბევ გამოთქმათა ფალსიფიცირებული ხასიათი კი არ იყო მხილებული, არამედ "საქართველოს" იდეოლოგიური სამსახურის მესვეური მოითხოვდა _ გავჩუმდეთ, თავს ნუ ვიგიჟებთო. სხვათა შორის იგივე **გ.ენუქიძის** ორპირულ პოზიციას ე.წ. აფხაზური წერილის ავტორები ასე ახასიათებდნენ: **"Шовинистичесски настроенные круги Грузии, без всякого сомнения имеют возможность оказать влияние на ЦК КП Грузии, об этом свидетельствует тот факт, что во время беседы с научными сотрудниками Абхазского института языка, литературы и истории, на котором обсуждалась ситуация, сложившаясь в связи с выходом грузинской энциклопедии секретарь ЦК кп Грузии Г.Енуквадзе недвусмисленно заявил, что за историками стоят люди, с которыми ЦК КП Грузии не в состоянии справится" (გაზ. "Бзыбь", 1989წ. თებერვალ-მარტი).**

1979წ. დეკემბერი. საბჭოთა კავშირმა დაიწყო ავღანეთში საოკუპაციო რეჟიმის დამყარება, რომელსაც "ავღანეთის გათავისუფლება" და მოძმე ხალხისადმი "ინტერნაციონალური დახმარება" დაერქვა.*

პირველი ოფიციალური ცნობები ამის შესახებ პრესაში გამოჩნდა **1979 წლის 27-29 დეკემბერს** ("Правда", №367-363). დიდია ავღანეთის მრავალწლიან ომში როგორც

ავღანეთის მოსახლეობის, ასევე სსრკ ხალხთა მსხვერპლი. ამ სასაკლაომ შეიწირა ათიათასობით ქართველი ახალგაზრდა. მათ შორის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახლდათ სოხუმელი **ა.კარანაძე.** იმ დროისათვის აი, როგორი გულითადობით შუქდებოდა საბჭოთა პრესაში "ავღანეთის მოვლენები":

"Правда, 27 декабря 1979г. №361. знаменательная дата.

Кабул. 26 (соб. корр. «Правды») в Демократической Республике Афганистан началась подготовка к празднованию 15-ой годовщины создания Народно-Демократической Партии Афганистана. Датой рождения партии считается ее первий съезд, который состоялся в Афганской столице 1 января 1965 года и проходил нелегально. Эта дата будет повсеместна отмечаться по всей стране.

В связи с подготовкой к этому событию на афганских предприятиях проводятся вахты добровольного труда.

Л.Миронов.

29 декабря 1979. №363.

Заявление правительства Афганистана

Кабул 28 (ТААС) Кабульское радио передало сегодня заявление правительства Демократической Республики Афганистана. В ней говорится:

Правительство ДРА, принимая во внимание продолжающийся и расширяюшееся вмешательство и провокацию внешных врагов Афганистана, и с целю защиты завоеваний апрельской революции, территориальной целостности, национальной независимости и поддержания мира и безопасности, основываясь на Договоре о дружбе, добрососедстве и сотрудничестве от 5 декабря 1978г., обратилось к СССР с настоятельной просьбой об оказании срочной политической, моральной, экономической помощи, включая военную помощь.

Правительство Советского Союза удовлетворило просьбу афганской стороны.

Правда, 1979г. 29 декабря, №363.

По Кабульскому радио.

Кабул 28 (ТААС). Выступая по Кабульскому радио от имени и по поручению ЦК Единой народно-демократической партии, Революционного Совета и правительство Демократической Республики Афганистан, Бабрак Кармаль сообщил, что апрельская революция вступила в первый этап. Свергнута, подчеркнул он, кровавая клика Хафизуллы Амина и его приспешников, агентов американского империализма. Афганское радио передало, что революционный суд за преступления против благородного народа Афганистана, в результате которых были уничтожены многие соотечественники, в том числе гражданские и военные члены партии, представители мусульманского духовенства, интеллигенции, рабочих и крестьян, приговорил Х.Амина к смертной казни.

Приговор приведен в исполнение. Барбак Кармаль избран генеральным секретарем ЦК Единной народно-демократической партии Афганистана и Председателем Революционного Совета.

В состав революционного совета вошли:

Асадолла Сарварн, Султан Али Каштманд, Генерал Абдул Кадир, подполковник Гуль Ага, подполковник Мухамед Аслам Ватанджар, Нур Ахлад Нур.

---

*შეადარეთ აშშ-ს"ჰუმანიტარულ დახმარებას"

ამ მოვლენებთან დაკავშირებით გაზეთი "Правда" იტყობინებოდა (30, 31 დეკემბერი; 1, 2 იანვარი და ა.შ.), რომ სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა **ლ.ბრეჟნევმა** მიულოცა "წარმატებები" **ბაბრაკ ქარმალს**, ასევე ქვეყნდებოდა ავღანეთიდან წამოსული "სამადლობელი" წერილები და ა.შ. თითქოს ასე ვარდისფერში იყო ყველაფერი, ამ დროს

კი ათასობით სიცოცხლე იღუპებოდა ამ ომში. ბუნებრივია, ამ სისხლისღვრამ შეიწირა აფხაზეთის ახალგაზრდობაც.

1979 წელი. აფხაზეთში ასეთ გაგანია სისხლისღვრაში წამითაც არ შემწყდარა ეთნოდივერსიები. საბჭოთა კავშირის სადირექტივო წერილები აფხაზეთის შესახებ იქცა აფხაზეთის ასსრ სეპარატისტული ეთნოკრატიისათვის ("რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხისათვის") ჯერარნახულ მხარდაჭერად: ეთნოფაბრიკაცია შეუნიღბავ სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბდა. აფხაზეცური ფსევდო ნაციის ფაბრიკაციული წარმოება ხვავრიელ და ბარაქიან, დამკვრელურ-სტახანოვური შრომის ფერხულად იქნა ატაცებული. ოქტომბრისენოვანი და უწარსულო, ოქტომბრისავე ასაკის საბჭოთა ეთნოფაბრიკაციულ ნაციას _ აფხაზეცობას (და არა მოძმე აფსუა ხალხს) გაუხსნეს ოქტომბრისენოვანი "ეროვნული უნივერსიტეტი", 4 საოლქო და რაიონული აფხაზეცურენოვანი მრავალტირაჟიანი გაზეთი, 4 ყოველთვიური ჟურნალი ასევე დიდი ტირაჟით: ერთი ხუთად გაიზარდა გამომცემლობა **"ალაშარაში"** აფხაზეცური წიგნების გამოცემა, სეპარატისტული ლიტერატურა თავიანთ საგამომცემლო გეგმებში შეიტანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თსუ-ს გამომცემლობებმა. საქართველოში თვით მეცნიერებათა აკადემიის დონეზეც კი აფხაზეთის თემაზე ლიტერატურის გამოცემა მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. აბნის (სეპარატისტთა "მეცნიერული კერის") ვიზირების შემდეგ ხდებოდა. ამუშავდა აფხაზეცური ტელევიზია, რომელიც მძლავრი სეპარატისტული პროპაგანდის ძირითადი საშუალება გახდა. გაიზარდა აფხაზეცური რადიოგადაცემების ხანგრძლივობა. სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მიეცა თითქმის ყველა აფხაზეცურ თვითშემოქმედებით კოლექტივს: **"შარათინს", "რიწას", "ერცახუს", "ნართაას",** სიმფონიურ ორკესტრს, უხუცესთა ანსამბლს, გაიხსნა მოზარდ მაყურებელთა თეატრი _ მოსწავლე-ახალგაზრდობის გარჯულუცხოების მძლავრი კერა. ამ დროს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს _ აფხაზეთის დასაბამისმიერი მოსახლეობის ყოფის, ისტორიის, მათი ეთნოგრაფიის, თვითშემოქმედების, ჭეშმარიტი ტოპონომიკის აღდგენის ხელშეწყობისათვის კაპიკი არ დახარჯულა.

დიახ, ასეთი აფხაზეცური აღმშენებლობის მძლავრი კონვეიერისათვის დაიბანდა აფხაზეთის შესახებ სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კპ ცკ-ის ცნობილ დადგენილებათა შესაბამისად გამოყოფილი თანხების ასტრონომიული ციფრი.

ამ თანხიდან ერთი კაპიკი არ დახარჯულა კოდორის ხეობისათვის, სადაც ხალხი უგზოობის გამო ათწლობით იტანჯებოდა. იგი არ მოხმარებია მრავალსაუკუნოვანი ქართული სოფლებისა და დასახლებების კეთილმოწყობას.

ეს წლები ცხუმ-აფხაზეთის ჭეშმარიტი შინაარსის საბოლოო გაუკუღმართებისთვის ქუდზეკაცური წესით დარაზმული წლებია. საამისოდ აფხაზეთის **ა.მ.გორკის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ე.წ. აფხაზეთის ისტორიის ეთნოფაბრიკაციული კათედრა; საშუალო სკოლებში, როგორც ცალკე სასწავლო საგანი, დივერსიული მიზნით შემოღებული იქნა აფხაზეთის ცრუ ისტორია. ანტიქართული მოღვაწეობით უკვე აშკარად დასაქმდა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი თუ ე.წ.საზოგადო მოღვაწეთა სახლ-მუზეუმები, ქართული არქიტექტურისა და კულტურის ისტორიულ ძეგლებს ნაყალბევი განმარტებები მიეცა, ეთნოდივერსიული უწყება გახდა აფხაზეთის საექსკურსიო ბიურო, ტურისტული მომსახურების სამსახური და ა.შ. და ა.შ.

ქართველი საზოგადოებრიობა აღაშფოთა ამ დროისათვის **ს.ჭანბას** სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრიდან ქართული დასის ყველაზე უარესი ვარიანტით გამოყოფამ. ამ დროს თეატრის მთავრი რეჟისორი იყო **ი.კაკულია.** ვინაიდან ამავე შენობაში თანამოღვაწე აფხაზეცური თეატრის მიერ ქართულ დასს შეექმნა აუტანელი ყოფითი და, რაც მთავარია, შემოქმედებითი პირობები, მას შემდეგ, რაც

სეპარატისტებმა ხელყვეს თეატრის ფოიეში **შ.რუსთაველის** ბიუსტი, ქართულმა დასმა პროტესტის ნიშნად დატოვა სამოღვაწეო შენობა, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრული შედევრი გახლავთ. ამრიგად, ქართველების მიერ აგებული შენობიდან ქართული დასი **1978 წელს** გავიდა ქუჩაში (იგი დროებით განთავსდა სოხუმის პიონერთა სასახლეში).

ეს ამბავი მიფუჩეჩდა, უფრო მეტიც, იგი "ახალი ქართული თეატრის დაბადებად" მოინათლა და **1979 წლის 25 თებერვლისათვის** (სიმბოლურია) ამ თეატრმა ნაქირავებ შენობაში უჩვენა პრემიერა "ახალგაზრდა გვარდია". ქართული თეატრის გაურკვეველი ბედის გამო ვითარება დაიძაბა, რის გამოც აფხაზეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ქალაქის ცენტრში რეკონსტრუირებული შენობა (ყოფილი კინოთეატრი) დაეთმო ქართული თეატრისთვის. ეს იყო 1982 წლის თებერვალში. მან სეზონი გახსნა **ნ.დუმბაძის** "მარადისობის კანონით". იგი დადგა თეატრის მთავრმა რეჟისორმა **გ.ქავთარაძემ.** იმავე ხანებში მას ეწოდა **კ.გამსახურდიას** სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ბოლოს და ბოლოს, ქართველობამ დაინახა, რომ საჭირო გახდა ცხუმ-აფხაზეთში ქართული შინაარსის შემკრები და მაცოცხლებელი სახელმწიფო დაწესებულება. სახალხო ძალისხმევით დაიწყო ცხუმ-აფხაზეთის ქართული სახელმწიფო ანსამბლის აღდგენა.

ცნობისათვის: ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში შექმნილი აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი, როგორც ცხუმ-აფხაზეთის ჭეშმარიტი ფოლკლორულ-შემოქმედებითი სახე, ლენინური ეროვნული პოლიტიკით მოხელმძღვანელე ოფიციოზის ძალისხმევით სეპარატისტულ-ოქტომბრისენოვანი, ე.ი. თვითუარმყოფი, ანუ ანტიაფხაზური, მაშასადამე, ანტიქართული ხასიათისა გახდა.

ამ მხარეში დასაბამისმიერი ქართველების (აფხაზების) საზოგადოებრივ-თვითშემოქმედებით საწყისებზე ახლად აღდგენილმა ანსამბლმა, მიუხედავად დამაბრკოლებელი ავანტიურებისა და მუქარისა, უმოკლეს დროში წარმოადგინა მაღალპროფესიული და ცხუმ-აფხაზეთის ჭეშმარიტი შინაარსის ამსახველი შემოქმედება.

"გულაჩუყებულმა" ოფიციალურმა თბილისმა იგი დააკანონა და რაღაც თანხებიც კი დაუშვა, თითქოსდა მის შესანახად, მაგრამ სეპარატისტების ახმაურების შიშით ისევ გააუქმა თავისივე განკარგულება და დაპირება უკან წაიღო. ქართველების ცხუმ-აფხაზეთიდან დეპორტაცია ისე მოხდა, რომ ამ მაღალპროფესიულ ანსამბლს ხელფასი არ აუღია აფხაზეთში და მხოლოდ ლტოლვილობის დროს დაუმკვიდრდა სახელმწიფო ანსამბლის მაგვარი სტატუსი, ეს მაშინ, როცა, როგორც მოგახსენეთ, აფხაზეცურ საოჯახო ანსამბლსაც კი სახელმწიფო კმაყოფა განაღდებული ჰქონდა იმხანად.

1980 წელი 17 იანვარი: აფხაზეთის ასსრ-მ უმანსპინძლა საბჭოთა მწერალს **ირაკლი აბაშიძეს**. საზეიმო საღამომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რაოდენ საშურია კომუნისტური იდეოლოგიისათვის ე.წ. რესპუბლიკებისა და "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის ფაბრიკაცია", "ძმური ზრუნვა მათი კულტურის" აღმავლობისათვის.

1980წ. 29 იანვარს ზუგდიდის რ-ნის სოფელ რუხის №336 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში "თავიანთ" დეპუტატს _ **ე.შევარდნაძეს.** ამ უკანასკნელმა აი, რა მიულოცა და რით დაასაჩუქრა ისინი: **"ენგურჰესის მშენებლები და ზუგდიდის საზოგადოებრიობა დიდი სიხარულითა და კმაყოფილების გრძნობით შეხვდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ჰიდრომშენებელთა დიდი ჯგუფის დაჯილდოების შესახებ. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა კაშხალმშენის სამმართველოს**

ბრიგადირს ა.მ.ოლეინიკოვს...” ე.ი. რუსი ძმა უანგაროდ და თავგადადებულად იბრძვის მისი ქართველი ძმების საბედნიეროდ. ამიტომ საჭიროა ფეხი ავუწყოთ მას და რაც შეიძლება მალე აღმოვიფხვრათ საკუთარი ვინაობა: **“როდესაც წარსულის ისეთ გადმონაშთებთან გვაქვს საქმე, როგორიც არის კერძომესაკუთრული ტენდენციები, მექრთამეობა, ქურდობა, მავნე ზნე-ჩვეულებანი, პროტექციონიზმი, ბიუროკრატიზმი, კუთხურობა, ნათლიმამობა და სხვა... მათ საკმაო გამძლეობა და “ინერციის ძალა” ახასიათებთ, თუ ამას ყურადღების მოდუნებას, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებაც დაემატა, გარდაუვალია სოციალიზმისათვის ამ უცხო ანტიპოდური მოვლენების გამოცოცხლება.”**... აქედან გამომდინარე, ამ ჯერზე წალენჯიხის, ზუგდიდისა და გალის რაიონებში, სოკოებივით მრავლდებოდა რუსული სკოლები და სასწავლებლები, დაისვა საკითხი რუსეთიდან მუშახელის კიდევ უფრო დიდი რაოდენობით შემოყვანაზე, კერძოდ 50 ათასამდე რუსის ჩამოსახლებაზე და ა.შ.

1980წ. 31 იანვარს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე (ქ.თბილისში) საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანმა **გ.კოლბინმა** განსახილველად წარმოადგინა მოხსენება **“მართლწესრიგის” დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებათა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.”**

ყოველი ასეთი პარტიული ღონისძიება მიმართული იყო იქითკენ, რათა წინა ღონისძიება (სახელმწიფო დავალებათა “მიწერების გზით” შესრულება) გადაეცოცხათ და ვითომ ბრძოლის საბაბით, რამოდენიმე განტევების ვაცი მოეძებნათ ან მუშახელის რეპრესიების გზით ურაპატრიოტულ ყიჟინაში ჩაეხშოთ “საბჭოთა კანონიერების” გენოციდური ხასიათი და მიზნები.

1980წ. 26 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ.პატარიძემ** აფხაზეთის ასსრ მშრომელებს სოციალისტური საქმის აღმშენებლობაში “ახალი მიღწევებისათვის” _ გარდამავალი წითელი დროშა გადასცა.

1980წ. აპრილში საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანთან **ე.შევარდნაძესთან** აფხაზეთის ქართველი საზოგადოებრიობის სახელით მიღებაზე იყვნენ **ვ.ქარჩავა, ვ.ჭანია, ც.ფირცხალავა, ა.სოფია** და სხვები, რომელთაც პროტესტი გამოთქვეს აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული პოლიტიკისა და განსაკუთრებით მკვიდრ მეგრელთა (ანუ ნამდვილ აფხაზთა) განქართველების პოლიტიკის გამო.

1980წ. 16 აპრილს ქ.ქუთაისში გაიმართა აფხაზეთის დღეების დასკვნითი საღამო. სამწუხაროდ, ეს იყო არა ცხუმ-აფხაზეთის ვინაობის გასაჯარისება, არამედ, მისი ჩაწალდვა და ფაბრიკაციული აფხაზეთის ასსრ-ის ფართოდ აღიარება და დამკვიდრება.

1980წ. 20 აპრილი. გაზეთ **“კომუნისტში”** გამოქვეყნდა **ე.შევარდნაძის** ვრცელი წერილი _ **“ლენინი მუდამ ჩვენთან არის”: “ასრულებს რა ლენინის ანდერძს, საქართველოს კპ დღეიდან იმისთვის ზრუნავს, რომ ჩაუნერგოს ყოველ ადამიანს კომუნისტური შეგნება, მზადყოფნა, მისწრაფება და უნარი აშენოს კომუნიზმი”.**

1980წ. აპრილი: საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტს შესასრულებლად გადმოეგზავნა საქართველოს კპ ცკ-ში გაგზავნილი გაგრელთა საპროტესტო წერილის პასუხი, _ მიღებული საქართველოს კპ ცკ ბიუროზე: (34 გვ.): **“Секретно: ЦК КП Грузии: «По вопросам затронутым в колективном письме лиц грузинской национальности, поступившем из Абхазской АССР в адресс руководяших органов Грузинской ССР.**

В последнее время вновь участились случаи направления коллективных писем, заявлений (характерно, что теперь уж от лиц грузинской национальности) в руководяшие органы Грузинсчой ССР и Абхазской АССР. Одно из таких писем, под которым стоит 324 подписи, было направлено из г.Гагра в адресс ЦК КП Грузии..., носит явно провокационный характер, искажает суть и значение проведенных в Абхазии мероприятий, содержит необоснованные обвинения в адрес партийных и советских

руководящих органов... Они интерпретируются авторами письма для доказательства, что в Абхазии сегодня имеет место дискриминация и ушемление прав грузинского населения." (საქართველოს კპ ცკ ბიუროს სხდომის ოქმის ამონაწერი, 1980წ. აპრილი, უფრო ვრცლად იხ. გაზეთი "ჭყონდიდი", 1993წ. №2). ამრიგად, გაგრელთა ქართულ ენაზე შედგენილ თხოვნას **ე.შევარდნაძემ** 34 გვერდიანი რუსული მუქარით უპასუხა და თან იგი სადირექტივო მითითებებით გადმოუგზავნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სეპარატისტულ ბიუროს, _ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, აღმოეჩინათ და სასტიკად დაესაჯათ "ცილისმწამებელი ქართველები".

1980წ. 9 მაისს რიწის გზატკეცილის დასაწყისში, ქ.გაგრის მახლობლად, იმ ადგილზე, სადაც ჩაიარეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-18 არმიის ნაწილებმა, ჩამოიკიდა მემორიალური დაფა. მიიჩნიეს რა ქართული ეროვნული ინტერესების გამოხატულებად (ვინაიდან მე-18 არმიის სარდალი **კ.ლესელიძე** წარმოშობით ქართველი იყო), სეპარატისტებმა იგი შეურაცყვეს და დაარბიეს, სანაცვლოდ, აქვე გააკრეს დაფა, რომელზეც აღნიშნეს, რომ ამ ადგილზე თურმე აფხაზეც ბოლშევიკებს სასტიკად დაუმარცხებიათ "ქართველი ოკუპანტები". იმავე თვეში სოფელ ბზიფში, ამ მემორიალთან ახლოს, მილიციამ ქართველ მოსახლეობას ჩამოართვა სანადირო თოფები.

1980წ. 7 ივნისს ქ.თელავში საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი **ე.შევარდნაძე** მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა წინაშე გამოვიდა და მოითხოვა სახელმწიფო გეგმისა და ასტრონომიულ ციფრში გამოხატული სოციალისტური ვალდებულების უთუოდ შესრულება. მისი "შესრულება" თავისსავე არსში გულისხმობდა არნახულ ფალსიფიკაციას, რისკენაც რესპუბლიკის "ლიდერი" ქვეტექსტებში მონიშნული შინაარსით აქეზებდა მეღვინეებს. როგორც კი პარტიულმა ლიდერმა "გაანაღდა" დავალება _ ისევ დაიწყო რეპრესიები და "ფალსიფიკაციასა და უსაქონლო ოპერაციაში" მხილების საბაბით განაახლა ასობით "დანაშაულში" ჩათრეულ ადამიანთა დაპატიმრება, მანამდე კი, აი, როგორი "ქუდზეკაცობისკენ" მოუწოდებდა იგი კახეთის მშრომელებს: **"ამ დადგენილებით გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის საქართველოს მეღვინეობის სიმძლავრეების გადიდება შემდეგი მასშტაბით, პირველადი მეღვინეობის ქარხნებისა: 1050 ათას ტონამდე; ჩამომსხმელი ქარხნებისა 30 მილიონ დეკალიტრამდე; შამპანური ღვინოების წარმოებისა 40 მილიონ ბოთლამდე; კონიაკის ქარხნებისა 2 მილიონ დეკალიტრამდე" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1980, 12 ივნისი).**

1980წ. 6 ივლისი _ დაბა ბზიფში გაიმართა სეპარატისტ პროვოკატორთა ანტიქართული მიტინგი, რომელზეც სადირექტივო ორგანოებისადმი გასაგზავნი ცილისმწამებლური რეზოლუცია მიიღეს. მასში ქართველი ერი მოხსენიებული იყო გადამთიელ ოკუპანტად და კვლავ დაისვა საკითხი აფხაზეთის ასსრ-ის რუსეთის ფედერაციასთან მიერთებაზე.

1980წ. 8 ივლისს გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი: სეპარატისტების მიერ ათვალისწუნებული აფსუა **ლ.მარშანია** პლენუმმა მესამე მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა და ამ თანამდებობაზე აირჩია **რ.ბუთბა.** კვლავ იფეთქა აფხაზეც სეპარატისტთა პროვოკაციების აქტიური შტურმის "ერთთვიურმა".

1980წ. 19 ივლისი _ განახლდა სეპარატისტების პროვოკაციული მღელვარებანი ოჩამჩირის რ-ნსა და ქ.ტყვარჩელში. მათ გალის რ-ნის სოფელ აჩიგვარაში შეურაცხყვეს **შ.რუსთაველის** ძეგლი.

1980წ. 9 აგვისტოს ქ.გაგრაში ცნობილი სამართალდამცავი **არკადი მარკოზია** შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს.

1980წ. 11 აგვისტოს ე.შევარდნაძემ “იმოგზაურა” გუდაუთის რაიონში და სიტყვით გამოვიდა პარტიული აქტივის კრებაზე.

1980წ. 12 აგვისტოს ე.შევარდნაძემ “დაათვალიერა” სოხუმი.

1980წ. 13 აგვისტოს ე.შევარდნაძე გაგრის ზონაში იყო. **16 აგვისტოს** გაიმართა გაგრის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც ვრცელი და დამტუქსავი სიტყვით გამოვიდა **ე.შევარდნაძე.**

1980წ. აპრილში გაგრიდან საქართველოს კპ ცკ-სადმი ქართულ ენაზე შედგენილი და გაგზავნილი წერილის ავტორთა ნავარაუდევი საფრთხე გამართლდა, მაგრამ მათ მაინც პროვოკატორები ერქვათ და საქართველოს კპ ცკ მათ სათოფეზე არ იკარებდა, სამაგიეროდ თბილისის ოფიციოზი სეპარატისტებთან ძმობისა და გულითადობის გზების ძიებაში ათენ-აღამებდა.

1980წ. 13 აგვისტოს გაზეთმა **“კომუნისტმა”** დაბეჭდა **ნოდარ დუმბაძის** ნოველა “გული” _ რომლის მიხედვითაც ცხუმ-აფხაზეთი “მოძმე”, მაგრამ მაინც უცხო ქვეყანაა. ხალხთა ძმობაზე მოქადაგე მწერლის გულაჩუყებას გამოეპარა, რომ, ნებით თუ უნებლიეთ, მან ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, აფხაზეთი, “მოძმე ხალხის სამშობლოდ” აღიარა და მხარი დაუჭირა საბჭოთა საეთნოფაბრიკაციო სტერეოტიპებს, რითაც ამ ძირძველი მხარის ქართველობა, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი ხალხი, მოსულ ხალხად დაადგინა. ეს ყველაფერი **16 სექტემბრის** “ხალხთა ძმობის” მორიგი ზეიმით ანუ სეპარატისტთა კიდევ ერთი გამარჯვებით დამთავრდა და ზუგდიდის რ-ნში ჩატარდა სეპარატისტული ხროვისადმი მიძღვნილი “ძმობის დღესასწაული”.

1980წ. 17 სექტემბერი: ე.შევარდნაძემ უპასუხა **“Литературная Газета” -ს** კითხვებს. “კითხვა: **“მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კპ ცკ-მა გამართა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა. მაშასადამე, ნეგატიური მოვლენებისადმი ჯერ კიდევ ვერ მოგიღიათ ბოლო არა?”** პასუხი: **“გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ჩვენი კონფერენციის სრულ, თუმცა რამდენადმე გრძელ სახელწოდებას: “კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევა სოციალისტური ცხოვრების წესის პრინციპების, კომუნისტური მორალის ნორმების საყოველთაოდ დამკვიდრების წანამძღვარია...” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 1980, 23 სექტემბერი).** ყოველივე ეს ცხუმ-აფხაზეთის სინამდვილეში ნიშნავდა აგრესიული სეპარატიზმის მხარდაჭრას.

1980წ. ნოემბრის პირველ დღეებში ქ.სოხუმში შედგა რესპუბლიკური თათბირი: **“შემოქმედებითი ინტელიგენცია და მხატვრული თვითშემოქმედება.”**

1980წ. 3 ნოემბერს გაიმართა დასკვნითი ფოლკლორული საღამო, რომელზედაც ცხუმ-აფხაზეთის ქართველური (ჭეშმარიტად აფხაზური) შინაარსის ნაცვლად ოქტომბრისენოვანი აფხაზეცობა, _ “რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი” წარდგა.

1980წ. 12 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ”, რომლის მესამე მუხლმა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-9 თავი “ავტონომიური ოლქი” კიდევ უფრო განავრცო და ასეთნაირად ჩამოაყალიბა: **“ავტონომიური ოლქის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტაციის თანხმობის გარეშე”**, რითაც ცხინვალის მიმდებარე ოდინდელი ქართული მხარე ცალსახად გაუპიროვნდა ქართულ მიწაზე შეკოწიწებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და “ოლქის სახელის მატარებელი მოსახლეობის” ეთნოკრატიას. ეს იყო კიდევ ერთხელ ამ მხარის “სამართლებრივი” გასხვაქვეყნება და საქართველოს ტერიტორიული და მორალური ოკუპაცია.

1980წ. 28 ნოემბერი, ქ.ერევანი, არმენეთის სსრ გასაბჭოების 60-წლისთავზე სიტყვით **"ძმა ხალხები, ტყუპისეული ხალხები"** _ გამოვიდა **ე.შევარდნაძე** თავის გახმაურებულ სიტყვაში მან ქართულ მიწაზე ქართველების უფლებას გადამთიელების უფლება გადაამეტა.

1980წ. 21 დეკემბერს მუშაობა დაიწყო საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XXXV კონფერენციამ, რომელსაც დაესწრო და სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანმა **გ.კოლბინმა**. საოლქო კონფერენციის მუშაობის დროს ერთი სიტყვითაც არ გაკიცხულა საანგარიშო პერიოდში სეპარატისტული ავანტიურის თარეში. პირიქით, მოწონებული იქნა ამ მხარეში "ხალხთა ლენინური ურთიერთობა".

1981წ. იანვრისათვის გაიმართა აფხაზეთის მწერალთა კავშირის პლენუმი, რომელმაც მოისმინა მისი თავმჯდომარის **მუშნი ლასურიას** მოხსენება. იგი თავისი შინაარსით სეპარატისტული აღვირახსნილობის თეორიულ ბაზისად იქცა.

1981წ. 23 იანვარს გაიხსნა და მომდევნო დღეებში მუშაობა განაგრძო საქართველოს კპ 26-ე ყრილობამ, რომელიც ქედდაღუნული აზროვნების ქრესტომათიულ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს.

1981წ. 23 თებერვალს გაიხსნა და **3 მარტამდე** გაგრძელდა სკკპ 26 ყრილობა. იგი საინტერესო გახდა იმით, რომ ამ ყრილობაზე სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის **ე.შევარდნაძის** გამოსვლის შემდეგ მას **ლ.ბრეჟნევი** მადლობის ნიშნად გადეხვია (აკოცა). იმ დროს მიღებული პარტიული ეტიკეტის შესაბამისად ეს ჟესტი ლენინის ორდენით დაჯილდოებაზე მეტს ნიშნავდა. ოღონდაც, ქვემორე სიტყვების ავტორს ეს ამ ფორუმზე დიახაც ეკუთვნოდა, თუმცა როგორც იმ დროს გავრცელდა ხმა, მან ეს კოცნა არა მხოლოდ სიტყვებისთვის დაიმსახურა ძღვენის მოყვარული **ლეონიდ ილიჩისგან** (სიმბოლურია, რომ იგი მისმა ავტორმაც **25 თებერვალს** წარმოთქვა): **"ამხანაგებო 60 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც სერგო ორჯონიკიძემ კრემლში გაგზავნა დეპეშა: თბილისის თავზე ფრიალებს წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს... ორი წლის შემდეგ საზეიმოდ აღვნიშნავთ რუსეთთან დამოყვრების ორასი წლისთავს..." (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1981, 26თებერვალი).**

1981წ. 12 მარტს ქ.სოხუმში გაიმართა აფხაზეთის მწერალთა VI ყრილობა, რომელსაც დაესწრო **ი.აბაშიძე.** ყრილობის მსვლელობამ აჩვენა სეპარატისტების მზაობა მძლავრი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული დემარშებისთვის. ამ ყრილობაზე გამოსულმა **გენო კალანდიამ,** შემოსიძებულივით (რა ექნა?!) მორცხვად ითხოვა _ იქნებ კრებული "რიწა" _ პერიოდულ ორგანოდ, _ ალმანახად გადავაკეთოთო!...

1981წ. 30-31 მარტს გაიმართა საქართველოს მწერალთა IX ყრილობა, რომელმაც მოიწონა სკკპ და, აქედან გამომდინარე, საქართველოს კპ ცკ-ის პოლიტიკური კურსი, რომელიც ცხუმ-აფხაზეთის სინამდვილეში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს განქართველებას ნიშნავდა.

1981წ. 10 მაისს, ცხაკაიაში საზეიმო ვითარებაში დაიხურა აფხაზეცური ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, სადაც ზეობდა ოქტომბრისენოვნება და არა ჭეშმარიტი აფხაზურობა.

1981წ. 15 მაისი. ქ.სოხუმში გაიმართა საზეიმო შეკრება მიძღვნილი აფხაზეთის ასსრ 60 წლისთავისადმი. **ე.შევარდნაძემ** მოიწონა აფხაზეთში პარტიის მიერ გატარებული ღონისძიებები და ისინი ხალხთა ლენინური ძმობის გამოვლენად მიიჩნია: **"...ამას ყველაზე თვალსაჩინოდ ადასტურებს მეათე ხუთწლედის შედეგები, რომლისათვის უკანასკნელ წლებში აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურო ამხანაგ <u>ვ.ადლეიბას</u> მეთაურობით შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ, რათა ხორცი შეესხათ**

დადგენილებისათვის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ. მიზანსწრაფვამ, თანმიმდევრულობამ, მაღალმა შეგნებულობამ აფხაზეთის კომუნისტებსა და მშრომელებს არსებითი ძვრები მოუტანა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1981, 16 მაისი).

1981წ. 22 მაისს საქართველოს სსრ გასაბჭოების 60 წლისთავთან დაკავშირებით წინასწარ გამოქვეყნდა რესპუბლიკის პრესაში **ე.შევარდნაძის** მოხსენება. თბილისში ჩამოვიდა სკკპ პოლიტბიურო მისი გენერალური მდივნის **ლ.ბრეჟნევის** მეთაურობით. ასევე "ზეიმზე" ჩამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკებისა და რსფსრ ავტონომიების დელეგაციები. სასტუმრო "აჭარის" წინ გამართულ საზეიმო მიტინგის დროს **ლ.ბრეჟნევისათვის** იქვე, დიღმის ქუჩაზე, პურის მაღაზიაში მოეწყო საგანგებო საპირფარეშო...

1981წ. 14 ივლისს ბ.ადლეიბა საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი _ დააჯოლდოვეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

1981წ. აგვისტოს ბოლოს "Московские Новости"-ს კორესპონდენტის კითხვებზე პასუხის გაცემისას **ე.შევარდნაძე** თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევდა, რომ დაემკვიდრებინა ასეთი "ბედნიერება": **"აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოების საკეთილდღეოდ კეთილსინდისიერი შრომა, ამხანაგური ურთიერთდახმარება, საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1 სექტემბერი)**. არა, საუბარი არაა ქართველთა შელახული ინტერესების დაცვაზე, ეს ცუდ ტონად ითვლებოდა!

1981წ. 7 სექტემბერი _ გაიხსნა ბიჭვინთის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, აფხაზეცურ-სეპარატისტული ეთნოფაბრიკაციის თვითდამკვიდრების კიდევ ერთი დივერსიული კერა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში.

1981წ. 22 სექტემბერს სოფელ რუხში გაიმართა "მეგობრობის" მორიგი საღამო _ "ქართულ-აფხაზეცური" ვითომ ძმობისა, ანუ _ სეპარატიზმის გამარჯვების სადღეგრძელო!

1981წ. 5 ნოემბერს საქართველოს კპ ცკ-მა, **ე.შევარდნაძის** თაოსნობით, საზეიმოდ და ლენტის გაჭრით აღნიშნა როკის გვირაბის (ცხივნალ-ალაგირ-ორჯონიკიძის გზატკეცილის) გახსნა, რომლის სამშენებლო პროექტი **1975 წლის 31 დეკემბერს ა.კოსიგინის** _ სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რეზოლუციით დამტკიცდა. ამ გვირაბის და საერთოდ როკის საუღელტეხილო გზის მშენებლობით პირველ რიგში დაინტერესებული იყვნენ კრემლიდანელი დიდმპყრობლები და მათი ადგილობრივი მეგზურები _ ოსი აგრესორები. ჯერ კიდევ **XIX საუკუნეში** ფიქრობდა ცარიზმი ამ რეგიონში გზის (თვით რკინიგზისაც კი) გაყვანას.

1925-28 წლებში დაიწყო კიდეც როკის უღელტეხილზე გზის მშენებლობა, რომელიც გაჭიანურდა და ბოლოს **ლ.ბერიას** მეცადინეობით შეწყდა კიდეც. ამ იდეის განხორციელებას **1959 წლიდან** კვლავ დაუბრუნდა მოსკოვი, ამჯერად **ნ.ხრუშჩოვის** ხელმძღვანელობით. როკის გვირაბის გაყვანას დაჟინებით ითხოვდა მოსკოვში ოსური ლობი, სტალინირელი და ორჯონიკიძელი ოფიციოზი და ა.შ. **ვ.მჟავანაძეც** კი წინ აღუდგა და ყოველმხრივ გააჯანჯლა ამ საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ **1972 წლიდან ე.შევარდნაძის** კომპარტიულ ჰორიზონტზე გამოჩენისთანავე, სკკპ ცკ-ის მიერ საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცნობილი დოკუმენტის მიღების შემდეგ, სსრკ ხელისუფლება შეუდგა ამ მისთვის სანუკვარი ოცნების აღსრულებას და **1975-81 წლებში** ეს ღონისძიება გამოცხადდა "საუკუნის მშენებლობად". **ცნობისათვის:**

ა.ბარიატინსკის მეფისნაცვლობის დროს (1856-62წ.წ.) თბილისის გუბერნიის (ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს) მთის მხარეებში (ახლა უკვე რუსისტულ

ოკრუგებში), ისევე, როგორც დანარჩენ განაპირა კუთხეებში, ქართველთა სამამულო სივრცის ხელყოფის გზით, 1859 წლისათვის მთელი რიგი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ხასიათის ცვლილებები განხორციელდა.

იმის მომიზეზებით, რომ ძირძველი ქართული მიწა-წყალი დვალეთი ვლადიკავკაზთან ახლოს მდებარეობდა და თბილისთან კავშირი ფერხდებოდა, იგი სწორედ ამ ე.წ. ცვლილებების შედეგად ჩამოაშორეს მაშინ თბილისის გუბერნიას და "კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთის" ოსეთის სამხედრო ოკრუგს გადაეცა, რომელიც, თავის მხრივ, თერგის ოლქის შემადგენლობაში შევიდა.

ასე და ამრიგად, ქართული მიწების "გაოსება" ჩრდილოეთ ქართლში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩაკოწიწებამდე გაცილებით ადრე დაიწყო.

სამწუხაროდ ქართული მეხსიერება შეურიგდა და შეეგუა ამ დაპყრობით მოგვერდს.

როკის გვირაბის ამოქმედება საქართველოში რუსიზმისა და ოსი აგრესორების მზაკვრულ მიზნებთან და გეგმებთან იყო დაკავშირებული, მიუხედავად ამისა **ე.შევარდნაძემ** მის გახსნას საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის "სასიცოცხლო მნიშვნელობა" უწოდა.

1982 წელი 17 თებერვალი: საქართველოს კპ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ ამჯერად შეუტია აფხაზეთის უდიდეს სასოფლო დასახლებას _ ქართულ სოფელ **კოჩარას.** ამისათვის, ამოეფარა რა საქართველოს კპ ცკ-ის **1975 წლის** დადგენილებას "მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ", საბაბად გამოიყენა სოფელ კოჩარაში გამართული ხალხმრავალი, ეროვნული შინაარსისათვის სავსებით შესაფერისი ბედნიერი ქორწილი და მორიგი რეპრესიები გაატარა ამ ქართულ დასახლებაში.

1982წ. 24 თებერვალს გაიმართა მიტინგი ქ.სოხუმში, ლენინის მოედანზე, რომელიც მიეძღვნა აფხაზეთის ასსრ-სათვის გარდამავალი დროშის მორიგ გადაცემას. იგი ჩამოიტანა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ.პატარიძემ.** ეს საჩუქარი ნიშნავდა სეპარატისტული თარეშის წახალისებას და მკვიდრი ქართველობის (აფხაზობის) კვლავ კანონგარეშედ გამოცხადებას.

1982წ. 26 ივნისი _ "საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში" _ ასე დაასათაურა თავის მოხსენება **ე.შევარდნაძემ** ქ.ცხინვალში სამხრეთ ოსეთის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე: **"...ეს სიმღერა ოსი ხალხის, სამხრეთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები ყველა ხალხის სიმღერასთან ერთად ქმნის მშვენიერ სიმფონიას, _ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სიმფონიას: ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების სახელმწიფოებრიობის სტატუსი, ავტონომიების სტატუსი, საბჭოთა სოციალისტური წყობილების დიდი მინაპოვარია და ჩვენ, ამხანაგებო, დღეს ისევ და ისევ ჯეროვან პატივს მივაგებთ დიდი რუსი ხალხის მძლავრ მადუღაბებელ სულს!..."** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1982, 29 ივნისი).

1982წ. 20 ივლისი: სკკპ ცკ-მა მიიღო დადგენილება: **"საქართველოს კპ ამოცანები "სსრკ შექმნის მე-60 წლისთავის მოსამზადებლად პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცკ-ის დადგენილების შესრულების საქმეში".** სკკპ ცკ-მა ძირითადად მოიწონა საქართველოს ლენინისენოვანი კომუნისტების საქმიანობა: **"მტკიცდება და ფართოვდება საბჭოთა საქართველოს ურთიერთობა მოძმე, მოკავშირე რესპუბლიკებთან. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთათვის რუს ხალხთან მეგობრობის გრძნობის ჩანერგვას, კერძოდ, ამას უწყობს ხელს რესპუბლიკაში გაჩაღებული მზადება გეორგიევსკის ხელშეკრულების _ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის ხელმოწერის მე-200 წლისთავისათვის. საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გამომუშავების, პოლიტიკური და შრომითი წრთობის სკოლა**

გახდა ბამის, ტიუმენის, არაშავმიწნიადაგიანი ზონის მშენებლობათა მრავალეროვნული კოლექტივები, სადაც წარმატებით მუშაობენ საბჭოთა საქართველოს წარგზავნილები...” _ სკკპ ცკ მიიჩნევდა, რომ მიღებულია ზომები **“...რუსული ენის, როგორც ერთა ცოცხალი ურთიერთობის სწავლებასა და შესწავლის გაუმჯობესებისათვის”**... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს არასაკმარისად მიიჩნეოდა და საქართველოს კომუნისტები **“უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად უნდა აშუქებდნენ სოციალიზმის ისტორიულ მიღწევებს, წარმატებებს სსრკ ხალხთა ძმურ ოჯახში” (გაზეთი “საბჭოთა აფხაზეთი”, 21 ივლისი 1982წ.).**

სკკპ ცკ-ის აღნიშნული დადგენილება ნიშნავდა კრემლიდანური თითისქნევების _ სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის **1956 წლის 10 ივნისის** “სახელმძღვანელო” დოკუმენტის “საქართველოს კპ ცკ-ის შეცდომების შესახებ” და სკკპ ცკ-ის **1972 წლის** დადგენილების “საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მუშაობის თაობაზე”, _ ერთგვარ შერბილებას. ამის საპასუხოდ **ე.შევარდნაძემ** იმ დღეებში ხმამაღლა განაცხადა: **“საბჭოთა საქართველოში ნამდვილი ინტერნაციონალიზმის ატმოსფერო სუფევს... ქართველები და რუსები, აფხაზები და უკრაინელები, ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძნები და ქურთები _ სამოცდაათზე მეტი ეროვნების წარმომაგდენლები ერთმანეთის მხარდამხარ იღწვიან რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ** (ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე საუბარი ნებადართული არ იყო _ ს.საჯ.)... თავის მხრივ ამ ამოცანებიდან გამომდინარე საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ.ადლეიბამ** კიდევ უფრო ხმამაღლა აღუთქვა ლენინურ პარტიას: **“ამასთან დაკავშირებით მოწონებულ იქნა ის, რომ საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის პროპაგანდის გაძლიერების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჩვენი საოლქო, აგრეთვე საქალაქო და რაიონულ გაზეთებს შემოღებული აქვთ სპეციალური რუბრიკები საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალური ინტერნაციონალიზმის თემებზე, რომელთა მასალები ცხადყოფენ აფხაზეთის ურღვევ კავშირებს ჩვენი დიდი მრავალეროვნული ქვეყნის ყველა კუთხესთან” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 17 აგვისტო. 1982წ.).**

ასე თანმიმდევრულად მკვიდრდებოდა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ცნება აფხაზეთ-საქართველო.

1982წ. 5 აგვისტოს გაზეთ **“კომუნისტმა”** სასტიკად გააკრიტიკა გაზეთ **“ლიტერატურულ საქართველოში” 1982წ. 23 აპრილს** მოთავსებული რეპლიკა, რომელიც მიუთითებდა რომ **1980 წელს** სსრკ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემულ ერთ-ერთ ატლასში, რომელიც საშუალო სკოლებისათვის იყო განკუთვნილი, **III საუკუნის (ძვ. წელთ.)** ამიერკავკასიის პოლიტიკურ რუკაზე ქართული მიწები მიზნობრივად იყო მოქცეული არმენეთის საზღვრებში.

გაზეთ **“კომუნისტის”** განმაზოგადებელ წერილში “სენსაციებზე მონადირენი”, საქართველოს კპ ცკ-ისა და პირადად **ე.შევარდნაძის** მითითებით მიწასთან იქნა გასწორებული ყოველგვარი მცდელობა იმისა, თუნდაც ლიტერატურული გაზეთის ფურცლებიდან დაეცვა ვინმეს საქართველოს საზღვრები.

1982წ. 1-2 სექტემბერი, სოხუმის რ-ნის სოფელი თავისუფლება. აფხაზეც-სეპარატისტებისა და სხვა ოქტომბრისენოვანი მოსახლეობის მიერ წაქეზებულმა არმენმა პროვოკატორებმა სოფ.თავისუფლების საშუალო სკოლაში ქართველი მოსწავლეები არ შეუშვეს და მეცადინეობა ჩაიშალა (ოღონდაც, მათ, როგორც უკვე მოგახსენეთ ზემოთ, მფარველები ქართველთა მხრიდან ჰყავდათ როგორც აფხაზეთის ასსრ, ასევე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროებში).

1982წ. 4 ოქტომბერი: ერევნის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება **"მასისში"** ჩატარდა ე.წ. მეგობრობის მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა **გ.ალიევმა**, **ე.შევარდნაძემ**, **კ.დემირჭიანმა.**

ეს იყო რუსიზმის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიება.

1982წ. 28 ოქტომბერს გამოვიდა მორიგი ეთნოფაბრიკაციისთვის ერთ ნომრად აწყობილი ერთდროული გაზეთები "საბჭოთა აფხაზეთი", "საბჭოთა აჭარა", "საბჭოთა ოსეთი". მის პირველ გვერდზე ერთმანეთის გვერდით "ხალხთა ძმობას" ზეიმობდნენ საბჭოთა აფხაზეთის, საბჭოთა აჭარისა და ე.წ. საბჭოთა სამხრეთ ოსეთის პარტიულ ორგანიზაციათა თავკაცები **ბ.ადლეიბა, ვ.პაპუნიძე, ფ.სანაკოევი.**

1982წ. 10 ნოემბერი. გარდაიცვალა **ლ.ბრეჟნევი** _ სსრკ პარტიული და სახელმწიფო მეთაური.

1982წ. 12 ნოემბერს სკკპ ცკ-ის პლენუმმა სკკპ ცკ-ის გენერალურ მდივნად აირჩია **ი.ანდროპოვი**.

1982წ. 22 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც გაასაჯარისა ცრუქაქუნა ორგანიზაციული ფართი-ფურთის ახალი კოსმეტიკური იდეოლოგია, დააზუსტა პროპაგანდისტული ნებადართულობაც და დაადგა ჟღარუნის პოლიტიკას.

1982წ. 2 დეკემბერს საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმზე **ე.შევარდნაძემ** სცადა ჩამოებანა სკკპ 26-ე ყრილობაზე წინა წლის 25 თებერვალს **ლ.ბრეჟნევის** ნაკოცნი, რომელიც ამჟამად ცუდი დაღი იყო.

1982წ. 6 დეკემბერს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა თავის მხრივ ფეხი აუწყო მიმდინარე პროცესებს.

1982წ. 11 დეკემბერს ქ.თბილისში ჩატარდა საზეიმო სხდომა სსრკ შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით. მოხსენებით გამოვიდა **ე.შევარდნაძე**. ზეიმზე კრემლმა გამოგზავნა სკკპ ცკ-ის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე **ნ.სავინკინი**. მიღებული პარტიული ეტიკეტისა და მასში ნაგულისხმევი ქვეტექსტების მიხედვით ადმინისტრაციული განყოფილების გამგის საზეიმო საღამოზე ყოფნა ნიშნავდა იმას, რომ კრემლს **ე.შევარდნაძეში** რაღაც არ მოსწონდა და აფრთხილებდა, **ნ.სავინკინის** სახით შოლტი... გამოგიგზავნეო...

1982წ. 16 დეკემბერს ქ.მოსკოვში სსრკ 60 წლისთავისადმი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარსდგა საქართველოს სსრ დელეგაცია საქართველოს კპ ცკ-ის მდივნის **გ.ენუქიძის** ხელმძღვანელობით. იგი მიიღო სკკპ პოლიტბიუროს წევრმა, მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის პირველმა მდივანმა **ი.გრიშინმა**.

1982წ. 21 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა სსრკ შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა სახელმწიფოს ახალი ხელმძღვანელი **ი.ანდროპოვი**. თუ **ბრეჟნევ-სუსლოვის** პერიოდში საბჭოთა პროპაგანდა ერების შერწყმას ერთგვარ "ნებაყოფილობით" ფორმას აძლევდა, **ი.ანდროპოვის** მოხსენებაში მკაფიოდ აღინიშნა, რომ სსრკ ხალხთა შერწყმა. საბჭოთა სახელმწიფოს უეჭველად შესასრულებელი გეგმა და პროლეტარული მასების ყოყმანის გარეშე გასანაღდებელი სოციალისტური ვალდებულება იყო (ე.ი. უნდა შექმნილიყო გიგანტური სახელმწიფოს სახელის მატარებელი "ოქტომბრისენოვანი დიადი ხალხი").

იმავე დღეს სიტყვა წარმოსთქვა **ე.შევარდნაძემაც**, ამჯერად მან გულზე მჯიღის ბრაგუნით შეუტია "ანდროპოვის პირად მტრებს" _ ამერიკელებს. **" _ იმ ბანაკში განსაკუთრებულ "ზრუნვას იჩენენ" ქართველებისათვის, ლაყბობენ ე.წ. რუსიფიკაციაზე", ქართული ენის "შევიწროებაზე" მშობლიური კულტურის დაკნინებაზე... მოვიყვან მხოლოდ ორ ფაქტს: "ბავშმა არა თუ უნდა ისწავლოს**

ინგლისური ლაპარაკი, მან არც ერთ სხვა ენაზე არ უნდა ილაპარაკოსო".[11] _ ეს ნათქვამია ამერიკაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა სხვა ენებზე მოლაპარაკე ათობით მილიონი ადამიანი. მათ სამუდამოდ უნდა მოიცილონ თავიანთ წინაპართა ქურქები, რათა გაიხსენონ იგი: ასე მკვიდრდებოდა ამერიკული ცხოვრების წესი.

ერთ დროს შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა სამ მილიონამდე აბორიგენი, საყოველთაოდ ცნობილია მათი ტრაგიკული ბედი.

ვინ ეკითხებათ ამ ვაჟბატონებს საქართველოსთვის ზრუნვას!..." (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1982, 23 დეკემბერი).

_ რავა შენ თუ გინდა აბორიგენი ხალხის შეხრამუნება, რუსეთს აწყენსო იგი, გული მოსდის **ე.შევარდნაძეს** ამერიკელების უსამართლობაზე და პრინციპით _ "შენც სუ და მეც სუ"-ო, ხელებდაკაპიწებული "უქნევს თითს" ვაშინგტონელ იმპერიალისტებს...

1982 წლიდან სამეგრელოს რაიონებში დაიწყო ოფიციოზის მიერ კარგად ორგანიზებული და შენიღბული საეკლესიო ქონების ძარცვა. არც თუ იშვიათად ხდებოდა კულტურის მრავალსაუკუნოვანი ძეგლების შერყვნა, გაქურდვა და შეურაცხყოფა. ამ დროს დაიკარგა წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის XIV საუკუნის უნიკალური ზარი.

(ვრცლად იხ. გაზ. "საქართველო", 1990წ. 12 მარტი).

≈*≈

8. მეორე წუთშესვენება ერის ქედდაუღუნავი ვინაობისათვის თვალშესავლებად.

(1978-1982წ.)

"უფალს, ღმერთს შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე"

<u>მათე 4. 10.</u>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **1978 წლის** დასაწყისში, გამოძიების მსვლელობისას **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** მორიგი "პირზე წაყენების" დროს, მათ ეროვნული მოძრაობის გადასარჩენად მოახერხეს ერთმანეთისთვის შეეთანხმებინათ ძიებასთან "დასაშვები კომპრომისები". მკაცრად აწონ-დაწონეს, დააზუსტეს და გაიპიროვნეს ამ მხრივ გადასადგმელი ყოველი ნაბიჯი (იხ. **მ.კოსტავას** წერილი მოსკოვის ჟურნალ "Гласность"-ისადმი, 1987 წ).

1978წ. მარტი, სრულიად საქართველოში ხელნაწერის სახით გავრცელდა **ნოდარ წულეისკირის** საპროტესტო წერილი საქართველოს სსრ კონსტიტუციის განხილვასთან დაკავშირებით.

1978წ. 14 აპრილი _ ქართველი ერი ქუდზეკაცად გამოვიდა დედაენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად.

1978წ. 18-19 მაისს დაიწყო **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** სასამართლო. მათ მიერ ურთიერთშეთანხმებით გაპიროვნებული ტაქტიკური დავალებების მიხედვით **ზ.გამსახურდიამ** კვლავ გაიმეორა მისი მთავარი მოთხოვნები: ქართული ენის _ სახელმწიფო ენის სტატუსის პატივისცემა. საქართველოს ეკლესიის გაწმენდა სუკ-ის მიერ შეგზავნილი უწმინდურებისგან, საქართველოს სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღება.

ამავე დროს, **ზ.გამსახურდიამ** ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად "აღიარა", რომ ის, რაკი არ აპირებდა ემიგრაციაში წასვლას, მოვალე იყო არსებულ სიცხადეში არსებული კანონების ფარგლებში ემოქმედა. სასამართლოზე **ზ.გამსახურდიას** მიერ

[11] რუსიზმიცა და ამერიკანიზმიც ამ საქმეში თანამოსაქმეებია. აი, ეს რომ არ ვიცით და პირველის გაგდებას მეორისადმი ქვეშგაწოლოით რომ ვცდილობთ, ამაშია ჩვენი უბედურება. ვერ გავიცხადეთ, _ ქვეშ გაწოლილს ზედ აწვებიან!...

ეროვნული მოძრაობის გადასარჩენად გადადგმული წინდახედული ნაბიჯი ბატონი **ზვიადის** სიმტკიცესთან ერთად განაპირობა **მერაბ კოსტავას** მოუსყიდველმა თანადგომამ, ზნეობრივმა გმირობამ და სამშობლოსათვის თავგასაწირად მზადყოფნამ.

მიუხედავად ძიებისა და სასამართლოს მხრიდან სასტიკი ზეწოლისა, მათ არ დაუსახელებიათ (როგორც ასეთ დროს იტყვიან, არ "ჩაუშვიათ"), არცერთი "სხვაგვარად მოაზროვნე". ე.წ. სასამართლოზე ასეთმა ტაქტიკამ ჩაშალა სუკ-ის მცდელობა _ საზღვარგარეთ გაეძევებინა **ზ.გამსახურდია,** რითაც იგი (უშიშროება) ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განადგურებას აპირებდა.

იმისათვის, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა არ დაერბიათ, მისი ქმედუნარიანი, თანმიმდევრული და საჩინო წევრები საზღვარგარეთ არ გაეძევებინათ და ამით ეროვნული დაუმორჩილებლობა არ ჩაეხშოთ, **ზ.გამსახურდია** შემდგომშიც ეროვნული მოძრაობისგან მოითხოვდა საბჭოთა კონსტიტუციის გათვალისწინებასა და ანგარიშგაწევას:

"ველას,

წერილის ან პეტიციის წერისას მთავარია, არ გაგეპაროთ ანტისაბჭოთა ფრაზები და ლოზუნგები, ძალადობის ან არეულობისკენ მოწოდებები, ხოლო თანამდებობის პირთა სამართლიანი კრიტიკა ჩვენში კონსტიტუციით ნებადართულია, უფრო მეტიც, კრიტიკისათვის დევნა ისჯება კანონით, შეგიძლიათ მოუწოდოთ ხალხს ბოიკოტისკენ, კოლექტიური შიმშილობისკენ და სხვა მსგავსი ღონისძიებისკენ (ასეთი მოწოდებები კანონით არ ისჯება).

(გ.ჩორგოლაშვილი, სინანულის გადასახედი, "წიგნის სახელოსნო", თბილისი, 2009წ. ზ.გამსახურდიას წერილი-დარიგება ეროვნული მოძრაობისადმი. 1981 წელი.).

დრომ დაადასტურა, რომ ეს გზა, "კოლხური კოშკის" ნაცადი გზა საქართველოს დამოუკიდებლობისკენ უმოკლესი აღმოჩნდა, ხოლო ჩასაფრებულ ავმოსურნეთა ავყიობას დროსა და სივრცეში არ არსებულ "მონანიებაზე" ჟამთაბერმა სამკვიდრისად უმაქნისთა მკვდრადშობილობა განუჩინა **(ვრცლად იხილეთ ს.საჯაია, "ზ.გამსახურდია _ საქართველოს წინამძღოლი ქრისტესმხედრული მოვალეობით, თბილისი, 2009წ).**

1978წ. 18-19 მაისს შედგა **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** სასამართლო, იმავე წლის ივნისში ისინი ერთმანეთს დააშორეს. **მერაბ კოსტავა** გადაასახლეს პერმის ოლქში, **ზვიად გამსახურდია** დაბა კოჩუბეიში. გადასახლების დროს იგი ქართველი მეცხვარეებისა და ჩრდილო-კავკასიელი მეგობრების დახმარებით გამათვითცნობიერებელ ეროვნულ (იბერიულ) და საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა კავკასიის ხალხებში.

1978წ. 26 ივნისი _ *აფხაზეცურ-ქართული კონფლიქტის ისტორიიდან:*

* * *

იმ დროს, როდესაც კომუნისტურ საქართველოში ოფიციალურად იკრძალებოდა სიმართლის თქმა და ობიექტური პუბლიკაციები ქართულ-აფხაზეცური კონფლიქტის შესახებ, როდესაც შევარდნაძისეული სუკ-ი და ცენტრალური კომიტეტი ყოველნაირად ეხმარებოდნენ რუსულ იმპერიალიზმს და აფხაზეცურ სეპარატიზმს, ჰელსინკის კავშირის ბრძოლის ერთერთი უმთავრესი მიზანი იყო აფხაზეც სეპარატისტთა და მათი მოსკოველი თუ თბილისელი დამქაშების მხილება. ამის დასტურია ის, რომ 1989 წელს ზვიად გამსახურდიამ თავისი არალეგალური ჟურნალის, "მატიანეს" საგანგებო ნომერი მიეძღვნა აფხაზეთს, სადაც გამოაქვეყნა კომუნისტური ცენზურის მიერ აკრძალული მასალები, რითაც ნათელი მოჰფინა საქმის რეალურ ვითარებას. ვაქვეყნებთ ამ მასალებს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

* * *

ქართველ მწერალთა და მეცნიერთა ერთი ჯგუფის წერილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმს
(ჩაბარდა კომენდატურას პლენუმის წინა დღეს)

ამა წლის წინა თვეებში აფხაზეთში ძალზე გახშირდა და გამწვავდა ანტიქართული გამოსვლები, რომლის შესახებ ქართველმა ხალხმა ყურმოკვრით თუ იცოდა რამე, მაგრამ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ.ხინთბას (გაზ. "სოვეტსკაია აბხაზია", 1978, 21 მარტი) და სკკპ ცკ-ს მდივნის კაპიტონოვის სიტყვის (გაზ. "კომუნისტი", 1978, 26 მაისი) გამოქვეყნების შემდეგ ნაწილობრივ გასაგები გახდა ამ გამოსვლების არსი, რომელიც ამხ. კაპიტონოვის განმარტების თანახმად "ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას".

ჩვენთვის ფაქტიურად გაუგებარია და უცნობი ის სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები, რამაც გამოიწვია ეს მოძრაობა, ამდენად შეუძლებელია წარმოდგენა იმ შედეგებისა, რასაც იგი გამოიწვევს მომავალში. ასეთი გამოსვლები უპრეცენდენტო მოვლენაა მრავალფეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში და მისი შედეგების მნიშვნელობა ბევრად სცილდება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს.

ქართველი ხალხი ყოველივე ამას თვალყურს ადევნებდა ღირსეული სიდინჯითა და შინაგანი ღელვით, დარწმუნებული იმაში, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველა ფაქტორის გათვალისწინებით მიიღებდა და განახორციელებდა ეროვნული ინტერესებითა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით ნაკარნახევ სამართლიან, შორს გამიზნულ გადაწყვეტილებებს.

ჩვენ დიდი ყურადღებით გავეცანით საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებას აფხაზეთის შესახებ (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 24 მაისი, 1978), რაც ქართველი ხალხის დიდი ნაწილისათვის უცნობია, რადგან არ დაბეჭდილა რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებში.

ძირითადი დებულებები ამ დადგენილებისა უდაოდ მისაღებია, მაგრამ ზოგიერთი ნაირკითხვაობის თავიდან ასაცილებლად საჭიროებს უცილობელ განმარტებას.

1. "საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაზუსტდა ავტონომიური რესპუბლიკის 62 დასახლებული პუნქტის დასახელება".

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და არასასურველი ხმების აღსაკვეთად, ვფიქრობთ, საჭიროა რომელიმე ბეჭდვით ორგანოში განმარტებულ იქნას: რომელი ტოპონიმები შეიცვალა და რატომ?

2. "პარტიის საოლქო კომიტეტისა და საქართველოს კპ ცკ-ის განყოფილებათა მხრივ უკონტროლობის შედეგად პრესა და გამომცებლობა უშვებენ სერიოზულ შეცდომებს ისტორიოგრაფიისა და პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებთან დაკავშირებული მასალების გამოქვეყნებაში".

რა კონკრეტული ფაქტები იგულისხმება ამ სიტყვების მიღმა? რა ღონისძიებები იქნა მიღებული მათ მიმართ, ვინც ეს შეცდომები დაუშვა და რაა განზრახული იმისათვის, რომ მომავალში მსგავსი მოვლენები არ განმეორდეს?

თუ აღნიშნული მოძრაობა "ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას", მაშინ ამ მოძრაობის ზოგიერთი მოთავე, რომელნიც საოლქო კომიტეტის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გაირიცხნენ პარტიიდან (ჟურნალ "ალაშარას" რედაქტორი ჯენია, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი არღუნი და გუდაუთის რაიონული გაზეთის "ბზიბის" რედაქტორის მოადგილე ახიბა) რატომ არიან ისევ აღდგენილი პარტიის რიგებში?

ხომ არ წააქეზებს დღევანდელი წაყრუება ამ მოძრაობის სხვა მონაწილეთ შემდგომი გამოსვლებისათვის?

მიეცა თუ არა პარტიული შეფასება ამ წიგნებს, რომელთაც იდეოლოგიური საფუძველი მოუმზადეს აფხაზეთში სეპარატისტულ მოძრაობას. იქნება ეს კუზნეცოვის (1922), აშხაცავას (1925), ფაჩულიას (1968), ინალიფას (1965, 1976), ვორონოვის (1978) თუ სხვათა სისტემატური პუბლიკაციები, რომლებშიც უარყოფილია დასავლეთ საქართველოში _ კოლხეთსა და აფხაზეთში, ქართული ეთნიკური თუ კულტურული ელემენტების ისტორიული არსებობა და მისი როლი.

დადგენილების სიტყვებს ჯერ სტამბის საღებავიც არ შეშრობია და მოსკოვში შესაშური ოპერატიულობითა და ტირაჟით (75000) გამომცემლობა "ისკუსტვომ" გამოსცა სოხუმში მცხოვრები ვინმე ი.ნ.ვორონოვის წიგნი "ვ მირე არხიტექტურნიხ პამიატნიკოვ აბხაზიი", რომელიც ტიპიური ნიმუშია ანტიმეცნიერული და პროვოკაციული ლიტერატურისა.

მასში ქართული კულტურის ყოველი გამოვლენა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იმდენად მიჩქმალულია და უარყოფილია, რომ ამ წიგნის მიჩუმათება უფრო გაამწვავებს ისედაც გართულებულ მდგომარეობას.

ჩვენის აზრით, ეს წიგნი შეფასებულ უნდა იქნას წმინდა პარტიული, მეცნიერული პოზიციებიდან და კარგი იქნება თუ ამ შეფასების თანაავტორები ქართველი და აფხაზი მეცნიერები იქნებიან.

3. "მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ჩამოაყალიბონ სპეციალური, კომპეტენტური კომისია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შესაქმნელად, რომელშიც ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით აისახება რესპუბლიკის ყველა ავტონომიური ერთეულის ისტორია".

რამ გამოიწვია ამ დადგენილების მიღება, ისტორიის შეფასებისა თუ ისტორიული კონცეპციის გადასინჯვის მოთხოვნამ?

4. "ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში კონკურსგარეშე მისაღებად კონტინგენტის შერჩევისადმი კონტროლი და პასუხისმგებლობა დაეკისრათ პარტიის საოლქო კომიტეტს, ავტონომიური რესპუბლიკის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს".

დასაზუსტებელია და განსამარტავი ეს დებულებაც. კონკურსგარეშე მიღების პრაქტიკამ შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული დისკრიმინაციის რეციდივები ქართველთა მიმართ, ნაციონალური ფაქტორის მომიზეზებით, უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება გზა გაეხსნათ შემთხვევით პიროვნებებს.

ამავე დადგენილებაში საქართველოს კპ ცკ მოუწოდებს ქართველ ინტელეგენციას, მათ შორის მწერლებს, მეცნიერებს ყოველი ღონე იხმარონ აფხაზეთის მოსახლეობასთან მეგობრული, საქმიანი, გულწრფელი დამოკიდებულების შემდგომი გაღრმავებისათვის, "იმ საკითხებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც გადადებას არ ითმენენ".

ჩვენ გულწრფელად მზადა ვართ ვიშრომოთ იმ გაუგებრობათა აღმოსაფხვრელად, რაც სხვადასხვა მიზეზთა გამო დაგროვდა და რომლებზედაც თვალის დახუჭვა არ შეიძლება. იმედია, აფხაზთა საუკეთესო ნაწილიც მზადაა იმ ხელოვნურად შექმნილი ანტაგონიზმის აღმოსაფხვრელად იღვაწოს, რამაც აღნიშნული გამოსვლების დროს იჩინა თავი.

ჩვენ გვაღელვებს არამარტო აფხაზეთში მცხოვრები ოთხმოცი ათასი აფხაზის ბედი, არამედ იქვე მცხოვრები ორასი ათასი ქართველის ბედიც, გვაწუხებს არა მხოლოდ ის, თუ რა გრძნობები ამოქმედებს ამჟამად აფხაზ ხალხს, არამედ ისიც, თუ რა გრძნობები იბადება დღეს ქართველი ხალხის გულში და როგორი მოქმედების იმპულსად იქცევა ეს გრძნობები მომავალში.

ახალი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, ჭეშმარიტად გულახდილი და გულმართალი ურთიერთობის დასამყარებლად საჭიროა პოზიციების ბოლომდე გარკვევა.

ამიტომ, ჩვენ გთხოვთ, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის IX პლენუმზე, 27 ივნისს, ყურადღება გაამახვილოს აღნიშნულ პრობლემებზე და ამ წერილში დასმულ კითხვებსაც რაც შეიძლება ამომწურავად გასცეს პასუხი.

1978 წელი

* * *

ბუნებრივია, ლენინური ინტერნაციონალიზმით "შთაგონებულმა" შევარდნაძისეულმა ცენტრალურმა კომიტეტმა არ განიხილა ეს საკითხები და არც არავითარი ზომები არ მიიღო, ვინაიდან კრემლიდან ჰქონდა ინსტრუქცია ხელი შეეწყო აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორებისათვის. ამით შევარდნაძე "ამხანაგი სუსლოვის" უშუალო დირექტივებით მოქმედებდა, რომელსაც აფხაზები თავის "ღმერთს" უწოდებდნენ.

1978წ. 27 ივნისს ქ.თბილისში მთავრობის სახლის წინ გაიმართა ეროვნული მოძრაობის მანიფესტაცია აფხაზეთის ასსრ-ში სეპარატისტული აგრესიისაგან ძირძველი ქართველი (აფხაზი) მოსახლეობის დაცვის მოთხოვნით. ამ დროისათვის **ზ.გამსახურდია** და **მ.კოსტავა** წარდგენილი იყვნენ ნობელის პრემიაზე.

1978 წ. 3 აგვისტო- ქართველმა საზოგადოებრიობამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მძვინვარე დივერსიული ეთნოფაბრიკაციების წინააღმდეგ ქ. გაგრაში ჩაატარა საპროტესტო მიტინგი,რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მხარეში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის.

1978წ. 3 სექტემბერს გაგრაში მოეწყო ქართველთა მანიფესტაცია წინა დღეებში სოფელ ბზიფში სეპარატისტების მიერ საშუალო სკოლის დარბევის გამო. საქართველოს კპ ცკ-ის IX პლენუმს გადაეცა ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების წერილი აფხაზეთში ქართველთა დარბევების აღკვეთის მოთხოვნით.

1979წ. 6 ივნისს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების თანახმად, "გაათავისუფლეს" **ზ.გამსახურდია**. იგი სუკ-ის მეთვალყურეობისა და ფარული რეპრესიების წნეხის ქვეშ დარჩა.

1979წ. ზ.გამსახურდიამ საპროტესტო წერილით მიმართა გაზეთ **"Правда"-ს.**

1980წ. საქართველოს სსრ ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობის პრეზიდიუმს გადაეცა **ზ.გამსახურდიას** წერილი, რომელშიც იგი ამხელდა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში ქართული კულტურის ძეგლთა სავალალო მდგომარეობასა და მათ მიზნობრივ გაჩანაგებას, ან ფალსიფიცირებას სეპარატისტთა მხრიდან.

1980წ. აპრილში გაიგზავნა გაგრელი ქართველების საპროტესტო წერილი საქართველოს სსრ პარტიული ხელმძღვანელობისა და მთავრობისადმი, რომელშიც ისინი ხმას იმაღლებენ ქ.გაგრაში და საერთოდ აფხაზეთში ქართველთა პერმანენტული დარბევების წინააღმდეგ. წერილს ხელს აწერდა 372 ქართველი გაგრიდან.

1981 წელი, იანვარი. შედგენილი და გაგზავნილი იქნა აფხაზეთის ქართველების პეტიცია სკკპ XXVI ყრილობისადმი, რომელიც წარმოაგდენდა საპასუხო დოკუმენტს სეპარატისტთა მიერ **1980 წლის 6 ივლისს** შეთითხნილ ცილისმწამებლურ მოთხოვნებზე და **ე.შევარდნაძის** მიერ **16 აგვისტოს** გაგრაში წარმოთქმულ სიტყვაზე. მას ხელს აწერდნენ ცხუმ-აფხაზეთში თავისი მამულიშვილობით ცნობილი მოღვაწეები და მშრომელი ადამიანები (1000 კაცზე მეტი).

1981წ. 18 მაისს საქართველოს გასაბჭოების 60 წლისთავის "ზეიმთან" დაკავშირებით თბილისში ჩამოსულ **ლ.ბრეჟნევსა** და **ე.შევარდნაძეს** საქართველოს ჰელსინკის ჯგუფმა

ზვიად გამსახურდიას თაოსნობით გადასცეს მოთხოვნების სია, რომელიც შეეხებოდა 1. ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს; 2. ქართველების მდგომარეობას აფხაზეთის ასსრ-სა და საინგილოში (აზერბაიჯანის სსრ.), მესხეთში და ჯავახეთში; 3. სინდისის თავისუფლებას, რელიგიის დევნას და სხვა ზოგადეროვნულ საკითხებს.

1981 წლის 14 თებერვალს, 30 მარტს, 14 აპრილსა და **1982 წლის 28 ივნისსა** და **5 სექტემბერს ზ.გამსახურდია** დასაკითხად დაიბარეს სუკ-ში, რათა მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოეხდინათ.

ამ დაკითხვებზე **ზ.გამსახურდიამ** ამხილა "აფხაზეცთა ღმერთად" წოდებული სკკპ ცკ-ის მდივანი **მ.სუსლოვი,** გაზეთი **"Литературная Газета",** რუსისტი მწერალი და სეპარატისტთა მამამთავარი **გ.გულია**, მასთან ერთად დანარჩენი აფხაზეცი ლიდერები: ქურდები **გიცბა** და **კეხირ-იფა.**

1982წ. 14 აგვისტოს ახალგაზრდა ჟურნალისტმა **ნაზი შამანაურმა "ვაჟაობაზე"** ჩარგალში გაასაჯარისა პარტნომენკლატურული მაფიის ანტიეროვნული საქმიანობა, რისთვისაც იგი სუკ-მა იქვე დააპატიმრა და ჩამოართვა მამხილებელი წერილი (77 გვ.). **ნ.შამანაური** მოათავსეს **ასათიანის** სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რომელიც იმხანად სუკ-ის საგანგებო კლინიკა იყო.

აქედან **27-31 დეკემბერს ნ.შამანაურმა** ვრცელი წერილი მისწერა (როგორც ის მიმართავს) სახალხო მგოსნებს **ირ.აბაშიძეს** და **ჯ.ჩარკვიანს,** რომლებიც მას არ გამოხმაურებიან.

ნ.შამანაური ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამ წერილის დაწერიდან ერთი თვის შემდეგ სასტიკად აწამეს და შემდეგ მოაკვდინეს საპყრობილედ გადაქცეული ჯანდაცვის დაწესებულებაში.

≈*≈

9. ე.შევარდნაძისეული დამჩექმებლური მეორე ხუთწლეული და მისი ძირითადი ხასიათი

(1978-1982წ.)

"...და ჰრქუა იესუ ასისთავსა მას: წარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ..."

<u>მათე 8.13</u>

1978-82 წლები, ანუ **ე.შევარდნაძის** პარტიული აღზევების მეორე ხუთწლეული, გარკვეულწილად მისი აღმავალი კარიერების ბეწვის ხიდზე გამოტარების წლებია: რაც უფრო სახიფათო რისკთან იყო დაკავშირებული "დიდი პოლიტიკისკენ" მიმავალი გზები, მით უფრო ხვავრიელად ბარდნიდა **საშევარდნაძეო** პოლიტიკის ჭერქვეშ რუსისტული ბოლშევიზმის სისხლისფერი ფიფქი მამულის ველ-მთა-გორებზე და არამშობლიურ (არაბუნებრივ) ხედში იძირებოდა ეროვნული თვალგახელა. როგორც თქვენთვის ცნობილია, **1977 წლისათვის** საბჭოთა კავშირში "დადგინდა ახალი ისტორიული ერთობა _ **"საბჭოთა ხალხი" ("ნაცია")**", რისთვისაც სახელმწიფო ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი და დამკვრელური უბნის სტატუსი მიეცა ეთნოდივერსიულ პროცესებს იმპერიაში მოსახლეობის განმშობლიურობის მიზნით. უფრო მეტიც, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ უკვე **1982 წლისათვის** სკკპ ცკ-ის ახალ გენერალურ მდივანს _ **იური ანდროპოვს** მოუნდა, დამტკბარიყო უვინაობოდ გადადნობილი სსრკ ხალხების ხილვით. ამის პირდაპირ მიღწევა აღემატებოდა საგანგებო კომპარტიულ დირექტივას, ასეთ რამეს სახელმწიფო პოლიტიკა სჭირდებოდა.

ამგვარ ვითარებამდე, როგორც გახსოვთ, ჯერ კიდევ **1978 წლიდან** დაიწყო მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა ახალი კონსტიტუციების (ძირითადი კანონების) "განხილვა" და "მიღება".

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში კრემლის წაქეზებით ამ მნიშვნელოვანი პარტიულ-სახელმწიფოებრივი კამპანიის წინ, აფხაზეცობის სეპარატისტულმა ძალებმა სრული საბრძოლო მობილიზაცია გამოაცხადეს. ჯერ ერთი, გაცილებით ადრე, **1977 წელს** დაიჭირეს ამის თადარიგი: როგორც ვიცით **1976 წელს** საქართველოს კპ აფხაზეთის ორგანიზაციის საოლქო პარტკონფერენციაზე **ე.შევარდნაძემ** და **ვ.ხინთბამ** მოსკოვის მითითებით გაამართლეს **1967 წლის** სეპარატისტული ავანტიურა და იგი მთლიანად საქართველოს კპ ცკ-ისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წინა ხელმძღვანელობის დანაშაულებრივ უგერგილობას გადააბრალეს. ამით აღფრთოვანებულმა სეპარატისტებმა საასეთდროოდ ნაცადი მოსკოვური დაკვეთა კვლავ მიიღეს და **1977 წლის შემოდგომაზე** სკკპ ცკ-ისა და სსრკ სადირექტივო ორგანოებში ისევ გააგზავნეს ცილისმწამებლური წერილი ქართველი ხალხის მიმართ, _ თითქოს თბილისი "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" წინააღმდეგ პერმანენტული გენოციდის პოლიტიკას ანხორციელებდა, ე.ი. ის, რაც კრემლიდან თავს მოახვიეს ქართველი კაცის პოლიტიკურ თუ ყოფით ყოველდღიურობას, აქეთ გადმოაბრალეს მასვე. მეორეც, მოსკოვს უკვე არ აკმაყოფილებდა რუსულის მეორე "მშობლიურ ენად" აღიარების სტატუსი და ახალი კონსტიტუციით იგი შეუდგა სსრკ ხალხთა შერწყმისა და რუსული ენის _ "საბჭოთა ხალხის მშობლიური ენის" ყოფით თუ საზროვნო სიცხადედ გამოცხადებას, უფრო მეტიც, მან მოინდომა მისი "მხოლოდშობილ დედაენად" დაკანონება. ამიტომ, ელოდა რა საქართველოში ამ მხრივ გარკვეულ წინააღმდეგობას, მან ქართველი ერის ეროვნული სიფხიზლის მოქანცვა სცადა სეპარატიზმთან კინკლავში.

მართალია, **1978 წლის მარტში** საქართველოს კპ აფხაზეთის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტმა დაგმო სეპარატისტების ავანტიურისტული წერილი, ზოგიერთი მათგანი კიდეც გაირიცხა სკკპ რიგებიდან, მაგრამ აპრილისათვის **ე.შევარდნაძის** ხელითა და მოსკოვის ბრძანებით აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელობა გამოიცვალა, ხოლო სკკპ რიგებიდან გარიცხულები არა თუ აღადგინეს, უხვადაც დაასაჩუქრეს და დააჯილდოვეს (იწყებოდა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მიღების პროცესი, რომლის პროექტშიც ქართულ ენას მოხსნილი ჰქონდა სახელმწიფო ენის სტატუსი და ამის დაკანონებისას მოსკოვს საქართველოში ამ თავზარზე უფრო დიდი თავზარი სჭირდებოდა. ასეთად მან ამჯერადაც მიიჩნია სეპარატისტული აულაგმაობა აფხაზეთის ასსრ-ის რსფსრ-თან მიერთების მოთხოვნით. ასეთი რამის ინსპირირებისათვის იგი ყოველ ათწლეულში ახალ-ახალ გამოცდილებებს იძენდა).

ამ მიზნით, ამ პერიოდში თუმცა მიღებული იყო სკკპ ცკ-ის **1972წ. 6 მარტის** დადგენილება _ <u>თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ</u>, ასევე დადგენილებები საქართველოს კპ ცკ-ისა _ <u>რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ</u> **1973 წელს და 1975წ. ნოემბერში** მისივე_ <u>მავნე ტრადიციებთან და წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ</u>, _ სკკპ ცკ განაცვიფრა იმან, რომ ასეთმა დამქუსლავმა ტორებმაც არ მოადრეკინა ქართველ ერს ქედი. დიახ, ქართველ ერს თავისი დედა ენა არ მიაჩნდა წარსულის მავნე გადმონაშთად და სამშობლოს სიყვარულსაც არ სთვლიდა კერძო მესაკუთრულ ახირებად. ამასთან დაკავშირებით იმხანად მან შესძლო ეროვნული ქუდზეკაცობა და დაიცვა თავისი ვინაობა. ამდენად, სკკპ და სსრკ სადირექტივო ორგანოები იმ რეგლამენტში თბილისში კი დამარცხდნენ, მაგრამ წინ იყო ანალოგიური პროცესი აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში. ეს წლები სეპარატიზმის თარეშისაა. მიუხედავად იმისა, რომ **ე.შევარდნაძემ** მიფურთხებულიც

აწმინდა, კრემლმა შეუქმნა ისეთი მიზნობრივი დასურათხატება, თითქოს მან გაიმარჯვა და “აფხაზეთი კვლავ დარჩა დიდმპყრობელი თბილისის ქვემდებარე”.

1978 წლის მაისისათვის საქართველოს კპ ცკ-მა და **ივნისში** სკკპ ცკ-მა და სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება აფხაზეთის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური საკითხების მოგვარების შესახებ. ეს იყო მორიგი ილეთი ცხუმ-აფხაზეთის განქართველებაზე, აქედან გამომდინარე, ამ მიწისგან მოზელილი ხალხი _ ქართველობა (აფხაზობა) აქ, ერთხელ და სამუდამოდ, კანონგარეშედ გამოცხადდა და იგი საბოლოოდ დაუკანონდა ფაბრიკაციულ, ცნობიერად რჯულუცხო აფხაზეცობას _ ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელ ოქტომბრისენოვან ხალხს. მათ მიიღეს, დაიმტკიცეს და დაიკანონეს ყველაფერი, რაც მოითხოვეს, გარდა ერთისა, _ ჯერჯერობით კრემლისათვის მიზანშეუწონელი იყო რსფსრ-თან აფხაზეთის ასსრ-ის მიერთება, ფორმალურად, თორემ ფაქტობრივად საკითხი გადაწყვეტილი იყო. სეპარატისტთა მოთხოვნები დაკმაყოფილდა საკადრო საკითხში, ტოპონიმიკის პოლიტიკა წარიმართა აფხაზეცური შინაარსით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მიეთითა ფართო ასპარეზი დაეთმო აფხაზეცური კონცეფციების გამოქვეყნებისათვის. მოსკოვში, თბილისსა და სოხუმში ამ ხასიათის ლიტერატურა ძირითადად რუსულ ენაზე, ერთი-მეორის მიყოლებით გამოდიოდა. საქართველოს ქალაქებში იმგვარი ქვეტექსტებით ტარდებოდა “აფხაზური კულტურის დღეები”, თითქოს უცხო _ საბერძნეთის სახელმწიფოს წარმოგზავნილები მიეღოთ. ე.წ. “აბნი” იქცა ფალსიფიცირებული მეცნიერების მძლავრ ექსპორტიორად და პროპაგანდისტად. აფხაზეთის ასსრ მუზეუმები ცხუმ-აფხაზეთის შინაარსის გაყალბებას ეწეოდნენ. არსებული გაძლიერდა და აგრესორ სეპარატისტებისათვის დამატებით შეიქმნა მუსიკალური (სიმფონიური, საესტრადო, ხალხური სიმღერის და ქორეოგრაფიული) კოლექტივები. გაიხსნა აფხაზეცური ტელევიზია, რადიოს გადაცემები გახანგრძლივდა, მომრავლდა სეპარატისტული გაზეთები და ჟურნალები, ერთი სამად გაიზარდა აფხაზეცური წიგნების გამოცემა “ალაშარაში”. გაიხსნა “აფხაზეცური” უნივერსიტეტი, აფხაზეცურ სოფლებსა და დასახლებებში იხარჯებოდა მილიონობით თანხები. ამ დროს ქართულ სოფლებში ძირითადად არ იყო შუქი, მოუკირწყლავი გახლდათ გზები, არ მუშაობდა ავტობუსი, აფხაზეთში დაიწყო სკოლების “გამსხვილება” ანუ ქართული სექტორების მიერთება რუსულთან, სადაც პედსაბჭო, კრება, პიონერული და კომკავშირული შეკრებები ტარდებოდა “საერთო” _ ლენინის ენაზე. მიიჩქმალა და დავიწყების მტვერი გადააფარეს აფხაზეთის ნამდვილ ტოპონიმიკას, მის ხალხურ შემოქმედებას, ერის ყოფით ყოველდღიურობას. ამ პერიოდში ტყვარჩელიდან ფსოუმდე არ აშენებულა არცერთი ქართული სკოლა. ვერა და ვერ გადაკეთდა ალმანახად ქართული კრებული “რიწა”. ქართველი პროფესიონალების მიერ ჩამოყალიბებული აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მიუხედავად მისი მაღალპროფესიული და ღრმად ეროვნული (ჭეშმარიტად აფხაზური) რეპერტუარისა, არა და არ დაფინანსდა და არ მიეცა სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი, თუმცა ასეთი გადაწყვეტილება თბილისისა და აფხაზეთის ქართველი საზოგადოების ზეწოლის შედეგად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო. ეს წლები აფხაზეთში მძვინვარე ანტიქართული პროპაგანდის წლებია.

1978 წლის შემოდგომაზე ე.შევარდნაძე არჩეულ იქნა სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, მის ამ აღმასვლას ციურ მანანად დაერთო სკკპ 26-ე ყრილობაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ **ლ.ბრეჟნევის** მიერ საქართველოს კომპარტიის თავკაცის “გულში ჩაკვრა და კოცნა”. არადა, როგორც მაშინ გამოჟონა, არც თუ უანგაროდ და ხელებცარიელს ხვდა ასეთი “ბედნიერება”. **ე.შევარდნაძე** კარგა გვარიანად გაისარჯა ამ საცირკო ოინისთვის. გარკვეული მაფიურ-კრიმინალური წრე, როგორც ამბობენ, ამ

პოლიტიკური დრიბლინგის უზრუნველსაყოფად ქვიშაზე უთვალავი თანხით მიდი-მოდიოდა კრემლის კიბეებზე. სანამ **ლ.ბრეჟნევი** ცოცხალი იყო, ასეთი "ავგაროზი" გვარიანად იცავდა მას, მაგრამ **1982 წლის შემოდგომაზე** იგი გარდაიცვალა. იმპერიის სათავეში სუკ-ის შეფის, **ი.ანდროპოვის** გადმოსვლამ ძირეულად შესცვალა დიდმპყრობლური სტრატეგიის ტაქტიკური ამოცანები. ამ ამოცანათა რეალიზაციისათვის კრემლს ამჯერად **გ.ალიევი** დასჭირდა და სამუშაო კაბინეტი კრემლში მას ერგო წილად. ეს, პარტიული ეტიკეტის ქვეტექსტების მიხედვით, **ე.შევარდნაძისათვის** კარგად მოქანავე ბეწვის ხიდზე გავლას ნიშნავდა, მაგრამ მან, **ე.შევარდნაძემ,** მისდა სასახელოდ ალღო აუღო შექმნილ ვითარებას და ჩვეული მარჯვე ხელმრუდობით "ვაბანკზე" წავიდა: სრულიად საქართველო გამოცხადდა ხალხთა ძმობის ექსპერიმენტულ ლაბორატორიად და ახალ მოთხოვნათა შესაბამისად დაიწყო ქვეყნის გარუსებისათვის გიგანტური ქარხნის საამქროთა სტახანოვური დამონტაჟება.

≈*≈

10. რუსიზმის ნაქუსლარზე ჩაკრიალოსნებული თარიღები

(1983-1988)

"და რომელნი-იგი ცოდვიდნენ, წინაშე ყოველთაისა
ამხილე, რაითა სხვათა მათ ეშინოდის..."
<u>ტიმოთეს მიმართ - 5-20</u>.

1983 წელი ე.შევარდნაძემ ასე მიულოცა საქართველოს: **"გეორგიევსკის ტრაქტატი იყო არა**
ნიველირების, არამედ ეროვნულის გადარჩენისა და აღორძინების ინტერნაციონალური გარანტია...

სწორედ ამიტომ არის გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის მომავალი იუბილე, არა მარტო ინტერნაციონალური, არამედ ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულიც.

ამაღამ ისტორიის მთავარი საათი _ კრემლის საათი, რომელსაც თვით ისტორიის გულისფეთქვა და მაჯისცემა ამოძრავებს, დაჰკრავს და მობრძანდება ახალი 1983 წელი!" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983წ. 1 იანვარი).

1983წ. 12 იანვარს დ.ქართველიშვილმა _ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გარდამავალი წითელი დროშის გადმოცემასთან ერთად, საზეიმო საღამოზე კიდევ ერთხელ დაუდასტურა აფხაზეთის "მშრომელებს", რომ აფხაზეთი საქართველოსთვის არის მომძე და მეზობელი ქვეყანა, რითაც ცხუმ-აფხაზეთის ძირძველი ქართველობა, თანახმად რუსისტული სტრატეგიისა, კიდევ ერთხელ ამ მხარის არამკვიდრ მოსახლეობად აღიარა.

1983წ. იანვარში საქართველოს კპ ცკ-მა მიიღო დადგენილება **"აფხაზური ენის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"**: **"...აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროში შექმნილია სახელმღვანელოთა განყოფილება, დამატებით შემოღებულია განათლების მინისტრის მოადგილის თანამდებობა, სახალხო განათლების ყველა საქალაქო და რაიონულ განყოფილებაში მუშაობენ აფხაზური ენისა და ლიტერატურის მეთოდისტები, შექმნილია ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის განყოფილება, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ ბოლო წლებში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დამატებით გამოუყო მასწავლებელთა 90 და ლაბორანტთა 60 საშტატო ერთეული, შექმნილია**

აფხაზური ენისა და აფხაზური ლიტერატურის კათედრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მოამზადა 6 მეცნიერებათა კანდიდატი აფხაზური ენისა და ლიტერატურის დარგში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს ასპირანტებს აფხაზურ ენასა და ეთნოგრაფიაში, მან აგრეთვე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოუყო 75 ნაბეჭდი თაბახი სამეცნიერო შრომების გამოსაცემად" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983წ. 20 იანვარი).

ამის საპასუხოდ, იმავე დღეებში საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება **"ახალი წარმატებებისათვის _ აფხაზური ენის სწავლებისა და შესწავლის საქმეში": "...უკანასკნელ წლებში გამოსაცემად მომზადდა: აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი სიტყვების რუსულ-აფხაზური და აფხაზურ-რუსული ლექსიკონი, რუსულ-აფხაზური ეკონომიკური ლექსიკონი, აფხაზური ენის ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ცნობარი. ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ.ძიძარიამ და პროფესორმა ა.კუპრავამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან ზ.ანჩაბაძესთან ერთად გამოსაცემად მოამზადეს დამხმარე სახელმძღვანელო "აფხაზეთის ისტორია" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი," 1983, 25 იანვარი).**

არავითარ შემთხვევაში! ზრდილობის გულისთვის ერთი ქართულ-აფხაზეცური ლექსიკონი მაინც მოემზადებინათ, მაგრამ არა! ამის წინააღმდეგი, პირველ რიგში, გამომდინარე თავისი პოლიტიკური და ორგანიზაციული დასკვნებიდან, _ თავად **ე.შევარდნაძე** გამოდიოდა.

რაც შეეხება თავად ამ დადგენილებებს, იგი არ გახლდათ ზრუნვა აფსუა ხალხის მიმართ, პირიქით, მათში დიდმპყრობლურ-სეპარატისტული და ქართველთმოძულეობითი სულისკვეთების გამოჭენებული ძალისხმევა დაგრიგალობდა, თორემ, რომელი ჭკუადამჯდარი კაცი უნდა ყოფილიყო მოსურნე, წაერთმია ვინმესთვის მშობლიური ენა, კულტურა და საერთოდ, ვინაობა.

მთელი უბედურება ის გახლდათ, რომ ეს ყველაფერი ზემოაღნიშნულის პარალელურად ცხუმ-აფხაზეთის დასაბამისმიერი ქართველობის (აფხაზობის) აღგვის შედეგად ხდებოდა.

1983წ. 4 თებერვალს გაზეთმა "**საბჭოთა აფხაზეთმა**" გამოაქვეყნა **ვ.ცარგუშის** _ აფხაზეთის ასსრ ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის ნაყალბევი წერილი, რომელშიც აფხაზეცურ-სეპარატისტული იდეოლოგიის თარგზე გაშუქდა ამ კოლექტივის ბიოგრაფია. მართალია, იმხანად იგი სეპარატიზმის ერთერთი მძლავრი კერა იყო, მაგრამ თავიდანვე, ჯერ კიდევ 900-იანი წლებიდან მისი ჩამოყალიბება მკვიდრი არააფხაზეცური ორიენტაციის შინაარსმა განაპირობა. მას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ქართველი ლოტბარები **ძუკუ ლოლუა, კიწი გეგეჭკორი** და სხვები. **1931 წლიდან** ამ შემოქმედებით კერას სათავეში ჩაუდგა სახელმოხვეჭილი დიდოსტატი პლატონ ფანცულაია. თავისი ავტორიტეტითა და მხატვრული შესრულების ხარისხით ამ ანსამბლმა დასავლეთ საქართველოს მშობლიურსახოვანი კუთხეების ხალხური ჰანგები აითვისა შემოქმედებითად, რაც სეპარატისტების ძალისხმევით ოქტომბრისენოვანმა შინაარსმა თანდათანობით გამოაძევა.

1983წ. 21 თებერვალს დ.გულიას დაბადების დღის აღნიშვნის ფაბრიკაციული თადარიგი, იმავე დღეებში გადაიზარდა მისი 110 წლისთავის სეპარატისტული შინაარსით განიშანსვეტებაში;

1983წ. 22 თებერვალს გაზეთი "**საბჭოთა აფხაზეთი**" იტყობინებოდა, რომ სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის **ე.შევარდნაძის** თავმჯდომარეობით გაიმართა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის

საიუბილეო ღონისძიებათა კომისიის სამუშაო სხდომა, რომელმაც დასახა შესაბამისი რუსისტული საზეიმო სვლაგეზი.

ამასთან დაკავშირებით **უფრო ადრე, _ 19 თებერვალს** მუშაობა დაიწყო საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმმა.

1983წ. 26 თებერვალს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა გამოკვეთა რუსიზმის საიმდროო ტაქტიკა, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში კიდევ ერთხელ გადიგრიგალა ქართველთა (ნამდვილ აფხაზთა) რეპრესიებისა და სულიერი გენოციდის ტალღამ.

1983წ. მარტში საქართველოს კპ ცკ-მა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცკ-მა მიიღეს დადგენილება **"გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შესახებ: "...რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ მუშაობა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებული შეჯიბრების ქმედითობის უზრუვნელსაყოფად" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983, 19 მარტი).**

1983წ. 21 მარტს თბილისში, ე.წ. კომკავშირულ ქალაქ **ბორის ძნელაძეში** საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ.ადლეიბა** შეხვდა აფხაზეთიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებსა და ასპირანტებს _ ოქტომბრისენოვან ახალგაზრდობას. ამ შეხვედრამ ისეთი ხასიათი მიიღო, როგორიც შეიძლება იყოს მოსკოვში ვიეტნამელი სტუდენტების მიღება ვიეტნამის სახელმწიფოს საელჩოში. **ბ.ადლეიბამ** მათ მოუწოდა, ღრმად დაეუფლონ დიდი ოქტომბრის იდეებს, **"რათა ახალგაზრდები შრომით კოლექტივებში მოვიდნენ პარტიის იდეურად გამოწრთობილ მებრძოლებად, სკკპ ლენინური კურსის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევ გამტარებლად."** ე.ი. მშობლიური სახე დაკარგეთ, ეროვნული თვისებები უარყავით და გარუსდითო, _ დააკვალიანეს ისინი (**გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983, 24 მარტი**).

1983წ. 24 მარტს აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ანტიქართული მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა (ოფიციალურ დოკუმენტში ამას ერქვა "ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის").

ამ დროს აფხაზეთის ძირძველი ქართველი საზოგადოებრიობის ძალისხმევით შექმნილი მდიდარი ეროვნული (ადგილობრივი) რეპერტუარის მქონე ქართული (აფხაზური) ანსამბლი დაუფინანსებელი იყო და თვითშემოქმედებითი კოლექტივის პირობებში მუშაობდა, არ ჰქონდა სარეპეტიციო დარბაზი, სეპარატისტებისაგან განიცდიდა ფსიქოლოგიურ (და არა მხოლოდ) ტერორს, აფხაზეცური ეთნოკრატიისაგან მათი მოღვაწეობა ფასდებოდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის" დამახინჯებად, ამ დროს "ქართული" პარტოკრატია ქართველობას "თანაგრძნობით" ტუქსავდა, _ ვითარებას ნუ ამწვავებთო. რაც შეეხება თბილისელ იერარქებს, ისინი მათ (ქართველ ხელოვანთა) განცხადებებს არც კითხულობდნენ, ამ მხარის ქართველთა წერილებს ზომების მისაღებად აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას უგზავნიდნენ.

1983წ. 6 აპრილი, გაზეთმა "საბჭოთა აფხაზეთმა" გამოაქვეყნა ე.წ. მრგვალი მაგიდის მასალები, რომელმაც განიხილა საქართველოს კპ ცკ-ის **1975 წლის 17 ნოემბრის** დადგენილება **"მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ" (შესაბამისად _ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიერ 1976 წლის 16 აპრილს მიღებული ანალოგიური დადგენილებითურთ).**

ეს იყო მორიგი მოწოდება რჯულდაგდებისაკენ.

1983წ. 7 აპრილს თბილისში გაიხსნა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე **"ავამაღლოთ პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა."** იგი შესავალი სიტყვით გახსნა **ე.შევარდნაძემ**. მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცკ-ის მდივანი **ი.კაპიტონოვი**. იმავე საღამოს კონფერენციის მონაწილეთათვის გაიმართა საზეიმო კონცერტი, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა რუსიზმის წინაშე მლიქვნელობითა და სერვილისტური რევერანსებით. როგორც კონფერენციამ, ასევე საზეიმო საღამომ (ალბათ ვახშამმაც) ჩაიარა დევიზით: **"ამხანაგებო, აპრილი დგება. ახლა დაიწყო გაზაფხული. წელს იგი განსაკუთრებით ღირშესანიშნავი იქნება. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ გეორგიევსკის ტრაქტატის _ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის 200 წლისთავი. გეპატიჟებით ყველას" _ ე.შევარდნაძე (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983, 12 აპრილი).**

1983წ. 12 აპრილს ქ.სოხუმში საზეიმოდ აღინიშნა **ე.ეშბას** 90-ე წლისთავი. თბილისიდან მას საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი **გ.ანდრონიკაშვილი** დაესწრო. საღამომ ჩაიარა სეპარატიზმის პროპაგანდისტული თარეშის ვითარებაში.

1983წ. აპრილი. საქართველოს კპ ცკ-მა კომიტეტმა მიიღო წერილი: **"რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა კომკავშირელს, ქალიშვილსა და ჭაბუკს..."** მასში ითქვა: **"ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს აქტიური მზადება გეორგიევსკის ტრაქტატის _ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის 200 წლისთავისათვის. ისტორიამ დაადასტურა დიდ რუს ხალხთან ჩვენი ურყევი კავშირის ცხოველმყოფელი ძალა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983, 23 აპრილი).**

ერთი ვირეშმაკობაც: **ჩვენ რუს ხალხთან ერთად ტანჯვით გამოვიარეთ გზა დიდ ოქტომბრამდე და დღეს თავისუფლები და ბედნიერები, ერთ ძმურ ოჯახში სახლიკაცის უფლებებით ვართო** _ გვიმტკიცებდნენ საბჭოთა აგიტატორები.

1983წ. 10 მაისი. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სეპარატისტებმა საჩივრით მიმართეს **ი.ანდროპოვს**, რომელშიც **ე.შევარდნაძეს** "ქართველ ნაციონალისტად" მიიჩნევდნენ, რადგან, **"за последнее время в газетах пишут такие статьи, которые не признают сушествования Ю/Осетии, Т.Е. враждебные, именно: строительство транскавказской Рокской автотрассы окончено, которая соеденила Северную Осетию с Южным Осетией" (ქართველი და ოსი ხალხების ურთ. ისტ. თბ. 1991წ.).**

წერილის ავტორები აღშფოთებულან, რადგან ამ მშენებლობის დასრულებით ბედნიერ **ე.შევარდნაძეს,** თურმე, თვით მოსკოვში გამოცემულ წიგნში **1984 წელს** ჩაუწერია, როკის გვირაბმა მოძმე ოსეთი საქართველოსთან პირდაპირ დააკავშირაო... ამავე დროს ოსმა სეპარატისტებმა კრემლის წინაშე დააყენეს საკითხი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩრდილო ოსეთისთვის მიერთებაზე, ანუ ქართული მიწის ჩამოჭრის შესახებ (არადა, თვით ე.წ. ჩრდილო ოსეთიც საკმაოდაა განფენილი სხვათა მიწებზე, მათ შორის ინგუშებისა და ქართველების მამულებზე. რუსეთმა მას ქართველთა წინააღმდეგ დივერსიული საქმიანობისათვის გაუპიროვნა ქართული მხარე _ ისტორიული დვალეთი და არა მხოლოდ ის.

1983წ. 14 მაისს გაზეთ **"Правда-ს"** ფურცლებიდან **ე.შევარდნაძემ** ჩვეული "ალერსით" კიდევ ერთხელ გალანძღა საქართველო: **"იყო დრო, როცა ჩვენში ძალზე გავრცელდა ნათლიმამობა, მოყვრობა, კუთხურობა, დაწინაურება ადამიანის არა სულიერი ღირსების მიხედვით, არამედ ძმაკაცობით, ე.წ. ბლატით ხდებოდა."**

კრემლის ნემესტნიკმა საბჭოთა მანკიერებათა რეციდივები ქართულ ხასიათს დააბრალა და საკავშირო სარბიელზე თითისქნევით დაუწყო საქვეყნოდ ლანძღვა ჩვენს გიორგიანულ ხასიათს.

1983წ. 16 მაისს ე.წ. იმელში გაიმართა საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა **ნ.ლაკობას** 90-ე წლისთავს. იგი გახსნა **ე.შევარდნაძემ**. მან აღნიშნა, რომ ამას წინათ თბილისში ერთ-ერთ ქუჩას დაერქვა **ე.ეშბას** ქუჩა. მახარაძის რ-ნის ერთ-ერთი კოლმეურნეობა **ე.ეშბას** სახელს ატარებს. ამჯერად პატივს მივაგებთო აფხაზი ხალხის საამაყო შვილს, **ნ.ლაკობას**: **"ჩვენ მუდამ უნდა ვიყოთ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის საკითხების საბჭოური, ლენინური გაგების დონეზე, არავის არ მივცემთ საშუალებას, თუნდაც ერთ ადამიანს გადაახვევინოს ლენინური ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან, იქექებოდეს აფხაზი და ქართველი ხალხების ძმური ურთიერთობები" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983, 17 მაისი).** იმავე დღეს დიღმის ხიდთან საძირკველი ჩაეყარა **ნ.ლაკობას** ძეგლს.

ამრიგად, სკკპ ცკ-ის **1978 წლის ივნისის** დადგენილება აფხაზეთის ასსრ თაობაზე ის დაშიფრული პაროლი გახლდათ, რომელმაც თავისი ქვეტექსტებით ქართულ-აფხაზეცურ დავას საბჭოთა არბიტრაჟში საქართველოს გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანა, აქედან გამომდინარე, საქართველოს კპ ცკ-ს კეთილი უნდა ენება და ჯერ ეცნო, შემდგომ კი "აღედგინა" საბჭოთა "რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხთან" ლენინური ძმობა. ამის მიხედვით, ყოველ ნაბიჯზე განიდიდებოდა აფხაზეცთა რევოლუციური ბიოგრაფია, ანუ ანტიქართული საქმიანობა. **ნ.ლაკობას, ე.ეშბას, ს.ჭანბას** და სხვათა მოღვაწეობა დიდი აფხაზების თვალგახელათა გაბურუსებაა. ეს გახლავთ ჭეშმარიტად აფხაზური მეხსიერების საბოლოო გაუკუღმართება, რამაც ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ჟამს _ **1988-91 წლებში** საბედისწეროდ იჩინა თავი.

ე.შევარდნაძისეული პროპაგანდის დამსახურებაა ის, რომ მან საბოლოოდ დააკანონა საბჭოთა ეთნოდივერსიული ინდუსტრიის მიერ შემოგდებული ფაბრიკაციული სტერეოტიპი _თითქოს **1918 წელს** ქართველებმა განახორციელეს აფსუა მოსახლეობის ჟლეტა.

ამ სტერეოტიპმა ითამაშა საბედისწერო როლი და ეს სიკეთეც "დიდი პოლიტიკოსის" წყალობაა!

1983წ. 18 მაისს ქ.სოხუმში საზეიმოდ გაიხსნა **ნ.ლაკობას** სახლ-მუზეუმი _ ანტიქართული პროპაგანდისა და "სამეცნიერო კვლევის" მძლავრი კერა, ასევე ჩაეყარა საძირკველი სოხუმში მის ძეგლს.

1983წ. 19 მაისს სოხუმში გაიმართა ნ.ლაკობას 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი აფხაზეთის მშრომელთა საზეიმო კრება (დააკვირდით **1983 წელი** აფხაზეცური აულაგმაობისთვის სანობათო "ფიფქთაცვენის" წლად იქცა).

1983წ. 14 ივნისს გაიმართა სკკპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი: **"პარტიის იდეოლოგიური მუშაობა, აქტუალური საკითხები": "ამხანაგებო! იდეოლოგიური მუშაობა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც აერთიანებს 100-ზე მეტ ერსა და ეროვნებებს, წარმოუდგენელია მათი სპეციფიკური ინტერესების, ეროვნული ფსიქოლოგიისა და კულტურის თავისებურებების ყურადღებით შესწავლის გარეშე. ეროვნული საკითხის იმ სახით გადაჭრა, რა სახითაც გვერგო წარსულისაგან, სულაც არ ნიშნავს, რომ ეროვნული საკითხი საერთოდ მოხსნილია დღის წესრიგისგან. გააზრებული, მეცნიერულად დასაბუთებული ეროვნული პოლიტიკა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის პარტიის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მისი წარმატების მთავარი პირობაა მშრომელების აღზრდა პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით." _ კ.ჩერნენკო (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983, 15 ივნისი).** მოკლედ სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღიარებდა, რომ "ხალხთა ძმობა" სულაც არ იყო მარტივი საქმე და საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის სრულყოფას მოითხოვდა.

1983წ. 16 ივნისს სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი **ი.ანდროპოვი** არჩეული იქნა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

1983წ. 21 ივნისი: რუსეთის სფს რესპუბლიკაში გაიხსნა საქართველოს კულტურის დღეები, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში აღიმართა ობელისკი.

1983წ. 30 ივნისს საქართველოს კპ ცკ-ის მდივანმა იდეოლოგიის დარგში **გ.ენუქიძემ** კიდევ ერთხელ მოიმზრუნველა საბჭოთა ეთნოდივერსიული კონსტრუქციები, ანუ საქართველოს დედა სხეულში ჩახრახნილი სოციალისტური "ავტონომიები": **"სიამაყის გრძნობით გვავსებს რესპუბლიკის ავტონომიურ რეგიონებში მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების განვითარების დღემდე არნახული ტემპი. აფხაზეთის ავტონომიურ სს რესპუბლიკაში შეიქმნა მეცნიერებისა და განათლების კიდევ ერთი მძლავრი კერა... აფხაზეთის გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დაარსებიდან ფართო მეცნიერული პროგრამის განხორციელებას შეუდგა. ასევე ფართო მუშაობა მიმდინარეობს ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობისა და თანადგომის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კვლევის ხაზით. დიდი მიღწევებია მოპოვებული აფხაზმცოდნეობაში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ავტონომიურ რესპუბლიკებში მეცნიერების მთელი რიგი ახალი დარგების განვითარების გზაზე. დღეს მთელი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრები იცნობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერთა მიღწევებს, სამხრეთ ოსეთის მეცნიერ მკვლევართა საქმიანობას..."** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983, 30 ივნისი).

1983წ. 1 ივლისს თბილისში მოეწყო სსრკ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი.

ამ ფორუმზე **ე.შევარდნაძის** მოხსენებისათვის ასეთი გამოთქმები დამახასიათებელი იყო: **"...სწორად უნდა შევაფასოთ გეორგიევსკის ტრაქტატი... საქართველოს სსრ შემადგენლობაში საბჭოთა აჭარის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება... გეორგიევსკის ტრაქტატმა სასიკეთო როლი შეასრულა აფხაზი და ოსი ხალხების, ისევე, როგორც კავკასიის ყველა ხალხების ბედში"** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983, 2 ივლისი).

1983წ. 9 ივლისს თბილისის ოქტომბრის ორდენოსან ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე ამ ქარხანაში რუსი მუშების მუშაობას ინტერნაციონალიზმის უანგარო გამოვლენა ეწოდა, ხოლო თავად ქარხანას (**ეს მონაკვეთი დაიკარგა**).

...სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ.გრიშინი** გამოგზავნა. იმხანად მიღებულ კომპარტიულ ნებადართულობათა განმკარგავს მოეჩვენა, რომ ამ საყოველთაო საგეორგიევსკო პროპაგანდის დროს, რადგან საკითხი ფორმულირებული იყო ასე _ "რუსი და ქართველი ხალხების ძმობა", ეს ე.წ. "ძმობა" ხომ არ ნიშნავსო საქართველოს რუსეთთან გატოლებას და **ვ.გრიშინის** გამოგზავნით იგი (საქართველო) რუსეთის მორიგი ოლქის მნიშვნელობამდე დაიყვანა. "საზეიმო სხდომაზე" **ე.შევარდნაძემ** რუსულ ენაზე ასე დაანამუსა ქართველი ახალგაზრდობა: **"კომუნისტთა ახლანდელი თაობა თქვენ მოგმართავთ, ჩვენო ყმაწვილო მეგობრებო: _ ბოლომდე უერთგულეთ დიდ რუს ხალხთან მეგობრობასა და ძმობას, და ისევე, როგორც თქვენმა მამა-პაპამ და უფროსმა ძმებმა იწამეს, თქვენც მტკიცედ გწამდეთ, რომ ჩვენი ხალხის მომავალი, ბედნიერება და უკვდავება დიდ რუსეთთან, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ძმობაშია"** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1983, 1 ნოემბერი).

1983წ. 7 ნოემბერს ქ.თბილისში რესპუბლიკის მოედანზე ადამიანთა უღირსებო ჯოგურ ჩავლას მშრომელთა დემონსტრაცია დაერქვა.

1983წ. 8 ნოემბერს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გაიმართა ე.წ. საბჭოთა ხალხთა ზეიმი, სადაც ქართველები არმენებთან, რუსებთან, უკრაინელებთან და ა.შ. ერთად "სტუმარ" ანუ "მოძმე" ხალხად" იყვნენ მოწვეულები.

1983წ. 18 ნოემბერს თბილისის აეროპორტში ერის გამოსაფხიზლებლად კიდევ ერთხელ გაიელვა (შეიძლება ყმაწვილურმა და ბოლომდე აუწონავმა), მაგრამ თავგანწირულმა ამბოხმა ერის ქედდაღუნული აზროვნების წინააღმდეგ. მათ სულში ჩაფურთხებად და შეგინებად მიიღეს (და სავსებით სამართლიანად) **ე.შევარდნაძის** მლიქვნელური, აულაგმავად "პადხალიმური" მანჭვა-გრეხა და ამ მუხანათ ნამესტნიკში ყველა ყალიბის გაპონთა გაერთსხეულება მოითვალსაწიერეს.

ქართველი ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა **გერმანე კობახიძემ**, **თინათინ ფეტვიაშვილმა, დავით მიქაბერიძემ, იოსებ წერეთელმა, კახა და პაატა ივერიელებმა, გრიგოლ ტაბიძემ** სცადეს თვითმფრინავით საზღვარგარეთ გადაფრენა, მაგრამ ისინი სასტკად და ვერაგულად "გააუვნებელყვეს" საბჭოთა "სუკ"-ის ნაცადმა ბოევიკებმა. მომავალში მათთან ერთად აწამეს უდანაშაულო მოძღვარი **თეიმურაზ ჩიხლაძე.** ყველაფრისდა მიუხედავად, ამ თავგამეტებამ ძილი ისეთნაირად დაუფრთხო მთვლემარე ქვეყანას, რომ წარმოიდგინეთ, პარტნომენკლატურული ინტელიგენციის საჭურისმა კასტამაც კი გაბედა მათ დასაცავად ხმის ამოღება, თუმცა **ე.შევარდნაძის** დამტუქსავი ღრიალისთანავე გაკმინდეს ხმა. საერთო ჯამში ამ ახალგაზრდების გამბედაობამ გაამკაფიოვა ეროვნული თვალგახელა. ქართველს აგრძნობინა, რომ ის დაკოდილი არაა, მას სქესი გააჩნია ჯერ. აქვე, კიდევ ერთხელ ვამბობ, მე ვერ ვიტყვი, რომ ეს ახალგაზრდები უკვე ჩამოყალიბებული იყვნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სანგარში თანმიმდევრული ბრძოლისათვის და ხელმძღვანელობდნენ საქართველოს დეოკუპაციის თანმიმდევრული პროგრამით ან გახდებოდნენ თუ არა წმინდა **წმინდა ილია მართლის** სულიერების მიმდევარი ქრისტესმხედრები თუ თავს დაიდგენდნენ ე.წ. დემოკრატიის კოსმოპოლიტურად განმარტებულ შინაარსში. ცხადია, ისინი ჭაობურ მშვიდობას აუჯანყდნენ მაშინ...

1983წ. 18 ნოემბრის ქართულ ქედუხრელობაზე გამარჯვებული ე.**შევარდნაძე 24 ნოემბერს** მარნეულში ჩავიდა და "ამ მიწის მკვიდრისა და აქაური ხალხის შვილის" **ნარიმან ნარიმანოვის** საიუბილეო საღამოში მონაწილეობით, ეს მხარე დადარაჯებულ "კეთილმეზობლებს" მიუზომა, რომლებიც **1989 წელს** "მოძმე" საქართველოს წინააღმდეგ ააფრიალებენ შესაბამის ბაირაღებს.

1983წ. 9 დეკემბერს სოხუმში გაიხსნა საქართველოს კპ აფხაზეთის ორგანიზაციის XXXVI პარტკონფერენცია, რომელმაც მასში მონაწილე **პ.გილაშვილის** დასტურით აფხაზეც სეპარატისტთა ტაშფანდურით ჩაიარა.

ამ ღონისძიებათა გასწვრივ ჩამთავრდა **1983 წელი.** საქართველოში ქედდაღუნული აზროვნების კიდევ ერთხელ აღზევების წელი. მილიონობით თანხა დაიხარჯა საქართველოს სამხედრო გზაზე. კინაღამ ყველგან, სადაც რუს კაცს მიუშარდავს, მემორიალური ნიშები წამოიჭიმა: _ აღიმართა **მ. ლერმონტოვის**, **ა.პუშკინის, ვლ. მაიაკოვსკისა** და გეორგიევსკის ტრაქტატის საიუბილეო გეგმით ნაგულისხმევი სხვა ძეგლები, რომლებიც ერთადერთ მიზანს ისახავდნენ, _ აქ რუსული დამჩექმებლობის გაგრძელებას. ამავე მიზნით შეიქმნა მრავალი "სამეცნიერო" წიგნი და "მხატვრული" ნაწარმოები, დაიდგა სპექტაკლები, დაიწერა "სიმღერები", გადაღებული იქნა მიზნობრივი ისტორიის წარმომჩენი "ქართული" ფილმი "წიგნი ფიცისა". საქართველოში საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციის ინდუსტრია კომპლექსურ და ქმედით "ადგილობრივ" დარგად ჩამოყალიბდა.

1984 წლის 6 იანვარი. გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც **გ.კოლბინის** ნაცვლად საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივნად მოსკოვის საქალაქო კომიტეტიდან გადმოიყვანა ახალგაზრდა და მგზნებარე პავლიკმოროზოველი **ბ.ნიკოლსკი _ 1989 წლის 9 აპრილის** სისხლში ჩახშობის აქტიური თაოსანთაგანი. გაიხსენეთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით თბილისში კრემლმა **ვ.გრიშინი,** _ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი და პოლიტბიუროს წევრი გამოგზავნა, რითაც ხაზი გაუსვა მაშინ, რომ შენ რუსის ტოლი კი არა, მისი ქვეშევრდომი ხარო. კრემლმა ამჯერადაც ქართველთა გაუკუღმართების ყოველდღიურობაში განსახორციელებლად კინაღამ "გაქართველებული" **გ.კოლბინის** ნაცვლად, კომსომოლეც _ რუსისტი და დიდი კარიერის მომლოდინე **ბ.ნიკოლსკი** მოავლინა.

მით უმეტეს, **გასული (1983) წლის 18 ნოემბრის** აქციამ თბილისის აეროპორტში აჩვენა, რომ საქართველოში "კოლხური კოშკის" ცნობიერება არ ჩამკვდარა. ეს კი კრემლისთვის ფრიად სახიფათო გახლდათ. არა, **გ.კოლბინი** ამ საქმისთვის შეუფერებელი გახდა, საჭირო იყო ახალგაზრდა, კომსომოლეცური თავხედობის მქონე, უგულო კარიერისტი.

1984 წლის 9 თებერვალს გარდაიცვალა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი.ანდროპოვი**.

1984წ. 13 თებერვალს სკკპ ცკ-ის გენერალურ მდივნად არჩეული იქნა **კ.ჩერნენკო**.

1984წ. 23 მარტი. "ცხოვრება თავისი გზით მიდის", აფხაზეთის მშრომელებს ტრადიციულად გადასცეს გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც თბილისიდან ჩამოჰყვნენ **ბ.ნიკოლსკი** და **დ.ქართველიშვილი**.

1984წ. 11 აპრილი. კ.ჩერნენკო აირჩიეს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

1984წ. 11 მაისიდან გაიმართა თსუ-ს დღეები აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. როგორც პროფესორმა **ჯ.გამახარიამ** გაიხსენა, ეს ღონისძიება აფხაზეთში წარმატებული გამოდგა. თბილისელები ხელცარიელი არ ჩამოსულან, ჩამოიტანეს უამრავი საჩუქარი. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა, მდიდარი წიგნადი ფონდი და ა.შ.

ყოველივე ამით მიღებული შთაბეჭდილებები **ჯ.გამახარიას** გაუზიარა აფხაზეთის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანმა **ი.ფეიზბამ** (**ჯ.გამახარია** მისი მოადგილე იყო): **"Джемал, знаешь, такие выходки все кончились, они больше не будут повторяться, мы действительно братья"** (დეკანმა იგულისხნა სეპარატისტული გამოხდომები).

თსუ-ს დღეების დაგვირგვინება იყო აფხაზეთის საზოგადოებრიობის შეხვედრა სტუმრებთან, რომელიც სოხუმის **ს.ჭანბას** სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა. დარბაზში აფსუები ჭარბობდნენ აშკარად. თბილისელი სტუმრების ყოველი გამოსვლა აფსუათა უსაზღვრო აღფრთოვანებას იწვევდა, მიუხედავად ამისა, ის რაც მოხდა ახალგაზრდა მეცნიერის **თ.გვანცელაძის** აფსუურად გამოსვლისას, შეუძლებელია აღწერო ენით. ოღონდაც, ამ ზეიმზეც მუშაობდა სტერეოტიპი _ აფხაზეთი არ არის ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, ის მოძმე, მაგრამ "არაქართული" ქვეყანაა"!...

1984წ. 29 ივნისს თბილისში რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრებაზე ჩვეული პათოსით გამოვიდა **ე.შევარდნაძე**, რომელმაც საზოგადოებას კიდევ ერთხელ მასების ინტერნაციონალური აღზრდისკენ მოუწოდა.

1984წ. 23 აგვისტოს 19 საათსა და 45 წუთზე საქართველოს ტელევიზიამ უჩვენა ორსაათიანი ვიდეოფირი **"სასამართლო სხდომის 13 დღე".**

1984წ. 30 აგვისტოს რესპუბლიკის პრესამ "რესპუბლიკის სახელით". განავრცო იგივე საკითხი საქინფორმის მიერ მომზადებულ მასალაში მან "ძიების" მიერ შედგენილი 19 ტომიანი (5 ათასი ფურცელი) და 110 საათიანი ვიდეოფირის საფუძველზე სრულიად საქართველოს აუწყა, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა გამოუტანეს **1983 წლის 18 ნოემბერს** ქ.თბილისის აეროპორტში თვითმფრინავის გატაცებაში მონაწილეებსა და მღვდელმსახურს, რომლის დანაშაული ის იყო, რომ მორწმუნეებს იცნობდა, მათ აღსარებებს ისმენდა და აზიარებდა. ეს იყო ფსიქოლოგიური ტერორი ქართული სულის დასასაჭურისებლად. იგი აშკარა ანგარიშსწორებად იქცა.

ამის შემდეგ **23 სექტემბერს** "ბედნიერმა ერმა" სოფ. რუხსა (ზუგდიდის რ-ნი) და ოჩამჩირეში "მეგობრობისა" და "ძმობის" საზეიმო შეხვედრები გამართეს.

1984წ. 10 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა ლიტერატურის დღეები აფხაზეთში. იგი მიეძღვნა **დ.გულიას** დაბადების **110-ე** წლისთავს. საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ.ადლეიბამ** მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა: **"ერთიან ოჯახში ძმა ხალხებმა _ აფხაზებმა და ქართველებმა, რუსებმა და სომხებმა, უკრაინელებმა, ბერძნებმა, ესტონელებმა და სხვა ხალხთა წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს აფხაზეთის ასსრ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დონის დღევანდელი, მანამდე არნახული დონე... ჩვენი მხარის მშვენიერი ბუნება, გულმხურვალე ხალხის ცხოვრება აისახა რუსული საბჭოთა ლიტერატურის დიდ წარმომადგენელთა ვლადიმერ მაიაკოვსკის, ნიკოლოზ ტიხონოვის, კონსტანტინე პაუსტოვსკის, ალექსანდრე ტვარდოვსკის და სხვათა შემოქმედებაში.**

აფხაზური ეროვნული კულტურის წინსვლასა და განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი თავიანთი შემოქმედებით ცნობილმა ქართველმა პროზაიკოსებმა და პოეტებმა: ილია ჭავჭავაძემ, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, გალაკტიონ ტაბიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1984, 11 ნოემბერი). ასეთი სტერეოტიპებითა და დებულებებით აფხაზეთი ჯერ ცნობიერად მიუსხვისდა ოქტომბრისენოვნებას, შემდეგ კი ფაქტობრივად მიიერთა რუსეთმა.

მოსალოდნელი საფრთხე და აფხაზეთში მამულიშვილთა არააფხაზეცური გმინვა არც ამ საღამოზე ბედნიერად მოზეიმე პოეტ **შოთა ნიშნიანიძეს** _ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს არ გაუგონია: **"აფხაზური კულტურის წარმატებანი გარკვეულწილად განაპირობა სკკპ ცკ-ისა და საქართველოს კპ ცკ-ის განუხრელმა მზრუნველობამ, რასაც მოწმობს არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა აფხაზი ხალხის ცხოვრებაში: გაიხსნა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შეიქმნა აფხაზეთის ტელევიზია, ძირფესვიანად გარდაიქმნა საგამომცემლო საქმე, სიახლე გაჩნდა თეატრალურ ცხოვრებაში, აღმოცენდა კულტურის მრავალი ახალი კერა, ყოველივე ეს მძლავრ სტიმულად იქცა აფხაზეთის შემოქმედებითი პოტენციალის ყოველმხრივი გამოვლენისათვის"...** ორატორი შეეხო სათანადო ლიტერატურის აფხაზურად თარგმნის პრობლემებს და საზოგადოებრიობას ამ მხრივ დახმარება აღუთქვა, რის მაგალითადაც **"საკმარისია დავასახელოთ თუნდაც მსოფლიო ლიტერატურის გამოცემა აფხაზურ ენაზე"...** ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზი მოხდა: საქართველოს მწერალთა კავშირის მზრუნველობით აფხაზეც მწერლებს ავანსად დაურიგდათ ათიათასობით მანეთი, რათა ეთარგმნათ მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშები. მათ ერთი-ორი წელი ძღომამდე ჭამეს, როცა ხელშეკრულების ვადა გავიდა, თბილისელ დამკვეთებს უპასუხეს _ ჩვენ არ გვჭირდებაო მსოფლიო ლიტერატურა აფხაზურად, მას რუსულადაც კარგად ვკითხულობთო. ეს, სავსებით კანონზომიერად, მოსალოდნელი იყო. ამაში **შოთა ნიშნიანიძე** იმ საღამოსვე დარწმუნდებოდა სიტყვით გამოსულ აფხაზეც მწერალთა თუ მათი თავკაცის _ **მუშნი ლასურიასათვის** ყურადღებით რომ მოესმინა: **"აფხაზური**

ლიტერატურის მიღწევები განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ეროვნული კულტურების ურთიერთობის პროცესთან და უწინარეს ყოვლისა, იმ კეთილნაყოფიერებასთან, რასაც მასზე ახდენს რუსული და (რა ქნას, მასპინძელია და უნდა ახსენოს) ქართული ლიტერატურა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1984, 11 ნოემბერი). საღამოს დაესწრო საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი იდეოლოგიის დარგში **გურამ ენუქიძე**, რომელმაც სეპარატიზმის აულაგმაობა და ქართველ ორატორთა სერვილიზმი სსრკ ხალხთა ლენინური პოლიტიკის ზეიმად მიიჩნია.

1984წ. 11 ნოემბერს საზეიმო შეხვედრები მოეწყო მოქვსა და ჭლოუში, ხოლო გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გაიმართა მიტინგი. იმავე დღეს აფხაზეცური ლიტერატურის ფუძემდებლის **დიმიტრი გულიას** სახელის უკვდავსაყოფად მის 110-ე წლისთავთან დაკავშირებით ქ.სოხუმის ცენტრში საზეიმო და მხურვალე ვითარებაში გაიხსნა **ა.პუშკინის** ძეგლი!

ასეთ სულისკვეთებათა აქარიშხლებით დადგა მომდევნო წელი. **1985 წლის იანვარში** საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება **"აფხაზეთში საბჭოთა ლიტერატურის დღეების შედეგები"**. იგი მოწონებული იქნა საქართველოს კპ ცკ-ის მიერ.

1985წ. 15 იანვარს გაზეთმა **"Советская Абхазия"**-მ მკითხველებს აუწყა, რომ **1985 წლისათვის** ქალაქებში გაგრა, ბიჭვინთა, გუდაუთსა და სოხუმში აღებული იქნა ბარაკული ტიპის შენობები და იქ მოსახლეები (12000 ოჯახზე მეტი) კეთილმოწყობილი ბინებით დაკმაყოფილდნენ.

ეს იყო შენიღბული ღონისძიება რუსულენოვანი მოსახლეობის დასამკვიდრებლად. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ბარაკები თავის დროზე, როგორც დროებითი საცხოვრებელი შენობები, სწორედ გარედან მოზიდული მუშახელის სახელდახელოდ დასაბინავებლად გაშენდა, ცხადია, იქ ქართველი და აფსუა მოსახლეობა თითქმის არ ცხოვრობდა.

სამწუხაროდ, აფხაზეცი სეპარატისტები ე.წ. აფხაზურ წერილში" ამ ბარაკების აშენების განმაპირობებელ მიზეზებს ჩქმალავდნენ და ამ აქციაში არარსებულ "ქართულ ექსპანსიას" ხედავდნენ.

1985წ. 7 თებერვალს ზუგდიდის რ-ნის რუხის №366 საარჩევნო ოლქში **ე.შევარდნაძე** თავის "ამომრჩევლებს" კიდევ ერთხელ შეხვდა. იგი ამ მხარეს მუშახელით უზრუნველყოფასა (ეს ნიშნავდა, მათ შემოყვანას სხვა რესპუბლიკებიდან) და ახალი გიგანტური მშენებლობის დაწყებას დაპირდა.

როგორც უკვე ვთქვით, მუშახელის ჩამოყვანა რუსეთიდან იყო ნავარაუდევი. რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, მათ წლობით უჭიანურდებოდათ სამოსახლოების გამოყოფა, ზღვის პირზე საერთოდ არ აძლევდნენ მათ დასახლების უფლებას (ე.წ. სამკილომეტრიანი ზოლი). თუ მუშახელზეა საუბარი, რაღა რუსეთიდან, _ აჭარის მთაგორიანი ადგილებიდან ჭარბი მოსახლეობა რუსეთში იმის გამო გარბოდა, რომ საქართველოში სამოსახლოებს არ აძლევდნენ...

1985წ. 14 თებერვალი. გაზეთ **"კომუნისტში"** (რესპუბლიკურ პრესაში) დაიბეჭდა საქართველოს კპ ცკ-ის მდივნის **გ.ენუქიძის** წერილი, რომელშიც მან კერძო მესაკუთრეობასთან და მავნე ტრადიციებთან ბრძოლის საბაბით მიწასთან გაასწორა ეროვნული ცნობიერების გამოვლინებანი.

1985წ. 10 მარტს გარდაიცვალა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ.ჩერნენკო**.

1985წ. 11 მარტს გაიმართა სკკპ ცკ-ის კომიტეტის პლენუმი, რომელმაც სკკპ ცკ-ის გენერალურ მდივნად აირჩია **მ.გორბაჩოვი**.

1985წ. 25 მარტს მუშაობა დაიწყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის პირველმა სესიამ, რომელმაც აირჩია ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება.

1985 წლის აპრილის პირველ დღეებში ე.შევარდნაძემ და **ჯ.პატიაშვილმა** იმოგზაურეს აფხაზეთის ასსრ-ში მეციტრუსეობის საკითხებთან დაკავშირებით (სეპარატისტული ეთნოკრატიის მხარდაჭერა).

1985წ. 4 აპრილს გაიმართა აფხაზეთის მწერალთა კავშირის პლენუმი (თავისი შინაარსით იგი იქცა ეთნოკრატიის მორიგ დივერსიად).

1985წ. 11 აპრილს აფხაზეთის ასს რესპუბლიკას გარდამავალი წითელი დროშა გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **პ.გილაშვილმა**.

1985წ. 12 მაისს სოხუმში გაიმართა მეჩაიეთა და ჩაის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. იგი შეაჯამა **ე.შევარდნაძემ**. იმავე დღეს სოხუმში ჩამოასვენეს ემიგრანტი მხატვრის **ალექსანდრე შარვაშიძის** ნეშტი, მისი დასაფლავება, რომელსაც დაესწრნენ **ე.შევარდნაძე** და **დ.ქართველიშვილი** – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გადაიქცა სეპარატისტული იდეოლოგიის ზეიმად **ა.შარვაშიძეს** მიაწერეს ისეთი რამ, რასაც იგი პირადად ებრძოდა და რაც არ ეკადრებოდა მის გვარს.

1985წ. 15 მაისს სკკპ ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებაზე გამოსულმა სკკპ ცკ-ის რიგით მეექვსე გენერალურმა მდივანმა **მ.გორბაჩოვმა** ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა. მანამდე სკკპ ცკ-მა **7 მაისს** მიიღო შესაბამისი დადგენილება **"ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ",** რომლის ხელმძღვანელობა დაევალა სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცკ-ის მდივანს **ი.ლიგაჩოვს**.

საქართველოს სინამდვილეში ამ დადგენილებამ მიიღო ავანტიურის ხასიათი, რასაც მოჰყვა სოფლის მეურნეობაში ეროვნული დარგების, ძირითადად, მევენახეობის, მეღვინეობისა და ა.შ. გადაშენების პირამდე მიყვანა.

1985წ. 1 ივლისს შედგა სკკპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც **ე.შევარდნაძე** აირჩია სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად.

1985წ. 2 ივლისს გამოქვეყნდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება **ე.შევარდნაძის** სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

1985წ. 6 ივლისს საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმმა დაწინაურებული **ე.შევარდნაძის** ნაცვლად "აირჩია" **ჯ.პატიაშვილი**.

ასეთია ოფიციალური და "უკონფლიქტო" ქრონიკა, რომლის მიღმა უდიდესი ტრაგედიები იმალებოდა.

რაც შეეხება საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივნად **ე.შევარდნაძის** მიერ მოთვალსაწიერებული **ს.ხაბეიშვილის** ნაცვლად **ჯ.პატიაშვილის** არჩევას, აქ კრემლმა საიმედოდ გათვალა. მან მარჯვედ გამოიყენა თბილისში მის მიერვე ინსპირირებული "სასახლის ინტრიგები". **ე.შევარდნაძე** კი გადაიყვანა ცენტრში, მაგრამ, როგორც იტყვიან, მას **"ბოლომდე ტამბოვის მგელი ენდო",** ამიტომ მის შემცვლელად დანიშნა კაცი, რომელიც საჭირო სახმობზე ხელაუკანკალებლად მოუძებნიდა საჭირო სამხილებს მათ, ვინც **ე.შევარდნაძესთან** გაბედავდა არალეგიტიმურ წაჩურჩულებას. რაც შეეხება იმას, რომ **ჯ.პატიაშვილის** კანდიდატურა წამოაყენა არა **ე.შევარდნაძემ,** არამედ **მ.გორბაჩოვმა,** სწორედ ეს გახლდათ საბედისწერო ილეთი კრემლიდან. კვლავ რუსეთი წყვეტდა ჩვენს ბედს.

ასეთი იყო თამაშის წესი კრემლის დარბაზებში. დღეს მას არ უნდა ჩაენაცვლოს იგივე წესი, თუნდაც ვაშინგტონიდან.

რაც უფრო ადიოდა მაღლა **ე.შევარდნაძე,** მით უფრო სასტიკი იყო რეპრესიები მისი თბილისური გუნდის მიმართ.

1985წ. 3 აგვისტოს რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრებაზე **ჯ.პატიაშვილი** საავდროდ მოიღრუბლა: **"რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ დაიბადოს კითხვა: სად არიან შესაბამისი ორგანოები, რატომ არის, რომ ზოგიერთებს ყველაფრის ნება აქვთ... ძალიან სამწუხაროა, რომ ზოგჯერ საეჭვო პიროვნებათა ნებას არის აყოლილი ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი მუშაკი. მაგალითად, ყველა თქვენგანმა იცის, რომ შარშანდელი წლის დამლევს პარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლეს ამხანაგი ა.კობაიძე, რომელმაც უპრინციპობა გამოიჩინა, რის შედეგადაც წარმოების უფროსად თელიანის ღვინის ქარხანაში დაინიშნა ვინმე დარჩაშვილი. შემდეგ ამ ქარხანაში გამოაშკარავდა დიდი დატაცება, ახლა კი პარტიის რაიკომში გამოვლინდა უხეში დარღვევების ახალი ფაქტები... როგორ მოხდა, რომ სკკპ რიგებში მიიღეს კაცი, რომელსაც ჩადენილი ჰქონდა ქმედება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით რომ ისჯება? თანაც ეს იცოდა რაიკომის ბიუროს ბევრმა წევრმა. ანდა, როგორ მოხდა პარტიაში ლოთი და ნარკომანი? ეს ხომ აღმაშფოთებელი უმსგავსობაა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1985, 8 აგვისტო).**

1985წ. 17 აგვისტოს საქართველოს კპ ცკ.-ის პლენუმმა მუშაობაში დაშვებული შეცდომებისათვის საქართველოს ცკ-ის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **ს.ხაბეიშვილი**, მალე აღიძვრება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე... ყველაფერი კრემლიდანური სცენარის მიხედვით ვითარდებოდა.

1985წ. 2 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს მიერ მიღებული იქნა ერთობლივი დადგენილება **"იმ მოქალაქეთა აღრიცხვის წესების შესახებ, _ რომლებიც საცხოვრებელი ბინების გაუმჯობესებას საჭიროებენ".** აღნიშნული დოკუმენტი ფაქტიურად ოქტომბრისენოვანი მუშახელის (ინტერფრონტული ეთნონედლეულის) მოზღვავების ლეგალური საშუალება გახდა, რომელსაც სულ მალე სსრკ მინისტრთა საბჭო ასეთივე ხასიათის დოკუმენტით შემოეშველა.

(თუმცა შემდგომში ე.წ. აფსუური წერილის ავტორები ჩვეული მაქინაციებით ამ დადგენილებას "ქართველთა ექსპანსიის" საბუთად გამოიყენებენ).

1985წ. 10 ოქტომბერს სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება №956, რომელიც ითვალისწინებდა უკიდურესი ჩრდილოეთის მშრომელების პენსიაზე გასვლის შემდეგ მათ გეგმაზომიერ ჩასახლებას სამხრეთის რესპუბლიკებში. მათ შორის საქართველოს სსრ-ში. ასე მაგალითად, ამ დადგენილების მიხედვით ნორილსკის სამთო მეტალურგიული კომბინატის პენსიონერი მუშაკები ქ.ქუთაისსა და ტყიბულში უნდა ჩასახლებულიყვნენ მათთვის აშენებულ ბინებში.

ასევე სხვადასხვა ჩრდილოეთური წარმოებისადმი საბინაო უფლებები უხვად იყო დარიგებული თბილისში, სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში, ბათუმში, ფოთში და ა.შ.

1985წ. 26 ოქტომბერი. პრესაში გამოქვეყნდა სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი.

1985წ. 9 ნოემბერს საინფორმაციო საშუალებებით გასაჯარისდა სსრკ ეკონომიური და სოციალური განვითარების **1986-1990 წლებისა** და **2000 წლამდე** პერიოდის ძირითადი მიმართულებანი.

1985 წელი, 19-20 ნოემბერი, ჟენევა. გაიმართა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის **მ.ს.გორბაჩოვის** და აშშ პრეზიდენტის **რ.რეიგანის** შეხვედრები.

1985წ. 29 ნოემბერს გაზეთი **"Правда"** განმარტავდა, რომ მოლაპარაკებების შედეგებმა შექმნეს პირობები არსებული კონფრონტაციიდან მხარეები გადასულიყვნენ სსრკ-აშშ-ის ურთიერთობაში კონსტრუქციული გზების ძიებისაკენ. სინამდვილეში ეს იყო "თანამედროვე მსოფლიო წესრიგის" მიერ მოსაზღვრული ნებადართულობა მსოფლიოს

გავლენის სფეროებად გადასანაწილებლად. სსრკ იმპერიის მოდერნიზებისათვის და დროისდა შესაბამისად მის "გარდასაქმნელად" ახლებური პოლიტიკის ცრუმოძრაობები იყო საჭირო..

1986წ. 4 იანვარი. გაზეთ "**Правда**"-ში (№4) გამოქვეყნდა საუბარი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან, ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორთან **ი.ვ.ბრომლეისთან**.

_ "Конечно, динамика развития такого крупного многонационального государства, как наше, и ныне рождает немало новых вопросов, проблем совместной жизни и труда населяющих его нации. Круг встающих в данной связи задач очертил М.С.Горбачев, отметив что, на нынешном этапе развития нашего государства первостепенное значение имеют такие проблемы, как рациональное размешение производительных сил и их дальнейшая интеграция в обмен народохозяйственном комплексе, углубление взаимодействия и взаимообогащение культур, усиление межнационального общения, подбор и расстановка кадров как в центре, так и в республиках и конечно воспитание трудящихся всех национальностей нашей страны, усилие их общности в рамках единного советского народа. Укрепление дружбы народов _ один из стержневых вопросов государственной политики при социализме.

При социализме народам не приходится «бороться» за свои права. В нашей стране межнациональные отношения строятся на основах равенства, взаимной выгоды и взаимопонимания. Народы СССР знают, что в составе социалистической федерации их национальные интересы и чаяния удовлетворяются наиболее полно...

Важно правильно представлять себе механизм возникновения националистических представлений и чувств. Человек рождается без националистического сознания. Оно формируется прижизненно, а не коренится в подсознании. Вот почему важнейшее значение приобретает целенаправленное интернационалистическое воспитание. Его следует начинать со школьного и даже дошкольного возраста."

აკადემიკოსი **ი.ბრომლეი** იყო (და არის) სსრკ ხალხთა შერწყმის თეორიის ერთერთი მთავარი თეორიტიკოსი. რაც შეეხება გაზეთ "**Правда**"-ს, იგი, როგორც სკკპ ცკ-ის ორგანო, ბუნებრივიცაა, რომ კრემლის რუპორი გახლდათ ყოველთვის.

წინამდებარე პუბლიკაცია დაიბეჭდა ე.წ. გარდაქმნის ზეობის დროს, რომლის მესაჭედაც **ე.შევარდნაძეს** დიახაც მოაქვს თავი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ წერილში კვლავ სსრკ ხალხთა შერწყმაზეა საუბარი, გასაგებია, თუ ვის დაკვეთას ასრულებდა ამჯერადაც "დიდი პოლიტიკოსი".

1986წ. 9 იანვარი: გაზეთმა "**Правда**"-მ (№9) დაუკვეთა წერილი სოხუმელ მოქალაქეს, ქ.სოხუმის არქივის გამგეს, ეროვნებით ბერძენ **ნ.იოანიდის**. აღნიშნულ პუბლიკაციაში ავტორი ცდილობდა კარსმომდგარი ინტერფრონტული მოძრაობისათვის მოეთადარიგებინა "საზოგადოებრივი აზრი". ამ მხრივ ეს წერილი მომავალი "ეთნოკონფლიქტის" ცხელი წერტილიდან აკადემიკოს **ი.ბრომლეის** ზემოთ დამოწმებულ დებულებათა გასაგნება გახდა: **"Все мы в первую очередь граждане СССР и только затем, по признаку места проживания в момент получения паспорта, становимся гражданами того или иного национального _ государственного образования в составе единного государства. При всей внешней, казалось бы, маловажности вопросы введения единного паспорта окажут психологически катализируюшую роль в формирование обшности «Советский народ». Предлагаю в новой редакции программы КПСС раскрыть понятие «Советский народ», дать ему более подробное определение. Ведь программа партии расчитана на многие годы."**

1986წ. 24 იანვარს გაიხსნა საქართველოს კპ 27-ე ყრილობა. გაზეთმა **"Правда"**-მ (1986, 28 იანვარი, №28) აღნიშნა, რომ:

"На съездах компартии союзных республик, Грузия.

Добиваться большего.

И.Потапов, Г. Лебанидзе (Спец кор. «правды»)

Конкретным проявлением большой заботы партии об увеличении экономического потенциала республики, говорилось с трибуны съезда, явилось решение Политбюро ЦК КПСС о начале строительства Закавказской перевальной железной дороги, газопровода. Северный кавказ-закавказье Грузинской атомной электростанции.

...Более того. четко поставлена задача по патриотическому и интернациональному воспитанию: КПСС будет настойчиво дабиваться, чтобы каждому советскому человеку были присущи чувства дружбы и братства, объеденяющие все нации и народности СССР, высокая культура межнационального обшения, нетерпимость к проявлениям национализма и шовинизма, национальной ограниченности и национального эгоизма..."

ზემოთ დამოწმებული პუბლიკაციები სკკპ ცკ-ის ოფიციალური პოზიცია გახლდათ, რომელიც ერთა თვითგამორკვევას გმობდა და გააფთრებული ებრძოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ამზადებდა ნიადაგს უპირადსახო საბჭოთა ხალხის (ნაციის) საბოლოო ფაბრიკაციისათვის: სსრკ ხალხების ცნობიერებათა მასობრივი აღგვა, ანუ ხალხთა პერმანენტული გენოციდის პოლიტიკა უნდა შეცვლილიყო დამკვრელურ-სტახანოვური "წესრიგის" გზით, საბჭოთა კავშირის ასზე მეტი ეროვნების გაერთხალხებით (ე. წ. "საბჭოთა ხალხი").

1986წ. 10 თებერვალს აფხაზეთის ასსრ "მშრომელებს" გარდამავალი დროშა გადასცა საქართველოს კპ ცკ.-ის პირველმა მდივანმა **ჯ.პატიაშვილმა**. ეს ღონისძიება საინტერესო იმით გახლდათ, რომ ამჯერადაც აფხაზეთი განხილული იქნა სეპარატისტთა მონონაციონალურ რაობად.

1986წ. 25 თბერვალს გაიხსნა სკკპ 27 ყრილობა (დამთავრდა 6 მარტს) იმისდა მიხედვით, რომ ყრილობამ მიიჩნია, თითქოს სსრკ კავშირში ეროვნული საკითხი წარმატებულადაა გადაწყვეტილი, მან დაამტკიცა სკკპ პროგრამისა და წესდების ახალი რედაქცია, "მოაგვარა" საკადრო თუ ორგანიზაციული საკითხები, _ საფუძველი ჩაუყარა სკკპ და სსრკ კოსმეტიკურ განახლებას, ანუ _ ე.წ. გარდაქმნის პოლიტიკას, რომლის მთავარი "მონაპოვარი" გახლდათ "ისტორიული ერთობა _ საბჭოთა ხალხი".

1986წ. 27 თებერვალს სსკპ 27-ე ყრილობის ტრიბუნიდან საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა **ჯ.პატიაშვილმა** ხმამაღლა თქვა: **"დღეს საქართველო, ისევე, როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, საუკეთესო დასურათხატებაა იმისა, რომ წარსულისგან შემორჩენილი ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში წარმატებით გადაწყდა, როგორც ეს ნათქვამია სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 28 თებერვალი).**

1986წ. 21 აპრილს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოვლენილი სერიოზული დარღვევების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში, ტენდენციურობის და მიუხედავად, არეკლილი იყო აფხაზეთის ეთნოკრატიისა და პარტოკრატიის საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი და ზნეობრივ-სახალხო ყოველდღიურობის მანკიერი ხასიათი.

1986წ. 26 აპრილს ჩერნობილის აეს-ში, საბჭოთა პარტნომენკლატურის ჩინოვნიკური დაუდევრობის შედეგად მოხდა ავარია (იგი აფეთქდა), რომლის კატასტროფული შედეგები საბჭოთა ხელისუფლებამ დაუმალა სსრკ მოსახლეობას და შეგნებულად განაგრძო საკუთარი, მათ შორის, საქართველოს სსრ მოსახლეობის რადიაციული

გენოციდი. საქართველოს სსრ ხელისუფლებამ და მთავრობამ **მ.გორბაჩოვისა** და **ე.შევარდნაძის** მითითებით დიდძალი ოდენობით დაიწყო რადიაციულად გაბინძურებული კვების პროდუქტების შემოზიდვა და მისი რეალიზაცია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს სსრ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, ასევე ჩვენს ქვეყანაში შემოზიდეს რადიაციული ნარჩენები დასამარხად. ჩერნობილის ავარიის სახიფათო და კატასტროფულ შედეგებზე მეტყველებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **ზ.ჩხეიძის** გაგზავნილი ბარათი (გრიფით სრულიად საიდუმლოდ) საკავშირო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ნ.რიჟკოვისადმი**. იგი დათარიღებული იყო **1986 წლის 5 აგვისტოთი,** ბარათში შავით თეთრზე ეწერა შემდეგი: **"ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგად თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო აღმოჩნდა ძლიერი რადიაციული დაბინძურების ზონაში, რაც დადასტურებული იქნა საკავშირო ჯანდაცვის საუწყებათაშორისო კომისიის მიერ... მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ შესაძლებელია ბიოლოგიურად სახიფათო ხანგრძლივი სიცოცხლის უნარის მქონე რადიაქტიური იზოტოპების შემცვლელი ზონების წარმოშობა. ამ ნივთიერებების მიგრაცია "ნიადაგიდან მცენარეში" იწვევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რადიაციულ დაბინძურებას... წინასწარი გამოკვლევების შედეგად რადიაქტიურად ძლიერ დაბინძურებული აღმოჩნდა ჩაის პლანტაციები".**

ზემოთაღნიშნული ბარათის თარიღიდან (**5 აგვისტო, 1986 წელი,** №00558) ირკვევა, რომ საქართველოს პარტიული ნომენკლატურა ჩერნობილის აფეთქებიდან 3 თვის შემდეგ საქმის კურსში ყოფილა საქართველოს რადიაციული დაბინძურების შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ შემოეკრათ განგაშის ზარები და ეთხოვათ შველა, _ ჩერნობილის ტრაგედიის საქართველოზე ზეგავლენის გამანადგურებელი და დამღუპველი პროცესები, მოსკოვის მკაცრი მოთხოვნით, სადაც ხელისუფლების უმაღლეს რგოლში მოღვაწეობდა **ე.შევარდნაძე,** სრულიად გასაიდუმლოებული იქნა. ამ ქმედებით საქართველოს პარტნომენკლატურამ საკუთარი ერი ხანრგძლივმოქმედი მიზნობრივი გენოციდისათვის გაწირა.

1986წ. 7 მაისი. <u>სკკპ ცკ-მა მიიღო დადგენილება "ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ".</u> საქართველოს სინამდვილეში ამ ღონისძიებამ ჩამოაყალიბა ერისათვის უცხო და გაუკუღმართებული ყოფაქცევის ნიშნები. მოგეხსენებათ, ღვინო ქართველთა ქრისტესმხედრული ცნობიერებისათვის უფლის სისხლია და არა გალეშვის საშუალება. ამ დადგენილებამ დიდად ავნო როგორც ქართულ მეურნეობას, ასევე ერის ცნობიერებას.

1986წ. 11 მაისს გამოქვეყნდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება **ბ.შიქუნბასათვის** _ სეპარატისტულ-აფხაზეცური მოძრაობის ლიდერისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, მანამდე, **8 მაისს** ოფიციალურმა თბილისმა მას დიდი ზარ-ზეიმით შეხვედრები გაუმართა.ეს დაჯილდოება თავისი ქვეტექსტებით ნიშნავდა სეპარატისტული ეთნოკრატიის მორალურ მხარდაჭერასა და მატერიალურ თანადგომას.

1986წ. 21 მაისს სსრკ ეროვნებათა საბჭოს სოხუმის საქალაქო №185-ე საარჩევნო ოლქში ამომრჩევლები შეხვდნენ დეპუტატობის კანდიდატს **ჯ.პატიაშვილს.**

1986წ. 1 ივნისს "Правда"-მ გამოაქვეყნა პუბლიკაცია სსრკ სადირექტივო ორგანოების მიერ მიღებული დადგენილების გამო **"სსრკ საშუალო და უმაღლესი განათლების გარდაქმნის შესახებ".** მასში ნათქვამი გახლდათ, რომ მხოლოდ მოსკოვი წყვეტდა ისეთ საკითხებს, როგორიც იყო "...**вопросов о присвоения звании профессора и доцента передать Минвузу СССР".**

ეს სრულიად უბოდიშო სამეცნიერო ყოველდღიურობები იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ის ჭუჭრუტანებიც კი, რომლებიც სამეცნიერო კაბინეტში შესაძლოა ყოფილიყო, საგულდაგულოდ ამოიგლისა კრემლის უმკაცრესი ცენზურით და მხოლოდ ის ხედი უნდა გეღიარებინა, რომელსაც თვალსამზერად შემოგაჩეჩებდნენ.

1986წ. 26 ივნისი, "Правда" №177: სსრკ მწერალთა VIII ყრილობაზე უკრაინელმა მწერალმა **ბ.ოლეინიკმა** განაცხადა: **"На недавно прошедшем республиканском съезде писателей затрагивались в частности вопросы языка, и это естественно, ибо проблема развития родного слова всегда тревожила и будет тревожить писателей уже по той причине, что слово - это его строительный материал."**

1986წ. 8 ოქტომბერი. "ლიხნის დღესასწაული" _ სეპარატისტული სიმწყობრის მორიგ დათვალიერებად იქცა.

1986წ. 26 ოქტომბერს თბილისობის დღესასწაულზე **ჯ.პატიაშვილი** განსაკუთრებული პომპეზურობით ესტუმრა აფხაზეთის წარმომადგენლობას _ "აფხაზურ ეზოს". ამ დღეს თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს სეპარატისტულ-აფხაზეცური მოძრაობის ერთ-ერთი სულიერი მამა **გიორგი გულია** და ბოლოს, **26 დეკემბერს სამსონ ჭანბას** 100 წლისთავის ზეიმი ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებთან ერთად, ატარებდა პირწმინდად ანტიქართულ ხასიათს (შეგახსენებთ, რომ გ.გულიამ არც გააფხაზეცებული მამის ენა _ აფსუური და არც დედის _ ქართული, არ იცოდა, ის რუსისტულენოვანი მწერალი იყო).

1986წ. დეკემბერს ყაზახეთში სოციალურ ნიადაგზე მოხდა საპროტესტო გამოსვლები, რომელმაც თანდათანობით მიიღო ეროვნული ხასიათი, ამის გამო დეკემბრის შუა რიცხვებში ყაზახეთის კპ ცკ-ის პირველ მდივნად არჩეული იქნა **გ.კოლბინი.**

1987წ. იანვარ-თებერვალში საქართველოს დაატყდა სტიქიური უბედურება, დიდთოვლობამ და წყალდიდობამ, ზვავმა და მეწყერმა აჭარაში, სვანეთსა და სამეგრელოში აღგავა სოფლები, იმსხვერპლა ადამიანები...

1987წ. 24 მარტი, ჯ.პატიაშვილმა იმოგზაურა გაგრის ზონაში.

1987წ. 31 მაისს საქართველოს ეწვია სკკპ ცკ-ის მდივანი იდეოლოგიის დარგში **ე.ლიგაჩოვი**. კვლავ დაისვა საკითხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგიერთი დარგის სწავლების რუსულ ენაზე გადაყვანის შესახებ. **("Правда", 1987, 3 ივნისი** (№154): **Практические задачи коренного обновления высшей школы).**

1987წ. 4 ივნისს "Правда"-მ მკითხველებს აუწყა წინა დღეს თბილისში ჩატარებული პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შესახებ, სადაც **ე.ლიგაჩოვმა** რუსისტული "სიბრძნე" გადმოაფრქვია და თითის ქნევით დასვა საკითხი კინაღამ ვენახების აჩეხვისაც კი.

1987წ. ივლისი _ დევიზით: **"პრაქტიკული საქმეებით განვამტკიცოთ გარდაქმნა"** _ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართა შეხვედრა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებთან. განხილული იქნა საკითხი **"გარდაქმნის პროცესში სკკპ ცკ-ის 1987 წლის ივნისის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებაში პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის როლის შემდგომში გაძლიერების შესახებ."**

1987წ. 2 ივლისი _ "Правда"-მ (№183) გამოაქვეყნა ინფორმაცია ყაზახეთის კპ ცკ-ისა და ლატვიის კპ ცკ-ის პირველი მდივნების **ლენინის** ორდენით დაჯილდოების შესახებ. მათ ეს დაიმსახურეს "ადგილებზე" ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარებისათვის ანუ ამ რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობების წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისათვის.

1987წ. 3 ივლისს "Правда" (№184) იუწყებოდა, რომ დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობა.

1987წ. 16 ივლისი. “ Правда”-მ (№197) _ გაგვისაჯრისა, რომ სკკპ ცკ-მა მიიღო დადგენილება: **“О работе Казахской Республиканской партийной организации по итнернациональному и патриотическому воспитанию трудящихся”.** რომელშიც ნათქვამი იყო: **“Серьезные ошибки и просчеты в работе партийных комитетов республики привели к росту националистических проявлений, которые своевременно не пресекались, более того, замалчивались или квалифицировались, как обычное хулиганство. Даже имевшим место в 1979 году в г.Целинограде националистическим выступлениям ЦК Компартии Казахстана не дал острой политической оценки. Проявлением Казахского национализма были и беспорядки в декабре прошлого года в городе Алма-Ате”.** ამ დადგენილების მოხედვით მომხდარ “გაუგებრობათა” მიზეზი გახლდათ “<u>ყაზახი ეროვნების კადრების ზედმეტად მომრავლება ყაზახეთის მაღალ თანამდებობებზე</u>” (ეს ყველაფერი შეადარეთ საქართველოს შესახებ სკკპ ცკ-ის მიერ **1956 წლის 10 ივნისსა** და **1972 წლის 6 მარტს** მიღებულ დადგენილებებს).

1987წ. 21 ივლისი. “Правда” (№202) თავის მოწინავეში მოუწოდებდა საბჭოთა ხალხს, რათა გაეცნობიერებინა რუსული ენა, როგორც მშობლიური და საკაცობრიობო მნიშვნელობის ენა: **“Важный принцип социализма Интернационализм - условие социально - экономического ускорения.**

Крупнейшее достижение нашей национальной политики формирование и расцвет единой по социалистическому содержанию, многообразной по национальным странам, интернационалистической по духу культуры.

Важнейший фактор ленинской национальной политики - свободное развитие национальных языков при одновременном распространении русского языка как языка межнационального общения. Ничего обшего не имеет с подлинной заботой о развитии родного языка и национальной культуры любое требование административно ограничить употребление русского языка”.

1987წ. 18 ივლისს გაზეთ **“კომუნისტში” ჭაბუა ამირეჯიბმა** გამოაქვეყნა ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის მხარდამჭერი წერილი. ეს იყო კრემლის ვერაგული გეგმა. იმხანად, კრემლს დასჭირდა ახალი “როკის გვირაბი”, რომელსაც ამჯერად უნდა გაევლო ვაინახების ქვეყნიდან საქართველოს მთიანეთში _ ფშავ-ხევსურეთში. ახალი გიგანტური მშენებლობა გამოიწვევდა ამ ეროვნული კუთხეების “გაინტერნაციონალისტებას” (დემოგრაფიულ ექსპანსიას), ეკოლოგიურ კატასტროფას და აქედან გამომდინარე შედეგებს.

ვინაიდან ოფიციალურად **ჭ.ამირეჯიბს** მიეწერება გახმაურებული რომანი “დათა თუთაშხია”, მეტროპოლიამ მისი “ავტორიტეტის” გამოყენება მოინდომა საზოგადოებრიობის დეზორიენტაციისათვის.

1987წ. 7 აგვისტოს მ.გორბაჩოვი შეხვდა ამერიკელ მასწავლებელთა ჯგუფს, რომლებიც რუსულ ენას ასწავლიან. ამ შეხვედრაზე გამოიკვეთა ველიკოდერჟავული ტენდენციები.

1987წ. 19 აგვისტო. “Литературная Газета”-მ გამოაქვეყნა წერილი _ “კოლმეურნეობას - გმირის სახელი”.

1987წ. აგვისტოს ბოლო დეკადა: ქ.სოხუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აგვისტოს კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა **ბ.ადლეიბა** _საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი: **“ალბათ ბევრმა თქვენგანმა წაიკითხა მიმდინარე წლის 19 აგვისტოს “ლიტერატურნაია გაზეტაში” გამოქვეყნებული წერილი “კომლეურნეობას _ გმირის სახელი”, რომელსაც ხელს აწერს გუდაუთის რ-ნის ოთხარის**

მკვიდრთა დიდი ჯგუფი. ამ პუბლიკაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის მკვიდრთა სურვილის საწინააღმდეგოდ კოლმეურნეობას თურმე არა და არ მიენიჭა ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, სოფელ ოთხარაში დაბადებული და აღზრდილი ქალის, დიდი სამამულო ომის წლებში გმირის სიკვდილით დაცემული ასეულის კომისრის საშა ნაზაძის სახელი. ამასთან წერილის ავტორები ამტკიცებენ, რომ ეს ხდება ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიზეზით, რომელნიც თითქოს ეწინააღმდეგებიან გმირის სახელის უკვდავყოფას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გვარი ქართულად ჟღერს, ხოლო სოფელი აფხაზურია...” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 1 სექტემბერი, 1987წ.).

ცენტრალურ პრესაში და ისიც მოსკოვში _ ასეთი წერილები მხოლოდ და მხოლოდ დაკვეთით და სათანადო მკაცრი ცენზურის გავლის შემდეგ ქვეყნდებოდა. რისთვის დასჭირდათ ამჯერად ქართველთმოძულეობის ასეთნაირად “მხილება”? _ ესეც “გარდაქმნის” ნებადართულობა იყო, _ “ობიექტური” და “პრინციპული” მსჯელობა სჭირდებოდათ ყურადღების გადასატანად თემშარიდან გზაამქცევზე...

იმხანად, ხომ სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა **მ.გორბაჩოვმა** სკკპ ცკ-ის **ივნისის** პლენუმის შემდეგ დაიწყო სსრკ ქალაქებში და მხარეებში მოგზაურობა და “პირდაპირ ქუჩებში მშრომელებთან უშუალო შეხვედრები” იმის შესასწავლად თუ როგორ სრულდებოდა მათთან ე.წ. გარდაქმნა.

1987წ. 23 აგვისტო _ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) _ ხმამაღლა გაცხადდა საბჭოთა ნომენკლატურისადმი ანტიიმპერიული განწყობა.

1987წ. 1 სექტემბერი, გაზეთმა **“Правда”-მ** (№244) დიდმპყრობლური პოზიციებიდან დაგმო ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკებში თვითგამორკვევის პროცესები. ამ შემთხვევაში იმპერიის სალდაფონური თითისქნევა მიმართული იყო **“К националистическим выступлениям так называемых правзощитников в республике” (23 августа, Рига, Талин, Вильнюс).**

1987წ. 29 სექტემბერს ბზიფის დასახლებაში გაიხსნა იპოდრომი “ბზიფი” _ რომელზეც მოეწყო ანტიქართული ხასიათის ზეიმი, განადიდეს ბოლშევიკ აფხაზეცთა ბოევიკურ-ყაჩაღური რაზმი “კიარაზი”, რომელსაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დასაბამისმიერი ქართველების (იგივე აფხაზების) სისხლში ჰქონდა ხელები დასვრილი.

“დიდი ოქტომბრის” 70 წლისთავის წინადღეებში მასობრივი ტირაჟით გამოიცა **მ.გორბაჩოვის** წიგნი ე.წ. გარდაქმნისა და ახალი აზროვნების შესახებ.

1987წ. ნოემბერი _ მოსკოვში მასშტაბური პომპეზურობით აღინიშნა “დიდი ოქტომბრის” 70 წლისთავთან დაკავშირებული ოფიციალური და საზეიმო ღონისძიებები. ზეიმს მსოფლიოს 148 ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო. გაისმა კულუარული ხმები სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის **ბ.ელცინის** “დისიდენტური” ნაბიჯების შესახებ. ეს ხმები განამტკიცა იმანაც, რომ **1987 წლის 11 ნოემბერს იგი** გათავისუფლებული იქნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან. სამწუხაროდ, იმხანად ასეთი “დისიდენტური ნაბიჯები” “თანამედროვე მსოფლიო წესრიგის” მიერ აღმოჩნდა შემოჩეჩებული.

1987წ. ნოემბერი _ სოხუმში რუსისტული იდეოლოგიის შესაბამისად ჩატარდა “დიდი ოქტომბრის” 70-ე საიუბილეო წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი და საზეიმო ღონისძიებები. ფართოდ და ქართველთა მიმართ დაპირისპირების ნიშნით ჩატარდა “კიარაზის” 70 წლისთავის საზეიმო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებიც.

1987წ. 18 დეკემბერს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს ანგარიში გარდაქმნასთან დაკავშირებით მოისმინა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა, რომელსაც დაესწრო საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანი **ბ.ნიკოლსკი**.

ეს ღონისძიება დღისით-მზისით აფხაზეთის ასსრ-ად წოდებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ცხუმ-აფხაზეთში) ატარებდა ქართველთმოძულეობის წაქეზებისა და ეთნოკრატიულ-დიდმპყრობლური თარეშის ხასიათს. პლენუმის მუშაობაში მიღებულმა ტერმინოლოგიამ და შესაბამისმა ქვეტექსტებმა აფხაზეთი აღიარა მონონაციონალისტურ-სეპარატისტული ხროვის სათავისოდ.

1987 წელს ე.წ. ოქტომბრის 70 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვმა გამოსცა ზემოთ უკვე ნახსენები ვინმე **ი.ცამერიანის** წიგნი **"Национальные отношения в СССР".** ეს ე.წ. წიგნი ქართველ ერს განმარტავდა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების მოთხოვნილებათა მიხედვით.

≈*≈

11. მესამე წუთშესვენება ერის ქედდაუღუნავი ვინაობისათვის თვალშესავლებად (1982-1987წ.)

"ამიერითგან შრომასა ნუვინ შემამთხუევნ მე;
რამეთუ მე საწერტელნი იგი უფლისა იესუისნი
ხორცთა შინა ჩემთა მიტვირთვან".
<u>გალატელთა მიმართ 6, 17.</u>

მიუხედავად დევნის, რეპრესიებისა და პროვოკაციებისა, **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** ხელმძღვანელობით საქართველოს ჰელსინკის ჯგუფს არასოდეს გამოუცხადებია თვითდაშლა.

1983 წელს ამ ჯგუფმა ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა თაობასთან ერთად შრომატევადი სამუშაო შეასრულა რუსეთ-საქართველოს "ურთიერთობის" ნამდვილი სახის სამხელად. მან ასევე თანმიმდევრულად იღვაწა საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში რუსიზმის კოლონიური სისტემის შესახებ მსოფლიო საზოგადობრიობისათვის სწორი ინფორმაციების მისაწოდებლად.

1983 წელს ზ.გამსახურდიამ მ.კოსტავას დასაცავად წერილი მისწერა საფრანგეთის პრეზიდენტს **ჟორჟ მარშეს**, რომელშიც ამხილა საბჭოთა საპატიმროებში არსებული კაცთმოძულეობა და განუკითხაობა.

1983 წლის 18 მარტს თბილისის აეროპორტში ქართველი ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა **(გერმანე კობახიძემ, თინათინ ფეტვიაშვილმა, დავით მიქაბერიძემ, კახა და პაატა ივერიელებმა, იოსებ წერეთელმა, გრიგოლ ტაბიძემ)** მოინდომა თვითმფრინავის გატაცება და პოლიტიკური მოსაზრებებით საზღვარგარეთ გადასვლა. საბჭოთა უშიშროება და ე.წ. სამართალდამცავი ორგანოები სასტიკად გაუსწორდნენ მათ. **ე.შევარდნაძის** პირადი ძალისხმევითა და სასამართლოზე ზემოქმედებით ისინი დახვრიტეს.

იმხანად განსაკუთრებული სისასტიკით გრძლდებოდა **ზ.გამსახურდიასა** და **მ. კოსტავას** რეპრესიები. **მერაბი** საპატიმროში იყო, როდესაც შვილი **ირაკლი**, სუკის ხელშეწყობით, გაურკვეველ ვითარებაში დაეღუპა, ასევე **ზ.გამსახურდიას** ოჯახი განიცდიდა დევნასა და დარბევას, თავად **ზვიადს** განუწყვეტლივ იბარებდნენ სუკში (**1983წ. _ 9/III, 31/XI, 5/XI; 1985წ. _ 4/II, 18/II, 8-9/IV; 1987წ. 28/V 1983-87 წლები).**

ზ.გამსახურდიასა და **მ.კოსტავას** მეთაურობით იმ დროს გაგრძელდა ბრძოლა ეკოლოგიური გენოციდის წინააღმდეგ საქართველოში (გიგანტური ჰესების მშენებლობა ენგურზე და სხვაგან, ასევე ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანის მცდელობა

არხოტზე, კულტურული ძეგლებისა და სულიერი მემკვიდრეობის დაცვა საბჭოთა თარეშისაგან; ქართული საზოგადოების გამოსაფხიზლებელი საქმიანობა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ასაღორძინებლად).

1987 წლის მაისში მ.კოსტავა გათავისუფლდა პატიმრობიდან. იმხანად მან მოსკოვის ჟურნალ **"Гласность"**-ში გამოაქვეყნა წერილი, რომელიც სუკის მიერ საგანგებოდ იქნა ფალსიფიცირებული.

≈*≈

12. ე.შევარდნაძისეული მესამე ხუთწლეული და მისი ძირითადი ხასიათი

(1982-1987წ.)

"შეისმინე, ჟამსა ამას ჩემ ქუესკნელად შთასრულისა ვედრებაი,
რამეთუ გლახაკ ვარ მე კეთილთა საქმეთაგან და
გული ჩემი
შეშფოთებულ არს შორის ჩემსა"...
<u>ლოცვა შუაღამისა წმინდა იოანე დამასკელისა</u>.

1983-87 წლების პარტნომენკლატურული რეგლამენტიდან უნდა განვასხვაოთ ორი, თითქმის თანაბარი პერიოდის პოლიტიკური ტაქტიკა:

1. **1983 წლის იანვარი - 1985 წლის აპრილი**, როცა საბჭოთა იმპერიაში სკკპ 26-ე ყრილობის ამოცანათა ხელახალ გააზრებასთან დაკავშირებით სსრკ 60-ე წლისთავის საიუბილეო ზეიმზე სახელმწიფოს ახალი ლიდერის **ი.ანდროპოვის** მიერ მკაცრად გაცემული დირექტივის თანახმად, ყოველ მიზეზ გარეშე უნდა მიღწეულიყო სსრკ ხალხის საბოლოო ჩამოყალიბება ოქტომბრისენოვან ერად, ანუ საბჭოთა სახელმწიფოს სახელის მატარებელ სიმრავლედ _ ე.წ. საბჭოთა ხალხად და _ 2. 1985 წლის აპრილი _ 1987 წლები, როცა ხელისუფლების სათავეში იმავე მიზნისთვის **მ.გორბაჩოვისა** და **ე.შევარდნაძის** მეთაურობით ძირითადად ახალი, პოლიტიკურად მოქნილთითება საბჭოთა გუნდი მოვიდა.

ამ დროისათვის ავღანეთის ომმა, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე საშინაო ცხოვრებაში, კრიზისულ მდგომარეობამდე მიიყვანა საბჭოთა კავშირი. პოლიტიკური სიტუაცია საჭიროებდა დროებით ჩექმების ბრახუნის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. გადასინჯვას მოითხოვდა არსებული პოლიტიკური სტერეოტიპები საგარეო პოლიტიკაში. ქვეყანაში კომპარტიული მონოლოგის ნაცვლად დამკვიდრდა ისევ მონოლოგი, ოღონდ კომპარტიული დიალოგის რეპუტაციით (ე.წ. პლურალიზმი). კრემლიდანურ დიქტატს დემოკრატიის აბრა თავისი სასიცოცხლო აუცილებლობისათვის დასჭირდა. აქედან გამომდინარე, ასიმილატორული სტრატეგია შეინიღბა "ხალხთა ლენინური თვითგამორკვევის" ლოზუნგში და მან წუთშეუსვენებლად განაგრძო ეთნოდივერსიული საქმიანობა. ამ პროცესების ქმედუნარიანობისათვის ცოტა უფრო გვიან საბჭოთა ხელისუფლებამ მარჯვედ და, რაც მთავარია, შედეგიანად გამოიყენა საბჭოთა ავტონომიებში ჩახრახნილი ხანგრძლივი დროით მოქმედების ნაღმები.

1983 წელს, როგორც ეს ზემოთ განვიხილეთ, საქართველოს კპ ცკ-მა და რესპუბლიკის ხელისუფლებამ მონური ქედმოხრითა და გულისამრევი მლიქვნელობით, რაც ასე საგანგაშო იყო, ისტორიის გაყალბებით "იზეიმა" საქართველოში რუსიზმის საოკუპაციო აულაგმაობის 200 წლისთავი. თუ ეს

პოლიტიკური თვითნებობა **1901 წელს** ქართველი მარქსისტებისათვისაც კი საფრთხილო იყო და ისინი მას ცარიზმის დიდმპყრობლობათა სამხილებლად იყენებდნენ, **1983 წლისათვის**, პირიქით, საბჭოთა იდეოლოგებმა ადგილობრივი კოლაბორაციონისტების მეგზურობით საქართველოსა და საერთოდ, კავკასიაში რუსეთის იმპერიულ ქუსლებს მოუძებნეს სათანადო ტერმინი და მას დაარქვეს რუსი და ქართველი ხალხების დამოყვრების აქტი. ამისდა შესაბამისად გაისარჯა საბჭოთა საქართველოს ისტორიოგრაფიაც, ლიტერატურაც, ხელოვნებაც, სახალხო განათლებაცა და საერთოდ იდეოლოგიისა თუ ინფორმაციის სამსახურები. სსრკ ხალხთა ერთბაშად გარუსების საკითხს სახელმწიფო პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს სტრატეგიად აზუსტებდა და მოითხოვდა მის განხორციელებას თანმიმდევრულად, მაგრამ დროში გაწელვით კი არა, მყისიერად სურდა ეს. ამ რუსისტული დირექტივის ანატომიაზე მოგვიანებით **მ.გორბაჩოვმა** გაიხსენა: **"წინადადებაც კი იყო, შევდგომოდით ერთა პრაქტიკულ შერწყმას, ერთ დროს დიდი გაჭირვებით მოვახერხე წინ აღვდგომოდი ზოგ განსწავლულ კაცთა შემოტევას, რომლებიც ცდილობდნენ, ამჟამად მოქმედი პარტიის პროგრამაში შეეტანათ ეს საშიში დებულება" (გაზ. "კომუნისტი", 1989წ. 1 იანვარი).**

დიახ, რას არ მოესწრება კაცი, თურმე **მ.გორბაჩოვს** გადავურჩენივართ, _ ამას იბრალებს რუსიზმის თანმიმდევრული განმახორციელებელი, რომელმაც წარბშეუხრელად მოაწყო მანამდე ყაზახეთის, ყარაბაღის, სუმგაითის, ფერგანისა და შემდგომ თბილისში **9 აპრილის სასაკლაო,** ცხუმ-აფხაზეთში **15-16 ივლისისა და მომდევნო დღეების** სისხლისღვრა, დნესტრისპირეთის, ვილნიუსის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის ხელოვნური კონფლიქტები, რასაც მოჰყვა ჟლეტა და ა.შ (საინტერესოა, რომ **1983 წლის "საზეიმო დღეებში"** ირანმაც კი გამოთქვა პრეტენზია **"საქართველოზე თავისი უფლებების აღდგენის შესახებ"**).

ბუნებრივია, ქართველი ერის საუკეთესო, ფხიზელი ნაწილი (**ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** მეთაურობით), საბჭოთა თვითმპყრობლურ რეჟიმს არა თუ ამხელდა, არამედ მძლავრი საპროტესტო აქციებითაც პასუხობდა. ასევე, ამ სამარცხვინო "დიდი იუბილის" დღეების წინ, ქართველი ერისკაცები მოსახლეობას არალეგალურად აწვდიდნენ სათანადო პროკლამაციებსა და განმარტებებს საქართველოში რუსული ხიშტის, ჩექმისა და "კეთილმოსურნეობათა" თანამოღვაწეობის შესახებ. ქვეყანაში ეროვნულ- გამათავისუფლებელი სულისკვეთება ამ წლებში ეროვნული მოძრაობისათვის აუცილებელ სიმწყობრეს იძენდა.

ასეთ ვითარებაში კრემლმა ხალხთა ფაბრიკაციული შერწყმის **ლენინური** სტრატეგიის **ი.ანდროპოვისეული** დებულებები შეცვალა ახალი ტაქტიკით "ე.წ. საბჭოთა ფედერაციის სუბიექტებისათვის უფლებათა გაფართოებით", ანუ ე.წ. გარდაქმნის ავანტიურით, რომლის თანახმადაც, დაიწყო ე.წ. "ეთნოკონფლიქტების" საწარმოებლად ნიადაგის შემზადება.

ეს იმდენად სასიკვდილო ლახვარი იყო, რომ თვით **ჯამბულის** იდეებზე კონსტრუირებულმა საბჭოთა "გუბერნიამ", ოქტომბრის პირმშომ _ რუსიზმის უღელქვეშ ქანცგაწყვეტილმა ყაზახეთის სს რესპუბლიკამ, ე.ი. აბსოლუტური, მაგრამ მორჩილი უმრავლესობის ნაცადმა ნაწილმაც კი **1986 წელს,** რბილად რომ ვთქვათ, ერთ მშვენიერ დილას ეროვნული თვითშეგნებით თვალგახელილმა ამოიგმინა, რასაც მოჰყვა სკკპ პოლიტბიუროს წევრის **დინმუხამედ კუნაევის** ნაცვლად ამ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის სათავეში ჩვენთვის ნაცნობი რუსი **გენადი კოლბინის** მოსვლა და "რესპუბლიკაში ცხოვრების ლენინური ნორმების" აღდგენა (რეპრესიები). ეს გახლდათ სტალინიზმის კრიტიკის ეპოქაში ი.სტალინის საკადრო მეთოდებთან მიბრუნება (**50-იანი წლების შემდეგ "მოკავშირე"** რესპუბლიკათა პარტიულ ხელმძღვანელობაში პირველი კაცი ადგილობრივი წარმოშობისა იყო). ეს არ იყო

შემთხვევითი. სსრკ ისტორიაში არასოდეს გაუკრიტიკებიათ და უგინებიათ **ი.სტალინის** თვალგახელით დანახული რუსეთი, არც ეს თვალგახელა უარუყვიათ, მას უბრალოდ მოაშორეს "ქართველის" თვალები.

ე.წ. გარდაქმნამ მოითხოვა ახალი იდეოლოგიური ტერმინოლოგიისა და პროპაგანდისტული ილეთების დაზუსტება, შეკრება და სრულყოფა. "გამოზაფხულების" ილუზიისათვის დაიწყეს **1930-40-50-ან წლებში** რეპრესირებულთა რეაბილიტაციაზე მუშაობა. უარყოფილი იქნა "ძველი მანკიერი" მეთოდები, რომლებიც, ხატოვნად რომ ვთქვათ, განახლებულ ქარხანაში ძველი ჩარხების გამოცვლასა და მათ ადგილზე უფრო სრულყოფილის ჩახრახვნას ნიშნავდა მხოლოდ.

ე.წ. "გარდაქმნის" იდეოლოგიისათვის **ე.შევარდნაძემ** საგანგებოდ "დაამუშავა" მკვდრადშობილი თეორია "დიდი" და "მცირე" სამშობლოს შესახებ, რომლის მიხედვითაც საქართველო მისთვის მშობლიური უბანი იყო მხოლოდ, ხოლო საბჭოთა კავშირი _ მშობლიური ქალაქი.

1986 წლის 26 აპრილს კაცობრიობას თავს დაატყდა უდიდესი ტრაგედია _ ჩერნობილის აეს-ში მოხდა ავარია, რამაც იმსხვერპლა და დაასნეულა მილიონობით ადამიანი. ცალკე სასაუბროა სახალხო მეურნეობის ზარალი. რადიაციულად გაბინძურდა ევროპის საგრძნობი ნაწილი, მათ შორის საქართველო. ამის შედეგად ქვეყანაში იფეთქა ამასთან დაკავშირებული ავადმყოფობების მასობრივმა გამოვლინებებმა. მიუხედავად ამ საზარელი ტრაგედიისა, საბჭოთა ხელისუფლება, "ცენტრში" **გორბაჩოვ-შევარდნაძის** მეთაურობით, ხოლო "ადგილზე" კომპრადორული მოხალისეების ანუ პარტნომენკლატურის ხელმძღვანელობით მოსახლეობას უმალავდა ჩერნობილის ტრაგედიის ნამდვილ არსს, მისი განვითარების სახიფათო პერსპექტივას, უფრო მეტიც, ჩერნობილის მიდამოებიდან მომარაგებაში შემოდიოდა ჯანმრთელობისათვის საშიში კვების პროდუქტები, ასევე საქართველოში დაიმარხა რადიაციული ნარჩენების გარკვეული რაოდენობა.

იმავე დღეებში საკავშირო ხელისუფლების მოთხოვნით სსრკ-ის ყველა რესპუბლიკიდან, მათ შორის საქართველოდან ჩერნობილში სამუშაოდ მობილიზებული იქნა ავარიის შედეგების ლიკვიდატორი სპეციალისტები, ექიმები და ა.შ.

როგორც მოგახსენეთ, 1986-სა და მომდევნო წლებში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქართველი ერის დაუკითხავად დაიმარხა რადიაციულად დაბინძურებული, სიცოცხლისათვის საშიში ნარჩენები. ასევე ხელგაშლილად და დიდი რაოდენობით დაიწყეს საქართველოში ჩერნობილის მიდამოებიდან რადიაციულად დაბინძურებული საკვები პროდუქტების შემოზიდვა. Aასე მაგალითად, თუ 1985 წლისათვის უკრაინიდან საქართველოში შემოვიდა 20907 ტონა ხორცი, 1986 წლის ბოლოსათვის შემოიტანეს 30000 ტონაზე მეტი. იმავდროულად სამჯერ შემცირდა რუსეთიდან ეკოლოგიურად სუფთა ხორცისა და რძის ნაწარმის შემოტანა.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის გზიდან ასაცდენად, რომელიც თავისი პოლიტიკური და ზნეობრივი აღმავლობის გზაზე იყო ამ დროისათვის, ცენტრალური საინფორმაციო საშუალებებითა თუ პრესით "ცენტრმა" დაიწყო **ი.სტალინის** იმგვარად და თანაც გააფთრებული "მხილება", რომ სტალინიზმის მანკიერება პრაქტიკულად ქართულ რაობად განიხილებოდა, როგორც ეს ხდებოდა **ნ.ხრუშჩოვისეული** "ოტტეპელის" პერიოდშიც. საკავშირო პრესამ იმ დროს, როცა **ე.შევარდნაძე** ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ხელმძღვანელი გახლდათ, სულ უფრო და უფრო ფართოდ დაიწყო იმგვარი პუბლიკაციების გამოქვეყნება, რომლებშიც ქართველს ქრონიკულ ავანტიურისტად ახასიათებდნენ. ამით "ცენტრი" გამომწვევად აღიზიანებდა ეროვნულ თავმოყვარეობას, რათა იგი ჩაბმულიყო "თავისმართლების" საპასუხო პოლემიკაში.

ყოველივე ამით ჩაფიქრებული გახლდათ ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გატყუება ახალი ცხრა მარტისაკენ (ამის ერთ-ერთი თაოსანი თავად **ე.შევარდნაძე** იყო), მაგრამ "**კოლხური კოშკის**" (**ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას,** მათი თანამოსანგრეების) ძალისხმევით საქართველომ თავს მოხვეულ კერპებს კი არ მოუდრიკა თავი, ცრუ და გზაამქცევ სვლაგეზს კი არ დაადგა, არამედ სრულიად გიორგიანული ქუდზეკაცობის თვალგახელა დიადი 9 აპრილისკენ გასაწალდ გზებზე გაიყვანა.

≈*≈

13. რუსიზმის ნაქუსლარზე ჩაკრიალოსნებული თარიღები

(1988-92წ.)

"... და აქუს კუდები, მსგავსი ღრიანკალთაი, და
საწერტლები. Dდა კუდებითა მათითა აქუს ხელმწიფებაი
ვნებად კაცთა ხუთ თთუეი..."
<u>გამოცხადება იოანესი 9, 10.</u>

1988 წლის დამდეგისათვის ბოლშევიზმის ჯოგურ კრებითობას შეაჩეჩეს საბჭოთა ხალხის ახალი "გმირი" _ **ბორის ელცინი**: რომელსაც საბჭოთა ოფიციოზის ხელშეწყობით "დიდი ოქტომბრის" 70-ე წლისთავის საიუბილეო დღეებში და განსაკუთრებით წლის მიწურულისათვის, "ჯერ არნახული "დისიდენტური დემარშის", _ ანუ ეფექტის სვლის საშუალება მიეცა. **ბ.ელცინი** ამ პოლიტიკური "დემარშისათვის", რომელიც დაგეგმილი იყო "სადაც ჯერ არს," _ გაათავისუფლეს სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან.

ბ.ელცინის "გადისიდენტებით" "თანამედროვე მსოფლიო წესრიგმა" მოინდომა სსრკ იმპერიის რეკონსტრუირებული ფორმით შენარჩუნება, რითაც შესძლო კიდეც სამომავლოდ კრემლიდანური დიდმპყრობლობისათვის სამარქაფო და სათადარიგო სვლაგეზის გაკვალვა. იგი მოხერხებული ხრიკებით ჩააყენეს რუსეთში სახალხო ვნებათაღელვის სათავეში და დააკისრეს გამწევის ("პარავოზის") მისია. ეს გახლდათ რუსეთში რუსთა სახალხოობის დამარცხება.

1988 წლის 8 იანვარი. სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი **მ.გორბაჩოვი** შეხვდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, იდეოლოგიურ დაწესებულებათა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებს.

განხილვის საგანი იყო საკითხი: **"დემოკრატიზაცია. გარდაქმნის არსი სოციალიზმის არსია".** ამ შეხვედრაზე დაზუსტდა ის პროპაგანდისტული მეთოდები, რომლის საშუალებითაც დიქტატურა "დემოკრატიის" პერანგში იყო გამოსაწყობი: **"დემოკრატიზაციის მეშვეობით _ საზოგადოების ყველა პროცესში ხალხის ჩაბმის მეშვეობით შეიძლება განვახორციელოთ გარდაქმნა, მივანიჭოთ მას შეუქცევადი ხასიათი" (მ.ს.გორბაჩოვი, გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი," 1988წ. 14 იანვარი).**

1988 წელს 13 იანვარს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კპ ცკ-ამ ბიუროს ანგარიში **"გარდაქმნის" ხელმძღვანელობისათვის გაწეული მუშაობის შესახებ".** იმავე დღეს ამ საკითხს მიუძღვნა თავისი პლენუმი საქართველოს კპ ცკ-მა, რომელმაც უპირველეს მოვალეობად დასახა: **"იდეოლოგია განუყოფელია მშრომელთა სოციალური ინტერესების სფეროდან. ამავე დროს, სულ უფრო აქტუალური და**

გადაუდებელი ხდება პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მთელი არსენალის განახლების ამოცანა” (გაზ. “**საბჭოთა აფხაზეთი,” 1988, 13 იანვარი**).

ამ პლენუმზე თავის შემაჯამებელ სიტყვაში **ჯ.პატიაშვილმა** _ საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა, განაცხადა: “**ჩვენ უნდა ვზრდიდეთ ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს მომავალ თაობას ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ძმობის, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით, ნდობის, პატიოსნებისა და სამართლიანობის ატმოსფეროში, არადა, ახალგაზრდობაში მიმდინარეობს პროცესები, რომლებსაც თუ გულახდილად ვაღიარებთ, ჩვენ ცუდად ვმართავთ**” (**გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი,” 28 იანვარი, 1988წ.**).

1988 წლის 4 თებერვალს ამ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში გაიმართა შეხვედრა აფხაზეთში მომუშავე პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების მუშაკებთან. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ამოცანები მასების ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდაში დასახა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ბ.ადლეიბამ**. ამჯერადაც მიღებული დირექტივები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ყოველივე ეროვნულის და განსაკუთრებით ქართული თვითგამორკვევის გაძევებას გულისხმობდა.

1988 წლის 5 თებერვალს გამოქვეყნდა ანგარიში სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს საგანგებო კომისიის **30-40-50-ან წლებში** მომხდარ რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების შესახებ.

გამოქვეყნებული ანგარიშის ქვედინებური შინაარსი ღვარძლითა და ჩვეული ტენდენციურობით იმგვარ ქვეტექსტებში აქცევდა ბოლშევიზმის მიერ განადგურებულ ადამიანებს ანუ სტალინიზმის მსხვერპლთ, თითქოს საქართველოს მოეხდინოს სსრკ მოსახლეობის უმოწყალო გენოციდი და ბრესტიდან _ ვლადივოსტოკამდე მისი ოკუპაცია საქართველოს საკეთილდღეოდ მომხდარიყოს.

1988 წლის 17-18 თებერვალს გაიმართა სკკპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც განიხილა:

1. სკკპ ცკ-ის მდივნის (იდეოლოგიის დარგში) **ე.ლიგაჩოვის** მოხსენება. “**საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მიმდინარეობა და მისი განხორციელებისათვის პარტიის ამოცანები**”. 2. “**რევოლუციურ გარდაქმნას იდეოლოგიური განახლება**” _ მომხსენებელი **მ.გორბაჩოვი**. საკითხი ეხებოდა სასწავლებლებში “თეთრი ხელთათმანებით” რუსიზმის საბოლოო დამკვიდრებას.

მომხსენებლის აზრით: “**მუდმივ ყურადღებას მოითხოვს ეროვნულ-რუსული**[12] **ორენოვნების განვითარება. სამწუხაროდ, ზოგიერთი რეგიონის პარტიულ მუშაკებს ამ საკითხში აკლიათ რეალისტურობა, მოქნილობა, ზოგჯერ კი საკითხის პოლიტიკური გაგებაც**” (**გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 18 თებერვალი, 1988წ.**).

პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვა წარმოსთქვა **მ.გორბაჩოვმა**: “**საბჭოთა პატრიოტიზმი ჩვენი უდიდესი ღირებულებაა, მასთან შეუთავსებელია ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველი გამოვლინება. ნაციონალიზმი ყველა თავისი ფორმით ბრმაა. თვითიზოლაციის ცდებს მხოლოდ სულიერ ჩიხში მივყავართ. ეს ეხება ეროვნული ურთიერთობების, ეროვნულ სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებსაც. დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნებების ეროვნული თვითშეგნების ზრდაზე, ეროვნული გრძნობების გამოვლენაზე, რაც ხშირად დეფორმირებული სახით ვლინდება**” (**გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 19 თებერვალი, 1988წ.**).

[12] ახლა ესეც სანატრელია. დღის წესრიგში დადგა ინგლისურის ყველაზე მდაბიური ნაირსახეობის გადედაენება.

სკკპ წინამდებარე დირექტივები ცხუმ-აფხაზეთის სინამდვილეში სეპარატისტული ეთნოკრატიის ზურგის ქარად იქცა. ამავე პლენუმზე სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან გათავისუფლდა **ბ.ელცინი**. ამით მას საბოლოოდ მოაცვეს წამებულის საბელი.

1988 წლის 20 თებერვალს მთიანი ყარაბახის აო-ს სახალხო დეპუტატთა საბჭოს რიგგარეშე სესიამ გადაწყვეტილება მიიღო გამოყოფოდა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას და მიერთებოდა არმენეთის სს რესპუბლიკას, რასაც **28 თებერვალს** მოჰყვა არმენ-აზერბაიჯანელთა სისხლიანი შეტაკებები სუმგაითში, რომელიც გადაიზარდა აზერბაიჯანიდან არმენთა პირწმინდა გაძევებაში. შემდგომში ამას მოჰყვა არმენ-აზერბაიჯანელთა დღემდე დაუმთავრებელი ომი და ყარაბახის თვითმარქვია "სახელმწიფოებრიობა".

1988 წლის 28 თებერვალს გაზეთმა "**კომუნისტმა**" გამოაქვეყნა მორიგი ცილისწამება საქრთველოს ეროვნულ მოძრაობაზე, კერძოდ ბატონ **ზ. გამსახურდიაზე**.

1989 წლის 1 მარტს სოხუმში ჩატარდა ადიღეს აო-ს კულტურის დღეები, რომელიც სინამდვილეში ვითომკავკასიური, უფრო სწორად, რუსისტულ-თურანული "დიდი ჩერქეზეთის" შეკოწიწებისათვის გასასვლელ გზაზე მორიგი დივერსიული მოთვალიერება იყო (საქართველო მუდამ მხარს დაუჭერს ოდინდელ სამკვიდროში ნამდვილი ჩერქეზეთის კვლავაღდგომას, სისხლსაც გაიღებს ამისათვის, მაგრამ ამას არ დაუშვებს საკუთარ ქართულ მიწაზე).

1988 წ. 1 მარტს "Правда"-მ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც იგი კრემლის მიერ ეროვნულ თვითგამორკვევათა და გამათავისუფლებელ მოძრაობათა შესაშინებლად ინსპირირებულ ეთნოდივერსიებს გამოეხმაურა: **"28 февраля в Сумгаите группа хулиганствующих элементов спровоцировала беспорядки. Имели место случаи бесчинства и насилия. Приняты меры для нормализации жизни в городе, обеспечения дисциплины и общественного порядка. Следственными органами ведется расследование."**

1988წ. 5 მარტს გაზეთ "Првада"-ში, №65 - გამოქვეყნდა წერილი **"Чашка чая"**. წერილის ავტორთა ჩანაფიქრით ჩაის წარმოებასთან დაკავშირებით თაღლითობები ქართულ ხასიათს მიეწერება, ამიტომ **"...Ситуация парадоксальная: Растет производства листа (630 тыс. тонн). Однако увеличивается импорт чая. Почему?**

На фабриках уже не решаются выпускать тот же грузинский чай без импортного"...

წერილში მიჩქმალული გახლდათ ქართველი კაცისთვის გამგუდავად თავსმოხვეული სოციალისტური კოლექტიური შრომის, საბჭოთა შრომითი ფერხულისა და დიდმპყრობლური გეგმების ყოფითი გასაგნება საქართველოს ყოველდღიურობაში.

1988წ. 21 მარტს გაზეთმა **"Правда"-მ** გამოაქვეყნა წერილი მთიანი ყარაბახის მოვლენების შესახებ, რომელიც, როგორც ცნობილია, ინსპირირებული იყო სწორედაც რომ კრემლის მიერ. ეს იყო "ცენტრის" მორიგი ავანტიურა, ანუ _ ე.წ. ეთნოფაბრიკაციების დაქსელვის გზით სსრკ იმპერიაში შემავალი ხალხების დაშინება. ამავე დროს, რუსიზმი ცდილობდა ამგვარი ვნებათაღელვების ესკალაციით და სისხლისღვრით დამფრთხალი ობივატელის თვალში სახელი გაეტეხა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობებისათვის. მთიანი ყარაბახის ავანტიურა, როგორც პაროლი, პირველ რიგში გათვლილი იყო საქართველოს სს რესპუბლიკაში ნელმოქმედი ჭურვების ე.წ. ავტონომიებსა და რუსულენოვან მოსახლეობაში ინტერფრონტული აგრესიის გასაჩაღებლად.

1988წ. 22 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების

ორგანიზებისა და ჩატარების წესის შესახებ. აფხაზეთში ეს ეხებოდა მხოლოდ ქართველებს. მიუხედავად ამ დადგენილების მიღებისა, სეპარატისტული თარეში მიზანმიმართული შეუფერხებლობით მიმდინარეობდა.

1988წ. 22 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მთიანი ყარაბახის აო-ის საკითხთან დაკავშირებით მიიღო მიმართვა.

1988წ. 23 მარტს სკკპ პოლიტბიუროსა და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა განიხილეს მთიანი ყარაბახის აო-ს საკითხი, რაზედაც მიღებულ იქნა დადგენილება.

აღნიშნული დოკუმენტი ამიერკავკასიაში რუსიზმის მომძლავრების ღონისძიებებს ითვალისწინებდა. თავის რიგს ელოდა "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" პოლიტიკური დემარშები აფხაზეთში, ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში.

1988წ. თებერვალში აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა **ო.ზუხბაია** _ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, მან შესცვალა გარდაცვლილი **ი.უბილავა**, ხოლო საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში მეორე მდივნის თანამდებობაზე პარტოკრატიულმა თბილისმა გამოგზავნა **მ.წულაძე**.

1988წ. 31 მარტი: სკკპ ცკ-მ და სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება №406, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს ავალდებულებდა თადარიგში გასული საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეები პირველ რიგში დაეკმაყოფილებინათ კოოპერატიულ ბინათმშენებლობის შესაძლებლობით და გაევრცელებინათ მათზე გამონაკლისები და შეღავათები.

1988წ. აპრილის პირველ დღეებში საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი **"ავტონომიურ რესპუბლიკაში მუსიკოსთა კადრების მომზადების მდგომარეობა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მისი გაუმჯობესების გზები".** ვრცელი დისკუსიის დროს კრინტი არ დაძრულა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ ცხუმ-აფხაზეთის მკვიდრი ქართველების (აფხაზების) ეროვნული მუსიკისა და ხალხური ფოლკლორის პრობლემებზე, არაფერი თქმულა ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციოზის მიერ აფხაზეთის ქართული ანსამბლის მიმართ გატარებული დისკრიმინაციული ღონისძიებების შესახებ.

4 აპრილს გაზეთ **"Известия"-ში** ალათაური წარმოშობის საბჭოთა მწერალმა **ჩინგიზ აითმათოვმა** წამოჭრა ე.წ. თურქი მესხების საკითხი. ავტორი, სამწუხაროდ, საკითხის ისტორიაზე (ძალიან რბილად რომ ვთქვათ) ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდა.*[13]

---

* როგორც მოგეხსენებათ, 1944 წლის 15 ნოემბერს მესხეთ—ჯავახეთიდან და არმენეთიდან ყაზახეთსა და შუა აზიაში (ძირითადად უზბეკეთსა და ყირგიზეთში) გაასახლეს სსრკ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ მოსახლე თურქული ტომები, მათ შორის, ამ მხარეში ოსმალთა ბატონობის დროს ძალით გამაჰმადიანებული ქართველები.

ამ დროს საბჭოთა კავშირსა და ფაშისტურ გერმანიას შორის ომი მიმდინარეობდა, ამიტომ მოსალოდნელი იყო საომარი მოქმედებები თურქეთთანაც (საფუძველი: ГКО СССР, №6279 от 31 июля 1944г. ასევე - Приказ НКВД № 001176 от 20.09.1944г. სულ არმენეთიდან და მესხეთ-ჯავახეთიდან გასახლდა 125 ათასი სული, რომელთაგან პირველ ექვს თვეში დაიღუპა 52000, აქედან 15 ათასამდე მგზავრობისას (Фергана.ру – 3.09.2010г.) დაღუპულთაგან 17000 იყო ბავშვი).

რა თქმა უნდა, ადამიანთა ნებისმიერი გასახლება ძალადობაა და ის არ შეიძლება ხალხთა ბედნიერებად ჩაითვალოს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, სამცხე-ჯავახეთში თურქული ტომები დამკვიდრდნენ ოსმალეთის იმპერიის საგანგებო ძალისხმევით და ისინი აქ სინამდვილეში საოკუპაციო კონტინგენტს წარმოადგენდნენ, რომლებიც წამგაუცდენლად ცდილობდნენ მკვიდრ ქართველთა ძალადობრივ ასიმილაციას და საუკუნეების მანძილზე ყოველმხრივ ებრძოდნენ ამ მხარეში ქართული სახელმწიფოს აღორძინებას. ამდენად, იმპერიული ძალები ადრეც და დღესაც შორსგამიზნულად ინდომებდნენ მათ გამოყენებას ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, 1918-1921წ.წ. ისინი ყოველნაირად ებრძოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას სამცხე-ჯავახეთში და ამ მხარეში ცდილობდნენ თურქული სახელმწიფოს აღდგენას. რაც შეეხებათ საქართველოდან გასახლებულ მაჰმადიან ქართველებს, მათი საკითხი ჩვენი ქვეყნების სატკივარია და ის უნდა მოგვარდეს ყოველ მიზეზგარეშე, მაგრამ არა ისე, როგორც ამას გვკარნახობს აგრესიული გლობალიზმი, ანუ თურქული დიდმპყრობლობის ლობისტური ძალები. ამ შემთხვევაში სამართლიანობის საფუძველი უნდა გახდეს სრულიად საქართველოს (მათ შორის, მესხების) ეროვნულ-სახალხო ნება.

ამავე დროს., ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთიდან და არმენეთიდან თურქთა გასახლება მოხდა საბჭოთა კავშირის ძალისხმევით და მისი სტრატეგიული ინტერესების საფუძველზე, ხოლო საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე გახლავთ არა საქართველო, არამედ რუსეთის ფედერაცია, შესაბამისად, პოლიტიკური, მორალური და, რაც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია,

1988წ. 8 აპრილს საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, სადაც საგანგებოდ იყვნენ მოწვეული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწეები, განხილული იქნა საკითხი ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის შესახებ. ამ ღონისძიებით ოფიციოზს სურდა საკითხის გადაწყვეტისას ადგილობრივ კოლაბორაციონისტებზე დაყრდნობით საჯაროობისა და დემოკრატიის ილუზია შეექმნა. კრემლი გრძნობდა რა ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და საქართველოში ეროვნული მოძრაობის შეუქცევად აღმავლობას, თადარიგს იჭერდა ინტერფრონტული დესანტების შემოგზავნაზე (დემოგრაფიულ ექსპანსიაზე), როცა მშენებლობას მშენებელთა ბრიგადების სახით კოლონისტები ეწვეოდნენ და საჭირო დროს "ინტერფრონტულ" მოძრაობად გარდაიქმნებოდნენ. ამით აგრესორული რუსეთი ეცდებოდა ეროვნული მოძრაობების პარალიზებას. საბედნიეროდ, ქართული ეროვნული მოძრაობის ძალისხმევის შედეგად ეს ვერაგული ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

1988წ. 15 აპრილს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი, რომელზეც მოწვეული იყვნენ იდეოლოგიური, საგანმანათლებლო და კულტურის მუშაკთა წარმომადგენლები. პლენუმის განხილვის საგანი კვლავაც საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებისა და "ცხოვრების ლენინური ნორმების" აღდგენის საკითხები გახდა.

1988წ. 15 მაისი _ გაზეთმა **"Правда"-მ** გამოაქვეყნა "Обрашение ЦК КПСС к Советским войнам – интернационалистам, возвращающимся из Республики Афганистан".

1988წ. 17 მაისს აფხაზეც-სეპარატისტთა მიერ მომზადებული იქნა მორიგი ცილისმწამებლური არზა, ე.წ. აფხაზური წერილი სკკპ XIX პარტკონფერენციის სახელზე და რეაგირებისთვის გადაიგზავნა კრემლში, სადაც სინამდვილეში დაიწერა კიდევაც მისი დედანი.

"...67 лет прошло со времени воздружения Красного знамени над Сухумом и как могло случится, что абхазам в настоящее время приходится вновь отстаивать этнокультурную самостоятельность, и вообше свое место на этнической карте мира?

Когда это началось, почему это должно было произойти. И кто повинен в этом? И до каких пор это будет продолжатся? В связи с этим мы сочли своим долгом довести до Политбюро ЦК КПСС и Советского правительства сведения о той особой обстановке, в которой реализовалась и реализуется национальная политика в Грузинской ССР и Абхазской АССР, показать ту малоизвестную, невидимую сторону истории абхазо-грузинских взаимоотношений, которая существенно отличается от провозглашаемых принципов взаимоотношений народов СССР, выявить скрытые причины, приводившие в действие механизм этих взаимоотношений у нас в республикке" (გუდაუთის რ-ნის გაზეთმა "Бзыбь"_მა _ წერილის დაბეჭდვა დაიწყო **1989 წლის 7 თებერვალს** და იგი იმავე წლის მარტის ბოლომდე გაგრძელდა. ეს არის 160-მდე ხელნაწერი გვერდი).

რა შეიძლება ითქვას ამ აშკარა ცილისმწამებლურ თავდასხმაზე: თავისთავად ის, რომ დაიწერა სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს აშკარა წაქეზებით, რომლის წევრიც იმხანად **ე.შევარდნაძე** გახლდათ.

ეს წერილი წარმოადგენს ეთნოდივერსიული აფხაზეთის ასსრ-ისა და მისი "დემოგრაფიული დადასტურების" ე.წ. "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" მიმართ საბჭოთა ფაბრიკაციული ცნებებისა და ტერმინოლოგიის, ყალბი სტერეოტიპების საბოლოო მორგებასა და დაკანონებას.

მატერიალურ-ფინანსური პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელს ეკისრება. ეს ერთი. მეორეც, თურქული ტომებისათვის ე.წ. თურქი მესხების დარქმევა გახლავთ გაგრძელება იმ ეთნოდივერსიების, რომელიც საუკუნეების მანძილზე წარმოებდა სამცხე-ჯავახეთში ამ მხარის დენაციონალიზაციის მიზნით.

აფხაზეც-სეპარატისტთა პროვოკატორებისა და მათი "შემოქმედი" წითელი ინტელიგენციის მიერ სკკპ ცკ-ისა და სსრკ სადირექტივო ორგანოებში გაგზავნილი ცილისმწამებლური წერილი ყოვლად უსინდისო და ვერაგული, ზურგში მახვილის ჩამცემი თავდასხმა გახლდათ ქართველ ერზე და მის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე, ძუძუმტეობისა და მორდუობის წესზე. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს საოკუპაციო კონტინგენტად გასაგნებული აფხაზეცური სეპარატიზმი გამოირჩეოდა საქართველოს (აფხაზეთის) ლაგამამოუდები გადათარეშების მცდელობით.

აფხაზეც-სეპარატისტთა შეშფოთებას იწვევდა არა ოქტომბრისენოვნების საყოველთაო დამკვიდრება, არამედ ქართველი კომუნისტების მიერ იმის კანტი-კუნტი, _ თუნდაც შემთხვევითი გახსენებაც კი, რომ ამ მხარეში ქართველობა მგონი დასაბამისმიერი მოსახლეობაა: **"После закрепления во второй конституции[14] Абхазии наряду с абхазским и руским языками и грузинского в качестве языка государственных учереждении в документах, постановлениях и официальных бумагах того времени широкое хождение получили термины «местные языки», «местные националы», «местные население» под которыми вместе с абхазскими неизменно стали подрозумевать и грузин, хотя язык последних не был коренным языком на данной территории"** (გუდაუთის რ-ნის გაზეთი "Бзыбь", **1989წ. 7 თებერვლიდან _ მარტის ბოლომდე**). ოღონდაც, თუ ჩვენ დავუშვით და დავიჯერეთ, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის ასსრ-ის კონსტრუირება დროის აუცილებლობა იყო, მაშინ უნდა შევურიგდეთ იმასაც, რომ აფხაზეთი სხვა ქვეყანა ყოფილა. ამიტომაა, რომ არ შეიძლება აფხაზეთის საკითხის განხილვა დივერსიული სტერეოტიპებისა და ტერმინოლოგიის მიხედვით. ესაა ეშმაკთან ეშმაკის ილეთებით შეჭიდება, სადაც უეჭველად დავმარცხდებით. აქ საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ ისტორიის გაჭეშმარიტება.

თუ ამ მიწაზე ქართველი მკვიდრი არაა, მაშ, რატომ ღაღადებენ ათასწლეულთა მიღმიდან ქართული წარწერები, ვისია ისინი, ვინ შექმნა იგი?!

აფხაზეცი სეპარატისტები დაუფარავად ამაყობენ, რომ აფხაზეთში "ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ" გზა გაიკვლია: **"Несмотря на все затруднения, которые были созданы В Абхазии и в результате безраздельного господства грузинского языка (სეპარატისტთა მუხანათობას საზღვარი არა აქვს ს.საჯ.), пробыл себе дорогу абхазско-русский билингвизм: русский язык по существу стал вторым родным языком абхазов..."** (იქვე).

რას არ გაიგებ კაცი, _ თუ აფხაზეცი სეპარატისტები ქართველ ბოლშევიკებს ამას წამოაძახებდნენ და უკიჟინებდნენ ნამდვილად ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, რატომაც არა, ეს ხომ რუსიზმის გამშობლიურებას უშლიდა ხელს: **"10 марта 1926 года ЦК КП Грузии опять указал на «односторонность как центрального, так и низового советского аппарата в Абхазии и недостаточное вовлечение» местных националов (абхазов и грузин - авт.)... в советско-колхозный аппарат. ЦК КП (Б) Грузии также предложил правительству Абхазии в месячний срок «заменить всех секретарей сельсоветов абхазских сел, не владеющих абхазским языком"** (იქვე). დიახ, დიახ, საქართველოს ბოლშევიკები ამ მზრუნველობას "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" ენისათვის იჩენდნენ, რასაც აგერ, ჰა, სად და როდის ჩაუთვლიან ბოროტებად, რაც შეეხება იმ მკვიდრ ხალხს, რომელთაც პასპორტში ამ საძრახი რესპუბლიკის სახელი არ ჩაიწერეს, _ ისინი და მათი

[14] ეს ე.წ. კონსტიტუცია არასოდეს გამოქვეყნებულა და არ ამოქმედებულა. საჩივრის ავტორები როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ცრუობენ.

მშობლიური ენა კანონგარეშედ იქცა აფხაზეთის ასს რესპუბლიკად გადაქცეულ ცხუმ-აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში).

აფხაზეცური სეპარატიზმი ყოველთვის თანმიმდევრული იყო ოქტომბრისენოვნების მოთხოვნებში და ცხუმ-აფხაზეთის ბუნებრივობისა და მშობლიურობის შინაარსისაკენ ოდნავი გადახრაც კი, როგორც რუსიზმისათვის მიუღებელი, საყოველთაო განგაშის საგანი ხდებოდა: **"Вопрос об извращениях истории Абхазии был поставлен в письме Председателя Совета Министров Абхазской АССР и секретаря Абхазского обкома партии (А.М.Лабахуа и И.К.Тарба), направленном в 1957 году в адрес Президиума ЦК КПСС. Еще 23 октября 1954 года А.М.Лабахуа была составлена записка «О медленном исправлении ошибок и извращений, допущенных в национальной политике Абхазии» (см. партархив цк кп Грузии, ф. 14, оп. 34, д.535). В том же году в ЦК КПСС с письмом «О помехах в далнейшем развитии культуры, просвещения абхазов» обращался и народный поэт Д.И.Гулия. В 1977 году этот вопрос был вновь поднят в письме представителей общественности Абхазии"** (იქვე).

სკკპ XIX პარტკონფერენციაზე საქართველოს კპ ცკ-საგან წარგზავნილ დელეგატებს შორის იყვნენ აფხაზეთიდან ეთნოკრატიულ-სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები და ზემოთხსენებული ცილისმწამებლური წერილის ავტორები, რომლებმაც მოსკოვში ჩასვლისთანავე XIX პარტკონფერენციის პრეზიდიუმისათვის გადასაცემად "სადაც ჯერ არს" ჩააბარეს ჩვენთვის უკვე ნაცნობი ცილისმწამებლური არზა ქართველთა "დიდმპყრობლობის" შესახებ.[15] **1988 წ. 28 ივნისს** დაიწყო და **1 ივლისს** მუშაობა

---

[15] თუ რა ჭკუისა და ზნეობის ხალხი იდგა ამ წერილების უკან, ამის გასასიგრძეგანებლად გთავაზობთ ამ ორ წერილს სეპარატისტული გაზეთებიდან, რომელშიც ავტორები აღფრთოვანებული არიან თავიანთი ქვეგამხედვარე საქმიანობით: «ГЕББЕЛЬС» ИЗ АПСНЫ

Краткий автобиографический рассказ искреннего патриота, одного из самых первых узников совести – первых абхазских политзаключённых предвоенного периода национально-освободительной борьбы абхазского народа Бганба Назыма (Юры) Джансуховича – «Геббельса» в народе, очень был похож в молодости.

С.Векшин: О преследованиях активистов абхазского национально-освободительного движения и наших политзаключенных, все что было и как было – вот это хотим мы послушать.

Н.Бганба: Вы знаете веру в политические движения с 66 года… У нас были такие преданные патриоты абхазы – директор школы Кехирипа Борис, потом Хараз Чамагуа. Это были основоположники освободительного движения в Абхазии. Все, что мы сегодня пожинаем, все что видим – это все их заслуга. Но, к сожалению, все хорошее забывается. Это люди, которые круглые сутки, начиная с Ткварчели заканчивая Гагрой, не спали, ночью ездили, топонимикой занимались, подпольем. Образованием занимались, учебными заведениями занимались. Становились в разрез с работниками ЦК партии Грузии, учеными Грузии. Они действительно борцы за свободу Абхазии. Настоящие борцы были, настоящие патриоты, как раньше соратники Лакоба – Ленин, Тухачевский, Блюхер. Вот такие борцы для своего народа были. Они публично выступали, обличали ЦК, центральный аппарат КПСС, народ подготавливали, молодежь поднимали, ночью совещания проводили. Это, понимаете, были основоположники нашего абхазского Второго Кьараза. Всю интеллигенцию, начиная с молодежи, они на ноги поднимали. Подпольщики, такой был сильный аппарат.

Мы так боролись, иногда даже самые настоящие драки устраивали между молодежью. И в конечном итоге образовался Народный Форум, который начал бороться, начал налаживать связи с народами Северного Кавказа, народы начали объединяться, объединять начали зарубежную диаспору. Конечно, их заслуга огромна, огромная роль. Возглавляли Народный Форум Аидгылара патриоты – Шамба Сергей, Гогуа Алыкьа, Аламиа Гена, это были первые патриоты-ребята, настоящие преданные патриоты. Их соратники много где были, они создали отделения Пицундское, Гагринское, Гудаутское, Бзыбское. Потом началось больше реакции Грузии, о ликвидации абхазского языка, литературы и абхазской культуры. Уже неуправляемые стали. Начали открывать филиал тбилисского ТГУ, сельскохозяйственный институт кутаисский перевели сюда. Они начали полностью уже прижимать интеллигенцию и сам народ абхазский начали прижимать. Когда такое увидели – создали при Форуме так называемый стачком – стачечный комитет. Возглавлял его Конджария Артур, я был замом, Гамисония Илья – секретарём. Во время войны Артур сына потерял, весь фронт прошел, отслужил в армии начальником продовольствия и обмундирования, начальником тыла был, ушел на пенсию в звании полковника. У нас тоже были отделения: Пицундское, Гагринское, Ткварчельское. Мы работали ночью, а у нас всю эпопею, как нам действовать, все давали подпольно, ночью давали инструкцию. Он был на пенсии, секретарь обкома Кобахия Валериан Османович, нас вообще останавливал кое-где, сколько он переживал, бедный. Ночью, в 3-4 часа утра приходит: «Ребята, это так делается, это – так». А писаниной занимался у нас Зураб Ачба, бедный, круглые сутки сидел на балконе, он юридические дела писал, как нам действовать, кому отдавать письма, кому что. И мы утром каждый свое дело имел и мы обком бомбили: издевались над секретарем то ЦК по науке, то по-разному издевались над их требованиями… И бывало время, что Хишба был… Один раз я чуть не выгнал его с трибуны. А нам помогал, пропуск оформлял, Авидзба Вова, третий секретарь обкома. Он боялся власти, но он нам пропуска выписывал подпольно. Потом он встанет на балконе, говорил «Бей, не бойся, иди вперед». Я вперед шел, все за собой тащил, и мы требования свои требовали.

Потом начались забастовки, сидячие забастовки, дороги закрывали. Стычки были в Ткварчели. У нас была бригада боевиков ткварчельских, там ребята были такие отчаянные. Как только мы дадим знак, так 10-15 автобусов приезжали, и тут же сразу все боятся. Нас очень здорово боялись, говорили, что к хорошему это не приведёт. И так вот они в конце концов и зашли со всеми военными. Это одним днем не скажешь… Но дело в том, что Форум все свое полномочие возложил на стачком. Они нас контролировали,

координировали, стачком полностью занимался движением, в то время был главным направлением. И там случайных людей не было. Тот же самый Гамисония. Но самые сильные, самые отчаянные у нас были ткварчельские. Там был у нас председатель стачкома Миквабия Леша, бывший завком фабрики. Это был уникальный человек, это был патриот. Он умер, его нет сегодня в живых. Там ребята сильные были. Миквабия Леша был одним из тех легендарных абхазов, бесстрашный такой.

Гуртом все могут воевать, массой. Вот я вам расскажу такой маленький эпизод. Вдруг приехал ученый секретарь ЦК компартии Грузии, фамилию сейчас не помню. И мы решили, что бы наши ученые поговорили в обход партии с ними, что б поддержали. И мы пригласили всех наших ученых. И что вы думаете? Пропуска есть всех видов. Ни один человек не согласился. Когда я их жду на третьем этаже, в конференцзале у секретаря обкома. Жду, поднялся. Дамения Олег и Ахуба Джума. В то время Ахуба Джума был силен, и Дамения Олег – это были ораторы, молодцы, это славные ребята, абхазцы. Сейчас говорить легко. Сколько стычек бывало – то в парке, то ещё где. Чича убили. Профессора, обвинили – человека, который понятия не имел об убийстве. Меня арестовали тоже понятия не имею за что, за свои собственные убеждения в 89-м году. Я девять месяцев в одиночке сидел, в милиции. Отсюда выкрали, я в Одессе был в командировке, они следили. На 9 машинах вывезли с Абхазии. А машину бросили в Гаграх на площади, на трассе. Это было в апреле 89 года, еще до столкновения. Раньше всех взяли, раньше Гицба, раньше М.Тыркыба.

И секретарь обкома так это все представил, что жить не дает нам, один из организаторов, и меня по политической статье, по 75 статье по политическим мотивам посадили. Девять месяцев сидел в СИЗО в Грузии, в КГБ Грузии. Начальником СИЗО был Дезибашвили, полковник был. Первый арестант, первый узник совести. пять лет было дано мне, осудили меня на пять лет. Два раза покушение на меня было. Отравления не было, они боялись меня. У меня связи тогда были сильные, у меня в золотой пятерке адвокат был. Во-вторых, у меня с Москвы была команда не трогать, у меня друзья были, Колиниченко Володя, с прокуратуры Союза следили меня. У меня ближайший друг был – старший следователь прокуратуры СССР Колиниченко Володя, Емельянов Сергей. Брат у меня тогда был прокурор транспортной прокуратуры Абхазии, Сергей. Они боялись этого, конечно. Помогли меня посадить разные негодяи, они знали все. Меня, конечно, убили бы. Отравили или убили бы сто процентов. Но они боялись… И у меня был Фоков, адвокат. Фоков это всему миру известный адвокат, сейчас он крупнейший процесс ведёт в Америке. Уже два года он там.

И был у меня старший следователь, Челидзе, полковник. Остальные все следователи были: Дадаршьян, Метревели, еще один азербайджанец – они делали такой смешанный национальный состав специально. Следствие закончилось. Девять месяцев они вели следствие, допросы всякие вели. Я что знал, ничего, конечно, не сказал, не раскрылся. Вызывает меня на допрос Дадаршьян, армянин, красивый парень, приглашает меня к себе за стол. Я сел прямо возле него. «Что вы хотите от меня? Очки зарабатываете или что?» «Задание ЦК. Ты признавайся – не признавайся – я сегодня пришёл от нечего делать. Все равно ухожу, в Москву уезжаю работать. Ты, чтоб знал, тебя все равно посадят. Пять лет тебе обеспечено». Попрощались. Потом закончилось следствие, перевели меня в республиканскую тюрьму, называется Ортачала. А там Юра Лакоба дал команду – всех абхазцев – ко мне. Отвели меня в камеру. Двадцать дней отсидел, каждый день шашлыки-коньяки пили, лучше чем на воле. Шашлыки готовили. В тюрьме сидит, начальник тюрьмы к нему ходит, у него кушает. Я оклемался. Потом меня на суд в Батуми отвезли. Там меня посадили в Сталинскую камеру. Сталинская камера – это такая вещь: где сидят – деревянные полочки, а внизу полностью вода. Утром просыпаешься, вот так делаешь, сколько выжимаешь. Десять дней посидел, я уже все в легких, бронхи. Я уже вынужден был… Фоков как раз застал. Он как чухарей дал, меня сразу перевели в «больничку» на второй этаж, все сухо. Трое нас было. И там на меня устроили покушение. Там же, в «больничке». Я сонный, вырвал с железной койки… Я сон как будто вижу: выскакиваю - передо мной стоят двое с огромными тесаками. Я ногой одного ударил и в этот момент захватил, кровать железная, прут захватил. Вырвал со сваркой, вырвал и в руках оказался. Я тут же одному по руке дал с ножом вместе упал. Руку поломал. Я стал в угол: «Подойдете – убью». И тут шум-крик пошел. А такой шум идет, крик идет, а дежурный специально не открывает. И когда дежурные пришли, их уже убрали.

Потом отправили меня в Соликамск, в политзону, в Свердловской области. Этапом прохожу Ростов, Волгоград, Сызрань… В Ульяновск доезжаю, в отстое, у себя нахожусь в камере, в столыпинском вагоне. Я в Ульяновске, а Горбачев делает указ – политзоны в Советском Союзе нет. И меня в Ульяновске тормозят. Начальник СИЗО, Елчев, вызывает меня и говорит: «Юра, я знаю, ты политический, давай оставайся в моей зоне. Мы тебе здесь всё сделаем». Я говорю: «Нет, у меня друзья есть». А у меня друг был Лыз Александр Прокофьевич, начальник управления ТУ Ростовской области. Они следили за моим делом, и сразу в Ростов меня перевели. В Каменск-Шахтинске, я там отсидел свой срок, три года и два месяца отсидел, потом судом меня отпустили за хорошее поведение. Никто мне ничего не добавил, Горбачев меня спас одним словом.

….

Оппозиция тоже мне не нравится. Сегодня они должны объединиться и выбрать одного лидера.

….

Мне в корне не понравилась отставка Хаджимба. По мне так, если ты патриот – то работой доказываешь свое, в любом месте. Он не должен был это сделать. Записал С.Векшин

Народная Партия Абхазии http://www.kiaraz.org/page201

Имя, которое помнят в Гагре

В пятницу, 28 ноября, нарядно прибранный зал Гагрского Дома культуры постепенно заполнялся. Пока школьники, молодежь и представители старшего поколения занимали места, в голову приходили воспоминания не столь давнего прошлого...

... Гагра — жемчужина Абхазии, красивый город-курорт на Черноморском побережье Страны Советов. Абхазов в ту пору здесь — небольшое число. И посему как в Гагре, так и на всей родине они, по большому счету, не определяли ни экономику, ни политику, были обездолены и социально. Да и сам город, и территория района только формально входили в состав Абхазии. Называясь почему-то «зоной города Гагра», напрямую подчинялись Тбилиси.

В Гагре не было ни абхазских школ и детсадов, ни очагов культуры и искусства коренного народа. Да что там абхазская школа — говорить на абхазском в общественных местах считалось дурным тоном.

Таковым было отношение к нашему языку грузинского «большинства» населения Абхазии. При этом отметим, что стали грузины «большинством» в силу управляемой из Тбилиси демографической экспансии. Раньше, при Сталине и Берия, абхазов расстреливали и сажали в лагеря, позже, при Шеварднадзе, переселяли десятки тысяч грузин в Абхазию под видом рабочей силы при мифических зачастую учреждениях и организациях. И в этом отношении Гагра не была» исключением, наоборот, именно здесь эти процессы происходили в более активной форме.

დაამთავრა სკკპ XIX პარტკონფერენციამ, რომლის კონცეპტუალური სვლაგეზი განაპირობა ლოზუნგმა **“რევოლუციურ გარდაქმნას _ იდეოლოგიური განახლება”.**

ეს იყო გრანდიოზული სპექტაკლი ვითომდემოკრატიის წარმოსაჩენად, რომელსაც უნარიანად გაუძღვა **მ.გორბაჩოვი: “როცა მხარს ვუჭერთ ერთაშორისი ურთიერთობების შემდგომ განმტკიცებას, იმით ვხელმძღვანელობთ, რომ საბჭოთა საკავშირო სახელმწიფოს განვითარება, ჩვენი ხალხების ინტერნაციონალური კავშირურთიერთობა და ძმობა ცოცხალი დინამიკური პროცესებია... ერთი სიტყვით, ამხანაგებო, საბჭოთა**

В этих условиях горстка абхазов в Гагре самоотверженно вела борьбу против оголтелого грузинского шовинизма, массированного натиска грузинской идеологии и культуры. Силы, конечно, были неравными, но любовь к Родине, к своему языку, древней культуре Апсны мобилизовывали патриотов на решительный бой. И зачастую они побеждали. Одним из таких патриотов был Хараз Хаджаратович Чамагуа, в год 80-летия которого собрались его друзья, соратники, близкие и родственники, представители общественности Гагры и республики.

Этими словами открыл юбилейную встречу известный абхазский журналист В.Сакания.

На встрече выступил глава Администрации Гагрского района А. Кецба, отметивший, в частности, большой вклад Х. Чамагуа в национально-освободительную борьбу, становление абхазского языка в районе, логическим завершением чего явилось открытие в Гагре в первой половине 70-х годов абхазской средней школы, названной впоследствии именем юбиляра.

Со взволнованными, искренними и вместе с тем весьма интересными и содержательными воспоминаниями выступили З.Агрба, Б.Барциц, Б.Багателиа, В.Барциц, И.Марыхуба, В.Орчукба и другие.

Поэтесса Б. Барциц рассказала присутствовавшим о некоторых эпизодах из биографии Х. Чамагуа, родившегося в с. Ачандаре, в семье уважаемого крестьянина Хаджарата Чамагуа. Молодое поколение этой семьи, а их было пятеро, получили высшее образование, что было довольно редким явлением для той поры. Трое стали педагогами, один — юристом, а самый младший — физиком, кандидатом наук.

С молодости Х. Чамагуа были присущи смелость в суждениях, принципиальность в. отстаивании интересов своего народа. Б. Барциц напомнила эпизод давней поры, рассказанный в свое время академиком Б. Сагария. Баджгур Еснатович тогда поведал следующее: «Сталин умер, Берия арестовали. В то время Хараз Чамагуа преподавал русский язык и литературу в ачандарской школе. И вот он выступил, прилюдно заявив, что надо вернуть абхазские школы, закрытые в 1945 году, хватит, мол, сколько терпели. Эта весть сразу донеслась до Сухума. В Ачандару срочно прибывает представитель Президиума Верховного Совета, имевший личный разговор с Харазом на предмет того, чтобы в школе не отказывались от грузинского языка.

"На нашей Отчизне вы надолго закрыли ворота абхазскому языку, что не пройдет безнаказанно, и придется заплатить за содеянное. А пока возвращайтесь туда, откуда явились", — был ответ молодого, но бескомпромиссного педагога.

"Пусть хранит Всевышний молодого парня, прогнавшего грузинского начальника", — так разнеслась молва в другие села района, и оттуда высокий представитель грузинской национальности отбыл восвояси».

Это только один эпизод из жизни Х. Чамагуа, но они, эти штрихи, в массе своей, составляли весь жизненный путь его и соратников, постоянно, каждодневно боровшихся за право абхазов жить свободно, говорить открыто на родном языке, чтить и беречь традиции и культуру своего народа.

Простые вроде человеческие желания, но исполнить их в совместном с грузинами сосуществовании было невозможно. Какой настойчивостью и мытарством пробивали Х. Чамагуа и его сподвижники открытие абхазской школы, а затем и детского сада — об этом знают сегодня далеко не все. Но это надо знать, дабы ценить то, что имеем ныне. Недаром говорят, что без знания прошлого сложно осваивать настоящее и строить планы на будущее.

Выступившие на встрече отмечали преемственность поколений, которые, борясь за свободу и независимость Апсны в ту или иную эпоху, передавали друг другу эстафету общих усилий. Из этого, безусловно, сложилась наша Победа — независимая и признанная Республика Абхазия.

- В этом есть толика непосредственного вклада Хараза Хаджаратовича, свидетельством чему служат хотя бы такие факты, как его поездка с группой активистов национально-освободительного движения в Москву для передачи в ЦК КПСС известного «Абхазского письма» в 1967 году, его выступление в 1978 году во время известных событий «о необходимости возвращения Абхазии статуса союзной республики, как это было в 20-х годах», и многие другие.

Гражданственность, принципиальность, патриотизм, разумеется, проявленные в особенно в сложных условиях, в борьбе, всегда вызывают уважение к личности. Так было и так есть в случае с личностью Х. Чамагуа. Символично, что на вечер юбилеи пришло много школьников, именно из той школы, за которую так бился с оппонентами Хараз Хаджаратович. Украсили вечер его памяти также прекрасные голоса молодых исполнителей из музыкального коллектива «Мамзыпха».

В завершение встречи со словами благодарности к ее устроителям и участникам, главе Администрации Гагрского района обратились старейшина рода Чамагуа Владимир Алиасович, а также младший брат Хараза - Александр Чамагуа.

Затем состоялся ужин, в ходе которого друзья, соратники, близкие и родственники вновь делились воспоминаниями о пережитом, о минувшей эпохе, радовались переменам в жизни народа и республики, обменивались тостами и здравицами, при этом непременно поминая близкого, друга и товарища Хараза Хаджаратовича Чамагуа, замечательного человека, патриота и гражданина.

Карба В.

Республика Абхазия, 06.12.2008

http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=21459

სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ჩვენი საერთო სახლია"...(**ჟურნალი "საქართველოს კომუნისტი", №7, 1988წ.** გვ. 43).

ასეთი განცხადება კი აფხაზეთის ეთნოკრატიული სეპარატიზმის ლიდერებისათვის და ე.წ. აფხაზური წერილის ავტორებისათვის ზურგის ქარად იქცა სკკპ XIX კონფერენციაზე.

XIX პარტკონფერენციაზე **ი.ლიგაჩოვ** (დრომოჭმული) _ **ბ.ელცინის** (ვითომ "პროგრესი") დაპირისპირებით საბოლოოდ გამოიკვეთა "უსამართლოდ წამებული" **ბ.ელცინის** რეპუტაცია და იგი კომუნისტური დიქტატურის მიმართ ბუნტარულ განწყობილებას "მოწამის" სახით სათავეში მოექცა. სინამდვილეში ეს იყო ახალი ტიპის **გაპონი.** მიუხედავად იმისა, რომ სკკპ XIX პარტკონფერენციის პრეზიდიუმში **ე.შევარდნაძე** იმპერიის ხელმძღვანელობაში კინაღამ მეორე კაცის სტატუსით იჯდა და ე.წ. აფხაზური წერილიც ამ კონფერენციაზე ხმამაღლა არ წაკითხულა, შეუიარაღებელი თვალებითაც აშკარად ჩანდა, რომ ამ ტრიბუნიდან გახმოვანებული **ლენინური** ეროვნული პოლიტიკის "ანტიპოდებად" სწორედ **ე.შევარდნაძის** სამშობლოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნების "ნაციონალიზმი" მიიჩნეოდა.

ამიტომ საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს **ჯ.პატიაშვილს** თავის სიტყვაში "დიდი" ჯაფა და ოფლისღვრა დასჭირდა: **"აი, რატომ არის ესოდენ საჭირო გარდაქმნის მსვლელობაში გულმოდგინედ ჩამოვაყალიბოთ ახალი სტიმულები და მიზნები საბჭოთა ხალხების პოლიტიკური შეკავშირებისათვის. შესაძლოა, ამ ნაწილშიც უნდა გადავსინჯოთ პარტიული და საბჭოთა ორგანოების სტრუქტურა. სწორედ, ჩვენი პარტია, თავისი არსით ინტერნაციონალური პარტია, უნდა გვევლინებოდეს დღეს ეროვნული სულის ფუძემდებელი ღირებულებებისა და სათაყვანო კერპების თავისთავადობის, კულტურისა და ენის მთავარ გარანტიად. ესეც ჩვენი ავტორიტეტის საკითხია" (გაზ. "კომუნისტი", 1988წ. 29 ივნისი).**

1988წ. 9 ივლისს გაზეთმა **"Советская Культура"**-მ დაბეჭდა **ე.ზეიმალის** სტატია, რომელშიც პროვოკაციული საუბარი განახლდა **"ქართველების მიერ მეგრელებისა და სვანების ასიმილაციის"** შესახებ.

1988წ. 9 ივლისი. სკკპ ცკ-ის პლენუმმა განიხილა საკითხი **"პრაქტიკული მუშაობა XIX საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად".** მოხსენებით გამოვიდა **მ.გორბაჩოვი**.

პლენუმმა დაამტკიცა სკკპ ცკ-ის კომისია საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებულ წინადადებათა მოსამზადებლად. კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა **მ.გორბაჩოვი**. ამ დროისათვის საკავშირო და რესპუბლიკურ პრესაში კვლავ გამოჩნდა სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს ოფიციალური ინფორმაციები **30-40-50-იან წლებში** რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების დამატებითი შესწავლის მიმდინარეობის შესახებ, რითაც იქმნებოდა დემოკრატიის ილუზია, სინამდვილეში ეს იყო დროის გაყვანისა და ყურადღების მოდუნების ტაქტიკა ("სემიჩკა" ხელში). ასეთი ინფორმაციების გამოქვეყნება შემდგომში კვლავაც გაგრძელდება საბჭოთა პრესაში და მას **ი.სტალინის** (შეფარული შინაარსით "ქართული") ტირანიის მხილებად მიასაღებენ ობივატელს.

1988წ. 28 ივლისს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება **"სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მოვალეობისა და უფლების შესახებ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს".** როგორც დრომ დაადასტურა, ეს იყო ახალი რეპრესიების ნებართვა და ძალადობის ლეგალიზაცია, რომლის ზედმიწევნით ზუსტად შესრულებამ განაპირობა 9 აპრილის ტრაგედია თბილისში.

1988წ. 17 აგვისტოს აფხაზეც _ სეპარატისტთა წითელი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა სკკპ ცკ-სა და სსრკ სადირექტივო ორგანოებს შეახსენა თუ რა საორგანიზაციო დასკვნები იქნა მიღებული "აფხაზეცური წერილის" გამო.

საქართველოში 1988 წლის პოლიტიკური ზაფხულის დასახასიათებლად შეგახსენებთ: **"...ყოველი ცდა, ჩვენი მოძრაობის პარალიზებისა და ჩახშობისა, მარცხით მთავრდებოდა, ხოლო ჩვენთვის მათი შემოტევა ახალი წინსვლის საწინდარი იყო. ამის მიზეზი კი გახლდათ იმჟამინდელი ერთიანობა ჩვენი მოძრაობისა, ერთიანი ტაქტიკა, ერთიანი სტრატეგია, რომელშიც პირველი ბზარი გაჩნდა 1988 წლის ზაფხულში"...**

ზვიად გამსახურდია, მიმართვა ქართველი ერისადმი.

1992 წლის 12 თებერვალი (იხ. მრგვალი მაგიდის ისტორია" თბილისი 1996წ. რედაქტორი გ.სალუაშვილი)

1988წ. 3 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც თავისი "კონკრეტული ამოცანები დასახა სკკპ XIX პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად".

1988წ. 15 სექტემბერს გაზეთმა "**Правда**"-მ (№259) რუბრიკაში **"СССР - наш обший дом"** კვლავ იქადაგა უპირადხმო და უპირადსახო ჯოგურ აუცილებლობაზე, რისთვისაც ამჯერად გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც "გულაჩუყებული" უსამშობლო, ვინმე **გიორგი ლებანიძე** სწუხდა, რომ **"Разве можно чем оправдать, скажем, тот факт что на всесоюзний праздник дней Владимира Маяковского в село Багдади, где он родился и в Кутаиси, где провел юношеские годы, прибыло чуть больше половини приглашенных гостей - писателей и поэтов из Москвы и Ленинграда, других союзных республик.**

Прав поэт Ираклий Абашидзе, который сказал: «Воспитывать и еще более углублять, укреплять интернациональные чувства и связи - дело очень важное".

გ.ლებანიძე თავის ხმაბოდვებს ერთმანეთის მიყოლებით განაგრძობდა, რათა მთავარი სათქმელისათვის შეემზადებინა მკითხველი:

"Не страшится испитаний."

Г.Лебанидзе корр. «Правда» г.Тбилиси.

Как-то решив написать очерк о дружбе людей разных национальностей, приехал в Гурджаанский район.

- Предлагаю село Велисцихе, - сказал секретарь райкома.

Вскоре мы уже были в одной из бригади виноградарей.

Беседа завязалась, как говорится с ходу. На все вопросы бригадир отвечал исчерпывающе, свободно оперируя производственными показателями. Но когда поинтересовавшись национальным составом бригады, спросил: дружно ли живете- вдруг возникла заминка. Георгий в растерянности уставился на меня. Потом помрачнел, словно я чем-то его обидел, и стал перечитывать, кто какой национальности.

Сбился... Стал вновь перечисливать... Начал спрашывать находящихся поблизости товарищей:

- Скажи, пожалуйста, Павлик, какой ты национальности?

- Я? Грек... - удивленный вопросом откликнулся тот.

- А не скажешь, Карен кто?..

- Кажется, армянин - не очень уверенно ответил тот.

Георгию, видно, надоели все эти «изыскания», и он сказал:

-К чему все это? У нас в бригаде нет такой проблемы. Это некоторые интеллигенты любят выташить составленную до рождевства Христого карту и заводить речь о границах. По поводу происхождения названия какого-нибудь населеннего пункта шуметь. Поверьте, от этого наша дружба крепче не становится.

- Вот вам - армянин и азербайджанец,

- положив им руки на плечы, сказал".

ამის შემდეგ ავტორი "ამხელდა" ისეთ "მანკიერ" გრძნობას, როგორიცაა მამულიშვილური თვითშეგნება. თურმე იგი საქართველოს კპ ცკ-ის იმპერიის ნამესტნიკს მეტი ჰქონია, ვიდრე საქართველოს ეროვნულ მოძრაობას. ის კი არადა, ეროვნული მოძრაობის სიფხიზლე ინტრიგანის ავყიობამდე დაჰყავდა ავტორს:

"Замечу, что по приведенным и иным подобным вопросам З.Гамсахурдия и уже с ним в большенстве случаев предпочитают разговаривать «со своим народом» через зарубежные средства массовой информации, снабжают их фальсифицированными «фактами», клеветническими измышлениями. А те в свою очередь, как писал в республиканской газете «Комунист» журналист Д.Иоселиани, стараясь придать «весомость» фигуре З.Гамсахурдия, поддакивая его тшеславию, возводят его в ранг «выдающегося грузинского писателя». «национального героя» и т.д. и т.п.

1988წ. 27 სექტემბერს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე წარსდგნენ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი **ჯ.პატიაშვილი** და საოლქო ორგანიზაციის თავკაცი **ბ.ადლეიბა**. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მხოლოდ XIX პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესახებ იყო საუბარი (აფხაზეცური ცილისწამება თითქოს არც არსებულა), **ჯ.პატიაშვილის** საუბარი და მოქმედება პლენუმზე ნიშნავდა სეპარატისტთა მიმართ მობოდიშებასა და თავის მართლებას. უფრო მეტიც, **3 ოქტომბერს** მან ე.წ. სახალხო "ლიხნაშთაას" ზეიმზე განაგრძო სეპარატისტების წინაშე კაპიტულაციის გამოვლინებები, ტაშისცემით შეხვდა ანტიქართული "კიარაზის" (ქართველთა და საერთოდ აფხაზეთში მოსახლე უკლებლივ ყველა ეროვნების სისხლში გასვრილი აფხაზეცი ბოევიკების) 70 წლისთავის "დღესასწაულს".

რა თქმა უნდა, თუნდაც სეპარატისტების მიმართ, რეპრესიების გატარება მიუღებელია, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, უნდა თქმულიყო სიმართლე, რათა სინამდვილეში ასეთი "რესპუბლიკისა და მისი სახელის მატარებელი ხალხის" ფაბრიკაციით მთლიანად აღგვის პირამდე მოვიდა ცხუმ-აფხზეთის მშობლიური და ბუნებრივი ეთნოხედი.

ეს არ გაკეთდა, რითაც ფრთაშესხმულმა სეპარატისტებმა განაგრძეს იდეოლოგიური, პროპაგანდისტული და სამართლებრივი ასპექტების მათდა სასარგებლოდ წარმართვა.

1988წ. 3 ოქტომბერს, როგორც გაზეთმა **"კომუნისტმა"** აუწყა მკითხველებს, რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რომელიც მარნეულის რ-ნში რიგი პრობლემების, მათ შორის, ერთაშორისი ურთიერთობებისა და დაძაბულობის მოსაგვარებლად ჩავიდა, ქართველი მოსახლეობისათვის უმართებულო საჯარო განცხადება მიუწოდებია.

საქმის ვითარება კი ასეთი იყო: წინა დღეებში მარნეულის რ-ნის სოფელ ორჯონიკიძის მოსახლეობის მიტინგზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **პ.გილაშვილმა** ქართველებს ჭკუა დაარიგა და გამოსავალი ასწავლა: **"თქვენ, მარნეულის ქართულ მოსახლეობას, თურმე ის გაწუხებთ, რომ აქაურმა აზერბაიჯანელებმა ქართული არ იციან და არც ცდილობენ მის შესწავლას. თუ ისინი არ სწავლობენ ქართულს, თქვენ ცოტანი ხართ, ისინი კი ბევრნი არიან" (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 14 ივლისი, 1989წ.).**

1988წ. 14 ოქტომბერს საკავშირო ტელევიზიის პროგრამა **"ვზგლიადის"** გადაცემის ერთ-ერთ სიუჟეტში ვინმე **ი.ცვეტკოვმა** ხელაღებით გალანძღა ქართველი ერი. ეს იყო ერთგვარი შემაჯამებელი ღონისძიება, რომელმაც დააგვირგვინა **"პრავდის", "იზვესტიის", "არგუმენტი ი ფაქტის",** და სხვა რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთების

ფურცლებზე გაშლილი ქართველოფობიური კამპანია. ამ კამპანიაში ცნობილი რუსი მწერლები და საზოგადო მოღვაწეებიც ჩაერთნენ (**ვ.კოროტიჩი, ვ.რასპუტინი).** აქციის მიზანი იყო, ეროვნული მოძრაობის, დიახ, მოძრაობის გაცრუქაქუნება და ჩათრევა ამ პოლემიკასა თუ უსაგნო კინკლავში, რომელიც ყოველივე ამის თავმიზეზს ებრძოდა და არა მის თანმხლებ ზედაპირულ გამოვლინებებს, რაც იქნებოდა ამით გულის მოფხანა და ამასობაში ძირითადი ძალების მოქანცვა.

ასეთ პროვოკაციებს ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობა არ აჰყოლია, მაგრამ "მასებისათვის" განკუთვნილმა "ქართულმა" საბჭოთა პროპაგანდამ ჭეშმარიტი გზიდან ამქცევი თავისი ისტერია განაგრძო.

საბჭოთა საქართველოს კოლაბორაციული ოფიციოზი ასეთ ვითარებაში "შუბლზე კამეჩის ტყავგადაკრული" ამოეფარა გენიოსი პოეტის სახელსა და ეროვნული მოძრაობის გზაასაქცევად შექმნა ვითომრუსთაველის საზოგადოება (თავმჯდომარე **ი.აბაშიძე**). მის რიგებში და გარშემო გაერთიანებული საზოგადო მოღვაწეები, ცნობილი პიროვნებები, რომელთაგან მრავალი გულწრფელი და პატიოსანი ადამიანი იყო (უბრალოდ ვერ ერკვეოდნენ ცენტრის ვერაგი პოლიტიკის ტაქტიკურ სიახლეში) ჩაებნენ ამ ცრუქაქუნა საქმეში, მეტსაც გეტყვით, ამ ორგანიზაციის სააფხაზეთო განყოფილებაში თავდაპირველად შეყარეს თითქმის ყველა სეპარატისტი, როგორც ეთნოკრატიული, ისე პარტოკრატიული ბანაკიდან.

მოსკოვის ცტ-ის პროგრამა "ვზგლიადის" მაკომპრომენტირებელ გადაცემასთან დაკავშირებით **ი.აბაშიძე, რ.ამაშუკელი,** და **მ.ლორთქიფანიძე** საგანგებოდ გაემგზავრნენ მოსკოვს, "ჭკუა ასწავლეს" **ი.ცვეტკოვს** და ცენტრალურმა ტელევიზიამაც თითქოს მოუბოდიშა კრემლსა და მის ადგილობრივ მეგზურებს. "გაეროვნულებულ" პარტოკრატიას უნდოდა, რომ აი, ასეთი ფართი-ფურთი წარმოეჩინა ეროვნულ გმირობად და საზოგადო მოღვაწეობად.

1988წ. 18 ოქტომბერს "კომუნისტმა" გამოაქვეყნა რსფსრ-ის _ ე. წ. ჩრდილო ოსეთის ქალაქ ორჯონიკიძის მე-19 ქართული საშუალო სკოლის პედკოლექტივის სამადლობელი წერილი **ჯ.პატიაშვილისადმი**, რომელსაც საქართველოს სსრ ბიუჯეტის თანხებით შეუკეთებია და განუახლებია ეს სკოლა. ამ დროს საქართველოს სსრ ბიუჯეტის ხარჯზე ოსებისათვის, თანაც ქართულ მიწაზე, მთელი ავტონომიური ოლქი ფუნქციონირებდა მისი შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებითა და ოსური კულტურისა თუ განათლების კერებით.

იქ კი ოსების სადავო, თუმცა შედარებით ნამდვილ სამშობლოს მიახლოებულ სივრცეში ერთი ქართული სკოლა არ შეგვინახა "ძმამ". აი, ასეთია ხალხთა ძმობის ლენინური შინაარსი.

1988წ. 22 ოქტომბერს პრესაში გამოქვეყნდა სსრკ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის პროექტი.

28 ოქტომბერს გასაჯარისდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება **1988 წლის 29 ნოემბრისათვის** რიგგარეშე სესიის შემდეგი დღის წესრიგით მოწვევის შესახებ: 1. **"XIX პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა მიხედვით სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ორგანოების სტრუქტურებისა და საქმიანობის სრულყოფის ამოცანები".** 2. სსრკ სახალხო დეპუტატთა არჩევნები.

1988წ. 30 ოქტომბერს ქ.მინსკში ჩატარდა არასანქცირებული მრავალათასიანი მიტინგი _ "რექვიუმი", რომელიც მოაწყო კულტურის ფონდის საქალაქო განყოფილებამ და ბელორუსის სსრ ახალგაზრდა მწერალთა ამხანაგობამ. აღნიშნული აქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარმა და საბჭოთა არმიის საგანგებო ნაწილებმა სასტიკად დაარბიეს.

1988წ. 2 ნოემბერს გაზეთ **"Правда"-ს** მიერ მოწყობილ "მრგვალ მაგიდაზე", საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **გრ. აბაშიძე** ჩვეული კოლაბორაციონისტული პოზიციით წარსდგა.

1988წ. 3 ნოემბერს პრესაში გამოქვეყნდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი, რომელიც ეროვნული მოძრაობის ძალისხმევის შედეგად იძულებით მიიღო საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ.

1988წ. 19 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სსრ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის პროექტი.

რომ არა ეროვნული მოძრაობის გამომაფხიზლებელი მოწოდებები, რომლითაც მხილებული იქნა ის მზაკვრული გეგმა, რაც კრემლმა ჩადო ამ "დამატებებში", საზოგადოებას ამ დოკუმენტების სახით, როგორც გარდაქმნისა და დემოკრატიის შესაბამისად სახელმწიფოს მოწყობის კანონს, ხელში შეაჩეჩებდნენ საუკუნო მონობის ქარტიას.

საქმე ისაა, რომ სსრკ იმპერიის კონსტიტუცია ისეთი "პოლიტიკური ინჟინერიის" ხერხებით იყო გადაწყვეტილი, მისი რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის შემთხვევაში კრემლს ათასგვარი ეთნოკატასტროფის ინსპირირების საშუალება ჰქონდა (და გამოიყენა კიდევაც).

წინამდებარე "შესწორებები" სინამდვილეში მოკავშირე რესპუბლიკებს სსრკ იმპერიიდან გამოსვლის ყოველგვარ საშუალებას უსპობდა, უფრო მეტიც, ამ "შესწორებების" მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკები თავიანთ ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიებთან კონფედერაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. საქართველოს პირობებში, როცა საბჭოთა ავტონომიები ქართული მიწის ხარჯზე შეიქმნა, ეს, არც მეტი არც ნაკლები, ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის კიდევ ერთი მახვილის ჩაცემასა და მამულის შეუქცევადად განიავების მორიგ დაკანონებას ნიშნავდა. რაც შეეხება რსფსრ-ს, იქ საბჭოთა ავტონომიები რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს საკუთარ მიწაზე ჰქონდათ.

ეროვნული გამოფხიზლების შედეგად ხმა აიმაღლა საზოგადოებრიობამ, ხოლო ეროვნულმა მოძრაობამ და ერის საუკეთესო ახალგაზრდობამ მშვიდობიან პოლიტიკურ აქციებს მიმართეს.

სსრკ კონსტიტუციის "შესწორებებში" "ახალი რედაქციით" განსაკუთრებულ "შეშფოთებას" იწვევდა 119 მუხლი, რომლის შესაბამისად, მოსკოვს ადგილობრივი ხელისუფლების დაუკითხავად ნებისმიერ დროს შეეძლო საგანგებო წესები გამოეცხადებინა ნებისმიერ რესპუბლიკასა და ავტონომიაში, მხარეში, ოლქსა და რაიონში.

სსრკ კონსტიტუციის 111-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს სინამდვილეში ქვეყანა (რესპუბლიკა) საქართველოს ტერიტორიაზე ჩაღობილ ეთნოფაბრიკაციულ ავტონომიებთან პარიტეტულ ერთობას ქმნიდა და ამგვარი შინაარსით პოლიტიკური პარტნიორი ხდებოდა სსრკ დანარჩენი რესპუბლიკებისთვის. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ეს შესწორებანი უარყოფითად შეაფასა (ეროვნულ-სახალხო ძალისხმევის შედეგად სხვა გამოსავალი არც ჰქონდა).

1988წ. 22 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი, რომელიც სსრკ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ახალ რედაქციას შეეხო. პლენუმმა არ გაიზიარა ეს შესწორებანი (არც ამ შემთხვევაში ჰქონდა სხვა გამოსავალი). საქმე ის გახლავდათ, რომ **21 ნოემბერს** ეროვნულმა მოძრაობამ სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის მხარდაჭერით და მონაწილეობით საპროტესტო შიმშილობა დაიწყო ქ.თბილისში მთავრობის სასახლესთან. ისინი გმობდნენ კრემლის მორიგ ავანტიურას. მათი

მოთხოვნები გახლდათ ჭეშმარიტად პატრიოტული და, თუ გნებავთ, ნამდვილად ინტერნაციონალური, თუმცა, როგორც მეტროპოლიის, ისე ადგილობრივი საბჭოთა პროპაგანდის აგიტატორები ხმებს ყრიდნენ, თითქოსდა "ქართველი ნაციონალისტები" საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების ჟლეტისკენ მოუწოდებდნენ ქართველ მოსახლეობას.

ასეთ ვითარებაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო და რიგგარეშე სესია შეუდგა წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სსრკ კონსტიტუციის შესასწორებელი მუხლების განხილვას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სესიაზე ავტონომიებიდან წარმოდგენილი ყველა დეპუტატი როდი იყო სწორად ინფორმირებული ქართული ეროვნული მოძრაობის მიზანზე. პირიქით, რუსეთის ცენტრალური პრესა და აქედან გამომდინარე საქართველოს ოფიციოზის მიერ ეროვნული მოძრაობის მიმართ გამოხატული სასტიკად უარყოფითი პოზიცია უამრავ გაუგებრობას ქმნიდა. მაგალითად გუდაუთის რაიონიდან გამოვიდა დეპუტატი **ხაკიბეი აიბა**, რომელმაც შეშფოთება გამოთქვა ქართველი ახალგაზრდობის "ნაციონალისტობის" გამო. სამწუხაროდ, მისთვის სესიაზე არავის განუმარტავს სინამდვილე, პირიქით, აღნიშნულ სესიაზე ქართველი ახალგაზრდობის საქციელი შეფასდა ანტისაბჭოთა გამოხდომად.

ასე იყო თუ ისე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია სსრკ კონსტიტუციაში წინამდებარე შესწორებანი. აი, ასეთი გადაწყვეტილებით გაემგზავრა საქართველოს სსრ დეპუტაცია სსრკ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე, სადაც აღნიშნული საკითხები საბოლოოდ უნდა განხილულიყო.

ქართველი ახალგაზრდობის საშიმშილო აქცია თბილისში, ქარსა და თოვლჭყაპში, მთავრობის სასახლის წინ, ღია ცის ქვეშ გრძელდებოდა. ამ შემთხვევაში კრემლმა ზოგიერთ საკითხში უკან დახევა ამჯობინა, საქმე ის გახლავთ, რომ ქართული ეროვნული მოძრაობის აქციამ გამოაფხიზლა მოკავშირე რესპუბლიკები, ამასთან ერთად თავად თბილისში არა და არ წყდებოდა ახალგაზრდობის საპროტესტო შიმშილობა, მსოფლიო ახმაურდა, "დემოკრატ" კრემლს ისევ დიქტატორი უწოდეს...

მიუხედავად კოლაბორაციული ძალების ძირგამომთხრელობისა, კრემლმა უკან დაიხია და ასეთი პოლიტიკური ფონის ქვეშ **29 ნოემბერს** სსრკ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ ზემოთ აღნიშნული "შესწორებები" არ დაამტკიცა, ამით საქართველოს სსრ სუვერენიტეტი, ისევე, როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, როგორც აღფრთოვანებული ოფიციალური პროპაგანდა ირწმუნებოდა, "დაცული იქნა".

ვინაიდან, თბილისში, მთავრობის სახლის წინ საშიმშილო აქცია შეიძლება კრემლისათვის უმართავ ვნებათაღელვაში გადაზრდილიყო, კრემლმა შეაკოწიწა რაღაც მაამებლურის მაგვარი წერილი, რომლის ავტორად გამოცხადდა **მ.გორბაჩოვი** და ქართულად წააკითხეს **ე.შევარდნაძეს**. ეს იყო სატელევიზიო და რადიო ე.წ. მიმართვა ქართველი ახალგაზრდობისადმი. დიახ, აშკარა იყო, კრემლმა დაიხია. იმავე დღეს, ნაშუადღევს მთავრობის სახლის წინ ეროვნული მოძრაობის მიერ გამართული მიტინგის შემდეგ მოშიმშილეთა აქცია შეწყდა.

1988წ. 25 ნოემბერს უშიშარმა ახალგაზრდამ **გაბრიელ ისაკაძემ** თბილისში მთავრობის სასახლიდან საოკუპაციო რეჟიმის წითელი დროშა ჩამოაგდო, იგი შემდგომში ნეობოლშევიკური ანგარიშსწორების დროს მხეცური წამების შედეგად დაიღუპა.

1988წ. 26 ნოემბერი. ქ.სოხუმის XXXII პარტიულ კონფერენციაზე აფხაზეთის **დ.გულიას** სახელობის ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა **ვ.არძინბამ** ქართველებს აფხაზეთის ანექსიაში

დასდო ბრალი და მისთვის ამ ტრიბუნიდან პასუხის გამცემი იმ "პარტიულ ფორუმზე" არავინ აღმოჩნდა.

1988წ. 28 ნოემბერს გაზეთმა **"კომუნისტმა"** გამოაქვეყნა ცილისმწამებლური წერილი "შეიცან თავი შენი", რომელიც თავს დაესხა **ზ.გამსახურდიასა** და საერთოდ, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.

1988წ. 1 დეკემბერს ქ.სოხუმში ოფიციოზი შეეწინააღმდეგა ქართველთა ეროვნული მოძრაობის მიერ მიტინგის ჩატარებას.

1988წ. 3 დეკემბერს ხელისუფლებამ ქ.ქუთაისში დაარბია ქართული ეროვნული მოძრაობის მიტინგი.

1988წ. 7 დეკემბერს არმენეთის სსრ-ში (ეპიცენტრით სპიტაკში) მოხდა დამანგრეველი მიწისძვრა, რომელსაც მოჰყვა ათასობით ადამიანის მსხვერპლი.

1988წ. 8 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ საოლქო პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXXVIII კონფერენციისადმი.

მისი კონცეპტუალური ორიენტირები კვლავაც სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები იყვნენ. სინამდვილეში ამ მოხსენებასა და ე.წ. აფხაზეცურ წერილს ერთი და იგივე ავტორები ჰყავდათ: "...სტატიაში "სიმართლის პოზიციებიდან", რომელიც დაიწერა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შედეგების შთაბეჭდილებებით, მისი დელეგატი, აფხაზეთის სახალხო პოეტი, სოციალისტური შრომის გმირი **ბ.შიკუნბა** აღნიშნავდა: **"მე დიდად ვიმედოვნებ, რომ დღეს ხალხთა მეგობრობის სადიდებლად ლოზუნგურ სადღეგრძელოებს შეცვლის მოფიქრებული ყოველდღიური მუშაობა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების რეალიზაციისათვის" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1988წ. 8 დეკ.).**

1988წ. 10 დეკემბერს საქართველოს კპ ცკ-ის მითითებით აჭარის საოლქო ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია ჩაქვსა და ბათუმში ქართველი პატრიოტები, რომლებსაც მიტინგის ჩატარება სურდათ, მათ შუახევის, ხულოსა და ქედის რაიონებიდან ჩამოიყვანეს მოტყუებული და საგანგებოდ წაქეზებული ადამიანები, რომლებიც დაუპირისპირეს სრულიად საქართველოს ეროვნულ მოძრაობას.

ეს რეპრესიები აჭარაში ერთი თვის მანძილზე გრძელდებოდა, რომელსაც საბჭოთა პროგანადისტებმა პრესითა და ტელე-რადიო გადაცემებით გადმოფრქვეული ცილისწამებებით მხარი აუბეს.

უფრო მეტიც, მანამდე, ოქტომბერში აჭარის ასსრ ოფიციოზის მიერ შეკოწიწებული იქნა კომუნისტურ-თურქოფილური ორიენტაციის აგრესიული ერთობა და მას დაერქვა **"გარდაქმნის ხელშემწყობი აჭარის საზოგადოება".** მისი უპირველესი ამოცანა გახლდათ კუთხურ-სარწმუნოებრივი სეპარატიზმის ქადაგება.

რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის კონფერენციაზე იმ დღეებში საქართველოს კპ ცკ-ის თავკაცმა მოიწონა მანქურთების საქმიანობა და მათ მიერ "ნაციონალისტი და ექსტრემისტი" ანტისაბჭოთა ელემენტებისათვის "საკადრისი პასუხის გაცემა".

უფრო გვიან, **1989 წლის 20 აპრილს** "გარდაქმნის ხელშემწყობი აჭარის ორგანიზაციის" მიერ გაგზავნილი იქნა დეპეშა სკკპ ცკ-ის მდივნის **მ.რაზუმოვსკის** სახელზე, რომელშიც ამ "ინტერფრონტული", სუკის მიერ შეკოწიწებული ორგანიზაციის თავკაცები მასთან შეხვედრას ითხოვდნენ **"по поводу ущемления прав аджарцев не аджарцами".**

საერთოდ აჭარაში ამ დროისათვის თავისი დივერსიული მიზნებისათვის იღწვოდა როგორც ლენინური "უფროსი ძმა", ასევე ქემალისტური კარის მეზობელი. მათი ამოცანა გახლდათ, როგორმე აჭარა ჩამოეშორებინათ სრულიად ქართველური ძალისხმევისათვის, ხოლო დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

საინტერესოა ისიც, რომ, როცა უფრო გვიან ეროვნული მოძრაობის ადგილობრივი (აჭარელი) მამულიშვილი აქტივისტების მიერ აღებული იქნა ქ.ბათუმში **ვ.ლენინის** ძეგლი, თურქეთის ოფიციოზმა ამის გამო შეშფოთება გამოთქვა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, **დეკემბრის იმავე დღეებში (1-10 რიცხვი) ანალოგიურ** მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქართული ეროვნული მოძრაობის მონაწილეები ქ.სოხუმში, რომელთაც სურდათ ჩაეტარებინათ საინფორმაციო მიტინგი ქართული ეროვნული მოძრაობის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ქ. სოხუმში საინფორმაციო მიტინგის დარბევამ (1 დეკემბ.) შესაძლებელი გახადა ოფიციოზს ხელ-ფეხი გახსნოდა დეზინფორმაციათა გასავრცელელად. რეპრესიების მიუხედავად ეროვნულმა მოძრაობამ 1 დეკემბერს მაინც მოახერხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში საზოგადოებრიობის შეკრება. ასევე გაიმართა მსვლელობები კელასურის მიმართულებით თბილისის გზატკეცილზე. ეს იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქცია ეროვნული აღმავლობის წლებში (**ვ.ვეკუა, ბ.კაკუბავა, ნ.მგალობლიშვილი, ბ.კაკუბავა, ზ.ჭავჭავაძე, მ.ქურდიანი** და სხვები), რომელსაც აშკარად დაეტყო იმხანად **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** სოხუმში არყოფნა, ეს უკანასკნელნი სუკის მიერ იყვნენ ბლოკირებულნი).

1988წ. 13 დეკემბერს ქ.სოხუმის სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში. განსხვავებით ქართველთა მცდელობისა, თავაუტკივებლად ჩატარდა ე.წ. აფხაზეთის სახალხო ფორუმის დამფუძნებელი კრება, რომელმაც მიიღო ანტიქართული დოკუმენტები. სამწუხაროდ, ამ კრების მონაწილეთა სულისკვეთებით ჩატარდა მომდევნო დღეებში საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის კონფერენცია.

ამავე პერიოდში აფხაზეთში სეპარატისტულმა პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ და ა.შ. დაიწყო მუჰაჯირობის უდაოდ ტრაგიკული საკითხების ტენდენციური გაშუქება. აგრესიული სეპარატიზმის თავკაცებს სურდათ მუჰაჯირების სისხლი ჩამოებანათ რუსი დამპყრობლებისათვის და იგი ქართველებისათვის მოეცხოთ. ამით ისინი უფრო "არგუმენტირებულს" ხდიდნენ ქართველთა წინააღმდეგ მათი პროპაგანდისტებისა და აგიტატორების საქმიანობას. საამისოდ იქმნებოდა კომისიები, საორგანიზაციო ჯგუფები, ნავარაუდევი იყო მუჰაჯირთა შთამომავლობის ეთნოდივერსიულ ნედლეულად გამოყენება.

ამავე დროს მიჩქმალული იყო მათი ჭეშმარიტი წარმოშობა (მაგალითად გვარები, განმშობლიურებისა და ეთნოფაბრიკაციის პროცესები XVI-XIX-XX საუკუნეების ცხუმ-აფხაზეთში და ა.შ.)

1988წ. 14 დეკემბერს გაიმართა _ საქართველოს ალკკ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც ანტისაბჭოთა გამოხდომებისათვის თითისქნევა დაუწყო ქართველ ახალგაზრდობას.

1988წ. 16 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის XXXVIII კონფერენცია, რომელმაც თავისი თეორიული და ორგანიზაციული დასკვნებით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ჩამონტაჟებულ საბჭოთა ეთნოფაბრიკაციულ ავტონომიას კონფედერაციული მდგომარეობა გაუპიროვნა ჯერჯერობით საქართველოს სსრ ფარგლებში. თავის შემაჯამებელ სიტყვაში **ბ.ადლეიბამ** აღნიშნა: **"...და კიდევ ერთი, როცა ინტერნაციონალურ აღზრდაზე, ხალხთა მეგობრობის განმტკიცების აუცილებლობაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ხშირ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს მხოლოდ აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობა... მაგრამ დღეს მშრომელთა მეგობრობა გასცდა აფხაზურ-ქართულ ჩარჩოებს, რადგან ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ათობით სხვა ერისა და ეროვნებების წარმომადგენლები. ამავე დროს, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, თუ რამდენად არიან დავალებული, როგორც აფხაზეთისა და საქართველოს, ისე მთელი კავკასიის ხალხები დიდი რუსი ხალხისაგან"...**

“... ვოლუნტარიზმი ეროვნებათშორისი ურთიერთობების ურთულესი პრობლემების მიმართ დამახასიათებელი იყო პიროვნების კულტის პერიოდისათვის, როცა ავტონომიურ რესპუბლიკაში, მაგალითად ყოვლად უსაფუძვლოდ შეიცვალა დასახლებული პუნქტების ისტორიული სახელწოდებანი. აფხაზეთის ტოპონიმიკასთან დაკავშირებული საკითხები სისტემატიურად იწვევენ გაუგებრობას ეროვნებათშორის ურთიერთობაში, ამიტომ მინდა განვაცხადო, რომ პარტიის საოლქო კომიტეტმა ამ მტკივნეული პრობლემების რეგულირების დაჩქარების მიზნით განაახლა შემადგენლობა კომისიისა, რომელიც განსაზღვრულ დროში მოამზადებს სათანადო დოკუმენტებს და წარუდგენს მათ შესაბამის ორგანოებს საჭირო ზომების მისაღებად”...[16] (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 20 დეკემბერი, 1990წ.).

კონფერენციაზე გამოსულმა **კ.ოზგანმა** _ პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივანმა განაცხადა, რომ არავის მისცემდა აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთობაში ანტილენინური ჩარევის უფლებას. მან ჩვენი ძმობის მაგალითად დაასახელა... აფხაზეც ბოევიკთა რაზმის “კიარაზის” 70 წლისთავის აღნიშვნა გუდაუთის რ-ნში, რომელსაც **ჯ.პატიაშვილიც** დაესწრო. როგორც უკვე ითქვა, ეს შეიარაღებული ყაჩაღები გააფთრებული ებრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

თავის მხრივ აფხაზეცმა პოეტმა **ა.ჯონუამ** მოითხოვა აფხაზეთის რუსისტული ტოპონიმიკის აღდგენა. შეეხო რა ე.წ. აფხაზეც-ქართველთა ურთიერთობას, **ვ.არძინბამ** გაიმეორა სოხუმის საქალაქო პარტკონფერენციაზე მის მიერ პროვოკაციულად წამოჭრილი დებულებები და აღნიშნა, _ **“არ უნდა დაგვავიწყდეს ის დიდი ნაკლოვანებები და ტრაგიკული მოვლენები, რომლებმაც კოლოსალური ზიანი მიაყენეს აფხაზეცებს (Абхазцам) (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 22 დეკემბერი, 1988წ.).**

კონფერენციაზე სეპარატისტების დეზინფორმაციულ თარეშსა და აღვირახსნილობას ქართველი კომუნისტები **“ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისაკენ”** მოწოდებით პასუხობდნენ. საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XXXVIII პარტიული კონფერენციის ასეთმა შინაარსმა განაპირობა **1989 წლის 18 მარტს** ლიხნის ე.წ. თავყრილობა.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის შემდგომ სეპარატისტულ-აფხაზეცურმა მოძრაობამ სულ უფრო და უფრო პროვოკაციული და ქართველოფობიური ხასიათი შეიძინა. აფხაზეთის ტელევიზია, რადიო, პრესა; “სოვეტსკაია აფხაზია”, “აფსნი კაპშ”, “ბზიფი”, ა.მ.გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალტირაჟიანი გაზეთი და სხვა გამოცემები აულაგმავად ქოსატყუილობდნენ და ასაჯარისებდნენ ფანტასტიკურ “აღმოჩენებს” ცხუმ-აფხაზეთში აფხაზეცური, ოქტომბრისენოვანი ხალხის “მრავალათასწლოვანი” “ცხოვრების ნაკვალევის” შესახებ **(გ.ტურჩანინოვი!).**

კრემლის მიერ წახალისებული ამ ანტიქართული ისტერიით შეხვდა ცხუმ-აფხაზეთი **1989 წელს,** რომლის პირველ დღეებშიც უნდა ჩატარებულიყო მოსახლეობის საკავშირო აღწერა.

მორიგი ეთნოფაბრიკაციისათვის სეპარატისტებს უკვე ხელში ეჭირათ პროპაგანდისტული, ეკონომიური, “მეცნიერული” და, რაც მთავარია, ორგანიზაციული ბერკეტები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **1988 წლის შემოდგომისათვის** აფხაზეცურ-სეპარატისტული მოძრაობა ლეგალიზებულ იქნა ე.წ. სახალხო ფორუმ “აიდგილარას” სახით. მან განაგრძო ანტიქართული ბრძოლა და განაახლა აშკარა დივერსია ქართული

---

[16] **უფრო სწორედ, ცხუმ-აფხაზეთის ნამდვილი ტოპონიმიკა რუსიზმმა შეცვალა, ხოლო წინამდებარე კონფერენცია სწორედ ამ რუსისტული ტოპონიმიკის “გაქართველებასაა” რომ სჩივის, თორემ თუ საუბარია ამ მხარის ადგილმდებარეობათა ისტორიული ე.ი. ქართველური (აფხაზური) სახელწოდებების აღდგენაზე, ქართველ ერს ამის საწინააღმდეგო რა აქვს, როდესაც იგი მთლიანად ქართულია.**

ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებები მისი კონტროლის ქვეშ მოექცნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით პროვოკაციული აღმოჩნდა აფხაზეთის ტელევიზია, რომლის ეკრანებიდან ვინმე **გ.ტურჩანინოვის** მსგავსი "მეცნიერები" სულ უფრო და უფრო აღვივებდნენ აფხაზეცურ დიდმპყრობლობას და ოქტომბრისენოვან მოსახლეობას მოუწოდებდნენ ანტიქართული ქუდზეკაცობისკენ (ოდიოზურმა "პროფესორმა" **გ.ტურჩანინოვმა** სეპარატისტული ეთნოკრატიის საამებლად, არცთუ უანგაროდ, დროსა და სივრცეში არარსებული, იმ დროს არგაჭაჭანებული "აფხაზეცების" "დამწერლობა" ათასწლეულების მიღმა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე "აღმოაჩინა". ძირითადად ასეთ "მეცნიერთა" კვლევაზე გახლდათ აგებული სეპარატისტთა პრეტენზიები).

აქვე, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, განსაკუთრებით მისმა პარტოკრატიულმა ნაწილმა აფხაზეთში **1988 წლის შემოდგომაზე** შექმნა ე.წ. რუსთაველის საზოგადოება. თქვენ გახსოვთ, რომ ეს თავიდანვე ცრუ საზოგადოება ქ.თბილისში ოფიციოზმა შეაკოწიწა ეროვნულ მოძრაობასთან დასაპირისპირებლად. როგორც დრომ დაადასტურა, ის არც შემდგომში მდგარა სალ კლდედ ერის სადარაჯოზე. აფხაზეთის პირობებში მის ამოცანას წარმოადგენდა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის გზაკვალარევა. სწორედ ამიტომ, აფახაზეთში ე.წ. რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელად არჩეული იქნენ უკიდურესად კორუმპირებული ქართველი ფუნქციონერები და აფხაზეც-სეპარატისტთა წარმომადგენლები.

იმ დროის მომოხილვისას უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ვერაგობაც, _ ე.წ. გარდაქმნის პირობებში "გაიხსნა" თურქეთის საზღვარი, სარფთან საბჭოთა მოქალაქეებს, მათ შორის საქართველოდან, საშუალება მიეცათ ს.სარფის გავლით უმოკლესი გზით ემგზავრათ მეზობელ სახელმწიფოში.

ს.სარფი, _ ლენინურ-ქემალისტური გარიგების შედეგად **1921 წლის 16 მარტიდან** იქცა ქართული მიწების თურქულ-რუსულ იმპერიებში გადანაწილების სანიშნედ. ეთნოდივერსიულმა ინდუსტრიამ და მისმა შესაბამისმა უწყებებმა საბჭოთა კავშირში თავიდანვე მიიღეს საჭირო ზომები იმისათვის, რათა ორ იმპერიაში ხელოვნურად გადანაწილებულ ერთ ხალხს _ ქართველებს, ამდენი ხნის "რკინის ფარდის" შემდეგ, გულითადი შეხვედრა არ ჰქონოდათ.

ამ მიზნით ქართველთა "ტურისტული მოძრაობა" თურქეთის მიმართულებით, სუკ-ის მცდელობის შედეგად, მას შემდეგ, რაც ფარული მითითებით აქ აიკრძალა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების გაცვლა, ქართული სიმღერების, წიგნების შეტანა, ძირითადად ატარებდა სპეკულაციისა და პროსტიტუციის ხასიათს, რათა თურქეთის იმპერიაში მოქცეულ ქართველებს თავიანთ მემლექეთზე კნინობითი წარმოდგენა შეჰქმნოდათ და გული ასცრუვებოდათ თანამოძმეებზე.

1989 წელი, 03.01. გაზეთ **"Правда"**-ს ფურცლებზე მისმა საკუთარმა კორესპონდენტმა **გ.ლებანიძემ** გამოაქვეყნა წერილი "საჯაროობის გაკვეთილები", მასში რუსისტული საწყაოთი გადმონთხეული იყო ღვარძლი ქართული ეროვნული მოძრაობის მიმართ. მას მიეხრახნა ცილისწამება ქართული ეროვნული მოძრაობის ამოცანებზე: **"ერთ-ერთ ჟურნალისტს ზ.გამსახურდიამ ფარისევლურად განუცხადა: დადის ჭორები, თითქოს მოვითხოვდეთ საქართველოდან სხვა ხალხების წარმომადგენელთა გასახლებას, ვაღვივებდეთ ეროვნულ ვნებებს. ეს ტყუილია. ამ და სხვა მიტინგებზე, პირიქით, გაისმოდა ჩვენი მოწოდებანი გონიერებისაკენ.**

ამ სიტყვებმა იმდენად აუჩუყა გული პუბლიკაციის ავტორს, რომ მან ვერ შეამჩნია თვით გამსახურდიას და ამ "კამპანიის" როლი აქციაში, რომელიც მის თვალწინ ხდებოდა, _ იგი მას არც თუ "მწვავედ" მოეჩვენა. ამ დროს კი მთავრობის სახლთან

ხდებოდა ახალგაზრდობის უპრეცედენტო, მასობრივი შიმშილობა...” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 1989წ. 5 იანვარი).

აღნიშნული წერილი გადმობეჭდა რესპუბლიკის ყველა გაზეთმა, მათ შორის რუსულმა, “აფხაზეცურმა”, ოსურმა, არმენულმა, აზერბაიჯანულმა. ამდენად ამით **“Правда”-მ** საქართველოს რესპუბლიკის არაქართული მოსახლეობა, მას შემდეგ, რაც მათში გავრცელდა მიზნობრივი დეზინფორმაცია, ფაქტიურად დააშინა ისინი ქართული ეროვნული მოძრაობის “დიდმპყრობლური” მიზნებით და მის მიმართ უნდობლობისკენ მოუწოდა მათ.

1989წ. 6 იანვარს მ.გორბაჩოვი კრემლში შეხვდა საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს. მან აღნიშნა: **“მინდა შევეხო პრინციპული თვალსაზრისით ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხს. დღეს საბჭოთა კავშირი უნიკალური მოვლენაა მსოფლიო გაერთიანებებში. არის სახელმწიფო, სადაც ამ პროცესის მთელი სიძლიერისა და სიძნელეების, დაგროვილი და გამწვავებული პრობლემების მიუხედავად, არის ნამდვილად რეალური, უდიდესი მიღწევები ეროვნული საკითხის გადაჭრაში. მთელი ჩვენი გამოცდილება _ პოზიტიურიცა და ნეგატიურიც _ მოწმობს ვ.ი.ლენინის უდიდეს გამჭრიახობას, რომელმაც ჩამოაყალიბა ჩვენი ეროვნული პოლიტიკის პრინციპული საფუძვლები...” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 1989წ. 11 იანვარი).**

1989წ. 10 იანვარს გაიმართა სკკპ ცკ-ის პლენუმი, განხილულ იქნა საკითხი სსრკ უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნების შესახებ **(1989 წლის 26 მარტი).** ამასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა მიმართვა პარტიისადმი. მასში აღინიშნა, რომ **“ყველგან და ყველაფერში პარტია განახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 1989, 14 იანვარი).**

1989წ. 11 იანვარს გაზეთ **“Известия”-ში,** სსრკ მოსახლეობის საკავშირო აღწერის წინა დღეს, ვინმე **ს.ბრუკი** დემაგოგიურად საუბრობდა “მეგრელების, სვანებისა და ლაზების არაქართულ ვინაობაზე” და, აქედან გამომდინარე, პროვოკაციულ დასკვნებს აკეთებდა.

1989წ. 12 იანვარს დილის 6 საათზე დაიწყო სსრკ მოსახლეობის საკავშირო აღწერა. აფხაზეც-სეპარატისტთა ეთნოკრატიულმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ **1979 წლის** ანალოგიური აღწერის დროისათვის დაიჭირა შესაბამისი თადარიგი, როცა აფხაზეთის ასსრ სტატისტიკის სამმართველოს უფროსი **ტ.კვეკვესკირი** (ქართველი) **1978 წელს** გაათავისუფლა ამ თანამდებობიდან და, როგორც უკვე ითქვა, მის ადგილზე **ტ.ფეოდოროვა** დანიშნა.

როგორც **1979 წლის,** ასევე **1989 წლის** მოსახლეობის აღწერამ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ჩაიარა საყოველთაო დემაგოგიის, ფალსიფიკაციისა და გააფთრებული ანტიქართული კამპანიის ნიშნით. სეპარატისტული აღვირახსნილობის შედეგად უსაფუძვლოდ იქნა მომატებული “რესპუბლიკის სახელის მატარებელი მოსახლეობის” რაოდენობა. მაგალითად ქალაქ ტყვარჩელში აფსუა(აფხაზეცი) მოსახლეობის რაოდენობას ხელოვნურად დაუმატეს ორი ათასი კაცი. ეს ჩემთან საუბარში განაცხადა იმ დროს ამ ქალაქის ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობის პირმა საქართველოს კპ ტყვარჩელის ქალაქკომის მეორე მდივანმა **რ.გერგედავამ** (სწორედ მისნაირი კოლაბორაციონისტებით აღწევდა კრემლი საწადელს). სსრკ მოსახლეობის საკავშირო აღწერის შედეგები აფხაზეთის ასსრ-ში **1989 წლის 12 იანვრის** მონაცემებით ასეთი იყო:

მოსახლეობის აღწერის ცხრილი წ ლ ე ბ ი

საქართველოს სსრ	1979	1989
სულ	4.993.182	5.400.841
ქართველი	3.443.011	3.787.393
არმენი	448.000	437.211
რუსი	371.608	241.172
აზერბაიჯანელი	255.678	307.556
ოსი	160.497	164.055
ბერძენი	95.105	100.324
აფხაზი	85.285	95.853
უკრაინელი	45.036	52.443
ქურთი	25.688	33.331
ქართველი ებრაელი	7.974	14.314
ებრაელი	20.107	10.312
ბელორუსი	5.702	8.595
აისორი	5.286	6.206
თათარი	5.089	4.099
სხვა	29.116	37.977

აჭარის ასსრ

წლები	1979	1989
სულ	354.224	392.432
ქართველი	283.872	324.813
რუსი	34.544	30.042
არმენი	16.101	15.849
ბერძენი	7.072	7.396
უკრაინელი	5.402	5.943
აფხაზი	1.508	1.636
აზერბაიჯანელი	994	1.077
სხვა	4731	5.676

სამხრეთ ოსეთის აო

წლები	1979	1989
სულ	97.988	98.527
ოსი	65.077	65.232
ქართველი	28.187	28.544
რუსი	2.046	2.128
არმენი	953	984
სხვა	1.725	1639

საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრობდა 5 400841 კაცი, აქედან ქართველი - 3 787 393 (ე.წ. სამხრეთ ოსეთში სულ ცხოვრობდა 98527 ადამიანი. აქედან ოსი - 65232, ქართველი - 28544. საინტერესოა, რომ **1979 წლიდან** ე.წ. სამხრეთ ოსეთში ქართულმა მოსახლეობამ სულ 357 კაცით მოიმატა. **1979 წელს** იყო 28187 კაცი).

აფხაზეთის ასსრ

წლები	1979	1989
სულ	486.082	526.061
აფხაზეცი	83.097	93.267
ქართველი	213.322	239.872
არმენი	73.350	76.541
რუსი	79.730	74.914
ბერძენი	13.642	14.664
უკრაინა	10.257	11.655
ბელორუსი	1.311	2.084
ებრაელი	1.976	1.426
ოსი	952	1.165
თათარი	1.485	1.099
სხვა	6.960	8.374

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეცურ-სეპარატისტული ძალების ძალისხმევით აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში **1989 წლის** საკავშირო აღწერის დროს იყო პროვოკაციული მცდელობა, რათა აღეწერათ ქართველები ტომობრივი წარმომავლობის მიხედვით. ამ ნიშნით აღწერეს 500-მდე კაცი. ამის შედეგად 200-მა კაცმა ეროვნებად თავისი ტომობრივი წარმომავლობა _ მეგრელი უჩვენა, ხოლო 150-მა სვანი, 50-მდემ ლაზი და ა.შ.

1989წ. 17 იანვარს აფხაზეთის პრესაში გამოქვეყნდა აფხაზური ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი, რომელიც უფრო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამასთან დაპირისპირებისა და კრიჭაში დგომის ხასიათს ატარებდა და არა მშობლიური ენისადმი მზრუნველობის შინაარსს.

1989წ. თებერვალში დაიწყო და იმავე წლის **მარტში** დასრულდა გუდაუთის რაიონულ გაზეთში **"Бзыбь"** ე.წ. აფხაზური წერილის გამოქვეყნება.

1989წ. თებერვალში ქართული ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით საქართველოში დაიწყო **დავით აღმაშენებლის** 900 წლისთავის ფართოდ აღნიშვნა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ტელევიზიამ **8 თებერვალს** 21 საათსა და 5 წუთზე გადასცა დიდი მეფისა და ეროვნული მოღვაწისადმი მიძღვნილი მასალა, რომელიც აფხაზეთის ტელევიზიამ პროვოკაციულად გამორთო, სამაგიეროდ ტელემაყურებელს შესთავაზა გასართობი პროგრამა, რომელშიც თავისი კუთვნილი ადგილი ებოძა ჩვენს ავადნაცნობ ვინმე **გ.ტურჩანინოვსაც.**

1989წ. 8 თებერვალს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, სადაც იმსჯელეს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციის საქმეში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

განხილული იქნა ღონისძიებათა გეგმა, რომელიც წარმოადგინა საქართველოს კპ ცკ-ის მდივანმა **ნ.ფოფხაძემ**. მისი მე-17 პუნქტი პირდაპირ ითვალისწინებდა ახალი პავლიკ მოროზოვების სერიულ გამოინკუბატორებას: **"სასწავლო დაწესებულებების ყოველ კურსზე, სკოლების უფროს კლასებში შეიქმნას ექსტრემისტულად განწყობილი მოსწავლეებისა და სტუდენტების წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფები" (გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", 1990წ. 6 თებერვალი).**

1989წ. 18 თებერვალს ვ.ი.ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ სცადა გაემართა მიტინგი, რომელსაც უნდა განეხილა აფხაზეთში არსებული ქართული (აფხაზური) ეროვნული პრობლემები. ამის საპასუხოდ ხელისუფლებამ, თანახმად პარტაქტივზე მიღებული გეგმის მე-17-ე პუნქტისა, მილიციის თანამშრომლებისა და

კომკავშირელ-აქტივისტთა გააფთრებული და დაუნდობელი ანგარიშსწორების შედეგად, უმოწყალოდ დაარბია მიტინგი, რომლის დროსაც დაშავდა 12 მოქალაქე.

აღნიშნული ტრაგედია იმითაც გახდა საყურადღებო, რომ მართალია, დამსჯელთა შორის ჯერჯერობით არ იყო რუსული სპეცნაწილები, მაგრამ მისი მოვალეობა წარმატებით შეასრულეს "მშობლიურმა" მილიციამ და განსაკუთრებით ინსტიტუტის კომკავშირელმა აქტივისტებმა.

ამ ვანდალიზმის ანტიეროვნული ხასიათი იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ მას გვერდი ვერ აუარა 9 აპრილის მოვლენათა შემსწავლელმა კომისიამაც და 1989 წლის 18 თებერვლის მოვლენების შესასწავლად შეიქმნა საგანგებო ქვეკომისია, რომელმაც სხვა მრავალთა შორის ასეთი რამეც დაადგინა:

"..."აქტივისტთა" ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ... მომავალ "აგიტატორებს" მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მიტინგის პრობლემატიკის ირგვლივ, არ იცნობდნენ სოხუმის ფილიალის (საუბარია სპი-ს სოხუმის ფილიალზე -ს.საჯ.) დახურვის შესახებ რექტორის მიერ შემუშავებულ პოზიციას და, რაც მთავარია, უმრავლესობისათვის სრულიად უცნობი იყო აფხაზეთში შექმნილი ვითარება" (გაზ."ახალგაზრდა კომუნისტი", 6 თებერვალი, 1990წ.).

1989წ. 19 თებერვალს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ მოისმინა აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის **მ.ჩულკოვის** ანგარიში **"ავტონომიურ რესპუბლიკაში სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შესახებ".** გატარებული ღონისძიებები ძირითადად ქართველთა მიზნობრივი რბევის ხასიათს ატარებდა.

1989წ. 20 იანვარს გაზეთი **"Правда"** (№20) აღშფოთებით იტყობინებოდა, რომ ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე სესიამ მიიღო ესტონეთის სსრ კანონი ენის შესახებ, რომლის მიხედვითაც ესტონეთის სსრ სახელმწიფო ენად ესტონური ენა ცხადდებოდა.

1989წ. 21 თებერვალს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე **ბ.ადლეიბამ** აღნიშნა: **"აქ საჭიროა ითქვას იმის შესახებაც, რომ ჩვენი გაზეთების ფურცლებზე აფხაზური ენის განვითარების პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ კომისიაში, რომელიც მას ამუშავებდა, მოვიდა ბევრი წინადადება, შენიშვნა და დამატება. თვის ბოლოს კომისია განაზოგადებს მათ და, გაითვალისწინებს რა ფართო საზოგადოების აზრს, მოამზადებს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს სათანადო დადგენილების პროექტს. აქ უპრიანია ითქვას, რომ ამჟამად დამუშავების პროცესშია ანალოგიური პროექტი აფხაზეთის ისტორიის გამოკვლევის, შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 23 თებერვალი, 1989წ.).**

ამ პლენუმის პათოსის მიხედვით ქართველობა ცხუმ-აფხაზეთში, ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მიჩნეული იყო ისეთ მოსახლეობად, როგორიც იყვნენ ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკებში რუსულენოვანი მოქალაქეები. ეს იყო **ბ.ადლეიბას** საბოლოო ოფიციალური სიტყვა ამ თანამდებობაზე.

1989წ. 23 თებერვალს სკკპ ცკ-ის მდივანი იდეოლოგიის დარგში **ა.იაკოვლევი** თბილისს ეწვია. ამ მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები ასე აისახა: **"...ქვეყანაში გამწვავდა ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხი. ამ თემაზე მიმდინარე მწვავე დისკუსიებში ჩართულია ახალგაზრდობაც, რომლის ნაწილი სუბიექტურად აფასებს ეროვნულ პრობლემებს" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1989, 25 თებერვალი).**

მარტის დასაწყისშივე აფხაზეთის ასსრ-ში ფართოდ გაიშალა მზადება სსრკ უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნებისათვის. სეპარატისტები ამისათვის ყოველმხრივ მზად აღმოჩნდნენ, მათ შექმნეს კარგად მომზადებული და საბჭოთა

პარტნომენკლატურულ ინტრიგებში გამობრძმედილი გუნდი: **ფ.ისკანდერი, ა.გოგუა, ბ.შინქუბა, ტ.შამბა, ვ.არძინბა და სხვები.**

1989წ. 4 მარტს _ აფხაზეთის გასაბჭოებასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში **ს.თარკილმა,** რომელიც სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს კპ ცკ-იდან მოავლინეს აფხაზეთში, საჯაროდ განაცხადა, რომ **"როცა ჩვენ, აფხაზები სამამულო ომში ვიბრძოდით, ქართველები აფხაზეთს იპყრობდნენო".** მოგვიანებით იგი, 15-16 ივლისის მოვლენების წინ, ფერგანას (ანუ გადატანითი მნიშვნელობით ეთნიკურ წმედნას) დაპირდება ქართველობას.

1989წ. 6 მარტს გაზეთმა "**Правда**"-მ რუბრიკით **"სსრკ _ ჩვენი საერთო სახლი",** გამოაქვეყნა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის **მ.ვსევოლდოვის** წერილი, რომელშიც ავტორი აღნიშნავდა. **"Хрущев Н.С. произнес на ступеньках Белорусского государственного университета «Чем скорее все мы будем говорить по русски, тем быстрее построим комунизм».**

К чему привело услужливое страдание официальных местных властей выполнить это неграмотное во всех отношениях указание и одновременно «ускорить» столь нетрудным путем" строительство комунизма, известно: в Белоруссии фактически не осталось школ с обучением на родном языке. Если в других республиках и не стали столь же ретиво ликвидировать национальные школы, то обшая тенденция была примерно такой же. С одной стороны для большей части местного партийного и советского руководства, какой-то части национальной интеллигенции стало престижным отдавать детей в русские детские сады и школы. С другой стороны, количественно сократилось и качественно ухудшилось преподавание национального языка в русских школах республик.

...По решению центральных ведомств в национальных регионах начинается общесоюзные стройки, которые привлекают массы людей, для которых местная, национальная культура, язык, исторически сложившиеся формы общения коренного населения зачестую остаются чуждыми".

1989წ. 9 მარტს გალის რაიონში შეხვედრა მოეწყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, "ქართველი ხალხის მეგობარ" **ბ.შინქუბასთან**, რომელიც **26 მარტს** აირჩიეს კიდეც სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

"არასეპარატისტული კვოტების" მიხედვით, ე.ი. ქართველებისათვის განკუთვნილ ადგილებზე, აფხაზეთიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეული იქნენ არაკომპეტენტური და პოლიტიკური ბატალიებისთვის გამოუცდელი პირები.

ერთადერთი, რაც აგრესიული სეპარატიზმის შტურმით გამოფხიზლებულმა აფხაზეთის ქართველობამ შესძლო, ის იყო, რომ ქ.სოხუმის 481-ე ლენინის ეროვნულ ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატ აფხაზეც **ა.გვარამიასთან** ორთაბრძოლაში გაიმარჯვა "ქართველმა" **რ.სალუქვაძემ**, ეროვნული პოლიტიკისათვის საკმაოდ ინერტულმა პიროვნებამ. ის კი არადა, მეტად აგრესიულმა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის მიმართ.

1989წ. 11 მარტს ქ.გაგრაში თავი მოიყარეს აფხაზეცმა სეპარატისტებმა და გამართეს ანტიქართული ხასიათის მიტინგი.

1989წ. 18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში ე.წ. აფხაზეთის სახალხო ფორუმის, ანუ იგივე აგრესიული სეპარატისტული მოძრაობის (შემდგომში "აიდგილარას") თაოსნობით გაიმართა შეკრება, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და მისი ბიუროს ეთნოკრატიული ნაწილი, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭოს სეპარატისტული შემადგენლობა.

გარეგნულად მათ უნდა მიეღოთ წინადადებები სკკპ ცკ-ის მომავალი პლენუმისათვის, რომელიც ერთაშორისი პრობლემების განხილვას ეძღვნებოდა.

სინამდვილეში აქ გასაჯარისებული წერილი, რომელიც კრემლის კულუარებში დაიწერა, წარმოადგენდა ცილისმწამებლურ და მაბეზღარა დოკუმენტს, რომლის მიზანი გახლდათ დედოსხეულიდან ცხუმ-აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) ჩამოგლეჯის ფარისევლური "დასაბუთება": **"Перестройка, демократизация и гласность обнажили запретные зоны в национальных отношениях, вспыхнули и подняли на поверхность целый ряд, казалось бы, несуществующих проблем. Используя сложившуюся благоприятную обстановку, оживили свою деятельность националистически настроенные элементы. Так, в настоящее время в Тбилиси и некоторых других городах Грузинской ССР идет открытая пропаганда «национал-социалистических идей под флагом грузинских меньшевиков с требованием огрузинить негрузинское население республики" (გაზ. "Советская Абхазия", 24 მარტი, 1989წ.).** ფაბრიკაციული "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" სახელით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ანუ დასაბამისმიერ ქართულ მამულზე მოთარეშე სეპარატისტული ეთნოკრატია დაუფარავად მოითხოვდა, რომ **"Единственное правильное решение этого вопроса Ефрем Эшба видел в необходимости объявления Абхазии самостоятельной Советской Республикой" (გაზ. "Советская Абхазия", 24 მარტი, 1989წ.).**

1989წ. მარტის შუა რიცხვებში ა.მ.გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში "ქართული" დემოგრაფიული აგრესიის შესახებ ლექცია წაიკითხა ე.წ. აბნის _ დ.გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, პროფესორმა **ბაჯგურ საღარიამ,** რის შედეგადაც სეპარატისტმა მეცნიერებმა ამ თემაზე დისკუსია გამართეს. შეკრებამ მიიღო დადგენილება, რომელიც მოითხოვდა აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ შემადგენლობიდან გამოსვლას. ხოლო სკკპ ცკ-ისა და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **მ.გორბაჩოვის სახელზე მიღებული მიმართვა წარმოადგენდა ცილისწამებას ქართველი ერის მიმართ. ასლები გადაეგზავნათ:** სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ნ.რიჟკოვს**, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს **გ.მარჩუკს,** სკკპ ცკ-სთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს **მ.სმირნოვს**, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს **ვ.კუდრიავცევს**, **ნ.მიკლუხო-მაკლაის** სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოსს **ი.ბრომლეის,** _ ეს ე.წ. დოკუმენტი, არც მეტი, არც ნაკლები, წარმოადგენდა აფხაზეცური სეპარატისტული მოძრაობისა და აქედან გამომდინარე ანტიქართული თარეშის "თეორიულ დასაბუთებას", მის იდეოლოგიურ ბაზისსა და პროპაგანდისტულ-ორგანიზაციული გზამკვლევს.

როგორც მოგეხსენებათ, ამ დროისათვის სკკპ ცკ-თან შექმნილი საგანგებო კომისია, რომელიც 30-40-50-ანი წლების რეპრესიების მსხვერპლთა საკითხებს სწავლობდა, აკეთებდა ისეთ შორსგამიზნულ დასკვნებს, თითქოს მთელი ეს უბედურება "საბჭოთა ხალხს" თავს დაატეხა **სტალინურმა** (აქვე **ლ.ბერიაც** იგულისხმებოდა) ე.ი. "ქართულმა" ტირანიამ. ხელმძღვანელობდნენ რა ამ დებულებით, აფხაზეცი სეპარატისტები ჩქმალავდნენ იმას, რომ ეს ავტონომიური რესპუბლიკა ცხუმ-აფხაზეთის განქართველებისა და დენაციონალიზაციის შედეგად შეიქმნა. სეპარატისტული აგრესიისა და აულაგმაობის შედეგად უმოწყალოდ ყალბდებოდა ამ მხარის რაობა და ვინაობა: **"Как известно, Абхазия чуть ли не единственная республика, национально-**

государственный статус которой изменялся по воле Сталина от высших форм государственного устройства к низшим.

ССР Абхазия _ 1921г. договорная ССР Абхазия 1922. Абхазская АССР 1931гг.), в то время как изменение форм государственного развития других народов страны происходило по восходящей линии" («Советская Абхазия», 24 марта, 1989г.)

სამწუხაროდ, ასეთ თარეშულ ბრალდებებს მიზნობრივად მეხსიერება მოჩლუნგებული ქართული საზოგადოებრიობა საპირწონედ აგებებდა მხოლოდ მკვდრადშობილ მოწოდებას "ხალხთა ლენინური ძმობისკენ"?!.

არადა, მას თავის მხრივ ამ დროს შორსგამიზნულად სკკპ ცკ-სთან შექმნილი საბჭოთა რეპრესიების შემსწავლელი საგანგებო კომისიისათვის მისაგებელი პოლიტიკური სარჩელით, ანუ სეპარატისტთა ავანტიურაზე საასეთო პოლიტიკური კისრულით უნდა მოეთხოვა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რუსიზმისა და საბჭოთა რეჟიმის მიერ მკვიდრი ქართველების (იგივე აფხაზების), მაშასადამე, ამ მხარის ცნობიერებისა და სულიერების შემქმნელი ხალხის თანმიმდევრული დენაციონალიზაციისა თუ დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ნედლეულად გამოყენების, მათი გენოციდის, ეთნიური წმენდის, დემოგრაფიული ექსპანსიისა და ა.შ. აღიარება.

მას თავი უნდა გამოეცხადებინა საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლ ხალხად, რომელსაც მისი მშობლიური მხარის გასხვაქვეყნების მიზნით თავს მოახვიეს აფხაზეთის ასსრ-ის სახით საოკუპაციო სახელმწიფო წარმონაქმნი, რომლის პოლიტიკური აბრის ქვეშ ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის სერიული წარმოება და მათი "სატიტულო ერად" ხელოვნური დამკვიდრება საბჭოთა ინდუსტრიის წამყვანი დარგი გახდა.

ამავე დროს, უნდა დაზუსტებულიყო აფსუა ხალხის სახლიკაცური უსაფრთხოების პირობები.

ამასთან ერთად უყოყმანოდ უნდა დაესვა საკითხი "აფხაზის" დედანი შინაარსით აღდგენაზე.

1989წ. 21 მარტი _ სკკპ ცკ-მა და სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება (№237-74), რომელიც "მოკავშირე რესპუბლიკებს" ავალებდა ჩაეწერათ და პირველ რიგში ბინით დაეკმაყოფილებინათ თადარიგში გასული საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების ოჯახები.

საქართველოში და განსაკუთრებით ცხუმ-აფხაზეთში ამ დადგენილების რეალიზაციამ მიიღო მორიგი დემოგრაფიული ექსპანსიის ხასიათი.

1989წ. 25 მარტს თბილისში, გამარჯვების პარკში გაიმართა ძირითადად საბჭოთა ინტელიგენციის მიტინგი, რომელმაც, მართალია, დაგმო **18 მარტს** გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გამართული ე.წ. თავყრილობის გადაწყვეტილებები, მაგრამ დასჯერდნენ ნახევარსიმართლის თქმას და მიიღეს მიმართვა სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროსა და პირადად **მ.გორბაჩოვის** სახელზე, რითაც რუსეთისგან ინსპირირებულ ამ კონფლიქტში არბიტრის როლი თავად რუსეთს დააკისრეს.

1989წ. 26 მარტს ჩატარდა სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოდან "არჩეული" დეპუტაციის კოლაბორაციონალისტული გუნდი, პოლიტიკური დებატებისათვის სრულიად უვარგისი აღმოჩნდა (სხვათა შორის მის რიგებში გახლდათ 9 აპრილის ჯალათი **ი.როდიონოვიც**).

1989წ. 27 მარტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ იმსჯელა აფხაზეთში ეთნოკრატიულ პროვოკაციაზე და სეპარატისტების აქცია შეაფასა სკკპ XXVII

ყრილობისა და XIX საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა უგულებელყოფად.

1989წ. 28 მარტს ასევე გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს სხდომა, რომელმაც დაგმო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს მომხდარი ამბები და მიიჩნია ისინი სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტკონფერენციის მითითებათა სულისკვეთების საწინააღმდეგოდ.

1989წ. მარტში გაიმართა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყრილობა, რომელმაც სცადა საქართველოს კპ ცკ-ის მიერ შექმნილი რუსთაველის საზოგადოების "გადახალისება".

ყრილობა არ გაუხსნია მისი გამგეობის თავმჯდომარეს **ი.აბაშიძეს** (მისი გაძღოლა ითავა მწერალმა **რ.ჯაფარიძემ**).

პირველსავე სხდომაზე გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს **ა.ბაქრაძე**, რითაც ამ კოლაბორაციონისტულმა ორგანიზაციამ "ეროვნულის ელფერი" შეიძინა.

11989წ. 29 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის მეთერთმეტე სესია, რომელზეც დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით დასმული იქნა საკითხი აფხაზეთის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა **ჯ.პატიაშვილმა**. უნდა აღინიშნოს, რომ მისი არგუმენტი სეპარატისტების ზემოთდამოწმებული "ბრალდების" გამო საკმაოდ დივერსიული იყო. **"...მაშინ აფხაზეთის სსრ-ის შექმნა ნაკარნახევი იყო ორ მოძმე ხალხს შორის ადრე (ე.ი. დამოუკიდებელი საქართველოს დროს ს.საჯ.) დათესილი ეროვნული შუღლისა და უნდობლობის სრული აღმოფხვრის აუცილებლობით" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1989, 31 მარტი).** ე.ი. ამ ლოგიკით **ჯ.პატიაშვილი** დაეთანხმა სეპარატისტებს "ბრალდების" ძირითად ნაწილში, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში მენშევიკებს (ე.ი. პროვოკაციული წერილის ქვეტექსტით ქართველებს) "მოუხდენიათ" აფხაზეთის "ოკუპაცია" და კომუნის გარეკვა.

საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის ასეთი აპრიორული განცხადების შემდეგ აზრი არა ჰქონდა იმას (ეს დრომაც დაადასტურა), რომ მომხსენებელი გულზე ბრაგუნით ბობოქრობდა: **"დემოგრაფიული სიტუაცია აფხაზეთში უნდა გაჯანსაღდეს, მაგრამ აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით აფხაზ ამხანაგებზე... მაგალითად, ოჩამჩირის მილიციის რაიგანყოფილების მონაცემებით, 1986-88 წლებში საქართველოს სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებიდან გადმოსულთა და ჩაწერილთა შორის ქართველები 20 პროცენტს შეადგენენ. ნუთუ ისე უჭირს მუშახელი ოჩამჩირის რაიონს, რომ ხალხი იძულებულია მიიღოს კრასნოიარსკის მხარიდან, კემეროვოს, სმოლენსკის, დონეცკის, მოსკოვის, ჩელიაბინსკის, ტიუმენის, დნეპროპეტროვსკის, ტომსკის, ამურის ოლქებიდან. 1983-1988 წლებში რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებიდან ტყვარჩელში ჩავიდა 380 კაცი, სხვა რესპუბლიკებიდან 1616" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1989, 31 მარტი).**

1989წ. 1 აპრილს გუდაუთის რაიონში აფხაზეც-სეპარატისტები თავს დაესხნენ ქ.გაგრიდან მომავალ ქართველ მშვიდობიან მომიტინგეებს, რომელთაც ქ.გაგრაში მიტინგის დროს მიუხტა საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი **კ.ოზგანი** და მოსთხოვა შეეწყვიტათ ქართველებს ძაღლის ენაზე საუბარი და წათრეულიყვნენ აფხაზეთის მიწიდან.

იმ ვითარებაზე წარმოდგენას გვიქმნის წინამდებარე დოკუმენტი:

ПРОКУРОРУ ГРУЗИНСКОЙ ССР

<u>тов. В.РАЗМАДЗЕ</u>

МИНИСТРУ ВД ГРУЗИИ

<u>тов. Ш.ГОРГОДЗЕ</u>

В МИНИСТЕРСТВО ВД АБХАЗИИ
от ДИДИДЗЕ Тины Шотаевны,
проживающей в г.Сухуми по ул. Куйбышева 24

Ж А Л О Б А

Я, ДИДИДЗЕ Т.Ш., пострадавшая во время кровавой расправы, учиненной абхазскими экстремистами над студентами ГИСХа и сотрудниками Сухумского индустриального техникума, которые следовали из Гагры и Леселидзе в Сухуми 1 апреля.

Нами, всеми пострадавшими, были даны подробные объяснения, в которых отмечались руководство и непосредственное участие в погроме автобусов первого секретаря Гудаутского РК ПК Грузии ОЗГАНА, зам. министра ВД Абхазии Нармания, сотрудников МВД Абхазии Гиви Агрба (бывшего начальника отдела ВД г.Сухуми) и Вовы Агрба, работника РЭС, а также других. Однако до сих пор не приняты меры по привлечению их к уголовной ответственности, единственный Нармания был освобожден от занимаемой должности «по собственному желанию».

Все выше перечисленные лица не были наказаны даже в партийном или административном порядке.

Повторно сообщим следующее:

На наш автобус, следовавший из Леселидзе в Сухуми 1 апреля, было совершено нападение в трех местах трассы: два раза в районе села бзыбь и возле нового афона. Толпа напавших остановила автобус, закидала его камнями, разбила стекла, била по автобусу топорами, затем автобус преследовался КАМАЗОМ, который догонял и пытался сбросить автобус в овраг. Пассажиров спасло лишь мастерство водителя, который, несмотря на град камней, обрушившихся на него, продолжал вести автобус, увертываясь от КАМАЗА и легавых машин, проградждавших ему дорогу на всем пути следования. Всей этой операцией командовали сотрудники МВД Г. и В. Агрба, Нармания, Хвития и другие, также одетые в милицейскую форму, но по фамильно мне неизвестно. Служащие восьмого полка, присуствующие при всем этом безучастно наблюдали за избиением пассажиров, автобус со студентами был обстрелян на Новоафонском подьеме, многих пострадавших впоследствии отвезли в больницу. Обо всеми увиденном и пережитом я и другие пострадавшие дали показания трижды.

Первый раз -1 апреля в присутствии зам.министра МВД Грузии Шадури; второй раз - следователям из Тбилиси 3-5 апреля, и третий раз - следователям из Москвы Голованову и Ефимову - в мае месяце. При третей даче показаний я потребовала, чтобы мне представили мои предыдущие показания, но почему-то это не было сделано. В настоящее время мне стало известно, что вся папка с первыми показаниями была изъята министром юстиции Абхазской АССР Ш.Лакоба. Он изъял эти документы с целю спасти выше перечисленных преступников.

Мы, пострадавшие требовали очных ставок во всеми перечисленными выше людьми, но этого не было сделано.

По всем фактам, указанным в данной жалобе, я требую незамедлительной проверки. Все пострадавшие требуют отстранения этих людей от работы в правоохранительных органах. Безответственность, безнаказанность и покрывательство этих людей привели к трагическим событиям 15-16 июля. Если бы все виновные в событиях 1 апреля были примерно наказаны, то не произошло бы 15 июля разгрома школы, которая находится в ста метрах от МВД Абхазии.

Я и все пострадавшие требуем: 1. возобновить следствие по делу 1 апреля, 2. установить факт пропажи документов первичного расследования, выявить всех виновных и наказать их.

1989წ. 2 აპრილს _ საქართველოს სუპტროპიკული მეურნეობის ინსტიტიტის ეზოში (ქ.სოხუმი, კელასური) გაგრის მოვლენებთან დაკავშირებით გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციოზმა და მისმა ძალოვანმა სამსახურებმა სცადეს ქართველი საზოგადოებრიობის თავშეყრის მცდელობის დარბევა, სახალხო თავყრილობა მაინც მოხერხდა. აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში გამეფებული განუკითხაობითა და ქართველთსპობითი პოლიტიკით აღშფოთებულმა მოქალაქეებმა მოითხოვეს გაგრაში ინსპირირებული სახიფათო ავანტიურის ორგანიზატორთა მხილება და დასჯა დაუყოვნებლივ.

1989წ. 4 აპრილს გუდაუთის რაიონულ გაზეთ **"Бзыбь"-ში** გამოქვეყნდა ამ დროისათვის საგანგებოდ შექმნილი "ინტერფრონტულ-რუსისტული ხასიათის ე.წ. ოსური ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციის "ადამონ ნიხასის" (სახალხო ტაძარი) ლიდერის **ალან ჩოჩიევის** მიმართვა აფხაზეთელი სეპარატისტებისადმი, რომელშიც იგი მხარს უჭერდა და შეჰნატროდა იმ დროს, როცა მიღწეული იქნებოდა სკკპ ცკ-ისა და სსრკ ხელისუფლების ვერაგული გეგმა ერთიანი ფედერალური ცენტრისადმი (ე.ი. კრემლისადმი) მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური წარმონაქმნების ჰორიზონტალური დაქვემდებარება. ბუნებრივია, ასეთი დაქვემდებარება საქართველოს სსრ-ის იურისდიქციის გარეშე ავტომატურად დააყენებდა როგორც აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებს, ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

"ადამონ ნიხასი" სოლიდარობას უცხადებდა სეპარატისტულ პროვოკაციას და ოსთა სახელით მზადყოფნას გამოხატავდა ამ დივერსიის მხარდასაჭერად.

გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნდა **ა.ვოზბასა** და სხვა ავტორების ცილისმწამებლური და დეზინფორმაციული წერილები ქართული ეროვნული მოძრაობის მიზნების შესახებ.

ამ დროისათვის გაზეთი **"Бзыбь"** ჩამოყალიბდა აგრესიული სეპარატიზმის გამხმოვანებელ თანმიმდევრულ და მაღალპროფესიულ ორგანოდ, რომელიც საკმაოდ შედეგიანად ავრცელებდა ცილისწამებებს საქართველოზე.

სამწუხაროდ, მას ვერ საპირწონეობდნენ ვერც გალისა და ვერც გულრიფშის ქართული რაიონების გაზეთები.

1989წ. 4 აპრილს ცხუმ-აფხაზეთში თავაწყვეტილი აფხაზეცურ- სეპარატისტული თარეშისადმი პროტესტის ნიშნად ქ.თბილისში მთავრობის სასახლის წინ დაიწყო საზოგადოებრიობის მშვიდობიანი აქცია.

1989წ. 4 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე განიხილა აფხაზეთში შექმნილი მეტად მძიმე და სამწუხარო ვითარება.

1989წ. 4 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ქართველი მოსახლეობისაგან ამოღებული იქნა გლუვლულიანი სანადირო თოფები. საინტერესოა, რომ აფხაზეთის, ქვემო ქართლისა თუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების დროს ეს და არამარტო ეს იარაღები თავზესაყრელად აღმოაჩნდა ამ კუთხეთა არაქართველ მოსახლეობას.

1989წ. 6 აპრილს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა პირველი მდივნის მოვალეობისგან გაათავისუფლა **ბ.ადლეიბა** და ამ თანამდებობაზე "აირჩია" **ვ.ხიშბა**.

აფხაზეთში ჩამოსული **ჯ.პატიაშვილი** და მისი თანმხლები პირები შეხვდნენ სეპარატისტების ყველა რგოლს, მათ შორის **"აიდგილარას"**, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი საზოგადოებრიობის ათიათასობით წარმომადგენელი ჯერ **ა.მ.გორკის** სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო შემდეგ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წინ უცდიდა და მოითხოვდა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის ბიუროს წევრებს მიეღოთ ქართველი საზოგადოებრიობის დეპუტაცია, მათ ეს საჭიროდ არ მიიჩნიეს და ყოვლად უსაფუძვლოდ თავი აარიდეს ქართველობასთან შეხვედრას.

1989წ. 7 აპრილს აფხაზეთის ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ.ხიშბა** და სიმშვიდისაკენ მოუწოდა მოსახლეობას.

9 აპრილს გაზეთმა **"Заря Востока"**-მ გამოაქვეყნა საქართველოს კპ ცკ-ის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განცხადება, რომელშიც აშკარად იგრძნობოდა ულტიმატუმი და დაუნდობელი მუქარა: **"Воспользовавшись естественной озабоченностью людей событиями в Абхазской республике, лидеры неформальных группировок крайнего толка постарались обострить обстановку... Еще есть время предотвратить драматическое развитие событий"...** აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გაზეთი აფხაზეთს არა ავტონომიურად, არამედ მისი "სხვაქვეყნობის" შინაარსს.

1989წ. 9 აპრილს სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროსა და სსრკ მთავრობის გადაწყვეტილებითა და ადგილობრივი კოლაბორაციონისტების დასტურით, სსრკ შეიარაღებული ძალების საგანგებო ნაწილების მიერ ქ.თბილისში დარბეული იქნა ქართველი მშვიდობიანი მომიტინგეები მთავრობის სასახლის წინ. კრემლის მიერ დაგეშილი საოკუპაციო ჯარის საგანგებო ნაწილების მიერ მშვიდობიანი მომიტინგეებისა და აქციის მონაწილე მოშიმშილეების უმოწყალო ჩეხვას ასეთი გაშმაგება ახლდა: **"ჩტობ ნე რაჟალი, ჩტობ ვი ნე რაზმნოჟალის"**, მუცელში ურტყამდნენ და... **"ნუ, რაჟაიტე ტეპერ?"**, **"ტაკ ნადო ფაშისტამ". "ზა ტო ჩტო ვი გრუზინი"**, **"ვოტ ვაშა ნეზავისიმოსტ"**, **"სვობოდუ, დემოკრატიუ ზახოტელი"**, **"სუკინი სინი"**, **"სვობოდუ ზახოტელი, სუკი"**, **"სლავა, სლავა"**, **"ბეიტე, უბივაიტე"**, **"ვოტ ვამ, გრუზინსკიე შლიუხი"**, **"სმერტ გრუზინამ"**, **"ნადაელა ვამ ხაროშაია ჟიზნ და?!"**, **"ამერიკანსკი ფლაგ პოვესილი, სვოლოჩი"**, **"ვსეხ გრუზინოვ ნადო პერერეზატ"**, **"უხოდიტე, ატო პოზდნო ბუდეტ"**, **"ვი ვნუკი სტალინა, მი ვას უნიჩტოჟიმ"**, **"ვოტ ეტო ვამ ზა სტალინა"**, **"ვოტ ეტო ვამ ზა სტალინა, ვოტ ეტო ვამ ზა ბერია".(გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი",აპრილი 1989წ.).**

მათ წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის გამოყენებული იქნა ტანკები, ჯავშანტექნიკა, ხოლო უშუალოდ მიტინგის დარბევის დროს იხმარეს ალესილი ნიჩბები და საიდუმლო ქიმიური გაზები, რომლის შედეგადაც დაიღუპნენ მშვიდობიანი მომიტინგეები, მოიწამლა და უკურნებელი სენით დაავადდა ათასობით ადამიანი.

საბჭოთა საინფორმაციო საშუალებებმა ამ ვანდალიზმს უწოდეს **"ექსტრემისტების მიერ მოწყობილი პროვოკაციის დროს მომხდარი ჭყლეტის შედეგად მიღებული ადამიანთა მსხვერპლი".**

1989წ. 9 აპრილს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი აქციის ლიდერები **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** თაოსნობით დააპატიმრეს. საპატიმროში მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების ფორმები. ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ განხორციელებული მშვიდობიანი ღონისძიებების შედეგად

ხელისუფლება იძულებული გახდა 9 აპრილის გმირ-მოწამეთა ორმოცისათვის ისინი თავდებით გაეთავისუფლებინა.

1989წ. 9 აპრილს ქ.სოხუმის ქუჩებსა და აფხაზეთის რაიონებში ჩაიარეს ტანკებმა. ქ.სოხუმში თავშეყრილ ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაემალა და არ შეხვდა აფხაზეთის ოფიციოზი. ამ დღეს ქ.სოხუმში მიტინგი უნდა ჩატარებულიყო. დილის 12 საათზე **ა.ბაქრაძე** აფხაზეთელ ქართველებს შეხვდა სოხუმში, ზღვის სანაპიროზე. ეს იყო ხანმოკლე მიტინგი. **ა.ბაქრაძემ** ხალხს მოუწოდა სიმშვიდისა და დაშლისაკენ, რადგან მისი ვარაუდით, საბჭოთა ჯარისა და საბჭოეთის მესვეურებისაგან ყველანაირი სისაძაგლე იყო მოსალოდნელი.

1989წ. 9 აპრილს, 23 საათიდან ქ.თბილისში შემოღებულ იქნა კომენდატის საათი, რომლის შესახებაც მოსახლეობას 22:55 საათზე ტელევიზიით აუწყა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა **ი.როდიონოვმა**. კომენდანტის საათის დროს სამხედროთა მიერ პროვოცირებული იქნა მშვიდობიან მოსახლეობაზე არაერთი თავდასხმა და მკვლელობა. ისინი კომენდანტის საათის გამოცხადებისთანავე მოედვნენ თბილისის ქუჩებს, განაგრძეს უიარაღო მოსახლეობასთან ანგარიშსწორება.

1989წ. 9 აპრილის მომდევნო დღეებში რადიოსადგურ **"თავისუფლებისათვის"** მიცემულ ინტერვიუში აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირისა და "აიდგილარას" გამგეობის თავმჯდომარემ, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ა.გოგუამ** 9 აპრილის ტარიგებს ფაშისტები და ექსტრემისტები უწოდა და გაამართლა მათ მიმართ გატარებული "სამხედრო ღონისძიებანი". იგივე გაიმეორა მან გაზეთ **"Красная Звезда"-ს** ფურცლებზე **24 აპრილს.**

1989წ. 10 აპრილიდან აფხაზეთის **ა.მ.გორკის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულმა სექტორმა, უნივერსიტეტში გამეფებული ანტიქართული რეჟიმის გამო, მეცადინეობა შესწყვიტა. მას 25 აპრილიდან შეუერთდნენ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტები (ქ.სოხუმი).

1989წ. 10 აპრილს საქართველოს კპ ცკ-ში **ე.შევარდნაძე** შეხვდა რესპუბლიკის წითელ ინტელიგენციას, ქვეყნის კოლაბორაციონალისტური და სერვილისტური საზოგადოების ე.წ. სამეცნიერო-შემოქმედებით კასტას, რომელთა შორის, საბედნიეროდ, ეროვნული ძალისხმევით შეიარაღებული არაერთი საზოგადო მოღვაწეც გახლდათ.

მათ აღნიშნეს, რომ 9 აპრილს მთავრობის სახლის წინ მომიტინგეთა გარეკვის მეთოდები მიუღებელია.

1989წ. 11 აპრილს გაზეთმა **"საბჭოთა აფხაზეთმა"** გამოაქვეყნა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება **"სახელმწიფო დანაშაულაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ"**, იგი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

1989წ. 11 აპრილს გაზეთმა **"Правда"**-მ (№101) გამოაქვეყნა: **от ЦК КПСС, Президиума Верховного Совета СССР и Совета министров СССР.**

В ночь с 8 апреля на 9 апреля в г.Тбилиси на площади у дома правительства в ходе просечения беспорядков, спровоцированных экстремистскими, антиобщественними элементами, пострадала группа людей из числа гражданских лиц и военнослужащих, в результате возникшей давки погибло 16 человек.

1989წ. 11 აპრილს გაზეთ **"კომუნისტში"** სსრკ სახალხო დეპუტატმა **ვ.ადვაძემ** საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას ექსტრემიზმი უწოდა.

1989წ. 12 აპრილს გაზეთმა **"Правда"**-მ (№102) მორიგი ცილისწამება მოჰფინა მსოფლიოს. ამასვე აკეთებდა დანარჩენი ოქტომბრისენოვანი პრესა, რადიო, ტელევიზია:

"Несмотря на введенный комендатский час, обстановка в Тбилиси по прежднему остается напряженной. В различных частях города, собравшись группами, горожане, в основном молодежь, вырожают возмущение по поводу события, происшедшего в ночь на 9 апреля, в результате которого погибли 18 человек и свыше двухсот получили ранения различного порядка (20 из них госпитализированы, четверо находятся в тяжелом состоянии).

В управлении внутренних дел города сообшили, что арестованы лидеры неформальных объединении Гамсахурдия, Костава, Чантурия, Саришвили, Хухунаишвили".

1989წ. 12 აპრილს გაზეთმა **"Заря Востока"**-მ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც საქართველოს სსრ პარტიული, საბჭოთა და სამთავრობო ხელისუფლება იტყობინებოდა _ **"Осуществление предусмотренных законом мер с целью пресечения антигосударственной манифестации, к сожалению повлекло за собой человеческие жертвы"...**

1989წ. 12 აპრილს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი **"ავტონომიურ რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკიური ვითარების შესახებ".**

მართალია, ბიურომ ცალყბად დაგმო **1989 წლის 18 მარტს** ლიხნის შეკრებაზე მიღებული დოკუმენტები, მაგრამ ქართული ეროვნული მოძრაობის შესახებ გაავრცელა ცილისმწამებლური შეფასება და მან იგი დაახასიათა ანტიხალხურ მოძრაობად: **"უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისარგებლეს რა ამ ფაქტთან დაკავშირებით ადამიანთა ნაწილის შეშფოთებით, ე.წ. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და სხვა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებმა 25 მარტს და 1 აპრილს მოაწყვეს არასანქცირებული მიტინგები ქ.სოხუმში და დაბა ლესელიძეში, რომლებზედაც ექსტრემისტულად განწყობილი პირები აყენებდნენ ანტისაბჭოთა შინაარსის მოთხოვნებს და ლოზუნგებს, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ატმოსფეროს და ართულებდა ეროვნებათშორის ურთიერთობებს. მათთან ერთად 2, 8 და 9 აპრილს გალში, გულრიფშში, გაგრაში ჩატარდა მრავალათასიანი სანქცირებული მიტინგები, რომლებზეც დაგმეს სოფელ ლიხნში მიღებული გადაწყვეტილებანი, მაგრამ ამ მიტინგებზეც შეუძლებელი გახდა არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლების მოქმედების აღკვეთა, რომლებიც თავიანთი პროვოკაციული გამოსვლებით ხელს უწყობდნენ ვითარების შემდგომ გამწვავებას... ავტონომიურ რესპუბლიკაში სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა იმის შემდეგ, რაც ლესელიძეში გამართული არასანქცირებული მიტინგის მონაწილეებით სავსე ერთ-ერთ ავტობუსზე და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტებით სავსე ავტობუსზე, რომლებიც ქ.გაგრიდან ბრუნდებოდა სოფელ ბზიფში და ტრასაზე გუდაუთის რაიონში მოხდა თავდასხმა, რის შედეგადაც 14 კაცმა მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება..." (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1989, 14 აპრილი).**

(უნდა აღინიშნოს, რომ სოხუმის **ი.ჭავჭავაძის** საზოგადოების ერთი ნაწილი **ვოვა ვეკუას** დაღუპვამდე, ასე თუ ისე, საიმედოდ ედგა გვერდით **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას, 1989 წლის** ტრაგიკული მოვლენების შემდეგ აღნიშნული ორგანიზაციის ამ ნაწილმა მომავალში "მრგვალი მაგიდის" ორიენტაცია დაიკავა, ხოლო მეორე ნაწილი "მხედრიონში" გაწევრიანდა, მესამე ნაწილი კი დარჩა იმ პოლიტიკურ შეხედულებებზე,

რომელსაც იზიარებს დღეისათვის სრულიად საქართველოს **ი.ჭავჭავაძის** საზოგადოება).

13 აპრილს გამოქვეყნდა მ.გორბაჩოვის მიმართვა საქართველოს ყველა მშრომელისადმი. ოფიციალური ვერსიით ამ დღეს თბილისში ჩამოვიდნენ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი, სკპპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი **ე.შევარდნაძე** და სკკპ ცკ-ის მდივანი, სკკპ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი **პ.რაზუმოვსკი.**

სინამდვილეში **ე.შევარდნაძე,** როგორც იმ სადამსჯელო ოპერაციის მონაწილე, გენერალ **ა.ლებედის** მოგონების მიხედვით თბილისში იმყოფებოდა **8 აპრილიდან** და პირადად ხელმძღვანელობდა მიტინგის დარბევის ოპერაციას.

1989წ. 14 აპრილს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც პირველი მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლა **ჯ.პატიაშვილი** და მის ნაცვლად "აირჩია" **გ.გუმბარიძე**. პლენუმზე **ე.შევარდნაძემ** ასე "დაამშვიდა" ქართველი ერი: **"მე მინდა ამის შესახებ ჩვენი ფიქრები და საუბრები თავისუფალი იყოს, როგორც მიკერძოებისაგან, ისე იდეოლოგიური ყბედობისაგან. პრობლემა ფრიად სერიოზულია და მას წინანდელი ვულგარული კრიტერიუმებით ვერ მივუდგებით და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კეთილშობილური დამოკიდებულება სხვა ხალხებისადმი, იქნება ეს ახლო მეზობელი თუ შორეული, თანდაყოლილი ეროვნული თვისებაა, რომელიც არ უნდა მოვასპობინოთ ჩამორჩენილი ობივატელური გონების ბოროტებას ან შურისგებას. მოდით გვახსოვდეს, რომ ინტერნაციონალიზმი ჩვენი ეროვნული კუთვნილებაა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 15 აპრილი).** მერედა, ვის დაემუქრა, რომელი მეზობელი შეავიწროვა ქართველმა ერმა?! საქმე ისაა, რომ **ე.შევარდნაძემ** ამ შემთხვევაში მსოფლიოსა და განსაკუთრებით რუსიზმს ქართული ეროვნული მოძრაობა წარუჩინა ექსტრემისტულ აულაგმაობად.

ბოლოს დასძინა: **"ამხანაგებო _ მ.ს.გორბაჩოვმა მოგვიწოდა: თქვენზეა ამხანაგებო, დამოკიდებული დავუბრუნოთ სიმშვიდე საქართველოს, ეს ზნეობრივი ვალია თითოეულისა, ვინც წმინდად იცავს წინაპართა ხსოვნას"** (საბედნიეროდ, ქართველი ერი მიხვდა თუ რასაც ნიშნავს მონური "სიმშვიდე" **ს.საჯ.**).

და ბოლოს, იმხანად **ე.შევარდნაძემ**, აი, როგორ გაიგო ეროვნული მოძრაობის ამოცანები, ქართველი ერის გულისტკივილი: **"ჩვენ, ამხანაგებო, სერიოზულად გვაწუხებს ღირებულებების შეცვლა, ამბიციების აღზევება, დემოკრატიისათვის ბრძოლის დროშით რომ ხდება. ეს საშიში მოვლენაა. ჩვენი რწმენით, იმან, ვისაც დემოკრატია სურს, არ შეიძლება არ იბრძოლოს გარდაქმნისათვის.**

ამავე დროს ბრძოლა ხშირად მისთვის კი არა, მის წინააღმდეგ წარმოებს. გარდაქმნის პროცესებით შექმნილ ნება-სურვილის გამოხატვის, თავისუფლების ატმოსფეროს სრულიად შეგნებულად იყენებენ იმისათვის, რომ ძირი გამოუთხარონ არსებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სტრუქტურებს.

ლაპარაკობენ 9 აპრილის ტრაგედიის წინ მომხდარი ამბების მშვიდობიან ხასიათზე და დუმილით უვლიან გვერდს სრულიად არამშვიდობიან მოწოდებებს ანგარიშის გასწორებისათვის, წინადღით რომ გაისმოდა. ზოგიერთმა, ვისაც ახალგაზრდობის კერპობა სწყუროდა, ვინც ამას ჩემულობდა, არათუ უგულებელყო თავისი პასუხისმგებლობა მის წინაშე, არამედ დაიწყო ფრონდიორობა თავისი უპატივცემულობით კანონიერებისადმი, მართლწესრიგისადმი, კონსტიტუციისადმი. მე არ გამოვდივარ ბრალმდებლის როლში, მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ ვერაფრით ვერ დამიღწევია თავი იმ გრძნობისაგან, თითქოს ეგრეთწოდებული არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებიდან ზოგს სრულიად შეგნებულად მიჰყავდა ადამიანები, რომლებიც მათ ენდობოდნენ, სამსხვერპლოზე.

მე არამც და არამც არ მომწონს ის ჯგუფები, რომლებიც თავიანთი საკუთარი, ანგარებიანი, კარიერისტული, მიზნებით, თავიანთ რიგებში ითრევენ უმცროსი კლასების მოსწავლეებს _ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებსაც კი და მათ უსანქციო, კანონსაწინააღმდეგო დემონსტრაციების პირველ რიგებში აყენებენ" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1989, 15 აპრილი).

ასე და ამრიგად, **ე.შევარდნაძემ** თავისი ვოიაჟით შეიქმნა შთაბეჭდილება მშვიდობის ყოვლისშემძლე დესპანისა და "დაარეგულირა" ვითარება რესპუბლიკაში.

ე.შევარდნაძემ თავისი გამგზავრების წინ "დანაშაულისათვის" გულმოწყალედ "მიუტევა" თბილისს ანტისაბჭოთა გამოხდომები და დაპირდა თბილისელებს, რომ უახლოეს საათებში დააყენებდა საკითხს საკომენდანტო მდგომარეობის გაუქმების შესახებ.

1989წ. 14 აპრილს გაზეთმა **"Заря Востока"**- მ საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივნის **ბ.ნიკოლსკის** პირადი მითითებით დაბეჭდა ველიკოდერჟავული ცილისწამება ქართველ ხალხზე. ბოლოს ავტორებმა კმაყოფილებითა და ნიშნისმოგებით დასძინეს: **"Почему такой жестокой оказалась эта сила - покажет расследование правительственной комиссии"...** ამავე წერილში ისინი ცინიკურად "მზრუნველობდნენ" საქართველოსადმი: **"Наш долг - вернуть спокойствие Грузии. Перестройка межнациональных отношений, о чем пойдет речь на предстоящем пленуме ЦК КПСС, - это не перекройка границы, не ломка национально-государственного устройства СССР, его республик, а наполнение их реальным содержанием".** _ რეალური "სოდერჟანიე" _ კი საბჭოთა სინამდვილეში კომუნისტურ დიქტატურას ნიშნავდა.

1989წ. 16 აპრილს ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება **"იმ რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის დამატებითი ღონისძიებების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა 30-40-ან და 50-ანი წლების დასაწყისში".** ამ დოკუმენტის შეფარული დედააზრი შურისგების სულისკვეთებით განაწყობდა საზოგადოებრიობას **ი.სტალინის,** ანუ შემოთავაზებული ქვეტექსტით ქართველობის მიმართ.

1989წ. 16 აპრილს მოსკოვში "მოსკოვის ტრიბუნის" ინიციატივით ქართული კულტურის ცენტრ "მზიურთან" დღის 3 საათზე დაინიშნა არასანქცირებული მიტინგი, რომელიც მიეძღვნა 9 აპრილის ტრაგედიას თბილისში.

1989წ. 18 აპრილს დღის ხუთი საათიდან გაუქმდა საკომენდატო საათი ქ.თბილისში.

1989წ. 19 აპრილს (1989წ.) აშშ-ის მთავრობის ბიულეტენში **"კონგრეშენალ რეკორდ"** გამოქვეყნდა სენატის რეზოლუცია საქართველოს საკითხზე:

სენატის რეზოლუცია №110

საბჭოეთის მიერ ანექსირებული საქართველოს შესახებ

ვინაიდან ქართველების ეროვნული თვითმყოფადობა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იღებს სათავეს;

ვინაიდან საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო XIX საუკუნემდე, ვიდრე ცარისტული რუსეთი მას რუსეთის იმპერიას შეუერთებდა;

ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა 1918 წლის 26 მაისს, როდესაც გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკა და შეიქმნა პარლამენტური დემოკრატიული მთავრობა;

ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა 22 ქვეყანამ აღიარა, მათ შორის საბჭოთა კავშირმა 1920 წლის 7 მაისს;

ვინაიდან ათი თვის შემდეგ _ 1921 წლის 16 თებერვალს საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს რესპუბლიკას, დაიკავა დედაქალაქი თბილისი და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა წყობილება გამოაცხადა;

ვინაიდან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ 1922 წელს მხარდაჭერისათვის მიმართა გენუის კონფერენციას, რათა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეგავლენით საბჭოთა რუსეთს გაეყვანა ჯარები საქართველოს რესპუბლიკიდან;

ვინაიდან 1924 წელს ჭიათურაში იფეთქა აჯანყებამ, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო, საფრანგეთიდან და პოლონეთიდანაც იყო გაწეული გარკვეული დახმარება, მაგრამ საბჭოთა ჯარები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებულთ, ხოლო ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, პოლკოვნიკი თავადი ელიზბარ ვაჩნაძე და ალექსანდრე სულხანიშვილი;

ვინაიდან ქართველმა ხალხმა განაახლა ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისათვის, რაზეც მეტყველებს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნა;

ვინაიდან ქართველი ხალხის მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის იქნენ გაძევებული საბჭოთა კავშირიდან ისეთი სახალხო აქტივისტები, როგორიც არიან თენგიზ გუდავა და სხვანი;

და ვინაიდან ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი ქართველი ლიდერები როგორც საკუთრივ საქართველოში, ასევე დასავლეთში კვლავ და კვლავ მიმართავენ დახმარებისათვის შეერთებულ შტატებს, რათა "მოსთხოვოს საბჭოთა მთავრობას _ მისცეს ქართველ და სომეხ ხალხებს თავისუფალი მრავალპარტიული პლურალისტული საზოგადოებების შექმნისა და თვითგამორკვევის უფლება", მიღებულ იქნეს რეზოლუცია, რომლითაც სენატი

1.მხარს უჭერს ქართველი ხალხის ბრძოლას, მის მოთხოვნებსა და დემონსტრაციებს საკუთარ მიწა-წყალზე ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად;

2 მხარს უჭერს ქართველი ხალხის ბრძოლას თვითგამორკვევისათვის, შესაბამისად ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის კონფერენციის დასკვნითი აქტისა, რომელზეც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც;

3.მხარს უჭერს ქართველი ხალხის ბრძოლას ადამიანის უფლებებისათვის, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რაზეც ხელი მოწერილი აქვს საბჭოთა კავშირსაც;

4.მოუწოდებს საბჭოთა მთავრობას ყურად იღოს ქართველი ხალხის ხმა _ დააკმაყოფილოს ქართველი ხალხის მიერ თვითგამორკვევისა და ადამიანის უფლებათა კანონიერი მოთხოვნები.

(გაზ. "ქართული ფილმი", №28, 1989 წლის 19 ივლისი).

1989წ. 19 აპრილს, საღამოს 7 საათზე აჭარის მთიანეთს თავს დაატყდა უდიდესი ტრაგედია, დაიმეწყრა სოფლები, იყო ადამიანთა მსხვერპლი. სტიქიური უბედურება რამდენიმე დღეს გაგრძელდა, ხულოსა და შუახევის რაიონებში. მოიშალა 1152 ოჯახი.

1989წ. 21 აპრილს გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა საქართველოს მწერალთა კავშირის მიმართვა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნისადმი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისადმი **მ.გორბაჩოვისადმი**. მწერლებმა მოითხოვეს: "პატივცემულო გენერალურო მდივანო! ქართველი მწერლები გამოვხატავთ რა ქართველი საზოგადოებრიობის, მთელი ქართველი ერის სათქმელს, დაბეჯითებით მოვითხოვთ გასცეთ განკარგულება, სასწრაფოდ გამოიძიონ საქმის დანაშაულებრივი არსი, ამხილონ და სამაგალითოდ დასაჯონ ამ უპრეცენდენტო ხოცვა-ჟლეტის მომწყობი ყველა დამნაშავე. დასჯასთან ერთად ისინი უნდა გამოცხადნენ საბჭოთა დემოკრატიის, საჯაროობისა და გარდაქმნის მტრებად!

კატეგორიულად მოითხოვეთ, ცენტრალურმა ტელევიზიამ სასწრაფოდ აჩვენოს მოვლენების ნამდვილი არსი, ამხილოს ისინი, ვინც შეცდომაში შეიყვანა "ვრემიას"

რედაქცია და რომელთა წყალობითაც აღმაშფოთებელი შეურაცყოფა მიაყენა უბედურებაში ჩავარდნილ მთელ ქართველ ერს საბჭოთა და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში"... აი, საბჭოთა მწერლების მთელი რადიკალიზმი და ეროვნული მსოფლმხედველობა!

1989წ. 23 აპრილს გაზეთ **"Красная Звезда"**-ში საოკუპაციო ჯარის ორგანოში _ **ალექსი გოგუამ** კვლავ ცილი დასწამა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, ექსტრემისტთა ხულიგნობად და ანტისაბჭოთა გამოხდომად (ამდენად ბოროტებად) ჩათვალა მთავრობის სახლის წინ **აპრილის დასაწყისში** მიმდინარე აქცია, გაამართლა და მხარი დაუჭირა სამხედროთა მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების ჟლეტას.

1989წ. 29 აპრილს საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად ქ.თბილისში გაიმართა ოფიციალური სამგლოვიარო ღონისძიებები 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით.

1989წ. აპრილისათვის გუდაუთის რაიონის გაზეთმა **"Бзыбь"**- წამოიწყო ე.წ. მეგრული სეპარატიზმის ქადაგება და მისი ფართო პროპაგანდა.

1989წ. 1 მაისს ქ.სოხუმში **კ.გამსახურდიას** სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კიბეებზე დაიწყო ქართველი სტუდენტების მჯდომარე აქცია. როგორც მოგეხსენებათ, მათ **მ.გორკის** აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამეფებული ანტიქართული აულაგმაობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად **10 აპრილიდან** შეწყვიტეს სწავლა. ისინი მოითხოვდნენ აგრესიული სეპარატიზმის მითითებით რუსიზმის ინტერესების გამტარებელი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქართული სექტორის გამოყოფას.

ახალგაზრდობის ეროვნული გრძნობები ამ შემთხვევაში მარჯვედ გამოიყენეს მაფიურ-საქმოსნურმა წრეებმა და ამ აქციის ძალისხმევა თავიანთ საძრახ მიზნებს დაუქვემდებარეს.

რა თქმა უნდა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი რუსისტული ვითარება აუტანელი, დამამცირებელი და სწავლების თვალსაზრისით არაეროვნული სულისკვეთებისა იყო, მაგრამ აქციამ, მიზნობრივი პროპაგანდის წყალობით, გარეგნულად მიიღო აფსუა მოსახლეობასთან აშკარა დაპირისპირების ხასიათი და იგი შინაარსობრივად აფხაზეთის ოფიციოზის _აფხაზეცური ეთნოკრატიისა და "ქართული" პარტოკრატიის ნომენკლატურული ურთიერთობის რკვევის პოლიგონად იქცა. ამდენად, მას უპირატესად მართავდა არა ეროვნული მოძრაობა, არამედ მესაჭეობდა გულმოდგინედ შენიღბული კოლაბორაციონისტული ძალა.

შექმნილ ვითარებაში, როგორც დრომ დაადასტურა, ეს არ იყო საუკეთესო გამოსავალი. იგი არ ქმნიდა აფსუა მოსახლეობასთან სამომავლო ერთობისა და ძუძუმტეობის პერსპექტივას, არ იძლეოდა ერთიანი ანტიიმპერიული მოძრაობის გაშლის საშუალებას, პირიქით, მისი მთავარი ლოზუნგი იყო აფხაზეთის მოსახლეობის (ქართველ-აფსუათა) 17-47 პროცენტის შესაბამისად ხელმძღვანელი პოსტების განაწილება.

ამავდროულად **"აიდგილარა"** აფხაზეთში რუსიზმის კონტინგენტს აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებებით ქართველთა გენოციდისაკენ მოუწოდებდა. იგი ამ აქციას განიხილავდა ქართულ აგრესიად და აფრთხობდა აფსუა მოსახლეობას, თითქოს ქართველები აფსუათა განდევნას, მათი სასწავლებლების დახურვასა და ა.შ. მოითხოვდნენ.

ამ დროისათვის აფხაზეთის ქართულმა საზოგადოებრიობამ შექმნა ეროვნული ხსნის კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდნენ აფხაზეთში ცნობილი პიროვნებები, ე.წ. არაფორმალები, საზოგადო მოღვაწეები.

მათი ზნეობრივი, პოლიტიკური და ეროვნული შეხედულებები არაერთგვაროვანი იყო. ასე მაგალითად, უფრო გვიან **რუსთაველის** საზოგადოების ერთმა ნაწილმა კრება მოიწვია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საკათედრო რეზიდენციის სააქტო დარბაზში, სადაც ათეისტური მოსაზრებებით მეორე ნაწილი არ გამოცხადდა და კრება ჩაიშალა (უფრო პარტიის საოლქო კომიტეტის შიშით, რადგან ეკლესიაში სიარული მათთვის ჯერ კიდევ ცუდ ტონად ითვლებოდა).

ამდენად, ეროვნული ხსნის კომიტეტის თაოსნობით აქციამ 13 დღეს გასტანა. აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ ეს აქცია ბოლო წლებში პირველი მცდელობა იყო აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის მიერ ორგანიზებული ქუდზეკაცობის პრეცედენტის შესაქმნელად. იგი, მას შემდეგ, რაც საქართველოს კპ-დან მოვიდა ზეპირი დაპირება _ **ა.მ.გორკის** სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სექტორის ბაზაზე სოხუმში თბილისის **ივ. ჯავახიშვილის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნის შესახებ, _ დაიშალა.

სინამდვილეში, ოფიციოზს (“ქართულ” პარტოკრატიას) ცხუმ-აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის შეეშინდა. ამ დროისათვის ეროვნული მოძრაობის ზეწოლის შედეგად გაათავისუფლეს 9 აპრილს დაპატიმრებული **ზ.გამსახურდია, მ.კოსტავა** და სხვები, რომელთა ძალისხმევითაც **1-13 მაისის** აქცია სოხუმში შეიძლება გადაზრდილიყო ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტ ქუდზეკაცობაში, ამიტომ იგი სასწარაფოდ დაშალეს. თუ რამდენად იყო “ეროვნული” და რა მიზნები ამოძრავებდა ეროვნული ხსნის კომიტეტში “ქართულ” პარტოკრატიას, ეს დრომ დაადასტურა მისი მერყევი და არც თუ იშვიათად თავისი გამცემლური საქმიანობით.

ამ დროისათვის აფხაზეცურ-სეპარატისტულ, ანუ ოქტომბრისენოვან ე.წ. აფხაზეთის მწერალთა კავშირს გამოეყო აფხაზეთის ქართული მწერლობა და ცალკე ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

1989წ. 4 მაისს თბილისს ეწვია **ა.სახაროვი**, იგი **5 მაისს** მიიღო საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა **გ.გუმბარიძემ**.

მართალია, მსოფლიო საზოგადოებრიობა 9 აპრილის ტრაგედიას უკვე არ განიხილავდა “ჭყლეტად” და მას რუს სამხედროთა მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევად მიიჩნევდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოთა პარტნომენკლატურა მონდომებული იყო ხელი შეეხოცა საქართველოს კპ ცკ-ის უკვე გათავისუფლებული ხელმძღვანელებისა და ცალკეული “უდისციპლინო” სამხედროთათვის, ცდილობდა მათში ეძებნა განტევების ვაცი, ამავე დროს ოფიციალური კომისიები და საბჭოთა პროპაგანდა ნახევარ სიმართლესა და გაუკუღმართებულ სინამდვილეს იმგვარად ასაჯარისებდა, რომ მომხდარში კვლავ და კვლავ იგულისხმებოდა ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის (შემოგდებული თიკუნით – არაფორმალების) “ექსტრემიზმი”.

1989წ. მაისში შეიქმნა საზოგადოება “ლემის” საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა და ანგარიში გახსნა გულრიფშის რაიონის აგრომრეწვბანკში.

საკვირველია, რომ აფხაზეთში, სადაც ამ დროისათვის ყოველგვარ ქართულ წამოწყებას სეპარატისტული აღვირახსნილობა თუ ეთნოკრატიული ოფიციოზი ეჭვით უყურებდა და გააფთრებით ებრძოდა, ამ მოვლენას ლოიალურად შეხვდნენ, უფრო მეტიც, ,,მეორე მხარის”, ანუ აგრესიული სეპარატიზმის წარგზავნილები მეთვალყურის დონეზე დაესწრნენ ამ ღონისძიებას.

უფრო გვიან, **3 ივნისს**, გულრიფშის რაიონის სოფ. მაჭარაში, ჩატარდა “ლემელთა” I ყრილობა. იმის საბაბით, რომ სვანეთს **1987 წელს** სტიქიური უბედურება დაატყდა თავს, ოფიციალურად საზოგადოება “**ლემმა**” თავის ამოცანად გაიხადა სტიქიით გამოწვეული

უბედურებების მოგვარება. აქედან გამომდინარე, ეს საზოგადოება აფხაზეთში იმ დროისათვის შეიქმნა კუთხურობის (ტომობრივი) ნიშნით.

აქ საჭიროა ისიც გავიხსენოთ, რომ **1989 წლის 12 იანვარს** მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს აფხაზეთში 500-მდე კაცმა თავის ეროვნებად ტომობრივი წარმომავლობა აღნიშნა, ეს მაშინ, როცა ამის პრეცედენტი სვანეთში, სამეგრელოსა და აჭარაში (არც სოფ. სარფში) არა ყოფილა. ეს ციფრიც აშკარად გაბერილია ან თითიდან გამოწოვილი, რადგან აფხაზეთში მოსახლეობის აღწერაში მონაწილე ქართველები მსგავს შემთხვევას არ გადაწყდომიან არც ერთხელ. ეროვნების ნაცვლად ტომობრივ წარმომავლობას აღწერაში ჩართული აფსუები, რუსები, არმენები და ა.შ. "ასინამდვილებდნენ"...

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთ **"Бзыбь"**-ის **(11 მარტი)** ფურცლებიდან ვინმე **ტ.ბოკუჩავა-გაგულიამ** წამოიწყო "მეგრელების" სახელით "აფხაზეცური სეპარატიზმის" გამართლება და მეგრული "თვითგამორკვევის" მხარდაჭერა. უფრო გვიან მას საჯაროდ აუბამენ მხარს სოხუმელი **ნუგზარ ჯოჯუა** და სხვები, რომლებიც დემაგოგიურ სტატიებს გამოაქვეყნებენ აფხაზეცურ პრესაში და გამოვლენ სეპარატისტების მიერ უზურპირებულ ე.წ. აფხაზეთის ტელევიზიაში.

1989წ. 6 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება, რომელშიც ქართული ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ **"ის რაც თბილისში 9 აპრილის მოვლენების შემდეგ ხდება, შეუძლებელია აიხსნას ე.წ. ექსტრემალური სიტუაციის არსებობით და მოითხოვს სათანადო პოლიტიკურ და იურიდიულ შეფასებას" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 6 მაისი 1989წ.).**

ამავე განცხადებაში აღინიშნა, რომ დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებისაგან მძიმე მოწამვლა მიიღო ორი ათასზე მეტმა მშვიდობიანმა მოქალაქემ. სამთავრობო კომისიამ ღია წერილით მიმართა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ბორჯომის საარჩევნო ოლქიდან _ **ი.როდიონოვს,** მაგრამ მან უარყო ქიმიური იარაღის გამოყენება და სასაუბროდ არ მიიღო აკადემიკოსი **ა.სახაროვი.** ასევე, იგი ჩვეული თავხედობით არ შეხვდა 9 აპრილის ტრაგედიის გამომკვლევი საქართველოს სამთავრობო კომისიის წევრს, გენერალ-ლეიტენანტს, აკადემიკოს **ირაკლი ჯორჯაძეს.**

1989წ. 18 მაისს ხელისუფლებამ გაათავისუფლა 9 აპრილის მოვლენების დროს დაპატიმრებული ეროვნული მოძრაობის დანარჩენი ლიდერები.

1989წ. 25 მაისს გაიხსნა სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობა. იგი დაიწყო იმით, რომ სახალხო დეპუტატი ლატვიიდან **ვ.ტოლპეჟნიკოვი** მოულოდნელად აღმოჩნდა ტრიბუნასთან და მოითხოვა 9 აპრილის დამნაშავეთა დასახელება, ხოლო დარბაზს მოუწოდა ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ დაღუპულთა ხსოვნისადმი.

1989წ. 26 მაისის წინა დღეებში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოფიციალურმა პროპაგანდამ და "ადამონ ნიხასმა" შორსგამიზნული თადარიგი დაიჭირეს. აქაური პრესა აღვივებდა ქართველთა და ოსთა შორის ეროვნულ ნიადაგზე შუღლს, იგი ქართველებს ოსური მიწების ოკუპანტად სახავდა.

ქართულ დროშას მენშევიკების დროშას ეძახდა.

ქალაქ ცხინვალსა და ე.წ. ავტონომიური ოლქის სხვა რაიონებში შესაშური ოპერატიულობით გავრცელდა ცილისმწამებლური პროკლამაციები, რომელშიც ამტკიცებდნენ, თითქოსდა დამოუკიდებელმა საქართველომ **1920 წელს** ათასობით ოსი გაჟლიტა და მოაწყო ოსი ხალხის გენოციდი.

ამ დღეს სოფელ ხეთაგუროვოს (ისტორიული წუნარის) მოსახლეობა ჩაუსაფრდა სოფელ ავნევის მოსახლეობას, რომელიც 26 მაისის აღნიშვნას აპირებდა. მდგომარეობამ

მიიღო დაძაბული ხასიათი, რაც შემდგომში თანდათანობით ე.წ. ავტონომიურ ოლქში განუწყვეტელ სისხლისღვრამდე მივიდა.[17]

1989წ. 30 მაისს 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე ილაპარაკა სახალხო დეპუტატმა **თ.გამყრელიძემ**, ამის შემდეგ **ი.როდიონოვმა** რუსული "ჯადოსიტყვის" ნიაღვრით გადაუარა "ქართულ შოვინიზმსა და რუსოფობიას". მან სალდაფონური თითისქნევით საქვეყნოდ გალანძღა და შეურაცყო საქართველოს ეროვნული თავმოყვარეობა. საპასუხო სიტყვაში გამოსულმა **ჯ.პატიაშვილმა** და **ე.შენგელიამ** ძვრაც ვერ უქნეს **ი.როდიონოვის** რუსულ ჯადოსიტყვასა და დემაგოგიურ ბილწსიტყვაობას.

1989წ. 31 მაისს, როცა ყრილობაზე იხილებოდა 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებულ მოვლენათა გამოსაკვლევად ნავარაუდევი კომისიის სია. ამ დროს გამოვიდა ლიტველი სახალხო დეპუტატი **ეგიდიუს ლიაონოს ძე კლუმბისი** და განაცხადა, რომ მას მკვლელ **ი.როდიონოვთან**, ერთად დარბაზში ჯდომა არ შეუძლია და სანამ ჯალათი სხდომათა დარბაზში იმყოფება, თავისი მანდატი გაუქმებულად დაიდგინა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ბოიკოტი გამოუცხადა საბჭოთა არჩევნებს და "საბჭოთა დემოკრატიის" არანაირი ილუზიებით არ მოუტყუებია თავი. მათ გულუბრყვილობად მიიჩნიეს იმის დაჯერება, თითქოს საბჭოთა პარლამენტში დემოკრატიულ ვითარებაში შეიძლებოდა ეროვნული პრობლემის გადაჭრა და თავისუფლების მოპოვება. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული მიზანი სწორედ ამ საოკუპაციო "საბჭოების" გაუქმება გახლდათ.

საბჭოთა "საქართველოს" დეპუტაციამ ყრილობაზე სამარცხვინო კრახი განიცადა. ეს სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან ისინი ბრძოლის ნაცვლად თავსმოხვეულ უსაგნო პოლემიკაში ჩაერთნენ, რაც საბოლოო ჯამში ისევ იმპერიასთან თანამშრომლობას (დიალოგს) ნიშნავდა.

მართალია, ქართველ დეპუტატთა ერთ ნაწილს გულით სურდა სამშობლოს დამოუკიდებლობა, მაგრამ მათ აირჩიეს პოლიტიკურად მცდარი გზა. ე.წ. პერესტროიკა იმპერიის შენარჩუნების ე.ი. საქართველოს დამორჩილების ახალი ვერაგული ხერხი გახლდათ. ქართველი დეპუტაციის ხასიათის დადებითი მხარე ნამდვილად იყო ის, რომ იგი ყრილობაზე საჯაროდ 9 აპრილის ტრაგედიის მხილებას შეეცადა, მაგრამ "მორჩილი და აგრესიული უმრავლესობის" წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო კომპეტენტურობა, დიპლომატიური მოქნილობა და, რაც მთავარია, სერვილისტური აზროვნებისაგან დავდაღწევა მათ ვერ გამოავლინეს. ამდენად, მათი საქმიანობა, როგორც საქართველოს პოლიტიკური წარმომადგენლობისა, ნებით თუ უნებლიედ, შედეგის თვალსაზრისით, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, თითქმის არაფრის მომტანი არ აღმოჩნდა: _ მათ 9 აპრილის ტრაგედიაზე მსჯელობისას ოპონენტთა ჩასაფრებულ ხრიკებს ემოციური შორისდებულების გარდა ვერაფერი დაუპირისპირეს.

ასეთ ვითარებაში სწორედ "აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის" მხარდაჭერით გენერალმა **ი.როდიონოვმა** და რიგმა გამომსვლელებმა (ისევე, როგორც რუსულენოვანი ოფიციალური პრესა და ტელევიზია), შექმნეს სააუგო სურათი ქართული ნაციონალიზმის შესახებ. ეროვნული თავისუფლების ლოზუნგი და დამოუკიდებლობაზე ოცნება ამ ფორუმზე "ხალხის მტრობად" შეფასდა. ამისდა შესაბამისად, აფხაზეც-სეპარატისტთა დეპუტაციამ ჩასთვალა, რომ სწორედ ახლა იყო დრო სასიკვდილო ლახვარი ჩაეცათ საქართველოსათვის, საამისო განწყობით იყო

[17] სამწუხაროდ, ოსი ექსტრემისტები დუმდნენ რუსეთის მიერ წაქეზებული მათი წინაპრების მიერ ცხინვალის მხარეში განხორციელებული ქართველთა გენოციდის, საოკუპაციო თარეშისა და ეთნიკური წმენდის თაობაზე.

დამუხტული "აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა", ე.წ. გარდაქმნის ყურმოჭრილი ელექტორატი.

1989წ. 31 მაისს ტ.შამბამ, აფხაზეც სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა, მიიჭრა რა თავხედურად ტრიბუნასთან, განაცხადა: **"ძვირფასო ამხანაგებო", ორი დღე ყრილობის დაწყებამდე, ხუთი დღე ყრილობის მსვლელობის დროს მე ვითხოვ სიტყვას... უნდა გითხრათ, რომ რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, უკავშირდება აფხაზეთის საკითხს. ამიტომ მე ვისურვებდი, გთხოვთ და მოვითხოვ, რომ ხვალ მისცეთ სიტყვა აფხაზეთის ასსრ წარმომადგენელს, რათა გააშუქოს მოვლენებში აფხაზი ხალხის "დანაშაული" (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1989, 1 დეკემბერი).**

"ცენტრმა", დაინახა რა აფხაზეც-სეპარატისტთა ხელგამოღება 9 აპრილის ტრაგედიის კვალის არევდასარევად, არ დაახანა და მეორე დღეს სიტყვა მისცეს **ვლადისლავ არძინბას** (გუდაუთის ეროვნულ-ტერიტორიული საარჩევნო ოლქი, _ აფხაზეთის ასსრ), რომელმაც აფხაზეც სეპარატისტთათვის ჩვეული ფალსიფიკაციით, დემაგოგიით, ბეზღობითა და რუსიზმისადმი თავდაღუნვით, რაც მთავარია, "ლენინური ეროვნული პოლიტიკის აღდგენის" მოთხოვნით, საკმაოდ ოსტატურად "დაასაბუთა" ქართველი ერის "ანტირუსული განწყობა". თავისი სიტყვა მან დაასრულა უსაზღვრო მლიქვნელობით. "აგრესიულად მორჩილი" ელექტორატისგან მხარდაჭერილმა **ვ.არძინბამ** "აფხაზეთის მოსახლეობის" სახელით თვითმარქვიად დასვა საკითხი აფხაზეთის პრობლემათა გამორკვევის ყოველგვარი უფლების კრემლისათვის გადაცემაზე, რასაც, ბუნებრივია, ოქტომბრისენოვანი ყრილობა მოწონებით შეხვდა: **"აუცილებელია დავუბრუნდეთ საბჭოთა ხელისუფლების თავდაპირველ პრინციპებს (რაც სტალინს, ე.ი. ორატორის ვერაგული პათოსის მიხედვით თურმე ქართველ ერს დაუყენებია თავდაყირა. ს.საჯ.), ეროვნული საკითხის ლენინურ გადაწყვეტას, რომელსაც საფუძვლად უდევს "რუსეთის ხალხთა უფლების დეკლარაცია". აფხაზეთის ასსრ-ში სიტუაციის შესწავლის სადეპუტატო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება გარკვეულ სიმშვიდეს შეიტანს ადამიანებში, დაუბრუნებს მათ სამართლიანობის გამარჯვების რწმენას"[18] (გაზ. "კომუნისტი", 1989, 6 ივნისი).**

---

[18] ПЕРВЫЙ СЪЕЗД НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР. ИЗ ВЫСТУПЛЕНИЙ ДЕПУТАТОВ.

Народный депутат СССР В.Г.Ардзинба

Кремлевский Дворец съездов. 1 июня 1989 года. Заседание восьмое

Председательствует народный депутат СССР Патон Б.Е.

Председательствующий. Слово предоставляется депутату Ардзинба. Подготовиться депутату Петерсу.

Ардзинба В. Г., директор Абхазского института языка, литературы и истории имени Д. И. Гулиа Академии наук Грузинской ССР, г. Сухуми (Гудаутский и городской национально-территориальный избирательный округ, Абхазская АССР).

Уважаемые товарищи депутаты! Вряд ли следует обосновывать то обстоятельство, что будущее каждого народа нашей великой Родины зависит от решения целого ряда общих проблем страны, ибо все части этого единого целого взаимосвязаны и взаимозависимы. Можно выделить целый ряд таких вопросов, среди которых особое значение будет иметь, как мне кажется, создание правового государства. Вместе с тем никак не могу согласиться с утверждениями, прозвучавшими и на нашем Съезде, согласно которым в общегосударственных интересах следует отложить в сторону проблемы отдельных регионов. С этим, мол, следует подождать.

Решение общегосударственных задач немыслимо без учета проблем и интересов всех регионов страны, независимо от того, где они находятся. Я обращаю внимание на эту проблему потому, что в этом зале прозвучало всего несколько выступлений, затрагивавших проблемы малых, точнее малочисленных, народов. В основном здесь шла речь о союзных республиках, о перестройке их взаимоотношений с центром и расширении их прав. В этой связи нельзя не сказать о том, что воплощение в жизнь идеи о возможно большем суверенитете союзных республик, «сильных союзных республиках» вызывает, как мне кажется, определенное беспокойство у всех тех народов, которые не попали в число 15 «сильных», общее число которых даже в этом зале составляет 65. В целом же в стране их еще больше. Часть из них имеет свои формы национально-государственного устройства, а другие лишены каких-либо форм национально-культурной автономии. Более того, возникает масса проблем для инонационального населения, живущего за пределами своей национальной территории. Отсюда следует, что перестройка межнациональных отношений должна охватывать весь комплекс проблем. В противном случае неизбежны серьезные осложнения, острые конфликты на национальной почве. Предусмотренный действующей Конституцией правовой статус автономной республики приводит к фактическому национальному неравноправию и неравенству. Такое деление народов на ранги является прямым «наследием сталинизма», а также административно-командной

системы, которая фактически ведет к унитаризации, что особенно отразилось на автономиях. Это положение можно проиллюстрировать на примере развития советской государственности абхазского народа, равно как и других автономий.

Советская власть в Абхазии была установлена 4 марта 1921 года. Была провозглашена Социалистическая Советская Республика Абхазии. Под нажимом Сталина в декабре 1921 года Социалистическая Советская Республика Абхазии заключила союзный договор с Советской Социалистической Республикой Грузии, который сохранялся до 1931 года. В правовом отношении этот союз означал создание федерации, основанной на равноправии и суверенности обеих республик. Так, например, в статье 4 Конституции Абхазии говорилось: «Социалистическая Советская Республика Абхазии осуществляет государственную власть на своей территории самостоятельно и независимо, поскольку эта власть не ограничена договорными отношениями с Социалистической Советской Республикой Грузии и Конституциями Закавказской Социалистической Федеративной Советской Республики и Союза Советских Социалистических Республик». Этот суверенитет проявлялся также в наличии собственного герба и флага, ряда кодексов и законодательных актов. Однако в действительности этот договор стал началом ликвидации суверенитета Абхазии.

В 1931 году договорная Абхазия была преобразована теперь уже в автономную республику в составе Грузинской ССР. Таким образом, Абхазия чуть ли не единственная республика, политический статус которой изменялся по воле Сталина не по восходящей, а по нисходящей линии.

Сегодня мы многое знаем о массовых репрессиях против советских людей, целых народов в годы культа личности. В истории абхазского народа 1937—1953 годы стали периодом, когда стоял вопрос о ликвидации народа как такового. О том, что ставилась и решалась именно эта задача, свидетельствует вся совокупность репрессивных акций в отношении абхазцев. Была обезглавлена нация: уничтожены все виднейшие государственные и партийные лидеры Абхазии и практически вся только что народившаяся интеллигенция. Массовым репрессиям подверглось крестьянство. С 1940 года абхазский народ перестали называть «абхазским народом». С 1941 года прекратились радиопередачи на абхазском языке. В 1945—1946 годах были закрыты абхазские школы и преподаватели остались вне школ. Абхазцев практически не стало в руководящих партийных и советских органах. Было начато массовое насильственное переселение в Абхазию, На переселение тратились огромные средства, оно не прекращалось даже в тяжелые 1941—1942 годы. Из Абхазии были выселены греки, турки и другие народы, а их дома переданы переселенцам из районов Грузии. За счет такого искусственного прироста абхазцы оказались в меньшинстве на своей древней родине. Подверглись изменениям исконные названия населенных пунктов в Абхазии. Только с 1948 по 1951 год на соответствующий лад были переименованы 147 названий. О сути политики того времени Э. А. Шеварднадзе, будучи первым секретарем ЦК Компартии Грузии, говорил: «Прямо надо сказать, что в прошлом в известном вам периоде в отношении абхазского народа проводилась политика, которую практически следует характеризовать как шовинистическую, давайте будем называть вещи своими именами, которая в корне противоречила как интересам грузинского народа, так и интересам абхазского народа, интересам укрепления ленинской дружбы советских народов».

Вместе с тем официальное осуждение культа личности на XX съезде партии не повлекло за собой ликвидацию «наследия сталинизма». Это «наследие» до сих пор дает о себе знать. О серьезных нарушениях в области национальной политики по отношению к абхазскому народу говорилось в коллективных и личных письмах, с которыми обращались в центральные партийные и советские органы представители различных слоев абхазского народа — интеллигенции, рабочего класса и крестьянства в 1947, 1957, 1967, 1978, 1988 годах.

На первых порах после такого рода обращений принимались некоторые меры по улучшению положения, создавшегося в автономной республике. Однако какое-то время спустя вновь наблюдался возврат к той ситуации, с жалобами на которую обращались представители абхазского народа.

Особенно осложнилась ситуация в конце 1988 года. На митингах в Тбилиси звучали призывы о ликвидации и без того урезанной абхазской автономии. Одно из неформальных обществ разработало специальную программу борьбы против абхазского народа и его культурных институтов. Примечательно, что это общество, члены которого считают себя поборниками демократии, в составленной им программе провозглашает, что в «1936—1954 годах было прекращено господство сепаратистов и насилие апсуйцев (так они именуют абхазцев. - Авт.) в отношении других наций, проживающих в Абхазской АССР». Иначе говоря, с точки зрения этих «демократов», лучшими были годы, когда шло уничтожение абхазского народа. В Абхазию следовали представители «демократов», которые разжигали антиабхазские настроения среди местного грузинского населения. Им удалось уже в декабре прошлого года организовать несанкционированный митинг в г. Сухуми, шествия по городу.

Серьезно обеспокоили не только абхазцев, но и других жителей республики подготовка и обсуждение проекта государственной программы развития грузинского языка, в которой поставлен вопрос об использовании грузинского языка как единственного официального языка во всех учреждениях, об обязательном обучении ему каждого жителя республики. Это еще раз разбередило незаживающие раны, напомнило о грубых искажениях истории абхазского народа, о попранных правах абхазской автономии.

Особая обеспокоенность абхазской общественности была вызвана тем, что такие действия не получали должной, принципиальной оценки со стороны руководства союзной республики.

Все это вместе взятое стало причиной того, что 18 марта 1989 года в селе Лыхны на исторической площади, где издревле решались важные для судеб народа вопросы, был проведен санкционированный митинг, на котором было принято обращение, направленное Генеральному секретарю ЦК КПСС, Председателю Совета Министров СССР и ряду научных учреждений. Под ним поставили свои подписи около 32 тысяч человек, в том числе руководители целого ряда высших партийных и советских органов, все депутаты абхазской национальности. Под обращением подписались также более 5 тысяч русских, армян, греков, грузин, а также представителей других народов. В нем была высказана просьба восстановить статус Советской Социалистической Республики, который Абхазия имела в 1921 году при жизни В. И. Ленина.

Вопреки утверждениям это означает не выход, а восстановление статуса договорной Абхазии. Такой статус согласно договору 1921 года между Социалистической Советской Республикой Абхазии и Советской Социалистической Республикой Грузии давал

ყოველივე ამას საქართველოს კპ ცკ-ის მდივანმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატმა **გ.გუმბარიძემ** მობოდიშებისნაირი გამოსვლა დაუპირისპირა, რომლის არგუმენტები მეტნაკლებად ამგვარი "მჭევრმეტყველებით დასაბუთდა": **"მაგრამ ყოველივე ეს ვერა და ვერ გაამართლებს იმ ღამეს მომხდარ სისხლიან ტრაგედიას. ძნელი არ არის ექსტრემიზმი დააბრალო 70 წლის ქალსაც და 10 წლის ყმაწვილსაც, მაგრამ ამგვარი მიდგომა უპერსპექტივოა"...** შემდეგ ორატორი ასეთ გამოსავალს სთავაზობდა ყრილობას: **"ნამდვილად რომ წინ წავწიოთ გარდაქმნა, უნდა შევიმუშაოთ პრინციპულად ახალი კონცეფციები ეროვნულ საკითხში. ეროვნული ენერგია უდიდესი რეზერვია, რომლის სწორად მართვა უთუოდ უნდა ვისწავლოთ, აი, რატომ არის, რომ დღეს ჰაერივით გვჭირდება კონსოლიდაცია პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნული ინტერესების ნამდვილი პლურალიზმის ბაზაზე, რათა ჩვენი პარტიის, საბჭოების კოლექტიური ინტელექტი ყველგან ამარცხებდეს უსახურობასა და კონსერვატიზმს. და კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა ამ ტრიბუნიდან. ჩვენ არ უნდა გვღალატობდეს ზნეობრივი ალღო, რათა სახელი არ გავუტეხოთ იმ პოლიტიკურ**

возможность Абхазии самостоятельно решать свою судьбу в случае возникновения вопроса о выходе другой союзной республики из СССР, потому что абхазский народ считает нахождение в СССР единственно возможным способом сохранения своей национальной самобытности (Аплодисменты). Считаю, что этот опыт союзного договора может быть использован при разработке нормативных актов, регулирующих взаимоотношения других автономных образований с определенными республиками, в которые они входят.

Смысл обращения состоял в том, что расширение прав республики в интересах всего многонационального населения Абхазской АССР и не создает преимуществ какому-либо народу. Обращение ни в коей мере не направлено против грузинского народа, с которым мы желаем и в дальнейшем жить в мире и дружбе.

Оценки этого обращения с трибуны Верховного Совета Грузинской ССР 29 марта 1989 года как противоречащего духу решений XXVII съезда партии, установкам XIX Всесоюзной партийной конференции абсолютно неправомерны. Получалось, что абхазский народ не имел законного права высказать свое мнение, а органы союзной республики решили судьбу абхазской автономий задолго до Пленума ЦК КПСС по межнациональным отношениям. Оценки руководства союзной республики способствовали еще большему разжиганию кам-паний которая не стихает и по сей день, о чем свидетельствуют, в частности, появляющиеся в печати даже в дни работы Съезда.

На встречах с руководством, прибывшим в Тбилиси после трагический событий, представители грузинской интеллигенции пытались представить, что причиной происшедшего явилось «Лыхненское обращение», хотя тбилисские события имели другие причины и преследовали иные цели. Мы очень сожалеем о трагедии, происшедшей в Тбилиси, глубоко сочувствуем и считаем, что эти события должны быть всесторонне и полно расследованы и виновным воздано должное.

26 мая 1988 года в Абхазской АССР было отмечено восстановление грузинской государственности. Дело историков оценивать значимость этого события в жизни грузинского народа. Между тем в истории абхазского народа эти события связаны с государственностью, которая потопила в крови в 1918 году абхазскую большевистскую Коммуну, а впоследствии осуществляла террор в селах Абхазии. Это празднование привело абхазское и грузинское население автономной республики на грань столкновения. По поступившим и поступающим к нам многочисленным телеграммам, телефонограммам и другим сообщениям, ситуация в Абхазии по сей день остается очень тревожной. Если не принять срочные меры, может произойти непоправимое.

К сожалению, ЦК КПСС и Совет Министров СССР хранят молчание, несмотря на запрос группы депутатов от Абхазской АССР, поданный 25 мая сего года. Мы настоятельно просим всех народных депутатов СССР поддержать наше предложение — создать специальную комиссию из числа народных депутатов по изучению положения дел в области межнациональных отношений в Абхазии.

Было бы желательно иметь постоянную комиссию из числа народных депутатов СССР по изучению проблемы автономных образований для снятия напряженности в наиболее сложных регионах, чтобы .не доводить дело до конфликта. Наша просьба, связанная с Абхазской АССР, продиктована тем, что экстремистские силы перенесли: эпицентр напряженности в Абхазию с тем, чтобы, как мы считаем, спровоцировать людей на столкновение обвинив затем в этом наш народ. Сделать нас виновными не составит труда, так как средства массовой пропаганды дают одностороннюю информацию, а представители абхазского народа лишены права высказывать свою точку зрения.

Хочу отметить, что люди понимают необходимость максимальной выдержки, спокойствия, ибо от этого зависит будущее перестройки, будущее нашей великой Родины. И мы, депутаты, делаем и обязаны делать все именно в этом направлении. .

Еще несколько, конкретных предложений. Первое — в палатах и Комиссии Совета Национальностей Верховного Совета по национальной политике и межнациональным отношениям учредить систему публичных слушаний и научной экспертизы.

Второе — в Совете Национальностей Верховного Совета СССР и Верховных Советах союзных республик создать комиссии по национальным группам и национальным меньшинствам.

Третье — необходимо вернуться к изначальным принципам Советской власти, к ленинскому решению национального вопроса, в основе которого лежит Декларация прав народов России. Решение о создании депутатской комиссии по изучению ситуации в Абхазской АССР внесет

ძალას, რომლის წყალობით პარტკონფერენციაც და ჩვენი ყრილობაც სწორედ დემოკრატიული გზით წარიმართა" (გაზ. "კომუნისტი", 1989, 9 ივნისი).

ამავე I ყრილობაზე შეიქმნა თბილისში 9 აპრილს მომხდარი მოვლენების შემსწავლელი კომისია (თავმჯდომარე **ა.სობჩაკი**). მიუხედავად კომისიის შედარებით კონსტრუქციული ხასიათისა, იგი ერთაშორის ურთიერთობაში ხელმძღვანელობდა რუსისტულ-ოქტომბრისენოვანი სტერეოტიპებით, ამიტომ მის მიერ სსრკ დეპუტატთა II ყრილობისათვის **დეკემბერში** წარდგენილი მოხსენება, თუმცა მასში მხილებული იყო თითქოსდა ზოგიერთი იმ დრომდე უცნობი ვერაგობა, მაგალითად, საქართველოს ტელევიზიის შენობასთან მასობრივი ჟლეტის ჩანაფიქრი, **ა.სობჩაკის კომისია** "გარდაქმნით" დაშვებული "დემოკრატიის" რეგლამენტით შემოისაზღვრა და მისი მოხსენება ტრაგედიის საკვანძო საკითხებში საკმარისად არ დაპირისპირებია სსრკ მთავარი სამხედრო პროკურორის **ა.კატუსევის** ასევე II ყრილობაზე წარმოდგენილ მოხსენებას.

1989წ. მაისში აფხაზეთის ასსრ ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის დღეს, **26 მაისს** დაუპირისპირა ე.წ. აფხაზეთის კომუნის დღე (რუსი ბოლშევიკებისა და მათი ადგილობრივი მეგზურების აგრესია **1918 წელს** დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ). მათ აფსუა მოსახლეობას დაუმალეს ის, რომ ამ კომუნის წინააღმდეგ გამოვიდა ცხუმ-აფხაზეთის ჭეშმარიტად მკვიდრი მოსახლეობა **არზაყან ემხვარის** თავკაცობით. ეთნოკრატიული პროპაგანდის მიერ **1918 წლის** მოვლენები ისე განიმარტებოდა, თითქოს აფხაზეცთა არარსებულ სახელმწიფოს თავს დაესხა საქართველო და მოახდინა მისი ანექსია. მართალია, ოფიციალური პრესა ოკუპანტში მენშევიკებს გულისხმობდა, მაგრამ სეპარატისტთა არაოფიციალური პროპაგანდა ამ მენშევიკსა და ქართველს სინონიმურ ცნებებად აშუქებდა. აი, როგორი იყო საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პოზიცია ამ საკითხში: **"გათვალისწინებულ უნდა იქნეს აფხაზეთში 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების კონკრეტული ისტორიული პირობები _ აფხაზეთის კომუნის, გუდაუთის, გაგრისა და სამურზაყანოს მაზრებში საბჭოთა ხელისუფლების ჩასახვა და დროებითი დამარცხება. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა ნათელი ხსოვნა წმიდათაწმიდაა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1989წ., 24 მაისი).**

სამწუხაროდ, აფსუა მოსახლეობამ არც ის იცოდა, რომ 1921 წლის 4 მარტს ამ მხარეში ბოლშევიკთა აგრესიას მოჰყვა აფხაზეთის მოსახლეობის, მათ შორის, აფსუა ხალხის საყოველთაო მღელვარებები და წინააღმდეგობები. 4 მარტსა და მომდევნო დღეებში სოხუმში არ ცხრებოდა სახალხო მიტინგები, რომლებიც სისხლში ჩაახრჩვეს. რაც შეეხება 1918 წლის ამბებს, დროა დაიმსხვრეს აფხაზეთში 1918 წლის მოვლენებთან დაკავშირებული მცდარი და პროვოკაციული სტერეოტიპები. იმ დროს აფხაზეთის მენშევიკებში თავზე საყრელად იყვნენ აფსუებიც, ისევე, როგორც აფხაზეთის ბოლშევიკებში ქართველობა იყო დიდი ნაწილი. საუკეთესო ერისკაცი აფხაზებიცა და აფსუებიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ.

მენშევიკებისა და ბოლშევიკების დაპირისპირება ატარებდა არა ქართულ-აფსუურ ხასიათს (როგორც ამას საბჭოთა პროპაგანდა იუწყებოდა), არამედ კლასობრივი ბრძოლის ხასიათს, _ იმგვარად, როგორც ეს იყო გურიაში, იმერეთში, კახეთში და ა.შ.

1989წ. 31 მაისს სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე გენერალ-პოლკოვნიკმა **ი.როდიონოვმა** ღვარძლიანი თითის ქნევით გალანძღა და ცილი დასწამა ქართველ ერს, შეურაცხყო 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნა, ამასთან დაკავშირებით თბილისში **1989 წლის 9 აპრილს** მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიამ განაცხადა: **"ამა წლის 10 მაისს კომისიის სხდომაზე კომისიის წევრმა, სსრკ სახალხო დეპუტატმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა,**

აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ დასვა საკითხი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, გენერალ-პოლკოვნიკ ი.ნ.როდიონოვის დეპუტატობიდან გაწვევის შესახებ ნდობის დაკარგვის მოტივით.

კომისიამ მიიღო მხედველობაში, რომ გენერალ-პოლკოვნიკმა როდიონოვმა უხეშად დაარღვია საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-4-ე მუხლი. კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის წინადადებას სსრკ კონსტიტუციის 107-ე მუხლის საფუძველზე აღძრა შუამდგომლობა ამომრჩეველთა წინაშე, რათა განიხილოს საკითხი ამომრჩეველთა ნდობის დაკარგვის გამო სსრკ სახალხო დეპუტატის ი.ნ.როდიონოვის დეპუტატობიდან გაწვევის თაობაზე" (გაზ. "თბილისი", 12 მაისი, 1989წ.).

1989წ. ივნისის დასაწყისში ფერგანაში კრემლიდანური ძალების მიერ ორგანიზებული იქნა **1944 წელს** სამცხე-ჯავახეთიდან შუა აზიის რესპუბლიკებში გასახლებული თურქი და ცნობიერად გათურქებული მოსახლეობის, მათთან ერთად არმენეთიდან გადასახლებული თურქმანული ტომების ჟლეტა. კრემლის მიერ ინსპირირებული პროვოკაციის შედეგად უზბეკეთის სსრ რესპუბლიკის ფერგანის ოლქიდან ორიოდე დღეში პირწმინდად იქნა დეპორტირებული მასობრივ ჟლეტას გადარჩენილი მოსახლეობა, რომელთაც ყველას ერთად განურჩევლად და შორსგათვლილი მიზნით ოფიციოზმა დაუმკვიდრა აშკარად ფაბრიკაციული ეთნონიმი "თურქი-მესხი".

მოსახლეობა, რომლის ძირითადი ნაწილი თურქია, მეორე ნაწილი საუკუნეების მანძილზე მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეული ცნობიერებით თურქი (მათ შორის გენეტიკური ქართველის გარკვეული რაოდენობა), ლენინურ-ქემალისტურ იმპერიებს სურთ გამოიყენონ მომავალი ეთნოდივერსიების საზარბაზნე ხორცად (აქვე განმეორებით აღვნიშნავთ, რომ ამ ტრაგიკულ მოვლენებში მოყოლილი ჭეშმარიტი მესხის (ე.ი. ქართველის) საკითხის განხილვა და გადაწყვეტა ცალკე და ამავე დროს გულისხმიერ მიდგომას მოითხოვს).

კრემლის მიერ ორგანიზებული ფერგანის ტრაგედიის შედეგად, საბჭოთა დერჟავას (მასთან ერთად დიდი ოსმალეთისათვის მებრძოლ იმპერიას) რეზერვში ჰყავდა ნახევარმილიონზე მეტი თურქი-ფანატიკოსი, რომელთა ჩასახლება სამცხე-ჯავახეთში ეროვნებათშორის ურთიერთობაში ლენინური ნორმების აღდგენას ნიშნავს კრემლიდანური ძალებისათვის (სამწუხაროდ, ეს მოსახლეობა ამავე მიზნითა ჰყავს მოთადარიგებული აგრესიულ გლობალიზმს). ამ იდეოლოგიისა და ორგანიზაციული სამზადისის ერთ-ერთი თაოსანი გახლდათ სკკპ პოლიტბიუროს წევრი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი **ე.შევარდნაძე**.

ასეთი ღონისძიების რეალიზაციით სსრკ ხალხთა თვითგამორკვევის დათრგუნვასთან ერთად მოსკოვი ერთბაშად ცდილობდა ქართული ეროვნული მოძრაობის ლაგამამოდებასა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო ძალისხმევის საბოლოოდ დადამბლავებას.

ამისათვის მან რეზერვიდან გამოიყვანა და საქართველოს წინააღმდეგ ეთნოდივერსიულ საქმიანობაში ჩააბა (თავს მოახვია) თურქული ორიენტაციის ანტიქართულად განწყობილი მოსახლეობა, რომელთაც პროვოკაციულად თურქ-მესხებს უწოდებდა და უწოდებს.

(ვიმეორებ, სამწუხაროდ მათ შორის არიან გენეტიკური მესხებიც. საერთოდ ამ მოვლენის მიმართ ქართველმა ეროვნულმა მოძრაობამ იმთავითვე ცალსახად გამოკვეთა თავისი პოზიცია: **"წმიდა ილია მართლის საზოგადოების პროგრამაში შედის ქართული ორიენტაციის მესხების ჩამოსახლება, იმათი, რომლებიც ქართველობენ და პასპორტში აღიდგენენ ქართულ გვარსა და ეროვნებას, ხოლო ვინც თავის თავს თურქად**

თვლის მათთან ვატარებთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, განვუმარტავთ განსხვავებას რელიგიასა და ეროვნებას შორის და თუ ასეთი განმარტებები შედეგს არ გვაძლევს, მაშინ მას თურქეთში ემიგრაციას ვურჩევთ" (გაზ. "თბილისი", 7 ივნისი, 1989წ.).

ის რომ, ფერგანაში შორსგამიზნული მიზნით კრემლის მიერ იყო ინსპირირებული ე.წ. თურქი მესხების ჟლეტა, ამაზე მეტყველებს 1 ივნისს სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზე უზბეკეთის კპ ცკ-ის პირველი მდივნის, **რ.ნიშანოვის** ერთბაშად გამოვლენილი მზრუნველობა ყირიმელ თათრებსა და მესხეთელ თურქებზე: **"Отсутствие законодательного положения привело к тому, что в 40-е годы целые народы, в том числе крымские татары, турки-месхетинцы и другие, лишились родных мест, а в недавнем прошлом любое предложение о необходимости считаться с национальными особенностями, нормальная патриотическая забота о развитии родного языка и подлинной национальной культуры нередко отождествлялись с национализмом, что вызвало, как правильно сказано в докладе, чувство горькой обиды и весьма болезненно отражалось на национальном самосознании (Аплодисменты)" (გაზ. "Известия", 2 ივნისი, 1989წ. №153).**

საქმე ის გახლავთ, რომ ყირიმელი თათრების გამოყენება კრემლს განზრახული ჰქონდა უკრაინის ეროვნული მოძრაობის შესაშინებლად, ხოლო მესხეთელი თურქებისა _ საქართველოს დასათრგუნად.

ამ "გამოსარჩლებიდან" ორი დღის შემდეგ მესხეთელი თურქების მასიური ჟლეტა დაიწყო ფერგანაში, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შემთხვევით ხასიათს ატარებდეს. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია ასეთი გახლდათ:

"О БЕСПОРЯДКАХ В НЕСКОЛЬКИХ НАСЕЛЕННЫХ ПУНКТАХ ФЕРГАНСКОЙ ОБЛАСТИ

3-4 июня в нескольких населенных пунктах Ферганской области Узбекской ССР, в которых наряду с узбеками проживают турки-месхетинцы, экстремистскими элементами спровоцированы беспорядки на межнациональной основе, которые сопровождаются многочисленными избиениями граждан, поджогами домов и автомобилей. Разгромлен ряд зданий общественного назначения. Вооруженные группы хулиганов совершают нападения на работников охраны правопорядка, оказывают им сопротивление. Имеются человеческие жертвы.

Пресечение преступных проявлений и поддержание общественного порядка возложены на органы милиции и подразделения внутренних войск МВД СССР.

Для нормализации обстановки и недопущения новых антиобщественных проявлений решением республиканских органов в этих населенных пунктах введен комендатский час. Создана и приступила к работе правительственная комиссия Узбекистана.

Проводится расследование.

(ТАСС).

Как сообщили, 5 июня ситуация в Ферганской области продолжала оставаться напряженной, особенно в городах Фергана, Ташлак, Маргилан. На место событий вылетел министр внутренних дел СССР В.Бакатин. напрвлены дополнительные силы милиции и подразделения внутренних войск. К сожалению, информация поступает в редакцию разноречивая. Уточняется и число погибших и раненых, среди которых - около ста человек - работники правоохранительных органов, солдаты и офицеры внутренних войск. Уже известно, что задержаны более двухсот зачинщиков беспорядков.

«Известия» расскажет о трагических событиях в Ферганской долине, как только получат четкую и правдивую информацию” (გაზეთი “Известия”, 1989, 6 ივნისი).

ასეთ შემთხვევაში საბჭოთა უზბეკეთის პირველ პირს პასუხი უნდა ეგო, მაგრამ იგი **6 ივნისს** დააწინაურეს სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ. თავისი კანდიდატურის განხილვისას **რ.ნიშანოვმა** ასე დაახასიათა ფერგანის მოვლენები, მისი ცინიკური განცხადებით ეს ტრაგედია ბაზარში “კლუბნიკის” (ხენდროს) გამო დატრიალდა:

«Нишанов Р.Н., первый секретарь ЦК Компартии узбекистана, г.Ташкент (Ленинградский национально-территориальный избирательный округ, Узбекская ССР). Прежде всего надо сказать, что события, которые приобрели в последние дни межнациональный характер, начинались с мелких бытовых стычек. Если коснуться истории проживания в Ферганской долине турок-месхетинцев, что 45 лет тому назад узбеки приняли турок-месхетинцев как родных братьев, сестер, создали им все условия для жизни, благополучия, труда, образования.

Горбачев М.С. Сколько их проживает?

Нишанов Р.Н. В Узбекистане проживает 60 тысяч турок-месхетинцев. В Ферганской долине - 12 тысяч. Все они обеспечены соответствующей работой, окружены вниманием, активно участвуют во всех органах государственной власти, есть и члены партийных комитетов, есть депутаты местных Советов. Все шло хорошо.

Но в последние годы неоднократно были активные выступления турок-месхетинцев с требованием возвратить их в родные места. В последнее время, в связи с созывом Съезда, эти выступления несколько активизировались, но столкновения начались с совершенно маленькой, бытовой стычки на рынке, во время купли-продажи сельскохозяйственной продукции. Один из представителей турок-месхетинцев из-за дорогих цен грубо обратился к продавщице, которая продавала выращенные ею продукты. Кончилось тем, что он опрокинул тарелку, в которой находилась клубника, ну а находящиеся там граждане это восприняли как оскорбление, возникла драка. Тогда драку удалось успокоить, но через некоторое время небольшая группа турок-месхетинцев напала на местную молодежь, и одного из них убили. Принятыми мерами все было успокоено, почти неделю все находились в нормальном состоянии, а вот через неделю неожиданно для местных органов и для самих турок-месхетинцев и узбекской части населения большая группа молодежи в возрасте примерно от 15-16 до 20-22 лет, некоторые несколько в опьяненном или алкоголем, или наркотиками состоянии, вооружившись прутьями и т.д., начали нападать на жилища турок-месхетинцев. При этом бесчинствующая узбекская молодежь, вооруженная прутями, цепями, топорами, палками, избивала тех, кто попадался, поджигали некоторые дома турок-месхетинцев. Этот случай, фактическое проявление вандализма, кончился трагически. По нашим данным на сегодняшний день имеется примерно 50 человек погибших, из них около 35 или больше, сейчас уточняется, турок-месхетинцев, 10 узбеков, 1 таджик и 1 русский, из тех, кто наводил порядок, случайно попал тоже. Эти события происходили сугубо между узбеками и турками-месхетинцами. За некоторое время, пока положение было бесконтрольным, успели поджечь несколько домов. Принятыми экстренными мерами - и союзными органами, и республиканскими, а также силами МВД республики и союза - сейчас установлен полный контроль, турки-месхетинцы либо находятся на местах постоянного проживания, а часть мы позавчера и вчера эвакуировали в военный гарнизон, разместили в казармах, обеспечили соответствующими бытовыми условиями, и они сейчас находятся в безопасности. Во всех районах, где возникли эти столкновения, введен

комендатский час Указом Президиума Верховного совета Узбекской ССР. Обеспечивается должный порядок.

Вчера и сегодня обстановка не получила дальнейшего осложнения, ситуация находится под контролем, и мы надеемся, что местным партийным, советским и административным органам удастся до конца локализовать обстановку и обеспечить надлежащий порядок (გაზ. "Известия", 8 ივნისი, №159).

1989წ. 5 ივნისს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პრესაში გამოქვეყნდა ოსური ენის პროგრამა, რომელიც სინამდვილეში ამ ისტორიული ქართული მხარის განქართველებას უნდა მომსახურებოდა.

1989წ. ივნისში ქ.სოხუმში დაიწყო აფხაზეც-სეპარატისტთა მღელვარებანი და სოხუმის ფილარმონიის შენობაში გაგრძელდა მათი პროვოკაციული თავყრილობები, რომლებიც მოითხოვდნენ ქართველობისაგან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის დაცლას (გათავისუფლებას). ეს ავანტიურა აშკარად კრემლის მიერ იყო გააბლაბუდებული. **9 აპრილს** თბილისში და **26 მაისს** სოხუმში ჩატარებული მიტინგებისა და **1-13 მაისს კ.კამსახურდიას** სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართულ აქციაზე ქართველთა მხრიდან გამოვლენილი ეროვნულ-სახალხო სულისკვეთების საპასუხოდ.

ივნისის ბოლოს ქ.სოხუმის ფილარმონიაში სეპარატისტების ე.წ. თავყრილობაზე გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მესამე მდივანი (იდეოლოგიის დარგში) **საიდ თარკილი** და ქართველებს მოუწოდა "ჭკუით ყოფილიყვნენ", წინააღმდეგ შემთხვევაში ახალ "ფერგანას" დაჰპირდა მათ. ამავდროულად სოხუმში დაიწყო აფხაზეც სეპარატისტთა გაზეთმა "ედინენიემ" გამოსვლა, რომელმაც აფხაზეცური ეთნოკრატიის ხელში აქამდე არსებულ სეპარატისტულ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ საშუალებებს _ გაზეთებს "აფსნი ყაფშს", "სოვეტსკაია აფხაზიას", "ბზიფს", აფხაზეთის ტელევიზიასა და რადიოს მოსთხოვა უფრო მიზანმიმართული და პროვოკაციული ქმედებანი. ანტიმშობლიური დივერსიის წარმართვაში მან გაიპიროვნა თაოსნის ნიშა.

1989წ. 9 ივნისი, "ლიტერატურული საქართველო"-ს რედაქციას

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ტექსტი დეპეშისა, რომელიც გავუგზავნე სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის პრეზიდიუმს:

პატივცემულო ამხანაგებო! სამწუხაროდ, მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად აფხაზეთის დელეგაციის წარმომადგენლის სიტყვის შემდეგ, მინდა განვაცხდო _ ღრმად პრინციპული მოსაზრებებით, მე ხელი არ მომიწერია ლიხნის მოწოდებაზე აფხაზეთის რესპუბლიკის გამოყოფის შესახებ. ხალხთა განმაცალკევებლი იდეები ყოველთვის დამღუპველია ამ ხალხთა ბედისთვის. მითიურ დამოუკიდებლობაზე ილუზიების თესვა კი არ არის საჭირო, არამედ დაზუსტება და გაღრმავება ჭეშმარიტი ავტონომიისა, მუხლჩაუხრელი შრომა და სულიერი ვაჟკაცობა. გთხოვთ, ყრილობაზე წაიკითხოთ ჩემი განცხადება.

სახალხო დეპუტატი აფხაზეთის ასსრ-დან, მწერალი ფაზილ ისკანდერი.

(გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 9 ივნისი, 1989წ.)

1989წ. 27 ივნისს აფხაზეც-სეპარატისტთა მიერ სოხუმში ჩატარებულმა ე.წ. აფხაზეთის მშრომელების კრებამ, მიუხედავად ისტორიული უსაფუძვლობისა, **"აუცილებლად მიიჩნია აფხაზეთის სსრ სტატუსის აღდგენა, ძველი და ისტორიული სამშობლოს სრული და ყოველმხრივი სუვერენიტეტის მიღწევა".** ასევე თვითმარქვია კრებამ გაასაჯარისა მორიგი დივერსია და მოითხოვა, **"სსრკ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაციის გამო აფხაზეთი ჩაითვალოს გასულად საქართველოს სს რესპუბლიკიდან"** (გაზ. "ახალი საქართველო", 8.12.1989წ.).

1989წ. 17 ივნისს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა გაათავისუფლა საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანი **ბ.ნიკოლსკი** და ამ თანამდებობაზე აირჩია **ა.პავშენცევი**, წარმოშობით თბილისელი რუსი, რომელიც ადრე საქართველოს კპ ცკ-ის აპარატში მუშაობდა, ამით მოკავშირე რესპუბლიკათა პარტიის ცკ-ის მეორე მდივნის უშუალოდ მოსკოვიდან გამოგზავნის ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიცია ნაწილობრივ დაირღვა.

საქართველოს კპ ცკ-ის მდივნად და ბიუროს წევრად არჩეული იქნა **ბ.ჯიქია**. პლენუმმა გაათავისუფლა **პ.გილაშვილი** და **ზ.ჩხეიძე** საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს წევრის, ხოლო **ბ.ადლეიბა** ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან. ამ უკანასკნელის ნაცვლად საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს წევრობის კანდიდატად არჩეული იქნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ.ხიშბა.**

1989წ. 23 ივნისს ქ.მარნეულში აზერბაიჯანელი ეროვნების ბრბო დარბევის მიზნით თავს დაესხა ქართველებს და ამ რაიონის ქართულ დასახლებებს.

მეორე დღეს, **24 ივნისს** ქალაქის ცენტრში სახელდახელოდ შეიკრიბა 10000-მდე აზერბაიჯანელი ეროვნების ადამიანი და ჩაატარეს არასანქცირებული მიტინგი, სადაც მოითხოვეს გარდაბნის, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების ბაზაზე ცენტრით რუსთავში აზერბაიჯანის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, ასევე ქართველი მუშაკების გაძევება რეგიონიდან და ა.შ.

აზერბაიჯანულმა თავხედობამ თავისი მღელვარება გადაზარდა შეიარაღებულ პროვოკაციაში, ისინი ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროდნენ სამართალდამცავ ორგანოებს, ქართველ მოსახლეობას, იყენებდნენ ბენზინით სავსე ცეცხლწაკიდებულ ბოთლებს და ა.შ.

არეულობის დროს დაშავდა ასობით ადამიანი. მარტო ქ.მარნეულში **26 ივნისს** სამართალდამცავმა ორგანოებმა მოსახლეობიდან ამოიღეს 800-ზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი.

აზერბაიჯანელი მოსახლეობის შეიარაღებული პროვოკაცია, მისი თარეშის დროს გამოყენებული ანტიქართული ლოზუნგები და, რაც მთავარია, ქართულ მიწაზე აზერბაიჯანის ავტონომიის ჩამოყალიბების მოთხოვნა გახლდათ კრემლის მიერ საქართველოს მიმართ აღებული პოლიტიკური კურსის რეალიზება ყოფაში. მასში აგრეთვე მონაწილეობდნენ ბაქოს ექსტრემისტული ორგანიზაციების ლიდერები (ისინი ცდილობდნენ სსრკ ხალხთა მეგობრობის ნიღაბქვეშ ისლამის საყოველთაოობას, მის ორგანიზებულ აღორძინებას, ასევე ლენინურ-ქემალისტური გარიგების (**1921 წლის 16 მარტი**) შესაბამისად მოვლენათა განვითარების ხელშეწყობას ყოფით ყოველდღიურობაში და ა.შ.).

საქართველოში ამგვარი ვითარების მიზნობრივი პროვოცირება გამიზნული იყო იმისკენ, რათა ე. წ. სამხრეთ ოსეთის, აჭარის ასსრ-ის, აფხაზეთის, ქვემო ქართლის, ჯავახეთის და ა. შ. მხარეებში ე. წ. ეთნოკონფლიქტების აღკვეთის საფარქვეშ ქართველთა ეროვნული ძალისხმევა დათრგუნულიყო, რათა აქ ხელოვნურად დამკვიდრებულ არაქართველ მოსახლეობას ანტიქართული დემარშები შეუფერხებლად ეწარმოებინა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქართველთა სადამსჯელო რეპრესიების ორგანიზება და ა.შ.

1989წ. 3 ივლისს აფხაზეც-სეპარატისტთა ოქტომბრისენოვანი ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა გუდაუთის რაიონის გაზეთში **"Бзыбь"** გამოაქვეყნა წერილი-ბეზღობა, რომელშიც ავტორები ჩასაფრებულის სამზერიდან მოსკოვს თითისშვერით უჩვენებდნენ "ქართველობის ვერაგული ხასიათის მორიგ ნივთმტკიცებას": **"ამჟამად საქართველოში უცნაური რამ ხდება, საქართველოს კპ ცკ-ის ბიურომ (იხ. "Заря Востока",**

1989წ. 21 ივნისი) თავის მორიგ სხდომაზე მოიწონა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის შემამუშავებელ კომისიას განსახილველად გადასცეს საკითხები საქართველოს რეალური სუვერენიტეტის განხორციელების, საქართველოს მოქალაქეობის შემოღების, სსრკ კანონების საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედების პირობების, ეროვნული საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და რესპუბლიკის წვევამდელების მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გავლის შესახებ... ჩვენ, აფხაზებს, გვსურს რომ ახალგაზრდებმა, აფხაზმა ახალწვეულებმა სამხედრო სამსახური საბჭოთა კავშირის ვრცელ ტერიტორიაზე მოიხადონ, როგორც იტყვიან, "სამხრეთის მთებიდან ჩრდილოეთ ზღვამდე და ბრესტიდან კამჩატკამდე"... "გთხოვთ გვიხსნათ ქართული შოვინიზმისგან".

1989წ. 3 ივლისს ჟურნალ "**Огонёк**"-ში **ანდრეი სახაროვმა,** მას შემდეგ, რაც მოინახულა 9 აპრილს რუსიზმის მიერ დათოფილი საქართველო, განაცხადა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა არის, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც იმპერია.

1989წ. 6 ივლისს ქ.გაგრაში **ნესტორ ლაკობას** ქუჩაზე აფხაზეცმა სეპარატისტებმა ახლადაშენებულ მრავალბინიან სახლში (№7ª) თვითნებურად დაისაკუთრეს ის ბინები, რომლებიც კანონიერად უნდა მიეღოთ ქართველი ეროვნების მოქალაქეებს (არაქართველებს არ შეხებიან). ხელისუფლებამ ამ ამბავს წაუყრუა.

1989წ. 6 ივნისს აფხაზეთის გაზეთებმა "**აფსნი ყაფშმა**" და "**სოვეტსკაია აფხაზიამ**" გამოაქვეყნეს **ა.მ.გორკის** სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადება 1989-90 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა მისაღები გამოცდების შესახებ.

1989წ. 6 ივლისს ეს განცხადება, არ დაბეჭდა "**საბჭოთა აფხაზეთმა**", მან, უფრო ადრე, აფხაზეთის ქართველი საზოგადოებრიობის ძალისხმევის შედეგად საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების მოთხოვნის მიუხედავად, არ დაბეჭდა ლიხნის თავყრილობის მასალები და გაზეთ "**Заря Востока**"-ს **14 აპრილის** მოწინავე, რომლის გამოქვეყნებასაც დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში **ს.თარკილი.** ეს პუბლიკაცია მომზადდა პირადად **ბ.ნიკოლსკის** ცილისწამებათა მიხედვით. შექმნილ რთულ ვითარებაში გაზეთმა "**საბჭოთა აფხაზეთმა**" **7 ივლისს** გამოქვეყნა როგორც **ა.მ.გორკის** სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხადება, ასევე ჯერჯერობით (ვინაიდან მისი სტატუსი საქართველოს ხელისუფლების უგერგილობის გამო ამ დროისათვის კანონით განმტკიცებული არ იყო) **ივ.ჯავახიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე.წ. სოხუმის ფილიალის განცხადება **1989-90 სასწავლო წლისათვის** მისაღები გამოცდების შესახებ.

აფხაზეთის ეთნოკრატიულმა ხელისუფლებამ და მისმა წამქეზებლურმა პროპაგანდამ, გააკეთეს რა შორსგამიზნული დასკვნები ამ პუბლიკაციიდან, ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი ვნებათაღელვის თავაწყვეტას.

სეპარატისტული პროპაგანდით გონებადაკარგულ აფხაზეცთა ბრბო **11 ივლისს** შეიჭრა სტამბაში და საშუალება არ მისცა "**საბჭოთა აფხაზეთის**" რედაქციას გამოეშვა გაზეთი. მან გამოსვლა მხოლოდ **14 ივლისიდან** დაიწყო. ამასობაში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სექტორი, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, საქართველოს კპ ცკ-ის საეჭვო განკარგულებით უკვე თსუ-ს ფილიალად იწოდებოდა, განთავსდა ქ.სოხუმის №1 საშ. სკოლაში (აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროსა და სუკ-ის შენობიდან ასიოდე მეტრში) და დაიწყო მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული სამზადისი.

ამით აღშფოთებულმა სეპარატისტულმა ეთნოკრატიამ დაიწყო გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების აფსუურ სოფლებში ავანტიურისტული პროპაგანდა და მოტყუებული მოსახლეობის სოხუმში 1 საშუალო სკოლის საალყოდ ჩამოყვანა. მათთან ერთად ფილარმონიის აქციის მონაწილეთა ყველაზე ექსტრემისტულმა ნაწილმა თავის მხრივაც შემოარტყა ალყა პირველ საშუალო სკოლას. ვითარება ფეთქებადი და საგანგაშო გახდა.

ასე მაგალითად, ფილარმონიასთან ქართული ჟურნალ-გაზეთებით შემთხვევით ჩავლილი საშუალო სკოლის მოსწავლე, სოხუმელი **კახა უბილავა** ექსტრემისტებმა დაიჭირეს, წაართვეს ჟურნალ-გაზეთები და სასტიკად სცემეს, ხოლო სოფელ კინდღთან გონდაკარგული ბრბოთი სავსე ავტობუსში შემთხვევით მოხვედრილ ქართველ ახალგაზრდას სახე სამართებლით დაუსერეს.

სეპარატისტების ოფიციალური პროპაგანდა ვნებათაღელვას აღვივებდა, ხოლო საქართველოს კპ ცკ-ის სამდივნო საეჭვოდ ყოყმანობდა და კანონით გათვალისწინებულ გადამწყვეტ ღონისძიებებს არ ღებულობდა.

ყოველივე ამის გამო, **15 ივლისს,** შუადღეზე, ქ.სოხუმის **შოთა რუსთაველის** სახელობის პარკში თავი მოიყარა ქართველმა საზოგადოებრიობამ, რომელთაც სცადეს მშვიდობიანი გზით განემუხტათ ვითარება და დაეხსნათ ქ.სოხუმის პირველ საშუალო სკოლაში უმართავი ბრბოს მიერ ალყაში მომწყვდეული პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, აბიტურიენტები და მათი მშობლები.

სამწუხაროდ მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა და თვითნაკეთი რკინის ხელჯოხებით შეიარაღებულმა სეპარატისტი ექსტრემისტების ნაწილმა შტურმით შეაღწია პირველ საშუალო სკოლაში, სადაც უმოწყალოდ სცემეს ალყაში მოქცეულებს. პოლიციამ, საბედნიეროდ, შესძლო მათი გადარჩენა, გააფთრებულმა ბრბომ დაარბია და მიწასთან გაასწორა, გააჩანაგა I საშუალო სკოლა, ქართული საგანმანათლებლო კერა. იმავე ექსტრემისტების მეორე ნაწილი, ასევე რკინის ხელჯოხებითა და კეტებით შეიარაღებულები, თავს დაესხნენ რუსთაველის პარკში მშვიდობიან მომიტინგეებს და დაიწყეს მათი დარბევა და უმოწყალო ცემა.

ასობით ადამიანი დაშავდა, სასიკვდილოდ დაიჭრა **ვოვა ვეკუა**.

ამ დროს აფხაზეთის მწერალთა კავშირის სასახლის აივანზე გადმოდგა აფხაზეცი **ა.გოგუა** (რომლის წინაპარი ჩხოროწყუდან გახლდათ) და შამპანურით გამარჯვების სადღეგრძელო დალია. სეპარატისტებმა აიღეს მთავრობის სასახლე, ქალაქში გაისმა ცეცხლსასროლი იარაღებიდან გასროლის ხმები.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ ისინი მზად იყვნენ ე.წ. ფერგანის მოსაწყობად, რაზედაც დაიქადნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ს.თარქილმა**, დარბეულმა ქართულმა მოსახლეობამ საღამოსათვის თავი მოიყარა თამარ მეფის ქუჩის დასაწყისისკენ (კინოთეატრ "აფსნისთან", თეთრ და წითელ ხიდებს შუა, მდ. ბესლეთის მარჯვენა ნაპირზე), სადაც ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ.

1989წ. 15-16-18 ივლისს და მომდევნო დღეებში აფხაზეთში იყო განუკითხაობა. სეპარატისტთა განკარგულებაში აღმოჩნდა კატარღები, რომელთა საშუალებით მათ საბრძოლო იარაღები გადაზიდეს გუდაუთიდან ოჩამჩირე-ტყვარჩელში.

1989წ. 16 ივლისს ქ.სოხუმში **ძიძარიასა** და **ჭოჭუას** ქუჩების გადაკვეთაზე ავტომანქანა КАМАЗ-ის (ГАХ 43-46) კაბინიდან და ძარიდან **მერაბ ალექსის ძე კვიწინიას** მეთაურობით აფხაზეცმა ბოევიკებმა ავტომატებიდან ცეცხლი გაუხსნეს უიარაღო ქართველ მოქალაქეებს, რომლის დროსაც უდანაშაულო ადამიანები დაიჭრნენ, ხოლო მოქალაქე **რ.მღებრიშვილი** გარდაიცვალა. მკვლელ **მ.კვიწინიასა** და მისი ბანდის წევრების მიმართ აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოების ხელშეწყობითა და

საქართველოს კპ ცკ-ის დანაშაულებრივი ყოყმანის გამო, სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

1989 წლის 15-16 ივლისი და მომდევნო დღეები გუდაუთის რ-ნის ქართულ სოფლებს დარბევად და ეთნიური წმენდის მცდელობად გაუთენდა.

აგრესორ სეპარატისტთა თავაწყვეტამ, ისევე, როგორც **1978 წლის** ივნისში, როცა მათ მოკლეს უდანაშაულო ქართველი ახალგაზრდა, ამჯერადაც ანგარიშსწორება მოუნდომა ქართველებს.

იმ დღეებში გაძარცვის, შეურაცხყოფისა და წამების შემდეგ გუდაუთის რ-ნიდან გააძევეს ქ.გუდაუთის მკვიდრი, ქალაქის აფთიაქის დირექტორი **რეზო შალამბერიძე**. მისი ოჯახი, მათ შორის მცირეწლოვნები მძევლად ყოფნის შემდეგ ასევე გამოაძევეს რაიონიდან.

იმხანად გუდაუთიდან გადასახლება აიძულეს შს რაიგანყოფილების კაპიტანს **ვაჟა მგალობლიშვილს.**

დარბეული იქნა **სოფ. აბგარხუქის** ქართული მოსახლეობა, განსაკუთრებით **ბზიკაძეებისა და დადუნაშვილების უბანი,** ახალგაზრდობა დატერორების შემდეგ სოფლიდან გააძევეს.

მართალია, იმხანად სოფ. აბგარხუქიდან ქართველთა ეთნიური წმენდა პირწმინდად ვერ მოხერხდა, მაგრამ იგი განხორციელდა 1991 წლის 17 მარტის შემდეგ.

იმ დღეებში სეპარატისტებმა მოკლეს გუდაუთელი **ბ.გოგრიჭიანი**, ქართველი, ქიტესა მეურნის მსგავსი კაცი.

1989წ. 15 ივლისს გუდაუთის რ-ნის სოფ. ახალსოფლის ჩასახვევთან აგრესორ-სეპარატისტებმა საკუთარ მანქანაში (“ჟიგული” - 09) დაატყვევეს სამტრედიელი მგზავრები, მშვიდობიანი ხალხი, ისინი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს, წამებისა და შეურაცხყოფის შემდეგ გაუშვეს. იმავე დღეს აგრესორები ცეცხლსასროლი იარაღით თავს დაესხნენ სოფ. ახალსოფელს და მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნეს.

იმ დღეებში სეპარატისტებმა მძიმედ დაჭრეს სამშვიდობო მისიით სეპარატისტთა მხარეს გაღწეული **ემზარ მაისურაძე** _ გუდაუთის რ-ნში მცხოვრები ქართველი.

საინტერესოა, რომ იმ დღეებში გუდაუთის რ-ნში დისლოცირებული სსრკ შინაგანი ჯარი, რომელსაც მშვიდობა უნდა დაემყარებინა, სეპარატისტ პროვოკატორებს შეაგზავნიდა გუდაუთის რ-ნის ქართულ სოფლებში, მოაწყობდა დებოშს, შემდეგ კი “წესრიგის დასამყარებლად” შეიჭრებოდა და არბევდა ქართულ მოსახლეობას.

1989წ. 15 ივლისს ქ.სოხუმში **ჭავჭავაძისა** და **ლენინის** ქუჩის გადაკვეთაზე აფხაზეცი სეპარატისტი **ზ.ვარდანია** თავისი საკუთარი მანქანიდან (ვაზ. 2106 34-10) ცეცხლსასროლ იარაღს ურიგებდა სეპარატისტთა ხროვას ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად.

აფხაზეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრეს.

1989წ. 15 ივლისს გუდაუთის რაიკომის პირველი მდივნის **კ.ოზგანის** ხელმძღვანელობით, შვეულმფრენებითა და საზღვაო კატარღებით ნაწილდებოდა გუდაუთიდან გატანილი ცეცხლსასროლი იარაღი ოჩამჩირესა და ტკვარჩელში.

1989წ. 16 ივლისს გუმისთის ხიდზე რამდენიმე საათს გრძელდებოდა სროლა ქართველთა და აფსუათა დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რომელშიც მონაწილეობდა 400-მდე ადამიანი. ამის შედეგად ორივე მხარეს დაიჭრა ათობით ადამიანი. ამავე დროს გალის, სოხუმის, გუდაუთის, ტკვარჩელის, ოჩამჩირის რაიონებში მოეწყო თავდასხმები ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობებზე, არასაუწყებო დაცვის საგუშაგოებზე და ა.შ. თავდამსხმელთა მიზანი იყო იარაღის

ხელში ჩაგდება. იგი პროვოცირებული იყო სუკ-ის ადგილობრივი აგენტების მიერ, რაც მიზნად ისახავდა ამ ავანტიურაში დაუცველი მოსახლეობის ჩათრევასა და ფართომასშტაბიანი შეიარაღებული ეთნოკონფლიქტის ხედის შექმნას.

1989წ. 17 ივლისს მდ. ღალიძგასთან თავი მოიყარა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ. სეპარატისტებმა ღალიძგას ხიდთან მორიგი პროვოკაცია სცადეს და ცეცხლი გახსნეს.მდ. ღალიძგასთან იყო პირადად **მ.კოსტავა**) თავგაცხელებას გონიერებამ სძლია და ვითარება წინგახედულებისგან მართვადი გახდა.

1989წ. 17 ივლისს აფხაზეთის ტელევიზიით გამოვიდნენ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი **გ.გუმბარიძე** და საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ.ხიშბა**.

1989წ. 17 ივლისს აფხაზეთში დამყარდა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმი (რაც საკომენდანტო საათს არ ნიშნავს, მაგრამ მისი წინაპირობაა).

1989წ. 18 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს კპ ცკ-ის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამძიმარი 15-16 ივლისის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

ოფიციალური მონაცემებით ორივე მხარეს დაიღუპა 14 კაცი, ჰოსპიტალიზირებული იყო 137 კაცი, სამედიცინო დაწესებულებებს დახმარებისათვის მიმართა 300-ზე მეტმა ადამიანმა, რომელთაგან 15 მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. უფრო გვიან დაზუსტდა, რომ 15-16 ივლისის დაპირისპირებაში, რომელიც კრემლის მიერ იყო შემოხლართული, დაიღუპნენ (ქართველები): **ვოვა ვეკუა, ლიანა სართანია, ირაკლი სანაია, რეზო ეხვაია, ნური შამათავა, ომარ შენგელია, გივი ლობჟანიძე, რამინ ჩოჩია, კონსტანტინე მიქაძე, სოსო ჯვარელია, მერაბ დარსალია, ვლადიმერ ბასილაია, რამაზ მღებრიშვილი.**

აფსუათაგან: **ალბერტ კობახია, ალექსი კოღონია, ივანე ლასურია, ნური ლასურია, ბესლან ჩხოტუა**.

სეპარატისტთა ექსტრემისტულ ძალებთან ურთიერთობისას დაიღუპა აგრეთვე სსრკ შინაგან საქმეთა ჯარების ოფიცერი **ვიქტორ ნოვიკოვი** და ჯარისკაცი **ვლადიმერ აკოპოვი**.

აღსანიშნავია, რომ დედით აფსუა **ნური შამათავამ** ღალიძგასთან ხიდზე უიარაღოდ სცადა გადასვლა, რათა მოძმეთათვის მათ მშობლიურ ენაზე შეეხსენებინა საერთო ჯიში და ძუძუმტეობა, მაგრამ მიუხედავად აფსუურ ენაზე მათთან გასაუბრებისა და, რაც მთავარია, მორდუობის სახელით მოფერებისა, აფხაზეცმა სეპარატისტებმა იგი ტყვიით განგმირეს.

ამ დროისათვის აფხაზეთში იმყოფებოდნენ **გივი გუმბარიძე** _ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი, **ოთარ ჩერქეზია** _ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, **ნოდარ ჭითანავა** _ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. ქართველთა ჟლეტის მცდელობით აღშფოთებულმა და დაუცველმა მოსახლეობამ თავად სცადა უსაფრთხოების ორგანიზება. დაიწყო სოხუმის სალოკომოტივო დეპოს ბრიგადების, აგრეთვე სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციების მძღოლების, აფხაზეთის რიგი საწარმოებისა და სოფლის მშრომელების გაფიცვა.

1989წ. 18 ივლისს გარდაიცვალა **ვოვა ვეკუა**, რომელიც **15 ივლისს** რუსთაველის პარკში სასიკვდილოდ დასჭრა სეპარატისტთა ხროვამ. **27 ივლისს** მისი გასვენება იქცა ცხუმ-აფხაზეთის ქართველების თავყრილობად, რომელიც კვლავაც ერთგული დარჩა **ვოვა ვეკუას** ანდერძის: **_ "ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფსუათა გულებისაკენ".**

19 ივლისი, 1989 წ. ПОЛОЖЕНИЕ СТАБИЛИЗИРУЕТСЯ

Репортаж из Абхазии

Каждое утро у Абхазского абкома партии стоят люди. Они встречаются с руководителями Грузинской ССР, новыми членами правительства Абхазии. На одной из таких встреч мы разговорились с представителями Народного Фронта Грузии и Абхазского отделения Общество Руставели:

- Серги Саджаиа - директор общеобразовательной школы, - я сразу же скажу, здесь не межнациональные проблемы, а социальные. Дело в том, что абхазецом быть выгодно - ведь практически вся кадровая политика направлена на нарушение паритета. Мы требуем вернуться к нему. И это важно, грузинское население здесь не имеет никаких претензий к апсуискому народу. Да и никогда не имело. Моя мать - гречанка. Когда греков возвращали сюда в 50-е годы, грузинский народ встретил их как близких. Не это ли показатель нашего отношения к другим народам? Более того, грузинское население сегодня требует открытия абхазских школ, национальных, в полном смысле этого слова, и пусть развиваются они по абхазским концепциям. Пусть будет Абхазский университет, пусть развивается он так, как это нужно Абхазии. Да, здесь в прошлом творились беззакония. Но прошло уже несколько десятилетий. Давно пора прекратить разжигание страстей. Сколько уже дней мы посещали разные организации, призывали к спокойствию и сдержанности...

Уже после беседы представителей НФГ с приехавшими из Тбилиси партийными руководителями республики мы подошли к заведующему отделом оргпарткадровой работы ЦК КП Грузии Петру Чхеидзе:

- Состоялись первые встречи, контакты различных групп населения обоих национальностей, - сказал он, - И это уже хорошо. Начало обнадеживающее - вместо работают люди, которые вчера стояли друг перед друга. Есть сдвиги. Жители села Беслети, например, выделили людей для охраны жилья, семей, которые эвакуировались. Грузинское население обратилось к ним с просьбой возвратиться.

- Мы понимаем, что следующий вопрос не совсем в вашей компетенции. Но всетаки: возбуждены ли уголовные дела против лиц, которые занимали ответственные должности в Абхазии?

- Могу сказать: дела возбуждены, их несколько. Более того, все члены, кандидаты в члены бюро обкома партии подали заявления об отставке. Но кадровый вопрос очень сложный, и удовлетворить все заявления мы пока не могли. И еще. Делается все возможное для стабилизации положения. Мы уверены, люди хотят мира, добра...

Да, люди хотят мира и добра. Но продолжаются и провокации. Зачастую своей цели они достигают. Мы уже сообщали о гибели двух военнослужащих. По уточненным данным, трагедия произошла у села Андроу Очамчирского района. Проведен следственный эксперимент. Первые его результаты говорят о том, что акция была спланирована заранее, имела место засада.

Есть и другой род провокаций - слухи. Говорят, ими земля полнится. Не знаем, как насчет земли, а вот Сухуми - точно, по слухам, готовы вмешаться в разрешение внутренних дел Грузии ряд неформальных организаций Северного Кавказа. Более того, прошел слух о, якобы, готовящихся сегодня вооруженных выступлениях. Короче, слухов все больше и, естественно, выше напряжение.

Чтобы хотя бы частично снять его, с инициативой выступили представители трудового коллектива Сухумского ПО «Оргтехника». Как сообщил нам его генеральный директор Алу Гамахария, представители трудового колектива решили образовать пять оперативных отрядов из числа коммунистов и комсомольцев для оказания помощи местным властям и войсковым частям в наведении порядке в Сухуми.

Выступили с обращением и представители армянской общественности, проживающие в Гульрипшском районе. Они обратились с просьбой создать специальный комитет по межнациональному примирению. По мнению авторов, в него должны войти представители всех национальностей проживающих в Абхазии.

Несколько слов о деятельности неформальных организаций. Несмотря на ежедневные контакты и совместные усилия стабилизации положения в решении глобальных проблем и задач, общий язык пока не найден. Абхазская сторона согласиа на диалог лишь в условиях комендатского часа. НФГ, другие организации, наоборот, готовы вести его уже сегодня. Ситуация в «народной дипломатии» меняется ежечасно. Так что, в то время, когда вы будете читать этот репортаж, она может поменятся в позитивную сторону. Хотелось бы надеяться на это.

...А Сухуми живет почти обычной жизнью. Работают магазины, обьекты общепита, пошли автобусы, тролейбусы, такси, заработал ряд промышленных предприятий.

Прекратились забастовки и голодовки в Сухумском локомотивном депо. Ожили, загудели рельсы, возобновилось движение по железной дороге.

Итак, движение по железной дороге открыто в восточном и западном направлении: отправилась 10 пассажирских поездов и 6 электричек. Через Сухуми проследовал пассажирский поезд Москва - Ереван.

Георгий АДАМАДЗЕ,

Тамаз ЛОМСАДЗЕ. Спец. корр. «Заря востока», 19 ივლისი.

1989წ. 15 და 21 ივლისს ჯერ **"საბჭოთა აჭარაში"**, შემდგომ კი **"Советская Аджария"**-ში გამოქვეყნდა პარტნომენკლატურული პროპაგანდის მიერ წაქეზებული დოცენტ **მურად ჩავლეიშვილის** სტატია "აჭარის ავტონომიის შესახებ", რომლის აუცილებლობას ავტორი ლენინური ეროვნული პოლიტიკის პოზიციებიდან "ასაბუთებდა". ამ პერიოდში აჭარაში ეროვნული მოძრაობის საპირისპიროდ იმართებოდა ოფიციოზისგან დაქსელილი შეკრებები, რომელთა მესვეურები კრემლს სთხოვდნენ ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენას ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ქართულ ეროვნულ-სახალხო მოძრაობას და მშობლიურ ცნობიერებას კვლავ კრიჭაში ედგა ე.წ. აჭარაში გარდაქმნის მხარდამჭერი ორგანიზაცია.

1989წ. 21 ივლისს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა ბრიფინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრკ შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი **ი.შატალინი** და აფხაზეთის ასსრ შს მინისტრი, გენერალ მაიორი **მ.ჩულკოვი**.

მათ აღნიშნეს რომ სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აფხაზეთის ხელმძღვანელობის (ე.ი. სეპარატისტული ეთნოკრატიის) თხოვნით აფხაზეთში შემოიყვანა 5000 სამხედრო მოსამსახურე.

ი.შატალინის აზრით, ვინაიდან ზუგდიდში შეიქმნა ეროვნული თავდაცვის შტაბი, ექსტრემალური სიტუაციის აღსაკვეთად საჭირო იყო ამ რეგიონში რამდენიმე ათასი შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარისკაცის შემოყვანა.

1989წ. ივლისის ცხარე დღეებში აფხაზეც-სეპარატისტთა ე.წ. სახალხო ფორუმმა **"აიდგილარამ"** არაერთგზის მოითხოვა აფხაზეთის ასსრ-ში დამატებითი საჯარისო კონტინგენტის შემოყვანა, საკომენდანტო საათის გამოცხადება და მთიანი ყარაბახის მსგავსი განსაკუთრებული მმართველობის შემოღება.

1989წ. 21 ივლისს სოხუმში ოფიციოზის ხელშეწყობით შეიკრიბა 1000-მდე "მოწესე ქურდი", რომელთაც საგანგებოდ კეთილმოწყობილ მასწავლებელთა სახლში ჩაატარეს "ყრილობა" (ე.წ. "სხადნიაკი") აფხაზეთში ექსტრემალური ვითარების დარეგულირების

მიზნით (ეს იყო უბედურება, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მხოლოდ მოწესე ქურდი ჰყავდა ჭირისუფლად).

ხელისუფლებამ, რომელიც ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციას ეწეოდა, დასახმარებლად მიმართა დამნაშავეთა სამყაროს. მათგან ზოგიერთს მომავალში **ე.შევარდნაძე** აფხაზეთის საომარ ავანტიურაში მაღალ სამხედრო ჩინსაც უბოძებს.

ამავე დღეებში სტიქიურად, მაგრამ თანდათანობით ამოქმედდა სახალხო დიპლომატია გალის, ოჩამჩირის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონებში, მათ კეთილმოსურნე ძალისხმევით ჩააქრეს არაერთი ფეთქებადი კერა.

როგორც ამ პროცესების მონაწილემ, მე მთელის პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ სოხუმის რაიონში ქართველი და არაქართველი მოსახლეობისათვის ყოველდღიურად ვმართავდით საინფორმაციო მიტინგებს, რომლებზეც გამოდიოდნენ პროფესორი **ფელიქს ტყეებუჩავა,** პედაგოგი **თამარ ოდიშარია, ივანე ხვარცკია** (აფსუა), **ვალერი ხაშბა, ვადიმ თარბა (აფსუები), ვახტანგ** და **ვალერი ქობალიები**, **პავლე კვიკვინია, რეზო ასმავა, ევსტაფი ანასტასიადი (ბერძენი), ვასილ კადენეცი** (რუსი) და მრავალი სხვა, რომელთა ძალისხმევამ განაპირობა ის, რომ სოხუმის რაიონში ყველაზე ადრე დამყარდა საზოგადოებრივი წესრიგი, რამაც თავის მხრივ გავლენა იქონია აფხაზეთის დანარჩენ რაიონებზე.

იმ დღეებში საქართველოს კპ ცკ-ის "მზრუნველობა" აფხაზეთის ქართველებისადმი იმითაც გამოიხატა, რომ ქ.სოხუმში გამომავალი ლიტერატურული ალმანახი **"რიწა"** გადაკეთდა ყოველთვიურ ჟურნალად.

1989წ. ივლისის იმ დღეებს დაემთხვა სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი **"მრგვალი მაგიდა",** რომელიც მიეძღვნა ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხს. საქართველოდან მოწვეული იყო 13 კაცი, რომელთაგან 7 აფხაზეთიდან გახლდათ. ამ 7 კაცის გარდა, რომელნიც ორი თვით ადრე იყვნენ გაფრთხილებული ინსტიტუტის მიერ, სხვა მონაწილეებს საქართველოდან **"მრგვალი მაგიდის"** შესახებ მხოლოდ ერთი კვირის წინ შეატყობინეს. ამ ღონისძიებამ კიდევ ერთხელ გამოავლინა რუსიზმის შოვინისტური ხასიათი.

1989წ. 24 ივლისს გაიმართა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა მიიღო მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი. აღნიშნულმა პლენუმმა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცა და საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის ბიუროს წევრად აირჩია **გ.ანჩაბაძე,** რომელსაც შეუნარჩუნდა საქართველოს კპ ცკ-ის მდივნის თანამდებობაც. პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე და მესამე მდივნებად და ბიუროს წევრებად აირჩიეს **ლ.ხაბურზანია** და **ვ.ავიძბა.** ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანეს **ო.ზუხბაია, მ.წულაძე, ს.თარკილი** და **ზ.ერქვანია.**

1989წ. 25 ივლისს სოხუმის რაიონის სოფელ ბირცხაში გაიმართა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის მრავალათასიანი მიტინგი, ამ ღონისძიებამ დასაბამი მისცა წესრიგის აღდგენას სოხუმის რაიონის მოსახლეობაში. საორგანიზაციო ჯგუფმა მისი წაყვანა დაავალა **ს.საჯაიას.** მიტინგზე მოვიდნენ საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **პ.ჩხეიძე,** საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, სოხუმის ქალაქკომისა და რაიკომის ბიუროთა წევრები და ა.შ.

მომდევნო დღეებში აფხაზეთის რაიონებში გაიმართა პლენუმები და ადგილობრივი საბჭოების სესიები, რომელთაც განაახლეს საკადრო შემადგენლობა. აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა პოლკოვნიკი **გივი ლომინაძე.**

1989წ. 15 აგვისტოს დამტკიცდა საქართველოს კპ ცკ-ის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №927 დადგენილება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ.

1989წ. 15 აგვისტოს აფხაზეთის რადიოს ქართულ გადაცემათა რედაქციამ განცხადებით მიმართა საქართველოს კპ ცკ-ის მდივანს, - აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **გ.ანჩაბაძეს** იმ ანტიქართული გამოხდომების გამო, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ უწყებაში საერთოდ სეპარატისტებისა და აფხაზეთის ასსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან.

1989წ. 19 აგვისტოს პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცკ-ის პლატფორმა _ **"პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში (პროექტი): "საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ითვალისწინებს, რომ აღიარებულია ეროვნული კულტურების თავისთავადობა",** (უფრო მეტიც, იგი ქართულ, ეროვნულ მოძრაობას ძალიან მოხერხებულად დაუქნევს თითს): **"პარტია მტკიცედ გმობს ეროვნული კულტურების შელახვის ყოველგვარ ფორმებს"** (აქ პირველ რიგში მხედველობაშია მიღებული ე.წ. აფხაზური წერილი და ლიხნის მიმართვა, რომელსაც კვლავ ზურგისქარობდა, მაგრამ შენიღბულად ესარჩელობდა კრემლი. ისინი ქართველებს სწორედ "აფხაზური კულტურის გაუკუღმართებაში" სდებდნენ ბრალს.). მაგრამ ამავე დროს და პირველ რიგში სკკპ ცკ-მა მოითხოვა: **"უნდა შევქმნათ პირობები მთელი ქვეყნის მასშტაბით კულტურათა თანამოქმედების ინტერნაციონალისტური პროცესების განვითარებისათვის" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 19 აგვისტო, 1989წ.).**

რაც შეეხება "თანამოქმედების ინტერნაციონალისტურ პროცესებს", იგი სსრკ ხალხთა შერწყმას ნიშნავდა.

1989წ. აგვისტოს ბოლო დეკადაში (ოქროს სეზონი) ბიჭვინთაში ისვენებდა სკკპ პოლიტბიუროს წევრი, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი **ე.შევარდნაძე**.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ე.წ. აფხაზეთის ასსრ) ქართველთსპობითი პოლიტიკის გატარებით აღშფოთებული სოხუმელი ქართველობის წარგზავნილები "დიდ პოლიტიკოსს" პირდაპირ საპლიაჟო ვითარებში შეხვდნენ (**გ.კალანდია, ჯ.ჯანელიძე, ჯ.ჯოჯუა** და სხვები).

ე.შევარდნაძის შესანიშნავი განწყობილებით გაოცებულ დეპუტაციას სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა დაეგმოთ ეროვნული ლოზუნგები და **"აღედგინათ ერთაშორისი ურთიერთობის ლენინური ნორმები".**

ამ დროისათვის სოხუმში კავკასიის ხალხთა ეროვნული მოძრაობების პრეტენზიით შეიკრიბა ჩრდილო კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკათა პარტნომენკლატურული წარმომადგენლობა და კრემლის მითითებით ქართული ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო, ამდენად ანტიკავკასიური სულისკვეთების პოლიტიკური დემარშები მოაწყო. ამ შეკრების შედეგად შეიქმნა ე.წ. კავკასიის ხალხთა ასამბლეის საორგანიზაციო კომიტეტი -АГНК (აქვე გაიმართა ე.წ. მთიელ ხალხთა ასამბლეის მე-3 სესია, რომელმაც მიიღო ანტიიბერიულ-ანტიკავკასიური დოკუმენტები და დაამუშავა კავკასიაში რუსიზმის დასაყრდენი იდეოლოგია).

ასევე, იმხანად ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში სკკპ ცკ-მა წამოიწყო მორიგი პროვოკაცია ეროვნულ-გამათავისუფლებელი ძალების გასაუვნებელყოფად. ამასთან დაკავშირებით **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** ხელმძღვანელობით ვაკის პარკში გაიმართა საპროტესტო მიტინგი. რაკიღა საქართველოსა და კერძოდ, მის სისხლხორცეულ ნაწილში _ აფხაზეთის ქართველთა წიაღში ვერ მოხერხდა ბალტიისპირეთში ინსპირირებული ე.წ. ინტერფრონტების მსგავსი ორგანიზაციების შექმნა, მოსკოვის დივერსიული ხრიკებით, ამის საკომპენსაციოდ აფხაზეთის ასს

რესპუბლიკაში **“აიდგილარასთან”** ერთად შეკოწიწდა ფსევდოკავკასიური მოძრაობა, რომელიც მომავალში კავკასიის ხალხთა კონფედერაციად ჩამოყალიბდა. იგი, როგორც რუსიზმის მეგზური კავკასიაში, ანტიმშობლიური ხასიათისა იყო და საფუძველშივე დაუპირისპირდა იბერიულ-კავკასიურ ცნობიერებას. კრემლმა საკმარისად არ ჩათვალა ეს ძალები და არმენულ მოსახლეობას აფხაზეთში შეუქმნა საზოგადოება **“კრუნკი”,** რუსულენოვან სიმრავლეს _ **“სლავიანსკი დომ”,** იყო მცდელობა ბერძნული მოსახლეობის გადაბირებისაც, მაგრამ ცალკეულ მოქალაქეთა გარდა მათ ვერ შესძლეს აფხაზეთში სრულიად ბერძენთა მიმხრობა. ეს ოქტომბრისენოვანი “საზოგადოებანი” მომავალში გაერთიანდნენ პოლიტიკურ ორგანიზაციად **“Союз”** _ რომელიც მოსკოვის საიმედო დასაყრდენი გახდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

1989წ. 6 სექტემბერს საქართველოს კპ ცკ-ის კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, რომელზეც განიხილეს საკითხი **“სკკპ ეროვნული პლატფორმა”,** მონაწილეობა მიიღო **ე.შევარდნაძემ**.

1989წ. 7 სექტემბერს გულრიფშში დაიწყო ქართველი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის საშიმშილო აქცია იმასთან დაკავშირებით, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ის პირები, რომლებმაც 15-16 ივლისის ცხარე დღეებში აფხაზეც სეპარატისტთა ბოევიკების თავდასხმისაგან დაიცვეს მოსახლეობა, აქცია ერთ თვეს გაგრძელდა, ხელისუფლება იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო და 15-16 ივლისსა და მომდევნო დღეებში ერის სადარაჯოზე მდგარი პიროვნებები გათავისუფლდნენ საპატიმროებიდან.

1989წ. სექტემბერში გუდაუთაში აფხაზეცმა ბოევიკმა **ზურაბ ლომაიამ** გადასწვა ქართველთა 6 გარაჟი და ორი საცხოვრებელი სახლი.

საცხოვრებელი სახლი სეპარატისტმა ექსტრემისტებმა ნაცარტუტად უქციეს ქ.სოხუმში თბილისის გზატკეცილზე მცხოვრებ მოქალაქე **რუსუდან ქორჩილავას**, ხოლო ქ.ტყვარჩელში, ასევე სეპარატისტებმა გადასწვეს ქართული საშუალო სკოლა.

1989წ. სექტემბრის პირველ ნახევარში სეპარატისტები გაიფიცნენ გუდაუთის, ოჩამჩირის, გაგრის, ტყვარჩელისა და ბიჭვინთის ზოგიერთ მცირე საწარმოში. გაფიცულთა მოთხოვნები კვლავაც ანტიქართული და დემაგოგიური რჩებოდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი მიმართვა. აქცია, რომელიც აშკარად რუსისტულ-წამქეზებლურ ხასიათს ატარებდა, როგორც ყველა სეპარატისტული პროვოკაცია, ოფიციოზის ხვეწნა-მუდარის, დაყვავებისა და დაპირებების შემდეგ შეწყდა.

გაფიცულთა ერთ-ერთი მოთხოვნა, _ შეჩერებულიყო 15-16 ივლისის გარემოებათა გამოძიება, სსრკ გენერალურმა პროკურორმა **ა.სუხარევმა** აქციის დამთავრებამდე შეასრულა, მან ოფიციალური მითითება მისცა საქართველოს პროკურორს **ვ.რაზმაძეს** და აფხაზეთში სსრკ პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფს, შეეჩერებინათ გამოძიება ყველა საჭირო გარემოების გარკვევამდე.

ამასთან დაკავშირებით შედგა გუდაუთის რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც მხარი დაუჭირა და მთლიანად მოიწონა სსრკ პროკურატურის ლენინური ზრუნვა პატარა ხალხებისადმი.

1989წ. 17 სექტემბერს გაზეთ **“Известия”**-ში გამოქვეყნდა **რ.ტალიშინსკის** სტატია “აზერბაიჯანის ინიციატივა”: აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომისიამ (თავმჯდომარე აზერბაიჯანის სსრ აკადემიის წევრ-

კორესპონდენტი **ა.დაშლამიროვი**) საქართველოსა და არმენეთის უმაღლესი საბჭოების შესაბამისი კომისიებისათვის გამოუგზავნია სათანამშრომლო ოქმის პროექტი.

აღნიშნული პროექტი მთლიანად და სავსებით უგულვებელყოფდა ქართველი ერისათვის სასიცოცხლო ერთაშორისი პრობლემების მოგვარებას, პირიქით მასში "დასაბუთებული" იყო და "რჩევის" სახით გადმოცემული გახლდათ საქართველოს სს რესპუბლიკაში ერთაშორისი ურთიერთობების "დემოკრატიულ საწყისებზე გარდაქმნის ლენინური ნორმები".

ის ეხებოდა პირველ რიგში აზერბაიჯანელი მოსახლეობის (ფორმულირება: "ჩვენი ხალხები და რეგიონები") უფლებების გაზრდას საქართველოში.

მოგეხსენებათ, რომ ამ დროისათვის სსრკ ხელისუფლების მიერ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისათვის ბოძებულ ოდინდელ ქართულ მიწაზე, ე.წ. საინგილოდ წოდებულ მხარეში მძვინვარებდა აზერბაიჯანის ხელისუფლებისაგან ორგანიზებული ქართველთა ეროვნული და სარწმუნოებრივი ასიმილაცია. აქ აულაგმავი რეპრესიების ქვეშ მოექცა ქართული ცნობიერება. ბაქოს ექსტრემისტული ძალები და მათი "მეცნიერები" "ასაბუთებდნენ" ე.წ. ინგილოთა (ჰერთა) არაქართველობას, მათი მეტყველების "არაქართულობას" და ა.შ. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ქართული ქველმოქმედება, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსკურსიები, სახელმძღვანელოების ჩატანა, ქართული გვარ-სახელისა და ტოპონიმიკის აღდგენის მოთხოვნა, ქრისტიანული სარწმუნოების აღორძინება ხელისუფლების მხრიდან ამ მხარეში იდევნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანი მისატაცებლად დღემდე ეპოტინება ქართველთა სიწმინდეს _ დავით გარეჯს და მცოცავი ბაცაცობით ქართული მიწებიდან იფართოებს საძოვრებს.

სამწუხარო ისაა, რომ საქართველოს სსრ ხელისუფლება, ჯერ კიდევ **1921** და განსაკუთრებით **1972 წლიდან,** ყოველმხრივ ალამაზებდა და ჩქმალავდა აქ წამოჭრილ დავიდარაბას.

დიახ, საქართველო-აზერბაიჯანის ოფიციალურ საზღვარზე განუკითხავად ნადგურდებოდა ქართული კულტურის ისეთი ბრწყინვალე ძეგლი, როგორიცაა დავით გარეჯის კომპლექსი. როგორც ვიცით, მისი ნაწილი, აზერბაიჯანის სსრ-ში მოექცა. ერთ დროს კულუარული საუბარი ოფიციოზის მხრიდანაც იყო, რათა ეს ნაწილი, სანაცვლო მიწების ფასად, საქართველოსათვის გადმოეცათ, რასაც აზერბაიჯანის მხარე არ თანხმდებოდა. აი, საქართველოს ხელისუფლების მთელი მამულიშვილობა და აზერბაიჯანელთა მთელი ინტერნაციონალიზმი. სამაგიეროდ, ხალხთა ურთიერთობაში ლენინური ნორმებით მოხელმძღვანელე ხელისუფლებათა ყურადღება ამ დროისათვის მიპყრობილი იყო იქითკენ, თუ როგორ გაეყვანათ ტრანსკავკასიის რკინიგზა ფშავ-ხევსურეთში და როგორ აეჭრელებინათ დემოგრაფიულად ეს უნიკალური მხარე, ანუ რუსთა ახალი სტანიცებით როგორ "გაესხვაქვეყნებინათ" მამულის მორიგი გოჯი.

საქართველოს ხელისუფლების დანაშაულებრივი წაყრუებით **1972 წელთან** შედარებით ე.წ. წითელი ხიდის მიდამოებში აზერბაიჯანის სსრ-ის ფარგლებში აღმოჩნდა 300 ჰექტარი ხეხილის ბაღები, ვენახები და სხვა სავარგულები (გაზ. **"ახალგაზრდა ივერიელი", 1989, 24 აპრილი,**).

უნდა შეგახსენოთ, რომ საინგილოში აზერბაიჯანელი ექსტრემისტები სასტიკად არბევდნენ და ატერორებდნენ ქართული კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით იქ მომუშავე ქართულ სამეცნიერო ექსპედიციებსაც.

ბელაქანის, ზაქათალის, კახისა და შაქის რ-ნში მცხოვრები მოსახლეობიდან ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, რაკიღა ისინი მაჰმადიანი ქართველები გახლავან, აზერბაიჯანის ხელისუფლების სასტიკი ასიმილაციის წყალობით აზერბაიჯანელებად არიან აღწერილი. აქ ერთ-ერთი მმაჩის

ბიუროში ბავშვი ვერ გაატარეს ორი წლის მანძილზე რეგისტრაციაში მხოლოდ იმიტომ, რომ მის მშობლებს სურდათ მისთვის **გიორგი** დაერქმიათ (გაზ. **"ლიტერატურული საქართველო", 13 იანვარი, 1989წ.**).

ყოველგვარი თხოვნის წერილი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა აგზავნიდა მოსკოვში საკუთარი ეროვნების აღდგენის შესახებ (განსხვავებით აფხაზეც-სეპარატისტთა წერილისა, რომელსაც მოსკოვი მზრუნველობით ეკიდებოდა), ბაქოს გადაეცემოდა ზომების მისაღებად, საიდანაც შესაბამისი კომისიები ახალი სარეპრესიო მისიით ჩამოდიოდნენ "წერილში მოყვანილი ფაქტების სისწორის შესამოწმებლად". თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ **1959 წლის** აღწერით აზერბაიჯანის სსრ-ში (საინგილოს გარეთ) ცხოვრობდა 10000-მდე ქართველი, ხოლო **1979 წლის** აღწერის დროს არც ერთი, გასაგებია ქართველთა საწინააღმდეგო რეპრესიულ-ასიმილატორული სისასტიკის მასშტაბები ჩვენს "მოძმე" რესპუბლიკაში (აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ძირძველი ქართველი მოსახლეობა "უკვალოდ" გაქრა ქ.სოჭის და მის მიმდებარე რაიონებიდან, ასევე ჩრდილო კავკასიის რიგი ხეობებიდან).

1988-89 წლებში ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით ფარდა აეხადა საქართველოს ტერიტორიის პერმანენტული ოკუპაციის (ჩამოჭრების) არაერთ შემთხვევას, რომელთაგან, როგორც ქურდბაცაცობის სახეზოგადი ილეთი, ამჯერად შევჩერდები მოძმე "არმენეთის" მიერ **ჰუჯაბის** ტაძრის მიტაცების ხელნამრუდობაზე (**XIII-საუკუნის** ქართული ხუროთმოძღვების შესანიშნავი ძეგლი და მშობლიური სულიერების მნიშვნელოვანი კერა).

საქმე ისაა, რომ ისევე, როგორც აზერბაიჯანის სსრ-ის მხრიდან, არმენეთის სსრ საზღვარზეც "ღობის მცოცავი გადმოწევის" წამგაუცდენლად მიზანმიმართული უწყვეტობის შედეგად, საზღვარმა საქართველოს სსრ შიგნით ზოგან რამოდენიმე კილომეტრით გადმოიწია.

აი, ასეთი გახლდათ ძირითადად "გულმხურვალე" მეზობლების მხრიდან "ხალხთა ლენინური ურთიერთობა" საქართველოს მიმართ, რომელიც 70 წლის მანძილზე თანმიმდევრულად ასხვისებდა ქართულ მიწებს. ამ პროცესის ახალი, აქტიური აღმავლობა დაიწყო **1972 წლიდან,** როცა კრემლის მრისხანე თითისქნევითა და ადგილობრივი კოლაბორაციონისტების **(ე.შევარდნაძის)** თავკაცობით საქართველო იქცა "მასების ინტერნაციონალური აღზრდის ლაბორატორიად!"

1989წ. 19 სექტემბერს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კპ ცკ-ის კონცეფცია (პროექტი) საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების შესახებ. მასში დაისვა საკითხი 1918, 1919, 1921 წლებისა და განსაკუთრებით **25 თებერვლის** საკითხის გადასინჯვის შესახებ. აქ იყო პოპულისტური მსჯელობანი იმის შესახებ, რომ: **"საჭიროა გავთავისუფლდეთ ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის, საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალების არსის არასწორი გაგებისაგან, ეროვნული პრობლემების უგულელყოფისაგან" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1989, 19 სექტემბერი).**

საქართველოს კპ ცკ-ის კონცეფცია საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების შესახებ სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა დროებითი და იძულებითი უკანდახევა. კომუნისტური პარტია, რომელიც იმხანად სულ უფრო და უფრო სახელგატეხილი გახდა, "აღიარებდა", თან ვითომცდა "დასაშვებადაც კი" მიაჩნდა ისეთი **"ნებისმიერი ოპოზიციური მოძრაობა, თუკი იგი არ ეწინააღმდეგება სსრკ და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს" (იქვე).**

1989წ. 19 სექტემბერს გაიმართა სკკპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი სკკპ 28-ე ყრილობის მოწვევის შესახებ. ამავე დროს პლენუმმა იმსჯელა იმაზეც, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის კურსი: **"უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ შევთანხმდით ეროვნული პოლიტიკის საკვანძო**

საკითხებზე. ჩვენ გვესმის, რომ ეროვნებათშორის ურთიერთობებში დაგროვილი ყველა საკითხი შეიძლება გადაწყდეს ჩვენი ფედერაციის შემდგომი განვითარების ფარგლებში, ყოველივე შექმნილის გამოყენების, რესპუბლიკის სუვერენიტეტის რეალური შინაარსით შევსების, ავტონომიური ფორმირებების უფლებათა გაფართოების, ქვეყნის ყველა რეგიონის შესაძლებლობებისა და უფლებების განვითარების საფუძველზე" (მ.ს.გორბაჩოვის მოხსენებიდან. გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1989, 23 სექტემბერი).

ავტონომიურ ფორმირებათა უფლებების გაფართოება რსფსრ-ში, სადაც ავტონომიები დაპყრობილი ქვეყნებია, სულ სხვაა, მაგრამ იგი რადიკალურად განსხვავებული, ანუ ოკუპანტურია საქართველოში, სადაც ეს ავტონომიები სისხლხორცეულ ქართულ მიწაზეა უკანონოდ შექმნილი.

ამ დროისათვის სკკპ ცკ გეგმაზომიერად ეწეოდა იმ აზრის შემოპარებას, თითქოსდა "ლენინური ეროვნული პოლიტიკის" გამარჯვება და სსრკ ხალხთა "ბედნიერება" მიიღწეოდა ერთიანი ძლიერი ცენტრისადმი (მოსკოვისადმი) მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური წარმონაქმნების ჰორიზონტალური დაქვემდებარებით.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცკ.-ის პირველმა მდივანმა **გ.გუმბარიძემ**, რომელმაც ნახევარსიმართლის თქმის ფორმით, მართალია, წამოაყენა რიგი პრობლემები, მაგრამ მათი საბჭოთა ფაბრიკაციული შინაარსი არ ახსნა (ვერც ახსნიდა) და გამოსავალს სკკპ ცკ-ის "ბრძნულ ეროვნულ კონცეფციებში" დაუწყო ძებნა: **"ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობა თანმიმდევრობისა და სიმტკიცის დეფიციტი რესპუბლიკებისათვის შესაბამისი პოლიტიკური და მაშასადამე, ეკონომიური უფლებების მინიჭებისას. ყოველი ნაბიჯი უდიდესი ძალისხმევის ფასად გვიჯდება. პარტიული პლატფორმის პროექტი, რომელსაც, საქართველოს საზოგადოებრიობის აღიარებით, მთლიანად რეალური წვლილი შეაქვს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ეროვნებათშორის ურთიერთობათა სრულყოფაში, ამასთანავე, მაინც არასაკმარისად ამკვიდრებს ამ უფლებებს, ზოგჯერ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს, რაც აისახა ჩვენს შენიშვნებსა და წინადადებებში, სკკპ ცკ-ს რომ გავუგზავნეთ"... "ეროვნული ფაქტორების გაფართოება უკლებლივ ყველა სფეროში, _ ეს ჩვენი უდიდესი სიმდიდრე და უხვი რეზერვია"... "სწორედ ამ მიზნით, რესპუბლიკური პარტორგანიზაციისა და საზოგადოებრიობის ინიციატივით შემუშავდა საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების პროექტი. იგი რესპუბლიკის თავისებურებების, მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების უმდიდრეს გამოცდილებას ეყრდნობა"... "დიახ, აფხაზ ხალხს თავს დაატყდა უბედურება და გაჭირვება პიროვნების კულტის ტრაგიკულ ხანაში..." "ეროვნებათშორისი ურთიერთობის განვითარების, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების პრობლემები დღევანდელობის ურთულესი რეალობაა, გარდაქმნის განუყოფელი ატრიბუტია, დემოკრატიის გზაზე მას არა აქვს ალტერნატივა. მეორე გზა _ მხოლოდ კონფრონტაციაა" (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 29 სექტ. 1989წ.)**

ამრიგად, სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმმა მიიღო სკკპ ცკ-ის ე.წ. ეროვნული პლატფორმა, რომელიც საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული დივერსიების ახალ ტაქტიკურ ვერაგობებს მოიცავდა.

1989წ. 22-23 სექტემბერს მოსკოვში რსფსრ უზენაესი საბჭოს ყრილობათა დარბაზში გაიმართა სსრ კავშირში საკუთარი სახელმწიფოებრიობის არმქონე ხალხების პირველი ყრილობა. უსამშობლო, ეროვნებადაკარგულმა, ავანტიურისტული ინტერფრონტის ეთნონედლეულმა, ოქტომბრისენოვანმა "ხალხებმა" მოიწონეს ლენინური ინტერნაციონალიზმი და დაადგინეს: **"Мы решительно выступаем за сохранение Союза суверенных республик по основе объявленной федераций, который является гарантом**

суверенности, самобытности наших народов” («Кавказ», 1 окт. 1990г.ვრცლად იხილეთ გაზეთი “ცხუმი” №14-15 1993წ. 30 აპრილი).

1989წ. 30 სექტემბერი, გაზეთი “საბჭოთა აფხაზეთი” იუწყებოდა, რომ _ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება **“ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშის, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პირობებში აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციის შემუშავების შესახებ”.** ეს დოკუმენტი ოპერატიული გამოხმაურება გახლდათ სკკპ ცკ-ის სათანადო დადგენილების იმ ნაწილისა, რომელიც ავტონომიურ ფორმირებათა უფლებების გაფართოებას ითვალისწინებდა. მას დივერსიული ხასიათი გააჩნდა.

1989წ. 30 სექტემბერს გაზეთმა **“Советская Абхазия”**-მ გამოაქვეყნა პროფესორ შოთა ლაშხიას (ქართველი) _ აფხაზეთის **ა.მ.გორკის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის გამგის წერილი, რომელშიც ავტორი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ძირძველი მოსახლეობის დაუკითხავად სცნობდა საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული დივერსიის შედეგებს აფხაზეთში.

იგი ქართულ რეციდივად მიიჩნევდა პიროვნების კულტის (ბოლშევიკური ტირანიის) რეციდივებს და მიზნობრივ-დაკვეთილი თითისქნევით მიმართავდა მკითხველს კინაღამ იმის მოთხოვნით, რომ რუსიზმის ტორებისათვის ჩვენ, ქართველებმა მოვიხადოთო ბოდიში: **“საბჭოთა პერიოდში აფხაზმა ხალხმა, მართლა მიაღწია ეროვნულ თავისთავადობასა და სახელმწიფოებრიობას, მის წინაშე გადაიშალა სარბიელი კონსოლიდაციის და ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ მან, ისე როგორც სსრკ მრავალმა ხალხმა, ვერ აიცდინა სტალინ-ბერიასეული თვითნებობა”** (და თუ რა საორგანიზაციო დასკვნები იგულისხმება ამ დებულებაში, ამის გასარკვევად შეიხსენეთ სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის მიერ **1956 წელს** ქართველი ერისათვის თითქმის ყოველგვარი უფლების აყრა, შეფარვით გამოცხადება “დამნაშავე” ხალხად და მისი ციმბირში გადასახლების საკითხის დაყენებაც კი).

ამ სტატიას **1990 წლის 13 იანვარს** გაზეთ **“საბჭოთა აფხაზეთში”** უპასუხა პროფესორმა **ვ.ქარჩავამ,** რასაც მოჰყვა პასუხის _ პასუხი და ა.შ. მაგრამ არც ერთ მხარეს არ აუხსნია მთავარი, როგორ უნდა მოხერხებულიყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში საბჭოთა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული კონსტრუქციების დემონტაჟი, როგორც სახელმწიფოებრივ წყობაში, ასევე ცნობიერებაში, როგორ აღგვედგინა ცხუმ-აფხაზეთში დასაბამისმიერი მოსახლეობის _ ქართველების (იგივე აფხაზების) უფლებები, რანაირად მიგვეღწია ცხოვრების არა ლენინური, არამედ ძუძუმტეობითი წესრიგის კვლავაღდგომისათვის, ამისდა მიხედვით უნიტარულ საქართველოს სახელმწიფოში რა გზით მოგვეწყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ე.ი. ცხუმ-აფხაზეთში ქართველი და აფსუა მოსახლეობის სახლიკაცური ურთიერთობის აღორძინება.

1989წ. 3 ოქტომბერი. რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ.თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის დასკვნა.

1989წ. ოქტომბრის პირველ დღეებში სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები **ვ.ცო, ა.კორშუნოვი** და **ა.ცარევსკი** აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ. ისინი შეხვდნენ სეპარატისტი გაფიცულების ლიდერებს გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ტყვარჩელსა და გაგრაში.

გაფიცულებს დაპირდნენ მათი პრობლემების მოგვარებას “ავტონომიურ ფორმირებათა უფლებების გაფართოების” შესაბამისად. კრემლის მიერ გააბლაბუდებული “გაფიცვა” ამით დამთავრდა.

1989წ. 11 ოქტომბერი. თბილისში, სპორტის სასახლის წინ დაიწყო საქართველოს ახალგაზრდობის საპროტესტო აქცია, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა საოკუპაციო არმიაში ქართველი ახალგაზრდობის სამსახურის წინააღმდეგ.

1989წ. 13 ოქტომბერს სოფ. ბორითში საეჭვო ავტოკატასტროფაში მოჰყვა ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი უღალატო თაოსანი **მერაბ კოსტავა,** რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა (მასთან ერთად იყვნენ და დაშავდნენ **თამრიკო ჩხეიძე** და **ზურაბ ჭავჭავაძე**. **ზურაბ ჭავჭავაძე** მიღებული მძიმე ტრავმის შედეგად უფრო გვიან ასევე გარდაიცვალა).

მერაბ კოსტავას მკვლელობა, ყველა საფუძველი არსებობს საამისოდ, რათა მიჩნეული იქნეს სუკის მიერ ორგანიზებულ ანგარიშსწორებად.

ქართველმა ერმა **ზ.გამსახურდიას** თაოსნობით ღირსეული პატივი მიაგო ეროვნული ძალისხმევის რაინდს. იგი ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ აღიარებულ იქნა ეროვნულ გმირად და დაიკრძალა მთაწმინდაზე.

მ.კოსტავას დაკრძალვის დღეს ცხუმ-აფხაზეთში, საიდანაც ქართული ეროვნული მოძრაობის საგრძნობი ნაწილი თბილისს გამოემგზავრა სამგლოვიარო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, აფხაზეცმა სეპარატისტებმა სცადეს არაერთი ნიშნისმომგები პროვოკაციის დახლართვა. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მან ოჩამჩირეში, რომელიც ქართული ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით გაუვნებელყოფილი იქნა (ოჩამჩირეში სოხუმიდან მივლინებული იყვნენ: **მ.პატარაია** და **ს.საჯაია,** რომლებმაც ოჩამჩირის ადგილობრივ მამულიშვილებთან ერთად შეძლეს თავიდან აეცილებინათ გაუგებრობები).

1989წ. ოქტომბერში, აფხაზეთის ასსრ ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა აფხაზური ენის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც აფხაზეთს საბოლოოდ აკანონებდა ფაბრიკაციული აფხაზეცობის კუთვნილებად. ამ პროგრამის პრეამბულაში ნათქვამი იყო: **"აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის და აგრეთვე, სსრკ სხვა რესპუბლიკებთან ურთიერთობის ენას წარმოადგენს რუსული ენა" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1989, 20 ოქტომბერი).** აი, როგორ ზრუნავდნენ სეპარატისტები "მშობლიური" "აფხაზური" ენის პროგრამაში რუსული ენის მარადიულყოფაზე.

1989წ. 25 ოქტომბრიდან აფხაზეც-სეპარატისტთა ე.წ. სახალხო ფორუმის ორგანო **"ედინენიე"** პერიოდული გაზეთი გახდა, რომელმაც განაგრძო ანტიქართული პროპაგანდა და ქართველებზე ცილისწამების გავრცელება.

1989წ. 26 ოქტომბერი. აფხაზეთში მცხოვრები ქართველი საზოგადოებრიობის მიერ მთავრობისადმი წაყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ქ.თბილისში, სამხატვრო გალერეის წინ, აფხაზეთის ქართველი საზოგადოებრიობის 66-მა დელეგატმა (სხვები ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააკავეს სოხუმში) მჯდომარე აქცია დაიწყო. მოთხოვნა პირველ რიგში ეხებოდა აფხაზეთში 1989 წლის განმავლობაში განხორციელებული ქართველთა დარბევების გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას.

საოკუპაციო ჯარის მიმართ საპროტესტო და აფხაზეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი აქციები **5 ნოემბრიდან** გაერთიანდა და მთავრობის სახლის წინ გაგრძელდა.

1989წ. 29 ოქტომბერი. საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა მიიღეს ერთობლივი კომუნიკე, რომლის საფუძველზეც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია **(ი.წერეთელი, თ.სუმბათაშვილი, თ.ფიფია), წმიდა ილია მართლის** საზოგადოება **(ი.ბათიაშვილი, ვ.ადამია, გ.გოგბაიძე),** საქართველოს ჰელსინკის კავშირი **(ზ.გამსახურდია, ა.რცხილაძე, თ.ქორიძე),** საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია **(გ.ჭანტურია, ი.სარიშვილი, ი.ქადაგიშვილი),** ეროვნული სამართლიანობის პარტია **(ი.შენგელაია, ი.მელაშვილი, ზ.ზარიძე)**, მონარქისტული პარტია **(თ.ჟორჟოლიანი, ი.ფავლენიშვილი, გ.ხონელიძე),** საქართველოს

დემოკრატიული პარტია **(ვ.მთავრიშვილი, ვ.ტალახაძე, თ.შარმანიშვილი),** ქრისტიან დემოკრატიული ასოციაცია **(ი.კაკაბაძე, შ.ვასაძე, დ.გამყრელიძე),** საქართველოს ეროვნული ღირსების კავშირი **(გ.კორძაძე, თ.დიხამინჯია, ჯ.ხუნდაძე)**, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი (აფხაზეთი) _ ჩამოყალიბდნენ საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტად.

1989წ. ოქტომბერში ქ.სოხუმის მე-6 საშ. სკოლაში დაიწყო მოსწავლეთა გაფიცვა იმის გამო, რომ სკოლის შენობაში ოფიციოზის მითითებით სამეცადინოდ არ შეუშვეს ქართული უნივერსიტეტის პროფესორ- მასწავლებლები.

ამასთან დაკავშირებით პარტიის საოლქო კომიტეტის სექტორის გამგე **ვ.ალექსანდროვი,** აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე **ვ.გასვიანი,** ქ.სოხუმის განათლების განყოფილების გამგე **მ.მალიშავა** ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან ერთად საკითხის გადასაწყვეტად შეხვდნენ აფხაზეთის საზოგადოებრიობას.

1989წ. ოქტომბრის ბოლოსათვის "ოსეთის მშრომელებისა" და "ადამონ ნიხასის" სახელით სკკპ ცკ-ს, სსრკ უმაღლეს საბჭოსა და სსრკ მინისტრთა საბჭოს გაეგზავნა ე.წ. მიმართვა, რომლითაც ოსი აგრესორების მორიგი ცილისწამება და დაბეზღება მიეწოდა კრემლს: **"საქართველოს მთავრობის ზემოთაღნიშნული დადგენილება თავისი შინაარსით (საუბარია ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაზე. ს.საჯ.), რესპუბლიკის არაქართული მოსახლეობის, კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხალხთან მიმართებაში ანტიდემოკრატიული და დისკრიმინაციულია" (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1989, 20 ოქტ.).** ამიტომ ისინი სკკპ ცკ-ის პლენუმზე მოითხოვდნენ განხილული ყოფილიყო და გადაწყვეტილიყო ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთების საკითხი.

1989წ. 17 ნოემბერს ქ.პრაღაში "თანამედროვე მსოფლიო წესრიგმა", რომლის აქტივისტიცაა **ე.შევარდნაძე,** ზუსტად იმავე სცენარითა და იარაღით მოაწყო ახალგაზრდობის ხოცვა-ჟლეტა, როგორც თბილისში 9 აპრილს. 56 ადამიანი სასტიკი ძალადობის შედეგად დიღუპა.

1989წ. 18 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად, ეროვნული მოძრაობის ზეწოლის შედეგად, განიხილა საკითხი **1920 წლის 7 მაისს** რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების რუსეთის მხრივ დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასების მიცემის შესახებ, რაზედაც მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება. განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი საქართველოს მოქალაქის სტატუსის თაობაზე, ასევე მიღებულ იქნა დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესების შესახებ. რაც მთავარია, სესიამ ასევე საფუძვლიანად განიხილა 9 აპრილის საკითხი. ამასთან დაკავშირებით სათანადო კომისიის დასკვნა მიღებული იქნა ცნობად. ამავე სესიამ საქართველოს რიგ ქალაქსა და რაიონს ისტორიული სახელი აღუდგინა. ამასთან ერთად სესიამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნების ჩატარება **1990 წლის 25 მარტს**.

ამავე სესიამ განიხილა ასევე საკითხი საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის შესახებ, აქვე მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმულ საკითხთა შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ.

ამ კომისიამ შემდგომში წარმოადგინა კვალიფიციურად შედგენილი და ყოველმხრივ დასაბუთებული **"სამხრეთ ოსეთის აო-ს სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა".** უნდა ითქვას, რომ ამ ნაშრომში ობიექტური და კვალიფიცირებული მსჯელობაა

აღნიშნულ პრობლემაზე (იგი ცალკე წიგნად გამოიცა **1991 წელს** საზოგადოება **"ცოდნის"** მიერ).

საინტერესოა, რომ ამ სესიაზე აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ.ჩიგოგიძემ** "აჭარულ სეპარატიზმზე" ილაპარაკა. სამწუხაროდ, მან იგი დაახასიათა მიკერძოებული ნახევარსიმართლით და არ ახსენა ლენინურ-ქემალისტური საწყისები ამ ტენდენციაში.

ეროვნული მოძრაობის ჩანაფიქრით ამ სესიაზე **ნ.მგალობლიშვილს**, რომელიც საგანგებოდ ამ მისიისათვის იქნა ეროვნული მოძრაობის მიერ დელეგირებული საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, უნდა წარმოედგინა მოხსენება აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ. სამწუხაროდ, ის უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ამომრჩეველთა განაწესს და მოხსენება არ დაწერა, ზეპირი გამოსვლით კი ვერ შეძლო საკითხის გაშუქება.

ამ დროისათვის ცხუმ-აფხაზეთში აფხაზეთის ოფიციოზის "ქართული" პარტოკრატიული ნაწილი ცდილობდა (და ახერხებდა) ეროვნული მოძრაობის რიგი ნაცადი წევრების ბლოკირებას და მათ მაგივრად საეჭვო კომპეტენციის "არაფორმალების" დარაზმვას. შეიქმნა ე.წ. დირექტორატი, რომელსაც ძირითადად ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ასსრ ავტონომიური რესპუბლიკის შს სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის _ **გივი ლომინაძის** თაოსნობით. მათ შესძლეს ჯერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ხოლო შემდგომში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის **ნ.მგალობლიშვილის** თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცევა. იმის ნაცვლად, რომ **ნ.მგალობლიშვილი** დასაქმებულიყო ერთიანი ანტიიმპერიული (ანტირუსული) მოძრაობის კონცეფციის დამუშავებით, მას თავს მოახვიეს პარტნომენკლატურული ლოზუნგი ე.წ. 17-47 პროცენტისა და დირექტორადიც ითხოვდა ამისდა მიხედვით თანამდებობების განაწილებას). მოგეხსენებათ, რომ 1989 წლის აღწერით აფხაზეთში ქართული მოსახლეობა იყო 47%, ხოლო აფსუა _ 17%

სამწუხაროდ, იგი (ნ.მგალობლიშვილი) ძირითადად დასაქმდა ცალკეული აფხაზეცი ნომენკლატურის მუშაკთა შესახებ კომპრომატების შეგროვების საძრახი საქმიანობით. უფრო მეტიც, საეჭვოდ დაიწყო ეროვნულ მოძრაობაში უნდობლობის დაქსელვა.

1989წ. 10 ნოემბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს სესიამ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნისა და ოსური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, ოსი ექსტრემისტების მასობრივი მანიფესტაციებით და ზარ-ზეიმით აღინიშნა. ყოველივე ამან კრიტიკულ ზღვრამდე დაძაბა ვითარება (აქვე დავძენთ, რომ ოსი მოსახლეობა კრემლის ფარული მითითებით ორთვენახევრის განმავლობაში გაფიცული იყო. მათ მიერ ყოველდღე ტარდებოდა საპროტესტო მიტინგები). კვირა არ გაივლიდა, რომ რაიმე ექსცესს არ ჰქონოდა ადგილი. 7 ნოემბრის საბჭოთა აღლუმიც "ადამონ ნიხასის" ლიდერებმა მიიღეს.

1989წ. 7 ნოემბერს საქართველოს კპ ცკ-მა, "მიიღო რა მხედველობაში" რესპუბლიკაში შექმნილი მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ტრადიციული პარადის ნაცვლად საზეიმო შეკრება გამართა.

1989წ. ნოემბრის შუა რიცხვებიდან მისაღები გამოცდები ჩაატარეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში და **ი.ჯავახიშვილის** სახელობის თსუ-ს სოხუმის ფილიალად წოდებულ უმაღლეს სასწავლებელში.

1989წ. 23 ნოემბერს ცხინვალის მისადგომებთან მოგროვდა 50000 ქართველი მამულიშვილი, რომელიც სამშვიდობო აქციისა და ახსნა-განმარტებითი მიტინგის ჩატარებას ცდილობდა. საქართველოს კპ ცკ-ის საეჭვო პოზიციით ხელფეხგახსნილმა

ე.წ. ავტონომიური ოლქის საინფორმაციო სამსახურმა მიტინგის ჩატარების მცდელობა წინასწარ ოსი ხალხის წინააღმდეგ ქართულ აგრესიად გააშუქა და უკიდურესად დაძაბა ვნებათაღელვა. პროვოკატორებმა სამასამდე ოსი ფანატიკოსი შეაგდეს ქართველთა კოლონაში. მათ სურდათ უმართავი სიტუაციის პროვოცირება, რათა შექმნილიყო ისეთი სურათი, თითქოს ქართველებმა ბრძოლით გადაუარეს ოსებს და სისხლის ფასად აიღეს ცხინვალი.

ოსებსა და ქართველებს შუა ჩადგა მობილიზებული მილიციის კორდონი. რუსიზმის ადგილობრივმა ოსმა მეგზურებმა და ოლქის ოფიციოზმა ოსი ფანატიკოსები გამოაცხადეს უმართავ მასად, რომელიც სინამდვილეში ძალიან კარგად და ზედმიწევნით ზუსტად იმართებოდა პროვოკაციის დამკვეთისგან. ფანატიკოსთა ბრბო წარმოადგენდა მეთოდურად დამუშავებულ, ყალბი ინფორმაციით მოწამლულ საზარბაზნე ხორცად გამეტებულ ხროვას, რომლებიც ასეთი არგუმენტებით ამტკიცებდნენ ქართველთა აგრესიას: **"ისტორიული სახელი სტალინირი ქართველებმა შეცვალეს საიდანღაც მოთრეული სახელით ცხინვალით".**

1989 წლის 23 ნოემბრის ავანტიურისნაირი პროვოკაციები ყოველწამიერად მოსკოვიდან იმართებოდა. უფრო მეტიც, ცხინვალში სასწრაფოდ, ეთნოკონფლიქტის აღკვეთის საბაბით, რსფსრ ტერიტორიიდან მოვლინებული იქნა სამხედრო ნაწილები, რომლებიც საქართველოს შს სამინისტროს არ ემორჩილებოდნენ, ის კი არადა, ცხინვალში ქართულ მილიციას იარაღი აჰყარეს.

ასეთ ვითარებაში საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტმა და ეროვნული თავდაცვის შტაბმა მიიღო გონივრული გადაწყვეტილებები და არ წამოეგო კრემლის მიერ დაგებულ ხაფანგს. არ მოიხვია თავს ახალი სისხლისღვრა.

საბჭოთა სპეცსამსხურების მიერ ქართველი პატრიოტების თავმოყრისა და მსვლელობის ადგილები საგანგებოდ იქნა დანაგვიანებული ნახმარი შპრიცებითა და ნარკოტიკების ამპულებით, სიგარეტებით, პაპიროსებით, ალკოჰოლური სასმელების ბოთლებით, პრეზერვატივებით, რათა შექმნილიყო სურათი, თითქოს ცხინვალისკენ ნარკომანებისა და ხულიგნების ხროვა მოიწევდა.

1989 წლის 23 ნოემბრის აქციის შესახებ, ვრცელი მასალა გამოაქვეყნა გაზეთმა <u>"საქართველომ"</u> (№41 1989წ. 15 დეკემბერი). <u>"კრემლის მიერ შემუშავებული სცენარები ძალიან ჰგავს ერთმანეთს ანუ როგორ შეხვდნენ ოსები მშვიდობიან მომიტინგეებს".</u>

23 ნოემბერს უნდა გამართულიყო ქართველი საზოგადოებრიობის მშვიდობიანი მიტინგი ცხინვალში, აქამდე რამდენიმე შეხვედრა შედგა ოსი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, რომლებიც მოითხოვდნენ მიტინგის გადადებას. ცხინვალის ქართველი მოსახლეობის მოთხოვნითა და თხოვნით მიტინგი არ გადაიდო.

23 ნოემბერს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დაიძრა ხალხი ცხინვალისაკენ. იმ დღეს ქართლის სოფლებში, ცხინვალის მიდამოებში, ამ ძირძველ ქართულ მიწაზე მართლაც ამაღლებული განწყობილება სუფევდა. მიტინგში მონაწილეობის მისაღებად ცხინვალისაკენ ხალხი მშვიდობიანი და მეგობრული მისიით მიემართებოდა, მაგრამ მიტინგი არ შედგა. ამან განსაკუთრებით დაძაბა მდგომარეობა. ვითარებას ამწვავებდა ისიც, რომ მშვიდობიანი მისიით ჩასულ მომიტინგეებს ცხინვალის ოსი მოსახლეობის ნაწილმა ტრანსპარანტებით _ "ოსეთი იყო, არის და იქნება საბჭოთა" (ღმერთმა შეარგოთ ოსებს თავიანთი სამშობლოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა, მაგრამ ქართულ მიწებს რას ერჩიან!) _ და ლენინის სურათებით "ხელდამშვენებულებმა" ცხინვალის მისადგომებთან გადაუკეტა გზა. მას ზურგს უმაგრებდა ჯარი. ასეთ დაძაბულ, საშიშ სიტუაციაში საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ მაინც მოახერხა ცხინვალში შესვლა და მცირე მიტინგიც ჩაატარა, მიმართა ოს მოსახლეობას, მაგრამ გაავებულ ბრბოს არაფრის შესმენა არ

სურდა. მას “ვიღაცის” მიერ მკაცრად ჰქონდა გონებაში ჩაბეჭდილი, რომ ქართველები ოსების დასარბევად მოდიოდნენ. შემდეგ დღეებში ვითარება სულ უფრო დაიძაბა. სოფლებში გაჩნდა ოსი და ქართველი მოსახლეობის პიკეტები, მოხდა შეიარაღებული შეტაკებები. ჯარის ნაწილებს აშკარად ანტიქართული პოზიცია ეჭირათ, ისინი დაუფარავად იცავდნენ ოს ექსტრემისტებს, განაიარაღებდნენ და აკავებდნენ ქართველებს. “ადამონ ნიხასის” წარმომადგენლებმა და მათ ფეხის ხმას აყოლილმა ოსმა მოსახლეობამ განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა აგრძნობინა ჯარისკაცებს. შეიარაღებული ოსები ცხინვალში თავს ესხმოდნენ ქართველთა ოჯახებს, ძარცვავდნენ ბინებს; ცხინვალში, “წითელ ეკლესიასთან”, 25 ნოემბერს ქართველობისათვის მოკლეს ნიკო თეგაშვილი. ქართული მილიცია ყველაფერს აკეთებდა ვითარების ნორმალიზაციისათვის, მაგრამ მას ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა. ხშირ შემთხვევებში, თითქმის ყოველთვის, ჯარი უპირისპირდებოდა მილიციის თანამშრომლებს. აკავებდა და ანიარაღებდა მათ, სამაგიეროდ ოსი ეროვნების მილიციის თანამშრომლები წარმატებით ეწეოდნენ ანტიქართულ პროპაგანდას და საქმიანობას, აიარაღებდნენ ოს მოსახლეობას. ამჟამად ვითარება შედარებით სტაბილურია. ამ საკითხებს ჩვენი გაზეთი კვლავაც დაუბრუნდება. დღეს კი 23 ნოემბრის მიტინგის შესახებ თავის აზრს გვიზიარებენ: საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე და ბატონი ზვიად გამსახურდია.

<u>ნოდარ ნათაძე:</u> 22-ში ვიყავი ცხინვალში. თითქმის მთელი დღე გავატარე. შევხვდი პედინსტიტუტის ქართველ და ოს თანამშრომლებს, საოლქო კომიტეტში _ ოს ინტელეგენციას. საუბარში, რა თქმა უნდა, მონაწილეობდნენ ქართველებიც. ჩემი ჩასვლის მიზანი იყო ჩამეტანა მიმართვის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდა “საქართველოს ეროვნული მოძრაობა” და რომელშიც ნათქვამი იყო, რომ “ჩვენ და ოსებს ძმობა გვჭირდება, როგორც ჰაერი”; ნათქვამი იყო, რომ “დღეს ცხინვალში მცხოვრებმა ოსებმა უნდა განუმარტონ თავის შვილებსა და შვილიშვილებს, რომ ქართულ მიწაზე ცხოვრობენ და ქართველი ერის ინტერესთა პატივისცემა მართებთ”; ნათქვამი იყო, რომ “არცერთ ქართველს არასოდეს არ შეუზღუდავს ოსისათვის საქართველოში ცხოვრების უფლება და არც არასდროს შეუზღუდავს მას”. ყველა ოსმა, ვინც კი წაიკითხა ეს მოწოდება ოსი ხალხისადმი, პირველი წაკითხვისას დიდი მოწონება გამოთქვა. მეორე წაკითხვაზე ბევრმა “პატარა რედაქცია” ისურვა, რადგან მათი აზრით, სიტყვას _ “ქართულ მიწაზე ცხოვრობენ” _ შეიძლება ზოგ-ზოგის “გაღიზიანება” გამოეწვია. ჩვენი პასუხი ასეთი იყო: როცა მე ვამბობ, რომ ჩემი მიწა ჩემი მიწაა და ჩემი ცოლი ჩემი ცოლია, თუ ეს ვინმეს აღიზიანებს, მე მასთან სალაპარაკო არაფერი მაქვს. ასე იყო თუ ისე, მე ვთხოვე პედინსტიტუტის თანამშრომლებსაც და საოლქო კომიტეტის თანამშრომლებსაც, ამ მიმართვის სამასიოდე ცალი, რომელიც ჩატანილი გვქონდა, ხალხში გაევრცელებინათ. ახლაც მგონია, რომ ეს საჭირო იყო, რადგან იქ ნათლად იყო ნათქვამი, რომ ხვალინდელი მიტინგი ძმობისა და მშვიდობის მატარებელი იქნებოდა. გაავრცელეს თუ არა მათ ეს მიმართვა, დღესაც არ ვიცი.

23-ში თბილისელი მომიტინგეები რომ ცხინვალისაკენ მივდიოდით, სოფელ ერგნეთთან, ცხინვალიდან 4-ოდე კილომეტრის მანძილზე, გზა გადაკეტილი დაგვიხვდა ჯავშანტრანსპორტიორებით. ის ადგილი, სადაც ჯავშანტრანსპორტიორები იდგა, ცოტა შემაღლებულია. მე დაბლა, მინდორში ვიდექი დაახლოებით ერთი საათის მანძილზე და ლაპარაკში ვიყავი გართული. გავიგონე, ზემოთ რომ თქვეს, გზა გახსნესო და ხალხი ავტობუსებითურთ _ ზოგი ფეხით და ზოგი ავტობუსით _ ცხინვალისაკენ გაემართა. ხალხის მიერ კორდონის ძალით გადალახვა არ შემიმჩნევია, არც შესაბამისი ხმაური გამიგონია. ცხინვალისაკენ ფეხით რომ მივდიოდით, გადაგვისწრო სამივე

ჯავშანტრანსპორტიორმა, რომელიც მანამდე გზას კეტავდა. ერთს ეტყობა სასრუტი (პოდსოსი) ამოწეული ჰქონდა, რადგან საშინლად ბოლავდა. მახსოვს, ამან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, ცხინვალის შესასვლელში, ხიდთან, ქალაქს ადამიანთა 5-6 ათასიანი მასა კეტავდა. მას წინ ედგა ფარიანი ჯარისკაცების ერთი მწკრივი პირით მომავლებისაკენ. ჯარისკაცების წინ 30-ოდე მეტრი დაკავებული იყო აგურით დატვირთული დიდი თვითსაცლელებით (კრაზებით”), ხოლო თვითსაცლელების წინ იდგა ერთურთში მკლავგაყრილი სამასიოდე კაცი, რომლებიც გზას კეტავდნენ. ისინი ამბობდნენ, ქალაქში ნუ შეხვალთ, თორემ იქ შეიარაღებული ექსტრემისტები არიან და მათ ქცევაზე პასუხს არ ვაგებთო.

ჯარისკაცებს და ამ ორას-სამას კაცს შორის თანდათანობით საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი შეიკრიბა. იყვნენ ჩემთვის უცნობი ადგილობრივი ადამიანები, იყვნენ შინაგან საქმეთა მაღალი მოხელეები, იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბატონი გივი გუმბარიძე, მეც იქ გახლდით კარგა ხანს. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა გვიან ღამემდე. მე მგონი, მისულებს რომ ის ორას-სამას კაციანი კორდონი გაერღვიათ, ხოლო შემდეგ ჯარისკაცებს და მათ უკან მდგომ მასას შერეოდნენ, ამას ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვებოდა, ხაზს ვუსვამ, ძალიან ცუდი, რადგან მსხვერპლს დიდი მასშტაბი ექნებოდა. როგორც შემდეგ გავიგე, გზიდან მარჯვნივ მდებარე ფერდობი, ზღუდელის ფერდობი, მომარაგებული საბურავებით, ბენზინით და ბენზინიანი ბოთლებით იყო სავსე. შემდგომი ამბავი აღარ არის საინტერესო. თვით ამ ეპიზოდზე მსჯელობისას მნიშვნელობა მხოლოდ იმ პირველ საღამოსა და დღეს აქვს.

<u>შოთა გორგოძე</u>: 23 ნოემბრის წინ ბევრი შეხვედრა გვქონდა როგორც საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან, ისე ოსი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. ჩემი აზრით, რადგან დაძაბული მდგომარეობა იყო, რადგან “ადამონ ნიხასმა” მოწამლა საზოგადოებრივი აზრი, თითქოს ეს მიტინგი ოსების დასარბევად მზადდებოდა, ამიტომ მიტინგი არ უნდა ჩატარებულიყო. ჩვენ ჩვენი მხრიდან ყველაფერი ვიღონეთ, რომ ოსი ხალხისთვის აგვეხსნა მიტინგის არსი, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. რამდენიმე დღეში ამის გაკეთება ძალიან ჭირდა. ოსი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეგვპირდნენ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ოსი ხალხი მოვამზადოთ და ერთი თვის შემდეგ ჩავატაროთ მიტინგიო, “ადამონ ნიხასმაც” (გაზაევი) აღიარა თავისი შეცდომები, მაგრამ რადგან მიტინგი მაინც იმართებოდა, ჩვენც იქ ვიყავით და ვცდილობდით, არაფერი მომხდარიყო. მიტინგი სოფელ ერგნეთთან უნდა გამართულიყო, ასე გვქონდა დათქმული. იქვე დავაყენეთ მილიციის კორდონი, რომ ხალხს პატივი ეცა მილიციისათვის და ცხინვალისაკენ არ დაძრულიყო. მე მივმართე კიდეც ხალხს სიტყვით. არაფერი გამოვიდა: მოითხოვეს ცხინვალიდან წარმომადგენლების მოყვანა. ჩვენ მივიღეთ ზომები და ცხინვალის ოსური მოსახლეობის ათიოდე წარმომადგენელი მოვიდა. ამასობაში ცხინვალელი ქართველები დაიძრნენ და კორდონს მიღმა აღმოჩნდნენ. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ მიტინგის ცხინვალში ჩატარებას. ამ დროს აქედან დაძრული ხალხის ნაწილიც კორდონს მიღმა აღმოჩნდა, ჩვენ გადაგვასწრეს, მეტი გზა არ იყო, გავხსენით კორდონი და შემდეგში იმდენიც მოვახერხეთ, მაინც ხალხს ჩავდგომოდით სათავეში. ცხინვალთან კი, ქართველები მოდიანო _ და ოსებს გადაეკეტათ გზა, სტადიონამდეც ვერ მივაღწიეთ, სადაც მიტინგის ჩატარებას ვვარაუდობდით, რადგან ქალაქის ცენტრში მაინც სახიფათო იყო, ჩვენ ქართველებსა და ოსებს შორის ჩავდექით, რომ არაფერი მომხდარიყო. ქართველი არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებისადმი პირადად მე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, რომ შეჯახება თავიდან ავიცილეთ, შემდგომში მთელი ჩვენი შემართება წარიმართა იმისათვის, როგორმე მიტინგი მაინც

ჩატარებულიყო, მაგრამ ამაოდ. მიტინგის მოწინააღმდეგეები ოსებს შორის საკმაოდ იყვნენ. მდგომარეობა იძაბებოდა, ამიტომ მე გამოვიძახე შინაგანი ჯარები, რათა წესრიგის დაცვაში დაგვხმარებოდნენ. არაფორმალებმაც გადაწყვიტეს, ცხინვალის შესასვლელთან ჩაეტარებინათ მცირე მიტინგი და ამის შემდეგ ხალხი უკან დააბრუნეს, შეხლა-შემოხლა აგვაცილეს.

_ *ბატონო შოთა, იქნებ გაგვაგებინოთ, მაინც ვის ექვემდებარება საქართველოში განლაგებული შინაგანი ჯარები?*

_ საკავშირო შინაგანი ჯარები პირადად საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ექვემდებარება. ჩვენს რესპუბლიკაში განლაგებული მისი უმნიშვნელო ნაწილი კი მე, მაგრამ ისევ საკავშირო მინისტრის მეთვალყურეობით.

_ *ე.ი. ფაქტობრივად თქვენ მათი ხელმძღვანელი მაინც არა ხართ.*

_ ...

_ *მაგრამ, როგორც თვით ჯარისკაცებმა აღიარეს, სწორედ მათ, ვინც შემდგომ დღეებში განსაკუთრებით აგრესიულად იქცეოდა, როსტოვიდან იყვნენ ჩამოსული. ამაზე რას გვეტყვით?*

_ ჯარის მცირე ნაწილი მართლაც როსტოვიდან იყო ჩამოსული, შემთხვევით. საერთოდ, როსტოვში მდებარეობს ამ ჯარის მთავარი სამმართველო. სწორედ ამ დროს ჩვენს რესპუბლიკაში როსტოვიდან ჩამოსული იყო ინსპექტირებაზე ერთ-ერთი მეთაური, პოლკოვნიკი ლებედი, რომელსაც ჩამოჰყვა ამ ჯარის ნაწილი. ამჟამად ჯარი გამოყვანილია. ცხინვალში და შემოგარენში დარჩა მილიციის ბატალიონი. მდგომარეობას აკონტროლებს ქართული მილიცია, ადგილობრივი შინაგან საქმეთა სამმართველო.

_ *და მაინც, როგორ აფასებთ იმ დღეებში ჯარის მოქმედებას?*

_ ჯარი ყოველთვის როდი თამაშობს კარგ როლს, ამჯერადაც ასე მოხდა...

<u>ზვიად გამსახურდია</u>: 23 ნოემბერს დავგეგმეთ მშვიდობიანი მიტინგის ჩატარება ქალაქ ცხინვალში საქართველოს ეროვნულ პრობლემებზე. ხელისუფლებასთან გვქონდა დიალოგი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იყო რაღაც წინასწარი შეთანხმება მიტინგის ჩატარების ადგილთან დაკავშირებით. ამ დიალოგის დროს ჩვენ განვაცხადეთ, რომ არ მივმართავდით ძალადობას იმ შემთხვევაში, თუ ცხინვალისკენ მიმავალ გზას დაგვიკეტავდა მილიციის ან ჯარის კორდონი. როდესაც ჩვენ ერგნეთთან გზა გადაგვიკეტა მილიციამ და ჯავშანტრანსპორტიორებმა, ძალადობისთვის არ მიგვიმართავს; უბრალოდ, წინადადება მივეცით შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ შოთა გორგოძეს, გაეხსნა გზა. მან მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ გახსნა გზა და ჩვენ დავიძარით ცხინვალისკენ, მაგრამ ცხინვალის შესასვლელში, ზღუდელის მთასთან, კვლავ გადაგვეღობა მილიციის და ჯარის კორდონი, რომელიც ზურგს უმაგრებდა ცხინვალის ოსი მოსახლეობის კორდონს. ოსი მოსახლეობა კატეგორიული წინააღმდეგი იყო ჩვენი ქალაქში შესვლისა. დავინახეთ რა საფრთხე სისხლისმღვრელი შეტაკებისა, მოვერიდეთ ძალის გამოყენებას, მითუმეტეს, რომ ჩვენს წინაშე იდგნენ საბჭოთა ჯარისკაცები, რომელთა რაოდენობაც, როგორც ჩანს, განგებ იყო მცირე, ისე, როგორც ღალიძგის ხიდთან. ცხადი იყო, რომ ძალადობით შესვლა ცხინვალში, რასაც მოჰყვებოდა პირველ რიგში ამ ჯარისკაცების მიმართ ძალადობა, გამოიწვევდა ჯარის შემოყვანას და კომენდანტის საათს, რითაც შესრულდებოდა "ადამონ ნიხასის" მიზანი, რომელსაც იგი მიელტვოდა და მიელტვის. ამის გამო ზღუდელის მთასთან ჩავატარეთ მცირე მიტინგი და უკან დავბრუნდით. ეს სულაც არ იყო "სამარცხვინო უკანდახევა", როგორც ამას ზოგიერთი სახავს, არამედ ჰუმანური და გონივრული გადაწყვეტილება, ამან აგვაცილა ძმათა მკვლელი ომი ქართველებსა და ოსებს შორის. გარდა ამისა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაწილი ხალხისა იქ დარჩა და განაწილდა სოფლებში

ქართველი მოსახლეობის დასაცავად, და დღესაც იქ განაგრძობს ყოფნას, უკან დაბრუნდა მხოლოდ ის, ვისი იქ ყოფნაც არ იყო საჭირო. "რომელი აღმოიკითხავნ, გულისხმა ჰყავნ". ამ გრანდიოზულმა მსვლელობამ ცხინვალისაკენ გამოიწვია არნახული ეროვნული გამოღვიძება გორში და მთელს ქართლში. სადაც დღეს ეროვნული მოძრაობა არნახულად არის გააქტიურებული. დღეს ქართული მოსახლეობა აკონტროლებს მთელს სამაჩაბლოს თავად ქალაქ ცხინვალის გამოკლებით. არ არის შორს ის დრო, როდესაც ცხინვალიც ჩვენი კონტროლის ქვეშ იქნება.

ცხინვალის ექსტრემისტებს სტიმულს აძლევს და აძლიერებს როკის გვირაბის არსებობა, საიდანაც მათ შემოსდით იარაღი და ყოველგვარი დახმარება. როკის გვირაბის გაუქმება მოხსნის ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემას, რის შედეგადაც ცხინვალში მშვიდობა დაისადგურებს, ამიტომ ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ მოსკოვისა და თბილისის ხელისუფლებისაგან როკის გვირაბის გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ უკიდურეს ზომებს".

1989წ. 25 ნოემბერს ქ.ორჯონიკიძედან საქართველოს მწერალთა კავშირში გამოაგზავნეს ოსურ ჟურნალ "**მახ დუგ**"-ის რედაქტორის **ახსარ ქოზათის** წერილი: "**Колеги в случае кровопролития в Юго-Осетии могут пострадать двенадцать тысяч грузин, проживаюших в Орджоникидзе. Помогите унять ваших экстремистов**" (**გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1990, 19 იანვარი**).

1989წ. დეკემბერში უკიდურესად დაიძაბა ვითარება სამაჩაბლოში, ოსმა ექსტრემისტებმა დაიწყეს ქართული მოსახლეობის რბევა, ტერორი, ანგარიშსწორება და ფიზიკური ლიკვიდირება.

1989წ. 13 დეკემბერი, საღამოს 6 საათი. საბჭოთა ეთნოდივერსიული პროგრამიდან გამომდინარე შესაბამისი უწყებები და სამსახურები ცდილობდნენ აჭარაში სარწმუნოებრივ ნიადაგზე ფართომასშტაბიანი კონფლიქტის თითიდან გამოწოვას: ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თაოსანი ბათუმიდან **ნოდარ იმნაძე** ქ.თბილისში იდგა კინოს სახლის წინ (სადაც იმჟამად მოთავსებული იყო სახალხო ფრონტის რეზიდენცია). მას მცირე სიმძლავრით განგებ დაეჯახა ჟიგულის მარკის ავტომანქანა _ 32-38, საიდანაც გადმოვიდა 4 თავდამსხმელი და **ნ.იმნაძეს** დაუწყეს ცემა, ერთ-ერთმა მათგანმა ამოიღო იარაღი და დაუმიზნა, ტყვია მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით აცდა მას. თავდამსხმელები აღმოჩნდნენ შს სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც **ნ.იმნაძის** თქმით, მას ჯერ კიდევ ბათუმიდან ადევნებიან.

ერთი წლის წინ, **1988 წლის 10 დეკემბერს** ბათუმში უნდა გამართულიყო ეროვნული მოძრაობის მიერ დაგეგმილი მიტინგი, რასაც აჭარის ხელისუფლებამ აქციის ორგანიზატორთა სასტიკი დარბევით უპასუხა. ამისათვის სოფლებიდან ორგანიზებულად ჩამოიყვანეს მათ მიერ წაქეზებული გამანქურთებული ფანატიკოსები, რომლებმაც ალყა შემოარტყეს **ნ.იმნაძის** სახლს, მას მოკვლას უპირებდნენ, ხოლო მის ქალიშვილს ენით აუწერელ შეურაცყოფას. მაშინ **ნ.იმნაძე** და მისი ოჯახი სასწაულებრივად გადარჩა, ჩამოვიდნენ თბილისში, სადაც **1988 წლის 23 დეკემბერს** საქართველოს პროკურატურამ იარაღის ტარების საბაბით დააპატიმრა ის და საპყრობილეში ჩასვა. მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, თუმცა იმავე **1989 წლის დეკემბერში** იგი გაათავისუფლეს.

1989წ. 10 დეკემბერს ბათუმში ეროვნულმა მოძრაობამ ჩაატარა მიტინგი, რომელზეც მოსახლეობას სწორი ინფორმაცია მიეწოდა ქართველი ერის მიზნების შესახებ. ამ მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ნ.იმნაძეც. აი, ეს არ აპატია მას საბჭოთა ხელისუფლებამ.

1989წ. 19 დეკემბერი: БРЮССЕЛЬ, 19 декабря (ТАСС). Член политбюро ЦК КПСС, министр иностранных дел СССР Э.А.Шеварднадзе выступил сегодня в Политической комиссии Европейского парламента, он сказал:

Союзные державы несут ответственность по четырехсторонним соглашениям и решениям военного и послевоенного периода, они располагают на територии ГДР и ФРГ значительным контингентом вооруженных сил, оснащенных ядерным оружием.

Юридические и правовые реальности невозможно игнорировать, не подвергая опасности нынешний порядок вещей, который обеспечивает вот уже более 40 лет мир и спокойствие, конструктивное развитие межгосударственных отношений в Европе.

Никто не заинтересован, чтобы исторический процесс развития был повергнут вспять.

Одно из главных составляющих - германского вопроса, всей европейской ситуации является признание факта окончательного и бесповоротного решения о границах в Европе. Тот, кто хотел бы поставить это под сомнение, наглухо запирает все возможности серьезных подвижек в развитии отношений между ГДР и ФРГ.

Разумеется, за каждым германским государством сохраняется право на самоопределение. Но оно может использоваться только в контексте других норм и принципов международного права, с учетом особенностей положения двух германских государств и их ответственности перед народами всей Европы и мира за то, чтобы с немецкой земли никогда больше не исходила угроза войны.

К тому же само понятие «самоопределение» подразумевает исключение какого-либо внешнего давления на государство. Поэтому любые призывы или советы «самоопределятся», предписания, как и в какие сроки изменять государственный строй ГДР, не только неуместны, но и могут поставить под сомнение чистоту такого эвентуального якобы свободного выбора.

В порядке исторической справки должен напомнить, что вплоть до включения ФРГ в НАТО Советский Союз выступал за создание единой, демократической, демилитаризованной Германии и придерживался той точки зрения, что объединение двух германских государств возможно в определенных условиях, в соответствующем политико-историческом контексте при непременной ясно выраженной готовности обоих германских государств пойти на это.

После отказа ФРГ идти на проведение свободных выборов во всей Германии в 1952 Году и включения ФРГ в систему замкнутых западных военно-политических и экономических блоков обстоятельства изменились. С тех пор сложились новые реальности, которые органически взросли в новые послевоенные европейские структуры.

В последнее время вопрос о самоопределении германских государств стал предметом острых дискуссий. Призывы к ГДР присоединяться к ФРГ вызывают беспокойство не только у политических партий и населения ГДР. Ведь им предлагают отказаться от собственной государственности и сделать ГДР частью НАТО.

Беспокоятся и соседи ГДР и ФРГ. Их тоже можно понять. Разве можно ставить в реальной плоскости вопрос о тех или иных формах восстановления немецкого единства или о практических подходах к его решению, не имея ясности в отношении многих жизненно важных моментов?

Первое. Где политические, юридические и материальные гарантии того, что немецкое единство не создаст в перспективе угрозу национальной безопасности других государств и миру в Европе? Ответа на этот вопрос нет.

Второе. Будет ли готова такая геополитическая Германия, если она с течением времени сложится, признать существующие границы в Европе и отказаться от каких-либо

территориальных притязаний? Как известно, правительство ФРГ уходит от ответа на этот вопрос.

Третье. Какое место заняло бы это национальное немецкое образование в военно-политических структурах, существующих на нашем континенте? Нельзя же всерьез думать, что статус ГДР радикально изменится, а статус ФРГ останется прежним.

Четвертое. Каким будет в случае складывания немецкого единства реальный потенциал такого нового образования, его военная доктрина, структура вооруженных сил? Будет ли оно готово пойти на демилитаризацию, принять нейтральный статус, коренным образом перестроить свои экономические и иные связи с Восточной Европой, как это имелось в виду в прошлом?

Пятое. Каким будет отношение к пребыванию на немецкой земле союзных войск, к продолжению деятельности военных миссий связи, к четырехстороннему соглашению 1971 года?

Шестое. Как будет сопрягаться возможное создание такого немецкого образования с хельсинским процессом и будет ли это содействовать его конструктивному развитию в направлении предложения Европы, устранения любой дискриминации во взаимоотношениях европейских государств, дальнейшего движения к созданию в Европе единых правового, экономического, культурного и информационного пространств.

Седьмое. Готов ли будут германские государства, если они в какой-то форме выскажутся за начало движения к единству немцов, учитывать интересы других европейских государств и на коллективной основе искать и взаимоприемлемые решения всех вопросов и проблем, которые могут возникнуть в этой связи, в том числе и заключения европейского мирного урегулирования?

Список этих вопросов можно продолжить. И задают их, конечно, не зря. Речь идет о коренных условиях существования и развития народов Европы. Во всяком случае народы Советского Союза имеют право знать, что могут озночать для их будущего, их безопасности любые изменения в центре Европы. Мы заплатили за нынешнюю европейскую стабильность 20 миллионами жизней наших людей.

А разве сам германский народ может забыть национальную трагедию, на которую его обрек гитлеризм?

Как одна из союзных держав, СССР не может снять с себя ответственности на возможные последствия того или иного развития в Европе. Но мы и не хотим противопоставлять себя законным интересам немцев, великого народа, который является нашим близким соседом в Европе.

Мы желаем только добра двум германским государствам. С ГДР с ФРГ мы сотрудничаем во многих областях, имеем развитые отношения. Основа их – система договорных обязательств, вершиной которой является историческое заявление, подписанное летом этого года М. С. Горбачевым и федеральным канцлером Г. Колем.

Являясь постоянным членом Совета Безопасности, Советский Союз будет руководствоваться выраженной в уставе ООН решимостью «избавить грядущие поколения от бедствия войны, дважды в нашей жизни принесшей человечеству невыразимое горе» (გაზ. "Известия", 20 დეკემბერი, 1989წ.).

1989წ. 13 დეკემბერს გაზეთ "Советская Россия"-ში გამოქვეყნდა მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილის ვ.ვასილიევის ინტერვიუ, რომელშიც აბუჩად იყო აგდებული 9 აპრილის ტრაგედია და პუბლიკაცია საზიზღარ ცილისწამებას ავრცელებდა ამ ეროვნული უბედურების შესახებ.

სსრკ ოფიციოზი ყველა საშუალებით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თბილისში 9 აპრილს მომხდარი ტრაგედია სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსთმოძულეობის თარეში და კარგად ორგანიზებული კონტრრევოლუციური აჯანყება "საბჭოთა ბედნიერების" წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე "პროტესტის ნიშნად ქართველმა დეპუტაციამ დასტოვა" ყრილობა. აქ კი გათამაშდა "გულისამაჩუყებელი" მიზანსცენა, _ თავის შეურაცხყოფილ და ყრილობიდან გამოსულ თანამემამულეებს შეუერთდა **ე.შევარდნაძე**. ბოლოს და ბოლოს, **მ.გორბაჩოვმა** მობოდიშებასავით შემოუთვალა ქართველებს და ქართველი დეპუტაციაც ყრილობაზე დაბრუნდა, სადაც მომდევნო დღეებში **(24 დეკემბერს)** თავისი "მრისხანე" და საპროტესტო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა **გ.გუმბარიძემ: "9 აპრილის ტრაგედიამ, ისევე, როგორც ზოგიერთმა შემდგომმა დრამატულმა მოვლენამ საქართველოში, დაადასტურა ჩვენი ხალხისადმი მ.ს.გორბაჩოვის მიმართვაში გამოთქმული აზრი, რომ ეს გარდაქმნისათვის ლახვარის ჩაცემას უდრიდა. ძალა ყოველთვის წარმოშობს ძალმომრეობის ჯაჭვურ რეაქციას, ანგარიშსწორების პოლიტიკას კი ძალუძს ყოველი დავა აშკარა კონფრონტაციად აქციოს და ისედაც დაპირისპირებულ ეროვნებათა შორის ახალი შუღლი ჩამოაგდოს" (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1989, 29 დეკემბერი).**

საერთოდ **ა.სობჩაკის** გაიძვერულმა მოხსენება _ "მხარდაჭერამ" შესძლო გარკვეულწილად ნდობა მოეპოვებინა და ამით საკმაოდ მოწესრიგებულად შენიღბა კრემლის მიერ ქართველი ერისათვის ჩაცემული სასიკვდილო ლახვარი. ყრილობაზე **ა.სობჩაკისა** და სამხედრო პროკურატურის "დაპირისპირება" იყო სწორედ ის პირსაბანი, რომელშიც ამ ლენინგრადელმა "დემოკრატმა დეპუტატმა" ნელთბილი წყალი ჩაუსხა "გარდაქმნის არქიტექტორებს" რომ პირსისხლიანობის ჩამოსაბანად.

სსრკ სახალხო დეპუტატთა სამარცხვინო განაჩენი წინასწარვე გამოუტანა თავის თავს ყრილობამ: განსახილველი ანგარიშის გაცნობამდე არ ენდო თავისსავე კომისიას, თუმცა ამ მიზეზით ახალი კომისიის შექმნა კი არ მოითხოვა, არამედ მასში ჩართო სამხედრო პროკურატურა, რომლის ცუდი მუშაობის შესახებ არაერთხელ აყენებდა საკითხს თვით საყრილობო კომისია.

ე.წ. სახალხო დეპუტატების ჯოგური სიმრავლე აგრესიული გულუბრყვილობით ირწმუნებდა თავს, რომ 9 აპრილის შესახებ არითმეტიკული უმრავლესობის მექანიზმითა და ხმის მიცემის ყოვლისშემძლეობით შეუძლიათ იმ ტრაგიკული სიმართლის დამალვა, რომელიც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისათვის ცნობილი გახდა.

ამრიგად, ყრილობაზე ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოიქმნა პოლიტიკური კრიზისი. ასეთ ვითარებაში სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე დაიწყო კრემლის ნაცადი ნამესტნიკის **ე.შევარდნაძის** "დიდი ქართველობის" მიზნობრივი და სამერმისოდ წინგახედული გასაჯარისება. კრემლის ერთ-ერთი სამარქაფო ილეთის შესაბამისად, მან დააყენა საკითხი გადადგომის შესახებ, თუ 9 აპრილის საკითხს ყრილობა "ობიექტურ" შეფასებას არ მისცემდა (შეადარეთ ეს სვლები **ბ.ელცინის** ხელოვნური გადემოკრატების ხერხებს). როცა პოლიტბიუროს წევრი _ კაცი, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს, ასეთნაირად აყენებს საკითხს, ამას გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების თვალში მართლა აქვს შესაბამისი წონადობა. ამიტომ ამას მოჰყვა "შეშფოთებული პოლიტბიუროს" სასწრაფო სხდომა, რომელიც საქართველოს დელეგაციის დარბაზიდან იძულებითი გამოსვლის შემდეგ ჩატარდა.

ასეთი გახლდათ ვირეშმაკული პოლიტიკის ილეთები, რომლითაც საგულდაგულოდ ინიღბებოდა კრემლის პოლიტიკური ძალადობა და დიდი თამაში. **23**

დეკემბერს თბილისში შედგა მიტინგი, რომლის მონაწილეები აყენებდნენ ეროვნული გათავისუფლების საკითხს. რამდენიმე ათეულმა სტუდენტმა მიტინგის შემდეგ ფილარმონიის შენობის კიბეებზე მჯდომარე გაფიცვა გამოაცხადა.

ორი დღის შემდეგ, **25 დეკემბერს** თბილისში კვლავ შედგა ახალი მიტინგი, რომელზეც წამოყენებული იქნა მორიგი მოთხოვნა _ გაუქმდეს საქართველოში პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები.

მიტინგი დილით დაიწყო, როცა თბილისის 160-ე სკოლის მოსწავლეთა ჯგუფი ქალაქის ცენტრისაკენ დაიძრა, გზადაგზა კი მათ თანამგრძნობები უერთდებოდნენ.

შუადღისათვის ათასობით ახალგაზრდით გაიჭედა ქ.თბილისში **მაჩაბლის** ვიწრო ქუჩა, სადაც საქართველოს კომკავშირის ცკ მდებარეობდა. ზოგიერთი მონაცემებით, კომკავშირული ფუნქციონერები არა მარტო გავიდნენ მოპიკეტეებთან, არამედ აღუთქვეს მათ, რომ თავის ორგანიზაციას მშვიდობიან და წყნარ გაუქმებამდე მიიყვანდნენ.

დღის სამ საათზე, **რუსთაველის** მოედანზე ათიათასობით ადამიანი შეგროვდა.

სწორედ აქ გაისმა აზრი, რომ სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე საქართველოდან არჩეულ დეპუტატთა დემარში უფრო ოპერეტულ ქმედებას წააგავდა, ვიდრე პოლიტიკურს.

პირდაპირ მიკროფონების წინ დადგმული იყო დიდი ყუთი. მას **"ისტორიის სანაგვე ყუთი"** დაარქვეს. სწორედ ამ ყუთში შეეძლო ყველა მსურველს ჩაეგდო თავისი კომკავშირული ან პარტიული ბილეთი. მსურველი მრავალი აღმოჩნდა. ძირითადად კომკავშირელები.

1989 წლის დეკემბერში ოსმა ოკუპანტებმა, ისევ და ისევ კრემლის დაკვეთით, სსრკ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობას გაუგზავნეს მორიგი ცილისმწამებლური საჩივარი, რომლითაც სურდათ ცხინვალის მხარეში "ეთნოკონფლიქტური" ფონი შექმნათ (**სტილი დაცულია**):

Цхинвали 1602 134 20/12 1240=

сьезд, уведомление телеграфом, Москва, дворец сьездов.

Председателю государственного комитета СССР по народному образованию.

Депутату Ягодину=

отдел народного образования города Цхинвали юго-осетинской Автономной облости

сообшает вам что в школах города занятия были прерваны 23 ноября из-за оккупации области грузинскими экстремистами и возобновились только 10 декабря при этом по настоящее время 42 процентов учищихся или более 3700 детей посещают занятия т.к. они были эвакуированы на северный кавказ по тои же причине в детских дошкольных учереждениях отсуствует по сей день более 1600 детей или 65 процентов в грузинских школах. Фактически нет занятий с 13/11-89г. обстановка продолжает оставаться крайне напряженной многие старшеклассники и студенты осетинского населения избиты Грузинскими экстремистами и находятся в больницах просим вашей помощи в стабилизации положения= Городской отдел народного образования Цхинвальского горисполкома г.Цхинвали ул.Тбилисская 53 Тадтаев Роман Климович _

Цхинвали, 6702 77 20/12 1852=

уведомление телеграфом, Москва, Кремль, 2 сьезду народных депутатов СССР, народному депутату Замятину А.М.=

Юго Осетинская Автономная область находится чрезвечайном положении раненые, жертвы пыток и издевательств, грабежи беженцы, вооруженные банды Грузинских экстремистов осадили села и центр автономии, чтобы попасть 2 сьезд наш депутат Джуссойты был вывезен окружения помощи красного креста и бронетранспортеров

просим поддержки дать слово Джуссойты просим конституционно защиты _ прислать депутатскую комиссию=по поручению коллектива школы № 2 г.Цхинвали директор Кулумбегов ул. ленина 32 _

Цхинвали, 302 87 19/12 1142=

Сьезд уведомление телеграфом, Москва, дворец сьездов
ГЕНЕРАЛЬНОМУ ПРОКУРОРУ СССР СУХАРЕВУ=
Неужели до вас не доходит глас вопиющего осетинского народа
К истриблению которого планомерно приступил новоявленный
правитель Грузии гамсахурдия
Ведь он открыто провосгласил своей програмой физическое
истрибление осетин
с 23/11 он с многотысячным вооруженным современным
иностранным вооружением войском-головорезами полностью
оккупировал юго осетию и стех пор издевается над осетинским
населением.
Больницы переполнены ранеными и зверски избитыми осетинами
Что это,
такой фашистский или советский строй?
Педколективы школ города Цхинвали Газаев Д.С. Тбилисская 53
Всего 20 подписей -

Цхинвали 173 115 18/12 1940=
Уведомление телеграфом Москва сьезду народных депутатов
депутату Лиханову А.=
Москва сьезд М.С.Горбачеву
Тбилиси министру народного образования ГССР
Работники куртинского детдома выражаем свое возмущение
против грузинских неформалов и жителей села курта грузинской
национальности
на сельском сходе жители села К урта Южной Осетии Цхинвальского
района вынесли решение о выдворении воспитанников детского дома
и работников из здания детского дома занятие в школе
прекращены 23 ноября
неформалы изорвали ленинский стенд и красный галстук на двери
пионерской комнаты детского дома
17-го декабря к детскому дому подьехала машина с местными жителями
которые приказывали немедленно убрать детей и закрыть детдом
просим немедленного вмешательства=коллектив воспитателей
куртинского детдома джиоева Ж.М. Мамиева Л.Г. Цховребова З.В.
Гассиева В.Т. Тигиева Э.С. Цхинвали целинников 2/38 _
Цхинвали 402 90 19/12 1146=
Сьезд уведомление телеграфом дворец сьездов главному
военному прокуратору СССР=

Под руководством официальных властей вся Грузия пошла единым фронтом против Южной Осетии все средства массовой информации республики обли грязью осетинский народ обвиняют его во всем, извращая положение в области и сознательно

дезинформируя народ и центр, продолжается планомерный обстрел и зверское мирного осетинского населения грузинскими экстремистами. Фашистские методы истязания населения остались позади, экстремисты грозят истребить весь осетинский народ. От имени педколлективов школ г.Цхинвали Газзаев Д.С.

Г.Цхинвали, Тбилисская 53, всего 20 подписей (სტილი დაცულია)-

როცა ოსი ექსტრემისტები ასეთ ბეზღობებს აგზავნიდნენ მოსკოვში, ამ დროს საქართველოს კპ ცკ-ის ცხვირწინ "დაჩაგრული" ოსებისათვის განმანათლებლობდა მე-11 საშუალო სკოლასთან არსებული ოსური სექტორი. აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი "სახალხო განათლება" **1990წ. 17 იანვარს**:

"თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, არსებობს მე-11 რუსული სკოლა, რომელსაც აქვს ოსური სექტორი. ჩვენმა კორესპონდენტმა, გელა ნატროშვილმა შემდეგი გამოიკვლია. გასული წლის ზაფხულში სკოლის შენობაში ხდებოდა ოსი მოსახლეობის (რომელთა დიდ ნაწილს არავითარი კავშირი სკოლასთან არ ჰქონდა) რეგულარული შეკრებები, რაზე იყო იქ ლაპარაკი, არ ვიცით... ოსეთში დაძაბულობის შემდგომ დღეებში ოსური სექტორის სასწავლო ნაწილის გამგის, ზ.გაგლოევას ინიციატივით, მოიწვიეს ოსი ლიტერატორები, მათ შორის _ ნ.ჯუსოითი. ქართველი პედაგოგების თხოვნა, მოეწვიათ ქართველი მწერლებიც, სკოლის დირექტორის, ზ.ცხოვრებოვას მიერ უარყოფილ იქნა. ზ.გაგლოევა ამის შემდეგ მოწაფეებში ავრცელებდა "ოსურ რუკას" _ იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს ტერიტორია ოდითგანვე ალანებს ეკუთვნით... 7 დეკემბერს სკოლის შენობაში ერთ ქართველ მოსწავლეს, რომელსაც ეკეთა სამკერდე ნიშანი ქართული დროშის გამოსახულებით, ეცა ოსი მოსწავლე ჩიგოევი და მოინდომა ჩამოგლეჯა. ვერ შეძლო... ამის შემდეგ ჩიგოევმა და მისმა ხუთმა ოსმა ამხანაგმა ტუალეტში მარტო მოიხელთეს ეს ქართველი ბიჭი და სასტიკად სცემეს. დაზარალებული ტვინის შერყევით მოხვდა საავადმყოფოში. საქმეს იძიებენ (ათი დღის წინ ზ.ცხოვრებოვა და ზ.გაგლოევა განთავისუფლებულ იქნენ თანამდებობიდან)"...

გაზეთ "სახალხო განათლების" რედაქციაში ამასთან დაკავშირებით გაიმართა სახალხო საფიხვნო:

"1990 წლის 4 იანვარს შიდა ქართლის მცხოვრებლებთან ერთად მოვიდნენ ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. რედაქციამ ეს დეპეშები გააცნო <u>ზვიად გამსახურდიას.</u> იქვე მიიღო კომენტარიც: "ოს სეპარატისტებს და ექსტრემისტებს, როგორც ჩანს, ავადმყოფური ფანტაზია მოჭარბებიათ. ყრილობის სახელზე გაგზავნილ ტელეგრამაში ისინი ამტკიცებენ, თითქოს ქართველებმა მოვახდინეთ სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია 23 ნოემბრიდან ჩვენი "შეიარაღებილი ძალებით". მოგვაწერენ თანამედროვე შეიარაღებას, მე მაცხადებენ საქართველოს "მმართველად" და სხვა. სინამდვილეში ა.წ. ზაფხულიდან მათ იმდენად აუტანელი პირობები შეუქმნეს ცხინვალელ ქართველებს, რომ მათ აღარ დაედგომებათ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში; შიდა ქართლში ანუ სამაჩაბლოში, ცხინვალის ქუჩებში ქართველებზე ნადირობაა გამართული, ექსტრემისტთა ბრბოები აპატიმრებენ ქართველებს, ჭრიან, სასიკვდილოდ სცემენ თავიანთ შტაბებში, ქართველებს არ უშვებენ მაღაზიებში, არ აძლევენ ბენზინს, პრაქტიკულად, ქართველებისათვის ქუჩაში გამოსვლაც კი სიცოცხლის რისკთან არის დაკავშირებული (ორი ქართველი ნიკო თეგაშვილი და ვეფხია თუთარაშვილი უკვე იმსხვერპლეს ექსტრემისტებმა, დაჭრილების და მძიმედ ნაცემთა შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიკითხოთ გორის საავადმყოფოში). სისტემატურად ესხმიან ქართულ სოფლებს... სოფელ ფრისში 4 იანვარს აკვანში მოკლეს თოთო ბავშვი. ჩვენ შეგროვილი გვაქვს მათ მიერ გამოყენებული ტყვიამფრქვევის, ავტომატის, კარაბინის ტყვიები, მათ შორის საერთაშორისო კონვენციით აკრძალული ე.წ. "ბარსის" ტყვიების ჰილზები. ავღანეთის

ომგამოვლილმა გენერალმა ცაგოლოვმა, რომელიც ცხინვალს მოევლინა მოსკოვიდან, ვითარცა მშვიდობისმყოფელი, არნახულად დარაზმა ოსი ექსტრემისტები, შეაიარაღა თანამედროვე იარაღით და პროჟექტორებით, გააძლიერა მათი პოზიციები ქართული სოფლების წინააღმდეგ. ოსი მოპიკეტეები ცხრილავენ რაჭიდან მომავალ ავტობუსებს, არის შემთხვევა მშვიდობიან მოქალაქეთა დაჭრისა. რაც შეეხება ჩვენს "შეიარაღებულ ძალებს", ეს გახლავთ მოპიკეტეები, რომელთაც ძირითადად სანადირო თოფები აქვთ და იცავენ ქართულ სოფლებს თავდასხმისაგან. მათ ემტერებიან არა მხოლოდ ოსი ექსტრემისტები და ოსური მილიცია, არამედ შინაგანი ჯარების წარმომადგენლებიც, რომელთაც ოს ექსტრემისტებს მიაქირავეს ჯავშანტრანსპორტიორიც კი (№145), რომელიც თავისუფლად დაპარპაშებს ქართულ სოფლებში და შიშს თესავს. 23 ნოემბერს სამაჩაბლოში "შეიარაღებული ძალები" კი არ ასულან, არამედ ავიდა მშვიდობიანი მანიფესტაცია, რომელიც ცხინვალში არ შეუშვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმმა და მილიციამ, აგრეთვე ოსმა ექსტრემისტებმა. მანიფესტაცია მშვიდობიანად დაბრუნდა უკან, _ ისე, რომ არავისი სისხლი არ დაუღვრია, შემდეგ მოხდა ოს ექსტრემისტთა რამდენიმე თავდასხმა ქართველებზე, რის შედეგადაც დაიღუპა ორი ოსი მოქალაქე და დაიჭრა რამდენიმე ათეული კაცი; ასე რომ მსხვერპლი ორივე მხრივ თითქმის თანაბარია. არაადამიანობა განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა ქართველი მილიციის ვასო მემანიშვილის დაჭრის და წამების დროს _ რომელიც ცხინვალის საავადმყოფოს ოსმა "ექიმებმა", მკურნალობის ნაცვლად წიხლებით სცემეს და გაღებულ პირში აფურთხეს. ხშირია შემთხვევები ჩვენი მილიციელების ცემისა, მათთვის იარაღის აყრისა და ა.შ. დანარჩენ ინფორმაციებს დეტალურად იხილავთ ცხინვალის სახალხო ფრონტის მიერ შედგენილ საინფორმაციო ქრონიკაში, სადაც ჩანს რომელი მხარე ავლენს "ფაშისტურ" თვისებებს და ვინ არის წამომწყები და ინიციატორი ამ სისხლიანი ვაკხანალიისა. რაც შეეხება ჩემს მიერ ღიად დეკლარირებას ოსი ხალხის გენოციდის გეგმისას, ამის არავითარი საბუთი არ არსებობს _ პირიქით, მიტინგებზე და ტელევიზიით სისტემატურად მოვუწოდებ ოს და ქართველ მოსახლეობას ეროვნული შერიგებისაკენ, ვარწმუნებ ცხინვალის ოსურ მოსახლეობას, რომ ჩვენ არავითარი აგრესიული ზრახვები არა გვაქვს, ჩვენი ერთადერთი სურვილია ქართული მოსახლეობა დაცული იყოს და ჰქონდეს ცხინვალში მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება. ვაწარმოებ მოლაპარაკებას ხელისუფლებასთან, აგრეთვე ლიდერებთან, მოვუწოდებ მათ, დაამშვიდონ მოსახლეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალურ შედეგებს ვერ ვაღწევ, ვინაიდან როგორც ჩანს, მესამე ძალა არ არის მშვიდობით დაინტერესებული. და ბოლოს, ორიოდე სიტყვა სოფ. ქურთას საბავშვო სახლის შესახებ. ამ სახლის მუშაკებიც დეზიმფორმაციას მიმართავენ. ქურთა, კეხვი, თამარაშენი და სხვა სოფლები ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარეობენ. ამ სოფლების მოსახლეობას არ აქვს საშუალება ისარგებლოს ცხინვალის საავადმყოფოთი, რადგანაც ცხინვალში ქართველების მიმართ ტერორია გამოცხადებული, ხოლო ნაცემი და დაჭრილი ხალხი მიემართება გორის საავადმყოფოში, ამიტომ მოითხოვეს ამ სოფლების მოსახლეობა ქურთაში, საბავშვო სახლის შენობაში, საავადმყოფოს გახსნას, ხოლო საბავშვო სახლი შეიძლება რაიონული ცენტრის _ ლენინგორის საბავშვო სახლს შეუერთდეს. საავადმყოფოს გახსნა მით უფრო გადაუდებელია, რომ ამ რეგიონში ყოველდღე სროლაა, არიან დაჭრილები, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა ხდება რეგიონში: 4 იანვარს აკვანში მოკლეს ბავშვი; რამდენიმე დღით ადრე თამარაშენიდან გორში გადაყვანისას მშობიარემ გზაში დაბადა ბავშვი, რომელიც გარდაიცვალა (ცხინვალის სამშობიარო სახლში ქართველებს საფრთხის ეშინიათ)... ამიტომაა, რომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სასწრაფო ზომებს იღებს საავადმყოფოს და სამშობიარო სახლის გახსნისათვის სოფ. ქურთაში. ზვიად გამსახურდია.

1989წ. 20 დეკემბერს რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ მიღებული იქნა №315 ბრძანება **ა.მ.გორკის** სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე.წ. სოხუმის ფილიალის გაერთიანების შესახებ, რისთვისაც შემოთავაზებული იყო ისეთი არაკონსტრუქციული და სახიფათო მეთოდები, რომელსაც შეეძლო მორიგი ავანტიურის გამოწვევა.

1989 წლისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში გაძლიერდა მიგრაციული პროცესები როგორც რსფსრ-ის ტერიტორიიდან, ასევე უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან და განსაკუთრებით აზერბაიჯანისა და არმენთა სსრ რესპუბლიკებიდან. ეს მოსახლეობა მოედო ქვემო ქართლს, ჯავახეთს, თბილისს, აჭარასა და უპირატესად აფხაზეთის ავტონომიურ სს რესპუბლიკას. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა რესპუბლიკიდან არმენი ეროვნების მოქალაქეთა ჭარბად და საეჭვოდ მოძალება. ადგილობრივი მოღალატე პარტნომენკლატურული მუშაკების გამყიდველური საქმიანობის შედეგად ათასობით სპიტაკელი, არმავირელი, ტაშკენტელი, დუშანბელი, ოშელი, სუმგაითელი და ა.შ. არმენი მოქალაქე "კანონიერად" ჩასახლდა აფხაზეთის სოფლებსა და ქალაქებში. ეროვნული მოძრაობის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და ბატონ **ზ. გამსახურდიას** პირადი მხარდაჭერით, საქართველოს კპ სოხუმის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა სოხუმის რაიაღმასკომში იძულებული შეიქმნენ დაეწყოთ ამ საკითხის მოწესრიგება.

ამასთან დაკავშირებით სოხუმის რაიონში დეკემბრის ბოლოს შეიქმნა მოსახლეობის ჩაწერისა და სამოსახლოთა გამოყოფის, საკარ-მიდამოთა ყიდვა-გაყიდვის კანონიერების შემსწავლელი კომისია (თავმჯდომარე **ა.პოპოვა**, ეროვნული მოძრაობის რწმუნებული და კომისიის წევრი **ს.საჯაია**).

ფაქტიურად ამ კომისიის მუშაობა წარმართა ეროვნულმა მოძრაობამ და გაატარა შესაბამისი, ამ მხრივ საჭირო ქმედითი ღონისძიებანი.

1989წ. 27 დეკემბერს "Литературная Газета"-ში გამოქვეყნდა **გ.ზორინის** ცილისმწამებლური წერილი "**როგორ მოვძებნოთ გამოსავალი**". იგი ასეთნაირი "ობიექტურობით" აშუქებდა რუსიზმის მიერ პროვოცირებული ოსური აგრესიის ხასიათს: "**...под дулами автоматов толкали людей в ледяную воду, принуждали подолгу лежать в ней, голыми ползать по снегу, срезали усы и заставляли их глотать.**"

თუ ამას დავუმატებთ სსრკ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის ანტიქართულ შინაარსს, სადაც ქართველთმოძულეობითი ღვარძლის გადმოფრქვევით თავი გამოიჩინა არაერთმა ორატორმა, გასაგები იქნება თუ რა პროპაგანდისტული და იდეოლოგიური საწყისები ჰქონდა მომავალში საქართველოს მიმართ განსახორციელებელ სამხედრო ინტერვენციას რუსეთის მხრიდან. ამავე ყრილობაზე აფხაზეცთა სეპარატისტული ეთნოკრატიიდან სსრკ სახალხო დეპუტატებმა წერილით მიმართეს სსრკ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობას, რომელშიც მთლიანად გაყალბებული იყო აფხაზეთში მიმდინარე პროცესები, რუსიზმის მიერ პროვოცირებული სისხლისღვრა გადმობრალდა არარსებულ ქართულ "დიდმპყრობლობას".

და მაინც _ ცილისწამებათა ზღვარდაუდები უტიფრობით გამოირჩეოდა ამ ყრილობაზე ოსურ-აფხაზეცური აგრესიის ნაცადი პროპაგანდისტების **ტარას შამბასა** და **ნაფი ჯუსოითის** გამოსვლები.

აღსანიშნავია, რომ შეთავსებით "ქართველთა მეგობრის" **ნაფი ჯუსოითის** _ ოსური აგრესიის მთავარი იდეოლოგისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თანმიმდევრული ფაბრიკატორის, საბჭოთა პარტნომენკლატურული მწერლისა და მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტისა და საქართველოს სსრ

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრის, სსრკ სახალხო დეპუტატის ძირითადი საქმიანობა იყო ქართველთა წინააღმდეგ ეთნოდივერსიის წარმოება. ამიტომ, გასაგებია, იგი სსრკ მეორე ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა და კრემლის წინაშე თავისი ბეზღებითა და მლიქვნელობით ვერაგულად დაესხა თავს ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

ამ დროისათვის (1989 წლის დეკემბერი) ა.მ.გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის _ ე.წ. აფხაზური უნივერსიტეტის უფლებების დაცვის კომიტეტის სახელით ლუნდის (შვეცია) უნივერსიტეტში გაიგზავნა კვლავ და კვლავ ცილისმწამებლური საჩივარი _ მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: **"საქართველოს წამყვანმა წრეებმა ისარგებლეს გორბაჩოვის პოლიტიკით, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს დიდ უფლებებს ანიჭებს, რათა აფხაზეთს თავს მოახვიონ საკუთარი იმპერიალისტური მიზნები, კერძოდ, აფხაზ ერს დამოუკიდებლად განვითარების უფლება ჩამოართვან და გააუქმონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა... ეს ქართული ნაციონალიზმი ფაშიზმის ფორმის მიღებას იწყებს"** (გაზ. **"სახალხო განთლება", 27 დეკემბერი 1989წ.**)

იმ დღეებში აჭარის ასსრ რაიონებში ადგილობრივი ეროვნული მოძრაობის მიერ აღებული იქნა ლენინის ძეგლები, ამასთან დაკავშირებით თურქეთის ოფიციალური წრეებიდან მოვიდა შეტყობინება, რომ **"თურქეთში ლენინის ძეგლის აღების ფაქტი შეშფოთებას იწვევს" (ვრცლად იხ. გაზეთი "ახალგაზრდა ივერიელი", 22 მაისი, 1990წ.).**

1989 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ სეპარატისტ-ექსტრემისტთა ზეწოლის შედეგად გუდაუთის რაიონული გაზეთის **"Бзыбь"**-ის რედაქციამ შეწყვიტა გაზეთის სატიტულო გვერდზე თავისი სახელწოდების (რეკვიზიტების) ქართულ ენაზე გამოქვეყნება (თანახმად აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციისა (ძირითადი კანონისა) იგი აფსუურ, ქართულ და რუსულ ენებზე უნდა გამოქვეყნებულიყო).

ამის საპასუხოდ იგივე გააკეთდა გალის რაიონულმა გაზეთმა **"ლენინელმა"** _ ამოაგდო აფსუური წარწერა, თუმცა სახელწოდება **"ლენინელი"** და რუსული შესატყვისი გაზეთის რაობისა, დატოვა.

სამწუხაროდ, ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული მოძრაობისათვის ამგვარი პარტნომენკლატურული დაპირისპირების თავს მოხვევას ცდილობდნენ დაინტერესებული წრეები და შესაბამისად მკვდრადშობილ საქმიანობაში ცდილობდნენ ჩაეთრიათ იგი.

საერთოდ აფხაზეც-სეპარატისტთა საქმიანობის ქმედითად გასაშლელად ყოველმხრივ უზრუნველყოფილი გახლდათ აფხაზეთის ტელევიზია, რადიო, საოლქო და რაიონული ჟურნალ-გაზეთები, რომელთა რიცხვს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კვლავ და კვლავ ემატებოდა ისეთი ოქტომბრისენოვანი, ანტიეროვნული და ველიკოდერჟავული გამოცემები, როგორიც იყო "XXI век", "Сухумский вестник", "Единение" (მისი აფსუური ვარიანტი "აიდგილარა") და სხვა.

ე.წ. საკავშირო პრესა, რადიო და ტელევიზია რომ იყო ქართველთსპობითი იდეების მქადაგებელი, ეს სხვა საკითხია.

1990 წელი 1 იანვარი _ გაზეთ "საბჭოთა აფხაზეთში" გამოქვეყნდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვა აფხაზეთის ასსრ მოსახლეობისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: **"აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხი თავს უნდა გრძნობდეს ერთი მთლიანის, მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი კაცობრიობის შემადგენელ ნაწილად, ჩვენს დროში ეროვნული საკითხი მთელი თავისი შინაარსით გადის ზოგადეროვნული ინტერესების გზაზე".** ამ, ერთი შეხედვით "ჰუმანური" მოწოდებების მიღმა შენიღბული გახლდათ ავმოსურნე ჩასაფრება

ეროვნული საკუთარხმიერებიდან გამომდინარე პოლიფონიზმისადმი და მოთადარიგდა მზადყოფნა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღსაგველად. იგი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა აფხაზეთის სინამდვილეში მორდუობისა და ძუძუმტეობის პრინციპების ხელყოფას.

5 იანვარი _ რუბრიკით **"ადამიანის უფლებათა დასაცავად"**, გაზეთ "საბჭოთა აფხაზეთში" გამოქვეყნდა სკკპ "ეროვნული პლატფორმის" პროექტის შესაბამისად რეგლამენტირებული მიმართვა ე.წ. საბჭოთა მშრომელებისადმი. სხვებთან ერთად მას ხელს აწერდა სსრკ უზენაესი საბჭოს დეპუტატი კომუნისტური პარტიისგან, სსრკ სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, კინორეჟისორი, **ედუარდ შევარდნაძის** ახლო და პირადი მეგობარი **თენგიზ აბულაძე: "ვაცხადებთ, რომ განზრახული გვაქვს გავაჩაღოთ საზოგადოებრივი მოძრაობა ყოველგვარი სამართალსაწინააღმდეგო და ანტიჰუმანური ამოქმედების, პიროვნების უფლებათა შებღალვის წინააღმდეგ, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, ამასთან გვაქვს საბჭოთა ადამიანების, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის იმედი, ჩვენს საკუთარ სახლში წესრიგის ენერგიული დამყარება, მოქალაქეათა უფლებების დაცვის გარანტიები საშუალებას მოგვცემს სხვა ქვეყნის შესაბამის საერთაშორისო ორგანოებთან და ეროვნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში უფრო აქტიურად ჩავებათ მთელ მსოფლიოში ჰუმანიზმის იდეალების დამკვიდრების პროცესში".**

აღნიშნული მიმართვა სსრკ ხალხებს განიხილავდა სკკპ-ს მიერ დამკვიდრებული და დაკანონებული ხალხთასპობითი ოქტომბრისენოვანი სტერეოტიპების შესაბამისად, რაც არათუ ადამიანთა უფლების დაცვაა, არამედ მისი გენეტიკურ, სულიერ და ცნობიერ კასტრაციას წარმოადგენდა.

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე განახლდა და გაგრძელდა დაძაბული ვითარება ჩრდილო-დასავლეთ ქართლის ცენტრალურ ნაწილში (ცხინვალის მხარე). კრემლის მიერ ინსპირირებულმა და ოსი ბოევიკების მიერ განხორციელებულმა ეთნიური წმენდის მცდელობებმა განსაკუთრებულად სახიფათო და კაცთმოძულეობითი ხასიათი მიიღო: **3 იანვარს** სოფელ ფრისში ექსტრემისტებმა ტყვიით აკვანში ჩაკლეს 9 თვის **პაატა ნიკურაშვილი**. ასევე ოსმა ბოევიკებმა **4 და 7 იანვარს** (შობას) ქართულ სოფლებზე მოაწყვეს თავდასხმები, რომლის შედეგად იყო მსხვერპლი, ზარალი.

იმ დღეებში ცნობილი გახდა კიდევ ერთი შემაშფოთებელი შემთხვევა: სოფელ ქურთაში მცხოვრები **ნანა ცხოვრებოვა-სხირტლაძე** ქალაქ ცხინვალში წაიყვანეს სამშობიაროდ; ოსმა მოპიკეტეებმა არ მისცეს ქალაქში შესვლის საშუალება, რის გამოც, მშობიარე იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ახალშობილი ბავშვი ხუთი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ტრაგედიას, რომელიც მოხდა სოფელ ფრისში, **ნიკურაშვილების** ოჯახში, წინ უსწრებდა შემთხვევა, როდესაც ოჯახის უფროსს ოსი ეროვნების პირებმა ჰკითხეს, თუ რა პოზიცია ეკავა მას, ვის მხარეს იყო შექმნილ ვითარებაში. მათთვის არასასურველი პასუხის მიღების შემდეგ, ისინი ოჯახს განადგურებით დაემუქრნენ და წავიდნენ.

5 იანვარს საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი **გ.გუმბარიძე** და დაგმო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსი ოკუპანტების მიერ განხორციელებული ანტიქართული პროვოკაციები, რომელიც სულ უფრო და უფრო აგრესიულ და სახიფათო ხასიათს იძენდა.

5 იანვარი: ბოლნისის რაიონის სოფელ ქუჩალოს სასაფლაოზე კინოგადაღების დროს ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობის ბრბო თავს დაესხა კინოსტუდია **"ქართული ფილმის"** გადამღებ ჯგუფს და სიკვდილის მუქარით მუშაობა აუკრძალა მათ აზერბაიჯანის სსრ ხელისუფლების ნებართვის გარეშე. **11 იანვრიდან** აზერბაიჯანში

კვლავ დაიძაბა ვითარება, რადგან ნახჭევანში **1-2 იანვარს** მოსახლეობის ბრბომ თვითნებურად გახსნა ირანთან საზღვარი.

5-6 იანვარს ბათუმში გაიმართა საბჭოთა ჯარში მომსახურე სამხედროების საპროტესტო გამოსვლა იმასთან დაკავშირებით, რომ სადამსჯელო ღონისძიებებში მონაწილების მისაღებად მათ უპირებდნენ ნახჭევანში დისლოცირებას (კრემლი განსაკუთრებით გააღიზიანა ნახჭევანის მიერ იმხანად დამოუკიდებლობის გამოცხადებამ).

1990წ. 8 იანვარს გაიმართა სახალხო დეპუტატთა სოხუმის რაიაღმასკომთან შექმნილი მოსახლეობის ჩაწერის, საკარმიდამოების გამოყოფისა და საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვის გაფორმების სისწორის შემსწავლელი საგანგებო კომისიის პირველი სამუშაო სხდომა.

აღნიშნული კომისია, როგორც უკვე მოგახსენეთ, შეიქმნა ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით (მისი რწმუნებული _ **ს.საჯაია**), მან გამოავლინა და აღკვეთა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ცხუმ-აფხაზეთისათვის არამშობლიური მოქალაქეების "მოძმე რესპუბლიკებიდან" მოზიდვის ასობით შემთხვევა. კომისიამ იარსება 1990 წლის **ნოემბრის დასასრულამდე,** რომლის შემდეგ თავისი რწმუნებები გადასცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში სოხუმის რაიონიდან არჩეულ დეპუტატს **(ჯ.საჯაიას).**

1990წ. 11 იანვარს ლიტვის სსრ დედაქალაქში _ ვილნიუსში ჩავიდა **მ.გორბაჩოვი**. მან, შესაბამისად სკკპ ეროვნული პლატფორმის პროექტისა, ინტერფრონტული ქადაგება დაუწყო სრულიად ლიტვას: **"... აქ რა ხალხიც უნდა აღმოჩნდეს _ ბელორუსები, უკრაინელები, _ ისინიც ალბათ იმედს ამყარებენ ამ მიწაზე, სადაც დაიბადნენ და ცხოვრობენ, თავიანთი შვილების ბედნიერებაზე. ამ მიწაზე ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ამ ხალხის მონაწილეობით და თუ მას ხელს არ აძლევს რაღაც, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ სხვა პოლიტიკაზე, სხვა ღონისძიებაზე და არა მარტო ეკონომიკაში, არამედ კულტურაშიც, ენაშიც, პოლიტიკურ პროცესებში, რათა ადამიანები ბატონ-პატრონად გრძნობდნენ თავს მიწაზე"** (გაზ. **"საბჭოთა აფხაზეთი", 1990, 13 იანვარი).**

რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ქვეყანაში მოსახლე ეროვნული უმცირესობის ინტერესები არ უნდა შეილახოს, მაგრამ ამ ეროვნულმა უმცირესობამ, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა მოსთხოვოს, რომ ის ვინმეს დიდმპყრობლური ამბიციებიდან გამომდინარე არ დაუშვებს იმას, _ გამოყენებული იქნეს ეთნოდივერსიული მიზნით ახალ სამშობლოში.

1990წ. 12 იანვარს გაზეთმა **"საბჭოთა აფხაზეთმა"** მკითხველს აუწყა, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, შესაბამისად აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნდა ე.წ. ჩრდილო-ოსეთის ასსრ ოფიციოზისა და პარტნომენკლატურული "საზოგადო" მოღვაწეების მიმართვა საქართველოს მშრომელებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად "ჩრდილო" ოსეთი უკვე ნიშნავს ტერიტორიული პრეტენზიის წამოყენებას საქართველოსადმი, წერილის ავტორები თავხედურად აქეთ ასწავლიდნენ ჭკუას ქართველ საზოგადოებრიობას და უტიფრად უქნევდნენ თითს: **"მოგიწოდებთ შევაჩეროთ უფსკრულისკენ დაქანება, ჩვენი მომმე ხალხების ურთიერთობას დავუბრუნოთ მრავალსაუკუნოვანი მდგომარეობა. ჯერ კიდევ გვიან არ არის"...**[19]

1990წ. 13 იანვარს ბაქოში კრემლის მიერ წაქეზებული იქნა აზერბაიჯანელი მოსახლეობის თავდასხმა არმენულ დასახლებებზე დარბევის მიზნით, რომლის დროსაც დაიღუპა 34 და დაიჭრა ასზე მეტი ადამიანი, აზებაიჯანის სსრ-დან ხიზანმა არმენებმა ძირითადად საქართველოს შემოაფარეს თავი.

[19] **იხ.დანართი 1**

1990წ. 14 იანვარს საკდესმა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ მთიანი ყარაბახის აო-ში სისხლი იღვრება.

1990წ. 15 იანვრიდან აზერბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბახის აო-ში და არმენეთის სსრ გორისის რაიონში გამოცხადდა საგანგებო წესები, რასაც კრემლიდან ინსპირირებული ეთნოკონფლიქტის ექსკალაცია მოჰყვა _ მომდევნო დღეებში რუსისტულმა ჯარმა ცეცხლითა და მახვილით გადაუარა ქ. ბაქოსა და აზერბაიჯანის სსრ რიგ რაიონებს. დაიღვარა მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლი.

1990წ. 16 იანვარს კრემლში გაიმართა სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა **მ.გორბაჩოვი**. განხილული იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ ბალტიისპირეთის "მოკავშირე რესპუბლიკებში" ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი არ შეესაბამებოდა სსრკ კონსტიტუციასა და სსრკ კანონებს.

უფრო მეტიც, იგი ეწინააღმდეგებოდა მათ.

ბალტიისპირეთის "მოკავშირე რესპუბლიკებს" მიეცათ წინადადება, **"განახორციელონ ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები შეუსაბამონ სსრკ კონსტიტუციასა და სსრკ კანონებს" (გაზ. "კომუნისტი", 1990წ. 18 იანვარი).**

ამ ერთი შეხედვით მშვიდობიანი დადგენილების მიღმა შენიღბული იყო ის დივერსიული ქმედებები, რომლებიც კრემლმა მანამდე განახორციელა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ (მათ უფრო ქმედითად განახორციელებს მომავალშიც). მიუხედავად ამისა, ბალტიისპირეთის ამ სამი ქვეყნის სახალხო ნება შეუქცევადი გახდა _ ისინი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მძიმე, მაგრამ ბედნიერ გზას დაადგნენ. ამასთანავე ისინი მზად აღმოჩნდნენ კრემლის ავანტიურასთან (მათ შორის შეიარაღებულ აგრესიასთან) მშვიდობიანი ხერხებით საბრძოლველად. საბედნიეროდ, ამ გზაზე ისინი მსოფლიო საზოგადოებრიობამ (განსხვავებით საქართველოსაგან) მარტო არ დატოვა.

1990წ. 16 იანვარს საქართველოს ალკკ ცკ-ის ბიუროს ინიციატივით ე.წ. კომკავშირულ ქალაქ **ბორის ძნელაძეს <u>შავნაბადა</u>** ეწოდა.

1990წ. 17 იანვარს საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი **გ.გუმბარიძე** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ.ჭითანავა** იყვნენ ქვემო ქართლში, სადაც შეხვდნენ აზერბაიჯანელ მოსახლეობას, ესაუბრნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

1990წ. 17 იანვარს სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის შესაბამისად რიგ სამინისტროებსა და უწყებებს, მათ შორის საქართველოს სსრ-სა და განსაკუთრებით აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ამგვარად დაუკონკრეტდათ უსათუოდ შესასრულებელი დავალება: **"წინადადება მიეცათ უზრუნველყონ მათს კუთვნილ გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში იმ მოქალაქეთა დროებითი მოთავსება, აგრეთვე კვების ორგანიზაცია, რომლებმაც იძულებით დატოვეს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა".**

(ამასთან დაკავშირებით საკდესმა **15 თებერვალს** გაავრცელა დამატებითი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, ამას დამატებული **1988 წლის 7 დეკემბერს** სპიტაკიდან და ლენინაკანიდან მიწისძვრის გამო მასობრივად გამოქცეული არმენი მოსახლეობა და... აფხაზეთი აივსო არმენი ხიზნებით.)

უბედურებაში ჩავარდნილთათვის პურისა და ლუკმის დაყვედრება უზნეობაა, არც არავინ აყვედრის, მაგრამ თადარიგი და სიფრთხილე ყველაფერშია საჭირო: სწორედ ამ ხიზნებმა დაიწყეს კომპაქტურად დასახლება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში. კრემლისა და სეპარატისტული ეთნოკრატიის ხელშეწყობითა და ადგილობრივი ქართველი მოღალატეების

დახმარებით მათ მყარად მოიკიდეს ფეხი და 1992-93 წლების საომარი ავანტიურის დროს აფხაზეთში, წარმოადგენდნენ რა **ი.ქ.ბაგრამიანის** სახელობის ბატალიონს, როგორც რუსიზმის შეიარაღებულმა მოკავშირეებმა, თავი გამოიჩინეს მშვიდობიანი ქართველების ხოცვასა და გაუპატიურებაში, ქართული სოფლების გადაწვასა და მოროდიორობაში.

1990წ. 19 იანვარს გაზეთ **"ლიტერატურულ საქართველოში"** დაიბეჭდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წერილი, რომელიც გამოსაქვეყნებლად გაეგზავნა გაზეთ **„Литературная Россия"**-ს რედაქციას, მის მიერ ახალი წლის წინა დღეებში ქართველი ერის მიმართ ცილისმწამებლური პუბლიკაციების გამოქვეყნების გამო (იგი რუს ლიტერატორთა მთავარმა გაზეთმა არ გამოაქვეყნა). წერილი ძირითადად აღნიშნავდა, რომ **"გასული წლის უკანასკნელ ნომრებში, სწორედ ახალი წლის წინა დღეებში საოცარი ერთსულოვნებით შეეცადეთ ყოვლად ტენდენციური მასალებით, შეუმოწმებელი და მიუკერძოებული ფაქტებით კიდევ ერთხელ მოგეყენებინათ შეურაცხყოფა ქართველი ერისათვის. გულწრფელად რომ გითხრათ, თქვენმა ალიანსმა ძალიან გაგვაოცა.**

დიახ, საახალწლოდ, და შედეგმაც არ დააყოვნა. ჯერ 4 იანვარს, ხოლო შემდეგ 7 იანვარს, კიდევ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს აღგზნებულმა ადამიანებმა...

...ჩვენ, როგორც მწერლებმა, უდიდესი გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის (და უკვე არა რსფსრ-ს) ლიტერატურული გაზეთი რეაქციონერთა არა მარტო მხარდამჭერი, მედროშეც კი აღმოჩნდა. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ, როგორც თქვენ, ასევე "ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქტორს, უდიდესი სიხარული მოგანიჭათ "ოსურმა მასალებმა" და სულმოუთქმელად გამოაქვეყნეთ საახალწლოდ...

ობიექტური კორესპონდენტი იმასაც გაიგებდა, ოსმა ექსტრემისტებმა როგორ წაგლიჯეს მილიციელებს 46 პისტოლეტი და 8 ავტომატი. არც ის დარჩებოდა გაუგებარი, როკის გვირაბით როგორ შემოჰქონდათ ჩრდილოეთ ოსეთიდან იარაღი და ხელყუმბარები. იქნებ მაშინ დაგბადებოდათ კიდეც შეკითხვა, ვინ ყიდის ამ იარაღს? ავტომატებს ვინ დაეძებს, როგორც 10 იანვარს "ვრემიამ" გადმოსცა და აჩვენა კიდეც, ყარაბახში უკვე ათეულობით რაკეტა "ზემლია-ზემლიაც" კი შეუძენიათ ექსტრემისტებს. ნუთუ ეს გაუგონარი ფაქტი მაინც არ გაღელვებთ, კერძო პირები სად და ვისგან ყიდულობენ რაკეტებს? ამ შემაშფოთებელი და შემაძრწუნებელი ფაქტების თაობაზე ჯერ ხომ არცერთ გაზეთს არ გამოუქვეყნებია თუნდაც უბრალო სიგნალიც კი?!

თუმცა, სჯობია ჩვენს საქმეს მივუბრუნდეთ. საკითხი რომ ობიექტურად შეგესწავლათ, გვჯერა, ერთი ამაზრზენი და შემაშფოთებელი, თითქმის დაუჯერებელი ფაქტი მაინც მიიპყრობდა თქვენს ყურადღებას. გასული წლის 26 ნოემბერს ავტომატებით და ხელყუმბარებით შეიარაღებულმა ათასამდე ოსმა ექსტრემისტმა დააკავა ორ ავტობუსში მსხდომი მილიციელები და მათი მეთაური, პოლკოვნიკი შ.ცინცხალაძე. დაპატიმრებულები ჯერ განაიარაღეს, შემდეგ ქალაქის საბილიარდოში შეყარეს. ათი საათის მანძილზე სცემდნენ ისინი მილიციელებს, დასცინოდნენ, აფურთხებდნენ, ყოველგვარ შეურაცხყოფას აყენებდნენ, აწამებდნენ, დახვრეტის ინსცენირებებს უწყობდნენ და, რაც მთავარია, ამ უსაშინელეს წამებას სადისტური სიამოვნებით უცქერდნენ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები.

... განა ცნობილი ოსი მეცნიერი ვასო აბაევი მეცნიერულად არ ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ ოსები თვით ჩრდილოეთ კავკასიაშიც კი ჩამოსახლებულნი არიან.

განა სამართლიანად არ სვამს საკითხს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ოლღა თედეევა, რომ: "თუკი ბატონი ვასო (იგულისხმება ვ.აბაევი) ჩრდილოეთ კავკასიაში ორი ათასი წლის წინ ჩამოსახლებულ ოსებს "პრიშელცებს" უწოდებს, რაღა

უნდა ვუწოდოთ რამდენიმე საუკუნის წინ ჩრდილო ოსეთიდან საქართველოში _ სამაჩაბლოში ჩამოსულ ოსებს?" (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 2.XII.89).

იქნებ, ბატონო რედაქტორო, ისიც გაგეგოთ, რომ სამხრეთ ოსეთში სულ ^65 ათასი ოსი ცხოვრობს, ხოლო კიდევ ასი ათასი ოსი მთელ საქართველოშია გაბნეული და მათ არასდროს არ უგრძვნიათ შევიწროება ქართველების მხრიდან. იქნებ ისიც გაგეთვალისწინებინათ, რომ საქართველოში ოსებს აქვთ საკუთარი თეატრი, ინსტიტუტი, რომ უკვე მოამზადეს გამოსაცემად ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონის ოთხტომეული, ხოლო რა ხანია გამოვიდა ოსური ლიტერატურის სამტომეული! განა შეიძლება სიამაყით არ აგევსოს გული ქართველებს, როცა 1979 წლის აღწერით ავტონომიურ ოლქში მცხოვრები 65077 ოსიდან მშობლიურ ენას ფლობდა 64257 და მხოლოდ 820 კაცი ვერ ლაპარაკობდა მამა-პაპათა ენაზე! ასეთი მაჩვენებელი თითქმის არ არის საბჭოეთის არცერთ ავტონომიურ ოლქსა თუ რესპუბლიკაში. ეს მაშინ, როცა სრულიად საწინააღმდეგო სურათის მოწმენი ვხდებით ჩრდილოეთ ოსეთში, თუმცა, სჯობია სიტყვა თვით ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებს მივცეთ.

აი, რას წერს გაზეთ "პრავდის" მოწინავეში ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ა.გალაზოვი:

"Национальную молодежь, к примеру, лишили ее родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения… Всякое обращение к этим вопросам рассматривалось отдельными «деятелями» как покушение на интернациональные основы советского государства" ("Правда", 11.XII.89.).

ახლა ორჯონიკიძელ ი.დამბეგოვასაც მოვუსმინოთ:

"В 60-е годы был проведен перевод всех осетинских школ на русский язык обучения. Считалось, что совершенное владение языком межнационального общения открывает путь к расцвету и сближению нации...

...Нам нужна действительно национальная школа - в том виде, в каком она прекратила существование сорок лет назад".

("Собеседник", №45).

და ეს მაშინ, როცა სამხრეთ ოსეთში 83 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ოსურ ენაზე.

აი, როგორი დეპეშა მივიღეთ ჩრდილოეთ ოსეთიდან გასული წლის 25 ნოემბერს:

"Коллеги в случае кровопролития в Юго-Осетии могут пострадать двенадцать тысяч грузин, проживающих в Орджоникидзе, помогите унять ваших экстремистов. Ахсар Кодзати, Главный редактор журнала «Мах Дуг»".

კიდევ კარგი, რომ თქვენსავით როდი ფიქრობს საქართველოში მცხოვრები 165 ათასი ოსის მაქსიმალური უმრავლესობა. ამიტომაც იქნებ ერთი ჩვენი მოკრძალებული რჩევაც მიგეღოთ: თქვენი გაზეთის ფურცლებზე ნუ გამოაქვეყნებთ ისეთ მასალებს, ცეცხლზე რომ ნავთს დაასხამს.

თუმცა უკვე სრული საფუძველი გვაქვს, ეჭვი შეგვეპაროს: იქნებ სწორედ ესაა თქვენი მიზანი?"

1990წ. 16 იანვარს _ სსრკ თავდაცვის მინისტრმა ქართველი ერისათვის დამღუპველი მორიგი ბრძანება გასცა:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. გ.გ.გუმბარიძეს,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეს ამხ. ნ.ა.ჭითანავას
პატივცემულო გივი გრიგოლის ძევ!
პატივცემულო ნოდარ ამბროსის ძევ!

საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა დღეს ყველაზე მწვავე პრობლემაა სსრკ თავდაცვის სამინისტროში.

მის გადასაწყვეტად შემუშავებულია სპეციალური კომპლექსური მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სსრკ თავდაცვის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების სამშენებლო ძალებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მოცულობის ყოველწლიურ გაზრდას, რათა შესრულდეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასმული ამოცანა _ 2000 წლისათვის ყოველი ოჯახი უზრუნველყოფილი იყოს კეთილმოწყობილი ბინით.

პროგრამის შესაბამისად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1990-1995 წლებში დაგეგმილია 413 ათასი კვ. მ. საერთო ფართის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, აქედან: საკუთარი გეგმით 263 ათასი კვ. მ., წილობრივი მონაწილეობით 150 ათასი კვ. მ.

პროგრამა შემუშავებულია სამშენებლო ინდუსტრიის საკუთარი საწარმოო ბაზის მაქსიმალური გამოყენებისა და შემდგომი განვითარების გათვალისწინებით, რომლის პროდუქციის გამოშვებაც მხოლოდ 70-80 პროცენტით ფარავს მსხვილპანელიანი სახლების კონსტრუქციებზე, ტყესა და სხვა მასალაზე წლიურ მოთხოვნას და აღნიშნული კონსტრუქციების სახალხო მეურნეობიდან მიწოდების გარეშე სსრკ თავდაცვის სამინისტრო ფონს ვერ გავა. მაგრამ, მიუხედავად სსრკ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის №573 განკარგულებისა "1986-1990 წლებში სახალხო მეურნეობიდან სამშენებლო კონსტრუქციებისა და მასალების მიწოდების შესახებ", რომელიც 1989-1990 წლებზე სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დავალებით (№IIII-18837 1988წ.) ვადა გაგრძელებულია, სამხედრო-სამშენებლო ორგანიზაციები კვლავ დიდ სიძნელეებს განიცდიან ხელშეკრულებების დადებასა და სახალხო მეურნეობიდან სამშენებლო კონსტრუქციებისა და მასალების რეალიზაციისას.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება აგრეთვე სსრკ პარტიისა და მთავრობის დადგენილებები აღმასკომებისა და ადგილობრივი საბჭოების მიერ სამხედრო მოსამსახურეთათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის (საქართველოს სსრ დავალიანება 4,0 ათას კვ. მ. შეადგენს) და საქმიანი მონაწილეობის მიხედვით ბინების მიღების (საქართველოს სსრ დავალიანება 10,2 ათას კვ. მ. საერთო ფართს შეადგენს) შესახებ.

ყოველივე ზემოთთქუმლთან დაკავშირებით მოგმართავთ თხოვნით:

1. აღმოუჩინოთ დახმარება და ხელი შეუწყოთ სსრკ თავდაცვის სამინისტროს მშენებლობებს 1990 წელს სამშენებლო კონსტრუქციებით, მასალებითა და ნაკეთობებით უზრუნველყოფის საქმეში იმ მოცულობით, რომელიც სსრკ მინისტრთა საბჭოს 1989წ. №573 განკარგულებითაა გათვალისწინებული.

2. მიიღოთ დადებითი გადაწყვეტილებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში სსრკ თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე, 1991-1995 წლებში რკინაბეტონის კონსტრუქციების, მათ შორის მსხვილპანელიანი სახლების დეტალების, სამშენებლო აგურის, ღორღის მიწოდების მოცულობების თაობაზე, რომლებიც XII ხუთწლედის წლიურ მოცულობებს არ აღემატება.

3. შეათანხმოთ სსრკ თავდაცვის სამინისტროს წილობრივი მონაწილეობა 1991-1995 წლებში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში. სამხედრო მოსამსახურეთა საკადრო შემადგენლობისათვის, 125,6 ათასი კვ. მ. მოცულობით, აგრეთვე დახურული და განკერძოებული სამხედრო ქალაქებიდან პირთა გადმოსახლების შესახებ, იმ თანხების ხარჯზე, რომლებიც სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის №734 ბრძანების შესაბამისადაა გამოყოფილი _ 49,5 ათასი კვ. მ. მათ შორის 1991 წელს _ სულ 31,1 ათასი კვ. მ.

4. **დაავალდებულოთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები 1990 წელს დაფარონ სსრკ თავდაცვის სამინისტროსათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფაში წარმოქმნილი დავალიანება.**

სსრკ თავდაცვის მინისტრი დ.იაზოვი.
საბჭოთა არმიისა და სამხედრო- საზღვაო
ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს
უფროსი ა.ლიზიჩევი.
16 იანვარი, 1990წ. №156 (7/122).

რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, ოკუპანტები არც წაბრძანებას და არც წათრევას აპირებენ. იმპერიული სამხედრო მანქანა კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა და თავისი სისხლისმღვრელი ქვეშევრდომების კეთილმოწყალებაზე ზრუნავს. კოლონია რის კოლონიაა, თუ მბრძანებლის ნებას არ დაჰყვა და მის წარგზავნილებს ყველა პირობა არ შეუქმნა დამპყრობლური საქმიანობისთვის.

1990წ. 19 იანვარს გაზეთმა **"კომუნისტმა"** საკავშირო პრესიდან სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრის, სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის **ე.შევარდნაძის** წერილი გადმობეჭდა, რომელშიც იგი ევროპის "ერთიანობისკენ" მოგვიწოდებდა. იგი თავისი შინაარსით საყოველთაო კოსმოპოლიტიზმისკენ "ფეხაწყობით იარს" მოითხოვდა.

1990წ. 21 იანვარს საბჭოთა ტელევიზიის ცენტრალური არხით გამოვიდა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი **მ.გორბაჩოვი**, რომელმაც "გულისტკივილი გამოთქვა" აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენების გამო.

1990წ. 22 იანვარს საქართველოს კპ ცკ-ში გაიმართა თათბირი, რომელზედაც იმსჯელეს აზერბაიჯანისა და არმენთა სს რესპუბლიკებში შექმნილი ვითარების შესახებ.

1990წ. 22 იანვარს საკდესმა გაავრცელა ცნობა, რომ აზერბაიჯანისა და არმენთა სს რესპუბლიკებში იარაღს არ ყრიან.

1990წ. 23 იანვარს გაიმართა საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ე.წ. სოაო-ს საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად "აირჩია" ოს-ქართველა (სინამდვილეში _ არცერთი) **ვ.ცხოვრებაშვილი**. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა **გ.გუმბარიძემ**.

1990წ. 24 იანვარს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე ქართველთა ჟლეტის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციის მონაწილეები (აქცია წინა დღეებში დაიწყო) შეხვდნენ აკადემიის პრეზიდიუმის წევრებს და მოითხოვეს **ნაფი ჯუსოითის,** ოსური აგრესიის იდეოლოგისა და ცხინვალში ქართველთა ჟლეტის "აუცილებლობის" ერთ-ერთი "დამსაბუთებლის" შეხვედრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრებთან და წევრ-კორესპონდენტებთან.

1990წ. 26 იანვარს საკდესმა გაავრცელა ცნობა, რომელმაც დაადასტურა, რომ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკიდან ძალდატანებით მოხდა არმენი მოსახლეობის დეპორტაცია. მარტო ბაქოდან გაიხიზნა 16 ათასზე მეტი არმენი.

კრემლმა მკაცრად დაგმო აზერბაიჯანული ექსტრემიზმი და მას გადააბრალა თავის მიერ ბაქოელი ექსტრემისტების მონაწილეობით ინსპირირებული ჟლეტა და ხელი შეახოცა მათ.

ხოლო **27 იანვარს** იმავე საკდესმა საბჭოთა ხალხს აუწყა, რომ **"მოძმე აზერბაიჯანში" "იწყებენ გზების გაწმენდის ღონისძიებებს, მასში ჩაბმულია ჯარის ნაწილები და**

ქვედანაყოფები, ადგილობრივი მოსახლეობა” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 1990, 27 იანვარი).

1990წ. 26 იანვარს გაიმართა ე.წ. აფხაზეთის სახალხო ფორუმის **“აიდგილარას”** გუდაუთის რაიონული ორგანიზაციის I კონფერენცია, რომელზეც სიტყვით გამოვიდა პედაგოგი **ტ.ბოკუჩავა** _ ე.წ. ,,მეგრელშჩინის” ერთ-ერთი იდეოლოგი და ორგანიზატორი აფხაზეთში. იგი გამგეობის წევრად აირჩიეს.

26 იანვარს გაზეთ “ლიტერატურულ საქართველოში” გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ავტორი მიზნობრივად ამტკიცებდა, რომ ამ ნახევარი წლის წინ ჟურნალ **“ოგონიოკის”** ფურცლებზე აკადემიკოს **ა.სახაროვს** კი არ უწოდებია საქართველოსთვის “მცირე იმპერია”, არამედ ეს თვითნებურად დაუწერია ამ ჟურნალის თანამშრომელს, ვინმე **ა.ციტრინს.** სინამდვილეში **ა.სახაროვმა,** როგორც ,,თანამედროვე მსოფლიო წესრიგის” მორჩილმა მოაზროვნემ, შეგნებულად შეასრულა ამ ,,წესრიგით” გათვალისწინებული შეკვეთა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დედაბოძს _ საქართველოს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში სახელგასატეხად ცილი დასწამა, _ ,,მცირე იმპერია” უწოდა, რითაც რეპრესიული საბჭოთა სახელმწიფო კონსტრუქციების რეაბილიტაცია სცადა, რომელშიც სსრკ ხალხთა შერწყმის პროგრამას ქართული ეროვნული მოძრაობა ხელს უშლიდა.

1990წ. 26 იანვარს აფხაზეთის ასსრ საოლქო პრესა იუწყებოდა, რომ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტში მოისმინეს ოფიციალური მასალები შექმნილი ვითარების შესახებ. ინფორმაციებით წარსდგნენ აფხაზეთის ასსრ პროკურორი **ა.კვიწინია,** სსრკ შს სამინისტროს საგანგებო-ოპერატიული ნაწილის უფროსი, პოლკოვნიკი **ა.გრანანკოვი.** აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სასამართლოს თავმჯდომარე **ა.რგუნი.** მათი მოხსენების შესაბამისად აფხაზეთის ოფიციოზმა დაასკვნა, რომ სიტუაციას ძაბავდა ქართული ეროვნული მოძრაობის ანტისაბჭოთა სულისკვეთება.

1990წ. 27 იანვარი _ ქვემოთ მოყვანილი წერილი მიახლოებით სურათს ქმნის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მიმდინარე ეთნოდივერსიებზე:

“გაგრიდან 10-11 კილომეტრის დაშორებითაა (ბიჭვინთის გვერდით) სოფელი ალახაძე. ამ სოფლიდან არაერთხელ გაისმოდა საგანგაშო სიგნალები იმის შესახებ, რომ აქ სისტემატურად ირღვევა როგორც მიწათსარგებლობის კანონები, ისე საპასპორტო რეჟიმი, თანაც, იმასაც ამბობდნენ, ასეთი დარღვევები ლამაზი თვალებისათვის არ უნდა კეთდებოდესო.

სწორედ ამიტომ, 1989 წლის აგვისტოში, გაგრის სახალხო კონტროლის კომიტეტისა და რუსთაველის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლების თაოსნობით მოეწყო შემოწმება აღნიშნული საკითხების შესასწავლად (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “აიდგილარას” ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა რატომღაც უარი განაცხადეს შემოწმებაში მონაწილეობის მიღებაზე).

ამ შემოწმებამ ცხადყო, რომ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში წლების განმავლობაში უხეშად ირღვევა მიწათსარგებლობის კანონები. 1978 წლის შემდეგ აქ არასოდეს ჩატარებულა კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა და მათი ინვენტარიზაცია. არადა, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ამგვარი ღონისძიება სამ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს, რომ დაზუსტდეს, თუ რამდენი საკარმიდამო ნაკვეთი შეუძლია გამოჰყოს კოლმეურნეობამ.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამგვარი ქაოსი ხელს აძლევს ადგილობრივ ხელმძღვანელებს, ვინაიდან, თუ საფუძვლიანი შემოწმება არა, ისე ეშმაკიც ვერაფერს გაუგებს მათ საქმიანობას. ალბათ ამიტომაა, რომ კოლმეურნეობა ყოველწლიურად საკარმიდამო ნაკვეთებს უყოფს სხვადასხვა პირებს, მათ შორის კი საკმაოდ დიდ

ნაწილს საერთო არაფერი აქვს კოლმეურნეობასთან. აი, მაგალითებიც: 1986 წელს კოლმეურნეობის გამგეობაში შევიდა 34 განცხადება ნაკვეთების გამოყოფის თუ მემკვიდრეობით გადაფორმების შესახებ. კოლმეურნეობის საერთო კრებამ მიიღო დადგენილება, რომ საკარმიდამო ნაკვეთები ფართობით 2,92 ჰექტარი გამოეყოს 24 პიროვნებას, რომლებიც... არ მუშაობენ კოლმეურნეობაში! ხოლო 10 კოლმეურნეს, ნება დაერთო მემკვიდრეობით გადაეფორმებინა 3,17 ჰექტარი. დარღვევებს ხელს უწყობს ე.წ. "მითითებები ზემოდან". გაგრის აგროსამრეწველო გაერთიანების წერილის საფუძველზე (№116, 05. 02, 86), რომელსაც ხელს აწერს ა.საბუა, მოქალაქე რ.მუმჯიანმა იყიდა სახლი 0,35 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთით, ხოლო დ.მაკალათიას გამოეყო 0,10 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ცხადია, ახლაც არავითარი წესის დაცვით. ესეც არაფერი, ადლერში მცხოვრებ მ.დუდუქჩიანისთვისაც "მოახერხეს" 0,1 ჰექტარის გამოყოფა!

საერთოდ, ეროვნულობის გათვალისწინებით სატატისტიკა იმ პირებისა, ვისაც 1986 წელს, კანონით თუ უკანონოდ, გადაუფორმდათ და გამოეყოთ მიწის ნაკვეთები ასეთია: ექვსი ქართველი (1,16 ჰა), 2 აფხაზი (აფსუა-ს.საჯ.) (0,35 ჰა), 26 სომეხი (არმენი – ს.საჯ.) (4,91 ჰა).

1987 წელს კოლმეურნეობის გამგეობაში შევიდა 9 განცხადება საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფისა და მემკვიდრეობით გადაფორმების შესახებ. კოლმეურნეთა საერთო კრებამ გამოიტანა დადებითი დადგენილება გამოყოფილიყო 0,2 ჰექტარი. მათ შორის გამოიყო 0,7 ჰექტარი ფართობი ექვსი პირისათვის, რომლებიც არ მუშაობენ კოლმეურნეობაში. მაგალითად, მოქალაქე დ.ჭუბაბრიას დაუმტკიცეს 0,13 ჰექტარი მიწა მოქალაქე ხარებავას ნაკვეთიდან, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი არ მუშაობს კოლმეურნეობაში. ასეთი მაგალითები ბევრია.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 14 დეკემბრის დადგენილებით, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას ნება დაერთო გამოეყო 1,53 ჰექტარი მიწა ათი ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთებით უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ათი ოჯახიდან რვამ მიიღო ნაკვეთი, მათ შორის სამი ოჯახის არც ერთი წევრი არ მუშაობს კოლმეურნეობაში. მთელი ეს პროცედურა დასრულდა 1988 წელს. ამავე წელს განიხილეს და დააკმაყოფილეს ოთხი განცხადება (ბრძ. №128. 02. 88წ.) საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფისა და გადაფორმების შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ განიხილეს და დააკმაყოფილეს 46 ანალოგიური განცხადება (ბრძ. №3, 29. 07. 88წ.), რის საფუძველზეც განაწილდა 9,34 ჰექტარი მიწა. ამრიგად, 1988 წელს, სულ 60 პირზე გამოიყო 10,87 ჰექტარი მიწა. შემოწმების დროს (1989 წლის აგვისტო) საკარმიდამო ნაკვეთების 60 მფლობელიდან, 34 არ მუშაობდა კოლმეურნეობაში. ამას გარდა, მეუღლეების გარდაცვალების შემდეგ, 3 საპენსიო ასაკის პირს გადაუფორმდა 0,50 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. მთლიანად, ვინც 1988 წელს მიიღო საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, კოლმეურნეობაში მუშაობს მხოლოდ 23 ოჯახის თითო-თითო წევრი.

სტატისტიკა ეროვნულობის გათვალისწინებით 1988 წელს კანონით თუ უკანონოდ, გამოყოფილი და გადმოფორმებული მიწის ნაკვეთის 60 მფლობელისა ასეთია: 6 აფხაზი(აფსუა –ს.საჯ.), 26 ქართველი, 38 სომეხი (არმენი –ს.საჯ.).

1989 წელს (აგვისტომდე) მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და გადაფორმებისათვის განიხილეს 10 განცხადება 1,9 ჰექტარი ფართობის გასანაწილებლად (კოლმეურნეთა) საერთო კრების №3 და №4 ოქმი). ამის შემდგომ 2 აფხაზს (აფსუას –ს.საჯ.) გამოეყო 0,35 ჰექტარი, 1 რუსს _ 0,15 ჰექტარი, 2 ქართველს _ 0,55 ჰექტარი, 4 სომეხს (არმენს –ს.საჯ.) _ 0,85 ჰექტარი.

შემოწმებისას დადგინდა, რომ მოქალაქე ა.კასიანს, რომელმაც სულ წელიწადში იმუშავა კოლმეურნეობაში მიწათმომწყობად, გამოეყო 0,15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და... მაშინვე მიატოვა სამუშაოც. აქ ისეთი სავალალო პრაქტიკაა "დანერგილი", როცა 0,25

ჰექტრამდე უზრდიან საკარმიდამო ნაკვეთებს მათ, ვინც არ მუშაობენ კოლმეურნეობაში. მაგალითად, ო.დანელიანს, რომელსაც ჰქონდა 0,15 ჰექტარი, 1988 წელს დაუმატეს კიდევ 0,10 ჰექტარი, 1987 წლის 12 აგვისტოს №171 წერილის თანახმად, რომელსაც ხელს კვლავ ა.საბუა აწერს, მოქალაქე კ.კაკულიას გამოეყო 0,12 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. აღსანიშნავია, რომ კ.კაკულიას კოლმეურნეობასთან არაფერი აკავშირებს.

ანალოგიური ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, სურათი ისედაც ნათელია, ასე რომ, თუ ვინმეს სურვილი აქვს ბიჭვინთის სიახლოვეს დასახლდეს, ე.ი. საკარმიდამო ნაკვეთი "იშოვოს", ამისათვის საჭიროა ერთ წელიწადს მაინც წაიმუშაოს ალახაძის კოლმეურნეობაში და "ლამაზი თვალების" თუ "თავდადებული" შრომის საზღაურად მიზანსაც მიაღწევს! ეჭვგარეშეა საკურორტო ზონაში დასახლების მსურველები არცთუ ცოტანი იქნებიან, ამიტომ, შევეცდები, მათ, შეძლებისდაგვარად მივასწავლო და გავუადვილო "ფორმალური მხარეების" მოგვარება. დაიმახსოვრეთ, ამისათვის აუცილებელია იმ ხელმძღვანელებთან კონტაქტის დამყარება, ვისაც ქვემოთ მოვიხსენიებთ.

მაშ ასე, 1986 წლიდან 1987 წლის აპრილამდე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ს.უსტიანი 1987 წლის აპრილიდან 1989 წლის იანვრის ჩათვლით _ გ.გარანიანი (ამჟამად ქალაქ გაგრის საქალაქო საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი), 1989 წლის თებერვლიდან დღემდე კი კოლმეურნეობას თავკაცობს მ.კაპში.

მაგრამ, ეს არ იქნება საკმარისი. თუ თქვენ დაბეჯითებით გსურთ იქ სამოსახლო თუ საკარმიდამო ნაკვეთი იშოვოთ, აუცილებლად დაგჭირდებათ ალახაძის სასოფლო საბჭო, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში თავმჯდომარეობს მ.ჩხოტუა.[20] მერე რა ვუყოთ, თუკი შემოწმებისას ამ სასოფლო საბჭოში მთელი რიგი სერიოზული დარღვევები აღმოჩნდა, ისინი ხომ ადამიანთა საკეთილდღეოდ ხდება?! შერჩევითი შემოწმებით დადგინდა 22 სახლის მშენებლობა, სადაც 122-მა ადამიანმა უნდა იცხოვროს. სახლის მფლობელთა ნებართვის გარეშე კი სასოფლო საბჭომ კიდევ 32 კაცი ჩაწერა, რომლებიც, თავისთავად ცხადია, მათთან არ ცხოვრობენ.

მაგალითად, პ.ლეშენკოს სახლში (ლერმონტოვის ქ. №20 ჩაწერილია ა.ბათურბეკოვი. იგი ჩამოსულია ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან. კერძოდ, ქალაქ ნალჩიკიდან; ა.გადელიას სახლში (ორჯონიკიძის ქ. №5) ჩაწერილია ნ.ახმედოვა, რომელიც, გაგრის საპასპორტო მაგიდის მონაცემებით, აქ ჩამოვიდა ოჩამჩირიდან, ხოლო ოჩამჩირეში _ ყირგიზეთიდან.

ეს კიდევ არაფერი, სასოფლო საბჭოს სარეგისტრაციო წიგნში, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე, ჩაწერილი არიან კიდევ რ. და ტ. ახმედოვები, თუმცა გაგრის შინაგან საქმეთა განყოფილების საპასპორტო მაგიდამ სასოფლო საბჭოს სამისამართო ფურცელი წარუდგინა მხოლოდ ნ.ახმედოვის ჩაწერის შესახებ. ასე რომ, თუ თქვენ მოახერხეთ საპასპორტო მაგიდიდან სამისამართო ფურცლის აღება, შესაძლებლობა გეძლევათ არათუ მხოლოდ თვითონ, არამედ მთელი რიგი ბიძაშვილები და სრულიად უცნობი მოგვარეებიც კი ჩაწეროთ!

თუმცა მთლად არც ასეა საქმე (წინდაწინ გულს ნუ გაიტეხთ, რადგან აქ საბოლოოდ ყველაფერს "ეშველება"!). იმისათვის, რომ საბოლოოდ ყველაფერი ისე დამთავრდეს, როგორც თქვენ გინდათ, მაინც აუცილებელია გქონდეთ ფორმა ნომერი 15. აღნიშნულ ფორმას უნდა ჰქონდეს ბიჭვინთის მილიციის განყოფილების უფროსის გ.ფარულუას ან მისი მოადგილის ს.აგრბას თანხმობის რეზოლუცია. ვერ გაახერხეთ (ე.ი. აღნიშნულმა

[20] მ.ჩხოტუა ამჟამად, ამგვარი გამოცდილებით უკვე მეჩვიდმეტე წელია აფხაზეთიდან დევნლთა სახალხო დამცველი გახლავთ. თუ როგორ ან ვის უფლებებს იცავს, ეს სხვა საკითხია.

პირებმა არ მოგცეს), მაშინ იმას კი მიაღწევთ, რომ მათ (გ.ფარულუამ ან ს.აგრბამ) ხელის ერთი გაკვრით წაგიწერონ: “не возражаю против прописки” და... ჩათვალეთ ყველაფერი მოგვარებულია!

სტატისტიკა იმ პირებისა, ვინც ჩაწერის მისამართზე არ ცხოვრობს, ასეთია: 9 აფხაზი (აფსუა-ს.საჯ.), 8 _ ქართველი, 10 _ სომეხი (არმენი-ს.საჯ.), 1 _ ბალყარელი, 3 _ აზერბაიჯანელი, 3 _ რუსი.

არა, ისეც ნუ იფიქრებთ, თითქოს ასე იოლად იყოს ყველაფერი. შესაძლოა მერე ვიღაცას “თვალში არ მოუხვიდეთ”. ასე, მაგალითად, როგორც სოფელ ალახაძეში ქ.ზუგდიდიდან საცხოვრებლად ჩასულ გიმზერ კვაშილავას დაემართა, რომ არაფერს გადავაჭარბო, გიმზერ კვაშილავას ახსნა-განმარტებას შემოგთავაზებთ, ქალაქ გაგრის პროკურატურის, კერძოდ, იუსტიციის უფროსი მრჩევლის გიორგი წურწუმიას სახელზე რომ დაიწერა 1989 წლის 14 სექტემბერს:

ახსნა-განმარტება

სოფელ ალახაძში ცოლ-შვილით საცხოვრებლად ჩამოვედი ქალაქ ზუგდიდიდან და დროებით ჩავეწერეთ ბიძასთან, სანამ მეურნეობაში ბინას და ჩაწერას გამიკეთებდნენ. მე და ჩემმა ცოლმა ერთად დავიწყეთ მუშაობა...

1989 წლის 11 აგვისტოს, საღამოს, სახლში მოვიდნენ უბნის რწმუნებული ვიტალი ნოზაძე და კიდევ მილიციის თანამშრომელი კაპიტანი, რომლის გვარი და სახელი არ ვიცი. მეორე დღეს ისევ მოვიდა უბნის რწმუნებული ვიტალი ნოზაძე და მითხრა, წავყოლოდი მილიციის პიცუნდის განყოფილებაში და თან პასპორტიც წამეღო. მილიციაში რომ მივედით ვიტალი ნოზაძემ გამომართვა პასპორტი და თან ახსნა-განმარტება დამაწერინა. ამ დროს შემოვიდა ის კაპიტანი, რომელიც წინა საღამოს იყო ჩვენთან და სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა, მაგინა, გაგაგდებ აფხაზეთიდანო.

ახსნა-განმარტება რომ ჩამომართვა რწმუნებულმა, ჩემი პასპორტი დაუტოვა კაპიტანს და უთხრა: ნაჩალნიკს გადაეცი საბუთები და იმან გაარჩიოს საქმე, მე სადღაც გამოძახებული ვარ და მალე მოვალო. გარეთ რომ გამოვედით იმ კაპიტანმა, კიდევ ვიღაც სხვა კაპიტანს გადასცა პასპორტი და იქ, გარეთ დაიწყეს საქმის გარჩევა, თუ როგორ და რატომ ჩამწერეს. ამის შემდეგ მოვიდა ნაჩალნიკი და შემიყვანეს მასთან. მე ვთხოვე უფროსს ამხ. ფარულუას, რომ ჩემთვის ეს ამბავი ეპატიებინა. მან კი მითხრა, გაპატიებ კი არა, შე პადლეცო, ერთი სამ წელს მოგაკერებ და გაიგებ როგორ უნდა მოიქცე ჩვენთანო. გახსოვს, მეურნეობაში საქართველოს დამოუკიდებლობის დროშა რომ არ ჩამოხსენი და კედელივით მაგრად დაგვიდექი, ახლა გინდა გაგიშვაო. უკან მედგნენ მილიციის თანამშრომლები და 26 მაისის ამბებს მახსენებდნენ...

კაბინეტში ვიყავი დაახლოებით ნახევარი საათი. ნაჩალნიკმა უთხრა ერთ თავის თანამშრომელ კაპიტანს, წაიყვანე და დააწერინე, რომ თავისი სურვილით ამოეწეროსო. იმ კაპიტანმა სხვა კაბინეტში წამიყვანა...

ამის შემდეგ სამორიგეოში ჩამკეტეს და ერთი-ორი საათის შემდეგ გამომიშვეს და ისევ მილიციის უფროსის კაბინეტში შემიყვანეს. უფროსმა მაჩვენა პასპორტი, სადაც უკვე ამოწერილი ვიყავი და მითხრა: აი, ხომ ხედავ, რომ ამოწერილი ხარ, ახლა წადი, “კუხნია” დაამტვრიე და საიდანაც მოეთრიე, იქითვე წაეთრიეო, მე ვუთხარი: ცოტა ხანში ბინას მომცემენ და მერე დავამტვრევ-მეთქი, შენ ბინას არავინ მოგცემს და, თუ გინდა ჩვენი დახმარება, მაშინ მითხარი, მეურნეობაში ვინ გყავთ ლიდერი, სად იკრიბებით, იარაღი ვისა აქვსო. არაფერი არ ვიცი მეთქი. თუ არ იციო ორშაბათამდე დაამტვრევ “კუხნიას” და ჯარიმასაც გადაიხდი 50 მანეთს, მერე ჩემთან მოხვალ, მომახსენებ, პასპორტს წაიღებ და როგორც მოეთრიე ისე წაეთრევიო...

რა თქმა უნდა, *გიმზერ კვაშილავა* ამოწერეს. თუმცა მან სხვადასხვა ინსტანციებისათვის სირბილის შემდეგ ჩაწერა აღადგინა. გადამწყვეტ მომენტში

რუსთაველის საზოგადოების ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა გაუწიეს ქმედითი დახმარება.

მკითხველის ინტერესს უთუოდ გამოიწვევს ის გარემოებაც, თუ ამ სერიოზულ დარღვევებს როგორ აფასებს ქალაქ გაგრის ხელმძღვანელობა.

მიწათსარგებლობის და საპასპორტო რეჟიმის უხეშ დარღვევებს სახალხო კონტროლის გაგრის საქალაქო კომიტეტმა პრინციპული შეფასება მისცა. 1989 წლის 31 აგვისტოს გამოიტანა დადგენილება და პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტს გადასცა ბიუროზე განსახილველად.[21]

---

[21] იმის გასაცნობად, თუ რა "მეცნიერულ" სისწორეზე აგებდნენ სეპარატისტები თავიანთ პრეტენზიებს, გამოდგება წინამდებარე წერილიც:

[*] Гости на собственной земле

Каждый, кто следил за новостями из СССР в 1989 году, должен знать о желании картвельских народов Грузии (т.е. грузии, мегрелов и сванов, которых вместе с лазами, проживающих в Турции приятно считать грузинами) создать национальный суверенитет.

Вызывает к себе симпатию 4-х миллионный народ, который считает себя несправедливо покоренным царем (1801-1918) или Красной Армией (после 1921 года). конечно, ситуация более сложная, картвелы составляют 68,8 процента всего населения Грузии (по переписи 1979 года).

Совсем недавно Андрей Сахаров охарактеризовал Грузию как одну из миниимперий СССР («Огонек» 3 июля 1989г.). Таким образом, едва ли удивительно, что Грузию не обошли межэтнические конфликты, которые вспыхивают повсюду во всем Советском Союзе. Картвельская оппозиция против коммунистического режима представлена в неформальных объединениях. В отличие от народного фронта (возглавляемого профессором Нодаром Натадзе) ими руководят бывшие дисиденты: Хельсинскую группу _ (Звиад Гамсахурдия); Общество Ильи Святого и Праведного - ОИСП, организованного покойным Мерабом Костава; Общество Руставели (Акакий Бакрадзе), Национал-демократической партией (НДПА - Гия Чантурия). Все эти группы объединены враждебным отношением к абхазам. После трагедии в Тбилиси 9 апреля невозможно во всей Грузии услышать хоть один мало-мальски разумный голос, готовый что-либо противопоставить антиабхазской пропаганде.

Абхазы - народ северо-западного Кавказа (не Турции). За пределами Грузии считается, что они коренной народ этой территории. До 1864 года они граничили с родственным с ними народом - убыхами (вокруг Сочи) в то время другой им родственный народ - черкесы занимали северо-западные земли Кавказа. После захвата Россией северо-западного Кавказа все убыхи, бесчисленное количество черкесов и много абхазов переселились в Оттоманскую империю. Несколько районов обитания в Абхазии были таким образом опустошены, и началась ее колонизация. Данные о населении за 1886-1979 представлены (Смотрите таблицу).

Картвельское население в 1927 году - 23,810 составляли мингрелы, и они продолжают составлять огромное большинство среди картвелов в Абхазии. Но абхазо-грузинский баланс 1897 года требует разъяснений. 1897 год - абхазы составляют 30,640 дворов с Самурзакани (сегодня это южный Гальский район Абхазской автономной республики). Во время меньшевистской власти они были беспрепятственно записаны картвелами, и это практиковалось во время переписи населения в 1926 году.

Когда Лаврентий Берия, менгрел из под Сухума, стал главой Кавказской федерации, в 1933 году начал политику насильственной грузинизации Абхазии, он волюнтаристски переселил в Абхазию массу менгрелов и грузин из Рача и Лечхуми. Под его руководством Кандид Чарквиани и местный партийный босс А.Мгеладзе закрыли абхазские школы 1944-53 г.г., и они были переделаны в грузинские, где детей били, услышав говорящими на абхазском языке.

Было прекращено издание на абхазском. Был план переселения всего народа в Среднюю Азию, но это так и не было осуществлено, т.к. решили, что было сделано достаточно много, чтобы в течение одного поколения ассимилировать абхазов. Сейчас в Гальском районе фактически нет абхазов. Мало упоминают картвелы ее сегодня о тех событиях, происходивших в период 1933-53г.

«Насильственное переселение Сталиным-Берия рачинцев и имеретинцев на места депортированных и насильственно репатриированных на свою родину греков или репресированных, и абхазов и картвелов, которые погибли в темницах Дранды и других тюрьмах, было актом, совершенным в интересах политики...» (Чабуа Амириджиби. 22 сентября 1989 год). Дело в том, что не признается «политика» грузинизации. Такие авторы не видят несостоятельности своих требований: «мы (картвелы) никогда ни коим образом не держали абхазов под каблуком - мы даже не огорчали их!». Даррелл Слайтер (в Средне-Азиатском журнале, 1985г.) писал, что несмотря на перемены с 1953 года Абхазия оставалась лишенной собственного бюджета и возможностей для получения высшего образования.

После того, как Абхазия просила присоединения к Российской Федерации, были созданы собственный университет (таким образом, опередив Батуми) и телевиление.

Все это и сохранение некоторых постов за абхазами привело к тому, что многие картвелы вменили в вину абхазам, что они привилегированное меньшенство, создающее опасность (см. обращение Гиви Гумбаридзе на пленуме ЦК КПСС 19 сентября 1989г.) Редко кто помнит, что Абхазский государственный университет состоит из трех секторов: (абхазского, русского, грузинского), который служит интересам любого студента из Западной Грузии; картвельский сектор, как всегда, был самым многочисленным (около 40 процента); абхазское телевидение имеет три передачи еженедельно от получаса до часа.

Тот факт, что редко кто из картвелов работает в Сухумском НИИ, показывает, что местное картвельское население игнорирует абхазский язык, литературу и историю.

Интересно также, что в конце сентября абхазам было запрещено приходить на рабочие места, грузинским большинством (например Сухумский аэропорт).

Давнее разочарование тем что Тбилиси умаляет значение автономии, привело к подготовке «Абхазского письма», документа, написанного на 87 страницах и подписанного 60 известными абхазами, который был предъявлен на XIX Всесоюзную партконференцию в Москву 17 июня 1989г.

Требования абхазов выразились в просьбе восстановить статус (т.е. республика с законодательным правом), какой она была с 1921 по 1931гг., а затем была полностью присоединена к Грузии.

Неформальные группы были организованы из дисидентов, освобожденный из тюрем или после снятия с них ограничений в 1987-88гг. Второй пункт в программе общества Ильи Чавчавадзе (декабрь 1987г.): «Все вопросы, касающиеся будущего Грузии должны быть решены по желанию большинства картвельского народа». В декабре 1987г. Костава и Гамсахурдия говорили о последовании картвелов и грузинского языка имевшее якобы место в Абхазской автономной республике в 1978 году.

НДП, радикальное ответвление (крыло) общества Чавчавадзе выбрал свой принцип: (30 августа 1988 года): «Грузия для грузин». Статья (пункт) 12 его програмы утверждает что абхазия и Южная Осетия являются собственно исторической территорией Грузии». Призивы о том, чтобы грузинский язык стал обязательным предметом в школах республики (статья II пункты 8-9 государственной программы грузинского языка обнародованной в августе 1989г.) способствовали возобновлению напряженности в Абхазии.

Сведения об Абхазском письме, по-видимому, проникли в Тбилиси только в феврале-марте 1989г. Последовавшее затем «Обращение», принятое в Лыхны 18 марта, с одобрением выдвинутых требований и поддержанных 37000 (включая первого секретаря Бориса Адлейба, за что он и был снят с работы) вызвало ответные действия по всей Грузии. Оба документа были сурово осуждены как «клевета на картвелов». Были проведены митинги 25 марта и 1 и 2 апреля 1989 года, Костава, где выкрики «Пусть пролется кровь» были слышны с помоста, и 8 апреля - Акакием Бакрадзе, где демонстрировалось знамя с надписью «Не бойтесь - ваша материнская кровь с вами!»

Антиабхазская кампания, возглавляемая ведущими писателями и академиками, которая намеренно лишает абхазов их законной истории, расцвела в этих условиях. Самая «великодушная» позиция в том, что абхазам позволено иметь статус аборигена в Абхазии - территории Грузии. Потому что картвельские ораторы (проф. М.Лорткифанидзе) считают именно так.

С новой силой распространяется отвратительнейшая (теория, фантазии Павле Ингороква, чьи выдумки датированы концом 40-х, что абхазы пришли в Абхазию только в 17 веке и стали жить там не ранее этого. Термин «абхаз» происходит от диалектически искаженного древнекартвельского «мосхи»). Абхазовед К.Ломтатидзе продемонстрировала абсурдность этой теории своей рецензии (критичесском обзоре) в 1956 году... Книгу Ингороква планируется издать вновь.

Гамсахурдия в своем открытом письме Сахарову (6 и 12 сентября 1989г.) цитирует (незачеркнутые места в книге). VIII том как «источник», что абхазы пришли сюда только два века тому назад. Этот же самый «источник» бесстыдно приводится профессором Е.Мамиствалишвили в его открытом письме Сахарову (28 августа 1989г.). Картвельские неформалы сейчас используют самоназвание абхазов «апсуа», относящимся к ним, подразумевая под этим, что они не «абхазы».

А.Бакрадзе голословно информировал мегрелов в Сухуме, что они потомки «настоящих» абхазов.

Не обращая внимания на позиции историков, в этом вопросе все ясно сходятся на том, что «Абхазское царство» (в 8-10в.в.) было картвельским государством, что Абхазия - неделимая часть Грузии, и что баланс населения в Абхазии не результат политики Берия (М.Лорткифанидзе 6 июля 1989г., Ч.Амириджиби, 22 сентября 1989г.).

Такое пренебрежительное отношение обычное явление в грузино-язычной среде. Единственный выход (от душина) у абхазов только из местное (предельно ограниченное) телевидение, абхазоязычная газета «Советская Абхазия», у северных абхазов газета «Бзыбь», грузиноязычная газета «Сабчота Абхазети» - враждебная и русскоязычная газета «Советская Абхазия» подозрительная. У них, конечно, нет другой возможности дать знать о своем положении за пределами Абхазии. Действия ТГУ и Министерства высшего (народного) образования вывели грузинский сектор АГУ и превратили его в филиал ТГУ, что привело к жертвам в Абхазии 15-16 июля. 16 июля должен был начаться прием документов, как сообщалось 7 июля в грузиноязычной газете «Сабчота Абхазети». Что выиграл бы Сухум, имея два университета, разделенных по национальному признаку, фактически ведущему к ослаблению АГУ?

Верховным Советом СССР была назначена комиссия, чтобы выяснить есть ли необходимость в откритии филиала. Один из членов комисии, професор-лингвист В.Иванов в интервью, данном ББС, обвинил в конфликте картвельское население. Его заклеймили - «провокатор» (М.Габуния, 1 августа 1989г.).

Грузинское телевидение о комиссии заявило: «Кровопролитие было результатом необъективности комиссии, и ее члены несут ответственность за это» (Хундадзе, 19 июля 1989г.).

В такой же форме предостерегают депутата В.Ардзинба, которому вменили в вину за дальнейшее кровопролитие, так как он осмелился выступить с докладом о положении дел в Абхазии на Московском съезде Нового Верховного Совета (Георгадзе, 26 июля 1989г.).

Даже Сахаров не избавлен от личных оскорблений, которые легко бросают в лицо тем, кто говорит что-либо против Грузии, в том, что у Сахарова отрицательное отношение к грузинским неформалам. Гамсахурдия обвинил Елену Боннэр (6 и 12 сентября 1989г.). А мегрельскую леди Т.Бокучава, которая пыталась умерить их пыл в апреле, атаковали в «Литературной Грузии», назвав невежественной грузинкой.

Обвиняют Абхазию в том, что она способствует Москве, которая для того, чтобы поставить в затруднительное положение грузинское национальное движение, выставляет против нее Абхазию (Гамсахурдия), или в мусульманском заговоре, чтобы абхазов, для которых религия не имеет отношения к делу и азербаиджанцев в Южной Грузии и даже месхетинцев в Фергане - втянуть в эту паранойю (Дж. Чарквиани, 4 августа 1989 года).

Гия Чантурия требует невмешательства в этнические споры (диспуты), что тут же опровергает его партийная двустраничная «Декларация» (18 июля 1989г.) в которой властям давался срок до 15 августа, чтобы был решен абхазский кризис, иначе начнется всеобщая забастовка. Этот документ вызвал панику среди абхазов. Костава (9 августа 1989 года) назначил последний срок - 1 сентября. Неформалы требовали, чтобы к этому времени сняли с работы Озгана, первого секретаря в Гудауте, и Багапш - в Очамчире.

Гамсахурдия выбирает такую форму: Летопись - «Открытое письмо к картвелам Северо-Западной Грузии» (Абхазия), написанное от имени грузинской интеллигенции, ОИП, НДП и Грузинской Хельсинской группы. Это 23-листовая директива мегрелам, как проводить антиабхазскую пропаганду. Восхваляется период 1936-54гг. - время снижения активности сепаратистов (т.е. апсуйцев) и обуздания других нации «апсуйцами» (стр. 17). На стр. 12 читаем: «ты должен писать открытые письма к жителям Тбилиси, Кутаиси и другим, ознакомь со своими трудностями, открой пелену (покров) и обуздайте апсуа - сепаратистов, ищите поддержки в вашей справедливой борьбе».

Неформалы утверждают, что этнические проблемы будут решены как только Грузия получит независимость, но как может быть оценено отношение Грузии к этническим меньшинствам, когда профессор Реваз Мишвеладзе сказал о необходимости увеличения в возможно короткий срок грузинского населения до 95 процентов, т.к. Грузия может терпеть только 5 процентов гостей (29 июля 1989г.).

რასაკვირველია, პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტმა (პირველი მდივანი ვალერი ფილია) განიხილა აღნიშნული საკითხი, მაგრამ არ იკითხავთ როგორი შეფასება მისცა? რომ იტყვიან, არც მწვადი დაწვა, არც შამფური. საქალაქო კომიტეტის ბიურომ ცნობად მიიღო, რომ ალახაძში მიწათსარგებლობის და საპასპორტო რეჟიმის სერიოზული დარღვევებია. ამის შესახებ იუწყება ადგილობრივი გაზეთი "ავანგარდი" (23.12.89) და დაშვებული დარღვევებისათვის კომუნისტ ს.უსტიანს და მ.კაპშს სასტიკი პარტიული სასჯელები დაადო (კონკრეტულად როგორი, ამის შესახებ გაზეთი არაფერს იტყობინება). პარტიული სასჯელი დაედო ალახაძის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, კომუნისტ მ.ჩხოტუასაც. სულ ეგაა, მეტი არაფერი. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ აღნიშნული კომუნისტები ამგვარ დარღვევებს (თუ დანაშაულებებს!) მეორედ აღარ გაიმეორებენ!

მთავარი მაინც სხვაა, და ვფიქრობ, უფრო სერიოზულიც. საქალაქო კომიტეტის ბიუროს რატომღაც "გამორჩა" ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის, ამჟამად საქალაქო საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლის გ.გარანიანის თუნდაც პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი. არადა, ისიც ხომ ფაქტია, რომ კანონით თუ უკანონოდ საკარმიდამო მიწების გამოყოფის ზენიტი სწორედ მისი თავმჯდომარეობის პერიოდში (1987 წლის აპრილიდან 1989 წლის თებერვლამდე) იდგა!

რა ხდება?! პასუხი, ალბათ, პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტმა უნდა გაგვცეს აფხაზეთის და რესპუბლიკის პროკურატურებთან ერთად.

ბესო ჭინჭარაული
გაგრა-თბილისი
(გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", 17.-19. ოქტ. 19.90წ.)

1990წ. 27 იანვარს თბილისში სვანეთიდან გამოსულმა პარტოკრატიამ ტომობრივი ნიშნით სცადა ხელში ჩაეგდო საზოგადოება **"ლემი"**. ამ მიზნით დაფუძნდა საზოგადოება **"ლემის"** თბილისის სადროშო. აღმოსავლეთ საქართველოში ტომობრივ-პარტოკრატიული ნიშნით პოლიტიკური პარტიის შესაქმენლად ფართო ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა **ა.მარგიანი,** რომელიც ცნობილი გახლდათ თავისი საეჭვო საქმიანობით და კოლაბორაციონისტული პოზიციით. შედეგის თვალსაზრისით ის გახლდათ (და გახლავთ)კრემლიდანურ-რუსისტული დაკვეთების ბეჯითი შემსრულებელი.

1990წ. 30 იანვარს გაზეთმა **"ახალგაზრდა კომუნისტმა"** გამოაქვეყნა მასალები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თს უნივერსიტეტში ჩატარებული საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების პირველი კონფერენციის შესახებ.

Будущее выглядит мрачно. Семена недоверия посеяны так глубоко, что распадается социальная структура (устройство), даже абхазо-грузинские браки разбиваются. Только присуствие солдат поддерживали мир все лето 1989 года. У абхазов нет защиты, кроме как от Кремля. В сентябре многие абхазы начали забастовки и голодовки, но в Грузии этому не дали огласки.

Все еще живо в памяти многих абхазов то, что происходило под руководством Берия и Чарквиани. И очень беспокоит то, что в период гласности картвелы прилагают все усилия, чтобы возродить политику Берия в Абхазии.

(Перевод с английского журнала «Индекс на цензуре», №1, 1990г.)

1886 1887 1926 1939 1959 1970 1979
абхазы 58,960 58,697 55,918 56,197 61,193 77,276 83,097
(85,7%) (55,3%) (26,4) (18%) (17,1%)
картвелы 4,135 25,875 67,494 91,967 158,221 199,595 213,332
(24,4%)
русские 971 5,135 20,456 60,201 86,715 92,889 79,730
(4,8%) (9,5%) (19,3%) (16,4%)

(გაზ. " Бзыбь" 1990წ. 24 აპრილი)

ოფიციოზის ჩანაფიქრი მარტივი გახლდათ: მას სურდა "საბჭოთა დემოკრატიული გარდაქმნების" პროცესი ქართველ ახალგაზრდობაში ვითომ შეუქცევადი ყოფილიყო ამ სასწავლებლის ჭერქვეშ.

1990წ. 31 იანვარს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც იმსჯელა საქართველოს კპ 28-ე ყრილობის მოწვევის შესახებ. საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმა აღნიშნულ საკითხთან ერთად ცალკე საკითხებად განიხილა აგრეთვე

1) რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და საქართველოს კპ ამოცანები და

2) საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი.

თავის მოხსენებაში **გ.გუმბარიძემ** აღნიშნა: **"საქართველოს კომუნისტური პარტია უნდა გახდეს და გახდება კიდეც თვისობრივად განახლებული, ახალი დროის შესაფერისად გარდაქმნილი, უპირატესად ეროვნული ამოცანებისაკენ მკვეთრად შემობრუნებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1990, 8 თებერვალი).**

მოხსენების ასეთი ფარისევლური "გაეროვნულება" მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. გარდაქმნის ცბიერი ტაქტიკით იყო ნასაზრდოები.

ამ დროისათვის ინგლისურენოვანმა ჟურნალმა "Индекс на цензуре" (№1 _ 1990 წელი) გამოაქვეყნა ღვარძლიანი დეზინფორმაცია საქართველოს შესახებ. იგი ერთგვარი გაგრძელება იყო წინა წელს (1989) ინგლისელი "ქართველოლოგის" **ჯორჯ ჰიუტის** (აფსუების ახალი იმპერიული თადარიგი ხომ არაა?!) ტელე და საგაზეთო სერიალებისა საქართველოს "ველიკოდერჟავული ამბიციების" შესახებ:[22]

---

[22] ჯ. ჰიუტი, იყო დრო, საქართველოს მეგობრობას ეფიცებოდა. მახსოვს მისი გამოსვლა დიდი ილიას 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, მის მიერ გამართული ქართულით წაკითხული მოხსენება, მისი "თანადგომა", "ქართველთმოყვარეობა"... მაშინ ეტყობა ასე სჭირდებოდა!.. რაც შეეხება "ქართველთმოძულეობას, ჩვენი "გიჟვრაცუობა" საქვეყნოდაა ცნობილი, ამიტომ ვისაც არ ეზარება, ამას სათავისოდ იყენებს.: ამას წინათ, ხელში ჩამივარდა თამარ კოღონიას ინტერვიუ. ის თავის დროზე გახლდათ აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი. მისმა ინტერვიუმ ჯ.ჰიუტის მლიქვნელობა გამახსენა. რომელსაც ქალბატონმა თ.კოღონიამ აშკარად გაუსწრო. საქმე ის გახლავთ, რომ თ.კოღონიას იმხანად (1972-1992 წლებში) ქართველთა კეთილმოსურნის იმიჯი ჰქონდა და მას ყოველმხრივ იცავდა ქართული პარტოკრატია. მახსოვს, როდესაც საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დაინიშნა პროფესორი ოთარ ქინქლაძე, მან _ ორპირიაო და მისი მოშორება გადაწყვიტა. აი, მაშინ კი სალ კლდედ დადგა აფხაზეთში "ქართული" პარტოკრატია, სეპარატისტები თითქოს "ვერ იტანდნენ" (ყასიდად თურმე), არადა, თ.თარბა-კოღონია სინმდვილეში მათ მიერ ქართულ სულ-გულში ჩანაღმული ჭურვი ყოფილა. საოცარია, მე მასთან არაერთხელ ვყოფილვარ, თბილისში შეკრებებზე და იგი აქ ხაზგასმულად ქართველობდა ისევე, როგორც ს.ბაღაფში. საყვარელი რომ საყვარელია, სოხუმშიც, თბილისშიც და კურორტებზეც, სუყველა ქართველი ჰყავდა თითქოს...

<u>Тамара Когония: «И в Новой Зеландии есть абхазская диаспора»</u>

Внучка известного абхазского просветителя Фомы Эшба, Тамара Когония значительную часть своей жизни посвятила работе в сфере образования. О ней как о министре народного образования советской Абхазии писали даже в англоязычном журнале «Soviet woman». После грузино-абхазской войны жизнь Тамары Ивановны сложилась так, что ей выпало прожить целых одиннадцать лет вдали от Родины, в Новой Зеландии. Безвыездно. Впрочем, наша газета как-то перепечатывала (еще в «доинтернетовское» время) ее интервью популярному новозеландскому журналу «Острова». И вот сейчас она сама, вернувшись в 2008 году на Родину, дает интервью нашей газете. Кстати, упоминаемый в интервью ее внук, сын дочери, которая замужем за осетином, Надир Битиев работает сейчас советником по международным вопросам президента Республики Абхазия.

<u>– "... А чем лично вы занимались в Новой Зеландии и как вообще там оказались?</u>

– Первой в Новой Зеландии оказалась семья моей дочери Саиды, которая вместе с супругом была приглашена туда для работы. Вскоре им понадобилась помощь в воспитании детей, особенно сложно пришлось с внуком Надиром, который в шестнадцать лет, когда началась грузино-абхазская война, никому ничего не сказав и прихватив деньги, приехал в Абхазию, купил автомат и пошел в батальон к Мушни Хварцкия. К этому времени он уже поступил учиться в университет в городе Сиэтле в Соединенных Штатах Америки. Его мать с мольбами пошла к самому Владиславу Ардзинба, который приказал ему покинуть абхазскую армию, сказав при этом, что стране понадобятся образованные люди.Против воли Надира увезли в Новую Зеландию... Именно в эти сложные времена дочь и зять позвали нас с мужем на помощь. Я не могла не откликнуться, это был мой материнский долг. Вскоре после нашего приезда внук поступил в Оклендский институт в Новой Зеландии и успешно его окончил. Я после того, как овладела английским, устроилась преподавателем русского языка в русской церковной школе. Там вместе с преподавателем классической музыки мы даже сумели организовать широкое празднование двухсотлетия со дня рождения Пушкина.

<u>– Нам также известно, что именно вы стали инициатором образования в Новой Зеландии абхазской диаспоры. Так ли это?</u>

1990 წ. 31 იანვარს საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმზე საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის **ვ.ხიშბას** გამოსვლამ ,,დაარწმუნა" რესპუბლიკის კომუნისტები, რომ **,,დღეს აფხაზეთში საერთო ვითარება გარეგნულად მეტ-ნაკლებად მშვიდია და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რათა იგი სტაბილური გახდეს."** (**გაზ. ,,საბჭოთა აფხაზეთი", 16 თებერვალი**). ამავე პლენუმზე იგივე განაცხადა ე. წ. სამხრეთ ოსეთის აო-ს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა.კაჩმაზოვმა**. **,,წამოჭრილ გართულებებს არ აქვთ ღრმა ფესვები და რეალური ნიადაგი."** ამასობაში კი სრული დატვირთვით მუშაობდა ეთნოდივერსიული ინდუსტრია როგორც ერთ, ისე მეორე ფაბრიკაციულ ავტონომიაში. საქართველოს კპ ცკ-ის თებერვლის პლენუმმა მიიღო საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია. მის პრეამბულაში აპრიორულ მომენტად აღიარებული იყო, რომ: **,,ეროვნული პოლიტიკის სფეროში პარტიის პლატფორმა, რომელიც სკკპ ცკ-ის 1989 წლის სექტემბრის პლენუმმა მიიღო, სამართლიანად მიუთითებს, რომ ამ ურთულესი საკითხების გადაწყვეტისას არ შეიძლება გვქონდეს ქვეყნის ყველა რეგიონისა და ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის გამოსადეგი რეცეპტი. რომ ეროვნული პოლიტიკა მუდმივი შემოქმედება, ცხოვრებისეული პროცესების რეალური დიალექტიკის გათვალისწინებაა."**

ამდენად, საქართველოს სსრ ეროვნული კონცეფციის შესაბამისად საქართველო მიჩნეული იყო დიადი ქვეყნის (სსრკ) ,,შიდა რეგიონად", ასეთ შემთხვევაში პოპულისტურ ხასიათს იძენდა (და ეს ასეცაა) კონცეფციის ასეთი ,,რადიკალური" ნაწილი: **"საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულებაა მისი ტერიტორიული და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა. საქართველოს განუყოფელი ნაწილია მის ტერიტორიაზე შექმნილი ავტონომიური ფორმირებანი _ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის აო. მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებში საქართველოს სსრ დამოუკიდებლად განაგებს თავის საშინაო საქმეებს. იგი არ დაუშვებს როგორც რესპუბლიკის სუვერენიტეტის უფლებების, ისე მასში შემავალი ავტონომიური ფორმირებების ინტერესების ხელყოფას, მათ საშინაო საქმეებში გარეშე ძალის ჩარევას"(გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 22 თებერვალი, 1990წ.**).

1 თებერვალს გაზეთმა **"Советская Абхазия"**-მ დაბეჭდა აფხაზეც-სეპარატისტთა ეთნოკრატიული დიდმპყრობლობის ერთ-ერთი ლიდერის, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის, აფხაზეთის **ა.მ.გორკის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორის **ოლეგ დამენიას** (გვარის მიხედვით ქართველის) წერილი:

– Да, моя активность и тут дала о себе знать. Я как-то подумала, что нас в семье уже десять человек, там еще живет семья Халваш – выходцы из Нового Афона, Гурджуа – из Пицунды, несколько абхазов из Турции – то есть готовая диаспора. Я сама занялась регистрацией, благо, в Новой Зеландии не проблема зарегистрировать какое-нибудь общественное объединение. Мне даже выдали некий грант для этих целей, уладили вопрос с помещением. Нам без проблем предоставляли помещения для наших встреч, собраний. Диаспора получилась немногочисленная, всего человек 20, но зато очень активная. Мы стали регулярно отмечать наши национальные праздники, у всех в домах появились абхазские флажки, гербы. Особенно воодушевились наши турецкие соотечественники: один из них даже сшил себе черкеску, стал усердно изучать абхазский.

– А насколько новозеландцы осведомлены о том, что такое Абхазия?

– К сожалению, почти не осведомлены. Как-то наш преподаватель английского в колледже спросил меня, не из Грузии ли я. Что вы, возмутилась я, грузины – мои враги. Я подошла к карте и стала объяснять на тогда еще ломаном английском: Черное море, Россия, Абхазия, Грузия... Ну тогда скажите что-нибудь на абхазском, предложил он. Помню, я продекларировала ему кого-то из наших поэтов. Он был в восхищении, сказал, что язык наш как симфония. Вообще, я считаю, что мы очень мало делаем для пропаганды нашего государства в мире, нужна некая информационная атака, чтобы показать миру, что мы существуем. Считаю просто необходимым создание хорошего сайта об Абхазии на английском языке....." (გაზ. "Эхо Абхазии", №25, 20 ივლისი, 2010წ.)

“Малочисленный этнос: Трудности и перспективы существования” - “...Уже сам факт борьбы малочисленных народов за равноправие, суверенность Советской федерации является показателем острого дефицита политической культуры в стране”... “Это значит, что только через и посредством радикального преобразования федеративного государственного устройства можно предотвратить процесс этнокультурного вымирания малочисленных народов”. წერილის ავტორი ქართველ ერს ბრალს სდებდა დიდმპყრობლობასა და აფსუა ეთნოსის (მისი თქმით აფხაზთა) განადგურებაში. პუბლიკაციაში, რა თქმა უნდა, აპრიორულ ჭეშმარიტებად მიჩნეული იყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (ცხუმ-აფხაზეთის) ხარჯზე ე.წ. აფხაზეთის ასსრ ფაბრიკაციული სტრუქტურები და აქედან გამომდინარე მისი ხელოვნური, დემოგრაფიული დადასტურების ე.წ. ,,რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის” ამბიციები.

1990წ. 3 თებერვალს ,,ახალგაზრდა კომუნისტში” გამოქვეყნდა.....საქართველოს ალკკ ახალი წესდების პროექტი. იგი, ისევე, როგორც საქართველოს კპ, თავის ამოცანად ისახავდა ე.წ. გარდაქმნის მიზნების რეალიზებას საქართველოს სს რესპუბლიკაში.....

1990წ. 5-6-7 თებერვალს მიმდინარეობდა სკკპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც გაატარა საორგანიზაციო ღონისძიებები სკკპ 28-ე ყრილობის მოსამზადებლად, განიხილა სკკპ ცკ-ის ეროვნული პლატფორმის პროექტი.

თავის სიტყვაში სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა **მ.ს.გორბაჩოვმა** გარდაქმნის პირობებში მავნე და მანკიერ გადმონაშთად მიიჩნია სამშობლოს სიყვარული, რომელიც, მისი თქმით, ნაციონალიზმი და შოვინიზმი გახლავთ. ამ პრობლემათა მომგვარებლად სკკპ ეროვნული პლატფორმის რეალიზაცია მიიჩნია, ასევე აზერბაიჯანისა და არმენეთის მოვლენებზე არათუ თითი იქნია, დაშინება მოუნდომა კიდევაც ხალხს: **“მე უკვე ვთქვი, რომ მტკიცე მოქმედებების მეოხებით შევძელით თავიდან აგვეცილებინა უფრო მეტი ტრაგედია, საფრთხე შეექმნა მრავალი ათასი ადამიანის უშიშროებას და ეს არის მიღებულ გათვალისწინებათა მთავარი მოტივი. მაგრამ გარდა ამისა, საქმე ის გახლავთ, რომ ნაციონალისტურმა, ანტისაბჭოთა დაჯგუფებებმა აშკარად ხელყვეს კონსტიტუციური წყობილება, ისინი მოისწრაფოდნენ ძალაუფლებისაკენ, ცდილობდნენ დაემყარებინათ არა დემოკრატია, არამედ უხეში ძალისა და აგრესიული ნაციონალიზმის დიქტატურა. ეს იყო არსებითად ძალადობრივი გადატრიალების ცდა. არც მეტი, არც ნაკლები, საამისოდ მომზადებული იყო ყველა სტრუქტურა, უწინარეს ყოვლისა, სამხედროები და როდესაც ცალკეული პოლიტიკური ძალები ცდილობდნენ თავი მოეყარათ აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ამ ნაწილისთვის, ეს მხოლოდ იმის დამადასტურებელია, თუ რა მიზანს ისახავდნენ თავად ისინი”** (გაზ. **“საბჭოთა აფხაზეთი”, 1990, 7 თებერვალი, 1990წ.).**

1990წ. 7 თებერვალს სკკპ ცკ-ის პლენუმმა მიიღო დადგენილება პარტიის 28-ე ყრილობისათვის სკკპ ცკ-ის ეროვნული პლატფორმის მოწონების შესახებ.

სკკპ ცკ-ის **თებერვლის** პლენუმზე საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა **გ.გუმბარიძემ** ასე დამოძღვრა პარტია და ხალხი: **“არავის უნდა ეპარებოდეს ეჭვი, რომ ყოველი ჩვენგანის პოზიცია გამოხატავს კომუნისტთა აზრებისა და ინტერესების ობიექტურად ჩამოყალიბებულ ბალანსს, რომ იგი ნაკარნახევია, უმთავრეს მისწრაფებად გავიხადოთ დემოკრატიზაცია. უზრუნველყოთ შემდგომი მისი განახლება, გამოვნახოთ გარდაქმნის პლატფორმის გარშემო საზოგადოებრივი ძალებისა**

და ხალხების კონსოლიდაციის ყველაზე უფრო მისაღები და ეფექტიანი ფორმები” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 9 თებერვალი, 1990წ.).

ამ პლენუმზე სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის **მ.გორბაჩოვის** დემოკრატიული თვალსაწიერი სულაც არ იყო სახალხო: იმასთან დაკავშირებით, რომ **“ლიტვის კომპარტიის სტატუსის ან წესდების მთელი რიგი დებულებანი, რომლებიც ეხება პარტიის წევრობას, მიხეილ სერგეევიჩისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან (სტატუსში ნათქვამი იყო, რომ ისინი არიან ლიტვის კომპარტიის და არა სკკპ წევრები,** ამიტომ **მ.გორბაჩოვის** აზრით **“მხარი დავუჭიროთ ლიტვის კომპარტიის დროებით (სკკპ პლატფორმის) ცენტრალურ კომიტეტს, მივიღოთ ზომები მისი საქმიანობის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 13 თებერვალი, 1990წ.).** რაც შეეხება “ხელშემწყობ პირობებს მუშაობისთვის” _ ეს მეთოდები ნაცადია. ასეთი ვერაგი იყო ე.წ. გარდაქმნის სიღრმეც და სიგანეც.

სკკ ცკ-ის თებერვლის პლენუმმა მიიღო დადგენილება ლიტვის კპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ, რომელშიც დაგმო მისი გადაწყვეტილებანი და მხარი დაუჭირა ე.წ. ლიტვის კომპარტიის სკკპ პლატფორმის დროებით ცენტრალურ კომიტეტს.

1990წ. 15 თებერვალს გაზეთმა “**საბჭოთა აფხაზეთმა**” გამოაქვეყნა სკკპ ცკ-ის თებერვლის პლენუმის მიერ მოწონებული ეროვნული პლატფორმის პროექტი _ **“ჰუმანური დემოკრატია სოციალიზმისაკენ _ სკკპ ცკ პლატფორმა პარტიის პარტიის XXVIII ყრილობისათვის”.**

მასში სკკპ “გადაუდებელ საქმედ მიიჩნევდა”, რაც შეიძლება მალე მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის სამართლებრივი გარანტიების ჩამოყალიბებას.

“სკკპ მხარს უჭერს ყველა ხალხს მშობლიური ენით თავისუფალი სარგებლობის უთუო უფლებას, მის გამოცხადებას ეროვნული ავტონომიის ფარგლებში”, მაგრამ სულ ესაა და ეს, _ თქვენს საძინებელ ოთახში ისარგებლეთო დედაენით, საერთოდ კი: **“რუსული ენა უზრუნველყოფსო საერთო სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებებს”** _ გვპირდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტი.[23]

1990წ. თებერვლის დასაწყისიდანვე ახალი ტალღით იფეთქა სსრკ ცალკეულ რესპუბლიკებში არმენთა წინააღმდეგ გამოსვლებმა. ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვდა არმენთა ორპირული საქმიანობის აღკვეთას:

<u>დუშანბე,</u> 14 თებერვალი (ტაჯიკდეს-საკდესი). დღეს აქ გაიმართა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი. პლენუმზე გამოვიდა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **<u>კ.მაკხამოვი</u>.** მან გააკეთა ინფორმაცია დუშანბეში 11-14 თებერვალს მომხდარი ამბების შესახებ.

გამოსულებმა მკაცრად გააკრიტიკეს ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, რესპუბლიკის მთავრობა, სამართალდამცველი ორგანოები იმის გამო, რომ საშველი ვერ დააყენეს ღონისძიებათა მიღებას, რათა თავიდან აეცილებინათ დიდი სამართლდარღვევები და არეულობა რესპუბლიკის დედაქალაქში.

---

[23] ვისაც გააჩნია დედა ენა, მხოლოდ მასა აქვს სამყარო, გააჩნია სახალხო მსოფლმხედველობა, ანუ ძვრაუქმენლია საკუთარ ცნობიერ თვალსაწიერში, მარადისია თავის ვინაობაში. დიდი ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძე გვაფრთხილებდა, “არ ძველდებაო პატრიოტიზმი”, ხოლო მისი სახელოვანი ძმა თამაზ ჭილაძე, ასევე დიდი მწერალი, ხმის ჩახლეჩამდე ჩაბღავის თაობას: “ნუ წარმოვიდგენთ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ მოდელიორებისა და კლოუნების “პოდიუმად”. იმედია, დამერწმუნებით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კულტურის შოუდ გადაქცევა, ალბათ ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, რომ სანახაობა და სალაფავი მონების საქმეა, კულტურა კი ხალხის” (გაზ. “კვირის პალიტრა”, 2011წ. 28 თებ.).

მეტად ღირსეულად უნდა მოვეკიდოთ ჩვენს სულიერებას, რომელიც ყველაზე საიმედო საფუძველი და დასტურია ერის მარადიულყოფნის, რადგან, როცა თაობა ბედნიერებას დედა ენაზე არ ისიგრძეგანებს, იქვე მთავრდება ერის ვინაობა და წერტილი ესმევა მის ისტორიას. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ასეა მაშინაც, როცა ველიკოდერჟავული რუსის მაგივრად დიდმპყრობელ ამერიკელს მოვუძღვებით.

პლენუმმა პრინციპულად იმსჯელა შექმნილ ვითარებაზე და, გაითვალისწინა რა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი, დაავალა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, კომუნისტ ხელმძღვანელებს დაუყონებლივ მიიღონ ზომები საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად დუშანბესა და მთლიანად რესპუბლიკაში. პარტიულ კომიტეტებს, კომუნისტებს დაევალათ აქტიურად მონაწილეობდნენ მუშათა რაზმების ორგანიზაციებში საწარმოებსა და დაწესებულებებში, ქუჩებში, მოედნებზე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წესრიგის უზრუნველყოფაში.

პლენუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია მოაახლოვოს ტაჯიკეთის კომპარტიის XXI ყრილობის მოწყობის ვადები და გამართოს იგი მიმდინარე წლის აპრილ-მაისში.

პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას და გულწრფელი სამძიმარი შეუთვალეს მათს ახლობელ-ნათესავებს.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ბ.კ.პუგო.**

დუშანბე, 14 თებერვალი (საკდესის კორ. ვ.გონდუსოვი, ვ.ზენკოვიჩი). მართლაც რომ არა აქვს საზღვარი ადამიანის ბოროტებას. განვლილ ორ დღეში დამრბევებმა გაძარცვეს 24 მაღაზია, 19 საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულება, 25 კიოსკი და ფარდული, 6 ადმინისტრაციული შენობა, სალაპარაკო-სატელეფონო პუნქტი და შემნახველი ბანკი, მოსპეს ტროლეიბუსები, ავტომობილები, დააზიანეს 22 სასწრაფო დახმარების მანქანა. ქუჩებში ხულიგნები სცემენ ადამიანებს.

როგორც საკდესის კორესპონდენტებს უამბო შუა აზიისა და ყაზახეთის შინაგანი ჯარების სამმართველოს უფროსის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა **ა.ფილისტოვიჩმა**, 13 თებერვალს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან გამართულ მიტინგზე დემონსტრანტები მოითხოვდნენ ტაჯიკეთის მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაუყონებლივ გადადგომას, ტაჯიკეთიდან ყველა სომხის (არმენის-ს.საჯ.) გაძევებას. გაისმოდა მოწოდებანი: "პასუხი აგონ რუსებმა ყველაფრისათვის". შეკრებილთ არეულობის შეწყვეტისათვის მოუწოდა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **კ.მაკხამოვმა**, ამას შედეგი არ მოჰყოლია.

მოსახლეობაში მიმდინარეობს აქტიური პროპაგანდისტული მუშაობა. ვრცელდება ფურცლები ტაჯიკურ, რუსულ და უზბეკურ ენებზე, რომლებიც მოუწოდებენ დაიცვან თავშეკავება და გამოიჩინონ გონიერება, არ აჰყვნენ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა პროვოკაციებს. ქალაქში იქმნება თავდაცვის რაზმები მოქალაქეთაგან. დღეისათვის ვითარება დუშანბეში უკიდურესად დაძაბულია. გრძელდება დარბევები და ცეცხლის წაკიდება.

***

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მოვლენათა დაწყებიდან დაიღუპა 11 კაცი. სხეულის დაზიანება მიიღო 194 კაცმა, მათ შორის 48 მილიციის თანამშრომელმა და შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურემ. ცნობები ზუსტდება.

არეულობათა ფაქტების გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, დაკავებულია 58 კაცი (**გაზ. "კომუნისტი", 1990წ. თებერვალი**).

***

<u>ბაქო 14 თებერვალი</u> (აზერ-ინფორმ-საკდესი). **გრძელდება გაფიცვა აზერბაიჯანის დედაქალაქის ბევრ სამრეწველო საწარმოში. რესპუბლიკის სტატსახკომის მონაცემებით, ბაქოში არ მუშაობს საწარმოთა ოცდაათ პროცენტზე მეტი. იზრდება მოცდენით**

გამოწვეული მატერიალური დანაკარგები: სულ რესპუბლიკაში 18 იანვრიდან განვლილი პერიოდის მანძილზე ზარალმა თითქმის 480 მილიონი მანეთი შეადგინა.

არ წყდება სამხედრო პატრულებზე თავდასხმები. როგორც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გვაცნობეს, ბაქოში კარლ მარქსის ქუჩაზე თავდასხმის შედეგად დაიჭრა საპატრულო ჯგუფის უფროსი სერჟანტი კოზლოვი. მიმდინარეობს დამნაშავეთა ძებნა.

ბაქოში სამ დღეს იმყოფებოდა უცხოელ ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი. ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის 11 ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებმა რესპუბლიკაში არსებული ვითარების ამსახველი მრავალმხრივი ინფორმაცია, როგორც იტყვიან, პირველი ხელიდან მიიღეს, ისინი შეხვდნენ ქალაქის მცხოვრებთ, მუშებს, სამხედროებს, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკებს, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის გამგეობის წევრებს.

სტეფანაკერტი, 14 თებერვალი (საკდესის კორ.). მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის ასკერანის რაიონის ორ სოფელში უხუცესებმა აქსაკალებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ურთიერთუშიშროების გარანტიების, ეროვნებათშორისი შერიგების შესახებ. ამგვარი შეხვედრები გაიმართა ავტონომიური ოლქის მარტუნინის, გადრუტის რაიონებში (გაზ. "კომუნისტი", 1990წ. თებერვალი).

1990 წლის 14 თებერვლისათვის ვითარება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში კვლავ დაძაბული რჩებოდა. აზერბაიჯანის რკინიგზაზე გაიჩიხა 149 სატვირთო შემადგენლობა, მათგან 48 არმენეთის მიმართულებისა.

ბარდის რაიონში დღე-ღამის განმავლობაში შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებმა მოსახლეობას ჩამოართვეს 7 სანადირო თოფი.

არმენეთის სს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში დღე-ღამის განმავლობაში დააბრუნეს ერთი მაკაროვის პისტოლეტი რვა ვაზნითურთ, რომელიც გატაცებული იყო კაფანის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებიდან, შაშხანა, თერთმეტი პნევმატური შაშხანა, ოთხი სანადირო თოფი, ორი თვითნაკეთი ხელყუმბარა.

ერევანში შენობა, სადაც მუშაობა დაამთავრა არმენეთის სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ, 15 საათიდან და 30წუთამდე ალყაში ჰქონდა მოქცეული ბრბოს. შეკრებილნი მოითხოვდნენ არმენეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გადადგომას.

1990წ. 15 თებერვალს გაზეთმა "სახალხო განათლებამ" გამოაქვეყნა რუბრიკა "უცხოეთის რადიოსადგურები ლაპარაკობენ". საინტერესოა სსრ კავშირში მიმდინარე პროცესების თუნდაც თვალშევლება უცხოელთა მზერით:

"თავისუფლება" 8/II

ლიტვის კომპარტიის ლიდერზე ა.ბრაზაუსკასზე, ენამოსწრებულად შენიშნავენ: მან განსჭვრიტა საბჭოთა კომუნიზმის მომავალი, რომელიც არცთუ ისე კომუნისტურად გამოიყურებაო. მართლაც, ლიტვის კომპარტიამ, ბრაზაუსკასის მეთაურობით, მოსკოვისგან თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, მიიღო მოქიშპე პოლიტიკურ პარტიებთან შეჯიბრების იდეა, გაწმინდა თავისი რიგები ძველი გვარდიისაგან და გამოიმუშავა პლატფორმა, სადაც ძნელად თუ შეიგრძნობა მოწიწება მარქსისა და ლენინისადმი.

მოსკოვის პარტიულმა ლიდერებმა, რომლებიც აღმოჩნდებიან მათთვის დამაშინებელ პლურალიზმის სიტუაციაში, ლიტვის კომპარტიის მაგალითზე შეიძლება ისწავლონ, რომ პარტიის შერყეული ავტორიტეტის ცოტად თუ ბევრად აღდგენა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაუშვებენ უმცირესობაში აღმოჩენის შესაძლებლობასა და შეურიგდებიან ამ გარემოებას. ბრაზაუსკასის არჩეული გეზი ახლა

აზერბაიჯანისა და რუმინეთის მაგალითზე აშკარად გამოიყურება ერთადერთ სწორად გადადგმულ ნაბიჯად.

პარტიას არ შეუძლია მხოლოდ თავისი თავისთვის არსებობა, ისე, როგორც ეს რუმინეთში იყო, სადაც პარტია იყო ხელშეუხებელი, კრიტიკისათვის და ხელმიუწვდომელი, მუდმივად მართალია და უშეცდომო, _ თქვა ბრაზაუსკასმა, _ პარტია ან რადიკალურად უნდა შეიცვალოს, რათა მაქსიმალურად მიუახლოვდეს თავის თავს, ანდა უნდა გააუქმოს თავისი თავი. ასეთმა მიდგომამ თავისი შედეგი გამოიღო. ალგიდას ბრაზაუსკასი ალბათ ერთადერთი პარტიული ლიდერია მთელ ევროპაში, რომლის ავტორიტეტი ხალხში იზრდება და რესპუბლიკის დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურების ავტორიტეტსაც კი აჭარბებს, ხოლო ნაწილი მისი პოლიტიკური შარავანდედისა რგებს მის პარტიასაც. გასულ იანვარს, რაც მისი ინიციატივით ლიტვის კომპარტია გამოეყო საკავშირო კომპარტიას და თავის პროგრამაში შეიტანა პუნქტები ლიტვის დამოუკიდებლობის, პოლიტიკური პლურალიზმისა და თავისუფალი საბაზრო სისტემის შესახებ, ლიტვის მეცნიერებათა აკადემიის ძალებით გატარებული იყო საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. გამოირკვა, რომ ლიტვის განახლებულმა კომპატიამ თავისი პოპულარობით "საიუდისიც" კი ჩამოიტოვა უკან. გამოკითხულთა შორის მასზე დადებითი აზრი 73 პროცენტმა გამოთქვა. ჯერ კიდევ ნოემბერში, მსგავსი გამოკითხვების დროს, კომპარტიას მხოლოდ 16 პროცენტმა დაუჭირა მხარი. მიუხედავად ამ მოულოდნელი წარმატებისა, ლიტვის კომპარტიის ხელმძღვანელობა არ იმედოვნებს მოახლოვებულ არჩევნებში ხმის უმრავლესობის მიღებას და მზად არის მომავალ კოალიციურ მთავრობაში უმცროსი პარტნიორის როლით დაკმაყოფილდეს. ბრაზაუსკასმა თქვა, რომ იგი მოელის დამარცხებას, თუმცა თავის წინასაარჩევნო კამპანიაში ყველა ღონეს ხმარობს ამის თავიდან ასაცილებლად. "მე მგონია, მომავალ პარლამენტში ნაკლები კომუნისტები შევა, ვარაუდობს იგი, _ მაგრამ ესენი გაცილებით უფრო უკეთესი კომუნისტები იქნებიან".

24 თებერვალს, როცა ლიტვაში ჩატარდება არჩევნები, რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, მისი მეზობელი ესტონელები კენჭს უყრიან ე.წ. ეროვნულ კონგრესს. არჩევნები ჩატარდება ესტონეთის დამოუკიდებლობის დღეს. არჩევნების ჩატარება ამ დღეს გადაწყდა ერთი წლის წინათ, როცა მთელი ესტონეთი აღნიშნავდა ამ ეროვნულ დღესასწაულს. ოფიციალურ საკანონმდებლო ორგანოში _ ესტონეთის უზენაეს საბჭოში კი არჩევნები დანიშნულია 19 მარტისათვის. ესტონეთის ერთ-ერთი ეროვნული ლიდერი გამოვიდა მოწოდებით ოფიციალური არჩევნების ბოიკოტის შესახებ. მან მოუხმო თავის თანამემამულეებს, რომ ამის ნაცვლად მიიღონ მონაწილეობა ეროვნული კონგრესის არჩევნებში. როგორც ცნობილია, ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ ორ ომს შუა თავისუფალი ესტონეთის მოსახლეობასა და მის შთამომავლობას და, აგრეთვე, ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ესტონელებს. ამგვარად, 24 თებერვალს არჩევნებში ვერ მიიღებს მონაწილეობას 500 ათასი კაცი, ესტონეთის მოსახლეობის დაახლოებით 31 პროცენტი, უმეტესად რუსები. კონგრესის არჩევნების ორგანიზატორთა, მოქალაქეთა კომიტეტების ცნობით, აქამდე უკვე აღრიცხულ იქნა 600 ათასი კაცი ზემოთხსენებულ მოქალაქეთა რიცხვიდან. მოქალაქეთა კომიტეტებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს ხალხში და ახლა კონკურენციას უწევენ ესტონეთის სახალხო ფრონტს, რომელიც აქამდე ცდილობს, თუმცაღა მეტად მოკრძალებული შედეგებით, რუსი და უკრაინელი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას, ეროვნული კონგრესის არჩევნებს არ შეეგება დადებითად. ესტონელები საკმაოდ აუღელვებლად უყურებენ ამ არაფორმალური ჯგუფების კამათს. ერთის თქმით, დამოუკიდებლობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ყველა გზის მოსინჯვაა

საჭირო. ერთ-ერთმა ესტონელმა ოფიციალურმა პირმა კი თქვა: “მოსკოვი, ცხადია, უარს განაცხადებს ამ ახალ კონგრესთან საქმის დაჭერაზე, იტყვის რომ ეს არადემოკრატიული ორგანოა. მიუხედავად ამისა, ეს დაეხმარება ჩვენს მთავრობას მოსკოვთან მოლაპარაკებებში. კონგრესი იქნება მუქარის კარგი საშუალებაო”. ბევრი კანდიდატი წამოყენებულია ორივე ორგანოში ასარჩევად, ეროვნულ კონგრესში და რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. ამ ორმაგ კანდიდატებს შორის არიან კომპარტიის წევრებიც...

“ბი-ბი-სი” 9/II

ლიტვის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ ლიტვის შეერთება სსრ კავშირთან 1940 წელს უკანონო იყო და ამიტომ იგი უმართებულოცაა. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ლიტვის დამოუკიდებლობის დროს, როდესაც სახალხო სეიმმა ხმა მისცა მის შეერთებას საბჭოთა კავშირთან, საბჭოთა ჯარები უკვე შესულები იყვნენ ლიტვაში და ამდენად, სახალხო სეიმის გადაწყვეტილება ლიტველი ხალხის ნებას არ გამოხატავდა. ლიტვის უმაღლესი საბჭოს დადგენილება მას შემდეგ მიიღეს, როდესაც სკკპ ცკ-მა დაგმო ლიტვის კომპარტიის ორგანიზაციულ-პოლიტიკური კავშირის გაწყვეტა სკკპ-სთან. “ბი-ბი-სის” მოსკოველი კორესპონდენტის აზრით ლიტვას ერთი ნაბიჯიღა დარჩა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

ჩეხოსლოვაკიის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით მოლაპარაკება მოსკოვსა და პრაღას შორის ჩიხში შევიდა. იუწყებიან, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ჯარების გაყვანის ვადებზე. პრაღა მოითხოვს, რომ შეიარაღებული ძალების (რომელთა რიცხვი 80000 კაცია) ნახევარმა, დატოვის ჩეხოსლოვაკია 8 ივნისისათვის. ამ დღეისთვისაა დანიშნული ქვეყნის არჩევნები. ხოლო მეორე ნახევარი გამოიყვანონ მიმდინარე წლის ბოლომდე. მოსკოვმა განაცხადა, რომ მას დასჭირდება მეტი დრო სამხედრო ნაწილებისა და მათი ოჯახების დასაბინავებლად.

“თავისუფლება” 10/II

ლიტვის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი ბეჭდვითი ორგანოების შესახებ. კანონი განსაზღვრავს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რესპუბლიკაში თავისუფალია და ცენზურას არ ექვემდებარება... ამის შემდგომ პოტენციური გამომცემლები შეუძლიათ გახდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები, შემოქმედებითი კავშირები, სამეცნიერო დაწესებულებები, რელიგიური, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციები, აგრეთვე ლიტვის სრულწლოვანი მცხოვრებლები.

მარგარეტ ტეტჩერს მიაჩნია, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთისა და ნატოს შემაკავებელი ძალები დღეს იმდენად მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს... ტეტჩერმა თქვა, დიადმა მშვიდობიანმა შეიძლება დაასწროს დიად ომებსო. მისი სიტყვით, ამჟამინდელი ცვლილებებისას უმთავრესია თავშეკავების, სიფხიზლის და კეთილგონიერების გამოჩენა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ პოლიტიკაში მთელი ცხოვრების მანძილზე მისი საკუთარი იდეალები არასოდეს ისე ტრიუმფალურად არ განხორციელებულა, როგორც დღეს.

“გერმანიის ტალღა” 11/II

50 ათსზე მეტმა კაცმა მოაწყო დემონსტრაცია მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში მოსკოვიდან მეტი დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ამავე დროს, კომუნისტებმა და ოპოზიციური სახალხო ფრონტის წარმომადგენელმა ორატორებმა უარყვეს მოლდავეთის გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან... ამ დემონსტრაციამ ხელი შეუწყო დაძაბულობის შენელებას, რომელიც გამოწვეული იყო ეროვნებათა შორის კონფლიქტით რუმინულად მოლაპარაკე უმეტესობასა და რუსულენოვან უმცირესობას შორის.

“თავისუფლება” 10/II

ესტონეთი: “ესტონეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა მთავარი კომიტეტი იზიარებს რუსული მოსახლეობის შეშფოთებას, როგორც მთლიანად ესტონეთის პერსპექტიული მდგომარეობის, ასევე ამჟამინდელი მომენტის პრობლემების თაობაზე. ასეთ უსიამოვნო მდგომარეობამდე ჩვენ მიგვიყვანა ხელისუფალთა მიერ გადადგმულმა ზოგიერთმა უპასუხისმგებლო ნაბიჯმა და მათი მიზნების გაურკვევლობამ. არ გვინდა, რომ ჩვენი კომიტეტის საქმიანობა რუსებმა გააიგივეონ ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფალთა ისტორიულ გამოხტომებთან, რომლებიც წინასწარი განზრახვით ნაციონალიზმის დემონსტრირებას ახდენენ, რათა ხალხი ეროვნულ ნიადაგზე წააჩხუბონ. გასაგებად გვინდა იმ ძირითადი საკითხების განხილვა, რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებლად, დამახინჯებულად განიმარტება და ამით ზიანი ადგება ეროვნულ მოძრაობას, ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესს, აი, 1 საკითხი: დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომლის შენებისაკენ ჩვენ ვისწრაფვით, საზოგადოების წევრთა უფლებები არაა დამოკიდებული ეროვნებაზე... მოქალაქეობის საკითხი არავითარ კავშირში არაა ეროვნულ თუ სარწმუნოებრივ პრინციპებთან. ასე იყო 1940 წლამდის და ასე გვესახება ჩვენი საერთო მომავალი. 2. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ცივილიზებულმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ მიიღოს რაიმე ძალადობა დეპარტაციის მიზნით მოქალაქეთა მიმართ. ესტონეთში ჩამოსულთა ნაწილს ხომ მართლაც ნებაყოფილობით სურს საცხოვრებელი ადგილის არჩევა სხვაგან, თუკი ამ ძნელი ნაბიჯისათვის შეიქმნებოდა შესაფერისი პირობები.

3. ესტონეთის მოქალაქეობასა და ადამიანის უფლებებს ხშირად ერთმანეთში ურევენ. სინამდვილეში, აქ წინააღმდეგობა არ არის. მოქალაქეობის მსურველნი შუამდგომლობას მიიღებენ მომავალი ესტონეთის მთავრობისაგან. შუამდგომლობის ფაქტს ჩვენ განვიხილავთ, როგორც დამოუკიდებელი ესტონეთის მხარდაჭერას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ესტონეთის სხვა მაცხოვრებლები დისკრიმინირებულნი იქნებიან, უფლებები, რასაკვირველია, არ დაირღვევა. ესტონეთში მცხოვრები აუცილებელი არაა იყოს ესტონეთის რესპუბლიკის მოქალაქე. მოქალაქეობა _ ეს პრივილეგია კი არა, მოვალეობაა! ესტონეთის მცხოვრებს შეუძლია სხვა ქვეყნის მოქალაქედ დარჩეს (მაგ. საბჭოთა კავშირისა) ანდა მოქალაქეობის გარეშე. ეს არჩევანი უაღრესად ნებაყოფლობითია. მათ, ვისაც ესტონეთის მოქალაქეობა არ ექნებათ, საკმარისია საცხოვრებელი ვიზა, ხოლო შრომითი მოწყობა დამოკიდებული იქნება ადამიანის უნარზე. ეკონომიკას, თავისუფალი მეწარმეობის პირობებში, არ ექნება შეზღუდვები. ჩვენ კიდევ ერთხელ ვარწმუნებთ რუსებს, ესტონეთში მცხოვრებ სხვა ერებს, რომ ესტონეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ იქნება ეროვნული დისკრიმინაცია...”

ასეთია ესტონეთის მოქალაქეთა მთავარი კომიტეტის მიმართვა ესტონეთის რუსი და რუსულენოვანი მოსახლეობისადმი”...

1990წ. 16 თებერვალს გაზეთ “კომუნისტში” გამოქვეყნებული ინფორმაციები მოწმობენ, რომ სულ უფრო და უფრო სახიფათო სახეს იღებდნენ თავად კრემლის მიერ გეგმაზომიერად განხორციელებული ეთნოკონფლიქტები. ისინი მიმართული იყო იქითკენ, რომ განხორციელებულიყო მორიგი რეპრესიები თავისუფლების მოყვარე ხალხების მიმართ (ეს განხორციელდა კიდეც მოგვიანებით საქართველოში); იმ დროის ქართული თავდაცვის სახეზოგადობად გთავაზობთ წინამდებარე წერილს:

ქართველთა ბრალია?

გულისყურით გავეცანი თქვენი გაზეთის ა.წ. 3 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ტამიშელი პედაგოგის წერილს. ჩემთვის მოულოდნელობას არ წარმოადგენს ის, რომ

წერილში კრინტიც არაა დაძრული 1989წ. ივლისის თვეში სოხუმში დატრიალებულ სისხლიან ამბებზე.

საერთოდ, უაზრობად მოგვაჩნია წერილში არაკვალიფიციურად დასმულ საკითხებზე დიალოგის გამართვა. მაგრამ ამასთანავე მიზანშეწონილად ვთვლით, ყურადღება გავამახვილო წერილში მოტანილ ერთ კერძო, კონკრეტულ ბრალდებაზე _ ქართველთა მიერ აფხაზეთში აფსუათა უმცირესობაში ხელოვნურად მოქცევის ფაქტზე. მოვუსმინოთ მას: “Не смог сказать правду и Гумбаридзе на сентябрьском Пленуме ЦК КПСС. Он не осмелился сказать: почему, по какой причине и каким образом численность абхазцев составляет 17 процентов, тогда как в 1886 году их было 85,7 процента, а грузин, в основном мегрелов, 6 процентов. А по первой всероссийской переписи населения в 1897г (после махаджирства) абхазы составляли уже 55,3 процента, грузины 24 процента. А в насоящее время в результате неестественного переселения численность грузинского населения в Абхазии превысила численность абхазцев почти в три раза. Упрекать абхазцев при таком положении, что их стало 17 процентов у себя на родной земле, безнравственно и аморально”.

ეს “ბრალდება” ერთი ადამიანის აზრი რომ იყოს, შეიძლებოდა უპასუხოდ დაგვეტოვებინა იგი. სინამდვილეში ის გამოხატავს მსოფლმხედველობას ე.წ. “აფხაზური წერილის” ავტორებისას, რომლებიც გამოგონილი სტატისტიკური მანიპულაციებით მთელ სამყაროში სტეხენ განგაშს, არიქა, გვიშველეთ, ქართველები გვსპობენ და გვანადგურებენო. ამიტომ, საჭიროა მასზე რამდენადმე ყურადღების გამახვილება.

პირველ ყოვლისა, გადავხედოთ აფხაზთა დემოგრაფიულ ვითარებას გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე, აფხაზთა რიცხობრივობაზე თვალის გადევნებისათვის ამოსავალ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, 1878 წლის ბოლოს ჩატარებული ერთობ კვალიფიციური კამერალური აღწერის შედეგები, რომელიც გამოქვეყნებულია რუსულენოვან ორ სხვადასხვა ჟურნალში: “რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის მოამბესა” და “კავკაზსკი კალენდარში” (1879წ.).

დოკუმენტურობის შენარჩუნების მიზნით, მასალას ვბეჭდავთ ისე, როგორც იგი გამოქვეყნებულია დასახელებულ ჟურნალებში. ამ პერიოდის მონაცემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ 1877-1878 წლებში მოხდა რიგით მეორე, სარწმუნოებრივ ნიადაგზე, აფხაზთა დიდი ემიგრაცია სულთნის თურქეთში (პირველ გადასახლებას ადგილი ჰქონდა 1866-1867წ.წ., როდესაც სამშობლოდან გადაიხვეწა 15 ათასამდე აფხაზი).

	Было до войны.		Выселилось:	
	Семейств.	душ.	Семейств.	душ.
I. Округъ Очамчирский.				
а) Участокъ Самурзаканскій				
Въ 9-ти общигахъ.....	11920(?)	24461	_	_
б) Участокъ Кодорскій.				
Община Очамчирская...	(493*)	_	49	_
>> Поквешская.....	356	_	12	_
>> Гупская	650	_	47	_
>> Моквинская.....	392	_	57	_
>> Квитаульская...	319	_	56	_
>> Тамышская.....	338	_	12	_
>> Чиловская.....	516	_	184	_
>> Джегрдинская...	481	_	356	_
>> Адзюбжинская..	390	_	298	_
Итого..	3935	_	1071	_
II. Округъ Пицундскій.				
а) Участокъ Гумистинскій.				
Община Драндская.....	455	2147		
>> Пшапская.....	90	434	Весь	
>> Маджарская.....	69	289	участок	
>> Абжаквинская...	226	1005	выселился.	
>> Акапская.....	371	2001		
>> Яштхинская.....	207	1049		
>> Гумская.....	510	2010		
>> Эшерская.....	293	1050		

Итого..	2221	9985

Было до войны.		Выселилось:	
Семействъ.	душъ.	Семействъ.	душъ.

б) Участокъ Гудаутский.

Община Гагришская.....	191	815	_	_
>> Лдзавская.....	110	462	36	160
>> Блабурхвская.....	222	985	147	653
>> Отхарская.....	220	952	205	845
>> Бармышская.....	222	1017	173	766
>> Мугудзирхвская	320	1479	87	364
>> Хопинская.....	315	1446	74	342
>> Джирхвинская...	266	1169	126	522
>> Калдахварская.....	362	1559	150	587
>> Званлриншская	281	1242	66	258
>> Лыхненская.....	492	2147	378	1582
>> Дурипшская.....	379	1561	8	32
>> Руютинская.....	213	945	3	14
>> Ачандарская.....	286	1408	36	163
>> Ацинская.....	502	2325	26	110
>> Куланурхвская....	507	2216	3	13
>> Анухеская.....	405	1817	_	_
Итого..	5293	23545	1518	6385

დამოწმებული მონაცემები ეკუთვნის სოხუმის ოლქის იმდროინდელ უფროსს პოლკოვნიკ არაკინს.

მოკლედ, წარმოდგენილი ცხრილების ერთ თავისებურებაზე _ გასული საუკუნის 70-ან წლების აფხაზეთის ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, იგი შედგებოდა ორი ოკრუგისა (ოჩამჩირესა და ბიჭვინთის) და 4 უბნისაგან: სამურზაყანოსი, კოდორის, გუმისთის და გუდაუთის, ოთხივე განყოფილება ერთად მოიცავდა 45 სასოფლო თემს.

მონაცემებს, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად წინა და მომდევნო აღწერებთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობაც აქვს. სახელდობრ, აქ წარმოდგენილია აფხაზეთის მოსახლეობის არა მხოლოდ ერთიანი ციფრობრივი მონაცემები, არამედ ცალკეულ უბნებში შემავალი სასოფლო თემების მოსახლეობის როგორც კომლობრივი, ასევე რიცხობრივი ოდენობა.

როგორც ვხედავთ, კოდორის უბნის მოსახლეობა, განსხვავებით გუმისთისა და გუდაუთის უბნებისა, წარმოდგენილია მხოლოდ კომლების რაოდენობით. 1879 წლის დამდეგს აფხაზეთის მოსახლეობის საერთო ოდენობის გარკვევის მიზნით "კავკაზსკი

კალენდარის” რედაქციას საჭიროდ უცვნია კოდორის უბნის სულადობრივი გაანგარიშება. რისთვისაც ამოსავლად აუღიათ გუმისთისა და გუდაუთის კომლობრივ-სულადობრივი მონაცემები. კერძოდ, არგუმენტირებული ვარაუდით. მათ თვითეულ კომლის წევრთა საშუალო ოდენობის განმსაზღვრელად მიუჩნევიათ ოთხნახევარი სული. ასეთი ანალოგიის საფუძველზე შედგენილი გაანგარიშებით, თურქეთში გადასახლებამდე, კოდორის მხარეში მოსახლეობის ოდენობა, უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 17707 სული, ამავე ლოგიკით თურქეთში გადასახლებულია დაახლოებით 4819, ხოლო ადგილზე დარჩენილია 12888 მოსახლე. რაც შეეხება გუდაუთის უბანს, როგორც ირკვევა, ემიგრაციაში არ წასულა 6385 ადამიანი.

ე.ი. 1877-1878 რუსეთ-თურქეთის ომის წლებში, სამშობლო არ დაუტოვებია სულ 19273 აფხაზი ეროვნების ადამიანს. რაც შეეხება 24461 სამურზაყანოელს, მათგან მამაპაპური მიწა-წყალი, არ მიუტოვებია არც ერთ ადამიანს, რაც ნათლად ადასტურებს მათ, როგორც ეროვნულ, ასევე სარწმუნოებრივ (ქართულ ქრისტიანულ) კუთვნილებას, მაშასადამე, 1879 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობა მთლიანად შედგებოდა 43734 აფხაზი და ქართველი ეროვნების პირთაგან.

აღსანიშნავია ისიც, რომ მუჰაჯირობის ყველაზე ტრაგიკული შედეგი მოჰყვა გუმისთის უბანზე, საიდანაც ემიგრირებული აღმოჩნდა მისი მთელი მოსახლეობა.

სტატისტიკურ ცხრილებს თან ახლავს მონაცემების კიდევ ერთი განმაზოგადებელი ანალიზი, რომლის მიხედვით 1877-1878 წლებამდე აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენდა 75698, მათ შორის 51 ათასზე ოდნავ მეტ აფხაზს და 24461 სამურზაყანოელ ქართველს.

ამ მონაცემების მართებულობას ადასტურებს 1883 და 1886 კამერალური აღწერის შედეგები, რომლებიც გამოქვეყნებულია იმავე “კავკაზსკი კალენდრის” 1886წ. და 1898წ. კრებულებში.

წელი	აფხაზი	სამურზაყანოელი ქართველი	სხვადასხვა რეგიონებში მოსახლე ქართველები	სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები	სულ
1879	19273	24461			43734
1883	27526	25424	7561	3887	64398
1886	28320	30640	3474	1282	63716

1886წ. ამ მონაცემებში უკეთ გარკვევის მიზნით გავეცნოთ ეროვნულ განსახლების მაჩვენებლებს უბნების მიხედვით.

უბანი.	აფხაზი.	სამურზაყანოელი.	ქართველი.	სხვადასხვა.	სულ.
გუმისთა	391	12	2277	1272	3952
გუდაუთი	13404	.....	41	6	13451
კოდორი	14525	1108	172	3	15808

სამურზაყანო	....	29520	984	1	3 0505
სულ	283 20	30640	3474	1282	6 3716

დემოგრაფიული თვალსაზრისით, რადიკალურად იცვლება სურათი გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან. აფხაზთა დაცარიელებული სოფლები ივსება რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ეროვნებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან გამოსული კოლონისტებისაგან, რაშიც არსებითი დამსახურება მიუძღვოდა ცარისტულ პოლიტიკას. ამის უაშუალო შედეგია ის, რომ მოსახლეობის მექანიკური ზრდის გამო 1897 წლისათვის აფხაზეთის მოსახლეობამ მიაღწია 106179 სულს.

ე.ი. თუ 1886 წელს აფხაზეთში მოსახლეობდნენ მხოლოდ აფხაზები, ქართველები და 1282 კოლონისტი, 10 წლის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე ბინადრობენ 30-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. სახელდობრ, 6011 რუსი, 1347 თურქი, 5393 ბერძენი. 6552 სომეხი, 406 გერმანელი და სხვა არაადგილობრივი ეროვნების 21608 ადამიანი.

მაშასადამე, ისტორიის ამ მცირე მონაკვეთში, აფხაზეთის მოსახლეობამ მოიმატა 42463 ადამიანით. შესაბამისად გაიზარდა სოხუმიც. სადაც მოსახლეობა 1279-დან გაიზარდა 7998-მდე.

ბუნებრივია ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის ჩასახლებასაც. 1897წ. სრულიად რუსეთის პირველი აღწერის მიხედვით, წინა აღწერებისგან განსხვავებით, "სამურზაყანოელი" შეყვანილია აფხაზურ მოსახლეობაში, რის გამოც აფხაზი ეროვნების მაჩვენებელმა მიაღწია 58697. ამ გარემოების შედეგად ქართველთა რიცხოვნობამ შეადგინა 25874 სული, ე.ი. 8237 ნაკლები, ვინემ ეს იყო 1886წ.

რაც შეეხება იმას, თუ როგორია აფხაზი ან ქართველი ხალხის ხვედრითი წილი ამ საერთო მოცულობაში (58697), იგი ცალკე საკითხია და საჭიროების შემთხვევაში მასზე პასუხის გაცემა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიძნელეს. მით უმეტეს რომ 1886 წლის აღწერის მიხედვით სამურზაყანოს უბანზე არც ერთ აფხაზს არ უცხოვრია (იხ. "კავკაზსკი კალენდარი", 1989წ. გვ. 55).

როგორც ვხედავთ, ტამიშელი პედაგოგის მიერ წარმოდგენილ 1886 წლებში აფხაზთა ოდენობის პროცენტული მაჩვენებლებს არაფერი აქვთ საერთო სინამდვილესთან, რადგან იგი ხელოვნურია და რაც მთავარია არაკომპეტენტური.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გავადევნოთ აფხაზი ხალხის აღწარმოებას 110 წლის მანძილზე. 1879წ. _ 19273, 1886წ. _ 28320,. 1917წ. _ 39915, 1993წ. _ 56200, 1970წ. _ 77276, 1979წ. _ 83100, 1989წ. _ 93 ათასი. აქედან გამომდინარე ნათელია, განვლილი დროის მანძილზე აფხაზ ხალხს მატება განუცდია თითქმის ხუთჯერ, რაც თავისთავად არცთუ ურიგო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

არ ვიცი, რას მივაწეროთ ტამიშელი პედაგოგის თავდაჯერებული მტკიცება იმაზე, რომ ქართველი მოსახლეობის სიჭარბე აფხაზებთან შედარებით უზნეობაა. სუზუსტისათვის გავიხსენოთ რა თანაფარდობა იყო 1979 წელს სრულიად საკავშირო აღწერის შედეგების მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკაში სხვადასხვა ეროვნებებს შორის.

კერძოდ, 1979 წლისათვის სულ ოლქში ცხოვრობდა 486082 სული. აქედან ქართველი _ 213322, აფხაზი 83097, რუსი 79730, სომეხი 73350, ბერძენი 13642. უკრაინელი 10257, სხვა დანარჩენი ეროვნების წარმომადგენელი 12684.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთში მოსახლე არააფხაზი ეროვნების წარმომაგდენლების (ქართველების გარეშე) საერთოდ ოდენობა შეადგენს 189663 ანუ 40% მთელი მოსახლეობისას. საკითხავია, რატომ აქვს ქართველ ხალხს უფრო ნაკლები უფლება ცხოვრობდეს ისტორიული საქართველოს ამ რეგიონში, ვინმემ იმ ხალხების წარმომადგენლებს, რომელთა სამშობლო რამდენიმე ასეული და ათასეული კილომეტრით არის დაშორებული აფხაზეთს?

პატ. პედაგოგი აშკარად გულმავიწყობს, როდესაც ვერ ამჩნევს, ამგვარი "უზნეობის" სხვა შემთხვევებს ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში. მხედველობაში გვაქვს არაერთი მაგალითი იმისა, როდესაც ესა თუ ის ხალხი, თავისსავე სამშობლოში შეადგენენ უმცირესობას. მაგალითად, ბალყარები 8,9%, ჩერქეზები 9,37%, კარელები 11%, ადიღელები 21%, ბურიატები 23%, ბაშკირები 24% და სხვ. აქაც ქართველები არიან დამნაშავენი?

და ბოლოს, ჩვენ აფხაზ ოპონენტს უნდა შევახსენოთ ცნობილი ჭეშმარიტება იმის თაობაზე, რომ ამა თუ იმ ერის დემოგრაფიულ მდგომარეობას არსებითად განაპირობებენ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური ან კულტურული ისტორიული პროცესები და არა მხოლოდ ცალკეულ პირთა ნება-სურვილები. ამის გათვალისწინების გარეშე გამოტანილი დასკვნები არამეცნიერულია და არ ასახავენ რეალურ ვითარებას" (სოლომონ ლეკიშვილი, გაზ. "სახალხო განათლება", 1990წ., 15 თებერვალი).

1990წ. 17 თებერვალს აფხაზეთის გაზეთებმა **"აფსნი ყაფშმა", "საბჭოთა აფხაზეთმა"** და **"Советская Абхазия"**-მ გამოაქვეყნეს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის **ვ.ხიშბას** წერილი, რომელშიც ავტორი აღფრთოვანებით აღნიშნავდა: **"...სკკპ ცკ-ის წინასაყრილობო პლატფორმამ, როგორც საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოს სრულყოფის ერთერთი მთავარი მიამრთულება, დაასახელა "ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სუვერენიტეტის განმტკიცება, მათი უფლებების გაფართოება, და შესაძლებლობა _ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ეკონომიკური სოციალური და კულტურული ცხოვრების უმსხვილესი საკითხები".**

კი ბატონო, ეს რუსეთის ფედერაციის სინამდვილეში "ლენინური ეროვნული ბედნიერების" გამოვლენაა, მაგრამ ასე როდი იყო ქართველი ერის ისტორიული უფლებების დათრგუნვისა და ქართული მიწის ხარჯზე შეკოწიწებული "ჩვენი" ე.წ. ავტონომიების შემთხვევაში.

1990წ. 23 თებერვალი: **1921 წლის თებერვლის** ტრაგიკული მოვლენების გამო თბილისში მთავრობის სახლის წინ ჩატარდა პანაშვიდი.

1990წ. 23 თებერვალს ს.საჯაიას სახლში (სოხუმი-იაშთხვა, მიმინოშვილის ქ.№112) ცხუმ-აფხაზეთის ქართვული საზოგადოების წარმოამადგენლობამ (**გ.ადამია, ვ.ქობალია, ნ.ქარქაშაძე, დ.ჯაიანი, თ.ოდიშარია, შ.ცხვედიანი, ვ.ქარჩავა, რ.ხარებავა, ს.საჯაია** და სხვები) შეხვედრა მოუწყო აფსუა ეროვნების დარბაისლებს, რომელთაც (გასაგები მიზეზების გამო ცოცხლად დარჩენილთა ვინაობას არ ვასახელებ, მიცვალებულებიდან წარმოგიდგენთ **ი.ანუას,**[24] **ბ.მარღანიას, ლ.ოტირბას,** ხოლო იმ ორი

[24] * იური ანუას წინაპრები, რომლებიც ათადან და ბაბადან აფხაზეთის მკვიდრები იყვნენ, თავს ყოველთვის აფხაზებად, ანუ ქართველებად მიიჩნევდნენ. იმ დროსაც კი, როდესაც ამ მხარეში მკვიდრი მოსახლეობის სასტიკი დენაციონალიზაციის შედეგად გაჩნდა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების პირველი შედეგები - ე.წ. "აბხაზეც"-ობა, ისინი- ანუები საკუთარ თავს მეგრელ-აფხაზებად, ანუ ქართველებად მოიაზრებდნენ, ხოლო ე.წ. "ახალ ნაციას" "აფსუა-აფხაზს" ეძახდნენ და ამით ანსხვავებდნენ მათ ძირძველი აფხაზისაგან. ასეთი მეგრელ-აფხაზობის ღირსეული საზოგადო მოღვაწე გახლდათ სოხუმში XX საუკუნის დასაწყისისათვისს ტიმოთე ანუა (მის შესახებ ვრცლად იხილეთ _ ჯ.გამახარია, "აფხაზეთი და მართლმადიდებლობა", თბ., 2055წ. გვ. 337,775).

მოხუცის გვარს ვერ ვიხსენებ, რომლებიც **მ.კოსტავას** საადგილმამულო ფონდთან თანამშრომლობდნენ **ი.ანუასთან** ერთად). მათ საჭირო ახსნა-განმარტება ჩაუტარდათ 25 თებერვლისა და 4 მარტის ეროვნული კატასტროფის შესახებ. აქვე გაკეთდა განმარტებები **მ.კოსტავას** საადგილმამულო ფონდის საქმიანობაზე. აღინიშნა, რომ ის მოემსახურებოდა ძუძუმტე აფსუა და ქართველ სახლიკაცებს. ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ბერძენთა საქმიანი წრის წარმომადგენლები **ე.ანასტასიადი, ხ.ანასტასიადი, ნ.ჩულფა, ნ.სემიონიდი**. გადაწყდა, რომ შექმნილიყო საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფდა ისტორიულ სამშობლოში მიმავალი ბერძნების საკარმიდამოს **მ.კოსტავას** ფონდისთვის მიყიდვას.

1990წ. 24 თებერვალს გაზეთ "**Правда**"-ს წაქეზებით და დაკვეთით, ცარისტულ-კოლონისტური პოზიციებიდან ქართველი ერის სახალხო ნებას თავს დაესხა მწერალი **სერგეი ბარუზდინი.**

25 თებერვალს ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულმა მოძრაობამ ჩაშალა აფხაზეთის პარტოკრატიისა და ეროვნულ მოძრაობას მოტმასნილი წინგაუხედავი ძალების ჩანაფიქრი _ მოეწყოთ თამარის ხიდთან (უფრო სწორად, ბესლეთის ხეობაში, ბაგრატ III ხიდთან), ქალაქისკენ, "ხალხმრავალი" მსვლელობა, ე.ი. აქცია გადაეტანათ ქალაქგარეთ, რომლის დროსაც ხსენებული პარტოკრატია ფიქრობდა მომავალი საბჭოთა არჩევნებისათვის საჭირო ქულების დაგროვებას. შეთავსებით ეს ყველაფერი აქციადაც ჩაითვლებოდა (ამ მიდამოებში საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში კენჭს იყრიდა ასეთი ნაბიჯის მომხრეთა ლიდერი).

საქმე ის გახლდათ, რომ იმხანად ამიერკავკასიას გადუგრიალა ხალხთა ჟლეტისა და ეროვნული მოძრაობების დატერორების ახალმა ტალღამ, ათასობით მშვიდობიან ადამიანს წამების ქვეშ ამოხადეს სული, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისუფლება სურდა. აფხაზეთში მოქმედებდა საგანგებო წესები ასეთ ვითარებაში, ცხუმ-აფხაზეთში **1990წ. 25 თებერვლის** სამგლოვიარო აქცია უნდა გამხდარიყო გამათვითცნობიერებელიც, შემაკავშირებელიც, დამრაზმველიც და პროვოკაციებისგან დაცულიც, ეს პირველ რიგში.

აქციის ჩასატარებლად შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი: **ა.მარკოზია, ს.საჯაია, ნ.მგალობლიშვილი, რ.კემულარია,** თბილისიდან ჩამოვიდნენ **ნ.მოლოდინაშვილი, ჯ.გოლეთიანი.** აქციას უხელმძღვანელა **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ახალდაარსებულმა ცხუმ-აფხაზეთის განყოფილებამ.

1990წ. 24 თებერვალს გვიან ღამით ფსოუდან _ ენგურამდე აფხაზეთის ყველა რაიონში აღიმართა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დროშა (სოხუმში იგი აფრიალდა სატელევიზო ანძაზე, წისქვილკომბინატის უმაღლეს კოშკზე სოფ. ეშერაში, რკინიგზის კელასურის, **ბარათაშვილისა** და ცენტრალურ სადგურებში, ქართული თეატრის თავზე ქალაქის ცენტრში, **მიმინოშვილის** ქუჩა №112-ში, ამისათვის მომაღლო ადგილზე საგანგებოდ აღმართულ ბოძზე (აქვე, ჩემს სახლში იყო აქციის ხელმძღვანელთა შტაბ-ბინა).

1990წ. 27 თებერვალს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სსრკ პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრკ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. ამასთან დაკავშირებით **12 მარტისათვის** მოწვეული იქნა სსრკ სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობა.

1990წ. თებერვლის დასასრულსა და მარტის დასაწყისში სოხუმის მახლობლად კომანის **იოანე ოქროპირის** სახელობის ეკლესიაში, ოფიციოზმა მოაწყო საეკლესიო დემარში (აქ იმ დროს ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსის **მეუფე დავითის** ლოცვა-

კურთხევითა და ხელშეწყობით, აგრეთვე ქართველთა დანაზოგითა და პირადი მონაწილეობით აღსდგა სულიერების კერა. ამ საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია **იური ანუას,** ამ ჭეშმარიტი აფსუა (ასევე შემიძლია ვთქვა ბრწყინვალე ქართველი (აფხაზი) ქველმოქმედის პირადი შემოწირულობა _ თანხა, ხატები, სამშენებლო მასალა, პირადი შრომა და ქართველი ხატმწერების **გიორგი იზორიასა** და **რევაზ კირთაძის** უანგარო შრომით გაწეული აღდგენით-კეთილმოწყობითი სამუშაოები.

მისცა რა ღვთისმსახურებას პოლიტიკური ხასიათი, აფხაზეთის ოფიციოზმა სოხუმის ტურბაზებიდან ავტობუსებით მოიყვანა ათეისტი ელექტორატი, რათა წმინდა სახლში ლოცვას ე.წ. ოქტომბრისენოვანი ელფერი მისცემოდა.

ამის მიუხედავად აღორძინებული სავანე **მეუფე დავითმა** აკურთხა **იოანე ოქროპირის** მოხსენიების დღეს.

ამის შესახებ **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ყრილობაზე **1990 წლის მარტში** ისაუბრა **რ.კემულარიამ,** მან ცხუმ-აფხაზეთის მაღალ სამღვდელო იერარქებს სუკ-თან თანამშრომლობაში დასდო ბრალი, მაგრამ ფაქტი ერთია, ხელისუფლების მიერ კომანის ეკლესიაში რუსი ათეისტი ტურისტების "სალოცავად" ამოყვანა სწორედ იმ სახალხო ძალისხმევის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელიც ცხუმ-აფხაზეთში მართლმადიდებლობისა და ეკლესიათა აღდგენა-აღმშენებლობას გულისხმობდა. ამ საქმის ერთერთი თაოსანი **მეუფე დავითი** გახლდათ, მე არ ვიცი, ვისთან რა კავშირები ჰქონდა მას, მაგრამ დანამდვილებით ვიტყვი, რომ სეპარატისტული ეთნოკრატიისათვის, ამდენად რუსიზმისათვის იგი მიუღებელი პიროვნება გახლდათ. აფხაზეთში მის მოღვაწეობას უკავშირდება არაერთი ეკლესიის აღდგენა და ზრუნვა მართლმადიდებლობის ასაღორძინებლად, იგი ძალისხმევას არ აკლებდა ამ მხარეში ქართული შინაარსის აღდგენას, აი, ეს იყო მთავარი.

1990წ. 1 მარტს გაიმართა სსრკ უზენაესი საბჭოს პალატების გაერთიანებული მეორე სხდომა, **რომელიც ამიერკავკასიის რეგიონში შექმნილ ვითარებას მიეძღვნა. იმის გათვალისწინებით, რომ იგი დახურული იყო, შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ დეპუტატებმა უდიდესი დაინტერესებით განიხილეს აქ წამოჭრილი საკითხები (გაზ. "კომუნისტი", 2 მარტი, 1990წ.).**

1990წ. 2 მარტს "საზეიმო სხდომაზე" აფხაზეთის ასსრ ეთნოკრატიამ "სადღესასწაულოდ აღნიშნა" აფხაზეთის ასსრ-ში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 69 წლისთავი _ იგი ატარებდა გამომწვევ და კრიჭაში დგომის ხასიათს. ოფიციალურ მოხსენებაში გაყალბებული იყო ცხუმ-აფხაზეთის არსი, ეთნოკრატია კვლავ მიიჩნევდა, რომ 1921 წლის 4 მარტს "საქართველოსგან ოკუპირებული აფხაზეთი გათავისუფლდა".

სამწუხაროდ, საზოგადოებას ამჯერადაც დაუმალეს, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში ჩრდილო-დასავლეთ სქართველოში (აფახაზეთში) არ ცხრებოდა ამ მხარის მოსახლეობის, მათ შორის აფსუა ხალხის სახალხო მღელვარებანი რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის გამო.

"საზეიმო საღამოს" ჩატარება და მისი ასეთი შინაარსით ფართოდ გასაჯარისება გამიზნული იყო კონფლიქტური სიტუაციის გაღრმავებისკენ, რაც თავიდან იქნა აცილებული სახალხო ნებითა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევით.

1990წ. 2 მარტს გაზეთ "**Советская Абхазия**"-ში გამოქვეყნდა პროფესორ **ბაჯგურ საღარიას** (ყოფ. **საღარეიშვილი**) _ აფხაზეც სეპარატისტთა თვალსაჩინო იდეოლოგის ცილისმწამებლური წერილი **"Национальный вопрос - прошлое и настоящее".** ვრცელ პუბლიკაციაში, რომელსაც გაზეთის მეორე გვერდი მთლიანად ეჭირა ისევ და ისევ მრუდე სარკეში წარმოჩნდა ქართული ეროვნული მოძრაობის ამოცანები და ცხუმ-

აფხაზეთის დასაბამისმიერი მოსახლეობის _ ქართველების (აფხაზების) სისხლხორციელი უფლებები.

6 მარტს სსრკ უზენაესმა საბჭომ მიიღო პროვოკაციული კანონი სსრკ საკუთრების შესახებ.

9 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელმაც განიხილა "სსრკ პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრკ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) შესაბამისი ცვლილებების შესახებ". სესიაზე მოწვეული იყვნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **გ.გუმბარიძემ.** ამასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ დეკლარირებული პოზიცია ასეთი გახლდათ:

"სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტმა, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, ცხოველი ინტერესი გამოიწვია ჩვენს რესპუბლიკაში. შრომითს კოლექტივებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების კრებებსა და მიტინგებზე მოეწყო აზრთა საფუძვლიანი გაზიარება ამ კანონპროექტის გამო, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლანდელ პირობებში საპრეზიდენტო ხელისუფლების ინსტიტუტის დაწესება ხელს არ შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას, რადგან იგი მხოლოდ განამტკიცებს ცენტრის პოზიციებს, ამასთან ასუსტებს მოკავშირე რესუბლიკების უფლებამოსილებებს, ზღუდავს მათს სუვერენიტეტს. ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა ფართო საზოგადოებრივი აზრი, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობის წინ, რომელზეც უნდა განიხილონ ახალი კანონპროექტი, მოეწვიათ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რათა შეემუშავებინათ ამ საკითხში რესპუბლიკის პარლამენტის პრინციპული პოზიცია" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 13 მარტი).

თავის მოხსენებაში გ.გუმბარიძემ ასევე აღნიშნა: "დღეს ჩვენ საგანგებო რიგგარეშე სესიაზე შევიკრიბეთ უაღრესად მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხის განსახილველად. ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რაოდენ დინამიკურ დროში ვცხოვრობთ. მთელი ქვეყნის ცხოვრებაში დადგა უაღრესად რთული, გარდამტეხი პერიოდი. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების, საზოგადოებრივი და წარმოებითი ურთიერთობების გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესები წინააღმდეგობრივი, ძალების აშკარა მოქმედების ვითარებაში იკვლევენ გზას.

არსად და არასოდეს ყოფილა ადვილი, მარტივი ძველის ნგრევა და ახლის შენება. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ამ ჭეშმარიტებას კიდევ ერთხელ ადასტურებს. ვფიქრობთ, ყველა თქვენგანის საერთო აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს პარლამენტი ყოველთვის უჭერდა და ახლაც უჭერს მხარს გარდაქმნების, დემოკრატიზაციის კურსს, რომლის ინიციატორია მიხეილ გორბაჩოვი. ეს პრინციპული საკითხია, რადგან მხოლოდ ჭეშმარიტი, რეალური დემოკრატიზაცია, მხოლოდ სიტყვისა და საქმის ერთიანობა მოუტანს საქართველოს სრულ სუვერენიტეტს, ხორცს შეასხამს იმ ეროვნულ ინტერესებს და მისწრაფებებს, რომლებზეც მთელი თაობები ოცნებობენ. სხვა გზა ბიუროკრატიულ-მბრძანებლური მეთოდების აღდგენისაკენ, ის კი არა, დიქტატურის რესტავრაციისაკენ მიდის.

სწორედ ამიტომ ნებისმიერი დეპუტატი, მთელი პარლამენტი, მთელი ჩვენი ხალხი, ეჭვი არ მეპარება, აქტიურად და საქმიანად, კონკრეტულად უჭერენ მხარს დემოკრატიზაციის შემდგომ გაღრმავებას, ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული და სოციალური სამართლიანობის იდეალების შესატყვისად ქვეყნის განახლების

პროცესებს. კარგად მოგეხსენებათ, თუ რაოდენ ინტენსიურად, კონსტრუქციული დიალოგის ვითარებაში მუშაობს საქართველოს უზენაესი საბჭო.

იხილება უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სახელმწიფოებრივი განვითარება-სრულყოფის ხვალინდელ დღეს განსაზღვრავენ. ასეთი კანონპროექტები და გადაწყვეტილებები მიიღო საქართველოს უზენაესი საბჭოს უკანასკნელმა სესიამ, რომლებიც რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების პრინციპულ საკითხებს შეეხება. მზადდება კანონპროექტებისა და გადაწყვეტილებათა ახალი პაკეტი ჩვენი რესპუბლიკისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხებზე.

ჩვენ ღრმად გვწამს და გვჯერა, რომ საქართველოს დღევანდელმა და მომავალმა პარლამენტმაც სწორედ ამ გზით უნდა იაროს _ გაბედულად., ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით დასვას და გადაწყვიტოს ის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები, სოციალური თუ კულტურული განვითარების მომწიფებული საკითხები, რომლებიც მთელ ქართველ ხალხს, რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს აწუხებს, რომლებიც მთელი ათწლეულების განმავლობაში დაგროვდა. მთელ ქვეყანაში მიმდინარე პროგრესული ძვრები, ჩვენი ეროვნული განვითარების კონცეფცია, ხალხის ნება და მის წინაშე ყოველი ჩვენგანის, მთელი პარლამენტის პასუხისმგებლობა არათუ უფლებას გვაძლევს, არამედ გვავალდებულებს სწორედ ასეთი გაბედული, პრინციპული, ღრმად მოფიქრებული, სამომავლო პერსპექტივისთვის გაანგარიშებული გადაწყვეტილებები მივიღოთ. დღესაც სწორედ ამიტომ შევიკრიბეთ. როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის შემდეგ მუშაობას შეუდგება საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონპროექტს განიხილავს. ნებისმიერ კანონპროექტს და მით უმეტეს ასეთ მნიშვნელოვანს, ჩვენ უპირველესად რესპუბლიკის თვალთახედვით, მისი საარსებო ინტერესების გათვალისწინებით, უნდა განვიხილავდეთ და განვიხილავთ კიდეც. ეს ჩვენი უშუალო მოვალეობა და პასუხისმგებლობაა. გავითვალისწინეთ რა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა საგრძნობი ნაწილისა და ფართო საზოგადოებრიობის აზრი, აუცილებლად ჩავთვალეთ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მესამე ყრილობის წინ საქართველოს პარლამენტს ჩამოეყალიბებინა თავისი პოზიცია საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების კანონპროექტის მიმართ, რათა ყრილობაზე წარგზავნილებმა დაიცვან იგი. ჩვენთვის გასაგებია, რომ პრეზიდენტის პოსტისა და შესაბამისი ხელისუფლების დაწესება კონსტიტუციური წყობილების განმტკიცებისა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის უკვე ნაცადი გზაა. თავისთავად აქ სადავო თითქოს არაფერი უნდა იყოს, მაგრამ, მგონია, გამოვხატავ დეპუტატთა უმრავლესობის აზრს, ჩვენ კი ამის თაობაზე გვქონდა მსჯელობა, აზრთა გაზიარება პრეზიდიუმის წევრებთან, დეპუტატთა ნაწილთან, რომ მიღება კანონპროექტისა, რა სახითაც ის წარმოდგენილია, არ შეიძლება. კერძოდ, არ შეიძლება, რადგან: _ არ ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივ წყობას, რომლის არსიც სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირია: _ არ ითვალისწინებს, რომ პრეზიდენტი უნდა გახდეს რესპუბლიკის თვითგამორკვევის, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის, მათი დამოუკიდებელი, თავისუფალი განვითარების გარანტი; _ არ ითვალისწინებს პრეზიდენტის ხელისუფლებისა და უფლებამოსილების კონტროლის ქმედითს მექანიზმს, რასაც მთელ რიგ შემთხვევაში გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს; _ არ ითვალისწინებს, მოკავშირე რესპუბლიკაში შესაბამისი საპრეზიდენტო ხელისუფლების

დანესებას, რაც მის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს აკნინებს; _ კანონპროექტის 127-ე მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული "ქვეყნის უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა" მხოლოდ გარეშე ძალებისაგან მთელი ქვეყნის ტერიტორიის ხელყოფას უნდა ითვალისწინებდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გულისხმობდეს ერთა თვითგამორკვევისა და საბჭოთა კავშირიდან ნებისმიერი რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის რაიმე შეზღუდვას. ეს პირდაპირ უნდა იყოს მითითებული. არის სხვა შენიშვნებიც, მე მხოლოდ ყველაზე არსებითის შესახებ მოგახსენეთ. ვფიქრობ, დეპუტატები მხარს დაუჭერენ, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს ეს პოზიცია ოფიციალურად ეცნობოს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მესამე ყრილობას, ხოლო ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილმა დეპუტატებმა მტკიცედ დაიცვან იგი. ნება მომეცით წარმოგიდგინოთ პროექტი, რომელიც განიხილა და სესიაზე შემოაქვს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს" (იქვე).

შემდეგ **გ.გუმბარიძემ** დეპუტატებს გააცნო **"საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ"** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილების პროექტი. ამ პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **გ.ციციშვილი, ჯ.ჩარკვიანი, გ.შარაშენიძე, ა.ბურჯანაძე, დ.ხახუტაიშვილი, გ.ლორთქიფანიძე.** უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება. ამით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ მუშაობა დაამთავრა. სესიის მუშაობა გადაიცემოდა რადიოთი მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგის მონაწილეებისათვის.

<u>საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ.</u>

მხარს უჭერს რა სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნებს, დემოკრატიის კურსის შემდგომ გაღრმავებას, რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის გაფართოებისაკენ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს, ზოგადსაკაცობრიობო, ჰუმანურ იდეალებზე დამყარებული საზოგადოებრიობის შექმნას, ამავე დროს, განიხილა რა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ: _ სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა (ძირითადი კანონების) შესაბამისი მუხლების თანახმად მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან. მაშასადამე, პრეზიდენტის მმართველობის პირობებში საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს. სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის არსებობა მაშინ, როცა არ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის პოსტი, საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობის უარყოფაა:

_ კანონპროექტის 127[1]-ე მუხლით დაშვებულია სსრ კავშირის პრეზიდენტის არჩევა იმ შემთხვევაშიც, თუ მისი კანდიდატურა უარყოფილია ხმათა უმრავლესობით მოკავშირე რესპუბლიკების უმცირესობის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტი და, მაშასადამე, საქართველოს, როგორც სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოს, პრეზიდენტიც, შეიძლება გახდეს საქართველოსათვის მიუღებელი პირი; _ სსრ კავშირის პრეზიდენტი არ უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რადგანაც ამ მოვალეობას უნდა ასრულებდეს შესაბამისი სუვერენული სახელმწიფოს _ მოკავშირე რესპუბლიკის მეთაური; _ ის ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს პრეზიდენტი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, არ უნდა ზღუდავდეს სსრ კავშირის

შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლებას, რაც ერთნიშნად უნდა ჩამოყალიბდეს კანონის ტექსტში. მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ თვით რესპუბლიკა. სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების პრინციპების რეალიზაცია მოკავშირე რესპუბლიკის _ სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მხოლოდ ამ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებაა, რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკის ურთიერთობას კავშირთან, სსრ კავშირის პრეზიდენტი უნდა იყოს გარანტი მხოლოდ და მხოლოდ იმისა, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებები არ იქნება ხელყოფილი კავშირის მხრიდან; _ ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან, მათი ურთიერთობების რეგულირების კონტროლი შეიძლება დაეკისროს ისეთ ორგანოს, რომელიც შედგება ამ რესპუბლიკების, როგორც სახელმწიფოების, წარმომადგენლებისაგან. რესპუბლიკის ეს უფლება არ შეიძლება შეცვალოს ამ რესპუბლიკის ამომრჩეველთა კორპუსის უფლებამ ისევე, როგორც სამოკავშირეო ხელშეკრულება, როგორც ამ რესპუბლიკათა შორის უფლებათა რეგულატორი, არ შეიძლება შეცვალოს კონსტიტუციამ, რომელსაც იღებენ სახალხო დეპუტატები; _ პრეზიდენტის მიერ მიღებულ, ნორმატიულ აქტებს არ შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული ძალა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე; მიუღებელია კანონპროექტის 127³-ე მუხლის მე-16 პუნქტი, რომელიც ანიჭებს სსრ კავშირის პრეზიდენტს არა მარტო სამხედრო და საგანგებო წესების გამოცხადების, არამედ ერთპიროვნული _ საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების უფლებასაც, რაც შესაძლებელია განიმარტოს, როგორც პრეზიდენტის უფლება _ დაითხოვოს მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები და მოახდინოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის სრული ლიკვიდაცია. არ ეხება რა პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატთა პოლიტიკურ პოზიციას და პიროვნულ თვისებებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო წარმოდგენილ კანონპროექტს სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების შესახებ მიიჩნევს მიუღებლად, ხოლო საქართველოს დეპუტატთა მონაწილეობას ამ კანონპროექტის მიღებაში _ დაუშვებლად. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნას და აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით _ ფაქტობრივ ანექსიას; გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს, და ესწრაფვის საქართველოსათვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ სამოკავშირეო ხელშეკრულებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებას ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერალური კავშირის შექმნის შესახებ.

დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ.გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ.კვარაცხელია. თბილისი (გაზ. "სამშობლო", № 6, მარტი, 1990წ.)

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ მოსკოვი ასეთი "რადიკალიზმის" გამო საქართველოს ფაქტობრივ ხელისუფლებას (უფრო სწორად, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას), ავტონომიებში ზუსტად ასეთივე სესიების ჩატარებით მოუნდომებს დაშინებას. სულ მალე საქართველოში ქართული მიწების ხარჯზე შექმნილი ე.წ. "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხები" ე.წ. ავტონომიურ წარმონაქმნებში დაიწყებენ ბრძოლას "...რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის გარანტიებისათვის".

11 მარტი. თბილისში **გალაკტიონის** ქუჩაზე **ს.ორჯონიკიძის** ყოფილ სახლმუზეუმში, ამჯერად **მ.კოსტავას** საზოგადოების შტაბ-ბინაში გვიან ღამით გაიმართა სამწუხარო შეკრება, რომელიც ატარებდა სამსჯავროს ("სუდილიშჩეს") ხასიათს. ბატონ **ზ.გამსახურდიასა** და ქალბატონ **მ.თომაძეს** წინასწარ უთხრეს, რომ იხილებოდა **მ.კოსტავას** სახელობის საადგილმამულო ფონდის მიერ გაწეული მუშაობა ცხუმ-აფხაზეთში და შეკრებაზე მოიწვიეს, მათ გარდა ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ ცხუმ-აფხაზეთიდან **ა.მარკოზია, გ.ბახია, თ.ანთია, ნ.მგალობლიშვილი,** თბილისიდან **ნ.მოლოდინაშვილი, ვ.ადამია, ვ.შერვაშიძე, ჯ.გოლეთიანი, გ.ურიათმყოფელი** და სხვები.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე ბატონ **ზვიად გამსახურდიას** წარდგინებით ცხუმ-აფხაზეთში დამევალა **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ჩამოყალიბება და ასევე მომეცა რწმუნება მეხელმძღვანელა ცხუმ-აფხაზეთში **მერაბ კოსტავას** სახელობის საადგილმამულო და მოსახლეობის განსახლების ფონდისათვის. რაც შეეხება **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთში დაფუძვნებას, იგი **თებერვლის დასაწყისისათვის** თავისი რაიონული განყოფილებებით შექმნილი გახლდათ. ამ დროისათვის იგი, გამომდინარე საქართველოს ეროვნული გმირის **მერაბ კოსტავას** პირადი მაგალითიდან, აფხაზეთში იქცა ბატონ **ზ.გამსახურდიას** ეროვნული და პოლიტიკური ორიენტაციის მომხრე ერთადერთ ორგანიზებულ და ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ორგანიზაციად (საუბარი არაა სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა წევრ პატიოსან და მოუსყიდველ პიროვნებებზე, მხედველობაში მყავს პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც ორგანიზაციული და მსოფლმხედველობრივი ერთეული).

იგი **მარტის შუა რიცხვებისათვის (18 მარტი)** თავისი პირველი ყრილობისათვის ემზადებოდა. ცხუმ-აფხაზეთში საქართველოს ეროვნული გმირის **მერაბ კოსტავას** მსოფლმხედველობრივი მიმართულების, მისი ანდერძის შესაბამისი პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძვნება დიდ თავსატეხს უჩენდა აფხაზეთში კოლაბორაციონისტულ წრეებს, შინსახკომელის (პავლიკმოროზოველის) ტიპის პოლიტიკური მაკულატურის ბოგინსა თუ ნარცისელი ბიჭუნების ცრუ ეროვნულ მირბენ-მორბენებს _ ამით ისინი ყავლგასულ შინაარსად დგინდებოდნენ.

მე ვიცი თავმდაბლობის ფასი და ამ ზნეობით ვიცხოვრე დღემდე, მაგრამ ვითარების დასახასიათებლად საჭიროა აღვნიშნო მიზეზები, რამაც გამოიწვია ჩემი პოლიტიკური ბლოკირება, რა მოხდა ამით, მე დამაზარალეს მხოლოდ თუ საქმე მოსწყვიტეს სწორ მიმართულებას (ჩემი დაზარალება ჩემს პირად პრობლემად დარჩეს). საქმე ის გახლავთ, რომ იმხანად ჩემს ხელში, როგორც სოხუმის რაიონში მოსახლეობის ჩაწერისა და სახლების ყიდვა-გაყიდვის გაფორმების სისწორის შემმოწმებელი სახელმწიფო

კომისიის წევრის (სინამდვილეში ხელმძღვანელის) და **მერაბ კოსტავას** სახელობის საადგილმამულო და მოსახლეობის განსახლების ფონდის ცხუმ-აფხაზეთში რწმუნებულის განკარგვის ქვეშ გარკვეულწილად თავი მოიყარა რეალურმა როგორც პოლიტიკურმა, ასევე ორგანიზაციულ-ფინანსურმა (ამდენად, აღმასრულებელმა) ძალაუფლებამ. ეს არ გახლდათ ჩემი დამსახურება, მე ამ მხრივ არავითარი პირადი განდიდების ილუზია არ მბოჭავს, ეს იყო საზოგადოებაში საქართველოს ეროვნული გმირის **მერაბ კოსტავას** მამულიშვილობისა თუ ანდერძის ზნეობრივი გასიგრძეგანებისა და ბატონ **ზვიად გამსახურდიას** მართალი, სულით ხორცამდე ეროვნული და სამამულო საქმის სახალხოობიდან გამომდინარე ავტორიტეტი. ამგვარი სვლაგეზის მიმართულებით საქმიანობაში რაღაც ორგანიზაციული გამოცდილება ეტყობა მეც გამაჩნდა, თუნდაც ის, რომ ზემოთხსენებულ კომისიაში ჩემი მოთხოვნით მოვიწვიეთ აფსუა მოსახლეობის დარბაისელი წარმომადგენლები, რომლებსაც გაუკვირდათ, როცა გაიგეს, რომ თანახმად **მერაბ კოსტავას** მსოფლმხედველობისა, წინამდებარე ფონდი, როგორც ქართველის, ასევე აფსუად დარჩენილი, მშობლიურსახოვანი კაცისთვისაც ისახავდა მიზნად ხელგაწვდენას. მათთვის მოულოდნელი ისიც იყო, რომ ჩვენ სოხუმის რაიონში მოსახლეობის ჩაწერისა და სახლების ყიდვა-გაყიდვის გაფორმების სისწორის შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარეს, სოხუმის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს **ა.პოპოვას** უარი ვუთხარით მის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობაზე, არ გავუფორმეთ უკვე შესყიდული სახლი ორენბურგელ მოქალაქეზე (**ა.პოპოვას** ახლო ნათესავისთვის), შევისყიდეთ იგი ჩვენ თვითონ და მასში აფსუა მრავალშვილიანი ქალბატონი ჩავასახლეთ (ეს არ იყო ერთეული მაგალითი, ბატონ **ზვიადს** უხაროდა, რომ **მერაბ კოსტავას** სახელობის ფონდი ავტორიტეტს იძენდა და მას იმედის თვალით უყურებდა აფსუა მოსახლეობაც. რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ჩვენ დახმარებისათვის მოგვმართა აფსუა პოეტმა **ნელი თარბამ** (სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთმა სულიერმა დედამ). ბატონი **ზვიადის** სწორი მითითებით დავეხმარეთ გაჭირვებაში მყოფ აფსუა ოჯახს, ასევე ოჩამჩირიდან ჩამოგვაკითხა აფსუა მოხუცმა, მან უშუამდგომლა მის თანამებრძოლს რუსეთ-გერმანიის ომში, რომელიც წარმოშობით ხობის რაიონიდან იყო. მას სოხუმის რ-ნის **ლენინის** სახ. კოლმეურნეობაში ვუყიდეთ სახლი. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ცხუმ-აფხაზეთიდან ბერძენი მოსახლეობა მიდიოდა ისტორიულ სამშობლოში. სამაგიეროდ აფხაზეთის დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, საავადმყოფოებში, ჩასაბარებლად გამზადებულ ახალ მრავალსართულიან ბინებში შემოკედლებული იყო ათიათასობით არმენი ხიზანი, რომლებიც ლენინაკანისა და სპიტაკის რეგიონებიდან მიწისძვრის დროს ჩამოიყვანეს, ამათ დაემატა აზერბაიჯანიდან ეთნოკონფლიქტის გამო დეპორტირებული ათასობით არმენული კომლი. ასევე პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იქმნებოდა იმის შთაბეჭდილება, რომ რსფსრ-ის ოლქებიდან და შუა აზიის რესპუბლიკებიდან რიგ შემთხვევაში არმენთა გამოძევების მთავარი მიზანი მათი აფხაზეთში ჩასახლება გახლდათ. მათ რაღაც წრეები ლობირებდა, უხვად აფინანსებდა ადგილზე ფეხის მოსაკიდებლად, აძლევდა ფულს ბერძენთა გასაყიდი სახლების შესასყიდად.

ჩვენ შევქმენით სიტუაციის დარეგულირებისა და მართვის ზნეობრივი და მატერიალური ბერკეტები. კონტროლის ქვეშ ავიყვანეთ საპასპორტო სამსახურის საქმიანობა, შევისწავლეთ გასაყიდი სახლების ტექნიკური მდგომარეობა, მათ შორის მიშენებები, პროექტიდან გადახრები.

სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად ბერძენ მოსახლეობაში შევქმენით დასაყრდენი ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით ჩვენზე მოყიდული სახლის პატრონს უპრობლემოდ ვუსაქონლებდით აღებულ ფულს, საბჭოთა უწყებებში

დაწესებული გასამრჯელოს გარეშე ვუფორმებდით სახლს, ვარეგულირებდით საბაჟოს დავიდარაბას და ა.შ.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ბერძენი თავის ისტორიულ სამშობლოში ჩვენგან _ ქართული ეროვნული მოძრაობისაგან უკმაყოფილო წასულიყო და იგი იმხანად არც წასულა ჩვენგან ნაწყენი.

ასეთი საქმიანობის ქმედითობისათვის ჩვენ ორგანიზაციულად მოწესრიგებული გვქონდა: 1. ფინანსების მოძიების გზები (მოპოვებული თანხების **მ.კოსტავას** სახელობის საადგილმამულო და მოსახლეობის განსახლების ფონდის ანგარიშზე ჩარიცხვა); 2. მათი მიზნობრივი და უანგარო დახარჯვის რეგლამენტი და 3. ამ საქმიანობის დაცვისა თუ უხიფათობის სამსახური, რისი წყალობითაც საქმე დაიძრა და მან სულ რაღაც ორ კვირაში უკვე საოცარი ავტორიტეტი მოიპოვა. ასეთმა მდგომარეობამ აფხაზეთის ეთნოკრატიის, პარტოკრატიის, სეპარატისტულ-ინტერფრონტული მოძრაობისა და "ქართული" კოლაბორაციონიზმის არცთუ უსაფუძვლო შეშფოთება გამოიწვია _ ისინი კარგავდნენ დესტრუქციულ ფუნქციას.

და მაინც აუცილებლად მიმაჩნია დავაკონკრეტო ამ საქმის დაუძინებელი მტერი, რომელმაც მოახერხა მისი ბლოკირება და პარალიზება. ამჯერად საუბარი არაა აფხაზეც-სეპარატისტთა პოლიტიკურ დემარშებზე და პროპაგანდისტულ ხრიკებზე, ჩვენ ამისათვის მზად ვიყავით.

სხვა მხრივ მოგვეპარა მტერი, 1. აფხაზეთის ასსრ "ქართული" პარტოკრატია, რომელიც მთელი ათწლეულების მანძილზე ცხუმ-აფხაზეთის მიწებითა და ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებით ვაჭრობდა სეპარატისტულ ეთნოკრატიასთან ერთად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, გაშმაგებით ჩაგვისაფრდა. მან ამჯერად არმენი კოლონისტების სახით სარფიანი მუშტრების გარშემოკრება იყნოსა და ხელები დაიკაპიწა მორიგი საშოვარისა თუ აღებ-მიცემობისათვის. ამასთან დაკავშირებით ჩვენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ასობით უკანონო ჩაწერისა და ყიდვა-გაყიდვის შემთხვევა გამოვავლინეთ, გავაუქმეთ. აფხაზეთის არამკვიდრებისთვის უკანონოდ შესყიდული სახლი ჩვენ შევისყიდეთ და იქ ცხუმ-აფხაზეთისათვის ღვიძლი კომლი ჩავასახლეთ. იმისათვის რომ ცხადი იყოს თუ როგორ ხდებოდა ეს, ერთ მაგალითს მოგახსენებთ: **1989 წელს** ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით სოხუმის რ-ნის სოფელ თავისუფლებაში არმენულ საშუალო სკოლას შეხიზნული ქართული კლასების ბაზაზე შეიქმნა ქართული საშუალო სკოლა, რომლის დირექტორადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეროვნული მოძრაობის რეკომენდაციით დავინიშნე მე. (მანამდე, წლების განმავლობაში, ამავე თანამდებობაზე ვმუშაობდი სოხუმის რაიონის სხვადასხვა სკოლაში).

სანამ ჩვენ სასწავლო კომპლექსს ავაშენებდით, იძულებული ვიყავით, არმენულ სკოლის შენობაში გვემეცადინა. სკოლების გაყოფის შედეგად არმენულ სკოლაში გაჩნდა ვაკანსიები, მათ შორის სასწავლო ნაწილის გამგისა, რომელზედაც შესაბამისად დაინიშნენ არმენი სპეციალისტები.

ერთ დღეს მაცნობეს, რომ სოფელ ბირცხაში (სოხუმის რ-ნი) **ალ. ყაზბეგის** ქუჩაზე ხიზან არმენს უკანონოდ შეუსყიდია მოქალაქისგან სახლი და გადაუფორმებია. აღნიშნულ მისამართზე როცა ვითარების გასარკვევად მივედით, იქ სახლის ახალ პატრონად სწორედ ჩვენგან განაყოფი არმენული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე დამხვდა. გაირკვა, რომ იგი ამ მისამართზე ჩაწერა სასოფლო საბჭოს ქართველმა თავმჯდომარემ, **ა.წერეთლის** სახელობის კოლმეურნეობის ზონარგაყრილ საკომლო წიგნში გაატარა კოლმეურნეობის ქართველმა თავმჯდომარემ, სკოლაში ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნა სოხუმის რ-ნის განათლების განყოფილების ქართველმა გამგემ. ეს მაშინ, როდესაც ამავე განათლების განყოფილებაში ათობით

ადგილობრივი არმენი უმუშევარი სპეციალისტი იმყოფებოდა აღრიცხვაზე. მოგახსენებთ, არმენი ხიზან-კოლონისტების მომრავლება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სარფიანი საქმე გახდა ეთნოკრატიისათვის პოლიტიკურად, ხოლო პარტოკრატიისათვის მატერიალურად. ჩვენ ეს უკანონო ყიდვა-გაყიდვა გავაუქმეთ, სახლი შევისყიდეთ, ფულში გასვრილი თანამდებობის პირებს, რომელთაც შეუწყვეს ამ უკანონო გარიგებას ხელი, ვაიძულეთ უკან დაებრუნებინათ ქრთამი.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ **მერაბ კოსტავას** ფონდის სათათბიროს დადგენილებით მე, ვინაიდან ფულთან მქონდა საქმე, დამინიშნეს ე.წ. დაცვა, იგი პირადად **ვაჟა ადამიას** მიერ იქნა შერჩეული. ეს ე.წ. დაცვა კრიმინალური მიდრეკილების ხალხი აღმოჩნდა, რომლებიც, სამწუხაროდ, **მ.კოსტავას** საზოგადოებაში გააწევრიანეს სახელდახელოდ. დიახ, ეს იყო უსაქმურთა ხროვა, ჯაშუშები და, როგორც დრომ დაადასტურა, სუყველა ან საბჭოთა უშიშროების, ან კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტები იყვნენ. ამ ხალხზე დაყრდნობით მოხერხდა ეროვნული მოძრაობის მერყევი, გამოუცდელი და ამბიციური ნაწილის გადაბირება, ჩვენს წინააღმდეგ მათი დარაზმვა და **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების არაკორუმპირებული და ჯანსაღი ნაწილის პოლიტიკური ბლოკირება. ღვთის წინაშე ვამბობ, როგორც "ეროვნულ მოძრაობაში", ასევე ეთნოკრატიულ თუ პარტოკრატიულ წრეებში, გნებავთ, სეპარატისტულ მოძრაობაში, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, კაცი არ დარჩენილა, რომელსაც ჩემთან "საქმიანი გარიგება არ ეცადა" _ ფული გავაკეთოთო. საბჭოთა სინამდვილეში ფულის კეთება თუ რას ნიშნავდა, ეს მე სხვისგან სასწავლი არ მქონდა და ეროვნულ მოძრაობაში ხელმოცარულიც არ მოვსულვარ, მე საკმაოდ საპატიო თანამდებობა მქონდა, როცა სტუდენტობის ოცნებებს დავუბრუნდი და ამ საქმეში ჩავები. ნურავინ შემიფასებს ამპარტავნობად თუ ვიტყვი, სწორედ ამ ჩემმა გამოცდილებამაც უზრუნველყო რამდენადმე ისიც, რომ სსრკ ცენტრში დაგეგმილი და მიზნობრივად ხელშეწყობილი სამოქალაქო თუ ეთნიური დაპირისპირებების პირობებში ჩვენ _ **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ერთი ნაწილი, აფსუა მოსახლეობის ნდობას ვიხვეჭდით, გაგვაჩნდა საშუალება დაგვერეგულირებინა საპასპორტო საქმიანობა, დემოგრაფიული აგრესიის ფარული რეციდივები, გვეშოვა სათანადო თანხა, გვქონოდა ამისთვის ზნეობრივად დასაშვები ძალა და ა.შ.

ასეთ ვითარებაში **მ.კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების ძირითადი ნაწილის (და პირადად ჩემი) დისკრედიტირება გახდა არა კერძო საკითხი, არამედ სეპარატისტულ-აფხაზეცური ეთნოკრატიისა და ვითომ ქართული პარტოკრატიის (მას მიტმასნილ ცრუ ეროვნულ მოძრაობასთან ერთად) ყოფნა-არყოფნის ბედისწერა.

ვიმეორებ, სათავისტკივილო ჩემი საკითხი არაა, საუბარია **მერაბ კოსტავას** ზნეობრივ პრინციპებზე და **ზვიად გამსახურდიას** ეროვნული ძალისხმევის გასარეველიანების მცდელობებზე, რომელიც, სამწუხაროდ, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო სტრუქტურებისა და ამბიციური, ცრუეროვნული ძალების საერთო ძალისხმევით შესაძლებელი გახდა. ჩემი გალანძღვა მიზნად ისახავდა, **ზვიად გამსახურდიას** პოლიტიკური კურსის მომხრე ძალათა რწმუნებულის სახელის გატეხვას და მის ადგილზე მართვადი გასაგნების ჩანაცვლებას.

ამრიგად, ისეთ ვითარებაში, როცა **მ.კოსტავას** საზოდაგოებამ და მისი სახელობის ფონდმა ცხუმ-აფხაზეთის, როგორც ქართველ, ასევე აფსუა და ბერძენ მოსახლეობაში მოიპოვა შესაშური ავტორიტეტი, ჩემი გალანძღვა და გაჭორვა უპირველესად გამიზნული გახლდათ არა მხოლოდ ჩემი დამხობისათვის (ესეც იყო, რა თქმა უნდა), არამედ **მ.კოსტავას** იდეების აღსაგველად. სამწუხაროა, რომ ამას აფხაზეთის ოფიციოზი (ეთნოკრატია და პარტოკრატია) კომკავშირული და სტახანოვური მონდომებით

აკეთებინებდა ეროვნულ მოძრაობას ამოფარებულ შემთხვევით პირებს, რომლებმაც პირველი შემთხვევისთანავე არათუ უღალატეს, გაყიდეს კიდეც ეროვნული ინტერესები.

საინტერესოა ისიც და ეს შემთხვევითი სულაც არაა, რომ **1990 წლის მარტში** სოხუმში **9 აპრილის** ტარიგთა მემორიალის მშენებლობას სათავეში მოექცა პარტოკრატია და მან ეს საქმე ხელში ჩაუგდო ეროვნულ მოძრაობას ამოფარებულ კრიმინალებს. პირველი, რაც მათ გააკეთეს, ეს იყო ჩვენთან დაპირისპირების ხაზგასასმელად მემორიალის მშენებლობის გადმოტანა სოფ. **აჩადარაში**, ამ საქმის "თაოსანი" ოდიოზის სახლის პირდაპირ, გუდაუთის გზატკეცილზე. ეს იყო ჯინაზე და კრიჭაში დგომით გაფაფხურებული მკვდრადშობილება. **9 აპრილი,** როგორც სიწმინდე და შეუგინებლობა, ჟღარუნით ვერ განიშანსვეტდებოდა.

ჩვენი ვარაუდით **9 აპრილის** მემორიალს სოხუმში უნდა მისცემოდა გამათვითცნობიერებელი და საგანმანათლებლო, მორდუობა-ძუძუმტეობის თვალსაწიერის სადარაჯოზე მარადიული სიფხიზლის ხასიათი, ამისთვის ყველაზე შესაფერის ადგილად მიგვაჩნდა სოხუმის მახლობლად **თამარის ხიდი**. ეროვნული არქიტექტურის მაგალითზე, ბუნების ამ ზღაპრულ სიღრმეში მემორიალს, როგორც ქართველისათვის, ასევე აფსუასათვის უნდა შეეხსენებინა ჩვენი სადაურობა და ვინაობა, უნდა დაეზუსტებინა მტერი.

აღნიშნულ მშენებლობაზე ვრცელდებოდა ცილისწამებები და ჭორები ჩემზე. აქ თავი მოუყარეს გულწრფელ ადამიანებსაც, რომელთაც გაიძვერა კრიმინალებმა და მედროვეებმა აღუთქვეს, რომ, როგორც კი მემორიალს ააგებდნენ, მათ **მერაბ კოსტავას** ფონდის საშუალებით სახლ-კარს უყიდდნენ და ა.შ.

მართალია, **9 აპრილის** მემორიალის მშენებლობა სოხუმში, თუნდაც ასეთი სახით, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ მას ჰქონდა მეორე მხარეც _ ზნეობრივი საქმე არ შეიძლება გაკეთდეს უზნეო ხელებით, არც გაკეთებულა. კი აღიმართა მემორიალი, მოეწყო მიტინგიც, პოლიტიკური ქულები დაიწერეს მედროვეებმა, მაგრამ იგი ვერ იქცა ცხუმ-აფხაზეთში დაპირისპირებების ამრიდებლად და ურთიერთნდობის დამამყარებლად. ამასთან დაკავშირებით სანამ ამ საქმეში რაღაც მეკითხებოდა, საქართველოს კპ სოხუმის რაიკომთანაც და სახალხო დეპუტატთა სოხუმის რაიაღმასკომთან გვქონდა წინასწარ ნამსჯელი.

ამ შემთხვევაში სოხუმის რ-ნის ხელმძღვანელობა ახმოვანებდა აფხაზეთის ხელისუფლებას. ისინი **9 აპრილის** ნიშანსვეტის აღმართვას ვერანაირად აღუდგებოდნენ წინ, ამას საზოგადოება არ დაუშვებდა. ამავე დროს მათ არც ჟღარუნი და კრიჭაში დგომის წესით სურდათ ამის დაშვება. ანგარიშს უწევდნენ სეპარატისტთა დემარშებს და ეს არ იყო ურიგო წინდახედულება.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ გასათვალისწინებელი იყო აფსუა დარბაისელთა აზრიც, არც მათ სურდათ ამას ჯიბრში დგომის ხასიათი ჰქონოდა.

ასეთ ვითარებაში თუ **9 აპრილის** ნიშანსვეტი **თამარის ხიდად** წოდებულ მიდამოებში აღიმართებოდა, სოხუმის რაიონის ხელმძღვანელობა მზად იყო ამისათვის საჭირო ხარჯიც გაეღო და გამოეყო მიწის ნაკვეთი იმდენი, რამდენსაც მოვითხოვდით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **დ.გულიას** სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი აქ, ღია ცის ქვეშ მხარეობითი მუზეუმის გახსნას იწყებდა (ნაწილობრივ გახსნილიც იყო), ეს არ იყო ადვილად მოსაგვარებელი საქმე, მაგრამ ჩვენ ამ მხრივ მოლაპარაკებები წარმატებისკენ მიგვყავდა.

სამწუხაროდ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა ჩვენი "გაუვნებელყოფისა" თუ ჩვენს საქმეში მიზნობრივად შეაბლაბუდებული ხელისბიჭურ სიმრავლეთა

ჩანაცვლების შემდეგ ავმოსურნეებმა **9 აპრილის** წმინდა შინაარსით ცრუ ეროვნული (პარტოკრატიული) თავაწყვეტის გაკეთილშობილება სცადეს.

ამას მოჰყვა აგრესორ სეპარატისტთა მორიგი აულაგმაობა, რამაც დაამუხრუჭა აფსუა დარბაისლებთან წინგახედული მოლაპარაკებები. უფრო მეტიც, სოხუმის რ-ნის გუმისთის ს/საბჭოს თავმჯდომარე **ლ.ოტირბა,** რომლისადმი რწმუნებულ ფართობზე მოეწყო **9 აპრილის** მემორიალი, _ აგრესორ სეპარატისტთა ულტიმატუმის წინაშე აღმოჩნდა, მას მოსთხოვეს ეს "უკანონობა" აღეკვეთა და მემორიალი დაენგრია.

ლ.ოტირბამ, რომელთანაც ერთად ჩვენ ვცდილობდით სახლიკაცობა აღგვედგინა აფსუა მოსახლეობასთან, არ გააკეთა ეს და იძულებული შეიქმნა თავი მოეკლა **1990 წლის აპრილში.**

ამ უბედურებამ შერიგებისა და ურთიერთნდობის ნაცვლად კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობები ჩვენს შორის.

ასე და ამრიგად **9 აპრილის** მემორიალის მშენებლობა საკრიჭაშიდგომო ადგილზე იქცა ცრუ ეროვნული მოძრაობის თვითდამკვიდრების საშუალებად.

აქ ვრცელდებოდა ჭორები, "ჩემს მიერ მითვისებულ" ზღაპრულ ქონებაზე, რომ მე საბერძნეთში ორი სახლი ვიყიდე (ათენში), შვეიცარიის ბანკში შევიტანე ფული, თბილისში სახლ-კარი მაქვს, სოხუმში სახლები და ა.შ.

როდესაც გაჭირვებულმა ხალხმა მშენებლობის დამთავრების შემდეგ დაპირებისამებრ სახლ-კარის ყიდვა მოითხოვა, მათ უპასუხეს, ცოტა მოიცადეთ, **ს.საჯაისაგან** მის მიერ მითვისებულს ამოვიღებთ და გიყიდითო (და ჩემს მიერ "შეჭმული" და "მითვისებული" თანხის ამოსაღებად უწყვეტად მოდიოდნენ და მოდიოდნენ შეცდომაში შეყვანილი ადამიანები, რომლებიც ყოველთვის როდი იქცეოდნენ, რბილად რომ ვთქვა, თავდაჭერილად). მიუხედავად იმისა, რომ **ვ.ადამიამ** ჩემს წინააღმდეგ მხარი აფხაზეთის პარტნომენკლატურას დაუჭირა, იმხანად **ვ.ადამიასთან** ჩემი დაპირისპირება ნიშნავდა ბატონ **ზ.გამსახურდიას** წინააღმდეგ გამოსვლას. მე არ დავუშვი თუნდაც ჩემი სიმართლით **"კოლხურ კოშკთან"** დაპირისპირება. ჩემი სიმართლის ამ გზით გამომზეურება ამად არ მიღირდა.

ვიმეორებ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩემდა სასახელოდ მიმაჩნია, რომ პირად უსიამოვნებებზე მაღლა დავდექი და არ ვიქეცი **ზ.გამსახურდიასთან** დაპირისპირებულ მხარედ. ამნაირ გასაგნებად არანაირმა საცდურმა არ მაქცია და ეს სულაც არ იყო შემთხვევითი, მართალია, **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** შარავანდედოვან სახელებს ცხუმ-აფხაზეთში ბევრი პოლიტიკური სალახანა ამოეფარა, მაგრამ ჩემთვის მთავარი გახლდათ ამ ერისკაცთა მარტვილობა _ მათ მიერ ქართველი ერის, მისი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოყვანა ჩიხური მდგომარეობიდან და მისი შეყენება ქრისტეს გზაზე. ასეთ შემთხვევაში ჩემი ბლოკირება ჩემი პირადი პარტახი გახლდათ, მთავარმა გაიმარჯვა, ეროვნულმა ძალისხმევამ. აი, **ზვიადის** დამარცხება ასეთ დროს სწორედაც რომ ამ ძალისხმევის უბედურებად იქცა. გულისტკივილით ვამბობ, რომ ჩვენს მაგიერმა "ჩანაცვლებებმა" ცხუმ-აფხაზეთში **მ.კოსტავას** სახელს ჩირქი მოსცხო, განსაკუთრებით გააცრუა მან იმედები აფსუა მოსახლეობის თვალში, რადგან ყველას თვალწინ, დღისით, მზისით, **მ.კოსტავას** სახელის ამოფარებით, კრიმინალური წრეები საძრახ საქმოსნობას ეწეოდნენ.

სიტყვა გამიგრძელდა. **11 მარტს** "სამსჯავროზე" მე ვიგრძენი რომ **ვ.ადამიას** დისკომფორტს ვუქმნიდი, რაც საოცრად გამიკვირდა, მაგრამ იმავე წუთს მივხვდი, რომ ის, რაც ვერ მოახერხა დაინტერესებულმა მხარემ ჩვენთან სოხუმში, წარმატებით შესძლო თბილისში. პარტოკრატია "გვერდში ამოუდგა ეროვნულ მოძრაობას" და ისინი გადაბირებული ხელისბიჭების თუ გამობრძმედილი ნაძირლების საშუალებით

მებრძოდნენ (შემდგომში საბედისწერო გამოდგა ეს ყველაფერი _ კრიტიკულ ჟამს მათ ზურგში ლახვარი ჩასცეს პრეზიდენტს და გვერდში ამოუდგნენ ხუნტას).

ყოველივე ამის გამო, ვიგრძენი რა თავი შეურაცყოფილად, მე დავტოვე **მ.კოსტავას** სახელობის საადგილმამულო და მოსახლეობის განსახლების ფონდი, რომელმაც სულ რაღაც ორ თვეში შესძლო თავისი სუფთა და საიმედო კვალის დატოვება.

1990წ. 11 მარტს მუშაობა დაიწყო სკკპ ცკ-ის პლენუმმა. მან დღის წესრიგში შემდეგი საკითხები დააყენა: 1 სსრკ სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობაზე სსრკ კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლების შესახებ წინადადებათა შეტანა. 2. სკკპ 28-ე ყრილობის მოწვევის, პარტიაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მოწყობის ვადები, წარმომადგენლობითი ნორმა და ყრილობის დელეგატთა არჩევის წესი; 3. სკკპ წესდების პროექტი; 4. სკკპ ცკ-ის სარევიზიო კომისიის დებულების პროექტი. 5. საბჭოთა კავშირის კომპარტიისაგან სსრკ სახალხო დეპუტატის არჩევის წესი. 6. არჩევნები.

1990წ. 12 მარტს მოსკოვის კრემლში მუშაობას შეუდგა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე მესამე ყრილობა, რომლის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იყო შეტანილი: **"1. სსრ კავშირის ახლად არჩეულ სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობა. 2. სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანა და სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესება. 3. სსრ კავშირის პრეზიდენტის არჩევა" (გაზ. "კომუნისტი", 13 მარტი, 1990წ.).**

როგორც წინა დღეს ჩატარებული სკკპ ცკ-ის პლენუმი, ასევე რიგგარეშე მესამე სესია მიეძღვნა სსრკ იმპერიული სახელმწიფო კონსტრუქციების რეკონსტრუქციასა და კოსმეტიკურ განახლებას. სესიაზე **ა.ლუკიანოვმა** _ იმხანად სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და მომავალში თავმჯდომარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ **"ნავარაუდევია სსრკ პრეზიდენტს მიენიჭოს განსაკუთრებული უფლება, რომელიც მსოფლიოს პრაქტიკაში ცნობილია როგორც "გადაცემითი ვეტოს უფლება". მის შესაბამისად პრეზიდენტს შეუძლია ხელი არ მოაწეროს სსრკ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 14 მარტი, 1990წ.).**

ამავე სესიაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **გ.გუმბარიძე,** მან, თითქოსდა წინააღმდეგობა გაუწია ამ ფარსს, მაგრამ უსაგნო "გაწევ-გამოწევის" შემდეგ სინამდვილეში სცნო სსრკ პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობა:

"ვერ გავიზიარებ 127[1]-ე მუხლს, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის არჩევას იმ შემთხვევაშიც კი, როცა მთელი რიგი რესპუბლიკები ხმების უმრავლესობით უარყოფენ მას. ესოდენ პრინციპული საკითხი არ შეიძლება, ჩვენი აზრით, წყდებოდეს მექანიკური უმრავლესობით და ამით ერთგვარი შეღავათიანი პირობები ექმნებოდეს ზოგიერთ კანდიდატს. უნდა შეიცვალოს 177[3]-ე მუხლის ამავე მეორე პუნქტის ფორმულირება და მასში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტი ახორციელებს ღონისძიებებს, რათა მოკავშირე რესპუბლიკები, როგორც სუვერენული სახელმწიფოები, უზრუნველყოფილ იყვნენ თავიანთი ეროვნული-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების რეალიზაციის უფლებით, რომ პრეზიდენტი უნდა იყოს კავშირთან ურთიერთობისას მოკავშირე რესპუბლიკის უფლებათა შელახვის დაუშვებლობის გარანტი"... აი, ამ "გარანტად ყოფნის გამოკვეთაში" იდო სწორედ ის ხაფანგი, მოკავშირე რესპუბლიკას ყურმოჭრილ ყმად კრემლს რომ უქცევდა. ხოლო რაც შეეხება ასეთ "რადიკალიზმს", იგი დროსა და სივრცეში ცრუქაქუნად დარჩა: _ **"სსრკ პრეზიდენტის უფლება _ არა მარტო აცხადებს სამხედრო ან საგანგებო წესებს, არამედ ერთპიროვნულად აწესებდეს პრეზიდენტის მმართველობას, რომელსაც მას ანიჭებს 173[3]-ე და მე-16 პუნქტი, შეიძლება მოკავშირე**

რესპუბლიკების სრულუფლებიანი ორგანოების დათხოვნადაც გავიგოთ” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 14 მარტი, 1990წ.).

ასეთი “წინააღმდეგობა” ნებადართული იქნა მხოლოდ იმისათვის, რათა **გ.გუმბარიძისათვის,** რუსიზმის ამ რიგითი ნამესტნიკისათვის, საქართველოში გაფერადებულიყო “ერისკაცის შარავანდედი”.

1990წ. 14 მარტს სსრკ რიგგარეშე მესამე ყრილობამ მიიღო დადგენილება სსრკ პრეზიდენტად **მ.გორბაჩოვის** არჩევის შესახებ.

1990წ. 15 მარტს გაზეთმა “საბჭოთა აფხაზეთმა” გამოაქვეყნა საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო ორგანიზაციის პლატფორმა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოსა და საქალაქო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი კვლავაც სცნობდა საბჭოთა დივერსიულ და ეთნოფაბრიკაციულ სახელმწიფო კონსტრუქციებს.

1990წ. 20 მარტს შავნაბადაზე ჩატარდა საქართველოს ალკკ მომდევნო XXXIV ყრილობა. მასში საქართველოს ეროვნული ფორუმის სახელით მონაწილეობა მიიღო **ირაკლი წერეთელმა.** ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ.გუმბარიძე.** ეროვნული მოძრაობის მოთხოვნით ყრილობაზე დაისვა ამ საძრახი ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის საკითხი. ასევე საქართველოს ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით **20 მარტიდან** გაზეთ “ახალგაზრდა კომუნისტს” გადაერქვა სახელი და ეწოდა **“ახალგაზრდა ივერიელი”**...

1990 წ. 20 მარტი: ამ დღიდან გაზეთმა “ახალგაზრდა კომუნისტმა” გამოსვლა დაიწყო “ახალგაზრდა ივერიელის” სახელწოდებით.

1990წ. 20 მარტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთოთხმეტე სესია.

სესიამ განიხილა საკითხები:

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითადად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე:

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნების გადატანის შესახებ.

ორივე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ.

სესიამ მიიღო საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებების შეტანის შესახებ კანონი.

სესიამ დაადგინა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების არჩევნები გადატანილ იქნეს შესაბამისად 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების რწმუნების ვადა გაგრძელდება.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა (სესიის მასალები დამოწმებულია გაზეთ “ახალგაზრდა ივერიელიდან”, 22 მარტი, 1990წ.).

საქართველოს საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკის კანონი
საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში)
ცვლილებების შეტანის შესახებ

რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური გარდაქმნების გაღრმავების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცების მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-6, მე-7 და 49-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 6. საქართველოს კომუნისტური პარტია, სხვა პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე პროფკავშირული, ახალგაზრული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები სახალხო დეპუტატთა საბჭოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა ფორმებით თანაბარ საფუძვლებზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში".

"მუხლი 7. ყველა პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მასობრივი მოძრაობა, ასრულებს რა თავისი პროგრამითა და წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში.

დაუშვებელია ისეთი პარტიების, ორგანიზაციებისა და მოძრაობების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილებისა და მთლიანობის ძალადური შეცვლა, მისი უშიშროებისათვის ძირის გამოთხრა, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივება".

"მუხლი 49. საქართველოს სსრ მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, მონაწილეობდნენ მასობრივ მოძრაობებში, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური აქტიურობისა და თვითმოქმედების განვითარებას, მათი მრავალგვარი ინტერესების დაკმაყოფილებას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის".

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე *გ.გუმბარიძე.*

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი *ვ.კვარაცხელია.*

თბილისი. 1990 წლის 20 მარტი.

საქართველოს სსრ
უზენაესი საბჭოს დადგენილება
საქართველოს სახლმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ

მხარს უჭერს რა სსრკ კავშირში მიმდინარე გარდაქმნებს, დემოკრატიის კურსის შემდგომ გაღრმავებას, რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის გაფართოებისაკენ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს, ზოგადსაკაცობრიობო, ჰუმანურ იდეალებზე დამყარებული საზოგადოების შექმნას, ამავე დროს, განიხილა რა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ:

_ სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციათა (ძირითადი კანონების) შესაბამისი მუხლების თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან. მაშასადამე, პრეზიდენტის მმართველობის პირობებში საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს, სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის არსებობა მაშინ, როცა არ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის პოსტი, საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობის უარყოფაა;

_ კანონპროექტის 127[1]-ე მუხლით დაშვებულია სსრ კავშირის პრეზიდენტის არჩევა იმ შემთხვევაშიც თუ მისი კანდიდატურა უარყოფილია ხმათა უმრავლესობით მოკავშირე რესპუბლიკების უმცირესობის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრკ კავშირის პრეზიდენტი და, მაშასადამე, საქართველოს, როგორც სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოს პრეზიდენტიც, შეიძლება გახდეს საქართველოსათვის მიუღებელი პირი;

_ სსრ კავშირის პრეზიდენტი არ უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტი, რადგანაც ამ მოვალეობას უნდა ასრულებდეს შესაბამისი სუვერენული სახელმწიფოს _ მოკავშირე რესპუბლიკის მეთაური;

_ ის ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს პრეზიდენტი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, არ უნდა ზღუდავდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლებას, რაც ერთნიშნად უნდა ჩამოყალიბდეს კანონის ტექსტში. მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ თვით რესპუბლიკა. სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების პრინციპების რეალიზაცია მოკავშირე რესპუბლიკის _ სუვერენული სახელმწიფოს ფარგლებში მხოლოდ ამ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებაა. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკის ურთიერთობას კავშირთან, სსრ კავშირის პრეზიდენტი უნდა იყოს გარანტი მხოლოდ და მხოლოდ იმისა, რომ მოკავშირე რესპუბლიკის უფლებები არ იქნება ხელყოფილი კავშირის მხრიდან;

_ ვინაიდან მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოები არიან, მათი ურთიერთობების რეგულირების კონტროლი შეიძლება დაეკისროს ისეთ ორგანოს, რომელიც შედგება ამ რესპუბლიკების როგორც სახელმწიფოების, წარმომადგენლებისაგან, რესპუბლიკის ეს უფლება არ შეიძლება შეცვალოს ამ რესპუბლიკის ამომრჩეველთა კორპუსის უფლებამ, ისევე, როგორც სამოკავშირეო ხელშეკრულება, როგორც ამ რესპუბლიკათა შორის უფლებათა რეგულატორი, არ შეიძლება შეცვალოს კონსტიტუციამ, რომელსაც იღებენ სახალხო დეპუტატები;

_ პრეზიდენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს არ შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული ძალა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე;

მიუღებელია კანონპროექტის 127[3]-ე მუხლის მე-16 პუნქტი, რომელიც ანიჭებს სსრ კავშირის პრეზიდენტს არა მარტო სამხედრო და საგანგებო წესების გამოცხადების, არამედ ერთპიროვნული _ საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების უფლებასაც, რაც შესაძლებელია განიმარტოს, როგორც პრეზიდენტის უფლება _ დაითხოვოს მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები და მოახდინოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის სრული ლიკვიდაცია.

არ ეხება რა პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატთა პოლიტიკურ პოზიციას და პიროვნულ თვისებებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო წარმოდგენილ კანონპროექტს სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესების შესახებ მიიჩნევს მიუღებლად, ხოლო საქართველოს დეპუტატთა მონაწილეობას ამ კანონპროექტის მიღებაში _ დაუშვებლად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნას და აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და

ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით _ ფაქტობრივ ანექსიას; გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს, და ესწრაფვის საქართველოსათვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხურ სამოკავშირეო ხელშეკრულებას საქართველოს საბჭოთა სოციალურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, 1922 წლის 12 მარტის სამოკავშირეო ხელშეკრულებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ფედერალური კავშირის შექმნის შესახებ.

დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ საქართველოს მიმართ არაკანონიერია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ.გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ.კვარაცხელია.
(გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 22 მარტი, 1990წ.)

1990წ. 21 მარტს სსრკ პრეზიდენტმა **მ.ს.გორბაჩოვმა** გამოსცა ბრძანებულება "ლიტვის სსრ ტერიტორიაზე საბჭოთა მოქალაქეების უფლებების, სსრკ სუვერენიტეტის დაცვის უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ". მისი მეორე პუნქტი ასეთნაირად იყო ჩამოყალიბებული: "სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებმა მიიღონ ლიტვის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამავალი სსრკ სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის დაცვის გაძლიერების იმ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების აღკვეთის საჭირო ღონისძიებანი, რომელიც არღვევს სსრკ კანონმდებლობას სსრკ სახელმწიფო საზღვრის შესახებ" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 23 მარტი, 1990წ.)

1990წ. 23 მარტს გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების **ოქტომბერში** გადატანის შესახებ. მოტივი: საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს **20 მარტის** სესიის გადაწყვეტილებები.

1990წ. 24 მარტს რესპუბლიკის პრესაში, ხოლო **27 მარტს** აფხაზეთის ასსრ გაზეთებში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ცნობა სსრკ მოსახლეობის საკავშირო აღწერის შედეგების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში.

1990წ. 26 მარტს შიმშილობა დაიწყო თსუ სოხუმის ფილიალის დირექტორმა, პროფესორმა **ფელიქს ტყებუჩავამ.** აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარშემო შექმნილი ვითარება საგანგებოდ პროვოცირებული იყო კრემლის მიერ ეროვნებათაშორისი დაძაბულობის ესკალაციისა და ე.წ. ეთნოკონფლიქტების საფარქვეშ ახალი ეთნოდივერსიების ჯერმონაცვლე აფეთქებებისათვის:

ვაცხადებთ შიმშილობას!

ძვირფასო თანამემამულენო! საქართველოში ბევრს დაავიწყდა, რომ სოხუმში არსებობს ახალი ქართული უნივერისტეტი _ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ფილიალს არა აქვს საკუთარი შენობა, სტუდენტებს არა აქვთ ნორმალური აუდიტორიები, სასწავლო ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა. პროფესორ-მასწავლებლებს არა აქვთ სამუშაო ოთახები. სოხუმში ვერ

ნახავთ წარწერას; “ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი”, რადგან ქალაქში ვერ გამოინახა კედელი, რომელზეც შეიძლება გაკეთდეს ასეთი წარწერა. ქართულმა უმაღლესმა სასწავლებელმა, რომლის გასრესა მოინდომეს მისი გაჩენისთანავე, ვისი სტუდენტების სისხლითაც იყო შეღებილი პირველი საშუალო სკოლის საკლასო ოთახები, ვერ მოიპოვა არსებობის პირობები საკუთარ სამშობლოში. დაუფიქრდით, სხვა რომ არაფერი, რამდენად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია ასეთი მდგომარეობა, რა მძიმე ასატანია ეს მორალურად. ფილიალმა ბევრჯერ ამოიღო ხმა, მისმა სტუდენტებმა მრავალჯერ გადაწყვიტეს მოეწყოთ საპროტესტო მიტინგები, დემონსტრაციები და გაფიცვები, მაგრამ მე დავუშალე, რადგანაც სოხუმში საგანგებო სამხედრო რეჟიმია. მეშინოდა, არაფერი შემთხვეოდათ, პროვოკაციის საბაბი არ მიეცათ ბნელი ძალებისთვის. მათ სჯეროდათ ჩემი, მენდობოდნენ, საგანგებო უფლებებიც მომცეს (ისეთი, როგორც არა აქვს არც ერთ რექტორს), რომ ყველა საშუალებით დამეცვა ფილიალის ინტერესები. მაგრამ დღეს უნდა ვაღიარო, რომ ვერ ვამართლებ იმედებს, თუმცა, ვიხმარე ყველა საშუალება, გამოვიყენე ყველა არგუმენტი. ფილიალის გაუქმების მცდელობა კვლავ გრძელდება. დამრჩა მხოლოდ ბოლო არგუმენტი, ბოლო პროტესტი: 26 მარტიდან გამოვაცხადე შიმშილობა და ვიშიმშილებ უვადოდ, სანამ არ დამთავრდება ფილიალის შევიწროება და შეურაცხყოფა, სანამ ფილიალი არ მიიღებს შესაფერის შენობას და სტუდენტებს არ მიეცემათ სწავლის ნორმალური პირობები. ეს ჩემი კანონიერი უფლებაა და არ მინდა დამასწრონ ჩემმა სტუდენტებმა, რადგანაც მიმაჩნია: ყოველი რექტორისთვის სირცხვილია, როცა მისი სტუდენტები მიმართავენ პროტესტის ისეთ საშუალებებს, რომელიც თვითონ რექტორს არა აქვს გამოცდილი. მე ვთხოვ სტუდენტებს და თანამშრომლებს, დაიცვან სიმშვიდე, გამოიჩინონ თავშეკავება და ამით გამიწიონ თანადგომა. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ფელიქს ტყებუჩავა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორი, პროფესორი (გაზეთი “მამული”, №6. 1990წ.).

1990წ. 29 მარტს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 9 აპრილი გლოვის დღედ გამოაცხადა.

1990წ. 30 მარტს გაიმართა თბილისი ივ.ჯავახიშვლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის თანამშრომელთა და სტუდენტთა მიტინგი, რომელმაც მიიღო შემდეგი მიმართვა:

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ გივი გუმბარიძეს.

ქართველი საზოგადოებრიობის საფუძვლიანი მოთხოვნით ქ.სოხუმში შეიქმნა ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ ფილიალი. დღიდან მისი შექმნისა, ფილიალი აწყდებოდა წინააღმდეგობებს და იქმნებოდა ბარიერები მისი ნორმალური ფუნქციონერებისათვის, როგორც ავტონომიური, ისე რესპუბლიკური ოფიციალური ხელმძღვანელობის მხრიდან. გაითვალისწინა რა არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება მთელს საქართველოში, ფილიალის კოლექტივმა შესაძლებლად ჩათვალა წასულიყო გარკვეულ დათმობებზე. სწორედ ამას მოჰყვა საქართველოს მთავრობის ცნობილი დადგენილება. მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილობრივი და რესპუბლიკური მთავრობების გამიზნული მოქმედების შედეგად, ეს დადგენილება ქაღალდზე დარჩა. ამჟამად იმავე საფუძველზე ვითარება ისევ მწვავდება. არანორმალურმა მდგომარეობამ, რომელიც შეიქმნა ფილიალის გარშემო, აიძულა მისი რექტორი პროფესორი ფელიქს ტყებუჩავა მიემართა პროტესტის განსაკუთრებული ფორმისათვის _ ა.წ. 26 მარტს გამოეცხადებინა უვადო შიმშილობა. თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორ-

მასწავლებლები და სტუდენტობა კანონზომიერად მივიჩნევთ რექტორის ამ ნაბიჯს, მხარს ვუჭერთ მას და გამოვთქვამთ _ ღრმა შეშფოთებას შექმნილი ვითარების გამო.

ვუცხადებთ რა პროტესტს საქართველოს ახლანდელ მთავრობას, კატეგორიულად მოვითხოვთ მისგან დაუყონებლივ დააკმაყოფილოს ჩვენი რექტორის სამართლიანი მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი კოლექტივი მიმართავს პროტესტის უკიდურეს ფორმებს და ყოველგვარი მოსალოდნელი შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას.

მიღებულია ერთხმად თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მიტინგზე 1990 წლის 30 მარტს, 13 საათზე (გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 3 აპრილი, 1990წ.).

1990წ. 30 მარტს თბილისში ეროვნულ სტადიონზე გაიხსნა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. თბილისის **"იბერიამ"** უმასპინძლა ფოთის **"კოლხეთს"** _ (0-1). ამ ნაბიჯით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული მოძრაობის მხარდაჭერით ბოიკოტი გამოუცხადა საბჭოთა სპორტის მაფიურ-დისკრიმინაციულ ძალადობას და დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება. სამწუხაროდ, აფხაზეთის ეთნოკრატიულმა ოფიციოზმა, სსრკ ფეხბურთის ფედერაციისა და სსრკ სპორტკომიტეტის **29 მარტის** ერთობლივი დადგენილებით სოხუმის **"დინამომ"**, რომელმაც **1990 წლისათვის** პირველ ლიგაში მოიპოვა თამაშის უფლება, აუკრძალა საქართველოს პირველობაზე თამაში. ამის გამო გუნდი დატოვა მისმა ძირითადმა ნაწილმა და "ცხუმის" სახელწოდებით ჩაება ეროვნულ ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა). სოხუმის "დინამო", რომელიც საბჭოთა კავშირის სპორტის მესვეურთა კარნახით შეივსო ანტიქართველი სპორტმენებით, თამაშები განაგრძო სსრკ პირველობაზე პირველ ლიგაში. "ცხუმის" გარდა აფხაზეთიდან საქართველოს პირველობაზე უმაღლეს ლიგაში ჩაებნენ გალის **"მზიური"** და ოჩამჩირის **"ამირანი"** (ასევე მეორე ჯგუფში გამოდიოდა ქ.გაგრის ფეხბურთელთა გუნდი). **31 მარტს** აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში პირველი მატჩი ჩატარდა საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში _ გალის **"მზიურმა"** უმასპინძლა ხაშურის **"ივერიას"** (1-0). **31 მარტს** საქართველოს პირველობაზე ქ.თბილისში, თავისი პირველი თამაში ჩაატარა **"ცხუმმა"**, იგი შეხვდა დედაქალაქის **"შევარდენს"** (1-1).

1990წ. 2 აპრილს სსრკ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი **"მოქალაქეთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის ხელყოფისა და სსრკ ტერიტორიის ძალადობრივი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ".**

1990წ. 3 აპრილს სსრკ პრეზიდენტმა მიიღო დადგენილება (შესაბამისად სსრკ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი) **"სსრკ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკა გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის შესახებ".**

სინამდვილეში იგი გახლდათ ახალი კრემლიდანური ხელბორკილი. საბჭოთა იმპერია შემდგომში დამოუკიდებლობის გამოცხადებისას სწორედ ამ წესის დარღვევაში დაადანაშაულებს საქართველოს, რომელმაც საბჭოთა კონსტიტუციის სრული დაცვით, სახალხო გამოკითხვის (რეფერენდუმის) საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

თუ ვინმემ დაარღვია ეს წესი, პირველ რიგში იგი დაარღვიეს რსფსრ-მ, უკრაინამ და ბელორუსმა **1991 წლის 8 დეკემბერს,** როცა ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე ბელოვეჟსკის ტევრში მიღებული შეთანხმებით დე იურე გააფორმეს სსრკ-ის დაშლა, რის უფლებასაც მათ აძლევდათ საბჭოთა კონსტიტუცია, მაგრამ კრძალავდა ზემოთხსენებული დიდმპყრობლური კანონი.

1990წ. 3 აპრილს ასევე მიღებულ იქნა სსრკ პრეზიდენტის დადგენილება, შესაბამისად სსრკ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საგანგებო წესების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ. ეს კანონები მიმართული იყო სსრკ დიქტატურის განმტკიცებისაკენ.

1990წ. 3 აპრილს გაზეთმა **"საბჭოთა აფხაზეთმა"** გადმობეჭდა სსრკ პრეზიდენტის **მ. გორბაჩოვის** მიერ წინა დღეებში მიღებული მიმართვა ლიტვის სსრ რესპუბლიკის მოსახლეობისადმი, რომელშიც მან მკაცრად დაგმო ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს მიერ დაკანონებული **11 მარტის** აქტი და ჟღარუნის ენით დაელაპარაკა ლიტველ ერს.

1990წ. 3 აპრილს გაზეთ "საბჭოთა აფხაზეთში" დაიბეჭდა ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ტამიშის საშუალო სკოლის პედაგოგის **გ.ზანთარიას** (აფსუა კაცის) წერილი. ავტორი, წინააღმდეგობებისდა მიუხედავად, ხსნას მორდუობაში ხედავდა: **"ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა ავადაა, ავადაა საქართველოც და აფხაზეთიც _ ძლიერ და მძიმედ, მე ძალიან მინდა, რომ აფხაზეთი დაცულ იქნეს ყველა სენისგან, ...მე მოვალე ვარ და უნდა დავიცვა კიდეც იგი. მინდა, რომ ყველა სხვაც, ვინც აქ, აფხაზეთში ცხოვრობს ასე ფიქრობდეს და ეს გრძნობა ამოქმედებდეს... ხოლო იმისათვის, რომ საქართველოც და აფხაზეთიც განიკურნოს, საჭიროა ექიმი, მაგრამ არა ქირურგი, რომელიც ჭრის და ჰკვეთს... ჩემთან ერთად ფრონტზე ნაომარი კაცი გურამ პეტრეს ძე მირიანაშვილი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობს, ხშირად მიწოდებდა თანამემამულეს...".** ავტორი ცდილობდა თავი დაეღწია ოქტომბრისენოვანი არტახებისთვის, თუმცა უჭირდა კი, სამაგიეროდ მისი სურვილები გულწრფელი იყო.

1990წ. 4 აპრილს ეროვნული ფეხბურთი ეწვია ოჩამჩირეს _ ადგილობრივმა "ამირანმა" მიიღო სამტრედიის "სანავარდო" (0-1). თამაშის დაწყებამდე სტადიონზე გამოვიდნენ ოჩამჩირელი უხუცესი მხედრები და მიესალმნენ ეროვნული ჩემპიონატის გახსნას. **12 აპრილს** ეროვნულმა ჩემპიონატმა ფეხბურთში სოხუმშიც შემოაბიჯა. **"ცხუმმა"** უმასპინძლა წყალტუბოს "სამგურალს" (1-1).

1990წ. 4 აპრილს გაზეთ **"Советская Абхазия"**-ში დაიბეჭდა **სტანისლავ ლაკობას** წერილი **"Лакоба, Сталин, Берия"**, რომელშიც კიდევ ერთხელ გასაჯარისდა აფხაზეც ეთნოკრატთა აგრესიული სეპარატიზმის ქართველთმოძულე და ფალსიფიცირებული მსჯელობები. იგი დაიწერა სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის **1956 წლის** დადგენილების **"საქართველოს კპ ცკ-ის მუშაობაში არსებული შეცდომების შესახებ"** _ პოზიციებიდან.

1990წ. 7 აპრილს საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი **გ.გუმბარიძე,** რომელმაც წუხილი გამოთქვა **9 აპრილის** ტრაგედიის გამო.

1990წ. 9 აპრილთან დაკავშირებით სსრკ პრეზიდენტმა **მ.გორბაჩოვმა** სამძიმრის დეპეშით მიმართა საქართველოს კპ ცკ-ს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს, მასში კიდევ ერთხელ გაყალბდა **9 აპრილის** შინაარსი.

1990წ. 9 აპრილს ქ.სოხუმში (აჩადარაში) გაიხსნა **1989 წლის 9 აპრილის** მსხვერპლთა მემორიალი, რომელიც ეროვნულ მოძრაობაში შენიღბული პარტნომენკლატურული და მაფიურ-კრიმინალური ძალებისთვის პოლიტიკური ქულების მოპოვების საშუალებად იქცა. იგი არ ატარებდა სახლიკაცობის ხასიათს, პირიქით, თავისი ჟღარუნითა და კრიჭაში დგომის პრინციპით სეპარატისტებს მორიგი დემარშების საშუალება მისცა. შეგახსენებთ, რომ მათ ახსნა-განმარტება მოსთხოვეს გუმისთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს **ლ.ოტირბას** და ულტიმატუმი წამოუყენეს, რათა უმოკლეს დროში აეღოთ ეს მემორიალი გუდაუთისკენ მიმავალი გზატკეცილიდან. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა **ლ.ოტირბამ** თავი მოიკლა.

1990წ. 9 აპრილს გაზეთმა "საქართველომ" გამოაქვეყნა **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას** წერილი: საქართველოს სსრ პროკურორს ბატონ **ვ.რაზმაძეს,** საქართველოს სსრ

უმაღლესი საბჭოს საგამოძიებო ქვეკომისიის თავმჯდომარეს ბატონ თ.ლილუაშვილს მოქალაქე მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ახსნა-განმარტება. 1989 წლის 9 აპრილს, დილის 9 საათისთვის უცნობი პირები გადმოვიდნენ "კოლხური კოშკის" გალავანზე, გააღეს ჭიშკარი და ელვის სისწრაფით მოედვნენ მთელს ეზოს. გახსნეს ავტომანქანა (გაზ-24), რომელიც იდგა ეზოში, გაჩხრიკეს ყოველმხრივ, დაწყებული მოტორიდან და საბურავით დამთავრებული. უცნობ პირებში შევიცანი ქალაქის მილიციის სამმართველოს და კალინინის რაიონის მილიციის თანამშრომლები. იქვე იყვნენ შსს და სუკის თანამშრომლები. ამ ოპერაციას ასრულებდა დაახლოებით 100 კაცი, თუ არ ჩავთვლით იმ ხალხს, რომლებსაც დაკავებული ჰქონდათ ჩვენი სახლის მიმდებარე ქუჩები. მათ მივმართე, წარმოედგინათ საბუთი სახლში უნებართვოდ შემოჭრასთან დაკავშირებით, მაგრამ ამაოდ, ისინი ურცხვად მიმტკიცებდნენ, რომ სახლი იმ დღიდან მათ ეკუთვნოდათ და როგორც უნდოდათ ისე მოიქცეოდნენ. რაც შეეხებოდა მათი მოსვლის მთავარ მიზანს, ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებას, არავითარი დოკუმენტი მისი წაყვანის შესახებ არ წარმოუდგენიათ. რამდენიმე საათის განმავლობაში პერიოდულად ვახსენებდი, რომ ისინი იმყოფებოდნენ კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალურ მუზეუმში, რომლის ხელყოფის უფლება მათ არ ჰქონდათ. ამის საპასუხოდ ვღებულობდი მუქარას: "დავწვავთ", "ავაფეთქებთ", და მიღერებდნენ ეზოში მიმოფანტულ სამუშაო იარაღებს. რამდენიმეჯერ მივმართე მილიციის სამმართველოს თანამშრომელს ყვარელაშვილს, რათა ის ხალხი, რომლებიც განაწილდნენ ეზოში და სახლის უკან, გაეყვანათ ეზოდან, რადგან ჩემში გარკვეულ შიშს იწვევდა მათი დგომა ისეთ ადგილას, სადაც ჩემი თვალი ვერ წვდებოდა, მითუმეტეს მქონდა ამის საბაბი, რადგან სისტემატურად გაისმოდა მათგან მუქარა. დაახლოებით დღის პირველ საათზე ეზოს მოადგა მილიციის სამსახურის "რაფის" ტიპის მანქანა, საიდანაც გადმოიტანეს ტანსაცმელი, რომელიც ეზოში გადაიცვეს. ეს იყო ტყვიაგაუმტარი და მწვანე ფერის ჟილეტები, ამავე ფერის და მასალის ხელთათმანებით და მწვანე რკინის ქუდები. უმრავლესობას ჰქონდა იარაღი. განსაკუთრებით აქტიურობდა მილიციის სამმართველოს თანამშრომელი ნოდარ ლავრენტაშვილი, რომლის ლანძღვამ და მუქარამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, აგრეთვე მურთაზ ჭაფოძე. ლავრენტაშვილმა ამოიყენა გვერდში ჟილეტებსა და მუზარადებში გადაცმული სუკ-ის თანამშრომლები და როგორც გააფთრებული მხეცები, ისე მივარდნენ "კოლხური კოშკის" პირველი სართულის შემოსასვლელ კარს. ისინი უშენდნენ წიხლებს და ძალით ანგრევდნენ, როდესაც წყობიდან გამოვიდა კარის საკეტი, იძულებული ვიყავი ბედს დავმორჩილებოდი და მხოლოდ ისღა დამრჩენოდა, რომ ამ ჯალათებს ვევედრებოდი, ბავშვები არ მომიკლათ-თქო. ისინი შემოცვივდნენ, როგორც კაციჭამიები და მივარდნენ ზვიად გამსახურდიას, არც მეგონა, თუ ისინი მხოლოდ მისი წაყვანით დაკმაყოფილდებოდნენ, ისე მიცვივდნენ ამ პიროვნების სიძულვილით გაგიჟებულები. მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ყველა, ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობდა, იყო ქართველი და ზვიად გამსახურდიას დაპატიმრება მოხდა ყოველგვარი იურიდიული დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე, ძალადობით. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, ზვიადის დაპატიმრებიდან რამდენიმე დღე დამჭირდა, რომ დამემშვიდებინა ბავშვები, 12 წლის ცოტნე და 9 წლის გიორგი, რომლებსაც საშინელი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენეს, ყველაფერი მოხდა მათი თანდასწრებით. საღამო ხანს ეზოში გავედი, მოვათვალიერე იქაურობა, განსაკუთრებით მაინტერესებდა, თუ რას აკეთებდნენ 5 საათის განმავლობაში სახლის უკან და ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დავინახე, თუ როგორ აეოხრებინათ კონსტანტინე, მირანდა და თამარ გამსახურდიების საფლავები. ამოყრილი დამხვდა ჯვრები და აქეთ-იქით გადაყრილი. ნუთუ ზვიად გამსახურდიას უკანონო დაპატიმრების ოპერაციაში კონსტანტინე

გამსახურდიას საფლავის დარბევაც შედიოდა. 14 აპრილს, საღამოს 5 საათზე, მოვიდნენ ჩხრეკის ჩასატარებლად, მაგრამ ვერ შესძლეს, ვინაიდან სახლში არ ვიყავი. რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ 15 აპრილისათვის გადადეს ეს "კანონიერი" ვიზიტი. 15 აპრილს, საღამოს 5 საათისთვის, ავტობუსებით მოიყვანეს ჯარი, რომელიც იდგა კომენდატის საათის დღეებში თბილისში. ავტობუსების გარდა იქ იყო მსუბუქი მანქანები, რომლებიდანაც გადმოვიდნენ მამაკაცები სამოქალაქო ტანსაცმელში და რამდენიმე ქალი. როგორც არაერთხელ დავრწმუნდი, ორგანოების თანამშრომლები მოკლებულნი არიან ელემენტარულ კულტურას, რათა გაუწყონ ზარის საშუალებით მოსვლა, როგორც ხდება ყველა ცივილიზებულ საზოგადოებასა და ქვეყანაში. ისინი გადმოდიან გალავანზე, რათა მოახდინონ ფსიქოლოგიური ზემოქმედება იმისა, რომ არაფრად არ გაგდებენ და როგორც მოესურვებათ, ისე დაგიპყრობენ და თუნდაც გაგანადგურებენ. ასეც განმეორდა: 5 სამხედრო და 2 ორგანოს თანამშრომელი სამოქალაქო ტანსაცმელში გადმოვიდა გალავანზე, გააღეს ჭიშკარი და შემოვიდნენ. ამ სურათის შემყურემ გადავწყვიტე, არ გამოვჩენილიყავი და ბავშვები მივიდნენ ფანჯარასთან (ჩემი გამოჩენა არ ჩავთვალე საჭიროდ, რადგან იმ ჯარისკაცებმა, რომლებმაც 9 აპრილს მრავალი ქართველი დახოცეს და დაასახიჩრეს, ასევე ადვილად შეძლებდნენ გასწორებოდნენ ორ მცირეწლოვან ბავშვს და მარტოხელა დედას). ბავშვებზე რამდენიმეჯერ მიიტნეს იერიში, აიძულებდნენ კარი გაეღოთ, მაგრამ ჩემთვის აუხსნელი მიზეზების გამო თავი შეიკავეს და 4 საათის შემდეგ დაგვტოვეს.

16 აპრილს, დილის 10 საათისთვის, აღშფოთებულმა დავრეკე საქართველოს კპ ცკ პირველი მდივნის მისაღებში №93-73-22-ზე, სადაც მორიგეს მოვახსენე 15 აპრილს მომხდარი ამბის შესახებ და დავემუქრე, თუ არ შეწყდებოდა, მსგავსი საქციელი, ყოველივე ამას ვაუწყებდი მთელ მსოფლიოს. მართლაც აღარ განმეორებულა, მხოლოდ 22 აპრილს რესპუბლიკის პროკურატურის 4 თანამშრომლის მიერ ჩატარდა ჩხრეკა, თუმცა კანონიერად არ მიმაჩნდა, ვინაიდან 206 III მუხლი, რომელიც წაყენებული აქვს ზვიად გამსახურდიას არ ითვალისწინებს ჩხრეკას. 10 მაისს შევხვდი პატიმარ ზვიად გამსახურდიას ორთაჭალის ციხეში, რომელიც შეუძლოდ იყო. როგორც შევიტყვე, 9 აპრილს მილიციის სამმართველოს თანამშრომლებს ძალიან უცემიათ ზ.გამსახურდია. ცემა არ აკმარეს, ფურთხით აავსეს. აგინებდნენ და ლანძღავდნენ კონსტანტინე გამსახურდიას, ემუქრებოდნენ სახლის აფეთქებით და ცოლ-შვილის დახოცვით. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, მოგმართავთ, რათა გამოარკვიოთ: 1. რამდენად კანონიერია ზვიად გამსახურდიას დაპატიმრება. 2. კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალური ბინისა და საფლავების დამრბევთა ვინაობა. 3. ვისი მითითებით ცემეს ზვიად გამსახურდია და შეურაცხყვეს კონსტანტინე გამსახურდიას სახელი. 4. ვის მიერ იყო ნაკარნახევი მუქარა, რომელსაც მიმართავდნენ ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრების მიმართ. 5. ვისი მითითებით გაიგზავნა ჯარის ნაწილები 15 აპრილს კ.გამსახურდიას მემორიალურ სახლში. 6. რამდენად კანონიერია ჩხრეკის ჩატარება. 7. დადგინდეს ზუსტი სია იმ პირებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ 9 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით ზვიად გამსახურდიას დაპატიმრებასა და მისი ოჯახის დარბევაში.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია. 14.. V. 1989.

P.S. ამ განცხადების შეტანიდან გავიდა ერთი წელი და ის პიროვნებები, რომლებიც ამ "ოპერაციაში" მონაწილეობდნენ, ისევ დაუსჯელად დაბრძანდებიან. განცხადებაზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ სათანადო ორგანოებს".

1990წ. 10 აპრილს მიღებული იქნა კანონი სსრკ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლების შესახებ, რაც "ხალხთა ლენინური ძმობის" აქტიურ რეალიზაციას ისახავდა მიზნად.

1990წ. 10 აპრილს ცხინვალის ქართველმა საზოგადოებრიობამ მიმართვა გადასცა საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოსა და საქართველოს ეროვნულ ფორუმს, ისინი მოითხოვდნენ: **"ვგრძობთ რა თავს უკიდურესად დაჩაგრულად და შევიწროებულად, კატეგორიულად მოვითხოვთ ჩვენი შიდა ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის მოქალაქეობრივი და ეროვნული უფლებების დაცვის უზრუნველყოფას. ...შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გვიხსნის მხოლოდ ოლქის სტატუსის გაუქმება... პროტესტის ნიშნად საზოგადოების ერთ ნაწილს (ცხინვალის №1 და მე-4 საშუალო სკოლები, პედინსტიტუტის ქართული სექტორი, სახელმწიფო თეატრის ქართული დასი) მიზანშეწონილად მიაჩნია გამოცხადდეს საპროტესტო აქცია გაფიცვის სახით, აქცია 1990 წლის 10 აპრილიდან უკვე ხორციელდება. ის გაგრძელდება მანამდე, სანამ საჭიროდ მიიჩნევს საგაფიცვო კომიტეტი"** (გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 12 აპრილი, 1990წ.).

1990წ. 10 აპრილს გუდაუთის გაზეთმა **"Бзыбь"** გამოაქვეყნა წესდება ახლად შექმნილი რუსისტული ორგანიზაციის ე.წ. "აფხაზეთის ახალგაზრდული ფორუმი _ აუბლა".

1990წ. 12 აპრილი: საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში. "12 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხი "ავტონომიურ რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ". მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. შექმნილი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გაფართოების ფონზე პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, რომლებმაც დროზე ვერ შეაფასეს რადიკალური ცვლილებანი ფართო მასების განწყობილებასა და მოთხოვნილებებში, ვერ შეძლეს გარდაექმნათ მუშაობის სტილი და მეთოდები ახალი მოთხოვნების სულისკვეთებით პრაქტიკულად მოვლენების კუდში აღმოჩნდნენ, ხელიდან გაუშვეს ინიციატივა მთელი რიგი მტკივნეული საკითხების დაყენებაში. ამასთან განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა ეროვნებათშორისმა პრობლემებმა. ამავე დროს პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ, განყოფილებებმა უსაფუძვლოდ და სრულიად გაუმართლებლად დააყოვნეს ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის წინადადებათა შემუშავება. არ იყო შეგროვილი და განზოგადებული პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, შრომითი კოლექტივების, სასწავლებლების, სამეცნიერო, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებების, ცალკეულ პირთა წინადადებანი. ამის შედეგად პარტიის საოლქო კომიტეტმა ვერა და ვერ განსაზღვრა თავისი პოზიცია ამ საკითხში და ვერ გაუგზავნა შესაბამისი მოსაზრებანი სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ყოველივე ამან, აგრეთვე სათანადო ინფორმაციის უქონლობამ გამოიწვია საზოგადოებრიობის შეშფოთება და სხვადასხვაგვარი მითქმა-მოთქმა. "სახალხო ფრონტის" შექმნის საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც წინათაც აყენებდა წინადადებებს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლის შესახებ, კვლავ გააქტიურა საქმიანობა ამ მიმართულებით. მაგრამ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ არ დაიკავა პრინციპული პარტიული პოზიცია, არ აუხსნა ასეთი წინადადების ინიციატორებს, მშრომელებს, რომ ერთაშორისი ურთიერთობის სფეროში წარმოშობილი პრობლემები უნდა გადაიჭრას საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბებული სტრუქტურის ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ერისა და ეროვნების და საბჭოთა ხალხების მთელი გაერთიანების ინტერესების

მაქსიმალურ გათვალისწინებას და, რომ სხვაგვარი მიდგომა უბრალოდ შეუძლებელია. ყოველივე ამის შედეგი ის გახდა, რომ 1989 წლის 18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში "სახალხო ფრონტის" შექმნის საინიციატივო ჯგუფმა მოაწყო მრავალსაათიანი მიტინგი, რომელზეც მიიღეს დადგენილება და მიმართვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ.ს.გორბაჩოვისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ.ი.რიჟკოვისა და მთელი რიგი საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტების ხელმძღვანელობისადმი. დასახელებული დოკუმენტების ძირითადი მოთხოვნა იყო 1921 წელს გამოცხადებული აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა. მოეწყო ხელმოწერათა შეგროვება. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ ამასთან ერთად აღნიშნა, რომ მიმართვა ობიექტურად არ გამოხატავს ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მრავალეროვანი მოსახლეობის აზრს, არ ითვალისწინებს რეგიონში არსებული ურთიერთდაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ეროვნებათშორისი პრობლემების მთელ კომპლექსს. სწორად აღინიშნა აფხაზი ხალხის მიმართ სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში წარმოებული რეპრესიები. მიტინგის მონაწილეებმა ნაკლოვანებები, ხარვეზები და დისპროპორციები, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში რომ წარმოიშობოდა და წარმოიშობა, გადაიტანეს ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში, გვერდი აუარეს იმ პოზიტიურ მუშაობას, რომელიც ავტონომიურ რესპუბლიკაში ხორციელდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად. ავტონომიური რესპუბლიკის მთელმა რიგმა ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, მათ შორის პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებმა, დაუშვეს სერიოზული ხარვეზები სოფელ ლიხნში მიტინგის მსვლელობაში. მათ არ გამოთქვეს თავიანთი პოზიცია მიღებული დოკუმენტების მიმართ, არ განმარტეს, რომ ყველა რთული მტკივნეული საკითხი, განსაკუთრებით ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში, უნდა განიხილებოდეს და გადაიჭრას მშვიდ ვითარებაში, ყველა ეროვნების ინტერესების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, ხელი მოაწერეს რა მიმართვას, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს ზოგიერთმა წევრმა, მთელმა რიგმა პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ისინი უნდა გამოხატავდნენ კომუნისტებისა და მთლიანად ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესებს. ამის შედეგად გაზეთებში "აფსნი ყაფშსა" და "სოვეტსკაია აფხაზიაში" გამოქვეყნებულმა ინფორმაციებმა მიტინგის შესახებ, მიმართვის ტექსტმა მოსახლეობის ნაწილს შეუქმნა შთაბეჭდილება, თითქოს მიტინგის დოკუმენტები მთლიანად ასახავდეს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების პოზიციას. პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ყოველთვის როდი ფლობენ სიტუაციას და ვერ უზრუნველყოფენ მასზე ჯეროვან ზემოქმედებას. ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდაცვითმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს საჭირო ოპერატიული და პროფილაქტიკური მუშაობა, კერძოდ, უსანქციო მიტინგებისა და მათი ორგანიზატორების მართლსაწინააღმდეგო მოქმედების აღკვეთისათვის. ამის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში კვლავ დაძაბული ვითარებაა. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ აღიარა, რომ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მან ვერ შეძლო გარდაექმნა თავისი მუშაობის სტილი და მეთოდები, იჩენდა გაუბედაობასა და არათანმიმდევრულობას, მთელი ძალით არ გაშალა მუშაობა სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის

გადაწყვეტილებებისა და გარდაქმნის ამოცანების ირგვლივ ყველა ეროვნების მშრომელთა შეკავშირებისათვის. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებისა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკების მოქმედება, რომლებმაც ხელი მოაწერეს მიმართვას სოფელ ლიხნში გამართული მიტინგის დროს, პარტიული ეთიკისა და დისციპლინის, ადამიანთა პოლიტიკური თავშეკავებისა და სწორი ორიენტაციის თვალსაზრისით შეფასდა როგორც მცდარი, გაუმართლებელი. ბიურო იზიარებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ გამოთქმულ შეფასებას ამ საკითხზე. აღნიშნა რა დაბალი საშემსრულებლო დისციპლინა პარტიის საოლქო კომიტეტის აპარატში, ჯეროვანი კონტროლის უქონლობა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებს, განყოფილებათა გამგეებს დაავალა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა რადიკალურად გააუმჯობესონ საქმე ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებებისა და პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესრულების ორგანიზაციასა და კონტროლში.

პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ მთელი პარტიული პრინციპულობით გაანალიზონ პოლიტიკური ვითარება რეგიონებში, შეიმუშაონ მისი ნორმალიზაციის კონკრეტული ღონისძიებანი. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ პარტიულმა კომიტეტებმა კრიტიკულად უნდა განიხილონ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების წევრთა, კომუნისტთა საქმიანობა იმის მხრივ, თუ როგორ ხელმძღვანელობენ პოლიტიკურად ისინი შრომითი კოლექტივების ცხოვრებას, განსაზღვრონ და ხორცი შეასხან კონსტრუქციულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტორგანიზაციათა, სკკპ წევრთა როლისა და ავტორიტეტის გაზრდას. შესაბამისი დავალებანი მიეცათ საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, აფხაზეთის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდამცავ ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ბიურომ ძირითადად მოიწონა "სსრ კავშირში ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სახელზე წარდგენილი წინადადებანი, რომლებსაც გაუგზავნიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს. დადგენილება ერთხმად არის მიღებული.

(1990, 13 აპრილი, გაზეთები: "საბჭოთა აფხაზეთი", "სოფლის ცხოვრება").

1990წ. 14 აპრილი საქრთველოს სსრ რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ აღინიშნა ქართული ენის დღედ.

1990წ. 14 აპრილს გაზეთმა **"საბჭოთა აფხაზეთმა"** გამოაქვეყნა საქართველოს სს რესპუბლიკიდან სსრკ დეპუტატთა ერთი ჯგუფის _ **ა.ბაქრაძის, ვ.ადვაძის, შ.ამონაშვილის, ს.ბუაჩიძის, რ.სალუქვაძის** და სხვათა წერილი სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის _ **ა.ლუკიანოვისადმი,** რომელშიც საუბარი იყო სსრკ და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამინჯვნის პროექტის ზოგიერთ მხარეზე, კერძოდ მისი 73-ე მუხლის შესახებ. წერილის ავტორებმა სსრ კავშირი, როგორც სახელმწიფო, ვერ აღიარეს დიდმპყრობელ იმპარიად, სწორედ ამიტომ მათმა უკმაყოფილებამ მომაბეზრებელი წუწუნის ხასიათი მიიღო.

1990წ. 18 აპრილი, "Литературная Газета", №16: "ედუარდ შევარდნაძე: სკკპ კონსოლიდაცია მრავალპარტიულობის პირობებში" (სსრკ საგარეო საგარეო სამინისტროს პარტორგანიზაციის XXI კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა მისი სკკპ 28-ე ყრილობის დელეგატად არჩევასთან დაკავშირებით: "არ არის არავითარი დათმობა _ არსად, არაფერში, არავის მიმართ. რაც შეეხება უშიშროების სფეროს, მთელი

პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ქვეყნის თავდაცვა და მისი უშიშროება კვლავინდებურად არის მიჩნეული ქვაკუთხედად. შეიცვალა მხოლოდ თვით კუთხე თვალსაზრისისა თავდაცვასა და უშიშროებაზე, რომლებიც დიდი სახელმწიფოს სტატუსის ადექვატური უნდა იყოს. ჩვენ ძლიერი ქვეყნის მომხრენი ვართ. ძლიერი ქვეყანა ძლიერი არმიაა. უდავოდ ძლიერი, ყველა მისი შემადგენელი ნაწილებითურთ, როგორიც არის თანამედროვე იარაღისა და მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობის დონის გარდა, თითოეული ჯარისკაცის, ყოველი პრაპორჩიკის, თითოეული ოფიცრისა და გენერლის სამსახურისა და ყოფა-ცხოვრების ღირსეული პირობები. ასეთ არმიას ძლიერებას მატებს თავისი მისიის განუმეორებლობა, ქვეყნის დაცვა საგარეო საფრთხისაგან"(დამოწმებულია გაზ. "საბჭოთა აფხაზეთიდან", 25 აპრილი, 1990წ. №79).

1990წ. 20 აპრილს აფხაზეთის ასსრ საოლქო გაზეთებმა გამოქვეყნეს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის **ვ.ხიშბას** წერილი "**გარდაქმნა _ ლენინიზმის მოქმედებაში**": "**...არსებითად ავამაღლოთ ყურადღება ეროვნებათშორისი ურთიერთობების ნორმალიზაციისა და რეგულირებისათვის, მაგრამ ჩვენ უკვე ვეღარ შემოვიფარგლებით მხოლოდ იდეოლოგიური ზემოქმედების მეთოდებით, დარწმუნების მეთოდებით, დღეს ჩვენ ვდგავართ ეროვნული ნიშნის მიხედვით აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ზოგიერთი შემოქმედებითი ორგანიზაციის გაყოფის ფაქტის წინაშე, არის საშიშროება, რომ ეს პროცესი გადაიტანონ ჩვენი ეკონომიკის ცალკეული დარგების კოლექტივებში**".

<u>იმაზე, რომ სწორედ ე.წ. "ლენინური ეროვნული პოლიტიკაა" ყოველივე ამის მიზეზი, **ვ.ხიშბა** არაფერს ამბობდა, სამაგიეროდ მისი მუქარა ეხებოდა არა "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" დივერსიებს, არამედ სწორედ ლენინიზმის საწინააღმდეგოდ ძუძუმტეობითი ცნობიერებისათვის გარჯილ ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ მოძრაობას.</u>

1990წ. 23 აპრილიდან <u>აფხაზეთის რიგ რაიონში ოფიციოზის ფარული ხელშეწყობით პროვოცირებული იქნა საკოლმეურნეო სავარგულების, ბაღების თვითნებური დატაცების შემთხვევები ცალკეულ მოქალაქეთა მიერ (ასეთ მოვლენებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე აჭარაში). ჩანაფიქრი მარტივი გახლდათ, ყოფით ნიადაგზე წამოჭრილ კონფლიქტს აფხაზეთში უნდა მიეღო აფხაზეც-ქართველთა, ხოლო აჭარაში რელიგიური დაპირისპირებისა და ვითომ კუთხეთაშორისი წაკიდების ხასიათი. ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით დაძაბულობა თავიდან იქნა აცილებული. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტი იძულებული გახდა უკან დაეხია და ემსჯელა (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 28 აპრილი, 1990წ.).</u>

1990წ. 24 აპრილს სსრკ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონი სსრკ ხალხთა ენების შესახებ. იგი აწესებდა საბჭოთა კავშირში ენობრივი პოლიტიკის ზოგად პრინციპებს, საბჭოთა იმპერიაში ოფიციალური ურთიერთობის ენის "სამართლებრივ" რეჟიმს. მისი მეოცე მუხლი ამნაირად ჩამოყალიბდა: "**ოფიციალური მიმოწერა და სსრკ სახელმწიფო ორგანოებთან მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგების, ეროვნულ-ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ორაგნოებს შორის ოფიციალური მიმოწერა და სხვა ფორმების ოფიციალური ურთიერთობა ხორციელდება ორივე მხარისათვის მისაღებ ენაზე ან სსრკ ოფიციალურ ენაზე**" (გაზ. "**საბჭოთა აფხაზეთი**", 12 მაისი, 1990წ.).

სსრკ "ოფიციალური ენაცა" და "ორივე მხარისათვის მისაღები ენაც", _ საბჭოთა იმპერიის პირობებში, რა თქმა უნდა, რუსისტულ-ლენინური ოქტომბრისენოვნება გახლდათ, აქედან გამომდინარე პოლიტიკური შედეგებით.

1990წ. 24 აპრილს სოფ. თამარაშენში გამართული მიტინგის მონაწილეებმა საქართველოს სსრ ხელისუფლებას მოსთხოვეს: საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ **გ.გუმბარიძეს.**

ასლი: ე.წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბ-ნ ვ.ცხოვრებაშვილს. გაზეთების "საბჭოთა ოსეთის" და "ახალგაზრდა ივერიელის" რედაქციებს.

მოთხოვნა

როგორც თქვენთვის ცნობილია, სამაჩაბლოს მთავარმა საგაფიცვო კომიტეტმა დროებით შეწყვიტა აქცია, ვინაიდან ვთვლით, რომ მის მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესრულებას გარკვეული დრო სჭირდება და აძლევს მთავრობას საშუალებას შეასრულოს დანაპირები. ამჟამად, როდესაც მთელ საქართველოში მიმდინარეობს მზადება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღის, 26 მაისის ღირსეულად შესახვედრად, დღეს, 26 აპრილს, ერთი თვით ადრე, მოგმართავთ, რათა გაატაროთ ყოველგვარი ღონისძიება ამ დღის ღირსეულად აღსანიშნავად მთლიანად სამაჩაბლოში და, კერძოდ, ცხინვალში. თუ 26 მაისს კვლავ გამეორდება გასული წლის 26 მაისის და მიმდინარე წლის 8-9 აპრილის ანტიქართული ექსცესები, რომელმაც შეურაცხყო არამარტო ქართველი საზოგადოება, არამედ ოსი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი და ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ჩავთვლით, რომ მთავრობა უსუსურია ან ანტიქართულ პოზიციებზე დგას. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ არ იქნება გატარებული ყველა ის ღონისძიება, რამაც უნდა უზრუნველყოს ამ თარიღის ღირსეულად აღნიშნვა, მაშინ სამაჩაბლოს ქართველობა მიმართავს რადიკალურ ზომებს. კერძოდ, ცხინვალის ქართველი მოსახლეობა საბოლოოდ დარწმუნდება, რომ არ ეცხოვრება ამ ძირძველ ქართულ მიწაზე, დასტოვებს მას და დასცემს კარვებს თბილისში, რათა აუწყოს მსოფლიოს თუ როგორ გახდა ქართველი ლტოლვილი თავის სამშობლოში, ხოლო აღნიშნულ შედეგებზე პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ!

მოთხოვნა მიღებულია თამარაშენის 24 აპრილის მიტინგის მონაწილეების მიერ. სამაჩაბლოს საგაფიცვო კომიტეტი (გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 26 აპრილი, 1990წ.).

1990წ. 26 აპრილს სსრკ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სსრკ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნისა და მისი წევრების არჩევის შესახებ (საქართველოდან წევრად შეიყვანეს **გიორგი ინწკირველი,** თსუ კათედრის გამგე, პროფესორი).

1990წ. 28 აპრილს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მარტის სესიის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ სეპარატისტებმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, კრემლის მითითებათა შესაბამისად, სცადეს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევა, მაგრამ დეპუტატების უპირატესი ნაწილი არ გამოცხადდა.

1990წ. 28 აპრილს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა მორიგი ანტიქართული საზოგადოება **"Абхазское благотворительное демографическое общество".** მისი წესდება **"Советская Абхазия"**-მ გამოქვეყნა **2 ივნისს.**

1990წ. 29 აპრილს გაიმართა ქ.სოხუმის XXXIII პარტკონფერენცია. რომელმაც იმსჯელა საქართველოს კპ მომავალი 28-ე ყრილობის შესახებ და შესაბამისად აირჩია დელეგატები. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანი **ა.პავშენცევი** და საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ.ხიშბა**.

1990წ. მაისის დასაწყისში საქართველოს კპ ცკ-მა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება საქართველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამის შესახებ **(გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 9 მაისი, 1990წ.).**

1990წ. 4 მაისს გაზეთმა **"ლიტერატურულმა საქართველომ"** გამოაქვეყნა საქართველოს მწერალთა კავშირის წესდების პროექტი, რომელშიც ისინი სსრკ მწერალთა კავშირისგან გამოყოფილ ორგანიზაციად აცხადებდნენ თავს (შეადარეთ საქართველოს კპ-მაც და საქართველოს ალკკ-მაც თითქმის ამის მსგავსი ნაბიჯები გადადგეს **ივლისში**, ასევე მოიქცა პროფკავშირებიც).

1990წ. 5 მაისს გაიმართა საქართველოს ალკკ პლენუმი. მან ორგანიზაციული საკითხი განიხილა: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გადაყვანილი **სესილი გოგიბერიძის** ნაცვლად პლენუმმა საქართველოს ალკკ პირველ მდივნად "აირჩია" **გიორგი ბარამიძე**[25].

1990წ. 9 მაისს ჰელსინკის კავშირმა, წმ. **ილია მართლის** საზოგადოებამ, **მერაბ კოსტავას** საზოგადოებამ და მონარქისტულმა კავშირმა მოაწყვეს აქცია საქართველოს კომკავშირის თვითლიკვიდაციის მოთხოვნით.

14 მაისს "Правда"-მ (გაზ. "კომუნისტი", 15 მაისი) გამოაქვეყნა საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის **გ.გუმბარიძის** საუბარი **(ნ.კოჟანოვი, გ.ლებანიძე) "ზოგი ელტვის ძალაუფლებას და ცდილობს საზოგადოებრიობა მიიზიდოს მყვირალა "ულტრაპატრიოტული" ლოზუნგებით და "დღეისათვის დამოუკიდებლობის" მოწოდებებით მოითხოვს საბჭოთა კავშირთან, მომძე რესპუბლიკებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დაუყონებლივ გაწყვეტას. ნაჩქარევი, ზედაპირული, დილეტანტური შეფასებანი იმით არის საშიში, რომ შეუძლიათ მოსახლეობის ნაწილს სრულიად უსაფუძვლო პოლიტიკური ილუზიები შეუქმნას".** როგორც ხედავთ **გ.გუმბარიძის** საკრემლო საუბარი განსხვავდებოდა მისი გულზე ბრაგუნისაგან საქართველოში. სრულიად საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებს იგი ეჭვით უყურებდა და აბეზღებდა მათ ე.წ. საკავშირო პრესის ფურცლებზე.

1990წ. 15 მაისს პრესაში გამოქვეყნდა განცხადება საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ფორუმისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის გადაწყვეტილებით 1990 წლის 23-25 მაისს, საქართველოს დედაქალაქ თბილისში, სპორტის სასახლეში გაიმართება საქართველოს ეროვნული ყრილობა. საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ პოლიტიკურ-ისტორიული შეფასება უნდა მისცეს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, საქართველოში სსრკ-ის ინსტიტუტების არსებობას და მის ტერიტორიაზე სსრკ-ის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და კანონმდებლობის გავრცელებას, აგრეთვე ზოგადად უნდა განსაზღვროს საყოველთაო დემოკრატიული, პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეული მომავალი საქართველოს ეროვნული კონგრესის ძირითადი ფუნქციები, ამოცანები და სტრუქტურები, განიხილოს და დაამტკიცოს საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონი და აირჩიოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. საქართველოს ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ:

ა) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა 50 კაცის წარმომადგენლობით:

1. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, 2. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ლიგა, 3. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, 4. მეოთხე დასი, 5. საქართველოს დემოკრატიული პარტია, 6. საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული ახალგაზრდული ასოციაცია, 7. საქართველოს ქრისტიან-დემიკრატიული კავშირი, 8. საქართველოს კონსტიტუციურ-

[25] დიახ, დიახ, სწორედ ის **გ.ბარამიძე.**

დემოკრატიული პარტია, 9. თბილისის პოლიტიკური კლუბი, 10. საქართველოს ჰელსინკის კავშირი, 11. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია, 12. საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, 13. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, 14. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინების პარტია, 15. საქართველოს ეროვნულ-სოციალისტური პარტია, 16. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, 17. საქართველოს რესპუბლიკური პარტია, 18. ქეთევან წამებულის საზოგადოება, 19. საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, 20. საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია, 21. წმინდა ილია მართლის საზოგადოება, 22. საქართველოს მონარქისტული პარტია, 23. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ბ) საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა 25 კაცის წარმომადგენლობით:

1. რუსთაველის საზოგადოება, 2. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება, 3. ასოციაცია "ჯავახეთი", 4. ასოციაცია "ეროვნული თანხმობა", 5. დავით აღმაშენებლის საზოგადოება, 6. საქართველოს "მხედრიონი", 7. დემოკრატიული არჩევნების დასი საქართველოში, 8. ივანე მაჩაბლის საზოგადოება, 9. სადროშო "ლემი", 10. თეთრი გიორგის კავშირი, 11. საქართველოს სახალხო ფრონტი, 12. შევარდენთა ლეგიონი, 13. საზოგადოება "ჰერეთი", 14. ექიმთა ასოციაცია, 15. ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება, 16. საზოგადოება "თბილისელი", 17. ოსური ასოციაცია "სიმართლე", 18. მერაბ კოსტავას საზოგადოება, 19. აიდგილარა, 20. ქურთული ასოციაცია "რონაი", 21. ბერძნული ასოციაცია "ორფეოსი", 22. დავით გარეჯელის საზოგადოება, 23. მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდი, 24. თავისუფალი პროფკავშირები, 25. საზოგადოება "რაჭა", 26. ქართველ ებრაელთა ასოციაცია, 27. აზერბაიჯანული ასოციაცია "ჰეირათი", 28. დემოგრაფიული ფონდი.

გ) მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან 250 წარმომადგენლობით;

დ) შემოქმედებითი გაერთიანებებიდან 30 კაცის წარმომადგენლობით:

1. მწერალთა კავშირი, 2. მხატვართა კავშირი, 3. კომპოზიტორთა კავშირი, 4. კინემატოგრაფისტთა კავშირი, 5. თეატრალურ მოღვაწეთა კავშირი, 6. არქიტექტორთა კავშირი, 7. დიზაინერთა კავშირი, 8. საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი.

ე) მნიშვნელოვანი საწარმოო გაერთიანებებიდან 20 კაცის წარმომადგენლობით: 1. საავიაციო ქარხანა, 2. ელმავალმშენებელი ქარხანა, 3. ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა, 4. ფაბრიკა "ისანი", 5. ჩარხმშენებელი ქარხანა, 6. გაერთიანება "მიონი", 7. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, 8. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, 9. ზესტაფონის ფერო შენადნობის ქარხანა, 10. ჭიათურ-მარგანუმ-ტრესტი.

ვ) უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები 20 კაცის წარმომადგენლობით:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2. თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, 3. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, 4. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 5. სამხატვრო აკადემია, 6. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედინსტიტუტი, 7. უცხო ენების ინსტიტუტი, 8. თეტრალური ინსტიტუტი, 9. კონსერვატორია, 10. ზოოვეტერინალური ინსტიტუტი, 11. ფიზკულტურის ინსტიტუტი.

ზ) სპორტული საზოგადოებებიდან 25 კაცის წარმომაგდენლობით:

1. ფეხბურთის ფედერაცია, 2. ოლიმპიური კომიტეტი, 3. სპორტკომიტეტი.

თ) საქართველოს 69 რაიონიდან 20 კაცის წარმომადგენლობით:

ი) მინისტრთა საბჭოს სისტემაში შემავალი სამინისტროებიდან სულ 250 კაცის წარმომადგენლობით;

კ) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 20 კაცის წარმომადგენლობით;

ლ) საქართველოს ე.წ. სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტაცია სრული შემადგენლობით.

მ) ე.წ. სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის ქართული კორპუსი სრული შემადგენლობით.

1990 წლის 17, 18, 19, 20 და 21 მაისს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბბინაში (რუსთაველის გამზირი №29, ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი) იწარმოებს რეგისტრაცია, საქართველოს ეროვნულ ყრილობის დელეგატთა მანდატები გაიცემა აღნიშნულ სიაში დასახელებულ ორგანიზაციათა, გაერთიანებათა და რაიონთა თითო წარმომადგენელზე. გთხოვთ, ყოველმა დასახელებულმა იურიდიულმა პირმა აღნიშნულ მისამართზე გამოგზავნოს თითო წარმომადგენელი.

საქართველოს ეროვნული ფორუმისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის გადაწყვეტილებებით საქართველოს ეროვნული ყრილობის მთელი მიმდინარეობა პირდაპირი ტრანსლიაციით უნდა გააშუქოს საქართველოს ტელევიზიამ.

1990 წლის 18 მაისს, პარასკევს, 19 საათზე მთავრობის სახლის წინ საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის საკითხის გარშემო გაიმართება სახალხო მანიფესტაცია.

საქართველოს ეროვნული ფორუმისა და საკოორდინაციო ცენტრის სახელით ირაკლი წერეთელი (გაზ. "თბილისი", 15 მაისი, 1990წ.).

15 მაისს გაზეთმა "საბჭოთა აფხაზეთმა" გამოაქვეყნა სსრკ კანონი იმ მოქალაქეთა თავისუფალი ეროვნული განვითარების შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებრივი ფორმირების ფარგლებს გარეთ, ან არა აქვთ იგი სსრკ ტერიტორიაზე. ამ კანონის მე-13 მუხლი ასეთნაირად იყო ჩამოყალიბებული: "ეროვნული კულტურის, ტრადიციების, ენის, ხალხური სარეწების განვითარების ხელშეწყობის, სსრ კავშირში ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფორმირებებთან და საზღვარგარეთ მონათესავე ეროვნულ სახელმწიფოებთან კულტურული ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების მიზნით შეიძლება შეიქმნას ეროვნული კულტურული ცენტრები, ეროვნული საზოგადოებები და სათვისტომოები"... ამდენად ეს დოკუმენტი დაშიფრული დებულება და ინსტრუქცია გახლდათ იმის შესახებ, თუ როგორ გაშლილიყო სსრკ მოკავშირე რესპუბლიკებში ინტერფრონტული მოძრაობა უფრო ქმედითად და მასშტაბურად. ასეთ შემთხვევაში მას კანონის ე.ი. შეუფერხებელი საქმიანობის გარანტის მნიშვნელობა ენიჭებოდა.იგი ატარებდა მკვიდრ ხალხებთან დაპირისპირების ხასიათს, სინამდვილეში არავის აინტერესებდა ამ ხალხების თავისთავადობა.

1990წ. 15 მაისს გაიმართა წინადღეებში საბჭოთა ოფიციოზის ხელშეწყობით შეკოწიწებული ე.წ. საქართველოს ეროვნული კრებისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის "საარჩევნო კომისიის" სხდომა, რომელმაც დაადგინა **23 მაისს** დილის 10 საათზე ე.წ. საქართველოს ეროვნული ყრილობის გახსნა.

1990წ. 15 მაისს თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობა. დღის წესრიგი: 1. საქართველოს კპ ცკ-ის ანგარიში გარდაქმნის მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ; 2. საქართველოს კპ სტატუსი; 3. საქართველოს კპ სარევიზიო კომისიის ანგარიში; 4. არჩევნები ა) საქართველოს კპ ხელმძღვანელი ორგანოებისა, ბ) სკკპ XXVIII-ყრილობის დელეგატებისა (სკკპ 28 ყრილობაზე გაიგზავნა 98 დელეგატი). ყრილობაზე კომუნისტები შეეცადნენ "ლენინური ეროვნული პოლიტიკის" საწყისებზე აეგოთ სსრკ ხალხთა თვითგამორკვევის უფლება. თავის საანგარიშო მოხსენებაში ხელი გამოიღო საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა **გ.გუმბარიძემ.** გარდაქმნა და დოგმები

შეუთავსებელიაო, აღნიშნა მან და ამით საბჭოთა ცხრაკლიტულის ყველა გასაღები მოსკოვს (გარდაქმნას) გადააბარა. საქართველოს კპ 28-ე ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა **ვ.ხიშბამ** _ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ყოველგვარი უბედურების თავმიზეზად ქართული ეროვნული მოძრაობა მიიჩნია _ **"ვინ არის ამ კონფრონტაციის მამოძრავებელი ძალა, რომელსაც მივყავართ მორიგ პროცესებამდე, რომელთა წინასწარი განჭვრეტა შეუძლებელია? გთხოვთ საქართველოს კპ ცკ-ს, ჩვენთან ერთად გაერკვეთ მიმდინარე პროცესების არსში, პრინციპული შეფასება მისცეთ მის ორგანიზატორებს"...** ამავე დროს ორატორს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში _ აფხაზეთის ასსრ-ად კონსტრუირებულ ცხუმ-აფხაზეთში "ლენინური ეროვნული პოლიტიკის ვარდისფერი" ასე ესახებოდა: **"...კერძოდ, აფხაზი ხალხიც, ქართველი ხალხიც, ისევე, როგორც სსრკ ყველა ხალხები, ისწრაფვიან თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური დამოუკიდებელი ამაღლებისკენ, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების პერსპექტივებისა მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტაში თავიანთი როლის გაძლიერებისაკენ. ეს მისწრაფება პასუხობს სკკპ პლატფორმის "პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში" ძირითად დასკვნებს"** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი" 18 მაისი, 1990წ.).

საინტერესოა ამ ყრილობაზე საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის **თ.ხახვას** გამოსვლა. **"საიდუმლო არ არის, რომ მიტინგებზე, თავყრილობებზე ზოგჯერ გაისმის ნაჩქარევი დასკვნები, მიუღებელი მოწოდებები, აქა-იქ შეურაცხმყოფელი ფრაზებიც. სამწუხაროდ, ზოგიერთი ცდილობს პოლიტიკური აქციები გამოიყენოს საკუთარი ამბიციური მიზნებით, დაუპირისპიროს ერთმანეთს ხელისუფლება და ხალხი, სხვადასხვა პარტიები, ჩამოაგდოს უნდობლობა, არც თუ იშვიათია ათასგვარი პროვოკაციული ხმების გავრცელება, კუთხურობის, რელიგიურობის, პარტიულობისა და სხვა ნიშნით ადამიანთა დაყოფის ცდები"** (გაზ. "კომუნისტი", 17 მაისი, 1990წ.) _ არც ამ ავტონომიის პარტნომენკლატურულ ლიდერს მოსწონდა სრულიად საქართველოს ძალისხმევა.

ამავე ყრილობაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის აო-ს კომუნისტთა სახელით გამოვიდა **ა.კაჩმაზოვი** _ საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე: **"...რაც შეეხება მთლიანად საქართველოს კპ პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული აგებულების დებულებათა პროექტს, იგი საერთოდ არ ეწინააღმდეგება სკკპ წინასაყრილობო დოკუმენტების გამოქვეყნებულ პროექტებს"**, მიუხედავად ამისა, **ა.კაჩმაზოვი** დააფრთხო საქართველოს კომუნისტური პარტიის ვირეშმაკულმა საუბარმა რაღაც ეროვნულ უფლებებზე და თავადაც არანაკლები მუხანათური ილეთებით განაგრძო: **"ვეთანხმები იმ აზრს, რომ არ შეიძლება დავამტკიცოთ ეს დოკუმენტი ახლანდელ ყრილობაზე" (გაზ. "კომუნისტი", 18 მაისი, 1990წ.).** თუ კი ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ამ ეთნოდივერსიული ფაბრიკაციის კომუნისტებმა საქართველოს კპ კოლაბორაციონისტულ პროგრამას არ დაუჭირეს მხარი, წარმოიდგინეთ თუ როგორი ხიშტით შეხვდებოდნენ ისინი სრულიად საქართველოს ნებას დამოუკიდებლობის აღდგენაზე.

საქართველოს კპ 28-ე ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი **ვ.პატრიკეევი, "ჩვენი არმია, სსრკ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის არმიაა, ჩვენ ძალიან გვაწუხებს, რომ უკანასკნელ ხანს ამ მხრივ ინიციატივა დაეთმო იმ ძალებს, რომლებსაც ყველაზე ნაკლებ აწუხებს ჩვენი მრავალფეროვანი სახელმწიფოს ბედი" (გაზ. "კომუნისტი", 18 მაისი, 1990წ.).**

ამრიგად, მიუხედავად ბრჭყვიალა ფრაზეილოგიისა, ფსევდოპატრიოტული მოწოდებებისა, ვითომ ეროვნული ფართი-ფურთისა და ა.შ. საქართველოს კპ 28-ე

ყრილობა კიდევ ერთ იერიშად იქცა საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და წმინდათაწმინდა სახალხო ნების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში **16 მაისს** საქართველოს კპ 28-ე ყრილობის პირველი ეტაპის მუშაობა დასრულდა.

1990წ. 16 მაისს ქ.გაგრაში საქართველოს I ლიგის ჩემპიონატზე ფეხბურთში (10 ტური) გაგრის დინამო შეხვდა ყვარლის "დურუჯს" (3-2). ამასთან დაკავშირებით გაზეთმა "ლიტერატურულმა საქართველომ" **1990 წლის 1 ივნისს** გამოაქვეყნა შემდეგი ინფორმაცია:

მორიგი ინციდენტი

16 მაისს გაგრაში მომხდარმა ინციდენტმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია ინფორმაციის ნაკლებობა კიდევ უფრო აბუნდოვანებდა ამბავს. ამას მერე სხვა უსიამოვნო ამბებიც მოჰყვა და მათ ფონზე შეიძლებოდა აღარც გაგვემახვილებინა ყურადღება გაგრაში, სტადიონზე მომხდარ ინციდენტზე, მაგრამ მიჩუმათების, წაყრუების მწარე გაკვეთილები გვასწავლის, რომ სიმართლე უნდა ითქვას, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ორ ხალხს შორის სასურველ ჯანსაღ ურთიერთობას. თუ რა მოხდა გაგრაში, თვითმხილველმა და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა აქტივისტმა ჯონი ლატარიამ გვიამბო: "უდიდესი წინააღმდეგობის მიუხედავად, სახალხო ფრონტმა, რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებებმა, "ლემმა" ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, გადაწყვიტეს 16 მაისს საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნა. ცერემონიალს ესწრებოდნენ როგორც ქართველები, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. 6 საათზე ზეიმი დაიწყო. გამოვიდა გაგრის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე რევაზ შარტავა, მან მიულოცა დამსწრეთ ეროვნული ჩემპიონატის გახსნა. აქვე იყვნენ საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი და მატჩის კომისარი. ბოლოს აღიმართა საქართველოს ეროვნული დროშა. მატჩის პირველი ნახევრის დასასრულამდე მოსალაპარაკებლად მიგვიწვიეს აფხაზეთის გაგრის რეგიონალური სახალხო ფორუმის წარმომადგენლებთან.

მისვლისთანავე ჩვენგან მოითხოვეს დროშის ჩამოხსნა. განაცხადეს, რომ სხვაგვარად მატჩი აღარ გაგრძელდებოდა. ჩვენ ამაზე უარი ვუთხარით. შესვენების დროს აფხაზთა ერთმა ჯგუფმა გასახდელის კარი ჩაუკეტა ფეხბურთელებს. სიტუაცია ძალიან დაიძაბა, ხალხი თამაშის განახლებას ელოდა. ჩვენ მოვითხოვეთ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მილიციის საშუალებით დაემყარებინათ წესრიგი, მაგრამ მილიციამ სიტუაციის განმუხტვა ვერ მოახერხა. ჩვენ იძულებულნი ვიყავით ფეხბურთელები ფანჯრიდან გამოგვეპარებინა. როცა მატჩი განახლდა (საათნახევრის შემდეგ), აფხაზთა ჯგუფმა კვლავ გადაწყვიტა ხელის შეშლა და სტადიონზე შემოიჭრა, ჯარი იძულებული გახდა განედევნა ისინი. საბედნიეროდ, ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა.

საერთოდ, გაგრაში საქართველოს პირველობა ფეხბურთში გაიხსნა აპრილის დასაწყისში, როდესაც გაგრელებმა უმასპინძლეს საჩხერის "ჩიხურას" (5-0) მაისის ბოლოდან გაგრის "დინამომ" გადაირქვა სახელი და ეწოდა "სიხარული-90". ამავე დროს სსრკ ფეხბურთის ფედერაცია ცდილობდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მიმართ გაეტარებინა ველიკოდერჟავული პოლიტიკა.

ასეთ დროს ჩვენი ფეხბურთისათვის საგრძნობი მხარდაჭერა გახლდათ ლიტვის ფეხბურთელთა (კაუნასის "ჟალგირისი") ასეთივე ბოიკოტი სსრკ საფეხბურთო ჩემპიონატისადმი და მათი ფეხბურთელები სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად საქართველოს საფეხბურთო გუნდებში გადანაწილდნენ. სსრკ ფეხბურთის ფედერაციამ, იმისდა პარალელურად, რომ სოხუმის "დინამო", საგანგებოდ გაძლიერებული საბჭოთა ფეხბურთელებით თამაშობდა სსრკ საფეხბურთო ჩემპიონატის I ლიგაში, შემოიღო აფხაზეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მონონაციონალური (ე.წ. ოქტომბრისენოვანი)

ფორმა, რომელიც ატარებდა რა ინტერფრონტულ სულისკვეთებას, სეპარატისტული დემარშების ზურგის ქარად იქცა.

1990წ. 16 მაისს ესტონეთმა მიიღო კანონი **"ესტონეთის მმართველობის დროებითი წესის შესახებ"**, რაც იმავე დღეს სსრკ პრეზიდენტმა **მ.ს.გორბაჩოვმა** სასტიკად დაგმო და თავისი ბრძანებულებით ბათილად გამოაცხადა.

1990წ. 23 მაისს გაზეთებმა **"აფსნი ყაფშმა"** და **"Советская Абхазия"**-მ გამოქვეყნეს აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების პროგრამა, იგი სინამდვილეში წარმოადგენდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს საქართველოდან გამოყოფის მემორანდუმს: **"Подготовить материалы для издания указа Верховного Совета Абхазской АССР, о запрешении вывоза за пределы Абхазской автономной республики каких либо историко-культурных, в том числе археологических материалов обнаруженных на територии Абхазской АССР" (პუნქტი მე-3).**

1990წ. 23 მაისს, როგორც საკდესმა იუწყა _ **"სსრკ პრეზიდენტმა მ.ს.გორბაჩოვმა დააყენა საკითხი სუვერენულ-სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირის შექმნის კონცეფციის შესახებ" (მასალა იხილეთ გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 19 ივნისი, 1990წ.).**

1990წ. 23-25 მაისს ქ.თბილისის სპორტის სასახლეში დილის ათ საათზე გაიხსნა ე.წ. საქართველოს ეროვნული ყრილობა. გარეგნულად მასში ძირითადად მონაწილეობა მიიღო ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც უკვე აშკარად დაუპირისპირდნენ საქართველოს ეროვნულ მოძრაობას _ განსაკუთრებით მის ხელმძღვანელ მუშა ორგანოს "მრგვალ მაგიდას" (სინამდვილეში ეს ღონისძიება გახლდათ საბჭოთა ოფიციოზის მიერ ეროვნულ მოძრაობაში მათთვის სასურველი ძალების ჩანაცვლების მცდელობა). მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ეროვნული ყრილობის მონაწილეები ყველაზე რადიკალური ლოზუნგებით გამოვიდნენ, ისინი ნებით თუ უნებლიედ, საბჭოთა ეთნოდივერსიული ძრავის ნაწილს წარმოადგენდნენ, რაც დრომ დაადასტურა. სწორედ აქ მონაწილე ძალებზე დაყრდნობით მოახერხა მომავალში რუსიზმმა საქართველოს მესამე ოკუპაცია. ე.წ. ეროვნულმა ყრილობამ **30 სექტემბრისათვის** დანიშნა (ცრუ) ეროვნული კონგრესის არჩევნები. ე.წ. ეროვნული ყრილობის მუშაობის დასრულების შემდეგ ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი გაიყო. ედპ-მ, **ილია ჭავჭავაძის** საზოგადოებამ, ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, **რუსთაველის** საზოგადოებამ, საზოგადოება "ლემმა", ექიმთა ასოციაციამ და სხვა თვითმარქვია ორგანიზაციამ ცრუ "ეროვნული" კონგრესის ფაბრიკაციას დაუჭირეს მხარი.

1990წ. 24 მაისს, გამთენიისას, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), სოფელ ლიძავაში (გაგრის ზონა, ბიჭვინთის შესასვლელთან), პროვოკატორებმა და ქართველი ერის მტრებმა, 26 მაისის სადღესასწაულო თარიღის წინ, კონფლიქტური სიტუაციის პროვოცირების მიზნით, დასწვეს **დიდოსტატ კონსტანტინეს** მემორიალური სახლი.

1990წ. 25 მაისს დამთავრდა საქართველოს კომკავშირის თვითგამორკვევისადმი მიძღვნილი "ფორუმი", იგი გარდაიქმნა საქართველოს ახალგაზრდობის კავშირად (ისევე, როგორც საქართველოს კპ-მ _ ფერი შეიცვალა), ხელმძღვანელ ორგანოდ აირჩია დროებითი სათათბირო.

1990წ. 26 მაისს საბჭოთა აფხაზეთის ინეტრფრონტულმა ინტელიგენციამ კვლავ მიმართა სსრკ პრეზიდენტს **მ.გორბაჩოვსა** და სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **ა.ლუკიანოვს** "აფხაზეთის რესპუბლიკაში" ხალხთა ურთიერთობის ლენინური ნორმების აღსადგენად.

1990წ. 26 მაისისათვის საქართველოს ფაქტობრივმა ხელისუფლებამ პრესისა და სხვა საინფორმაციო არხებით ფართოდ გააშუქა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე,

ოფიციოზის წინააღმდეგობის გარეშე აღინიშნა იგი აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. გალში, ოჩამჩირეში, გულრიფშსა და გაგრაში მან მიიღო ჭეშმარიტად სახალხო ზეიმის ხასიათი, ხოლო სოხუმში _ რესპუბლიკურ სტადიონზე ქუდზეკაცური ცხუმ-აფხაზეთის მონაწილეობით კიდევ ერთხელ დადასტურდა ჭეშმარიტად სახალხო ნება _ სრულიად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ლენინიზმის დივერსიული პოლიტიკის დემონტაჟისთვის მზაობა და ძუძუმტეობის ყოფაქცევისკენ მიბრუნება. სამწუხაროდ, დესტრუქციული ძალებისგან წაქეზებულმა აფხაზეც-სეპარატისტთა ერთმა ნაწილმა გაგრასა და სოხუმში ამ თარიღთან დაკავშირებით სცადა ხულიგნური თარეში და გამოხდომები (გაგრაში დაშავდა 17 ადამიანი). იგი აღკვეთილი იქნა ეროვნული მოძრაობის ჩარევითა და უნარიანი მოქმედებით. მომხდარი გახდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი, მიღებული იქნა შესაბამისი დადგენილება, რომელიც თავისი ორაზროვანი შინაარსის გამო კიდევ უფრო ძაბავდა ვითარებას.

1990წ. 27 მაისს ქ.ერევანში რუსი სამხედროების მიერ პროვოცირებული ავანტიურის შედეგად დაიღუპა 5 არმენი ეროვნების მოქალაქე.

1990წ. 28 მაისს აფხაზეც-სეპარატისტთა ერთმა ჯგუფმა, თვითმარქვიად გამოაცხადა რა თავი აფხაზეთის წარმომადგენლობით კრებად, მოითხოვა აფხაზეთის ხელისუფლების დათხოვნა. ყოველივე ეს კრემლიდან იმართებოდა და გამიზნული გახლდათ საერთო სახალხო დარაზმულობისა და ძუძუმტეობა-მორდუობით მოხელმძღვანელე ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის ასალაგმავად. რომელთაც კრემლის მიერ დაქსელილი საეთნოკონფლიქტო საცდურები არ მოიხვიეს თავს.

1990წ. 29 მაისს გაზეთ **"Заря Востока"**-ში სსრკ უზენაესი საბჭოს სახალხო დეპუტატმა, სეპარატისტული აგრესიის ერთ-ერთმა თავკაცმა **ტარას შამბამ** ცბიერად და შორსგამიზნულად განაცხადა, თითქოსდა მათ კავშირი ჰქონდათ ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან აფხაზეთში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ კოლაბორაციონისტულ ძალებთან და კრიმინალებთან ცალკეულ გარიგებებს, რომელიც ასევე კრემლიდან იმართებოდა, ცხუმ-აფხაზეთის ქართული ეროვნული მოძრაობის ყოველგვარ კონსტრუქციულ წინადადებას კრემლის მითითებათა შესაბამისად, სეპარატისტები ხიშტით ხვდებოდნენ. სწორედ მათი და აფხაზეთის პარტნომენკლატურის საერთო ძალისხმევით მოხდა ის, რომ **26 მაისს**, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საზეიმო აღნიშვნას ცხუმ-აფხაზეთში მოჰყვა არა ისტორიის მიჩქმალული ფურცლების გასაჯარისება და წარსულისათვის ნათელის მოფენა, არამედ საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული სტანდარტებით დაწერილი ბოლშევიკური ისტორიით სახალხო ურთიერთობების წაბილწვა. კერძოდ არარსებული ქართული დიდმპყრობლობის, ქართველთა მიერ აფხაზეთის ოკუპაციისა და აფხაზეცი ე.წ. კიარაზელების "გმირობის" კრემლიდანური გაშუქება აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებებით და ა.შ., რომელსაც მორიგი სისხლისღვრა უნდა გამოეწვია. იმ დროისათვის აფხაზეთის სეპარატისტულ ელექტორატში ყველამ იცოდა ნებისმიერი ბოლშევიკი ყაჩაღის გვარ-სახელი და გმირადაც სახავდა მას, მაგრამ ამავე ელექტორატში **არზაყან ემხვარის** ვინაობა განაგონიც არ ჰქონდათ. იმ კაცს, რომელმაც ესოდენ დიდი ძალისხმევა მოანდომა აფხაზეთს სწორედ **1918_21 წლებში,** სეპარატისტული აფხაზეთი არ აღიარებდა (რომ არაფერი ვთქვათ **1870** თუ **1916 წლების** აფხაზთა დეპუტაციების სულისკვეთების მიზნობრივ გაძევებაზე).

1990წ. 30 მაისს გაზეთ **"საბჭოთა აფხაზეთში"** გამოქვეყნდა სინდისის თავისუფლებისა და რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ სსრკ კანონის პროექტი. იგი ძირითადად ეკუმენისტურ-ინტერფრონტული პოზიციებიდან განიხილავდა ამ საკითხს.

1990წ. 31 მაისს (ზოგან უფრო ადრეც) აფხაზეთის ასსრ საოლქო და რაიონულ ჟურნალ-გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი ფართოდ დაიწყო მუჰაჯირობის ტრაგიკული მოვლენების გაშუქება, როგორც აფხაზეცურ, ასევე რუსულ და ქართულ ენებზე. იგი მიეძღვნა ამ მოვლენათა 125 წლისთავს (ასათვლელ თარიღად მიჩნეული იქნა **1864 წლის მაისი,** კავკასიის ომის დამთავრების წელი). საუბედუროდ, მუჰაჯირობის პრობლემა აფხაზეც-სეპარატისტთა და ე.წ. აგნკ-ს (Ассамблея Горских Народов Кавказа) მიერ გაშუქდა იმ ნებადართულობით, რომელიც დაშვებული იყო კრემლიდან. ასე მაგალითად, იმ დღეებში გაზეთ **"Советская Абхазия"**-ში ვინმე **ვ.შარია** (გარუსებული ქართველი) მუჰაჯირობისადმი მიძღვნილი თავისი წერილით "აფხაზი" ხალხის უბედურებაში ბრალს "ქართულ შოვინიზმსა" და "იმპერიულ საქართველოს" სდებდა (არადა, წარმოიდგინეთ იმ დროს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად, ანუ რუსულ ადმინისტრაციად გადაქცეული საქართველოს ტანჯული მდგომარეობა!). მეტნაკლებად ასეთი რუსისტული (ანტიკავკასიური) ნიშნებით მოეწყო ეს ღონისძიება მაისში ჩრდილო კავკასიის ავტონომიურ რესბუბლიკებსა და ოლქებში, დასკნითი ღონისძიება კი აგნკ-ს მიერ ე.წ. კავკასიის კონფედერაციის დედაქალაქად თვითმარქვიად აღიარებულ სოხუმში ჩატარდა. "დღესასწაულმა" მიიღო აშკარად ქართველთა საწინააღმდეგო, მათი მორალური გასამართლების ხასიათი (ცნობისათვის: აფხაზეთიდან მუჰაჯირობის დროს დეპორტირებული მოსახლეობის 95 პროცენტზე მეტი ქართველური გვარ-სახელის მატარებელი ხალხი გახლდათ, რომელთა ნაწილს მძაფრი თურქული (შემდგომში რუსული) ასიმილატორული პოლიტიკის პირობებში ეროვნული თვითშეგნება გაბურუსებული, მაგრამ მაინც შენარჩუნებული ჰქონდა, ხოლო ერთ ნაწილს, სამწუხაროდ, გაუკუღმართებული წარმოდგენა გააჩნდა საკუთარ ვინაობაზე). ამდენად, ცხუმ-აფხაზეთის განმშობლიურების პროცესი გაცილებით ადრეულ საუკუნეებში დაიწყო და მუჰაჯირობა მისი ერთ-ერთი რეგლამენტი იყო. ეს პროცესი შემდგომშიც გრძელდებოდა და გრძელდება დღემდე. მაისის ბოლო დღეებში მუჰაჯირობის დღის აღსანიშნავად სოხუმში ჩამოვიდნენ აგნკ-ის მიერ საგანგებოდ მობილიზებული პიროვნებები, რომელთაც ჩრდილო-კავკასიის ხალხთა წარმომადგენლობა თვითმარქვიად დაიდგინეს. ჩამოვიდა თურქეთის დელეგაციაც, მათ შორის მუჰაჯირთა შთამომავლები, კავკასიელი წარმოშობის მოქალაქეები აშშ-დან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან. მსოფლიოს მაფიურ-კრიმინალური "თანამედროვე წესრიგის" მიერ ეს ღონისძიება, რომელმაც სოხუმში საერთო ჯამში მოიცვა მაისის ბოლო და ივნისის პირველი კვირა, დაგეგმილი გახლდათ იბერიულ-კავკასიური საერთო ანტიიმპერიული მოძრაობის გზაამქცევად და მან მიიღო ქართული ეროვნული მოძრაობის, როგორც კავკასიური პოლიფონიზმის გარანტის მორალური დატერორების ხასიათი. მისი ძირითადი მიზანი გახლდათ მოწვეული სტუმრებისთვის წმინდა შინაარსის მიზნობრივი გალოზუნგების ქვეშ _ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის ასსრ-ად შეკოწიწებულ მხარეში ერთხელ და სამუდამოდ აღგვილიყო 26 მაისის ხსენება.

ასეთ ვითარებაში **1990წ. 31 მაისს** სოხუმის რესპუბლიკურ სტადიონზე (სადაც **26 მაისს** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე აღინიშნა) კრემლის ნაკარნახევი გეგმით ჩატარდა ვითომ მუჰაჯირობისადმი მიძღვნილი თავყრილობა. აქ

ისიც უნდა ვთქვა, რომ იმავე **31 მაისს** აფხაზეთის ასსრ საოლქო გაზეთებში გამოქვეყნდა პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა "მრგვალი მაგიდის" ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების განცხადება. სამწუხაროდ, ეს განცხადებაც მუჰაჯირობის პრობლემას იმ თარგისდა მიხედვით აღიარებდა, რომელიც პროვოკაციულად იყო შემოთავაზებული მოსკოვის მიერ. მასში არ იყო დივერსიული სტერეოტიპებისა და სტანდარტების გადაფასების მცდელობა. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ძირძველი მოსახლეობა (ქართველობა) არ იყო აღიარებული საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლ ხალხად, ასევე, ამ განცხადებით არ მოხდა საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების მხილება ამ მხარეში, საერთოდ საქართველოში და ზოგადად კავკასიაში. თავყრილობა გახსნა ე.წ. აფხაზეთის სახალხო ფორუმის თავჯდომარემ **სერგეი შამბამ.** მოხსენებით გამოვიდა АГНК-ის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე **მუსა შანიბოვი.** თავყრილობამ სინამდვილეში მიიღო ანტიქართულ მოძრაობათა სამწყობრო დარაზმულობის დათვალიერებისა და კიდევ ერთხელ შემოწმების სახე. მიღებულ იქნა მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის **პერეს დე კუელიარისადმი,** ასეთივე მიმართვები გაეგზავნათ სსრკ, თურქეთისა და აშშ პრეზიდენტებს **მ.გორბაჩოვს, თურგუთ ოზალს, ჯორჯ ბუშს,** რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **ბ.ელცინს.** საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარებულ ე.წ. თავყრილობას არ მიუმართავს არც საქართველოს სსრ ოფიციალური ხელისუფლებისადმი (ამ შემთხვევაში, ეს საქართველოს სსრ ტერიტორიული მთლიანობის იგნორირებას ნიშნავდა) და მას არც სრულიად საქართველოს ეროვნულ მოძრაობასთან რაიმე ურთიერთობის დამყარების სურვილი აღძვრია.

1990წ. 31 მაისს მიღებული იქნა სსრკ კანონი სახალხო დეპუტატის შესახებ, ასევე დამტკიცდა რუსიზმის დიდმპყრობლური შინაარსი სსრკ მოქალაქეობის შესახებ.

1990წ. მაისში _ ჟურნალ **"Октябрь"**-ის მეხუთე ნომერმა გაასაჯარისა **ა.სახაროვის "ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია",** რომელიც წარმოადგენს სსრკ იმპერიის ხავერდოვანი მარადიულყოფის ცდას (შეადარეთ **ა.სახაროვის** დასკვნა **"საქართველო მცირე იმპერიაა"**).

1990წ. 1 ივნისს ქ.თბილისში, მთაწმინდაზე საბაგირო ჩამოწყდა, რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი, ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხელისუფლებამ გლოვა გამოაცხადა.

1990წ. 7 ივნისს გაზეთმა **"Советская Абхазия"**-მ გამოაქვეყნა _ **ბაჯგურ საღარიას** მორიგი წერილი **"Восстановит доброе имя", _** რომელშიც ჩვეულებრივ გაგრძელდა ქართველთმოძულეობის ქადაგება და ექსტრემისტული მოწოდებები.

1990წ. 8 ივნისი: უნდა აღინიშნოს, რომ **ბ.ელცინის** რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით ვარდისფერი ილუზიები გააჩნდა ქართველი საზოგადოებრიობის ერთ ნაწილს, რომელთაც გასიგრძეგანებული არ ჰქონდათ, რომ **1987 წლიდან** "თანამედროვე მსოფლიო წესრიგმა", ანუ იგივე პარტნომენკლატურულმა შეთქმულებამ კაცობრიობის წინააღმდეგ ამ რუსიზმის ახალი ტიპის ფუნქციონერს შეუქმნა "დისიდენტური" რეპუტაცია და ხელსაყრელ შემთხვევაში ჩაანაცვლა იგი კრემლის დიქტატურის იერარქიულ კიბეზე:

"რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ <u>ბორის ელცინს.</u>

საქართველოს მწერალთა კავშირი გულითადად გილოცავთ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას. მტკიცედ გვწამს, რომ თქვენი საქმიანობა ხელს შეუწყობს რუსეთისა და საქართველოს _ ამ ორი სუვერენული სახელმწიფოს თანასწორუფლებიან, ურთიერთნდობაზე და ურთიერთპატივისცემაზე აგებულ

ურთიერთობას. გვჯერა, რომ პუშკინის, ტოლსტოის, დოსტოევსკის რუსეთი ასეთი ურთიერთობის გარანტი იქნება.

ქართველ მწერალთა სახელით საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მუხრან მაჭავარიანი.

მინაწერი: გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია ქართველ მწერლებთან და მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს ბორის ელცინს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევას და იმედოვნებს, მისი ამ მაღალ პოსტზე მოღვაწეობა ხელს შეუწყობს როგორც რუსეთის, ისე საქართველოს სრული სუვერენიტეტის მოპოვებას (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1990წ. 8 ივნისი).

1990წ. 8 ივნისს გაზეთმა "ლიტერატურულმა საქართველო"-მ გამოაქვეყნა წერილი, "საქართველოს ყოფნა-არყოფნა: შობადობის პრობლემა". იხ. ნაწყვეტი ამ წერილიდან:

"...ოფიციალური პროპაგანდა ჩვენში დღეს ქართველი ქალის იდეალად მეჩაიეს სახავს, მეჩაიე არის ის პიროვნება, რომელსაც უნდა მიბაძოს ყოველმა ქართველმა ქალმა. ჰო, მაგრამ როგორ უნდა შევათავსოთ ეს გაზეთ "კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილის პათოსთან, რომელიც მოუწოდებს ჩვენს ქალებს მრავალშვილიანობისკენ? ჩვენი ერის გამრავლებას არ დაადგება საშველი, სანამ ჩაი და ციტრუსი ესოდენ დიდ როლს თამაშობს საქართველოს სოფლის მეურნეობაში და სანამ მარცვლეულის კულტურა არ წამოიწევს წინა პლანზე. აი სიმართლე, რომელიც ბევრს შეიძლება არ ესიამოვნოს (სხვათა შორის, ერის გამრავლების ზოგიერთ თავგამოდებულ მოქადაგესაც). სამეგრელო, მართალია, დღესაც პირველ ადგილზეა შვილოსნობის მხრივ, მაგრამ იქაც შეინიშნება საგანგაშო მოვლენები: დღეს სამეგრელოში, განსაკუთრებით რაიონულ ცენტრებში უკვე ტიპიურია 1 და 2 შვილიანი ოჯახები, მრავალშვილიანები კი თანდათან მცირდება (განსაკუთრებით აბაშის, ზუგდიდის, გალის, რაიონებში).

ახლა გადავხედოთ საქართველოს სხვა რაიონებს. აჭარის მთიანეთიდან მიმდინარეობს მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია რუსეთში, კრასნოდარის მხარეში, რისი მიზეზიც არის მიწის სიმცირე, ადგილობრივ თანამდებობის პირთა კორუფცია და უკანონობა, სოფლის კეთილმოუწყობლობა, ქრთამის გაძვირება და სხვა.

კრასნოდარის მხარეში 1982 წელს 400-მდე ოჯახი იყო უკვე დასახლებული, მიგრაცია კვლავ გრძელდება. რუსეთში გადასახლებულ აჭარელთა შვილებს კი, ცხადია, ქართული აღარ ეცოდინებათ და თანდათანობით გარუსდებიან. ვით უნდა გამრავლდეს, მაგალითად, მესხეთ-ჯავახეთში, საინგილოსა და აფხაზეთში ქართული მოსახლეობა, რომელიც იქ ყოველგვარ დისკრიმინაციას და შევიწროებას განიცდის, არაქართულ მოსახლეობას კი ყოველნაირი პრიორიტეტი ენიჭება? ინტერნაციონალიზმი არ უნდა ნიშნავდეს ერთი ერისთვის პრიორიტეტის მინიჭებას მეორის ხარჯზე, ერისათვის საკუთარი ტერიტორიის წართმევას და მის გადაცემას მეზობელი ერისათვის. მესხეთ-ჯავახეთში, მართალია, რამდენიმე ასეული ოჯახისთვის აშენდა სახლები, მაგრამ ეს ძალზე მცირეა. ამის გამო უნდა გაძლიერდეს მ.კოსტავას სახელობის საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი, რომელსაც დიდად შეუწყობს ხელს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას. სახლების გამოსყიდვას არაქართული მოსახლეობისგან, ამისთვის კი ყველა ორგანიზაციამ და საზოგადოებამ უნდა გადარიცხოს ამ ფონდში თანხა, უნდა დაწესდეს მთელი მოსახლეობის 1 დღის ხელფასის გადარიცხვა. რამ განაპირობა მესხეთ-ჯავახეთის თანდათანობით დაცლა ქართული მოსახლეობისგან და მისი ავსება არაქართველი, კერძოდ, სომხური მოსახლეობით? იმან, რომ ისტორიულად ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა მიზნად ისახავდა ამ მხარის თანდათანობით გადაცემას

სომხეთისათვის, საქართველოს დანაწილებისა და ასიმილაციის მიზნით. დღეს ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, არ აღმოფხვრილა. ამას ნათელყოფს მრავალი ფაქტი, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს ჩამოვთვლით.

1. მთელი მესხეთ-ჯავახეთი წლების მანძილზე გამოცხადებული იყო სასაზღვრო ზონად, საქართველოს მოსახლეობას ეკრძალებოდა იქ ჩასვლა საშვის გარეშე, რაც დიდად აძნელებდა მისვლა-მოსვლას, მაშინ როდესაც სომხეთიდან შესაძლებელი იყო იქ გადასვლა უსაშვოდ. რა არის ეს, თუ არა და სომხური მოსახლეობისათვის პრივილეგიის მინიჭება მესხეთ-ჯავახეთის ათვისებაში? ასეთივე შედეგებს იწვევდა საშვთა სისტემა მთიან აჭარაშიც.

2. ჯავახეთის ქართული მოსახლეობისათვის შეიქმნა აუტანელი პირობები, იმით, რომ არაქართული მოსახლეობის შოვინისტურად განწყობილი ნაწილი ავიწროებს დიდ უმცირესობაში მოქცეულ ქართულ მოსახლეობას და აიძულებს მას დასტოვოს მშობლიური მიწა-წყალი; ვრცელდებოდა ანტიქართული პროკლამაციები, იხურებოდა ქართული სკოლები, ნადგურდებოდა ქართული კულტურის ძეგლები, ქართული სოფლებისთვის ჩამორთმეული ტრანსპორტი ეძლეოდათ არაქართულ სოფლებს, ამასთან, დღესაც არ არსებობს ქართული განყოფილება ახალქალაქის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში.

3. ახალქალაქისა და ჯავახეთის სომხური სოფლების სისტემატური სტუმრებია სომხური კულტურის მოღვაწენი, რომელნიც თავიანთი აგიტაციით აღვივებენ მათში ექსპანსიონისტურ განწყობილებებს, რისი შედეგიც არის ქართველთა შევიწროება, ქართული კულტურის ძეგლთა განადგურება და სხვა ბარბაროსობა. მაგალითად, ძეგლი კუმურდო დღესაც იმის წყალობით დგას, რომ ჩვენი ძეგლთა დაცვის მუშაკები ატყუებენ სოფელს, თითქოს ეს სომხური არქიტექტურის ძეგლი იყოს, რის გამოც იგი დღემდე ხელშეუხებია.

4. ქართველი მწერლები და კულტურის მოღვაწენი კი არ ეკარებიან არა თუ ახალქალაქის რაიონს, არამედ არც ახალციხეს, ასპინძასა და ადიგენს (შესაძლოა შიშის გამოც). უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხეშიც შეინიშნება ბოლოხანს ანტიქართული გამოხდომები. ახლა კვლავ ვიკითხოთ, ვით უნდა გამრავლდეს აქ ქართული მოსახლეობა? აქ არ არის არავითარი სოციალური პირობები, არ არის გაზი, არ არის წყალი, პროდუქტების კრიზისია, ხალხი იძულებულია სომხეთში იაროს პროდუქტებზე.

ვით უნდა გამრავლდეს, მაგალითად, აფხაზეთის ასსრ-ში ქართული მოსახლეობა, როდესაც იქ აკრძალულია ქართველთა ჩაწერა, მათთვის მიწების გამოყოფა, სახლების მშენებლობა, ოჯახების გაყოფა, კადრების შერჩევა-განაწილებისას პრიორიტეტი ეძლევათ აფხაზური და სხვა ეროვნების კადრებს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველობა 48 პროცენტია, ხოლო აფხაზობა 16. ქართველთა დევნამ იქ ტერორისტული თავდასხმების ხასიათი მიიღო, გარდა ამისა, წინა წლების ანტიქართულმა ექსცესებმა გამოუსწორებელი ზიანი მოუტანა აფხაზეთის ქართველობას, მისი ნორმალური არსებობისა და მით უფრო გამრავლების პერსპექტივები, აფხაზეთში გამოირიცხა. ქართული ეროვნების მოქალაქეს იქ ემუქრება უბინაობა, უმიწობა, უმუშევრობა, მატერიალური გაჭირვება, პატიმრობა უმცირესი დანაშაულისთვისაც კი (განსაკუთრებით გაგრა-გუდაუთის ზონაში) მაშინ, როდესაც აფხაზური ეროვნების მოქალაქე არ ისჯება თვით უდიდესი დანაშაულისთვის, როგორიცაა სახელმწიფო ქონების დატაცება, მექრთამეობა და სხვა. ერთადერთი დაცვა ქართველისათვის აფხაზად ჩაწერაა და აი, საპასპორტო მაგიდები ივსება იმ ქართველთა განცხადებებით, რომელთაც სურთ "გააფხაზება". ასე მრავლდება "აფხაზური ერი" და შესაბამისად ძლიერდება აფხაზეთიდან ქართველთა მიგრაცია. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ

ქ.სოხუმში, ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში 6 წლის მანძილზე გაუქმებული იყო სამშობიარო სახლი, ვითომდაც "რემონტის" მიზეზით. მოსახლეობა იძულებული იყო მიემართა დ.დრანდის სამშობიარო სახლისთვის, რომელიც სოხუმიდან დაახლოებით 25 კილომეტრზეა. ამის შედეგი იყო ახალშობილთა სიკვდილიანობის ძალზე დიდი პროცენტი, რითაც, უწინარეს ყოვლისა, დაზარალდა ქართული მოსახლეობა, რომელიც სიმრავლის მიხედვით პირველ ადგილზეა ქ.სოხუმში. ასე რომ, სოხუმში სამშობიარო სახლის ჯერ გახსნა ვენდისპანსერის შენობაში, ხოლო შემდეგ მისი ფაქტიური გაუქმება რამდენიმე წლით, მიზნად ისახავდა, უწინარეს ყოვლისა, ქართული მოსახლეობის უსისხლო გენოციდს. აქვე უნდა დავსძინო, რომ სამშობიარო სახლი წლების მანძილზე გაუქმებული იყო ქ.ფოთშიც, რასაც მრავალი მელოგინესა და ახალშობილის მსხვერპლი მოჰყვა. იგივე მდგომარეობაა ამჟამად ცხინვალის რ-ნის მთელ რიგ სოფლებში, სადაც მოსახლეობა შიშით ვერ სარგებლობს ცხინვალის სამშობიარო სახლით და გორის სამშობიარო სახლის იმედადაა, რომელიც 30 და მეტი კილომეტრითაა დაშორებული მათ სოფლებს. აქაც ხშირია ახალშობილთა დაღუპვის შემთხვევები. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სოხუმის სამშობიარო სახლი მოქმედი იყო, იგი დიდ საფრთხეს უქადდა მშობიარე კონტინგენტს და ახალშობილებს, ვინაიდან იგი იმყოფებოდა, როგორც აღვნიშნეთ, ვენდისპანსერის ყოფილ შენობაში, რაც, სპეციალისტების აზრით, დაუშვებელია, ვინაიდან იწვევს მასობრივ სტაფილოკოკურ და სხვაგვარ ინფექციებს, სეფსისებს და სხვა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ყოველივე ეს "შემთხვევითია" და არა აქვს წინასწარგანზრახული ხასიათი.

ზემოხსენებული წერილის ავტორმა წამოაყენა ლოზუნგი: "მივბაძოთ მოძმე სომხეთს გამრავლებაში!" მას კვლავ დაავიწყდა, რომ ისტორიულად რუსული შოვინიზმი პრიორიტეტს ანიჭებდა სომხებს ქართველებთან შედარებით და აკისრებდა მათ მისიას საქართველოს თანდათანობითი კოლონიზაციისას (ვინაიდან თავისი მოსახლეობა არ ჰყოფნიდა ამ მიზნისათვის). ჯერ კიდევ პასკევიჩის დროდან იწყება კოლონიზაცია მესხეთ-ჯავახეთისა სომხების მიერ, რომელმაც დღეს კულმინაციას მიაღწია. სომხების პრივილეგირებულობა იქიდანაც ჩანს, რომ მათ ფაქტიურად დაიპყრეს ჩვენი შავი ზღვისპირეთი, განსაკუთრებით აფხაზეთი და აჭარა (რაშიც მათ არავინ უშლის ხელს) ხოლო ქართველი ეროვნების მოქალაქისთვის, როგორც ითქვა, აფხაზეთში ჩაწერა უდიდესი პრობლემაა. სომხებს კი არავინ უქმნის ხელოვნურად დემოგრაფიულ კრიზისებს თავის საკუთარ სამშობლოში, არავინ აძევებს მშობლიური მიწიდან, არავინ უქმნის ხელოვნურად პირობებს რუსეთში მასობრივი მიგრაციისთვის, არავინ ართმევს რელიგიას და ეკლესიას, ენას, კულტურას, არავინ უყალბებს და უგინებს ისტორიას, არავინ აცხადებს სომხეთს საქართველოდ, აზერბაიჯანად ან სხვა რომელიმე ერის სამემკვიდრებელ ტერიტორიად. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ რუსეთის კავკასიური პოლიტიკა არასოდეს ხედავდა სომხებში საფრთხეს თავისი მიზნებისათვის, პირუკუ, ისინი მორჩილ და სანდო ქვეშევრდომებად მიაჩნდათ ყოველთვის, აზერბაიჯანელების შემდეგ (რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, ვოსტორგოვი ხმამაღლა გამოსთქვამდა აღტაცებას ამ ტომით, და კავკასიაში ისინი რუსეთისათვის ყველაზე სასურველ ხალხად მიაჩნდათ, ვინაიდან, მისი <u>თქმით, მათ არ ჰყავდათ ინტელიგენცია, არ ჰქონდათ მწერლობა და არც პრეტენზია დამოუკიდებელი არსებობისა</u>). ამას წინათ, როგორც ამბობენ, ვაზგენ I-მა ეჩმიაძინში შემდეგნაირი ლოზუნგით დაამთავრა თავისი ქადაგება: "სომხებო! დაიპყარით შავიზღვისპირეთი!" ცხადია, იგი ამით ყირიმისა და ანატოლიის ნაპირებს როდი გულისხმობდა. თუმც ვაზგენი მხოლოდ ლოზუნგებით როდი უწყობს ხელს გამრავლებაში თავის თანამემამულეებს ჩვენი ზოგიერთი გაზეთის დარად, არამედ აფინანსებს სომეხ კოლონისტებს, რომელნიც საქართველოში სახლდებიან (ცხადია, ვაზგენს ოფიციალობა

რომ არ ედგას მხარში, იგი ამდენს ვერც გაბედავდა და ვერც შესძლებდა). გეგმა შემდეგია: უახლოეს წლებში საქართველოში ქართული მოსახლეობა უმცირესობაში უნდა აღმოჩნდეს, ასე, რომ ჯავახეთის ექსპერიმენტით წახალისებული შოვინისტები დღეს უკვე მთელ საქართველოს უმიზნებენ. 1985 წლის ზაფხულში თბილისში იმყოფებოდა ვეფხისტყაოსნის კუბელი მთარგმნელი აუჰიერი, რომელსაც მიღება მოუწყვეს თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, _ მას ასეთი ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოზე: "საქართველო არის სრული ინტერნაციონალი, საქართველო იგივე სომხეთია, ოსეთია, აფხაზეთია და სხვა". საქართველო რომ საკუთრივ საქართველოა, ამაზე ხმა-კრინტი, რა თქმა უნდა, არავის დაუძრავს. ცხადია, დაშნაკთა ეს მიმდევრები ვერ ხედავენ, თუ რარიგ უთხრიან ძირს ამგვარი გამოხდომებით ქართველ-სომეხთა ისტორიულ ძმობას, ან ვის წისქვილზე ასხამენ წყალს. ახლა ყოველივე ამას დაემატა აპარტეიდის სისტემის დამკვიდრება შიდა ქართლში, ისტორიულ სამაჩაბლოში, საფალავანდოში და ქსნის საერისთაოში, რომელიც "სამხრეთ ოსეთად" მონათლეს დამპყრობელმა ბოლეშევიკებმა. ცხინვალში ქართველებზე ნადირობაა გამოცხადებული, ქართველები ვერ სარგებლობენ მაღაზიებით, სამედიცინო მომსახურებით, რესტორნებით, ტრანსპორტით, გზით, მათ ეკრძალებათ სამსახურებში სიარული, საღამოობით ქუჩაში გამოსვლაც კი. არის შემთხვევები მკვლელობისა, ცემისა, დაჭრისა, ვით უნდა გამრავლდეს იქ ქართული მოსახლეობა ასეთ პირობებში? მაგალითად, ორი რესპუბლიკის საქართველოს სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს არათანასწორუფლებიანობა საუკეთესოდ მოჩანს საინგილოსა და მარნეულის მაგალითზე. საინგილოში ყოველივე ქართული კანონგარეშეა გამოცხადებული, ქართველების ეროვნული დისკრიმინაცია და შევიწროება შუასაუკუნეობრივი და მონათმფლობელური ეპოქებისთვის დამახასიათებელ ფორმებს ღებულობს, რა გამრავლებაზე შეიძლება საუბარი, როდესაც მიმდინარეობს ქართველთა ფარული გენოციდი და ასიმილაცია, ოფიციალურად სანქცირებული. მარნეულის რაიონში კი ჰყვავის და მრავლდება აზერბაიჯანული მოსახლეობა, ძლიერდება მისი ექსპანსია იმდენად, რომ მას უკვე გაუჩნდა ავტონომისტური ამბიციები. აი, რა მოგვიტანა საქართველოს გადაქცევამ ინტერნაციონალიზმის "თავისებურ ლაბორატორიად", რითაც ეგზომ ამაყობდა ე.შევარდნაძე 1985 წლის 4 ივლისის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში".

1990წ. 8 ივნისს ე.წ. საქართველოს ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრმა (ეროვნული კონგრესის არჩევის ორიენტაციამ) დაგმო სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ 31 მაისს უნივერსიტეტში დაწყებული უვადო შიმშილობა და ამასთან დაკავშირებით 13 ივნისს გაზეთ "ქართულ ფილმში" გამოაქვეყნა განცხადება.

1990წ. 8 ივნისს თბილისის რაიონებს აღუდგათ ისტორიული სახელწოდებები.

1990წ. 11 ივნისს ყირგიზეთში (ოშის ოლქში) ინსპირირებული ეთნოკონფლიქტის გამო დამყარებული საგანგებო წესების შედეგად დათრგუნვილ იქნა სახალხო მღელვარებანი და აღიკვეთა უსანქციო მიტინგის ჩატარების მცდელობა (როგორც მოგეხსენებათ, აქ დარბეული იქნა არმენი მოსახლეობა და სცადეს მათი გაძევება).

1990წ. 15 ივნისს გაზეთ **"საბჭოთა აჭარაში"** (შემდგომ უფრო ვრცლად გაზეთ "Советская Аджария"-ში (21.07.89), ასევე ჟურნალ "საქართველოს კომუნისტში" (№5, 1989წ) გამოქვეყნდა აჭარის **შ.რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგის, დოცენტ **მურად ჩავლეიშვილის** წერილი "აჭარის ავტონომია", რომელშიც ავტორი იწონებდა ლენინურ-ქემალისტური გარიგების ვერაგობას, სკკპ ლენინურ ერთაშორის პოლიტიკას, ხალხთა "თვითგამორკვევის" ლენინურ უფლებას და ა.შ. ავტორი იმავე წლის 24 ოქტომბერს ამ საკითხს კვლავ მიუბრუნდა და გაზეთ **"Советская Аджария"**-ში ისევ

გამოაქვეყნა წერილი “ხალხის ნებით” მიღებულ აჭარის საბჭოთა კონსტიტუციაზე და ავტონომიის მიერ მონიჭებულ ბედნიერებაზე”.

1990წ. 19 ივნისს მოსკოვში დაიწყო რსფსრ კპ კონფერენცია, რომელმაც რუსეთის კპ-ის “ლოკალური სახე” აღადგინა.

1990წ. 20 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: **1. “საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ”.** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს **1990 წლის 9 მარტის** დადგენილებაში დამატებების შეტანა (საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 თებერვლის, 1921 წლის 24 მარტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების გამაუქმებელი, სხვა აქტების სამართლებრივი შეფასება) და ამ დადგენილების შემდგომი რეალიზაციის ღონისძიებანი: მიმართვა რუსეთის სფს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის **1920 წლის 7 მაისის** ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების თაობაზე; 2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. 3. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღება; 4. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საყოველთაო დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების შესახებ კანონის პროექტი; 5. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფილობითი საზოგადოების, ასოციაციების შესახებ კანონის პროექტი; 6. საქართველოს ეკონომიური საფუძვლების შესახებ კანონის პროექტი; 7. ალტერნატიული სამსახურის სამართლებრივი რეგლამენტაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები; 8. სსრკ მთელი რიგი კანონების შეფასება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) საფუძველზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევის შედეგად იძულებული შეიქნა მიეღო შესაბამისი დადგენილებები: “საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება _ საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს **1990 წლის 9 მარტის** დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ. 1. დადგენილებას მეათე აბზაცის შემდეგ დაემატოს შემდეგი აბზაცი:

“აღნიშნავს რა: ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად საქართველოში დამყარებული ხელისუფლება (რევოლუციური კომიტეტები), ხოლო შემდგომ შეზღუდული, ვიწრო კლასობრივ საწყისებზე აგებული საბჭოები _ არ გამოხატავენ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აცხადებს უკანონოდ და ბათილად ყველა აქტს, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სხვა სამართლებრივი დაწესებულებებით (ე.წ. საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 და 26 თებერვლის, 24 მარტის გადაწყვეტილებანი და სხვა)”.

2. დადგენილებას ბოლოში დაემატოს შემდეგი ტექსტი: **“დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს სსრ და რუსეთის სფსრ შორის პრინციპულად ახალი, სუვერენული სახელმწიფოებისათვის შესაფერისი ურთიერთობების დამყარების მიზნით, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს 1921 წლის თებერვალ-მარტში რსფს რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის ფაქტის აღიარება და მისი პოლიტიკური და**

სამართლებრივი შედეგების სათანადო შეფასება რსფსრ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ"...

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება _ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დანიშვნის თაობაზე.

...1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების შემმუშავებელ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიას პოლიტიკურ პარტიებთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მასობრივ მოძრაობებთან ერთად, ერთი თვის ვადაში მოამზადოს განსახილველად და მისაღებად საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის პროექტი; 2. საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონის პროექტს საფუძვლად დაედოს მრავალპარტიული არჩევენების მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის გათვალისწინებით; 3. დაინიშნოს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები კვირას, **1990 წლის 28 ოქტომბერს (გაზ. "კომუნისტი", 21 ივნისი, 1990წ.).**

26 ივნისს გაზეთმა **"აფსნი ყაფშმა"** გამოაქვეყნა წერილი **"გარდაქმნის გზა იოლი არ არის"** გთავაზობთ მის თარგმანსა და კომენტარს.

ისევ აფხაზეთის "ანექსიის" შესახებ

(თარგმანი)

"როგორც ცნობილია და როგორც საქართველოში დაადგინეს, იქ 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება არასწორი მოვლენაა. წითელმა არმიამ იარაღით, ძალით მოაშთო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. ამის გამო საქართველო იძულებით, იარაღის გამოყენებით იყო ანექსირებული. ჩვენ არ ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რამდენად მართალია ეს. ოღონდ რაკი სიტყვა ანექსია იქნა ნახმარი, აქ პირდაპირ უნდა ითქვას, თუ ვინ იყო მართლა ანექსირებული. როგორც ცნობილია, 1918 წლის 7 აპრილიდან 17 მაისამდე აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიაში მხოლოდ ორგან: ბაქოსა და აფხაზეთში იყო გამოცხადებული. მენშევიკური საქართველოს არმია საბჭოთა აფხაზეთში თავს დაესხა და სისხლით დაამხო საბჭოთა ხელისუფლება. ერთი სიტყვით, თუ ისე ვიტყვით, როგორც ეს ისტორიულად მოხდა, აფხაზეთს ანექსია უყვეს. ამითვე დაამტკიცეს (მენშევიკებმა _ თ.გ.), თითქოს (აფხაზეთი) საქართველოს ნაწილია. თუ ისტორიულ სიმართლეზე ვილაპარაკებთ, აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არასოდეს ყოფილა. ეს რომ ასეა, გვიჩვენებს ის, რომ თუ საქართველო რუსეთს ცალკე შეუერთდა, აფხაზეთი რუსეთს 1810 წელს შეუერთდა. რაკიღა ასეა, სწორი არ არის აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა, ამას ისტორიულად არავითარი გამართლება არა აქვს. შემთხვევითი არ არის, რომ, როცა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკად იქცა, ხოლო შემდეგ, ათი წლის განმავლობაში, 1931 წლამდე აფხაზეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით აფხაზეთი იყო სსრ".

მკითხველს მოეხსენება, რომ ამჟამად აფხაზი ინტელიგენციის ერთი ნაწილი აღარაფერს ერიდება, რათა კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება აფხაზეთში. ამ თვალსაზრისით ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბეს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს აფხაზმა დეპუტატებმა, რომლებმაც 25 აგვისტოს აფხაზეთის საქართველოსაგან დამოუკიდებლობაც კი გამოაცხადეს. ამ "ისტორიული აქტისათვის" მზადება დიდი ხნის წინათ იყო დაწყებული (ყოველ ათ წელიწადში ერთხელ განუმეორებელი აქციები, ყბადაღებული "აფხაზური წერილი", ლიხნის შეკრების რეზოლუცია, გაზეთების _ "აფსნი ყაფშის", "ბზიფის", "აიდგილარასა" და "ედენენიეს" პუბლიკაციები, აფხაზური ტელევიზიის გადაცემები და ა.შ.). ინტენსიურად მიმდინარეობს ანტიქართული

განწყობილების გაღვივება უბრალო მშრომელებში, რისთვისაც არ ერიდებიან ისტორიული ფაქტების უსირცხვილოდ გაყალბებას. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია აფხაზური გაზეთის "აფსნი ყაფშის" 26 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია "გარდაქმნის გზა იოლი არ არის", რომელიც ფაქტობრივად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 25 აგვისტოს გადაწყვეტილებისთვის საზოგადოებრივი აზრის მომზადების ცდას წარმოადგენს.

იქნებ არც ღირდა ამ სტატიაში დასმულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ქართველმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რას და როგორი კეთილსინდისიერებით წერენ აფხაზურ პრესაში. ამიტომ გთავაზობთ დასახელებული სტატიის ნაწყვეტის თარგმანს ჩვენი კომენტარითურთ.

კომენტარი: აქ თითქმის ყოველი წინადადება სრული სიცრუე ან ნახევარსიმართლეა. მივყვეთ თანმიმდევრობით:

1. პირველივე წინადადება ისეა აგებული, რომ სიტყვები "საქართველო" და "იქ" მკითხველს არწმუნებს _ საქართველო არ გულისხმობს აფხაზეთს. გაზეთის რედაქციამ "დიდი პატრიოტული" საქმე გააკეთა, აფხაზეთი გამოყო საქართველოსაგან.

2. 1918 წლის 7 აპრილიდან 17 მაისამდე აფხაზეთში ბოლშევიკთა[26] სამხედრო ჩარევით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. იმ წლის 11 თებერვალს ბათუმში, 20-23 თებერვალს კი ქუთაისში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკთა კონფერენცია, სადაც გადაწყდა შეიარაღებული აჯანყების დაწყება. თებერვლის შუა რიცხვებში სოხუმში სცადეს აჯანყება, რასაც ხელი შეუწყო ქალაქში ტრაპიზონიდან მომავალი რუსული სამხედრო გემების შემოსვლამ. აფხაზეთში შექმნილი სამხედრო _ რევოლუციური კომიტეტი ე.ეშბას მეთაურობით აცხადებდა, რომ ვინც წინააღმდეგობას გასწევდა, "...будет предан военно-революционному суду". თებერვლის აქცია ბოლშევიკებს ჩაეშალათ, მაგრამ აპრილში იერიშით აიღეს სოხუმი და საბჭოთა ხელისუფლება "მშვიდობიანად" დაამყარეს. ადგილობრივ ბოლშევიკებს ამ საქმეში ეხმარებოდნენ რუსული წითელი არმიის ნაწილები (სოჩიდან ჩამოვიდა წითელგვარდიელთა რაზმი ნ.პოიარკოს მეთაურობით, ტუაფსიდან _ ი.რუდის მეთაურობით), რაც პირდაპირი ანექსიის კიდევ ერთი მაგალითი იყო (იხ. "История Абхазской АССР", სოხუმი, 1981, გვ. 30 და ა.შ.).

3. 1918 წლის 7 აპრილიდან 17 მაისამდე პერიოდში "მენშევიკური საქართველო" არ არსებობდა. ამ დროს ამიერკავკასიას ჯერ კიდევ სეიმი განაგებდა, მხოლოდ 9 დღის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ასევე არ ყოფილა მენშევიკური (მთავრობაში მენშევიკებთან ერთად სხვა პარტიათა წარმომადგენლებიც შედიოდნენ). სხვათა შორის, ოფიციალური ცნობა დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის შექმნის შესახებ სოხუმში ივნისის დასაწყისშიღა გამოქვეყნდა. ასე რომ, 17 მაისს ბოლშევიკთა უკანონო ხელისუფლება ამიერკავკასიის სეიმმა დაამხო. "აფსნი ყაფშის" რედაქციას მისამართი შეეშალა.

4. "უცოდველი" ბოლშევიკების "უდანაშაულობა" ჩანს შემდეგი ფაქტებიდანაც: როცა ძალიან გაუჭირდათ და მიხვდნენ, სხვა სახელმწიფოს სამხედრო ჩარევით დამყარებული "ხელისუფლება" მალე დაემხობოდა, ე.ეშბა 11 მაისს ლენინსა და ორჯონიკიძეს სამხედრო დახმარებას სთხოვდა. კერძოდ, იგი იხვეწებოდა, მიეცათ განკარგულება ნოვოროსიისკში მყოფი შავი ზღვის ფლოტის სარდლის საბლინისათვის,

[26] სხვათა შორის, ამ ბოლშევიკების უდიდესი ნაწილი ქართველები იყვნენ, ასევე აფხაზეთში მოღვაწე მენშევიკთა შორის, რომლებიც ბოლშევიკებს იარაღით ხელში ებრძოდნენ და იცავდნენ ქართულ სახელმწიფოს, დიდი ნაწილი აფსუა გახლდათ. ამდენად, ეს არ იყო ეთნიკური დაპირისპირება, როგორც ამის წარმოჩენა სურთ სეპარატისტებს. იგი ისეთივე პროცესი გახლდათ, როგორიც იყო თბილისში, ქუთაისში და ა.შ. ამის შესახებ ვრცლად იხილეთ ჯ.გამახარია, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1991წ (ს.საჯ).

სამხედრო გემები გაეგზავნა სოხუმში. 16 მაისს საბლინისათვის გასაგზავნი დეპეშის პროექტში ლენინი წერდა:

«...Предписываем Вам немедленно вооружить ряд наших торговых судов... двинуть на юг для защиты Сухума».

5. ამიერკავკასიის სეიმის ჯარების გამარჯვების შემდეგ აფხაზეთში დაიწყო კომუნის ორგანიზატორთა დევნა, რაც შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა განაგრძო, მაგრამ ამაში უცნაური არაფერია. არც ერთ სახელმწიფოში თავზე ხელს არ უსვამენ სხვა სახელმწიფოს აგენტებისა და აგრესიის ხელის შემწყობთ. ბოლშევიკები კი წითელი რუსეთის აგრესიის ორგანიზატორები იყვნენ. თუ ანექსიაზეა ლაპარაკი, წითელი არმიის სოჩისა და ტუაფსის ნაწილები იყვნენ ანექსიის მომწყობნი და რევოლუციის ექსპორტიორები სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო სეიმისა და შემდგომში საქართველოს რესპუბლიკის ჯარები იცავდნენ საკუთარი სახელმწიფოს წყობასა და ტერიტორიას.

6. უბრალოდ არასერიოზული და სასაცილოა "აფსნი ყაფშის" რედაქციის მტკიცება, თითქოს აფხაზეთი არასოდეს ყოფილიყოს საქართველოს ნაწილი. ამ საკითხზე მათ შეეძლოთ წაეკითხათ თვით აფხაზ ისტორიკოსთა ნაშრომები, სადაც მრავალგზის არის ნათქვამი, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი იყო და არის. ავტორთა და ნაშრომების დასახელებაც კი უხერხულია ამგვარი უვიცობის ფონზე. ასევე ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული სტატიის ავტორთა "წყალგაუვალი" არგუმენტი რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით. ჯერ ერთი, საქართველო რუსეთს არ შეერთებია, იგი მოტყუებითა და იარაღის ძალით დაიპყრეს. მეორე, თუ ავტორთა ლოგიკას მივყვებით, მაშინ საქართველო მხოლოდ ქართლ-კახეთი ყოფილა, რაკი იგი ყველაზე ადრე, 1801 წელს დაიპყრო რუსეთმა, სხვა მხარეები კი მოგვიანებით. მაგალითად, საქართველო აღარ ყოფილა სამეგრელო, რაკი იგი 1801 წელს კი არა, 1803 წელს დაიპყრო ცარიზმმა, საქართველო არ ყოფილა არც იმერეთი და გურია, რაკი ისინი რუსეთმა აფხაზეთთან ერთად 1810 წელს შეიერთა, აღარაფერს ვამბობთ სვანეთზე (სამთავრო გაუქმდა 1858 წელს), აჭარაზე, ტაო-კლარჯეთსა ლაზეთსა და სამცხე-ჯავახეთზე (რუსეთმა 1978 წელს რომ შემოიერთა ნაწილობრივ).

7. აფხაზეთის ხელახალი ანექსია მთელ საქართველოსთან ერთად 1921 წელს მოხდა. რუსეთის IX არმიამ აფხაზეთი ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.[27] არავითარი სახალხო აჯანყება იქ არ მომხდარა. ხალხს ხეირიანად არ ესმოდა, რა იყო საბჭოთა ხელისუფლება და რუსი ბოლშევიკები გზადაგზა ბრძოლებს შორის "ანათლებდნენ" მოსახლეობას. მაგალითად, გუდაუთის აღების შემდეგ IX არმიის 274-ე პოლკის უფროსმა ტ.სემიონოვმა მოხსენება წაუკითხა გუდაუთის მცხოვრებთ თემაზე «Что такое Советская власть». აფხაზეთზე წითელი არმიის იერიშის წინ სტალინმა ცეკას დავალებით დეპეშა გამოუგზავნა ორჯონიკიძეს, რომელშიც არის პირდაპირი მითითება იმაზე, რომ საჭიროა აფხაზთა "აჯანყების" იმიტირება, რათა წითელ არმიას საშუალება მისცემოდა საქმეში ჩარევის (გავიხსენოთ ასეთივე "აჯანყების" პროვოცირება ლორეს ოლქში იმავე ხანში): `Не забудьте абхазцев, которые тоже восстали и вблизи которых стоит IX армия~. ასე "კანონიერად" დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება აფხაზეთში, 1921 წლის 4 მარტს მთელი საქართველოს გასაბჭოების დროს.

[27] როგორც არაერთგზის აღვნიშნე, ქ.სოხუმში 1921 წლის 4 მარტსა და მომდევნო დღეებში არ ცხრებოდა აფხაზეთის მოსახლეობის სახალხო მღელვარება საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობის გამო. ამ მღელვარებაში სავსებით ბუნებრივად მონაწილეობდა აფსუა მოსახლეობა (ს.საჯ.).

8. აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკა არასოდეს ყოფილა, ვინაიდან საბჭოთა კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა, როცა უკვე შექმნილი იყო ამიერკავკასიის ფედერაცია. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისას აფხაზეთს უბრალოდ "საბჭოთა აფხაზეთი" ეწოდებოდა. 1921 წლის 16 თებერვალს ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე "ოფიციალურად" გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. იმავე წლის 26 მარტს აფხაზეთის რევკომი ე.ეშბას, ნ.ლაკობას, პ.აღნიაშვილისა და სტალინის სახელზე: «Будет ли Советская Абхазия самостоятельной республикой или административной единицей и какова должна быть общая политика в Абхазии».

29 მარტს ბათუმში ჩატარებულ ჩატარებულ თათბირზე ორჯონიკიძის მითითებით გადაწყდა, რომ გამოცხადდებოდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 31 მარტს ასეც მოიქცნენ, რის შესახებაც მაშინვე ახარეს დეპეშით ლენინს. უკვე ივლისიდან იწყება განხილვა საკითხისა აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ. იმავე 1921 წლის 16 დეკემბერს ხანგრძლივი განხილვების შემდეგ აფხაზეთის სსრ გამოცხადდა "ხელშეკრულებით რესპუბლიკად", რაც გულისხმობდა იმას, რომ აფხაზეთის სსრ უფლებები შეზღუდული იყო და იგი ამიერკავკასიის ფედერაციაში შედიოდა საქართველოს სსრ მეშვეობით. ამრიგად, მოკავშირე რესპუბლიკა რომ ყოფილიყო აფხაზეთი, მას უნდა ჰქონოდა თავისი კომპარტია, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, თავისი წითელი არმია, საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვ. არც ერთი ამ ერთეულთაგანი აფხაზეთს არ ჰქონდა არც 21 წლის მარტიდან იმავე წლის 16 დეკემბრამდე და არც 16 დეკემბრის შემდეგ. ე.ი. ვიმეორებთ, აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკა არასოდეს ყოფილა, არც სათანადო ატრიბუტები ჰქონია. აფხაზეთის სსრ იმთავითვე ითვლებოდა დროებით ერთეულად. მაგალითად, 1921 წლის აგვისტოში ამიერკავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ «...в дальнейшем абхазцы сами убедятся в необходимости тесного обьединения с советской соседской Грузией». აფხაზეთის სსრ, როგორც დროებითი ერთეული, გაუქმდა და 1931 წელს გამოცხადდა აფხაზეთის ასსრ.

აი, ასეთია ნამდვილი ისტორია გაზეთ "აფსნი ყაფშის" მიერ დასმულ საკითხთა შესახებ. დასანანია, რომ გაზეთის სარედაქციო კოლეგია ასე ურცხვად და აშკარად აყრის თვალში ნაცარს აფხაზ ხალხს, რითაც ხელს უწყობს ანტიქართული განწყობილების გაღვივებას ისტორიის არმცოდნეთა შორის.

თეიმურაზ გვანცელაძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 6 სექტემბერი).

1990წ. 29 ივნისს გაიმართა სკკპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ 28-ე ყრილობაზე განსახილველი საკითხები.

1990წ. 29 ივნისს გაიმართა საქართველოს პროფკავშირების ყრილობა, რომელმაც დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ისეთივე რეგლამენტი მოითხოვა, როგორიც "მოიპოვა" უფრო ადრე გამართულმა საქართველოს კპ ყრილობამ: "დელეგატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს პროფსაბჭოს ძველებური სახით ლიკვიდაციას. შემდეგ გამოცხადდა შესვენება, რომლის დროს ყრილობის დელეგატთა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლის შესასვლელთან გამართულ მიტინგში. მიტინგზე თითოეულმა ორატორმა, რომელთა შორის იყვნენ ზ.გამსახურდია და პ.ჩხეიძე, გამოთქვა თავისი აზრი, გამოსვლები მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ზოგიერთი გამოსვლის ლაიტმოტივი იყო მოთხოვნა, არ შემდგარიყო საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების პირველი ყრილობა, რომელიც დასახული იყო ამავე დღისათვის, რადგან იგი არ არის უფლებამოსილი და უნდა მოიწვიონ მხოლოდ ახალი დელეგატების არჩევის შემდეგ.

მიუხედავად ამისა, შესვენების შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება მოეწყოთ საქართველოს დამოუკიდებელ პროფკავშირთა პირველი ყრილობა. მას შემდეგ, რაც ახალი ყრილობა გახსნილად გამოაცხადეს, დელეგატებმა დაამტკიცეს მისი დღის წესრიგი და მუშაობის წესი. დამფუძნებელთა საბჭოს წარდგენით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაცია, როგორც დემოკრატიულ და პარიტეტულ საფუძველზე აგებული, საკანონმდებლო ინიციატივის მქონე ერთიანი, მძლავრი და დამოუკიდებელი ორგანო" (გაზ. "კომუნისტი", 1 ივლისი, 1990წ.).

ყრილობის დროს გამართული მიტინგის მომწყობნი იყვნენ თავისუფალ პროფმოძრაობაში ჩაბმული ორგანიზაციებისა და ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებმაც **21 ივნისს** შექმნეს საქართველოს თავისუფალ პროფესიულ კავშირთა გაერთიანების _ **"სამართლიანობა-სოლიდარობის"** _ დამფუძნებელი ყრილობის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტი. ამ კომიტეტის წევრებმა _ **ემზარ ბუაშვილმა, გიორგი სიხარულიძემ, პაატა ქურციკიძემ** და **ვლადიმერ წიბაშვილმა** გაზეთ "**თბილისის**" **28 ივნისის** ნომერში გამოაქვეყნეს განცხადება: **"საქართველოში ეროვნული სულისათვის უცხო პოლიტიკური, იდეოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების ძალდატანებით გაბატონებას მოჰყვა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს ჭეშმარიტი არსის გაყალბება, რასაც, ბუნებრივია, ვერც საქართველოს პროფკავშირები ასცდა. ამიტომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს ალტერნატიული პროფკავშირები, რომლის უმთავრესი შინაარსი უწინარესად არის თავისუფალ პროფესიულ კავშირთა აგება სწორედ პროფესიული და არა დარგობრივი ნიშნით, როგორც ეს ამჟამადაა. ეს, უდავოდ, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობისა და სოლიდარობის პრინციპების დამკვიდრებას, მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვას".**

1990წ. 2 ივლისს მუშაობა დაიწყო სკკპ 28-ე ყრილობამ, იგი გაგრძელდა **13 ივლისამდე.** მან განიხილა საკითხები **"სკკპ ცკ-ის პოლიტიკური ანგარიში სკკპ 28-ე ყრილობისადმი და პარტიის ამოცანები" (მ.გორბაჩოვი).** ასევე _ სკკპ 28-ე ყრილობის საპროგრამო განცხადება **"ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ"**, სკკპ ახალი წესდება და სხვა საკითხები. ყრილობამ იმუშავა ე.წ. გარდაქმნის პროპაგანდისტული სულისკვეთებით და გაკოტრებული იდეოლოგიის რეანიმაციის მცდელობით.

ე.წ. გარდაქმნა, როგორც სკკპ 28-ე ყრილობის სულისკვეთებამაც ცხადყო, კვლავაც ჩექმებით ცდილობდა სსრკ იმპერიის შენარჩუნებას და მაინც ჯიუტად სწორედ ეს ე.წ. გარდაქმნა ეიმედებოდა საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს **გ.გუმბარიძეს**: **"...გარდაქმნის შედეგად საზოგადოებამ უკვე მიიღო კონსტიტუციური უფლება და რეალური შესაძლებლობა თვითონვე გადაწყვიტოს, როგორი პოლიტიკური არჩევანი გააკეთოს. ჩვენ გავაადამიანურეთ პოლიტიკა, ავაღორძინეთ საზოგადოებრივი პიროვნება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეროვნულ, სოციალურ, ზნეობრივ მოთხოვნათა უფართოესი გამით, რომლებიც შეუძლებელია ხელახლა მოვიქციოთ ყაზარმული სოციალიზმის სარეცელში" (გაზ. "კომუნისტი", 5 ივლისი, 1990წ.).**

1990წ. 5 ივლისს გაზეთ "**თბილისში**" კრემლის პროვოკაციული "გარდაქმნის შესაბამისი ეროვნული ურთიერთობის მოგვარების მიზნით" გამოქვეყნდა წერილი-დაკვეთა, რომელიც წარმოადგენდა მორიგ თავდასხმას ეროვნულ მოძრაობაზე. იგი მხილებული იქნა დროულად:

ღია წერილი სერგეი კოვალიოვს

როგორც ლევ ელინის ერთ-ერთი ბოლო პუბლიკაციიდან შევიტყვეთ (ჟურნალი "ნოვოე ვრემია" №25, 1990წ. სტატია "პოლიტიკოსები", "კანონის მცველნი" და ..."შეშლილობა") ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის მორიგ ყოველწლიურ

შეხვედრაზე თქვენ დაადანაშაულეთ საქართველოს ჰელსინკის კავშირი, აღნიშნეთ, ვითომ იგი უარს ამბობს ეროვნული უმცირესობის "მესხეთის" თურქების უფლებათა დაცვაზე. გაცნობებთ, რომ "მესხეთის" თურქების საკითხი ბოლშევიკური წრეების და ქემალისტური თურქეთის მორიგების შედეგად წარმოშობილ პრობლემათა მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. საქართველოსათვის განსაკუთრებით მძიმე იყო 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმება, როდესაც ხელმოწერილ იქნა "მეგობრობის და ძმობის ხელშეკრულება" რსფსრ-სა და თურქეთს შორის და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულება, რის შედეგადაც ამიერკავკასიაზე გავრცელდა მოსკოვის შეთანხმების დადგენილებები. ყოველივე ამის შედეგად რსფსრ-მ და თურქეთმა საქართველოს მოსახლეობის დაუკითხავად გაინაწილეს 1921 წლის 25 თებერვლამდე დამოუკიდებელი ქვეყანა. რუსეთსა და თურქეთს შორის საქართველოს განაწილების შედეგად თურქეთში აღმოჩნდა შემდეგი ტერიტორიები:

ართვინის ოლქი (ფართობი 3,339 კვ. კმ. მოსახლეობა 71000 ადამიანი).

ფოცხოვის თემი (ფართობი 588 კვ. კმ. მოსახლეობა 15000 ადამიანი).

არტაანის ოლქი (ფართობი 5644,74 კვ. კმ. მოსახლეობა 85869 ადამიანი).

ოლთისის ოლქი (ფართობი 3,951 კვ. კმ. 32000 ადამიანი)

ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი (მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი, ფართობი 936,15 კვ. კმ. მოსახლეობა 16,380 ადამიანი).

ამას გარდა, საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის დეკლარაციით აზერბაიჯანის სსრ-ს გადაეცა:

ზაქათალის ოლქი (დღევანდელი აზსსრ კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები, ფართობი 3993,89 კვ. კმ. მოსახლეობა 92608 ადამიანი).

ხოლო საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ რევკომების მორიგებითა და ამიერკავკასიის ცაკის დადგენილებით. აზერბაიჯანის სსრ-ს გადეცა გარეჯის ნაწილი, ქვემო ყარაიაზი და ელდარი. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ამ დანაშაულებრივი აქციის შედეგად თავისი საკუთარი სამშობლოს ამ ნაწილში მცხოვრები ქართველები (რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის), განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანი ეროვნული ნიშნით დისკრიმინირებული აღმოჩნდნენ როგორც თურქეთში, ისე აზერბაიჯანის ასსრ-ში. სამართლიანობა მოითხოვს ადამიანისა და ერის უფლებათა აღდგენას მთლიანობაში და არა მხოლოდ მათი იმ ნაწილის განხორციელებას, რომელიც დააკანონებს საქართველოს და ქართველთა მიმართ 1921 წელს განხორციელებულ დღესაც შეუწყვეტელ ძალადობას.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვაყენებთ ტერიტორიულ პრეტენზიებს,[28] მაგრამ ვთვლით, რომ როგორც ქართველთა, ისე არაქართველთა გათელილი უფლებების აღდგენისაკენ მიმავალი გზა გადის საქართველოს ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე და მეზობელ ქვეყნებში ადამიანის და ერის უფლებების განხორციელებაზე, ხოლო რაც შეეხება იმ თურქებს, რომლებიც მოისურვებენ საქართველოს მოქალაქის სტატუსის მიღებას, მათი საქმეები პერსონალურად უნდა იყოს განხილული დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულად, ჭეშმარიტი პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში არჩეული პარლამენტისა და მთავრობის მიერ. მხოლოდ ასეთ პარლამენტს და მთავრობას აქვს ქართველი ერისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის უფლება და არა იმპერიის ხელისუფლებას და მით უმეტეს იმ ცალკეულ პირებს, ვინც ითხოვს

[28]ქართველი ერის მიერ საკუთარი სისხლით მორწყული მამულის გათავისუფლება "ტერიტორიული პრეტენზიის" წაყენება კი არა, საუფლო მოვალეობაა.

დეპორტირებული მოსახლეობის მრავალრიცხოვანი შთამომავლობისათვის საქართველოსა და სომხეთის იმ მიწების გადაცემას, რომელიც მათ არ ეკავათ დეპორტაციამდე (იხ. ჟურნალი "Советская Этнография", №1, 1990წ.). ამას გარდა, თუ არ ვილაპარაკებთ საქართველოს მცირემიწიანობაზე, დგება კიდევ ერთი საკითხი: შესაძლო სომხურ-თურქული წინააღმდეგობა, რომელიც სამწუხარო რეალობად იქცევა სამხრეთ საქართველოში. თურქული მასივის შესახლების შედეგად, სამხრეთ საქართველო იქცევა უკანონო ქმედებების, ფერღანის მოვლენების მსგავსი ერთაშორისი შეჯახებების ასპარეზად. ასეთი მომავალი, ბუნებრივია, ვერ გაამხნევებს ვერცერთ კეთილგონიერ ადამიანს. რაც შეეხება თურქების ისტორიულ სამშობლოს, ჩვენ ვეთანხმებით მკვლევართა უმრავლესობას, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ის არის ალტაი, აღმოსავლეთ ციმბირი, ბაიკალისპირეთი, მონღოლეთი (იხ. თუნდაც, ა.ხ.ხალიკოვი "თათარი ხალხი და მისი წინაპრები", ყაზანი, 1989წ. გვ. 52) და თურქეთი. ჩვენ მხარს ვუჭერთ "მესხეთის" თურქების იმ ნაწილის აზრს, რომელიც ითხოვს თავის ნამდვილ ისტორიულ სამშობლოში _ თურქეთში დაბრუნებას. გამოვხატავთ რა ღრმა პატივისცემას თქვენს, როგორც გამოჩენილი სამართალდამცველის მიმართ, ჩვენს ვალად ვრაცხთ, განვაცხადოთ, რომ თქვენი, უდავოდ, კეთილშობილი პოზიცია არ ეფუძნება რა უახლესი დროის საქართველოს ისტორიის ყველა რეალობის ცოდნას, აკანონებს მე-20 საუკუნის 20-ანი წლების თვითნებობასა და დანაშაულს, რისი შედეგებიც მტკივნეულად ისახება თურქეთსა და აზერბაიჯანის სსრ-ში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე.

ჰელსინკის კავშირის სახელით: ზვიად გამსახურდია, გიორგი მარჯანიშვილი, თემურ ქორიძე, გიორგი ხოშტარია.

მინაწერი: ამავე პრობლემას უკავშირდება 1990 წლის 5 ივლისის გაზეთ "თბილისში" გამოქვეყნებული ქართველ მოღვაწეთა მოთხოვნა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა უფლებების დამცველი ლიგის რეგისტრაციის შესახებ. მრავალ კითხვასთან ერთად გამოვყოფთ უმთავრესს: განმაცხადებლებს კარგად მოეხსენებათ, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველი მაჰმადიანების გარდა ცხოვრობენ ქართველი მართლმადიდებელნი, ქართველი კათოლიკენი და ბოლოს ქართველი ათეისტები. ვის დასჭირდა საქართველოს ტრადიციული მტრების მსგავსად ქართველთა კიდევ ერთი დაყოფა რელიგიური ნიშნით? ასეთი ორგანიზაციის შექმნა ხომ ამყარებს ეროვნული სხეულის მთლიანობის რღვევის უკვე შესუსტებულ ტენდენციებს. ვიდრე თბილისში არ აღმოცენებულა ცალ-ცალკე სხვადასხვა კონფესიის და სარწმუნოების ქართველთა უფლებების დამცველი "ლიგები" და "ასოციაციები", ვიდრე ეს "ორგანიზაცია" არ ქცეულა ახალ საცდურად ქართველი საზოგადოებისთვის, სჯობს, დავფიქრდეთ და გავჩერდეთ (14 ივლისი, გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 1990წ.).

სკკპ 28-ე ყრილობაზე სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრმა, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრმა ე.შევარდნაძემ ამაყად განაცხადა: "...სწორედ როგორც კომუნისტმა, რომელიც მკაფიოდ გრძნობდა, თუ რაოდენ დამღუპველი იყო აპრილამდელი გზა (იგულისხმება სკკპ ცკ-ის 1985 წლის აპრილის პლენუმი, როდესაც მ.ს.გორბაჩოვი უკვე სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის პოსტზე შეუდგა იმპერიის აღორძინებას), მესმოდა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება, მივიღე კიდეც გარდაქმნა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნა. ამ რანგში, არ ვიჩემებ რა საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისა და კონცეფციის მოდელის შექმნის საავტორო უფლებებს, _ კარგად მოგეხსენებათ, თუ ვის ეკუთვნის ეს უფლებები, ახალი პოლიტიკური აზროვნების კონცეფცია, _ ვიყავი, ვარ და ვიქნები მათი აქტიური მქადაგებელი და გამტარებელი" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 10 ივლისი, 1990წ.).

ასევე 28-ე ყრილობაზე **ე.შევარდნაძემ** პასუხი გასცა მის მიმართ დასმულ შეკითხვას: "...**კომუნისტმა ვასილ კირილის ძე მოლოჩკომ გამომიგზავნა ბარათი, რომელშიც მეკითხება, როგორ ვაფასებ ახლა ჩემს გამოსვლებს წარსულში პარტიის ყრილობებზე და ჩემს წვლილს "ბრეჟნევშჩინის" შექმნაში? რა იყო ეს მლიქვნელობა, კარიერიზმი თუ რაღაც სხვა რამ?" "...მე გამოვედი სკკპ XXV ყრილობაზეც, და ვთქვი საქებარი სიტყვები მაშინდელი გენერალური მდივნის მისამართით... ეს იყო პერიოდი, _ საქართველოს დელეგაციას შეუძლია ეს დაადასტუროს, როცა ჩვენ ვიწყებდით ბრძოლას, უმძიმეს ბრძოლას... მე არ ვიცოდი, რა ხდებოდა ზედა ეშელონებში, მოსკოვში, და არც ერთმა ჩვენთაგანმა, ვინც ახლა პოლიტბიუროში ზის, არ იცოდა რა მდგომარეობაში იყო მაშინ ქვეყანა. მე ვიცოდი ერთი რამ, რომ მაშინდელი გენერალური მდივანი ხელს არ მიშლიდა, ხშირად კი მხარსაც მიჭერდა"** (გაზ. "**საბჭოთა აფხაზეთი**", 11 ივლისი, 1990წ.).

ბრძოლა, რომელიც მაშინ კრემლის დავალებით გააფთრებით დაიწყო **ე.შევარდნაძემ,** მიმართული იყო საქართველოში დემოგრაფიული ექსპანსიის, ეროვნული ცნობიერების აღგვისა და საქართველოს რუსიფიკაციისკენ.

სკკპ 28-ე ყრილობის სექციის "სკკპ ეროვნული პოლიტიკა" სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ.ხიშბა**, მან ამჯერადაც ანტიქართული პოზიცია დაიკავა: "**ეროვნული შელახულობის გრძნობა _ ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი ხალხთა შორის უნდობლობის წარმოშობის და განმტკიცებისა, რაც ხშირად არღვევს ჩამოყალიბებულ ეროვნებათშორის ურთიერთობებს. ეს უფრო ნათლად ვლინდება მაშინ, როცა საქმე ეხება მცირერიცხოვანი ხალხების ნორმალური სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხებს, რაც საკმაოდ დამუხრუჭებული იყო პიროვნების კულტის წლებში და უძრაობის პერიოდში. აი, რატომ შეხვდა ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა ასეთი მოწონებით, იმედით სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობას, სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიების მიერ მიღებულ კანონების პაკეტს, რომელიც არსებითად აფართოებს იმ საკითხების გადაწყვეტის უფლებას, რომლებიც არსებითად დაკავშირებულია ავტონომიების მნიშვნელოვან, სასიცოცხლო პრობლემასთან"** (გაზ. "**საბჭოთა აფხაზეთი**", 10 ივლისი, 1990წ.).

სწორედ აფხაზეთის ეთნოკრატიის ვ.ხიშბასეულ თვალსაზრისს ახმოვანებდნენ აგრესიული სეპარატიზმის მესვეურები, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველებს მომავალში, შესაბამისად დეკლარაციისა ადამიანთა უფლებათა დაცვის შესახებ, როგორც "მოსულ ხალხს" კულტურული თვითგამოსახვის საშუალებას ჰპირდებოდნენ.

ეს მუშა სტრერეოტიპი ნაწილობრივ შეიცვალა 1991 წელს, როცა აფხაზეთში საარჩევნო კანონზე მუშაობისას მხარეებმა ზეპირ და მუშა ურთიერთობაში ქართველები მკვიდრ ხალხად აღიარეს.

ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრ მოსახლეობაში **ვ.ხიშბამ** იგულისხმა ეთნოდივერსიული და ოქტომბრისენოვანი ე.წ. "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი" და არა მისი დასაბამისმიერი მოსახლეობა აფხაზობა (ქართველობა) ან მისი თანამოსხეულე, ძუძუმტე აფსუა ხალხი.

სკკპ 28-ე ყრილობამ, მართალია, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცკ-ის პირველი მდივნები პოლიტბიუროში შეიყვანა, მაგრამ სულ ეს იყო და ეს _ ამით ამოიწურა "დამოუკიდებლობაც" და "სუვერენიტეტიც", თანაც ეს ე.წ. პოლიტბიურო უკვე დასაჭურისებული ვითომ პოლიტიკური ორგანო გახლდათ, რომელსაც არავინ არც რამეს ეკითხებოდა. სამაგიეროდ ხსენებული რეზოლუცია გარკვევით ამბობდა: "**ყრილობა უარყოფს ცდებს დანერგონ და გაავრცელონ საზოგადოებაში ანტიკომუნიზმი და ანტისაბჭოურობა, ექსტრემიზმი, სოციალიზმის დეფორმაციებისა და პარტიის**

შეცდომების კრიტიკის ნიღბით, გამოხატავს მტკიცე განზრახვას ყველა კანონიერი საშუალებებით წინ აღუდგეს პარტიის ეკონომიკური და პოლიტიკური შევიწროების ცდებს" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 13 ივლისი, 1990წ.).

ყრილობაზე იყო ასეთი შემთხვავაც _ **4 ივლისს** სხდომის თავმჯდომარემ **ი.ქარიმოვმა** _ უზბეკეთის კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა მიიღო ერთერთი დელეგატის ბარათი: **"Уважаемый товарищ Каримов! Разбудите, пожалуйста, постоянно спящего члена президиума - крайнего справа во втором ряду!" (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 20 ივლისი, 1990წ.).**

1990წ. 4-5-6 ივლისს ორგანიზაცია "დემოკრატია და დამოუკიდებლობის" მიერ მოწვეული იქნა საერთაშორისო კონფერენცია. საქართველოში ცრუოროვნული მოძრაობის გამყიდველური საქმიანობიდან გამომდინარე, კონფერენციაზე მყოფმა "ქართულმა" ჯგუფმა **(გ.ჭანტურიას** თაოსნობით) საკუთარი ანგარებისა და გარიგების შესაბამისად მონაწილეობა მიიღო №24-ე რეზოლუციის შემუშავებაში, რომელშიც გარეშე არაკეთილსმოსურნეთა მითითებით მრუდე სარკიდან წარმოჩნდა ქართული ეროვნული მოძრაობის მიზნები და დაიგმო "მისი დიქტატის პოლიტიკა":

პრაღა სიმართლისა და ღირსებისათვის

4-5-6 ივლისს ორგანიზაცია "დემოკრატია და დამოუკიდებლობის" მიერ პრაღაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია "მშვიდობიანი გზა დემოკრატიისაკენ". კონფერენციაზე ჩავიდნენ დასავლეთში მცხოვრები ემიგრანტები სსრ კავშირიდან, საბჭოთა კავშირში ახლადგაჩენილი პოლიტიკური ძალების, კერძოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მოძრაობების წარმომადგენლები, ბალტიისპირეთის, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავის ებრაული მოძრაობის, ყირიმელი თათრების წარგზავნილები. სხდომებზე თავმჯდომარეობდნენ <u>პარიულ აირიკიანი</u> _ ასოციაციის "დემოკრატია და დამოუკიდებლობა" პრეზიდენტი, <u>გარი კასპაროვი</u> _ რუსეთის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში, და <u>ვლადიმირ ბუკოვსკი</u> _ დემოკრატიულ მოძრაობათა მხარდამჭერი ეროვნული კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი. კონფერენცია სამ დღეს გრძელდებოდა. მისი მთავარი დოკუმენტია "პრაღის მოწოდება".

სამწუხაროდ, ისევ და ისევ უნდა ვიბღავლო, ამ კონფერენციაზე საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე გავრცელდა ცილისმწამებლური შეხედულება და მორალური თავდასხმა მოეწყო საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა "მრგვალ მაგიდაზე", _ თუ რატომ, ამაზე პასუხი ამ კონფერენციის მესვეურთა წარმომავლობაშია.

1990წ. 10 ივლისს სსრკ საგარეო სამინისტროს პრესცენტრში პრესკონფერენცია გამართეს სკკპ 28-ე ყრილობაზე საქართველოს კპ-ის დელეგატებმა, ასეთი გახლდათ ერთერთი შეკითხვა და პასუხი მასზე: **"_ როგორ ფიქრობთ, ვის აირჩევს ყრილობა გენერალურ მდივნად?... _ ჩვენ გორბაჩოვს ვუჭერთ მხარს".** და ეს არ გამოდგა კონიუნქტურული განცხადება, საქართველოს კომპარტია და მისი წითელი ინტელიგენცია ბოლომდე (დღემდე) კრემლიდანური "გარდაქმნის" ერთგული დარჩა.

1990წ. 27 ივლისს ესტონური ლიტერატურის მთარგმნელმა **ამირან კილაძემ** პასუხი გასცა პრაღის კონფერენციის №24-ე რეზოლუციას, რომელიც, როგორც მოვასწარი, მეთქვა, წარმოადგენს ცილისწამებას ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე (გაზეთი, "სახალხო განათლება" **აგვისტო, 1990წ.**).

Kivi Kotti ანუ ღია წერილი ბ-ნ **არვო ვალტონს**

დიდად პატივცემულო ბატონო არვო! რომ იცოდეთ, როგორ მწყდება გული, რომ, გასაგები მიზეზების გამო, ამ წერილს ასე ცივი, ოფიციალური ტონით ვიწყებ და არა იმ სითბოთი, რომელიც მე და თქვენ ერთ დროს გვაკავშირებდა. ჩვენი დაახლოება კი,

როგორც გახსოვთ, ამ ოციოდე წლის წინ მოხდა... ეს იყო იმ ბედნიერ დროს, როცა მე ჩემი სიჭაბუკის ქალაქ ტალინში ვცხოვრობდი და თქვენს მშვენიერ ენას ვსწავლობდი. ძალზედ მეამაყება, რომ თქვენი დიდებული მოთხრობები ქართულ ენაზე პირველად მე ვთარგმნე და როგორც თქვენამდე მოღწეული ხმებითაც იცით, მაშინვე გაგიგოთ და შეგიყვარათ ქართველმა მკითხველმა. თქვენმა მრავალრიცხოვანმა წიგნებმა სიმართლისათვის უშიშრად მებრძოლი მწერლის სახელი მოგიტანათ მთელ მსოფლიოში. საერთოდ თქვენ, ესტონელი მწერლები სხვებივით მომგებიანად არ დუმდით, მაშინ, როცა ყვირილი იყო საჭირო!.. მახსოვს, ჯერ კიდევ ოცმოდებულ 70-ან წლებში რა შიშითა და სიფრთხილით ხვდებოდნენ თქვენი მოთხრობების ჩემეულ თარგმანებს და მხოლოდ საბჭოთა ცენზურისათვის ცნობილი ხერხებით აზუსტებდნენ, ამ "ანტისაბჭოთა ელემენტმა" (მაშინ "არაფორმალი" არ იხმარებოდა) ა.კალაძემ თვითონ შეთხზა, თუ მართლა იყო ესტონეთში დაბეჭდილი ასეთი "საშიში" მოთხრობები... სხვათა შორის, ზოგჯერ პირიქითაც მაბრალებდნენ ის ქამელიონები, რომლებსაც დღესაც ვერ გაუგებ ჯიქია თუ გველი! ასეთები ხან მოშიმშილეებთან ჩაცუცქდებიან, ხან მუცელამოყორილებთან! მოკლედ, ერთ დროს მე და თქვენ, როგორც იტყვიან, კბილით გაგვქონდა თქვენი "უცნაური" მოთხრობები _ თქვენ ესტონეთში, მე _ საქართველოში! და ყოველივე ამის შემდეგ, აბა წარმოიდგინეთ, რა ძნელი უნდა იყოს ჩემთვის საყვედურის წერილი მივწერო იმ მეგობარს, რომლის გამოც, ჩემდა საბედნიეროდ, ამდენი საბჭოური უსიამოვნება მაქვს გადატანილი. საქმე გახლავთ შემდეგში: ბატონო არვო! ა.წ. ივლისში თქვენ სხვებთან ერთად ხელი მოაწერეთ პრაღის კონფერენციის №24 რეზოლუციას, სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ: «Деятельность алянса, возглавляемого Гамсахурдиа, противоречит международным нормам по правам человека, сформулированным в заключительном акте Хельсинского совещания.

Выступая на локальных митингах, Звиад Гамсахурдиа постоянно поднимает антидемократический лозунг выселения этнических меньшенств, проживающих в Грузии, тем самым натравливая последних на грузинское национально-освободительное движение».

გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით, სხვების მიერ შეთხზული ეს აბზაცი რომ წაიკითხეთ, ნუთუ წამითაც არ გაგიელვათ თავში, ვაითუ ეს ამბავი მართალი არ იყოსო? თქვენ ხომ მანამდე სულ სხვა ინფორმაცია გქონდათ ზვიად გამსახურდიას შესახებ?.. რამ მოგაწერინათ ხელი იმ სიტყვებზე, რომლის მიხედვითაც ზვიად გამსახურდია იმ საქართველოს მტერი გამოდის, რომლის თავისუფლებისთვის ბრძოლასაც მან მთელი სიცოცხლე შეალია (სხვათა შორის დედაბუდიანად!)! მაშ, თქვენ, სხვა ხელისმომწერებთან ერთად, მთელ მსოფლიოს გინდათ უთხრათ, რომ მთელი საბჭოთა უბედურება, მათ შორის კრემლის მიერ მზაკვრულად დაგეგმილი ეთნოკონფლიქტები და ყველაფერი, რაც ჩვენს თავს ხდება, თვითონ ქართველების ბრალია?! და ამის უპირველესი ინსპირატორი ზვიად გამსახურდიაა?! ღმერთო ჩემო, ეს ხომ გაუგონარი მკრეხელობაა! ასე ხომ, ავადსახსენებელი როდიონოვიც ლაყბობს!

არვო, ძმაო! სირცხვილი არაა თქვენი და საბჭოთა ჯალათი გენერლის ლექსიკონი ერთმანეთს ემთხვეოდეს?! როდიონოვი კი უნდა ლანძღავდეს გამსახურდიას, მაგრამ თქვენ რას ერჩით? ბატონი ზვიადი ხომ იმ დევს ებრძვის, რომელსაც თქვენი სამშობლოცა ჰყავს გაგზავნილი კომუნისტური კუჭისაკენ. კი არ გამიბრაზდე, თუ კაცი ხარ, ამდენ ხელისმომწერებში რაღა მაინცდამაინც მე მომადექიო... რა ვქნა, მე და თქვენ ხომ სულ სხვა სიახლოვე და პასუხისმგებლობა გვაკავშირებს ერთმანეთთან. ერთსაც გკითხავთ და მიპასუხეთ, ღვთის გულისათვის: თქვენ უფრო იცნობთ ჩემს ქვეყანას, თუ მე თქვენსას? რა თქმა უნდა, მე უფრო ვიცნობ თქვენს სამშობლოს. ვიცნობ კი არა, სისხლითა და ხორცით ვარ დაკავშირებული მასთან, სხვათა შორის, პირდაპირი

მნიშვნელობით! _ ჩემი შვილების დედის სამშობლო ხომ ესტონეთია. ასე, რომ, ქართული გაგებით, თქვენ მე ცოლისძმად მეკუთვნით. ამიტომაცაა, რომ თქვენებრ შევნატრი იმ დღეს, როცა ჩვენი საბრალო ეესტი რუსეთის იმპერიის უღლისაგან განთავისუფლდება. არამარტო შევნატრი, რაც შემიძლია, ვცდილობ, კიდეც, ღმერთია მოწმე.

მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მე ჩემს თავს უფლებას არ მივცემდი, ხელი მომეწერა ისეთ დოკუმენტზე, რომელშიც გალანძღული იქნებოდა ესტონეთის ეროვნული მოძრაობის ესა თუ ის ლიდერი! მე ხელს არ მოვაწერდი იმ დოკუმენტს, რომელშიც ერთი ესტონელი მეორეს უმუხთლებდა! და ბოლოს, მე ხელს არ მოვაწერდი იმ დოკუმენტს, რომლის ყოველი სიტყვის სისწორეშიც პირადად არ დავრწმუნდებოდი! ახლა კი რა გამოდის? _ თქვენ მოუსმინეთ ერთ მხარეს, მეორეს კი ყურიც არ ათხოვეთ. ის მეორე მხარე კი, ბატონო არვო, მთელი ქართველი ერია (NB!), რომელიც შეძრა ამ, უკაცრავად პასუხია, დოკუმენტმა. სხვათა შორის, თუ საქართველოში ჩამოსვლას ვერ მოახერხებდით, შეგეძლოთ გესარგებლათ მომენტით, და იქვე, პრაღაში შეკითხოდით ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს ბატონ ვაცლავ ჰაველს, რომლის დაუცხრომელი მოწადინებითაც გაანთავისუფლეს ბატონი ზვიად გამსახურდია შინაპატიმრობიდან... მაშ, სახელგანთქმული პრეზიდენტი "ანტიდემოკრატიული ლოზუნგების" მქადაგებლისათვის გარჯილა?! რბილად რომ ვთქვათ, ეს ცოტა უხერხულად ან პარადოქსულად ხომ არ ეჩვენება ისეთ გონიერ კაცს, როგორიც თქვენ ბრძანდებით? ახლა თქვენ რომ ვინმემ ისეთი დოკუმენტი შემოგაჩეჩოთ, სადაც ეწერება, ამირან კალაძე მოსკოვის აგენტია და ესტონურიც იმიტომ ისწავლა, რათა ტალინში ინტერფრონტის რაზმები შეექმნა კოგანთან და იაროვოისთან ერთადო, ნუთუ ყოველგვარი გაკითხვისა და დაფიქრების გარეშე მოაწერდით ხელს? ბატონო არვო! დღეს თქვენ ესტონეთის ეროვნული კონგრესის წევრი ბრძანდებით და თქვენი გამარჯვების საწინდარი პირველ რიგში ისაა, რომ ესტონელები ერთმანეთს არ ებრძვით! სხვათა შორის, ესტონეთის ფარგლებს გარეთ შექმნილი რეზოლუციით ერთმანეთთან წაკიდებასაც ვერ გაგიბედავთ ვერავინ. საერთო მტრის ჯინაზე თქვენ ერთმანეთზე ხელს არ აღმართავთ!.... სხვათა შორის, ბატონო არვო, არ ვიცი, ბედის ირონია იყო თუ რა, გია ჭანტურია, რომელიც თქვენ ახლახან პრაღაში გაიცანით, სწორედ ჩემს მიერ თარგმნილი თქვენი მოთხრობებით გახარებული გამეცნო და დამიმეგობრდა 70-ნი წლების ერთ მშვენიერ საღამოს კაფე "თბილისში"... მაშინ ჩვენ ყველას ერთი მიზანი გვამოძრავებდა! ახლა კი... ახლა ყოვლად უცნაურად და მოულოდნელად თქვენ და ის ერთმანეთის მხარდამხარ აღმოჩნდით იმ კაცის საწინააღმდეგოდ, რომლის გასათავისუფლებლადაც მე და ბატონი გია მაშინ ერთად ვიბრძოდით! ნეტავ იმ დროს _ ჩვენ ყველანი ერთად ვიდექით! და ღვთის შეწევნით კვლავაც ერთად დავდგებით! ძველი მეგობრები ისევე დაუბრუნდებიან ერთმანეთს, როგორც ძე შეცდომილი მამისეულ კერას... ახლა, კი, როგორც თავად მოგეხსენებათ, ჩვენ ჩვენი გაჭირვება გვყოფნის და, რასაკვირველია, ძალიან გვაღიზიანებს, როცა გარეშენი ცეცხლზე ნავთს გვისხამენ. ბატონო არვო, მე მხოლოდ ორჯერ ჩავერიე "თქვენს საქმეებში" და ისიც მაშინ, როცა ჩემი თვისტომნი ხელს უშლიდნენ ესტონეთის ეროვნულ მოძრაობას. გახსოვთ, ალბათ, ჩემი წერილები თქვენთან მცხოვრები კონსტანტინე კიკნაძისა და გოდერძი ახალაძის მიმართ, რომელთაგანაც პირველი ინტერფრონტის აქტივისტად მოგვევლინა, ხოლო მეორე, კრემლის საოკუპაციო ჯარების ინტერესების დამცველ დეპუტატად თქვენს ანექსირებულ სამშობლოში. მართალია, მათ ქართველის ისევე არ სცხიათ არაფერი, როგორც მე ჩინელისა, მაგრამ რაკი ქართული გვარები აქვთ შერჩენილი, საჭიროდ ჩავთვალე ესტონელი

ხალხისათვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა, რომ ჭეშმარიტი ქართველობა თქვენს გვერდით ვართ.

ბატონო არვო, მე არ ვიცი, რამდენად მოულოდნელი და უსიამოვნო იქნება ჩემი წერილი თქვენთვის. არადა, ღმერთმა ხომ იცის, სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე თქვენს მისამართზე სასაყვედურო წერილს გამოვაგზავნიდი... რას იზამ, პლატონი ჩვენი საერთო მეგობარია, მაგრამ პირველ რიგში, ვფიქრობ, ორივენი ჭეშმარიტებას ვაყენებთ. ნება მომეცით, წერილის დასასრულს, შემოგთავაზოთ ნაწყვეტი წერილიდან, რომლის ავტორიცაა ცნობილი ქართველი მწერალი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ამაგდარი, ბატონი ნოდარ წულეისკირი: *"ზვიად გამსახურდიას როლი სულ სხვაა, საგანგებოზე საგანგებოა, განსაკუთრებულზე განსაკუთრებულია ეროვნულ მოძრაობაში და საერთოდ, ქართველი ერის ცხოვრებაში. ეროვნული მოძრაობის ახალი, დღევანდელი ეტაპი მისგან დაიწყო, მან შექმნა ის, რაც დღეს გვაქვს. შეუძლებელია, ვერც კი წარმომიდგენია, ეროვნული მოძრაობა ზვიად გამსახურდიას გარეშე... ღრმად განათლებული, მაღალი გემოვნების ლიტერატორი, ასეთივე ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, შემოქმედი, რამდენიმე ენის მცოდნე _ ასეთია ზვიად გამსახურდია. ერთის მხრივ, ფროსტისა და ბოდლერის მთარგმნელი, მეორეს მხრივ, "ვეფხისტყაოსნის" უბადლო მკვლევარი, მესამე მხრივ, მრავალი პოლიტიკური მრწამსის ავტორი, მრავალი ორგანიზაციის ლიდერი, ჟურნალის, გაზეთის რედაქტორი..." (გაზეთი "მამული", №13, 1990).*

ბატონო არვო, აი, ასეთად იცნობს მთელი საქართველო იმ კაცს, რომელიც ავადსახსენებელ პრაღის რეზოლუციაში ეთნოკონფლიქტების ინსპირატორადაა მონათლული. ესტონელმა და ქართველმა ხალხმა იცის, რომ ესაა მტკნარი სიცრუე, რომელიც ჩვენს საერთო მტერს სჭირდება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არსად, არასოდეს არც ერთ მიტინგზე ზვიად გამსახურდიას სიტყვაც არ დაცდენია ეროვნული შუღლის გასაღვივებლად. პირიქით კი ხშირად გამოსულა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითად შემიძლია გავიხსენო მისი მიმართვა აფხაზი ხალხისადმი ა.წ. 14 ივლისს, რომელშიც ტრადიციული მეგობრობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ მოუწოდებდა თავისი დიდი მამის კალმით ნაქებ აფხაზ ხალხს. სხვათა შორის, იმავე დღეებში რადიოსადგურმა "თავისუფლებამ" უაღრესად დადებითი შეფასება მისცა ამ მიმართვას. თქვენს ერთ-ერთ მოთხრობაში ("ჩირაღდანი") მორგში შეცდომით დასვენებული კაცი იღვიძებს და შემზარავი გარემოცვით თავზარდაცემული დარაჯს განთავისუფლებას თხოვს, პედანტი საბჭოთა დარაჯი კი თავის სამსახურებრივ მოვალეობას "პატიოსნად" ასრულებს და ყვირის: "თვრამეტი წელია აქ ვმუშაობ და შენზე ეშმაკი მკვდრებიც მინახავს!.... მიცვალებული რომ დამაკლდეს, რას იტყვიან, მით უმეტეს, არც ისე დალაგებული სიკვდილის ცნობა გაქვს!...."

სიმართლე გითხრათ, პრაღის კონფერენციის №24 რეზოლუციაც ამგვარ დაულაგებელ ცნობას მაგონებს!....

Kivi Kotti! (ქვა ტომარაში) ხუმრობით მიაძახებენ ხოლმე თქვენში შორ გზაზე დამდგარ კაცს. მაგრამ თქვენ მგონი ხუმრობის გარეშე გვისურვეთ ეკლიან გზაზე დამდგარ ქართველებს...

გაუგებრობის გარკვევის მოლოდინში ამირან კალაძე,

მწერალი, ესტონური ლიტერატურის მთარგმნელი, იუჰან სმუულის პრემიის ლაურეატი 26.VII.90 თბილისი.

ასევე პრაღის კონფერენციის საკითხს ეხება მწერალ **გურამ პეტრიაშვილის** წერილი: (გაზ. "ლიტერატურული საქართველო",**10 აგვისტო, 1990წ.**):

№24 რეზოლუციის თაობაზედ

გაზეთ “ქართული ფილმის” 18 ივლისის ნომერში დაბეჭდილია ინფორმაცია, რომელიც ასე იწყება:

“1990 წლის 4-6 ივლისს ქალაქ პრაღაში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ორგანიზებული იყო საერთაშორისო ორგანიზაცია “დემოკრატია და დამოუკიდებლობის” მიერ. მართალი გითხრათ, სიტყვა “საერთაშორისო” წავიკითხე თუ არა, გულმა რეჩხი მიყო. დემოკრატია კარგია და დამოუკიდებლობას თავს შემოვევლე, მაგრამ ეტყობა, რომ ჩემს გონებაში ერთმანეთს ვერ უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობა და საერთაშორისო ორგანიზაციები. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე! შემდეგ წერია: “კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი საბჭოთა დისიდენტები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, დამონებული ერების პოლიტიკური ემიგრანტები”.

ეს რომ წავიკითხე, მივხვდი: გულმა ტყუილად არ მიყო რეჩხი. საქმე ის გახლავთ, რომ ცნება “საბჭოთა დისიდენტი” ჩემთვის უკვე დიდი ხანია, აღარა ნიშნავს მაინცდამაინც მოკეთესა და მოყვარეს. ადრე ამავე “ქართულ ფილმში” (“უსიამოვნი ღია წერილი”, 1989 წელი), ანდრეი სახაროვის მაგალითზე შევეცადე დამემტკიცებინა, რომ ადვილი შესაძლებელია, საბჭოთა დისიდენტი თან ებრძოდეს არსებულ ხელისუფლებას და თან საქართველოც არ ეხატოს გულზე. და რადგანაც ეს ჩემი ერთადერთი წერილია, რომელსაც ოპონენტები არა ჰყოლია, მგონი დავამტკიცე, რის დამტკიცებაც მინდოდა. ასე, რომ იმ კონფერენციიდან კარგს უკვე ბევრს აღარაფერს ველოდი. მაინც ბოლომდე წავიკითხე ინფორმაცია. მომდევნო წინადადებაში ერთობ მოულოდნელი რამ აღმოვაჩინე: “საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოდგენილი იყო ორი პირით (გიორგი ჭანტურია, თენგიზ გუდავა)”. ალბათ მიხვდით, რომ ჩემთვის მოულოდნელი იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან თენგიზ და ედუარდ გუდავების დასახელება.

უცხოეთში გადახვეწილი კაცი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ მაშინ, თუ ის ქმედითად ეხმარება მოძრაობას. ქმედითი დახმარება კი იმასა ჰქვია, ჩვენთან რომ ახლა შეიარაღებული აჯანყება ყოფილიყო და უცხოეთიდან იარაღი მოეწოდებინათ გუდავებს ან ახლანდელი მშვიდობიანი ბრძოლის დროს მათი თეორიებით ვხელმძღვანელობდეთ. იქნებ აქვთ კიდეც გუდავებს თეორიული ნაშრომები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემამდე იმ ნაშრომებს არ მოუღწევია. ყოველ შემთხვევაში ჯერ არ მსმენია, ვინმეს ეთქვას, ეროვნულ მოძრაობაში გუდავების ნააზრევს ვიყენებთო. მაინტერესებს, რას უპასუხებდნენ ძმები გუდავები გიორგი ჭანტურიას და ირინა სარიშვილს, ამათ რომ ეკითხათ, პრაღაში შეხვედრისას, თქვენ როგორ “მოძრაობდით” ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში 1988 წლის ნოემბრის ბოლოს, 1989 წლის დასაწყისში ჩვენ, როცა სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებდითო? გიორგი ჭანტურიას და ირინა სარიშვილს კი არა, ნებისმიერ რიგით მოშიმშილეს და მომიტინგეს შეუძლია რომ უთხრას გუდავებს რუსთაველის სიტყვებით: “თქვენ მორჭმულნი ნადირობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვთა ვბანდით”-ო. კიდევ უფრო გასაოცარი იყო ის ამბავი, რომ საქართველოს თაობაზე, გიორგი ჭანტურიას გარდა, თენგიზ გუდავაც გამოსულა მოხსენებით. ერთი ამ მოხსენების ტექსტი წამაკითხა არ მინდა არაფერი! რა უნდა დაემატებინა გიორგი ჭანტურიას ნათქვამისთვის თენგიზ გუდავას? საქართველოში რაც კონკრეტულად ხდება, ეს მას უკეთესად არ ეცოდინებოდა, ხოლო თუ საქართველოს შესახებ ზოგადად ისაუბრა, არა მგონია, შთამბეჭდავი ყოფილიყო მისი საუბარი. იმიტომ არა მგონია, რომ სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, როდესაც აქედან მიდიოდნენ, გუდავებს ხეირიანად ქართული ლაპარაკიც არ შეეძლოთ. ამ თემაზე

ტყუილად არ ჩამომიგდია საუბარი. შემდეგ ვნახავთ, რომ პოლიტიკოსისათვის უთუოდ აქვს მნიშვნელობა, ეროვნულ ფესვებს. ინფორმაცია ასე თავდება: "კონფერენციის შემდგომ გაიმართა არჩევნები. "დემოკრატია და დამოუკიდებლობის" პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს პარუირ აირიკიანი. 14 კანდიდატიდან 9 პირი მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაცია "დემოკრატია და დამოუკიდებლობის" წევრად. მათ შორის, ირინა სარიშვილი, და მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი". შემდეგ, როცა ამ წერილის მთავარ სათქმელს მოვადგები და კონფერენციის ერთ ნააზრევზე ვიმსჯელებთ, კარგი იქნება, მკითხველს ახსოვდეს, რომ ორგანიზაცია "დემოკრატია და დამოუკიდებლობის" პრეზიდენტი იყო და არის პარუირ აირიკიანი. რაც შეეხება თვით ორგანიზაციას: თუ რეზოლუციაზე ხელისმომწერთა სიის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ ორგანიზაციაში კოსმოპოლიტური აზროვნება უნდა ბატონობდეს. ასეცაა! კოსმოპოლიტიზმი! ესე იგი, კოსმიური პოლიტიკა? ესე იგი, უნდა ვიყოთ, არა "ვიწრო ეროვნული შეზღუდულობით" დაავადებული ნაციონალისტები, არამედ სამყაროს მასშტაბებით მოაზროვნე კოსმიური მოქალაქენი, ხომ? ახალი ინტერნაციონალი! რა კარგია! ძმობა, ერთობა, თავისუფლება! კარგი კია, მაგრამ რატომ არ უხარია გულს?.. რატომ არ მინდა ვიყვირო "ვაშა"? იმიტომ, რომ რაღაც-რაღაცეები მახსენდება... საკვირველია, სულ ისე როგორა ხდებოდა, რომ, ინტერნაციონალური მიზნებით როცა სადმე შეკრებილან, ბოლოს კოსმოსი ყველას დავიწყებია და წაგებული მუდამ ქართველები დავრჩენილვართ. აი, ახლაც... ვნახოთ აღნიშნული კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია №24, სათაურით "ეთნოკონფლიქტების თაობაზე საქართველოში". რეზოლუციას ხელს აწერს ინტერნაციონალური ჯგუფი ოცდაათი კაცის შემადგენლობით. რეზოლუციის ტექსტი შეიძლება ოთხ ნაწილად დაიყოს. პირველ ნაწილში ზოგადი პოლიტიკური შეფასებაა "ეთნოკონფლიქტებისა". მეორე ნაწილში ჯერ გაკვრითაა ნათქვამი საქართველოში "ეთნიკურ უმცირესობათა გარკვეული ძალების" მოქმედებაზე, რომელიც "ხელს უწყობს ერთაშორისი ურთიერთობის გამწვავებას", მერე კი ოთხჯერ მეტია ლაპარაკი ზვიად გამსახურდიაზე და იმ ალიანსზე, რომელსაც გამსახურდია ხელმძღვანელობს. აშკარაა რომ რეზოლუციის შემდგენლები "ეთნოკონფლიქტების" მთავარ მიზეზს ზვიად გამსახურდიას საქმიანობაში ხედავენ. მესამე ნაწილში ხოტბა შესხმულია, როგორც აქ წერია, "ძლიერი დემოკრატიული ფრთა" ანუ საქართველოს ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი. ცენტრი ცდილობს "ნებისმიერი ერთაშორისი პრობლემა მოლაპარაკებისა და დემოკრატიული პროცედურის გზით გადაიჭრას"-ო. აქ პაწია შენიშვნა: "ცდილობს გადაჭრას და აი, ასე, ამგვარად ახარეხებს კიდეც" ან "ცდილობს გადაჭრას, მაგრამ ვერაფერი გამოსდის"-ო, უნდა დაეკონკრეტებინათ შემადგენლებს. მეოთხე ნაწილში მოცემულია დასკვნა: "ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ ამ გზით. მხოლოდ ყველა ხალხის დემოკრატიულ ძალთა კონსოლიდაციით შეიძლება ერთაშორისი მშვიდობის მიღწევა, რომლის გარეშეც წარმოდგენილია დემოკრატიული, სამართლებრივი და თავისუფალი საზოგადოების აშენება". ძვირფასო მკითხველო, არ გეცნობა განა ეს ლოზუნგური ზეაწეული სტილი? "კონსოლიდაცია! დემოკრატია! თავისუფლება!"

<u>დიახ, დიახ, როცა კი როდესმე შეკრებილია ინტერნაციონალური პოლიტიკური კოლექტივი, ყოველთვის სწორედ ყველას გამაბედნიერებელი რეზოლუციები მიუღიათ. მერე კი დრო გასულა და აღმოჩენილა, რომ მართლაც ყველა გაბედნიერებულა და გაცუცურაკებულნი მხოლოდ ჩვენ დავრჩენილვართ ქართველები. რატომ გვემართება ასე? ამას ბევრი მიზეზი აქვს. უპირველესი მიზეზი ალბათ ჩვენი მიმნდობი ხასიათია. ქართველს ჰგონია, რომ თუ ვინმე პირში ეუბნება, შენი ძმა ვარო, მართაც ძმა გამოუჩნდა კეთილი.</u>

<u>მანამ სანამ თავში ჩაქუჩს არ ჩაარტყამენ, ქართველს ძმებზე უმეტესად მიაჩნია უცხოელები. ეგ კი არადა, რომ ჩაარტყამენ, მაშინაც არ სჯერა. ალბათ ხელიდან გაუვარდაო, ფიქრობს</u> (ხაზგასმა ს.საჯ).

აი, თავისიანს კი შემთხვევით მხრის გაკვრასაც არ აპატიებს. მეორე მიზეზი პირველის გაგრძელებაა. მიმნდობი და ყველაში ძმისმძებნელი ქართველი კაცი რომანტიკოსია და სჯერა კაცთმოყვარული ინტერნაციონალური ლოზუნგებისა. განა არ უნდა სჯეროდეს? კი, როგორ არა, მაგრამ რეალობა არ უნდა დაგვავიწყონ აბსტრაქტულმა ლოზუნგებმა. მესამე მიზეზი ჩვენი შეცდომებისა ისაა, რომ ქართველი ქართველთან კამათში გასამარჯვებლად უცხოს მოიხმობს ხოლმე მსაჯულად. ის უცხოც, რა ჩიტია, დაიბნეს, ჩვენს შინაურ უთანხმოებას თავის სასარგებლოდ იყენებს. ვერც გაამტყუნებ. Pოლიტიკა, აბა, რის პოლიტიკაა? ეს რეზოლუცია შესანიშნავი ნიმუშია "ინტერნაციონალის" მიერ ჩვენი გაცუცურაკებისა. ქართველებს ხელი მოაწერინეს ისეთ რამეზე, რითაც მოგებული დარჩა ყველა დაინტერესებული მხარე. წაგებული კი _ საქართველო. ამ რეზოლუციის დედააზრი ქართველების წინააღმდეგაა მომართული: საქართველოში "ეთნოკონფლიქტების" მთავარ გამჩაღებლად ქართველებია მიჩნეული. ამ რეზოლუციას მშვენივრად გამოიყენებს ყველა, ვისაც კი ჩვენთან "ეთნოკონფლიქტი" აქვს ან აპირებს მომავალში. ა, ბატონო, ინტერნაციონალური, დემოკრატიული, სამართლიანი, და თავისუფლებისმოყვარე ადამიანების ხელმოწერილი რეზოლუცია. მე კი შევუვარდი სახლში და ბინას ვეცილები ქართველებს. მაგრამ დამნაშავენი ქართველები არიან ამ კონფლიქტში-ო. ხოლო რეზოლუცია რომ ობიექტურია, ამის საბუთად ქართველების ხელმოწერას მოიტანენ. აქვე აუცილებლად უნდა დავამატო, რომ ჩვენთან "ეთნომოკონფლიქტენი" გარჩევას არ დაუწყებენ იმას, თუ რომელი ქართველია კონფლიქტის გამჩაღებლად აღიარებული რეზოლუციის მიერ და რომელმა კიდევ ხელი მოაწერა რეზოლუციას. ვაგლახ, რომ, პირველივე წალაპარაკებისას წამოსძახებენ გიორგი ჭანტურიას, თენგიზ გუდავას და ედუარდ გუდავას მათი ინტერნაციონალისტი თანახელისმომწერნი: წადით, თქვე ეთნოკონფლიქტების გამჩაღებელო ქართველებო, თქვენაო. ალილო და ხვალაო. შეცდომის მიზეზები ზემოთ ჩამოვთვალე. უცხოელთადმი მიმნდობლობას და რომანტიკოსობას მტკიცება არა სჭირდება. სამივე ხელისმომწერი ქართველია და ქართული ჯიში განაპირობებს ხასიათს. რაც შეეხება მესამე მიზეზს. ისიც აქვეა. გიორგი ჭანტურიას, რომ გამწვავებული ურთიერთობა აქვს ზვიად გამსახურდიასთან, ეს მთელმა საქართველომ იცის პრესით თუ ტელევიზიით. და ამ ვითარებაში მისი ხელმოწერა რეზოლუციაზე იმ ინტერნაციონალურ ჯგუფთან ერთად სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენს შინაურ უთანხმოებათა მხაჯულებად უცხოელთა მოყვანა. აღნიშნული სამი მიზეზი მთავარია, მაგრამ უმთავრესი მიზეზი სხვაა. პოლიტიკოსობის პრეტენზია არა მაქვს და არც იმდენად გავკადნიერდები, რომ ჭკუის სწავლება დავუწყო ვინმეს. მით უმეტეს, რა შემიძლია ვურჩიო გიორგი ჭანტურიას, რომელიც ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია, ასე ვიტყოდი საქართველოს იმ მშვენიერი ნოემბრის დღეებისა, ურომლისოდაც ჩვენი ეროვნული მოძრაობა წარმოუდგენელია. ვიმეორებ, არაფრის პრეტენზია არა მაქვს. მხოლოდ მინდა გაგიზიაროთ ერთი აზრი, რომელიც მომივიდა თავში ქართველ პოლიტიკოსთა მოღვაწეობას რომ გადავხედე. უმთავრესი შეცდომა, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს მოსდით ესაა: <u>ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ხასიათის გამო ხანდახან ავიწყდებათ ხოლმე, რომ ყველგან და ყოველთვის ქართული პოლიტიკის საბოლოო მიზანი სამშობლო _ საქართველო უნდა იყოს და არა სხვა, ნებისმიერი, რაც უნდა დიდი ღირებულების მქონე ცნება თუ საგანი</u> (ხაზგასმა ს.საჯ.).

ეს შეცდომა სავალალო შედეგების მომტანია, რადგან სხვათა პოლიტიკოსებს და, რაც მთავარია, ჩვენი მეზობლების პოლიტიკოსებს ასეთი შეცდომები არ მოსდით. აი,

მაგალითად, ამ კონფერენციაზე რომ მიდიოდნენ, თქვენ როგორ გგონიათ, რასა ფიქრობდნენ პარიურ აირიკიანი ან ტოფიკ გასიმოვი? არა, იმას ვერ დავწამებ ან თავისუფლება არ უყვართ ან სამართლიანობა ან დემოკრატია-მეთქი. მაგრამ ისინი დარწმუნებული არიან, რომ ეს ყველაფერი კარგი მაშინაა, თუ სომხეთისა და აზერბაიჯანის ინტერესებს ემსახურება. არც გაემტყუნებათ, სწორედ ასეც უნდა ფიქრობდნენ. რა ვიცი, რომ ასე ფიქრობენ? რეზოლუციაში ამოვიკითხე. როგორც გითხარით, რეზოლუციით "ეთნოკონფლიქტების" გაღვივება ძირითადად ქართველს დაბრალდა და, რაც მთავარია, დაბრალდა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

წავიკითხოთ რეზოლუციის დასაწყისი: "ბოლო ხანს საქართველოში რამოდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი, ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტებს. რაც ბუნებრივია, არ შეიძლება არ აშფოთებდეს იმ ორგანიზაციის წევრებს, რომლის მიზანიც საბჭოთა იმპერიაში არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა კოორდინაციაა.

ეთნოკონფლიქტი დამღუპველია იმის გამოც, რომ სერიოზულ ზიანს აყენებს სსრკ-ში შემავალ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების პრესტიჟს და მიყავს ეს მოძრაობები გზით, რომელსაც არავითარი საერთო დემოკრატიასთან არა აქვს". აქედან ერთადერთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ პარუირ აირიკიანის ორგანიზაციას თავისუფლება და დემოკრატია უნდა ხალხებისათვის. ძალიან კარგი. განვაგრძოთ კითხვა.

"ჩვენი ორგანიზაციის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს დემოკრატიული ფასეულობების, ადამიანის უფლებათა, ერისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას, ერთნაირად ვგმობთ ორივე მხარეს, რომელიც ერთაშორისი შუღლის სცენარის გათამაშებაში იღებს მონაწილეობას". რას ვერჩი ამ პატიოსან ხალხს? განა ყველაფერი, რაც აქ წერია, ბოლომდე ჰუმანური და ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტური არაა? აბა, სადაა აქ იმისი მცდელობა, რომ ვინმემ ისარგებლოს ზოგად ღირებულებებზე ლაპარაკით და თავისთვის მოითალოს დუმის ნაჭერი? ვეთანხმებით, აქ ყველაფერი რიგზეა, ოღონდ რეზოლუციის ამ ორ მონაკვეთს შორის ერთი წინადადება განგებ გამოვტოვე და ახლა ისიც წავიკითხოთ. "<u>თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მტყუანისა და მართლის გარკვევა შორს წაგვიყვანდა. ერთი რამ კი ფაქტია: ყოველი ეთნოკონფლიქტის განვითარების მექანიზმში მონაწილეობას იღებენ როგორც კომუნისტური ძალები, ასევე პროვოკატორები ორივე დაპირისპირებული მხრიდან".</u> ჩემს მიერ ხაზგასმული წინადადება არის სწორედ ის საბუთი, რომელშიც გამომჟღავნდა, რომ რეზოლუციის შედგენის დროს სულ სხვადასხვა კრედო ამოქმედებდათ ქართველებს და ვთქვათ, სომხებს.

ქართველები აქ მოტყუვდნენ. მტყუან-მართლის გარჩევას ნუ შევუდგებითო, ამას ხელს რომ აწერდა ქართველი გიორგი ჭანტურია, იგი ალბთ დემოკრატიისა და ინტერნაციონალიზმის პრინციპებიდან გამოდიოდა, ხოლო პარუირ აირიკიანის მოქმედებაში სომხურ იდეისადმი ერთგულება სჭარბობდა. დიდ ეთნოკონფლიქტად მიიჩნია კონფერენციამ თუ მცირედ, არ ვიცი, მაგრამ ბოგდანოვკის რაიონშიც მოხდა კონფლიქტი ქართველებსა და სომხებს შორის. კერძოდ, ფაქტია, ამ რაიონში მაცხოვრებელმა სომხებმა არ ისურვეს, რომ ქართველები ჩასულიყვნენ და ეცხოვრათ მათ გვერდით. ისიც ფაქტია, რომ საქმე, ფიზიკურ ქმედებებამდეც მივიდა, მართლები არიან გიორგი ჭანტურიაც და პარიურ აირიკიანიც, როცა ამბობენ, რომ "კონფლიქტის განვითარების მექანიზმში მონაწილეობას იღებენ კომუნისტური ძალები".

არაა გამორიცხული ორივე მხრიდან პროვოკატორების არსებობაც. მაგრამ ძალიან ცდებიან, როდესაც პროვოკატორობა სურთ დასწამონ ზვიად გამსახურდიას და მის თანამოაზრეებს. არ ვიცი, მიუვა თუ არა ჩემი სიტყვა, მაგრამ მინდა მივმართო

აირიკიანს: ბატონო პარუირ! ზვიად გამსახურდია და თქვენ ერთი ტიპის პოლიტიკოსები ხართ. თქვენი არ იყოს, ზვიადსაც არასოდეს მოსდის "ინტერნაციონალური" შეცდომა და არასოდეს ავიწყდება, რომ მთავარი მიზანი სამშობლოა.

განსხვავება თქვენ ორს შორის ისაა, ბატონო პარუირ, რომ ზვიად გამსახურდია არ ცდილობს ინტერნაციონალისტური და ზოგადსაკაცობრიობო ლოზუნგებით შეინიღბოს, როდესაც საქართველოს საკეთილდღეოდ მოქმედებს. როცა თქვენ ბრძანეთ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მტყუანისა და მართლის გარჩევა შორს წაგვიყვანსო, თქვენი სამშობლოს, სომხეთის ინტერესები გამოძრავებდათ. თავი კი ისე გეჭირათ, თითქოს მსოფლიო დემოკრატიაზე ზრუნავდით. შორს წაგიყვანსო... იცოდით, შორს რომ წავიდოდით, ბოლოს და ბოლოს 1829 წლის 18 ნოემბერს მივადგებოდით. ალბათ გახსოვთ, ეს ის დღეა, როცა პასკევიჩს შეატყობინეს, რუსეთის საიმპერატორო კარმა შენი თხოვნა დააკმაყოფილა, შეგიძლია დაიწყო თურქეთიდან 10000 სომხური ოჯახის გადმოსახლებაო. და ასე გადარჩა თურქთაგან განადგურებას უამრავი სომეხი. ასე მიიღეს იმ სომხებისაგან მემკვიდრეობით ახლანდელმა ბოგდანოვკელმა სომხებმა მადლიანი ქართული მიწა. ასე რომ, ბატონო პარუირ, ბოგდანოვკაში ეთნოკონფლიქტი არა ყოფილა. იმ სომხების საქციელს, რომლებიც ახლა ქართულ მიწაზე ქართველის დასახლებას წინააღმდეგობას უწევენ, ქართულად მხოლოდ ერთი სახელი აქვს: უმადურობა და უსინდისობა. თქვენი შეცდომა კი ისაა, ბატონო პარუირ, რომ იმის მომიზეზებით, "შორს არ წავიდეთო", მხარს უჭერთ აშკარა უსამართლობას. ეს კი დამღუპველია, რადგან ტაქტიკურად შეიძლება მოიგოთ, მაგრამ სტრატეგიულად წაგებული დარჩებით. ღმერთი მაღალია და მისი სამართალი ბოლოს და ბოლოს ყველას იმას მიუზღავს, ვინც რისი ღირსია, ზვიად გამსახურდიას არ ეშინია "შორს წასვლისა", რადგან ყველა "ეთნოკინფლიქტში" მისი ერია მართალი. და მისი ერთადერთი "დანაშაულიც" მხოლოდ ისაა, რომ ისტორიულ ქართულ მიწაზე გალაღებულ უცხოტომელებს ისტორიულ სიმართლეს შეახსენებს. მეც მინდა შეგახსენოთ №24 რეზოლუციაზე ხელისმომწერ ოთხ სომეხს და ორ აზერბაიჯანელს, რომლებმაც ზვიად გამსახურდიას და მის მომხრეებს "ნაციონალური შეუწყნარებლობა" და "ერთაშორის პრობლემათა ძალისმიერი გადაწყვეტის ანტიდემოკრატიულ პოზიციებზე დგომა" დასწამეთ, რომ საქართველოდან ერთი არაქართველისათვისაც კი არ დაუძალებია ვინმეს წასვლა, ხოლო ის, რაც თქვენს რესპუბლიკებში მოხდა, ყველამ იცის, რაოდენ სამწუხარო, სავალალო და არადემოკრატიულია. აქვე დავამატებ, რომ ძალიან საინტერესო იქნებოდა "ქართულ ფილმს" კონფერენციის ის რეზოლუციაც დაებეჭდა, სადაც აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ამჟამადაც არსებულ "ეთნოკონფლიქტზეა" საუბარი. დავიჯერო, იქაცაა ნათქვამი, შორს ნუ წავალთ, ნუ შევუდგებით მტყუან-მართლის გარჩევასო? დავიჯერო სომხებმა ხელი მოაწერეს იმას, რომ ვიღაც სომეხია კონფლიქტში დამნაშავე, ხოლო აზრებაიჯანელები თავს იკლავენ, გინდა თუ არა ჩვენი კაცია ყველაფერში დამნაშავეო? ვერ დავიჯერებ! მაპატიეთ პირდაპირობა, №24 რეზოლუციაზე ხელისმომწერო სომეხო და აზერბაიჯანელო მეგობრებო, მაგრამ უნდა განგიცხადოთ, რომ თქვენ გინდათ ანტიდემოკრატიისა და ეროვნულ მოძრაობათა ჩამშლელის იარლიყის მოკერებით დააშინოთ ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ ეგრეთწოდებული "ეთნოკონფლიქტები" სინამდვილეში საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფაა და მათზე რეაგირება აუცილებელია. დაბოლოს, კიდევ რამდენიმე განმარტება. სიტყვა "ეთკონფლიქტებს" ბრჭყალებში იმიტომა ვსვამ, და ეგრეთ წოდებულს იმიტომ ვუწოდებ, რომ ესაა არა ეთნოკონფლიქტები, არამედ აგრესია საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ. კეთილმეზობლური ურთიერთობები იმას სულაც არ ნიშნავს, რომ თვალი დავხუჭოთ რეალურ ვითარებაზე

და აბსტრაქტულად ვიმსჯელოთ დემოკრატიაზე და ეროვნულ უფლებებზე. რადგანაც "დემოკრატია და დამოუკიდებლობის" ორგანიზაციის პრეზიდენტი სომეხი კაცია, ვთქვათ პირდაპირ ჩვენი ორი ერის ურთიერთობის შესახებ. ამ წუთას წინ მიდევს ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის ვაზგენ პირველის წერილი, დაბეჭდილი ერევანში რუსულ ენაზე გამომავალ გაზეთ "კომუნისტში". ესაა ღია წერილი, რომელიც ვაზგენ პირველმა გამოუგზავნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. თვით ის ამბავი, თუ როგორ იწოდებიან ჩვენი ეკლესიების მამამთავრები, მრავლისმეტყველია.

ილია მეორეს სამწყსო სრულიად საქართველოა. ანუ ცისქვეშეთის ერთი ქვეყანა. ვაზგენ მეორის სამწყსო კი ამქვეყნად მცხოვრები ყოველი სომეხია ანუ მისი ქადაგება დედამიწის ყოფილ კუთხე-კუნჭულს სწვდება. ისტორიული ძნელბედობის გამო დაიქსაქსა სომეხი ერი მთელ დედამიწაზე. ეს სამწუხარო ამბავია და, ცხადია, დიდად აწუხებს მის უწმინდესობას ვაზგენ პირველს. ის წერს:

«...Все мои проповеди, адресованные армянам, призываем сплотиться на земле матери-родины, не разъежаться, не покидать своего отечества. Более того если приходилось слышать о некоторых семях, переезжающих из личных побуждений в Сочи, Сухуми или Среднюю Азию, я осуждал их и в самом деле призывал наш народ не следовать их примеру, не оделяться от матери - Родины. Проживающих же в Грузии армян всегда, по всякому поводу наставял и сейчас призываю оставаться верными гражданами грузинской родины, преданными интересам братского грузинского народа, илеям претворения в жизнь его справедливых чаяний».

ცხოვრობენ სომხები საქართველოში? იცხოვრონ ბატონო, ყველამ იცის, როგორი გულღია მასპინძლები ვართ. მაგრამ ვაზგენ პირველის მსჯელობაში ლოგიკა რომაა დარღვეული, ეს კი უნდა აღვიშნოთ. აბა, წაიკითხეთ ერთიმეორის მიყოლებით ჩემს მიერ ხაზგასმული სიტყვები, ნახეთ, რა უცნაურობა გამოდის.

«...Все мои проповеди, адресованные армянам, призываем сплотиться на земле матери-родины... Проживающих же в Грузии армян всегда, по всякому поводу наставял и сейчас призываю оставаться верными гражданами грузинской родины». თუ სომხებს მოუწოდებს დედა-სამშობლოში შევიკრათ მუშტადო, საქართველოში მცხოვრებ სომხებს რატომ ამასვე არ ეუბნება? რა ვიფიქროთ, ამ სომხებს ნამდვილ სომხებად არ მიიჩნევს ვაზგენ პირველი? თუ ფანტასტიკური რამ უნდა ვიფიქროთ, რომ «Мать-Родина» და «грузинская родина» ერთი და იგივე ცნებად მიაჩნია? ჩემთვის, ქართული ცნობიერების მქონე ადამიანისთვის, ყოვლად გაუგებარია ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის ლოგიკა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ, როდესაც სახალხო ფრონტის წესდება იწერებოდა, სარედაქციო კოლეგიაში მეც ვიყავი და ჩემი წინადადებით შევიდა წესდებაში მუხლი, რომ საქართველოს სახალხო ფრონტმა უნდა იღვაწოს საქართველოს გარეთ მცხოვრები ყველა ქართველის სამშობლოში დასაბრუნებლად. საქართველოში ახლა უამრავი პარტია და საზოგადოებაა. ერთადერთი, რაშიც უთანხმოება არაა, სწორედ ეს საკითხია: ყველა ქართველისთვის თავისთავად ცხადია, რომ კარგი იქნება, თუ ყველა ქვეყნიდან ჩამოვლენ ჩვენი თვისტომნი და საქართველოში მოვიყრით თავს. გამონაკლისს ჩვენ არ ვუშვებთ. არ ვამბობთ, ყველანი ჩამოვიდნენ, აი, მაგალითად, მოლდავეთიდან კი ნუ ჩამოვლენ, დარჩნენ მოლდავური სამშობლოს ერთგულ მოქალაქეებადო. შემიძლია მოვახსენო მის უწმინდესობას ვაზგენ პირველს, რომ მისი მრავალგზისი მოწოდება, სომხები, ქართული სამშობლოს ერთგული მოქალაქეები იყავითო, ზოგიერთმა სომეხმა ისე გაიგო, თითქოს კათოლიკოსს ეთქვას, რადაც უნდა დაგიჯდეთ საქართველოს მოქალაქეები გახდითო. შეგიძლიათ აიღოთ ბინების გაცვლის ბიულეტენი და ნახავთ, რომ აზერბაიჯანიდან გარკვეულ მიზეზთა გამო

გაქცევის მსურველი სომხები ძალიან ხშირად თბილისისკენ მოისწრაფიან და არა თავიანთი დედასამშობლო ერევნისაკენ. აი, ცინცხალი მაგალითი: თბილისის კალინინის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 6 ივნისის №206 ბრძანების საფუძველზე გაუცია ორდერი ოროთახიან ბინაზე. მისამართი: ვარკეთილი 3, 3-ა მ/რაიონი, კორპუსი 343, ბინა 30. ამ ბინაში უნდა შესახლდნენ თურმე ლენინაკანიდან წამოსული აკოფიანები: მანან მიხეილის ასული და მისი შვილები კარლენი და დიანა. ისევ პარიურ აირიკიანს უნდა მივმართო: ნუთუ თქვენ ფიქრობთ, ბატონო პარუირ, ქართველები ისე კარგად ვცხოვრობთ, რომ უკვე ყველასა გვაქვს ბინა და ახლა მეზობელი რესპუბლიკები უნდა დავაკმაყოფილოთ? არაა ეგრე. მე ვიცნობ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, სტუდენტებს, რომლებსაც სულ ახლახანს სამი ტყუპი ეყოლათ. ღმერთი გაუზრდით, მაგრამ ჩვენც რომ დავხმარებოდით, არ აწყენდათ. არ ვიცი, რა იარლიყს მომაკერებს თქვენი ინტერნაციონალისტური ორგანიზაცია, მაგრამ, ჩემის აზრით, ლენინაკანელ აკოფიან მანანაზე უფრო ამ ქართველებს, ავთანდილ მელიქიძეს, მის მეუღლეს და მათ სამ შვილს ეკუთვნის ის ოროთახიანი ბინა. პოლიტიკა სამართლიანი, პატიოსანი და დემოკრატიული მხოლოდ მაშინ იქნება, ბატონო პარიურ, როდესაც ეს პოლიტიკა ზოგად მაღალფარდოვან ლოზუნგებზე კი არაა დაფუძნებული, არამედ, _ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მტყუან-მართლის გარკვევაზე.

ეს შორს კი არ წაგვიყვანს, როგორც თქვენ გინდათ დაგვაჯეროთ, არამედ მიგვაახლოებს ჭეშმარიტებასთან და, ამდენად, სამართლიანობასთან. და ბოლოს, ისევ ზვიად გამსახურდიას პიროვნებას დავუბრუნდეთ, მივმართავ გიორგი ჭანტურიას, რადგან ისიც აწერს ხელს №24 რეზოლუციას. ბატონი გიორგი ვერ იტყვის, რომ ან ამ წერილში ან სხვა დროს, როდისმე ჯეროვნად და ღირსეულად არ შემიფასებია მისი ნამოღვაწარი, ან მიმიჩქმალია მისი დამსახურება. ერთმანეთზე სიმართლე უნდა ვთქვათ, როგორიც უნდა იყოს ვითარება. ახლა, როცა დაძაბულობა ზღვრამდეა მისული, იმით მინდა შევუწყო ხელი ურთიერთგაგებას, რომ შევეცდები ავუხსნა გიორგი ჭანტურიას, თუ მე, ქართველ კაცს, მოქალაქეს და ლიტერატორს, რატომ მიყვარს ყველა ქართველ პოლიტიკოსზე მეტად პოლიტიკოსი ზვიად გამსახურდია. ამის ახსნა გრძლადაც შეიძლება, მაგრამ მაშინ წიგნის დაწერა დამჭირდება. მოკლედ კი ასე ვიტყვი: ზვიად გამსახურდია ისეთი ქართველი პოლიტიკოსია, რომელსაც ყველგან და ყოველთვის საქართველო ახსოვს. ზვიად გამსახურდიასთვის არც დემოკრატია და არც თავისუფლება თვითმიზანი არაა. ერთიც და მეორეც, მას საშუალებად მიაჩნია იმისთვის, რომ ქართველი ერი იყოს ძლიერი, მართალი, სულით ნათელი და მშვენიერი. და ამის მისაღწევად, ქართველ ერს ერთადერთი პაწია ადგილი აქვს დედამიწზე _ საქართველო.

№24 რეზოლუციის ავტორები დამეთანხმებიან, რომ ნათქვამი არ ეწინააღმდეგება მსოფლიო დემოკრატიას და ჰარმონიულ ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.

მინაწერი:

წერილის დაწერის შემდეგ, ორი ამბავი შევიტყე. პირველი, თურმე "დემოკრატია და დამოუკიდებლობის" ორგანიზაციის ის სხდომა, რომელზეც №24 რეზოლუცია მიიღეს, სამსაათნახევრის დაგვიანებით დაუწყიათ. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ აზერბაიჯანელთა დელეგაცია ითხოვდა, ჩამოეხსნათ სხდომათა დარბაზში ჩამოკიდებული რუკა, რომელზეც სომხეთი და ყარაბაღი ერთი და იმავე ფერით იყო შეღებილი.

ეს ამბავი ადასტურებს ჩემს ეჭვს, რომ სომეხი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები მხოლოდ საქართველოში წამოჭრილი "ეთნოკონფლიქტების" მიზეზების შეფასებაში არიან ერთსულოვანნი.

მეორე ამბავი. პარუირ აირიკიანი გამოვიდა უცხოეთის რადიოთი და საქართველოში წამოჭრილ "ეთნოკონფლიქტებში" ბრალი დასდო ქართულ ეროვნულ მოძრაობას. არა ზვიად გამსახურდიას და "მრგვალ მაგიდას", როგორც ეს ქნა №24 რეზოლუციამ, არამედ მთელ მოძრაობას.

ასე, რომ, სამწუხაროდ, ძალიან მალე ახდა ჩვენი წინასწარმეტყველება: ქართველთა მიერ ხელმოწერილი სხვა ქართველის საწინააღმდეგო დოკუმენტი გამოყენებულ იქნა უკლებლივ ყველა ქართველის საწინააღმდეგოდ.

ამ მწარე გაკვეთილმა მაინც გვასწავლოს, რომ ქართველმა თავის მოძმესთან დავისას მსაჯულად სხვა არ უნდა მოიყვანოს.

ღმერთმა ქნას, ეს იყოს უკანასკნელი შეცდომა ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 10 აგვისტო, 1990წ.).

1990 წლის 14 ივლისი: 1989 წლის ივლისში აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, ფართო საზოგადოებრიობის სურვილისა და თხოვნის შესაბამისად, **1990 წლის 15 ივლისი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გლოვის დღედ გამოცხადდა.

1990წ. 15 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დაიხარა სახელმწიფო დროშები, გაუქმდა გასართობი ღონისძიებანი, მომზადდა რადიოსა და ტელევიზიის შესაბამისი პროგრამები. ერთი წლის წინათ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა საქართველოსთვის. მთელი წელი გავიდა, მგრამ დამნაშავეები კვლავაც დაუსჯელები დარჩნენ, არც მხარეთა პოზიციების დაახლოებას უჩანდა სასიკეთო პირი.

აფხაზეთში **1989 წლის 1 აპრილს და 15-16 ივლისსა** და მომდევნო დღეებში მომხდარი ტრაგიკული მოვლენები, **1990 წლის მაისში** ასევე გაგრაში განხორციელებული ვანდალური აქციები არავითარ შემთხვევაში არ იყო შემთხვევითი შეჯახება, ის გახლდათ აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოდივერსიების გავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ნაწილის დაგეგმილი იერიში ქართველი ეროვნების პირებზე, რასაც ადასტურებდა ქართველ მოსახლეობაზე თავდასხმის წინასწარ კარგად მოფიქრებული გეგმა.

აღმოჩნდა, რომ **1989 წლის 16 ივლისის** 10 საათამდე დაჭრილი 190 კაციდან 139 ქართველი იყო, 22 _ აფსუა, ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი 62 კაციდან 49 ქართველი გახლდათ, 11 _ აფსუა; 1990 წლის მაისში შეტაკების შედეგად გაგრაში დაშავდა 17 ქართველი და 3 აფსუა... სეპარატისტი აგრესორები მცირერიცხოვან ხალხთა მანტიას შეფარებულნი მარჯვედ იყენებდნენ კრემლიდანურ ზურგის ქარს.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთი) სსრკ ეთნოფაბრიკაციული პროცესების შედეგი გახლდათ მიზნობრივად გამოინკუბატორებული რუსულენოვანი ნაციის _ ე.წ. "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" "აფხაზეცობის" ეთნოკრატიულ-დიდმპყრობლური და საბჭოთა ცენტრ-ნაცმენური პრინციპით შეკოწიწებული ნომენკლატურული "ქართული" პარტოკრატიის ასევე ოქტომბრისენოვანი (უკეთეს შემთხვევაში საბჭოთა "ქართულენოვანი") ანტისახალხო რეციდივები და ამის შესაბამისად ცხუმ-აფხაზეთის გავლენის სფეროებად გადანაწილების მცდელობა. ყოველივე ამის საპირწონედ საჭირო იყო სახლიკაცური ცნობიერებისკენ მიბრუნება და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ერთიანი ანტიიმპერიული ძალისხმევით ბრძოლა რუსიზმის წინააღმდეგ.

1990წ. ივლისში გაზეთმა "აიდგილარამ" _ №4, გამოაქვეყნა ცილისწამებები 15-16 ივლისის ტრაგიკულ მოვლენებზე, აფხაზეთის ოქტომბრისენოვან მოსახლეობას მიაწოდა სიცრუე ქართული ეროვნული მოძრაობის ხასიათსა და მიზნებზე, დააფრთხო თავისი მკითხველები ქართული აგრესიით და დააყენა საკითხი **26 ივლისისათვის**

ლიხნის შეკრებისმაგვარი სრულიად აფხაზეთის სანქცირებული მიტინგის გამართვაზე, რაზედაც "აიდგილარას" მესვეურებმა შესაბამისი განცხადებით მიმართეს სწორედ ამის მომლოდინე ეთნოკრატიულ ხელისუფლებას აფხაზეთში.

1990წ. 25 ივლისს ამის საპასუხოდ საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის განყოფილებამ გააკეთა საგანგებო განცხადება. სინამდვილეში ეს იყო პარტოკრატიული ნომენკლატურის მოქმედება პრინციპით "კბილი კბილის წილ". მას არავითარი კონსტრუქციული ნაბიჯი აფხაზეთის მოსახლეობისათვის საერთო ანტიიმპერიული მოძრაობის წარსამართავად არ შემოუთავაზებია. იგი დასჯერდა სეპარატისტების მიმართ ფრაზეოლოგიურ დემარშებს: **"სჯობს პირდაპირ და დაუფარავად ითქვას _ ექსტრემისტი სეპარატისტების მიერ წამოწყებულია კარგად მოფიქრებული და თავისი ზრახვებით შორს მიმავალი ახალი პოლიტიკური ავანტიურა... ექსტრემისტები პრაქტიკულად შეუდგნენ ამ ბოროტი ზრახვების განხორციელებას, მათ უკვე მოითხოვეს სანქცია 26 ივლისს მიტინგისათვის"** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 25 ივლისი, 1990წ.).

1990წ. 24 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება **28 ივლისისათვის** აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ.

1990წ. 25 ივლისს გაზეთ "კომუნისტში" დაიბეჭდა (ასევე რესპუბლიკის სხვა გაზეთებში) სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ხალხებისადმი: **"პასუხისმგებლობა და ჯანსაღი აზრი უნდა გვეხმარებოდეს ყველას მოვახდინოთ სწორი არჩევანი, თავისუფალი, ეროვნული არჩევანი, თავისუფალი ეროვნული განვითარება შევუხამოთ სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირში თანასწორუფლებიანი მონაწილეობისათვის უპირატესობას, რომლის გზასაც გვისახავს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება".**

1990წ. 25 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის პრესაში გაასაჯარისა **28 ივლისს** თავის სესიაზე განსახილველი საკითხები: 1. აფხაზეთის ასსრ კონცეფცია თვითმართველობის, თვითდაფინანსებისა და რეგულირებად ბაზარზე გადასვლის პირობებში. 2. აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ.

სსრკ-ის გარდაქმნილმა დიქტატურამ ამით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს **20 ივნისის** სესიის გადაწყვეტილებებს საპირწონე დემარშები დაუპირისპირა, გამოუცხადა შენიღბული შერკინება და დაიწყო მისთვის ნაცადი ე.წ. ეთნოკონფლიქტის ასაგორებლად "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" საეთნოდივერსიო ნედლეულად გამოყენება.

1990წ. 22 ივლისს სოხუმში ჩატარდა საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის ორგანიზაციის მე-2 ყრილობა. თავისი სამუშაო შინაარსით იგი იქცა "ქართული" პარტნომენკლატურის ქვესტრუქტურად.

1990წ. 27 ივლისს სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრმა, საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ.გუმბარიძემ** მიმართა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს **"საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს ყველა მშრომელს, რესპუბლიკის მოსახლეობას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს: არ დაუშვან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის დეზორგანიზაციის ცდები, რომლებმაც შეიძლება დამღუპველი გავლენა მოახდინონ რესპუბლიკაში დემოკრატიული განახლების პროცესებზე, არსებითად გაართულონ საქართველოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა"** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 27 ივლისი", 1990წ.).

სკკპ 28-ე ყრილობაზე კვალიფიკაცია ამაღლებული და შესაბამისი ახალი დირექტივებით აღჭურვილი, ასევე ნომენკლატურული ამბიცია დაკმაყოფილებული საქართველოს სსრ ხელისუფლება კიდევ ერთხელ შეეცადა კრემლიდანური გააზრების შესაბამისად წარემართა მოვლენები. ამისათვის მან დაიწყო დროის გაწელვა და ორპირული საქმიანობა. ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით **26 ივლისიდან** აინაბიჯა სრულიად საქართველოს საგაფიცვო სამზადისმა, სამტრედიაში დაიწყო ცნობილი "რკინიგზის აქციის" დღეები. მას მხარი აუბეს სოხუმელმა რკინიგზელებმა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ითქვა; **"მდგომარეობას დაამძიმებს ის, რომ ამ სიტუაციაში ცალკეული პირები ცდილობენ ხელოვნურად გაამძაფრონ კრიზისი, გააღრმავონ დესტაბილიზაცია საწარმოო კოლექტივებში, რკინიგზასა და ტრანსპორტზე შექმნან არანორმალური მდგომარეობა"** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 27 ივლისი, 1990წ.).

ამასთან დაკავშირებით საკდესის მიერ გავრცელებული განცხადება იუწყებოდა, რომ **"გრძელდება გაფიცვა სამტრედიაში რკინიგზის პიკეტირების სახით. 30 ივლისს დილისათვის აქ თავი მოიყარა 17 სახალხო და 50 სატვირთო მატარებელმა _ ჩვენი მოთხოვნები ფაქტობრივად იგივე რჩება _ უთხრა საქინფორმის კორესპოდენტს ილია მართალის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა _ უნდა გამოქვეყნდეს უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნების კანონის პროექტი განხილვისათვის, ამასთან იგი განხილული უნდა იქნეს სესიაზე, რომლის მოწვევის ვადა არაფრით არ შეიძლება გადაცილდეს 7 აგვისტოს"** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 31 ივლისი, 1990წ.).

1990წ. 27 ივლისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან **გ.გუმბარიძესთან** გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამის შესახებ **28 ივლისს** რესპუბლიკურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა ეროვნული მოძრაობის ტენდენციური დადანაშაულება დესტრუქციულ საქმიანობასა და ექსტრემიზმში.

აღნიშნული ინფორმაცია შორგამიზნულად იტყობინებოდა რომ: **"27 ივლისის 14 საათისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შეჩერებულია 31 სამგზავრო მატარებლის მიმოსვლა, რომლებშიც 18 ათასი მგზავრია, მათ შორის რამდენიმე ათასი ბავშვი. გაჩერებულია 40 სატვირთო შემადგენლობა, რომელთაც მოაქვთ 6500 ტონა ხორბალი, 5000ტ. შაქარი, ხორცი და კარაქი, 4 ათასი ტონა ბენზინი. სხვა რესპუბლიკების სარკინიგზო ჩიხებშია შეჩერებული საქართველოში გამოგზავნილი 25 ათასი ტონა ბენზინი. ყოველდღიურად უკვე აღარ იტვირთება ჩვენი რესპუბლიკისათვის გამოსაგზავნი 4 ათასი ტონა ბენზინი, აგრეთვე ათასობით ტონა სხვა პროდუქცია. რკინიგზის ნორმალური ფუნქციონირების აღდგენის შემდეგაც კი არაერთი და ორი დღე დასჭირდება ამ ეკონომიკური კავშირების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. სათანადო სამინისტროებსა და უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ ოპერატიულად იღონონ ყველაფერი მდგომარეობის უმოკლეს ვადაში ნორმალიზაციისათვის.**

თათბირზე აღინიშნა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს მომავალი სესიის ჩატარებისათვის, რომელიც 17 აგვისტოსაა გადაწყვეტილი, აუცილებელია შეიქმნას ნორმალური პირობები, გამოირიცხოს მოვლენათა ფორსირება, გარედან ზეგავლენა, სხვა გართულებები, რათა წყნარ, მშვიდ, სრული დემოკრატიის ვითარებაში მიიღონ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები" (გაზ. "თბილისი", 28 ივლისი, 1990წ.).

1990წ. 27 ივლისს გამოქვეყნდა (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი") საქართველოს სსრ პრეზიდიუმის დადგენილება **"აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში აფხაზეთის**

სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებთან წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის შექმნის შესახებ". ეს გახლდათ საბჭოთა ეთნოდივერსიული ფაბრიკაციების მოაბრეშუმება და ამ სახით "გაკანონიერება" მისი.

1990წ. 27 ივლისს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ გამოსცა ბრძანებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის მეთექვსმეტე სესიის მოწვევის შესახებ **1990 წლის 17 აგვისტოსათვის** ქ.თბილისში დღის წესრიგით _ საქართველოს სსრ საბჭოთა დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე **(გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 28 ივლისი, 1990წ.**).

მანამდე მოვლენები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ამგვარად განვითარდა: 1990წ. 7 ივლისს სოხუმში აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის თაოსნობით საქართველოს სუპტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შეიკრიბა აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენლობა განურჩევლად ეროვნებისა, მათ შორის წარმოგზავნილები აფსუა ეროვნების მოსახლეობიდანაც. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატები, მათგან მოსვლა ინება 66 დეპუტატმა. შეხვედრაზე მხილებული იქნა სეპარატისტული ეთნოკრატიის პოლიტიკური დემარშების შორსგამიზნული ტაქტიკა, იყო საუბარი ეროვნული მოძრაობის ამოცანებზე და საერთოდ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. არაქართველ მოსახლეობას განემარტა საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის არადიდმპყრობლური დამოკიდებულება ქართულ სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობათა სასიცოცხლო ინტერესებთან. შეკრებაზე მოსულმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს 66-მა დეპუტატმა გაასაჯარისა თავისი მიმართვა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეებისადმი **გ.გუმბარიძისადმი** და **ვ.კობახიასადმი**: **"...აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დეპუტატთა ერთი ნაწილის გავლენით მიიღო გადაწყვეტილება საგანგებო სესიის მოწვევის შესახებ, სადაც უზენაეს საბჭოს სთავაზობენ მისცეს შეფასება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილებებს საქართველოს სსრ პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის შესახებ და თავისი ამომრჩევლების სახელით გამოაცხადონ აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.**

მიგვაჩნია, რომ გარკვეული ძალები, რომელთაც არ სურთ ანგარიში გაუწიონ თავისი ხალხის აზრებს, ისწრაფვიან შექმნან ცალკე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ, რაც ისტორიული, სოციალური და ეკონომიკური მიზეზების ძალით წარმოადგენს მიუღებელს და უსათუოდ გამოიწვევს პოლიტიკური და სოციალური ვითარების დესტაბილიზაციას როგორც ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე მთელს საქართველოში. აქვე ვაცხადებთ, რომ შემოთავაზებული დღის წესრიგის თანახმა არა ვართ და ვიტოვებთ უფლებას სესიის მუშაობაში მონაწილეობა არ მივიღოთ. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სხვადასხვა ეროვნების 66 დეპუტატი (პრესაში მათი გვარი არ გამოქვეყნებულა იმ შეიარაღებული ტერორის საფრთხის გამო, რომელსაც აფხაზეც-სეპარატისტთა ექსტრემისტული ნაწილი კრემლისა და ეთნოკრატიის წაქეზებით აულაგმავად ეწეოდა).

იგივე ადრესატების მიმართ შეკრებაზე საწარმოო გაერთიანება "ორგტექნიკის" შრომითი კოლექტივის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ამ უმსხვილესი და მრავალათასიანი, მრავალეროვანი კოლექტივის სახელით წაკითხული იქნა მიმართვა, რომელმაც დაგმო **28 ივნისისათვის** გათვალისწინებული კიდევ ერთი პოლიტიკური დემარშის ცილისმწამებლური და, რაც მთავარია, აგრესიულ-ოკუპანტური ხასიათი: **"ცნობილი გახდა, 28 ივნისს შედგება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესია, რომლის**

დღის წესრიგში შეტანილია საკითხები "აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ", სადაც "აფხაზეთში მოსახლე ყველა ხალხის სახელით" გათვალისწინებულია, ყოველმხრივ თვითმარქვიად დადგინდეს: **"ცნობილ იქნას საქართველოს მიერ 1918 წელს აფხაზეთის ანექსირება (დაპყრობა), გამოცხადდეს საქართველოს სსრ შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსვლა და ა.შ." (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 27 ივლისი, 1990წ.).**

როგორც ხედავთ საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ სამართლიანად წამოჭრილი საკითხების მიმართ კრემლმა აფხაზეთის სეპარატისტები შეიარაღა საგანგებოდ შერჩეული სადივერსიო პოლიტიკური სვლაგეზით. წარმომადგენლობითი შეკრების მონაწილეებმა კატეგორიულად მოითხოვეს: 1) აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ეთნოკრატიულ-სეპარატისტული პრეზიდიუმის მიერ დაგეგმილი ავანტიურისტული სესიის არ დაშვება; 2) აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობით გადადგომა; 3) შემთანხმებლური კომისიის არჩევა.

ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული მოძრაობისა და მოსახლეობის სახალხო ნებას კრემლმა დაუპირისპირა თითქოსდა სსრ კავშირისათვის საყოველთაო ბრძანებულება, მაგრამ აფხაზეთის ასსრ სინამდვილეში მან მიიღო ქართველ მოსახლეობაში სანადირო თოფების, ძველი იარაღების, რელიქვიების (ხმალი, დამბაჩები, ძველებური თოფები და ა.შ.) ამოღების მორიგი კამპანიის ხასიათი, ამავე დროს, იგივე ბრძანებულება აფხაზეც-სეპარატისტთათვის შეიარაღების ფორსირებული ფორმის ახალ პაროლად იქცა. საუბარია სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულებაზე **"სსრკ კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონო შენახვის შემთხვევაში მისი ჩამორთმევის შესახებ" (გაზ. "საბჭ.ოთა აფხაზეთი", 25 ივლისი, 1990წ.).**

საინტერესოა, რომ ამ ბრძანებულებას არ დაუბრკოლებია საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა "მრგვალ მაგიდას" დაპირისპირებული ბანდიტურ-ყაჩაღური ცრუ "ეროვნული" ორგანიზაციების შეიარაღება, მათი თავდასხმები დოსაფის ქონებაზე და მისი მითვისება, პოლიციისათვის იარაღის აყრა, საოკუპაციო ჯარიდან იარაღის შეძენა და ა.შ. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია რუსიზმმა მესამედ **1991 წლის დეკემბერში** სწორედ მათზე დაყრდნობით განახორციელა, მაშინ ყველაფერი ნათელი უნდა იყოს. **29 ივლისს** ზემოთ დასახელებულ ბრძანებულებას სსრკ პრეზიდენტმა **მ.გორბაჩოვმა** მოაყოლა მორიგი "კანონი" _ **"ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მომზადების პერიოდში საფინანსო-საკრედიტო საკითხებზე საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების თანამოსაქმეობის შესახებ".**

1990წ. 28 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სეპარატისტულმა პრეზიდიუმმა გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ **28 ივლისს** დანიშნული აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მეათე სესია არ შედგა კვორუმის უქონლობის გამო. X სესიაზე მოსული დეპუტატების ჯგუფმა იმუშავა თათბირის სტატუსით, მიიღო "მიმართვა აფხაზეთის ასსრ ყველა მოქალაქისადმი". აგრეთვე დააყენა საკითხი მეათე სესიის განმეორებითი მოწვევის შესახებ. მიღებული იქნა ე.წ. მიმართვა.

აფხაზეთში **28 ივლისის** მოვლენებზე ნათელ წარმოდგენას ქმნის გაზეთ **"ახალგაზრდა ივერიელის" (7 აგვისტო)** პუბლიკაციები:

"სესია ამჯერად ჩაიშალა... რა იქნება შედგეგ? აფხაზეთში სიტუაცია ისევ დაიძაბა. ჯერ იყო და ამა წლის ივლისში სახალხო ფორუმ "აიდგილარას" გაზეთ "ედინენიეში" გამოქვეყნდა გასული წლის 15-16 ივლისს აფხაზეთში მომხდარი მოვლენების შემსწავლელი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის სესიაზე დაუმტკიცებელი

დასკვნა, სადაც ბრალი მთლიანად ქართველ ხალხს ედებოდა, ამას კი ზედ დაერთო ყოვლად მოულოდნელი სესია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსი. სესია ჩაიშალა, მაგრამ იქ მისულმა 58 დეპუტატმა მაინც მიიღო მიმართვა აფხაზეთის ასსრ მცხოვრებთადმი, რომელსაც დღეს უკომენტაროდ გთავაზობთ (იგი გამოქვეყნდა გაზეთ "საბჭოთა აფხაზეთის" 31 ივლისის ნომერში), აქვე მოგაწვდით ჟურნალისტ ზვიად ქორიძის ინფორმაციას, რომელიც გუშინ დილით გადასცა საინფორმაციო-მუსიკალურმა პროგრამა "პიკის საათმა": 25 აგვისტოს კვლავ დაინიშნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია. ცხადია, აჩქარება ნამდვილად არ მოიტანს სასურველ შედეგს, მაგრამ დროულად კი უნდა მოხდეს (ბოლოს და ბოლოს!) მეცნიერების, სპეციალისტების მიერ სიმართლის დადგენა და სათანადო შეფასება უნდა მიეცეს აფხაზეთის ისტორიის 1921-31 წლების პერიოდს. ამასთან, საჭიროა რეალური ვითარების შესახებ ობიექტური მასალების გამოქვეყნება საკავშირო პრესაში.

28 ივლისს, როგორც იცით, ჩაიშალა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია. ჩაიშალა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ არ შედგა ქვორუმი. სესიის ჩატარებისათვის სავალდებულო 71 დეპუტატიც კი ვერ მოგროვდა. თავშეყრილმა 58 დეპუტატმა მიიღო მიმართვა აფხაზეთის ასსრ ყველა მცხოვრებისადმი. აზრთა და პოზიციათა ასეთი შეხლა-შემოხლა გამოიწვია სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხმა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრიობის გარანტიების დაცვის შესახებ. მე გავეცანი იმ მოხსენების თეზისებს, რომელიც ამ საკითხს შეეხება და რომელიც სესიის ჩაშლის შემდეგ გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში. ეს არის დოკუმენტი აფხაზეთის ანექსიის და საქართველოდან მისი გამოყოფის შესახებ, წინაპირობა იმისა, რომ უნდა მოხდეს აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარირება, ეს რომ ნამდვილად ასეა, და რომ ამაში უნდა დარწმუნდეს ქართველი საზოგადოებრიობა, საჭიროა ამ დოკუმენტის გადმობეჭდვა რესპუბლიკურ პრესაში და მისი კომენტირება მეცნიერების, განსაკუთრებით ისტორიკოსების, პოლიტიკოსების მიერ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს რეალობა 1921-31 წლების აფხაზეთისა, რომელსაც ასე ეჭიდებიან ამ შემთხვევაში აფხაზი დეპუტატები. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვალერიან კობახიამ სასტიკი უარი განმიცხადა ინტერვიუს ჩაწერაზე, თუმცა საუბრით მესაუბრა, სადაც აღნიშნა, რომ ჩვენი მიზანი არ არის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება, მით უმეტეს სსრ კავშირიდან გასვლა. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, რომ ხელშეკრულება გავაფორმოთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან და ამ ხელშეკრულების საფუძველზე შევიდეთ განახლებულ ფედერაციულ საფუძვლებზე შექმნილ საბჭოთა კავშირშიო.

28 ივლისის სესია ჩაიშალა, თუმცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 3 აგვისტოს გამართულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ სესია გაიმართოს 25 აგვისტოს. დღის წესრიგი: "აფხაზეთის ასსრ კონცეფცია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით" და "აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრიობის გარანტიების დაცვის შესახებ". ეს საკითხი შეეხება კონსტიტუციის მე-6, მე-7, და 45-ე მუხლებს.

4 აგვისტოს ადგილობრივმა გაზეთებმა დაიწყეს ბეჭდვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონპროექტებისა, თუმცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების "მრგვალი მაგიდის" ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალურმა ორგანიზაციამ გაცილებით ადრე დაიწყო პროპაგანდა მეორე კანონპროექტისა, რომელიც ითვალისწინებს მრავალპარტიულ არჩევნებს. ეს კანონპროექტი მოსახლეობის დიდი ნაწილის მოწონებასაც იმსახურებს. თავად დავესწარი სოფელ წებელდის მცხოვრებლებთან ამ ორგანიზაციის წევრების შეხვედრას, სადაც მოხდა ამ

კანონპროექტის და საერთოდ სამივე პროექტის განხილვა. ფაქტია და ამას განსაკუთრებით აღნიშნავენ "მრგვალი მაგიდის" რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომ აფხაზეთში გაშლილ ეროვნულ მოძრაობაშიც იმძლავრა კონფრონტაციამ. არიან ორგანიზაციები, რომლებიც დადიან ქართულ სოფლებში და მოსახლეობას აშინებენ, რომ აქ ჩვენს გარდა ვერც ერთი პარტია ვერ შემოვაო და ამას ცალკეული პიროვნებების ლანძღვით ასაბუთებენ. ამაში წებელდის შეხვედრის შემდეგ იქაურ მცხოვრებლებთან საუბარმაც დამარწმუნა. არის გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომელთაც ეროვნული საბჭო ეწოდება. მათ წარმომადგენლებთან შეხვედრა ვერ მოხერხდა, მაგრამ ყოველგვარი კომენტარის გარეშე მოგაწვდით ერთ ფაქტს: როცა ეროვნული საბჭოს მიერ ჩატარებული ერთდღიანი გაფიცვა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიის ჩაშლის მოთხოვნით გადაიზარდა გლობალურ აქციებში, რომელიც საარჩევნო კანონ-პროექტების გამოქვეყნებას მოითხოვდა, საბჭოს წევრებმა დაიწყეს გაფიცვის საწინააღმდეგო პროპაგანდა. ერთი რამის აღნიშვნა აუცილებელია, რომ ასეთ დაძაბულ რეგიონში თვით ქართველთა კონფრონტაცია სასურველ შედეგებს ვერ მოიტანს. 58 აფხაზი დეპუტატის მიმართვაში აღნიშნულია, "ეს აქციები სხვა არაფერს წარმოადგენენ თუ არა მცდელობას აშკარა ძალის გამოყენებისა, პოლიტიკური შანტაჟის მოთხოვნა იმ წინადადებაზე, რომ პარლამენტური გზით გადაწყდეს ავტონომიური რესპუბლიკის საარსებო საკითხები, დიქტატის ამგვარი პოლიტიკა, ძალის პოზიციიდან სხვა ხალხებისათვის თავისი ნების თავის მოხვევის პოლიტიკა დაგმობილია №24 რეზოლუციაში "საქართველოს ეთნიკური კონფლიქტების შესახებ", რომელიც მიიღო პრაღაში 1990 წლის ივლისში ორგანიზაციის "დემოკრატია და დამოუკიდებლობა" მიერ მოწვეულმა საერთაშორისო კონფერენციამ". აქაც ყველაფერი ნათელია.[29]

მიმართვა აფხაზეთის ასსრ ყველა მოქალაქისადმი.

აგერ თითქმის ორი წელიწადია, რაც აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს სესია არ მოუწვევია. ამასთან, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მუშაობის ერთი წლის მანძილზე მიღებულია ათობით ფუძემდებლური კანონი, რომლებიც უშუალოდ ეხება ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესებს. ამავე დროს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულია დადგენილებანი და კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, სსრ კავშირის ნორმატიულ აქტებს და არსებითად ბღალავენ აფხაზეთის ასსრ ინტერესებს. ზოგიერთი საკავშირო კანონის მოქმედება, რომლებიც ცნობილ იქნა საქართველოს ინტერესებისადმი შეუსაბამოდ, ფაქტობრივად შეჩერებულია. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1989-1990 წლებში სამჯერ (1989 წლის ნოემბერში, 1990 წლის მარტში და ივნისში), მოწვეულ იქნა სესიები, რომლებიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პრობლემას. ამ სესიაზე მიღებულია დადგენილებანი, რომლებითაც საქართველოში 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მიცემული აქვს შეფასება, როგორც არსებული პოლიტიკური წყობილების _ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა, რაც განხორციელდა სამხედრო ჩარევის (ინტერვენციის) და რსფსრ-ს მიერ ოკუპაციის გზით. უკანონოდ და ბათილად იქნა ცნობილი ყველა სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც არსებობდნენ და არსებობენ საქართველოში. 1921 21 მაისს დადებული ხელშეკრულება საქრთველოს სსრ და რუსეთის რსფსრ-ს

[29]ნათელი ისაა და ეს დრომაც დაადასტურა, რომ №24-ე რეზოლუცია საქართველოზე მორიგ ცილისწამებას წარმოუდგენდა, რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ე.წ. ეროვნულ საბჭოსა და ვითომ "მრგვალ მაგიდას", ესეც დაადასტურა დრომ, _ არც ერთი და არც მეორე არ გახლდათ ეროვნულ-სახალხო ცნობიერების, ორივემ განსაცდელის ჟამს უმუხთლა "მრგვალ მაგიდას" და საოკუპაციო ძალას შემოუძღვა.

შორის, 1922 წლის 12 მარტის ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ და 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ რსფსრ-მ უნდა სცნოს 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების უხეში დარღვევა, აგრეთვე, შექმნილია კომისია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შესამუშავებლად. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა წარმოადგენს ქართველი ხალხის ხელშეუვალ უფლება-მოვალეობას, შეუძლია გადაწყვიტოს ეს საკითხი თვითმმართველობის პრინციპების საფუძველზე, გარედან რაიმე დაწოლის გარეშე, ადმიანის უფლების დაცვის პირობებში. ამასთან, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილებები იწვევს მთელ რიგ პოლიტიკურ და სამართლებრივ შედეგებს.

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების, აგრეთვე, მათ მიერ დადებული ხელშეკრულებების უკანონოდ და ბათილად ცნობა ნიშნავს, რომ ამით აღიარებულია იურიდიულ ძალდაკარგულად ყველა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აქტი, რომლებიც ეხება საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობებს.[30] ამის გამო ისმება საკითხი აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის შესახებ, რომელიც ეხება არა მარტო აფხაზების, არამედ ყველა იმ ხალხების, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობენ: ქართველების, სომხების, რუსების, ბერძნების, ესტონელების და სხვ. ინტერესებს. სავსებით გასაგებია აფხაზი ხალხის შეშფოთება, აფხაზეთი _ ეს მისი სამშობლოა. მხოლოდ მასთან და მის სახელმწიფოებრიობასთან არის დაკავშირებული მისი აწმყო და მომავალი. იგი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობს მისი ბედისათვის. ასევე არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ აფხაზეთის მიერ სახელმწიფოებრიობის დაცვა პირველ რიგში ითვალისწინებს აფხაზი ხალხის ინტერესებისა და უფლებების დაცვას, რაც გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, აგრეთვე, ისეთი ფუნდამენტური საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ჰელსინკის 1975 წლის დასკვნითი აქტი, ვენის 1989 წლის საბოლოო დოკუმენტი და სხვა საერთაშორისო აქტები ხალხთა უფლებების შესახებ. ამ პირობებში აფხაზეთის ხალხთა ინტერესების დაცვა ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოს პირდაპირი მოვალეობაა. აფხაზეთის ბედით შეშფოთებულმა, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა მიმართა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს და დააყენა საკითხი სესიის ჩატარების შესახებ, მისი ჩატარება ნავარაუდევი იყო 1990 წლის 28 ივნისს, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების რეკომენდაციით სესია გატანილ იქნა უფრო გვიან დროისათვის. გაზეთ "სოვეტსკაია აბხაზიაში" 27 ივნისს გამოქვეყნდა ინფორმაცია სესიის დღის წესრიგისა და მისი გადატანის მიზეზების შესახებ.

1990 წლის 24 ივლისს საოლქო გაზეთებში გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება 1990 წლის 28 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ. იმის მიუხედავად, რომ დაწვრილებითი ინფორმაცია მომავალი სესიის შესახებ წინასწარ იქნა გამოქვეყნებული პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, დეპუტატთა გარკვეული ნაწილი სხდომაზე არ გამოცხადდა. თავიანთ გამოუცხადებლობას ზოგიერთი დეპუტატი ხსნის ინფორმაციის უკმარობით, მეორენი _

[30] სწორედ ასეთი საპირწონეთი შეეცადა კრემლი საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ეროვნულ-სახალხო ძალისხმევათა ლაგამამოდების. ეს იყო საპასუხო ნაბიჯი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მარტსა და ივნისში მიღებული ისტორიული დადგენილების საწინააღმდეგოდ, რომელიც აშკარად ეთნოდივერსიულ ხასიათს ატარებდა.

თანახმანი არ არიან დღის წესრიგისა. უფრო მეტიც, პრესაში: "საბჭოთა აფხაზეთში" 25 ივლისს და "დროშაში" (გულრიფშის რ-ნის გაზეთი. ს.საჯ.) 26 ივლისს გამოქვეყნდა სტატიები და განცხადებები, რომლებშიც უხეშად არის დამახინჯებული მომავალი სესიის არსი, გზაკვალს უბნევენ რესპუბლიკის მრავალეროვნულ მოსახლეობას და არსებითად მოუწოდებენ ეროვნებათშორის შეტაკებისაკენ. დეზინფორმაციის გავლენით რიგმა ადგილობრივმა საბჭოებმა სასწრაფოდ მოიწვიეს თავიანთი სხდომები და მიიღეს ნაჩქარევი გადაწყვეტილებანი, რომლებშიც დაგმობილია სესიის ჩატარება, ხოლო ზოგიერთ საწარმოში ქართველი ეროვნების პირებმა მოაწყვეს გაფიცვა. ბოიკოტის ორგანიზატორებმა უხეში გავლენა მოახდონეს ცალკეულ დეპუტატებზე, აიძულეს ისინი არ გამოცხადებულიყვნენ სესიაზე...

ეს აქციები სხვას არაფერს წარმოადგენენ თუ არა მცდელობას აშკარა ძალის გამოყენებისა, პოლიტიკური შანტაჟის მოწყობას იმ წინადადებაზე, რომ პარლამენტური გზით გადაწყდეს ავტონომიური რესპუბლიკის საარსებო საკითხები. დიქტატის ამგვარი პოლიტიკა, ძალის პოზიციიდან სხვა ხალხებისათვის თავისი ნების თავისმოხვევის პოლიტიკა დაგმობილია №24 რეზოლუციაში "საქართველოში ეთნიკური კონფლიქტების შესახებ", რომელიც მიიღო პრაღაში 1990 წლის ივლისში ორგანიზაციის "დემოკრატია და დამოუკიდებლობა" მიერ მოწვეულმა საერთაშორისო კონფერენციამ.[31] გასაკვირია, რომ იმ დროს, როცა საქართველოს არაფორმალურ ორგანიზაციათა ცალკეული ლიდერები მოუწოდებენ აფხაზ ხალხს დიალოგისათვის, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ბევრმა დეპუტატმა არ ისურვა მონაწილეობის მიღება საარსებო პრობლემების საპარლამენტო განხილვაში. ალბათ, დღეს აფხაზეთში ქართულ ეროვნულ მოძრაობაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ დესტრუქციული ძალები. პარლამენტური გზა _ ერთადერთი შესაძლებელი ხერხია პრობლემების გადასაჭრელად, რაც მიღებულია ცივილიზებულ ხალხებს შორის. უზენაეს საბჭოში დიალოგზე უარის თქმას მივყავართ მიტინგურ სტიქიამდე და ეროვნებათშორის კონფლიქტებამდე. ყოველივე ამაში დამნაშავეებს უნდა ვეძებდეთ არა იმათს შორის, ვინც ბოიკოტს აცხადებს.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატები (58 კაცი). 1990 წლის 29 ივლისი ქ.სოხუმი.

მიმართვა მიღებულია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა კრების მიერ, რომლებიც მოვიდნენ თავიანთ მეათე სესიაზე, რომელიც დანიშნული იყო 1990 წლის 28 ივლისს, მაგრამ ვერ შედგა კვორუმის უქონლობის გამო (ეს მასალა გამოაქვეყნა აფხაზეთში გამომავალმა "აფსნი ყაფშმა", "საბჭოთა აფხაზეთმა" და "Советская Абхазия"მ 31 ივლისს, 1990წ.).

1990წ. 29 ივლისს გაზეთ "საქართველოში" გამოქვეყნდა სსფ-ს თავმჯდომარის, პროფესორ ნოდარ ნათაძის

ღია წერილი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მთავრობას, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ინტერესების სამსახური დღეს დიდ მატერიალურ ხარჯს მოითხოვს. ამ ხარჯის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მოდის სტიქიით დაზარალებული და სხვა გაჭირვებული ქართველი მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის პროგრამებზე. ეს პროგრამები ვერ სრულდება ფინანსთა უქონლობის

[31] პრაღის ე.წ. 24-ე რეზოლუციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მელანი შემშრალი, რომ იგი აგრესიული სეპარატიზმის მესვეურებმა მყისიერად შეუშვეს პოლიტიკურ მიმოქცევაში და ამ "დოკუმენტით" დაიწყეს ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის "დიდმპყრობლური" მიზნების "მხილება".

გამო, ისევე, როგორც სახლების მშენებლობის პროგრამა ვერ შესრულდა სამშენებლო მასალების უქონლობის გამო (ძირითადად, რუსეთის მიერ საქართველოს თვის ფაქტობრივად გამოცხადებული ბლოკადის, საქართველოში ყველაზე საჭირო ტვირთთა შემოტანის ფაქტობრივი შეწყვეტის გამო). ამავე დროს საქართველო თავისი ხარჯით განაგრძობს მშენებლობას სომხეთის სტიქიით დაზარალებულ რაიონებში. დღემდე ზემოთხსენებული პროგრამისათვის დახარჯულია სულ რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი. ამ თანხაში დაახლოებით ნახევარი შეადგინა ხალხის მიერ შეგროვილმა და ორგანიზაციების მიერ გაღებულმა ფულმა (ციფრებს შეგნებულად არ ვაზუსტებ, რათა თავი დავიზღვიო შესაძლო შეცდომისაგან). პროგრამის შესრულებას დღესდღეობით სჭირდება რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი.

შეგასხენებთ, რომ:

ა) დღეს საქართველოს ინტერესებისათვის საჭირო ზემოთხსენებული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა არა არის რა, თუ არა კომუნისტური ბიუროკრატიული აპარატის მიერ წლების მანძილზე ნაწილ-ნაწილ გაყიდული საქართველოს კვლავ გამოსყიდვის ხარჯი.

ბ) საქართველოს წმინდა ადმინისტრაციული ძარცვის მასშტაბები (გარდა ზოგადი კოლონიური ძარცვისა) წელიწადში მილიარდობით მანეთს შეადგენს.

თქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ საქართველოს მთავრობის დაუყონებლივ ანგარიშგებას საზოგადოებრიობის წინაშე იმის თაობაზე, თუ:

ა) როგორ ნაწილდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შემოსავლები;

ბ) როგორ და ვის მიერ ხდება საქართველოს ტერიტორიის და მისი ბუნებრივი რესურსების ფასიანი ან უსასყიდლო გამოყენება.

ცხადია, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა სხვაგვარად ვერ დაკვალიფიცირდება, თუ არა საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მოქმედება.

დაე, საქართველოს სიმდიდრე მისი ერთადერთი კანონიერი მფლობელის _ თვით ერის ხელში იყოს და საქართველოს სამსახურს მოჰხმარდეს!

1990წ. 1 აგვისტოს საქართველოს სსრ საწარმოებში შეწყდა **26 ივლისს** დაწყებული საყოველთაო გაფიცვა (რომლის ეპიცენტრი იმხანად ქ.სამტრედია გახდა), რადგან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა **31 ივლისს** დაადგინა **17 აგვისტოსათვის** საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევა. ამასთანავე, რესპუბლიკურ გაზეთებში "**კომუნისტსა**" და "**Заря Востока**"-ში დაიწყო ალტერნატიული საარჩევნო კანონპროექტების გამოქვეყნება: **1 აგვისტოს** _ პირველი პროექტი, **4 აგვისტოს** _ მეორე, **7 აგვისტოს** _ მესამე ("მრგვალი მაგიდის").

1990წ. 2 აგვისტოს აფხაზეთის ასს ავტონომიური რესპუბლიკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს **"თეზისები მოხსენებისა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს X სესიაზე "აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ".** სინამდვილეში იგი წარმოაგდენდა ე.წ. აფხაზური წერილისა და ლიხნის დეკლარაციის შეკუმშულ ვარიანტს, უფრო ნაკლებემოციურ, "მოწესრიგებულ" და სისტემაში მოყვანილ დემაგოგიას, რომელიც კრემლიდანური ზურგის ქარისა და მართული სადავეებით გამოჭენებული, აგრესორული შორსგამიზნულობით ყოვლად უსირცხვილოდ ცრუობდა და ირწმუნებოდა, რომ **"1931 წელს გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი აფხაზი ხალხის უფლებების ჩამორთმევის გზაზე. სახელშეკრულებო აფხაზეთის სსრ გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს სსრ შემადგენლობაში. საქართველოსა და აფხაზეთს შორის დადებული ხელშეკრულება გაუქმდა. ამრიგად, აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა 1921 წლიდან 1931 წლამდე დაღმავალი გზით მიდიოდა. ამ დროიდან დაიწყო აფხაზი ხალხის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების გეგმაზომიერი შებღალვა, რამაც 30-50-იან წლებში აშკარა**

ძალადობის ფორმა მიიღო”... შემდეგ ულტიმატუმის ენით წამოყენებული იყო მოთხოვნა, რომ **“აფხაზეთს უნდა დაუბრუნდეს მისი ისტორიული უფლება დამოუკიდებლობაზე”...**

1990წ. 6 აგვისტოს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროსა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ განიხილეს საკითხი **“აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მესხეთელი თურქების ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მიერ ნავარაუდევი მასობრივ სვლასთან დაკავშირებით. აფხაზეთის ასსრ-ში ვითარების გართულების თავიდან აცილების პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ”.** სამთავრობო დონეზე დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის **ლ.ხაბურზანიას** თავმჯდომარეობით, რომელმაც თავისი სამუშაო სხდომა ჩაატარა **7 აგვისტოს.** წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით **8 აგვისტოს** დაბა გულრიფშში საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევით შედგა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი, რომელმაც აფხაზეთის პროსაბჭოთა ხელისუფლებისა და იმპერიული მოსკოვის დასაყრდენ ინტერფრონტულ მოძრაობებს, ასევე კრემლიდანურ “აიდგილარას” მოსთხოვა არ დაეშვათ ეს სახიფათო აქცია.

1990წ. 7 აგვისტოს გაზეთ “საბჭოთა აფხაზეთის” ფურცლებზე სსფ-ის აფხაზეთის განყოფილებამ აღნიშნა, რომ **28 ივლისს** არშემდგარი სესია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოსი, გახლდათ ქართველ ხალხზე მორიგი პოლიტიკური თავდასხმის მცდელობა, და დეპუტატთა დიდმა უმრავლესობამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა სესიას ბოიკოტი გამოუცხადა: **“...აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს დიდი ხანია რაც უფლებამოსილების ვადა გაუვიდა და იგი არც არავის გაუგრძელებია. ფაქტობრივად შეიქმნა უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს ვაკუუმი, რაც თავისი არსით პოლიტიკური კრიზისის ტოლფასია, საპარლამენტო კრიზისთან ერთად”.**

1990წ. ასევე **8 აგვისტოს** გაგრაში გაიმართა სრულიად საქართველოს გრანდიოზული მიტინგი, რომელმაც ბევრად განაპირობა თურქთა მოძრაობისგან მოსალოდნელი საფრთხის მშვიდ არხზე გადაგდება.

1990წ. ჯერ კიდევ **ივლისში არკადი მარკოზიას** ხელმძღვანელობით შეიქმნა გაგრის რეგიონის ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო სათათბირო. მან **8 აგვისტოს** გამოაქვეყნა (**გაზ. “ავანგარდი”**) მიმართვა გაგრის მოსახლეობისადმი, რომელშიც ახსნა თავს მოხვეული აქციის ვერაგობა.

ეს აქცია იმ ხანად მიზანშეუწონლად მიიჩნია აგრეთვე “აიდგილარამ” (გაზ. “აიდგილარა”, **7 აგვისტო,** “**Советская Абхазия**”-მ _ **9 აგვისტო),** თუმცა მან თურქების სამშობლოდ საქართველო (მესხეთი) სცნო. ჩათვალა რომ ამჯერად მათი ჩამოსახლებისთვის საჭირო ვითარება და ხელსაყრელი პირობები არ იყო.

1990წ. 8 აგვისტოს გაგრის გრანდიოზული მიტინგიდან, რომელშიც მონაწილეობდა სრულიად საქართველოს (რა თქმა უნდა, ასევე ცხუმ-აფხაზეთის) ეროვნული მოძრაობა, გამაფრთხილებელი მიმართვა გაეგზავნა **მ.გორბაჩოვს, ბ.ელცინს, გ.გუმბარიძეს.**

1990წ. 9 აგვისტოს სოხუმის რაიონის სოფელ თავისუფლების საშუალო სკოლის ეზოში გაიმართა სოხუმის რაიონის მოსახლეობას მიტინგი, რომელმაც დაგმო რუსიზმის მიერ ინსპირირებული აგრესია. აღსანიშნავია, რომ მასში მონაწილეობა მიიღეს ბერძნებმაც.

ამ მიტინგზე გამოვიდა ბერძენი **ლიდა მისტრიდი**, მისი წერილი ***“უსაფუძვლო პრეტენზიები”***, გაზეთ **“საბჭოთა აფხაზეთში”** იყო იმ დღეს დაბეჭდილი, რომელშიც ავტორი გულწრფელად ამბობდა: **“სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. აქ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები, ცხოვრობდნენ წინაპრები. ჩემი სულისა და გონების ყოველი ნერვით,**

ყოველი სიმით საქართველოსთან ვარ დაკავშირებული. ამიტომაც კარგად მესმის ის გულისტკივილი, რომელსაც დღეს ქართველი კაცი განიცდის.

თითქოს კრიზისის პირას მისული ეკონომიკა, სოციალური სიდუხჭირე არ კმაროდეს საფიქრალად და სადარდელად, რომ გარედანაც ათასი თავსატეხი გამოგვიჩნდა. ხან აქ, ხან იქ იფეთქებს ხოლმე, ერთშორისი თუ ლოკალური პოლიტიკური კონფლიქტის ალი. გამუდმებულმა ნერვიულმა დაძაბულობამ, გულგატეხილობამ დაღი დაასვა ადამიანებს, დააქვეითა მათი განწყობა, შრომისუნარიანობა, სიცოცხლის ხალისი...

დღეს ყველა უბედურებას ე.წ. თურქი-მესხების პრობლემაც დაემატა. მცირემიწიან სქართველოში, სადაც შვიდშვილიანი (და მეტი) ოჯახები გაყოფას, ზოგჯერ საკარმიდამო ნაკვეთის მიღებასაც კი ვერ ახერხებენ, ასეულ ათასობით თურქი აპირებს ჩამოსახლებას, ეს მაშინ, როდესაც, როგორც ჩემთვის ცნობილია, ზვავებით განადგურებული სვანეთიდან აყრილი მოსახლეობისა და აჭარაში დამეწყრილი ოჯახებისთვის ვერაა გამოძებნილი ფუძე და კერა. მასპინძელს თავისთვის შინ დასაჯდომი ადგილი არა ჰქონდეს და კარს მომდგარი ძალად სტუმარი იქ გაშინაურებას აპირებდეს? რას უნდა მივაწეროთ, რომ ცენტრალური პრესა არც თუ იშვიათად კვერს უკრავს სარვაროვისა და ძმათა მისთა უსაფუძვლო პრეტენზიებს? ამ პრეტენზიების მომწონებელთა გასაგონად მინდა ვთქვა, რომ არცერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში დღეს მსგავსი რამ არ ხდება. ამიტომაც იმდენად თვალსაჩინოდ ჩანს ეს მოვლენათა განვითარების ფონზე, რომ აღარც ღირს მასზე ყურადღების ზედმეტად გამახვილება. მხოლოდ ერთს შევნიშნავდი: თუ ამ თურქებმა (და არა თურქმა-მესხებმა) ერთმორწმუნე ფერღანელებს, მუსულმანებს შორის ვერ გამონახეს საერთო ენა და ცეცხლითა და მახვილით დაერივნენ ერთმანეთს, როგორ შეეგუებიან მართლმადიდებელ ქრისტიანებს? რომელი სამშობლო ეძახით მათ აქეთ? მომხდურთა მიერ ათასგზის დარბეული, მრავალტანჯული მესხეთი არ გახლავთ ის აღთქმული ქვეყანა, საითაც სულით, ხორცითა და სარწმუნოებით თურქს წინაპართა სალოცავები უხმობენ.

მე ბერძენი ვარ და რადგან აქაური ბერძნების ტალღა ელადისაკენ დაიძრა, ადრე თუ გვიან ამ ტალღის ძახილს უნდა მივუგდო ყური, რამეთუ იგი ღვთისა თუ კაცის წინაშე ბერძენთა ისტორიული სამშობლოა, ჩვენი კულტურის, ისტორიის თვითმყოფადობის ლიბო ბალკანეთის ნახევარკუნძულის გვალვიან მიწაშია ჩაკირული და გულსაც იქით მიუხარია. მაგრამ, რაა გულისხმა, თუ მას სინდისის დაწმენდილი ხმა თან არ დაჰყვება?

ჩვენ საქართველოს სიყვარულში ტოლს არავის დავუდებთ, ამიტომაც არასოდეს დავუპირებთ მისი ეროვნული სიმტკიცის გულისფიცარს ძალადობის მახვილის ძგერებას. და თუ ვინმეს ხელში ეს მახვილი შემართული დავინახეთ, ვიცით: იგი მტერია ყველა იმათი, ვინც დღეს საქართველოს მიწაზე სტუმრის თუ მასპინძლის უფლებით ცხოვრობს. ეს კარგად უნდა ესმოდეთ იმ ადამიანებსაც, პროვოკატორთა "მარშის" ჰანგზე რომ აუწყვიათ "მშვიდობიანი" ნაბიჯები და მასპინძელთა ნების საწინააღმდეგოდ აპირებენ მისი ეზო-კარის დალაშქვრას. გვეყო "მარშები", გვეყო "ლაშქრობები", და რადგან ნებისმიერი მდინარე ადრე თუ გვიან თავის კალაპოტს უბრუნდება, დროა ყველამ თავის ნამდვილ სამშობლოს მიაშუროს."

1990წ. 10 აგვისტოსათვის ე.წ. თურქი მესხების (მესხეთში ოკუპაციის შედეგად დაფუძნებულ თურქთა შთამომავლობის) ლიდერებმა მოსკოვის მორიგი იმპერიული ტაქტიკის _ დემოგრაფიული ექსპანსიის მიზნით "საქართველოში მშვიდობიანი სვლით" დაბრუნების აქცია დაგეგმა.

ამასთან დაკავშირებით ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულმა მოძრაობამ აფხაზეთის ხელისუფლებას მოსთხოვა დაეჭირა მკვეთრად გამოკვეთილი პოზიცია, მით უფრო,

რომ არსებობდა ინფორმაცია “აიდგილარასა” და “ვათანის” თავკაცებს შორის კულუარული და რიგ შემთხვევაში აშკარა თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს საწინააღმდეგო ძალისხმევას.

იმ დღეებში საქართველოს ტელევიზიამ შორსგამიზნული მიზნით აჩვენა “მრგვალი მაგიდისა” და მესხეთელი თურქების ლიდერთა დიალოგი, რომლითაც ოფიციოზმა სინამდვილის გაყალბება და საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანა განიზრახა.

ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულმა მოძრაობამ სრულიად საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევით მიიღო სათანადო ზომები გაგრის, რიწა-აუადჰარის, ფსხუს, შამხუ-ბაშქაცარას, ომარიშარის და ა.შ. გზებისა და საუღელტეხილო ბილიკებზე მორიგეობა-მეთვალყურეობის განსახორციელებლად.

ძალები, რომლებიც გეგმავდნენ საქართველოში მრავალპარტიული არჩევნების ჩაშლას, ყოველმხრივ აქეზებდნენ ე.წ. მესხეთელ თურქებს მორიგი ავანტიურისათვის, ამავე დროს კრემლმა სცადა აზერბაიჯან-არმენთა კონფლიქტის საქართველოს ტერირორიაზე გადმოტანა, რისთვისაც მის მიერ წახალისდა არმენი ბოევიკების თავდასხმები ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ სოფლებზე.

თურქების ამხედრება და საქართველოს წინააღმდეგ წაქეზება კრემლიდანურმა ძალებმა თადარიგიანად დაიწყეს, მათი “უფლებების დაცვას” ჯერ კიდევ **1988 წელს** წერილი მიუძღვნა მწერალმა **ჩინგიზ აითმათოვმა** (“**Известия”, 4 апреля~, 1988г.).** ხოლო უზბეკეთის კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა **რ.ნიშანოვმა** სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზეც კი დააყენა ყირიმელი თათრებისა და მესხეთელი თურქების უფლებათა დაცვის საკითხი. აქვე, კიდევ ერთხელ, დაჟინებით უნდა გავიმეორო, თვით ტერმინი თურქი მესხები _ უკვეა აგრესია ქართველი ერის წინააღმდეგ.

როგორც ხედავთ, **რ. ნიშანოვის** ამნაირად გამოხატული ნება შეიძლება მივიჩნიოთ ახალ თურქმანულ ფართომასშტაბიან გარიგებად. **1921 წლის 16 მარტის** ლენინურ-ქემალისტური შეთანხმება იძლევა ასეთი დემარშების საშუალებას. ამით ნავარაუდევი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის მოხრჩობა და მცირე აზიიდან შუა აზიამდე ერთიანი ალათაური გეოპოლიტიკური სივრცის უკვე სათურქო პოლიტიკურ რეზერვაციად გაფერადება.

მიუხედავად 1989 წლის 3-4 ივნისს ფერგანაში (უზბეკეთის სსრ) ე.წ. მესხეთელი თურქების ჟლეტისა და მათი დეპორტაციისა, უზბეკეთის კომპარტიის თავკაცი იმავე დღეებში სამოსკოვოდ დააწინაურეს და სსრკ უზენაესი საბჭოს ეროვნების საბჭოს თავმჯდომარედ “აირჩიეს”.

მოკლე ხანში სსრკ უზენაეს საბჭოს ეროვნებათა საბჭოსთან (**რ.ნიშანოვის** ქვემდებარედ) შეიქმნა “თურქ-მესხთა” პრობლემების შემსწავლელი კომისია, რომლის წევრი **ე.პაინი**[32] **21 თებერვალს** გაზეთ **“Известия”**-ს ფურცლებზე აცდახებდა, რომ “თურქი-მესხები” უეჭველად უნდა დაუბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოს და არა სხვა საცხოვრებელ ადგილებს, რა თქმა უნდა, ისტორიულ სამშობლოში საქართველო იგულისხმება. ამავე პერიოდში უზბეკეთიდან დეპორტირებულმა თურქებმა საზოგადოება “პამიატთან” ერთად პრესკონფერენცია ჩაატარეს მოსკოვში საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, საიდანაც საბჭოთა საინფორმაციო საშუალებათა დახმარებით გაავრცელეს დეზინფორმაცია საქართველოს ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. **18 აპრილს** თურქებმა გამოსცეს ჟურნალი “Вестник обшества “Ватан”, რომელშიც საქართველოს ისტორია კვლავ უმოწყალოდ გაყალბდა.

---

[32] ემილ აბრამის ძე პაინი დაიბადა 1948 წ. ქ.კიევში, პოლიტოლოგი და ეთნოგრაფი, რუსეთის ეთნოლოგიის გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი.

1990წ. მაისის თვის დასაწყისში იმავე "პამიატის" მხარდაჭერითა და აქტიური მონაწილეობით თურქებმა მიტინგი გამართეს მოსკოვში, მათი მთავარი ლოზუნგი გახლდათ მოწოდება **"ძირს დიქტატორი გამსახურდია".** ამდენად, გასაგებია მთელი ეს სახიფათო დემაგოგია თუ ვისგან იყო მართული. იმავდროულად დაიწყო მორიგი ავანტიურის მაღალორგანიზებული მომზადება: ე.წ. მესხეთელ თურქთა "მშვიდობიანი მსვლელობა" საქართველოს ოკუპაციისათვის.

მესხეთელ თურქებს შორის, რა თქმა უნდა, არიან ქართული წარმოშობის მოქალაქეებიც, რომელთაც მესხური მეხსიერება სამშობლოსაკენ ეწევა. ეს ტრაგედიაა, _ თურქული ოკუპაციის შედეგი, ისინი ამჯერად რუსიზმის ეთნოდივერსიულ ნედლეულად იქცნენ. პიროვნებებს, რომელთაც ამდენ საასიმილაციო ეთნოფაბრიკაციებს გაუძლეს, ეკუთვნით სამშობლოში დაუყვედრებელი დაბრუნება. ამაზე ბატონმა **ზ. გამსახურდიამ** ჯერ კიდევ ფერგანის ტრაგედიის კვირაში განაცხადა, მაგრამ თურქთა შორის ქართველყოფილთა და ამჯერად გათურქებულთა სპეკულირება თავიანთი ქართული გვარების დამახსოვრებით, ბევრს არაფერს ნიშნავს, გადაგვარებული მედროვე უფრო საშიშია, ვიდრე მშობლიურსახოვანი მტერი. ეს მწარე გამოცდილება თავზესაყრელად გვაქვს: **კობახიძეები, ძიძარიები, ახვლედიანები, ლობჯანიძეები, გოგუები, ჯინჯოლიები** გახლავან აფხაზეცური სეპარატიზმის მამამთავრები და არა სხვა ვინმე. ...და მაიც, ნებისმიერის სურვილი, აღორძინდეს სამშობლოს, ანუ საკუთარი დედანი ვინაობის შინაარსში, თანადგომას მოითხოვს ყოველმიზეზგარეშე და ეს უნდა მოხდეს ერის სახალხო წესრიგში და არა ვინმეს შორსგამიზნული კარნახით.

აქ სხვა რამესთან გვქონდა საქმე _ მესხეთელ თურქთა "მესხური" პრეტენზიების გაცნობა საშუალებას მოგცემთ, გაერკვეთ, თუ რა ხდება სინამდვილეში, ხოლო ქვემოთ მოყვანილი განცხადებები, რომელთაც თან ერთვის "მრგვალი მაგიდის" სათანადო განმარტებაც, დაგარწმუნებთ, რომ ჩვენ დივერსიული ეთნოფაბრიკაციებისგან თავდაღწევა მხოლოდ ასჯერ გასიგრძეგანებული სვლაგეზითღა თუ შემოგვესადგურება:

ПРЕЗИДЕНТУ ТУРЦИИ ТУРГУТУ ОЗАЛУ

г.Москва,

20.04.90г.

№49 т.м.

Уважаемый Тургут Озал!

Каждый человек, тем более целая нация, должен бороться за самосохронение, должен защитить честь и достоинства нации, какой бы она ни была - большой или малой. иначе исчезнет бесследно.

Наш народ - месхетинские турки - неустанно борется по силе возможности, не нарушая Государственного Закона, за восстановление исторической справедливости и возвращение на свою родину предков.

До 1988 года, кроме официальных органов, в Советском Союзе никто не знал, что из Месхет-Джавахети были высланы в 1944 году турки. Они существуют и требуют восстановления попранных прав.

Благодаря Чингизу Айтматову _ писателю века _ 4 апреля 1988 года через газету «Известия» советская общественность узнала, что есть такая народность.

Социально-правовая незазищенность нашего народа привела к ферганской, а затем и ташкентской трагедиям. Сегодня весь мир знает, что из числа турок _ 74 тысячи беженцев. Они разбросаны по всему Союзу и стоят на грани исчезновения как этнос.

Представителям народа было отрадно услышать на консультативной встрече 28 марта 1990 года в Кремле из уст председателя Национальной Палаты Верховного Совета СССР тов. Нишанова Р.Н. о том, что Вы как Президент обратились к Первому Президенту СССР тов. Горбачову М.С. с предложением об оказании материальной помощи при устройстве турок на своей исторической родине.

Временный Организационный Комитет общества «ВАТАН» в лице своего народа благодарит Вас и в Вашем лице весь турецкий народ за признание и впредь нуждается в Вашей поддержке.

Ваше личное участие в судьбе людей, страдания которых обусловлены лишением исторической родины и нарушением элементарных человеческих прав, даст надежду народу, находящемуся в отчайном положении.

Гуманность и благородство присуще всему цивилизованному человечеству.

С уважением к Вам

Председатель Временного Организационного Комитета
общества «ВАТАН» Ю.САРВАРОВ. Секретарь Ш.Фазлиев.
(გაზ. "Известия", 1880წ.აპრილი)

ПРЕЗИДЕНТУ СССР ГОРБАЧЕВУ М.С.
ОТ ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ ТУРКОВ-МЕСХЕТИНЦЕВ, УЧАСТВОВАВШИХ В РАБОТЕ КОМИССИИ ПО НАЦИОНАЛЬНОЙ ПОЛИТИКЕ И МЕЖНАЦИОНАЛЬНЫМ ОТНОШЕНИЯМ

г.Москва 20.04.90г. №45-тм

ЗАЯВЛЯЕМ

Председатель палаты Совета Национальностей Верховного Совета СССР тов. Нишанов Р.Н. 28 марта 1990 года на заседании обещал, что решение вопроса турок-месхетинцев будет рассматриваться на сесии в палате Совета Национальностей Верховного Совета СССР 16 апреля 1990 года в 16 часов. Однако вопрос был передан в комиссию по национальной отношениям, которая состоялась 18-20 апреля, Комиссия пришла к выводу _ передать решение комиссии в Палату национальностей Верховного Совета СССР.

Если до 1 мая 1990 года сессия Верховного Совета СССР не примет постановления, то нам не остается больше выхода, кроме мирного похода всем народом в Грузию. Другого выхода. мы не видим, так как нас бесконечно обманывают.

Юсуф Сарваров,

Рамиз Сандов,

Таштан Асланов,
Темур Турсунов,
Джават Кучиев,
Расатдин Расулов.

МИНИСТРУ ЗДРАВООХРАНЕНИЯ СССР тов. ДЕНИСОВУ И.Н.

г.Москва 22.04.90г. №49 т.м.

Уважаемый Игорь Николаевич, на данный момент положение турко-месхетинского народа крайне тяжолое. Люди живут в нечеловеческих, антисанитарных условиях. После ферганских и ташкентских событий резко увеличилась смертность среди детей и пожилых, намного возросла численность болеющих сердечно-сосудистым заболеваниями и заболеваниями, возникшими в результате изменения климатических условий. В местах пересиления не везде оказывается медицинская помощь. Незащищенность и

неуверенность в завтрашнем дне, постоянный страх и чувство унижения приводят к медленному и мучительному вымиранию целого народа.

Как Вам известно, народ принял решение: мирным походом, с хлебом и солью, массово идти к грузинскому народу, ибо в этом он видит единственный путь выживания и самосохраниения нации.

В связи с этим ВОК общества «ВАТАН» просит Вас помочь народу в организации медицинской службы в походе.

Председатель общества «ВАТАН» Ю.САРВАРОВ
Секретарь Т.АСЛАНОВ.
(გაზ. "Известия", 1990წ. აპრილი)

1990წ. 25 მაისი: საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა და წევრთა მიმართვა
ქართველი ერისადმი და მსოფლიო საზოგადოებისადმი

პოლიტიკური პროცესები, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობდა, იძლევა იმის გარანტიას, რომ ახლო მომავალში საქართველო აღიდგენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და აღსულდება ქართველი ერის ნება.

დღეს-დღეობით ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება ამ გზაზე არის ცენტრის მიერ ინსპირირებული დემოგრაფიული ექსპანსიის გაძლიერება, რომელიც მთელი სიმძაფრით აისახა ე.წ. "თურქი მესხების" საქართველოში რეპატრიაციის საკითხის დაყენებით. ქართველმა ერმა ერთსულოვნად და საყოველთაოდ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი _ მისი სრული გადაჭრა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პრეროგატივა უნდა იყოს. დღეს-დღეობით მისი მოწესრიგების არავითარი პირობები არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ცენტრი აგრძელებს თავისი გეგმების მიზანდასახულ განხორციელებას, რაც აისახა ქართველი ერის საწინააღმდეგო, მადისკრიმინირებელ დადგენილებაში, რომელიც მიიღო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ნაციონალური პოლიტიკის და ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ე.წ. კომისიამ. აღნიშნული დადგენილება ფაქტობრივად ხელ-ფეხს უხსნის ნახევარ მილიონამდე თურქს საქართველოს ტერიტორიის უკანონოდ დაკავებაში.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ორგანიზაცია "ვატან"-ის ლიდერები (რ.სარვაროვი, რ.საიდოვი და სხვანი), ულტიმატუმის სახით დაყენებულია მოთხოვნა, რომ თუ აღნიშნული დადგენილების მუხლები არ იქნება დაკმაყოფილებული ა.წ. 1 მაისამდე, საბჭოთა თურქები იწყებენ მთელი შემადგენლობით "მშვიდობიან" ტოტალურ სვლას საქართველოსკენ. თუ რას უქადის ამ ურდოების შემოჭრა საქართველოს, ძნელი წარმოსადგენი არაა. როგორც ახლახანს ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ მუქარის აღსრულება უახლოეს ხანშია მოსალოდნელი. ე.წ. "თურქ-მესხთა" ძირითადი "არგუმენტია" ის, რომ, თითქოს, მესხეთი არის მათი ისტორიული სამშობლო. ჩვენ ვაცხადებთ, რომ თურქთა ისტორიული სამშობლო თურქეთია და არა მესხეთი, რომ მესხეთში მათი დამკვიდრება იყო ოკუპაციის შედეგი, ამდენად, ეს მოსახლეობა მუდამ უკანონოდ იყო ამ მხარეში. სსრკ მთავრობამ უკანონოდ მიიჩნია დეპორტირებულ ვოლგისპირეთის გერმანელთა მოთხოვნა შუა აზიიდან კვლავ ვოლგისპირეთში დაბრუნებისა, თანაც განმარტა, რომ გერმანელთა ისტორიული სამშობლო გერმანიაა და არა ვოლგისპირეთი. ასევე უნდა

განვაცხადოთ ჩვენ, რომ უკანონოა მესხეთის გამოცხადება თურქთა ისტორიულ სამშობლოდ.

ამ ვითარების გათვალისწინებით ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წაყრუება და დუმილი ამ საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით.

მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციები და მასში შემავალი პიროვნებები კატეგორიულად მოითხოვენ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან:

1. ოფიციალურად იქნეს აღიარებული და მიეცეს პოლიტიკური შეფასება ეროვნაბათშორისო კომისიის აღნიშნულ დადგენილებას.

2. დაგმობილ იქნეს საქართველოს საზოგადოებრიობის გვერდის ავლით მოსკოვსა და ანკარას შორის არსებული მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით (იხ. თურქეთის პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილი).

3. კატეგორიულად მოეთხოვოს საკავშირო და რესპუბლიკურ მთავრობებს, არ დაუშვან თურქთა მრავალათასიანი არმიის თავისუფალი გადაადგილება მათსავე ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო შედეგების მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება საკავშირო მთავრობას.

ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მასში შემავალი ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ აღიქმება, როგორც ღალატი ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებისადმი. ამ შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართავს პოლიტიკური ბრძოლის უკიდურეს ფორმას _ მოუწოდებს ქართველ ერს სრული ორგანიზებული დაუმორჩილებლობისაკენ.

ჩვენი ღრმა რწმენით, მრავალტანჯული ქართველი ერი ამ ექსტრემალურ ვითარებაშიც გამოიჩენს მაღალ ეროვნულ, მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მოსალოდნელი არნახული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი
საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია
წმინდა ილია მართლის საზოგადოება
სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება
მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგიის სახელით,
მრგვალი მაგიდის მუდმივი წევრები: თენგიზ სიგუა,
ვახტანგ ბახტაძე,
თენგიზ დიხამინჯია, გიზო კორძაძე, ალეკო მელაძე,
ზვიად ბოკუჩავა,
ნოდარ იმნაძე, არკადი მარკოზია, გურამ
პეტრიაშვილი, გიორგი ხავთასი.

თბილისი, 1990 წელი, 25 მაისი.

გაზ. “ახალგაზრდა ივერიელი”, 29 მაისი, 1990 წ.

მესხეთ-ჯავახეთიდან და არმენეთის საზღვრისპირა რაიონებიდან გასახლებული თურქების შთამომავლები (მათ შორის გათურქებული ქართველების ნაწილი, რომლებიც აზროვნების წესით თურქი ექსტრემისტები გახდნენ), 1990 წლის 6 მაისიდან თავს იყრიდნენ სოჭსა და ადლერში. მათი მიტინგი **10 აგვისტოსათვის** დაინიშნა ადლერის სტადიონზე (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს **17 აგვისტოს** სესიის წინა დღეებში, რაც გათვალისწინებული იყო საქართველოში მორიგი დესტაბილიზაციის

პროვოცირებისათვის და მრავალპარტიული, ანტიკომუნისტური არჩევნების ჩასაშლელად).

ამისდა შესაბამისად ქართველმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ აიძულა, როგორც საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება, ასევე აფხაზეთის ასსრ ოფიციოზი, რუსისტულ-სეპარატისტული ე.წ. "გამათავისუფლებელი" მოძრაობები, რათა არ დაეშვათ დიდი თურქობა საქართველოში. ამასთან ერთად პარალელურად, "მრგვალი მაგიდა" მოლაპარაკებებს აწარმოებდა "ვათანის" ლიდერებთან, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო: **4 აგვისტოს** საზოგადოება "ვათანის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **ი.სარვაროვმა** ე.წ. "თურქი მესხებისადმი" მრგვალი მაგიდის მიმართვის პასუხად წერილობით განაცხადა: **"საზოგადოება "ვათანის" ხელმძღვანელობა იღებს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მრგვალი მაგიდის მიმართვას 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული "თურქი მესხებისადმი" და იზიარებს აზრს, რომ "თურქი მესხების" საკითხის გადაწყვეტა არის მხოლოდ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს პარლემენტის კომპეტენცია",** ამასთანავე **ი.სარვაროვმა** დასძინა: **"10 აგვისტოს ქ.სოჭში დანიშნული მიტინგის არჩატარება დაგვიანებულია. იგი დიდი ხნის წინათ დაიგეგმა. ამიტომ იგი აპირებს მიტინგზე ჩასვლას, ვინაიდან თვლის, რომ ჯობია მიტინგი უხელმძღვანელოდ არ დარჩეს".** მან ქართულ ეროვნულ მოძრაობას მისცა გარანტია, რომ მიტინგი ქ.სოჭის ფარგლებს არ გასცდებოდა.

1990წ. 10 აგვისტოს მიტინგი ჩატარდა ადლერის სტადიონზე, სადაც მიუხედავად კრემლის მოწადინებისა _ დაეწყოთ "მშვიდობიანი" მსვლელობა, "ვათანის" ხელმძღვანელობამ შესძლო სიტუაციის მართვა და არ დაუშვა ვნებათაღელვის გამწვავება.

იმავდროულად ფსოუს მარცხენა მხარეს სრულიად საქართველომ მოუყარა თავი, მათ შორის, რა თქმა უნდა, ბლომად იყო ეროვნულ მოძრაობაში შემოპარული აგენტურა, რომელიც ცდილობდა უმართავი გაეხადა სიტუაცია. ეროვნულმა მოძრაობამ შეიმუშავა სათანადო გეგმა შემდგომი მოქმედებისათვის. ასეთნაირად დასრულდა თურქთა "მშვიდობიანი მსვლელობა" საქართველოსაკენ.

მესხეთში დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული მიზნით ხელოვნურად დამკვიდრებული თურქების პრობლემას საბჭოთა პრესა აშუქებდა ყალბად, ტენდენციურად, წამქეზებლურად. ამ საკითხს ეხებოდა **გიორგი მაისურაძის** წერილი **<u>"ჭირის სუფრა უჭირისუფლოდ":</u>**

ამას წინათ შემთხვევით ხელში ჩამივარდა გასული წლის მეთერთმეტე-მეთორმეტე ნომრები ჟურნალისა "Дружба народов". უნდა გამოგიტყდეთ, ამ ჟურნალის თავგადაკლული მკითხველი არ გახლავართ. ამიტომ, როცა მისი ზემოთხსენებული ნომრების ფურცვლას შევუდექი, ერთი გაფიქრება გავიფიქრე: მთელი საბჭოეთი ეთნოკონფლიქტების თუ ეთნოკრიზისების გრიგალს მიაქვს და, ნეტავ, ეს გამოცემა, თავისი დასახელებით და მიმართულებით (ყოველთვიური სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, სსრკ მწერალთა კავშირის ორგანო) ხალხთა მეგობრობას რომ ემსახურება, ამ უბედურებიდან გამოსავალს თუ ეძიებს-მეთქი.

წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა პირველსავე ცდაზე კოჭი ალჩუზე დამიჯდა: რუბრიკიდან "ნაცია ი მირ" შევიტყვე, რომ 1989 წლის ივნისის ბოლოს გამართულა ჟურნალის რედაქციასთან შექმნილი ეროვნებათშორისი ურთიერთობების საბჭოს პირველი სესია თემაზე "ინტელიგენციის როლი ეროვნებათაშორის კონფლიქტებში".

ცოდვა გამხელილი სჯობს და თემის სათაურმა, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა: რას ნიშნავს "როლ ინტელიგენციი ვ მეჟნაციონალნიხ კონფლიქტახ"? სემინარის მონაწილეებს ამით იმაზე ხომ არ სურთ მიგვანიშნონ, რომ ინტელიგენცია ეროვნებათაშორის კონფლიქტებში კარგა მნიშვნელოვან როლს ასრულებს-მეთქი?..

დავიწყოთ იმით, რომ რედაქციასთან არსებული ეროვნებათშორისი ურთიერთობების საბჭოს თხუთმეტი წევრიდან და სესიაზე მოწვეული ათი კაციდან, ვინაც ზემოთხსენებული თემა განიხილა, არცერთი არ გამოდგა ქართველი! ვინმე მიხეილ მჭედლოვი (მჭედლიშვილი?) პირადად მე ქართველთა შორის არ მეგულება.

მერე რა მოხდაო, ეგებ ვინმემ მომიგოს. ამ კითხვას, პირველ რიგში, ალბათ, ჟურნალის რედკოლეგიის რომელიმე წევრის ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭოს ერთ-ერთი წარმომადგენლის, საბჭოს მოწვევის ინიციატორის და სესიის ორგანიზატორის, სულისჩამდგმელისა და ჩამტარებლისაგან, ანდა ჟურნალის რედაქტორისაგან, პატივცემულ სერგი ბარუზდინისაგან უნდა ველოდო. ეგებ, სულაც, ყველამ ერთად მკითხოს _ რა მოხდა მერე, დიდი ამბავი, სანამდე უნდა გეგონოთ ქართველებს, რომ დედამიწა უთქვენოდ ვერ იბრუნებსო?

ქართველი კაცი კი უმალ მიმიხვდება, რა სატკივარიც მტკივა და თუ "დრუჟბა ნაროდოვ"-ის ფურცლებზე გამართულ "დისკუსიას" არაა გაცნობილი, მკითხავს: რა, ისევ ჩვენს სულში აფათურეს ხელები, ისევ დაგვისხდნენ მასპინძლებად და მომრიგებელ მოსამართლეებად ჩვენსავე ოჯახშიო?

ჰაი, ჰაი, რომ ეგრეა!

ე.წ. "თურქი მესხების პრობლემა" იყო სესიის მონაწილეების აზრთა გაცვლა-გამოცვლის ერთი მთავარი საგანი.

არ მკითხოთ, ახლა: რით ვერ გაიგო ამ ხალხმა, მით უმეტეს, თავს ინტელიგენტად თუ არა, საყველპუროდ განათლებულად მაინც რომ მიიჩნევს, _ "თურქი მესხი" ისევე არ არსებობს, როგორც "უზბეკი რუსი" ან "ტუნგუსი უკრაინელი"...

აბა, რა გიპასუხოთ, როცა სესიის მონაწილეთაგან იმათაც კი, ვისაც, როგორც ჩანს, კარგად ესმის ყოველივე ეს და ვინაც "თურქი მესხის" ნაცვლად "მესხეთელ თურქს" ხმარობს სწორად, საჭიროდ არ ჩათვალა კოლეგებისათვის შეცდომაზე მიეთითებინა. არც ვინმეს უკითხავს: ქართველების მონაწილეობის გარეშე ამ საჭირბოროტო საკითხის განხილვა ცოტა უხერხული ხომ არ არისო? იქნებ იმის შიშით, რომ სესიის ორგანიზატორთაგან არავინ მიპასუხოს: უხერხული რა არის, ეგ ჩვენ ვიცითო...

ახლა იმას თუ იკითხავთ, ვინ არიან სესიაზე საჭირბოროტო საკითხთა განმსჯელნი და მოპაექრენი, ვფიქრობ მკითხველის ცნობისწადილს ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილებ, თუ ვიტყვი, რომ ათი მოწვეული კაციდან სამი "თურქი მესხია": აბდულფაზ ბადირ-ოღლი _ ფერგანის ოლქის მცხოვრები, ბელგოროდის ოლქში ყოფილა ევაკუირებული; ფუად პეპინოვი _ კავშირგაბმულობისა და მართვის სისტემათა ინსტიტუტის თანამშრომელი ბრძანებულა; დაბოლოს, იბრაჰიმ სარვაროვი, "სამშობლოში თურქ მესხთა დაბრუნების დროებითი საორგანიზაციო კომიტეტის წევრი".

იბრაჰიმ სარვაროვი: "ჩემი ხალხი უხსოვარი დროიდან მშვიდობიანად ცხოვრობდა, ხელიხელჩაკიდებული შრომობდა სტუმართმოყვარე ქართველ ხალხთან ერთად საქართველოს სამხრეთ რაიონებში, მესხეთში... ორმოცდახუთი წელი გავიდა, მაგრამ ჩვენ სამშობლო როდი დავივიწყეთ, დაბრუნებაზე ვოცნებობდით, მთავრობისაგან მოვითხოვდით ისტორიულ სამშობლოში დავებრუნებინეთ... ჩვენ გვსურს ჩვენს ისტორიულ სამშობლოში დავებრუნებინეთ... ჩვენ გვსურს ჩვენს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება..."

ხედავთ, რატომ არ უნდათ სესიის ორგანიზატორებს, იბრაჰიმ სარვაროვის მომწვევთ, განსჯა-განკითხვაში ქართველის მონაწილეობა? ჯერ ერთი, არაა გამორიცხული იგი იბრაჰიმ სარვაროვს ქეჩოში სწვდეს და შერისხოს _ უხსოვარ დროს რას უწოდებო? რაკი თურქები მესხეთში სულ ოთხ საუკუნეს ცხოვრობდნენ, მაშინ რომელ "ისტორიულ სამშობლოზეა" ლაპარაკი? როდის იყო ქართველები თურქებს ისტორიულ სამშობლოში, თურქეთში დაბრუნებას უკრძალავდნენ? იმასაც გაახსენებს, როგორ მოხვდნენ თურქები "საქართველოს სამხრეთ რაიონებში, მესხეთში", მერე მორიგ ტყუილში გამოიჭერს და აუდიტორიას, ის კი 1.135.000 მკითხველისაგან შედგება, მოუთხრობს რა "მშვიდობიანად ცხოვრობდა" და "ხელიხელჩაკიდებული შრომობდა" მესხეთელი თურქი "სტუმართმოყვარე ქართველ ხალთან" ერთად და, ვინ იცის, კიდევ რას არ იტყვის... ეს კი არც იბრაჰიმ სარვაროვს "აწყობს" და არც მის მასპინძლებს.

ახლა ფუად პეპინოვს მოვუსმინოთ:

"მესხეთელ თურქებს დღეს იმ თურქებს უწოდებენ, საუკუნეების მანძილზე რომ უცხოვრიათ საქართველოს ახალციხის მხარის მკაფიოდ შემოსაზღვრულ ფარგლებში _ მესხეთ-ჯავახეთში (ასე აქვს ნათქვამი: "ვ ჩოტკო ოგრანიჩენიხ პრედელახ ახალციხსკოგო კრაია გრუზიი-მესხეტია-ჯავახეტიი"-ო. მკითხველს პატიებას ვთხოვ, უკეთესად რომ ვერ ვთარგმნე). მესხეთელი თურქების საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული, მკვეთრად გამოკვეთილი კულტურული თვითმყოფადობა, ერთიანი ეროვნული თვითშეგნება, რამაც ჩვენს დღეებამდე მოიტანა, ოდესღაც სამხრეთ საქართველოს ცხოვრებისა და კულტურის ნაწილს შეადგენდა. მესხეთელი თურქები თავს ქართველი ხალხის ბუნებრივ და სრულფასოვან ნაწილად გრძნობდნენ, მათგან არ განიყოფებოდნენ არც ენობრივი, არც ეკონომიკური, არც ზნეობრივი ბარიერებით. მეჩეთებსა და ეკლესიებს ერთსა და იმავე სოფლებში აშენებდნენ ხოლმე, ერთობლივი ძალისხმევითაც კი. ხალხი ორენოვანი იყო, თავის ისტორიულ და კულტურულ უნიკალურობას გრძნობდა".

მოდი და ამის წამკითხავი, საქმეში ჩაუხადავი მკითხველი გაამტყუნე თუ თავსა და ბოლოს ვერ მიაგნო. იგი რიგიანად იმაშიც ვერ გარკვეულა, ერთი და იმავე ხალხს ხან "თურქ მესხებს" რად უწოდებენ, ხან კი "მესხეთელ თურქებს", რომ სარვაროვი და პეპინოვი მას მორიგ "აბრაკადაბრას" მიახლიან უმოწყალოდ. ზემოთ რომ ბოდიში მომახდევინა, იმ ფუად პეპინოვმა, გგონიათ არ უწყის, როგორ უბნევს გზაკვალს უმეცარ კაცს გეოგრაფიული "ტერმინით" _ "საქართველოს ახალციხის მხარის მკაფიოდ შემოსაზღვრული ფარგლები _ მესხეთ-ჯავახეთი"? ამას დამატებული, სარვაროვისეული "სამხრეთ საქართველოს რაიონებით _ მესხეთით" გაბრუებული, გაუთვითცნობიერებელი მკითხველი საბოლოოდ კარგავს ორიენტაციას დროსა და სივრცეში. მას ჯერ ის ვერ გაუგია, სად იწყება და სად მთავრდება მესხეთი, რომ ახლა იმაზე უნდა იტეხოს თავი, საიდან გაჩნდა ეს ახალი მხარე _ ახალციხე, ან ჯავახეთი რაღაა, მის "მკაფიოდ შემოსაზღვრულ ფარგლებში"? როდის მოვიდნენ აქ თურქები? რატომ? განა შემთხვევითია, რომ ამაზე მას არავინ არაფერს ეუბნება?

არანაკლებ დაბნეულია უცოდინარი მკითხველი შემდეგი "გარემოებებით": თუ მესხეთში მცხოვრებ თურქებს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული, მკვეთრად გამოკვეთილი კულტურული თვითმყოფადობა, ერთიანი ეროვნული თვითშეგნება გააჩნდათ, თანაც თავის ისტორიულ და კულტურულ უნიკალობასაც "გრძნობდნენ", ამასთან ერთად, როგორღა "გრძნობდნენ" თავს ქართველების განუყოფელ და სრულუფლებიან ნაწილად, როგორ ახერხებდნენ, რომ მათგან არ განირჩეოდნენ არც ენით, არც ეკონომიკით და არც ზნეობით? და, რაკი ამ აბსურდში გარკვევა არ ძალუძს, რადგან ალოგიკურობის ამ ლაბირინთებიდან თავი ვერ

დაუღწევია, იგი ხალისით იჯერებს, რომ ეს მართლაც ასე იყო. მაშინ რა, ანდა ვინ არის, თავის ბუნებრივ გეოპოლიტიკურ და ეთნოსოციალურ გარემოში ჩაგრული ხალხის დაბრუნებას წინ რომ აღდგომიაო, განრისხებით კითხულობს "დრუჟბა ნაროდოვ"-ის 1.135.000 მკითხველთაგან სულ მცირე ნახევარი მაინც.

ამაზე ფუად პეპინოვს მზამზარეული პასუხი აქვს: თურმე ნუ იტყვით და, ასეთ ძალას წარმოადგენს... ქართული ინტელიგენცია! "ეს ინტელიგენტები", როგორც წესი, არად დაგიდევენ ზოგადსაკაცობრიობო ღირებულებებს, მაინც და მაინც არც მათი დეკლარირებით იწუხებენ თავს. მათი მოღვაწეობის თვალსაჩინო შედეგია _ ეროვნებათშორის ურთიერთმტრობის ზრდა. სულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ მშობლიურ მხარეში არალეგალურად შეღწეულ თურქ მესხებს ქართველები თანაგრძნობითა და სიყვარული მიიღებდნენ ხოლმე. ახლა როგორღაა?!"

თუ რა ბრალდებებს უყენებს დამატებით ფუად-აღა ქართველ ინტელიგენტებს, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. აქ კი სამართლიანობა მოითხოვს და იმას ვიტყვით, რომ მას და ჭირის სუფრაზე მის დამპატიჟებლებს ტყუილად როდი ეშინიათ ნამდვილი ჭირისუფლების გამოჩენისა. ქართველი ინტელიგენტი, მით უმეტეს, თუ მის "სისასტიკეს" და "დაუნდობლობას" გავითვალისწინებთ, აიღებს და მესხეთელი თურქების წინამძღოლების ჭეშმარიტ ზრახვებს ამხელს, ფარდას ახდის მესხეთის მიწაზე თურქების ავტონომიის შექმნის სარვაროვ-პეპინოვისეულ პროგრამას და მაშინ ქართველებთან ენობრივი, ეკონომიკური და ზნეობრივი იდენტურობის ლეგენდა საპნის ბუშტივით გასკდება. ქართველი ინტელიგენტი საზოგადოდ ისეთი ახირებული ვინმეა, ნათელს მოჰფენს, როგორ ინერგებოდა მესხეთში "ორეროვნება" და ვის უხდებოდა ჯერ ორ ენაზე ლაპარაკი, შემდეგ კი მშობლიურის გადავიწყება. იმასაც მოითხოვს: კეთილი ინებეთ, და ერთი მიბრძანეთ, რომელი ჩვენი ეკლესიის მშენებლობაში გაგვიმართეთ ხელი, ანდა წელი მოიწყვიტეთ? მაშინ ეროვნებათაშორისი ურთიერთობების საბჭო და მათი თურქი სტუმრები სადღა წავლენ? ამიტომ სესიის სხდომათა დარბაზის კარი საიმედოდაა ჩარაზული, ემანდ ქართველებმა არ შემოგვიმტვრიონო.

ახლა ამ საკითხზე ლაპარაკი დროებით მივატოვოთ და ფუად პეპინოვის ბრალდებებს მივუბრუნდეთ.

"სამწუხაროდ, ინტელიგენციის ამ ნაწილის ერთი საყვარელი გასართობთაგანია ყველაზე ვულგარული ყაიდის მითოსების შეთხზვა. სიუჟეტი, მხოლოდ და მხოლოდ მულტფილმის სცენარისთვის რომაა გამოსადეგი, უცილობელ ისტორიულ ფაქტად მიიღება. მასების შეგნებაში ინერგება გაუბრალოებული, ვულგარული მოდელები. წარმოიშობა ქვეყანათა, ერთა, ეპოქათა ქიმერული ხატები".

რაო, რაო, რასა ბრძანებსო? _ იკითხავთ ალბათ.

მოთმინება იქონიეთ!..

აიდერ ქურჩი: "...მე სამშობლოში დაბრუნებისათვის ყირიმელ თათართა მოძრაობაში ვმონაწილეობ და რეალურად ვიცი რაოდენ ძნელია დაუპირისპირდე ეროვნულად აღგზნებულ ინტელიგენციას, განსაკუთრებით მწერლების განწყობილებებს, რომელნიც იმას ცდილობენ, რათა "საკუთარი ხალხის" ამ ქვეყნად მოვლენას დასაბამი ლამის პალეოლითიდან მისცენ. ასე, ამჟამინდელი თურქული ინტელიგენცია (ავიღოთ მეზობლები) თურქული ერის მატიანეს მოითვლის ჩათალ-ჰიუიქიდან, ჩვ. წ. აღრიცხვამდე VII ათასწლეულის ხეთებამდელი მკვიდრი წარმონაქმნიდან. კავკასიის ჩვენებურ რესპუბლიკებში ინტელიგენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან მოსწავლეთა დამოძღვრაში ისტორიული სამშობლოს სიღრმის შესახებ, როცა თავიანთი ხალხები შუმერებიდან გამოჰყავთ და მიდიის, ურარტუსა თუ

ასურეთის დრო-ჟამამდე აჰყავთ. თუმცა, ამის მსგავსად იქცევიან ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების და sev-ის ყველა ქვეყნის ინტელიგენციის წარმომადგენლებიც".

ჰასან ჰუსეინოვი: "ეროვნულ მოძრაობათა ერთ ფანტომურ მიზანთაგან მესახება ასეთად წოდებული ეროვნული კულტურა. და აქ საკმარისი იქნებოდა მეთქვა, რომ კულტურა არ შეიძლება ვინმეს საკუთრება იყოს, იმიტომ რომ იგი პროცესია, და არა მარტო შედეგი... კიდევ უფრო მეტად საკითხის აგრერიგად დასმის აბსურდულობა მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც ეროვნული მოძრაობები ცდილობენ "მამათა მრწამსზე" განსაკუთრებული ეთნიკური უფლებები დაგვისაბუთონ... ეროვნული იდეა ასეულ ათასობით ადამიანს აიძულებს სწორედ ამ აზრს მოკლებულ საქმეს მიჰყონ ხელი: "ჩვენ აქ ჯერ კიდევ IV საუკუნეში მოვედით, როდესაც აქ თქვენი სახსენებელიც არ იყოო". გონივრული დასაბუთება ისეთ ადამიანთან კამათში, თავის შორეულ წინაპრებთან რომ გაუიგივებია თავი, საეჭვოა, ნაყოფიერი იყოს: დღენიადაგ წააწყდებით, ძმა ძმასაც კი რომ ედავება უფლებას საერთო მამის შვილად იწოდებოდეს".

ისევ ჰასან ჰუსეინოვი: "...ინტელიგენცია ერთთავად ყელს იწმენდს, რათა სახალხო ქოროს ხმა ააყოლოს. ამ ტრადიციის დარღვევაც მოგვიწევს. თანაც უმრავლესობიდან კი არა, უმცირესობიდან უნდა დავიწყოთ. ეს ერთადერთი პირობაა, რომლის არსებობის დროსაც, უმრავლესობა ადამიანურ იერსახეს ინარჩუნებს. იმისათვის, რათა ეს იერსახე დაიკარგოს, სულ ცოტა რამაა საჭირო: მაგალითად, ამისათვის, საქართველოში საკმარისი თურქი მესხებისათვის ადგილი არ გამოინახოს..."

(გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 23 მარტი, 1990წ.)

1990წ. 9 აგვისტოს რსფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება "რუსეთის სფსრ სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების დაცვის შესახებ", რომელიც სსრკ პრეზიდენტმა მ..გორბაჩოვმა თავისი ბრძანებულებით 23 აგვისტოს გააუქმა. ამასთან დაკავშირებით რსფსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება:

"რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 9 აგვისტოს დადგენილების შესახებ"

სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების თაობაზე

სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 23 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანი იყო გაეუქმებინა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 9 აგვისტოს დადგენილება "რუსეთის სფსრ სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლის დაცვის შესახებ", განვმარტავთ:

ნორმატიული აქტების ანალიზი გვაძლევს საფუძველს იმ დასკვნის გამოსატანად, რომ რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზე სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამდე პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვთ რუსეთის სფსრ საკანონმდებლო აქტებს. ამას ადასტურებს შემდეგი:

რუსეთის ფედერაციის კანონით რუსეთის სფსრ ტერიტორიაზე საკუთრების შესახებ დადგენილია, რომ მიწისა და მისი წიაღის, სხვა ბუნებრივი სიმდიდრეებისა და სხვა ქონების საკუთრების უფლებას არეგულირებს რუსეთის ფედერაციისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონები.

საკუთრების აღნიშნული ობიექტები შეიძლება გადაიცეს სსრ კავშირის საერთო-საკავშირო ამოცანების განსახორციელებლად იმ პირობებითა და წესით, რომლებიც დგინდება რუსეთის სფსრ კანონებით (და მომავალში _ სამოკავშირეო ხელშეკრულებით). ამ კანონით ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბათილად ითვლება ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის ეკონომიკურ ინტერესებს.

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციის მე-5 მუხლის შესაბამისად რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე აჩერებს სსრ კავშირის იმ აქტების

მოქმედებას, რომლებიც ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის სუვერენულ უფლებებს.

რუსეთის ფედერაციის ამ ფუძემდებელ ნორმატიულ აქტებს უკვე კანონის ძალა აქვს. ამიტომ არ არსებობს საიმისო იურიდიული საფუძვლები, რომ ბათილად იქნეს მიჩნეული რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 9 აგვისტოს დადგენილება რუსეთის სფსრ ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვის შესახებ, ვინაიდან იგი შინაარსიანია და ლოგიკურად გამომდინარეობს რუსეთის სფსრ აღნიშნული საკანონმდებლო აქტებიდან.

მოყვენილი არგუმენტები, რომლებიც საკანონმდებლო აქტებს ემყარება, მოწმობს, რომ სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამდე განსახილველ საკითხებზე გამოყენებულ უნდა იქნეს რუსეთის სფსრ კანონები. ხელისუფლების სხვა ორგანოებს არა აქვთ უფლება შეცვალონ საკუთრების ურთიერთობა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, თუ ისინი არ ითვალისწინებენ რუსეთის სფსრ კანონებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს და არ არის შეთანხმებული რუსეთის სფსრ ხელისუფლების ორგანოებთან.

მაშასადამე, სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებას არა აქვს კანონის ძალა.

რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

(გაზ. "კომუნისტი" 28 აგვისტო, 1990წ.).

1990წ. აგვისტოს პირველ კვირას "თურქთა მშვიდობიანი მსვლელობის" სოჭი-ადლერის "ორგანიზაციული თვითმოწესრიგების" დღეებში სოხუმში შს სამინისტროს 10-ე, 12-ე, 13-ე, 15-ე იზოლატორიდან აფსუა ეროვნების პატიმრებმა **რ.ახვლედიანმა, ვ.ბიგვავამ, გ.ძიძარიამ,** აგრეთვე **პ.პრუჩნიკმა** მიზნობრივად საეჭვო ვითარებაში ისარგებლეს ქართველი მილიციელის დოყლაპიობით, აიყვანეს იგი ტყვედ, საპატიმრო შიგნიდან აიღეს და დაიწყეს ულტიმატუმური პირობების წამოყენება.

აფხაზეთის ასსრ შინაგან სამინისტროში მომხდარს მიეცა ეროვნებათშორისი დაპირისპირების ხასიათი და დახმარებისათვის მიმართეს ქართულ ეროვნულ მოძრაობას (რატომ სეპარატისტებისას არა, პატიმრები ხომ აფხაზეცები იყვნენ?!.). მართლაც ეროვნულ მოძრაობაში მოვლინებულმა აგენტურამ ამ აქციისკენ გამოიყოლა გაუთვითცნობიერებელი ნაწილი, მომხდარმა მიიღო კარგად დაგეგმილი აჟიოტაჟისა და სანახაობის ხასიათი. რომელსაც თან სდევდა მიზნობრივ ეთნოკონფლიქტში ხელოვნურად გადაზრდის საფრთხე, ხოლო მისი დარეგულირებით, აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ პოლკოვნიკ გ.ლომინაძეს, როგორც ეთნოკონფლიქტის ჩამქრობს, შეეძლო მოეთხოვა მინისტრად დამტკიცება.

რამოდენიმე დღეში "მოხერხდა" ხელშეწყობით ამბოხებული პატიმრების გაუვნებელყოფა, რისთვისაც მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გ. ლომინაძემ გენერლის წოდება მიიღო.

1990წ. 11 აგვისტოს შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით სოხუმში იყვნენ სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **გ.გუმბარიძე** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ.ჭითანავა.** ისინი შეხვდნენ აფხაზეთის ასსრ-ის რაიონების პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელობას, რომელთანაც ერთად დასახეს ამოცანები მომავალი არჩევნებისათვის და საქართველოს კპ 28-ე ყრილობის მეორე ნაწილისთვის.

1990წ. 12 აგვისტოს სსრკ პრეზიდენტმა **მ.გორბაჩოვმა** გააუქმა ესტონეთის ხელისუფლების მიერ **7 აგვისტოს** მიღებული დადგენილება **"ესტონეთის რესპუბლიკისა და სსრკ ურთიერთობის შესახებ".** მანამდე ესტონეთმა **30 მარტს** მიიღო დადგენილება **"ესტონეთის სახელმწიფოს სტატუსის შესახებ"**, რომელიც **14 მარტს** ბათილად სცნო სსრკ პრეზიდენტმა.

1990წ. 14 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების **ნ.კონჯარიას, ლ.კვიტატიანის, ა.არზუმნიანისა** და სხვათა მიერ მხილებული იქნა წინა დღეებში 28 აგვისტოსთვის მოწვეული აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს X სესიის დღის წესრიგის საბედისწეროდ სახიფათო ხასიათი **(გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 15 აგვისტო, 1990წ.).**

1990წ. 17 აგვისტოს გაზეთ **"საბჭოთა აფხაზეთში"** და **"Советская Абхазия"**-ში გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების **ვ.ყოლბაიას** (აფხ. ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის), **რ.სალუქვაძის, ვ.ბერულავას, ა.არზუმიანის, გ.ქავთარაძის, კ.სიჭინავას, პ.ქვაჩახიას, ო.ყვავაძის, კ.ზებელიანის, გ.ცობეხიას, გ.ნაჭყებიას, გ.პრაცკოს, ო.ნაყოფიასა** და სხვათა განცხადება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსა და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმების თავმჯდომარეების **გ.გუმბარიძისა** და **ვ.კობახიასადმი**. ავტორები არ იწონებდნენ 28 აგვისტოსთვის დანიშნულ აფხაზეთის ასსრ X სესიის პროვოკაციულ ხასიათს, ამავე დროს გმობდნენ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 58 დეპუტატის მიმართვას, რადგან **"აფხაზეთი არ არის მონონაციონალური, იზოლირებული სახელმწიფო წარმონაქმნი, არამედ წარმოადგენს მრავალეროვან რესპუბლიკას".** აი, მთელი მათი არგუმენტი, ისინი ამჯერადაც ეყრდნობოდნენ მხოლოდ საბჭოთა ეთნოდივერსიულ შედეგებს და ხელმძღვანელობენ 47-17 პროცენტის სახიფათო ინტერპრეტაციით, რომლის შემთხვევაში, თუ სხვა უფლება ქართველ ერს არ გააჩნია თავის დასაბამისმიერ სამკვიდროში _ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, რომელიც საბჭოთა ეთნოინდუსტრიამ აფხაზეთის ასსრ-ად ჩამოაყალიბა, სეპარატისტულ ეთნოკრატიას უამრავი კონტრარგუმენტი მოეძებნებოდა ამ "დებულებათა" გასაბათილებლად. დეპუტატების მიერ ამ პუბლიკაციაში გამოთქმული ბრალდებები **ვ.კობახიამ** აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით უარყო.

1990წ. 15 აგვისტოს სსრკ პრეზიდენტის **მ.გორბაჩოვის** ბრძანებით სსრკ მოქალაქეობა აღუდგათ საბჭოთა კავშირიდან გაძევებულ ე.წ. სხვაგვარად მოაზროვნეებს.

1990წ. 17 აგვისტო: საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს სესიის წინადღეებში ქართველ საზოგადოებას მიმართა საბჭოთა საქართველოს ნომენკლატურულმა ინტელიგენციამ (სამწუხაროდ, კითხულობ ხელმომწერთა სიას და გულმოკლული ადასტურებ, რომ მათგან მხოლოდ ათიოდემ თუ დაიცვა წერილით გასაჯარისებული დებულებები, მათმა აშკარად უპირატესმა რაოდენობამ მხარი დაუჭირა ეროვნული ხელისუფლების დამხობას):

საქართველოს საზოგადოებრიობას

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ღრმავდება პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი.

წარმოება იკვეცება, სიძვირე მატულობს, ცხოვრება უარესდება.

თვითნებობამ, განუკითხაობამ, კანონიერების დარღვევამ, მაფიის მოძალებამ გაუგონარ მასშტაბს მიაღწია.

შექმნილ ვითარებაში ხელისუფლება სათანადოდ ვერ მართავს სიტუაციას, ვერ გვთავაზობს კრიზისული მდგომარეობიდან რეალურ გამოსავალს.

რთული ვითარება შეიქმნა საქართველოშიც. ეროვნულმა მოძრაობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხალხის პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებაში, მაგრამ ამჟამად თავი იჩინა სხვადასხვა პარტიათა და გაერთიანებათა შორის შეუთანხმებლობამ, რომელიც სრულ კონფრონტაციამდეც მიდის.

გათიშულობა, შეუწყნარებლობა, ურთიერთდაუნდობლობა ხელს უშლის ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ შემტკიცებას და აბრკოლებს ეროვნულ მოძრაობას.

სამშობლოს მრავალი საფრთხე შეექმნა.

მოვლენები კი სწრაფად ვითარდება. აუცილებელია საქართველოს მოსახლეობის შეკავშირება.

საფრთხის წინაშე გვაყენებს ერთაშორისი დაძაბულობაც; საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის ნაწილს, სამწუხაროდ, არა სჯერა, რომ ქართველი ხალხი შეძლებს ისეთი დამოუკიდებელი საქართველოს შექმნას, რომელშიც დაცული იქნება ყველა ერის, ეთნიკური ჯგუფისა თუ პიროვნების უფლებები და მათ შესაძლებლობა ექნებათ მშვიდობიანი ცხოვრებისა და განვითარებისა.

ყოველივე ამის უმთავრესი მიზეზი, გარეშე ძალების მოქმედების გარდა, ისიც არის, რომ ჯეროვნად ვერ ვაფასებთ დღევანდელ ისტორიულ მომენტს, გვაკლია რეალისტური, თვითკრიტიკული აზროვნება, ხშირად _ პარტიულ და პირად ამბიციურ ინტერესებს უფრო მაღლა ვაყენებთ, ვიდრე ეროვნულ და საერთო-სახალხო ინტერესებს.

და ეს ხდება მაშინ, როცა ისახება რეალური შესაძლებლობა, შეიქმნას საქართველოს დემოკრატიული, თავისუფალი, სამართლებრივი სახელმწიფო _ ცივილიზებული სამყაროს ოჯახის წევრი, სადაც დამკვიდრდება კანონის უზენაესობა, დაცული იქნება ყველა ხალხის, სოციალური ჯგუფისა თუ პიროვნების უფლებები.

უცილობლად უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა. ამაზე დღეს ფიქრობენ პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტიებს გარეთ მდგომნიც.

ამაზე მსჯელობს სრულიად საქართველო. ყველას სურს, მოძებნოს გამოსავალი არსებული სიტუაციიდან, მაგრამ გათიშულობისა და დაპირისპირების ვითარებაში ეს შეუძლებელი ხდება.

დრო კი არ ითმენს.

შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ხვალინდელი დღე, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, პარტიულობისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა, გამოვიჩინოთ სიბრძნე და სიდარბაისლე, ხელი ავიღოთ კონფრონტაციაზე, უარი ვთქვათ პოლიტიკურ საქმიანობაში ძალადობაზე, რათა შევქმნათ დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელშიც უშიშრად და ღირსეულად ვიცხოვრებთ ჩვენც და ჩვენი შთამომავლობაც.

ამ მაღალი, კეთილშობილური მიზნით შევიკრიბეთ ჩვენ, საქართველოს მეცნიერების, კულტურის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელნი და გადავწყვიტეთ შევქმნათ "საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირი", რაც გულისხმობს თანხმობას როგორც ქართველთა, ასევე საქართველოში მოსახლე ყველა ხალხს შორის.

"საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირის" შექმნა არ ნიშნავს მორიგი პოლიტიკური პარტიის დაარსებას. კავშირში შეიძლება გაერთიანდეს საქართველოს ყველა მცხოვრები, განურჩევლად ეროვნებისა, პროფესიისა, პარტიულობისა, სარწმუნოებისა, ყველა, ვინც საერთო ეროვნულ და ზნეობრივ იდეალებს აღიარებს.

კავშირის მიზანია, დასახოს დღევანდელი კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მეცნიერულად გააზრებული, კონკრეტული გზები, იბრძოლოს საქართველოს სრული სუვერენიტეტისათვის, მისი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებისათვის, რესპუბლიკაში პოლიტიკური და ეთნიკური დაძაბულობის განმუხტვისათვის, მაღალი ზნეობრივი იდეალების დამკვიდრებისათვის.

მწვავე საარსებო პრობლემების წარმატებით გადაჭრის საშუალებად გვესახება მრავალპარტიულობის პირობებში არჩეული კომპეტენტური საკანონმდებლო ორგანო.

ჩვენს წმიდათაწმიდა ვალად მიგვაჩნია, მხარი დავუჭიროთ მხოლოდ ღირსეულთ, რათა შეიქმნას პარლამენტი, რომელიც საღ აზრსა და პროგრესულ იდეებს დააკანონებს.

"საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირი" მალე საზოგადოებრიობას წარუდგენს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი განვითარების საკუთარ კონცეფციას და მისი განხორციელების კონკრეტულ გეგმას.

მოგიწოდებთ, მხარში ამოუდექით "საქართველოს ეროვნული თანხმობის კავშირს", რათა ერთობლივად ვიღვაწოთ და ვიბრძოლოთ დამოუკიდებელი, თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოსათვის!

საინიციატივო დასის სახელით: *გრიგოლ აბაშიძე, ზურაბ აბაშიძე, გივი აბდუშელიშვილი, ვალერიან ადვაძე, ალექსანდრე ალექსიძე, ლევან ალექსიძე რევაზ ამაშუკელი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ არობელიძე, ვალერი ასათიანი, მარიკა ბარათაშვილი, ვახტანგ ბერიძე, მერაბ ბერძენიშვილი, იგორ ბოგომოლოვი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ნანი ბრეგვაძე, თენგიზ ბუაჩიძე, ანზორ ბურჯანაძე, ვლადიმერ გაბაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი გეგეჭკორი, ჯემშიდ გიუნაშვილი, რისმაგ გორდეზიანი, ეთერ გუგუშვილი, ვახტანგ გურგენიძე, ნოდარ გურეშიძე, თამარ დეკანოსიძე, თეიმურაზ დიდებულიძე, ედუარდ ელიგულაშვილი, რაფიელ ელიგულაშვილი, ნოდარ ემუხვარი, ანზორ ერქომაიშვილი, მამია ვარშანიძე, ჯუანშერ ვათეიშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, <u>რევაზ თაბუკაშვილი</u>, დიმიტრი თაყაიშვილი, მამია თანეიშვილი, ლევან თოიძე, გიორგი იოსელიანი, გენო კალანდია, ზაზა კახიანი, დავით კვიცარიძე, ვარლამ კეშელავა, ვახტანგ კიკაბიძე, ვასილ კიკნაძე, შალვა კიკნაძე, არჩილ კილასონია, რესან კონცელიძე, თეიმურაზ კოპალეიშვილი, გელა ლეჟავა, ზურაბ ლეჟავა, ოთარ ლითანიშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ჯუმბერ ლომინაძე, გიგა ლორთქიფანიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, ედიშერ მაღალაშვილი, ელგუჯა მაღრაძე, მუხრან მაჭავარიანი, ნარგიზა მგელაძე, დავით მელუხა, ირაკლი მენაღარიშვილი, ელენე მეტრეველი, ვალერიან მეტრეველი, როინ მეტრეველი, რომან მიმინოშვილი, გივი მინდელი, გურამ მირიანაშვილი, ვახტანგ მიროტაძე, ცოტნე მირცხულავა, ჯუნა მიქატაძე, დომენტი მოურავიძე, ნიკოლოზ მოწონელიძე, დავით მუსხელიშვილი, გია ნადარეიშვილი, ოთარ ნათიშვილი, ბიძინა ნანეიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ვაჟა ოკუჯავა, გიზო ჟორდანია, ირაკლი ჟორდანია, ზურაბ რატიანი, ბაადურ რაჭველიშვილი, ილია რურუა, ნოდარ რუხაძე, მინდია სალუქვაძე, რევაზ სალუქვაძე, სოლომონ სამხარაული, თამაზ სანიკიძე, ლევან სანიკიძე, ავთანდილ საყვარელიძე, ბენიკ სეირანიანი, გივი სვანიძე, არჩილ სულაკაური, რამაზ სურმანიძე, ლუკა ტყემალაძე, მინდია უგრეხელიძე, ნათელა ურუშაძე, გურამ ფანჯიკიძე, გია ფაცურია, თენგიზ ფერაძე, მორის ფოცხიშვილი, ალექსანდრე ქანთარია, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ეთერ ქემერტელიძე, იორამ ქემერტელიძე, ჯანსუღ ღვინჯილია, როგნედა ღამბაშიძე, ვანო ყიფიანი, ნოდარ ყიფშიძე, თამაზ შავგულიძე, მალხაზ შანიძე, გურამ შანშიაშვილი, ჯემალ შანშიაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, კოტე ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ ჩუბინიშვილი, რევაზ დავითის ძე ჩხეიძე, რევაზ მიხეილის ძე ჩხეიძე, გიორგი ციციშვილი, დავით ციციშვილი, ირაკლი ციციშვილი, აკაკი ძიძიგური, ნუგზარ წერეთელი, ანტონ წულუკიძე, დიმიტრი ჭანტურიშვილი, ლევან ჭანტურიშვილი, ლევან ჭაჭიაშვილი, ოთარ ჭელიძე, ანზორ ჭითანავა, ვახტანგ ჭიჭინაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ფრიდონ ხალვაში, დავით ხუტიაშვილი, მირონ ხერგიანი, ბორის ხვედელიძე, შალვა ხიდაშელი, გიორგი ხორგუაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ნოდარ ჯაველიძე, მედეა ჯაფარიძე, რევაზ ჯაფარიძე, ანზორ ჯორბენაძე, ბესარიონ ჯორბენაძე.*

რამდენადაც მიმართვაზე ხელმომწერთა რაოდენობა განისაზღვრა 150 კაცით, ხოლო წევრთა რაოდენობა ბევრად მეტია, შერჩევას საფუძვლად დაედო წარმომადგენლობითი

პრინციპი. საინიციატივო დასის საბჭო ბოდიშს უხდის იმ პირთ, რომელნიც ხელისმომწერთა ამ სიაში ვერ მოხვდნენ.

დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს შეუძლიან მომართონ "ეროვნული თანხმობის კავშირის" საორგანიზაციო კომიტეტს.

მისამართი: 380008. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 52, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ოთახი 424.

ტელეფონი: 99-56-21; 93-87-62 (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 17 აგვისტო, 1990წ.)

1990წ. 17 აგვისტო: აღნიშნულ სესიაზე განსახილველი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებისადმი თავისი დამოკიდებულების გამოხატვა ასევე სცადა საქართველოს მწერალთა კავშირმა: "...გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის პროექტის მოსამზადებელი საკონსულტაციო კომისიის წარმომადგენლები, ადმინისტრაციული ორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელები.

საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლეში გაიმართა ქართველ მწერალთა კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების საკითხს, განიხილეს არჩევნების სამი ალტერნატიული კანონპროექტი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის <u>თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა</u>. მან აღნიშნა, რომ განსახილველ საკითხს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისათვის.იგი უდიდეს ზეგავლენას მოახდენს მის ისტორიულ ბედზე, მომავალზე. ამიტომ აუცილებელია ქართველ მწერლებს, ინტელიგენციას საკუთარი მკვეთრად გამოხატული პოზიცია ჰქონდეთ არჩევნების მიმართ.

მწერალმა <u>გურამ პეტრიაშვილმა</u> მოუწოდა კოლეგებს, რომ აქტიურად ჩაებან ეროვნული მოძრაობის ყოველდღიურობაში, თავისი ხალხის გვერდით იყვნენ სულიერად და ფიზიკურად, რადგან დღეს საქართველოს ცხოვრების მეტად საპასუხისმგებლო, კრიტიკული მომენტია. მან მხარი დაუჭირა პრესაში გამოქვეყნებულ რიგით მეორე კანონპროექტს, რომელიც უფრო დემოკრატიულია, მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებს ამომრჩეველს; არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ სამხედრო პირებს, რადგან ისინი არ ემორჩილებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას; ასევე აუცილებელია ბინადრობის ცენზის დაწესება ამომრჩეველთათვის და დეპუტატობის კანდიდატებისათვის.

მწერალმა <u>ნოდარ წულეისკირმა</u> ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ზემოაღნიშნულ კანონპროექტში სრულად აისახება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი _ მოქალაქე, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, ვერ გახდება პარლამენტის წევრი. ეს პუნქტი აუცილებლად გააფართოებს ქართული ენის მოქმედების არეალს საქართველოში, შეცვლის მისდამი დამოკიდებულებას. ასევე არსებითია ის, რომ ერთი პიროვნება არ შეიძლება იყოს მეორე პარლამენტის წევრი.

ათეული წლების მანძილზე გაბატონებული საოცარი გულგრილობა, ინდიფერენტიზმი დღეს შეიცვალა ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი აქტიურობით. ამიტომ ქართული მწერლობა არ უნდა ჩამორჩეს მოვლენებს _ თქვა მწერალმა <u>ოთარ ჭელიძემ</u>.

<u>ანზორ აბულაშვილმა</u> ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სწორედ საქართველოს ისტორიაში უკანასკნელი 70 წლის მანძილზე პირველი დემოკრატიული

არჩევნების, 17 აგვისტოს მეტად მნიშვნელოვანი სესიის წინ რესპუბლიკაში კვლავ დაიძაბა ერთაშორისი ურთიერთობები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: მედეა კახიძემ, ილია რურუამ, ნოდარ ადეიშვილმა, აკაკი ბრეგაძემ, მერაბ ელიოზიშვილმა, შოთა ნიშნიანიძემ, აკაკი ჯორჯაძემ და სხვებმა.

დასასრულს, კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

ქართველ მწერალთა კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი მეორე კანონპროექტს, რომელიც შედგენილია მრგვალ მაგიდაში გაერთიანებული ორგანიზაციების, "დასის", ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის, მწვანეთა პარტიისა და სახალხო ფრონტის მიერ.

განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდა ამ კანონპროექტების იმ მუხლებს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ:

1. დეპუტატობის კანდიდატმა აუცილებლად უნდა იცოდეს ქართული ენა.

2. უმჯობესია მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემა.

3. არა აქვთ უფლება არჩევნებში მონაწილეობისა სამხედრო პირებს, რომლებიც არ ემორჩილებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას.

4. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ პირებს, ვინც ბოლო 5 წელია ცხოვრობენ საქართველოში.

5. არჩეული შეიძლება იყოს ის პირი, ვინც ბოლო 10 წელია მუდმივად ცხოვრობს საქართველოში.

6. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა არჩევითი ორგანოს წევრი (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 17 აგვისტო, 1990წ.)

1990წ. 17 აგვისტოს მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ, რომელმაც განიხილა საკითხები: 1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონპროექტები; 2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნა მოქალაქეთა მრავალი წლის საჩივრების შესწავლის გამო. 3. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება.

ამ სესიისკენ იყო მიპყრობილი სრულიად საქართველოს ყურადღება, მთავრობის სასახლის წინ ასიათასობით ადამიანს მოუყარა თავი, რომელიც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ჟამს მხარს უჭერდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევას.

სესიამ მუშაობა მეორე დღისათვის განაგრძო.

1990წ. 18 აგვისტოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთექვსმეტე სესიამ მუშაობა განაგრძო.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ.გუმბარიძემ** განაცხადა, რომ წინადღით გაიმართა სესიის სარედაქციო კომისიის სხდომა, რომელმაც შეისწავლა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვის დროს კამათში გამოთქმული და წერილობით შემოსული წინადადებანი რესპუბლიკის მომავალი პარლამენტის რაოდენობრივი შემადგენლობის შესახებ. შეისწავლა და გაანალიზა რა ისინი, კომისიამ განაზოგადა ეს წინადადებანი და თავის დასკვნას წარუდგენს სესიას.

ამავე დროს, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წვრთა დავალებით **გ.გუმბარიძემ** გააკეთა შემდეგი განცხადება: მიუხედავად იმისა, თქვა მან, რომ გუშინ სესიის დაწყების წინ მთავრობის სასახლესთან მიმდინარე მიტინგის მონაწილეებს მოვუწოდეთ გამოეჩინათ სიმშვიდე და თავშეკავება, რათა შექმნილიყო მუშაობის ნორმალური პირობები, ვითარება სესიის გარშემო კვლავ დაძაბულია. გუშინდელი დღის სხდომების შემდეგ ზოგიერთ დეპუტატს ქუჩაში, მოგვიანებით კი სასტუმროებშიც ტელეფონით შეურაცხყოფდნენ, ემუქრებოდნენ იმათ, ვისი პოზიციაც

არ ემთხვევა ოპონენტთა შეხედულებებს. დაძაბულობა, სამწუხაროდ, დღესაც არ კლებულობს. ამიტომ კვლავ მოვუწოდებთ მომიტინგეებს წესრიგისათვის, რათა მოგვცენ ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სესიამ განაგრძო არჩევნების კანონპროექტების საკითხის განხილვა. განახლებული კამათში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე შენიშვნები და წინადადებანი გამოთქვეს დეპუტატებმა **ნ.ნათაძემ, ნ.ჭითანავამ, ა.ბურჯანაძემ, გ.ანდრონიკაშვილმა, ე.შენგელაიამ, რ.კონცელიძემ, კ.გარდაფხაძემ, ი.მენაღარიშვილმა, გ.ციციშვილმა,** სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა **ა.ბაქრაძემ, დეპუტატებმა რ.მემანიშვილმა, ნ.გურგენიძემ, ჯ.გორგოძემ, ნ.ჭავჭავაძემ, რ.ჯახაიამ, ზ.ლომიძემ, ნ.ვაშაძემ, ო.კალანდარიშვილმა.**

ამით კამათი დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო შეწყდა. შესვენების შემდეგ სესიის მონაწილეებმა განსაზღვრეს არჩევნების კანონის შეთანხმებული პროექტის დამატებანი და ცვლილებანი ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში შესატანად.

ამ დღის სესიის მუშაობა გვიან დამთავრდა.

საქართველოს მომავალი უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნება 250 დეპუტატი, რომელთა არჩევნები შერეული _ მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემის საფუძველზე გაიმართება. ეს ნიშნავს, რომ 125 დეპუტატს პარლამენტში აირჩევენ ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო დანარჩენ 125 დეპუტატს _ სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით.

ამ გადაწყვეტილებას ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონი, რომელიც 18 აგვისტოს გვიან ღამით დამთავრებულმა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი ორგანოს მეთექვსმეტე სესიამ მიიღო.

მომავალ პარლამენტში დეპუტატთა კორპუსის რაოდენობა და საარჩევნო სისტემა, ისევე, როგორც არჩევნების ხმის მიცემის პროცედურა, სესიაზე ყველაზე სადავო საკითხები გახდა. იმ საარჩევნო კანონის შეთანხმებული პროექტის განხილვის დროს, რომლის მიხედვითაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ქვეყანაშიც პირველად იმართებოდა მრავალპარტიული არჩევნები, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა და დაძაბულობა მკვეთრი იყო. მხარეები კონსენსუსამდე მივიდნენ მხოლოდ კომპრომისული გადაწყვეტილების შედეგად, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, მიაღწიეს დეპუტატებმა და მწვავე და ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ. კამათში მონაწილეობდნენ როგორც თავად დეპუტატები **რ.გორდეზიანი, გ.ანდრონიკაშვილი, ა.ალექსიძე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი თ.გამყრელიძე,** დეპუტატები **ე.სეხნიაშვილი, ა.ბურჯანაძე, ჯ.ჩარკვიანი**, ასევე კანონპროექტის მოსამზადებელი საკონსულტაციო კომისიის თავმჯდომარე, თბილისის **ი.ჯავახიშვილის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ლ.ალექსიძე**, ამ კომისიის წევრები _ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ჯ.ხეცურიანი**, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარე **ი.შენგელაია**, რომლებიც იძლეოდნენ ახსნა-განმარტებას მისი ცალკეული მუხლებისა და მათი ალტერნატიული ვარიანტების შესახებ.

საქმიანი, დაინტერესებული განხილვის საგანი იყო კანონპროექტის სხვა ფუძემდებლური დებულებანი, რომელთა გამო გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი **თ.გამყრელიძე,** დეპუტატები **გ.ციციშვილი, რ.კონცელიძე, ჯ.მარგველიძე, გ.ლორთქიფანიძე, რ.გორდეზიანი, ე.შენგელაია, პ.ჩხეიძე, ბ.მაყაშვილი, ა.ბურჯანაძე** და სხვები.

ღია მუხლობრივი კენჭისყრით დეპუტატებმა მიიღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონი.

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ.კვარაცხელია**.

სესიამ მიიღო შესაბამისი კანონი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ადრე გადაიდო საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს და რესპუბლიკის ოცდამეორე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების ვადები და მიღებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონი, სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის მომდევნო საკითხის განხილვას. რამდენადაც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოქალაქეთა მრავალწლოვანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის დასკვნა წინასწარ იყო დარიგებული, ამ კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა **ნ.ნათაძემ** თავის გამოსვლაში ყურადღება მიაპყრო წარმოდგენილი დოკუმენტის ძირითად დებულებებს.

ამ საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი, დეპუტატი **ვ.რაზმაძე.**

სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დეპუტატებმა დაამტკიცეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებები.

ამით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა **(გაზ. "სახალხო განათლება", 1990წ. 23 აგვისტო).**

სესიის მუშაობასა და საარჩევნი კანონპროექტის განხილვაში ბოლომდე მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა "მრგვალი მაგიდის" სპიკერი **ზვიად გამსახურდია**, მან თავის საპროგრამო გამოსვლაში 17 აგვისტოს დაასაბუთა ე.წ. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების ნამესტნიკური და კოლაბორაციონისტული შინაარსი, რომლითაც ეს ნომენკლატურა დაუპირისპირდა სრულიად საქართველოსა და ქართველი ერის ნებას.

სესიაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ.ჭითანავამ** დააყენა მისადმი ნდობის საკითხი, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ გარკვეულწილად ცრუდედაქალაქური სეპარატისტებისა და აქედან გამომდინარე ცენტრ-ნაცმენური ზემდგომობით მოსაქმე წრეებისათვის სამეგრელოდან მისი წარმომავლობა მიუღებელი აღმოჩნდა.

საუბედუროდ, ამ განცხადებას ჰქონდა საუბედურო საფუძველი, რომელიც მომავალში კიდევ უფრო გაცხადდა და აულაგმავ თარეშში გაისაგნა.

საქმე ის გახლავთ, რომ სსრკ იმპერიის ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრია, საქართველოს მცირე იმპერიად ანუ ცენტრ-ნაცმენურ იერარქიად განიხილავდა; საქართველოსა და ქართველ ერს მოიაზრებდა არა გაერთსხეულებად, არამედ მიზნობრივად "მიდასტაქრებულ" თანასხეულებად, კუთხეებად, რომელთაც ხელისუფლებაში პირველ კაცად ყოფნის უფლება ჰქონდათ ან არ უნდა ჰქონოდათ. სამწუხაროდ, **ნ.ჭითანავას** პასუხი არ იყო ამ პროვოკაციული დემაგოგიის სრულყოფილი მხილება:

" ...და კიდევ ერთი, მეტად ფაქიზი პოლიტიკური ნიუანსი, რომელსაც ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, სასიოცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სამწუხაროდ, ცალკეულ წრეებში, არაოფიციალურ შეხვედრებზე, სხვაგანაც გამოჩნდნენ ზოგიერთნი, რომლებსაც სერიოზულად აწუხებთ ერთი "პრობლემა" (თითქოს სხვა პრობლემა საქართველოში არ გვქონდეს) _ დღევანდელი მთავრობის თავმჯდომარის მეგრული წარმოშობის საკითხი. თუმცა ეს მათ მხრივ არასერიოზულობაა, მაგრამ რამდენადაც საკითხი დაისვა, არ შემიძლია არცერთ

დასმულ კითხვას გვერდი ავუარო. მე ვშიშობ, ხომ არ არის ეს გამოძახილი ადრე ჩადენილი უსამართლობისა?

მოგახსენებთ, რომ უაღრესად მძიმე პირობებში, ქართველი ხალხის ცხოვრების კრიტიკულ მომენტში ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ (და ესეც მინდა იცოდეთ თქვენ) დამეკისრა დიდი პასუხისმგებლობა. ყველაფერს ვაკეთებ, რომ ამ ისტორიული პასუხისმგებლობის მოთხოვნების დონეზე ვიყო. დღემდე მეგონა და კაცურად მინდა გითხრათ, მეგონა, რომ ხალხის ნდობა მაინც იყო, თითქოს ამ ნდობით ვიყავ აღჭურვილი, მაგრამ რამდენადაც ეს საეჭვო ხდება, ვიმეორებ, რეფერენდუმმა, ან თქვენ დღეს სესიაზე გადაწყვიტეთ ეს საკითხი.

რაც შეეხება საქართველოდან ჩემს გასახლებას, ბატონი გივის და სხვების გასახლებას, ჩემი სახელით მინდა გითხრათ: _ ამის იმედი ნუ გექნებათ, ბატონო ოპონენტებო! მე გადავდგამ ლოგიკურ ნაბიჯს _ მშობლიურ კუთხეს ვთხოვ შემიკედლოს, ვიდრე ხალხის, მშობლიური ხალხის წინაშე ჩემი ე.წ. პასუხისმგებლობის საკითხი არ გაირკვევა.

გმადლობთ ყურადღებისთვის!" (გაზ. "რესპუბლიკა", 26 აგვისტო, 1990წ.)

1990წ. 20 აგვისტოს საქართველოს სსრ საგარეო სამინისტროსთან ფერეიდნელმა ქართველებმა გამართეს აქცია. მათ პროტესტი გამოთქვეს იმის გამო, რომ ირანიდან რეპატრიაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი მოაქცია რეზერვაციაში და დაუხშო ყოველგვარი კავშირი ფერეიდანში დარჩენილ ნათესაობასთან. ამ აქციას "მრგვალმა მაგიდამ" მხარი დაუჭირა.

1990წ. 23 აგვისტოს სოხუმში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შეიკრიბა აფხაზეთის ასსრ ყველა საფეხურის დეპუტატთა კრება, რომელმაც დაგმო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სეპარატისტული ეთნოკრატიის მიერ თვითმარქვიად 28 **აგვისტოს** სესიისთვის შემოთავაზებული განსახილველი საკითხების დემაგოგიური ხასიათი. მიღებულ იქნა შესაბამისი დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ "...დეპუტატთა კრებას რწმუნება აქვს განაცხადოს: "1. საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, რომელიც მიღებულია 1970 წლის 24 ოქტომბერს გაეროს მიერ, ერისა თუ ხალხის თვითგამორკვევის უფლების რეალიზება უნდა ხორციელდებოდეს იმ ფორმით, რომელიც არ დაუშვებს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთიანობის ძირის გამოთხრას. ამასთან აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული მასალები მიმართულია საქართველოს სსრ, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, რასთან დაკავშირებითაც ამ საკითხის განხილვა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დონეზე უნდა ჩაითვალოს არამართლზომიერად და მიუღებლად;. 2. ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციის და კეთილმოსურნეობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამეგობრობის კონსტრუქციული დიალოგების საფუძველზე წინააღმდეგობების დაძლევის მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს დეპუტატების აქტიური მონაწილეობის მიღება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სპეციალურად შექმნილი კომისიის მუშაობაში, რათა მისი დასკვნები და წინადადებანი შემდგომში შეტანილი იქნეს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოში განსახილველად. 3. ამ მიმართულებით ალტერნატიული საქმიანობის საწარმოებლად დაინტერესებულ მხარეებს ვთავაზობთ შეიქმნას ეროვნული თანხმობის კომიტეტი აფხაზეთის ყველა რეგიონის, ეთნიკური ჯგუფის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური წარმომადგენლისგან, რომელიც გადაწყვეტილებებს მიიღებს კონსტიტუციის

პრინციპით. 4. ვაცხადებთ ჩვენს თანხმობას და მზადყოფნას მივიღოთ მონაწილეობა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობაში დღის წესრიგით _ აფხაზეთის ასსრ უზენაესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ კანონის მიღების თაობაზე".

(გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 24 აგვისტო, 1990წ.).

1990წ. 24 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ.ანჩაბაძე** გათავისუფლდა ამ თანამდებობიდან თბილისში სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით და ამ მოვალეობის შესრულებას შეუდგა მისი პირველი მოადგილე ვ.**მიქანბა.**

1990წ. 24 აგვისტოს ბრძანებულებით საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ არჩევნების შესახებ კანონის V კარის 22-ე მუხლის გვერდის ავლით დანიშნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მისი ოთხი წევრი, რითაც დაირღვა პარტიათა და ორგანიზაციათა უფლება _ საარჩევნო კომისიის შედგენისას მათი აზრის გათვალისწინებისა. ამასთან დაკავშირებით "მრგვალმა მაგიდამ" გააკეთა საპროტესტო განცხადება (იხ. "მრგვალი მაგიდის ისტორია").

1990წ. 25 აგვისტოს გაზეთებში "კომუნისტ"-სა და "**Заря Востока**-ში" გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ვ.კობახიას** და მდივნის **ი.კვიწინიას** შემდეგი განცხადება (იგი **8 აგვისტოს** გამოქვეყნებული იყო აფხაზეთის ასსრ პრესაშიც): **"ამ ბოლო დროს გარკვეული წრეები დაჟინებით ავრცელებენ ხმებს, თითქოს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე უნდა აღძრას საქართველოს სს რესპუბლიკიდან აფხაზეთის ასსრ-ის გასვლის საკითხი. ამასთან დაკავშირებით სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ასეთი განზრახვა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არა აქვს და ვერც ექნებოდა. ამ ხმებს ვითარების დესტაბილიზაციის მოსურნენი ავრცელებენ".**

როგორც ზემოთ ითქვა, იმის გამო, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს აგვისტოს სესიაზე ქართული ეროვნული მოძრაობის გამარჯვების შედეგად დაინიშნა სსრკ ისტორიაში პირველი მრავალპარტიული არჩევნები, კრემლის რევანშისტულმა წრეებმა აფხაზეთის სეპარატისტულ აგრესიაზე დაყრდნობით სცადეს დესტაბილიზაციის პროვოცირება და არჩევნების ჩაშლა თუ სრულიად საქართველოში არა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მაინც. ამისათვის აფხაზეთის ასსრ ეთნოკრატიამ ოფიციალური განცხადების დონეზე ტყუილიც კი იკადრა, რათა როგორმე სესიაზე მიეტყუებინა დეპუტატები, ხოლო დანარჩენი მათთვის "ტექნიკის საქმე" გახლდათ.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ე.წ. X სესია პირველად მოიწვიეს **1990 წლის 28 ივნისს,** მაგრამ დეპუტატთა უმრავლესობამ, რომელთაც სესიის მოწვევის რეალური მიზანი აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა არ გააცნო, გამოიჩინა თავისი სიმტკიცე და თავიანთ ამომრჩეველთა ნების ღალატი არ ისურვა, აქედან გამომდინარე, ე.წ. სესიისათვის დანიშნულ დღეს ქვორუმი არ შედგა. დეპუტატები, რომლებმაც გამოხატეს თავიანთი პოზიცია სესიაზე გამოუცხადებლობით **28 ივნისს,** უბრალოდ მოატყუეს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ვ.კობახიასა** და პრეზიდიუმის მდივნის **ი.კვიწინიას 1990 წლის 23 აგვისტოს** ოფიციალური განცხადებით იმის თაობაზე, რომ სესიაზე არ დაისმებოდა საკითხი საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ასსრ გამოსვლის შესახებ.

ამ ცრუ განცხადების გამოქვეყნების გასწვრივ მოთარეშე სეპარატისტები დეპუტატებზე წინასწარ ახდენდნენ დაუშვებელ ზეწოლას, ცალკეულ შემთხვევებში კი საქმე დანაშაულობამდეც მივიდა, მაგალითად, **1990 წლის 24 აგვისტოს,** დილის 6 საათსა და 30 წუთზე, მოტყუების გზით, პრეზიდიუმში მანდატის ჩაბარების საბაბით,

ამოუცნობმა პირებმა საცხოვრებელი ადგილიდან ანუ გულრიფშის რაიონიდან გუდაუთის რაიონში წაიყვანეს დეპუტატი **კ.ფიტოზოვი** და თავისუფლება აღუკვეთეს. აქ მასზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდნენ. **25 აგვისტოს** იგი ძალით მიიყვანეს სხდომათა დარბაზში, რეგისტრაციაში გაატარეს და დარბაზში დასვეს (ამასთან დაკავშირებით მან საპროტესტო განცხადებით მიმართა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ვ.კობახიას,** რომელშიც აღიარა, რომ მას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია).

თითქმის ანალოგიური გზით მიიყვანეს სესიაზე დეპუტატი **ნ.კუზნეცოვა,** რომელიც სესიის მსვლელობისას იძულებული იყო ექიმებისათვის დახმარება ეთხოვა., ხანდაზმული ასაკის დეპუტატი **ა.აგრბა,** რომელსაც არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება, ასევე აიძულეს გამოცხადებულიყო სესიაზე.

სესიის გადაწყვეტილება არ იყო პარლამენტური განსჯის შედეგი. იგი მხოლოდ ცალმხრივად გაკეთდა. სესია, ალბათ, ახლაც ჩაიშლებოდა, როგორც ეს წინა თვეში მოხდა, სესიაზე ორი დეპუტატი _ ეროვნებით რუსი **ნინა კუზნეცოვა** და აფსუა **აზიზ აგრბა** _ ავადმყოფნი ძალით რომ არ მიეყვანათ. სხვა რომც არაფერი ვთქვათ, სესიის გადაწყვეტილების ობიექტურობაზე მარტო ამ ფაქტითაც ბევრი რამის თქმა შეიძლება.

ამრიგად, რუსისტულ-კრემლიდანური ძალების მორიგმა აულაგმავმა თარეშმა და მათი ადგილობრივი მეგზურების, აფხაზეც-სეპარატისტთა პოლიტიკურმა დემარშებმა, რომელსაც არც თუ იშვიათად შეიარაღებული გამოხდომების ხასიათი ჰქონდა, სხვადასხვა ხერხით, მოტყუებით, შანტაჟით მოახერხა ე.წ. X სესიის "ჩატარება", თუმცა ამ სესიას არ ესწრებოდა ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკვანძო, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო ხმათა ორი მესამედი.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში(აფხაზეთში) **აგვისტოს** მღელვარე დღეების შესახებ ზოგიერთ წარმოდგენას შეიქმნით წინამდებარე პუბლიკაციით:

"გზადაბნეული მარტოხელა მოხუცი ადამიანებისაკენ მიმავალ გზას თავის კვერთხს ეკითხებოდაო" _ თუმცა ეს ბრძნული აფხაზური ანდაზა გაისმა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მეათე სესიის ტრიბუნიდან, მაგრამ მასზე მიღებული დადგენილებანი აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების თაობაზე და დეკლარაცია მისი სუვერენიტეტის შესახებ არათუ არ დაეხმარათ მწვავე ეროვნებათშორისი პრობლემების მოწესრიგების სწორი გზის პოვნაში, არამედ, პირიქით, უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ერთ მიწა-წყალზე ერთი ცის ქვეშ ცხოვრობდნენ.

რა ფასი აქვს ამის შემდეგ სესიის წინ 23 აგვისტოს საოლქო გაზეთებში გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობას, რომელსაც ხელს აწერენ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ.კობახია და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ი.კვიწინია, სადაც ნათქვამია: "ამ ბოლო დროს გარკვეულ წრეებში დაჟინებით ავრცელებენ ხმებს, თითქოს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიმდინარე წლის 25 აგვისტოს, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიაზე უნდა აღძრას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გამოსვლის საკითხი. ამასთან დაკავშირებით სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ასეთი განზრახვა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არა აქვს და ვერც ექნებოდა. ამ ხმებს ვითარების დესტაბილიზაციის მოსურნენი ავრცელებენ".

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვ.კობახიას ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენების შემდეგ სესიაზე გამოსულმა აფხაზური ეროვნების დეპუტატებმა მისი ტრიბუნა ანტიქართული

გამოსვლებისა და აფხაზეთის ისტორიის თვითნებური ფალსიფიკაციის მოხერხებულ ადგილად აქციეს.

_ ხალხის ნდობით აღჭურვილი ჩვენი დეპუტატები, მხედველობაში მყავს აფხაზური და ქართული ეროვნების დეპუტატები, _ უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა, სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხაკიბეი აიბამ, _ ისეთივე გულმოდგინებით რომ ეკიდებოდნენ თუნდაც მწვავე ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას, როგორც ეროვნებათშორის საკითხებს, არ გვეყოლებოდა ჩამორჩენილი მეურნეობები და საწარმოები და აფხაზეთი ქვეყანას კიდევ უფრო მეტ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას მისცემდა. ჩვენს უთანხმოებაში, იმაში, რომ დღემდე ვერ გამოგვიძებნა შერიგების კომპრომისული, პრინციპული გზა, ჩემი აზრით, ზედა ფენებს მიუძღვით ბრალი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი თავად ასცდნენ სწორ გზას. აღვივებენ ნაციონალისტურ-შოვინისტურ განწყობილებებს ვაი-მეცნიერები, რომლებიც ამახინჯებენ აფხაზეთის ისტორიას. ამით ისინი ჩვენს ცუდად ინფორმირებულ ხალხს უბიძგებდნენ არა მარტო ეროვნებათშორისი შუღლისკენ, არამედ ძმათამკვლელი ომისკენაც. აფხაზეთის ახლანდელი ხელმძღვანელობაც, ისევე, როგორც წინა წლებში, მცდარ გზას ადგას და კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ვერ გამოუნახავთ საერთო ენა. ასეთ პირობებში ვერ მივიღებთ ვერავითარ რადიკალურ ღონისძიებებს. ამის შედეგად ჩაიშალა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წინა სესია და დარწმუნებული არა ვარ, რომ იგი დღესაც გაიმართება.

მაგრამ ეს ორგანიზებულად "ნაცოდვილარი" სესია გაიმართა. გაიმართა, იმის მიუხედავად, რომ დეპუტატთა კორპუსის სულ ცოტა ნახევარმა და არა მარტო ქართული ეროვნებისამ, პროტესტი განაცხადა. რაც იმით გამოიხატა, რომ მტკიცედ თქვეს უარი მიეღოთ მონაწილეობა მის მუშაობაში. მაგრამ, მათ კრებაზე საქართველოს და აფხაზეთის უზენაესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების 582 დეპუტატის მიერ ერთხმად მიღებული დეკლარაციის შინაარსი სესიის მონაწილეებს არ გააცნეს.

ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში, კერძოდ აღნიშნულია, რომ სეპარატისტულმა ძალებმა, ეყრდნობიან რა თავიანთი ცალმხრივი ინტერესების დაცვის შესაძლო გზების შესახებ დამახინჯებულ წარმოდგენებს, აირჩიეს მათი მიღწევის ყველაზე საშიში ხერხი _ აშკარა კონფრონტაცია და დაპირისპირება აფხაზ, ქართველ და საუკუნეების მანძილზე ერთად მცხოვრებ სხვა ხალხებს შორის. მოვლენების ასეთი განვითარების დროს შეიძლება არა მარტო უკვე მიღწეული სოციალურ-პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების მხრივ დავზარალდეთ, არამედ გაცილებით უარეს პირობებში აღმოვჩნდეთ, ვიდრე რეფორმების დაწყებამდე ვიყავით.

ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, ამომრჩეველთა, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი გაერთიანებების კრებებზე ათიათასობით ადამიანი მღელვარებით იხილავდა რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციას აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მეათე სესიის განმეორებით დანიშვნასთან და დღის წესრიგის გამოქვეყნებული თეზისების შინაარსთან დაკავშირებით.

ამის შედეგად უარყოფითი შეფასება მიეცა ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკური ვნებათაღელვის ახალ გამწვავებას და ამ საქმეში უზენაესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის ხელმძღვანელობის როლს.

მშრომელთა მიერ მიღებულ რეზოლუციებსა და მოწოდებებში აღნიშნულია, რომ მეათე სესიისათვის მომზადებულ წინადადებებს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი დაცვის შესახებ აქვთ ანტიკონსტიტუციური მიმართულება, ხელყოფენ საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომ

ამ საკითხის განხილვა სესიაზე ეწინააღმდეგება ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის საარსებო ინტერესებს.

სამაგიეროდ ვერ იტყვი, რომ მის ორგანიზატორებს აკლდათ ენერგია და გამომგონებლობა, რაც იმით გამოვლინდა, რომ რადაც უნდა დასჯდომოდათ, უზრუნველეყოთ სესიაზე კვორუმი _ 140 დეპუტატიდან 71 დეპუტატის დასწრება. გარდა ამისა, დეპუტატთა რეგისტრაციის უაღრესად გამარტივებული ორგანიზაცია იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ ყოვლად დაუმუშავებელი შესწორებები შეეტანათ სხდომის დამსწრეთა რაოდენობის აღრიცხვაში. უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები _ სესიის დადგენილებაც და დეკლარაციაც აფხაზეთის სუვერენიტეტის შესახებ კენჭისსაყრელად შესთავაზეს ისე, რომ დეპუტატებისათვის წინასწარ არ გაუცვნიათ მათი პროექტები. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მუშაობის დაწყებისთანავე სესიას არ განუხილავს თავისი უფლება-მოსილების საკითხი, სამანდატო კომისიას კი არ განუსაზღვრავს დამსწრე დეპუტატთა რიცხვი და კვორუმის არსებობა, და რომ ხმების დათვლა კენჭისყრის დროს წარმოებდა ისეთი პრინციპით, როგორც ეს ხელს აძლევდა სესიის თავმჯდომარეს, აშკარად დავინახავთ ესოდენ მაღალი კრების რეგლამენტისა და გაძღოლის სხვა საპროცესო ნორმების დარღვევის მთელ თაიგულს.

ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ ამ სესიაზე ნაჩქარევად მიღებულმა ცალმხრივმა გადაწყვეტილებებმა კვლავ გაამწვავა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება მრავალეროვან ავტონომიურ რესპუბლიკაში. უკვე მეორე დღეს სოხუმში გაიმართა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები და კრებები, სადაც შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს. მათ გამოხატეს აგრეთვე თავიანთი გაკვირვება იმ აჩქარებისა და დაინტერესების გამო, რომლებიც გამოიჩინა ცენტრალურმა ტელევიზიამ, იმავე ღამეს რომ გადასცა ცნობა ამ ეგრეთ წოდებული სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ.

თ.ჯიბუტი, საქინფორმის კორესპონდენტი, ქ,სოხუმი
(გაზ. “ახალგაზრდა ივერიელი”, აგვისტო, 1990წ.)

1990წ. 26 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა სპეციალისტების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა და შესაბამისი უწყებების მონაწილეობით, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ე.წ. X სესიის მიერ აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრიობის დაცვის გარანტიების შესახებ წამოყენებულ საკითხებზე წინადადებების შემუშავება, რომელიც განსახილველად უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიას.

1990წ. 26 აგვისტო _ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
დადგენილება
აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის
25 აგვისტოს გადაწყვეტილებების შესახებ

განიხილა რა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო თვლის, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შეცვლის სამართლებრივი თვალსაზრისით უსაფუძვლო ცდაა და

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციების უხეშ დარღვევას წარმოედგენს.

ამასთან, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს სრულიად მიუღებლად მიაჩნია რესპუბლიკის სუვერენული უფლებების და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ტერიტორიული მთლიანობის კონსტიტუციური უფლებების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება სესიის ჩატარების წესის დარღვევით, ანტიდემოკრატიული მეთოდების გამოყენებითა და დეპუტატთა მთელი კორპუსის აზრის გაუთვალისწინებლად, აფხაზეთის ასსრ მთელი მოსახლეობის ნების გამოხატულების უგულებელყოფით.

ასეთი მოქმედება და გადაწყვეტილებები, რომლებიც აყალბებენ ისტორიულ ფაქტებსა და თანამედროვეობის პოლიტიკურ რეალიებს, ზიანს აყენებს ჩვენი მრავალეროვნული რესპუბლიკის ხალხთა ინტერესებს, ეროვნებათაშორის ურთიერთობებს, ართულებს დემოკრატიზაციის პროცესებს და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სადაც აფხაზი ხალხის ინტერესები, ისევე, როგორც რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა სხვა ხალხის ინტერესები, კანონით იქნება გარანტირებული და დაცული.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია და დადგენილება გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ.

2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 26 ივლისის დადგენილებით შექმნილმა კომისიამ, რომელიც სწავლობს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის მიერ აღძრულ ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს, სპეციალისტების, მეცნიერების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით უახლოეს დროში მოამზადოს წინადადებები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ.გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ.კვარაცხელია.
თბილისი. 1990 წლის 26 აგვისტო.

1990წ. 26 აგვისტოს მოეწყო გამაფრთხილებელი გაფიცვა სოხუმის სალოკომოტივო დეპოში, კვირას კი ხალხმრავალი მიტინგი ჩატარდა ქ.სოხუმის კონსტიტუციის მოედანზე. მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტისაგან შემდგარი რეზოლუცია. მთავარი იყო შემდეგი პუნქტი _ <u>საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მისცემოდა სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება მომხდარ ფაქტს.</u> იყო სხვა მოთხოვნებიც.

კვირას, მას შემდეგ, რაც საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ.გუმბარიძე** და ცნობილი გახდა საქარველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, ხალხი შედარებით დამშვიდდა და გაფიცვა შეწყდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ რეზოლუციის ყველა მოთხოვნა შესრულდა.

სრულიად ცხუმ-აფხაზეთი მღელვარებამ მოიცვა. აფხაზეთის ასსრ საწარმოებში და ორგანიზაციებში დაიწყო გაფიცვები და დაუმორჩილებლობა გამოცხადდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ე.წ. მეათე სესიის დემაგოგიური გადაწყვეტილებების გამო.

აფხაზეთის სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების საგანგებო სესიებზე განხილული იქნა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პროვოკაციული ე.წ. სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ისინი შეფასდა აფხაზეთის მოსახლეობისთვის მიუღებელ გადაწყვეტილებებად.

ჯერ კიდევ **22 აგვისტოს** გაიმართა სახალხო დეპუტატთა გალის რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა და მიზანშეუწონლად სცნო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ **25 აგვისტოსათვის** სესიაზე განსახილველად გათვალისწინებული საკითხები. იგივე გააკეთეს **26 აგვისტოს** გალის, გულრიფშის, სოხუმის რაიონების სასოფლო საბჭოებმა, ასევე ოჩამჩირის რაიონისა და ქ.გაგრის ზონის რიგმა სასოფლო საბჭომ.

1990წ. 26-27 აგვისტოს გულრიფშის რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოებმა თავიანთ რიგგარეშე სესიაზე დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს **25 აგვისტოს** ე.წ. სესიას.

1990წ. 26 და 27 აგვისტოს გაგრის ოჩამჩირის, გალის, სოხუმის, გულრიფშის რაიონებსა და ქ.სოხუმში, ცალკეულ მსხვილ საწარმოებსა და სოფლებში (დრანდა, ბესლეთი, კელასური) გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომელთა მიერ მიღებულ რეზოლუციებში დაუმორჩილებლობა იქნა გამოცხადებული უკანონო სესიის მიმართ. აფხაზეთში დაიწყო გამაფრთხილებელი გაფიცვები.

1990წ. 27 აგვისტოს, დღის 11 საათზე საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის სააქტო დარბაზში გაიმართა სარაიონო აქტივის კრება, რომელმაც (თუ მხედველობაში არ მივიღებთ **ი.თ.ხვარცკიას** გამოსვლას) დაგმო 25 აგვისტოს ე.წ. სესიის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილებები, ხოლო იმავე დღეს 2 საათზე დაიწყო სოხუმის რაისაბჭოს რიგგარეშე სესია, რომელზეც ინფორმაციით 25 აგვისტოს ე.წ. სესიის შესახებ გამოვიდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველი მდივანი **ვ.ი.კადენეცი.** სესიამ უნდობლობა და დაუმორჩილებლობა გამოუცხადა 25 აგვისტოს გამართულ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ე.წ. სესიის გადაწყვეტილებებს.

1990წ. 27 აგვისტოს გაზეთ "**Известия**"-ში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა სსრკ ხელისუფლებასა და საქართველოს მთავრობას შორის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების მომზადების თაობაზე.

ამ დროისათვის სამეგრელოს რიგ რაიონებში მეგრელთა დაცვის კომიტეტის შექმნის მცდელობით, რუსიზმმა სცადა მორიგი პროვოკაცია (გაზ. "თბილისი" **30 აგვისტო, 7 სექტემბერი, 1990წ.** უფრო გვიან ამ წრეებმა, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ ამ მხარესთან, გამოსცეს ე.წ."სამეგრელოს რეგიონის" გაზეთიც კი).

1990წ. 27 აგვისტო: აფხაზეც-სეპარატისტთა თვითმარქვია ე.წ. სესიის (25 აგვისტო) შესახებ არანაკლებ პრინციპული მსჯელობა გაიმართა სოხუმის რაიონში. რასაც წინ უძღოდა რაიონის სასოფლო საბჭოებში (ეშერისა და ფსხუს სასოფლო საბჭოს გამოკლებით) გამართული რიგგარეშე და საგანგებო სესიები, რომლებმაც უნდობლობა გამოუცხადეს 25 აგვისტოს გამართულ აგრესორ-სეპარატისტთა პოლიტიკურ დემარშს.

1990წ. 27 აგვისტოს გალის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონული საბჭოების რიგგარეშე სესიებმა დაგმეს **25 აგვისტოს ვერაგული** ე.წ. სესიის გადაწყვეტილებანი:

გალის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. გამოეცხადოს უნდობლობა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ახლანდელ შემადგენლობას, მის თავმჯდომარეს ვ.ო.კობახიას, აფხაზეთის ასსრ მთავრობას და გამოცხადდეს ადგილობრივი დაუმორჩილებლობა მათი გადაწყვეტილებებისა და დირექტივების მიმართ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს უკანონოდ მოწვეული სესიის მიერ მიღებული დოკუმენტების გაუქმებამდე.

2. რჩევა მიეცეთ რაიონული საბჭოს აღმასკომს, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არ შეასრულონ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ მთავრობის, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების გადაწყვეტილებები და დირექტივები აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 25 აგვისტოს მიღებული უკანონო აქტების გაუქმებამდე.

3. გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო მოუწოდებს აფხაზეთის ასსრ სხვა რაიონულ და საქალაქო საბჭოებს მიიღონ ანალოგიური გადაწყვეტილებანი.

4. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში და გადაიცეს რესპუბლიკის ტელევიზიით.

რ.დგებუაძე,
გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს
აღმასკომის მდივანი.
1990 წლის 27 აგვისტო (გაზ. "გალი", 28 აგვისტო, 1990წ.).

აფხაზეც სეპარატისტთა საერთო სამზადისს, რომელიც მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინააღმდეგ, ორგანიზებული და თანმიმდევრული, კანონით გათვალისწინებული, სწორი სამართლებრივი წინააღმდეგობა გაუწია და პოლიტიკური შეფასებები მისცა გულრიფშის რაიონულმა საბჭომ. მან ჯერ კიდევ **26 ივლისს** გამოაცხადა თავისი პრინციპული და გამაფრთხილებელი დამოკიდებულება პროვოკაციული მიზნით მოწვეული აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიისადმი.

1990წ. აგვისტოში გულრიფშსა და დრანდაში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგები, რომლებმაც ამხილა როგორც აფხაზეც-სეპარატისტთა, ასევე ე.წ. მესხეთელ თურქთა აგრესიული ნაბიჯების საბედისწეროდ სახიფათო ხასიათი.

27 აგვისტო - ВНЕОЧЕРЕДНАЯ СЕССИЯ ГУЛЬРИПШСКОГО РАЙСОВЕТА НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

Состоялась внеочередная сессия Гульрипшского райсовета народных депутатов XX созыва. Рассмотрено обращение группы депутатов райсовета в связи с проведением сессии Верховного Совета Абхазской АССР.

С информацией на сессии выступил депутат Верховного Совета Абхазской АССР А.Салуквадзе.

В прениях выступили В.Мания депутат, редактор райгазеты «Дроша», Г.Думбадзе, депутат, заместитель заведующего отделом СФТИ, О.Гвичия, депутат, директор Пшапского цитрусоводческого совхоза им. Церетели, О.Кекелия, директор пансионата «Агудзера», В.Алания, депутат, председатель колхоза им. Чавчавадзе, Ю.Чоплиани, член общества «Леми», К.Калайджян, депутат, председатель колхоза им. Шаумяна, Г.Коршия, председатель районного отделения Народного фронта Грузии, Г.Цулая, доктор исторических наук, А.Хашба, депутат, секретарь Гульрипшского РК КП Грузии.

По обсужденному вопросу сессия приняла соответствующее решение.

Аналогичные сессии состоялись в сельских Советах района, в ряде организаций и предприятий _ собрания трудовых коллективов с осуждением проведения сессии Верховного Совета Абхазской АССР 28 июля с.г.

РЕШЕНИЕ
Внеочередной сессии Гульрипшского
районного Совета народных
депутатов XX созыва
Об обращении группы депутатов

Внеочередная сессия Гульрипшского Районного Совета народных депутатов отмечает, что, когда в республике идут перестроечные процессы, развиваются силы, отстаивающие свои узкогрупповые и личные интересыб Силы, которые предали забвению исходные принципы демократии и гуманизма во взаимоотношениях между нациями и народностями

Под давлением этих групп, Президиум Верховного совета Абхазской АССР в нарушение Конституции, регламента Верховного Совета Абхазской АССР, экстренно созывает сессию Верховного Совета 28 июля 1990 года, на которой депутатам предлагается дать оценку принятым решениям состоявшейся сессии Верховного Совета Грузинской ССР.

Народы, населяющие автономную республику, жили в мире и не хотят никаких конфронтаций. Ныне действующий Верховный Совет не выражает мнение граждан республики, так как был сформирован командо-административными методами, не ведет практически никакой работы, уже более года не собирался, не дал оценки событиям, происшедшим в республике 15-16 июля прошлого года.

Депутаты не проводят никакой работы в округах. Создалось подложение, когда в республике необходимо провести выборы в новый Верховный Совет, выражяющий мнение народа. Избранный на альтернативных началах, он будет принимать решения, которые выразят волю всего населения автономной республики, а не определенной его части.

Исходя из вышеизложенного, Гульрипшский районный Совет народных депутатов решил:

1. Выражая волю трудовых коллективов и всего населения района, считать проведение сессии Верховного Совета Абхазской АССР 28 июля 1990 года с предложенной повесткой дня недопустимой ввиду противоречия принципам демократии, гласности, ущемления конституционных прав народов и создания реальных условий к межнациональным столкновениям.

2. В случае проведения сессии Верховного Совета Абхазской АССР и принятия постановлений по вносимым вопросам в предложенной редакции, депутаты, население, организации и государственные органы района прибегнут к крайним мерам протеста, а принятые документы будут считатся незаконными и их действие не распространится на територии Гульрипшского района.

3. Выразить недоверие Президиуму Верховного Совета Абхазской АССР. Потребовать от него назначения выборов депутатов Верховного Совета Абхазской АССР не позднее 14 октября 1990 года и подать в отставку.

4. Потребовать от Президиума Верховного Совета Абхазской АССР рассмотреть данное решение Гульрипшского райсовета народных депутатов и дать ответ 27 июля с.г., а также один экземпляр данного решения направить на рассмотрение в Президиум Верховного Совета Грузинской ССР.

Председатель исполкома Гульрипшского райсовета
народных депутатов О.Чарквиани.
Секретарь исполкома Гульрипшского райсовета
народных депутатов З.Гахария.
(გულრიფშის რაიონის გაზეთი “დროშა”, 27 ივლისი).

1990წ. 27 აგვისტო: 25 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თვითმარქვია სესიის შესახებ საქართველოს სსრ შს სამინისტრომ გაავრცელა განცხადება.

აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში მომხდარი ამბების შესახებ:

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მე-10 სესიის დადგენილებამ, რომელიც ეხება ავტონომიური რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, გაართულა ვითარება რეგიონში. 26 აგვისტოს დილის სამი საათისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ქართველი მოსახლეობის ნაწილმა ჩაკეტა სოხუმის რკინიგზის სადგური. იმავე დღეს ქალაქ სოხუმის კონსტიტუციის მოედანზე გაიმართა მიტინგი აფხაზეთის სხვადასხვა რაიონის ქართველი ეროვნების მცხოვრებთა მონაწილეობით. მიტინგი ინფორმაციული ხასიათისა იყო. ორატორებმა აღნიშნეს, რომ სესიის გადაწყვეტილება მართლზომიერი არ არის, რადგან იგი ეწინააღმდეგება რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუცუას, ხოლო სესიის დროს დარღვეული იყო პროცედურული ნორმები. მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია. მიტინგის დამთავრების შემდეგ, 18 საათისათვის რკინიგზის ბლოკადა შეწყდა. მატარებლის მოძრაობა აღდგენილია.

ამავე დღეს, საღამოს რვა საათისათვის ქ.თბილისში ლენინის მოედანზე მიმდინარე მიტინგის დამთავრებისას დაახლოებით 1500-2000 კაცმა ლენინის ძეგლთან მოიყარა თავი. მათ სხვადასხვა საღებავებით დასვარეს ძეგლი, დაუშინეს მას ბენზინიანი ბოთლები, შემოუწყვეს ძველი საბურავები და წაუკიდეს ცეცხლი, რკინის მილების გადანაჭრებით ამოანგრიეს ძეგლის გარშემო დაგებული ფილები. ღამის 3 საათისათვის, როდესაც შეკრებილი ხალხის დიდი ნაწილი დაიშალა, ერთმა ჯგუფმა მოიყვანა ტრაქტორი და შეეცადა საძირკვლის დანგრევას, მაგრამ მილიციის მუშაკების მიერ ინცინდენტის შემდგომი განვითარება აღკვეთილი იქნა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესჯგუფი (გაზ. "კომუნისტი", 28 აგვისტო, 1990წ.)

1990წ. 28 აგვისტოს თბილისში აღებული იქნა **ვ.ი.ლენინის** ძეგლი.

1990წ. 28 აგვისტოს გაზეთმა "ახალგაზრდა ივერიელმა" გამოაქვეყნა პუბლიკაცია იმის შესახებ, თუ როგორ დააფარეს ხელი გარდაბნის რაიონში დამნაშავეებსა და ბოროტმოქმედებს, რომლებიც წლების მანძილზე უხეშად არღვევდნენ კანონიერებას მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სფეროში და რომლებიც ერის სამსჯავროზე გამოყვანას იმსახურებენ:

"რესპუბლიკის პროკურორის მიერ ზედამხედველობის წესით ჩატარებულმა შემოწმებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ გარდაბნის რაიონში წლების განმავლობაში სისტემატურად ირღვეოდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და მიწის კანონმდებლობის მოთხოვნები.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წაყრუებისა და შემრიგებლური პოლიტიკის შედეგად შეიქმნა დაუსჯელობის ატმოსფერო, რის გამოც მასიურად გავრცელდა მიწების მიტაცება, მათი კანონის დარღვევით გამოყოფა, უკანონო ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, აგროსამრეწველო კომბინატი, შინაგან საქმეთა განყოფილება, მისი უბნის ინსპექტორები, არქიტექტურულ-დაგეგმარებითი და მიწათმოწყობის სამსახურები დროულად არ ავლენდნენ დარღვევებს, არ იღებდნენ სათანადო ზომებს მათ აღმოსაფხვრელად, იშვიათად, დიდი დაგვიანებით უგზავნიდნენ მასალებს საგამომძიებლო ორგანოებს.

რაიონის უმეტეს საბჭოთა მეურნეობებში გამოვლინდა მოქალაქეთათვის საზოგადოებრივი ფონდებიდან საკარმიდამო მიწის ნაკვეთების გამოყოფის კანონსაწინააღმდეგო შემთხვევები. ჯანდარის მებოსტნეობა-მერძევობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ფ.ისმაილოვის ერთპიროვნული ბრძანებებით 20-ზე მეტ მოქალაქეს გამოეყო მიწის ნაკვეთები საზოგადოებრივი ფონდის მიწებიდან, კიროვის

სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბ.ისმაილოვმა კი 1983 წლის მაისში სოფელ ქვემო კაპანახჩის 17 მცხოვრებს საზოგადოებრივი ფონდის მიწებიდან ერთი წლით დროებით სარგებლობაში (საბოსტნედ), ყოველგვარი მშენებლობისა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენების უფლების გარეშე გამოუყო ორი ჰექტარი მიწა მაშინ, როცა აღნიშნული ფართობი უკვე გამოყოფილი ჰქონდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს დამხმარე მეურნეობას. ფაქტობრივად კი ამ მოქალაქეებმა დროებითი სარგებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე გააშენეს მრავალწლიანი ნარგავები, ააგეს დამხმარე ნაგებობები, რაც მეურნეობის დირექციის, აგროსამრეწველო კომბინატისა და რაიაღმასკომის რეაგირების გარეშე დარჩა.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 მარტის დადგენილებით გაჩიანის საბჭოთა მეურნეობას გამოეყო 5,7 ჰექტარი საკარმიდამო ფონდის მიწები, მეურნეობის დირექციამ კი ეს ციფრი 10 ჰექტარამდე "დაამრგვალა" და გაანაწილა (დირექტორი ტ.ახმედოვი), რაც ასევე ვერავინ "შეამჩნია".

გარდაბნის რაიონში შექმნილი განუკითხაობის ვითარების გამო ფართოდ გავრცელდა მოქალაქეთა მიერ მიწების მიტაცება, რასაც ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობაში.

ისარგებლეს რა კრწანისის საბჭოთა მეურნეობის დირექციისა (დირექტორი გ.დალაქიშვილი) და რაიონის შესაბამისი ორგანოების მხრიდან უკონტროლობით, 120-ზე მეტმა მოქალაქემ მიიტაცა 31 ჰექტარი საზოგადოებრივი ფონდის მიწა და წლების განმავლობაში უკანონოდ ფლობდა მას. ყარაჯალარის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი კ.მამედოვი) მიტაცებული აღმოჩნდა 34,6 ჰექტარი მიწა, აქტაკლიის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ი.ბაირამოვი) 6,78 ჰექტარი და ა.შ. სულ რაიონში მოძალადეთა ხელში აღმოჩნდა 110 ჰექტარზე მეტი ქართული მიწა, რასაც რაიონის მესვეურები "დიდსულოვნად" ურიგდებოდნენ.

ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი უკანონო ბინათმშენებლობაც, რამაც ასევე ინტენსიური ხასიათი მიიღო. უნებართვო საკუთარი სახლების დიდი ნაწილი, ცხადია, მიტაცებულ მიწებზე შენდებოდა, მაგრამ გარდაბნის ხელმძღვანელები ამ დარღვევებსაც ჩვეულებისამებრ "ვერ ხედავდნენ".

კრწანისის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე მიტაცებულ მიწაზე 14-მა მოქალაქემ ააშენა უნებართვო საცხოვრებელი სახლი, ყარაჯალარის საბჭოთა მეურნეობაში უნებართვოდაა აშენებული 69 საცხოვრებელი სახლი და 32 დამხმარე ნაგებობა. ანალოგიური ფაქტები გამოვლინდა ჯანდარის, ნაზარლოს, რუისბოლოს და სხვა საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზეც. სულ გარდაბნის რაიონში გამოვლინდა 150-ზე მეტი უკანონო საცხოვრებელი სახლი და 100-ზე მეტი დამხმარე ნაგებობა.

უნებართვო ბინათმშენებლობას თავიანთი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებით ხელს უწყობდნენ ცალკეული თანამდებობის პირები. გაჩიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მიერ 1988 წელს 17 მოქალაქეს საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მუდმივ სარგებლობაში გადაეცა ადრე დროებითი სარგებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები მაშინ, როდესაც მინისტრთა საბჭოს მიერ ამ ზონაში აკრძალულია მიწების გამოყოფა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის.

გამკითხავი მაინც არავინ არისო და სოფელ სართიჭალის ქართველმა მოსახლეობამ საცხოვრებელი სახლების ფარულ გაყიდვას მიჰყო ხელი, მყიდველიც უმალ გაჩნდა მუღანლოდან, ქესალოდან, ყარაჯალარიდან... მოქ. თ.წიკლაურმა სათანადო გაფორმების გარეშე მიყიდა თავისი სამოთახიანი საცხოვრებელი სახლი სოფელ მუღანლოში მცხოვრებ ნ.ასლანოვს, ამავე სოფელში მცხოვრებმა შ.ბურდულმა

გაუფორმებლად გაასხვისა სახლი ა.ნაბიევზე, მათ არც ნ.პატარკაციშვილი და ნ.ქიტესაშვილი ჩამორჩნენ, რომლებმაც ბინები "დაუთმეს" რ.ბუნიატოვს და თ.ორუჯევს. მთლიანად სართიჭალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე გამოვლინდა საცხოვრებელი სახლების ფარული ყიდვა-გაყიდვის 43 შემთხვევა, ძირითადად სახლებს იძენდა არაქართველი მოსახლეობა, რაზეც რაიონისა და სოფლის ხელმძღვანელობა "გულმოწყალედ" ხუჭავდა თვალს.

კანონიერების უხეში დარღვევის არაერთი ფაქტი დადასტურდა ქ.გარდაბნის ტერიტორიაზეც. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მათდამი დაქვემდებარებული სამსახურების უსულგულობის შედეგად აღმასკომში არ არსებობდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიღების მსურველთა რეგისტრაციის ჟურნალი და აღრიცხვაზე აყვანილთა რიგითობის სია. არ წარმოებდა მუშაობა მოქალაქეების მიერ ნორმის ზემოთ მიწის ნაკვეთებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლების უნებართვოდ და პროექტის დარღვევით მშენებლობის ფაქტების აღმოსაფხვრელად, რის გამოც ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები სარგებლობენ ნორმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი ფართობით.

გორკის ქუჩაზე მცხოვრები მოქ. ფ.სულეიმანოვის ოჯახი ფლობს 0,16 ჰექტარ მიწის ფართობს, კონსტიტუციის ქუჩაზე მცხოვრები მ.ბადალოვა 0,44 ჰექტარს მაშინ, როდესაც საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, მათი საკარმიდამო მიწის ნაკვეთები არ უნდა აღემატებოდეს 0,06 ჰექტარს, სულ ასეთი სახის დარღვევები გამოვლინდა 40-ზე მეტ შემთხვევაში.

სახალხო დეპუტატთა გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომმა 1980 წლის 30 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება "ქ.გარდაბნის ცენტრის განაშენიანების შესახებ", რომლის თანახმადაც რეკონსტრუქციის ზონაში აიკრძალა ყოველგვარი მშენებლობა. მიუხედავად ამ აკრძალვისა, 1981-88 წლებში ა.მამედოვას, ზ.იუსუბოვს, გ.მურთუზოვს და 40-ზე მეტ სხვა მოქალაქეს ნება დაერთო ეწარმოებინათ ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, რისთვისაც მათ გამოეყოთ მიწის ნაკვეთები.

გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ოჯახის გაყოფისას ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები გამოეყოფოდათ არა მათი მშობლების სარგებლობაში არსებული ზედმეტი მიწებიდან, არამედ... "

1990წ. 31 აგვისტოს ქ.სოხუმში მოწვეულ იქნა აფხაზეთის ასსრ მეათე საგანგებო სესია რომელშიც მონაწილეობდა 71 დეპუტატი, რომელთაც ბოიკოტი გამოუცხადეს **25 აგვისტოს** ე.წ. სესიას (უფრო სწორად, აგრესორ სეპარატისტთა შეკრებასა და მათ პოლიტიკურ დემარშებს).

მიღებულ განცხადებაში აღშფოთება იყო გამოთქმული იმის გამო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ძირეული მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სურვილის მხედველობაში მიუღებლად, აგრესიული სეპარატიზმი "უფლებას იძლეოდა" აფხაზეთის მოსახლეობას ეცხოვრა სახელშეკრულებო ურთიერთობებით თავის საერთო სამშობლოსთან _ საქართველოსთან.

ე.წ. პროექტი დეკლარაციისა დამოუკიდებლობის შესახებ, რომლის ტექსტიც მომზადდა ფართო საზოგადოებრიობისაგან ფარულად, პრესაში გამოქვეყნებული არ ყოფილა. მისი არსებობის შესახებ არ იცოდა პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობამაც კი, და მოულოდნელი სიურპრიზი გახდა დარბაზში შეკრებილი დეპუტატებისათვის. სესიის ჩატარების ორგანიზატორებმა ვერ გაბედეს საკითხი დეკლარაციის შესახებ შეეტანათ სესიის დღის წესრიგში.

სესიის მომზადებამ და ჩატარებამ მთელი სიცხადით გვიჩვენა საკუთარი ნება-სურვილის გამოხატვაზე ხალხის სუვერენული უფლების უზურპაციის ცდა, რაც არ

შეიძლება, დარჩეს პრინციპული რეაგირებისა და გონივრული საწინააღმდეგო მოქმედების გარეშე.

ამავე დროს სესიის მონაწილეებმა ვერ ამხილეს საბჭოთა ეთნოდივერსიული ფაბრიკაციის შედეგები აფხაზეთში და, ნებით თუ უნებლიედ, სცნეს აფხაზეთის ასსრ-ის დემოგრაფიული დადასტურების _ საბჭოთა ეთნოინდუსტრიის შედეგის, ოქტომბრისენოვანი "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის "უფლება, განაგებდეს საკუთარ ბედს".

ამრიგად, აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ იმუშავა, გამომდინარე საიდანაც დაადგინა _

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დადგენილება "აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ" გაუქმდეს როგორც ანტიკონსტიტუციური, კანონსაწინააღმდეგო და იურიდიულად დაუსაბუთებელი, რაც არღვევს საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო დეკლარაცია "აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ" უარყოფილ იქნეს, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესობის ძირეულ ინტერესებს და სურვილს.

2. დაგმობილ იქნეს საქართველოსა და ქართველი ხალხის მისამართით ბრალდებები, რაც გაისმა 1990 წლის 25 აგვისტოს სესიაზე, როგორც ისეთი, რაც ვერ პასუხობს ისტორიულ სიმართლეს და მივყავართ რესპუბლიკაში შემდგომი კონფრონტაციისა და დესტაბილიზაციისაკენ.

3. ცნობილ იქნეს როგორც დროული და ისეთი, რომელიც პასუხობს აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის უმეტესობის კანონიერ ინტერესებს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 26 აგვისტოს დადგენილება "აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებების შესახებ".

4. შეიქმნას სადეპუტატო კომისია პროცედურული საკითხების დარღვევის, დეპუტატთა რეგისტრაციისას დარღვევების ფაქტების, ასევე ზემოქმედების, დეპუტატებზე არასამართლებრივი და არადემოკრატიული ზემოქმედების მეთოდების ფაქტების გამოსაძიებლად, რასაც ადგილი ჰქონდა 25 აგვისტოს სესიის მომზადებისა და ჩატარების პროცესში.

5. მომზადდეს და 1990 წლის 25 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ კანონმდებლობის საფუძველზე მოეწყოს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები.

6. მოწონებულ იქნეს აფხაზეთის ასსრ ყველა დონის დეპუტატთა 1990 წლის 23 აგვისტოს კრების წინადადება ეროვნული თანხმობის კომიტეტის შექმნის შესახებ აფხაზეთის ყველა რეგიონის, ეთნიკური ჯგუფის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობების, რომლებიც კონსენსუსის პრინციპის მიხედვით გადაწყვეტილებებს იღებენ წარმომადგენლებისაგან.

7. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ აქტების რეალიზაციის ცდას, რომლებიც ამ სესიის მიერ და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ცნობილ იქნა კანონსაწინააღმდეგოდ, უზენაესი საბჭოს ეს შემადგენლობა იტოვებს უფლებას დაუყონებლივ მიიღოს შესაბამისი ზომები.

8. ეს დადგენილება გაეგზავნოს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და რსფსრ უზენაეს საბჭოებს, ასევე გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის

მოადგილე ვ.ყოლბაია.
აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის
მაგიერ რ.სალუქვაძე.
ქ.სოხუმი. 1990 წლის 31 აგვისტო.
(გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 6 სექტემბერი, 1990წ.)

1990წ. აგვისტოს თვეში ზვიად გამსახურდიამ მორიგი პასუხი გასცა ეროვნულ მოძრაობაში მოვლინებულ აგენტურას:

მრგვალი მაგიდის პოლიტიკური
ორგანიზაციების განცხადება
("ექსპრეს-ხრონიკის" პუბლიკაციების შესახებ)

მოსკოვის "დამოუკიდებელი" გაზეთი "ექსპრეს-ხრონიკა" მთელს მსოფლიოში ვრცელდება მრავალ ენაზე (ამ გაზეთის მუდმივი კორესპონდენტი საქართველოში არის ი.სარიშვილი). დიდი ხანია ეს გაზეთი ბეჭდავს დეზინფორმაციებს საქართველოს შესახებ, რომელთაგან ზოგიერთს აქ გაგაცნობთ.

1989 წლის 30 ივლისის ნომერში დაიბეჭდა შემდეგი სახის ინფორმაცია, რომელიც შემდგომში პარიზულმა ემიგრანტულმა გაზეთმა "რუსსკაია მისლ"-მაც გადაბეჭდა:

"თბილისსა და სოხუმიდან მოდის ცნობები, რომ დასავლეთ საქართველოში არსებობენ თვითმოქმედი შეიარაღებული ფორმირებანი, მათ ორგანიზებას ახდენდა ზვიად გამსახურდია".

ამ დასმენის ავტორობა ამჟამად კატეგორიულად უარყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-ცენტრმა. მაშინ ზ.გამსახურდიამ და მ.კოსტავამ, რომელთაც ჰქონდათ საკმაო მონაცემები, გადაწყვიტეს ღირსების სასამართლოს მოწყობა დეზინფორმატორებისთვის.

მერაბ კოსტავა ტელეფონით დაუკავშირდა "ექსპრეს-ხრონიკის" ერთ-ერთ რედაქტორს, ს.ლიზოვს, მაგრამ ამის შემდეგ მას მოუხდა ქალაქის დატოვება და გააკეთა შემდეგი განცხადება პრესისათვის:

"თუკი შედგება ღირსების სასამართლო ექსპრეს-ხრონიკაში ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან გავდივარ თბილისიდან, ვადასტურებ შემდეგს: ამა წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, ამ ამბით დაინტერესებული ტელეფონით ვესაუბრე ლიზოვს, რომელმაც მამცნო: ეს ინფორმაცია მან მიიღო სხვა წყაროდან, შემდეგ დაურეკა თბილისში ი.სარიშვილს (ედპ-ს პრეს-მდივანს), რომელმაც დაუდასტურა მას ეს ინფორმაცია".

18.IX.1989 წ. მერაბ კოსტავა.

თუმცა ეს სასამართლო აღარ შედგა მერაბ კოსტავას დაღუპვის გამო.

თუ იმჟამად ედპ უარყოფდა თავის ავტორობას, ახლა, 1990 წლის 3 ივლისის ნომერში გიორგი ჭანტურიამ გააკეთა ღია განცხადება, რომლის ტექსტიც შემოკლებით დაბეჭდა "ექსპრეს-ხრონიკამ" (ვბეჭდავთ ტექსტს მთლიანად):

"საქართველოს-ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გ.ჭანტურიამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: "საქართველოში რეალური საფრთხე არსებობს სამოქალაქო ომისა, რომლის ინიციატორადაც შეიძლება მოგვევლინოს პოლიტიკური ალიანსი, რომელიც ცნობილია "მრგვალი მაგიდის" სახელით. "მრგვალმა მაგიდამ" და მასში შესული ჰელსინკის კავშირის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ შემოიტანეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ანტიდემოკრატიული, ავტორიტარული ელემენტები.., ზ.გამსახურდია, რომელმაც საჯაროდ მოინანია დისიდენტური მოღვაწეობა 1978 წელს, დღეს თავს აცხადებს ერის ბელადად. საქართველოში

მრავალრიცხოვანი ეთნოკონფლიქტების აღმოცენებას სწორედ ზ.გამსახურდიას უნდა ვუმადლოდეთ. კრემლის მიერ ინსპირირებულ პროვოკაციებზე თამაშით, იგი აღვივებს შოვინისტურ ვნებებს პოლიტიკურად უწიგნურ ადამიანებში, ხოლო შემდეგ გამოდის მათ წინაშე, როგორც "ერის მხსნელი".

ედპ-ს ლიდერის თქმით, "გამსახურდია დაკავშირებულია სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან, ახორციელებს საქართველოში კრემლის პოლიტიკას და ნიღბავს მას ფსევდორადიკალური და ნაციონალისტური ლოზუნგებით... ზ.გამსახურდია ცდილობს გაამწვავოს საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, შექმნას მასობრივი ფსიქოზის ატმოსფერო, რათა გაუსწორდეს ხელისუფლებისთვის არასასურველ ადამიანებს და დემოკრატიულ პოლიტიკურ მიმდინარეობებს. ასეთია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი საქართველოში, რომელშიც შედის ათობით პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც რადიკალური, ისე ზომიერი. ამას წინათ (24-25 მაისს) ჩატარდა საქართველოს დემოკრატიულ ძალთა ყრილობა, სადაც საკოორდინაციო ცენტრის ინიციატივით გადაწყდა ჩატარებულიყო არჩევნები საბჭოთა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ეროვნულ პარლამენტში... სწორედ ამან გამოიწვია აგრესიის ეკსკალაცია ზვიად გამსახურდიას მომხრე ჯგუფების მხრიდან. ასე მაგალითად, 18 ივნისს იყო მცდელობა შეიარაღებული თავდასხმისა საკოორდინაციო ცენტრის წევრებზე "მრგვალი მაგიდის" სახელით "მრგვალი მაგიდის" გასამხედროებული რაზმების მიერ. საკოორდინაციო ცენტრის არაფორმალურმა მილიციამ "მხედრიონმა" დროზე განაიარაღა თავდამსხმელნი. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა გააკეთა განცხადება, ვიდეოფირზე გადაღებული, სადაც იგი მოგვითხრობს, თუ ვით უბრძანეს მას და მის მეგობრებს ზვიად გამსახურდიამ და მისმა მეგობრებმა საკოორდინაციო ცენტრის წევრების მოკვლა, რომლებიც უნდა მოსულიყვნენ კრებაზე... გრძელდება მცდელობა დემოკრატიული მიმართულების ლიდერთა ფიზიკური განადგურებისა. ეს ლიდერებია: ირაკლი წერეთელი (ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე), ირინე სარიშვილი (ედპ-ს პრეს-მდივანი) და სხვა..."

"როგორც ჩანს, ზვიად გამსახურდია ხელისუფლებასთან მოლაპარაკებით შეეცადა გახდეს საქართველოს პრეზიდენტი. როგორც ყოველთვის ამ გეგმის რეალიზაციისათვის იგი იყენებს მის ერთგულ ბრბოს, რომელიც, როგორც ჩანს, მოაწყობს ხმაურიან დემონსტრაციებს და მოითხოვს მის გამოცხადებას პრეზიდენტად".

ამ განცხადებას, ჩვენის აზრით, არავითარი კომენტარი აღარ ესაჭიროება. ვიტყვით მხოლოდ, რომ აქ ისევ ბრალდება ზ.გამსახურდიას შეიარაღებული რაზმების შექმნა, ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართველი ერის გამოცხადება პოლიტიკურად გაუნათლებელ, შოვინისტურად განწყობილ ბრბოდ, რუსულ პრესაში ადრეც იყო. ასე, მაგალითად, მოსკოვის გაზეთ «День за днем»-ში (1989 წ. №7) გამოქვეყნებულია გ.ჭანტურიას ინტერვიუ, სადაც ვკითხულობთ: "საქართველოში, მაგალითად, შეიძლება რაიმე ლოზუნგით წაიყვანო ხალხი, ვთქვათ სომხების წინააღმდეგ. ათიათასიანი ბრბო ტაშს დაგიკრავს".

ნეტავ ვინ ნახა ისეთი ქართველები, რომელთაც სომხების სისხლი ესოდენ სწყურიათ და ტაშს უკრავენ ამგვარ მოწოდებებს, ან ვინ მოისმინა ამგვარი მოწოდებები?

"ექსპრეს-ხრონიკის" ობიექტურობა "საქართველოს" მიმართ კიდევ ერთხელ დადასტურდა ა.წ. 14 აგვისტოს ნომერში, სადაც გამოქვეყნებულია ცრუ ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ა.წ. 11 აგვისტოს, მთავრობის სახლთან მომიტინგეებმა ი.წერეთლის მეთაურობით ზვიად გამსახურდიას კატეგორიულად მოსთხოვეს, ულტიმატუმის ფორმით გ.ჭანტურიასთან ერთად ტელედებატებში გამოსვლა. სინამდვილეში ი.წერეთელს არაფერი მსგავსი არ მოუთხოვია., მან ზოგადად ისაუბრა

ერთიანობაზე, შერიგებაზე და ა.შ. ხოლო როდესაც ზ.გამსახურდიამ ჰკითხა მიტინგს, ვინ არის წინააღმდეგი ჭანტურიასთან ტელედებატების მოწყობისა, მომიტინგეთა 99 პროცენტმა წინააღმდეგობის ნიშნად ასწია ხელი.

იმავე ნომერში განმეორებულია ცრუ ბრალდებები ზ.გამსახურდიას მიმართ, თითქოს იგი აჩაღებს ეთნოკონფლიქტებს, მოითხოვს საქართველოდან გასახლებას თავისი პოლიტიკური ოპონენტებისას და თითქოს ამაში მას მხარში უდგას ხელისუფლება. აქვე დაბეჭდილია სუკ-ის მიერ გაყალბებული ოქმი 1978 წლის გამსახურდია-კოსტავას სასამართლოსი, სადაც გამოტოვებულია უამრავი რამ და დამახინჯებული თვით ზვიად გამსახურდიას სიტყვები, გამოქვეყნებულია აგრეთვე კონტექსტიდან ამოგლეჯილი ადგილები პაიპერ-უიტნის პროცესისა, სადაც ზ.გამსახურდია გამოდიოდა მოწმედ, ე.წ. ი.ჭავჭავაძის საზოგადოების გაზეთ "ივერიის" კომენტარებითურთ, რომელიც აყალბებს ამ პროცესის არსს.

მაგრამ ჩვენ ისევ "ექსპრესს-ხრონიკას" მივუბრუნდეთ. იმავე ნომერში ვკითხულობთ ასეთ ინფორმაციას სომხეთის ეროვნული მოძრაობის "აოდ"-ის საინფორმაციო ცენტრის მიერ გადაცემულს სათაურით: "ვინ ახდენს კონფლიქტის პროვოცირებას ქართველთა და სომეხთა შორის?"

"გამწვავდა სიტუაცია საქართველოს ბოგდანოვკის რაიონში, რომლის მოსახლეობის 95%-საც სომხები შეადგენენ. მიზეზი გახლავთ ქართველ ხელისუფალთა მოქმედება, რომელნიც ბოლო ხანებში ცდილობენ შეცვალონ დემოგრაფიული სიტუაცია ამ რაიონში, რომელიც ახალქალაქს ესაზღვრება. 26 ივნისს ბოგდანოვკის რაიონში ქართულმა მილიციამ ყოველგვარი ბრალდების წაყენების გარეშე დააკავა და თბილისში წამოიყვანა სამი ადგილობრივი მკვიდრი სომეხი. ამან გამოიწვია აღშფოთება ადგილობრივი მოსახლეობისა, რასაც მოჰყვა განუწყვეტელი მიტინგები რაიონულ ცენტრში 26 ივნისს. 29 ივნისს ეს სამივე ადამიანი გაათავისუფლეს".

აქ საქმე ეხება იმ სამი მოქალაქის დაკავებას (კარენ გალსტიანი, გაიკ აივაზიანი, სანასარ კაზარიანი), რომელთაც 26 ივნისს ბოგდანოვკის შემნახველი სალაროდან გაიტაცეს მერაბ კოსტავას ფონდის ფული ხუთი მილიონი მანეთის ოდენობით და რომელნიც მეორე დღესვე თავდებით გაათავისუფლა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

ახლა შევხედოთ, თუ ვით ემთხვევა "აოდ"-ის მიერ ინფორმაციის დამახინჯება გ.ჭანტურიას აზრებს აგრესიული, შოვინისტი ქართველების შესახებ, რომელთაც სომხების სისხლი სწყურიათ, აზრებს ზ.გამსახურდიას შესახებ, რომელიც ვითომდაც აღვივებს ეროვნულ შუღლს და ეთნოკონფლიქტებს და მთელ იმ კომპანიას, რომელიც მოჰყვა ყბადაღებულ 24-ე რეზოლუციას. რა ხელიხელჩაკიდებული მუშაობაა! განა წარმოსადგენია,რომ "ექსპრეს-ხრონიკა" საქართველოზე მსგავსი სიცრუის ბეჭდვისას არაფერს ეკითხებოდეს თავის თბილისელ კორესპონდენტებს? ისინიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ხალისით უდასტურებენ საქართველოზე მსგავსი ჭორების სინამდვილეს, ოღონდ ერთ პიროვნებას მოსცხონ ჩირქი და სახელი გაუტეხონ!

(გაზ. "სახალხო განათლება", აგვისტო, 1990წ.)

1990წ. 1 სექტემბერს მოსკოვში რსფსრ უზენაესი საბჭოს საბჭოს თავმჯდომარემ **ბ.ელცინმა** და სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრმა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **გ.გუმბარიძემ** ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობაზე. ამასთან დაკავშირებით "დემოკრატმა" **ბ.ელცინმა** ხაზგასმით განაცხადა **"მთელი თავიანთი ერთობლივი ისტორიის მანძილზე რუსეთსა საქართველოს არასოდეს არ უომიათ ერთმანეთთან, არ ქონიათ დავა საზღვრებს გამო..."** (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 4 სექტ. 1990წ.) _ ასე

უპასუხა რსფსრ უმაღლესმა ხელისუფალმა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ დოკუმენტს საქართველოს ანექსია-ოკუპაციის შესახებ.

1990წ. სექტემბრის პირველ დღეებში გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს

დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური

საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

ჟორდანია ირაკლი სერგოს ძე _ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან. კომისიის თავმჯდომარე

სიგუა თენგიზ იპოლიტეს ძე _ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისაგან. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

მესხი ლევან ვარლამის ძე _ საქართველოს სახალხო ფრონტისაგან. კომისიის მდივანი

წევრები

გაგლოითი იური სერგოს ძე _ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან

გეგენავა ილია ილიას ძე _ ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიისაგან

გიორგაძე თეიმურაზ გივის ძე _ საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან

გიორგაძე ლევან ლევანის ძე _ სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიისაგან

დიასამიძე რევაზ ჯემალის ძე _ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან

ელიავა ნუგზარ ბორისის ძე _ საქართველოს ეროვნული ფრონტი _ რადიკალური კავშირისაგან

თურქაძე რამაზ გაბრიელის ძე _ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისაგან.

თურქია სევერიანე გრიგოლის ძე _ სრულიად საქართველოს მიწადმოქმედთა კავშირისაგან

კოპაძე რუსუდან გიორგის ასული _ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისაგან

კაცია ანატოლი კონსტანტინეს ძე _ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისაგან

კუტალია ზაზა როსტომის ძე _ საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიისაგან

ლაზარიაშვილი ნოდარ ვასილის ძე _ საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიისაგან

მაკარიძე არჩილ ალექსანდრეს ძე _ საქართველოს ჰელსინკის კავშირისაგან

მარგველაშვილი პარმენ იორამის ძე _ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან

მენაბდე ოთარ ირაკლის ძე _ საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციისაგან

სულიკაშვილი გელა ანდრიას ძე _ საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირისაგან

სხირტლაძე ნუგზარ სევერიანეს ძე _ საქართველოს დემოკრატიული სახალხო ფრონტისაგან

უსუფაშვილი დავით ჯოველის ძე _ ორგანიზაციისაგან "დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის"

ქათამაძე მზია გურამის ასული _ საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტიისაგან

ქობალია ალექსანდრე ერმილეს ძე _ სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან

ქურდაძე მანანა ვლადიმერის ასული _ საქართველოს სსრ სამართალდამცავი ორგანოებისაგან

ქსოვრელი ალექსანდრე არჩილის ძე _ საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაციისაგან

ღვალაძე ზაზა ლენგოს ძე _ საქართველოს რესპუბლიკური პარტიისაგან

ცაგარეიშვილი პავლე ზურაბის ძე _ საქართველოს მწვანეთა პარტიისაგან

ძოწენიძე ამირან გურამის ძე _ საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან

წიკლაური ირაკლი ხვთისოს ძე _ მთიელთა პოლიტიკური კავშირისაგან

ჭელიძე სიმონ ხარიტონის ძე _ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან

ჭირაქაძე არჩილ არჩილის ძე _ საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირისაგან

ხარაიშვილი ირაკლი კარლოს ძე _ არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებისაგან

ხინთიბიძე როინ ჯემალის ძე _ სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებისაგან

ჯანელიძე გიული ედუარდის ძე _ საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიისაგან

ჯაფარიძე დავით ვახტანგის ძე _ ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებისაგან

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში
საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების მონაწილე
რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების სია

1. საქართველოს კომპარტია
2. საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია
3. "დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის" ("დას"-ი)
4. საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია
5. საქართველოს სახალხო ფრონტი
6. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია
7. საქართველოს მწვანეთა პარტია
8. საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი
9. საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი
10. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება
11. სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება
12. საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი
13. საქართველოს ჰელსინკის კავშირი
14. საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია
15. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება
16. საქართველოს ეროვნული ფრონტი _ რადიკალური კავშირი
17. საქართველოს რესპუბლიკური პარტია
18. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
19. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
20. საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტია
21. საქართველოს მთიელთა პოლიტიკური კავშირი
22. საქართველოს სახალხო პარტია

23. არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება
24. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
25. სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტია
26. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
27. საქართველო ეროვნულ-ქრისტიანული პარტია
28. ივ. ჯავახიშვილის საზოგადოება
29. საქართველოს დემოკრატიული სახალხო ფრონტი

სია პარტიებისა, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაში გატარებაზე:

1. საქართველოს სამართლიანობისა და ეროვნული ერთიანობის პარტიას, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის მე-8 მუხლს.
2. საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიულ პარტიას, ვინაიდან მისი წესდების მიხედვით პარტიის წევრი შეიძლება იყოს სამეურნეო ორგანიზაციაც, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის მე-8 მუხლს.
3. საქართველოს გლეხთა პარტიას, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მისი წესდებით პარტიის წევრობისთვის დაწესებულია კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნები, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.
4. საქართველოს შრომის პარტიას, რადგანაც მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოქმედებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონებით, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.
5. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნულ პარტიას, ვინაიდან იგი არ არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია და მას აფინანსებს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.
6. სრულიად საქართველოს სოციალური სამართლიანობის საზოგადოება "ლემის" იმერეთის რეგიონს, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.
7. დემოკრატიულ მოძრაობა "ვრასტან"-ს, ვინაიდან მისი მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.
8. საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირს, ვინაიდან მისი შემოქმედება არ ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მონაწილეობა არ მიუღია რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, რაც ეწინააღმდეგება კანონის მე-8 მუხლს.
9. საქართველოს აგრარულ კავშირს, ვინაიდან იგი წარმოადგენს აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი საწარმოების, გაერთიანებების და სხვა სამეურნეო ერთეულების შრომითი კოლექტივების კავშირს, რაც ეწინააღმდეგება კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.
10. საქართველოს ეროვნულ კონსტიტუციურ ალიანსს, ვინაიდან მისი წესდება ითვალისწინებს პარტიის კოლექტიურ წევრებს, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლს.
11. საქართველოს "სტალინის" პოლიტიკურ ორგანიზაციას, ვინაიდან თავის საქმიანობას წარმართავს სკკპ პროგრამისა და წესდების მიხედვით, და საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციების მარქსისტულ-ლენინური დებულებების საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება კანონის მე-8 მუხლს.

ამავე პერიოდში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ საარჩევნო ოლქები, აფხაზეთის ასსრ-ში შეიქმნა _ ქ.სოხუმში: აღმოსავლეთის №100; ცენტრალური №101; დასავლეთი №102; ქ.ტყვარჩელის №103; ქალაქი გაგრა №104; ბიჭვინთის _ №105; გუდაუთის №106; სოხუმის რ-ნის _ №107; გულრიფშის რ-ნის _ №108; ოჩამჩირის რ-ნის _ №109; გალის რ-ნის _ №110; ჭუბურხინჯის _ №111.

1990წ. 6 სექტემბრის გაზეთმა "**Советская Абхазия**"-მ გამოაქვეყნა **ე.კაპბას** წერილი _ **"Лошадей на переправе не меняют".** ავტორი თავის ცილისმწამებლური თითისქნევით ქართული ეროვნული მოძრაობისგან მოითხოვდა **"Довольно экспериментов, довольно нам играть роль подопытного кролика..."**

1990წ. 8 სექტემბერს საქართველოს კპ ცკ-ის შენობის წინ დადგმული ლენინის ძეგლი დესტრუქციული ძალების მიერ დაზიანებული იქნა. ამ აქციის მიზანი გახლდათ ოფიციოზის გამოწვევა, ტერორის გაძლიერება და ზემოქმედება საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე.

1990წ. 16 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც განიხილა თავისი წინასაარჩევნო პროგრამა.

მიუხედავად იმისა, რომ ორიოდე კვირის წინ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ხელისუფლებასთან დადო ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მარტის, ივნისისა და აგვისტოს სესიათა გადაწყვეტილებებს, ამჯერად მიღებული საარჩევნო პროგრამა იაფფასიანი, ლოზუნგური "პატრიოტიზმით" ამომრჩევლებს საქართველოს რეალურ სუვერენიტეტს ჰპირდებოდა, ანუ უსირცხვილოდ აყრიდა თვალში ნაცარს ქართველ ერს. პლენუმის შემდეგ სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრმა, საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **გ.გუმბარიძემ** დაიწყო წინასაარჩევნო შეხვედრები ძირითადად ცენტრის მიერ ინტერფრონტულ ნედლეულად ნაგულისხმევ მოსახლეობასთან. კრემლის დავალებით ინტერფრონტულმა ეთნონედლეულმა საქართველოს კომპარტიას ერთსულოვანი მხარდაჭერა აღუთქვა.

1990წ. 20 სექტემბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XX მოწვევის XIV სესიამ კრემლის წაქეზებითა და ოსი შოვინისტ-აგრესორების დიდმპყრობლური ძალისხმევის შედეგად, იმისათვის, რათა საველე-სასანგრო პირობებში ჩაეთრიათ მრავალპარტიული არჩევნების წინ ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, მსგავსად აფხაზეთის ასსრ **25 აგვისტოს** ე.წ. სესიისა, მიიღო ანტიკონსტიტუციური დეკლარაცია ე.წ. "სამხრეთ ოსეთის აო-ს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ".

1990წ. 21 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიის მიერ გაბათილდა რუსიზმის მიერ პროვოცირებული გადაწყვეტილება ე.წ. სამხრეთ ოსეთის აო-ს ასევე ე.წ. **"საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ".**

სსრკ უზენაესმა საბჭომ გარეგნულად, ამჯერად დაგმო მის მიერვე ორგანიზებული ანტიკონსტიტუციური ქმედებები ფაბრიკაციულ "სამხრეთ ოსეთში".

1990წ. 28 სექტემბერს "მხედრიონმა"[33] მოაწყო თავდასხმა "მრგვალი მაგიდის" წევრზე, **მერაბ კოსტავას** საზოგადოების თავმჯდომარესა და ასევე **მერაბ კოსტავას** სახელობის საადგილმამულო და მოსახლეობის განსახლების ფონდის სათათბიროს თავმჯდომარეზე _ **ვაჟა ადამიაზე.**

[33] უნდა აღინიშნოს, რომ ყაჩაღური მიდრეკილების თოფოსნებისათვის წმინდა შინაარსის მატარებელი სახელის _ "მხედრიონის" დარქმევა სულაც არ იყო შემთხვევითი. მას მხედრიონობა, _ იგივე ქრისტესმხედრობა, მოთარეშეობასთან და განუკითხაობასთან უნდა გაეტოლფარდა, რათა ერის მხედრული სვლაგეზისათვის სამამულო ნიშანსვეტი მოეშალა.

მას შეურაცყოფა მიაყენეს საქართველოს პროფკავშირების ადმინისტრაციულ შენობაში, რისთვისაც "მრგვალმა მაგიდამ" საქართველოს ტელევიზიით **ჯაბა იოსელიანს** მოსთხოვა განმარტება.

ამ შემთხვევაში (სხვა საკითხია რამდენად შეეფერებოდა **ვ.ადამია** ამ თანამდებობას), მოთარეშეთა მიზანი კრემლიდანური წრეების დაკვეთის შესრულება გახლდათ, რომელთაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიერ ხელშეწყობილი ეროვნული დემოგრაფიული პოლიტიკის ყოველმხრივ შეფერხება, დისკრედიტირება, ბლოკირება და ჩახშობა სურდათ.

"მხედრიონს" მხარი აუბა ცრუეროვნული მოძრაობის იმ ნაწილმა, რომელიც ე.წ. ეროვნული კონგრესის იდეას ემხრობოდა. ისინი აღვირახსნილი თარეშის პირობებში პირდაპირ, ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ არ დავუშვებთო **ზვიად გამსახურდიას** შესვლას პარლამენტში.

ასეთ პირობებში **"მრგვალმა მაგიდამ"** გონივრული ნაბიჯი გადადგა, როდესაც **22 სექტემბერს,** 16 საათზე მწერალთა კავშირში შეხვედრა დაუნიშნა **ირაკლი წერეთელს,** რომელთანაც უნდა გარჩეულიყო **24 სექტემბერს** ვითომ საკოორდინაციო საბჭოს მიერ ქ.თბილისში დანიშნული ე.წ. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის მიზანშეწონილობის საკითხები.

ი.წერეთელი შეხვედრაზე არ გამოცხადდა.

ცრუეროვნული მოძრაობა თავისი დესტრუქციული საქმიანობით ხელს უწყობდა მოსკოვის მიერ დაქსელილი დაპირისპირებების გამწვავებას და მათ გადაზრდას უმართაობაში, რომლის შემთხვევაში კრემლს მიეცემოდა საბაბი "წესრიგის დასამყარებლად" კვლავ აშკარა ძალადობა გამოეყენებინა (იხ. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთის "**Красная Звезда**"-ს პუბლიკაცია 20 სექტემბერს _ რომელშიც ავტორები წუხილს გამოთქვამდნენ თბილისში შექმნილი კრიმინალური ვითარების გამო და საზოგადოებრივ აზრს ამზადებდნენ წესრიგის დამყარების მოსათხოვად).

1990წ. 30 სექტემბერს დაიწყო და მომდევნო დღეებში გაგრძელდა ე.წ. საქართველოს ეროვნული კონგრესის მეტად საეჭვო "არჩევნები".

1990წ. სექტემბერში ქალაქებში ბათუმსა და ქუთაისში სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტები გარდაიქმნენ სახელმწიფო უნივერსიტეტებად, ხოლო გელათში გაიხსნა სასულიერო აკადემია. სახელდახელოდ "გაეროვნებული" ოფიციოზი ამით ცდილობდა ამომრჩეველთა გულის მოგებას.

1990წ. სექტემბერ-ოქტომბერში უკრაინას გადაუარა მძლავრი გაფიცვების ტალღამ. უკრაინამ, რომელმაც სსრკ უმაღლესი საბჭოს **1988 წლის ნოემბრის** სესიაზე მხარი დაუჭირა სსრკ კონსტიტუციაში დიდმპყრობლურ "შესწორებებს", გამოღვიძება დაიწყო. უკრაინის ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ სიმწყობრე და თანმიმდევრობა შეიძინა.

1990წ. 5 ოქტომბერს გაზეთმა **"ლიტერატურულმა საქართველომ"** გამოაქვეყნა საუბარი **ზვიად გამსახურდიასთან:**

"_ ბ-ნო ზვიად, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება ერთობ რთულია, ვიტყოდი, უძნელესად თავგასართმელიც კი! ამგვარ სიტუაციაში რიგით მოქალაქეს კი არა, ამა თუ იმ პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ლიდერებსაც კი უჭირთ, ალბათ, სწორი და შეუმცდარი გეზის აღება... ეგების კიდევ ერთგზის მოახსენოთ საქართველოს მრავალეროვან, არაერთფეროვან საზოგადოებას ამის თაობაზე.

_ საქართველოს დღევანდელი ვითარება მართლაც რთულია და ძნელად სამართავიც, ვინაიდან დღესდღეობით კრემლმა შეცვალა ტაქტიკა ეროვნულ მოძრაობასთან ბრძოლისა: მან დაინახა, რომ რეპრესიებით, პირდაპირი ოფიციალური ბრძოლით ვერაფერს დააკლებს ოპოზიციურ მოძრაობას, ამიტომ შექმნა ინტერფრონტები, მაფიოზური ძალები და დაუპირისპირა ეროვნულ მოძრაობას.

იგივე ხდება საქართველოშიც _ ნამდვილ, შეურიგებელ და დემოკრატიულ ოპოზიციას დაუპირისპირდა ცრუ ოპოზიცია. რომელიც ოფიციოზთან შეთანხმებით მოქმედებს და ამჟამად, როგორც მოგეხსენებათ, ირჩევს ე.წ. ეროვნულ კონგრესს, რომელიც უნდა იყოს მეორე ხელისუფლება და დაძაბოს ურთიერთობა საქართველოში, გამოიწვიოს ანარქია, ქაოსი და, შესაძლოა, სამოქალაქო ომიც. აი, ასეთია კრემლის ჩანაფიქრი. ე.წ. კონგრესი არის კრემლის უკანასკნელი იმედი. ა.წ. მარტში გამართულ ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე მეც მომხრე ვიყავი ეროვნული კონგრესისა, მაგრამ იმჟამად განზრახული იყო მხოლოდ შეურიგებელი ოპოზიციის წარმომადგენელთა შეყვანა კონგრესში. დღეს კი, თუ გადავხედავთ მომავალ კონგრესმენთა სიას, დავინახავთ, რომ საკმაოდ "შეურიგებელი", კოლაბორაციონისტული და მაფიოზური ძალები აპირებენ მასში შესვლას. გარდა ამისა, თავიდან განზრახული იყო, რომ კონგრესი უნდა აერჩია საქართველოს კანონიერ მოსახლეობას და ჯერ უნდა განსაზღვრულიყო ამ კანონიერების სტატუსი. ახლა ეს ყოველივე დაივიწყეს და განურჩევლად ყველას აძლევენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, ოღონდ ხმები მოაგროვონ. ყოველივე ამასთან ერთად იმჟამად არ არსებობდა პერსპექტივა დემოკრატიული, მრავალპარტიული საარჩევნო კანონისა უზენაეს საბჭოში, რასაც ესოდენ დიდი ბრძოლით მივაღწიეთ. აი, რატომ აღარა ვარ დღეს კონგრესის მომხრე და ზედმეტად მიმაჩნია იგი, უფრო მეტიც, ერისათვის დიდი საფრთხის შემცველად. გარდა ამისა, ეს კომპარტია, რომელიც ხედავს, რომ დიდი პერსპექტივა არა აქვს უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვებისა, ცდილობს, შემოიყვანოს სატელიტური ორგანიზაციები, როგორებიცაა, მაგალითად, ორგანიზაცია "სტალინი", სახალხო პარტია, და სხვანი, რათა უფრო ფართო ფრონტით შემოუტიოს ოპოზიციურ ძალებს.

_ *საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს ამასწინანდელმა დადგენილებამ ზოგიერთი ორგანიზაციის არჩევნებში მონაწილეობის უფლების შესახებ კიდევ უფრო დაძაბა ისედაც დამუხტული სიტუაცია. "ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნდა მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მემორანდუმი, რაც, თავის მხრივ, უპასუხოდ არ დარჩენილა, ოპოზიციური ძალების მხრიდანაც კი...*

_ საბჭოთა სასამართლოს კავშირი ოფიციოზთან ყველასათვის ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ საბჭოთა სასამართლო არასოდეს დამოუკიდებლად არავითარ გადაწყვეტილებას არ იღებს. მით უმეტეს, ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა პარტიების რეგისტრაციის საკითხი. ასე რომ, საბჭოთა სასამართლო, ესაა მხოლოდ პოლიტიკური შირმა კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილების შესანიღბავად და ეს განზრახვა, ცრუ პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია, მომდინარეობს თავად კომუნისტური პარტიისაგან, ოღონდ ამჯერად საბჭოთა სასამართლოს ხელით. ახლახანს გაირკვა, რომ პროკურატურამ მხოლოდ ოთხ პარტიასა და ორგანიზაციაზე დაწერა პროტესტი. საბოლოოდ სიმართლე გაიმარჯვებს თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მემორანდუმის წინააღმდეგ ტელევიზიაშიც იყო გამოსვლა, ცდილობდნენ, ჩვენთვის ბრალი დაედოთ სტალინიზმში, როდესაც ჩვენ თვითონვე ვებრძვით საზოგადოება "სტალინს" და ასეთ აღმაშფოთებელ მოვლენებს.

_ კომუნისტური პარტია, უფრო სწორად, მისი მმართველი ძალა, ე.წ. საქართველოს კომპარტიის (არსებობს კი ასეთი კომპარტია?!) ცენტრალური კომიტეტი საკმაოდ ენერგიულად, სხვადასხვა, ზოგჯერ არცთუ გასაზიარებელი საშუალებით იღწვის პოლიტიკური, წინასაარჩევნო დივიდენდების დასაგროვებლად. აი, რას ვაწყდებით 11 სექტემბრის "კომუნისტში" გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის (?) ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში: "იმათ, ვინც ცდილობს შეურიგებელი დაპირისპირების ატმოსფერო შექმნას, უნდა ახსოვდეს, რომ საქმე ეხება ჩვენი (ვისი, ვინ არის ეს "ჩვენი"? _ კორ.) პარტიის დღევანდელ წევრებს, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას საერთო არაფერი აქვს წარსულის მძიმე ტვირთთან და რომლებიც, თუ მათი ოჯახის წევრებსაც გავითვალისწინებთ, ერის დიდ ნაწილს შეადგენენ".

ხედავთ, ოჯახის წევრებიც გამოიყვანეს სამოქმედო, ასპარეზზე, ყოველ შემთხვევაში, მათი დაპირისპირების ცდა, არჩევნებში საკმაო, "თანამდგომი" ძალების ძიების გზები ისახება, რაიც, ვფიქრობთ, სათანადო კომენტარს საჭიროებს...

_ კომუნისტური პარტია საქართველოსი, რა თქმა უნდა, არ არსებობს. ეს არის სკკპ-ს რეგიონალური ფილიალი. იგი, რასაკვირველია, იღწვის წინასაარჩევნო დივიდენდების მოსაგროვებლად. თქვენ მართებულად ბრძანებთ, რომ მათ ამჟამად მოიშველიეს თავიანთი ოჯახის წევრები, მაგრამ აქ კი უნდა მოვახსენოთ, რომ ეს სიტუაციის აშკარა გაყალბებაა. სწორედ ოჯახების მხრივ აქვთ მათ უდიდესი ოპოზიცია; ეს ჩვენთვის ცნობილია კონკრეტულ მაგალითებზე. ამას წინათ ერთ-ერთი ფუნქციონერი იხვეწებოდა, ნუ გამომაცხადებთ მიტინგზე, ვინაიდან ოჯახის წევრები სახლში არ მიმიშვებენო. ეს ტიპიური მოვლენაა ფუნქციონერთა ოჯახებში...

ასე, რომ, მათი ოჯახის წევრებს არ უნდა დავუკარგოთ ერთი მნიშვნელოვანი რამ: ისინი არ მიდიან მამების კვალზე და მათ აიძულებენ, ძალიან ხშირად თავი შეიკავონ ამა თუ იმ უმსგავსო ნაბიჯისაგან. ამისთვის მათ მადლობას მოვახსენებთ...

ასეთია ჩვენეული კომენტარი ამ ფალსიფიკაციაზე.

_ ხომ არ გაგვიზიარებდით საკუთარ თვალსაზრისს, მიდგომას, პოზიციას შესახებ იმისა, რომ საქართველოს ცკ იმავე "კომუნისტში" მიმართავს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების წარმომადგენლებს, მოაწყონ "შეხვედრა პარიტეტულ საწყისებზე, შემუშავდეს და გაკეთდეს ერთობლივი განცხადება იმის თაობაზე, რომ ყველა მათგანი, პარტიულ-პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა შეხედულებების მიუხედავად, კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას და იძლევა გარანტიას განუხრელად ხელმძღვანელობდეს საქართველოს უზენაესი ინტერესებით..."

_ განცხადებას იმის თაობაზე, რომ კომპარტია მიმართავს არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენლებს, მოაწყონ შეხვედრა პარიტეტულ საწყისებზე, ჩვენ არ ვიზიარებთ, ვინაიდან არ ვთვლით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას არჩევნებში კანონიერად რეგისტრირებულად თუნდაც იმიტომ, რომ თავიანთი ლიდერის მ.გორბაჩოვის ხელმოწერით არ წარმოუდგენიათ განაცხადი და, გარდა ამისა, იგი მიგვაჩნია დანაშაულებრივ ორგანიზაციად, რომელსაც არა აქვს არავითარი მორალური და იურიდიული უფლება საქართველოში არსებობისა. ჩვენ მის ხელმძღვანელ როლს არ ვცნობთ მმართველ პარტიად, ვთვლით უზურპატორად ძალაუფლებისა და არა ხალხის არჩეულად.

_ ობივატელი საქართველოშიც ობივატელია და აი, არცთუ იშვიათად გაისმის ხმები, რომ ოპოზიცია აპირებს სკკპ წევრების მიმართ ანგარიშსწორებას. პირადად მე, არსად, არცერთ ოფიციალურ გამოსვლაში (ოპოზიციურ პარტიათა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციათა ლიდერებს ვგულისხმობ) მსგავსი რამ არ მსმენია და არც

წამიკითხავს! სხვა საქმეა, მიტინგზე თუ არაოფიციალურ ვითარებაში გამოკრთება. "მკვახე შეძახილი" და ეს, ვფიქრობ, იწვევს სკკპ წევრთა დიდი ნაწილის ჭოჭმანს, სიფრთხილესა და ზოგჯერ, მეპატიოს, შიშსაც კი... საჭიროა, ერთხელ და საბოლოოდ გარკვევით ითქვას ამის შესახებ. ეგებ საჭირო იყოს ოპოზიციურ ძალთა ერთობლივი განცხადებაც კი. ასეთი ნაბიჯი თავისებური "კონტრშანსიც" შეიძლება აღმოჩნდეს უზენაესი საბჭოს არჩევნებში...

საერთოდ კი, ვფიქრობ, სჯობდა სკკპ საქართველოს კპ ცკ-ს არაორაზროვნად მიემართა რიგითი წევრებისათვის, კონკრეტულად განესაზღვრათ თავისი პოზიცია პარტიის რიგებში ყოფნა-არყოფნის ირგვლივ... მაგრამ, საეჭვოა, რომ ხელმძღვანელობა ამას მოიმოქმედებს. საჭირო კი იყო, მათთვისაც და, საერთოდ ჭეშმარიტი დემოკრატიის თვალთახედვითაც.

_ ობივატელი საქართველოშიც ნამდვილად ობივატელია. ამით სარგებლობს კომუნისტური პარტია და ავრცელებს ცრუ ხმებს, თითქოს ჩვენ ვაპირებთ მომავალში ანგარიშსწორება მოვუწყოთ პარტიის წევრებს და სხვა. ესაა აბსოლუტური აბსურდი, ვინაიდან ამ პარტიის წევრთა უმრავლესობა იძულებითაა კომპარტიაში და მათ არც ვთვლით საერთოდ კომუნისტებად, არამედ გზააბნეულ ადამიანებად, რომლებიც ცხოვრებამ, მატერიალური კეთილდღეობის ძიებამ აიძულა, ასეთი ნაბიჯი გადაედგათ და მათი დიდი უმრავლესობა ნანობს კიდევაც ამის თაობაზე. ასე რომ, მათთან არავითარი დაპირისპირება არა გვაქვს. რაც შეეხება "შურისძიებას", ჩვენ ქრისტიანები ვართ, და არავითარი წარსული ცოდვებისათვის არ ვაპირებთ სამაგიეროს მოზღვას; ხოლო რაც შეეხება მხილებას, ჩვენ მათ ვამხელდით და მომავალშიც ვამხელთ ერის წინაშე.

ასეთ სიყალბეს სჩადიოდა წინანდელი ხელმძღვანელობა, რომელმაც ეროვნული მოძრაობა დაასმინა იაკოვლევთან, თითქოს კომუნისტებს ფიზიკური განადგურებით ვემუქრებოდით, რითაც მიაღწიეს საქართველოში ჯარის შემოყვანას და რასაც მოჰყვა 9 აპრილის ტრაგედია.

აქვე უნდა ითქვას, რომ სრული უსაფრთხოების გარანტიას ვაძლევთ ყველა არაქართველ მცხოვრებს ჩვენი რესპუბლიკისა, რომელნიც თავიანთი საქმიანობით, ცხოვრების წესით ქართველი ერის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებიან და არ სჩადიან რაიმე უკანონობას.

რასაკვირველია, ამის თაობაზე მალე მოხდება ჩვენი, ოპოზიციური ძალების ერთობლივი განცხადება, რათა გავფანტოთ ყოველგვარი მსგავსი დეზინფორმაცია. დღევანდელ ხელმძღვანელობას არ ეყოფა იმდენი გამბედაობა, მიმართოს თავის წევრებს, რომ განსაზღვრონ თავიანთი ნამდვილი, რეალური პოზიცია, ვის სურს პარტიაში ყოფნა, ვინ იზიარებს პარტიის პლატფორმას, რამეთუ იცის, რომ 99% არ არის იდეური მრწამსით ამ პარტიაში, არამედ სულ სხვა, კონიუქტურული მოსაზრებებით, ამიტომაც ის ვერ გაბედავს ამგვარ მიმართვას.

_ ერთი საჩოთირო თუ უხერხული, მოარული თქმა მკვიდრდება ჩვენში, ყოველ შემთხვევაში, თბილისში მაინც: "რუსთაველის პროსპექტს რომ გასცდები, კაცმა არ იცის, ვინ რას მოიმოქმედებს..." მოგეხსენებათ, ამომრჩეველთა პოზიციებზეა საუბარი...

_ საქართველოს არაერთგვაროვანი მოსახლეობა მართლაც ვერ არის კარგად გაცნობიერებული პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ-ყოფით სიტუაციებში, ამის გამო სისტემატურად დავდივართ რაიონებში, ვაწყობთ მიტინგებს, შეხვედრებს, რომ განვუმარტოთ ხალხს ჩვენი პოზიცია, მოთხოვნები, ვინაიდან უზარმაზარი დეზინფორმაციული აპარატი კომპარტიისა მოქმედებს და ყველგან ახარხებს თავისი ყალბი ხმების გავრცელებას, ამახინჯებს ჩვენს პოზიციას. მაგალითად, ამას წინათ მთელ კახეთში გაავრცელეს ხმები: ზ.გამსახურდიამ შემოთვალა, უჩემოდ არ გაბედოთ

რთველის დაწყება, ვინც ერთ მტევან ყურძენს მაინც მოწყვეტს, ჩემთან ექნებაო საქმე(!)... აი, სადამდე მიდიან, რათა მომავალი "დიქტატორით" დააშინონ ხალხი! რასაკვირველია, მათ ვერ გავეჯიბრებით, იმიტომ, რომ მონოპოლიზირებული აქვთ ყოველგვარი საინფორმაციო საშუალება, მაგრამ მაინც ვახერხებთ წინააღმდეგობას.

_ გმადლობთ... როგორც ვაჟა ბრძანებდა, "ეგებ ინებოს ბატონმა, გაგვმარჯვებიყოსთ მტერზედა"...

_ ეგება, მართლა ინებოს ღმერთმა და ბარემ მივაყოლებდი: "თუ ამას გავიგონებდი, არ ვიტირებდი მკვდრებზედა"... იმისა გამო, რომ ბევრი შეეწირა ურჩხულთან ბრძოლას და საუკუნოდ იქნება მათი ხსენება თავისუფალ საქართველოში".

1990წ. 5 ოქტომბერს ქ. სოჭში გამოვიდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი "Абхазия" _ სეპარატისტული ეთნოკრატიის ორგანო.

1990წ. 6 ოქტომბერს სოხუმში მუშაობა დაამთავრა ისტორიკოსთა კონფერენციამ.

სამწუხაროდ, აღნიშნული კონფერენცია საბჭოთა ეთნოდივერსიული პროცესების შედეგად დამკვიდრებული სტერეოტიპების ტყვეობაში აღმოჩნდა.

სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა თემაზე **"კავკასიის ხალხთა ისტორიის აქტუალური პრობლემები"**. იგი მიეძღვნა ცნობილი აფხაზეცი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის **ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძის (1920-1984)** დაბადებიდან 70-ე წლისთავს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ისტორიკოსები, ეთნოგრაფები და არქეოლოგები თბილისიდან სოხუმიდან, ერევნიდან, მახაჩკალიდან, გროზნოდან, ვლადიკავკაზიდან, მაიკოპიდან და მოსკოვიდან.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა **ა.გორკის** სახელობის ასუ-ს რექტორმა, პროფესორმა **ალეკო გვარამიამ.** მან აღნიშნა, რომ დიდია **ზურაბ ანჩაბაძის** დამსახურება აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს მეცნიერებაში. **ა.გვარამიამ** ხაზი გაუსვა, რომ ეს კონფერენცია სოხუმში ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველი სამეცნიერო თავყრილობაა ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების, ეთნოგრაფებისა და არქეოლოგთა მონაწილეობით.

მოხსენება თემაზე "ზურაბ ანჩაბაძის ცხოვრება და მოღვაწეობა" წაიკითხა ასუ-ს საქართველოს და აფხაზეთის ისტორიის კათედრის გამგემ, პროფესორმა **არველოდ კუპრავამ.**

მოგონებებით **ზ.ანჩაბაძის** ცხოვრების და შემოქმედების შესახებ გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **ივანე ჯავახიშვილის** სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ანტონ ლეჟავა** და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ჯუმბერ ოდიშვილი.**

გიორგი შერვაშიძის საზოგადოების სახელით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **ოთარ ჟორდანიამ** წამოაყენა რამდენიმე წინადადება. კერძოდ, რომ _ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიეკუთვნოს **ზურაბ ანჩაბაძის** სახელი; **ზ.ანჩაბაძის** მშობლიურ ქალაქში _ გაგრაში ერთ-ერთ სკოლას და ქუჩას დაერქვას სახელოვანი მეცნიერის _ **ზ.ანჩაბაძის** სახელი; თბილისში, იმ სახლში, სადაც რამდენიმე წელი ცხოვრობდა **ზ.ანჩაბაძე,** გაკეთდეს შესაბამისი მემორიალური დაფა. გამოიცეს **ზ.ანჩაბაძის** შრომების სამტომეული და სპეციალური სამახსოვრო მედალი.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ **ვალერი ვაშაკიძე** (თბილისი), **ბაჯგურ საღარია, ოლეგ დამენია, ალექსანდრე გაბელია, იური არგუნი, ერმოლაი აჯინჯალი,**

გურამ გუმბა, ირინა აგრბა, იური ვორონოვი (სოხუმი), **ფელიქს გუნტოვი** (ვლადიკავკაზი), **არმენ** და **ჰამლეტ პეტროსიანები, აიდა არზუმანიანი** (ერევანი), **სარია აგაშირინოვა** და **ვლადლენ გაჯიევი** (მახაჩკალა), **ხაჯი კიზირიევი** (გროზნო), **მუხამედ შებზუხოვი** (მაიკოპი).

კამათში მონაწილეობა მიიღო წარმოშობით სოხუმელმა, ამჟამად კი მოსკოვის მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **გივი წულაიამ,** ასევე **ზურაბ ანჩაბაძის** შვილმა _ **ივანე ჯავახიშვილის** სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა **გია ანჩაბაძემ.** ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა _ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა **ანტონ ლეჟავამ, ჯულიეტა რუხაძემ, გერონტი გასვიანმა და** სხვებმა.

აღნიშნული კონფერენცია, სამწუხაროდ, გახლდათ არა სამეცნიეროსაფიხვნო, არამედ აგრესიული სეპარატიზმის კიდევ ერთი ხელგამოღება თვითდასამკვიდრებლად.

1990წ. 6 ოქტომბერს, კონფერენციის მუშაობის შეჯამების დღეს აღინიშნა, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, საჭიროა მომავალში ასეთი კონფერენციების ტრადიციად დამკვიდრება.

კონფერენციას ესწრებოდა **ზურაბ ანჩაბაძის** და, სოხუმელი ექიმი **ირინე ანჩაბაძე.**

1990წ. 8-9 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცკ-ის პლენუმი, რომელმაც ამჯერად განიხილა **"ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და პარტიის ამოცანები ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადაყვანის გამო".**

1990წ. 10 ოქტომბერს გაზეთ "ქართულ ფილმში" გამოქვეყნდა **ა.მარკოზიას** წერილი.

"მერაბ კოსტავა გაგრაში"

თბილისიდან მეგობარმა დამირეკა, რომ მერაბი ჩრდილოეთიდან თბილისში, ციხის საავადმყოფოში, გადმოიყვანეს, თუ შეძლებ, ჩამოდი და ვინახულოთო, თან გარანტიას იძლეოდა, რომ აუცილებლად ვნახავდით. აღფრთოვანებული შევპირდი, რომ ერთ კვირაში ჩამოვიდოდი.

სამზადისს შევუდექი. მერაბ კოსტავას არ ვიცნობდი, არც არასოდეს მენახა, მაგრამ ამდენი წვალებისა და წამების შემდეგ წარმოვიდგინე, რომ ფიზიკურად დაუძლურებულს და ავადმყოფს, ციხის საავადმყოფოში მკურნალობის შემდეგ ერთი თვე მაინც დასჭირდებოდა მოსამაგრებლად.

მატარებლის ბილეთი ავიღე, მეუღლე გავაფრთხილე, რომ ავადმყოფი მეგობრის სანახავად მივდივარ თბილისში და შესაფერი რამ გაამზადე მისატანად-მეთქი...

გაგრაში ჩემი სამუშაო ადგილი ზღვისპირასაა. ბარგი მზად მქონდა და ტაქსის მოლოდინში გაზეთს ვკითხულობდი; უცებ ვიღაც უცნობმა კარი შემოაღო, შემოვიდა. რამდენიმე წამით თვალი _ თვალში გამიყარა და რიხიანად წარმოთქვა: "არკადი თქვენ ბრძანდებით?" ოდნავ ღიმილი გადაკრავდა, ხშირი ულვაშები, ჭაღარა თმა, ოდნავ მოხრილი ცხვირი, კეთილი შავი თვალები მაგრძნობინებდა, რომ ეს ვაჟკაცი რაღაც სასიხარულო ამბის მომტანია. სტუმარმა ისევ გაიმეორა _ "მაშ თქვენა ხართ არკადი?!" ვუპასუხე _ დიახ, მე ვარ... "მაშ, მე მერაბ კოსტავა ვარ!" მართალი გითხრათ უცებ ეჭვი შემეპარა, მე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მერაბი სხვაგვარად წარმოვიდგინე, ჩემს წინ სულ სხვა პიროვნება, ჯმუხი, მოუსვენარი, სიცოცხლით სავსე, ენერგიული კაცი იდგა. თვალების სღრმეში თუ შეატყობდით იმ ჭირვარამგავლილი გზის ნაკვალევს. ის, მხოლოდ მომავალზე ფიქრობდა, ფიქრობდა საქართველოს თავისუფლებაზე და ქართველ ერზე. ერთი შეხედვით, იფიქრებდით, რომ მერაბი სასტიკად მკაცრი, ადამიანებისაგან განდგომილი და განრისხებულია, მაგრამ რომ დაუახლოვდებოდით,

მასში ნახავდით უაღრესად კეთილშობილ ადამიანს, რომელსაც შეეძლო მხოლოდ სიკეთე ეთესა და ეკეთებინა საქართველოსა და ქართველი ერისათვის.

მერაბმა შემატყო, რომ ეჭვის თვალით ვუყურებდი და დამასწრო: "თქვენთან მოსვლა მირჩია ჩვენმა საერთო მეგობარმა ზვიად გამსახურდიამ".

ჩვენი საუბარი შედგა ერთ-ერთ ზღვისპირა კაფეში. ამ საუბრისას ჩემთვის გასაგები გახდა, რომ მერაბი მეორე დღეს მოსკოვში მიფრინავდა ახლად დაარსებულ გაზეთ "გლასტნოსტის" რედაქტორთან მოსალაპარაკებლად.

რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს თერჯოლაში; იქ შეიკრიბა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ის დიდი ძალა, როგორიცაა ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია და სხვები, იყო ბათუმიდან ჩამოსული მამა ნიკოლოზიც, რომელმაც დალოცა და აკურთხა ჩვენი შეკრება საქართველოსა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ჩვენი შეხვედრის პირველი დღიდანვე მერაბს თავისი უშრეტი ენერგია მიმართული ჰქონდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის დაქსაქსული ძალების გასაერთიანებლად, მძლავრი ეროვნული ძალის ჩამოყალიბება სურდა, სურდა ენახა ამ ძალთა მოქმედების შედეგიც _ თავისუფალი საქართველო.

თერჯოლის შეკრებაზე ბევრი საჭირბოროტო საკითხი იქნა განხილული. შეკრების დასასრულს მერაბი წამოდგა და იქ შეკრებილთ მიმართა: "წინადადება შემომაქვს, რომ თერჯოლის შეკრებაში მონაწილეებმა თავისუფალი საქართველოს კანონით ვიცხოვროთ". დამსწრეთა ოვაცია დიდხანს გრძელდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველანი თანახმა ვიყავით. მერაბმა განაგრძო: "ბატონებო, გახსოვდეთ, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მხოლოდ მაშინ გაიმაგრებს თავის პოზიციას, თუკი ყველა ჩვენგანს ეს მოძრაობა ეყვარება და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში..."

ამგვარი გულის სიღრმიდან ამოღებული სიტყვებით მიმართავდა მერაბი კრებებსა თუ მიტინგებს, ამ ანთებულ გრძნობებს გადასცემდა თანამემამულეებს, აღვიძებდა საქართველოსა და თავისი გულწრფელობით და სისპეტაკით იმსახურებდა ქართველი ერის სიყვარულს.

ერთხელ, თბილისში ყოფნისას მერაბმა შემომთავაზა სვეტიცხოველის ნახვა. ზვიად გამსახურდია და ირინა სარიშვილიც მოდიან ესპანელ კორესპონდენტთან ერთადო; მანქანით გამოგვიარეს, მე და მერაბიც შევუერთდით, მცხეთაში ისე ჩავედით, ხმა არ ამომიღია, ვინაიდან ჩემს გარდა ყველა უცხო ენაზე ლაპარაკობდა... სვეტიცხოველიდან ფაცხაში გადავინაცვლეთ, სტუმარს ქართული სუფრა შევთავაზეთ, უცნობებმა სუფრაზე ღვინო გამოგვიგზავნეს. მეგობრებმა თამადად ამირჩიეს, მეც დიდი სიამოვნებით შევუდექი ჩემს მოვალეობას, ესპანელს ღვინო დავაძალე, როდესაც რამდენიმე ჭიქა დალია, მოგვიყვა, თუ როგორ მოიყვანა ცოლად ბასკი გოგონა, ცოლეულში რომ მივდივარ, იქაც ასე მაძალებენ ღვინოსო. ალბათ, ქართველებსა და ბასკებს შორის დიდი ნათესაური კავშირიაო.

ცხოვრების უკუღმართობამ შეიწირა მერაბ კოსტავა _ დიდი მამულიშვილი.

ჩემი წერილის ბოლო სტრიქონებით მინდა ვთხოვო ყველას, რომ იყვნენ ისეთები, როგორიც მერაბი იყო.

ჩვენს ყოველ მოქმედებაში გვახსოვდეს დიდი მერაბ კოსტავა."

1990წ. 12 ოქტომბერს გაზეთ "კომუნისტში" გამოქვეყნდა პარტიებისგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სია.

1990წ. 16 ოქტომბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთის აოს XX მოწვევის XV სესიამ კრემლის დაკვეთითა და მხრადაჭერით კვლავ დაადასტურა თავისი უკანონო და აგრესიული

გადაწყვეტილების დამანგრეველი ქმედუნარიანობა, რომელიც მან მიიღო **20 სექტემბერს**, აქედან გამომდინარე, აირჩია ე.წ. რესპუბლიკის აღმასკომი, მიიღო არჩევნების დროებითი დებულება, შექმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ეს გახლდათ მორიგი კრემლიდანური დემარში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მომავალი მრავალპარტიული არჩევნების წინ, რაც გამიზნული იყო იმისკენ, რათა ხელოვნური დესტაბილიზაცია გამოეწვიათ რესპუბლიკაში და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები როგორმე ჩაეშალათ.

წინამდებარე უკანონო გადაწყვეტილება საქარველოს სსრ უზენაესმა საბჭომ, როგორც ანტიკონსტიტუციური, ბათილად გამოაცხადა. ასევე გარეგნულად სსრკ უზენაესმა საბჭომაც "არ მოიწონა" ეს გადაწყვეტილება (რომლის ერთ-ერთი თანაავტორი, როგორც უკვე აღინიშნა, თავად იყო), კერძოდ, სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **რ.ნიშანოვმა** ოს აგრესორებს თავიანთი შუამდგომლობის პასუხად მოწერა: **"აღნიშნული ფაქტი არაკონსტიტუციურია, საოლქო საბჭო არ არის უფლებამოსილი ავტონომიური ოლქი გარდაქმნას რესპუბლიკად და შესაბამისი მოთხოვნით უშუალოდ მიმართოს სსრკ უზენაეს საბჭოს. ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სსრკ კონსტიტუციის 87-ე მუხლს, რომლის თანახმად, სამხრეთ ოსეთის აო საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაშია. სამხრეთ ოსეთის აო დეპუტატთა საოლქო საბჭოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 72-ე მუხლის მესამე პუნქტს, რომლის თანახმად ახალი ავტონომიური რესპუბლიკების საქართველოს სს რესპუბლიკების შემადგენლობაში წარმოქმნა და მათი სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენა საქართველოს სს რესპუბლიკის დაქვემდებარებაშია მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახით"...**

"სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება მისი მიღებისთანავე ბათილია და არ იწვევს არავითარ იურიდიულ შედეგებს" (გაზ."კომუნისტი", 25 ოქტომბერი, 1990წ.).

იმ დღეებში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცკ-ში მოწვეული იყვნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, რაიონული და რიგი მსხვილი სასოფლო პარტიული და საბჭოთა-სამეურნეო პასუხისმგებელი მუშაკები. შეხვედრის მონაწილეებმა "დაგმეს" ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობა.

1990წ. 15 ოქტომბერს ქ.სოხუმის **კ.გამსახურდიას** სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა წინასაარჩევნო შეხვედრა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტთან **ა.ბაქრაძესთან.** შეხვედრამ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების მიერ პროვოცირებული ეთნიური დაპირისპირებების აღმოფხვრის გზები ვერ დასახა.

1990წ. 17 ოქტომბერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალურმა პრესამ კმაყოფილებით აუწყა მკითხველს, რომ სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანსა და სსრკ პრეზიდენტს _ **მ.გორბაჩოვს** მშვიდობის "დასამყარებლად" გაწეული ღვაწლისათვის ნობელის პრემია მიენიჭა.

აღნიშნული პოლიტიკური აქცია გულისხმობდა მსოფლიოს მაფიურ-კრიმინალური "თანამედროვე წესრიგის" მიერ სსრკ-ის სახეშეცვლილი იმპერიული კურსის მოწონებას.

1990წ. 18 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თბილისის **ვ.ი.ლენინის** სახელობის სტადიონს სახელი გადაარქვა (**ზ.პაიჭაძის** სახელი უწოდა). შეგახსენებთ, რომ სტადიონს "ოქტომბრის ბელადის" სახელი დაარქვეს **1976 წლის აგვისტოში**

რეკონსტრუქციის შემდეგ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივნის **ე.შევარდნაძის** ინიციატივით.

1990წ. 19 ოქტომბერს გაზეთმა "კომუნისტმა" გაასაჯარისა საარჩევნო ბლოკის "მრგვალი მაგიდა" _ თავისუფალი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური პლატფორმა.

1990წ. 19 ოქტომბერს გაზეთმა "საბჭოთა აფხაზეთმა" გამოაქვეყნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სია აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან (მაჟორიტარული პრინციპით) და მათი წინასაარჩევნო პროგრამა (სოხუმის №100 _ **ნუგზარ მგალობლიშვილი;** სოხუმის №101 _ **თემურ ლორთქიფანიძე,** სოხუმის №102 _ **დიმიტრი ქებურია,** ტყვარჩელის №103 _ **ზვიად ნადარეიშვილი;** გაგრის №104 _ **ვახტანგ ჯოჯუა,** ბიჭვინთის №105 _ **ვლადიმერ ჯოლოგუა;** გუდაუთის №106 _ **გოჩა მაისურაძე;** სოხუმის რაიონის №107 _ **მოსე ჩალაძე,** გულრიფშის №108 _ **ვლადიმერ მირცხულავა;** ოჩამჩირის №109 _ **გია სუბელიანი;** გალის №110 _ **ედიშერ ჯანჯულია,** ჭუბურხინჯის №111 _ **ჯემალ შონია**).

სამწუხაროდ, ზემოთჩამოთვლილმა დეპუტატობის კანდიდატებმა ვერ ჩამოაყალიბეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ცხუმ-აფხაზეთში) მიმდინარე ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის შედეგების აღმოსაფხვრელი ქმედითი პროგრამა, მათ ვერ დააზუსტეს საბჭოთა იმპერიის მიერ ეთნოდივერსიული სტრატეგიისათვის საგანგებოდ შექმნილი ნელი მოქმედების ჭურვების(აფხაზეთის ასსრ) საპირწონე მსოფლმხედველობრივი თუ საორგანიზაციო მიდგომები.

ეს მაშინ, როცა "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა პირდაპირ მიუთითებდა, რომ **"საბჭოთა იმპერიული სტრუქტურების ცენტრალიზაციამ, მმართველობით _ ადმინისტრაციულმა სისტემამ საქართველოს მოუნდომა სახელმწიფო სტრუქტურების შემადგენელი ყველა ელემენტის ფაქტიური მოშლა, რამაც თავის მხრივ წარმოშვა ფარული ეკონომიკური მექანიზმი. გაბატონდა მაფია, კორუფციამ კატასტროფული მასშტაბები მიიღო, უაღრესად დაეცა პროფესიონალიზმი _ უეფექტო გახდა შრომა. საქართველო ფაქტიურად ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა** ("მრგვალი მაგიდის ისტორია" **გ.სალუაშვილის** რედაქციით თბ. 1996წ.) აქედან გამომდინარე, საბჭოთა იმპერიული სახელმწიფო სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი სახალხო სტრუქტურების შექმნა საქრთველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის განახლებას მოითხოვდა ეროვნულ-სახალხო პრინციპებისდა შესაბამისად.

"მრგვალი მაგიდის" პლატფორმა აცხადებდა, რომ **"გარდამავალი პერიოდის საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციაზე, ჰელსინკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებათა დასკვნით აქტებზე დაყრდნობით, უნდა გატარდეს კონკრეტული ქმედითი ღონისძიებანი პოლიტიკური, რელიგიური და მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის და მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის დასამკვიდრებლად" (მე-4 თავი, დასახ. წყარო).** ამის და შესაბამისად "მრგვალი მაგიდა" ითვალისწინებდა საქართველოში და განსაკუთრებით ცხუმ-აფხაზეთში შექმნილ ფაქტობრივ მდგომარეობას და საბჭოთა სტრუქტურების მიერ პროვოცირებული ეთნოდივერსიეული შედეგების აღმავლობის წილ სახავდა რიგ ღონისძიებებს, მათ შორის **"ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ-სამართლებრივი გარანტიების შესახებ".** აფხაზეთის ე.წ. "მრგვალი მაგიდისათვის" ზემოთაღნიშნული ჯერარსმენილი ამბავი გახლდათ, და მათი დეპუტატობის კანდიდატები აფხაზეთის პარტნომენკლატურული "დირექტორატის" _ ამ "გაერთიანებული" საქმოსნების შპარგალკებით სარგებლობდნენ.

1990წ. 20 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული კონგრესის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა ე.წ. ეროვნული კონგრესის არჩევნების შედეგები. ცნობად მიიღო **"...რომ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები, რომელიც ჩატარდა პროპორციული საარჩევნო სისტემით, იყო საყოველთაო, ფარული და პირდაპირი".** მან დაადგინა: **"საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალოს"** (გაზ. **"საბჭოთა აფხაზეთი", 23 ოქტომბერი, 1990წ.).** ეროვნული კონგრესის პირველი სხდომა დაინიშნა **23 ოქტომბერს.** ე.წ. ეროვნული კონგრესის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრესკონფერენცია გამართა. რომელზეც მან, სხვა დესტრუქციულ მოწოდებებთან ერთად, საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა "მრგვალი მაგიდის" წინააღმდეგ ჯვაროსნული აგრესიისაკენ და "დაგმო საბჭოთა არჩევენები".

საქმე ის გახლდათ, რომ ე.წ. ეროვნული კონგრესის სახით კრემლმა დარაზმულ სიმწყობრედ აქცია ცრუ, ვითომ ეროვნული ძალები და მოითადარიგა ისინი საჭირო დროისათვის.

1990წ. ოქტომბრის არჩევნების წინა კვირაში საქართველოს ჰელსინკის კავშირის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილებამ გამოსცა გაზეთ **"აფხაზეთის მოამბის"** პირველი (ერთადერთი) ნომერი.

სამწუხაროდ ვერც იმ გაზეთმა აუბა მხარი თავისი კომპეტენტურობითა და პროფესიონალიზმით **ზვიად გამსახურდიას** ეროვნულ დოქტრინას და იგი შემოიფარგლა ლოზუნგური ფრაზეოლოგიით, აფხაზეთის პარტოკრატიისგან ნასესხები და პოპულისტური ხერხებით, "გაეროვნულებული" დებულებებით.

1990წ. 23 ოქტომბერს საარჩევნო ბლოკი "დემოკრატიული საქართველო" (**ი.შენგელაია**), ხოლო **24 ოქტომბერს** საარჩევნო ბლოკი "თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება" (**ვ.ადვაძე**) სოხუმის **კ.გამსახურდიას** სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შეხვდნენ ამომრჩევლებს. მათ ამომრჩევლებთან შეხვედრისას არ განმარტეს საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების არსი.

1990წ. 24 ოქტომბერს საქართველოს კპ აფხაზეთის რესპუბლიკურ კომიტეტს ეწვივნენ სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ.გუმბარიძე** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ.ჭითანავა.** ძირითადი მიზანი გახლდათ ამ ავტონომიათა დარაზმვა საქართველოს კომპარტიის მხარდასაჭერად (**გ.გუმბარიძემ** ხელვაჩაურის რაიონში იყარა კენჭი), რის საფასურადაც საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის თავკაცმა კინაღამ მოიწონა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ **25 აგვისტოს** თვითგამოცხადებულ სესიაზე მიღებული პროვოკაციული გადაწყვეტილება, ის კი არადა, ცოტა დააკლდა, უარი არ ეთქვა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ **26 აგვისტოს** მიღებულ დადგენილებაზე და სეპარატისტულ ეთნოკრატიას, დააშინა რა ისინი ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის **"ნაციონალიზმით", _ ვირეშმაკურად დაპირდა: "...ეს ამოცანა გამომდინარეობს საქართველოს კპ-ს თვით არსიდან. იგი ერთადერთია, რომელიც გამოხატავს საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნებათა ინტერესებს, ერთადერთია, რომელიც გარანტიას აძლევს მასში შემავალი ავტონომიური წარმონაქმნების სუვერენიტეტს"** (**გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 26 ოქტომბერი, 1990წ.).**

1990წ. 24 ოქტომბერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება **"საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თავმჯდომარეობის სტატუსის შესახებ"** (**წინასაარჩევნო შაქარყინული**).

1990წ. 25 ოქტომბერს გალში, ოჩამჩირეში, გულრიფშსა და სოხუმში (რესპუბლიკურ სტადიონზე) **ზვიად გამსახურდია** შეხვდა ამომრჩევლებს და უპასუხა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს, რიგ საკითხებზე გააკეთა სათანადო განმარტებები.

1990წ. 26 ოქტომბერს საქართველოს 85 საარჩევნო ოლქსა და 3000 საარჩევნო უბანში სამეთვალყურეოდ ჩამოვიდა საერთაშორისო სამართლის მაღალპროფესიულ სპეციალისტთა და ექსპერტთა დიდი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ აშშ, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის, შვეიცის, ავსტრიის, ესპანეთის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. სხვადასხვა ქვეყნის რადიოს, ტელევიზიის, გაზეთების 70 კორესპონდენტი.

ამ დღეს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ფართო საზოგადოებრიობისათვის გამართა ბრიფინგი.

1990წ. 26 ოქტომბერს გაზეთმა "**კომუნისტმა**" გამოაქვეყნა საუბარი **გ.გუმბარიძესთან,** რომელმაც ამომრჩევლებს აღუთქვა რუსიზმის რკინის გალიის შეცვლა ოქროს გალიით.

28 ოქტომბერი, 1990 წელი: **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საგანგებო ბრძანება:**

ძველი რომაელები ამბობდნენ _ დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთადო. სულ რამდენიმე წლის წინ შეუძლებელიც კი იყო იმის წარმოდგენა, რაც დღეს ხდება.

1990 წლის 28 ოქტომბერი ისტორიული დღეა _ ამ დღეს საქართველოში პირველად გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები. წინ გველოდება მრავალი სიახლე, მაგრამ, ამავე დროს, _ მრავალი საშიშროებაც. ადამიანი ხდება ულმობელი, უნდო, შენდობის უნარს მოკლებული. გახშირდა მძიმე დანაშაულობანი, მათ შორის კაცის კვლა. ქართველი ქართველს ემუქრება სიკვდილით და ხშირად ასრულებს კიდეც ამ მუქარას.

ამიტომ ამ ისტორიულ დღეს მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება, რომელიც 28 ოქტომბერს წირვის შემდეგ წაკითხულ იქნა სიონის საპატრიარქო ტაძარში.

საგანგებო ბრძანება

1990 წლის 28 ოქტომბერი

"სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ვბრძანებ:

დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად.

მკვლელის სახელი და გვარი შეტანილი იქნეს საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაგმობი.

საგანგებო ბრძანება ესე, მიღებულია, რათა საქართველოში სამუდამოდ თავიდან აცილებული იქნეს უმძიმესი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე _ ძმათა კვლა".

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

საქართველოს საპატრიარქომ თხოვნით მიმართა უმაღლესი და საშუალო სასწავლებელების

პედაგოგებს, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გააცნონ მოსახლეობას

და განსაკუთრებით ახალგაზრდობას ეს საგანგებო გადაწყვეტილება.

საინფორმაციო სააგენტო "საქართველო"

(გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი". 1 ნოემბერი, 1990წ.).

1990წ. 28 ოქტომბერს შედგა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიანი მეთოდებით მოხელმძღვანელე საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, ანუ "მრგვალმა მაგიდამ", რითაც დაიწყო სსრკ იმპერიულ-დიდმპყრობლური სახელმწიფო კონსტრუქციების დემონტაჟი.

1990წ. 30 ოქტომბერს ე.წ. საკავშირო ტელევიზიამ პროგრამა "ვრემია"-ში გადასცა ინფორმაცია, რომ **28 ოქტომბერს** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში წინასწარი მონაცემებით გაიმარჯვა "მრგვალმა მაგიდამ", რაც სამოქალაქო ომის საწინდარი არისო.

1990წ. 3 ნოემბერს რუსთაველის საზოგადოების ყრილობაზე ამ საზოგადოების პრეზიდენტად არჩეული იქნა **თ.სიგუა.**

1990წ. 5 ნოემბერს ზვიად გამსახურდიამ მიმართა აჭარის მოსახლეობას:

მიმართვა

აჭარის მოსახლეობისადმი

ქართველ ერს კაცობრიობის წინაშე აკისრია განსაკუთრებული სულიერი მისია.

ამ მისიის შესრულება არ შეუძლია იმპერიის დანაწევრებულ, დამონებულ საქართველოს; ამიტომაც განგების განჩინებით, ახლახან, პირველი მრავალპარტიული არასაბჭოთა არჩევნებით, მოგვეცა შანსი ავაღორძინოთ ერთიანი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო...

საქართველოს ისტორიული მტრები _ მეზობელი იმპერიები _ ჩვენი დაქუცმაცებით ცდილობდნენ ჩვენს დამონებასა და გადაგვარებას; მუჰაჯირობაც, აჭარის ავტონომიის შექმნაც, აჭარელთა ცალკე ერად გამოცხადებაც და კიდევ მრავალი სხვა მზაკვრობა მათი შეთანხმებული მოქმედებითაა განხორციელებული... ახლაც, წინასაარჩევო პერიოდში, მომზადდა კიდევ ერთი შეთქმულება აჭარის (საქართველოს) წინააღმდეგ; ამის შესახებ, ჯერ კიდევ 28 ოქტომბრამდე მიუთითებდა ტარიელ ფუტკარაძე წერილში "იმპერიალისტთა ახალი შეთქმულება აჭარის წინააღმდეგ", რომელიც გაზეთ "თავისუფალ საქართველოში" დაიბეჭდა და ჩვენ ამ საკითხს ახლა აღარ შევეხებით.

ჩვენთვის ნათელია აჭარის მოსახლეობის უდიდესი როლი ქართველი ერის ისტორიაში, აჭარა იყო ის პირველი კუთხე, რომელმაც პირველმა, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში, მიიღო ქრისტიანობა და საფუძველი დაუდო ქართულ ხალხურ ქრისტიანობას _ გიორგიანობასთან შერწყმულ ქრისტიანობას.

აჭარა, იყო პირველი ფარი საქართველოსი, შემოსეულ ურდოთა პირველი დარტყმები აჭარას ხვდებოდა.

აჭარა, საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, არის ის კუთხე, რომელიც მრავალგზის ეწამა თურქთა უღელქვეშ რათა დანარჩენი საქართველო ეხსნა... დიახ, მოყვასისათვის ეწამა აჭარა, და ახლა მოყვასნი უნდა ამოუდგნენ მას მხარში.

დღესაც განსაცდელშია საქართველოს ეს ძირძველი კუთხე. სხვადასხვა რჯულის პროვოკატორები ცდილობენ არჩევნების შედეგებით სპეკულირებას: ჩვენ აჭარაში საჭირო მუშაობა ვერ გავწიეთ, აქ ასპარეზი დარჩათ ჩვენს მოწინააღმდეგეებს; ისინი ატყუებდნენ ხალხს, სახელს გვიტეხდნენ ჩვენ _ შეურიგებელ ეროვნულ მოძრაობას, ავრცელებდნენ მაკომპრომენტირებულ ჭორებს... ჩვენ ვეღარ გავწვდით ამდენს, ვერ შევძელით ხალხთან მისვლა რომ მათ ჩვენი მოძრაობის ჭეშმარიტი სახე დაენახათ. ამდენად, არჩევნებში მიღებული ხმების 24 პროცენტი არაა აქაურ მკვიდრთა განწყობილების პირდაპირპროპორციული (შესაბამისად კომპარტიამ მიიღო 56 პროცენტი), მით უმეტეს, ჩვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი ოპონენტები არჩევნების დღესაც აგიტატორობდნენ (რაც კანონით აკრძალულია); იმპერიალისტურ ძალთა აგენტები ხალხს აშინებდნენ, ხმამაღლა მოუწოდებდნენ ხმა მიეცათ სკპპ-სთვის, ასე იყო

მაგალითად როგორც ხმები მომწვდა, მაღალმთიან სოფელ იაკობაურაში, ჭვანაში, ნინიაში. ასე ხდებოდა ქობულეთის რაიონშიც, ხელვაჩაურშიც, ხულოში. ამის მოქმედი პირებიც ცნობილია, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ვინმესთან ანგარიშსწორებას, ჩვენი მიზანი ურთიერთპატივისცემა და ურთიერთპატიებაა, ურთიერთდანდობა, შემწყნარებლობაა _ ბოროტებას ბოროტებით ვერ მოსპობ! ბოროტებას ისევ სიკეთით უნდა დავუპირისპირდეთ.

დავივიწყოთ წარსულის ცოდვები, ამ წუთისოფელში ერთმანეთს ნუღარ ვაწყენინებთ, ნუღარ გავწირავთ...

ბევრს გვეკითხებიან, როგორია ჩვენი პოზიცია ავტონომიების შესახებ:

ავტონომია საქართველოში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ არაქართულ მოსახლეობას. ქართველთა ავტონომია საქართველოში, მკაცრად რომ არ ვთქვათ, დიდი შეუსაბამობაა, ამიტომ ის, რა თქმა უნდა, გასაუქმებელია; ჩვენი აზრით, მისი გაუქმების საკითხი თავად აჭარლებმა უნდა დააყენონ: მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება გაუქმების ფაქტი სამართლიანი და ბუნებრივი. ჩვენ არ ჩავერევით აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხში.

ავრცელებენ ჭორებს, რომ ავტონომიის გაუქმების შემთხვევაში აჭარის მოსახლეობის სოციალური ინტერესები შეილახება!

ასეთი პროვოკაციული განცხადების საპასუხოდ მომავალში ჩვენი საქმენი იღაღადებენ:

ჩვენი მიზანია ისეთი დემოკრატიული საქართველო, სადაც არ შეილახება ეროვნული, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური ინტერესები, სადაც ყველა სოფელი თუ კუთხე თავად აირჩევს საკუთარ ხელისუფლებას; მოისპობა "ზემოდან" დანიშვნის კომუნისტური პრაქტიკა. ჩვენთვის ნათელია, რომ ადგილობრივი მეურნეობის მართვა მხოლოდ ადგილობრივ პირს შეუძლია, საკუთარი სოფლის, კუთხის მცხოვრებთა ინტერესების დაცვა მხოლოდ აქაურ მკვიდრს შეუძლია _ ამ პრინციპებით ვაპირებთ მუშაობას... აჭარის ავტონომიის დაცვით თავის სავარძლებს და პრივილეგიებს იცავს ბიუროკრატიული აპარატი. აჭარელთა ინტერესების პირველი დამცველი კი იქნება მომავალი საქართველოს ეროვნული პარლამენტი!

აჭარაში მცირემიწიანობაა, ჩვენი მიზანია, თუკი ადგილობრივი ტერიტორიები საკმარისი არ აღმოჩნდება, საქართველოს სხვა კუთხეებში მივცეთ ყველა მსურველს საჭირო სავარგულები... დღემდეც ყოველნაირად ვეხმარებოდით მათ, ახლა კი, ოფიციალური ქართული ხელისუფლება უფრო მეტად დაეხმარება ყველას.

ყველაფერი მოგვარდება თუკი ერთიანობა, ურთიერთნდობა იქნება, თუკი ქართველი ერი, ერთიან კეთილშობილ სულად ქცეული, გაჰყვება მის მიერ არჩეულ ეროვნულ პარლამენტს.

გაუმარჯოს დედა საქართველოს ერთიანობას!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ზვიად გამსახურდია.

1990. 5. XI.

მინაწერი: ზვიად გამსახურდიას აჭარასთან მამამისის მეგობრობაც აკავშირებს. ბატონი კონსტანტინე მეგობრობდა ჰაიდარ ბეგ და მემედ ბეგ აბაშიძეებთან. ლაზებთან ერთად კონსტანტინე გამსახურდია მონაწილეობდა რიზეს ციხიდან მემედ ბეგ აბაშიძის გამოხსნაში. ეს ისტორიული სურათიც ამ ამბების შემდეგაა გადაღებული.

პუბლიკაციას თან ახლდა სურათი (გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 8 ნოემბერი, 1990წ.).

1990წ. 7 ნოემბერს მოსკოვში სამხედრო პარადის ნაცვლად მოეწყო "მშრომელთა მანიფესტაციები".

1990წ. 7 ნოემბერს უკრაინის ეროვნულმა მოძრაობამ კიევში და უკრაინის რიგ ქალაქებში ჩაშალა "დიდი ოქტომბრისადმი" მიძღვნილი სამხედრო პარადი.

1990წ. 10 ნოემბერი _ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პარტოკრატმა დეპუტატებმა აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოადგინეს აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებათა და დამატებების შესახებ კანონის პროექტი **(გაზ. "აფხაზეთის ხმა", 11 ნოემბერი, 1990წ.).**

1990წ. ნოემბრის დასაწყისში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ქართულენოვან გაზეთს "საბჭოთა ოსეთს" დაერქვა **"ჩვენი სამკვიდრო"**, რის გამოც ცხინვალის სტამბამ უარი სთქვა მის გამოცემაზე.

1990წ. 10 ნოემბერს გაზეთმა **"ახალგაზრდა ივერიელმა"** გამოქვეყნა **ირაკლი წერეთლის** წერილი, რომელშიც საუბარი იყო ე.წ. საქართველოს ე.წ. ეროვნული კონგრესისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ურთიერთდამოკიდებულებების საკითხებზე _ ავტორი მიიჩნევდა, რომ **"ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს, როგორც საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს არჩევნებში მონაწილეობა სამართლებრივი თვალსაზრისით, იურიდიული და პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე, არის სამართალზომიერი აქტი".**

1990წ. 11 ნოემბერს 60 საარჩევნო ოლქში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში გაიმართა ხელახალი კენჭისყრა. ხოლო 9 საარჩევნო ოლქში არჩევნების მეორე ტური. **28 ოქტომბერს(11 ნოემბერს)** არჩევნების შედეგად "მრგვალმა მაგიდამ" მიიღო 1248111 ხმა ანუ 53,99, ხოლო კომუნისტურმა პარტიამ 683824 ხმა ანუ 29,58 პროცენტი.

1990წ. 14 ნოემბერს მუშაობა დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ. ამრიგად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 250 ადგილიდან "მრგვალმა მაგიდამ" მოიპოვა 155 ადგილი.

1990წ. 15 ნოემბერს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეაჩერა სსრკ კანონი **"სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ".**

1990წ. 16 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მიმდინარეობის პარალელურად გაიმართა ე.წ. ეროვნული კონგრესის მეორე სხდომა. ასეთი "დამთხვევა" გამიზნული იყო იმისკენ, რათა დიდმპყრობლურ ძალებს "ადგილებზე" გაესაჯარისებინათ ცრუეროვნული მოძრაობის "არჩევითი" (საგანგებოდ და მიზნობრივად შეკოწიწებული) ორგანოს "სამუშაო ვითარება", დაესურათხატათ "ქართველი ერის სახელით მოლაპარაკე იურიდიული ინსტანციის" უფლების მქონე დივერსიული სტრუქტურა.

1990წ. 16 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **აკაკი ასათიანი** გამოვიდა ქ.მოსკოვში სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზე. **"..ჩვენ საქართველოს უზენაესმა საბჭომ მოგვავლინა აქ მეთვალყურეებად, და ჩვენც მეთვალყურეები გახლავართ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამასთანავე დაგეგმილი გვაქვს გავაკეთოთ გარკვეული განცხადებანი და მივიღოთ მონაწილეობა მსჯელობაში განსახილველ საკითხთა გამო".**

"... _ სანამ გამოსვლას დავიწყებდე, მინდა შევუსწორო მცირედი შეცდომა ჩვენს, უკაცრავად, თქვენს თავმჯდომარეს. მე გახლავართ არა საქართველოს სსრ, არამედ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ასეთია გადაწყვეტილება, რომელიც ახლად არჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო.

ასეთი გახლავთ ამ ორგანოს ოფიციალური სახელწოდება"...[34] **(გაზ. "კომუნისტი", 18 ნოემბერი, 1990წ.).**

1990წ. 17 ნოემბერს იმავე სესიაზე სსრკ პრეზიდენტი **მ.გორბაჩოვი** საქართველოს პოზიციის საპასუხოდ ძალისმიერი პოლიტიკისა და შანტაჟის ენით ალაპარაკდა: **"...შეიქმნა აზრი, უფრო სწრაფად წაიწიოს წინ სამოკავშირეო ხელშეკრულებამ, მაგრამ იქამდე უნდა განხორციელდეს ქვეყნის საქმის ვითარების გაუმჯობესების ძლიერი რადიკალური ღონისძიებები ამ მხრივ, რაც შეეხება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, საზოგადოებრივი წესრიგის, დისციპლინის დამყარებას, ვითარების ნორმალიზაციას ერთაშორის ურთიერთობაში... აღვჭურვოთ სსრკ ფედერაციის საბჭო თვისობრივად ახალი უფლებამოსილებით. სათათბირო ორგანოდან იგი უნდა გადაიქცეს ცენტრისა და რესპუბლიკების ძალისხმევის კოორდინაციის ქმედით სტრუქტურად. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ყველაფერი, რაც ეხება მთელ ქვეყანას, ცენტრშიც და რესპუბლიკაშიც, მიღების დროს განხილულ და მოწონებულ იქნეს ფედერაციის საბჭოში... ფედერაციის საბჭოს სამუშაო ორგანო შეიძლება გახდეს რესპუბლიკათშორისო კომიტეტი"... "უკვე ვიღებ ინფორმაციას საქართველოდან, თუ რა აღელვება გამოუწვევია იქ, განცხადებას, რომ წყვეტენ საუკუნეთა განმავლობაში დამყარებულ კავშირურთიერთობებს"...**

(გაზ. "ახალი საქართველო", 18 ნოემბერი, 1990წ.).

ამასთან დაკავშირებით გაზეთი "ახალი საქართველო" **(18 ნოემბერი)** თავის კომენტარში აღნიშნავდა: **"სხვამ თუ არა, ქართველმა ხალხმა ხომ კარგად უწყის, რომ არც იმ დაუსაბუთებელ ვარაუდს და არც ხალხის აღელვებას თუ აზვირთებას ჩვენში ადგილი არა ჰქონია".**

ამ დროს "დიდი პოლიტიკოსი" **ე.შევარდნაძე** მრავალმნიშვნელოვნად დუმდა და ამ "სახალხო აღელვებათა" ყოფაში გასაგნებისთვის იღწვოდა.

1990წ. 17 ნოემბერს სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატმა **ვ.არძინბამ,** დაეყრდნო რა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს **25 აგვისტოს** თვითგამოცხადებულ და გაყალბებულ სესიაზე მიღებულ თვითმარქვია დეკლარაციას, განაცხადა, რომ აფხაზეთს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, განზრახული აქვს გამოვიდეს საკავშირო არენაზე საბჭოთა ფედერაციის სუბიექტის სახით, სსრკ სხვა სუბიექტებთან თანასწორად მონაწილეობა მიიღოს სამოკავშირეო ხელშეკრულების შემუშავებაში.

როგორც ხედავთ, აი რა ძალებს ეყრდნობოდა **მ.გორბაჩოვი** თავისი მუქარის დროს.

1990წ. 21 ნოემბერს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში თავისი სამწყსო მოინახულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია II-მ.**

უწმინდესისა და უნეტარესის ჩამობრძანების მიზანი გახლდათ ცხუმ-აფხაზეთის ყველა კუთხის დათვალიერება. ამ მხარეში წამოჭრილ პრობლემებში ჩაწვდომა და მათში გარკვევა.

იმ მიზეზების დადგენა, რომლებიც ხელს უშლიდა ქართველ-აფსუათა სახლიკაცური ურთიერთობის აღდგენას.

1990წ. 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საბჭოთა უქმე დღეების გაუქმების შესახებ და აღადგინა კომუნისტების მიერ აკრძალული ტრადიციული საეკლესიო და საერო უქმე დღეები, ასევე შემუშავდა

[34] ბატონმა ა.ასათიანმა თავისი გამოსვლა დაიწყო მიმართვით: "ქალბატონებო და ბატონებო"! ასეთმა მოულოდნელობამ (საბჭოთა საზოგადოებაში მიმართვად მიღებული იყო "ამხანაგო"), დიახ, ამგვარმა ყურმიუჩვევლობამ ჯერ გააოგნა საბჭოთა პარლამენტი, შემდეგ ჯოგად ქცეული სიმრავლე გაშმაგდა...

კანონი ამნისტიის შესახებ. ამასთან ერთად უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება **1983 წლის 18 ნოემბერს** თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის №201-ე საქმის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ.

1990წ. 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** სსრკ პრეზიდენტის **მ.გორბაჩოვის** საყურადღებოდ ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულების თაობაზე წერილობით განაცხადა: _ **"...ამ პირობებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო შესაძლებლად არ თვლის ხელი მოაწეროს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას და ამით თავის თავზე აიღოს რაიმე ვალდებულება"... "...ასეთი მიდგომა არ ნიშნავს უარის თქმას ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ამა თუ იმ ქვეყანასთან თანამშრომლობის ნებისმიერ ფორმებზე, რომელთა უმრავლესობასთანაც საქართველოს კავშირი აქვს საუკუნეების განმავლობაში და დღესაც ნაყოფიერად თანამშრომლობს"... "...უარს ამბობს რა ნებისმიერ ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, რომელიც ითვალისწინებს "საკავშირო ორგანოებისადმი" დაქვემდებარების მინიმალურ ვერტიკალურ სტრუქტურებსაც კი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მზად არის ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის თანასწორუფლებიანი ურთიერთობების საფუძველზე, რაც ასეთი ურთიერთობის მონაწილეთა კეთილდღეობამდე მიგვიყვანს"** (გაზ. "კომუნისტი", 25 ნოემბერი, 1990წ.).

1990წ. 23 ნოემბერს (გიორგობას) უნეტარესი და უწმინდესი ბრძანდებოდა ილორის **წმ. გიორგის** ეკლესიასა (ოჩამჩირეში) და ჭუბურხინჯში (გალის რაიონი).

1990წ. 24-25 ნოემბერს უწმინდესმა და უნეტარესმა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საკათედრო ტაძარში, სოხუმის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების ეკლესიაში შეასრულა საეკლესიო ღვთისმსახურება, **25 ნოემბერს,** კვირას აქვე დიაკვნად აკურთხა აფსუა ეროვნების მორწმუნე მართლმადიდებელი.

1990წ. 26 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია მეორე** შეხვდა ცხუმ-აფხაზეთის მწერლებსა და კულტურის, სახალხო განათლებისა და მეცნიერების წარმომადგენლებს.

1990წ. 26 ნოემბერს თურქეთის იმპერიაში მოქცეულ ლაზურ (ქართულ) ქალაქ ტრაპიზონიდან (მეგრელთა სოფელი _ სულხან-საბა) საქართველოს რესპუბლიკაში იქნა გადმოსვენებული **მეფე სოლომონ მეორის** ნეშტი.

1990წ. 27 ნოემბერს უწმინდესი და უნეტარესი **ილია II** გაგრისა და მის მიმდებარე დასახლებებში შეხვდა მორწმუნეებს. იმავე დღეს მან მოისურვა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში ცნობილი ეკლესიის დათვალიერება და მოსახლეობასთან შეხვედრა. სოფ. ლიხნისკენ ასაქცევ გზაზე მას დახვდა ორი ათასამდე შეიარაღებული ბრბო, რომლებიც აფხაზეც-სეპარატისტული მოძრაობის თაოსნებისაგან დეზინფორმირებული და წაქეზებული იყვნენ. მათ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება მოუნდომეს უწმინდესსა და უნეტარესს.

აღნიშნული ინციდენტი პროვოცირებული გახლდათ მოსკოვის სპეცსამსახურებისა და მათი ადგილობრივი დასაყრდენი ძალების მიერ (მათ შორის "ქართული" პარტოკრატიის მიერაც). მისი მიზანი იყო მორიგი ეთნოკონფლიქტის დახლართვა. დადგენილია, რომ პარტნომენკლატურული "დირექტორატისა" და ფსევდოეროვნული მოძრაობის საერთო ძალისხმევით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ამ მოგზაურობაში საიდუმლოდ, ასე ვთქვათ, "დაცვის მიზნით", თუმცა უწმინდესსა და უნეტარესთან შეუთანხმებლად, მისი კურთხევის გარეშე და მის ზურგსუკან, ვითომ მრევლის საფარ ქვეშ, შორიახლო მოჰყვებოდა შეიარაღებულ კრიმინალთა ჯგუფი, რამაც ეგზალტირებულ სეპარატისტთა ბრბოში დაეჭვება გამოიწვია.

ინციდენტი, საბედნიეროდ და ღვთის ნებით აღკვეთილი იქნა. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის შს სამინისტროსა და აფხაზეთის ასსრ პროკურატურის ერთობლივი მეცადინეობით შეიქნა ოპერატიული საგამოძიებო ჯგუფი, რომლის შემდგომი საქმიანობა დღემდე უცნობია.

1990წ. 27 ნოემბერს გაზეთმა **"Советская Абхазия"**-მ გამოაქვეყნა სსრკ რესპუბლიკათა ახალი **"სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი".** იმავე დღეებში **ა.მ.გორკის** სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სსრკ ხალხთა მომავალთან დაკავშირებული დისკუსია (გაზ. **"Советская Абхазия". _ "Судьба СССР: мнения, гипотезы..." 1990წ. 5 დეკემბერი**)

იმ დღეებშივე რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **ბ.ელცინმა** მიმართა ჩრდილო კავკასიის ხალხებს, მისი ინტერფრონტული სიტყვით ჩრდილო კავკასიას შეახსენა, რომ **"ჩვენ ყველანი რუსეთელები ვართ, ეროვნების და ცხოვრების რეგიონის მიუხედავად"**-ო (**გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 1 დეკემბერი).**

1990წ. 28 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია მეორემ** ფართო საზოგადოებისათვის გამართა ბრიფინგი მომხდართან დაკავშირებით, რომელზეც მის მიერ განიმარტა აფხაზეთში თავისი მოგზაურობის მიზნები.

1990წ. 28 ნოემბერს ამ საკითხის შესახებ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტმა **მეუფე დავითმა** ასევე გააკეთა განცხადება, რომლის გადაცემისგან თავი შეიკავა ეთნოკრატიისგან კონტროლირებადმა აფხაზეთის რადიომ და ტელევიზიამ (**გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 30 ნოემბერი, 1990წ.**).

1990წ. 29 ნოემბერს მოსკოვის ცენტრალურმა ტელევიზიამ გადასცა დეზინფორმაცია **"საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში შექმნილი მდგომარეობის შესახებ".** დეზინფორმაციის ავტორები აღშფოთებულნი იყვნენ საქართველოში ამ უწყების სსრკ-ის შესაბამისი სტრუქტურებიდან ჩამოშორების გამო.

1990წ. 30 ნოემბერს გაიმართა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა "მრგვალი მაგიდის" გაფართოებული შეკრება. განიხილეს ორი საკითხი _ **"პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში"** და **"მომავალი მუნიციპალური არჩევნებისათვის მზადება".** ორივე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ზ.გამსახურდიამ.** აღინიშნა, რომ ხელისუფლებაში ეროვნული მოძრაობის მოსვლის შემდეგ სსრკ დიდმპყრობლური ძალები და მათი ადგილობრივი დასაყრდენი წრეები ცდილობდნენ საქართველოში საყოველთაო ანარქიის, არეულობათა, დესტაბილიზაციის, ინციდენტის პროვოცირებას, ხელს უწყობენ საბოტაჟს, ანიავებდნენ სახელმწიფო ქონებას და ა.შ. ყოველივე ამის აღსაკვეთად ადგილობრივი მუნიციპალური არჩევნების გამართვამდე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატებს წინადადება მიეცათ, თავიანთ რაიონებში შეექმნათ შესაბამისი კომისიები, ამასთან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნებამდე შეწყვეტილ იქნა სახელმწიფო და კოპერატიული ქონების ყიდვა-გაყიდვა, ორგანიზაციებისათვის მიწების გამოყოფა და სხვა.

1990წ. 30 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ოფიცერთა შეკრებამ სსრკ სუკ-ის დეზინფორმაცია დაგმო და იგი შეაფასა საქართველოში დესტაბილიზაციის პროვოცირების მცდელობად.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ გავრცელდა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: "**30 ნოემბერს შედგა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცერთა კრება, რომელზეც განიხილეს სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განცხადება "საქართველოს სსრ**

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში შექმნილი მდგომარეობის შესახებ” და მიიღეს შესაბამისი განცხადება. განცხადების ტექსტი გამოქვეყნდა პრესაში. მასში აღნიშნულია, რომ ის ინფორმაცია, თითქოს საკადრო ცვლილებების შედეგად საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტში პრაქტიკულად პარალიზებულია მუშაობა, არ შეესაბამება სინამდვილეს”.

(გაზ. “სახალხო განათლება”, 1990წ. დეკემბერი).

ამ დროისათვის კრემლიდანური ძალებისა და მათი ადგილობრივი დესტრუქციული ხელშემწყობების მხარდაჭერით საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში დისლოცირებულ რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილებზე იარაღის გატაცებისა და სხვა საბაბით გახშირდა თავდასხმები, რომლის მიზანი იყო ადგილობრივ მოსახლეობასა და საოკუპაციო ჯარს შორის შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება. ასეთ ვითარებაში “წესრიგის დამყარების მიზნით” კრემლს საშუალება ექნებოდა იერიში მიეტანა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ.

იმ დღეებში ე.წ. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალმა, გენერალმა **ვასილ ანისიმის ძე პატრიკეევმა** საქართველოს ტელევიზიით თავის გამოსვლაში “ამხილა ქართული შოვინიზმი” და “გააფრთხილა ხელმძღვანელობა”. ამას ზედ დაერთო **დეკემბერს** გაზეთ **“Заря Востока”**-ში” **გ.ჭანტურიას** წერილის გამოქვეყნება, რომელშიც ავტორი ეროვნულ ხელისუფლებას სდებდა ბრალს აღნიშნულ პროვოკაციებში.

ყოველივე ამის და სხვა დესტრუქციული ქმედების გამო ეროვნულმა ხელისუფლებამ ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო შეიარაღებული ფორმირებების და მათ შორის “მხედრიონის” განიარაღება. ამასთან დაკავშირებით, კრემლის მითითებათა შესაბამისად, **2 დეკემბერს** თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში დაიწყო ე.წ. მაშველთა კორპუსის, “მხედრიონის” წარმომადგენელთა ვითომ შიმშილობა. აქციის ინიციატორი იყო **ჯ.იოსელიანი.** ეს აქცია, ეროვნულ ხელისუფლებასთან თავისი დაპირისპირებით, ნებით თუ უნებლიდ, კრემლის წისქვილს აწყალუხვებდა. მისი ძირითადი მიზანი იყო როგორმე დესტაბილიზაციის აგორება.

1990წ. 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს გაზეთმა “საბჭოთა აფხაზეთმა” გამოაქვეყნა ოქტომბრისენოვანი აფხაზეცი მწერლის ფაზილ ისკანდერის წერილი **“Письмо Грузинам”**. იგი სსრკ ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან განიხილავდა “საბჭოთა ხალხის” ბედს.

1990წ. 4 დეკემბერს გაიმართა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესია, რომელიც მოეწყო მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. იგი გახსნა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **კ.ოზგანმა,** მან ეს სესია გამოაცხადა იმავე წლის **25 აგვისტოს** ე.წ. სესიის მუშაობის გაგრძელებად, რომელმაც მაშინ შესვენება გამოაცხადა. ასეთმა განცხადებამ **4 დეკემბრის** სესია აქცია თვითმარქვია სესიის დანამატად და ამდენად ავტომატიურად ბათილად იქნა მიჩნეული აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს **31 აგვისტოს** ჩატარებული არასეპარატისტული, რაც მთავარია, ლეგიტიმური სესიის მიერ მიღებული დოკუმენტები, მათ შორის **25 აგვისტოს** მიღებული დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ, რომელიც აფხაზეთს საქართველოდან გამოყოფილად განიხილავდა. ასევე ორაზროვანი იყო **კ.ოზგანის** განცხადება იმის თაობაზე, რომ “...**რესპუბლიკა საქართველოში განვლილ პერიოდში ძირეული ცვლილებები მოხდა სახელმწიფო ხელისუფლებასა და მართვის ორგანოების სტრუქტურაში, მიღებულია ბევრი ფუძემდებლური კანონი, ჩვენ უნდა შევიმუშაოთ საკუთარი კანონმდებლობა ამ კანონების შესაბამისად” (გაზ. “საბჭოთა აფხაზეთი”, 5 დეკემბერი, 1990წ.).**

სესიის დღის წესრიგი ასეთი გახლდათ: 1. ორგანიზაციული საკითხები; 2. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) შესწორებათა შეტანის შესახებ; 3. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების თაობაზე კანონის პროექტის შესახებ".

სესიაზე უფლებამოსილება მოიხსნეს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **კ.ოზგანმა** და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ვ.კობახიამ.**

სესიამ აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესაბამისად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია **ვ.არძინბა,** რომელმაც **17 ნოემბერს** სსრკ სამოკავშირეო ხელშეკრულებას დაუჭირა მხარი, ხოლო მის მოადგილედ _ **ვ.ყოლბაია.**

ამ სესიის მომზადების დროს ქართულმა პარტოკრატიამ და მასთან ერთად აფხაზეთის მრგვალმა მაგიდამ სრული არაკომპეტენტურობა გამოავლინა, ამასთან ერთად, ნებით თუ უნებლიედ, მნიშვნელობა არა აქვს, შედეგის თვალსაზრისით ეს იყო ღალატი: სესიის მომზადების წინარე ვითარებაში ისინი ვერ გარიგდნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატის შერჩევაში (ქართული პარტოკრატიის "დირექტორატში" შემავალ ყველა კლანს საკუთარი კანდიდატი ჰყავდა), ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტა ამ სესიაზე, სადაც **ვ.არძინბას** და მასთან ერთად სეპარატისტულ მხარეს წინააღმდეგობის გაწევა პრაქტიკულად არ შეეძლო, არ ჩათვალეს საჭიროდ და უკეთეს დროს დაუცადეს. ეს უკეთესი დრო კი მას შემდეგ, რაც **ვ.არძინბამ** მართვის სადავეები ხელში ჩაიგდო, არ დადგა. ამ მოვალეობას ბოლო დრომდე მშვიდად ასრულებდა ეთნოკრატი **ვ.მიქანბა. ვ.არძინბა** ამ თანამდებობაზე მხოლოდ ისეთი ქართველის დანიშვნაზე იყო თანახმა, რომელიც სულით და ხორცით გაყიდული იყო. ასეთი კაცი მან **1991 წლის გაზაფხულზე** გამონახა _ **ვაჟა ზარანდია,** ქართველ ერს ერთ მათლაფა ცხელ ბორშში რომ გაყიდდა ისეთი პარტოკრატი. ამის მიუხედავად, საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ამ პოლიტიკური ნაბიჯით, ანუ **1990 წლის 4 დეკემბრის** მთავარი შედეგით იმ დროისათვის ჩაშალა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში კრემლის ანტიქართული გეგმები (ქართველთა გენოციდი, ეთნიური წმენდა, სამოქალაქო განუკითხაობა). მიუხედავად სეპარატისტული დემარშებისა, ამით აფხაზეთში შეიქმნა განსხვავევბული პოლიტიკური ატმოსფერო, რამაც შესაძლებელი გახადა შემდგომში ისტორიული მნიშვნელობის კონსტიტუციური შეთანხმების მიღწევა აფხაზეთის ე.წ. ეთნოკრატიასთან.

ამდენად, ყველაფრის მიუხედავად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 4 დეკემბრის სესიის უდავო მიღწევად უნდა ჩაითვალოს: 1. აფხაზეთში აგრესიული სეპარატიზმის პოლიტიკური თარეშის დროებით შეწყვეტა და პრობლემათა პაკეტის განსახილველად შემოტანა ქუჩიდან საპარლამენტო ჭერქვეშ;

2. აფხაზეთის ასსრ-ის კვლავ დაფიქსირება დამოუკიდებლობა გამოცხადებული საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივ სივრცეში;

3. აშკარად სეპარატიზმისკენ მიდრეკილი და საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებასთან კონფრონტაციაში მყოფი საქართველოს კპ აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის არაძალადობრივი ჩამოცილება აფხაზეთის ასსრ-ის მართვის ბერკეტებიდან;

4. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონის შემუშავებაში კონსტრუქციული თანამშრომლობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან;

5. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, რომლითაც: ა) ცნება "საქართველოს სსრ" შეიცვალა ცნებით "საქართველოს რესპუბლიკა", დაზუსტდა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივი სტატუსი, იგი შედიოდა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში; ბ) გამოირიცხა აფხაზეთის პოლიტიკურ-

სამართლებრივი სტატუსის ცალმხრივად შეცვლის შესაძლებლობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე; გ) დაკანონდა თანამდებობრივი კვოტები, რომლის მიხედვითაც აფსუებს (აფხაზეცებს) ერგოთ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ქართველებს _ მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობები;

დ) აფხაზეთის მოსახლეობისთვის შემდეგნაირად განაწილდა საარჩევნო კვოტები: მკვიდრ ხალხებს აფსუებსა და ქართველებს 28-26, სხვა ხალხებს _ 11. ასეთი დაზუსტება მას შემდეგ, რაც სეპარატიზმის აგრესიული ეთნოკრატია აფხაზეთს არაქართულ მხარედ მიიჩნევდა და ქართველებს მიგრანტი მოქალაქეების უფლებებს განუსაზღვრავდა მხოლოდ, რა თქმა უნდა, იყო წინ გადადგმული ნაბიჯი, ამავე დროს, ეს დათმობა, რომელსაც ზოგიერთი წინგაუხედავი "აპარტეიდულს" უწოდებდა, არ წარმოადგენდა საფრთხეს, რადგან საარჩევნო კანონში იდო სამართლებრივი ბერკეტი, რომელიც აუვნებელყოფდა ნებისმიერ სეპარატისტულ დემარშს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ფუნქციონირების შემთხვევაში. რაც შეეხება ცნებას, "მკვიდრი ხალხები", ეს საარჩევნო კომისიის სამუშაო ტერმინი გახლდათ, რომელიც აისახა საარჩევნო კვოტებში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მას შემდეგ, რაც აგრესიული სეპარატიზმი ქართველებს არამკვიდრ ხალხს ეძახდა, მათი მხრიდან ეს არ იყო უმნიშვნელო უკან დახევა. იმ ვითარებაში, როცა კრემლიდანური ძალა ყოველმხრივ ემზადებოდა (და ამას არც მალავდა) ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველთა ეთნიური წმენდისათვის, ამაზე მეტის მიღწევა იყო შეუძლებელი.

1990წ. 4 დეკემბერს ე.წ. "მხედრიონის" პროვოკაციის საპასუხოდ პროტესტის ნიშნად მთავრობის სასახლის წინ შიმშილობა დაიწყო **წმინდა ილია მართლის** საზოგადოების ხუთმა წევრმა.

1990წ. 5 დეკემბერს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი 39-ე კონფერენციის მოწვევის შესახებ. ასევე ბიუროს სხდომამ დაამტკიცა თავისი ახალი სტატუსი _ საქართველოს კპ აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტი.

1990წ. 7 დეკემბრიდან გაზეთ **"საბჭოთა აფხაზეთს" "აფხაზეთის ხმა"** დაერქვა.

7 დეკემბერს გაზეთმა "აფხაზეთის ხმამ" გამოაქვეყნა ინფორმაცია **"საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის რესპუბლიკურ კომიტეტში".**

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპისათვის მზადების ჩარჩოებში გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი მდივნის ვ.ხიშბას შეხვედრა პარტიის ვეტერანებთან.

ყრილობის მეორე ეტაპისათვის გაწეული მოსამზადებელი მუშაობის, რესპუბლიკის კომპარტიის მომავალი სტატუსის შეფასებისადმი სხვადასხვა ტენდენციებისა და მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია გააკეთა ამხ. ვ.ხიშბამ. მან ჩამოაყალიბა პარტიის აფხაზეთის რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელთა პოზიცია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნეს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ერთიანობა.

შეხვედრისას გამოთქვა მწვავე კრიტიკა პარტიის ცენტრალური ორგანოების, პარტიის აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მისამართით იმის გამო, რომ მათ დაკარგეს პრინციპულობა, იჩენენ პასიურობას და გაუბედაობას, რაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს ამასწინანდელ არჩევნებში კომპარტია დამარცხდა.

ვეტერანთა აზრით საჭიროა პარტიის ყველა რგოლის გააქტიურება. დავუბრუნოთ ხალხის ნდობა და პატივისცემა.

შეხვედრის დასასრულს ამხ. ვ.ხიშბამ უპასუხა ვეტერანთა შეკითხვებს. **შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა ვ.ავიძბამ.**

1990წ. 7 დეკემბერს საქართველოს კპ 28-ე ყრილობის მუშაობა განახლდა. საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივნად არჩეული იქნა **ა.მარგიანი.**

1990წ. 8 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირში მრგვალი მაგიდის წარმომადგენლები შეხვდნენ ე.წ. ეროვნული კონგრესის წარმომადგენლებს, სამწუხაროდ ამ შეხვედრამ კონსტრუქციული შედეგები ვერ გამოიღო.

1990წ. 9 დეკემბერს კვლავ კრემლის აშკარა მხარდაჭერით ჩრდილო საქართველოს ცენტრალურ ნაწილში ოსმა აგრესორებმა უკანონოდ და გამომწვევად ჩაატარეს ე.წ. "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები" (ლენინგორის რაიონს ამ პროცესებისადმი თავიდანვე არ გამოუხატავს ცალსახა დამოკიდებულება).

1990წ. 9 დეკემბერს სკკპ ცკ-მა მიიღო სკკპ ცკ-ის მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი, კომუნისტებისადმი, რომელშიც მოუწოდა მათ ერთიანობისაკენ.

1990წ. 11 დეკემბერს უკანონოდ გაიმართა სოაო-ს ანტიკონსტიტუციური "უზენაესი საბჭოს" სესია, რომელმაც მიიღო დემაგოგიური, ფაქტიურად ჩრდილო საქართველოს ცენტრალური ნაწილის რეოკუპაციური და გამსხვისებელი დოკუმენტი, რაც თავისთავად ნიშნავდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასა და აგრესიას ქვეყნის წინააღმდეგ.

1990წ. 11 დეკემბერს ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე და ამასთან ერთად, ვინაიდან ამ დროისათვის ე.წ. სამხრეთ ოსეთის აო ფაქტიურად თვითგაუქმებული იყო, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დაადასტურა აღნიშნული თვითგაუქმება და მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

1990წ. 11 დეკემბერს გაიმართა აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოს სესია, რომელმაც მიიღო საკონსტიტუციო შესწორებანი.

ამ სესიაზე მწვავედ დაისვა საკითხი აჭარის ავტონომიიის მიზანშეწონილობის შესახებ.

1990წ. 12 დეკემბერს მუშაობა დაიწყო სსრკ სახალხო დეპუტატთა მეოთხე ყრილობამ, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილა და **24 დეკემბერს** ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომისია _ სსრკ იმპერიის დიდმპყრობლური ინტერესების დაცვისათვის კიდევ ერთი ჟანდარმული სტრუქტურა. მეორე ყრილობაზე გამოვიდა **ვ.აგრბა** სოხუმის რუსისტული უწყების ე.წ. ვიემის მეცნიერ-თანამშრომელი. მან დაგმო არარსებული "ქართული შოვინიზმი".

1990წ. 12 დეკემბერს ქალაქ ცხინვალში, დაახლოებით 16 საათზე დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა "ჟიგულის" მარკის ავტომანქანიდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გასროლით მოკლეს სამი მოქალაქე **რევაზ ურიდია, სერგო ცხოვრებაშვილი და ხეცურიანი**, სხვადასხვა ხარისხის სხეულის დაზიანება მიიღო კიდევ სამმა მოქალაქემ _ **გიორგი ანანიაშვილმა, ჯემალ გუნდიშვილმა** და **გიორგი გუნდიშვილმა.**

ამასთან დაკავშირებით ქალაქ ცხინვალის პროკურატურაში იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ამ საქმის გამო ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ "ჟიგულის" მარკის ორ ავტომანქანას, რომელშიც ისხდნენ **ურიდია, ცხოვრებაშვილი, ხეცურიანი,** აგრეთვე **ჯემალ** და **გიორგი გუნდიშვილები** და **გიორგი ანანიაშვილი,** გადაუსწრო დაუდგენელმა ავტომანქანამ და გააჩერა ისინი, მეორე "ჟიგულის" მარკის ავტომანქანიდან კი ავტომატური იარაღით ცეცხლი დაუშინეს მათ.

გაითვალისწინეს რა საქმის სირთულე, იგი ამოღებული იქნა ქალაქ ცხინვალის პროკურატურიდან და წარმოებაში აიღო საქართველოს პროკურატურამ.

1990წ. 12 დეკემბერს ცხინვალსა და ჩრდილო საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, თავის დროზე იმპერიის დემოგრაფიული ექსპანსიის შედეგად ოსებით დასახლებულ რაიონებში დაიწყო შეიარაღებული გამოსვლები და ანტიქართული ძალადობები, ქართველთა გენოციდი და მოწოდებები ქართველთა წინააღმდეგ, ასევე სამარი მოქმედების, ეთნიკური წმენდისა და ა.შ. მცდელობები, რომლებიც კრემლის მიერ იყო მართული და ხორციელდებოდა ოსი ექსტრემისტ-აგრესორთა მიერ.

1990წ. 12 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი ცხინვალისა და ჯავის რაიონებში საგანგებო წესების შემოღების შესახებ.

1990წ. 13 დეკემბრისათვის ქალაქ ცხინვალში, ცხინვალისა და ჯავის რაიონებში მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო. ადგილობრივი თვითმარქვია ხელისუფლები განაგრძობდნენ ჩვეულ პროვოკაციებს.

1990წ. 13 დეკემბერს ა.მ.გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა აფხაზეც სეპარატისტთა საპროტესტო შეკრება ე.წ. სამხრეთ ოსეთის აო-ს გაუქმებასთან დაკავშირებით.

სეპარატისტული პროპაგანდა და საინფორმაციო საშუალებები, კრემლის წაქეზებითა და წაქსიანებით ხმებს ყრიდნენ და დეზინფორმაციებს ავრცელებდნენ ქართული აგრესიის შესახებ ე.წ. ოსეთში (ცხინვალის მხარე) და აფრთხილებდნენ მოსახლეობას რომ ეს პროცესები (ქართული აგრესია) გაგრძელდებოდა აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში).

შეკრებამ აფხაზეთს უნივერსიტეტის დოცენტის **ო.დამენიას** თავმჯდომარეობით მიიღო საპროტესტო მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართ, ასლები პირადად **ზ.გამსახურდიას, მ.გორბაჩოვს, ა.ლუკიანოვს** გადაეგზავნათ. მასში აღნიშნული იყო, რომ **"სამხრეთ ოსეთის ოკუპაციით დაიწყო კავკასიის ხალხთა უფლების შელახვა" (გაზ. "Советская Абхазия", 14 დეკემბერი, 1990წ.).**

1990წ. 15 დეკემბერს საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია,** მან ამხილა კრემლის მიერ პროვოცირებული ეთნოდივერსიები საქართველოში.

1990წ. 15 დეკემბერს ე.წ. საქართველოს "დამოუკიდებელმა" კპ ცკ-მა გააუქმა საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ დაყოფაში ცვლილებასთან დაკავშირებით (სინამდვილეში ე.წ. სამხრეთ ოსეთის აო გააუქმეს თვითონ ოსებმა, ერონულ-სახალხო ხელისუფლებამ ბათილად სცნო ოსი ექსტრემისტების მიერ ქართულ მიწაზე გამოცხადებული "ოსთა დამოუკიდებლობა").

1990წ. 20 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების _ ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ.

1990წ. 21 დეკემბერს სსრკ უზენაესი დეპუტატთა IV ყრილობაზე სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრმა **ე.შევარდნაძემ** "გააკეთა პოლიტიკური განცხადება და იგი გადადგა": **"ჩვენ დიდი საქმეები გავაკეთეთ საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ გადადგომა ჩემი მოვალეობაა, როგორც ადამიანის, მოქალაქის, როგორც კომუნისტისა, არ შემიძლია, შევურიგდე იმ ამბებს, ჩვენ ქვეყანაში რომ ხდება, და იმ განსაცდელს, ჩვენს ხალხს რომ მოელის" (ე.ი. საბჭოთა კავშირს) (გაზ. "აფხაზეთის ხმა", 25 დეკემბერი, 1990წ.).**

ეს გახლდათ ვირეშმაკული ხრიკი, შეთანხმებული "სადაც ჯერ არს", რათა მისთვის დემოკრატის სახელი გაესაგნათ.

1990წ. 26 დეკემბერს გაზეთმა **"Комсомольская Правда"-მ** გამოაქვეყნა ცილისწამება ცხინვალს მიმდებარე მხარეში შექმნილი ვითარების შესახებ.

1990წ. 29 დეკემბერს _ სსრკ შს და სსრკ თავდაცვის სამინისტროების მიერ მიღებული იქნა ზესაიდუმლო №493/513 ბრძანება, რომელიც პირდაპირ ავალებდა სამხედრო ოლქების სარდლებს, გარნიზონების უფროსებს, შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებს **"განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაძლიერებისათვის ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 5 თებერვალი 1991წ.).** საბჭოთა სინამდვილეში "საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა" ნიშნავდა "მოძმე" ქვეყანაში საოკუპაციო რეჟიმის გასასტიკებას.

1990წ. დეკემბრისათვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო ე.წ. ჩრდილო ოსეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **აღსარბეგ გალაზოვის** მიმართვა, რომელშიც იგი პროტესტს გამოთქვამდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ **11 დეკემბერს** ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების გამო. ამ გამოხდომას საკადრისი პასუხი გასცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **ზ.გამსახურდიამ.**

1990წ. ჟურნალმა **"Советская литература"**-მ (№4 გვ. 93) გამოაქვეყნა საზოგადოება "პამიატის" ატამან **დ.ვასილიევის** წერილი, ავტორის თქმით, იგი, თურმე, მიზნად ისახავს ბრძოლას რუსთა და აფხაზთა განთავისუფლებისათვის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში.

1990წ. გამომცემლობა "ალაშარამ" რუსულ ენაზე გამოსცა ა.იოანიდის წიგნი "ბერძნები აფხაზეთში". ავტორი ინტერფრონტული პოზიციებიდან ასაბუთებდა აფხაზეთში "ქართველთა დიდმპყრობლურ მოღვაწეობას".

1990 წლის 31 დეკემბერს სსრკ პრეზიდენტმა **მ.გორბაჩოვმა** მორიგი ველიკოდერჟავული საახალწლო მილოცვით მიმართა ე.წ. საბჭოთა ხალხს.

1991 წლის 1 იანვარს ქ.სოჭში გამოსვლა დაიწყო გაზეთმა **"Абхазия"**-მ _ (Общественная газета верховного Совета Абхазской Асср).

აღნიშნული გაზეთის პირველ ნომერში აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვ.ყოლბაიამ** განაცხადა **"Хочу выразить свое отношение к проходящей остро на IV Сьезде народных депутатов СССР дискусии по поводу Союзного договора, думаю, что, не ошибаюсь, если скажу, что мы не сможем развиватся и жить как единная страна и государство, если разбредемся по национальным квартирам".**

1991 წლის 7 იანვარს _ (**ქრისტეშობის** დღესასწაულის დღეს) სსრკ პრეზიდენტმა **მ.ს.გორბაჩოვმა** გამოსცა ბრძანებულება **"საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო".** რომელშიც აღნიშნული საკანონმდებლო აქტები ბათილადაა გამოცხადებული (**გაზ. "აფხაზეთის ხმა", 9 იანვარი, 1991წ.**). მას პასუხი გასცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ზ.გამსახურდიამ.**

1991წ. 9 იანვარს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული იქნა აფხაზეთის ასსრ კანონი სახალხო კენჭისყრის (აფხაზეთის ასსრ რეფერენდუმის) შესახებ პროექტი: **"აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში ხალხი ანხორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას, როგორც სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, ასევე უშუალოდ რეფერენდუმის გზით" (თავი I, მუხლი I) (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 15 იანვარი, 1991წ.).**

როგორც ხედავთ, აფხაზეთის ასსრ ეთნოკრატიულ-მონონაციონალური ხელისუფლება, ანუ კოლაბორაციულ-სეპარატისტული ნომენკლატურა საქართველოს

ეროვნულ-სახალხო თვითგამორკვევის საპასუხოდ ხელაკაპიწებული ებღაუჭებოდა საბჭოთა სახელმწიფო კონსტრუქციებს.

1991წ. 10 იანვარი. გაზეთ "აფხაზეთის ხმა"-ში (ყოფილ "საბჭოთა აფხაზეთში") გამოქვეყნდა ინტერვიუ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ბატონ **ვახტანგ ყოლბაიასთან: "ხომ არ შეიძლება ვიწროეროვნული პრობლემები გადავწყვიტოთ რომელიმე მეორე ერის წარმომადგენელთა ხარჯზე?"** ავტორს აფხაზეთის ბედნიერება წარმოდგენილი ასე ჰქონდა: _ **"...ოჯახში კარგად და ბედნიერად გრძნობდეს თავს ყოველი ქართველი, ყოველი აბხაზი, ყოველი რუსი, ყოველი სომეხი და ა.შ. ... რა თქმა უნდა ერთმანეთთან კავშირის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, კავშირმა უნდა იარსებოს"...** სამწუხაროდ, ეს ინტერვიუ არც ეროვნული მოძრაობისა და არც აფხაზეთის მოსახლეობის ნებას არ გამოხატავდა (ეს დაადასტურეს კიდეც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებმა სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლებმა **1991 წლის 17 და 31 მარტს** როგორც საეთნოდივერსიო ხაფანგთან, ასევე სახალხო რეფერენდუმზე).

1991წ. 12-13 იანვარს სსრკ სადამსჯელო სამსახურების მიერ საგანგებოდ შეკოწიწებული "ლიტვის ეროვნული ხსნის კომიტეტზე" ამოფარებით დაიწყო სსრკ შეიარაღებული ძალების ინტერვენცია ლიტვაში. ისინი შტურმით შეეცადნენ აეღოთ ტელეცენტრი და სამთავრობო შენობა, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან ქუდზეკაცად გამოვიდა სრულიად ლიტვის მოსახლეობა. კრემლის აგრესიასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ გამოთქვა მტკიცე პროტესტი (**გაზ. "აფხაზეთის ხმა", 15 იანვარი, 1991წ.**).

1991წ. 12 იანვარს რსფსრ უზენაესმა საბჭომ გააკეთა განცხადება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

რუსიზმის აგრესია იმდენად შეუნიღბავი აღმოჩნდა, რომ იგი რსფსრ ხელისუფლებამაც ცალყბად დაგმო (მომდევნო დღეებში მან პოლიტიკური დივიდენდებისათვის გამოიყენა ამ აგრესიის "დაგმობა".): **"უკანასკნელი დღეების მანძილზე არსებითად გამწვავდა სიტუაცია ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, განსაკუთრებით ლიტვაში. ეს გამოწვეულია არა მარტო შინაგანი პოლიტიკური ფაქტორებით, არამედ საკავშირო ხელმძღვანელობის მოქმედებითაც" (გაზ. "აფხაზეთის ხმა", 15 იანვარი, 1991წ.).**

ამ განცხადებაში **ბ.ელცინი** დიდმპყრობლობისგან სულაც არ გახლდათ თავისუფალი. "შინაგანი პოლიტიკური ფაქტორები", ე.ი. ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის საძრახი რამ ყოფილა, რაც შეეხება მის მიერ საკავშირო ხელმძღვანელობის კრიტიკას, იგი საკუთარი ნომენკლატურული რევანშის სურვილით იყო განპირობებული.

1991წ. 13 იანვარს ტალინში (ესტონეთის რესპუბლიკის დედაქალაქი) მიღებული იქნა მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის, ბატონ **ხავიერ პერეს დე კუელიარისადმი,** რომელშიც წამოყენებული იყო მოთხოვნა აგრესიის სასწრაფო შეწყვეტის, გაერთიანებული ერების შესაბამისი კომისიის მოწვევისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ბალტიისპირეთის პრობლემათა მოწესრიგებისათვის დაუყოვნებლივ კონფერენციის ჩატარების შესახებ. ასევე გაკეთდა განცხადება, რომ ლიტვაში დაიწყო შეიარაღებული აგრესია რუსეთის მხრიდან.

1991წ. 15-16 იანვარს ოსმა ექსტრემისტებმა განაახლეს ქართულ სოფლებზე შეიარაღებული თარეში ცხინვალის მიმდებარე მხარეში.

1991წ. 16 იანვარს აფხაზეთის პრესაში გამოქვეყნდა აფხაზეთის ასსრ-ის კანონი საგანგებო რეჟიმის შესახებ. იგი კიდევ ერთხელ აკანონებდა მონონაციონალურ (ეთნოკრატიულ) შინაარსს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში.

1991წ. 17 იანვარს თბილისში ჩამოვიდა სსრკ უზენაესი საბჭოს კომისია (**რ.ნიშანოვის** თავმჯდომარეობით). მისი ამოცანა იყო ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული მოვლენების და საერთოდ საქართველოში მიმდინარე ამბების შესწავლა-ინსპექტირება.

1991წ. 23 იანვარი. ლიტვის უზენაესმა საბჭომ დაადგინა "ლიტვის წინააღმდეგ აგრესიის გაფართოებისა და სსრკ დიქტატურის საფრთხის შესახებ".

1991წ. 25 იანვარს მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სსრკ სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

ეს იყო შეცდომა. ჯერ ერთი, სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ეროვნული ხელისუფლების მიერ ნოემბერში გაკეთებული განცხადებების შემდეგ, საქართველოს არ ესაქმებოდა სსრკ სახალხო დეპუტატის არჩევა და მეორეც: ეს არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 17 მარტს _ სსრკ ე.წ. ერთიანობის რეფერენდუმის დღეს, რომელსაც საქართველომ ბოიკოტი გამოუცხადა. ამ არჩევნებით კრემლი საარჩევნო ყუთებთან მიიტყუებდა ამომრჩეველს და შემდეგ იტყოდა, ხალხმა სსრკ ერთიანობას მისცა ხმაო (ეს დადგენილება შემდგომში ეროვნულმა ხელისუფლებამ თვითონვე გააუქმა).

1991წ. 2 თებერვალს დაიწყო და **25 თებერვლამდე** გაგრძელდა თბილისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური დემარშები და პრაქტიკულად იმპერიის მოთხოვნების გათავისება (პრეფექტურის ინსტიტუტის გაუქმება, მიწის სამუდამო საკუთრებაში გადაცემა და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს საუკეთესო მიწები დემოგრაფიული ექსპანსიის შედეგად მასზე დამკვიდრებულ ინტერფრონტულ ეთნონედლეულზე იყო გაპიროვნებული, უარი **31 მარტის** რეფერენდუმს და ა.შ.).

1991წ. 3 თებერვალს სოხუმის პარტოკრატიულმა წრეებმა შეაკოწიწეს ე.წ. ტრადიციონალისტთა ასოციაცია.

1991წ. 5 თებერვალი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ღია წერილით მიმართა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ **ვ.პატრიკეევს.** მასში საუბარი იყო იმაზე, რომ ქ.ცხინვალის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა არმიის №44913 საჯარისო ნაწილისა და სსრკ თავდაცვის სამინისტროს №61902 საჰაერო სადესანტო პოლკის ოსი სამხედრო მოსამსახურეები (მათ შორის მაღალი ჩინის ოფიცრები) ოს ექსტრემისტებს სისტემატიურად ამარაგებდნენ რაკეტული იარაღით, ტყვია წამლით და ა.შ. ამაზე **ვ.პატრიკეევს** ზომები არ მიუღია.

<u>1991წ. 7 თებერვალი: აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში</u>

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 29 იანვარს მიღებული ზოგიერთი კანონისა და

დადგენილების შესახებ

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ 1991 წლის 29 იანვარს მიიღო კანონები გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი ორგანოების _ საკრებულოების არჩევნების შესახებ, აგრეთვე დადგენილება საკრებულოს არჩევნების დანიშვნის შესახებ მიმდინარე წლის 31 მარტს.

ამ სამართლებრივმა აქტებმა გამოიწვიეს საბჭოთა ორგანოების მუშაკთა და აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის მრავალრიცხოვანი შეკითხვები აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მისამართით.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განიმარტოს, რომ აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად

ავტონომიური რესპუბლიკა დამოუკიდებლად წყვეტს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურის, საარჩევნო სისტემისა და არჩევნების დანიშვნის საკითხებს.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხთა მუდმივ კომისიას აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მეათე სესიის მორიგი სხდომის განსახილველად შეიტანოს საკითხი "სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ".

3. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ეს დადგენილება დაიყვანონ საბჭოთა ორგანოების მუშაკებსა და ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამდე.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ.არძინბა.

ქ.სოხუმი, 7 თებერვალი (გაზ. "აფხაზეთის ხმა", 12 თებერვალი, 1991წ.)

1991წ. 8 თებერვლის განკარგულებით აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა ე.წ. შემთანხმებლური კომისია, რომელსაც უნდა აღმოეფხვრა აფხაზეთის მოსახლეობაში მიზნობრივად ჩამოგდებული გაუგებრობები. ასეთი ამოცანის გადაწყვეტა ამ აშკარად პარტნომენკლატურულ და კრემლიდანურ კომისიას, მიუხედავად მასში გაწევრიანებული არაერთი წესიერი მოქალაქისა, არ შეეძლო, რადგან მისთვის სანიშანსვეტო კვლავ საკრემლო ვარსკვლავი გახლდათ. ამ კომისიას, როგორც მოსალოდნელი იყო, არ უმუშავნია:

ქ.სოხუმი

1. **აერაპეტიანი ა.ა.** _ სოხუმის გაზ. აპარატ. ქარხნის დირექტორი
2. **ვორონოვი ი.ნ.** _ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **დ.გულიას** სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი.
3. **გასვიანი.ა.ი.** საზოგადოება "ლემის" თავმჯდომარე.
4. **პატულიდი ნ.გ.** _ სსრკ მწერალთა კავშირის წევრი.
5. **კვარჭია ვ.ე.** _ აფხაზეთის სახალხო ფორუმის სოხუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე, **დ.გულიას** სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.
6. **ქაფბა ე.ე.** _ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
7. **ლომინაძე გ.ნ.** _ აფხაზეთის ასსრ შ.ს. მინისტრის მოვ. შემსრულებელი.
8. **ლორთქიფანიძე თ.ს.** _ საქართველოს რესპ. უზენაესი საბჭოს წევრი.
9. **მიროშნიჩენკო ვ.ვ.** "აფხაზეთის სახალხო კავშირის" საკოორდინაციო საბჭოს წევრი.
10. **პულიტიდისი ხ.გ.** _ პონტოელ ბერძენთა საკავშირო საზოგადოების წევრი.
11. **ტოპოლიანი ა.გ.** _ აფხაზეთში არმენთა საზოგადოება "კრუნკის" თავმჯდომარე.
12. **გაბელია ს.მ.** _ აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.
13. **იარამენკო გ.ა.** _ აფხაზეთის ასსრ სახკომიტეტის თავმჯდომარე.

ქ.ტყვარჩელი.

1. **გერგედავა რ.რ.** საქართველოს კპ ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.
2. **ფილია დ.ჩ.** ტყვარჩელის საქალაქო აღმასკომის თავმჯდ. მოადგილე.

ქ.გაგრა

1. **ნადარეიშვილი თ.** _ საქართველოს კპ გაგრის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.
2. **ჩაკრიანი ა.ა.** _ საზოგადოება "მაშტოცის" თავმჯდომარე.

3. **იაზიჩბა რ.ნ.** _ გაგრის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

გუდაუთის რ-ნი

1. **ზებელიანი ა.გ.** _ საზ. "ამშენის" თავმჯდომარე.
2. **სმირი რ.ხ.** _ სსრკ მწერალთა კავშირის წევრი.
3. **ტაბუციძე ი.მ.** _ საქართველოს კპ აფხაზეთის რესპუბლიკური კომიტეტის ინსტრუქტორი.

სოხუმის რ-ნი

1. **ავიძბა დ.მ.** _ ზ.ეშერის ციტრუსების საბჭ. მეურნ. მუშა.
2. **ასმავა რ.ხ.** _ პედაგოგი.
3. **მუსაილოვი გ.ს.** _ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

გულრიფშის რ-ნი

1. **გვიჩია ო.ა.** _ საბჭ. მეურნ. დირექტორი.
2. **კესიანი რ.ა.** _ საზოგადოება "ბარეკანუტიუნის" თავმჯდომარე.
3. **ხაშბა ა.გ.** _ საქართველოს კპ. გულრიფშის რაიკომის მდივანი.

ოჩამჩირის რ-ნი

1. **ტაბაღუა პ.გ.** _ კუტოლის საშუალო სკოლის დირექტორი.
2. **დანელია მ.ს.** _ საქართველოს სოფლ. ენერგოს ოჩამჩირის განყ. უფროსი.
3. **ჩხოტუა ზ.გ.** _ ოჩამჩირის რ-ნის საგადასახადო ინსპექციის უფროსი.

გალის რ-ნი

1. **შონია ჯ.გ.** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.
2. **ჩაჩიბაია თ.გ.** საქართველოს კპ გალის რაიკომის პირველი მდივანი.

1991წ. 9 თებერვალს გაიმართა ე.წ. აფხაზეთის კომკავშირის ყრილობა, რომელმაც თხოვნით მიმართა ალკკ საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს, რათა აფხაზეთის ალკკ ორგანიზაცია დამტკიცებული იქნეს ალკკ ფედერაციის სუბიექტად (სეპარატისტული აგრესიის მორიგი განტოტება).

იმავე დღეებში საქართველოს კპ აფხაზეთის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი სსრკ ერთიანობის მხარდამჭერი რეფერენდუმისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ და დასახა შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები.

1991წ. 10-23 თებერვალს გაიმართა ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის საკომენდატო-საშტაბო წვრთნა. ამ დროისათვის აფხაზეთის სეპარატისტულმა წრეებმა ეთნოკრატიული პროვოკაციის საგანი გახადეს აფხაზეთში ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საქართველოს რესპუბლიკის სერიის ნომრების დადგენა.

1991წ. 11 თებერვალს საქართველოს შს პრესცენტრის ცნობით ქ.ცხინვალში ოსმა ექსტრემისტებმა ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი გაუხსნეს მილიციის საგუშაგოს.

1991წ. 11 თებერვალს დაინიშნა გალის რაიონის პრეფექტი **(ვლადიმერ (ედიშერ) ჯანჯულია).**

1991წ. 12 თებერვალს გაზეთმა "აფხაზეთის ხმამ" გამოაქვეყნა ინფორმაცია: _

"აფხაზი ხალხის

წარმომადგენელთა ყრილობა"

სოხუმში გაიმართა აფხაზი ხალხის წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც აირჩია დელეგატები კავკასიის მთიელ ხალხთა მომავალ ყრილობაზე გასაგზავნად.

ამ ყრილობის დელეგატები აირჩიეს ქალაქებსა და რაიონებში წინადღეებში გამართული აფხაზი საზოგადოებრიობის კრებებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის სახალხო ფორუმის, დემოკრატიული პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების წარმომადგენლები.

კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ <u>გ.ალამიამ</u> გააკეთა მოკლე ინფორმაცია კავკასიის მთიელ

ხალხთა ყრილობის დელეგატთა არჩევნების შესახებ. შემდეგ დაიწყო კანდიდატების წამოყენება. ღია კენჭისყრით მთიელ ხალხთა ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნენ რ.იაზიჩბა, კ.ოზგანი, ს.ბაგაფში, დ.ფილია, ს.შამბა, გ.ალამია, გ.გუმბა, დ.ზანთარია, ჯ.ახუბა, ი.მარხოლია.

აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ი.არგუნი გამოვიდა მოხსენებით "თვითდაცვა და განვითარება სამშობლოში".

საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ჯ.ახუბამ, ტ.შაყრილმა, ხ.ჩამაგუამ, ლ.ბარციცმა, მ.ფილიამ, ს.კუჯბამ, ვ.კვარჭიამ, ვ.ხაგბამ, გ.გულიამ, ა.ჭკადუამ, ა.კაპშმა, ლ.დბარმა, ვ.ქეცბამ, ვ.სულავამ და სხვ.

აფხაზი ხალხის წარმომადგენელთა ყრილობამ მიმართვა გაუგზავნა სსრ კავშირის პრეზიდენტს მ.ს.გორბაჩოვს, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზ.გამსახურდიას მოწოდებით _ შეწყდეს სისხლისღვრა სამხრეთ ოსეთში, ცნონ პატარა ხალხების უფლებები და გამოიჩინონ მათდამი პატივისცემა, დამყარდეს მშვიდობიანობა და წესრიგი".

ყრილობამ მიიღო რიგი რეზოლუციები.

სამწუხაროდ, გაზეთმა ამ პროვოკაციულ ღონისძიებას თავის ფურცლებზე საპირწონედ არ დაუდო ახსნა-განმარტება საქართველოს ეროვნულ-სახალხო ხელისუფლების მიზანდასახულებათა შესახებ.

1991წ. 14 თებერვალს საღამოს 8 სათზე ჯერ ცხინვალის სასაფლაოს მხრიდან, მერე კი ქალაქის ყველა უბნიდან ტყვიამფრქვევები, რაკეტები და ნაღმები დაუშინეს საქართველოს მილიციის საგუშაგოს. სსრკ შინაგანი ჯარის ნაწილებს, რომლებიც ქალაქს აკონტროლებენ, არავითარი ზომები არ მიუღიათ ექსტრემისტების საცეცხლე წერტილების ჩასახშობად:

"მილიციის საგუშაგოსთან იდგა შინაგანი ჯარების ჯავშანტრანსპორტიორი. ექსტრემისტების გამოსროლილი ტყვიით დაიჭრა ერთ-ერთი ჯარისკაცი. შემთხვევის ადგილზე მოსული სამხედროების მეთაურმა ყოველგვარი შემოწმების გარეშე ჩათვალა, რომ ჯარისკაცი მილიციელებმა დაჭრეს და გასცა ბრძანება განეიარაღებინათ ქართველი მილიციელები, მათ შორის ქალაქ ცხინვალის კომენდანტი, მილიციის გენერალ-მაიორი გივი კვანტალიანი და დროებითი შტაბის უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი აკაკი ბოჭორიშვილი. რაციაზე მომუშავე მილიციის უფროს ლეიტენანტს ტარიელ იაშვილს შუბლზე ავტომატი მიაბჯინეს და საშუალება არ მისცეს ამ პროვოკაციის შესახებ ცნობა გადმოეცა თბილისში.

ინციდენტი შეწყდა მას შემდეგ, რაც კომენდანტ გივი კვანტალიანის ენერგიული პროტესტის შედეგად საქმეში ჩაერია სსრკ შინაგანი ჯარების ნაწილის ხელმძღვანელობა.

იმავე ღამეს შინაგანი ჯარების ჯარისკაცებმა განიარაღება მოუნდომეს სოფელ თამარაშენში დისლოცირებულ საქართველოს მილიციის მუშაკებს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

მთელი ღამის განმავლობაში ექსტრემისტებს არ შეუწყვეტიათ სროლა. სოფელ მამისაანთ უბანში ისინი თავს დაესხნენ მილიციის თანამშრომლის როლანდ ბერუაშვილის ოჯახს. თავდასხმელებმა დაჭრეს რ.ბერუაშვილი.

14 თებერვალს ღამით მომხდარი ამბები კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ ოსი ექსტრემისტები და სამხედროები ერთად ებრძვიან ქართულ მილიციას და მთლიანად საქართველოს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა
სამინისტროს პრესცენტრი (საქინფორმი).
(გაზ. "აფხაზეთის ხმა", 16 თებერვ. 1991წ.).

13 თებერვალს გაიმართა საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი, რომლის მუშაობამ ამჯერადაც დაადასტურა, რომ ე.წ. საქართველოს კომპარტიის სახით ჩვენს მიწაზე თანმიმდევრული კოლაბორაციონიზმი დაბოგინობდა.

1991წ. 14 თებერვალს რსფსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მოისმინა რსფსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის (ხელმძღვანელი **გ.ნ.სოროკინი**) ანგარიში მათ მიერ საქართველოში (ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონში) მოკვლეული მასალების შესახებ. რუსეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა ეს ყველაფერი რუსიზმის ინტრიგებიდან გამომდინარე წარადგინა, პარლამენტმა კვლავაც ველიკოდერჟავული პოზიციების შესაბამისი დასკვნები გააკეთა. მიღებული დადგენილების მე-4 პუნქტით მოითხოვეს, რომ სსრკ პრეზიდენტმა **მ.გორბაჩოვმა "სასწრაფოდ განახორციელოს ღონისძიებანი ამ რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად" (გაზ. "აფხაზეთის ხმა", 19 თებერვალი, 1991წ.).**

1991წ. 14 თებერვალს საქინფორმმა გაავრცელა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრომ **1990 წელს** ფაქტიურად განაიარაღა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო (გაიხსენეთ, **1989-90 წელს** აფხაზეთში ქართველი მოსახლეობიდან ამოიღეს სანადირო თოფები). საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს **1990 წელს** ჩამოერთვა 4393 ავტომატი, 120 ტყვიამფრქვევი, ტყვია-წამალი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ **1991 წლის** დასაწყისისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობისათვის აკლდა 6778 პისტოლეტი (**გაზ. "აფხაზეთის ხმა", 19 თებერვალი, 1991წ.**).

1991წ. 15 თებერვალს, იმასთან დაკავშირებით, რომ ოსი ექსტრემისტები გეგმაზომიერად ანხორციელებდნენ ცხინვალის მიმდებარე მხარეში ქართველთა ჟლეტას, ასევე რუსი სამხედროებისა და სსრკ შინაგანი ჯარების თვალწინ ცხინვალის ორ ქარხანაში შეუფერხებლად ამზადებნენ საბრძოლო იარაღებს, საქენერგოს მუშაკებმა დაიწყეს გაფიცვა, გამოურთეს ელექტროენერგია ოს აგრესორებს და მათ სამხედრო ინდუსტრიას. ოსთა აგრესიასთან დაკავშირებით ქ.თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე ცხინვალის მხარისა და ქ.თბილისის საზოგადოებრიობამ მოაწყო მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგი.

1991წ. 15 თებერვალს ქ.გალში გაიმართა მიზნობრივად წაქსიანებული ადამიანების საპროტესტო მიტინგი, რომელმაც დაგმო პრეფექტურის ინსტიტუტი.

(გალის პარტოკრატია არ თმობდა პოზიციებს, მათ აულაგმაობას სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო გალის რ-ნში პრეფექტად ნაკლებ კომპეტენტური პიროვნების დანიშვნამ).

1991წ. 16 თებერვალი _ (გაზ. "აფხაზეთის ხმა") _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ კვლავ მიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობას იმასთან დაკავშირებით, რომ ქ.ცხინვალში დისლოცირებული საბჭოთა სამხედრო ნაწილების ხელშეწყობით და მათ თვალწინ მიმდინარეობდა ცხინვალის მიმდებარე სოფლებში ქართველთა ეთნიური წმენდა, მასთან ერთად მათი ჯერმონაცვლე გენოციდი. ასევე მიმართვაში აღინიშნა, რომ ქ.ცხინვალის ორ ქარხანაში სავსებით ლეგალურად ამზადებდნენ საბრძოლო იარაღებს.

1991წ. 17 თებერვალს ოჩამჩირის რ-ნში გაიმართა მიტინგი. პროვოკატორების მიერ ეგზალტირებული მოსახლეობა პრეფექტურის ინსტიტუტის წინააღმდეგ გამოვიდა. საინტერესოა, რომ მასში თავისი დეზინფორმაციული მიზნითა და დესტრუქციული საქმიანობით მონაწილეობა მიიღეს ე.წ. საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრებმა. იმავე დღეებში ასეთივე სულისკვეთების მიტინგები გაიმართა ამავე საკითხებთან დაკავშირებით გუდაუთის რაიონში.

1991წ. 18 თებერვალი. იმ დღეებში კრემლისგან წაქეზებულმა აფხაზეთის სეპარატისტულმა მოძრაობამ **11 თებერვალს** გალის რ-ნის პრეფექტის დანიშვნა გამოიყენა საბაბად და დაიწყო ე.წ. სოფლისა და რაიონების სახალხო კრებები, სადაც ლაგამამოუდები ცილისწამებები ვრცელდებოდა საქართველოს სახალხო ხელისუფლების საქმიანობაზე.

იმპერიას სურდა "სახალხო მღელვარებათა პროვოცირება", რასაც "სამართლებრივად" ამაგრებდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სეპარატისტული პრეზიდიუმი:

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
დადგენილება
გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის
თავმჯდომარის განთავისუფლებისა და გალის რაიონის
პრეფექტის დანიშვნის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის
11 თებერვლის დადგენილების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 11 თებერვლის დადგენილებით, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის დარღვევით, თანამდებობიდან განთავისუფლდა გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რაბო ძიკის ძე შონია და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციით გაუთვალისწინებელ თანამდებობაზე _ აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის პრეფექტის თანამდებობაზე დაინიშნა ედიშერ კალისტრატეს ძე ჯანჯულია.

აღნიშნული დადგენილება უკანონოა, რადგანაც იგი მიღებულია აფხაზეთის ასსრ ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 1-ლი, 66-ე და 120-ე მუხლების დარღვევით, რომელთა თანახმად სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს ხალხი სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის დადგენა შედის აფხაზეთის ასსრ გამგებლობაში მისი ხელისუფლებისა და მართვის უმაღლესი ორგანოების სახით.

იმასთან დაკავშირებით, რომ გალის რაიონის პრეფექტის დანიშვნის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მიღებულია აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის ზემოთხსენებული მუხლების საწინააღმდეგოდ, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 11 თებერვლის დადგენილება გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის რაბო ძიკის ძე შონიას თანამდებობიდან განთავისუფლებისა და გალის რაიონის პრეფექტად ვლადიმერ კალისტრატეს ძე ჯანჯულიას დანიშვნის შესახებ ჩაითვალოს უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ მიღების მომენტიდან.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა პროკურატურის ორგანოებთან, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან და აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთობლივად მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ დაცულ იქნეს ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობა, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები და შესაბამისი თანამდებობის პირნი, რომლებიც არჩეულნი არიან აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის მიერ.

3. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ვ.არძინბა.

ქ.სოხუმი, 1991 წლის 18 თებერვალი.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ
მინისტრთა საბჭოს
განცხადება

როგორც ცნობილია, 1991 წლის 29 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი "გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ".

იმასთან დაკავშირებით, რომ ეს კანონი მიმართული იყო აფხაზეთის ასსრ ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით განმტკიცებული პოლიტიკური სისტემის ძირეული შეცვლისაკენ, აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობასა და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ამ კანონის მოქმედება აფხაზეთის ტერიტორიაზე არ გავრცელდებოდა.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1991 წლის 7 თებერვალს მიიღო დადგენილება იმის აუცილებლობის თაობაზე, რომ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღოს აფხაზეთის ასსრ კანონი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ.

ამის მიუხედავად, 1991 წლის 11 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა აფხაზეთის ასსრ ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 1-ლი, 66-ე და 120-ე მუხლების დარღვევით დანიშნა ამ კონსტიტუციით გაუთვალისწინებელ _ აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის პრეფექტის თანამდებობაზე ედიშერ კალისტრატეს ძე ჯანჯულია, ერთდროულად გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობიდან გაათავისუფლა რაბო ძიკის ძე შონია.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება, მიღებულია გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ კანონის დარღვევითაც, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია პრეფექტი დანიშნოს ავტონომიურ რესპუბლიკაში მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ეს საკითხი შეთანხმებული იქნება საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებთან და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით.

გალის რაიონის პრეფექტის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია ისე, რომ ამის შესახებ არაფერი არ იცოდნენ აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ.

ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება შეფასდეს როგორც პირველი ნაბიჯი გადადგმული აფხაზეთში არსებული კონსტიტუციური ხელისუფლების ლიკვიდაციისაკენ და მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, რადგანაც აფხაზეთის კონსტიტუციით გაუთვალისწინებელ თანამდებობაზე დანიშვნას ფაქტობრივად გამოყავს გალის რაიონი აფხაზეთის ასსრ ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების დაქვემდებარებიდან.

ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას მოყვება ის, რომ არარაობად იქცევა მთელი ის დიდი ნაყოფიერი მუშაობა, რაც გაწეულია ავტონომიურ რესპუბლიკაში მშვიდობიანობისა და შეთანხმებულობის მისაღწევად.

რესპუბლიკაში ვითარების დესტაბილიზაციისა და ეროვნებათშორისი კონფრონტაციის დაუშვებლობის მიზნით, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო სთხოვენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს გამოიჩინოს პოლიტიკური სიბრძნე და

გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება გალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და გალის რაიონის პრეფექტის დანიშვნის თაობაზე" (გაზ. "აფხაზეთის ხმა", 1991წ. 20 თებერვალი).

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტაციას აფხაზეთიდან და **"მრგვალი მაგიდის"** ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაციას სამწუხაროდ არ გააჩნდა არც სიბრძნე და არც წინგახედულება, რათა ასეთი ჩიხური ვითარებები აერიდებინა საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისათვის. უფრო მეტიც, იგი მოქმედებდა პარტოკრატიული "დირექტორატის" კარნახით, რომელიც, როგორც დრომ დაადასტურა, ეროვნულ-სახალხო მოძრაობის საზურგე მახვილი გამოდგა. სწორედ მათი წინგაუხედავი და ლოზუნგური, ანგარებითი და შედეგზე გაუთვლელი ძალისხმევით მოხდა, რომ პრეფექტის ინსტიტუტმა აფხაზეთის ასსრ (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) სინამდვილეში მხოლოდ გალის რაიონი მოიცვა. არადა, ოჩამჩირეში ჩვენი ერისკაცების სათანადო მუშაობის შედეგად აფსუა მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი მზად იყო ამ რაიონის პრეფექტად დანიშნულიყო **ბესარიონ წვიჟბა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საღად მოაზროვნე ახალგაზრდა, ქართულის კარგად მცოდნე და აფხაზეთის სახლიკაცურ წესრიგში გარკვეული კაცი (სხვათა შორის პრეფექტის საწინააღმდეგო აქციაში აქ ე.წ. ეროვნულმა კონგრესმაც მიიღო მონაწილეობა).

იმის გამო, რომ იგი **(ბ.წვიჟბა)** არ მოიაზრებოდა არც სეპარატისტული ეთნოკრატიის, არც პარტოკრატიული "დირექტორატის", რომლის ფაქტობრივი თავკაცი აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, წითელი გენერალი **გ.ლომინაძე** გახლდათ და არც **ნ.მგალობლიშვილის** ხელისბიჭური ხროვის კადრად, ეს კინაღამ მიღწეული საქმე ჩაიშალა. მსგავსი შესაძლებლობები იყო ტყვარჩელშიც და გუდაუთშიც, საჭირო იყო მხოლოდ უანგარობა და ჭკუაც. საერთო ჯამში აგრესიულმა სეპარატიზმმა გაიმარჯვა...

1991წ. 18 თებერვალი, იმ დროს, როდესაც თბილისში დისლოცირებული საბჭოთა არმიის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილი საწვრთნელი შეკრებიდან შინ ბრუნდებოდა, ღამის ორ საათზე მას ჩაუსაფრდა "მხედრიონი" და გაუხსნა ცეცხლი, რასაც სამხედროებმა ცეცხლითვე უპასუხეს. ამ აქციით კრემლს სურდა შეექმნა სურათი, თითქოს საქართველოში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, მძვინვარებს განუკითხაობა და უმართავმა თოფოსნებმა ცეცხლი გაუხსნეს საბჭოთა არმიას. აქედან გამომდინარე, იმპერია ცდილობდა, ეს საბაბი გამოეყენებინა საქართველოში "წესრიგის აღსადგენად". "მხედრიონის" (რომელსაც კრემლი ერთჯერადი მოხმარების საგნად იყენებდა) ამ ავანტიურას მოსკოვი არქმევდა ქართველთა შეიარაღებულ ამბოხს.

1991წ. 19 თებერვალს _ ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი აულაგმაობისთვის, რომელიც უკიდურესად სახიფათო შედეგებში შეიძლებოდა გადაზრდილიყო (ეს ასეც მოხდა), დააპატიმრეს **ჯაბა იოსელიანი** _ მხედრიონის "თავკაცი".

იმავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაავრცელა განცხადება:

"სსრკ პრეზიდენტს მ.ს.გორბაჩოვს, სსრკ თავდაცვის მინისტრს დ.ტ.იაზოვს _ 1991 წლის 18 თებერვალს გამთენიისას, ქ.თბილისის გარეუბან შავნაბადაში მოხდა შეტაკება არაოფიციალურ გასამხედროებულ ფორმირება "მხედრიონის" წევრებსა და საბჭოთა არმიის ქვეგანყოფილებას შორის, რის შემდეგაც სამხედროებმა დაბა შავნაბადის მიდამო დაიკავეს. ორივე მხრიდან არიან დაჭრილები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს პროტესტს საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფის მოქმედებასთან დაკავშირებით, რითაც შეილახა

სუვერენული რესპუბლიკის უფლება” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 20 თებერვალი, 1991წ).

1991წ. 20 თებერვალს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ეთნოკრატიულ-სეპარატისტული პრეზიდიუმი შეხვდა აფხაზეთის რაიონების ხელისუფლებასა და “მშრომელთა და საზოგადოებრიობის” “საჩინო” პირებს. მათ შორის წინა დღეებში “სახალხო მიტინგებზე” და თავყრილობებზე არჩეულ წარმომადგენლებს, რომელთაც დაგმეს პრეფექტურის ინსტიტუტი. სამწუხაროდ მათ რიგებში აღმოჩნდა გალის რაიონის “ქართული” პარტოკრატია, რომელიც დაირაზმა გალის ე.წ. რაისაბჭოს აღმასკომის გარშემო. სინამდვილეში პრეფექტურის ინსტიტუტთან ბრძოლა იყო ნიღაბი, კრემლის მითითებით აფხაზეცურ-სეპარატისტული მოძრაობა ემზადებოდა ფართომასშტაბიანი წინააღმდეგობისა და რევანშისათვის **1990 წლის 28 ოქტომბერს** მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული ეროვნულ-სახალხო ძალების წინააღმდეგ.

1991წ. 22 თებერვალს დაგეგმილი იყო ქ.მოსკოვში ოსი გენერლის **კიმ მაკედონის ძე ცაგოლოვის** დეზინფორმაციულ-დივერსიული პრესკონფერენცია, რომელზეც მოახრეხეს შეღწევა ცხინვალის მიმდებარე სოფლებიდან ლტოლვილმა ქართველებმა.მათ სადეზინფორმაციოდ მომზადებულ პრესკონფერენციაზე შესძლეს სიმართლის წარმოჩენა ცხინვალის შესახებ.

იმავე დღეებში საქართველოში მცხოვრებმა ოსი ეროვნების მოქალაქეებმა (607 ხელმოწერა) წერილი გაუგზავნეს რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **ბ.ელცინს** და მოსთხოვეს შეწყვეტილიყო რსფსრ ტერიტორიიდან ორგანიზებული პროვოკაციები საქართველოს წინააღმდეგ.

1991წ. 23 თებერვალს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა ცნობა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ.

1991წ. 22-23 თებერვალს აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რნ-ში მდებარე სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმში სარემონტო სამუშაოთა ჩატარების საბაბით შემოყვანილი იქნა 250 ჯარისკაცი, რომელთაც სამშენებლო ხელსაწყოების ნაცვლად სრული საბრძოლო ეკიპირება ჩამოიტანეს.

სინამდვილეში მათ დაევალათ უზრუნველყოთ სსრკ-ის მხარდამჭერი **17 მარტის** ე.წ. რეფერენდუმის მაღალ დონეზე ჩატარება.

1991წ. 24 თებერვალს ცხინვალის მიმდებარე მხარეში საბჭოთა არმიისა და ოსი აგრესორების მიერ მხეცურად დაიხოცა 7 ქართველი მშვიდობიანი მოქალაქე.

1991წ. 25 თებერვალს _ სსრკ პრეზიდენტი **მ.გორბაჩოვი** სატელეფონო საუბრის დროს დაემუქრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **ზ.გამსახურდიას** იმის შესახებ, რომ თუ იგი ხელს არ მოაწერდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მას წინ კიდევ მრავალი უსიამოვნება ელოდა (იმის მსგავსი, რაც წინა დღეს ცხინვალში მოხდა, უფრო მეტიც, საქართველო დარჩებოდა ე.წ. “სამხრეთ ოსეთისა” და აფხაზეთის გარეშე, იმის გათვალისწინებით, რომ ეს თითისქნევა 25 თებერვალს შედგა, იგი დაუფარავად გულისხმობდა საქართველოს სამარადჟამო ოკუპაციას).

1991წ. 26 თებერვალს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთში “Абхазия” (რომელიც რატომღაც აფხაზეთის ასსრ ფარგლებს გარეთ, რსფსრ-ში (ქ.სოჭში) გამოიცემოდა) “საქართველოს კპ აფხაზეთის რესკომი” განგაშს სტეხდა და ბრალს სდებდა საქართველოს კპ ცკ-ს “საქართველოში საბჭოთა სტრუქტურების ლიკვიდაციის პროცესის გამო”.

1991წ. 27 თებერვალი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება **“აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ”.**

1991წ. 27 თებერვალი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **ზ.გამსახურდიამ** მიმართა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს წევრებს **17 მარტის** ე.წ. რეფერენდუმთან დაკავშირებით, რომელშიც ამხილა კრემლის საოკუპაციო პოლიტიკა.

1991წ. 27 თებერვალს ე.წ. სამხრეთ ოსეთის კომუნისტებმა, წინააღმდეგ საქართველოს კპ ცკ-ს **დეკემბრის (1990წ.)** პლენუმის გადაწყვეტილებისა, მოიწვიეს "რესპუბლიკური" ორგანიზაციის პლენუმი და თავიანთ თავკაცად (პირველ მდივნად) აირჩიეს **ზ.გასაევი.**

ამ დროისათვის რუსიზმმა აფხაზეთის ასსრ-ში ერთ ინტერფრონტულ (ოქტომბრისენოვან) ორგანიზაციად გააერთიანა სეპარატისტულ-ეთნოკრატიული ძალები, არმენული ლობი, რუსული კოლონისტური წრეები, კაზაკური სათვისტომოები და ა.შ ("აიდგილარა", "კრუნკი", "ინტერნაციონალისტების" სოხუმის საზოგადოება", "სახალხო" კავშირი "აბხაზია", "აფხაზეთის დემოკრატიული პარტია", "მშრომელთა სოციალური უფლებების დაცვის ორგანიზაცია", "ახალგაზრდული ორგანიზაცია "ნართა", "სლავიანსკი დომ"-ი და სხვა) _ მათ დაირქვეს პოლიტიკური ბლოკი "სოიუზი" და დაიწყეს შტურმი სსრკ ურღვევობისთვის" მხარდამჭერი რეფერენდუმის ჩასატარებლად. იმავე დღეებში აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის პრესცენტრმა გაავრცელა სსრკ ერთიანობის მხარდასაჭერი მოწოდებები _ **"Если вы желайте мира и благополучия".**

1991წ. 27 თებერვალს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთმა ნაწილმა წერილით მიმართა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ვ.ვ.არძინბას**

მიმართვა

უკანასკნელი ნახევარი წლის მოვლენები მოწმობენ, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება აფხაზეთში დრამატულ ხასიათს ღებულობს. სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა განახორციელეს არა ერთი და ორი აქცია, რომელსაც აფეთქებასაშიშ კონფრონტაციამდე მიჰყავს მოძმე ხალხები. არ ცხრება ვნებათაღელვა ე.წ. სტატუსის შესახებ, რომელსაც ეწირება არა მარტო მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებით განმტკიცებული ჯანსაღი ურთიერთობა, არამედ, შესაძლოა, ჩვენი საერთო მომავალი.

ასეთ სიტუაციაში გაკვირვებას იწვევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვ.ვ.არძინბას პოზიცია, რომელიც მიუღებელია მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის და ფაქტობრივად ხელს უწყობს ერთაშორის ურთიერთობათა დაძაბვას.

უხეშად ირღვევა უზენაესი საბჭოს სესიების მოწვევის პროცესუალური ნორმები, რის შედეგადაც არამცთუ მოსახლეობა, არამედ მისი წევრებიც მოკლებულნი ვართ ინფორმაციას იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გამოიტანება განსახილველად. უკეთეს შემთხვევაში სესიის მოწვევამდე ერთი-ორი დღით ადრე ვგებულობთ, და მასაც არაოფიციალურად, დღის წესრიგის მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც ტრადიციულად განიხილებოდა და უზენაესი საბჭოს მუშაობის რეგლამენტში "მუდმივი ადგილი" უჭირავს. ისეთი საკითხები კი, რომლებსაც აფხაზეთის მომავლისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, გამოკვეთილი არ არის და დღის წესრიგში ფიგურირებს, როგორც "სხვადასხვა", ხოლო თუ რას ნიშნავს ეს სხვადასხვა ჩვენ არაერთგზის დავინახეთ. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც 1990 წ. 25 აგვისტოს მოწვეულ იქნა უზენაესი საბჭოს არაკანონიერი მე-10 სესია.

დიდ უკმაყოფილებას გამოვთქვამთ უზენაესი საბჭოს იმ სესიის მუშაობის გამო, რომელმაც "მიიღო" კანონი "აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ". აქაც უხეშად იქნა დარღვეული საჯაროობისა და დემოკრატიულობის პრინციპები _ აღნიშნულ ცვლილებათა და დამატებათა პროექტი პრესაში წინასწარ არ გამოქვეყნებულა, და რაც მთავარია, სესიაზე არ გამართულა მსჯელობა-განხილვა მისი მიღების წინ. ის ფაქტიურად მიღებული იქნა, როგორც იტყვიან, არა პირველი წაკითხვით, არამედ საერთოდ წაკითხვის გარეშე.

როგორც ცნობილი გახდა, უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებში ამჟამად მუშავდება ზოგიერთი ისეთი კანონპროექტი, რომლის საფუძვლები ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და თავისი არსით სეპარატისტულია. ჩვენ ასეთ მოვლენებს ვერ შევურიგდებით და არც გვსურს ბრმა იარაღად ვიქცეთ ერთაშორის ურთიერთობაში.

სამწუხაროდ, აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ, იმყოფება რა კონსერვატიული ძალების გავლენის ქვეშ, ერთობ საეჭვოა, რაიმე კონსტრუქციული ნაბიჯი გადადგას მდგომარეობის ნორმალიზაციის მიმართულებით. მიგვაჩნია, რომ გამონაკლისი უზენაესი საბჭოს არც მორიგი სესია იქნება, რომელიც დანიშნულია ა.წ. 28 თებერვალს.

უზენაესი საბჭოს მორიგი სესიის წარმატებით მუშაობისათვის აუცილებლად მიგვაჩნია 10-15 დღით გადაწეული იქნას მისი მოწვევის თარიღი და ამ პერიოდში მოეწყოს დეპუტატთა ჯგუფისა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების შეხვედრა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებთან სესიის დღის წესრიგისა და დადგენილებების პროექტების გაცნობის, საბოლოო ჯამში კი _ წინასწარი კონსენსუსის მიღწევის მიზნით.

წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვალდებულად ვთვლით, თქვენს წინაშე დავსვათ საკითხი უზენაესი საბჭოს მორიგი სესიის მოწვევის მიზანშეუწონლობის შესახებ.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ერთაშორის ურთიერთობათა შესაძლო გამწვავებისათვის მთელი პასუხისმგებლობა თქვენ დაგეკისრებათ.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სახელით:
კ.სიჭინავა, გ.ნაჭყებია, შ.შარტავა, რ.კუხალაშვილი, მ.ნოდია,
ნ.ქარქაშაძე, ო.ზუხბაია, ლ.აბაშიძე, ნ.კონჯარია,
ნ.ხარაიშვილი.

(გაზ. "აფხაზეთის ხმა", 28 თებერვალი, 1991წ.)

1991წ. 27 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ პროტესტი გამოთქვა გულრიფშის რაიონში საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების გვერდის ავლით საბჭოთა ჯარისკაცების შემოყვანასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს იყო იმპერიის თადარიგი **17 მარტის** წინადღეებში და საერთოდ წინგამხედაობა სამომავლო დივერსიებისა და აშკარა სამხედრო ინტერვენციის წინ. სულ მალე ჯარისკაცთა ამ ნაწილს, რომლებიც მიზნობრივად განალაგეს ქართულ დასახლებებში, დაემატება **1991 წლის იანვარს** ბალტიისპირეთში რუსეთის ინტერვენციის დროს თავგამოჩენილი სპეცდანიშნულების რაზმები, რომლებიც განლაგდნენ მდინარე გუმისთის მარცხენა ნაპირზე ზღვისპირთან, სოხუმის გარეუბან "შუქურას" რაიონში, გუმისთვის მარჯვნივ კი ეშერის ცნობილი სამხედრო "ლაბორატორიაა", რომლის მიწისქვეშა ზეგასაიდუმლოებულ 12 სართულში, როგორც საქმეში ჩახედულნი ამბობენ, მზადდება სხვადასხვა სტიქიური უბედურებები (ამ ე.წ. ლაბორატორიის ასეთი სახით არსებობის შესახებ საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვასილ კადინეცმაც** კი, როგორც თვითონ ირწმუნება (და მე ამ შემთხვევაში მჯერა), გაიგო მხოლოდ **1991 წელს**).

1991წ. 28 თებერვალს გაიმართა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესია, რომელზეც, მართალია, გაზეთი "აფხაზეთის ხმა" **(1-2 მარტი)** კონსესუსს მიღწეულად თვლიდა, მაგრამ იგი არ იყო მყარი და საიმედო:

"ბუშინ საბჭოების სახლში გაიმართა აფხაზეთის ასსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეათე სესიის მორიგი სხდომა. შესავალი სიტყვით სესია გახსნა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ.არძინბამ, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ სესიის წინადღით ორჯერ შეიკრიბა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა და კორექტირება გაუკეთა შექმნილი სიტუაციის შესაბამისად სესიის დღის წესრიგს. დღის წესრიგის შემოთავაზებული ვარიანტი მოწონებულია და ერთხმად დამტკიცებულია პრეზიდიუმის მიერ.

დეპუტატებმა და მოწვეულმა სტუმრებმა ფეხზე ადგომით, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის ბ.ვ.ადლეიბას ხსოვნას.

მტკიცდება სესიის დღის წესრიგი. მასში შეტანილია შემდეგი საკითხები: აფხაზეთის ასსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ; აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ; აფხაზეთის ასსრ 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ; აფხაზეთის ასსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ; საყოველთაო სახალხო კენჭისყრის (რეფერენდუმის) შესახებ; საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ; ცენტრალური ბანკისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საბანკო საქმიანობის შესახებ; ნორმატიული აქტების დამტკიცებისა და გამოქვეყნების შესახებ; აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს კომისიათა თავმჯდომარეების არჩევის შესახებ; აფხაზეთის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გარდაქმნის შესახებ აფხაზეთის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროდ; სახალხო მოსამართლეთა არჩევის ვადების შესახებ; სოფელ ბზიფის და ბზიფის სასოფლო საბჭოს ქალაქის ტიპის დაბად და სადაბო საბჭოდ გარდაქმნის შესახებ.

პირველ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ.არძინბა. ერთხმად მიიღეს _ გაგრძელდეს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს უფლებამოსილება 1991 წლის 1-ელ ოქტომბრამდე.

მოხსენებით აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1991 წლის პროგნოზის შესახებ გამოვიდა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ვ.ა.აშხაწავა.

აფხაზეთის ასსრ 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და აფხაზეთის ასსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ დეპუტატებს მოახსენა აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ა.ვ.ჯიკირბამ.

მოსმენილი მოხსენებების გამო სესიაზე გაიმართა კამათი. მოსმენილ იქნა ინფორმაციები დანარჩენ საკითხებზეც, რომლებიც დღის წესრიგშია შეტანილი. მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

მოხსენებები, სესიის მიერ მიღებული დადგენილებანი გამოქვეყნდება "აფხაზეთის ხმის" მომდევნო ნომრებში (გაზ. "აფხაზეთის ხმა", 1 მარტი, 1991წ.).

1991წ. 28 თებერვალი: აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს
დადგენილება
აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სრულიად საკავშირო რეფერენდუმის
ჩატარების შესახებ

აფხაზეთი მრავალეროვნული რესპუბლიკაა. მასში მშვიდობა და შეთანხმებულობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხების აზრის გათვალისწინებისა და ერთობლივი ძალისხმევის გზით.

"ადამიანის უფლებათა დეკლარაციის" შესაბამისად ყოველ მოქალაქეს მინიჭებული უნდა ჰქონდეს უფლება იმისა, რომ გამოთქვას თავისი აზრი ნებისმიერ საარსებოდ მნიშვნელოვან საკითხზე.

ამიტომ მოქალაქეთა მონაწილეობა საბჭოთა კავშირის სრულიად საკავშირო რეფერენდუმში მათი განუყოფელი უფლებაა.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ადგენს:

1991 წლის 17 მარტს მივიღოთ მონაწილეობა სრულიად საკავშირო რეფერენდუმში სსრ კავშირის შენარჩუნების აუცილებლობის საკითხზე. დაეკისროს სსრ სახალხო დეპუტატის არჩევნების №669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიას რეფერენდუმის ჩატარება სსრ კავშირის შენარჩუნების აუცილებლობის საკითხზე.

დაეკისროთ ქალაქების სოხუმის, გაგრის, ტყვარჩელის, ასევე გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის რაიონების საუბნო საარჩევნო კომისიებს სრულიად საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების საუბნო საარჩევნო კომისიების მოვალეობა.

რესპუბლიკურმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შექმნას კომისიები სრულიად საკავშირო რეფერენდუმის ჩასატარებლად ოჩამჩირისა და გალის რაიონებში.

ეს დადგენილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების მომენტიდან.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ.არძინბა.

ქ.სოხუმი. 1991 წლის 28 თებერვალი (იქვე)

* * *

"აფხაზეთის ხმამ" პირველი და ორი მარტის ნომრებში უკვე გამოაქვეყნა ინფორმაციები აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მეათე სესიის მორიგი სხდომის შესახებ, რომლებშიც არაფერი თქმულა იმის შესახებ, რომ სესიამ მიიღო ზემოთმოყვანილი დადგენილება აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე საკავშირო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. უნდა ვთქვათ: ამ სესიის დღის წესრიგის განხილვისას, არც მითუმეტეს დღის წესრიგის დამტკიცებისას რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე საკითხი შეთავაზებული არ ყოფილა.

როგორც გამოირკვა, სესიის დამთავრების შემდეგ, დღის წესრიგის დამატებით დაისვა ეს საკითხი. გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისი. მთელმა რიგმა დეპუტატებმა დარბაზი დატოვეს, მეორე ჯგუფმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო, მაგრამ... როგორც ვხედავთ, დადგენილება მიღებული იქნა.

(გაზ. "გალი", 7 მარტი, 1991წ.).

როგორც ხედავთ, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მოქმედება ამჯერადაც პირუმტკიცე და ვერაგული გამოდგა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სესიის წინადღეებში, როგორც უკვე მოგახსენეთ ზემოთ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ წერილობით გააფრთხილა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თავი შეეკავებინა პოლიტიკური დემარშებისგან:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

მიმართვა

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი

როგორც შევიტყვეთ, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აპირებს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიის განსახილველად შეიტანოს კანონპროექტები, რომლებიც უხეშად ხელყოფენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს,

ტერიტორიულ მთლიანობას და კონსტიტუციის უზენაესობას, უგულებელყოფენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას. ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის კონსტიტუციას, რომელიც აღიარებს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკას საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში (83-ე მუხლი) და მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკის იურისდიქციას უქვემდებარებს მოკავშირე რესპუბლიკის უზენაეს იურისდიქციას.

დიდი ხნის მანძილზე აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოში ბატონობს დისპროპორცია ქართველი და აფხაზი მოსახლეობის წარმომადგენლობაში, რის გამოც პარლამენტში ვერ აისახება ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ჭეშმარიტი ნება. ეს შესაძლებლობას აძლევს დეპუტატთა ჯგუფს კანონებისა და დადგენილებების მისაღებად გამოიყენოს მექანიკური უმრავლესობა, ამასთან უგულებელყოს ნება ქართველი მოსახლეობისა, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს.

ამას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ კვორუმის უზრუნველყოფის ძალისმიერი, არადემოკრატიული მეთოდებით მიღებულ იქნა ე.წ. დეკლარაცია აფხაზეთის სუვერენიტეტის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ სესიაზე გასატან საკითხებს კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვთ და შეიძლება მიღებულ იქნენ მხოლოდ ხმათა ორი მესამედის კვალიფიცირებული უმრავლესობით. ისევე, როგორც ყველა შესწორება, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გარანტირებულ იქნეს ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის კანონიერი უფლებები.

მეორე მხრივ, კვალიფიციური უმრავლესობით მიღებულ ამა თუ იმ აქტს, რომელიც სცილდება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს კომპეტენციის ფარგლებს და ახდენს საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებული კომპეტენციის უზურპირებას, არ შეიძლება ჰქონდეს იურიდიული ძალა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა (72-ე, 79-ე, 82-ე, 104-ე, მუხ.) და თვით აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (66-ე, 98-ე მუხ.) თანახმად.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და მთელი საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხის კენჭისყრის მექანიზმის გამოყენებით, პოლიტიკური და სოციალური რეალიების გაუთვალისწინებლად გადაწყვეტის ნებისმიერმა ცდამ შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფული დესტაბილიზაცია, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ არაკანონიერი აქციის ინიციატორებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი იმედოვნებს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და აფხაზეთის ასსრ თავის ღირსეულ ადგილს იპოვის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში ყველა იმ გარანტიით, რომელიც არსებობს სამართლებრივ სახელმწიფოში.

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი
(გაზ. "აფხაზეთის ხმა", 1 მარტი 1991წ.).

1991წ. 4 მარტს[35] აფხაზეთის ეთნოკრატიულმა ხელისუფლებამ ლენინური ეროვნული პოლიტიკისადმი სოლიდარობის ნიშნით ჩაატარა აფხაზეთის ასსრ

[35] როგორც უტყუარი საბუთებით დასტურდება, 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება სულაც არ დამყარებულა სახალხო მხარდაჭერის საფუძველზე, პირიქით, აფხაზეთის მოსახლეობა, მათ შორის აფსუა ხალხიც, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა საოკუპაციო ძალებს არა მარტო 1921 წლის 4 მარტის წინარე და შემდგომ დღეებში, არამედ 1924 წლის აჯანყების დროსაც.

გასაბჭოების 70 წლისთავი ქ.სოხუმში. იგი ჩატარდა ასევე ტყვარჩელში, ოჩამჩირესა და გუდაუთაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გუდაუთის რაიონის საზეიმო სხდომაზე ამ ღონისძიებამ მიიღო "ქართული დიდმპყრობლობის მხილების" ხასიათი (ვითომცდა **1918 წელს** ქართველი "აგრესორები" ე.წ. აფხაზეცურმა რაზმმა **"კიარაზმა"** გაანადგურა. ამისი მსგავსი საინფორმაციო-პროპაგანდისტული" დივერსიების გასაჯარისება იმ დღეების თანმდევი გახდა).

რაც შეეხება აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ **ვლადიმერ ტაჩის ძე მიქანბას** მოხსენებას, რომელიც **4 მარტს** გაზეთ "Советская Абхазия"-ში დაიბეჭდა, მან ამჯერადაც სსრკ ხალხთა ერთობის ლენინური პრინციპები იქადაგა:

"25 февраля красное знамя взвилось над Тбилиси, а 4 марта _ и над Сухуми. 31 марта 1921г. Ревком Абхазии принял Декларацию об образовании ССР Абхазии и радиограммой В.И.Ленину и другим советским республикам сообщил: «Волею трудящихся родилась новая социалистическая Советская республика _ Абхазия...». Руководствуясь принципами ленинской декларации прав народов России, провозглашенной Октябрьской революцией, Ревком Грузии провосгласил Декларацию «О независимости Социалистической Советской Республики Абхазии»

1991წ. 11 მარტს შედგა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის რესპუბლიკური ორგანიზაციის პლენუმი, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: სკკპ ცკ-ის **1991 წლის იანვრის** პლენუმის შედეგები და საქართველოს კპ აფხაზეთის რესკომის ამოცანები. 2. საქართველოს კპ აფხაზეთის რესპუბლიკური ორგანიზაციისათვის სახელის დარქმევის შესახებ და სხვა (პლენუმმა დაამტკიცა გასული წლის **5 დეკემბერს** თავის ბიუროზე მიღებული გადაწყვეტილება (საოლქო კომიტეტის რესპუბლიკურ კომიტეტად გარდაქმნა). ამავე დროს აღნიშნული პლენუმის მთავარი საზრუნავი გახდა **17 მარტისათვის** სსრკ ერთიანობის რეფერენდუმის მაღალ დონეზე ჩატარება და თავის მხრივ გააკრიტიკა საქართველოს კპ ამ მხრივ გამოჩენილი "გაუგებარი" პოზიციის გამო.

"Комунисты автономной республики стоят перед решением чрезвычайно сложных проблем. реализацию которых связывают с ответом на кардинальный вопрос: «С кем и по какому пути пойдет Компартия Грузии?» _ отмечалось в докладе. Важность этого выбора определяется тем, что большинство членов Абхазской республиканской партийной организации не мыслят себя вне КПСС. Поэтому возможный выход Компартии Грузии из ее состава может вызвать, с одной стороны раскол нашей парторганизации, а с другой _ массовой выход из партии наиболее сознательной ее части _ ветеранов, рабочих и крестьян. однако смена руководства ЦК КП Грузии, а также высказанное на январском (1991г.) Пленуме ЦК КПСС мнение, что она продолжает поддерживать связи с КППС, опираясь на двадцать второй параграф Устава партии. вызывают определенные надежды на то, что здоровые силы республиканской партийной организации сумеют найти верные пути выхода из сегодняшней ситуации".

(გაზ. "Сов. Абхазия", 14 მარტი, 1991წ.).

საინტერესოა, რომ ამ პლენუმზე სკკპ რიგები დატოვა და პარტიის მანდატი პლენუმის პრეზიდიუმს ჩააბარა საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომის პირველმა მდივანმა **კ.სალიამ** (აფსუამ). მან თავისი ნაბიჯი იმით დაასაბუთა, რომ ამ მანდატმა მას გული გაუხლიჩა, იგი მისგან მოითხოვს წავიდეს აფხაზეთის მოსახლეობის სახალხო მიზნების წინააღმდეგ და ა.შ. უფრო ადრე, იანვარში სკკპ რიგები დაახლოებით ასეთივე მიზეზით დასტოვა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილმა (1974-78წ.წ.) პირველმა მდივანმა **ვ.ხინთბამ.**

1991წ. 12 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ზ.გამსახურდიას** მიმართვა აფხაზი (აფსუა) ხალხისადმი, რომელშიც მან მოძმე ხალხს ძუძუმტეობითი სახლიკაცობისკენ მოუწოდა.

იმავე წლის **14 მარტს** ამ მიმართვას გამოეხმაურა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ვ.არძინბა,** რომელიც ამჯერადაც "ხავერდოვანი" ორპირობით ღაღადებდა.

1991წ. 17 მარტის წინადღეებში სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე კრემლის წაქეზებით თავი მოიყარეს აფხაზეთში აგრესიულ-სეპარატისტულმა, რუსისტულმა, ველიკოდერჟავულმა და ა.შ. ძალებმა ე.წ. პოლიტიკურ ბლოკ **"სოიუზის"** მეთაურობით და გამართეს ანტიქართული მიტინგი.

იგი მიჰყავდა არმენულ-შავრაზმული ორგანიზაციის თავმჯდომარეს **ა.ტოპოლიანს**. აქ ვრცელი საჟღარუნო სიტყვა წარმოსთქვა **მ.შანიბოვმა.** ამ შეთქმულებაში მონაწილეობდა ჩრდილო კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქში მოსახლე ოსების, ასევე სსრკ-ის სხვადასხვა რეგიონიდან არმენული სათვისტომოების პროკომუნისტური წარმომადგენლობები. მათ მიიღეს მოწოდებები 17 მარტს მხარი დაეჭირათ სსრკ ერთიანობისთვის, ასევე, გაახმოვანეს მზაობა, _ არ დაეშვათ რეფერენდუმი 1991 წლის 31 მარტს, არ დაეჭირათ მხარი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

1991წ. 17 მარტს აფხაზეთის კომუნისტებმა, ცრუეროვნულმა მოძრაობებმა, რომლებიც პოლიტიკურ ბლოკ "სოიუზში" წინასწარ თადარიგიანად და მიზნობრივად გაერთიანდნენ, ჩამოაყალიბეს რა ძლიერი ინტერფრონტული მოძრაობა, ფალსიფიცირებისა და პროვოკაციების პირობებში ნაწილობრივ შეძლეს **17 მარტს** შეექმნათ აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში სსრკ მხარდამჭერი რეფერენდუმის ჩატარების ფაბრიკაციული ხედი, რაშიც მათ ხელს უწყობდა დებულება რეფერენდუმის ჩატარების წესის შესახებ. ამ საძალადო დებულებიდან გამომდინარე აფხაზეთის რაიონებში და სოფლებში რსფსრ კრასნოდარის მხარიდან ჩამოჰყავდათ რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეები (ძირითადად არმენი ეროვნების), რომლებიც აფხაზეთის დასასვენებელ სახლებსა და ტურბაზებში მყოფ რუს და არმენ "დამსვენებლებთან" ერთად ხმას აძლევდნენ სსრკ ერთიანობას.

გალის რაიონის ამომრჩევლები სარეფერენდუმო კომისიამ არ შეიტანა აფხაზეთის ასსრ ამომრჩეველთა საერთო სიაში, რითაც ხელოვნურად შექმნა სსრკ მხარდასაჭერ რეფერენდუმში ამომრჩეველთა შედარებით უკეთესი პროცენტული მაჩვენებელი.

ამავე დროს ვერაგულად მოიქცა აფხაზეთის არმენული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი და მათთან ერთად კრასნოდარის მხარის არმენი მოსახლეობა, რომლებიც საგანგებო ავტობუსებით ჩამოჰყავდათ. ისინი **17 მარტს** გაგრაში, გუდაუთასა და სოხუმის რ-ნის გუმისთის სასოფლო საბჭოში ხმას აძლევდნენ სსრკ ურღვევობას.

მიუხედავად იმისა, რომ **ნ.პატულიდი** და ზოგიერთი სხვა ბერძენი პარტოკრატი ბლოკ "სოიუზის" წევრები გახდნენ, ბერძენი მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა **17 მარტის** რეფერენდუმს.

სამწუხაროა, რომ ქართული მოსახლეობის მცირე, მაგრამ რაღაც ნაწილმა ხმა მისცა სსრკ ერთობის რეფერენდუმს. **19 მარტს** გაზეთმა **"Советская Абхазия"**-მ გამოაქვეყნდა ზოგიერთი მათგანის "არგუმენტები", ვინმე **რეხვიაშვილი** და **მეტრეველი** ირწმუნებოდნენ, რომ ისინი იმიტომ უჭერენ სსრკ ერთობას მხარს, რადგან სურთ აფხაზეთში ისევე იყოს გამოყრილი სურსათ-სანოვაგე, როგორც ეს არის სოჭში (წლების მანძილზე სოჭის მომარაგება განსაკუთრებულ კონტროლზე იყო აყვანილი. სსრკ ხელისუფლება სოჭის მიზნობრივი გამაძღრებით ახარბებდა მეზობელ რაიონებს

საქართველოს რესპუბლიკიდან, ამ შემთხვევაში აფხაზეთის ასსრ გაგრის, გუდაუთის და ა.შ. რაიონებს. კონტრასტის ეფექტის საშუალებით უქმნიდა ილუზიას, რომ თუ რუსეთის იმპერიაში დარჩებოდი, მდიდრად ყოფნა გარანტირებული გქონდა. ეს იყო მომხმარებლურ ფსიქოლოგიაზე გათვლილი აფხაზეთის მოსახლეობის სულიერი გენოციდის მეთოდი. სინამდვილეში ამ დროს ცენტრალური რუსეთის თითქმის მთელი მოსახლეობა ბოგანოდ ცხოვრობდა).

1991წ. 17 მარტის რეფერენდუმის ბოიკოტისათვის შესაფერისად მომზადებული არ აღმოჩნდა გალის რ-ნი. **11 თებერვალს** აქ პრეფექტის ინსტიტუტის შემოღებამ პარტოკრატიის ის ნაწილი, რომელიც არსებული ოფიციოზისგან განაწყენებული იყო, მიაკედლა პრეფექტის მომხრეებს. ორხელისუფლებიანობაში ეთნოკრატიის წყალობით აღმოჩენილმა ძველმა ბიუროკრატიამ კი ხან აშკარად, ხან კიდევ შენიღბული მხარდაჭერა აფხაზეთის ასსრ კოლაბორაციონისტულ ოფიციოზს გამოუცხადა.

ამ კინკლავში გალელებს თავს მოიხვიეს პარტნომენკლატურული ურთიერთობის რკვევა. ასე მაგალითად, **17 მარტის** რეფერენდუმის წინა დღეებში გალის რ-ნში დაიწყო დაპირისპირება რაიონული გაზეთის გამო, იგი **16 მარტიდან** გალის რ-ნის პრეფექტურის ორგანო გახდა (გაზეთს დაერქვა "სათანჯო"). **18 მარტს** გალის რაიონის პრეფექტურისა და რაიაღმასკომის წარმომადგენელმა საქმე ხელჩართულობამდე მიიყვანეს. აქვე უნდა შეგახსენოთ ისიც, რომ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიერ პრეფექტურის ინსტიტუტის შემოღებით, გალის რაიონში აფხაზეთის ასსრ ეთნოკრატიული და პარტოკრატიული ნომენკლატურები ერთ კოალიციად გაერთიანდნენ და შეეწინააღმდეგნენ ამ გადაწყვეტილებას. შედეგად გალში არ გაუქმებულა რაიონული საბჭო და მისი აღმასკომი, იგი არ შეელია ნომენკლატურულ პრივილეგიებს და ამით, მას სურდა ეს თუ არა სურდა (ალბათ სურდა), იგი აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობის მოკავშირე გახდა. უფრო მეტიც, რიგმა წრეებმა (მათ შორის პარტოკრატიული "დირექტორატის" ნაწილმა) მხარი დაუჭირეს პრეფექტურის წინააღმდეგ გაჩაღებულ რუსისტულ კამპანიას.

1991წ. 17 მარტს რეფერენდუმში ორგანიზებული ფალსიფიკაციები გასცილდა კანონის უხეში დარღვევის შინაარსს და მან მიიღო სრულიად საქართველოს (ცხუმ-აფხაზეთის) წინააღმდეგ "სამართლებრივი" აგრესიის ხასიათი, აქედან გამომდინარე შედეგებით, რაზეც საქართველოს პროკურატურამ ჩაატარა გამოძიება, რომლის დროსაც გამოყენებული აშკარა სიყალბისა და ფაბრიკაციული ხერხების დიდმპყრობლური მიზნებით ამოქმედების გამო პასუხისგებაში მიეცა აფხაზეთის ასსრ ცენტრალური საარჩვენო და სარეფერენდუმო კომისიის თავმჯდომარე **ე.კაპბა** (იგი დაიცვა სსრკ პროკურატურამ და საბჭოთა ხელისუფლებამ).

1991წ. 17 მარტს გუდაუთის რ-ნის სეპარატისტი ექსტრემისტები და მათი ბოევიკები რაიონში ქართველი მოსახლეობის დატერორების მიზნით ათარეშდნენ, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ სსრკ ერთობის რეფერენდუმში. ისინი თავს დაესხნენ ქართველთა ოჯახებს. დარბევებმა განსაკუთრებით სახიფათო ხასიათი მიიღო სოფელ აბგარხუქში (იხ. ორი ინფორმაცია ამის შესახებ):

Что произошло

в Абгархуке

В сложной и противоречивой общественно-политической обстановке, имеющей место в автономной республике, появился новый очаг напряженности. Более семидесяти грузин покинули село Абгархук Гудаутского района и трубуют предоставления им статуса беженцев.

В помещении железнодорожного пансионата в Агудзере, где разместились женщины и дети, с ними встречались руководящие партийные, советские работники, сотрудники

правоохранительных органов, представители грузинского национально-освободительного движения. Народного Форума Абхазии «Аидгылара». До поздней ночи шли переговоры представителей грузинской и абхазской общин села. На этом этапе переговоров достичь взаимноприемлемого соглашения не удалось. Поиски путей к согласию продолжаются. Подготовлен текст Обращения покинувших село жителей.

_ Что же произошло в Абгархуке? _ с этим вопросом наш кореспондент обратился к прокурору Абхазской АССР А.Квициния.

На днях ко мне в служебный кабинет зашли двое молодых людей грузинской национальности _ жители села Абгархук. Как рассказали они, вскоре после окончания всесоюзного референдума к ним подошли лица абхазской национальности из числа жителей села Абгархук и спросили, почему они не приняли участие в референдуме? На этой почве возникла ссора и затем драка. На лице одного из пришедших были явно видны следы побоев. следует обратить внимание, что обратившиеся в прокуратуру республики граждане не хотели придавать своей жалобе официального характера, но убедительно просили поговорить с теми, кто так поступает, чтобы подобное впредь не происходило.

Позднее поступило сообщение из Министерства внутренних дел Абхазии о том, что туда прибыли представители актива села как грузинской, так и абхазской национальности. Мне довелось участвовать в состоявшемся разговоре, который носил, в принципе, доброжелательный характер. Стороны были полны стремления избавиться от сушествующих у них противоречений, искать конструктивные пути к согласию и взаимопониманию. Люди говорили, что они испокоп веку живут вместе и никогда ничего подобного не проиисходило. «Ничего страшного не случилось, _ сказал на этой встрече отец одного из потерпевших, _ мы сами все урегулируем».

Представители абхазской стороны давали гарантии прокурору и министру, что ничего подобного впредь произойти не может, что все станет на свои места. Они же предложили собрать сельский сход и обсудить назревшие проблемы.

Тем не менее около трех десятков представителей семей грузинской национальности, среди которых есть женщины и дети, обеспокоенные за свою безопасность, покинули село.

После посещения Прокуратуры потерпевшими мною было отдано указание опросить их детально и в случае установления криминала решить вопрос возбуждения уголовного дела. Была прведена судебно-медицинская экспертиза. Для расследования данного инцидента создана следственная группа, которая начала работу. Виновные в случившемся должны понести наказание по закону”.

(გაზ. “Советская Абхазия”, 20 მარტი, 1991წ.).

ახლო წარსულის მატიანე: _ უბედურების ნიშანი იყო

აფხაზეთის ომმა უამრავი მტკივნეული საკითხი წამოატივტივა ჩვენს წინაშე. ერთი იმ საშინელებათაგანი, რასაც აფსუა სეპარატისტები და მათ მიერ დაქირავებული მკვლელები სჩადიოდნენ აქ, არის ტერორი და ეთნიკური წმენდა სასურველი დემოგრაფიული თანაფარდობის დასამყარებლად მოცემულ რეგიონში.

უნდა ითქვას, რომ ეს ვანდალური მოქმედება ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ომამდეც ბევრჯერ ჩაუდენიათ სისხლმოწყურებულ ყაჩაღებს. ამის დასტური თუნდაც ქვემოთ მოტანილი დოკუმენტია, რომელიც 1991 წლის მარტში გუდაუთის რაიონის სოფელ აბგარხუქის ქართველთა ძალადობრივი დეპორტაციის ფაქტს ასახავს. სამწუხაროდ, დოკუმენტმა დროზე ვერ იხილა მზის სინათლე, და ახლა ვბეჭდავთ

მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისტორიას შემორჩეს როგორც რუსული იმპერიისა და მისი დამქაშების მიერ ქართველთათვის თავს დატეხილი კიდევ ერთი უბედურების დასტური.

<u>აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ვლადისლავ არძინბას.</u>

დღეს დიდმპყრობლური პოლიტიკის წყალობით ქართული ცნობიერი სივრცის იმ ნაწილში, სადაც ერმა თავისი სულიერი კულტურა გაამატერიალურა და რომელსაც აფხაზეთი ეწოდება, ქართველ კაცს არ ეცხოვრება.

აი მორიგი ფაქტიც: 1991 წლის 17 მარტს, დილის 9 საათზე, სოფელ აბგარუხქში, სადც სულ 37 ქართული ოჯახი ცხოვრობს, აფხაზეთის პარტოკრატიის ბრმა მსახურებმა _ გუდაუთის პარტიული ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა, რაისაბჭოსა და სასოფლო საბჭოს ფუნქციონერებთან ერთად სოფლის ქართულ მოსახლეობას წინადადება მისცეს, საწინააღმდეგოდ მათი კონსტიტუციური და ადამიანური უფლებებისა, მონაწილეობა მიეღოთ 1991 წლის 17 მარტის იმპერიულ რეფერენდუმში. სხვა შემთხვევაში ანგარიშის გასწორებით დაემუქრნენ.

ასეც მოხდა. საღამოს 10 საათიდან ავტომატებით შეიარაღებული აფსუა ეროვნების "ბოევიკები" დაესხნენ უიარაღო ქართულ ოჯახებს და დაიწყეს მათი დარბევა.

ქართულ მოსახლეობას კატეგორიული მოთხოვნა წაუყენეს: აყრილიყვნენ მშობლიური მიწიდან, რაც მოიყვანეს კიდეც სისრულეში _ ფიზიკური ძალმომრეობის შედეგად, დაიტოვეს რა მძევლებად მოხუცები და ავადმყოფები, ოჯახების დანარჩენი წევრები ბავშვებიანად გააძევეს გუდაუთის რაიონიდან.

სახეზეა ადამიანის უფლებებისა და ღირსების შელახვის უპრეცედენტო ფაქტი _ სამშობლოდან გაძევება.

მიმდინარე წლის 18 მარტს ქ.სოხუმში გამოჩნდა ქართველ ლტოლვილთა დიდი ჯგუფი გუდაუთიდან.

ბატონო ვლადისლავ, თქვენგან მოვითხოვთ, გუდაუთის რაიონის სოფელ აბგარხუქში მომხდარს, ბოლოს და ბოლოს, მისცეთ ობიექტური შეფასება, ამცნოთ იგი ინფორმაციის საშუალებებით ცივილიზებულ სამყაროს, როგორც იმპერიული ძალების მიერ პროვოცირებული ხელყოფა ქართულ-აფსუური თანასახლიკაცობის, რამეთუ უბედურება აბგარხუქში, დაპროგრამებული კრემლის მიერ საშინელი სისხლისღვრის საბაბად, არის შორს გამიზნული სტრატეგია დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ძალების სისხლში ჩასახრჩობად და ეთნოკრიზისის პროვოცირება დედამიწაზე უნიკალური ხალხის _ აფსუების მიწის პირიდან აღსაგველად.

გაზეთი "ცხუმი" 1993წ. 27 აგვისტო.
სერგი საჯაია, 18 მარტი, 1991წ.
"მრგვალი მაგიდის" აფხაზეთის ორგანიზაციის
პრესცენტრის ხელმძღვანელი.

პოლიტიკურ ბლოკ "სოიუზის" დივერსიულ ძალისხმევათა მიჩქმალვას ამნაირად შეეცადა აფხაზეთის ასსრ-ის ეთნოკრატიული ხელისუფლება:

РЕФЕРЕНДУМ В АБХАЗИИ:
ОТВЕЧАЯ ПО СУЩЕСТВУ

Состоялись референдум СССР и выборы народного депутата СССР по территориальному избирательному округу №669. Оценки их итогов звучат, прямо скажем, полярно, В частности, в сообщении специального кореспондента САКИНФОРМа П.Цинцадзе говорится о имевших место 17 марта с.г. в Абхазии Нарушениях закона о выборах и инструкции Центральной избирательной комиссии по проведению

референдума СССР, заместителя Председателя Совета Министров Автономной республики Э.Капба.

НАШИ
ИНТЕРВЬЮ

_ Да, я знаком с этим сообщением, а также другими публикациями в ряде газет и виступлениями по радио и телевидению Ресбублики Грузия. Но прежде чем ответить на конкретные, если так можно их называть, обвинения, я хотел бы высказать свое мнение о характере и направленности сообщения Цинцадзе и других авторов.

Вот, например, он пошет: «Республиканская Центральная избирательная комиссия Абхазской АССР по проведению референдума и выборов... не допустила к участию в референдуме и выборах народного депутата СССР весь Гальский район _ регион компактного проживания грузин и грузинские села Очамчирского района». Корреспонденту следовало бы знать, что ни в Очамчирском, ни в Гальском районах выборы народного депутата не проводились, так как эти районы в 669-й территориальный избирательный округ не входят.

Что же касается сел Очачирского района с компактным проживанием лиц грузинской национальности, то это откровенная ложь. Во всех этих селах, за исключением тех, в которых сельсоветы отказались создавать участки, референдум проводился. И независимо от того, были или не были созданы участники, все избиратели Очамчирского района учтены при подведении итогов голосования как внесенные в списки избирателей.

Для чего же все-таки предъявляются эти претензии? Известно, что Верховный Совет Республики Грузия, его руководство призвали к бойкоту референдума и выборов. Более того, было заявлено, что к лицам, которые примут в них участие, будут применены различные кары, вплоть до привлечения к уголовной ответственности. Призывы к бойкоту публиковались и в средствах массовой информации. В результате этого значительная часть грузинского населения Абхазии не приняла участия в голосовании.

При этих обстоятельствах нельзя всерьез воспринимать претензии о недопущении лиц грузинской национальности к участию в выборах и референдуме. Целью всего этого является желание поставить под сомнение законность проведения референдума и выборов в Абхазии.

_ Не могли бы вы более подробно рассказать о причинах непроведения референдума в Гальском районе.

_ Как известно, решение о проведении референдума в Абхазии принято Верховным Советом Абхазской АССР 28 февраля 1991г. После этого все районные и городские Советы народных депутатов начали работу по подготовке проведения референдума. В звязи с тем, что в Гальском районе не были созданы необходимые структуры по подготовке референдума и, более того, в районе стали раздаваться прызыви к бойкоту референдума, туда разновременно направлялись первый заместитель Председателя Верховного Совета Абхазской АССР В.Г.Колбая, заместитель Председателя Совета Министров Абхазии В.Г.Берулава, управляющий делами Совета Министров Абхазской АССР Х.Н.Джикия, зав. отделом Верховного Совета Абхазской АССР Б.И. Сичинава, которые сообщили руководству республики и Центризбиркома Абхазии о том, что Гальский район не будет учавствовать в референдуме.

13 марта 1991 года неизвестно кем уполномоченной группой в Центризбирком был представлен список «територриальной участковой комиссии» с просьбой выдать бюллетени для голосования в референдуме. В связи с тем, что такого рода документ не мог быть рассмотрен как предусмотренное законодательством решение о проведении

референдума 15 марта 1991г., этот вопрос был обсужден на заседании Центризбиркома. С учетом того, что район фактически не был готов к референдуму и срок регистрации участков, продленный Верховным Советом СССР до 7 марта, истек, комиссия отказала в выдаче бюлетеней. Факт неготовности района к проведению референдума был подвержден прибывшей в Абхазию в качестве наблюдателей и для оказания помощи группой депутатов Верховного Совета СССР.

После отказа в выдаче бюлетеней, по просьбе прибывших из Гали лиц, нами в Центральную избирательную комиссию СССР были направлены две телеграммы с ходатайством о перенесении проведения референдума в Гальском районе не более поздний срок, на что мы получили отказ.

Несмотря на это, нами было сообщено по телевидению, что все желающие жители Гальского района могут принять участие в референдуме в любом другом районе, чем некоторые из них и воспользовались. Поэтому претензии о том, что жителям Гальского района не дали возможности принять участие в референдуме, лишены законных оснований.

_ *Насколько обоснованы обвинения в Ваш адрес о том, что Вами было дано разрешение о голосовании на любых участках независимо от места проживания?*

_ Я уже говорил, что в предверии референдума и руководством Республики Грузия, и рядом грузинских политических движений и организаций стали высказываться откровенные угрозы в адрес лиц, которые примут участие в референдуме, 16 марта за несколько часов до референдума Председателем Верховного Совета Республики Грузия З.К.Гамсахудриа было оглашено по Грузинскому телевидению постановление Президиума Верховного Совета Грузии о роспуске окружной избирательной комиссии №669 по выборам народного депутата СССР и переносе выборов на другой срок. Из-за этого постановления 17 марта в ряде мест не были открыты участки и с самого утра в Центризбирком стали поступать об этом сообщения.

Кроме того, в Центризбирком поступили жалобы со стороны лиц армянской и русской национальностей о том, что им препятствуют в голосовании, угрожая различными карами, и они боятся голосовать. Мы также располагаем сведениями, что определенная часть лиц грузинской национальности желает принять участие в референдуме, но боится это сделать, так как они могут быть объявлены врагами нации. Непредоставление перечисленным выше категориям граждан возможности принять участие в референдуме и голосовании с сохранением тайны участия было бы ущемлением их гражданских прав. В подтверждение своих доводов могу сказать, что нам известны случаи голосования лиц грузинской национальности в воинских частях. Поступающая после проведения выборов и референдума информация свидетельствует о том, что в некоторых городах и населенных пунктах Абхазии занялись выискиванием избирателей, принявших участие в голосовании, и имеются попытки расправ над ними. По двум фактам уже возбуждены уголовные дела.

Именно эти обстоятельства вызвали необходимость дать распоряжение о возможности голосования не по месту жительства. Аналогичные решения были приняты, кстати, и в других республиках, где люди не имели возможности нормально голосовать. При этом отмечу, что такое решение противоречит «Инструкции по проведению референдума СССР».

В заключение еще раз хочу сказать, что вся эта пропагандистская кампания направлена на дискредитацию итогов референдума. Но добиться этого не удастся (გაზ. “Советская Абхазия, 23 მარტი, 1991წ.).

... და მაინც, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში **17 მარტს** აფხაზეთის სეპარატისტული ეთნოკრატიისა თუ სსრკ საოკუპაციო ნომენკლატურისა და ნამესტნიკური ხელისუფლების მიერ საგანგებოდ შექმნილი პოლიტიკური ბლოკ "სოიუზის" მონდომებისა და თავგანწირვის მიუხედავად, კრემლიდანურმა ძალისხმევამ აფხაზეთში 17 მარტის რეფერენდუმს ვერ მისცა საყოველთაო ხასიათი, აფხაზეთის მოსახლეობა მოწმე გახდა უკიდეგანო გაყალბების, შანტაჟის, აგრესიის, უზნეობის, ვერაგობისა და მასობრივი ავანტიურის. ასეთ ვითარებაში აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მართალია 17 მარტის რეფერენდუმის ფალსიფიცირებული შედეგები ცნობად კი მიიღო, მაგრამ იძულებული გახდა (თუნდაც ფორმალურად) 31 მარტის რეფერენდუმის ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა აეღო.

აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოში

მიმდინარე წლის 20 მარტს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების სოხუმის №669 ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიისა და სსრ კავშირის რეფერენდუმის აფხაზეთის ასსრ ცენტრალური რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე.ე.კაპბას ინფორმაცია "1991 წლის 17 მარტს არჩევნებისა და რეფერენდუმის კენჭისყრის შედეგების შესახებ". ე.ე.კაპბამ აცნობა შემდეგი:

არჩევნებისა და რეფერენდუმის კომისიამ განიხილა ხმის მიცემის შედეგები. მისი გადაწყვეტილებით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნები "სსრკ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ" სსრ კავშირის კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად ცნობილ იქნა არჩატარებულად, რადგანაც მასში მონაწილეობა მიიღო 257,147 ამომრჩევლიდან, რომლებიც ამომრჩეველთა სიებში იყვნენ შეტანილი, ნახევარზე ნაკლებმა _ 48,9 პროცენტმა. ამასთან ა.ი.არშბას სასარგებლოდ ხმა მისცა ხმის მიცემაში მონაწილე ამამომრჩეველთა 95,5 პროცენტმა, ხოლო მ.კ.ომანაძის სასარგებლოდ _ 1,05 პროცენტმა. არჩვენების შესახებ სსრ კავშირის კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად უნდა ჩატარდეს განმეორებითი არჩევნები.

სსრ კავშირის რეფერენდუმში 318,317 ამომრჩევლიდან მონაწილეობა მიიღო 166,544 ამომრჩეველმა, ანუ 54,3 პროცენტმა, მათგან 164,231-მა ანუ 98,6 უპასუხა "დიახ" _ ხმა მისცა სსრ კავშირის როგორც თანაბარუფლებიან სუვერენულ რესპუბლიკათა განახლებული ფედერაციის შენარჩუნებას, რომელშიც სრულიად იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

ამის ერთდროულად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი _ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების _ საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების 31 მარტისათვის დანიშნული არჩვენებისა და მოსახლეობის გამოკითხვის შესახებ, რომელშიც პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: "თანახმა ხართ თუ არა თქვენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე". აღნიშნა, რომ აფხაზეთისა და საქართველოს უზენაესი საბჭოების შეთანხმების თანახმად აფხაზეთის ასსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ჩატარდება უფრო მოგვიანებით. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მეათე სესიამ მიზანშეწონილად ჩათვალა მოეწყოს ეს არჩევნები აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ერთდროულად. რაც შეეხება გამოკითხვას, სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ იგი ცნო უკანონოდ, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მისი შედეგები არ გამოიწვევს რაიმე სამართლებრივ შედეგებს. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, იცავს რა დემოკრატიულ პრინციპებს, მიიჩნია, რომ არ არის საჭირო ხელი შეეშალოს გამოკითხვის ჩატარებას. ამასთან დაკავშირებით სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს

რეკომენდაცია მიეცათ იმ მოქალაქეთა სურვილის შესაბამისად, რომლებსაც სსრ კავშირის რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღიათ, ხელი შეეწყოთ მათ 1991 წლის 31 მარტისათვის დანიშნული გამოკითხვის ჩატარებაში.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრესცენტრი
(გაზ. "აფხაზეთის ხმა", 23 მარტი, 1991წ.)

1991წ. 20 მარტს შეიქმნა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრესცენტრი _ კიდევ ერთი ანტიეროვნული, სადეზინფორმაციო კერა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში.

1991წ. 29 მარტს საქართველოს ეწვია აშშ ყოფილი პრეზიდენტი, სენატორი **რიჩარდ ნიქსონი**, რომელმაც საქართველოდან გამგზავრების წინ დაათვალიერა 31 მარტის რეფერენდუმის მიმდინარეობა ქ.თბილისის ზოგიერთ უბანში და მაღალი შეფასება მისცა მას.

1991წ. 31 მარტის რეფერენდუმზე დასასწრებად და სამეთვალყურეოდ საქართველოში, ამდენად აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაშიც ჩამოვიდნენ საკავშირო და უცხოელი დამკვირვებლები, სსრკ და საზღვარგარეთ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტები.

30 მარტს, 31 მარტის რეფერენდუმის წინა დღეს, როცა ქვეყნის ბედი წყდებოდა სსრკ პრეზიდენტმა **მ.გორბაჩოვმა** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **ზ.გამსახურდიას** გამოუგზავნა მუქარა-გაფრთხილება: **"მთლიანად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ვითარების მკვეთრად გამწვავების გამო, დათარეშობენ ექსტრემისტები, იღვრება ოსთა და ქართველთა სისხლი, დაიწვა ათობით სოფელი, ადგილებიდან ერეკებიან მშვიდობიან მცხოვრებთ და ასობით ლტოლვილი გაჭირვებას განიცდის.**

ერთხელ კიდევ ვადასტურებ რა ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს, გთავაზობთ დაუყონებლივ იღონოთ ყველაფერი იმისათვის, რომ შეაჩეროთ სისხლისღვრა, შეწყვიტოთ ექსტრემისტთა მოქმედება, აღკვეთოთ მათი განზრახვა, ხელთ იგდონ და მოსპონ დასახლებული პუნქტები, შეუდექით მოლაპარაკებას" (იხ. **"საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ.გამსახურდია" _ გამომც. "ხმა ერისა", 1995წ. გვ. 73.).**

1991წ. 31 მარტს რსფსრ-ის სახალხო დეპუტატთა III საგანგებო ყრილობამ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარების შესახებ, რომელიც მთლიანად ეხმიანება სსრკ პრეზიდენტის **მ.გორბაჩოვის** ზემოთდამოწმებული განცხადებას. ამით ყრილობამ გათელა **23 მარტს** ყაზბეგში მიღწეული მოლაპარაკების კონსტრუქციული შედეგები რუსეთსა და საქართველოს შორის, სადაც **ბ.ელცინმა,** როგორც რსფსრ უზენაესმა ხელისუფალმა, აღიარა ე.წ. სამხრეთ ოსეთის უკანონობა და სცნო საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ აქ გატარებული სამართლებრივი ღონისძიებების სისწორე. ამჯერად ე.წ. სამხრეთ ოსეთში ოსი აგრესორების თარეში, მათ მიერ დარბეული ქართველი მოსახლეობის ასწლობითი გენოციდი ამჯერად მან აქეთ გადმოაბრალა ქართველებს და ამ შემთხვევაში "საწყალი ოსების" დამცველად გამოვიდა, რითაც შეამზადა იდეოლოგიურად მოსკოვის ხელახალი ინტერვენცია საქართველოში. ამდენად რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **ბ.ელცინმა** ერთი კვირის ვადაში ვერაგულად უღალატა თავის მიერვე ხელმოწერილ ხელშეკრულებას.

ყოველივე ამან დაადასტურა, რომ დაპირისპირებები **მ.გორბაჩოვსა** და **ბ.ელცინს** შორის თავიდანვე იყო მხოლოდ კარიერისტულ-ნომენკლატურული. "დემოკრატი" **ბ.ელცინი** "თანამედროვე მსოფლიო წესრიგის" ფაბრიკაციული შედეგია. ასე რომ, როგორც **მ.გორბაჩოვი,** ასევე **ბ.ელცინიც** კავკასიის მიმართ რუსისტულ პოლიტიკას ანხორციელებდნენ.

1991წ. აპრილის დასაწყისისთვის რუსეთში (განსაკუთრებით მოსკოვში) მანიფესტაციებმა, მიტინგებმა, საპროტესტო გამოსვლებმა და ა.შ. მიიღეს ფეთქებადსაშიში ხასიათი. კუზბასელი მაღაროელების საშიმშილო აქციას, რომელსაც ამ დროისათვის ორი კვირა შეუსრულდა, შეუერთდნენ მოშიმშილე ქალები და სსრკ სახალხო დეპუტატების ჯგუფი. მოსკოვში საშვის სისტემა იქნა შემოღებული და **15 აპრილამდე** აიკრძალა მიტინგები. აქცია მიმართული იყო **მ.გორბაჩოვის** წინააღმდეგ, თუმცა იგი დემოკრატიის ნიღაბქვეშ თავის დიდმპყრობლურ გეგმებსაც ისახავდა. ასე მაგალითად, მიუხედავად ასეთი დაპირისპირებისა, რუსეთის უზენაესმა საბჭომ (ე.ი. **ბ.ელცინმა**) მხარი დაუჭირა სსრკ ინტერვენციას საქართველოში, ჩრდილო-დასავლეთ ქართლში, ანუ ცხინვალის მხარეში. ვიმეორებ, იმჟამინდელი ე.წ. დაპირისპირება გახლდათ **მ.გორბაჩოვისა** და **ბ.ელცინის** ნომენკლატურული ქიშპი, ისინი ორივენი ველიკოდერჟავული პოლიტიკის "არქიტექტორები იყვნენ".

1991წ. 1 აპრილს, მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს რეფერენდუმში რესპუბლიკის მოსახლეობამ კენჭისყრით დაადასტურა თავისი მხარდაჭერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისადმი, სსრკ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომლის საპასუხოდ **3 აპრილს** საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამოაქვეყნა შესაბამისი დადგენილება (**გაზ. "აფხაზეთის ხმა" _ 5 აპრილი**). სსრკ უზენაესი საბჭოს მიერ 1 აპრილს მიღებული დოკუმენტი პრეზიდენტ **მ.გორბაჩოვისათვის** წარმოადგენდა "სამართლებრივ" ნებართვას საქართველოში წესრიგის აღდგენის საბაბით ფართომასშტაბიანი ინტერვენციის დასაწყებად.

1991წ. 1 აპრილს სსრკ ცენტრალურმა ტელევიზიამ აჩვენა ცხინვალის მიმდებარე მხარეში ოსი აგრესორების მიერ გადამწვარი სოფლები, დაბები, ქალაქი ცხინვალი, ამასთან ერთად, საზოგადოებას დაანახა მოკლული, დასახიჩრებული ადამიანები და ეს უბედურება თითიდან გამოწოვილ "ქართველ ოკუპანტებს" გადააბრალა, ამავე დროს მოუწოდა ე.წ. საბჭოთა სამშვიდობო ძალებს "ქართველი მოძალადეებისგან" ოსი მოსახლეობის დაცვისკენ.

1991წ. 1 აპრილს დაიწყო ცხინვალის მიმდებარე მხარეში რუსეთის ინტერვენცია _ შემოყვანილ იქნა სსრკ შინაგანი ჯარების განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები და დაიწყო საქართველოდან ამ მხარის მოწყვეტის ოპერაცია.

1991წ. 2 აპრილს გუდაუთის რაიონულ გაზეთში **"Бзыбь"** დაიბეჭდა ე.წ. აფხაზეთის სახალხო ფორუმის "აიდგილარას" ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ F**ზ.გამსახურდიასადმი,** _ რომელშიც პუბლიკაციის ავტორები ე.წ. საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის კუთვნილებად მიიჩნევდნენ ცხუმ-აფხაზეთს და აქედან გამომდინარე პოზიციებიდან ელაპარაკებოდნენ სრულიად საქართველოს რესპუბლიკას.

1991წ. 2 აპრილს გორის რაიონის სოფელ ტყვიავში სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ჯავშანტრანსპორტიორთა კოლონამ გაჭყლიტა ორი 14-15 წლის გოგონა, ასევე სოფელ ნიქოზში აღნიშნული ჯარების ნაწილებმა მშვიდობიან მოსახლეობას დაუშინეს საბჭოური წარმოების რაკეტები, რომლის შედეგადაც დაიღუპნენ და მძიმედ დაშავდნენ უდანაშაულო ადამიანები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **ზ.გამსახურდიამ** გაავრცელა საპროტესტო განცხადება (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", **4 აპრილი, 1991**).

1991წ. 3 აპრილი _ სსრკ პრეზიდენტს, **მ.ს.გორბაჩოვს:**

ამა წლის 2 აპრილს გორის რაიონის სოფელ ტყვიავში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ჯავშანტრანსპორტიორთა კოლონამ გაჭყლიტა ორი 14-15 წლის გოგონა, ერთ-ერთი მათგანი, ნინო მეტრეველი, სიკვდილის პირას არის და იმყოფება გორის საავადმყოფოში. ეს თქვენი ამასწინანდელი დეპეშის კიდევ ერთი ტრაგიკული შედეგია. ისევე, როგორც "ნურს" რაკეტით (საბჭოთა წარმოებისა) სოფელ ნიქოზში გლეხის ლადო მჭედლიძის მკვლელობა და სხვა გლეხების დაჭრა. აი, ასეთ შედეგებს იწვევს ცენტრის "მეურვეობა".

მოვითხოვ შეწყდეს ყოველგვარი ჩარევა სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის საქმეებში, რათა თავიდან ავიცილოთ ვითარების შემდგომი დესტაბილიზაცია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარე ზ.გამსახურდია.
(გაზ. "აფხაზეთის ხმა", 9 აპრილი, 1991წ.)

1991წ. 4 აპრილი, სოხუმი _
საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს
მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს;
რუსეთის ფედერაციის უმაღლესი
საბჭოს თავმჯდომარეს
ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს;
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს
ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას

ჩვენ, აფხაზეთის ქართველი მწერლები, მტკიცე პროტესტს გამოვთქვამთ რუსეთის ფედერაციის საგანგებო ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაზე, რომელიც ლახვარს სცემს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მთელს ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ჯარით, ხიშტითა და თოფით საქართველოში მშვიდობა ვერ დამყარდება. ქართველი ერი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის.

აფხაზეთის ქართველი მწერლების სახელით: *გენო კალანდია, შოთა აკობია, მირიან მირნელი, ჯანო ჯანელიძე, გურამ ოდიშარია, ოთარ ჭურღულია, გივი ბერაია, ევგენი აქუბადია, მურმან ხურცილავა, რენე კალანდია, გიორგი სიჭინავა, ეთერ ჯღამაძე, ვლადიმერ ჯოლოგუა, ნოდარ ხუნდაძე.*

1991წ. 4 აპრილი _ ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ დაადგინა (**სტატისტიკური მასალა ამოღებულია გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკიდან", 5 აპრილი, 1991წ.):** საქართველოში მამომრჩეველთა საერთო რიცხვი: _ 3672403; რეფერენდუმში მონაწილეთა რიცხვი: _ 3334286. _ 90,79%. კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი: 3326100 _ 90,57%. "დიახ" _ 3295493. 99,08%. "არა" _ 16917, _ 0,51% ბათილია _ 13690 _ 0,41%. აქედან აფხაზეთში: ამომრჩევლები: _ 347175. მონაწილეობა მიიღო რეფერენდუმში 212714 _ 61,27%. კენჭისყრაში 212575-61,239 "დიახ" (სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტა) _ 207749, _ კენჭისყრის მონაწილეთა 97,73% (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 59,84%).

უარყოფით გადაწყვეტას ხმა მისცა 3020 ამომრჩეველმა 1,42% (ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,87% _ გუდაუთის რაიონში ხელისუფლებამ უარი განაცხადა რეფერენდუმში მონაწილეობაზე (ამომრჩეველთა რაოდენობა 36 060, გაიხსნა მხოლოდ ერთი ახალსოფლის სარეფერენდუმო უბანი. აქ რეფერენდუმში მონაწილეობდა 2931 ამომრჩეველი, აქედან "დიახ" _ 2929, "არა" _ "2".

1991წ. 5 აპრილი, ცხინვალის მიმდებარე მხარეში შემოყვანილი საბჭოთა არმიისა და სსრკ შინაგანი ჯარების დამატებითი კონტინგენტის სარდლობის სახელით

პოლკოვნიკმა **ალექსანდროვმა** განაცხადა, რომ იგი არ დაექვემდებარებოდა საქართველოს რესპუბლიკის შს სამინისტროს და მის მიერ დანიშნულ კომენდანტს. ოსმა ექსტრემისტებმა ყოველივე ეს არც თუ უსაფუძვლოდ აღიქვეს მხარდაჭერად და თამამად დაიწყეს მორიგი თარეში თუ დარბევები მთელ რიგ ქართულ სოფლებზე (თამარაშენი, ერედვი, ხეითი), თავდასხმის შედეგად იყო ადამიანთა მსხვერპლი.

საყოველთაო სახალხო გამოკითხვასთან დაკავშირებით ქ.ტყვარჩელში გაუგებარი ვითარება შეიქმნა, **30 მარტს** გაზეთი "**Советская Абхазия**" იტყობინებოდა, რომ რეფერენდუმის ჩატარების შესახებ კანონის თანახმად რეფერენდუმისათვის მზადება დავალებული იყო №103-ე საარჩევნო კომისიისადმი, რომელმაც ამ საქმეს თავი ვერ გაართვა.

ასე თუ ისე, ტყვარჩელელებისათვის (12975 ამომრჩეველი) ქ.ოჩამჩირეში წინასწარ განისაზღვრა საარჩევნო უბანი, სადაც მონაწილეობა მიიღო 1017-მა ამომრჩეველმა, აქედან პასუხი "არა" იყო 1.

აჭარაში 224788 ამომრჩევლიდან რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 217235 ამომრჩეველმა 96,64%-მა. აქედან "დიახ" _ 212173 ამომრჩეველი _ 97,67% (ამომრჩეველთა რიცხვის 94,39%). "არა" _ 3080 _ 1,42%, (საერთო რიცხვის 1,37).

ქ.ცხინვალსა, ყორნისსა და ჯავის რ-ნებში რეფერენდუმი არ ჩატარებულა. ყორნისის რ-ნში 6786 ამომრჩეველი; ჯავაში _ 6526. ჯავის რ-ნის 474-მა ამომრჩეველმა საჩხერეში მისცა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ცხინვალში _ 26544 ამომრჩეველი იყო სულ. **31 მარტისათვის,** ვინაიდან აქედან ქართველები რუსიზმის ინტერვენციისა და ეთნიკური წმენდის შემდეგ დეპორტირებული იყვნენ, ამ დროისათვის ამომრჩეველთა რაოდენობა შიგ ცხინვალში სავარაუდოდ (ყველა ოსის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში) შეადგენდა 22312-ს. ცხინვალის რაიონის 7 სოფელში ჩატარდა რეფერენდუმი (11376 ამომრჩეველი) კენჭისყრაში მონაწილე 10182 ამომრჩევლიდან მხოლოდ ორი წავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცეს ინგილოებმა, მოსკოველმა, ლენინგრადელმა, ნალჩიკელმა, ჩრდილო ოსეთელმა ქართველებმა. ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთის რიგ სოფელში საომარი ვითარების გამო ვერ მოხერხდა საარჩევნო უბნების მოწყობა, მაგრამ მაცხოვრებლებმა მოაგროვეს ხელმოწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მხარდასაჭერად, მართალია, სარეფერენდუმო კომისიას იგი ხმათა საერთო სათვალავში არ შეუტანია, მაგრამ მისი უგულველყოფა არ შეიძლება იმდენად, რამდენადაც რეპრესიების საფრთხის ქვეშ მოსახლეობამ თანხმობა განაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, რითაც სრულიად საქართველოს სახალხო ნებას გამოუცხადა მორალური მხარდაჭერა.

1991წ. 8-10 აპრილს სსრკ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი იმყოფებოდა საქართველოში, ინსპექტირების ხასიათის ვიზიტის დროს ისინი "გაეცვნენ" ე.წ. სამხრეთ ოსეთში, უფრო სწორად, ცხინვალის მხარეში შექმნილ ვითარებას.

9 აპრილი _ (იხ. გვ. 388)

1991წ. 10 აპრილს 5 საათიდან ცხინვალის მხარეში რუსთა მორიგი ინტერვენციის გამო ქ.სოხუმში გაიფიცნენ სალოკომოტივო დეპოს მუშები. სოხუმელ რკინიგზელთა საერთო კრებაზე შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი, რომლებიც მოითხოვდნენ ცხინვალის მიმდებარე მხრიდან საინტერვენციო ჯარის გაყვანას, როკის გვირაბის გადაკეტვას და საქართველოს რესპუბლიკის სახალხო ხელისუფლებაზე კრემლიდან ძალისმიერი ზემოქმედების შეწყვეტას.

გაფიცულებს იმავე დღესვე შეუერთდნენ სოხუმის სხვა საწარმოთა წარმომადგენლებიც (გაზაპარატურის ქარხანა, საწარმო "ორგტექნიკა", თამბაქოს ფაბრიკა, **19 აპრილიდან** ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ნაწილი და ა.შ.).

1991წ. 11 აპრილს სსრკ შინაგანი ჯარების ერთ-ერთმა ქვედანაყოფმა ქარელის რაიონის სოფელ დვანში გადასწვა **წმინდა გიორგისა და წმინდა სამების** ეკლესიები.

1991წ. 13 აპრილს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკების განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ამ სახელმწიფოების უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეები **ვ.ლანდსბერგისი, ა.გორბუნოვი, ა.რიუიტელი,** _ დაგმობილი იყო რუსეთის საინტერვენციო ჯარების შემოყვანა საქართველოში.

1991წ. 19 აპრილს გაიმართა სრულიად საქართველოს **მერაბ კოსტავას** საზოგადოების I კონფერენცია, რომელიც წარმოადგენდა შეფარულ ობსტრუქციას **ზვიად გამსახურდიას** პოლიტიკური კურსის მიმართ.

1991წ. 24 აპრილს რ.ნიშანოვის ხელმოწერით სსრკ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭომ მიიღო დადგენილება **"სამხრეთ ოსეთსა და მის ირგვლივ ვითარების მოწესრიგების წინადადების გამო".** იგი საჭიროდ მიიჩნევდა სსრკ ხელისუფლების მიერ **1 აპრილს** მიღებული დადგენილების უცილობელ შესრულებას, რომელიც სინამდვილეში, ისევ და ისევ, საქართველოში რუსიზმის ინტერვენციისა და აგრესიის დაკანონებას ემსახურებოდა.

1991წ. 27 აპრილს _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დაადგინა: 1. გაუქმდეს ცხინვალის რაიონი და მისი ტერიტორია შეუერთდეს გორის რაიონს. 2. გაუქმდეს ყორნისის რაიონი და მისი ტერიტორია შეუერთდეს ქარელის რაიონს..."

1991წ. 29 აპრილს საქართველოს რიგ რაიონებში აჭარაში, ზემო იმერეთში, რაჭასა და ცხინვალის მიმდებარე მხარეში (ჯავა, კვაისა, ყორნისი, ცხინვალი) ძლიერი მიწისძვრის შედეგად აღიგავა ასობით ქართული სოფელი, იყო ადამიანთა მსხვერპლი.

(არსებობს ვარაუდი, რომ ეს იყო ხელოვნურად გამოწვეული ეშერის ე.წ. ლაბორატორიიდან, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენდა რუსეთის მიწისქვეშა გასაიდუმლოებულ ბაზას, რომელსაც დათქმულ დროს დედამიწის ნებისმიერ ნაწილში შეეძლოო მსგავსი კატასტროფის ორგანიზება).

1991წ. 30 აპრილს ოსმა ექსტრემისტებმა და სსრკ შს სამინისტროს საგანგებო ჯარებმა, საქართველოს ხელისუფლების მიერ სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად შექმნილ ჯგუფებს ჩაუკეტეს გზა ჯავაში, კვაისასა და ცხინვალში. ამასთან დაკავშირებით **2 მაისს** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელით ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** სსრკ პრეზიდენტს **მ.გორბაჩოვსა** და სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს **ბ.პუგოს** გაუგზავნა საპროტესტო განცხადება, რომელშიც დაგმობილი იყო ასეთი ანტიჰუმანური მოქმედება.

1991წ. 6 მაისს ქ.ცხინვალში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს სახალხო დეპუტატთა უკანონო სესიამ გააუქმა თვითგამოცხადებული და პროვოკაციული ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა და "აღადგინა" ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც, თურმე, რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ ადმინისტრაციულად რუსეთის ფედერაციას დაემორჩილებოდა.

1991წ. 7 მაისი ეს თვითმარქვია ქმედება, რომლის მიზანი კვლავ და კვლავ საქართველოში რუსიზმის მიერ წაქეზებული ოსური აგრესიის შედეგების დაკანონება გახლდათ, გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ და მსგავსი შორსგამიზნულ პროვოკაციების აღსაკვეთად მიიღო მიმართვა სსრკ პრეზიდენტის **მ.ს.გორბაჩოვისადმი,** სსრკ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის

რ.ნიშანოვისა და რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ბ.ელცინისადმი** (ვრცლად იხილეთ **გაზ. "აფხაზეთის ხმა", 13 მაისი, 1991წ.).**

ამ დროისათვის კრემლიდანურმა ძალებმა ასევე სცადეს დესტაბილიზაციის პროვოცირება აჭარაში და ე.წ. აჭარული სეპარატიზმის ფაბრიცირება.

1991წ. 12 მაისს, 11 საათზე კრემლში სსრკ პრეზიდენტმა **მ.ს.გორბაჩოვმა** მიიღო ავტონომიური რესპუბლიკების: აფხაზეთის, ბაშკირეთის, ბურიატეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყალმუხეთის, კომის, მარის, მორდოვის, ჩრდილო ოსეთის, თათარსტანის, ტუვის, უდმურტეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ჩუვაშეთის, იაკუტიის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეები (პირველ რიგში **ვ.არძინბა**). მიღებაზე იყვნენ აგრეთვე რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე _ **ბ.ელცინი** და **რ.ხაზბულატოვი** (რსფსრ უზენაესი საბჭო დიდმპყრობლური ამბიციებისგან სულაც არ იყო დაზღვეული, მას დემოკრატიის თამაში შორსგამიზნული თვითდამკვიდრებისათვის სჭირდებოდა).

აფხაზეთის მოსახლეობის ზურგს უკან ვ.**არძინბამ** ხელი მოაწერა მიღებულ დოკუმენტს: **"Заявление совета федерации Союза ССР представителеи Верховных Советов Республик" (გაზ. "Единение", მაისი, 1991წ.)**. აფხაზეთის მოსახლეობის დასათრგუნავად კი თადარიგიანად იქნა წინასწარ შემოყვანილი და აფხაზეთის რიგ რაიონებში დისლოცირებული რუსეთის სპეცსამსახურის ნაწილები, ასევე საბჭოთა ჯარის საგანგებო საჯარისო ღონისძიებათა ქვეგანყოფილებები.

1991წ. 13 მაისს გორში საბჭოთა ჯარისკაცებმა მოკლეს 14 წლის **გია კეტაშვილი,** იმავე დღეს სოფელ ქურთაში სსრკ შინაგანი ჯარების მანქანამ გაიტანა **კორნელი გაგლაშვილი,** ასევე, იმავე დღეს ცხინვალში, ნართების ქუჩაზე ჯერ გაძარცვეს, შემდეგ კი დაწვეს **გრიგოლ ლაფაჩის** სახლი.

1991წ. 13 მაისი. გაზეთმა **"აფხაზეთის ხმა"**-მ გაავრცელა არმენპრესის განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ **"საბჭოთა არმია განაგრძობს აგრესიას სომხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ".**

1991წ. 14 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატმა _ სსრკ უზენაესი საბჭოს სახალხო დეპუტატმა **ვალერიან ადვაძემ,** თბილისში დაიწყო პროვოკაციული "შიმშილობა" და განაგრძო საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული დემაგოგიური გამოხდომები. იმხანად მისი საარჩევნო მარათონი კრემლმა უხვად დააფინანსა და სუკ-ის თანამშრომლები დაუნიშნა ნდობით აღჭურვილ პირებად.

1991წ. მაისის შუა რიცხვებში სსრკ თავდაცვის სამინისტრომ მომავალი ეთნოდივერსიებისათვის თადარიგის დასაჭერად ბალტიისპირეთიდან დამატებით გადმოისროლა და ქ.სოხუმში ("შუქურას" რაიონში) დააბინავა მედესანტეთა ბატალიონის ის საგანგებო ქვეჯგუფი, რომელმაც "თავი გამოიჩინა ე.წ. ლიტვის ხსნის კომიტეტის მხარდაჭერასა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საოკუპაციო მოთარეშებაში. ამასთან დაკავშირებით **24 მაისს** სოხუმში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელმაც სსრკ პრეზიდენტს **მ.გორბაჩოვს,** რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **ბ.ნ.ელცინს,** სსრკ თავდაცვის მინისტრს **დ.იაზოვსა** და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **ვ.გ.არძინბას** მოსთხოვა ამ ნაწილების საქართველოდან გაყვანა.

აფხაზეთის ასსრ-ში სადამსჯელო ჯარის ჩამოყვანა განხორციელდა სრულიად საიდუმლოდ, **ვ.არძინბასთან** შეთანხმებით.

1991წ. 19-21 მაისს ქ.ნალჩიკში გაიმართა მსოფლიოს ჩერქეზთა პირველი კონგრესი. მისმა მუშაობამ **31 მაისისათვის** სოხუმში ე.წ. ჩრდილო კავკასიის ხალხთა კონფედერაციის "დედაქალაქში" გადმოინაცვლა და ფართოდ, მაგრამ საბჭოთა სტერეოტიპების შესაბამისად აღნიშნა მუჰაჯირობის დღე.

ამით ამ საყოველთაო კავკასიურმა ტრაგედიამ თავისთავად ანტიკავკასიური, კერძოდ ანტიქართული ხასიათი გაიპიროვნა, ვინაიდან, იგი სეპარატისტული ეთნოკრატიის პროვოკაციული და ნაყალბევი ინტერპრეტაციით წარიმართა.

1991წ. 26 მაისი _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები (იხ. თავი XIV).

1991წ. 7 ივნისი _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ინაუგურაცია (იხ. თავი XIV).

1991წ. 12 ივნისს გაზეთი "**Известия**" კიდევ ერთხელ თავს დაესხა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს და დეზინფორმაციები გაავრცელა მასზე.

1991წ. 15 ივნისს საქართველოში კვლავ განმეორდა დამანგრეველი მიწისძვრა. უნდა ითქვას, რომ ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევით, სსრკ ხელისუფლების ხელისშეშლის, ინფორმაციული და მატერიალური ბოიკოტის პირობებში მოხერხდა სტიქიური უბედურების მიერ მოყენებულ ზარალზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება და რიგი სოფლების აღდგენა (რასაც, სამწუხაროდ, ხელი შეუშალა ეროვნული ხელისუფლების დამხობამ **1991 წლის დეკემბერში**).

1991წ. 18 ივნისს აფხაზეთის რუსული მოსახლეობის (ინტერფრონტული ეთნონედლეულის) სახელით თვითმარქვია დეპუტაციის ჯგუფი სოხუმელი დერჟიმორდას _ **ვ.მიროშნიჩენკოს** ხელმძღვანელობით შეხვდა სკკპ ცკ-ის სამდივნოს, მათ მოითხოვეს კომპარტიული წესრიგის დამყარება აფხაზეთში, ბრალი დასდეს საქართველოს კომუნისტურ პარტიას (არასაკმარისად მიიჩნიეს მისი დესტრუქციული საქმიანობა) და ამხილეს _ სკკპ-ს ფულს კი ჭამს, მაგრამ სკკპ-ს საქმეს არ აკეთებსო (არ იყვნენ სწორი, გააკეთეს და მერე როგორ). სოხუმელ შავრაზმელთა ე.წ. დეპუტაცია მომდევნო დღეებში შეხვდა რსფსრ და სსრკ სახალხო დეპუტატთა წარმომადგენლებსა და კომისიებს, სსრკ და რსფსრ მთავრობას, რსფსრ კომპარტიის ხელმძღვანელობას და "ნაყოფიერი მუშაობის" შემდეგ სათანადო ინსტრუქციებით სოხუმს დაბრუნდა (**ეს თავი გვერდებნაკლული და დაუმთავრებელია, დაკარგული მასალები ვერ მოვიძიე და ვერ აღვადგინე**)

≈*≈

14. მეოთხე წუთშესვენება ერის ქედდაუღუნავი ვინაობისთვის თვალშესავლებად

(1987-1992წ.)

"ხოლო იაკობ სცა ესავს პური და მგბარი ოსპნისა. ჭამა და სუა,
აღდგა და წარვიდა. და განქარვა ესავ პირმშოებაი თვისი "
<u>დაბადება _ 25, 34</u>

1987 წლის დასასრულსა და **1988 წლის დასაწყისში** ქ.სოხუმში **ვ.ვეკუას** სახლში შეიქმნა **ი.ჭავჭავაძის** საზოგადოება (IV დასი), რომელმაც **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** დასტურით ფართოდ გაშალა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და ახალი ძალისხმევით შეუდგა ძუძუმტეური ყოფაქცევის დამკვიდრებას ცხუმ-აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში). ვინმე შეიძლება შემედავოს იმაში, რომ ამ დროს მ.კოსტავა დაპატიმრებული იყოო, მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ყოველთვის ეროვნულ მოძრაობაში ცხოვრობდა. მალე ასეთივე მუშაობა გაიშალა ქ.გაგრაში **ა.მარკოზიას, ვ.ჯოლოგუას, ჯ.ლატარიასა** და სხვათა ხელმძღვანელობით.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ადგილობრივ ერისკაცებთან ერთად მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს 70-80-იან წლებში ქართველ მწერალთა და ხელოვანთა **ა.გაწერელიას, თ.ჭილაძის, ო.ჭილაძის, ჯ.თითმერიასა და განსაკუთრებით ზ.გამსახურდიას** ხშირი სტუმრობა ქ.გაგრაში (მას სახლი ჰქონდა ს.ლიძავაში).

სწორედ **ზ.გამსახურდიას** მიერ **ა.მარკოზიას** შვილის ნათლობაზე დაფუძნდა თავისუფლებისთვის მებრძოლთა გაგრის ჯგუფი **(ა.მარკოზია, ჯ.ლატარია, ვ.ჯოლოგუა, ნ.კეშელავა და სხვები).** სამწუხაროდ, შემდგომში ეს თანამოსანგრეობა დაირღვა.

1988 წელს ქართველმა დისიდენტებმა მიმართვა გაუგზავნეს ა.შ.შ. პრეზიდენტს **რონალდ რეიგანს** საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით.

იმავე წლის 28 მაისს სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა აშშ პრეზიდენტმა მიიწვია და ესაუბრა დისიდენტთა ჯგუფს, მათ შორის პირველ რიგში **ზ.გამსახურდიას.**

ამავე წელს სენატორებმა **ჰელმსმა** და **უილსონმა** კონგრესისაგან მოითხოვეს განხილვა და კენჭისყრის ჩატარება იმ მიმართვასთან დაკავშირებით, რომელიც ქართველმა დისიდენტებმა გაუგზავნეს აშშ პრეზიდენტს **რონალდ რეიგანს.**

აგრეთვე მათ დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ კენჭი ეყაროს: 1. აშშ-ს კონგრესმა მხარი დაუჭირონ ქართველ ხალხს ძალისხმევაში, რათა მიაღწიოს თავისუფლების აღდგენას.

2. მიანიჭონ საქართველოს უფლება თვითგამორკვევისა ჰელსინკის დასკვნითი აქტის შესაბამისად, რომელსაც საბჭოთა კავშირმაც მოაწერა ხელი.

3. მხარი დაუჭირონ საქართველოს მოთხოვნას ადამიანის უფლებების დაცვაში, რაც გარანტირებულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაციით, რომელსაც აგრეთვე ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირმა.

4. მოუწოდონ საბჭოთა კავშირის მთავრობას, გულისყურით მოეკიდოს საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნას და უზრუნველყოს მისი უფლება თვითგამორკვევასა და ადამიანის უფლებათა დაცვაში.

1988წ. აპრილში ზვიად გამსახურდიამ ღია წერილი გაუგზავნა ცნობილ საბჭოთა (აფხაზეც) რუსისტულენოვან მწერალს **ფაზილ ისკანდერს** (იგი შემდგომში შეტანილი იქნა თვითგამოცემით ჟურნალ "მატიანეში" №4, **1989წ.** რედაქტორი **ზ.გამსახურდია**). წერილში ავტორის მიერ წინასწარმეტყველურად იქნა მხილებული კრემლის ვერაგული ჩანაფიქრი: **"...ყოველივე ამან კულმინაციას მიაღწია 1978 წელს, როდესაც დაიწყო მასობრივი ანტიქართული მოძრაობები, რასაც ქართველთა ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. ყოველივე ეს პროვოცირებული იყო მოსკოვიდან ველიკორუსული შოვინიზმის მიერ, აგრეთვე პროთურქული ელემენტების მიერ, რომლებიც აფხაზეთის რუსეთთან შეერთების ნიღაბქვეშ მალავდნენ ოცნებას აფხაზეთის თურქეთთან შეერთებისას, რასაც მოწმობს 70-ან წლებში თურქეთში ოფიციალურად გამოცემული რუკა, სადაც თანამედროვე აფხაზეთი შეერთებულია ჩრდილო კავკასიასთან, რომელიც თავის მხრივ თურქეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს".**

აქვე ბარემ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ამ დროისათვის **ზ.გამსახურდიამ** დაიწყო თვითგამოცემითი ჟურნალის "მატიანის" პირველი ნომრების გამოცემა, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ერის გათვითცნობიერებისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დასარაზმად.

1988წ. მაისი: სოხუმში **ა.მ.გორკის** სახელობის უნივერსიტეტში დაფუძნდა **"ცხუმი"**- სტუდენტურ - ახალაგაზრდული ხელნაწერი ჟურნალი. იგი დაარსდა **1988 წლის**

გაზაფხულზე აფხაზეთის **ა.მ.გორკის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობის მაშინდელი მეორე კურსელებისა და უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებლების **სოსო ადამიას, ბესო ოდიშარიას, ვახტანგ ჭანიას, ზურაბ პაპასქირის** და სხვათა ინიციატივითა თუ დაფინანსებით.

"ცხუმი" გამოეხმაურა იმ დროისათვის საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ეროვნული მოძრაობის საიმედო გზამკვლევი გახდა ცხუმ-აფხაზეთში (ინახებოდა **ა.მ.გორკის** სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკითხველოში). ეს მოვლენა არ გახლდათ რიგითი, ამიტომ მასზე ცოტა უფრო ვრცლადაც შეიძლება საუბარი.

პირველი ნომერი გამოვიდა **1988 წელს** და მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს _ **26 მაისს.** ჟურნალის პირველი ნომრის რედაქტორი გახლდათ ისტორიის სპეციალობის მეხუთე კურსის სტუდენტი **შორენა თოფურია.** რედკოლეგიის წევრები იყვნენ: **ბადრი გოგია, ლია ახალაძე, გოჩა ლორთქიფანიძე, რუსუდან ფიფია** და სხვები.

მეორე ნომერი გამოვიდა **1989 წელს** და მიეძღვნა **დავით აღმაშენებლის** გამეფების **900 წლისთავს.** მეორე ნომრის რედაქტორი იყო ისტორიის სპეციალობის მეორეკურსელი **ლია ახალაძე.** რედკოლეგიის წევრები: **ბეჟან ხორავა, რუსუდან ფიფია, მერი ქირია, დავით ჯაიანი, კახა კვარაცხელია, ბადრი გოგია, შალვა მეხუზლა, ომეხ ფაჟავა** და სხვები.

მესამე ნომერი გამოვიდა 1990 წელს. ნომერი ეძღვნებოდა **სოსო ადამიას** ხსოვნას და მისი უკანასკნელი სურვილით ჟურნალის ამ ნომერში გაშუქებული იყო **ქართველი და კავკასიელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორი**ა. მესამე ნომერს რედაქტორობდა ისტორიის სპეციალობის მესამე კურსელი **ლია ახალაძე** . სამწუხაროდ, იმგვარად, როგორც მრავალი წამოწყება, ეს საქმეც გაიხლიჩა, რაზეც მიგვითითებს იგივე ხელნაწერი ჟურნალის _ "ცხუმის" მე-3 ნომრის ორი ვარიანტი (მეორე _ **მედეა ცხომარიასა** და **ბეჟან ხორავას** რედაქტორობით). ორივე ინახება პროფესორ **თ.გვანცელაძის** ბიბლიოთეკაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ა.მ.გორკის (40-50-იან წლებში ლ.პ.ბერიას) სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (შემდგომში უნივერსიტეტში) ხელნაწერი ჟურნალების გამოცემას თავისი წინაისტორიაც ჰქონდა. 40-იან წლებში **გ.ტაბიძის** წინადადებით აქ დაარსდა ახალგაზრდა მწერალთა წრე **"ზღვა ახმაურდა".** მისი რიგებიდან გამოვიდნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები **ე.აქუბარდია, ო.მიქაძე, ჯ.ჯანელიძე, ა.ქობალია, გ.გასვიანი, მ.ხურცილავა, ო.კუპრავა, ე.ქაჯაია, ო.მიქიაშვილი** და სხვები.

60-იან (1966-71) წლებში ამ წრეს ხელმძღვანელობდა **ს.საჯაია**. მისი რედაქტორობით გამოვიდა ამავე სახელწოდების ხელნაწერი ჟურნალი **"ზღვა ახმაურდა"** (სარედაქციო კოლეგია **ო.ჭურღულია, ო.მიქიაშვილი, ე.ქაჯაია, ს.საჯაია, გ.ძიძიგური, ტ.მოსია, ჯ.შონია**). ჟურნალში შევიდა **ო.ჭურღულიას, ო.მიქიაშვილის, ნ.ბასილაიას, ს.საჯაიას, ტ.მოსიას, რ.კალანდიას, ა.ჩეგიანის, ს.ქარჩავას, ჯ.შონიასა** და სხვათა ნაწარმოებები.

"ზღვა ახმაურდას" გარშემო შეკრებილთა მხატვრული შემოქმედება 1973 წელს ცალკე წიგნად გამოსცა აფხაზეთის მწერალთა კავშირმა (გამომცემლობა **"ალაშარა" _ "გზის დასაწყისი"**).

აქ უნდა შეგახსენოთ, რომ იმავე წესით 50-იანი წლების დასასრულს იმ თაობის პოეტების ლექსები გამოიცა კრებულ "ალიონის" სახით.

60-იანი წლებისთვის შემოქმედებითი გაერთიანება "ზღვა ახმაურდა" იქცა მძლავრ სახალხო-განმანათლებელ მოძრაობად. მასალები მისი საქმიანობის შესახებ

ქვეყნდებოდა იმ დროის გაზეთებში "საბჭოთა აფხაზეთი", "ახალგაზრდა კომუნისტი" და ა.შ. 1972 წლიდან მას სათავეში ჩაუდგა პედინსტიტუტის ლიტერატურის კათედრის ახალგაზრდა თანამშრომელი **ტიტე მოსია**. ხელნაწერ ჟურნალს, რომელსაც "ჩირაღდანი" ეწოდა, მანვე ურედაქტორა და გამოსცა 8 კრებული.

1988წ. 21 ნოემბერს თბილისში ქართული ეროვნული მოძრაობის თაოსნობით **(ზ.გამსახურდია, მ.კოსტავა)** გაიმართა ხანგრძლივი აქცია მთავრობის სასახლის წინ, რომელიც წინ აღუდგა სსრკ კონსტიტუციაში მორიგი ვერაგული ჩასწორებებით საქართველოში რუსთა კოლონიალიზმის განმტკიცების მცდელობას. ეს იყო ქართველი ერის ერთსულოვანი გმირობის დღეები. ქართველი საზოგადოების ამ უაღრესად დროულმა აქციამ გამოაფხიზლა არა მარტო ქართველი ერი, არამედ სხვა ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებიც, თვალნათლივ დაანახა და განუმარტა მათ, თუ როგორ შენიღბულად განამტკიცებდა ოკუპაციურ რეჟიმს კრემლი.

1988წ. 1 დეკემბერს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სოხუმში **მ.კოსტავასა** და **ვ.ვეკუას** თაოსნობით თბილისის გზატკეცილზე მოეწყო მსვლელობა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტისკენ, სადაც, მიუხედავად ხელისუფლების მიერ მიღებული ღონისძიებებისა, მაინც შედგა სახელდახელო საინფორმაციო მიტინგი. მისმა მონაწილეებმა გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ ოფიციალური პროპაგანდა აფსუა ხალხს უმალავდა ან სულაც ფალსიფიცირებულად აწვდიდა ქართული ეროვნული მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებს. მათ დაგმეს სეპარატისტთა პროვოკაციები (ე.წ. აფხაზეცური წერილი, ზოგიერთი ქუჩისათვის ქართული სახელების ხელაღებით გადარქმევა და ა.შ.. მაგ. **რუსთაველის** სანაპიროს ნაწილს სოხუმში სახელი გადაერქვა, ასევე შეუცვალეს სახელწოდება თბილისის გზატკეცილის ნახევარს და სხვა). აქვე ამხილეს რუსისტული და ფაბრიკაციული ტოპონიმიკის აღსადგენად სეპარატისტთა საქმიანობა და ა.შ. აქციის დევიზი იყო **"ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფსუათა გულებისაკენ".**

ეს იყო პოლიტიკურად წიგნიერი, ზნეობრივად მისაღები და ბუნებრივი (ძუძუმტეობის წესრიგის) ეროვნული ღონისძიება, რომელიც გაბედულად და ქმედითად დაუპირისპირდა კრემლის პროვოკაციასა და საქართველოს კპ ცკ-ის კოლაბორაციონიზმს. მანვე დაგმო აფხაზეთის ასსრ სეპარატისტულ-ეთნოკრატიული და ფსევდო ქართული პარტოკრატიის ანტიმშობლიური (ანტიქართული, ე.ი. ანტიაფხაზური) პოლიტიკა.

1988წ. დეკემბერში ხელისუფლების მიერ აფხაზეთის ასსრ-ში შეკოწიწებული ვითომ **რუსთაველის** საზოგადოების ნაწილმა, ხელისუფლების დაკვეთის შესრულების ნაცვლად აფხაზეთის რაიონებში ფართო ეროვნულ-გამათვითცნობიერებელი მუშაობა განაახლა. მალე, **1989 წლის იანვარში** სოხუმის რაიონში შეიქმნა **რუსთაველის** საზოგადოების საინიციატივო ჯგუფი **(ს.საჯაია, ი.ანუა, ჯ.სვანიძე, შ.ნარმანია, ვ.ქობალია, პ.კვიკვინია**, **მ.ზაქარაია** და სხვები). ამ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა **უტა არსაკიძის** განყოფილება, რომელშიც გაწევრიანდა ლაზებით დასახლებული სოფელ შუბარას (სოხუმის რ-ნი) რამოდენიმე კომლი, ასევე, აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებში დაქსაქსული ლაზების წიგნიერი წარმომადგენლობა, დაიგეგმა ისტორიული გვარების აღდგენა და ა.შ (ხელმძღვანელი **ს.საჯაია**).

ამავე საზოგადოებასთან დაარსდა **გ.შარვაშიძის** განყოფილება, რომელიც თავის აფსუა სახლიკაც წევრებთან **ი.ანუასთან, ვ.ხაშბასთან** და **ვ.თარბასთან** ერთად მოწადინებული იყო სახლიკაცურ-ძუძუმტეობითი ურთიერთობების ასაღოძინებლად. მან იმუშავა კიდევაც სოხუმში შედეგიანად 1989 წლის 15-16 ივლისსა და მომდევნო დღეებში (ინფორმაციები ამის შესახებ იმ დროს იბეჭდებოდა სოხუმის რ-ნის გაზეთში "კომუნისტური შრომა").

რუსთაველის საზოგადოება ძლიერ გამათვითცნობიერებელ ძალად იქცა გალის რაიონში (ჯ.შონია), გაგრასა (ნ.კეშელავა) და გულრიფშის რაიონში (გ.ძიძიგური). აღსანიშნავია, რომ **1989 წლის ოქტომბერში** გულრიფშში დაიწყო რეგისტრირებული ეროვნული გაზეთის "სამრეკლოს" გამოცემა.

1989წ. თებერვალში ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ ნ.მგალობლიშვილისა და ბ.კაკუბავას ინტრიგების საფუძველზე ქ.თბილისში (**ზ.ჭავჭავაძის** ჯგუფი) ე.წ. ღირსების სასამართლო მოუწყო **ზ.გამსახურდიას,** რომლის უმთავრესი მიზანი იყო კრემლის დაკვეთის შესაბამისად **ზ.გამსახურდიას** დისკრედიტირება. ჩანაფიქრი ჩაიშალა.

ცხუმ-აფხაზეთის **ი.ჭავჭავაძის** საზოგადოებამ **(ვ.ვეკუა, ა.გვარამია, ს.ადამია, რ.კუპრავა, ზ.კვარაცხელია)** ასეთი სულმდაბლობა დაგმო (ამის გამო **ი.ჭავჭავაძის** საზოგადოება დატოვეს **ა.გვარამიამ, რ.კუპრავამ, ზ.კვარაცხელიამ** და სხვებმა).

ვოვა ვეკუა ი.ჭავჭავაძის საზოგადოებიდან არ გამოსულა, მაგრამ ამ საზოგადოებაში აძალისხმიერებდა **ზ.გამსახურდიას** ხაზს, ამასთანავე ამზადებდა **ზ.გამსახურდიას** ორიენტაციის ახალი საზოგადოების შექმნისათვის ნიადაგს. ამ მიზნით **15 ივლისის წინა დღეებში** გაიმართა კიდეც საინიციატივო ჯგუფის შეკრება.

ამ დროისათვის საუბარი იყო აგრეთვე **ცოტნე დადიანის** საზოგადოების შექმნაზეც, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილი იქნა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის მიერ იმ საშიშროების გამო, რომ მისთვის კრემლის გეგმების თანახმად, წინააღმდეგ ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის ნებისა, შეიძლებოდა თავს მოეხვიათ ტომობრივი ნიშნით შექმნილი პარტიის შინაარსი.

1989 წლის 25 თებერვალს თბილისში, უნივერსიტეტის ეზოში **ზ.გამსახურდიას** მიერ საგანგებოდ გამართულ მიტინგზე მიღებული იქნა დეკლარაცია, რომელმაც მოითხოვა: **1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიქმნას სპეციალური კომისია რსფსრ-ს მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის ფაქტის შესწავლისა და დამტკიცების მიზნით.**

2. აგრესიის დამტკიცების შემდგომ 1921 წლის 25 თებერვლის აქტი აღიარებულ იქნას ანექსიად, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა და საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა შეფასდეს, როგორც აგრესიის უშუალო შედეგი და მისი გაგრძელება.

3. საქართველოს სსრ ე.წ. სუვერენიტეტი არარსებულად იქნას ჩათვლილი და ამით შესაძლებლობა მიეცეს ქართველ ხალხს სამართლებრივი და პოლიტიკური ქმედებით მიაღწიოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

4. მხილებულ იქნას აღნიშნული სუვერენიტეტის ფალსიფიცირებული ხასიათი, რაც გამოიხატა "მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" სტატუსის არსებობაში. განისაზღვროს საქართველოს სტატუსი, როგორც დამონებული ქვეყნისა, რომელიც იმყოფება კოლონიალურ მდგომარეობაში და საქართველო, როგორც თვითმმართველობას მოკლებული ტერიტორია, შეყვანილ იქნას საერთაშორისო მეთვალყურეობის სისტემაში.

5. საქართველოს, როგორც დამონებული ქვეყნის დეკოლონიზაციის საკითხი გატანილ იქნას გაეროს შემდეგ ორგანოებში: ა) უსაფრთხოების საბჭოში; ბ) მეთვალყურეობის საბჭოში; გ) გენერალური ასამბლეის მეოთხე მთავარ კომიტეტში (თვითმმართველობასა და მეთვალყურეობას მოკლებული ტერიტორიების საკითხები); დ) მეთვალყურეობასა და თვითმმართველობას მოკლებული ტერიტორიების დეპარტამენტი; ე) დეკლარაციების განხორციელებისა და კოლონიალური ხალხებისა და ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების სპეციალური კომიტეტი; ამის შედეგად ქართველ ხალხს, როგორც სუვერენულ ერს, მიენიჭოს თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უფლება, გაეროს წესდების მიხედვით; 7.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩათვალოს, რომ მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტის განხილვა წარმოადგენს სსრკ შინაგან საქმეში ჩარევას, პირიქით, ეს უნდა განიხილებოდეს იმნაირად, როგორც ავღანეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევა. საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იქნება სამართლიანობის დიდი გამარჯვება ზოგადსაკაცობრიობო საერთაშორისო ასპარეზზე. რამდენადაც ერთაშორის ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება გულისხმობს ადამიანთა და ერთა უფლებების სრულ უზრუნველყოფას მსოფლიო სამართლიანობის საფუძველზე, დაე, ამ დიდ მადლს ეზიაროს ყოველი ერი და ყოველი ადამიანი, რაზეც დამოკიდებულია კაცობრიობის მომავალი განვითარების პროცესში ზნეობრივ-პოლიტიკური პრინციპების გამარჯვება და დამკვიდრება. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი".

(წიგნიდან "საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია", გამომც. "ხმა ერისა", 1995წ. გვ. 54). ეს დეკლარაცია და მასზე დართული პეტიცია 20 ათასი ხელმოწერით 1989წ. მაისში გადაეცა თბილისში მყოფ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

1989 წლის გაზაფხულზე სოხუმში შეკოწიწდა თვითგამოცხადებული ედპ-ს ჯგუფი, რომელსაც საქმე რამდენჯერმე დროშის აფრიალების იქით არ წაუწევია, ვერც წაწევდა (მწერალი **ა.ჯიქია**).

1989წ. 20 მარტს სოხუმში ეროვნული მოძრაობის თაოსნობით ქართველმა საზოგადოებრიობამ სცადა მიტინგის ჩატარება, რომელსაც უნდა დაეგმო 18 მარტს ს.ლიხნში აგრესორ-სეპარატისტთა მიერ ჩადენილი მორიგი ვერაგობა და გაეფანტა აფსუა მოსახლეობაში აფხაზეც-სეპარატისტთა მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია ე.წ. ლოზუნგის **"საქართველოში მხოლოდ ქართველებ"**-ის შესახებ. ხელისუფლებამ შესძლო მისი ნაწილობრივი ხელშეშლა და იგი ვერ ჩატარდა ქალაქის მთავარ, **ვ.ი.ლენინის** სახელობის მოედანზე, სამაგიეროდ ათიათასობით მოქალაქემ თავი მოიყარა სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის წინ, მიტინგზე ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან ერთად გამოსვლა მოახერხეს პარტოკრატიის აგენტებმა, რომელთაც, მართალია, დაგმეს ლიხნის პროვოკაციული თავყრილობა, მაგრამ ქართულ ეროვნულ მოძრაობას ექსტრემიზმი უწოდეს.

ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ამ პროვოკატორებს აქვე გასცა საკადრისი პასუხი.

1989წ. 23 მარტს ქართველი საზოგადოებრიობის რწმუნებით, დაბა აგუძერაში შეიკრიბა ქართველ მოღვაწეთა ერთი ნაწილი **(გ.კალანდია, ჯ.ჯანელიძე, მ.ჩიქოვანი, მ.ბერია, ნ.მამარდაშვილი, თ.წულაია, ს.საჯაია)** და, შესაბამისად **ზ.გამსახურდიას** რჩევისა, შეიმუშავეს ლიხნის პროვოკაციასთან დაკავშირებით სსრკ სათანადო ორგანოებში გასაგზავნი საპროტესტო დეპეშისა და წერილის ტექსტი.

1989წ. 24 მარტს ზუგდიდში ჩატარდა მიტინგი, რომელმაც დაგმო აფხაზეც-სეპარატისტთა დემაგოგია.

1989წ. 25 მარტს თბილისში, გამარჯვების პარკში **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** თაოსნობით ჩატარდა საპროტესტო მიტინგი, რომელმაც ამხილა ე.წ. აფხაზეცური წერილისა და ლიხნის მიმართვის ინიციატორები.

1989წ. 25 მარტს ქ.გალში გაიმართა მიტინგი, მან მოუწოდა აფსუა მოსახლეობას არ აყოლოდნენ სეპარატისტთა პროვოკაციებს, რომელსაც რუსიზმი ქსელავდა საქართველოში ეროვნული მოძრაობის ჩასახშობად.

ამასთან დაკავშირებით იმავე დღეს საპროტესტო აქციები გაიმართა ქალაქებში ოჩამჩირესა და გაგრაში.

1989წ. 25 მარტს ქ.სოხუმის ცენტრში (**ვ.ი.ლენინის** მოედნის მიმდებარედ, **ს.კიროვის** სახელობის ქუჩაზე) აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის თაოსნობით ჩატარდა საპროტესტო მიტინგი, რომელმაც დაგმო **18 მარტის** ავანტიურა სოფელ ლიხნში. მიტინგს ესწრებოდა 50000-ზე მეტი მონაწილე.

ამ მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ **მერაბ კოსტავა, ზურაბ ჭავჭავაძე, დიმა ჯაიანი, ვოვა ვეკუა** და სხვები, რომელთაც ამხილეს საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული პროვოკაცია, მოუწოდეს აფსუა და ქართველ მოსახლეობას იბერიული ცნობიერებისაკენ, აღორძინება უსურვეს ძუძუმტეობისა და მორდუობის ყოფაქცევაში.

1989წ. 31 მარტს ქ.სოხუმის მასწავლებელთა სახლში გაიმართა ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეკრება, რომელზეც მიიღეს ექსტრემისტული პროვოკაციის წინააღმდეგ ორგანიზებული საქმიანობის პროგრამა **(ვ.ვეკუა, ს.ადამია, მ.ბერია, თ.ოდიშარია, ა.გასვიანი, ჯ.ჯანელიძე, გ.კალანდია, ს.საჯაია, გ.ხაფთანი, ვ.ქობალია** და სხვ.).

1989წ. 1 აპრილს გაგრაში გამართულ მიტინგში მონაწილეობა მიიღეს **მერაბ კოსტავამ, არკადი მარკოზიამ, ვოვა ვეკუამ.**

1989წ. 1 აპრილს გაგრაში გაიმართა საპროტესტო მიტინგი, რომელიც ლიხნის პროვოკაციის მხილებას მიეძღვნა. მიტინგის სოხუმელი მონაწილეები უკან დაბრუნების დროს ს.ბზიფსა და ასევე გუდაუთის რაიონში ხელისუფლებისგან წაქეზებულმა აგრესორმა სეპარატისტებმა დაარბიეს.

1989წ. 4 აპრილი _ საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინ დაიწყო სრულიად საქართველოს ეროვნული მოძრაობის მრავალდღიანი საპროტესტო აქცია, რომელმაც მთავრობისგან მოითხოვა აფხაზეცური სეპარატიზმის ალაგმვა და აფხაზეთში მკვიდრი მოსახლეობის უფლებების დაცვა.

1989წ. 4 აპრილს ა.მ.გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სექტორის სტუდენტებმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მიმდინარე ანტიქართული პოლიტიკისა და აფხაზეც-სეპარატისტთა თარეშის გამო დაიწყეს საპროტესტო აქცია.

1989წ. 8 აპრილს დაბა გულრიფშში ჩატარდა ქართველი მოსახლეობის სანქცირებული საპროტესტო მიტინგი, რომელმაც სასტიკად დაგმო ე.წ. აფხაზური წერილისა და ლიხნის მიმართვის ავტორები. მიტინგს დაესწრო აფხაზეთის რაიონიდან და დასავლეთ საქართველოდან მოსული 80000-მდე ადამიანი. მასში მონაწილეობა მიიღო და ლიხნის პროვოკაცია უარყოფითად შეაფასა არაქართველმა (უკრაინელმა, ბერძენმა, ესტონელმა) მოსახლეობამაც.

1989წ. 9 აპრილს რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა ქიმიური გაზებისა და და ხელნიჩბებით დაარბია თბილისში მთავრობის სახლის წინ გამართული მშვიდობიანი აქცია, რომლის დროსაც უცნობი ქიმიური გაზით მოიწამლა ათასობით ადამიანი, სასტიკი ანგარიშსწორების დროს დაიღუპა 17 მშვიდობიანი მომიტინგე (სულ აპრილის ტრაგიკულ დღეებში ოკუპანტთა თარეშს შეეწირა 20 ადამიანი).

1989წ. 9 აპრილს სოხუმის ქუჩებში გამოსულმა ტანკებმა ხელი შეუშალა ქართველი საზოგადოებრიობის მიერ დაგეგმილი მიტინგის ჩატარებას. მიუხედავად ამისა და სხვა რეპრესიული დემაგოგიისა, ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ მაინც შესძლო ცხუმ-აფხაზეთის საკათედრო ეკლესიასთან მრავალათასი ადამიანისთვის ეუწყა თბილისში მომხდარი ტრაგედიის შესახებ, ამხილა საბჭოთა ტერორი.

1989 წლის აპრილში, თბილისის სასაკლაოს შემდგომი დღეებიდან, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საკათედრო ეკლესიაში ხუთშაბათობით საგანგებოდ აღსდგა ქართული წირვა-

ლოცვა. შეიქმნა ქართველ მგალობელთა გუნდი. ამავე დღეს წირვის დაწყებამდე ეროვნული მოძრაობის მიერ იმართებოდა საინფორმაციო მიტინგები.

1989წ. 10 აპრილს ბათუმში გაიმართა საპროტესტო მიტინგი 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით.

1989წ. 10 აპრილს სოხუმის საზოგადოებამ საკათედრო ეკლესიის წინ გამართა სამგლოვიარო აქცია 9 აპრილის მსხვერპლთა პატივსაცემად.

1989წ. 10 აპრილს ა.მ.გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სექტორის სტუდენტთა საპროტესტო აქციას შეუერთდნენ ამავე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მათდამი სოლიდარობა გამოხატეს საქართველოს სუპტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის სტუდენტებმა, ქ.სოხუმისა და სოხუმის რ-ნის ქართულ საშუალო სკოლათა მოსწავლეებმა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ფართო საზოგადოებრიობამ და ა.შ.

იმ ხანებში **ზ.გამსახურდიამ** მოუწოდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას იმპერიის წინააღმდეგ ლეგალური ბრძოლისათვის გამოეყენებინათ **რუსთაველის** საზოგადოების ტრიბუნა.

1989წ. 11 აპრილს შიდა აჭარაში, სხალთის ეკლესიაში სხალთა-ხიხაძირის ხეობამ დაიტირა **9 აპრილის** ზვარაკი ადამიანები. ამავე დროს ამით გულშეძრული მოსახლეობა მასობრივად მოინათლა.

ასეთ იატაკქვეშურ ვითარებაში **ზ.გამსახურდიას** რედაქტორობით გამოიცა თვითგამოცემითი ჟურნალი "მატიანე" №4, რომელიც მთლიანად აფხაზეთის პრობლემებს მიეძღვნა და საფუძვლიანად გაანალიზა კრემლის მიერ გათანმიმდევრებული საბჭოთა პარტნომენკლატურული გენოციდი ქართველი ერისა, ასახა მისი გამამანქურთებელი შედეგები.

ამ დროისათვის ცხუმ-აფხაზეთის ქართული ეროვნული მოძრაობა ჩაერთო **მაისის პირველ დღეებში** სოხუმში დაწყებულ აქციაში, რომელიც **ა.მ.გორკის** სახელობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამეფებული ანტიქართული თარეშის საწინააღმდეგოდ გაიმართა. ეროვნული მოძრაობის ძალისხმევა ამხელდა ამ აქციაში პარტოკრატიულ კოლაბორაციონიზმსა და ეთნოკრატიის ნომენკლატურულ ინტერესებს. იგი მუშაობდა აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის ანტიიმპერიული მოძრაობის გასაშლელად. სწორედ ამისკენ მოგვიწოდებდნენ **ზ.გამსახურდია** და **მ.კოსტავა.** ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული მოძრაობა საქართველოს ოფიციოზისაგან მოითხოვდა, მკაცრი და ობიექტური შეფასება მისცემოდა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, რასაც იგი არ აკეთებდა. ყოველივე ამან და იმანაც, რომ საბჭოთა პროპაგანდა გაუკუღმართებულად აშუქებდა ქართული ეროვნული მოძრაობის ამოცანებს, ვითარება დაძაბა ქართველ და აფსუა მოსახლეობას შორის. ურთიერთობა ფეთქებად მდგომარეობამდე მივიდა.

12 მაისი _ ხელყოფილი ანდერძი

ღია წერილი აფხაზეთის სახალხო ფორუმის
თავმჯდომარეს მწერალ ალექსი გოგუას

გავეცანი თქვენს ინტერვიუს გაზეთ "Красная Звезда"-ში (1989 წლის აპრილი, №93). მოვუსმინე თქვენსავე რადიოინფორმაციას 9 აპრილის ეროვნული ტრაგედიის ცხელ კვალზე.

ქართველი ერისათვის, ამდენად მისი სისხლისმიერი და სულიერი ძმის _ აფსუასათვისაც მძიმე დღეებში, ვერ ამოვიკითხე, ვერ ვიგრძენი მასში ის ზრდილობა და ახავაის წესრიგი, რაც ასე უხვად დაანათლა ამ ხალხს განგებამ.

ამართლებთ ნიჩაბმომარჯვებულ ჯარისკაცს, უიარაღო ხალხში ტანკებით მოაღლუმე გენერალს გულწრფელი ვაშა შეაწიეთ, ხოლო ერის საჭირისუფლოდ დაჩეხილ და საწამლავშეფრქვეულ გოგო-ბიჭებს, ქალებსა და მოხუც მანდილოსნებს ქუდმოუხდელმა ჩაუარეთ.

სხვა რომ არაფერი, თქვენი ქართველი (თქვენი "სახალხო" ფორუმის არცთუ უანგარო, გულმოდგინედ ჩასაფრებული დაზუსტებით _ მეგრელი, ე.ი. არაქართველად მოგულისხმებული) პაპის გამნარყს, თქვენსავე მეზობელ ქართველ გოგუებს განა სამძიმრის მიღებისას გვერდით არ უნდა ედგეს სახლიკაცი გოგუა, თუნდაც გააფსუებული?!

როგორ განმარტავს თქვენი ე.წ. სახალხო ფორუმი ამას?

თქვენი არ ვიცი და მე ასე ვხსნი, აფსუა არ ბრძანდებით თქვენ! ოქტომბრისენოვანი აბხაზეცი ხართ. აი მიზეზი ყველაფრის!

მე ღალატი მგონია ეს და ზნეობის გაუპატიურება. მომხმარებლურ დამოკიდებულებას მშობლიურისადმი "თელო ღურას" ეძახდა პაპაჩვენი, ალექსი ბატონო!

რაც უფრო ღრმად ვეცნობი ე.წ. აფხაზეთის სახალხო ფორუმის მუშაობის ხერხებს, ინფორმაციათა "მეცნიერულ კომპეტენტურობას", "ინტერნაციონალიზმის" პროპაგანდისტულ სულისკვეთებას, აი, თუნდაც, საშუალო სკოლაში აფხაზეთის ისტორიის გაკვეთილებზე, _ ვრწმუნდები, რომ თქვენ ამჯერადაც სხვათა კარნახს ახმოვანებთ, "აფხაზეთის ისტორიის კავშირი კავკასიურ და მსოფლიო ისტორიასთან", "მენშევიკთა ინტერვენცია აფხაზეთში 1918 წელს და აფხაზეთის ანექსია". დიახ, დიახ, ვრწმუნდები, რომ ეს ბავშვური მიამიტობა სულაც არაა. იგი შორს გამიზნული შენიღბვაა იმ ცარისტული ვერაგობის, რომელიც გეგმაზომიერად, ეტაპობრივად ვლინდება დღევანდელი ოფიციოზის "ინტერნაციონალურ" ცნობიერებაში.

ასეთი ინტერნაციონალისტი მე ვერ ვიქნები.

არ მჯერა თქვენი ფორუმის სახალხოობა, რადგან სახალხო პირველ რიგში ეროვნულია, თქვენი ეროვნულობა კი როგორ შევათავსოთ 1870 და 1916 წლების აფხაზთა დეპუტაციების, გიორგი შარვაშიძისა და ჩვენი ზრდილობის უნივერსიტეტის _ თარაშ (არზაყან) ემხვარის ფესვების დაგმობასთან?!

თქვენს მიერ ხელყოფილია მამის ანდერძი:

"განგებავ, ამას ნუ მიწყენ, ვერ გადავგვარდე გვარადა, ხანდახან დავიღუღუნო, მამაპაპური ვარადა" (გ.შარვაშიძე).

თქვენს მიერ ხელყოფილია ერთი არწივის ორი ფრთა _ ჩონგური და აფხიარცა.

რჯულთან სისხლისაღრევა "ვაშინერს" _ ეს მატიანის დასკვნაა, ეს საფლავთა გაფრთხილებაა, ეს სამშობლოს საავდრო წინათგრძნობაა, ეს კაცურკაცობის შეხსენებაა, ბოლოსდაბოლოს, მომავლისკენ სწორი გახედვის აუცილებლობაა!

"ვაშინერს" _ ეს რისხვაცაა, ბატონო ალექსი!

პატივისცემით, პედაგოგი <u>ს.საჯაია.</u>

წაკითხული იქნა სოხუმში კ.გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო
დრამატულ თეატრთან მიმდინარე აქციის დროს 1989 წლის 12 მაისს.
იმავე დღეებში გაეგზავნა აფხაზეთის მწერალთა კავშირს.
(გაზ. "ცხუმი", პარასკევი, 4 ივნისი, 1993წ.).

1989წ. მაისის შუა რიცხვებში ოფიციოზმა 9 აპრილის _ ზვარაკთა მოხსენიებასთან (ორმოცი) დაკავშირებით ოჩამჩირეში სისხლისღვრის ჩახლიწინება სცადა. ქართული ეროვნული მოძრაობის ჩარევით თავიდან იქნა აცილებული ეს პროვოკაცია. მოსახლეობამ ქალაქის ცენტრიდან მსვლელობის შემდეგ **ილორის წმ. გიორგის** ეკლესიაში პატივი მიაგო დაღუპულთ.

ამავე დღეს _ **19 მაისს** 9 აპრილის ტრაგედიის პატივმისაგებად ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ მრავალათასიანი საზოგადოებრიობის მხარდაჭერით მსვლელობა მოაწყო ქ.სოხუმის ცენტრალურ ქუჩებში, ხოლო მშვიდობის პროსპექტისა და ენგელსის ქუჩის გადაკვეთასთან, სკვერში აღმართა 9 აპრილის მსხვერპლთა ნიში (რომელიც შემდგომში პროვოკაციის მიზნით არაერთხელ შეურაცხყვეს სეპარატისტებმა) და საგანგებო პანაშვიდი გარდაიხადა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საკათედრო ტაძარში.

ანალოგიური აქციები გაიმართა გულრიფშში, გალში, გაგრაში.

1989წ. 21 მაისს ქ.სოხუმში გაიმართა ქართველ ქალთა სამშვიდობო მიტინგი, რომელმაც დაგმო კრემლის მიერ აფხაზეთში დაქსელილი სეპარატისტული პროვოკაციები. ამ აქციაზე სიტყვით გამოვიდა 79 წლის ბერძენი მანდილოსანი **ეფემია ერალიდი-საჯაია:**

1989წ. 21 მაისი, ქ.სოხუმი, კონსტიტუციის მოედანი _

1989 წლის 21 მაისს ქ.სოხუმში ქართველ ქალთა სამშვიდობო მიტინგის მონაწილეებს

“მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულობაი ჩემი”...

(50-ე ფსალმუნი).

“...მსურს ყველაფერში შემწედ მიგულვოთ, გულქვა მიწოდეთ, თქვენი ვედრება თუ არ ვისმინო!”

(სოფოკლე, “ოიდიპოს მეფე”)

მოგმართავთ თქვენ 79 წლის ბერძენი ქალი, რომელიც, მიუხედავად დიდი სურვილისა, რას იზამ, ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება ქართველ ქალთა ამ თავყრილობას.

არადა, მთელი ჩემის სიცოცხლე ქართველი ქალის გვერდით ვიღვაწე, ვარ ქართული ოჯახის დედა, ბებია, დიდედა.

პირველ რიგში მე ბერძენი ვარ, ვერავინ მასწავლის ვერც მამულიშვილობას და ვერც კაცთმოყვარეობას, ვერც იმას, ვინ ვარ, ვისთან ვარ, ვისთან უნდა ვიდგე. ყველა, ვინც კი მყავს _ და-ძმა, მათი შვილები, შვილიშვილები, საბერძნეთში მყავს. საბერძნეთშია ჩემი მშობლების საფლავი და მაინც ქართულ ოჯახში ვარ, რადგან ღვთის წინაშე უდიდესი ცოდვაა ადამიანს წაართვა დედაენა, ვინაობა. მე ჩემს შვილებს შევუნარჩუნე იგი და ბერძენი ქალი სინდისის წინ პირნათელი ვარ, მამხნევებს იმედი, რომ მაქვს უფლება ჩემს უზენაესს, უფალს დედაენაზე, ბერძნულ ენაზე გავესაუბრო.

შვილები იაკობის “დედა ენით” გავზარდე, ჰომეროსისა და სოფოკლეს ენით გავამდიდრე. ჩემი ქალობისათვის, დედობისათვის ეს უდიდესი ჯილდოა. ბარემ, აქვე ვიტყვი იმასაც, რომ წარჩინებული პედაგოგის თ.ბოკუჩავა-გაგულიას “ინტერნაციონალიზმი”, რომელიც “ლიტერატურულმა საქართველომ” გაგვაცნო (აღფრთოვანებით გადასცა აფხაზეთის ტელევიზიამაც), ნაკლებად განსხვავდება ცარისტული “ჰუმანიზმისაგან” და “მამობრივი მფარველობისაგან”.

როგორ?! პატივცემული აფხაზური ოჯახის რძალმა შვილებს დედაენა რად წაართვით, თქვენ ადამიანში სული ჩაჰკალით, ეს ფიზიკურ მკვლელობაზე მეტია, იგი ქრისტიანული წესით უდიდესი ბოროტებაა და თუ თქვენს მსოფლმხედველობის წესს, გარდა კულინარიისა, რაიმე კავშირი აქვს მამა-პაპის ადათებთან, უნდა გითხრათ, რასაც ვფიქრობ, თქვენ პასუხი უნდა აგოთ აფსუა და ქართველი ხალხების წინაშე, რადგან ყველა ენაზე, მათ შორის ოქტომბრის ენაზე, მკვლელს ცოდვილი ჰქვია.

ვაი, რომ საქართველოში დატრიალებული კალოს ნამდვილი მიზეზი ასეთი “ინტერნაციონალიზმია”.

მეტიც, ეს "ინტერნაციონალისტები" სოხუმში ავრცელებენ ცილისმწამებლურ პროკლამაციებს _ "ფიცი"[36]. მათ ნახავთ ბერძნულ დასახლებებშიც, სადაც, თავგზას უბნევენ ბევრ ჩემს თანამოძმეს, თითქოს ქართველები ბერძნების გადასახლებას ითხოვენ. მოკლედ, ქართველების არარსებული საფრთხისგან "იცავენ" ხალხს. მათი ანგარიში ნაცადია _ დააქუცმაცე!

შვილებო, თქვენ გაგიგიათ და მე მსხვერპლი ვარ იმ საშინელი 1949 წლისა.

იმ წლებში ჩემი ქართველი მეზობლების ოჯახები სავსე იყო ბერძენი ხიზნებით, ქართველი კაცი მათ სითბოსა და კერას უყოფდა.

და როცა 1951 წელს უკვე ქართველები გაუყენეს შუა აზიის გზას, მათ ბერძენი თანამოძმენი კეთილ მასპინძლებად დახვდნენ.

აი, ხალხის პოზიცია, ნურავინ აურევს დიდმპყრობლური სახელმწიფოს პოლიტიკას ქართველი ხალხის, ძმობისათვის მსხვერპლგაღებული ხალხის სულისკვეთებაში.

მე და ჩემი ძმები, სხვებიც, საერთოდ უმეტესობა, ქართულ სკოლაში დავდიოდით, ამიტომ იყო ჩვენს თაობაში ურთიერთნდობა. ურთიერთნდობამ და გულახდილობამ გაგვარკვია ქართველთა ადათებში, პატივს ვცემდით ამ ადათებს და ეს ყველაფერი სულიერად გვამდიდრებდა, გული მწყდება, როცა დღეს ბერძენი მოსახლეობის უმეტესობას (ისევე, როგორც სხვა ხალხებს) მის მეზობლებთან ქართულად გადაძახებაც კი არ შეუძლია. ეს აბუჩად აგდებაა ერის, უპატივცემლობაა მაპურებელი მიწის!

50-ანი წლების მეორე ნახევრიდან სოხუმის რაიონში დაბრუნდნენ გადასახლებული ბერძნები, კვლავ ძმურად შეიფარა ბერძენი მასპინძელმა. და აი, ვიღაცის ბინძურმა ხელმა, რაკი ეს ძმობა ჭკუაში არ დაუჯდა, ჯერ ეჭვი, მერე შუღლი, ბოლოს მტრობა ჩამოაგდო ძმებს შორის. დაიღვარა სისხლიც ქართულ და ბერძნულ თემებს შორის. ეს იყო აშკარად წინასწარგანზრახული ბოროტება ნატანჯი ბერძნისა და ქართველის მიმართ.

ხმას ვუერთებ ქართველი ქალების სამართლიან მოთხოვნას, მათმა შვილებმა სამხედრო სამსახური საქართველოში გაიარონ...

ძვირფასო ქართველო ქალებო, მე ერთგული ვარ თქვენი მოძრაობის. ვაკურთხებ მას და ვილოცებ მისთვის, მაგრამ თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მეყოფა ძალა ჩემი ბებერი სხეული ავზიდო იმ სამსხვერპლოზე, საითკენაც ჩემი ქართველი შვილები მიეშურებიან. მე მხცოვანი ვარ, რიგი დავიცვათ, ახალგაზრდებო!

ეფემია ერელიდი-საჯაია.

(გაზ. "სახალხო განათლება", 14 ივნისი,1989წ.).

Участницам мирного митинга, состоявшегося в г.Сухуми, 21 мая 1989г.

«Прошу меня приблизить к себе, и если я не уважу вашу мольбу, то считайте меня бесчувственной».

Софокл. «Царь Эдип».

К вам обращяется 79 летняя гречанка, которая несмотря на огромное желание, увы, в силу своей немошности не может присуствовать на женском митинге.

Хотя, всю свою жизнь трудилась плечом к плечу с грузинами, ведь я мать, бабушка, прабабушка грузинской семьи.

В первую очередь я гречанка, так что не мне учиться человеколюбию, тому, с кем мне быть и кого поддерживать. Все близкие мне люди _ брятя и сестры, их дети внуки живут в

[36] იგი მოსახლეობას მოუწოდებდა ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეფიცულიყვნენ.

Греции. В Греции покоится прах моих родителей и все же я здесь, в грузиинской семье, ибо самый большой грех пред господом _ отнять у человека родной язык, происхождение. Я сохранила все это для своих детей и совесть моя чиста, меня поддерживает то, что я имею право на общение с Богом на родном греческом языке.

Азы речи мои дети усваивали из «Деда эна» Я.Гогебашвили их речь обогатил язык Гомера и Софокла. Для меня, как для женщины, это самая большая награда. Кстати здесь же замечу, что «интернационализм» заслуженного педагога Т.Бокучава _ Гагулия, с которым нас ознакомила газета «Литературули Сакартвело» (и с восторгом передало Абхазское телевидение), мало чем отличается от царского «гуманизма» и «отцовского попечительства».

Как же так?! Уважаемая, будучи снохой абхазской семьи, почему вы отняли у детей своих родной язык? Да вы знаете, что тем самым загубили в людях души, это больше чем физическое истребление, по христианской заповеди, это большое зло, и если ваше мировидение, помимо азов кулинарии, находится в хоть какой-то связи с обычаями предков, то вы должны отвечать перед абсуйским и грузинским народами, ибо на всех языках, в том числе и на языке Октября, убийца зовется грешником.

Вся беда в том, что главной причиной той круговерти, которая произошла в Грузии, является такой вот «интернационализм».

Более того, подобные «интернационалисты» распространяют в Сухуми оскарбительные прокламации «клятвы». Их можно встретить и в гречаских поселениях, где моих соотечественников всячески стараются сбить с толку, заявляя, что якобы, грузины требуют выселения греков. Коротко говоря «защищают» народ от несуществующей грузинской агресии. Расчет их многократно испытан - разобщи!

Дети мои, вы наверняка слышали, что я сама жертва страшной трагедии 1949г.

Семьи моих грузинских соседей были полны греческих беженцев, грузины делились с ними всем, что имели.

И когда в 1951г. уже грузин направили в Среднюю Азию, греки встретили их добрыми и гостепринными хозяевами.

Вместе с моими брятьями наравне с другими, мы ходили в грузинскую школу, поэтому представители нашего поколения доверяли друг другу, доверие и откровенность помогли нам разобраться в грузинских традициях, отнестись к ним с уважением и все это духовно возвысило нас. Я сожалею, что большннство греческого населения, сегодня (как и другие народы) не в состоянии по грузински даже откликнуть своего соседа. Это не что иное как пренебрежение всей нацией, землей вскормившей нас!

Со второй половины 50-х годов переселенные греки вернулись в Сухумский район, и вновь хозяева радушно приняли греков. И вот, чья-то злая и грязная рука, не разделила такого гостеприимство омрачила нашу дружбу, вселив раздор и вражду. Пролилась кровь грузин и греков. Это была явно заранее расчитанная провокация по отношению к измученным грекам и грузинам.

Я полностью присоединяюсь к справедливым требованиям грузинских женщин, их дети должны проходить военную службу в Грузии!

Дорогие грузинские женщины, я солидарна с вашим движением. Мои молитвы обращены к вам но если этого будет недостаточно, мне хватит сил принести свои старые кости в жертву и пойти туда, куда пойдут мои дети и внуки. Я убеленный сединой человек, теперь ваш черед, молодые!

Ефимия Ерелиди-Саджая.

(გაზ. «Народное образование», 18 июня, 1989წ.).

1989წ. მაისში ქ.ოჩამჩირის №1 საშუალო სკოლის ეზოში **9 აპრილს** დაღუპულთა უკვდავსაყოფად გამოისაგნა ქვის ნიში, ასევე ოჩამჩირელი საზოგადოებრიობის ძალისხმევით, მიუხედავად აგრესორ-სეპარატისტთა მუქარისა, **ილორის წმ.გიორგის** ეკლესიაში დაიდგა **9 აპრილს** დაღუპულთა სახელების უკვდავსაყოფად ქვის ძეგლი.

1989წ. 26 მაისს სოხუმში, გულრიფშში, გაგრაში, ოჩამჩირესა და გალში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი მიტინგი. ამ დღეს სეპარატისტთა შეიარაღებულმა ბოევიკებმა სცადეს სოფელ ეშერაში წისქვილკომბინატის ტერიტორიაზე კონფლიქტის დახლართვა. მათ ქ.სოხუმსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე გაავრცელეს პროკლამაციები, რომლებშიც ქართველებს "პარაშუტისტები" უწოდეს, ისინი (ქართველობა) აფხაზეთში კანონგარეშედ გამოაცხადეს და მოსთხოვეს სასწრაფოდ ამ მიწის დატოვება, წინააღმდეგ შემთხვევაში ელოდეთო შურისგებას, _ იუწყებოდა პროკლამაცია.

ქართული ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით პროვოკაცია გაუვნებელყოფილი იქნა.

1989წ. 26 მაისს ქ.სოხუმში საზღვაო პორტთან ქართველმა ეროვნულმა მოძრაობამ ორმოცდაათათასამდე კაცს მოუყარა თავი და გამართა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიუხედავად სეპარატისტ-პროვოკატორთა აშკარა ავანტიურისა, მიტინგი ხელისუფლებამ ვერ ჩაშალა, მისი მონაწილეები ვერც პროვოკაციაში ჩაითრიეს. ქალაქის მაღლობებზე და ანძებზე აფრიალდა ქართული დროშა. ამ მიტინგს არაქართველთაგან (მეთვალყურის სტატუსით) დაესწრო აფსუათა გარკვეული ნაწილი, რომელთაც ოჯახური ნათესაობა აკავშირებდათ ქართველებთან და რომლებთანაც ეროვნულმა მოძრაობამ წინასწარ გასწია ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ასევე, ამავე სახით მონაწილეობდნენ ამ ქუდზეკაცობაში ბესლეთის ხეობის თემიდან ბერძენი მოსახლეობის ჯგუფი **მარია ემექსიზიდისა** და **ნიკოლოზ ჩულფას** ხელმძღვანელობით. მათ ეროვნული მოძრაობის დავალებით ბერძნულ ენაზე მიმართა **ს.საჯაიამ.**

1989წ. 26 მაისი _ სეპარატისტული პროვოკაციების მცდელობისდა მიუხედავად საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მოეწყო ოჩამჩირეში, გალში, გულრიფშში, გაგრაში, ასევე აფხაზეთის სოფლებსა და დაბებში.

7 ივნისს წმ. ილია მართლის საზოგადოების სახელით **ზ.გამსახურდიამ** სახალხოდ გაასაჯარისა ეროვნული მოძრაობის დამოკიდებულება მესხეთელი თურქებისადმი. მან აღნიშნა, რომ **წმინდა ილია მართლის** საზოგადოების პროგრამაში შედის ქართული ორიენტაციის მესხების ჩამოსახლება, იმათი, რომლებიც ქართველობენ და პასპორტში აღიდგენენ ქართულ გვარსა და ეროვნებას, ხოლო ვინც თავის თავს თურქად თვლის მასთან ვატარებთო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, განვუმარტავთ განსხვავებას რელიგიასა და ეროვნებას შორის, და თუ ასეთი განმარტება შედეგს არ მოგვცემს, მაშინ მათ თურქეთში ემიგრაციას ვურჩევთო.

საბედნიეროდ, ამ დროისათვის საბჭოთა ხელისუფლების მოთარეშე პოლიტიკის გასწვრივ უფრო და უფრო შეუქცევად აღმავლობას განიცდიდა ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** ხელმძღვანელობით. ქართული საბჭოთა, პარტიული და ე.წ. შემოქმედებითი სტრუქტურები იძულებული გახდნენ ანგარიში გაეწიათ ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებისათვის.

1989წ. 15 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრებამ მოითხოვა: **"1. ცნობილ იქნას რსფსრ-სა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება დარღვეულად რსფსრ-ის მხრიდან და აქედან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1921 წლის 25 თებერვლიდან ანექსირებულად;**

2. საქართველოს სსრ ფაქტიური სუვერენიტეტი განხორციელდეს მთელს მის ტერიტორიაზე;

3. შემოღებულ იქნას საქართველოს სსრ მოქალაქის სტატუსი;

4. სსრკ კანონები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იქნებიან დამტკიცებულნი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ;

5. აღდგეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში 1978 წელს ამოღებული მუხლი, რომელიც ანიჭებს რესპუბლიკას უფლებას იყოლიოს ეროვნული საჯარისო ფორმირებანი, ხოლო ამ მუხლის რეალიზაციამდე რესპუბლიკის წვევამდელებმა მოიხადონ სამხედრო სამსახური საქართველოს ტერიტორიაზე.;

6. რესპუბლიკაში შექმნილი უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებისა და მცირე მიწიანობის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის საგანგებო გადაწყვეტილებამდე შეწყდეს რესპუბლიკაში მასობრივი იმიგრაციული პროცესი და გამოსწორდეს ამ მხრივ ადრე დაშვებული შეცდომები" (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 16 ივნისი, 1989წ.).

1989წ. 18 ივნისს ქ.ბორჯომში ჩატარებულ მიტინგზე **ზ.გამსახურდიამ** ამხილა კრემლის მიერ მესხეთელი თურქებისათვის მოწყობილი ჟლეტის მიზანი (მათ შორის უნდა ვივარაუდოთ ავდროისგან გათურქებული მესხებისაც). მან დაგმო ხალხთა მასობრივი განადგურების საბჭოთა პრაქტიკა და გაასაჯარისა ეროვნული მოძრაობის დამოკიდებულება მესხების (და არა თურქების) რეპატრიაციის საკითხებთან დაკავშირებით.

1989წ. 20 ივნისს კინოს სახლთან ქ.თბილისში **ზ.გამსახურდიამ** დაახასიათა ფერგანის ტრაგედიის თავმიზეზები.

1989წ. 21 ივნისს თბილისში ჩატარდა "სახალხო ფრონტის" დამფუძნებელი ყრილობა. იგი ოფიციოზს სურდა გადაექცია ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის საპირწონედ. იყო მცდელობა, მის თავკაცად დაედგინათ **მ.მამარდაშვილი,** რომელიც საბჭოთა პარტნომენკლატურას სჭირდებოდა გზაამქცევ ფირნიშად.

იმავე დღეებში მარნეულის არეულობებთან დაკავშირებით ეროვნულმა მოძრაობამ საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომლის შედეგად თავიდან აცილებული იქნა ფართომასშტაბიანი ეთნოკონფლიქტი (როგორც გახსოვთ, იმხანად ქვემო ქართლში აზერბაიჯანელებმა ავტონომია მოითხოვეს ცენტრით რუსთავში).

1989წ. 26 ივნისს ცხუმ-აფხაზეთის ქართველი საზოგადოებრიობის დეპუტაცია (**შ.ჯღამაძე, შ.ნარმანია, თ.კემულარია, ს.საჯაია, ო.გვიჩია** და სხვები) ეწვივნენ საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს **გ.გუმბარიძეს** და მოახსენეს აფხაზეთში მიმდინარე უკიდურესად დაძაბული ვითარების შესახებ. აღნიშნეს, რომ აფხაზეცი სეპარატისტები აშკარად ემზადებოდნენ ქართველების წინააღმდეგ აფხაზეთში "ფერგანის" მოსაწყობად (**ს.თარკილის** საჯარო განცხადება აფხაზეთის ფილარმონიაში მიმდინარე აქციის დროს **1989 წლის ივნისში**). **გ.გუმბარიძემ** დეპუტაციას განუცხადა, რომ მოსკოვი არ დაუშვებდა სეპარატისტების პარპაშს, რომ მოსკოვი ქართველების მხარესაა, **ე.შევარდნაძის** ავტორიტეტი დიდია და ა.შ.

1989წ. 29 ივნისს ქ.თბილისში **ზ.გამსახურდიამ** დაგმო დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ხელისუფლების მიერ მესხეთელი თურქების ჩასახლების მცდელობა მოსკოვ-ანკარას სცენარის მიხედვით (**1944 წელს** მესხეთიდან და არმენეთიდან შუა აზიაში დეპორტირებული თურქი მოსახლეობა თუ სამშობლოში ითხოვს დაბრუნებას, მისი სამშობლო თურქეთის რესპუბლიკაა და იქ უნდა დაბრუნდეს. საქართველოში იგი საოკუპაციო ძალა გახლდათ. რაც შეეხებათ ძალად

გამაჰმადიანებულ მესხებს, ისინი ჩვენს სამკურნალო ჭრილობას წარმოადგენენ, მაგრამ არა იმ წამლით, რასაც თავს გვახვევენ მოსკოვიდან და ანკარიდან).

1989წ. ივნისში ქართველი საზოგადოებრიობის ჯგუფი (**თ.ოდიშარია, მ.ძოძუაშვილი, ს.საჯაია** და სხვები) შეხვდნენ აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრს **მ.ჩულკოვს,** რომელსაც მოახსენეს ქართველი საზოგადოებრიობის შეშფოთება სეპარატისტული პროპაგანდის აულაგმაობისა და ქართველთა გენოციდისკენ აშკარა მოწოდებების გამო. მინისტრმა "გაოცება" გამოთქვა და "ვერ დაინახა" შეშფოთების საფუძველი.

1989წ. ივნისში ქართველმა ახალგაზრდობამ თბილისში **სერგო ორჯონიკიძის** ძეგლი აიღო.

1989 წლის ივნისში ვოვა ვეკუას თაოსნობით ქ.სოხუმში მუშაობა დაიწყო ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლობითმა კრებამ, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციასთან დაკავშირებით ყოველდღიურად თათბირობდა, ცდილობდა შეცდომაში შეყვანილი აფსუა მოსახლეობაში ნდობის გზის გაკვალვას, ამავე დროს კრების ხელმძღვანელობით ცხუმ-აფხაზეთის ქართველმა საზოგადოებრიობამ ამხილა სეპარატისტულ ავანტიურათა მიზნობრივი და გეგმაზომიერი ესკალაციის პარტნომენკლატურული მიზნები.

1989წ. 7 ივლისი:

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს,
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობას,
საქართველოს სახალხო ფრონტს,
გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას

ჩვენ, ქართული ოჯახების არაქართველი რძლები, მხარს ვუჭერთ საქართველოს მწერალთა კავშირის 1989 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებებს.

ადამიანის ყველაზე დიდი მონაპოვარი თავისუფალი სამშობლოა. ზნეობის წინაშე ბოროტებაა პიროვნებას წაართვა დედა ენა, ე.ი. ვინაობა, ერს _ თვითმმართველობა, უფლება თავისი თავი თავადვე "ეყუდნოდეს".

გამოვდივართ რა ამ თვალსაზრისიდან, ჩვენ, ჩვენი სულისკვეთებით უფლებას ვიტოვებთ მხარში დავუდგეთ ქართველ დედებს, რამეთუ ვართ ქართველთა დედები, ამავე დროს, ჩვენს შვილებს, ისევე, როგორც ყველა ქართველი დედა, მოვუწოდებთ მუდამ ახსოვდეთ ქართველი კაცის შეგონება _ "ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი".

ამ რწმენით გაგვამზითვეს წინაპრებმა, რომლებსაც ჩვენი ნაბიჯებით ქართველი ერის სახით ნაცადი და უღალატო მეგობრები შევძინეთ.

ქართველთა დედების სახელით:

ეფემია ერალიდი-საჯაია (ბერძენი) _ შრომის ვეტერანი, პენსიონერი. ქ.სოხუმი, მიმინოშვილის ქ. № 112.

ეთერ მავროპულო-დარსალია (ბერძენი) _ ექიმი, ქ.სოხუმი, ჭანბას ქ. № 95.

ლუდა გრიგორენკო-ქარდავა (უკრაინელი) _ დიასახლისი. გულრიფშის რ-ნი, ს.ფშაფი.

ეველინა უმუდუმიდი-გაბელია (ბერძენი) _ დიასახლისი. სოხუმის რ-ნი, ს.ბირცხა.

ვალენტინა პოდტიკანი-ქობალია (ებრაელი) _ პედაგოგი. სოხუმის რ-ნი, ს.თავისუფლება.

ზინაიდა ბურსოვა-გიორბელიძე (რუსი) _ პედაგოგი. სოხუმის რ-ნი, ს.ლინდავა.

(გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 7 ივლისი, 1989წ.)

1989წ. 15-16 ივლისის ტრაგიკულ დღეებში საზარბაზნე ხორცად გამეტებულ ქართველობას ცხუმ-აფხაზეთში ერთადერთ რეალურ თავკაცად ქართული ეროვნული

მოძრაობა დაუდგა, რომელმაც აფხაზეც სეპარატისტთა აულაგმავი თარეშისა და სსრკ შინაგანი ჯარების საოკუპაციო მარშირებების ვითარებაში შესძლო უამრავი ვნებათაღელვის დაცხრომა, გონიერი მოქმედება, მოსახლეობაში პროვოკაციის აღკვეთა და, რაც მთავარია, აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე წესრიგის ძირითადად შენარჩუნება. ამით ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ დაიცვა არამხოლოდ ქართველთა, არამედ მთლიანად აფხაზეთის მოსახლეობის სიმშვიდე და არ დაუშვა სისხლისღვრის გაგრძელება. მან უთანასწორო შერკინებას გაუძლო და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობას ააცილა კრემლის მიერ საიმდროოდ დაგეგმილი გენოციდი და ეთნიური წმენდა.

1989წ. 16 ივლისს, დილით ადრე, სოხუმის დეპოში თბილისიდან დარეკა **ზ.გამსახურდიამ,** რომელიც გაერკვა ვითარებაში, მოუწოდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, არ წამოგებოდა კრემლის ხრიკებს და არ დაეშვა ჩასაფრებული ძალების თარეში.

1989წ. 17 ივლისიდან ვოვა ვეკუას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართული ეროვნული მოძრაობის ბირთვი დაბანაკდა **თამარ მეფის** ქუჩაზე, განსვენებულის ბინაში, ყოველდღიური პანაშვიდების დროს თავმოყრილ ზღვა ხალხს ეროვნული მოძრაობის თავკაცები საჭირო ახსნა-განმარტებით ხვდებოდნენ, რის შედეგადაც თავიდან იქნა აცილებული უაზრო სისხლისღვრა და ანგარიშსწორების შემთხვევები.

1989წ. 17 ივლისს მდინარე ღალიძგასთან თავმოყრილ ასიათასობით ქართველობას სიტყვით მიმართა **მერაბ კოსტავამ.** ღალიძგასთან რუსის ჯარსა და აფხაზეც სეპარატისტთა შეიარაღებულ პროვოკაციას არ შეუჩერებია ქართული ძალა, იმ დროს ვერანაირი ზღუდე წინ ვერ აღუდგებოდა მამულიშვილთა ორგანიზებულ და გაცნობიერებულ ქუდზეკაცობას, აქ საკმარისად იყვნენ მონადირეებიცა და ასეთ ვითარებაში გამოცდილი ვაჟკაცები, რომელთაც ზედმიწევნით კარგად იცოდნენ საიდუმლო ბილიკები და ნადირთა გასასვლელები. აქ მაშინ გონიერებამ სძლია ვნებათაღელვას.

აქ ღალიძგასთან დედით აფსუა **ნური შამათავამ** თავი შესწირა მორდუობის შინაარსს, მან აფსუებს თავიანთ მშობლიურ ენაზე სახლიკაცურად მიმართა, ხოლო ოქტომბრისენოვანმა ბრბომ იგი განგმირა.

აქ ღალიძგასთან **მერაბ კოსტავამ** შეახსენა სრულიად საქართველოს, რომ ქართული ეროვნული მოძრაობის ამოცანა არა ანგარიშსწორებაა, არამედ მისთვის საშური გახლავთ მორდუობის აღდგენა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთო აფსუათა გულებისაკენ გზის პოვნა _ აი, ეროვნული მოძრაობის გადასაჭრელი ამოცანა.

მიუხედავად იმისა, რომ იმხანად ოფიციოზის საპოლიციო და რეპრესიული რეჟიმის მიერ ფაქტიურად შინაპატიმრობაში დამწყვდეული, ასევე 9 აპრილის შემდეგ, პატიმრობის დროს გადატანილი ზეწოლის შედეგად შეუძლოდ მყოფი **ზ.გამსახურდია** მდ.ღალიძგასთან მაშინ არ იყო, სრულიად საქართველომ სახელმძღვანელოდ გაიხადა მისი მოწოდება გონიერებისაკენ, ამავე დროს მან აფხაზეთის საკითხების მოგვარებაში სახელმძღვანელოდ გაიხადა "კოლხური კოშკის" ცნობიერება და მასში გასაგნებული შინაარსი აფხაზობის რაობისა და ვინაობის შესახებ.

ამის შესაბამისად აფხაზეთის ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში ამოქმედდა ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ მართული სახალხო სახლიკაცობა, რომლის ძალისხმევით აღკვეთილი იქნა რუსიზმის მიერ ქართველებზე გადმოსაბრალებლად პროვოცირებული არაქართველი მოსახლეობის დარბევები.

1989წ. 17 ივლისს ოფიციოზის მიერ სოხუმსა და სოხუმის რაიონში გავრცელებული იქნა ჭორი, თითქოს ბერძენი მოსახლეობა ინახავდა სეპარატისტთა იარაღებს. პროვოკატორები ბერძენთა დარბევისკენ მოუწოდებდნენ ქართველებს.

პირადად ბატონ **ზ.გამსახურდიას** მოწოდების თანახმად, სოხუმის რაიონის **ვ.ი.ლენინის** სახ. კოლმეურნეობაში (ბესლეთის ხეობაში), სადაც ბერძნები მოსახლეობდნენ, ჩატარდა თავყრილობა, რომელზეც ბერძენ მოსახლეობას მიეწოდა სწორი ინფორმაცია მიმდინარე ვითარების შესახებ. მიღებული იქნა ერთობლივი მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი, იგი გამოქვეყნდა სოხუმის რაიონულ გაზეთში "კომუნისტური შრომა", ხოლო ამის შესახებ ინფორმაცია დაბეჭდეს სოხუმის, თბილისისა და მოსკოვის გაზეთებმაც.

სოხუმის რაიონში სახალხო ძალისხმევითა და ეროვნული მოძრაობის დავალებით საქმიანობდნენ **ფელიქს ტყებუჩავა, პავლე კვიკვინია, ბორის კაკაჩია, რეზო ასმავა, გია შამუგია, ვალერი** და **ვახტანგ ქობალიები, ბადრი ასათიანი, სერგი საჯაია** და სხვები.

1989წ. 20 ივლისს სოფელ ბირცხაში(ბესლეთის ხეობა) ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგი, რომელმაც ბევრად განაპირობა მომდევნო დღეების გონივრული შინაარსი ცხუმ-აფხაზეთში.

1989წ. 24 ივლისი _ სსრკ პრეზიდენტს **მ.ს.გორბაჩოვს** წერილით მიმართა ფინეთის ჰელსინკის ჯგუფმა, რომელშიც აღნიშნული იყო: **"... მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, რათა მართლმსაჯულების წინაშე წარადგინოთ როგორც 9 აპრილს თბილისში, ისე აფხაზეთში ხოცვა-ჟლეტის მომწყობი დამნაშავენი, თუ საბჭოთა კავშირში გაგრძელდება სუმგაითის, მთიანი ყარაბაღის, ფერგანის, თბილისისა და აფხაზეთის მსგავსი მოვლენები, როგორც სსრკ-ის ხალხთა, ასევე მსოფლიო მშვიდობისმოყვარე ხალხის თვალში სერიოზულად შეილახება ნდობა თქვენი მთავრობის მიმართ, რომელიც ჰელსინკისა და ვენის ხელშეკრულებების ერთგვარი თავმდებია".**

(გაზ. "ქართლის დედა," 1989წ. 6 ნოემბერი).

1989წ. 26 ივლისს სოხუმის რაიონის ვ.**ლენინის** სახ. კოლმეურნეობაში აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის მიერ ჩატარდა ქართველ-ბერძენთა მორიგი მიტინგი, რომელმაც კვლავ მიიღო მიმართვა მოსახლეობისადმი. მან არ დაუშვა ურთიერთუნდობლობის გაღვივება. მიტინგზე გამოვიდნენ **მ.ემექსიზიდი, ფ.ტყებუჩავა, ს.საჯაია, ე.ანასტასიადი, ნ.ჩულფა, ბ.ასათიანი** და სხვები.

1989წ. 27 ივლისს, ხუთშაბათს, **ვოვა ვეკუას** დაკრძალვის დღეს ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ მორდუობისკენ კვლავ მოუწოდა აფსუა მოსახლეობას.

1989წ. 4 აგვისტოს, ვოვა ვეკუას დაბადების დღეს, ქ.სოხუმში (იაშთხვა) მიმინოშვილის ქ.№112 (ჩემს ბინაში), ბატონ **ზ.გამსახურდიას** რჩევის შესაბამისად შეიქმნა "არაფორმალური ორგანიზაცია" თავისუფალ დემოკრატთა კავშირი, დამფუძნებელ კრებას თბილისიდან ესწრებოდა **ზ.გამსახურდიას** მიერ მოვლინებული პირი. ეს ორგანიზაცია შემდგომში გაწევრიანდა ეროვნული ხსნის კომიტეტში.

ამ დროისათვის **ზვიად გამსახურდიამ** და **მერაბ კოსტავამ** საბოლოოდ შეიმუშავეს მესხეთელი თურქების საკითხთან დაკავშირებული პროგრამა.

1989 წლის აგვისტოს დღეებში სოფელ გუმისთაში ქართული საბავშვო ბაღის გახსნასთან დაკავშირებით არმენულმა ჩასაფრებულობამ "ამბოხი" სცადა. ისინი შეეწინააღმდეგნენ ქართული ჯგუფების გახსნას. იგი აღკვეთა ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ.

1989 წლის აგვისტოს დასასრულისათვის სოხუმში შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება "ქომაგი" **(ა.მიქაძე),** რომელმაც, მიუხედავად თავისი არაქართული სახელწოდებისა, არაერთ ეროვნულ საქმეს მოაბა თავი. პირველ რიგში კი აღადგინა აგრესორ-სეპარატისტებისაგან დარბეული ქ. სოხუმის № I ქართული საშუალო სკოლა.

1989 წლის აგვისტოს ბოლოსათვის ზვიად გამსახურდიას თაოსნობით გადაწყდა, რომ **რუსთაველის** საზოგადოების ყრილობაზე **4-6 სექტემბერს** და ბალტიისპირეთის

რესპუბლიკებისათვის მხარდასაჭერ მიტინგზე 5 **სექტემბერს** ქ.თბილისში უნდა გაშუქებულიყო აფხაზეთში კრემლის მიერ პროვოცირებული ტრაგედიის ხასიათი.

როგორც ყრილობაზე, ასევე მიტინგზე აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის სახელით შესაბამისი მოხსენებით წარდგომა დაევალა **ს.საჯაიას.** მომხსენებელმა იხელმძღვანელა **ზ.გამსახურდიას** რჩევით. იგი რუსთაველის ყრილობას მოხსენდა **5 სექტემბერს.** იმავე დღეს ეს მოხსენება გასაჯარისდა ვაკის პარკში მრავალათასიან მიტინგზე (გამოქვეყნდა გაზეთ **"ქართვლის დედაში"** _ №6, **1989წ.**).

1989წ. 23-24 სექტემბერს სოხუმში **კ.გამსახურდიას** სახელობის დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა აფხაზეთის სამხარეო სახალხო ფრონტის კონფერენცია.

1989წ. 23 სექტემბერს ცხუმ-აფხაზეთის სახალხო ფრონტის კონფერენციაზე თანახმად, **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** პროგრამისა, მოწვეული იქნა აფსუათა სახალხო დიპლომატიის წევრი **ანატოლი ხიბა.** მას ესუბრნენ **ვ.ადამია, ს.საჯაია, რ.მიქაბერიძე.** ამ შეხვედრაზე მათ მიაღწიეს პირად ურთიერთნდობას.

1989წ. 30 სექტემბერს აქვე იმუშავა **რუსთაველის** საზოგადოების აფხაზეთის სამხარეო ორგანიზაციის კონფერენციამ. აფხაზეთში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, როგორც სახალხო ფრონტის, ასევე **რუსთაველის** საზოგადოების მუშაობაში საორგანიზაციო დახმარების მიზნით, ისევ და ისევ თანახმად **ზ.გამსახურდიას** მითითებისა, მონაწილეობა მიიღო ცხუმ-აფხაზეთს ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ.

1989წ. 11 ოქტომბერს თბილისში მოეწყო ეროვნული მოძრაობის მანიფესტაცია, რომელზეც **მერაბ კოსტავამ** ანდერძად დატოვა: **"ან გამარჯვება ან სიკვდილი, უკან დასახევი გზა ჩვენ არა გვაქვს. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"** ეს იყო მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა.

იმ დღეებში **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** თაოსნობით შეიქმნა საქართველოს მოსახლეობის განსახლებისა და საადგილმამულო ფონდი, შემდგომში მას, **ზ.გამსახურდიას** წინადადებით, **მერაბ კოსტავას** სახელი დაერქვა.

იმავე დღეებში **ზვიად გამსახურდიასა** და **მერაბ კოსტავას** თაოსნობით გადაიდგა პირველი ნაბიჯები თურქეთის იმპერიის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწებზე მცხოვრებ ქართველებთან (განსაკუთრებით ლაზებთან) ინფორმაციათა გაცვლისა და ზოგიერთ საკითხში თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

1989წ. ოქტომბრისათვის ეროვნული მოძრაობის თაოსნობით სოხუმში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე "მოკავშირე" რესპუბლიკებიდან ბოლო წლებში უკანონოდ ჩამოსახლებულთა და კანონის დარღვევით ჩაწერილთა გამოსავლენად (ორგანიზატორი **ს.საჯაია**), რომელმაც შემდგომში კავშირი დაამყარა **მერაბ კოსტავას** საადგილმამულო და მოსახლეობის განსახლების ფონდთან.

1989წ. ოქტომბერში ქ.სოხუმში ეროვნული მოძრაობის მიმართ აფხაზეთის ასსრ პროკურორის **ა.კვიწინიას** ცილისმწამებლური გამოხდომების გამო, აფხაზეთის ასსრ პროკურატურასთან მოეწყო საპროტესტო მიტინგი.

1989წ. ოქტომბრიდან დაიწყო საოკუპაციო ჯარში ქართველ წვევამდელთა გაწვევასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოში და ასევე აფხაზეთის ასსრ-ში საპროტესტო მოძრაობა.

ეროვნული მოძრაობის მიერ **13 ოქტომბერს და მომდევნო დღეებში** აფხაზეთში აღკვეთილი იქნა ოფიციოზის მიერ ხელშეწყობილი სეპარატისტული პროვოკაციები, რომელიც ნიშნისმოგებით უნდა გამოხმაურებოდა **მ.კოსტავას** დაღუპვას.

1989წ. 15 ოქტომბერს ქართული ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით გაიხსნა სოხუმის რაიონის სოფ. თავისუფლების №1 ქართული საშუალო სკოლა (დირექტორი **ს.საჯაია).**

1989წ. 20 ოქტომბერი, ე.წ. ოსეთის მშრომელებისა და "ადამონ ნიხასის" მიერ 1989 წლის ოქტომბერში სკკპ ცკ-ში გაგზავნილ მორიგ ცილისწამებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტმა მიიღო მიმართვა ქართველი მოსახლეობისადმი, რომელშიც მოითხოვა **"1. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ჩატარდეს მასობრივი მიტინგები, გამოსვლები, და გამაფრთხილებელი გაფიცვები ე.წ. სამხრეთ ოსეთის უკანონოდ შექმნილი ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით. 2. საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს უსწრაფესი ზომები პროვოკატორთა ასალაგმავად, რათა ცხინვალში არ განმეორდეს სოხუმის ტრაგედიის მსგავსი მოვლენები. 3. ქ.ცხინვალში ჩატარდეს ქართველთა მასობრივი მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც წამოაყენებს ყველა ზემოთხსენებულ მოთხოვნას და ზღვარს დაუდებს ქართველთა უფლებების დარღვევას, ქართული ენის დისკრიმინაციას ამ უძველეს ქართულ მიწაზე"** (გაზ. **"ლიტერატურული საქართველო", 20 ოქტ.1989წ.**).

1989 წლის ოქტომბერს გულრიფშში გამოვიდა აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის გაზეთი "სამრეკლო" (**რუსთაველის** საზოგადოების გულრიფშის რაიონული ორგანიზაციის ორგანო).

1989წ. 7 ნოემბერი. ქართული ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით თბილისში, ფილარმონიის წინ ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგი, სადაც ახალგაზრდობამ და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საჯაროდ დასწვა პარტიული და კომკავშირული ბილეთები, საბჭოთა პასპორტები და წითელი დროშები. **ზ.გამსახურდიას** წინადადებით მიტინგზე მოსმენილი იქნა აფხაზეთში შექმნილი ვითარება (მომხს. **ს.საჯაია**). ეს მასალა გადასცეს დასავლეთის რადიოსადგურებმა.

1989წ. 7 ნოემბერს გიორგი გვინჩიძემ, ავტორმა მონოგრაფიისა **"ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის".** _ საქართველოში დაცული დისერტაციების, მათი ავტორეფერატებისა და შესაბამისი საბუთების რუსულად მომზადებისა და დასამტკიცებლად ქ.მოსკოვში გაგზავნის დისკრიმინაციული წესისადმი პროტესტის ნიშნად უარი თქვა ამ წესით სამეცნიერო ხარისხის მიღებაზე.

1989წ. 12 ნოემბერს ქართული ეროვნული მოძრაობისა და ქართველი პატრიოტების კოლონა ჩავიდა ახალგორში, ჩაატარა მშვიდობიანი მიტინგი, რომელმაც დაგმო ე.წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატთა ერთი ნაწილის დემაგოგიური საქმიანობა და "ადამონ ნიხასის" ანტიქართული ავანტიურა, ასევე განაცხადა, რომ **23 ნოემბერს** ქ.ცხინვალში ჩატარდებოდა მშვიდობიანი მიტინგი, რომელიც ცხინვალისა და ჩრდილო-დასავლეთ ქართლის მკვიდრი მოსახლეობის _ ქართველებისა და შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსი მოსახლეობის ძმური ურთიერთობის აღდგენასა და განმტკიცებას მიეძღვნებოდა. ახალგორში მიღებული იქნა გამაფრთხილებელი დეკლარაცია ოსი მოსახლეობის იმ ნაწილისადმი, რომელმაც თავისი უპასუხისმგებლო მოქმედებით უკვე გააღვივა და კვლავაც განაგრძობდა ეროვნული შუღლის ათარეშებას.

1989წ. 22 ნოემბერს ლიტვის ეროვნულმა მოძრაობამ "საიუდისმა", რომელმაც მოამზადა ლიტვის ხსნის პროგრამა, მორალური დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1989წ. 23 ნოემბერს ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ აღკვეთა ცხინვალის მისადგომებთან სსრკ შინაგანი ჯარებისა და ოსი ექსტრემისტების მიერ ორგანიზებული პროვოკაცია, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა სისხლისღვრა.

1989წ. დეკემბერში გამოსვლა დაიწყო საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის ორგანიზაციის გაზეთმა **"ოქროს საწმისმა".**

ამ დროისათვის ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით აფხაზეთში ხელოვნურად გააფხაზეცებულმა მოსახლეობამ მასიურად და ნებაყოფილებით დაიწყო თავისი ეროვნების აღდგენა, ქართულ სკოლაში გადასვლა და ა.შ. ამ მხრივ ფართო მუშაობა განსაკუთრებით ოჩამჩირის რაიონში გაიშალა.

1989წ. დეკემბერში ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ დაიწყო ცხინვალის მხარეში სსრკ შინაგან საქმეთა ჯარისგან და ოსი ექსტრემისტებისგან დარბეული ქართველი მოსახლეობის თავდაცვის მოსაგვარებელი ღონისძიებები.

1990წ. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე განახლდა და გაგრძელდა ოსი მოთარეშეების აულაგმაობა ჩრდილო ქართლში (ცხინვალის მხარეში). მან მიიღო ქართველთა ეთნიური წმენდის ხასიათი. 3 იანვარს სოფელ ფრისში ოსმა მოთარეშეებმა აკვანში ჩაკლეს 9 თვის **პაატა ნიკურაშვილი.** ასევე 4 და 7 იანვარს (შობას) კვლავ მოეწყო ქართულ სოფლებზე შეიარაღებული თავდასხმები, რომლის შედეგად იყო მსხვერპლი. ამასთან დაკავშირებით ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ქ.თბილისში დაიწყო საპროტესტო აქციები, ხოლო ცხინვალის მხარეში უსაფრთხოებისა და თავდაცვის თადარიგი.

1990 წ. 5 იანვარი. ბოლნისის რაიონის სოფ. ქუჩალოს სასაფლაოზე კინოგადაღების დროს ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობის ერთი ნაწილი თავს დაესხა კინოსტუდია "ქართული ფილმის" გადამღებ ჯგუფს და სიკვდლის მუქარით აუკრძალა ყოველგვარი საქმიანობა აქ აზერბაიჯანის სსრ ხელისუფლების ნებართვის გარეშე.

ამასთან დაკავშირებით **ზ.გამსახურდია** შეხვდა რაიონის ნომენკლატურასა და აზერბაიჯანელ უხუცესებს.

1990 წლის 7 იანვარს (შობას) **"კოლხურ კოშკში"** განხილული იქნა, ხოლო **10 იანვარს** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში გაიმართა **მერაბ კოსტავას** სახელობის საქართველოს საადგილმამულო და მოსახლეობის განსახლების ფონდის სხდომა _ რომელმაც **ზ,გამსხურდიას** წარდგინებით ცხუმ-აფხაზეთში თავის რწმუნებულად დაამტკიცა **ს.საჯაია**

უკვე **14 იანვრიდან** ამ ფონდის მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) დაიწყო ურთიერთმისაღებ ფასებში საკარ-მიდამოების შესყიდვა ბერძენი მოქალაქეებისგან, რომლებიც ისტორიულ სამშობლოში ბრუნდებოდნენ. **ზვიად გამსახურდიას** მითითებითა და **მერაბ კოსტავას** ანდერძის _ **"ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფსუათა გულებისკენ"** შესაბამისად შესყიდული იქნა საცხოვრებელი სახლები აფსუა ოჯახებისთვისასც, რომლებიც ასეთ დახმარებას საჭიროებდნენ.

1990წ. იანვრის პირველი დღეებიდანვე ე.წ. სამხრეთ ოსეთად კონტსტრუირებულ ჩრდილო ქართლში მიმდინარე ქართველთა ეთნიური წმენდისა და ამ მხარის დედასამშობლოდან ჩამოშორების მიზანმიმართული პოლიტიკით აღშფოთებულმა ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ დაიწყო სამართლიანი (მშვიდობიანი) ბრძოლა ეროვნული უფლებების დასაცავად.

სახალხო მღელვარებანი დაიწყო იმით, რომ ჟლეტას გამოქცეული ცხინვალის მხარის ქართველების ერთმა ნაწილმა თბილისში ე.წ. საქართველოს კპ ცკ-ის შენობასთან შიმშილობა დაიწყო, რომელსაც შეუერთდა და მხარი დაუჭირა ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ. მათ შემდეგი მოთხოვნები წამოაყენეს:

1. **უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება;**
2. **როკის გვირაბის ლიკვიდაცია;**
3. **"ადამონ ნიხასის" ლიდერთა მიმართ სამართლებრივი ზომების მიღება:**
4. **მოსახლეობაში არსებული იარაღის ამოღება. რა თქმა უნდა, ეროვნების მიუხედავად;**
5. **ცხრა თვის ბავშვის მკვლელის საჯაროდ გასამართლება;**
6. **საკადრო პოლიტიკის საფუძვლიანი გადასინჯვა, რათა გამოსწორდეს ამ მხრივ დაშვებული შეცდომები;**
7. **და ბოლოს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევა, სადაც განიხილება და გადაწყდება ყველა ეს საკითხი.**

1990წ. 12 იანვარს შედგა ცხინვალის მხარის ქართველი მოსახლეობის აქციის მონაწილეთა შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან **გ.გუმბარიძესთან**, რომელმაც ყველა პრობლემის მოგვარება, აღუთქვა მათ, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ეს დაკავშირებულია მრავალ სირთულესთან, ამიტომ, ამ საკითხთა მოგვარება შესაძლებელი გახდება მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ.

აქციის მონაწილეებმა აღშფოთება გამოხატეს ამიერკავკასიაში, კერძოდ აზერბაიჯანში მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტის წინააღმდეგ.

1990წ. 19 იანვარს გაზეთი **"ლიტერატურული საქართველო"** თბილისში მიმდინარე ზემოთხსენებული აქციის შესახებ წერდა:

"...სამწუხაროდ, დრო არ ითმენდა. დათმობებისა და წაყრუების, ანტიქართული პროცესების უგულებელყოფის პოლიტიკამ მოსახლეობა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. დაძაბულობათა ხელახალი თავაწყვეტა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ გამოჩნდა, როცა ცხინვალის მხარის ოსებმა ქართველების ეროვნული ტრაგედია საზეიმოდ აღნიშნეს, რაც, რა თქმა უნდა, მეტად შეურაცხმყოფელი და მტკივნეული იყო. სამწუხაროდ, ქართველების ტკივილს არც ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებში (კახეთი, ქართლი, ბორჯომ-ბაკურიანში და ა.შ.) მცხოვრები ოსები შეუწუხებია დიდად. მათ კრინტიც არ დაუძრავთ ცხინვალელ ოსთა თარეშულ განუკითხაობათა აღსაკვეთად. ცნობილია შემთხვევა, როდესაც კეხვის საშუალო სკოლის მასწავლებელმა როზა მარგიევამ ქართველ გოგონებს ასე მიმართა: "გიხდებათ შავი არშიები, ბოლომდე ასე გეტარებინოთო". 26 მაისის დღესასწაული კი, ქართული ეროვნული დროშების საჯაროდ ხელყოფითა და შეურაცხყოფით აღნიშნა, ერთაშორისმა ურთიერთობამ უაღრესად გამწვავებული, ფეთქებად საშიში ხასიათი მიიღო. რაც იმ დღეებში ქართველთა ჟლეტის ორგანიზებულ ფორმაში გამოიხატა,

...ამიტომ, საპროტესტო აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გაძლიერებული კონტინგენტის შეყვანას ცხინვალში, სადაც ოსი მოსახლეობა უმრავლესობას წარმოადგენდა. შეხვედრაზე აღინიშნა, ის ფაქტი, რომ ცხინვალიდან ქართული სოფლების მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობა გართულდა.

"...საქართველოს სხვადასხვა რაიონიდანაც შეუერთდნენ ამ აქციას. ერთი სიტყვით, იანვრის სუსხიან ამინდში, ახალი ძალით განმეორდა აპრილის დღეები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჯერჯერობით დარბევა არ ყოფილა. ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წარმომადგენლები მოითხოვენ საქართველოში საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წარმომადგენელთა ჩამოსვლას, რათა გაიმართოს პრინციპული დიალოგი მათსა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს შორის. ეს შეხვედრა უნდა გადაიცეს ტელევიზიით და ამავე დროს, იგი უნდა გააშუქოს ცენტრალურმა პრესამ. ჩვენი მიზანია, დაკმაყოფილდეს ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები, ქვეყანამ დაიბრუნოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ წართმეული დამოუკიდებლობა იმ დემოკრატიული წყობილებით და მრავალპარტიული სტრუქტურით, რომელშიც დამოუკიდებლობის შესანიშნავ სამწლიან პერიოდში იყო დამკვიდრებული. ჩვენ გვწამს, რომ შეურიგებელი, უკომპრომისო, სამართლიანი ბრძოლის შედეგად მივაღწევთ საბოლოო მიზანს, ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს ქართველი ხალხი თავის, კუთვნილ გოლგოთაზე იმ ჯვარის ზიდვას, რომელიც მას ღმერთმა არგუნა.

გასულ კვირას, შიმშილობის მეორე დღეს, ქაშუეთის ეკლესიაში ზიარება მიიღო მოშიმშილეთა პირველმა ჯგუფმა, მათ სხვები შეენაცვლნენ (კვირაში ერთხელ ხდება მოშიმშილეთა ჯგუფების განახლება). აღსანიშნავია, რომ გრძელდება საბჭოთა კავშირის

კომუნისტური პარტიისა და ალკკ რიგების მასობრივი დატოვება მოქალაქეთა მიერ, თუმცა, რა თქმა უნდა, აქციისადმი დამოკიდებულება მოსახლეობაში არაერთგვაროვანია.

როგორც ვიცით, არაფორმალურ გაერთიანებებს განზრახული ჰქონდათ რეფერენდუმის ჩატარება შემდეგ საკითხზე: სურს თუ არა რესპუბლიკის მოსახლეობას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი დაისვას საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტების წინაშე? მათ მიაჩნდათ, რომ ცენტრი და ადგილობრივი ხელისუფლება განზრახ არ აძლევთ ამის საშუალებას, აწყობენ რა განუწყვეტელ ეთნოკრიზისებს. აქციაზე არაერთგზის აღინიშნა, რომ საქართველოში არსებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი პოლიტიკური ორგანიზაციები აღიარებენ ბრძოლის მხოლოდ სამართლებრივ მშვიდობიან გზას, მაგრამ არა პარლამენტურს. რადგან მიაჩნიათ, რომ მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრება ოფიციალურ დონეზე საქართველოში უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც "წითელი არმია" დატოვებს ჩვენს საზღვრებს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოხდეს, არა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 72-ე მუხლის ამოქმედებით, რაც მოკავშირე რესპუბლიკის გამოყოფას გულისხმობს, არამედ საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, რუსეთმა უნდა ცნოს 7 მაისის ხელშეკრულება, საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი და აღადგინოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმ საზღვრებში, იმ ტერიტორიული მთლიანობით, რომელიც მან ცნო დე-ფაქტო და დე-იურე (დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია 93 ათასი კვ. კმ. იყო, დღეს კი, 70 ათასი კვ. კილომეტრია). ამიტომ, ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში შემავალი ორგანიზაციები ქართველ ხალხს საბჭოთა არჩევენებისადმი ბოიკოტისაკენ მოუწოდებენ, რადგან, არჩევნებში მონაწილეობის მიღება ნიშნავს ანექსიის ფაქტის ოფიციალურ, იურიდიულ აღიარებას. რამდენადაც თვით მთავრობა აღიარებს, რომ აქამდე არჩევნები ტარდებოდა არადემოკრატიული პრინციპით, ახლანდელ, შედარებით დემოკრატიულ პირობებში, ხალხის არჩევნებში მონაწილეობა ტოლფასი გახდება საქართველოს ამჟამინდელი მგდომარეობის სამართლებრივი აღიარებისა (ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას კაპიტულიაციაზე ხელი არა აქვს მოწერილი).

დღეს საქართველოში კვლავ დამუხტული, ფეთქებადსაშიში მდგომარეობაა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას, ამიერკავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებსა და, საერთოდ, ქვეყანაში შექმნილ არაორდინალურ სიტუაციას, ჩვენ კვლავ ბეწვის ხიდზე გვიწევს გავლა; ამიტომ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და შეუმცდარი ისტორიული ალღო უნდა გამოვიჩინოთ (წარსულის გაკვეთილებიც არ უნდა დაგვავიწყდეს), რადგან ისტორიულმა კატაკლიზმებმა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება და სულიერი აღორძინება კვლავ დიდი გამოცდის წინაშე არ დააყენოს".

1990წ. 20 იანვარს მთავრობის სასახლესთან მიმდინარე საპროტესტო აქცია, მას შემდეგ რაც მთავრობა ზოგიერთ დათმობაზე წავიდა _ ტაქტიკური მოსაზრებით შეწყდა.

1990წ. 23 იანვარი. კონსტანტინოპოლის მსოფლიო ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომამ სცნო ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. ქართული დედა ეკლესია გახლავთ უძველესი, რომელიც დაარსებულია მოციქულთა მიერ და თავისი შინაარსით ყოველთვის გახლდათ მართლმადიდებლური. სამწუხაროდ, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას მოჰყვა საეკლესიო ანექსიაც. ამ მხრივ სამართლიანობის აღდგენას თითქმის ორი საუკუნე დასჭირდა. აქ დანანებით

უნდა აღინიშნოს, რომ დედა ეკლესიის თავის უფლებებში აღორძინების ხანგრძლივ და მძიმე გზაზე მოსაგვარებელი დარჩა მსოფლიო საეკლესიო დიპტიხში საქართველოს ადგილის საბოლოო გარკვევა. იერუსალიმის ეკლესიის შემდეგ მას მეექვსე ადგილი ეკავა, რაც რუსულმა ველიკოდერჟავულმა ამბიციამ მიიტაცა და უკანონოდ ფლობს დღემდე.

1990წ. 1 თებერვალს გაზეთ "სახალხო განათლებაში" გამოქვეყნდა სსრკ სახალხო დეპუტატის **ვახტანგ შამილაძის** (ბათუმის 494-ე ეროვნულ-ტერიტორიული ოლქი) გამოსვლა სსრკ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე. გთავაზობთ ზოგიერთ ადგილს მისი გამოსვლიდან:

"...საბჭოთა ხალხების ხელოვნური შერევის უტოპიური მისწრაფებებიდან გამომდინარე გვთავაზობენ ყოვლად გაუმართლებელ იდეას _ მივუთითოთ მე-5 გრაფაში ეროვნება (საბჭოთა), რასაც ამაგრებენ ანალოგიებით იუგოსლავიასთან, ამერიკასთან, სადაც ამავე გრაფაში ამ ბოლო დროს მითითებულია ეროვნება _ "იუგოსლავიელი" და "ამერიკელი". მინდა ჩემს კოლეგებს მივცე კეთილი რჩევა, დავანებოთ თავი იუგოსლავიას,[37] რადგანაც სწორედ ამ ნიადაგზე მათთან წარმოიშვა პრობლემები და როგორც ჩანს, არც თუ ისე მარტივი, ხოლო რაც შეეხება ამერიკას, მინდა ვთქვა, ერთხელ და სამუდამოდ, _ ჩვენ ვართ საბჭოთა კავშირის მკვიდრი ერები და არა მიგრანტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ასეთი მსჯელობა იმით არის გამოწვეული, რომ ეს "თეორეტიკოსები", მიდი-მოდიან რა მთელ პლანეტაზე, თავიანთ წარმოდგენაში საკუთარ თავს მსოფლიოს მოქალაქეებად თვლიან. კარგი იქნებოდა, მათ რომ თავიანთი ქვეყანა შემოევლოთ, მაშინ მიხვდებოდნენ, რომ მათი ეკლექტიკური მსჯელობა ხალხების შეერთებასა და შერევაზე ამაოა, უფრო მეტიც, უადგილო და მავნე, რომ არც მოლდაველებსა და ლიტველებს, არც ქართველებსა და უზბეკებს თავიანთი ათასწლოვანი ეთნიკური ჰაბიტუსით არ სურთ იყვნენ რაღაც უსახური, ხელოვნურად შექმნილი მასის ნაწილაკები"...

"..ჩვენ რეგლამენტი არ გვაძლევს საშუალებას უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ იმ ხალხებზე, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ და შუასაუკუნეების ეპოქაში, მიგითითებთ არც ისე შორეული წარსულის მაგალითებზე. XIX საუკუნის ბოლოს ბერძენ-პონტოელთა ჯგუფი, რომლებმაც შევიწროება განიცადა თავის მკვიდრ მიწაზე ოსმალეთის იმპერიაში, იძულებული გახდა გადასახლებულიყო უძველეს ქართულ პროვინციაში _ აჭარაში. ცარიზმის ადმინისტრაციამ, შემთხვევითი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, კითხვით მიმართა ადგილობრივ უხუცესებს _ შეუძლიათ კი მათ მიიღონ ქრისტიანი ბერძნები.

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში თურქების მიერ აჭარაში იძულებით დანერგილი მუსულმანობა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მყარ პოზიციებს, ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიკედლა ბერძნები, უსასყიდლოდ დაასახლა ისინი თავის სათემო მიწებზე, დაეხმარა მიწათმოწყობაში, ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობაში და ისინი ძმებივით მიიღო. შემდგომში ბერძნებმა მთლიანად შეინარჩუნეს მშობლიური ენა, ეროვნული თვითშეგნება, ტრადიციები და ცხოვრების წესი. დღეს ისინი ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით ერთ-ერთი მოწინავე ეთნიკური ჯგუფია მთელს კავშირში. <u>მინდა ამასთან ერთად აღვნიშნო, რომ ბერძნები ყოველგვარი ცირკულარებისა და მითითებების გარეშე დაეუფლნენ ქართულ ენას, ხოლო ბევრი ქართველი _ ბერძნულს, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ურთიერთობა და მეგობრობა მათ შორის</u> (ხაზგასმა ს.საჯ.).

[37] დრომ დაადასტურა, რომ ამ თავგართობამ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა თვით ამ ქვეყანაში.

მოვიტანთ სხვა, ასეთსავე მკაფიო მაგალითს. დეპუტატთა I ყრილობაზე ბევრი ლაპარაკი იყო აფხაზურ-ქართულ ურთიერთდამოკიდებულებებზე. ზოგიერთი ჩვენი კოლეგა სინდისის ქენჯნის განცდის გარეშე, ხელის ერთი მოქნევით, საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, სინამდვილეში კი _ მთელ ქართველ ხალხს მიაწერს რეპრესიებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში 30-იან წლებში და შემდგომ. გენოციდი, ასიმილაცია და კიდევ რა სიტყვებით არ სდებენ ბრალს ქართველ ერს, თუმცა რატომღაც სდუმან <u>იმ ნამდვილი გენოციდის შესახებ, რომელიც მოაწყო მეფის რუსეთის ადმინისტრაციამ თურქ აგენტებთან ერთად აფხაზი და ქართველი ხალხების წინააღმდეგ, რაც იმაში გამოიხატა, რომ ისინი აყარეს მშობლიური მიწიდან და მუხაჯირებად გააგზავნეს ოსმალეთის იმპერიაში.</u>

<u>ერთხელაც არ თქმულა იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა თურქეთის ადმინისტრაცია საარტილერიო ცეცხლით აფხაზთა ერთ ნაწილს, რომელიც ფელუგებით მიცურდა ტრაპეზუნდთან. ასეთივე მიღება მოუწყო მეფის რუსეთის ადმინისტრაციამ სოხუმის ნავსადგურში უკანდაბრუნებულ, მოტყუებულ და უსახლკაროდ დარჩენილ აფხაზებს, იმ დროს, როცა მათი მადლიანი სანაპიროს მიწები უკვე ჩამორიგებული ჰქონდათ მეფის "გამორჩეულ" ოფიცრებსა და გენერლებს</u> (ხაზგასმა ს.საჯ.).

მაშინ მათ დასახმარებლად მოვიდნენ ქართველები და ისევ უსასყიდლოდ დაასახლეს ისინი ბათუმსა და მის შემოგარენში. დღეს მათი ბევრი შთამომავალი ჩემი ამომრჩეველია. ქართველებსა და აფხაზებს აჭარაში აკავშირებს არა მარტი მეგობრობა, არამედ ნათესაობაც. შემიძლია მათი მისამართითაც მტკიცედ ვთქვა ისეთივე კეთილი სიტყვები, რაც ბერძნების მიმართ ითქვა. ამის დამამტკიცებელი ისიც შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის, ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ორმა თანამშრომელმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაციები აჭარაში ქართველებს შორის მცხოვრებ აფხაზთა ეთნიკურ თვითშეგნებაზე, შენარჩუნებულ ყოფისა და კულტურის ელემენტებზე, დიალექტის თავისებურებებზე.

"...ძირითადი დარტყმის ობიექტს წამოაგდენენ მოკავშირე რესპუბლიკების მკვიდრი ერები. კერძოდ, მოკავშირე რესპუბლიკების მისწრაფებას სახელმწიფო სუვერენიტეტისადმი თვლიან საშიშ ტენდენციად...

...მაგრამ ჩვენ უფრო მეტად გვაღელვებს შიდა კორდონების შოვინისტური განწყობილება, რომლებიც ეკონომიკური და ეროვნული სუვერენიტეტისაკენ ჩვენს ყოველ მისწრაფებას აწებებენ იარლიყებს: "სეპარატიზმი", "ეროვნული ეგოიზმი" და ა.შ.

მწერლების, პოლიტიკოსების, ისტორიკოსების, პუბლიცისტებისა და სხვა სპეციალისტების არასასურველი დამოკიდებულება რისხვად დაატყდა თავს საქართველოს და ქართველ ხალხს, რომელთა საჩვენებელი დასჯა ხშირ შემთხვევაში ეყრდნობა სიძულვილს სტალინისა და ბერიას სახელების მიმართ და არ იღებენ მხედველობაში, რომ ისინი არ წარმოადგენენ ქართულ ფენომენს. დაბოლოს, აბსოლუტურად საფუძველს მოკლებულია ქართველი ხალხის დადანაშაულება რუსოფობიაში!

ჩემი ღრმა რწმენით ვაცხადებ, რომ ამდაგვარ მოვლენებს არ ჰქონია და არცა აქვს ადგილი საქართველოში, მაგრამ შემიძლია იმათი სახელების მითითება, ვინც ასეთ "ფობიას" აჩაღებს. ავიღოთ თუნდაც ჩვენი დეპუტატები.

ეს არის ცნობილი მწერალი ვ.რასპუტინი. რომელმაც ქართველი ხალხი "ავადმყოფ ერად" გამოაცხადა და არ უშვებს შანსს, მათ შორის ჩვენი ყრილობის ტრიბუნასაც, რათა შელახოს ქართველი ერის ეროვნული გრძნობა. ეს არის გენერალი როდიონოვი რომელიც სამი "წმინდა" რუსული სიტყვით ამკობს მთელ ქართველ ხალხს, და ამ დროს დეპუტატების უმრავლესობამ მქუხარე ტაშით დააჯილდოვა "გმირი" გენერალი.

დაბოლოს, ეს არის, აწგანსვენებული, პატივცემული აკადემიკოსი ა.სახაროვი, რომელმაც დაუფიქრებლად საქართველოს "მცირე იმპერია" უწოდა...

ნება მომეცით, როგორც ისტორიკოსმა, ზოგიერთი ახსნა-განმარტება მოგაწოდოთ ამასთან დაკავშირებით. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია შეგახსენოთ, რომ ყველა მრავალეროვანი ქვეყანა არ წარმოადგენს იმპერიას. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე <u>საქართველოს არასოდეს არ უწარმოებია დამპყრობლური ომები და ძალით არ დაუპყრია სხვისი ტერიტორიები. მას არასოდეს არ ჰყოლია ისეთი "მიწისმკვლევარი", როგორიც ერმაკი იყო</u> (ხაზგასმა ს.საჯ.). პირიქით, ჩვ. წ. აღ. VI საუკუნიდან მოყოლებული საქართველო მუდამ იცავდა თავს სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთაგან. მას ყოველთვის ღია ჰქონდა კარი საკუთარი ქვეყნებიდან გამოძევებულთა მისაღებად და შესაფარავად. კერძოდ, ებრაელთა, ასირიელთა, ბერძენთა, სომეხთა, ქურთთა, ოსთათვის, აგრეთვე ომებისა და სხვა უბედურებათა შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ უკრაინელთა, რუსთა, ბელორუსთა და სხვათათვის, რომლებმაც მეორე სამშობლო ჰპოვეს ქართულ მიწაზე, შეინარჩუნეს და განავითარეს აქ ეთნიკური თვითმყოფადობა და ეროვნული იერსახე..."

1990წ. 3 თებერვალს სოხუმის რაიონის თვისუფლების საშ. სკოლაში შედგა სოხუმის რ-ნის **რუსთაველის** საზოგადოების წევრთა შეკრება. რომელზედაც განხილული იქნა ახალი დემოგრაფიული ექსპანსიის ალაგმვის საკითხები სოხუმის რ-ნში. მხილებული იქნა რაიონში სპიტაკელი არმენების მიზნობრივი დამკვიდრების არაერთი შემთხვევა.

1990წ. 4 თებერვალი _ ზ.გამსახურდიას ინიციატივით სოხუმში ჩამოყალიბდა **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების საინიციატივო ჯგუფი (**ს.საჯაია, თ.ანთია, ვ.დარსალია, რ.კემულარია** და სხვები). ბატონმა **ზვიადმა ს.საჯაიას** დაავალა **მერაბ კოსტავას** საზოგადოების დაფუძნება აფხაზეთში ასეთი დასაბუთებით, _ **მერაბ კოსტავას** დაღუპვის გამო, ამჯერად თანამოსანგრეობა მისი სახელობის საზოგადოებამ უნდა გამიწიოსო, ამიტომ გვერდში დაუდექიო **ვ.ადამიას.**

1990წ. 15 თებერვალი. თბილისში გრძელდებოდა სამაჩაბლოს სოფლებიდან ჩამოსულ ქართველ ქალთა მჯდომარე გაფიცვა. აქციები მიმდინარეობდა ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებათა შენობებში. ამ პროტესტის მიზეზად მონაწილენი ასახელებდნენ შიდა ქართლში შექმნილ საოკუპაციო ვითარებას. ისინი კვლავ მოითხოვდნენ ე.წ.სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის საკითხისა და როკის გვირაბის მოქმედების მიზანშეწონილობის გადახედვას, ეროვნებათშორისი შუღლის ჩამომგდებთა და ამ ნიადაგზე მომხდარი ცნობილი მოვლენების მონაწილეთა გამოვლენასა და დასჯას, მოსახლეობიდან იარაღის ამოღების დაჩქარებას და ა.შ.

1990წ. 15 თებერვალი. თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა, რომელსაც 391 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდება. ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი. დაამტკიცეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სტატუსი. გადაწყდა, რომ რესპუბლიკის ყველა საფეხბურთო გუნდი წლევანდელი სეზონიდან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებს.

1990წ. 16 თებერვალს გაზეთმა "კომუნისტმა" გამოაქვეყნა **ზვიად გამსახურდიას "შეიცან სკამი შენი..."** რომელშიც ავტორმა საკადრისი პასუხი გასცა საბჭოთა პრესის ძირგამომთხრელ საქმიანობას (ამხილა 1988 წლის 28 ნოემბერს ამავე გაზეთში გამოქვეყნებული ცილისმწამებლური წერილი).

"შეიცან სკამი შენი, ანუ ესეც თქვენი გარდაქმნა"

(ღია წერილი გაზეთ "კომუნისტის" რედაქციისადმი)

წარსული ქიმერები

1988 წლის თებერვლის მიწურულში, უნივერსიტეტის სტუდენტების მიტინგის შემდეგ, რომელნიც მოითხოვდნენ დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალიდან საარტილერიო პოლიგონის გადატანას, გაზეთი "კომუნისტი" რატომღაც უკუმზერიობის სენმა შეიპყრო. ყველასდა განსაცვიფრებლად იგი დაუბრუნდა 10 და 30 წლის წინათ ჩემს წინააღმდეგ დაბეჭდილ პასკვილებს. ამასთან იგი გვიმტკიცებს, რომ "არ გაჭრა მაშინდელმა გულშემატკივრულმა კრიტიკამ, რჩევამ, შეგონებებმა", ზვიად გამსახურდია კვლავ ზვიად გამსახურდიად დარჩა და მისი პოზიცია მას შემდეგ თურმე იოტისოდენადაც არ შეცვლილა. სამაგიეროდ, უკანასკნელ პერიოდში, როგორც ვიცით, თავად გაზეთი "კომუნისტი" შეიცვალა და გარდაიქმნა, ეპოქის შესაბამისად, მიაღწია უდიდეს წარმატებებს საჯაროობის ფრონტზე, შეიძინა გულახდილობა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ იგი სხვა "კომუნისტია" და არა ის, რომელიც თეთრს შავად გვისაღებდა, ჭორებს უტყუარ სიმართლედ და ცილისწამებას _ მადლად. მაშ, რით ავხსნათ ის გარემოება, რომ ამ "გარდაქმნილ" გაზეთში 1988 წლის 28 თებერვალს გამოქვეყნდა ახალი პასკვილი, "შეიცან თავი შენი", რომელმაც გადააჭარბა იმ წარსული ეპოქის "შედევრებს" ჭორით, ღვარძლითა და ფალსიფიკაციით. ან ვით უწოდებს ეს დღევანდელი გარდაქმნილი გაზეთი "გულშემატკივრულ კრიტიკას, რჩევას და შეგონებას" იმ არნახულ ვაკხანალიას და წყევლა-გინებას, რომელიც დაიძრა პრესის ფურცლებიდან ჩემს წინააღმდეგ? განა ამაზე არ ღაღადებენ რუბრიკები და სათაურები: "მოღალატე ფარისეველნი", "გამცემლები", "წყევლა ზვიად გამსახურდიას", "მებრძოლი მომხვეჭელი", "მე ნაკლულოვანი", "ცილისმწამებლებმა და პროვოკატორებმა პასუხი უნდა აგონ" და ა.შ. დახეთ, რა მეგობრული რჩევა-დარიგება შეგონება სცოდნიათ! თურმე რის გაცოცხლებას მიელტვის დღეს გაზეთი "კომუნისტი"!

ვინ გვასწავლის ჭკუას

ჩემი ახლად მოვლენილი გულშემატკივარი, მოძღვარი და ჭკუის დამრიგებელი, ამ ახალ შეგონებათა ავტორი (მისივე სიტყვა რომ ვიხმაროთ) საშუალო და უმაღლეს დამთავრებული კაცი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ ანდობდნენ ესოდენ პასუხსაგებ თანამდებობას პრესის ცენტრალურ ორგანოში. იგი აღშფოთებით გვამცნობს: "ზვიად გამსახურდიას უცხოეთის რადიოსადგურებმა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი უწოდეს, მან კი არ უარჰყო ეს სიცრუე!" კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთი გვიბრძანოს ჩვენმა ახლად მოვლენილმა განმანათლებელმა: თუ იცის მან საერთოდ სიტყვა "პროფესორის" მნიშვნელობა? გაუგია თუ არა მას, რომ ევროპაში სიტყვა "პროფესორი" უბრალოდ "მასწავლებლის" მნიშვნელობით იხმარება, რაც მისი ნამდვილი ლათინური მნიშვნელობაა. ამის არცოდნამ კი უნდა დაგვაეჭვოს, რომ მას სიმწიფის ატესტატი კეთილსინდისიერი გზითა აქვს მოპოვებული. ნეტავი თქვენს პრესას, რომლის ცენტრალურ ორგანოსაც ამგვარი "კომპეტენტური" ადამიანები განაგებენ. აქვე მახსენდება ერთი თბილისელი ლექტორი ათეიზმისა, რომელიც თუთიყუშივით იმეორებდა, რელიგია ხალხის ოპიუმიაო, მაგრამ როდესაც ჰკითხეს ოპიუმი რა არისო, ვერ უპასუხა. ასე რომ, დელფოს სიბრძნეს დაწაფებულო ჟურნალისტო, ჯერ სიტყვა "პროფესორის" მნიშვნელობა გაარკვიეთ კარგად.

სინდისმან შენმან გამოგაჩინოს, ანუ იგივე ხარ, რაც იყავი

რახან წარსულის ნოსტალგია წამოგეძალათ და უკუმზერიობა დაგჩემდათ, მეც შეგახსენებთ ზოგიერთ ფაქტს წარსულიდან. დღეს არ იშურებთ ქების სიტყვას აწ განსვენებული მამაჩემის მისამართით და დიდ კონსტანტინედ იხსენიებთ მას, მაგრამ განა არ გადმობეჭდეთ ის წერილი, რომელშიც თქვენმა სულიერმა წინამორბედმა და

კოლეგებმა, 1956 წლის 20 დეკემბერს, გაზეთ "კომუნისტში" გალანძღეს კონსტანტინე გამსახურდია "უნიჭო, უქნარა და ხულიგანი" შვილის გაზრდის გამო (წერილი "სარეველა"), რითაც სასიკვდილოდ გაწირეს იგი და ინფარქტი დამართეს. ასე, რომ თქვენის მხრით ისტორიული სიმართლის ღალატია ამჟამად ჩემი ქება, ვითომდაც წარსულში ესოდენ "კარგისა", "ნიჭიერისა" და "გამორჩეულისა". ამით თქვენ ეწინააღმდეგებით თქვენივე გაზეთის პოზიციას. თუმც სულ დამავიწყდა: ალბათ მე გარდაქმნამდე "უნიჭო, ხულიგანი და სარეველა" ვიყავი, ხოლო გარდაქმნის შემდეგ უცებ ნიჭიერი, კარგი და გამორჩეული გავხდი. ესეც სახეიროა და მადლის მეტი, აბა რა მეთქმის.

ახლა გავიხსენოთ კიდევ უფრო ადრინდელი ეპითეტები დიდი კონსტანტინესი, რომლითაც მას ესოდენ უხვად ამკობდა თქვენი გაზეთი: "ფაშისტი", "იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგენტი", "დასავლეთის წინაშე მონურად ქედმოხრილი", "კონტრრევოლუციონერი", "ანტისაბჭოელი" და სხვა.

"კომუნისტო", ნუ ღალატობ შენს ტრადიციებს, შენ იგივე ხარ, რაც იყავი, რაც კარგად დამტკიცდა დღევანდელ შენს ფურცლებზე "სარეველას" კვლავ გამოჩენით. ამ პასკვილის ხელახლა გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, უახლოეს ხანში მოგიწევთ სასამართლოს წინაშე წარდგომა, სადაც უკვე შევიტანეთ სარჩელი მე და მ.კოსტავამ. იქ მოგიწევთ მოყვანა მოწმედ იმ მუშა პ-სი, რომელიც თურმე მე და მერაბ კოსტავამ "დავჭერით", აგრეთვე დასახელება ნ. პ-ს. ვინაობისა, რომელიც მოსთქვამს მის ტრაგიკულ ბედს, ხოლო ვერ მოყვანისა და დაუსახელებლობის შემთხვევაში, მოგიწევთ აღიარება იმისა, თუ რა მიზეზით მოიგონეთ ეს არარსებული პიროვნებები და რა მიზანს ისახავდა თქვენი ცილისმწამებლური ვაკხანალია ჩემს წინააღმდეგ, იქვე მოგიწევთ ჩემთვის პასუხის გაცემა სხვა სიყალბეებთან დაკავშირებით.

შულერული მეთოდები

ამ გარდაქმნილი გაზეთის გარდაქმნილ მოციქულს ფაქტების გაყალბების ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი უნარი აღმოაჩნდა. მას გულდასმით შეუსწავლია ჩემი და მ.კოსტავას საქმე, რომლის 56 ტომი უშიშროების კომიტეტის არქივში ინახება, სადაც იგი, როგორც სჩანს, დიდის ხალისით შეუშვეს კოლეგებმა. იგი ცდილობს განაცვიფროს მკითხველი ამ საქმის დეტალების ცოდნით, მაგრამ წერა-კითხვაზე თურმე მწყრალად ბრძანებულა და სწორად ვერ გადმოუწერია ზოგი ციფრი, ფაქტი, თარიღი. ხანაც თავის მიერ შეთხზულ ცრუინფორმაციასაც ჩაურთავს ხოლმე ჩემი საქმისა და ბრალდების ციტირებისას, ალბათ ვერავინ მიმიხვდებაო. სხვისა რა ვიცი და მე კი ყოველთვის დავუჭერ ხელებს ამგვარ შულერს. მოვუსმინოთ მას: "ზ.გამსახურდია და ჯგუფის სხვა წევრები კონტაქტს ამყარებდნენ საბჭოეთისადმი მტრულად განწყობილ პიროვნებებთან და გადასცემდნენ ტენდენციურ, ცილისმწამებლურ ინფორმაციებს". საიდან სადაო? *საქმე №131-ში მსგავსი რამ არ არის არსად აღნიშნული და არც ბრალდებაში გვქონია ასეთი რამ.* ავტორი კი ამას იმით ასაბუთებს, რომ "ამერიკის საელჩოს თანამშრომელმა თურმე მე მათხოვა ანტისაბჭოთა ლიტერატურა". ჰო, მაგრამ კაცისთვის ლიტერატურის *გამორთმევა* ერთია, და მისთვის ცილისმწამებლური ინფორმაციის გადაცემა მეორე! აი რა ობიექტურია იგი ჩვენი საქმის გაშუქებისას.

ეს დიდი "ექსპერტი" ჩემი საქმისა იმასაც ბრძანებს, რომ მე თურმე 1978 წელს მიმცეს პასუხისგებაში, მაშინ, როდესაც ეს მოხდა 1977 წლის აპრილში. იგი ბრძანებს, რომ მე თურმე 9 თვის გადასახლების შემდეგ გამოვედი "ვრემიაში", მაშინ, როდესაც ჩემი დაკითხვის ვიდეოფირი აჩვენეს გადასახლებამდე და ა.შ. სიტყვების საპირისპირო მნიშვნელობით ხმარებითაც ხომ იგი პირწავარდნილი "კომუნისტელია". იგი "ღიას" უწოდებს ჩვენს სასამართლო პროცესს სადაც ბუზიც ვერ შეფრინდებოდა და ვერც

ვერავინ შემოდიოდა სპეციალური საშვის გარეშე, რომელსაც რამდენიმე საკონტროლო პუნქტზე ამოწმებდნენ პასპორტისა და საბუთის წარმოდგენის მოთხოვნით! თანაც სიმპტომატურია, რომ ამ ჩვენმა "პირუთვნელმა მეისტორიემ" ორი კაცის, ზ.გამსახურდიას და მ.კოსტავას საქმე, №131, ერთი კაცის საქმედ აქცია. მ.კოსტავას როლი და წვლილი თავისი ჭკუით მთლიანად "ნოლზე დაიყვანა" (ალბათ იმ იმედით, რომ მასში წყენას გააღვიძებდა და მეგობარს დაუპირისპირებდა, მაგრამ მოტყუვდა). მან ისიც "აღმოაჩინა", რომ მე თურმე 1978 წლამდე არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ გამომიქვეყნებია (სჩანს, ჩვენი განათლებული "ჟურნალისტი" ფრიად მწყრალად ყოფილა "მნათობთან", "ცისკართან", "დროშასთან" და "ლიტერატურულ საქართველოსთან"). ან რა გასაკვირია თუ მაშინ არ მიბეჭდავდნენ, მაშინ, როდესაც ჩვენს დღევანდელ ბედნიერ და გარდაქმნილ ეპოქაში ცენტრალური კომიტეტის მდივანმა საჯაროდ რედაქტორებისა და პრესის მუშაკთა თათბირზე 1987 წლის აგვისტოში მოითხოვა, "გარეწარ ზვიად გამსახურდიას არ დაუბეჭდოთო არც ერთი სტრიქონი". ახლა წარმოიდგინეთ, თუ ვით შემამკობდა მისი წინამორბედი და რა ზომებს მიიღებდა ჩემს წინააღმდეგ ლიტერატურულ ფრონტზე.

"მონანიება"

გარდაქმნისა და საჯაროობის ქურქში გახვეული ბრეჟნევ-ანდროპოველი ჩემს "მონანიებას" "ბატკნის ქურქში გახვევას" უწოდებს.

რა იყო ეს "მონანიება", რამ გამოიწვია იგი, რა შედეგები მოიტანა, _ აი კითხვები, რომელნიც ბევრს აწუხებს და რომლებთან დაკავშირებითაც ამდენი დეზინფორმაცია ვრცელდება სპეციალურად ინსტრუქტირებული აპარატისა და მის მიერ დამუშავებული პირების მიერ.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი ეროვნული და სამართალდაცვითი საქმიანობის პარალელურად წარსულში, მე დიდი რაოდენობით ვამრავლებდი და ვავრცელებდი ისეთ ლიტერატურას და მასალებს (უმთავრესად ემიგრანტულს), რომელიც კოდექსის მიხედვით დაკვალიფიცირებული იყო როგორც "ანტისაბჭოური", თუმც მე ვთვლიდი, რომ, რახან სსრ კავშირმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, ჰელსინკის ხელშეკრულებას და სხვა პაქტებს, სადაც გარანტირებულია ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება, ამგვარი ლიტერატურის გავრცელება აღარ უნდა ჩათვლილიყო დანაშაულად, მაგრამ რამდენადაც იმხანად არსებობდა მძაფრი წინააღმდეგობა ქვეყნის შიდა იურიდიულ პრაქტიკასა სსრკ-ს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს შორის, ამგვარი ლიტარატურის გავრცელება, როგორიც არ უნდა ყოფილიყო განზრახვა მისი გავრცელებისა, დანაშაულად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა, რაც დაგმო მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა და რის გადახედვასაც აპირებს სსრკ-ს დღევანდელი ხელმძღვანელობა.

მე დავინახე, რომ ამ სიტუაციისათვის ანგარიშის გაუწევლობა არ შეიძლებოდა. ეს ზიანს მოუტანდა ჩვენს ერს, ამის გამო გადავწყვიტე შემეცვალა კურსი და პოზიცია, გამეწია ანგარიში არსებული კანონისათვის, რომელიც უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე ჰელსინკის ხელშეკრულება, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი, მით უმეტეს, რომ მე საბჭოთა მოქალაქეობაზე უარის თქმას არ ვაპირებდი, გადაწყვეტილი მქონდა მეცხოვრა ჩემს ქვეყანაში, საქართველოში, გამეზიარებინა ჩემი ერის ჭირ-ვარამი. უშიშროების კომიტეტი კი არაორაზროვნად მიმანიშნებდა, რომ მე მომიხდებოდა საქართველოს დატოვება და ემიგრაცია, მოუნანიებლობის შემთხვევაში.

ამის გამო ვცანი დანაშაულად გამრავლება და გავრცელება ზემოთხსენებული ლიტერატურისა და მასალებისა, და "მოვინანიე" ეს ყოველივე. ამით ხელი შევუწყე მრავალ პოზიტიურ ძვრებს ჩვენი ერის ცხოვრებაში, ვინაიდან თავად ხელისუფლება

წავიდა გარკვეულ კომპრომისებზე, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ის, რომ გაუმჯობესდა ეკლესიის მდგომარეობა, დაიწყო ნაწილობრივი საეკლესიო ლიბერალიზაცია, განმტკიცდა ილია მეორის პოზიციები, რომელთან დაკავშირებითაც თქვენ ამდენ ჭორს ავრცელებთ იმავე გაზეთში. მრავალი ჩვენი მოთხოვნა შესრულდა სხვა სფეროებშიაც, როგორც ამას აღნიშნავს მერაბ კოსტავა თავის განცხადებაში ჩემი მონანიების შესახებ, რომელიც თქვენდა სავალალოდ მთელს მსოფლიოში გამოქვეყნდა. ის დიალოგი, რომელიც ხელისუფლებამ შესთავაზა ა.სახაროვს, ჯერ კიდევ იმ ჟამად შემომთავაზეს მე, ა.სახაროვი და მისი მიმდევრები ასეთ დიალოგს საქმის ღალატად არ თვლიან. არც მე ვთვლი მას საქმის ღალატად იმ შემთხვევაში, თუ იგი გონივრულად და ფრთხილად იქნება წარმართული.

მოუნანიებლობა სჯობდა

თუმც ცხადია, ჩვენი ერის მტრებისათვის სჯობდა, რომ არ მომენანიებინა საერთოდ, სჯობდა ჩემი და მ.კოსტავას უცხოეთში გაძევება (ვინაიდან ციხეში დიდ ხანს არავინ გააჩერებდა ნობელის პრემიაზე წარდგენილ პატიმრებს), საქართველოში ტოტალური ანარქიის გაბატონება, ეროვნული მოძრაობის მიტოვება გამოუცდელი ახალგაზრდების ანაბრად და ამით მისი დაღუპვა, ამიტომაც სისინებენ დღეს ზოგიერთები, "სისუსტით მოინანია", "კეთილდღეობისათვის მოინანია". *მათ ვერ მოუნელებიათ აგრეთვე ის, რომ მე ვიპოვე სწორი გზა ბრძოლისა, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა დღეს საერთაშორისო სამართლის პოზიციებიდან გამოდის, რაც განაპირობებს მის უძლეველობას.* რა თქმა უნდა, მტრებისათვის სჯობდა შიშველი ანტისოვეტიზმი, მაშინ ხომ უფრო იოლად გაანადგურებდნენ ეროვნულ ძალებს რეპრესიებით! აი, რატომ არის ჩემი მონანიება მათთვის უდიდესი ბოროტება! აი რად მისტირის წარსულს გაზეთი "კომუნისტი"! რად ცდილობს გახმობას წარსულის სავალალო ქიმერებისას! იმედს ამყარებს მათზე, ხავსს ეჭიდება, და არას ამბობს აწმყოზე, ჩემს ამჟამინდელ საქმიანობაზე, რომელსაც იგი ვაი, რომ, მხოლოდ ანტისაბჭოურს ვეღარ დაარქმევს. აი, რად არის ღარიბი "კომუნისტის" ინფორმაცია ჩემს დღევანდელ დღეზე, აი რად იგონებენ ჭორებს, რომელიღაც ძროხებზე და ქურდებზე, რომელთაც თურმე მე ვიცავ "ანტისაბჭოური ჟინით" შეპყრობილი. მაშ შემოგელიათ საფენელი? რას იზამთ, ამასაც უნდა შეეგუოთ, ჩემო კარგებო!

თავდაყირა დაყენებული ფაქტები

ამ პასკვილის თითქმის ყოველი წინადადება თუ ფრაზა, სიცრუესა და სიყალბეს შეიცავს. თითოეული მათგანის მხილება დიდ დროსა და ადგილს წაგვართმევს, ამის გამო მე მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდები. როგორც აღვნიშნე, იგი გვამცნობს, რომ მე თურმე 9 თვის გადასახლების შემდეგ გამოვსულვარ "ვრემიას" პროგრამით, დამიგმია ჩემი "ნამოღვაწარი" და პატიება მითხოვია. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქითაა. ტელევიზიით არასოდეს გამოვსულვარ, არამედ ტელევიზიაში ჩემი ნებართვის გარეშე უჩვენეს ჩემი დაკითხვის _ ვიდეოფირი (ისიც ნახევარი), რომელიც, როგორც გადაღების დროს მითხრეს, სასამართლოზე საჩვენებლად იყო გამიზნული. ასე, რომ დაკითხვის ფირი გასაღდა "ტელეინტერვიუდ". მეორეც, მე ჩემი ნამოღვაწარი არ დამიგმია და არც პატიება მითხოვია, არამედ ჩემს შეცდომად ვაღიარე სხვისი ნამოღვაწარის გამრავლება-გავრცელება ჩემ მიერ ე.ი. ისეთი მასალებისა, რომელნიც ჩემს კალამს არ ეკუთვნოდა. მესამეც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი დაკითხვის ვიდეოფირი უჩვენეს *გადასახლებამდე*, უშუალოდ სასამართლოს შემდეგ, 1978 წლის 19

მაისს, და არა *გადასახლების შემდეგ,* როგორც ბრძანებს ჩვენი "პირუთვნელი მეისტორიე", პატიება კი ვითხოვე გადასახლებიდან გამოგზავნილ წერილში და არა ვიდეოფირში. ასე რომ, როგორც ვხედავთ, ყველაფერი პირიქითაა. ჭეშმარიტად დიდი ხელოვნებაა ერთ წინადადებაში ამდენი ტყუილისა და დეზინფორმაციის მოთავსება.

მართალია, პატიების შესახებ ჩემს განცხადებაში არის არაგულწრფელი მომენტები, და ჩემთვის უჩვეულო ფრაზეოლოგია, მაგრამ განა დიდი ილია გულწრფელი იყო, როდესაც ტაქტიკური მოსაზრებით ადიდებდა საქართველოს ანექსიას რუსეთის მიერ შეერთების 100 წლისთავის იუბილეზე, რათა ამ გზით შეენარჩუნებინა ერთადერთი ქართული გაზეთი და გადაერჩინა ეროვნული საქმე?

ახლა ვნახოთ რა კეთილდღეობა დამხვდა გადასახლებიდან დაბრუნებისას? ჩეკისტების მიერ იავარქმნილი სახლი, რომელშიც არ იყო გათბობა, ჩამოდიოდა წყალი, გაძარცვული, დაგლეჯილ-დაფხრეწილი ბიბლიოთეკა და არქივი მამაჩემისა, შინაური პატიმრობა, ჩვილი ბავშვების შიმშილი (პირდაპირი გაგებით), ბოიკოტი გამომცემლობებსა და რედაქციებში, ყველაფერი ყადაღადადებული სამოქალაქო სასამართლოს მიერ, სადაც სამი წელიწადი კიდევ მატარეს და კიდევ მრავალი სხვა "სიამოვნება".

აი, თურმე, რას მიველტვოდი მონანიებით და რა მოვიპოვე. გაზეთში ფალსიფიცირებულია და გადაკეთებული ჩემი სხვადასხვა წერილები, მათ შორის წერილი ანდროპოვისადმი, და სხვადასხვა ინსტანციებში იმ ფაქტების შესახებ, რისი მოწმეც იყო მრავალი ადამიანი, მათ შორის მერაბ კოსტავა, არსებობს რამდენიმე სამედიცინო დასკვნა და რაც წერილობით დაადასტურა უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთმა აგენტმა, რომლის ხელნაწერიც ინახება კალინინის რაიონის მილიციაში. კერძოდ, 1975 წლის 20-23 სექტემბრის უცნობმა პირებმა დაუდგენელი აიროვანი ნივთიერებებით თუ სითხით, მოწამლეს ჩემი სახლის ეზო და მანქანა, რის შედეგადაც ჩემს ეზოში დაიხოცა ყველა შინაური ცხოველი თუ ფრინველი, ხოლო მე ერთ კვირას სიკვდილის პირას ვიყავი ასფიქსიით, წნევითა და გულის უკმარისობით, სისხლის ანალიზმა ინტოქსიკაცია დაადასტურა, ასეთივე სიმპტომებით გახდა ავად ჩემი მეუღლე (ანალოგიური ნოივთიერება გამოიყენეს იმავე პერიოდში მოსკოველ მწერალ ვ.ვოინოვიჩზე და სხვა დისიდენტებზე). გაზეთი კი ქილიკობს, რომ თურმე ჩვენ პულსი აგვიჩქარდა და მამალი მოგვიკვდა, რის შედეგადაც ავტეხეთ ეს განგაში, იმავე პერიოდში უცნობმა პირებმა გაუფუჭეს ჩემს მანქანას მუხრუჭები, რის შედეგადაც მე სასწაულით გადავრჩი ავარიას, ვინაიდან გაფრთხილებული ვიყავი კეთილისმსურველთა მიერ. პასკვილის ავტორი კი მუხრუჭების ნაცვლად *მოტორის* გაფუჭებაზე წერს, რათა წყალი აამღვრიოს და მკითხველს ღიმილი მოჰგვაროს.

თუმცა არა უშავს, ჩემი წერილების დედნები ინახება სათანადო ადგილებში, დრო მოვა, როდესაც მათ შეადარებენ გაზეთის სიცრუეს და პასუხს მოსთხოვენ ფალსიფიკატორებს. *1988 წლის 17 თებერვალს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებამ ოფიციალური უარი უთხრა ჩემს მეუღლეს, მ.არჩვაძეს _ გამსახურდიას, ჩვენი ვაჟის ცოტნეს წაყვანაზე დასავლეთ გერმანიაში, საარ-ბრიუკენში,* საიდანაც მივიღე ოფიციალური მოწვევა ამ მხარის პრემიერ-მინისტრის ლაფონტენისაგან და კერძო მოწვევა ერთი ჩემი მეგობრისაგან. ჩემი გამგზავრება კი არც მითხოვია უშიშროების თანამშრომლის შანტაჟის შემდეგ, რომელმაც მე მამცნო, რომ კომიტეტი დაინტერესებულია ჩქარა გამისტუმროს საზღვარგარეთ, რის ქვეტექსტსაც ყოველი ბავშვი მიხვდებოდა.

გაზეთი კი შავით თეთრზე წერს: "ერთ მშვენიერ დღეს მას ანცობეს: თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებულია, შეგიძლიათ ვაჟი უცხოეთში წაიყვანოთ სამკურნალოდო". ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, იქნებ 17 თებერვალსა და 28 თებერვალს შორის

მიიღეს რაღაც გადაწყვეტილება და სასწრაფოდ დავრეკეთ ვიზების განყოფილებაში, მაგრამ თვით შსს თანამშრომელიც კი განაცვიფრა გაზეთის ასეთმა ურცხვობამ და თვალთმაქცობამ, მან რაღაც გაურკვეველი წაიბურდღუნა და უხმოდ დაგვიკიდა ყურმილი.

რაც შეეხება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, რომლის შესახებაც ამდენი რამ მოჭორეთ იმავე წერილში, თავისი დამოკიდებულება თქვენდამი, ბატონო ნუგზარ ფოფხაძევ, მან შესანიშნავად გამოხატა, როდესაც გამოგაძევათ საპატრიარქოდან ზვიად გამსახურდიას სალანძღავი ინტერვიუს ასაღებად რომ მიბრძანდით ტელეკამერით. ესეც გეყოფათ სახელად სამარადჟამოდ. აქედან სჩანს, აგრეთვე, თუ რამდენად მართალი ხართ, ყოველივე იმაში, რაც მოჩმახეთ ჩემი მღვდელობისა და მღვდელთმთავრობის პრეტენზიის შესახებ. იქვე გადაკრულად მიანიშნეთ, რომ მე თურმე ცილს ვწამებდი ქართული ეკლესიის მესვეურთ, ალბათ კრიმინალ "მიტროპოლიტ" ბიძინა კერატიშვილს თუ გულისხმობდით და აწ გასამართლებულ "მთავარეპისკოპოსს" ცეზარ ანანიშვილს.

თქვენი გაზეთიდან ისიც "შევიტყვე", რომ მე თურმე დაუსრულებლად ვდავობ მამაჩემის ყოფილ მძღოლთან, წოწორიასთან და საკუთარ დასთან. ერთი მიბრძანეთ, ვით შეიძლება დავა 10 წლის წინათ გარდაცვლილ კაცთან? რამდენადაც ვიცი, კომუნისტებს საიქიო არ გწამთ, ხოლო ამ მძღოლის შვილი, რომელსაც თქვენ გულისხმობთ, მძღოლი როდია, არამედ ბაზის გამგე. იგი ჩემს მეზობლად ცხოვრობს და ამის გამო დაპატიმრების შიშით, იძულებულია დაემორჩილოს სათანადო ორგანოებს, რომელნიც ჩემზე მეთვალყურეობასთან ერთად ათასგვარ პროვოკაციებს ავალებენ ჩემს წინააღმდეგ. მაგრამ ამ პიროვნების საქმიანობასა და თანამდებობას იმის გამო მალავთ, რომ მკითხველი იოლად არ მიხვდეს ყოველივეს.

რაც შეეხება უშიშროების კომიტეტის მეორე მსხვერპლს, ნ.გამსახურდიასა და მის მეუღლეს, რომელთაც აგრეთვე საქმე შეიტანეს სასამართლოში ჩემს წინააღმდეგ მამისეული სახლიდან გასაძევებლად, მამაჩემის ხსოვნისათვის შეურაცხყოფის მისაყენებლად, მე პროტესტის ნიშნად არ გამოვცხადდი მათ მიერ აღძრული სასამართლოს არცერთ სხდომაზე, რის გამოც არცერთი მათგანი არ ჩატარებულა. საბოლოოდ კი თბილისის სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ, 1982 წლის 21 სექტემბერს გააუქმა საქმე №793, როგორც უკანონოდ აღძრული ნათელა გამსახურდიას მიერ, რაც აღნიშნულია კოლეგიის №775 განჩინებაში. თუ გაზეთი "კომუნისტი" დაამტკიცებს, რომ მე ვედავებოდი ნ.გამსახურდიას, დაასახელებს თარიღს და ადგილს სასამართლო სხდომისას, სადაც მე ვითომდაც განვაცხადე: "ნათელა კონსტანტინეს ასულ გამსახურდიას არავითარი წილი არ ეკუთვნის მამის მემკვიდრეობიდან და მე მას ჩემს დად არ ვცნობო", მე ვიტყვი, რომ თქვენ მართალნი ხართ და უკან წავიღებ ჩემს სიტყვებს: წინააღმდეგ შემთხვევაში თავად მოგიხდებათ სასამართლოს წინაშე წარდგომა და *პასუხისგება უახლოეს ხანში სიცრუისა და ცილისწამებისათვის.*

თურმე ნუ იტყვით, ზ.გამსახურდიას კერძო სახლს ურემონტებენ, 165.000 მანეთს ხარჯავენ(!), მამისეულ ჰონორარს აძლევენ! დღისით, მზისით ნუ აყრით ხალხს მტვერს თვალებში! ყოველმა ბალღმა იცის, რომ ის სახლი, სადაც ზ.გამსახურდია ცხოვრობს, არის კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალური სახლი, ანუ კოლხური კოშკი და რემონტს ზ.გამსახურდიას კი არ უკეთებენ, არამედ კონსტანტინე გამსახურდიას, ისიც მას შემეგ, რაც მისმა საიუბილეო კომისიამ, 1983 წლის ივნისში თავის თვალით იხილა, თუ ვით ინგრეოდა ეს სახლი, როგორ ჩადიოდა სახურავში წყალი და ანადგურებდა მწერლის ბიბლიოთეკას, არქივს და მის მემორიალურ ნივთებს, მწერლის შვილსა და მის ოჯახს კი არნახული ეკონომიკური ბლოკადის შედეგად, სახსრები არ გააჩნდათ.

რაც შეეხება ხელოვნურად გაბერილ ციფრს, სარემონტო ხარჯთაღრიცხვისას, ვინაიდან რემონტი ჯერაც არ დამთავრებულა, ხარჯთაღრიცხვაც სათანადოდ არ დაანგარიშებულა და ალბათ ამის ნახევარს თუ მიაღწევს იგი. ეგეც არ იყოს, მწერალი, რომლის თხზულებათა მრავალტომეულის თითო ტომი 70-80 ათას მანეთს აძლევს სახელმწიფოს, ნუთუ არ იმსახურებს, რომ მისი ერთი ტომის ჰონორარი მისივე სახლსა და დანატოვარს მოხმარდეს? კომუნალურ გადასახადებს კი, აბა რომელი მწერლის მემორიალური სახლი იხდის? რაღა ჩემი კანონიერი მოთხოვნა გახდა გაზეთებში დასაწერი, როგორც ყოვლად უსაფუძვლო პრეტენზია? მაგრამ როდესაც გჭირდებათ, იმასაც მალავთ, რომ მე კონსტანტინე გამსახურდიას შვილი ვარ, როგორც მაგალითად, გაზეთებში, ჩვენს საოჯახო ფოტოსურათებში რომ ჩამოჭრით ხოლმე ჩემს სახესა და ფიგურას მის გვერდით და ტელეგადაცემაშიც რომ ამოჭრით ხოლმე ჩემს სახეს.

რაც შეეხება ჩემი შვილების დევნას სკოლაში, მათზე თავდასხმებს, მათ შინაურ პატიმრებად ქცევას, მათ შესახებ ფაქტების ფალსიფიკაციას, ამაზე ჩემი მეუღლე გაგცემთ საკადრის პასუხს და აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

გაუმხელელი ბოღმა

ახლა კი წვრილად მოგითხრობთ თქვენი გულის ნადებს, ე.ი. ყოველივე იმას, რაზედაც თქვენ დუმილი არჩიეთ და რაც არის მიზეზი თქვენი ეგზომ გაავებისა და წონასწორობის დაკარგვისა. თქვენი ლანძღვა-გინების კორიანტელში, მართალია, ორიოდე სიტყვა გამოსცარით ამის შესახებ, მაგრამ საერთო კონტექსტს აღარ დაუკავშირეთ, რათა მკითხველი არ მიმხვდარიყო თქვენს მთავარ სატკივარს, რომელმაც მიგიყვანათ ამ ზომამდე.

თქვენ ვერ მოგინელებიათ, ის, რომ მე დღესაც პირუთვნელად ვამხელ ქართველი ერის კონსტიტუციური უფლებების დარღვევის ყველა ფაქტს, სიტყვიერად თუ წერილობით, რის შესახებაც ვუშვებ ჟურნალ "მატიანეს", რომელსაც თქვენ ტაბუ დაადეთ, რამეთუ არ შეგწევთ ძალა მასთან პაექრობისა. ვიბრძვი ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის აღსადგენად, ვიბრძვი საქართველოს ისტორიის ნამდვილი სწავლების აღსადგენად სკოლებში, ვიბრძვი ქართული ეკლესიის უფლებათა აღდგენისათვის, ქართველი ხალხისათვის რელიგიური უფლებების დაბრუნებისათვის, ქართული კულტურის ძეგლთა ნამდვილი და არა მოჩვენებითი დაცვისათვის. ვამხელ ილიას მკვლელებს, რომელთაც თქვენ ხელს აფარებთ, ვიბრძვი აფხაზეთის, საინგილოს, მესხეთ-ჯავახეთის ქართული მოსახლეობის უფლებებისათვის, ქართული მოსახლეობის რუსეთში მიგრაციის შესაჩერებლად, ვიბრძვი ტრანსკავკასიის რკინიგზის მავნებლური პროექტის განხორციელების წინააღმდეგ, ჰესებითა და წყალსაცავებით ჩვენი ბუნების და კულტურის ძეგლთა განადგურების წინააღმდეგ და ა.შ. ყოველივე ამას კი, აბა "ანტისაბჭოთა აქციად" ხომ ვერ გამოაცხადებთ! ამის გამო წარსულის აჩრდილებს უხმობთ, ცოფს ანთხევთ და ჭორის ღრუბლებით ლამობთ ჩემს მოხრჩობას. აი, რას გულისხმობთ თქვენ როდესაც წერთ: "დღე ისე არ დაღამდება და ღამე ისე არ გათენდება რაიმე ნაკლი არ გამოჩხრიკოს, საჩივრის წერილი ან დეპეშა დაწეროსო", ოღონდ იქვე კი ცრუობთ: "ყველა ეს საჩივარი მის პირად დევნას ეხებაო".

მაგრამ თქვენი წერილის მთავარი ძარღვი და პათოსი მაინც შემდეგშია: ზვიად გამსახურდია, ჩვენ ამდენი რამ შეგისრულეთ, მამაშენის მემორიალური სახლი გავარემონტეთ, მამისეული ჰონორარიც მოგეცით (თუმც ისიც რემონტზე დაიხარჯა _ ზ.გ.) გადასახადები ჩამოგაწერეთ, შენ კი აღარ ჩუმდები, აღარ ისვენებ, აღარ გვანებებ საქართველოს რუსიფიკაციას, ინტერნაციონალურ კონგლომერატში გათქვეფას, მეცნიერებიდან და ოფიციალური დაწესებულებებიდან ქართული ენის გამოძევებას, სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლების გაუქმებას, საქართველოს ეკლესიის სახელმწიფო-უშიშროების კომიტეტისათვის დაქვემდებარებას, ქართული ტაძრების

რესტორნებად და ბორდელებად ქცევას, ქართული კულტურის ძაგლთა განადგურებას სამხედრო ძალით, ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობით, ჰესებითა და წყალსაცავებით, საინგილოს აზერბაიჯანიზაციას, მესხეთ-ჯავახეთის გასომხებას, შიდა ქართლის ოსეთად ქცევას, ქვემო ქართლის გათათრებას, ქართული მოსახლეობის თანდათან რუსეთში გადასახლებას მიგრაციით. როდემდე უნდა გაგრძელდეს შენი ეს უმადურობა და თავხედობა! მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს! ანტისაბჭოელო! მოღალატე! ცილისმწამებელო! დაგაპატიმრებთ! მოგსპობთ! გაგასახლებთ!

არა ჩემო კეთილნო, თქვენ ვერ შეგიცვნიათ კაცი. საკუთარი თავის შეცნობისაკენ რომ მომიწოდებთ, სჯობს ჯერ თავად შემიცნოთ კარგად. ვინც გიყიდიათ მაგ 30 ვერცხლად, იგი იყიდეთ. მე კი ლუთერის თქმისა არ იყოს, მაინც ჩემსას ვიტყვი, თუნდაც იმდენი ეშმაკი დაიძრას ჩემსკენ, რამდენი კრამიტიცაა ამ ეკლესიის გუმბათზე.

დიდი ილიას აჩრდილს კი ნუ აწუხებთ მსგავს ბინძურ პასკვილებში, არამედ ილიას ნაცვლად სჯობს დაიმოწმოთ თქვენი იდეური წინაპარი, სულიერი მამა და პარტიული კოლეგა ფილიპე, რომლის ძვლებიც მთაწმინდიდან ამას წინათ ამოგიყარათ ქართველმა ხალხმა, და რომლის ღირსეული მემკვიდრენიც ბრძანდებით როგორც პარტიული და იდეური ხაზით, ასევე ჭორაობისა და ფალსიფიკაციის დარგში.

ახლა კი დაგემშვიდობებით, რამეთუ კარგად შეგამეცნებინეთ თავი თქვენი, სკამი თქვენი და გარდაქმნა თქვენი.

თქვენი დრო წავიდა.

მართალია, თქვენი საჯაროობა ცალმხრივი მოძრაობის ქუჩაა, მაგრამ მე მაინც წინადადებას გაძლევთ ეს წერილი დაბეჭდოთ უცვლელად, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგიწევთ წარდგომა სასამართლოს წინაშე და პასუხისგება ცილისწამებისა და ფაქტების ფალსიფიკაციისთვის.

ზვიად გამსახურდია.

1988 წელი, 10 მარტი.

P.S. რაც შეეხება სასამართლოს, იგი მართლაც დაინიშნა ჩემი და მერაბ კოსტავას სარჩელით, მაგრამ მოხდა დავა "კომუნისტის" თანამშრომლებთან, რომელთაც მოიწადინეს სასამართლო სხდომაზე ტელევიზიის დასწრება. ჩვენის მოსაზრებით ეს შეიცავდა საფრთხეს მონტაჟისა და ფალსიფიკაციისა, რის გამოც სასამართლო არ შემდგარა და საქმე დღესაც განუხილველად არის დატოვებული.

რედაქციისაგან:

ბატონ ზვიად გამსახურდიას პასუხს გაზეთ "კომუნისტის" 1988 წლის 28 თებერვლის პუბლიკაციაზე ავტორის თხოვნით ვბეჭდავთ უცვლელად; ალბათ, აღარცაა საჭირო იმის განმარტება, თუ რატომ ასე დაგვიანებით. გარდა იმისა, რომ შეიცვალა რედაქციის ხელმძღვანელობა, ისიც უნდა ითქვას, რომ საჯაროობის აღიარებიდან მის ნამდვილ დამკვიდრებამდე, ჭეშმარიტ პლურალიზმამდე დიდი მანძილია და ეს უნდა გაითვალისწინოს როგორც ავტორმა, ისე მკითხველმა.

1990წ. 24 თებერვალს ზვიად გამსახურდიამ მიიღო მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის _ **ვაცლავ ჰაველის** მეგობრული მიწვევა, რომელსაც შეხვდა და ესაუბრა **26 თებერვალს.**

1990წ. 25 თებერვალი _ ფსოუდან _ ენგურამდე ცხუმ-აფხაზეთში აფრიალდა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული დროშა, **კ.გამსახურდიას** სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდა სამგლოვიარო სხდომა, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საკათედრო ტაძარში პანაშვიდი გადაუხადეს **1921 წლის 25 თებერვლისა** და **4 მარტის,** ასევე **1989 წლის 15-16 ივლისის** ამბებთან დაკავშირებით მოწყვეტილთა სულებს.

25 თებერვალს დღის 12 საათზე ქ.სოხუმის **კ.გამსახურდიას** სახელობის თეატრში სამგლოვიარო სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა **ს.საჯაია**, აფხაზეთის პრობლემაზე ისაუბრეს **ნ.მგალობლიშვილმა, ნ.მოლოდინაშვილმა**, **რ.კემულარიამ, მ.გვაძაბიამ** და **ა.მარკოზიამ.**

სამგლოვიარო სხდომამ მიიღო მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, რომელშიც სრულიად საქართველო და მასთან ერთად მისი სისხლხორცეული ნაწილი _ ცხუმ-აფხაზეთი ოკუპირებულ ქვეყნად გამოცხადდა. დოკუმენტს ხელი მოაწერა **ს.საჯაიამ** _ **მერაბ კოსტავას** საზოგადოების სახელით, **გ.ბახიამ** _ ჰელსინკის კავშირის სახელით, **ა.ჯიქიამ** _ ედპ-ს სახელით, **მ.გვაძაბიამ** _ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სახელით, **ა.გასვიანმა** _ საზოგადოება "ლემის" სახელით, **შ.ჯღამაძემ** _ სახალხო ფრონტის სახელით, **ა.მარკოზიამ** _ **წმინდა ილია მართლის** საზოგადოების სახელით, **ნ.კეშელავამ** _ **რუსთაველის** საზოგადოების გაგრის განყოფილების სახელით, **ნ.მგალობლიშვილმა** _ ქალაქის საზოგადოებრიობის ერთი ჯგუფის სახელით.

აქციაში მონაწილეობა არ მიიღო **<u>ი.ჭავჭავაძის</u>** საზოგადოებამ და **<u>რუსთაველის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის</u>** განყოფილების იმ ნაწილმა, რომელიც სინამდვილეში **<u>ი.ჭავჭავაძის</u>** საზოგადოების წევრებისაგან შედგებოდა, მათ შორის გამგეობის თავმჯდომარემ **მ.პატარაიამ.**

სამგლოვიარო სხდომის შემდგომ აქციის მონაწილეებმა ქალაქის ცენტრალური ქუჩებით, **ლენინის,** მშვიდობის (ყოფილი **სტალინის**) და **ორჯონიკიძის** ქუჩებით თავი მოიყარეს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საკათედრო ტაძართან **კ.ლესელიძის** ქუჩაზე, სადაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, გარდახდილი იქნა პანაშვიდი სამშობლოსთვის მოწყვეტილთათვის და პარაკლისი _ სრულიად საქართველოს სადიდებლად.

მიღებული იქნა ზომები წინაღამით აღმართული დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დროშების შესაძლო ხელყოფისგან დასაცავად.

1990წ. 4 მარტს, ქართული სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს კონსტანტინოპოლის მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა **დიმიტრიოს პირველმა** საზეიმო ვითარებაში მიართვა ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) ცნობის საეკლესიო სიგელები.

იმავე დღეს კონსტანტინოპოლის (ისტამბულის) ბერძნული ეკლესიის ტაძარში გაიმართა წირვა ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო. ამ მოვლენათა შესახებ მოგვიანებით გაზეთი "ქართული ფილმი" წერდა **(21 მარტი, 1990წ.):**

ახლახანს **კონსტანტინოპოლიდან დაბრუნდა ქართული ეკლესიის დელეგაცია, რომელმაც ჩამოიტანა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის და კათოლიკოს-პატრიარქის წოდების აღიარების დამადასტურებელი სიგელები. დელეგაციის შემადგენლობა ასეთი იყო: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავით ჭკადუა, ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი კალისტრატე მარგალიტაშვილი, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, მამა ამირან ამირანაშვილი, თარჯიმნები: თამარ მესხი და ბორის გაგუა.**

ამ მგზავრობის შესახებ ვთხოვეთ მოეთხრო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორს, ***პროტოპრესვიტერ გიორგის:***

ავტოკეფალიის **აღდგენის დღიდან საქართველოს ეკლესიის მამამთავრები იღწვოდნენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის მთელ მსოფლიოში. არასწორი ინფორმაცია იყო გავრცელებული, თითქოს საქართველოს ეკლესიამ ისარგებლა რა რუსეთში არსებული რევოლუციური**

სიტუაციით, საუკუნის დასაწყისში მიიტაცა დამოუკიდებლობა. რეალური ზრუნვა ავტოკეფალიის აღსადგენად მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის საშუალება მოგვეცა. 60-იან წლებში კათალიკოს-პატრიარქ ეფრემის დროს იყო ცდა, რომ მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებს ეღიარებინა ჩვენი ავტოკეფალია. ამას წინ უძღოდა რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობა 1944 წელს. სპეციალურად ამ მისიით ჩამოვიდა სტავროპოლის მიტროპოლიტი, რუსმა და ქართველმა სამღვდელოებამ ჩაატარა ერთობლივი ლოცვა, რომლის დროსაც წაკითხული იყო შესაბამისი სიგელი ეკლესიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა საერთაშორისო აღიარებაც, მაგრამ ამას წლები ჭირდებოდა. ბოლო ათი წლის მანძილზე, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის პატრიარქობის პერიოდში, მისი უწმიდესობის კურთხევით მუშაობდა ისტორიკოსთა ჯგუფი, რომელმაც მოიძია ბერძნული წყაროები, სადაც X _ XI საუკუნეების ბერძენი ავტორები წერდნენ, რომ ქართული ეკლესია უკვე ამ დროისთვისვე იყო დამოუკიდებლად აღიარებული ბერძნების მიერ, კონკრეტულად ანტიოქიის პატრიარქი სახელდებოდა. ეს უეჭველი ფაქტი იყო და მისი უარყოფა შეუძლებელი გახდა.

ბოლო ორი წლის მანძილზე რამოდენიმე მოლაპარაკება შედგა.

1987 წლის აგვისტოში საქართველოში ჩამოსული იყო მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი მღვდელთმთავრებთან ერთად, მათ წარუდგინეს აღმოჩენილი ბერძნული წყაროები. ყოველგვარი ფალსიფიცირების ან უზუსტობის გამოსარიცხად სტუმრებმა გადაწყვიტეს ეს წყაროები შეედარებინათ საქართველოს გარეთ დაცული მასალებისათვის. ამის შემდეგ მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა ორი მეტროპოლიტი, რომლებმაც თქვეს, ავტოკეფალიის საკითხი ფაქტიურად გადაწყვეტილია, შესათანხმებელი რჩება მხოლოდ დეტალები. სინამდვილეში ერთ-ერთი ასეთი დეტალი მეტად პრინციპულ საკითხს _ კერძოდ, მირონის მომზადებას _ ეხებოდა. პირობა ასეთი იყო: კონსტანტინოპოლი ცნობდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, ოღონდ საქართველოს მირონი კონსტანტინოპოლიდან უნდა წამოეღო. რასაკვირველია, ეს უკვე გამორიცხადვა დამოუკიდებლობას, თანაც ქართულ ეკლესიას მირონის ხარშვის უფლება საუკუნეების წინ აქვს მიღებული ანტიოქიის პატრიარქისგან. ბოლოს დათანხმდნენ ავტოკეფალიის და პატრიარქის წოდების აღიარებაზე, შედგა ორი სიგელის ტექსტი, რომლებიც მიწვევასთან ერთად გამოგზავნეს.

რადგან შეხვედრა დიდი მარხვის პირველ კვირას უნდა მომხდარიყო, მიწვევის გასაფორმებლად ძალიან ცოტა დრო რჩებოდა; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუკავშირდა თურქეთს და მაქსიმალურად სწრაფად, როგორც კი ეს შესაძლებელი იყო, მოსკოვისა და ბერლინის გავლით ჩავედით სტამბოლში, სადაც დაგვხვდნენ _ ქალკედონის და პერგის მიტროპოლიტები ბართლომე და იოანე, საპატრიარქოს მდივანი არქიმანდრიტი მელიტონი. საპატრიარქოს რეზიდენციაში დაგვხვდნენ ზარების რეკვით, მცირეოდენი დასვენების შემდეგ შევხვდით მსოფლიო პატრიარქს დიმიტრიოსს, გავეცანით ორივე სიგელის შინაარსს, რომელთაც წმიდა სინოდის სხდომაზე მსოფლიო პატრიარქმა და სინოდის სხვა წევრებმა მოაწერეს ხელი. მეორე დღეს ჩატარდა ერთობლივი ღვთისმსახურება, მისი მსვლელობის დროს გადმოგვეცა ეს სიგელები.

მეორე დღეს გავემგზავრეთ პრინცის კუნძულების სანახავად, რომლებიც ბოსფორის სრუტიდან მარმარილოს ზღვაში გასვლისთანავე მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ კუნძულზე მოქმედებს მამათა მონასტერი და ხალკეს სასულიერო აკადემია, რომელიც გასულ საუკუნეში დაარსდა, ხოლო 1971 წელს თურქეთის მთავრობის

გადაწყვეტილებით დაიხურა. მონასტერი მოქმედია, ხოლო აკადემიაში სწავლება დღესაც არ განახლებულა.

მოვინახულეთ ნიკეა, სადაც შედგა პირველი და ბოლო, მეშვიდე საეკლესიო კრებები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც მეჩეთშია განლაგებული. კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) მოვინახულეთ ხორას მონასტერი, წმიდა სოფიოს ტაძარი და სხვა წმიდა ადგილები. დავათვალიერეთ მუზეუმად გადაკეთებული სულთანის სასახლე. აქ ბევრი სიმდიდრე ინახება, მაგრამ არის ორი წმიდა ნაწილი, რომლებიც შეუდარებელია ყველა სხვა განძთან. ესაა იოანე ნათლისმცემლის ხელი და თავის ქალის ნაწილი, რომლებიც ოქროს ბუდეებშია ჩასმული და შემკულია უამრავი ძვირფასი ქვით. ნათლისმცემლის ხელის ოქროს საბურველზე დატოვებულია მცირე ღიობი, საიდანაც იოანე ნათლისმცემლის ხელის მტევანი ჩანს. ვერავინ გაბედა წმიდა ნაწილების გაძარცვა, რადგან თურქებს ქრისტიანული სიწმინდეების დიდი შიში აქვთ.

Yველგან, სადაც მივდიოდით, ჩვენს გარშემო თურქეთში მცხოვრები ქართველები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი გამართულად ლაპარაკობდა ქართულად, ზოგს მხოლოდ ესმოდა, მაგრამ მათი გამორჩევა თურქებიდან იოლი იყო გარეგნობითა და შეხედულებით. თურქეთში ჩვენ გვქონდა შეხვედრა საბჭოთა კავშირის საკონსულოში, სადაც შევიტყვეთ ერთი სასიხარულო ცნობაც: ვინაიდან თურქეთი ევროპის საერთო ბაზრის წევრი გახდა, ტურისტულმა მარშუტებმა თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ძეგლებიც უნდა მოიცვას, მოხდება მათი რესტავრაცია,[38] რადგან თურქეთში ბევრი ქართული ძეგლია, მათი აღდგენაც გახდება საჭირო.

მოსკოვში დაბრუნებისთანავე უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შეუკვეთა ამ სიგელების ასლები, რადგან, მისი უწმიდესობა თვლის, რომ ეს ასლები უნდა ინახებოდეს არქივში, უნივერსიტეტში, სასულიერო აკადემიაში, ეპარქიებში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიო პატრიარქის მიერ გაცემული სიგელების მიხედვით ავტოკეფალურადაა ცნობილი. ამით აღდგა მისი თანასწორუფლებიანობა სხვა ეკლესიებთან. დღეს უკვე ხელთ გვაქვს ჩვენი დამოუკიდებლობის დამადასტურებელი საბუთი, რომლის მისაღებადაც ძნელი გზა გაიარა ქართულმა ეკლესიამ".

1990წ. 11 მარტს თბილისში კინოს სახლში ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი **1989 წელს** ეროვნული მოძრაობის მთავარი მომენტების შესახებ, რომელიც გადაღებული იქნა **მერაბ კოსტავას** სახელობის მოსახლეობის განსახლებისა და საადგილმამულო ფონდის მიერ.

1990წ. 11 მარტს ლიტვის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული იქნა ლიტვის დამოუკიდებლობის აქტი (ვრცლად იხ. გაზ. "საქართველო", **12 მარტი, 1990წ.**).

1990წ. 12 მარტს გაზეთ "საქართველოში" (№5) გამოქვეყნდა მხილება: **"როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია რაულ ჯახია, პარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი"... "ამასთან ერთად წალენჯიხის რაიონში რ.ჯახაიას ზეობის დროს მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა _ წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიიდან დაიკარგა XIV საუკუნის უნიკალური ზარები..." "საერთოდ კი 1982 წლიდან სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში მოხდა საეკლესიო ქონების პარვა-მიტაცება, რაც დღემდე გაუხსნელი რჩება.**

[38] გულუბრყვილობასაც აქვს საზღვარი. ცივილური კაცობრიობის თვალწინ თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწებზე ტაოში, ლაზეთში, არტანუჯში, კლარჯეთში და ა.შ. ინგრევა და ნადგურდება ქართული სულიერების, ცნობიერებისა და კულტურის ტოლუპოვარი ძეგლები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მსოფლიოს სულიერებისათვის, მით უმეტეს, რომ იუნესკო აღნიშნავს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლისთავს, მაგრამ თურქული მხარე მათ გადასარჩენად პირდაპირ დახლთან გვევაჭრება, თითო ტაძრის აღდგენის ფასად მოითხოვს თითო მეჩეთის "აღორძინებას" ქართულ მიწაზე!...

სამართლებრივი და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების ინერტულობა, ჩვენი აზრით იმაზე მოგვითხრობს, რომ საქმე გვაქვს ორგანიზებულ დანაშაულთან".

ნ.ნათაძე, ა.იმნაძე, ნ.წულეისკირი, რ.პეტრიაშვილი, რ.შავიშვილი, გ.ფაცაცია, თ.ფიფია.

იმ დროისათვის ეროვნულმა მოძრაობამ ჩაშალა ,,კომუნისტური არჩევნები".

1990წ. 13 მარტს თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ ინტერესემოკლებული არ იქნება თუ თვალს გადავავლებთ, გაზეთ **"სამშობლოს"** (№6, **მარტი 1990წ.**) მიერ ამ ღონისძიებათა გაშუქებას:

"მარტის დაძაბული დღეები"

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც საპროტესტო აქციებით აღინიშნა საქართველოს ოკუპაციისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის დღე _ 25 თებერვალი, და კვლავ ვნებათაღელვის ახალი აბობოქრების მოწმენი გავხდით. მოვლენები ელვისებურად განვითარდა. მათ შესახებ მკითხველებს ოპერატიულ ცნობებს აწვდიდნენ ქართული გაზეთები, ამიტომ ზედმეტი სიტყვებით არ შეგაწყენთ და პირდაპირ, პრესის პუბლიკაციებზე დაყდნობით, გადმოგცემთ ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 7 მარტს გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობის მოწვევის შესახებ და პროექტი სსრ კავშირის კანონისა_სსრკ პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", რომელიც სამართლიანად იყო შეფასებული, როგორც ნაბიჯი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების, მრავალეროვანი სახელმწიფოს უნიტარიზმის მიმართულებით განვითარებისა და შესაბამისად, რესპუბლიკების სუვერენიტეტის შეზღუდვისკენ.

ამავე დღეს "საქართველოს სახალხო ფრონტის თაოსნობით თბილისში, რუსთაველის მოედანზე კინოს სახლთან მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი..." ("კომუნისტი", 8 მარტი). გაზეთის კორესპონდენტის თხოვნით გაკეთებულ კომენტარში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სექტორის ხელმძღვანელმა ოთარ გამყრელიძემ აღნიშნა: *"საქმე ის არის, რომ პრეზიდენტის პოსტის შემოღებით ცენტრის პოზიცია ძლიერდება და რესპუბლიკების უფლებამოსილება სუსტდება. ეს კანონპროექტი ხელს ვერ შეუწყობს ჩვენში თითქოსდა დაწყებულ ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესს".*

8 მარტს საპროტესტო აქციამ მთავრობის სახლთან გადაინაცვლა, მასში ჩაერთვნენ წამყვანი ოპოზიციური პარტიები და გაერთიანებები, ქეთევან წამებულის საზოგადოების წევრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. *"მეორე დღეს,* _ ვკითხულობთ 10 მარტის "კომუნისტში" დაბეჭდილ საქინფორმის ცნობაში, _ *12 საათისათვის შიმშილობაში მონაწილეობდა 18 ქალი და 12 მამაკაცი. ეს გამოაცხადეს მთავრობის სახლთან გამართულ მრავალათასიან მიტინგზე. შეკრებილებმა საქართველოს დეპუტატებს მოსთხოვეს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე მიიღონ გადაწყვეტილება სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ. აგრეთვე ითქვა, რომ ოფიციალურად უნდა ცნონ საქართველო ოკუპირებულად და ანექსირებულად... ორატორებმა აღნიშნეს, რომ მიტინგი და შიმშილობა მთავრობის სახლის წინ გაგრძელდება, სანამ არ დააკმაყოფილებენ წამოყენებულ მოთხოვნებს. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ამ ასობით ადამიანის თხოვნას, რომლებიც თბილისში დაიღუპნენ ზუსტად 34 წლის წინათ _ 1956 წლის 9 მარტს".*

ამავე დღეს გაიხსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელიც დადგენილებას _ "საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ" ჩვენი გაზეთის ამ ნომერში შეგიძლიათ გაეცნოთ.

9 მარტსვე მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგზე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა წაიკითხა "მიმართვა ქართველი ერისა და საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პატრიოტული გაერთიანებებისადმი", რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: *"საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს მონარქისტული პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, თეთრი გიორგის კავშირი, მერაბ კოსტავას საზოგადოება ქართველი ერისა და ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა წინაშე გამოდის შემდეგი კონკრეტული წინადადებით: 1990 წლის 13 მარტს, სამშაბათს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოწვეულ იქნას სპეციალური შეკრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი გაერთიანებები 20-20 კაცის წარმომადგენლობით. შეკრება დაიწყება დილის 10 საათიდან და მისი მიმდინარეობა გაგრძელდება სამი დღე. შეკრებაზე შედგენილ უნდა იქნას ეროვნული ფორუმი, რომელიც დასვამს საკითხს ეროვნული ყრილობის მოწვევისა და საყოველთაო დემოკრატიული და პირდაპირი ფარული კენჭისყრით გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური მთავრობის არჩევის შესახებ."* კონფერენციის ინიციატორ გაერთიანებებს *"მიაჩნიათ, რომ ზნეობრივი, ეროვნული, პოლიტიკური და ისტორიული თვალსაზრისით ქართველი ერის ნებისა და მისწრაფების გამომხატველი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს საქართველოს ე.წ. სსრ უზენაესი საბჭო. საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის დასმის უფლება საერთაშორისო სამართლის წინაშე აქვს მხოლოდ და მხოლოდ ქართველ ერს, რომლის ნებისა და მისწრაფების გამომხატველი მოცემულ შემთხვევაში იქნება საყოველთაო დემოკრატიული და პირდაპირი ფარული კენჭისყრით არჩეული გარდამავალი ოპოზიციური კოალიციური მთავრობა".* მიმართვა 10 მარტს გადაიცა საქართველოს ტელევიზიით, 11 მარტს კი გაზეთ "თბილისში" გამოქვეყნდა.

13 მარტს თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაიწყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. *"იმის მიუხედავად, რომ წინა დღით ტელევიზიით ზუსტად განისაზღვრა კონფერენციის რეგლამენტი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ოც-ოც წარმომადგენელს, დილის ათი საათისათვის ფილარმონიის შენობასთან შეიკრიბა ათასობით თბილისელი და დედაქალაქის სტუმარი, დარბაზში მოხვედრის მსურველი ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე ვარაუდობდნენ. ადამიანებმა გასასვლელებიც კი შეავსეს. მრავალი მათგანი დარჩა ფილარმონიის შენობასთან. დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ზვიად გამსახურდია. კონფერენციის გახსნისას მან კიდევ ერთხელ დააზუსტა მისი მიზნები, განსაზღვრა ამოცანები, რომლებიც დგას ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე. შემდეგ გამოვიდა ირაკლი წერეთელი, მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე საჭიროა აზრთა გაზიარება, რათა განისაზღვროს იურიდიული პირი, რომელიც მთელი ქართველი ხალხის მიერ იქნება უფლებამოსილი ოფიციალურ დონეზე დააყენოს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. მანვე აღნიშნა, რომ კონფერენციაზე არ უნდა გვქონდეს ერთსულოვნების იმედი, მაგრამ, როგორც არ უნდა გაიყოს აზრი, უთუოდ უნდა ვეძებოთ და გამოვნახოთ ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილება. ვხელმძღვანელობთ რა ამით, ყველას უნდა მივცეთ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება"* ("თბილისი", 14 მარტი).

საბჭოთა არჩევნებისადმი დამოკიდებულება ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იყო კონფერენციაზე. ბოიკოტის შესახებ მსჯელობა აქამდეც გვხვდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე. ამჯერად კი _ "თბილისის" 13 მარტის ნომერში _ გამოქვეყნდა "განცხადება ქართველი ემიგრანტების და მათ შთამომავალთა მიერ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოში", რომელსაც 38 ჩვენი თანამემამულე აწერს ხელს და რომელშიც ნათქვამია: *"1921 წლიდან მოკიდებული, როდესაც წითელმა არმიამ დამოუკიდებელ საქართველოს მოუხდინა ოკუპაცია, პირველად ეწყობა (ნაწილობრივ) თავისუფალი არჩევნები. ოპოზიციის ყოველივე ჯგუფი იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის; მაგრამ მათ შორის, დღევანდელ არჩევნებისათვის, ყველაზე ეფექტური შეიძლება იყოს ორგანიზაცია, რომელიც ამ მიზნისათვის ხმარობს პარლამენტურ და დემოკრატიულ საშუალებებს; ჩვენის აზრით ეს გახლავთ საქართველოს სახალხო ფრონტი, რომელიც არის უპარტიო დაჯგუფება, მისი პროგრამა შეიცავს უპირველეს ყოვლისა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურული ევოლუციის დაჩქარებას; მარტო ამ გზით შესძლებს საქართველო თავის დამოუკიდებლობის დაბრუნებას ისე, რომ არც მოსახლეობა და არც რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობა საშიშროებაში არ ჩავარდეს. ამ ნაწილობრივ თავისუფალ არჩევნებში გამარჯვების საშუალებით ოპოზიციას შეუძლია დააჩქაროს საყოველთაო თავისუფალი არჩევნების გამართვა, _ ეროვნული ასამბლეის მოსაწვევად. ამიტომაც ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ქართველი ემიგრანტები და მათი შთამომავალნი, ამ განცხადებით გამოვთქვამთ ამ არჩევნებში საქართველოს სახალხო ფრონტისადმი ჩვენს მორალურ მხარდაჭერას".*

14 მარტს კონფერენციამ მუშაობა განაგრძო. *"სხდომის თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ კონფერენცია დატოვა სახალხო ფრონტის წარმომადგენლობამ მის მიმართ გამოთქმული რამდენიმე კრიტიკული შენიშვნის გამო, და მოუწოდა მას კვლავ ჩაებას მუშაობაში. კონფერენციის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მერაბ კოსტავასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა მოღვაწეთა ხსოვნას. მუშაობის მეორე დღეს კონფერენციაზე ხელშესახებად გამოიკვეთა მოსაზრებათა ორი ძირითადი მიმართულება. ორატორთა ერთი ნაწილი მოითხოვს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა 25 მარტისათვის დანიშნული არჩევნების ბოიკოტს, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს, როგორც ანექსირებული, სუვერენიტეტწართმეული ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს, არ მიიჩნევს კანონიერად და საჭიროდ თვლის გაიშალოს სამზადისი ეროვნული ყრილობის _ სათათბიროს მოსაწვევად. გამომსვლელთა მეორე ნაწილი ცნობს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უფლებამოსილებას და მოითხოვს არჩევნებში მონაწილეობას. ირაკლი წერეთელმა დამსწრეთ გააცნო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის დადგენილების პროექტი, რომელიც 6 მუხლისაგან შესდგება"* ("კომუნისტი", 15 მარტი, 1990წ.).

15 მარტს საგანგებო კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა. *"შეჯამდა სამდღიანი ცხარე დისკუსიის შედეგები, დაკონკრეტდა ოპოზიციური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სადღეისო ამოცანები, მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი მოთხოვნები. კონფერენციამ მიიღო რეზოლუციები. რეზოლუციაში, რომელიც ბოიკოტს უცხადებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებს, ნათქვამია: "უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ყოველი კანდიდატი მორალურად ვალდებულია მოხსნას საკუთარი კანდიდატურა. 25 მარტს დანიშნული არჩევნების დღეს ყველა პატიოსანი მოქალაქე უნდა გამოცხადდეს საარჩევნო უბანში, უნდა ამოშალოს საკუთარი გვარი საარჩევნო სიიდან, რეგისტრაციაში გაატაროს და ადგილზევე დატოვოს განცხადება იმის თაობაზე, რომ*

ამომრჩეველი (სახელი, გვარი) პოლიტიკური მოსაზრების გამო ბოიკოტს უცხადებს საბჭოთა არჩევნებს"... მიღებული იყო რეზოლუცია საქართველოს ტერიტორიიდან არმიის ნაწილების გაყვანის შესახებ და ქართველი ახალგაზრდობის საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევის შეწყვეტის შესახებ. კონფერენციამ თავის რეზოლუციაში "უნდობლობა გამოუცხადა ქართული ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელსაც წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებია სამშობლოსათვის, პირიქით, ხშირ შემთხვევაში, თანამშრომლობდა კიდეც საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებასთან. დღეს, ქართული ემიგრაციის ეს ნაწილი ჭკუის დამრიგებლის როლში გვევლინება და საკუთარ თავს უფლებას აძლევს, რომ იმ მოძრაობას, რომელიც საქართველოში ებრძვის საოკუპაციო რეჟიმს, გარედან, სამშობლოდან ათასობით კილომეტრით დაცილებულმა, რაღაც რეცეპტები შესთავაზოს. ემიგნატთა ამ ნაწილმა დროზე უნდა გააკეთოს რეაქცია კონფერენციის ამ რეზოლუციაზე და ჩადგეს ეროვნული მოძრაობის სამსახურში". ერთ-ერთ რეზოლუციაში წამოყენებულია მოთხოვნა, რომ საქართველოს კომკავშირმა, 20-21 მარტისათვის დანიშნულ თავის ყრილობაზე, მოახდინოს თვითლიკვიდაცია. მიღებულ იქნა რეზოლუციები დემოგრაფიული ექსპანსიისა და ეროვნული სამხედრო სასწავლებლის შექმნის შესახებ, განისაზღვრა ეროვნული ფორუმის ფუნქცია და დანიშნულება, რომლის არჩევაც კონფერენციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. ფორუმი იქნება ეროვნული მოძრაობის მაკოორდინებელი ორგანო. კონფერენციაზე ხაზი გაესვა იმას, რომ ამ ფორუმმა უნდა მოამზადოს გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების არჩევა, დემოკრატიული არჩევნების _ საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ფორუმს ექნება საკუთარი სამუშაო ადგილი, ანგარიში ბანკში, ეყოლება სარედაქციო კომისია. მოეწყო ეროვნული ფორუმის არჩევნები, მასში შევიდნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირი, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს მონარქისტული პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს დემოკრატიული პარტია და საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი. წარმომადგენლობითი წესით ფორუმის მანდატები მიიღეს მეცნიერებათა აკადემიის (17 მარტის "კომუნისტში" გამოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ მას არავისთვის მიუცია ამის უფლებამოსილება და, ამდენად, ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს). *მწერალთა კავშირის, მუშათა კლასისა და გლეხობის, სხვადასხვა პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამოაცხადა, რომ ეროვნული ხსნის კომიტეტი თავის მისიას შესრულებულად თვლის და უფლებამოსილებას გადასცემს ეროვნულ ფორუმს. ეროვნულ ფორუმს დაევალა შეადგინოს მიმართვა ქართველი ერისადმი"* ("კომუნისტი", 16 მარტი).

1990 წლის 17 მარტს გაზეთმა "ახალგაზრდა კომუნისტმა" გამოაქვეყნა: საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის მასალები:

"1990 წლის 13-15 მარტს საქართველოს დედაქალაქში, ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. კონფერენცია მოამზადა და მოიწვია საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ, საქართველოს მონარქისტულმა პარტიამ, მერაბ კოსტავას საზოგადოებამ და თეთრი გიორგის კავშირმა. კონფერენცია მიჰყავდათ ზვიად გამსახურდიას (კონფერენციის თავმჯდომარე), ირაკლი წერეთელსა და თენგიზ სიგუას.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი ოფიციალური ორგანოს განსაზღვრა, რომელიც იქნება ქართველი ერის და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველი;

2. საქართველოს ე.წ. სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის რიგგარეშე სესიის დადგენილების შეფასება;

3. საყოველთაო დემოკრატიული, პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრის საფუძველზე გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების არჩევა;

4. საქართველოს ეროვნული ფორუმის არჩევა საგანგებო კონფერენციის მიერ;

5. საქართველოს საყოველთაო ეროვნული ყრილობის მოწვევა;

6. საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ ბოიკოტის გამოცხადება სსრ კავშირის საოკუპაციო არმიის რიგებში სამსახურისადმი;

7. საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ საქართველოს ე.წ. სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩაშლა;

8. საქართველოს ე.წ. კომკავშირის თვითლიკვიდაცია;

9. დამოკიდებულების განსაზღვრა გერმანიის გაერთიანებისადმი.

საგანგებო კონფერენცია გახსნა ზვიად გამსახურდიამ. შესავალი სიტყვით გამოვიდა ირაკლი წერეთელი.

მოხსენებებითა და სიტყვებით გამოვიდნენ: ირაკლი ბათიაშვილი, გიორგი ჭანტურია, თეიმურაზ ქორიძე, ნოდარ ნათაძე, ელგუჯა წიკლაური, თენგიზ სიგუა, რომან გოცირიძე, ვახტანგ ტალახაძე, შოთა ნადირაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, თეიმურაზ სუმბათაშვილი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ნოდარ წულეისკირი, გიორგი თვალავაძე, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ შარმანაშვილი, დავით ზარდიაშვილი, გიორგი მარჯანიშვილი, თედო პაატაშვილი, ავთანდილ იმნაძე, ზურაბ ჟვანია, გურამ მუჩაიძე, აკაკი ასათიანი და სხვები. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ცხარე კამათი აღნიშნული საკითხების გარშემო. ხმათა გადამწყვეტი უმრავლესობით, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონფერენციამ დაადგინა, რომ იურიდიული პირის სტატუსის მქონე ოფიციალური ორგანო, რომელიც იქნება ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების პირდაპირი გამომხატველი, შეიძლება იყოს მხოლოდ საყოველთაო დემოკრატიული პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრით არჩეული გარდამავალი კოალიცური ოპოზიციური ხელისუფლება. წაკითხულ და მიღებულ იქნა რეზოლუციები შესაბამისი საკითხების შესახებ. კონფერენციის მუშაობა დასრულდა ეროვნული ფორუმის არჩევით. კონფერენციის გადაწყვეტილებით, განისაზღვრა ფორუმის ფუნქციები: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაცია და შეთანხმებული ხელმძღვანელობა, ეროვნული ყრილობის მოწვევა და საყოველთაო დემოკრატიული პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრის საფუძველზე გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების არჩევნების მოწყობა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში არსებულმა ყველა ეროვნულ-პოლიტიკურმა პარტიამ თუ ორგანიზაციამ, საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა და სხვადასხვა დარგის 185 წარმოება-დაწესებულებისა და საქართველოს ყველა რეგიონიდან ჩამოსულმა წარმომადგენელმა.

დღეს ჩვენი გაზეთის მე-2 და მე-3 გვერდებზე გაეცნობით კონფერენციის დადგენილებასა და რეზოლუციებს.

(გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, 17 მარტი,1990წ.)

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობის საგანგებო კონფერენციის
დადგენილება

მოისმინა რა საქართველოს შეურიგებელი და დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენელთა პოზიცია, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი დამოკიდებულებისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ საყოველთაო დემოკრატიული პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრით გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების არჩევის შესახებ, რომელიც თეზისებად იყო ჩამოყალიბებული საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმიდა ილია მართლის საზოგადოების, საქართველოს ჰელსინკის კავშირის, თეთრი გიორგის კავშირისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების მიმართვაში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ ხმათა გადამწყვეტი უმრავლესობით დაადგინა:

1. საქართველოს განესაზღვროს ოკუპირებული, ანექსირებული, სუვერენიტეტწართმეული და უცხო ქვეყნის შეიარაღებული აგრესიის ქვეშ მყოფი ქვეყნის სტატუსი.

2. საქართველოს ე.წ. სსრ იურიდიულად როგორც მოკავშირე სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო აღიარებულ იქნას ფიქციად და მის ოფიციალურ სტატუსს მიეცეს დანაშაულებრივი ფალსიფიკაციის კვალიფიკაცია, რაც აგრესორის მიერ საქართველოში არსებული მდგომარეობის დაფარვისათვისაა გამიზნული.

3. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სტრუქტურები დღევანდელ საქართველოში, "დე ფაქტოდ" არსებული საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო წყობილება მიჩნეულ იქნას დანაშაულებრივად, როგორც შეიარაღებული აგრესიის პირდაპირი შედეგი და აქედან გამომდინარე კანონგარეშე და ბათილად იქნას გამოცხადებული ყველა ხელშეკრულება, რომელიც აგრესორის ძალდატანებით გააფორმა მეტროპოლიასთან ოკუპირებული და ანექსირებული საქართველოს ადგილობრივმა მარიონეტულმა ხელმძღვანელობამ, მოხდეს ადგილობრივი კომპარტიის თვითლიკვიდაცია.

4. არამც და არამც არ იქნას მიჩნეული საქართველოს ე.წ. სსრ უზენაესი საბჭო ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველ იურიდიულ ორგანოდ და პირად; 1990 წლის 25 მარტის საქართველოს ე.წ. სსრ უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებს გამოეცხადოს სრული ბოიკოტი კანონიერი მოსახლეობის მიერ.

5. გაიშალოს უფართოესი სამუშაო, რათა საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ საყოველთაო დემოკრატიული და პირდაპირი თანასწორი ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნას საქართველოს გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლება, რომელიც იქნება ოფიციალური იურიდიული პირი, საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების პირდაპირი გამომხატველი და საერთაშორისო სამართლის წინაშე მთელი სიმწვავით რეალურ დონეზე დასვამს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს.

6. პარტიულ საწყისებზე შეიქმნას ეროვნული ფორუმი, რომელიც იქნება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინირებული ხელმძღვანელობის ცენტრი, რომელიც მოიწვევს საყოველთაო ეროვნულ ყრილობას და გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებს.

(გაზ. "თბილისი", 17 მარტი, 1990წ.)

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 1990 წლის საგანგებო კონფერენციის
რეზოლუციები, მიღებული 1990 წლის 15 მარტს

I რეზოლუცია

ვინაიდან, საქართველოს დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და, კერძოდ, საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში მისი ანექსირებული სახით ყოფნა საბოლოო ჯამში ემყარება საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა საოკუპაციო ჯარების არსებობას,

ვინაიდან, ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლება _ არაკანონიერად დამკვიდრებული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო და საქართველოს სსრ მთავრობა და მისი ფაქტიური მმართველი _ საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც რუსეთის კომუნისტური პარტიის განუყოფელი ნაწილია და მისი პოლიტიკური ნების გამტარებელი საქართველოს მოსახლეობის მიმართ _ არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ქართველი ერის ნების გამომხატველს, არამედ მათი არსებობის და ფუნქციონირების ხანგრძლიობა მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებულია საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა საოკუპაციო ჯარების განლაგების ხანგრძლიობაზე და მათ მშვიდობიან პირობებში არ შესწევთ უნარი შეინარჩუნონ ძალაუფლება საოკუპაციო ძალების დახმარების გარეშე, რისი დამადასტურებელიც იყო 1989 წლის 9 აპრილის სიტუაცია,

ვინაიდან, საბჭოთა არმია წარმოადგენს ქართველი ადამიანების პოლიტიკური და ეროვნული მოტივებით დისკრიმინაციის ინსტიტუტს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 1990 წლის საგანგებო კონფერენცია იღებს რეზოლუციას იმის თაობაზე, რომ:

ა) საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ჯარებმა _ ე.წ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებმა საბჭოთა კავშირის შინაგანმა ჯარებმა და საბჭოთა კავშირის სამხედრო ოლქის ჯარებმა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებმა უნდა დასტოვონ საქართველოს ტერიტორია.

ბ) საქართველოს ჯერ კიდევ ოკუპირებულ მდგომარეობაში ყოფნის პირობებშიც კი:

1. უნდა შეწყდეს საქართველოს მოსახლეობის გაწვევა საბჭოთა საოკუპაციო არმიის რიგებში,

2. საქართველოს მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს პოლიტიკური და ეკონომიკური საბოტაჟი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საოკუპაციო ჯარების მიმართ,

3. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გენერალური მიმართულება კონკრეტულად უნდა განისაზღვროს, როგორც მშვიდობიანი ბრძოლა საქართველოს ტერიტორიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანისათვის,

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

II რეზოლუცია

ვინაიდან, კონფერენციამ, გამოხატა რა ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის უმრავლესობის სურვილი, გამოუცხადოს საქართველოს ე.წ. უზენაესი საბჭოს არჩევნებს ბოიკოტი, დაადგინა:

1. უზენაესი საბჭოს დეპუტატობის ყოველი კანდიდატი მორალურად ვალდებულია მოხსნას საკუთარი კანდიდატურა.

2. 25 მარტს დანიშნული არჩევნების დღეს ყველა პატიოსანი მოქალაქე უნდა გამოცხადდეს საარჩევნო უბანში, უნდა ამოშალოს საკუთარი გვარი საარჩევნო სიებიდან, რეგისტრაციაში გაატაროს და ადგილზევე დატოვოს განცხადება იმის თაობაზე, რომ ამომრჩეველი (სახელი, გვარი), პოლიტიკური მოსაზრების გამო, ბოიკოტს უცხადებს საბჭოთა არჩევნებს.

3. იმ შემთხვევაში თუ 25 მარტს დანიშნულ არჩევნებს საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება გადაიტანს, იმ არჩევნებსაც, ისევე, როგორც ნებისმიერ საბჭოთა არჩევნებს, გამოეცხადება ბოიკოტი.

III რეზოლუცია

ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ უნდობლობა გამოუცხადა ქართული ემიგრაციის იმ ნაწილს, რომელსაც წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებია სამშობლოსათვის, პირდაპირ, ხშირ შემთხვევაში, თანამშრომლობდა საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებასთან.

დღეს ქართული ემიგრაციის ეს ნაწილი ჭკუის დამრიგებლის როლში გვევლინება და საკუთარ თავს უფლებას აძლევს, რომ იმ მოძრაობას, რომელიც საქართველოში ებრძვის საოკუპაციო რეჟიმს, გარედან, სამშობლოდან ათასობით კილომეტრით დაცილებულმა, რაღაც რეცეპტები შესთავაზოს ეროვნულ მოძრაობას.

დროა, ემიგრანტთა ამ ნაწილმა დროზე გააკეთოს კონფერენციის ამ რეზოლუციაზე რეაქცია და ჩადგეს ეროვნული მოძრაობის სამსახურში.

IV რეზოლუცია

ქართული ეროვნული სასწავლებლის შექმნის შესახებ

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციას მიაჩნია, რომ, მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას ეროვნული სამხედრო სასწავლებელი, რომელშიც აღდგენილი იქნება ქართველი იუნკერების გმირული ტრადიციები.

ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია:

1. საქართველოს ეროვნულ ფორუმს დაუყონებლივ უნდა გადაეცეს ტერიტორია და შენობა იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის დასაარსებლად.

2. ეროვნული ფორუმის მიერ ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი სამუშაო, რათა სასწავლებელი დაკომპლექტებულ იქნას ღირსეული კანდიდატებით.

3. შეიქმნას საბანკო ანგარიში, რომელიც დააფინანსებს იუნკერთა სკოლას.

4. ეროვნულმა ფორუმმა შექმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებას და ანგარიშვალდებული იქნება ეროვნული ფორუმის წინაშე.

5. საქართველოს ეროვნული მოძრაობის კონფერენცია მოუწოდებს ყველას: პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, ქართული საზოგადოებრიობის, ინტელიგენციის, მშრომელების, მოსწავლე თუ სტუდენტი ახალგაზრდობის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს გამოხატოს თავისი თანადგომა და მხარი დაუჭიროს გმირული ტრადიციების მქონე ქართველ იუნკერთა სკოლის აღდგენის იდეას.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

V რეზოლუცია

დემოგრაფიული ექსპანსიის შესახებ

დღევანდელი საქართველოს ეროვნულ მოძრაობას, შეურიგებელ დემოკრატიულ ოპოზიციას აქვს მკვეთრად გამოხატული პოზიცია დემოგრაფიულ ექსპანსიასთან დაკავშირებით. როგორც ჩვენს მიერ არაერთგზის ყოფილა აღნიშნული, კრემლის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ანექსია, მისი ეროვნული უფლებების ხელყოფა გამოიხატა არა მხოლოდ საოკუპაციო ჯარების შემოყვანაში, ანტიქართული მარიონეტული

რეჟიმის შექმნაში, ანტიქართულ საკადრო პოლიტიკაში, არამედ არაქართული მოსახლეობის მიერ საქართველოს უსისხლოდ დაპყრობაში, საქართველოს ტეროტორიული მთლიანობის დარღვევაში უკანანონო ავტონომიების შექმნით, ცრუინტერნაციონალიზმის იდეების ქადაგებით, საქართველოს კანონიერი მოსახლეობის დისკრიმინაციით და შევიწროებით. საოკუპაციო რეჟიმმა ხელი შეუწყო არაქართული მოსახლეობის მასივების ხელოვნურ ზრდას, მის პრივილეგირებას, საქართველოში არაქართველთა ეთნოკრატიების შექმნას, ხოლო ბიუროკრატიული აპარატის კორუფციამ ხელი შეუწყო ქართველი ერისათვის უცხო ელემენტების მიერ მიწის მიტაცებაში, უკანონო ბინათმშენებლობაში, რამაც არნახული დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დაგვაყენა საქართველოს მთელი რიგი რეგიონები.

მოსკოვის ფსევდოინტერნაციონალისტური პოლიტიკით წახალისებული არაქართველი მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიაზე ქმნის არალეგალურ ანტიქართულ ორგანიზაციებს, რომელთა მიზანია არაქართველთა უკანონო ეთნოკრატიების განმტკიცება, ქართული მიწის მიტაცება, ქართველთა გაძევება მშობლიური მიწაწყლიდან, საქართველოს ისტორიის გაყალბება, საქართველოს დემოგრაფიული აბსორბირება. ასეთებია აფხაზთა ორგანიზაცია "აიდგილარა", ოსთა ორგანიზაცია "ადამონ ნიხასი", სომეხთა ორგანიზაციები: "ჯავახკი", "კრუნკი", "მიუცუნი" და სხვანი; აზერბაიჯანელთა ორგანიზაციები: "ყაირათი", "შაჰ აბაზ მეორე", აგრეთვე ე.წ. თურქ-მესხთა ორგანიზაციები. ამასთან დაკავშირებით ჩვენ, კონფერენციის მონაწილენი ვაცხადებთ შემდეგს:

1. ყველა ზემოთხსენებული ორგანიზაცია ჩვენი მოძრაობის მიერ უნდა დაიგმოს, გამოცხადდეს ანტიქართულ დანაშაულებრივ დაჯგუფებად და მათ წინააღმდეგ უნდა გაიმართოს დაუნდობელი ბრძოლა.

2. საქართველოს არაქართველი მოსახლეობის ნაწილი, რომლის წინაპრები არ ცხოვრობდნენ საქართველოში, რომელმაც ფეხი მოიკიდა ჩვენს ტერიტორიაზე ძალადობით, მიწების უკანონო მიტაცებით თუ ფიქტიური ქორწინებით, რომელიც ეწევა დანაშაულებრივ, ანტიქართულ საქმიანობას, უნდა გამოცხადდეს უკანონო მოსახლეობად და მის წინააღმდეგ მიღებული იქნას შესაბამისი ზომები.

3. შეიქმნას სპეციალური მექანიზმი მიგრაციისა და იმიგრაციის გასაკონტროლებლად, რომელიც აკრძალავს არაქართველი მოსახლეობის უკონტროლო შემოსვლას საქართველოში და ხელს შეუწყობს უკანონო მოსახლეობის მიგრაციას საქართველოდან.

4. არაქართული მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლის წინაპრები ცხოვრობდნენ საქართველოში, რომელმაც იცის ქართული ენა და პატივს სცემს მას, მხარს უჭერს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გარანტირებული ექნება ყოველგვარი ხელშეუხებლობა.

5. არაქართველთა პოლიტიკურ პარტიებთან თუ ორგანიზაციებთან მოლაპარაკება, მათთან ერთად ერთობლივი მიტინგების თუ კონფერენციების ჩატარება, განხორციელდეს მხოლოდ ეროვნულ ფორუმთან შეთანხმებით.

VI რეზოლუცია

ვინაიდან საქართველოში კომკავშირის არსებობა განპირობებულია 1921 წლის 25 თებერვლის ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიითა და აქ კომუნისტური დიქტატურის დამყარებით, ვინაიდან კომკავშირი დღიდან დაარსებისა წარმოადგენს კოლაბორაციონისტულ ორგანიზაციას, ვინაიდან კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის იდეოლოგია ძირშივე უპირისპირდება ყოველივე წმინდასა და ეროვნულს, ვინაიდან კომკავშირი, კომპარტიასთან ერთად, კაცობრიობისათვის

სატანებად მოვლენილი ლენინის, სტალინისა და მათი თანამოაზრეების იდეების რეალური ხორცისშემსხმელია, ვინაიდან კომკავშირი 68 წლის განმავლობაში ძარცვავს და აკაბალებს საქართველოს ახალგაზრდობას, ვინაიდან კომპარტიამ და კომკავშირმა ქართველთა გარკვეულ ნაწილს დააკარგვინა პატრიოტიზმის გრძნობა, გააყიდვინა სამშობლოს მიწები, დააქცევინა ეკლესიები და მონასტრები, აქცია ისინი ჯაშუშებად, დამსმენებად და მიტინგების დამრბევებად _ ჩვენ ვაცხადებთ, რომ კომკავშირს არა აქვს არსებობის უფლება და მოვითხოვთ:

1. ამა წლის 20-21 მარტს დანიშნულ კომკავშირის ყრილობაზე საქართველოს ალკკ ორგანიზაცია გამოცხადეეს გაუქმებულად (ყრილობის გადატანა ან დროებით შეწყვეტა ყოვლად დაუშვებელია).

2. ამ ორგანიზაციის განმგებლობაში მყოფი ჟურნალ-გაზეთები იქცეს დამოუკიდებელ _ თავისუფალ ახალგაზრდულ პრესად.

3. საკავშირო და რესპუბლიკურ ბალანსზე მყოფი მოკავშირის უძრავ-მოძრავი ქონება გამოცხადდეს საქართველოს ახალგაზრდობის საკუთრებად.

4. კომკავშირის მატერიალურ-ტექნიკური და ფულადი სახსრები მოხმარდეს საქართველოს ახალგაზრდობას.

5. იმ შემთხვევაში თუ დღეს არსებული კომკავშირის ბაზაზე შეიქმნება რაიმე პოლიტიკური ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, მასში გაწევრიანება და მისი მატერიალურ-ფინანსური ბაზის შექმნა უნდა დაიწყოს ნულოვანი რაოდენობიდან.

დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა, ვიხსნათ ქართველი ახალგაზრდობა კომუნიზმის სენისაგან!

ღმერთი იყოს ქართველი ერის მფარველი ამ დიდმამულიშვილურ საქმეში! (გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, 17 მარტი, 1990წ.)

1990წ. 17 მარტი: კიდევ ერთხელ ჯავახეთის გასაჭირზე

“ვცხოვრობ ძველ სახლში, კედლები მიწით არის აშენებული. ჭერი და იატაკი დამპალია, თოვლის და წვიმის წყალი სახლში ჩამოდის, კედლები ნახევრად მიწაშია მოქცეული, მთლად დახეთქილი და დაბზარულია. სახლში სინესტეა... ზუსტად დაავადების კერაა... პატარაობიდან სულ ფიზიკურ შრომაში ვარ ჩაბმული. მყავს სამი შვილი. გთხოვთ, ჩემი განცხადება გულდასმით განიხილოთ და, თუ ღირსი ვარ, ბინა ამიშენოთ. რვა და ათ ოთახს არ ვთხოულობ, სამოთახიანი და ერთსართულიანი ბინაც მეყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვარ აქაურობა მივატოვო და სხვაგან გადავსახლდე, მაგრამ სად წავიდე? მივატოვო მშობლიური კუთხე, ჯავახეთი, სადაც ქართველები ისედაც თითზე ჩამოსათვლელები არიან?”

განცხადებას, რომელიც მიმართულია საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობისადმი, ხელს აწერს სოფელ კოთელიის ერთ-ერთი მცხოვრები (გიორგი ყავრელაშვილი, რომელმაც ისიც კი მითხრა, ამ ჩემი დანგრეული სახლის გაყიდვას და აქედან აბარგებას ვაპირებდი, მაგრამ უცხოტომელი მევაჭრებოდა, თანაც რომ გავიგე, აჭარიდან ჩამოჰყავთ ჯავახეთში დასასახლებლადო, გავიხარე, ქართველები ჩამოდიან, მე კი ახლა როგორ წავიდე აქედან, თანაც გადამთიელი როგორ ვახარო ჩემს ნაფუძარზე-მეთქი).

ასეთი განცხადებები ტიპიურია თითქმის ყოველი ჯავახელისათვის, რადგან ყოველ მათგანს ერთი და იგივე გასაჭირი აქვს: ზოგს ცოლი ვერ შეურთავს უბინაობის გამო, ზოგს იმის გამო, რომ ოჯახს ვერ გამოყოფია, საკარმიდამო მიწის ნაკვეთს არ აძლევენ, ვერ დასაქმებულა... სოფლებს არა აქვს კეთილნაშენი სკოლები, აკლია სამედიცინო, კულტურული მომსახურება. უგზოობა ხომ საერთოდ იმაზე მეტყველებს, რომ ამ მხარეს სამოცდაათი წელია პატრონი არა ჰყოლია. ლამის კეთროვანივით მოკვეთილი გყავდა

და იმ ძირძველ ქართულ მიწაზე უცხო ტომი ვახარეთ. ჩვენივე ბედოვლათობის ბრალია, რომ დღეს ჯავახეთში ქართველი კაცი ხიზანივით გრძნობს თავს.

დიდი ზრუნვა და დახმარება სჭირდება ჯავახეთს. შველას ითხოვენ ქონგურებჩამოშლილი ციხეები. აღდგენა-რესტავრაციას მოითხოვენ ქართველთა უძველესი სალოცავები, ურჯულოთა მიერ თვალებდათხრილი ხატები. ქართველთავე ზრუნვით უნდა აღდგეს ნასოფლარები, ნაფუძარები, ნასახლარები. ქართველი კაცი უნდა გაღონიერდეს ამ დალოცვილ მიწაზე.

რა აჩერებს ამ მცირე ქართველობას აქ, ამ უგზოობაში, გაპარტახებულ, გავერანებულ მხარეში, სადაც უცხო ტომი მომრავლებულა, გაძლიერებულა? რა ძალაა ის, რაც ასეთ პირობებში აკავებს მას ამ მიწაზე? რა და, გენეტიკური მახსოვროვბა, სიყვარული მიწისა, სალოცავებისა, წინაპართა საფლავებისა!

ჯავახეთმა პირველმა მიიღო სტიქიით დაზარალებული აჭარლები, გული გადაუშალა მას, ლუკმა გაუყო. აჭარელთათვის დღეს სახლები შენდება (თუმცა ჯერ კიდევ ბევრია ასაშენებელი). მაგრამ არც ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობა, ჯავახელები უნდა დავივიწყოთ, მიწურებში რომ ცხოვრობენ. მუდამ უნდა გვახსოვდეს და ჯეროვნად ვაფასებდეთ იმ უდიდეს თავგანწირვას, სწორედ რომ თავგანწირვას, რომელიც გამოიჩენს ჩვენს მიერ ასე უგულოდ მიტოვებულ კუთხეში ქართული სულის შესანარჩუნებლად. დიდი იმედითა და სიხარულით შეხვდნენ ჯავახელები აჭარელთა გადმოსახლების ამბავს, ახლა მეტი ვიქნებით, ერთმანეთს მხარში ამოვუდგებით და არაფერს გავუჭირვებთო. იცით, აჭარლები რას ამბობენ ჯავახელ ძმებზე? ამათაც ძალიან უჭირთ, ამათაც აუშენეთ სახლები და ჩვენ უსასყიდლოთ ვიმუშავებთ ამ მშენებლობაზეო. სწორედ ამაზე უთქვამს ქართველ კაცს, ძმა ძმისთვის და შავი დღისთვისო.

აი კონკრეტულად ის პრობლემები, რომლებიც აწუხებს აქაურ მოსახლეობას (სოფელ კოთელიის მაგალითზე):

საცხოვრებელი ბინების პრობლემა _ არც ერთი ჯავახელი არ უნდა ცხოვრობდეს მიწურში.

დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს;

დახმარება მარტოხელა დედებს;

დახმარება ახალგაზრდა ოჯახებს.

სოფლებს არა აქვს მასწავლებელთა სახლი, სადაც განაწილებით ჩასული მასწავლებლები იცხოვრებენ, არა აქვთ კულტურის სახლი, ატელიეები, საპარიკმახეროები. არ არის მილიციის პუნქტი, რადიო-ტელე სახელოსნო, აბანო, არ არის გზები. ყოვნდება ქართული სკოლების მშენებლობა.

სოფელ ბარალეთში არის ქართული ეკლესია, მაგრამ დაკეტილია, უმოქმედოა, სინესტისაგან დაზიანებულია. სოფელ კოთელიაშიც გამოკეტილია ქართული ეკლესიის კარი. საჭიროა მათი შეკეთება, აღდგენა და ამოქმედება, რომ ქართველმა კაცმა კვლავ აღავლინოს ლოცვა თავის სალოცავში.

არც ციხე-ბურჯებია ჩვენგან მიტოვების ღირსი, მათაც შეკეთება სჭირდება.

კარგი იქნება, თუ ჯავახეთის სკოლების ბავშვთა ნამუშევრებს პერიოდულად გამოვფენთ თბილისში. ჩამოვიყვანთ მათ ქალაქში დავათვალიერებინებთ მუზეუმებს, წავიყვანთ თეატრებში, პანთეონებში, გაკვეთილებს ჩავუტარებთ უნივერსიტეტში.

სასურველია, კონსერვატორიის სტუდენტები მორიგეობით თითო დღით ჩავიდნენ თვეში ერთხელ და ჯავახელ ბავშვებს გაკვეთილები ჩაუტარონ.

უდავოდ სწორი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობამ, როცა დემოგრაფიულად ისეთ რთულ რეგიონებში, როგორიცაა, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და სხვა, დაასახელა უზენაესი საბჭოს დეპუტატობის

კანდიდატები. როცა თორმეტი ათასი ამომრჩევლიდან ოცდაათი, ასი, თუ უკეთეს შემთხვევაში, სამასი ქართველი ამომრჩეველია, არჩევნები, რომ იტყვიან, წინასწარვე წაგებულია. მაგრამ როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, სწორედ ასეთ რაიონებშია აუცილებელი დეპუტატობის დასახელება სახალხო ფრონტიდან, რათა წინასაარჩევნო მუშაობა აწარმოონ ამ ოლქებში. მომავალი გამარჯვების ძალა შემატონ და იმედი ჩაუსახონ სწორედ ამ 100-ოდე ქართულ ოჯახს. უზენაესი საბჭოს არჩევნები კი ამ ოლქებში, ჯერჯერობით, მართლაც წაგებულია. მაგრამ ჩვენ, ქართველებმა, თავისუფლებისათვის ბრძოლა არ უნდა წავაგოთ.

გულთან ახლოს მივიტანოთ, ყური მივუგდოთ ჯავახელთა გულისტკივილს, მათ დრტვინვას, მათ სასოწარკვეთას, ზოგჯერ აქა-იქ, მბჟუტავი ნაპერწკალივით რომ გაიკიაფებს იმედიანი, ოპტიმისტური სიტყვები.

ახლადარჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ თავის პირველსავე სესიაზე უნდა შექმნას ჯავახეთისა და მესხეთის პრობლემათა შემსწავლელი კომისია, რათა სახელმწიფო დონეზე დაისახოს მათი განახლებისა და აღორძინების გეგმა.

იმედი მაქვს, რომ ქართველები არც ჯავახეთს მივატოვებთ ბედის ანაბარად და დახმარების ხელს გავუწვდით.

წინადადება შემომაქვს დაარსდეს ჯავახელთა დახმარების ფონდი.

ანდრო მამისაშვილი

(გაზ. “ახლაგაზრდა კომუნისტი”, 17 მარტი,1990წ.)

1990წ. 17 მარტი: “თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა” ანუ ვის სჭირდება აჭარის ავტონომია?

შესავლის მაგიერ. *სამყაროს ყველა თავისი სამზერიდან აღიქვამს და, ამდენად, ნებისმიერი წარმოდგენა თუ აზრი მეტნაკლებად სუბიექტურია... არც ჩემს ქვემოთ წარმოდგენილ მსჯელობას აქვს უცილობელი ჭეშმარიტების პრეტენზია, მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც მე, კერძო პირი, ვხედავ და განვიცდი.*

საკუთარი ოჯახის უფროსად მეზობელს არ იწვევენ. ერი ერთიანი, დიდი ოჯახია და, ბუნებრივია, უძველესი ტრადიციებისა და ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის მქონე ხალხს გადამთიელი არ უნდა ჰყავდეს ბედის განმგებლად. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ყველა ქართველისთვის ნათელია, მაგრამ კეთილდღეობის დაკარგვის შიშით, ბევრი ისევე სირაქლემას როლში ამჯობინებს ყოფნას; მიუხედავად ასეთ “მსახიობთა” სიმრავლისა, მთლიანობაში დღეს ქართველი ერი მაინც ძალიან ძლიერია: ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ალბათ არ ყოფილა ქართველობა ასე ერთიანად მომზადებული თავისუფლებისთვის; მხოლოდ ახლა აღსრულდა დიდი ილიას ოცნება, საქართველომ ხანგრძლივი ძილისგან გამოიღვიძა და თავისუფლება ისე მოსწყურდა, “ვითა ირემსა მაშურალსა სურიან წყაროსა მიმართ წყალთასა”... ახლოსაა საქართველოს სახელმწიფოს ხელახალი აღზევების დასაწყისი _ იმპერიული კლანჭებიდან თავის დახსნის დღე, მაგრამ მიზნამდე ჯერ კიდევ არის დარჩენილი გადასალახავი ბარიერები. ხელისშემშლელი მიზეზები ორგვარია _ გარეგანი და შინაგანი:

გარეგან მიზეზთაგან არსებითია რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის სირთულე; გარდა ამისა, საცეცებისგან თავის გამოხსნა; გარეგან ბარიერად ჩაითვლება ისიც, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას (და სხვა საერთაშორისო გაერთიანებებს) საქართველო ჯერ კიდევ არ უცვნია ანექსირებულ სახელმწიფოდ... გარეგანი წინაღობების მოხსნა იოლი იქნება, თუკი დაიძლევა შინაგანი დაპირისპირებანი, თუკი ქართველი ერი ერთ მუშტად შეიკვრება და გაჰყვება ეროვნული მოძრაობის იმ ლიდერებს, რომლებიც აგერ უკვე 30 წელზე მეტია, ერის უკეთესი მერმისისათვის ზეადამიანური ამტანობით იბრძვიან (საბედნიეროდ, დღეს ჩვენი ერი მზადაა ზვიად

გამსახურდიას, აკაკი ბაქრაძის, მუხრან მაჭავარიანის და სხვა და სხვა ეროვნულ მოღვაწეთა მოსასმენად და აღარ არის საშიშროება ისევ სოციალ-დემიოკრატების საჯიჯგნი გახდეს ქართლოსის სამემკვიდრეო).

ამჟამად არსებულ შინაგან წინააღმდეგობათაგან ორია არსებითი:

1. ეროვნულ მოძრაობაში მომრავლდნენ და მომრავლდნენ ამბიციურ პირთაგან შემდგარი დაჯგუფებები, რომელთა ლიდერთაც მაინცდამაინც პირველი ეროვნული მოღვაწის მანტია სურთ მოისხან; ეს თავისთავად ცუდი რამ არ გახლავთ, თუკი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა პირველობის მოსაპოვებელ ასპარეზად არ გადაიქცევა... სამწუხაროდ, დღეს ბევრს უკვე აღარ ახსოვს დავით გურამიშვილისეული წარსულის სურათები: "მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი, თავის თავსა ხრმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი"... ან მოჩხუბარ მამლებზე თქმული: "...რა ორნივე დაღალულნი, ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს"...

2. ბოლშევიკთა გამყიდველური ქმედებით ქართული მიწა-წყალი თავიდანვე უკანონო ავტონომიებად დანაწევრდა (კანონიერი აფხაზეთის ავტონომიის საზღვრები უმართებულოდ გაიფართოვეს); რაც, ერთი მხრივ, დღესაც ხელს უშლის ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველთათვის მიწა-წყლის წაგლეჯის მსურველთა მადას პერმანენტულად აღვიძებს...

თავისი აბსურდულობით ყველაზე უფრო დიდ აღშფოთებას იწვევს აჭარის ავტონომია საქართველოში!

ძირძველი ქართველები _ დღევანდელი აჭარის მკვიდრნი _ პირველ საუკუნეშივე ეზიარნენ ქრისტეს მცნებას და ამ რჩეულობისათვის კიდეც ეწამნენ, 300 წლით ადრე მიიღეს ქრისტიანობა. განგებამ 300 წლით მოაშორა სამშობლოს აქაურნი... საქართველოსთან შემოერთების შემდეგაც (უფრო ზუსტად _ რუსეთის დაპყრობის შემდეგაც) არ მოჰკლებიათ უბედურნი დღენი: ჯერ რუსეთ-თურქეთის ერთობლივი მოქმედებით ბევრმა აჭარელმა შიშით თუ იძულებით დატოვა სამშობლო, მუჰაჯირად (ემიგრანტად, ლტოლვილად) იქცა და საფლავი ჩაჰყვა "მემლექეთურთა" _ სამშობლოს მკვიდრთა _ დარდი (მათ ეგონათ, რომ თავისიანებს რუსეთის შემოსვლით თურქეთის ანექსიაზე უფრო დიდი უბედურება დაატყდათ თავს, ამასწინათ, თურქეთიდან ჩამოსულმა ერთმა ქართველმა მითხრა: "აღარ მეგონა თუ ქართული აქაც, თბილისშიც, იცოდით; დიდი მადლობა, რომ ამფერი კაი ქართული შეგინახვანო")... შემდეგ ბოლშევიკებმა, თავიანთი გამყიდველობა რომ გაემართლებინათ, აჭარლები არაქართველებად გამოაცხადეს ("მენშევიკები" აქამდე მაინც არ დაცემულან) და ავტონომიის აუცილებლობა ამგვარად ახსნეს; სინამდვილეში კი ისტორიული მესხეთი "ახალგაზრდა იმპერიების"პოლიტიკურ გარიგებას შეეწირა (ჩვენმა სამშობლომ დამპყრობთა ხელში ვალუტის მაგივრობა გასწია!): ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ ოსმალეთს საერთო მიზანი გაუჩნდათ _ ბრძოლა ანტანტის წინააღმდეგ (ვ.ნოზაძე); თავისი ახალი მოკავშირის თხოვნით რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო ლივანა, ჭანეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ბასიანი, ისპირი, თორთომი, არტაანი, კოლა, ჩილდირი; თურქეთის თხოვნითვე, რუსეთის შემადგენლობაში დარჩენილ აჭარას ავტონომია მიეცა, ბათუმი კი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდა (ამით ოსმალეთმა აჭარის ისევ მიტაცების შანსი დაიტოვა!)... ეს ხელშეკრულება გაფორმდა 1921წ. 16 მარტს ქ.მოსკოვში (ამ ხელშეკრულების ჩვენთვის საინტერესო ნაწილი უკვე ცნობილია ფართო მკითხველისთვის ო.ზოიძისა და მ.მახარაძის პუბლიკაციებიდან), 1921წ. 18 მარტს კი ბათუმი წითლმა არმიამ აიღო...

როგორც ვხედავთ, აჭარის ავტონომიის შექმნის რეალური საფუძველი იმპერიული გარიგება გახლდათ (არ დაგავიწყდეთ, ეს ყველაფერი ჩვენი, ქართველი ერის სრული

იგნორირებით ხდება!), გარიგება, რომელმაც დიდი ხნით კვლავ დაგვაშორა აშოტ დიდსა და გრიგოლ ხანძთელის ნალოლიავებ სანახებს და თითქმის სანახევროდ ჩამოაცილა დედა-სამშობლოს მრავალტანჯული აჭარა; ეს "გარიგება" იურიდიულად დაადასტურა საქართველოს ბოლშევიკურმა მთავრობამ 1921წ. 13 ოქტომბერს...

ბოლშევიკთა მემკვიდრე დღევანდელ ხელისუფლებას ახლაც არ სურს წარსულის შეცდომების გამოსწორება, თორემ ის აქამდეც იზრუნებდა ქართული ცნობიერების დამმახინჯებლის _ აჭარის ასსრ-ის გაუქმებისათვის; ან სულ ცოტა, ამ უკანონო ავტონომიურ წარმონაქმნში "ნამესტნიკის" (მეორე მდივნის) შეურაცხმყოფელი ინსტიტუტის მოსპობისკენ მაინც გადადგამდა ერთ ნაბიჯს. სამწუხაროდ, საქართველოში დღესაც გრძელდება დიდ იმპერიათა მიმართ მაამებლური მოქმედება საკუთარი ხალხის ხარჯზე, დღესაც აჭარის ქართველობა ეწირება დიდ პოლიტიკას _ სხვა რას უნდა მიეწეროს აჭარის ავტონომიის შენარჩუნების თავგამოდებული მცდელობა თუ არა "ძლიერთა ამა სოფლისათა" მაამებლობას? იმპერიულ ძალებს აჭარის ავტონომიის გაუქმება იმიტომ არ სურთ, რომ ავტონომიის გაუქმებით დაირღვევა ორ დიდ იმპერიას შორის 1921წ. 16 მარტს დადებული "ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულება"...

მოსკოვის რეაქციული ძალების ხელში აჭარის ავტონომია უფრო საშიში კოზირია, ვიდრე აფხაზეთის ან ოსეთის ავტონომიური წარმონაქმნი, ვინაიდან მოსკოვს ყოველთვის შეუძლია ეროვნული მოძრაობის დაშინება აღნიშნული ხელშეკრულების გადასინჯვის მუქარით... ვფიქრობთ, ნათელია, თუ რატომ არის დაინტერესებული იმპერიული ძალები აჭარის ავტონომიის შენარჩუნებით. მათ გარდა ავტონომიის სტრუქტურა ხელს აძლევს ადგილობრივ ბიუროკრატიას და "ჩრდილოვანი ეკონომიკის" მესვეურთ; ისინიც აქტიურად იღწვიან, რომ როგორმე რაიმე გამართლება მოუძებნონ ქართული ორგანიზმის ამ სიმახინჯის (ავტონომიის) არსებობას; მათი მცდელობა ძირითადად სამი მიმართულებისაა:

ა) ისინი მუშაობენ აჭარაში მუსლიმანობის აღორძინებისათვის; მათ სწორედ რელიგიაში ეიმედებათ ავტონომიის გამართლების მყარი საფუძველი; ზოგი აჭარაში მუსლიმანობის შენარჩუნებას (resp. აღორძინებას) აუცილებლადაც მიიჩნევს: "თუ აჭარაში მუსლიმანობას შევინარჩუნებთ (resp. ავაღორძინებთ), ამით სხვა მუსლიმან ქართველთა დაბრუნების შანსი გაიზრდება" _ ამბობენ ისინი... არ მინდა ამის მთქმელთ მოღალატეები ვუწოდო; ალბათ ზოგს უფრო შორს გახედვა არ შეუძლია და მისდაუნებურად მიჰყვება შაჰ-აბასის, მურვან-ყრუს, აღა-მაჰმად-ხანის გზას... აჭარაში მუსლიმანობის დამცველთ სურთ კიდევ ერთხელ გაწირონ საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე ისლამის სიბნელისათვის; მათ კიდევ ერთხელ უნდათ გამოიყენონ აჭარის ქართველობა საზარბაზნე ხორცად! ხალხი ძლივს იშუშებს დამპყრობელთა მიერ მიყენებულ იარებს (ღმერთს მადლობა, უკვე დაწყებულია აჭარის მკვიდრთა მასიური დაბრუნება წინაპართა რჯულზე) და ისევ ჯამეებზე და ქართულენოვანი ყურანის გავრცელებაზეა ლაპარაკი?! ამას თუ არა, სხვას რას უნდა ეწოდოს ერის ღალატი; აჭარის მკვიდრთა რელიგიურობის შესახებ ვრცელი მსჯელობები გვქონდა წინა წერილებში ("სიტყვა მოზომილი" "ახკომი", 7 მარტი, 1989წ.; "ფრთხილად, ბატონებო" _ ახკომი 31. X, 1989წ.; "განურჩეველი განაჩენის შესახებ", "თბილისი", 15 დეკემბერი, 1989...) და აქ აღარ გავიმეორებ, აღვნიშნავ მხოლოდ ერთს: დიდი შემობრუნება დაწყებულია და შეუწყნარებელია ხელოვნური ჩარევებით წყლის ამღვრევა...

ბ) სხვადასხვა ჯურის აგენტები აჭარაში ავრცელებენ ჭორებს, რომ ავტონომიის გაუქმების შემთხვევაში, კუთხეებს შორის არსებული საზღვრები გადაისინჯებაო... ღმერთს მადლობა, დღეს მაინც დამდგარია დრო, როცა არსებითი მნიშვნელობა უკვე აღარა აქვს თუ სად იწყება საქართველოს ერთი კუთხის ტერიტორია და სად

მთავრდება: დღეს საქართველო მთლიანია, ყველა ქართველი საქართველოს ყველა კუთხეში მკვიდრი მოსახლეა (განა რაჭველები, აჭარლები, მეგრელები, იმერლები... ბედნიერად არ ცხოვრობენ სამცხეში, ჯავახეთში, კახეთში, ქართლში, გურიაში?..) და, ვინც ამ ჰარმონიის დარღვევას ცდილობს, საკუთარი თავისა და ერის მტერი არ არის?

გ) "ავტონომისტების აზრით, აჭარის ავტონომიის არსებობა აადვილებს კუთხის ეკონომიკის ეფექტიან მართვას... არ ვიცი, წარსულში შეიძლება მართლაც ითამაშა ავტონომიამ ამ მხრივ რაღაც როლი, მაგრამ დღეს ვერავინ ხედავს ამ "ეფექტიანი მართვის" შედეგებს... და თუ მაინცდამაინც აუცილებელია სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფა, მთლიანი საქართველო დავყოთ ეკონომიკურ ზონებად (და არა ავტონომიებად); მაგ.: აჭარა-გურიის ზონა, იმერეთ-ლეჩხუმის ზონა, შიდა ქართლის ზონა (გორი-ცხინვალის რეგიონი), სამცხე-ჯავახეთის ზონა, ოჩამჩირე-ზუგდიდის (სამეგრელოს) ზონა და ა.შ.

ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქართველი ხედავს, რომ ქართველთა ერთი ნაწილის ავტონომია საქართველოში ერისთვის საზიანო მითქმა-მოთქმის საფუძველი და, რაც მთავარია, საერთო-ქართველური ცნობიერების ჩამოყალიბების ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია; ამიტომაც პატიოსანი და საქმეში ჩახედული ქართველი დაინტერესებული არ უნდა იყოს აჭარის ავტონომიის შენარჩუნებით: მე, მგონი, კარგად ვიცნობ ჩემი მშობლიური კუთხის (დავიბადე და გავიზარდე ზემო აჭარაში) მცხოვრებთა განწყობას; დიდი ნაწილი მომხრეა ამ დამთრგუნავი, სხვა ქართველებისგან გამმიჯნავი ავტონომიის გაუქმებისა (ამასვე ადასტურებს რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებული აჭარის მკვიდრ მეცნიერთა და ასპირანტთა კოლექტიური წერილები); არიან ისეთებიც, რომლებიც იმპერიული და სხვა ბნელი ძალების მიერ არიან დეზინფორმირებულნი და, ამდენად, ავტონომიის შენარჩუნებას საჭიროდ თვლიან. პროვოკატორის მიერ გზაცდენილ პატიოსან კაცს თუკი გავაგებინებთ, რომ ავტონომია _ ეს დამატებითი ბიუროკრატიული აპარატი _ არც მშრომელ კაცს (გლეხს, მუშას, ინტელიგენტს) არგია და არც ახლადაბადებულ მომავალ თაობას, ხელს უწყობს მხოლოდ საქართველოს მტრებს და ადგილობრივ მაფიას, ე.ი. თუ გავააზრებინებთ საქმის ნამდვილ არსს, ავტონომიის მომხრეთა რიცხვი მინიმუმამდე ჩამოვა და ჩვენ ხელთ შეგვრჩება სწორედ ის ხალხი, რომელთაც, საკუთარი კარიერისა და ბნელი ზრახვების ხორცშესხმის გარდა, არაფერი აინტერესებსთ. აქედან გამომდინარე, ჩემი კუთხის მცხოვრებლებს ვთავაზობთ გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ ჩავატაროთ სახალხო რეფერენდუმი (საყოველთაო გამოკითხვა); მხოლოდ ამ "გამოკითხვის" შემდეგ კანონიერად მოვიშორებთ იმ ისტორიულ დამღას, რომელსაც აჭარის ავტონომია ჰქვია (ავტონომიის გაუქმება აჭარის მკვიდრთა საქმეა, მათი საპატიო და ისტორიული მოვალეობაა და ცენტრი არ უნდა ჩაერიოს). რეფერენდუმის დროს ბნელი ძალებიც გამოამჟღავნებენ თავს და ბოლოსდაბოლოს გაირკვევა, ვინ ამღვრევს წყალს და ვის აწყობს ჩვენი მხარის ქართველთა გამოცალკავება საერთო-ქართველური ოჯახიდან; ვის უნდა ჩვენი გადაჯიშება ან, საერთოდ, მოსპობა (ყოველგვარი გამოცალკავება რომ დამღუპველია, ეს კარგად ჩანს საქართველოს ისტორიის ზერელე გადახედვითაც; საქართველოს ყველა კუთხე მხოლოდ მაშინ იქნება ძლიერი და ბედნიერი, თუკი თავისუფალი საქართველოს მთლიანი ორგანიზმი აღდგება და გაძლიერდება!).

"...და ისევ პირველსა სიტყვასა მოვიდეთ": თუ ჩვენ შევძლებთ დღევანდელ საქართველოში ზემოთ დასახელებული ორი შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევას, იოლად გადავლახავთ გარეგან ბარიერებსაც და მივალთ საოცნებო ტაძრამდე _ თავისუფალ, ერთმორწმუნე, დემოკრატიულ საქართველომდე; ახლა კი სიფრთხილეა საჭირო, ამირანის ბორკილები დაწყვეტაზეა და ნუღარ დავაცლით ბორკილთა მჭედელს

ხელახლა დაჰკრან ურონი გრდემლებს... ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი! ტარიელ ფუტკარაძე,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება
მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.
(გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი",17 მარტი., 1990წ.)

ღია წერილი ზვიად გამსახურდიას

ჩვენს მხარეში, ე.წ. სამხრეთ ოსეთი რომ ეწოდება, ქართველობა ძალზე დიდ დისკრიმინაციას განიცდის. დავიწყოთ ცხინვალის რაიონიდან. დიდი ლიახვის ხეობაში სოფელი თამარაშენი ერთ-ერთი უძველესია. მისი აღორძინება თამარ მეფეს უკავშირდება. საუკუნეების განმავლობაში ამ სოფელში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ თავადი მაჩაბლები, რომლებიც მთელ დიდი ლიახვის ხეობას ფლობდნენ ყელის ტბამდე და ნარამდე. მათ ბევრი რამ შესძინეს სამშობლოს. ააგეს ციხე-დარბაზები და ეკლესია-მონასტრები, დღესაც რომ გვაოცებენ თავისი გრანდიოზულობით. ესენია აბოწმინდას მეშვიდე საუკუნის ბაზილიკა, ამავე საუკუნის სოფელ აჩაბეთის "სასახლე და ციხე მეფეთა", მეცხრე საუკუნის სოფელ ხეთის საბაწმინდას ტაძარი, მეცამეტე საუკუნის თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი და სხვა მრავალი. არცერთ ამ ძეგლს პატრონი არა ჰყავს, ისინი გაძარცვული და განადგურებულია. ძეგლთა დაცვის საოლქო ორგანიზაცია, რომლის უფროსს, 90 წელს გადაცილებულ ხეიბარ პეტრე ფუხაევს, არც კი აინტერესებს ჩვენი ძეგლების ბედი. ის წლების განმავლობაში ბიულეტენზეა და ხან სახლში, ხან კი საავადმყოფოში წევს, რის გამოც არ შეუძლია ძეგლების ბედზე იზრუნოს. არც პარტიის ცხინვალის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ფელიქს ჯიოევი დაგიდევდათ ამ ძეგლების ბედს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ძეგლები უკვე ინგრევა, ის ძვირფასი ასომთავრული წარწერები ძირსაა ჩამოყრილი და საცოდავად გამოიყურება. რაკი რაიკომი ვახსენეთ, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ჯიოევმა ისეთი კადრები (ოსები) დააწინაურა, რომლებმაც მთლიანად მოსპეს რაიონის ეკონომიკა და გარყვნეს ყოველივე. ავიღოთ, მაგალითად, გრომის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი ოთარ დუდაევი, რომელიც შემთხვევით მოხვდა ამ თანამდებობაზე და ისე გაანადგურა იქაურობა, რომ ხალხი გარბოდა მკვიდრი ადგილებიდან და სხვაგან სახლდებოდა. სოფელ ვილოდის ქართული მოსახლეობა რამდენიმე კომლის გარდა მთლიანად გორის რაიონში ჩასახლდა. ანდა სოფელ ქემერტის ყოფილი თავმჯდომარე ჟორა კასრაძე გავიხსენოთ, რომელსაც მხოლოდ სამი კლასის განათლება აქვს და ხელმძღვანელი კი ოცდაათ წელზე მეტი იყო. ფელიქს ჯიოევმა სამი მეურნეობა "შეაჭამა" ვინმე ალან აბაევს, რომელიც მეოთხე მეურნეობიდან თავისი სურვილით წამოვიდა. ჯიოევის "რეკომენდაციით" ხელმძღვანელ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ ოსები, და ეს იყო მხოლოდ ერთადერთი კრიტერიუმი. რაიკომსა და რაიაღმასკომში თითქმის ვერ ნახავთ ადგილობრივ ქართველს, ქართული სოფლებიდან არავინაა დაწინაურებული. ცხინვალის რაიონის ძველ ქართულ სოფლებში თამარაშენში, გუჯაბაურში, ქსუისში, არცევში და სხვაგან ჯიოევის დასტურით ჩასახლდა ასობით ოსური ოჯახი, მაშინ, როდესაც ქართველებს არავითარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი არ ეძლეოდათ.

აი, კიდევ ერთი მაგალითი. სოფელ ქემერტში მთიდან ჩამოსახლდა ვინმე ალბოროვი, რომელმაც ძალადობითა და ადგილობრივ ხელისუფალთა წაყრუებით ერთ ჰექტარზე მეტი მამული დაიკავა. მისი "ტრადიციები" გააგრძელა მისმა შვილმა ნოდარ ალბოროვმა, რომელიც ცხინვალში ცხოვრობს და სოფელში ძალადობით ააშენა სახლი და ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთიც დაიკავა. ყოველივე ამაში კი მათი დამხმარეები არიან რაიკომი და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ფილიევი.

ასეთი მაგალითი უამრავია.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ ცხინვალში დაარსდეს ალმანახი ქართულ ენაზე. ცხინვალის ქართულ დასს მიენიჭოს მისი დამაარსებლის ზაალ მაჩაბლის სახელი. ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გეგმებში შეტანილ იქნას სამეცნიერო თემები, რომლებშიც აისახება აქურ ქართველთა ეთნოგრაფიის, ისტორიის, ენის, სიძველეების საკითხები. ამ მიზნით ყველა განყოფილებას უნდა დაემატოს სათანადო საშტატო ერთეულები.

უნდა აღდგეს ქსნის ხეობაში ლარგვისის წმინდა თევდორეს ეკლესია და გალავანი, ყანჩავეთის კაბენი, ჟამურის ალავერდის ციხე, ხოფის მონასტერი, ლეხაურას ხეობაში _ კაბერი, მეჯუდას ხეობაში ვილდას ღვთისმშობელი, გვერდისძირზე მეექვსე საუკუნის ჭარების ეკლესია, უნდა შემოიღობოს იკორთა. პატარა ლიახვის ხეობაში უნდა აღდგეს ბელოთის ციხე-დარბაზი და შიგ მოეწყოს მუზეუმი, მუზეუმი უნდა გაიხსნას ფრონეს ხეობის თიღვის ტაძრის ეზოში. ძეგლებს უნდა გაუკეთდეს სათანადო დაფები.

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის, ოსური ენისა და ლიტარატურის ფაკულტეტებზე რუსლან ჯატიევი, იური გაგლოითი და სხვები კითხულობენ ე.წ. "ოსეთის ისტორიას" და სტუდენტებს მოძღვრავენ, თითქოს ოსები აქ, დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან სახლობენ და ეს მიწა მათი ისტორიული საკუთრებაა. მოვითხოვთ შეწყდეს ასეთი "ლექციების" წაკითხვა.

ცხინვალის რუსულ საშუალო სკოლებში, სადაც ქართულს ოსები "ასწავლიან", უნდა ასწავლონ მხოლოდ ქართველმა პედაგოგებმა, ამასთანავე, ყველა რუსულ სკოლაში უნდა გაიხსნას ქართული ჯგუფები.

მკაცრად უნდა დაისაჯონ გორის რაიაღმასკომის ხელმძღვანელები, რომლებმაც სოფლებში მეღვრეკისსა და ტირძნისში მამულები ჩაუგდეს ხელში საოლქო მილიციის თანამშრომლებს, ჰამლეტ ბითაროვსა და თემო გასიევს. ასეთი მაგალითიც ძალზე ბევრია, და სასოფლო საბჭოები მათ ჩაწერაზე უარს არ ეუბნებიან.

ცხინვალისა და ახლომახლო სოფლების ქართული საშუალო სკოლები მწვავედ განიცდიან სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის უქონლობას. ქართულ სკოლათა რაოდენობა ქალაქში არ იზრდება. ცხინვალის აღმოსავლეთით ორი კილომეტრის მანძილზე სოფელი მამისაანთ უბანია. კასრაანთ უბნის ჩათვლით აქ ასი კომლი ქართული ოჯახი ცხოვრობს და ნუთუ არ შეიძლება დაწყებითი სკოლის გახსნა? ან იქნებ სოფელ გუჯაბაურში გაიხსნას სკოლა, რომელიც იქაურებს ასე ენატრებათ. ცხინვალი გაიზარდა და მასივებში რუსული სკოლებიც გაიხსნა. მეხუთე სკოლაში აუცილებლად უნდა გაიხსნას ქართული ჯგუფი. რაკი ეს სკოლა ვახსენეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ იქ ქართული ენის კაბინეტი ყოფილ საპირფარეშოშია მოთავსებული.

ჩვენი მხარის მიდამოები მოფენილია ისტორიული ძეგლებით და ისინი სხვადასხვა ეპოქებს განეკუთვნებიან. ათეული წლები გადის და რესტავრაციაზე არავინ ზრუნავს. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს ვთხოვთ რესტავრაციის რიგში დააყენონ თირას მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, აჩაბეთის ციხე, სოფელ ქემერტის წმინდა გიორგის ეკლესია და საბრძოლო კოშკი, ზნაურის რაიონის სოფელ ოჟორას ცხაკარა და გომარეთის ეკლესია, სადაც გვირგვინოსანი ქალის პორტრეტი ახლაც კარგად იკითხება და არ არის გამორიცხული, რომ ის თამარ მეფისაა, ყოველ შემთხვევაში, მას აუცილებლად დაცვა და შესწავლა სჭირდება. ჩვენს მხარეში დაანგრიეს ბევრი ისტორიული ძეგლი და ჩუქურთმიანი ქვებისაგან გომურები ააგეს, ასე მოხდა ცხინვალის რაიონის სოფელ ხოდში, ზნაურის რაიონის სოფელ წიფლითში, ხოლო მეშვიდე საუკუნის ბორცვის წმინდა გიორგის ძვირფასი დეკორიანი ქვები ცხინვალის

ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლებში ჩაიკარგა. ეს პროცესი ახლაც გრძელდება, მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ, ფრონის ხეობაში, სოფელ წორბისთან, მინდვრის სამუშაოების შესრულების დროს ტრაქტორის გუთანმა ამოაგდო ვეება ქვები, რომლებიც დიდი ოსტატობითაა დამუშავებული. ასომთავრული წარწერების შესრულება განცვიფრებას იწვევს. წარწერები წაიკითხა პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ და ისინი ახლახან გამოცემულ წიგნში "ფრონეების" ხეობების ტოპონიმია" შეიტანა პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა. აღნიშნული წარწერიანი ქვები კარგა ხანს ეწყო სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვესტიბიულში. მერე ეზოში გაიტანეს და ახლა ნაგავსა და სამშენებლო მასალების ნარჩენების გროვაში ყრია. თუ დროზე არ მივეშველეთ, შეიძლება ისინი სამუდამოდ დაიკარგოს. წინადადებას ვაყენებთ ცხინვალში ან ხეობის რომელიმე სოფელში შეიქმნას ქართული ისტორიული ძეგლების ამსახველი ნიმუშების მუზეუმი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ვთხოვთ დაგვეხმაროს ჩვენებური დიდი სწავლულის, აკადემიკოს ქრისტეფორე არეშიძის სახლ-მუზეუმის გახსნაში. არეშიძეთა ძველებური დიდ დარბაზიანი სახლი დგას ცხინვალში და მზურნველ-პატრონს ელის.

პრობლემა ბევრია, მხოლოდ მათ უმნიშვნელო ნაწილზე გავამახვილეთ თქვენი ყურადღება. ჩვენ მათ განვიხილავთ საზოგადოების სხდომებზე და ყველა თანადგომითა და დახმარებით განვახორციელებთ.

მაჩაბელთა გვარმა ბევრი სახელოვანი მოღვაწე მისცა სამშობლოს, რომლებმაც თავიანთი სახელები ჩაწერეს მატიანეში, დიდი ლიახვის ხეობაში მათ მიერ აგებული ბევრი ისტორიული ძეგლია, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს. მათ სახელთანაა დაკავშირებული მეცხრე საუკუნის ხეითის საბაწმინდის ტაძარი, მეცამეტე საუკუნის დიდებული ანსამბლი "თირის მონასტერი", მეშვიდე საუკუნის აჩაბეთის "სასახლე და ციხე", რომელთაც ვახუშტი ბაგრატიონი "მეფეთას" უწოდებს და სხვა. ამ ეკლესია-მონასტრებში და სხვაგან განისვენებენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილე პოეტი სვიმონ მაჩაბელი, მისი ძმა პოეტი დავით მაჩაბელი, ცხინვალის ქართული თეატრის დამაარსებელი ზაალ მაჩაბელი და სხვები.შექსპირის უბადლო ტრაგედიების მთარგმნელის ვანო მაჩაბლის სახლი ჯერ კიდევ შემონახულია სოფელ თამარაშენში. ათზე მეტი წლის წინათ ის გადეცა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიას და ამ ხნის განმავლობაში სახლი რამდენჯერმე გადაკეთდა და მემორიალობაც დაირღვა. მთავარი ის არის, რომ ვანო მაჩაბლის მუზეუმი ვერ გაიხსნა და ყოველივე ამის გამო შეშფოთებული ჩვენი საზოგადოებრიობა, თამარაშენელები ჩივიან ზემდგომ ორგანოებში, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე რამდენჯერმე დაიბეჭდა მამხილებელი კორესპონდენციები, მაგრამ მშენებლები და ყველა, არხეინად გრძნობენ თავს. მაჩაბელთა მემორიალური ნივთები გაფანტულია და არც მათ შეგროვებაზე ზრუნავს ვინმე. კოლეგიამ თავი ვერ გაართვა ამ საშვილიშვილო საქმეს, ამიტომ მუზეუმი პირდაპირ მწერალთა კავშირს უნდა გადაეცეს.

ნიკოლოზ ოთინაშვილი, ცხინვალი, სოფელი ქემერტი.

(გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 16 მარტი, 1990წ.)

ასევე გაზეთის ამავე ნომერშია გამოქვეყნებული ღია წერილი საქართველოს სსრ პროკურორისადმი.

ვახტანგ რაზმაძის დამცველი, როგორც იტყვიან ტამბოვის მგელი იყოს, მაგრამ ცხადია, ამ შემთხვევაში რუსიზმის ნამესტნიკური "ქართული" ხელისუფლების საბჭოთა პროკურორი გაიგივდა არარსებულ "ქართულ დიდმპყრობლობასთან":

ღია წერილი საქართველოს პროკურორს ვ.ა.რაზმაძეს

როცა 1990 წლის 23 თებერვალს გაზეთ "ზარია ვოსტოკაში" თქვენი მორიგი ინტერვიუ წავიკითხეთ, დავრწმუნდით, რომ თავხედური სიცრუისა და ფალსიფიკაციის დიდებული უნარი გაქვთ, თუ მანამდე ეჭვი გვეპარებოდა მრავალი გაფიცულისა და მოშიმშილის მიერ თქვენთვის გამოცხადებული აცილების საფუძვლიანობაში (ისინი უნდობლობას უცხადებდნენ აფხაზეთში 1989 წლის ივლისში მომხდარი ამბების გამოძიების ხელმძღვანელობას), უკანასკნელი ინტერვიუ წარმოგვიდგა, როგორც ერთაშორის ურთიერთობის ნიადაგზე სამართალდარღვევების სამართლებრივი შეფასებისას თქვენი არაობიექტურობისა და ტენდენციურობის ნათელი დასტური, როგორც დასტური იმისა, რომ კანონს განიხილავთ თქვენი ერის საამებლად.

15 ივლისს, სოხუმში, ორი მოძმე ხალხის შეტაკების ფაქტიურ გარემოებათა ასეთი აშკარად გამოკვეთილი დამახინჯების შემდეგ, ჩვენ თქვენი სახით ვხედავთ არა პროკურორს _ კანონის დამცველს, რომელიც მოწოდებულია სამართლიანობისათვის საბრძოლველად, არამედ ნამდვილ არაფორმალს, რომელიც არალეგალურად იჩემებს ქართული ფენომენის ერის ლიდერობას და უკიდურესად აგრესიულ, ანტიაფხაზურ პოლიტიკას ეწევა. იმის ნაცვლად, რომ ეძიოთ გზები აფხაზი და ქართველი ხალხების დარღვეული ძმური ურთიერთობის აღსადგენად, თქვენს ინტერვიუში თავხედურად, დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ აფხაზების მხრიდან ივლისის ამბებს ორგანიზებული, წინასწარ დაგეგმილი ხასიათი ჰქონდა. ასეთი ცრუ განცხადება ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ მხოლოდ ისე, როგორც აშკარა მოწოდება ქართველი ერისადმი, მოაწყონ მორიგი სისხლისღვრა უძველეს აფხაზურ მიწაზე. თქვენი ინტერვიუ საფუძველს გვაძლევს მიგაკუთვნოთ ერთაშორის შუღლის აქტიურ გამღვივებელთა რიცხვს, რომელიც, საკუთარ თავს ვერ ამჩნევს და სხვა, ვითომ გამღვივებლებს ეძებს. გთხოვთ განგვიმარტოთ _ თქვენთან, საქართველოში, სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლი მხოლოდ ეროვნების მიხედვით მოქმედებს? თუ ასე არ არის, მაშინ აგვიხსენით, რატომ არ მიეცით სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერა ვარძიაშვილი, რომელიც 1989 წლის 25 ოქტომბერს "აიდგილარაში" აფხაზებს ემუქრებოდა და წერდა: "...ბერიამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა... ახლა ცოცხალი რომ იყოს, ერთი დღე-ღამე ეყოფოდა ჩვენი მიწის აფხაზებისაგან გასაწმენდად..." თუ მისი მისამართი არ იცით, ჩვენ გიკარნახებთ: 380002, თბილისი-2, კამოს ქ. №2, ბინა[39] 11. სრულიად უსაფუძვლოა თქვენი დასკვნა იმის შესახებ, რომ აფხაზებმა დასვეს საკითხი ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოდან გამოყოფის შესახებ და როცა მიზანს ვერ მიაღწიეს, ძალადობას მიმართეს. როცა ყველა ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში გაიშალა ბრძოლა კონსტიტუციური უფლებების გასაფართოებლად, აფხაზ ხალხს იმედი ჩაესახა, რომ ახალი დემოკრატიული მოძრაობა ძალღონეს არ დაიშურებდა ყველა ხალხის ჭეშმარიტი თანასწორობის მისაღწევად, ამ ხალხის რიცხობრივი რაოდენობისა და მათთვის მინიჭებული კონსტიტუციური უფლებების მიუხედავად. აფხაზეთის მშრომელებმა მიიღეს ცნობილი ლიხნის მიმართვა, რომელშიც დასმულია არა ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის საკითხი, არამედ აფხაზეთისთვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უკანონოდ წართმეული სტატუსის დაბრუნების საკითხი. მაგრამ თქვენი სახით საქართველოს პროკურატურის ხელმძღვანელობამ მიღებული პოლიტიკური აქტი არასწორად შეაფასა.

სხვათა შორის, გაცნობებთ, რომ არც ერთ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც გაეგზავნა აფხაზური მიმართვა, და არც ჟურნალს "იზვესტია ცკ კპსს" (10-1989) ასე არ შეუფასებია ეს წერილი. შემდეგ თქვენი მოადგილე დ.ჩიტლოვი თავის ინტერვიუში

[39] სიცრუეა. იხილეთ დანართი 2.

(ჟურნალი "სოციალისტიჩესკაია ზაკონნოსტ" №7 1989) 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას, თბილისში დატრიალებულ ტრაგიკულ ამბებს უკავშირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლის საკითხის აღძვრას. აპრილის ტრაგედიის დასაწყისი თქვენ და ჩიტლოვმა თვით ქალაქ თბილისში უნდა ეძიოთ და არა სოფელ ლიხნში. სწორედ 1988 წლის ნოემბერში, მრავალრიცხოვან არასანქციონირებულ მიტინგებზე, დემონსტრაციებსა და გაფიცვებზე გაისმა აშკარად თქვენი მოწონებული მოთხოვნები, რომლებიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება _ საქართველოს გამოსვლა საბჭოთა კავშირიდან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმება თავის მხრივ, აფხაზმა ხალხმა ეს აქცია მიიღო, როგორც მათი ეროვნულ სუვერენიტეტზე თავდასხმა და იძულებული გახდა მიეღო ხსენებული მიმართვა ერთადერთი მიზნით _ დარჩენილიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სსრკ-დან საქართველოს შესაძლებელი გასვლის შემთხვევაში.

ასე რომ, 1988 წლის მიტინგებისა და დემონსტრაციების მონაწილეები ვერაფრით ვერ იწინასწარმეტყველებდნენ ლიხნის 1989 წლის მარტის მიმართვას და ამ ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენებს შორის, როგორც არ უნდა მოინდომოთ, მიზეზობრივ კავშირს ვერ დაამყარებთ. თქვენთვის ცნობილია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა დაძაბულობამ აფხაზეთში, რომელსაც ქართველი ექსტრემისტები ყოველდღიურად ამწვავებდნენ, თავის აპოგეას იმ წუთიდან მიაღწია, როცა ქართული ნაციონალიზმის ექსტრემისტულმა ძალებმა დაძაბულობის ეპიცენტრი თბილისიდან სოხუმში გადაიტანეს. ვითარება უკიდურესად გამწვავდა იმ დღიდან, როცა გამოიცა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არაკანონიერი განკარგულება _ გახსნილიყო სოხუმში თსუ ფილიალი, რომელიც 15 ივლისს ძმათა სისხლისმღვრელი შეტაკების უშუალო მიზეზად იქცა.

თუკი სსრკ გენერალურმა პროკურორმა მიიჩნია, რომ ეს განკარგულება ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-12 მუხლსა და საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით (2 სექტემბერი, 1982, №816), დამტკიცებული დებულების მე-5, მე-10 პუნქტების მოთხოვნებს, თუ მან საქართველოს მინისტრთა საბჭოს წინაშე დასვა საკითხი, აღმოფხვრილიყო სოხუმში თსუ ფილიალის შექმნის დადგენილი წესის დარღვევა, საკითხავია, თქვენ, როგორც რესპუბლიკის პროკურორმა, რატომ არ დასვით ეს საკითხი? ამგვარი უმოქმედობა იმაზე ხომ არ მეტყველებს, რომ მთლიანად ექსტრემისტებს ემორჩილებით? აფხაზეთის სისხლისღვრაში ჭეშმარიტი დამნაშავეები, მათ შორის პირადად თქვენ, ვისი ხელებიც უდანაშაულოდ დაღუპულთა სისხლშია გასვრილი და მათი დედების ცრემლითაა დანამული, სამწუხაროდ, ისევ თქვენს რბილ სავარძლებში ბრძანდებით.

ამასთან დაკავშირებით, ინტერვიუში შეგნებულად არიდებთ თავს პირდაპირ პასუხს კითხვაზე _ რა არის 15 ივლისს სოხუმში შეტაკების უშუალო მიზეზი? ყველა აფხაზს, ვინც მხარს არ უჭერს ქართველი არაფორმალების ანტისაბჭოთა პოლიტიკას და მათ გამოხდომებს ებრძვის, თქვენ ექსტრემისტისა და ნაციონალისტის იარლიყს აკერებთ.

ჩვენსა და თქვენს შეხედულებებსა და მოქმედებაში დღეს ნამდვილად არსებითი განსხვავებაა და იძულებული ვართ, ეს საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანოთ. თქვენთან (არაფორმალებს ვგულისხმობ) ნამდვილი ნაციონალიზმია, ჩვენთან _ ინტერნაციონალიზმი. თქვენ ერთაშორის დაძაბული ურთიერთობის გამწვავების მომხრენი ხართ, ჩვენ _ ამ დაძაბულობის შენელების მომხრენი; თქვენ სამფეროვანი მენშევიკური დროშა გაქვთ, ჩვენ _ ერთფეროვანი წითელი საბჭოთა დროშა. თქვენთან გაუთავებელი არასანქცირებული მიტინგები და დემონსტრაციებია, ჩვენთან _

სანქცირებული.[40] თქვენთან მრავალპარტიულობაა, ჩვენთან _ ერთპარტიულობა; პარტიას ლენინურს ვუწოდებთ. თქვენთან ამბობენ: "არ გვინდა სკკპ", ჩვენთან _ "გაუმარჯოს სკკპ". თქვენთან პარტბილეთებს წვავენ, ჩვენ კი მათ გულთან ახლოს სათუთად ვინახავთ. თქვენ ეროვნული არმიის მომხრენი ხართ, ჩვენ კი _ ინტერნაციონალურისა; თქვენ ერთიანი დამოუკიდებელი საქართველოს მომხრენი ხართ, ჩვენ _ ერთიანი საბჭოთა ოჯახის მომხრენი. თქვენ ლენინის ენას ეწინააღმდეგებით, ჩვენ მას ვემხრობით. თქვენ ერთი სახელმწიფო ენა გაქვსთ, ჩვენ _ სამი. თქვენთან ვანდალურად იქცევიან, შეურაცხყოფენ ლენინის, კიროვის, ორჯონიკიძის ძეგლებს, ჩვენ კი მათ წმინდად ვიცავთ და ყუმბარების ნაცვლად ყვავილებს ვაწყობთ. თქვენთან _ "რუსო ოკუპანტებო, გაეთრიეთ საქართველოდან", ჩვენთან კი _ "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება". თქვენთან _ "საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის",[41] ჩვენთან _ "აფხაზეთი ყველასათვის" (კეთილმოსურნეთათვის) თქვენ კოსტავას და გამსახურდიას იდეებს ემხრობით, ჩვენ კი _ ლენინის იდეას.

თქვენს დამნაშავეებს თავისუფლად მიუწვდებათ ხელი ტელევიზიასა თუ პრესაზე, ჩვენსას _ საგამოძიებო იზოლატორში ათავსებენ.

ასეთი შედარებების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება. თქვენ რომ ოდნავ უფრო სამართლიანი პროკურორი ყოფილიყავით, ყველაფერს ამას თვალს მიადევნებდით და შესაბამის ზომებს მიიღებდით. ახლა ჯანსაღად მოაზროვნე ხალხმა განსაჯოს, ვინ არის ჩვენს შორის ექსტრემისტი.

სსრკ გენერალურო პროკურორო, ამხ. ა.ი.სუხარევო. დაგვიცავით პროკურორ რაზმაძის საშინელი თავდასხმისაგან. ის ქართული შოვინიზმის შხამითაა მოწამლული და 37 წლის მეთოდით ეწევა რეპრესიის პოლიტიკას, გარდა ამისა, წმენდს რესპუბლიკის პროკურატურას სხვა ტომის ხალხისგან _ აფხაზებისგან.

აფხაზეთის სახალხო ფორუმის "აიდგილარას" გუდაუთის განყოფილების გამგეობა (გაზ. "ბზიფი", №27, 1990 წლის 3 მარტი).

1990წ. მარტის დასასრულისკენ რღვევა დაიწყო იმ ერთსულოვნებამ, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თებერვლისთვის მიაღწია. როგორც უკვე აღინიშნა, **25 თებერვალს** ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საკათედრო ტაძართან სოხუმში (ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების ეკლესიაში) და სოხუმის **კ.გამსახურდიას** სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამოვლენილმა სრულიად ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ-სახალხო ძალისხმევამ აფხაზეთის დაქსაქსული ეროვნული მოძრაობა გააერთსხეულა და გააერთმუშტა. ასეთმა ძალისხმევამ აფხაზეთში ორი თვითგამოცხადებული ორგანიზაციის **რუსთაველისა** და **ჭავჭავაძის** საზოგადოებების **(ამ დროისათვის ეგრეთწოდებულის,** სინამდვილეში ორივეგან ერთი და იგივე ხალხი ირჯებოდა) გარდა, სუყველა, ასე თუ ისე რეალური ქართული პოლიტიკური ძალა ცხუმ-აფხაზეთისა, გააერთიანა.

როგორც უკვე აღვნიშნე, **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილება, რომლის საინიციატივო ჯგუფმა თანახმად ბატონი **ზვიად გამსახურდიას** გადაწყვეტილებისა, **იანვრის** ყინვიან და იმავდროულად სულიერი თვალსაზრისით პაპანაქება ღამეს, ცხინვალის მისადგომებთან სასანგრო ვითარებაში მოიპოვა რწმუნება, ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებულ ორგანიზაციად იქცა და თავისი პირველი ყრილობისათვის ემზადებოდა (როგორც სრულიად საქართველოს, ასევე ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების ყრილობა მარტში უნდა ჩატარებულიყო, ეს უკანასკნელი ჩაიშალა). **მ.კოსტავას** საზოგადოება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში)

---

[40] სეპარატისტთა მიტინგები კრემლისგან იმართებოდა, სწორედ ამიტომ გახლდათ იგი სანქცირებული. საქართველო კი მას ებრძოდა და იატაკვეშეთშიც ამიტომ იყო.

[41] ასეთი ლოზუნგი საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას არ გამოუყენებია არასდროს.

ხელმძღვანელობდა **მ.კოსტავას** სახელობის საადგილმამულო და მოსახლეობის განსახლების ფონდს. ყოველივე ამან შექმნა პირობები ეროვნული მოძრაობა ცხუმ-აფხაზეთში გარშემოკრებილიყო **მერაბ კოსტავას** საზოგადოების გარშემო, რომელიც საქმიანობდა **ზ.გამსახურდიას** პირადი ხელმძღვანელობით. რაღაც თვენახევარში ცხუმ-აფხაზეთის რაიონებში აფხაზეთის კანონიერი მოსახლეობისათვის შესყიდული იქნა 300-მდე საცხოვრებელი სახლი. თანამშრომლობდა რა (სინამდვილეში ხელმძღვანელობდა) მოქალაქეთა ჩაწერის მიზანშეწონილობისა და საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვის გაფორმების სისწორის დამდგენ კომისიასთან, ერთ თვეში სათანადო სამსახურებს (სახალხო დეპუტატთა საბჭოებს) გააუქმებინა 100-მდე არაკანონიერი ჩაწერა და საკარმიდამოთა 180-ზე მეტი უკანონო ყიდვა-გაყიდვა. მისი ჩარევით გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში აფხაზეთისათვის მშობლიურ მოქალაქეებზე საკარ-მიდამო მიწის გამოყოფის 70 გაჭიანურებული საქმე გადაწყდა სამართლიანად, ხოლო ათასამდე უკანონოდ ჩამოსული და წლობით ჩაუწერლად მცხოვრები ინტერფრონტული ეთნონედლეული ზნეობრივად დაშვებული გზით პირვანდელი საცხოვრებლისაკენ მიაბრუნა. იგი საბერძნეთისაკენ მუდმივ საცხოვრებლად დაძრულ ასობით ბერძენს დაეხმარა ფულის გასაქონლებასა და საბაჟოს დავიდარაბათა მოგვარებაში (ეს მასალები ინახებოდა **მ.კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილებაში, ზოგიერთი მათგანი შეიძლება დაცული იყოს თბილისში, **მ.კოსტავას** სახელობის საადგილმამულო და მოსახლეობის განსახლების ფონდის არქივში). ეს ხალხი რსფსრ საზღვარზე (ფსოუ, რიწა-აუადჰარა, ომარიშარა) და სოხუმის აეროპორტში აკონტროლებდა ვითარებას ფერგანიდან დეპორტირებული თურქების შესაძლო შემოჭრის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე ამასთან ერთად ახლადშექმნილი ორგანიზაციის ბირთვმა ბატონი **ზვიადის** რჩევებითა და საქმიანი მითითებებით წარმატებით გაართვა თავი აგრესორ სეპარატისტთა, ანუ პოტენციური მტრების პოლიტიკური ოპონენტების სტატუსში მოქცევას, შესაძლებელი გახადა მათთან დიალოგებისთვის პირველი, უკომპრომისო, მაგრამ კეთილმოსურნე ნაბიჯების გადადგმა. ვიმეორებ, ასეთი საკითხების გადასაწყვეტად იგი ხელმძღვანელობდა წინდახედული, საჭირო და საამდროო ღონისძიებებისთვის ზნეობით დაშვებული მეთოდებითა და ხერხებით, რაც უპირველესი და მთავარია პოლიტიკური აქციის რეალიზებაში. ამრიგად, ეს ორგანიზაცია იმთავითვე ქრისტეს სწავლებიდან გამომდინარე პრინციპებით ცდილობდა ესაქმიანა.

მაგრამ და სამწუხაროდ, ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ მოძრაობას (ისევე, როგორც სრულიად საქართველოს), არა მარტო სუფთა ზნეობით და მამულიშვილური თავგანწირვით შემოენაკადნენ უანგარო ერისკაცები, არამედ საშოვრისათვისაც მოაწყდა ათასობით ხელმოცარული, რომელთა ჯოგურ სიმწყობრეში მარჯვედ შეინიღბა და პოხიერი თავშესაფარი იპოვა არაერთმა ძირგამომთხრელმა, დივერსანტმა და აგენტმა.

ყოველივე ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, რომელიც მარჯვედ გათვალეს დიდმპყრობლობის შესაბამისმა სამსახურებმა, და მიუხედავად ჩვენი კომპანიური გამარჯვებებისა, ბრძოლა მაინც (ასეთი დროისათვის გათვალისწინებული ჩვენი რესურსების მარაგით), უთანასწორო იყო სრულიად საქართველოში და განსაკუთრებით ცხუმ-აფხაზეთში. წაგებული იყო ბრძოლის მორალური მხარე _ ჩვენ არ ვიყავით ქრისტიანები, ამ სიტყვის პირდაპირი, ეკლესიური გაგებით, ამიტომ წმიდა **ილია მართლის** მოძღვრება და გაფრთხილება **"ენა, მამული, სარწმუნოება"** _ ჩვენს ხელში ფირნიშად იქცა (რომელსაც უსინდისოდ ვიყენებდით პოლიტიკური კეკლუცობისათვის). არაეკლესიურობამ ჩაგვითრია ამბიციურ ჭაობში, დანარჩენი კი დროის საქმე იყო. ჩვენი უგუნურების შედეგად კრემლმა მოახერხა და მოგვაცვა პირადი ნომენკლატურული ურთიერთობის რკვევის ყულფი. ჩვენ ჯერ კიდევ ჯოგური

აზროვნებისგან თავდახსნილები არ ვიყავით და ისე მოვინდომეთ ეროვნული ლასკარის დამყარება. ამიტომ, რადგანაც უფალს თავისი ერთადერთი ჭეშმარიტი სისწორე აქვს და, ვინაიდან, საკმარისი არ გამოდგა ორი დიდი ქრისტიანის _ **ზვიადისა** და **მერაბის** მარტვილობა (ცხუმ-აფხაზეთში **ვოვა ვეკუას** ღვთისმოშიშობა) და, რადგან ვერ დავესანგრეთ **ვლადიმერ ჟვანიას** სულისუტეხობას, ასევე მომავალში ვერ მივემოწაფეთ **გია აბესაძის** ამბოხის ექოებს, ჩვენ დღესაც ვერ ვიქეცით ლასკარულ გაერთსხეულებად და უკეთეს შემთხვევაში, რაღაც რეგლამენტში სათითოო თანასხეულებად სახაზინო ხელშეკრულების წესით დროებით გავერთიანდით. ამით ჩვენ ვგმეთ ღმერთი, ხოლო უღმერთობა, როგორც წესი, ისჯება. ამ პროცესების ზუსტი ანალიზი ბატონ **ზვიად გამსახურდიას** მოეძებნება: **"...იმპერიულმა ძალებმა შეიცვალეს ტაქტიკა ჩვენთან ბრძოლისა და გარედან შემოტევის ნაცვლად მთავარ მიზნად დაისახეს შიგნიდან გახრწნა, შიგნიდან აფეთქება ჩვენი მოძრაობისა, ფსევდოეროვნული, მაფიოზური ძალების კონცენტრირებით ჩვენ გარშემო განწირულმა პარტოკრატიამ შექმნა ბანდიტურ-მაფიოზური დაჯგუფებები, რომელზსაც დაევალათ კორუფციის შემოტანა ჩვენ მოძრაობაში; აგრეთვე პირდაპირ ტერორისტული აქტების გზით _ ლიკვიდაცია ეროვნული ძალებისა, ეროვნული მოძრაობის ლიდერებისა. ამოქმედდა მაფია, რომელიც აფინანსებდა და აძლიერებდა ამ ბანდიტებს, რათა მათ ბოლო მოეღოთ ჩვენთვის. მიუხედავად ამისა, მათ ეს ვერ განახორციელეს ოქტომბრის არჩევნების პერიოდში, ვინაიდან დაინახეს ერის არნახული კონსოლიდაცია ჩვენს გარშემო. ასე რომ, ხალხის რისხვის შიშით, დამარცხებულმა პარტოკრატებმა ვერ განახორციელეს თავიანთი რევანში"... "პირველი ბზარი ჩვენს ურთიერთობაში მაინც გაჩნდა, როდესაც თავი იჩინა ღალატმა, როდესაც ყოფილ პარტოკრატებთან და მაფიასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა ფსევდოოპოზიციამ შესძლო თანდათან გადმობირება "მრგვალი მაგიდის" ჯერ ცალკეული წევრებისა, ხოლო შემდეგ _ მთელი პარტიებისა და ორგანიზაციებისა"** ***("მრგვალი მაგიდის ისტორია", თბილისი, 1996წ. რედ. გელა სალუაშვილი).***

ასეთი გახლდათ ხილულის მიღმიერი შინაარსი, როდესაც **1990 წლის 6 მარტს** ქ.სოხუმის რკინიგზელთა კულტურის სასახლეში დაფუძნდა აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი. დაზუსტდა წარმომადგენლობა, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო თბილისში საქართველოს ეროვნულ- გამათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის მუშაობაში.

ზემოთ უკვე ხსენებული მიზეზების გამო, **ვ.ადამიას** ხელს არ აძლევდა კონფერენციაზე გადაწყვეტილიყო ეროვნული ფორუმის აფხაზეთელი წარმომადგენლების არჩევა, რადგან იმხანად **ს.საჯაიას** საკმაო ავტორიტეტი გააჩნდა და მას სხვას ვერ ჩაანაცვლებდა ასე საჯაროდ (**მ.კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილებას სულაც არ სურდა კოჭები ეგორებინა **ვ.ადამიას** ამბიციებისათვის). მან მოახერხა კონფერენცია დაეყოლიებინა იმაში, რომ აფხაზეთიდან ფორუმის სამი წევრი არჩეულიყო ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტის სხდომაზე მოგვიანებით, სოხუმში. ამ საკითხში აფხაზეთის პარტოკრატიისა (დირექტორადისა) და მისი სურვილი, ნებით თუ უნებლიედ, ერთმანეთს დაემთხვა (თუმცა საგანგებო კონფერენციის დელეგატებს აფხაზეთიდან სათანადო რწმუნებები გვქონდა ეს თბილისში გადაგვეწყვიტა).

სოხუმში მობრუნებულებს ეროვნული კომიტეტის შტაბ-ბინაში დამხვდა მიზნობრივად და განგებ გასაჯარისებული სამტრო მითქმა-მოთქმა ფონდში ჩემს "ხელმრუდობაზე". დაინტერესებული ძალები საამისო "ნივთმტკიცებად" დააფრიალებდნენ ფონდიდან ქვებუნაგურად გამოგზავნილ მოწერილობას იმაზე, რომ მე ვალად მერიცხებოდა მილიონობით თანხა და სასწრაფოდ უნდა წარმომედგინა

ანგარიში. ჩასაფრებულმა ძალებმა არ დაიზარეს და სოხუმში იმხანად არსებულ ორიოდე ქსეროქსზე გადაამრავლეს ეს მოწერილობა, რომელიც ჩემს "ცუდკაცობად" განიმარტებოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ სხვადასხვა მიზეზით, რომელზეც საუბარი აქ ჩვენი ძირითადი თემიდან გადახვევა იქნება, ფონდის მიერ შესყიდული სახლების საკმაო ნაწილი გენერალური მინდობილობით იყო გაფორმებული ჩემზე, მათი გადაფორმება ჩასახლებულ პირებზე სეპარატისტებისა და კოლაბორაციონისტების დივერსიების პირობებში, ისე და იმგვარად მარტივი საქმე არ იყო, როგორც ეს ზოგს წარმოედგინა და არც ამაზეა საუბარი საჭირო დღეს (დააკლდეს ეს ჩემს სიმართლეს), მოკლედ, **მერაბ კოსტავას** საზოგადოების წევრების ძირითადი და საქმიანი ნაწილი დავსაქმდით ამ პრობლემების მოგვარებით. ამასობაში კი მიზნობრივი ჭორბიურო ავრცელებდა და ავრცელებდა ხმებს რომ ჩვენ (პირადად მე) მილიონობით მანეთი მივითვისეთ.

ყოველივე ეს ვერაგულად იყო გათვლილი. ობივატელი ხომ დაიჯერებდა, ამით ჩვენი ბლოკირება ხომ მიიღწეოდა და მერე თუნდაც ქვა გვეთხლიშა თავში. ასეთ ვითარებაში **ვ.ადამიას** მითითებით შეკოწიწდა და ჩაგვენაცვლა **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების პარალელური "სტრუქტურა", რომელიც ჩვენს საქმეში ჩაუყენებლად, ისე, რომ არ ვიცოდით, რაც ხდებოდა (ასეთ წელსქვემოთა ილეთს არ ველოდით) და ჩუმად მოწვეული ეროვნული კომიტეტის სხდომაზე გამოცხადნენ საეჭვო კონსპირაციით, სადაც ძირითადად პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებზე მეტი ე.წ. მოწესე ქურდი, მაფიურ-კრიმინალური წრეები და საქმოსნები, თვითმარქვიები, შს სამინისტროსა და უშიშროების კომიტეტის მუშაკებიც კი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობდნენ (განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გ.ლომინაძის ნასედკები და ნ.მგალობლიშვილის თანათქვლეფიები).

ასეთ ვითარებაში იქნა არჩეული ეროვნული კომიტეტის სამი წევრი აფხაზეთიდან.

მათგან ორმა ფორუმის გახლეჩის შემდეგ, დეკემბრის პუტჩამდე, ასე თუ ისე **"მრგვალი მაგიდის"** მხარე დაიჭირა და არც წაუგიათ, დეპუტატები გახდნენ, მესამემ "წამხედრიონო" რიგებიდან და სატომო კარშემორაგულობიდან გვარიანად იღვაწა **"მრგვალი მაგიდის"** წინააღმდეგ, მონაწილეობა მიიღო **1990 წლის 23-25 მაისის** ე.წ. ეროვნული ყრილობის მუშაობაში, უფრო გვიან არჩეული იქნა კონგრესის წევრადაც, მრგვალი მაგიდის გამარჯვებისთანავე კი მყისვე გაწევრიანდა მასში, ხოლო დამხობის შემდეგ, სასწრაფოდ საწყის პოზიციებზე დაბრუნდა.

არც დანარჩენ ორ წევრს გაუმეტებია თავი საქონდაქრედ _ ერთი მედგრად უდგას გვერდში **ე.შევარდნაძის** ხელისუფლებას, მეორე კი კანონიერი ხელისუფლების მომხრე საყველპუროდაა დღეს.

ამრიგად, თბილისში ეროვნული ფორუმის გახლეჩამ გამოიწვია ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ კომიტეტში გაერთიანებული ამ მხარის ეროვნული მოძრაობის ძირითადად ორ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ ბანაკად ჩამოყალიბება: "მრგვალი მაგიდისა" და ე.წ.კონგრესის თვალსაწიერად.

აქვე, ორიოდე სიტყვით უნდა აღვნიშნო აფხაზეთის პარტოკრატიის, მისი სათანადო სამსახურებისა და "გაეროვნულებული ძველბიჭების" მიერ თავსმოხვეული ის გამომათაყვანებელი ფართი-ფურთი და პირდაპირ სისხლსმოწყურებული შურისგების თავაწყვეტა, რომელიც რაღაც ძალებმა ყოვლად უზნეო და, რაც მთავარია, გზაამრიდ ხაფანგად თავს მოახვია ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის რაღაც, მაგრამ საგრძნობ ნაწილს. საუბარია იმხანად მიმდინარე სასამართლოზე **1989 წლის 15-16 ივლისის** მოვლენებთან დაკავშირებით, სადაც ეროვნული მოძრაობისათვის ვინმე **რუსიკო ქორჩილავას** "ზნეობით", მომხვეჭელური მედროვეობითა და წინგაუხედაობით

იხლართებოდა ხვანჯი. მთელი უბედურება ის გახლდათ, რომ რუსიზმის ბრმა იარაღზე, ანუ ვიღაც გონებაარეულ აფსუა (абхазец) **პალბაზე** ანგარიშსწორების მინიაღვრება, მიუხედავად იმისა, რომ სულნათელი **ვ.ვეკუა** მისი ხელებით დაიღუპა, აუბრალოებდა 1989 წლის 15-16 ივლისის შინაარსს. ის არ ცდილობდა რუსიზმის მიერ ორგანიზებული ეთნოდივერსიების მხილებას ცხუმ-აფხაზეთში, რომელიც **15-16 ივლისის** მსგავს ჟლეტას კვლავდაკვლავ ჯერმონაცვლედ მოაწყობდა. ეს სასამართლო ამგვარი შინაარსობრივი სვლაგეზით, წინააღმდეგ **ვ.ვეკუას** ცნობიერებისა და ანდერძისა, ძუძუმტეობის ყოფაქცევის აღგვასა და სამტრო ვნებათაღელვას ხელისბიჭობდა, იგი არ ემსახურებოდა კრემლიდანური ეთნოდივერსიების გათვალსაჩინოებას, არ ასაჯარისებდა აგრესიული სეპარატიზმის არასახალხო ბუნებას და ცდილობდა აფხაზეთის ცრუ ქართული პარტოკრატიის გამოსარჩლებას. კაცმა რომ თქვას "დირექტორატის" კარნახით ვითომმოსაქმე აფხაზეთის "მრგვალი მაგიდაც", როგორც დრომ დაადასტურა, ხომ ამ საქმით იყო დაკავებული. ასეთი გარჯა დაუფასდა კიდეც **რ.ქორჩილავას.** იგი თვეობით თბილისის საუკეთესო სასტუმროებში ხელგაშლილად ცხოვრობდა, **1991 წლის დეკემბრისთანავე** ხუნტის მხარეს გადავიდა, მანამდე აფხაზეთის ასსრ პროკურატურაში ეშმაკმა იცის ვის მხარეზე მოღვაწეობდა, ხოლო აფხაზეთის პროვოკაციული ომის დროს კი სამხედრო პროკურორის რანგში "იღვაწა" სოხუმში, ამჟამად კვლავ **ე.შევარდნაძის** სამსახურშია.

ზუსტად ასეთივე ხასიათისა გახლდათ **1989-90 წლებში ნუგზარ მგალობლიშვილის** საქმიანობაც. იგიც პარტოკრატიის დავალებით დაკავდა ისეთი საძრახი საქმიანობით, როგორიც იყო კომპრომატების შეგროვება ცალკეულ სეპარატისტთა ლიდერებზე, ჰოდა თვეობით ჩაჰკირკიტებდა თვითეული ყოფითი სამხილის მოპოვებას **ალეკო ანქვაბზე** (აფხაზეცი), საქართველოს სსრ შს. სამინისტროს ერთერთ მაღალჩინოსანზე, საბჭოთა პარტნომენკლატურულ კადრზე, რომელსაც, თქმა არ უნდა, გააჩნდა თავისი ჩრდილოვანი პორტრეტი (სხვათაშორის **ნ.მგალობლიშვილის** მიერ, რა თქმა უნდა, არც თუ უსაფუძვლოდ, ქართველთა პირსისხლიან მტრად გაფერადებულმა **ა.ანქვაბმა** აფხაზეთის საომარი ავანტიურის დროს ასობით ქართველი მშვიდობიანი ადამიანი ტყვეობიდან იხსნა, ხოლო იმავე **ნ.მგალობლიშვილისგან** მხარდაჭერილმა **ვ.არძინბამ** რაც გააკეთა, ყველასთვის ცხადია, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ **ვ.არძინბას** დაუჭერდა თუ არა მხარს ქართული ეროვნული მოძრაობა, ის მაინც მოსკოვის ძალისხმევით იგივე იქნებოდა).

ნ.მგალობლიშვილს აფხაზეთში, ეროვნული მოძრაობის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, არ მოუცია საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული პროცესების ანალიზი, ცხუმ-აფხაზეთის თავისებურებების გათვალისწინებით არ შემოუთავაზებია დამუშავებული რაიმე არამკვდრადშობილი კონცეფცია. პირიქით, მან ამ მხრივ თაოსნობა დაუთმო საბჭოთა პარტნომენკლატურულ დირექტორატს. ასეთი გახლდათ ვითარება, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ერთის მხრივ ნამდვილი ეროვნულ-სახალხო მოძრაობის გაუვნებელყოფა მიმიდინარეობდა, ხოლო მეორეს მხრივ, მის ჩასანაცვლებლად სასწრაფო წესით ხდებოდა აფხაზეთის პარტოკრატიის გაფერადება "ეროვნულად",. ამ წიაღში უნდა გაფორმებულიყო აფხაზეთის "მრგვალი მაგიდა".

1990წ. 20 მარტს გაიმართა **მერაბ კოსტავს** საზოგადოების I ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო **ზ.გამსახურდიამ.**

1990 წლის 27 მარტს ქ.თბილისში ფილოსოფიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა ეროვნული ფორუმის მესამე სხდომა: "საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის პროგრამული

გადაწყვეტილებების შესაბამისად, ეროვნული ფორუმის მესამე სხდომამ ხმათა გადამწყვეტი უმრავლესობით დაადგინა:

1. ის იურიდიული პირი და ორგანო, რომელიც საერთაშორისო სამართლის დონეზე უფლებამოსილი იქნება ილაპარაკოს ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის სახელით, შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული კენჭისყრით არჩეული საქართველოს ოპოზიციური ხელმძღვანელობა და მმართველობა.

2. საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრისათვის არჩეულ ოპოზიციურ ხელმძღვანელობას უნდა ეწოდოს ეროვნული კონგრესი" (გაზ. "ახლგაზრდა ივერიელი", 31 მარტი, 1990წ.).

ეს დადგენილება ითვალისწინებდა საქართველოს კანონიერი მოსახლეობის არჩევნებში მონაწილეობის უფლებას განურჩევლად ეროვნებისა, ამავე დროს იგი კრძალავდა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ე.წ. ინტერფრონტული ნედლეულისა და საოკუპაციო ჯარების მონაწილეობას ამ არჩევნებში.

ამ დადგენილების მე-6 და მე-7 პუნქტები აღნიშნავდა, რომ **"ეროვნული კონგრესის პოლიტიკური პლატფორმა და ორიენტაცია ემყარება საქართველოს შეურიგებელი და რადიკალური, დემოკრატიული ოპოზიციის სტრატეგიას, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული კონგრესის ყველა წარმომადგენელი უნდა უარყოფდეს იმ სტრუქტურებში, მექანიზმებსა და სისტემაში მონაწილეობას, რომელიც დამკვიდრებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს თავისუფალი და დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წელს განხორციელებული შეიარაღებული აგრესიის შემდგომ.**

7. ეროვნულ კონგრესს, შეურიგებელი და რადიკალური ოპოზიციის პროგრამიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ პირობად უნდა მიაჩნდეს:

ა) საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის (ე.წ. სსრკ-ის) ჯარების _ საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების ნაწილების და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, სასაზღვრო გარნიზონების აბსოლუტური შემადგენლობით გაყვანა; ბ) 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ შეიარაღებული აგრესიის შედეგად დამკვიდრებული სახელმწიფო წყობილების, ხელისუფლების კანონმდებლობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების სრული ლიკვიდაცია; გ) ოკუპანტებისგან განთავისუფლებულ საქართველოში საყოველთაო, დემოკრატიული სახალხო კენჭისყრის საფუძველზე, ნამდვილი, ეროვნული ხელისუფლების არჩევა და საქართველოს გამოცხადება დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ.

საქართველოს ეროვნულ ფორუმს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო სამართალი საქართველოს ეროვნულ კონგრესს არ აღიარებს საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველ ოფიციალურ იურიდიულ პირად, არ ცნობს კანონიერად, ეროვნული კონგრესი სრულიად საქართველოს მასშტაბით გამოაცხადებს საყოველთაო ეროვნულ დაუმორჩილებლობას და ქართველ ერს მოუწოდებს ტოტალური შეიარაღებული წინააღმდეგობისაკენ" (ზემოთ დასახ. წყარო).

1990წ. 24 მარტს ხულოს რაიონულ ცენტრში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც ჩატარდა რუსეთის საოკუპაციო ჯარში მომსახურე ქართველი ჯარისკაცების მასობრივი დაღუპვის გამო გულისწყრომის გამოსახატავად.

1990წ. 28 მარტს საქართველოს ეროვნული მოძრაობის სახელით **ზ.გამსახურდიამ, ი.წერეთელმა, ი.ბათიაშვილმა, თ.პაატაშვილმა და გ.გოგბაიძემ** მისალოიცი დეპეში

გაუგზავნა ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვიტაუტას ლანდსბერგისს ლიტვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულ აღდგენასთან დაკავშირებით.

მარტშივე საქართველოს ეროვნულმა ფორუმმა მიიღო მიმართვა ქართველი ერისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი: "...საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და მისი ავანგარდი, ეროვნული ფორუმი, არ სცნობს მეტროპოლიის მიერ ქართველი ერის ნების საწინააღმდეგოდ შექმნილი ე.წ. საქართველოს სსრ-ს და მასში შემავალ ე.წ. სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და აჭარის უკანონო ავტონომიებს, როგორც ფიქტიურ, ანტიეროვნულ ადმინისტრაციულ პოლიტიკურ წარმონაქმნებს, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ანექსიის უშუალო შედეგს.

სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობის სტრატეგია ჩვენი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ფორმად რჩება. დაუმორჩილებლობის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ბოიკოტი ა.წ. 25 მარტს დაგეგმილი საბჭოთა არჩევნებისა, ამჯერად კი უნდა განვახორციელოთ სრული ბოიკოტი სამხედრო ბეგარის მიმართ, რომლის სრული უკანონობა აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მიერ ჟენევის 1949 წლის კონვენციით.

მართალია, ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანია, იგი არ ითვალისწინებს დე ფაქტოდ არსებული საბჭოური ხელისუფლების ძალადობით დამხობას, მაგრამ ჩვენ ყოველნაირად შევებრძოლებით მეტროპოლიიდან მომდინარე ყველა იმ საკანონმდებლო აქტს თუ ღონისძიებებს, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს და ქართველი ერის ინტერესების წინააღმდეგ და ზიანს მოუტანს ჩვენს ქვეყანას" (გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი",5 აპრილი, 1990წ.).

1990წ. 8 აპრილს საქართველოს ჰელსინკის კავშირმა და წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ მიიღეს მემორანდუმი მოსკოვისა და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებებისადმი (გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 5 აპრილი, 1990წ.).

მემორანდუმი შედგება პრეამბულისაგან და 23 მოთხოვნისაგან, მათ შორის: "1. შეწყდეს კონსტიტუციური თავდასხმები ქართველი ერის სუვერენიტეტზე და ხელოვნური საკანონმდებლო ბარიერების შექმნა საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის; 2. შეწყდეს არაქართველთა დემოგრაფიული ექსპანსია საქართველოში, მიწების მიტაცება, უკანონო მშნებელობები..." 4. გაუქმდეს არაქართველთა უკანონო ეთნოკრატიები, როგორც მიზეზი ყოველგვარი ეთნიური კონფლიქტებისა, ქართველთა ჩაგვრისა, კრიმინალისა და აპარტეიდისა, ანტიქართული საკადრო პოლიტიკისა. 5. ბოგდანოვკისა და ახალქალაქის აღმასკომებმა შეწყვიტონ ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაცია... 6. სასამართლოში შეიცვალოს ანტიქართული საკადრო პოლიტიკა. 7. აფხაზეთში დასაჯონ 15-16 ივლისის ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორები. 8. აღდგეს ქართული ენის უფლებები საქართველოში. ზღვარი დაედოს რუსული ენის, რუსული სკოლის პრივილეგირებას, 9. შეწყდეს ქართველთა გენოციდი საბჭოთა არმიაში... 11. შეწყდეს ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ... 12. შეწყდეს ბიოლოგიური ომი ქართველი ერის წინააღმდეგ, აიკრძალოს ჩერნობილის რადირებული ხორცისა და სხვა კვების პროდუქტების შემოტანა საქართველოში, 13. შეწყდეს მოსკოვის სპეცსამსახურების მიერ აჭარული, სვანური, მეგრული, წოვა-თუშური სეპარატიზმის გაღვივების ცდები; 17. შეწყდეს აღმოსავლეთ ევროპიდან გამოყვანილი სამხედრო მოსამსახურეების შემოსახლება საქართველოში... და ა.შ."(გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 5 აპრილი, 1990წ.).

1990წ. 17 აპრილს გაზეთ "ახალგაზრდა ივერიელის" მეშვეობით საქართველოს ეროვნულმა ფორუმმა გაავრცელა განცხადება: "...1. მოეთხოვოს საქართველოს სსრ ხელმძღვანელობას და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივ

ხელმძღვანელობას, სასწრაფოდ დაამყაროს წესრიგი ქალაქ ცხინვალში; გასცეს ბრძანება, რათა შინაგან საქმეთა ორგანოებმა დააკავონ ადგილობრივი პროვოკატორები, რომლებიც აღვივებენ ერთა შორის შუღლს და მოსთხოვონ მათ პასუხი;

2. ქალაქ ცხინვალის შემოგარენში პიკეტირების მოწყობა ჩაითვალოს პოლიტიკური თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებლად და ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებად.

3. თუ საქართველოს სსრ ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს ამ განცხადების პირველ პუნქტში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას, საქართველოს ეროვნული ფორუმი იძულებული იქნება საქართველოს მასშტაბით დაიწყოს მასობრივი გაფიცვები...”

1990წ. 24 აპრილი. საქართველოს ეროვნული ფორუმის შექმნის შემდეგ, დაინახა რა საქართველოს ეროვნული მოძრაობის გაერთსულოვნების საფრთხე, საბჭოთა ეთნოდივერსიულმა სამსახურმა სასწრაფოდ მიიღო სათანადო დამანგრეველი ზომები ეროვნულ მოძრაობაში აღმავალი პროცესების გაუვნებელსაყოფად: **“24 აპრილს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს ეროვნული ფორუმის რეზიდენციასთან (ე.წ. იმელის შენობა) მოხდა ინციდენტი (ეროვნულ მოძრაობაში აგენტურული მიზნით შემოღწეულმა დესტრუქციულმა და შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს პროვოკაციული გასროლა). ვინაიდან ეს აქტი ეწინააღმდეგებოდა ეროვნული მოძრაობის მიერ აღიარებული მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის პრინციპებს და წარმოადგენდა შორსგამიზნულ პროვოკაციას, ფორუმი დატოვა ეროვნული მოძრაობის გარკვეულმა ნაწილმა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. ეროვნულმა ფორუმმა თავის მხრივ იმავე დღეს, თუმცა ტენდენციურად, მაგრამ მაინც უარყოფითად შეაფასა 24 აპრილის ინციდენტი”** (ვრცლად იხილეთ გაზ. “თბილისი” 26 აპრილი, 1990წ.).

1990წ. 24 აპრილს ცალკეული პირების მიერ აფხაზეთის ასსრ რიგ რაიონებში მიწების თვითნებურად პროვოკაციული დატაცების გამო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლობამ **(თ.ოდიშარია, პ.კვიკვინია, ა.მარკოზია, ს.საჯაია, ჰ.ლოლუა, ვ.ქობალია)** გააფრთხილა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ-მეორე მდივნები **ვ.ხიშბა** და **ლ.ხაბურზანია** და მოსალოდნელი შედეგების გამო პასუხისმგებლობა დააკისრა მათ (იხ. გვ. 160).

1990წ. 1 მაისს საქართველოს ეროვნულმა ფორუმმა გაზეთ “ახალგაზრდა ივერიელში” ეროვნული ფორუმიდან ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების გასვლა უარყოფითად შეაფასა.

1990წ. 2 მაისს “იდრიატის” ფესტივალზე თბილისში ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა და უცხოელი სტუმარი სპეციალისტებით გადაჭედილი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში **ზ.გამსახურდიამ** ქართულ ენაზე წაიკითხა ლექცია “საქართველოს სულიერი მისია”, რომელსაც კომენტარს უკეთებდა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ლექციას არნახული წარმატება ხვდა.

1990წ. 5 მაისს გაზეთ **“ახალგაზრდა ივერიელში”** გამოქვეყნდა მიმართვა ქართველი ერისადმი, რომელსაც ხელს აწერდნენ **ზ.გამსახურდია** და სხვები (სულ 24 კაცი), შემდგომში **“მრგვალი მაგიდის”** დამფუძნებლები. მათ განაცხადეს, რომ: **“საქმე ის არის, ფორუმის ზოგიერთი წევრი ვერ აღმოჩნდა სათანადო ზნეობრივ დონეზე და მათგან ეროვნულ მოძრაობას ემუქრება დიდი საფრთხე...”**

1990წ. 5 მაისს გაზეთ **“თბილისში” წმინდა ილია მართლის** საზოგადოებამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი **24 აპრილს** მომხდარი ინციდენტის გამო გამოვიდა ეროვნული ფორუმის რიგებიდან.

მრგვალი მაგიდის დამფუძნებელი ორგანიზაციები გახდნენ: ჰელსინკის კავშირი, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატული) პარტია, **წმ. ილია მართლის** საზოგადოება, სრულიად საქართველოს **მერაბ კოსტავას** საზოგადოება.

1990წ. 11 მაისს მიღებული იქნა "საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და მოძრაობათა "მრგვალი მაგიდის" წესდება **(გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 15 მაისი, 1990წ.**): **...იმისათვის, რომ საქართველოში არჩეულ იქნეს ჭეშმარიტად ერის ნების გამომხატველი და მისი ინტერესების დამცველი ორგანო, რომელიც მხოლოდ არსებული ობიექტური რეალობის გათვალისწინებით იმოქმედებს და არა სხვა ქვეყნების ინტერესებითა და მისდამი ერის ინტერესების საზიანო კომპრომისებით, მიღებულია გადაწყვეტილება, შეიქმნას პირობები, რათა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურმა ოპოზიციამ, რათა მოსკოვისადმი დაქვემდებარებული პოლიტიკური ძალები, უმაღლეს ორგანოში უმცირესობაში აღმოჩნდნენ" (ვრცლად იხილეთ "მრგვალი მაგიდის ისტორია", თბილისი, 1996წ. _ რედ. გელა სალუაშვილი)**

1990წ. 12 მაისს კი მრგვალმა მაგიდამ მიიღო საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია (**გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 15 მაისი, 1990წ.**). იგი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხედავდა ორ გზას: 1. საყოველთაო ეროვნულ დაუმორჩილებლობას და 2. ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში შეძლებისდაგვარად და მაქსიმალურად ერის ნების გამომხატველი, დროებითი უმაღლესი ხელისუფლების საყოველთაო არჩევნებს (გარდამავალი პერიოდის დროებითი ხელისუფლების არჩევას). მრგვალმა მაგიდამ დაასაბუთა თუ რატომ აირჩია მეორე თვალსაზრისი. კონცეფციაში გაკეთდა არგუმენტირებული დასკვნა იმაზე, რომ **"საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია უნდა გამოაცხადოს გარდამავალი პერიოდის დროებითმა ხელისუფლებამ... ზემოთჩამოთვლილ პირობათა შესრულების შემდგომ (და არა საქართველოს სსრ ერთპარტიულმა _ კომუნისტურმა ე.წ. უზენაესმა საბჭომ), რის შემდგომაც უნდა დაინიშნოს დამოუკიდებელი საქართველოს საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები":**

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა
მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია

დღეს **საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე არის ქართველი ერი, საქართველოს კანონიერი მოსახლეობა. ამიტომ აუცილებელია სწორედ ქართველმა ერმა, საქართველოს კანონიერმა მოსახლეობამ გააკეთოს არჩევანი იმ გზისა, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა აღსდგეს. რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, არსებობს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ორი შესაძლებლობა:**

1. საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა.

2. ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, შეძლებისდაგვარად და მაქსიმალურად ერის ნების გამომხატველი, დროებითი უმაღლესი ხელისუფლების საყოველთაო არჩევენები.

საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ (დამოუკიდებლობის არმოსურნე არაქართული მოსახლეობა), მორალურ (კორუფცია, მომხვეჭელობა, კონფორმიზმი) და პოლიტიკურ (იმპერიული მმართველობა, საოკუპაციო არმია) რეალიათა გათვალისწინებით შესაძლებელია

განხორციელდეს მხოლოდ ექსტრემალურ პირობებში _ შესაბამისი ძლიერი "მუხტის" არსებობის შემთხვევაში. ასეთი "მუხტი" შეიძლება გაჩნდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რეალური ხელყოფის ან იმპერიისა თუ მისგან პროვოცირებული ძალების მიერ ქართველი ერის წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი ტერორის დროს. მხოლოდ ასეთ უკიდურეს შემთხვევაშია შესაძლებელი სპონტანურად განხორციელდეს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა იმ მასშტაბებითა და ვადით, რომელიც უკიდურესი გაჭირვების, დიდი რისკისა და, იქნებ სისხლის ფასადაც ერს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე მიიყვანს. მხოლოდ უკიდურესად ექსტრემალური სიტუაციისას არის რეალური საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელება. სხვა შემთხვევაში, მარტოოდენ რადიკალური, შეურიგებელი ოპოზიციის მოწოდებების ძალით საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელება სათანადო დიდი შემზადების გარეშე, უახლოეს ხანში ნაკლებ სავარაუდოა.

იმისათვის, რომ საქართველოში არჩეულ იქნას ჭეშმარიტად ერის ნების გამომხატველი და მისი ინტერესების დამცველი ორგანო, რომელიც მხოლოდ არსებული ობიექტური რეალობის გათვალისწინებით იმოქმედებს და არა ცენტრალური საოკუპაციო ხელისუფლების დიქტატითა და მისდამი კომპრომისებით, აუცილებელია: არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურმა ოპოზიციამ, ჭეშმარიტმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რათა მოსკოვისადმი მეტნაკლებად დაქვემდებარებული პოლიტიკური ძალები უმაღლეს არჩევით ორგანოში უმცირესობაში აღმოჩნდნენ. სწორედ ამ უმაღლესმა არჩევითმა ორგანომ უნდა იტვირთოს გარდამავალი პერიოდის მთელი სიმძიმე. საქართველოს უკიდურესად მძიმე გეოპოლიტიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური მდგომარეობის გამო, ყოვლად დაუშვებელია საოცრად დინამიურ გარდამავალ პერიოდში ისეთი მოქმედება, რომელიც ერისა და ქვეყნის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს.

ვისა აქვს უფლება საქართველოს კანონიერი მოსახლეობის სახელით ლაპარაკისა და როგორ უნდა მოხდეს ასეთი სამართლებრივი სუბიექტის შექმნა, როგორ გადასცემს მას ხალხი ნდობის მანდატს? საქართველოში მიღებული უკანასკნელი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ-პოლიტიკური საერთაშორისო აქტი არის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის, რომელიც უკიდურესი _ შეიარაღებული აგრესიის ფორმით დაირღვა საბჭოთა რუსეთის მიერ. ყოველივე ეს დეკლარირებულია, ხოლო მისი საბოლოო და სამართლებრივი გაფორმება მომავლის საქმეა. საქართველოში 1921 წლის 17 მარტის შემდეგ (ამ დღეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ დროებით შეაჩერა საქართველოს კონსტიტუცია) ადგილი არ ჰქონია არც ერთ(!) კანონიერ სახელმწიფოებრივ აქტს, რის დეკლარირებასაც თვით საქართველოს დღევანდელი უზენაესი საბჭო ახდენს, რომელიც ბათილად სცნობს, როგორც უკანონოს ყველა შემდეგ დროინდელ სახელმწიფოებრივ დოკუმენტს (მათ შორის ფაქტიურად საკუთარ თავსაც). იმისათვის, რომ კანონიერად წარიმართოს საქართველოში გარდამავალი პერიოდი, აუცილებელია მისი კანონიერად დაწყება. კანონიერებისაგან ყოველგვარი გადახვევა გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მხოლოდ გაართულებს ჩვენს მდგომარეობას, რაც საბოლოო ჯამში კარგს არაფერს მოგვიტანს. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია გარდამავალი ეტაპის ამოსავალ წერტილად გავიხადოთ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და 1921 წლის 27 იანვრის ერთა ლიგის გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო სუვერენად ცნობის

შესახებ და არა საკავშირო თუ რესპუბლიკური კონსტიტუციების “კარგი” თუ “ცუდი” მუხლები. ამ მიზეზით შეიქმნა, ერთგვარად ნაჩქარევად, ლიტვური პრეცენდენტი, რომელიც უახლოეს მომავალში მეტროპოლიასთან მოლაპარაკებას აწარმოებს არა საბჭოურ კონსტიტუციათ, არამედ საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით. ამდენად, საქართველოს დღევანდელი უზენაესი საბჭო ვერაფრით ვერ იქნება საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველი. სწორედ ამიტომ სავსებით სამართლიანად ამბობს უარს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთა საბჭოურ არჩევნებში მონაწილეობაზე და არა ახირებათა გამო. მსოფლიო პოლიტიკაში ხალხის ნების გამომხატველი სამართლებრივი სუბიექტის შექმნის ყველაზე მისაღები ფორმა საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებია, რომლის დროსაც ხდება გარკვეული ვადით ნდობის მანდატის გადაცემა კანონიერ უმაღლეს ხელისუფლებაზე. საქართველოშიც უმოკლეს ვადაში უნდა ჩატარდეს საყოველთაო, მრავალპარტიული შეუზღუდავი დემოკრატიული არჩევნები, რომელიც *მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება კანონიერი* (იმისდა მიუხედავად სცნობს თუ არა მას საერთაშორისო პოლიტიკა), *თუ ის არ იქნება საბჭოური.* საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში საბჭოური და კანონიერი ერთმანეთს გამორიცხავს.

როგორ შეიძლება ჩატარდეს დღევადელ პირობებში საქართველოში საყოველთაო არასაბჭოური დემოკრატიული არჩევნები? არსებობს ორი _ *ოფიციალური და არაოფიციალური* საყოველთაო არჩევნების ჩატარების თეორიული შესაძლებლობა. *არაოფიციალური არჩევნები* იმთავითვე იხსნის საბჭოურობის ლაქას, მაგრამ აწყდება უაღრესად ძნელად დასაძლევ პრობლემებს. უპირველესად იმისათვის, რომ არაოფიციალური არჩევნები იყოს საყოველთაო, რათა მასში მონაწილეობა მიიღოს *საქართველოს კანონიერი მოსახლეობის* სულ მცირე 51 პროცენტმა, აუცილებელია, რათა ეს არაოფიციალური არჩევნები იყოს *ერთადერთი.* თუ ამ არჩევნების ჩატარებამდე არ გამოცხადდა მისი ერთადერთობა, მოსახლეობის და არა მხოლოდ არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი ალბათ ოფიციალურ საბჭოთა არჩევნებს დაელოდება. არ არის გამორიცხული ისეთი კურიოზიც, რომ ამომრჩეველთა გარკვეულმა ნაწილმა ორივე არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ამასთან, არაოფიციალური საყოველთაო არჩევნების ორგანიზება თავისთავად კოლოსალურ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომელსაც სულ ადვილად შეიძლება შეუშალოს ხელი რესპუბლიკის კომუნისტურმა მმართველობამ. მმართველობა ძლიერი დაწოლის გარეშე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება წინასწარ გამოაცხადოს არაოფიციალური არჩევნების ერთადერთობა, რადგან ცხადია, რომ ის პოლიტიკური სარბიელის ასე ადვილად მიტოვებას არ აპირებს. ამასთან, ეროვნულ ფორუმს გადაწყვეტილი ჰქონდა მხოლოდ ეროვნული კონგრესის არჩევნების შემდეგ (ისიც, თუ ეროვნული კონგრესი მოსახლეობის 51 პროცენტით, ანუ უმრავლესობით, აირჩეოდა) მოეხდინა დაწოლა არსებულ კომუნისტურ მმართველობაზე მის გასაუქმებლად. ასე რომ, არაოფიციალური, წინასწარ ერთადერთად არგამოცხადებული, არჩევნების შემთხვევაში საეჭვოა მასში კანონიერი მოსახლეობის უმრავლესობამ მიიღოს მონაწილეობა. არსებობს უმნიშვნელოვანესი, არაოფიციალურად არჩეული იურიდიული პირის საერთაშორისო სამრთლებრივი სტატუსის მქონე სუბიექტად გახდომის პრობლემაც. დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე, გამორიცხულია, რომ საქართველოში არაოფიციალურ არჩევნებზე საერთაშორისო მეთვალყურეები გამოცხადნენ, ან აღიარონ ამრიგად არჩეული ორგანო სამართლებრივ სუბიექტად. ამიტომ, ზემოთჩამოთვლილ სირთულეებს მათი გადაჭრის შემდგომ კიდევ ერთი პრობლემა ემატება _ ბრძოლა ეროვნული კონგრესის საერთაშორისო სამართალ-სუბიექტად გახდომისათვის. რა თქმა უნდა, იმ

შემთხვევაშიც კი, თუ ეს სირთულეები არ დაძლია, არასაბჭოურ არაოფიციალურ არჩევნებს მანც აქვს აზრი, რადგან მოხდება საქართველოს მოსახლეობის თუნდაც უმცირესობის მიერ გარკვეული ორგანოსადმი ნდობის მანდატის გადაცემა, რომელსაც ამის შემდეგ უკვე ექნება მორალური (სამწუხაროდ, მხოლოდ მორალური) უფლება საქართველოს მოსახლეობის თუნდაც ამ უმცირესობის სახელით ილაპარაკოს. დღემდე ასეთი არც მორალური და არც იურიდიული უფლება *საქართველოში არავის* არა აქვს, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება უდაოდ, მაგრამ ასეთი ტემპით ალბათ ვერ შევძლებთ არსებული პოლიტიკური ჩამორჩენის დაძლევას დღევანდელ უაღრესად სწრაფი პოლიტიკური დინამიკის ეპოქაში.

აღნიშნულ თუ არაღნიშნულ მიზეზთა გამო, მრგვალი მაგიდის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციები აყენებენ საქართველოში *ოფიციალური არასაბჭოური* არჩევნების ჩატარების საკითხს ბუნებრივია, არც იმ იდეის რეალიზაციაა წინააღმდეგობათაგან თავისუფალი, მაგრამ მისი განხორციელება უფრო რეალისტურად და მეტი სარგებლობის მომტანად მიგვაჩნია. ოფიციალურად არასაბჭოური მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად საქართველოში უნდა არსებობდეს შესაბამისი პოლიტიკური სიტუაცია, რომელისთვისაც რამოდენიმე წინაპირობაა აუცილებელი:

1. საქართველომ უნდა შეიძინოს თავისი რეალური პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური სტატუსი. ამისათვის საქართველოს უნდა შეეცვალოს შეიარაღებული აგრესიისა და ანექსიის შედეგად თავსმოხვეული უკანონო სახელი _ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ალბათ არ არის გამართლებული ამ ეტაპზე გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. მსოფლიო პოლიტიკა დამოუკიდებლად სცნობს ქვეყანას მხოლოდ შემდეგი პირობების იურიდიული და ფაქტიური შესრულების შემთხვევაში _ *ა)* ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ აშკარად გამოხატული ნება. *ბ)* ქვეყნის ტერიტორიის იურიდიულად დადგენილი საზღვრები და *გ)* ქვეყნის დამოუკიდებელი მთავრობის სრული სუვერენიტეტი (კონტროლი) მის მთელ ტერიტორიაზე. ამ პირობათა შეუსრულებლობა ართულებს ლიტვის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ცნობას იმ სახელმწიფოებშიც კი, რომლებსაც ბალტიის ქვეყნები არასდროს უღიარებიათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მით უფრო გაჭირდება საქართველოს მიერ გამოცხადებული დამუკიდებლობის დეკლარაციის მსოფლიო აღიარება. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია უნდა გამოაცხადოს გარდამავალი პერიოდის დროებითმა ხელისუფლებამ ზემოთჩამოთვლილ პირობათა შესრულების შემდგომ (და არა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ერთპარტიულმა _ კომუნისტურმა ე.წ. უზენაესმა საბჭომ), რის შემდგომაც უნდა დაინიშნოს დამოუკიდებელი საქართველოს საყოველთაო დემოკრატიული თავისუფალი არჩევნები. ამასთან, ქვეყნის სახელწოდების შეცვლა, (ბუნებრივია შეიცვლება სახელმწიფო სიმბოლიკაც) ფაქტობრივად ნიშნავს *გარდამავალი პერიოდის იურიდიულ დამტკიცებას,* რადგან საქართველოს რესპუბლიკა _ *არასაბჭოთა და არასოციალისტური* _ იურიდიულად ვეღარ ჩაითვლება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში მყოფად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციის ამ ეტაპზე არგამოცხადება ალბათ ნაკლებრეალურს გახდის საბჭოთა კავშირის მხრიდან საქართველოს ეკონომიკურ ბლოკადას, რაც დღევანდელი საქართველოს ეკონომიკის სავალალო მდგომარეობიდან გამომდინარე თვითმიზნად არ უნდა დავისახოთ.

2. უნდა შეჩერდეს საბჭოთა კავშირის ანტიჰუმანური, არადემოკრატიული კონსტიტუციის მოქმედება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

3. საქართველოს საბჭოური კონსტიტუციის მოქმედების შემუშავება, შეჩერება დროებითი კონსტიტუციის შემუშავება, 1921 წლის კონსტიტუციის დაბრუნება თუ საკანონმდებლო აქტებით ქვეყნის მართვა გარდამავალი პერიოდის დროებითი მთავრობის პრეროგატივად უნდა ჩაითვალოს.

ამ პირობების შესრულება არსებული ხელისუფლებისაგან რეალურად არის შესაძლებელი, რადგან ისინი ლოგიკურად არ ეწინააღმდეგებიან მისსავე მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამდენად მათი არგანხორციელება არსებული მმართველობის მხრიდან ჩაითველება მხოლოდ როგორც მორიგი აღსრულება ცენტრალური საოკუპაციო ხელისუფლების დიქტატისა. რასაც, *ამ კონცეფციის მიღების შემთხვევაში,* ქართველი ერი მძლავრი საპროტესტო გამოსვლებით უნდა დაუპირისპირდეს.

ზემოთ აღნიშნულ პირობათა შესრულების შემდეგ შეიძლება შეიქმნას ჭეშმარიტად ეროვნული პოლიტიკური ძალების და საზოგადოებრიობის ერთობლივი საარჩევნო კომისია, რომელიც რეგისტრაციაში შეუზღუდავად გაატარებს ყველა იმ ნამდვილ პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას, რომელიც წარმოაგდენს ინდივიდუალურ, სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან განსხვავებულ პროგრამასა და პლატფორმას და წინააღმდეგობაში არ მოდის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. საარჩევნო კომისიის პრეროგატივასვე წარმოადგენს კანონიერი მოსახლეობის სტატუსის განსაზღვრა, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ოფიციალურ არასაბჭოურ არჩევნებში რამოდენიმე თვით ადრე საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას საშუალება მიეცეს ერთნაირ პირობებში აწარმოოს წინასაარჩევნო კამპანია. გარდამავალი პერიოდის დროებითი ხელისუფლების არჩევნების პარალელურად უნდა გაუქმდეს დე-ფაქტოდ არსებული ე.წ. უზენაესი საბჭო.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც საკავშირო კომუნისტური პარტიის ნაწილს წარმოადგენს, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით ნებისმიერ ქვეყანაში მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც არ ქადაგებენ ძალადობას, ფაშიზმს, რასიზმს და *არ ექვემდებარებიან უცხო ქვეყნის პარტიებს ან ორგანიზაციებს.* ამდენად, ქართველ კომუნისტთა ოფიციალურ არასაბჭოურ არჩევნებში მონაწილეობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ თუ ისინი ორგანიზაციულად არ დაექვემდებარებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

გარდამავალი პერიოდის უმაღლესი ხელისუფლების მთავარ დანიშნულებას უნდა წარმოადგენდეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის სამართლებრივი საფუძვლების მომზადება.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის სახელით: *ზვიად გამსახურდია, გიორგი მარჯანიშვილი, ავთანდილ რცხილაძე, თემურ ქორიძე.*

წმინდა ილია მართლის საზოგადოების სახელით: *თედო პაატაშვილი, მერაბ ურიდია, გელა ჩორგოლაშვილი,თამაზ გველესიანი,*

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის სახელით:

თემურ ჟორჟოლიანი, აკაკი ასათიანი, გია ხონელიძე, თენგიზ კიტოვანი,

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით: *ვაჟა ადამია, ჯემალ გოლეთიანი, ნუგზარ მოლოდინაშვილი,*

დავით კუპრეიშვილი,
საქართველოს მწვანეთა პარტიის სახელით: ზურაბ ჟვანია, გიორგი
ბარამიძე,
საქართველოს ფერედერალურ-რესპუბლიკური პარტიის სახელით:
ირაკლი შენგელაია, დავით მარღანია,
მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგიის
სახელით, მრგვალი მაგიდის მუდმივი წევრები: თენგიზ სიგუა, ვახტანგ
ბახტაძე, გიზო კორძაძე, ზვიად ბოკუჩავა, თენგიზ დიხამინჯია, ალეკო
მელაძე, გიორგი ხავთასი,

თბილისი, 1990 წლის 12 მაისი.

P.S. მრგვალი მაგიდის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფის პოლიტიკური კონცეფციის ავტორები თვლიან, რომ შეთავაზებული კონცეფციის გარშემო შეიძლება გაერთიანდნენ როგორც პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე კერძო პიროვნებები, რომლებიც საბჭოურ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს არაკანონიერად მიიჩნევენ და ძირითადად ეთანხმებიან ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს.

მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. №11/III სართული, მრგვალი მაგიდის დარბაზი ტელ.: 93-78-73, სააგენტო "მაცნე".

აი, ეს იყო ძირითადი მსოფლმხედველობრივი განსხვავება და ტაქტიკური მიგნება, რითაც მრგვალი მაგიდა გაემიჯნა ე.წ. საქართველოს ეროვნული ყრილობის ჩატარების თაოსნებსა და აქ მიღებულ, როგორც დრომ დაადასტურა, მკვდრადშობილი ეროვნული კონგრესის არჩევის დესტრუქციულ გეგმას.

ვინაიდან საბჭოთა ოფიციოზის, კოლაბორაციონისტული წრეების, პარტნომენკლატურული მაფიურ-კრიმინალური ძალებისა და ფსევდოეროვნული მოძრაობის ერთობა (კოალიცია) შეეცდებოდა ეროვნული მოძრაობის განადგურების მიზნით მისთვის პოლიტიკური ბრძოლის მშვიდობიანი ფორმის ნაცვლად თავს მოეხვია პოლიტიკური დემარშები, კორუფცია, სამოქალაქო ომის და ა.შ., მრგვალი მაგიდა გაემიჯნა ე.წ. რადიკალიზმში შეფუთულ დემარშებს. საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში წინასწარ დამარცხებაში ნებაყოფილობით ჩათრევას მრგვალმა მაგიდამ დაუპირისპირა: **"შეიქნას პირობები, რათა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურმა ოპოზიციამ, რათა მოსკოვისადმი დაქვემდებარებული პოლიტიკური ძალები უმაღლეს არჩევით ორგანოები უმცირესობაში აღმოჩნდნენ" (ზემოთ დამოწმ. წყარო).** ბუნებრივია, მრგვალი მაგიდის ეს გზა უმოკლესი მანძილი გამოდგა თავისუფლებისკენ, ამიტომ იგი საბჭოთა შესაბამისი სამსახურებისგან განიცდიდა ზეწოლას, მუქარას (ტერორს), შანტაჟსა და ცილისწამებას.

საქართველოში საბჭოთა პარტნომენკლატურული ოფიციოზი ამ დროისათვის ეროვნული ძალებისგან დატოვებულ უკვე ე.წ. ეროვნულ ფორუმს თავისი საინფორმაციო პროპაგანდისტული სამსახურითა და მიზნობრივი დაფინანსებით "ეროვნული მოძრაობის მეორე მხარის" იმიჯს უქმნიდა, ამავე დროს მისი აბრის ქვეშ კვლავ განაგრძო და ფორსირებული გეგმით შეუდგა კრიმინალური ბანდ-ფორმირების _ **"მხედრიონის"** შეკოწიწებას.

(თვით სახელწოდება **“მხედრიონის”** შერჩევით საინფორმაციო დივერსიის დიდოსტატები ცდილობდნენ ქართველი ერის თვალში ქვეცნობიერად ჩაენაცრათ მასში ნაგულისხმევი ჭეშმარიტ მხედრიონობაში გასაგნებული ქრისტესმხედრულობა.

აქვე უნდა აღონიშნოს ისიც, რომ **“მხედრიონში”** სწორედ მისი ეროვნული სახელის გამო აღმოჩნდნენ მოტყუებული პირები, რომლებიც შემდგომში საეჭვო ვითარებაში დაიღუპნენ).

1990წ. 15 მაისს ქ.სოხუმში მე-11 საშუალო სკოლის წინ ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ-სახალხო მოძრაობის ძალისხმევით გაიმართა მიტინგი, რომელმაც დაგმო საბჭოთა საოკუპაციო ჯარში გამეფებული ანტიქართული აღვირახსნილობა.

1990წ. 17 მაისს ე.წ. ეროვნულმა ფორუმმა და თვითგამოცხადებულმა საკოორდინაციო საბჭომ, ასევე თვითგამოცხადებული 41 პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით გააკეთა განცხადება მრგვალი მაგიდის პოლიტიკური განცხადების თაობაზე და მიიჩნია იგი ეროვნული მოძრაობის პრინციპების ღალატად.

1990წ. 18 მაისს მრგვალმა მაგიდამ შეხვედრა დაუნიშნა ე.წ. ეროვნული ფორუმის წევრებს მათ მიერ ე.წ. ეროვნული ყრილობის მოწვევის გამო, მიუხედავად თავდაპირველი თანხმობისა, “ეროვნული ფორუმის” დეპუტაცია შეხვედრაზე არ გამოცხადდა. ამასთან დაკავშირებით **22 მაისს გაზეთ** “ახალგაზრდა ივერიელში” გამოქვეყნდა მრგვალი მაგიდის განცხადება: **“...ეროვნული ყრილობა” მოწვეულია ნაჩქარევად, ეროვნული კონსოლიდაციის ყალბი ილუზიის შესაქმნელად და პოლიტიკური დივიდენდების დასაგროვებლად; სრულიად გაუმართლებელია ყრილობაზე დასასწრები პირებისა და ორგანიზაციების შერჩევის პრინციპი და მექანიზმი, მაგალითად “ეროვნულ ყრილობაზე” მოწვეულია ე.წ. სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის ქართული კორპუსი სრული შემადგენლობით, ე.ი. “დაპატიჟებულთა” შორის არიან “ამხანაგები” როდიონოვი, ნიკოლსკი, პატიაშვილი და ძმანი მათნი _ ეს კი მეტის-მეტია! ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან აგრეთვე კოლაბორაციონისტული, საბჭოთა საოკუპაციო სტრუქტურების ტიპიური წარმომადგენლები, ქართველი ერის სახალხო ინტერესებისადმი მტრული პოზიციის მქონე ორგანიზაციები (მაგ. აზერბაიჯანული პარტია “ჰეირათი”, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში დემოგრაფიული ექსპანსიის განხორციელებას, აზერბაიჯანელებისათვის სუვერენიტეტის ე.ი. ავტონომიის მოპოვებას საქართველოში, აფხაზთა სახალხო ფორუმი “აიდგილარა”) მოწვეულთა შორის არიან არაპოლიტიკური, კორუმპირებულ მაფიასთან პირშეკრული ფორმირებები და ისეთი ორგანიზაციები, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი გამოკვეთილი სახე ქართულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, რაც ეწინააღმდეგება “ეროვნული კონგრესის” არჩევის დებულებას, რომელიც მოწონებულ იქნა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის მიერ”** (იხ. “მრგვალი მაგიდის ისტორია”).

1990წ. 19 მაისს გაზეთ “ახალგაზრდა ივერიელში” გამოქვეყნდა კოლექტიური წერილი, რომელმაც ამხილა ბანდ-ფორმირებათა შეუსაბამობა ეროვნულ მოძრაობასთან.

1990წ. 25 მაისი. კრემლიდანური პროვოკაციების ტალღა ახალი ეთნოფაბრიკაციული დივერსიებისთვის აგორდა, რომელმაც მიზნად დაისახა: 1) ეროვნული მოძრაობის ყურადღების არაარსებითზე გადატანით დამოუკიდებლობაზე ფიქრის მაგივრად ყოფით ყოველდღიურობაზე თავისმტვრევით დასაქმება, ასევე 2) საქართველოში ქართველი ერის უმცირესობაში მოსაქცევად ღია დემოგრაფიული ექსპანსიის ორგანიზება (აქედან გამომდინარე, უზბეკეთიდან ჟლეტასა და დარბევას გამოქცეული მრავალათასი თურქი, რომლებიც თავის დროზე თურქული ოკუპაციის

შედეგად დამკვიდრდნენ საქართველოში, ხოლო **1944 წელს** კრემლმა შუა აზიაში გადაასახლა, შეუდგა თადარიგს საქართველოში გამოსამგზავრებლად).

ამასთან დაკავშირებით მრგვალმა მაგიდამ თავის განცხადებაში აღნიშნა: **"თურქთა ისტორიული სამშობლო თურქეთია და არა მესხეთი, რომ მესხეთში მათი დამკვიდრება იყო ოკუპაციის შედეგი, ამდენად ეს მოსახლეობა მუდამ უკანონო იყო ამ მხარეში. სსრკ მთავრობამ უკანონოდ მიიჩნია დეპორტირებული გერმანელი მოსახლეობის მოთხოვნა კვლავ ვოლგისპირეთში დაბრუნებისა, თანაც განმარტა, რომ გერმანელთა ისტორიული სამშობლო გერმანიაა და არა ვოლგისპირეთი. ასევე უნდა გამოვაცხადოთ ჩვენ, რომ უკანონოა მესხეთის გამოცხადება თურქთა ისტორიულ სამშობლოდ" (გაზ. "თბილისი", 29 მაისი, 1990 წ).**

ამასთან ერთად მრგვალი მაგიდა გაგებით მოეკიდა მესხეთიდან გადასახლებული მაჰმადიანი ქართველების უბედურ მდგომარეობას. განმხოლოებულად მიუდგა მათი დაბრუნების საკითხს ისტორიულ სამშობლოში.

1990წ. 25 მაისი_ გაფორმდა აფხაზეთის მრგვალი მაგიდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის პარტოკრატიულმა ძალებმა შექმნეს ე.წ. დირექტორადი, _ აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, გენერალ **გ.ლომინაძის** მითითებით მოსაქმე სიმრავლე, რომელმაც აფხაზეთის **"მრგვალი მაგიდა"** ძირითადად თავის გამხმოვანებლად გადააქცია.

სინამდვილეში ეს გახლდათ აფხაზეთის ასსრ პარტნომენკლატურის _ "დირექტორადისა" და აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს კარნახით ჩატარებული ღონისძიება.

სამწუხაროდ, ის მოვლენები, რომელიც ეროვნულმა მოძრაობამ ვერ აიცილა თბილისში, პირდაპირ კავშირში გახლდათ ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ მოძრაობაში აფხაზეთის "ქართული" პარტიკრატიისა და ასევე "ქართველი" კრიმინალების, მათ შორის მოწესე ქურდებისა თუ მაფიოზების მედროვულ შემონაკადებასთან ეროვნულ მოძრაობაში. ის კი არადა, სწორედ ეს ხალხი განაპირობებდა ძირეულად აფხაზეთის მრგვალი მაგიდის საქმიანობას.

ასე და ამრიგად, ასეთ ვითარებაში სოხუმში **25 მაისს** აფხაზეთის "მრგვალმა მაგიდამ", თავისი პირველი სხდომა ჩაატარა: **"შეხვედრაზე პრინციპული საუბარი გაიმართა ეროვნული მოძრაობის სიწმინდეებზე, ითქვა, რომ აზრთა სხვადასხვაობა ეროვნულ მოძრაობაში, რასაკვირველია მოსათმენია, მაგრამ, როცა ის ემყარება ამბიციებს, ანგარებას ან უბრალოდ სიჯიუტეს, ამის ატანა შეუძლებელია და ასეთ პიროვნებებს ეროვნულ მოძრაობასთან საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეთ" (გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 29 მაისი, 1990წ.).**

საუბედურო ამ თავისთავად სწორ დებულებებში ის გახლდათ, რომ მრგვალი მაგიდის სხდომად წოდებულ ამ ღონისძიების სადავე, როგორც უკვე მოგახსენეთ, აფხაზეთის პარტოკრატიას ეჭირა. მას მხოლოდ აბრაღა ჰქონდა შერჩენილი საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდისა და მიუხედევად მასში მონაწილე რამოდენიმე პატიოსანი ადამიანისა (მალე ისინიც ბლოკირებული იქნენ), ამ გუნდში პირველ ხმას გენერალი **გ.ლომინაძე** პარტნომენკლატურული "დირექტორატის" მეშვეობით ახმოვანებდა. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა მრგვალ მაგიდას აფხაზეთში "ქართული" პაროკრატიისა და სეპარატისტული ეთნოკრატიის წინააღმდეგ ერთნაირად უნდა ებრძოლა. აფხაზეთის მრგვალი მაგიდის პირველი სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ **ნ.მგალობლიშვილი, ა.გვარამია, ბ.ასათიანი, ზ.ნადარეიშვილი, ზ.კვარაცხელია,** _ ჰელსინკის კავშირი, **თ.ანთია, რევ. კემულარია, ლ.ჩარგაზია, ვ.დარსალია, მ.სიგუა, _ მ.კოსტავას** საზოგადოება, **ვ.ჯორჯიკია, გ.გვასალია, რომ.**

ფელანგია, რ.ფელანგია, გ.ლორთქიფანიძე _ მონარქისტული პარტია, მუდმივი წევრები სათათბირო ხმის უფლებით **ნ.შანავა** და **თ.ლორთქიფანიძე** (პირველმა საქართველოსთვის ძალისხმევას გერმანიაში ცხოვრება არჩია, ხოლო მეორემ, გაინაღდა რა სამისდღემშიო პურის წიგნაკი, მეტი საქმე არა აქვს **ზ.გამსახურდიასა** და **მ.კოსტავას** შესანდობარი მაინც დალიოს თავისი "შთაგონების" თავაწყვეტის დროს). მე არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ამ ე.წ. პოლიტიკური სიმრავლიდან ორიღა თუ დარჩა **ზ.გამსახურდიას** იდეებისათვის რაღაც მიჯნამდე ფეხგამდგმელი, სხვა რამეზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, აქ ჩამოთვლილ პიროვნებათა შორის ერთი მოწესე ქურდი იყო, რომელსაც შს სამინისტრომ მოაცვა აღვირი, მას ჰქონდა ე.წ. სათითით თამაშის ბიზნესი, რისთვისაც მეტოქემ სასიკვდილოდ გაიმეტა. ამ მარაქაში თქვენ შეგხვდებოდათ საბჭოთა უშიშროების რამოდენიმე დაფარული თუ სამხრეებიანი კადრი, რომლებიც საჭირო დროს გაშმაგებით ეძგერნენ ეროვნულ მოძრაობას. აქვე, ამ ინახში ნებივრობდა არაერთი სოხუმელი ცრუქაქუნა და უსაქმური, რომელთაც ათ ნაბიჯზე არ გაჰყვებოდა ხალხი. ამ გულახდილობისთვის თუ გამიბრაზდება ის ორად ორი ვინაობა, რომელთაც პატიოსანი კაცი შეიძლებოდა წოდებოდათ, ეს მათი თავსატეხია, რადგან მაშინ უნდა დაფიქრებულიყვნენ, როცა ამ ფეხაწყობაში ჩადგნენ.

კინაღამ დამავიწყდა, ამ სხდომაზე ექსპერტად გახლდათ მოწვეული საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი **ნაპოლეონ ქარქაშაძე,** რომლისთვისაც, ჯერ ერთი, მზე ისევ ჩრდილოეთიდან ამოდიოდა, მეორეც _ იგი საეჭვო ფულში დაცურავდა...

და ბოლოს, ამ სხდომაზე მიღებულ განცხადებაში საუბარი რაღაც სიჯიუტეზე მეხებოდა მე, რომელმაც ვიცოდი რა მათი ვინაობა და მიზანი, დავუპირისპირდი ამ საშოვარზე გამოსულებს. მე საკმაოდ ვფლობდი საზოგადოებაში ქცევის წესებს, მაგრამ ვიცოდი ისიც, რომ ზნეობრივ კომპრომისს ამორალობა ჰქვია (დიახ, სამწუხაროდ, აქ დასახელებულ პირთაგან ზოგიერთის ცალსახად მტრული, ხოლო ზოგთა მერყევი თუ ორპირი დამოკიდებულება ეროვნული ღირებულებებისადმი დრომ დაადასტურა).

1990წ. 31 მაისს აფხაზეთის მრგვალმა მაგიდამ მუჰაჯირობის საკითხთან დაკავშირებით გაზეთ **"საბჭოთა აფხაზეთში"** გამოქვეყნებულ თავის განცხადებაში დაგმო ხალხთა გენოციდის პრაქტიკა. ამასთანავე აღნიშნულ განცხადებაში, მისი ავტორების ნაკლებკომპეტენტურობის გამო, გამოყენებული იყო დებულებები, რომლებიც აფხაზეთს არაქართულ ქვეყნად განიხილავდა.

სხვათა შორის გაზეთ "საბჭოთა აფხაზეთში" ამ დროისათვის ეროვნული მოძრაობის სახელით იბეჭდებოდა წერილები, რომლებიც ლოზუნგური მოწოდების იქეთ ვერ მიდიოდნენ, ვერ იძლეოდნენ აფხაზეთის ვითარების ნიუანსურ დახასიათებას. ზოგიერთ მათგანში არეული იყო პოლიტიკური ორიენტაციებიც კი: მაგ. **6 ივნისს** გაზეთმა "საბჭოთა აფხაზეთმა" გამოაქვეყნა პატარა წერილი **"ძალა ერთობაშია",** რომელშიც ავტორები **ველოდი მორცხულავა, აბელი აბსანძე, შოთა კორძაია, გურამ ესართია** მოუწოდებდნენ მოქალაქეებს გაერთიანებულიყვნენ ერთბაშად **ზ.გამსახურდიას, ა.ბაქრაძის, ნ.ნათაძის, ი.შენგელაიას, თ.პაატაშვილის** გარშემო, აზვიადებდნენ და მაღალფარდოვან შეფასებებს აძლევდნენ **გ.ჭანტურიასა** და **ი.წერეთლის** საქმიანობას.

ამ დროისათვის აფხაზეთში დაფუძვნდა **წმ. ილია მართლის** საზოგადოება.

სულ მალე ე.წ. **"ფორუმისა"** და **"მრგვალი მაგიდის"** თბილისური დაპირისპირება გადმოიასლა სოხუმმა, _ **19 ივნისს "საბჭოთა აფხაზეთში",** ხოლო **21 ივნისს** გაზეთ **"ახალგაზრდა ივერიელში"** ე.წ. აფხაზეთის ეროვნულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადებები, რომელშიც იგი ეკამათებოდა მრგვალი მაგიდის აფხაზეთის განყოფილებას. სხვათა შორის ამ ე.წ. ეროვნულ კომიტეტში ამ დროისათვის

ირიცხებოდნენ ძირითადად ცრუქაქუნა და ზოგიერთ შემთხვევაში თვითგამოცხადებული ორგანიზაციები ედპ, **ი.ჭავჭავაძის** საზოგადოება, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, **რუსთაველის** საზოგადოება, **"ლემი",** ქრისტიან-დემოკრატთა კავშირი, ექიმთა ასოციაცია და სხვადასხვა ე.წ. საძმოები.

მართალია, ისინი თავიანთ განცხადებებში კი გამოხატავდნენ გულისტკივილს ეროვნული მოძრაობის გაყოფის გამო, მაგრამ ვერ აზუსტებენ იმ ღირებულებებს, რომლის გარშემო შეიძლებოდა გაერთიანება და დასაქმებული იყვნენ ძირითადად საკადრო და სამსახურებრივი ან ყოფითი პრობლემების "გადაჭრით".

აქ კიდევ ერთხელ უნდა აღვიწშო, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის ბლოკირება შესანიშნავად შესძლო პარტოკრატიამ და მისმა შესაბამისმა სამსახურებმა. ამ მხარეში ეროვნული მოძრაობის წარმართვის ბერკეტები ძირითადად მან ჩაიგდო ხელში და მაინც, საქართველოს ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევით პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა **ზ.გამსახურდიას** წინამძღოლობით იმ დონის აღმავალი და ერის გამაერთსხეულებელი მოვლენა გახლდათ, დიახ, სახალხო ძალისხმევის იმგვარ ბუმბერაზობად იქცა, რომ "კოლხური კოშკის" ეროვნული განიშანსვეტების გამო, მიუხედავად პარტოკრატიის მიერ დაქსელილი და მართვადი საპირწონე დივერსიებისა, ცხუმ-აფხაზეთის რთულ ვითარებაში შეიძლება ითქვას, იყო საფუძველი აფხაზეთის მრგვალი მაგიდის რაღაც ნაწილი ჩათვლილიყო ეროვნული მოძრაობისკენ მიდრეკილ ფეხადგმად და გადაბიჯებად.

1990წ. 29 მაისს ქ.თბილისში გაიმართა **წმ. ილია მართლის** საზოგადოების I ყრილობა.

ამავე დროს სისტემატიურად მიმდინარეობდა მრგვალი მაგიდის სხდომები. როგორც თბილისში, მრგვალი მაგიდის შტაბ-ბინაში (მაჩაბლის ქ. №11), ასევე საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

1990წ. 31 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიწყეს უვადო შიმშილობა შემდეგი მოთხოვნებით:

"დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელმაც უნდა განიხილოს და და დაამტკიცოს შემდეგი საკითხები:

1. არაკანონიერად და ბათილად ჩაითვალოს 1921 წლის 16 თებერვალს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება;

2. არაკანონიერად და ბათილად გამოცხადდეს საქართველოს რევკომის მიერ 1921 წლის 21 მარტის დეკრეტით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების გაუქმება;

3. გამომდინარე აქედან და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ამა წლის 9 მარტის დადგენილებიდან, დღევანდელი საქართველოს არსებობა, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, მიიჩნიონ არაკანონიერად;

4. მიიღონ კანონი საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების შესახებ, რომელიც უნდა ემყარებოდეს მრვალპარტიულობასა და პროპორციულ საარჩევნო სისტემას;

5. მიიღონ კანონი პოლიტიკურ პარტიათა შესახებ;

6. დანიშნოს საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ერთადერთი არასაბჭოური ოფიციალური მრავალპარტიული არჩევნები არაუგვიანეს ამა წლის ოქტომბრის თვისა;

7. მიიღონ დადგენილება სამოქალაქო რაზმების შექმნის შესახებ;

8. შეჩერდეს სსრკ-ის კანონები, რომლებიც ლახავენ საქართველოს ინტერესებს;

9. საქართველოს უზენაესმა საბჭომ სცნოს ლიტვის დამოუკიდებლობა, ლიტვისა და ესტონეთის გადაწყვეტილებათა კანონიერება;

10. მიმართოს რსფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობასა და უზენაეს საბჭოს, რათა მათ სცნონ რსფსრ-ს მიერ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ინტერვენცია და მისი ოკუპაცია, რაც ფაქტობრივი ანექსიით დამთავრდა, და სცნონ, რომ რსფსრ-სა და საქართველოს შორის ურთიერთობას საფუძვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სამართლით აღიარებული სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმები.

რსფსრ უზენაესმა საბჭომ საქართველოსთან ურთიერთობის დროს იხელმძღვანელოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ამიერიდან ორი სუვერენული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძველი იყოს მხოლოდ ეს ხელშეკრულება, რომელიც არცერთი საბჭოთა სახელმწიფო ორგანის მიერ არასოდეს არ ყოფილა გაუქმებული და იურიდიულად დღემდე ითვლება მოქმედ დოკუმენტად".

აქციას 6 ივნისიდან შემოუერთდა საქართველოს სახალხო ფრონტი. ხოლო მრგვალმა მაგიდამ განაცხადა:

"საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრგვალ მაგიდაში შემავალი რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენელი პოლიტიკური ორგანიზაციები თუმცა არ ცნობენ საქართველოში სსრ საოკუპაციო რეჟიმს და მის ე.წ. უზენაეს საბჭოს, მაგრამ ისინი ვერ დაუშვებენ იმას, რომ 5 ქართველი პატრიოტი ახალგაზრდის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს ხელისუფლების წაყრუებისა და ინდიფერენტიზმის შედეგად.

ამის გამო საქართველოს ჰელსინკის კავშირის, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, მერაბ კოსტავას საზოგადოების გადაწყვეტილებით ამ ორგანიზაციების დასაწყისისთვის ხუთ-ხუთი წევრი უნივერსიტეტის მოშიმშილეებთან სოლიდარობის ნიშნად უერთდება მათ აქციას და აცხადებს უვადო შიმშილობას, ვიდრე პატრიოტი ქართველი ახალგაზრდები არ ჩათვლიან თავიანთ მოთხოვნებს დაკმაყოფილებულად".

მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შიმშილობა დაიწყეს მთავრობის სახლთან. აქვე იმართებოდა მიტინგები, რომლებზეც ნათლად გამოიკვეთა აზრი, რომ თუ ხელისუფლება არ მიიღებდა ზომებს, 11 ივნისიდან გაიფიცებოდა სრულიად საქართველო _ გაჩერდებოდა წარმოება-დაწესებულებები, გაჩერდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზა... ამას ადასტურებდა ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოსვლებიც მიტინგებზე. აქციას სოლიდარობა გამოუცხადა უამრავმა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ.

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 20 ივნისისათვის დანიშნა სესია და გაითვალისწინა მომიტინგეთა მოთხოვნები, _ იგი 10 ივნისს შეწყდა.

(ვრცლად იხ. გაზ. "საქართველო", 1990წ. 17 ივნისი, №11.)

1990წ. 1 ივნისს საქართველოს ეროვნული მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის წევრები და ექსპერტთა ჯგუფი, მრგვალი მაგიდის საინფორმაციო სამსახურ _ "მაცნესთან" ერთად პარიზს გაემგზავრა პრეს-კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც საქართველოში მიმდინარე პროცესებს მიეძღვნა.

1990წ. 2-3 ივნისს ქ.ბათუმში ფართოდ აღინიშნა 1921 წლის 18-20 მარტს თურქი აგრესორებისაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნა (ეს პროვოკაციული აგრესია წაქეზებული გახლდათ ლენინისა და ქემალის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებებით).

სახალხო მანიფესტაციის, მიტინგებისა და მამულიშვილთა პატივმიგების შემდეგ დაღუპულთა სულებს პანაშვიდი გადაუხადეს ბათუმის მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

ამ მოვლენას გამოეხმაურა გაზეთი **"ლიტერატურული საქართველო"**:

მკვდრები მოგვიწოდებენ ცოცხლებს

ჩვენი სამშობლოს მრავალტანჯულ მიწას კიდევ ერთი წმინდა ადგილი მიემატა. ეს არის ბათუმის მთავარი მოედანი, სადაც ამაყად ფრიალებს საქართველოს სამფეროვანი დროშა. აქ, ამ მოედანზე, ქალაქის მოწინავე ინტელიგენცია, ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, აწარმოებს გათხრებს. როგორც საარქივო მასალებიდან ცნობილი გახდა. სწორედ აქ დაუსაფლავებიათ 1921 წლის მარტში საქართველოში შემოჭრილი თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემული ქართველი მოლაშქრეები, გენერალ გიორგი მიზნიაშვილის ცნობით (რომელიც ხელმძღვანელობდა აჭარიდან მოძალადეების განდევნას) ამ ბრძოლებში დაიღუპა 84 მებრძოლი (არის სხვა ცნობებიც), აქედან 40 დაღუპული ძირითადად გურიიდან და აჭარიდან, თანასოფლელებმა და ჭირისუფლებმა წაიყვანეს და თავიანთ სოფლებში დაასაფლავეს. 44 გმირი ვაჟკაცი კი სწორედ აქ, ამ საძმო საფლავში დაკრძალა ქართველმა ხალხმა. შემდეგ, როცა ამ მოედანს ლენინის სახელი ეწოდა, ეროვნული გმირების საფლავები, როგორც იტყვიან, "მიწასთან გაასწორეს" (ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, ასფალტი დააგეს და ზედ მანქანები დადიოდნენ), მაგრამ ამაოდ. სანთელ-სარკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა. ხალხმა არ დაივიწყა გმირები და ისევ სამზეოზე გამოიტანა სამშობლოსათვის დაღუპულთა სახელები. ჯერჯერობით 14 სახელი და გვარია ცნობილი. აი ისინიც: მაყვალა ყანჩაველი, იასონ გვარამია, ტატაშ ემუხვარი, ერასტო ქირია, ილარიონ ბაბილაშვილი, პეტრე აკობია, გრიგოლ ანჩაბაძე, სიმონ წურწუმია, სანდრო მინჯია, მიტო ჩიკვაიძე, კუკური ზარანდია, პეტრე ზუხბაია, ლადო მეტრეველი, შოთა ვადაჭკორია. კითხულობ ამ გვარებს და სიამაყესთან ერთად, საოცარი გულისტკივილიც გეუფლება. მდინარე ღალიძგას გახსენებაზე... აქ ხომ ერთმანეთის პირისპირ იარაღით ხელში, იდგნენ ამ გვარების ცოცხალი წარმომადგენლები. გაჭირვების ჟამს ჩვენმა საერთო დედამ _ საქართველო თითქოს მკერდი გადაიხსნა, დაგვანახა და გაგვახსენა ჩვენი ისტორია, ჩვენი ღირსეული წინაპრები. თითქოს მკვდრები მოგვიწოდებენ ცოცხლებს: გავერთიანდეთ საქართველოს ყველა კუთხის შვილები საქართველოს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გათხრების დამთავრების შემდეგ, აქ დაიდგმება სათანადო მემორიალი წარწერით. ამ საქმის ორგანიზატორები და ინიციატორები თხოვნით მიმართავენ მკითხველებს, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან 1921 წლის მარტის ბრძოლის მონაწილეები, ან ისინი, ვინც მონაწილეობა მიიღეს გმირების დაკრძალვაში. ან იქნებ მათმა ახლობლებმა იციან რაიმე ზემოთ ნახსენებ ამბებზე, გთხოვენ გამოგვეხმაუროთ.

ნოდარ ჯალაღონია

1990წ. ივნისში გულრიფშის რ-ნის დაბა მაჭარაში, მდ. მაჭარის სანაპიროზე, სოხუმ-თბილისის გზატკეცილიდან კოდორის ხეობის გზაგასაყართან, კულტურის სასახლის ეზოში გაიხსნა **ი.ჭავჭავაძის** ბიუსტი. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის სეპარატისტულმა ეთნოკრატიამ "ქართული" კოლაბორაციონისტული პარტოკრატიის უგერგილობის გამო ამ კულტურის სასახლეს სახელი გადაარქვა, ქართული ეროვნული მოძრაობის ქმედითი ღონისძიებების შედეგად კულტურის სასახლეს **ი.ჭავჭავაძის** სახელი აღუდგა და მის ეზოში დიდი **ილიას** ბიუსტიც დაიდგა.

1990წ. ივნისში ქ.თბილისის **ლენინის** ქუჩას გადაერქვა სახელი და ეწოდა **მერაბ კოსტავას** ქუჩა.

1990წ. 7 ივნისს მრგვალმა მაგიდამ მოუწოდა პარიზში გამართული პრესკონფერენციის დამსწრეებს მონაწილეობა მიეღოთ **ი.ჯავახიშვილის** სახელობის თსუ-ს მოშიმშილე სტუდენტთა მხარდასაჭერ აქციაში.

1990წ. 8 ივნისს პარიზის საბჭოთა საელჩოში გაიმართა თბილისელი სტუდენტებისათვის სოლიდარობის აქცია. 30-მდე კაცი, მათ შორის რამდენიმე პარიზელი, შევიდა საელჩოში და მის წარმომადგენელს გადასცა ნოტა _ თბილისელი სტუდენტების მოთხოვნათა დაკმაყოფილების თაობაზე, ნოტას ხელს აწერდნენ ჰელსინკის კავშირის, **წმინდა ილია მართლის** საზოგადოების, საქართველოს მონარქისტული პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის წარმომადგენლები.

1990წ. 20 ივნისს მრგვალმა მაგიდამ იმსჯელა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობის შედეგებზე. საერთო აზრით სესიის გადაწყვეტილებანი წინ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა.

ამდენად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი "პირობების შექმნისა" _ წარმატებით დაგვირგვინდა, **"დაიწყო მეორე ეტაპი _ საარჩევნო კანონი უნდა შექმნილიყო ისეთი, რომ მასზე დაყრდნობით არჩეული ხელისუფლება არ გამხდარიყო იურიდიულ-ფორმალური გამგრძელებელი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსი" (გ.სალუაშვილი,"მხოლოდ ზვიადის გზით" _ "მრგვალი მაგიდის ისტორია" თბილისი, 1996წ.).**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **27 მარტს** ეროვნულმა ფორუმმა იმსჯელა და ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღო აგრეთვე იმის თაობაზე, რომ ეროვნული ფორუმის ნორმალური მუშაობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საქართველოს ყველა რაიონში შეიქმნას აღნიშნული ფორუმის ფილიალები ეროვნული კომიტეტების სახელწოდებით (**გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 31 მარტი, 1990წ.**).

აქედან გამომდინარე, ეროვნული ხსნის კომიტეტი Aაფხაზეთში **აპრილის დასაწყისისათვის** რეორგანიზებული იქნა აფხაზეთის ეროვნულ კომიტეტად. ამ სტატუსით მან ჩაატარა ორი პოლიტიკური აქცია **9 აპრილსა** და **26 მაისს,** აფხაზეთის ეროვნული კომიტეტის რაობისა და პოლიტიკური სპექტრის უკეთ გაცნობის მიზნით გთავაზობთ ქვემორე ინფორმაციას:

"საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის დღე ფართოდ აღინიშნა აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

1990 წლის 26 მაისს დაახლოებით 8 ათასი ადამიანი _ დიდი და პატარა, ქალი და კაცი _ ეროვნული დროშებით მოვიდნენ სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც გაიმართა საზეიმო მიტინგი.

მიტინგს უძღვებოდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი, საქართველოს სახალხო არტისტი, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის მსახიობი დიმიტრი ჯაიანი.

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ დღეს საჭიროა ვიზრუნოთ და ვიბრძოლოთ ქართველი ხალხის სულიერი დამოუკიდებლობის მისაღწევად, რადგან ეს არის სრული თავისუფლების საფუძველი.

მიტინგის მონაწილეები ოვაციებით შეხვდნენ ლიტვის წარმომადგენელს ვალდას კუჩკას, რომელმაც დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახელით ქართველ ხალხს მიულოცა დღესასწაული.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრმა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ნუგზარ მგალობლიშვილმა აღნიშნა, რომ აფხაზეთი რჩება საქართველოს ურთულეს რეგიონად, სადაც ცენტრმა თავისი პოლიტიკით შექმნა კრიზისული სიტუაცია, გასწირა აფხაზი ხალხი.

თავისი გამოსვლის ბოლოს ნ.მგალობლიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში პროგრესულად მოაზროვნე აფხაზი ერის წარმომადგენლები მხარში ამოუდგებიან ქართველებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ეს აზრი განავითარა მიტინგის წამყვანმა დიმიტრი ჯაიანმა, რომელმაც საზოგადოების სახელით გამოაცხადა, რომ ქართველი ხალხი 1990 წლის 21 მაისს გვერდში ამოუდგა აფხაზ ხალხს, რომელიც ამ დღეს აღნიშნავს მუჰაჯირობის _ აფხაზი და სხვა კავკასიელი ხალხების თურქეთში ძალით გადასახლებისა და ამ დეპორტაციის დროს დაღუპულთა ხსოვნის დღეს. დ.ჯაიანმა თქვა, რომ მუჰაჯირობა ქართველი კაცის ტკივილიცაა, რადგან აფხაზებთან ერთად სამშობლოდან გაასახლეს ქართველებიც.

მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მერაბ კოსტავას და სხვა დაღუპულ ქართველ პატრიოტთა ხსოვნას.

საინტერესო იყო სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის განყოფილების თავმჯდომარის მალხაზ პატარაიას გამოსვლა. მან, კერძოდ თქვა, რომ აფხაზეთში არის საკავშირო თავდაცვის სამინისტროს უამრავი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, ტურისტული ბაზა, პანსიონატი. ამ დროს კი ათასობით ქართველ ინვალიდს, ავადმყოფს, მათ შორის ჯარში დასახიჩრებულ ახალგაზრდას საშუალება არ აქვს იმკურნალოს. მალხაზ პატარაიამ მოუწოდა საზოგადოებას იბრძოლოს იმისათვის, რომ ეს დასასვენებელი და აღდგენითი ცენტრები, სახლები, დაწესებულებები ჩამოერთვას თავდაცვის სამინისტროს და გადაეცეს რესპუბლიკას.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცხუმ-აფხაზეთის ბიუროს წევრმა ალექსანდრე ჯიქიამ მოუწოდა ყველას, მათ შორის საქართველოს 400-ათასიან კომუნისტური პარტიის წევრებს, მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში, რომელიც ჩატარდება 30 სექტემბერს.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების გამგეობის წევრები რევაზ კემულარია და დემურ ქებურია, საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი შოთა ჯღამაძე, ამავე გამგეობის წევრი ექიმი ჯუმბერ ჯოჯუა, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი ზურაბ კვარაცხელია, საზოგადოება "ლემის" წარმომადგენელი აკაკი გასვიანი და სხვები.

დასასრულ მიიღეს რეზოლუცია, რომლის პროექტი წაიკითხა რევაზ კემულარიამ. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ქართველთა ერთ მძლავრ მუშტად შეკვრა. ურთიერთთანადგომა, მხოლოდ ყველა პატრიოტული ძალის კონსოლიდაციას შეუძლია მოგვიყვანოს სასურველ მიზანთან.

26 მაისს, საღამოს, სოხუმის კ.გამსახურდიას სახელობის ქართულ დრამატულ თეატრში გაიმართა ჯაბა იოსელიანის პიესის "დედოფალი მარიამის" პრემიერა (რეჟისორი მიხეილ რატიანი), რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს.

1990 წლის 26 მაისს მსგავსი ხალხმრავალი მიტინგები და, საზეიმო ღონისძიებები ჩატარდა გალში, ოჩამჩირეში, გულრიფშსა და ზოგიერთი წინააღმდეგობის მიუხედავად, გაგრაში".

თენგიზ პაჭკორია (გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1/06.90წ. ქ.სოხუმი).

1990წ. 20 ივნისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შემდეგ, სკკპ 28-ე ყრილობის ახალი ინსტრუქციების შესაბამისად. საქართველოს ნამესტნიკურმა ხელისუფლებამ, დაიწყო ძირგამომთხრელი მუშაობა ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციისა და მრავალპარტიული არჩევნების

ჩასაშლელად. ნებით თუ უნებლიედ (როგორც დრომ დაადასტურა ნებით), მისი მოკავშირე აღმოჩნდა ე.წ. საქართველოს ეროვნული კონგრესისკენ მიდრეკილი ცრუეროვნული მოძრაობა. მისი დესტრუქციული, მეტად საეჭვო საქმიანობა იქცა სრულიად საქართველოს ნებისათვის ზურგში ჩასაცემ მახვილად.

ასეთ ვითარებაში კრემლიდანური ძალები ცდილობდნენ ე.წ. ეთნოკონფლიქტების გზით დესტაბილიზაციის პროვოცირებას აფხაზეთში, ქვემო ქართლში, ჩრდილო ქართლში (ცხინვალის მხარე), ჯავახეთში, აჭარაში, სამეგრელოში, თბილისსა და ა.შ.

ამ მიზნით დაიწყო აფხაზეთის ასსრ უზენაესი და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოების სესიათა მოწვევისათვის სამზადისი, სადაც უნდა განხილულიყო შედეგის თვალსაზრისით სრულიად საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ აგრესიული საკითხები.

საგანგებოდ დაიგეგმა ფერგანიდან ეთნიური წმენდის შედეგად გამოძვეებული ე.წ. თურქ-მესხთა (უფრო ზუსტად მესხეთელ თურქთა) "მშვიდობიანი" მსვლელობა "სამშობლოსკენ", ე.ი. თურქი მოსახლეობის ეთნოდივერსიულ ნედლეულად გამოყენება. საქართველოში ქართული ეროვნული მოძრაობისათვის ლაგამის ამოსადებად, როგორც გახსოვთ, ეს ხალხი წინა წელს მათთვის მოწყობილი მასობრივი ჟლეტის შემდეგ იქნა დეპორტირებული ჯერჯერობით რუსეთში (ვიმეორებ, ქართველი ერის სატკივარი და საზრუნავი არის და მუდამ იქნება არა თურქის, არამედ გამაჰმადიანებულ ქართველთა მდგომარეობა).

ასეთ ვითარებაში საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალმა მაგიდამ შესძლო არათუ ვითარებაში გარკვევა, არამედ მისი პროგნოზირება, გაკონტროლება და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება, უფრო მეტიც, თავისი რიგების დარაზმვა და საყოველთაო ეროვნულ-სახალხო ფეხაწყობით მოვლენათა მართვის საკუთარ ხელში მოგდება.

1990წ. 26 ივნისს მრგვალი მაგიდის სხდომაზე დაღესტნის ერთერთ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთან, ბატონ **დინგასთან** გაიმართა კეთილმოსურნე საუბარი, რომლის დროსაც მას მოხსენდა, რომ მეტროპოლიის მიერ დაღესტანში მიზნობრივად შეჭირვებული მოსახლეობა საქართველოში გამოიყენებოდა დემოგრაფიული ექსპანსიისა და ეთნოდივერსიული პროცესების გეგმაზომიერი წარმართვისათვის, რის შემდეგაც კახეთში, მიტაცებული მიწებზე მათ უკანონოდ შექმნეს ათობით დასახლება და სოფელი.

როგორც აღინიშნა, საგანგაშოა, რომ ამ ბოლო დროს რუსიზმის მიერ წაქეზებულმა ლეკებმა იწყეს ანტიქართული გამოხდომები და შეიარაღება, აქა-იქ უკვე ხდება მშვიდობიან მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმები, ყაჩაღობა, გაუპატიურებები და ა.შ. ბატონმა **დინგამ** აღიარა, რომ იგი დეზინფორმირებულია და გამოაცხადა მზადყოფნა ობიექტური ინფორმაციის მოძიებისათვის. გამოთქვა იმედი, რომ ერთობლივი სახალხო ძალისხმევით ეს გაუგებრობები შემდგომში აღიკვეთება.

1990წ. 27 ივნისს აფხაზეთის ეროვნულმა კომიტეტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც იგი საბოლოოდ დაუპირისპირდა აფხაზეთის მრგვალ მაგიდას. კაცმა რომ თქვას, მათ ის კი არ აწუხებდათ, რომ აქ საეჭვო ხალხმა მოიყარა თავი, არა, ისინი **ზ.გამსახურდიას** ედგნენ კრიჭაში **(გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 5 ივლისი, 1990წ.)**

1990წ. 2 ივლისს საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში მრგვალი მაგიდის ინიციატივით შედგა შეხვედრა მრგვალი მაგიდისა და ე.წ. საკოორდინაციო ცენტრს შორის, რომელზეც მხარეები ათ-ათი წევრით წარსდგნენ. მრგვალი მაგიდა: **თედო პაატაშვილი, თემურ ქორიძე, თემურ ჟორჟოლიანი, გოგი ხოშტარია, გელა ჩორგოლაშვილი, ავთო რცხილაძე, ვაჟა ადამია, ზვიად ბოკუჩავა, ზურა ბიჭაშვილი, გია ხონელიძე;** საკოორდინაციო საბჭო: **ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, ვანო**

ხუხუნეიშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, რუსლან მიქაბერიძე, ჯუმბერ კოპალიანი, გურამ გოგბაიძე, ნუკრი ცისკარიძე, რაულ კუპრავა. სამწუხაროდ ამ შეხვედრამ ვერ შესძლო ეროვნული მოძრაობის მოხლეჩილი ნაწილის შემოერთება.

1990წ. 11 ივლისს მრგვალი მაგიდის სხდომაზე მოსმენილი იქნა **გიორგი მარჯანიშვილის** ინფორმაცია ჟურნალ **"Октябрь"-ის 1990 წლის** მეხუთე ნომერში გამოქვეყნებული **ა.სახაროვის "ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის" ლ.შატკინისეული** კომენტარების თაობაზე:

"რედაქციამ სახაროვისეული პროექტი გამოიტანა საჯარო განხილვისათვის, ეხება რა ევროპისა და აზიის საბჭოთა კავშირის ეროვნულ მოწყობას, შატკინი წერს, რომ სახაროვის კონსტიტუციით ისპობა "სსრკ-ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სტალინური დაყოფა ოთხ კატეგორიად! რომლებიც ვერტიკალურად ექვემდებარებიან მათგან უმაღლესს _ მოკავშირე რესპუბლიკას _ ისევე, როგორც მოკავშირე რესპუბლიკები თავის მხრივ ექვემდებარებიან იმპერიულ, ზეეროვნულ ცენტრს. ისპობა არათანასწორუფლებიანი მოწყობა და ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით ხელს აწერს სსრკ-ის ყველა ყოფილი ნაწილი, მიუხედავად ზომისა, საგარეო საზღვრის არსებობისა, და მოსახლეობის რაოდენობისა (გვ. 195). არ შემიძლია დავდუმდე იმაზე, რომ დღევანდელი ძალადობა და კონფლიქტები, განსაკუთრებით ამიერკავკასიაში, სათუოდ ხდის წყნარ, ცივილიზებულ, რაციონალურ ევოლუციაზე გაანგარიშებული სახაროვისეული პროექტის განხორციელებას. ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით ანდრია დიმიტრის ძესთან იმის თაობაზე, თუ რად შეიძლება ქცეულიყო ახლა, როდესაც საუბარია მთიან ყარაბახზე, აფხაზეთზე, სამხრეთ ოსეთზე, და ა.შ. ასეთი კონსტიტუციის ამოქმედების ცდა... რწმუნდებოდა რა, რომ ნებისმიერი წინადადება და გეგმა იმსხვრევა პოლიტიკურ რეალობასთან შეჯახებით, რომ გასავალი არა აქვს გონივრულ კომპრომისებს, ანდრეი დიმიტრის ძეს (სწორედ ამიტომ) ყველაზე პრაქტიკულად მიაჩნდა პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება... სახაროვის პროექტი ზედმეტად კარგია სამყაროსათვის? დაიღვრება სისხლი? ღმერთმა არ ქნას, მაგრამ სცადეთ რაიმე უფრო რეალისტურის შემოთავაზება ისე, რომ სისხლი არავითარ შემთხვევაში აღარ დაიღვაროს. ისეთი გადაწყვეტა, ყველას რომ აწყობს, არ არსებობს და სამწუხაროდ არც შეიძლება იყოს" (გვ. 160).

ეს გახლდათ ერთიანი, დიდი, რუსულენოვანი ახლებური სახელმწიფოს შექმნის მორიგი გეგმა. ეს გეგმა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაუვნებელყოფას ისახავდა მიზნად: **"სახაროვის პროექტი საქართველოს მიმართ პრაქტიკულად წარმოადგენს ბოლშევიკური ეროვნული პოლიტიკის უშუალო გაგრძელებას, წარმოადგენს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მორიგი უხეში დარღვევის მცდელობას და შეიძლება დახასიათდეს ისეთი პარადოქსული ცნებით, როგორიც არის ლიბერალური ნეოსტალინიზმი. ფაქტიურად საქმე გვაქვს ცენტრის მიერ დაძაბულობის ექსკალაციის მორიგ მცდელობასთან" ("მრგვალი მაგიდის ისტორია". გ.სულაშვილის რედაქციით).**

სხვათა შორის, ი.სტალინის ნაშრომი, **"მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი"**, 1913წ. ასევე ასაბუთებდა ველიკოდერჟავული რუსეთის აუცილებლობას.

1990წ. 14 ივლისს ზ.გამსახურდიამ მიმართა აფსუა ხალხს, რომელშიც დაგმო სსრკ იმპერიული პოლიტიკის შედეგად განხორციელებული სისხლიანი მოვლენები ერთი წლის წინ აფხაზეთში.

1990წ. იმავე დღეებში თავისი მეუღლის დაღუპვის წლის თავზე **ვოვა ვეკუას** ქვრივმა, ქალბატონმა **ეთერ კოპალიანი-ვეკუამ** ასევე მიმართა აფსუა ხალხს _

“მოგმართავთ თხოვნით, ნუ დავივიწყებთ წარსულს, ჩვენს სიყვარულს, ისტორიას, მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, ჩვენ ღვიძლ ძმებად ვიწოდებოდით და ვიყავით კიდევაც. დღეს ნუ დავარღვევთ ამ ძმობას, ნუ მივყიდით ეშმაკს სულს, ერთმანეთის გვერდიგვერდ ვიბრძოდით და ვიცავდით, ძმად ვიფიცებოდით, ვძუძუმტეობდით და ერთად ვლოცულობდით. ახლა კი რა ღმერთი გაგვიწყრა, რა ბოროტმა ძალამ დაგვრთგუნა და დაგვიმონა?! ღმერთო მაღალო, შენ გაუნათე გზა ხსნისა გონებააღრეულთ, გზა _ მოყვასისა მოყვასთან მიბრუნებისა, რამეთუ ქადაგებ _ “გიყვარდეთ მტერნი თქვენნი...” მოგმართავთ ვედრებით, მე, ქვრივი, ძმების მიერ განწირული ქართველისა. ვოვა ვეკუასთვის ძვირფასი იყო ძმობისა და მეგობრობის ისტორია. მე გთხოვთ, უკუვადგოთ და ვებრძოლოთ იმ ბოროტ ძალას, რომელიც აგრერიგად დგას ჩვენს შორის და რომელმაც ერთმანეთის მტრებად გვაქცია. ამ ბოროტმა ძალამ დაანგრია და ფეხქვეშ გათელა ჩვენი ისტორია და მისივე სურვილია საქართველო აღიგავოს პირისაგან მიწისა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ ერთი მამის ღვთის შვილები. “ვისაც კეთილი სამსახური სურს, იგი სრულიად უნდა გაემიჯნოს ბოროტს”, _ წერდა ვოვა, მოვუხმოთ გონიერებას, განვაგდოთ ბოროტი და ჩავდგეთ კეთილის სამსახურში. შევევედროთ ღმერთს, რათა შეგვინდოს ძმების მიერ დაღვრილი სისხლი. “ყოვლად წმინდაო, სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვინდე უსჯულობანი ჩვენი... უფალო შეგვიწყალენ” *(გაზ. “თბილისი”,12 ივლისი,1990წ.).*

1990წ. აგვისტოსათვის ცალკე წიგნიდან გამოიცა **ზვიად გამსახურდიას** **“საქართველოს სულიერი მისია”.**

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ **1990 წლის ივნისში,** ქ.პარიზში ქართველმა ემიგრანტებმა მოიწვიეს ქართული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, როგორც მრგვალი მაგიდის, ასევე ე.წ. ეროვნული ფორუმის მხრიდან.

საქართველოს დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტოს “მაცნეს” დირექტორმა **ვახტანგ ბახტაძემ** თან ჩაიტანა **“საქართველოს სულიერი მისიის”** (**2 მაისის** ლექციის) ვიდეო და აუდიო მასალა. ემიგრანტთა ჯგუფი ამ მასალას გაეცნო პარიზში **გიორგი წერეთლის** ოჯახში. ბატონმა **გიორგიმ** იგი დასტამბა ქართული კრიტიკისა და ლიტერატურის პარიზულ ორგანოში _ “გუშაგში”, №23, 24. **1990წ. ოქტომბერ- ნოემბერი.**

აღნიშნული ლექცია ცალკე წიგნად **24 აგვისტოს** ქუთაისში ბატონმა **ზვიადმა** დაურიგა დამხვედრ საზოგადოებას.

1990წ. 17 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის მსვლელობის დროს მთავრობის სასახლის წინ თავი მოიყარა ათიათასობით ადამიანმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რომელთაც მხარდაჭერა გამოხატეს მრგვალი მაგიდის მიმართ. სესიაზე მრგვალი მაგიდის სპიკერის, ბატონ **ზვიად გამსახურდიას** გამოსვლამ გააცამტვერა ოფიციოზისა და ნამესტნიკური წრეების ყოველგვარი ცდა არჩევნების ჩაშლის ან მისი გაჭიანურებისათვის.

1990წ. 18 აგვისტოს სესიამ მიიღო მრგვალი მაგიდის მიერ წარმოდგენილი სარჩევნო კანონი. ამით და **27 აგვისტოს** თბილისში **ვ.ი.ლენინის** ძეგლის აღებით დაიწყო საქართველოს დეოკუპაციის გასაგნება ყოფით ყოველდღიურობაში.

ბუნებრივია, ასეთი მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლა კრემლიდანურ აგრესიას ხელს არ აძლევდა. რაკიღა თბილისში ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან მისი შერკინება მარცხით დამთავრდა, მან სცადა ვნებათაღელვის აგორებით სათარეშო აულაგმაობის გამოწვევა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა (აფხაზეთსა) და საქართველოს სხვა მხარეებში, განსაკუთრებით ცხინვალის მიმდებარე მხარეში.

ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულ მოძრაობაში ამ დროისათვის შექმნილი ვითარება (ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა) ამ მხრივ თბილისში შექმნილ მდგომარეობასთან იგივდებოდა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ **ივლისისათვის** ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევა ქ.გაგრაში ქმედუნარიანად საქმიანობდა (**ა.მარკოზიასა** და **ნ.კეშელავას** ჯგუფი). მან თითქმის შეუძლებელი მოახერხა, შესძლო ჩამოეყალიბებინა გაგრის რეგიონის ეროვნული მოძრაობის საკოორდინაციო სათათბირო, რომელმაც ბევრად განაპირობა **1990 წლის ზაფხულის** მოვლენებში ვნებათაღელვათა დაცხრომა. **8 აგვისტოს** მათ მიიღეს მიმართვა გაგრის რეგიონის მოსახლეობისადმი, რომელშიც მხილებული იყო თურქული მოძრაობის ამოცანები. ასევე შესძლეს მათ გაგრის რაიონის ეთნოკრატიულ გაზეთში რამოდენიმე განცხადების, მიმართვისა და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს როგორც ეთნოკრატიული, ასევე მეორე მხარის მიერ მიღებული დოკუმენტების გამოქვეყნება.

ამასთან დაკავშირებით უნდა პირდაპირ ვთქვა, რომ ყველაფრის მიუხედავად, არც ჩვენ გამოგვიცხადებია პოლიტიკური არდედეგები, მაშინ, აფხაზეთში **მ.კოსტავას** საზოგადოების დამფუძნებლები ერთი წუთითაც არ დავპირისპირებივართ "კოლხურ კოშკს", კი ბატონო, **მ.კოსტავას** საზოგადოების ეს ნაწილი არ ვეთანხმებოდით **ვ.ადამიას,** მაგრამ თუ ვინ იყო იგი, ეს დრომ აჩვენა. ჩვენ ვცადეთ **მ.კოსტავას** საზოგადოების გამთლიანება. სამწუხაროდ, **1990 წლის სექტემბრისათვის** მრგვალი მაგიდის აბრას ამოფარებულმა პარტნომენკლატურულმა "დირექტორადმა" და მისმა ხელისბიჭებმა შესძლეს **ა.მარკოზიასა** და **ნ.კეშელავას** ბლოკირება და შესაბამისად გაგრის საკოორდინაციო სათათბიროს დაშლა.

ასევე შემოგვეარტახნენ ჩვენც, ვინაიდან **ა.მარკოზიასთან** მჭიდრო კავშირში ვმოქმედებდით, ეს დანაშაულად ჩაგვეთვალა. სრულიად საქართველოს **მერაბ კოსტავას** საზოგადების ქ.სოხუმში დამფუძნებელთა ერთი ნაწილის, მასთან ერთად სოხუმისა და გულრიფშის რაიონული ორგანიზაციების ერთობა, რომელსაც იმ დროს ებრძოდა აფხაზეთის მრგვალი მაგიდა და მასთან ერთად ასევე ე.წ. ფორუმისკენ მიდრეკილი სიმრავლეები, თავის საკეთებელს ამის გამო არ გარიდებია. შემდგომში **ა.მარკოზიამ** თავი შესწირა ეროვნულ ხელისუფლებას, თქვენი მონა-მორჩილი კი დღემდე "კოლხური კოშკის" ცნობიერებით აზროვნებს, ხოლო აფხაზეთიდან იმ დროის "თავგადაკლულმა" მრგვალმა მაგიდელებმა **ე.შევარდნაძის** ხელისბიჭობა არჩიეს **ზ.გამსახურდიას** გვერდით თავგანწირვას.

კიდევ ერთხელ უნდა შეგახსენოთ, რომ **მ.კოსტავას** საზოგადოების ამ ნაწილმა სცადა ურთიერთობათა მოგვარება **ვ.ადამიასთან,** ამ მიზნით **ს.საჯაია** შეხვდა და ესაუბრა **1990 წლის 2 მაისს** თბილისში და იმავე წლის **26 აგვისტოს** ქ.სოხუმში ამ საზოგადოების გამგეობის წევრებს **ნ.მოლოდინაშვილსა** და **ჯ.გოლეთიანს,** მაგრამ იმდენად დიდი იყო ცხუმ-აფხაზეთის პარტოკრატიის მონდომება და **ვ.ადამიას** ზეწოლა, ცილისწამება, შანტაჟი და ობსტრუქცია, რომ ამისგან არაფერი გამოვიდა (ის კი არადა, **1990 წლის ივლისში** ბატონ **ზვიადისა** და **ვაჟა ადამიას** ტელევიზიაში ერთად გამოსვლისას **ვ.ადამიამ** წამოაყენა დაუსაბუთებელი და თითიდან გამოწოვილი ბრალდებები ჩემს წინააღმდეგ. ყოველივე ამაზე ბატონმა **ზვიადმა** უფრო გვიან გულისტკივილი, ხოლო **ნ.მოლოდინაშვილმა, ა.რცხილაძემ, ჯ.გოლეთიანმა** და **ბ.დანგაძემ** სინანული გამოხატეს).

ასე იყო თუ ისე, **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ის ნაწილი ქმედითად საქმიანობდა და ამის შედეგები საგრძნობი გახდა 1990 წლის ზაფხულის მოვლენების დროს თურქთა "მშვიდობიანი" მსვლელობის საფრთხის თავიდან აცილებისას. კერძოდ, ისინი მონაწილეობდნენ სოხუმის აეროპორტში, დაბა ლესელიძეში, რიწა-აუადხარას,

სოხუმჰესის, ფსხუს, შამხუ-ბაშკაცარას, ოჩამჩირის გზებსა და ბილიკებზე საგანგებო მოთვალიერება-მორიგეობაში. ავიდნენ საზაფხულო საძოვრებზე კავკასიონის უღელტეხილებთან ახლოს მწყემსებთან და შექმნილ ვითარებაზე ესაუბრნენ მათ **(ს.საჯაია, მ.ქარდავა, გ.შამუგია)**. ისინი **ა.მარკოზიას** ჯგუფთან ერთად მონაწილეობდნენ **8 აგვისტოს დაბა** ლესელიძეში გამართულ მიტინგში და მათი თანმიმდევრული ინიციატივაც იყო იმაში, რომ კრემლის მიერ პროვოცირებულ ავანტიურაზე მრავალათასიანმა მიტინგმა პასუხისმგებლობა სსრკ პრეზიდენტს **მ.გორბაჩოვს,** რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **ბ.ელცინს** და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოთა თავმჯდომარეს **გ.გუმბარიძეს** დააკისრა.

ასევე, **ივლისში** მათ ჩაატარეს საინფორმაციო მიტინგები სოფელ ბესლეთში, **თამარის** ხიდთან, **6 აგვისტოს** _ საინფორმაციო მიტინგი სოფელ თავისუფლებაში, **7 აგვისტოს** _ ისევ **თამარის** ხიდთან, **26 აგვისტოს** _ ასევე **თამარის** ხიდთან და ა.შ.

აღნიშნულმა საზოგადოებამ აფხაზეთის ეროვნულ-სახალხო ძალისხმევის წიაღში, ისევ და ისევ **ა.მარკოზიას** ჯგუფთან ერთად, განსაკუთრებით დიდი მუშაობა დაიწყო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ეთნოკრატიული პრეზიდიუმის მიერ კანონის დარღვევით X სესიის მოწვევის მცდელობისას.

აქედან გამომდინარე, მათი წვლილიც იდო იმაში, რომ გალის, გულრიფშის, სოხუმის რაიონების, სადაბო თუ სასოფლო საბჭოების სესიებზე, აგრეთვე ოჩამჩირისა და გაგრის ზოგიერთი სოფლის სახალხო საბჭოების სესიებზე ოფიციოზი იძულებული გახდა უნდობლობა და დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სეპარატისტული პრეზიდიუმის ანტიკონსტიტუციური საქმიანობის მიმართ. ამასთან ერთად ეროვნულ-სახალხო მოძრაობის ძალისხმევით ქ.სოხუმისა და აფხაზეთის რაიონების სხვადასხვა დაწესებულებებმა და მსხვილმა საწარმოებმა უარყოფითად შეაფასეს აგრესიული სეპარატიზმის ე.წ. სამართლებრივი თარეში.

ამასთან ერთად **მ.კოსტავას** საზოგადოების ეს ნაწილი სოხუმის რაიონში ერთი ფრონტით მოქმედებდა რუსთაველის საზოგადოებასთან **(ვ.ქობალია)** და სახალხო ფრონტთან **(რ.ასმავა),** შედეგად მათ შესძლეს რაიონში აღეკვეთათ მოქალაქეთა უკანონო ჩაწერა, სახლების ყიდვა-გაყიდვა, მიწების გამოყოფა და ა.შ.

ე.წ. მაფიურ-კრიმინალურმა წრეებმა აფხაზეთში მოახერხეს **წმ. ილია მართლის** საზოგადოების ერთერთი დამფუძნებლის **თემურ გოგუას გარიყვა** (რომელიც, სამწუხაროდ **ა.მარკოზიასთან** ერთად აფხაზეთის ე.წ. დირექტორადისეულმა მრგვალმა მაგიდამ საარჩევნო სიიდან, როგორც არაკეთილმოსურნე, ამოიღო. შემდგომში, როგორც იცით, ერთიც და მეორეც კანონიერი ხელისუფლების დაცვისას დაიღუპნენ, იმ ხელისუფლების დაცვისას, რომლის დევნილობა, სწორედ აფხაზეთის პარტნომენკლატურული მრგვალი მაგიდის წინგაუხედაობამაც განაპირობა.

1990 წლის ზაფხულში განსაკუთრებით ქმედითად იღვაწა ეროვნულმა მოძრაობამ გულრიფშის რაიონში,სადაც თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად იმართებოდა მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგები დრანდასა და მაჭარაში, რომელზეც დაიგმო თურქების აგრესიის მცდელობა და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ვერაგული გეგმები. როგორც მოგახსენეთ, განსაკუთრებით გრანდიოზული იყო **8 აგვისტოს** გამართული მიტინგი გაგრაში.

საქართველოში მრავალპარტიული არჩევნების ჩაშლის მცდელობის მიზნით დაგეგმილი პროვოკაციებისადმი პროტესტის ნიშნად მიტინგების ტალღამ გადაუარა ოჩამჩირისა და გალის რაიონებს, ხოლო **26 აგვისტოს** საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალმა მაგიდამ თბილისიდან საგანგებო ჯგუფი მოავლინა **ნ.მოლოდინაშვილის** ხელმძღვანელობით, რათა დახმარებოდნენ მრგვალი მაგიდის აფხაზეთის

განყოფილებას აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თვითმარქვია სესიის მიერ მიღებული ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებისადმი პროტესტის ნიშნად ორგანიზებული მიტინგის სწორ წარმართვაში. მასში მონაწილეობა მიიღო **რუსთაველის** საზოგადოების გულრიფშისა და სოხუმის რაიონულმა ორგანიზაციებმა, ამავე რაიონების სახალხო ფრონტმა, და **მერაბ კოსტავას** საზოგადოების იმ ნაწილმაც, რომელიც ცხუმ-აფხაზეთის პარტნომენკლატურულ მრგვალ მაგიდაში, ქართული პარტოკრატიული დირექტორადის მიერ მისი ბლოკირების გამო, გაწევრიანებული არ იყო.

სოხუმის დეპომ ერთდღიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა გამოაცხადა, მათ საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ოფიციოზს მოსთხოვეს გონს მოსულიყვნენ.

აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით მომდევნო დღეებში **(31 აგვისტოს)** მოხერხდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არასეპარატისტული ნაწილის მიერ კანონის დაცვით სესიის მოწვევა, რომელმაც **25 აგვისტოს** პროვოკაცია დაგმო.

1990წ. 20 ივნისიდან _ 1 სექტემბრამდე საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის ყოფნა-არყოფნის პირობებში მრგვალმა მაგიდამ გამართა 24 სხდომა (სულ 40), ასევე შეხვედრები, რომელზეც განხილული იქნა ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები და მიღებული იქნა შესაბამისი ქმედუნარიანი გადაწყვეტილებანი.

მრგვალი მაგიდის მიერ **1990 წლის 26 ივლისიდან** ორგანიზებულმა საყოველთაო გაფიცვებსა და მათ შორის განსაკუთრებით სამტრედიის რკინიგზის აქციამ განაპირობა კიდეც საქართველოს სსრ ფაქტობრივი ხელისუფლების საარჩევნო მაქინაციების გაუვნებელყოფა და სსრკ სახელმწიფო კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყება საქართველოში. მრგვალი მაგიდის ძალისხმევამ და გონივრულმა ნაბიჯებმა ე.წ. მესხეთელი თურქების ავანტიურის მიმართ, ამ პრობლემას იმხანად ჩამოაშორა ექსტრემისტული ხასიათი და იგი გონიერებისგან მართვადი გახადა.

1990წ. 9 სექტემბერს მიღებულ იქნა მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მემორანდუმი (გაზ. **"ახალგაზრდა ივერიელი", 11 სექტემბერი,1990წ**).

1990წ. სექტემბერში მრგვალი მაგიდა შეხვდა ზემო აჭარის უხუცეს ადამიანებს, რომელთაც თავად გამოთქვეს ამის სურვილი.

1990წ. 20 სექტემბერს გაზეთმა "ახალგაზრდა ივერიელმა" რუბრიკით "ჩვენი წარდგინება" გამოაქვეყნა ინფორმაცია **წმინდა ილია მართლის** საზოგადოების შესახებ **(მასალა დაკარგულია, ეს გვერდები ვეღარ ვიპოვე, ხოლო ხელახლა დასაწერად ათზე მეტი წლის წინანდელი შთაგონება ვერ მოვიძიე. ს.საჯ.).**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილებას ამ დროისათვის მართავდა აფხაზეთის ასსრ (ე.წ. ქართული) პარტოკრატიის "დირექტორატი", დიახ, აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად (გენერალი **გ.ლომინაძე,** პოლკოვნიკი **ა.ლომინაშვილი**) ის გახლდათ მისი სულიერი, პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელი. უფრო მეტიც, ის კი არადა, ძირითადად აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მიერ იქნა დაზუსტებული აფხაზეთის ასსრ-დან მრგვალი მაგიდის სახელით წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატთა სია. სამწუხაროდ ამ სიაში არ მოხვდა აფხაზეთის საჩინო და ანგარიშგასაწევი პიროვნებები, მათ შორის ძუძუმტეობის ყოფაქცევით მოხელმძღვანელე აფსუა ეროვნების მოღვაწეები, ის კი არადა, **მ.ძოძუაშვილისა** და **ნ.მგალობლიშვილის** აზრით, ისევე, როგორც ამის შესახებ ერთ დროს ილაყბა ცნობილმა პარტფუნქციონერმა, თბილისიდან აფხაზეთში ნამესტნიკად გამოგზავნილმა **ავთანდილ პეტროვიჩ საყვარელიძემ, "მთელი უბედურება ამ მხარეში თურმე მეგრელებს დაუტრიალებიათო"** და მათი ნება რომ ყოფილიყო (**ნ.მგალობლიშვილის, თ.მჟავიას, თ. ლორთქიფანიძისა** და **მ.ძოძუაშვილის**), ამ საარჩევნო სიაში მეგრელი ვერ

მოხვდებოდა, ვინც მოხვდა, სუყველა "ქართულ კეთილსაიმედოობაში" იყო შემოწმებული. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატად არჩეულთაგან თითქმის არც ერთი არ გახლდათ ცხუმ-აფხაზეთის დასაბამისმიერი მოსახლეობის თვალსაწიერის ხალხი. უფრო მეტიც, ისინი დანაშაულებრივად არაკომპეტენტურნი გახდნენ ამ საქმისათვის, ის კი არა, ღალატიც იკადრა არაერთმა მათ შორის!..

აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ეთნოკრატიას აფხაზეთის სახელით მოლაპარაკე დეპუტატისთვის ვერ უნდა მიეკერებინა კრემლიდანური ეპითეტი "პარაშუტისტი". ამიტომ სასურველი იყო ეს ხალხი შერჩეულიყო იმათგან, ვინც ოდითგან ამ მიწის შვილი გახლდათ. იყო საშუალება აფსუა მოსახლეობიდან დასახელებულიყვნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრობის კანდიდატები (თუნდაც **ი.ანუა, კ.სალია, ლ.მარშანია, რ.ეშბა,** რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ აგრესიულ სეპარატიზმს, ასევე **ბ.წვიჟბა, ვ.თარბა, ვ.ხაშბა** და ა.შ. ამათგან **ი.ანუა** და **რ.ერშბა** აგრესორ-სეპარატისტებმა მოწამეობრივად დახვრიტეს **1993 წლის სექტემბერში**).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩემი აზრით, არც იმას ჰქონდა ამ კერძო შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა გუდაუთასა და ტყვარჩელში რა ცნობიერების აფსუა აირჩეოდა, მთავარი იყო მათ ეყარათ კენჭი ამ საარჩევნო ოლქებში და აქედან არ გაფორმებულიყო ბოიკოტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების მიმართ.

ასეთი საშუალება უდაოდ იყო მაშინ და ეს დრომაც დაადასტურა.

სამწუხაროდ, აფხაზეთის დეპუტაციას ძირითადად გენეტიკური ძაფები არ აკავშირებდათ მკვიდრ მოსახლეობასთან (შეადარეთ, მუნჯის ენა დედამ იცისო). ნაკლებად იცნობდნენ მის ყოფით თუ ადათობრივ თავისებურებებს, ვიმეორებ, მომავალში მათ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ვერც ეთნოდივერსიული ინდუსტრიის შედეგები მოაწესრიგეს აფხაზეთში და არც მრგვალი მაგიდის პრინციპებს უერთგულეს _ იქით გაუხვიეს, საითაც პარტოკრატიამ ლაგამს გამოსწია.

1990წ. 19 ოქტომბერი: ამ დროისათვის საბჭოთა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების შესაბამისად დახლართული ერთი სახიფათო თავაწყვეტა დროულად ამხილა გაზეთმა "ლიტერატურულმა საქართველომ":

ზოგჯერ თქმა სჯობს... (რეგიონალური...)

გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ სამ ფაქტზე, რომლებიც ამ ბოლო ხანებში, თითქმის ერთდროულად მოხდა და ერთმანეთთან რაღაც საეჭვო და დამაფიქრებელი ნიშნები აკავშირებს.

გაზეთ "თბილისის" 13 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია სათაურით "საქველმოქმედო საზოგადოება "რაჭა". ინფორმაციის ტექსტი ასეთია: "17 ოქტომბერს, 18 საათზე დანიშნულია საქველმოქმედო საზოგადოება "რაჭის" ნიკორწმინდის განყოფილების დამფუძნებელი კრება.

სოფელ ნიკორწმინდის ბედით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მობრძანდეთ მისამართით: გამსახურდიას გამზირი №28, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სააქტო დარბაზში. ინფორმაციას ხელს აწერს "საინიციატივო ჯგუფი".

გამოვიდა სამტრედიის სახალხო ფრონტის რეგიონალური განყოფილების გაზეთი "ანარეკლი". გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ამ ორგანიზაციის პროგრამა. პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი ასე მაჟორულად ჟღერს: "სამტრედია "სამტრედიელებისათვის!"

ახლახან კიოსკებში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი გაზეთი "გზა ერთობისა".

გაზეთს სათაურის ქვეშ ასეთი განმარტება ახლავს: "სამეგრელოს რეგიონის ყოველთვიური გაზეთი".

გაზეთის მეორე გვერდზე დაბეჭდილია ჩინგიზ აითმათოვის პორტრეტი. პორტრეტის ქვეშ კი მწერლის რამდენიმე წინადადებაა _ იგი აღტაცებას გამოთქვამს ახალი გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის გამო... საიდან-სადაო?! _ იკითხავს მკითხველი, სად აითმათოვი და სად სამეგრელოს რეგიონალურიო... ეჰ, მეგობრებო, აბა, რა ვიცით საიდან-სად... ამ გაზეთების კითხვის დროს იმდენჯერ დაგებადებათ ეს "სიადან-სად", რომ ბედს დაიწყევლით... აითმათოვი კი თავისი მისალმების ტექსტში პირობას დებს, რომ ხელს შეუწყობს "მეგრული კულტურის აყვავების საქმეს".

აი, ამ სამ ფაქტზე გვინდა, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ.

ეს სამი ფაქტი ერთ ძველ ფესვზე ამოსულ სამ ღეროს ჰგავს და მეტად საგანგაშო ტენდენციებზე მიგვანიშნებს.

ვიტყვით პირდაპირ: ე.წ. გარდაქმნამ, საჯაროობამ, პლურალიზმმა უზარმაზარი მასშტაბები მიიღო. ბევრი სასიკეთო მოვლენის მოწმენი ვართ. იმსხვრევა მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სისხლსა და ძვლებზე აშენებული საშინელება _ კომუნისტური იმპერია. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბოროტი იმპერია, ისტორიულ იმპერიებს შორის. ადამიანი ჰერმეტული სივრციდან გავიდა და თავისუფლების ჰაერს დაეწაფა... მაგრამ ამ სასიკეთო მოვლენებს უარყოფითი ხასიათის ამბებიც მოჰყვა _ უკუღმართობისა და უღმერთობის სამოცდაათწლეულს უშედეგოდ არ ჩაუვლია, მთელი სიმკაცრით აისვეტა ჩვენს წინაშე პიროვნული, ეროვნული, ზნეობრივი პრობლემები. გუშინდელი მწარე გაკვეთილების შხამი ჯერაც არ განელებია საქართველოს და ეს გაკვეთილი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სიფხიზლისთვის და სიფრთხილისთვის ჩატარდა...

დიახ, რაკი პირდაპირ ვლაპარაკობთ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვთქვათ _ ეს სამი ფაქტიც (რომლებიც სხვა მრავალრიცხოვან მსგავს ფაქტებს უკავშირდება) ძველი ქართული პარტიკულარიზმის ფესვიდან ხომ არ იღებს სათავეს?! რაღაც საშინელი და საზარელი ხომ არ იღვიძებს?!

ამას წინათ ერთმა "საინიციატივო ჯგუფმა" თბილისში ზარ-ზეიმით შექმნა საქველმოქმედო საზოგადოება "რაჭა"[42] (მალე მას მოჰყვა საზოგადოება "ლეჩხუმის" შექმნა და მომავალში კიდევ, ვინ იცის, რა "საზოგადოებები" ჩამოყალიბდება). "რაჭის" "ხელმძღვანელ ორგანოებშიც", ძირითადად, თბილისში მცხოვრები "სახელგანთქმული რაჭველები" აირჩიეს, წევრებიც, ძირითადად, "თბილისელი რაჭველებია". ამ ფაქტს ორი მხარე აქვს; _ ერთი სიმპათიურად გამოიყურება _ აშენდება, გაკეთდება, ყურადღება მიექცევა... მაგრამ არის მეორე მხარეც, რომელზე საუბარიც ცოტა ჭირს, ცოტა უხერხულია და ტკივილიან ფიქრებთანაა დაკავშირებული... რაღა მაინცდამაინც რაჭა და არა საინგილო, ან კახეთი, ან სამეგრელო ან ქართლი ან მესხეთი... განა ამ კუთხეებს არ უჭირს, განა ყველას ტკივილი ერთი არ არის დედაქალაქისთვის?... იმათაც შექმნან თავისი საზოგადოებები, ბატონოო _ ალბათ, სიტყვას შემოგვიბრუნებენ "რაჭის" თავკაცები... მერე და სადამდე მიგვიყვანს ეს "საზოგადოებამანია"? თუ, ვთქვათ, ვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორი რაჭველია, "რაჭას" გადაურიცხოს ფული და, თუ იმერელი _ "იმერეთს"?! როგორ შევათანხმოთ ერთმანეთთან საერთო ეროვნული პრობლემები და იმათი, ერთი შეხედვით, კეთილშობილური ზრახვები, ვისაც თბილისიდან უნდა მოუაროს "მშობლიურ კუთხეს?" ანდა, ხომ უნდა დავუფიქრდეთ, რა მასშტაბებს მიიღებს ხვალ "მშობლიურ კუთხეებზე" შეყვარებულ თბილისელთა სიყვარულში შეჯიბრი?

---

[42] შეადარეთ აფხაზეთში შეკოწიწებული "სვანური" "ლემი", რომელიც მესტიაში კი არ გატარდა რეგისტრაციაში, არამედ ეთნოკრატიისა და პარტოკრატიის საეთნოდივერსიო პოლიგონებად გადანაწილებულ აფხაზეთში(ს.საჯ.)

აგერ ახალი ინფორმაცია: “17 ოქტომბერს დანიშნულია საზოგადოება “რაჭის” ნიკორწმინდის განყოფილების დამფუძვნებელი კრება”. ეს კრებაც, როგორც ხედავთ, თბილისში ტარდება და “რაჭის” ნიკორწმინდის განყოფილებაც თბილისში დაფუძნდება... მერე, ალბათ, რაჭის დანარჩენი სოფლების შქმერის, ჭრებალოს, ღების, ხვანჭკარის, ზედა შავრის, ქვედა შავრის “რეგიონალური” განყოფილებებიც დაამშვენებენ დედაქალაქს...

საით მიდიხართ, ნიკორწმინდაში დაბადებულო თბილისელო ქველმოქმედნო? _ იქითკენ ხომ არა, რომ ხვალ თბილისში დაარსდეს საქველმოქმედო საზოგადოება “ხევი”, მერე ამას მოჰყვეს ხევის სოფლების _ ყანობის, გორისციხის, გერგეტის, სნოს “განყოფილებებიც?”.. კახეთსაც გამოუჩნდება თავისი თბილისელი შვილები, სამეგრელოსაც, გურიასაც, სვანეთსაც, ქართლსაც, აფხაზეთსაც, მესხეთსაც, იმერეთსაც... ახლა სასოფლო “განყოფილებები” ნახეთ... ერთ დღესაც გავივლით თბილისის ქუჩებში და სახლს ვეღარ ვნახავთ, რომ ზედ ეთნოგრაფიული კოლორიტით გაფორმებული ფირნიში არ ეკრას, სოფლის საქველმოქმედო საზოგადოების წარწერებით _ გმირი თბილისელი სოფლის მშენებლები არცერთ “მშობლიურ” სოფელს არ დატოვებენ “საზოგადოების” გარეშე. ამას რომ გავაკეთებთ, მერე აღარც ერთი გვინდა და აღარც მთავრობა, აღარც ხვნა და აღარც თესვა... დასხდნენ ამ “საზოგადოებების” დარბაზებში ნიკორწმინდის, თამარაშენის, ხაიშის, კეხვის, მლეთის, საჭამიასერის, მუხრანის, ნაგვაზაოს, დართლოს “განყოფილებების” ხელმძღვანელები, აგროვონ საქველმოქმედო თანხები და უგზავნონ თანამემამულეებს... დალოცვილო ღმერთო, ეს რა კარგი რამ ჩაგიგონებია ნიკორწმინდიდან თბილისში ჩამოსახლებული რაჭველებისათვის...

ნიკორწმინდის ბედით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მობრძანდეთო _ ღაღადებს განცხადება. თუ პრინციპულად ვიმსჯელებთ, მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის გრანდიოზულ ყრილობას იწვევენ, რადგანაც ჩვენ არცკი გვეგულება საქართველოში ადამიანი, რომელიც დაინტერესებული არ იყოს საქართველოს ყველა სოფლის ბედით და, მათ შორის, რა თქმა უნდა, ერთი მშვენიერი ქართული სოფლის, ნიკორწმინდის ბედითაც.

ახლა სამტრედიაში გამოსული “რეგიონალური” გაზეთის პირველ ნომერზე ვთქვათ, რომელშიც საქართველოს სახალხო ფრონტის სამტრედიის განყოფილების შეუვალი ნებაა გადმოცემული: “სამტრედია _ სამტრედიელებისათვის!”

რაღაც არ გაგვიგია, სამტრედიის ქალაქ-სახელმწიფოს უცხო მტერი შემოესია და აბორიგენულ მოსახლეობას ერეკებაო... მაშ, რას უნდა ნიშნავდეს ეს მრისხანე სამხედრო ლოზუნგი? მაშ, სამტრედია... ჩვენ არ გვინდა ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, რაც, ალბათ, აზრადაც არ მოსვლიათ ამ “რკინის ფორმულის” ავტორებს, მაგრამ ის კი გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ დაუფიქრებლად ნათქვამი უაზრო სიტყვაც (მსგავსი უაზრობანი კი ამ გაზეთში აშკარად “ზომაზე მეტია”), არასასიამოვნო შეგრძნებებს იწვევს, მით უმეტეს, რომ ეს “სამტრედია _ სამტრედიელებისათვის” საქართველოს ისტორიის არცთუ სასახელო პერიოდებს გვახსენებს.

აბა, დაუფიქრდით, სად წავა საქმე, თუ სამტრედიის მეზობელ რაიონებში ზესტაფონში, ხობში, აბაშაშიც გამოსცეს “რეგიონალური” გაზეთები და იმათაც იყვირეს “ზესტაფონი _ ზესტაფონელთათვის”, ხონი _ ხონელთათვის...” ვინ იცის, იქნებ გზების ბაჟიც მოსთხოვონ ერთმანეთს და ერთმანეთის ფრინველებსაც საჰაერო სივრცე დაუწესონ?

...და აი, კიდევ ერთი “რეგიონალური” გაზეთი _ “გზა ერთობისა”, თავისი ქვესათაურით: “სამეგრელოს რეგიონალური ყოველთვიური გაზეთი”.

ამ გაზეთს თუ გაეცნობით, მრავალ კურიოზულ გამოთქმას, უვიცობის მაგალითებს, "ჟურნალისტურ ექსპერიმენტს" წააწყდებით და აუცილებლად დაგებადებათ სამი კითხვა:

1. რას ნიშნავს "სამეგრელოს რეგიონალური სახელწოდება "გზა ერთობისა"? _ იოანე მარუშისძისა და ცოტნე დადიანის მშობელ მხარეს, უხსოვარი დროიდან მშობელ მხარეს, უხსოვარი დროიდან დღემდე ერთიანი, განუყოფელი საქართველოს ინტერესებით ნასაზრდოებ სამეგრელოს XX საუკუნის მიწურულს რად სჭირდება იმის ხაზგასმული მტკიცება, რომ იგი ერთობის გზას ადგას? ხომ არ გეჩვენებათ, რომ ანბანური ჭეშმარიტების ეს ხაზგასმა, ცოტა არ იყოს, უხერხულია და საგანგებო მონდომების პირობებში შეიძლება რაღაცის საფარადაც იქცეს?![43]

2. რას ნიშნავს გაზეთის სახელწოდების ქვეშ მიწერილი განმარტება _ "სამეგრელოს რეგიონის ყოველთვიური ორგანო?" მაინც ვინ უნდა ჩაითვალოს ამ გაზეთის ჭეშმარიტ გამომცემლად?

როგორც ოფიციალურ დოკუმენტებშია აღნიშნული, იგი თითქოს "სახალხო განათლების" დამატება უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს მოლოდინი გამტყუნდა. "გზა ერთობისა", ბოლო გვერდის ქვედა რიგში, თანადგომისათვის მადლობას, სხვებთან ერთად, უცხადებს ბ-ნ პეტრე ჩხეიძეს და ბ-ნ თემურ მეტრეველს ("კაბადონი-8"-ს რედაქტორს). თანადგომა და ხელისგამართვა ერთია, დადგენილი გამომცემელი კი _ მაინც სხვა. ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, სანამ დეტალები დაზუსტდება, იქამდე მაინც, ვერც საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირები და ვერც მისი ორგანო _ "კაბადონი-8" "სამეგრელოს რეგიონის" კუთვნილი გაზეთის გამომცემლებად ვერ ჩაითვლებიან (თანაც, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ახალი გამოცემის ადგილი _ თბილისი _ "სამეგრელოს რეგიონში" არ შედის).

3. ვის ანდეს გაზეთის დამაარსებლებმა და გამომცემლებმა მისი გაძღოლა, ვის მიანდეს რედაქტორობა? ახლადდაარსებული გაზეთის რედაქტორმა _ კლარა აბრამიამ ხომ სკანდალური საქმეების უკიდეგანო დიაპაზონით "გაითქვა სახელი"? _ პროვოკაცია, შანტაჟი, ცილისწამება და ყველაფერი ის, რაც ერთ სიტყვა "უზნეობაში" იყრის თავს, ხომ კლარა აბრამიას ბევრჯერ ნაცადი "ჟურნალისტური", თუ პირადი ეპისტოლარული მოღვაწეობის ხერხებია, და როგორ ეგონათ მისი "ნდობით აღჭურვილ პირებს" _ როგორც კი რედაქტორის სკამზე დაჯდებოდა, კეთილშობილების სიმბოლოდ გადაიქცეოდა?

ჩვენ ამ პრინციპულ კითხვებზე პრინციპულსავე პასუხებს ველით. მანამდე კი, მოდით, ახალი გაზეთის ბოლო გვერდს ჩავხედოთ.

"სამეგრელოს რეგიონალურს" ბოლო გვერდზე ორი "დაფა" აქვს გამოკიდებული _ ერთი საპატიო დაფების ტიპისაა, მეორე კი "გაკიცხვისათვის" გამოიყენება. ორივე დაფას "სახელგანთქმული" ჟურნალისტი, "რეგიონალურის" რედაქტორი კლარა აბრამია უძღვება. _ თუ უნდა, გაათეთრებს, თუ უნდა _ გააშავებს.

საპატიო დაფაზე, როგორც ზემოთაც ვთქვით, მათი პორტრეტებია გამოკრული, ვინც ეს პატივი თურმე კლარა აბრამიას "თანადგომისათვის" დაიმსახურა.

"გაკიცხვის დაფა" უპორტრეტოა და მათი სახელებია ჩამოწერილი, ვინც "პროვოკაციული მეთოდებით ხელს უშლიდნენ გაზეთის გამოსვლას". აი, ისინიც: გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე, მისი

[43] რა თქმა უნდა, აღნიშნული გაზეთი კრემლიდანურ ზრახვებს ახმოვანებდა, მაგრამ ამ წერილზე ხელმომწერებს პირდაპირ უნდა შევნიშნო, რომ, როდესაც ორი წლის შემდეგ სწორედ ამ "რაღაცის საფარში" ერის რუნგუ შვილებისგან მოთარეშებულ სამეგრელოში გამკაფიოვდა გარე მტრის ზრახვები, მათ ხმა არ ამოუღიათ სრულიად საქართველოს თოროსანი სამეგრელოს თანადგომისთვის. არ აღუნიშნავთ, რომ დედა საქართველოს აქ ჩასცეს მახვილი ზურგში.

მოადგილე ჯუმბერ თითმერია, საქტელერადიოს თავმჯდომარე არჩილ გოგელია, ჟურნალისტი გია თასოევი და სხვ.

როგორც ვთქვით, კლარა აბრამიას ცხოვრების წესში უზნეობის სრული კომპლექტია მოქცეული. აბა, ერთი სცადეთ და პატიოსნად, ფაქტებით ელაპარაკეთ მას. უთხარით, რომ "რეგიონალური" იმ მიზეზების გამო, რაზეც ზემოთ ვრცლად ვილაპარაკეთ, არ უნდა გამოსულიყო...

უთხარით, რომ უზნეო, უკულტურო და უვიცი ადამიანის (ამაზე ნათლად მეტყველებს პირველსავე ნომერში დასტამბული მისი მცირე წერილი) რედაქტორად დანიშვნა არ შეიძლება და იმიტომ ვიყავით თქვენი დანიშვნის საწინააღმდეგო.

უთხარით, რომ "ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილ სტატიაში, რომელიც მისი ცხოვრების ზოგიერთ მხარეს ეხებოდა, არაფერი არ იყო "შეთითხნილი" და მხოლოდ მის მიერვე შეთხზული წერილები იყო გამოქვეყნებული.

უთხარით, რომ გ.თასოევი ვინმე გამოგონილი პიროვნება კი არ არის, "ლიტერატურული საქართველოს" საკუთარი კორესპონდენტია.

უთხარით, რომ არჩილ გოგელიამ კი არ გაათავისუფლა გაზეთ "თბილისის" რედაქციიდან, არამედ საქართველოს კომპარტიის ბიუროს დადგენილებით გაუქმდა მისი ადგილი, ხოლო როცა არჩილ გოგელიამ ადამიანური დიდსულოვნებით აღადგინა "მოსკოველი" ჟურნალისტი, მას მთელი კოლექტივი აუჯანყდა. იქნებ აქვე გაახსენოთ ეს დოკუმენტი:

"გაზეთ "თბილისის" რედაქტორს

არჩილ გოგელიას

განცხადება

თითოეულმა ჩვენგანმა, ისევე, როგორც თქვენ, კარგად იცის, თუ რა რთულ მდგომარეობაშია ამჟამად ჩვენი რედაქცია. დაუსრულებელმა კონფლიქტმა, რომელიც კ.აბრამიასთან არის დაკავშირებული, დაარღვია გაზეთის კოლექტივის ნორმალური მუშაობის რიტმი. მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივმა 1987 წლის 14 აპრილს, საერთო პარტიულ-პროფკავშირულ კრებაზე ერთსულოვნად გამოუცხადა უნდობლობა რედაქციის ყოფილ მუშაკს კ.აბრამიას, თქვენი გადაწყვეტილებით იგი რატომღაც კვლავ აღგდენილია სამუშაოზე და როგორც მოსალოდნელი იყო, ქმნის რედაქციაში დაძაბულობას, მითქმა-მოთქმის, ენის მიტან-მოტანის, უსაფუძვლო ბრალდებებისა და საჩივრების ატმოსფეროს. თუ რატომ გამოვუცხადეთ უნდობლობა, თავის დროზე აბრამიას, ეს კარგად არის თქვენთვის ცნობილი. ჩვენ გვინდა მხოლოდ დავძინოთ, მისმა სამსახურში დაბრუნებამ რედაქციას გადაუჭრელი მორალურ-ეთიკური პრობლემები შეუქმნა. ამიტომ, თავს უფლებას ვაძლევთ, გითხრათ, რომ თქვენ, როგორც ხელმძღვანელმა, კ.აბრამიას სამსახურში აღდგენით დაუშვით შეცდომა, უგულებელყავით კოლექტივის ერთსულოვანი სურვილი და ნება, რაც სრულიად შეუფერებელია ქვეყნის ცხოვრების უკლებლივ ყველა დარგში მიმდინარე საჯაროობისა და დემოკრატიზაციის ვითარებაში. ამასთან, თქვენ, კოლექტივის მოსაზრების გვერდის ავლით, გამოეცით ბრძანება კ.აბრამიას სამუშაოზე აღდგენის შესახებ. თანაც საამისოდ არავითარი რეალური საფუძველი არ გაგაჩნიათ. ამის უფლება თუნდაც იმიტომ არ გქონდათ, რომ კ.აბრამია თბილისში არ არის ჩაწერილი... უფრო მეტიც, ჩვენს რედაქციაში ვაკანტური ადგილი არ არსებობდა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, გთხოვთ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა, გააუქმოთ თქვენი ადრინდელი ბრძანება კ.აბრამიას აღდგენაზე და გამოსცეთ ახალი ბრძანება გაზეთ "თბილისის" კორესპონდენტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

გაზეთ "თბილისის" თანამშრომლები; სულ ოცდაათი ხელმოწერა".

უთხარით, კიდევ უთხარით, რომ ტყუილს კადრულობთ, როცა სწერთ _ არჩილ გოგელიამ გამათავისუფლაო...

უთხარით, რომ არც ელიზბარ ჯაველიძე და არც არჩილ გოგელია პირადად არ იცნობდნენ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნიკოლსკის. მათი შეხვედრა მხოლოდ ერთხელ მოხდა, ისიც ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ ბიუროზე (21 თებერვალს 1987წ.), სადაც ბ.ნიკოლსკიმ ისინი სასტიკად გააკრიტიკა, მათი გაზეთები კი მონათლა, როგორც ნაციონალისტური, არაფორმალთა თავშესაფარი, დიდი სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ორგანოები.

უთხარით, რომ არც ელიზბარ ჯაველიძე და არც არჩილ გოგელია საერთოდ არ იცნობენ რაულ ჯახიას, თქვენ კი ამ ხალხს "ჯაველიძე-გოგელიას დანაშაულებრივი ჯგუფის" წევრებად წარმოგვიდგენთო... ისიც შეახსენეთ, რომ ეს მეთოდი მავანთა დაშინებისა, რასაც იწვევს მისი ახირებული მოთხოვნების უგულებელყოფა, ძველია, არახალია.

უთხარით, რომ მისი "მოსკოვური საქმიანობა" ფართო წრეებში ცნობილია. შეახსენეთ, რომ "მაჭანკლობით", დასმენით და საჩივრებით მოპოვებული "ავტორიტეტი" და "ძალა" ისევ იოლად ნადგურდება, როგორც საპნის ბუშტი. ისიც გააგებინეთ, რომ მოსკოვის დღეს არავის ეშინია და კრემლის მსტოვრობით, ბაკატინებისა და, თუ გნებავთ, თვით პრეზიდენტის სახელითაც ვეღარავის შეაშინებს.

უთხარით, რომ კიდევ ერთი ადგილი გვახსოვს მისი ათასგვერდიანი "შანტაჟოლოგიიდან", ამ წერილში იგი პარტიული რიგების სიწმინდეს იცავს: "...მე, რა თქმა უნდა, მოვალ აქ სამუშაოდ მხოლოდ მას შემდეგ, როცა პარტიიდან გაირიცხებიან საბოტაჟის მეთაურები, ანტიპარტიული გამოსვლების ხელმძღვანელები..."

უთხარით, რომ ჩვენ გვახსოვს, როცა კლარა აბრამია და ერთი ქალი ძიუდოს ილეთებით ებრძოდნენ ერთმანეთს ერთი მამაკაცისათვის...

უთხარით, რომ უსაფუძვლო შეურაცხყოფა მიაყენეთ გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას, მის სარედაქციო კოლეგიას, რედაქტორთა საბჭოს, არ გეკადრებოდათ ისეთი უხამსი ტონი...

კლარას ნაცნობებს კი, ალბათ, ეცინებათ და გულში ამბობენ:

_ უთხარით, თორემ სიწითლე არ მოედოს მის მრავალჭირგადანახად სხეულს, მტკვარში არ დაიხრჩოს შერცხვენილი თავი, სინდისის ქენჯნამ არ აიტანოს. უცებ... ბოდიშის მოხდის სურვილით არ აღინთოს კლარას სული... უთხარით, უთხარით, შეაყარეთ კედელს ცერცვი.

კ.აბრამია თუ ვერ გაიგებს, იქნებ ხელისუფლებას შეაგონონ რამე, იქნებ აუხსნათ, რომ დიდი შეცდომა იყო, უპირველეს ყოვლისა, "სამეგრელოს რეგიონის გაზეთის" გამოცემა.[44]

მერმე მისი გამოცემა თბილისში.

დაბოლოს. მის რედაქტორად კ.აბრამიას დანიშვნა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მართალია, დღეს ყველაფერი თავდაყირა დგას, სრული ქაოსი და განუკითხაობა ზეიმობს, რაც აშკარად ცენტრის ვერაგული განზრახვით ხდება, მაგრამ მოგვკალით და მაინც არ გვჯერა, რომ, მიუხედავად კრემლის წინაშე დიდი დამსახურებისა, კრემლის დანიშნული იყოს მოსკოველი ჟურნალისტი თბილისში გამომავალი სამეგრელოს რეგიონის გაზეთის რედაქტორად.

აი, ამაზე იტყვიან კვლავაც, საიდან სადაო? ჩვენც ვკითხოთ საქართველოს ხელისუფლებას: მართლაც, საიდან სადაო?!

გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორთა საბჭო

---

[44] ეს სწორია, 1993 წელს, შობა დღეს, სამეგრელომ ქ.ზუგდიდში საჯაროდ დაწვა "მეგრელებისთვის" ქ.თბილისში გამოცემული ე.წ. გაზეთი "ტორონჯი".

(გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 19 ოქტომბერი, 1990წ.).

1990წ. ოქტომბერი: იმ დროისათავის წინასაარჩევნო ვითარებაზე გაზეთი “სამშობლო” წერდა: “საქართველოში არჩევნის ჟამი დადგა. ჯერ ეროვნული კონგრესისა, შედგეგ კი... თუმცა, მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრობით. ეროვნული კონგრესის არჩევნები იმთავითვე გარკვეული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. ჩვენ არ მოვყვებით იმის გარკვევას, თუ რით იყო განპირობებული ეს სიძნელეები (ერთი ზოგადი ფორმულით კი შეიძლება შემოვიფარგლოთ _ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით) და არჩევნების ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის ამსახველ ოფიციალურ ინფორმაციას დავეყრდნობით: “30 სექტემბერს დანიშნული საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები იძულებული გახდნენ განეგრძოთ 1 ოქტომბერსაც. როგორც კონგრესის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გია მჭედლიძემ თქვა, ხმის მიცემის ვადების გაგრძელება გამოწვეული იყო მთელი რიგი, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებითაც. კერძოდ, წარმოიქმნა საარჩევო ბიულეტენების განმეორებით დაბეჭდვასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომლებიც განადგურდა საკოორდინაციო ცენტრში გაერთიანებული რამდენიმე პოლიტიკური პარტიის შტაბ-ბინებზე 19 სექტემბრის თავდასხმების შედეგად. გარდა ამისა, როგორც კომისიის წარმომადგენელმა თქვა, ზოგიერთი რაიაღმასკომის, მთელი რიგი სკოლებისა და სამუსიკო სასწავლებლების ხელმძღვანელობამ არ შეასრულა დაპირებანი საარჩევნო უბნებისათვის დაეთმოთ მათი კუთვნილი შენობები. ამიტომაც მოუწიათ სასწრაფოდ გაეერთიანებინათ და გაემსხვილებიათ უბნები. გია მჭედლიძის მტკიცებით, აღრიცხულია საარჩევნო უბნების დარბევის ფაქტები დიდუბისა და ისნის რაიონებში, ვაზისუბანში კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ბიულეტენების გამავრცელებლებს _ დებს იმერლიშვილებს. მაგრამ საერთოდ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის აზრით, რესპუბლიკის მოსახლეობამ ქაოტური მონაწილეობა მიიღო ეროვნული კონგრესის არჩევნებში. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება თბილისის კრწანისის, სამგორისა და ოქტომბრის რაიონების, ქუთაისის, ზუგდიდის, ოზურგეთის, მარნეულის, საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონის მცხოვრებლებს” (“კომუნისტი”, 2 ოქტომბერი).

ეროვნული კონგრესის მომხრეთა სამწუხაროდ, არც 1 ოქტომბერს დანიშნულმა დამატებითმა არჩევნებმა გამოიღო სასურველი შედეგი და ცენტრალური საარჩევნო კომისია იძულებული გახდა არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამება კიდევ ერთხელ გადაევადებინა, ამჯერად 14 ოქტომბერს დანიშნული კიდევ ერთი დამატებითი პროცედურის გასათვალისწინებლად. ასე რომ, წინამდებარე მიმოხილვის დაწერის მომენტში ჩვენ არ გვქონდა საშუალება, რაიმე კონკრეტული გვეთქვა ეროვნული კონგრესის არჩევის შესახებ. კონგრესის ირგვლივ ვნებათაღელვა არც საჯაროდ გამოცხადებული არჩევნების თარიღის შემდეგ შემწყდარა. კერძოდ, გარკვეული გაუგებრობა სდევდა თან არჩევნებში “კომპარტიის დემოკრატიული ფრაქციის” მონაწილეობას, რის შესახებ განმარტებით გამოვიდა პროფესორი ნოე გელაშვილი: “როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის პრესცენტრმა მიმდინარე წლის 6 სექტემბერს გაზეთ “კომუნისტში” გამოქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ “უკანასკნელ დღეებში თბილისში ვცელდება ხმები, თითქოს საქართველოს კომპარტია მონაწილეობას აპირებს ეროვნული კონგრესის არჩევნებში და ოფიციალური სიებიც კი არსებობდეს, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელთა ხელმოწერითაც. ამასთან დაკავშირებით პრესცენტრს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ხმები არ შეესაბამება სინამდვილეს”. მიუხედავად ამ განხცადებისა, ეროვნული კონგრესის არჩევნებში, ინდივიდუალური სურვილის საფუძველზე, მონაწილეობა მიიღო

საქართველოს კომპარტიის წევრთა ერთმა ჯგუფმა "კომპარტიის დემოკრატიული ფრაქციის" სახელით, რასაც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა და რამაც მრავალი კითხვა შვა. მათ შორის, როდის და სად გაფორმდა "კომპარტიის დემოკრატიული ფრაქცია"? ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადოთ, რომ "კომპარტიის დემოკრატიული ფრაქცია", როგორც ასეთი, არ არსებობს. იგი ორგანიზაციულად არსად არ გაფორმებულა, მაგრამ, ვინაიდან საქართველოს კომპარტიას ოფიციალურად ჰქონდა უარი ნათქვამი ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობაზე, ამიტომ, ჩვენმა მცირერიცხოვანმა, ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა საინიციატივო ჯგუფმა, თავად ვუწოდეთ მას "კომპარტიის დემოკრატიული ფრაქცია", რათა მოგვცემოდა ეროვნული კონგრესის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესაძლებლობა. ეროვნული კონგრესის არჩევნების მონაწილე სხვა ორგანიზებული და რეკლამირებული ბლოკებისგან განსხვავებით, ჩვენ წინასაარჩევნო ბატალიებში საერთოდ არ მიგვიღია მონაწილეობა, არ გამოგვიყენებია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, საარჩევნო ოლქებსა და უბნებში არ გვყოლია არც ერთი წარმომადგენელი. მიუხედავად ამისა, ამომრჩეველთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, წინასწარი მონაცემებით, აბსოლუტურად თავისუფალი ნებით, დაგვიჭირა მხარი, რაც ერთგვარად მოულოდნელიც კი იყო ჩვენთვის" ("კომუნისტი, 5 ოქტომბერი).

რაც შეეხება კონგრესის მოწინააღმდეგეთა პოზიციას, იგი ნათლად აისახა საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარის, ბატონ ზვიად გამსახურდიას გამონათქვამებში: "_ საქართველოს დღევანდელი ვითარება მართლაც რთულია და ძნელად სამართავიც, ვინაიდან დღესდღეობით კრემლმა შეცვალა ტაქტიკა ეროვნულ მოძრაობასთან ბრძოლისა; მან დაინახა, რომ რეპრესიებით, პირდაპირი ოფიციალური ბრძოლით ვერაფერს დააკლებს ოპოზიციურ მოძრაობას. ამიტომ შექმნა ცრუ ოპოზიციები ყველგან, შექმნა ინტერფრონტები, მაფიოზური ძალები და დაუპირისპირა ეროვნულ მოძრაობას. იგივე ხდება საქართველოშიც _ ნამდვილ, შეურიგებელ და დემოკრატიულ ოპოზიციას დაუპირისპირდა ცრუ ოპოზიცია, რომელიც ოფიციოზთან შეთანხმებით მოქმედებს და ამჟამად, როგორც მოგეხსენებათ, ირჩევს ე.წ. ეროვნულ კონგრესს, რომელიც უნდა იყოს მეორე ხელისუფლება და დაძაბოს ურთიერთობა საქართველოში, გამოიწვიოს ანარქია, ქაოსი, და, შესაძლოა, სამოქალაქო ომიც. აი, ასეთია კრემლის ჩანაფიქრი. ე.წ. კონგრესი არის კრემლის უკანასკნელი იმედი. ა.წ. მარტში გამართულ ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე მეც მომხრე ვიყავი ეროვნული კონგრესისა, მაგრამ იმჟამად განზრახული იყო მხოლოდ შეურიგებელი ოპოზიციის წარმომადგენელთა შეყვანა კონგრესში. დღეს კი, თუ გადავხედავთ მომავალ კონგრესმენთა სიას, დავინახავთ, რომ საკმაოდ "შეურიგებელი, კოლაბორაციონისტული და მაფიოზური ძალები აპირებენ მასში შესვლას. გარდა ამისა, თავიდან განზრახული იყო, რომ კონგრესი უნდა აერჩია საქართველოს კანონიერ მოსახლეობას და ჯერ უნდა განსაზღვრულიყო ამ კანონიერების სტატუსი. ახლა ეს ყოველივე დაივიწყეს და განურჩევლად ყველას აძლევენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, ოღონდ ხმები მოაგროვონ. ყოველივე ამასთან ერთად, იმჟამად არ არსებობდა პერსპექტივა დემოკრატიული, მრავალპარტიული საარჩევნო კანონისა უზენაეს საბჭოში, რასაც ესოდენ დიდი ბრძოლით მივაღწიეთ. აი, რატომ აღარა ვარ დღეს კონგრესის მომხრე და ზედმეტად მიმაჩნია იგი, უფრო მეტიც, ერისათვის დიდი საფრთხის შემცველად. გარდა ამისა, ეს კომპარტია, რომელიც ხედავს, რომ დიდი პერსპექტივა არა აქვს უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვებისა, ცდილობს შემოიყვანოს სატელიტური ორგანიზაციები, როგორებიცაა, მაგალითად, ორგანიზაცია "სტალინი", სახალხო პარტია და სხვანი, რათა უფრო ფართო ფრონტით შემოუტიოს ოპოზიციურ ძალებს" ("ლიტერატურული საქართველო", 5 ოქტომბერი, 1990წ.).

1990წ. ოქტომბერი. ამასობაში საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გამოქვეყნდა საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშები, რომლებთანაც გაცნობა, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის:

საარჩევნო ბიულეტენი

28 ოქომბერი, 1990წ.

შემოხაზეთ იმ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევთ ხმას:

1. *"თავისუფლება"* _ საარჩევნო ბლოკი: რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, "დას"-ი (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის), ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, მწვანეთა პარტია, ეროვნული თანხმობის ასოციაცია, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.

2. საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტია;

3. *საქართველოს კომუნისტური პარტია;*

4. ?.. (იხილეთ სარედაქციო მინაწერი).

5. *"თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება"* _ საარჩევნო ბლოკი: ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი, მშვიდობისა და თავისუფლების პარტია;

6. *საქართველოს სახალხო პარტია;*

7. *სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება;*

8. ?.. (იხილეთ სარედაქციო მინაწერი)

9. *"საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიელთა კავშირი"* _ საარჩევნო ბლოკი: ეროვნული ერთიანობის პარტია, მთიელთა პოლიტიკური კავშირი;

10. *სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი;*

11. *"განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება"* _ საარჩევნო ბლოკი: კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, პროგრესულ-დემოკრატიული პარტია, შრომის პარტია;

12. *"მრგვალი მაგიდა"_ თავისუფალი საქართველო"* _ საარჩევნო ბლოკი: ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ეროვნული ფრონტი _ რადიკალური კავშირი, ლიბერალურ-დემოკრატიული კავშირი, ეროვნულ-ქრისტიანული პარტია;

13. *საქართველოს სახალხო ფრონტი;*

14. *"დამოუკიდებელი საქართველო"* _ საარჩევნო ბლოკი: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რესპუბლიკური პარტია, თავისუფალ დემოკრატთა კავშირი, ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება, დემოკრატიული სახალხო ფრონტი, დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია.

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენი

28 ოქტომბერი, 1990წ (საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება). შემოხაზეთ იმ დეპუტატობის კანდიდატის რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევთ ხმას:

1. *გვარი, სახელი, მამის სახელი* _ დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, პრტიულობა, პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება, რომელმაც წარადგინა დეპუტატობის კანდიდატად (თუ წარდგენილია ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ, დაიწერება "დამოუკიდებელი") და ა.შ.

პირველი სახის (პარტიული) ბიულეტენი იბეჭდება ფერად ქაღალდზე. მის დამზადებას და საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის მიწოდებას უზრუნველყოფს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მეორე სახის (დეპუტატობის კანდიდატების) ბიულეტენის დაბეჭდვას უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისია" (გაზ. "კომუნისტი", 9 ოქტომბერი).

ამას მოჰყვა არჩევნებში მონაწილე პარტიების (საარჩევნო ბლოკების) დეპუტატობის კანდიდატთა პარტიული სიები, ზოგიერთი პარტიის პროგრამა, რომელთა დაბეჭდვა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი გაზეთის ყოველგვარ შესაძლებლობებს აღემატება. საერთოდ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობის რამდენადმე ცალსახა შეფასება ამჟამად თითქმის შეუძლებლად გვესახება. თავად განსაჯეთ, აღნიშნულ პერიოდში ვხვდებით მოწოდებებს შეკავშირებისა და არჩევნების ნორმალურ ვითარებაში ჩატარებისაკენ, რის მაგალითადაც საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის მიმართვა შეიძლება ჩაითვალოს: "პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ისეთ საზღვარს მიაღწია, რომლის იქეთაც იწყება ქაოსი და განუკითხაობა. ხალხის მღელვარება სადაცაა ისტერიაში გადაიზრდება. სამშობლო განსაცდელშია! იყო დრო, როცა ამ დაძახილზე ქუდზე კაცი გამოდიოდა, "კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა" ფიქრობდა, ერთ მუშტად შეიკვრებოდა. და არ იყო ძალა მისი მძლეველი. დღეს კი ჩვენმა განხეთქილებამ და დაპირისპირულობამ შეიძლება კატასტროფამდე მიგვიყვანოს, დაგვარწმუნოს, რომ ქართველს არ ჰყავს უფრო დიდი მტერი, ვიდრე... ქართველი! განსაცდელი ემუქრება სრულიად საქართველოს! დღეს საქართველო ევიწროება ყოველ პარტიას, დღეს საქართველო ევიწროება ყოველ ქართველს, სურს მარტომ გაშალოს მხრები... ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჯერ არშობილი თავისუფლება, რომლის სიყვარულში ერთმანეთს ვეცილებით, ამ გაწევა-გამოწევაში ლამის ჩანასახშივე ჩავკლათ! გონს მოვეგოთ! პოლიტიკურმა პარტიებმა სიტყვიერი პაექრობით დავიწყეთ, ერის წინაშე ერთმანეთის ბეზღობაზე და ცილისწამებაზე გადავედით. შემდეგ დღისით-მზისით ქალაქის ცენტრში ავტომატების ტკაცა-ტკუცი ავტეხეთ, ესეც არ ვიკმარეთ, ერთმანეთის მოტაცებას და ცემა-ტყეპას მოწინააღმდეგეთა რეზიდენციების დარბევა დავურთეთ და ახლა კი სისხლიც დაიღვარა... ვერაფერი ნუგეშია, მკვლელობა პარტიათა შორის ბრძოლას მოჰყვა, თუ შინაპარტიულ უთანხმოებას, უბედურება ისაა, რომ დაიღვარა ძმათა პირველი სისხლი... განვიცდით ამას და მონაწილე ვართ მათი ახლობლების მწუხარებისა. კიდევ რა მოჰყვება ამას? სამოქალაქო ომი? განა ისედაც რამდენი ვართ ქართველები, ბარემ ორ-ორ მილიონად გავიყოთ და დავამთავროთ ჩვენი მრავალტანჯული ისტორია! ამისთვის ბევრი რამ როდია საჭირო: საკმარისია უზომო ამბიციებით გამსჭვალულ, კუნთებდაბერილ პიროვნებათა დანაშაულებრივი მოქმედება და ხელისუფლების დანაშაულებრივი უმოქმედობა. დღეს ნათლად ჩანს, როგორ შეიკრა ამ თითქოს ორი ოპოზიციური ძალის ალიანსი. ჩვენ კვლავ ვგმობთ ყოველგვარ არათუ რეპრესიას, არამედ შევიწროებას პოლიტიკური შეხედულებების გამო, მაგრამ გაუმართლებელი "დემოკრატიულობა" სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიმართ, საზოგადოების ან ცალკეულ მოქალაქეთა კანონის საშუალებით დაუცველობა ეროვნული მოძრაობის ჩახშობით დაინტერესებული იმპერიის სამსახურად და ერის ღალატად მიგვაჩნია. უნდა იგრძნოს თუ არა საქართველომ, რომ მთავრობა ჰყავს, რომელიც იმპერიის ინტერესებს კი არ იცავს, თავის ერს ემსახურება? უნდა იგრძნოს თუ არა საქართველომ, რომ პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს კი არ ვებრძვით პირველობისათვის, არამედ თავისუფალი, სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად ვიღწვით? მოვუწოდებთ საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიას, მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, შევიგნოთ, რომ "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა" წარმავალია, მარადიულია მხოლოდ საქართველო! სწორედ ამიტომ ხელისუფლება ვალდებულია აღკვეთოს არაცივილიზებული მეთოდებით გაჩაღებული ყოველგვარი ბრძოლა, რომელ პარტიას ან პიროვნებას არ უნდა მიუძღოდეს ამაში ბრალი, არ შეიძლება ყველა დამნაშავე

“დაუდგენელი პიროვნება” იყოს! ხოლო ყოველი პოლიტიკური პარტია, რომელიც უკვე აღარ არის “არაფორმალური” და ამიტომ პასუხს აგებს თავის მოქმედებაზე, ამჟამად მხოლოდ იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები და პარლამენტური გზით მოვუპოვოთ სამშობლოს თავისუფლება! იმედი გვაქვს, ჩვენს მოწოდებას მხარს დაუჭერს ქართველი ერი, სრულიად საქართველო, რომელიც ღირსია თავისუფლებისა და არ იმსახურებს ასე უაზროდ, ასე უპასუხისმგებლოდ მიყენებულ იარებს! თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იგრძნოს, რომ ჩვენ ტკივილი ვართ საქართველოსი, დავუამოთ სამშობლოს ტკივილი!” (“თბილისი”, 9 ოქტომბერი, 1990წ.).

მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, უკლებლივ ყველა პარტია თუ საარჩევნო ბლოკი არ ერიდება ურთიერთთავდასხმებს და მეტოქეთა დისკრედიტაციის ზოგჯერ უსაფუძვლო, ზოგჯერაც კი გამართლებულ ცდებს. საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა _ თავისუფალი საქართველო” განცხადებით მიმართავს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას: “საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის 36-ე მუხლის მიხედვით “დაუშვებელია პარტიულ სიაში იმ პირთა შეტანა, რომლებიც იმავდროულად არჩევნების მონაწილე სხვა პარტიის წევრები არიან, გარდა ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიებისა”. კანონის იმ დებულების განხორციელების მიზნით გთავაზობთ შემოწმებულ იქნას საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია “სტალინ”-ის საარჩევნო ბლოკ “თანხმობა, მშვიდობა, აღორძინების”, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარტიული სიები შემდეგი წესით: სკკპ პირველად პარტორგანიზაციებში შემოწმებულ უნდა იქნას არსებობს თუ არა იმ პირთა განცხადებები პარტიიდან გასვლის შესახებ, რომლებიც შეტანილი არიან ზემოთ დასახელებულ პარტიულ სიებში. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს დაზუსტდეს, როდისაა განცხადება დაწერილი. შემოწმების შედეგები უნდა გაფორმდეს შესაბამისი აქტით და წარედგინოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დააკმაყოფილებთ ჩვენს ამ მოთხოვნას, ჩვენ მზად ვართ ამ სკითხის რეალიზაციისთვის დაგახმაროთ ჩვენი წარმომადგენლები, რომლებიც, ცხადია, ორივე მხრიდან აღჭურვილნი უნდა იყვნენ შესაბამისი უფლებამოსილებებით” (“ახალგაზრდა ივერიელი”, 4 ოქტომბერი, 1990წ.).

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკაში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემებს: “კონფერენციაზე განიხილეს ფართო წრის საკითხები. კერძოდ, ლაპარაკი იყო საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, ქართული ენისა და აქ მცხოვრები სხვა ხალხების ენების ურთიერთობის, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად რესპუბლიკის ყველა მოქალაქის უფლებათა თანასწორობის შესახებ. _ ეროვნებათაშორისის ურთიერთობის პრობლემა, _ თქვა კონფერენციის მონაწილემ, “ეროვნული თანხმობის” ასოციაციის თავმჯდომარემ ალექსანდრ რუსეცკიმ, _ ჩვენ მიგვაჩნია რგოლად იმ პრობლემათა დიდ ჯაჭვში, რომლებიც უნდა გადავჭრათ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვან რგოლად. ცხადია: ცნებების “ქართველისა” და “არაქართველის” დაპირისპირება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ადამიანთა დამოკიდებულების მიუხედავად აფერხებს თვით მოძრაობას რესპუბლიკაში, სადაც 90-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. ამიტომ დემოკრატიული ძალების ინტერესებში შედის მიაღწიონ ეროვნულ თანხმობას, რომლისკენ მიმავალი გზა უნდა დაესახა სწორედ ახლანდელ კონფერენციას. პრობლემას ღრმა შესწავლა სჭირდება. ამისათვის, ვფიქრობ, მიზანშეწონილია შეიქმნას კომისია, მასში უნდა შევიდნენ ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი

ორგანიზაციის წარმომადგენლები. ეროვნებთშორისი უთანხმოების აღმოფხვრის გზად მიგვაჩნია ეროვნულ-კულტურული ჰუმანიტარული კავშირურთიერთობა. ჩვენი აზრით, საქართველოში უნდა შეიქმნას ეროვნულ-კულტურულ საზოგადოებათა ერთიანი ცენტრი. მუშაობა ამ მიმართულებით უკვე წარმოებს. ახლახან "ეროვნული თანხმობის" ასოციაციის მხარდაჭერით ამოქმედდა ცენტრი, რომელშიც შევიდა რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ეროვნული გაერთიანება. ჩვენთვის ახლობელია საერთო-კავკასიური სახლის მშვენიერი იდეაც, რომელიც მწვანეთა პარტიამ წამოაყენა" ("თბილისი", 9 ოქტომბერი, 1990წ.).

უნივერსიტეტში დაიწყო კიდევ ერთი შიმშილობა: "10 ოქტომბრიდან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიმშილობა გამოაცხადა სამმა ადამიანმა. ეს გადაწყვეტილება მიიღო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კრებამ, რომელიც ამ დღესვე გაიმართა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. კრებაზე იმსჯელეს საზოგადოება "სტალინის" შესახებ, იმაზე, თუ რამდენად სამართლიანია უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ საზოგადოების უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. _ კრებაზე მოწვეულნი იყვნენ საზოგადოება "სტალინის" წარმომადგენლები, _ გვითხრა უნივერსიტეტის სტუდენტმა გია მამალაძემ, _ ამის შესახებ განცხადება გამოქვეყნდა პრესაში და გადაიცა ტელევიზიითაც, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ისინი შეკრებაზე არ გამოცხადნენ, როგორც დღეს მოისმინეთ, შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი. დოცენტმა ვახტანგ ცაგარეიშვილმა, უნივერსიტეტის თანამშრომელმა ემზარ გოგუაძემ და სტუდენტმა კოტე ნიშნიანიძემ უვადო შიმშილობა გამოაცხადეს. მათ მალე პერმანენტული შიმშილობით სხვებიც შეუერთდებიან. დაგეგმილია უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების გაფიცვა. სასურველია, თუ მათ შემოუერთდებიან ფაბრიკები, ქარხნები, საწარმოები. მოშიმშილეთა მოთხოვნები ასეთია:

1. გამოქვეყნდეს ინფორმაცია კრემლთან საქართველოს მთავრობის ყოველგვარი მოლაპარაკების შესახებ. აიკრძალოს ყველა სახის ხელშეკრულების დადება ახალი პარლამენტის არჩევამდე; 2. ამოღებულ იქნას პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიათა და ბლოკების სიიდან პოლიტიკური ორგანიზაცია "სტალინი", როგორც საქართველოში ტერორიზმის მქადაგებელი; 3. შეწყდეს ყოველგვარი ტერორი საქართველოში. "მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, _ ჩაწერილია რეზოლუციაში, _ მოვითხოვ მთავრობის გადადგომას" ("თბილისი", 11 ოქტომბერი).

ღმერთმა ინებოს, რომ ყოველივე ეს მშვიდობიანად დასრულდეს და 28 ოქტომბრის არჩევნები ისევე ცივილიზებულად ჩატარდეს, როგორც მთელმა საქართველომ 13 ოქტომბერს აღნიშნა დიდი ქართველი მამულიშვილის ბატონ მერაბ კოსტავას ტრაგიკული დაღუპვის წლისთავი.

გია ბურდული

სარედაქციო მინაწერი: აქ დაბეჭდილ საარჩევნო ბიულეტენის სიაში გამოტოვებული მე-4 და მე-8 ნომრით, შესაბამისად, წარმოდგენილი იყო "საქართველოს აგრარული კავშირი" და "საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია "სტალინი".

საქართველოს აგრარული კავშირი არჩევნებიდან მოიხსნა იმის გამო, რომ მის პარტიულ სიაში 20-ზე მეტი დეპუტატობის კანდიდატი შეყვანილი იყო საქართველოს საარჩევნო კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით.

რაც შეეხება საზოგადოება "სტალინს", იგი არჩევნებიდან მოხსნილია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელმაც დამატებით განიხილა ამ ორგანიზაციის მიმართ აღძრული სარჩელი.

სამწუხაროდ, თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული ის უარყოფითი დამოკიდებულება, რასაც ამ ორგანიზაციის მიმართ სამართლიანად იჩენდნენ

საზოგადოების პროგრესული ძალები და მხოლოდ მათი ახალი მღელვარების შედეგად იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება.

ამრიგად, ამომრჩევლები ბიულეტენებს მიიღებენ ამავე სახით _ სიაში გამოტოვებული იქნება მე-4 და მე-8 ნომრები (გაზ. "სამშობლო", ოქტომბერი, 1990წ.).

1990წ. 25 ოქტომბერს ბატონმა **ზვიად გამსახურდიამ** წინასაარჩევნო შეხვედრები მოაწყო გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის რაიონებისა და ქ.სოხუმის ამომრჩევლებთან. სოხუმის რესპუბლიკურ სტადიონზე მრავალათასიან ამომრჩევლებთან შეხვედრისას, გადაწყდა კიდეც თუ რა გზით უნდა ევლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკად კონსტრუირებულ ცხუმ-აფხაზეთს (სამწუხაროდ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სწორედ ეს მონაპოვარი განიავდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს "ქართული" პარტოკრატიისა და მისი ნომენკლატურის მიერ ხელში ჩაგდებული აფხაზეთის მრგვალი მაგიდის პოლიტიკური უწიგნურობით).

ასე იყო თუ ისე, გუდაუთისა და ტყვარჩელის საარჩევნო ოლქებს გარდა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები აფხაზეთის ასსრ ყველა რაიონში ჩატარდა და არჩეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები.

რაც შეეხება გუდაუთისა და ტყვარჩელის რაიონებს, ერთხელ უკვე ვთქვი და ვიმეორებ, ყველანაირი სეპარატისტული აულაგმაობის მიუხედავად, გუდაუთისა და ტყვარჩელის აფსუა მოსახლეობაში იყო ხალხი, რომელიც, თუმცა არ თანაუგრძნობდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ მზად იყო კენჭი ეყარა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. აი, ეს იყო მთვარი, რომ არ შემდგარიყო ზემოთხსენებული რაიონების ბოიკოტი და არჩევნებს არ მისცემოდა მონონაციონალური ხასიათი.

გარდა ამისა, ვიმეორებ, აფხაზეთის დანარჩენ რაიონებში აფსუა მოსახლეობიდან არაერთი საჩინო პიროვნება მოღვაწეობდა, რომელნიც მზად იყვნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ დამოუკიდებელი საქართველოსთვის ბრძოლაში (**ლ.მარშანია, ი.ანუა, რ.ეშბა, ს.ქეცბა ვ.ხაშბა, ვ.თარბა** და სხვა მრავალი, ზოგიერთმა მათგანმა, როგორც უკვე აღინიშნა, შემდგომში სიცოცხლეც კი შესწირა ამ დიად საქმეს).

სამწუხაროდ, აფხაზეთის პარტოკრატიისგან მართული მრგვალ მაგიდად წოდებული სიმრავლის უპატიებელი წინგაუხედაობის გამო ეს ასე არ მოხდა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში აფხაზეთიდან მოხვდა პოლიტიკური ასპარეზისათვის ამბიციური, ხელმრუდი და, რაც მთავარია, შედეგის თვალსაზრისით ჩლუნგი დეპუტაცია.

ჩვენდა საუბდუროდ, ეს წინგაუხედაობა ვერც მომდევნო _ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩვევნების დროსაც ვერ გამოსწორდა და აქაც, ორიოდეს გამოკლებით მოხვდა უკიდურესად არაკომპეტენტური ხალხი. ყოველივე ამაში დამნაშავე გახლავთ **გ.ლომინაძისა** და **ნ.მგალობლიშვილის** თანამოსაქმეთა საეჭო სიმრავლე.

1990წ. 14 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია, რომელიც აკურთხა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა **ილია II.** მღვდელმსახურება აღასრულა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატმა, დეკანოზმა **არჩილ მინდიაშვილმა.**

სესიამ, რომელსაც უხუცესთა სახელით მიმართა დიდმა პოეტმა და ერისკაცმა **მუხრან მაჭავარიანმა,** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ბატონი **ზვიად გამსახურდია.** ამის შემდეგ სესიამ მუშაობა განაგრძო და

მიღებული საკანონმდებლო აქტებით დინჯად შეუდგა საბჭოთა სახელმწიფო კონსტრუქციების თანმიმდევრულ დემონტაჟს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს
სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს უზენაესი *საბჭო ადგენს:*

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკა.

2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).

3. კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ.გამსახურდია. თბილისი. *1990 წლის 14 ნოემბერი.*

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო დროშის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 181-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო *ადგენს:*

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის გამოსახულება.

2. ძალდაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 11 აპრილის ბრძანებულება "საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშის შესახებ" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1951წ., №2, მუხ. 21).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ.გამსახურდია. თბილისი. *1990 წლის 14 ნოემბერი.*

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო გერბის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 180-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო *ადგენს:*

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულება.

2. ძალდაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 24 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978წ., №4, მუხ. 68).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ.გამსახურდია. თბილისი. *1990 წლის 14 ნოემბერი.*

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის
სახელმწიფო ჰიმნის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 182-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო *ადგენს:*

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკალური რედაქცია (თან ერთვის).

2. ამ კანონით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესრულება მთელ რესპუბლიკაში შემოღებულ იქნეს 1990 წლის 15 ნოემბერიდან.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკის ნოტები გამოქვეყნდეს.

4. ძალდაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულება (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1978წ., №4, მუხ. 69).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ.გამსახურდია. თბილისი. *1990 წლის 14 ნოემბერი.*

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი "დიდება"

კ.ფოცხიშვილის

ტექსტი და მუსიკა

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს,
ტურფა ივერსა,
დიდება ძმობას, ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!
დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა;
ვაშა ტრფობასა, სიყვარულს,
ვაშა შვებასა, სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ განთიადსა!

საქართველოს რესპუბლიკის კანონი სავალდებულო სამხერდო სამსახურის შესახებ
სსრ კავშირის კანონის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედების
თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო *ადგენს:*

შეჩერებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედება, რათა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები აღარ გაიწვიონ საბჭოთა არმიის რიგებში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ.გამსახურდია. თბილისი. *1990 წლის 15 ნოემბერი.*

საქართველოს რესპუბლიკის კანონი
საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აცხადებს რა საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები, *ადგენს:*

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებანი:

I. 1. პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა უცხო ძალის ჩარევის შედეგად.

ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას.

1917 წლის თებერვალში დაემხო რუსეთის იმპერია, რამაც ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღედგინა საუკუნეზე მეტი ხნის წინ რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობა.

ქართველმა ერმა თავისი პოლიტიკური ნება განახორციელა 1919 წლის 12 მარტს, როდესაც დამფუძნებელი კრების პირველ სხდომაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ცნო და დაადასტურა ადრე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგ კი 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით (განსაკუთრებით 1924, 1936-38, 1949-51, 1956 წლებში), რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ მოვლენამ თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ამით დაიწყო ახალი ხანა, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს არსებული კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და დამატებით იმოქმედებს გარდამავალი პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონი.

გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადდეს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

2. კონსტიტუციის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები "საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", "საქართველოს სს რესპუბლიკა", "საქართველოს სსრ" შესამაბისად შეიცვალოს სიტყვებით "საქართველოს რესპუბლიკა".

3. მე-4 თავის დასახელებიდან და პირველი, მე-4, მე-60, 65-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა "სოციალისტური", ხოლო 37-ე, 48-ე და 59-ე მუხლებში შეიცვალოს სიტყვით "სახელმწიფო".

4. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე, მე-60 მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა "საბჭოთა".

5. მე-4, 35-ე, 37-ე, 57-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები "სსრ კავშირის კონსტიტუცია".

6. ა) მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები "...კომუნისტური პარტია, სხვა...",

ბ) 25-ე მუხლიდან _ "...ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას...",

გ) 36-ე, მუხლიდან _ "...რევოლუციურ თუ...",

დ) 45-ე მუხლიდან _ "...კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად...",

ე) 57-ე მუხლიდან _ "...პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს საბჭოთა მოქალაქის მაღალ წოდებას",

ვ) 62-ე მუხლიდან _ "...საბჭოთა მრავალეროვან სახელმწიფოს..."

7. კონსტიტუციის

ა) მე-7 თავის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა სსრ კავშირის შემადგენლობაში”.

ბ) 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“საქართველოს რესპუბლიკა არის სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრე სახელმწიფო. იგი ძალადობით არის შეყვანილი სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა.

ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე”.

გ) 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებს და ინტერესებს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონისაგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი”.

დ) 180-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“საქართველოს სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ორნამენტიანი შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ვარსკვლავის ოქროსფერ ჩუქურთმას აქვს შავი არშია. ქიმების შიდა ველი ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია).

ვარსკვლავის გულზე მოთავსებულია მრგვალი ქართული ფარი, ქართული ფერის (შინდისფერი) ველით, რომელზედაც გამოსახულია ოქროსფლოქვებიან თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. მას მარჯვენა ხელში უპყრია საბრძოლოდ შემართული ვერცხლისპირიანი ოქროს შუბი, ხოლო მარცხენაში _ ოქროსზოლიანი ფარი.

თეთრ გიორგის აცვია ალისფერი შარვალი და ოქროსფერი წაღები. შემოსილია ვერცხლისფერ უჯრედებიანი ცისფერი ჯავშნითა და თეთრი მოსასხამით. ჯავშნის ქვემოთ მოუჩანს ყავისფერი (მიხაკისფერი) ტყავის პერანგი.

თეთრი გიორგის ცხენს უნაგირის ქვეშ დაფენილი აქვს ვეფხვის ტყავი. უნაგირი ოქროსია, ხოლო უზანგი _ ვერცხლისაა.

თეთრო გიორგის თავს ზემოთ რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია. ვარსკვლავის მარჯვნივ არის ვერცხისფერი მთვარე, ხოლო მარცხნივ ოქროსფერი მზე. მთვარისა და მზის გასწვრივ ორ-ორი რვაქიმიანი ვერცხლისფერი ვარსკვლავია.

თეთრი გიორგის ცხენს ქვემოთ შავი ფერით გამოსახულია მთის მწვერვალი”.

ე) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო დროშა არის მართკუთხედის ფორმის ქართული წითელი ფერის (შინდისფერი) ქსოვილი, რომელსაც ტარის მხარეს, ზედა კუთხეში, აქვს შავი (ზემოთ) და თეთრი (ქვემოთ) ზოლები.

დროშის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 3:5, თითოეული ზოლის (შავისა და თეთრის) სიგანე არის დროშის სიგანის 1/5, ხოლო სიგრძე _ დროშის სიგრძის 2/5”.

ვ) 180-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

"საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭო".

8. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნეს მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20, 23-ე, 29-ე, 30-ე და 61-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8 და 34-ე მუხლებიდან _ მეორე ნაწილები, აგრეთვე 58-ე მუხლის მეორე წინადადება.

9. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 28.

საქართველოს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია".

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ.გამსახურდია. თბილისი. *1990 წლის 14 ნოემბერი.*

<u>მიმართვა სრულიად საქართველოს</u>

ძვირფასო თანამემამულენო!

1990 წლის 14 ნოემბერს თავისი ძნელი, მაგრამ ფრიად საპატიო მოვალეობის აღსრულებას შეუდგა დემოკრატიული წესით არჩეული მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ ნდობის მანდატით აღჭურვილი ეს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო უეჭველად იქნება ჩვენი ეროვნული ნებისა და მისწრაფებების ჭეშმარიტი გამომხატველი.

გრძნობს რა შექმნილი მდგომარეობის ისტორიულ მნიშვნელობას, საქართველოს უზენაესი საბჭო თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს, დაუღალავად იღვაწოს გარდამავალი პერიოდის სპეციფიკით ნაკარნახევ პრობლემათა გადაჭრისა და ქვეყანაში შექმნილი მრავალმხრივი კრიზისის დაძლევისათვის. სწორედ ამ გზით უნდა შევამზადოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის აუცილებელი რეალური საფუძველი.

ერისა და პიროვნების სრული თავისუფლების დამკვიდრება ყოველი ჩვენგანის სანუკვარი მიზანია. მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ეროვნული თანხმობის, ურთიერთთანადგომისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე.

საქართველოს კეთილდღეობისათვის დღეს ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, ნებისმიერ პარტიულზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება.

ჩვენ, პარლამენტში არჩეული სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ განუხრელად ვიხელმძღვანელებთ საერთო-ეროვნული და არა ლოკალურ-პარტიული მოტივებით. ამგვარივე მოწოდებით მივმართავთ საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ამჟამად, დამოუკიდებლობის გზაზე მდგომ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს შუღლისა და ურთიერთდაპირისპირების რამდენადმე სერიოზული მიზეზი. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესი სრულიად უზრუნველყოფს პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობას, ყველა სოციალური ფენის ინტერესთა დაცვასა და ეროვნულ უმცირესობათა ყოველმხრივ განვითარებას.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ნათელყოფს, რომ ჩვენში არასოდეს შელახულა ამა თუ იმ ეროვნების ინტერესები. ამჟამადაც გარანტირებულია მათი

შეუვალობის ყველა პირობა, მათ შორის ავტონომიურ უფლებათა აღიარება და პატივისცემა.

თანამემამულენო!

საქართველოს უზენაესი საბჭო მიმართავს ყველას, ვისაც გულწრფელად აფიქრებს სამშობლოს ბედი, დადგეს ეროვნული შერიგების პოზიციაზე. მხოლოდ მტკიცე თანხმობა და ერთიანობა იხსნის საქართველოს, მიგვიყვანს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობამდე. ძმათა შორის შუღლის ჩამოგდება ახლა ღალატის ტოლფასია. ერთიანი საქართველო უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის უპირველესი საზრუნავი. ამ ერთიანობის მისაღწევად წმინდა ილია მართალმა თავის დროზე ნათელმხილველის კეთილგონიერებით მოგვიწოდა:

_ "მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი

ჩვენ უნდა ვსდიოთ ახალ სხვა ვარსკვლავს"...

დაე, ჩვენც, ახლანდელ ქართველობას, გვიღვიოდეს სურვილი წარსულზე ამაღლებისა, თვისტომის სიყვარულის და უფლის ერთგულებისა.

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო..

თბილისი.1990 წლის 14 ნოემბერი (გაზ. "სახალხო განათლება", 22 ნოემბერი, 1990წ.)

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა

პატივცემულო დეპუტატებო!

პატივცემულო სტუმრებო!

პატივცემულო საზოგადოებავ!

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს შეურიგებელი, დემოკრატიული ოპოზიციის ძალისხმევით მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში პირველად გაიმართა მრავალპარტიული, დემოკრატიული, არასაბჭოური არჩევნები. ამ არჩევნებში ქართველმა ერმა გამოხატა თავისი ნება, მან თავისი ნდობის მანდატი გადასცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდს _ გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა მრგვალმა მაგიდამ _ თავისუფალმა საქართველომ! გილოცავთ ამ გამარჯვებას, მეგობრებო!

ქართველმა ერმა გამოამჟღავნა უდიდესი პოლიტიკური სიმწიფე. მაღალი ეროვნული და მოქალაქეობრივი შეგნება, ქართველმა ერმა დაამტკიცა, რომ იგი მზად არის თავისუფლებისათვის! ჩვენ უდიდესი მადლობა უნდა მივაგოთ ყველა ქართველს, საქართველოს ერთგულ ყოველ მოქალაქეს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ საარჩევნო ბრძოლაში, იღვაწეს და გაისარჯნენ ეროვნული ძალების გამარჯვებისათვის, რამეთუ ეს გამარჯვება დემოკრატიის გამარჯვებაა, თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპების გამარჯვებაა ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ ამასთან, მეგობრებო, უნდა აღვნიშნო, რომ ეს ყოველივე დასაწყისია ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ომისა, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა ერმა და რომელსაც ჰქვია თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთით აღდგინება!

ღრმად მწამს მეგობრებო, რომ ის ერი, რომელმაც ესოდენ მაღალ დონეზე ჩაატარა თავისუფალი არჩევნები, შესძლებს დაბრუნებას დაკარგული სახელმწიფოებრიობისას!

უნდა გვახსოვდეს, მეგობრებო, რომ ეს გამარჯვება არ არის ერთი და ორი წლის მუშაობისა და ბრძოლის შედეგი. ეს არის დაგვირგვინება იმ პოლიტიკური ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი მოძრაობა ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან.

მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი ერი არასოდეს შეჰგუებია მონობას და სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. 1921 წელს საბჭოთა რუსეთისაგან

საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდგომ, მსოფლიოში უმკაცრესი სისხლიანი კომუნისტური დიქტატურის პირობებშიც კი, გრძელდებოდა ქართველი ერის ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და დღევანდელი გამარჯვება მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ამ ბრძოლაში დაღუპულ გმირებს. სამარადისო დიდება მათ სახელს!

საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად დღევანდელი სესია ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ ძირითად საკითხებზე: პირველი და უმთავრესი, რაც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ეს არის კონსტიტუციური რეფორმის საკითხი, გარდამავალ პერიოდში, გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონის შექმნა არსებულ კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საფუძველზე. დეკლარაცია თავად გარდამავალი პერიოდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ; როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში ჩვენი ყურადღების ცენტრში იქნება ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის საფუძვლის ჩაყრა, ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკური დიქტატისაგან მისი განთავისუფლება, ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება, მიწის კანონი, პრივატიზაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი პრინციპები, მუნიციპალური არჩევნები, სამართალდამცავი ორგანოების დეპარტიზაციისა და მართლწესრიგის განმტკიცების ღონისძიებანი, კულტურისა და განათლების სისტემის რეორგანიზაცია.

ძვიფრასო მეგობრებო!

როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული ოპოზიცია, მიუხედავად არჩევნებში გამარჯვებისა, ჯერჯერობით არ აცხადებს საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რაც განპირობებულია საქართველოში და მსოფლიოში არსებული პოლიტიკური რეალიებით. ჩვენ არ გვსურს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დეკლარაცია მარტოოდენ ქაღალდზე დარჩეს, ჩვენ გვსურს რეალური დამოუკიდებლობა, რასაც სჭირდება საფუძვლიანი შემზადება იურიდიულ-სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მიუხედავად საქართველოს ანექსიისა 1921 წელს, კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, და ამის გამო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია იურიდიული თვალსაზრისით დღესაც განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეჩერდა ანექსიის შედეგად. საქართველოს ტერიტორია იურიდიულად კვლავ ერთიანია და განუყოფელი, მასზე არ მოქმედებს არც ერთი უცხო სახელმწიფოს კონსტიტუცია, მათ შორის არც სსრკ კონსტიტუციები 1936 და 1978 წლისა. მართალია, საბჭოთა იმპერიამ საქართველოს ძალადობით თავს მოახვია თავისი კონსტიტუცია, მაგრამ, ჩვენი თვალსაზრისით, მისი მოქმედება დღემდე მხოლოდ ფაქტობრივი იყო და არა იურიდიული. დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მასობრივი საპროტესტო აქციების შედეგად, საქართველოში არასაბჭოური არჩევნების შედეგად მის ამ ფაქტობრივ მოქმედებასაც თანდათანობით ეცლება საფუძველი. ამის პირველი დამადასტურებელი საბუთი ის გახლავთ, რომ საქართველოში პირველად მთელი საბჭოური პერიოდის მანძილზე არჩევნები გაიმართა საბჭოური კონსტიტუციით რეგლამენტაციის გარეშე, ხოლო პარტიები რეგისტრაციაში გაატარეს არა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა, არამედ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, რომელიც პარიტეტული პრინციპით იყო დაკომპლექტებული, თანაც ეს რეგისტრაციაც არ ყოფილა რეგლამენტირებული არსებული კონსტიტუციით. ეს უდიდესი მიღწევაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, მეგობრებო. მთელი მსოფლიო დღეს განცვიფრებულია ამ მიღწევით!

ამჯერად ჩვენს წინაშე დგას ორი არჩევანი. დამოუკიდებელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების მიერ შედგენილი კონსტიტუციის აღდგენა და მისი მოქმედების განახლება ვერ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, ვინაიდან გრძელდება მისი მისადაგება თანამედროვე პოლიტიკური ვითარებისადმი. გარდა ამისა, იგი არ შეიცავს იმპერიული კონსტიტუციისაგან დამცავ იურიდიულ მექანიზმს, როგორიც აქვს დღესდღეობით არსებულ კონსტიტუციას მისი 77-ე მუხლის სახით.

ამიტომ, ჩვენი აზრით, გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონი უნდა დაფუძნდეს ისევე არსებულ კონსტიტუციაზე, მასში ფუნდამეტალური ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით, რათა არ შეიქმნას საკონსტიტუციო ვაკუუმი ახალი ეროვნული კონსტიტუციის შექმნამდე, რომელიც საფუძვლად დაედება უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს. ამავე მიზეზით არის განპირობებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის სახელის შეცვლა, რაც პოლიტიკურ სტრუქტურათა რეალური ცვლილების ანარეკლია; ასევე ეროვნული დროშისა და ჰიმნის აღდგენა. შექმნილი რეალური პოლიტიკური ვითარების ასახვისათვის ძველ კონსტიტუციას უნდა შევუცვალოთ პრეამბულა, ყველგან უნდა ამოვიღოთ სიტყვები "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", "კომუნისტური მშენებლობა", "კომუნისტური აღზრდა" და სხვა. უნდა შევიმუშაოთ ახლებური ფორმულირებანი 68-ე, 77-ე, 180-ე, 188-ე მუხლებისა, კონსტიტუციიდან უნდა ამოვიღოთ მე-3, მე-9, მე-14, მე-15, მე-16, მე-20, 23-ე, 30-ე, 61-ე მუხლები მთლიანად, ხოლო მე-8, 34-ე, 38-ე და74-ე მუხლებისა _ მხოლოდ მეორე ნაწილები; უნდა შეიცვალოს 58-ე მუხლის ფორმულირება.

რაც შეეხება საბჭოურ კონსტიტუციას, გარდამავალ პერიოდში მოხდება მისი სრული უვნებელყოფა და საქართველოს ტერიტორიაზე მისი მოქმედების ფაქტობრივი შეჩერება, რის საფუძველსაც გვაძლევს საქართველოს კონსტიტუციაში არსებული 77-ე მუხლი, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის მოხდება საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედების სრული იურიდიული შეჩერება და საქართველოში ახალი ეროვნული კონსტიტუციის ამოქმედება, რომელიც შემუშავებული იქნება გარდამავალ პერიოდში და რომელიც შეამზადებს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სამართლებრივ მექანიზმს.

ძვირფასო მეგობრებო!

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოში გრძელდება. ოღონდ ამჟამად იწყება მისი ახალი ეტაპი, მას შემდეგ, რაც ჩვენი მოძრაობის ავანგარდი _ მრგვალი მაგიდა ქართველმა ერმა, საქართველოს მოსახლეობის გადამწყვეტმა უმრავლესობამ აირჩია უზენაესი საკანონმდებლო ხელისუფლებაში. თვით მრავალპარტიული, არასაბჭოური არჩევნების ჩატარება ანექსიის პირობებში ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის უდიდესი აქტია, რამეთუ დღემდე არჩევნები ჩვენს სინამდვილეში იმართებოდა მხოლოდ ცენტრისაგან თავს მოხვეული ფსევდოსაარჩევნო სისტემითა და დიქტატით. ჩვენმა მოძრაობამ მიაღწია ახალი, ჭეშმარიტად მრავალპარტიული პარლამენტის არჩევას, რომელიც იქნება არა მხოლოდ უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება ჩვენი ქვეყნისა, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და კოორდინატორი და ამავე დროს ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელების ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტი.

ცენტრის ყოველგვარ საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ ჩარევას ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩვენ ვუპასუხებთ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მძლავრი აქტებით, რათა მეტროპოლიამ ვეღარ შესძლოს თავისი დიქტატის განხორციელება. ასე იქნება მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე. ჩვენ ვცნობთ

მხოლოდ საერთაშორისო სამართალს და მასზე დავაფუძნებთ ჩვენი ქვეყნის შიდა კანონმდებლობას. მართალია, დღეს ჩვენ უკვე ხელისუფლების სათავეში ვართ, მაგრამ ცენტრისადმი მაინც ოპოზიციად ვრჩებით.

ჩვენდამი ოპოზიციურად დაპირისპირებული ბანაკიდან გაისმის მოწოდება, თითქოს ჩვენ საქართველო დაუყოვნებლივ უნდა გამოვაცხადოთ კოლონიურ ქვეყანად, ხოლო ჩვენი თავი _ კოლონიური თვითმმართველობის ორგანოდ, ვინაიდან მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს კოლონიური სტატუსის მქონე ქვეყანა, სადაც ჩატარებულიყოს თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები და ეს ქვეყანა ამის შემდეგაც კოლონიად დარჩენილიყოს. კოლონიურ თვითმმართველობას ყოველთვის მეტროპოლია ნიშნავს, მას ხალხი არ ირჩევს. საქართველოში ეროვნული ხელისუფლების არჩევამ ზღვარი დაუდო საქართველოს კოლონიურ სტატუსს. საქართველო აღარ არის კოლონია, მაგრამ არც დამოუკიდებელი სახელმწიფოა ჯერჯერობით. ეროვნული ხელისუფლება კი იმის გამო ავირჩიეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში დაიწყოს ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია და აღდგეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. სხვა საკითხია საქართველოს ცნობა ოკუპირებულ ქვეყნად, საბჭოთა ჯარისთვის უცხო ქვეყნის არმიის სტატუსის მიცემა და საერთაშორისო სამართლის დონეზე საქართველოდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხის დაყენება, რისთვისაც აუცილებელი იქნება მოლაპარაკების დაწყება ცენტრთან და დასავლეთის ქვეყნებთან. ამრიგად, ჩვენის თვალსაზრისით, საქართველო ანექსირებული ქვეყანაა, რომელშიც დაიწყო ანექსიის შედეგების ლიკვიდაციისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესი, პირველი ნაბიჯი კი ამ გზაზე ცენტრის მიერ დანიშნული რეჟიმის შეცვლაა ახალი, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებით. ამასთან, ჩვენ კიდევ ერთხელ ნათლად უნდა გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულების მიმართ, რომლის წინააღმდეგიც ვართ იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ გარდამავალი პერიოდის საქართველო ჯერჯერობით არ არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

საქართველოს ახლად არჩეული მრავალპარტიული პარლამენტის განსხვავება საბჭოურ პერიოდში ცენტრიდან დანიშნული ე.წ. უზენაესი საბჭოსაგან იქნება ის, რომ ახალი პარლამენტი იქნება მუდმივმოქმედი, თავისი მუდმივი კომისიებით. იგი მხოლოდ ნომინალურად როდი იარსებებს, მას გადასაწყვეტი აქვს ურთულესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რის შედეგადაც გამოირიცხა დეპუტატობის შეთავსება სხვადასხვა თანამდებობებთან, რაც ნიშნავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების რეალურ გამიჯვნას.

საპარლამენტო კომისიების ძირითადი მიზანი იქნება საკანონმდებლო საფუძვლების შემზედება გარდამავალი პერიოდის რეფორმებისათვის.

როგორც ჩვენს პროგრამებშია აღნიშნული, გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური რეფორმის ძირითადი მიმართულება იქნება ბიუროკრატიული აპარატის, არსებული საბჭოთა იმპერიული სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური, ე.წ. ნომენკლატურული სისტემის გაუქმება და არჩევითობის პრინციპის დამკვიდრება აღმასრულებელი ხელისუფლების მმართველობითს სტრუქტურებშიც, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, ამ თვალსაზრისით მნიშვნალოვანი მოვლენა იქნება მუნიციპალური არჩევნები ადგილობრივ საბჭოებში, რაც აგრეთვე დემოკრატიული პრინციპით უნდა განხორციელდეს, რის შედეგადაც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები თავად იქნებიან მოსახლეობის სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებების დამცველნი.

რამდენადაც ჩვენ ვიბრძვით ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, ჩვენი სახელმწიფო წყობილება უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას, ჰელსინკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებებს, რათა ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდეს მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დასამკვიდრებლად. ვინ არ იცის, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოში განსაკუთრებით უხეშად ირღვეოდა მკვიდრი ქართული მოსახლეობის უფლებები, ილახებოდა მისი ინტერესები, ქართველთა დისკრიმინაციამ, ჩაგვრამ და შევიწროებამ კულმინაციას მიაღწია, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა დაამყარა არაქართველი მოსახლეობის ეთნოკრატიები. ქართული ენის სისტემატურმა დევნამ და კანონგარეშე გამოცხადებამ თვით საქართველოს დედაქალაქის თბილისის დაწესებულებათა უმრავლესობაში მუშაობის აუტანელი პირობები შეუქმნა ქართულ კადრებს, ხოლო რუსული ენის გაბატონება და ფაქტობრივ სახელმწიფო ენად მისი გადაქცევა იწვევდა და ახლაც იწვევს ნაწილობრივ ქართველთა დისკრიმინაციას, არაქართველთა პრივილეგირებას, რუსული ენის ცოდნის დონის მიხედვით კადრების შერჩევას და განაწილებას, რაც უხეშად არღვევს თვით არსებულ კონსტიტუციას. საბჭოთა პერიოდში საქართველო ოფიციალურად გამოცხადდა ეროვნებათა შერწყმისა და დიფუზიის თავისებურ ლაბორატორიად, რასაც ჰქონდა ერთადერთი მიზანი: ქართველი ერის სრული ასიმილაცია, მეზობელი ერების ხელოვნურად დაჩქარებული დემოგრაფიული ექსპანსიის გზით. ამ მიზნით ხდებოდა აგრეთვე ბიუროკრატიული აპარატის კორუფციაზე თვალის დახუჭვა და რამდენადმე მისი სტიმულირებაც, რის შედეგადაც უკანასკნელ წლებში საქართველოს მთელ რიგ რაიონებში არაქართველი მოსახლეობის ხელში აღმოჩნდა ათასობით ჰექტარი საუკეთესო სავარგულები, ხოლო ქართულ ოჯახებს, ჩვეულებრივ, გაყოფაზეც კი უარს ეუბნებოდნენ და ეუბნებიან ალაგ-ალაგ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. რამდენადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ჰელსინკისა და ვენის შეთანხმებანი ერთა შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპებს ემყარება, ქართველი ერის ამგვარი შევიწროება და დისკრიმინაცია საკუთარ მიწა-წყალზე და უცხო ერების პრივილეგირება უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო სამართლის ყველა აღიარებული ნორმის დარღვევად და საერთაშორისო დანაშაულად.

ამის გამო საქართველოს პარლამენტმა თავის უმთავრეს მიზნად უნდა დაისახოს საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალური და არა მოჩვენებითი განხორციელება, ქართულ ენაზე უნდა გადავიდეს საქმის წარმოება ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც ვერ იგუებენ ქართულ ენას თავიანთი ე.წ. საკავშირო დაქვემდებარების გამო, უნდა გამოეყონ ამგვარ დაქვემდებარებას ან სრულად შეწყვიტონ არსებობა. ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონების პარალელურად უნდა დაჩქარდეს საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღება, აგრეთვე კანონის შემუშავება, რომელიც ზღვარს დაუდებს უკონტროლო იმიგრაციას და უცხო ერთა დემოგრაფიულ ექსპანსიას საქართველოში. მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ უგულებელვყოფთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომელნიც კანონიერად მკვიდრობენ ჩვენს მიწა-წყალზე და ხელს უწყობენ ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით განზრახული გვაქვს, საქართველოში შევინარჩუნოთ ეროვნულ უმცირესობათა არსებული ავტონომიები, ცხადია, უფრო მყარ კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველზე, ქართული

მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების გათვალისწინებით, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი მომავალი წარმატებები პოლიტიკურ სფეროში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, ეკონომიკურ რეფორმებზე, რომლებსაც მიზნად ვისახავთ. ამისათვის კი აუცილებელია ვიცნობდეთ რეალურ სურათს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისას, რომელიც ცხადყოფს, რომ ქვეყანა აშკარა ეკონომიკური კრიზისის პირას დგას. კულტურული დაგეგმარებითი ეკონომიკა სულ უფრო და უფრო ამჟღავნებს, რომ საქართველოს საარსებო ეკონომიკური ინტერესების განხორციელების უნარი არ შესწევს. წლების განმავლობაში თავს იჩენდა დეფიციტი პირველადი მოხმარების საქონლისა, სურსათ-სანოვაგისა, საწვავისა. ეს ყოველივე ცხადი ხდება, უწინარეს ყოვლისა, ციფრობრივ მონაცემებზე დაკვირვებით. მაგალითისათვის, სტატისტიკური მონაცემებით, საქონლის მარაგმა რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციების საცალო ქსელში 1990 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგინა 1426 მილიონი მანეთი, ნაცვლად შარშანდელ ამავე პერიოდის 1478 მილიონი მანეთისა, ანუ შემცირდა 3,6 პროცენტით, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საცალო ქსელში 500 მილიონი მანეთის საქონლის მარაგი იყო, ნაცვლად 1989 წლის 1 ოქტომბრის 533 მილიონი მანეთისა. ამ პერიოდისათვის რესპუბლიკაში გვქონდა 84 დღის საქონლის მარაგი, ანუ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 16 დღის მარაგით ნაკლები. ვაჭრობის სამინისტროს საცალო ქსელში 56 დღის მარაგი იყო, ანუ 14 დღის მარაგით ნაკლები. მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების მარაგმა საბითუმო ვაჭრობასა და მრეწველობაში აშკარად იკლო, მაგალითისათვის, თუ 1989 წელს კარაქის მარაგი შეადგენდა 8,9 ათას ტონას, წელს ეს მარაგი შემცირდა 3,6 ტონამდე, შესაბამისად კვერცხის მარაგი შემცირდა 48,7 მილიონი ცალიდან 26,3 მილიონ ცალამდე, შაქარი _ 15,7 ათასი ტონიდან _ 14 ათას ტონამდე და ასე შემდეგ.

მაგალითისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების მიერ კვების ძირითადი პროდუქტების წარმოება 1990 წლის იანვარ-ოქტომბერში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: ხორცის წარმოება წინა წელთან შედარებით შემცირდა 19 ათასი ტონით, ძეხვეულისა _ 7 ათასი ტონით, კარაქისა _ 320 ათასი ტონით, ყველისა _ 5 ათასი ტონით, იგივე ხდება ყველა სხვა პროდუქტის წარმოების სფეროში. ამასთან, მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის მრეწველობაში და საბითუმო ვაჭრობაში თამბაქოს მარაგი 75,6%-ით ანუ 2,6 მილიონი მანეთით შემცირდა, ასეთივე სურათია მსუბუქი მრეწველობის საქონლის მიწოდების სფეროში, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ფონდში. საკოლმეურნეო ბაზრებზე თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობა შემცირდა 9,2%-ით, ხოლო ფასები გაიზარდა 25,6%-ით საშუალოდ. მოსახლეობამ საკოლმეურნეო ბაზრებზე დახარჯა 69 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასული წლის იანვარ-ოქტომბერში, იმავე პროდუქციის შეძენაზე. გეგმები ჩავარდნილია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ყველა სფეროში, სამრეწველო საწარმოები ვერ ასრულებენ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, განსაკუთრებით ჩამორჩენილია ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო, კულტურის სამინისტრო, ყოფილი საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო. კავშირგაბმულობის სამინისტრო, პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო, ახალგაზრდული საერთაშორისო ტურიზმის ბიურო, ჯანმრთელობის სამინისტრო,

საწარმოო გაერთიანება "საქავტომოტოსერვისი", ცეკავშირი, სპორტსაზოგადოება "დინამოს" რესპუბლიკური საბჭო.

მძიმე მდგომარეობაა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სფეროში. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფო სახსრებით საექსპლოატაციოდ ჩაბარებული საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობი შემცირდა 166 ათასი კვადრატული მეტრით, ანუ 33,4%-ით. წლის გეგმა ამ მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა მხოლოდ 31,4%-ით. ასეთივე მდგომარეობაა სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, ამბულატორიების, პოლიკლინიკების, პროფტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის სფეროშიც.

გრძელდება საფინანსო კრიზისი. სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსების მობილიზაციის დავალებების შესრულება კვლავ გაძნელებულია, ძირითადად საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან (შემოსავლებიდან) ბიუჯეტში გადასახდელების დავალებათა ქრონიკული შეუსრულებლობის გამო. ამ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს მოგებიდან გადასახდელების სახით დააკლდა 41,4 მილიონი მანეთი, ანუ 7,7%. მოგების საგეგმო დავალების შესრულებას თავი ვერ გაართვა 300-მა საწარმომ და ორგანიზაციამ, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერი ზარალით დაამთავრა 57-მა საწარმომ და ორგანიზაციამ, გრძელდება ჩამორჩენა სამშენებლო კომპლექსის საქმიანობაში, საფრთხის წინაშეა საწარმოო სიმძლავრეებისა და მშენებლობების ობიექტების ამოქმედების წლიური პროგრამების რეალიზაცია, საერთო-რესპუბლიკურ მაჩვენებელზე დაბალი შესრულება აქვს "საქნავთობს" (42,3%), "საქნახშირს" (64,4%), "საქაგრომშენს" (77,1%) და სხვა გაერთიანებებს. ამასთან ჩვენ დიდ დახმარებას ვუწევთ სხვა რესპუბლიკებს, მაშინ, როდესაც შინ თავად გვაქვს უკიდურესი მძიმე მდგომარეობა.

დღევანდელი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა შესასწავლია მრავალი თვალსაზრისით. დღესდღეობით საექსპორტო მოწოდებას აწარმოებს საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების 66 საწარმოო და ორგანიზაცია, მათ მიერ საექსპორტოდ განაწილებულია 140.7 მილიონი მანეთის პროდუქცია. საჭიროა კონტროლი, რათა ამგვარი საწარმოების საქმიანობა ყოველთვის შეესაბამებოდეს ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს, რათა არ დაზარალდეს ჩვენი საერთო-ეკონომიკური სტრატეგია. განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაუწესდეს ჩვენი სტრატეგიული ნედლეულისა და პროდუქციის ექსპორტს, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე თანდათანობითი გადასვლის პერიოდში, ჩვენი ეკონომიკის ზემოთხსენებული სავალალო სურათი, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია სოციალისტური ეკონომიკური სისტემის არაეფექტიანობით, ცენტრალური დაგეგმვის პრინციპი ძირითადი შემფერხებელი ფაქტორია ასეთ ვითარებაში, ამასთან იგი ხელს უწყობს საქართველოს კოლონიურ ძარცვას, ჩვენი ეკონომიკის დაქვემდებარებას ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკური სისტემის დიქტატისადმი. მნიშვნელოვანი დესტრუქციული ფაქტორია აგრეთვე კორუფცია, უკონტროლობა, სპეკულაცია, უყაირათობა, რაც გამოწვეულია ხელისუფლების სტრუქტურების მოშლით და უპასუხისმგებლობით.

ჩვენი თვალსაზრისით, შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი: ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებზე და ცენტრალურ დაგეგმარებაზე დამყარებული სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლა. ჩვენს პროგრამებში აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპი მდგომარეობს მიწოდებისა და მოთხოვნილებების საბაზრო ძალების რეგულირებაში. პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებისას კი მთავრობის მხრივ ჩარევა-

რეგულირება ძირეულად განსხვავდება სოციალისტური სისტემის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური რეგულირებისაგან. აქ კერძო სექტორის საქმიანობაში ჩარევა ან მისი რეგულაცია ძირითადად მომხმარებლის ინტერესების დაცვისათვის ხდება. წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, კერძო ფინანსური ბაზრები, თავისუფალი შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ინგრედიენტებია. მას შემდეგ, რაც ეს ელემენტები ამოქმედდება, ხალხი თავის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით გადაწყვეტს, თუ როგორი ფორმით ჩამოყალიბდება საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან, რესურსებს უნდა ანაწილებდნენ საბაზრო ძალები და არა ბიუროკრატია, სახელმწიფოს კონტროლი კი ამ განაწილებისადმი, ისევე, როგორც ფასების კონტროლი, არ უნდა ემყარებოდეს ადმინისტრაციების დრომოჭმულ მეთოდს. ამასთან, არსებობს დიდი საფრთხე ე.წ. "საბაზრო სოციალიზმისა", საბაზრო ეკონომიკა უშუალოდ უნდა დაეყრდნოს კერძო სექტორს და ღია საერთაშორისო ვაჭრობას. ამავე დროს აუცილებელია პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება, განსაკუთრებით სოფლად, საჭიროა შემოღება მიწის კანონისა, რაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღებას. ამ კანონის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს უნდა გადაეცეთ მიწა კერძო მფლობელობაში გასხვისების უფლების გარეშე, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს მოსახლეობის სოფლად დამკვიდრებას და გლეხური მეურნეობების განვითარებას საქართველოში. აუცილებელია აგრეთვე აღდგეს ტრადიციული ფორმები სოფლის მეურნეობისა, ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მევენახეობაზე, მეცხოველეობისა და მარცვლეული კულტურების განვითარებაზე. საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველადი მოხმარების საგნებისა და პროდუქტების მწვავე დეფიციტის გამო, გადაუდებელ ღონისძიებებად ჩავთვალეთ სავაჭრო ქსელში ნორმირების დაწესება და პასპორტების წარდგენით ვაჭრობა, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს მკაცრი კონტროლით, დავაწესეთ აგრეთვე საქართველოდან ღვინის, ხილისა და სხვადასხვა პროდუქტების უკონტროლოდ და დიდი რაოდენობით გაზიდვის აკრძალვა. უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა საბოტაჟის ფაქტებიც, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდი რაოდენობით აბარებენ პირუტყვს სასაკლაოებს და სხვა ტექნიკას, რასაც შეგნებული საბოტაჟის ელფერი დაჰკრავს.

ჩვენ ვაფრთხილებთ ყველას: მართალია ჩვენ გამოვაცხადეთ ეროვნული შერიგება და შემწყნარებლობა, გამოვაცხადეთ, რომ არავის განვიკითხავთ წარსული ცოდვებისათვის, მაგრამ ვინც ამიერიდან დაუპირისპირდება დღევანდელი განახლების პროცესს, ისევ კორუფციით, სპეკულაციითა და საბოტაჟით გაამწვავებს ისედაც გამწვავებულ ვითარებას, პასუხს აგებს ერისა და კანონის წინაშე.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადო აგრეთვე, რომ საზოგადოებრიობის უდიდეს შეშფოთებას იწვევს დამნაშავეობის კატასტროფული ზრდა ჩვენს ქვეყანაში, რაზეც მეტყველებენ საგანგაშო სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, 1990 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში რეგისტრირებულია 15 839 დანაშაული, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,5%-ით მეტი, 15% გაიზარდა მძიმე დანაშაულობათა რაოდენობა, აქედან ჩადენილია 209 მკვლელობა, ანუ 21%-ით მეტი, ძარცვებისა და ყაჩაღობის რიცხვიც შესაბამისად გაიზარდა 1,9-ჯერ და 2-ჯერ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ დამნაშავეობას ვთვლით სოციალურ პრობლემად, ვინაიდან მას წარმოშობს ის მახინჯი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, რომელშიც ვცხოვრობდით წლების მანძილზე. რელიგიის განადგურება, ზნეობის დაცემა, სულიერი იდეალების მივიწყება და გაუარესება _ აი, დამნაშავეობის ნამდვილი საწყისები. დანაშაულის აღმოფხვრის, სოციალური ჰარმონიის დამყარების ერთადერთი

გზა იცის ცივილიზებულმა კაცობრიობამ: ეს არის რელიგიის აღორძინება, ახალგაზრდობის სწორი აღზრდა, ზნეობრივი იდეალების დამკვიდრება საზოგადოებაში. მაგრამ ამავე დროს იძულებულნი ვართ ვებრძოლოთ დანაშაულის კონკრეტულ გამოვლინებებს, განსაკუთრებით ისეთი დანაშაულისას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ვითვალისწინებთ რა შექმნილი ვითარების დიდ საზოგადოებრივ საფრთხეს, გადავწყვიტეთ გამოვცეთ მართლწესრიგის დაცვისა და განმტკიცების კანონი და დადგენილება ეროვნული შინაგანი ჯარის შექმნის შესახებ, რამაც უნდა უზრუნველყოს სტაბილურობა ქვეყნის შიგნით გარდამავალ პერიოდში. ამასთან, აუცილებელია სამართალდამცველი ორგანოების სრული დეპარტიზაცია, რაც უკვე დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, და ეს ფრიად მისასალმებელია. ჩვენ მივესალმებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საგანგებო ბრძანებას, რომელიც გმობს კაცისკვლას, როგორც უმძიმეს დანაშაულს ერის წინაშე, და ვთვლით, რომ ანათემისა და ერისაგან მოკვეთის ღირსია ყველა ის ქართველი, რომელიც თავის მოძმეს გაიმატებს.

ძვირფასო მეგობრებო!

ტოტალიტარული რეჟიმისა და კომუნისტური იდეოლოგიური დიქტატურის პირობებში საფრთხე შეექმნა ქართველი ერის არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ყოფას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სულიერ და კულტურულ ღირებულებებს. კატასტროფულ მდგომარეობაშია ქართული კულტურის უნიკალური ძეგლები: ალავერდი, მრავალძალი, ალვანის ცხრაკარა, ნიკორწმინდა, ზარზმა და მრავალი სხვანი, რომელთა უპატრონოდ მიტოვებას შთამომავლობა არ გვაპატიებს; მიშვებულია სამუზეუმო საქმე, მეურვეობა სჭირდება ხელოვნების დარგებს, დღესდღეობით აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არსებული სტრუქტურების რადიკალური რეფორმა, გასარკვევია კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვის სამმართველოს, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მფლობელ ცალკეულ პიროვნებათა თუ უწყებათა კომპეტენციის, სტატუსისა და მატერიალური ბაზის საკითხები. ამასთან, აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსპექციის შექმნა. წამყვანი კულტურული სახელმწიფო დაწესებულებების სტატუსის დადგენა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, რაც განსაკუთრებით შეეხება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ხელოვნების მუზეუმებს, ოპერისა და ბალეტის თეატრს. აუცილებელია განვიხილოთ აგრეთვე რაიონული თეატრების, მხრეთმცოდნეობისა და მემორიალური მუზეუმების დოტაციის საკითხები, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის, თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო პროგრამების გადახედვა-დახვეწა და მატერიალური ბაზის მოგვარება, მეცნიერებათა აკადემიის სტატუსის საკითხის განხილვა, მეცნიერების მართვის ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული სისტემის რადიკალური რეფორმა. უცხოეთიდან კულტურული კონტაქტები ახლებურად უნდა განვახორციელოთ, აუცილებელია საქართველოს წევრობა-მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში: ძეგლთა დაცვის ხაზით იკომოსში, სამუზეუმო საქმის ხაზით _ იკომში და ა.შ. რათა ჩვენი მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობა უკეთ გაიცნოს უცხოეთის საზოგადოებრიობამ, რაც აგრეთვე უზრუნვერლყოფს მისი დაცვის გაუმჯობესებას.

გადაუდებელია განათლების სისტემის რადიკალური რეფორმა. სასწრაფოდ უნდა გადაისინჯოს სასწავლო პროგრამები, უნდა გავაუქმოთ ყოვლად უსარგებლო და ზედმეტი დისციპლინები: ე.წ. სსრ კავშირის ისტორია, მარქსიზმ-ლენინიზმი, სოციალისტური პოლიტეკონომია, ე.წ. საზოგადოებათმცოდნეობა, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და სხვანი, უნდა აღვადგინოთ საქართველოს ისტორიისა

და გეოგრაფიის სრულფასოვანი სწავლება, უნდა გაფართოვდეს რელიგიური სწავლება, შეიქმნას საკვირაო სამრევლო სკოლები და თეოლოგიური ფაკულტეტები უმაღლეს სასწავლებლებში, უნდა გაღრმავდეს და გაუმჯობესდეს ქართული ენისა და ლიტარატურის სწავლება, საქართველოში უნდა დამკვიდრდეს ქართული სკოლის პრიორიტეტი, რუსული სკოლები უნდა შემცირდეს მხოლოდ რუსული მოსახლეობის მოთხოვნათა შესაბამისად, ქართველი ბავშვები აღარ უნდა იზრდებოდნენ რუსულ სკოლებში.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი სამართლიანი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. დე, იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით ჩვენი წინაპრების რელიგიური და ეროვნული იდეალების აღორძინებისათვის, რამეთუ საქართველოს დიდი მისია დააკისრა განგებამ. ქართველი ერი არნახული წამებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე, იგი ზნეობისა და სამართლიანობის ქომაგი იყო მუდამჟამს, მან ხორცი გასწირა სულისათვის, მან ჭეშმარიტების მსახურება დაისახა თავის უზენაეს მიზნად, რისთვისაც მრავალგზის იგვემა და ეწამა ბარბაროსთაგან და წარმართთაგან. მაგრამ მან გამოიარა ისტორიის გოლგოთა, რათა დამდგარიყო ჟამი მისი აღდგომისა და აღზევებისა, მისი გაბრწყინებისა მსოფლიოს ხალხთა წინაშე. რათა კაცობრიობა ეზიაროს ნათელს საქართველოსას, ღვთით მომადლებულს. არ არის შორს ის დრო, როდესაც საქართველო იქცევა ზნეობრივი სიდიადის მაგალითად მსოფლიოს ხალხთათვის.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური მოძრაობაა, რამეთუ რელიგიის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული აღორძინება. ამიტომაც არის დღეს ერთად ჩვენი ერი და ჩვენი ეკლესია. ჩვენ ვებრძვით უღმერთობისა და უსამართლობის უკუნეთ ღამეს, ჩვენს მართალ საქმეს განგება მფარველობს და ამიტომაც დავამარცხეთ მტერი. ქართველი ერი არ წავა ბარაბს გზით, უღმერთობის, ავაზაკობის, ტერორიზმის გზით, ქართველი ერის გზა სათნოების გზაა, სიქველის გზაა, სიყვარულის გზაა, ქრისტეს გზაა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

კურთხეულ იყოს ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო! ჩვენთან არს ღმერთი! ამინ!

(გაზ. "სახალხო განათლება", 22 ნოემბერი, 1990წ.)

1990წ. 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულების თაობაზე. მიიღო კანონი ამნისტიის შესახებ; გააუქმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული "საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის" ანტიკონსტიტუციური "კანონები".

1990წ. 4 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სესიის ჩატარება, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოიცავდა როგორც კონსტრუქციულ, ასევე დესტრუქციულ მომენტებს.

1990წ. დეკემბრის დასაწყისში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა **ზვიად გამსახურდიამ** ინტერვიუ მისცა ამერიკელ ჟურნალისტს **ედმონდ სტივენსის,**

კითხვა:

"_ ჩემი აზრით თქვენს გამოსვლაში ეროვნულ საკითხზე არის წინააღმდეგობანი. მაგალითად, 1988 წლის 1 ნოემბერს მწერალთა კავშირში გამართულ კრებაზე თქვენ განაცხადეთ: ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს გადასცეს აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი აზერბაიჯანს და იქვე დააყენეთ საკითხი, რომ საჭიროა გასახლებულ იქნან აზერბაიჯანლები მიწა-წყლიდან, რომელიც მათ უკანონოდ დაიკავეს. 1988 წლის 11 ნოემბერს კინოს სახლთან გამართულ მიტინგზე

გამისვლისას თქვენ ბრძანეთ: ოსებს განვუმარტეთ, რომ "თუ მათ არ სურთ ჩვენთან მშვიდობიანად იცხოვრონ, მაშინ საქართველოდან წავიდნენო".

1989 წლის 6 დეკემბერს სურათების გალარეასთან გამართულ მიტინგზე თქვენ მოუწოდებდით აჭარელ სეპარატისტთა ალაგმვას.

მესხეთელი თურქების საკითხზე ქართველი ერის მიმართვაში ჰელსინკის სახელით ითქვა, რომ თქვენ არ დაუშვებთ საქართველოში არც ერთი ეთნიკური თურქის ან თურქული ეროვნული ცნობიერების მქონე მოქალაქის ჩასახლებას. უფრო მეტიც, იგი (ქართველი ხალხი) იბრძოლებს ასეთების თურქეთში რეპორტაციისათვის. მაგრამ ოფიციალური პრესისათვის გაკეთებულ სხვა განცხადებაში თქვენ ბრძანეთ, რომ ქართველი ხალხისათვის უცხოა ეთნიკური სიძულვილი, ლაპარაკობთ ჰელსინკის შეთანხმების სულისკვეთებისადმი ერთგულებაზე. თავად თქვენ დიდი ხანია ბრძანდებით საქართველოში შექმნილი ჰელსინკის ჯგუფის ლიდერი.

როგორ განმარტავდით თქვენ ესოდენ პოპულარულ გამონათქვამებს?

პასუხი: "_ ჩემს გამონათქვამებში ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავ. როდესაც აზერბაიჯანიდან, ოსეთიდან ჩამოსახლებულთა გარკვეული ნაწილი და სხვა გადამთიელები აგრესიულად იქცევიან, ფეხქვეშ თელავენ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის უფლებებს, დისკრიმინაციას უწევენ მას, აგრეთვე, როდესაც ისინი ცდილობდნენ, ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, მოქალაქეთა სიცოცხლე, მაშინ ყოველივე ამას ჩვენ მივიჩნევთ აგრესიისა და დისკრიმინაციის აქტად.

საკუთარ მიწა-წყალზე ქართველი მოსახლეობის შევიწროება ყველა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმით შეიძლება შეფასდეს როგორც საერთაშორისო დანაშაული. კანონის პრივატიზება მოეთხოვებათ არა მარტო აზერბაიჯანელებს, არამედ ყველა სხვა ერის წარმომადგენლებსაც. უკანონოდ დაკავებული მიწები უნდა გაათავისუფლოს ყველამ, მათ შორის ქართველებმაც. მაგრამ საქართველოში უნგრევენ უკანონოდ აშენებულ სახლებს ქართველებს, ხოლო არაქართველი მოსახლეობის სახლებს თითს არ აკარებენ. ჩვენ ასეთი დისკრიმინაციის წინააღმდეგი ვართ. რაც შეეხება ნაირნაირ სეპარატისტებს, ჩვენ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ, ვინაიდან სეპარატისტთა პრეტენზიები _ ნაწილ-ნაწილ დააქუცმაცონ საქართველო _ ყოვლად უკანონოა.

რაც შეეხება ჰელსინკის შეთანხმებას, იგი როდი მოუწოდებს სახელმწიფოებს, ხელაღებით შეუშვან თავიანთ ტერიტორიაზე ასიათასობით გადამთიელი მუდმივი დასახლებისათვის. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს მოქალაქეობის კანონი. საქარველოს ასეთი კანონი ჯერ არა აქვს, ამიტომ, ჩვენ ამ კანონის მიღებამდე ვერ ჩამოვუშვებთ უცხოტომელებს. თანაც ესოდენ დიდი რაოდენობით. ჩვენს პატარა, მცირემიწიან ქვეყანაში, სადაც უიმისოდაც მოსხლეობის 35 პროცენტს უცხოელები შეადგენენ. ასეთ შემთვხევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ საერთაშორისო სამართლით, რომელიც ემყარება ჰელსინკის შეთანხმებას. ჰელსინკის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებს ასევე აქვთ კანონები, რომლიბიც ზღუდავენ ემიგრანტების, მეტადრე მუშახელის უსაზღვრო მოზღვავებებს მათ ქვეყანაში...

როდესაც გარედან ჩარევა შეწყდება, საქართველოში ყველა ეთნიკური პრობლემა თანდათან მოგვარდება. ამის დასტურია საქართველოს ისტორია..."

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" 7 დეკემბერი, 1990წ.).

1990წ. 8 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა **ზვიად გამსახურდიამ** პრესკონფერენციაზე პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს:

"_ 10 დღეში სახალხო დეპუტატთა IV ყრილობა დაიწყება მოსკოვში, საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელი ჩავლენ თუ არა. ყრილობაზე

სამოკავშირეო ხელშეკრულება ერთერთ საკითხად გადის. თქვენ პირადად თუ აპირებთ წასვლას?

_ ალბათ ვერ წავალ. რაღაც დელეგაცია ალბათ წავა. რაც შეეხება ფედერაციის საბჭოს, სადაც სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხი იხილება, იქ ჩვენ უარი ვთქვით მონაწილეობაზე, ვინაიდან საქართველო უარს ამბობს ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე, არც განხილვაში ვიღებთ მონაწილეობას".

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 18 დეკემბერი, 1990წ.)

1990 წლის დეკემბერში აშშ კაპიტოლიუმზე აღიმართა დროშა ზვიად გამსახურდიას პატივსაცემად: "გაცნობებთ, რომ ეს დროშა აღიმართა შეერთებული შტატების კაპიტოლიუმზე კონგრესის წევრის პატივცემული ბობ მაკეინის თხოვნით. ეს დროშა აღიმართა ზვიად გამსახურდიას პატივსაცემად, მისი საქართველოს პრეზიდენტად[45] არჩევისა და იმის ნიშნად, რომ აღიარებენ ახალი პარლამენტის ძალისხმევას საქართველოში დემოკრატიის დასამკვიდრებლად". ჯორჯ. მ.უაიტი.

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", №7, 11 იანვარი, 1991წ.)

1990წ. 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად მთელს რესპუბლიკაში (გარდა აფხაზეთის ასსრ-სა) შეწყდა საბჭოების უფლებამოსილება.

1990წ. 11 დეკემბერს მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, მიღებულ იქნა აგრეთვე დადგენილება ცხინვალისა და ჯავის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ.

1990წ. 15 დეკემბერი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმის განცხადება

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე მიღებულ იქნა კანონი "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ". მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს განცხადებებისა ავტონომიათა არგაუქმების შესახებ, საქართველოს უზენაესი საბჭო იძულებული გახდა გადაედგა ეს ნაბიჯი შემდეგ მიზეზთა გამო:

საქართველოში სამხრეთ ოსეთის ეროვნულ სახელმწიფოებრივი ერთეული შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წლის ძალდატანებითი გასაბჭოებისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ. ოლქის შექმნის მთავარ მიზეზად დასახელებული იყო "...ოსეთის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ისტორია", რაც გულისმობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ 1918 და 1920 წლებში მომხდარ შეიარაღებულ აჯანყებებს, რომელთა დროსაც საქართველოს ცალკეულ სოფლებში ცხადდებოდა საბჭოთა ხელისუფლება და ამ ტერიტორიათა მიერთება საბჭოთა რუსეთთან. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ინტერესების სრული იგნორირებითა და თვით ქართული ბოლშევიკური ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ. ავტონომიური ოლქის ცენტრად ხელოვნურად შეირჩა ქ.ცხინვალი, სადაც იმ დროისათვის სულ რამდენიმე ოსური ოჯახი ცხოვრობდა.

უკანასკნელ ხანს დაპირისპირება სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ მოძრაობასთან იმდენად გამწვავდა, რომ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ქმნიდა დესტაბილიზაციის საშიშროებას, რასაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყოლოდა. 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიღო დეკლარაცია "სამხრეთ ოსეთის

[45] ამ დროისათვის ზ.გამსახურდია არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. მისი მოხსენიება პრეზიდენტად ამ შემთხვევაში გულისხმობდა სახელმწიფოში პირველი პირის თანამდებობაზე მის მოღვაწეობას.

სუვერენიტეტის შესახებ", რომლის ძალითაც სამხრეთ ოსეთი ცხადდებოდა: "...სამოკავშირეო ხელშეკრულების და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად", რომელიც "...დამოუკიდებლად ახორციელებს საგარეო ურთიერთობას ფედერაციის სხვა სუბიექტებთან და სახელმწიფოებთან".

1990 წლის 21 სექტემბერს, ჯერ კიდევ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ეს დეკლარაცია გაუქმებულ იქნა, მაგრამ, 1990 წლის 16 ოქტომბერს ეს დადგენილება უარყოფილ იქნა, შეიქმნა "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის" აღმასრულებელი კომიტეტი და დაინიშნა არჩევნები "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის" უზენაეს საბჭოში. ეს მაშინ, როდესაც ოსი ერის ისტორიული სამშობლო რსფსრ-ს შემადგენლობაში დღემდე მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის სახით შედის.

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ გააუქმა ეს დადგენილებები და გააფრთხილა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობა ამ ანტიკონსტიტუციურ ქმედებათა შესაძლო შედეგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, 1990 წლის 9 დეკემბერს ეს არაკონსტიტუციური არჩევნები მაინც ჩატარდა. ფაქტის რეაგირების გარეშე დატოვება ნიშნავდა "ოსეთის დემოკრატიული საბჭოთა რესპუბლიკის ფაქტობრივ აღიარებას და შეგუებას საქარველოს ტერიტორიული მთლიანობის სრულყოფისადმი.

სამხრეთ ოსეთის მესვეურებმა ყურად არ იღეს ჩვენი ოფიციალური გაფრთხილება, არ წამოვიდნენ მოლაპარაკებაზე და განაგრძეს სეპარატისტული მოქმედებანი. ასე რომ, შეთანხმების გზით პრობლემის გადაჭრა არ მოხერხდა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის კონსტიტუციათა შესაბამისი მუხლებით, მიიღო კანონი "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ".

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი სრულიად შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას, რომელთაც ამავე დროს აქვთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეული თავიანთ ისტორიულ მიწაწყალზე _ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით.

1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (27-ე მუხლი), 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი, მადრიდისა და ვენის შეხვედრათა შემაჯამებელი დოკუმენტები და 1990 წლის "პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის" არ ითვალისწინებენ ეროვნულ უმცირესობათათვის რაიმე სახის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულის არსებობას.

ხოლო რაც შეეხება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს ეროვნულ უმცირესობათათვის კულტურული, რელიგიური და ენობრივი უფლებების დაცვის მხრივ, ეს უფლებები საქართველოში, და მათ შორის სამხრეთ ოსეთშიც, არასდროს დარღვეულა: სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოქმედი 145 სკოლიდან 90-ში მიმდინარეობს სწავლება ოსურ ენაზე. ფუნქციონირებს ოსური თეატრი, უმაღლესი სასწავლებელი და გამოდის პერიოდული გამოცემები ოსურ ენაზე. ვლადიკავკაზში, თვით ოსთა ისტორიულ სამშობლოში _ ჩრდილოეთ ოსეთში, ოსური მოსახლეობა ვერ სარგებლობს კულტურული ავტონომიის ესოდენ ფართო უფლებებით. რაც შეეხება საქართველოში ოსი ხალხის, როგორც ეროვნული უმცირესობის, უფლებების დაცვას, ეს საკითხი სულაც არ არის დამოკიდებული საქართველოში ოსური ეროვნული სახელმწიფოებრივი ავტონომიის არსებობასთან, რამეთუ საქართველოში ყოფილი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ თითქმის ორჯერ მეტი ოსი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს, ვიდრე თვით ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე და მათ საკუთარ უფლებებთან დაკავშირებით უკმაყოფილება არასდროს გამოუთქვამთ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ არაერთხელ იქნა განცხადებული, რომ იგი დაიცვას საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა უფლებებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილების მეორე დღესვე _ 12 დეკემბერს, 18 საათზე ცხინვალის ცენტრში ხელის ტყვიამფრქვევით მოკლული იქნა სამი ქართული ეროვნების სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, ხოლო სამიც მძიმედ დაიჭრა. მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალში 12 დეკემბრის 22 საათიდან საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი გამოცხადდა, რომელსაც ჯერ მხოლოდ სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები ახორციელებდენ. დაჭრილთა ცხინვალის საავადმყოფოდან გამოყვანა და გორის საავადმყოფოში გადაყვანა ვერ მოხერხდა, რადგან საავადმყოფო ალყაშემორტყმულია ოსი ეროვნების მოსახლეობის მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.
(გაზ. "საბჭოთა აფხაზეთი", 15 დეკემბერი,1990წ.)

1990წ. 20 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების _ ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ და ა.შ.

ამდენად, საქართველოსთვის მშობლიური მოსახლეობის ნების შესაბამისად საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა "მრგვალი მაგიდა" მშვიდობიანი გზით ხელისუფლებაში მოვიდა, რითაც უკვე 14 ნოემბერს მან: 1. მაიღწია საქართველოსა და მისი კანონიერი მოსახლეობის ცნობიერ და მორალურ დამოუკიდებლობას, 2. შეუდგა საბჭოური სახელმწიფოს იმპერიული კონსტრუქციების სამართლებრივ დემონტაჟს, 3. საბჭოთა ავტონომიებთან დამოკიდებულებაში დაამყარა სამართლიანი და წინდახედული ურთიერთობა, აქედან გამომდინარე, აფხაზეთის ასსრ-ის (ასევე აჭარისა და ცხინვალის მიმდებარე მხარის) მიმართ შეუდგა სწორი, ამ მხარეთა დასაბამისმიერი მოსახლეობისა და ძუძუმტე ხალხის სასიცოცხლო მიზანსწრაფულობათა ღვთივდადგენილ შინაარსში აღორძინებას. ამ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის მიერ ჩახლართული აფხაზეთის ასსრ ეთნოკრატიისა და პარტოკრატიის აგრესიული პოლიტიკური სისტემის დემონტაჟის დროს გაუგებრობათა გადაჭრას სამართლებრივი გზით (საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციისა და რიგი შესწორებების შესაბამისად).

ასეთი სანიშანსვეტო მოვლენების გასწვრივ, ყველაფრის აწონ-დაწონვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მე მებრძოდნენ და რადგან არ მსურდა, ნებით თუ უნებლიედ, ვინმე ჩასაფრებულის წისქვილზე მიმეშვა წყალი, **მერაბ კოსტავას** საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც არ იყო გაწევრიანებული ცხუმ-აფხაზეთის მრგვალ მაგიდაში, სძლია პირადი წყენა, ამბიციები განზე გადადო და თვალი გაუსწორა მთავარს, _ ყველაფრის მიუხედავად, აწ უკვე ეროვნული ხელისუფლების გვერდით არდადგომა შეცდომა იქნებოდა. ამ საკითხში ჩვენ დავეთათბირეთ **ა.მარკოზიასაც**, რომელიც ჩვენსავე მდგომარეობაში იყო.

ვინაიდან, მრგვალ მაგიდას (ქ.თბილისის, ასე ვთქვათ _სათაოს) აფახაზეთში მრავალი მტერი ჰყავდა, მათ შორის ე.წ. აფხაზეთის ეროვნული მოძრაობიდანაც, საჭირო იყო აფხაზეთის მრგვალ მაგიდაში უხმაურო შიდა ღონისძიებების გატარება, პირველ

რიგში კი ე.წ. დირექტორადის ნომენკლატურული წარმომადგენლების მიწევა საჭიდან რაც შეიძლებოდა შორს.

ბატონ **ა.მარკოზიასთან** ერთად დავიწყეთ მოლაპარაკებები, თუ როგორ ჩაგვეყენებინა **ზ.გამსახურდია** საქმის კურსში. ჩვენთვის ზურგის ქარი გახდა ის, რომ **ვ.ადამიას** დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა პარტოკრატიისგან მართულ აფხაზეთის მრგვალ მაგიდასთან, სადაც მისი (ვ.ადამიას) წარმომადგენლობა თვალში საცემი ოდიოზურობით გამოიყურებოდა. ასეთ ვითარებაში **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ჩვენი ჯგუფი მისი **(ვ.ადამიას)** გათვლით ჩასანაცვლებელ მარაგ ნაწილად შეიძლებოდა გამოყენებულიყო.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ პირდაპირ უნდა ვთქვა, ამ დროს აფხაზეთის მრგვალი მაგიდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს პარტოკრატიული ნომენკლატურის თავშესაფარი გახდა. მას ასევე მართავდა იგივე პარტნომენკლატურული შტაბი ე.წ. "დირექტორადის" სახით. შედეგებიც აქედან გამომდინარე გახლდათ. იგი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სვლაგეზით არ ქმედუნარიანობდა, ხოლო გენერალ **გ.ლომინაძის** მითითებათა შესაბამისად და ლოზუნგური დღის წესრიგით "მომუშავე" **ნ.მგალობლიშვილისა** თუ **მ.ძოძუაშვილის** ფართი-ფურთი მხედველობაში მისაღები არ იყო.

ასე და ამრიგად, აფხაზეთის პარტნომენკლატურული "დირექტორადი" ამ დროს მრგვალი მაგიდის აბრის ქვეშ იდგა და ასე აგვარებდა თავის გამრიგებლურ და ბინძურ საქმეებს, ამიტომ ჩვენ ვერ დავუპირისპირდებოდით მათ ქუჩაში, რადგან მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ჭერქვეშ მათი გასაჯარისებული მხილება ობივატელის თვალში **ზ. გამსახურდიას** დისკრედიტირება იქნებოდა. ვიმეორებ, ასეთ შემთხვევაში **ა.მარკოზიასთან** ერთად ვარჩიეთ როგორმე ჩვენი ძალების გარშემოკრება აფხაზეთის მრგვალი მაგიდის გარშემო და ამ გზით ძალთა თანაფარდობაში უპირატესობის მოპოვება და ა.შ.

1990წ. 20 დეკემბერს მერაბ კოსტავას საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების ძალისხმევის შედეგად წმინდა ილია მართლის საზოგადოებიდან მრგვალ მაგიდაში ასევე იქნა არჩეული **ა.მარკოზია.** ამის შემდეგ თვალი ავარიდეთ ზოგიერთ რამეს (რამეთუ ყველა ჭაში რომ ჩააფურთხო, საიდან დალევ წყალს) და **მ.კოსტავას** საზოგადოებიდან ავირჩიეთ ახალი შემადგენლობა, მათ შორის ვიყავი მეც. ასევე, შევძელით ცხუმ-აფხაზეთის სახალხო ფრონტისა და რუსთაველის საზოგადოებიდან ცალკეული პიროვნებებისა და ჯგუფების "მრგვალი მაგიდისთვის" გვერდში ამოყენება. რაც შეეხება გაგრის რაიონს, იქ ამ დროისათვის ბატონმა **ა.მარკოზიამ** შესძლო რაიონული მრგვალი მაგიდის ჩამოყალიბება, რომელშიც მხარდამჭერის სტატუსით აღმოჩნდნენ სახალხო ფრონტის რაიონული განყოფილება და **რუსთაველის** საზოგადოება. ასეთ ვითარებაში **24 დეკემბრისათვის** დაინიშნა ცხუმ-აფხაზეთის განახლებული მრგვალი მაგიდის პირველი სხდომა, სადაც მე ამირჩიეს მრგვალი მაგიდის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელად, მაგრამ მთავარი ამ სხდომაზე ის იყო, რომ დავადგინეთ ცხუმ-აფახაზეთის "მრგვალი მაგიდის" სპიკერის თანამდებობა. ჩემი წინადადებით სპიკერად **ა.მარკოზია** ავირჩიეთ.

მართალია, **"დირექტორადის"** კარნახით "მოღვაწეებმა" მეორე დღეს საპროტესტო დემარშები სცადეს, მაგრამ ამ დროს აქ ჩვენ უკვე ღარიბი ნათესავები არ ვიყავით.

1990წ. 31 დეკემბერი _ 1991წ. 1 იანვარი: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა **ზვიად გამსახურდიამ** ახალი, **1991 წელი** მიულოცა სრულიად საქართველოს: **"...არის გარკვეული ჩარევები ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში, ოღონდ ფარული, არაოფიციალური და თქვენ იცით, ყოველივე ამას მოჰყვა გარკვეული დესტაბილიზაცია ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, მაგრამ**

ყოველივე ამას ვუპირისპირებთ ჩვენს კანონმდებლობას, ჩვენ გარკვევით განვუცხადეთ ცენტრს, რომ გვაქვს ჩვენი კონსტიტუცია, გვაქვს ჩვენი კანონმდებლობა, რომლის პრიმატობაც საქართველოს ტერიტორიაზე გარანტირებულია ამავე კონსტიტუციით და ჩვენ არ დავუშვებთ სხვა რომელიმე ქვეყნის კონსტიტუციის ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში, სხვა კონსტიტუციის პოზიციებიდან შეფასებას ჩვენი შინა-პოლიტიკური ვითარებისა და საქმიანობისა" (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" №1. 1 იანვარი, 1991წ.).

1991წ. 5 იანვარს გაზეთმა "საბჭოთა აფხაზეთმა" რესპუბლიკური გაზეთებიდან გადმობეჭდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის "საქართველოს" პასუხი **21 დეკემბერს** გაზეთ **"Косомольская Правда"**-ში დაბეჭდილ ცილისწამებაზე, სადაც ცხინვალის მიმდებარე მხარეში შექმნილი ვითარება მრუდე სარკეშია წარმოჩენილი.

1991წ. 9 იანვარს გაზეთ "საბჭოთა აფხაზეთში" (წინა დღეებში რესპუბლიკურ პრესაში) სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა რეფერენდუმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი.

1991წ. 9 იანვარს გაიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა სსრკ პრეზიდენტის **მ.გორბაჩოვის** ბრძანებულება **"საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო"**. და იგი იურიდიული ძალის არ მქონედ გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე (ზემოთხსენებულ ბრძანებულებაში მრავალმნიშვნელოვნად საქართველოს რესპუბლიკა კვლავაც მოხსენიებულია "საქართველოს სს რესპუბლიკა"-დ).

ამასთან დაკავშირებით **12 იანვარს** სსრკ პრეზიდენტის სახელზე ბატონმა **ზვიად გამსახურდიამ** გააგზავნა ოფიციალური მიმართვა: **"...სსრ კავშირის პრეზიდენტსაც კი არა აქვს უფლება იურიდიული ძალა წაართვას საქართველოს რესპუბლიკის კანონებს: საქართველოს ტერიტორიაზე გარდამავალ პერიოდში მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონები. აგრეთვე სსრ კავშირის ზოგიერთი კანონი; საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის თანახმად, სსრ კავშირის კანონებსა და რესპუბლიკის კანონებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონები. მაშასადამე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს საქართველოს ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონის ან სხვა აქტის მოქმედება. თქვენი ბრძანებულებით გვთავაზობთ, ყოფილი ოლქის ტერიტორიიდან გამოვიყვანოთ ყველა შეიარაღებული ფორმირება, სსრკ შს სამინისტროს ჯარებს გარდა... თქვენმა ბრძანებულებამ შეაძრწუნა მთელი ქართველი ხალხი. აგრეთვე, რესპუბლიკის არაქართველი მოსახლეობა, უიმისოდაც მტკივნეულად რომ განიცდის შიდა ქართლის _ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში მომხდარ ამბებს. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, უკანასკნელი წლების მანძილზე ექსტრემისტთა ხელში, რომელთაც ხელმძღვანელი პოსტები დაიკავეს ოლქის ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, გადაიქცა ანტიქართული ისტერიის კერად, 1989 წლის ნოემბრიდან კი ფაქტობრივად და იურიდიულად დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პარალელურად, რაც იმის მომასწავებელი იქნებოდა რომ საქართველოს წაართვან მისი ოდინდელი ტერიტორია, რომლის შენარჩუნებისათვის ქართველი ხალხი 2000 წელზე მეტ ხანს იბრძოდა... გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსთა უმრავლესობის ნებაა დაამყაროს რეგიონში მშვიდობა და თანხმობა, კვლავაც განავითაროს ეროვნული კულტურა, რისთვისაც სულაც არ არის სავალდებულო ჰქონდეს ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური ოლქი და თუნდაც რესპუბლიკა, რასაც ნათლად მოწმობს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება, სადაც**

ეროვნულ-კულტურული ავტონომიის დონე გაცილებით დაბალია. რაც უფრო ადრე მიხვდებიან ხელისუფლების საკავშირო ორგანოები, თუ როგორია შიდა ქართლში ნამდვილი ვითარება და სათანადო პოზიციას დაადგებიან, მით უფრო სწრაფად მოხდება მდგომარეობის სტაბილიზაცია რეგიონში. საჭიროა სეპარატისტებმა გაიგონ, რომ მათ არ უნდა იქონიონ ცენტრის მხარდაჭერის იმედი და უნდა შეურიგდნენ დამარცხებას. დარწმუნებული ვართ რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს!" (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 15 იანვარი, 1990წ.).

1991წ. 10 იანვარს გაზეთ "შრომა"-ში (სოხუმის რ-ნი) გამოქვეყნდა წერილი "ნუ გათათრდები..." **(ს.საჯაია)** რომელშიც მხილებული იყო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **ვ.ყოლბაიას** (ქართველის) პროსაბჭოური ორიენტაცია და აფხაზეთის ასსრ პარტნომენკლატურული "დირექტორადის" გამრიგებლური საქმიანობა.

1991წ. 13 იანვარს თბილისში, მთავრობის სასახლის წინ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა მიღებულ რეზოლუციაში დაგმეს საბჭოთა ჯარის აგრესია ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და მათ მიერ ვილნიუსში მოწყობილი სასაკლაო.

1991წ. 20 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან მიღებაზე იყო ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის ის ნაწილი, რომელმაც გასული წლის **24 დეკემბერს** ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთი) მრგვალი მაგიდის მუშაობა გადახალისებული შემადგენლობით განაახლა. როგორც ზემოთ ითქვა, სხვადასხვა მიზეზის შედეგად (ძირითადად პარტნომენკლატურული კლანების მიერ პროვოცირებული ობსტრუქციების გამო) მანამდე მათ საშუალება არ ჰქონდათ მრგვალ მაგიდაში ემოღვაწათ.

როგორც ზემოთ ითქვა, მრგვალი მაგიდის **24 დეკემბრის** სხდომაზე გადაწყდა, ბატონ **ზვიადს** მოხსენებოდა სისწორე ცხუმ-აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ, რისთვისაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლობა **ა.მარკოზიასა** და **ს.საჯაიას** ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიოდნენ **ზ.კვარაცხელია, ა.გვარამია, ვ.მირცხულავა, ჯ.საჯაია რ.კემულარია, ხ.ცალანი, თ.შამფრიანი** და სხვები, სულ 20 კაცი, გადაწყვიტეს ბატონი **ზვიადისათვის** მიემართათ. მრგვალი მაგიდის ერთმა ნაწილმა, **ა.დავითაიასა** და სხვათა შემადგენლობით, ეს ნაბიჯი მიიჩნია პოლიტიკურ დემარშად და საწრაფოდ დაუკავშირდნენ სოხუმში გენერალ **გ.ლომინაძეს,** ხოლო თბილისში **ნ.მგალობლიშვილსა** და **მ.ძოძუაშვილს,** რომლებიც გააფრთხილეს _ არ დაეშვათ ჩვენი მოხვედრა ბატონ **ზვიადთან.**

შექმნილი ბარიერების მიუხედავად ეს შეხვედრა შედგა. ბატონ **ზვიადს** მოხსენდა ცხუმ-აფხაზეთში შექმნილი ვითარების ამომწურავი ანალიზი, სამწუხაროდ, იმხანად აღნიშნულმა "მეამბოხეებმა" მეტის გაკეთება ვერ შეძლეს, იმდენად გაურღვეველი აღმოჩნდა **ნ.მგალობლიშვილისა** და **მ.ძოძუაშვილის** გარშემო აფხაზეთის ასსრ პარტნომენკლატურული თუ მაფიურ-კრიმინალური "დირექტორადისა" და აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის (გენერალი **გ.ლომინაძე,** პოლკოვნიკი **ა.ლომინაშვილი**)მიერ კონსტრუირებული ჯავშანი.

1991წ. 29 იანვარს მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონები გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ: 1. გაუქმდა ადგილობრივი საბჭოების სისტემა. 2. მიღებული იქნა კანონი ადგილობრივი ორგანოების _ საკრებულოთა არჩევნების შესახებ და 3. კანონი რეფერენდუმის შესახებ; 4. შინაგან ჯარებში _ ეროვნულ გვარდიაში გაწვევის დროებითი დებულება; 5. კანონი

შინაგან ჯარებში _ ეროვნულ გვარდიაში სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების შესახებ.

1991წ. 29 იანვრიდან 3 თებერვლამდე ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში მომდინარეობდა კონფერენცია, რომლის ორგანიზატორი იყო ნორვეგიის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი დოქტორი **ეიდე**.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი **ირაკლი მელაშვილი.**

1991წ. 2 თებერვალს გაიმართა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ბატონ **ზ.გამსახურდიასთან.** პრესკონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე "ფრანს პრესის" და გაზეთ "ტოკიო სინგუნის" წარმომადგენლებმა: "_ ყველა კარგად ხედავს, თუ რა დიდი ავტორიტეტი აქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა რესპუბლიკაში იაზოვ-პუგოს ბრძანების შეჩერებით. თუ შეიძლება გვითხარით, როგორ მიაღწიეთ ამას?

_ ვიდრე კონკრეტულად გიპასუხებდეთ, მინდა აღვნიშნო, რომ ზოგი გვაბრალებს თითქოს შეთანხმება გვქონდეს კრემლთან და ქართულ საქმეს ვაკეთებდეთ. მართლაც ასე რომ იყოს, თუ კრემლს ქართულ საქმეს გავაკეთებინებთ, კარგად ყოფილა საქმე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. საქმე ის არის, რომ მოსკოვს აქვს ამომწურავი ინფორმაცია, თუ რომელ რესპუბლიკაში როგორაა საქმე, თუნდაც იგივე შეიარაღების საქმეში, იცის რა დონეზე უჭერს მხარს მოსახლეობა ამა თუ იმ რესპუბლიკის მთავრობას. იცის, ოპოზიცია რისი შემძლე და გამკეთებელია. კრემლი, როდესაც აგრესიას გეგმავს რომელიმე რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამას ყოველთვის ითვალისწინებს. მისი თითოეული ნაბიჯი გამოცდილია, თუმცა ცოტათი შეცდა ლოგიკასთან დამოკიდებულებაში. იგი იმედოვნებდა, რომ ბლიც-კრიგით მიაღწევდა საბოლოო მიზანს, ეს იმიტომ მოხდა, რომ გადააჭარბა სპარსეთის ყურეში მდგომარეობის შეფასებაში, _ იფიქრა, რომ შეერთებული შტატები ყურადღებას ვერ მიაქცევდა ბალტიისპირეთს. თვით ბალტიისპირეთში მომხდარის შეფასებაში არ შემცდარა _ იცოდა, რომ იქ იარაღი არ არის, ინტერფრონტი ძალიან ძლიერია, და ამიტომ, ეგონა, შემრჩებაო: რის შემდეგაც საქართველოზე იფიქრებდა, რადგან იცის _ ჩვენთან გაცილებით გაჭირდებოდა ასეთი ოპერაცია, ვიდრე ბალტიისპირეთში. მაგრამ ნუ გვეგონება, თითქოს შეგვიძლია, ამიტომ გულ-ხელი დავიკრიფოთ _ კრემლი ხომ ვერაფერს დაგვაკლებსო, მივუშვათ ყველაფერი თვითდინებაზე. ეს ასე არ არის. თუ ოპოზიცია, რომელიც სინამდვილეში კრემლის აგენტია, და მე ამას დაგიმტკიცებთ "კრასნაია ზვეზდაში" გამოქვეყნებული წერილით, სადაც პირდაპირ წერია: იმდენად აღმაშფოთებელ საქმეებს სჩადის საქართველოს პარლამენტი, რომ ოპოზიცია სამტრედიაში ლიანდაგზე დასხდაო მოძრაობის გადასაკეტად. ვის გულისხმობდა "კრასნაია ზვეზდა" ოპოზიციაში? გულისხმობდა "მხედრიონის" ბანდას. სინამდვილეში ლიანდაგზე არავინ არ დამჯდარა. მოვიდა ორი გოგონა და ცოტა ხანს იდგა ლიანდაგზე, ხოლო "მხედრიონის" რამოდენიმე წევრი ბაქანზე იდგა. ის ფაქტი იმის საჩვენებლად გამოიყენეს, თუ როგორ არის აღშფოთებული ოპოზიცია გამსახურდიას "დიქტატურით". ეს იგივეა, რაც გორბაჩოვმა ჩვენი პირველი სესიის დროს თქვა: საქართველოში აჯანყება მზადდება, ხალხი აღშფოთებამდეა მისულიო. ის კახეთის მილიციაზე "მხედრიონის" თავდასხმას გულისხმობდა. აი, ვინ ამზადებს საქართველოში კრემლის ინტერვენციას" (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 5 თებერვალი, 1991წ.).

1991წ. 4 თებერვალი _ მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება გარდამავალ პერიოდში ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადასვლის პირველი ეტაპის შესახებ.

1991წ. 5 თებერვალი. გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ღია წერილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქების ჯარების სარდალ, გენერალ-პოლკოვნიკ ვ.პატრიკეევისადმი, რომელშიც მხილებული იქნა საქართველოში კრემლის საოკუპაციო გეგმების სიახლეები (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 5 თებერვალი, 1991წ.).

1991წ. 21 თებერვალი _ 1944 წლის 23 თებერვალს ჩეჩენი და ინგუში ხალხების იძულებით დეპორტაციასთან დაკავშირებით _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** მიმართა ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს: **"...ჩეჩენ, ინგუშ და ქართველ ხალხებს შორის ძმობას, მეგობრობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩვენს წინაპრებს არაერთგზის შეუშველებიათ ხელი ერთმანეთისთვის გასაჭირის დროს. გასაჭირი კი ხშირად დაგვტეხია თავს. კავკასიაში შემოსული ყოველი მტერი პირველ რიგში კავკასიელ მკვიდრ ხალხთა გათიშვას და მათ ცალ-ცალკე განადგურებას ცდილობდა. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგჯერ ვერ ხერხდებოდა კავკასიელთა შეკავშირება და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკვრა, რითაც მოხერხებულად სარგებლობდნენ დამპყრობლები..." "...თქვენ არასოდეს შერიგებიხართ მტერს, ქედი არ მოგიხრიათ მისთვის"... "მიიღეთ ქართველი ხალხის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და პირადად ჩემი ღრმა სამძიმარი 1944 წლის 23 თებერვლის აქციის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად"** (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 21 თებერვალი, 1991წ.).

1991წ. 21 თებერვალი _ გაზეთ **"Комсомольская Правда"**-ში გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ **ზ.გამსახურდიას** პასუხები გაზეთის კორესპონდენტ **პავლე ვოშჩანინოვის** შეკითხვებზე *"..._ ჩვენი საუბრის დროს ერთხელაც არ წამოგცდენიათ სიტყვა "ნაციონალური"... თქვენ ნაციონალისტი ხართ?*

_ არა, მე პატრიოტი ვარ. მაგრამ ეს ჩემი მრწამსის ემოციური მხარეა, მაგრამ, თუ იდეოლოგიურ პლატფორმას განვიხილავთ, მე ქრისტიან-დემოკრატი ვარ. განა შეიძლება სახელმწიფო წყობილების ასეთი ფორმის პირობებში ერთი ერის რაიმე პრობლემები მეორე არამკვიდრი ერის უფლებათა შელახვის ხარჯზე გადაიჭრას?.." დასასრულს სხვა საკითხებთან ერთად ბატონმა **ზვიადმა** მტკიცედ განაცხადა, რომ **"მე კრემლის ზღურბლს მხოლოდ მაშინ გადავაბიჯებ, როცა თავისუფალი საქართველოს მოქალაქე ვიქნები"**-ო...(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", თებერვალი, 1991წ.).

1991წ. 23 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** გამართა პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. აღნიშნა, რომ: **"...პირველივე დღეებიდან ცხადი გახდა, რომ ამ პროცესებზე, საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, არის მწვავე რეაქცია ცენტრისა, შეიძლება ითქვას, პირდაპირ გამოგვიცხადა ომი, ომი ყოველგვარი საშუალებით _ ბლოკადით, შინაგანი დესტაბილიზაციით, აქ _ თავისი აგენტურის მობილიზებით და ჩვენი საწინააღმდეგო აქციების გაძლიერებით. ეს სავსებით აშკარაა. ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით თითქმის სამოქალაქო ომის მსგავს სიტუაციას"... "...ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი არის სინამდვილეში ცენტრის და ოსი ექსტრემისტების ომი საქართველოს წინააღმდეგ. ეს არავითარი ეთნიკური კონფლიქტი არ არის. ესაა ცენტრის სადამსჯელო ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავს მთელი ტერიტორიის ჩამოცილებას საქართველოდან..." "...ტერორიზმის თავისუფლება არსად არ არსებობს და ამაზე ერთი აზრია მთელს მსოფლიოში. მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში**

ჩვენი გადაგვარებული ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა საჭოჭმანო გახადა ეს ჭეშმარიტება და ამ ტერორისტების (საუბარია "მხედრიონზე", ს.საჯ..) განთავისუფლებას მოითხოვს და, ვითომდა, არადემოკრატიულ ღონისძიებებს უწოდებს ამგვარ მოქმედებას... ინტელიგენციის ამ გადაგვარებულ წარმომადგენლებს მართავს მოსკოვი და იმათაც მალე გამოვააშკარავებთ, ვინც მას წარმოსახავს და ვისი ინსპირაციითაც მოქმედებენ ეს ტერორისტული ბანდები ე.წ. "მხედრიონისა" საქართველოში. დავამტკიცებთ იმასაც, რომ შავნაბადას ინციდენტი იყო დადგმა, რომ ეს იყო ინსცენირება საქართველოში ვითომდა შეიარაღებული აჯანყებისა... ცენტრს სურს, რომ საქართველოში მოხდეს შეიარაღებული აჯანყება, რომ საქართველოში საბჭოთა არმიას პირდაპირ დაესხას თავს გარკვეული ძალები, მოხდეს მათ შორის შეჯახება და შემდეგ ცენტრმა შემოიყვანოს აქ დიდი ძალები და მთელ საქართველოში გამოაცხადოს კომენდატის საათი და საგანგებო მდგომარეობა... ჩვენ რომ არ დაგვეპატიმრებინა ამ ბანდის ხელმძღვანელები, დღეს საქართველოში საგანგებო მდგომარეობა შეიძლება გვქონოდა... საოკუპაციო ჯარის გაყვანა აუცილებელია, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მშვიდობიანი საშუალებებით, საერთაშორისო სამართლის ჩარევით და არა ხელოვნური თავდასხმით ჯარსა და საბჭოთა არმიაზე. ამას მხოლოდ უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს" (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 26 თებერვალი, 1991წ.).

1991წ. 27 თებერვალს გაზეთმა "საქართველოს რესპუბლიკამ" გადმობეჭდა ჟურნალ "Огонек"-დან (1991წ. თებერვალი, №9) მისი საკუთარი კორესპონდენტის გევორქ მარტიროსიანის მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ბატონ ზ.გამსახურდიასგან აღებული ინტერვიუ, რომელშიც ბატონმა ზვიადმა მკაფიოდ თქვა: "...ჩვენ უღმერთობის, რბევისა და ტერორის გზას ვერ დავადგებით..." "ჩვენმა პარლამენტმა მიიღო კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ, რომლის დროსაც საქართველოში სათანადო რეფორმები განხორციელდება ფაქტობრივი სახელმწიფო სუვერენიტეტის გზაზე. ამ პერიოდში ვაპირებთ საძირკველი ჩავუყაროთ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას _ ჩამოვაყალიბოთ ახალი პოლიტიკური სტრუქტურები, მივიღოთ უმნიშვნელოვანესი კანონები: დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობის, მიწის პრივატიზაციის კანონები. განზრახული გვაქვს სამართალდამცავი ორგანოების დეპარტიზაცია, ეროვნული არმიის, მილიციის შექმნა და ა.შ. სწორედ ასეთად მესახება საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის გზა...

_ ბატონო ზვიად, კრიტიკოსები ღვთის მადლით გყოფნით, მაგრამ ვიცი, რომ თქვენთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი იყო და არის მამათქვენი _ კონსტანტინე გამსახურდია, დიდი მოაზროვნე და დიდი მწერალი. გულახდილად მიბრძანეთ, მოიწონებდა თქვენს ბრძოლას?

_ დიახ, იგი ჩემი სულიერი მამაც იყო. მე მგონია, ოდნავადაც არ დამირღვევია მამაჩემის მცნებანი. არაფრით შემილახავს მისი ხსოვნა. იგი მოიწონებდა ჩემს მოქმედებას."

1991წ. 27 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ: "აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს უფლებამოსილებას ვადა ფაქტობრივად დაუმთავრდა 1990 წლის 25 თებერვალს... მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს არჩევნების კანონი და შესაბამისად არც აფხაზეთის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს: აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს არა უგვიანეს 1991 წლის 1 ოქტომბრისა; აფხაზეთის ასსრ

კონსტიტუციის 75-ე მუხლის შესაბამისად გააგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა ა.წლის 15 მარტამდე.

2. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკათა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ვადა განსაზღვრულია ხუთი წლით, ხოლო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ექვს წელზე მეტია მოქმედებს,ამ დადგენილების პირველი მუხლის შეუსრულებლობა გამოიწვევს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ახლანდელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას" (გაზ."საქართველოს რესპუბლიკა", 28 თებერვალი, 1991წ.).

1991წ. ამ დროისათვის ცხუმ-აფხაზეთის მრგვალი მაგიდა, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, რომელსაც მას თავს ახვევდა როგორც აფხაზეთის აგრესიული ეთნოკრატია და მოქვეშქვეშე პარტოკრატია, ასევე ცრუ ეროვნული მოძრაობა და მასთან ერთად ვითომ "მრგვალმაგიდური" სირეგვნე, _ თანმიმდევრულად აკეთებდა საკეთებელს. იგი, შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციული თვითგაწმენდისა და დედან შინაარსში გასაგნებისკენ დაიძრა. როგორც უკვე აღინიშნა, ეს შინაარსობრივი განახლება გამოიხატა ანტიპარტნომენკლატურულ (ანტიდირექტორადისეულ) ძალისხმევათა პოლიტიკურ ორიენტაციად ჩამოყალიბების მცდელობებში (**20 იანვარს** ბატონ **ზვიად გამსახურდიასთან** საინფორმაციო შეხვედრა). მრგვალ მაგიდაში ასეთი სიტუაციის შემზადება განაპირობა ადრე პარტნომენკლატურული "დირექტორადის" მიერ ბლოკირებული **წმ. ილია მართლის** გაგრის განყოფილების **(ა.მარკოზია)** კვლავ თავის უფლებებში დამკვიდრებამ და მის მიერ **წმ. ილია მართლის** ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაციასა და მრგვალი მაგიდის აფხაზეთის განყოფილებაში კუთვნილი ადგილის დაკავებამ. შესაბამისად, გაგრის რეგიონის ქართული ეროვნული მოძრაობის (საკოორდინაციო სათათბიროს) ძირითადი ნაწილი მრგვალ მაგიდას შემოენაკადა (რუსთაველის საზოგადოებისა და სახალხო ფრონტის ქ.გაგრის განყოფილებებით). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წლის დასაწყისიდანვე აფხაზეთის მრგვალ მაგიდას შემოუერთდნენ რუსთაველის საზოგადოების გალის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონის განყოფილებები **(ჯ.შონია, გ.ძიძიგური, ვ.ქობალია**)."მრგვალ მაგიდასთან" დადგა "სახალხო ფრონტის" სოხუმის რაიონის განყოფილებაც (**რ.ასმავა).** ეს კი მძლავრი ძალა გახლდათ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რთული პოლიტიკური და ორგანიზაციული სვლაგეზი განვლო სრულიად საქართველოს **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაციის დამფუძვნებელმა ნაწილმა, რომელიც, ასევე, პარტნომენკლატურული "დირექტორადის" ჩასაფრებული, დესტრუქციული და გამრიგებლური ქმედებების შედეგად იყო ბლოკირებული. ამავე დროს, უკვე დაშლილი **მერაბ კოსტავას** ცხუმ-აფხაზეთის ე.წ. ორგანიზაცია, რომელიც აფხაზეთის პარტოკრატიულ-კოლაბორაციონისტულმა ძალებმა "დირექტორადის" მიერ შეკოწიწებული აბრის ქვეშ გაიწევრიანეს, ორგანიზაციულად უკვე არ არსებობდა, ამიტომ **ვ.ადამიას** გათვლა სწორი იყო, მას ჩვენი ხელებით სურდა მისი აღდგენა და გაძლიერება. ამასთან ერთად, ეს ორგანიზაცია პოლიტიკური თავგადასავალის საძიებელი გახდა უამრავი მედროვისათვის "სახალხო ფრონტიდან", ე.წ. ექიმთა ასოციაციიდან, რუსთაველის საზოგადოებიდან, კომუნისტური პარტიიდან და ა.შ. აქ, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ 1992 წლიდან ისინი **ე.შევარდნაძის** ჩრდილქვეშ გადაბარგდნენ.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მრგვალი მაგიდა უფრო მოგვიანებით პოლიტიკური ჭერი გახდა მთლიანად სახალხო ფრონტისათვის, იგი ორგანიზაციულად ჰელსინკის კავშირის მეშვეობით გაწევრიანდა მასში (1991წ. მარტი)

და სწორიც გააკეთა, დრომ დაადასტურა, რომ შემდგომში მისი რიგებიდან ეროვნული ხელისუფლების არაერთი დასაყრდენი პიროვნება გამოვლინდა (**შ.ჯღამაძე, ჯ.გამახარია, რ.ასმავა** და მრავალი სხვა)

ჯერ კიდევ 1990 წლის ნოემბერში "მრგვალი მაგიდა" პოლიტიკური საშოვარი გახდა "ლემისთვის", რომელიც სასწრაფოდ გამოვიდა ე.წ. ეროვნული კონგრესიდან და გვარიანადაც მოიგო.

მრგვალ მაგიდაში დაბრუნდა ასევე "დირექტორადის" მითითებით გაძევებეული **ანზორ გვარამია** (ჰელსინკის კავშირი), თუმცა სულ სადღაც ორ კვირაში მისი ჰელსინკის კავშირიდან (ამდენად მრგვალი მაგიდიდან) გაყვანა კვლავ მოახერხეს **მ.ძოძუაშვილმა** და **ნ.მგალობლიშვილმა. ამ საქმეში არც თუMმეორეხარისხოვანი წვლილი გაიღო უშიშროების გენერალმა გ. ლომინაძემ. ა.გვარამიას** შესახებ უნდა ითქვას, რომ ის მაშინ ყოველგვარი დემარშის გარეშე დაეთანხმა მისი ორგანიზაციის მიერ მის მიმართ გამოვლენილ საორგანიზაციო დასკვნას (ხოლო **1991 წლის, დეკემბერში,** როცა მისმა გამძევებლებმა უღალატეს **ზ.გამსახურდიას,** იგი კვლავ გვერდში ამოუდგა ბატონ ზვიადს).

გაგრის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონების, ნაწილობრივ გალისა და სოხუმის ეროვნულ მოძრაობათა ზნეობრივმა, მსოფლმხედველობრივმა და ორგანიზაციულმა თანხმიერებამ განაპირობა ის მდგომარეობა, რომ მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების საქმიანობაში გამოიკვეთა ანტიდირექტორადისეული შინაარსი და იგი აფხაზეთის მოსახლეობასთან, პირველ რიგში კი ძუძუმტე ხალხთან _ აფსუებთან თანდათანობით საერთობლივო ანტიიმპერიულ მოძრაობად ჩამოყალიბება სცადა. ასეთი გახლდათ "კოლხური კოშკის" მსოფლმხედველობაცა და მისი პოლიტიკური დაკვეთაც. სწორედ ამის გამო, აფხაზეთის აგრესიულმა "ქართულმა" პარტოკრატიამ, მას შემდეგ, რაც არგუმენტებით ვერ დაუპირისპირდა შინაარსობრივ შესაბამისობაში განახლებულ მრგვალ მაგიდას, ის მისთვის ჩვეული წელსქვემოთა ილეთებითა და დივერსიებით შეეცადა ეროვნული მოძრაობის აბრის ხელში მოგდებას. სწორედ ამ მიზნით დაიპყრო მან უფრო ადრე აფხაზეთის მრგვალი მაგიდა, სადაც მოახერხა და შეაგზავნა ისეთი შემადგენლობა, რომელმაც შემდგომში ხელებაუკანკალებლად უღალატა **ზ.გამსახურდიასა** და საერთოდ მრგვალი მაგიდის მიზნებს.

ამ ვითარებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, მორიგი ცილისწამებით, დაბეზღებით, ჩასაფრებითა და მრავალგვარი აკრძალული ილეთით კვლავ დაიწყო ჩვენი ბლოკირება თბილისში, ძალა მათ ხელში იყო, მათ დამკვეთებსა თუ მფარველებს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს, შეუფერხებლად, ნებისმიერ დროს ახალ-ახალი დეზინფორმაციით შეეძლოთ შეღწევა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან.

იმხანად უკვე ცალსახად გამოიკვეთა აფხაზეც-სეპარატისტთა ეთნოკრატიისა და მათი პოლიტიკური ლიდერის **ვლადისლავ არძინბას,** პოლიტიკურ-ორგანიზაციული დემარშები და თბილისთან დაუფარავი ჩასაფრება-კრიჭაში დგომის პოზიცია. **ვ.არძინბამ** ასევე არაკეთილსაიმედოდ მიიჩნია აფსუური წარმოშობის ის თანამდებობის პირები, ვინც ქართველთა მიმართ არა თუ ლოიალურად იყვნენ განწყობილი, არამედ მათთან ყოფით ურთიერთობაში უმძრახი დამოკიდებულება არ ჰქონდათ.

მართალია, **28 ოქტომბრის** არჩევნებში კომპარტიის დამარცხებამ, ქ.სოხუმის კომპარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მისი ქართველი პირველი მდივნის როლი უკანა პლანზე დასწია და უკვე საქალაქო საბჭოს აღმასკომის აფსუა თავმჯდომარე იქცა ერთპიროვნულ მმართველად, მაგრამ **ვ.არძინბასთავის** ავტონომიური რეპუბლიკის ე.წ. დედაქალაქის პოლიტიკურ-სამეურნეო ხელმძღვანელი

უნდა ყოფილიყო ე.წ. "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" ინტერესების გამომხატველი და ქართველთმოძულე მოთარეშე.

სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის იმჟამინდელი თავმჯდომარე **ჯონი გუბაზი** (აფსუა) ამ მოთხოვნებს არ პასუხობდა. **ვ.არძინბას** კრიტერიუმებით მისი ძირითადი ნაკლი ის კი არ იყო, რომ საბჭოთა პარტფუნქციონერი იყო, როგორც ყველა, ისიც იღებდა ქრთამს და ა.შ. სულ სხვა საქმეში ედებოდა ბრალი _ ვერ მოიშალა და კვლავინდებურად ქართველი მეგობრები ჰყავდა.

თავის დროზე, ცხუმ-აფხაზეთში **მერაბ კოსტავას** ფონდის რწმუნებულად ყოფნის დროს, ჩვენ მასთან საქმიანი შეხვედრები გვქონდა და ის (ყოველ შემთხვევაში) ხმამაღლა იწონებდა ამ ფონდის საქმიანობას (მას გაუხარდა, რომ ჩვენ საცხოვრებელი სახლები ვიყიდეთ ქ.სოხუმში აფსუა მოქალაქეებისთვისაც). სოხუმში შესყიდული სახლები, რომელთა მეპატრონე გახდა **მერაბ კოსტავას** სახელობის ფონდი, **ჯ.გუბაზის** პირადი მითითებით დაუბრკოლებლად გადაუფორმეს როგორც ქართველ, ასევე აფსუა მფლობელებს (შეადარეთ, გუდუთის რაიონში საერთოდ აიკრძალა ამ ფონდის საქმიანობა და **მერაბ კოსტავას** სახელობის ფონდის მიერ შესყიდული სახლები უკანონო ყიდვა-გაყიდვად გამოცხადდა).

ამრიგად, **ვ.არძინბას** ჟღარუნის პირობებში **ჯ.გუბაზის, გ.მელიასა** და **ე.ანასტასიადის** (აფხაზეთში ცნობილი პარტნომენკლატურის) თავკაცობით ჩვენ **ა.მარკოზიასთან** ერთად დავიწყეთ შეხვედრები, როგორც იტყვიან, აზრთა გასაცვლელად (**ე.ანასტასიადის** ნდობას ჩემს მიმართ განაპირობებდა ის, რომ მე დედით ბერძენი ვარ და **1989 წელს,** რუსიზმის მიერ ინსპირირებულ მოვლენებში ჩვენ შევძელით აღგვეკვეთა ქართველ-ბერძენთა კონფლიქტიცა და პირადად მის მიმართ გამოვლენილი სათარეშო მცდელობები). ამრიგად, მდინარების ფაბულა **გ.მელიას, ჯ.გუბაზისა** და **ე.ანასტასიადის** თავკაცობით შეიკრა და მასში აღმოჩნდა არც თუ უმნიშვნელო წრე, რომელშიც ძირითადად გაერთიანდნენ ლოიალურად განწყობილი აფსუა თუ სხვა არაქართველი (ბერძენი, ესტონელი და უკრაინელი) თანამდებობის პირები. ისინი გრძნობდნენ რა **ვ.არძინბას** არაკეთილგანწყობას, იმდენი გონიერება კი შერჩათ, რომ უარყვეს ცეცხლთან სახიფათო თამაშის გზა და მოითხოვეს სიცხადე _ თუ რა ელოდათ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პირობებში (მანამდე, 28 ოქტომბრის არჩევნებში ბერძენი მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა ხმა მისცა მრგვალ მაგიდას). ამას წინ უძღოდა **მერაბ კოსტავას** ფონდის კეთილმოსურნე საქმიანობა ბერძნებთან და სულაც არ გადავამეტებ, თუ ვიტყვი იმასაც, რომ უკვალოდ არ ჩაუვლია ჩემსა და პროფესორ **ფ.ტყებუჩავას** შეხვედრებს მათთან.

სხვადასხვა მიზეზის გამო ამ წრეებმა ურთიერთობა დაამყარეს ჩვენთან და დაიწყო საქმიანი მოლაპარაკებები. პირველი ასეთი შეხვედრა შედგა სოხუმის რ-ნის სოფელ მანიაში **ე.ანასტასიადის** აგარაკზე. სადაც ერთმანეთს შევხვდით **ა.მარკოზია, ვ.მაისურაძე,** მე და **ჰ.ლოლუა** ერთის მხრივ და მეორეს მხრივ აფხაზეთის ასსრ ნომენკლატურული ოფიციოზის (ვუწოდოთ პირობითად ჯ.გუბაზის გუნდი) რწმუნებით **გ.მელია** (სოხუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე), **ე.ანასტასიადი** და **ნ.ჩულფა.** უნდა ითქვას ისიც, რომ ბერძნების მიერ 28 ოქტომბერს გამოჩენილი პირიანობისთვის **ე.ანასტასიადი** და **ნ.ჩულფა** სულაც არ გრძნობდნენ თავს ღარიბ ნათესავებად. ისინი პოტენციურად **ვ.არძინბას** რადიკალური ოპოზიცია ხდებოდნენ, არ იზიარებდნენ აფხაზეცური სეპარატისტული მოძრაობის აგრესიულ აღვირახსნილობას, ამათგან **ჯ.გუბაზი** სცნობდა (ყოველ შემთხვევაში ხმამაღლა აცხადებდა) ძუძუმტეობის ცნობიერებას და იხრებოდა (ასე ჩანდა) **ზ.გამსაუხრდიას** ხელისუფლებისკენ (ამავე დროს ეს წრეები მთლიანად თავისუფალი არ იყვნენ საბჭოთა სტერეოტიპებისაგან). **ჯ.გუბაზი, ე.ანასტასიადი,**

ნ.ჩულფა, გ.მელია და სხვები, რომელთაგან ყოველივეს, ვიმეორებ, გააჩნდა თავისი არც თუ არ დასაძრახი პარტნომენკლატურული ბიოგრაფია და აქედან გამომდინარე საბჭოთა კომპარტიელის მენტალიტეტის შესაბამისი ამოცანები, მაგრამ მათ, მათდა სასახელოდ, ჭკუა ეყოთ, მათთვის სამოგებო დასკვნების გასაკეთებლად, ამიტომ რუსიზმისა და ქართული ეროვნული მოძრაობის გზაგასაყართან _ ცხუმ-აფხაზეთის მშობლიურსახოვან შინაარსთან დადგნენ (მნიშვნელობა არა აქვს, ამისთვის თუ რა კარიერისტულ მოგებას გეგმავდნენ), ხოლო თუ მათი პიროვნული შეგნების ემოციურ მხარეს, მათი კარიერის უსაფრთხოების გარანტიებიც დაემატებოდა, ისინი მზად იყვნენ **ზ.გამსახურდიას** სახალხო პოლიტიკის რეალიზაციისთვის აფხაზეთის პირობებში არაორპირულად ეღვაწათ (რაც სხვათაშორის დადასტურდა **17** და **31 მარტის** რეფერენდუმზე, როცა ბერძენი მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა სსრკ მხარდასაჭერ რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა და ხმა მისცა 31 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმზე საქართველოს დამოუკიდებლობას). აფხაზეთის ბერძენ მოსახლეობის და პირადად **ე.ანასტასიადის** სათვისტომო წრეს 31 მარტის რეფერენდუმის წინადღეებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ **ზ.გამსახურდიას** დავალებით შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი **დ.ჩიტლოვი** _ (წალკის რაიონიდან, ბერძენი) რომელმაც მათ გადასცა ბატონ **ზ.გამსახურდიას** წერილი და კონსტრუქციული წინადადებები. ამან დიდი კმაყოფილება გამოიწვია მათში. თუ რა ბედი ეწია აფხაზეთის სომარი ავანტიურის დროს ამ წერილს, არ ვიცი, მაგრამ **ე.ანასტასიადიმ** ჩემთან პირად საუბარში განაცხადა, რომ ისინი ენდობიან ამ წერილს, მათ განსაკუთრებით მოსწონდათ ფრაზა **"მე, ისევე, როგორც მამაჩემს, უდიდესი პატივისცემა მაკავშირებს ბერძენ ერთან და მის ენასთან, კულტურასთან, მე, ისევე, როგორც მამაჩემი, ვფლობ ბერძნულ ენას, საფუძვლიანად ვიცნობ მის ლიტერატურას, ისტორიას და ა.შ."** ასევე ყურადსაღებია, რომ **1993 წლის შემოდგომაზე ე.ანასტასიადის** ბიძაშვილმა, მერი ანასტასიადიმ, მიუხედავად იმისა რომ **1992 წელს ე.ანასტასიადისა** და პირადად მისი სახლეულობა "მხედრიონმა" გაძარცვა, ოკუპირებულ აფხაზეთში ჩარჩენილი ათობით უმწეო ქართველი გადაარჩინა 1993 წლის ნოემბერში, რისთვისაც აფხაზეცმა აგრესორებმა მთელი ოჯახი დედაბუდიანად სახლში გამოკეტეს და ამობუგეს. არც **ჯ.გუბაზს** ჩაუცია მახვილი ზურგში ქართველებისთვის.

ასეთი პოზიცია მხარდაჭერასა და შემდგომ გაღრმავებას მოითხოვდა, რასაც **ა.მარკოზიასა** და ჩემი უფლებამოსილება არა ჰყოფნიდა, მით უმეტეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ კვლავ აგორდა საძრახი ობსტრუქციები. ვინაიდან **20 იანვრის** შეხვედრამ თბილისში ჯერჯერობით სასურველი შედეგი არ გამოიღო, საჭირო გახდა პირველ რიგში **ვ.ადამიასთან,** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთან და უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის თავმჯდომარესთან, სრულიად საქართველოს **მერაბ კოსტავას** საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარესთან, ასევე მრგვალი მაგიდის წევრთან ურთიერთობის გარკვევა.

ამ მიზნით **თებერვლის შუა რიცხვებში** სრულიად საქართველოს **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების ახლადშექმნილი გამგეობა (**ჯ.ჯოჯუა, თ.კემულარია, თ.ანთია, ვ.დარსალია, რ.კემულარია** და მე) ვესტუმრეთ თბილისს, სადაც ჩემსა და **ვ.ადამიას** შორის მოხდა ურთიერთობის აღდგენა და რიგი საკითხების გადასაწყვეტად **აპრილისათვის** (**17-31 მარტის** მოსტუმრების შემდეგ) დაინიშნა **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაციის კონფერენცია.

ვითარების ასე შეტრიალება არავითარ შემთხვევაში ხელს არ აძლევდა **მ.ძოძუაშვილს, გ.ლომინაძეს, ა.ლომინაშვილს, ნ.მგალობლიშვილსა** და სხვებს, რომლებმაც შტურმის წესით დაიწყეს ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ, ბუნებრივია,

“დირექტორადი” მათგან მოითხოვდა აფხაზეთის მრგვალ მაგიდაში საკადრო საკითხების ჩაწყობა-მოგვარებას.

ასეთ ვითარებაში **მ.ძოძუაშვილმა,** რომელიც უკვე საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი გახდა, გადაწყვიტა აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან, **მერი ჯანგველაძესთან** ანგარიშის გასწორება, მისი გადაყენება და მის ადგილზე “დირექტორადის” კანდიდატის დანიშვნა. რა თქმა უნდა, **მერი ჯანგველაძე** ტიპიური პარტფუნქციონერი გახლდათ, მაგრამ მასზე თავდასხმის მიზეზი კლანური დაპირისპირება იყო, რის გამოც **17-31 მარტის წინადღეებში** საკადრო ალიაქოთი და ძალების დაქსაქსვა შეცდომა იქნებოდა. ჩვენ **მ.ძოძუაშვილის** საეგზეკუციო ვოიაჟს წინააღმდეგობა გავუწუიეთ. ეს ერთი.

1991წ. 17 მარტისათვის სოხუმში სსრკ უზენაესი საბჭოს გამოკლებული დეპუტატის (**ბ.ვ.ადლეიბა** გარდაიცვალა) ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნები დაინიშნა. **გ.ლომინაძე _ ნ.მგალობლიშვილის** (“დირექტორადის”) გეგმის თანახმად საერთაშორისო აფერისტი, ვინმე **მურმან ომანიძე უნდა გაგვეყვანა** სსრკ სახალხო დეპუტატად №669 სოხუმის ტერიტორიულ-საარჩევნო ოლქიდან.

რაკიღა საქართველოს რესპუბლიკა ბოიკოტს უცხადებდა სსრკ მხარდასაჭერ 17 მარტის რეფერენდუმს და 31 მარტს თავად ატარებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმს, მიზანშეუწონელი იყო 17 მარტს, სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ეს ყველაფერი ნიშნავდა _ ჯერ ერთი, სსრკ-ის ცნობასა და მისი დაურღვლობისათვის მხარდაჭერას. მეორე, _ არჩევნებში ამომრჩეველთა მოსვლით საარჩევნო კომისია არჩევნების შედეგებს გააყალბებდა და გამოაცხადებდა, რომ **“ქ.სოხუმის მოსახლეობამ ერთხმად მისცა ხმა სსრკ დაურღვევლობას-ო”.**

ჩვენ არც ამას დავუჭირეთ მხარი. ეს უკვე ორი!... 16 მარტს **ზ. გამსახურდიამაც** ამ მოსაზრებით თავის ტელემიმართვაში გაუქმებულად გამოაცხადა სსრკ სახალხო დეპუტატთა საარჩევნო კომისია სოხუმის ტერიტორიულ №669 საარჩევნო ოლქში.

ბუნებრივია, **გ.ლომინაძეს, ა.ლომინაშვილს, მ.ძოძუაშვილსა** და **ნ.მგალობლიშვილს** არ გამორჩენიათ, რომ მათ წინგაუხედაობებს თუ ვინმე ამხელდა და ეწინააღმდეგებოდა, მე არცთუ რიგითი ვიყავი მათ შორის, ამიტომ, ისინი შეხვდნენ **ვ.ადამიას** და ცალსახად მოსთხოვეს მას ჩემი(რბილად რომ ვთქვათ) დათხოვნა. ასეც მოხდა . მართალია, ^ 6 აპრილს სოხუმში კი ჩატარდა **მ.კოსტავას** საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების კონფერენცია, სადაც მთავარი მომხსენებელი გახლდით, გამგეობაშიც ამირჩიეს, ბანკეტიც ჩემს სახლში გადავიხადეთ, რაც ქვეტექსტებში თითქოსდა ჩემს პოლიტიკურ სიძლიერეს გულისხმობდა, მაგრამ ათიოდ დღეში **ვ.ადამიას** ახალი ინტრიგების შედეგად, რომელთაც მისგან “დირექტორადი” მოითხოვდა, მე იძულებული შევიქენი წამოვსულიყავი. **მერაბ კოსტავას** საზოგადოება აფხაზეთში აღდგენილი გახლდათ, უკვე არ ვიყავი საჭირო.

ამის შემდეგ **ზ.გამსახურდიას** გვერდით კვლავ დადგომის საშუალება მხოლოდ მას შემდეგ მომეცა, როცა მისი დამხობის გასწვრივ ამ ხალხიდან ზოგმა უღალატა, ზოგმა თავი გაარიდა და მარტო დატოვეს.

1991წ. 4 მარტს ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** მიმართა შიდა ქართლისა და ქ.ცხინვალის ოს მოსახლეობას: **“...მეორე პრობლემა ქალაქ ცხინვალში კანონიერი ხელისუფლების შექმნაა. არ იქნება დაშვებული ე.წ. საოლქო უკანონო სტრუქტურების არსებობა. ცხინვალი გადაიქცევა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად. ოსებისთვის შენარჩუნებული იქნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, რომელიც მათ ოლქის არსებობის პერიოდში ჰქონდათ, ეს უფლებები კიდევაც გაიზრდება, გაფართოვდება და განმტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, იმ**

პირობით, რომ ცხინვალში დაბრუნდება ყველა ლტოლვილი, ქართველები და ოსები თანასწორი უფლებებით ისარგებლებენ, გარანტირებული იქნება მათი ხელშეუხებლობა, შრომითი მოწყობა და მშვიდი ცხოვრება შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე"...(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", მარტი, 1991წ.)

1991წ. 5 მარტი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების შესახებ.

1991წ. 5 მარტს ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** მიმართა ბათუმის უნივერსიტეტის თანამშრომლებს (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა." **7 მარტი, 1991წ.**)

1991წ. 5 მარტს ბატონი **ზ.გამსახურდია** გამოვიდა საქართველოს ტელევიზიით:

"განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 31 მარტის რეფერენდუმის მნიშვნელობა. ჩვენ ბოიკოტს ვუცხადებთ 17 მარტის საბჭოთა რეფერენდუმს, მაგრამ ჩვენი რეფერენდუმი უშუალოდ არის დაკავშირებული მიწის საკუთრების, მოქალაქეობის საკითხებთან. მან უნდა განსაზღვროს, ვინ უნდა იყოს საქართველოს კანონიერი მოქალაქე. რეფერენდუმი გამოავლენს არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეებს, არამედ იმათაც, ვინც საქართველოს მოქალაქეობის ღირსია. ვთქვათ, მოქალაქეების გარკვეულმა ნაწილმა ხმა არ მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. განა სწორი იქნება კაცს, რომელსაც ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არ სურს, საქართველოს მოქალაქეობა მივართვათ და საკუთრებაში გადავცეთ ქართული მიწა? ასე რომ, რეფერენდუმი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ლოიალობის, საქართველოსადმი კეთილგანწყობის, საქართველოს ჭეშმარიტი მომხრეების გამოვლენის შემოწმებაა. მხოლოდ რეფერენდუმის შემდეგ გადავწყვეტთ, ვინ იქნება საქართველოს მოქალაქე და ვის მიეცემა ქართული მიწა, ჩვენი მამა-პაპების მიწა საკუთრებაში. რეფერენდუმი, მეგობრებო, მარტო ქართველებს კი არა, რესპუბლიკაში საუკუნეობით მოსახლე სხვადასხვა ეროვნების ადამიანებსაც სჭირდებათ. ისინი, ვინც ჩვენთან ერთად დაადგნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გზას, მოქალაქეობას მიიღებენ, ცხადია, თუ შეასრულებენ იმ ელემენტარულ პირობებს, რომლებსაც ჩვენ წავუყენებთ. ასე, რომ რეფერენდუმამდე ნურავინ ნუ იფიქრებს საქართველოს მოქალაქეობის სტატუსზე, ქართული მიწის ხელში ჩაგდებაზე. ასეთია ჩვენი პოზიცია. საქართველოს მტრები, ჩვენი რესპუბლიკის მტრები, რომლებიც უარყოფენ საქართველოს დამოუკიდებლობას, რომლებსაც სურთ საქართველო უქართველებოდ იხილონ, ვერც მოქალაქეობას ვერ მიიღებენ და ვერც მიწას"...(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 9 მარტი, 1991წ.")

1991წ. 5 მარტს "Независимая Газета"-ს კორესპონდენტი **ანდრეი კარაულოვი** ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ **ზვიად გამსახურდიას**: "...იცით რა, საქართველოს წინააღმდეგ ომია გაჩაღებული, ნამდვილი ომი ყველა თვალსაზრისით... ომი _ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. აშკარა ომი ანუ შეიარაღებული თავდასხმა. შემდეგ: ომი, რომელიც საქართველოს გამოუცხადეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ნამდვილი საინფორმაციო ბრძოლაა... მე პირადად გორბაჩოვმა წამომიყენა ეს ულტიმატუმი. მართალია ზეპირი, მაგრამ მაინც ულტიმატუმია. ხელი მოაწერეთო სამოკავშირეო ხელშეკრულებას, თორემ ის რაც სამხრეთ ოსეთში ხდება, უარეს ფორმებში გაგრძელდებაო"...

_ *რა აზრისა ხართ შევარდნაძის გადადგომაზე?*

_ ეს კრემლის ნაბიჯი იყო. როგორც ყოველთვის შენიღბული და ძალზე ეშმაკური იმ მიზნით, რომ დემოკრატიისათვის წამებულად წარმოედგინათ იგი და გორბაჩოვი... ჰოდა, გაუკეთეს ასეთი "იმიჯი" ორივეს. სინამდვილეში კი მე მგონია, ყოველივე ეს კრემლს იმისათვის სჭირდებოდა, რომ ერთი მხრივ დაეშოშმინებინა სამხედრო და რეაქციული ძალები, მეორე მხრივ კი, ისევ და ისევ, ეროვნული უმცორესობის

წარმომადგენლობისათვის დაებრალებინა ყველა შეცდომა და მარცხი საგარეო პოლიტიკაში. ეს თამაშია...

_ თქვენ ბრძანეთ და გეთანხმებით, რომ ჩვენს პარლამენტს არა ჰყავს ოპოზიცია, როგორც _ ოპოზიცია. ქართველი ხალხის უმრავლესობა მათ "პოლიტიკურ ხულიგნებს" უწოდებს, რომლებიც მხოლოდ შეურაცხყოფაზე არიან გადასულნი. თქვენ ახლახან შეხვდით ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ხომ არ ისახება ნორმალური ოპოზიცია სამთავრობო დონეზე?

_ ვგონებ ისახება, და, ასე თუ ისე, მივაღწევთ ურთიერთგაგებას. ხოლო რაც შეეხება ჩემდამი დაპირისპირებულ კრიმინალურ ელემენტებს, ოპოზიციად ვერ ვაღიარებ. მე მათ განვუცხადე: ოპოზიცია ერთია, მტრობა და ერის ღალატი _ მეორე. აი, რა შევიტყვეთ აფხაზეთში გამომავალ გაზეთ "აიდგილარა"-დან ("ედინენიე"): აფხაზეთში შეიქმნა ინტერფრონტი, რომელმაც საქართველოსადმი მტრულად განწყობილი რამდენიმე პარტია გააერთიანა. მათ ოჩამჩირეში მოაწყვეს ორიათას კაციანი ანტიქართული მიტინგი, სადაც დაგმეს ჩვენი, პრეფექტურის ინსტიტუტი და სხვა. ამ მიტინგში ქართველმა "კონგრესმენებმაც" მიიღეს მონაწილეობა, ინტერფრონტები ამით ამაყობენ კიდეც..." ("Независимая Газета", 7 აპრილი, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 16 მარტი, 1991წ.)

1991წ. 6-14 მარტს ქართველ მწერალთა ჯგუფმა მოსკოვში მოაწყო საინფორმაციო შეხვედრები რუსულ საზოგადოებრიობასთან, რასაც მოჰყვა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის მიმართვა რუსეთის შემოქმედებითი წრეებისადმი:

ОБРАЩЕНИЕ

к представителям творческой интеллигенции России

Вот уже три месяца как в Грузии льется кровь.

Люди не успевают хоронить невинно пострадавших, больницы переполнены ранеными, страшными скелетами возвышаются сожженные школы, жилые дома...

Причина инцидента хорошо известна, ибо в основе ее лежит пресловутый имперский тезис _ «разделяй и властвуй». Поскольку Грузия вступила на путь независимости и отказалась подписать союзный договор, Кремль решил строго наказать ее, поручив Советской Армии, скрывающейся за спинами осетинских экстремистов, начать прямые военные действия против Грузии.

Осетины последние десятилетия жили в незаконно образованной на грузинской земле автономной области. Эта автономия 70 лет назад была пожалована большевиками в качестве платы за то, что они воткнули нож в спину независимой Грузинской Демократической Республики, хотя тогда в грузинском городе Цхинвали проживало всего 4 осетинские семьи.

Разумеется, те, кто захватил грузинскую землю, уповали на помощь своей исторической родины, расположенной за Кавказским хребетом и именуемой сегодня Северо-Осетинской Автономной Республикой. Помощь в осуществлении их сокровенного желания _ объединение «Северной» и «Южной» Осетии _ и обещали имперские силы осетинским экстремистам.

Они начали с подстрекательства осетинских экстремистов, объявивших независимой Юго-Осетинской советской республикой исконно грузинскую землю.

Они стремились отторгнуть часть нашей родины, сердце Грузии _ Самачабло _ и объявить ее территорией другого государства. После же естественной реакции грузинского парламента, имперские силы вложили в руки бандитов советское оружие, поручив им уничтожение мирного грузинского населения. Вот так все и произошло. И эта операция пока что протекает «успешно».

Осетинские бандиты уничтажают мирное грузинское население. Части Советской Армии щедро снабжают их огнестрельным оружием и ракетами. Советские офицеры, даже не оправдываются, когда подразделения грузинской милиции захватывают экстремистов, вооруженных армейским оружием. А что стоит тот факт, что штаб главаря осетинских экстремистов Тореза Кулумбекова расположен на територии одной из частей Советской Армии? Так, разумеется, надежнее!

Война против грузин, инспирированная Кремлем, надежно прикрывается щитом, именуемым средств массовой информации. Неискушенным читателям и зрителям каждый день методически внушают, как «зверски» расправляются грузины с воруженными до зубов осетинами. Когда погибает грузин от руки осетинского экстремиста, это преподносится как убийство, совершенное боевиком неизвестной национальности (возможно, убитого самим же грузином). Если же ранен осетин, он неизмено объявляется жертвой экстремиста грузинской национальности. ЦТ показывая сожженные школы в Цхинвали, «забывает» добавить, что это грузинские школы. Ведь, если бы телевидение добавило слово «грузинское», зритель легко мог понять, что грузинские школы могли сжечь только осетинские бандиты, несмотря на их «мирное» настроение.

Сегодня, когда органы массовой информации, контролируемые империей, распространяют клевету о Грузии, голос истинно прогресивных, демократически настроенных писателей, чье слово высоко ценимо народом и кто способен своим разоблачением встать преградой на пути темных сил, должен быть услышан.

В несправедливой, братоубийственной войне погибло гораздо больше грузин, нежели осетин. Беженцами на собственной земле являются гораздо больше грузин, нежели поселившихся здесь осетин. Осетинские экстремисты сожгли все грузинские школы...

В Цхинвали, в этом древнейшем грузинском городе, почти не осталось ни одного грузина, а по улицам громыхают БТРы, якобы, похищенные у Советской Армии осетинскими экстремистами.

Грузия уже испытала на себе (9 апреля 1989 года) весь ужас кремлевской карательной экспедиции. Теперь она стала объектом еще большей по масштабу кровавой акции. Это _ претворение в жизнь уже расшифрованного Горбачевского плана наказания непокорных республик. И более ничего.

По этому сценарию Кремль пытался оказать воздействие на Молдавию, Армению и Азербайджан. Теперь пришел черед прибалтики и Грузии.

С нами вступили в военную конфронтацию поощряемые имперскими силами осетинские экстремисты, а не братский осетинский народ, который всегда жил в мире и кровном родстве с грузинами (достаточно сказать, что более половины браков здесь смешанные, т.е. грузино-осетинские) и который гораздо более успешно развивал и развивает свою культуру и язык на территории Грузии, нежели это имело место на их исторической родине.

Убидительно просим, пока еще есть время, прислушаться к гласу обессилевших людей, в том числе и осетин, голодающих в Постоянном представительстве Грузии в Москве, принять к сердцу беду Грузии, заклеймить насилие.

Сейчас ваше слово может иметь историческое значение в праведном деле пресечения авантюры, направленной против грузинского и осетинского народов.

Мурман Лебанидзе, Шота Нишнианидзе,
Реваз Мишвеладзе, Гурам Гвердцители,
Георгий Гачечиладзе, Игорь Богомолов,

(გაზ. "Вестник Грузии", 21 მარტი, 1991წ.).

1991წ. 7 მარტი: გამოქვეყნდა ბატონ ზ.გამსახურდიას _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა ბალყარელი ხალხისადმი "ნებისმიერ პატიოსან კაცს შესზარავს ის ცინიზმი, რომელიც თუნდაც რეპრესიის მოწყობის დღეთა დანიშვნისას შეინიშნებოდა: 1943 წლის 7 ნოემბერს "დიდი" ოქტომბრის დღესასწაულის დღეს, სამშობლოდან მასობრივად გაასახლეს ყარაჩაელი ხალხი; 1944 წლის 23 თებერვალს საბჭოთა არმიის დღეს მამაპაპათა მიწა უკვე ჩეჩნებსა და ინგუშებს დაატოვებინეს, ხოლო იმავე 1944 წლის 8 მარტს ქალთა დღეს ყველა ბალყარელ ქალს, მთელ ხალხთან ერთად სისხლის ცრემლები ადინეს და ისე მიატოვებინეს მამული"(გაზ. "საქართველოს რსპუბლიკა", 7 მარტი, 1991წ.).

1991წ. 9 მარტს ზ.გამსახურდიამ გამართა პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის: "...ფაქტია, რომ დასავლეთის პრესაში საქართველოში მიმდინარე პროცესების გარშემო ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ თითქოს არსებობს ორი უზარმაზარი დაპირისპირებული ძალა უზენაესი საბჭო და ეროვნული კონგრესი, რომ მიმდინარეობს სამოქალაქო ომი, და ეს სტერეოტიპი არაფრით არ განსხვავდება იმ დეზინფორმაციისაგან, რის გავრცელებასაც მოსკოვი ცდილობს. რატომ არ დგანან დასავლეთელი ჟურნალისტები ჩვენი _ ჩაგრული ერის მხარეზე? _ იმიტომ, რომ თვით დასავლელი სახელმწიფოების მთავრობები დგანან ამ პოზიციაზე. ისინი, დღესდღეობით, ფაქტიურად მჩაგვრელთა მხარეზე არიან გარკვეული მიზეზების გამო, სპარსეთის ყურის კრიზისის გამო, სტრატეგიული და ჩვეულებრივი სამხედრო შეიარაღების გამო ამჯობინებენ არ გაიუარესონ დამოკიდებულება მოსკოვთან..."

"..._ აფხაზეთში ვითარება დაიძაბა, შეიქმნა ახალი პოლიტიკური ბლოკი, სადაც გაერთიანდნენ "აიდგილარა", სომხური საზოგადოება "კრუნკი"[46] და ეგრეთ წოდებული "დემოკრატიული კავშირი". რას აპირებს ჩვენი პარლამენტი ვითარების განმუხტვისათვის? და კიდევ: როგორ აფასებთ მოსკოვში ჩვენი წარმომადგენლის მუშაობას მას შემდეგ, რაც იმატა დეზინფორმაციების ტალღამ?

_ ჩვენი წარმომადგენლობა სუსტად მუშაობდა, ვღებულობთ ზომებს მის გასააქტიურებლად. აფხაზეთში ვცდილობთ თავს არ მოგვახვიონ საკავშირო რეფერენდუმი, მოვუწოდებ აფხაზ ხალხს, აგრეთვე აფხაზეთის სომხურ მოსახლეობას, მონაწილეობა არ მიიღოს მასში, ეს არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთის

---

[46] * აფხაზეთის არმენები თუ რამდენად იკლავდნენ თავს არმენული ღირებულებებისათვის, ამის შესახებ ქვემოთ გასაჯარისებული მოგონება მეტყველებს, მანამდე კი გეტყვით, რომ ისინი მოსკოვის მეგზურები იყვნენ და დღემდე არიან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში: მე ასე თუ ისე ვიცნობ არმენთა მწერლობას, კულტურას, ყოფას, წეს-ჩვეულებებს, მაგრამ მაინც ვერ ავხსნი თუ საიდანა აქვთ მათ ამდენად განვითარებული ბაცაცური ბუნება?! ანზორ წოწონავამ მიამბო, _ იგი გასული საუკუნის 80-იან წლებში მუშაობდა შს სამინისტროს გულრიფშის რაიგანყოფილების უფროსად. 80-იანი წლების ერთ მშვენიერ დღეს (თარიღი ზუსტად არ ახსოვს), ს.მერხეულის (გულრიფშის რ-ნი) ცნობილ რესტორანში ფრუნზიკ მკრტჩიანი ნადიმობდა. უფრო სწორად, დილიდან შუადღემდე მაგიდას მარტოკა, ჩაფიქრებული უჯდა და ზოთლნახევარი კონიაკი გამოსცალა. ამის შემდეგ ანგარიში გაისტუმრა, თუმცა ბარბაცით, მაგრამ მაინც გავიდა და საკუთარ მანქანაში ჩაჯდა. ის იყო წასვლა დააპირა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე მას ჩასაფრებული ავტოინსპექტორი ამაიაკ პაპაზიანი _ გულრიფშის რაიმილიციის თანამშრომელი დაადგა თავზე. მან მართვის მოწმობის წართმევა მოუნდომა. ატყდა ჩოჩქოლი. ამ დროს დიდი მსახიობი მონადიმე ქართველებმა იცნეს, ფრუნზიკი ამაიაკ პაპაზიანს არ დაანებეს და ეს ამბავი ა.წოწონავას აცნობეს. იმწამსვე იქ გაჩენილა ანზორი. მან ამაიაკი და ფრუნზიკი თან გაიყოლა, მსახიობი სანატორიუმში გამოაძინა და მეორე დღის საღამოსთვის რაიონის კულტურის ცენტრში შეხვედრა მოუწყო საზოგადოებრიობასთან. ამას ისევ ბანკეტი მოჰყვა გულრიფშის ერთ-ერთ ქართულ ჭერქვეშ. ზღვა ხალხმა მოიყარა თავი ფრუნზიკის პატივსაცემად. საჩუქრებით აუვსეს მანქანა, რაც არ ჩაეტია, ის გამცილებელ მანქანაში ჩაუტვირთეს. მიუხედავად იმისა, რომ გულრიფშის რ-ნში არმენთა მილიონერი კოლმეურნეობა არაერთი იყო, სადაც ძალზე შეძლებულ არმენთა კომლები ბლომად გახლდათ, არმენთაგან ფრუნზიკისთვის თითო-ოროლამ თუ გაიმეტა საჩუქარი. ბანკეტიც ძირითადად ქართველთა შეგროვილი თანხით შედგა. ა.წოწონავას თანამშრომელმა არმენი მსახიობი ქ.ლენინაკანამდე ჩააცილა. გამომშვიდობებისას ფრუნზიკ მკრტჩიანს დანანებით უთქვამს: არმენი ვაგრამ პაპაზიანი ოტელოს თამაშობდა, აქ კი არმენი ამაიაკ პაპაზიანი სიგლახითაა დაკავებულიო. მიჭირს იმის თქმა, ეს თანგადაყოლა ხელოვნების დაფასება იყო, ფეხის ხმის აყოლა თუ ა.წოწონავას, ამ ჩვეულებრივი მილიციონერის მიერ მე ვარ და ჩემი ნაბადის გამოვლენა.

ღალატიც იქნება. სომხეთის რესპუბლიკამაც უარი თქვა ამ რეფერენდუმზე და თავის რეფერენდუმს ატარებს"(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 13 მარტი, 1991 წ.).

1991წ. 7 მარტი _ ოსმა აგრესორებმა კრემლის წაქეზებითა და სსრკ შს სამინისტროს საგანგებო ნაწილების მხარდაჭერით განაგრძეს შეტევა ცხინვალის მიმდებარე ქართულ სოფლებზე.

1991წ. 8 მარტს შეიარაღებული ოსების ბანდა (100 კაცზე მეტი) თავს დაესხა ცხინვალის მიმდებარე ქართულ სოფლებს. ცეცხლის გახსნისას მათ მოკლეს **ტარიელ ხეთაგაშვილი.**

ამ ვითარებაში ქართული სოფლებიდან ქართველებმა თავდაცვის მიზნით წინააღმდეგობა გაუწიეს ოს მომხდურებს, რომლის დროსაც შემოაკვდათ ორი ოსი მოძალადე.

ამასთან დაკავშირებით ე.წ. ჩრდილო ოსეთის საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით იმავე დღეს მოსკოვის ცტ-ის პროგრამა "Время"-მ განაცხადა პირიქით, თითქოს ქართველები დაესხნენ მშვიდობიან ოსებს.

1991წ. 9 მარტს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ზ.გამსახურდიამ** საინფორმაციო საშუალებებით გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გააშუქა კრემლიდანური ძალების ძირგამომთხრელი საქმიანობა, ამხილა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) და ცხინვალის მხარეში აგრესორ-სეპარატისტთა თარეშის თანმიმდევრული ხასიათი.

1991წ. 10 მარტს ქ.სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე მიტინგი ჩაატარა იმ დღეებში კრემლის მითითებით გაფორმებულმა ე.წ. პოლიტიკურმა ბლოკმა "Союз"-მა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის დაუშლელობას, რაც, რატომღაც გაცხადდა როგორც **"...в защиту государственности Абхазии".**

იგი გახსნა აფხაზეთში არმენთა ორგანიზაცია "კრუნკ"-ის თავკაცმა **ალბერტ ტოპოლიანმა.** მიტინგზე სიტყვით გამოვიდა **ზურაბ აჩბა** _ "აიდგილარას" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, **მუსა შანიბოვი** _ ე.წ. კავკასიის მთიელ ხალხთა ასაბლეის თავმჯდომარე, **რაფიკ კეიანი** _ ორგანიზაცია "კრუნკის" ორგანიზატორი, **ვიტალი მიროშნიჩენკო** _ თადარიგის ოფიცერი, ასევე რსფსრ-ის ავტონომიური რესპუბლიკების პარტოკრატიული ლიდერები ჩრდილო კავკასიიდან და ა.შ.

გამომსვლელები "აფხაზი ხალხის დაცვის" ნიღაბქვეშ ღიად დაემუქრნენ ქართველი ერის ნებას _ ააღორძინოს საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა.

1991წ. 11 მარტი, ჟურნალი "შპიგელი" (**15 მარტს** გადმობეჭდა გაზეთმა "ლიტერატურულმა საქართველომ) _ "მოსკოვი აღვივებს ცეცხლს" (ჟურნალ "შპიგელის" ინტერვიუ **ზ.გამსახურდიასთან**):

"_ შპიგელი: _ ოსი და ქართველი მოქალაქეები ერთმანეთს ებრძვიან.

_ ზ.გამსახურდია: _ ეს სამოქალაქო ომი არაა. ოსი და ქართველი მოსახლეობა არ უპირისპირდება ერთმანეთს, იბრძვიან მოსკოვისგან დაგეშილი ექსტრემისტები, რომლებიც ტყვიამფრქვევებით, რაკეტებით, ნაღმტყორცნებით, ნაღმებითა და სხვა იარაღით არიან შეიარაღებული..." "...როგორც კი გაძლიერდა ჩვენი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, მოსკოვი იმწამსვე ეთნოკონფლიქტს აჩაღებს და, სხვათა შორის, ამით დაუფარავადაც გვემუქრება.

_ შპიგელი: _ მაინც როგორ გემუქრებათ?

_ ზ.გამსახურდია: _ 25 თებერვალს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა დამირეკა, ეს იყო საქართველოს ოკუპაციის სამოცდამეათე წლისთავის დღე, რასაც ეტყობა, სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებოდა და მკითხა: "როგორ გუნებაზე ბრძანდებით? მინდოდა ხმით გამომეცნო თქვენი გუნება-განწყობილება".

_ შპიგელი: _ წინა დღეს სამხრეთ ოსეთში შვიდი ქართველი მოკლეს.

_ ზ.გამსახურდია: _ ამიტომაც დაუყოვნებლად ვუპასუხე, _ ისეთ გუნებაზე ვარ, რა გუნებაზეც უნდა იყოს კაცი, რომელსაც შვიდი ახლო ნათესავი დაეღუპა-მეთქი. ამაზე მან სიტყვა-სიტყვით ასეთი დიალოგი გამიმართა: _ გორბაჩოვი: _ და თქვენ კვლავაც არ გსურთ ხელი მოაწეროთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას?

_ მე: _ ეს მხოლოდ ჩემი პოზიცია არაა, ასე ფიქრობს ჩემი ხალხიც.

_ გორბაჩოვი: _ თუ იცით, რომ აფხაზები და ოსები ხელს აწერენ ხელშეკრულებას და ხელშეკრულებით რეფერენდუმშიც სურთ მონაწილეობის მიღება?

_ მე: _ ესაა 140000 კაცი, საქართველოში კი ხუთი მილიონი კაცი ცხოვრობს.

_ გორბაჩოვი: _ (მოზრდილი პაუზის შემდეგ) კარგად აწონ-დაწონეთ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის საკითხი.

_ მე: _ ჩვენ არც ვფიქრობთ ამაზე.

_ გორბაჩოვი: _ მაშინ ელოდეთ დიდ გასაჭირს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში".

ახლა ხომ მიხვდით ვის სჭირდება და რა მიზნით გაჩაღდა ომი ე.წ. სამხრეთ ოსეთში..."

1991წ. 11 მარტი _ ოსმა აგრესორებმა ცხინვალში, რევოლუციის ქუჩაზე დილით მოკლეს ადგილობრივი უდანაშაულო ქართველი **ზოზიაშვილი.**

წინადღეს ყორნისში ოსი თოფოსნები თავს დაესხნენ **გიორგი** და **გრიგოლ თხელიძეების** ოჯახს. მათი დანაშაული ქართველობა იყო. ისინი ქართულმა მილიციამ **12 მარტს** სამშვიდობოს გადმოიყვანა.

1991 წლის 2 მარტს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** მიმართა აფხაზ (უფრო ზუსტად აფსუა) ხალხს. იგი გამოქვეყნდა გაზეთებში ქართულად, აფსუურად და რუსულად.

მიმართვაში **ზ.გამსახურდიამ** ფართოდ გააშუქა ქართული სახელმწიფოს ლასკარული წესრიგი და ძუძუმტეობის, სახლიკაცობისა და მორდუობის შინაარსი, ახსნა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ავანტიურისტული ხასიათი და მისი დამღუპველობა ჩვენი საერთო სამშობლოსათვის. ამავე დროს ამ მიმართვით **ზ.გამსახურდიამ** ამხილა მტრის აგენტურისა და კოლაბორაციული ძალების გამცემლური საქმიანობა აფხაზეთში: "...**დღეს დიდი ხმაურია ატეხელი გალში ჩვენს მიერ პრეფექტის დანიშვნასთან დაკავშირებით. როგორც იცით, ჩვენი კანონის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ უნდა წარმოადგინოს პრეფექტის კანდიდატურები, რომლებიც ჩვენ უნდა დავამტკიცოთ. მიუხედავად ჩვენი არაერთგზისი თხოვნის, ბატონი ვ.არძინბა არ ჩამოვიდა თბილისში. არ დაესწრო პრეზიდიუმის სხდომას, რომლის წევრიც არის იგი და არ წარმოადგინა პრეფექტის კანდიდატურა... ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ იგი ბოიკოტს უცხადებს ჩვენს პარლამენტს, ჩვენს პოლიტიკას პრეფექტებთან დაკავშირებით და სურს აფხაზეთში დრომოჭმული კომუნისტური წყობილების შენარჩუნება...**"

"...**ვ.არძინბა გამუდმებით იწვევს იმპერიის ჯარს, რათა სისხლისღვრა გამოიწვიოს აფხაზეთში. მან უკვე მიაღწია შინაგანი ჯარის შემოყვანას ბაბუშერაში. მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ მსოფლიო ასევე დაგმობს მის საქციელს, როგორც დაგმო ბალტიისპირეთის "ხსნის კომიტეტები" ამით ვ.არძინბას სურს აფხაზი ხალხი ჩაითრიოს სახიფათო ავანტიურაში, რომელიც მას სირცხვილსა და უძლურებას მოუტანს. ასევე სახიფათო იქნება აფხაზეთის მოსახლეობისათვის მონაწილეობა 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში, რაც მიზნად ისახავს ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებას აფხაზეთში, ქართველების, აფხაზების, სომხების, რუსების და სხვა ეროვნების ურთიერთდაპირისპირებებს, ხალხთა შორის სისხლისღვრის პროვოცირებას. ამიტომ, მოგიწოდებთ: ნუ აყვებით პროკომუნისტებს _ ჩვენი ისტორიული მტრების აგენტებს და პროვოკატორებს. ბოიკოტი გამოუცხადეთ საბჭოთა რეფერენდუმს და მონაწილეობა**

მიიღეთ საქართველოს რესპუბლიკის 31 მარტის რეფერენდუმში... რომელიც დაკავშირებული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან. დამოუკიდებელი საქართველო თქვენ გაცილებით მეტს მოგცემთ ვიდრე მოდერნიზებული საბჭოთა იმპერია, რომლის მიზანიც არის ყველა პატარა ხალხის ასიმილაცია და რუსიფიკაცია. თვითმყოფად საქართველოში იარსებებს ჭეშმარიტად თვითმყოფადი აფხაზეთი, ჭეშმარიტი თვითმმართველობით...

გაუმარჯოს ჩვენს ისტორიულ ძმობას, ერთობას და დამოუკიდებლობას!

გვფარავდეს ღმერთი სიყვარულისა და ჭეშმარიტებისა!"

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 12 მარტი, 1991წ.).

1991წ. 12 მარტს საქართველოში მცხოვრებმა არმენმა საზოგადო მოღვაწეებმა მიმართეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მცხოვრებ არმენ მოსახლეობას საბჭოთა კავშირის დაუშლელობასთან დაკავშირებით დანიშნულ **17 მარტის** ე.წ. რეფერენდუმის თაობაზე, მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, კრასნოდარის მხარიდან საგანგებოდ ჩამოყვანილმა არმენებმა და აფხაზეთის არმენთა უმეტესობამ აფხაზეთში არმენების დასახლებულ სოფლებსა და დაბებში ორგანიზებულად მისცეს ხმა საბჭოთა კავშირის დაუშლელობას.

ОБРАЩЕНИЕ

К СООТЕЧЕСТВИННИКАМ, ЖИВУЩИМ В АБХАЗИИ

Дорогие соотечественники!

Желаем начать наше письмо с совета; однако, поразмыслив, решили, а дано ли нам право дать советы людям, умудренным, прошедшим жизненные трудности, понимающим, что такое зло, что такое _ добро. Поэтому решили написать обращение. А потому примите наше обращение как слово братьев, имеющих не меньший жизненный опыт, и адресованное родным братьям.

Мы имеем в виду назначенный на 17 марта общезоюзный референдум. Республика Грузия в этом голосовании не будет участвовать _ и цели, и причины этого решения ясны. Грузинский народ стремится к восстановлению своей государственности на основе Декларации независимости 26 мая 1918 года.

Разумеется, мы не сомневаемся, что многие из вас знакомы с основными положениями этого документа, однако, думается, вспомнить одно из них будет нелишним. В пятом пункте отмечается, что «Демократическая Республика Грузия в своих границах для всех граждан обеспечивает гражданские и политические права _ независимо от национальности, вероисповедания, социального положения и пола».

Наверное, вы знакомы с принятой на основе этой декларации Конституцией, которая гарантировала «свободное социал-экономическое и культурное развитие национальных меньшеств, особенно ее обучение на родном языке и внутреннее управление национально-культурными делами» (Конституция Грузии, статья 129).

Верховный Совет Республики Грузия принял решение о провидении 31 марта республиканского референдума, чтобы выяснить мнение населения республики о восстановлении национальной государственности. Это _ судьбоносный момент для всех народов, населяющих Грузию.

Какой выбор правильный? Какова должна быть наша, армян, позиция?

Сегодня грузинский народ решает свою судьбу. Давайте подумаем. Разве мы, армяне, имеем право противиться естественному стремлению грузинского народа? И подумаем также о том,как мы подходим к аналогичной идее Армении, армянского народа. Армения, как известно, в референдуме 17 марта участие не принимает. Вы, конечно, можете возразить, что есть решение Верховного Совета Абхазской АССР об участии в

общесоюзном референдуме. Мы глубоко понимаем вашу довольно сложную и трудную ситуацию. Однако твердо знаем одно: национальным интересам ни грузин, ни абхазов, ни армян, ни греков и русских, региональным интересам не отвечает создание в республике второго Самачабло. Абхазия _ часть Грузии, она входит в состав Республики Грузия и не подчиниться республиканским законам и решениям означает конфронтацию, последствия которой непредсказуемы.

Стремясь к собственной независимости и суверенитету, мы не имеем права препятствовать такому же естественному желанию и воле грузинского народа. Особенно, когда речь идет о стране, гражданами которой мы являемся.

Вот почему мы, с чистой совестью и глубоким чувством ответственности перед завтрашним днем, обращаемся к вам с призывом _ голосовать 31 марта за востановление государственности Грузии.

Беник Сейранян, председатель Армянской секции СП Грузии;
Михаил Григорян , заслуженный деятель искусств Республики Грузия, главный режиссер Тбилисского государственного армянского драматического театра;
Рафаель Чмшкян , чемпион Олимпийских игр , заслуженный мастер спорта;
Левон Бояхчев, заслуженный художник Грузия; Гаяна Хачатурян,художник;
Гиоргий Гиголов, доктор филологических наук, профессор;
Елена Мискарян, кандидат юридических наук; Мхитар Багдасарян, заслуженный учитель Грузии; Эдуард Амирагов,заслуженный инжинер Грузии;
Эмма Ахтян, заведующая кафедрой Тбилисского педагогического института им. Сулхана-Саба Орбелиани, доцент.

(გაზ. “Вестник Грузии”, 12 მარტი, 1991წ).

1991წ. 12 მარტი: გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ **ზ.გამსახურდიას** მიმართვა აფხაზი ხალხისადმი. ეხება რა ცხუმ-აფხაზეთის დასაბამისმიერი მოსახლეობის სახლიკაცობას, იგი ამხელდა მტრული ძალების აგენტურის საქმიანობას:

1991წ. 12 მარტი: გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ **ზვიად გამსახურდიას** მილოცვა ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისადმი _ ბატონ **ლანდსბერგისისადმი** ლიტვის სახელმწიფოს აღდგენის შესახებ ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აქტის მიღების გამო.

1991წ. 12 მარტი. ქ.თბილისში შედგა ბერძენთა თავყრილობა, რომელმაც ქართველებისადმი თანადგომა გამოხატა:

«ДА» _ СВОБОДНОЙ, НЕЗАВИСИМОЙ ГРУЗИИ

Вчера по инициативе правления общества «Тбилиси» в актовом зале общества состоялась встреча его членов с представителями греческой общественности города. Ее открыл заместитель председателя общества «Тбилиси» Давид Цицишвили. В своих выступлениях тбилисские греки выразили надежду, что все их соотечественники, живущие в Грузии, примут участие в референдуме, проводимом 31 марта, и приняли обращение к ним. После этого встреча с представителями греческой общественности состоялась в редакции газеты «Вестник Грузии».

ОБРАЩЕНИЕ КО ВСЕМ ГРЕКАМ ГРУЗИИ

Дорогие соотечественники! Обращаемся к вам, нашим братьям и сестрам, грекам и гречанкам, проживающим на грузинской земле. Наш народ связывает с единоверным грузинским народом вековая дружба и уважение, согласие и сотрудничество. Об этом мы

не можем забывать сегодня, когда решается судьба Грузии, ставшей нашей второй родиной.

Нам понятно законное желание грузинского народа восстановить государственность _ ведь наш народ сам веками отстаивал свое право на независимость и свободу, а потому не разделять справедливых чаяний, устремленний другого народа он не может. Вот почему греческое население Грузии целиком и полностью солидарно с борьбой национально-патриотических сил за восстановление государственности Грузии.

В акте независимости от 26 мая 1918 года говорится о том, что Демократическая Республика Грузия обеспечивает гражданские и политические права всем своим гражданам, независимо от национальности, вероисповедания и социального положения. На основании этого документа была принята Конституция Грузии, гарантировавшая свободное социально-экономическое и культурное развитие национальных меньшеств, проживающих на ее территории.

Назначенный на 17 марта всесоюзный референдум не будет проводиться на территории Грузии. Таково решение грузинского парламента, избранного волеизъявлением всей Грузии. 31 марта на республиканском референдуме нам предстоит определить свое отношение к вопросу о независимости Грузии. Хочется верить, что ответ греков, как и представителей всех народов, проживающих на грузинской земле, будет однозначенным: «да» _ свободной, независимой Грузии:

Сегодня мы особо обращаемся к грекам и гречанкам, живущим в Абхазии. Решение Верховного Совета автономной республики об участии во всесоюзном референдуме, на наш взгляд, идет вразрез с интересами Грузии и еще больше нагнетает обстановку, ведет к дальнейшей конфронтации. Этого допускать нельзя. Поэтому мы призываем вас внять голосу разума, сделать правильный выбор и 31 марта проголосовать за восстановление государственной независимости Грузии.

Мы призываем всех граждан греческой национальности к согласию и сотрудничеству с грузинским народом. Ведь нам вместе жить, вместе преодолевать трудности, вместе созидать новое общество, строить новую жизнь. Цели и надежды у нас общие. Во имя этого мы и должны быть едины.

От имени греческой общественности Тбилиси Одиссей Димитриади, народный артист СССР, лауреат государственной премии, пфрофессор, Павел Асланиди, заслуженный журналист Грузии, Вадим Анастасиади, заслуженный журналист Грузии, редактор газеты «Вечерный Тбилиси», Иван Назлидис, начальник отдела МВД Грузии. Мильтиад Цандеков, кандидат физико-математических наук, доцент Тбилисского государственного университета, Ираклий Багларов, кандидат технических наук, доцент технического университе, президент Тбилисского общества понтийских греков. Михаил Гурджиев, кандидат технических наук, зав. лабораторией ВНИТМЭ, вице-президент Тбилисского общества понтийских греков, Дмитрий Читлов, кандидат юридических наук, заслуженный юрист республики, Этери доксопуло, кандидат химических наук, доцент Тбилисского государственного университета, Майя Доксопуло, кандидат филологических наук, доцент Тбилисского государственного университета, член общества «Тбилисели», Ян Муратиди, кандидат медицинских наук, доцент, Сергей Карипиди, заведующий кафедрой Грузинского технического университета, д.т.н.., профессор, лауреат государственной премии, член правления Тбилисского общества понтийских греков, Нана Димитриади доцент Тбилисской государственный консерватории, Гела Кесиди, скульптор, член союза художников Грузии, Гела Христамиди, скульптор, член Союза художников Грузии, Лия Элефтериади, живописец, член Союза художников Грузии,

Виталий Шайниди, керамик, член союза художников Грузии, Михаил Михайлов, кандидат исторических наук, доцент АН Грузии, Михаил Папандопуло, член правления Тбилисского общества понтийских греков, Константин Аврамов, преподаватель математики Тбилисского государственного университета, Екатерина Калевра, заслуженный врач Грузии, Юрий Янаков, кандидат физико-математических наук, доцент Тбилисского государственного университета.

(გაზ. "Вестник Грузии", 13 მარტი, 1991).

1991წ. 13 მარტი:

С МОЛЧАЛИВОГО СОГЛАСИЯ ЦЕНТРА

Предлагаем статью Х.Костоева, опубликованную в Чечено-ИнгушетиЙ

В январе 1991 года в г.Орджоникидзе состоялась очередная чрезвычайная сессия Верховного Совета Северной Осетии с повесткой «Об Указе Президента СССР и о некоторых законодательных актах, принятых в декабре 1990 года в Грузинской ССР». При изучении материалов данной сессии которые были опубликованы в газете «Социалистическая Осетия» 16 января 1991 года, и анализе выступлений духовных «генералов» республики меня стало одолевать чувство сострадания к тем народам, которые находятся под «чуткой» опекой вельможного аппарата государственного управления Осетии, у которого такие понятия, как правда и справедливость, чуткость и взаимопонимание, воспринимаются в рамках какого-то вакуумного мышления. В связи с чем хотелось привести некоторые выдержки из материалов данной сессии.

В своем выступлении первый заместитель Председателя Верховного Совета Северной Осетии Ю.Г.Бирагов отмечает: «большие надежды по стабилизации обстановки возлагаются на Указ Президента СССР, но, к сожалению, в регионе он воспринят неоднозначно». Здесь речь идет об указе президента СССР М.С.Горбачева, который вышел 7 января 1991 года по вопросу стабилизации обстановки в Южной Осетии. Но Бирагов тут не вспомнил, что руководством самой Северной Осетии уже 33 года попирается Указ от 9 января 1957 года о восстановлении незаконно упразненной ЧИА ССР. 33 года ингушский народ лишен своей государственности. И ингуши уже десятилетия живут надеждами, что наконец-то у осетинских националистов пробудится совесть, но, к сожалению, они остаются тщетными.

В 1944 году при височайшем покровительстве огрузиневшегося осетина Иосифа Дзугаева над ингушским народом была совершена безпримерная акция геноцида. И в этот трагический для нас период перед осетинскими националистами возникла проблема заселения освободившихся ингушских земель. что наглядно видно из выступления секретаря Северо-Осетинского обкома ВКП (б) Кулова на 13-й областной партийной конференции в 1949 году в котором отмечалось: «...В начале 1944 года в жизни нашей республики произошли крупные исторические события. Благодаря постоянным заботам большевистской партии, лично тов. Сталина в феврале 1944 года Советским правительством были приняты государственной важности решения по дальнейшему развитию и укреплению Северо-Осетинской АССР. К Северной Осетии были присоединены новые районы, среди них _ город нефтяников Малгобек, Моздокский и Курский районы. Вследствие этих мероприятий территория нашей республики увеличивалась на 5 процентов».

(Газета «Социалистическая Осетия» от 12.02.1949г.)

И вот после того, как был издан Указ о восстановлении государственности ингушского народа от 9 января 1957 года, когда возвращены с такой радостью потянулись на родину,

осетинские националисты подняли свою деятельность противостояния на еще более высокую ступень: издаются секретные указы, постановления, дабы не допустить ингушей до родных очагов. Примером тому является секретное письмо Председателя Совета Министров СОАССР Б.Зангиева от 17 октября 1956 года, которое гласит: «Совет Министров Северо-Осетинской АССР предлагает категорически запретить учреждениям и частным лицам продавать дома или сдавать жилплощадь под квартиры ингушам, возвращающимся из поселения, а в отношении лиц уже купивших дома, аннулировать документацию купли-продажи».

И вот они, эти же осетины, на аннексированной Ингушетии и в гостепримной Грузии говорят сегодня о правах, о совести, об интересах и говорят с трибуны чрезвычайной сессии что: «Население Северной Осетии понимает, что дальнейшее противостояние двух народов затрагивает интересы каждой семьи, каждого человека». Это очень отрадно, что наконец-то население Северной Осетии поняло, что противостояние затрагивает интересы не только грузинских и ингушских семей, но и осетинских. Не мешало бы подумать и о мере ответственности перед ними за свои деяния.

Парламент Северной Осетии в своем обращении от 26 декабря 1990 года призывает Верховный Совет Грузии: «...проявить политическую мудрость и отменить принятые неконституционные решения, по необходимости принять все меры для того, чтобы судьбы соседних народов, связанных многовековым сотрудничеством, не были искалечены в угоду чьим-то политическим амбициям». Но, думается, мудрость, гуманность, справедливость _ это черты человеческой морали не сугубо грузинские, осетинские и ингушские, а общечеловеческие, и проявляться они должны по отношению к субъектам природы равнозначно, а не выборочно. Так сколько же еще и почему ингушский народ должен быть жертвой политических амбиций в угоду осетинким националистам?

Председатель Союза писателей Северной Осетии К.Х.Ходов в своем выступлении говорит: «Упразднение парламентом Юго-Осетии не имеет себе равных по своей беспрецедентности, народ по сути лишен государственности, структур власти, а главное _ оскорблено чувство человеческого достоинства целого народа, в т.ч. и Северной Осетии».

Так ли это? Упразднена одна из двух государственностей осетинского народа и упразднена единственная государственность ингушского народа. Осетины из южной Осетии пользуются всеми правами, что и грузины. Ингуши же в Осетии вне закона. Осетин из южной Осетии не оскорбляют и не унижают, их не лишают родных очагов, культурных и духовных ценностей, они не лишены возможности поклониться праху своих предков. Ингушей на своей исконной земле не прописывают, не допускают до родных очагов. Ограничены в общественно полезном труде, где осетины выполняют роль надсмотрщика, а ингуши-роль раба. Ингуши лишены права захоронения покойных на родовых кладбищах. Трудно определить степень античеловеческой морали осетинского национализма и ходовской психологии, который продолжает: «...Разве не должно быть ясно любому здравомыслящему человеку, что, творя подобное, мы не столько проливаем кровь друг друга, но и закладываем прочную основу для будущих, еще более ужасающих трагедий, которые оставим в наследство нашим детям, внукам, правнукам».

Что касается еще более ужасающих трагедий, то ингушский народ испил сию чашу до дна, очем убедительно свидетельствует А.Авторханов в книге «Народоубийство в СССР».

1. В период сплошной колективизации по нормам, установленным Грозненским и Ростовским краевым ГПУ и утвержденным правительством СССР, было арестовано до 35 тысяч человек.

2. Всего в июльскую ночь 1937 года в ходе «генеральной операции» было арестовано 14 тысяч человек.

3. Советское правительство разрешило Чечено-Ингушской республике набрать добровольцев. Таким путем за короткое время организовались две дивизии, одна из которых находилась при действующей армии. Все вооруженные этих дивизий состояло из одних шашек и из случайных винтовок самых разных систем. И эта дивизия без танковой и артилерийской поддержки была брошена буквально под ураганный огонь немецких танков, которые перешагнули через трупы многих бойцов этой дивизии. Вот таким образом работала машина уничтожения ингушского народа. Мужчин, элиту народа, давили, расстреливали, ссылали. Оставшихся и детей морозили в холодном Казахстане, как фашисты заморозили генерала Карбышева, Сталин и осетинские националисты осуществили то, что планировал осуществить над непокорными горцами Николай I.

И после всего этого смехотворно звучат слова Ходова о том, что земля принадлежит только тому, кто на ней проживает, тем более десятками и сотнями лет. Так к чему же утверждать сегодня свое право на исконные ингушские и грузинские земли.

Сопредседатель общества «Адамон цадис» отмечает, что: «Сегодняшнее время для осетинского народа, для Осетин является жестоким экзаменом на выживание, и чтобы выиграть, нам сегодня как никогда необходимы величайшая солидарность, взаимопонимание выдержка». Да, не могу не согласиться с Баскаевым. Когда колоду карт подавал великий шулер Сталин, козыри раздавали его лакей, а на банк ставились судьбы целых народов. В свое время Осип Мандельштам писал: «...Что ни казнь, для него-то малина и широкая грудь осетина». Игра националистов за широкой грудью осетина была беспроигрышной. Но сегодня Баскаеву и ему подобным продолжать игру рискованно. Можно долго виыгрывать, а зараз проиграть все.

Ректор Северо-осетинского государственного университета А.А.Магомеров утверждает, что: «...З.Гамсахурдиа и его сподвижники, как верные подражатели политики прошлого правительства Грузии, успешно повторяют его опыт. Пробившись к рулю власти, они растоптали святые требования Конституции СССР и пошли в массированное наступление против малочисленного югоосетинского народа. В наш цивилизованный век применять методы, освоенные на тюремных нарах, это преступление».

Хотелось бы спросить у святоши Магометова, по какой Конституции вы срывали надмогильные памятники, оскверняете могилы и кладбища ингушей, живете в чужих домах, лишили ингушский народ Родины? Подобный произвол даже на тюремных нарах не властвует. Воры в законе высоко чтут воровской закон, а воры, воспитанные на перинах в духе сталинского произвола, творят беззаконие. И мы не знаем случая, чтобы грузин позволил себе покушаться на честь и достоинство гражданина или народа. И все это Магомедов называет веком цивилизованного мира. И тут же Магомедов удивляется мягкотелости и нерастопности центральных властей.

Действительно, есть чему удивляться, когда при формировании правового государства многие народы с великими надеждами ждут восстановления попранных прав, а в Северной Осетии идет закрепощение ингушского народа на уровне парламента СОАССР. Наложен мораторий на прописку, куплю-продажу домов, выделение земельных участков и на другие жизненные потребности ингушского народа. А руководство Союза ССР делает вид, что ничего не произошло. Но когда руководство северной Осетии обратилось к президенту и к его Совету со своими требованиями, Указ Президента не заставил себя ждать, десант вертолетов взял направление на Грузию. В чем сила такой рекции? Где катализатор?

Секретарь Северо-Осетинского рескома КПСС С.П.Таболов говорит: «Пора в соответствии с законом спросить с тех, кто подстрекает население к противоправным действиям».

В таком случае я смею заверить, надо начинать с Верховного Совета СОАССР, который является инициатором противоправных действий. Таболов продолжает: «...Надо нам вернуться к двадцатому сентября прошлого года и начать все сначала». Слишком коротка летопись Таболова. Нет, вернуться придется назад на многие десятилетия в двацатые годы, как бы тяжело это ни было. Где нанес удар, там придется и расплачиваться.

Ректор ГСХИ Г.С.Козаев говорит: «Что же случилось сегодня, кто и почему такие братские народы делает врагами?»

Это делают недостойные сыновья осетинского народа Дзасохов, Галазов, Хетагуров, Кониев, Блиев и им подобные на почве лжеизмышлений, создавая миф всемогущества и вседозволенности одного народа над другим.

«Но для того, чтобы каждый народ, каким бы малочисленным он не был, сохранил свою культуру, язык, свои неповторимые, веками складывавшиеся облик и характер, все без исключения народы нашей страны должны иметь Суверенные устройства», _ продолжает Козаев.

Но для этого, наверно, хватит одного национального устройства одной Осетии и вовсе, думаю, не за счет Ингушетии.

Козаев продолжает: «И вот теперь, когда вышел Указ Президента от 7 января 1991 года, весь осетинский народ воспрянул духом, но каково ж было наше разочарование, когда в эфире прозвучало сообщение о том, что грузинские власти отнеслись к нему негативно и считают это вмешательством во внутренние дела Грузии».

Мне кажется, что осетинский народ к этому был подготовлен. Разве не Галазов с Хетагуровым говорили по Северо-Осетинскому телевидению в эфире 13 августа 1990 года от имени Верховного Совета республики, что СОАССР _ суверенное государство. Об этом заявлено на сессии Верховного Совета СОАССР, и если даже будут Указ Президента страны и решения правительства СССР и РСФСР, на территории Северной Осетии они действовать не будут». А председатель Верховного Совета СОАССР А.Х.Галазов добавил: «Они будут приостановлены».

Так почему такое право не дано суверенной Грузии? События в Южной Осетии вызывают у нас, женщин Северной Осетии, большую тревогу, говорит депутат горсовета С.М.Ваниева.

Ваниева не задумывается о событиях в Северной Осетии, когда каждый избиратель ингушской национальности, голосуя за депутата, какого бы он уровня не был, дает наказ: верните нашу Родину. Когда каждая девушка, вступая в брачный союз с молодым человеком, берет слово с мужчины бороться за восстановление отчизны.

Когда мать в колыбельной песне поет о том, что есть на свете люди, которые носят партийные билеты, депутатские мандаты и живут в чужих домах, на чужой земле, оскверняют могилы и кладбища, есть, наверное, о чем подумать.

Председатель Моздокского райсовета В.С.Паринов говорит: «Война суверенитетов лишена коструктивности, осуществляется антиконституционными методами». Хотелось бы спросить у Паринова: разве конституционно было упразднение нашей республики с присоединением Ингушетии и Моздокского района к Северной Осетии? Разве конституционно, когда игнорируется Указ Президиума Верховного Совета СССР от 9 января 1957 года «О восстоновлении Чечено-Ингушетии», когда более половины Ингушетии и весь Моздокский район опять остались в составе Осетии? Разве

конституционно в период формирования правового государства на уровне парламента республики принимать следующие противоправные акты:

Объявить на территории Северо-Осетинской АССР мораторий на права личной собственности.

Министру внутренних дел усилить досмотр автомашин и других транспортных средств в целях усиления борьбы с нелегальной транспортировкой оружия, боеприпасов и взрывчатых веществ (а обыскивают транспорт ингушей), осудить резолюцию собрания группы комунистов и депутатов по восстановлению национальной государственности. И завершаются прения очередной чрезвычайной сессии словами Паринова: «Ответственность народных депутатов перед своими народами и историей должна взять верх в приняти решений».

«Никакой человеческий прогресс не может быть оправдан, если в основе его лежит слеза хоть одного ребенка», _ писал Ф.М.Достоевский, а в основе прогресса Северной Осетии лежат кровь и слезы целого народа. Серезные выводы должны сделать депутаты Северной Осетии.

Х.Костоев,депутат райсовета.. с.Эканево. Ингушетия.

(Статья публикуется с сокращениями) (გაზ. "Вестник Грузии",13 მარტი, 1991წ.).

1991წ. 15 მარტს ქ.ნაზრანში გაიმართა ინგუში ხალხის თავყრილობა, რომელმაც დაგმო საბჭოთა დიდმპყრობლობის შედეგები:

მიმართვა მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების,
ოკრუგების უზენაეს საბჭოებსა და მათ ხალხებს

ქ.ნაზრანში გამართული ინგუში ხალხის მრავალათასიანი მიტინგი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქისა და მხარის უზენაეს საბჭოებს მიმართავს თხოვნით, მორალური და სულიერი მხარდაჭერა გაუწიონ რეპრესირებულ ინგუშ ხალხს თავიანთი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სამართლიან მისწრაფებაში.

ანალოგიური მიმართვით მოგმართავდით თქვენ საერთო-ეროვნული გლოვის დღეს _ 1991 წლის 23 თებერვალს. აი ჩვენი უბედურებანი:

1933 წელს ინგუშები გააძევეს ქ.კავკავიდან, რათა მოემზადებინათ ნიადაგი ინგუშთა სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციისათვის.

1934 წელს წაგვართვეს სახელმწიფოებრიობა.

1944 წელს ჩვენს მიმართ განხორციელდა გენოციდი _ ყველანი გაგვასახლეს ყაზახეთის ჩრდილოეთ ოლქებში, რის შედეგადაც გაწყდა ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

1957 წელს აღდგა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ, მაგრამ ამასთან ინგუშეთს ჩამოაჭრეს უძველესი მიწები (46 პროცენტი) ჩრდილოეთ ოსეთის სასარგებლოდ.

ინგუშ ხალხს არასოდეს არ შეუწყვეტია ბრძოლა თავისი ეროვნული უფლებების აღდგენისათვის. ჩვენ მივდიოდით მშვიდობიანი საპარლამენტო გზებით, ვსარგებლობდით ორი იარაღით _ მოთმინებითა და სიმართლით. დიდი მოთმინება გვაქვს, მაგრამ ამქვეყნად ძალზე ცოტაა სიმართლე. ამ ეტაპზე ჩვენ გვჭირდება სხვა ხალხებისა და მათი პარლამენტების მხარდაჭერა, რათა მშვიდობიანად დაწყებული საქმე მშვიდობიანადვე დავაგვირგვინოთ.

ინგუში ხალხი მოგმართავთ თხოვნით, უარი უთხრან ჩრდილოეთ ოსეთს ყოველგვარი ხელშეკრულების ხელმოწერაზე, სანამ იგი არ დააბრუნებს 1933, 1944, 1957 წლებში მის მიერ ანექსირებულ ინგუშთა მიწებს.

თქვენამდე ვერ აღწევს მართალი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება სინამდვილეში კავკასიაში, ინფორმაციის საკავშირო საშუალებანი ამახინჯებენ ფაქტებს: ის, რაც ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში ხდება, წამოიწყო ჩრდილოეთ

ოსეთისა და კავშირის ხელმძღვანელობამ მორიგეობით, რათა ჩაეშალა 50 წლის მანძილზე ოთხჯერ რეპრესირებული გაძარცული ინგუში ხალხის საკითხის გადაწყვეტა. ეს სპეციალურად არის პროვოცირებული, რათა სროლის ხმაურმა ჩაახშოს ჩვენი ხალხის მართალი ხმა.

სტალინის მმართველობის წლებში ოსეთმა მოახდინა მეზობელი ხალხების _ ინგუშთა, ყაბარდოელთა, კაზაკთა მიწების ანექსია, ამჟამად იქ მიმდინარეობს აშკარა ომი, რათა მთელი ოლქი წაართვან საქართველოს რესპუბლიკას. და ამ ომში ძალზე ეშმაკურად იყენებენ საკავშირო ტელევიზიას, სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის პარლამენტებს, რომლებიც ცუდად ერკვევიან ჩვენს კავკასიურ საქმეებში. გთხოვთ მხარი დაუჭიროთ ჩვენს მშვიდობიან ბრძოლას. განა ძნელია იმის გაგება, რომ ჩვენ გაგვძარცვეს? დააყენო საკუთარი თავი ჩვენს ადგილას.

თუ დაიდება სამოკავშირეო ხელშეკრულება და დამტკიცდება მე-3 მუხლი, ჩვენ ვკარგავთ პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის იმედს.

თქვენს გაბედულ სიტყვას შეუძლია თავიდან აგვაცილოს მომწიფებული ეროვნებათშორისი კონფლიქტი.

ქ.ნაზრანი, საერთო-ეროვნული მიტინგი, 1991 წლის 15 მარტი.

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", მარტი, 1991წ.).

1991წ. 16 მარტი _ საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა ბატონი ზ.გამსახურდია, რომელმაც ისაუბრა იმ "სამართლებრივი" აგრესიის შესახებ, რომელიც 17 მარტისათვის გახლდათ დაგეგმილი საქართველოში. განსაკუთრებით აღინიშნა ოქტომბრისენოვანი მოსახლეობის ინტერფრონტული მიზნით გამოყენების საფრთხე და, რაც მთავარია, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მოსალოდნელ პროვოკაციებთან დაკავშირებით: "...საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ შემოწმებით დადგინდა, რომ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დაშვებული იყო სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ სსრკ-ის კანონების მოთხოვნათა უხეში დარღვევები. მაგალითად ქალაქ გაგრის ტერიტორიაზე შემოწმებული 44 საარჩევნო უბნიდან 37-ში საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაზე არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია".

გუდაუთის რაიონისათვის გათვალისწინებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობაზე 14000-ზე მეტია გაცემული. ამგვარივე დარღვევები იყო ქ.გაგრის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის საარჩევნო უბნებში, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს არჩევნების შედეგების მთელ მართლზომიერებას.

"საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: 1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 25 იანვრის დადგენილება სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა არჩევნების №669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შესახებ. დაისვას საკითხი სსრკ-ის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე №669 სოხუმის ტერიტორიულ-საარჩევნო ოლქში 1991 წლის 17 მარტს დანიშნული არჩევნების სხვა დროისათვის გადატანის შესახებ".

აი, ეს გადაწყვეტილება გამოვიტანეთ არჩევნებთან დაკავშირებით, ვინაიდან იქმნებოდა აგრეთვე საფრთხე იმისა, რომ პარალელური კენჭისყრა გამოიწვევდა რაიმე გაუგებრობას. შეიძლება არჩევნებისათვის მოსულ გაუთვითცნობიერებელ ადამიანს ხმა მიეცა, ვთქვათ, რეფერენდუმისათვის და სხვა. აი, კიდევ ერთ-ერთი მიზეზი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ძალზე სერიოზული დარღვევები აქვს ამ კომისიას და ამიტომ იგი გავაუქმეთ (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", მარტი, 1991წ.).

1991წ. 16 მარტს საქართველოს ტელევიზიით **ზ.გამსახურდიას** მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი დაიბეჭდა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" **19 მარტს, 20 მარტს** იგი გადაიბეჭდა გაზეთში "Вестник Грузии":

1991წ. 17 მარტი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თავისი დადგენილებით ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 17 მარტის რეფერენდუმს სსრკ ერთიანობის შესახებ, აფხაზეთში სეპარატისტულმა ეთნოკრატიამ იგი მოსკოვის მითითებით, წინააღმდეგ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის ნებისა, მაინც ჩაატარა. აფხაზეთში ე.წ. რეფერენდუმს ხელმძღვანელობდა **ენვერ კაპბა** _ ცნობილი პარტფუნქციონერი და სეპარატისტული თარეშის ერთერთი თაოსანი.

ამასთან დაკავშირებით აფხაზეთში მობილიზებული იქნა კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებიდან, მასთან ერთად ჩრდილო კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებიდან და აქ დისლოცირებული სამხედრო ბაზებიდან საჭირო კონტინგენტი, რომელსაც ხმა უნდა მიეცა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ე.წ. რეფერენდუმი ჩატარდა სრული განუკითხაობისა და ფაბრიკაციის ვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ სეპარატისტებმა არ შექმნეს სარჩევნო უბნები იმ რეგიონებში, სადაც წინასწარ იცოდნენ რომ ხალხი მას ერთხმად გამოუცხადებდა ბოიკოტს (გალის რაიონი).

ამასთან დაკავშირებით საინტერესო გახლავთ ბატონი **მარტინ ბარკხოფის** განცხადება:

"В Сухуми в день референдума присуствовала группа иностранных журналистов. Вот их информация:

"Референдум в Абхазии: практически полное отсуствие контроля. Есть ли законное право голоса у тех, кто приходит голосовать?

Союзный референдум в Абхазской Автономной Республике проводился по правилам, которые стали известны лишь в день выборов в 11 часов утра. По этим правилам каждый гражданин СССР мог отдать свой голос в любом избирательном округе. Контрольные проверки, проведенные на избирательных участках, показали, что более 60% голосующих _ это приезжие из других областей граждане. Вследствие этого не было никакой возможности контролировать случаи многократного голосования одними и теми же лицами.

Постоянно действующая избирательная комиссия, которая отмечала бесчисленные нарушения при подготовке референдума, была расформирована накануне дня референдума. Это объясняется тем, что комиссия сама нарушала требования избирательного закона. Назначенный вслед за этим новый руководитель выборов _ высокопоставленный функционер КПСС Энвер Капба _ издал инструкцию, полностью противоречащую даже союзному избирательному законодательству. Эта инструкция полностью отменила любые механизмы контроля и фактически разрешила, чтобы одни и те же лица голосовали по нескольку раз.

Капба не согласился принять ожидающих его журналистов.

Референдум в Абхазии, повидимому, останется без необходимого кворума".

Ведущий редактор швейцарского еженедельника
"Das Gotheanum" Мартин Баркхоф. 17.03.91г. Сухуми
გაზ . " Вестник Грузии", 19,03,91

1991წ. 17 მარტს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სსრკ-ის შენარჩუნების თაობაზე ჩატარებული საკავშირო რეფერენდუმის დროს აფხაზეთის ასსრ სეპარატისტული

ეთნოკრატიის მიერ ჩადენილი ფალსიფიკაციები და დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ **(ვ.გვარამია)** გამოძიების მასალები მოხსენებითი ბარათის სახით გაასაჯარისა (გაზ. "აფხაზეთის ხმა", **27 მარტი,1991წ.**).

1991წ. 18 მარტს ოსურმა საოკუპაციო ძალებმა ცხინვალის მხარეში დაიწყეს ქართული სოფლების დარბევა. მათ ცეცხლი გაუხსნეს ქართული მილიციის საგუშაგოებს. იმავე დღეს ცხინვალის მხარეში ოსი საოკუპაციო ძალების მიერ ქართულ სოფლებზე ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მიზნით განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის შედეგები განიხილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ.

აღინიშნა, რომ ოსმა ექსტრემისტებმა ხეზე ცოცხლად მიაარტახეს 4 ახალგაზრდა _ **მერაბ მინდიაშვილი, ვახტანგ ელბაქიძე, ზვიად ხაბარელი, ნუგზარ კასრაძე** და ცოცხლად დასწვეს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ამასთან დაკავშირებით მიმართა მსოფლიოს ჰუმანურ საზოგადოებრიობას.

1991წ. 20 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონები: 1. საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევისა და გაწვევის წესის შესახებ; 2. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კლასების დაწესების შესახებ. 3. რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის დებულების დაშვების შესახებ. 4. ზოგიერთი დანაშაულისთვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების _ სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

1991წ. 20 მარტი:

ОТКРЫТОЕ ПИСЬМО

членов совета офицерского корпуса Республики Грузия ко всем офицерам кадров, запаса и в оставке, уроженцам или проживающим в Шида Картли.

Дорогие друзья!

Совет офицерского корпуса Республики Грузия, который объединяет в своих рядах более тысяч кадровых офицеров, запаса и в оставке, обращается к вам, нашим коллегам по военной службе, с предложением объединиться и сообща попробовать положить конец кровопролитию братских грузинского и осетинского народов.

Мы предлагаем всем офицерам-осетинам, не запятнавшим себя кровью, вступить в осетинскую секцию офицерского корпуса Грузии.

Готовы вместе с вами обсудить все животрепещущие вопросы нашей дальнейшей работы, где вам угодно _ в Тбилиси, Цхинвали или Гори.

Предлагаем инициативной группе офицеров _ осетин составить список всех желающих вступить в наш корпус, оповестить их, подобрать делегацию для переговоров и свои предложения сообщить нам по адресу: ***Тбилиси, ул. шевченко, 6.***

Перед нами стоят неотложные задачи: объедениться, прекратить кровопролитие, разоружиться, начать переговоры.

Если мы это сумеем сделать, _ значит, сохраним офицерскую честь, значит, мы на самом деле любим свои народы, дорожим миром. Нам незачем воевать между собой.

Мы знаем, что руководство республики гарантирует защиту прав человека любой национальности, в том числе, естественно, и осетин. Но для начала мы с вами должны однозначно осудить экстремистов, какой бы национальности они ни были. Осудить попытку отделения части родной земли от матери-Грузии и заявить решительное «нет» подобным шагам в будущем.

Давайте прекратим игру в «социализм», «комунизм», «красные знамена». Пора опуститься на грешную землю, выслушать мнение своих народов и начать строить свободное общество, где и грузинам, и осетинам, всем, живущим на грузинской земле, будет намного лучше, чем в злопамятные годы «под знаменем октября».

Между нами никто не должен стоять. В переговорах нам не нужны посредники.

Мы повторяем еще раз: всем осетинам, желающим жить в мире и согласии, хватит места на грузинской земле. А тем немногим, кому без «социализма» не обойтись, кто не представляет жизнь без России, тому путь недалекий через перевал, но это не насилие со стороны Грузии, а свободный выбор.

Мы хотим, чтобы вы нас поняли правильно: ни один клочок грузинской земли никому и никогда не будет отдан.

Офицеры Грузии протягивают руку дружбы офицерам _ осетинам. Ваше дело принять ее или отказаться. Страдать в этом случае будут наши матери и отцы, братья и сестры, дети и внуки. Мы этого не хотим, а вы?

Офицеры Грузии обращяются к вам с настоятельной просьбой объедениться, чтобы спасти наши народы. Ваше дело ответить нам взаимностью или отвергнуть ее, и в этом случае опять пролеться кровь ни в чем не повинных людей. Мы этого не хотим, а вы?

Давайте создадим совместную офицерскую группу, включимся в разъяснительную работу среди населения Цхинвали и Джава.

Верим, что наши народы разберутся в истинных друзьях и истинных врагах. Осетины и грузины будут вечно здравствовать в независимой Грузии.

За нашу и вашу свободу и совместную работу, господа офицеры из Шида Картли.

Да поможет нам Бог!

Совет офицерского Корпуса Грузии.

(გაზ, “Вестник Грузии”, 20 მარტი,1991)

1991წ. 20 მარტი:

ОБРАЩЕНИЕ

к курдскому населению Грузии

Курдское население республики Грузия с первых дней возрождения грузинского национального движения заняло твердую позицию поддержки справедливой борьбы грузинского народа.

Многие представители нашего народа принимают активное участие в деятельности различных политических организаций республики, выступающих за восстановление государственности Грузии.

Отношение к грузинскому народу, к его стремлению обрести независимость близки и понятны, курдам, которые сами столетиями борятся за свою свободу.

наша позиция не конъюктурна, не зависит ни от каких политических перипетий. Чувства глубокой симпатий и глубокого уважения к грузинам традиционного для курдов, оно уходит в глубь веков и широко отражено в курдском национальном фольклоре.

31 марта состоится референдум по вопросу о восстановлении государственности Грузии на основе Акта о независимости от 26 мая 1918 года, являющемся и сегодня лучшим образом демократического устройства государства, предельно четко определены и права национальных меньшеств.

Братья и сестры! Курды _ это тот народ, который всегда умел ценить благодарство и доброе к себе отношение. Разве можем мы забыть, что Грузия, грузинский народ, именно Демократической Грузии во главе С Н.Жордания приняли наших гонимых предков, вынужденных покинуть свою историческую Родину.

Соотечественники! Мы призываем вас проголосовать за восстановление государственности Грузии на основе Акта о независимости от 25 мая 1918 года.

Правление курдской асоциации «Родина» при
Всегрузинском обществе Руставели
(გაზ. "Вестник Грузии", 20 მარტი, 1991წ.).

1991წ. 20 მარტი:

Всем грекам, проживающим в Грузии

К вам обращаюсь я, грек по национальности, ваша родня и кровь. Мне 48 лет, живу в Грузии и, если понадобится, готов с оружием в руках встать рядом с грузинскими братьями, чтобы до последней капли крови защищать родную грузинскую землю.

Сегодня грузинскому народу, как никогда, требуется помощь и единение, поддержка всех нас в справедливой борьбе за национальную независимость. И каждый неправелный шаг с нашей стороны будет расценен как измена православному и благородному грузинскому народу, родной грузинской земле.

Обращаюсь и к грекам, проживающим в Абхазии. Не поддавайтесь изменческим помыслам сепаратистов, не порочьте достойное имя нашего народа. Уверен, убежден, что изменников и недостойных людей среди нас, греков, не будет.

Дорогие соотечественники, будем достойными потомками тех греков, которые еще с античных времен поддерживали тесные дружеские связи с миролюбивым грузинским народом. Скажем «ДА» восстановлению государственной независимости Грузии 31 марта.

Владимир Абрамидис, член добровольного отряда защиты общественного
порядка при Партии труда Грузии
(გაზ. "Вестник Грузии", 20 მარტი, 1991წ.).

1991წ. 23 მარტს საქართველოს ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ **ზ.გამსახურდიას** მიმართვა კავკასიის ხალხებისადმი: "**კავკასია**[47] **უნიკალური, მსოფლიო მნიშვნელობის ფენომენია თავისი მრავალეროვნებით, თავისთავადი კულტურებით, ერებს შორის**

---

[47] იქნებ "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინაა", მაგრამ უფრო გვიან თანამოაზრეებმა ვცადეთ ასეთი თვალგახელისკენ მიგვექცია დევნილი ხელისუფლების ყურადღება:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება

მიმდინარე წელს სრლდება 140 წელი საქართველოს ისტორიაში "მუჰაჯირობის" სახელით ცნობილი, რუსეთის იმპერიის მიერ კაცობრიობის, კერძოდ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მცხოვრები მოსახლეობის წინააღმდეგ უმძიმესი დანაშაულის ჩადენიდან, რის შეხსენებას მსოფლიო საზოგადოებისათვის, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის პრევენციას, თავის ვალდებულებად მიიჩნევს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აცხადებს:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მიესალმება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას თემაზე "პონტო-კავკასიის გეოცივილიზაციის ცნობიერი აღორძინებისათვის", რომელიც ეძღვნება რუსეთის მე-19 საუკუნეში პროვოცირებული კავკასიური ომის და "მუჰაჯირობის" სახელით ცნობილი ამ ომის უაღრესად ტრაგიკულ შედეგებს. ამ საკითხის აქტუალობა გამოწვეულია იმ გასაოცარი მყარი მემკვიდრეობით, რომელსაც ითავსებს შინაარსობრივ სივრცეში ცარისტული, ბოლშევიკური და პოსტკომუნისტური რუსეთის კავკასიური პოლიტიკა, კავკასიაში ამ ეტაპზე მიმდინარე მოვლენები, რაც ცალსახად იძლევა იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ იგი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ შეიცვლება და მოსალოდნელია, უფრო მეტი აგრესიულობაც კი შეიძინოს. ამგვარი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს რუსეთის პოლიტიკური, სამხედრო ელიტის მიერ დეკლარირებული და საზოგადოებრივ აზრში ჩაკირული აგრესიული დამოკიდებულება ზოგადად კავკასიურ საკითხებთან, რომლის შეცვლის სურვილის არანაირი მცდელობა არ შეინიშნება რუსეთის ხელისუფლების მხრიდან,.

გამომდინარე აქედან, ჩვენი ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის ისტორიული პროცესები, მოვლენები თუ კონკრეტული ფაქტები, რასაც ადგილი ჰქონდა სრულიად კავკასიაში და რომელთაც გადამწყვეტი თუ არა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამ მეტად რთული და საინტერესო რეგიონის, როგორც თანადროულ, ასევე შემდგომ ცხოვრებაში. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თავადვე უნდა განვსაზღვროთ საკუთარი კავკასიური ორიენტირი და რუსეთის იმპერიის ტყვეობაში მყოფ მომმე კავკასიელ ხალხს აქტიურად ჩაერთონ ერთიანი კავკასიური სამყოფლის შექმნისა და აღორძინების პროცესში. ამასთანავე მივმართავთ აგრესიული სეპარატიზმის მიერ მოტყუებულ აფხაზეთის მოსახლეობას, ნუ გაიპიროვნებენ იმპერიის მეგზურის მოვალეობას და ერთიანი ძალისხმევით ვიღვაწოთ ჩვენი ქვეყნის აღორძინებისთვის. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ კონფერენციის მასალები ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფოს კავკასიური პოლიტიკის პრინციპების ჩამოყალიბებაში. *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;* 21.05.2007წ. ქ.თბილისი (პროექტი მოამზადა ს.საჯაიამ).

ურთიერთობების მყარად ჩამოყალიბებული ტრადიციებით, განუმეორებელი ისტორიით, ლანდშაფტით, ფლორითა და ფაუნით. სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა სარწმუნოების კავკასიელ ხალხებს შორის ეთნიკური სიძულვილი, ე.წ. "ეთნოკონფლიქტები" ამ ერთა თანაარსებობის მანძილზე უცხო იყო, სანამ კავკასია ცეცხლითა და მახვილით, ვერაგულად არ დაიპყრო იმპერიათა შორის უსასტიკესმა და უბოროტესმა _ რუსეთის იმპერიამ. ცარიზმის მიერ გაკვალული გზა, რომელიც კავკასიელ ხალხებს შორის მტრობის, უნდობლობისა და ერთმანეთის სიძულვილის დანერგვას გულისხმობდა, "ღირსეულად" განაგრძო მოდერნიზებულმა კომუნისტურმა იმპერიამ, რომელმაც გარკვეულწილად თავის მიზანს მაინც მიაღწია.

კავკასიელი ხალხები ისე მოხერხებულად გადაჰკიდეს ერთმანეთს, რომ ამჟამად კავკასიაში მცხოვრებ თითქმის ყოველ ხალხს იმპერიის მიერ თავსდატეხილი ყველა უბედურების მიზეზი მის გვერდით მცხოვრები სხვა ხალხი ჰგონია..." "...ზოგან სისხლიც იღვრება, ცენტრი კი მოსყიდული ინფორმაციის საშუალებით მთელ მსოფლიოს უმტკიცებს, უჩვენოდ ეს "ველური და კაციჭამია" კავკასიელები ერთმანეთს მოსპობენო, თანაც მსოფლიოს უმალავენ იმას, რომ კავკასიელ ხალხებს უძველესი კულტურა და ჰუმანური ტრადიციები გააჩნიათ და სურთ ისინი "ტუზემცებად" გამოაცხადონ"... "...დროა გონს მოვეგოთ! ნუ გავებმებით ცენტრის მიერ ჩვენს საზიანოდ დაგებულ მახეში! მოვიგონოთ ჩვენი დიდებული წინაპრების სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა! აღვადგინოთ ძმობა, ურთიერთპატივისცემა და ნდობა.

ნებისმიერი კავკასიელი ხალხის ბედი, ყველა კავკასიელის მშვიდობიან თანაცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები ისევ ჩვენივე ერთსულოვნებით, კავკასიაში უნდა წყდებოდეს. ამისათვის აუცილებელია კავკასიელ ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაცია, დიალოგი, რათა ერთობლივ იქნას შემუშავებული ერთიანი მოქმედების ტაქტიკა და სტრატეგია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა "მრგვალი მაგიდა" _ თავისუფალი საქართველოს სახელით ვიწვევთ კავკასიელ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ლიდერების კავკასიის ხალხთა ფორუმის შესაქმნელად, რომელსაც მიზნად არ ექნება რაიმე ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ერთეულის დაარსება, რომელსაც არ მართავენ ცენტრის აგენტები, კავკასიის გამყიდველები. ჩვენი მიზანი იქნება კავკასიის კონსოლიდაცია, მისი განთავისუფლება იმპერიის მარწუხებისგან და დაფუძნება მსოფლიოს თავისუფალ ხალხთა ოჯახში. ეს ასევე აღადგენს ჩვენს გულწრფელ მეგობრობას რუს ხალხთან, რომელიც თვით არის ტოტალიტარიზმისა და კომუნიზმის მსხვერპლი..." (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 23 მარტი, 1991წ.)

1991წ. 23 მარტს დაბა ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი **ბორის ელცინი** და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი **ზვიად გამსახურდია.** შეხვედრაზე ხელმოწერილი იქნა რუსეთის სფს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეების მოლაპარაკების ოქმი: "1. 1991 წლის აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის სფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც სამუშაო ჯგუფები *<u>ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში</u>* (ხაზგასმა ს.საჯ.) ვითარების სტაბილიზაციისათვის ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად მხარეები მორიგდებიან. 2. რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესასწავლად და მიმდინარე წლის 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით. 3. რუსეთის სფს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი *ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის* (ხაზგასმა ს.საჯ.) ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებების განსაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე. 4. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან იქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები. 5. რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა დაუყონებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საშუალება შეექმნათ. უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა. 6. საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მთავრობებმა შექმნან ლტოლვილებისადმი მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებით მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრები გამოჰყონ ამ ზარალის ასანაზღაურებლად. 7. შექმნილი კომისიისა და რაზმების საბოლოო ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა. 8. შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წამოჭრილ მიმდინარე საკითხებს" (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 26 მარტი, 1991წ).

1991წ. 25 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი **ზ.გამსახურდია** საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა. იგი შეეხო **23 მარტის** შეხვედრას. მან მაღალი შეფასება მისცა რუსეთის რსფსრ-სა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობას: "...ამავე დროს, ჩვენი შეხვედრის ერთადერთი უმთავრესი მიზანი იყო შიდა ქართლში მდგომარეობის სტაბილიზაცია. შეიძლება დაისვას კითხვა: რატომ არის დაინტერესებული რუსეთის ხელმძღვანელობა შიდა ქართლში მდგომარეობის სტაბილიზაციით? იმის გამო, რომ ეს უშუალოდ ეხება მას _ ეგრეთ წოდებულ ჩრდილოეთ ოსეთს, რის შესახებაც განვმარტე, რომ, ეს არ არის არავითარი ჩრდილოეთ ოსეთი, არამედ ნამდვილი, ერთადერთი ოსეთია. გარდა ამისა განვმარტე ისიც, რომ არასოდეს არ არსებობდა და არც ახლა არსებობს სამხრეთ ოსეთი.

ყურადღება უნდა მივაპყრო იმ ფაქტს, რომ ამ დოკუმენტში, რომელიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, ფიგურირებს გამოთქმა: ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი..."(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 26 მარტი, 1991წ.).

1991წ. 26 მარტი: თბილისში კოსმოსური კავშირგაბლობის სისტემა აამუშავა მისმა ავტორმა, საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრმა, **ივ. ჯავახიშვილის** სახელობის თსუ-ს სოხუმის ფილიალის რექტორმა, პროფესორმა **ფელიქს ტყებუჩავამ.** ამიერიდან საქართველო კრემლის შეზღუდვების გარეშე დაუკავშირდებოდა მსოფლიოს. თბილისში კოსმოსური კავშირგაბმულობის პირველი მომხმარებლები გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი **ზვიად გამსახურდია,** რომელიც დაუკავშირდა ბატონიშვილ **გიორგი ბაგრატიონს** (ეს მოვლენა **29 მარტს** ფართოდ გააშუქა გაზეთმა "ლიტერატურულმა საქართველომ").

1991წ. 27 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ზვიად გამსახურდიამ** მიმართა ჯავახეთის მოსახლეობის არმენულ ნაწილს: "...ვიცი, რომ გამოჩნდა თქვენს შორის რამდენიმე კაცი, რომლებიც ჩემს მიერ გამოთქმულ აზრს სავსებით დამახინჯებულად განმარტავენ. დიახ, ვთქვი, რომ ის, ვინც მონაწილეობას არ მიიღებს 31 მარტის რეფერენდუმში, ამით ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლებას. ეს, ჩემო ძვირფასებო, ვაჭრობა როდია.

მთელ ცივილიზაციურ მსოფლიოში მოქალაქეობას იღებენ მაშინ, როცა არის ურთიერთვალდებულებებისადმი მზადყოფნა: პოტენციური მოქალაქეობისა _ სახელმწიფოს წინაშე და სახელმწიფოსი _ მოქალაქის წინაშე. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში მოქალაქეობის მიღება გულისხმობს ქვეყნის ენისა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემას. ეს ის ბალანსია, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მოქალაქეობა ფორმალური არ იყოს. თანასწორობა უფლებებში შეუძლებელია მოვალეობებში თანასწორობის გარეშე...” “...ყოველი ჩვენგანის ხმა 31 მარტს შეიძლება ის ერთადერთი იყოს, რომელიც გადაწყვეტს ჩვენი სახელმწიფოს _ საქართველოს ბედს. თუ იქნება დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო, სოციალურად დაცული იქნება ჩვენი მრავალეროვანი ოჯახის თითოეული წევრი, დაცული იქნებიან ჩვენი ოჯახები, ჩვენი შვილები და შვილიშვილები. მარტში, თუ ვიტყვით _ “დიახ”, თავისუფალ საქართველოს, _ ნიშნავს, რომ სექტემბერში გაცილებით უფრო გაუადვილდება სომხეთს...” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 30 მარტი, 1991წ.).

1991წ. 27 მარტი _ ბ-ნ ვლადისლავ არძინბას _ საქართველოს რესპუბლიკის 11 დეკემბრის კანონით საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შეწყდა საბჭოების უფლებამოსილება, ხოლო 1991 წლის 29 იანვარს საერთოდ გაუქმდა ადგილობრივი საბჭოების სისტემა. საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ვალდებული იყო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოეყვანა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, რაც შეუწყნარებლად ჭიანურდება და მრავალი უხერხულობის მიზეზად შეიძლება იქცეს. ასე, მაგალითად, 1991 წლის 12 მარტს ოჩამჩირის რაიონში მოიწვიეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სესია და აირჩეს მის თავმჯდომარედ სერგეი ბაგაფში. ეს ქმედება შეიძლება განისაზღვროს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის უგულებელყოფა. გამორიცხული არ არის, რომ მსგავსი ინციდენტი კვლავ განმეორდეს აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, რადგან თქვენ პირადად, ბატონო ვლადისლავ და მთლიანად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში სისტემატურად უგულებელყოფენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და სხვადასხვა თანამდებობის პირებს აფხაზეთში უმზადებთ ნიადაგს სახელმწიფო დანაშაულის ჩასადენად.

თქვენი ასეთი საქციელი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც თანამდებობის ბოროტად გამოყენება. რასაც საკმაოდ მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ამით თქვენ საფრთხეს უქმნით მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრებას, აღვივებთ ეროვნულ შუღლს, იწვევთ ყოვლად გაუმართლებელ დაპირისპირებას ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის, უხეშად არღვევთ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას.

თქვენ, როგორც განათლებულ პიროვნებას, მეცნიერს (ყოველშემთხვევაში ასეთად გიცნობდით დღემდე), უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ყოველი ადამიანის, განსაკუთრებით ხელმძღვანელის ვალია, იცხოვროს სიკეთის, ურთიერთპატივისცემის მაღალზნეობრივი პრინციპებით, არ აჰყვეს პირად ამბიციებს თუ წაქეზებას.

დღეს აფხაზეთის მოსახლეობის ბედი (აქედან 47-პროცენტზე მეტი ქართველია) თქვენ გაკისრიათ. შეცდომის უფლება არა გაქვთ, რადგან ერთა შორის ჭიდილში გამარჯვებული არ არსებობს. კიდევ ერთხელ დაფიქრდით, გაითვალისწინეთ ისტორიის გაკვეთილები და როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, მონაწილეობა მიიღეთ მის მუშაობაში და, რაც მთავარია, შეუსაბამეთ თქვენი პოლიტიკა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობებს, რომლის იურისდიქციის ქვეშ ბრძანდებით.

ზვიად გამსახურდია (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა.” 29 მარტი, 1991წ.).

რაც შეეხება 1991 წლის 12 მარტს ოჩამჩირის რაიონში **ს.ბაღაფშის** "არჩევას" რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, ამ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ ხმამაღლა შეგახსენებთ, აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს _ **გ.ლომინაძეს,** აფხაზეთის პარტნომენკლატურულ "დირექტორადსა" და აფხაზეთის მრგვალ მაგიდად წოდებულ **ნ.მგალობლიშვილის** თანამოსაქმეებს ოდნავი წინგახედულობა რომ გამოეჩინათ და მიეღოთ ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის მიერ შეთავაზებული **ბ.წვიჟბას** კანდიდატურა ოჩამჩირის პრეფექტის თანამდებობაზე, ამით პრეფექტის ინსტიტუტი გალს აქეთ გადმოიწევდა და არც **ს.ბაღაფშის** "არჩევას" დაუშვებდა ამ ორპირებისა და მერყევების წინგაუხედავი თამაშებით გაოცებული აფსუა მოსახლეობა ოჩამჩირეში. ოჩამჩირიდან ტყვარჩელამდე და იქიდან გუდაუთამდე პოლიტიკურ მეტრაჟებში ნაბიჯნახევარი იყო მაშინ, რათა მშვიდად გაკეთებულიყო სახალხო საქმე.

1991წ. 28 მარტს თბილისში მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების თაოსნობით მოეწყო მრავალათასიანი მიტინგი, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა მხარი დაეჭირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის **31 მარტის** რეფერენდუმზე.

1991წ. 29 მარტს, დღის 3 საათზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი **ზვიად გამსახურდია** შეხვდა აშშ_ს ყოფილ პრეზიდენტს **რიჩარდ ნიქსონს** (იმჟამად სენატორს) და მასთან ერთად საქართველოში ჩამოსულ აშშ-ს დელეგაციას. შეხვედრაზე ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ არსებობს საბჭოთა ერი, არსებობენ იმპერიების მიერ დაპყრობილი ერები. საქართველოს რესპუბლიკაში გაძლიერდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, **"...სსრკ-ში შემავალი ხალხებისადმი დახმარება, რომელთა ეროვნული არსებობაც საფრთხეშია, იქნება იმ მისიის აღსრულება, რომელიც ეკისრება აშშ-ს მსოფლიოს წინაშე. ეს არის ადამიანისა და ერების უფლების, გაეროს წესდების დაცვის, ჰელსინკის ხელშეკრულების დაცვის მისია, ...რომ მსოფლიოს დიდმა სახელმწიფოებმა არ უნდა დაუშვან კრემლის ძალადობა რესპუბლიკის მიმართ".**

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 30 მარტი,1991წ.).

1991წ. 30 მარტს ახლად გახსნილ სასტუმრო "მეტეხის" სააქტო დარბაზში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ **ზვიად გამსახურდიას** პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის:

"_ ბატონო, ზვიად თქვენი პროგნოზი ხვალინდელ რეფერენდუმთან დაკავშირებით.

_ ჩვენ ველოდებით, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცემს ხმას..." (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა," 31 მარტი, 1991წ.).

1991წ. მარტში ბატონი **ზვიად გამსახურდია** ქ.მოსკოვში შეხვდა აშშ სახელმწიფო მდივანს **ჯეიმს ბეიკერს.**

1991წ. 1 აპრილი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** პასუხი გასცა: **30 მარტს** სსრკ პრეზიდენტის მუქარა-გაფრთხილებას _ **"ვიზიარებ თქვენს შეშფოთებას ქალაქ ცხინვალსა და მის მიმდებარე რაიონში შექმნილი ვითარების გამო. გაცნობებთ, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ განვახორციელეთ ღონისძიებანი, რათა შეგვეჩერებინა სისხლისღვრა, შეგვეწყვიტა ექსტრემისტთა მოქმედება, აღგვეკვეთა მათი განზრახვა ხელთ ეგდოთ და მოესპოთ დასახლებული პუნქტები..." "...საქართველოში მიმდინარე ამბების განზრახ ტენდენციურად გაშუქება პრესის ცენტრალური ორგანოებისა და ცენტრალური ტელევიზიის მიერ ერთხელ კიდევ საფრთხეს უქმნის საბჭოთა საზოგადოებას, თვითონ**

გახდეს საკუთარი პროპაგანდის მსხვერპლი. მოლაპარაკების დაწყების თაობაზე თქვენი წინადადებების პასუხად, პატივი მაქვს შევნიშნო, რომ ფართო წრის საკითხების გამო დავიწყეთ მოლაპარაკება რუსეთის სფსრ ხელმძღვანელობასთან და ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობასთან, რომ არაფრით არ შეიძლება საქართველოს რესპუბლიკა მოლაპარაკებას აწარმოებდეს ექსტრემისტებთან და ტერორისტებთან,..” “...ვიმედოვნებ, რომ სსრ კავშირის ხელმძღვანელობა თავს შეიკავებს აღნიშნულ რაიონში ვითარების შემდგომი დესტაბილიზაციისაგან, რადგან თქვენი დეპეშის შემდეგ მდგომარეობა ცხინვალის გარშემო კვლავ გამწვავდა”.

(გაზ.“საქართველოს რესპუბლიკა”, 3 აპრილი,1991წ.).

1991წ. 1 აპრილს ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** პასუხი გასცა რსფსრ სახალხო დეპუტატთა III ყრილობის დიდმპყრობლურ დადგენილებას ე.წ. “სამხრეთ ოსეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ”: “...რაც შეეხება არსებითად დადგენილებას, უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1. მოვლენებში, რომლებიც 1990-91 წლებში გაიშალა ქართველი ხალხის ისტორიულ სამშობლოში _ შიდა ქართლში, რომელიც 1922 წელს ბოლშევიკებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად გადააქციეს მორალისა და სამართლის ყველა ნორმის დარღვევით, ბრალი მიუძღვის ოს ექსტრემისტებს, რომლებსაც მორალურადაც და მატერიალურადაც, უახლოეს სახეობათა იარაღის ჩათვლით, მხარს უჭერენ რეაქციული ძალები, სულ უფრო რომ მომძლავრდნენ საკავშირო მთავრობაში”... “...3. შიდა ქართლის (არ არსებობს ცნება _ სამხრეთ ოსეთი) პრობლემა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეა, მაგრამ იგი მზად არის ითანამშრომლოს რუსეთის სფს რესპუბლიკასთან, რამდენადაც საქმე ეხება ჩრდილოეთ ოსეთის ინტერესებსაც _ ამის გზას გვისახავს 1991 წლის 23 მარტის ოქმი რუსეთის სფს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბ.ნ.ელცინისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა ზ.გამსახურდიას შეხვედრისა მოლაპარაკების შესახებ. მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შეუწყნარებლად მიაჩნია ცალმხრივი უხეში ჩარევა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში იმ ულტიმატუმური მოთხოვნების წარდგენის გზით, რომ აღვადგინოთ ავტონომიური ოლქის სტატუსი, გავათავისუფლოთ ტ.კულუმბეგოვი და სხვა “უკანონოდ დაპატიმრებული პირები” (ვინ განსაზღვრა აღნიშნულ პირთა დაპატიმრების უკანონობა?!) და ა.შ...”

“...გაოცებას იწვევს, რომ დადგენილება მიიღო უმრავლესობამ, რუსეთის დემოკრატიული ძალების წარმომადგენელთა ჩათვლით, რომელიც თითქოსდა საკავშირო მთავრობის დიქტატურისა და იმპერიის ზრახვის წინააღმდეგ იბრძვიან...” “...რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილება ამით ხელს უწყობს ცენტრის ზრახვებს, რაც წესრიგის დასამყარებლად “სასწრაფო ღონისძიებათა” საბაბით შეიძლება გაუთვალისწინებელი ტრაგიკული შედეგებით დამთავრდეს. ფაქტობრივად მზადდება კიდევ ერთი აგრესია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ...”

(გაზ.“საქართველოს რესპუბლიკა”, 3 აპრილი, 1991წ.).

1991წ. 3 აპრილს _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** მიმართა სსრკ უზენაეს საბჭოს: “ა.წ. 1 აპრილს სსრკ-ს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება “სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილი მდგომარეობის შესახებ”.

“ეს დადგენილება კიდევ ერთი, ამჯერად თავისი შედეგებით განუჭვრეტელი აქტია, რომელიც მიზნად ისახავს შიდა ქართლში, ესე იგი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ვითარების შემდგომ გამწვავებას”. “...დადგენილება მოჰყვა ანალოგიურ დოკუმენტის მიღებას რუსეთის სფსრ სახალხო

დეპუტატთა მესამე საგანგებო ყრილობაზე"... "...შეიქმნა ერთიანი ფრონტი დამოუკიდებლობისადმი საქართველოს მისწრაფების წინააღმდეგ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მაშინ, როცა ქართველმა ერმა, ეროვნულ უმცირესობებთან ერთად, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის დაახლეობით 30% შეადგენენ რესპუბლიკური რეფერენდუმის დროს, თითქმის ერთხმად, მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას, ცენტრის მხრიდან მზადდება საქართველოს რესპუბლიკის ხელმეორე ანექსია და ოკუპაცია სამხრეთ ოსეთის პუტჩის საბაბით"...

(გაზ. **"საქართველოს რესპუბლიკა"**, 4 აპრილი, 1991წ).

4 აპრილს გაიმართა საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელმაც დააჯამა **1991 წლის 31 მარტს** ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები.

დადგინდა, რომ საქართველოში სულ იყო 3672403 ამომრჩეველი.

რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 3334286 ადამიანმა, რაც წარმოადგენდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90,79%-ს. მათგან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა 3295493 ადამიანმა ანუ 99,08%-მა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის წინააღმდეგი აღმოჩნდა 16917 ამომრჩეველი ანუ 0,51%. 13690 ბიულეტენი გაფუჭდა _ 0,41%.

აფხაზეთში იყო 347175 ამომრჩეველი. მათგან რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 61,27%-მა. აქედან საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა 97,23%-მა. ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 59,84%-მა. საქართველოს დამოუკიდებლობას მხარი არ დაუჭირა 1,42%-მა (0,87%).

აჭარაში ამომრჩეველთა რაოდენობა იყო 224,778. აქედან რეფერენდუმში მონაწილეობდა 96,64%. მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას _ 97,67%-მა. არა _ 1,42% (1,37%).

ცხინვალის, ყორნისისა და ჯავის რაიონებში რეფერენდუმი არ ჩატარებულა. ცნობად იქნა მიღებული ამომრჩეველთა შემდეგი რაოდენობა: ცხინვალი _ 22312; ყორნისი _ 6786; ჯავა _ 6526.

უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილი ვითარების გამო ამომრჩევლებმა ჯავის რ-ნიდან საქართველოს დამოუკიდებლობა ხმა საჩხერეში მისცეს.

ცხინვალის რ-მა რეფერენდუმში ნაწილობრივ მიიღო მონაწილეობა, აქ აღირიცხა _ 11376 ამომრჩეველი, აქედან საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა 10182 ადამიანმა.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის ყველა ხალხის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა სახალხო გამოკითხვაში და მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, მათ შორის გახლდათ აფსუა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერით თავი გამოიჩინა ბერძნულმა თემმა.

ეს ასე მოხდა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ზ.გამსახურდიას 16 მარტის** მომართვის საპასუხოდ **ვ.არძინბამ** _ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ აფხაზეთის მოსახლეობას მოუწოდა არ მიეღოთ მონაწილეობა სახალხო გამოკითხვაში (რეფერენდუმში) ან თუ მიიღებდნენ, ხმა არ მიეცათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

საქარველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოუწოდებდნენ მოსახლეობას ე.წ. პოლიტიკური ბლოკ "Союз"-ის წარმომადგენლებიც.

1991წ. 31 მარტის სახალხო გამოკითხვამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მხარდაჭერამ აჩვენა თუ რა დონეზე გააყალბა აფხაზეთის სეპარატისტულმა ეთნოკრატიამ ვითომცდა

სსრკ ერთიანობისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის მხარდამჭერი **17 მარტის** რეფერენდუმი.

გუდაუთში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბოიკოტი გამოუცხადა **31 მარტის** რეფერენდუმს (30060 ამომრჩეველი), ამიტომ გუდაუთის რ-ნის ს.ახალსოფელში გაიხსნა ერთი საარჩევნო ოლქი, ამომრჩეველთა სიაში კანონთან შესაბამისობით შეყვანილი იქნა 2931 ადამიანი, რომელთაგან გაფუჭდა 2 ბიულეტენი, დანარჩენმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია, რომ ქართველთა გარდა საქართველოს დამოუკიდებლობას ამ ოლქში ხმა მისცა როგორც აფსუა მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, ასევე სხვა არაქართველი ეროვნების წარმომადგენლებმა.

რაც შეეხება ტყვარჩელს, აქ ადგილობრივი ხელისუფლების დაუდევრობით ვერ იქნა უზრუნველყოფილი რეფერენდუმის ჩატარება, ამიტომ აქაური ამომრჩევლებისთვის ქ.ოჩამჩირეში გაიხსნა ცალკე უბანი. საარჩევნო სიაში შეიყვანეს 1017 ამომრჩეველი. აქედან მხოლოდ ერთმა არ დაუჭირა მხარი საქართველოს დამოუკიდებლობას.

1991წ. 6 აპრილი:

КРАХ ПОЛИТИКИ КРЕМЛЯ

Референдум 31 марта показал, насколько несокрушимо, непреодолимо стремление грузинского народа к свободе. Как ни злословили отдельные корумпированные псевдоинтеллигенты и другие подпевалы старой номенклатуры, как ни старались они расколоть национально-освободительное движение, сколько ни пророчили, что в Грузии воцарится фашизм, что страной правит диктатор, все эти потуги оказались напрасными. Референдум, подобно очистительной буре, смил всю нечисть, обнажив гарантию твердость воли грузинского народа.

Большой победой явилось и то, что представители самых разных народов, несмотря на всевозможные разногласия и споры по отдельным вопросам, сумели отбросить все второстипенное, все несущественное и дружно поддержали своих грузинских братьев в их справедливой борьбе. Все еще господствующая в СССР партийно-бюрократическая номенклатура, дурачившая народы псевдокомммунистическими «идеалами», получила очередное серьезное предупреждение, новый политический удар. Тем отчайннее будет она теперь бороться за сохранение своей власти, своих привилегий. Мы все видели, как на каждом новом ветке освободительной борьбы грузинского народа по команде из центра в Грузии вспыхивали очередные, так называемые, «этноконфликты» _ в Абхазии, в Болниси и Марнеули, в Самачабло. Только очень пристрастный или недалекий человек может не видеть истинной сути этих явлений, разыгранных по единному кровавому сценарию.

Сейчас, после долгой, хорошо спланированной кампании лжи и клеветы против грузинского народа, развернутой центральной прессой и союзным телевидением, на всероссийском съезде и в Верховном Совете СССР выдвинуто требование к президенту ввести войска и президентское правление в Самачабло. Это было сделано уже после того, как в Цхинвали затихли выстрелы и заключено перемирие (время от времени, правда, нарушавшееся осетинскими боевиками, которых поддерживают войска МВД). Существо всего происходящего станет очевидным каждому, кто сопоставит эти два факта: приближение референдума в Грузии и перемирие в Самачабло, с одной стороны, и совершенно оголтелая, разнузданная кампания лжи и ее логический венец _ требование ввести президентское правление, с другой стороны. Все это не что иное, как реакция центра на успехи в борьбе грузинского народа за свободу.

и все-таки азербайджанцы и армяне, осетины и еврей, другие народы в подавляющем большенстве проголосовали за независимость Грузии. Это _ еще одно свидетельство краха

политики Кремля, стремящегося во что бы то ни стало сохранить империю, и сегодня это видит все человечество.

Что же касается нас, русских, живущих в Грузии, то конфликта между нами и грузинами не только нет, он и невозможен, причем не только поэтому, что все мы _ православные христиане. Прогресивная русская интеллигенция всегда с любовью и уважением относилась к грузинскому народу и его культуре, и в той же мере пользовалась добрым расположением и душевной привязанностью грузинской интеллигенции.

Мы, русские, проживающие в Грузии, не только не против свободы грузинского народа, но и прекрасно понимаем, что именно его освобождение послужит залогом нашей личной свободы. Недавно заключенный договор между Грузией и Россией еще раз показал, что тесные экономические и культурные связи между нашими народами не только возможны, но и необходимы для нас. Нет и не может быть никаких сомнений в этом, что как только грузинский и русский народ окончательно освободятся от бремени сковывающей их позорной тоталитарной системы, причинившей их позорной тоталитарной системы, причинившей столько зла всем народам СССР, экономические, культурные и даже политические связи между ними будут продолжены, но только на естественной, справедливой и добровольной основе.

Сергей Серебяков, доцент, кандидат филологических наук; Тамара Белоусова, народная артистка Грузии; Валентина Перова, кандидат технических наук, заслуженный инжинер Грузии.

(გაზ. "Вестник Грузии", 6 აპრილი,1991).

1991წ. 6 აპრილი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გაასაჯარისა საპროტესტო განცხადება სსრკ პრეზიდენტის **მ.ს.გორბაჩოვისა** და სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ა.ი.ლუკიანოვის** მიმართ ცხინვალის მიმდინარე მხარეში საბჭოთა ჯარის საგანგებო ნაწილების მიერ განხორციელებული აგრესიის გამო.

1991წ. 6 აპრილი _ მრგვალი მაგიდის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, საქართველოს მშრომელი საზოგადოებრიობის ინიციატივით დაიწყეს მზადება საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისათვის.

1991წ. 6 აპრილს, აღდგომის წინადღეს, როგორც ეს უკვე აღინიშნა, ქ.სოხუმში **კ.გამსახურდიას** სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა სრულიად საქართველოს **მერაბ კოსტავას** საზოგადოების პირველი და ბოლო კონფერენცია, რომელშიც ამ საზოგადოების ადრე გაყოფილი და შემდეგ კვლავ შერიგებული მხარეები თითქოსდა ერთ გუნდად უნდა წარმდგარიყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და თუ რატომ, ამის გასარკვევად ცოტა უკან უნდა დავიხიოთ.

უკვე არაერთგზის მოგახსენეთ, რომ **1990 წელს მერაბ კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების დამფუძნებელთა ჯგუფის ძირითადი ნაწილი აფხაზეთის პარტნომენკლატურული მაფიის მიერ ფსევდოეროვნული გარიგებით ბლოკირებული აღმოჩნდა და მრგვალ მაგიდაში ამ ორგანიზაციის სახელით გაწევრიანდნენ საეჭვო რეპუტაციის, ლოზუნგურ-დამკვრელური აზროვნების, პავლიკმოროზოვული "დრუჟინნიკობა", მსტოვარ-ჩაფართა "საძმო" და ნარცისელ "ინტელიგენტთა" პოზიორული ერთობა.

"მრგვალი მაგიდის" მიღმა დარჩენილი ჯგუფი (**ს.საჯაია, ჰ.ლოლუა**, (მან თავი გამოიჩინა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს პრეზიდენტ **ზ.გამსახურდიას** დაცვისას, გმირულად იბრძოდა აფხაზეთში 1992-93 წლებში), **გ.შამუგია** _ გმირულად დაიღუპა მდ. გუმისთაზე 1993 წლის 15 მარტს, მტრის შემოტევის დროს, **მ.ანასტასიადი** _ 1993 წლის ნოემბერში მტრებმა ოჯახთან და ბერძენ და ქართველ მეზობლებთან ერთად საკუთარ სახლში ამოწვეს ქართველებისადმი

გამოჩენილი თანადგომის გამო, **ე.გოკარიანი** _ ქ.იჯევანში ჩააკითხა და დახმარება გაუწია დევნილ პრეზიდენტს, **ინ.სუბელიანი, ა.ჯაფარიძე,გ.გობეჯიშვილი, ე.კოპალიანი, ვ.მაისურაძე, ე.მაქაცარია, შ.ქარდავა** და ა.შ.) თავისი მიმტევებლობით ყველაფერს აკეთებდა, რათა დაეთრგუნა პირადი შეურაცხყოფა, გაჭორვა, ხელშეშლა, წყენა და იმ ხალხთან ერთად, რომლებიც გუშინ მათ მიმართ ჩასაფრებულები იყვნენ და ყოველგვარი აკრძალული ილეთით ებრძოდნენ, ცდილობდა ცხუმ-აფხაზეთის მრგვალი მაგიდის გარშემო ეროვნული ძალების შემოკრებას, რაზეც მეტყველებს წინამდებარე განცხადებები:

იანვრის სხდომები

ჩატარდა პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების იანვრის სხდომები.

პირველ ორ სხდომაზე განხილული და მოწონებულ იქნა საკითხი აფხაზეთში მოქმედი, კონცეპტუალურად და ორგანიზაციულად მონათესავე ეროვნული ძალების ბლოკ მრგვალი მაგიდის გარშემო გაერთიანების შესახებ. გაანალიზდა აგრეთვე აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. მესამე სხდომაზე დაზუსტდა პოლიტიკური ბლოკ მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების წევრი ორგანიზაციები და პერსონალური შემადგენლობა. ასევე, შეფასება მიეცა რიგ აქტუალურ საკითხს, რომელთა მიმართ გამომუშავდა საერთო დამოკიდებულება.

გთავაზობთ პოლიტიკური ბლოკის მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების წევრი ორგანიზაციების შემადგენლობის სიას:

1. **ჰელსინკის კავშირი _ ეროვნული აღორძინების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია.**
2. **წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია.**
3. **მერაბ კოსტავას საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაცია.**
4. **საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია "ლემი".**
5. **საზოგადოება "საძმო".**
6. **ფლორისა და ფაუნის დაცვის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია.**

მრგვალი მაგიდის ცხუმ- აფხაზეთის განყოფილების
პრეს-ცენტრის სახელით ს.საჯაია
(გაზ. "აფხაზეთის ხმა", 30 იანვარი, 1991წ.)

უფრო მეტიც, სრულიად საქართველოს **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაციამ დაიწყო აფხაზეთის რაიონებში კრებების, მიტინგების, ახსნა-განმარტებითი შეხვედრების, განაწყენებულ ადამიანთა შემორიგების, დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთშეთანხმების და სხვა შესაბამისი ღონისძიებები. მრგვალ მაგიდაში თავისი უფლება აღედგინა ბატონ **ა.გვარამიას,** _ როგორც მოგახსენეთ, ჩვენ დავსვით ასევე საკითხი მრგვალი მაგიდის აფხაზეთის ორგანიზაციის სპიკერად აგვერჩია აფხაზეთში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უხუცესი, ბატონი **ა.მარკოზია:**

"გაიმართა მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გაგრის რეგიონების განყოფილებების წარმომადგენლები.

სხდომაზე განხილული იქნა საკითხი ადგილობრივ-მუნიციპალური და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი დამოკიდებულების შესახებ. სხდომაზე გადაწყდა, რომ ეთხოვოს გაზეთ "აფხაზეთის ხმის" რედაქციას ყოველკვირეულად დაუთმოს გვერდი მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების მასალებს.

ამავე სხდომაზე არჩეული იქნა მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების სპიკერად ბატონი არკადი მარკოზია (წმინდა ილია მართლის საზოგადოება).

მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის
განყოფილების პრეს-ცენტრის სახელით ს.საჯაია
(გაზ. "აფხაზეთის ხმა", 5 თებერვალი, 1991წ.)

ამ დროისათვის მრგვალი მაგიდის აფხაზეთის განყოფილებამ სცადა თანმიმდევრული ღონისძიებების გატარება აფხაზეთში როგორც სეპარატისტული ეთნოკრატიის ანტიეროვნული და ინტერფრონტული აგრესიის, ასევე მრგვალი მაგიდის აბრას ამოფარებული და "გაეროვნებული" ვითომქართული პარტნომენკლატურული "დირექტორადის" ნამდვილი არსის წარმოსაჩენად, ამ ვითარებაში აუცილებლობად იქნა მიჩნეული ეროვნულ მოძრაობაში თავშემოფარებული კოლაბორაციონისტული და გამრიგებლურ-მომხმარებლური სიმრავლეების მხილება.

1991 წლის 22 თებერვალს ცხუმ-აფხაზეთის "მრგვალი მაგიდის" სხდომაზე მოწვეული იყვნენ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ.ყოლბაია,** აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **გ.ლომინაძე** და სხვა პარტნომენკლატურული მუშაკები აფხაზეთის ასსრ რაიონებიდან. მრგვალი მაგიდის სხდომაზე ამჯერად დაგმობილი იქნა ობსტრუქციული მუშაობა, რომელიც აფხაზეთის ეთნო და პარტო კრატიებმა გამოუცხადეს პრეფექტურის ინსტიტუტს.

ასევე, პირდაპირ იყო საუბარი პარტოკრატიული "დირექტორადის" ორპირულ პოზიციაზე. იმისათვის, რომ შეხვედრის ხასიათი ნათელი იყოს, გთავაზობთ ჩემი და ბატონ **ვ.ყოლბაიას** დიალოგს ამ საკითხზე:

მე: ბატონო ვახტანგ, თქვენ გაზეთში "Кавказ" _ სსრკ ერთობას ქადაგებთ.

ვ.ყ.: მე იქვე მოვითხოვ სუვერენული რესპუბლიკის უფლებათა გაფართოებას. ამის გარდა "აფხაზეთის ხმაში" 10 იანვარს განვმარტე, რომ რედაქციამ შეასწორა ჩემი ნათქვამი.

მე: 8 იანვარს მე გაზეთ "შრომა"-ს რედაქციაში მივიტანე წერილი "ნუ გათათრდები", რომელიც თქვენს პუბლიკაციას ეხებოდა, იგი გამოქვეყნდა 9-დან 10 იანვრისკენ. "შრომაც" და "აფხაზეთის ხმაც" ერთ სტამბაში იბეჭდება. ის, რომ თქვენს მიმართ წერილი იბეჭდებოდა თქვენი გულის მოსაგებად სათანადო სამსახურებმა უცებ შეგატყობინეს თქვენ და ასე გაჩნდა 10 იანვარს თქვენი "შესწორება", რაღაც უარყოფისმაგვარი ზოგადი საუბარი თქვენი პუბლიკაციის გამო ქართულენოვან მკითხველს კი გაუმართეთ, მაგრამ საპროტესტო განცხადება რუსულ ენაზე არ გაგიკეთებიათ.

თქვენ თამაშობთ, ბატონო ვახტანგ, ამას წინათ პრეფექტურის ინსტიტუტს გამოუცხადეთ უნდობლობა.

ვ.ყ.: მე ვთქვი, გალის რაიონს რომ ეკადრება, ისეთი პრეფექტი დაენიშნა-მეთქი, ეს არ ნიშნავს, რომ მე პრეფექტის წინააღმდეგი ვიყო.

მე: ბატონო ვახტანგ, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ თქვენს თანამდებობაზე სრულიად საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესების დაცვა.

ვ.ყ. თქვენ ხომ სკოლის დირექტორი ბრძანდებით, თქვენს სასწავლო ნაწილის გამგეს შეუძლია თქვენი უნებური საქმის გაკეთება?

მე: გასაგებია, მაგრამ თქვენ სასწავლო ნაწილის გამგე კი არა ხართ, არამედ ქართველი ერის წარმომადგენელი ბრძანდებით ამ თანამდებობაზე, სადაც გაკისრიათ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებისთვის უკომპრომისო ბრძოლა, ეს არ ჩანს, რაც

შეეხება სასწავლო ნაწილის გამგის საკითხს, ეს სასწავლო ნაწილის გამგის სისწორესა და მის კომპეტენტურობას გააჩნია. ვიყავი მე სასწავლო ნაწილის გამგეც და ვერავინ ვერ დამიქნევდა თითს.

თქვენ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბრძანდებით, მე ისევ სკოლის დირექტორი, მაშასადამე, ჩემზე მაღალი თანამდებობა გიკავიათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, შეკითხვებს მე გისვამთ. ეს ასე იყო მაშინაც, როცა თქვენ გალის რაიკომის პირველი მდივანი ბრძანდებოდით და ჩვენ თქვენთან ორიოდეჯერ შეხვედრა მოგვიხდა. აი, ასე თუ ვერ შესძელით შეკითხვების დასმა ვ.არძინბასთვის, თქვით ეს ხმამაღლა და არ ექნება ხალხს თქვენი იმედი (ანგარიში ამ შეხვერდის შესახებ იმხანად გამოვაგზავნე გაზეთ "სარანგში", სამწუხაროდ, მაშინ იგი არ დაიბეჭდა)..

მანამდე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეროვნულ მოძრაობაში ვითარება კვლავ აწეწილი იყო, თუმცა **14 თებერვალს (1991წ.)** გაზეთში "აფხაზეთის ხმა" გამოქვეყნდა **ა.გვარამიასა** და **რ.კემულარიას** _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის _ დიალოგი, რომლებიც აღიარებენ, რომ მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილებაში იმხანად მიმდინარე პროცესები კონსტრუქციული იყო: " _ **ა.გვარამია: _ "მრგვალმა მაგიდამ" მთლიანად ამ პოლიტიკური ბლოკის უფლებები თუ არ შეიძინა აფხაზეთში, ჩვენი მხარე ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურიდან ამოვარდნილი იქნება.**

_ რ.კემულარია, _ სრული ჭეშმარიტებაა, მრგვალი მაგიდა, მხედველობაში მაქვს ადგილობრივი, ეროვნული ძალების მმართველი და მაკოორდინირებელი ორგანიზაცია უნდა გავხადოთ. მის გარშემო უნდა გავაერთიანოთ ყველა ეროვნული ძალა...

_ ა.გვ. _ ჭორის გამავრცელებლებმა უკანასკნელ ხანს დიდად ავნეს ეროვნულ მოძრაობას, ხელი შეუწყვეს ეროვნული ძალების დაქსაქსვას, აუცილებლად მიმაჩნია ჭორის კერების მოშლა..."

როგორც ხედავთ, ცხუმ-აფხაზეთის მრგვალმა მაგიდამ თანმიმდევრულად იღვაწა, რათა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) ამოვარდნილი არ ყოფილიყო ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობიდან, მაგრამ არც სეპარატისტულ მოძრაობას ეძინა და მით უფრო, ყოფნა-არყოფნის წესით მოქმედებდა ვითომქართული "დირექტორადი" მრგვალი მაგიდის ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების კვლავ ხელში ჩასაგდებად. ამისათვის მან ისევ დაიწყო **ა.მარკოზიას, ა.გვარამიასა** და ჩემი დისკრედიტირება, **მარტის ბოლოსათვის** ცხუმ-აფხაზეთის მრგვალი მაგიდის სხდომას დაესწრნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები **ნ.მგალობლიშვილი, თ.მჟავია, თ.ლორთქიფანიძე, ზ.ნადარეიშვილი** და **დ.ქებურია** მათ იმხანად მიაღწიეს ცხუმ-აფხაზეთის მრგვალი მაგიდიდან **ა.მარკოზიასა** და **ა.გვარამიას** გაძევებას, ხოლო მრგვალ მაგიდაში "შემოგზავნილი" **ს.საჯაიას** საკითხის გარკვევა **ვ.ადამიას** დაევალა. ამრიგად, სრულიად საქართველოს **მერაბ კოსტავას** ორგანიზაციის კონფერენციამ, რომელიც დაგეგმილი იყო კონსტრუქციული საქმეებისათვის, ამ მითითების შესაბამისად დაისახა მიზანი, მაგრამ ეს ასე ადვილი გასაკეთებელი არ იყო, ვინაიდან **მერაბ კოსტავას** საზოგადოებას აფხაზეთის განყოფილება ფაქტიურად ჩემს მიერ რაიონებში შექმნილი ორგანიზაციებისგან შედგებოდა. დანარჩენი ზემოთ უკვე ვთქვი და გამეორებად არ ღირს.

საერთო უბედურება ის გახლდათ, რომ საქმე განგებ და მიზნობრივად თავსმოხვეული კინკლავისკენ მიდიოდა კვლავ. ამას წინ უსწრებდა გალის რაიონში **11 თებერვალს** პრეფექტის დანიშვნასთან დაკავშირებით გალის რაიონის პარტოკრატიულ-მაფიური კლანების დარაზმვა პრეფექტისა და რაისაბჭოს აღმასკომის მომხრე-არმომხრეებად, რასაც წინდახედულად როდი შეხვდა გალის პრეფექტურა. პირიქით, მან **17 მარტის** რეფერენდუმის წინ, მოიცალა რა ნომენკლატურული

ანგარიშსწორებებისთვის, რაიაღმასკომთან ერთად ხელოვნურად დაძაბა ვითარება გალის რაიონში, რამაც განაპირობა **17 მარტის** რეფერენდუმის საწინააღმდეგო ღონისძიების ჩაშლა გალის რაიონში.

ა.მარკოზიასა და **ა.გვარამიას** მრგვალი მაგიდიდან ჩამოშორების შემდეგ რიგმა ჩემსკენ გადმოანაცვლა.

და მაინც, **ა.მარკოზიასთან** ერთად (გაგრის "მრგვალი მაგიდა") ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ ცხუმ-აფხაზეთის მრგვალ მაგიდას 17 მარტის წინადღეებში პოლიტიკური დემარშების ნაცვლად საქმისათვის მოეკიდა ხელი: 14 მარტს მივიღეთ მიმართვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისადმი:

"დანაშაულებრივი საბჭოთა იმპერიის გადასარჩენად კრემლი იყენებს სხვადასხვა საშუალებებს _ ტანკებს, ნიჩბებს, მომწამლავ გაზებს, ინტერფრონტებს, "ეროვნული ხსნის კომიტეტებს", პარტიულ-საბჭოურ მაფიას და ა.შ. ამჟამად კი განწირულმა რეჟიმმა სიცოცხლის გახანგრძლივების "დემოკრატიული" გზა აირჩია _ "რეფერენდუმი", რომლის ჩატარება 1991 წლის 17 მარტს გადაწყვიტა. შემუშავებულია უკიდურესად რეაქციული კანონი, რომლითაც იმპერია ეწინააღმდეგება ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. სწორედ ამიტომ გამოუცხადეს მას სრული ბოიკოტი საქართველომ, სომხეთმა, მოლდოვამ, ბალტიის ქვეყნებმა, ასევე მთელმა რიგმა ოლქებმა, ავტონომიურმა ფორმირებებმა (მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში) და, რაც მთავარია, დემოკრატიულმა რუსეთმა, ყველა პროგრესულმა ძალამ.

მიუხედავად ამისა, კრემლთან შეკავშირებულმა აფხაზეთის კომუნისტურმა მმართველობამ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აზრის სრული იგნორირებით, მწვანე შუქი მისცა საკავშირო რეფერენდუმს ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამასთანავე, სარწმუნო წყაროებიდან ჩვენთვის გახდა ცნობილი, რომ ტყვარჩელში, გუდაუთში, ბიჭვინთაში, ზოგიერთ სხვა რეგიონში მიმართავენ არააფხაზი ეროვნების ამომრჩეველთა დაშინების მეთოდებს, მათ ემუქრებიან გასახლებით, ფიზიკური ანგარიშსწორებით. "ზედამხედველთა" ნიღბით რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოყვანილია დიდი რაოდენობით საეჭვო რეპუტაციის პიროვნებები. ისიც უნდა ითქვას, რომ რეფერენდუმის შედეგების ფალსიფიკაციისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად ამ აქციას სპეციალურად დაამთხვიეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნებიც.

ყოველივე ამის (და სხვა ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობის ფაქტორების) გათვალისწინებით, პოლიტიკურ ბლოკ "მრგვალ მაგიდაში" შემავალი პარტიების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული განყოფილებები ბოიკოტს უცხადებენ რეფერენდუმს და მოუწოდებენ მთელ მოსახლეობას, განურჩევლად ეროვნებისა, 1991 წლის 17 მარტს საერთოდ არ გამოცხადდეს საარჩევნო უბნებში. ამით ჩვენ შევძლებთ კრემლისა და მისი ადგილობრივი დამქაშების ბოროტი ზრახვების ჩაშლას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, ხელოვნურად შექმნილი ფეთქებადსაშიში ეროვნებათშორისი ურთიერთობების ნორმალიზაციას, თავიდან ავიცილებთ კრემლის მიერ დაგეგმილ სისხლისღვრას.

ამავდროულად მივმართავთ აფხაზეთის ხელისუფლებს, სამართალდამცავ ორგანოებს, რათა მათ 17 მარტს უზრუნველყონ მოსახლეობის უსაფრთხოება, როგორც ზემოთაღნიშნულ რეგიონებში, ისე ავტონომიური რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი _ ეროვნული აღორძინების ცხუმ-
აფხაზეთის ორგანიზაცია; სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას

საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია; წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია; სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია "ლემი". საქართველოს ფლორისა და ფაუნის დაცვის საზოგადოება.

(გაზ, "აფხაზეთის ხმა", 15 მარტი, 1991წ.)

(ეს იყო ჩემს მიერ მომზადებული და დაბეჭდილი ბოლო დოკუმენტი მრგვალი მაგიდის პრესცენტრის ხელმძღვანელის დონეზე).

ამ დროიდან სრულიად საქართველოს **მერაბ კოსტავას** საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ჩვენი შექმნილი იყო, გამოვეყავით მათ და დავიწყეთ ცალკე საქმიანობა. ვიყავით ჩვენთვის, სანამ ოპონენტები აშკარად არ აჟღარუნდნენ, მაგრამ როდესაც ისინი ღიად დაუპირისპირდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, დავგმეთ მათი მოღალატური თავაწყვეტები **(გაზ. "აფხაზეთის ხმა" 1991წ. 29 სექტემბერი; გაზ. "შრომა" 22, 29 სექტემბერი**). მხოლოდ **1992 წლის იანვრიდან** მოგვეცა საშუალება კვლავ დავმდგარიყავით დევნილი **ზ.გამსახურდიას** გვერდით. საუბედუროდ, ამ დროს ჩვენი მოწინააღმდეგები მტრის საქმეს აკეთებდნენ და ბატონი **ზვიადის** ბანაკიდან გაიქცნენ.

1991წ. 6-7 აპრილს, საქართველოში საყოველთაო ხასიათი მიიღო წინარე სამზადისმა და სააღდგომო დღესასწაულმა.

1991წ. 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა, აგრეთვე საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საჩინო წარმომადგენლებმა.

1991წ. 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით მიიღო მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი: **"1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარდა საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და ამით გამოაცხადა საქართველოს მოსახლეობის ნება.

სსრ კავშირის ხელმძღვანელობამ არაერთხელ გამოიყენა სამხედრო ძალა თავისუფლებისათვის მშვიდობიანი გზით მებრძოლი ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რისი ერთერთი დამადასტურებელია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ამ დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოშიმშილე ახალგაზრდობის წინააღმდეგ საბჭოთა ჯარის ნაწილებმა განახორციელეს ბარბაროსული აქცია. ქიმიური იარაღის და სასანგრე ნიჩბების გამოყენების შედეგად დაიღუპა ათობით და მოიწამლა ათასობით ადამიანი, რომელთა სიცოცხლე დღესაც საფრთხეშია.

მას შემდეგ, რაც 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შედეგად საქართველოში დაემხო კომუნისტური რეჟიმი, კრემლმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადა ქართველ ერს, რაც გამოიხატა ხელოვნურად ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების გაღვივებაში, ეკონომიკურ ბლოკადაში და საქართველოს შესახებ დეზინფორმაციების გავრცელებაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიმართავს მსოფლიოს ხალხებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, მხარი დაუჭირონ თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის იდეალებისათვის მებრძოლო ხალხის ნებას, არ დაუშვან მის

წინააღმდეგ ძალის გამოყენება და ხელი შეუწყონ საქართველოს რესპუბლიკის ცნობას და დამკვიდრებას დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", აპრილი, 1991წ.).

1991წ. 9 აპრილს მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ.

"საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: 1. საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღებამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს "საქართველოს რესპუბლიკის გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 14 ნოემბრის კანონი; 2. დაევალოს საკონსტიტუციო კომისიას დააჩქაროს საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავება 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებათა საფუძველზე. 3. საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი 1991 წლის 9 აპრილს დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტთან".

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", აპრილი, 1991წ.)

1991წ. 9 აპრილი _ გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც მოისმინა ბატონი **ზ.გამსახურდიას** ვრცელი მოხსენება, რომელშიც მომხსენებელმა წარმოაჩინა რსფსრ-ის მიერ საქართველოს ოკუპაციის ვერაგული ხერხები, ქართველი ერის ბრძოლა თავისუფლებისათვის, **31 მარტის** რეფერენდუმის საყოველთაო სახალხო ხასიათი და ქართველის ერისა თუ საქართველოს მოსახლეობის სახალხო ნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ **1918 წლის 26 მაისის** აქტის საფუძველზე. სესიამ მიიღო და დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი:

"საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკენეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციებით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფილობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს

წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, *ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.*

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლერაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულიად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი, მთავრობის სასახლე,

1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომაზე.

(გაზ. "აფხაზეთის ხმა", 12 აპრილი, 1991წ.).

სხვებთან ერთად სესიაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებასთან დაკავშირებით გამოვიდნენ ინგუში ხალხის ეროვნული მოძრაობის ლიდერი, კავკასიის ხალხების უფლებათა ნაცადი დამცველი **ისა ქაძოევი,** მან მოუწოდა სრულიად კავკასიას მხარი დაუჭირონ საქართველოს ნების გამოხატვას წინამდებარე სესიაზე.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა სახელით სესიაზე მხარდამჭერი სიტყვა წარმოთქვა მწერალმა **გურამ ბათიაშვილმა.** სესიამ მიიღო მიმართვები სრულიად საქართველოს, მსოფლიოს ხალხებისა და სსრკ პრეზიდენტის _ **მ.გორბაჩოვისადმი.**

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომის ასეთი დღის წესრიგით **9 აპრილისათვის** მოწვევას სიმბოლური დატვირთვა ახლდა (სესიის გახსნისთანავე პატივი მიეგო დაღუპულთა ხსოვნას): **1989 წლის 9 აპრილის** მოვლენები, რითაც ქართველი ერი საბჭოთა იმპერიაში ეცადა წინ აღდგომოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და დაემონებინა ქართული ერი, ამაო არ გამოდგდა, _ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1991წ. 9 აპრილი _ დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ.

1991წ. 9 აპრილი _ გაზეთ "რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა საუბარი ბატონ **ზ.გამსახურდიასთან** (ესაუბრა **დავით დემეტრაშვილი**): " _ *ბატონო ზვიად: მამაჩემისაგან და უფრო ხანდაზმული ადამიანების წრეებში ხშირად მსმენია ერთი ამბავი: 1957 წელს, უნივერსიტეტის პირველკურსელთათვის რუსული ენის პედაგოგს, ბატონ გიორგი მდივანს თავისი თავი რუსულ ენაზე წარუდგენია. წამომდგარა ერთერთი სტუდენტი და მოუთხოვია, მას ეს ქართულად გაეკეთებინა... იმ დღიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა. რა აკავშირებს პირველკურსელ ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას?*

_ პირველად რომ დამაპატიმრეს, 17 წლის, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ვიყავი. ჩემი საქმე ასაკოვან "გამობრძმედილ" გამომძიებელს ჩააბარეს. როდესაც საქართველოს თავისუფლებაზე, იმპერიიდან თავის დახსნაზე, ეროვნულ აღორძიებაზე ჩემი შეხედულებები რომ მოისმინეს, ბევრი იცინეს. ბოლოს მითხრეს, გეტყობა, რომ ბავშვი ხარ, დარწმუნებული ვართ, ასაკთან ერთად ჭკუაც მოგემატება, გონს მოეგები და ასეთ სისულელეებზე ფიქრს სამუდამოდ თავს დაანებებო. თქვენ კარგად იყავით და ოთხმოცი წლისაც ვიფიქრებ-მეთქი, _ არ ჩამოვრჩი "უფროსებს". მართალი მითქვამს! აგერ 52 წლის გავხდი და ზუსტად ისე მწყურია საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისუფლება, როგორც მაშინ!

ჩემს სიყმაწვილესთან, ალბათ, უპირველესად ეს მაკავშირებს...

..._ Homo liber _ თავისუფალი ადამიანი, როგორია იგი თქვენთვის?

_ თავისუფლება მეტაფიზიკური ცნებაა და ბევრი მას საკუთარი თავის მიღმა ეძებს. თავისუფალი ადამიანი კი სინამდვილეში ისაა, ვინც სინდისის წინაშე მართალია. სინდისის კარნახით ცხოვრობს, იღწვის და გარემოებებსა თუ სხვის დიქტატს არ ეპუება. ასეთ ადამიანს ვერაფერი დაიმონებს. იგი მუდამ თავისუფალია...

..._ გაგვიმხილეთ რაიმე ისეთი, რაც ჟურნალისტებისათვის ჯერ არ გითქვამთ.

_ რა გაგიმჟღავნოთ? იმპერია სამაჩაბლოში ჯარის შემოყვანას, ახალ სისხლისღვრას გეგმავს. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ეს არ დავუშვათ. მაპატიეთ, რომ სასიხარულოს ვერაფერს გეუბნებით."

1991წ. 10 აპრილს ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** გამართა პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის: "...**რესპუბლიკის სტატუსის შეცვლამ, როგორც ჩანს, ცენტრთან ურთიერთობის ფორმაც უნდა შეცვალოს. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ამბებს, რომლებიც ამ ბოლო ხანს ხდება სამაჩაბლოში...**

_ გუშინ იქ ყოვლად აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა. სოფელ ოქონაში საბჭოთა ჯარები თავს დაესხნენ ქართველ მილიციელებს, განაიარაღეს და დააპატიმრეს ოცზე მეტი კაცი, რომლებიც ჯერაც არ გაუთავისუფლებიათ. ქართული მილიცია განაიარაღეს თამარაშენში. ჯარები ერედვშიც შეცვივდნენ, მაგრამ იქ მილიცია არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ პროკურორის ოთახი დაარბიეს. წაიღეს იმ ოსი ბანდიტების საგანგებო ნივთმტკიცებანი, რომლებმაც ხალხი დაწვეს. იყო ისეთი ფაქტებიც, როცა არმია ცეცხლს უშენდა მშვიდობიან მოსახლეობას. იგი ნამდვილი აგრესორივით იქცევა და უხეშად არღვევს ჩვენს სუვერენიტეტს.

_ *როგორია თქვენი პოლიტიკური პროგნოზი უახლესი მომავლისათვის?*

_ ახალ პროვოკაციებს უნდა ველოდოთ, მით უმეტეს, რომ შიდა ქართლის ამბებზე ინფორმაციასთან ერთად მოსკოვიდან სხვა ახალი ამბებიც მოდის. მაგალითად, სსრკ-ის შინაგან საქმეთა მინისტრმა პუგომ გამოგვიგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, თითქოს "უკანონო" იყოს ჩვენი შინაგანი ჯარების _ ეროვნული გვარდიის შექმნა. იგი იმოწმებს სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულებას უკანონო სამხედრო ფორმირების დაშლის შესახებ. ერთი სიტყვით, დიდმასშტაბიან პროვოკაციას უნდა ველოდოთ. არც პირდაპირი ინტერვენციაა გამორიცხული"...(გაზ. საქართველოს რესპუბლიკა", 18 აპრილი, 1991წ.)

12 აპრილს სსრკ პრეზიდენტს მ.გორბაჩოვსა და სსრკ შს მინისტრს ბ.პუგოს გაეგზავნა საპროტესტო წერილი: "11 აპრილს ჩადენილი ვანდალიზმის აქტი საქართველოს ისტორიის მოსპობის ცდის ტოლფასია" (პრეზიდენტი ზ.გამსახურდია, თბილისი 1995წ. გვ. 10).

1991წ. 12 აპრილი:

ОБРАЩЕНИЕ ГРУЗИНСКОГО НАСЕЛЕНИЯ ШИДА КАРТЛИ (БЫВШЕЙ ЮГО-ОСЕТИНСКОЙ
АВТОНОМНОЙ ОБЛАСТИ) К ПРЕЗИДЕНТУ СОВЕТСКОГО СОЮЗА М.ГОРБАЧЕВУ,
ПРЕДСЕДАТЕЛЮ ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР А.ЛУКЬЯНОВУ,
ПРЕДСЕДАТЕЛЮ ВЕРХОВНОГО СОВЕТА РСФСР Б.ЕЛЬЦИНУ,
ПРЕДСЕДАТЕЛЮ ВЕРХОВНОГО СОВЕТА РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ З.ГАМСАХУРДИЯ

Советские Вооруженные силы на территории Шида картли ведут против Республики Грузия совершенно несправедливую, необъявленную войну.

Ввод нового крупного контингента Вооруженных Сил Советского Союза в этот регион произошел после того, как в Грузии прошел референдум 31 марта и представители около ста проживающих в республике национальностей вместе с грузинским населением единодушно высказались за восстановление независимости Грузии.

Таким образом, ввод советских войск на территорию Шида Картли следует разценивать как войну против Грузин.

До сих пор при непосредственном пособничестве Советской Армии оснащенные боевым оружием осетинские бандиты убили десятки грузин, в том числе детей, стариков и женщин. Совершено не одно зверское, фашистское убийство, словами неописуемые, беспрецендентные в мире факты истязаний грузин. Просшедшее по своим последствиям следует оценивать как геноцид грузин на их же земле, творимый осетинскими экстремистами, при прямом содействии и соучастии Советской Армии.

Грузинское население Шида Картли, исходя из сложившейся крайне тревожной обстановки, обращяется к вам с требованиями:

1. Незамедлительно вывести с территории Шида Картли как части внутренних войск СССР, так и дислоцированные в окресностях Цхинвали воинские подраздиления Советчского Союза.

2. Восстановить на территории Шида Картли юрисдикцию и власть Республики Грузия.

3. Обеспечение порядка на указанной территории возложить на грузинскую милицию.

4. Обеспечить возвращение грузинских беженцев на принадлежащие им места жительства, восстановить им социальные условия и гражданские права.

5. Осуществить официальное соглашение, заключение между Председателем Верховного Совета РСФСР Б.Ельциным и председателем Верховного Совета Республики Грузия З.Гамсахурдиа.

6. Наказать лиц, способствовавших разжиганию этноконфликта в Шида Картли, вывести на чистую воду всех союзных и местных руководителей, творящих акты беззакония и бесчеловечности, которые искусственно создали межнациональный конфликт на исконной земле Грузии и попустительствуют геноциду грузии. По всей строгости закона наказать конкретных виновников, Привлечь к ответственности всех посягнувших на памятники культуры и культовые сооружения Грузии.

7. Мы присоединяемся к забастовочному движению блока «Круглый стол _ Свободная Грузия», которое представляет собой протест против спровоцированного центром положения в Шида Картли.

8. Обращаемся к руководству Респоблики Грузия с просьбой безотлагательно создать парламентский совет в связи с кризисом в Шида Картли, который обеспечит ведение военных действий и будет ответствен перед грузинским народом и страной; обратиться ко всем международным и союзным органам и организациям с требованием о просечении геноцида грузин и обеспечении безопасности грузинского населения, блокированного на территории Шида Картли.

9. На основании требований международного права всю ответственность за агрессию, совершенную по отношению к своему народу, возложить на првительство Советского Союза.

Обращение принято на слете грузинского населения
Шида Картли в г.Тбилиси 12 апреля текущего года.
(გაზ. “Свободная Грузия”, 16 აპრილი,1991).

1991წ. 13 აპრილი:

Заявление

СОВЕТА БАЛТИЙСКИХ ГОСУДАРСТВ

События в Республике Грузия, имеющие место в последнее время, особенно разрастание вооруженных конфликтов на ее территории и участие в них войск Союза ССР, не может не вызвать тревогу у Совета Балтийских государств.

Приветствуя провозглащение государственной независимости Республики Грузия. Совет Балтийских государств заявляет, что столкновение интересов и внутренние конфликты как в Республике Грузия, так и в других вставших на путь обретения независимости республиках Союза ССР должны решаться путем прямого диалога и переговоров заинтересованных сторон, в условиях официального отказа от насилия.

Совет Балтийских государств готов содействовать мирному решению конфликта.

Председатель Верховного Совета
Литовской Республики В.Лансдбергис

Председатель Верховного Совета
Латвийской Республики Л.Горбунов.
Председатель Верховного Совета
ЭстонскойРеспублики А.Рютель.
Юрмала. 13 апреля 1991 года. Сакинформ.
(გაზ. "Свободная Грузия", 16 აპრილი,1991წ.).

1991წ. 14 აპრილი _ ერთხმად მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება **ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის შესახებ.

1991წ. 14 აპრილი _ ამასთან ერთად დადგინდა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა აირჩეს საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით. აქედან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნული იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების თარიღი (26 მაისი, 1991წ.).

1991წ. 14 აპრილი დაბა გულრიფშში თავისუფლების მოედანზე გაიმართა აფხაზეთის მოსახლეობის საპროტესტო მიტინგი.

მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს კრემლის თარეში შიდა ქართლში და ამ მხარეში ქართველთა გენოციდისა და ეთნიური წმენდის პოლიტიკა.

მიღებული რეზოლუციის ტექსტი გაეგზავნა რუსეთის პატრიარქს **ალექსი II-სა** და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს **ილია II-ს.**

1991წ. 16 აპრილს _ საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შედგა დაპირებული ინტერვიუ, რომელიც ადრე იაპონიის ტელეკომპანია "ფუჯიმ" სთხოვა ბატონ **ზ.გამსახურდიას,** ეს ინტერვიუ პირდაპირ ჩაირთო "ფუჯის" საინფორმაციო პროგრამაში: **"_ ჩვენ გამოვაცხადეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მივმართეთ მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და სახელმწიფოს, სცნონ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ჩვენი მიზანია აღვადგინოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც დავკარგეთ 1921 წელს საბჭოთა რუსეთის არმიის მიერ საქართველოს ანექსიის შედეგად. ახლა ბევრი პრობლემის წინაშე ვდგავართ, რადგან მოსკოვს, ცენტრს არ სურს ოფიციალური კავშირი ჩვენთან და არ უნდა აღიაროს ჩვენი დამოუკიდებლობა..."** (გაზეთი **"საქართველოს რესპუბლიკა", 18 აპრილი. 1991წ.).**

1991წ. 18 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ.

1991წ. 24 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ძალისხმევით შედგა შეხვედრა და მოლაპარაკება რსფსრ, სსრკ და საქართველოს რესპუბლიკის კომისიებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ოსი მოსახლეობის წარმომადგენლები.

1991წ. 28 აპრილს ბატონი **ზ.გამსახურდია** გამოვიდა საქართველოს ტელევიზიით: **"...ზოგი პოლიტიკოსი დღეს უკიჟინებს ჩვენს ხელისუფლებას არასაკმარის ელასტიურობას. გუშინ იყო საუბარი იმაზე, რომ საჭიროა უფრო მეტი ელასტიურობა ცენტრთან ურთიერთობაში. საჭიროა ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც უფრო მეტი ელასტიური იქნება. ვთქვათ, უფრო მეტად მოერგება კრემლის პოლიტიკას. მაშინ გამოდის, რომ ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება თუ დავთმობთ ჩვენს პრინციპებს, ხელს ავიღებთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე და ხელს მოვაწერთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. მაგრამ ეს იქნება ღალატი ჩვენი იდეალებისა, ჩვენი პრინციპებისა და**

მე მგონი, ქართველი ერი ამას არ მოიწონებს. ასე რომ, ჩვენს წინაშეა არჩევანი ერთი მხრივ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, რომელიც ჩვენ გამოვაცხდეთ და რომლის მიზანიც არის სრული და საბოლოო დამოუკიდებლობის მიღწევა და მეორე მხრივ, კრემლთან და ცენტრთან ელასტიური დამოკიდებულება, შემგუებლობა და საბოლოო ანგარიშით ერის ღალატი. მე მგონი არჩევანი გაკეთებულია. დღეს ვერავითარი დემაგოგიით ვერავინ ვერ დაარწმუნებს ქართველ ერს, რომ პირველი გზა არ არის სწორი და მეორე გზას უნდა დაადგეს...” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 1 მაისი, 1991წ.).

1991წ. 29 აპრილი: საქართველოში მოხდა დამანგრეველი მიწისძვრა. ამასთან დაკავშირებით ეროვნულმა ხელისუფლებამ შეიმუშავა სტიქიურ უბედურებათა შედეგების აღმოსაფხვრელი პროგრამა.

1991წ. 30 აპრილს ცხუმ-აფხაზეთის ეროვნულმა მოძრაობამ აიძულა აფხაზეთის ასსრ პარტოკრატიულ-კოლაბორაციული და ეთნოკრატიულ-სეპარატისტული ხელისუფლებები **29 აპრილს** საქართველოში სტიქიით დაზარალებული რაიონებისათვის დასახმარებლად სათანადო ზომები მიეღოთ. აქედან გამომდინარე შეიქმნა საგანგებო მუშა ჯგუფი აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **ზურაბ ლაბახუას** ხელმძღვანელობით. მის შემადგენლობაში იყვნენ აფხაზეთის საჩინო პიროვნებები და ყველა ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის პირველ რიგში აფსუა მოხალისეები, რომლებმაც მოკლე ხანში ასობით სახლი აღადგინეს უბედურების რეგიონებში.

1991წ. 30 აპრილს სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით საქართველოში გაფიცვები შეწყდა.

1991წ. 8 მაისი: Его Всесвятейшеству Димитриосу Первому, Архиепископу Константинополя - Нового Рима и Всемирному Патриарху;

Его Святейшеству Йоанну Павлу Второму,

Папе Римскому;

Его Святейшеству и Блажейнейшему Илие Второму, Католикосу-Патриарху Всея Грузии:

Его Святейшеству Алексию Второму, Патриарху Москвы и Всея Руси;

Господину Хавьеру Пересу де Куэльяру, генеральному секретарю Организации Объединенных Наций;

Матери Терезе;

Его Превосходительству господину Джорджу Бушу, Президенту Соединенных Штатов Америки;

Его Привосходительству господину Звиаду Гамсахурдиа, Президенту Республики Грузия;

Господину Михаилу Горбачеву, Президенту СССР;

Чадам Божьим

Выражая волю грузинской нации и живущих в Грузии всех других народов, Верховный Совет Республики Грузия 9 апреля с.г. принял Акт о восстановлении государственной независимости Грузии, что вызвало усиление грубого вмешательства оккупационных войск имперского Кремля во внутренние дела нашей суверенной республики.

Это с особенной жестокостью и цинизмом проявляется на древнейшей земле Грузии _ Шида Картли и самачабло (в бывшей т.н. «Юго-Осетинской автономной области»). В условиях инспирированных Кремлем т.н. этнокризисах ущемляются элементарные права человека... Льется людская кровь... Леденеет кровь от фактов страшного вандализма...

Живьем сжигают грузин... Оккупантами сожжены церкви _ Святого Георгия и Святой Троицы...

Поощренные Кремлем осетинские экстремисты не щадят и инвалидов, уже убили одного грузина-инвалида, остальных же заставляют насильно оставлять свои дома... Грубо нарушается «Декларация прав инвалидов» ООН от 9 декабря 1975 года, по поводу которого председатель регионального Союза Чад Божьих Картли, инвалид I группы по зрению, господин Элгуджа Касрадзе 12-15 апреля с.г. в Гори предпринял четырехдневную предупредительную голодовку, что создавало опасность слабому здоровью господина Элгуджи Касрадзе.

Всегрузинский Союз Чад Божый (Ассоциация инвалидов) в вашем лице призывает весь цивилизованный мир поддержать праведную борьбу народа за восстановление национально-государственной независимости и, присоединяясь к объявленной грузинским народом национальной неподчиненности, требует:

1. Незамедлительно прекратить грубое вмешательство имперского Кремля во внутренние дела суверенной Республики Грузия и геноцид грузинского народа;

2. Незамедлительно вывести с территории бывшей Юго-Осетинской области кремлевские оккупационные войска;

3. Поднять вопрос о принятии в члены ООН Республики Грузия.

4. Дать возможность руководству Республики Грузия, грузинскому народу оказать помощ жителям Цхинвали и Джавы, пострадавшим от землетрясения.

Наша предупредительная акция протеста началась 12 апреля, и если наши вышеуказанные требования не будут удовлетворены, то в ближайшем будущем обратимся к крайним формам протеста.

Да хранит нас Бог!

С христовой любовью смирением

от имени Всегрузинского союза Чад Божый
(Ассоциация инвалидов)
президент союза Заза Сихарулидзе,
председатель комитета региональной
организации союза Элгуджа Касрадзе.
г.Москва.. 8 мая 1991г. САКИНФОРМ, (გაზ "Свободная Грузия," მაისი, 1991წ.)

1991წ. 8 მაისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა ზ.გამსახურდიამ საქართველოს ტელევიზიით მიმართა აჭარის მოსახლეობას: "...დავიწყებთ იმით, რომ აჭარა იმთავითვე უაღრესად აქტიური იყო ეროვნულ მოძრაობაში და გადამწყვეტ როლს თამაშობდა. დავიწყებ სულ ადრეული პერიოდიდან, მაშინ, როდესაც ტოტალიტარული კომუნისტური ხელისუფლების პირობებში საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ შესძლო ორგანიზება თბილისში 14 აპრილის მრავალათასიანი მანიფესტაციისა, რაც წარმოუდგენელი იყო სსრკ-ის ნებისმიერ კუთხეში. თბილისის დემონსტრაციას დაუყოვნებლივ მოჰყვა ბათუმის დემონსტრაცია, რომელმაც დაიცვა ქართული ენა. იმ დროიდან მოყოლებული, ბათუმი არის ავანგარდი ჩვენი ეროვნული მოძრაობისა, ისევე, როგორც მთელი აჭარა..

არც არის ეს გასაკვირი, მეგობრებო და ჩვენ საგანგებოდ არც უნდა აღვნიშნავდეთ, მაგრამ ამას ვამბობ იმის გამო, რომ არის ცდები დღეს აჭარაში გარკვეული დესტაბილიზაციის შექმნისა.

რითი არის ეს გამოწვეული?

უწინარეს ყოვლისა იმით, რომ არასწორი ინფორმაციები ვრცელდება, თუნდაც, ჩემს პოზიციასთან დაკავშირებით. კერძოდ, აჭარაში გავრცელდა ინფორმაცია, რასაკვირველია მტრული წყაროებიდან გამომდინარე, თითქოს მე მსურს აჭარის ავტონომიის გაუქმება და დაუყოვნებლივ მსურს მივიღო ამისათვის ზომები...” “...ამ საკითხს, ავტონომიის შენარჩუმებისა და არშენარჩუნების საკითხს, უკავშირდება არჩევნების პრობლემა. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მრავალი უბედურება დაატყდა თავს. იყო მრავალი ხელისშემშლელი პირობა, და არჩევნები ცოტათი გაჭიანურდა. ამას დაერთო ისიც, რომ ცალკეულმა წრეებმა აჭარაში, უმეტესად ახალგაზრდობამ, რასაკვირველია არა ბოროტი განზრახვით, იჩქარეს და იყო ცალკეული ცდები ავტონომიის წინააღმდეგ აგიტაციისა და მცდელობები საპროტესტო აქციებისა, და ეს აღქმულ იქნა ჩემგან მომდინარე და “მრგვალი მაგიდის” პოლიტიკური ორგანიზაციებისგან მომდინარე აქციად, რაც არ გახლავთ სწორი...” “...მე ვთხოვ იმ წრეებს, რომლებიც ამჟამად ძაბავენ სიტუაციას აჭარაში არჩევნების მოთხოვნასთან დაკავშირებით _ მათ არაფერი აქვთ ასაღელვებელი, ყოველგვარი ბრძოლა დღეს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის ეს არის ღია ფანჯრების მტვრევა _ ეს პრობლემები გადაწყვეტილია, ყოველივე შეთანხმებულია აჭარის ხელისუფლებასთან და როგორც მოგახსენეთ, უახლოეს ხანში, პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ, ეს ყოველივე განხორციელდება” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 10 მაისი, 1991წ.).

1991წ. 9 მაისს ბატონმა ზვიადმა მიმართა ჩერქეზ ხალხს: “21 მაისი ტრაგიკული თარიღია თქვენს ისტორიაში, მთელი კავკასიის ისტორიაში. სწორედ 1864 წლის 21 მაისს დასრულდა რუსეთის იმპერიის მრავალწლიანი ომი კავკასიის დასამორჩილებლად. ამ დღეს დაკარგა ჩერქეზეთმა თავისუფლება და დამოუკიდებლობა”... “ქართველი და ჩერქეზი ხალხების ურთიერთობას გულწრფელი პატივისცემა ახასიათებს. ქართველის წარმოდგენაში ჩერქეზი მუდამ იყო და არის რაინდული ბუნების ადამიანი, ჭეშმარიტი კავკასიელის საუკეთესო თვისებებით დამშვენებული პიროვნება”... “...გვჯერა, რომ ქართველთა და ჩერქეზთა ისტორიულ ძმობასა და მეგობრობას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს. ეს კი მთელი კავკასიის ერთიანობასა და წარმატებების მტკიცე გარანტია იქნება...”

(გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 10 მაისი, 1991წ.)

ВЕРХОВНОМУ СОВЕТУ И ПРАВИТЕЛЬСТВУ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

Верховный Совет и Совет Министров Кабардино-Балкарской ССР выражают глубокое соболезнование и искреннее сочувствие многонациональному народу Грузии в связи с разрушительным землетрясением, повлекшем человеческие жертвы. Желаем, чтобы никогда не повторилась подобная трагедия. Пусть на дреывней земле Грузии восторжествуют мир, счастье и блпгополучие.

Верховный Совет Кабардино-Балкарской ССР,

*Совет Миннистров Кабардино- Балкарской АССР (*газ. “Свободная Грузия”, 10 маисо, 1991წ).

1991წ. 10 მაისი:

ОБРАЩЕНИЕ РАБОТНИКОВ МВД РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ

Личный состав органов и подразделений МВД Республики Армения обратился с заявлением к своим коллегам в МВД СССР, МВД союзных республик, УВД крайоблисполькомов. В нем говорится:

На днях министром внутренних дел СССР Пуго Б.К. было сделано заявление о том, что МВД СССР приступает к выполнению Указа Президента СССР от 25 июля 1990 года «О запрещении создания вооруженных формирований, не предусмотренных

законодательством Союза ССР и изъятии оружия в случаях его незаконного хранения». Однако на деле эти меры вылились в карательные акции, направленные в основном против сотрудников органов внутренних дел Республики Армения. Так, за 5-7 мая с.г. на территории Армении со стороны десантно-штурмовых подразделений Советской Армии и внутренних войск МВД СССР убито 11, ранено 7, взято в заложники 74, разоружено 78 сотрудников милиции.

Далее в заявлении приводятся конкретные факты, после чего отмечается, что в ходе указанных акций никто не задержан по обвинению в принадлежности к вооруженным боевым формированиям, нет этой категории лиц и среди убитых и раненных.

Жертвами провозглашенной акции по борьбе с боевиками стали свыше 100 кадровых работников МВД Армении и несколько мирных жителей.

Произошли безпрецедентные в истории события, когда на территории одного и того же государства работники правоохранительных органов, исполняющие свой служебный долг по защите мирного населения от преступных посягательств, физически уничтожаются, подавляются всей мощью военной машины того же государства.

Личный состав МВД республики Армения заявляет, что ответственность за содеянное целиком и полностью ложится на тех руководителей МВД, КГБ и МО СССР, которые запланировали и совершили эти преступные акции.

Сотрудники органов внутренних дел МВД Армении требуют немедленного прекращения карательных акций, возвращения заложников, выявления и наказания виновных.

В это тяжолое для нас время мы надеемся на професиональную солидарность и поддержку всех честных сотрудников аппарата МВД СССР, союзных и автономных республик, краев и областей, всех работников милиции страны, говорится в заявлении.

АРМЕНПРЕСС.

(გაზ. "Свободная Грузия", 10 მაისი, 1991წ).

თუ საბჭოთა კავშირის შესაბამისი სამსახურები ამდენად მრისხანე იყვნენ მათი სტრატეგიული მოკავშირის _ არმენეთის მიმართ ამ საკითხში, თქვენ წარმოიდგინეთ, თუ რა გაშმაგებით მოექცეოდნენ ისინი ქართულ მილიციას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა (აფხაზეთსა) და ჩრდილო ქართლში (ცხინვალის მხარეში). სინამდვილეში საომარი მოქმედება მიმდინარეობდა რუსულ და ოსურ საოკუპაციო კოალიციასა და ქართულ მხარეს შორის.

1991წ. 18 მაისს გაზეთმა "საქართველოს რესპუბლიკამ" გამოქვეყნა **ზ.გამსახურდიას** მიმართვა სსრკ პრეზიდენტის **მ.გორბაჩოვისადმი: "მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო იმის, რომ გარკვეული წრეები სსრ კავშირში, რომლებიც ოცნებობდნენ საგანგებო წესების შემოღების მეშვეობით დაამყარონ "წესრიგი" მთელ ქვეყანაში, უშუალოდ არიან გარეული საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ რეგიონებში ეთნოკონფლიქტების გაჩაღებაში.**

ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ცნობებით, ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკაში საგანგებო წესების განგრძობით, განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმების ფორმირების მიზნით, ოსი ექსტრემისტები გეგმავენ ახალ პროვოკაციებსა და ძალმომრეობის აქტებს ქალაქ ვლადიკავკაზისა და გარეუბნის რაიონის ინგუში მოსახლეობის წინააღმდეგ. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული ნაწილების გადასვლას სსრ კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობისაგან "ავტონომიური მოქმედების რეჟიმზე", შეიძლება მოჰყვეს ვითარების დესტაბილიზაცია როგორც კავკასიაში, ისე მთლიანად ქვეყანაში. გამოვთქვამთ იმედს, რომ არ დაუშვებთ ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას"...

1991წ. 23 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ზ.გამსახურდიამ** გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად საქართველოს მინისტრთა კაბინეტს დაევალა ადრე საბჭოთა ეთნოდივერსიული მიზნით **"შეზღუდული განვითარებისა და უპერსპექტივოდ" მიჩნეული და გაუქმებული სოფლების აღდგენითი სამუშაოების დაწყება.** შეგახსენებთ, რომ **1973 წლიდან 1977 წლის** ჩათვლით საბჭოთა ხელისუფლებამ **ე.შევარდნაძის** პირადი მითითებით გააუქმა: **1973 წლის 20 ივნისს** შიდა ქართლსა და თბილისის გარეუბანში 170 სოფელი, **1974 წლის 26 ივლისს** _ დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებში 185 სოფელი; **1975 წლის 7 იანვარი,** შობის დღესასწაული კახეთს 36 სოფლის გაუქმებით "გაუნიშანსვეტდა". **1975 წლის 17 იანვარმა** კოლხეთში 46 სოფლის გასაუქმებლად შემოაბიჯა. **1976 წლის 3 აგვისტოს** აფხაზეთის ასსრ-ად "გასხვაქვეყნებულ" ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში გაუქმდა ქართველთა 129 დასახლება (სოფელი), ე.წ. აჭარის ასსრ-ში _ 33 სოფელი; **1977 წლის 16 ნოემბერს** ე.წ. სამხრეთ ოსეთის აო-ში (მარად ქართულ ცხინვალის მხარეში) გაუქმდა ქართველთა 205 ძირძველი, მამაპაპური სოფელი _ რაც ჯამში ნიშნავდა ჩვენი ხალხის ცრემლით, სისხლითა და ოფლით გაჟღენთილი 804 სოფლის აღგვას.

1991წ. 24 მაისს ქ.სოხუმში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელმაც დაგმო ქ.სოხუმში დამატებით საბჭოთა არმიის მედესანტეთა ბატალიონის დისლოცირება.

1991წ. 26 მაისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან (3 550 371) არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2967744-მა ანუ 83,59%-მა. ხმები განაწილდა შემდეგნაირად: **ზვიად გამსახურდია** _ 86,52%; **ვალერიან ადვაძე** _ 7,59%; **ჯემალ მიქელაძე** _ 1,65%; **ნოდარ ნათაძემ** _ 1,17%; **ირაკლი შენგელაია** _ 0,85%; **თამაზ კვაჭანტირაძე** _ 0,28 (პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებაზე უარი ეთქვათ **როინ ლიპარტელიანს, ქართლოს ღარიბაშვილს, გივი ყორღანაშვილს (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 28 მაისი, 1991წ.**).

აღსანიშნავია, რომ სეპარატისტულ-აფხაზეცური მოძრაობის ლიდერები და აქტივისტები მოსკოვის დავალებით აფხაზეთის მოსახლეობაში ფარულ აგიტაციას უწევდნენ **ვალერიან ადვაძის** კანდიდატურას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

1991წ. 27 მაისს ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** გამართა პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის: ***"...როგორია თქვენი ურთიერთობა მიხეილ გორბაჩოვთან ამ კარგახნისწინანდელი დეპეშების შემდეგ, როდის აპირებთ მასთან შეხვედრას? და მეორეც, ველოდოთ თუ არა თქვენს მოლაპარაკებას ბატონ ელცინთან 12 ივნისამდე?***

_ მე მგონი 12 ივნისამდე ბატონ ბორის ელცინთან არ არის მოსალოდნელი ჩემი შეხვედრა, ხოლო ბატონი გორბაჩოვი ცოტა უცნაურად იქცევა. ის მომხრე იყო ჩვენი შეხვედრისა და აპირებდა ჩემთან დარეკვას. მე რამდენიმე დღეა ველი, მაგრამ ის არ მირეკავს. მე დავასკვენი, რომ მუშაობენ რაღაც ძალები, რომელთაც უნდათ ჩემი და გორბაჩოვის შეხვედრის ჩაშლა. მე ასეთ დასკვნას ვაკეთებ. მისმა პრეს-ცენტრმა გააკეთა განცხადება, რომ არავითარი შეხვედრა არ შედგებაო. 20 მაისს მივიღე სამთავრობო დეპეშა, რომელშიც იგი მირჩევდა 24 მაისს მოსკოვში ჩასვლას, მაგრამ მე, რამდენადაც წინა საარჩევნო კამპანია გვქონდა, ვერ წავედი მოსკოვში. აი, ახლა ვიკვლევთ ჩვენ _ რა პოზიციას იჭერს გორბაჩოვი ჩვენი შეხვედრის საკითხში. ეს ალბათ დღეს გაირკვევა. მე რატომღაც მგონია, რომ ელცინის არჩევნებამდე, არც გორბაჩოვთან შეხვედრა მოხერხდეს. თვითონ გორბაჩოვსაც არა აქვს გარკვეული თუ რა პოზიცია დაიჭიროს, ვთქვათ, ისეთ რესპუბლიკასთან მიმართებაში, როგორიც საქართველოა. ეს ყველაფერი რუსეთის პრეზიდენტობის საკითხის და რუსეთის ფედერაციასთან ცენტრის

ურთიერთობების საბოლოოდ გარკვევის შემდეგ გახდება ნათელი...” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 30 მაისი, 1991წ.).

1991წ. 30 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ზ.გამსახურდიამ**, ინტერვიუ მისცა თურქეთის გაზეთ “თურქიას” რედაქტორს, ბატონ **ბილალ ქოჩაქს** და ეკონომიკურ მიმომხილველს, ბატონ **ენგან სენულს:**

“_ ბოლო ექვსი წელია მთელი მსოფლიოს პრესა გორბაჩოვზე, “პერესტროიკაზე” და “გლასნოსტზე” ლაპარაკობს. თქვენი აზრით, ეს მაინც “ნიღაბია”? და კიდევ იგივე საბჭოთა პარლამენტში რუსი დემოკრატებიც ამბობენ, რომ კომუნიზმით რუსული შოვინიზმი ინიღბება და ბოგინობს. თქვენც ამას ბრძანებთ?

_ სრული ჭეშმარიტებაა, რასაკვირველია _ ნიღაბია. ვინაიდან მსოფლიოში კომუნისტურ იდეებს, ტოტალიტარიზმს საბოლოოდ გაუფუჭდა სახელი. ამიტომ მოიგონეს საბჭოთა წყობის ეს ახალი ფორმები “პერესტროიკა” და “გლასნოსტი”, რაც არაფერ სიკეთეს არ აძლევს დაპყრობილ ერებს. კრემლი ისევ განაგრძობს თავის შოვინისტურ და დამპყრობლურ პოლიტიკას და ისიც სწორია, რომ რუსული შოვინიზმის ნიღაბია ეს ყოველივე. დღეს ჯარები გერმანიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან მოჰყავთ ჩვენთან, ვითომდა ადგილი არა გვაქვს და რა ვქნათო? აღმოსავლეთ ევროპა დაკარგეს და ახლა ეს ერები უნდათ შეინარჩუნონ მონებად. აი გორბაჩოვის დოქტრინის პრაქტიკული განხორციელება.

_ გორბაჩოვსა და ელცინს თუ ადარებთ ერთმანეთს? ამბობენ ელცინი გორბაჩოვის მიმდევარია, ოღონდ გაცილებით რეაქციულიო?

_ ძალიან ძნელია ამის თქმა, სანამ ელცინი არჩევნებს არ დაამთავრებს. სანამ არ გაიმარჯვებს და არ გამოკვეთს თავის პოლიტიკურ კურსს. გორბაჩოვის პოლიტიკა კი, ეს იგივე ლენინურ-სტალინური იმპერიალისტური პოლიტიკაა, ოღონდ შელამაზებულ ამ ე.წ. “პერესტროიკით” და “გლასნოსტით”, ვითომდა, უფრო დემოკრატიულ სამოკავშირეო ხელშეკრულებით და ა.შ. საბჭოთა კავშირი მსოფლიოში უკანასკნელი იმპერიაა. ექვს რესპუბლიკას და მათ შორის გამოკვეთილად საქართველოსაც სურს თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა.

_ შემდგომი მოვლენები როგორ გესახებათ?

_ ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მსოფლიო როგორ დაეხმარება ამ რესპუბლიკებს, რამდენად სცნობს მათ მისწრაფებათა კანონიერებას, დამოუკიდებლობას.

_ მოლდავეთში მოხდა ამ ექვსი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრა. რას გვეტყვით იქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე?

_ დიახ, გაიმართა ამ ექვსი რესპუბლიკის ეროვნულ მოძრაობათა წარმომადგენლების შეხვედრა. გადაწყდა, რომ იყოს მოქმედების მეტი კოორდინაცია, მეტი ურთიერთგაგება და დახმარება კოლონიური, იმპერიალისტური რეჟიმის აგრესიული პოლიტიკისაგან თავდაცვაში...”

“..._ ისევ საქართველოს მინდა დავუბრუნდეთ. შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ თარიღი, როდის განთავისუფლდება საქართველო?

_ ასეთი თარიღის დასახელება შეუძლებელია, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია S+1 რესპუბლიკების მიერ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ხელმოწერის თარიღზე. მათ პოზიციაზე “ურჩი” რესპუბლიკების მიმართ...” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 7 ივნისი, 1991წ.).

1991წ. 30 მაისი _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოთქვა შეშფოთება აზერბაიჯანისა და არმენეთის სასაზღვრო რაიონებში შექმნილი ვითარების გამო და შესთავაზა მეზობელ ქვეყნებს, შეუდგნენ მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოწესრიგებას.

მოლაპარაკების ადგილად შეთავაზებულ იქნა ქ.თბილისი (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1 ივნისი, 1991წ.).

1991წ. 2 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა **ზ.გამსახურდიამ** იმოგზაურა აჭარაში.

1991წ. 7 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ სცნო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილება. პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ბატონმა **ზვიადმა** ღვთისა და ერის წინაშე წარმოსთქვა ფიცი: **"ძვიფრასო მეგობრებო! ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ ღირსმყო დავიკავო ესოდენ მაღალი თანამდებობა პრეზიდენტისა, რაც მავალებს საჯაროდ წარმოთქვა ფიცი.**

ვფიცავ და საზეიმოდ ვაცხადებ ღვთისა და ერის წინაშე, რომ ერთგულად განვახორციელებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას;

ვიღვაწებ ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის;

დავიცავ მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას;

განუხრელად განვახორციელებ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, დავიცავ ადამიანის უფლებებს.

ღმერთი იყოს ჩემი შემწე ყოველივე ამაში!"

შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტმა წარმოთქვა საპროგრამო სიტყვა **"...ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეს არის მოწამეობრივი, ქრისტესმიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა. ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპისეულ გზას, ავაღორძინოთ რწმენით თავისუფალი საქართველო. დადგა ჟამი, როცა უკლებლივ ყველას სიცოცხლე მამულს ეკუთვნის, ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ეროვნული ხელისუფლების ვალია, იყოს ღირსი უდიდესი მისიისა, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, საქართველოს დაუბრუნოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში. დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან. დაე აღსრულდეს ნება ღვთისა! ნება ერისა!"**

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

გვფარავდეს ღმერთი!" (**გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 11 ივნისი, 1991წ.**).

1991წ. 12 ივნისი _ პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი: **"...შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: ხალხი ერთსულოვნად გამოხატავს უალტერნატივო პოლიტიკურ ნებას, ქვეყანაში კი გრძელდება კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენები: კორუფცია, შრომისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, საბოტაჟი, დამტაცებლობა, მაფიოზური კლანების თარეში.**

გასაგებია, რომ ძველი სისტემის ნგრევისა და ახლის შენების დროს გარდაუვალია ასეთი მოვლენების ინტენსიფიკაცია, რომ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ორგანოებმა ჯერჯერობით ვერ გამონახეს კრემლის ეკონომიკური მარწუხებიდან თავის დაღწევის ყველაზე ოპტიმალური გზა. მაგრამ, თანამემამულენო, არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველო ამავე დროს დაპყრობილი ქვეყანაა..." "...საქართველოში მრავალი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ლოზუნგებმა თავდაპირველად ისინი შეაშინა, რაც განპირობებული იყო ერთი მხრივ, არსებული სტატუს-კვოს დარღვევის საშიშროებით, ხოლო მეორე მხრივ, ეს გახლავთ შედეგი კრემლის "ინტერნაციონალისტური" გაკვეთილებისა..." "...ზოგ-ზოგმა პოლიტიკურმა ამბიციებმა დიდი სისხლისღვრა

გამოიწვია, რაც თანაბრად სტკენს გულს ყველას, ვისთვისაც თანასწორუფლებიანობა და კეთილმეზობლობა ლიტონი სიტყვები არ არის. კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით გადაჭრის მიზნით საქართველოს უზენაესი საბჭოს ინიციატივით შეიქმნა და თვეზე მეტია კონფლიქტის რაიონში მუშაობს საპარლამენტთაშორისო კომისია, რომელმაც დასახა სტაბილიზაციის გზები. გამოინახა ოს მოსახლეობისთან შეხების წერტილები, გაირკვა, რომ ისინიც არანაკლებ შეწუხებული არიან გაჭიანურებული სიტუაციით...” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა.” 14 ივნისი, 1991წ).

1991წ. 18 ივნისი _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიმართა შავი ზღვის აუზის პრობლემით დაინტერესებული ქვეყნების მთავრობათა მეთაურებს: “...შავი ზღვის აუზის და შავი ზღვის პრობლემით დაინტერესებული ქვეყნების მთავრობის მეთაურებს მოგმართავთ თანამშრომლობისათვის _ შემოგვაქვს წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შეიქმნას შავი ზღვის აუზის ეკოლოგიური გარემოს დამცავი სპეციალიზებული დაწესებულება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უზრუნველყოფს გაეროს სპეციალიზებული სამთავრობათშორისო დაწესებულების წევრი სახელმწიფოებისათვის კეთილსასურველ სამუშაო პირობებს და კისრულობს მისი შტაბ-ბინის მოწყობას...” (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 18 ივნისი, 1991წ.).

1991წ. 21 ივნისს ქ.გაგრაში გაიმართა გაგრის ქართული საზოგადოებრიობის მეორე ყრილობა. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა “Свободная Грузия”-მ გამოაქვეყნა *თ.ნადარეიშვილის* წერილი:

Партократия на высоте...

«Свободная Грузия» 25 июня сообщала о том, что в Гагра состоялся второй съезд грузинской общественности Гагрского региона, участники которого выразили твердый протест против самоличного намерения руководителей Абхазской АССР подписать Союзный договор, что противоречит Конституциям СССР, Республики Грузия и Абхазской АССР и является попыткой посягнуть на территориальную целосность Республики Грузия.

28 июня «Свободная Грузия» опубликовала резолюцию, единогласно принятую на втором съезде грузинской общественности Гагрского региона, и текст телеграмы, направленной участниками съезда на имя М.С.Горбачева, А.И.Лукьянова, З.К.Гамсахурдия и В.Г.Ардзинба. Следует отметить, что инициатором проведения этого съезда и его председателем был один из авторитетных представителей общественности города Гагра, депутат Верховного Совета Республики Грузия Тамаз Надареишвили, представивший нашей редакции тексты резолюции съезда и телеграмы.

Весьма «своеобразно», в духе худших старых времен отреагировал на решение второго съезда грузинской общественности Гагрского региона и на твердую принципиальную позицию его участников Гагрский городской комитет Компартии Грузии. Было созвано бюро горкома партии, рассмотревшее вопрос «О фактах нарушения членами КПСС партийной этики, приведших к обострению политической обстановке» и принявшее соответствующее постановление по этому вопросу.

В постановлении бюро Гагрского горкома партии авторы документов, принятых на съезде грузинской общественности Гагрского региона, обвиняются в том, что они якобы вводят в заблуждение общественность республики в отношении В.Г.Ардзинба, допускают «оскорбительные выпады» в адрес ряда руководящих работников Абхазской АССР, ставят под сомнение итоги всесоюзного референдума...(!)

Бюро «осудило позицию членов КПСС, принявших участие в работе съезда грузинской общественности Гагрского региона и не давших соответствующей оценки необъективным и антиконституционным высказываниям и положениям, отраженным в принятой резолюции». Удивительно, что бюро Гагрского горкома Компартии Грузии не замечает антиконституционные и необъективные высказывания руководителей Абхазской АССР и в то же время безосновательно в таких высказываниях упрекает тех членов партии, которые приняли участие в работе съезда грузинской общественности Гагрского региона.

На один момент хотелось бы обратить особое внимание. В постановлении говорится о том, что «за нарушение партийной этики, выразившееся в допущении фактов необоснованных оскорблений в адрес руководства Абхазской АССР, действия и призывы к насилию, которые могут повлечь дестабилизацию политической обстановки в городе Гагра и в целом в Абхазской АССР, Надареишвили Т.В. «исключен из рядов КПСС».

В связи с этим сегодня мы публикуем ответное обращение депутата ВС Республики Грузия, бывшего члена КПСС Тамаза Надареишвили, текст которого он передал нашей редакции:

«Для меня было большой неожиданностью рассмотрение на бюро горкома партии вопроса «О фактах нарушения членами КПСС партийной этики, приведших к обострению политической обстановки». Дело в том, что, вопервых, из рядов КПСС я вышел по собственному желанию задолго до проведения съезда грузинской общественности города Гагра и тем более до дня этого заседания бюро горкома партии, Таким образом, получается, что бюро, усердно выполняя «заказ сверху», исключило из своих рядов беспартийного. Во-вторых, если я и был бы членом КПСС, оказывается, я не имею право высказывать свою точку зрения, которую, кстати, поддержали более 500 делегатов второго съезда и 15 тысяч граждан Гагрской зоны, подписавшихся под решением съезда.

Что касается своевременного приглашения на съезд Председателя Верховного Совета Абхазской АССР товарища Ардзинба В.Г., то должен сообщить, что в связи с отсуствием Ардзинба в Сухуми намеченный на 19 июня 1991 года съезд был перенесен на 21 июня, а приглашение лично мною было вручено канцелярии Верховного Совета за трое суток до проведения мероприятия (вход. №63/9 от 18 июня 1991 года). Кстати, 20 июня я находился в Верховном Совете, и Председатель находился у себя в кабинете.

Что касается текста обращениея к должностным лицам: в нем В.Ардзинба, Э.Капба, В.Миканба упоминаются потому, что они в сегодняшних условиях осуществляют в Абхазии явно антигрузинскую политику, забывая о том, что они являются руководителями автономной республики, в которой от общего числа населения почти половина лиц _ грузинской национальности. А в данном случае имелись в виду последние их выступления по телевидению и в средствах массовой информации по поводу подписания союзного договора, что было отвергнуто референдумом Республики Грузия 31 марта 1991 года. В то же время общеизвестно, с какими нарушениями был проведен референдум 17 марта 1991 года. О них сообщалось в прессе, разбирательством занята прокуратура... В отношении слов: «Будем кровью отстаивать». В русском тексте читатель, видимо, воспринимает их в прямом смысле, тогда как на грузинском для грузии оно отождествляется со словом «жизнь», и что удивительного в том, что мы жизненно заинтересованы быть грузинами в независимой Грузинской республике. При подписании союзного договора Абхазией нынешние ее руководители хотят поставить нас, грузии, в разряд второстипенных, ведь они упорно и бездоказательно называют нас «пришельцами» на нашей родине. Достаточно сказать, что я представляю в седьмом поколении своих предков именно в городе Гагра.

Далее удивительно, что у горкома вызвала отрицательную реакцию резолюция нашего съезда, ведь лидеры абхазского национального движения никогда не стеснялись и не стесняются в выражениях. Например, недавно в одном из своих выступлений перед общественностью один из лиднров «Айдгилара» Зураб Ачба прямо заявил о том, что им, то есть абхазской стороне, остается либо подписать союзный договор, либо воевать. Интересно, с кем?

бюро горкома в своем решении отметило, что подобные нашему съезду мероприятия нагнетают обстановку, разжигают национальный психоз, Думаю, что психоз нагнетается теми, для кого требования граждан не имеют значения. Необходимо воспринимать нынешнему руководству горкома партии интересы всего населения более внимательно и объективно, чтобы знать чаяния людей и стоять рядом с ними в решении всех проблем, в том числе и межнациональный.

Т.Надареишвили, депутат Верховного совета Республики Грузия.

Соб. инф. Гагра, 5 июля 1991 года».

(გაზ. "Свободная Грузия ", 9 ივლისი, 1991წ.).

1991წ. 22 ივნისი _აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ვ.**არძინბას** პოლიტიკური დემარშების საპასუხოდ ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა წერილობით მიმართეს სეპარატისტული და მონონაციონალური პრეზიდიუმის თავმჯდომარეს: **"აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოში პოლიტიკური ძალების განაწილება 1991 წლის 17 და 31 მარტის რეფერენდუმების შედეგების მიხედვითაც (ამასთან გალის რაიონის ამომრჩევლები მოკლებული იყვნენ უფლებას გამოეთქვათ თავიანთი აზრი 17 მარტის რეფერენდუმის მიმართ), არ გვაძლევს არავითარ საფუძველს იმისათვის, რომ ჩვენი ხელმოწერა დავსვათ საკავშირო ხელშეკრულებაზე.**

ამასთან დაკავშირებით ჩვენ გეკითხებით: რის საფუძველზე და ვისი სახელით აპირებთ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერას?..(გაზ. "**აფხაზეთის ხმა**", 22 ივნისი, 1991წ.)

ამავე დროს აფხაზეთის ასსრ რაიონებში გალში, ოჩამჩირეში, გულრიფშში, სოხუმსა და სოხუმის რაიონში, ბიჭვინთაში, გაგრაში დაიწყო ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები, რომელზეც ხალხი უნდობლობას უცხადებდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ასე, მაგალითად, 25 ივნისს გაგრაში, მრავალათასიან მიტინგზე, რომელიც წმ. ილია მართლის საზოგადოების გაგრის განყოფილების ხელმძღვანელობით (**ა.მარკოზია**) გაიმართა, მომიტინგეებმა მიღებულ რეზოლუციაში კატეგორიულად მოსთხოვეს **ვ.არძინბასა** და საერთოდ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს სეპარატისტულ პრეზიდიუმს შეშვებოდნენ აფხაზეთის მოსახლეობის ზურგს უკან ე.წ. სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერისათვის მზადებას, ამის ნაცვლად სასწრაფოდ დაეწყოთ კონსტრუქციული მოლაპარაკება პრეზიდენტ **ზ.გამსახურდიასთან**, რაც შეიძლება, მალე დაინიშნოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიტინგი მიიღებდა გადაწყვეტილებას სამოქალაქო დაუმორჩილეობლობის შესახებ: **"აფხაზეთის ზოგიერთი ხელმძღვანელი ცეცხლს ეთამაშება, მათ ავიწყდებათ, რომ საქართველო არ დაუშვებს თავისი ძირძველი ნაწილის, აფხაზეთის ჩამოცილებას"** _ ითქვა აქ. ცხუმ-აფხაზეთში საყოველთაო სახალხო მღელვარებებმა აიძულა სეპარატისტული ეთნოკრატია თავისი ტაქტიკა შეეცვალა.

1991წ. 26 ივნისი მოსკოვი, კრემლი, სსრკ პრეზიდენტს _ ბატონ **მ.ს.გორბაჩოვს: "...რესპუბლიკისათვის გათვალისწინებული სახალხო სამეურნეო ტვირთი, სოფლის მეურნეობის პროდუქციით, კვების პროდუქციით დატვირთულ ყველა სატრანსპორტო**

საშუალებას უკანონოდ აჩერებენ კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეთა ტერიტორიაზე. ხდება შემოწმება, რის შემდეგ ტვირთს, როგორც წესი, ან სხვაგან აგზავნიან, ან ასაღებენ მოსახლეობაში... უფრო მეტიც, საკავშირო უწყებები და სამსახურები უარს ამბობენ გამოუყონ რესპუბლიკას სატრანსპორტო საშუალებანი გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთსა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში ამჟამად დაგროვილი სამედიცინო მოწყობილობებისა და მედიკამენტების გადმოსაზიდად, ესოდენ რომ სჭირდება მიწისძვრისგან დაზარალებულ საქართველოს მოსახლეობას, რაც არაადამიანური და ანტიჰუმანური ქმედება და არსებითად ქართველი ხალხის მიმართ გენოციდის გამოვლინებაა.

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 26 ივნისი,1991წ).

26 ივნისი _ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ **ფრანსუა მიტერანს** მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა **ზ.გამსახურდიამ**: "...1922 წელს საქართველოს მთავრობამ შეიძინა პატარა მამული ლევილში (სენისა და ჟუაზის დეპარტამენტი), პარიზთან ახლოს, სადაც აგრეთვე მდებარეობს ქართული სასაფლაო, ლევილის მუნიციპალური სასაფლაოს გვერდით და იქ ამჟამად განისვენებენ ქართველთა ნეშტები.

დღეს, როდესაც საქართველო იბრძვის თავისუფლებისათვის და არჩეული ვარ პრეზიდენტად, მე გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, გამოიჩინოთ კეთილმოსურნეობა და დაიცვათ მამულის ტერიტორიული მთლიანობა და ხელშეუხებლობა, როგორც ქართველთა ისტორიული ნავსაყუდელისა საფრანგეთში. იგი მომავალში ჩვენი ერების დაახლოების კერა უნდა გახდეს. მივესალმები საფრანგეთს და მის მარადჟამს სტუმართმოყვარე მიწა-წყალს. გამოვთქვამ იმედს, რომ ის კვლავაც დაუჭერს მხარს ჩვენი ორი ხალხის მეგობრობასა და კავშირს" (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 29 ივნისი 1991წ.).

1991წ. 27 ივნისი _ გამოქვეყნდა ბატონ **ზვიად გამსახურდიას** ინტერვიუ გაზეთ "Трудъ"-ის კორესპონდენტებთან:

"_ ყმაწვილკაცობიდან ცნობილი ხართ, როგორც სამართალდამცველი. ახლა კი გაგიჩნდათ ახალი, მშვიდობისმყოფლური ამპლუა: იცით, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი ჯერ კიდევ მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყებამდე ერთმანეთს კონტრპირობებს უყენებენ, თქვენ კი მაინც შუამავლობას სთავაზობთ. რას ეფუძნება მეზობლებს შორის მრავალწლიანი კონფლიქტის მოწესრიგების თქვენეული გზა?

_ საქართველო ტრადიციულად ყოველთვის კისრულობდა აზერბაიჯანელთა და სომეხთა შემრიგებლის როლს. თქვენ უთუოდ იცით კავკასიაში მეფის რუსეთის ბატონობის ნაცადი მეთოდი _ მეზობელი ხალხებს შორის ნიადაგ შუღლის გაღვივება. მინდა ჩავაგონო ლევონ ტერ-პეტროსიანს და აიაზ მუტალიბოვს, რომ კონფლიქტი მათ თავს მოახვიეს გარედან, რომ ეს არც ბუნებრივი და მით უმეტეს, არც კავკასიური მოვლენაა... მაგრამ კრემლმა რამდენიმე ეფექტიანი სვლა განახორციელა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა ნავარაუდევი შეხვედრის ჩასაფუშად...

_ მიუხედავად ამისა, ვემხრობი თქვენს ინიციატივას და შეგახსენებთ, რომ 1922 წლის პირველ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ამიერკავკასიის ფედერაციის მონაწილეებმა. რამდენად რეალურია უახლოეს მომავალში "საერთო კავკასიური სახლის" აშენება, როცა ახლა სამივე რესპუბლიკა ესწრაფვის თავისებურად გაგებულ დამოუკიდებლობას?

_ სანამ იმპერიის შემადგენლობაში ვიმყოფებით, შეუძლებელია ამ ჯანსაღი იდეის ხორცშესხმა თუ კავკასია მთლიანად არ გამოეყო იმპერიას, მეზობელ რესპუბლიკებს შორის არანაირი პოზიციური პროცესი არ დაიწყება. ამიტომ აქ ჩვენ ყველას ნიადაგ გვემუქრება მოვლენათა "ლიბანიზაცია". ძალზე ძლიერ იმპერიას რეგიონში თავისი

მთავარი მიზანი აქვს. მისი მეთოდები კი იმდენად დახვეწილია, რომ იგი წაახალისებს ამიერკავკასიის ლიბანიზაციას და ბოლოსდაბოლოს მიაღწევს თავისას...”

(გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა,”, 3 ივნისი 1991წ.).

1991წ. 28 ივნისი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.

1991წ. 28 ივნისი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი.

1991წ. ივნისი _ ბატონი **ზვიად გამსახურდია** ესაუბრა გაზეთ **“Аргументы и Факты”**-ს კორესპონდენტს (გადმობეჭდა გაზეთმა “საქართველოს რესპუბლიკამ.” **4 ივლისი, 1991წ.**):

“..._ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. მზად არის თუ არა რესპუბლიკა, ანგარიში გაუსწოროს დანარჩენ რესპუბლიკებს თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით და მსოფლიო ბაზრის ფასებით, როგორც ეს საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობის მინისტრმა განაცხადა?

_ ამისათვის კი მზად არიან კავშირი ან რუსეთი, რომელიც ეწეოდა უფასოდ ჩვენი კურორტების, ჩვენი წიაღისეულის და ყოველივე დანარჩენის ექსპლუატაციას _ მზად არის თუ არა იგი გადაგვიხადოს ამისთვის საზღაური.

მზად არის გადაგვიხადოს თუ არა იგივე მინიმუმის ვალი, რომელიც ასობით მილიარდ დოლარს შეადგენს? იცით თუ არა თქვენ ეს? საქართველო სატრანზიტო გზაა ევროპიდან აზიისკენ, და ყველა გზა უფასოა. მზად ხართ თუ არა გადაიხადოთ ყოველივე ამისათვის საერთაშორისო ფასებით? აი თავიდანვე ასე უნდა დაისვას საკითხი...”

1991წ. ივნისის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტი მოსკოვს გაემგზავრა, სადაც აშშ-ს საელჩოს მიწვევით ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვილ მიღებაში მონაწილეობდა.

1991წ. 2 ივლისს თბილისში გაიმართა “კიშინიოვის ფორუმის” მონაწილე რესპუბლიკების შეხვედრა:

LДокументы, принятые на встрече «Кишиневского форума», состоявшегося в Тбилиси 1-3 июля 1991 года с участием представителей хельсинского союза Грузии, армянского общенационального движения, народных фронтов Молдовы и Латвии

ОБРАЩЕНИЕ

«Кишиневсково форума» к Президенту СССР и руководителям девяти республик,подписавших заявлениеот 23 апреля 1991 года Ассамблея народных фронтов и движений республик, неприсоединившихся к союзному договору, приветствуют признание вами принципов самоопределения нации, добровольности участия в создаваемом союзе и выражает уверенность в том, что решение политических проблем, связанных с образованием новых независимых государств, будет происходить без применения силы и политического давления, с учетом территориальной целостности наших государств.

В соответствии с положениями ново-огаревского заявления, считающего республики СССР, отказавшиеся подписать новый союзный договор, зарубежными странами по отношению к Союзу советских суверенных республик, призываем вас поддержать стремление наших государств стать полноправыми субьектами международного права.

«Кишиневский форум» признает необходимость и целесообразность сотрудничества Армении, Грузии, Латвии, Литвы, Молдовы и Эстонии с образующими СССР суверенными государствами в соответствии с нормами международного права и на основе взаимовыгодных межгосударственных экономических связей.

г.Тбилиси. 3 июля, 1991г.

ЗАЯВЛЕНИЕ

«Кишиневсково форума» «О недопустимости распространения ядерного оружия»

«Кишиневский форум», выражая стремление народов своих стран жить в мире, безопасности и добрососедстве, считая недопустимых хранение и распространение ядерного оружия на территориях наших государств, заявляет о поддержке решения совета Балтийских государств «О присоединении к договору о нераспространении ядерного оружия».

«Кишиневский форум» обращяется к Верховным Советам Армении и Грузии и парламенту Молдовы с призывом последовать примеру Балтийских государств и присоединяться к «Договору о нераспространении ядерного оружия».

г.Тбилиси, 2-3 июля,1991г.

ОБРАЩЕНИЕ

«Кишиневского форума» к парламентам Армении,Эстонии, Грузии, Латвии,Литвы и Молдовы

Мы, полномочные представители политических движений шести государств, предлагаем парламентам наших стран отказаться впредь от услуг Советского Союза, как представителя наших интересов в ООН, а равно и в других международных организациях, так как СССР не представляет интересы наших народов и государств.

Предлагаем каждому парламенту найти делегацию страны, представленную в ООН, которая готова представлять интересы данной республики до тех пор, пока она сама не будет иметь полномочных представителей в соответствующих международных организациях, включая ООН.

*САКИНФОРМ (*გაზ. “ Свободная Грузия”, 6 ივლისი, 1991წ.)

1991წ. 3 ივლისს ქ.მოსკოვში ყოფნისას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა ზ.გამსახურდიამ ქართველი და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართა.

“..._ რის შესახებ იყო საუბარი გუშინდელ შეხვედრაზე კრემლში?

_ საუბარი იყო რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის ურთიერთობაზე. გუშინდელი შეხვედრა გაიმართა იმ მიზნით, რომ ლონდონში წასვლის წინ შექმნან ილუზია რაღაც ერთიანობისა. მე ვფიქრობ სსრკ-ის პრეზიდენტი ცდილობს დასავლეთზე მოახდინოს შთაბეჭდილება, რომ მას რესპუბლიკებისგან აქვს თანხმობა 9+1 ხელშეკრულებაზე, თუმცა შეხვედრაზე იყვნენ იმ რესპუბლიკების წარმომადგენლებიც, რომლებმაც უარი განაცხადეს ხელი მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. იქ ესწრებოდა ჩვენი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. იყო ძალიან გულახდილი საუბარი სსრკ-სთან ჩვენს ურთიერთობაზე. მინდა გადმოგცეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც გუშინ პრემიერმა პავლოვმა გამოგზავნა. ეს ნიშნავს ეკონომიკურ ომს საქართველოს წინააღმდეგ, საიდანაც ჩანს თუ რა ურთიერთობაა ცენტრსა და საქართველოს შორის. ეს არის რეალური ეკონომიკური ბლოკადის დასაწყისი ჩვენს წინააღმდეგ. ამ დოკუმენტით პავლოვი უბრძანებს შინაგან ჯარებს ყველა სასურსათო რეზერვის კონფისკაციას. მე მინდა გადმოგცეთ თქვენ ეს დოკუმენტი დღეს, დასავლეთს უცხადებენ, რომ მათ კარგი დამოკიდებულება აქვთ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან და საქართველოსთან, რომ არანაირი დაწოლა არ არსებობს და მომავალი ურთიერთობა შესანიშნავი იქნება. აქვე აცხადებენ იმასაც, რომ არავითარი ძალდატანება არ მოხდება ბალტიისპირეთისა და საქართველოს რესპუბლიკებზე, რათა სსრკ-ს შემადგენლობაში დარჩნენ _ იანაევმა ეს “შპიგელისათვის” მიცემულ

ინტერვიუში თქვა. ამ დროს კი პავლოვი ასეთ ბრძანებებს იძლევა. შეადარეთ მათი სიტყვა მათ საქმეს, თუ როგორ შეესატყვისებიან ერთმანეთს...

..._ მოსკოვში თქვენი ჩამოსვლის მთავარი მიზანი, რადგან აქ ხშირი სტუმარი არ ბრძანდებით? მეორე შეკითხვა _ გუშინ ბრიფინგზე გორბაჩოვის თანაშემწემ დასავლეთის ჟურნალისტებთან საუბრისას ახსენა თქვენი მოსალოდნელი შეხვედრა გორბაჩოვთან...

_...ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ამერიკის საელჩოს მოწვევა ამერიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. ხოლო, რაც შეეხება გორბაჩოვთან შეხვედრას, მან გუშინ მიმიწვია კრემლში, მაგრამ ჩემი პრინციპი გახლავთ: არ შევიდე კრემლში მანამ, სანამ საქართველო არ იქნება თავისუფალი და დამოუკიდებელი საბჭოთა კავშირისაგან...

_ არსებობს თუ არა შესაძლებლობა, რომ ცენტრი სამხედრო ოპერაციებს გამოიყენებს თბილისში, როგორც ეს ბალტიისპირეთში იყო...”

..._ სამხედრო ოპერაციების ასეთი საფრთხე ყოველთვის არსებობს... პირდაპირ ნაბრძანები აქვს ჯარს საქართველოს ყველა სასურსათო მარაგისა და სახელმწიფო რეზერვის კონფისკაცია... საქართველოში, სადაც ასეთი ძლიერი მიწისძვრა მოხდა და დაინგრა ნახევარი საქართველო, სადაც 160000 ადამიანი უსახლკაროდ, ყოველგვარი სახსრის გარეშე დარჩა აგზავნიან ასეთ ბრძანებებს, რათა ყველაფრის კონსფისკაცია მოახდინონ...”

“..._ როგორია თქვენი შეხედულება 9+1 რესპუბლიკის ხელშეკრულებაზე?

_ ახლა უკრაინაში ძლიერი მოძრაობაა 9+1-ს წინააღმდეგ და თუ უკრაინა უარს იტყვის, ჩემი აზრით 9+1 ხელშეკრულება შეუძლებელი იქნება. აქ უკრაინა ძირითადი ფაქტორია...

_ თქვენ თქვით, რომ მიესალმებით ნაზარბაევის წინადადებას ცენტრის გარეშე 15 რესპუბლიკის შეკრების თაობაზე. ხომ ვერ გამოთქვამთ ვარაუდს, რა შედეგი შეიძლება ამ შეხვედრამ გამოიღოს. როგორი იქნება მომავალი კავშირის მოწყობა ფედერაციული, კონფედერაციული თუ სხვა?

_ მე ვფიქრობ შეხვედრა უკეთეს ურთიერთგაგებამდე მიგვიყვანს, უკეთეს კონტაქტამდე ერებს შორის. თუ ეს მოხდება ცენტრის, ასე ვთქვათ ე.წ. დახმარებისა და პროვოკაციის გარეშე... როცა ასეთი ოფიციალური შეხვედრა იქნება და ხელს მოვაწერთ რაიმე დოკუმენტს, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ასე, რომ მე მივესალმები მათ.

_ იქნება რაიმე დოკუმენტი ხელმოსაწერად?

_ შესაძლოა. ვიმედოვნებ, რომ როდესაც ხელშეკრულება 9+1 ჩაიშლება _ ხელმოწერილი იქნება ნამდვილი დოკუმენტი, მაგრამ ჯერ 9+1 ხელშეკრულებამ მარცხი უნდა განიცადოს და ცენტრის გარეშე მოხდეს რესპუბლიკების შეკრება.

_ თუ შეიძლება ერთ-ერთ წინა შეკითხვასთან დაკავშირებით, რა როლს ასრულებს დემოკრატიული ძალების გაერთიანებები ან გაერთიანებული პარტიის შექმნაში ედუარდ შევერდნაძე?

_ ამბობენ, რომ შევარდნაძემ დიდი ევოლუცია განიცადა. ამბობენ, რომ იგი ის ედუარდ შევარდნაძე არ არის, რაც 15 წლის წინათ იყო. თავად ამბობს ასე და იგივეს ამბობენ მასზეც, მაგრამ მე მინდა მაინც, რომ ამაში საქმემ დამარწმუნოს, მე ასეთი რწმენა მაშინ გამიჩნდება, როცა შევარდნაძე თვითონ გაამჟღავნებს საკუთარ დამოკიდებულებას კომპარტიის მიმართ. როცა იტყვის ყველაფერს, როგორც აღსარებას, აღსარებას ხალხისა და ისტორიის წინაშე, თუ რა მოიმოქმედა მან საქართველოში, სადაც ის კომპარტიის ემისარი იყო, მხოლოდ მაშინ დავუჯერებ. ვიდრე ის დუმს, არაფერს ამბობს საკუთარი წარსულისა და თავის კომპარტიაზე, ვიდრე ის მხოლოდ

ლაპარაკობს, რომ დემოკრატიის შექმნა სურს, ეს მე ძლიერ მაეჭვებს. ჯერ თქვით თუ რა ჩაიდინეთ კაცობრიობის და ხალხის წინაშე და მხოლოდ მაშინ დაგიჯერებთ. გაკიცხეთ ეს წარსული თუნდაც ისე, როგორც ხრუშჩოვმა გააკეთა. მე, მაგალითად, ხრუშჩოვისა უფრო მჯერა, ვიდრე სხვა ლიდერებისა, თუნდაც იმიტომ, რომ მან გული გახსნა და აღსარება თქვა. ჩემი აზრით იგი ამისათვის პატივისცემას იმსახურებს. მათ კი არ სურთ საკუთარი წარსულის შესახებ რაიმე თქვან. დაე კომენტარები საკუთარ წარსულს გაუკეთონ...”

1991წ. 4 ივლისს მოსკოვში აშშ-ს საელჩომ შეხვედრა მოუწყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს **ზ.გამსახურდიას** მეუღლესთან ერთად.

1991წ. 4 ივლისს აშშ დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ქართულ პრესაში საქართველოს მოსახლეობის სახელით გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის **ზ.გამსახურდიას** მილოცვა აშშ-ს პრეზიდენტისადმი საქართველოს მოსახლეობის სახელით. **ზ.გამსახურდიამ** ეს თარიღი ასევე მიულოცა აშშ-ს სენატს.

1991წ. 6 ივლისი:

ОТ ИМЕНИ МОЕГО ОТЦА - АРЗАКАНА ЭМУХВАРИ

Я, Гиви Эмухвари, автор этих строк, проживающий в Цхалтубо, _ младший сын Арзакана Эмухвари, председателя автономного национального правительства Абхазии (как написано на его надгробии, первого президента Абхазии). В 1921 году, после того, как Россия аннексировала Грузию, отец был вынужден эмигрировать. Дети, старший сын Владимир и я, остались с матерью (В 1937 году Владимира расстреляли _ как сына эмигранта и президента Абхазии). На могиле отца я не бывал, но до тех пор, пока в Париже проживала семья Цициашвили, я посылал туда абхазкуюу землю, чтобы они посыпали ею его могилу. Ведь я являюсь его единственным наследником и продолжателем древнейшего абхазского рода.

Вся моя жизнь прошла в горе и мучениях. Я тосковал по отцу, его голосу, его ласке; мучился от страха, постоянных притеснений, жалел потерявщую мужа и сына мать, которой с молодых лет пришлось познать все тяготы жизни. Ах, как много я лишился! И как я счастлив, что хотя бы сейчас получил возможность гордо и свободно говорить о моем замечательном отце, пламенном патриоте и гражданине, достойном представителе абхазского народа и славном сыне Грузии. Он не представлял своей жизни без этих двух имен _ Абхазии и Грузии. И наша семья _ живой тому пример: отец _ абхаз, мать _ грузинка, из рода чикваидзе.

Исторически идущие плечом к плечу по одному пути абхазы и грузины гордились друг другом. Их сроднили крестины и свадьбы, общие горести и радости, они любили и уважали, ценили друг друга, это был уникальный случай добрых взаимоотношений. Потому-то так искренне оплакивали моего отца, скончавшегося на французской земле, грузинские друзья (სამწუხაროდ, ავტორი ხარკს უხდის რუსისტულ სტერეოტიპებს აფხაზობაზე. ს.საჯ.).

Те отношения сохранились и сегодня. Несмотря на то, что большую часть коренных абхазов царская Россия насильственно оторвала от родной земли переселила во время махаджирства в Турцию, наследники оставшихся в Абхазии древних фамилий _ Шарвашидзе, Эмухвари, Анчабадзе, Маршаниа, Дзиапшпа, Марганиа и других по-прежднему продолжают славные традиции, горит, как и прежде, огонь дружбы, любви, взаимоподдержки грузинского и абхазского народов.

Что же происходит сегодня? Ведь представители фамилий Ардзинба, Озган, Шинкуба, Ашуба, Искандер, Агрба тесно связаны родственными отношениями с вышеперечисленными древними фамилиями. Но, по моему мнению, некоторые из них

глубоко заблуждаются. Возможно, я не совсем прав, но на чьей земле они хозяйничают, чьими жизнями, достоянием распоряжаюстся? Куда толкают Абхазию? Кто дал им право говорить, более того, действовать от имени настоящих абхазов? Почему они ничего не спрашивают у нас _ Шарвашидзе, Эмухвари и других _ о судьбе абхазской земли, политой кровью, усыпанной костями наших предков? Что посеяли они, что так бесстыдно пожинают, по какому праву?

Мы не изменим завещанию дедов и отцов, не сойдем с проложенного ими пути, этот исторически оправданый, верный, светлый путь останется неизменным.

Несмотря на расхождения во мнениях, наш раскол совершенно недопустим в тяжкую пору. Традиционные чувства между нашими нациями удастся возродить только общими усилиями.

Смешанные браки _ обычное явление для Абхазии, Тбилиси, Кутаиси, да повсюду встречаются такие семьи. Они любят и Абхазию, и Грузию (აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოა, ხოლო აფხაზი ამ მხარის ქართველი გახლავთ, რაც შეეხება აფსუას, იგი ჩვენი სახლიკაცი და ძუძუმტეა! ს.საჯ.)!

Как же им быть, возненавидеть, отступиться от одной из них? Но почему, и что скажем мы их детям и внукам? Какой ответ дадим народу, истории, когда придется держать ответ о делах неправедных?

Люди, о которых говорилось выше (к счастью, их единицы), напоминают мне кукушек, только, в отличие от этих птиц, они хотят разрушить именно то гнездо, где родились и воспитывают детей, и это гнездо _ Абхазия, неотдолимая от Грузии.

Я имею и человеческое, и моральное право спросить, читали ли они «Наставника» А.Церетели, «Хаки Адзба» Л.Киачели, «Похищение луны» К.Гамсахурдиа, стихи Г.Табидзе, Ш.Нишнианидзе, произведения Г.Шарвашидзе? Знают ли они о том, с какой любовью относились эти писатели и поэты к абхазскому народу? Видимо, не читатели они тех произведенный, либо читали, но не поняли. Ведь некоторые из них даже не знают толком ни грузинского, ни абхазского языка. Зато настоящие абхазы не только знакомы с творчеством этих писателей, но ценят мудрость, сокрытую в них, прониклись их идеями.

Например, в книге «Лирика, эпос, драма Георгия Шарвашидзе» под редакцией академика Симона Джанашиа, изданной на грузинском языке, черным по белому написано, что еще отец деда Георгия Келеши _ Ахмед-бек в начале XIX века искал покровительство России для своего княжества. Эта политическая комбинация отвечала и замыслам последней. К тому времени Россия уже вступила в Самегрело и только ждала удобного момента для захвата соседнего края. В дальнейшем эти тенденции получили юридическое отражение в инвестиционной грамоте, утвержденной Александром I 17 февраля 1810 года. Отныне Абхазия признавала верховную власть России.

В Абхазию поставили русские гарнизоны, она превратилась в одну из баз, в плацдарм, откуда оказывалось сопротивление племенам, борющимся за свободу Западного Кавказа.

По поводу упразднения Абхазского княжества кутаисский генерал-губернатор Святополк-Мирский, который, видимо, еще раньше ознакомился с этим проектом, писал в Главный штаб: *«Думаю, мы не должны мешать абхазам, если они пожелают пересилиться в Османию. Уже сейчас можно было бы начать колонизацию Абхазии за счет казаков и русских. Одно из главных условий для этого _ мы должны распологать свободными территориями от Бзыби до берега Ингури, где смогут поселиться русские».* Империалистам удалось осуществить в Абхазии важный пункт этого плана: абхазов изгнали с Черноморского побережья, а земли их предков раздали русским чиновникам. Кроме того, компактные поселения колонистов образовались и вглубине страны. В 1864

году абхазская автономия упраздняется, эта дата считается в русской официальной истории датой окончательного покорения Кавказа.

Князь Абхазии изъявил желание проживать в Абхазии, либо зимой в Кутаиси, а летом _ в Рача, в случае же отказа он просил паспорт на выезд в Иерусалим, где собирался прожить оставшиеся дни.

Михаила обвинили в новой измене и 5 ноября 1864 года старого и больного абхазского князя арестовали. 7 ноября его посадили на корабль и отправили в Новоросийск, откуда в 1865 году перевезли в Воронеж, где он и скончался. Впоследствии его останки перевезли в Абхазию и захоронили в Моквском храме.

То, что на протяжении веков не удалось сделать от имени мусульман Персии и Турции, осуществили русские войска, лишив Грузию единства, независимости и свободы.

По официальным сведениям, за период с 1783 по 1801 год население Грузии сократилось наполовину. Таким образом, договор, подписанный с Россией в 1783 году, согласию которому она должна была защищать территорию Грузии от врагов, для грузин оказался пустым обещанием.

Не происходит ли нечто подобное в Абхазии и сегодня?

Вспомним строки из «Наставника» Акакия Церетели: «Нет, не твой удел кончина, я _ ответчик перед веком». Может быть, эти слова продолжат сепаратисты? Но вряд ли у них были такие наставники тогда бы в Абхазии, не выросли горы трупов. Все горе в том, что нет таких наставников, способных лишить себя жизни из-за недостойного поведения учеников, более того, вам никто не решается и слова сказать.

«Хаки Адзба» Лео киачели... Не знаю, читали ли все абхазы это произведение, возможно, смотрели по телевидению спектакль, (если только не выключили, ведь передача-то на грузинском языке). Напомню вам такой эпизод: по приказу одноглазого капитана _ ярого коммуниста на Сухуми навели пушки с парахода, стоявщего на пристани. Дали приказ: если через определенное время не появится Эмухвари, город будет обстрелян. И вдруг на пароход поднимается молочный брат Эмухвари _ Хаки Адзба. Желая спасти своего молочного брата и весь город, он выдает себя за Эмухвари, но моряк догадывается об обмане, и в это времяна на палубе появляется сам Эмухвари. Как тут не вспомнить строки из «Похищения луны» Константинэ Гамсахурдиа: «Это человек из той породы людей, которые не привыкли отступать». Гордо всходил на корабельную палубу еще один Эмухвари, обреченный на гибель. Сжечь заживо человека и утопить его молочного брата мог только одноглазый коммунист, огонь и вода, без которых не может существовать человечество, оказались безжалостными к этим двум обреченным. Не думаю, что у вас, «радетелей» за судьбы абхазского народа, есть такие молочные братья, если кто-то и пожертвует своей жизнью вместо вас, над ним будут смеяться.

Кому из вас знаком обычай «мордуоба»? Чей предок рос в семье абхазского крестьянина? Кого из них воспитывала молочная мать на легендах, сказаниях, стихах? Не было этого! Иначе замечательные традиции сохранились бы и сегодня.

А абхазская литература? На каком языке писал первый писатель-классик Д.Гулия? Его же сын Георгий был фактически русским писателем, он и не мог писать на абхазском, ибо, как и большинство представителей «новой» Абхазии, не знал родного языка.

Как известно, господа, «со второй половины IX века государственным, литературным и церковным языком Абхазии является грузинский».

Грузия _ единая, неделимая, чудесная страна, и Абхазию так же невозможно оторвать от нее и присоединить к другой стране, как невозможно отсечь от скульптуры Микеланджело какойнибудь фрагмент и прилепить к другой скульптуре.

И сегодня, когда так обострены отношения между грузинами и абхазами, нельзя не вспомнить, что на Левильском кладбище во Франции покоятся рядом два первых руководителя нашей маленькой страны _ Ноэ Жорданиа и Арзакан Эмухвари.

Хочу благословить вас и дать совет: пока не поздно искупите грехи свои, не ставтье свои принципы над интересами народа, ибо народ ничего не прощает.

С добрыми пожеланиями.

Георгий (Гиви) Эмухвари.

1991წ. 8 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზ.გამსახურდიამ მიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს. მან ამხილა ჩასაფრებული კრემლიდანური ძალების ავმოსურნეობა, მოუწოდა მათ საერთო ძალისხმევისაკენ ერთიანი სახელმწიფოს აღმშენებლობისას.

1991წ. 9 ივლისი _ გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია, რომელმაც დანიშნა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ახალი არჩევნები (1991წ. 29 სექტემბერს), მიიღო ახალი საარჩევნო კანონი და მთელი რიგი ცვლილებები შეიტანა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში. სესიის ჩატარებას წინ უძღოდა ხანგრძლივი შემთანხმებლური მუშაობა მხარებს შორის, რითაც მიღწეული იქნა მთავარი _ ურთიერთ მოსმენის სურვილი. აღსანიშნავია, რომ სეპარატისტებმა, რომლებიც ადრე ქართველებს "პრიშელცებს" ეძახდნენ, სამუშაო ზეპირ განმარტებებში აღიარეს ქართველთა მკვიდრობა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ანუ აფხაზეთში.

1991წ. 9 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი **ზ.გამსახურდია** მეუღლესთან ერთად ჩავიდა მოსკოვში რსფსრ პრეზიდენტის **ბ.ელცინის** მიწვევით. მოსკოვის ვნუკოვოს აეროპორტში მას დახვდნენ რსფსრ სახელმწიფო მოღვაწეები რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის **რ.კოვალიოვის** ხელმძღვანელობით.

1991წ. 10 ივლისი:

СПРОВОЦИРОВАННЫЙ КОНФЛИКТ

Чечено-Ингушская республика в течение многих десятилетий оставалась зоной относительного спокойствия. Оно наблюдалось до тех пор, пока угнетенный, подавленный ингушский народ не подал голос о своем бесправии, не стал бороться за восстановление своей государственности.

Ингушский народ, лишенный более половины своей территории, волей центра переданной Северной Осетии, требовал восстановления своей государственности. В этих справедливых начинаниях их поддерживали чеченцы, казаки, представители других народов, проживающих в других регионах страны. Но стоило рассмотреть этот вопрос на более высоком уровне, как тотчас же зашевелились те, кто на трагедии ингушского народа, на несчастье людей строил свое благополучие. На территории компактного проживания ингушей начали появляться осетинские эмисары, десантники, спецназовцы, перед которым была поставлена задача разжечь пламя межнациональной розни на территории ингушских районов, с целью возведения различного рода препятствий на пути реализации закона о реабилитации репресированных народов. Причем провокации следовали одна за другой. Первым объектом был избран Пригородный район Северной Осетии, где компактно проживают ингуши.

19 апреля сего года восемь осетин в с.Куртат избили ни в чем не повинного старика-ингуша с детьми у себя в городе, а затем раздули этот конфликт до межнационального скандала, за которым последовало установление чрезвычайного положения в этом районе. Так был вбит клин между осетинами и ингушами.

Несколько позже, 26 мая, возник спор между арендатором Евлоевым _ ингушем и арендодателем Коттоевым _ чеченцем, председателем колхоза. Страсти накалились, и Коттоев был убит. И вновь преступлению была придана политическая окраска с обвинением ингушского населения в разжигании межнационального конфликта. Таким образом, был вбит еще один клин, уже между чеченцами и ингушами.

Оставался еще один путь _ поссорить ингушей с русскоязычным населением, которому придавалось особое значение, и эта тщательно инспирированная провокация также удалась.

За многие десятилетия совместной жизни по-разному складывались взаимоотношения между ингушами и казачеством. Были как горечи и обиды, так и радости. И всегда старейшины обеих сторон контролировали общественно-политическую ситуацию. Были самые чудовищные преступления со стороны казачества, когда один из них отрубил девятилетнему ребенку, возвращавшемуся из магазина с хлебом домой, голову. Был случай, когда казак убил беременную женщину, а второй изнасиловал малолетнюю девочку. Совершились преступления и в отношении казачества, но никогда ни та, ни другая сторона не придавала им политическую окраску, не восстанавливала один народ против другого. Каждый понимал, что подонки бывают в любой нации.

Но сейчас начали действовать какие-то неведомые темные силы, упорно разжигая конфликт. В ст. Троицкой, Карабулаке все чаще стали появляться машины из Северной Осетии. Это осетинская верхушка, партократия начала заигрывать с казачеством и их атаманом Коняхиным. Казачество, да и все русскоязычное население прежде постоянно находилось под гнетом осетинских националистов, теперь же начало получать материальную, духовную и прочую помощь от главарей осетинского национализма. Все это хорошо понял атаман Сунженского района Подколзин, осознавший пагубность политики втягивания казачества в этноконфликт, и начал поддерживать добрые, искренние отношения с демократическим блоком Ингушетии. Но судьба жестоко расправилась с ним. Будучи в нетрезвом состоянии, вместе со своей супругой он задел проходившего мимо студента пермского института Батырова, стал вместе с другими собутыльниками избивать его. Студент, самооборонясь, убил атамана. Этому бытовому преступлению, естественно, была придана политическая окраска на межнациональной почве, и завертелась идеологическая машина. Причем ситуацией воспользовались средства массовой информации как на местах, так и в центре. События разворачивались предсказуемо. Поведение некоторой части казачества в п.Карабулак и ст. Троицкой стало вызывающим и агресивным. Так, в ночь с 7 на 8 апреля 1991 года примерно в 20 часов возле мебельного магазина п.Карабулак гр. Кирпиченко и с ним четверо казаков совершенно беспричинно ударом тупого предмета разбили лобовое стекло легковой автомашины «Жигули» №36-20, крикнув: «Вот вам, кунаки!». Факт зарегистрирован в отделении милиции поселка Карабулак. 13 апреля примерно в 14 часов в п.Карабулак двое пьяных казаков в кафе «Встреча» набили буфетчицу _ многодетную мать Дакиеву, приговаривая при этом «за атамана».

25 апреля сего года в 17 часов в п.Карабулак, возле станции скорой помощи, изрядно хлебнув спиртного, группа казаков стала приставать к прохожим ингушам, оскорблять и унижать их. И дело вновь дошло до драки, которая зарегистрирована в отделении милиции.

27 апреля 1991 года в 20 часов в ст. Троицкой казаки остановили на улице жительницу ст. Троицкой Магомедову Пятимат и пытались убить ее. Вот так развивались события в Сунженском районе. А в промежутке между этими происшествиями заседал Совет.

26 апреля 1991 года в ст. Троицкой, в кабинете председателя колхоза Бочманова состоялась неофициальная встреча атаманской верхушки Иванов, Дмитриев, Черкашиников, Коломыцев, Кусов, местный осетин, _ Бочманов, Нужнов и неизвестных четырех граждан из Осетин, номера их машин зарегистрированы и находятся в КГБ республики. Стало известно и о том, что в «Жигулях» привезли два ящика водки. Результат этой встречи «верхушки» сказался буквально на следующий же день, на свадьбе у Кирпиченко вскоре возник скандал, омрачивший застолье. Сидевший за этим столом Кусков-осетин подлил масла в огонь и подвыпивших людей направил на «кунаков». Остановив первую встречную легковую машину, казаки избили ни в чем не повинных молодых людей: Маштагова, Хашагульгова, Албакова, Тохова. Их в тяжелом состоянии доставили в больницу. Этот факт также зарегистрирован в отделении милиции.

28 апреля казаки перекрыли дорогу камнями, когда первая встречная машина остановилась, завязалась драка, которая переросла в массовую. В результате жертвы с обеих сторон. Таким образом, был вбит еще один клин зла во взаимоотношения между ингушами и казаками. В трех районах, где компактно проживают ингуши, введено чрезвычайное положение. оставался лишь последний район _ Назрановский, в котором проживают одни ингуши. Чтобы и тут подготовить конфликт, прибегли к провокации.

Таким образом, представители двух народов сегодня в состоянии противостояния и в блокаде провокаций.

Ингушский народ, не имея своей государственности и структуры власти, благодаря извращенной информации предстал перед мировой общественностью как агрессор, разыгралась та же карта, что и с грузинами, _ ингуши выселяют осетин, ингуши убивают чеченцев, подвергли геноциду казачество _ лейтмотив всей кампании. Но у здравомыслящих людей, очевидно, возникает вопрос: как самый маленький на северном Кавказе народ, к тому же угнетенный и бесправный, может осуществить гегемонистические задачи? Наверное, нетрудно догадаться каждому честному человеку, что новая волна инспирированного насилия и произвола центра, пытающегося закрепить бесправые маленького, но гордого, свободолюбивого ингушского народа, безрезультатна. Истину не скрыть ни от народов, ни от истории.

Пресс-центр Ингушетии.

(გაზ. “ Свободная Грузия”, 10 ივლისი, 1991წ.)

1991წ. 10 ივლისს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველმა საზოგადოებრიობამ შეხვედრა გაუმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ა.ასათიანს. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ.ყოლბაიამ.

1991წ. 12 ივლისს, გაზ. “Свободная Грузия”: ОБРАЩЕНИЕ ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО СОВЕТА АБХАЗСКОЙ АССР

Как известно, 15-16 июля 1989 года в Абхазии произошли трагические события, которые вызвали боль и возмущение всего насселения республики.

Президиум Верховного Совета Абхазской АССР принял «Обращение к населению Абхазии накануне второй годовщины трагических событий в Абхазии 15-16 июля 1989 года», текст который был опубликован 9 июля сего года в газете «Советская Абхазия». В нем, в часности, говорится:

«Время снова приблизило нас к этой роковой дате. Надолго в памяти абхазского и грузинского, всех народов, живущих в Абхазии, два дня в самой середине лета останутся синонимом бессмысленного кровавого конфликта, торжества, вражды и независимости

над разумом, горькой памяти о безвременно ушедших жертвах, разгула страстей и иррациональных сил зла» ...“15-16 июля 1989 года _ это не только кровавая зарубка в сердце каждого жителя Абхазии”... “не поддаваться эмоцианольному подходу при решении и обсуждении непростых вопросов межнациональных отношений, будущего национально-государственного устройства республики, не переходить роковой черты, за которой _ пропасть”.

“Сегодня вновь общественно-политическая обстановка в Абхазии далека от спокойствия».

Далее в Обращении говорится о том, что «Память о погибших в июле позапрошлого года вызывает ко всем нам: будтье бдительны, не забивайте, что наш обший враг _ экстремизм, шовинизм, тоталитаризм, в какие бы одежды они ни радились».

Обращение заканчивается словами: «Народы обязательно придут к согласию, если не будут поддаваться безответственным призывам и при решении всех вопросов будут считать приоритетным уважительное отношение к интересам друг друга, доброжелательность, заботу о счастье потомков».

(Соб. инф).

1991წ. 19 ივლისს გაიმართა აჭარის ა/რ პირველი სესია.

სესიამ აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია **ასლან აბაშიძე.**

1991წ. 20 ივლისი, გაზეთ “Свободная Грузиа”-ში გამოქვეყნდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ქართველ (აფხაზ) თავად-აზნაურთა მიმართვა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსადმი:

ОБРАЩЕНИЕ К ЧЛЕНАМ ВЕРХОВНОГО СОВЕТА АБХАЗСКОЙ АССР, ПРЕДСЕДАТЕЛЬЮ ВЕРХОВНОГО СОВЕТА АБХАЗСКОЙ АССР

Уважаемые члены Верховного Совета!

Уважаемый Председатель Верховного Совета!

Процесы, происходящие на политической арене, особенно дебаты вокруг вопроса подписания нового союзного договора руководством Абхазии, не могут оставить равнодушным ни одного гражданина республики. В этой ситуации каждый обязан определиться и высказать свое мнение.

В условиях многообразия политических взглядов и политических течений на вас возлагается огромная ответственность принять единственно правильное решение, которое явилось бы залогом мира и процветания, дружбы и братства на нашей земле, Земле, где на протяжении многих тысячелетий бок о бок проживали и проживают люди разных национальностей, которые в годы тяжких испытаний, выпавших на долю Абхазии, в течение обозримого исторического периода показали, что могут преодолеть все трудности и быть на высоте в решении сложных проблем, лишь совместными усилиями, руководствуясь общими интересами.

Мы твердо убеждены в том, что никакие договоры, никакие коньюнктурные и сиюминутные соглашения не должны вызывать предубеждения, сеять распри, рознь между людьми. Поиск общего согласия начинается с доброжелательного и внимательного отношения к чаяниям и нуждам друг-друга. Вся многовековая история Абхазии является убедительным доказательством родства и братства абхазского и грузинского народов, которые нераздельны по своим этническим и этическим нормам, принципам и традициям, уходящим в глубину веков, по сложившимся за тысячилетия родственным связям. Конечно, следует помнить, что в течение последних десятилетий неоднократно возникали политические разногласия, но трактовать их как разногласия между народами

было бы грубой ошибкой. Все эти разногласия _ результат коньюнктурной борьбы между лидерами различных политических движений, сумевших навязать свои идеи народу и выдавать их за чаяния и стремления широких масс. К чему привели деяния отделных политических деятелей, их беспринципная политическая игра, нам с вами известно: трагическим итогом этому служат события 15-16 июля 1989 года. Жизнь и кровь ни в чем неповинных, безжалостно обманутых людей ложится на совесть политиканов, манипулирующих ложными фактами и идеями, игравших на самых сокровенных, патриотических чувствах людей. К счастью, у человеческого сердца есть свой разум. И даже после этих трагических, горьких событий мы с вами являемся свидетелями неослабевающей тяги друг к другу, создания множества молодых семей девушками и юношами грузинской и абхазской национальностей, возникновения новых традиционно кровных и родственных уз не на день, не на месяц или год, а на века. Невозможно резать по живому, при этом не чувствовать боль! Хотелось бы быть уверенным, что ни один член парламента, ни один член правительства, ни один гражданин нашей республики не хочет видеть свой народ больным и калекой, затравленным, испытывающим комплекс неполноценности, лишенным веры в будущее.

Мы призываем вас прислушаться к разуму своего сердца перед тем, как решать такой судьбоносный для нашей республики вопрос, каким является вопрос подписания нового союзного договора, вопрос быть или не быть миру и благополучию на нашей земле.

Не является ли подписание так называемого договора» повторяющимся через полтора века махаджирством с той только разницей, что первая акция была подготовлена Турецкой империей при поддержке русского царизма и не без участия некоторых абхазских феодалов.

А нынешняя готовится доживающей свой век коммунистической империи при поддержке некоторых наших соотечественников. Правда, при этом можно утешать себя сохранением своих приусадебных участков. Однако было бы безнравственно утверждать, что родина _ это только природные богатства. Как же быть с историей народа, его культурой, традициями, родными, близкими, друзьями? Как все это объяснить грядущему поколению?

Ведь неоспоримым фактом является существование государственности на протяжении многовековой истории, объединяющей Восточную и Западную Грузию с ее неотьемлемой частью _ Абхазией. Свидетельством тому являются достаточно многочисленные фундаментальные труды как абхазских, так и грузинских историков.

Однако и здесь находятся лжеисторики, манипулирующие нашим прошлым, нашей культурой по складываемым ими же политическим обстоятельствам. История _ это наше прошлое, наша культура, на которой построено настоящее _ сегодняшяя реальность.

Будущее же должно быть построено на настоящем. И игнорировать любые, на первый взгляд, кажущиеся детали, составные сегодняшней реальности, это непростительная ошибка, которая неизбежно приведет к нездоровому будущему.

Можно ли согласиться, что в список голосующих в референдуме от 17 марта 1991 года не был включен весь Гальский район _ неотьемлемая часть Абхазии, с ее 52 тысячами избирателей. И результаты такого референдума трактовать как волеизъявление большенства населения Абхазии! По-видимому, следует помнить _ никто не имеет права перекраивать родину наших предков, нашу с вами Родину. Родина _ в прошлом, настоящем и будущем остается независимой. И это является, бесспорно, истинным желанием народа.

Нам, членам Дворянского собрания Абхазии, сыновьям и дочерям, внукам и правнукам людей, вписавших немало ярких страниц в историю нашего Отечества, хочется быть уверенными в мудрости нашего решения. И что решение, принятое вами, не исказит логическое развития многовековой истории нашей Родины, будет залогом восстановления и укрепления добрых традиций на нашей земле, послужит основой здорового Будущего.

Председатель Дворянского собрания Абхазии Георгий Шервашидзе;
заместитель председателя Дворянского собрания Абхазии Дурмишхан Маргания;
члены правления: Дали Эмухвари Джамбул Анчабадзе, Реваз Дадиани,
Джон Маргания, Дина Дзяпшпа.

Текст этого обращения редакции нашей газеты предоставил Георгий Шервашидзе.

1991წ. 25 ივლისი.

Верховному Совету СССР

Ознакомившись с обращением Верховного Совета СССР к Верховним Советам Армении, Грузии, Литвы, Латвии, Молдовы и Эстонии, Верховный Совет Республики Грузия счел нужным еще раз выразить свою позицию относительно принципов межгосударственных отношений с СССР.

Мы хорошо знаем, сколь крепки политические, экономические и культурные связи между Грузией и СССР. В Грузии уверены, что в будущем эти связи должны строиться на качественно новой основе, дабы не только сохранить, но и развить все то ценное, что было создано в результате многовекового общения наших народов. Но мы убеждены, что этого можно добиться лишь на основе взаимного уважения суверенитета каждой из сторон. Глубоко уверены _ наша независимось будет только способствовать развитию этих процессов. Послевоенное развитие Европы показало, что равноправное сотруднечество демократических сил, когда каждый человек без всяких идеологических и других преград может приобщиться к духовным ценностям любого народа, более всего способствует налаживанию тесных культурных, экономических и политических связей.

Опираясь на волю народа Грузии, высказанную на референдуме 31 марта 1991 года, Верховный Совет Республики Грузия провазгласил восстановление государственной независимости Грузии. Вместе с тем мы неоднократно заявляли о нашей готовности к взаимовыгодному равноправному, политическому, и культурному сотрудничеству с СССР, с народами, населяющими эту страну. Но, к сожалению, в СССР есть влиятельные консервативные силы, которые всячески мешают этим процессам.

Они стараются нарушить территориальную целосность Грузии, способствуют разжиганию этноконфликтов в республике, организуют экономическую блокаду, всячески препятствуют ее связям с остальным миром и тем самым пытаются «наказать» нас за нежелание подписывать союзный договор. Такие действия не могут служить улучшению взаимоотношений между нашими странами и народами.

Верховный Совет Республики Грузия не раз обращался к руководству СССР с предложением немедленно начать переговоры по решению всех проблем, касающихся взаимоотношений между нашими государствами. Мы считаем, что скорейшее решение стоящих перед обеими сторонами политических и экономических вопросов будет способствовать урегулированию наших отношений, углублению дружественных связей между народами Грузии и СССР.

Исход из высшесказанного, Верховный Совет Республики Грузия подтверждает свою готовность в любую минуту сесть за стол переговоров с руководством СССР. Надеемся,

что с вашей стороны будут проявлены добрая воля и благоразумие во имя свободы и процветания наших государств и народов.

Верховный Совет Республики Грузия.

Тбилиси. 25 июля 1991 года.

(გაზ. "Свободная Грузия", 31 ივლისი.)

1991წ. 3 აგვისტო _ გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა მშვიდობისა და დემოკრატიის მსოფლიო ლიგის კოსტა-რიკის 23-ე კონფერენციისადმი;

"..კონფერენციაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ პრობლემებზე:

1) კონსტიტუციური საკანონმდებლო ბაზისის შექმნა სსრკ-ის დემოკრატიული რეფორმებისათვის, რაც უნდა შეიცავდეს: ა) ერთა სრული თვითგამორკვევის გარანტიას, იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის აღმოფხვრას; ბ) თავისუფალი ბაზრისა და კერძო მეწარმეობის საკანონმდებლო დამკვიდრებასა და რეალიზაციას; გ) ემიგრაციისა და ოჯახების გაერთიანების საკითხების მოგვარებას საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით (სპარსეთში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველების კონტაქტები თავიანთ ნათესავებთან საქართველოში; მათ არა აქვთ მიწერ-მოწერისა და ტელეფონით საუბრის უფლება, არა თუ მისვლა-მოსვლისა); დ) სარელიგიო კანონმდებლობის დემოკრატიზაციას, ეკლესია კვლავ შეზღუდულია და დისკრიმინირებულია თავის უფლებებში, გრძელდება კომპარტიის კონტროლი ეკლესიაზე და უხეში ჩარევა მის საქმეებში.

2) ეკოლოგიური ომის შეწყვეტა დაპყრობილი ხალხების წინააღმდეგ ე.ი. მათი ბუნების, მიწის, ჰაერის, წყლისა და წიაღისეულის ბარბაროსული ექსპლუატაციისა და განადგურების შეწყვეტა.

3) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ტერორის ინიციატორებისა და შემსრულებლების გასამართლება სრული საჯაროობის პირობებში.

4) ჰელსინკისა და ვენის დასკვნითი დოკუმენტების ცხოვრებაში გატარების შემმუშავებელი ჯგუფების ოფიციალური აღიარება, ხელშეუხებლობის გარანტირება, დაცვა და ყოველგვარი ხელშეწყობა. ამ პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა განხორციელდეს მექანიზმის შექმნა, რისთვისაც აუცილებლად მიგვაჩნია: ა) გაეროს, ევროპარლამენტის, საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციების მუდმივი კონტროლის დაწესება სსრკ-ში მიმდინარე პროცესებზე, განსაკუთრებით ეთნოკონფლიქტებზე; ბ) ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების დიპლომატიური ურთიერთობების დამკვიდრება დასავლეთის ქვეყნებთან; გ) საინფორმაციო ცენტრების შექმნა დასავლეთის ქვეყნებისა და რესპუბლიკების დედაქალაქებში; დ) გაეროსა და სხვა ორგანიზაციების ექსპერტთა მიერ შესწავლა საქართველოში, ლიტვაში, ლატვიაში და სხვა რესპუბლიკებსა და ქალაქებში მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევის, ეთნოკონფლიქტების მოწყობის, სხვა ანტიჰუმანური ქმედებებისა და მათი შედეგების" (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 3 აგვისტო, 1991წ.).

1991წ. 15 აგვისტო _ გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესია არჩევნებისთვის მზადებასთან დაკავშირებით, როგორც გახსოვთ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები 1991 წლის 29 სექტემბრისთვის დაინიშნა (9 ივლისს).

1991წ. 19 აგვისტოს ვითომცდა კრემლში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მოეწყო ე.წ. პუტჩი. ველიკოდერჟავული მოსკოვი ამ გზით ცდილობდა მორიგ ძალადობაზე უფლების გამოთხოვას საბჭოთა იმპერიის შესანარჩუნებლად. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის პოლიტიკური ძალები თანხმიერად მოქმედებდნენ. კრემლიდანური ძალებისათვის დღის წესრიგში დადგა მორიგი რეპრესიების, ტერორისა და ანგარიშსწორების გატარება თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ. ამ მხრივ

სანიშანსვეტო სამიზნედ საქართველოც იქცა. ასეთ ვითარებაში ეროვნულმა ხელისუფლებამ ზოგიერთი პოლიტიკური მანევრით შესძლო მთავარი გზავნილის გასაჯარისება: **"...დავემორჩილოთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს!..."**

1991წ. 19 აგვისტოს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება:

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების _ ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ.

1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებს _ ეროვნულ გვარდიას მიეცეს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსი;

2. გაუქმდეს თავდაცვის სამთავრობო კომისია;

3. გაუქმდეს შინაგანი ჯარების _ ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა;

4. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანყოფილების ხელმძღვანელობა დაეკისროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

5. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ძირითად ამოცანად განისაზღვროს: ორგანიზაციულ და განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევების, მასობრივი არეულობის აღკვეთა; მასობრივი (სპორტული, სანახაობითი) და სხვა ღონისძიებების დროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა; თავისუფლების აღკვეთის ადგილების დაცვა.

საგადასახადო სამსახურის შესრულება.

6. შინაგანმა ჯარებმა ისარგებლონ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტაბელური იარაღით.

(წიგნიდან "ზვიად გამსახურდიადან _ ზვიად გამსახურდიამდე, 1991-95წ. გამ. "ხმა ერისა", თბილისი, 1995წ. გვ. 97)

1991წ. 19 აგვისტო _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიმართეს საქართველოს მოსახლეობას: **"საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიხეილ გორბაჩოვის მიერ სსრკ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას 1991 წლის 19 აგვისტოდან სსრკ კონსტიტუციის შესაბამისად შეუდგა სსრკ ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი. გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა საბჭოთა კავშირის ცალკეულ ადგილებში 6 თვის ვადით 1991 წლის 19 აგვისტოს 04 საათიდან მოსკოვის დროით. საგანგებო მდგომარეობის კონკრეტული რეგიონები მითითებული არ ყოფილა. შეიქმნა სსრკ-ში საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი.**

ეს განცხადებები საქართველოს ხელისუფლებისათვის მოულოდნელი იყო. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა.

მოგმართავთ საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს გაითვალისწინონ შექმნილი ვითარება, ერთიანი შეთანხმებული მოქმედების აუცილებლობა.

მოგიწოდებთ, ყველანი ვიყოთ სამუშაო ადგილზე, შევასრულოთ სამსახურეობრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ დავუშვათ თვითნებური მოქმედება, დავემორჩილოთ საქართველოს ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებებს.

დარწმუნებულნი ვართ, რომ მხოლოდ ამგვარად შევძლებთ ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო სიმშვიდისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

იმედია საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა გამოიჩენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებულობასა და პასუხისმგებლობას" (წიგნიდან ზვიად გამსახურდიადან ზვიად გამსახურდიამდე... გვ. 98).

1991წ. 20 აგვისტო _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა დასავლეთის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი: "საბჭოთა კავშირში შეიქმნა არასტაბილური სიტუაცია, რომლის გაკონტროლება ახლო მომავალში შესაძლოა შეუძლებელი გახდეს.

მოვლენათა ასეთი განვითარება ყოველთვის გარდაუვალია ტოტალიტარულ იმპერიაში, სადაც იწყება დიდი ლიბერალიზაცია. ასეთი მოვლენების პირისპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთის სახელმწიფოთა პრინციპულ პოზიციას, უკომპრომისო შეფასებას ყოველივე იმისა, რაც ხდება, აგრეთვე აქტიურ დიპლომატიურ თუ სხვაგვარ მოქმედებას. დასავლეთი არ უნდა იყოს პასიური მაყურებლის როლში, პოლიტიკური შეფასება მომხდარი გადატრიალებისა ძალზე რთულია, ვინაიდან ჯერჯერობით არ არის ნათელი ნამდვილი გადატრიალებაა ეს, თუ მხოლოდ გარიგება ან შოუ, რომლისგანაც პოლიტიკური დივიდენდების მიღებას მიელტვიან ცალკეული სახელმწიფო ლიდერები.

მთავარზე უმთავრესია, დასავლეთმა მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირში მხოლოდ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, დემოკრატიას, პლურალიზმის დამკვიდრებას.

შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა, რეაქციული ძალების შესაძლო გამარჯვება, საფრთხეს უქადის, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირში შემავალ იმ რესპუბლიკებს, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, და რომელთაც ჰყავთ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი, ისინი უშუალო სამხედრო აგრესიის წინაშე დგანან.

ამიტომ მე მოვუწოდებ დასავლეთის მთავრობებს, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, სასწრაფოდ და გადაუდებლად დე ფაქტო და დე იურე სცნონ ამ რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ მათთან, რათა დაიცვან ჭეშმარიტად დემოკრატიული რეფორმების მონაპოვარი ამ ქვეყნებაში".

(წიგნიდან "ზვიად გამსახურდიადან ზვიად გამსახურდიამდე" _ გვ. 99.)

1991წ. 20 აგვისტო _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ: "საქართველოს რესპუბლიკა ეთანხმება მსოფლიო დემოკრატიულ სახელმწიფოების თვალსაზრისს ისეთი ახალი მოწყობის შესახებ, სადაც მშვიდობიანი თანაარსებობა და ყველა ადამიანის უფლებები დაცული იქნება. ეს იქნება ნამდვილი მსოფლიო, სადაც ქვეყნებსა და ერებს შორის წამოჭრილი უთანხმოებები მოწესრიგდება დიალოგის მეშვეობით და არა ძალისა და მუქარის გამოყენებით..." "...მოსკოვს მივმართავთ, მოგვცეს წინსწრაფვის საშულება, როგორც ეს, კეთილ მეზობლებსა და პარტნიორს შეჰფერის, რათა ჩვენს ხალხებს უკეთესი ცხოვრების საშუალება შევუქმნათ"..!

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 3 სექტ. 1991წ.).

1991წ. 22 აგვისტო _ მოსკოვი პრეზიდენტ **ბ.ელცინს,** რსფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობას, საგანგებო სესიას: **"ვილოცავთ გამარჯვებას... ვიცხადებთ თანაგრძნობას თავისუფლების დამცველთა დაღუპვის გამო. პუტჩის პირველივე დღეს საქართველოში გამოგზავნეს იაზოვის მოადგილე, არმიის გენერალი ჟურავლიოვი, რომელმაც რამდენიმე ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და შეეცადა უხეშად ჩარეულიყო ჩვენი რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. სამხედროებმა კონტროლი დაუწესეს აეროპორტს, ვაგზლებს. ცდილობდნენ განეხორციელებინათ მანევრები.**

საბჭოთა აფხაზეთის ცენტრალურმა ძალებმა და ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" თვითმარქვია ხელისუფლებამ მთლიანად დაუჭირეს მხარი თვითმარქვია საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტს, მას აგრეთვე მხარი დაუჭირა საქართველოს კპ ცკ-მა, რაც გამოცხადებული იყო მათ გაზეთ "ცხოვრებაში"...

...საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას _ პრეზიდენტსა და პარლამენტს ერთი ნაბიჯიც არ გადაუხვევიათ თავიანთი პოზიციებისათვის და არ უცვნიათ საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტი და მთლიანად მხარს უჭერდნენ და უჭერენ მხარს რუსეთის სფსრ პრეზიდენტს ბორის ელცინს და პარლამენტს" (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 23 აგვისტო, 1991წ.).

1991წ. 23 აგვისტოს პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის გააკეთა განცხადება, რომელშიც აღინიშნა, რომ **"საქართველოს რესპუბლიკა მთელ მსოფლიოსთან ერთად უაღრესად გახარებულია მოსკოვის რეაქციული გადატრიალების ჩაშლით"...**

1991წ. 26 აგვისტო _ გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მიმართვა ეროვნული გვარდიისადმი: **"ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად უწყის, რაოდენ დიდი საფრთხე დაემუქრა საქართველოს მიმდინარე წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვში მოწყობილი კომუნისტური პუტჩის გამო. თბილისში საგანგებო მისიით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჟურავლიოვი, რომელმაც პირდაპირ გამოაცხადა, რომ საბჭოთა ჯარის ნაწილებს მიცემული აქვთ ბრძანება საქართველოს ეროვნული გვარდიის განადგურების შესახებ.**

გვარდიის გადარჩენისა და საერთოდ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდა სასწრაფოდ მიგვეღო გადაწყვეტილება ეროვნული გვარდიისათვის სტატუსის დროებითი შეცვლის თაობაზე. ეს გახლდათ ტაქტიკური ნაბიჯი, რომლის წყალობითაც შენარჩუნებული იქნა მშვიდობა და სტაბილურობა საქართველოში.

ამჟამად, როდესაც მდგომარეობა შეიცვალა, ეროვნულ გვარდიას უბრუნდება სამშობლოს დაცვის უმთავრესი ფუნქცია. ამასთანავე უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე საკანონმდებლო აქტით დამტკიცდა თავდაცვის დეპარტამენტის შექმნა, რაც თავისთავად კიდევ უფრო განამტკიცებს ეროვნული გვარდიის მაღალ სტატუსს.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ დაბრუნდეთ ყაზარმებში და კეთილსინდისიერად აღასრულოთ თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე. ღრმად გვწამს თითოეული თქვენგანი გულისხმიერებით მოეკიდება რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს მოწოდებას. ამასთან გაცნობებთ, რომ გარანტირებულია ყველა თქვენთაგანის ხელშეუხებლობა, არავის დაედება დისციპლინარული სასჯელი.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!"

(წიგნიდან "ზვიად გამსახურდიადან ზვიად გამსახურდიამდე" _ გვ. 101).

1991წ. 26 ავისტო _ მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ.

1991წ. 26 აგვისტო _ მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ.

1991წ. 26 აგვისტო მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს კომუნისტური პარტიის შესახებ: **"საბჭოთა კავშირის ა.წ. 19-21 აგვისტოს პუტჩის დღეებში საქართველოს კომპარტიამ მხარი დაუჭირა ე.წ. საგანგებო მდგომარეობის კომიტეტს. გარდა ამისა, მისი არსებობა ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ. აქედან გამომდინარე ვადგენ: შეჩერდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის მოქმედება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე".**

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", აგვისტო, 1991წ.).

1991წ. 26 აგვისტო _ საქართველოს რესპუბლიკამ სცნო ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

1991წ. 27 აგვისტო _ საქართველოს რესპუბლიკამ სცნო ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

1991წ. 27 აგვისტო _ მიღებულ იქნა დადგენილება მოლდოვას რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

1991წ. 27 აგვისტო _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სცნო რუმინეთმა და მოლდოვამ.

1991წ. 27 აგვისტო _ გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია, რომელმაც განსაზღვრა ეროვნული კვოტები მომავალ უმაღლეს საბჭოში _ 28 აფსუა, 26 ქართველი, 11 სხვა ეროვნების წარმომადგენელი, შეიტანა ცვლილება აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში.

1991წ. 31 აგვისტო _ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სცნო აზერბაიჯანის რესპუბლიკამ.

1991წ. 31 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ შედგენილი იქნა წერილი **"პუტჩის კრახი საქართველოში",** იგი გადაიცა საქართველოს ტელევიზიით (გამოქვეუნდა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" **3 სექტემბერს,** რომელიც, ეხებოდა გაზეთ "დრონის" **აგვისტოს** ნომერში გამოქვეყნებულ ცილისწამებას და მასში მხილებული იყო ადგილობრივი კოლაბორაციონისტული წრეების გამცემლური ხასიათი).

1991წ. 2 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაცია.

1991წ. 2 სექტემბერი: იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისში სტუმრად იმყოფებოდნენ მაღალი დონის სტუმრები, ქვეყანაში მობოგინე ცრუ "ეროვნულმა მოძრაობამ", კოლაბორაციულმა სიმრავლემ და სხვა სახის მედროვეებმა ქვეყნის სახელგასატეხად დედაქალაქში შესძლეს მორიგი ავანტიურის პროვოცირება.

1991წ. 9 სექტემბერი _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

1991წ. 10 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ზ.გამსახურდიამ** მიიღო უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი და ესაუბრა მათ. საზღვარგარეთელ ჟურნალისტთა შორის იყვნენ გაზეთ "ვაშინგტონ-პოსტის" კორესპონდენტი **დევიდ რემნიკი,** სი-ენ-ენის გადამღები ჯგუფი **ჯილ დოგერტის** მეთაურობით, სი-ბი-ესის გადამღები ჯგუფი ევროპის ქვეყნებში მთავარი კორესპონდენტის **თომას ფენტონის** ხელმძღვანელობით, იაპონიის გაზეთ "იომიურის" მოსკოველი კორესპონდენტი **კომოტო აკირა** და სხვები.

ძირითადი საკითხები, რომლებიც აინტერესებდა მასობრივი ინფორმაციის საზღვარგარეთის საშუალებათა ყველა წარმომადგენლებს, შეეხებოდა საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას, უწინარეს ყოვლისა, აქციებს, რომელთაც ოპოზიცია აწყობს და ხელმძღვანელობს. თუმცა იგი საზოგადოების მცირე ჯგუფია, და სრულიადაც არ გამოხატავს მთელ ქართველ ხალხს. თავისი ნება ქართველმა ხალხმა გამოავლინა ერთსულოვნად, როცა აირჩია კანონიერი ხელისუფლება, და ყოველდღიურად ამას გამოხატავს პარლამენტის შენობის წინ ამ დღეებში მიმდინარე მიტინგებზე.

კითხვაზე, აპირებს თუ არა პრეზიდენტი მიიღოს მკაცრი ზომები ოპოზიციის მიმართ, **ზ.გამსახურდიამ,** თავის მხრივ, საზღვარგარეთელ კორესპონდენტს დაუსვა კითხვა: რას იზამდნენ მათი სახელმწიფოების მთავრობები იმის საპასუხოდ, თუ შეეცდებოდნენ უკანონოდ ხელთ ეგდოთ შენობები ქალაქის ცენტრში, გადაეკეტათ მოძრაობა, მოეხდინათ ვითარების დესტაბილიზაცია? მაგრამ მაინც, არ ვაპირებთ გავუმართოთ კამათი იმათ, რადგან ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს სულაც არ არის ნამდვილი პოლიტიკური ორგანიზაცია. ეს არის პირთა ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა, რადაც უნდა დაუჯდეს, სახელი გაუტეხოს საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას. ამ ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი პოლიტიკური პლატფორმა, ხელს აძლევთ **ედუარდ შევარდნაძის, იგორ იაკოვლევის** და მათ მსგავსთა ვითომ დემოკრატიული თავგართობები, რომლითაც ისინი ახდენენ მსოფლიო საზოგადოებრიობის დეზორიენტაციას საბოლოო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველოს რეალურ მოვლენათა შეფასებაში.

კითხვაზე, დაიხურა თუ არა ოპოზიციური გამოცემები, პრეზიდენტმა უპასუხა, ამგვარი ფაქტი არ ყოფილა. გამოდის **"დრონი", "საქართველო", "დედამიწა"** და სხვები. საქართველოს ტელევიზია ეკრანს უთმობს ოპოზიციონერებს. **19-21 აგვისტოს** პუტჩისადმი თავისი დამოკიდებულების შესახებ პრეზიდენტმა თქვა, რომ მეორე დღესვე მან მოუწოდა საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელებს მხარი დაუჭირონ რესპუბლიკათა კანონიერ მთავრობებს პუტჩისტთა მიერ ხელისუფლების არაკონსტიტუციურად ხელში ჩაგდების პირობებში.

შეეხო რა გვარდიას, პრეზიდენტმა მილიციის დაქვემდებარებაში მისი გადაცემა შეაფასა ტაქტიკურ ხერხად პუტჩის პირობებში და თქვა, რომ გვარდიის მეტი ნაწილი მხარს უჭერს საქართველოს კანონიერ მთავრობას და მოტყუებულ ყმაწვილთა ის მცირე ნაწილი, რომელიც შავნაბადაზე იყო, თავის ყაზარმებს უბრუნდება.

დასასრულ **ზვიად გამსახურდიამ** კორესპონდენტებს განუცხადა, რომ იგი სთხოვს ამერიკელ კონგრესმენებს. _ ნუ დარჩებიან გარეშე მეთვალყურეთა როლში, გამოგზავნონ თავიანთ წარმომადგენლები, ჟურნალისტები, რათა ზერელედ კი არა, ღრმად ჩასწვდნენ მიმდინარე მოვლენებს, მისცენ მათ პოლიტიკური შეფასება, მხარი დაუჭირონ ქართველ ხალხს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 11 სექტემბერი, 1991წ.).

1991წ. 12 სექტემბერი _ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სცნო არმენთა რესპუბლიკამ.

1991წ. 14 სექტემბერი _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ზ.გამსახურდიამ** საპროტესტო წერილით მიმართა რსფსრ-ის პრეზიდენტს **ბ.ელცინს** რუსეთის საინფორმაციო საშუალების მიერ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე დეზონფორმაციების სისტემატიური გავრცელების გამო: **"...საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებისა და შესაძლებლობების კვალობაზე, გავლენა მოახდინოთ ანტიქართულ ძალებზე,**

რომლებიც ცდილობენ განხეთქილება ჩამოაგდონ ჩვენსა და დემოკრატიულ რუსეთს შორის. სხვათა შორის, რუსეთის დეპუტატთა ჯგუფმა ბრალად დამდო, თითქოს უკორექტოდ დამემოწმებინოს თქვენი ავტორიტეტი, რაც წინასწარ განზრახული სიცრუეა და ხელს უწყობს საქართველოს წინააღმდეგ იმავე საინფორმაციო ომს.

უფრო მეტიც, რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო საქმეთა კომიტეტები და რესპუბლიკათაშორისი ურთიერთობის ქვეკომიტეტი წინადადებას იძლევიან, რომ "ალბათ ურიგო არ იქნებოდა გაგვეაზრებინა საკითხი საქართველოში კონფლიქტის ყველა ზონაში (ესე იგი მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე), საგანგებო წესების რეჟიმის შემოღების შესახებ..." (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 14 სექტემბერი, 1991წ.).

1991წ. 15 სექტემბერი _ საქართველოს რესპუბლიკა უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 2 სექტემბერს ქ.თბილისში მიტინგის დროს მომხდარი ფაქტის შესახებ: ა.წ. 2 სექტემბერს ქალაქ თბილისში, რუსთაველის მოედანზე მოხდა შეტაკება მიტინგის მონაწილეებსა და მილიციის ნაწილს შორის, რომლის შედეგედაც დაშავდნენ როგორც მომიტინგეები, ასევე მილიციის მუშაკები.

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის აღიარებულ პრინციპების მოთხოვნებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ამ ფაქტს მიიჩნევს ქართველი ერის ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად და აქედან გამომდინარე ადგენს: 1. დაიგმოს ა.წ. 2 სექტემბერს ქ.თბილისში, რუსთაველის მოედანზე მიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტი; 2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ამ ფაქტის გამო თბილისის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და აწარმოებს გამოძიებას. 3. მომხდარი ფაქტის გარემოებათა ყოველმხრივ შესწავლისა და სათანადო დასკვნების გამოტანის მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიის, აგრეთვე საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. 4. კომისიამ თავისი დასკვნები წარუდგინოს უზენაეს საბჭოს" (წიგნიდან "ზვიად გამსახურდიადან ზვიად გამსახურდიამდე", თბილისი, "ხმა ერისა", 1995წ. გ.სალუაშვილის რედაქტორობით. გვ. 111).

1991წ. 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზ.გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე ორჯერ გამოვიდა. ნაწყვეტი გამოსვლიდან დილის სხდომაზე: "...ჩვენ გაღიარებთ როგორც საპარლამენტო ოპოზიციას, სხვა ორგანიზაციას ჩვენ არ ვცნობთ და იგი არც არსებობს... ამიტომ, მე ახლა გთხოვთ, ვიპოვოთ ერთმანეთთან საერთო ენა. მე ბევრ თქვენთაგანთან მაკავშირებს წლების მეგობრობა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ახლა დაპირისპირებული მხარეები ვართ, რაც, სხვათა შორის, ძალიან მწყინს და მტანჯავს, გავიხსენოთ ის ყოველივე კეთილი, რაც ყოფილა ჩვენს შორის და რამაც გვაბრძოლა ამდენ ხანს საქართველოს კეთილდღეობისათვის. გავიხსენოთ უმძიმესი წუთები, რომლებიც ერთად გაგვიტარებია, მხარდამხარ ვყოფილვართ ჩვენი ეროვნული მოძრაობის პერიოდში. მოდით ახლაც ვიპოვოთ საერთო ენა. მოგიწოდებთ არა იმიტომ, რომ ვთქვათ, მემუქრება რაიმე საფრთხე მე და ჩემს პოსტს, ან თანამდებობას. მე მგონი დამეთანხმებით, საქართველოა საფრთხის წინაშე, უდიდესი საფრთხის წინაშე, მერწმუნეთ, რომ ის პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც ჩვენი გადასაწყვეტია, ჩვენი და ოპოზიციისა ერთად, თუ ისინი არ მოგვარდა უახლოეს ხანებში, შეიძლება უახლოეს საათებში, ამას მოჰყვეს კატასტროფული შედეგები და რაც ყველაზე მთავარია, მესამე ძალა უკვე აცხადებს პრეტენზიას ამ პრობლემების მოგვარებაში პრიორიტეტისას..." საღამოს სხდომა: "...მე ამდენი ხანია ვისმენ შეფასებას იმ სავალალო მოვლენისას, რომელიც მოხდა 2 სექტემბერს და გაოცებული ვარ ერთი გარემოებით: არავის გახსენებია, არ გამოუთქვამს მოსაზრება, თუ ვის წინააღმდეგ იყო ეს ყოველივე

მიმართული და ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად ამ სავალალო ინციდენტის შემდეგ. ამით ყველაზე მეტად დაზარალდა რესპუბლიკის პრეზიდენტი და მე მგონი, არც თუ ისე ძნელი მისახვედრია, რომ ეს იყო მიმართული, პირველ რიგში, პრეზიდენტის წინააღმდეგ და ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაკვირველია, მთლიანად პარლამენტისაც, ვინაიდან ჩვენ განუყოფელი ნაწილი ვართ. აი, ამის იგნორირება იწვევს შემდეგ ათასგვარი ვერსიების გავრცელებას და ელემენტარული ჭეშმარიტების დავიწყებას. აი, წარმოიდგინეთ, მეგობრებო, დღე, როდესაც ამერიკის კონგრესის დელეგაცია ჩამოდის თბილისში, დრო, როდესაც მე მას ვხვდები და მასთან მაქვს საუბარი, ამ დროს გაისმის გასროლა რუსთაველის პროსპექტზე. რა ჰქონდა მიზნად დასახული ყოველივე ამის ჩამდენს და მომწყობს, გეკითხებით მე: მე მგონი დღესავით ნათელია... მეგობრებო, მზადდება ცნობა ჩვენი ქვეყნისა მრავალი უცხო ქვეყნის მიერ, დელეგაციის ჩამოსვლა მისადაგებული იყო სწორედ ამასთან და აი, ეს უნდა ჩაშლილიყო. ნუთუ ამის მიხვედრა ასე ძნელია, მეგობრებო?...” “...მაქვს კიდევ ფაქტები, რომელსაც აქ ჯერ ვერ გამოვამზეურებ, თავის დროზე ეს გამომზეურდება და გაირკვევა, რომ ეს იყო შეგნებულად მოწყობილი პროვოკაცია ჩემს წინააღმდეგ ორივე მხრიდან, როგორც მილიციის მხრიდან, რომელშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ერთი ცენტრიდან იმართებოდნენ და ერთი ავტორი ჰყავს ყოველივე ამას”... “...დღევანდელი სიტუაცია საქართველოში ძალიან მაგონებს 1918-21 წლების სიტუაციას, ძალიან მაგონებს. მაშინაც მოსკოვს გადახვეწილი მოღალატე ქართველები მართვადნენ ყველაფერს. ისინი ქმნიდნენ აქ თავიანთ დასაყრდენ ჯგუფებს ვითომდაც ამბოხებას, ვითომდაც რევოლუციის, ვითომდაც აჯანყების მიზნით. აწყობდნენ აქ ანალოგიურ პროვოკაციებს, ყოველივე ამით შეუქმნეს ბაზისი ჯარის შემოყვანას და საქართველოს ანექსიას. აი, ამ მეორე ანექსიას ამზადებენ, მეგობრებო, მოსკოვში გადახვეწილი ჩვენი მოღალატე თანამემამულეები და ამაზე გავახილოთ თვალი და ამ ოპოზიციას ავუხილოთ თვალი. ნუ გადაიქცევა მათ სათამაშო თოჯინად და მათ მარიონეტად. აი, ეს მინდოდა მეთქვა მეგობრებო.

დემოკრატიის წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ ვინც არ ეთანხმება იმ აზრს, რომ დემოკრატია არის სწორედ კანონების უზენაესობა და ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების უზენაესობა, ის უკვე დემოკრატიას ურევს ანარქიაში” (წიგნიდან “საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია”, გამომც. “ხმა ერისა”, თბილისი, 1995წ. გვ. 108-109).

1991წ. 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში სსრკ შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ:

“ვინაიდან 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ოკუპაცია და ანექსია განხორციელდა წითელი არმიის, _ შეიარაღებული აგრესიის მთავარი ძალის მეოხებით, რომელიც დღემდე იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ემორჩილება მხოლოდ სსრკ ხელმძღვანელობას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული ნების საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრკ შეიარაღებული ძალები გამოცხადდეს საოკუპაციო შეიარაღებულ ძალად.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირთან საქართველოს ტერიტორიიდან სსრკ შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრკ შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე სსრ კავშირის წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტარიტორიიდან საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყონებლივ გაყვანის შესახებ, რადგანაც მათი ყოფნა და მოქმედება ხელს უშლის მდგომარეობის სტაბილიზაციას ამ რეგიონში".

(წიგნიდან, "ზვიად გამსახურდიადან ზვიად გამსახურდიამდე"., თბილისი, "ხმა ერისა", 1995წ. გ.სალუაშვილის რედაქტორობით. გვ. 112).

1991წ. 15 სექტემბერი _ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემბდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ; ამასთან ერთად, აგრეთვე მიღებული იქნა კანონი სსრკ სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს რესპუბლიკის წილის შესახებ და კანონი საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ; მიღებულ იქნა ასევე დადგენილებები _ ადამიანის უფლებათა დეკლარაციასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ და ჰელსინკის **"ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემაჯამებელ დოკუმენტებთან"** საქართველოს რესპუბლიკის მიერთების შესახებ.

1991წ. 21 სექტემბერი _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა შექმნა ეროვნული უშიშროების საბჭო.

1991წ. 24 სექტემბერი: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით _ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მიმდინარეობდა სამხედრო და სამოქალაქო პუტჩი, ფაქტობრივად შეიქმნა ხუნტა, რომელსაც გააჩნდა სამხედრო ძალა, აქედან გამომდინარე, ქ.თბილისში გააქტიურდნენ დიქტატორული ძალები, რაც გამოიხატა უსანქციო მიტინგების მოწყობაში, კანონიერი ხელისუფლების ძალადობით დამხობის მცდელობასა და ამისკენ მოწოდებებში, ასევე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ბლოკირებასა და სახელმწიფო დაწესებულებათა შენობების დაკავებაში, საბრძოლო იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებზე თავდასხმებსა და სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებაში, სავაჭრო და საკვები ობიექტების ძარცვაში, მოქალაქეთა და მათი მანქანების თვითნებურ დაკავებაში, _ **1991 წლის 25 სექტემბრიდან** ძალაში შევიდა საგანგებო ქცევის წესები.

ამასთან ერთად გამოცხადდა წვევამდელთა საერთო მობილიზაცია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ხოლო ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალათ სამობილიზაციო პუნქტებისა და სახალხო რაზმელების ჩამოყალიბება. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ებრძანა კანონით მინიჭებული უფლების გამოყენება საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენასა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

1991წ. 24 სექტემბერს ბატონმა **ზვიად გამსახურდიამ** გამართა პრესკონფერენცია თბილისში აკრედიტირებული უცხოელი ჟურნალისტებისთვის: **"...დაახასიათა რა ეგრეთწოდებული ოპოზიცია, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საბედნიეროდ ეს არის თბილისის მოსახლეობის უმცირესი ნაწილი, თანამდებობადაკარგული პირები, მათი ოჯახის წევრები, მოტყუებული ახალგაზრდები, კრიმინალური შეიარაღებული გაერთიანების _ "მხედრიონის"[48] წევრები. მათ მოსკოვი აიარაღებს. დალუქული**

---

[48] მიუხედავად იმისა, რომ "მხედრიონში" სამშობლოსათვის გულანთებული არაერთი ახალგაზრდა მოხვდა, მთლიანობაში ამ უაღრესად ეროვნული ცნების ქვეშ ქართველთა სულიერი ერთობისა და სახალხო სახის მნგრეველმა სულწაწყმედამ გაიფესვა.

საინტერესოა, რომ ისეთი თავგამოდებული მუშაკი საბჭოთა უშიშროებისა, როგორიცაა პოლკოვნიკი ა.წოწონავა (იმხანად საქართველოს პარლამენტის წევრი), ისიც კი არ მალავს ამ შემთხვევას: 1993 წლის ოქტომბერს კოდორის ხეობაში, ს.საკენთან იმ საყოველთაო უბედურების დროს, როცა საკუთარი სამკვიდროდან აყრილი და დევნილი უმწეო ხალხი სამშვიდობოს გაღწევას ცდილობდა, პირადად ჯ.იოსელიანის მითითებით ხეობაში დაიწყო დევნილთა უმოწყალო ძარცვა (მე ჩემს წიგნში "დღეები

ვაგონებით მოსდით იარაღები საბჭოეთის დედაქალაქიდან. ეს ხომ ნაცნობი ხელწერაა _ ჯერ ყველა ხერხის გამოყენება სისხლისღვრის პროვოცირებისათვის, შემდეგ კი ჯარის შემოყვანა? ამაში პირდაპირ ურევია ედუარდ შევარდნაძის ხელი და პუტჩისტები მისი ინსტრუქციებით მოქმედებენ...” კითხვაზე, მართალია თუ არა ცნობა, რომ თბილისში ცხადდება საგანგებო წესები, პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ეს სწორია. **“კერძოდ, 25 სექტემბრიდან მართლაც იქნება შემოღებული საგანგებო წესები. მაგრამ ეს არ იქნება ჩვენში მწარედ მოსაგონი საბჭოური კომენდანტის საათი. ეს იქნება გაძლიერებული კონტროლი იმათ მიმართ, ვინც კანონს არღვევს და დანაშაულს სჩადის. ძირითადად ეს შეიარაღებულ უკანონო ფორმირებებს შეეხება...” “...ჩვენ არაერთგზის მივმართეთ ამ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა ხელმძღვანელობას, ვაძლევთ გარანტიას, რომ ხელშეუხებელი იქნებიან, მივმართეთ უცხოელ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებსაც და განვაცხადეთ, რომ თუ, ღმერთმა დაგვიფაროს, ძმათა სისხლი დაიღვრება, ამისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ამ ფორმირებებმა უნდა იკისრონ”.**

(გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა.” 26 სექტემბერი, 1991წ.).

1991წ. 29 სექტემბერი _ ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

მიუხედავად აფხაზეთის პარტოკრატიის კოლაბორაციული ორპირობისა და ეროვნულ მოძრაობაში მისგან მართვადი ნაწილის წინგაუხედაობისა, საერთო ჯამში, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ქმედუნარიანობის შემთხვევაში, ეს არჩევნები მაინც წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

ის, რომ ამ არჩევნებში გაიმარჯვა არა ქართულმა სახალხოობამ, არამედ აფხაზეთის “ქართულმა” პარტოკრატიამ, ეს უნდა მიეწეროს აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს **(გ.ლომინაძე, ა.ლომინაშვილი)**, აფხაზეთის პარტნომენკლატურული “დირექტორადისა” და, რაც მთავარია, **ნ.მგალობლიშვილის** გარშემო შეკოწიწებული ვითომ მრგვალი მაგიდის გამცემლურ და ორპირულ საქმიანობას.

1991წ. 30 სექტემბერი _ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებაში **“საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციების მონაწილეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ან განთავისუფლების შესახებ”,** ნათქვამია, რომ ყველა ის პირი, რომელმაც **აგვისტო-სექტემბერში** ორგანიზაცია გაუკეთა დესტაბილიზაციას ქ.თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, გათავისუფლება პასუხისმგებლობისგან თუ ისინი **3 ოქტომბერს** 12 საათზე ნებაყოფილებით ჩააბარებენ იარაღს სპორტის სასახლეში საამისოდ მოწყობილ საგანგებო პუნქტში.

1991წ. 30 სექტემბერი _ გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პირდაპირი ტელე და რადიოგანცხადება (იგი მეორე დღეს დაიბეჭდა საქართველოს რესპუბლიკის სახელისუფლებო გაზეთებში): **“რამდენიმე საათის წინ პუტჩისტებმა ბომბი ააფეთქეს ტელევიზიის შენობასთან, რომელიც მათ მიერ უკანონოდაა დაკავებული.**

ცხედართა უხმო კივილისა” შეძლებისდაგვარად ვცადე აღმეწერა ეს უბედურება. თბ. 1997. მასში უამრავი მაგალითი მაქვს გამოქვეყნებული ადგილობრივი მოსახლეობის გულისხმიერების შესახებ, მაგრამ დასამალი არაა, იყვნენ გარეწრებიც).

იმას მოგახსენებდით, რომ ბატონი ა.წოწონავა თავად შეესწრო ამ ამბავს: ვიღაც საკენელს ცხენით ყველი მოჰქონდა მთის საზაფხულო საძოვრიდან. ლტოლვილმა კაცმა მანქანა გააჩერა და სთხოვა, ხუთი ყველი მომყიდეო.

ყველის პატრონმა კუპონი არ მინდაო. ლტოლვილმა უთხრა, აი, ამ ახალთახალ მანქანას მოგცემო.

ყველის პატრონი ჩაფიქრდა, ხუთი რა ამბავია, ორ ცალს მოგცემო. ლტოლვილი შებრუნდა, მანქანიდან ცოლ-შვილი გადმოიყვანა, საკმაოდ შორს მოსთხოვა დადგომა, შემდეგ გადმოასხა ვედროში ბენზინი, შეასხა მანქანას, კლდისკენ დააგორა და ცეცხლი წაუკიდა. პოლკოვნიკ ა.წოწონავას სამართლიანი აღიარებით ადამიანებს ასეთი დაუნდობლობა სწორედ ე.წ. “მხედრიონის” თარეშის გამო მოეხვიათ თავს. ამ სახადს შემდგომში უმძიმესი შედეგები გამოჰყვა თვით ხეობის შიდაურთიერთობასა და ყოფით ყოველდღიურობაში, რომ არაფერი ვთქვათ ქვეყნის პოლიტიკურ პარტახზე.

სამწუხაროდ, არიან დაზარალებულნი როგორც ტელევიზიის შენობასთან, აგრეთვე მახლობელ შენობებთან.

ამასთან ცირკის შენობიდან მათ ზარბაზანი ესროლეს კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ყოფილი აგრომრეწვის)შენობას, დაზიანდა ორი ოთახი, ნაპოვნია ჭურვის ნამსხვრევები.

ეს შემთხვევა მოწმობს, რომ ოპოზიციური ძალები, რომლებიც გაუწვრთნელი არიან სამხედრო თვალსაზრისით, კიდევ უფრო საშიში ხდებიან არამარტო საკუთარი თავისთვის, არამედ თბილისის უდანაშაულო მოსახლეობისთვისაც.

ეს სამწუხარო შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბოლო უნდა მოეღოს საშიშ დაპირისპირებას, ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს კონფრონტაცია.

ჩვენ არ დავსჯით დამნაშავეებს, თუ ისინი მშვიდობიანად დაიშლებიან, იარაღს ჩააბარებენ და სახლებს მიაშურებენ, ჩვენ მათ ხელშეუხებლობას ვპირდებით და ვთხოვთ, იცხოვრონ როგორც ქართველებმა და პატიოსანმა მოქალაქეებმა.

მათი დაშლისთანავე მთავრობა შეწყვეტს საგანგებო მდგომარეობას და ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ჩვენი ხალხი დაუბრუნდეს მშვიდობიან ცხოვრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას" (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1 ოქტომბერი, 1991წ.).

.....

.....

დაკარგული მასალა არ აღვადგინე, რადგან ჩავთვალე, რომ ზ.გამსახურდიას 1991-93 წლების პოლიტიკური მოღვაწეობის ამსახველი მასალები ბატონ გ.სალუაშვილის რედაქტორობით გამოიცა ჯერ კიდევ 1995-1996 წლებში. ჩემთვის საპატიო გახლავთ ის, რომ ამ მრავალწიგნეულის სარედაქციო კოლეგიაში ვიყავი პასუხისმგებელი მდივანი. ამ დროის პოლიტიკური მემკვიდრეობა აგრეთვე ღრმად და თანმიმდევრულადაა ასახული პროფესორების ჯ.გამახარიას, დ.ჯოჯუასა და სხვა მკვლევართა ნაშრომებში, რომლებიც "კოლხური კოშკის" მსოფლმხედველობიდან ხედავენ ამ მოვლენებს. რაც შეეხება 1993 წლის შემდგომ მოვლენებს, მე, როცა მათზე ვწერდი, მათ იმ დროის ცრემლის კურცხლითა და გულს ამოყოლილ სისხლსა და ოფლში ვზელდი და ამგვარად ვაქაღალდებდი. ის იმ ფურცლებთან ერთად დაიკარგა, მათი აღდგენა შეუძლებელია!..

* * *

საოცრად წინგაუხედავად და უგუნურად გაისარჯა მაშინ ქართველთა ე.წ. ზეპური საზოგადოებაც:

ბედი გაშოროთ

გადამფრენი ფრინველის

ბატონო <u>მიხეილ</u> (<u>ქვლივიძეს</u>), ეს მართლა ხარისტოლა ტკივილია: *"ასეთი ბედი ღმერთმა გაშოროს აბა, გასძელი თუ ხარ ყოჩაღი, როცა ოჯახში არა გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი"*

თქვენი ეს თავზარი წრფელი მეგონა, ხოლო მამაკაცური კურცხალი _ აუმღვრეველი.

არა დედათქვენის ნათელს ამას მთლად ასე ნუ გავუმხელთ. აღსარება ჩუმად უნდა ითქვას და კაცურ სისუსტეს უნდა მიეწეროს რადგან: *"შერე წავიდა... და საყვედური მწუხარებისთვის თუ მითხრა ნეტა?... ის იყო რაღაც მართლა დედური. მარადქალური ქართველი დედა".*

ცოდვაა დედა!

აი, ამ ქართულ მარადქალურ მარადისობასაა, რომ გვიწიხლავს ის, ვინც შეგიკვეთათ, წაგახალისათ "თქვენს არქივში მოგეძიათ ლაფისსროლა" ზვიად გამსახურდიაზე, (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1992წ. ნოემბერი).

დედისთვის, როცა წაგაყრუებინებენ და კოლექტიურ _ სახაზინო ჭკუისსწავლებას რომ შეეწყობი. მაშინ *"დაგარიგებდა ჭკუას ყველანი: გეყო, რაც უქმად ხარჯე მელანი. _ სიტყვა თქვა დროის შესაფერისი!"* თქვენ ახლაც დროის შესაფერისად გაისარჯეთ. ეგ იმიტომ, ბატონო მიხეილ, რომ *"მოსკოვში ვარ და თავი მგონია ქობულეთში ან მახინჯაურში",* და რადგან *"მას შემდეგ მიწაც ბრუნავს სხვაგვარად _ ლენინის თითის მიმართულებით!"* რასაკვირველია, თქვენთვის, ყოველშემთხვევაში თქვენი დამკვეთისათვის, მიუღებელია ქართულენოვანი და ქართულსახოვანი სახელმწიფოებრიობა.

ზვიადსაც ჩვენზე არანაკლებ მარადქართველი დედა ჰყავდა, მამაც და მერე როგორი... თქვენ მარადქართული, მარადდედური ალერსით გაზრდილ შვილს, არ გეკადრებათ "დანოსჩიკის" დადარაჯება, გამეცადინება და ამის ქველობად, ან ერისკაცობად გასაღება.

ამ საგაზეთო მასალას რომ გადავხედე, მივხვდი, როგორც ამბობთ. თქვენი უსამშობლობის მიზეზს _ დერჟავას ქედზე ამხედრებული, კრემლის კურანტებთან გულისძგერა შეწყობილი, ამაყად, დიდი ერების მთავარ პროსპექტებს ბედდანდობილი საქართველოზე შურს იძიებთ მამულში ქუსლით ეკალზე დაბიჯებისათვის. ეს იმიტომ, რომ იგი თქვენთვის *"უსიხარულო, ღარიბი ბავშვობაა"* და არა მშობლიური მიწის ფხიზელი მოფერება: *"არა ვარ ერთი ქალაქის მკვიდრი. _ ამქვეყნად ყველა ქალაქში ვცხოვრობ. ჩემი სახლია სამყარო დიდი და არა ერთი პატარა სორო!"* რას იზამ, საქართველო "დიდი სამშობლოს" შვილისთვისაც თითქმის ეს იყო, ხოლო ილიასათვის _ მამული! რაც შეეხება იმას, რომ: *"იცი პატარა თამარ, იცი პატარა ნატო, თქვენი ქართველი მამა თბილისში ცხოვრობს მარტო"...* ეს უფრო სიდედრის ჯიჯღინთან ვერ შეწყობილი, მოსკოვში ჩასიძებული, კაცის ტრაგედიაა და მისგან თავის დასაღწევად დროებით თბილისში, ე.ი. სოროში თავშეფარება, როგორც კი სიდედრი, პენსიონერ მოსკოვურ სათავშესაფარო ბინაზე გადავა, წესით ამ ბინას უბრუნდებიან ზედსიძეები.

ასეთი კერაგაუღვივებელი ოთახების მემკვიდრეს, მიუხედავად თქვენი მცდელობისა, ქართული არ ეცოდინება, ვინაიდან, თქვენი ერთი ლექსის არ იყოს, მსოფლიოს ყველა ქალაქის ერთდროულ მოქალაქეობაზე მეოცნებეთა ნებართვით დღეს საქართველოში: *"ზღვა დამშრალია, ჰაერი ბოლავს, მიწა ზანზარებს და იღუნება, უთანასწორო მოვიგეთ ომი, ბრძოლის ველიდან გარბის ბუნება"...*

დიახ, თქვენ მათთან, _ ვინც ეს ომი დაგვატეხა, ერის ნება-გამოხატულებაზე განსაქიქებელ საგაზეთო მასალას ამზადებთ, ე.ი. თანამშრომლობთ, "სტუკაჩობსო" _ იტყვიან ამაზე მოსკოვში.

მახსოვს საქართველოში საბოლოოდ დაბრუნებისას, (ვითომ?) _ ამჯერად ქართული ოჯახის შემქმნელმა რომ დაუწერეთ თქვენს ძეს _ გიორგის: *"ღმერთო, იმდენ ხანს მაცოცხლე, მოვასწრო დაგაფრთიანო"!*

ამინ!

ოღონდ გადამფრენი ფრინველის ბედი ეშოროს მას, წიწამურის ველზე კუპრივით ღამეს არშეპუებული მამალი ხოხბის მძლავრი ფრთები დაანათლოს ღმერთმა ქართული კამარის შესაკრავად.

ეს მაშინაა შესაძლებელი, თუ კი გადამწვარი "კოლხური კოშკის" ქონგურებთან ქართული სულის უხმო კივილს არ დაუგმანავთ ყურთასმენას.

სერგი საჯაია, (გაზ. "აღდგომა" 1993წ. 26 იანვარი).

≈*≈

15 დასკვნითი საფიხვნო, ანუ საგაკვეთილო რაგადობა

“ცოდვა ჩემი გაუწყე შენ და უსჯულოება ჩემი არა დავფარე შენგან, ვთქუ, აუარო ბრალი ჩემი უფალსა და შენ მომიტევე მე უღმერთოება გულისა ჩემისა...”

ფსალმუნი 5, 31,

“და აერინეს წარმართთა და ისწავლნეს საქმენი მათნი; და ჰმონეს კერპთა მათთა, და ექმნა მათ იგი საცდურ; და დაუკლნეს ძენი მათნი და ასული მათნი ეშმაკთა; და დასთხიეს სისხლი უბრალოი, სისხლი ძეთა და ასულთა მათთაი, რომელ-იგი უზორეს კერპსა მას ქანაანისა, დაკლვით მოისრა ქვეყანაი სისხლითა, და შეიგინა საქმეთა მათითა, რამეთუ ისიძვიდეს იგინი საქმეთა შინა მათთა. და განრისხნა გულის წყრომით უფალი ერსა თვისსა ზედა და მოიძაგა სამკვიდრებელი თვისი.”

ფსალმუნი 15,105.

“ყოველსა, რომელსაც სძულდეს ძმა თვისი, იგი კაცის მკვლელი არს”...

I იოანე _ 3,15

1988-92 და შემდგომი წლები (ვიდრე დღემდე) საქართველოს უახლოეს ისტორიაში გამოირჩევა საბედნიერო წამგაელვებითაც და, უფრო კი საბედისწეროდ გაწელილი მრუმეებით, სათავზარო ქურსუმებითა და სახელმწიფოებრიობისკენ გახნულებული სვრელის მყისიერი გახრამებით, ქვეყნის ხავერდოვანი ოკუპაციით, შთაგონებული გადაგვარებით, უღმერთობაში ნებივრობით, შეუგინებლობათა გაუპატიურებისა თუ, ღირებულებათა აღგვის მცდელობებით, უვიცობისკენ რბოლითა და სხვა სახის ხელცდუნებებში თავდადგენით.

დიახ, იყო საბედნიერო წამგაელვებებიც _ ეროვნული სულის ერთბაშა აღორძინებაცა და ქრისტესმხედრული თუ სახელმწიფოებრივი კვლავაღდგომაც, თითქოს განიშანსვეტდა სრულიად საქართველოს გაერთსხეულება და სულის მოთხოვნილებად გვექცა საყოველთაო მიბრუნება უფლისკენ, საკუთარი ვინაობის ქართველად გასიგრძეგანებაც და ა.შ.

ამის მიუხედავად, საზურგე მახვილი აღტაცებულად შემოვიქნიეთ, შედეგად ქვეყანა დაინგრა, ერი გათითოკაცდა, ზნეობა გაუკუღმართდა.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევათა შედეგიდან ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მხოლოდ გახუნებული აბრაღა შემორჩა. ქვეყანა კვლავაც გაცილებით ცბიერი მტრის მიერაა ოკუპირებული და გადანაწილებულია უკლებლივ ყველა მეზობელი სახელმწიფოს მიერ, ზოგში მეტად, ზოგში ნაკლებად, მაგრამ ქართული მიწა ყველას მიერაა მითვისებული.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სკკპ ცკ-ის მიერ საქართველოს შესახებ **1972 წლის** განმავლობაში მიღებული პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ პროპაგანდისტული გადაწყვეტილებები და ამის შესაბამისად გაკეთებული საორგანიზაციო დასკვნები თუ გატარებული საკადრო პოლიტიკა, ამასთან ერთად ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული მორალური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი ტერორი,

თანმიმდევრული დევნა, დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა მთელი სისტემა, რომლითაც უნდა მიღწეულიყო ქართველი ერის უეჭველი დენაციონალიზაცია, გახლათ ის წინგახედული საკრემლო თადარიგი, რომლითაც საქართველოს, როგორც პონტო-კავკასიის ცნობიერების შესაძლო აღორძინების განმაპირობებელს, ერთხელ და სამუდამოდ გადაშენებას უმზადებდა აგრესიული გლობალიზმის საეთნოფაბრიკაციო ინდუსტრიის საბჭოთა კავშირისეული დაზგა.

სწორედ ამ თვისებებისა და უნარის გამო შეირჩა იმხანად **ე.შევარდნაძე** საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელად, თუმცა კრემლმა ვერ გათვალა, რომ **ე.შევარდნაძე** თავისი უვინაო ბუნების გამო კრემლსაც სარფიანად გაწირავდა შესაფერის დროს (ან იქნებ კარგადაც გაითვალისწინეს ეს ყველაფერი კრემლში მოკალათებულმა დიდმპყრობლურმა ძალებმა, ოღონდ არა დერჟავნიკულ-რუსისტული ტაქტიკის გარშემო დარაზმულებმა, არამედ, აგრესიულ-ტექნოკრატიული გლობალიზმის სამოსკოვო კონტინგენტმა).

როდესაც საუბარია **1987-92 წლების** საბედნიერო გამონათებებზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მათგან უმთავრესი,

1. **1990წ. 28 ოქტომბერი** _ ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა მრავალპარტიული არჩევნების გზით;

2. საბჭოთა საოკუპაციო სინამდვილიდან არასასურველი, მაგრამ მაინც მემკვიდრეობად მიღებული სახელმწიფო ძრავიდან წინგაუხედავად მყისიერი თავდაღწევის მონდომება კი არა, რასაც, როგორც ყველა სახიფათო დამუხრუჭებას, უსათუოდ მოჰყვებოდა ნგრევათა უკიდეგანობა მისთვის დამახასიათებელი ყველა მიმართულებითი საყოველთაო პარტახით, არამედ 1990 წლის 14 ნოემბრიდან _ ეროვნულ-სახალხო უზენაესი საბჭოს პირველსავე სესიიდან გარდამავალი პერიოდის რეგლამენტის განსაზღვრა (ანუ დროის ათვლა საოკუპაციო სინამდვილიდან ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობამდე), კონსტიტუციური რეფორმის დაწყება (გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონის დაზუსტება) და ქვეყნის განვითარების შეყენება ეროვნულ-სახალხო ლიანდაგზე;

3. **1991 წლის 31 მარტი;** საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის გზით საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის, მათ შორის ოსებისა და აფსუების საგრძნობი ნაწილის მიერ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მხარდაჭერა.

4. **1991 წლის 9 აპრილი.** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება;

5. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ექსტრემისტულ-ოკუპანტური ძალების პოლიტიკური დემარშების სამართლებრივი აღაგმვა;

6. რსფსრ-ის პრეზიდენტის **ბ.ელცინის** მიერ **1991 წლის 23 მარტს** დაბა ყაზბეგში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღიარება საქართველოს ისტორიული მხარის ანექსიის ერთერთ ფორმად და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მისი ამ სახით არსებობის მიზანშეუწონლობის დადასტურება (პირველი, რაც **ე.შევარდნაძემ 1992 წელს** მოიმოქმედა სწორედ ამის გადასინჯვა და გაბათილება გახლდათ);

7. აფხაზეც-სეპარატისტთა პოლიტიკური დემარშების მოქცევა სამართლებრივ სიბრტყეში და მათი სამართლებრივ-პოლიტიკური დარეგულირება;

8. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენამდე ამ აქტის მიზნებისა და მისი საკავკასიო მნიშვნელობის შესახებ მიმართვა კავკასიის ქვეყნებისა და ხალხებისადმი, რომელშიც მოინიშნა კეთილმეზობლურ-სახლიკაცური ლასკარისა და საკავკასიო თანამოღვაწეობის ურთიერთმისაღები გზები.

ზ.გამსახურდიას მსოფლმხედველობრივმა სვლაგეზმა აღორძინებული ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე გაამკაფიოა უმთავრესი სახალხო-ეროვნული

მიმართულება _ საქართველო არ დარჩებოდა არც კრემლის ყმადნაფიცად და არც ტექნოკრატიული დასავლეთის საეთნოფაბრიკაციო ნედლეულად.

მას სულ სხვა, საკუთარი იბერიულ-კავკასიური სვლაგეზი ჰქონდა: პონტო-კავკასიის სახელმწიფოების, ქვეყნებისა და ხალხების სახლიკაცური ერთობის ანტიიმპერიული ძალისხმევით რეგიონში საკუთარხმიერებითა და სახლიკაცური წესრიგით აღორძინება.

აგრესიულმა გლობალიზმმა სწორედ ეს არ დაუშვა. მან ეროვნულ-სახალხო და პონტო-კავკასიის სახლიკაცური ძალისხმევა არ აპატია **ზ.გამსახურდიას.**

იმ ვითარებაში, როცა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა აღმავლობას განიცდიდა **(80-ანი წლები)** კრემლიდან კულტივირებული იყო აზრი იმის შესახებ, თითქოს თუ **ე.შევარდნაძე** გახდებოდა საქართველოს პრეზიდენტი, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ხელისგულზე მოიკალათებდა.

ახლა არ მახსოვს თარიღი, მაგრამ ეს აზრი ქართულ გაზეთებში პირველად გაახმოვანა **თ.მირიანაშვილმა** (შემდგომში **ე.შევარდნაძის** მრჩეველმა) და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტმა **ზ.ჩანჩიბაძემ** (გაზ. "აფხაზეთის ხმა", **3 ოქტომბერი, 1991წ. შემოდგომა**). მათი აზრით **ე.შევარდნაძე** თავისი "ავტორიტეტით" უკვე ნიშნავდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

მართალია, ავტორი თავის წერილში "წინააღმდეგი" გახლდათ **ზ.გამსახურდიას** გადადგომის, ერთგვარი სითბოთი საუბრობდა **კ.გამსახურდიას** ღვაწლზეც, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, ამის მიუხედავად ეს იყო საზოგადოებრივი აზრის შემზადება **ე.შევარდნაძის** ყოვლისშემძლეობაზე: **"...მკითხველის ნებართვით, ორიოდე სიტყვით ბატონ ედუარდ შევარდნაძის პიროვნებას მინდა შევეხო. იგი მსოფლიო მასშტაბებით აღიარებული პოლიტიკოსია. ამ ბოლო დროს მასთან მიმართებაშიც მოგვდის შეცდომა, რამეთუ ადამიანის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ამა თუ იმ პიროვნების გადაჭარბებული ქება ან გაუთავებელი გინება ხშირად საპირისპირო რეაქციას იწვევს ხოლმე. გაიგო ქართველმა ხალხმა, რომ ედუარდ შევარდნაძე ჩაიჭრა გამოცდაზე ასტრონომიაში (მზის ამოსვლის თაობაზე), ანტიეროვნული პოზიცია დაიკავა ქართული ენის სტატუსის საკითხში, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა ახალგაზრდები სიცოცხლეს რომ გამოასალმა და სხვა, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის წვლილი უდიდესია მსოფლიო კომუნისტური სისტემის ნგრევის საქმეში. იგი სწორედ ამ მხრივ შევა ისტორიაში, როგორც უაღრესად პროგრესული მოღვაწე რეიგანის, ელცინის, გორბაჩოვის, იაკოვლევის და სხვათა გვერდით. თუ ვერ შევძელით ე.შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტის გამოყენება დამოუკიდებელი საქართველოს აღიარების პროცესში, უფრო კონკრეტული და არგუმენტირებული უნდა ვიყოთ მისი კრიტიკის საკითხში" (გაზ. "აფხაზეთის ხმა", 3 ოქტომბერი, 1991წ.).**

ასეთ დროს, მე არ მაინტერესებს თუ რა ღირსებით შევა **ე.შევარდნაძე** მსოფლიოს ისტორიაში, მაგრამ მკაფიოდ ვიცი, რომ ის საქართველოს ისტორიაში გახლავთ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპანტი, რომელმაც შეამზადა ეს ქვეყანა რუსიზმისა და აგრესიული გლობალიზმის (ამერიკანიზმის) საოკუპაციო ზონებად.

იმ შემთხვევაში თუ **ე.შევარდნაძის** გაპირველკაცება გაჭირდებოდა, კრემლს თადარიგში დამზღვევად ჰყავდა მიზნობრივად გადემოკრატებული **მ.მამარდაშვილი,** იგი გახლდათ მისი პოლიტიკური დუბლიორი.

ასეა თუ ისე, შედეგი არის სახეზე. **ე.შევარდნაძემ,** დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ორგანიზებასა და ქვეყნის დენაციონალიზაციის წარმართვაში, როგორც ტოლუპოვარმა სტრატეგმა, ბრწყინვალედ გაართვა თავი ამ მოვალეობას არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში **(1972-1985 და 1985-1992 წლები),** არამედ აგრესიული გლობალიზმის მიერ საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და ქვეყნის შენიღბული დაქუცმაცება _ გასხვისების ახლებურ საოკუპაციო რეგლამენტშიც

_ **1992-2003 წლებშიც.** უფრო მეტიც, მან ისე შენიღბულად განამტკიცა საოკუპაციო რეჟიმი და მასში იმგვარი მოხერხებულობით ჩაანაცვლა ცნობიერ საჭურისთა უკიდურესად ხელგამოღებული ანტიქართული სიმრავლე, რომ ამ ჩვეულებრივ საოკუპაციო როტაციას მიზნობრივად დეზორიენტირებული ქართველი ერის, უფრო სწორედ _ უკვე ე.წ. მასად გადაქცეული სიმრავლის თვალში "სახალხო რევოლუცია", "**ე.შევარდნაძის** დამხობა" და "ნაციონალური აღმშენებლობა" დაერქვა.

ამრიგად, **1991** და მომდევნო წლებში საქართველოში აგრესიული გლობალიზმის შემოძღოლის სვლაგეზი ასეთ სასადგურო გაწერად გაფირნიშდა: 1. **1991 წლის შემოდგომა** _ "დემოკრატიული" ქაოსი და არეულობათა თავაწყვეტები; 2. **1991-92 წლების დეკემბერ-იანვარ-თებერვალი:** რუსული ველიკოდერჟავული ამბიციების გააქტიურებით ეროვნული ხელისუფლების დამხობა, ქვეყნის ოკუპაცია და საოკუპაციო რეჟიმის შესანიღბად პუტჩისტების მოყვანა ხელისუფლების სათავეში; 3. მიზნობრივად თავსმოხვეული განუკითხაობით საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ პუტჩისტური ხროვა არ გამოდგება, ქვეყანას მხოლოდ **ე.შევარდნაძის** ავტორიტეტი თუ უშველის და მისი მოწვევა ხელისუფლების მეთაურად _ **1992 წლის მარტი-ოქტომბერი;** 4. **1992 წლის ოქტომბერში** "არჩევნების" ჩასატარებლად ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ვითომცდა ოსურ-ქართული და აფხაზეცურ-ქართული საომარი მოქმედებებისა და სამეგრელოში არარსებული სამოქალაქო ომის პროვოცირებით რუსული საოკუპციო ექსპედიციების შენიღბვა; 5. **ოქტომბრის** "არჩევნებით" პარტოკრატიის ნომენკლატურათა სრული აღდგენა საქართველოს სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში, მათი ძალებით ჯერ ქვეყნის შეთრევა დსთ-ს სივრცეში, ხოლო შემდგომში პოლიტიკური სივრცის გადაცოცხვა დასავლეთის აგრესორ-ტექნოკრატთა შემოსაძღოლად; 6. **1995 წლის 5 ნოემბერი** _ ქვეყანაში აშკარა ამერიკანიზმის დეკლარირება; 7. **1999 წელი** _ საქართველოს გაწმენდა პროეროვნული ძალებისაგან და "ამერიკული დემოკრატიის" ლოზუნგების ქვეშ აგრესიული გლობალიზმის ნამესტნიკთა მმართველობაში მოყვანა. 8. **2003 წელი:** ქვეყნის საბოლო გადანაწილება რუსეთისა და ამერიკის სათარეშო ზონებად და ხელისუფლების ღიად გადაბარება პირწმინდად საამერიკო ნომენკლატურისა და ნამესტნიკური ადმინისტრაციისათვის.

აქ უნდა აღინიშნოს ყველაზე მთავარი, **ე.შევარდნაძემ 1992-2003 წლებში** აგრესიულ გლობალიზმსა და იმპერიულ რუსეთს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ისეთი სამართლებრივი ბაზის შექმნით, რომელმაც გავლენის სფეროებად გადაანაწილა ჩვენი ქვეყანა და საქართველო იურიდიულად არათუ გაუპიროვნა, დაუსაკუთრა კიდეც რუსეთს, ამერიკასა და უკლებლივ ყველა ჩვენს მოსაზღვრე სახელმწიფოს.

ყოველივე ამან კაბალური პირობები შეუქმნა საქართველოს, გააპარტახა ქართველი ერი და ქვეყანა ჩაუგდო უცხო ქვეყნის პლუტოკრატიას.

იმ ვითარებაში, როცა საოკუპაციო ნამესტნიკური ინსტიტუტების მიერ ქვეყანაში მიზნობრივი თანმიმდევრულობით დაინგრა სახალხო განათლება, გაძევდა და გაირეკა მისი წარმმართავი სისტემა, კერძოდ, _ ეროვნული აკადემია, თითქმის გაუქმდა საქართველოს ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და განითესა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართულ დარგობრივ სამეცნიერო სკოლათა კადრები, როცა განათლება, კულტურა და საინფორმაციო ბერკეტები, თანახმად საეთნოდივერსიო თუ საეთნოფაბრიკაციო პროგრამებისა, აღმოჩნდა ქვეყნის სათავეში დესანტირებული ეთნოდივერსანტული ელიტის ხელში, ცხადია, ჯერ კიდევ გადარჩენილი და გადაუშენებელი ეროვნული ცნობიერების თვალსაწიერში უნდა გაისაგნოს მაინც ის, თითქოსდა უხილავი ბოროტება, ერთი შეხედვით უვინაო დამპყრობი, რომელიც ეროვნული ფიქრის აკრძალვებით გვემემკვიდრება.

ეს რომ უხილავი საფრთხის შიში არ გახლავთ და რომ იგი ცხადად ჩანს, უფრო მეტიც, ჩვენს ჭერქვეშ განსაკუთრებული ყოვლისაღმგველობით დათარეშობს კიდეც, ამას ადასტურებს ე.წ. თანამედროვე მხატვრული ლიტერატურაც, უფრო სწორად აგრესიული ხმაბოდვა, რომელიც ენკევედური ხერხებით გარშემოეწყო ეროვნულ შინაარსს: **"სანამ შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონს არ დავივიწყებთ, მანამდე არაფერი გვეშველება, თანამედროვე არტში ვერ შევალთ".**

როდესაც სიმრავლე ჯოგური ფეხაწყობით ცდილობს ქრისტესმხედრულ ლასკარს აუაროს გვერდი და სადღაც არტში დაიმკვიდროს თავი, მისთვის **"...სიტყვა "სამშობლო" გაცილებით უზრდელად ჟღერს, ვიდრე სიტყვა "ტრაკი"....**

მე აგრესიული ლიტერატურიდან საგანგებოდ ვიმოწმებ ახალგაზრდას **(ჯ.შამუგიას),** რომელიც წესით, მისი ოდაბადის _ ჩრდილო დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სადეოკუპაციო ძალისხმევაში უნდა ჩამენაცვლოს მე, მაგრამ იგი ამას ვერ გააკეთებს, რადგან ქრისტესმხედრად კი არ ჩამოყალიბდა, არამედ ხელნაცდურად, რომლისთვისაც სამშობლოსთანაც და ტრაკთანაც მიმდგომლობა "რა მოხდა მერეა".

ასეთია შედეგი, როდესაც შოთას, ილიას, იაკობს და ა.შ. არ იგაკვეთილებ, როცა გულწრფელად გჯერა, რომ **"პოეზიას ორი მსგავსი მოწინააღმდეგე ჰყავს: რელიგია და თვითონ პოეზია"** (დამოწმებულია გაზეთიდან "ქრონიკა, 2011წ, 7 მარტი). ამას ყველაფერს იმიტომ გითვალსაჩინოებთ, რომ ეს გახლავთ შედეგი 1991 წლის დეკემბრის მიწურულს ეროვნული ხელისუფლებისთვის დახლილი ტყვიის!

დიახ, ახლა ჩაგვეწყვილა და შემდგომ ჩაგვენაცვლება თაობის აგრესიული სიმრავლე, რომლისთვისაც სამშობლო და უკანალი ტოლფარდი ღირებულებაა.

უხსენებელივით ვერიდები და მაინც, როგორც ჟამთაბერის გაფრთხილებისადმი წაყრუების შედეგი, ქართველთა ყურთასმენას კიდევ ერთხელ უნდა ავუთერგღიალო 30 ვერცხლზე ხელმომწერ **თენგიზ სიგუას** ხმაბოდვითი ათარეშება: **"ცრუობს პრეზიდენტი, როდესაც ის აცხადებს, რომ თუ ის გადადგება, დაიკარგება აფხაზეთი და სამაჩაბლო" (გაზ. "განათლება", 1991წ. 25 ოქტომბერი).**

დრომ სხვა სიცხადე მოგვახვია თავს, _ სათავზაროდ გადაქელილი საქართველო!..

არადა, რა მკაფიოდ გვაფრთხილებდნენ "კოლხური კოშკიდან":

პრეზიდენტ **ზ.გამსახურდიას** გამოსვლა

საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე **1990 წლის 8 ოქომბერს**

(შემოკლებით)

"ყველამ კარგად იცით, რომ მე არ ვეჭიდები ამ თანამდებობას და უკიდურესად მძიმეა და რთულია ჩემთვის ამ მოვალეობის შესრულება. ძალზე მძიმეა და ვინც არ უნდა იყოს ჩემს ადგილას, ყველასთვის ეს იქნება უკიდურესად მძიმე ჯვარი. ამას მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ამავე დროს პირდაპირ გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად არა ვარ მე მოსურნე ამ პოსტზე დარჩენისა, ამას მე გულწრფელად ვაღიარებ, ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში სულ მცირე, რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ათეული პრეზიდენტის აღმოცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, ფრჩხილებს არ ვხსნი, ყველანი მიხვდით. ყველამ დაძაბეთ გონება და განსაკუთრებით გთხოვთ, ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, რამეთუ არ იცით, რას ითხოვთ, გესმით? მე ქუჩის გონებადაბნელებულ ოპოზიციას ვერ მოვუწოდებ ვერაფრისკენ, მაგრამ აქ განათლებული ადამიანები არიან, ეხლა პირფერობა მე არ მინდა, ამ ჩვენს ოპოზიციაში უაღრესად განათლებული, უაღრესად გათვითცნობიერებული და მე ვიტყოდი, საკმაოდ პოლიტიკურად მომწიფებული

ადამიანები რომ აყენებენ ამ მოთხოვნას, არა იციან, რას იქმან, ვინაიდან ეს უახლოეს ხანში გამოიწვევს საქართველოს, როგორც ასეთის, საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის სრულ დეზინტეგრაციას და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და კერძოდ, თბილისში და მე დაგიხატავთ თბილისს, თუ ეს ამბავი მოხდა. აი, ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება _ შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები. ყოველი უბანი იქნება თითო შეიარაღებული ბანდის ხელში და მისი ხელმძღვანელის ხელში. მათ შორის იქნება შეიარაღებული ბრძოლა ძალაუფლებისათვის და ზეგავლენისათვის და იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა, მოიშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები. აღარ იარებებს სამართალდამცავი ორგანოები, აღარ იარსებებს სურსათით მომარაგება, აღარ იარსებებს სამედიცინო მომსახურება, თბილისი შესაძლოა გადაიქცეს მკვდარ ქალაქად და საერთოდ შეიძლება შეწყვიტოს არსებობა, თუ დაიწყო თბილისში ის ანარქია, რომლისკენაც სურთ უბიძგონ, აი, ამ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციონერებს და ვიმეორებ, იქნება ხელისუფლების რამდენიმე კერა, ერთ-ერთი და უძლიერესი იქნება იმის ხელში, ვის ხელშიც არის მეტი შეიარაღებული ფორმირებები. დანარჩენები იქნებიან გაბნეულნი თბილისის სხვადასხვა უბნებში. საქართველოსაც გადაედება შემდეგ ეს ტენდენცია და საქართველოშიც დაიწყება იგივე ლიბანიზაცია, რასაც ჩვენ დავინახავთ თბილისის ტერიტორიაზე. ამას შედეგად ის არ მოჰყვება, რაც ეგონათ, რაც ჰგონია ზოგიერთს, რომ შემოვა რუსეთი, მოსკოვი და იქ დაამყარებს სამხედრო დიქტატურას. ვერ დაამყარებს, ფიზიკურად ვერ დაამყარებს საქართველოში ამას. საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. აი, რა მოჰყვება ჩემს შესაძლო გადადგომას, რომელსაც ესოდენ მხურვალედ მოითხოვენ ზოგიერთი ოპოზიციური პარტიები და მგონი ზოგიერთს, პარლამენტური ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელსაც ეს გულში აქვს ღრმად დამარხული. ეს არ არის მუქარა, ეხლა რაც მე ვთქვი, ეს არ არის გადაჭარბება და ეს არ არის ჩემი პიროვნების, ვთქვათ, თავზე მოხვევა თქვენთვის, ანდა სურვილი, რომ მაინც და მაინც მე დავრჩე ამ პოსტზე. ჩემო ბატონებო, ეს არის რეალობა და მე გთხოვთ, გადაავლოთ თვალი და გაუმართოთ თვალი აი, ამ რეალობას, ჩემო ბატონებო".

***

ან კიდევ: 1992 წლის 1 იანვარი, ქ.თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ე.წ. ბუნკერი:

<u>დოდონა კიზირია:</u> "ბატონო პრეზიდენტო, რომ წარმოვიდგინოთ თქვენი დამცველი ძალების დამარცხება, რა შეიძლება ამას მოჰყვეს?

<u>პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია:</u> ამას მოჰყვება კატასტროფული შედეგები საქართველოსთვის, კატასტროფული! სრული ანარქია, დესტაბილიზაცია, სამოქალაქო ომი და ბოლოს, საქართველოს დაშლა რამდენიმე სახელმწიფოდ"...("საქართველოს დევნილი ხელისუფლება და აფხაზეთის ომი", ჯ.გამახარიას რედაქტორობით. ქ.თბილის, 1998წ.).

ვაი, რომ წინგახედული ამაო ღაღადის პირისპირ საბედისწეროდ აღმოვჩნდით და ამჯერადაც აუწონარი სირეგვნის გამო ვერ ვიგაკვეთილეთ იგი!..

რა თქმა უნდა, დღეს მსოფლიოში არსებობს სხვადასხვა ყოველდღიური სატკივარი, გლობალური ტერორიზმი, შიმშილი, დაავადებები, გლობალური დათბობა, გლობალური ომები, მაგრამ ჩვენთვის ცხადზე ცხადი უნდა იყოს, რომ ამ პრობლემების მიღმა, რომლითაც ასე გვაშინებს ე.წ. მედია, სინამდვილეში ქართველი ერისთვის არსებობს უფრო დიდი სათავზარო საფრთხე _ პროგრამა ე.წ. ოქროს მილიარდის

შესახებ, რომლის შესაბამისადაც ქართველი ერი უნდა დავიდეს 500 ათას სულამდე, ანუ სხვათა სამოსამსახურეო კინტინგენტამდე. აქ მე არ შევუდგები საუბარს იმ საიდუმლო ორგანიზაციებზე, რომლებიც მსოფლიოს ურჩხულის რვაფეხაში ყველაზე სახიფათო საცეცებია, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ე.წ. უხილავი საფრთხე სინამდვილეში წარმოადგენს ერთი საბორკილო ჯაჭვის რგოლებს და მის სათავეში უდგას აგრესიული გლობალიზმის ყოვლისმხედველი მაკონტროლებელი ორგანო. მას თუ დასჭირდა თავისსავე წიაღში რაღაც წამებში შეუძლია ნიუ-იორკის **11 სექტემბრის** მსგავსი აფეთქების ნაირი "თავგართობა" მოუწყოს კაცობრიობას. ასეთია მაფიურ-კრიმინალური ელიტის მსოფლიო შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ, ესაა მსოფლიოს აგრესიული სისტემა, ანუ ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგი, რომელიც პირობითად შეიძლება, საეთნოდივერსიო მონაცემთა და საშუალებათა სამართავ საჭედ გავიაზროთ, წარმოადგენს მრავალგანტოტებითი სვლაგეზების თვითმავალ ძრავას, რომლის მონეტარული კონტროლის ცენტრი ვაშინგტონი და სულიერი დეგრადაციის ხელშეწყობის სათვალყურო ვატიკანი გახლავთ. ის ყველაგან მყოფობაა მიწიერ სივრცესა და დროში, რომელიც წამგაუცდენლად აყურადებს მსოფლიოს მაჯისცემას და წინგახედული თადარიგითა აქვს დაგეგმილი, თქვენ წარმოადგინეთ, ისიც კი, თუ როდის ააკნავლოს **თეა თუთბერიძე** ან აყროყინოს **გიგი თევზაძე** და ა.შ. რაც უნდა დიდი წარსულის, გამოცდილების, მდგრადობისა და სულიერი სიჯანსაღის არ იყოს ერი, თუ მას ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგმა თავის წიაღში ჩაუმონტაჟა ისეთი "მიკროჩიპი", როგორიცაა **ლევან რამიშვილი, გოგი გვახარია, ნანუკა ჟორჟოლიანი, შორენა ბეგაშვილი** და ა.შ. იგი თანმიმდევრული გადაშენებისთვისაა განწირული. ამას ემსახურება ის "მხატვრული აზროვნებაც, რომლის ნიმუშად გალელი **პაატა შამუგია** წარმოგიდგინეთ ზემოთ. სინამდვილეში ესაა ახლებური ავტონომიები, უფრო ცხადად რომ მოგახსენოთ, ადრე ქართულ მიწებზე შექმნილ ავტონომიებს დღეს ენაცვლება ავტონომიები (იგივე ქართულს დაპირისპირება) ქართულ ცნობიერებაში.

რაც უფრო საფუძვლიანად ისიგრძეგანებ აგრესიული გლობალიზმის თანამდევ ქვედინებებს, მით უფრო რწმუნდები, რომ ე.წ. თანამდეროვე მსოფლიო წესრიგი სწორედაც რომ ე.წ. უხილავი საფრთხისგან იმართება და მისი მთავარი მიზანია კაცობრიობის რეგლამენტირება საკუთარი პროგრამის შესაბამისად.

აქ უნდა გაუწყოთ, რომ გილდერბერგის კლუბის შეკრებაზე (**2010 წლის 1 ივნისი,** ესპანეთი): **ზბიგნევ ბჟეზინსკიმ** განაცხადა **"კაცობრიობა რაკი ფხიზლდება და ხვდება ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის არსს, ნებისმიერი სადამსჯელო აქცია ეროვნული თვითგამორკვევის წინააღმდეგ სწორედ ინსპირირებული "მრავალეროვნულობის" ნიშნით უნდა წარიმართოს (შეადარეთ სერბეთის დასჯა, ერაყის ოკუპაცია, ავღანეთში "წესრიგის დამყარება" და ა.შ.).**

უნდა შეგახსნოთ, რომ ჯერ კიდევ **IX საუკუნეში** შეიქმნა მოძღვრება კაცობრიობის დეპოპულაციის შესახებ: ამ "მოძღვრების" მიხედვით დედამიწაზე არსებობს ზედმეტი ხალხი, რომლისგანაც უნდა გათავისუფლდესო პლანეტა!... აქედან გამომდინარე, როგორც უკვე მოგახსენეთ ზემოთ, დღეს ამ ხმაბოდვის მიმდევართა დებულებებით კაცობრიობა 6 მილიარდიდან უნდა დავიდეს 1 მილიარდამდე, ზოგიერთი მოსაზრებით 500 მილიონამდე, უნდა გაქრეს მრავალეროვნულობა, მსოფლიომ უნდა იცხოვროს ერთ სახაზინო წესრიგში.

სწორედ ამას, ადამიანთა ხელოვნურ გადაშენებას ემსახურება მიზნობრივი დაკვეთებით შექმნილი სხვადასხვა ვირუსების ეპიდემია (ქათმისა და ღორის გრიპები, ვირთხის, თაგვისა და ასევე სხვადასხვა მწერთა შემოსევები ჩვენი გლეხკაცების მეურნეობათა წინააღმდეგ და ა.შ.), ასევე, ამისკენაა მიმართული მოწოდება ჰომოსექსუალიზმის "ელიტარულობაზე" და მისთანებზე.

ყოველივე ამის გამო, საქართველო დღეს გარედან თავსმოხვეული თავგართობებით ცხოვრობს, იგი ადრე თუ საკრემლო იყო, დღეს კვლავაც წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის ლაბორატორიას, რომელშიც ქართველ ერზე საიდუმლო და გადამშენებელ ცდებს ატარებენ.

ქვეყანაში ხელოვნურად ისპობა ეროვნული ცნობიერებისა თუ სულიერების ნიშანსვეტები და ცნობიერებაში მკვიდრდება ფალოსური გასაგნებები სივრცეში. საქართველოში ეროვნული ღირებულებების გაძევებით გამოთავისუფლებული სიცარიელე იტვირთება ე.წ. ლიბერალების, სქესობრივი, ეროვნული თუ სხვა სახის მოთარეშე უმცირესობებით, მოჭაობე დემოკრატებითა და ა.შ.

მოკლედ, ასეთი გახლავთ ის დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული გზა, რომელიც **ე.შევარდნაძის** წინამძღოლობით უნდა გაევლო საქართველოს მოსახლეობას. ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რათა "ჩვენი" ჭაობური დემოკრატიის სანიღბეებში შეფარული საოკუპაციო რეჟიმი ნაკლები თავსატეხითა და სიძნელეებით, სისხლითა და წინააღმდეგობით დამყარებულიყო საქართველოში.

ქართველი ერის საუკეთესო შვილებმა საკუთარი სიცოცხლის თავგანწირვის ფასად დროზე და ცხადად აუხსნეს ეს ქვეყანას, დანარჩენი საზოგადოებრივმა სიმრავლემ უნდა გადაწყვიტოს, იქცეს ის ერად და ქრისტეს გზით იაროს თუ იცხოვროს საცდელი ცხოველის ყოფითი ყოველდღიურობით.

სანამ საუბარს დავამთავრებ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თავში განზრახული მქონდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მსოფლმხედველობრივი თავისებურებების მიმოხილვა. რა თქმა უნდა, არც თუ რიგითი საკითხი გახლავთ "აფხაზური" ფაქტორის როლი ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და ქართულ კულტუროგენეზში, საერთოდ ცხუმ-აფხაზეთის საგანმანათლებლო სკოლის ფუძემდებლური შინაარსი ჭყონდიდურ-აღმაშენებლური საქართველოს გაერთსხეულებაში. ასევე, თავის მკვლევარს ელის ისეთი საკითხი, როგორიც გახლავთ "აფხაზური" ფაქტორის როლი ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანობის გენეზისში (**სვიმონ კანანელი, მატათა,** ბიჭვინთის ეპარქიის ქრონოლოგიური პრიორიტეტი და ა.შ.);

რაც შეეხება ჭყონდიდურ-აღმაშენებლურ მსოფლაღქმას, როგორც ქართული ნაციონალიზმისა და ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიურ საყრდენ ღერძს, სამწუხაროდ, მისი ცხუმ-აფხაზეთური ძირების მოძიება უიმედოდ მიტოვებულ საქმედ გამოიყურება დღემდე (ამ მიმართულებით პროფესორ **ჯ.გამახარიას** კვლევებს სჭირდება სტანციონარულ სკოლად დადგენა და სათანადო ხარჯთაღრიცხვითი საქმიანობა).

როგორც მოგეხსენებათ, რუსიზმმა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო **XIX-XX საუკუნეებში** აქცია დივერსიული ეთნოფაბრიკაციების პოლიგონად, აქედან გამომდინარე, სახეზეა რეპრესირებული, ეთნოდივერსიულად გამოყენებული მკვიდრი მოსახლეობა ამ მხარეში. ამის მიხედვით, ბუნებრივია, ქართული ნაციონალიზმისა და რუსული იმპერიალიზმის დაპირისპირება აფხაზეთში მოითხოვს მიზეზ-შედეგთა ახლებურ შეფასებებს. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მოვლენა, წინააღმდეგობათა რთულ და ეტაპობრივ კომპლექსს მოიცავს:

დედან ჭეშმარიტებაში მოითხოვს აღორძინებას ამ წინააღმდეგობის კულტუროლოგიური პლასტი ("აფხაზეცური ანბანის" საკითხი, ქართული სამყაროსაგან გაუცხოების ეთნოდივერსიული სტრატეგიის ცალკეული გამოვლინებანი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში აფხაზეთში));

ასევე ახალ მსოფლმხედველობრივ საწყისებზეა შესასწავლი მუჰაჯირობა და ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა;

იგივე მიდგომას საჭიროებს იმპერიის რელიგიური პოლიტიკა აფხაზეთში, რატომ მოხდა, რომ ქრისტიანული რუსეთი სინამდვილეში ებრძოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის აღორძინებას, შედარებისთვის, რუსეთი სამცხე-ჯავახეთის ქართველებსაც უკრძალავდა მართლმადიდებლობასთან მიბრუნებას, სამაგიეროდ ყოველმხრივ უწყობდა ხელს ამ მხარის დაცლას ქართველობისგან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლა აფხაზეთში რუსული რესტავრაციული მოძრაობის კოლონიალისტური გეგმების წინააღმდეგ უნდა გაშუქდეს **არზაყან ემუხვარის** მსოფლმხედველობისა და მოღვაწეობის საფუძველზე;

დრომ დაადასტურა, რომ ქართული პოზიტიური ნაციონალიზმისა და რუსულ-საბჭოთა იმპერიალიზმის დაპირისპირება აფხაზეთში გახლდათ საბედისწერო ამ მხარის მოსახლეობისათვის. კრემლის ეთნოდივერსიების შედეგად იგი (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობა) აღმოჩნდა რეპრესირებული მრავალმხრივ, წაართვეს ვინაობა,სამშობლო და საკუთრება.

საბჭოთა რეჟიმის საიმიგრაციო და "სამოქალაქო" პოლიტიკა აფხაზეთში მიმართული იყო ამ მხარის "გასხვაქვეყნებისაკენ".

ამ შინაარსობრივ სიბრტყეში საინტერესო თემაა ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა აფხაზეთში:

მოძრაობის დისიდენტური ეტაპი;

მოძრაობის მნიშვნელოვან ააღმართებათა საფეხურები;

მოძრაობის "ნომენკლატურული" არსი. სამწუხაროდ, არც ერთ ამ ეტაპზე ის ვერ გათავისუფლდა საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების პოლიტიკური სტერეოტიპებისაგან.

ამ ეთნოფაბრიკაციული სტერეოტიპებისაგან გათავისუფლება პირველ რიგში მოითხოვს ისეთი საკითხის განხილვას, როგორიცაა რუსეთ-საქართველოს **1992-93 წწ.** სამამულო ომი აფხაზეთში და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. კერძოდ, იყო თუ არა ეს ომი XIX-XX საუკუნეში აქ განხორციელებული დაპყრობა-დენაციონალიზაციის შინაარსობრივი გაგრძელება?! [49]

სამწუხაროდ, მრავალი მიზეზის გამო მე ეს საკითხები ამჯერად ვერ გავაშუქე. უფლის ნებაა თუ დამცალდა და შემაძლებინებს.

მინაწერი: 2010წ. 2 აგვისტო, **ილიაობა** (დიდება **წმიდა ილია მართალს**): როგორც მოგახსენეთ, ეს წიგნი, რომლის დაწერა **დავიწყე 1995 წელს** და დავამთავრე **1997-ში საახალწლოდ,** სხვადასხვა რედაქციასა და გამომცემელთან შემომეფანტა.

---

[49] *აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ მყავიას*

ბატონო თეიმურაზ,

1992 წლის 11-13 აგვისტოს დევნილი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან ერთად ეროვნული წინააღმდეგობის კომიტეტის ერთი ჯგუფი მოლაპარაკებებზე ვიმყოფებოდით ქ.გროზნოში. 14 აგვისტოს, როდესაც ჩამოვედით, დილით ვნახეთ რა საომარი ავანტიურის საფრთხე, ჩვენი საგანგებო რწმენებიდან გამომდინარე, სასწრაფოდ მივმართეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს ვლადისლავ არძინბას, რათა დაეცვა აფხაზეთის მოსახლეობის, მათ შორის ეთნიკური ქართველების საარჩევნო განაწესი, აქედან გამომდინარე, არ დაეშვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და არავისთვის მიეცა უფლება აფხაზეთი (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო) გადაექციათ რუსისტული ავანტიურისა და საომარი პროვოკაციის ასპარეზად. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გამოვთქვით მზადყოფნა, აფხაზეთის მოსახლეობის უსაფრთხოებაში ჩაგვერთო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე ძალები. ჩვენი წინადადების პასუხად, ნახევარ საათში, ვლადისლავ არძინბამ ტელევიზიით მიმართა აფხაზეთის მოსახლეობას, რომლითაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთს) იგი არაქართულ ქვეყნად მიიჩნევდა, ხოლო ქართველებს _ აფხაზეთის კანონგარეშე მოსახლეობად. ამ წუთიდან ეს საომარი ავანტიურა ჩვენთვის იქცა სამამულო ომად.

P.S. ამ განცხადების დადასტურება ხელმისაწვდომია იმდროინდელ ჩვენს პუბლიკაციებში.

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ს.საჯაია. 26.03.07წ.

მისი შავი ხელნაწერების ერთ ნაწილს **2009 წლის ზაფხულში** გადააწყდნენ ჩემი მეზობლები ჩვენი საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთ სათავსში (ქ.თბილისი, ვაზისუბანი, შანდორ პეტეფის ქ. №17, თბილგვირაბმშენის საერთო საცხოვრებელში), რომელსაც მაშინ სანაგვედ ვიყენებდით და იმხანად მისი შეკეთება და საცხოვრებლად გამოყენება გადაწყვიტა ერთმა მათგანმა.

ტარაკნებისგან შელანძღული ეს ფურცლები დიდი ყოყმანის შემდეგ გადასაყრელად ვერ გავიმეტე და ჩემი მეგობრის, ნინო ღონღაძის უანგარო თანადგომით წიგნად აღვადგინე.

დიდი მადლობა მას!

≈*≈

II. ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა
(ისევ და ისევ სააფხაზეთო რაგადები)

≈*≈

1. ბატონო გოჩა

ბატონო გოჩა! 24 VIII 98წ.

ყველაფერი ვიცი, რაც მოხდა თქვენს გარშემო, ყველაფერი კაცობას ემტერება და რამდენად სასიამოვნოა, რომ ყოველივე ამაში კაცად დარჩი.

რად მინდა, რომ მოგიყვე, თუ რამდენი ორპირობა, ღალატი და ქვეშქვეშობა ვიწვნიე მეც პირადად, იყოს ეს ჩემი თავსატეხი, თუმცა ერთი კია, _ საქვეყნო საქმე დაზარალდა ამით.

ბატონო გოჩა, ამ ხნის მანძილზე მე არ დავზავებივარ ნამესტნიკურ ხელისუფლებას, არსად არ ვმუშაობ, ვარჩიე ჩემი ერისა და ქვეყნის ტკივილები აღმეწერა, შვიდი წიგნი გამომივიდა: “დღეები ცხედართა უხმო კივილისა” (აფხაზეთის ომი და ზუგდიდი

1993წ. შემოდგომაზე); "წიწამურიდან _ ჯიხაშკარამდე" (ახალ ბერბიჭაშვილობაზე), "შეგინებულ სარეცელთა ბოღმა" (აფხაზეთში ჩვენი ხალხის გენოციდი); "ბრძოლა პოლიტიკური აბრისათვის" (პარტნომენკლატურული რეციდივები ეროვნულ მოძრაობაში); "ეთნოდივერსიები საქართველოში" (1991-98 წლები); "ე.შევარდნაძის "დიდი პოლიტიკა" და საბჭოთა მაფიურ-კრიმინალური გენოციდი საქართველოში"(1972წ); "დღეები ცხედართა უხმო კივილისა" II წიგნი.

მე ამას ვაკეთებდი მშიერი, სიცივეში, ავადმყოფი და საყოველთაო ხელისშეშლისა და ცილისწამებების ვითარებაში. ესეც ჩემი პრობლემაა და არავის ვამადლი.

ბატონო გოჩა, უნდა შეგახსენოთ, რომ ქართველი კაცის არსებობა ძირითადად სამ რამეზეა დაფუძნებული: გიორგიანობა (იგივე ლასკარი, სკა, რასაც დღეს თურქულ სიტყვას _ ოჯახს ვეძახით). ეკლესიურობა, იგივე ჭყონდიდელობა (საქართველოს სულიერი მისია) და მხედრიონობა (წმ. გიორგის მოვალეობა), როგორც ხედავთ სამივეს ხმალჩაუგებლად ებრძვის "თანამედროვე მსოფლიო წესრიგი", _ ქართველი ერის უდიდესი ნაწილის კერა მოშლილია. საქართველოში გაუკუღმართებული, ცრუეროვნული, მწვალებლური საქმიანობა ბობოქრობს, მხედრიონობა დღეს ჩვენთან სალანძღავად იქცა და ქვეყნის ე.წ. არმიაში მამათმავლობა ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა. ამ ვითარებაში მე დაზავებას არ ვაპირებ და უნდა ვიბრძოლო. მინდა ყველამ იცოდეს და ეს არ არის ჩემი ამბიციური განცხადება _ ჩემი დონის პროფესიონალის მოცდენა მტრის წისქვილზე წყლის მისხმაა, ე.ი. დანაშაული გახლავთ.

აქედან გამომდინარე, მე მჭირდება ამ საქმისთვის საჭირო შრომისა და ბრძოლის იარაღები. დრომ მოიტანა ასე _ მე სახსრები პურისთვისაც არა მაქვს. ამას ისიც ემატება, რომ პარტნომენკლატურამ და საეჭვო მიზნით მოსულმა "ერისკაცებმა" ისეთი მიზნობრივი ხმები დამიყარეს, _ ზოგს არც სჯერა ჩემი. ასეთ ვითარებაში მე არ მინდა იმაზე მეტი, ძალა რომ არ გამომელიოს კალმის დაჭერისას და გამაჩნდეს შრომის იარაღები _ საწერი ქაღალდი და კალამი. ეს რაც შემეხება მე პირადად, მაგრამ ჩემი წიგნების გამოცემაზე კი უნდა იფიქროს იმ ხალხმა, ვინც თავის დროზე ეროვნულ მოძრაობაში ფინანსურ-ეკონომიკური სამსახურის მოგვარება ევალებოდა და ყოველმხრივ ხელი ეწყობოდა ბატონი პრეზიდენტისგან დევნილობაშიც კი, ასევე იმათ, ვისაც ერისთვის გული შესტკივა და ამის რეალური ფინანსური საშუალებები გააჩნია.

თუ რა ღირებულებებისაა ჩემს მიერ დამუშავებული საკითხები, ამაზე ბევრს არ გეტყვით, _ ამ საქმეში ჩახედულებმა მას ეროვნული მატიანე უწოდეს, დანარჩენი თქვენ განსაჯეთ.

ბატონო გოჩა, დღეს "კოლხური კოშკი", როგორც მსოფლმხედველობრივი ნიშანსვეტი და სახმობი, ისევე, როგორც ყოველთვის _ სრულიად საქართველოს ეროვნული ღირსების, ვინაობისა და შეუგინებელი მომავლისათვის ბრძოლის განმსაზღვრელი გახლავთ. მე მჯერა ჩემი თავისაც და ეროვნული მოძრაობის, ამიტომ მინდა ჩემი ეროვნული და პროფესიული თანადგომა შედეგის თვალსაზრისით უფრო ქმედითი იყოს. ამისავის საჭიროა სტაციონარული გაზეთი 16 გვერდიანი მაინც, მაღალ დონეზე გაკეთებული, გაზეთი, რომელიც თავსმოხვეულ საეჭვო ღირებულებებს დაუპირისპირებს გიორგიანულ ცნობიერებასა და ქრისტიანული (წმ. გიორგის) ცხოვრების წესს.

არსებობა ყველანაირ პირობებში შეიძლება, შენ კოლხი ხარ და იცი, ყვერული კარგი გამდელი (კრუხი) გამოდის, ამიტომ მას კარგად კვებავენ, მსუქანიცაა და ხორცადაც კარგია, მაგრამ მამრის თავმომწონეობა და მშობლიურობა აკლია. კაცია და ხასიათი, ზოგს ყვერულის პირობებში ურჩევნია თვალგახელა, ზოგს მამრის შემართება, მე მჯერა, რომ ჩვენ მამრის თავმოყვარეობით შეგვიძლია მოვითვალიეროთ სრულიად საქართველოს საზღვრები, ჩემო ძმაო!... სწორად გამიგე, როგორც თანამოსანგრეს

შეგახსენებ, ვიცი, რომ შეგიძლია, ამიტომ გეუბნები, ამ წიგნის გამოცემაც სანგარში ყოფნაა!...

პატივისცემით სერგი საჯაია.

მინაწერი 14 წლის შემდეგ: "არსაიდან ხმა, არსით ძახილი".... ს.საჯაია

≈*≈

2. როდესაც ქვეშქვეშობა გეხელმადლება...

"კაცი ორგული დაუდგრომელი არს ყოველთა გზათა მისთა"...
<u>იაკობ მოციქულის წიგნი კათოლიკე – 1.8;</u>

"შლეგს სისულელეში თუ დასტური არ მიეცი, მტრად მოიკიდებ უსათუოდ..."
<u>დიდოსტატი კონსტანტინე</u>

"თქვენ დურუს რომ ესვრით ის კაცები ხართ, მე რომ მესვრით ის არ ხართ"....
<u>დათა თუთაშხიადან</u>

ნუგზარ მგალობლიშვილს ჰქონდა საშუალება "კოლხური კოშკის" ცნობიერების წიაღში არათუ მოეაზრებინა, დაედგინა კიდევაც საკუთარი ვინაობა (სხვა საკითხია, თუ რამდენად დაიმსახურა ან შეეძლო ბეჭები შეეშვირა ასეთი საერისკაცო ტვირთისათვის).

ნებისმიერი, ვისაც გააჩნია ღირსება, უფლის წინაშე გვირგვინოსანი გახლავთ, მაგრამ სუყველას, რომელთაც გარემოებამ სამეფო თომარ-ჯიღა არგუნათ, როდი გააჩნიათ ღირსება. მათ რიცხვშია **ნ.მგალობლიშვილიც**. ის "კოლხური კოშკის" ბჭისკართან კი მოოქროვდა სადიდებოდ, მაგრამ ვერასდროს ვერ იქცა ღირსებად, რადგან არასოდეს ყოფილა ბაჯაღლო.

სამწუხაროდ, ქუდზეკაცურ ძალისხმევას იგი მედროვის ჩასაფრებით აემგზავრა და, როცა საუკუნის გამოცდას გადაეფეთა, უმცდარი ჟამთაბერი ახანძრებული ხორხისმიერებით ათერგღრიალა: **"გაპარულანო ეგ ვირები" (გიორგი ლეონიძის** ეს სტრიქონი სახეზოგადობაა ყურდახშობილი საზოგადოების, რომელიც ესარეცლება მის მიერვე დანარცხებულ ერს. იგი გაუგებრობათა უღრანში უვინაოდ თვითდამკვიდრებული თაობის ფირნიშია ეპოქის სადარბაზოსთან).

სამისდღემშიოდ სადღაც აქ, ამ სიმრავლეში იტრიალებს **ნ.მგალობლიშვილის** ლანდიც, თუ მან არ გაიპიროვნა საოხარი სულის.

მანამდე უნდა მოგახსენოთ, რომ მისი ცრუქაქუნა ხმაბოდვები, "მე" ნაცვალსახელით ფარიკაობა და "ყოვლისმცოდნეობითი" რაგადობები ერთ სვლაგეზად იყრიან თავს და მკვდრადშობილ შედეგში ნიშანსვეტდებიან.

იგი, საამისო თვალსაწიერით აშკარად ხელმოცარული ბოღმაა, რომელსაც თავისი გაავკაცება ლაყბობაში ათოხარიკებს, რადგან მან არ იცის და არც არასოდეს იცოდა, რომ ადამიანი, რომელმაც მეტი გაისიგრძეგანა, ვიდრე ლაქლაქებს, უფრო სწორედ, ჯერ გადახტება და "ჰოპს" მერე იძახის, _ ძლიერი და წინგახედული ადამიანია!

დიახ, ის პოლიტიკაში უფრო მეტს ეპოტინება, ვიდრე მის ცხვირსიქით ვერ მზირალ გონებას შეუძლია უწვდინოს თვალი.

ერთი თვისება უდაოდ აქვს: როცა სჭირდება, თავის მოსაწყლება და "გამამააბრამისბატკანება" ნამდვილად შეუძლია. სწორედ მისი ამ თვისების გამო შეცდომაში შეყვანილმა **ანზორ გვარამიამ 1989 წლის სექტემბერში** სიონის ეზოში საგანგებოდ გამოსთხოვა ნება **მერაბ კოსტავასა** და **ზვიად გამსახურდიას**, დაერთოთ ნება **ნ.მგალობლიშვილისთვის** "კოლხური კოშკის" ღერძის გარშემო ეტრიალა. საინტერესოდ დაასაბუთა მაშინ ბატონმა **ანზორმა** ეს "აუცილებლობა", _ აქეთ რომ გვიყეფოს, იმას სჯობია, აქედან იყეფოსო!"

სწორედაც, რომ ამგვარადაა გაშინაარსებული ეს კაცი, ასეა ეს!

ის, რომ ამ თარსფეხას სურდა და სურს ჩემს ააღმართებას ჩიხად აეყოროს, არავითარ შემთხვევაში არ მრჯის პასუხისთვის. მე სხვა სიმარჯვით ვწალდავ ასეთ ქვებუნაგობებს, მაგრამ, რაკიღა მან მოასწრო და შეიკრა სამიმდგომლოდ ჩახსნილი ხვანჯარი, ასე ჰგონია, მის სისხლაღრეულ ხმაბოდვებს არ ჰყავს მოწმე და ვითომც არაფერი, სამახვშო კველაზე დასკვაჭებას ცდილობს კვლავაც.

ეს ერთხელ, საუბედუროდ, მოხდა და სათავზრო სიცხადედ დაუჯდა საქართველოს. არ დავუშვებ ამას ამჯერად! უფრო მეტიც, ქრისტესმხედრული პასუხისმგებლობა ნებისმიერს ავალებს, _ დაუხვდიო მახვილით ქვემძრომს.

სწორედ ასეთი გონებრივი წამგაელვებით ვდგავარ აქ, რადგან ადრინდელმა დასკვნამ _ **"თავი დაანებე, იყოს თავისთვისო",** სამშობლო გაგვისხვისა ჩვენ!

ვიცი, არ მომეშვებით, შენს გულისწორთან ხომ არ მიუსწარი, მაინც რას ერჩიო, სიტყვასაც შემიბრუნებთ თქვენ. მე _ არაფერს. მიმიტევებია მისთვის ჩემს ზურგში მახვილის ჩაცემის მცდელობა, მაგრამ დედა სამშობლოსთან მიმდგომლობას ვერ ჩამოვაწერ, ამას ზეციერის დონე სჭირდება.

ესეც გამიგეთ სწორად, მე ძალიან კარგად ვიცი საჩემო ადგილი, მაგრამ ჩემს წინააღმდეგ ამ მოწარამარეთა შუაკაურებს ჩემი ქვეყნისთვის საზიანო შედეგები მოჰყვა. მათგან პირადად ჩემთვის გამიზნული დავიდარაბისთვის საზღაურს არ ვითხოვ, თქვენ აწონ-დაწონეთ, ეს ყველაფერი რადაც დაუჯდა ჩვენს ერს და ამის შემდეგ თუ მეტყვით, გაჩერდიო, კი ბატონო, დაგიგდებთ ყურს მერე!

...და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ერთ რამეში ნამდვილად გავუმაგრებ მხარს, _ თვალფხიზელს შევახედებ ამ ცისქვეშეთისათვის, რათა კაცღმერთული თავაწყვეტის დაძლევა, ქენჯნის პერანგის სამისდღემშიო ტარება ან საოხარის მოცმა მონანულის განბანვით დაუგვირგვინდეს. სხვანაირად არ მოდის ცხონება, ხოლო **ნუგზარი** ეშმაკის კერძად არ მემეტება, მაგრამ ეს თავად უნდა ისურვოს. ამისთვის იწერება ეს წერილი.

დღესდღეობით კი **ნ.მგალობლიშვილის** მსოფლაღქმითი თვალსაწიერი მოისაზღვრება მის მიერაც გამოჩორკნილი მიზნობრივი დებულებით. იგი მანამდე გაახმოვანა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში ცნობილმა საბჭოთა პარტფუნქციონერმა **ავთანდილ პეტრეს ძე საყვარელიძემ _ "აფხაზეთში უბედურებათა მიზეზი მეგრელები არიანო".**

საბჭოთა ნომენკლატურისათვის კრემლიდან შემოჩეჩებული ეს დებულება გახლდათ ის ბირდაბირი, რომლითაც ქართველებს საკუთარი ხელით ახერხვინებდნენ იმ ტოტს, რომელზეც აფხაზეთში იმ მხარის მკვიდრი მოსახლეობა ანუ ქართველობა იჯდა.

რუსიზმის ამნაირი დავალება **ნ.მგალობლიშვილის** ხელში დადგინდა "ეროვნული მოძრაობის" სვლაგეზად: **"მეგრელებს არ ვენდოთ, ისინი აფხაზებს შეეკვრებიან და ქართველების წინააღმდეგ იბრძოლებენო".** სამწუხაროდ, აფხაზის, იგივე მეგრელის, აფსუას და ა.შ. შინაარსობრივ ვინაობათა გარკვევა **ნ.მგალობლიშვილისთანების** გონებისთვის უიმედო საქმე იყო და, საუბედუროდ, ასეთად დარჩა დღემდე.

სწორედ ამ დებულებით ხელმძღვანელობდა იგი, როცა **ზ.გამსახურდიასთან** მცილისმწამებლობდა, მე ხომ მეგრელი ვიყავი და თანაც როგორი, ჩემი წინაპრები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, იგივე აფხაზეთში საუკუნეების მანძილზე არსაიდან ჩამოსულები არ იყვნენ. უფრო მეტიც, ისინი ამ მიწას სულჩაბერილი ქართველები გახლდნენ, ხოლო ბერძენი დედის შტო ტრაბზონიდან _ "მეგრელთა სოფლიდან" **(საბა-სულხანი)** მომდინარეობდა. ეს **ნ.მგალობლიშვილისნაირთა** ორფეხა ბოღმისთვის ენით უთქმელ თავხედობად იკითხებოდა. თუმცა იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, მეგრელობა ნაკლიაო, არ უთქვამს ხმამაღლა, _ ქართველი არაა, ამას ამტკიცებდა!..

დიახ, შეგნება ყოველთა ქართველთა ერთიანობის შესახებ თითიდან გამოწოვილი "მეგრელთა პირუმტკიცობის" გააბლაბუდებით ეჭვის ქვეშ დააყენა მან, რითაც **ქუჯი-ფარნავაზის (ძვ.წ. III საუკ.)** თვალსაწიერის, ის კი არა და, **1790 წლის** "ივერიელთა ერთობის ტრაქტატის" მიღმა დაიდგინა საკუთარი თავი.

ეტყობა სრულიად საქართველოს გაერთსხეულების წინააღმდეგ ამხედრება ისეთი საშური დაკვეთაა დღესაც, გარეშეთა გასწვრივ იმდენად მოგვიმრავლდა ჭკვიანი თუ უგუნური შინა მტერი, რომ **2009 წლის 14 ოქტომბერს,** მცხეთაში დედა ეკლესიის წმიდა სინოდმა კვლავაც მიიღო **"ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი".**

<u>ცნობისათვის</u>: **2010 წლის 14 მაისს, <u>თამარობის</u> დღესასწაულზე, ასევე სამეგრელოში დაბადებული და დავაჟკაცებული დიდი ერისკაცისა და დიდოსტატი მწერლის _ <u>კ.გამსახურდიას</u> დაბადების დღის, 15 მაისის წინა დღეს აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში აღინიშნა ე.წ. ოჯახის საერთაშორისო დღე.**

ამასთან დაკავშირებით მოწვეული გახლდნენ რუსიზმის თარეშის შედეგად აფხაზეთიდან გამოქცეულ აფსუათა ოჯახები. სხდომის დაწყებამდე ისინი ზოგიერთ ნაცნობს გაესაუბრნენ, გაერაგადნენ იმ მეტყველებით, რაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში _ აფხაზეთში ანუ სამეგრელოს ყოფით ყოველდღიურობაში იყო მიღებული. ამით მათ გამოხატეს მშობლიურისადმი პატივისცემა და თავიანთ სამხარეო ნაირსახეობებში გააშინაარსეს სრულიად საქართველო.

მოწვეული "ჰუმანისტების" ერთი ჯგუფი, ასე 17-18 წლის უტიფარი გოგონები, _ ჩვენ მეგრული არ გვესმის, ესენი კი მეგრულად ისაუბრებენო და სხდომის დაწყებამდე გაიკრიფნენ.

იქ რომ ჩინურად, ინგლისურად ან რუსულად ესაუბრათ, არავინ წავიდოდა. აი, ჩვენი საზოგადოების ცნობიერი თვალსაწიერი და სულიერი სივრცე. ამ შეხვედრის ერთ-ერთი თაოსანი გალდათ <u>ნ.მგალობლიშვილიც,</u> რომელსაც არც <u>დიდოსტატ კონსტანტინეს დაბადების დღე გახსენებია</u> და არც მეგრულისადმი ზურგმიმქცევ ტინგიცათა გაჯოგებული გალალება დაულანდავს იმ დღეს.

ნ.მგალობლიშვილს არაერთ შეუსაბამობათა შორის აქვს ერთი მანკიერი თვისება. მისი აზრით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის ეროვნული

თვითშეგნება მისგან იწყება, ისაა ამ მხარეში ეროვნულ-სახალხო მოძრაობის ნიშანსვეტი, მეტსაც გეტყვით, მას რომ ჰკითხო, იგი მეტია, ვიდრე ცხუმ-აფხაზეთის საგანმანათლებლო სკოლა _ დასაბამი აღმაშენებლურ-ჭყონდიდური საქართველოსი, ამიტომ, როგორც თვითონ თვლის, ეროვნული მოძრაობის პროგრამა აფხაზეთში მხოლოდ მის ხმაბოდვით მითითებებზე უნდა აიგოს. არადა, იგი ყოველთვის და განსაკუთრებით **1990-91 წლებში** ილაგმებოდა აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროსგან და ახმოვანებდა მას. ოდნავ მოგვიანებით შს სამინისტროს ჩაეწყვილა "ცხრა ქვეყნის" უშიშროების თანამშრომელი, საერთაშორისო ავანტიურისტი **მურმან ომანიძე**. ასე მაგალითად, **1991 წლის 17 მარტს** სსრკ-ის ე.წ. ერთიანობის რეფერენდუმი იყო დანიშნული. საქართველო, შესაბამისად აფხაზეთის მოსახლეობის უპირატესი ნაწილი ბოიკოტს უცხადებდა მას და ემზადებოდა **31 მარტს** საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ხმის მისაცემად.

იმისათვის, რომ ადგილებზე კრემლიდანურ მითითებათა მეგზურებს ხალხი **17 მარტის** პროვოკაციაზე მიეტყუებინათ, სოხუმის საარჩევნო ოლქში სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს კრემლის კაცი, იმჟამად **ნ.მგალობლიშვილს** თითისმქნეველი, შეთავსებით სულიერი მოძღვარი და დამრიგებელი **მ.ომანიძე**.

ნ.მგალობლიშვილის ძალისხმევით ე.წ. ეროვნულმა მოძრაობამ დაიწყო საარჩევნო კამპანია. ჩვენ ეს სიბრიყვე, უფრო სწორად, დივერსია ეროვნული მოძრაობისა და ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩავშალეთ, რადგან იგი აშკარად ამომრჩეველთა მისატყუებელი ხაფანგი გახლდათ, ხოლო საარჩევნო შედეგის გაყალბებაში საბჭოთა მანქანა ტოლუპოვარი იყო. არც **მ.ომანიძე** განიხილებოდა ჩვენთან ერისკაცად. მათთვის რომ დაგვეჯერებინა, იმავე საღამოს მოსკოვი გვაუწყებდა, **"აფხაზეთის მოსახლეობამ უკლებლივ სსრკ გაერთიანებას მისცაო ხმა".**

საერთოდ, უნდა განვაცხადო, რომ ამ კაცისა და მისი "თანამოღვაწეების" პოლიტიკური უგუნურება გახდა იმის მიზეზი, მაშინ გალის რაიონის მოსახლეობამ 17 მარტის მიმართ თავისი ბოიკოტი რომ ვერ გაილეგიტიმურა.

საერთოდ, პირდაპირ და დაუფარავად უნდა ითქვას, რომ **ნ.მგალობლიშვილი** ყოველთვის ეროვნული მოძრაობისათვის საეჭვო ზემდგომობა მეგზურობდა, აქ ნუ იგულისხმებთ "მრგვალ მაგიდას", სადაც მან თავისი ცრუქაქუნის ლეგიტიმური ფეხდასადგმელი გაიიმასქნა.

1991 წლის სექტემბრამდე ზ.გამსახურდიამ აფხაზეთიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს სთხოვა, არ ეყარათ კენჭი აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში. ამით მას სურდა, ამ მეტად საპასუხისმგებლო ინსტიტუციაში კრემლის საპირწონედ საგანგებო წარმომადგენლობით წარმდგარიყო "მრგვალი მაგიდა".

თავის მხრივ **ნ.მგალობლიშვილმაც** აფხაზეთელ დეპუტატებს მოსთხოვა ცნობად მიეღოთ და გაეთვალისწინებინათ პრეზიდენტის რჩევა.

ეს რჩევა ყველამ შეასრულა, გარდა თვითონ **ნ.მგალობლიშვილისა**, **თ.მჟავიასი** და **თ.ლორთქიფანიძისა**.

ზ.გამსხურდიას რჩევისადმი წაყრუებითა და აფხაზეთური ე.წ. "მრგვალი მაგიდის" დასტურით, რომელსაც პოლიტიკურ მესაჭედ აფხაზეთის ასსრ შს სამინისტრო ჰყავდა, სადაც მინისტრის მოადგილე **ალეკო ლომინაშვილი** მინისტრს, გენერალ **გ.ლომინაძეს** აბარებდა ანგარიშს "არჩევნების" მიმდინარეობის შესახებ, **ნ.მგალობლიშვილი** ამომრჩეველთა წინაშე წარსდგა გულრიფშის რაიონის მაჭარის №48 საარჩევნო ოლქში.

უნდა ითქვას, რომ ამავე ოლქში იყრიდა კენჭს ამ სოფლის მკვიდრი, დიდებული პიროვნება **ე.შანგუა**, რომელსაც კენჭისყრამდე ორი დღით ადრე **ნ.მგალობლიშვილის** თანამოსაქმე კრიმინალებმა ოჯახის აწიოკების შემდეგ ავტომატების მუქარით დააწერინეს განცხადება საკუთარი კანდიდატურის მოხსნაზე.

ზუსტად იგივე ხელწერით, იგივე კრიმინალების თარეშით მიმდინარეობდა არჩევნები სოხუმის რაიონის კელასურის 65-ე საარჩევნო ოლქში, აქ კენჭს ვიყრიდით **ჯ.საჯაია**, **მე** და **თ.მჟავია**. **ჯემალმა**, როცა ვითარება დალანდა, თავი გაარიდა არჩევნებს, პირისპირ დავრჩით ჩვენ ორი. მართალია, მეც იგივე მომინდომეს, რაც **ე.შანგუას**, მაგრამ უფალმა საჭირო პასუხი გამაცემინა, შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი თავდაცვა ამ თელოღურელების მიერ **ზვიადისთვის** დამიზნებად გასაჯარისდებოდა. ამიტომ არ დავუპირისპირდი აკრძალული ილეთებით მოთარეშე მოწინააღმდეგეებს ბოლომდე.

აი, ასეთი სახალხო რწმუნებითაა ეს ხალხი აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში. მოვლენებს გავუსწრებ და გეტყვით, რომ **1992 წლის ზაფხულში,** ამ ჯგუფიდან იმ თოფოსნებიდან ზოგიერთმა, რომლებიც გუშინ **ზვიადის** მტრად მთვლიდნენ და მებრძოდნენ, როცა მიხვდნენ თუ ვინ იყო ვინ, თვითონ კი (რაც არ უნდა გაგიკვირდეთ) ეროვნული ხელისუფლების გვერდით დარჩნენ მაინც, მე, განსხვავებით ცრუ "მრგვალი მაგიდელებისა", საჯაროდ მომიხადეს ბოდიში.

თავის ინტერვიუში (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", **2010წ. 13 მარტი**) **ნ.მგალობლიშვილი** აღიარებს, რომ 1991 წლის არჩევნებზე აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში "მრგვალმა მაგიდამ" ვერ შეძლო 5-6 დეპუტატზე მეტის გაყვანა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აფხაზეთის მოსახლეობამ მაღალი მაჩვენებლებით დაუჭირა მხარი "მრგვალ მაგიდას" **1990 წლის ოქტომბერში, 1991 წლის 31 მარტს, 26 მაისს,** უფრო მეტიც, ეროვნული მოძრაობის სისხლიანი პუტჩით დამხობის შემდეგ მთელი 8 თვე არ წყდებოდა **ზ.გამსახურდიას** მხარდამჭერი მიტინგები სოხუმში, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ იგივე მოსახლეობას **ნ.მგალობლიშვილის** გუნდისთვის, რომელიც "მრგვალი მაგიდის" სახელით იყრიდა კენჭს, საარჩევო ხმის ასეთი ნაკლები ოდენობა გაემეტებინა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ დროისათვის **ნ.მგალობლიშვილი** აფხაზეთში არ აღიქმებოდა "მრგვალ მაგიდად". მას სულ სხვა, უკიდურესად არაეროვნულ, ზნეობასთან და კანონთან წინააღმდეგობაში მყოფ სიმრავლეებთან აიგივებდნენ.

ეს დადასტურდა **1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის** ტრაღიკულ დღეებში, როცა ის და მისი "მრგვალი მაგიდელების" უმრავლესობა (ბოდიში კეთილსინდისიერ გამონაკლისებთან) ერთმანეთს ასწრებდნენ ეროვნული ხელისუფლების ღალატს. ასე, რომ, როცა იგი იმავე ინტერვიუში აცხადებს, ეროვნულ ხელისუფლებასთან ვიყავიო ე.წ. ბუნკერსა და გროზნოში, უტიფრად სტყუის. "ბუნკერში" ის არ ყოფილა, მას ხუნტის აფხაზეთელი ხელისბიჭებისგან დავალებული ჰქონდა აფხაზეთში გადაებირებინა

დეპუტატები პრეზიდენტის გადამყენებელი სესიის ჩასატარებლად, რაც შეეხება გროზნოში მის ყოფნას, იქ ის ძალით გავუშვით ჩვენ და სახარჯო ფულიც გავაყოლეთ. ასეთი გახლავთ სიმართლე **ნ.მგალობლიშვილის** "მრგვალ მაგიდელობაზე".

სხვათა შორის აფხაზეთის "მრგვალი მაგიდის" საარჩევნო კამპანიას აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროში ჰქონდა შტაბი, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, ის კი არა და, ხმის ჩახლეჩამდე ვყვირი, _ გასაჯარისებულად მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი **ალეკო ლომინაშვილი** ხელმძღვანელობდა.

მაშ, ვინ იყოო **ავთო დავითაია**, იკითხავთ თქვენ. **ა.დავითაია** ვინ იყო და ეტყობა, უბეჯითესი **პავლიკმოროზოველი,** რამაც მისი მეგრელობა გადაფარა და **ნ.მგალობლიშვილმაც** "მრგვალი მაგიდის" **"სუსლოვად"** მოავლინა სოხუმში. ეს **"სუსლოვი"**, მას შემდეგ, რაც თავისი წილი წიხლი ჩააზილა "კოლხურ კოშკს", კვლავ სარუსეთო საქმისთვის იღწვის ამჟამად **ნ.ნოღაიდელის** მარჯვენა მხართან.

მიუხედავად იმისა, რომ რაღაცნაირი ზურგის ქარის წყალობით **ნ.მგალობლიშვილი** ყოველთვის ახერხებდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, _ აფხაზეთში კრემლის დივერსიათა "ეროვნულად" გახმოვანებას, ანუ თავის მკვდრადშობილ ხელმოთბობებს "ეროვნულ-სახალხო აუცილებლობად" ასაღებდა (რომლებიც შემდგომ ცხვირიდან ძმრის წარდინებად დაუჯდა ჩვენს მხარეს), მას არასოდეს უგია პასუხი იმ სულიერ თუ პოლიტიკურ პარტახებზე, რაც მისი დაჟინებული და თანმიმდევრული ვირეშმაკობითა თუ ცუღლუტობებით თავს მოეხვია აფხაზეთის ძირძველ მოსახლეობას.

დიახ, ასეა ეს, მას არაფერზე არ ჩაუთვლია საჭიროდ ახსნა-განმარტება და უეშმაკო საზოგადოების მიამიტობით დღემდე ცდილობს მოსახლეობისთვის თავისი ცრუქაქუნის მიჩეჩებას: ის, რომ **1990 წლის 4 დეკემბერს** აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ხელისუფლების ჭეშმარიტად სახალხო პოლიტიკურ სვლაგეზს არ მოჰყვა წინგახედული საორგანიზაციო დასკვნები, რის შედეგადაც მოსკოვმა **ვ.არძინბა** ჩვენი თოხარიკით შემოუნაკადა ჩვენს პოლიტიკურ ყოველდღიურობის, **ნ.მგალობლიშვილისა** და მისი საეჭვო საფიხვნოს ნებითი თუ უნებლიე გარჯის შედეგი გახლავთ, შედეგი, რასაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, როგორც სახალხო შინაარსის განადგურება მოჰყვა.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთაგან, როგორც დრომ დაადასტურა, **ვ.არძინბას** ნაცვლად ნებისმიერის, მათ შორის თვით **კ.ოზგანის** არჩევაც კი სჯობდა ამ თანამდებობაზე... და თუ რატომ, გვაქვს ამაზე პასუხი. მეორეც, იმ სესიაზე **ნ.მგალობლიშვილისა** და მისი თანამოსაქმეების პოლიტიკური სიბეცის, კარიერიზმის, ურთიერთშეუთანხმებლობისა და, რაც მთავარია, დანაშაულებრივი წინგაუხედაობის გამო არ იქნა დანიშნული აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ქართველი თავმჯდომარე, რომლის დამტკიცება იქვე თავაუტკივებლად შეიძლებოდა, მაგრამ **ნ.მგალობლიშვილის** "ქართულ" ბანაკში სიხარბის გამო ვერ დასახელდა პიროვნება, რომელიც იმ დღეს დაინიშნებოდა. ეს უფრო გვიანისთვის გადაიდო. ამ თანამდებობის მსურველებს ეგონათ, რომ შემდგომში საქმეს სათავისოდ ჩაიქვეშქვეშებდნენ, მაგრამ **ვ.არძინბამ**, როგორც კი დაიდგა თომარ-ჯიღა, ამ საკითხებს მიკარებითაც არ მიაკარა მისთვის უნებური, ანუ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების კადრი.

რაც შეეხება **კ.ოზგანს**, ის ეთნოკრატიულ ბანაკში თავისი უკიდურესად სეპარატისტული სულისკვეთების მიუხედავად, სიცხადის გათვალისწინებითა და შედეგზე გათვლილი მიდრეკილებით მოაზროვნე კაცი გახლდათ.

ასე მაგალითად, იგი **1989 წელს** ითხოვდა გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში ქართველ სტუდენტობასთან და საერთოდ საზოგადოებასთან შეხვედრას, რომლის ჩაშლაში აფხაზეცურ ეთნოკრატიაზე ნაკლები წვლილი როდი მიუძღვის ქართულ პარტოკრატიას. ხოლო ამ საქმეში სულაც არ გამოიყურებოდა ტარიგის მზერით იგივე **ნ.მგალობლიშვილი.**

ისიც უნდა ითქვას, რომ 15-16 ივლისისა და მომდევნო დღეების განუკითხაობებიდან აფხაზეთის მოსახლეობის თავდაღწევის მიზნით **კ.ოზგანი** იმხანად ქ.სოხუმში შეხვდა ქართველობას (სოხუმის რ-ნი, სოფ. ბირცხა. **ა.ხარაიშვილის** სახლი, მას თან ახლდა **ვ.კადენეცი** – საქრთველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველი მდივანი). მახსოვს, ამ ხელგამოღებას თუ როგორ ებრძოდა მაშინ და ლამის ერის ღალატად სახავდა იმხანად ზოგიერთი ტვინგადაბრუნებული ხეპრე. დიახ, ყველაფრისდა მიუხედავად, **კ.ოზგანთან** 1990 წლის არჩევნების დროს შეიძლებოდა მოლაპარაკება, შედეგად ის ან თვითონ იყრიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში კენჭს, ან წარადგენდა ვინმე ღირსეულს, რაც გამორიცხავდა გუდაუთის რაიონიდან ბოიკოტს.

გამაჩნია შემოწმებული ცნობა (რაშიც დამემოწმა პროფესორი **ჯ.გამახარია),** რომ **კ.ოზგანი** 1992-93 წლების საომარი ავანტიურის დროს აყენებდა საკითხს საომარი დაპირისპირების სასწრაფო შეწყვეტის შესახებ და მოითხოვდა რუსეთის ჩარევის გარეშე მოლაპარაკებას ქართველებთან.

ვიმეორებ, **კ.ოზგანი** იყო "მამალი" სეპარატისტი, მაგრამ ის გახლდათ შორსმზირალი, ამიტომ იცოდა, რომ უნდოდა თუ არ უნდოდა, აფსუა კაცს ქართველ სახლიკაცს არავინ შეუცვლიდა.

ამ საკითხებზე **ნ.მგალობლიშვილი** ახსნა-განმარტებებსა და მითითებებს მხოლოდ აფხაზეთის პარტნომენკლატურისგან იღებდა, ის არ ითვალისწინებდა აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის აზრს, რისთვისაც **1989 წლის სექტემბერში** ქ.სოხუმის მე-5 საშუალო სკოლაში ჩემთან ერთად მას შეხვდნენ **ი.კემულარია, ზ.კვარაცხელია, გ.ბახია** და სხვები, რომელთა შეკითხვებს იგი ბლუკუნით გაეპასუხა. იმ დღეს დაგეგმილი იყო ეროვნული მოძრაობის არაფორმალური ფრთის ბოიკოტი მის მიმართ, მხოლოდ ჩემს თხოვნას გაეწია ანგარიში. არ ვნანობ ამას. სისასტიკე არ არის გამოსავალი ჩიხიდან. ეს ერთი და მეორეც, მე მის ხელმოცარვებს გამოუცდელობას ვაბრალებდი. ამ დროს გამოუცდელი მე ვყოფილვარ, მისი გულღვარძლიანობა უცებ რომ ვერ დავლანდე.

ამრიგად, ასეთი გახლავთ **ნ.მგალობლიშვილის** "კომპეტენტურობა" ყველგან, სადაც კი მან გაიჭაჭანა, არადა, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ხელისუფლებამ იმ დროისათვის, მიუხედავად დამაბრკოლებელ ვითარებათა სიუხვისა, შესძლო საბჭოთა პროვოკაციებისათვის ამოედო სამართლებრივი აღვირი, აელაგმა სეპარატისტული თარეში და აფხაზეთის ეთნოკრატია, რომელიც **1988-89 წლიდან** პოლიტიკურად

თითქმის მოსწყდა თბილისს, კვლავ საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში დადგინდა.

1990 წლის ოქტომბერში, იქნა რა არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრად, მან განიმტკიცა მანამდე "მრგვალი მაგიდის" ექსპერტობით ხელთმოგდებული გავლენა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენა აფხაზეთში გამათავისუფლებელი მოძრაობის დასაბორკად. ამ მიზნით იგი შეუდგა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) "ქართველი" კრიმინალებისა და "ქართული პარტოკრატიის განედლეულებას პარტნომენკლატურული "სხადნიაკის" ანუ ე.წ. "დირექტორიადის" შესაქმნელად, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებული გახდა აფხაზეთის, ასე ვთქვათ, "მრგვალი მაგიდა".

ვითომ ქართველობის ნიშნით შექმნილი ეს საეჭვო გაერთიანება ეროვნულ-სახალხო შინაარსს დრომოჭმულად სთვლიდა, ამიტომ იგი ძირითადად დაკავდა ეროვნული მოძრაობის გამოყენებით თავისი საქმოსნურ-თანამდებობრივი მიზნების მისაღწევად, უფრო მეტიც, ე.წ. "დირექტორიადი" კარნახობდა "მრგვალ მაგიდას" პოლიტიკურ თუ საკადრო ნებას, ამავე დროს აფხაზეთში "მრგვალი მაგიდა" იქცა ძირითადად აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს ქვეგანყოფილებად (დრო გახლავთ ამის დამადასტურებელი).

ყოველივე ამის გამო აფხაზეთის "მრგვალი მაგიდის" უდიდესი ნაწილი 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის შეიარაღებული გადატრიალების დროს ერთმანეთის მიყოლებით გადავიდა ხუნტის მხარეზე. სამწუხაროდ, **ნ.მგალობლიშვილმა** იმხანად ვერ ამოხსნა, რომ თბილისში თოფის გავარდნა მსოფლიოს იმპერიული ძალების მხრიდან საოკუპაციო აგრესიის დაწყებას ნიშნავდა, რომელსაც სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ცნობიერი, სულიერი, ეკონომიკური და ა.შ. გაპარტახება უნდა მოჰყოლოდა. ამჯერად რუსეთის იმპერიული კოალიციის ომი საქართველოს წინააღმდეგ უნდა შენიღბულიყო სამოქალაქო, კუთხეთაშორისი თუ სხვა შესაბამისი სახის "შიდაქართულ" დაპირისპირებებში. რაც მთავარია, ერთერთ ეტაპზე ის უნდა გადაფორმებულიყო ე.წ. ქართულ-აფხაზურ ომად, რომელშიც რუსული ხიშტი სამშვიდობო კვერთხად გასაჯარისდებოდა. მოვლენები მართლაც ასე განვითარდა და მას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის გასხვისება მოჰყვა, რაშიც ბრალი წინამდებარე ცრუქაქუნას უგუნურებასაც მიუძღვის. ყოველივე ამის გამო **ნ.მგალობლიშვილმა** არა თუ არ ირტყა აგური თავში, არც ეძება და არც შეუშვირა მკერდი ქრისტესმხედრის სიკვდილს. დიახ, მას არც საოხარი, გნებავთ ქენჯნის პერანგი მოუსაკლისებია იმის გამო, რომ (ხმამაღლა გიმეორებთ) მისი ხეპრეობითაც და კაცღმერთული ქარბორიის გამოც დაგვატყდა ეს თავზარი. იგი, როგორც ანაღვლე, საერთოდ გაერიდა აფხაზეთს და საკუთარი ოდაბადის გასხვისება კრემლის კურანტების გუგუნსა და "ჭიქა არყის" ბურანში გაიგო.

დაგებადებათ კითხვა, სად იყო ამ დროს "ქართული" პარტნომენკლატურული "დირექტორიადი" და როგორც "მიელეწა" იგი მტერს ქართული ნების დასაცავად.

ამასთან დაკავშირებით უნდა შეგახსენოთ სეპარატიზმის ბუნება. ნებისმიერი მისი ნაირსახეობა, იქნება იგი ეთნოკრატიული, პარტოკრატიული, ქსენოკრატიული თუ

სახელდახელო დივერსიების ეთნოფაბრიკაცია, მისი ბუნება მორგებულია იმპერიათა ნომენკლატურულ მიზანდასახულობებს და არა ეროვნულ ნებას.

როცა საუბარია სეპარატიზმის დამანგრევლობაზე, რატომღაც ყურადღება მახვილდება მხოლოდ აფხაზეცურ-ეთნოკრატიულ ან ოსურ განკერძოებულობათა აგრესიულ დემარშებზე (ზოგჯერ ასევე განიხილება ქართულ მიწაზე არმენული, გნებავთ აზერბაიჯანული დიდმპყრობლური რეციდივებიც), მაგრამ რატომღაც ჯეროვნად არაა დახასიათებული ცრუ ქართული ნების ქვეშ შენიღბული პარტნომენკლატურული ანტიეროვნულობა, რომლის თვალსაჩინო ბუნება აჭარის ავტონომიაში საყოველთაო სიცხადით გამოიკვეთა გასული საუკუნის 80-ანი წლების მიწურულს ე.წ. საბჭოთა კავშირში გარდაქმნის მხარდამჭერი მოძრაობის სახით.

ამგვარივე ბუნებისაა კრემლიდან გადმოასლებული ვითომ თბილისური, უფრო სწორად, ცრუქართული ცენტრ-ნაცმენობის კაცღმერთობა.

მართალია, აფხაზეთში ეთნოკრატიის მასშტაბური აგრესიის გამო იგივე აფხაზეთის "ქართული" პარტოკრატია ღიად დაუპირისპირდა (თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო _ მხოლოდ ნომენკლატურულ მოსაზღვრულობაში). სწორედ ამის გამო კრემლის "ქართულმა" ნამესტნიკურმა ფეხაწყობამ მარჯვედ შეინიღბა თავისი ხელნამრუდი ბუნება და ქართველობას ყურადღების მიღმა დარჩა, თუმცა ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ იგი არ არსებობდა.

დიახ და სამწუხაროდ, ის არათუ არსებობდა, თავისი გამობრძმედილი გამოცდილებით ეროვნულ მოძრაობას ჩაენაკადა კიდევაც და **ნ.მგალობლიშვილის** არაკომპეტენტურ, მაგრამ კაცღმერთულ მისწრაფებებს კვარცხლბეკადაც ამოეშენა.

აფხაზეთში "ქართული" პარტოკრატია თავისი რუსეთუმე ფრაზეოლოგიით (მაგ. ბესიკ, პრინესი დადგენილება), არასოდეს ყოფილა ქართული ნებისა და მამულის დამცველი, პირიქით, იგი იმავე წამს, რა დროიდანაც ქართველი ერის ნებას ტყვია ესროლეს, გაემიჯნა და დაუპირისპირდა ქართულ სახელმწიფოს და კვლავ გაიპიროვნა კრემლის ნომენკლატურის მანდატი, რომელიც კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს გაუგდია ხელიდან. **ნ.მგალობლიშ**ვილი წამგაუცდენლად იყო მათ რიგებში და როცა დღეს აცხადებს, თითქოს იგი იმხანად **ზ.გამსახურდიას** არ მოსცილებია, სინდისგარეცხილის ტყუილია ეს, გითხარით უკვე ერთხელ.

ჩვენ ქართულ პარტოკრატიაზე და მის სეპარატისტულ ბუნებაზე ვსაუბრობდით. ნომენკლატურა, რომელიც დაუპირისპირდა ეროვნულ ხელისუფლებას, დღეს მშვენივრად თანასაქმიანობს თბილისური ქსენოკრატიის სეპარატიზმთან. ეს ბუნებრივია, რადგან იგი გარკვეულ გზაჯვარედინზე თანაერთსხეულობდა აფხაზეცურ ეთნოკრატიასთან და ორივე ერთად, წარმატებით ებრძოდნენ (ებრძვიან) ქართველთა და აფსუათა სახალხო ნებას.

რაც შეეხება თბილისურ ქსენოკრატიას (უცხოთუმე ელიტას), იგი ე.წ. ურბანო-ცენტრისტული სეპარატიზმის კონცეფციაა, რომელიც, როგორც ყოველგვარი სეპარატიზმი, ჩანასახშივე ემიჯნება სრულიად საქართველოს გაერთსხეულების იდეას, უფრო მეტიც, ის ებრძვის პონტო-კავკასიის ერთიანი იბერიული სახლიკაცობის შინაარსს.

ურბანო-ცენტრისტული (ცრუ თბილისური) სეპარატიზმისთვის ქართული მხარეების ოკუპირება და გასხვისება დიდი უბედურება არაა, მისთვის მთავარია კოსმოპოლიტურ-ინტერფრონტული თბილისის, როგორც ცენტრ-ნაცმენური ვერტიკალის ზემდგომლობა ხელშეუხებელი დარჩეს, ის არ იღწვის ეროვნული სატახტოს მარადიულყოფისთვის.

ურბანო-ცენტრისტული სეპარატიზმის ღერძული დებულებაა ე.წ. "კარენნოი" თბილისელის განსაკუთრებულობა (ცენტრ-ნაცმენობა).

ასეთი სეპარატიზმის სულისჩამდგმელები (თუ კარგად ჩავეძიებით), გვარგადაკეთებული და ეროვნებაგამოცვლილი მოქალაქეები გახლავან, რომელთა გემოვნება ვერ გასცდა კინტოურ თვალსაწიერს. ისინი აგრესიული "უმცირესობების" სიმრავლეებს მოუძღვებიან ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

თუ აფხაზეთის ოკუპირება კრემლს მოუხერხდა იქაური ეთნოკრატიისა და პარტოკრატიის სეპარატისტული აგრესიის საფუძველზე, თბილისიდან ურბანო-ცენტრისტული სეპარატიზმი ამჯერად ტექნოკრატიული მეტროპოლიის დაკვეთით აძევებს ქართველი ერის შინაარსს და ადგენს მას იმპერიათა სვლაგეზის რიგით სადგურად, რისთვისაც ქვემეხების მაგივრად ამოქმედებულია ძალადობის კულტი, სატანისტური მუსიკა, კოსმოპოლიტიზმი, გარყნილება, ათეიზმი, უვიცობა, უზრდელობა, განდგომა ქართული აზროვნების წესიდან, წაბილწვა შეუგინებლობების და ა.შ.

თბილისური "ქართული" გახდა სინამდვილეში არმენულისა და ინგლისურის ნაზავზე აგებულ ჟარგონად. უფრო ზუსტად, მათი მეტყველება ინგლისურის, რუსულის, არმენულისა და ა.შ. ტრანზიტული გამოყენების პროცესად იქცა.

კი, მაგრამ **ნ.მგალობლიშვილი** რა შუაშიაო, აქ, იკითხავთ თქვენ. იმ შუაშია, რომ მან "საპატიო მიზეზით" როცა გაარიდა თავი საერისკაცო სანგარს, უნდა სცოდნოდა ისიც, რომ მის სამშობლოს მისგან საშვდაშვებული პარტოკრატია ეროვნულ მოძრაობაში არევ-დარევის შეტანით, ადრე თუ გვიან, გაასხვისებდა. ასეთი გახლავთ კანონზომიერების კანონზომიერება: საღათას ძილში მყოფს, ყოველთვის როდი ხვდება შეუგინებლობა ნამუსაუხდელი!...

1989 და შემდგომ წლებს რომ ვიხსენებ, მარაქაში გარეულთა სიმწყობრეში ერთი უცნაური მცდელობა მაკვირვებდა ყოველთვის: ვინაიდან, ადამიანის სხეულში სიცოცხლისთვის მიზანშეწონილი შესაბამისობით არის რკინაც, დარიშხანიც, აზოტიც და ა.შ. ზოგიერთი მახათმომარჯვებული მოცლილი ცდილობდა, სასწორი მოემარჯვა და სხეულში გაშესაბამისებული ნივთიერებები ერთ ქილაში გაესულიერებინა. არ ხდება ასე და ეს მკვდრადშობილი მონდომება იყო, რადგან ადამიანის ჩასახვას სჭირდება ჯიშის გასარეცლება ღვთივნებადართულ ქურაში.

კაცმა რომ თქვას **ნ.მგალობლიშვილში** კი იყო საყველ-პურო წიგნიერება, წარმოდგენა სამშობლოზე, გარემო, ურთიერთობები **ზ.გამსახურდიასთან, მ.კოსტავასთან, ვ.ვეკუასთან**, მაგრამ ის ვერ გაისაგნა ერისკაცის შინაარსში, რადგან ყოველთვის აკლდა უმთავრესი _ ქრისტესმხედრის სული!..

ამიტომ საკუთარი ხელმოცარულობის შესანიღბად იგი მუდამ იყენებდა ქვეშქვეშურ ვირეშმაკობებს, რათა ერში, საზოგადოებასა თუ საკომლო ჭერქვეშეთში არ

გამონახულიყო საკეთილმოსურნეო საერთო ენა. მისთვის მისაღები გახლდათ ისეთი "უფლებადაცვითი" საქმიანობა, როცა სახალხო ურთიერთობა ეფუძნება არა უფლისმიერ წესრიგს, არამედ ეშმასეულ სახაზინო ენას, რომლიდანაც მშობლიურობა გაძევდა.

სრული სიმართლე გახლავთ ისიც, რომ **ნ.მგალობლიშვილის** ჩასაფრებათა, ხმაბოდვათა და ბეზღობათა აკომპონიმენტის გასწვრივ, რომელიც, დღეს რომ ვუყურებ, დიახაც საკრემლო ჰანგი გახლდათ, სწორედ მისი მეშვეობითაც განაცამტვერდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ანუ აფხაზეთში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სახალხო-ძუძუმტეობითი არსი.

ეს ხომ ადრე იყოო, შემომიბღვერთ, ვიცი: საქმე ის გახლავთ, რომ ამჟამადაც ნგრევისთვის მოივლინა იგი ნაცადი მთავარბანაკიდან. იქ ყელში ამოუვიდათ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის ლეგიტიმური ინსტიტუციები, მათი ხავერდოვანი დემონტაჟი ეოცნებებათ და ნ.მგალობლიშვილისთანა ქექია მრავალმხრივ აძლევთ მათ ხელს. ამის დასტურია მისი საგზაჯვარედინო განცხადებები, რომელშიც ერთმანეთშია ტყუილ-მართალი არეული. ბოლოს და ბოლოს ვის რას აბრალის, ის ხომ თავადაა განუკითხაობათა ერთერთი მოთავე და სულისჩამდგმელი.

სადაც მან გაიშურდულა, ყველა ერთსხეულება გახლიჩა.

სოხუმის თეატრი, აფხაზეთის უნივერსიტეტი, აფხაზეთში ეროვნულ-სახალხო მოძრაობა და ა.შ. ის "ობიექტებია", სადაც სხვებთან ერთად **ნ.მგალობლიშვილის** "პოლიტიკის" გამთითოკაცებლური ილეთებიც გამოიკვერა.

სწორედ ამ პოლიტიკურ თავგართობათა შედეგი გახლავთ საცხრამთისიქითო.

ჩვენ ზემოთ პონტო-კავკასიის გონითი განფენის სივრცე ვახსენეთ.

1989-90 წლებში, როდესაც კრემლი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ცდილობდა ცრუკავკასიური ფედრაციის აფხაზეცურ სეპარატიზმთან შერწყმას და ერთიანი კრემლიდანური ფრონტით დაპირისპირებას ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, საჭირო იყო საპირწონედ დაგვედო კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ანტიიმპერიული ფრონტის იდეა.

ჩემდა გასაკვირად, **ნ.მგალობლიშვილი**, რომელიც თავის თავს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წევრად მიიჩნევდა, ამ საკითხში **დიდი ილიას** რევიზირების უფლებასაც კი აძლევდა საკუთარ თავს და ამ მხრივ ძალისხმევას წყლის ნაყვად მიიჩნევდა.

როგორც მოგეხსენებათ, საკითხი კავკასიაში ეთნოწმენდისა და გენოციდის შესახებ, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ატარებდა რუსეთი, ქართული ეროვნული მოძრაობის მიერ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო აფხაზეთში 1989 წლის მოვლენების წინმსწებად არ იქნა გამოყენებული ქმედუნარიანი ახსნა-განმარტებებისთვის. შეგახსენებთ, რომ **XVI საუკუნის შუახანებიდან** რუსეთის იმპერია სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით ებრძოდა კავკასიელ ხალხებს. ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება. განსაკუთრებით ტრაგიკული იყო **XIX საუკუნე,** როდესაც რუსეთმა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო კავკასია. **1864წ. 21 მაისს** მან (შეიძლება ითქვას) დაასრულა მრავალსაუკუნოვანი ომი კავკასიაში და ნამდვილი გენოციდი მოუწყო ამ მხარის აბორიგენულ მოსახლეობას. ასეულ ათასობით ადამიანი დაიხოცა,

მილიონზე მეტმა იძულებით დატოვა სამშობლო, მიწისაგან პირისა აღიგავნენ ცალკეული კავკასიელი ტომები, მთლიანად შეიცვალა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნიკური სურათი _ კავკასიელები მათ შორის ქართველები (ისტორიული აფხაზები) და ძუძუმტე აფსუები რუსულმა მოსახლეობამ ჩაანაცვლა.

ვიმეორებ, გენოციდი და ეთნოწმენდა შეეხო საქართველოსაც. სამშობლო იძულებით დაატოვებინეს ათეულ ათასობით აფხაზს, აფსუას, ჯიქს, აჭარელს, მესხს, ჯავახს და ა.შ. მთლიანად გაიწმინდა მკვიდრი მოსახლეობისგან გაგრა, სოჭი, ტუაფსე და მიმდებარე მიდამოები, ასევე სამხრეთ საქართველო.

სამწუხაროდ, რუსეთის მიერ კავკასიაში დატრიალებულ XIX საუკუნის ყველაზე დიდ ტრაგედიას დღემდე არ მისცემია პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება. პირველ რიგში, საქართველო, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ვალდებულია, შეაფასოს აღნიშნული მოვლენა, ვინაიდან ეთნოწმენდა და გენოციდი უშუალოდ შეეხო სრულიად საქართველოს, პირველ რიგში აფხაზეთის მოსახლეობას; გარდა ამისა, ეთნოწმენდისა და გენოციდის შემსრულებლები იყვნენ საქართველოს მთავარმართებლები, მათდამი დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალები და ადმინისტრაციული სტრუქტურები. რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა **1989 წელსაც,** მანამდეც და დღესაც რუსეთის იმპერიის რეგიონალურ საკავკასიო ადმინისტრაციის პოლიტიკურ აბრას, გამოკრულს XIX საუკუნეში, რომელზეც საქართველოცაა მითითებული, იყენებს ისე, თითქოსდა ეს საქართველოს მარადიულყოფას ემსახურებოდა, ამავე დროს იჩქმალება ის, რომ თვითონ ჩვენი ქვეყანა რუსეთისგან იყო ოკუპირებული. ის, რომ ჩვენ მთელი ეს პერიოდი რუსეთს დაპყრობილი ვყავდით, ქართული ეროვნულ-სახალხო მოძრაობის აღმავლობის წლებში არა მხოლოდ უფლებას აძლევდა ქართულ მხარეს, არამედ ავალდებულებდა კიდევაც პირველს მიეცა პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება რუსეთის მიერ კავკასიაში ჩადენილ საკაცობრიობო დანაშაულისათვის. ჩვენ ამ საკითხებში რომ გვეთანამშრომლა ჩრდილო-კავკასიელებთან და თვით აფსუებთან, ბევრ გაუგებრობას ავიცილებდით მაშინ.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ რადგანაც რუსეთი ჩრდილო-კავკასიას იპყრობს ფიზიკურად, ხოლო ვაჰაბიზმი სულიერად და ცნობიერად, ამდენად, ორივე შემთხვევაში ეს ყველაფერი არა თუ სცილდება, უპირისპირდება პონტო-კავკასიის იბერიულ ჯიშისმიერებას. ეს ჩვენი გადაშენების წინადღეა, თუმცა ასეთ შორეულ საფრთხეებზე გათვლილი წინდახედულებები **ნ.მგალობლიშვილის** თვალსაწიერისთვის ამაო მოთხოვნა იყო იმხანად და არის დღეს.

თვალში საცემია **ნ.მგალობლიშვილის** საეჭვო წინგაუხედაობა 1990-91 წლებში ჩატარებული არჩევნების დროს. თუ კარგად გაისიგრძეგანებთ მის საბედისწერო შედეგებს, არ უნდა გაგიკვირდეთ, 1988-89 წლების გაუგებრობები ეროვნულ მოძრაობაში შემთხვევითი არ უნდა იყოს მის გარშემო. აშკარაა, რომ იმ დროს ის არ ხელმძღვანელობდა ეროვნული მოძრაობის მიზანშეწონილობით, მაგრამ ვისთვის იღვრებოდა ოფლად, აი, ამაზე პასუხი გახლავთ ძაღლის თავის სამარხისკენ გზის მიმნიშნებელი.

მართლაცდა, რა შესაშური დაუგვიანებლობით მისდიოდა ამბები უშიშროებას! ვისგანო, არ მიგვიანებთ კითხვას. მე ეს არ ვიცი, მაგრამ შემდგომში, როცა უფრო ახლო

ურთიერთობა შემექმნა მასთან, დავრწმუნდი, უყვარდა შს სამინისტროში განმარტოება მას, ხოლო იქიდან ნაბიჯნახევარია იქამდე, სადაც ჯერ არს!..

მოკლედ რომ გითხრათ, ზემოთხსენებული არჩევნები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსი, ასევე აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოსი, რომელზეც პასუხისმგებლობა "მრგვალმა მაგიდამ" მას დაავალა, მისი უვიცობით, ანგარებით თუ გარიგებით არ წარიმართა ისე, როგორც ეს დაიგეგმა.

სწორედ **ნ.მგალობლიშვილის** "დამსახურებაა", რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის რწმუნებით ხელს ვერ აწერენ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან საჩინო ადამიანები, წინგახედული და კომპეტენტური ერისკაცები, მათ შორის აფსუა ეროვნების მახვშები **ი.ანუა, რ.ეშბა** და არაერთი მათგვარი, რომლებიც ერთიანი საქართველოსთვის იღწვოდნენ და თავიც კი შესწირეს სრულიად საქართველოს მარადიულყოფას.

სხვათაშორის, როცა იხილებოდა 1990 წლის მარტის არჩევნების საკითხი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო), მართალია, მასში ეროვნული მოძრაობა არ იღებდა მონაწილეობას, მაგრამ თუ იგი საბჭოთა არჩევნების ბოიკოტირებას ვერ მოახერხებდა (რაც მოხერხდა), იმ შემთხვევაში უნდა მიგვეღწია პატიოსანი და კომპეტენტური ერისკაცების არჩევისათვის. მათ რიგებში მოვიაზრებდით აფსუა, ოს, ბერძენ, რუს, არმენ, აზერბაიჯანელ მოქალაქეებსაც საქართველოში.

მეტსაც გეტყვით, მე, მისი თხოვნის შესაბამისად, სიაც კი წარვუდგინე ბატონ **ზ.გამსახურდიას** იმათი, თუ ვინ მიმაჩნდა ბერძენთაგან და აფსუათაგან ქვეყნისთვის კეთილსაიმედოდ.

მიუხედავად იმისა, რომ **ვაჟა ადამიასთან 1990 წლის შემდეგ** დაპირისპირებული ვარ, უნდა ვაღიაროთ, ის ასეთ ურთიერთობას უჭერდა მხარს აფსუებთან, საერთოდ არაქართველებთან და ამის დასტურია რამოდენიმე აფსუასა და ესტონელისთვის (ეს რაც მოვასწარით) **მ.კოსტავას** საადგილმამულო ფონდის სესხით საცხოვრებელი სახლების შესყიდვა აფხაზეთში.

ახლა შეგახსენებთ ერთ წერილს, რომელიც გაგანია ომის წლებში დაიწერა და ხელმომწერთაგან იმ ჩემს სიაში რამოდენიმე მათგანი დასახელდა:

«Абхазия», февраль, 1993г.

ПАРЛАМЕНТУ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

Мы, представители абхазской общественности, озабоченные судьбой своего народа, ввергнутого в братоубийственную войну, заявляем:

Крайне тяжолая общественно-политическая и социально-экономическая обстановка, создавшаяся в Абхазии в результате авантюрной политики отдельных руководителей автономной республики, побуждает нас к решительным действиям.

Считаем своим гражданским долгом с целью прекращения дальнейшего истребления абхазского и грузинского народов, особенно молодого поколения, в угоду третьим силам, обратиться к многонациональному населению автономной республики с призывом

создать Комитет спасения Абхазии, куда войдут представители всех наций, населяющих ее.

Комитет спасения Абхазии призван: а) мобилизовать все нселение Абхазии на активные действия, направленные на прекращение преступной братоубийственной войны; б) добиваться достижения межнационального согласия и гражданского мира; в) способствовать возвращению в города и села Абхазии беженцев, возобновлению функционирования всех отраслей народного хозяйства, оказывать действенную гуманитарную и другую помощь населению.

Просим Вашего содействия и поддержки идеи создания Комитета спасения Абхазии.

От имени абхазской общественности:

Л.В.Маршания, Р.Р.Эшба, А.М.Хашба, Т.К.Тания, З.Г.Гиндиа, Р.У.Бутба, Ш.И.Тания, Р.С.Каджая, Д.М.Анкваб, Э.У.Хашба, А.М.Тарба, Д.А.Бения, Ф.А.Амичба, С.К.Хашба, И.Х.Кучуберия, В.З.Агрба, С.Кецба, Ю.С.Чанба, К.КШакая, В.Т.Соселия, Г.Г.Эшба, В.Э.Смыр, И.Ш.Камкина, И.Л.Какалина, Л.Д.Дзяпшина, Ф.Т.Тарба, Э.Л.Чкотуа, А.А.Ачба, Т.К.Саманжиа, Л.К.Тужба, А.З.Кецбая, Л.Х.Жиба, В.Э.Капба, М.К.Маршания, Б.Ш.Хашба, С.Я.Гамисония, В.И.Ахуба, В.Ш.Адлейба, Ю.И.Касландзия, Ю.Ч.Кварчия, И.Р.Джобава, А.Э.Акшба, А.И.Когония,
Ю.Р.Тарнава, Н.М.Гогуа, Ш.А.Кубрава, Г.Х.Маршания, Г.И.Озган.

(Л.Маршания, «Абхазия» пути к миру и возрождение «эровнули ертоба», Тб. 2006г.)

პირდაპირ ვადებ ხელს **ნ.მგალობლიშვილსა** და მის თანამოსაქმეებს, მათი ჩამსაფრებლური ბუნების გამო, დიახ, სწორედ მათ, აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს მითითებებით **1990 წლის ოქტომბერში** საარჩევნო სიის შედგენა აქციეს საეჭვო გარიგებებისა და ანგარიშსწორებების საგნად, რის გამოც, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წევრად ბევრი, სხვა საქმისთვის იქნებ კეთილსაიმედოც, მაგრამ საპარლამენტო მუშაობისათვის აშკარად შეუსაბამო და შემთხვევითი ადამიანი გავიდა. ამ ვითარებაში თუ მხარი დაუჭირა აფხაზეთის მოსახლეობამ "მრგვალ მაგიდას", მხოლოდ იმიტომ, რომ მართლაც იმხანად **ზ.გამსახურდიას** სახელი ბუმბერაზობდა ცხრაგზის.

ასევე, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ, როგორც შემდგომ, ომის დროს დადასტურდა, ჩვენ მეგობრები და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავგანწირულები მეჩხრად არ გვყოლია აფსუებში, აფხაზეთის ბერძნებში, რუსებშიც, არმენებშიც, უკრაინელებსა თუ ესტონელებში... ყველა ისინი **ნ.მგალობლიშვილისა** და მის თანამოსაქმეთა მიერ არაკეთილსაიმედოდ იყვნენ შერაცხულნი თავის დროზე.

<u>ნ.მგალობლიშვილის</u> ფათერაკებში იყო ასეთი შემთხვევა ქ.სოხუმში 1991 წლის არჩევნების დღეებში. მოდების ატელიეში სარკმელს ააფარეს <u>ზ.გამსახურდიას</u> სურათი. იმ სარკმელთან ეროვნებით რუსი მკერავი მუშაობდა, მან სთხოვა <u>ნ.მგალობლიშვილის</u> დამქაშებს უფრო მოხერხებულ ადგილზე დაეკიდათ ეს პლაკატი. რამოდენიმეჯერ მოვიდა კიდეც ამისთვის "მრგვალ მაგიდაში", მაგრამ, როცა სასაცილოდ აიგდეს, გამოსარჩლება სთხოვა კრემლის მიერ შეკოწიწებულ პოლიტიკურ ბლოკ "სოიუზს". ამ უკანასკნელმა კი ეს შემთხვევა 1991 წლის აგვისტოს აქციაზე "ქართულ ფაშიზმად" მოიხსენია.

ასე გადააქცია ერთი რიგითი რუსი, რომელსაც პოლიტიკასთან არაფერი ჰქონდა საერთო, ქართველების მტრად. ამის მიზეზი <u>ნ.მგალობლიშვილის</u> უგუნურება გახლდათ.

ზოგჯერ ჟამთაბერული აბრუნდების ასახსნელად განმარტავენ, რომ პოსტრევოლუციურ საზოგადოებაში მართვის ბერკეტებთან უვიცთა ხორცმეტობა თითქოს კანონზომიერი აუცილებლობა გახლავთ. ეს ჩვენს შემთხვევაში წესით გარდაუვალობა ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო. **ზ.გამსახურდიას** ხემლძღვანელობით ეროვნულ-სახალო მოძრაობის მოსვლა ქვეყნის სათავეში იქცა ჩვენი სამშობლოს აღორძინებად ანარქიისა და სისხლისღვრის გარეშე ანუ არარევოლუციური გზით.

ამის მიუხედავად, ხომ სიცხადეა ისიც, რომ **ნ.მგალობლიშვილისა** თუ მის მსგავსთა ბევრეულების სახით ერთბაშად უვიცობა, ორპირობა და აულაგმავი ბღენძობა შემოენაკადა ეროვნულ ძალისხმევას.

ეს არ უნდა იწვევდეს მოულოდნელობის ელდას, რადგან ჩვენ იმხანად ჯერ კიდევ იმპერიის წიაღში გვიხდებოდა ფეხადგმა თავისუფლებისკენ და ამ დროს კრემლს უთავისტკივილოდ შეეძლო შემოენიაღვრებინა ჩვენს რიგებში გამცემლური სიმრავლე.

რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, გასაკვირი ისაა, თუ როგორ მოხერხდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ცნობიერი ნიშანსვეტების გასწვრივ მართლაცდა ქონდრისკაცული სიმდაბლეების ამ რაოდენობით ამოკენკვა, შემდეგ კი აფხაზეთის სახელით მათი წარგზავნა ერისა და სახელმწიფოს საფიხვნოში.

რად ღირს მარტო უწიგნური ოდიოზის **ზ.კოპალიანის**, ხელმოცარული აბორტმახერის **მ.ძოძუაშვილისა** და სხვა სულიერ საპყართა პოლიტიკური ავხორცობის გახსენება, რომელთაც, ნებით თუ უნებლიედ, ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს, იმხანად ეროვნული ხელისუფლების საერისკაცო გეგმების ქვეშ თადარიაგიანად შენიღბეს და ააკვარცხლბეკეს კრემლის სააფხაზეთო ეთნოდივერსიები.

დიახ, დიახ, გაიხსენეთ აფხაზეთიდან ე.წ. "მრგვალი მაგიდის" მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გასვლაგეზებული დეპუტატების ფეხაწყობა ან "ჩვენგან" დელიგირებული მთავრობის წევრები და მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რომელს შეეძლო კავკასიის ან საქართველოს კი არა, თუნდაც მათი ოდაბადის _ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სქემატური რუქის გაფერადება და კიდევ პირადი ავტობიოგრაფიის საკუთარი ხელით დაწერა, რომელმა მათგანმა მოახმარა საკუთარი ძალისხმევა სააფხაზეთო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

არადა, ნებისმიერმა მათგანმა იმ დროს ზოგიერთმა სამი, ზოგმა ორი, მათგან "უილაჯოებმა" თითო-თითო მანქანა მაინც გაიიმასქნეს.

ესეც იმათი სახეზოგადობაა, _ ერთ-ერთი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი იმხანად საზღვარგარეთიდან შემოტანილ უცხოურ ნიფხვებს, ე.წ. "ნედელიას" რომ ეძახდნენ, იმას ანაწილებდა, ხოლო მის ზურგს უკან საბჭოთა რევანში მზადდებოდა, რასაც **ნ.მგალობლიშვილის** თვალსაწიერი დალანდვითაც ვერ დალანდავდა ირგვლივ.

მის გაუგებარ კაცღმერთულ ხუშტურებს შეეწირა კარგად მომზადებული მზაობა შეხვედრებისთვის **ზ.გამსახურდიასთან**, როცა ბერძენთა სახელით **ე.ანასტასიადი**, თავის მხრივ **ი.ანუა, ჯ.გუბაზი, მ.მელია** ბევრი საჭირბოროტო მოვლენის მოგვარებაზე იღებდნენ პასუხისმგებლობას.

შეხვედრათა ჩაშლის მიზეზი ის გახლდათ, რომ **ნ.მგალობლიშვილი** ყველა გზაჯვარედინზე **ზ.გამსახურდიას** მტრად მაცხადებდა.

რაც შეეხება მის თვალფხიზლობას აფხაზეთის ა/რ უზენაესი საბჭოს არჩევნებზე, ამის სასურათხატოდ მისი ერთი საგაკვეთილო სირეგვნის გამომზეურებაც კმარა: აფხაზეთის ა/რ უზენაეს საბჭოში №60 ოჩამჩირის პირველი საარჩევნო ოლქიდან კენჭს იყრიდნენ **ლორიკ მარშანია** და **ვლადიმერ აშხაწავა.** ამ უკანასკნელს მხარს უჭერდა **ვ.არძინბა** და პოლიტიკური ბლოკი "სოიუზი", ხოლო ცნობილ საზოგადო მოღვაწეს **ლორიკ მარშანიას**, რომლის გამაჰმადიანებულმა წინაპრებმა დალ-წებელდიდან თავის დროზე **(1815 წელს)** სამეგრელოს მთავარს ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირების წინაშე ყურანზე შეჰფიცეს საქართველოს ერთგულება და მათ, დალ-წებელდის მფლობელებს, არასოდეს უცვნიათ რუსული მმართველობა, დიახ, მათ ღირსეულ შთამომავალს **ლორიკ მარშანიას** სავსებით კანონზომიერად მხარს უჭერდა ამომრჩეველთა დიდი ნაწილი, რაც არჩევნებზეც დადასტურდა, თუმცა, საარჩევნო ხმების გაყალბებით დაინიშნა მეორე ტური. დიახ, დიახ, მე იმ **ვ.აშხაწავაზე** მოგახსენებთ, რომელსაც მხარს თვით აფხაზეთის "მრგვალი მაგიდაც" უჭირდა.

ჰოდა, მეორე ტურის წინ **ლ.მარშანიას** სახლში ესტუმრნენ **ნ.მგალობლიშვილი** და **თ.მჟავია,** მათ პირდაპირ მოსთხოვეს **ბატონ ლორიკს**, როგორც სრულიად საქართველოსთვის, ამდენად აფხაზეთისთვის "არაკეთილსაიმედოს", მოეხსნა არჩევნებიდან საკუთარი თავი, როცა **ლ.მარშანიამ** უარი განუცხადა, **არძინბა-მგალობლიშვილის** თანამოსაქმეობით გამარჯვებულად **ვლადიმერ არდაშის ძე აშხაწავა** გამოაცხადებინეს საარჩევნო კომისიას. ამრიგად პირწავარდნილი სეპარატისტი, დუჟმორევამდე ქართველთმოძულე, **1992-93 წლებში** ქართველთა გენოციდის შთაგონებით მწარმოებელი და ქართველთა ეთნიკური წმენდის სტახანოველი _ ქართველთა უგუნური ძალისხმევით გახდა აფხაზეთის ა/რ უზენაესი საბჭოს წევრი.

შეეშალა, ეს კრემლის დავალებით არ უქნია, ამაში 30 ვერცხლი არ აუღიაო, _ იტყვის ზოგიერთი. რა შეღავათია, თუ მტერი მუქთად გაკეთებინებს, ანუ საქმესაც იიმსაქმებს და ხაზინასაც არ იცარიელებს, შველის ახლა ასეთი "საპატიო მიზეზი" ჩვენს ცის ჩამოქცევას?!.

მაგრამ ეს მე და თქვენ მიგვაჩნია ჭერჩამოქცევად. **ნ.მგალობლიშვილისთვის** ამგვარი დანაშაულებრივი თავხედობა, რომელსაც ქვეყნისთვის საუბედურო შედეგები მოჰყვა, ახლაც არ გადაფასებულა, ძალიან რბილად რომ ვთქვათ _ დასანან შეცდომად.

მას, ამ, თითქმის ოცი წლის მანძილზე ყასიდადაც არ მოუბოდიშებია **ლ.მარშანიასთვის**, ის კი არადა, ჰყოფნის უტიფრობა აფხაზეთის ა/რ დევნილ უმაღლეს საბჭოში **ლ.მარშანიას**, მის მიერ საქართველოსთვის "არაკეთილსაიმედოდ" შერაცხული კაცის გვერდით იღვაწოს. **ვაზუსტებ: ამ დევნილ ინსტიტუციაში ლ.მარშანია მხოლოდ და მხოლოდ საჯარო მოხელეა, ე.წ. ტექნიკური მუშაკი, ხოლო ნ.მგალობლიშვილი _ "სახალხო რჩეული".**

აი, მისი ზნეობის მთელი საბადო.

ზ.გამსახურდიასა და საერთოდ ეროვნული ხელისუფლების ძალისხმევას სააფხაზეთო საკითხში, რითაც სსრკ-ის აგრესიული დემარშების პირობებში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში სეპარატისტული აულაგმაობა კანონქვემდებარე ენით

ალაპარაკდა, **ნ.მგალობლიშვილისა** და მისი პოლიტიკური ამალის შორსგაუხედაობამ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა. მათმა სახელგატეხილმა პოლიტიკურმა პარპაშმაც დააჩქარა ყოფითი ყოველდღიურობის სანაგვიდან სამიმდგომლო საბაბების ამოქექვა.

არადა, რა კარგად დაიძრა საქმე. სეპარატისტულმა განუკითხაობამ ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში გაიპიროვნა საპოლემიკო ტრიბუნა. მანამდე საარჩევნო კანონის განმარტებამ ქართველი და აფსუა მოსახლეობა აფხაზეთის მკვიდრ ხალხებად აღიარა. იმხანად იმაზე მეტის მიღწევა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, რომელიც აფხაზეთის ასსრ-ის სახით იმ დროს "გასხვაქვეყნებელი" გახლდათ და, როცა საბჭოთა სახელმწიფო ძრავა ჯერ კიდევ შეუფერხებლად მუშაობდა, როცა მილიარდები იხარჯებოდა აფხაზეთში ქართველთა ეთნიური წმენდისთვის საბაბთა დასახლართად, ვიწამოთ ღმერთი, მართლაცდა, წარმოუდგენლად შეუძლებელი იყო.

ერთიც უნდა გავიხსენო, იგი **1989 წლის ზაფხულში** სოხუმის კალინინის საარჩევნო ოლქიდან გამოკლებულის ნაცვლად კენჭს იყრიდა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში. მისი ამომრჩევლების არც თუ მცირე ნაწილი ბერძენი მოსახლეობა გახლდათ.

სოხუმში საკმაოდ ცნობილი პიროვნებების ქალბატონ **თამარ ოდიშარიასა** და აწ განსვენებული ბატონ **მურმან ბერიას** თხოვნით ჩავერთე ამ არჩევნებში. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ მის მოგებაში ლომის წილი მიდევს. _ დეპუტატი თქვენი წყალობით გავხდიო, არ ვიცი როგორი გულწრფელობით, მაგრამ მითხრა მაშინ მან ზუსტად ასე ეს.

თუ ასეთი იყო, რად გაისარჯეო, მეტყვით. ჯერ ერთი, ასე ახლოს არ ვიცნობდი მაშინ, ეროვნული მოძრაობის ტაქტიკა ასეთი გახლდათ, ეროვნულ მოძრაობას საბჭოთა საქართველოს ე.წ. პარლამენტში გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად, **ნ.ნათაძე** და **ნ.მგალობლიშვილი** უნდა შეეგზავნა. მეც სწორედ ეს დავალება შევასრულე!

მისი ცრუქაქუნა ლაქლაქი და უსაქმურობა სწორედ ამ სარბიელზე გამოჩნდა მთელი სიგრძე-სიგანით. მან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრიბუნა ვერ გამოიყენა იმისათვის, რათა ფართოდ გაესაჯარისებინა, რომ **1989 წლის 15-16 ივლისს და მომდევნო დღეებში** ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში კრემლის მიერ ჩაფიქრებული იყო ქართველთა გენოციდი და ეთნიური წმენდა, რაც იმ დროისათვის აღკვეთა ამ მხარის ძირძველმა ქართველობამ. მიუხედავად ამისა, ქართველთა ასეთი ზნეობრივი გმირობა, წინდახედულობა და ქმედუნარიანი ძალისხმევა არასოდეს არ გამხდარა **ნ.მგალობლიშვილის** პოლიტიკური დებატების თემა, რადგან იგი ყოველთვის გაურბის ამ საკითხზე პატივმიმგებ საუბარს მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ის იმ დროს აფხაზეთიდან "საპატიო" მიზეზით იყო გასული და "სალ კლდედ იდგა" თბილისში. უფრო მეტიც, ის სოხუმში სულნათელმა **მერაბ კოსტავამ** გამოიყოლა თავისი ცნობილი აქციის დროს. დიახ, დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ ამ ახლადარჩეულმა დეპუტატმა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში კი სცადა რაღაც უფლებადაცვით აბსტრაქციაზე ალაქლაქება, მაგრამ სრულიად მოუმზადებლად, უსაგნოდ და ისე გაუგებრად, რომ სიტყვა შეაწყვეტინეს. ეს ყველაფერი ტელევიზიით ნახა მაშინ მთელმა საქართველომ. მან გამოსვლის ტექსტის დაწერისათვისაც არ შეიწუხა თავი, რათა ეს სახალხოდ გასაჯარისებული ბლუკუნი არ ავარდნოდა. ამგვარად გაიპიროვნა მაშინ მან "პასუხისმგებლობა" ამომრჩეველთა წინაშე.

რა ექნა, არ გამოუვიდაო, ეცდებით გაამართლოთ თქვენ, _ კეთილი სურვილი ხომ ჰქონდაო!

რა მაგის პასუხია და კეთილი სურვილი ნამდვილად არ აკლდა გაგრელ **კარინა აივაზოვას**, დედით **მიქელაძეს**, როცა მაღალმთიანი რაჭის სოფელ სამთისში, ქმრის სახლეულში მივიდა დასასვენებლად. მას შემდეგ, როცა ნახა, რომ მამამთილი დილიდან საღამომდე ოფლად იღვრებოდა პრინციპულად გადაწყვიტა თავი ქართულის ცოდნაშიც გამოეცადა და მამამთილისთვისაც თანაეგრძნო. ამიტომ ოჯახურ ვახშამზე "რიხიანი" ხმითა და კეთილმოსურნე სადღეგრძელოთი სცადა მოფერება: _ დედა, რამდენს შრომობს ეს კაცი, დილიდან საღამომდე ერთხელაც ვერ ვნახე დაჯმ...ლიო (დამჯდარიო უნდა ეთქვა).

თანაც, განსხვავებით დღევანდელი "ვეიქელებისგან" ყოველი მიზეზის გარეშე მოინდომა ამ სადღეგრძელოს წარმოთქმა ქართულად (კაცმა რომ თქვას, მე სანაქებოდ და კეთილმოსურნედ მიმაჩნია **კარინას** სურვილი, თუნდაც იმიტომ, რომ, მართალია, ქართული კარგად არ იცოდა, მაგრამ ტრანზიტული სტატუსით არ შეუშვა რუსული და ინგლისური სიტყვები მასპინძელთა მშობლიურ საუბარში.

ადამიანს უფლისგან აქვს მოცემული აზროვნების უნარი. ღვთის ხატება და მსგავსება ღმერთთან მდგომარეობს იმაში, რომ მას (ადამიანს) გონება და სული გააჩნია, რაც სიკეთეს უნდა ამსახუროს.

ამ სიკეთეს სხვადასხვა ფილოსოფოსი, თუკი იგი წმინდა წერილს არ იგაკვეთილებს, სხვადასხვანაირად განმარტავს. თავისებურად ესმის სიკეთე **ნ.მგალობლიშვილსაც**. მისი მოფილოსოფოსო აზრით, ჟამი ქვის სროლისა და ავყიობისა არავითარ შემთხვევაში არ გახლავთ სიკეთის ხელმყოფელი.

ასეთია ის ძეგლისდება, რომელმაც ქრისტესმხედრულ შინაარსს გაამიჯნა იგი და თავი ამოაყოფინა ბოღმის ქურსუმში.

ასე და ამრიგად, მთელი იმ წლების მოღვაწეობა **ნ.მგალობლიშვილისა** იმით შემოიფარგლა, რომ იგი დაკავდა იმ დროს საქართველოს სსრ შს სამინისტროს ერთ-ერთ მაღალჩინოსანზე, ეროვნებით აფხაზეც **ალიკა ანქვაბზე** სახელგამტეხი მასალების შეგროვებით, რომელიც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისთვის არაფრის მომცემი იყო, რადგან სახელგატეხილი ამ უწყებაში უამრავი დაბოგინობდა, ჩვენ უნდა გვებრძოლა ინსტიტუციაში სახელგატეხვის მაკანონზომიერებელი ძრავების წინააღმდეგ, მაგრამ **ნ.მგალობლიშვილს** ამგვარი გათათხვა მიაჩნდა დედამიწის ღერძად და ისიც გულმოდგინედ იყრიდა იმ ერთ ადგილზე მახათს.

სხვათა შორის შემდგომში და განსაკუთრებით ომის წლებში გაირკვა, რომ **ა.ანქვაბი** სეპარატისტთა ბანაკში ერთ-ერთი იმათგანი აღმოჩნდა, ვისაც რაღაც ახლო ძარღვები შერჩა ქართულ შინაარსთან. მისი ძალისხმევით არაერთი ქართული სიცოცხლე გადარჩა ომის წლებში.

ის, რომ **ნ.მგალობლიშვილისა** და მისი თანამოსაქმების არაკომპეტენტურობა აფხაზეთის პარტოკრატიასთან თანამოსაქმეობით ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას გამოუვალ ჩიხს შეუქმნიდა, **1991 წლის 20 იანვარს** ჩვენ _ აფხაზეთის დეპუტაციამ (ოცმა კაცმა) **ა.მარკოზიასა** და ჩემი ხელმძღვანელობით მოახსენა ეროვნულ

ხელისუფლებას. სამწუხაროდ, ისინი (ჩვენი ოპონენტები) იქ ჩანერგილი აგენტურის წყალობით დიდ ძალაუფლებას ფლობდნენ და ჩვენც ამაზე მეტი ვერ შევძელით.

ამის თაობაზე **ზ.გამსახურდიამ 1992 წლის აგვისტოში** სახალხოდ გამოთქვა დიდი სინანული.

საერთოდ მეტად საეჭვო, ბუნდოვანი და მკაფიოდ პასუხგასაცემი გახლავთ **ნ.მგალობლიშვილის** ვინაობის ზოგიერთი წამგაელვება: ის არაერთგზის იყო განკვეთილი "კოლხურ კოშკიდან" ანუ ეროვნული მოძრაობიდან, როგორც მოგახსენეთ, მას აფხაზეთის ეროვნული მოძრაობა გასამართლებას უპირებდა **1989 წლის სექტემბრის** ერთ დღეს ქ.სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის შენობაში; ასევე ყოველგვარი საფრთხის დროს ის სამშვიდობოს ან თბილისში ან მოსკოვში აღმოჩნდებოდა. 1989 წლის 15-16 ივლისს სადაც იყო მოგახსენეთ, მაგრამ **1992-93 წელს** მოსკოვში თუ რას აკეთებდა, ეშმაკმა უწყის. კი ამბობს, **თ.ნადარეიშვილის** დავალებებს ვასრულებდიო, მაგრამ ეს გახლავთ მორიგი ტყუილი. გნებავთ არ იყოს ტყუილი, თუ მართლა ასეთი რწმუნება გააჩნდა **ნ.მგალობლიშვილს** მოსკოვში, თანაც პოლიტიკურ კულუარებში, მაშინ ის საციხო ყოფილა, რადგან ყველა დოკუმენტი **1992 წლიდან დღემდე,** რაც მოსკოვში იქნა მიღებული აფხაზეთის შესახებ, მიზანმიმართულად და გზიდან გადაუცდენლად "გვისხვაქვეყნებდა" კი არა, "გვისხვასახელმწიფოებდა" ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთს.

მოხდა ისე, რომ **1990 წლის შობა დღეს,** მე მომეცა რწმუნება მეხელმძღვანელა აფხაზეთში **მ.კოსტავას** სახელობის განსახლებისა და საადგილმამულო ფონდისათვის.

ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ თბილისში, მეტალურგიის ინსტიტუტის შენობაში, სადაც ეროვნული სათათბიროს სხდომა მიმდინარეობდა, იმ დღეს მე ჩემს მოხსენებაში დავახასიათე დემოგრაფიული ვითარება აფხაზეთში და ჩამოვაყალიბე ჩემი ხედვა (ვრცლად იხილეთ ჩემი წიგნი **"ვინ ჩაშალა მ.კოსტავას დემოგრაფიული პროგრამა აფხაზეთში".., თბილისი, 2003წ.**), რაც მოწონებული იქნა და მას მაღალი შეფასებაც მიეცა ამ დარგში ჩახედული ადამიანებისგან, მათ შორის **ზ.გამსახურდიასგან**.

ეს იმ **ნ.მგალობლიშვილისათვის**, რომელსაც ავიწყდება, რომ მის ცნობიერებაში არასდროს არ ყოფილა ნიშანსვეტი ქართული აზროვნების წესი და ყოველთვის აზროვნებდა კრემლიდანურად, ხოლო ე.წ. "არაფორმალობა" მოდისთვის გაღებული ხარკი იყო მხოლოდ, რატომღაც ბოღმის გამწყალუხვებელი გახდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს იყო **მ.კოსტავასა** და **ზ.გამსახურდიას** სხივნათელი დრო, როცა მათ შეძახილზე **"მამულიშვილნოო"!** _ სრულიად საქართველო ერთსხეულდებოდა ეროვნული სიცხადის, ანუ ქრისტესმხედრული ზნეობის სათნოებაში.

სამწუხაროდ, არც კრემლს ეძინა. მან აფხაზეთშიც ააფორიაქა თავის ხელისბიჭებში კაენური სული, რომელთა ასეთი სულმოკლეობის გამო მტერმა ადვილად შესძლო, **მ.კოსტავას** ფონდის საქმიანობა არ გადაქცეულიყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ერის საერთო წინააღმდეგობის ფრონტად, წინ აღდგომოდა მის გაკვალულ გზას აფსუა სახლიკაცების გულებისაკენ. კრემლი ცდილობდა, არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა ეროვნული ღირსების გასაგნება სათნოებაში, ან აფხაზეთის მოსახლეობის გაერთსხეულება ძუძუმტეობით ლასკარში.

კეკლუცობდა რა პოლიტიკური ნარცისიზმისა თუ იდეოლოგიური მდაბიურობის წინგაუხედაობათა მორევში, მისთვის მიუღებელი იყო ის, რომ ჩვენ ამ ფონდით აფსუა ეროვნების ადამიანებსაც ვუყიდეთ სახლები.

როგორც საქმეში ჩახედულებს მოეხსენებათ, საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის მეორე მდივნის **დინა რეკვავას** მეშვეობით **ნელი თარბამ** მთხოვა, მეყიდა სახლი ერთი აფსუა ქალბატონისთვის ქ.სოხუმის ახალ რაიონში და ასევე სოხუმის რ-ნის სოფ. გუმისთაში მრვალშვილიან **ცატავასთვის** (ქართველისთვის). ისიც გახსოვთ, რომ **ნელი თარბა** და მისი მეუღლე **კუმფ ლომია**, აფსუა მწერლები, სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგები იყვნენ.

მე ორივეს ვუყიდე, რადგან ეს საჭირო იყო ასე, თუ რატომ, ასახსნელი არ უნდა იყოს (იხ. ჩემი წიგნი), თუმცა **ნ.მგალობლიშვილმა** ასე არ მიიჩნია და მიჩივლა.

ნ.მგალობლიშვილი იმით დაიბოღმა, რომ ეს დავალება ეროვნულმა მოძრაობამ მე გამიპიროვნა და არა მას. ამის საფუძველზე მისი ხელგამოღებით იმგვარად აგორდა ათასნაირი ჭორ-მართალი, _ მე რომ გამოუცდელი და სუსტი ნებისყოფის ვყოფილიყავი, ზნეობის წინაშე დავმარცხდებოდი. მრავალი მიზეზის გამო **1990 წლის მარტში** მე ფონდი დავტოვე, თუმცა **ზ.გამსახურდია** დიდხანს ცდილობდა ჩემს დაბრუნებას. ამის შემდეგ **ნ.მგალობლიშვილისა** და მისი თანამოსაქმეებისათვის მეორე რიგის მიზნად დადგინდა ამჯერად **ზ.გამსახურდიასა** და ჩემს შორის დაპირისპირებათა დაქსელვა.

1990 წლის ივლისის ერთ დღეს სოხუმიდან გადმოვფრინდი, რათა "მრგვალი მაგიდის", ეროვნული ფორუმისა და **მ.კოსტავას** ფონდის წინაშე ანგარიში ჩამებარებინა და საზოგადოებისთვის გასაჯარისებულიყო, რომ ყველა ფულადი ოპერაცია ფონდთან გასწორებული მქონდა.

თვითმფრინავთან **ნ.მგალობლიშვილს** შევხვდი. ერთად ჩამოვფრინდით, აეროპორტში **ჯაბა იოსელიანმა** მანქანა და ე.წ. დაცვა დამახვედრა. მანქანაში **ნუგზარიც** ჩავისვი. გზაში ამ ბიჭებმა მითხრეს, რომ **ჯაბას** სახლში ნადიმზე მიცდიდნენ. **ნუგზარი** ფილარმონიასთან ჩავიდა, მე კი გზა განვაგრძე.

საქმე ის იყო, რომ **ჯაბასაც** სურდა **ზვიადს** დავპირისპირებოდი. ვიმეორებ, ვისაც ეს ყველაფერი დაინტერესებს, შეუძლია ჩემს წიგნში წაიკითხოს, მე კი იმას მოგახსენებთ, რომ ვერც **ნ.მგალობლიშვილმა**, ვერც **ჯ.იოსელიანმა** და ვერანაირმა სუკმა მე ვერ დამაყენა საზურგე მახვილით "კოლხურ კოშკთან".

ნ.მგალობლიშვილი მანქანიდან ჩავიდა თუ არა, ეტყობა, უცებ "კოლხურ კოშკში" აირბინა და **ზ.გამსახურდიას** უპატაკა, **ს.საჯაია ჯაბამ** გადაიბირა, მის სახლში ქეიფობენო.

იმ საღამოს **მ.კოსტავას** ფონდის სათათბიროს სხდომაზე, რომელიც მაშინდელი პროფკავშირების შენობაში გაიმართა, ხმამაღლა გასაჯარისდა, რომ **მ.კოსტავას** ფონდთან წესიერად მიმუშავია, მასთან ანგარიში გასწორებული მქონდა და აღინიშნა ჩემი კეთილსისდისიერებაც. ითქვა ისიც, რომ დასანანი იყო შეთითხნილი გაუგებრობების გამო ჩემი წამოსვლა ფონდიდან. ზოგიერთმა საქვეყნო საქმისგან თავის არიდებადაც კი ჩამითვალა ეს ნაბიჯი **(ი.წერეთელი, თ.სუმბათაშვილი, რ.მიქაბერიძე, გ.ჭანტურია, ჯ.იოსელიანი და ა.შ.).**

გასაკვირი ისაა, რომ თვითონ **ნ.მგალობლიშვილმაც** მაღალი შეფასება მისცა ჩემს საქმიანობას (თუმცა, სად წაუვიდოდა საანგარიშო დასკვნას) და გულსგარეთ, მაგრამ მაინც "გამოთქვა იმედი", რომ არ წავიდოდი ფონდიდან (ამას წინათ **ჯ.გამახარიამ** მითხრა, რომ მას საჯარო ბიბლიოთეკაში შეხვედრია **მ.კოსტავას** ფონდის ერთერთი თანამშრომელი, რომელსაც ამდენი წლის შემდეგ უქია ამ მხრივ ჩემი საქმიანობა, მესიამოვნა).

ყოველივე ამის შემდეგ, როცა **ნ.მგალობლიშვილი** დევნილებთან შეხვედრებზე ამტკიცებს საწინააღმდეგოს, ანუ გაჰბღავის, **ს.საჯაიამ** ფონდის ფულები არამიზნობრივად მოიხმარაო (ამას ის სხვა სიტყვებით _ მისთვის ჩვეული ავყიობით გაჰყროყინებს), ეს სულ ცოტა, აკრძალული ილეთებით საქმიანობა, ანუ ზნეობასთან ზურგშექცევით დგომაა.

აქ ისიც უნდა აღვნიშნო, რა გაუჭირდა ისეთი **დ.ჯაიანს**, რომ კაცმა, რომელმაც **1990 წელს** სოხუმში საჯაროდ აღნიშნა, **ს.საჯაია მ.კოსტავას** ფონდში სანთელივით ენთოო, ახლა გამოდის რაღაც სატელევიზიო ჭორბიუროთი ("კავკასია") და გაჰყვირის, ფულები შეჭამაო. თუმცა არც ესაა გასაკვირი, ზნეობის სარბიელი მარათონს ჰგავს, მასში ბევრი ერთვება, მაგრამ ფინიშამდე ერთეულები აღწევენ.

პირდაპირ უნდა ვთქვა, **ნ.მგალობლიშვილის** ზნეობრივ მარცხს ყოველთვის განაპირობებდა არა დონკიხოტობის მიწაზე ვერდატეული სიდიადე, არამედ ბოღმის ქოთნად გადაქცეული გული. აქ სხვა რამეშიცაა საქმე, მისი ნაბიჯები სულიერებასა და ყოფით ყოველდღიურობაში მკვდრადშობილობის ათვლათა ჯერმონაცვლეობაა.

ყოველ შემთხვევაში, ჩემს თვალში **ნ.მგალობლიშვილის** სულიერ ვინაობას განაპირობებს მისი წვრთნაშეუსმენლობა (არაკომპეტენტურობა), რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში საბედისწერო შედეგი მოჰყვა. იგი მოყვასისადმი ჩასაფრებისა და ცილისწამების დიდოსტატი გახლავთ. დღემდე მისი საქმიანობის მახასიათებელია საეჭვო პოლიტიკური თუ საორგანიზაციო დასკვნები და დეზერტირობა (**1989წ., 1991-92 წლების დკემბერ-იანვარი,** 1992-93 წლების საომარი ავანტიურა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში და ა.შ.).

მისი ბუნებრივი მდგომარეობა გახლავთ ურთიერთუნდობლობათა გააბლაბუდება, _ სადაც კი მივიდა, ყველგან ოდიოზური ნაკვალევი დატოვა.

თაობა (ან მისი თუნდაც ერთი წევრი), რომელიც ვირეშმაკობით ცდილობს თავისი წარმომავლობის უგულებელყოფას და არ ცხოვრობს სინანულში, იგი უფლისმიერ შინაარსს ეომება, ზნეობრივი სივრციდან თავდაღწევას ცდილობს.

ნებისმიერ არსებას, პირველ რიგში კი ადამიანს, სჭირდება ჯიშისმიერი წესრიგი.

სისხლაღრევა, მით უფრო ე.წ. დემოკრატიის სახელით, გახლავთ ბუნების კანონზომიერებათა წინააღმდეგ მოქნეული საზურგე მახვილი, რომელიც, როგორც პოლიტიკური ხელცდუნება, ხელს უშლის მიწიერ თანხმობას და შეუთავსებელია ცხონების გზასთან.

ყოველგვარ სახალხო ღირებულებაზე ხელჩაქნეული, მაგრამ მელაძუობით ვითომ სიქველისკენ თავმიხრილი საზოგადოება თუ "მე", როგორც წესი, მხოლოდ სულის საჭურისობასა და სხეულის ცვედანობაში ისაგნებს თავს.

ამაოა ჟამთაბერთან საქმის ჩაწყობის მცდელობა, _ სათავზარო ელდად გაქვავებული დრო თავის უმცდარ სარკეში ასურათხატებს დანაშაულებრივ შეცდომებსაც და საავკაცო ბოროტმოქმედებებსაც, რომელთა წარმომავლობა **1990-91 წლებში** პირადად **ნ.მგალობლიშვილის** ხელმრუდობათა თუ სულიერ სიმახინჯეთა ავხორცული შედეგიცაა.

ეს, რომ ასე გახლავთ, ამაზე, მისდაუნებურად, ჩემზე უფრო პირდაპირ თავად **ნ.მგალობლიშვილი** ღაღადებს ზემოთხსენებულ საგაზეთო მასალაში _ **"როგორ უღალატეს ქართულ საქმეს ქართველმა დეპუტატებმა",** ანუ მისი აღიარებით **1991 წელს** ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომელიც პარტოკრატიის თითისქნევითა და მისი ფართი-ფურთით ჩატარდა, თუ მას დავუჯერებთ, ქართული საქმისთვის საღალატო გამომდგარა.

დიახ, ამას თვითონ ამბობს ასე.

რა თქმა უნდა, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციის საქმიანობა **1992 წელს** პირადად ჩემთვის კი არა მარტო, აფხაზეთის საზოგადოებრიობისათვის (და არა მხოლოდ) აღმაფრთოვანებელი რომ არ იყო, ეს იმ დროიდანვე არაერთ წერილში აღმინიშნავს, მაგრამ **1993 წლის სექტემბრიდან** იგი აფხაზეთის მოსახლეობასთან ერთად დევნილობაშია და, როგორც ლეგიტიმური ინსტიტუცია, იზიარებს საკუთარი ხალხის (ამომრჩევლის) ბედს.

როგორც ჩანს ამ ინტერვიუში **ნ.მგალობლიშვილს** სურს საბოლოოდ განიბანოს განსაბანელი, რომელიც **1989, 90, 91, 92 წლებში** აესვარა და არ თაკილობს უტიფარ ტყუილებსაც. ვიმეორებ, ასეთი გახლავთ მის მიერ შეთხზული მითი "ზვიადთან ბუნკერში ყოფნისა", ისიც, რომ **"ვურჩევდი (ზვიადს) რუსეთის ტერიტორიის დატოვებას და ჟენევაში წასვლას. მე ვხედავდი საშიშროებას, თუ რა მოელოდა მას, მაგრამ ზვიადმა საქართველოში დაბრუნება არჩია"....**

ერიჰაო, წამოგცდებათ, მაგრამ სადა ხართ ჯერ, **1992 წლის იანვრის** ერთ სუსხიან დილას, როცა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ცხუმ-აფხაზეთში ამ მხარის მოსახლეობა ხუნტის საწინააღმდეგო დაუზავებლობას აქვითკირებდა, ეროვნული მოძრაობის დავალებით **ზურაბ კვარაცხელია** და **ანზორ გვარამია** სახლში მიადგნენ მას და შეახსენეს, რომ იგი _ ეროვნული ხელისუფალი, სახაზინო ენით რომ ვთქვათ, სულ ცოტა, ეროვნული ხელისუფლების მხარდასაჭერ ღონისძიებებზე უნდა გამოჩენილიყო.

_ არაფრის თავი არ მაქვს, გავლოთდი და (კიდევ რაღაცაო, მაგრამ ამას არ ვიტყვი ხმამაღლა, მას რომ ეცვა იმ ძიქვას ვუნახავ ღირსებას). ამის შემდეგ, როგორც გითხარით, მანქანაში ჩატენილი, ტომრის სტატუსით რომ გავაგზავნეთ გროზნოში ისიც და მისი თანამოსაქმეებიც, ესეც ცნობილია. სამწუხაროდ, კიდევ უფრო ამის შემდეგ, გადაიკრა რა შუბლზე კამეჩის ტყავი, **ნ.მგალობლიშვილის** ქოსატყეილა ტიტყინისა არ იყოს, თავისი სამოსკოვო დეზერტირობა ასეთნაირად დაილამბა: **"მაშინ ასე მირჩია ნადარეიშვილმა, რათა იქ აფხაზებს პასუხის გამცემი ჰყოლოდათ. ამ კუთხით მართლაც ვიმუშავე, რომ უპასუხოდ არ დარჩენილიყო არც ერთი ბრალდება"...** ისე აგიდგა გვერდებიო, იტყვიან ასეთ დროს. მერედა, სად არის პასუხი და რამდენად აეფარა იგი ჩვენს უბედურებას?!

ყველაფრისმკადრებლობა მედროვეთა შთაგონებული ნიჭია!

რაც შეეხება ამ სამოსკოვო “მივლინებას”, ღირს იგი ჩასაღრმავებლად: გამიგონეთ და დამიჯერეთ, მერამდენედ უნდა გითხრათ ეს: იმის შემდეგ, რაც მას კრემლიდანური დაკვეთა აღასრულებინეს, ანუ მან და ეროვნულ მოძრაობას ამოფარებულმა საბჭოთა პარტნომენკლატურამ აგრესიულ სეპარატიზმთან ერთად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საქმე ომამადე მიიყვანა და რუსეთის საოკუპაციო ძალებს ეს მხარე დააკავებინა, იგი, როგორც ნაცადი და საჭირო კადრი მოსკოვში გაიხმეს, რათა გაერიდებინათ გენოციდს გადარჩენილი, მაგრამ ეთნიკური წმენდის შედეგად აფხაზეთიდან გამოძევებული ასიათასობით ადამიანების სახალხო რისხვისგან. ამის შემდეგ, ზუსტად ათი წლის მერე, ესეც ხომ მოგახსენეთ უკვე, ეს სამოსკოვო ხელისბიჭი ახალი დივერსიისათვის მოავლინეს საქართველოში, კერძოდ, დღის წესრიგში დადგა დევნილობაში აფხაზეთის ლეგიტიმური ინსტიტუციების გაუქმება. ჰოდა, მასზე უფრო ქმედუნარიანი სახელგამტეხი ვინ უნდა ყოფილიყო ამ საქმეში. ამჯერად სწორედ საამისოდ გაისარჯა იგი, რადგან ყოველთვის კრემლის კურანტების დროით ცხოვრობდა.

ახლა კვლავ მივუბრინდეთ მანამდელ ამბებს.

ერთი რამეცაა სათქმელი და მასზე ხმა რომ არ ამოვიღო, ჩემს თავს მივუტოვებ პატივისცემას. როგორც უკვე გითხარით, მას შემდეგ, რაც **ნ.მგალობლიშვილმა** და მისმა თანამოსაქმეებმა მოახერხეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს _ აფხაზეთის ეროვნულ-სახალხო მოძრაობაში (როგორც დრომ დაადასტურა) “კოლხური კოშკის” მსოფლმხედველობით შეიარაღებული პიროვნებების დროებითი გაუვნებელყოფა, მან გაინაღდა “მრგვალი მაგიდის” ექსპერტის მოვალეობა, ამოიშლიგინა ფარისეველთა ხროვა და **1990 წლის 28 ოქტომბერს** აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს გაცხრილული სიით ის და მისი თანამოსაქმეები შევერაგდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

დიახ, დიახ, აღნიშნულმა შს სამინისტრომ მაშინ მისი წყალობით მთლიანად დაიქვემდებარა აფხაზეთში “მრგვალი მაგიდის” საქმიანობა, უფრო მეტიც, **1991 წლის** არჩევნებს აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში ქართულ მხარეზე ის ხელმძღვანელობდა.

როგორც კი ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ თოფი გავარდა, **ნ.მგალობლიშვილი**, მისი თანამოსაქმეები და ხსენებული შს სამინისტრო მყისვე ხუნტის მხარეზე გადავიდნენ, ყოველ შემთხვევაში, ანუ მათთვის ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ეროვნულ ხელისუფლებას გაერიდნენ, ხოლო ის ხალხი, ვინც “აფხაზეთის მრგვალი მაგიდის” მიერ **ზ.გამსახურდიას** მტრებად იყვნენ შერაცხულნი, ამ მოვლენათა შუაგულში “კოლხური კოშკის” მხარეზე აღმოჩნდნენ, ერთმა მათგანმა _ **არკადი მარკოზიამ** კი დეკემბრის იმ საბედისწერო დღეებში ეროვნული ხელისუფლებისათვის დახლილ ტყვიას სხვათა გვერდით არა მარტო შეუშვირა მკერდი, არამედ მხედრის თავგანწირვით დაეცა.

... და მაინც, ეს წერილი **ნ.მგალობლიშვილის** პირუმტკიცობათა აღსანუსხვად არ იწერება, მაგრამ არის ციდაკაცობათა ჩამონათვალი, რომელიც საზოგადოებამ უნდა იცოდეს: სოხუმის საზოგადოებრიობის რწმუნებით გადავწყვიტეთ, **1993 წლის 15 მაისს** აღგვენიშნა **კ.გამსახურდიას** სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში **დიდოსტატ კონსტანტინეს** ხსოვნის საღამო.

ვინაიდან, **კ.გამსახურდიას** სახელობის სოხუმის სახელმწიფო თეატრის მესვეურებმა შიგნით არ შეგვიშვეს თეატრის შენობაში, იძულებული გავხდით, სახალხო ღონისძიება თეატრის სალაროებთან ჩაგვეტარებინა.

იმ დროს სოხუმში საომარი ვითარება იყო. თეატრის მიმდებარედ ჭურვები სკდებოდა, მაგრამ ხალხმა მაინც მოიყარა თავი დიდი ერისკაცის პატივმისაგებად. დიდოსტატის ხსოვნის საღამო, რომელზეც აფხაზეთის საზოგადოებრიობამ, მიუხედავად მრავალნაირი საფრთხისა, მაინც გაიერთსხეულა ძალისხმევა. სამწუხაროდ, სოხუმელთა ასეთი სულიერი მდგრადობა უგულვებელსაყოფი ახირება გახდა **კ.გამსახურდიას** სახელობის თეატრის დასისთვის, მასთან ერთად **ნ.მგალობლიშვილისა** და "მისი მრგვალი" მაგიდისთვის, რომელსაც **ა.დავითაიას** მეშვეობით ამის შესახებ თადარიგიანად, ანუ ერთი თვით ადრე ეცნობა,. რა დროს **კ.გამსახურდიაამ**, შემოთვალა მოსკოვიდან **"კოლხური კოშკისათვის სალ კლდედ აღმართულმა"** მედროვემ.

თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ამ საღამოზე არც **ნ.მგალობლიშვილისა** და მისი თანამოსაქმეების პოლიტიკური აბრის ქვეშ აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს მიერ სადაც ჯერ არს დეპუტატად რეკომენდირებულ ბატონებს შეუწუხებიათ თავი, თავად განსაჯეთ, ისინი თუ რისთვის იფრიალებდნენ "კოლხური კოშკის" ფირმანს მაშინ, როცა ეს თვალსაჩინოდ და აშკარად სამოგებო იყო.

სხვათა შორის, "კოლხური კოშკის" სახელი, ეტყობა, დღესაც "ლეღვის ფოთლად" და "ნაქმრევის სახელად" სჭირდებათ გამოჭენებულ თვითმარქვიებს, მათ შორის **ნ.მგალობლიშვილსა** და **დ.ჯაიანს**. მათგან პირველი "კოლხური კოშკიდან" გაქცეული მხდალი და ორპირია, ხოლო მეორე, მისთვის ტყვიის დამხლელი მიმდგომელი, მეტიც მისკენ მტრის წარმძღოლი სულმოკლე.

ის არავითარ შემთხვევაში, არ იშლის ავყიობას, ამასთან ერთად თავისი სულიერი ხრწნადობის შეფუთვას ერის სიწმინდეებში ცდილობს: **"არადა, სოხუმის თეატრი ყოველთვის იყო თავისუფალი, ისეთი, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას სახელს ეკადრებოდა!" (გაზეთი "ასავალ-დასავალი", 10-16მაისი, 2010წ.).**

ეს კია სწორი, ოღონდ, თუ რად დასჭირდა ამჯერად მისგან თოფდახლილი დიდოსტატი, აი, ამაშია მთელი ვერაგობა.

მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაფერი. **ნ.მგალობლიშვილისა** და მისი თანამოსაქმეების მიერ **1990-91 წლებში** აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროდან ლამის "კოლხური კოშკის" მექონგურეებად გათვალსაჩინოებული ხალხი გახდა **1993 წლის შემოდგომაზე** სამეგრელოში სათარეშო "წესრიგის" დამამყარებელი, ე.ი. ფაქტობრივი ხელისუფლების პირველი პირები ამ მხარეში, ანუ იმ სამეგრელოში, რომლის ტყეებს იმ დროს თავს აფარებდა დევნილი, მშიერი, მწყურვალი და მიუსაფარი **ზ.გამსახურდია**.

ამ დროს **ნ.მგალობლიშვილისა** და მისი თანამოსაქმეების მიერ შერჩეული "ზვიადის სანდო თოროსნები" ხან "სამეგრელოზე გამარჯვებას ზეიმობდნენ", ხან კიდევ, როგორც მწევარი კურდღელს, კვალში ედგნენ ერის სინდისს.

რაც შეეხება **ნ.მგალობლიშვილს**, ის იმხანად, იცით უკვე, მოსკოვში ითბობდა კაცღმერთობის ბალიშად ამოჩრილ საჯდომს.

მე რა შუაში ვარო, წამოიყროყინებს ახლა! იმ შუაში ხარ, შე ცხრაგზის რეგვენო, რომ, როდესაც შენი თავდებით "კოლხურ კოშკში" გაპირველკაცებულთა საუფროსო თვალსაწიერში შარაგზის ყაჩაღივით წაგიკლავენ ერის წინამძღოლს, უნდა გაგახსენდეს, რომ უკვე საუკუნის დასურათხატებულია **ჰაჯი უსუბი** და არსებობს საოხარის ტარების წესი.

<u>მაგრამ ეს წესი ქრისტესმხედრული მოდგმისაა</u>!..

სხვა მხრივ, საამწუთოდა აქვს დაწერილი ეს სტრიქონები ქართულ მარჯვენას:

"შეკუმშულო ქართლის გულო, შეკვეცილო მიწავ ქართლის,
არ მსურს, მის ტყვედ დაგიგულო, ვისაც ტვინიც არ აქვს ქათმის..."
("მწერლის გაზეთი", 1-15 მაისი, 2010წ.).

აქვე არ შემიძლია გვერდი ავუარო ერთ საკითხსაც: ვინაიდან მე დედით ბერძენი ვარ, **ნ.მგალობლიშვილი** ყველა გზაჯვარედინზე ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა _ არ ენდოთ მას, ის ქართველი არ არის, ამიტომ **ზვიადს** უღალატებსო!..

ყველაფრის მიუხედავად, მე მართლა არ მიკვირდა და არც დღეს მიკვირს **ნ.მგალობლიშვილის** ატიტყინება არც 1990 წელს, როცა ეროვნულმა მოძრაობამ ერის დანაზოგი მიანდო და არც ამჯერად, როდესაც დრომ ყველაფერს გასცა პასუხი.

საქმე ისაა, რომ გამოიყენეს რა მისი ბოღმაკაცობა, დამკვეთებმა მას მოსთხოვეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში მიზნობრივად შერჩეულ პიროვნებათა გაუვნებელყოფა. მაშინ მან იმ დროის საძრახობათა ზურგის ქარით ეს შეძლო, მაგრამ დღეს ის ამას ვეღარ შეძლებს, რადგან ჩვენც ვისწავლეთ საამდროო ილეთები. დღეს ის, გულწრფელად ვამბობ, მხოლოდ და მხოლოდ ყავლგასული ნივთია.

იმ ხნის მანძილზე, რაც მე აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში ვმუშაობ, არაერთი წერილი, ინტერვიუ და მონოგრაფია გავასაჯარისე "კოლხური კოშკის" ცნობიერებაზე, მოვამზადე საიუბილეო ღონისძიებები და ა.შ. ყოველივე ამის შორიდან მაყურებელი იყო იგი, ხოლო იმ დროს, როცა **1992 და შემდგომ წლებში** მოსკოვში იმახათებდა ერთ საჩოთირო ადგილს, მაშინ მეც, სხვა ერისკაცებთან ერთად, მისგან ვერაგულად მიტოვებულ **ზ.გამსახურდიას** გვერდით ვინაწილებდი მისკენ **ნუგზარისგანაც** გადმოტყორცნილ განსაცდელს.

ახლა ვეკითხები მას, მე "ბერძენმა" თუ თავი გავიმეტე საქართველოს ყოფნა-არყოფნის ხანს, შენ, "თავანკარა" ქართველი, რად გაერიდე ქვეყნის განსაცდელს.

_ რა მექნა, სული ტკბილი იყოო, მიპასუხებს ურცხვად.

არ გამოვა ასე, რაკი ჩაისველე წელსქვემოთ, ხოლო ზნეობა დააგირავე, ჩაიწიე და ახლა მაინც ნუ მეწარამარები წინ.

ამ მედროვის ხასიათის გასარკვევად ნიშანდობლივია ერთი შემთხვევაც: 2010 წლის 25 მაისს <u>ზ.გამსახურდიას</u> ქვრივმა, ქალბატონმა <u>მანანა არჩვაძემ</u> თავის მომხრეებთან ერთად გადაკეტა თბილისში ყაზბეგის ქ. №42, რომელშიც განთავსებულია სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (აქვეა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო). გამწარებული ადამიანი საპატიმროში თავისი შვილის _ <u>ცოტნე გამსახურდიას</u> უმწეო მდგომარეობას ასაჩივრებდა ისე, როგორც შეეძლო.

<u>ნ.მგალობლიშვილი</u> ამ ცოდვისკითხვაში სეირს ხედავდა და თავს ირთობდა, _ ესენი ჩემი ბეტეერები იყვნენო, განაცხადა ბოლოს.

ნაცადმა გაიძვერამ ასე უერთგულა "კოლხურ კოშკს"!

საერთოდ, როდესაც საუბარია "აფხაზებისთვის პასუხის გაცემაზე", რაზედაც ზემოთ შევაჩერე თქვენი ყურადღება, აქ უნდა ითქვას, რომ მას სურვილის შემთხვევაშიც არ შეეძლო ეს ამ საკითხში თავისი ნაკლებ გათვითცნოებიერების გამო. ის ამაზე ყოველთვის საუბრობდა და დღესაც ჩხირკედელაობს კრემლის მიერ შემოჩეჩებული ტერმინოლოგიითა და რუსისტული სტერეოტიპების შესაბამისად. უცოდინარობისა და თავისი სახიფათო დებულების გამო **("მეგრელები შეეკვრებიან აფხაზებს")** იგი ვერ განმარტავდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში საბჭოთა ეთნოდივერსიული ფაბრიკაციების არსს, რომლის შედეგადაც აფხაზეთი "სხვაქვეყნდებოდა". ის ვერც აგრესიულ სეპარატიზმს (როგორც აფხაზეცთა ეთნოკრატიულს, ასევე "ჩვენს" პარტოკრატიულს) უდებდა საპირწონეს და თავისი ვითომ საქმიანობით, უკეთეს შემთხვევაში, კუთხიდან კუთხეს უნაყოფოდ ეხეთქებოდა. მისთვის მიუღებელი იყო ისეთი შინაარსი, როგორიცაა სახლიკაცობა, ძუძუმტეობა, სახალხო თანხმობა, საერთო გვარები (ეს გვარები ხომ მეგრული იყო).

დღეს თუ თუნდაც აქა-იქ ვაღწევთ, განა მაშინ არ შეიძლებოდა აფსუა სახლიკაცებთან საერთო ენის გამონახვა, როცა ყოველ შაბათ-კვირას ზიარი ნათესავების ქორწილებზე, ძეობებზე და ქელეხებზე ვხვდებოდით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ეს არათუ შეიძლებოდა, საჭირო იყო, მაგრამ **ნ.მგალობლიშვილი** ამაში "მეგრელ-აფხაზეცთა _ ანტიქართულ შეთქმულებას ხედავდა და ასეთ ურთიერთობებს, წინააღმდეგ "კოლხური კოშკის" მსოფლმხედველობისა, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ებრძოდა. სამაგიეროდ, აბეზარი დამსმენივით უბის წიგნაკით ხელში (ეს უკვე გითხარით) დასდევდა **ალექსანდრე ანქვაბს** და მასზე კომპრომატებს აგროვებდა. აი, ასე "სცემდა იგი საჭირო პასუხს" სეპარატისტულ მოძრაობას.

დრომ კი სხვა რამ დაადასტურა, მართალი ვყოფილვარ, არადა, **ნ.მგალობლიშვილი** მეც უბის წიგნაკით დამსდევდა, როცა **მ.კოსტავას** ფონდის საშუალებით აფხაზეთში პირველი სახლი აფსუა ქალბატონსა და მის შვილებს ვუყიდე.

მე ახლა გაგაცნობთ აფსუა სახლიკაცების ერთ წერილს და თავად განსაჯეთ, რა დააკლო საქმეს **ნ.მგალობლიშვილმა**:

Обращение Абхазских беженцев Господину Максиму Гвинджия.

Господин Максим,

Мы, нижеподписавшиеся, абхазы по национальности, пользуясь случаем хотим Вам сказать следующее, накануне т.н. президентских выборов в Абхазии мы покинули территорию Абхазии и переехали в г.Тбилиси.

Нам невмоготу хладнокровно смотреть на беспредел и бесчинство росийского окупационного режима по отношении коренных жителей Абхазии. Коварными способами, по заранее разработанному плану, они захватили территорию Абхазии и в данный момент своими грязными руками копошатся в наших судьбах, дабы окончательно уничтожить и стереть нас, абхазов, с лица земли.

Придумавшие и осуществившие мохаджирство желают опять повторить подобный террор, только в гораздо более опасных и губительных формах.

Наши великие и мудрые предки в свое время увезли в Турцию и по сей день частично сохранили там свою самобытность, традицию и язык. Режим же Кремля сегодня решил тотально поработить абхазскую нацию.

Наши предки оставили нам наш прекрасный язык и традиции, которые мы обязаны в таком же чистом виде передать уже нашим будущим потомкам.

Однако, господин Максим, совершенно очевидно, что мы с Вами никак не сможем осуществить эту высокую и заветную мечту, если не объединимся с нашими грузинскими братьями, предки которых предельно активно противостояли мохаджирству в Абхазии.

Злополучный конфликт 1992-93 годов был инспирирован нашим общим врагом. Сегодня любой рядовой крестянин знает, что ни абхазы, ни грузины не имели и никак не могли иметь военный арсенал таких масштабов, который позволил бы в течение года стрелять в друг друга из всякого вида русского оружия. Было совершенно ясно, что наш общий враг снабжал оружием и боеприпасами обе стороны, лишь бы мы уничтожали друг друга.

Это не было войной между абхазами и грузинами. Всем было хорошо известно, кто инспирировал и далее проводил военные действия. Все окончательно прояснилось и встало на свои места после провозглашения Россией «независимости» Абхазии. Сегодня Абхазия оккупирована и милитаризована российской военной машиной и полностью контролируется кремлевскими эмисарами. Поэтому мы в Абхазии получаем лишь только однобокую информацию, подготовленную и пропагандируемую российскими СМИ, работающих на российские же спецслужбы. И таких как мы, испытывающих практически полный информационный вакуум, подавляющее большинство в Абхазии.

Сегодня мы живем в городе Тбилиси, где поняли и почувствовали, что такое демократия. Здесь нет коррупции, над криминальным миром одержана полная победа, защищаются права человека. И что самое главное грузины испытывают к абхазскому народу не воинствующие и враждебные настроения, а, наоборот, везде и повсюду проявляется миролюбивность и стремление к примирению, и что самое главное это закреплено официальной позицией нынешнего руководства Грузий.

Мы горячо желаем, чтобы наши соотечественники проживающие в Абхазии также вздохнули с облегчением, не боялись завтрашнего дня и были уверены в мирное будущее. А это возможно лишь только после примирения и объединения двух исторически братских народов, абхазов и грузинов, в едином государстве.

С уважением, *Кучуберия Тамаз, Кучуберя Алла, Кучуберия Руслан, Шапковская Дарико, Чежия Бадри, Арджения Руслан, Палба Асида, Дзвабава Омар, Кикория Лана, Шоуа Влад, Корсая Емса*. 15 января 2010г.

მე ამ წერილში მისაღებად ვთვლი მთავარს იმას, რომ ეს ხალხი თბილისისკენ გულწრფელად იყურება. დანარჩენი დროის საქმეა!..

რა თქმა უნდა, მათი წერილიდან ჩანს, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში დაქსელილი დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგები აფხაზეთის

მოსახლეობის ცნობიერებიდან ძნელი აღმოსაფხვრელია, მაგრამ ის ერთად უნდა გავაძევოთ. ამის მზაობა წერილზე ხელმომწერებში ნამდვილად არის.

...თუ ასეა, რამ გააშმაგა ამგვარად ეს კაცი, რომ ასე დაუზავებლად გადაგიჯვარედინათ მახვილიო, მკითხავთ.

საქმე ისაა, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ინსტიტუციების წინააღმდეგ არაკეთილმოსურნე ძალების მიერ კვლავ განახლდა ცილისმწამებლური თარეში (ამაზეც გესაუბრეთ უკვე).

ნ.მგალობლიშვილიც ამ ბანაკში აღმოჩნდა, ანუ ასრულებს მოსკოვის დაკვეთას _ აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურები დაითხოვეთო.

ის ღიად უჭერს მხარს, იმათ, რომლებსაც ადრე აფხაზეთის მთავრობაში მაღალი თანამდებობა ეკავათ და შეთავსებით კოლაბორაციულ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ კრემლიდანური აგრესიის სასარგებლოდ. ამავე დროს, რბილად რომ ვთქვათ, მათ გადაამეტეს თავიანთ უფლებებს, რისთვისაც თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

დღეს ისინი ასეთი შანტაჟის გზით ცდილობენ არეულობათა აგორებას.

ჩემი წერილიც იმიტომ დაიწერა, ხმა მივაწვდინო იმათ, რომელთაც ამგვარი ხელმრუდობის, სულხრწნადობის და უგუნურების ლაგამამოდება შეუძლია. დიახ, მე არ ვიხარჯები ზნეობა დასაჭურისებული ბევრეულისათვის. თავდადება შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც საფუძვლიანად ესმის ქრისტესმხედრული შინაარსი, ხოლო ქრისტესმხედრული შინაარსი იქაა გასიგრძეგანებული მხოლოდ, სადაც ჯიშისმიერი მეხსიერება ირთველიანებს სულს. პირდაპირ ვამბობ, არ გახლავთ **ნ.მგალობლიშვილი** ამ წყობის სულიერი!

მე ამ დღეებში ვრცელი წერილი მივუძღვენი ხელმრუდი ფეხაწყობების თავხედურ გამოხდომებს აფხაზეთიდან დევნილი ლეგიტიმური ინსტიტუციების დასაცავად. ამის გამო ამჯერად მე მომადგა ლოდსატყორცნებით იგი. მისი ჭკუით, რაკი თვითონ მთელი ცხოვრება თავსმოხვეული სადავეებით იღვაწა, ასე ჰგონია მეც ვიკადრებ სხვათა თითისქნევით ავიაღმართო და მისი თუ თავისი თანამოსაქმეების მსგავსად, რაღაც გამორჩენისთვის დავწერო ის, რაც არ მწამს. მე მესმის, რომ ასეთ ვითარებაში დიახაც ძნელია ეკამათო უგუნურს, ასათნოო უღმერთო, გადაარწმუნო ბოღმაკაცი და რადგანაც აზროვნება ღვთივმონიჭებული უპირატესობაა უფლის ხატად ასულდგმულებულთა, ამაოა მათთან სახლიკაცობის მოთვალსაწიერება.

ერთიც უნდა გაგიცხადოთ, ამ ხუთიოდე წლის წინ, როგორც თვითმხილველები ამბობენ, ერთ ღრმადპატივსაცემ ჭერქვეშეთში, ნადიმზე **ნ.მგალობლიშვილი** სასმელს კრემლიდანურად მოეკიდა და მორიგი გაბომჟებით სალოცავად აფრიალებულ სადღეგრძელოებს გადარწყევა მოუნდომა. ბოლოს და ბოლოს, მისი გარეთ გაბძანება აუცილებელი გახდა. ამით გაგულისებული გზად ჩასაფრდა და მონადიმეებს ანგარიშსწორება მოუნდომა. მისი "გალომგულება" მაშინ იმით დამთავრდა, რომ ერთერთმა სავსებით დამსახურებულად გამომაფხიზლებელი წიხლი ამოუჯინა.

დრო გავიდა და მისი გამომაფხიზლებელი სათანადო რწმუნებით დევნილთა ლუკმას მიმდგარ ხელნაცდურებში ზნეობრივი მათრახით გაერია.

ამიტომ აღმოჩნდა **ნ.მგალობლიშვილი** შეთქმულთა სიმრავლეში და თავის მომაბეზრებელი წარამარაობით პოლიტიკურ ანანიზმში დაისაქმა თავი.

ამასთან დაკავშირებით **22.04 _ 2010 წელს** მე მივმართე აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, იმაზე, რომ დეპუტატი, რომელიც ძირს უთხრის ხელისუფლებას და მის სახვალიო შედეგებში ვერ ერკვევა ან ცუდად ერკვევა, თავის თავს მოიაზრებს საკუთარი ამომრჩევლის განაწესის მიღმა.

არადა, სათავზარო სიცხადე, რომელიც ნ.მგალობლიშვილისა და მისი თანამოსაქმეების წინგაუხედაობითაც დაგვატყდა თავს, სულ უფრო და უფრო წყალუხვდება უგუნურობათა მორიგი ნაკადებით.

ისინი თავს უფლებას აძლევენ გაერთონ ისეთი ფუფუნებით, როგორიცაა ჩასაფრებული ანგარიშსწორება იმასთან, ვინც კი ოდესმე უკადრებელში წასწრებია ამ ფეხაწყობას.

ოღონდაც, მეტი საქმე არა აქვთ, თავი იწუხონ იმის რკვევაში, თუ რა მასშტაბებს იძენენ მათი დემარშების თანადროულად იმპერიათა მიერ თავსმოხვეული ეთნოდივერსიულ ინდუსტრიაში საქართველოს დენაციონალიზაციის პროგრამათა სიგრძე-სიგანეები.

ეს მათ გვერდით ხდება, მაგრამ თვითონ არ გაერჭოთ ეკალი და რა მოხდა მერე, რომ რუსეთის მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა, ანუ აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში (ნაწილობრივ ჯავახეთში) კრემლის მიერ რუსული პასპორტების დარიგება და ასეთი ეთნოდივერსიული ფაბრიკაციით რუსეთის ე.წ. მოქალაქეთა გამოინკუბატორება ტოლფარდია (იდენტურია) იმ მოვლენასთან, რომელსაც ტექნოკრატიული დასავლეთი ჭაობური დემოკრატიის სახით ამკვიდრებს ჩვენთან, როცა იგი ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით ქართველთა ეროვნულ-სახალხო ნების საწინააღმდეგოდ ალეგიტიმურებს მესაჯდომეთა, იეღოველთა თუ სხვა ჯურის ე.წ. უმცირესობათა აგრესიას საქართველოში (და არა სხვაგან სადმე).

რა მაგის პასუხია და, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება, იმ საშუალებით, რასაც იმხანად ვითარება იძლეოდა, ვცდილობდი, ჯავშნად დავდგომოდი ჩემი სამშობლოს შეუგინებლობას. **1989 წლიდან,** რაც **ნ.მგალობლიშვილთან** საქმიანი ურთიერთობა მომეცა თუ ვინმემ ჩამცა მახვილი ზურგში, მათ შორის ყველაზე ხელგამოღებული თვითონ გახლდათ. უფალმა ინება პირადად ჩემთვის, მიუხედავად უმძიმესი ჭრილობებისა, სასიკვდილო არ გამომდგარიყო ეს ჩასაფრება, სამწუხაროდ, ქართულ საქმეს კი საბედისწერო ხანა დაუდგა ამგვარი თავგართობებით.

და ბოლოს, როდესაც **1990 წელს ნ.მგალობლიშვილისა** და მისი თანამოსაქმეების ხელცდუნებებს გავემ-იჯნე, ეს სიმხდალით არ გამიკეთებია, ვიფიქრე, იქნებ მე ვცდები და ამ ხალხს საქმე არ გავუბლანდო-მეთქი.

დღეს ვხედავ მათ ავგუნება საქმეებს, ისინი ზნეობრივი ხელმოცარვის შემდეგ ავყიობის შეშხეფებით დაკავდნენ და ადამიანურ ღირებულებებზე თუ სიწმინდეებზე თავიანთი ხრწნადობის შერწყევით იმსუბუქებენ ყოფას.

საკითხი ასე დგას, **ნ.მგალობლიშვილი** და მისი თანამოსაქმეები რა სიმრავლეცაა, ის კი არაა სარკვევი, ვის ახმოვანებენ, ვინ ილანდება მათ უკან, აი, რას უნდა გაეცეს პასუხი და არა მხოლოდ პასუხი!..

პირდაპირ გეტყვით და პასუხსაც ვაგებ, _ მათ კრემლის ნათურა გზას უნათებთ კვლავ!..

ასე არ იჭედება თავისუფლება! **ნ.მგალობლიშვილისნაირი** ბოღმის ლაგვანისთვის მიწიერ ცხოვრებაში ვერა და ვერ გაისაგნა სიყვარული და ჭეშმარიტი სიკეთე. ეს არის მიზეზი იმის, რომ ვერც თავისუფლება ჰპოვა, რადგან ბილწი სული ვერ თავისუფლდება ტაბიკებისგან.

მართალია **ნ.მგალობლიშვილისთვის** მეგრული ნაირსახეობა დედოქართულისა საეჭვო მდგომარეობაა, მაგრამ უწმინდესის სააღდგომო ეპისტოლე (2010წ.) ემოწაფება მის სახალხო სიბრძნეს: **"მშვენიერი მიმართვაა, მაგალითად, ლაზური "შური მშინე" ("სულის მომხსენიებელი"). ასე უწოდებს ლაზი თავის შთამომავალს, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი მისი სულის მომხსენიებელი იქნება."**

ვინ არის თქვენთვის "შურიშ მშინე" **ნუგზარ?!.**

ვაი, რომ ეროვნულ მოძრაობაში არც გყოლიათ ის, რადგან არასოდეს იყავით "კოლხური კოშკის" ქრისტეს მხედარი!

6-15 მაისი, 2010წ.

≈*≈

3. ზღვა, რომელიც შორია,

ანუ, როდესაც აფხაზეთი ისევ კრემლიდანურად განიხილება!...

* * *

1. ფაქტის ფილოსოფიის ანბანური გასაგნებები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში)

"მოძღურებასა მრავალსახესა და უცხოსა ნუ შეიწყნარებთ"...

<u>ებრაელთა მიმართ 13,9</u>

"...ხშირად ერთი დღის დაგვიანებული საქმე მთელი საუკუნის

სატირალი გახდება ხოლმე..."

<u>დიდოსტატი კონსტანტინე</u>

უმაქნისია საზოგადოება და გადაშენების ზღვარზეა ერი, რომელიც კარნახით აზროვნებს და მხოლოდ სხვათა შემწეობით ცხოვრობს. მას არ გააჩნია ეროვნული მეობის განცდა. სამწუხაროდ, ქვეყნის წინაშე უპასუხისმგებლო საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ვერ ამჩნევს, რომ ამერიკის ე.წ. ჰუმანიტარული პასუხისმგებლობა და საბჭოთა კავშირის "ინტერნაციონალური" მოვალეობა ერთი და იგივეა (იდენტურია).

როდესაც ადამიანი ცნობიერად უვინაოა, ხოლო სულიერად მდაბიო გახლავთ, ადვილია მისი გადაგვარება, სწორედ ამიტომ ცდილობენ იქ, "სადაც ჯერ არს", ქართველთა პირწმინდა გამდაბიოებას.

ასეთი მცდელობის საპირწონე არის მხოლოდ ერთი რამ, _ ვისაც გააჩნია დედაენა, სახალხო რჯულისკანონი, მას აქვს სამყარო, უკვე ჩამოუყალიბდა მსოფლმხედველობა, ანუ ძვრაუქმნელია საკუთარ ცნობიერ თვალსაწიერში, თავის ვინაობაში.

პოლიტიკური თავისუფლება, გასაგნებული საკუთარ სახელმწიფოებრიობაში, ერს სულიერი მარადიულყოფისთვის სჭირდება. ამას კი განაპირობებს მხოლოდ პატივისა და ღირსების შეუგინებლობა.

არაფერი არაა იმგვარად გადამშენებელი, როგორც თავსმოხვეულ ჩარჩოში საკუთარი ვინაობის გასიგრძეგანება მიზნობრივი დაკვეთის მიხედვით.

სამწუხაროდ, დამპყრობმა მოახერხა ჩვენი თვალგახელის იმგვარი ოკუპირება, რომ საკუთარ ვინაობაზე ვიცით ზუსტად იმდენი, რამდენიც დამპყრობისგანაა ნებადართული.

ე.წ. დემოკრატია კომპრადორული საზოგადოებისთვის გახდა საშუალება, რათა გამოხატვის თავისუფლების საბაბით ხელყოს ერში პატივისა და ღირსების უფლება.

იმპერიათა მრავალათასწლოვანი ეთნოდივერსიების შედეგად სადენაციონალიზაციო ნედლეულად მოაზრებული ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი ნებივრობს უვიცობაში. მან არ იცის თავისი წარმომავლობა, გონითი განფენის სივრცე, მამულის სიგრძე-სიგანე. აზრზე არაა თუ რა უნდა იყოს ერის ცნობიერი ნიშანსვეტი და ეროვნულ-სახალხო სულიერების სვლაგეზი.

მან, ცრუ მეგობრების ინახში თავდადგენილმა, გააძევა გულითადი სახლიკაცები. ზურგი შეაქცია მამა-პაპათა შინაარსს.

მისთვის სისწორე ის სიცხადეა (ის ფაქტია), რომელიც გონიერმა მტერმა შემოაქსელა.

აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა იმპერიათა ძალადობის, განსაკუთრებით კი რუსისტული ეთნოფაბრიკაციების შედეგად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში _ 1. აფხაზეთის ავტონომიის შექმნამ ეს მხარე "გაასხვაქვეყნა" ანუ არაქართულ (არააფხაზურ) შინაარსში დაადგინა; 2. გასხვაქვეყნებულ სივრცეს "საკუთარი" პოლიტიკურ-ადმინისტრაციული აბრის ქვეშ დასჭირდა "ამ ქვეყნის სახელის მატარებელი", ხალხი ანუ თავისი "სახალხო" ფირნიშის "დემოგრაფიული დადასტურება"; 3. ამრიგად, აფხაზეთის ასსრ იქცა მძლავრ საბჭოთა ეთნოფაბრიკაციულ ინდუსტრიად, რომლის ეთნონედლეულად გამოიყენებოდა აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა, ძირძველი ქართველი[50] და გასახლიკაცებული აფსუა, ასევე არმენები, რუსები, თურქები, ბერძნები, ჩრდილო კავკასიელი ხალხები და ა.შ.; 4. ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის _ "абхазец"-ების მიზნობრივი ინკუბაცია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პროგრამის სტრატეგიული მიმართულება გახდა; 5. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ძირძველი ქართველი მოსახლეობის სამხარეო სახელი "აფხაზი" ეროვნებად გაუპიროვნდა ახალ საბჭოთა ნაციას; 6. მათდა დაუკითხავად სახლიკაცი და

---

[50] აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ისევე, როგორც სამეგრელოში, აჭარა-გურიასა და იმერეთში, საუკუნეების მანძილზე ტრაპიზონის მხრიდან ჩამოსახლდნენ გამაჰმადიანებული ლაზები, რომლებმაც აფხაზეთში შექმნეს საკუთარი დასახლებები და სოფლები.

აფხაზეთის გასაბჭოების შემდეგ გაგრძელდა ამ ხალხის დენაციონალიზაცია და მათი ჩამოცილება ლაზურ-მეგრული (ანუ ქართული) სამყაროდან. ამ მიზნით, სარგებლობდა რა საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლების უვიცობითა და წინგაუხედაობით, აფხაზეთში სეპარატისტულ-ბოლშევიკური მოძრაობის ერთერთი მამამთავარი ს.ჭანბა მოსკოვში სადირექტივო ორგანოებს (1930 წლის იანვარი) მიმართავდა, რათა ლაზებისთვის ლათინური ანბანის საფუძველზე შეექმნათ დამწერლობა. უფრო ადრე ლაზთა ე.წ. თვითმყოფადობისათვის 1929 წლის დეკემბერში სოხუმში ჩატარდა ლაზთა I კონფერენცია, რომელმაც იმუშავა აფხაზეცური სეპარატიზმის კონსპექტებით.

ყოველივე ამას მოჰყვა ამავე ხანებში (1930წ.) ე.წ. ლაზური გაზეთი "ჭითა მურუცხი". იგი დაიბეჭდა ლათინური შრიფტით (მასალა მომაწოდა პროფესორმა ჯ.გამახარიამ).

ბუნებრივია, ამ საქმის თაოსნებისათვის არავის შეუხსენებია, რომ სწორედ ლაზურ ცნობიერ სივრცეში ჩაისახა ქართველი ერის დასაბამი და მისი დამწერლობა.

სამწუხაროდ, მათი ინტერგრაცია ეროვნულ-სახალხო სამყაროში იმ დროს საქართველოს ე.წ. ხელისუფლებას (საოკუპაციო რეჟიმს), ბუნებრივია, თავის თავსატკივრად არ მიაჩნდა.

ამას მოჰყვა ის, რომ ამ მოსახლეობის ნაწილი 40-იან წლებში ყაზახეთში, შუა აზიასა და ციმბირში გაასახლეს როგორც "თურქები", ნაწილი კი აფხაზეცად აღიწერა.

გადასახლებიდან დაბრუნებულთა საკმაო რაოდენობა, ასევე ჩაეწერა "აფხაზეცად", გარკვეულმა ნაწილმა კი შესძლო ფესვებთან მიბრუნება და ქართულ სამყაროში აღორძინება (მაგ. ცნობილი ეთნოგრაფი წათე ბაწაში, მისი ძმა _ მხატვარი და ქრისტეს მხედარი ნერსე ბაწაში (ყოფილი კაზანჯოღლები) და სხვები).

ძუძუმტე აფსუა ხალხის წინააღმდეგ რუსიზმის მიერ მიზანმიმართულად განხორციელებულმა ასეთმა ეთნოდივერსიამ უნდობლობა ჩამოაგდო ამ მიწის შვილებს შორის და ისინი თანდათანობით, კრემლიდანური გეგმის შესაბამისად, ჯერ დააპირისპირა, შემდეგ გახლიჩა და ბოლოს მტრებად გადააქცია; 7. ყოველივე ამის შედეგად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს _ აფხაზეთის ქართველი (აფხაზი) მოსახლეობა საბჭოთა (რუსისტული) რეპრესიების მსხვერპლი ხალხია, რომელსაც საკუთარი მხარე ჯერ "გაუსხვაქვეყნეს", რის შედეგადაც ისინი თავდაპირველად აფხაზეთის ასსრ-ში "არამკვიდრ" ხალხად გაუსაჯარისეს როგორც საბჭოთა კავშირს, ასევე მსოფლიო საზოგადოებრიობას, შემდეგ კი გეგმაზომიერად განხორციელებული გენოციდისა და ეთნიური წმენდის შედეგად მამულიდან "არამკვიდრის" შინაარსით გააძევეს; 8. რუსისტულ-ეთნოფაბრიკაციული რეპრესიების მსხვერპლად ქართველებთან ერთად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ასევე უნდა ჩაითვალოს აფსუა ხალხი, რომლებიც კრემლიდანურმა ძალადობამ საკუთარ შინაარსს (ქართველებთან სახლიკაცობას) დაუპირისპირა. 9. მოვლენათა კრემლიდანური განვითარების შედეგად ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, იგივე აფხაზეთი დღეს ფაქტობრივი მდგომარეობით რუსეთის იმპერიული სივრცეა, რომელსაც ვითომ დამოუკიდებელი აფხაზეთის აბრის ქვეშ მართავს ხელოვნურად დეფაქტირებული და აფხაზეთის მოსახლეობის სისხლში დასრვრილი რეჟიმი; 10. ამავე დროს, კრემლი შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნევლად ენგურ-ღალიძგის გადასარბენზე[51] ქმნის "დამოუკიდებელი" აფხაზეთიდან ჩამოსაცილებელ საეთნოფაბრიკაციო პოლიგონს, სადაც მისი გეგმით და ძალისხმევით უნდა მოხდეს "მინგრელცური" სეპარატიზმის პროვოცირება და მისი ექსპორტი მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე; 11. ვინაიდან ქართულ პოლიტიკაში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხი კვლავაც თავსმოხვეული რუსისტული სტერეოტიპებითა და ტერმინოლოგიით განიხილება ("აფხაზური მხარე" _ "ქართული მხარე" და ა.შ.), ამ მხარის "სხვაქვეყნობას"არათუ რუსეთი, ნებით თუ უნებლიედ ქართველი პოლიტიკური ელიტაც დაბეჯითებით განაგრძობს; 12. ქართული კომპრადორული ხელისუფლების მიერ აფხაზეთის საკითხში დაგროვდა წამგებიანი პოლიტიკური მემკვიდრეობა, რომელთა საზოგადოებრივ ცნობიერებაში გასაგნებას ხელს უწყობენ სხვა ძალებთან ერთად არანაკლებ აგრესიულად გარჯილი "ქართული არასამთავროები".

დაახლოებით ასეთი გახლავთ სადღეისო სინამდვილე აფხაზეთის გარშემო, ანუ თუ ე.წ. ფაქტის ფილოსოფიის დებულებებით ვიხელმძღვანელებთ, ის მდგომარეობაა, როცა წუთის წინ ფეხანაწევმა ქალმა კაბის კალთის ჩაწევა თუ მოასწრო, _ "შენ იმნაირი ხარო", ვერ დააბრალებ!

ვითარებას ართულებს ისიც, რომ დღეს ქვეყანაში "მკლავებდაკაპიწებული" პოლიტიკოსები საქართველოს ხსნას საქართველოს გარედან მიღებულ მოწყალებასა თუ "კეთილ ნებაში" ხედავენ და არა ქართველი ერის ეროვნულ-სახალხო ძალისხმევაში. ე.წ.

[51] 1805 წლის 9 ივლისს სამეგრელოს ახალ მთავარს ლევან დადიანს რუსეთის ერთგულების ფიცი დაადებინეს. მასთან ერთად დადეს რუსეთის ერთგულების ფიცი სამეგრელოს კუთვნილი სამურზაყანოს მფლობელმა მანუჩარ და ლევან შერვაშიძეებმა. რუსეთისთვის ეს ამჯერად საკმარისი იქნება გალის რაიონი (ე.წ. სამურზაყანო) თუ დასჭირდა მდ. კოდორამდე თუ არა ღალიძგამდე მაინც (ოჩამჩირის რ-ნი) ჩამოაცილოს ე.წ. აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ამ რეზერვაციაში შექმნას როგორც ე.წ. დამოუკიდებელ აფხაზეთს, ასევე საქართველოს (პირველ რიგში სამეგრელოს) დაპირისპირებული "მინგრელცური" სახელმწიფო.

ადგილებზე კომპარდორულმა ძალისხმევამ ერი ჩაითრია ჯანყში საკუთარი ვინაობის წინაღმდეგ და მონურ მორჩილებაში გარედან თავსმოხვეულ თითისქნევათა მიმართ.

დამჩექმებლური დაპყრობის შემდეგ (რუსისტული ხანა) მას ჩანაცვლებულმა ხავერდოვანმა ოკუპაციამ (აგრესიული გლობალიზმი) საქართველოს თავს მოახვია ზნეობრიობისა და ღვთაებრიობისგან (ეროვნულისგან) დაცლილი თვალსაწიერი, სადაც სუყველაფერი პირწმინდად ექვემდებარება აგრესიულ დემოკრატიას ანუ მიზნობრივ განუკითხაობას.

ოკუპირებული ქვეყანა, რომელიც მოთარეშე გლობალიზმის პირობებში საგრძნობლად დეგრადირებული თაობის ანაბარაა, ჯერჯერობით, ამ მიზეზების გამო, ვერ ქმნის საქართველოს დეოკუპაციის სტრატეგიას.

სამამულო სისხლით მორწყულ მიწაზე დღეს აიმართა ე.წ. ახალი ადამიანი, ვითომ ახალი ქართველი, რომლის მთავარი მახასიათებელია ქართული სულისგან დაცლა, წინგაუხედაობა, მიმდგომლობა ერის სიწმინდეებისადმი, ხეპრეობა (უინტელექტობა), უზნეობა, დაუოკებელი უცხოთუმეობა, ხმაბაძვა და ა.შ.

იგი, თავისი აგრესიული ძალისხმევითა და გარეშე ძალათა მეგზურობით თარეშული გლობალიზმის დედაბოძია ქვეყანაში, რითაც თვითგამოხატვისა და თვითდადგენის ყველა სადავე მოიპოვა, რამაც მასში თვითკმაყოფილების, ანუ შინაგანი ხრწნის პირობები გაიუხვა.

განა ამაზე უფრო მკაფიოდ შეიძლება გაცხადდეს უღირსებობა, უვიცობა, წინგაუხედაობა თუ ხმაბაძვა, როცა შენი ქვეყნის ყმაწვილი "პროფესორი" ქედდადრეკით ჰყვება, რომ _ "ჩვენ (საუბარია ბათუმზე) ევროპის ნაწილი იმიტომ ვართო, რადგანაც საბერძნეთის და რომის კოლონია ვიყავითო მუდამ" (აჭარის ტელევიზია, 05.2010წ.).

თუ რატომ ვართ ევროპა, ამაზე სხვა საბუთი როცა არ მოგვეპოვება, არ იცი, რომ აჭარა ჭარუას შინაარსია, ერის საგანმანათლებლო სკოლაა, რაზე უნდა ისაუბრო იქ. ასეთ უღირსებობასა და უვიცობაში არაა შემთხვევითი, რომ ქვეყნის მოსახლეობის 7%, ანუ 300000 ადამიანი წამალზეა შემჯდარი (კომპეტენტური დასკვნით, _ ქვეყანა, სადაც მოსახლეობის 4% ნარკომანია, იგი დაღუპვის პირასაა).

უმშობლიურობის გამო მისი დათრგუნულობა სულის ნავსაყუდელს უცხოურობაში ეძებს და რადგანაც უმშობლიურობის გამო ვერ ითვისებს სხვათა ღირებულ სულიერებებს, ამიტომ თავგართობას გარედან შემონაგვებულ უკუღმართობასა თუ უვიცობაში ეძებს. ის მარტო დღევანდელი დღით ცხოვრობს. ის მხოლოდ უფლებას ითხოვს და არ იპიროვნებს საქვეყნო პასუხისმგებლობას.

აი, სიცხადე, რომელიც დროებით ოკუპირებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს _ აფხაზეთის საპირწონედ გაისაგნა. ეს არის საჭურისის ხელგამოღება, რადგან ქვეყანას, რომლის სტუდენტობას დედაუნივერსიტეტში გააჯიბრებენ ქაღალდის თვითმფრინავების გაფრენაში ან გაუბედავენ დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის ძეგლთა დემონტაჟს, მას უბოდიშოდ ჰკიდებენ მკვდრადშობილის ხვედრს.

ამ დროს ე.წ. ქართული რეაქტიული სიტყვიერების, საგანგებოდ გაყალბებული ისტორიის, მასმედიად წოდებული ავმოსურნე ანიაღვრების, საეჭვოდ "გაჰუმანურებულ არასამთავრობოთა" გულაჩუყებების, ხმაბაძვათა თარეშისა და საყოველთაო მიმდგომლობის აკომპონიმენტის გასწვრივ (თუ არ გამოიფხიზლა თავი), გადაშენება კვალგაქრობად გადიმუხლუხებს ქართველი ერის ვინაობაზე!..

≈*≈
***

2. როდესაც მხატვრულობა საბჭოთა სტერეოტიპების
გამარადისებას ემსახურება

“შეუძლებელია დედამიწა ვაქციოთ სამოთხედ, მაგრამ
ხელი უნდა შევუშალოთ მას იქცეს ჯოჯოხეთად”...

<u>სერბეთის პატრიარქი პავლე</u>

“რა დამაძინებს... რა დამაძინებს...
უკვე მეძინა მე ჩემი წილი...
მაგრამ ამ მიწას ვიდრე ვამძიმებ _
არ გეღირსება შენც მშვიდი ძილი”...

<u>ოთარ ჭილაძე</u>

სანამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის ცხრაკლიტულებს მოვათვალიერებდეთ, უნდა შეგახსენოთ, რომ ამ ბოლო დროს და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს სახალხო არტისტი <u>დიმა ჯაიანი</u> გაათავისუფლეს სოხუმის <u>კ.გამსახურდიას</u> სახელობის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელობიდან, მისი და მისი თანამოსაქმეების მხრიდან წინასწარმეტყველებები დევნილ სოხუმელთა თეატრალური ცხოვრების გარდაცვალების შესახებ გაათმაგდა. ასევე ვრცელდება სხვადასხვა ჭორ-მართალი აფხაზეთის ხელისუფლებისა თუ ამ თეატრის დასის იმ წევრთა მიმართ, რომელთაც, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, აქვთ შეკითხვები ბატონ <u>დიმა ჯაიანის</u> მიმართ.

ამ შემთხვევაში ხელისუფლება თვითონ მიხედავს საკუთარ თავს, დასის წევრებსაც არ დაებმევათ სამართალო ენა, ჩვენ კი მივხედოთ ჩვენს საქმეს და წავიგდოთ სათქმელი წინ.

ამ მოვლენებამდე უფრო ადრე თეატრის ყოფილი ხელმძღვანელი ყოველ გზაჯვარედინზე ამტკიცებდა, რომ დღის წესრიგში დადგა სოხუმის თეატრის გაუქმება და ამისათვის მას ათავისუფლებდნენ, რადგან, როგორც ის აცხადებდა, <u>“ის ამ ამ თეატრში ხორავაცაა, გოძიაშვილიც და ზაქარიაძეც”...</u>

უნდა მოგახსენოთ, რომ ამგვარ გამოჭენებას მაშინ მოჰყვა გარკვეული გამოხმაურებები, რადგან საზოგადოებამ არ იცოდა ნამდვილი მიზეზი (ამ მიზეზებს არც ამჯერად ვეხები მე, უბრალოდ, ვცდილობ, გავასაჯარისო ის, თუ სანამდე მიჰყავს ადამიანი საკაცღმერთო კვარცხლბეკების სურვილისა თუ პოლიტიკური კლიმაქსის სტაციონარში თვითდადგენას).

მოკლედ, ფინანსური ანცობისთვის გაათავისუფლეს ბატონი <u>დიმა</u> და, ჰოი ,საოცრებავ, არ დაიშალა თეატრი, პრემიერაც შედგა, მას მეორე მოჰყვა, მესამე და ა.შ. ამდენად, ჭორი სოხუმის თეატრის დახურვის შესახებ, დღეს აღარავის ახსოვს თვითონ მის გარდა... დასიც არ დაქსაქსულა, მუშაობს ეს ხალხი, ეწევა შემოქმედებით ჭაპანს, მოყვარეს უხარია, ჩასაფრებულ და ავმოსურნე ძალებს ძილი გაუტყდათ. სამწუხაროდ ამ ავმოსურნე ფეხაწყობაში <u>დიმა ჯაიანი</u> თავის თანამოსაქმეებთან ერთად მყარად აღმოჩნდა და ისინიც არ ისვენებენ.

როგორც მოგეხსენებათ, ბატონ დ.ჯაიანის ხელმძღვანელობის დროს თეატრს რეპერტუარში ჰქონდა საზოგადოებაში ძალიან გახმაურებული სპექტაკლი "ზღვა, რომელიც შორია" (რეჟისორი თ.ჩხეიძე, დრამატურგი გ.ოდიშარია)... მასში მთავარ როლებს თამაშობდნენ დ.ჯაიანი _ აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელი თეატრისა და მ.ბრეკაშვილი _ თეატრის ამჟამინდელი მესვეური. ეს სპეკტაკლი გასაგები მიზეზების გამო (დ.ჯაიანმა არ ითამაშა) დროებით შეჩერდა.

სწორედ ეს უნდა მას, ცის ჩამოქცევად რომ შეასაღოს საზოგადოებას და ოთხივ კუთხით გაბღავის, დაინგრა ქვეყანა, "აფხაზები" მირეკავენ, ეს როგორ ჩახერხეთ ჩვენს შორის ხიდი, როგორ გამოგვრიყეთ გამოღმაო. ტყუილია ეს!.. არავინ ურეკავდა და ურეკავს სოხუმიდან დიმას, არც არასოდეს დაურეკავენ. ეს ისეთი სიმართლეა, როგორსაც ის და სოხუმიდან მისი ორიოდე ნარცისელი მეგობარი პოეტი ეღაღადებოდა სრულიად საქართველოს, "მეგრელებმა ერთი დევნილიც არ მიიღესო აფხაზეთიდან." სხვათა შორის, მათ შორის გახლდათ მწერალი გ.ოდიშარიაც და ისინი ერთ ხმაზე იმიტომ ასხამდნენ ლაფს მშობლიურ კუთხეს, ე.შევარდნაძეს რომ სჭირდებოდა ამგვარად. მეორე და მთავარი მიზეზიც იყო მაშინ, _ დიდ ჰონორარს იძლეოდნენ ამაში...

ჩვენს საკითხთან კავშირი არა აქვს თითქოს, მაგრამ ბარემ გეტყვით, შემდეგ ისე მოხდა, რომ დ.ჯაიანმა ჰონორარის ნაწილი საქართველოს პარლამენტის დეპუტატობით გაინაღდა. აი, იმ დროს მისი ფრაქციის თავმჯდომარეს ვიღაცეებმა რაღაც წამოაძახეს და იღრიალა, მაგრამ რა იღრიალა დიმამ, _ როგორ, თქვენ არ იცით, რომ, როცა 1993 წლის მიწურულს ჩემი ფრაქციის თავმჯდომარე სამეგრელოში დაინიშნა სახელმწიფო მინისტრად, მაშინ იქ სამეგრელომ აფხაზეთიდან 185 ათასი დევნილი შეიფარაო (ეს აღრიალება ბატონმა დიმამ იმხანად გამოაქვეყნა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში"). აი, ასეთი სიმართლით ცხოვრობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ.ჯაიანი (ესეც ტყუილია, საერთაშორისო წითელი ჯვრის დამოწმებით 1993 წლის ოქტომბერში სამეგრელომ შეიფარა 195 ათასი დევნილი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან).

სიტყვა გაგვექცა, არადა, დროა გადავხედოთ თუ საიდან ასკვნიან ქვეყნის დაქცევას დ.ჯაიანი და მისი თანამოსაქმეები:

ლილი ხურითი _ "ბარამიასთვის აფხაზების გულებთან მისასვლელი გზა, იცით, რა არის? ის, რომ მივლინება გააკეთოს პარიზში და არზაყან ემხვარის საფლავიდან გადასძახოს აფხაზებს. ეტყობა, ჰგონია, რომ პარიზიდან გადაძახილს უფრო გაიგებენ აფხაზები.

ჩვენი გზა კი აფხაზების გულებისკენ იყო სპექტაკლი *"ზღვა რომელიც შორია"*. ორი თვის წინ ბატონ თემურ ჩხეიძეს შესთავაზეს, რომ ეს სპექტაკლი პეტერბურგში ფესტივალზე წაგვეღო. აფიშებიც კი უკვე დაბეჭდილი იყო, სპექტაკლი ჩასმული იყო ჩეხოვის ფესტივალის პროგრამაში, მაგრამ 3 თუ 4 დღით ადრე ბატონ თემურ ჩხეიძეს ამერიკაში შეატყობინეს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ *"ზღვა, რომელიც შორია"* პროგრამიდან ამოიღო, ანუ რუსეთის მთავრობას არ აწყობდა, რომ ჩვენ ეს სპექტაკლი გვეთამაშა რუსეთში, ისევე, როგორც ეს არ აწყობდათ საქართველოში!

_ რუსეთში გასაგებია, მაგრამ როგორ ფიქრობთ, საქართველოში ვის და რატომ არ აწყობს ამ სპექტაკლის თამაში?

_ *"ზღვა რომელიც შორია",* არ იყო მხოლოდ სპექტაკლი, ეს იყო გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი რამ და მე ბედნიერი ვარ, რომ მონაწილეობას ვიღებდი ამ სპექტაკლში. ის სამშვიდობო, შემრიგებლური, რაც ამ სპექტაკლიდან მოდიოდა, მეგონა, რომ ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს ემთხვეოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე არ ყოფილა!

მიუხედავად იმისა, რომ ამ სპექტაკლს ყველანაირად ბლოკავდნენ, დიმა ჯაიანმა მოახერხა, რომ *"ზღვა, რომელიც შორია"* გვეთამაშა სოჭში. ამ სპექტაკლის ნახვის შემდეგ ერთი ატირებული აფხაზი დიმას მივარდა და კოცნა დაუწყო. ის ერთი აფხაზი ამათთვის არის ერთი, თორემ სპექტაკლზე ერთი აფხაზის გულის მოგება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

აქ იყო ასევე ოსების დიდი დელეგაცია, რომლებმაც სპექტაკლის დამთავრებისთანავე უცებ დატოვეს დარბაზი. მეგონა, პროტესტის ნიშნად გავიდნენ-მეთქი, მაგრამ გარეთ რომ გავედი, ოსების დელეგაციის ხელმძღვანელს ასულიერებდნენ. ვკითხე, რა გჭირთ-მეთქი და, იზვინი, მაია დარაგაია, უ მენია სერდეჩნაია ბოლ ნაჩალსაო, _ მითხრა. აი, იმ ოსების გულის მოგება ერთი სპექტაკლით ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

დიმა ჯაიანმა მოახერხა, რომ ხარკოვის ფესტივალზე გვეჩვენებინა *"ზღვა, რომელიც შორია".* არ დაგავიწყდეთ, რომ ხარკოვი, დონეცკი რუსულენოვანი ქალაქებია და სპექტაკლის მერე ატირებული, ასლუკუნებული რუსები რომ ვნახე, დიმას ვეკითხებოდი, ამათ რაღა ატირებთ, ეს სპექტაკლი ხომ რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ არის მიმართული-მეთქი. ჩვენ ხარკოვის გრანპრი ავიღეთ, მაგრამ ეს არავის უხსენებია და აფხაზეთის მთავრობა ამით არ დაინტერესებულა!

"ზღვა, რომელიც შორია" ვათამაშეთ ასევე უკრაინაში _ ნიკოლაევში და იქაურმა თეატრმა უსასყიდლოდ დაამზადა ჩვენი სპექტაკლის დეკორაცია. მერე ეს დეკორაცია შეფუთეს და გვითხრეს, ჩვენ ამ დეკორაციას შევინახავთ, რომ კვლავ ჩამოხვიდეთ და ითამაშოთ, ეს სპექტაკლი მთელმა უკრაინამ უნდა დაინახოსო.

აი, ეს წარმატებები არ გვაპატიეს ამათ! როცა ნიკოლაევიდან ვბრუნდებოდით, ჰაერში _ თვითმფრინავში შეგვატყობინეს, დიმა ჯაიანი მოხსნილია თეატრიდანო! დიმა ჯაიანს არ აპატიეს, რომ მან დამოუკიდებლად იშოვა ფული და შეძლო ის, რომ "ზღვა, რომელიც შორია" უკრაინელებმა, რუსებმა, აფხაზებმა, ოსებმა ნახეს!

პიესის ავტორს, ბატონ გურამ ოდიშარიას ძალიან დიდი კავშირები აქვს აფხაზებთან და უამრავი აფხაზი ჩამოდიოდა *"ზღვა, რომელიც შორიას"* სანახავად. ისინი ატირებულები ტოვებდნენ დარბაზს. მეც, მერაბ ბრეკაშვილსაც აფხაზებად გვიღებდნენ და ხელებზე გვკოცნიდნენ. ეს პატარა საქმე იყო?..

სოხუმის თეატრის დაშლა მარტო ჩვენთვის კი არ არის ტრაგედია. ჩვენი თეატრის უამრავი მაყურებელი და გულშემატკივარი დღესაც ატირებული გვირეკავს. ისინი მოითხოვენ, რომ სპექტაკლი *"ზღვა, რომელიც შორია"* აუცილებლად უნდა აღდგეს. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამას აზრი არა აქვს. რადგან ამათ მოკლეს ამ სპექტაკლის მთავარი იდეა. ორი კაცი ვერ შერიგებულა სცენაზე და ახლა აფხაზებს ვუთხარით, რომ ჩვენ მათთან შერიგება გვინდა?

ჩვენმა ერთ-ერთმა მაყურებელმა მითხრა, მე აფხაზეთი უკვე მეორეჯერ, თეატრშიც დამაკარგვინესო! ჩვენმა მსახიობმა მერაბ ყოლბაიამ თქვა, ამ სპექტაკლს რომ

ვთამაშობთ, საათის და ოცი წუთის განმავლობაში სოხუმში ვართო და მართლა ასე იყო! რამდენჯერმე რეკვიზიტორმა დააფიქსირა, რომ, როცა სპექტაკლი მთავრდებოდა, მაყურებელმა სცენიდან კენჭები მოიპარა და ჯიბეში ჩაიდო. პირველად ეს მოხდა ზუგდიდში და შემდეგ აქ, თბილისში _ "თავისუფალ თეატრში". საათისა და ოცი წუთის განმავლობაში სოხუმის სუნი, სოხუმის გარემო იქმნებოდა სცენაზეც და დარბაზშიც (წესით უნდა თქვა სურნელი, რადგან სუნი ასდის მას, რაც ყარს..._ ს.საჯ.).

აი, ეს არ უნდა ამ ხალხს! და ახლა მინდა გითხრათ ყველაზე მტკივნეული რამ, რაც მოხდა იმ დასის შეკრებაზე, რომელზეც დასაწყისში ვილაპარაკე!

ჩვენმა ერთ-ერთმა მსახიობმა ქალბატონმა წამოიძახა, წადი აქედან, შენს ოსეთის თეატრში წადიო!

_ ლილი, შეგიძლიათ, ამ ქალბატონის სახელი და გვარი დაასახელოთ?

_ ამ ქალბატონს ჰქვია *ლიანა მიქაშავიძე* და მან მე წამომაძახა ის, რითაც ყოველთვის ვამაყობდი, ვამაყობ და ვიამაყებ. დიახ, მე ეროვნებით ოსი ვარ, თეატრალურ უნივერსიტეტში ოსური ჯგუფი დავამთავრე და ვთამაშობდი ცხინვალის ოსურ თეატრში, საიდანაც დიდმა მაესტრომ დოდო ალექსიძემ სოხუმის თეატრში წამიყვანა. 25 წელია, სოხუმის თეატრის წამყვანი მსახიობი ვარ, თუმცა, ახლა ბევრმა წამომაძახა, ყოფილი წამყვანი მსახიობი ხარო. რას ნიშნავს, შენს ოსურ თეატრში წადიო? რა, მათი არ არის ოსეთი? ეს იყო ჩემთვის ძალიან დიდი შოკი და თან ამას მეუბნება ქალი, რომელსაც არანაირი თეატრალური განათლება არა აქვს და მისი ინტელექტიდან გამომდინარე, არა მგონია, საერთოდ, რაიმე განათლება ჰქონდეს!

_ ბატონო დიმა, რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ ლილი ხურითს მისი წარმომავლობის გამო უთხრეს, წადი შენს ოსურ თეატრშიო?

_ როდესაც სოხუმში ეროვნული მოძრაობა ყვაოდა, მაშინაც წინა პლანზე ყოველთვის ის 7 მსახიობი იდგა, რომელიც ჩემთან ერთად დღეს წამოსულია სოხუმის თეატრიდან. მინდა, მკითხველს შევახსენო ლესელიძეში გამართული მიტინგი, როცა მერაბ კოსტავას პირდაპირ ტრიბუნაზე აუვარდა ოზგანი და მათ შორის შეტაკება მოხდა. აი, იმ მიტინგის დარბევას მოჰყვა შემდეგ 9 აპრილი და იმ მიტინგზე, საიდანაც არავინ იცოდა, ცოცხალი გამოვიდოდით თუ არა, სწორედ ეს 7 მსახიობი იყო და, მათ შორის, ლილი ხურითი.

სპექტაკლში *"ზღვა, რომელიც შორია"* ლილი თამაშობდა აფხაზ ქალს და ახლა მას ეუბნებიან, დატოვე სოხუმის თეატრი და წადი შენს ოსეთშიო. ან მარტო ლილი ხურითისთვის არის ის ოსეთი? მიქაშავიძისთვის არ არის?

(გაზეთი, "ასავალ-დასავალი". 10-16 მაისი, 2010 წ.).

ეს მასალა, სხვა უამრავ ჩასაფრებულ ავყიობათა შორის, სახეზოგად შინაარსად შევარჩიე. ისე, ხმამაღლა და ოთხივ კუთხით გასაგონად უნდა განვაცხადო, რომ დიახ, ის მხარე, რომელსაც ქალბატონი ლილი და ბატონი დიმა ოსეთს ეძახიან, ნამდვილად არ გახლავთ ოსეთი, კაცმა რომ ცნობისმოყვარედ მოიძიოს, მართლა ოსეთი კავკასიონის ქედიდან საკმაოდ ჩრდილოეთითაა, ოსთა მიერ დღეს ასევე ოკუპირებული ჩვენი დვალეთისა (არა მხოლოდ) და მოძმე ინგუშთა მიწის იქით!..

რაც შეეხება ქალბატონ ლილი ხურითის ოსობას, "ეროვნულ უმცირესობად" (ისევე, როგორც სხვა "უმცირესობებად") ყოფნა დღეს საქართველოში მეტად სარფიანი

მდგომარეობაა. ოსობა მისთვის ადრე არსად არ ყოფილა დაბრკოლება. პირიქით იყო. დიახ, დიახ, ძალიან პირიქით გახლდათ.

ახლა ქალბატონ ლილის ბატონი დიმას წინაშე რაღაც დამსახურების გამო თუ საშეღავათო მდგომარეობა ეკუთვნის, მოდი, ამას საქართველოს ნუ დააყვედრის ნურც ერთი და ნურც მეორე...

ისე, მე ამჯერად მიჩნდება არც თუ უსაფუძვლო კითხვა, ასე ხელგამოღებითა და გაწიწმატებით ოკუპირებული ცხინვალის მხარეში ოსურ აგრესიას რატომ არ უსაფრდება და არ ებრძვის მას ამ ხნის მანძილზე ჩვენი ნებიერა მსახიობი?!

ან ოსურ მიტინგებზე რატომ არ იმაღლებს ხმას იმ უმადურობისა და ქართველთმოძულეობის წინააღმდეგ, რაც (არ მინდა ოსებიდან მოდის ვთქვა), დიახ, რაც რუსეთის მიერ ფაბრიცირებული აგრესიიდან მოდის?! რატომ არ მოღვაწეობს საქართველოში ცხინვალის მხარის გარეთ მოსახლე ოს ოჯახებთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნისათვის?!

რაც შეეხება იმ ბრალდებას, თითქოს მას ოსობის გამო ქალბატონმა ლ.მიქაშავიძემ შეჰკიჟინა, იგი, როგორც დადგინდა, სიმართლე არაა და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ქალბატონი ლიანა, ცნობილი ერუდიტისა და სახალხო არტისტის ნიკოლოზ მიქაშავიძის ქალიშვილი ბრძანდება, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩაუჭრელი წევრი... ასე, რომ ოსობა, არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოში კი არა მარტო, თვით იმ ოსეთშიც, რუს დამპყრობლებს რომ დახვდნენ კავკასიისკენ მეგზურად, დიახ, არც იქაა ოსობა ხელშეუხებლობის ფირმანი, რომ პასუხი არ მოგეკითხოს დასში კოლექტივის ნებათა საწინააღმდეგო დამანგრევლობით თუ დაქარიშხლობ და მოინდომებ თეატრის ხელმძღვანელთან ახლო ურთიერთობა პროკრუსტეს სარეცლად გაუფინო ნებისმიერს, ვინც რაღაცაში არ გეთანხმება. ასე, რომ ე.წ. "უმცირესობამ" უნდა გაიგოს ერთხელ და სამუდამოდ, რომ ამჯერადაც ნუ მოინდომებს ქართველთა "ტეტიად" ან "გიჟვრაცუად" დადგენას, ჩვენი ერი არაა უმადური, ვინმემ თუ მოიღო ჩვენთვის, ჟამთაბერს შეუმჩნეველი არ რჩება ეს, ამგვარ უანგაროთაგან არა ერთი გვიღიარებია ერისკაცად და მათ შორის თავგანწირულნი წმინდანთა დასშიც კი ჩაგვირიცხავს, შორს რომ არ წავიდეთ, სასკოლო სახელმძღვანელოში ამოკითხული აბო თბილელიც კმარა ამის მაგალითად.

...და ერთიც, იმაზე, რაც ექსკურსია ჰგონია ქალბატონ ლილი ხურითს. როგორც ცნობილია, მიმდინარე (2010 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ პარიზში ყოფნისას ლევილში მოინახულა უდიდესი ქართველი (აფხაზი) მოღვაწის, დამოუკიდებელი საქართველოსათვის მოუქანცავი მებრძოლის, დიდოსტატ კონსტანტინეს თარაშ ემხვარის პროტოტიპის, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის _ არზაყან ემხვარის საფლავი.

მე ვერ დავიჩემებ, რომ ეს კაცი თარაშ ემხვარის თვალსაწიერიდან იმზირება, მაგრამ რადგანაც ეს ცნობიერად აფხაზეთის დეოკუპაციის სტრატეგიისკენ სწორი და უმოკლესი სვლაგეზია, არ მაინტერესებს, როგორ და რატომ მოხდა ასე, მთავარი გაკეთდა, ბატონმა თავმჯდომარემ იგი ინტუიციის კარნახით გააკეთა თუ მსოფლმხედველობრივი გასიგრძეგანებით აზომ-დაზომა, რა მნიშვნელობა აქვს

ამჯერად ამას, აქ ცხოველმყოფელი ისაა, რომ ის ზღუდე, სადაც უნდა გაინაბიჯოს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის შემოერთსხეულებისკენ დარაზმულმა ფეხაწყობამ, სწორი მიმართულებით მოინიშნა.

საწყენია, რომ სულნათელი არზაყან ემხვარის საფლავი ასეთ ცნობიერ ნიშანსვეტად არ მიაჩნია განათლებულ ლ.ხურითს.

დიახ, აფხაზეთის დეოკუპაცია სწორედ არზაყან ემხვარის მისი _ მხატვრული სახებისა თუ გაშინაარსების, გნებავთ სახეზოგადობის, _ თარაშ ემხვარის, უჯუშ ემხას, ჰაკი აძბასა და მათ მსგავსთა ცნობიერებასა და ქრისტესმხედრულ ძალისხმევაზე გადის და არა ამ შემთხვევაში ქალბატონ ლილი ხურითისა და ბატონ დიმა ჯაიანის ჩასაფრებულ და ავმოსურნე აკვიატებებზე.

დავუბრუნდეთ სპექტაკლს. დ.ჯაიანისა და მის თანამოსაქმეთა საუბარი იმაზე, თითქოს აგრესორ-სეპარატისტთა მხრიდან შეინიშნება რაიმე ხელგამოღება მისი ნახვისათვის, ჩვენი ყოველმხრივ შემოწმებული ცნობებით არ შეესაბამება სინამდვილეს.

თუმცა, ამის მიუხედავად პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სპექტაკლი *"ზღვა, რომელიც შორია"* მაღალმხატვრულ სახეებში ასაგნებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რუსიზმის მიერ დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით თავსმოხვეულ, ამ მხარის დედანი შინაარსის გამაყალბებელ სტერეოტიპებსა თუ ანტიქართულ დებულებებს აფხაზეთზე და მოკლედ რომ ვთქვათ, იგი კრემლის დაკვეთითა და ამჟამად ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის (აგრესიული გლობალიზმის) კარნახით მოთვალსაწიერებული აფხაზეთის ჩანაცვლებასა და მარადიულყოფას ცდილობს ჩვენი მამულის _ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ადგილზე.

რა თქმა უნდა, კიდევ ვიმეორებ, ეს სპექტაკლი ძალიან მაღალმხატვრული ნაწარმოები გახლავთ, მასში ბლომადაა აფხაზეთელთა გრძნობების მოფხანვაცა და მათზე თამაშიც, მაგრამ ასევე არის გულისამაჩუყებელი გადახურებები დივერსიული სტერეოტიპების პროვოკაციულ ფორმაში გასასაგნებლად.

აქ ერთი არსებითიცაა აღსანიშნი, სპექტაკლის რეჟისორი თემურ ჩხეიძე დიდი ქართველი რეჟისორი გახლავთ, რომელმაც შექმნა ისტორიულად სწორი და მაღალმხატვრული სპექტაკლები "ასი წლის წინათ," "გუშინდელნი", "ჰაკი აძბა", "ჯაყოს ხიზნები" და ა.შ. "ჯაყოს ხიზნების" სამივე ვარიანტი, როგორც ქართულ, ასევე რუსულ სცენებზე გენიალურია და ის მიიღო მაყურებელმა, მათ შორის რუსმა, რადგან ამ მაღალმხატვრულობას საფუძვლად ედო ისტორიული სისწორე, რომელიც, როგორც მაღალმხატვრული ნაწარმოები, ისტორიული სისწორისა და შემოქმედებითი სრულყოფილების ერთსხეულებრივ გასაგნებად იქცა. ამით იგი უდავოდ უდიდესი და ერისკაცი რეჟისორი გახლავთ.

ეს ასეა, მაგრამ პირდაპირ უნდა განვაცხადო, მართალია, სპექტაკლში *"ზღვა, რომელიც შორია"...* არა ერთი ბრწყინვალე მიზანსცენა გამოაჩუქურთმა რეჟისორმა, შექმნა დაუვიწყარი სახეები, მაღალმხატვრულ სამოსში გაახვია შინაარსი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ვერ შესძლო ნაწარმოების მსოფლმხედველობრივი გაშინაარსება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ვინაობად, გნებავთ რაობად.

აფხაზეთში რუსიზმის მიერ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი ქართველთა დენაციონალიზაცია, თანმიმდევრულად განხორციელებული დივერსიული ეთნოფაბრიკაციები, პროვოკაციული და უკანონო აფხაზეთის ასსრ-ის, ანუ "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" _ ე.წ. "абхазец"-ების ხელოვნური წარმოება და ქართველთა გამოყენება ეთნონედლეულად, სამწუხაროდ ამ ნაწარმოების მიხედვით ვერ იქცა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობის უბედურებათა თავმიზეზების რაობად. დიახ, ვთქვი და კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვამბობ, ეს სპექტაკლი, მიუხედავად იმისა, რომ მაღალმხატვრული და გულისამაჩუყებელი, უფრო მეტიც, ერთი შეხედვით, თითქოს კაცთმოყვარე მიზანსცენების ჩაკრიალოსნება გახლავთ, ის მაინც არის საბჭოთა სააფხაზეთო სტერეოტიპების მაღალმხატვრულ სახეებში მარადიულყოფის მცდელობა და იგი არ ემსახურება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ცნობიერ თუ ცხადლივ დეოკუპაციას, _ არც ამ მხარის თავის დედან შინაარსში აღორძინებას, რომლის გარეშე ჭეშმარიტი სახლიკაცობა აფხაზსა (ქართველსა) და აფსუას შორის არ მოხდება არასდროს.

თუ თავის გახმაურებულ სპექტაკლებში _ "ჯაყოს ხიზნები" თ.ჩხეიძე საზრდოობდა მ.ჯავახიშვილის ისტორიულად სწორი და მაღალმხატვრული რომანით, რამაც განაპირობა გასცენიურებისას მისი ასევე მაღალმხატვრულობა, ისტორიული სისწორის წარმოჩენა და შესაბამისად, წარმატება, ამ შემთხვევაში გ.ოდიშარიას ნაწარმოები *"ზღვა, რომელიც შორია"...* ისტორიული სისწორის თვალსაზრისით კი არ სცოდავს მხოლოდ, აუკუღმართებს სინამდვილეს, ხოლო მიზანდასახულად ნაკარნახევი და თავსმოხვეული დივერსიები მხატვრული თვალსაზრისით ოსტატურად შესრულებულ პასაჟებშია შენიღბული. ეს თავისებურებები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) წარმოებული დივერსიული ეთნოფაბრიკაციებისა, რომელთაც საბჭოთა სინამდვილეში სახელმწიფო პოლიტიკისა და ე.წ. სახალხო მეურნეობაში სტრატეგიული ინდუსტრიის ხასიათი მიიღეს, თანაც საბჭოთა მაღალპროფესიონალური პროპაგანდის მიერ მათ ხალხთა ძმობის ხასიათი ეძლეოდათ, თ.ჩხეიძემ თავის სპექტაკლში გადმოიტანა მსოფლმხედველობრივი გადაფასებისა და ისტორიულ სინამდვილესთან შეჯერების გარეშე.

იმათ საპასუხოდ, რომლებიც ამ სპექტაკლის აღიარებულ მაღალმხატვრულობას უსვამენ ხაზს, უნდა მოგახსენოთ, რომ ვ.მაიაკოვსკის "Стихи о Советском Паспорте" ერთერთი მაღალმხატვრული ლექსი გახლავთ არა მხოლოდ ავტორის, არამედ მთელს რუსულ პოეზიაში, თუმცა ის კი ასახავდა საბჭოთა სინამდვილეს, მაგრამ არ გამოხატავდა ისტორიული სამართლიანობიდან გამომდინარე სახალხო ნებას. საქართველოში, საბჭოთა პასპორტი ქართველი ერისათვის ყოველთვის გახლდათ მხოლოდ და მხოლოდ საბუთი მისი დაპყრობის შესახებ, რაც, ბუნებრივია, არ გამოიწვევდა ამ ლექსში გაჟღერებულ აღფრთოვანებას იმ ქართველში, რომელმაც იცოდა, თუ რა სჭირდა მას.

აქედან გამომდინარე, სწორი იქნება თუ დავასკვნით, რომ საბჭოთა ეთნოდივერსიული სიცხადის მიზნობრივი და ხელოვნური კონსტრუქციებით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) განხორციელდა რეპრესიები ამ მხარის ძირძველი ქართველების, იგივე აფხაზების მიმართ, რითაც ხელყოფილი იქნა

მათი პიროვნული, სახალხო, ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი უფლებები. აფხაზეთის ასსრ-ის პროვოკაციული შექმნა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, რომელსაც მოჰყვა მისთვის "რესპუბლიკის სახელის მატარებელი" ხალხის შესაქმნელად სათანადო ინდუსტრიის ჩამოყალიბება და არაბუნებრივი დემოგრაფიული სურათის მორგება, ამ მხარის ქართველთა სამხარეო სახელის აფხაზის ("абхазец"-ის) დარქმევა ე.წ. სატიტულო ნაციისათვის _ უკვე ნიშნავდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქართველთა გაარაამქვეყნისშვილობასა და აფხაზეთის გასხვაქვეყნებას.

აი, ასეთი გახლავთ ამ მხარის, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) პოლიტიკური ფაბულა რუსიზმის საოკუპაციო ხიშტების ქვეშ. რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს ფაქტობრივ სიცხადეს, ასე მაგალითად, შეიძლება ადამიანის ყოფნა უდაბნოს პაპანაქება სიცხეში, როგორც ფაქტი ასახოს მხატვრულმა ნაწარმოებმა, მაგრამ ავტორი ამით თუ იტყვის, შეხეთ, ცივ ცხრაკლიტულში ყოფნა რა დიდი ბედნიერებააო, ეს სინამდვილის ასახვა კი არ იქნება, არამედ მიზნობრივად შორსგამიზნული მოწოდება გახდება ის!...

აქ ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ (და არ უნდა მივიღოთ) კრემლის მიერ მოსყიდული ისტორიკოსების ხმაბოდვებს, მსოფლიოში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მიანიშნებდეს მაინც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) არაქართულობაზე.

უთუოდ უნდა დავიჯეროთ და ნუ ვიდავებთ იმაზე, რომ საბჭოთა ეთნოდივარსიულმა ინდუსტრიამ ამ მხარეში ქართველების ჭერქვეშ და მათ გვერდით ხელოვნურად შექმნა ხალხი, რომელიც ქართველთა ამ მხარეს სამშობლოდ მიიჩნევს, გააჩნია მასთან შეხამებული სააზროვნო წესი და ყოფითი ყოველდღიურობის გასაგნებები. ვინაიდან ამ ხალხის უპირატესი ნაწილის საფაბრიკაციო ნედლეულად გამოყენებულია ამ კუთხის ქართველობა, ის ხალხი გულწრფელია, როცა მათმა შინაგანმა მეხსიერებამ ისინი აფხაზეთის მიწაწყალთან მიაბა ცნობიერად. ყოველივე ამის გათვალისწინებით საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციის საპირწონედ არც ზნეობრივად და არც პოლიტიკურად არ გამოდგება ჟღარუნი. ამისათვის ქართველმა ერმა თვით ამ მხარეში შექმნა სახლიკაცობის, მორდუობისა და ძუძუმტეობის შინაარსი და აქედან გამომდინარე მორალური კოდექსი, საურთიერთო სახალხო წესრიგი. იგი არაა აგებული ისტორიის გაყალბებისა და დიდმპყრობლურ თუ ცენტრ-ნაცმენურ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

ყოველივე ამის შინაარსობრივი რაობა მაღალმხატვრულადაა გადმოცემული ლეო ქიაჩელის "ჰაკი აძბაში".

აქ საქმე სავსებით ბუნებრივად ანუ კანონზომიერად გახლავთ. უჯუშ ემხა (ემხვარი) ბრძანდება ჯიშით და ზოგადეროვნული ცნობიერებით ქართველი, სამხარეო წარმომავლობით იგი აფხაზია, ხოლო მისი ძუძუმტე ჰაკი წარმომავლობით აფსუაა, თუმცა ცნობიერებით, გამომდინარე ახალი სიცხადიდან _ აფსუა-აფხაზი (ქართველი). მას არავინ არაფერს აყვედრის, ის აფხაზეთის ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ღვიძლი, მშობლიური და მასში ბუნებრივად ამოზრდილი პირმშოა.[52]

---

[52] ცალსახად უნდა ითქვას, რომ "აფხაზის" დაკანონება არაქართველის მნიშვნელობით საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგი გახლავთ.

ამ მხარეში აფხაზისა (ქართველისა) და აფსუას ღვიძლიშვილობა, სახლიკაცობა და ძუძუმტეობა იმდენადაა ჯიშისმიერი აუცილებლობა, რომ ეს ადამიანები (აფხაზები) და აფსუები თავიანთი საკუთარხმიერებით, რომელიც ორივე მხარისათვის მშობლიურობად იქცა, მზად არიან ერთმანეთის ღირსებისათვის უყოყმანოდ გასწირონ თავი და სწირავენ კიდეც.

უჯუშ ემხა (ემხვარი) და ჰაკი აძბა ზიარი ძუძუს გაზრდილებია (ძუძუმტეებია). უჯუში აფხაზთა ანუ ქართველთა ქვეყნის საშვილოსნოში გაცხრათავებული, ამ მიწის საშო გამოვლილი კაცია, მისი დადრებიცა და გამნარყებიც ქმნიდნენ და ექრისტესმხედრებოდნენ ამ ქვეყნის ჭყონდიდურ-აღმაშენებლურ ცნობიერებას (ცხუმ-აფხაზეთის სულიერი და საგანმანათლებლო სკოლა). რაც შეეხება აფსუა ჰაკის, მისი წინაპრები აქ სხვადასხვა მიზეზით ფეხმოკიდებულები ჩანან, მაგრამ მორდუობის წესრიგმა ისინი გაასახლიკაცა და ლასკარს ბუნებრივად შემოუერთსხეულა.

ამ წესრიგის მორღვევამ (საბჭოთა დივერსიულმა ეთნოფაბრიკაციებმა) ჰაკი დაუპირისპირა ასეთ ბუნებრივობას და ძუძუმტეობასთან მიმდგომელ დამპყრობად გადააქცია (აფხაზეთის ასსრ და ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი _ “абхазец”-ი).

დიახ, აფხაზ-აფსუათა ძუძუმტეობას, ამ ბუნებრივ და ძალდაუტანებელ შინაარსს ამ მხარისას აქვს რუსისტული გაგრძელებაც. რაკი დიდმპყრობლობამ ვერ გადაიბირა, ვერ გააუმადურა და ამ მხარის ძუძუმტეობრივ სიწმინდეს ვერ დაუპირისპირა ჰაკი აძბა _ აფსუა კაცი, მას ავტონომიური რესპუბლიკა შეუქმნა, აფხაზი დაარქვა და ის დანასისხლად გადაკიდა მას, ვისთვისაც გუშინ თავს უყოყმანოდ სწირავდა.

მისი ბოლო ხელგამოღების სურათი ჩვენი დღევანდელი ყოფითი ყოველდღიურობაა. დღეს აფხაზეთი არც უჯუშ ემხასია ანუ არც არზაყან ემხვარის ცნობიერებისაა და არც ჰაკი აძბასი, ის რუსული ჩექმის სანაბიჯოა.

აქ გამოსავალი ისევ სათავეების მოძიება და ჩვენს მეხსიერებაში ბუნებრივი შინაარსის მოთვალსაწიერებაა. ამას რუსის მიერ შემოჩეჩებული დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ცნობიერებით ვერასოდეს მივაღწევთ. საბჭოთა იმპერიამ ძუძუმტეობისა და სახლიკაცობის წესრიგი მიზნობრივად გასხვაქვეყნებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ამოძირკვა, სანაცვლოდ კი თავისი ნაყალბევი ისტორიიდან შედგენილი კონსპექტები შემოგვაჩეჩა, რომელიც ერთი წაკითხვა გ.ოდიშარიასა და დ.ჯაიანსაც წააკითხა ამ სპექტაკლის სახით. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს საუდღეურო, მკვდრადშობილი გულაჩუყებაა, იგი თავსმოხვეულია და არა დედანი სინამდვილის შედეგი. ჭეშმარიტი აფხაზობისკენ სწორ სვლაგეზს უნდა შერჩევა და მას სახვალდღეოდ დედანში მოძიება სჭირდება აუცილებლად.

რა უშლის ამას ხელს?!.

საქართველოს გასაბჭოებამდე და ე.წ. აფხაზეთის ასსრ-ის შექმნამდე, მიუხედავად რუსიზმის დიდი ძალისხმევისა _ გადაეგვარებინა აქაურები, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ძირძველი მოსახლეობის თვითგაიგივება (თვითიდენტიფიცირება) გულისხმობდა მეგრელობას (ქართველობას). მაგალითად ცნობილი საზოგადო მოღვაწე სამსონ ფირცხალავა 1915 წლის ოქტომბერში გაზეთ “სახალხო ფურცელში” გამოქვეყნებულ თავის წერილში აფხაზეთის მკვიდრის აღსანიშნავად ხმარობდა “აფხაზ-მეგრელს”, შესაბამისად, სოხუმელი მოღვაწეები ქ.სოხუმის სათათბიროს ხმოსნები ნ.ჯანაშია და ტ.ანუა ითვლებოდნენ აფხაზ-ქართველ (იგივე მეგრელ) ხმოსნებად, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა ქართველ (აფხაზ)-აფსუათა დაპირისპირებას (ვრცლად იხილეთ ჯ.გამახარია, “აფხაზეთი და მართლმადიდებლობა”, თბილისი, 2005წ.).

რა უშლის და რიგ შემთხვევაში თავსმოხვეული საყოველთაო უვიცობა, ხოლო სხვა შემთხვაში მტრული დაკვეთების ბეჯითი აღსრულებისათვის ჩაჯიბებული ანაზღაურებები.

როგორც მოგეხსენებათ, თ.ჩხეიძემ კ.მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე დადგა ლ.ქიაჩელის "ჰაკი აძბა". სპექტაკლს არნახული წარმატება ხვდა. ბუნებრივია, კითხვა იბადება, როგორ მოხდა, რომ მაშინ აფხაზისა და აფუას მეგობრობა დამაჯერებელი იყო, ხოლო ამჯერად არა?!... პასუხი მარტივია, მაშინ სპექტაკლის ავტორი სწორ პირველწყაროს ამხატვრულებდა, ამჯერად კი გ.ოდიშარიას პოლიტიკურ კონიუნქტურას!

გ.ოდიშარიას და მას გარშემოკრებილ შემოქმედებით ჯგუფს აფხაზეთის ასსრ-ად გასხვაქვეყნებული შინაარსის ნოსტალგია აქვთ და ის ენატრებათ, მაშინ ხომ ქართულ-აფხაზური კვოტებით გადანაწილებული პრივილეგიები ჰქონდათ აფხაზეთში აფხაზეცურ ეთნოკრატიასა და ვითომ ქართულ პარტოკრატიას. ამ შეღავათებით იკვებებოდა და სულმაძღარობდა გ.ოდიშარიაც.

გასაგებია, რომ ის, ვინც ამგვარი მიზნობრივი დაკვეთის უკან დგას, ფულშიც ტრიალებს და შორს გადაჭიმული მიზანიც აქვს. უფრო მეტიც, ის ცდილობს დაარეგლამენტოს რეგიონის გეოპოლიტიკური შინაარსი. მისი ამოცანაა, საქართველოს გაუვნებელყოფით პონტო-კავკასიის სახელმწიფოების, ქვეყნებისა და ხალხების ანტიიმპერიული წინააღმდეგობა გაახელბორკილოს.

ბუნებრივია, ამ დაკვეთათა შესასრულებლად დამკვეთი არ ეძებს უნიჭო სულგაყიდულს, პირიქით, მას ამ საქმეში ყოვლისმკადრებელი, ხელმარჯვე, მოხერხებული, კვაჭი და, რაც მთავარია, ნიჭიერი და გამობრძმედილი სულნაცდური სჭირდება.

სათქმელი რომ უფრო მკაფიო გავხადოთ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ე.წ. თანამედროვე მსოფლიოს სწორედ დღეს სჭირდება ჭაობური მშვიდობა, ასე მაგალითად, გაეროს საერთაშორისო (ჰააგის) სასამართლომ (2010წ.) სერბეთს ურჩია კეთილმეზობლობა დაამყაროს კოსოვოსთან ანუ სერბთა სამამულო სიწმინდეებზე უარი თქვას და აგრესიული გლობალიზმის უშუალო ძალისხმევით ფეხმომაგრებული, ანტისერბული და მართლმადიდებლობას დაპირისპირებული საოკუპაციო რეჟიმი სხვა სახელმწიფოდ აღიაროს ოდითგან სერბულ მიწა-წყალზე.

ცნობისათვის: 22.07.2010წ. გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების საერთაშორისო (ჰააგის) სასამართლოს საკონსულტაციო რჩევა ე.წ. კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის თაობაზე.

იგი გახლავთ "იურიდიულ რჩევას" ამოფარებული "ძეგლისდება", რომელიც საეჭვოდ და მიზნობრივად ადგენს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

სინამდვილეში ამ "იურიდიული რჩევის" ქვეშ "კანონიერდება" სერბთა ძირძველ მხარეში აგრესიული გლობალიზმის მიერ შეკოწიწებული საოკუპაციო რეჟიმი.

ზუსტად ამგვარ კეთილმეზობლობაზე და მშვიდობაზეა საუბარი ამ სპექტაკლის _ *"ზღვა, რომელიც შორია"*-ს მიხედვით, ანუ ე.წ. აფხაზეთის სახელმწიფოსთან, რომელიც

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველთა სისხლზე აღმოცენდა, ჩვენ უნდა ვიკეთილმეზობლოთ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გ.ოდიშარიას ამგვარ მოღვაწეობასა და ქადაგებაში ზურგს, ბუნებრივია, უმაგრებენ არა მხოლოდ ვირეშმაკული საერთაშორისო "ძეგლისდებები", რომლებიც ადრე "ჩვენი მხარის" დანაშაულებრივი უვიცობით, წინგაუხედაობითა და დოყლაპიობით მოგვახვიეს თავს, არამედ დღეს მიღებული სახელისუფლებო დოკუმენტის ზოგიერთი საეჭვო დებულებაც. ასე მაგალითად, საქართველოს მთავრობის "სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა-თანამშრომლობის გზით" (2010წ. იანვარი).

მასში სხვა მრავალ გაუაზრებელ და მომავალში ცხვირში ძმრის დენად დადგენილი არაერთი დებულების გვერდით განსაკუთრებით თვალში საცემია საგანგებო თავი, რომელშიც "კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დაცვა და შენარჩუნება" დაზუსტებული გახლავთ ასეთი განჩინებით:

"რელიგიის თავისუფალი, მათ შორის მშობლიურ ენაზე საეკლესიო მსახურების უზრუნველსაყოფად ხელსაყრელი გარემოსა და პირობების შექმნა".

სანამ ასეთი დებულებების შემდგენლებს ამ საკითხში გავეკამათებოდე, უნდა აღვნიშნო, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს _ შინაარსობრივი აღორძინება თავის ბუნებრივ რაობაში ვერ მოხდება ამგვარი წინგაუხედავი ნაბიჯებით, ხოლო არაბუნებრივი მიდგომები მოგვცემს კვლავაც გაუკუღმართებულ გასაგნებებს. აქ საჭიროა დროსთან პირნათელი, მეცნიერულად სწორი და ერისთვის სახელმძღვანელო დასკვნები. ამჯერად დამოწმებულ დებულებებში, პირდაპირ ვიტყვი, საუბრობს არა მეცნიერული სისწორით მოხელმძღვანელე და შორსგამხედვარე, საუკუნეებს გადამწვდენი სიფხიზლე, არამედ მკვდრადშობილი მშვიდობისკენ მიდრეკილი და გამორჩენისთვის ანაბიჯებული გონება. ეს არის წინგაუხედავი კონიუნქტურა, რომელმაც "სამოღვაწეოდ" მოირგო "რა მოხდა", "მერე რა", "არაფერიც არ მოხდება"-ს პრინციპი, ხოლო ასეთმა ე.წ. პრინციპმა გააფაქტიურა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ჯერ აფხაზეთის ასსრ და შემდეგ მისგან გამომდინარე შედეგები, საბედისწერო, გამანადგურებელი, აღმგველი შედეგები. მე მესმის, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, განსაკუთრებით პოლიტიკურ გათვლებში საჭიროა წინგახედული, ჯანსაღ შედეგზე გამიზნული დიპლომატია, მაგრამ ვაღიაროთ, რომ საკუთარი ცხვირის იქეთ ვერ გახედვაა, როცა აფხაზეთის დევნილი ა/რ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი გ.გვაზავა "ფერად" ე.წ. გაზეთებში (მაგ. "ახალი თაობა", მაისი, 2010წ.) საუბრობს, რომ აფხაზეთში კონფედერაციის ან რაღაც მსგავსის შექმნა შეიძლება, თუ დოკუმენტებში პირობა იქნება ჩაწერილი, რომ ეს კონფედერაცია ვერ დაიშლებაო. ასე არ ხდება და მე მთლიანად ვიზიარებ ამასთან დაკავშირებით პროფესორ ნ.ნათაძის აზრს, თუმცა მისი კიდევ უფრო გაძლიერება და მისთვის არგუმენტების დამატება გაცილებით მეტად შეიძლება: "...თუ ვერ დაიშლება, ეს იმას ნიშნავს, ის კონფედერაცია არ არის. მაგრამ გინდაც ასეთი პირობა იყოს ჩაწერილი, თავისთავად სახელშეკრულებო სახელმწიფოს შექმნა ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ეს არის ცალკე ერთეულებისაგან შემდგარი. სხვა თუ არაფერი, ამას ის მაინც მოსდევს, რომ იქ შესრულებული ნასყიდობები, ანუ მთელი ჩვენი მიწა, რომელიც სხვებმა დაიტაცეს _

ჩრდილოკავკასიელებმა, რუსებმა, ებრაელებმა, თურქებმა _ ისინი დაიკანონებენ. ე.ი. იმ სხვების მიერ ჩვენი მიწის დაკანონება მოხდება. ვატყობ, რომ კულუარებში ამაზე ინტენსიური მუშაობაა. საქართველოს ხელისუფლება იმას გააკეთებს, რასაც რუსეთი უბრძანებს, მაგრამ მე მთავარ საშიშროებად ეს არ მიმაჩნია. მთავარი საშიშროებაა, მსოფლიო აზრი არ დაადგეს თითქოსდა შედეგებით უწყინარი და შემრიგებლური გეგმის განხორციელების გზას" ("ახალი თაობა", 2003წ. 3 აგვისტო).

ჩემთვის ამ შემთხვევაში ერთი რამ იმგვარად შინაარსდება, ერთ ქართულ ანდაზაში რომაა, "პატარა ტურა დიდ ტურას ატყუებდაო". ტურას თავისი ილეთებით არ უნდა დაეჭიდო, თორემ წააგებ.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა ენაზე უნდა იწარმოოს ღვთისმსახურება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, იგივე აფხაზეთში, ამასთან დაკავშირებით საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ ცხუმ-აფხაზეთი, როგორც ცნობიერი თვალსაწიერი და საგანმანათლებლო სკოლა, გახლავთ ათონელი მამების სწავლებაზე "ახალსა ერსა ამას საღვთოსა" დაფუძნებული სულიერება, რომელმაც აფხაზეთიდან (ბაგრატ III) დაიწყო ჭყონდიდურ-აღმაშენებლური საქართველოსკენ გზის გაკვალვა.

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე გამაჰმადიანებული (ყოველ შემთხვევაში მართლმადიდებლობა შერყეული) აფხაზეთის სამთავროს კარზე მე-17 საუკუნეში თითიდან გამოწოვილი ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს აფხაზეთში მოღვაწე მართლმადიდებელი ღვთისმსახურები. ამის გამო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მართლმადიდებელი მრევლი უპატრონოდ დარჩა (შესაძლოა, ამას საფუძვლად ედო აქ იმ დროს მოსაქმე კათოლიკე მისიონერების ბეზღობებიც, რომლებიც მართლმადიდებლობას არანაკლებ ებრძოდნენ ამ მხარეში, ვიდრე თურქები). საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა რწმენისადმი ერთგულებისთვის აქაურ მაცხოვრებელთა მოწყვეტა, ხოლო, XIX საუკუნეში პირველი აფსუა მღვდელი ივანე გეგია მოწამეობრივად აღესრულა, თავგანწირულის ხვედრით დაიღუპა ერთიანი საქართველოსა და მართლმადიდებლობისათვის დაცემული იური ანუაც _ აფსუა კაცი.

სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში იური ანუამ სოფ. კომანში (სოხუმთან) აღადგინა წმიდა იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესია, კეთილმოაწყო მიმდებარე სიწმინდეები და იგი მოაქცია ქართული სამოციქულო ეკლესიის წიაღში. ივანე გეგიაცა და იური ანუაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსთა მიერ მოსყიდულ ორიოდ ჯაშუშს, სუყველა ქართული დედა ეკლესიის წიაღში მოიაზრებდა თავს.

სწორედ ამიტომ, პროფესორ ჯ.გამახარიასთან ერთად აფხაზეთის ა/რ დევნილი უზენაესი საბჭოს სახელით 2005 წელს, როცა იუნესკოს ეგიდით საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლისთავს აღვნიშნავდით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის წმიდა სინოდის წინაშე დავსვით საკითხი აფხაზეთში XVII-XX საუკუნეებში სამშობლოსა და მართლმადიდებლობისთვის მოწყვეტილთა წმინდანთა დასში შერაცხვის შესახებ.

როდესაც საუბარია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) აფსუა მოსახლეობის რელიგიური თვითიდენტიფიკაციის შესახებ, რა თქმა უნდა, ეს ქართული სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მაგრამ ნუ

დაგვავიწყდება, რომ დღევანდელ აფსუათა აღმსარებლობა მრავალნაირია, მათში არიან მართლმადიდებლებიც, მაჰმადიანებიც, სინკრეტული რწმენისა თუ სხვადასხვა სექტების მიმდევრები.

მათთვის აღმსარებლობითი თავისუფლება არ უნდა ნიშნავდეს საქართველოს, ამ შემთხვევაში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს კიდევ უფრო დაქუცმაცებას სხვადასხვა რელიგიათა რეზერვაციებად. ამასთან ერთად საქართველოში აზრადაც არ უნდა მოუვიდეს ვინმეს, ქართულ სამოციქულო ეკლესიას ჩაუწყვილოს კიდევ ერთი აბხაზეცური ავტონომია (თუნდაც ე.წ. ეკლესიაში თავშეჩურთული იყოს იგი) თავისი შორსმიმავალი დამანგრევლური ვერაგობით.

აფხაზეთის მართლმადიდებელი მოსახლეობა, მათ შორის აფსუა მართლმადიდებლები, რომელთა უპირატესი ნაწილი, კაცმა რომ თქვას, ქართველები _ გენეტიკური მეგრელები არიან და თავიანთი მეგრული (ქართული) გვარით აფხაზეცობენ, ეკლესიურად თვით საბჭოთა ათეისტური თარეშის დროსაც არ მიწყვეტიან დედა ეკლესიას, ილორის წმინდა გიორგის ტაძარს.

ზემოთ, წიგნის დასაწყისში უკვე დავიმოწმეთ, მაგრამ არც ამჯერად იქნება ურიგო, შეგახსენოთ, თუ რას ფიქრობდა აღმსარებლობასთან მიმართებაში ამ მხარის ჭეშმარიტად ძირძველი მოსახლეობა ჯერ კიდევ XIX საუკუნისათვის. ამისთვის საკმარისია ამ ერთხელაც თვალი გადავავლოთ 1870 წლის აფხაზთა დეპუტაციის წერილს: "მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა შემოღებული იქნა ხალხისთვის გაუგებარ სლავიანურ ენაზე, ხალხსა და მოძღვართა შორის შეწყდა უშუალო დამოკიდებულება, რამაც ჩვენი ეკლესია მიიყვანა დღევანდელ სამწუხარო მდგომარეობამდე (გაზ. "სახალხო განათლება", 14 ივნისი, 1989წ.).

ეს ხალხი წირვა-ლოცვის აღდგენას ითხოვდა იმ ენაზე, რა ენაზეც ღაღადებენ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის), მათ შორის ლიხნსა და მოქვში ანიშანსვეტებული ტაძრები, დადასტურებანი ქართული სულის მარადიულყოფისა.

თვით ავადსახსენებელ ი.ვოსტორგოვს ეურჩა აქაური მოსახლეობა მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე. დიახ, დიახ, რუსიზმმაც კი ვერ დაიყოლია მაშინ თურქულ-რუსული ეთნოდივერსიებგამოვლილი ხალხი და მათ სწავლა-განათლების მიღება ქართულად ისურვეს.

ყოველგვარი ხელგამოღება აფსუა ხალხისთვის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში რელიგიური თვითგამორკვევის საბაბით "აფსუური მართლმადიდებლური" ეკლესიის ხელოვნური შექმნისათვის, გაგრძელებაა მოსკოვური საერო თუ სასულიერო ოკუპაციისა, ისევე, როგორც დღევანდელ აფხაზეთში (ცხინვალის მხარესთან ერთად) სახელმწიფო და "მშობლიური ენა" გახდა რუსული, მრავალი მიზეზის გამო გახდება აფსუათათვის ღვთისმსახურების ენად რუსული, ანუ განხორციელდება დიდმპყრობლური კრემლის გეგმა საქართველოს საეკლესიო სივრცეში რუსული საეკლესიო რეზერვაციების ჩანაცვლება-ჩაწყვილების შესახებ.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთს) მართლმადიდებლური აღმსარებლობის 2000 წლიანი ისტორია გააჩნია, ამ ღვთისმსახურების რევიზირება არც ჭეშმარიტად მართლმადიდებელ ძუძუმტე აფსუებს უცდიათ, პირიქით, როგორც უკვე მოგახსენეთ, არაერთი მათგანი (ივანე გეგია, იური ანუა და ა.შ.) შეეწირა კიდეც

უშუალოდ ამ საქმეს და ნურავინ, ნურანაირი დემოკრატიული საბაბით ნუ ეცდება ამ წმინდა საკითხის იმპერიათა მიზნების შესაბამისად გამოყენებას. ნურავინ ცდილობს ამ შემთხვევაში აფხაზის კვლავ ეთნოდივერსიული მიზნით გამოყენებას, იმათთვის ვინც მართლა აფხაზი იყო, აფხაზეთში წირვის ენად აფხაზური (ქართული) გამოიყენებოდა, ხოლო მათ, ვისაც ქართული ეჩოთირება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, სხვაგან უნდა ეძებონ სულის ნავსაყუდელი.

სამწუხაროდ, დღესაც აგრესიული გლობალიზმის დაკვეთა აფხაზეთის გასხვაქვეყნებაა და ვინც ამას იქადაგებს, მას უხვად გადაუხდიან.

ასეთი გახლავთ იმ საავდრო ღრუბელთა გაცისკიდება, რომლის გასაგნება არასოდეს დაუდგინდება ზეყანად ქართველ ერს, რადგან ამით ქვეყანას დავტბორავთ გადაგვარებაში.

დავუბრუნდეთ ძირითად საკითხს და შევთანხმდეთ ერთ რამეში _ ბატონი <u>გ.ოდიშარია</u> გახლავთ უნიჭიერესი მწერალი, რომელსაც, სამწუხაროდ სულნაცდური გონება მართავს და იგი არავითარ შემთვხევაში არ გაუშვებდა ხელიდან ამ საცდურს.

ჯერ იყო და აფხაზეთში რუსეთის საომარი ავანტიურის დროს იგი საიმედოდ ედგა გვერდში რუსეთის მეგზურს <u>ე.შევარდნაძეს</u> და მისი კარნახით, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, სხვებთან ერთად ლაფს ასხამდა სამეგრელოს. დიახ, ე.შევარდნაძის კარზე მას დასჭირდა სამწერლო პრივილეგიები და <u>"სამეგრელომ ერთი დევნილი არ მიიღო, სირცხვილი მასო",</u> საქვეყნოდ გადარწყევა მოუნდომა მას.

ხუნტის კარზე <u>გ.ოდიშარია</u> წიგნების იოლი გამოცემის გარდა სხვანაირ გაბეჯითებაშიც გაიწაფა. მან პროგრამაში " Аспекти Грузино-Абхазского Конфликта", _ საქართველოში დისლოცირებული მტრის აგენტურასთან ერთად, ბოჩოლასავით სათნო სახელს _ "არასამთავრობოებს" რომ ეძახიან, საკუთარ თავზეც აიღო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს არაქართულ ქვეყნად გამოცხადება. 10-ზე მეტი წელი მოქმედებდა ეს პროგრამა, გამოსცა ათზე მეტი ტომი თავისი კონფერენციებისა, სადაც აფხაზეთს არაქართულად მოიხსენიებდა. უკლებლივ ყველა შეხვედრის მონაწილე გახლდათ მწერალი <u>გ.ოდიშარიაც,</u> მაგრამ მას ერთხელაც არ წამოცდენია აფხაზეთი _ საქართველოაო! პირიქით, იგი ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რათა ქართველ ერს მოაწეროს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში დატრიალებული უბედურებები: "დღეს ბევრი გამოდის ლოზუნგით, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა მნიშვნელოვანი. არადა, უმთავრესი მაინც ადამიანური ურთიერთობის აღდგენაა. <u>ჩვენ კვადრატული მეტრებით</u> <u>დაბრუნებული აფხაზეთი კი არ გვჭირდება,</u> არამედ, პირველ რიგში, ადამიანმა ადამიანი უნდა დაიბრუნოს. სამწუხაროდ, პოლიტიკოსები ადამიანის ფაქტორს ვერ ხედავენ. ხედავენ მხოლოდ დიდ პოლიტიკას და რაღაც სქემებს" (ე.წ. გაზ. "ბოდიში", 2010წ. №2).

რა თქმა უნდა, ადამიანი მთავარია, მაგრამ ადამიანობას განაპირობებს მხოლოდ სამშობლო და როცა ადამიანი მშობლიურ მიწაზე, დედა ენის წიაღში არ იფესვებს თავს ("ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გავლა"), მაშინ იგი არ წარმოადგენს სულიერ და ცნობიერ ღირებულებას, დიახ, ეს ის წუთებია, როცა მამული და "კვადრატული მეტრი" სინონიმური ცნებები ხდება.

როგორც მოგეხსენებათ, 2007 წლიდან საქართველოში რუსეთის ადგილობრივმა აგენტურამ დაიწყო ე.წ. კამპანია ბოდიში. იგი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციებისა და მკვიდრი ქართველი (აფხაზი) მოსახლეობის დენაციონალიზაციას, საერთოდ ქართველთა მიმართ განხორციელებულ რეპრესიებს ჩქმალავდა. უფრო მეტიც, 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში, რომელიც შორსგამიზნულად ქართულ-აფხაზურ ომად გაფორმდა, ადანაშაულებდა ქართველ ერს!

ამასთან დაკავშირებით გ.ოდიშარიამ ყოველგვარი ისტორიული სისწორის გათელვით იმავე "გაზეთში" განაცხადა: "მე საქმის კურსში ვარ და მივესალმები ამ კამპანიას. სამწუხაროდ, არ ვიცი აფხაზების რეაქცია ამასთან დაკავშირებით. აქაური რეაქციები კი ვიცი _ ბევრი ბრაზდება, საბოდიშო რა გვაქვს, იმათ მოიხადონ ბოდიშიო და ა.შ. რადიკალური ლიდერები მათაც ჰყავდათ, ჩვენც გვყავს. ისინი, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მორიგდნენ. როდესაც ერთი ადამიანი, თუნდაც იგი არაფერში დამნაშავე არ იყოს, ბოდიშს იხდის, ეს ათბობს ურთიერთობას. მე იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, ვისაც მიაჩნია, რომ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. საჭიროა, ვისაუბროთ ჩვენ მინუსებზე და რომ არ ვსაუბრობთ, ეს არის უბედურება. შედეგს ვერ მივაღწევთ, თუ ჩვენს სულებში არ მოხდება კათარზისი!" (იქვე). გ.ოდიშარიას ამ შემთხვევაში დანაშაულებრივად დაავიწყდა, რომ ასეთ ქვეშ გაწოლას არაფერი აქვს საერთო არც სახლიკაცობა-ძუძუმტეობის აღდგენასთან და არც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს_აფხაზეთის დეოკუპაციის სტრატეგიასთან. ეს უბრალოდ კრემლიდანური დაკვეთის გახმოვანება გახლავთ, რომელიც ამ შემთხვევაში "დემოკრატიულ" რიტორიკაში შეფუთდა.

ასეთ ვითარებაში გ.ოდიშარიას ყოფნის თავხედობა დოყლაპიად მიიჩნიოს ქართველი საზოგადოება, დღისით-მზისით აყაროს თვალებში ნაცარი და გენოციდს გადარჩენილი და ეთნიური წმენდის შედეგად სამშობლოდან გამოძევებული ხალხი იმით ანუგეშოს, რომ: "აფხაზეთის პირველი ლედი ქართველია _ შონია. ესეც დიდი რესურსია" (იქვე).

ვაი, მართლაცდა "ქართვლის ჭირო"!...

სამწუხაროდ, ე.წ. კამპანია ბოდიში მარტო გ.ოდიშარიას არ ეთათბირება, იგი ქართული საზოგადოებიდან საჩინო ხალხს ითრევს იმ საქმეში, რაზეც მათ წარმოდგენაც არა აქვთ და ამ ე.წ. გაზეთის ფურცლები ნომრიდან ნომრამდე სამ (ქართულ, აფსუურ და რუსულ) ენაზე წანიაღვრებულია ამგვარი მკრეხელობით: "რატომ ვუხდი ბოდიშს აფხაზ ხალხს: არჩევანი საქართველოსთვის _ ქართული შოვინიზმი თუ აფხაზეთი? (ე.წ. გაზეთი "ბოდიში", №1).

ასე და ამრიგად, გ.ოდიშარია ამ მარაქაში ერთ-ერთი წინამძღოლია.

ამიტომ, გ.ოდიშარიას ამ და ზოგიერთ სხვა ნაწარმოებში მიზნობრივი, ამდენად სამწუხარო კანონზომიერებაა, როდესაც ე.წ. პროგრესული სიახლის, ჰუმანიზმისა და ხალხისმოყვარეობის სახელით, თანაც შემოჩეჩებული ლოზუნგის ქვეშ "პირველად საქართველოში" _ კნინდება, მახინჯდება სისწორე აფხაზეთზე და დედან სინამდვილეს უპირისპირდება საბჭოთა სტერეოტიპი ჩრდილო-დასავლეთ საქარველოზე (აფხაზეთზე), რომლითაც გაძევებულია ამ მხარის ბუნებრივი შინაარსი და

ღირებულება, რომელთა მიმართ რწმენა და პატივმიგება წესით ერს უნდა ეაუცილებლებოდეს.

სწორედ ამიტომ მუდამ არის საფრთხე იმისა, რომ გენეტიკური მეხსიერება და ნიჭიერება თაობას განუვითარდეს ფაბრიკაციული ცნობიერებისა თუ თვითგამოსახვის შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, ქვეყანაში თანმიმდევრულად იქმნება არა თუ თაობას, მთლიანად ერს ჩასანაცვლებელი ორეული, რომელმაც ვითომ ქართული აბრის ქვეშ უნდა გაასაგნოს სულიერ გაუკუღმართებასა და თავსმოხვეულ ვინაობაში მონებივრე ე.წ. საზოგადოებრივი სიმრავლე.

არაა დასამალი, რომ ქართველთა მოჭირნახულე ხასიათს, რუსულმა ჩექმამ, რომლის არსი რუსულივე დებულება _ ხალხთა საყოველთაო შერწყმა გახლავთ, ისევე, როგორც მანამდე არაერთმა მომხდურმა და ავმოსურნე ჩასაფრებამ ჩაგვილიანდაგა კრემლიდანური მსოფლიო მოქალაქეობისადმი ქედმოდრეკა იმ განსხვავებით, რომ კრემლი კვლავაც ცდილობს ხელში დაიჭიროს მსოფლიოს ქურსუმისკენ გასარეკი მათრახი, რათა ჩვენ მისდამი მონური ხმაბაძვის ანაბარა დავრჩეთ.

რა თქმა უნდა, რუსულმა სინამდვილემ საქართველო გახადა რუსული მსოფლიოობის ჭანჭიკი, რითაც, როგორც "სანიტარ" ჩიტს ნიანგის ხახაში, მსოფლიოს მონახმარი მეორადობა გვებედნიერება.

ბუნებრივია, რუსულ დიდმპყრობლობას "საკაცობრიობო" მიზნებით ფუთავდა და ფუთავს რუსული საზოგადოებრივი აზრი, მაგალითად თ.დოსტოევსკიც კი, ეს უზარმაზარი მოაზროვნე და დიდოსტატი ასე ხსნიდა და ამართლებდა რუსულ მსოფლიოობას: "ჩვენში საუკუნეების მანძილზე შეიქმნა რაღაც დღემდე არსად ნახული უმაღლესად კულტურული ტიპი, როგორსაც ვერ ნახავ მთელ მსოფლიოში ესაა მსოფლიო გულშემატკივრის ტიპი" ("ყმაწვილი", თბილისი, "ნაკადული", 1986წ. გვ. 570.).

თუ რასაც ნიშნავს რუსიდანული "მსოფლიო გულშემატკივრის ტიპი", ამას მკაფიოდ განმარტავს რუსული ხიშტი და ჩექმა, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ სწორედ რუსის ხიშტსა და ჩექმას ესაძირკვლება რუსული ვინაობა, როგორც რუსთა "სახალხო კულტურის" შედეგი.

აქედან გამომდინარე, გ.ოდიშარია ასეთ მიზანში თავისი მხატვრული აზროვნებით, რომელშიც აფხაზეთის გასხვაქვეყნებაში გვარწმუნებს გულაჩუყებით, ერთჯერადი მოხმარების ჭურვი არაა, მრავალჯერადი ნაღმი გახლავთ, როგორც ადასტურებს ამას დრო.

სადავო არც ის უნდა იყოს, რომ რუსეთი ცოცხლობს იმისთვის, რათა თავის წიაღში ამარადისოს ამგვარ "მსოფლიო გულშემატკივართა" ჯოგი.

რომ არა რუსული მსოფლიოობის გადამჯიშებელი, ბაცაცური და მტაცებლური ხასიათი, განა რად უნდა დაიძრახოს თვისება, როდესაც, "როგორც უზენაესი რუსული კულტურული აზრის მატარებელი, არ შემეძლო ამის დაშვება, ვინაიდან უზენაესი რუსული აზრი იდეათა ყოვლისშემრიგებლობა გახლავთ" (თ.დოსტოევსკი, იქვე, გვ. 569). ისევე, როგორც "რუსული გულშემტკივრობა" ეფუძნება ჩექმასა და ხიშტს, "ასევეა რუსული შემრიგებლობა" რუსული დიდმპყრობლობის სახესხვაობა "და ეს იმიტომ,

ჩემო ბიჭუნი, რომ მაშინ ევროპაში მხოლოდ მე ვიყავ, როგორც რუსი, ერთადერთი ევროპელი" (იქვე), ანუ თვით თ.დოსტოევსკის აზრით ევროპელობა, გნებავთ მსოფლიოობა გახლავთ მხოლოდ რუსული მონონაციონალური შინაარსი. წინამდებარე "კამპანია ბოდიში" კი ამ დამჩექმებლობის "ხალხთმოყვარეობაში" დადგენის მცდელობა გახლავთ.

სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამავე ნაწარმოებში არის ვინმე ვაჭარი სკოტობოინიკოვი, ვაჭარი ქ.აფშიევსკიდან, რომელიც თითქოს იგივდება რუსულ კეთილსახიერებასთან.

არადა ეს სკოტობოინიკოვი (პირუტყვმმუსრველი) სულაც არ გახლავთ წმიდა მოციქულ პავლედ გარდაქმნილი სავლე, მისი ქველმოქმედება და ვითომ სახლიკაცობა ვერ იქცა ღვთივკურთხეულობად, რადგან თავისი არსითა და მოწოდებით სკოტობოინიკოვად დარჩა ბოლომდე. ასეთია რუსის ბუნება, მისი ე.წ. კეთილსახიერება გახლავთ სხვის სინდისში შეჭრა და მისი ოკუპაცია. გ.ოდიშარია და "კამპანია ბოდიში" თანამედროვეობაში განაბიჯებული სკოტობოინიკოვთა სიმრავლეა, ოღონდ ამჯერად ისინი "გიჟვრაცუად" ანუ საქონლად (скот) ქართულ საზოგადოებას მიიჩნევენ.

რუსული ველიკოდერჟავული გემოვნება თავის ნამდვილ ხასიათში მისდაუნებურად ისევ და ისევ თ.დოსტოევსკის აქვს დასაბუთებული: "...არხეინად ვაბამდით ყოვლად უწმაწურ ლაპარაკს. ჩვენ ყველაფერს საკუთარი სახელით ვახსენებდით ყოვლად აღუშფოთებელი სახით, თითქოს ასეცაა საჭირო, და მოვყვებოდით, რომ ყველაზე ბინძურად გარყვნილი კაცის ყველაზე ბინძური წარმოსახვაც კი მსგავსს ვერაფერს მოიგონებდა" (თ.დოსტოევსკი, იქვე, გვ. 117).

რუსეთის საოკუპაციო ქუსლებქვეშ მონობა ორი საუკუნის მანძილზე გახდა საქართველოს დენაციონალიზაციის ის საბედისწერო მოსაზღვრულობა დროსა და სივრცეში, რომელმაც იერიში მიიტანა ერის ღირსებაზე, რამეთუ ღირსების გრძნობის დაცემა იწვევს უფლების, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნების გაქრობას. ასეთ ვითარებაში, როგორც 1992-93 და შემდგომი წლების მოვლენებმაც დაადასტურა, თავისუფლება საზოგადოებისათვის თავსმოხვეული მოვლენა გახლავთ, მით უმეტეს, როცა ჩვენი ჯოგური მდგომარეობით გავითავისეთ მონური მდგომარეობა, უფრო მეტიც, იგი (მონობა), როგორც ჩანს, დღესაც გვაბედნიერებს ჩვენ. უბედურება გახლავთ ის მარტო კი არა მხოლოდ, რუსული ჩექმა რომ გავიმშობლიურეთ, არამედ ისიც, რომ ჩვენ რუსული სულიერების არსი შემოჩეჩებული "საკარგო" დებულებით გავისიგრძეგანეთ, ვიდღესასწაულეთ არა საჩვენო ბედნიერებით და თვალი ავარიდეთ რუსული სულიერების ისეთ სიდიადეებს, როგორიცაა წმინდა სერაფიმ საროველი, იოანე კრონშდეტეტელი და ა.შ., თუმცა მათი სულიერება, უპირველეს ყოვლისა, თვით ველიკოდერჟავულმა რუსეთმა არ იგაკვეთილა.

ყოველივე ამის გამო ერმა დაკარგა სახალხოობის შემაკავშირებელი აზრი და საერთო ეროვნული ნიშანსვეტი, ამან კი ხელი შეუწყო ნებაყოფილებით თავისუფლების გასხვისებას და ჩვენი წვრთნაშეუსმენელი თაობა ამჯერად გლობალიზმის (ტექნოკრატიული დასავლეთის) ხახაში ცდილობს ნებივრობას, მანამ, სანამ საბოლოოდ დაღეჭავდნენ.

თავსმოხვეული მონობა, რომელიც დროიდან დრომდე გვისაგნდებოდა, ბოლოს და ბოლოს სულის უკუღმართობად გვექცა დღეს, ამიტომ დღევანდელი ე.წ. უფლებადამცველობა, რომელიც უეროვნო და უღმერთოა, აბრაშეცვლილი მონობაა ისევ და ისევ. ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ ამნაირ ფეხაწყობათა მეწინავეა "ადამიანის სულის ინჟინერი" გ.ოდიშარიაც.

ყველაფერი, რაც მყისიერ განცხრომაზეა გათვლილი, იაფფასიანია, აქედან გამომდინარე, იგი ვერ უზრუნველყოფს მარადისობას.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ამდენი საუბრის საჭიროება განაპირობა იმან, რათა გავერკვეთ თუ რა თავსმოხვეული შინაარსისაა ის ცნობიერი თვალსაწიერი, რომელშიც ვცხოვრობთ.

გ.ოდიშარიას ნაწარმოები (შესაბამისად სპექტაკლი), როგორც ეს არაერთგზის მოგახსენეთ, ისევ და ისევ ჯიუტად ეფუძნება კრემლიდანური თითისქნევებით თავსმოხვეულ სტერეოტიპებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოზე, იგივე აფხაზეთზე. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ იგი, როგორც მწერალი დაიბადა არა ქართველ მწერლად, არამედ საბჭოთა მწერლად, ხოლო ამ ტიპის მწერლის გარდაქმნა ტექნოკრატიული დასავლეთის დაკვეთების თარგზე ერთი წაპეპლების ხანგრძლივობის საქმეა. აქ საინტერესო ისაა, რომ აგრესიულ-ტექნოკრატიული დასავლეთი (და არა დასავლეთის სახალხო სულიერება) რუსული სტერეოტიპებით აზროვნების (ხმაბაძვის) უფლებას გვიკანონებს, მაგრამ ერთი არსებითი შესწორებით, მას უნდა ჩაენაცვლოს ქუჩისფსკერული ამერიკანიზმი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩვენი ქვეყნის აზროვნების წესთან. ასეთი ჩანაცვლება მოიცავს ყველაფერს, როგორც ყოფით ყოველდღიურობას, ასევე სააზროვნო წესრიგს, სულიერების სახალხო ნებას და ა.შ.

რუსისტული დებულება იმის შესახებ, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) საქართველო არაა, დიახაც სჭირდება აგრესიულ გლობალიზმს დღეს.

აი, რატომ იკაპიწებს არაგუთნისდედურ მკლავებს და ვითომ აცრემლებამდე იჩუყებს ინტერფრონტულ გულს მწერალი გ.ოდიშარია. დიახ, ამიტომაა, რომ ის ცდილობს ჩვენი საზოგადოება ხმაბაძვაში და არა საკუთარ ვინაობაში აცხოვროს, რადგან, როდესაც ხმამბაძველი მიეჯახება თავსმოხვეულ მიზნობრივ სინამდვილეს, მხოლოდ ასეთ მდგომარეობაში შეეძლება მას გაუკუღმართებაში ნებივრობა.

ამიტომ, რუსულის ნაცვლად, ამჯერად ტექნოკრატიული დასავლეთის ქუჩისფსკერულ მოინგლისურო იერსახეში "გვაბედნიერებენ" ახალი "უფროსი ძმები", რათა განვიძარცვოთ ეროვნული იერისგან და ვერასოდეს ვერ ვიბედნიერებთ "ჩვენად დაყუდნებით".

ამ მიზნით ქვეყნის სადენაციონალიზაციო შტაბში ახალი ტერმინიც კი შემოიღეს _ "ლინგვისტური რევოლუცია" (ტელეგადაცემა "იმედი", 23.03.2011წ.). მათი მონაცემით საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეთა 64% ინგლისურს სწავლობს, 24%- რუსულს, 9%- გერმანულს, 3%- ფრანგულს.

ასეთი სიცხადის მიმომხილველები უბედნიერესი გამომეტყველებით განმარტავენ, რომ საქართველოში ახალი მენტალიტეტი მკვიდრდებაო, რუსულს ინგლისური აძვებსო. აქ არ ყოფილა საგანგაშო საუბარი იმაზე, რომ ერმა დედა ენაზე უნდა იაზროვნოს.

ეს “ბედნიერება” ძალიან ჰგავს 1970 წელს მოსახლეობის აღწერას საბჭოთა კავშირში, როცა ათმა მილიონმა არარუსმა რუსული აღიარა მშობლიურ ენად. მაშინაც ასე აღტაცებული ნებივრობდა მედროვე ხალხი “კარს მომდგარ” კომუნიზმში.

თაობის ის ნაწილი, რომელიც იქცა ტექნოკრატიული დასავლეთის შთაგონებულ მეგზურად, ზრუნავს მხოლოდდამხოლოდ საკუთარი არსებობის რეგლამენტზე და ხელს იღებს ეროვნულ მარადისობაზე. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ის ვერ შექმნის ერისათვის ღირსეულობას, რადგან მონობა ამჯერადაც ჩაენაცვლა ქრისტესმხედრულ სულსა და სახალხო სურვილებს.

დღეს ქართველ ერს და პირველ რიგში იმ მკითხველსა თუ მაყურებელს, რომელმაც იბედნიერა <u>გ.ოდიშარიას</u> შემოქმედებით, უნდა გავაგებინოთ, რომ ქართველ ერს სჭირდება ძლიერება საკუთარ თავთან განმარტოებისათვის და საკუთარი ვინაობის მშვიდად გასასიგრძეგანებლად, მან უნდა გაითავისოს განუწყვეტელი და მიზანმიმართული შეუპოვრობა, როგორც სამეგრელოში გაგონილი ანდაზა გვასწავლის _ წვეთის განუწყვეტლობა ქვას ხვრიტავსო, ანუ მიზანმიმართული ხმალჩაუგებლობა გზას ყოველთვის იკაფავს.

ჯერჯერობით კი სიდიადისა და ეროვნული ნიშანსვეტის გარეშე დარჩენილი ქართველობა ისეთ დღეშია, თითქოს სუყველა დროებით საველე კარვებში ცხოვრობდეს და საღამომდის ამ ქვეყნის დატოვებას დიდი ხალისით აპირებენო.

ასეთია განწყობა, როცა აფხაზეთს დედან შინაარსში ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდ არ განვიხილავთ და თანამედროვე ტექნოკრატიული დასავლეთის მითითებით გასხვაქვეყნებულ მოძმე სახელმწიფოდ ვიძმობილებთ, სწორედ ამით ვცდილობთ ჭაობურ “კეთილ მეზობლობაში” თანაარსებობას.

ამდენად, მორიგი ეთნოფაბრიკაციული დივერსიების სქემა ამგვარი გახლავთ. არსებობს აფხაზეთის სუვერენული სახელმწიფო, ფაქტის ფილოსოფია გვკარნახობს მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. ჰოდა, <u>გ.ოდიშარია</u> და მისი მსგავსი შემოქმედების ამგვარად გამაგიდებულ საჰონორარო მილიარდებით ქმნიდნენ და ქმნიან საკმაოდ მაღალნიჭიერ ნაწარმოებებს გასხვაქვეყნებული დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფოსა და “აფხაზეთის დაპყრობაზე უარის მთქმელ” საქართველოს კეთილმეზობლობაზე.

ასე და ამრიგად, სპექტაკლი *“ზღვა, რომელიც შორია”* გახლავთ სწორედ ამ ეთნოდივერსიული შინაარსის გამხატვრულება ანუ იმ მიზნობრივი ეთნოფაბრიკაციის ბუნებრივ სინამდვილედ ხელოვნური გასაგნება და საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის თავს მოხვევა იმგვარად, თითქოს ეს იყოს უტყუარი აფხაზეთი, ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო და დივერსიულ ეთნოფაბრიკაციას, როგორც პოლიტიკურ თუ ყოფით ყოველდღიურობას არ ჰქონდეს ადგილი მის ბუნებრივ წიაღში. ასეთი შორსგამიზნული დაკვეთების შესაბამისად აზროვნება და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება საქართველოს უაღრესად სახიფათო მდგომარეობაში ამყოფებს, მსგავსი “გულაჩუყებები” მხატვრულ ნაწამოებსა თუ პოლიტიკურ დებულებაში ემსახურება საზოგადოებრივი აზრის შემზადებას, რათა მან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრიობის ნაცვლად მიიღოს რაღაც კონფედერაციის მსგავსი რეზერვაცია,

რაც იქნება ისევ და ისევ ქართული მიწების გასხვაქვეყნება და მისი ხელახალი გასაგნება მოხდება კიდევ ერთხელ ცრუ სახელმწიფოს პოლიტიკური დიდმპყრობლობის "ლეგიტიმური" აბრის ქვეშ.

როდესაც საუბარია იმაზე, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), თუ ცხინვალის მხარეში (და ა.შ.) შეიძლება კონფედერაციის ან მსგავსი რამის შექმნა (და ა.შ.) და რაღაც დოკუმენტით ეს ხმაბოდვა გახელშეკრულდება იმ გულარხეინობით, რომ ეს კონფედერაცია არ დაირღვევა, ეს არის ქართველი ერისთვის თვალებში ნაცრის მორიგი შეყრა, რადგან კონფედერაცია ნიშნავს ორი ან ორზე მეტი პოლიტიკური სუბიექტის შეთანხმებას. თუ აფხაზეთი არაქართულ შინაარსს წარმოადგენს და ის სხვა ქვეყანაა, მაშინ მისი სურვილის შემთხვევაში, რომ გავიდეს კონფედერაციიდან, რა მექანიზმით დავაბამთ ჩვენი სახელმწიფოებრივი ჭერის ქვეშ. რატომ გამოვრიცხავთ ჩვენ კონფედერაციის სუბიექტში ასეთი სურვილის გაჩენას.

როდესაც ე.წ. ტალიავინის დასკვნაში საუბარია ე.წ. აფხაზეთის სახელმწიფოდ გაფორმებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა თუ ჩრდილო-დასავლეთ ქართლში ხელოვნურად კონსტრუირებულ პოლიტიკურ სტატუსზე, მასში გათვალისწინებულია მოლაპარაკების დროს მხარეთა ფედერალიზების ვარიანტებს შორის არჩევანის თავისუფლება. საქართველოს მთავრობა იხრებოდა ე.წ. ასიმეტრიული ფედერალიზმისაკენ, რომელშიც ე.წ. პოლიტიკურ "მე"-თა შორის ერთი შემადგენელი სახელმწიფო უფრო მეტი უფლებებით ისარგებლებდა, ვიდრე დანარჩენები.

როცა საკითხი ასე დგება, უფლის ნებით გაერთსხეულებული საქართველოს ეშმაკის ლუკმად, ანუ "სხვაქვეყნად" დაქუცმაცება სიცხადედ ისაგნება, ნებისმიერმა, პოლიტიკოსია ის, მწერალი თუ მსახიობი, ცალსახად უნდა განაცხადოს ხმამაღლა, რომ არავითარი საამისო საფუძველი, არც ერთი ისტორიული საბუთი, საქართველოს ერთსხეულებრივი მიწა-წყლიდან ან აფხაზეთის, ან ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" და ან სხვა, რომელიმე მხარის დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტად ჩათვლისათვის არ არსებობს. ეს არის ბარბაროსული ძალდატანება საქართველოზე. უნდა ვთქვათ, რომ აფხაზეთი და ცხინვალის მხარე არის საქართველოს ავტოქტონური ტერიტორია, საქართველოს ეთნიკური ტერიტორია. იქ, ამ მხარეში სხვადასხვა მიზნით თვითდამკვიდრებული ოსებიცა და აფსუებიც ცხოვრობენ და მათ ცხოვრებას ხელს არავინ უშლის. მათ ყველანაირ თვითგანსაზღვრას და საზოგადოებრივ შეგნებას არავინ აფერხებს, მაგრამ მათ არ აქვთ უფლება, ქართული მიწის დედოსხეულიდან გამოყოფაზე. ჩვენ ასე უნდა დავსვათ ყველგან და ყოველთვის საკითხი და, როცა ამის ნაცვლად საეჭვო გულაჩუყება გვეძალება, ეს არის პირწმინდად პოლიტიკური მეძავებისა და სულგაყიდულთა თავგართობა. ნამდვილი ქართული ცნობიერების დროს ლაპარაკი სულ სხვა ტონალობასა და სულ სხვა სიბრტყეში იქნებოდა. ეს არის მთავარი. ტალიავინი, რა თქმა უნდა, საქართველოს დაუძინებელი მტერია, მაგრამ საკითხის გადმოცემისას, ის, ალბათ, ფაქტებს აღნიშნავს.

ნურავინ ნუ გაიმხნევებს თავს კოსოვოს "დამოუკიდებლობით".

ეს აქტი წარმოადგენს აგრესიული გლობალიზმის მიერ მართლმადიდებლური სერბეთის ამ წუთში ფაქტობრივ, მაგრამ დროსა და სივრცეში დროებით ოკუპაციას.

რაც არ უნდა მოუწოდოს საერთაშორისო სასამართლომ სერბეთს "დამოუკიდებელ" კოსოვოსთან კეთილმეზობლობაზე, ისევე, როგორც ჩვენ მოგვიწოდებს გ.ოდიშარია, სერბეთი ადრე თუ გვიან აღადგენს თავის სამშობლოს უფლის დადგენილ შინაარსში.

გასაგებია, ჩვენ დღეს ვერ ვაღწევთ აფხაზეთისა და ცხინვალის მხარეების გათავისუფლებას, მაგრამ მოვახერხოთ იმდენი მაინც, ჩვენი წინგაუხედავი პოლიტიკური გარიგებები დოლაბად არ დავკიდოთ მორევში მომკლავურე მომავალ თაობას. ასე და ამრიგად, დროა ამგვარი მკვდრადშობილი გულაჩუყებებისგან ერთხელ და სამუდამოდ დავიხსნათ თავი და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დეოკუპაციის სტრატეგია ავაგოთ პოლიტიკური, სამართლებრივი, ისტორიული, ეკონომიკური კულტურულ-საგანმანათლებლო, სარწმუნოებრივი, ადათობრივ-ტრადიციული, (ძუძუმტეობით-სახლიკაცური), სამართლებრივ-ძალისმიერი და სხვა შესაბამისი ბერკეტების სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბებაზე, რომლის საფუძველიც უნდა იყოს არა საეჭო კონიუნქტურა, არამედ საქართველოს მოსახლეობის (მათ შორის პირველ რიგში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთისა) და ჩრდილო-დასავლეთ ქართლის (ცხინვალის მხარის) ღვთივბოძებული ნება და ისტორიული სისწორე.

ასეთ შემთხვევაში ისღა დამრჩენია, ვურჩიო, მწერალ გ.ოდიშარიასა და მის თანამოკალმეებსა თუ თანამოსაქმე ხელოვანებს, დაანებონ თავი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის შესახებ მორიგი დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით შექმნილი სახიფათო, თუმცა ხავერდოვანი (გულისამაჩუყებელი) სტერეოტიპების ტირაჟირებას.

იმყოფინონ ის გალაღება და ხელმოთბობები, რაც ამ წუთების მანძილზე მოტყუებული ჩვენი ხალხის ზურგს უკან, თვითმარქვიად და მათი სახელით მოიმკეს.

არადა, ამაზე, ქვეშეცნეულად, ეტყობა ჩვენცა ვართ თანახმა, რადგან ჩვენსავე გვერდით ეს "ადამიანის სულის ინჟინრები" უფრო შორ სამოგებო სივრცეში იმზირებიან, როცა "ხავერდოვან" დამპყრობთა გარიგებებს თანხმდებიან. ამიტომ, გ.ოდიშარია ისევ გარეშე ძალების სამსახურში არა იმ საქმითაა დღესაც დაკავებული. როგორც მოგეხსენებათ, ობიექტის გენერალური დაპყრობის წინ ქმნიან საზოგადოებრივ აზრს, რისთვისაც საჭიროა აგიტბრიგადული სიმრავლე: ე.წ. არაფორმალები, არასამთავრობოები, ვითომ არაპოლიტიკოსები, ვითომ მწერლები, მსახიობები, მომღერლები და ა.შ.

ამის შესაბამისად გ.ოდიშარია, როგორც გითხარით, არ ეშვება სისხლ-ხორცში შეკონსტრუირებულ ჩვეულებას და ...

" _ მე, ფაქტობრივად, თვითონ სოხუმში ორჯერ ვიყავი. 6 თვის წინ და შარშან. მაგრამ გალში რამდენჯერმე ვიმყოფებოდი, მოლაპარაკებებში ვმონაწილეობდი, სოჭიდან შევედი გაგრაში.

_ *გულახდილი საუბრები თუ გქონიათ სეპარატისტებთან?*

_ თქვენ რომ სეპარატისტებს უწოდებთ, ისინი პოლიტიკოსები არიან" ("ახალი თაობა", 2010წ. 10 მაისი).

ერიჰაა, ესეც შენი ქუჩისფსკერი!... აფხაზეთში ქართველთა გენოციდის მომწყობი, გ.ოდიშარიას მოძმეთა ეთნიკური წმენდის გამხორციელებლები, _ ხალხი, რომელნიც

საერთაშორისო სამართლით კაცობრიობის წინაშე დანაშაულისათვის უნდა იხდიდნენ სასჯელს, პოლიტიკოსები ყოფილან და არა სისხლისმსმელები. თურმე, ნუ იტყვით, მათ ამ შემთხვევაში ნიავივით სალბუნი სახელი უნდა უძახო და არა აგრესორ-სეპარატისტი!..

რას ჩააცივდითო, მეტყვით, არადა, არაა ამ კაცის საქმე ასეთი საკითხების გარჩევა:

“ _ ეს მინდოდა მეთქვა. გაიმარჯვა ბაღაფშმა, ხოლო ხაჯიმბა დამარცხდა, აფხაზური საზოგადოება პუტინის სიტყვის ყურმოჭრილი მონა რომ ყოფილიყო, აუცილებლად ხაჯიმბას აირჩევდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ აირჩიეს ბაღაფში, რომელსაც ქართველი ცოლი ჰყავს. მაშინ გალის მოსახლეობა ამაში მონაწილეობდა. მერე ოპოზიცია სულ იმას ყვიროდა, გალი მონაწილეობდა და იმიტომ აირჩიესო. ახლა მეორე არჩევნები იყო. ოპოზიციამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გალელებს მონაწილეობა არ მიეღოთ _ ქართველებს პასპორტები არ დაურიგდათ და, ფაქტობრივად, მეორე არჩევნებში გალი არ მონაწილეობდა. დაახლოებით 63%-ით ბაღაფშმა მოიგო, რაც კიდევ ერთი მესიჯია” (იქვე).

მერე რა რომ ს.ბაღაფშია, თორემ არ არის პირწავარდნილი ოკუპანტი!

რუსეთს რ.ხაჯიმბა იმიტომ სურდა (ესეც საკითხავია, მართლა თუ სურდა), რომ ის ბაღაფშზე უფრო ხარბად დალევდა ქართველთა სისხლს, მაგალითად თუ ს.ბაღაფში ამისთვის სამ ჯერზე მოიყუდებდა ყანწს, რ.ხაჯიმბა ერთი სულმოთქმით გადაიყუმბარებდა მთლიანად.

და ბოლოს, გ.ოდიშარიასთვის ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) როგორც ჩანს არასოდეს ყოფილა ოდაბადე, შურობუმუ, სამშობლო. იგი მისთვის საცხოვრისი იყო მხოლოდ.

დღეს ესეც არაა და მოწმის გულგრილი თვალით უყურებს, ოღონდაც, მან ხომ იშოვა სამარქაფო საცხოვრისი:

“ თქვენსა და აფხაზებს შორის ისეთი ურთიერთობა არის და ისე აღგიქვამენ, რომ იქ ცხოვრება შეგიძლიათ?

_ არა, ასეთი ურთიერთობა ჩვენ შორის არ არის. იქ რომ ჩავიდე და ვიცხოვრო, ამას ვერ შევძლებ. მათ ეს მშვენივრად იციან.

_ ახლა აფხაზეთში ცხოვრებას რატომ ვერ შეძლებთ? რუსული რეჟიმის გამო, თუ...

_ რა თქმა უნდა. რუსული რეჟიმია, სხვა აფხაზეთია, ახლა იქ ისეთი მიუღებელი სიტუაციაა, სადაც მე ვერ ვიცხოვრებ. აფხაზებსაც ძალიან უჭირთ აფხაზეთში ცხოვრება. ამაზე ისინი გაზეთებშიც და ვებ გვერდებზეც წერენ. გენადი ალამიაა პოეტი, რომელიც პირდაპირ წერს, ვიღუპებით, ხედავთ, რა ხდებაო. ამ დროს გენადი ალამია ის კაცი იყო, რომლის მოღვაწეობა პოლიტიკური ელფერითაა შემოსილი” (იქვე).

გამაგიჟებს ეს კაცი! წუთის წინ (იხილეთ ზემოთა ამონარიდი) აფხაზეთში რუსები ვერ პარპაშობენო, პოლიტიკას ვერ ქმნიანო და აგერ (თვალი კიდევ გადაავლეთ წინამდებარე ამონარიდს), _ აფხაზეთი რუსებმა წალეკესო, მაგრამ ჩავთვალოთ, რომ ეს წვრილმანია და დავანებოთ თავი.

როცა ის ამბობს, მეგობრული ურთიერთობა არ გვაქვსო აფხაზეთის ხელოვნურად დეფაქტირებულ რეჟიმთან, ეს არაა სიმართლე, გ.ოდიშარიას წვლილი აფხაზეთის ცნობიერად “გასხვაქვეყნების” საქმეში უზარმაზარი გახლავთ, აი, ამ შინაარსიდანაა

ამოზრდილი სპექტაკლი *“ზღვა, რომელიც შორია”*... გაჰყვებით მის სულისკვეთებას და თავსმოხვეული გულაჩუყებით გადაიჩეხები ქურსუმში, არადა, აქვე გიორგი შარვაშიძისა და არზაყან ემხვარის მოკირწყლული თემშარაცაა!.. მაგრამ ამისთვის თავი საკუთარ ვინაობაში უნდა მოიძიო!...

მოკლედ, მხატვრული სახეები, რომლებზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, ჭაობური დემოკრატიისა და საბჭოთა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული სტერეოტიპების გამარადისებას ემსახურება და არა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის აღორძინებას სახლიკაცურ წესრიგსა და ძუძუმტეობით ლასკარში.

ეცნობი გ.ოდიშარიას შემოქმედებას, გაწყობილს კვლავაც კრემლიდანური თითისქნევების მიხედვით და ასკვნი, რომ სამწუხაროდ წიგნიერება და ზნეობა ყოველთვის არ არის ადამიანში ტოლფარდად.

წინამდებარე შემთხვევა გახლავთ არა შემოქმედთა სამამულო თანამოაზრეობა, არამედ გ.ოდიშარიას, დ.ჯაიანის, ლ.ხურითისა თუ სხვათა თანამოსაქმეობის ერთგვარი სექტაა იგი, რომელიც ჭეშმარიტებას პოლიტიკური თვითდამკვიდრებისათვის მსხვერპლად სწირავს. იგი ამას ბოჩოლას თვალებითა და ნიანგის “ცრემლებით” აკეთებს და ეს გახლავთ შეტევაზე გადმოსული ჩასაფრებულის გულაჩუყება, რომელმაც ზვარაკს ეს ესაა, გამოუსვა მახვილი ყელში.

დიახ, ამ “გულაჩუყებით” გ.ოდიშარიაც ისე იქცევა, როგორც უნდა მოექცე მოწინააღმდეგეს ...და როგორ გგონიათ, ვინ უნდა იყოს ეს “მოწინააღმდეგე”?!. ნუ გაგიკვირდებათ, იგი გახლავთ ბედკრული ქართველი ერი და მრავალტანჯული საქართველო... საერთოდ, ბევრჯერ შევსწრებივარ გ.ოდიშარიასგან ჭეშმარიტებისათვის ზურგის შექცევას და სამოგებოსკენ ააღმართებას. ასეთ დროს ის მართლაც ფლობს თვალებში ნაცრის შეყრის უდიდეს ხელოვნებას...

დიახ, ასე და ამგვარად გრძელდება ცხოვრება.

მათ საქართველო არ აშენებისკენ მიჰყავთ!..

როცა ამ ყველაფერზე ვსაუბრობთ, მას ვანზოგადებთ და ვამხატრულებთ, უნდა დაზუსტდეს ათვლის შინაარსი, საიდან ვიწყებთ, ისტორიული სინამდვილიდან თუ თავს მოხვეული საბჭოთა ეთნოდივერსიულ ფაბრიკაციათა აგრესორული სიცხადიდან (ფაქტიდან).

...და, როცა თავს მოხვეული სიცხადის მიღმა ვერ ვლანდავთ დედან შინაარსს, მაშინ ხომ ეს ყველაფერი ამნაირი ქართველთსპობითი დადგენილების გამხატვრულებაა და ის, რაც არ უნდა გულისამაჩუყებელი იყოს, ველიკოდერჟავული სინამდვილის გაკეთილშობილების მცდელობაა.

ჩვენი დაუდევრობისგან განსხვავებით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რუსიზმის მიერ დეფაქტირებული რეჟიმისა და მას მორგებული ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზეთის პირობებში დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგად აფხაზეთის შესახებ ხელოვნურად შექმნილი სტერეოტიპების გასაჯარისებას, მათ განმტკიცებასა და დაკანონებას ემსახურება დროებით ოკუპირებულ სოხუმში აგრესიული სეპარატიზმის ხელმძღვანელობით მოღვაწე უნივერსიტეტი, ე.წ. მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ასევე ე.წ.

არასამთავრობოების კონფერენციები, რეჟიმის ხელდასმით მოღვაწე მეცნიერება, მწერლობა, ხელოვნება და ა.შ.

ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ, ჩვენი დასაღუპი ჭაპანის გაწევაში აგრესიული სეპარატიზმის სათანადო სამსახურებს უღელში ყევარი ხარივით დაეწყვილნენ მიზნობვრივი უვიცობით დღემდე აფხაზეთის შესახებ თავსმოხვეული დებულებებით მოსაქმიანე ჩვენი პოლიტიკოსები, საინფორმაციო სამსახურების მუშაკები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვანები... ისინი, ვინც აფხაზეთიდან ეთნიური წმენდის შედეგად რომ გამოაძევეს და ისინიც, რომლებიც სატახტოში თუ სხვაგან ქართული საზოგადოების სახელით თვითმარქვიად მოღვაწეობენ. დიახ, სატახტოსთან ერთად ამას ემსახურება ძირითადად ჯერაც საბჭოთა თითისქნევებით მოაზროვნე და მისგან ვერ გათავისუფლებული ქართული მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა თუ ყოფითი ყოველდღიურობის ფეხაწყობა, ქუთაისში, თელავში, ბათუმში...

მაგალითი გნებავთ?!. _ კი ბატონო: "აფხაზეთი ქართულ პოეზიაში" (თბილისი, "ეროვნული მწერლობა", 2008წ.). შეადარეთ "კახეთი ქართულ პოეზიაში"... ეს კიდევ ერთი დადასტურება და დათანხმებაა საბჭოთა დებულების მიმართ იმაზე, რომ აფხაზეთი სხვა ქვეყანაა, რომელიც საქართველოსთან ერთად ერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში _ საბჭოთა რესპუბლიკაში შედიოდა.

იმის გარდა, რომ მცდარი და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს გამსხვაქვეყნებელია წიგნის სათაური "აფხაზეთი ქართულ პოეზიაში", აქ სხვა საბედისწერო შეცდომაცაა: "აფხაზო კაცო, შენს დაწიხლულ უიღბლო გამდელს, შენს საქართველოს ჩეჩნის ტყვია როგორ ესროლე" _ შ.ნიშნიანიძე.

ჯერ ერთი, ქართველი აფხაზის გამდელი კი არა _ თვითონაა აფხაზი (შეადარეთ კახელი, იმერელი, სვანი და ა.შ.). მეორეც, ის, რომ ჩეჩენი, ჩერქეზი თუ სხვა ჩრდილო-კავკასიელი არამზადა, სხვათაშორის არაერთ სულგაყიდულ ქართველთან ერთად, რუსიზმის საქმისთვის იბრძოდა საქართველოს წინააღმდეგ, არ უნდა იქცეს იმის სახეზოგადობად, რომ ჩეჩენი ან ჩერქეზი საქართველოს მტერია.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩეჩნეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა "კოლხური კოშკის" მსოფლმხედველობის გასწვრივ ვითარდებოდა პონტო-კავკასიის ერთიანი ანტიიმპერიული წინააღმდეგობისათვის.

რომ არა ასეთი ძალის არსებობა ჩეჩნეთში, რუსეთი უფრო ადვილად და პირწმინდად მოახერხებდა უკიდურესობამდე დენაციონალიზებული ჩრდილო კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ჩათრევას საქართველოს წინააღმდეგ ომში. სწორედ ამიტომაც ხდებოდა ჩეჩნის სახელგატეხვა ასე უმოწყალოდ. სამწუხაროდ, დიდმპყრობლურმა ძალებმა დროებით შესძლეს როგორც ქართული, ასევე ჩეჩნური ეროვნულ-გამათავისუფლებელი ძალების დაქსაქსვა და ამ გზით მათი გაუვნებელყოფა.

1992-93 და მომდევნო წლების შემდეგ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ამ დროის სისხლიან მოვლენათა მრუდედ გაშუქებისთვის ორ დაზგაზე სტახანოვურად იღწვის გ.ოდიშარია. პირველი დაზგა მწერლობაა, მეორე _ ე.წ. არასამთავრობო მოღვაწეობა.

იღწვის და ხვავრიელად ბარდნის მიზნობნრივ სტერეოტიპებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველთა სისხლით გადაღებილი მიდამოს

გადასაფარად. რა ვქნა, ასეა და კიდევ უნდა ვთქვა, _ ამ მიზნით დაიწერა მისი ნაწარმოები *“ზღვა, რომელიც შორია”...*

როცა ადამიანი უვინაო და უწარსულოა, ის მდაბიო ხდება, მაშინ, ადვილია მისი გადაგვარება, სწორედ ამიტომ ამგვარი გულაჩუყებებით ცდილობენ ქართველთა საყოველთაო გამდაბიოებას.

ვაგლახ, რომ გ.ოდიშარიას “ზღვა, რომელიც შორია”... ისევე, როგორც დ.ჯაიანის, ლ.ხურითისა და სხვათა სცენური სახეები ამ ნაწარმოების მიხედვით ქართულად სულადგმული მამულის გასხვაქვეყნებას ემსახურება!..

რაც შეეხება იმის სახეზოგადობას, თუ როგორ ერეკებიან საქართველოდან ქართველს და მოუძღვებიან უცხოელს (პოტენციურ დამპყრობს) ნათლად ჩანს ქ.ბათუმში გაშენებული ახალი ბულვარის ძველ მაცხოვრებელთა გასაჭირში, რომლებიც აქედან ბულვარის გაშენების საბაბით, აყარეს და კინწისკვრით გარეკეს: კაკო ნინიძე: “__ მაინც და მაინც თურქი უნდა ვიყო, რომ არ შემეხონ?” თურქების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ეს ამბავი ერთ ჩემს თურქ მეგობარს ვუთხარი, გაგიჟდა, ამას რას გიკეთებენ, გადმოგეფორმებინა ჩემს სახელზე და ვეღარ გაგიბედავდნენო. როგორ-მეთქი და ამიხსნა, __ ჩვენ თუ შეგვეხებიან, საკონსულოს ვაცნობებთ, საკონსულო კი პირდაპირ პრემიერ-მინისტრს აყენებს საქმის კურსში, ამიტომაცაა საქართველოში კარგი ბიზნესის კეთებაო” (გაზ. “კვირის პალიტრა”, 2010წ. 9-15 აგვისტო). თურქის კი არა ნებისმიერის წინააღმდეგი უნდა იყო, რომელიც ხორცმეტია შენი ქვეყნისათვის! რა მაგის პასუხია და, როცა ამ წიგნზე ვმუშაობდი (7 აპრილი, ხარება, 2011წ.), საინფორმაციო საშუალებებმა გადმოსცეს თუ როგორ აახია ერთმა თურქმა “ბიზნესმენმა”, სინამდვილეში თაღლითმა 3 მილიონამდე დოლარი ჩვენს ხელისუფლებას ქობულეთის რ-ნის ს.ხუცუბანში ვითომ ქარხნის ასაშენებლად და მოსახლეობის დასასაქმებლად. განა წინგაუხედაობა არ იყო, როცა არმენებს “ვაჭრობის ასაყვავებლად” ასახლებდნენ ქართულ ქალაქებში და მათ საგანგებო შეღავათებს უწესებდა სახელმწიფო?! ამ შეღავათებისათვის ქართველები არმენდებოდნენ. ვიცით, უცხოელი “ბიზნესმენების” წახალისება ჩვენი ქვეყნისთვის საეჭვო ხელშეწყობით რა ზურგში მახვილჩაცემად დაგვიჯდება სამომავლოდ?!.

სხვათა შორის ქალბატონი ჰილარი კლინტონის სტუმრობამ (2010წ. 05.07) დამარწმუნა, რომ უღირსებოსა და უვინაო წინგაუხედავისთვის ტრაბახი ნებისმიერი სიცხადით (ფაქტით) შეიძლება, ოღონდაც ის იძლეოდეს საშუალებას დააყოლო _ “პირველად” ან “პირველ ადგილზეო”... იმ დღეს “ჩვენ” იმით ვიტრაბახეთ, რომ “მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ ერთ სულ მოსახლეზე ამერიკის დახმარების მოხმარებით”, ე.ი. მათხოვრობაში ვართ პირველ ადგილზეო.

ეს ნაწარმოები შეიძლებოდა კარგად და სწორად დაწყებულიყო და ასევე მართლად, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსკენ (აფხაზეთისკენ) ზედმიწევნით სწორი გაშინაარსებით დასრულებულიყო, მაგრამ ეს რომ შესძლო, სული არ უნდა აცდუნო და სიმართლე არ უნდა შემოგემრუდოს. რაზე გულჩვილობთ, თუ მომავალ თაობაში ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) გასხვაქვეყნებულ საფხაზეცოდ გამარადისდა, გვექნება კი მის შემოსაერთსხეულებლად საჭირო ძალისხმევა და

მიზანსწრაფვა?! მე მივმართავ ამ წერილით მათ, ვისაც ამგვარ წინგაუხედაობათა ლაგამამოდება თავიანთი ვინაობით შეუძლიათ!..

* * *

3. სამარაქაფო სამშობლოს მოთადარიგება

"თქვა უფალმა: გახშირდა სამდურავი სოდომსა და გომორზე, მეტისმეტად დაუმძიმდათ ცოდვები"...

<u>დაბადება 18, 20;</u>

"ქართლი, როგორც გაროზგილი დედაჩემი, გადატყაულ მუხლის თავზე მისვენია."

<u>მანანა ჩიტიშვილი</u>

ყველა შემთხვევაში, ვეცნობი რა ამ მოწარამარეთა მორიგ ხმაბოდვებს, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ დანაშაულებრივ ანგარებასთან ერთად დოყლაპიობა და წინგაუხედაობა მათთვის უმნიშვნელოვანესი თვალგახელა გახლავთ.

ამგვარ ვითარებაში ჩემი მოკრძალებული ძალისხმევაც იქითკენაა მიმართული, რათა ადამიანთა ასეთ წვრთნაშეუსმენელ სიმრავლეს სამისდღემშიოდ არ დაერქვას ბრბო.

რა თქმა უნდა, თანმიმდევრულ ძალისხმევას მოითხოვს ხელყოფილი სახელმწიფო საზღვრებისა და გასხვისებული მხარეების შემოერთსხეულება, მაგრამ ყველაზე საგანგაშო და ძნელად აღსადგენი, წარმოიდგინეთ, პოლიტიკურზე უფრო, მაინც ქართველი ერის გაუკუღმართებული სულიერი თავისთავადობა (სუვერენიტეტი) გახლავთ.

დღეს ოკუპირებულია თავის დროზე საქართველოს სსრ-ად მოსაზღვრული სივრცის 20 პროცენტი. სანიშანსვეტო მეხსიერებად უნდა გაისაგნოს ის, რომ თვით საქართველოს სსრ იყო ქართველთა გონითი თუ ლასკარული განფენის ნახევარზე ნაკლები.

ერის გადაგვარებისთვის ფეხაწყობილ "ჩვენებურთა" ჩასაფრება, დიდიხანია, საქართველოს არ მოიაზრებს სამშობლოდ, არც ქართულ ვინაობაში აკომლებს საკუთარ "მე"-ს. იგი სამშობლოს აიგივებს ბუნაგთან და კლანურ-სექტანტურ ერთობლიობათა ცნობიერ რეზერვაციებად ინაწილებს ქვეყანას.

ავბედითად ცნობილი საბჭოთა ავტონომიები, რომლებიც მუდმივმოქმედ ჭურვად ჩაინაღმებენ საქართველოს მკერდში, ამ ჩასაფრებასთან შედარებით იავნანური გახლავთ.

ეს, ახალი, შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნეველი საოკუპაციო კონტინგენტია, რომელსაც ერთი შეხედვით ყველაზე ჰუმანური სახელი ჰქვია, ეს ისეთია, ჭლექს იასამანი რომ უწოდო, ამით ხომ მისი ვერაგობა არ შეიცვლება.

დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატმა მთაწმინდის სარჩევნო ოლქიდან (2010წ.) თავისი წინასარჩევნო პროგრამით განაცხადა, რომ ერის შეუგინებლობათა წინააღმდეგ მამათმავლობისა და სხვა ე.წ. უმცირესობათა აგრესიას არ წაახალისებდა.

ე.წ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (ანუ მტრის ლეგიტიმურმა აგენტურამ), რომლის სულიერი დედა ვინმე <u>თინა ხიდაშელია</u>, დეპუტატობის მაძიებელს უჩივლა და

მისი კანდიდატობიდან მოხსნა მოითხოვა იმ საბაბით, რომ იგი დემოკრატიულ პრინციპებს ებრძოდეს თითქოს. შეგახსენებთ, რომ სწორედ ეს და ამგვარი თანამოსაქმეები წარმოადგენენ გ.ოდიშარიას ინახს. როგორც სააფხაზეთო საქმეთა "დალაგებაში", ასევე სადედაქალაქო ხმაბოდვებში (დიახ, დიახ, სწორად გაგახსენდათ, სწორედ ამ ქალბატონმა განაცხადა _ გაგრის, ამ პატარა მიწის ნაგლეჯისათვის ვერავის მოვიმდურებთო, აქეთ ბატონი გურამი გვასწავლის რამდენიმე კვადრატული მეტრი, გნებავს კილომეტრი მიწა რა გახდა ასეთიო და ა.შ.),

ცხადია, სულს ყოველთვის სჭირდება დღესასწაული, მაგრამ ის უმისამართოსთან არ მიდის. ეროვნულ ვინაობას (მისამართს სამკვიდროისას) ეროვნული გარემო და აზროვნების წესი ქმნის. სადაც ეს შერყეულია, იქ კარსაა მომდგარი გადაშენება.

არსებულ სიცხადეში, როცა ავმოსურნეობა საველე-სასანგრო მდგომარეობით ჩაგვისაფრდა, ერს აუცილებლად სჭირდება ფეხმომაგრების ყოვნი, სულმოთქმა, მაგრამ იმავდროულად მას არ უნდა მოუდუნდეს საღმრთო ხელგამოღება.

თაობამ არ უნდა გაიპიროვნის ეროვნული სულის გამჭუჭყიანებლის მოვალეობა.

საქართველოში კიდევ ერთხელ გამოეცხადა დაუზავებელი ომი ეროვნულ ვინაობას, როცა მტრის მორიგი ეთნოდივერსია შეინიღბა ე.წ. აზრის გამოხატვის თავისუფლებაში და ამის ხარჯზე ხავერდოვნებისა და კეთილმოსურნეობაში გახვეული ოკუპანტი ცდილობდა ერის პირწმინდა გადაგვარებასა და მის საყოველთაო ჩათრევას ერის შეუგინებლობათა მიმდგომლობაში.

საკუთარი დედისადმი ავხორცული ლტოლვა, სქესობრივი გაუკუღმართებები, რელიგიური ქაოსი, მიზნობრივად ფაბრიცირებულ და აგრესიულ ეროვნულ თუ სხვა სახის უღირსობათა სულისკვეთების სახელმწიფო პოლიტიკის შინაარსში გასაგნება სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი გადაშენების წინადღისკენ ყოველთა ქართველთა გარეკვა.

საერთოდ საკუთარი დედისადმი მიმდგომლობა და მშობლიური სიწმინდეებისადმი შემგინებლური თუ მომხმარებლური დამოკიდებულება წვრთნაშეუსმენელი თაობის ე.წ. ხელოვნების შთამაგონებელი ძალისხმევა გახდა.

ასეთი მსოფლმხედველობით იგი არათუ გაემიჯნა ათონელ მამათა სწავლებას ("ახალსა ერსა ამას საღვთოსა"), არამედ, ასევე დაუპირისპირდა რუსთაველს, იოანე პეტრიწს, გიორგი და ექვთიმე ათონელებს, ჭყონდიდელ-აღმაშენებელს (რუის-ურბნისის ძეგლისდებას), ი.ჭავჭავაძეს, ალ. ყაზბეგს, ვაჟას, დიდოსტატ კონსტანტინეს, მუხრანს, ოთარ ჭილაძეს და ა.შ. და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთა მათ.

საყოველთაო უგემოვნებობა, მხატვრულად სუსტი და ეროვნულ-სახალხო ღირებულებებისადმი აგრესიულად განწყობილი "ნაწარმოებების" ხელშეწყობა თანდათანობით ქვეყნის ოფიციალური თუ სახაზინო საქმიანობის სტრატეგია და სახელმწიფო პოლიტიკა ხდება.

ამ ბოლო დროს ძველი ძეგლების ხელაღებით განადგურება ან გადაადგილება (დ.აღმაშენებლის ძეგლი თბილისსა და ქუთაისში, ი.ჭავჭავაძისა _ ბათუმში, "გამარჯვებისა" _ ქუთაისში და სხვები), ხოლო მათ ადგილზე, როგორც წესი არაქართული შინაარსის ჩანაცვლება ან ყოვლად უსახო, პენისური საგნების ძეგლად აღმართვა უკვე ნიშნავს საქართველოში სახალხო აზროვნების დეგრადირებას, ეროვნული სულიერების გადაშენების საბედისწერო მიზანმიმართულებას და

წვრთნაშეუსმენელი თაობის სახით ქართველი ერის სამარადიულმყოფო სივრცეში ახალი მუტანტური ნაციის ჩანაცვლების მცდელობას.

ამ სიმრავლეებს რატომღაც კი არა, სავსებით კანონზომიერად ტოლუპოვარი მუტანტის, უბადლო დეგენერატის სახეები აქვთ, ისინი თავყბის კრუნჩხვითა და ვითომ ჭკვიანის ხელოვნურად მორგებული იერით უთავბოლო სისულელეებს მოუძღვებიან ქვეყნის თვალსაწიერისკენ. მათ ქართველ ერს სული გაუუპატიურეს და დაუნგრიეს. ისინი დიდმპყრობლურ ჩექმებსა და ხიშტებს აბსტრაქციაში ებრძვიან და არა შინაარსსა თუ ყოფით ყოველდღიურობაში, ხელგამოღებით აძევებენ საზოგადოებრივი თავალსაწიეროდან ქართულ სახეებს, ტელეეკრანებიდან გვესაუბრებიან მხოლოდ მუტანტები. მათი ენა ან ჩიქორთულია ან ქუჩისფსკერული ინგლისური.

ამ ბევრეულიდან ვინმე ერეკლე დეისაძე, ე.წ. მწერლად თვითდადგენილი ეპირწონება საკაცობრიობო მნიშვნელობის ქართულ მწერლობას: "მე ეს საშოში დავწერე, მერე იქედან გადმოვიხედე და თეთრმა ნისლმა თეთრხალათიანი გინეკოლოგი გამახსენა, რომელიც გარეთ მელოდა. საშო ფართოა და შიგნით მზის სხივები აღწევს"... ასეთ გაუკუღმართებასა და სიბილწეში გატიალებას საკუთარი ფილოსოფია აქვს, _ ხმაბოდვა, რომელიც ერის სიწმინდეთა დანაგვიანებას ცდილობს: "ჩემთვის მთავარი არ არის, რას ამბობენ, მთავარია, ვინ ამბობს. უკაცრავად, მაგრამ ვიღაც "კუხარკა" რომ გამირჩევს ტექსტებს, რა თქმა უნდა, მას არ მოვუსმენ, რომელსაც მარტო შოთა, ილია, აკაკი აქვს დაზეპირებული, ან სულაც არაფერი აქვს წაკითხული. მე მოვუსმენ ვაკო ნაცვლიშვილს, გიორგი ხასიას, ზურა ჯიშკარიანს, "კოშკას", შოთა გაგარინს, პაატა შამუგიას და სხვებს. ადამიანებს, რომლებიც აკეთებენ იმას, რაც უნდათ" ("ქრონიკა", 2010წ. 10-16 მაისი).

ეს ყველაფერი დღეს საქართველოს წინააღმდეგ არ ისაგნება ქვეყანას გარშემოწყობილი ჩექმებითა და ხიშტებით მარტო, იგი ხორციელდება საქართველოში გამოინკუბატორებული ბევრეულების ანგარებითი ხმაბოდვებით, ხმაბაძვებით, მიმდგომლობით, ძირგამომთხრელობით, მიზნობრივ ბევრეულთა "გაუმცირესობით", რაც მთავარია, სამშობლოთი (საქართველოთი) "გადაღლილთა" და შესაბამისად, სამარქაფო სამშობლოს მაძიებელ-გამპიროვნებელთა ათარეშებით.

ცნობისათვის: წვრთნაშეუსმენელი თაობის ყველაზე რიგით წევრსაც კი არათუ გააჩნია სამარქაფო სამშობლო, არამედ მას განაღდებული აქვს წუთისოფლის ჩასაკრიალოსნებული საშუალებაც. ეს იმ ჰონორარიდანაა, წმიდა წერილი 30 ვერცხლს რომ უწოდებს.

იმ ვითარებაში, როდესაც აგრესიული გლობალიზმის გეგმაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იქცეს მსოფლიო სიმდიდრის დასაწყობების ადგილად, საქართველო მოაზრებულია ახალი საეთნოდივერსიო ფაბრიკაციათა ერთ-ერთ ინდუსტრიულ პუნქტად.

ხელისუფლებამ საგანგებო აღფრთოვანებით გამოაცხადა, რომ საქართველოში ინგლისური (ამერიკული) ენის ორი ათასი მასწავლებელი ჩამოვა თურმე და ქართველ ბავშვებს თავს მოახვევენ ჩვენთვის უცხო თავიანთ ფასეულობებს. ამით ქართველ ბავშვს ქართულს ავიწყებენ, ქართულ სიწმინდეებთან აპირისპირებენ და ამერიკულს, არასახალხოს, არამედ ტექნოკრატიულს (თუ ქუჩისფსკერულს არა) უმშობლიურებენ.

ისიც საკითხავია, აქ ინგლისურის ორი ათასი მასწავლებლის ჩამოსვლა ხომ არ იქცევა "ცეერუს" ორი ათასი ჯაშუშის გალეგალებად?!

საქართველოს დენაციონალიზაციის პროცესი აგრესიული გლობალიზმის მიზნებში შეუქცევადი ხასიათისაა, ამიტომ ქვეყნის პარტახი კვლავაც სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათს ატარებს. აქ საინტერესოა ის, რომ ერის გახლეჩა ამ შემთხვევაში მიმდინარეობს ჩვენი საზოგადოებისათვის თავსმოხვეული ე.წ. დემოკრატიული დებულებების მიხედვით, რომლებშიც წინაა წამოწეული ადამიანის ეგოისტური მიდრეკილებები.

თუ საუბარია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, აქვე უნდა განიმარტოს ისიც, თუ რა არეგულირებს პირად ცხოვრებას, როგორც შინაარსს. არის თუ არა იგი წესრიგქვემდებარე, რას ვგულისხმობთ წესრიგში და ა.შ.

გასაგებია, სახელმწიფოს ხელშეუხებლობის სამართლებრივ მხარეს იცავს ძირითადი კანონი, ხოლო ზნეობრივს _ ერის ეროვნულ-სახალხო რჯულისკანონი (შინერსისა და ვაშინერსის წესრიგი), რაც შეეხება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას თუ ის არ ეფუძნება წმინდა წერილსა და ერის რჯულისკანონს, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიმარტოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობად, რადგან ასეთ ვითარებაში მას ერის სულიერი ერთობისათვის ნგრევითი შედეგები მოაქვს.

არ შეიძლება უცხოთა ცხოვრების ბრმად და წინდაუხედავად გადმოღება. მაგალითად აი, ასეთი "პირადი ცხოვრების": *2011 წლის თებერვლიდან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი სახელმწიფოს დოკუმენტებიდან სიტყვებს _ "დედას" და "მამას" ამოიღებს. მათ ნაცვლად ოფიციალურ ანკეტებში სიტყვა "მშობელი №1" და "მშობელი №2" ჩაიწერება. ამის შესახებ "კავკაზცენტრი" იუწყება, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში განმარტეს, რომ გენდერული იდენტიფიკაცია _ "დედა" და "მამა", თანამედროვე აშშ-ის რეალიებს არ ითვალისწინებს. ამერიკაში ერთსქესიანთა ოჯახები მომრავლდა. ამიტომ, შტატებში მიიჩნევენ, რომ ამერიკელთა მთელმა თაობამ იმის გამო, რომ მათ "ორი მამა" ჰყავთ, თავი დაზარალებულად არ უნდა იგრძნოს.*

2005 წლის მონაცემებით, ერთსქესიან ამერიკელთა ოჯახებში დაახლოებით 300 ათასი ბავშვი იზრდება, რომლებიც თავს უბედურად მიიჩნევენ.

წარსულში, აშშ-ში არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია კრიმინალურ დანაშაულად ითვლებოდა, ხოლო 1970 წლამდე ფსიქოლოგიურ გადახრად, რომელიც იძულებით მკურნალობას ითვალისწინებდა. ამჯერად ითვლება, რომ არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანების შეზღუდვა "ამერიკული თავისუფლების შეზღუდვაა"

interpressnews.ge/.../157432-ashsh-is-s...

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აშშ ამ საქმეში მარტო არ არის, უფრო მეტიც, ზოგიერთი საზოგადოებისა თუ ქვეყნისთვის სრულიად უცხოა დედაშვილობა, მამაშვილობა, ის შეუგინებლობა, რომელიც ამ შინაარსში ძევს, აქედან გამომდინარე, გლობალისტური ევროპაც ტერმინებს "დედას" და "მამას" ებრძვის:

"ევროსაბჭო თავის წევრ 47 ქვეყანას ურჩევს, გამოიყენონ ტერმინები, რომლებიც გენდერულ თანასწორობას არ არღვევს და სექსიზმს არ ამკვიდრებს. ამ ინფორმაციას Die Welt-ი ავრცელებს. გამოცემა Bild-ის ცნობით კი ევროსაბჭომ ეს რეკომენდაცია შვეიცარიელი დეპუტატის, <u>დორის შტამპის</u> წინადადების საფუძველზე შეიმუშავა.

შტამპმა მოითხოვა, რომ ქალები აღარ წარმოსახონ "პასიურ, მეორეხარისხოვან არსებებად, დედებად და სექსუალურ ობიექტებად".

გერმანული მედიის მტკიცებით, შვეიცარიის ქალაქ ბერნის ოფიციალური დოკუმენტაციიდან უკვე ამოიღეს სიტყვები "დედა" და "მამა" და ამიერიდან ისინი მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი სქესის მშობლებად მოიხსენიებიან."

(გაზ. "კვირის პალიტრა", 2010წ. 6-12 სექტემბერი).

ის, რაც ამ სახით "ამერიკული თავისუფლების შეზღუდვაა" ან ე.წ. ევროპის ქუჩისფსკერისთვის მოსაწონია, საქართველოს შეუგინებლობაზე, ღირსებაზე და საერთოდ ვინაობაზე ძალადობაა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რა შესაშური გულმოდგინებით ამოიღო საბუთებიდან ეროვნებისა და მამის სახელის მითითება, ეს არაქართული ხელისუფლება ასეთი გაუკუღმართების დამკვიდრებასაც შეეცდება.

მათ, ვინც ამ ყველაფერს გვახვევენ თავს, უნდა იცოდნენ, რომ ისინი დროებით არიან ნამესტნიკურ თანამდებობებზე, კარგი იქნება თუ იზრუნებენ იმაზე, რათა მარადიულად დარჩნენ ქართველებად, გიორგიანებად, ქრისტესმხედრებად!..

არ არსებობს წვრილმანი ერის შეუგინებლობის საკითხში.

ჩვენთვის არა და არ გახდა საგაკვეთილო ერთი ქართული ანდაზა: "ნიგოზი მუქთად მხოლოდ სათაგურშია".

ასე მაგალითად, დღეს თურქეთის რესპუბლიკაში (იმპერიაში) მოქცეულ ქართულ მიწებზე ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენის წილ "ჩვენი კეთილმეზობელი, მომმე და მეგობარი" თურქები ითხოვენ 1-ის წილ 1-ის პრინციპით საქართველოში მეჩეთების აღდგენას ან აშენებას.

<u>რატომღაც ამ საკითხების განხილვისას არავის აგონდება, რომ ქართული ეკლესია მონასტრები, რომლებიც დღეს თურქეთის რესპუბლიკაში მოექცნენ, წარმოადგენენ მსოფლიო საგანძურს, ამავე დროს ისინი ქართულ მიწაზე აქაური მკვიდრის სულიერებას გამოხატავდნენ, ხოლო საქართველოში აშენებულ მეჩეთებში ისაგნებოდა დამპყრობის ძალმომრეობა.</u>

ასეთ ვითარებაში ჩასაფრებულთა ძალისხმევების შესაბამისად ქვეყანაში მძვინვარებს ხელოვნურად გაგაღმებული და ურთიერთს შერკინებული ფეხაწყობის დაუნდობლობა, რასაც ეწირება ეროვნული მიზნები.

ასე მაგალითად, 2010 წლის 2 ოქტომბერს აჭარაში კინოლოგთა შეჯიბრი ჩატარებულა.

აჭარის ტელევიზიამ თავის საინფორმაციო გადაცემაში სრულიად საქართველოს მიახარა, რომ ამ ღონისძიებაში კავკასიურ (ქართულ) ნაგაზს არ მიაღებინეს მონაწილეობა და მათი ჭკუით ამით საამაყო საქმე გაკეთდა.

ცნობილია, რომ კავკასიური (ქართული) ნაგაზის მოშენება, სხვებთან ერთად, <u>ასლან აბაშიძის</u> თავგართობაც გახლდათ. ჰოდა, ესენიც ასეთი წინგაუხედაობით გაემიჯნენ მას. არადა, ამ უერთგულესი და უჭკვიანესი ჩვენებური ცხოველების მოშენება და საყოველთაოობა საშური საქმეა, კი ბატონო, <u>ასლანს</u> დავუწუნოთ კაცღმერთობის მადა, მაგრამ იმას, რაც სახალხო საქმისთვის წასადგომია, რად ვებრძვით ასეთი შთაგონებით?!. უგუნურები ამაზე შორს წასული სად უნდა ეძებო, _ <u>ასლანის</u> მიმართ

გაშმაგების მისხალი არ გამოგვიჩენია, როცა ქართული ნაგაზი რუსმა ბაცაცებმა რუსულ ნაგაზად დაურეგისტრირეს მსოფლიოს!...

ქართველი ერისათვის სახიფათო და დამანგრეველი გახლავთ არათუ პოლიტიკური, არამედ სავაჭრო ურთიერთობათა იმგვარობა, რომელსაც ჩვენთან აქვს ადგილი, ასე მაგალითად, ბოლო წლებში საქართველო ეწევა ელექტროენერგიის იმპორტსაც და ექსპორტსაც. ელექტროენერგია გაგვაქვს თურქეთში და 2009 წელს საქართველოდან ექსპორტირებული 1 კვტ/საათი ელექტროენერგიის ფასი იყო 2,94 ცენტი, ანუ 4,88 თეთრი. ჯერ ამას მიაქციეთ ყურადღება. ელექტროენერგიას თურქეთზე ვყიდით 2,94 ცენტად და იმავე თურქეთიდან ვყიდულობთ 3,96 ცენტად.

ასეთ შემთხვევაში რას ნიშნავს განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენ გავხდით ელექტროენერგიის ექსპორტიორი ქვეყანა?! თუ ექსპორტიორი ხარ, თუ 5 თეთრად ყიდი ელექტროენერგიას საზღვარგარეთ, ასეთ შემთხვევაში შენი ქვეყნის მოსახლეობას 18 თეთრს რატომ ახდევინებ? 5 თეთრად ყიდი და 7 თეთრად ყიდულობ, მოგება საიდან შემოგივა?!

ჩვენ რომ უფრო ძვირად ვყიდულობთ, ვიდრე ვყიდით, ეს იმიტომ ხდება, რომ ისეთ დროს ვყიდულობთ, როცა ენერგია უფრო ძვირი ღირს, მაგრამ რატომ მოვიხვიეთ თავს ასეთი საწასაგებო ხელშეკრულება და, მეორეც: თუ გაქვს საშუალება, ასეთ ფასად გავყიდოთ, ჩვენს ხალხს მივყიდოთ!

რა ამის პასუხია და საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე განათლებისათვის იხარჯება 70 დოლარი, ისრაელში 1477, ფინეთში 1940, გერმანიაში 2508; სამაგიეროდ საქართველოს პარლამენტში ერთი დეპუტატის შენახვა ხაზინას უჯდება 1,8 უფრო ძვირი, ვიდრე განათლება.

ამ ყველაფერში ნათლად ჩანს არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ საზოგადოების ზნეობრივი, მორალური და პოლიტიკური სახე.

ავიღოთ მაგალითად ზუგდიდი. იგი კომუნისტურ საქართველოშიც კი ამბოხისა და დაუმორჩილებლობის მუხტს ინახავდა.

დღეს სამეგრელოს მიწები დასაკუთრებული აქვთ ჩინელებს, იტალიელებსა და ა.შ. იტალიური კომპანია "ფერესოს" სამეგრელოს მიწების ნახევარი შესყიდული აქვთ. მეგრელს არა აქვს გასაქანი, საკუთარ ოდაბადეში გაშალონ მხრები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის <u>ზ.გორგოზიას</u> მამას მარტვლიში ჰყავს ტახი, რომელიც მისი პატრონისთვის გადახდილი 30 ლარის საფასურად ამაკებს მეზობელთა ნეზვ ღორებს.

ქვეყნის ზეპურ (ელიტარულ) საზოგადოებაში განიხილება აზრი პროსტიტუციის ლეგალიზებაზე. ვარაუდობენ, რომ თბილისში 100-ზე მეტი ქალების და 50-მდე მამაკაცების ბორდელია. ასევე არის 50 ელიტარული ბორდელი, თითოეულში 50 ქალი ვიგულისხმოთ. ფასი 50-200 ლარი.

თუ პროსტიტუცია ლეგალური არ გავხადეთ, სახელმწიფო შემოსავალს კარგავსო, იატაკქვეშა მრუშობის დროს საქართველოს სახელმწიფო იჩაგრებაო, აი, მთელი სატკივარი! აქ ერთი რამ მკაფიოდ გავიცხადოთ, ეს საპროსტიტუციო ნედლეული ხომ ჩვენი კომლისქვეშ სადედაბოძედ დადგენილი მდედრები არიან, ვიღაცის დედები, ვიღაცის შვილები, ვიღაცის მეუღლეები, აბა ერთი დავუშვათ, ჩვენს-ჩვენს კერასთან

საღამოობით მათ მიერ ამ გზით შემოტანილი შემოსავალი დავითვალოთ, წარმოგიდგენიათ, რასთან გვაქვს საქმე?! თუმცა მთლად ასეც არ ყოფილა, დიდი ჩინეთი, ისევე, როგორც ყოფითი ყოველდღიურობის ნებისმიერ გამოვლენაში, აქაც წამგაუცდენლად გვიგზავნის ათასობით მეძავ!..

თავს მოხვეული კოლაბორაციის პირობებში სადაც არ უნდა შეიხედო, საწასაგებო სურათია: ბუნებრივი აირის შემოტანის ფასი გასულ წელთან შედარებით 8%-ით არის შემცირებული. ჩვენთვის კი არავის არაფერი შეუმცირებია. 1 კუბ. მეტრი ბუნებრივი აირის შესყიდვის ფასი არის 21 თეთრი, ჩვენ გვახდევინებენ 51 თეთრს, წარმოებებს _ 75 თეთრს. გაცილებით უარესი მდგომარეობაა თხევად გაზზე. ერთი კილოგრამი თხევადი გაზის შემოტანა იმპორტიორს უჯდება 85 თეთრი, ამ დროს 8-კილოგრამიანი ბალონის დატენვაში ვიხდით 26 ლარს, ანუ 1 კილოგრამში მინიმუმ 3 ლარს ვიხდით! ამის შემდეგ რანაირად ვამტკიცოთ, რომ ჩვენ სახელმწიფო და საბაზრო ეკონომიკა გვაქვს?

საზღვარგარეთ გატანილი გვაქვს 1 მილიარდ 100 მილიონი დოლარის პროდუქცია. ჩვენთვის ტრადიციული და არცთუ სასახელო საექსპორტო სახეობებია ხე-ტყე, შავი და ფერადი ლითონების ჯართი. გაგვაქვს ფეროშენადნობები, მანგანუმი, გაგვაქვს ასევე ღვინო და მინერალური წყლები. დანარჩენი ყველაფერი გვაქვს იმპორტირებული და ვეწევით ამ იმპორტირებული პროდუქტის ექსპორტს. როცა რაღაც საქონელი შემოგაქვს და იგივე გაგაქვს, ამას რეესპორტი ჰქვია. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ჩვენ რეგიონში ავტომობილების ყველაზე დიდი ექსპორტიორები ვართ. სინამდვილეში ჩვენ ვყიდით შემოტანილ მანქანებს. ამას სავალუტო რესურსების მოძრაობისთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ როცა ქვეყნის პოტენციალზე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია. რეექსპორტში ყველაზე დიდი მუხლი არის ავტომობილებით ვაჭრობა. ნახმარ ავტომობილებს ვყიდით აზერბაიჯანში, არმენეთში, თურქეთში, რუსეთშიც. რა თქმა უნდა, შემოტანა რამდენიმეჯერ ჭარბობს ექსპორტს, ანუ ჩვენ, სინამდვილეში, გადამტვირთავი პუნქტი ვართ, სიამაყით ვამბობთ, რომ 1 მილიარდ 100 მილიონის პროდუქცია გავყიდეთო საზღვარგარეთ, კი გავყიდეთ, მაგრამ ეს ხომ ჩვენი ეკონომიკის ნაწარმი არ არის. როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი არის ყიდვა-გაყიდვაზე გადასული და ამით ირჩენს თავს, ასეა ჩვენი ქვეყანაც.

ახლა ხე-ტყე და ჯართი.

113 მილიონი ლითონის ფეროშენადნობია გატანილი, 116 მილიონი დოლარის _ ოქრო. მსუბუქი ავტომობილები _ 72 მილიონი დოლარის. თხილი ორჯერ მეტია გატანილი, ვიდრე 2008 წელს და შეადგენს 79 მილიონ დოლარს. შავი ლითონების ჯართი _ 64 მილიონი დოლარის. აზოტოვანი სასუქები _ 62 მილიონი დოლარის. სპირტი, ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები _ 54 მილიონი დოლარის. ყურძნის ნატურალური ღვინოები _ 32 მილიონი დოლარის, მინერალური წყალი _ 25 მილიონი დოლარის.

გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩვენ ვართ ბანანის ექსპორტიორიც. შემოტანილი გვაქვს 7 მილიონი დოლარის ბანანი და გატანილია 1700000 დოლარის. ასევე 23 მილიონი დოლარის ღირებულების გაყინული თევზი შემოვიტანეთ და 1300000 დოლარის გავყიდეთ საზღვარგარეთ. ასევეა 5 მილიონი დოლარის ჩაი არის შემოტანილი და 2 მილიონი დოლარის გაყიდული.

კიდევ უფრო გაგიკვირდებათ, მაგრამ საქართველო ყოფილა გამომთვლელი მანქანების გამტანიც. იგი 44 მილიონი დოლარის შემოვიტანეთ და 1 მილიონი დოლარისა გავიტანეთ. 22 მილიონი დოლარის ტრანსფორმატორები გვაქვს შემოტანილი და 1 მილიონისა გავიტანეთ.

პრაქტიკულად, ჩვენ ვართ გადამცვლელი პუნქტი. რომ ჩახედოთ, რა შემოგვაქვს, კურიოზებამდე მივდივართ. შემოგვაქვს ყველაფერი: ყვავილები, კარტოფილი, პომიდორი, ხახვი, ნიორი, ხილი, ციტრუსები, ყურძენი. არადა, ყოველივე ეს ჩვენს ქვეყანაში საუკეთესოდ მოსავლიანდება, გასაქანი მიეცი ოღონდ ქართველ მეურნეს!

ნუ აღშფოთდები მკითხველო, კარგად გაისიგრძეგანე, მარტო 2009 წელს 14,4 მილიონი დოლარის ღირებულების 72000 ტონა ბოსტნეული გვაქვს შემოტანილი, მათ შორის 26000 ტონა ხახვი და ნიორი, აგრეთვე 18000 ტონა კარტოფილი. 15 მილიონი დოლარის 24500 ტონა ციტრუსი და ყურძენია შემოტანილი. წარმოიდგინეთ, თურქეთიდან 1 კილოგრამი ყურძენი შემოგვაქვს 1 დოლარად და 11 ცენტად. რა გვჭირს ასეთი? ქართველი გლეხი ბედნიერი არ იქნებოდა, 1 კილოგრამი ყურძენი 2 ლარად რომ გაეყიდა?

ახლა კიდევ ერთ რამეს გეტყვით, 1 ლიტრი "ქინძმარაული" გერმანიაში გააქვთ 3,32 დოლარად, სხვაგან _ 4,47 დოლარად. რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ბოთლი "ქინძმარაული" საზღვარგარეთ საშუალოდ 3,86 თეთრად აქვთ გაყიდული. ეს არის შეურაცხყოფა, თუ შენ არ გაქვს საშუალება, დაამტკიცო, რომ ეს არის უნიკალური ღვინო მსოფლიოში, ნუ გაყიდი მაშინ. იქნებ ვინმემ თქვას, ბაზარზე შევდივართო, არ არის ეს ბაზარზე შესვლა. ახლა ჩვენ რომ წავიდეთ რესტორანში ან მაღაზიაში ვიყიდოთ 1 ბოთლი "ქინძმარაული", რა თანხა უნდა გადავიხადოთ? შე მამაძაღლო, თუ უცხოეთში 4 ლარად ვერ ყიდი "ქინძმარაულს", იმიტომ, რომ ვერ აგებინებ, რა ღვინოა, გაყიდე საქართველოში ნაღდი "ქინძმარაული" 4 ლარად და ნახე, რა რიგი დაგიდგეს. "ხვანჭკარა" 5,33 ლარად გააქვთ საზღვარგარეთ, ჩვენთან ერთი ჭიქა "ხვანჭკარა" რა ღირს?

საინტერესოა სოფლის მეურნეობისა და საერთოდ საკვები პროდუქცია ჩვენთან საიდან შემოდის?!

ძირითადად თურქეთიდან, ასევე უკრაინიდან, რუსეთიდანაც, რომელიც ჩვენთვის იმპორტში რიგით მე-5 სავაჭრო თანამოსაქმეა. ასეა, ჩვენ არა გვაქვს უფლება, ჩვენი პროდუქცია შევიტანოთ რუსულ ბაზარზე, სამაგიეროდ, ჩვენ არ დაგვიკეტავს მათთვის ბაზარი. ხორბალი, ქერი, სიმინდი, წიწიბურა, არაქისი, შაქარი _ ყველაფერი შემოგვაქვს. ასევე შემოგვაქვს საკონდიტრო ნაწარმი, ყველა სახის კონსერვი, მათ შორის, ბოსტნეულის კონსერვები. 30 მილიონი დოლარის ღირებულების მზესუმზირის ზეთია შემოსული..

საოცრებას გეტყვით. საქართველოს უცხოეთიდან შემოაქვს სანელებლები, მაშინ როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში ჩვენ ვიყავით სანელებლების ერთადერთი მწარმოებელი. 6000 ტონა პროდუქტია შემოტანილი საწებლის დასამზადებლად. უცხოეთიდან შემოგვაქვს საწებლებიც, არადა, მთელი "მაშრიყ-მაღრიბი" ირწმუნება, რომ ქართული სამზარეულო უდიდესი შემოქმედებაა, ხოლო, რაც შეეხება სანელებელს, ადასტურებენ საქმის მცოდნენი, რომ ჩვენზე უკეთეს საწებელს არავინ აკეთებდა.

შემოგვაქვს ძალიან დიდი რაოდენობით ხორცი და ხორცის პროდუქტები, სამაგიეროდ, ბოლო ორი წელია, აქტიურად ვყიდით ცოცხალ საქონელს. ქვეყანამ, რომელსაც პირუტყვის რაოდენობა კატასტროფულად უმცირდება, დაიწყო ცოცხალი პირუტყვის გაყიდვა. 9000 ტონა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია გაყვანილი აზერბაიჯანში, ცხვარი ძირითადად არაბებს მიჰყავთ. ქართველი მეცხვარეები ნამატს კი არ ჰყიდიან, არამედ მთელ ფარას, ანუ ჭრიან იმ ტოტს, რომელზეც თავად სხედან და ჩასაფრებულ მტერსაც უხარია. ფარას თუ გაყიდი, იმ ფულს შეჭამ 2-3 თვეში და დარჩები ისე. ქართველი კაცი ცოცხალი თავით მწარმოებელ პირუტყვს არ დაკლავდა. ძროხას მანამ არ დაკლავდა და არ გაყიდდა, სანამ არ დაბერდებოდა, ახლა ამას არავინ დაეძებს.

ჩვენ ვყიდით ცოცხალ პირუტყვს და შემოგვაქვს ხორცი, ყველი, რძე, რძის პროდუქტები.

ერთი სიტყვით, ის, რაც საქართველოდან გადის, ქვეყანას ანგრევს და ის, რაც საქართველოში შემოდის, მოსახლეობას კლავს.

მოკლედ ქვეყანა ცხოვრობს და აზროვნებს არა ქართველი ერის სულის მოთხოვნილებითა და ნებით, არამედ უცხოს ცხოვრებითა და ოცნებით.

აი, ასეთი სააზროვნო წესრიგით ითვალსაწიერებს მომავალს მწერალი <u>გ.ოდიშარიაც.</u> ეს არ არის მარტო ლიტერატურული გემოვნების ან სკოლის საკითხი, არც მხოლოდ მსოფლმხედველობის, ეს გახლავთ ერისა და სამშობლოს სამსახურის, ქრისტესმხედრული უფლების, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის საკითხი, რაც ასე აუცილებელია საერისკაცო მოღვაწეობისათვის.

სამწუხაროდ, როცა ქვეყანაში ცეესკოს თავმჯომარე <u>ზურაბ ხარატიშვილი</u> (“რუსთავი-2”, 2010წ. 28.06) აცხადებს, რომ “მსოფლიო იმით კი არ გვიცნობს თუ როდის შევქმენითო ანბანი, არამედ იმით, თუ როგორ გამოვავლინეთ დემოკრატია არჩევნებზეო”, ასეთ შემთხვევაში მიწიერ ცხოვრებაში იქნებ ჰქონდეს გამართლება <u>გ.ოდიშარიას</u> აღებ-მიმცემლურ სულისკვეთებებს, მით უფრო, როცა ქართველი ერისათვის ვინმე <u>ზ.ხარატიშვილმა</u> მარტო საკუთარი აზრი არ გამოთქვა, მან ქვეყანაში თვითდამკვიდრებული ბევრეულის სულისკვეთება გაახმოვანა.

საბედნიეროდ არსებობს უფლის განგებულებაც, ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც სამარქაფო სამშობლო უკვე მოითადარიგა, რადგან, როცა ადამიანი კარგავს მშობლიურ გარემოს, იგი გადაშენდება.

მე მაბედნიერებს ქართული სამყარო, როცა მღერიან <u>“კუჩხიბედინერს”, “ლილეოს”,</u> მესმის <u>“სქიდას ლაზიშა დო მთელი ოქორთუე</u>”, როცა საფიხვნოდ მიწვევს <u>დიდოსტატ კონსტანტინეს, ლეო ქიაჩელის, ტერენტის, გალაკტიონის, ოთარ ჭილაძის, მუხრანის, გურამ გეგეშიძის, თამაზ ჭილაძის, გურამ რჩეულიშვილისა</u> და მათი თანავარსკვლავედის ქართული, როცა “ცად ქუხილდება” <u>ელდინო საღარაძის, ზინა კვერენჩხილაძის, თათია ხაინდრავას, გურამ საღარაძის</u> ხორხისმიერება. მაშინ ეს ლაზარეს აღდგინების ენაა, ის კახელი, მეგრელი, სვანი, ლაზი, იმერელი, გურული, აჭარელი, ჰერეთელი, ტაოელი და ა.შ. ქრისტესმხედრისა თუ გუთნისდედის მარადისობაა, მაგრამ მე გული მერევა, როცა ვკითხულობ დღევანდელ მედიას, ვუსმენ არაქართულ, გადმოასლებულ ხმაბაძვაში თვითდამკვიდრებულ პარლამენტს, მაშინ იგი

ზალიკო ბერგერის, შორენა ბეგაშვილის (ბეგაზოვას), ნინა წკრიალაშვილის, ვინმე ბიჭოლას, მამულიჩას, ლექსენისა და მისთანათა სათავისოა და ამორწყევამდე მძულს იგი. ჩემდა საწყენად, სწორედ ასეთი ცრუ ქართული შინაარსი გაიერთსხეულა გ.ოდიშარიამ. არადა მის მიერ ჭაბუკობისას დაწერილი ლექსი "კვდებოდა მზეზე პატარა ლეკვი", სულ სხვა, საერისკაცო სვლაგეზს უნიშანსვეტებდა მას, დასანანია, დიახ, დასანანი!.. როგორც იტყვიან, თაობა კულტურის პაუზაში ანუ სულიერი ყოვნის რეჟიმში ცხოვრობს. ამასობაში მე პირადად თავშესაფარს ქრისტესმხედრული აღშფოთებისკენ ვიწალდავ:

"რაა მასზე გულდამწყვეტი,
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე,
ეს არ არის საქართველო...
არის ხლართი რკინიგზების,
არის ავტო, მოტო, ველო,
არის ოჯახებიც, მაგრამ
ეს არ არის საქართველო!.."

გალაკტიონი.

≈*≈

4. დროებით ოკუპირებული ჩრდილო-დასავლეთ
საქართველო (აფხაზეთი), ქართული საზოგადოების მისწრაფებები და
"რედისონ ბლუ "ივერია", ანუ ჭენებით იარ საქართველოს გადაშენებისაკენ!..

"ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად
ითხოვთ, რათა გულის თქმათა შინა თქვენთა განილინეთ"
იაკობი 4,3

"ზშირად მართალნი ვარდებიან უღვთოთა
ხელში, არა დიდებად უღვთოთა, არამედ
გამოსაცდელად მართალთა".
წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თქმულებიდან

ქვეყანაში არ შეიძლება სუყველაფერი წაბილწო ან წააბილწვინო, ყველაფერი დააგირავო, გაყიდო, გაასხვისო. უხმო კივილით გიდასტურებთ, საგანგაშოა, როცა ხმაბაძვასა და ქედდაღუნვაში ცხოვრობ.

დღეს ქართულმა საზოგადოებამ (მხედველობაში არ მყავს წვრთნაშეუსმენელი თაობა) იცის, მაგრამ სიცხადედ ვერ აღიქვამს თავისი ქვეყნის სათავზარო მდგომარეობას. თანამემამულეთა ღირსებასა თუ უფლებაზე გადაქუსლება გათითოკაცებული საქართველოს მახასიათებელი გახდა.

საზოგადოება, რომელმაც შეიძლება დაუშვას ვინმე თეა თუთბერიძის (ან მისი სულიერი თანამოსანგრეების) ჩამოყალიბება, იგი გატიალების სიბილწეში ცხოვრობს და მისთვის სულიერება ე.წ. ტელეგადაცემა "იმედი" (თავისი "სიმართლის დროს" თანხმლები უხამსობით) გახლავთ.

სხვათაშორის ეს "იმედი" მთელი კვირის განმავლობაში აანონსებდა და ბოლოს მაყურებელს საგანგებო გადაცემით აუწყა (24.01.10წ.), რომ აბანოთუბანში

მამათმავლობა ყვაოდა ისტორიულადო, ანუ ეს ჩვენთვის ნაგემები ხილი გახლავთო. მისი აღორძინება არაა საგანგაშო. სამწუხაროდ, მას არ უთქვამს, რომ ეს ცისჩამოქცევა არასოდეს ეფუძნებოდა ქართულ რჯულისკანონსა და ეროვნულ-სახალხო მსოფლმხედველობას, იმავე აბანოთუბანში ეს თუ კანტი-კუნტობდა რომელიმე ოფარეში, ეგ შედეგი იყო იმის, ყველა დროის მომხდური რომ ტოვებდა თავის ნაკვალევს საკუთარ გარეწართა თუ აქაურ გადაგვარებულთა სახით.

იგივე "იმედმა" (27.02.10წ.) საზოგადოებას წარუდგინა ერთი შეხედვით საჭირო გადაცემა ჩინელ ლაო ჯინჯაოზე: იგი XIX საუკუნეში ჩაქვში დასახლებულა ჩაის გასაშენებლად. ვითომ მას უთქვამს, ჩაი ქვაზეც გაშენდებაო და ამ ადგილს ამის გამო ჩაქვი დაერქვაო.

გადაცემის ქვედინებურ შინაარსს შორსგამიზნულად და თადარიგიანად უნდა დაემტკიცებინა, რომ საჭიროა ჩინელების მეტი რაოდენობით შემოძღოლა ქვეყანაში. ის, რომ ისინი ქუჩებზე ასე მრავლად ყიდიან საეჭო და უვარგის საქონელს, ეს კი არ არის ნიშანდობლივი, მთავარი ის ყოფილა, რომ ეს ბეჯითი ხალხი აგვიყვავებს სოფლის მეურნეობას. მოუვლის ჩვენს ბუნებას და ა.შ. ჩინელთა დიდი რაოდენობით ჩამოსახლების წახალისება გახლდათ ეს ყველაფერი.

ამ საჩინელო "აუცილებლობის" პროპაგანდას არანაკლები სიბეჯითით ენაცვლება მტკიცება შესახებ იმის, რომ ჩვენი საშველი ჩვენს ქვეყანაში ბურების ხელაღებით ჩამოსახლებაშია და ა.შ.

ქვეყნის გასხვისების ან სხვაზე გაპიროვნების პროპაგანდა რატომღაც საინფორმაციო საშუალებათა და არა მხოლოდ მათი სტრატეგიული მიმართულება გახდა. ასე, მაგალითად, ავიღოთ აჭარა, დღეს ამ მხრის ხავერდოვანი ოკუპაცია მიმდინარეობს თურქებისა და არმენების მიერ, საგანგებოდ ცდილობენ გააუფასურონ აჭარის მოსახლეობის ფენომენი, მეტიც, ხელი ეწყობა მის თანმიმდევრულ ჩათრევას საძრახობებში...

რაკიღა ერის მიზნობრივი რყვნის მცდელობაზე დავიწყეთ საუბარი, უნდა მოგახსენოთ, რომ ამას "სტერეოტიპების რღვევის რევოლუციური პროცესი" ჰქვია "სადაც ჯერ არს". ასე მაგალითად, 2010 წლის 9 თებერვალს, დიდმარხვის დასაწყისში ე.წ. "სიმართლის დროში" აჩვენეს ქალად გარდაქმნილი ბესო, ამჟამად კესარია. აჩვენეს კი არა, ლამის ეროვნულ გმირად წარმოაჩინეს.

ქვეყანას მიზნობრივად ახვევენ თავს ერისთვის უცხო და საეჭო შეხედულებებს. მაგალითად, გამოდის ახალგაზრდათა ჯგუფი და ამაყად გაიძახის, რომ არ უნდა ილიას, მ.ჯავახიშვილის, კონსტანტინეს კითხვა. ყველაფერი დაყვანილია გამრყვნელ და პრიმიტიულ შოუმდე ან ოდიოზურ დიზაინამდე. ამით ამ საქმიანობის მესვეურებს სურთ საქართველო გადააქციონ ამერიკის სასვლაგეზო სივრცეში რომელიღაც სადგურად.

როგორც უკვე მოგახსენეთ, დღეს ქვეყანაში მოთარეშე აზროვნება, ვინაიდან, იგი არ ემემკვიდრება წინაპართა და წინა თაობების მოღვაწეობას, წარმოადგენს რჯულუცხო ხმაბაძვას, ვიდრე "მხატრულობას" (მაგალითად გმირთა მოედანი და ე.წ. გადასასვლელი ხიდი რიყეზე). გაძევებულია მოწიწება ეროვნული ნების მიმართ. "ვეფხისა და მოყმის" თუ "ქართვლის დედის" ძეგლთა ქალაქში დაიდგა უჭკუობისა და

უსახურობის ორი კოლოფი, ერთი დიდი, მეორე მცირე "გაზეთის ჯიხური", ერთით თავსლაფი გადაასხეს 2008 წლის აგვისტოს ომის ზვარაკებს, მეორეთი _ 1989 წლის 9 აპრილის ტარიგებს.

ეს არის კნინობითი აზროვნების ნიმუში, ამიტომ საზოგადოების ძალისხმევა უნდა წარიმართოს იქითკენ, რათა საქართველოში ადამიანთა სიმრავლეს არ ერქვას ბრბო, მას უნდა გააჩნდეს საკუთარი აზროვნების წესი და ჰქონდეს მაღალმხატვრული გემოვნება.

დადგა დრო, ქართველმა კვლავ გაიერთსხეულოს სულიერად საქართველო და დამთავრდეს ქართველთა ქანქარისებრი ბინადრობა საკუთარ სამშობლოში _ საქართველოში. წვრთნაშეუსმენელმა თაობამ არ იცის რომელ საზოგადოებაში ცხოვრობს, ვისი ჯიშისმიერი თუ სულიერი მემკვიდრეა, რა გარემოშია, რანაირად ჩაერთსხეულოს ქვეყანას, თუმცა, ჩაერთსხეულება სამშობლოსთან მისთვის სახიფათოა, რადგან, როცა სამარქაფო ქვეყანა მოუხმობს, აღლეტა მოუწყვეს მამულთან. მათ არ იციან და არც უნდათ იცოდნენ თუ რა ვინაობას, რა ერს ემემკვიდრონ, თავსატეხად კი არ ექცათ, უარი განაცხადეს ერის ვინაობაში თაობურ ჯერმონაცვლეობად დაუდგინდნენ ქვეყანას. მათთვის აზრი არა აქვს შენებასა თუ მოღვაწეობას, ფიქრს, აზროვნებას, კამარას სახალხო სულიერებაში.

თუკი ქვეყანაში არ არის ეროვნული წესრიგი, მაშინ იგი სამშობლო კი არა, სახაზინო სივრცეა. საზოგადოებრივი სივრცე სამშობლოდ უნდა გაიპიროვნო, რადგან ის არ გეკუთვნის მარტო შენ ან შენს თაობას, ის წარსულიცაა და მომავალიც, ამიტომ უნდა გქონდეს პასუხი მომავლისათვის, _ ვის მიემოწაფე და რით ამდიდრებ დღევანდელობას.

ქართულ სივრცეში მოსაზღვრულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს დღეს მთლიანად აშშ, უფრო სწორად, აგრესიული გლობალიზმი მართავს, ჩვენთან დისლოცირებულია ამ ქვეყნის სპეცსამსახურების, სულ ცოტა _ 2000-ზე მეტი თანამშრომელი.

ამიტომ მმართველობაში დაკავებული ყველა მოსამსახურე ქვეყნის მოსამსახურე არ არის. ისევ და ისევ ხმამაღლა ვამბობ, ერის ბედი აბარია წვრთნაშეუსმენელ ბევრეულს, რომელთაც არ გააჩნიათ ეროვნული ღირსება, მათ არ იციან საკუთარი ვინაობა. ამიტომ იყო, რომ 2010 წლის ივლისში აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ქვეყანაში სასხვათაშორისო სტუმრობის დროს თავს უფლება მისცა ჩვენი საზოგადოებისათვის გენდერული თანასწორობის ე.წ. გაკვეთილი ჩაეტარებინა.

ჩვენი ქვეყანა გახლავთ ის ადგილი, საიდანაც მსოფლიოში ბინადარი ცხოვრების წესრიგი გავრცელდა, დაფუძნდა შინერსისა და ვაშინერსის სულიერება, რომ არაფერი ვთქვათ <u>თამარ მეფის</u> სახალხო თუ საქვეყნო ძალისხმევაზე ან <u>"ვეფხისა და მოყმის"</u> მსოფლმხედველობაზე.

საქართველოში თვითდამკვიდრებულ ხელისუფლებაში, რომელიც პირწმინდად აშშ-ს საოკუპაციო სისტემაა, ერთნი ხელისუფლობანას თამაშობენ, მეორენი ოპოზიციას, ორივენი კი ამერიკის ინტერესების ყოფაში გაყოველდღიურებას ცდილობენ.

დღეს ე.წ. ქართველ ქალად სახელდებული საეჭო წარმომავლობის მდედრობითი სქესის რაობები, რომლებიც ვერც ჯიშით, ვერც ცნობიერებით და ვერც ზნეობით ვერ ემემკვიდრენ ქართვლის დედას, _ ნეტარებით უყურებენ უცხოური ვალებით

დაკაბალებულ საქართველოში თუ როგორ ცდილობენ უცხოელ თითისმქნეველთა სექსუალური თუ სხვა სახის ყოფითი მომსახურების ნედლეულად გადააქციონ ჩვენი შეუგინებლობა.

ნახეთ, ჩვენს სკოლებში როგორი ვერაგული და გადამგვარებელი გეშვაა სწავლების მაგიერ: თუ მშობელი გაგიწყრა, მას სასამართლოში უჩივლეო; თუ ავტობუსში ბილეთი აიღე, უფროსს ადგილი არ დაუთმოო; თუ მასწავლებელმა ხმას აუმაღლა, განათლების მინისტრთან უჩივლეო და ა.შ. სად არის აქ აღზრდა, სადმე ილანდება სიწმინდეთა გამშობლიურება?!

მოკლედ, ეს არის ის დაგეშილი სიმრავლე, რომლის მეშვეობითაც აგრესიული გლობალიზმი ჩვენს ქვეყანაში ებრძვის მართლმადიდებლობას, ჩვენს სულიერებას, ისტორიას, კულტურას. თუ ადრე კრემლი ადგენდა საქართველოში ნამესტნიკური ხელისუფლების ნომენკლატურულ წარმომადგენლობას, დღეს ამას ვაშინგტონი აკეთებს.

ამ ნამესტნიკურ ნომენკლატურაში თითქმის სუყველა გვარდაგაკეთებული არმენი, რუსი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი გახლავთ, რომლებიც გულდაგულ მალავენ თავიანთ წარმომავლობას და ქართული საზოგადოების მიმართ ზიზღის, სიძულვილის, გამცემლობისა და ზურგში მახვილის ჩაცემის გრძნობით იწალდავენ პოლიტიკურ სვლაგეზს.

მერამდენედ, მაგრამ სისხლის ამოხველებით უნდა ვთქვა ისევ, _ არც ისაა შემთხვევითი, რომ ერის დიდი მოღვაწეების ძეგლებს უსწორდებიან. ამ ძეგლებში ისინი ებრძვიან ძლიერ და ქრისტესმხედრულ პიროვნებებს, ერის მეხსიერებიდან სურთ დიდი მნიშვნელობისა და საგაკვეთილო მოვლენების ამოშანთვა. ეს არის ეროვნული სიწმინდეების მსხვერპლად შეწირვა საყოველთაო სისხლაღრევისა და აულაგმაობის დასამკვიდრებლად. ამდროობის ავთაობად თვითდამკვიდრებულ ბევრეულს ქვეცნობიერში მხოლოდ ეს სურვილი უდევს.

ქვეყანაში ხდება ზეიმისა და გლოვის მიზნობრივი აღრევა, რაც ყოველთვის საბედისწეროდ ისაგნება ერის ცნობიერებაში.

ყველაფერსა აქვს თავთავისი ადგილი. ეროვნულ სიწმინდეებს, აზროვნების წესს, დედაენასა და სულიერებას, საერთოდ სამშობლოს და საკუთარ ვინაობას უზარმაზარი მოწოწება სჭირდება.

აგრესიული პრიმიტივიზმით ცდილობენ ქართულ შინაარსში ჩაანაცვლონ "ხავერდოვანი" სხვათაური ცნობიერება, რათა გაძევდეს მეხსიერებიდან საქართველოს კულტურისა და ისტორიის სანიშანსვეტო მოვლენები: ასე, მაგალითად, გაზეთი "კვირის პალიტრა", 2010წ. 15-22 თებერვალი _ "ამბავი ქართველი კონკიასი, ანუ უცხოეთში ნაპოვნი ბედნიერება". ხათუნა გაჰყვა ქართველ კახას, კახა ცუდია, ქართული სოფელიც ცუდია, გერმანიაში ძიძად ყოფნა სამოთხეა, რადგან საშუალება მიეცა, გაჰყოლოდა ცოლად გერმანელს, ანუ კარგ ჰანსს. ასეთია თავსმოხვეული სულისკვეთების არსი.

საქართველოში მოსაქმე საინფორმაციო საშუალებების თემა ამგვარი გახლავთ, _ ქართველობა "გამოუსვლელობაა", საქართველოდან თავდაღწევა სამოთხეში შესაბიჯებელი გზაა და ა.შ.

მათ დაამკვიდრეს ქუჩისფსკერული მეტყველება, მათთვის ყოვლისმკადრებლობა ნებადართულია, ყველაფრის ამოყროყინება შეიძლება.

როგორც ზემოთ ითქვა, ქვემეთრევი საზოგადოებისათვის დღის წესრიგში დგას კანონის მიღება ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზებაზე. არადა, ქართული საზოგადოება, როცა მილიონში ერთი თუ იყო ვინმე ასეთი, არ კლავდა მას, მაგრამ ამას პათოლოგიად თვლიდა და მისგან, გინდა თუ არა, თავკაცობას არ მოითხოვდა. როგორ უნდა გაბედოს დღეს ვინმემ მისი წარმოჩენა მისაბაძად და გამართლება ამ სულიერი საპყრობის?!.

დიახ, უკვე მოგახსენეთ და ვიმეორებ, ეს ყველაფერი კეთდება არა საქართველოს გარშემოწყობილი ხიშტებით, არამედ თვით საქართველოში გამოინკუბატორებული ხალხით. ნებისმიერ მათგანს გააჩნია სამარქაფო სამშობლო. არც ერთი მათგანი არ აზროვნებს, არ ოცნებობს, არა სწუხს, არ ირჯება და არ ცხოვრობს იმ ადამიანის ცხოვრებით, რომელსაც სამშობლოს საგრძნობი ნაწილი უბოდიშოდ ჩამოაგლიჯეს და გასათავისუფლებელი აქვს იგი, რათა, ქვეყანა დაადგეს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის გზას.

ეს ასე რომ მოხდეს, ამისათვის საჭიროა, დრო სისწორით აისახოს და შეიქმნას მისი ქმედითი საპირწონე ჩვენი თაობის მარჯვენათი. ამისათვის მათ სჭირდებათ არა უბრალოდ რაღაცის ცოდნა, არამედ ეროვნულ-სახალხო თვალსაწიერს მიახლოებული განათლება, ამის მისაღწევად კი საჭიროა წიგნის კითხვა, მაღალი გემოვნება, ოსტატობა, არადა, თაობა, რომლის საგრძნობი ნაწილი გადაგვარებულია (დენაციონალიზებულია), გამწარებული ებრძვის საქართველოურ შინაარსს. ფული იხარჯება ყველასთვის და ყველაფერში, ოღონდ ის ქართულ რაობასა თუ ვინაობას იყოს დაპირისპირებული, ის არ ხმარდება წარმოების აღორძინებას, ან კიდევ ქართული სოფლის ფეხმომაგრებას, ქართული სულიერების ფრთებგაშლას, მიზნობრივად ინგრევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, მისი დარგობრივი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, საქართველოში განგებ გააპარტახეს და დღეს არ არსებობს საჯიშე, სათესლე და სანერგე მეურნეობები, ეს იმიტომ, რომ სხვისგან ვიყიდოთ გენმოდიფიცირებული საქონელი.

შემოქმედი, მეწარმე ან მეურნე, რომელიც სახელმწიფოებრივად არ აზროვნებს, ის ვერ შეეხიდება ქვეყანას, ამიტომ საქართველოში ყველა დარგი ფულიანი შარახვეტიების ხელში ხვდება.

ასე არ შეიძლება ქვეყანასთან და ერთან ურთიერთობა, ეს თაობა ქვეყნის სამერმისო აღმასვლისათვის დროთა კავშირს კი არ კრავს, პირიქით, ანაპრალებს მას (დროთა კავშირის გარეშე კი არ არსებობს საკუთარი სიდიადის არც განცდა და არც მასთან მიერთსხეულებაა შესაძლებელი. ასეთ დროს მიუღწეველია სივრცული აღქმისა და დროში გასიგრძეგანების უნარი).

ყველგან და ყველაფერში ანტიქართული ტერორი მძვინვარებს: 2010 წლის 16 ივლისს საქართველოს პარლამენტში გამოსულმა ე.წ. სახალხო დამცველმა <u>გიორგი ტყეშმა</u> (რომელი ხალხის.?!) თითისქნევით ილაპარაკა ეჩმიაძინისთვის ქართული ეკლესიების გადაცემის “აუცილებლობის” თაობაზე.

ერთი რამეცაა საინტერესო, იქნებ, მართლა, ჩვენი ბედისწერაა გულარხეინობა. ყველა პარტახი სწორედ ამით დაგვატყდა. ერთიც მეჩვენება, არ ვიცი, ვცდები იქნებ, ქართველი კაცი მხოლოდ მაშინ იმარჯვებს, როცა საკუთარი არასრულყოფილების შიში

დოლაბივით ჰკიდია. ამ შიშისგან თავდასაღწევად მას ორი გზა აქვს, ან სხვისი დროშის ქვეშ სხვისთვის იქნიოს ხმალი, სადაც მისი ბეჭზე გაწვენა წარმოუდგენელია, ან მოხდეს სასწაული (ასეც ხდება) და საკუთარ სულში აიღორძინოს ქრისტესმხედრული მოვალეობა. მაშინ ის მართლაც მუხლჩაუხრელია!..

ეს, ეტყობა, იცის მტერმაც. <u>ზ.გამსახურდია,</u> რომლისთვისაც საქართველოსთვის თავგანწირვა წყაროს წყლის დაწაფებაზე ადვილი იყო, ვერასდროს წარმოიდგენდა თუ ასეთი ხალისით დაარბევდა თაობა "კოლხურ კოშკს", ერის სიფხიზლედ მარადიულყოფილ ნიშანსვეტს.

ეს მოხდა იმიტომ, რათა ქართველობას საცდური სიმაღლე გაესვლაგეზებინა. როგორც მოგეხსენებათ, ამერიკა უფესვო ქვეყანაა, მან იცის, როგორც კი ძალაუფლებას დაკარგავს, მსოფლიოში აღარ დარჩება ფეხსაბიჯი, სადაც, როგორც მარად ურიას, მაცხოვრის (ამ შემთხვევაში ღვთის მშობლის წილხვედრი ქვეყნის) წინაშე ჩადენილი ცოდვა არ მოეკითხოს.

როგორც არაერთგზის ვთქვით, საქართველოს ტელევიზიების, რადიოს, ყვითელი პრესისა და ა.შ. ამოცანაა უხამსობათა გასაყოველთაოობა, ამიტომ რყვნილებას საჯაროდ უჩვენებენ საზოგადოებას, ანუ უნაგვიანებენ თვალსაწიერს და უუპატიურებენ სულს მამათმავლობის, ზეპური (ელიტარული) მეძავების, საკუთარი სასქესო ორგანოს სახაზავით გაზომვის თვალსეირებით და ა.შ. განა სასაცილოა, როცა "იმედის" ეკრანებიდან, იმის წილ, რომ ბავშვი გავარკვიოთ მაგიდის (ტაბაკის) შეუგინებლობას, მაგიდასთან თვითფლობის, პურისა და სურსათის პატივისცემის საკითხებსა თუ მშობლისადმი პატივმიგებითი ურთიერთობის რაობაში, კვირიდან კვირამდე საყოველთაო ღლაბუცი, წუწაობა და სურსათით მოთხუპვნის ქადაგება თავგართობად საღდება.

მოზარდებს ტვინთან უერთსხეულებენ თავხედობის, უტიფრობის, მრუშობისა და ა.შ. "რა კარგობას", რათა ორფეხას, რომელსაც ბავშვობიდან აართვეს ერის სულიერებასთან მიერთსხეულების საშუალება, ამის სანაცვლოდ ასწავლონ ეროვნული ფასეულობებისადმი ამრეზით ყურება, ხელს უწყობენ უჯიშო და უეროვნო ცხოვლად მის ჩამოყალიბებას.

როგორც გახსოვთ, გოლგოთისკენ მიმავალი მაცხოვარი იუდეველი ხელოსნის აჰასფერის სახლის წინ შეჩერდა. ამ უკანასკნელმა აქეთ შეუტია, აქ ნუ შეჩერდებიო.

ჩვენდა საუბედუროდ, ქართული საზოგადოება დღეს აჰასფერს მიემოწაფა. აი, ამაშია უბედურება, რადგან შენ ამ მყისიერში გადაგვარების გზა რომ აირჩიე, რატომ არ ეკითხები წარსულს ან მომავალს, ან თუნდაც ჩემნაირ ნაწილს, გვინდა ჩვენ ასე?!. ჯიშისმიერი სიჯანსაღის საწინდარი სიწმინდე და სუფთა ურთიერთობაა!.. სხვა შემთხვევაში საზოგადოება გადაიქცევა იმ სიმრავლედ, რომელიც საკუთარი მარადიულყოფის მარაგს (რესურსს) არ იტოვებს.

თაობამ უნდა განსაზღვროს ურთიერთობათა საზღვრების მიზანშეწონილობაში დადგენა და მათი დაცვა.

ის ამას თავსმოხვეული აზროვნების წესითა და გემოვნებით ვერ შესძლებს. 21 ივლისს (2010წ.) "რუსთავი-2"-მა გადმოსცა ე.წ. შოუ, რომელშიც ზღვარდაუდებლად დასცინოდა კი არა, ბუქნაობდა ისეთ სიწმინდეებზე, როგორიცაა მეფე წმინდანი <u>დავით</u>

აღმაშენებელი, თამარ-მეფე, აპამპულებდა შამქორის ომის გმირებს, მართლმადიდებლობას და ა.შ.

ჩემთვის ესაა დამპყრობლისგან თავსმოხვეული სიცხადე (რეალობა), რომლისგანაც ხსნა და გამოსავალი ერთადერთია, სულიერი ემიგრაცია წმინდა წერილებსა და "კოლხური კოშკის" მსოფლმხედველობაში.

ცხადია, უფლება გაქვთ არ დამეთანხმოთ, მაგრამ სამწუხაროდ, თბილისი თავისი სადღეისო ფუნქციით არის არა ქართველი ერის სატახტო, არამედ ქალაქი კომუნა, კოსმოპოლიტურ-ინტერფრონტული ელექტორატით, დიახ, ნამესტნიკური ნომენკლატურისათვის თბილისიცა და სრულიად საქართველოც საინკუბაციო მიწერილობის მისამართია.

დიახ, დღევანდელი თბილისი და განსაკუთრებით ვეიქი (ვაკე) ხმაბაძვით თავსმოხვეული ცრუდედაქალაქური გამდაბიურებით სრულიად ბერწია რაიმე დიადი, ზოგადეროვნული, ამდენად საკაცობრიობო ღირებულებათა შესაქმნელად (ხიდი რიყეზე, გმირთა მოედნის სიმახინჯე, 9 აპრილის მემორიალად წოდებული გაუგებრობა, აი, მისი გემოვნების გასაგნებები).

იგი აგრესიული გლობალიზმის დიდმპყრობლურ სივცეში ერთი საგარეუბნო დასახლებაა, რადგან მას დღეს არ გააჩნია ეროვნული აზროვნების წესრიგი.

გაზვიადებული არ იქნება თუ ვაღიარებთ, რომ ის აშშ-ს ტექნოკარატიული გემოვნებითა და პოლიტიკური მიზნებით განწესრიგებული პროვინციაა. ეს ხვედრი მას, მართალია, თავს მოახვიეს, მაგრამ თვითონ ამ ყოველივეს ჩემთვის გაუგებარი შთაგონებით დახვდა.

მეგონა, ზეპურ (ელიტარულ) საზოგადოებაში (რეპეტიციებზე, კინოგადაღებებზე თავგართობებზე და სხვა) რუსული საუბრით მოწესეობა და კეკლუცობა იმის ბრალი იყო, რომ ჩვენთან ჭარბად დასახლებული რუსები ითხოვდნენ "გოვორი ნა ობშემ იაზიკეო", მაგრამ არც მთლად ამის ბრალი ყოფილა საძრახული ორენოვნებით თავმოწონება (პატივი და ღირსება მათ, ვინც რუსულიც და ინგლისურიც ხმაბაძვისთვის კი არა, სულიერი გაწყალუხვებისათვის იცის).

საქართველოში ამერიკული დასახლებები ჯერჯერობით არ არის, მაგრამ ნუ გეწყინებათ თუ ვიტყვი, ეტყობა ჯიშში გვაქვს უცხოთუმეობა და ახლა ამერიკული სახეობის ინგლისურს "ვიდედაენებთ", თანაც წყნარად, მშვიდობიანად კი არა, ცოტა სტახანოვური ხელგამოღებით. ამას წინათ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, ადრე რსფსრ-ის შთაგონებულმა მოქალაქემ, დასჭირდა და ხმამაღლა განაცხადა, _ "მე "გრუზიას" ამოვშანთავ და "ჯორჯიას" დავამკვიდრებო" (აქ მან იგულისხმა საქართველოს შესატყვისი სიტყვა უცხოურ მიმოქცევაში).

ისე, მე რომ მკითხოს კაცმა, რა მნიშვნელობა აქვს "გრუზია" იქნება თუ "ჯორჯია" თუ კი საქართველო და ქართულ შინაარსში აღორძინებული ქართველი ერი არ იქნება.

ინგლისურისადმი ქედმოღუნვა და რუსულისადმი თვითმიქსიანება ზოგჯერ სიმართლესაც ათქმევინებს წვრთნაშეუსმენელი თაობის გამხმოვანებლებს: როცა აკრიტიკებდა რუსულ ავიაციას ("იმედი", 26, 07, 2010წ.), დიქტორმა განაცხადა, "რუსეთში მოშვებულია პილოტების მომზადება, საავიაციო სასწავლებელში ინგლისურის მეტს არაფერს ასწავლიანო"!

ოღონდაც, თუ ეს თვითმიზნური ინგლისური არ ვარგა რუსეთში, რატომ ვარგა იგი ჩვენთან (საუბარი არაა შექსპირის სულიერებაზე), ანუ იმის თქმა მინდა, თუ ინგლისურის ცოდნა კი არა, სიტყვაზე წყალბურთის მწვრთნელისთვის თავის საქმეში გაწაფულობაა საჭირო და ეს იცი, მაშინ რატომ ვაწინაურებთ ინგლისურად (ამერიკულად) მოჩიქორთულეებს და არა დარგის დიდოსტატებს.

ამრიგად, ქვეყანაში იქნება ისეთი პირობები, რომ საჭირო არაა ქვეყნის ისტორიის, სულიერების, კულტურისა და ა.შ. ცოდნა, ეს ერთგვარ "ქაჯობად" ითვლება, სამაგიეროდ საკმარისია საგზაჯვარედინო ინგლისურისა და კომპიუტერის საგზაო ნიშნების დონეზე ცოდნა, რათა თვით განათლების სამინისტროსაც კი უმესვეურო.

ე.წ. არასამთავრობოები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით დიახაც გახლავან ზემთავრობული წარმონაქმნები, კიდევ ერთხელ ვამბობ, ქვეყანაში არ მოუძღვებიან და არ მეგზურობენ ქართველი ერის მოკავშირეებს. ისინი, როგორც ვითარება ადასტურებს, წარმოადგენენ მტრის აგენტურას.

ეს აგენტურა საეჭოდ ხელგამოღებული ე.წ. ქართული მასმედიის აკომპონიმენტით იღწვის, რათა ერში, საზოგადოებაში, კომლში მიუღწეველი დარჩეს საერთო ენის გამონახვა და საქართველო ჩააცილონ გადაშენებისაკენ.

ქვეყანაში ხდება ადამიანური ურთიერთობების იმგვარად შეცვლა, რომ ერმა დაკარგოს თვალისჩინი.

მათი ძალისხმევა ე.წ. დიდი თბილისისთვის (ჰონკონგობა, სინგაპურობა, დუბაიობა და ა.შ.) გამიზნულია არა დიდი საქართველოსთვის, არამედ თბილისის უვინაო გადიდებით "საქართველოს დიდმპყრობლობა" უნდა გაისაგნოს ქართულ სხეულში. ღმერთმა ქნას ვცდებოდე, მაგრამ არა მგონია, "დიდი თბილისი" მათ წარმოუდგენიათ არა უძლიერესი საქართველოს სატახტოდ, რომელიც საკუთარი ვინაობისკენ უზუსტებს ერს ცნობიერ სვლაგეზს, სადაც ეროვნული სულიერება ძლიერობს, არამედ ე.წ. ინვესტორის "კაიკაცობაში" შენიღბული კოსმოპოლიტურ-ინტერფრონტული მეგაპოლისის სახით, _ აგრესორი "უმცირესობები" რომ ითარეშებენ განუკითხავად.

საქართველოში ინკუბირებულ ამგვარ ბევრეულს ართმეული აქვს ეროვნული ყურთასმენა, სახალხო თვალსამზერი. ის არ ხედავს და მას არ ესმის ეროვნულის სიდიადე. ამავე დროს იგი უცხოელად ჯერ საბოლოოდ ვერ დადგინდა და სადღაც ხმაბაძვაშია გაჩხერილი, ამიტომ არც სხვათა სახალხო სიდიადეს ლანდავს ხმაბაძვით თავს მოხვეული უვინაობის გამო.

ასე მოაზროვნე სიმრავლემ განათლება კი არ მიიღო, იგი უცხოურ თარგზე დაიგეშა.

არაფერია ხმაბაძვაში მონებივრეთა "დიდმპყრობლურ" ახუშტურებაზე და უვიცობაზე ამაზრზენი. 2010 წლის 20 მარტს რაგბში (ლელოში) საქართველოს ნაკრებმა ტრაბზონში ანგარიშით 36-8 დაამარცხა რუსეთის ფედერაციის ნაკრები. ყველაფერს თავისი წესი აქვს, ასეთი ღონისძიებების დროს საქართველოს ხელისუფლებისა და ქვეყნის მმართველთა, მათ შორის საჩინო და ქვეყანასთან გაიგივებულ ქალბატონის ჩაცმულობა, სიხარულის გამოხატვა, აღფრთოვანება და დამარცხებულისადმი დამოკიდებულება უნდა შეესაბამებოდეს ქართულ რჯულისკანონს, შინერსისა და ვაშინერსის წესრიგს.

ჰოდა, “ჩვენი” უვინაო დიქტორის აჭყლიპინება ამგვარი ქართულით “ედიდმპყრობლა” მსმენელს: “შარშან მარტის მესამე უიქენდში, რუსები დავამარცხეთო”...

ჩემთვის ამგვარმა ქალაჩუნურმა მამლაყინწობამ შარშანდელი და წლევანდელი მოგებები, _ სწორია, გმირობები, გაარიგითა.

განა დიქტორმა არ იცის, რომ ქართულში “უიქენდს” არაერთი შესატყვისი აქვს, მარგამ არა, მან ხომ სხვისი აღფრთოვანებით, სხვისი დედაენით, ხმაბაძვაში და უცხოთუმეობაში უნდა იბედნიეროს!..

დიახ, ქართველი მორაგბეების ბრწყინვალე თამაში გააფერმკრთალა ბევრმა რამემ, კერძოდ იმან, რომ დიქტორმა თურქეთის საამებლად იყო საჭირო თუ არა, ხაზგასმით იმრავალსიტყვა ტრაბზონის “თურქულობაზე”. არადა, ჯერ კიდევ სულხან-საბა ეძახდა მას მეგრელთა სოფელს. დღეს კი, საბედნიეროდ, ამ მხარეში იმ ცნობიერების ლაზები ძირძველობენ, რომლებიც დღემდე ასე ლოცულობენ: “ზქიდას ლაზიშა დო მთელი ოქორთუე”... ეს ხეპრე კი უცხო მიწაზე ვთამაშობთო, გაიძახოდა იმ ლაზების გულის სახეთქად. ამას დოყლაპიას მეტი არავინ იზამდა. რა თქმა უნდა, თურქეთთან კეთილმეზობლობის ხაზგასმას ჭკვიანი და წინგახედული მლიქვნელობას კი არ მიაფრქვევდა, საკუთარი ვინაობის გაღირსეულებას ჩაუწყვილებდა.

ერი, რომელსაც ჟამთამბერმა დაუგროვა იმგვარი თავსატეხები, როგორიც გვიწილისყრა ჩვენ, როცა გასხვისებული გვაქვს მამული, დაგვინაგვიანდა ცნობიერება, გვიგინებენ სულიერებას, გვიუპატიურებენ რჯულისკანონს, ჩვენი თავი “არ გვეყუდნის” ჩვენ, წამგაუცდენლად უნდა ჩავბღაოდეთ საყოველთაო ყურდახშობას _ “უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყენ მარჯუენაცა ჩემი (ფსალმუნი 136).

რა უნდა იყოს იმაზე დიდი სასჯელი ქვეყნისთვის, რომ 1989 წლის ეროვნული ძალისხმევის 20 წლისთავს, როცა დამოუკიდებლობისათვის ეწირებოდა ქრისტესმხედრად გადაქცეული ერი და ბერი, დღეს მათი მოდგმა ამ მიწაზე გეი პარადის ჩასატარებლად იბრძვის, თანაც მოღვაწეობს სხვისი გადიდმპყრობლებისთვის და სამშობლო გადააქცია ერის განახირების საწარმოდ.

განა შემთხვევითი, მსოფლმხედველობრივი ჩანაცვლება გახლდათ, როცა სატახტოს შუაგულიდან წმინდა მეფის ძეგლი ქალაქგარეთ გაიტანეს (იმიტომ კი არა, რომ მხატვრულად დავით აღმაშენებლის საკადრისი არ იყო, ერთი სული ჰქონდათ, სულაც მტკვარში გადაეგდოთ), სამაგიეროდ აქ გააშინაარსეს გეის სიცხადე და პაროლად უსათაურეს “რედისონ ბლუ “ივერია”. აი, რასთან იგივდება გიორგიანული რაობა _ “ივერია” და მას გულარხეინად უყურებს ზეზეურად მარტო გაუპატიურებული კი არა, ეს ცოტაა, გაიმასქნებული ერი!

ერთია, როცა თეორიულად იცი დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ანატომია, ის თუ რატომ და როგორ ხდება ერის განახირება, მაგრამ მეორეა და თანაც აორთქლებამდე ცრემლში ჩამხარშავი, როცა ამ ყველაფრის საცდელ ნედლეულად თაგვივით გამოიყენება ქართველი ერი, მიზანმიმართულად მიმდინარეობს მისის სულადობრივი თუ საყოველთაო გაჯოგება (გაჯოგებული).

ასეთი მიზნის მისახრახნად ერის სულში აგრესიული გლობალიზმი ქვეყანაში იყენებს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც კაცობრიობამ ხალხთა სულიერი გაკეთილშობილებისათვის დააწესა.

ასე მაგალითად, ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი სწორედაც რომ მძლავრ საეთნოდივერსიო ნაღმად მოგვივლინა, რამაც არაერთი სულით საპყარი ჩაუსაგნა ჩვენს საზოგადოებას. ეს არ იყო სპორტში ესტეტიური დახვეწის, სულიერი ამაღლების, კეთილშობილების ძიება, იგი გახდა სხვისი ცხოვრებით საკუთარი ვიანაობის დაპროგრამება, რაც არაბუნებრივია და თავს მოხვევის შემთხვევაში უსაშველოდ გაგარეუბნებული (გაპროვინციალებული) ხმაბაძვა გამოდის.

უფრო მეტიც, სადღაც მიზნობრივ ჯოგებად გადახარისხებული უპასუხისმგებლო ახალგაზრდობა, ბოდიში, უფრო ზუსტად "შპანა", რომელიც თავისი არსით ამერიკის ქუჩისფსკერული თარგის შესაბამისად რუსოფობიურია (უფრო ზუსტად, პირველ რიგში ქართველოფობიური გახლავთ), ძალიან ჰგავდა ე.წ. ადგილებზე მოსკოვს რომ ჰყავდა იმ "პავლუშამოროზოვებსა" და "შარიკოვებს". ერთ შემთხვევაში ერთმა ჯგუფმა თვითმავალი ხრწნილება <u>შორენა ბეგაშვილი (ბეგაზოვა)</u> წარმოადგინა (18.06.2010წ.) თავის სულიერ ნიშანსვეტად და მის გარშემო აღრიანცელდა ქალაჩუნური, თუმცა ჯიუტი ხმაწვრილით "დოიჩლანდ"... თუმცა ეს იყო ერთი გამონაკლისი, მთელი ჩემპიონატის მიმდინარეობა კიდევ ერთი საშუალება გახლდათ, რათა საზოგადოებასთან ურთიერთობა ტელედიქტორებად წოდებული ენაბლუებითა და უგემოვნო, უვიცი ხეპრეებით გაინგლისურსახიერებულიყო. ფეხბურთის რეპორტაჟებად წოდებული ეს ძალადობები ერის სულზე და ცნობიერებაზე _ სინამდვილეში წარმოადგენდა თანმიმდევრულ მიმდგომლობას დედა ენის მიმართ.

ჰოდა, გენიალური <u>ეროსი მანჯგალაძისა</u> და მისი მიმდევრების რუდუნებით მოძიებული საფეხბურთოდ გაბუნებრივებული შესატყვისები თვალსა და ხელს შუა ნიავდებოდა, სამაგიეროდ ამ გაძევებული ქართული შესატყვისების ადგილზე ჯიუტად და შთაგონებით ისაგნება კვლავ და კვლავ ხმაბაძვა: მოიერიშის (იერიშის წამომწყების) ნაცვლად პლეიმეიკერი: მეკარე _ გოლკიპერი; ასხლეტა _ რიკოშეტი, მსაჯი _ რეფერი, არბიტრი და ა.შ.

ქულის თანაბრად გაყოფის დროს ანგარიშია საყაიმო, საზავო, მე ვიტყოდი _ საბარიბარო და რად უნდა ამისთვის უცხო სიტყვებს მოხვავება?!

გარდა ამისა, ამ ე.წ. გადაცემებში უსაშველოდ უკუღმართდება ქართული ფონეტიკა, ბგერათა ქართულად წარმოთქმის წესი, სინტაქსი, მორფოლოგია, ასე მაგალითად ქართული არაა _ გააკეთა გადაცემა, _ ამას ქართველი ერთი სიტყვით იტყვის _ გადასცა. დიქტორთა გაუნათლებლობას და ცუდ ქართულს ზედ ემატება უცხოური სიტყვებისა და ბგერების მეგზურობა უკიდეგანო ქართულში. ჩემთვის გულისამრევი იყო დიქტორის "ბედნიერება" ბრაზილიასთან ჰოლანდიის ნაკრების გამარჯვების გამო. ეს იყო მლიქვნელობის უმაღლესი პილოტაჟი (ქვეყნის ე.წ. უპირველესი ქალბატონი (და არა პირველი ლედი) ხომ ჰოლანდიელი გახლავთ). რაც შეეხება ე.წ. ფანკლუბებს, განა სიტყვა გულშემატკივარი არ გამოხატავს აქ ნაგულისხმევ შინაარსს, დიახ, რაც შეეხება ფანკლუბებს, მე არ ვიცი, ერის წიაღიდან როგორ ამოამაღაროეს ამდენი უღირსებობა.

ბუნებრივია, ადამიანს აქვს გამარჯვების წყურვილი, რაკი მას წაართვეს საამისო ძალისხმევა,ამ შემთხვევაში ქართველი იძულებულია სხვისი გამარჯვება საკუთარი გამარჯვებად გააძარღვოს, რადგან სწყურია, თუნდაც წარმოსახვაში, მაგრამ მაინც იყოს მასთან გამარჯვებულის განცდა.

აქედან გაავებამდე ნაბიჯნახევარია, ხოლო გაავებული კაცი ღირსებას კარგავს, დაცხრომის შემდეგ სხვისი შემყურე ხდება საკუთარი არასრულყოფილების კომპლექსის გამო და ადამიანი სხვათა გამარჯვებების პარაზიტულ (თანამცხოვრებლურ) მომხმარებლობამდე დადის, ამიტომ სხვათა გამარჯვებები ჩვენთვის სახმაბაძო კი არ უნდა იყოს, არამედ მისაბაძი, ჩვენ უნდა ვისწავლოთ ამ გამარჯვებების ღირსეული მიმოწაფება, რათა საკუთარი ძალისხმევით საკუთარი გამარჯვებები გამოვჭედოთ. არა სხვის ჯინაზე, არამედ ჯერ საკუთარი თავის და შემდეგ სხვათა გასაწყალუხვებლად.

ამ ჩემპიონატის რეპორტაჟებს საქართველოში, სამწუხაროდ, არა კეთილშობილება, საქმის ცოდნა ან საგაკვეთილო რაიმე ახლდა, არამედ მას წამიდან წამში სიძვის ქლოშინი და გადაგვარებისკენ მოწოდება დაჰყარყატებდა: 11 ივნისიდან საქართველოში მოეთნოდივერსიე ყველა ტელევიზია 11-16 წლის გოგონებს მოუწოდებდა ე.წ. აქციისკენ "ფეხბურთი და სექსი".

დიახ, რეფერი ინგლისურად ნიშნავს სპორტული შეჯიბრების დროს მხარეთა შორის ურთიერთობის გამრკვევს და მას ქართულად მსაჯს ვეძახით, ამ შემთხვევაში ვინაა ვიღაც სანდრო მარცვალაძე, რომ თავისი ცვედნური (არამამაკაცური) ხმითა და ასეთი ჩიქორთულით ღვთივწვდომილი ქართულის დანაგვიანებას ცდილობს?! ვინმე სანდროში თაობას ვგულისხმობ, რა თქმა უნდა.

ასე და ამრიგად, ეს განუკითხაობა, შემოთავაზებული საქართველოში მოთარეშე წვრთნაშეუსმენელი სიმრავლისა, ჰგავდა არა სპორტით ტკბობას, ან გულშემატკივრობას, არამედ ზუსტად იმ შემთხვევას, როცა ცვედანი (იმპოტენტი) საგანგებოდ დადგმულ სანახაობას უყურებს და სხვისი ორგაზმით იმამაკაცებს თავს.

და ერთიც, ადრე ასე ვმეტიჩრობდით, _ ჩვენი რუსი მეგობრების დახმარებით... ამჯერად ჩვენი ამერიკელი მეგობრების დახმარებითო... ვგზაჯვარედინობთ დაუზარელად. არაა ასე, როგორც იტყვიან, ტამბოვის მგელს ეიმედებოდეს მათი დახმარება!..

გასაგებია, მტრის ვერაგობითა და ჩვენი უნიათობით ჩვენი გადაშენების წინადღისკენ მივაბიჯებთ და ამას ერთგვარი ხალისითაც კი ვაკეთებთ.

დიახ, მტერი ამას აკეთებს რყვნით, მომხმარებლობით და ა.შ. მაგრამ თუ არა ადგილზე მოხალისეთა დასაყრდენი ჯოგი, იგი ამას ამგვარი განავარდებით ვერ მიაღწევდა.

გასაგებია, ერი დაიქანცა და მას დღეს ბავშვივით აბრიყვებენ, მაგრამ, როცა იგი ნებაყოფილებით გააძევებს ერთიანად გამაერთსხეულებელ ნიშანსვეტს და ამდენ ცრუ პარტიასა თუ ჩასაფრებულ "უმცირესობათა" სახუნდარებში გაითითოკაცებს თავს, მან უნდა იცოდეს, რომ ხვალინდელი დილა მისთვის არ გათენდება.

ყველა გზაჯვარედინზე უნდა გავათვალსაჩინოოთ: ეს ბევრეული, როგორც თაობა, საერისკაცო საქმეს არ აკეთებს.

ცხადია, ყველა რევოლუციას, გნებავთ მას წამსგავსებულ ეთნოდივერსიას, მოსდევს უკეთური თაობის გამესვეურება. უვიცების გააფთრებული თვითდამკვიდრება ეროვნული ღირებულებების დარბევის ხარჯზე ხდება. დებულება _ "ჩაუშვი და თვითდამკვიდრდი" აქ მთავარი ლოზუნგია.

ჩვენ, გარდა იმისა, რომ ამჟამად ვართ ამერიკის "ბათინკების" ქვეშ მყოფი პოლიტიკური სივრცე, პირველ რიგში გახლავართ უძველესი ერი და გაგვაჩნია წარღვნამდელიდან მოწყალუხვე ჯიშისმიერი მეხსიერება.

რაკი ავდროებამ ღვთივბოძებული მოვალეობა (ფუნქცია) დროებით ყავლგასულობად დაგვიდგინა, ეს ჩავთვალოთ იმის გამოცდად, რომ უღვთოთა ხელში ჩავარდნილები გამოსაცდელად თუ რა სიმტკიცით მივებარებით მართალთა. ამიტომ იოლას გავლა სხვისი ენითა და სხვისი სიხარულით, სულის ფორიაქითან გაძევება ჩვენთვის სასიცოცხლო დებულების "უკეთუ დაგივიწყო იერუსალემ, შენ..." მტრის მოქნეულ საგულისფიცარო ხიშტზე ნაკლებ გამჭრილობევი როდია.

სამამულოდ გამრჯე უფლის მადიდებელი ქართველი ერი გემოვნებით ჩაცმული, ზნეობრივად მონადიმე და სულსაამოდ გამოწყობილი იყო ყოველთვის. სწორედ ამის გასაცამტვერებლად მოშალეს რჯულისკანონი, სახალხო მეურნეობა, ყოფითი ურთიერთობა, რწმენა, სულიერება. სწორედ ამიტომ, ნადიმი იქცა ღრეობად, ჩაცმა _ გამოჭენებად. არადა, ჯერ კიდევ საბჭოთა დროს სახელგანთქმული თბილისის მოდების სახლიდან (დავით აღმაშენებლის გამზირის დასაწყისში) გააძევეს ზნეობრივი ჩაცმის მაღალი გემოვნების დიდოსტატები და ასპარეზი გაუკვალეს მამათმავლურ "მოდას" (ვინმე ავთო ცქვიტინიძეს, ზალიკო ბერგერს, ბიჭოლას და ა.შ.)

გასაგებია, აგრესიული გლობალიზმის მითითებაა საქართველოში ფეხმომაგრებულ არაქართველს, არამართლმადიდებელს, განსაკუთრებით ე.წ. უმცირესობებს არავითარ შემთხვევაში არ შეეშალოთ ხელი, მაგრამ ხომ შეიძლება ეს მითითება ცოტა წაყრუებით აღვასრულოთ და ჩვენივე ხელით ჩვენი ყელი ასე შთაგონებით არ გამოვიჭრათ?!.

დასამალი არაა კი არა ოთხივ კუთხით საყვირალია, აგრესიული გლობალიზმი ერთერთ ეთნოდივერსიულ საშუალებად იყენებს ჩვენი მოზარდებისგან საკუთარი გავლენის აგენტების გამოზრდას (გაიხსენეთ ზემოთხსენებული "სექსი თუ ფეხბურთი" ან ფეხბურთის "ფანკლუბები"). ამ ბევრეულმა აქ, საქართველოში უნდა უზრუნველყოს აგრესიული გლობალიზმის (ამერიკის) სამარადჟამო გავლენა.

ამერიკის დახმარებით მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართო, რომ ვტრაბახობთ, ნუ გვავიწყდება _ ნიგოზი მუქთად მხოლოდ სათაგურშია, მეორეც, ამერიკას თავისი იფიციალური სტატისტიკით 60 მილიონზე მეტი ადამიანი, საკუთარი მოქალაქე სიღარიბის ზღვარს დაბლა ჰყავს და არ იცის, რა შეაჭამოს მეორე დღეს.

ასეთ დროს აშშ უშურველად ხარჯავს სახარჯავს საქართველოში ფეხმომაგრებისათვის და არა ქართველი ერის დასახმარებლად.

ჩვენ არსებითობად ერთი რამ უნდა გავინიშანსვეტოთ, _ ქართვლის დედის შინაარსის გადაგვარება არ გახლავთ ჩვენი გენეტიკური მდგომარეობა.

არ შეიძლება ქვეყანა გამუდმებით ხმაბაძვაში აცხოვრო, საქართველოს პრეზიდენტმა ამას წინათ განაცხადა, კოსტა-რიკაში ესპანურის ცოდნამ მიშველა, მადლობა დედაჩემს

რომ ესპანურის გაკვეთილებზეც დავყავდი _ იქ ყველამ იცის ინგლისური, მაგრამ თუ ესპანურად (ე.ი. მათ მშობლიურ ენაზე) არ დაელაპარაკები, ხმას არ გაგცემენო.

კი, მაგრამ ჩვენ რატომ არ გვაქვს ასეთი საგაკვეთილო წესი, რომ ნებისმიერ შარახვეტიას ინგლისურად ვესაუბრებით და სახელმწიფო ენადაც სინამდვილეში ინგლისური იქცა.

თებერვლის დასაწყისში (2010წ.) საფრანგეთის ელჩი ე.ფურნიე შეხვდა საქართველოს განათლების მინისტრს დ.შაშკინს, ამ უკანასკნელმა მასთან ქართულად ალაპარაკებულ ელჩს დაჟინებით მოუნდომა დალაპარაკება ინგლისურად.

ე.ფურნიემ დ.შაშკინს ხაზგასმული ქართულით მოსთხოვა, _ გირჩევთ დამელაპარაკოთ ქართულად და პატივი ვცეთ ქვეყნის კონსტიტუციას, რომლის მიხედვით ქართული სახელმწიფო ენაა.

იგივე გაუმეორა მან შეხვედრისას სოფელ მეურნეობის მინისტრს ბ.კვეზერელს _ მშობლიურ ენაზე საუბარს გირჩევთო.

ლობისტური ომი, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ წარმოებს, არ დაიძლევა ეშმაკის ილეთებით, მას ქრისტესმხედრული ჯვარი და წმინდა გიორგის ბორზალი ძლევს მხოლოდ.

როდესაც ნებისმიერ ჩვენთაგანს ადამიანობას გვიგინებენ, ეს პირადი ღირსების ხელყოფა კი არაა მხოლოდ, არამედ და პირველ რიგში მასში არსებული ღვთის ხატის წაბილწვის მცდელობა გახლავთ იგი.

ადამიანმა უნდა განსაზღვროს თუ რა არის სიწმინდის შეურაცხყოფა. ზოგჯერ ხუმრობად საღდება ერის გაერთსხეულების წინააღმდეგ ჩანაღმული ჭურვი.

ხუმრობაში (იუმორში) უნდა იყოს სიკეთე, გონს მომყვანი მინიშნება, შეცდომებზე თვალის ამხელი, კეთილმოსურნე ღიმილი. პიროვნებას ან ერს რომ თავმოყვარეობას შეულახავს, ის ხუმრობა ავყიობაა და არა იუმორი.

ასეთი გახლავთ აქ წარმოდგენილი ხმაბოდვა, რომლითაც თავს იწონებს ჯიჯი რეჯინის ცრუსახელს ამოფარებული, უვინაო და საეჭვო სქესის უმცირესობა:

“ ერთი, ისიც მომიყევი, სვანები რომ სცემე.

_ (იცინის) მეგობრებმა დამპატიჟეს და სვანების სუფრაზე აღმოვჩნდი. ისე, ცნობისთვის ძველი სპორტსმენი ვარ, ჭიდაობაზე დავდიოდი. ატყდა ჩხუბი. ვერ გავიგე, რა მოხდა. თავი ხომ უნდა დამეცვა? ვეცი ერთ სვანს, დავაგდე “შკაფი” სვანი ძირს და დავუწყე ცემა. ახლა მეორეს ვეცი და, საბოლოო ჯამში, სამი სვანი დავალაგე მიწაზე. მერე შაყირობდნენ მეგობრები, ეს რა ქენი, ბიჭო, სამი სვანის ცოდვა როგორ დაიდე კისერზეო”.

(ჟურ. “თბილისელები”, №14 2010).

ამდენად, ერი, რომელიც ასაღორძინებლად უნდა ემოწაფებოდეს ჯიშისმიერ მეხსიერებასა და წმინდა წერილს, ყოველ გზაჯვარედინზე რომ უნდა იძახდეს “უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ”... სავსებით მოხალისედ, ერთგვარი შთაგონებითაც კი იქცა აგრესიული გლობალიზმის საეთნოდივერსიო ნედლეულად. ის არ გახლავთ საქართველოში ქართველი ერის შინაარსობრივ-ვინაობითი ჯერმონაცვლეობა დროსა და სივრცეში თუ თაობიდან თაობაში. იგი ეთნოფაბრიკაციული სიმრავლეა,

არაქართული ნაციაა ამ ქვეყანაში ამერიკული დიდმპყრობლობის გასასაგნებლად, როგორც პოლიტიკაში, ასევე და, რაც მთავარია, ყოფით ყოველდღიურობაში.

მე მესმის, რომ არ გახლავართ ყოველმხრივ მოყურადე დასტაქარი, მაგრამ იმის გამოცდილება ნამდვილად მაქვს, ჩემი ერის მაჯისცემა ავითვალო და დაუფარავად, ღვიძლი შვილის თავზარდაცემით ვუთხრა მას, <u>"რედისონ ბლუ "ივერია", ანუ ჭენებით იარ საქართველოს გადაშენებისაკენ!.."</u>

სამწუხაროდ, ამ მიზნის მისაღწევად "სადაც ჯერ არს" ცნობიერებას უუკუღმართებენ სრულიად საქართველოს და ჩვენს ახალგაზრდობას სულიერი წყალუხვობის ნაცვლად ხელში აჩეჩებენ ე.წ. სვინგ-საღამოებსა თუ მისდაგვარ სულიერ საპყრობას.

თავად სვინგის განმარტება კი ასეთია _ პარტნიორების ხანმოკლე თხოვება თუნდაც სრულიად უცნობი ადამიანისთვის და რაც ყველაზე მთავარია, ბევრი საკუთარი ცოლის განათხოვრებასაც არ ერიდება!

ჰოდა, სწორედ ასეთი გარყვნილება თანდათანობით ინერგება ჩვენს სატახტოში კი არა მარტო, ბათუმში, ქუთაისში, თელავში, ზუგდიდში...

კულუარული ინფორმაციით სვინგერების დასახმარებლად, უკვე რამდენიმე ორგანიზაცია ბობოქრობს საქართველოში და ისინი მასშტაბურ საღამოებს მართავენ. აქ გაკვირვებას ის იწვევს, მაგალითად, რატომ ან საიდან უჩნდებათ ადამიანებს ასეთი გარყვნილი და გახრწნილი სურვილები და როგორ თანხმდებიან ისინი იმას, რომ მათი ცოლების სხეულებს სრულიად უცხო მამაკაცები დაეუფლონ?!

თუ იმასაც წარმოვიდგენთ, რომ ასეთ საღამოებს ყოველთვის ახლავს "გეების" "სინაზე" და ლესბოსელების მიბნედები, სოდომი და გომორი ამასთან შედარებით საყმაწვილო ანცობა გახლავთ.

ასეთ "სვინგურ" ვითარებაში, როდესაც საუბარია ტურიზმზე, ბათუმის მაგალითიდანაც კარგად ჩანს, რომ საქართველოში მის ყველაზე გაუკუღმართებულ, ქვეყნის სულიერი თუ პოლიტიკური ოკუპაციის სახესხვაობას მოუძღვებიან. ე.წ. ტურიზმის საჩვენებურო ნაკადში ერთი დინება ქვეყნის დაპყრობას ამ ინდუსტრიაში მოსაქმეობით ცდილობს, მეორე კი ე.წ. სექსტურიზმის განვითარებით დაკავდა. ესეც ქვეყნის ოკუპაციაა, მომფხანველი, მაგრამ ყელგამომჭრელი!...

რაკი ამ საკითხს შევეხეთ, ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს სექსტურიზმის ორი სახესვაობა: ეს არის "სვინგი" და გეიტურიზმი. სვინგები სექსტურიზმის მსოფლიო ცენტრებში მოგზაურობენ და ცდილობენ, სასიყვარულო თავგადასავალი წყვილებში იპოვონ. მეორე შემთხევაში კი ახსნაც ზედმეტია. უნდა ითქვას, რომ ჰომოსექსუალისტები "პათოსური" და მომთხოვნი არიან, უყვართ დასავლეთ ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ამსტერდამი ან ანტვერპენი, ასევე აშშ, განსაკუთრებით სან-ფრანცისკო.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ ინდუსტრიას აღვირახსნილ ხრწნადობასთან ერთად თან ახლავს ვენერიულ დაავადებათა მთელი აკიდო.

აქ ყველანაირი მენიუა "უცნაური სენის". დაწყებული კლასიკური ვენერიული დაავადებებით, დამთავრებული შიდსით, გონორეით და სიფილისით. ასევე, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით: ქლამიდიოზი, მიკროპლაზმა, ურეაპლაზმა და ა.შ. ამ დაავადებათა ვერაგობა ის გახლავთ, რომ ისინი გარკვეული

პერიოდი უსიმპტომოდ მიმდინარეობენ, ამ დროს არიან გადამდები და რაც მთავარია, შეუძლიათ, გამოიწვიონ სერიოზული გართულებები. მათ მოჰყვება შვილოსნობის უნარის დაკარგვაც კი. ეს ინფექციები კოსმოპოლიტურია. ამიტომაც, სექსტურისტები შეგვიძლია განვიხილოთ ვენერიული დაავადების გამავრცელებელი რისკჯგუფად!... ბევრი ფიქრობს, რომ პრეზერვატივი არის იდეალური თავდაცვის საშუალება, მაგრამ, თუ ის შიდსისა და გონორეისგან გიცავს, სიფილისისგან ვერ დაგიცავს. ეს არის მეცნიერულად და პრაქტიკულად დასაბუთებული. ის აირ-წვეთოვანი გზითაც გადადის.

ახლა კი გავეცნოთ როგორ ანათლებს ამ სახრწადო სიახლეებში ჩვენი ყოფილი განათლების მინისტრისა და ამჟამად გაეროში ქვეყნის ელჩის მამა სამეგრელოს მოსახლეობას:

"ქალბატონ --------

ბატონ --------

ა/წლის 27 ივნისს, კვირას მოწვეული ბრძანებით პიკნიკზე სოფელ ნარაზენში დიდ მექალთანე ჭიჭიკო ჭანტურიას სახელობის წისქვილ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით.

დასაწყისი 7 საათზე.

პატივისცემით ბორის (რეზო) ლომაია

*მოწვეული არიან მსმელი, მჭამელი და მტ-ვნელი მოქმედი მამაკაცები

P.S. ბოლო მოთხოვნა სასურველია დაკმაყოფილდეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

*ჯრატრადიციული სექსის მიმდევრები და გაუპარსავი პიჟონები პიკნიკზე არ დაიშვებიან,

*დასწრება მხოლოდ შორტებით.

P.S. ამ მოთხოვნას ქალბატონები შეასრულებენ თავისი სურვილებისამებრ,

*პიკნიკზე მოწვეული არიან მეგრული სიმღერის ხობის 2009 წლის ფესტივალის ლაურეატები მეჩონგურე ქალბატონები ნინელი ქარდავა, თალიკო სალია, ნარგიზა ბულია.

*პიკნიკზე პერსონალურად მოწვეულია შეუზღუდავი პასუხისმგებლობის საზოგადოება "სანუსის" პრეზიდენტი, ინჟინერ-მშენებელი და ფრაქტოლოგი შაქრო კვაშილავა, რომელიც გააკეთებს ექსპერიმენტალურ უფასო, უსისხლო ოპერაციას პიკნიკის ერთ-ერთ მონაწილეზე. ოპერაციის განათება უზრუნველყოფილი იქნება ჯიპების ავტონომიური ენერგორესურსებით.

პიკნიკის პროგრამაში შედის მოგონებები:

1. დიდ მექალთანე ჭიჭიკო ჭანტურიაზე

2. ნადეჟდა კრუპსკაიაზე

3. ფეხბურთში საფრანგეთის ეროვნულ ნაკრების ტრაგედიაზე.

4. პირველ ქალზე ჩვენს მამაკაცურ ცხოვრებაში.

5. მამათელ ედუარდ შევარდნაძეზე

პიკნიკზე გათამაშდება ექსკლუზიური პრიზი

ვიქტორინაში გამარჯვებისათვის

1. რატომ იტყვიან შავი და თეთრი აბანოში გამოჩნდებაო?

2. რატომ არ დაბომბა ჰიტლერმა თბილისი?

3. დაგვისახელეთ პოლიტიკური ქორწინებანი საქართველოში.

შეხვედრამდე!

(მასალა გამოიძია, და გამოაქვეყნა გაზეთმა "ასავალ-დასავალმა", 12-19,07. 2010წ.).

ახავაი, მართალო დო თელო ღურა!

სილამაზე არის ის, რაც სულს ეხმარება ღვთის პოვნაში. ყოველივე ამის გასწვრივ, საქართველოში კიდევ ერთხელ და მერამდენედ დადგა დღის წესრიგში აზრის გამოხატვის თავისუფლების ხარჯზე მთელი ერის სულიერი ხელყოფის გაყოველდღიურებისა.

ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერი დეგენერაცია და ფიზიკური გასაპყრებისათვის დივერსიული ეთნოფაბრიკაციის ერთერთი მეთოდი გახლავთ უზნეო გარემოში მომშხამველი კვებაც. ამისთვის უნდა გადაგვარდეს ეროვნული სამზარეულო. ახალგაზრდობა სიბერემდე არ უნდა მივიდეს. ეს მრავალმხრივ ხელსაყრელია რეჟიმისათვის, ჯერ ერთი ნაკლები ხანგრძლივობის მეხსიერებაა და მეორეც, საპენსიო მომსახურებაც ნაკლებია. აი, როგორი ჯიშისმიერი მემკვიდრეობიდან და ცნობიერი წიაღიდან წინაურდებიან დღეს "ქართული" განათლებისა და კულტურის მესვეურები!..

..... მოკლედ, ასეთი გახლავთ გარემო, როდესაც მწერალი <u>გ.ოდიშარია</u> თავისი წინგაუხედავი მხატვრული სახეებითა და საწასაგებო დასკვნებით, ნებით თუ უნებლიდ, ჩვენს ქვეყანაში მტრის მიერ თავსმოხვეული ცნობიერების განიშანსვეტებას ემსახურება.

ამიტომაც გადავუჯვარედინე სიტყვა, რადგან მენანება 30 ვერცხლის მიღებაზე რიგში მდგარად დავლანდო ის ბიჭი, მომაკვდავ ლეკვს რომ დასტიროდა თავის კარგ ლექსში გულშეძრული!...

≈*≈

5. ქართული ვინაობის გასახოვნების თავისებურებები
ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის
ნიშანსვეტებში, შთაგონებებსა და გზებში

"ხოლო აწ არა თქვენ მომავლინეთ მე აქა, არამედ ღმერთმან და მყო მე,
ვითარცა მამაი ფარაოსი, უფალ ყოველსა ზედა სახლსა
მისსა და მთავარ ყოველსა ქვეყანასა ეგვიპტისასა".

<u>დაბადება 45,8.</u>

ქართველი ერის ვინაობა ბუნებრივ მდგომარეობად სახოვნდება მხოლოდ პონტო-კავკასიის სივრცეში თავისი ეროვნული საკუთარხმიერებისა და იბერიული მრავალხმიანობის ლასკარულ გაერთსხეულებაში.

აქედან გამომდინარე პონტო-კავკასიის სახელმწიფოების, ქვეყნებისა და ხალხების ჭეშმარიტი თავისუფლება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად არიან ისინი მზად ერთიანი ანტიიმპერიული წინააღმდეგობის ჩამოსაყალიბებლად.

გასაგებია, ეს დღეს ძალიან ძნელად გასაცხადებული ოცნების სამყაროა, რადგან ამ გზაჯვარედინზე თავს იყრიან რუსეთის, ამერიკის (ტექნოკრატიული დასავლეთის), თურქეთის, არაბული სამყაროს, არმენეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ჩინეთისა და ა.შ. დიდმპყრობლური ძალისხმევები. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ძალიან ძნელი სვლაგეზია, მაგრამ ნებისმიერ მიზანმიმიმართულებას უნდა გააჩნდეს ახლა მისაღწევი პოლიტიკური სიცხადე მკაფიო თვალსაწიერში და ოცნებითი ნიშანსვეტი, მისკენ მიზანსწრაფული ეროვნულ-სახალხო სვლაგეზით.

ამ ვითარებაში ასეთი მიზნისკენ სვლისას საქართველოს ეროვნული ნება უნდა იყოს გათავისუფლება როგორც რუსული, ასევე ტექნოკრატიული დასავლეთის დიდმპყრობლობისაგან. აქვე ვგულისხმობ ზოგიერთი "კეთილმეზობლური" საძრახობების აღკვეთასაც.

რუსეთის დიდმპყრობლური თარეშის შედეგები ნათელია, მაგრამ უნდა განვმარტო, რომ არაფრით არაა უკეთესი ტექნოკრატიული დასავლეთის "კეთილმოსურნეობა", ამიტომ, ქვეყნის სულიერი და პოლიტიკური საზღვრების ასე მოღიავება ან საღალატო წინასწარგანზრახვაა, ან დოყლაპიური უხვალდღეობა.

ცხადი უნდა იყოს ის სინამდვილე, რომ ტექნოკრატიული დასავლეთი საქართველოს არ მოიაზრებს საკუთარი ნების მქონე სახელმწიფოდ, არ უწყობს ხელს მის ასეთად ჩამოყალიბებას. მას იგი არ სჭირდება გაძლიერებისკენ აღმავალი, პრიქით, მას მოიაზრებს საეთნონედლეულო ერის სახელმწიფოდ.

1991 წელს დამხობილი ეროვნული ხელისუფლების შემდეგ ქვეყნის სათავეში არალეგიტიმურად მოსული პოლიტიკური ძალების ბოროტმოქმედება ქვეყნისა და ერის წინაშე ისიცაა, მათ რომ მსოფლიოს გასაგონად არ განაცხადეს და არც დღეს აკეთებენ ამას, რომ ომი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში არ იყო ე.წ. ქართულ-აფხაზური ომი, ასევე საომარი ავანტიურა ცხინვალის მხარეში (და არა ოსეთში) არ გახლდათ ქართულ-ოსური ომი. ორივეგან ის იყო რუსეთ-საქართველოს ომი, რომელშიც აგრესორი მხარე ცალსახად რუსეთი გახლდათ, სხვები აქ ხელისბიჭები იყვნენ მხოლოდ.

ქვეყნის სათავეში ასეთი ხელისუფლების ყოფნას, როგორც რუსეთი, ასევე ტექნოკრატიული დასავლეთი იმიტომ ითმენენ, რომ იგი არ უწყობს ხელს საქართველოში ეკონომიურად, პოლიტიკურად, სულიერად და ა.შ. დამოუკიდებელი, საკუთარი ნებისა და ეროვნულ-სახალხო მიზანსწრაფვის მქონე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ის, ვინც მზადაა საქართველო დააქუცმაცოს გასხვაქვეყნებულ აფხაზეთად ან ოსეთად, იგი შეგნებულად ღალატობს ქვეყანას.

პირდაპირ უნდა გაცხადდეს, რომ <u>დიტერ ბოდენი</u>, საქართველოში ეუთოს მისიის ყოფილი თავმჯდომარე თავის უტიფარ შეხედულებაზე აგებული პროგრამით, რომ მისთვის <u>"არა აქვს მნიშვნელობა ფაქტების წარმოშობის ისტორიას, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ფაქტს"</u> _ გახლავთ საკაცობრიობო კიდეგანობის დანაშაული, რადგან დებულება <u>"ოსები ამ მიწას შეეჩვივნენ და აქ ისინი უმრავლესობა არიან",</u> არ არის ისტორიული სამართლიანობა, რადგან აქ ქართველები _ ადგილობრივნი, ხოლო ოსები მოსულები არიან. ეს მხარე ასეთად მასზე განხორციელებული საბჭოთა დივერსიული

ეთნოფაბრიკაციების გამო იქცა. ამ საკითხზე მეტნაკლებად ამასვე ვიტყოდი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსთან (აფხაზეთთან) მიმართებაში. ნებისმიერ ქართულ მხარეში, თუნდაც ის დღეს ოკუპირებული იყოს რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა თუ არმენეთის მიერ საუფლო მშვიდობის დასამყარებლად გადაწყვეტილება უნდა დაემყაროს ისტორიულ სისწორეს, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ამჟამინდელი ვითარებაც.

აჭარის ე.წ. აღმშენებლობა გახლავთ სწორედ ის საშინელი რაღაც, რომელიც ჯერ აჭარის მოსახლეობას, შემდეგ კი სრულიად საქართველოს დაადგენს საეთნოფაბრიკაციო ნედლეულად და გადააქცევს ხელზე მოსამსახურედ.

აჭარაში, თურქმა, გნებავთ არმენმა კი არ უნდა გაგვიწიოს მეურვეობა ან გვიბრძანოს ეს ან ის მომიტანეო... 300 წელი ბატონობდა აქ თურქი, მაგრამ ვერ დააგლახაკა, ვერ დააკარგვინა ქართველს თავისი ვინაობა.

სამწუხაროდ ამნაირი აღმშენებლობით, ზარზეიმით, სხვისი სიხარულის გამშობლიურებით და ამ თუ სხვა სახის ხავერდოვანი ხერხებით ეს მხარე (მასთან ერთად სრულიად საქართველო) სხვაქვეყნდება.

ასეთი გახლავთ სულიერი თვალსაწიერი და ყოფითი ყოველდღიურობა, უფრო მეტიც, ქვეყანაში საერთოდ ამოძირკვულია ეროვნულ-სახალხო ღირებულებათა ნიშანსვეტები, ყოველივე ეს კი გულისწყრომას კი არ იწვევს, შთაგონების წყაროა მწერალ <u>გ.ოდიშარიასათვის</u>. ჰოდა, ისიც ე.წ. დემოკრატიის სახელითა და ცრუ "კაცთმოყვარეობით" თავის წილ წიხლს აზელს უფსკრულის თავს ჩაბღაუჭებულ საქართველოს, _ გზაც იქით გქონიაო!...

ამგვარი დახლიდარებისგან ლამის "გიჟვრაცუად" დადგენილ ქართველ ერს სამგზისი სიფრთხილე მართებს, მეტი მეცნიერული ანალიზი, მეტი ინტელექტუალურობა საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებასა და რეალიზებაში. რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, იგი შეიძლება იყოს აქტიური და პასიური. პასიური ნეიტრალიტეტი ჩვენთვის მიუღებელია, რადგან ჩვენ ცხვირწინ ისეთი მოვლენები ხდება, რომელიც აუცილებლად ზეგავლენას იქონიებს საქართველოს მდგომარეობაზე. ამიტომ, არ გამოვა, რომ გულხელდაკრეფილნი დავსხდეთ და ველოდოთ. ეს არ არის სადღაც მზეზე მიმდინარე აფეთქებები. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ზომაგადასული აქტიურობაა საჭირო. ფრთხილად, ყოველი ნაბიჯის მეცნიერულად გაანალიზება, გათვლა დროსთან მიმართებაში ასაწონ-დასაწონია, უნდა გასიგრძეგანდეს ყველა მოსალოდნელი შედეგი, თუ რამდენად ადეკვატური იქნება ეს ნაბიჯები საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ეროვნული ინტერესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ძველი ოდესური გამოთქმაა: <u>"მე რა მერგება აქედან?!"</u> ზნეობრივი თვალგახელით ვიგაკვეთილოთ იგი და "საქართველოს რა ერგება აქედან" _ უნდა ჩაიკეროს ჩვენს დღევანდელ დიპლომატიურ დროშაზე.

ასე და ამრიგად, აქედან გამომდინარე სიცხადე თავზარდამცემი გახლავთ: ვუყურებთ რუკაზე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთს) და დაგვაჯერეს, იგი საქართველო, ანუ ჩვენი შურობუმუ და თავშესაწირი მიწა არ არისო, რაც მთავარია, ვირწმუნეთ, რომ ამ ფეხსაბიჯზე ქართველი არაა მასპინძელი, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ის შეიძლება, აქაურის ძმაც იყოს, მაგრამ პირმშოობის უფლების გარეშეო

(გაიხსენეთ დივერსიული თარეში "უბოროტო" სახელით "ბოდიში" და მასში მწერალ გ.ოდიშარიას სამახვშო კველა!).

ასეთი მიზნობრივი საყოველთაოობით, ჩვენს დაუკითხავად, მაგრამ ჩვენი წინგაუხედაობით შეთანხმებული (კონვენციონ) და თავსმოხვეული სახიჩარი აზრი ჩვენს სამშობლოზე მწერალ გ.ოდიშარიას შემოქმედებითაც ტირაჟირდება. სამწუხაროდ, როდესაც ასეთი ცისჩამოქცევის გასწვრივ თვალს შეავლებ ქართველ ზეპურთა (ელიტართა) მისწრაფებებსა თუ თავგართობებს, კაცის გონება თუკი შეგრჩა, უნდა დარწმუნდე, რომ ჩვენ უფრო მეტი უბედურება გვჭირს, ვიდრე ეს თუნდაც გულგარეთ ნათქვამი "ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა". ჩვენი სახელმწიფო სინამდვილეში იქცა აგრესიული გლობალიზმის საცდელ რეზერვაციად (ხართად), სადაც გვაცხოვრებენ კონვენციონ "კულტურაში", გვააზროვნებენ ამავე კონვენციონ აზროვნების წესით.

დიდმპყრობელთა აზრით საქართველო არის დასატუქსი ბავშვი, რომელსაც ჯიუტად უნდა გამოეწყოს მამა-პაპურ ჩოხაში, ეწინააღმდეგება მამათმავლურ "განმანათლებლობას" და ა.შ. მოკლედ, ჩამორჩენილია, უფრო სწორად, ფეხს არ უწყობს ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგს.

დიახ, თქვენ უნდა წარმოიდგინოთ, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) რუკას პირღიად შეჰყურებს თავსმოხვეულ და საწასაგებო კონვენციონ აზროვნების წესთან მიარტახებული "ქართული" მზერა, რომელსაც მშობლიურობა აუსაჭურისეს და მხოლოდ და მხოლოდ მპყრობლური ამპარტავნება აიძულებს აქ დადგომას. მას კი უნდა ეს მხარე (კარგი ზღვაა და მანდარინიც ხარობს), მაგრამ ვერაფრით აუხსნია, თუ რატომ ეკუთვნის ეს მხარე, რადგან აღარ იცის საკუთარი ვინაობა, წარსული, ჯიში.

არის გამოთქმა, "მოსკოვს ცრემლებისა არ სჯერა". ჰოდა, ამ ცრემლების არც ვაშინგტონს, პეკინს, ნიუ-იორკს, ანკარას, ბაქოს, ერევანს, ლონდონს, პარიზს, ბერლინს და ა.შ. არ სჯერათ.

ნუ ვრჩებით კვლავაც გიჟვრაცუად და ნუ ვნებივრობთ გააურზაურებულ (გაპიარებულ) უაზრობაში.

რაკიღა ეროვნული აზროვნების წესის (მენტალობის) გადაგვარება ქვეყნის სამესვეუროდ თაობის სულიერი მოთხოვნილება და ძალისხმევათა შთაგონებული გამკვალავი გახდა, ბუნებრივია, რომ მათი მსოფლაღქმა ეფუძნება არა თავისავე მეხსიერებას, არამედ ისინი სხვათა თავის ქალიდან ხმაბაძვაში აზროვნებენ (მენტალობენ). დიახ, დიახ, ეს გახლავთ ის სიმრავლე, რომელიც არათუ ფიქრობს სხვისი თავის ქალით, არამედ დღესასწაულობს კიდევაც მასში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველო ასეთი სიმრავლისთვის "სხვათა ქვეყნაა".

სწორედ ამიტომ, საბედისწეროდ, ვერ ავლენს თაობა სამამულო თავგანწირვას მაშინ, როცა ქუდზე კაცის წესრიგია საჭირო. ერთი ვიკითხოთ, განა არ იცის რუსეთის საიმპერიო კარმა, რომ სოჭი საზაფხულო კურორტია და არა საზამთრო. ან ის, რომ აქ ტემპერატურა ზამთარში შეიძლება ორი დღით დავიდეს ნულს დაბლა.

მაშ, რად დაიგეგმა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადა სწორედ აქ, ამ მიწაზე, რომელიც ჩვენი და საერთოდ მოძმე კავკასიელი ხალხებისა თუ ერების საძმო სასაფლაოა?!

საინტერესოა, რომ რუსეთის საიმპერატორო აკადემიის მიერ 1904 წელს მოსკოვში გამოცემულ რუსეთის ენციკლოპედიაში სოჭის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, არის საბანაო კურორტი, მის შემოგარენში მისდევენ მეთქმბაქოებას, რომელიც, როგორც წესი, ხანგრძლივი დროით საჭიროებს მზის მცხუნვარებას, რაც ყველაზე საყურადღებოა, სოჭის 13,500 მაცხოვრებლის დიდად უპირატესი ნაწილი იყო მეგრელობა (ქართველობა). რუსობა აქ იმჟამად საგრძნობი უმცირესობა გახლდათ.

მე აქ ამჯერად განგებ არ ვიმოწმებ ქართულ წყაროებს სოჭისა და ამ მხარის ტოპონიმიკის, კულტურის ძეგლთა ქართულობაზე და ა.შ.

სხვათა შორის, მეგრელობა აქ იმ დროს იმდენად ტრადიციული და მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჩანს, რომ საბჭოთა ხანის შუა წლებამდე აქ იყო ქალაქის ცენტრში ქუჩა <u>მინგრელსკაია.</u>

ამ ენციკლოპედიის მიხედვით სოჭში იმხანად არ ჩანან არმენები. ყოველივე ამის აღნიშვნის შემდეგ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოს საზღვართან, კურორტზე, სადაც მთელი თავისი ცხოვრება ხანგრძლივად ისვენებდა სსრკ ხალხთა ბელადი, "ქართველი" <u>ი.სტალინი</u>, ეს მოსახლეობა უცებ სადღაც ქრება და სოჭის მოსახლეობას ძირითადად აქ მიზნობრივად გაბევრებული რუსობა და არმენობა წარმოადგენს.

აქ ისევ და ისევ XVII საუკუნე და <u>პეტრე I</u> გავიხსენოთ. მისი გააფთრებული ბრძოლა ბალტიკაზე გასასვლელად: მდ.ნევის შესართავთან პეტროგრადის აშენებამ რუსეთისგან მოითხოვა ფინეთიდან ესტონეთამდე მკვიდრი ესტონურ-ფინური მოდგმის მოსახლეობის აღგვა-გადაშენება და ამ გზით ამ მხარის ფინურ-ესტონური ცნობიერებისათვის "გასხვაქვეყნება" (გარუსეთება), ხოლო რუსეთის დედაქალაქის აქ გადმოტანამ კი ამ პოლიტიკურ სივრცეს დამაჯერებლად "გაუიგივა" რუსული შინაარსი.

აქედან გამომდინარე, დღეს პეტერბურგის მხარე რუსული სივრცეა. სწორედ იგი განაპირობებს ბალტიის ზღვის "რუსულობას".

იგივე ამოცანა დგას ერთი შეხედვით სოჭის სამშვიდობო ღონისძიებების წინაშე (პეტერბურგში თავის დროზე შეუნიღბავი მიზნები განაპირობებდა ღია აგრესიას).

ამჯერად იგივე სამხედრო მიზანი, _ სოჭის მხარის ცნობიერი თუ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ოკუპაცია უნდა განაპირობოს სოჭის ე.წ. ოლიმპიადამ, რომელიც სინამდვილეში რუსთა მორიგი დიდმპყრობლური გაშლიგინება იქნება ჩვენი წინაპრების ძვალთა შესაბილწად და ჩვენი მამულის საბოლოოდ გასარუსებლად.

ამას მოჰყვება აფხაზეთიდან ჯერ მუქთი სამშენებლო მასალის გაზიდვა, შემდეგ კი მისი საორტვინედ (საბოსტნედ) შემოღობვა, რათა სოჭს _ რუსეთის შავ ზღვაზე თვითდამკვიდრების მეტროპოლიურ ნიშანსვეტს გააჩნდეს საკუთარი მზერა, რათა იგი სტყორცნოს აფხაზეთურ (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) სივრცეს, რომელიც ამჯერად "რუსული" იქნება.

შედარებისათვის: 1989 წელს ქ. ცხინვალში ცხოვრობდა 21000 მოქალაქე _ 2011 წელს _ 5000, ქ. გაგრაში იმავე წელს, მოქალაქეობდა 24000 ადამიანი, რომელთა უმეტესობა ქართველი იყო, ამჟამად აქ ცხოვრობს 25000 სული, რომელთა 95% რუსი და არმენია.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ დამოუკიდებელი რუსეთი ამჟამად (2011წ. აპრილი) აზუსტებს საზღვარს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ფაბრიცირებულ "დამოუკიდებელ" აფხაზეთთან და ჯერჯერობით გაგრა-აუადჰარის უშუალოდ რსფსრ-სათვის მიერთებას მოითხოვს.

არის მეორე ქვემიხრახნილობაც: ამით ვ.პუტინი და დ.მედვედევი უმარქაფდებიან პეტრე I ნაქნარს. დღეს, როდესაც საუბარია ე.წ. დემოკრატიულ ღირებულებებზე (რომელიც ძალიან ხშირად უპირისპირდება უფლისეულ სწავლებას), ჩვენ გვითრევენ სახუნდარში, სადაც ცხვირწინ გვიფრიალებენ შინაარსიდან ამოგლეჯილ დებულებას, რომ არსებობს პიროვნების კერძო ცხოვრების დაცვის ხელშეუხებლობის გარანტიები. რა თქმა უნდა, როცა ეს ასეა, კარგია, მაგრამ პიროვნების (თუ ის მართლა პიროვნებაა) უმთავრესი თვისება, რაც მას განასხვავებს ცხოველისგან, გახლავთ ის, რომ მისი კერძოობა ჩაფესვებულია ეროვნულ-სახალხო ვინაობაში. აი, ეს არის მთავარი, თორემ დღეს კაცობრიობა არათუ პიროვნებას, გვიმრასა და კატას, შესაბამისად ნებისმიერ სულიერს იცავს ხელყოფისაგან. აქედან გამომდინარე, სამართლიანი იქნება იმის გარკვევა, თუ რანაირად იგულისხმება ჩემი ეროვნული, გნებავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) რეპრესირებული და დევნილი მოსახლეობის დაცვა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ განაწილდეს სოჭის მხარე და ყობანისპირეთი, ამას საქართველო სხვათა ჩარევის გარეშე, ისტორიული სისწორის საფუძველზე, როგორმე თვითონ, მომმე ჩერქეზებთან ერთად თავად მოახერხებს.

ვინაიდან, ერი, ისევე, როგორც ადამიანი, თავისი არჩევანითა და სულიერი სვლაგეზით გადარჩება (ან დაიღუპება), და რადგანაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველს (აფხაზეთის) მკვიდრი მოსახლეობა სადენაციონალიზაციო საამქროებში საუკუნეების მანძილზე გახლდათ დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა ნედლეული, დღეს მას უფრო მკაფიო და ცხადი სვლაგეზი სჭირდება, _ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შემოერთება კი არა, სულიერი და ცნობიერი შემოერთსხეულებაა საჭირო. ამაზე უნდა აიგოს მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ხარაჩო.

ეს უნდა მოხდეს ქართული აზროვნების წესრიგში და ამას საკუთარ მამათა დამწიხლაობით თვითდამკვიდრებული სიმრავლე ვერ გააბუნებრივებს. ჩვენ გვაქვს ჩვენი შინაგანი წესრიგი_ შინერსი და ვაშინერსი, ესაა ადამიანთა სულიერი სიჯანსაღის ჩვენებური შინაარსი, რომლის გარეშე ადამიანები ცხოველებად გადაიქცევიან.

ამ წესრიგს გაურბის მხოლოდ ის, ვისთვისაც საქართველოს დაკნინება მახასიათებელი მოთხოვნილებაა.

აი, ეს არის სათავზარო და საუბედურო, რადგან ამ წესრიგის გარეშე პირწმინდად და მთლიანად ინგრევა წარსული ანუ ვინაობა, ხოლო წარსულის (ვინაობის) პირწმინდა ნგრევას ძალიან ცუდი შედეგები მოაქვს. ვინც ხელს აღმართავს ისეთ სიწმინდეზე, როგორიცაა სამშობლო ან ეცდება ხელყოს უფალი, ის თაობა უკვეა მკვდრადშობილი და დამარცხდება ყოველმიზეზგარეშე.

დიახ, ის, ვინც ეცდება ამ მიწაზე გაემიჯნოს ქართველი ერის ვინაობით შინაარსს, იგი უმაქნის და ყავლგასულ რაობად დგინდება კაცობრიობისთვის. ეს დროითაა დადასტურებული, რადგან მსოფლიო ჟამთაბერი არ იცნობს მშობლიურობას მიმდგომელთა გამარჯვებას.

ამიტომ უნდა გავემიჯნოთ აგრესიული გლობალიზმის უპირველეს მოთხოვნილებას, _ უარვყოთ ჩვენი ვინაობა, დავანგრიოთ იგი!...

საქმე ისაა, რომ ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მიზანია, აღმოაცენოს სწორედ ამ ნანგრევებზე ახალი ტიპის ადამიანი, როგორც ცნობიერი, ასევე ანთროპოლოგიური ვინაობით.

ეს არ არის რიგითი ახირება, დღის წესრიგში ჩაგვისვეს უეჭველად შესასრულებელი დაკვეთა, რაც შეიძლება იაფი ინგლისურენოვანი მუშახელი (ხელისბიჭი) ვუწარმოოთ მსოფლიოს. ნურავინ იტყუებს თავს, ყველაფრის ასეთი გაინგლისურენოვანება მიზნად არ ისახავს შექსპირის წაკითხვას დედანში, იგი სწორედ ამისკენ – საქართველოს ქართველებისგან დაცლისკენაა მიმართული, რათა აქ ზემოთხსენებული ახალი ადამიანი დამკვიდრდეს.

ქვეყანაში თვითდამკვიდრებული ზეპურობა (ელიტა) არც ნიღბავს ამას, ამ სიმრავლეს ცოტაღა უკლია საბოლოოდ გაემიჯნოს თავის ქართველობას და დროთა სრბოლას ფეხი აუწყოს სვლაგეზით _ "ჩვენ, ინგლისელები!"

გასაგებია, ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის შესაბამისად ახალი ადამიანი (არაქართული აზროვნების წესით, გენმოდიფიცირებული სხეულით) ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს. ამიტომ, როდესაც სააფხაზეთო ტკივილისთვის ვინმე პ.შამუგია დავითფერულის ნაცვლად ამერიკელი ლამაზმანის საჯდომს წარმოსახვაში ელაციცება, როცა ეოცნებება, თუ როდის გამოიძევებს თავის ქალიდან წმინდა ილია მართლის შეგონებას "ენა, მამული, სარწმუნოება", მისგან (თაობისაგან) არც ის უნდა გაგიკვირდეს, რომ თუ საჭირო იქნა იგი ნაჯახითაც მიადგება წინაპართა ფესვებს. მას უბრალოდ ამისათვის ჯერჯერობით მაუზერი და ჩეკისტის სამხრეები აკლია. სიფრთხილეა საჭირო, თორემ ჩვენზე არანაკლები სულიერება გახდა დღეს მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატი, ასე, მაგალითად, ეგვიპტეში პირამიდების ამგებთა ცნობიერება აღიგავა, მერე რა, რომ მათ ჩანაცვლებული ხალხიც (არაბები) თავიანთ თავს ეგვიპტელებს ეძახიან, პირამიდათა ამგებების გონითი განფენის სივრცეში ეს ხალხი არ აზროვნებს, თვით პირამიდები მათთვის არა საკუთარი ღვთივწდომილებით ტკბობაა, არამედ შემოსავლის წყარო გახლავთ ტურისტების მოსაზიდად. დიახ, პირამიდების ამგებთა სულიერება არაა დღეს ეგვიპტური საზოგადოების დედანი ვინაობა.

ჩვენთანაც დაახლოებით ამგვარი ხელგამოღებაა, ოღონდაც, სვეტიცხოველი, გელათი, ვარძია... ამგვარი სიმრავლისთვის საინტერესოდ დასათვალიერებლი ექსპონატია მხოლოდ... და ბოლოს, მაინც ვისია და ვინაა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედანი ვინაობა. ეს გახლავთ ის ადამიანი, ვინც თავს მოიაზრებს აფხაზთა 1870 და 1916 წლების დეპუტაციათა, გიორგი შარვაშიძის, არზაყან ემხვარის, ტიმოთე ანუას, ნიკო ჯანაშიას, იური ანუას ცნობიერ სამყაროში, რადგან ესაა ამ მიწის ბუნებრივი შინაარსი.

სხვანაირად არსებობს საფრთხე, რომ აფხაზეთი, როგორც მოცულობა რაღაც ჰექტრებში პოლიტიკურმა კონიუნქტურამ მოაქციოს კიდეც ქართული სახელმწიფოს საზღვრებში, მაგრამ ეს არ იქნება ქართველ(აფხაზ)-აფსუათა ძუძუმტეობა _ სახლიკაცობის ჭერქვეშეთი.

ამრიგად, გვინდა თუ არა, თავსმოხვეული სიცხადე მოითხოვს, რომ ჩვენ გავერკვეთ მთავარში და აი, სწორედ აქ არ უნდა დავთმოთ, უფრო სწორად ამ შემთხვევაში გვჭირდება რუსისტული დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით ჩვენთვის ამოლაგამებული ცნობიერებისგან გათავისუფლება. ძნელია ეს, მით უფრო, როცა საქართველოში რუსიზმს ჩანაცვლებული აგრესიული გლობალიზმიც მშვენივრად და მარჯვედ იყენებს მათ ჩვენს გადასაგვარებლად.

სწორედ აქ უნდა შევძლოთ გადატრიალება თავსმოხვეული სააზროვნო წესის და ვიცხოვროთ არა შეკოწიწებულ, არამედ დედან ვინაობაში. ერთი რამ ცხადია, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, თითეული ქართული კომლი, ნებისმიერი ქართული ლასკარი განსაკუთრებულად უნდა გახდეს ერის ცნობიერი ციხე-სიმაგრე, სწორედ მან უნდა გაისადავოს სახელმწიფოებრივი ქმედუნარიანობის ამძრავი ღვედი.

ასეთ უხვალდღეო მდინარებაში ამ მხარეს შემოხიზნულ სახლიკაც აფსუებს უნდა შევეშველოთ ეროვნულ-სახალხო თავითმოძიებასა და მათთვის მიჩეჩებული აგრესიისგან თავდაღწევაში. მათ უნდა დაიჯერონ სიცხადე, _ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) აფსუათა ძირძველობის საკითხი იმპერიებს სჭირდება საქართველოში მიზნობრივი და აგრესიული სეპარატიზმისათვის დიდმპყრობლური პოლიტიკური თუ ისტორიული უფლებების გასაპიროვნებლად აფხაზის შინაარსში და აფხაზობაში შეფუთულად. თვალშისაცემი უნდა იყოს ჩვენი მზერისათვის ისიც, რომ ასეთი ძალადობა უნდა ესაძირკვლოს აგრესიული სეპარატიზმის შფოთსა და ამის მიხედვით უნდა გაგრძელდეს ე.წ. აფხაზეცთა მკვიდრობის შესახებ თეორიული ბაზის სრულყოფა.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) დღეს დამკვიდრებულმა მოსახლეობამ (ნებისმიერმა ეთნოსმა) უნდა იცოდეს, რომ ტყუილად დაუწყებს ე.წ. სიმშვიდეს ამ ვითარებაში ძებნას, რადგან ნებისმიერი, რომელიც ეცდება მომავლის ხელოვნურად არიდებას რუსიზმის დივერსიული კონსტრუქციების დემონტაჟისგან და აფხაზეთის "არაქართულობის" მტკიცებისათვის კვლავაც მოინდომებს ჭეშმარიტების გაუკუღმართებას, ის მკვდადშობილი საქმით დატვირთავს თავს.

ამდენად, აფხაზეთის დეოკუპაციის ერთადერთი გზა გადის მის აღორძინებაში იმ ცნობიერებით, რომლის სააზროვნო წესითაც (მერამდენედ ავთერგღრიალდე) ღაღადებენ ლიხნი, მოქვი და ბედია.

სხვა გზა დროსა და სივრცეში არაა. სხვა თამშარა აფხაზეთის მოსახლეობის უკლებლივ ყველა ხალხის სასაფლაოსკენ მიემართება.

დიახ, აფხაზეთის გადარჩენა მის დედან თავისთავადობაშია, სადაც სახლიკაცობისა და ძუძუმტეობის ჭერქვეშ უნდა დაზუსტდეს პირმშოსა და ნაშვილევის სავალდებულო ყოფაქცევა.

ორივე ლასკარის სრულუფლებიანი მოუხლეჩაობა გახლავთ, მაგრამ პირმშოობის უფლებას დედან შინაარსში ამდინარებული სისხლი, ოფლი და ცრემლი განაპირობებს.

ამას ცნობიერი გადატრიალება სჭირდება, რადგან თაობა მიზნობრივ წვრთნაშეუსმენლობაში ნებივრობს: 2011 წლის 11, 12 მარტს, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე ვინმე გოგი გვახარიას გადაცემაში დატუქსეს პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე, რადგან მან გაბედა და ტრიბუნიდან მამათმავლობა დაგმო, იმავე დღეებში ტელეარხმა "იმედმა" (რომელიც ასევე ეწევა ერის თანმიმდევრულ რყვნას) გადასცა თავის მიერვე ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ეზოში სტუდენტთა შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგები (ეს ის ეზოა, სადაც XX საუკუნის ქართული სულიერება მსოფლიოს საყურადღებოდ ანიშანსვეტდა). გამოკითხულთაგან ვერცერთმა ვერ გასცა პასუხი, თუ ვინ იყო პეტრე მელიქიშვილი, არ იცოდნენ, თუ ვინ იყო წმინდა ილია მართალი, შოთა რუსთაველი, სამაგიეროდ სუყველამ უპასუხა, თუ ვინაა ბიჭოლა და ანრი ჯოხაძე. როდესაც საზოგადოებას ყოველდღე მამათმავლობისკენ მიდრეკილ გადაცემებში ათახსირებენ, იქ ადგილი სიწმინდისა და ერონულ-სახალხო ღირებულებებისათვის არ რჩება, რომლის გარეშეც თავისუფლება ამაო მცდელობაა.

ეს კიდევ არაფერიო, იტყვი, როცა გადააწყდები უფრო უარესს: საჩხერეში, როცა იქ გავლით მყოფმა ხათუნა კალმახელიძემ _ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა დიდი მგოსნის აკაკის სახლ-მუზეუმი დაათვალიერა, მას თაიგული მიართვეს მუზეუმის თანამშრომლებმა. ნორჩმა მინისტრმა, რომელსაც გალაკტიონის "მთაწმინდის მთვარე" აშკარად წაკითხული არა აქვს დღემდე, მოითხოვა, _ აკაკის საფლავთან მიმიყვანეთ (საჩხერეში ხდება ეს), იქ უნდა დავაწყოო ყვავილები (გაზ. "ყველა სიახლე", 7-13 აპრილი, 2011წ.). ესეც შენი ტრაბახი ქვეყნის პირველი პირისა: ჩვენ გვყავს მინისტრები, რომლებმაც არ იციან, ვინ იყოო ვ.ი.ლენინი!..

არადა, როდესაც არ იცი თუ ვინაა ლენინი, არსებობს ძალიან დიდი ალბათობა, რომ შენი თვითკმაყოფილი მზერა ლენინის თითის მიმართულებით გაგექცეს.

ზემოთ უკვე გაგაცანით ერთი აფხაზეთელი მწერალი (პ.შამუგია), რომელიც იმის ნაცვლად, ლადო ასათიანს მიემოწაფოს და თავისი სტრიქონები აბრძოლოს მისი ოდაბადის გასათავისუფლებლად, უვინაოს თავხედობით ირწმუნება, "სამშობლო" და "ტრაკი" ერთი და იგივე ღირებულებაა.

ასეთია სიმრავლე, რომელიც წესით ჩემს თაობას უნდა ჩაენაცვლოს და იღვაწოს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ანუ აფხაზეთის დეოკუპაციისათვის. არაა ამის გამკეთებელი ის, რადგან მას სამშობლო არ დაუკარგავს და არც სჭირდება ასეთი რამ.

მაშ, როგორ გავათავისუფლოთ აფხაზეთი?!. დღეს ძალიან ძნელი საქმეა ეს, არც ვიცი რა გიპასუხოთ, მაგრამ ერთ რამეს ვხვდები, აფხაზეთს გაათავისუფლებს მხოლოდ ის, ვინც გაიერთსხეულებს, რომ იგი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოა!..

...და ბოლოს, _ საკირის ცეცხლის ამოხანძრებით უნდა ვიბღავლო, _ გავიგოთ მარტივი რამ, მხოლოდ ისაა მარადიული, რაც ნამდვილია თავისი არსით.

ამას შეკვეთით ვერ დაიბედებ, ამისათვის ჯიშისმიერი მეხსიერება საკუთარ ვინაობაზე, მოყვასისადმი ფეხის დაბანვის ნიჭი და ქრისტესმხედრული ძალისხმევაა საჭირო. სხვა გზის ძებნა დროის განიავება და მკვდრადშობილი მონდომება გახლავთ.

ასეთ თვალგახელას "აი იას" მშობლიური უკიდეგანობა განაპირობებს მხოლოდ!.. ამგვარია განგების ნება და მას გამონაკლისი არა აქვს.

გაისიგრძეგანეთ ამ საყოველდღიურო დადგენილების კანონზომიერება და მირჩიეთ, ვით დავამშვიდო თავი, როცა ქვეყანას სწორედ ხეპრე, წინგაუხედავი და უვინაო ფეხაწყობა ესვლაგეზება: ცნობილი შოუმენი <u>დუტა სხირტლაძე</u> თელავის <u>ვაჟა-ფშაველას</u> სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ხელმძღვანელად როგორც კი დაინიშნა, იმავე დღეს ჩამოხსნა თეატრის ლოგო _ <u>ვაჟა ფშაველას</u> გამოსახულება და ხე ჩაანაცვლა. შეუცვალა სახელწოდებაც, დაარქვა _ თელავის თეატრი.

ეს "წვრილმანი" მსოფლმხედველობრივ გარდაქმნას ნიშნავდა და იგი გამიზნული იქნა უარავინო საზოგადოების თვითდასადგენად. თუმცა ეს არ არის მხოლოდ <u>დუტა სხირტლაძის</u> აკვიატება, იგი ე.წ. "თანამედროვე მსოფლიო წესრიგის" მოთხოვნაც იყო და ეს პირველ რიგში!.. შეადარეთ, <u>ი.ჭავჭავაძის</u> სახელობა მოაცილეს <u>გიგი თევზაძის</u> უნივერსიტეტს, "ძნელი" გამოსათქმელიაო!.. მას უბრალოდ <u>ილიას</u> უნივერსიტეტი ეწოდა. აქაც იგივეა მიზეზი.

დიახ, ეს გახლავთ ერთბაშად უვიცობაც, უტიფრობაც და სნობიზმიც!

არადა, როდესაც საუბარია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციაზე, ნუ გვავიწყდება, რომ აქ საკითხი არაა ცალსახა: თუ ვგულისხმობთ ე.წ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ეს, ერთი შეხედვით ძალიან ძნელი საქმე, არნახულად მარტივია იმასთან შედარებით, რასაც ჰქვია ამ ქართული მიწის შემოერთსხეულება, ანუ ჭეშმარიტი გათავისუფლება (დეოკუპაცია).

მე მხედველობაში მაქვს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ბუნებრივი შინაარსის აღდგენა-აღორძინება, რაც დროებით (იმედია) ოკუპირებულ აფხაზეთში ნიშნავს ამ მხარეში ქართველი ერის რეკონსტრუქციის ხანგრძლივ ბიჯს. ცხადია, სხვადასხვა ეთნოდივერსიული ძალისხმევის შედეგად, დღევანდელი თაობისთვის აფხაზეთი "გასხვაქვეყნებული" შინაარსობრივი სივრცეა, რომლის შემოერთება "ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა" მხოლოდ, ანუ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული (თავს ვიკავებ, ვთქვა ცენტრ-ნაცმენური ან დიდმპყრობლური) ამბიციაა და მას ძალიან ცოტა აქვს საერთო სამამულო მიზანთან.

რა თქმა უნდა, ეს მიზანი მოითხოვს ერისკაცულ თავგანწირვას, ასეთი თავგანწირვა კი ვერ დაიბადება ეროვნულ-მოქალაქეობრივი სულისკვეთების, ასე ვთქვათ _ მოტივაციის გარეშე, რასაც ცხადად და ცნობიერად გასხვაქვეყნებული აფხაზეთი ვერ გამოჭედავს, მას საქვეყნო ქუდზეკაცობა სჭირდება. სწორედ ეს საქვეყნო ქუდზეკაცობა მოითხოვს პირველ რიგში სრულიად საქართველოს და მერე მსოფლიო საზოგადოებრიობას სააფხაზეთო შინაარსში ავუღორძინოთ მისი ბუნებრივი, დედანი ანუ ქართული ვინაობა.

ასე და ამრიგად, აფხაზეთის დეოკუპაციის საწყისი უნდა ვასაძირკვლოთ აფხაზეთის მკვიდრი დევნილი მოსახლეობის, მათ შორის აფსუა ხალხის სააზროვნო წესში ამ

მხარის ქართული არსის რეკონსტრუქციაზე. მხოლოდდამხოლოდ ამაზე, სხვანაირად უფალი გულისწყრომას ათავზარებს აქ!..

მოკლედ, სანამ ჩვენი თვითშეგნებით არ აღვსდგებით ჩვენსავე აფხაზობაში, მანამდე ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) ყოველთვის სხვისი იქნება, რადგან არ გვეცოდინება თუ რა გვესაქმება აქ.

რა თქმა უნდა, აგრესიული გლობალიზმის დაკვეთა აფხაზეთში, ისევე, როგორც სრულიად საქართველოში გახლავთ ის, რომ ჩაანაცვლონ ე.წ. ახალი ადამიანები, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, არსებობს უწყვეტი ეროვნული ენერგია, დასაბამისმიერი სახალხო ჯიშისმიერება, იგივე ეროვნულ-სახალხო გონი, რომელიც ამ ერთი შეხედვით შუძლებელს, უფლის დასტურით შესაძლებელს გახდის. ამისდა შესაბამისად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) აღორძინდება ამ მიწის დედანი შინაარსი და იგი მოექცევა ქართული გონითი განფენის სივრცეში. ეს ყველაფერი იმავდროულად გულისხმობს აფსუა ხალხის მარადიულყოფას ძუძუმტეობითი სახლიკაცობის ჭერქვეშეთში.

ნებისმიერმა, უკლებლივ ყველამ, ვინც ეცდება ამ მიწაზე საკუთარხმიერებით დამკვიდრებას, უნდა იცოდეს, რომ ბიჭვინთის, მოქვის, ლიხნის, კომანის, დრანდის, ბედიისა და ა.შ. ცივი და მდუმარე ქვები მხოლოდ ქართულად მხურვალობენ და ღაღადებენ, ამიტომ იმანაც კი, ვინც აქ ვისახლიკაცეთ და ვიძუძუმტეთ, თავიანთ ღირებულებათა შეურყვნელობა ამ ვინაობათა შინაარსს უნდა უმხარიმხარონ (მე არ მითქვამს დაუქვემდებარონ-მეთქი, სახლიკაცობის წესი აზუსტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს).

≈*≈

III. დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

***

1. <u>პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით</u>!

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა

სრულიად საქართველოს

საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

მესამე მოწვევის

მ ე ო რ ე ს ე ს ი ა

(სტენოგრაფიული ანგარიში)

<u>**ტფილისი**</u>

1925

***

...თოდრია. ხვალ, საღამოს 5 საათზე, გაიხსნება ამხ. კამოს ძეგლი. ძეგლის გახსნის შემდეგ სესიის წევრები გამოცხადდებიან სხდომაზე.

თავმჯდომარე. ამხ. ჩახნაშვილს აქვს განცხადება.

ჩახნაშვილი. როდესაც ჩვენ ვიყავით მოსკოვში, ბაქოში, ლენინგრადში და სხვ. **ყველგან, ცაკის წევრები ტრამვაით უფასოდ სარგებლობდნენ, მე კი დღეს უკვე დავხარჯე ერთი მანეთი. მე მოვითხოვ, რომ ამ საკითხს მიექცეს ყურადღება** (ხაზგასმა ს.საჯ.)

თავმჯდომარე. მაგ საკითხს მოვაწესრიგებთ.

ამხანაგებო, სესიის მეორე სხდომას დახურულად ვაცხადებ.

სხდომა დაიხურა 10 საათსა და 5 წ.

sxdoma mesame.

სხდომა გაიხსნა საღამოს 6 საათსა და 40წ. სხდომას დაესწრო 87 წევრი, 25 კანდიდატი და 27 სათემო აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე.

თავმჯდომარეობს **ფ. მახარაძე.**

* * *

...**თავმჯდომარე**. ახლა, ამხანაგებო, აქ გახლავთ ჩრდილოეთ-ოსეთის ოლქის თავმჯდომარე ტაკოევი, რომელიც წარმოგიდგენთ ერთ უაღრესი მნიშვნელობის მოხსენებას.

ტაკოევი. ამხანაგებო! მე წარმოგზავნილი ვარ ჩრდილოეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ჩრდილოეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის გაერთიანების საკითხის გამო. ჯერ კიდევ ამა წლის იანვარში ჩრდილოეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა ყრილობაზე დადგენილ იქნა _ აღძრულ იყო ცენტრალურ ხელისუფლების წინაშე საკითხი ჩრდილოეთ-ოსეთისა და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანების შესახებ. ამავე წლის მარტის 25-ს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა ყრილობაზე გამოტანილ იქნა

დადგენილება, რომელშიაც გამოთქმული იყო სურვილი ჩრდილოეთ-ოსეთისა და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანების თაობაზე.

ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მიერ ასეთი ნებისყოფის გამოთქმის გამო ჩვენ აღვძარით ეს საკითხი რ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე. ეს საკითხი დაყენებულ იქნა შემდეგ საფუძველზე: **ჩრდილოეთი და სამხრეთ-ოსეთი ერთდებიან ერთ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად და შედიან საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში** (ხაზგასმა ს.საχ.).

სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი. არავითარი საწინააღმდეგო რამ არ იყო გამოთქმული და გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ საჭიროა ეს საკითხი წინასწარ შეთანხმებულ იქნეს ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტთან, რომელშიაც შედის ჩრდილოეთ-ოსეთის ოლქი, და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, რომელშიაც შედის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. ჩვენ დიდი წინასწარი მოლაპარაკება გვქონდა საქმის მოსამზადებლად ჩრდილოეთ-საოლქო აღმასრულებელ კომიტეტთან, რომელიც საქმის სერიოზული განხილვის შემდეგ, თანახმა გახდა საკითხის ასე დაყენებაზე, როდესაც კავკავში პლენუმის სხდომები იყო, ეს საკითხი დაყენებულ იქნა საოლქო აღმასრულებელ კომიტეტში და გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: "საწინააღმდეგო არა არის რა სათქმელი ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანებისა და ამ ახალი ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის გამო". მაშასადამე, ამ მხრივ საკითხი ჩრდილოეთ-საოლქო აღმასრ. კომიტეტის მიერ უკვე გადაწყვეტილია. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მივიღოთ ამ აქტის გამო თანხმობა საქართველოს რესპუბლიკისა. რადგანაც სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სცნობს, რომ საკითხი ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის შესახებ ჯერ კიდევ წინასწარ შემუშავებული არ არის, და არ დააყენებს მას საბოლოო განხილვისათვის. ამის გამო ჩრდილოეთ-ოსეთის ცენტრ. აღმ. კომიტეტმა მომანდო მე აღვძრა ეს საკითხი ჯერ საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე და შემდეგ მეორეჯერ სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმ. კომიტეტის წინაშე. ეს საკითხი შეეხება მთლად საბჭოთა კავშირს, ჩრდილოეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი ხომ რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შედიოდა. ამიტომ ჩვენ მოგვიხდება განვახორციელოთ ზოგი რამ ტერიტორიალური გამოყოფა რ.ს.ფ.ს.რ-ს შემადგენლობიდან და ეს მისგან ჩამონათალი ოლქი გადავცეთ საქართველოს რესპუბლიკას. ვიმეორებ, ამ საკითხს საკავშირო ხასიათი აქვს და მისი საბოლოო გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.

ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანებისა და მათი საქართველოს რესპ. შედგენილობაში შესვლის მოტივები გარკვეულია და ნათელი და ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მიერ სრულიად შეცნობილი. არ შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელი ვითარების მიხედვით ოსეთის ორივე ნაწილში ნაციონალური ავტონომია იყოს. ჩვენ ნაციონალური ავტონომია არა გვაქვს. **ჩვენ გვაქვს ტომობრივი ავტონომია:**

ჩრდილოეთ-ოსეთის ავტონომია და სამხრეთ-ოსეთის ავტონომია (ხაზგასმა ს.საჯ.). ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის თვალსაზრისით ასეთი ვითარება არაფრად ვარგა. არსებული გათავთავადება მეტის მეტად აფერხებს ჩრდილოეთ-ოსეთის და სამხრეთ-ოსეთის კულტურულ განვითარებას. ამჟამად ორივე ოლქში სწარმოებს პარალელური მუშაობა და რასაკვირველია, ამ მუშაობის შედეგი არ შეიძლება დიდი ღირსებისა იყოს. ის, რაც მისაღებია სამხრეთ-ოსეთისათვის, ხანდახან, კულტურულ მომუშავეთა თვალსაზრისით, არ შეესაბამება ჩრდილოეთ-ოსეთს. პირიქით, ის, რაც მიზანშეწონილია ჩრდილოეთ-ოსეთისათვის, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს სამხრეთ-ოსეთის ინტერესებს.

აშკარაა, ქართველ ამხანაგებს მშვენივრად ესმით, რომ საქმის ასეთი ვითარება საშინლად ცუდად მოქმედებს, როგორც ჩრდილოეთ-ოსეთის, ისე სამხრეთ-ოსეთის კულტურულ განვითარებაზე. ასეთ განკერძოებულ არსებობაში, როგორც სამხრეთ-ოსეთს, ისე ჩრდილოეთ-ოსეთს არავითარი სამეურნეო პერსპექტივები არა აქვთ. ამის გამო, ყველა შესაძლებლობა სამეურნეო პროგრესის სფეროში, რაც კი რამ ამ მცირე ერთეულებს გააჩნიათ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს უახლოეს 3-5 წლის განმავლობაში. **ამრიგად აშკარაა, რომ რათა ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის პრინციპები ბოლომდე და მიზანშეწონილად იქნეს განხორციელებული ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის მშრომელთათვის, საჭიროა ეს ოლქები გავაერთიანოთ და მეურნეობისა და ბუნებრივ შესაძლებლობათა გამოყენების საშუალებით წარვმართოთ ეს ქვეყანა ეკონომიკური განვითარების გზით. იქნება ვისმე ეგულისხმება, რატომ არის ორიენტაცია აღებული საქართველოზეო! იმიტომ, რომ ოსეთი არსებობდა და მხარ და მხარ ვიდოდა საქართელოს რესპუბლიკასთან. თუ უკანასკნელ დრომდე ვისმე კიდევ ჰქონდა ეჭვი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის შესახებ, ეხლა ეს ეჭვი გაფანტულია. ეს იმიტომ, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი, და მით უფრო პასუხისმგებელი მომუშავენი თვალნათლივ ხედავენ, რომ საღი ნაციონალური პოლიტიკა ისე მიზანშეწონილად არსად არ ხორციელდება, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში და, საერთოდ კი, ამიერკავკასიაში. ამ გარემოებამ, რაღა თქმა უნდა, საბოლოოდ დაარწმუნა თვით ის ერთი-ორი პიროვნება რომელთაც ეს საკითხი აფიქრიანებდა, დაარწმუნა, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის საჭიროა საქართელოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში შესვლა. ამას გარდა, ამხანაგებო, სამხრეთ-ოსეთი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაუერთიანდება ჩრდილოეთ-ოსეთს, უკეთუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება საქართველოს ს.ს.რ.-ს შემადგენლობაში შესვლაზე. სამხრეთ-ოსეთის მშრომელნი აცხადებენ, რომ მათ კულტურულ მოთხოვნილებათ და სამეურნეო საჭიროებათ საქართველოს რესპუბლიკა მთლად, სრულად და უცილობელად აკმაყოფილებს. ამიტომ ისინი სცნობენ, რომ არავითარი საჭიროება არ არის და სრულიად უსარგებლოც იქნება რაიმე ახალი ექსპერიმენტის მოხდენა ე.ი. საქართველოდან გამოყოფა** (ხაზგასმა ს.საჯ). აშკარაა, რომ სამხრეთ-ოსეთის ეს საღი ძახილი ყოველმხრივ ყურადღების ღირსია. ოსეთის მშრომელთაგან არავინ არის წინააღმდეგი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლისა. ამ ჟამად საკითხი შეთანხმების ფარგალშია. მე მგონია, საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ ისეთივე პასუხი უნდა მოგვცეს, როგორც ჩრდილოეთის საოლქო აღმასრულებელმა კომიტეტმა მოგვცა, ე.ი. რომ სესია წინააღმდეგი როდია ჩრდილოეთი და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანებისა და მათ საქართველოს ს.ს.რ.-ს შემადგენლობაში შესვლისა.

ამხანაგებო, ამ აქტს აქვს არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა-ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთისათვის, არამედ მას აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა. **ეს აქტი აშკარად დაანახვებს საერთაშორისო კონტრრევოლუციას, რომ მთელს ევროპაში გავრცელებული ჭორები და მითქმა-მოთქმა, ვითომც საბჭოთა ხელისუფლება სჩაგრავდეს ქართველ ერს, აბსურდია და მოგონილია. ეს აქტი ყველა ჩვენს მტერს ნათლად დაანახვებს, რომ, პირიქით საქართველოში განხორციელებულია საღი ნაციონალური პოლიტიკა, რომ მთელი ავტონომიური ოლქი, როგორც ჩრდილოეთ-ოსეთი, სურვილს აცხადებს რ.ს.ფ.ს.რ.-ს ჩამოშორდეს და შევიდეს საქართველოს ს.ს.რ.-ს შემადგენლობაში. ამიერიდან ყველა ის მგელი, რომელიც ღმუოდა ვითომც საქართველო იჩაგრებაო, დადუმდება,-ეს აქტი ჩასჩრით მათ პირში ბურთს** (ხაზგასმა ს.საჯ.).

ჩრდილოეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მე ვთხოვ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიას დააყენოს ეს საკითხი განსახილველად და გამოიტანოს ისეთი დადგენილება, რომელიც მე წაგიკითხეთ (ძლიერი ტაში).

თავმჯდომარე. ამხანაგებო, ჩვენ მოვისმინეთ ამხ. ტაკოევის მოხსენება. ამხ. ტაკოევმა მოგახსენათ, თუ რა მოტივით და მოსაზრებით უნდა გაერთიანდეს ჩრდილოეთ-ოსეთი და სამხრეთ-ოსეთის ხალხი. როგორც იცით, დღეს ეს ერთი ეროვნება-ოსობა გაპობილია შუაზე. ბუნებრივი საზღვარი _ ეს არის კავკასიის უღელტეხილი. ოსების ერთი ნაწილი ცხოვრობს ჩრდილოეთ კავკასიაში. მეორე კი სამხრეთ კავკასიაში. საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკას აქ წინ ეღობება მრავალი დაბრკოლება, ვინაიდან დღეს ოსობა, როგორც ერთი ერი, ვერ სარგებლობს სავსებით იმ უფლებით, რა უფლებებიც საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა წინად დაჩაგრულთ ხალხთ. მეორე მოსაზრება _ როგორც ამხანაგი ტაკოევი ამბობს, არის კულტურული მოძრაობა. ამ დარგში მუშაობა ბრკოლდება: ის, რაც სურს ჩრდილოეთ-ოსეთს, ვერ არის შეთანხმებული იმასთან, რაც სურს სამხრეთ-ოსეთს. გარდა ამისა, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ მხარეს. დღეს ოსეთის ხალხს არა აქვს არავითარი პერსპექტივები მომავლისა, არ არის გათვალისწინებული, თუ როგორ უნდა განვითარდეს მისი მეურნეობა. ასეთია ის მოტივები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ამ საკითხის გადაჭრის დროს.

იბადება მეორე საკითხი: როგორ უნდა მოხდეს ეს გაერთიანება, რომელი რესპუბლიკის ფარგლებში, რუსეთის რესპუბლიკისა თუ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, თქვენ იცით, რომ დღეს ოსობის ერთი ნაწილი იმყოფება რუსეთის ფარგლებში, მეორე კი საქართველოს ფარგლებში. პასუხისმგებელ ამხანაგებს და თვით მშრომელ მასსებს, როგორც სამხრეთ-ოსეთის ისე ჩრდილოეთ-ოსეთისას, ეს საკითხი გადაუწყვეტიათ იმნაირად, რომ გაერთიანება უნდა მოხდეს საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში. რატომ გადაწყდა ეს ასე? აი, აქ ამხანაგი ტაკოევი პირველყოვლისა აღნიშნავს იმას, რომ ოსეთის ხალხი ისტორიულად დაკავშირებული

იყო საქართველოსთან; მეორეს მხრით ამხანაგებმა ასწონ-დასწონეს, მიიღეს მხედველობაში გამოცდილება, და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ოსებისთვის უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა საბჭოთა საქართველოს ფარგლებში გაერთიანება. გარდა ამისა სამხრეთ-ოსეთი, რომელიც საქართველოს ფარგლებში შედის, გადაჭრით მოითხოვს ჩრდილოეთ-ოსეთისაგან, რომ ეს გაერთიანება მოხდეს საქართველოს ფარგლებში. **ეს გარემოება მეტად საგულისხმოა, ნამეტურ, როცა წარმოვიდგენთ იმას, თუ რა განწყობილება არსებობდა აქ ოსებსა და ქართველებს შორის მენშევიკების დროს** (ხაზგასმა ს.საჯ.). ახლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ მეზობელ და ძმურ ხალხებში კვლავ დამყარებულა კეთილი და ძმური ურთიერთობა და ამას ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებას უნდა ვუმადლოდეთ. ეს მეტად სასიამოვნო მოვლენაა.

აი, ამხანაგებო, მთლად ის მოკლე ინფორმაციული მოხსენება, რომელიც აქ გადმოგვცა ამხ. ტაკოევმა.

ამ განცხადებაზე ჩვენ უნდა მივცეთ შესაფერისი პასუხი.

ჩემის აზრით, ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანება დიდი ნაბიჯია წინ დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ რესპუბლიკაში მოხდება ეს გაერთიანება (ხაზგასმა ს.საჯ.).

ეს არის ისეთი დიდი ნაბიჯი ოსეთის ხალხის ისტორიაში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ოსეთის ხალხის განვითარებისათვის, და ჩვენ მისი მოძმენი, მის მეზობლად მცხოვრებნი, ჭირში და ლხინში მასთან ერთად მყოფნი, ამ გაერთიანებას უნდა მივეგებოთ აღტაცებით.

ამხ. ტაკოევი წინადადებას იძლევა _ მიღებულ იქნეს შემდეგი რეზოლუცია: საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მესამე მოწვევის მეორე სესიამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ტაკოევისა და ჯატიევისა _ ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანების შესახებ ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად, ადგენს: 1) სესია სიამოვნებით აღნიშნავს და იწონებს სამხრეთ და ჩრდილოეთ-ოსეთის გაერთიანებას ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად. 2) რაც შეეხება ოსეთის მშრომელი ხალხის სურვილს, რომ ეს გაერთიანება მოხდეს საქართველოს ფარგლებში, სესია სავსებით უერთდება იმ დადგენილებას, რომელიც უკვე გამოტანილია ამის შესახებ, ერთის მხრით, რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მიერ, და მეორეს მხრით _ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრ. აღმასრ კომიტეტის მიერ.

ჩვენ, რასაკვირველია, აღფრთოვანებით მივიღებთ ასეთ დადგენილებას, აღტაცებით შევეგებებით ჩვენს ძმებს და, რაც კი გაგვეწყობა, ხელს შევუწყობთ გაერიანებული ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის წინსვლას და განვითარებას (მხურვალე ტაში).

ვის სურს სიტყვა, ამხანაგებო? სიტყვა ეკუთვნის ამხ. გეგელიას.

გეგელია. სამხრეთ და ჩრდილოეთ-ოსეთის გაერთიანება და მათი შეერთება საქართველოსთან არის ისეთი უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი, რომ მე მოხუცი, ვღელავ, როგორც პაწია ბალღი, რომელსაც მშობლებისაგან რაიმე საჩუქარი მიუღია. ვიმეორებ ეს აქტი მეტისმეტად სერიოზული ისტორიული აქტია და ამასთანავე იგი მწვავე სილაა ჩვენი პოლიტიკური მტრებისათვის საერთაშორისო მასშტაბით.

თუმცა ამხ. ფილიპემ აღნიშნა, რომ სულერთია, რომელ რესპუბლიკასაც უნდა შეუერთდეს ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთი, **მაგრამ პირადად მე ვფიქრობ, რომ**

უდიდესი მნიშვნელობა სწორედ იმ გარემოებას აქვს, რომ ოსეთი უერთდება თავის ძმებ ქართველებს.

ამას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებით იმიტომ, რომ, როგორც ყველას გვახსოვს, ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის ოსებმა ბევრი რამ ტანჯვა განიცადეს მენშევიკების პოლიტიკისაგან (ხაზგასმა ს.საჯ.).

აი, ამიტომ, მოძმე აფხაზეთის რესპუბლიკის სახელით მე კვლავ მივესალმები იმ უაღრესი მნიშვნელობის პოლიტიკურ და ისტორიულ აქტს და მივუძღვნი განსაკუთრებულ თანაგრძნობას და მადლობას ამხანაგ ტაკოევს, რომელმაც, უეჭველია, დიდი შრომა, ძალღონე და ენერგია დახარჯა ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანების საქმისათვის. მეორეს მხრით, არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ ალბად საქართველოს რესპუბლიკა აწარმოებდა სწორ და საღ პოლიტიკას, რომ ასე მალე და ასე ძლიერად დაიპყრო ოსეთის მშრომელთა ნდობა.

მე ერთხელ კიდევ მივესალმები ამ უდიდეს პოლიტიკურ და ისტორიულ აქტს ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის საქართველოსთან ძმური კავშირით შეერთებისას. კვლავ აღვნიშნავ, რომ ეს მაჩვენებელი იქნება ჩვენი ერთობისა მსოფლიო მასშტაბით. ისე ვარ სულიერად აღელვებული, რომ არ ძალმიძს გამოვთქვა ყველა ის, რასაც ვგრძნობ, როგორც მონაწილე აქ ჩვენ წინ მომხდარი დიდი აქტისა _ ოსეთის საქართველოსთან შეერთებისა.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ჯატიევს, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

ჯატიევი. ამხანაგებო! ჩვენ ყველამ აქ ვნახეთ, როგორ უბრალოდ, ნათლად და ადვილად წყდება საბჭოთა პროლეტარულ რესპუბლიკაში უაღრესი მნიშვნელობის საკითხები, რომლებზედაც ბურჟუაზიის მთავრობანი ათასწლეულობით თავს იმტვრევდნენ. მეგონა, რომ ამ საკითხის გამო ჩრდილოეთ-ოსეთის მცხოვრებთა შორის აღიძროდა ზოგი რამ წინააღმდეგობა, რადგან მათ შორის მოუხვდებათ სვლა აქ საქართველოში და რადგანაც მათ მეხსიერებაში მენშევიკების პოლიტიკას ჯერ კიდევ სიახლის იერი არ დაუკარგავს. სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ საქართველოს მთავრობა აწარმოებდა ისეთ რეალურ და ფხიზელ პოლიტიკას, რომ მან დიდის სიადვილით დაიპყრო უაღრესი ნდობა ოსთა შორის.

მე მსურს გაგიზიაროთ ზოგი რამ ჩემი შთაბეჭდილება: როდესაც ამხ. ტაკოევი სოფ. ხუმალოში (ეს სოფელი დიდი სოფელია, 600 კომლი იქნება) მოხსენებას აკეთებდა, ერთ-ერთი მოხუცთაგანი გამოვიდა და სთქვა "ეგ ყველა კარგი, ჩვენ დიდი მადლობელნი ვართ თქვენი; თქვენ თვალსაჩინოდ გააუმჯობესეთ ჩვენი მდგომარეობა, გადასახადებიც შეგვიმცირეთ, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ერთი საკითხი, რომლის შესახებაც თქვენ არაფერს ამბობთ და ჩვენ კი მისი გამოკვლევა დაგავალეთ. ეს საკითხია ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანების საკითხი". ამხ. ტაკოევმა განუმარტა, რომ ეს საკითხი არავითარ წინააღმდეგობას არ იწვევს. ამხ. ტაკოევის პასუხს გლეხები აღტაცებით შეხვდნენ და აი ამან ნათლად დაგვანახა, რომ მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლებისა, რასაც, რაღა თქმა უნდა, თვალი არ უნდა ავუქციოთ, საქართველოს მთავრობას თავისი საღი პოლიტიკით უაღრესი ნდობა მოუპოვებია.

მე მგონია, ასეთი უაღრესი მნიშვნელობის საკითხები მრავალჯერ უნდა იქნეს გამორკვეული მასსების წინაშე. ამას წინათ ეს საკითხი ჩვენ დავაყენეთ სამხრეთ-ოსეთში და იქაც ჩვენს წინადადებას ასეთივე ერთსულოვნებით შეხვდნენ და არავითარი ეჭვი არ აღუძრავს.

ამ საკითხის სარგებლობასა და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მე არ ვილაპარაკებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სწორედ ეს გარემოებაა, უაღრესი ყურადღების ღირსი, როგორც მაჩვენებელი ჩვენი მტკინვეული ნაციონალური საკითხის სწორი და საღი გადაწყვეტისა. დეე, ჩვენმა მტრებმა დაინახონ, რა უბრალოდ და ადვილად სწყვეტს ამ ძნელ საკითხს საბჭოთა რესპუბლიკაში კომუნისტური პარტია. მე მგონია, რომ ის ერთსულოვნება, რომლითაც შეხვდნენ აფხაზეთის და აჭარის წარმომადგენელნი ამხ. ტაკოევის მოხსენებას, იმის მჭევრმეტყველური საბუთია, რომ ჩრდილოეთ და სახრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანების აქტი არის საღი და მშვენიერი საქმე. მე მგონია, რომ თუ ამიერკავკასიის ფედერაცია, კერძოდ კი აფხაზეთი, აჭარა და ოსეთი, ამავე გზით განაგრძობენ თავისი პოლიტიკის წარმოებას, ეს იქნება ხსნა ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკისათვის.

თავმჯდომარე. ამხანაგებო, სურს კიდევ ვისმე სიტყვა? სიტყვა ეძლევა ამხ. გოგიბერიძეს.

გოგიბერიძე. ამხანაგებო, სწორედ მაშინ, როცა ამ ორი პატარა ნაწილის გაერთიანების საკითხი დაისვა, მე იქ ვიყავი. მე ამას შევხვდი აღტაცებით იმიტომ, რომ, როგორც ამხანაგმა ტაკოევმა თქვა ჩვენ გვყავს მტრები, რომელნიც ამბობენ: საქართველომ დაჰკარგა თავისი ტერიტორიაო. ეს გაერთიანება კი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო კი არ კარგავს ტერიტორიას, არამედ აფართოებს მას. **აი, ამ ჩვენს მტრებს ხელიდან გამოეცლებათ სააგიტაციო მასალა ჩვენს წინააღმდეგ, ისინი ველარ გაბედავენ სთქვან _ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მიწა-წყალი გააჩუქაო** (ხაზგასმა ს.საჯ.).

გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკებს.

თავმჯდომარე. არის კიდევ ვინმე მსურველი? არავინ არის. მაშასადამე, კენჭს ვუყრი წინადადებას. ვინ არის მომხრე წარმოდგენილი წინადადებისა, გთხოვთ ასწიოთ ხელი? ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მიღებულია ერთხმად.

* * *

ჩრდილო და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე მოწვევის მეორე სესიამ, მოისმინა რა ტაკოევისა და ჯატიევის ინფორმაციული მოხსენებანი ჩრდილო და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქების ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად გაერთიანებისა და ამ გაერთიანებულ რესპუბლიკის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ფარგლებში შესვლის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი, _ დაადგინა:

1. სრულიად საქართველოს ცაკის მესამე მოწვევის მეორე სესია მხურვალედ მიესალმება ოსეთის ორი განცალკევებული ნაწილის გაერთიანებას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში შევა ეს ახალი სახელმწიფოებრივი ერთეული, და ხედავს ამ აქტში ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრას იმ ხალხთა მიმართ, რომელნიც იჩაგრებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის არსებობის დროს.

2. **რაც შეეხება გაერთიანებულ ოსეთის საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში შესვლას, სესია უერთდება იმ რეზოლუციებს, რომლებიც ამ საკითხის შესახებ მიღებულ იქნა ჩრდილო კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტისა და ჩრდილო და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქების ცაკების მიერ** (**მასალა მოგვაწოდა პროფესორმა ჯემალ გამახარიამ**)

<u>**შენიშვნები**</u>

1. **ამ საკითხში აქსიომატური დებულება გახლავთ ის, რომ არავითარი ჩრდილოეთ და მით უფრო ქართულ მიწაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთი არ არსებობს.**

ეს ტერმინები რუსიზმის გონებაში შეიქმნა საოკუპაციო მოხმარებისთვის საქართველოში.

ოსები არიან ერთ დროს მომთაბარე ირანული მოდგმის ხალხი, რომლებიც საუკუნეების მიღმა დაბინადრდნენ იმ ადგილების ჩრდილოეთით, რომელიც დღეს ე.წ. ჩრდილოეთ ოსეთადაა ცნობილი.

საქართველოში ისინი ყოველთვის იმპერიათა, მათ შორის რუსეთის მეგზურები იყვნენ და წარმოადგენდნენ საოკუპაციო კონტინგენტს. ამის მიუხედავად, ქართველებმა ეს ხალხი გაისახლიკაცა და მათთან შექმნა საერთო ოჯახები და ა.შ.

1. თუ როგორი ავტონომია ექნებათ ოსებს, ტექნიკური, ტომობრივი, ან კიდევ რაღაც სხვა, ეს მათ არკვიონ საკუთარ მიწაზე. იგი არ არის ჩვენი საქმე და ჩვენი თავსატეხი, მით უფრო, ჩვენი მამულის ხარჯზე.

2. საკითხის ასე დაყენება გახლავთ ვირეშმაკობა. ის თავიდანვე გამიზნული იყო პროპაგანდისთვის და არავითარ ოსთა გაერთიანებას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში არ ისახავდა მიზნად. ყველზე უკეთეს შემთხვევაში ივარაუდებოდა რაღაც რეგლამენტში ე.წ. ჩრდილო ოსთა შემოერთება ქართულ მიწაზე შექმნილ ეთნოფაბრიკაციულ სადივერსიო რეზერვაციასთან (ე.წ. სამხრეთ ოსეთის აო) და შემდეგ "გაერთიანებული ოსეთის" ანუ ცხინვალის მხარის ამ "გაერთიანებაში" მოქცევით კვლავ რუსეთთან მის მიერთებას.

3. სწორედ ასეთ პროპაგანდისტულ ხრიკებს ემსახურებოდა ე.წ. ჩრდილო და სამხრეთ ოსეთების გაერთიანების საკითხი. შეხედეთ, საქართველოს მიწებს კი არ აჭრიან, პირიქით, უერთებენო. ამ დროს საქართველოდან განუკითხავად გადადიოდა მეზობელ ქვეყანაში ქართული მიწები: რსფსრ –სოჭის მხარე, კავკასიონის ქედს იქითა ხეობები და ა,შ.; აზერბაიჯანი –დავით გარეჯის გასწვრივი სივრცე, მტკვრის ჩაყოლება, ჰერეთი (საინგილო) და ა.შ.; არმენეთი – ლორე და მისი მიმდებარე სივრცე და ა.შ. რაც შეეხება თურქეთის მიერ მიტაცებულ მიწებს, ეს სხვა თემაა.

4. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რუსეთის იმპერიალიზმი ოსებს, კაზაკების მსგავსად, იყენებდა საქართველოში საოკუპაციო კონტინგენტად და ქართველთა წინააღმდეგ სადამსჯელო ძალად.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ოსები ეწეოდნენ ქართველი ერის საწინააღმდეგო ძირგამომთხრელ საქმიანობას, აწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებებს, არბევდნენ ქართულ სოფლებს და ა. შ.

ის, რომ მომდევნო წლებში ოსთა თვითგამორკვევა ამ ხალხის გარკვეულმა ნაწილმა გულწრფელად მოიაზრა საქართველოს პოლიტიკური ჭერის ქვეშ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამომდინარეობდა ჯერ კიდევ მბჟუტავი ზოგადკავკასიური მეხსიერებიდან სრულიად კავკასიის სახლიკაცური ერთიანობის შესახებ.

მაგრამ ამ ზოგადკავკასიური მეხსიერების შესახებ არანაკლებ იცოდნენ კრემლის ბინადრებმა, ამიტომაც და არა მხოლოდ ამიტომ, სცადეს მათ თავიანთი ვერაგული ზრახვების მიბმა ამისათვის.

რა თქმა უნდა, ეროვნული ხელისუფლების პირობებში ამ ავანტიურისტული ილეთის გამოყენება შეიძლებოდა კრემლის საწინააღმდეგოდ და კავკასიაში ქართოცენტრისტული მოძრაობის გაღვივებისთვის ძალისხმევათა მესაჭეობით სრულიად კავკასიის ეროვნულ-სახალხო მოძრაობით თანმიმდევრული წარმართვის დაწყება.

1. ფილიპე მახარაძის "დებულება" იმის შესახებ, რომ ოღონდ ოსები გაერთიანდნენ და მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ რესპუბლიკაში, წარმოადგენს დახვეწილი ნაძირლის ხმაბოდვას.

საქმე ის გახლავთ, რომ ამით ფილიპე მახარაძე უთავისტკივილოდ ასხვისებდა ძირძველ ქართულ მხარეებს (ქართლის, იმერეთისა და რაჭის ნაწილს). მართალია, ცხინვალის მხარეში პროვოკაციული სამხრეთ ოსეთის აო-ს შექმნა უკვე ნიშნავდა ამ მიწების გასხვაქვეყნებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ის მაინც საქართველოს შემადგენლობაში რჩებოდა.

2. ამ სესიაზე საინტერესო იყო ვინმე გეგელიას (აფხაზეთის ე.წ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცაკ-ის თავმჯდომარის მოადგილის, თავმჯდომარე იყო ნ.ლაკობა) განცხადება, რომ წინააღმდეგ ფილიპე მახარაძის დებულებისა, სწორედ საქართველოს შემადგენლობაში ჰქონდა მნიშვნელობა ოსთა გაერთიანებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ გეგელია სეპარატიზმის ბუნებას იცნობდა და მას ქართული მიწის გასხვისება ასე ხელაღებით არ ემეტებოდა. ამავე დროს, გეგელია იმ დროს მიღებულ კონიუნქტურასაც ანგარიშს უწევს, რადგან არავითარი ტანჯვა ოსებს მენშევიკებისგან არ განუცდიათ. თუ ვინმემ ამ მხარეში მართლა განიცადა ტანჯვა, ეს იყო შიდა ქართლის, ზემო იმერეთისა და რაჭის მოსახლეობა, რომლებიც მუდმივად განიცდიდნენ ოსთა თარეშისაგან გაოსებას, ეთნიკურ წმენდას. თვით ჯატიევი და ტაკოევი, რომლებიც წინამდებარე სესიაზე "ქართველთა სიყვარულისთვის ხიშტზე ეხეოდნენ", პირადად ხელმძღვანელობდნენ ქართველთა სოფლების აოხრებას. საინტერესოა, რომ ზნაურ იადაროვმა, რომლის სახელს დღემდე ატარებს ქართული სოფელი ოქონა (შემდგომში დაბა და ზნაურის რ-ნის ცენტრი), გახლდათ ის ყაჩაღი, რომელმაც გომურში შეყარა მშვიდობიანი და უმწეო ქართველი ქალები, მოხუცები, ბავშვები, შემდეგ შეურაცხყოფა და დამცირება არ აკმარა და ცოცხლად ამოწვა.

<u>ცნობისათვის:</u> ზნაურ იადაროვი დაიბადა ე.წ. ჩრდილო-ოსეთში, გაუნათლებელი (2 კლასი) და ყაჩაღობისკენ მიდრეკილი ჩამოვიდა თბილისში და ქართველი ერის

წინააღმდეგ დაიწყო ძირგამომთხრელი საქმიანობა (შექმნა თბილისელი ოსების რევოლუციური კომიტეტი, სხვადასხვა მაზრაში ჩამოაყალიბა ოსთა ანტიქართული და ბოლშევიკური ორგანიზაციები, მონაწილეობას ღებულობდა ქართველთა ეთნიკურ წმენდაში, გენოციდში, შეურაცხყოფასა და წამებაში).

ფილიპე მახარაძემ ქართველი ერის წინაშე თავის დაუთვლელ დანაშაულობებს ამ სესიაზე კიდევ ორი ბოროტმოქმედება დაუმატა: 1. ოსთა საოკუპაციო თარეში საქართველოში და მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ მიჩქმალა და 2. დანაშაულებრივი გულგრილობით განაცხადა, "სულერთია, თუ რომელ რესპუბლიკას მიუერთდებაო ე.წ. სამხრეთ ოსეთი".

8. ქართული მიწა თუ ვინმემ გააჩუქა _ ეს გააკეთეს ბოლშევიკებმა.

≈*≈

2. Грузино-абхазский конфликт: 1917-1992

<u>Константин Казенин</u>

* * *

გთავაზობთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოზე (აფხაზეთზე) კრემლის შეხედულებებითა და მითითებებით შეთითხნილი წიგნის ნაწილს, რომელშიც ავტორები თავიდან ბოლომდე აყალბებენ საქმის ვითარებას. იშველიებენ რა პრესასა თუ სხვა სახის დოკუმენტებს, ისინი მრუდე სარკეში (თუმცა მოხერხებულად და გაუთვითცნობიერებელი მკითხველისთვის დამაჯერებლად) წარმოაჩენენ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) შექმნილ მდგომარეობას მეოცე საუკუნეში. წიგნის ავტორები, ბუნებრივია, არაფერს ამბობენ იმაზე, თუ როგორი ხელოვნური და თანმიმდევრული ხერხებით, უპირატესად კი, დივერსიული ეთნოფაბრიკაციებით მიმდინარეობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველთა დენაციონალიზაცია და აფხაზეთის გასხვაქვეყნება.

აქ, წინამდებარე კ.კაზენინის წიგნის სახით წარმოდგენილი კრემლიდანური ნაყალბევის მისხალ-მისხალ განხილვა ამ შემთხვევაში ჩემი საქმე არ გახლავთ. ამ მხრივ მეცნიერულ, ზნეობრივ და საგანმანათლებლო მიღწევად მიმაჩნია პროფესორ ჯ.გამახარიას შრომები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს შესახებ: "აფხაზეთის ისტორია," "აფხაზეთი და მართლმადიდებლობა," ნაშრომების ციკლი ქართველ მღვდელმთავრებზე და ა.შ.

მე ამჯერად თქვენი ყურადღება რუსისტული სიყალბის ტექნოლოგიებს და მათ უსირცხვილო გამოყენებას მსურს მივაქციო

.

* * *

ВВЕДЕНИЕ

ГРУЗИНО-АБХАЗСКАЯ ВОЙНА 1992–1993 годов имела огромные последствия для постсоветского пространства. Эта война блокировала важнейшие транспортные артерии, существенно затруднив сообщение между Россией и Закавказьем. Эта война сделала абхазский вопрос главным в политической повестке дня Грузии и стала важнейшим препятствием для развития российско-грузинских отношений. Эта война привела в Закавказье представителей многих международных структур и заставила в последние годы говорить о возможности югославского сценария у южных границ России. И, наконец, из-за этой войны сотни тысяч жителей Абхазии (на последнем этапе это были по большей части грузины) покинули родные дома и уже более десяти лет испытывают все тяготы судьбы беженцев.

«Беженец», «сепаратист», «агрессор» – эти стандартные, известные по десяткам военных конфликтов понятия навязывают нам черно-белое изображение действительности, которое должно подсказать читателю ответы на привычные в подобных случаях вопросы – кто виноват и, соответственно, что делать. Другое дело, что для всякого черно-белого изображения легко найти его «негатив». Является ли абхазское государство сепаратистским? Была ли Грузия в 1992–1993 гг. агрессором? Ответить «да»

одновременно на оба эти вопроса невозможно, однако немало заинтересованных наблюдателей утвердительно отвечает на первый вопрос, и немало отвечает утвердительно на второй. Можно предположить, что в обозримом будущем к теме войны 1992–1993 гг. обратятся серьезные абхазские и грузинские историки, но оценки происходившего в их академических работах, скорее всего, будут диаметрально противоположны.

Однако для тех, кто озабочен путями решения грузино-абхазского конфликта (а очевидно, что к этому так или иначе есть и будут причастны многие государства и организации), недостаточно знать о том, что происходило в годы войны. Хотя большинству жителей СССР Абхазия виделась идиллическим курортным краем, серьезные конфликты вокруг нее вызревали давно, во всяком случае начались они задолго до революции 1917 года и не прекращались в течение всего советского времени, даже тогда не раз выходя на поверхность. Истоки этих конфликтов многим видятся в событиях предыдущих веков, в особенности – второй половины XIX столетия, когда в ходе русско-кавказской войны значительная часть абхазов покинула родную землю, а на территории Абхазии появилось большое количество переселенцев из различных районов Грузии. Как бы то ни было, в советское время, особенно в период перестройки, грузино-абхазские противоречия не раз выходили на поверхность. Война 1992–1993 годов стала результатом долгой и непростой истории межнациональных взаимоотношений.[53]

Абхазцы заключили союз с горцами и казаками; затем позвали самурзканских мегрелов и заявили им: если хотите жить с нами дружно, тогда вы должны вступить в этот союз. Подобный путь полностью отрицает, аннулирует как демократические, так и международные принципы… Когда абхазцы за спиной мегрелов связываются с горцами и казаками, мегрелы уже знают, что абхазцы этот союз заключают против них.[54] Иное объяснение неинтернационального и недемократического поведения абхазцев совершенно невозможно.

К этому следует добавить национальное самолюбие. Грузины постоянно клянутся дружбой, а в избирательный список социал-демократы не включили ни одного абхазца;

---

[53] საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ხელისუფლების მიერ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებამ (1991წ. 9 აპრილი) კრემლიდანური სიმრავლე რევანშისტულად განაწყო. აგრესიულმა გლობალიზმმა(ტექნოკრატიულმა დასავლეთმა) რუსიზმის ამგვარი გაავება მოხერხებულად გამოიყენა, უფრო მეტიც, წააქეზა იგი და ადგილობრივ გამცემლურ ძალებზე დაყრდნობით, შექმნა რა, ქვეყნის შიდა შეიარაღებული დაპირისპირების (სამოქალაქო ომის) ხედი, რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელი ომის წარმოებას შეუდგა, რაც გამოიხატა საქართველოში მიზანმიმართულად პროვოცირებულ მოვლენებში მონაწილეობასა და მის ხელშეწყობაში.

ეროვნულ-სახალხო ხელისუფლების დამხობის (1992წ. იანვარი) შემდეგ საქართველო ნამესტნიკურ უფლებებში გაუპიროვნდა კოლაბორაციულ ძალებს, რომელთაც გაანადგურეს ქართული ცნობიერება, გააუკუღმართეს ერის სახალხო წესრიგი, ხელყვეს სულიერება, გააპარტახეს სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მიწასთან გასწორეს კულტურა და განათლება, განაგრძეს ქვეყნის დემოგრაფიული შინაარსის ძალადობრივი შეცვლა, ხოლო ერის სააზროვნო წესის ხელშეწყობის მაგივრად ხელი მიჰყვეს სარჯულუცხო უკუღმართობათა შემოჩეჩებას.

საქართველო ოკუპირებულია როგორც კრემლის, ასევე ტექნოკრატიული დასავლეთისა და უკლებლივ ყველა მეზობელი სახელმწიფოს მიერ.

დიახ, თვალებში ნაცარშეყრილი მსოფლიოს თვალწინ საქართველო ჩათრეულ იქნა რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელ ომში, რომელიც გარეგნულად სამოქალაქო და ეთნიკური დაპირისპირების იერს, ანუ ქვეყნის შიდა ომის ელფერს ატარებს.

ყოველივე ამის საბედისწერო შედეგი ის გახლავთ, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი), სადაც კრემლის დამჩექმებლობა და მის მიერ გამოინკუბატორებული სეპარატისტული ხროვა დათარეშობს, ე.წ. ოპერეტული სახელმწიფოს აბრის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი განუკითხაობს კვლავ.

[54] ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში(აფხაზეთში) ხელოვნური და საეჭვო მიზნით, უფრო მეტიც, ქართველთა ნების საწინააღმდეგოდ, არაქართული ქვეყნის(სახელმწიფო წარმონაქმნის) შექმნა, რა თქმა უნდა, და როგორც დრომაც დაადასტურა, მიმართული იყო ამ მხარის ძირძველი მოსახლეობის _ ქართველების (მეგრელების) წინააღმდეგ. მხარის ასეთმა გასხვაშინაარსებამ გამოიწვია მდ.ენგურის მარჯვენა სანაპიროს მეგრელთა საძახისის _ აფხაზის მიკუთვნება იმ ხალხისათვის, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან ხელოვნურად გაძევებულ ნამდვილ აფხაზებს(იგივე ქართველებს) ჩაანაცვლეს. წლებზე გაწელილი ასეთი დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით დღეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, ანუ აფხაზეთი არაქართულ ქვეყნად წარუჩინეს მსოფლიოს. ამით მისი ფაქტობრივი ოკუპაცია იმავდროულად გადაშინაარსდა ცნობიერ ოკუპაციაშიც.

разве Абхазия недостойна, чтобы иметь одного своего представителя в Учредительном собрании?..

Абхазцы не занимаются ни хозяйством, ни хлебопашеством, ни торговлей, ни промыслом, ни ремеслом. Абхазский крестьянин имеет земли на тридцать, сорок, шестьдесят и более трудодней. Абхазец – изящный, стройный, красивый. Он любит коня, кутеж, природу, а труд, работу – нет…

Настоящий земледелец в Абхазии – мегрел. В пору революции мегрел или не дает абхазцу урожай, или дает меньше.

Абхаз не смог создать культуру, не создал письменность, и сегодня он пытается создать письменность изуродованной русской азбукой. Абхазы сегодня не смогут создать собственную азбуку. У них нет культурной силы для этого…

Если руководствоваться судьбой самих абхазцев, разве не все равно, кто их проглотит, если это поглощение обязательно?»

(Газета «Алиони» (Тбилиси), 16–23 ноября 1917 г.)

1918

9 февраля – Абхазский народный совет и Национальный совет Грузии заключили Соглашение, в основных чертах определяющее их взаимоотношения как союз двух государственных образований.

Некоторые пункты Соглашения

1) Воссоздать единую нераздельную Абхазию в пределах от реки Ингур до реки Мзымта, в состав которой войдут собственно Абхазия и Самурзакань или, что то же, нынешний Сухумский округ.[55]

2) Форма будущего политического устройства единой Абхазии должна быть выработана (в соответствии) по принципам национального самоопределения на Учредительном собрании Абхазии, созванном на демократических началах.

3) В случае, если Абхазия и Грузия пожелают вступить с другими национальными государствами в политические договорные отношения, то взаимно обязываются иметь предварительные между собой переговоры».

Некоторые грузинские историки утверждают, что с этого момента Абхазия становится частью Грузии, которая предоставила ей широкую автономию. Имеет место подтасовка фактов. Во-первых, в Соглашении не рассматривается вопрос об автономии. Во-вторых, на момент подписания Соглашения Грузия как самостоятельное государство не существовала. Эта новоиспеченная безымянная структура впоследствии (через два месяца) совместно с Арменией и Азербайджаном составила Закавказскую Демократическую Федеративную Республику. В-третьих, до и после подписания Соглашения Абхазия продолжала оставаться в составе Союза горцев Кавказа **de jure** и **de facto**, сохранив свой суверенитет и независимость. В-четвертых, второй пункт Соглашения гласит, что „форма

---

[55]თვით ეს ტერმინი „ვოსოზდატ" გულისხმობდა არა ბუნებრივი შინაარსის აღორძინებას, არამედ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მდ.ღალიძგის მარჯვენა მხარის საბოლოო გასხვაქვეყნებას, (სადაც ქართველთა დენაციონალიზაციისა თუ დემოგრაფიული შინაარსის ძალადობრივი შეცვლის სიცხადე მეტი გახლდათ) და მასთან ჯერ კიდევ პირწმინდად მეგრულად დარჩენილი ნაწილის (მდ. ღალიძგის მარცხენა სანაპიროს) მიერთებას ცენტრ-ნაცმენური პრინციპით (ე.წ. მეგრელთა უმცირესობა სინამდვილეში სამჯერ აღემატებოდა ეთნოდივერსიულ "რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხს" – აფხაზეცობას).

მიუხედავად მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნის დროს აფხაზეთის ქართველობის ერთი ნაწილის მიერ შემოთავაზებული აზრისა, რომ ამ რესპუბლიკას დარქმეოდა "სოხუმის ოკრუგის" ანალოგიით "სოხუმის რესპუბლიკა," კრემლიდანურმა ძალებმა მას მიზნობრივად დაარქვეს აფხაზეთის სსრ (აფხაზეთის ასსრ), რითაც ქართველთა სამხარეო საძახისი ეთნონიმად დაუდგინდა ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხს.

будущего политического устройства единой Абхазии“ должна быть определена на Учредительном собрании Абхазии как внутреннее дело народа страны.[56]

Из этого следует, что к моменту объявления Грузией независимости в мае 1918 г. Абхазия не входила в ее состав».

(Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин. Абхазия: правовые основы государственности и суверенитета. Москва: Ин-Октаво, 2005.)

Май – в Абхазии высадился десант войск Закавказской Демократической Федеративной Республики (ЗДФР), объединявшей на тот момент Грузию, Армению и Азербайджан и управлявшейся меньшевистским правительством (в основном это были грузинские войска). В том же месяце ЗДФР распалась. Новообразованная Грузинская Демократическая Республика полностью установила контроль над Абхазией к сентябрю 1918 г. и сохраняла его до конца своего существования в феврале 1921 г. Наличие в Абхазии войск, введенных с санкции ЗДФР, облегчило новообразованной Грузинской Демократической Республике решение задачи по установлению контроля над Сухумским округом, или Абхазией, к сентябрю 1918 г., и даже попытаться аннексировать Сочинский[57] округ, где вообще не было грузинского населения и откуда грузинские войска без особого труда были выбиты в январе 1919 г. полком Добровольческой армии А. И. Деникина.

«Свободная и молодая Грузия,не успев получить еще признания своей самостоятельности, проповедуя о правах малых народов на самоопределение, прилагает все силы к тому, чтобы инкорпорировать – включить в свои границы – целую страну, поглотить целый, совсем не родственный Грузии народ, абхазский, под флагом выставляемых высоких девизов справедливости самоопределения, в Грузии во всю ширь развертывается измена, насилие и грабеж».

(Н. Воробьев. О неосновательности притязаний грузин на Сухумский округ (Абхазию). Ростов-на-Дону, 1919.)

«В Сочинском округе продолжалось спешное расхищение грузинами русского казенного и частного имущества, всевозможные притеснения, аресты и высылки

---

[56] ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, იგივე აფხაზეთის მომავალს, რა თქმა უნდა, აფხაზეთის მოსახლეობის ნება უნდა დადებოდა საფუძვლად. ეს ასე არ მოხდა. ამ მხარეში ე.წ. სახელმწიფო წარმონაქმნის ხელოვნური და საეჭვო მიზნით შექმნა, ის კი არა და, სულაც ქართველი ერის დაუკითხავად და მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბება ქართველთა (აფხაზთა) სადენალიზაციო ინდუსტრიად, როგორც დრომ დაადასტურა, გამიზნული იყო ამ მხარის გასასხვაქვეყნებლად აქედან გამომდინარე შედეგებით (ხალხთა დენაციონალიზაცია, გენოციდი, ეთნიკური წმენდა, კულტურული იგივეობის (იდენტურობის) მოშლა და ა.შ.).

ბუნებრივია, დღეს აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) მოთარეშე საოკუპაციო კონტიგენტი არ შეიძლება იყოს აფხაზეთის ბედის განმაპირობებელი. ე.წ. ინტერფრონტული ეთნონედლეული თუ დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით შექმნილი “რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი” არასოდეს ყოფილა გაშინაარსებული ამ მხარის დედან სინამდვილედ.

დღეს აფხაზეთის ნებას არ შეიძლება განაპირობებდეს მიზნობრივად დეფაქტირებული ეთნოკრატიული ხროვა. იგი, პირველ რიგში უნდა გაარკვიოს ამ მხარეში საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლმა ქართველმა (აფხაზმა) და ასევე მსხვერპლმა აფსუა სახლიკაცობამ. ყველა სხვა დანარჩენი, მათ შორის სეპარატისტული ეთნოკრატია (ე.წ. აფხაზობა) და “ქართული“ პარტოკრატია ემსახურებოდა მხოლოდ კრემლის ინტერესებს. ასევე, იმდენად რამდენადაც, აფხაზეთი საქართველოს გაერთსხეულებული სულიერი მადლმოსილება და დუღაბი გახლავთ, აფხაზეთის შინაარსის გაპიროვნება მოეთხოვება სრულიად საქართველოს ნებას.

[57] სოჭი (სონჩხ-სიმაღლეები) და მისი მიმდებარე ტერიტორიები დიახაც გახლავთ ქართული მიწა, ამიტომ დამოუკიდებელი საქართველოს საზრუნავი. მიუხედავად აქ ჩატარებული მრავალსაუკუნოვანი ეთნიური წმენდისა ანუ დემოგრაფიული სურათის ძალადობრივი შეცვლისა, იგი საქართველოს სისხლხორცეული ნაწილია, ისევე, როგორც რუსეთის მიერ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ჩაყოლებაზე მიტაცებული არაერთი ქართული ხეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სოჭში, ადლერში, ხოსტაში და ა.შ. მეოცე საუკუნის დასაწყისში იმ რაოდენობით ცხოვრობდნენ მეგრელები, რომ ქ. სოჭის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას მინგრელსკაია ერქვა.

სამწუხაროდ, დემოკრატიული საქართველოს სოციალისტური ხელისუფლების არგუმენტები ა.დენიკინთან ამ მხარისთვის დავის დროს გამოირჩეოდა მხარის ისტორიის არცოდნით, რაც მათ უსუსურობას განაპირობებდა. მაგალითად, მათ არ იცოდნენ თვით რუსი ავტორების ელჩინისა და ზახარიევის (XVIIსაუკ.) მიერ აღწერილი სამეგრელო-აფხაზეთი რომ ქართული ქვეყანაა, რომ რუსი ისტორიკოსი ვ.ტატიშჩევი (XIIIსაუკ.) დაბეჯითებით ამტკიცებდა: “ Паче же мною часть Мингрелии Северная которую турки и Кабардинцы именуют Авхазос, наши древние именовали обезы... Ныне оной большую часть кубанцы наполняют“...

элементов, тяготевших к России, и вместе с тем оказывалось покровительство большевикам и проводилось вооружение их. Шли повальные грабежи и разбои. Десятипроцентный сбор натурой со всех продуктов сельского хозяйства и товаров вызвал прекращение подвоза и торговли и усилил еще больше голод. Население Сочинского округа целым рядом депутаций и письменных постановлений обращалось в Екатеринодар с просьбой об избавлении от грузин».[58] ***(А. И. Деникин. Очерки русской Смуты. М.: Айрис-пресс, 2003. Т. 5.)***

Из преамбулы «Предварительных материалов расследования уголовных дел по фактам массовых убийств, геноцида и других тяжких преступлений, совершенных властями Грузии и ее вооруженными формированиями в период оккупации Абхазии в 1992–1993 гг.», подготовленных прокуратурой Абхазии

В период правления грузинских меньшевиков в Абхазии (1918–1921 гг. – К. К.) по существу установился режим военной диктатуры. Были разогнаны органы представительной власти, многие депутаты-абхазы были помещены в тбилисские тюрьмы. В архиве Гарвардского университета (США) сохранилась стенограмма беседы между британским полковником ***Стоксом*** *и представителями Грузии* ***Алишбая и Марганадзе****, свидетельствующая о методах правительства Грузии в отношении Абхазии (см.: История Абхазии, г. Сухум, 1991 год). Есть также многочисленные свидетельства зверств в отношении мирного населения Абхазии в период ее оккупации грузинскими войсками под командованием* ***генерала Мазниева****, назначенного 18 июля генерал-губернатором Абхазии. Летом и осенью 1918 года генерал Мазниев и полковник* ***Тухарели*** *осуществили ряд карательных акций, названных свидетелями «жестокими и бесчеловечными». Как сообщал в своем донесении в Тифлисе 25 июля 1918 года министр по делам Абхазии полковник* ***Р. Чхотуа****, «…в настоящее время Сухумская тюрьма переполнена мирными абхазами Кодорского участка… 31 августа в селе Джгерда вновь были сожжены 7 домов».*

21 января 1920 г. официальные представители армянской общины Гагрского уезда обратились к властям с жалобой на непрекращающиеся грабежи, насилие, убийства со стороны грузинских военных. В результате такой политики тысячи армянских и греческих крестьян вынуждены были покинуть Абхазию.

Выступая в Сухуме в 1925 году на III выездной сессии Грузинского Центрального исполнительного комитета, его председатель ***Шалва Элиава*** *признал, что «за все время существования Правительства грузинских меньшевиков мы имели систематическое попрание всяких прав абхазского народа и стремление Правительства „демократической“ Грузии превратить Абхазию в объект эксплуатации, управлять непосредственно, распоряжаться всеми фондами республики, землей, лесом, ценным имением для своей переселенческой политики. Причем все эти мероприятия осуществлялись при помощи военной экспедиции и установления военного гарнизона по всей территории Абхазии».*

1919–1920

---

[58]გენერალ ა.დენიკინის დიდმპყრობლური სულისკვეთების ასახსნელად ყური მივუგდოთ რუს წმინდანებს: ლავრენტი ჩერნიგოველი: "В Иверийском Божестве бес не сядится. Иберия от мученичества спасется! "

სერაფიმე საროველი _ " Многие народы исчезнут с лица земли, но Иберия сохранится до второго пришествия Христа и от Иберии спасение миру!"

ლავრენტი მურაველი: _ "Придут худшие времена и если Россия к тому времени останется, то будет ползти в Иберию на колене, чтобы просить прощения за все грехи, которые Россия делает против него!"

Решением правительства Грузинской Демократической Республики грузинский язык объявлен единственным языком делопроизводства на территории Абхазии. В Конституции Грузии Абхазия именуется «Сухумской областью». С санкции грузинского правительства идет массовое переселение в Абхазию грузинских крестьян. В это же время, впервые за много столетий, на территории Абхазии создана епархия Грузинской православной церкви.[59]

1921

Февраль – падение грузинского меньшевистского правительства, установление советской власти в Абхазии.

26 марта – провозглашение Советской Социалистической Республики Абхазии.

21 мая – Революционный комитет ССР Грузии принял Декларацию о независимости Социалистической Советской Республики Абхазии.

Из Декларации:

«Революционный Комитет Социалистической Советской Республики Грузии признает и приветствует образование независимой Социалистической Советской Республики Абхазии…»

16 декабря – ССР Грузия и ССР Абхазия подписали союзный договор. Передав ведение иностранных дел Грузии, Абхазия через нее вошла в состав Закавказской Советской Федеративной Социалистической Республики (ЗСФСР).

Союзный договор между Социалистической Советской Республикой Грузией и Социалистической Советской Республикой Абхазией от 16 декабря 1921 г.

Правительство Социалистической Советской Республики Грузии, с одной стороны, и Правительство Социалистической Советской Республики Абхазии – с другой, исходя из глубокой общности национальных уз, связывающих трудящиеся массы Грузии и Абхазии… решили заключить настоящий договор.

Социалистическая Советская Республика Грузия и Социалистическая Советская Республика Абхазия вступают между собой в военный, политический и финансово-экономический союз.

1. Иностранные дела остаются целиком в ведении Социалистической Советской Республики Грузии.

2. Железные дороги переходят непосредственно в ведение управления Закавказских железных дорог. Внешняя торговля в ведение объединенного Внешторга Республики Грузии, Азербайджана и Армении.

3. Во все краевые объединения, в частности в Федерацию Закавказских республик, Абхазия входит через Грузию, которая предоставляет ей одну третью часть своих мест.

---

[59] ცხუმ-აფხაზეთის საგანმანათლებლო სკოლა გახლავთ განმაპირობებელი ბედიანური მადლმოსილებისა, რომლის საფუძველზეც ათონელ მამათა სწავლება "ახალსა ერსა ამას საღვთოსა" ჭყონდიდურ-აღმაშენებლურ სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბდა.

აფხაზეთი ოდითგან გახლდათ ქართული სულიერების დასაბამი. ყველა ძეგლი, რომელიც განფენილია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, პირწმინდად ქართულია, ყველა ეკლესია-მონასტერი, სადაც უფალი იდიდებოდა, ქართული ასომთავრულითაა მოღაღადე.

სოხუმელი ბერძენი საზოგადო მოღვაწე ი.ფაშალიდი დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს აღორძინების გარიჟრაჟზე რუს შავრაზმელობასთან და სეპარატისტულ ხროვასთან დაპირისპირებისას ოთხივ კუთხით აცხადებდა: "... Грузинский язык государственный – это аксиома... ВВедение государственного языка должно быть обязательно... В чем тут умаление прав Абхазского Совета, если будущее поколение будет знать грузинский язык. ან კიდევ: "...Грузинская церковь старше Русской, что она была основана тогда, когда русские молились Перуну... "

ამაზე უკეთ ვერ იტყვი, რაც შეეხება სეპარატისტების შარსა და მიზეზობებს, ამასთან დაკავშირებით ამ დიდმა ხალხთმოყვარემ უმცდარად თქვა: " ...Я думаю, что авторы запроса хотят просто показать, что ничего грузинского они не признают (Д.Гамахария, Б.Гогия, " Абхазия историческая область Грузии", Тб.1995г. 775,779,780)

1922[60]

Декабрь – делегация Абхазской ССР ставит подпись под договором о создании Союза Советских Социалистических Республик.

Абхазия получает статус так называемой договорной союзной республики, передавшей часть своих полномочий ССР Грузии.

«Однако существование независимой от Грузии ССР Абхазии не соответствовало интересам грузинской политической элиты, и в этом вопросе она нашла мощную поддержку со стороны тогдашнего наркома национальностей И. Сталина. Сохранились письма И. Сталина, свидетельствующие о том, что им осуществлялся курс, направленный на удушение государственности Абхазии и включение ее в состав Грузии. Так, Сталиным даются указания „вести партийную работу в направлении объединения Абхазии и Грузии в форме автономной республики, входящей в состав ССР Грузии“. Одновременно Сталин распоряжается прекратить выделение кредитов ССР Абхазии, минуя Наркомфин Грузии…

В декабре 1921 г. ССР Абхазия и ССР Грузия подписали Союзный договор, положивший начало государственно-правовым отношениям между Абхазией и Грузией. Согласно этому договору Социалистическая Советская Республика Грузия и Социалистическая Советская Республика Абхазия вступали между собой в военный, политический и финансово-экономический союз. При этом для осуществления указанных целей стороны объявляли объединенными ряд направлений, которые тем самым становились областями совместного ведения. Таким образом, государственно-правовые отношения между Абхазией и Грузией возникли на договорной основе, и на момент подписания упомянутого Союзного договора Абхазия и Грузия были не связанными друг с другом в правовом отношении равноправными государствами. Уже после этого ССР Абхазия участвовала в создании Союза ССР, и ее представители в декабре 1922 г. подписали договор об образовании СССР».

(Из доклада личного представителя президента Абхазии Анри Джергения на семинаре «Государственно-правовые аспекты урегулирования грузино-абхазского конфликта», февраль 2001 г.)

Из Конституции Абхазской ССР 1925 года[61]

«Статья 5. ССР Абхазия есть суверенное государство, осуществляющее государственную власть на своей территории самостоятельно и независимо от другой какой-либо власти. Суверенитет ССР Абхазии, ввиду ее добровольного вхождения в Закавказскую Социалистическую Федеративную Советскую Республику (ЗСФСР), ограничен только в пределах и по предметам, указанным в конституциях этих Союзов».

Из Конституции ССР Грузии 1927 года

«Социалистическая Советская Республика Абхазия в силу особого договора входит в Социалистическую Советскую Республику Грузию и через нее в ЗСФСР».

Из выступления председателя Совнаркома Абхазской ССР Нестора Лакоба на IV съезде Компартии Грузии 2 декабря 1925 г.

«У некоторых ответственных работников бродила мысль о непосредственном вхождении Абхазии в Закфедерацию и т. д. От этой мысли мы отказались раз и навсегда… В Абхазии постановка вопроса о том, что она действительно независима и куда-то хочет

---

[60] იხ.”აფხაზეთის ისტორია”, ჯ.გამახარიას რედაქტორობით

[61] ამ ე.წ. კონსტიტუციას, რომელიც აგრესორ-სეპარატისტთა მიერ აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) მოსახლეობის ზურგს უკან იქნა მიღებული, დროსა და სივრცეში ერთ დღესაც არ უმუშავია.

уйти от Грузии, приведет к тому, что Абхазия, как карточный домик, распадается. Товарищи, наши ошибки по вопросу проведения национальной политики внутри самой Абхазии не сознательные. Они обнаружены в течение нашей практической работы…»

1930

Апрель – III сессия ЦИК приняла решение о преобразовании «договорной» Абхазской ССР в автономную республику в составе Грузинской ССР.

1931

11 февраля – Шестые съезды Советов Грузинской ССР и Абхазской ССР приняли решение о

преобразовании «договорной» Абхазской ССР в составе Грузинской ССР в **Абхазскую Автономную Советскую Социалистическую Республику** в составе Грузинской ССР.

18–26 февраля[62]– многодневный митинг (общенациональный сход абхазского народа) в селе Дурипш выражает протест против решений VI Съезда Советов АССР и недоверие руководству Абхазии.

1935

По инициативе Берии в Абхазии были введены автомобильные номера той же серии, что и в Грузии.

1936

Столица Абхазии Сухум[63] переименована в Сухуми. Вскоре после этого и другие географические названия в Абхазии были видоизменены на грузинский лад, а также был разработан новый абхазский алфавит на основе грузинской графики.

1939

По результатам Всесоюзной переписи, доля абхазов в Абхазской АССР составила 18 % (еще по переписи 1926 года она составляла 27,8 %).

1945

13 марта – Абхазский обком (а вслед за ним – 13 июня – ЦК Компартии Грузии) принимает постановление «О мероприятиях по улучшению качества учебно-воспитательной работы в школах Абхазской АССР».

Из воспоминаний о «школьной реформе»

Шла Великая Отечественная война, решался вопрос о жизни и смерти Советского государства, а ставленники **Берии** из Тбилиси были озабочены другим: они уничтожали культуру целого народа. Так, в 1942 году была закрыта ведущая средняя школа Абхазии – Сухумская абхазская средняя школа им. Н. А. Лакоба.[64]

---

[62] ეს შეკრება მრავალი მიზეზის გამო არ შეიძლება ყოფილიყო აფსუათა საყოველთაო სახალხო თავყრილობა. ჯერ ერთი, დემოკრატიული საქართველოს პირობებში წინააღმდეგობები არ ატარებდა ქართველ (აფხაზ)-აფსუათა (სეპარატისტული ნაწილის) ურთიერთდაპირისპირების ხასიათს. მენშევიკური მხარის რიგებში ამ დროს იყვნენ ადგილობრივი ქართველებიც, აფსუებიც, რუსებიც, არმენებიც, ბერძნებიც და ა.შ. ასევე იყო სეპარატისტებისა და ბოლშევიკ გამყიდველთა მხარესაც აფსუა, ქართველი, რუსი და ა.შ. სულგაყიდული ერთმანეთს ეჯიბრებოდა 30 ვერცხლის აღებაში. მეორეც, ამ თავყრილობაში მონაწილეობა არ მიუღია აფხაზეთის ძირძველი ხალხის ანუ მხარის მოსახლეობის ნახევარზე მეტ ნაწილს, ასევე აფსუათა ნახევარს, ბერძნებს და ა.შ. ამდენად ეს ე.წ. თავყრილობა არ ასახავდა აფხაზეთის მოსახლეობის სულისკვეთებას, იგი პროვოცირებული იყო თვით ბოლშევიკთა რიგებში მოკალათებული დემაგოგიური ნომენკლატურისა და რუსისტული დერჟავნიკების მიერ. ისინი ვერ ურიგდებოდნენ ეთნოკრატიული ხროვისათვის ნომენკლატურულ უფლებათა რამდენადმე შეკვეცას.

[63]პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებმა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) თავიანთი ბატონობის დროს თითქმის მთლიანად შეცვალეს ან თავიანთი ენების ყაიდაზე გადააკეთეს ამ მხარის ტოპონიმიკა. საბჭოთა საქართველოს პირობებში, სამწუხაროდ, უვიცობისა თუ სხვა ოდიოზური მიზეზების გამო არ მოხდა მიზნობრივად შერყვნილი ტოპონიმიკის (რუსიზებული და თურქიზებული სახელწოდებების) შეცვლა ისტორიული ტოპონიმიკით, რომელიც ამ მხარეში ორი საუკუნის წინ პირწმინდად ქართული გახლდათ.

[64] ეს არის თავიდან ბოლომდე თეთრი ძაფით ნაკერი ცილისწამება, კერძოდ, XVII საუკუნიდან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) თანმიმდევრულად ხდებოდა დემოგრაფიული ვითარების ძალადობრივი შეცვლა (გენოციდი, ეთნიკური წმენდა). ასეთ თარეშებს გამოქცეული აფხაზობა, ანუ ამ მხარის ქართველობა თავს აფარებდა და რიგ შემთხვევაში

Архивные документы тех лет свидетельствуют о том, что некоторыми работниками Наркомпроса и руководителями Абхазской республики, по наущению приспешников политики **Сталина** и Берии, было признано, что система преподавания, существовавшая в абхазских школах, «задерживала дальнейший рост культуры абхазского народа»; они без оснований утверждали, что абхазский язык как язык обучения в начальных классах якобы препятствовал получению детьми полноценных знаний. Отсюда делался вывод о необходимости перевода обучения в абхазских школах с родного на грузинский язык. Абхазский обком КП Грузии 13 марта 1945 года, а затем ЦК КП Грузии 12 июня 1945 года принял постановление «О мерах по улучшению качества учебно-воспитательной работы в школах Абхазской АССР». Согласно постановлению ЦК КП Грузии от 12 июня 1945 года, в 1945/46 учебном году в начальных классах абхазских школ, т. е. с I по IV классы, обучение было переведено на грузинский язык, а с 1946/47 учебного года грузинский язык становится языком обучения абхазских средних школ. Абхазский язык был сохранен в учебных планах лишь как один из предметов изучения.

Известный абхазский ученый, историк **З.В. Анчабадзе** в своей монографии «Очерк этнической истории абхазского народа» справедливо заметил: «В послевоенные годы, особенно в конце 40-х – начале 50-х годов, Берия и его подручные проводили в Абхазии великодержавно-шовинистическую политику. Шовинисты упразднили абхазские школы и ввели в них преподавание по всем предметам на грузинском языке. В результате многие абхазские дети, не владевшие грузинским языком, оказались вне школы. Преподаватели абхазской начальной школы и абхазского языка и литературы средней школы остались без работы по специальности.

Закрытие абхазских школ (к моменту „реорганизации“ их насчитывалось 81) привело к тому, что абхазцы лишились возможности получать образование на родном языке в начальной школе, в перспективе полное среднее (и в обозримом будущем – высшее).

მკვიდრდებოდა შედარებით უსაფრთხო სამხრეთ რაიონებში (მაგ. გალი, ოჩამჩირის ნაწილი) ან კიდევ სულაც ენგურის მარცხენა სანაპიროზე _ ოდიშში გადმოდიოდა. გამოთავისუფლებულ სოფლებსა და დაბებში მიზანდასახულად სახლდებოდა არაქართველი მოსახლეობა, ძირითადად ყობანისპირეთიდან გადმოხვეწილი მარბიელები. XIX საუკუნიდან ყოველივე ამან რუსეთის იმპერიის სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათი მიიღო. დაიწყო ამ მხარეში რუსი, გერმანელი, არმენი, ესტონელი და ა.შ. კოლონისტების კონვეირული ჩასახლება. ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელთა ნაწილი იმ დროს ძალით იყო გამაჰმადიანებული, გადაწყვიტა მიბრუნებოდა მართლმადიდებლობას, მაგრამ რუსეთმა ისინი სასწრაფოდ გააძევა. სამწუხაროდ რუსეთის მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მკვიდრი მოსახლეობის გაძევება და აქ ე. წ. ინტერფრონტული ეთნონედლეულის დამკვიდრება სახელმწიფო პოლიტიკად გაიხადა. ამასთან ერთად ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებული უკრაინისა და რუსეთის დასავლეთ ოლქების მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი საქართველოში, მათ შორის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში ქება და დიდება მათ, ვინც ცდილობდა ათასწლოვანი ქართული ნასოფლარების ქართველებით აღორძინებას. საუბედუროდ, ეს იყო თითო-ოროლა შემთხვევა, ზღვაში წვეთი, რუსული და არმენული დემოგრაფიული აგრესიის წინააღმდეგ სუსტი საპირწონე მცდელობა. ახლა, რაც შეეხება ე.წ. აფხაზური კულტურის განადგურებას. ჯერ ერთი აფხაზეთის ასსრ-ის ანუ სხვა, არაქართული ქვეყნის (სახელმწიფო წარმონაქმნის) ხელოვნური შექმნა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველი ერის ზურგს უკან და მისი ნების გარეშე, მართლაც უდაოდ იყო აფხაზური, ანუ იგივე ქართული (და არა აფხაზეცური _ ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის) კულტურის განადგურება. ბუნებრივია, რაკიღა შეიქმნა ე.წ. სახელმწიფო წარმონაქმნი, მას უნდა მისადაგებოდა საკუთარი დემოგრაფიული დადასტურება _ ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხი, ამასთან ერთად საჭირო იყო მისთვის სახალხო განათლებისა და შესაბამისი კულტურის მირგება. სახალხო მსახიობმა ოთარ კობერიძემ, რომელიც ომისშემდგომ პერიოდში სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მუშაობდა, პირად საუბარში მითხრა, რომ საქართველოს კპ(ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის, ა.მგელაძის მითითებით ქართული დასის სახელგანთქმული მსახიობები იძულებული ხდებოდნენ დაკავებული ყოფილიყვნენ ე.წ. აფხაზური დასის სპექტაკლებში. ამ დასის რეპეტიციებს პირადად ა.მგელაძე ესწრებოდა. სახელმწიფო პოლიტიკა იყო ისეთი, რომ ხელოვნურად და მიზნობრივად შექმნილი რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხს თავისი კულტურა უნდა ჰქონოდა და ეს იქმნებოდა ამ მხარეში ქართული სულიერებისა თუ ყოფითი ყოველდღიურობის ნაკვალევთა განადგურების ხარჯზე. ყბადაღებული და საფუძველს მოკლებული საუბარი იმაზე, რომ ე.წ. აფხაზეცური დამწერლობა გადავიდა ქართულ გრაფიკაზე, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ქართული ასო-ბგერა ყველაზე ზედმიწევნით გამოხატავს კავკასიელთა მეტყველებას, მაშ, რატომ უნდა მოეხვიათ მათთვის თავს კავკასიისთვის (მათ შორის აფსუასთვისაც) უცხო ლათინური ან რუსული დამწერლობა?! აქ მთავარი ისაა, რომ ამ დადგენილებებით რამდენადმე აილაგმა სეპარატისტული ეთნოკრატიის ძალმომრეობა ქართველთა წინააღმდეგ და ამ აგრესიული “უმცირესობის” მადა შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სახაზინო დაშვებულობასთან. აი, მთელი ქართული აგრესია ეთნოკრატიის მიმართ.

Более того, сократилось число школ в районах с преобладанием абхазского населения, что было в значительной мере обусловлено нехваткой учительских кадров, владеющих грузинским языком, а абхазские учителя, за редким исключением, не владели грузинским языком, и по этой причине вынуждены были оставить педагогическую работу.

В результате „реорганизации“ абхазских школ более 220 учителей были освобождены от работы. Взамен привлекались кадры, в основном из Грузии, зачастую без специального образования и, конечно, без знания родного языка учащихся – абхазцев. Обучение абхазскому языку и литературе в „реорганизованных“ школах было поставлено неудовлетворительно. Главная причина тому – резкое уменьшение количества учебных часов на абхазский язык.

До „реорганизации“ на изучение родного языка в абхазских школах выделялось на 18 часов больше.

Обследование состояния учебной работы в „реорганизованных“ школах показало значительное ухудшение знаний учащихся, так как дети 1-4-х классов вынуждались нередко заучивать наизусть учебный материал на малознакомом им грузинском языке. Что же касается перевода обучения с русского на грузинский язык в 5–8 классах, то это отрицательно сказалось и на воспитательной работе школ, поскольку идейное содержание учебного материала по таким предметам, как история, литература, география, конституция, часто не могло быть осмысленно учащимися (из-за невладения грузинским языком).

Успеваемость учащихся в „реорганизованной“ начальной школе заметно снизилась и составляла в 1945/46 учебном году 66,1 %, т. е. ниже, чем когда бы то ни было, а успеваемость в 5–8 классах упала до 48,9 %.

После „реорганизации“ ухудшилось положение с подготовкой и переподготовкой учителей абхазского языка и литературы. В 1945 году Сухумское абхазское педучилище было слито с грузинским, при котором был только один класс для подготовки преподавателей абхазского языка и литературы, причем и на этом курсе обучение велось на грузинском языке, а абхазский язык изучался как предмет. Приказом Наркома просвещения Абхазии от 25 июля 1945 г. были открыты грузинские педучилища в. Гагре, Гудауте и в Очамчире, из них только в Гудаутском педучилище был введен абхазский язык как отдельный предмет изучения, и это тогда, когда большинство школ Абхазии нуждалось в учителях абхазского языка и литературы.

Таким образом, предпринятая в первые послевоенные годы реорганизация абхазской школы под видом ее укрепления и улучшения учебно-воспитательной работы на деле привела к противоположным результатам – снизила качество образования и воспитания детей коренной национальности, подорвала устои развития культуры абхазского народа, обрекла его на утрату национальной самобытности.

Изменить положение и восстановить права абхазского народа иметь школу на родном языке помогло разоблачение предательства Берии и его агентуры в Грузии. В 1953 году ЦК КПСС предпринял ряд решительных мер по восстановлению ленинских норм партийной жизни, принципов большевистского руководства. Июльский пленум ЦК КПСС 1953 года рассмотрел вопрос об антипартийных и антигосударственных действиях Берии и полностью одобрил принятые Президиумом ЦК КПСС меры по их пресечению».

(В. Б. Кураскуа, Абхазская Национальная Школа (1921–1958), Сухум, 2003 г.)

Из преамбулы «Предварительных материалов расследования уголовных дел по фактам массовых убийств, геноцида и других тяжких преступлений, совершенных властями

Грузии и ее вооруженными формированиями в период оккупации Абхазии в 1992–1993 гг.», подготовленных прокуратурой Абхазии.[65]

«Вся последующая политика грузинского руководства была направлена на создание мононационального государства.

Из Грузии были выселены турки-месхетинцы, греки, курды, хемшины, лазы и другие.

Что же касается Абхазии, то здесь проводилась политика изменения демографической ситуации. Это происходило двумя способами – насильственной ассимиляцией и массовым переселением лиц грузинской национальности в Абхазию.

Теоретическим обоснованием этих действий служили псевдонаучные труды грузинских ученых, утверждающих, что абхазской нации как таковой не существует, и что абхазы являются одним из картвельских племен.

В целях ассимиляции абхазов в 1937–1953 гг. руководством Грузии были предприняты меры, которые можно квалифицировать только как преступные.

Так, абхазы были лишены права обучать своих детей на родном языке. В этих целях были закрыты все абхазские школы, где дети учились до пятого класса на родном языке, а затем на русском, до окончания средней школы. В Сухуме была закрыта абхазская средняя школа, которая функционировала еще с периода царизма, в которой обучались дети абхазских крестьян, также было закрыто абхазское Педагогическое училище.

Более того, бъши закрыты русские школы во всех деревнях Абхазии, вопреки желаниям учащихся и их родителей, детям абхазцев разрешалось учиться только в грузинских школах, прием их в русские школы был категорически запрещен. Были закрыты армянские средние школы в Сухуме и в других населенных пунктах, несмотря на то, что значительную часть городского и сельского населения составляли армяне.

Были закрыты русские секторы в Сухумском педагогическом институте им. А. Горького, а также в индустриальном и сельскохозяйственном техникумах.

Был закрыт русский сектор в Сухумском государственном драматическом театре.

Абхазская письменность (вначале составленная на основе русской графики, а затем латинской), вопреки желанию абхазского населения, была в принудительном порядке переведена на основу грузинской графики. В результате с 1938 г. подавляющее большинство абхазцев были лишены возможности читать на родном языке газеты, журналы, художественную и другую литературу.

Абхазский научно-исследовательский институт языка, литературы и истории Академии наук Грузинской ССР был переключен, в основном, на изучение далекого прошлого – истории, а изучение языка и литературы было по существу заброшено (отделение языка и литературы влачило жалкое существование).

В столице Абхазии – г. Сухум и райцентрах Гудаута и Очамчыра радиовещание на абхазском языке было прекращено.

Вывески на абхазском языке в учреждениях были сняты. Во всей республике нельзя было найти ни одного лозунга на абхазском языке. Вывески писались на одном грузинском языке или на грузинском (большими буквами) и русском (маленькими буквами).

Почти во всех районах и в г. Сухум делопроизводство велось на грузинском языке, несмотря на то, что более 65 % населения не понимало грузинского языка.

---

[65] ეს მასალა გახლავთ სიცრუე. იხ. "აფხაზეთის ისტორია" ჯ. გამახარიას რედაქტორობით.

Из репертуара ансамбля песни и пляски Абхазии были почти полностью исключены абхазские песни и пляски (преобладали грузинские, а точнее – мегрельские).

Абхазы находились в загоне, им не доверяли, их преследовали, третировали, затирали всяческими способами. Абхазцев даже принуждали менять фамилии на грузинские. В период с 1949 г. по 1953 г. в Абхазии русским и армянам не предоставляли работы, не прописывали их в г. Сухум. Одновременно с этим из Абхазии выселялись или были вынуждены уехать лица других национальностей.

Так, в 1949–1953 годах из-за невыносимых условий жизни Абхазию были вынуждены покинуть свыше 1500 армянских семей.

В 1949 г. из Абхазии были выселены греки.

На опустевшие земли в массовом порядке завозились лица грузинской национальности.

Все это производилось на государственном уровне».

Из выступления первого секретаря ЦК Компартии Грузии Эдуарда Шеварднадзе на XI Пленуме ЦК Компартии Грузии 27 июня 1978 года

«Прямо надо сказать, что в прошлом, в известном нам периоде, в отношении абхазского народа проводилась политика, которую практически следует назвать как шовинистическую, давайте будем называть вещи своими именами, которая в корне противоречила как интересам грузинского народа, так и интересам абхазского народа».

1956

10 июня – **Президиум ЦК КПСС принимает постановление «Об ошибках и недостатках в работе Центрального Комитета Коммунистической партии Грузии», в котором признается, что в Грузии «умышленно проводилась линия на ликвидацию национальной культуры местного абхазского, армянского и осетинского населения». Восстановление абхазских школ, абхазского алфавита на основе русской графики.**

«О НЕПРАВИЛЬНЫХ ВЗГЛЯДАХ И КЛЕВЕТНИЧЕСКИХ ИЗМЫШЛЕНИЯХ…»

1957

Первые обращения абхазской интеллигенции в центральные органы власти для решения вопроса о переходе Абхазской АССР под юрисдикцию РСФСР (последствий не имели).

1967

Второе обращение абхазской общественности в ЦК КПСС и другие инстанции с предложениями о выходе Абхазии из состава Грузинской ССР.

1978

В связи с принятием новой Конституции СССР снова поднимается вопрос о переходе Абхазии в состав РСФСР, о закреплении за ней права «свободного выхода из состава Грузинской ССР».

«Письмо 130» и его последствия

«Еще в конце 1977 г. в союзные органы было направлено коллективное письмо 130 представителей интеллигенции и видных общественных деятелей Абхазии. Ставился главный вопрос – выход Абхазии из состава Грузии и конституционное закрепление этого права. Была описана обострившаяся ситуация в Абхазии, были высказаны претензии к руководству Грузии. Под видом экономического развития Абхазской АССР проводилась

миграция неабхазского, преимущественно грузинского населения в республику, реальная хозяйственная и административная самостоятельность автономии была принижена.

Письма были перехвачены в ЦК Грузии и направлены в обком партии Абхазии. По требованию руководства ЦК Грузии вопрос этот 22 февраля 1978 г. был вынесен на рассмотрение бюро обкома под названием: „О неправильных взглядах и клеветнических измышлениях, содержащихся в коллективном письме от 10 декабря 1977 г.“

Реакция Абхазского обкома была однозначна: авторов письма наказать, коммунистов, писавших письмо, исключить из партии. Были исключены из партии и сняты с работы „подписанты“ Абхазского письма „ста тридцати“ **Алексей Джения, Юрий Аргун, Иосиф Ахиба**. Необходимость таких мер обосновывалась очень просто – взгляды, высказанные в письме, идут в ущерб дружбе абхазского и грузинского народов, всех народов, населяющих автономную республику.

Решение Абхазобкома вызвало массовые протесты, стихийные сходы и собрания. Обком партии увидел в этих событиях только одно: ослабление идеологической работы и выдвижение национальных требований полностью приравнял к разжиганию национальной вражды…

Сохранился протокол собрания жителей села Бзыбь и близлежащих н. п. зоны г. Гагра и Гудаутского района от 29 марта 1978 г. В собрании приняли участие более тысячи человек. Присутствовали член бюро Абхазобкома партии, секретарь обкома **Маршания Л. В.,** первый секретарь Гагрского горкома партии **Кванталиани Т. Ш.,** второй секретарь Гагрского горкома партии **Воронов Н. В.** и т. д. На повестке дня: „Обсуждение письма в ЦК КПСС за подписью 130 человек“. Было задано много вопросов: почему и сейчас продолжается искажение топонимических названий в Абхазии? Сколько людей из восточных районов Грузии переселится сейчас? Почему в г. Гагра в течение 40 лет нет первого секретаря абхазской национальности? Где телевидение? Сколько членов бюро Абхазобкома владеют абхазским языком? Ни на одну из записок, поступивших на имя Маршания Л. В., не был дан ответ, а на устные вопросы отвечал уклончиво.

Собрание жителей с. Бзыбь и близлежащих населенных пунктов зоны г. Гагра и Гудаутского района от 29 марта 1978 г. постановило:

1. Одобрить письмо, написанное в адрес ЦК КПСС за подписью 130 человек от 10 декабря 1977 г.

2. Просить ЦК КПСС создать комиссию для всестороннего изучения письма.

3. Просить областной комитет партии восстановить на работу Джения, Аргун, Ахиба.

На народных сходах и забастовках в городах Сухум, Ткварчал, Гагра, в селах Лыхны, Поквеш, Бзыбь абхазский народ требовал включения в проект абхазской Конституции особой статьи о праве на свободный выход из состава Грузии».

(Б. М. Аргун. Событие 1978 г. в Абхазии. – Абхазоведение. История, археология, тнология. Выпуск 2. Сухум, 2003.)

«Противодействие центральной власти со стороны абхазского народа по вопросу ущемления государственности наиболее ярко проявилось в 1978 г. после принятия в СССР „брежневской“ Конституции, на основе которой были разработаны конституции союзных и автономных республик. Конституция Абхазии была принята самой последней. Этот акт в стране проходил на внеочередной сессии Верховного Совета в здании Абхазского обкома Коммунистической партии Грузии, окруженном войсками. Обсуждение Конституции сопровождалось возмущением народа на сходах во всех городах Абхазии, забастовками. Абхазский народ требовал включения в текст Основного закона пункта о праве свободного выхода Абхазской АССР из состава Грузинской ССР, т. е.

осуществления основного требования, за которое страна боролась с 1918 г., с момента аннексии Абхазии Грузией и нарушения ею международных правовых норм цивилизованного мира. Естественно, с волей народа никто не посчитался, и Конституция была принята с сохранением прежнего текста. Абхазский народ был лишен статуса государствообразующего, и по решению того же партаппарата Абхазия (вместе с ее суверенной территорией) была превращена в придаток Грузии. И все это вопреки декларируемому лозунгу большевиков о том, что право на самоопределение, вплоть до отделения от угнетающей нации, имеют все угнетенные нации».

(Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин. Абхазия: правовые основы государственности и суверенитета…)

ВЕСНА НАРОДОВ

1988

17 июня – в президиум предстоящей XIX Всесоюзной конференции КПСС направлено «абхазское письмо». Его авторы – представители абхазской творческой и научной интеллигенции поднимают вопрос об изменении государственного статуса Абхазии, о превращении ее из автономной в составе Грузии в союзную республику. Число подписавшихся – 60 человек, в подавляющем большинстве члены КПСС.

«К 1988 г. абхазское национальное движение сформулировало требование обретения Абхазией утраченного ею статуса самостоятельной республики. Воспоминания о некогда совершенном акте исторической несправедливости (попрание суверенных прав Абхазии, ликвидация статуса независимой Советской республики и низведение в 30-х годах до уровня автономии) всегда оставались трагическим символом нашего общественного самосознания, который затем актуализировался в известных национально-политических устремлениях абхазского народа».

(И. Р. Мархолиа (Марыхуба), в конце 1980-х гг. – сотрудник Абхазского государственного музея.)

Ноябрь – декабрь – образован Народный Форум Абхазии «Аидгылара» («Единство»). В руководство Форума вошли представители абхазской интеллигенции, а также ряд высокопоставленных советских работников.

1989

7 февраля – в гудаутской районной газете «Бзыбь» публикуется «Абхазское письмо», где вновь выдвигается идея восстановления Абхазии как союзной республики.

18 марта – созванный Народным форумом Абхазии «Айдгылара» (при согласии и участии местных партийных и советских властей) многотысячный санкционированный митинг («всеобщий сход») абхазского народа в селе Лыхны Гудаутского района обращается к **М. С. Горбачеву** с требованием придать Абхазии статус союзной республики и временно ввести режим «особого управления» ею из Центра (по примеру Нагорного Карабаха). Митинг проходит на исторической поляне Лыхнашта, где в прошлые века регулярно проводились общеабхазские сходы. Под принятой на митинге декларацией поставили подписи 32 тыс. человек.

Из «Лыхненской декларации» 18 марта 1989 г.

В марте 1921 г. была провозглашена независимая Советская Социалистическая Республика Абхазия, о чем было сообщено В. И. Ленину. Однако под нажимом Сталина и в результате принятых им практических мер, статус ССР Абхазии последовательно сводился от высших форм национально-государственного устройства к низшим (ССР

Абхазия – 1921 г., договорная ССР Абхазия – 1922 г., Абхазская АССР – 1931 г.) в то время, как изменение форм государственного развития других народов страны шло по восходящей линии. При этом все последующие годы происходило постоянное и целенаправленное размывание конституционных прав автономной республики. В настоящее время в ряде политических, экономических, правовых, культурных и других аспектов взаимоотношений с Грузинской ССР Абхазская АССР по своим правам находится на уровне городских и районных административно-территориальных единиц. Весь многолетний опыт вхождения Абхазии на правах автономной республики в Грузинскую ССР показал невозможность их равноправного сосуществования без восстановления изначальных ленинских принципов советской федерации, союза республик, обладающих реальным суверенитетом во всех сферах государственной жизни.

Учитывая вышеизложенные факты, а также требования участников собрания, высказанные при обсуждении данного обращения, собрание постановляет:

…Просить ЦК КПСС, Верховный Совет СССР, Совет Министров СССР восстановить статус Советской Социалистической Республики Абхазии, какой она была провозглашена в 1921 г. при жизни В. И. Ленина. Пересмотреть многоступенчатую систему неоднородных государственных образований, подрывающую ленинские принципы равноправия народов СССР.

20 марта – 9 апреля – по всей Грузии проходят массовые митинги протеста грузинского населения против решений Лыхненского схода. Из городов и поселков Абхазии (в Сухуми, Гали, Гагре, Леселидзе) эти митинги распространяются на другие регионы Грузии и приобретают особую массовость и остроту в первых числах апреля на многодневном непрерывном митинге в Тбилиси. Они проходят как несанкционированные и принимают резолюции и декларации с требованием выхода Грузии из состава СССР. 9 апреля многодневный митинг в Тбилиси был разогнан советскими войсками, что привело к жертвам среди его участников.

Из выступления одного из ораторов на митинге в Сухуми 15 марта

«Друзья, когда сегодня дали Ласурия[5] премию Руставели, я считаю лишним. Зачем это нужно нашему народу… Кто на нынешней территории Абхазии хозяин и кто гость? Если так поставить вопрос, тогда хозяин является грузин, я его хочу назвать абхазом, продолжателем того истинного абхазского народа, который живет на этой территории с I века н. э., так как до этого времени никаких сведений о проживании на этой территории абхазов или абхазских племен нет».

(Цит. по: «Предварительные материалы расследования уголовных дел по фактам массовых убийств, геноцида и других тяжких преступлений, совершенных властями Грузии и ее вооруженными формированиями в период оккупации Абхазии в 1992–1993 гг».)

Из резолюции грузинского митинга в Сухуми 25 марта[66]

«Грузинскому правительству прекратить проведение политики умалчивания и глухоты в отношении проводимой в Абхазии антигрузинской кампании и дать немедленный адекватный ответ сепаратистскому обращению, принятому 18 марта в с. Лыхны, в котором игнорируется желание большинства коренного населения».

---

[66] აშკარა სიცრუეა ის, თითქოს ამ მიტინგზე გამოტანილი ყოფილიყო რაიმე სახის დიდმპყრობლური ან სახლიკაც აფსუათა მაკნინებელი ლოზუნგი. ეს ტექსტი მოკლებულია სიზუსტეს.

«На митинге также звучали требования провести в Грузии референдум о целесообразности сохранения автономий. Из лозунгов митинга: „За независимую Грузию!“, „Грузия только для грузин!“, „Грузинский язык должен быть единственным государственным языком Грузии!“, „Абхазия – неотъемлемая часть Грузии!“. На митинге прозвучал призыв не голосовать за кандидатов в народные депутаты СССР абхазской национальности».

(Г. Лежава. Политическая ситуация в Грузинской ССР и абхазский вопрос (1987–1992 гг.)

Из выступления Мераба Костава на митинге в Сухуми 2 апреля[67]

«…Мы устроим черный день кучке абхазских сепаратистов! Этим абхазам на самом деле не хватает угла, пусть они на самом деле скажут спасибо, что живут на нашей земле. Пусть они просят грузинское правительство, а не русское правительство, если они что-нибудь хотят. Они живут в Грузии и всякие вопросы должны решать через грузинское правительство. Мы научим абхазов уму-разуму!!! Здесь господствует грузинское, а не русское правительство!!! (Аплодисменты)».

(Цит. по: «Важная ВЕХА в истории Абхазии. X сессия Верховного Совета одиннадцатого созыва и принятие Декларации о суверенитете Абхазии 25 августа 1990 г.». Сборник документов и материалов. Составитель и автор предисловия акад. Б. Е. Сагариа. Сухум, 2002.)

Из выступления Звиада Гамсахурдиа на митинге в Тбилиси 5 апреля[68]

«Абхазская нация никогда не существовала… Они борются с грузинами, с Грузией для того, чтобы обрусеть… Пока существует советская власть, мы не сможем упразднить автономии Абхазии, Аджарии, Южной Осетии…»

(Цит. по: Собчак А. Тбилисский излом. 1989 г. М, 1993. С. 60.)

Из выступления Мераба Костава на митинге в Тбилиси 6 апреля

«Абхазия и другие автономии не имеют права требовать выделения, но власть, как и прежде, всегда готова пойти на изменения в Конституции, чтобы автономиям придать права союзных республик. У России аппетит на Абхазию. Это идет со времен Хрущева. Забастовка и голодовка связаны с абхазским вопросом. Поражение будет равно победе, так как перед правительством неформалы поставили важные вопросы. Не следует разъединять вопросы Абхазии и независимой Грузии».

Из меморандума того же митинга

«Все организации… абхазская, осетинская, армянская, азербайджанская и турко-месхетинская – осуждаются нашим движением, объявляются антигрузинскими преступными группировками, против которых будет вестись непримиримая борьба».

Из информационного письма Генерального прокурора СССР Н. С. Трубина «О результатах расследования тбилисских событий 9 апреля 1989 г.»[69]

---

[67] მ.კოსტავას სააფხაზეთო სვლაგეზი, ისევე, როგორც ვოვა ვეკუასი და საერთოდ, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, ეფუძნებოდა ასეთ ზნეობრივ დებულებას _ “ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფსუათა გულებისაკენ”. რა თქმა უნდა, ის ხმალჩაუგებლად ებრძოდა აფხაზეთში აგრესიულ სეპარატიზმს. ბ.საღარია, რომლის წიგნიდანაცაა ციტირებული წინამდებარე ცილისწამება, იმ დროისათვის ხელგამოღებულად აყალბებდა ქართველ-აფსუათა ურთიერთობის ისტორიას. ამ მხრივ ბ.საღარია (საღარეიშვილი) ერთი კრემლიდანელი ფალსიფიკატორი იყო მაშინ და არის დღესაც.

[68]ის, რომ აფხაზი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქართველთა სამხარეო სახელია, სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ დაივიწყა. რაც შეეხებათ აფსუა ძუძუმტეებს, არა თუ ზვიადი, საერთოდ “კოლხური კოშკი” მთლიანად იმათგანი გახლდათ, ვინც ყოველთვის სახლიკაცობდა მათ როგორც ყოფით ყოველდღიურობაში, ასევე მწერლობაში, მხატვრულ აზროვნებასა თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. “აბხაზსკაია ნაცია” არ გახლავთ აფსუა ერი.

[69]. წინამდებარე ნაწყვეტი გახლავთ დივერსიული-ფაბრიკაციული ცილისწამებების სახეზოგადი ნიმუში.

С… экстремистскими, провокационными призывами выступали на митингах и активисты неформальных партий: «…Пока существует советская власть, мы не сможем упразднить автономии Абхазии, Аджарии, Южной Осетии…» «…Молодые пришли с транспарантами: „Грузины! Мы с вами, воевавшие в Афганистане“. К нам присоединились более двухсот молодых… Сегодня эта молодежь, которая на протяжении двух лет проливала кровь за русскую империю… готова, если будет нужно, пролить кровь за Грузию…» «Мы, афганские ребята, собрались и решили ехать в Абхазию…» «Решим проблему Абхазии… встанет новая проблема азербайджанизации юго-восточного региона Грузии, проблема греков в Южной Грузии…»

…Помимо этих подстрекательских призывов к противоправному изменению существующего в Грузии конституционного строя и насильственному решению абхазского и юго-осетинского вопроса Гамсахурдиа, Костава и другие широко распространяли среди митингующих заявления-обращения, в которых указывалось: «…Пусть абхазцы немедленно выедут с территории Грузии… и пусть упразднят Абхазскую автономную республику. Упразднить Юго-Осетинскую автономную область и упразднить Аджарскую автономную республику..»

Апрель – начало активных выступлений студентов и преподавателей грузинской национальности Абхазского госуниверситета.

Из секретного доклада министра внутренних дел Абхазии 25 апреля 1989 г.[70]

«Имеющаяся в МВД Абхазской АССР оперативная информация свидетельствует, что группа преподавателей и студентов Абхазского госуниверситета фактически с 3 апреля с. г. ведут подстрекательскую деятельность, агитируют студенческую молодежь проводить забастовки, не выходить на занятия, требовать отставки ректора университета **Гварамия А. А.,** проректора **М. А. Лабахуа**, секретаря парткома **А. Д. Пипия**, вносят предложения отделить грузинские факультеты и создать филиал университета, не подчиненного нынешней администрации, с выделением отдельного помещения. Кроме того, постоянно высказываются требования об освобождении от должностей и привлечении к уголовной ответственности некоторых руководителей обкома КПГрузии, министров, подписавших Лыхненское обращение. Преподавательский состав Абхазского госуниверситета и группа студентов оказывают крайне отрицательное влияние на коллектив института Субтропического хозяйства, где постоянно ведут подстрекательскую работу, призывают к забастовке.

Лидеры общества „Чавчавадзе“ **Н. Мгалоблишвили**, **Б. Какубава** постоянно находятся среди студентов, при этом не проявляя внешнюю активность, постоянно подстрекают молодежь».

Министр М. А. Чулков

(Цит. по: «Важная ВЕХА в истории Абхазии. X сессия Верховного Совета одиннадцатого созыва и принятие Декларации о суверенитете Абхазии 25 августа 1990 г.». Сборник документов и материалов. Составитель и автор предисловия акад. Б. Е. Сагариа. Сухум, 2002.)

---

[70] აფხაზეთის ასსრ შს მინისტრი პირდაპირ მოსკოვის ხელდასმული იყო და ის იცავდა რუსიზმის სტრატეგიულ მიზნებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში.

«Из требований студентов-грузин Абхазского госуниверситета:

• Удовлетворить требование большого числа профессорско-преподавательского состава и студентов Абхазского государственного университета в создании филиала Тбилисского государственного университета.

• За антигрузинскую пропаганду и разжигание межнациональной розни строго наказать комитет по радиовещанию и телевидению Абхазии.

• В партийном и административном порядке наказать всех сотрудников университета, подписавших Лыхненскую акцию».

(Цит. по: «Важная ВЕХА в истории Абхазии. X сессия Верховного Совета одиннадцатого созыва и принятие Декларации о суверенитете Абхазии 25 августа 1990 г.». Сборник документов и материалов. Составитель и автор предисловия акад. Б. Е. Сагариа. Сухум, 2002.)

10–13 мая – проходят массовые сходы и митинги грузинского населения в селах Кочара, Цагера и других районах Абхазии; парализован сухумский участок железной дороги. Распространяется «Открытое письмо к грузинам Северо-Западной Грузии», составленное под редакцией Звиада Гамсахурдиа, где ставится под сомнение правомерность существования абхазской автономии.

14 мая – Совет министров Грузинской ССР издал распоряжение о создании филиала Тбилисского государственного университета в Сухуми. Этому предшествовала недельная сидячая забастовка студентов и преподавателей Абхазского госуниверситета грузинской национальности.

23 мая – собрание абхазской общественности в Сухуми выражает протест против решения ЦК Компартии Грузии объявить 26 мая праздником – днем восстановления грузинской государственности (26 мая 1918 года была провозглашена Грузинская Демократическая Республика).

Из резолюции собрания

«Данное решение [о праздновании 26 мая. – Сост.] принято без учета волеизъявления широких слоев многонационального населения Абхазской АССР и является актом оскорбления национальных чувств абхазского народа, глумлением над памятью жертв меньшевизма. И это не может не обострить до крайности и без того напряженную политическую обстановку в республике, что повлечет за собой самые непредсказуемые последствия. Исходя из вышеизложенного, считается необходимым принятие решительных, безотлагательных мер для того, чтобы предотвратить празднование 26 мая на территории Абхазской Автономной Советской Социалистической Республики».

8 июля – Народный форум Абхазии «Айдгылара» огласил обращение к председателю Верховного Совета СССР о немедленном введении в Абхазии особой формы управления с прямым подчинением Центру.

Телеграмма членов комиссии Верховного Совета СССР, командированной в Абхазию, от 8 июля 1989 г.

ТБИЛИСИ

первому секретарю ЦК Компартии Грузии народному депутату СССР тов. ГУМБАРИДЗЕ

ТБИЛИСИ

Председателю Президиума Верховного Совета ГССР народному депутату СССР тов. ЧЕРКЕЗИЯ

ТБИЛИСИ

Председателю Совета Министров ГССР тов. ЧИТАНАВА

Непринятие мер по отмене распоряжения Совмина ГССР от 14 мая 1989 года № 343-Р и объявление о наборе абитуриентов в филиал Тбилисского госуниверситета все больше усиливает дестабилизацию обстановки в республике, не создает объективных условий для нахождения компромиссных решений по воссоединению Абхазского госуниверситета.

Группа народных депутатов СССР настаивает на отмене указанного решения и осуществлении безотлагательных и действенных мер по воссоединению Абхазского госуниверситета и организации качественного набора абитуриентов на 1989–1990 учебный год.

Председатель комиссии Верховного Совета СССР, народный депутат СССР МОНГО

Члены комиссии народные депутаты СССР БАТЫНСКАЯ ПЕРЕЛЫГИНА

15–18 июля – столкновения на межнациональной почве в Сухуми и других районах Абхазии, в результате чего погибли 17 человек (11 грузин, 5 абхазов, 1 грек), ранены 448 человек. В Сухуми 18 июля был введен «особый режим поведения граждан». Причиной стало начало приемных экзаменов в Сухумский филиал Тбилисского госуниверситета, созданный решением руководства Грузинской ССР на месте грузинского отделения Абхазского госуниверситета.

Из письма народных депутатов СССР от Абхазии М. С. Горбачеву по поводу «университетского» конфликта

«Мы просим не только об акте уважения к абхазскому народу, но и о проявлении государственной мудрости и ответственности. Мы знаем, что на востоке Грузии кровопролитие уже произошло. Просим не допустить его в Абхазии. Обращаемся к Вам с депутатским запросом реализовать решение съезда и незамедлительно создать и командировать в Абхазию комиссию Верховного Совета СССР».

Из решения комиссии Верховного совета СССР, изучавшей в Сухуми ситуацию с открытием филиала Тбилисского госуниверситета (8 июля 1989 г.)

«Группа народных депутатов СССР настаивает на отмене указанного решения [об открытии филиала. – Сост.] и осуществлении безотлагательных и действенных мер по восстановлению Абхазского госуниверситета и организации качественного набора абитуриентов на 1989/90 учебный год».

Решение не было опубликовано в грузинских газетах, выходивших в Абхазии. Уже после него филиал Тбилисского госуниверситета вновь объявил о наборе студентов.

«15 июля 1989 г. в Сухуми с вооруженным отрядом сотрудников милиции из Тбилиси прибыл министр внутренних дел Грузии Щ. В. Горгадзе, а в конце того же дня туда приехали Председатель Президиума Верховного Совета Грузинской ССР О. Е. Черкезия и второй секретарь ЦК КП Грузии Павшенцев. Абхазская сторона утверждает, что, как только стало известно о прибытии этих последних в обком партии, лица грузинской национальности стали провоцировать столкновение с абхазами. Произошло побоище, в результате которого с обеих сторон имелись убитые и раненые. В связи с этим напряженность усилилась как в автономной республике, так и в других частях Грузинской ССР» (***Г. Лежава. Политическая ситуация в Грузинской ССР и абхазский вопрос (1987–1992 гг.)***

«Вечером 15 июля в Сухуми несколько сот жителей города собрались у здания средней школы № 1, где разместился вновь созданный филиал Тбилисского университета (17 июля

там должны были начаться вступительные экзамены). Ожидали постановления с окончательным решением вопроса о филиале. В толпе возникла драка между грузинами и абхазцами. По призыву активистов Народного форума Абхазии „Айдгылара“ значительная часть абхазского населения города собралась на пл. Ленина перед зданием Совмина. Одновременно шло грузинское собрание в одном из кинотеатров города. Узнав о столкновениях, собравшиеся двинулись расправляться с нападавшими, как им сообщили, на абхазцев грузинами. Численность была неравной: около 25 тыс. абхазцев, около 500 грузин. Грузины захватили грузовик КАМаз и, двигаясь к пл. Ленина, открыли стрельбу. Абхазцы подбросили на их пути два ящика динамита и взорвали машину. Милиция оцепила площадь автобусами. Народ стоял на площади до утра. В перестрелке, происходившей в течение ночи, были убитые и раненые. 16 июля забастовали сотрудники Сухумского аэропорта, начальник смены **Алексей Когония** не покинул своего кабинета и был убит… По сообщениям из абхазских источников, в Сухуми, Гульрипшском, Очамчирском районах грузины сжигают абхазские дома; в Зугдиди были освобождены из тюрьмы и вооружены уголовники, которые почти дошли до Очамчира, но наткнулись на выставленные местными жителями кордоны; вблизи Ткварчели абхазцы взорвали мост, чтобы закрыть проезд со стороны Грузии; на помощь абхазцам пытаются перейти Главный Кавказский хребет вооруженные черкесы, абазинцы, чечены – к перевалам переброшены войска» (***«Русская Мысль», Париж, 28 июля 1989 года.)***

Из обращения Народного форума Абхазии «Аидгылара» после событий 15–18 июля 1989 г.[71]

«Всем! Всем! Всем!.. При попустительстве и содействии руководства и правоохранительных органов Грузии осуществляется вооружение грузинских национал-экстремистов для проведения массового уничтожения абхазов. В Западной Грузии началось свержение советской власти. В Абхазию просачиваются тысячи боевиков грузинской национальности. На границе Грузии и Абхазии сконцентрировалось вооруженное грузинское ополчение в несколько десятков тысяч человек. Под угрозой жизни абхазов, русских, греков, армян и самих грузин, так как взаимная истребительная бойня не пощадит ни старого, ни малого.

Правительство Грузии дезинформирует Правительство СССР о положении дел в Грузии и Абхазии, препятствует введению комендантского часа, ибо его введение выявит наличие в Абхазии грузинских боевиков, приехавших извне, и лишит Правительство Грузии возможности влиять на развитие событий в антиабхазском направлении. Органы массовой информации Грузии проводят массированную антиабхазскую кампанию. Мы обращаемся ко всем людям доброй воли с призывом использовать все свое влияние, все возможные формы и методы для того, чтобы советское правительство ввело в Абхазии военное положение».

Несмотря на обещание М. С. Горбачева, что уголовное дело, возбужденное по факту кровопролития 15–18 июля, будет расследоваться прокуратурой СССР, дело расследовала прокуратура Грузинской ССР.

Из заявления руководства «Аидгылары» (июль 1989 г.)

«Великая многонациональная страна, в которой межнациональные отношения достигли небывалого обострения, идет к Пленуму ЦК КПСС, специально посвященному

[71] სწორედ ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წყალობით იქნა არიდებული 1989 წლის 15-16-17 ივლისსა და მომდევნო დღეებში ქართველთა ეთნიკური წმენდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან), რომელიც მ.ჩულკოვის, “აიდგილარას” და მისთანათა ძალისხმევით უნდა განეხორციელებინა კრემლს.

этому вопросу. Все обиженные и униженные народы связывают с ним свои надежды на восстановление справедливости. Однако абхазский народ, который не может в отношении себя добиться даже беспристрастного расследования, никакого оптимизма в связи с предстоящим Пленумом ЦК КПСС по вопросам межнациональных отношений не испытывает. Доведенные до состояния отчаяния многочисленными обращениями к главе нашего государства, мы вынуждены, минуя его, довести обо всем изложенном до сведения народных депутатов СССР.

Мы не признаем расследования событий 1516 июля 1989 г. в Абхазии правоохранительными органами Грузии и Абхазии или с участием грузин и абхазцев, считая его грубым фарсом, и призываем к этому свой народ, который сам ежедневно высказывается аналогичным образом в своих многочисленных телеграммах в союзные органы. К сожалению, в союзные органы массовой информации нам доступ закрыт, поэтому мы вынуждены обратиться к народным депутатам СССР через зарубежные средства массовой информации».

(Абхазские письма. С. 476.)

Из обращения лидеров «Аидгылары» к командующему внутренними войсками СССР генерал-полковнику Ю. В. Шаталину

«Понимая, что Вы, располагая недостаточными силами, не в состоянии сегодня гарантировать нашему народу право на жизнь, мы настоятельно предлагаем Вам на Ваше усмотрение следующее:

1. Принять наше предложение о временной мобилизации лиц абхазской национальности на добровольных началах.

2. Формировать из числа добровольцев:

а) подразделения по национальному признаку;

б) командование которыми возложить на ваших подчиненных.

Гогуа Ал ексей – народный депутат СССР, писатель;

Чанба Роман – старший научный сотрудник Абхазского института ЯЛИ; Эбжноу Р. И. – член Союза писателей СССР;

Шамба С. М. – ученый секретарь Абхазского института ЯЛИ;

Джонуа Николай – член Союза журналистов СССР;

Мархолия И. Р. – заместитель председателя НФА».

Открытое письмо грузинской пенсионерки абхазским СМИ[72]

«ТОВАРИЩИ!

Обращаюсь к вам как к рупору абхазских шовинистов с тем, чтобы призвали к порядку зарвавшихся абхазцев. Неужели до их сознания не доходит, что моське со слоном не справиться? И что кровь, которую они пустили грузинам, не более чем укус комара, хоть и крайне болезненный (несущий вирус межнациональной розни)? [72]

---

[72] «Дорога лжи». «Аидгилара» и на сей раз предпочла пойти по проверенному, испытанному пути. «Всем народам – равные права!» - красуется на титульном листе «Единения» («Единение», газета НФА, «Аидгилара №1, 25ю10.1989г.).

Буквально с первого же предложения веет ложью «Аидгилара» - не абхазский народный форум, посколбку не познает грузин как коренную нацию территории т.н. «Апсны», так что заявление «всем народам –равные права» - пропагандистский трюк, не говоря уже о том, с чьего стола раздают столь щедро подобные поива.

Каким же «форумом» является «Аидгилара», если за ответом такому Фоме Неверующему, как я, полезет в карман, пусть даже и собственный. И для этого на восьмой странице газеты помещена статья Веры Вардзиелашвили, к тому же соблюдая принцип «гласности». Оппозиционный характер статьи сохранен, Указан и адресс. Тбилиси... тем самым замечено, - вот вам и грузины!

Необходимо признать, что даже после событии 15-16 июля, грузины вообще не должны писать таких писем в адресс этноса апсуа (впочем, вы сможете убедиться, что и не пишут).

«... Да, мы вам такую Фергану устроим, раздай хоть всем вам оружие МВД...Не хотите с нами, так убирайтесь с нашей земли. Хотите с Россией? У матушки достатотчно земель, чтобы приютить народ, могущий уместиться на стадионе «Динамо». Туркам месхетинцам

17 % населения против 40 %! Надо же такое! Про вас сказано: „Тили пехзе даисвио, тавзе агацоцдеба“. Не знаю (да и знать не хочу), как это будет по-абхазски, только по-русски это звучит так: „Посади вошь на ногу, так она вознамерится забраться тебе на голову“. 17 % населения получили статус автономии, свое телевидение, свой университет и т. д. и т. п. Спрашивается, где такое есть еще? Политика умиротворения агрессора привела ко второй мировой войне, ибо он наглел с каждым днем. Политика умиротворения абхазов привела к тому, что они уже не довольствуются тем, что у них свой университет – 17 %, и в духе нацистов громят грузинский университет 40 % населения. Да еще грозятся Ферганой. Да мы им такую Фергану устроим, раздай вам хоть всем оружие МВД… Не хотите с нами? Так уберитесь с нашей земли. Хотите с Россией? У матушки достаточно земель, чтобы приютить народ, могущий уместиться на стадионе „Динамо“: туркам-месхетинцам хватило места.

Озган говорит, что Берия уничтожил абхазскую интеллигенцию. А когда она у вас была, кроме князей Шервашидзе и Эмухвари? Знаете, о чем я сожалею? Что Берия

хватило же места. Озган говорил, что Беряи уничтожил Абхазскую интеллигенцию, а когда она у вас была кроме князей Шервашидзе и Эмхвари? Знаете о чем я сожалею? Что Берия допустил непростительную ошибку.... Будь он сейчас жив, одних суток ему хватило бы, чтобы очистить нашу землю от абхазов. И Озгана, этого турецкого агента и духа не было бы, и Лыхненской провокации не был бы, потому что всем этим верховодят Озганы, а не крестьяне, которых показали по то телевизору и которые несли такую ахинею, что вместо ярости, все показывались с хохоту. А эта ренегатка Бокучава, которая такая же грузинка, как я абхазка»....

Начнем с того, что Фергану нам впервые предсказал на многолюдном митинге бывший секрктарь абхазского областного комитета Компартии Грузии Саид Таркил в предверии 15 июля. Во-вторых, «Убирайтесь», - это не форма обращения грузинок, такими словами выразила нам свое соболезнование жительница Ткварчели, в воскресенье, после 15 июля. Что же каксается «турок-месхетинцев», - то такого понятия для грузин не сущуествует. Мы знаем турков, а месхетинцы – это наши кровные братья. Если мы внимательно ознакомимся со статьями, опубликованными в этой газете, то убедимся, что почерк везде одинаковый. К счастью, это не грузинский почерк. Редакционная коллегия не смогла учесть одно – сколь в совершенстве не владел бы человек чужим языком, он не сможет передать свое национальное мировоззрение и мышление в рамках своеобразия и закономерностей не родного языка. С учетом этого, Вере Вардзелашвили не удалось бы написать письмо полностью отвечающее вкусу и устремлениям редакции в стиле диверсионного шантажа. Однако, это уже из области теории, и в компетенции экспертов. Мне же хотелось бы сказать о другом: 7 ноября 1989 года в 412-м номере гостиницы «Иверия», где я проживал. После выступления на митинге, состоявшемся около филармонии, часа в 4, в присутствии Эрекле Саглиани позвонила Вера Вардзиашвили, проживающая в г. Тбилиси, (ул.Камо, 2 кв.11) и попросила меня как председателя Абхазской Организации Всегрузинского общества Руставели, передать проживающим в Абхазии грузинам, что она никакого письма не писала, и знакомых среди абхазов у нее нет вооюще за исключением соседки (личность которой, по определенным соображениям, мы называть не будем; заинтересованные лица могут о причине непосредственно у нас). Поскольку, в тот день я отправился в Сухуми, то, попросил Эрекле выяснить: действительно ли это звонила Вера вардзиелашвили, лично повидаться с нею. Удалось установить следующее: она является пенсионеркой, ухаживает за больным мужем. Соседи очень уважают ее, в семье она пользуется большим авторитетом. «Да наша семья, и муху-то не обидела, не то что целую нацию»-отметила Вера Вардзиелашвили и категорически отвергла авторство этого письма.

Эту инициативу «единение» можно, мягко говоря, назвать лукавством. Они вознамерились поймать двух зайцев – уступили трибуну грузинке, дабы показать русскоязычному читателю, посмотрите, мол,что пишут грузины, которым мы даем право голоса.

«Что делать абхазскому народу, если он не может смириться с рабством!»- пишет некий Али Шамилов, Журналист из Нахичевана, в этой же газете. Статья азербайджанского автора помещена рядом с вышеуказанной статьей и воспринимается, как ответ грузинскому автору.

Свобода – право, дарованное господом, путь к свободе – нравственно чист. Наверное, журналист профессионал знает, а если позвбыл, то мы напомним, что когда его далекие родичи в альянсе с царизмом, вознамерились прогнать предкоы апсуа с нассиженных мест (да и не только апсуа), вся Грузия выступила против попрания прав кавказских этносов. ..

И вообще, настало время прекратить антигрузинскую кампанию, оскорблять почтенную пенсионерку и больного человека клеветой – по меньшей мере, бессовестно… ведь в ее лице оскорбляют всю нацию.

«Аидгилара» должна постараться контролироватьсвои эмоции разумом. И не надо лесно и нощно стараться оклеветать грузинский народ, ибо клевещащий должен стоять по крайней мере, вровень с нашим народом. Так что, даже целые толпы Шамиловых, Патулиди, Венедиктовых не смогут нам ничего сделать.

С.Саджая.

Директор №1 средней школы села Тависуплеба Сухумского района.

21 января, 1990г. газ. «Народнное Образование»

допустил одну ошибку непростительную… Будь он сейчас жив, одних суток ему бы хватило, чтобы очистить нашу землю от абхазов. А Озгана,[этого турецкого агента, чтобы духа его не было бы. И Лыхненской провокации не было бы. Потому что, всем этим верховодят Озганы, а не критины, которых показали по телевизору и которые несли такую ахинею, что вместо ярости все покатывались с хохоту.

Вера Вардзиелашвили, пенсионерка, 380002 г. Тбилиси-2, ул. Камо, 2, кв. 11.

27.07.89 г.» ***(Цит. по: «Важная ВЕХА в истории Абхазии. X сессия Верховного Совета одиннадцатого созыва и принятие Декларации о суверенитете Абхазии 25 августа 1990 г.». Сборник документов и материалов. Составитель и автор предисловия акад. Б. Е. Сагариа. Сухум, 2002.)***

Поэт Булат Окуджава об умонастроениях в Грузии в 1989–1990 гг.[73]

«Меня поражает нетерпимость даже интеллигентных людей. Я разговаривал с просвещенными грузинами – писателями, философами. Все очень трезво все оценивают, но когда дело доходит до национального вопроса… Только что они ругали русских за то, что те их давят, и тут же, когда заходит речь об абхазах – глаза тускнеют.» ***(«Советский экран», 1990 год, № 4.)***

1990

3 февраля – второй (внеочередной) съезд Народного форума Абхазии «Аидгылара». Председателем становится **Сергей Шамба** (ныне – министр иностранных дел Абхазии). В Декларации съезда единственно приемлемой формой при решении проблем, стоящих перед абхазским общественным движением, признавался диалог на основе взаимного уважения со всеми общественными движениями.

28 мая – собрание абхазской общественности, потребовавшее изменения всего состава партийного и советского руководства Абхазии. Председатель Народного форума «Аидгылара» С. Шамба не исключил в этом вопросе поддержки грузинских оппозиционных партий. В ответ на заявление С. Шамба последовала негативная реакция «Круглого стола» – основного оппозиционного блока Грузии.

ПАРАД СУВЕРЕНИТЕТОВ

9 марта и **20 июня** – Верховный Совет Грузии признал противоправной оккупацию Грузии Красной Армией в феврале 1921 г., восстановил Конституцию Демократической Республики Грузии 1921 г. Признаны незаконными и недействительными все государственные структуры, функционировавшие в Грузии с февраля 1921 г., также заключенные Советской Грузией договоры: Договор между ССР Грузией и РСФСР от 21 мая 1921 г.; Договор о создании ЗСФСР от 12 марта 1922 г. и Договор об образовании Союза ССР от 30 декабря 1922 г. был поставлен вопрос о необходимости признания правительством СССР факта грубого нарушения в феврале – марте 1921 г. Договора с

[73] სამწუხაროდ, ბულატ ოკუჯავა ქართულ გვარს ამოფარებული ქართველთმოძულე დერჟავნიკი, არასოდეს გარჯილა იმ მიწის საკეთილდღეოდ, რომელიც მისი გვარისათვის მამული გახლავთ. საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში და რუსისტული რეპრესიების მსხვერპლი ქართველი მოსახლეობა მისთვის არ არსებობდა, არც აფსუა ხალხის გასაჭირს ესარჩლებოდა იგი, სამაგიეროდ "სალკლდედ" იდგა აგრესიული სეპარატიზმის დასაცავად.

Грузинской Демократической Республикой от 7 мая 1920 г., а также образована комиссия для разработки правового механизма восстановления независимости Грузии.

«В результате денонсации Грузией всех законодательных актов и правовых документов, принятых в период с 1921 по 1991 г., в том числе касающихся взаимоотношений с Абхазией, а также в результате одностороннего принятия решения Грузией о выходе ее из состава СССР и создания независимого государства (что противоречило договорным отношениям между Абхазией и Грузией, в соответствии с которыми вхождение Абхазской ССР в состав ГССР обусловливалось вхождением последней в состав ЗСФСР и СССР) договор о вхождении Абхазии в состав Грузии автономатически терял силу. Поскольку Абхазия продолжала оставаться в составе Союза, соответственно, она продолжала также оставаться суверенным независимым государством в составе СССР в границах 1918 г. и субъектом международного права».

(Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин. Абхазия: правовые основы государственности и суверенитета.)

20 августа – указ президиума Верховного совета Грузии, согласно которому единственным рабочим языком этого органа власти стал грузинский.[74]

25 августа – Верховный Совет Абхазской АССР принял Декларацию о государственном суверенитете Абхазской Советской Социалистической Республики и постановление «О правовых гарантиях защиты государственности Абхазии».

Декларация о государственном суверенитете Абхазской Советской Социалистической Республики. Принята X сессией Верховного Совета Абхазской ССР XI созыва 25 августа 1990 г.[75]

Верховный Совет Абхазской Советской Социалистической Республики,

• выражая волю всего народа республики и реализуя неотъемлемое право абхазской нации на самоопределение,

• сознавая историческую ответственность за судьбу Абхазии,

• свидетельствуя уважение к суверенным правам всех народов, населяющих Союз Советских Социалистических Республик,

• действуя в соответствии с принципами Всеобщей декларации прав человека и другими общепризнанными международно-правовыми актами,

• стремясь создать демократическое правовое государство,

торжественно провозглашает государственный суверенитет Абхазской Советской Социалистической Республики.

1. Абхазская Советская Социалистическая Республика – суверенное социалистическое государство, созданное на основе осуществления абхазской нацией ее неотъемлемого права на самоопределение, верховенства народа в определении своей судьбы. Суверенитет

---

[74] . ამ სამთავრობო დადგენილებას არანაირად არ შეუზღუდავს არც აფსუათა, ოსთა, არმენთა და თვით რუსთა მშობლიური ენის უფლებები. პირიქით. მან მხოლოდ ლაგამამოდება სცადა რუსისტული განუკითხაობისათვის.

[75] ე.წ. სხადნიაკი, რომელიც კრემლის თითისქნევათა მიხედვით ჩაატარა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სეპარატისტულმა ნაწილმა, არც პოლიტიკურად, არც სამართლებრივად, არც ზნეობრივად არ წარმოადგენდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის აფსუათა ბევრად უპირატესი ნაწილის ნებას. იგი სესიად ვერ ჩაითვლებოდა და ამდენად მისი გადაწყვეტილებები არ შეიძლებოდა ლეგიტიმურად ჩაგვეთვალა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ჩატარდა სესიისთვის საჭირო კვორუმზე ნაკლები წარმომადგენლობით. სამწუხაროდ, კ.კაზენინი ამ, მისთვის საჩოთირო თემას გვერდს უვლის და თვალებში ნაცრის შეყრის პრინციპით ასე სახავს ვითარებას, თითქოს ამას ყველაფერს სახალხო ნდობა ედო საფუძვლად. ეს, რაც შეეხება ე.წ. სესიის ორგანიზაციულ მხარეს. თვით ე.წ. სესიისთვის მიჩეჩებული განსახილველი თემა აფხაზეთს განიხილავდა მონონაციონალურ შინაარსად. მათი აზრით, ჩრდილო-დასავლეთ საქართველო(აფხაზეთი) წარმოადგენდა მხოლოდ ე.წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის კუთვნილებას და აქ ქართველი ერის უფლებები უნდა განხილულიყო მხოლოდ იმ კონტექსტში, როგორც განიხილება ეროვნულ უმცირესობათა დიასპორები სხვა ქვეყანაში.

Абхазской Советской Социалистической Республики распространяется на всю территорию Абхазской ССР. Абхазская Советская Социалистическая Республика обладает всей полнотой государственной власти на своей территории вне пределов прав, добровольно переданных ею Союзу ССР и Грузинской ССР на основании заключенных с ними Договоров. Абхазская ССР имеет свой герб, флаг и гимн. Любые насильственные действия против национальной государственности Абхазской ССР со стороны политических партий, общественных объединений или лиц преследуются по закону.

2. Граждане Республики всех национальностей составляют народ Абхазии. Носителем суверенитета и источником государственной власти в Абхазской ССР является ее многонациональный народ. Полновластие народа реализуется на основе Конституции Абхазской ССР непосредственно путем народного голосования и через выборные представительные органы.

3. Государственная власть в Абхазской ССР осуществляется на началах разделения законодательной, исполнительной и судебной властей.

4. Вся полнота государственной власти на территории Абхазской ССР принадлежит Верховному Совету Абхазской ССР, который обладает исключительным правом выступать от имени народа Абхазской Советской Социалистической Республики. В Верховном Совете Абхазской ССР обеспечивается институциональное представительство нации, давшей название республике.

5. Высшим исполнительным и распорядительным органом государственной власти Абхазской ССР является Совет Министров Абхазской ССР – Правительство Абхазской ССР, правомочное решать все вопросы государственного управления, отнесенные к ведению Абхазской ССР, за исключением входящих в компетенцию Верховного Совета Абхазской ССР.

6. Судебная власть в Абхазской ССР осуществляется судами Абхазской ССР. Высшим судебным органом Абхазской ССР является Верховный Суд Абхазской ССР. Правосудие в Абхазской ССР осуществляется именем Абхазской ССР.

7. Абхазская ССР издает законодательные и иные нормативные акты по всем вопросам своей компетенции. Конституция Абхазской ССР и законы Абхазской ССР обладают верховенством на всей территории Абхазской ССР. Действия актов Союза ССР и Грузинской ССР, нарушающих суверенитет Абхазской ССР и вступающих в противоречие с ее правами, приостанавливается высшими органами законодательной и исполнительной власти Абхазской ССР.

8. Разногласия между Абхазской ССР, Союзом ССР и Грузинской ССР разрешаются в порядке, устанавливаемом заключенными между ними Договорами.

9. Абхазская ССР участвует в осуществлении полномочий, переданных ею Союзу ССР и Грузинской ССР, активно содействует осуществлению на своей территории союзных и межреспубликанских программ.

10. Абхазская ССР может открывать свои представительства в Союзе ССР и советских республиках, а также в зарубежных странах.

11. Территория Абхазской ССР не может быть изменена без ее согласия. Абхазская ССР решает все вопросы административно-территориального устройства республики.

12. Абхазская ССР устанавливает гражданство Абхазской ССР и гарантирует каждому гражданину право на сохранение гражданства СССР. Республика принимает в гражданство Абхазской ССР и решает вопросы о выходе из ее гражданства.

13. Абхазская ССР самостоятельно определяет свой экономический статус и закрепляет его в законах. Народ Абхазии имеет исключительное право на владение,

пользование и распоряжение национальным богатством Абхазии. Земля, ее недра, воздушное пространство, водные и другие природные ресурсы, находящиеся в пределах территории Абхазской ССР, природные ресурсы ее континентального шельфа, весь экономический и научно-технический потенциал, созданный на территории Абхазии, являются собственностью ее народа, материальной основой суверенитета республики и используются с целью обеспечения материальных и духовных потребностей ее граждан. Предприятия, учреждения, организации и объекты других государств и их граждан, международных организаций могут размещаться на территории Абхазской ССР и использовать природные ресурсы Абхазии согласно законам Абхазской ССР. Абхазская ССР самостоятельно создает банковскую (включая внешнеэкономический банк), ценовую, финансовую, таможенную, налоговую системы, формирует государственный бюджет и валютный фонд республики.

Абхазская ССР образует национальный банк, подчиненный Верховному Совету Республики.

14. Абхазская ССР самостоятельно устанавливает порядок организации охраны природы на территории республики и порядок использования природных ресурсов. Абхазская ССР имеет право запретить строительство и прекратить функционирование любых предприятий, учреждений, организаций и других объектов, вызывающих угрозу экологической безопасности.

15. Абхазская ССР самостоятельна в решении вопросов науки, образования, культурного и духовного развития абхазской нации, гарантирует всем национальностям, проживающим на территории республики, право их свободного национально-культурного развития. Абхазская ССР обеспечивает национально-культурное возрождение абхазского народа, его исторического сознания и традиций, национально-этнографических особенностей, функционирование абхазского языка во всех сферах общественной жизни. Абхазская ССР проявляет заботу об удовлетворении национально-культурных, духовных и языковых потребностей абхазцев, проживающих за пределами республики и за рубежом. Абхазская ССР подтверждает право и обеспечивает условия для возвращения на историческую Родину депортированной части абхазского народа. Национальные, культурные и исторические ценности на территории Абхазской ССР являются исключительной собственностью народа республики.

Абхазская ССР имеет право на возвращение в собственность народа Абхазии национальных, культурных и исторических ценностей, находящихся за пределами Абхазской ССР. На территории Абхазской ССР государственным языком является абхазский язык, официальными языками – абхазский, грузинский, русский. Декларация является основой для новой Конституции Абхазской ССР и определяет позицию республики при заключении Союзного договора и Договора с Грузинской ССР.

Постановление Верховного Совета Абхазии от 25 августа 1990 г.

Заслушав и обсудив доклад Председателя Президиума Верховного Совета Абхазской АССР «О правовых гарантиях защиты государственности Абхазии», Верховный Совет Абхазской АССР отмечает:

В 1989–1990 годах Верховным Советом Грузинской ССР трижды – в ноябре 1989 г., марте и июне 1990 года – были приняты решения, направленные, как указывается в них, на восстановление государственности Грузии. В этих решениях признано, что созданная в мае 1918 года Грузинская Демократическая Республика была ликвидирована в феврале

1921 года в связи с установлением Советской власти в Грузии и вынужденно принятыми на ее базе межгосударственными соглашениями – Союзным договором между Грузинской Советской Социалистической Республикой и Российской Советской Федеративной Социалистической Республикой от 21 мая 1921 года, Союзным договором о создании Союза Закавказских Советских Социалистических Республик от 12 марта 1922 года и Договором от 30 декабря 1922 года о создании Союза Советских Социалистических Республик.

Таким образом, высший орган законодательной власти Грузии подготовил правовые основы восстановления государственности Грузии, существовавшей ко времени ее советизации в феврале 1921 года, открыл дорогу переговорам, направленным на достижение этой своей цели.

Перенос срока и изменение порядка выборов народных депутатов Грузинской ССР с марта на октябрь 1990 года призван гарантировать достижение указанной цели восстановления государственности, существовавшей в Грузии до февраля 1921 года.

Верховный Совет Абхазской АССР признает неотъемлемым правом грузинского народа восстановление государственности Грузии, существовавшей до февраля 1921 года, т. е. фактический выход ее из СССР, но в решениях Верховного Совета Грузинской ССР обходится молчанием вопрос о судьбе автономий, входящих в республику. В то же время все содержание принятых парламентом Грузии по поводу восстановления прежней государственности решений, в контексте ведущейся всеми общественно-политическими формированиями пропаганды, не оставляют сомнений на тот счет, что в случае выхода Грузии из состава СССР входящие в нее автономии последуют за нею автоматически, в связи с чем не предусматривается участие представителей Абхазии, Аджарии и Юго-Осетии в переговорах и подписание ими будущего союзного договора об образовании новой федерации.

Верховный Совет Абхазской АССР против такого решения судьбы Абхазии и решительно возражает по следующим основаниям.

Абхазия вступила под покровительство Российской империи в 1810 году как самостоятельное, независимое от царств и княжеств Западной и Восточной Грузии государство. Если Грузия сразу же после вхождения в состав Российской империи в 1801 году утратила свою государственность, то Абхазское княжество, как национально-государственное формирование с внутренним правлением владетельного князя, существовало до 1864 года, то есть еще 63 года после ликвидации грузинской государственности.

После Февральской революции 1917 года и начала распада Российской империи Абхазия вошла в состав «Юго-Восточного Союза горцев Кавказа, казачьих войск и вольных народов степей», к которому Грузия никакого отношения не имела. В феврале 1918 года между Грузией и Абхазией заключается соглашение, в котором признается существование «единой нераздельной Абхазии в пределах от реки Ингур до реки Мзымта», из чего следует, что к этому периоду вопрос о самостоятельности Абхазии, автохтонность абхазского народа на ее территории Грузией не ставился под сомнение.

С образованием Грузинской Демократической Республики в мае 1918 года отношение Грузии к Абхазии приняло характер насильственного присоединения к ней Абхазии, хотя, столкнувшись с решительным сопротивлением абхазского народа, представители грузинского правительства заявляли о том, что «стремление абхазского народа к независимому существованию вполне естественно».

В 1918–1921 годах Абхазия полностью была оккупирована войсками Грузинской Демократической Республики и лишь после ликвидации Грузинской Демократической Республики, в феврале 1921 года, восстановила свою государственную самостоятельность.

4 марта 1921 года в Абхазии была восстановлена свергнутая войсками грузинского правительства советская власть, а 31 марта 1921 года Ревкомом Абхазии было декларировано образование независимой Советской Социалистической Республики Абхазии – ССР Абхазия.

В декабре 1921 года под нажимом Сталина ССР Абхазия была принуждена на основе навязанного ей «особого договора» объединиться с Грузией в федеративный союз, в соответствии с которым одна треть предоставленных Грузии в Закавказском ЦИКе[10] мест принадлежала Абхазии.

В силу федеративного характера союза с Грузией, в декабре 1922 года полномочный представитель ССР Абхазии Н. Н. Акиртава в составе делегации ЗСФСР поставил свою подпись под Договором об образовании Союза ССР, в результате чего Абхазия стала одной из республик, создавших СССР.

В 1931 году, в условиях, когда сталинская административно-командная система стала набирать силу, Договорная ССР Абхазия была преобразована в автономную республику и включена в состав Грузинской ССР, что явилось первым и существенным шагом «законным» путем добиться поглощения Абхазии Грузией.

Со второй же половины 30-х годов началась полоса репрессий против абхазского народа, преследовавшая цель растворения абхазского этноса в грузинском, а средствами достижения этой цели были: закрытие абхазских школ и насильственное определение абхазских детей в грузинские школы; перевод делопроизводства на грузинский язык; замена абхазских топонимических названий на грузинские; массовое заселение Абхазии грузинами, для которых строились специальные поселки; изгнание из руководящих государственных и партийных органов абхазов и замена их грузинами; создание фактических привилегий для грузин при приеме на работу, выделение жилья и земельных участков и т. д. с одновременной дискриминацией абхазов; всяческое свертывание самобытной культуры абхазского народа; фальсификация истории Абхазии и абхазского народа, который был объявлен грузинским племенем.

Начавшийся после смерти Сталина, разоблачения Берии, а в особенности после XX съезда КПСС и осуждения культа личности Сталина и его последствий процесс восстановления законных интересов репрессированных народов серьезно помешал планам грузинского правительства, которое успешно претворяло в жизнь меньшевистскую идею огрузинения абхазов.

Хотя многие искусственно созданные факторы, угрожавшие самобытному существованию абхазского этноса, продолжали оставаться, однако открыто проводить политику культурного геноцида абхазского народа, которая была осуждена в специальном решении ЦК КПСС, уже было невозможно. Теперь центр тяжести был перенесен на работу «тихой сапой».

Новый виток открытого шовинизма по отношению к абхазскому народу проявился в условиях начавшихся в 1985 году перестроечных процессов, направленных на развитие демократии и создание в нашем обществе правового государства. Лозунг «сильный центр» и «сильные республики» определенные силы Грузии пытаются использовать как возможность легализовать происходящее в ней процессы по выходу из состава СССР без учета интересов абхазского и осетинского народов, имеющих свои национальные

автономии, а также армян, азербайджанцев, русских, греков и других, проживающих в республике. Дело дошло до отрицания за абхазским народом права на самоопределение.

Общеизвестно, что грузины компактно стали жить в Абхазии лишь после окончания Кавказской войны и последовавшего за ней массового насильственного выселения абхазов в Турцию во второй половине прошлого века, между тем делаются безнравственные заявления о том, что Абхазия – грузинская земля, а абхазы – пришлый народ.

В свете указанных процессов, являющихся попыткой легализации политики ассимиляции абхазского народа и ликвидации его государственности, делается очевидным, что, добившись выхода из Союза ССР, Грузия приступит к форсированию своего плана по созданию многонациональной грузинской республики, в которой абхазы будут вынуждены либо растворяться в грузинском этносе, либо покинуть свою Родину. Поэтому решения Верховного Совета Грузинской ССР, способствующие выходу Грузии из СССР, не могут быть оставлены без политико-правовой оценки со стороны Верховного Совета Абхазской АССР.

Верховный Совет Абхазской АССР постановляет:

1. Признать, что Демократическая Республика Грузия, нарушив Договор от II июня 1918 года, а также заключенное ранее соглашение между Абхазским народным советом и Национальным советом Грузии от 9 февраля 1918 года, осуществила во второй половине июня 1918 года военное вмешательство с целью насильственного присоединения территории Абхазии и ликвидации независимости абхазского народа. Эта акция, нарушившая международно-правовой принцип, запрещающий присоединение чужой территории путем силы, являлась незаконной.

2. Признать противоправным и недействительным в части, касающейся территории Абхазии, договор между Грузией и РСФСР, заключенный 7 мая 1920 года в условиях военной оккупации независимой Абхазии.

3. Постановлениями Верховного Совета Грузинской ССР от 18 ноября 1989 года, 9 марта и 20 июня 1990 года все государственные структуры, существовавшие и существующие в Грузии с февраля 1921 года, признаны незаконными и недействительными, из чего логически следует, что все договорные отношения между Грузией и Абхазией, заключенные прежними органами государственной власти, также являются незаконными, а вхождение Абхазии в состав Грузинской Советской Социалистической Республики лишено правовых оснований, и, следовательно, законной формой государственности Абхазии является Советская Социалистическая Республика Абхазия, созданная свободным волеизъявлением народов Абхазии и провозглашенная 21 марта 1921 года.

4. В соответствии со статьей 73 Конституции СССР поставить перед Верховным Советом СССР вопрос о восстановлении государственного статуса Абхазии, провозглашенного 31 марта 1921 года. До разрешения этого вопроса Верховным Советом СССР и заключения нового Союзного договора считать действующими ныне существующие государственно-правовые отношения между Абхазией и Грузией.

5. Абхазия готова начать переговоры с Грузией о дальнейших государственно-правовых отношениях между ними.

6. В условиях заключения нового Союзного договора, что представляет собой не что иное, как обновление международного соглашения 1922 года в силу изменившихся обстоятельств, Абхазия, как одна из республик, создавших Союз ССР, в качестве субъекта Советской Федерации, должна на равных с другими субъектами Союза ССР входить в переговоры, участвовать в выработке и заключении Союзного договора.

7. Данное постановление направить в Верховный Совет РСФСР для его рассмотрения вместе с постановлениями Верховного Совета Грузинской ССР от 18 ноября 1969 года, 9 марта и 20 июня 1990 года.

Председатель Президиума Верховного Совета Абхазской АССР В. О. КОБАХИЯ Секретарь Президиума Верховного Совета Абхазской АССР Ю. Т. КВИЦИНИЯ

Гор. Сухуми, 25 августа 1990 г (***Текст постановления опубликован в газете «Советская Абхазия» 28 августа 1990 г. № 164.)***

«В последние годы существования СССР власти Грузии начали процесс, направленный на выход Грузии из состава СССР. Именно поэтому, в период с 1989 по 1991 г. Верховный Совет Грузии в одностороннем порядке принял ряд решений, согласно которым органы государственной власти ГССР, а, следовательно, и государственно-правовые акты, принятые ими, провозглашались нелегитимными и не имеющими юридической силы. В свою очередь Верховный Совет Абхазской АССР, осознавая, что такие действия ставят под угрозу государственность Абхазии, принял 25 августа 1990 г. Декларацию о государственном суверенитете Абхазии и Постановление о правовых гарантиях защиты государственности Абхазии. В последнем документе, в частности, констатируется, что в результате решений, принятых Верховным Советом ГССР, вхождение Абхазии в состав Грузии лишилось правовых оснований.

Ввиду того, что государственно-правовые отношения между Абхазией и Грузией возникли на договорной основе, Грузия не могла в одностороннем порядке менять характер взаимоотношений с Абхазией. Кроме того, это противоречило законодательству СССР, регулировавшему отношения союзных и автономных республик. Таким образом, действия властей Грузии привели к разрыву государственно-правовых отношений между Грузией и Абхазией».

(Из доклада личного представителя президента Абхазии Анри Джергения на семинаре «Государственно-правовые аспекты урегулирования грузино-абхазского конфликта», февраль 2001 г.)

Заявление депутатов Верховного Совета СССР В. Ардзинбы и Р. Агрба (27 августа 1990 г.)

«Исходя из того, что каждый народ обладает естественным и неотчуждаемым правом на свободу и независимость, мы с должным уважением относимся к решению Верховного Совета Республики Грузии.

Вместе с тем это означает, что абхазский народ вправе самостоятельно решать свою судьбу. Позиция Абхазии на этот счет выражена в Декларации о государственном суверенитете Абхазской Советской Социалистической Республики и в постановлении Верховного Совета Абхазской АССР, принятых X сессией 25 августа 1990 г.

Эти документы, вопреки действующему законодательству, были объявлены незаконными Президиумом Верховного Совета Грузинской ССР, а центральная печать и телевидение, основываясь на ложной информации, поступавшей от спецкоров в Тбилиси, сообщили об отмене этих документов самой сессией Верховного Совета Абхазской АССР».

26 августа – президиум Верховного Совета Грузинской ССР принял постановление, объявляющее акты Верховного Совета Абхазии недействительными и не имеющими юридической силы, отметив, что они нарушают территориальную целостность Грузии и противоречат ее Конституции.

31 августа – собрание депутатов Верховного Совета Абхазской АССР, преимущественно грузинской национальности, объявляет себя «чрезвычайной сессией

Верховного Совета Абхазской АССР» и принимает заявление в поддержку постановления Президиума Верховного Совета Грузинской АССР. Центральные СМИ сообщают об этом заявлении как о решении Верховного Совета Абхазской АССР, однако отсутствовавшие на собрании депутаты, прежде всего абхазы, не признали его легитимности.

28 октября – выборы Верховного Совета Грузии, проведены по смешанной (мажоритарно-пропорциональной) системе. По закону, принятому накануне старым составом Верховного Совета Грузии, своих кандидатов могли выдвигать только партии, действующие на всей территории страны – в частности, не имел права выдвинуть своих кандидатов Народный форум Абхазии. В связи с этим его лидеры призвали абхазское население бойкотировать выборы. В Гудаутском и Ткварчельском районе они вовсе не проводились. По результатам голосования, 53,94 % получает избирательное объединение «Круглый стол» во главе с Звиадом Гамсахурдиа. Он избран председателем Верховного Совета Грузии.

4 декабря – возобновившая свою работу X сессия Верховного Совета Абхазской АССР избрала председателем Верховного Совета В. Г. Ардзинба.

1991

17 марта – на Всесоюзном референдуме большинство населения Абхазии высказалось за Союз Советских Социалистических Республик на основе обновленного договора: участвовало 52,3 % населения, из них 98,6 % высказалось за сохранение Союза. На остальной территории Грузии, решением ее Верховного Совета, референдум не проводился.

31 марта – референдум о восстановлении государственной независимости Грузии. Абхазия не принимает в нем участия.

Из выступления З. Гамсахурдиа по грузинскому телевидению 16 марта [76]

«Напоминаем, что будущее негрузинского населения, перспективы его завтрашней жизни в Грузии полностью зависят от того, примет оно или нет участие в завтрашнем референдуме и примет или нет участие в предстоящем референдуме 31 марта».

«В соответствии с Законом СССР „О порядке решения вопросов, связанных с выходом союзной республики из СССР“ от 3 апреля 1990 г., принятым еще в период нахождения Грузии в СССР, Автономные республики, в случае выхода Союзной республики из СССР, обладали правом самостоятельно решать вопрос о пребывании в Союзе ССР и своем государственно-правовом статусе. В связи с этим, Абхазия приняла участие в референдуме 17 марта 1991 г, на котором большинство населения республики высказалось за сохранение Союза ССР. Результаты референдума по Абхазской АССР были официально подтверждены Центральной комиссией референдума СССР».

(Из доклада личного представителя президента Абхазии Анри Джергения на семинаре «Государственно-правовые аспекты урегулирования грузино-абхазского конфликта», февраль 2001 г.)

---

[76] 1991 წლის 31 მარტს აფხაზეთში ჩატარებულ სახალხო რეფერენდუმზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირა ქართველთა, ბერძენთა, ესტონელთა, ებრაელთა, ბულგარელთა, უკრაინელთა გაცილებით უმეტესმა ნაწილმა, საკმაოდ იყვნენ ოსი, არმენი და რუსი მხარდამჭერებიც და რაც მთავარია, მოსკოვის მითითებით, აგრესორ-სეპარატისტთა მიერ ბლოკირებულ გუდაუთისა და ქ. ტყვარჩელის ამომრჩეველთათვის საარჩევნო უბნებში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხმის მისაცემად მოვიდა აფსუა ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამდენად, 1991 წლის 31 მარტს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა მონაწილეთა (აფხაზეთის მოსახლეობის 61,.27 %) 97,23 პროცენტმა. მანამდე, 17 მარტს მოსკოვმა სცადა ზეიმის ხასიათი მიეცა სსრკ ერთიანობისთვის შეკოწიწებული, თუმცა ვერშემდგარი რეფერენდუმისთვის, რაც სინამდვილეში ჩაიშალა.

9 апреля – Верховный Совет Грузии принимает декларацию о государственном суверенитете Грузии:

«9 апреля 1991 г. на основе результатов этого референдума Верховным Советом Грузии был принят Акт о восстановлении государственной независимости Грузии, которым Грузия провозглашалась правопреемницей Грузинской Демократической Республики 1918–1921 гг. С этого момента ГССР де-юре прекратила существование. Таким образом, на территории бывшей ГССР возникло два не связанных друг с другом государства – Грузия, заявившая о своей независимости и выходе из СССР, и Абхазия, которая продолжала оставаться субъектом Советского Союза. Следовательно, государственно-правовые отношения между Абхазией и Грузией, созданные и регулировавшиеся советским законодательством, были прекращены также на основании советского законодательства.

До момента распада (21 декабря 1991 г.) СССР, Абхазия оставалась его субъектом, в этом качестве она участвовала в переговорах, на которых решался вопрос реформирования СССР. Председатель Верховного Совета Абхазии до момента распада СССР по должности являлся членом Совета Федерации СССР и членом Президиума Верховного Совета СССР. В то же время Абхазия не принимала участия в выборах Президента Грузии и в работе ее органов власти. Совершенно очевидно, что Абхазия не могла одновременно являться субъектом и СССР и независимой Грузии».

(Из доклада личного представителя президента Абхазии Анри Джергения на семинаре «Государственно-правовые аспекты урегулирования грузино-абхазского конфликта», февраль 2001 г.)

26 мая – на всенародных выборах президента Грузии победу одерживает Звиад Гамсахурдиа.

9 июля – в Абхазии принят новый закон о выборах Верховного совета. Представители Народного форума Абхазии и эксперты Верховного совета Абхазии предлагали сделать парламент двухпалатным, причем в одну палату избирать депутатов по территориальным округам, а в другой иметь равное число представителей от всех основных национальных общин. В ответ на это Гамсахурдиа предложил другой проект – однопалатный парламент с национальными квотами: 28 мест – абхазам, 26 – грузинам, 11 – другим национальностям. Этот вариант и был принят.

Июль – в редакции газеты «Советская Абхазия» состоялся «круглый стол» с участием различных партий и общественно-политических движений на тему «Абхазия и Союзный договор».

Из выступления на круглом столе члена Хельсинкского союза Грузии Д. Гамахария:[77]

«Мы можем заложить в Конституции Грузии и Абхазии такие положения, которые дадут все необходимые правовые гарантии. Мы, грузины, считаем Абхазию своей родиной… Я не могу все же ставить в одну плоскость интересы всех народов, живущих в Абхазии. В правах личности все равны, но интересы грузин выходят за рамки прав человека».

1 декабря – подведены итоги выборов в Верховный Совет Абхазии (1-й тур выборов прошел в октябре), руководство Абхазского национального движения (В. Г. Ардзинба и его сторонники) получило в новом парламенте большинство. Ардзинба избран

[77] ქ.თბილისში და ზოგადად საქართველოში 1991 წლის 22 დეკემბერს -1992 წლის 6 იანვარს მოვლენები განვითარდა არა „В результате вооруженных столкновении“, არამედ მოხდა ადგილობრივ გამყიდელურ ძალებზე დაყრდნობით რუსეთის მიერ საქართველოს შენიღბული ოკუპაცია, რომელიც განაპირობა აგრესიული გლობალიზმის (ტექნოკრატიული დასავლეთის) გამრიგებლურმა თანხმობამ.

председателем, его первым заместителем – Тамаз Надареишвли, впоследствии – председатель прогрузинского «Верховного Совета Абхазии в изгнании».

22 декабря – 6 января 1992 г. – в результате вооруженных столкновений в Тбилиси Гамсахурдиа теряет власть и бежит из страны. К власти приходит Военный совет, вскоре переименованный в Государственный совет, в который входят лидеры «антизвиадовской оппозиции» Тенгиз Кетовани, Джаба Иоселиани, Тенгиз Сигуа.

НАЧАЛО БОЛЬШОЙ КРОВИ

1992

Февраль – столкновение войск Госсовета Грузии и сторонников **Гамсахурдиа** в Западной Грузии возле границ Абхазии. Первые рейды войск Госсовета в Абхазию, официально – также в поисках сторонников Гамсахурдиа. По требованию Верховного Совета Абхазии отряды Госсовета были выведены с территории республики.

Февраль – после бегства Гамсахурдиа в Тбилиси была создана специальная межпартийная комиссия для выработки основных принципов взаимоотношений с Абхазией. Получив полномочия новых грузинских властей, комиссия делегировала четырех человек **(И. Хаиндрава, Д. Бердзенишвили, И. Мачавариани, Г. Анчабадзе)** для поездки в Сухуми. В столице Абхазии (2 февраля) состоялся ряд встреч членов комиссии с руководством республики, которые, по воспоминаниям **Г. Анчабадзе**, носили конструктивный характер: «Можно было надеяться, что новое руководство Грузии в определенной степени пересмотрит политику официального Тбилиси в отношении автономных образований».

Согласно **Анчабадзе**, абхазская сторона предложила остаться в составе Грузии на федеральных началах, с разграничением полномочий между Тбилиси и Сухумом. Предварительные условия абхазской стороны заключались в удалении слова «автономия» из названия государства и в признании новой национальной символики. Найдя условия абхазской стороны приемлемыми, члены комиссии вынесли их на обсуждение Консультативного совета (далее переименован в Госсовет), где большинством голосов предложения абхазских политиков были отвергнуты.

21 февраля – Госсовет Грузии объявил о восстановлении конституции Грузинской Демократической Республики 1921 года. По ней Абхазия «является неотъемлемой частью Грузии с правом автономного управления в местных делах», при этом как субъект государственно-правовых отношений не значится.

«После развала СССР, в феврале 1992 г. Временный военный совет Грузии принял решение о переходе к Конституции Грузинской Демократической Республики 1921 г., в которой отношения с Абхазией не были определены. Вместе с тем властями Грузии было заявлено, что отношения с Абхазией временно, до выработки новой модели, будут строиться на прежних принципах. Однако на момент принятия этого решения, как уже указывалось выше, государственно-правовые отношения между Абхазией и Грузией были разорваны, следовательно, это решение не могло распространяться на Абхазию. Абхазия, учитывая тогдашние политические реалии, стремясь избежать вооруженной конфронтации, предлагала Грузии восстановить прерванные государственно-правовые отношения на новой равноправной основе…»

«Государственно-правовые аспек(Из доклада личного представителя президента Абхазии Анри Джергения на семинаре ты урегулирования грузино-абхазского конфликта», февраль 2001 г.)

Март – возвращение в Грузию Эдуарда Шеварднадзе, возглавившего Госсовет.

7 мая – председатель Госсовета Грузии Эдуард Шеварднадзе подписал постановление «О решении комплексных проблем по формированию и функционированию пограничной зоны Автономной Республики Абхазия». Согласно постановлению 21-километровая «пограничная полоса» Абхазии переводилась в государственный фонд, управление которым возлагалось на Министерство обороны Грузии. В «пограничную полосу» таким образом вошло все побережье Абхазии – самая обитаемая ее часть. Батальон, подчиненный Министерству обороны Грузии, был дислоцирован в Сухуми.

Май – грузинская фракция Верховного Совета Абхазии покинула заседание парламента, который больше никогда не собирался в полном составе.

Из интервью Г. Ломинадзе, министра внутренних дел Грузии в 1992 году

«9 мая 1992 года в Сухуми был созван съезд представителей грузинской общественности с широким представительством политических организаций, трудовых коллективов, интеллигенции и т. д. На съезде был сформирован Совет национального единства (СНЕ)… Первым практическим результатом деятельности СНЕ было формирование Сухумского механизированного батальона. С 19 мая этот батальон был дислоцирован в г. Сухуми. В подчинение Совета вошли вновь созданные отряды „Мхедриони“ гг. Гагра и Сухуми (один из инициаторов – В. Какубава, лидер регионального Общества Ильи Чавчавадзе)… По рекомендации Совета Тбилиси назначил военного комиссара Абхазии (полковника Вахтанга Векуа), который развернул активную работу по формированию военных городских и районных комиссариатов».

(Газета «Алия», Тбилиси, июнь 1998 г.)

23 июля – Верховный Совет Абхазии большинством голосов (36 из 65) принял постановление «О прекращении действия Конституции Абхазской АССР 1978 г.», восстановив Конституцию Абхазской ССР 1925 г.

25 июля – Госсовет Грузии принял постановление, объявляющее данный акт недействительным и не имеющим юридической силы.

11 августа – захват заложников (11 ответственных лиц Министерства внутренних дел Грузии) в Зугдиди и их транспортировка в Абхазию, куда доставлен также захваченный ранее вице-премьер **А. Кавсадзе**. Телефонный разговор **Э. Шеварднадзе** и **В. Ардзинбы**, в котором председатель Госсовета извещает руководство Абхазии о необходимости проведения военной операции по освобождению заложников на территории Абхазии и договаривается о взаимодействии для обеспечения успеха этой операции. Шеварднадзе заверяет Ардзинбу, что, несмотря на необходимость ввода на территорию Абхазии грузинских подразделений, никаких военных действий против республики предпринято не будет.

Из интервью В. Ардзинба «Комсомольской правде» 12 августа

«Мы согласны заключить с Тбилиси двусторонний договор, в котором были бы установлены равные отношения, а не отношения господства и подчинения, к чему стремится Грузия».

Из обращения Верховного Совета Абхазии к Верховному Совету Грузии 12 августа

«Верховный Совет Республики Абхазия вновь заявляет о своем желании сохранить связи с Грузией, твердо выступает за их установление на новых, цивилизованных и равноправных основах, которые исключают диктат и подчинение, омрачавшие на протяжении десятилетий отношения между абхазским и грузинским народами… Мы,

депутаты Верховного Совета Республики Абхазия, заявляем, что свою часть пути в направлении возрождения добрых отношений между абхазским и грузинским народами пройдем без оглядки. При этом надеемся, что протянутая для пожатия наша рука не повиснет в воздухе».

14 августа – войска Госсовета Грузии вошли на территорию Абхазии и, пройдя через Гальский, Очамчирский и Гульрипшский районы, вышли к восточным пригородам Сухуми. В городе начались уличные бои. На момент вторжения грузинская группировка насчитывала порядка трех тысяч человек и имела на вооружении пять танков Т-55, несколько боевых машин БМП-2, три бронетранспортера БТР-60, БТР-70, установки залпового огня «Град», вертолеты Ми-24, Ми-20 и Ми-8. Абхазия первоначально могла противопоставить грузинской группировке только полк внутренних войск, сформированный при республиканском МВД за два месяца до начала войны.

15 сентября – грузинский десант высаживается в Гагре.

Из воспоминаний Джабы Иоселиани, командующего грузинским вооруженным формированием «Мхедриони», одного из военных руководителей Грузии в период грузино-абхазской войны

Приехав в Сухуми во второй декаде августа 1992 года] «выслушиваю неофициальный отчет по поводу создавшейся ситуации. Военные рассказывают о происшествии в Охуреа, где гвардейцы взяли в плен около двадцати абхазов. Я интересуюсь, имея осетинский опыт, кого они называют абхазскими боевиками… Оказывается, это все-таки боевики, хотя многие из них и не имели оружия. Подстрекают друг друга. Общее мнение такое, что эту проблему нужно раз и навсегда решить. Если не желают жить вместе с нами по-человечески, пусть убираются, откуда притащились. Волее сдержанное мнение высказывают реже.

У нас господствует мнение, что войну провоцирует Россия, что Ардзинба был готов к этому. Исходя из первого периода войны, на этот счет у меня другое мнение. Абхазская сторона, по сравнению с нами, конечно, оказалась более созревшей для вооруженного сопротивления, но запланированных провокаций и ответных акций нигде не было. Волее того, наши первые успехи в Очамчире, Сухуми говорят о том, что к конкретному случаю они не были готовы и сознательно нас не провоцировали. Я в этом еще больше убедился в Гагре, когда они бежали оттуда, также во время боев в районах Очамчира и Ткварчели».

(Джаба Иоселиани. Три измерения. М.: Художник и книга. 2001.)

Обращение Председателя Верховного Совета Республики Абхазия В. Ардзинба к гражданам Абхазии

Уважаемые граждане Абхазии!

Я обращаюсь к вам в этот трудный час. На нашу землю вторглись вооруженные формирования Госсовета Грузии, в числе которых уголовные элементы, которые сеют смерть и разрушения на нашей земле. Но не было и нет оснований для такой варварской акции на территории маленькой Абхазии. Мы жили тихо и мирно в своем доме, не без споров, не без проблем. Но мы пытались решать эти проблемы мирным, цивилизованным путем. И не было ничего необычного в том, что мы продолжили именно так строить взаимоотношения Абхазии и Грузии. Ведь никто не начинал войны, когда в Российской Федерации был создан и подписан федеративный договор, и народы нашли взаимопонимание.

На наши предложения решить вопросы взаимоотношений мирным, цивилизованным путем нам ответили танками, самолетами, пушками, убийствами и грабежами. И это как раз показывает истинную суть нынешнего руководства Грузии. Наконец-то оно уже не может скрываться за характерным для него фарисейством. Снята ужасная маска.

Руководство, которое виновно в крови грузин в Тбилиси и в других регионах Грузии, мегрельцев в Мегрелии, осетин в Осетии, а теперь к ним прибавились абхазы и все население нашей многострадальной Родины.

Я должен сказать, что мир знает, в какое положение поставлена Абхазия. Мир решительно осуждает эту варварскую акцию, и его моральная и материальная поддержка нам обеспечена. Естественно, нелегко об этом говорить, когда, возможно, сейчас, в ту минуту, когда я говорю, в вашем доме происходит грабеж, когда избивают людей, когда не гарантирована сама жизнь человека. Но поймите, мне тоже очень нелегко, очень трудно, но я глубоко уверен в том, что у нас есть соответствующая поддержка. С сегодняшнего дня любой самолет, вертолет, который будет обстреливать мирное население, будет уничтожаться…

Я думаю, что мы должны выстоять в этот очень трудный час, и мы выстоим, мы нанесем поражение тем, кто сеет смерть и разрушение в Абхазии, кто вносит вражду между народами Грузии и Абхазии.

Председатель Верховного Совета Республики Абхазия В. АРДЗИНБА,г. Сухум,14 августа 1992 года.

Обращение Председателя Верховного Совета Республики Абхазия

к парламентариям, президентам и народам мира

Как уже известно всему миру, 14 августа на территорию Республики Абхазия с целью ее оккупации вторглись войска Госсовета Грузии. В распоряжении противника свыше 50 танков, 40 пушек, боевые вертолеты, другая техника. Абхазы, славянское население и представители многих других национальностей (армяне, греки, эстонцы, турки и др.) практически без оружия насмерть стоят, защищая свои жилища, деревни и города. Погибли десятки невинных людей, отдыхающих, женщин, детей, разрушены дома и курортные здания, школы и больницы. Идет грабеж и изгнание жителей из их жилищ, сотни людей взяты заложниками и подвергаются пыткам, введена плата за мертвых. Парализована экономика, кончается хлеб, медикаменты и горючее, организована информационная блокада Абхазии.

Особое внимание уделяется захвату в плен и уничтожению наиболее интеллектуальных и стойких людей, не желающих мириться с глумлением над человеческим достоинством, убийствами и погромами. Цель – сломить этих людей, заставить их признать правомерность творимого бандами Госсовета разбоя. Нанесены ракетные удары с воздуха и по жилым кварталам и многоэтажным домам Сухума, Агудзеры и Ткварчала с интернациональным населением. Результаты – сотни убитых и раненых абхазов, русских, армян, грузин. Поставлена задача психологически подготовить изгнание русскоязычного населения Абхазии с тем, чтобы состав ее населения стал моноэтническим, грузинским.

Шеварднадзе публично признает, что в борьбе с Абхазией и теми, кто ее поддерживает, ему самую большую помощь оказывает командующий Зак ВО генерал Патрикеев. Провокационность ситуации подчеркивается тем, что разъезжающие по Сухуму грузинские погромщики действуют под русским флагом.

Вновь обращаемся к вам с просьбой срочно оказать давление на правительство Грузии и его главу Шеварднадзе, заставить его отвести войска и технику с территории суверенной Абхазии, прекратить кровопролитие и грабежи, направить в Абхазию гуманитарную помощь и независимых экспертов для контроля за ситуацией.

Председатель Верховного Совета Республики Абхазия
В. АРДЗИНБА,
г. Гудаута, 16 августа 1992 года.

Из заявления командующего войсками Госсовета Грузии Георгия Каркарашвили 24 августа 1992 г.

«Могу сразу заверить, особенно сторонников господина Ардзинба, тех сепаратистов, которые под именем какого-то „Горного Союза“ хотят побеспокоить мирных жителей… найдут здесь братскую могилу. Предупреждаю, с сегодняшнего дня грузинской стороне будет запрещено взятие военнопленных… кто встретит правительственные войска с оружием, попадут под действие приказа о том, чтобы пленных не брать. В том случае, если переговоры не достигнут успеха, я могу заверить этих сепаратистов, что, если из общей численности погибнет сто тысяч грузин, то из ваших погибнут все 97 тысяч [13], *которые будут поддерживать решения Ардзинба».*

Из выступления Эдуарда Шеварднадзе на сессии Генеральной ассамблеи ООН 25 сентября 1992 г.

«Пигмеи поднимают людей против человечества… Лилипуты, опутывающие гулливеров – реальность многих стран, и моей в том числе».

ПОСЛЕСЛОВИЕ

ПОСТСОВЕТСКОЕ ЗАКАВКАЗЬЕ… Сознаюсь, мне нелегко не только писать, но и думать о нем. Причина проста: стойкое и весьма неприятное ощущение d'ej`a vu, которое возникает при столкновении с реалиями, воцарившимися от Каспия до Черного моря за границами Российской Федерации после 1991 года. Для того чтобы избежать обвинений в голословности, предлагаю читателю прочитать эти строки А. И. Деникина и найти 10 сущностных отличий в жизни 1-й и 2-й грузинских республик:

«Своеобразную картину представляла собой жизнь Грузинской республики. Для европейского общественного мнения, благодаря усилиям грузинской заграничной делегации, – это была маленькая культурная страна, окруженная недругами и героически борющаяся за свое существование, имеющая свободно избранное социалистическое правительство, пользующееся народным доверием; страна, текущая млеком и медом и нуждающаяся только в признании „de jure“ и в надлежащих границах, чтобы явить миру „чрезвычайно интересный пример нового демократического типа организации государства“.

Действительность далеко не соответствовала этому идиллическому представлению.

Власть (правительство, парламент и Учредительное собрание) находилась в руках небольшой тесно сплоченной группы, члены которой обладали большим опытом революционной деятельности. Их связывало и племенное (большинство имеретины), и зачастую кровное родство, партийная принадлежность (соц. – дем. меньшевики) и общая работа по разрушению – вначале из подполья, потом с вершин – российской государственности. В их однородности и узком кастовом составе были и сила, и слабость: внутренняя дисциплина, с одной стороны, и оторванность от населения, отсутствие технически подготовленных сил – с другой… Грузинские газеты отмечали новое

растущее зло – непотизм, кумовство, землячество, – наложившее отпечаток на все правительственные учреждения и приведшее к небывалому взяточничеству, спекуляции и хищениям».

Без сомнения, отличия носят формальный, но отнюдь не смысловой характер. К сожалению (во всяком случае, лично моему, ибо я принадлежу к числу поклонников изящной грузинской культуры), в отношении к национальным меньшинствам вообще и к Абхазии в частности различий еще менее. Скромный объем сборника, очевидно, не позволил составителю дать более широкую картину действительности, но смысловая начальная точка определена верно: Абхазия с самого начала рассматривалась в Тбилиси как объект культуркампфа, а в случае сопротивления оному – как объект силового воздействия.

«Что было, то и будет; и что делалось, то и будет делаться, и нет ничего нового под солнцем. Бывает нечто, о чем говорят: „смотри, вот это новое“; но это было уже в веках, бывших прежде нас». Прав Екклесиаст, сын Давидов, царь в Иерусалиме, нет ничего нового и, очевидно, не будет.

Постимперское пространство практически повсюду ставит один и тот же вопрос, а именно: как строить национальное государство там, где его никогда не было. Ибо при всем желании трудно назвать таковым средневековые государства, объединенные отнюдь не идеей единства крови, но прежде всего конфессиональным, и как следствие культурным единством.

Не были исключением и империи, в сфере влияния которых оказалось Закавказье. Они предлагали идею единства подданства, весьма привлекательную для многих. Не будет лишним напомнить, что Грузия была и причиной проникновения России в регион начале XIX века, и основным акцептором русской помощи, и возлюбленным детищем русской политики в Закавказье. До этого грузинский народ стоял на весьма опасной грани, за которой начинался полный распад. Его удалось избежать «под сенью дружеских штыков». Объединение грузинских земель в едином государстве впервые за многие столетия произошло именно в рамках Российской империи, как результат борьбы с Турцией и Ираном. В итоге сегодня Россия получила за все это лишь ненависть и претензии значительной части грузинской интеллигенции. Противоречия в этом нет. Отто фон Бисмарк говорил, что освобожденные нации не благодарны, а требовательны. Что же говорить о требовательности спасенных наций? Ей воистину нет границ.

Причина проста. Основой идеи освободительного движения отнюдь не является свобода собственного народа, и уж конечно не его благополучие. Освобождение не мыслится национальным революционерам вне «великой национальной мечты» – достижения максимальных границ существовавшего когда-либо или даже мифического государства. Так собственное «освобождение» не мыслится без возможности осуществления национального гнета. Национальные меньшинства лишаются элементарнейшего права – сохранения собственной идентичности. Отказывающимся предъявляется единственный убедительный аргумент, который имеется в распоряжении националистов, – насилие. Насилие без границ, насилие, не отделяющее правого от виноватого.

Романтика борьбы за унитарное великодержавие оказалась сильнее разумного прагматизма. Пожалуй, из представленных документов следует только один вывод: трагедия Грузии состоит в том, что, являясь многонациональным государством, она не имеет сил быть настоящей Империей. Империя – это мир. Мир внутренний, пусть иногда и созданный путем войн с внешним противником. Империи не ведут национальной

политики. Они ведут территориальную политику, и тем более в районах со смешанным этноконфессиональным населением. Национальные государства ведут национальную политику, и особенно на территориях со смешанным населением. И поэтому, декларируя внешний мир, они несут внутреннюю войну национальным меньшинствам, превращая их в «сепаратистов», «пришельцев» и т. п.

Разумный прагматизм требовал в начале 90-х гг. прошлого века учесть негативный опыт пребывания Абхазии в составе Грузии. Перед Тбилиси, по сути дела, стоял банальный выбор: уйти, чтобы остаться, или остаться, чтобы уйти. Очевидно, что первое решение сохранило бы огромное грузинское и мингрельское население Абхазии в качестве полноправных ее граждан и связало бы Сухум (или Сухуми) с Тбилиси прочнее, чем когда-либо. Это был бы первый шаг к прочной конфедерации, к нейтральной и процветающей Грузии. Но романтики выбрали войну. Ее практика и заявление Каркарашвили превратили эту войну в борьбу грузин с негрузинами. Кто виноват в этом? Ответ не кажется однозначным. Что делать? Можно декларировать «сепаратистов» своими гражданами, а иногда даже и братьями, но это не решит ни одной проблемы.

Хотя бы потому, что и сегодня «братская» любовь не несет с собой ничего, кроме программы ассимиляции в «лучшем» случае или полного уничтожения в худшем. Абхазия уже имела опыт столкновения с этой политикой в начале 90-х гг. Стоит ли удивляться тому, что за этим последовало? Ведь, как писал Важа Пшавела: «Коль ты убьешь – тебя убьют, род не простит тебе убийства».

Очень хочется надеяться на то, что период националистической романтики в отношениях между соседями в Закавказье сменит прагматика, и тогда слова замечательного грузинского поэта перестанут быть зловеще актуальными (http:||Lib.ruc.tc.|b|205710| read#zl).[78]

≈*≈

3. საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე

ამერიკის კონგრესის სხდომა თეთრ სახლში 1975 წლის 13 მარტს (გადმობეჭდილია ამერიკის კონგრესის ბიულეტენიდან: “კონგრეშნელ რეკორდ-ჰაუს”).

სპიკერი აცხადებს, რომ თეთრი სახლის წინასწარი შეკვეთით მისტერ ვაგონერს (ლუიზიანა) ეძლევა სალაპარაკოდ 30 წუთი.

მისტერ ვაგონერი: ბატონო სპიკერო, მრავალი წელია მე და ამ განყოფილების სხვა წევრები დაინტერესებულნი ვართ ერთა თვითგამორკვევის პრინციპით. ეს პრინციპი ნაწილია ჩვენი ნაციონალური მემკვიდრეობისა და აირეკლავს ფუნდამენტურ პოლიტიკას შეერთებული შტატებისას მრავალი ურთიერთმომდევნო ადმინისტრაციების განმგებლობის მანძილზე. ჩვენი ნაციის ერთგულება ამ პრინციპისადმი, მიუხედავად ხელისუფლების პოლიტიკის ცვალებადობისა, მუდამ უცველელი იყო. მე შემიძლია მაგალითად მოვიყვანო, თუ რა ფართო მხარდაჭერა აქვს კონგრესში იმ იდეას, რომ განგრძობილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დე

[78] ამდენად, კ.კაზენინის წინამდებარე ნაშრომი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რუსეთის მიერ წარმოებული დივერსიული ეთნოფაბრიკაციების, მკვიდრი ქართველების (იგივე აფხაზების) დენაციონალიზაციის, აფსუა მოსახლეობის სადიდმპყრობლო ეთნონედლეულად გამოყენების გზით ამ მხარის გასხვაქვეყნების (აფხაზეთის ასსრ-ად გადამონტაჟების) “დასაბუთებისა” და მისი საქართველოდან ყველა “სამართლებრივ-პოლიტიკური” საშუალებებით გამიჯვნის მცდელობას წარმოადგენს.

იურე აღიარება ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის დამოუკიდებლობისა, ვიდრე მთლიანად არ იქნება აღდგენილი მათი დამოუკიდებლობა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლა.

ჩემის აზრით, დროულია ამ საკითხის დაყენება, რამდენადაც ეს ესაა, შესრულდა თებერვლის თვეში 53-ე წლისთავი მნიშვნელოვანი შთამაგონებელი დოკუმენტის შექმნიდან, რომელიც მოდის საქართველოდან. საქართველო პატარა ერია, რომელიც ბალტიური რესპუბლიკების მსგავსად, ძალით შეიერთა საბჭოთა კავშირმა. 1922 წლის 7 თებერვალს საქართველოს ძველი მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ამბროსიმ ამაღლებული მოწოდებით მიმართა ცივილიზებულ ქვეყნებს, რომლებიც მაშინ მონაწილეობას ღებულობდნენ გენიუს ერთა საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც საბჭოთა რუსეთიც იყო წარმოდგენილი. ამ მწოდების გაგზავნის შემდეგ პატიარქი დააპატიმრა საბჭოთა საიდუმლო პოლიციამ. ამბროსი პატრიარქის მოწოდება ისეთივე აქტუალურია დღეს, როგორც 1922 წელს, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ყველა იმ ერისთვის, რომელიც მიელტვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამბროსი კათალიკოსის მოწოდებას, რომელიც აღმოჩნდა წიგნში "საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე" (ავტორი _ კონსტანტინე კანდელაკი), მე წაგიკითხავთ მცირეოდენი კომენტარის შემდეგ.

1922 წლის აპრილში, როგორც უკვე მოგახსენეთ, გენუაში გაიმართა ერთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელიც. რუსულმა დელეგაციამ განაცხადა, რომ იგი საქართველოს წარმომადგენელიც იყო ამავე დროს. ამის შესაძლებლობამ დიდად აღაშფოთა ქართველები, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში. ეროვნულმა მთავრობამ (ემიგრაციაში, რედ.) გადადგა დიპლომატიური ნაბიჯები თავის ქვეყნის უფლებების დასაცავად, რასაც მხარი დაუჭირეს საქართველოში, იატაკქვეშეთში მყოფმა პოლიტიკურმა პარტიებმა. საქართველოს ეკლესიის მესაჭემ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ, გაუგზავნა კონფერენციას წერილი. ეს წერილი გამოირჩეოდა საოცარი გაბედულებით, _ პატიარქი, მართალია, "ჩეკას" ყოვლისშემძლე კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა _ მაგრამ ამ წერილში მან გამოხატა საზოგადოების ყველა ფენის ერთსულოვანი პროტესტი ოკუპაციის ძალების წინააღმდეგ (პატრიარქი ციხეში ჩააგდეს, სადაც დიდი ხანი დაჰყო).

ამჯერად ჩვენ მთლიანად წავიკითხავთ ამ ისტორიულ დოკუმენტს:

"გენუის კონფერენციაზე წარმოდგენილ ცივილიზებულ კაცობრიობას, ამბროსი, მსახური ღვთისა, სრულიად საქართველოს სულიერი მოძღვარი და პატრიარქი, მოგესალმებათ ქრისტეს სიყვარულით.

"ჯერ კიდევ ქრისტეანობამდელ ხანაში, კავკასიონის მისადგომებთან, შავსა და კასპიის ზღვებს შორის, ქართველური წარმოშობის ხალხმა შეჰქმნა სახელმწიფო, მოცულობით მცირე, მაგრამ სულით მძლავრი და შემოქმედებითი უნარი მომადლებული, რომელიც ისტორიაში "გეორგიას" სახელით არის ცნობილი და რომელიც ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიტალური პრინციპების პიონერი იყო მცირე აზიაში.

“მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ქართველი ერი, გარეშე მტრებთან მრძოლებში დაუძლურებული”, თავის ნებით შეუერთდა ერთმორწმუნე რუსეთს. მას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი დაიცავდა მის ეროვნულ და პოლიტიკურ არსებობას. ეს პირობები ნათლად იყო გამოხატული საქართველოს მეფის, ერეკლესა და რუსეთის იმპერატორის, ეკატერინეს შორის 1783 წელს დადებულ ტრაქტატში.

“მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყნას გაუცრუვდა ეს მოლოდინი. 117 წლის განმავლობაში იგი უსასტიკეს დესპოტიზმის მსხვერპლი იყო და აუტანელ ჩაგვრას განიცდიდა რუსეთის ბიუროკრატიის მხრივ.

ამიტომაც, 1917 წელს, რუსეთის ხელოვნურად შეკოწიწებული იმპერიის დაშლის შემდეგ, ქართველმა ხალხმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და დაიწყო პოლიტიკური, ეროვნული და ინტელექტუალური აღორძინება.

“მიუხედავად შინაური და გარეშე მტრების მომძლავრებისა, ქართველმა ხალხმა გამოიჩინა ისეთი შემოქმედებითი უნარი და ენერგია, რომ სამი წლის შემდეგ, ცივილიზებულმა კაცობრიობამ აღიარა მისი უფლებები და შესთავაზა მას ადგილი დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოებს შორის.*

“ცხადია, რუსეთმა ვერ მოითმინა ეს, საქართველოს ყოფილმა მპყრობელმა, ქვეყანამ, რომელიც მუდამ ჩაგრავდა პატარა ერებს.[79]

“ამის გამო რუსეთმა წარმოგზავნა საქართველოს დასაპყრობად საოკუპაციო არმია, რომელმაც 1921 წლის 25 თებერვალს კვლავ დაადგა ჩაგვრის უღელი პატარა, ტანჯულ ქვეყანას, _ გაცილებით უარესი უღელი, ვიდრე ოდესმე ღირსებია მას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

“მართალია, დამპყრობლები ამჟამად ცდილობენ ყველას დაუმტკიცონ, როგორც საზღვარგარეთ, ასევე თავიანთ ქვეყანაში, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველი ხალხი, მაგრამ მე, ჩემი ერის სულიერმა მოძღვარმა და ამჟამად მისმა ჭეშმარიტმა მწყემსმა, რომელსაც ხელთ მიპრია უფაქიზესი სიმები მისი გულისა, და რომელიც ყველაზე უკეთ ვუგდებ ყურს მის გლოვასა და ცრემლებს, კარგად ვუწყი, თუ რა ბედნიერია დღეს ქართველი ერი!

“შეგვიძლია ვთქვათ გადაჭარბების გარეშე, რომ ის გაურკვეველი ექსპერიმენტები, რომელთაც აყენებენ ქართველ ხალხზე ამ ბოლო წლებში, მას უსათუოდ მიიყვანენ ფიზიკურ გადაგვარებამდე და მორალურ დეგრადაციამდე.[80]

“ერის სიმდიდრე, წინაპართა სისხლსა და ძვლებზე აღმოცენებული, გაიყვეს უცხოელმა დამპყრობლებმა. იგივე დამპყრობლები სტაცებენ ხალხს საარსებო საშუალებას, ოფლითა და სისხლით მოპოვებულს, _ საოცარი სისწრაფით აგზავნიან მას გემებით საზღვარგარეთ. ხალხის ენა შელახულია და შერყვნილი, წინაპართაგან გადმოცემული ეროვნული კულტურა გათელილია ფეხქვეშ. და ბოლოს, ყოველივე,

---

* 1920, 21 წლებში (რედ.)

[79] 1920, 21 წლებში (რედ.)

[80] სხვადასხვა დანაშაულისათვის დღეს საქართველოში ციხეებშია ჩაყრილი 9500 კომუნისტი და 7000 კომკავშირელი, 1972-76 წლებში ჩატარდა დაახლოებით 80 ათასამდე სასამართლო პროცესი. უახლოეს 5 წელიწადში საქართველოში არ იქნება ოჯახი, რომელსაც არ ეყოლება პატიმარი.

რასაც ერი წმიდათაწმიდად სთვლის, შებილწულია. შებილწულია რელიგიური რწმენა: სინდისის თავისუფლების ყალბ ნიღაბქვეშ ერს წართმეული აქვს უფლება თავისი რელიგიური გრძნობების თავისუფლად გამოხატვისა.

“ერის სამღვდელოება უსასტიკესად იდევნება, მისი ეკლესია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართული ეროვნული სახელმწიფოს მთავარ ძლას და სიდიადეს წარმოადგენდა, დღეს უფლებააყრილია იმდენად, რომ აღარ ძალუძს საკუთარი საშუალებებით თავის შენახვაც კი.

“ერთი სიტყვით, _ ერი სიღატაკეში და გლოვაშია, წართმეული აქვს თვით მატერიალური საშუალებაც კი ხმის ამოღებისა.

“ამგვარ მდგომარეობაში, ჩვენ ვთვლით ჩვენს უზენაეს სამღვდელო მოვალეობად შემდეგი რამ განვუცხადოთ ცივილიზებულ კაცობრიობას:

“ჩვენ, ღვთის ეკლესიის წარმომადგენელნი, არ ვმონაწილეობთ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმების წარმართვასა და შეფასებაში, მაგრამ ჩვენი ერისათვის გვსურს ისეთი წყობილება, რომელიც ხელს შეუწყობს მის მატერიალურ აღორძინებას და სულიერ განვითარებას და ამ მიზეზით მოვითხოვთ:

1. რუსული ჯარები გაყვანილ იქნან საქართველოს ტერიტორიიდან, ქართველი ხალხის ეროვნული მემკვიდრეობა დაცულ იქნეს ძალადობისაგან, იძულებითი მეურვეობისაგან გადამთიელთა მტაცებლობისაგან.

2. ქართველ ერს მიეცეს საშუალება თავის ცხოვრების თავისუფლად მოწყობისა, როგორც თავად სთვლის შესაფერისად, პოლიტიკური და სოციალური არსებობის ისეთი ფორმების დამკვიდრებით, როგორიც უფრო შეეფერება მის მისწრაფებებსა და ეროვნულ კულტურას.

“ჩვენ მტკიცედ გვწამს პატივცემული კონფერენციისა, რომლის მიზანია კაცობრიობის დიდი პრობლემების მოგვარება, თავისუფლებისა და სამართლიანობის განმტკიცება მსოფლიოში. ჩვენ გვჯერა, რომ კონფერენცია არ დასტოვებს უყურადღებოდ პატარა საქართველოს საარსებო მოთხოვნებს, რომელნიც ჩვენ ზემოთ უკვე ჩამოვაყალიბეთ, და იხსნის მას ჩაგვრის უღლისაგან და ძალადობის რეჟიმისაგან, რომლის მსხვერპლიც იგი გახდა.

“გაკურთხოთ უფალმა თქვენ, თქვენი კეთილშობილი განზრახვები და თქვენი მუშაობა”.

ხელმოწერილი, უმდაბლესად

ამბროსი

სრულიად საქართველოს პატრიარქი.

7.11.1922, ტფილისი.

ჟურნალი “ოქრის საწმისი”, № IV, 1976წ.

≈*≈

ვინ ააშენა როკის გვირაბი აფხაზეთში?!..

აფხაზეთში "სახელმწიფო საბჭოს" თავმჯდომარის სტუმრობას ხუნტის რუპორად გადაქცეული საინფორმაციო სამსახურები ამ მხარის, განსაკუთრებით კი გაგრის "ხსნად" განიხილავდნენ. აქაურ მოსახლეობას ახსოვს ამხ. ე.შევარდნაძის იგივი "მისია" ამ ათიოდე წლის წინ. კერძოდ 1978 წელს მისი ჩამობრძანება აქ, _ გაგრაში. უჭირდა მაშინაც საქართველოს: ნუ ვიტყვით, რომ აფხაზეცური ეთნოკრატიის პრეტენზიებს მან ჩაუყარა საფუძვლები. ეს უძღები მადა ასწლობით ღვივდებოდა, მაგრამ ნურც იმას დავმალავთ, რომ ამ კაცმა ახალი, სტახანოვური "პირნათლობა" გაიღო მაშინ, რითაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი გაგრაში დღევანდელ სისხლისღვრას.

ამაში გაგრელი "ზვიადისტები" კი არა, "სახელმწიფო საბჭოს" თავმჯდომარის რუსისტულ ბანაკში გადაბარგებული "ეროვნული" აქტივისტებიც დამეთანხმებიან, ბატონი ჯონი ლატარია პირველ რიგში, რომლებმაც, 1980 წლის აპრილში, საქართველოს კპ ცკ-ში გაგზავნილ გაგრელ ქართველთა 324 ხელმომწერთა რიგებში, არც თუ ჩუმად გამოთქვეს სამართლიანი ამბოხი: *"დღეს აფხაზეთში შექმნილი ვითარება გვაიძულებს დავფიქრდეთ დღევანდელობაზე, გავაანალიზოთ, გუშინდელი, გავითვალისწინოთ ხვალინდელი.*

აფხაზთა "სულიერი მამები" მოსახლეობას აწვდიან საქართველოს ისტორიის ფალსიფიცირებულ ვარიანტებს, არწმუნებენ მათ, თითქოს აფხაზები ქართველებმა დაიმონეს წაართვეს ყველა კულტურული მონაპოვარი, რომ საქართველოს ისტორიის ადრინდელი პერიოდის ყველა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ტომით აფხაზია და ქართველი ისტორიკოსები ამას მალავენ და ა.შ." **(აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ წერილის "ავტორთა რადიკალიზმი" ისევ და ისევ, ეთნოდივერსიული აფხაზეთის ასსრ და ე.წ. "რესპუბლიკის სახლის მატარებელი ხალხის" დივერსიული ეთნოფაბრიკაციის შინაარსობრივ მოსაზღვრულობაში განიხილავდა ცხუმ-აფხაზეთის რაობას _ პირველ რიგში კი, ცნება აფხაზი წერილის ავტორებმა ინკუბირებულ აფხაზეცობას გაუპიროვნეს. ს.საჯ.).**

"აფხაზთა ცნობილი წერილი, რომელსაც ხელს აწერს აფხაზი მოსახლეობის "რჩეული" ნაწილი და რომელიც გაეგზავნა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოებს, იკითხებოდა ყველა აფხაზის ოჯახში. ეს "დოკუმენტი" ქართველთა მიმართ უსაზღვრო სიძულვილით შედგენილი განჩინებაა, საქართველოს მთავრობა კი ბერიას მიმდევრადაა გამოცხადებული. ამ წერილის გავრცელებამ უფრო გააქტიურა აფხაზთა ნაციონალისტები და ხულიგნური ელემენტები. მათ ერთ ღამეში ავტოტრასაზე მდინარე ფსოუდან ენგურამდე გადაშალეს ყველა ქართული წარწერა. სახალხო მღელვარების გამოსაწვევად ისინი შეკრებებზე, ქორწილებსა და დაკრძალვებზე კითხულობდნენ ამ წერილს, ხალხს არწმუნებდნენ 1936-1937 წლებში მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები თითქოს ქართველთა მიერ აფხაზთა წინააღმდეგ დაპროგრამებული ბოროტმოქმედება იყო. პროვოკატორთა ეს აზრი აფხაზთა ნაკლებად გათვითცნობიერებული ნაწილისათვის იყო გათვალისწინებული.

1978 წლის აპრილში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა დიდი დაგვიანებით წერილის ავტორთა პროვოკაციული ქმედება დაგმო და ხალხს მოუწოდა პარტიული დისციპლინის, ქართველთა და აფხაზთა შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისაკენ.

იმავე წლის აპრილამდე საოლქო კომიტეტის ბიურომ მეტი პრინციპულობა გამოიჩინა, როდესაც სამი პროვოკატორი (ჟურნალ "ალაშარას" რედაქტორი ჯენია, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი არგუნი და გუდაურის რაიონული გაზეთის "ბზიფის" რედაქტორის მოადგილე ახიბა) ნაციონალისტური გამოხდომებისა და პროვოკაციული წერილის შედგენაში მონაწილეობისათვის გარიცხა პარტიიდან და მოხსნა სამუშაოდან. წერილი მიჩნეული იქნა ცილისწამებად. საოლქო კომიტეტის ბიუროს ეს დადგენილება საზოგადოებამ სწორად გაიგო. იგი მოელოდა, რომ საქართველოს კპ ცკ-ც იტყოდა პარტიალ სიტყვას, მაგრამ ხალხი მწარედ მოტყუვდა.

ქალაქ სოხუმში, პედინსტიტუტის შენობაში ამხ. ე.შევარდნაძესთან პირველივე შეხვედრამ ნაციონალისტურად განწყობილი ახალგაზრდობა აღაფრთოვანა. საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა ე.შევარდნაძემ ბოდიში მოუხადა (გაუგებარია რატომ?) მათ, საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება პროვოკატორთა დასჯის შესახებ სასწრაფოდ გააუქმა, თანამდებობიდან მოხსნა საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ხინთბა. ყოველივე ამის შემდეგ "აფხაზთა მოძრაობამ" გაოცებული საზოგადოების თვალში ფაქტიურად საქართველოს კომპარტიის მხარდაჭერა მოიპოვა. ამ აქტმა სავსებით გაამართლა პროვოკატორთა პოლიტიკა. ეს საბოლოოდ ნიშნავდა პარტიული დისციპლინის დაცემას, იდეურ დაბნეულობას, სახელმწიფო ინტერესებისა და ერისადმი ზურგის შექცევას. საქართველოს მთავრობა სოფელ-სოფელ დადიოდა და ეფიცებოდა აფხაზ გლეხობას, რომ ყველა საკითხი გადაწყდებოდა მათი სურვილისამებრ, ოღონდ დამშვიდებულიყვნენ სწორედ ამ მოქმედებამ ძალა შემატა ექსტრემისტებს, ისინი უკიდურესად გააქტიურა, მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გაჩნდა წარწერები კედლებზე: "ძირს ძაღლური ენა", "სიკვდილი ქართველებს"...

თავის მხრივ საქართველოს კპ ცკ-ს ბიურომ გაგრელი ქართველების 18 გვერდიან წერილზე, იმავე წელს მიიღო 34 გვერდიანი განმაქიქებელი, მეტიც, მიწასთან გამასწორებელი და ამ პროტესტის "ანონიმშიკობად" და ინტრიგანობად მომნათლავი "დოკუმენტი": _

СЕКРЕТНО

ЦК КП Грузии

...По вопросам затронутым в коллективном письме лиц грузинской национальности, поступившем из Абхазской АССР в адрес руководящих органов Грузинской ССР.

Последнее время вновь участились случаи направления коллективных писем, заявлений (характерно, что теперь уже от лиц грузинской национальности) в руководящие органы Грузинской ССР и Абхазской АССР.

Одно из таких писем, под которым стоит 324 подписи (к сожалению обкому удалось выявить только 30 авторов письма), было направлено из г.Гагоа в адрес ЦК КП Грузии, Президиума Верховного Совета и Совета Министров Грузинской ССР, Академии наук, Союза писателей Грузии, ректорам почти всех вузов республики, Коллективное «обращение» носит явно провокационный характер, искажает суть и значение проведенных в Абхазии мероприятий, содержит необоснованные обвинения в адрес партийных и советских руководящих органов Грузинской ССР и Абхазской АССР в искажении принципов ленинской национальной политики, особенно в подборе и

растановке кадров. Необходимо отметить, что не все факты приведенные в письме лишены реального основания, что в Абхазии сегодня имеет место дискриминация и ущемление прав грузинского населения». (საქ. კპ ცკ-ს ბიუროს სხდომის ოქმის ამონაწერი 1980წ. აპრილი).

ამ დოკუმენტის საორგანიზაციო დასკვნაში საქართველოს კპ ცკ-ის ბიურომ დაავალდებულა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, მკაცრად დაესაჯა წერილის შემდგენლები. ე.ი. სეპარატისტულ ეთნოკრატიას აღშფოთებული ქართველების დარბევის ნება დართო.

გაგრელთა წერილი ქართულადაა შედგენილი, ბატონმა ედუარდმა საპასუხო დოკუმენტი შეადგინა რუსულად.

ხედავთ, იმ დროის "ანტისაბჭოთა ელემენტები", მაშინაც იმას ყვიროდნენ, რასაც დღეს. ის კი არა და, ამასვე იძახის ამჯერად სახელდახელოდ "გაანტისაბჭოთაელემენტებული" "სახელმწიფო საბჭო", _ გაგრაში ხდებაო ქართველთა დისკრიმინაცია!

არადა, ამ მაშინდელი (1978წ. აპრილი) რუსულენოვანი საპასუხო "დოკუმენტის" ტონი, რომელსაც აძლიერებს ბატონ ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერა, ინტრიგანობად და "კლაუზნიკობად" უთვლიდა ქართველებს იმ ვითარების აღწერას, რომელსაც ახლა თვით უზურპატორ-ნამესტნიკური ხროვა აღიარებს.

ასე საიდუმლოდ, ჩუმად, სკკპ ცეკას პირდაპირი ხელშეწყობით, საქართველოს კპ ცკ-ის საიდუმლო და რუსულენოვანი, ქართველთ მოძულე დოკუმენტის მიღებიდან 8 წლის შემდეგ დაიწერება ცილისწამებლური "აფხაზური წერილი", 9 წლის შემდეგ დაიბეჭდება ვერაგული "ლიხნის მიმართვა", დაგვპირდებიან "ფერგანულ" ჟლეტას, დაიღვრება 15 ივლისს სისხლი, 12 წლის შემდეგ თავს მოგვახვევენ 1992 წლის აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის სასაკლაოს. 1993 წლის 15-16 მარტის აგრესიას, აქვს კი ბოლო?!

ვარ რა თვითმხილველი, მსხვერპლი და მონაწილე აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, მიმაჩნია, აფხაზეცურ ეთნოკრატიაზე დაყრდნობით და დიდმპყრობლური ძალების წაქეზებით 1992 წლის ზაფხულში არძინბას შეეძლო მოეწყო სუმგაითის, ანდა "ფერგანას" მსგავსი ქართველთა ჟლეტა (ეს 1992 წლის 1 ოქტომბერს მოაწყო ნაწილობრივ გაგრაში), მაგრამ ამ ქართველთმოძულე ფსიქოზს განა ის კრემლი არ აღვივებდა, სადაც ბოლო წლებში ერთ-ერთი პირველთაგანი თანამდებობა ეკავა საქართველოს დღევანდელ ნამესტნიკს _ ე.წ. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, განა მაშინ არ დაგვემუქრა აფხაზეთის "აბკომის" მდივანთაგანი "ფერგანას" მოვაწყობთო, განა მაშინ არ მოსდო ა.სახაროვმა მსოფლიოს ზღაპარი "ქართული იმპერიალიზმის" შესახებ, ანდა საერთაშორისო მასშტაბით არ იჭორიკანა ვინმე ჯ.ჰუიტმა. ქართველთა "დიდმპყრობელობაზე"?! რა უპასუხა მაშინ, რით ალაგმა მაშინ მისი ხელქვეითი ოქტომბრისენოვანი ინფორმაციის სამსახურების მიერ საქართველოს საქვეყნოდ გამოჭენება ამ, "მსოფლიო ავტორიტეტის" მქონე ქართველმა? _ არაფრით!..

14 აგვისტოს ფრონტის ხაზი სოხუმში წითელ ხიდზე გადიოდა გამაგრებული იყო აფხაზეთის სეპარატისტული ეთნოკრატიის უკანონო გვარდიის მიერ ქალაქის ყველა

შემოსასვლელი, განსაკუთრებით ბარათაშვილის ქუჩის დასაწყისი, შედარებით იოლად, 15 აგვისტოსათვის "სახელმწიფო საბჭომ" გაარღვია ვ.არძინბას "თავდაცვა" და მიადგა გუმისთის ნაპირს. რითაც "ქართული დემოკრატიისა" და "რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის" კოლაბორაციონისტული თვალსაწიერი გულმხურვალედ შემოუძღვა საოკუპაციო რუსისტულ ჩექმას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში.

16 აგვისტოს ქ.სოხუმში პროვოკაციული ცხუმ-აფხაზეთისთვის ვერმოაფხაზურე ხელებით საბჭოების სასახლიდან ჩამოხსნეს ასევე პროვოკაციული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსთვის არამშობლიური დროშა.

მომდევნო დღეებში ნეოლენინელებმა აიღეს ლენინის ძეგლი!..

ის "შტურმი", რამაც "სახელმწიფო საბჭოს" შეიარაღებული ძალები სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე, გაიყვანა გუმისთამდე, საკმარისი იყო თუ მართლა დღის წესრიგში იდგა პროვოკაციული ეთნოკრატიული ხელისუფლების მოთოკვა, _ გუდაუთი დაეკავებინათ, ანდა, უარეს შემთხვევაში, ახალ ათონამდე წაწეულიყო იგივე ძალა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან ასევე "სახელმწიფო საბჭოს" ჯარები, მინიმუმ, ბზიფის ხეობაში გამაგრებულიყვნენ, რითაც რუსისტული კონფედერაციის ბოევიკებს ჩრდილო-კავკასიიდან გზები გადაეკეტებოდათ.

ამის შემდეგ დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. კერძოდ, რუსეთის წაქეზებით ჩრდილო კავკასიის კონფედერაციის კვლავ და კვლავ რუსისტულ ძალათა ცხუმ-აფხაზეთში შემოჭრას დაერქვა ჩეჩნეთის აგრესია, ე.ი. ზვიადის ბრძოლა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და ვაღიაროთ, აფხაზეთის ნაქები, კანონიერებისათვის მებრძოლი ქართველობა უნებლიედ გახდა კრემლიდანურ, ანუ "სახელმწიფო საბჭოსეულ" მაგიდაზე ბანქოს საკუთარი ხელით "ჩამწყობი".

ამდენად, ომის გაჭიანურება და ასეთი პროპაგანდისტული ფსიქოზით გაწელვა რუსიზმისათვის საჭირო იყო იმდენად, რამდენადაც, მოტყუებული და დაპყრობილი ქართველობისათვის უნდა დახატულიყო აფხაზეცური საფრთხის გოლიათური სურათი (ამისათვის ჩაბარდა გაგრა 1992 წლის 1-2 ოქტომბერს და მოეწყო ქართველთა გენოციდი), ეს კი სხვა რამესთან ერთად, თეორიულად საშუალებას იძლეოდა აფხაზეთში მოხერხებულიყო ე.წ. "ეროვნულ-სამოქალაქო" "შერიგება" და არჩევნების ჩატარება. "სახელმწიფო საბჭოს" თვითდაკანონებისათვის. ეს აუცილებელი გახლდათ. ასეც მოხდა, ასევე პირნათლად აღასრულა არძინბა-შევარდნაძე-შანიბოვის (კონფედერაციის) ტრიომ საკრემლისსცენო ტრაგედია: კავკასიური ომის პრემიერა. ამან კი საფრთხის ქვეშ პირველ რიგში საქართველოს სულიერი და ტერიტორიული მთლიანობა დააყენა.

გაზეთი "ჭყონდიდი", №2, 1993წ. ვარდობისთვე.

≈*≈

აფხაზეთის ქართველობის

პეტიცია

სკკპ XXVI ყრილობის პრეზიდიუმს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს
ლ.ი.ბრეჟნევს
ასლი: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს
წევრობის კანდიდატს, საქართველოს კპ პირველ მდივანს
ე.ა.შევარდნაძეს

საპასუხო წერილი 1980 წლის 6 ივლისს აფხაზ პროვოკატორთა მიერ მიღებულ რეზოლუციაზე და ე.ა.შევარდნაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე 1980 წლის 16 აგვისტოს გაგრაში

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, აფხაზეთის ასსრ-ში შექმნილ მძიმე ეროვნულ ურთიერთობათა გამო, იძულებულნი ვართ მოგმართოთ შემდეგი წერილით.

აფხაზეთის ასსრ-ის მოსახლეობა მრავალფეროვანია: ქართველები _ 44% აფხაზები _ 16%, რუსები _ 14% და სხვები. ქართველთა მრავალრიცხოვნობა სხვა ერებთან შედარებით განპირობებულია ისტორიული მიზეზებით. თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორია ჯერ კიდევ ძველი ქართული სახელმწიფოს _ კოლხეთის სამეფოს წარმოქმნის დროიდან (ძვ. წ. VI საუკ.) მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და დასავლურ ქართული ტომებით იყო დასახლებული. ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის მთელი ხნის მანძილზე თანამედროვე აფხაზეთის ასსრ-ის მიწა-წყალი ქართულ ისტორიულ პროვინციებისგან შედგებოდა, რომლის მატერიალური და სულიერი კულტურა ქართული იყო.

ამჟამად აფხაზებად წოდებულ აფსუების ანტიქართული "მოძრაობა", მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად წარმოიშვა, რომელიც მიზნად ისახავდა აფსუების ქართველთა წინააღმდეგ ამხედრების საშუალებით საქართველოს შავი ზღვისპირეთის ამ მხარეში რუსების ჩასახლებას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ანტიქართულ მოძრაობას აფხაზეთში არასდროს არ მიუღია ისეთი საშიში ფორმები, როგორც უკანასკნელ ხანებში, რაც საქართველოში ეროვნული და საკადრო პოლიტიკის ჩავარდნის შედეგი არის.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ საქართველოს კომპარტიის ახლანდელ ხელმძღვანელობას აფხაზეთში უაღრესად რთული პოლიტიკური ვითარება დახვდა. იმ დროს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობაში ერთმანეთს ებრძოდა ორი მიმდინარეობა: ანტიქართული, რომლის სულისჩამდგმელი იყო ყველა ჯურის კარიერისტებისა და მაქინატორების მფარველი საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ.კობახია** და პრინციპული, რომელსაც სათავეში საოლქო კომიტეტის მდივანი **მ.ხვარცკია** ედგა.

მ.ხვარცკიას გარშემო შემოკრებილ კომუნისტთა მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო **ე.მჟავანაძის** მმართველობის ხანაში. ფართოდ გაშლილი კორუფცია აფხაზეთში განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა, რადგან იგი კადრების არასწორი შერჩევისა და განაწილების პრინციპს გადაეჯაჭვა. იმ დროს ავტონომიური რესპუბლიკის უმცირესობის _ აფხაზთა (15%) ხელში იყო ნომენკლატურულ თანამდებობათა ორი მესამედი. ბრძოლამ "თანამდებობისათვის" უმთავრესად ანტიქართული ხასიათი მიიღო, რაც სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოთა ნორმალურ მუშაობაზე დამღუპველად მოქმედებდა. ამის შედეგად მართლმსაჯულება

დაშლის პროცესს განიცდიდა, ხოლო კორუფციის ზრდამ შეუძლებელი გახადა ეფექტური ბრძოლა **ვ.კობახიას** მფარველობის ქვეშ მყოფ საქმოსანთა და მაქინატორთა წინააღმდეგ. სამწუხაროდ, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა ამ რთულ ვითარებაში ვერ გაერკვა და მცდარ გზას დაადგა. მდგომარეობის განსამუხტავად **1973 წელს** ერთდოულად გაანთავისუფლეს როგორც **ვ.კობახია,** ისევე **მ.ხვარცკია.**

საქართველოს კომპარტიისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ აღნიშნული შეცდომა უფრო გააღრმავა. **1976 წელს** აფხაზეთის საოლქო XXXIII პარტკონფერენციაზე იაფი ავტორიტეტის შეძენის მიზნით **ვ.ხინთბამ 1976 წლის** ანტიქართული გამოსვლების მონაწილეთა რეაბილიტაცია მოახდინა, ხოლო თვით გამოსვლების ფაქტი კი **ვ.მჟავანაძის** მცდარ საკადრო პოლიტიკის კურსს გადააბრალა. რეაბილიტაციით წაქეზებულმა პროვოკატორებმა თავისი ზრახვების განსახორციელებლად **1977 წლის დეკემბერში** წერილით მიმართეს სსრკ-ის სადირექტივო ორგანოებს, რომელშიც **ე.შევარდნაძეს** აფხაზი ხალხის მიმართ **ბერიას** პოლიტიკის გატარებაში დასდეს ბრალი და ამის საფუძველზე მოითხოვეს აფხაზეთის ასსრ-ის გამოყოფა საქართველოდან და რსფსრ-ს შემადგენლობაში შეყვანა. ამ გზით აფხაზი პროვოკატორები აპირებდნენ თავისი ძირითადი მიზნის _ აფხაზეთიდან ქართველთა განდევნის გეგმის განხორციელებას.

1978 წლის მარტში აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა დაგმო აღნიშნული წერილი და სამი პროვოკატორი: (ჟურნალ "ალაშარას" რედაქტორი **ჯენია,** აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი **არგუნი** და გუდაუთის რაიონული გაზეთის "ბზიფის" რედაქტორის მოადგილე **ახიბა**) პარტიიდან გარიცხა და სამსახურიდან მოხსნა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად პროვოკატორები პარტიასა და თანამდებობებზე აღადგინეს, ხოლო **ვ.ხინთბა** კი გაანთავისუფლეს. ამის შედეგად ანტიქართულმა მოძრაობამ აფხაზეთში ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერა მოიპოვა.

ისარგებლეს რა შექმნილი ვითარებით, პროვოკატორებმა **1978 წლის გაზაფხულზე** და **ზაფხულში** უპრეცენდენტო ანტიქართული მოძრაობა გაშალეს. გაჩნდა ლოზუნგები: "სიკვდილი ქართველებს", "ძირს ძაღლური ენა", "ქართველებო წაეთრიეთ აფხაზეთიდან" და ა.შ. თუ სადამდე მივიდა პროვოკატორთა თარეში, კარგად ჩანს ქართველების მიერ **ე.შევარდნაძისადმი** მიწერილ ერთ-ერთი წერილიდან: **"ჩვენ, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის მცხოვრებნი, ქართველები, რომელნი ჩვენს განცხადებას ქვემოთ ხელისმოწერით ვადასტურებთ, ვთხოვთ საქართველოსKკომუნისტური პარტიის ცკ-ს, გაგვიწიოს მფარველობა ამავე რაიონში მცხოვრებ აფხაზებისაგან. მაგალითად, ჩვენს სოფელში მცხოვრები <u>გ.ანშბა</u> ქართველებს ხშირად გვემუქრება და გვეუბნება: "გეყოფათ ცხოვრება აფხაზეთში, წადით აქედან, სანამ არ დაგხოცავთ". ეროვნული შუღლის ნიადაგზე წინასწარი განზრახვით მოკლეს კოლმეურნე <u>ბ.ჩალაძე</u>, თოფით ჩასაფრებულმა <u>დ.ანშბამ</u> მძიმედ დაჭრა სოფ. ლიხნის კოლმეურნეობის ბულდოზერისტი <u>რ.მოდებაძე</u>, რის შედეგადაც იგი მეორე ჯგუფის ინვალიდი გახდა და მისი მრავალშვილიანი ოჯახი ფაქტიურად არსებობის საშუალებას არის მოკლებული. გუდაუთის რაიონის სოფ. ახალსოფლის კოლმეურნე ა.გოგრიჭიანი მძიმედ დაჭრეს თოფით კისერში (1978 წელს პროვოკატორების მოთხოვნის შედეგად ამ სოფელს თვითნებურად ეწოდა ორჯონიკიძე). გახშირდა თავდასხმის შემთხვევები,**

რომელნიც ქართველების მოკვლის მიზნით იყო ორგანიზებული. ამისდამიუხედავად, მართლმსაჯულება სიმართლის მიჩქმალვის გზას დაადგა და ზემოთ ჩამოთვლილი ეროვნულ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებანი ყოფით დანაშაულებად გაფორმდა, რამაც საშუალება მისცა დამნაშავეებს სასჯელის მინიმალური ზომით გადარჩენილიყვნენ".

ქართველი ხალხის ეროვნული ღირსებების შელახვის მიზნით პროვოკატორებმა შეურაცხყვეს და დაამსხვრიეს **რუსთაველის** ბიუსტი, რომელიც სოხუმის დრამატული თეატრის შენობაში იდგა. დანაშაულის დასაფარავად კი ეს ფაქტი ისე გაფორმდა, რომ თითქოსდა დამლაგებლებს ბიუსტი შემთხვევით გადმოუვარდათ წმენდის დროს. გაგრაში პროვოკატორებმა **რუსთაველის** ბარელიეფი დაამსხვრიეს. მათვე დაანგრიეს სოხუმის ცენტრში მდგარი მონუმენტური ქანდაკება, რომელიც ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობას ასახავდა. მხოლოდ პროვოკატორთა წინაშე შიშით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული ძეგლები დღემდე აღუდგენელია, თუმცა უკვე ორ წელიწადზე მეტი ხანი გავიდა. ამას გარდა აფხაზეთში მასიურად ნადგურდებოდნენ ქართული წარწერები.

ფართოდ გაშლილი ანტიქართული მოძრაობის შედეგად აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციის მიღება გაურკვეველი ვადით გადაიდო საკადრო პოლიტიკის კრახი აშკარა გახდა. პროვოკატორთა მიერ წაქეზებული ბრბოს მოთხოვნის საფუძველზე დაიწყო ქართველთა მასიური მოხსნა სამსახურიდან. შიშით შეპყრობილი ხელმძღვანელობა საქართველოს კომპარტიისა ყოველგვარ დათმობებზე მიდიოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია **1978 წლის 4 მაისს** გაგრაში მომხდარი ფაქტი. პროვოკატორთა მიერ დაშინებულმა გაგრის ქალაქკომის პირველმა მდივანმა **კვანტალიანმა,** რომელსაც მოკვლით დაემუქრნენ, საპირველმაისო დემონსტრაციაზე გამოსვლა ვერ გაბედა, რის შედეგადაც მას უბრძანეს "წათრეულიყო" გაგრიდან. **კვანტალიანი** გაიქცა, პლენუმმა გაგრის ქალაქკომის პირველ მდივნად გულრიფშის რაიკომის პირველი მდივანი, ეროვნებით ქართველი **გ.ნაჭყებია** აირჩია. 12 საათიც კი არ იყო გასული **გ.ნაჭყებიას** არჩევიდან, როდესაც ძირითადად გუდაუთიდან ჩამოსულმა ბრბომ ქალაქკომის შენობის დაწვის მუქარით **გ.ნაჭყებიას** მოხსნა მოითხოვა. სასწრაფოდ ჩამოსულმა **ე.შევარდნაძემ** ქალაქკომის შენობაში ქუჩიდან შეყრილ ბრბოს შემდეგი სიტყვებით მიმართა: **"ამხანაგებო! მოხდა შეცდომა, პარტიის ქალაქკომის მდივნის არჩევისას ჩვენ ავჩქარდით. ჩვენს შეცდომას ჩვენვე გამოვასწორებთ. თქვენ გაგრის ქალაქკომის პირველ მდივნად აფხაზი გსურდათ? აი აფხაზი _ <u>ასტიკო კონსტანტინეს ძე გვარამია,</u> გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი, ჩვენ მას გინიშნავთ გაგრის ქალაქკომის პირველ მდივნად".**

ეს იყო სკკპ ისტორიაში პარტიის წესდების უპრეცედენტო დარღვევა. პლენუმის მიერ არჩეული ქალაქკომის მდივანი ბრბოს მოთხოვნით გადაყენებულ იქნა და შეიცვალა უკანონოდ დანიშნული პირით. გუდაუთაში **ა.გვარამიას** შემდეგ მოვიდა **კ.ოზგანი** და ისინიც "მუშაობას" შეუდგნენ: **კ.ოზგანმა** გუდაუთის რაიონში ნომენკლატურულ თანამდებობებიდან მოხსნა ფაქტიურად ყველა ქართველი. გაგრაში იგივე "მოღვაწეობა" გააჩაღა **ა.გვარამიამ,** რომელიც ქართველი ეროვნების კადრებს ხსნიდა პროვოკატორისა და ცნობილი მაქინატორის **ბ.კეხირიფას** მიერ შედგენილი სიის

მიხედვით, რომელსაც **ა.გვარამია** ანგარიშს აბარებდა ჩატარებული "მუშაობის" შესახებ. პროვოკატორებმა იმასაც მიაღწიეს, რომ სოხუმის ქალაქკომის მდივნებიდან ქართველი არც ერთი არ დარჩა ხოლო პირველი და მეორე მდივნის თანამდებობაზე აფხაზები დაინიშნენ. ქართული ეროვნების კადრები გამოყარეს სოხუმის ქალაქის საბჭოდან და სხვა დაწესებულებებიდან. ქართველთა დევნამ უპრეცედენტო მასშტაბი მიიღო. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა გაგრის, გუდაუთის და ოჩამჩირის რაიონებში.

აფხაზეთში შექმნილმა არანორმალურმა მდგომარეობამ ფართო გამოძახილი ჰპოვა მთელს საქართველოში. სახეზე იყო საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის სრული უმოქმედობა პარტიული ნორმებისა და საბჭოთა კანონიერების აღმაშფოთებელი დარღვევების მიმართ. აფხაზეთში გაჩაღებული ანტიქართული მოძრაობა ქართველმა ერმა მოსკოვიდან გარკვეული წრეების მიერ ინსპირირებულ აქტად აღიქვა, ყოველივე ამან ქართველებსა და რუსებს შორის ეროვნული ურთიერთობების გამწვავება გამოიწვია. ჩვენ გეკითხებით: როგორ იმოქმედებდა სკკპ ხელმძღვანელობა, მაგალითად **ა.პუშკინის** სახელის შეურაცხყოფის შემთხვევაში, ან რუსი ადამიანის მოკვლისას ეროვნული შუღლის მიზეზით, ან მასიური ანტირუსული გამოსვლებისას და მოქალაქეთა დევნისას იმ ლოზუნგებით, რომლებითაც გამოდიან აფხაზი პროვოკატორები?

1978 წლის 27 ივნისს თბილისში მთავრობის სახლის წინ მანიფესტაცია მოეწყო. მანიფესტაციის მონაწილენი აფხაზეთში ქართველთა დაცვას მოითხოვდნენ. მღელვარების დაწყნარების მიზნით საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ მთელ რიგ დაწესებულებებში ჩაატარა საგანგებო კრებები, რომლებზედაც **ე.შევარდნაძე** ხალხს არწმუნებდა, აფხაზეთში უახლოეს ხანში წესრიგი აღდგებაო. მაგრამ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა.

1978 წლის 1 სექტემბერს სოფ. ბზიფის ქართულ სკოლაში ბავშვებს მერხებზე დახვდათ წარწერები: **"სიკვდილი ქართველებს",** ხოლო სკოლის ეზოში კოცონზე დაწვეს ქართული **"დედა ენა".** ასეთი შეხვედრა ბავშვებს მოუწყვეს იმავე **ბ.კეხირიფას** ინიციატივით. სკოლამ პროტესტის ნიშნად ერთი თვით შეწყვიტა მუშაობა. რადგან ბავშვების სიცოცხლე საფრთხეში იყო. ქართველ მშრომელთა მოსალოდნელი გამოსვლების თავიდან ასაცილებლად საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის ბრძანებით **2 სექტემბერს** რესპუბლიკაში საავტომობილო გზები გადაიკეტა, ხოლო რკინიგზის სალაროებს ბილეთების გაყიდვა აეკრძალათ აფხაზეთისაკენ მიმავალ მატარებლებზე. ამისდამიუხედავად **3 სექტემბერს** გაგრაში მოეწყო ქართველ მშრომელთა მანიფესტაცია. აქ ჩამოსული **ე.შევარდნაძე** ხალხს დაპირდა, რომ იგი სულ მალე წესრიგს აღადგენდა, "წესრიგის აღდგენა" კი იმით დაიწყო, რომ **1978 წლის 5 სექტემბერს** საქართველოს ცკ ბიურომ მიიღო საგანგებო დადგენილება, რომელიც საქართველოში გამოსვლებს კრძალავდა.

ეს დადგენილება თავისი არსით ანტიკონსტიტუციურია, რადგან ახალი საბჭოთა კონსტიტუციის VII მუხლის თანახმად სკკპ საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებს, საბჭოთა კონსტიტუცია კი კრძალავს მხოლოდ ანტისაბჭოთა გამოსვლებს და არა იმ დემონსტრაციათა უფლებას, რომელნიც საბჭოთა კანონიერების ნორმებს არ ეწინააღმდეგებიან. აფხაზ პროვოკატორთა "მოძრაობა" თავისი ბუნებით

ანტიქართულია და მაშასადამე, ანტიკონსტიტუციურია, ქართველთა მანიფესტაცია კი გაგრაში საბჭოთა კანონიერების დაცვას ისახავდა მიზნად და არც საბჭოთა და არც საქართველოს სსრ კონსტიტუციების მიერ ხალხებისადმი მინიჭებულ უფლებებს არ ეწინააღმდეგებოდა, ამის საბუთია მანიფესტაციაზე გამოტანილი ლოზუნგები, რომელნიც ხალხთა მეგობრობისაკენ მოუწოდებდნენ.

აღნიშნული დადგენილება პროვოკატორებმა ქართველთა წინააღმდეგ მიმართულ მორიგ ღონისძიებად მიიჩნიეს და არაფრად ჩააგდეს, როდესაც **1978 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში** აფხაზეთის ასსრ-ის მინისტრთა საბჭოთა თავმჯდომარედ **ი.უბილავა** დაინიშნა, მის დანიშვნას ქართული ეროვნების გამო გამოსვლებითა და გაფიცვებით შეხვდნენ. პროვოკატორებმა გარკვეულ მიზანს მიაღწიეს, დაუსჯელნიც დარჩნენ და **ი.უბილავაც** თავის მარიონეტად აქციეს.

ანტიქართული პოლიტიკა აფხაზეთში სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იკრეფდა. საკადრო პოლიტიკა მთლიანად დაირღვა, ყველა რგოლის ხელმძღვანელი მუშაკებიდან ხელმძღვანელ თანამდებობებზე აფხაზთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა და 70%-ს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზი ეროვნების 16% დისკრიმინაციას უწევს მოსახლეობის უმრავლესობას _ 84%, რომელთა შორის 44% ქართველი არის. შექმნილი ვითარების მთელი სიმძიმის მიუხედავად, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა სიმართლის მიჩქმალვის ძველ გზას დაადგა. **1979 წლის** აფხაზეთის საოლქო XXXIV პარტკონფერენციამ ისე ჩაიარა, რომ თითქოსდა აფხაზეთში არაფერი ხდებოდა და ხალხთა მეგობრობა აყვავებას განიცდიდა, რამაც კიდევ უფრო შეასხა ფრთა პროვოკატორებს. შექმნილი მძიმე ვითარების გამო **1980 წლის აპრილში** ქართველი ეროვნების მშრომელებმა საგანგებო წერილით მიმართეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ს; წერილში, რომელსაც ხელს აწერდა 372 მოქალაქე, მათ შორის სოციალისტური შრომის გმირებიც, დოკუმენტურად იყო აღწერილი წარმოქმნილი ვითარების სირთულე, ხოლო მასში მოცემული ანალიზის სისწორეს ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ **1980 წლის მაისის მეორე ნახევრიდან** მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. ამჟამად, პროვოკატორებმა არეულობათა საბაბად რიწის ტბისკენ მიმავალ შოსეზე 46 არმიის საპატივცემლოდ მემორიალური დაფის დადგმა გამოიყენეს. ეს დაფა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 46 არმიის ვეტერანთა თანდასწრებით **1980 წლის 9 მაისს.**

პროვოკატორები იმით იყვნენ აღშფოთებულნი, რომ მემორიალის ტექსტში ეროვნებით ქართველი, იმ დროს 46 არმიის სარდალი (შემდგომ კი 18 არმიის სარდალი) გენერალი **კ.ლესელიძე** იხსენიებოდა. თავდაპირველად ისინი მემორიალური დაფის აღებას მოითხოვდნენ, შემდეგ კი 46 არმიის ვეტერანთა საპატივცემლოდ დადგმული მემორიალური დაფის საპირისპიროდ, იქვე თვითნებურად, ღამით დააყენეს მემორიალური დაფა, რომელსაც მათი აზრით ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობებისათვის შეურაცხყოფა უნდა მიეყენებინა და დაფას შეიარაღებული მცველები დაუყენეს. ქართული მოსახლეობის დაშინების მიზნით კი პროვოკაციულ ხერხს მიმართეს: სოფ. ბზიფისხევის მცხოვრებ ყველა ქართველ გლეხს აფხაზმა მილიციელებმა ჩამოართვეს რეგისტრირებული სანადირო თოფები და დანები. აფხაზ თანასოფლელებს კი იგივე იარაღი უკლებლივ დაუტოვეს; პროვოკატორთა

თავაშვებულობამ იმდენად სახიფათო ხასიათი მიიღო, რომ ქართველმა გლეხებმა ორი სანადირო თოფი იშოვეს და ყოველღამე ორი მამაკაცი მორიგედ დააყენეს.

1980 წლის 6 ივლისს პროვოკატორებმა დაბა ბზიფში მოაწყვეს ხალხმრავალი მიტინგი, რომელზედაც პროვოკაციული შინაარსის ლოზუნგების დემონსტრირებით _ **"ვის ხელში ხარ შენ, მრავალტანჯულო აფხაზეთო"**, ქართველ ხალხს "მენშევიკებს", "**ბერიას** მიმდევრებს" და "ქურდებს" უწოდებდნენ, ხოლო მეგრელებსა და სვანებს ქართველ "ასიმილატორებისაგან" იცავდნენ. მიტინგის სახელით სკკპ XXVI ყრილობისადმი გასაგზავნად მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერეს: **"აფხაზეთში დღეს <u>ბერიას</u> დროზე უარესი ვითარებაა", სრულ უნდობლობას ვუცხადებთ საქართველოს კპ ცკ-ს და მთავრობას"** და ამის საფუძველზე მოითხოვეს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა და რსფსრ-ს შემადგენლობაში შეყვანა. მიტინგს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ.ადლეიბა** და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი.უბილავა** დაესწრნენ, რომელთაც არ დაუგმიათ პროვოკაციული თავყრილობა. ანალოგიური მიტინგი ჩატარდა **19 ივლისს** ოჩამჩირის რაიონში. მღელვარება მოედო ქართულ მოსახლეობასაც. მდგომარეობამ საშიში ხასიათი მიიღო და მის განსამუხტავად **ა.გვარამია** თბილისში გადაიყვანეს, **ა.გვარამიას** ნაცვლად კი **ე.კაპბა** დანიშნეს. გავრცელდა ხმა, რომ მალე ჩამოვა **ე.შევარდნაძე,** რომელიც წესრიგს აღადგენს და **1980 წლის აპრილში** მისთვის მიწერილ წერილსაც პასუხს გასცემსო (თუ რა პასუხი გაეცა ქართველთა წერილს, ამაზე იხილეთ **ს.საჯაიას** წერილი **"ვინ ააშენა როკის გვირაბი აფხაზეთში"**).

16 აგვისტოს გაგრაში შედგა პარტაქტივი. თუ **1978 წლის მაისში** აფხაზეთის ასსრ-ის რსფსრ-ის შემადგენლობაში შეყვანა მიზანშეწონილი არ არის საერთაშორისო ვითარების სირთულის გამო, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ **ე.შევარდნაძემ** პროვოკატორთა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა სსრკ და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს, ამავე დროს პარტაქტივზე არაფერი იყო თქმული გაგრელ ქართველთა წერილში მოყვანილი აღმაშფოთებელი ფაქტების შესახებ, რომლებიც დადასტურდნენ საქართველოს კპ ცკ მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, ხოლო აფხაზეთში შექმნილი ვითარება ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს ეროვნულ ნიადაგზე არსებული პრობლემები არსებითად მოგვარებულია. ეს რომ ასე არ არის, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია რამოდენიმე ფაქტიც.

პარტაქტივის შემდეგ სულ მცირე ხანი იყო გასული, როდესაც აჩიგვარის **რუსთაველის** სახელობის მეურნეობაში ცენტრალურ ადგილას მდგომი **რუსთაველის** ძეგლი ჩამოხსნეს, მკერდზე გადახერხეს და დამახინჯებულ ბიუსტად ქცეული მიყრუებულ ეზოში გადაიტანეს; კურორტ ბიჭვინთაში ბუღალტრად მუშაობდა ვინმე **არგუნი,** რომელმაც აფხაზეთის კონსტიტუციის განხილვის დროს ოქმში გააფორმა თავისი მოთხოვნა აფხაზეთიდან ქართველთა გასახლების შესახებ, იგი დღესაც ამ იდეის აქტიური პროპაგანდისტია. პროვოკატორი **არგუნი** გაგრის ბანკის მმართველად დაინიშნა. ასეთივე მოთხოვნა შეიტანეს ოქმში აფხაზეთის ასსრ-ის კონსტიტუციის განხილვის დროს **მ.ხარაზიამ** და **ჰ.ბარციცმა,** რომელნიც დღეს გაგრის მილიციის პასუხისმგებელი თანამშრომლები არიან.

1980 წლის 7 თებერვალს გაზეთ **"ტრუდში"** გამოქვეყნებულ წერილში, რომელსაც **"არენდა"** ეწოდება, დაწვრილებით მოთხრობილია ბზიფის მეორე საშუალო სკოლის დირექტორის, ზემოთხსენებულ **ბ.კეხირიფას** მიერ სახელმწიფო ქონების დიდი მასშტაბით დატაცების და პიონერთა ბანაკის მშენებლობასთან დაკავშირებული აფიორის მოწყობის შესახებ. ეს პროვოკატორ-მაქინატორი დღესაც თავისუფლად დასეირნობს და განაგრძობს თავის "მოღვაწეობას".

მხოლოდ პროვოკატორთა შეუზღუდველი თავაშვებულობით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სხვადასხვა თანამდებობებიდან უმიზეზოდ ხსნიან ქართველი ეროვნების კადრებს და მათ ადგილზე ნიშნავენ აფხაზებს _ ზოგჯერ სისხლის სამართლის დამნაშავეებსაც კი. **ბ.ხუნძია** მუშაობდა ოჩამჩირის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად. გამჟღავნდა, რომ უმაღლესში საერთოდ არ უსწავლია და დიპლომა ნაყიდი ჰქონდა. საოლქო კომიტეტის ბიურომ **ბ.ხუნძია** პარტიიდან გარიცხა და სამსახურიდანაც მოხსნა, მაგრამ ამჟამად იგი რეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომია. **ხ.წვიშბა** პარტიული კონტროლის თავმჯდომარე იყო. გაუპატიურებისათვის პარტიიდან გაირიცხა და სასჯელსაც იხდიდა; მაგრამ მალე იგი კვლავ მიიღეს პარტიის რიგებში და ეხლა პურის ქარხნის დირექტორია.

სოხუმის ქალაქკომის ბიუროს დადგენილებით სოხუმის ტაქსომოტორპარკის დირექტორად დაინიშნა **შ.ბენდელიანი.** პროვოკატორთა ჩაგონებით აფხაზმა მძღოლებმა განაცხადეს, თუ **ბენდელიანის** ნაცვლად დირექტორად აფხაზს არ დასვამთ _ გავიფიცებითო. ქალაქკომმა **შ.ბენდელიანი** დაუყოვნებლივ შეცვალა აფხაზი **დბარით,** საოლქო კომიტეტმა კი პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტი "ვერ შეამჩნია". ასევე პროვოკატორთა დაჟინებული მოთხოვნით გაანთავისუფლეს თანამდებობიდან რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი **ბოჭორიშვილი,** "ინსტიტუტის" მმართველი **ჭელიძე,** სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი **ო.ხვინგია** და სხვები, რომელთა ადგილზე დასვეს აფხაზები, ხოლო გაგრის ქალაქკომის ახალი მდივანი **ე.კაპბა 1970-7975 წლებში** კურორტ ბიჭვინთის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის დროს მფარველობდა კურორტის პანსიონატთა გაერთიანების ცენტრალური საწყობების გამგეს **ზ.შვანბას** და მის მოადგილეს **ა.ციჟბას,** რომელთაც ერთი მილიონი მანეთი მიითვისეს (იხილეთ კურორტ ბიჭვინთის მთავარი ბუღალტრის **პოლონსკის** ანგარიში საქართველოს სსრ პროკურატურაში) _ **ე.კაპბას** დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის მხოლოდ პარტიული სასჯელი აკმარეს და გადარჩენის მიზნით თბილისში გადაიყვანეს.

პროვოკატორთა ტრიუმფია ის ფაქტი, რომ აფხაზეთის პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე კვლავ ამოტივტივდა ყველასათვის კარგად ცნობილი **ვ.კობახია,** რომელიც 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რა საოლქო კომიტეტს, ნერგავდა ანტიქართულ განწყობილებებს და მფარველობდა ყველა ჯურის მაქინატორებს და საქმოსნებს, **ვ.კობახია** საქართველოს კომპარტიის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ საოლქო კომიტეტის პირველი მდივნობიდან გაანთავისუფლა საკადრო პოლიტიკის ჩავარდნისა, იდეოლოგიური მუშაობის ჩაშლისა, მიწერების, მექრთამეობის,

თვალახვევისა და სხვა დარღვევების გამო. თუ **ბ.შინკუბა,** რომელიც ახლა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრჩეველი გახდა, აფხაზ პროვოკატორთა "სულიერი მამა" არის, მისი შემცვლელი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე **ვ.კობახია** თავისი "სულიერი მამის" იდეების ცხოვრებაში განმხორციელებელია. ამგვარად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ორი პირწავარდნილი პროვოკატორის ხელში არის. როგორ აფასებენ **ვ.კობახია** და მისი მრჩეველი **ბ.შინკუბა** მრავალეროვან აფხაზეთის არააფხაზური ეროვნების მშრომელთა გარჯას, კარგად ჩანს თუნდაც მთავრობის ჯილდოების განაწილების პრინციპიდან. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **1982 წლის 5 მარტის** ბრძანებულებით აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობაში ორდენებით დაჯილდოებული 23 მუშაკიდან რვა აფხაზია (მოსახლეობის 16%), ხოლო ხუთი კი არააფხაზი _ მოსახლეობის 84%), რომელთა შორის ორი ქართველია (მოსახლეობის 44%), ამავე პრინციპით ნაწილდება დეპუტატთა მანდატებიც.

ნიშანდობლივია, რომ იმ დროს, როდესაც **ვ.კობახია** და მისი მსგავსნი ხელმძღვანელ თანამდებობებს ხელში იგდებენ, ყოველგვარ შევიწროებას განიცდის **მ.ხვარცკია,** რომელიც პარტიულ სამუშაოს ჩამოაშორეს. ზემოთ მოტანილი ფაქტების ფონზე ერთობ არაგულწრფელად ჟღერს **ბ.ადლეიბას** სიტყვები, რომ **"უკანასკნელ ხანს აფხაზეთში ხელმძღვანელ სამუშაოზე მოვიდნენ პატიოსანი, პრინციპული, პარტიისა და ხალხის საქმის ერთგული ადამიანები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი დამოუკიდებელ სამუშაოზე"** (გაზ. **"საბჭოთა აფხაზეთი"**).

პროვოკატორთა განუკითხავი პარპაშის გამო ყოველივე ქართული აფხაზეთში იდევნება. **"ალაშარას"** გამომცემლობაში მხატვრულ ლიტერატურას გამოყოფილი აქვს 452 თაბახი. აქედან **1979 წელს** ქართულ მხატვრულ ლიტერატურას დაეთმო 39 თაბახი, ხოლო დამატებით დაშვებული 250 თაბახიდან ქართულ ლიტერატურეს გამოუყვეს ორი თაბახი. ყოველივე ეს კანონზომიერია: პროვოკატორული წერილის ერთ-ერთი შემდგენელი, საოლქო კომიტეტის მიერ პარტიიდან გარიცხული და ზემდგომი ორგანოების მიერ პარტიაში აღდგენილი **ა.ჯენია** ჟურნალ **"ალაშარას"** რედაქტორობიდან გამომცემლობა **"ალაშარას"** მთავარ რედაქტორობამდე აღზევდა. თავისი "დამსახურებისათვის" მან აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტფონდიდან უკანონოდ მიიღო ოთხოთახიანი ბინა, საკუთარი ორსართულიანი სახლი კი გაყიდა. თავის დროზე **ა.ჯენია** ალკკ-ს რიგებიდან იყო გარიცხული საწევროების გადაუხდელობის გამო. აი, ეს სპეკულიანტ-პროვოკატორი სდევნის ქართველებს, იგი დემონსტრაციულად ხმას არ სცემს ქართველი ეროვნების ადამიანებს, მათ შორის მის განმგებლობაში მყოფი გამომცემლობის თანამშრომლებსაც კი.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტი და მინისტრთა საბჭო დღემდე არ ასრულებს საქართველოს კპ ცკ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს **1974 წლის 18 ივნისის** დადგენილებას (332): **1976 წლიდან** სოხუმში, წელიწადში ორჯერ, ქართულ ენაზე ალმანახის გამოცემის შესახებ. შეიძლება თუ არა პარტიული დისციპლინა არსებობდეს იქ, სადაც ცკ და მინისტრთა საბჭოს დადგენილებები ფარატინა ქაღალდებად ითვლება.

ანტიქართულ ხასიათს ატარებენ აფხაზეთის მუზეუმის გამოფენებიც. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში **1979 წელს** გამოფენილ სტენდზე მოტანილია ფოტოსურათი,

რომელზედაც თითქოს გამოსახულია **ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნის** აფხაზური წარწერა. იმავე სტენდზე გამოფენილია ნუსხური დამწერლობით შესრულებული **IX საუკუნის** ძვ. ქართული წარწერები აფხაზეთიდან. ის ფაქტი, რომ ეს წარწერები ძველ ქართულ ენაზე არიან შესრულებულნი, არსად არ არის აღნიშნული, მოტანილია მხოლოდ მათი რუსული თარგმანი, დამთვალიერებლებს კი ისე განუმარტავენ, თითქოს ძველი ქართული წარწერები აფხაზური დამწერლობის ძეგლებს წარმოადგენენ. ასევე **X საუკუნის** ქართული ისტორიული წყარო "აფხაზ მეფეთა დივანი" აფხაზურ ისტორიულ წყაროდ საღდება. თითქოსდა აფხაზმა მეფეებმა თავისი თავისი საგვარეულო მატიანე აფსუას ენაზე შეადგინეს.

ცნობილია, რომ აფხაზური დამწერლობა არ არსებობს. ეგრეთწოდებული **ძველი წელთააღრიცხვის II საუკუნის** აფხაზური წარწერა სიყალბეა, წყაროებში არ არის არავითარი ცნობები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე იმ დროს აფხაზთა მოსახლეობის შესახებ. კოლხეთის სამეფოს ამ მიწა-წყალზე დასავლურქართული ტომები სახლობდნენ. ცნობილია, რომ აფხაზური ანბანის შექმნის პირველი ცდები **XIX საუკუნის II ნახევარში** დაიწყო, ხოლო ზემო აღნიშნული სიყალბე პროვოკატორთა ერთ-ერთი ხერხია აფხაზ ხალხში ანტიქართული გრძნობების გასაღვივებლად. პროვოკატორები ხომ სულ იმას უმტკიცებენ აფხაზ ხალხს, რომ ქართველებმა აფხაზებს წაართვეს ისტორია, დამწერლობა და კულტურა, ხოლო ქართველი ისტორიკოსები კი ამას საგანგებოდ მალავენ. იგივე პოლიტიკა ტარდება აფხაზეთის საექსკურსიო ბიუროებში და სხვა მუზეუმებში (ახალი ათონი, ბიჭვინთა).

ასეთი "აღმოჩენები" დიდი ხანია გასცდნენ აფხაზეთის საზღვრებს. **1972 წელს** მოსკოვში გამოცემულ აფხაზეთის კულტურის ძეგლთა ღია ბარათების სერიის "წინასიტყვაობაში" **გ.გულია** წერს, რომ თურმე ძველი ქართული წარწერებით შემკული, ქართული არქიტექტურის სტილით აგებული ტაძრები _ ბედია, მოქვი, დრანდა, ლიხნი და ბიჭვინთა, რომლებშიც წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობდა და მწიგნობრობაც მხოლოდ ქართული იყო, "ძველი აფხაზური კულტურის" ძეგლები ყოფილან, რადგან ამ ამბავს ხშირად მოუთხრობდა მას მისი 118 წლის ბებია ასინეთი.

თავისი მეცნიერული დასკვნების გამოსატანად უფრო ახალგაზრდა წყაროთი სარგებლობს პროვოკატორთა მიერ აღიარებული "ისტორიკოსი" **შ.ინალ-იფა.** ცდილობს რა დაამტკიცოს, რომ აფხაზები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ არა მხოლოდ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე. **შ.ინალ-იფა** დასავლურქართულ კოლხთა ტომს აფხაზებად აცხადებს. **"1952 წლის ივნისში სოფ. ეშერაში** _ წერს **შ.ინალ-იფა** _ **70 წლის დახარ გელდაჩის ძე ხიბბასგან ჩავიწერე შემდეგი თქმულება: კავკასიის მთელი შავი ზღვის სანაპირო იწოდებოდა კალხად. კალხას მოსახლეობა ლაპარაკობდა აფხაზურ ენაზე. მისი საზღვრები შორს ვრცელდებოდა ჩრდილოეთით და სამხრეთით. ამ სამეფოს მართავდა აფხაზი მეფე, რომელსაც ძლიერი ჯარი და 360 ციხე ჰქონდა"** (აფხაზთა ეთნო-კულტურული საკითხები, **1976,** გვ. 202).

კოლხების აფხაზებად მონათვლის შემდეგ **შ.ინალ-იფა** აფხაზებად ნათლავს კოლხების შთამომავლებს _ ლაზებსაც, შემდეგი "ენათმეცნიერული" გამოკვლევის საფუძველზე **"ჩრდილო-დასავლელ აფხაზთა შორის** _ წერს **შ.ინალ-იფა, დღესაც**

გვხვდება გვარი <u>გუბაზი</u>, რომელიც, როგორც ცნობილია, ლაზების მეფეთა სახელი იყო. აქ ბგერა "ზ" აფხაზური ენის ბზიფური დიალექტის დამახასიათებელი სისინა-შიშინა ბგერა არის (აქვე, გვ. 180). რაც შეეხება ქართველებს, მათთვის აფხაზეთში საცხოვრებლად ადგილი არ იყო, რადგან **შ.ინალ-იფას** აზრით, აფხაზეთი იმდენად მჭიდროდ იყო დასახლებული აფხაზებით, რომ აფხაზური თქმულების მიხედვით, **"კატას სახლების სახურავებზე სირბილით მიწაზე ფეხისდაუდგმელად შეეძლო ზღვის სანაპიროდან კავკასიონის ქედის მწვერვალებამდე მისვლა" (აქვე, გვ. 404).**

შ.ინალ-იფას ამ მონაჩმახზე არც კი ღირდა ლაპარაკი, პროვოკატორები ამ მონაჩმახს რომ არ იყენებდნენ სხვადასხვა ანტიქართული თეორიების შესათხზველად _ მაგალითად, რომ აფხაზები ოდესღაც თითქმის მთელ კავკასიაში და კავკასიის გარეთაც მცხოვრები დიდი ხალხი იყო, მაგრამ უცებ გამოჩნდნენ ქართველები, გაანადგურეს აფხაზები და დღესაც მოსპობით ემუქრებიან. ფალსიფიკატორი **შ.ინალ-იფა** ყოველნაირად იფართოებს "მოღვაწეობის" ასპარეზს. **1980 წლიდან** იგი აფხაზეთის საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარეა.

ცნობილია, რომ გარკვეული წრეები მოსკოვიდან ხელს უწყობენ მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელებას და პატარა ერის "დაცვის" საბაბით ამხედრებენ აფხაზებს ქართველების წინააღმდეგ, როდესაც **შ.ინალ-იფას** ფალსიფიკატორული ნაშრომი ქართველმა მეცნიერებმა პრესაში გააკრიტიკეს, "დაჩაგრულმა მეცნიერმა" დახმარებისათვის მოსკოვს მიმართა, სადაც მას მყისვე ქომაგნი გამოუჩნდნენ. თუ რა მიზანი ამოძრავებთ ამ შემთხვევაში აფხაზი ხალხის მოსკოველ "მეურვეებს" ნათლად გამჟღავნდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივნის **ტრაპეზნიკოვის** მიერ **1979 წელს** სოხუმში წაკითხულ საჯარო ლექციაზე, რომელზედაც მან საქვეყნოდ გამოაცხადა: **"<u>ბერია</u> რომ არ დაეხვრიტათ, აფხაზებს გადაასახლებდნენ და მათ მათ მიწებზე ქართველები ჩასახლდებოდნენ".** იქვე მან მაღალი შეფასება მისცა **შ.ინალ-იფას** წიგნს. რომლის გასაგებად, თურმე, ქართველ მეცნიერებს "ძალა არ შესწევთ".

ფალსიფიკატორულ ხასიათს ატარებს აფხაზეთში მომუშავე არქეოლოგის, **ი.ვორონოვის** მიერ გაზეთ **"იზვესტიაში"** გამოქვეყნებული ინფორმაცია _ **"ბესლეთის ხეობაში"** და მოსკოვში გამოცემული მისი წიგნები, ხოლო საკავშირო გამომცემლობის **"პლანეტის"** მიერ გამოცემულ ალბომში _ **"აფხაზეთი"** ფალსიფიცირებულია არა მხოლოდ აფხაზეთის ძველი და შუასაუკუნეების ისტორიის ფაქტები, არამედ საბჭოთა პერიოდსაც კი.

პროვოკატორთა ბატონობის პირობებში არც მუზეუმებში (აფხაზეთის სახლემწიფო მუზეუმი, ახალი ათონი, ბიჭვინთა) და არც აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში ქართველი ეროვნების მეცნიერთათვის მუშაობის პირობები არ არსებობს. ამიტომ არის, რომ ამ დაწესებულებებში არ არის არც ერთი ქართველი ეროვნების მეცნიერი _ არც ისტორიკოსი (ძველ და შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიაში), არც ეთნოგრაფი, არც არქეოლოგი, არც ფოლკლორისტი, არც ლიტერატურათმცოდნე, არც დიალექტოლოგი, არც ხელოვნებათმცოდნე, არც მუსიკის ფოლკლორისტი, არც ანთროპოლოგი.

მკვიდრ ქართველ მეცნიერთა მიერ არ შეისწავლება აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა არც ეთნოგრაფია, არც მუსიკალური ფოლკლორი, არც ქართული ენა და მისი დიალექტები (მეგრული, სვანური), არც ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებითაც მოფენილია აფხაზეთის მიწა-წყალი; ამავე დროს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში ამ ბოლო ხანებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა არა ერთი ქართული ეპიგრაფიკის ძვირფასი ძეგლი, რომლებიც განადგურების საშიშროების წინაშე დგანან, რადგან დასახელებული სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებები ანტიქართული განწყობილების კერებს წარმოადგენენ. მით უფრო, რომ აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმიდან გაქრა კოლხური კულტურის ძვირფასი ძეგლი.

შემოქმედებითი კავშირების თავმჯდომარეები უკლებლივ ყველა აფხაზია, რომელნიც განსაკუთრებით ქართველ შემოქმედ ახალგაზრდობას ავიწროვებენ და ყოველნაირი საბაბით ცდილობენ უარი უთხრან მათ შემოქმედებით კავშირებში მიღებაზე. ამის შედეგია, რომ შემოქმედებით კავშირებში რამოდენიმეჯერ უფრო მეტი აფხაზი არის გაერთიანებული (მოსახლეობის 16%), ვიდრე არააფხაზი (მოსახლეობის 84%), რომელთა შორის 44% ქართველია. ქართველი ეროვნების შემოქმედთა მიღწევები იჩქმალება, მუშაობის პირობებიც ქართველი ეროვნების შემოქმედთ უფრო ცუდი აქვთ, ვიდრე აფხაზებს (მხატვართა სახელოსნოები, შეკვეთების განაწილება და სხვა), მთელი ეს სისტემა აფხაზეთიდან ქართველთა განდევნას ისახავს მიზნად.

აფხაზეთის მწერალთა კავშირის გარდა, არცერთ შემოქმედებით კავშირში არ არსებობს ქართული სექციები. აფხაზური ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ორია _ ქართული არცერთი. არ არსებობს ქართული საესტრადო კოლექტივი. არ არსებობენ ქართული განყოფილებები არც მუსიკალურ და არც სამხატვრო სასწავლებლებში. დისკრიმინაციას განიცდის ქართველი ახალგაზრდობა უმაღლესი განათლების მხრივაც. ავტონომიური რესპუბლიკისათვის გამოყოფილი ლიმიტები, როგორც წესი, აფხაზებს ეძლევათ, ხოლო აფხაზეთის უნივერსიტეტის ეგრეთწოდებული "აფხაზური სექტორები" შეიქმნა ქართული სექტორის პროცენტული რაოდენობის შემცირების ხარჯზე.

თუ სადამდე შეიძლება მივიდეს დისკრიმინაცია, კარგად ჩანს თუნდაც ინსტრუქციიდან, რომლის მიხედვითაც კომპლექტდება "აფხაზური სექტორი". უმაღლესი სკოლა აფხაზურ ენაზე არ არსებობს, რადგან საშუალო სკოლა აფხაზურ ენაზე მხოლოდ დაწყებითია (I-III კლასები). ამ ინსტრუქციის მიხედვით "აფხაზურ სექტორებზე" შემსვლელისათვის სავალდებულოა აფხაზური ენის ჩაბარება, ამავე დროს იგივე ინსტრუქცია ნებას რთავს "აფხაზურ სექტორზე" სკოლადამთავრებულთა მიღებას აფხაზური ენის ჩაუბარებლადაც, თუ გავითვალისწინებთ რომ აფხაზური ენის ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან აფხაზურის არმცოდნე აფხაზები, გასაგები გახდება, რომ ეგრეთწოდებული "აფხაზური სექტორი" კომპლექტდება ეროვნული განსაკუთრებულობის ნიშნის მიხედვით. ასეთ საფუძველზე მოწყობილი უმაღლესი სასწავლებელი საბჭოთა კავშირში არ არის.

არ არსებობს ტელევიზიის ქართული რედაქცია. სოხუმის ქართულ თეატრს შენობა არ გააჩნია და მუშაობის ელემენტარული პირობებიც არა აქვს, რადგან პროვოკატირებმა

ქართული დასი თეატრის შენობიდან გამოაძევეს, ხოლო თეატრის შენობა კი იურიდიულად აფხაზურ დასს გადასცეს. ყოველივე ქართულის აღმოფხვრის მიზნით პროვოკატორები კულტურის ძეგლების განმარტებით დაფებზე ფხეკენ იმ სიტყვებს, რომელნიც საქართველოს ახსენებენ, თვითნებურად ცვლიან ქართულ ტოპონიმებს აფხაზურით.

მართლმსაჯულება აფხაზეთში სავალალო მდგომარეობაშია. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე დღეში ქართველი მოსახლეობა იმყოფება, რომლის მრავალრიცხოვანი საჩივრები, გაგზავნილი ზემდგომ ორგანოებში გარჩევისა და რეაგირებისათვის, იმავე ხელმძღვანელებს უბრუნდებათ, რომელთაც მშრომელნი უჩივიან. საჩივართა სამართლიანი განხილვის ნაცვლად, მომჩივანნი ახალი დევნის მსხვერპლნი ხდებიან, მათ ეროვნულ და ადამიანურ ღირსებას აბუჩად იდგებენ და ცინიკურად ეპყრობიან.

თუ სადამდე შეიძლება გადაგვარდეს მართლმსაჯულება, კარგად ჩანს თუნდაც ერთ მაგალითზე: სოხუმის ქალაქის სასამართლოს თავმჯდომარის **არშბას** ძმის დანაშაულის კვალის დასაფარავად სამართალში მისცეს სოხუმის დეპოს მუშები **ა.რეზესიძე** და **რ.თამლიანი,** რომელთა საქმეც **1979 წლის 6-12 ივლისს** გაარჩია ოჩამჩირის რაიონის სახალხო სასამართლომ. პროცესის დროს მოსამართლე **რ.სალია** და სოხუმის პროკურორის მოადგილე **ოტირბა** მასხრად იგდებდნენ ამ ორ უდანაშაილო ადამიანს. კერძოდ, ერთ-ერთი შეკითხვა ასეთი იყო: **"საიდან გაჩნდნენ აფხაზეთის მიწა-წყალზე სვანები და ქართველები?".** ეს კითხვა რუსულად იყო დასმული, ხოლო თვით პროცესი კი აფხაზურად მიჰყავდათ, რომელიც არ ესმოდათ, არც ბრალდებულებს და არც მოწმეებს.

ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე დანაშაულისათვის ქართველი უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე აფხაზი (სოხუმის ხორცკომბინატის საქმე _ ქართველი **კაკუბავა** და **ბერულავა** _ 14 და 13 წლით პატიმრობა, აფხაზი **კვიცინია** _ 3 წლით), გამოუძიებელნი რჩებიან აფხაზთა მიერ ქართველთა მკვლელობის საქმეები (**ჯეჯელავას** საქმე, ძმები **ჩიხრაძეების** საქმე). აფახაზეთის ქართული მოსახლეობის ნაწილი დისკრიმინაციას განიცდის ეკონომიური განვითარების მხრივაც (აფხაზეთის სვანეთი და სხვა). აფხაზთა პროცენტული რაოდენობის ხელოვნური გაზრდის მიზნით ადგილი აქვს ქართველების იძულებით გააფხაზებას (აგუბედია, ოჩამჩირეს რაიონი, **ტყებუჩავები** და სხვ.) საკუთარი ეროვნების დათმობისა და აფხაზური ეროვნების მიღების შემთხვევაში დაკანონებული პრივილეგიებისა და იძულებითი გააფხაზების შედეგია, რომ **1969 წლიდან 1970 წლამდე** აფხაზთა რიცხვი 62 ათასიდან 79 ათასამდე გაიზარდა, რაც მოსახლეობის ყველაზე მაღალი მატების პროცენტია მსოფლიოში. საპასპორტო მაგიდების უფროსებად მოკალათებული აფხაზი პროვოკატორები ქართველი ეროვნების მშრომელებს ჩაწერას არ უფორმებენ აფხაზეთის ასსრ-ში.

ორგანიზებულ დევნასა და მორალურ შეურაცხყოფას განიცდიან ისინი, ვინც ხმა აიმაღლა პროვოკატორი სეპარატისტებისა და საქმოსნების წინააღმდეგ: საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი **მ.ხვარცკია,** მწერალი **ი.თარბა,** გაზეთ **"სოვეტსკაია აბხაზიას"** რედაქტორის მოადგილე **არშბა,** პროფ. **ხ.ბღაჟბა,** პროფ. **ვ.ქარჩავა,** ბიოლოგ. მეც. დოქტ. **ი.ბელქანია,** ბიოლოგ. მეცნ. კანდ. **ე.ბარქაია** და სხვანი.

წლების მანძილზე მცდარი პოლიტიკური კურსის გატარების შედეგად ეროვნული საკითხი აფხაზეთში ჩიხში მოექცა და წინააღმდეგობათა გადასაწყვეტად ზემდგომი ორგანოები უფრო მცდარ გზას დაადგნენ. მოჩვენებითი წესრიგის დამყარების მიზნით დაიწყო დაპატიმრებები. ერთსა და იმავე დღეს დააპატიმრეს ქართველი **ა.მარკოზია** და აფხაზი **გიცბა.** თუ **გიცბა** სავარძელში მოკალათებულ პროვოკატორ-სეპარატისტთა ბრმა იარაღია, **არკადი მარკოზია** ერთ-ერთი იმ ქართველთაგანია, რომელმაც გადაჭრით აღიმაღლა ხმა ზემდგომი ორგანოების წინააღმდეგ მცდარი პოლიტიკური კურსის გატარებისათვის აფხაზეთში. ბოროტმოქმედი **გიცბას** დაპატიმრების კომპენსირება ქართველი **ა.მარკოზიას** დაპატიმრებით ყალბი ბრალდების საფუძველზე ფსევდოინტერნაციონალური პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

ჩვენ, ქართველი სოციალიტური ერი, რომლის შრომითაც იქმნება აფხაზეთში მოსახლე ერთა შორის მატერიალურ ფასეულობათა ყველაზე დიდი ნაწილი, ვხელმძღვანელობთ რა საბჭოთა კონსტიტუციაში დამტკიცებულ ხალხთა მეგობრობის პრინციპებით, ვესწრაფვით რა აფხაზ და სსრკ ყველა ხალხებთან მეგობრობას, ვაყენებთ რა საქმის კურსში სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ვთვლით რა, რომ აფხაზეთის სსრ-ში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარება გამოწვეულია საქართველოს კპ ცკ არაპრინციპული მოქმედებით, ვადასტურებთ რა, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის თანახმად, აფხაზური ანტიქართული პროვოკატორული მოძრაობა ინპირირებულია გარკვეული წრეების მიერ მოსკოვიდან, აფხაზეთიდან ქართველთა განდევნის მიზნით, აღნიშნული ვითარების გამოსასწორებლად მოვითხოვთ:

1. დაუყონებლივ განთავისუფლდეს პატიმრობიდან **ა.მარკოზია.**

2. გამოქვეყნდეს წარმოდგენილი წერილი საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ცენტრალურ პრესაში.

3. აფხაზურ ანტიქართულ პროვოკატორულ მოძრაობას მიეცეს პარტიული და საბჭოთა შეფასება.

ქართველთა დევნისა და დისკრიმინაციის შეწყვეტისა და აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ერის მიმართ ინტერნაციონალური სამართლიანობის განსახორციელებლად მტკიცედ გატარდეს, საქმით და არა სიტყვით, კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინური პოლიტიკის პრინციპები აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ერების მიმართ.

დამყარდეს სრული თანასწორობა ეკონომიკის, პოლიტიკის და კულტურის სფეროში აფხაზეთის ქართველების, რუსების, სომხების, ბერძნების, უკრაინელების, ესტონელების, თათრების, ებრაელების, ოსების და სხვა ერებისა.

1. უახლოეს ხანებში მოეწყოს საგანგებო კრებები, რომლებზედაც აფხაზეთის მშრომელები წარმოადგენენ თავიანთ წინადადებებს ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ვითარების გამოსასწორებლად. შეიქმნას მთავრობის და მშრომელთა საგანგებო კომისია, რომელიც შეისწავლის და სათანადო კვალიფიკაციას მისცემს წარმოდგენილ მასალას.

2. მოხსნან პროვოკატორთა მიერ თანამდებობებზე დასმული პირები. აღდგენილ იქნან უკანონოდ მოხსნილი პირები.

3. თანხები, რომლებიც გამოყოფილია თანახმად **"სკკპ ცკ-ის და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილებისა აფხაზეთის შესახებ"** განაწილდეს ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერის განვითარების საჭიროების შესაბამისად და არა ეროვნული განსაკუთრებულობის პრინციპით.

4. ალმანახი **"რიწა"** გადაკეთდეს ფართო პროფილის ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ერთთვიურ (15 თბახი) ალმანახად, რომელშიც აგრეთვე გაშუქდება თეატრის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების და სხვა საკითხები.

"ალაშარას" გამომცემლობის თაბახთა რაოდენობიდან ქართულ ენაზე გამოცემებს დაეთმოს აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობასთან (44%) შეფარდებული პროცენტი, იგივე გამომცემლობის თაბახთა რაოდენობიდან ცალკე გამოიყოს თაბახები აფხაზურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურისათვის.

1. შემოქმედებით კავშირებში შეიქმნას ქართული სექტორები, რომელთაც მიეცეს აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობასთან (44%) შეფარდებული დაფინანსება. შეიქმნას ქართული განყოფილებები მუსიკალურ და სამხატვრო სასწავლებლებში.

2. გათვალისწინებულ იქნას სსრკ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების დებულება, რომლის თანახმად აფხაზეთის უნივერსიტეტი ამზადებს კადრებს არა მხოლოდ აფხაზეთის ასსრ-ისათვის, არამედ მომიჯნავე დასავლეთ საქართველოს ხუთი რაიონისათვის (ქართული მოსახლეობის საერთო ჯამი დაახლოებით 1 მილიონი). ამისდა შესაბამისად ქართულ სექტორს გამოეყოს 50% ყველა სპეციალობაზე ყოველწლიური მიღებით. ლიმიტები განაწილდეს აფხაზეთში მცხოვრებ ერთა თანაფარდობის მიხედვით.

3. აღდგეს სოხუმის თეატრის დასის უფლებები უკანონოდ ჩამორთმეული თეატრის შენობაში, რომელშიც ქართული თეატრის დასი მუშაობდა შენობის აშენების დღიდან, რომელიც აგებულია ქართული დარბაზული ტიპის არქიტექტურის პრინციპით, რომელიც მოჩუქურთმებულია ქართული კულტურის ძეგლებიდან გადმოღებული ორნამენტებით და რომლის ნიშებში აშენების დროიდანვე დგას ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა ბიუსტები. შეიქმნას მოზარდ მაყურებელთა ქართული დასი და თოჯინების ქართული თეატრის დასი.

4. სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს და კულტურულ დაწესებულებათა თემატურ გეგმებში შეტანილ იქნას სამეცნიერო თემები, რომლებშიც დამუშავდება აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, ხალხური მუსიკის და სხვა საკითხები. მომზადდეს აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთაგან ადგილობრივი კადრები ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, ლიტერატურათმცოდნეობის და სხვა დარგში.

5. დაარსდეს აფხაზეთის ტელევიზიის ქართული რედაქცია.

6. აღდგენილ იქნას პროვოკატორთა მიერ დანგრეული ყველა ძეგლი: **რუსთაველის** ძეგლი აჩიგვარაში, **რუსთაველის** ბიუსტი სოხუმის თეატრის შენობაში, **რუსთაველის** ბარელიეფი გაგრაში, მეგობრობის ძეგლი (სოხუმში) და წარწერები, თვითნებურად შეცვლილი და დამახინჯებული ტოპონიმები. მოიხსნას რიწის შოსეზე პროვოკაციული მიზნებით თვითნებურად დადგმული მემორიალური დაფა.

7. შეიქმნას სიმღერისა და ცეკვის ქართული ანსამბლი და ქართული საესტრადო კოლექტივი.

8. აფხაზეთის ასსრ-ის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებს გაუკეთდეს მეცნიერულად გამართული განმარტებითი დაფები. საგანგებოდ აღინიშნოს, თუ რომელ კულტურას მიეკუთვნება ესა თუ ის ძეგლი, რომელ ენაზე მიდიოდა ამ კულტურულ კერებში ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელ ენაზეა შესრულებული ძეგლებზე გამოკვეთილი წარწერები, საგანგებოდ იქნას შესწავლილი ძეგლთა დაცვის საკითხი, ვინაიდან აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მდებარე ძეგლებს ქართული კულტურისას მოუვლელობისა და უპატრონობის შედეგად განადგურება ემუქრება.

9. გაუქმდეს აფხაზეთის მუზეუმებში (აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი, ახალი ათონი, ბიჭვინთა) არსებული ანტიქართული გამოფენები. შემოწმდეს აფხაზეთის საექსკურსიო ბიუროების მუშაობა. აფხაზეთის საქსკურსიო ბიუროებს მიეცეს მეცნიერულად გამართული მასალა.

10. გაუქმდეს ქართველ მეცნიერთა შეზღუდვები აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის ისტორიის საკითხების პუბლიკაციის დროს.

11. აღდგეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის შემსწავლელი კომპლექსური ექსპედიციის მუშაობა.

რადგან საქართველოს სსრ-ის მშრომელებში არსებობს ფართო უკმაყოფილება ეროვნული საკითხის გამო (რესპუბლიკის ხელმძღვანელობის არაუფლებამოსილება შიდარესპუბლიკური საკითხების გადაწყვეტაში, ქართული ენის შევიწროება, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის არაუფლებამოსილება ქართველი ერის ისტორიის სრულყოფილად სწავლების შემოღებისათვის სსრკ ხალხთა ისტორიის პროგრამების საათობრივი ცხრილის კორექტირებაშიც კი, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის ზოგ კარდინალურ საკითხთა ფალსიფიკაცია და სხვა), რომელმაც გამოიწვია მასიური გამოსვლები რესპუბლიკაში **1978 წელს,** უკმაყოფილების ნამდვილი მიზეზების დასადგენად და შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად სკკპ ცკ-ში და საქართველოს კომპარტიის ცკ-ში შეგვაქვს წინადადება, რათა განხილულ იქნას საკითხი საქართველოს კომპარტიაში ეროვნულ საკითხზე დისკუსიის ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ.

1981 წლის იანვარი

წერილს ხელს აწერენ მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, ჟურნალისტები, ექიმები, ინჟინრები, მუშა-მოსამსახურენი, კოლმეურნეები, სტუდენტები.

ხელისმოწერა გრძელდება. დამატებითი სიები გამოგეგზავნებათ.

1000-მდე ხელმოწერა.

საქართველოს ჰელსინკისჯგუფისა და წმ. ილია მართლის

საზოგადოების საინფორმაციო

ჟურნალი "მატიანე" №4.

რედაქტორი ზ.გამსახურდია

≈*≈

გაგრის მოსახლეობის

პეტიცია (2)

სკკპ გენერალურ მდივანს, ამხ. მ.ს.გორბაჩოვს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ჯ.ი.პატიაშვილს

ასლი: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს, თბილისის საწელმწიფო უნივერსიტეტს, სამედიცინო, პოლიტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინალურ, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ, უცხო ენათა ინსტიტუტებს, ბათუმის, გორის, ქუთაისის, თელავის პედინსტიტუტების სტუდენტებსა და რექტორებს,

ხალხს!

შექმნილმა ვითარებამ განაპირობა ეს წერილი. აფხაზეთის ქართველობის **1978 წლის** მღელვარებიდან და **1980 წლის** ჩვენი თქვენდამი მომართვიდან საკმაო დრო გავიდა დასკვნისათვის. ხალხის ერთიანი მოთხოვნის მიუხედავად გაგრის ქართველობა, მწარედ მოტყუებული დარჩა. მდგომარეობა არათუ არ გამოსწორდა, დღითიდღე უარესდება კიდეც.

მოვითხოვდით ქართველთა დევნისა და უკანონობის შეწყვეტას, კადრთა შერჩევაში ინტერნაციონალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, მხოლოდ ღირსეულთა, განათლებულ, საქმის მცოდნე მუშაკთა დაწინაურებას, ეროვნული შუღლისა და მტრობის მთესველთა გაკიცხვას, აფხაზებთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენას, ისტორიის ფალსიფიცირებისა და ტოპონიმების თვითნებური შეცვლის შეწყვეტას, პრესის ფურცლებზე აფხაზეთში შექმნილი ვითარების საჯარო შეფასებას. იგივე კანონიერი მოთხოვნა **1980 წელს,** ამხ. **ე.ა.შევარდნაძესთან** შეხვედრისას გამეორდა. აფხაზეთის ქართველობის მდგომარეობის შესახებ 15-მა გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ საქართველოს კპ ცკ-ის IX პლენუმს მიმართა თხოვნით: **"ჩვენ გვაღელვებს არა მარტო აფხაზეთში მცხოვრები 80 ათასი აფხაზის ბედი, არამედ იქვე მცხოვრები ორასი ათასი ქართველის ბედიც...**

ახალი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ჭეშმარიტად გულახდილი და გულმართალი ურთიერთობის დასამყარებლად საჭიროა პოზიციების ბოლომდე გარკვევა", ასეთივე მრავალი თხოვნა გაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ცკ-სა და მთავრობას, როგორც ცალკეულ გამოჩენილ მოღვაწეთაგან, ასევე საზოგადოებებისაგან, მაგრამ შედეგი ყოვლად სავალალო და დაუჯერებელიც კი მივიღეთ.

უპირველესი, რაც "გაკეთდა", გახლავთ ის, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ უშუალო მითითებით ყველა სამინისტროს, უწყებასა თუ ორგანოს აეკრძალა "აფხაზეთის საქმეებში" ჩარევა. ამან შექმნა სახელმწიფო სახელმწიფოში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით. დაირღვა მმართველობის მთელი სისტემა მისგან გამომდინარე შედეგებით. ყველა საჩივარი, თხოვნა, მუდარა ან უპასუხოდ რჩებოდა, ან უგზავნიდნენ აფხაზეთის მესვეურთ შურის საძიებლად. ასე დავკარგეთ განკითხვანი: დაგვეუბრა საქართველოს მთავრობა, შემოგვწყრნენ აფხაზეთის ხელისუფალნიც. ამის გამო დავკარგეთ ათი წელი. ექსტრემისტ* (რედაქცია არ იზიარებს ტერმინ "ექსტრემისტის" ამგვარ კონტექსტში ხმარებას. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ

“პროვოკატორი-სეპარატისტი”. რედ. შენ.) _ საქმოსნებმა გააძლიერეს შემოტევა, რაც მთავარია _ ჩვენივე მოძმეებისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის იდეური მოშხამვა, დაპირისპირება, ეროვნული პრივილეგირების ჩაგონება და ა.შ. გაგრძელება საკავშირო დადგენილების უხეში დარღვევით ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის **ზ.აგრბას** “შპარგალკის” მიხედვით ტოპონიმების შეცვლა; კვლავ გაღრმავდა ეროვნული დისკრიმინაცია, რაც გამოვლინდა მრავალ მოუთმენელ ბოროტმოქმედებაში, რასაც გავაშუქებთ ამავე წერილში; ყურადღებისა და დახმარების გარეშე დარჩენილი ორიოდე ნომენკლატურული თანამდებობის ქართველი ვერ უძლებდა შემოტევებს, თავის გადარჩენას მოუნდა მათი ენერგია, ჩვენს სანუგეშოდ, არც ქალაქკომის მეორე მდივანს და არც საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს პწკარიც არ დაუწერიათ, სიტყვაც არ დასცდენიათ სადმე.

არცერთი ჩვენი კანონიერი მოთხოვნა ხელისუფლებას არ შეუსრულებია, თუმცა **1978 წელს** შეგვპირდნენ, ორ თვეში მოვაგვარებთ ყოველივესო. შეპირების ათი წლისთავზე, ვშიშობთ, სისხლიანი ნადიმი არ გაიმართოს, როგორც ირკვევა, აქეთკენ მიგვერეკებიან მავანნი. სხვარიგ როგორ ავხსნათ ის, რომ არც ქალაქკომი და არც საოლქო კომიტეტი ერთხელაც არ ცდილან გადაედგათ ნაბიჯი დაპირისპირებულთა შესახვედრად, შესარიგებლად ან მოსარიგებლად. რომ აძლიერებენ ერთის ეროვნულ პრივილეგირებას, დაუსჯელობას მეორის შევიწროებითა და დევნით? რომ ბევრად უმცირესობას სავსებით აბატონებენ აბსოლუტურ უმრავლესობაზე? რომ წამქეზებლებს, მტრობის მთესველთ, შოვინისტებსა და მოავეებს ელოლიავებიან, აწინაურებენ, აჯილდოებენ და ეფარისევლებიან? სწორედ ეს აღრმავებს კონფლიქტს, მტრობას, შუღლს. ყოველივე, ამაში ჩვენ აფხაზ ხალხს ვერ დავდებთ ბრალს, ისინი ჩვენი მრავალათასწლოვანი ნათესავები არიან, ჭირსა და ლხინში ნაცადი, ერთი გვაქვს ზნე, ჩვეულება, ზოგჯერ ოჯახიც კი. არც ერთ ერს არ სურს დუშმან-მტრობა, მოპირულ ხმალზე რბენა. ჩვენ მშვიდობა გვინდა, მაგრამ სანამ კეისარს კეისრისა არ მიეზღვება, შფოთიც არ შეწყდება.

შეგვპირდნენ, რომ რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდებოდა გაგრის ქალაქკომის **1980 წლის აგვისტოს** თათბირის მასალები, რაც საგულდაგულოდ გადაიმალა და დაივიწყეს.

არაფერი გამოქვეყნებულა აფხაზთა ამ მიგრაციის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიიდან შავი ზღვისპირეთში, რაც ამ თათბირზე ითქვა.

ამავე მეთოდს იყენებდა აღელვებული მოსახლეობისადმი ქალაქკომი მთელი წლის მანძილზე. შეგვპირდნენ, რომ ბზიფის ხიდთან დაიდგმებოდა სამამულო ომის მონაწილეთა მემორიალი, მაგრამ შემდგომ აკრძალეს. ეს არის ჩვენი ეროვნული შეურაცხყოფის თვალსაჩინო ნიშანსვეტი.

არავის ეკითხებიან ქუჩებისა და დასახლებული პუნქტების სახელთა გამოცვლას. ქართველი ერის უწყინარი თხოვნა ქალაქის შემოვლით გზას ეწოდოს მისი პირველი გამკვალავის _ **იოსებ მარუაშვილის** სახელი, მიჩქმალეს, კიდევ მეტიც, ახლა ულტიმატუმს აყენებენ, შეცვალონ **რუსთაველის** ქუჩის სახელიც. კვლავ მოურიდებლად დევნიან თანამდებობიდან ქართველებს. აწინაურებენ აფხაზებს, ზოგ დამნაშავესაც კი, მაგალითად, **საბუა ი.ა.** რომელმაც გააკოტრა ლიმავისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები, ვის შესახებაც მასალები **1981 წელს** გადაეცა ამხ. **გ.ენუქიძეს,**

დანიშნეს აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსად, შეიყვანეს ქალაქკომის ბიუროს წევრად ექსტრემისტთა ეს უაქტიურესი ლიდერთაგანი. **1984 წელს** გაზეთმა **"იზვესტიამ"** ამ პიროვნების სისხლის სამართლის დანაშაულობათა შესახებ ორჯერ გამოაქვეყნა წერილი, მაგრამ ის მაინც უვნებელია და განაგებს ჩვენს ბედს.

ახლაგაზრდა **მ.ჯინჭარაძე,** ასპირანტურა დამთავრებული სპეციალისტ სავსებით შეეფერებოდა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივნის თანამდებობას, გადაიყვანეს, რომ დაენიშნათ პირველი მდივნის ნათესავი **ედიკ შამბა.**

სანატორიუმ "კავკასიონის" მთავარ ექიმს _ **გაგუას** ორი თვის მანძილზე ქალაქკომმა 12-ჯერ გამოუძახა, რომ განცხადება დაეწერა განთავისუფლებაზე, არც ტელეფონით ასვენებდნენ. მსხვერპლმა მიიღო ღრმა ინფარქტი და გარდაიცვალა. მის ადგილზე დანიშნეს **გ.ვ.აიბა.**

ტ.პ.ესართიამ ქალაქს შესძინა ათეულ მილიონად ღირებული რეაბილიტაციური ცენტრი. ამ საქმის ორგანიზატორს პირველი მდივნის უშუალო მითითებით შეუქმნეს სისხლის სამართლის საქმე დახვრეტის მუხლით. მოსკოვმა აღადგინა... და ა.შ.

გადახედეთ გადაყვანილ, დაქვეითებულ, გათავისუფლებულ და მოხსნილ ქართველთა შემადგენლობას და იმათაც, ვინც ისინი შეცვალეს, მიხვდებით, რომ ეს არის თვითნებობის, ვოლუნტარიზმის, ნათლიმამობისა და ეროვნული დისკრიმინაციის ზემაგალითი.

გადახედეთ ვაჭრობას, საზკვებას, ავტოკოლონას, კურორტ ბიჭვინთასა და სხვა ობიექტებს, იქ შექმნილ ვითარებას, გაიგებთ, რომ ჩვენგან რჯულის გამოცვლასაც კი ითხოვენ.

გადახედეთ ადმინისტრაციული ორგანოების შემადგენლობას. განთიადის, ბიჭვინთის, ბზიფის მილიციის განყოფილებათა უფროსებად აფხაზეცებია, გაგრის მილიციის განყოფილების უფროსის ორივე მოადგილე აფხაზია, სახალხო მილიციის უფროსი **ჩეპი-იფა, (ჩეპი-ოღლი),** სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლენიც აფხაზებია. მილიციის მუშაკთა ძირითადი შემადგენლობის უმეტესობა აფხაზები და სომხები არიან, ასე რომ ადმინისტრაციული ორგანოები აფხაზთა ხელშია მაშინ, როდესაც ისინი ადგილობრივი მოსახლეობის მხოლოდ 8% შეადგენენ. გარკვეული მიზეზებით ჩვენი საჩივრები ზემდგომ ორგანოებში არც კი იხილება, ასეთ ვითარებაში ადვილი წარმოსადგენია, რამდენად დამოკიდებული ვიქნებოდით ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, კერძოდ, მილიციისაგან. ფაქტიურად აღმოვჩნდით რეპრესიის საფრთხის წინაშე, ამიტომაც პროკურორ **ი.ი.დადალაძის** გადარჩევისას ჩვენ უყოყმანოდ განვაცხადეთ, ჩვენს ბედს ვერ ვანდობთ ადამიანებს, რომლებმაც ეგრე უტიფრად გამოგვიცხადეს მტრობა. მოვითხოვეთ, რომ შემორჩენილი უფროსებისა და პროკურორის თანამდებობაზე არაქართველი არ დაენიშნათ. შეგვპირდნენ, რომ ასეც იქნებოდა, მაგრამ ამჯერადაც მოგვატყუეს; სახაზო მილიციის უფროსი **ცხაკაია** გაათავისუფლეს და მის ნაცვლად დანიშნეს საპენსიო ასაკის თურქყოფილი აფხაზი **ჩეპი-იფა (ჩეპი-ოღლი).**

კადრების შერჩევისას დაცული რომ იყოს ძირითადი მოთხოვნა _ უკეთესის ან ტოლფასოვანი მუშაკის დანიშვნა, სადაო რაღა იქნებოდა, მაგრამ სწორედ ეს პრინციპია ეროვნული უპირატესობის მომარჯვებით უარყოფილი. ასეთ ვითარებაში ჩვენი

შვილები, მომავალი უუფლებო და უპერსპექტივონი არიან, რასაც ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ შეურიგდება.

გადავხედოთ საპასპორტო რეჟიმს. ყველა სამი საპასპორტო მაგიდის უფროსი აფხაზია. ქართველს ტექმუშაკადაც არ იკარებენ, ჩვენი პასპორტების ქართული ვარიანტი ეროვნული დამცირების, შეურაცხყოფისა და აბუჩად აგდების დოკუმენტური დადასტურებაა. ეს არაერთხელ ითქვა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. ჩვენ გვაბრალებენ საპასპორტო რეჟიმის უხეშად დარღვევას. ეს ცილისწამებაა, მას თვითვე არღვევენ. ერთეულები როდი არიან, გუდაუთიდან, სოხუმიდან და აფხაზეთის სხვა რაიონებიდან ჩამოსულები, რომ ყოველგვარი მიწერის გარეშე მუშაობენ. განა ერთი და ორია, რომელთაც სახლიც აქვთ, აგარაკიც და სხვებსაც აძლევენ, ხოლო ქართველს ზამთარშიაც თავზე ჭერს ანგრევენ და ქუჩაში ტოვებენ. ბინების დატაცება, უნებართვოდ ჩასახლება ჩვეულებრივი ამბავია აფხაზისათვის, ქართველს კი ზიზღით შეპყრობილი ქალაქის თავი სულს ხდის, სიცოცხლეს უმწარებს, ჯვარს აცმევს. მაგალითი პირველი:

მოქალაქე **გაბისონიას** და მის მეუღლეს (პედაგოგს) კოოპერატიული ბინა გაუყიდეს, 16 წელია აღმასრულებელი კომიტეტი არ აძლევდა კუთვნილს. თვით უმაღლესი ორგანოს მითითებასაც არად აგდებენ ქალაქკომი და აღმასკომი. ამავე დროს ვიღაც ფოტოგრაფი **ანქვაბი** აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ორდერგაცემულ ბინაში შემოსახლდა. პროკურორის სანქცია, ქალაქკომის ყასიდა სიტყვიერი განკარგულება: **"ნემედლენო ვისელიტ"** მოძალადეს ვერაფერს აკლებდა. ასეთი მაგალითი უამრავია, მთელი ბიჭვინთა ნაძალადევია. ახლა ვნახოთ გაგრის მეუფენი როგორ ექცევიან ქართველებს.

მაგალითი მეორე: საქალაქო საბჭოს განკარგულებით **1986 წლის 5 დეკემბერს** მილიციის ოპერრწმუნებულის **მეტრეველის** მეთაურობით სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდს, ხეიბარს, **ვლადიმერ გიორგის ძე თევზაძეს** "დამსჯელმა რაზმმა" სახლი თავზე დაანგრია, ქონება წაართვა და მწოლიარე ავადმყოფი მეუღლითურთ ცივ ზამთარში ცის ქვეშ დატოვა. რომელ აფხაზს გაუბედავდნენ მსგავს რამეს? სიცხიანი მოხუცი მივიდა ქალაქკომში და მდივანმა მთხოვნელი ძაღლივით გააგდო კაბინეტიდან. აღშფოთდა ხალხი, ომის ვეტერანებმა იშუამდგომლეს, მაგრამ უშედეგოდ. მოსკოვი ჩაერია საქმეში, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საბჭოთა კავშირის გმირის **ა.მერესიევის** შუამდგომლობაც არაფრად ჩააგდეს. ვის რად უნდა ხელისუფლების ასეთი მესვეურები? ვის რაში უნდა ასეთი პროკურორი და მილიცია? (იხ. გაზეთი **"საბჭოთა აფხაზეთი" 31/VII-1978წ.** წერილი **"გულისხმიერების დეფიციტი?"**) ამ დროს თუნდაც ერთ სოფელ ალახაძეში სომხეთიდან ჩამოყვანილ 14 ოჯახს მისცეს სამოსახლო მიწის ნაკვეთი. სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ათობითა და ასობით ვაჭრუკანებსა და სპეკულიანტებს ასახლებენ გაგრის ზონაში ანტიპოდები (იხ. გაზეთი **"კომუნისტი" 14/VIII-1987წ.** წერილი **"მიწა იყიდება, მიწა"**).

ერთი მაგალითიც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მთავრობას მიმდინარე წელს გაგრის საზოგადოებამ 352 მოქალაქის ხელმოწერით გაუგზავნა შემდეგი თხოვნა.

“დიდია მწუხარება, გვიხმობს გლოვის ზარი, სტიქიის მძვინვარებით ამოწყვეტილი, ჩვენი ძმები, დები, შვილები, ნათესავები, ახლობლები უსახლკაროდ დარჩენილან კოლხეთის დაბლობის დატბორილ სოფლებში, ზვავით ჩახერგილ რაჭა-სვანეთში. როგორც გვაფრთხილებენ, მოსალოდნელია უბედურების გამეორება. ძვირფასი ადამიანების შველა ჩვენთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა.

გთხოვთ, დაზარალებულები დროებით მაინც ჩამოგვისახლოთ გაგრაში. ახლობლებს, ნათესავებს, და-ძმასა და შვილებს ჩვენვე შევიფარებთ, გავუწევთ ეკონომიურ თუ მორალურ დახმარებას, მზრუნველობასა და თანადგომას არც სხვა დაზარალებულთ მოვაკლებთ”. ხალხის ეს თხოვნაც მდუმარებით დაასამარეს. რატომ, რისთვის? ერთიც გაუთავებლად მტკივნეული კითხვა.

ამრიგად, საპასპორტო რეჟიმისა და მიწათსარგებლობის უხეში დარღვევა ხდება არა ქართველი ან აფხაზი ერის მიერ, არამედ ხელისუფლების ადგილობრივ მესვეურთაგან, რომლებსაც ქვეყანა დუმად გაუხდიათ, სთლიან, როგორც მოესურვებათ. თუ სადავოდ გაგვიხდით ამ ჭეშმარიტებას, მაშინ მოგვეცით შემოწმების უფლებამოსილება, რომ მოგართვათ უტყუარი და დაზისტებული მასალა. ამას არ ისურვებთ, არც თვითონ ინტერესედებით საქმით და ხალხი კი ბორგავს განიკითხაობით.

ქართველთა შევიწროებამ მოიცვა ცხოვრების ყველა სფერო. ზონაში ქართველობა 35%, ხოლო ქალაქში _ 30%, ამის მიუხედავად 124 სკოლამდელი ჯგუფიდან ქართულია მხოლოდ 21, აქედან ქალაქში 607 ბავშვზე არსებობს მხოლოდ 6 ჯგუფი (150 სკოლამდელის კონტინგენტით). ერთადერთი ქართული საბავშვო ბაღი აშენებულია სომხურ დასახლებაში, ქალაქგარეთ და მოსახლეობა ვერ იყენებს მას. ამრიგად ხელოვნურად ქმნიან უმძიმეს პირობებს ქართველთა ასიმილაციისათვის.

1985 წელს ქალაქის ძირითად დასახლებაზე _ **წერეთლის** ქუჩაზე არსებულ აფხაზურ საბავშვო ბაღში მოქმედი ერთადერთი ქართული ჯგუფის დახურვა განიზრახეს ქალაქკომის მითითებით. აღელდა ხალხი, მიმართეს საქართველოს კპ ცკ-ს, დაგვპირდნენ, რომ ბაღს ააშენებდნენ **1986 წელს** მაინც, შედგა სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია, მაგრამ მესვეურთა “წყალობით” კვლავ ახალი რუსული სბავაშვო ბაღი ააშენეს, ქართული კი დაივიწყეს.

მლიქვნელობის ჭაობში ჩამხრჩვალმა ქართველმა ჩინოვნიკებმა ბიჭვინთის ტერიტორიაზე არსებული ოთხი ქართული ჯგუფიდან ორი დახურეს რუსულ-აფხაზური ჯგუფების სანაცვლოდ. მოსახლეობამ მიმართა ადგილობრივ ხელისფლებას, ქალაქკომს, მაგრამ ამაოდ. როდემდის ითმინოს ხალხმა ეს უმსგავსობა?! არ გვინდა, ბატონო, გადაგვარება, მოგვეცით უფლება ჩვენს მშობლიურ ენაზე აღვზარდოთ შვილები.

განუკითხაობა და დაუსჯელობა ცხოვრების ნორმა გახდა. **რომან ბარციცმა** და **ლუდვიგ ალშუნბამ** გააუპატიურეს დები, რის ნიადაგზედაც მოხდა ქართველებთან შეტაკება. **ბარციცს** აღმოაჩნდა საბრძოლო ხელყუმბარა, რომელიც დამნაშავეს აართვა **ლეჟავამ** და იარაღი ნებაყოფლობით ჩააბარა ორგანოებს. ყოველივე ამის მიუხედავად დააპატიმრეს არა დამნაშავენი, არამედ უდანაშაულო ქართველები.

1981 წელს მთვრალმა **ლაგვილავამ** (გაგრის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა) მანქანის ძარაზე შეიგდო ავტოინსპექტორი **გ.ხეცურიანი** და დაამცირა. დამნაშავისათვის პასუხი არავის მოუთხოვია.

1983 წელს თებერვალში მ.შურღაია სასიკვდილოდ დაჭრეს, არავინ დაუსჯიათ, მილიციის უფროსზე თავდამსხმელიც არ დაუსჯიათ, თუმცა დამნაშავე ცნობილი იყო.

მღვდელი **ალექსანდრე შათირიშლი** ჩამოახრჩვეს და არავინ დაინტერესებულა და ა.შ.

ბუნებრივია, რომ გათამამდნენ საქმოსნები. მაგალითად: პარტიის ქალაქკომის დასტურით მათ გახსნეს "ფაცხა" ჯერ კიდევ **1985 წელს,** რომელიც იქცა ბანქოს, ავკაცობისა და მეძაობის ბუდედ. ამიტომაც აქ **1987 წლის 14 მაისს,** მოხდა მკვლელობა. საკითხი განიხილა პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, რომელსაც მეორე მდივანმა მოახსენა: **"ეს ამბავი კარგად იცოდა ყველამ, ვისაც ევალებოდა ხმის ამოღება, მაგრამ იმ ავტორიტეტული "ზურგის" შიშით, ვისი იმედით ბენია და მისი კამპანია მოქმედებდა პირში წყალი დავიგუბეთ... კვლავ ავტორიტეტული "ზურგის" იმედით გათავხედებული ბენია "ულტიმატუმს" გვიყენებს: "კაცმა, ვისაც ჩემს ადგილზე დავნიშნავთ, "აფაცხის" აშენებაში ჩემს მიერ გაღებული სახსრები უნდა დამიბრუნოსო..."** (იხ. **"საბჭოთა აფხაზეთი", 1987 წლის 27 მაისი**). ალბათ, ქალაქკომმა მოაკვარახჭინა ეს საქმე, რამეთუ ზოლოტინ-ოქრუა თავის ამფსონებთან ისევ "აფაცხაშია".

სულ ახლახან სამ-ის თანამშრომელ **ვალერი კუციას** მოვალეობის შესრულებისას მთვრალმა მძღოლმა **ჩუკბარმა** "თავურით" ცხვირპირი ჩაულეწა. დაზარალებული სახლში იწვა. აღნიშნული საქმე მიჰყავდა პროკურატურასა და ისევე მიჩქმალეს.

ქართველთა დევნამ უმაგალითო სახე მიიღო, რასაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მუშაკთა წაყრუებით აჩუმათებენ. **1985 წლის 11 დეკემბერს** ქალაქკომისა და აგროსამრეწველო გაერთიანების დასტურით სოფელ ალახაძეში **ორჯონიკიძის** სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა.ს.უსტიანის** განკარგულებით ქართველთა უბნის მიმდებარე სავარგულებში შეიტანეს უაღრესად მდგრადი და უძლიერესი შხამი _ 50 კგ. დარიშხანი, კომბინირებულ საკვებში გარეული. დაიწამლა დიდძალი პირუტყვი თუ ფრინველი, სოფელში ბეღურაც არ დარჩა, მოიწამლა 5 წლის ბიჭუნა _ ბახია, რომელიც სასწაულებრივ გადარჩინეს. დაზარალებულებმა მიმართეს ქალაქკომის პირველ მდივანს, ის კი დაპატიმრებით დაემუქრა მათ და გაყარა.

სოფლის საჩივარი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **ჯ.ი.პატიაშვილს** გაეგზავნა, მაგრამ სრული მდუმარებით გვიპასუხეს. მივმართეთ პროკურორს, მან ყურებში ბამბა იმარჯვა. ქალაქკომის მეორე მდივანმა, ქართველთა პატრიოტად და მწყემსად მიჩნეულმა **რ.ა.სიგუამ,** თანასოფლელებს სულ "ბდღვირი ადინა", მეტიც, იმავე სოფელში ქართული მოსახლეობის მიმდებარე ტერიტორია გადასცეს ბზიფის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი **ა.ყარამანაშვილი**), მოსახლეობა ჩამოაშორეს კოლმეურნეობასა და მოწყვიტეს მიწას, მოუსპეს მიწაზე უფლებები, რაც მათი აყრის წინა პირობაა.

სოფლის უბედურებაზე ახმაურდა საოლქო გაზეთი "საბჭოთა აფხაზეთი". რედაქტორის მოადგილემ **პ.ჯაფარიძემ 1986 წლის 5 აპრილს** გამოაქვეყნა წერილი

სათაურით “თვითნებობა თუ ბოროტება”? (თან ერთვის), რომელშიც გააშუქა საქმის ვითარება. ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა გამართეს თითლიბაზობა, **უსტიანს** გამოუტანეს “სასტიკი საყვედური”, ხოლო **ჯაფარიძე** გააფრთხილეს გაჩუმებულიყო. ვერ გააჩუმეს პრინციპული ადამიანი. **1986 წლის 14 ივნისს** იმავე სათაურით გამოქვეყნებულ წერილში მან გააშიშვლა ქალაქკომის თვალთმაქცობა.

ვეკითხებით საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს მთავრობას, პირუთვნელი სიტყვის სათქმელად განა ხალხის მოწამვლაც იყო საჭირო? განა შეიძლება ამ ბოროტების მოთმენა? ეს ხომ გვიბიძგებს საბედისწერო ნაბიჯისაკენ, თვით გავიჩინოთ სამართალი? აი, რატომ გვაშინებს სისხლიანი ნადიმი!

ჩვენი მდგომარეობის მიუხედავად, **1987 წლის, 27, 28, 29, 30 ივლისს** ბზიფში სხვადასხვა დღის წესრიგით კვლავ ტარდებოდა აფხაზთა ყრილობა და შფოთი. **29 ივლისს** კი მათი “პარლამენტიორები” გამოცხადნენ საქართველოს კპ გაგრის საქალაქო კომიტეტში პეტიციით (ანოტაცია თან ერთვის). მომჩივანთა შორის იყვნენ: ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **რ.ნ.იაზიჩბა,** ადგილობრივი გაზეთ **“ავანგარდის”** რედაქტორი **ზ.ა.აგრბა,** სკოლის დირექტორები, ფოტოგრაფები, დალაქები და სხვანი. მათ მოითხოვეს ყველა ნომენკლატურული თანამდებობის 60% და დეპუტატთა 50% აფხაზებისათვის, რომ შეწყვიტონ გაგრის შემოსასვლელი ტრასისა და დასასვენებელი ობიექტების მშენებლობა, სანამ მათ არ ეყოლებათ მშენებელი მუშები. რედაქტორმა **აგრბამ** ბიუროს უსაყვედურა, რომ აღმასკომში ბინების უკანონო განაწილებით ღებულობენო ქრთამს. რეპლიკაზე, რომ ფაქტები გადასცენ პროკურატურას, მან თქვა: **“რისთვის? მათ ფულის გაკეთების საშუალება რომ მივცეთ? პროკურორიც და მისი მუშაკებიც მხოლოდ ამას სჩადიან, როდესაც ჩვენ დავეთანხმეთ მის დანიშვნაზე, გვეგონა რომ წესიერი კაცი იყო”.** ვაი, რომ ბატონო რესპუბლიკის პროკურორო, პროკურორმა **გ.ი.წურწუმიამ,** რომელიც ამ ბრალდებას პირადად ისმენდა, ხმაც ვერ ამოიღო. ვერც ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ე.ა.გატვინსკაიამ** იმართლა თავი. მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ მთელი 6 თვე მიდიოდა მოლაპარაკება თბილისსა და ქალაქკომს შორის დასასვენებელი სახლის “პიცუნდას” დირექტორის კანდიდატურაზე. ბოლოს უარი უთხრეს აგიტაცია პროპაგანდის განყოფილების გამგე **ლ.ი.ლაკერბაიას** (უკანასკნელად **ლაკერბას** სახელით რომ მოგვევლინა) და დანიშნეს დიდვაჭარი **ს.ნ.შამბა.** ამ ბრალდებამ ალმასივით გაჭრა: ექსტრემისტთა ლიდერთაგანი, დასასვენებელი სახლის დირექტორობაზეც გაწბილებული **ლევ ივანეს ძე ლაკერბა,** რომელსაც ბალღობიდანვე სძულდა ჟამის დღესავით წიგნი და განათლება, უცბად დააწინაურეს. პარადოქსია: მან გაგრაში ჩააფლავა სააგიტაციო-იდეოლოგიური მუშაობა და ცენტრალურ კომიტეტში გადაიყვანეს ლექტორთა ჯგუფის უფროსად. ასეთი მოქმედება ახალისებს და აქეზებს ექსტრემისტებს, ქრთამზე უფრო გამხრწნელად მოქმედებს საზოგადოებაზე.

სავსებით ინერტულია საზოგადოებრივი ცხოვრება გაგრაში. არაფერი კეთდება ახალგაზრდობისათვის, ორმაგდება კლასობრივი დიფერენცირება, რასაც აჩქარებს ქალაქკომისა და აღმასკომის სრული უმოქმედობა და უკონტროლობა. ვის მოქმედებას მიეცა ნამდვილი პრინციპული შეფასება, ვისი საქმე განიხილა ბოლომდე ქალაქკომმა? არც არავისი.

საკითხავია, ნამდვილად არსებობს ერთა შორის კონფლიქტი და მისი წარმომშობი ობიექტური მიზეზები? არა. ეს უკვე ჩამოყალიბებული კასტის _ თანამედროვე კულაკური ფენის მუშაობის შედეგია. ყველა ისინი, ვისაც პროვოკაციაზე გაჰყავს მოსახლეობა, განეკუთვნებიან კულაკურ ფენას, რომელთა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ქონებრივი პრივილეგირება, უშრომელი შემოსავალი, საქმოსნობა. აი, სწორედ მათ უნდათ ეროვნებათა დაპირისპირება და ამას აღწევენ კიდეც. ჩვენ გვქონდა პრინციპული საუბარი ოპოზიციის წარმომადგენლებთან. აღმოჩნდა რომ გაგრის საქალაქო კომიტეტი გაურბის დაპირისპირებულთა მორიგებას. მათ ("პარლამენტიორებმა") მოითხოვეს წარმომადგენლობითი განხილვა "საკონფლიქტო საკითხებისა"" ქალაქკომის სააქტო დარბაზში ისევ ბიუროს წევრების დასწრებით. ქალაქკომმა ეს თხოვნა შორს დაიჭირა, ვითომდა კონფლიქტის გაღრმავების შიშით. სინამდვილეში კონფლიქტს ქმნიან უფლებამოსილი პარტიული ბიუროკრატია და კულაკური ფენის ანტიპოდები (მათი გამცნობა ძალზე იოლია), მათთან ბრძოლა დიდი ხანია შეწყვიტეს საზოგადოების ძალებმა, რადგან ეს უკანასკნელნი დარჩნენ პარტიის საოლქო და ცენტრალური კომიტეტების ფაქტიური მხარდაჭერის გარეშე.

ამრიგად ახალი კურსი: საჯაროობა, დემოკრატიზაცია, გარდაქმნა, განახლება გაგრაში ზღაპარია, რადგან ქალაქკომისა და საქალაქო საბჭოს უმოქმედობა მიმართულია ამ სიახლეთა საწინააღმდეგოდ: მრავლდებიან ანტიპოდები, ღრმავდება დაპირისპირება, კორუფცია, კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი.

ადგილობრივი გაზეთი "ავანგარდი" მის რედაქტორს გამოყენებული აქვს არა სახელმწიფოებრივი და სამეურნეო თუ იდეოლოგიურ სიახლეთა შუქზე საზოგადოების შრომითი მობილიზაციისთის, არამედ სიმპატიისა და ანტიპატიის მიხედვით, ბევრჯერ კი "მეგობრების" დაკვეთით ცალკეულ მოქალაქეთა საქებ-საგინებლად.

ამრიგად, უიდეობა, უპასუხისმგებლობა, მაამებლობა, ნათლიმამობა, საკადრო პოლიტიკის სრული დამახინჯება, უკონტროლობა, განუკითხაობა, ამის შედეგად საქმოსანთა გააქტიურება, ფასების დამახინჯებები და სავაჭრო ორგანიზაციების დანაშაულებრივი აღვირახსნილობა, უმრავლესობის ხარჯზე უმცირესობის გამდიდრება, ქონებრივი დიფერენცირების პროცესის გაღრმავება, ყოველივე ამის მისაჩქმალად ეროვნული დაპირისპირების გამწვავება და ნაკლებად გათვითცნობიერებულ მოქალაქეთა წაქეზება, _ ასეთია დღეს აფხაზეთსა და განსაკუთრებით გაგრაში ვითარება, რასაც აშკარად თავს ვერ ართმევს ხელმძღვანელობა.

მოვითხოვთ:

_ ერთა შორის მტრობის მთესველთა საჯარო დაგმობას;

_ აფხაზთა და ქართველთა შორის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციით დაკანონებული ურთიერთობის აღდგენას;

_ ეროვნული დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლენის სასტიკად დაგმობას;

_ უკანონოდ, დადგენილი წესის დარღვევით, შეცვლილი ტოპონიმების აღდგენას;

_ კადრთა აპარტეიდის შეწყვეტას, პირადი ღირსებითა და დამსახურებით კადრთა დაწინაურებას, ამ საქმეში დაშვებული დარღვევების გადაუდებელ გამოსწორებას;

_ მასებში საჯაროობის პრინციპების განხორციელებას;

_ ქართული საბავშვო ბაღების ქსელის დაუყონებლივ გაფართოებას;

_ პარტიის შემოქმედებითი კურსის _ გარდაქმნის მოთხოვნათა სრულ გავრცელებას, ყოველგვარი მიწერის, მოჩვენებითობის, უმოქმედობისა და ინერტულობის დაგმობას;

_ აფხაზეთსა და, კერძოდ, გაგრაში შექმნილ ვითარებას მიეცეს ობიექტური შეფასება და გაშუქდეს პრესაში;

_ გაირკვეს თითოეული ხელმძღვანელის საქმიანობა. ჩამოგვაშორეთ უღირსნი;

_ ბოლო მოეღოს საქმოსანთა თარეშს!

გაგრის რეგიონში მცხოვრებ ქართველთა 1987 წლის ნოემბრის წერილზე ხელმოწერა:

მარკოზია ა.ი., ჯოხაძე ე.ლ., საბანაძე უ.ს., საბანაძე მ.ა., დანელია კ.მ. და დანარჩენი სხვა სამოცდათი ხელისმომწერნი.

თვითგამოცემით საინფორმაციო
ჟურნალი "მატიანე" №4,
რედაქტორი ზ.გამსახურდია

≈*≈

თავისუფლება თუ მონობა?

სოხუმის რაიონში არის სოფელი, სახელწოდებით თავისუფლება, რომელიც უწინ ძირითადად, ქართველთა და ბერძენთა დასახლებას წარმოადგენდა. ფუნქციონირებდა მხოლოდ ქართული სკოლა. **50-იან წლების** შემდეგ ამ სოფელში სხვადასხვა გზების საშუალებებით ჩამოსახლდნენ სომეხი ერის წარმომადგენლები, რაც სოფელ თავისუფლებაში, **60-იან წლებში** განსაკუთრებით, ფართო ხასიათი მიიღო და წარმოიდგინეთ, რომ დღეს, სომხები შეადგენენ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. სახლდებიან სომხები თავისუფლებაში, ქართველებს კი მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე ადგილობრივი ხელისუფლანი უარს ეუბნებიან. კიდევ მეტიც, არც იმ ქართველ მასწავლებლებს აძლევენ სამოსახლო მიწის ნაკვეთს, რომლებიც თავისუფლების საშუალო სკოლაში მუშაობენ განაწილებით.

სკოლას თავისუფლებაში დიდი ხნის ისტორია აქვს. თვით სოფელი თავისუფლება ქალაქ სოხუმიდან მე-4 კილომეტრზე მდებარეობს და სოხუმს ესაზღვრება. სოფლის ცენტრში ქართული სკოლა იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც სომეხი მოსახლეობის რაოდენობამ იმატა, დაწყებითი სომხური სკოლები, რომლებიც სოფლის ცენტრიდან მოშორებით იყო და საკმარისი მატერიალური ბაზა არ გააჩნდათ, ქართულ სკოლას შეეკედლენ სოფლის ცენტრში. მას შემდეგ 7 წლიანი სკოლა იყო ქართული და სომხური სექტორით. მალე ჯერ სომხური, ხოლო შემდეგ ქართული საშუალოდ გადაკეთდა დად ღეს თავისუფლებაში საშუალო სკოლაა ქართულ-სომხური სექტორებით. უკვე ათი წელია, რაც ორივე სექტორითაა საშუალო სკოლა. საერთოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ სომხური მოსახლეობა რაიონში მეორე ადგილზეა. პირველ ადგილზეა ქართველობა. სამწუხაროდ რაიონში ქართველთა ინტერესების დამცველნი ძალიან ცოტანი არიან. ინტერესების დამცველნიო, ვამბობთ, თორემ მეტი არაფერი, მხოლოდ კანონიერი ინტერესების, რა თქმა უნდა.

თავისუფლების საშუალო სკოლაში 10 წელია, რაც სომხები პირველი /დილის/ ცვლაზე მუშაობენ. ყოველ წელს იდგა საკითხი სექტორთა ცვლის მორიგეობისა: ერთ წელს ქართული სექტორი უნდა ყოფილიყო დილის ცვლაზე, მეორე წელს სომხური.

მაგრამ ქართველებს ისინი არასოდეს უთმობდნენ, რადგან ბავშვთა რაოდენობას იმიზეზებდნენ, რამდენადაც ქართული ცვლა ყოველთვის მე-2 /დღის მეორე ნახევარში/ იყო. ამიტომ მიკრორაიონის მოსწავლეები ამჯობინებდნენ ქალაქის სკოლებში დილის ცვლაზე სიარულს. ამ გარემოებამ უარყოფითად იმოქმედა ქართული სექტორზე.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში აგვისტოს დღეებში, როცა სკოლაში შეუძლებელი გახდა სექტორთა მორიგეობა მშობლებმა მივმართეთ მუდმივ ორგანოებს განცხადებით, რომ ქართული სექტორი გადაეყვანათ დილის ცვლაზე. როგორც იქნა ზემდგომმა ორგანოებმა /განათლების განყოფილებამ/ ურჩიეს დირექციას დაენერგა სექტორთა მორიგეობა. სექტორთა მორიგეობის შესახებ ცნობა უმალ მოედო სკოლის ორივე კოლექტივს. სომეხმა მასწავლებლებმა დირექტორის წაყრუებით და მხარდაჭერით დიდი აჟიოტაჟი შექმნეს, რამაც უარყოფითად იმოქმედა სასწავლო წლის დაწყების დღეზე _ 1 სექტემბერზე.

1982 წლის 31 აგვისტოს სომეხმა მასწავლებლებმა, სოფ. თავისუფლების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის **პაპაზიანის** მხარდაჭერითა და დახმარებით სომხურ მოსახლეობაში და მოსწავლეებში ჩაატარეს ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი მუშაობა, რათა **1 სექტემბერს** სკოლაში ჩაშლილიყო მეცადინეობა და არ დაეშვათ ქართული სექტორი დილის ცვლაზე.

1982 წლის 1 სექტემბერს თავისუფლების საშუალო სკოლაში ზეიმის ნაცვლად დიდი აჟიოტაჟი და არეულობა მოხდა. ქართველი მოსწავლეები დილით თავის დროზე მოვიდნენ. მოვიდნენ სომეხი მოსწავლეებიც და ამავე დროს სომეხი მშობლები დაახლოებით 100-მდე /სკოლაში დაახლოებით 270 ბავშვია ორივე ეროვნების/.

ქართველ მოსწავლეებს არ მიეცათ საშუალება ჩაეტარებიათ ზეიმი, გამოსულიყვნენ ბავშვები და მშობლიურ დედაენაზე, ქართულად ეთქვათ ლექსები და მისასალმებელი სიტყვები. საკლასო ოთახებში მოკალათდნენ სომეხი მოსწავლეები და მათი მშობლები. მათ ქართველებს არ მისცეს საკლასო ოთახებში შესვლის უფლება. **1982 წლის 1 სექტემბერს, 2 სექტემბერს** თავისუფლების საშუალო სკოლაში მეცადინეობა არ ჩატარებულა. რატომ? იმიტომ რომ სომხებმა მოითხოვეს ჩვენ უნდა ვიყოთ ყოველთვის პირველ /დილის/ ცვლაზეო. სომეხმა მასწავლებლებმა _ კომუნისტებმა, აქტიურობა გამოიჩინეს და ხელი შეუწყვეს ამ სამარცხვინო ფაქტს. სომეხმა მასწავლებლებმა, მშობლებმა კატეგორიულად მოითხოვეს ქართული სექტორის დახურვა თავისუფლებაში. სოფელ თავისუფლებაში **1982 წლის 1 და 2 სექტემბერს** ამბები იყო პირწმინდა ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი გამოხდომა, ეროვნული შუღლის გაღვივება ქართველთა და სომეხთა შორის.

თავისუფლებაში ქართული სექტორის დახურვას დიდი ხანია ცდილობენ. სოხუმის რაიონის ხელმძღვანელობაში არავინაა ისეთი, რომ ამას ხელი შეუშალოს და დაიცვას ქართველთა კანონიერი ინტერესები. ჩამოვთვლით იმ გარემოებებს, იმ ხელოვნურ მიზეზებს, რომელნიც ხელს უწყობდნენ საქართველოში, სოფელ თავისუფლებაში ქართული სკოლის დახურვას:

1. სოფ. თავისუფლებაში ქართველებს არ აძლევენ დასახლების ნებას, არ უყოფენ მიწის ნაკვეთებს;
2. სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ეროვნებით სომეხია;

3. თავისუფლების საბჭოს თავმჯდომარე ეროვნებით სომეხია;
4. სასოფლო-საბჭოს მთელი აპარატი სომხური ეროვნების მუშაკებისაგან შედგება;
5. სკოლის დირექტორი ეროვნებით სომეხია;
6. სკოლის ორგანიზატორი ეროვნებით სომეხია;
7. სკოლის ბიბლიოთეკარი /ორივე სექტორზე 1 შტატი/ ეროვნებით სომეხია.
8. სკოლის უფროსპიონერხელმძღვანელები სომხურ სექტორზე ეროვნებით სომხები არიან და ქართულ სექტორზეც პიონერხელმძღვანელი სომეხია, რომელმაც არ იცის ქართული ენა.

სოხუმის რაიონში კადრები ამ ბოლო დროს გულრიფშის რაიონიდან ჩამოჰყავთ: თავისუფლების საშუალო სკოლის დირექტორი, რომელმაც გამოამჟღავნა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ქართული სექტორისადმი, მუშაობდა გულრიფშის რ-ის წებელდის №3 სომხური საშუალო სკოლის დირექტორად, საიდანაც გაათავისუფლეს.

კოლმეურნეობა "ახალი ცხოვრების" /თავისუფლების/ თავმჯდომარე უწინ გულრიფშის რაიონში მუშაობდა. ჩვენ გვაინტერესებს ვის ჩამოჰყავს ისინი გულრიფშის რაიონიდან, სოხუმის რაიკომის მეორე მდივანი, რომელიც ადრე გულრიფშის რაიკომის მესამე მდივანი იყო _ მას ხომ არა?!

სოხუმის რაიკომის წარმომადგენლებმა თავისუფლების სკოლაში, თავისუფლების სასოფლო საბჭოში ჩაატარეს კრებები, მაგრამ ამას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. სოხუმის რაიკომმა ქართველობა იმაშიც კი დაადანაშაულა, რატომ რადიოთი პირველი კლასის მოსწავლემ ქართულად ილაპარაკა და არა რუსულადო. ნუთუ ბავშვს პირველი კლასიდანვე უნდა წავართვათ უფლება დედაენაზე საუბრისა?

სოხუმის რაიკომის მუშაკებს, მეორე მდივანს, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგეს **ლასურიას** ანტიქართული კურსი აქვთ აღებული. საინტერესოა, ვინ აძლევს მათ საამისო ინსტრუქციებს? სოხუმის რაიონში ამის საფუძველი ქართველობას არ მიუცია მათთვის.

თავისუფლებაში ქართული სკოლა დახურეთო, გაიძახიან. ვინ აძლევს მშობლებს და მასწავლებლებს ამის უფლებას? მიწა ქართულია, სოფლის სახელწოდება თავისუფლება ქართული, კოლმეურნეობის სახელწოდება "ახალი ცხოვრება" ქართული, იქნებ შევცვალოთ ეს სახელწოდებებიც, მიუხედავად მათი ისტორიისა? თუ სკოლაში 50 მოსწავლით მეტია სომეხი, განა ამიტომ უნდა დომინირებდნენ ისინი დილის ცვლაზე. ჩვენ გვაინტერესებს, რად ილახება ქართველთა ინტერესები სოხუმის რაიონში. ამ რაიონში უკვე რიგით მე-3 სომხური სკოლა შენდება, ქართულ საშუალო სკოლებს კი არ ეშველა, მიუხედავად მძიმე მდგომარეობის.

თავისუფლების სასოფლო საბჭოდან ქალაქში როდესაც დადიან მოსწავლეები, მათ იქ არავინ თხოვს მიწერის ცნობას. თავისუფლების საშუალო სკოლაში კი თუ ვინმემ ისურვა ქართველთაგანმა სწავლა, დირექტორი **კიულიანი** არ აძლევს ნებართვას, თუნდაც აფხაზეთის განათლების მინისტრიეს მოადგილის, **თოდუას** ნებართვაც რომ იყოს. ხოლო, რომელიმე ქალაქელმა სომეხმა თუ ისურვა თავისუფლების სკოლაში სწავლა, მათთვის ეს ბარიკადები არ არსებობს. რას მივაწეროთ ეს? თავისუფლების მიკრორაიონის 30-მდე ბავშვი სხვადასხვა სკოლებში დადის, რადგან დირექტორი ასეთ

პრინციპზეა. მისი დევიზია ქართული სექტორის დახურვა და მხოლოდ სომხურის არსებობა. თურმე სად? საქართველოში.

საოლქო კომიტეტამდე მიაღწია ცნობამ თავისუფლებაში მეცადინეობის ჩაშლისა და სომეხი მშრომელებისა და მოსწავლეების მოქმედების შესახებ, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი. ყველანი დაუსჯელნი დარჩნენ.

დღესავით ნათელია რომ ამგვარი პოლიტიკა აფხაზეთის ასსრ-დან ქართველთა გამოძევებას ისახავს მიზნად.

სოფელ თავისუფლების მცხოვრებნი ამაოდ მოითხოვენ ანტიქართულ გამოხდომების აღკვეთას, ინტერნაციონალური სამართლიანობის აღდგენას და ქართული სკოლის ხელშეუხებლობის გარანტიას.

1982წ.

"მატიანე",

№4. 1989წ.

მინაწერი: ეს მართლაც ასე იყო. ვამაყობ, რომ ეროვნულმა მოძრაობამ მე მანდო ამ საკითხის დაწესრიგება: **1989 წლის 1 ოქტომბერს** არმენულს გამოეყო ქართული სექტორი და დაარსდა თავისუფლების ქართული №1 საშუალო სკოლა, რომლის დირექტორად დავინიშნე სახალხო წარდგინებით.

სამწუხაროდ, ქართველთა სავალალო მდგომარეობას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) არანაკლებ განაპირობებდა "ქართული" პარტოკრატიის დანაშაულებრივი, სიხარბით გამორჩეული ანგარება.

ათწლეულების მანძილზე ამ მხარეში, შესაბამისად იმავე ს.თავისუფლებაში მიზნობრივად ხდებოდა არმენი კოლონისტების დამკვიდრება, ხოლო ქართველებს "ქართველი" ხელმძღვანელი მუშაკები დიდძალი ქრთამის გარეშე არ აძლევდნენ სამოსახლოს.

როდესაც ქართულ მიწაზე ამ გზით არმენები უმრავლესობა გახდნენ, მათ გარეკეს "ქართული" ნომენკლატურა და არმენი ფუნქციონერები, ჩაანაცვლეს, _ ამაში ფული გვაქვსო გადახდილი!..

ზემოთ მოგახსენეთ, **1972 წელს** გაზეთ **"სახალხო განათლებაში"** თუ როგორი გაშმაგებით შემოუტია "ქართულმა" წინგაუხედაობამ ს.თავისუფლებაში ქართული კლასების გახსნას: დროითაა დადასტურებული, რომ ქართველი პარტოკრატიის კომპრადორული ბუნება დროსა და სივრცეში უფრო სახიფათოა ვიდრე არაქართველი ფუნქციონერის საოკუპაციო ჩექმა, ისე, რომ ხელიც არ აუკანკალდება, საზურგე მახვილით მოგიღებს ბოლოს.

ს.საჯაია

≈*≈

"აფხაზი" გურევიჩები

არის მრავალი შემთხვევა, როცა სხვადასხვა ქვენარგძნობით,ხანაც იძულებით, რათა სამსახური მიიღოს, ან უმაღლესში ჩაირიცხოს, ქართველი ან ებრაელი აფხაზად ეწერება.

ასე მაგალითად:

რათა გაადვილებოდა უმაღლესში ჩარიცხვა, ვინმე **თოფურიძე მიხაილ ოთარის ძე** მცხ. ქ.სოხუმში **გოჩუას** ქ.№50, ოთახი 5, ეროვნებით ქართველი აფხაზად ჩაეწერა. მას ამის საფასურად შეპირდნენ უნივერსიტეტში ჩარიცხვას და ჩარიცხეს კიდეც.

ასევე კარგი სამსახურის მიღების მიზნით აფხაზად ჩაეწერა გულრიფშის მილიციის თანამშრომელი **ხარჩილავა-ლოგუა.**

ასევე აფხაზად ჩაეწერა ებრაელი **გურევიჩი მაია სემიონის ასული,** რის გამოც მან მიიღო მაღალი თანამდებობა ქ.სოხუმის განათლების განყოფილებაში.

იმ ადამიანმა, რომელმაც ეს ცნობები გადმომცა, მითხრა, რომ განსაკუთრებით ბევრი ქართველი ჩაეწერა აფხაზად, რის საფასურადაც მათ მიიღეს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა, ასევე აფხაზებად ჩაეწერნენ ზუგდიდიდან გადმოსული ბიძაშვილები **დარცმელიები,** აფხაზი პროვოკატორები /მათი გაიგივება ყოვლად დაუშვებელია მთელ აფხაზ ხალხთან/ დაუნდობლად ებრძვიან ყოველივე ქართულს /ისტორიული ძეგლების შებღალვა, ისტორიულად დამკვიდრებული ტოპონიმების გამოცვლის მოთხოვნა, ქართული წარწერებიანი ტრაფარეტების ჩამოგლეჯა, ქართული წიგნების დაწვა და სხვა.

განსაკუთრებით საშიში ვითარება შეიქმნა ამ მხრივ ახლად შექმნილი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, სადაც განსაკუთრებით წამლავენ ახალგაზრდებს შოვინიზმისა და სეპარატიზმის ბანგით, უნერგავდნენ საქართველოსადმი და ყოველივე ქართულისადმი სიძულვილს.

სწორედ ამ კათედრის ხელმძღვანელობით შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა პრიორიტეტი მიენიჭა აფხაზური ფაკულტეტების აფხაზურ ჯგუფებში ჩარიცხვას რაც უფრო იოლია, ვიდრე სხვა ჯგუფებში ჩარიცხვა.

ასე მაგალითად, არსებობდნენ ფაკულტეტები: I ისტორიის /აფხაზური, რუსული, რთული სექტორები/.

II იურიდიული /აფხაზური, რუსული, ქართული სექტორები/

III ინგლისური /აფხაზური, რუსული ქართული სექტორები/ და ა.შ. სწორედ ამ აფხაზურ, ხელოვნურად შექმნილ ჯგუფებში ირიცხებიან ყველა მსურველი აფხაზები და ისინი, ვინც აფხაზებად ჩაეწერებიან. ასე რომ აბიტურიენტ ახალგაზრდას აღარ მოეთხოვება აღარც ცოდნა, აღარც ნიჭი, აღარც მომზადება, საკმარისია იგი აფხაზად ჩაეწეროს დამ ას გარანტირებული აქვს უმაღლესი მოხვედრა! აი ამ აფხაზური ჯგუფების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი დანიშნულება.

1985წ.

"მატიანე",

1989წ. №4. რედაქტორი ზ.გამსახურდია.

* * *

სამწუხაროდ, თვითგამოცემით ჟურნალ **"მატიანის" (1989წ.)** მეოთხე ნომერში მოთავსდა სოხუმიდან გამოგზავნილი ანონიმური წერილი, რომელსაც აშკარად ატყვია საეჭო შორსგამიზნულობა. მას არაფერი აქვს საერთო აქვე მოთავსებულ წერილებთან, რომელთა მნიშვნელობა აფხაზეთის კვლევის საკითხში ფასდაუდებელია.

კერძოდ, ეს ხელმოუწერელი ბეზღობა, დათარიღებული **1982 წლით,** იუწყება, რომ თითქოს სოხუმის რ-ნის **ვ.ი.ლენინის** სახ. კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე **ხ.ანასტასიადი** ყოფილიყოს **1981 წელს** ბერძენთა და ქართველთა შორის სისხლისღვრის მომწყობი ამ სოფელში და ვითომ იგი ეწეოდა ქართველთა წინააღმდეგ თანმიმდევრულ საქმიანობას.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს და ამის მსგავსი ჭორები **1989 წელს** ბერძნებზე მიზნობრივად ვრცელდებოდა აფხაზეთში, რაც გამიზნული იყო იმ დროს ქართველ-ბერძენთა სახლიკაცური ურთიერთობის ჩასაკაფად, გასაგებია თუ ვის სჭირდებოდა 15-16 სისხლიანი ივლისის წინა დღეებში (ჟურნალ **"მატიანის"** ეს ნომერიც იმჟამად გამოიცა) ამგვარი სახიფათო გესლი.

ჯერ ერთი, ქართველ-ბერძენთა შორის სოხუმის რ-ნის აღნიშნულ კოლმეურნეობაში კრემლის ხელისბიჭთა ძალისხმევით სისხლიანი დაპირისპირება მოხდა **1916 წელს,** როდესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ირჩევდნენ, ხოლო **ხ.ანასტასიადს** მისი ასაკის გამო ასეთ რამეებს არავინ ეკითხებოდა მაშინ. მეორეც, იგი გახლდათ ტიპიური საბჭოთა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ისეთი, როგორებიც იყვნენ მისი ქართველი კოლეგები. მას არ გაუკეთებია არაფერი ისეთი, მით უფრო ეროვნულ საკითხში, რაც არ გაუკეთებია ქართულ პარტნომენკლატურას.

საქმე ისაა, რომ ამ წერილს აშკარად ატყვია იმ დროს აფხაზეთში ეროვნული მოძრაობის სახელით მოქმედი ერთი საეჭვო ჯგუფის გავლენა, რომელიც შემდგომში, მოქმედებდა რა აფხაზეთის ასსრ შს მინისტრიეს თითისქნევათა შესაბამისად, თავისი წინგაუხედაობით სხვებთან ერთად ხელი შეუწყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასხვისებას.

1989 წლის ივლისში, ვ.ვეკუას დაღუპვის გამო პანაშვიდზე მოსულ ბერძნულმა წარმომადგენლობამ და თვით **ხ.ანასტასიადმა** ამასთან დაკავშირებით მოითხოვეს განმარტება, რასაც ჩასაფრებულმა "მოღვაწემ" ვერაფერი უპასუხა.

შემდგომ დღეებში ცხონებული **მ.ადამიას** ძალისხმევითა და ჩემი მონაწილეობით ამ და სხვა, კერძოდ საადგილმამულო საკითხებზე ბერძნული თემის წარმომადგენლობა **(ნ.სიმონიდი)** თბილისში შეხვდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ურთიერთობა კვლავ სახლიკაცურ ხასიათს ატარებდა.

მანამდე, იმ სისხლიან დღეებში, სოხუმის რაიონის ქართველმა მოსახლეობამ სწორედ ბერძნული თემის თანადგომით მოახერხა სისხლისღვრის შეწყვეტა და სახალხო მოლაპარაკებების ჩანაცვლება.

მე ამ საქმის არათუ მონაწილე, ერთერთი ხელმძღვანელი ვიყავი და ვიცი რაც ხდებოდა. ეს ისეთი თვალსაჩინო მოვლენა გახლდათ, რომ თვით საბჭოთა რუსულენოვანმა გაზეთებმაც კი გააშუქეს როგორც სოხუმში, ასევე თბილისში და თუ მეხსიერება არ მღალატობს, მოსკოვშიც.

უფრო გვიან, **1990 წლის 28 ოქტომბერს, 1991 წლის 31 მარტს, 26 მაისს** ბერძნულმა თემმა ქართველი ერის ნებას დაუჭირა მხარი, აქ სათვალავში არაა მისაღები ორიოდე ნაძირალა.

დასასრულ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ აფხაზეთის საომარი ავანტიურის დროს ბერძნებს ქართველებისთვის ზურგში მახვილი არ ჩაუგიათ (არც არავისთვის). ამის

გამო სოხუმის რ-ნის ბესლეთის ხეობაში მომხდურებმა არაერთი ბერძენი დახვრიტეს, მათ შორის პედაგოგი **მერი ანასტასიადი** თავის სახლიკაცებთან ერთად ცოცხლად ამოწვეს საკუთარ სახლში.

რაც შეეხებათ ძმებს **ევსტაფი** და **ხრისტო ანასტასიადებს,** ისინი, მართალია, აფხაზეთში ქართული სახელმწიფოებრიობის ერთერთ აღმშენებელ **ი.ფაშალიდამდე** არ ამაღლებულა მაგრამ არც ნაძირალა **ნ.პატულიდამდე** დაცემულან, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბერძენთა თემი მათ აზრს ყოველთვის ითვალისწინებდა, მაშინ ქართველებმა ცხონება ვუსურვოთ ყველა სახლიკაცს ბერძენს, რომლებიც ამ მოვლენებს შეეწირნენ.

ს.საჯაია

≈*≈

ღია წერილი

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის ასსრ) ქართველობისადმი

I. შესავალი

გავეცანით რა თქვენს მიმართვას საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი, ღრმად დავრწმუნდით თქვენი მოთხოვნების სამართლიანობაში. იბრძვით რა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა შევიწროების აღსაკვეთად, თქვენ ადგახართ ჭეშმარიტ გზას. თქვენი პოზიცია სავსებით სწორია და მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერას იმსახურებს. აფხაზეთის ასსრ-ში ქართველები და მათი კულტურა არ უნდა იდევნებოდეს. თამამად ვიტყვით, რომ ყველა პატიოსანი და პატრიოტი ქართველი მზადაა მხარში ამოგიდგეთ და რითიმე დაგეხმაროთ. ამისათვის საჭიროა დრო და დრო, რომ მათ შეატყობინოთ თქვენი ამბავი, საქმის კურსში ჩააყენოთ. რჩევა ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხზე: 1. ორგანიზაციულ სფეროში

არაა საიდუმლო, რომ აფსუებმა (ანუ აფხაზებმა, როგორც მათ სხვა ენებზე არასწორად უწოდებენ) დიდი ხანია, რაც შექმნეს ანტიქართული ფარული (არალეგალური) ორგანიზაცია, რომელიც დრო და დრო აშკარად მოქმედებს. ამ სეპარატისტული ორგანიზაციების მიზნებია: 1. საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, გაგრიდან ენგურამდე, ხელმძღვანელ თანამდებობებზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ სფეროებში გააძლიერონ აფსუები;

2. მოსპონ ან მინიმუმამდე დაიყვანონ ქართველთა რაოდენობა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთის ასსრ-ში);

3. აღნიშნული ტერიტორია ჩამოაცილონ საქართველოს.

ამრიგად, ეს ორგანიზაცია თავისი ხასიათით წმინდა წყლის სეპარატისტული ორგანიზაციაა. ცხადია, ეს ტერიტორია ვერ გახდება დამოუკიდებელი სახლემწიფო ან მოკავშირე რესპუბლიკა. ამის ობიექტური პირობები არ არსებობს. ამიტომ ამჟამად ისინი ცდილობდნენ მის შეერთებას რუსეთთან, რათა რუსეთი გაიხადონ მოკავშირედ თავიანთი №1 მტრის _ როგორც ეს მათ ეჩვენებათ _ საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მომავალში როგორც ძველად იყო, მოკავშირედ გაიხადონ თურქეთი ან სხვა სახელმწიფო.

აფსუელი სეპარატისტების ბელადები წარსულში სხვადასხვა დროს იყვნენ **დ.გულია, ნ.ლაკობა, ე.ეშბა, ს.ჭანბა** და სხვა. ამჟამად ბელადობას იჩემებენ **კ.შაყრილი,**

შ.ინალ-იფა, გ.გულია, ბ.შინკუბა, კ.ლომია, მ.ლასურია, ა.გვარამია და სხვა. ბევრი ამათგანი გარეგნულად თითქმის განზე დგას, მაგრამ სინამდვილეში არიან ყველა ძირგამომთხრელი საქმიანობის სულისჩამდგმელი და პირველი მრჩეველი. მათ მხარს უჭერს აშკარად და ფარულად ბევრი მოსკოველი "ამხანაგი".

სეპარატისტებმა მოიპოვეს გარკვეული წარმატება, რადგან ჯერ ერთი, საქართველოს მთავრობა არ ამჟღავნებს პრინციპულობას და ბევრს რამეში მათ უთმობს და უკან იხევს. მეორეც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში მცხოვრები ქართველები არ არიან საკმაოდ დარაზმულნი თავიანთი კანონიერ უფლებათა დასაცავად, მაგრამ აფსუებს ხელს უშლის რამდენიმე სერიოზული დაბრკოლება: 1. მათი მცირერიცხოვნება. ისინი ჩრდილო-დასავლეთში მოსახლეობის 20% არ შეადგენენ. იქაურ ქართველებზე ორნახევარჯერ ნაკლები არიან.

2. ახლა რუსეთისათვის ხელსაყრელი არაა აშკარად, ოფიციალურად მხარი დაუჭიროს აფსუების სეპარატიზმს, საქართველოს ჩამოაცილოს ეს ტერიტორია და თვითონ მიისაკუთროს, ამჟამად შეუფერებელი დროა. ჯერ ერთი, ქართველი ხალხი "აყვირდება", მეორე _ მსოფლიო "აყვირდება" რუსების ექსპანსიონიზმის კიდევ ერთი გამოვლენის გამო, რაც რუსეთის ავტორიტეტს კიდევ ერთ სერიოზულ დარტყმას მიაყენებს.

ეს ხელსაყრელი გარემოებანი უნდა იქნეს გათვალისწინებული მთელი ქართველი ერის და კერძოდ, მისი ავანგარდის, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქართველთა მიერ.

სეპარატისზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებისათვის საჭიროა გამოსწორდეს ერთი სერიოზული ნაკლოვანება. უნდა აღმოიფხვრას ჩრდილო-დასავლეთის ქართველების დაქსაქსულობა, აქამდე აფხაზეთის ასსრ-ის ქართველები მოქმედებდნენ ასეთი პრინციპით: "ყველა თავისთვის". ეხლა დადგა დრო, იმოქმედოთ შემდეგი პრინციპით: "ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის". <u>საჭიროა გამოყენებულ იქნას ბრძოლის აშკარა ფორმები და ოფიციალურად არსებული ყველა ორგანიზაცია: პარტიული, კომკავშირული, მათი კრებები და სხდომები. არ მისცეთ ხმა თქვენთვის არასასურველ კანდიდატებს, დელეგატებს</u>. (ხაზგასმა ს.საჯ.).

გაკრიტიკეთ აფსუელთა ძალმომრეობისა და სეპარატიზმის ყველა დადასტურებული ფაქტი, შეეცადეთ ოქმებში ჩაიწეროს თქვენი კრიტიკული გამოსვლები. მოაწყეთ შეთანხმებული მოქმედება სხვადასხვა დაწესებულების ყველა თანამშრომელმა, რათა ერთსა და იმავე დარღვევაზე ილაპარაკოთ სხვადასხვა დაწესებულებების კრებებზე (არ იქნება ურიგო, თუ მისწერთ როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ წერილებს როგორც საქართველოს, ასევე საკავშირო მთავრობას, ქართულ და რუსულ ენებზე).

ამ მხრივ დიდი გასაქანია ქართულ დასახლებულ პუნქტებში, იქ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ქართველებია. საერთოდ კი უნდა გახსოვდეთ, რომ წერილების შედგენა შეიძლება ყველგან, სადაც კი ქართული სკოლა და ქართველი სტუდენტობაა.

მართალია, ჯერ თქვენ, სამწუხაროდ, საამისო გამოცდილება არა გაქვთ. აფსუა სეპარატისტებმა ანუ გამთიშველებმა გაგასწრეს, წინ წავიდნენ, მაგრამ საქმე

გამოსწორდება, თუ დაიწყებთ. სჯობს გვიან ვიდრე არასდროს! უნდა იცოდეთ, რომ თქვენ მარტო არ იქნებით, თქვენს გამოსვლებს დიდი გამოძახილი, რეზონანსი ექნება საბჭოთა კავშირში და შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში, ქართველ ხალხს კარგად იცნობენ ყველგან, მისი პატრიოტული და გაბედული შემართების გამო.

იმის გამო, რომ სათანადო გამოცდილება არაა დაგროვილი, ჯერ შეადგინეთ მცირე წერილები, მცირე ხელმოწერებით, სადაც ხალხი ყველაზე მეტად არის აღელვებული.

თქვენ ერთად უნდა მიიღოთ მთავრობაში გასაგზავნი რეზოლუციები, კონკრეტული შინარსით: ჩაწერეთ ის მოთხოვნები, რასაც მოითხოვს და აღელვებს ან უჭირს იმ დასახლებული პუნქტის მოსახლეობას, სადაც წერილი შედგა. მოთხოვნები იყოს სხვადასხვა ხასიათის: პოლიტიკური, ეკონომიური, ეროვნული, განათლების, კულტურის, კადრების, ტრანსპორტისა და სხვა სფეროდან. მიღებული რეზოლუცია, სათანადოდ გადაწერილი ან გადაბეჭდილი აუცილებლად უნდა გაიგზავნოს მთავრობაში, თუ მოახერხებთ, გააცანით იგი სხვა დასახლებული პუნქტის მოსახლეობას.

უნდა გახსოვდეთ, რომ ერთი წერილი, ერთი პეტეცია ან გამოსვლა საქმეს საბოლოოდ არ სწყვეტს. საჭიროა მათი სისტემატური მოწყობა, მოთმინებით მუშაობა დასარაზმავად და საბრძოლველად. <u>წერილის ან პეტიციის წერისას არ გაგეპაროთ ძალადობის ან არეულობისაკენ მოწოდებები, ხოლო თანამდებობის პირთა სამართლიანი კრიტიკა ჩვენში კონსტიტუციით ნებადართულია, უფრო მეტიც, კრიტიკისთვის დევნა ისჯება კანონით</u> (ხაზგასმა _ ს.საჯ.).

თუ ვინმე უკანონოდ დააპატიმრეს აფსუებმა და რეპრესიებში მოყვა, მის ოჯახს დახმარება უნდა გაეწიოს. თანხა კოლექტიურად შეუგროვეთ, საჭიროა ყურადღების გამოჩენა სხვა მხრივაც, მოეწყოს ბოიკოტი ან სხვა რამ ღონისძიება სამართლიანი მოთხოვნის წამოყენებით, მოითხოვეთ დაჭერილთა განთავისუფლება ან საჯარო გასამართლება. სასამართლოში თავი დაიჭირეთ ღირსეულად. ორიენტაცია აიღეთ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაზე, ხომ ხედავთ სეპარატისტი აფსუები როგორ მარჯვედ იყენებენ თავიანთი ბინძური საქმებისათვის მათ მცირერიცხოვან ახალგაზრდობას. ჩრდილო-დასავლეთის ქართველი ახალგაზრდობა მათზე ორჯერ მეტია, ამას მიუმატეთ მოსაზღვრე რაიონების ახალგაზრდობა, მოიწვიეთ ისინიც. თქვენი მიზნები უფრო ნათელია და სამართლიანი. საჭიროა მხოლოდ მონდომება, ამოძრავება, პასიურობის დაძლევა.

ყველა დაწესებულებაში, დასახლებულ პუნქტში თანდათან უნდა ჩამოყალიბდეს ინიციატივიანი, აქტიური ამხანაგების ბირთვი, აქტივისტები, რომლებიც დროზე მოიფიქრებენ როდის, სად და რა გაკეთდეს, რა ღონისძიება გატარდეს, რა მოთხოვნა ან წინადადება იქნეს წამოყენებული, საჭიროა კონკრეტული მიზნების კარგად მოფიქრება.

ასე მაგალითად, გულრიფშის ან სოხუმის სასოფლო რაიონებში რაიკომის პირველ მდივნად ან აღმასკომის თავმჯდომარედ აფსუაა, რომელიც სხდომებს არაქართულად ატარებს, ქართული არ იცის, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქართველია, განა დასაშვებია ეროვნული პოლიტიკის ასეთი დარღვევა, სამართლიანია და სასურველი, თუ ამ რაიონების ქართველი მოსახლეობა ერთ მოთხოვნად წამოაყენებს აფსუა ხელმძღვანელის თავიდან მოცილებას.

მეორე: მაგ. აფსუებმა ათიოდე წლის წინ მოახერხეს ოჩამჩირეს დარქმეოდა ოჩამჩირა. რის საფუძველზე? ეს ხომ ქართული სახელის დამახინჯებაა? ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი აღწერის თანახმად ხომ ქართველებია! შეადგინეთ კოლექტიური წერილი და მოთხოვნები, დაუბრუნდეს ძველი სახელი. სოხუმის უნივერსიტეტს "აფხაზური" დაარქვეს, რატომ? ეს უნივერსიტეტი ხომ ემსახურება საქართველოს ტერიტორიას, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველებია, სადაც აფსუები, ერთად აღებული მოსახლეობის 16% შეადგენს, თვით უნივერსიტეტში სტუდენტთა უმრავლესობა ხომ ქართველია? თუ თბილისისას არ ეწოდება "ქართული", სოხუმისას რატომ ეწოდება "აფხაზური"

სოხუმში ქართველები ყველაზე დიდ ეროვნულ ჯგუფს შეადგენს. მათი რაოდენობა 40000 აღემატება. საკმაოდ ბევრია ქართველი მოსწავლეები და სტუდენტები. ნუთუ არ შეიძლება იქ 10000 ხელმოწერის შეგროვება? თუ სოხუმელებს ეს არ ძალუძთ, მაშინ სხვა რაიონის ქართველებიც მოიწვიეთ. პეტიციის ერთ-ერთ მოთხოვნად უნდა იქნეს წამოყენებული სოხუმის უნივერსიტეტისათვის სახელის შერჩევა.

II. პოლიტიკის სფეროში

საქართველოს რესპუბლიკის არცერთ ნაწილში არაა დარღვეული მმართველობაში ცალკეულ ეროვნებათა მონაწილეობის პრინციპი, ისე, როგორ მას ადგილი აქვს აფხაზეთის ასსრ-ში. სხვა კუთხეებში ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა თანამდებობის უმრავლესობა იმ ეროვნების ხელშია, რომელიც უმრავლესობას ქმნის მოცემულ რაიონში, ოსებს _ ჯავის რაიონში, ბერძნებს _ წალკის რაიონში, აქ კი, აფხაზეთის ასსრ-ში ხელმძღვანელ თანამდებობათა დიდი ნაწილი აფსუებს უკავიათ, თუმცა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 16% შეადგენენ, ხოლო ქართველები _ 46%, დევნის ობიექტად არიან გადაქცეული. ესაა აშკარა დარღვევა საბჭოთა კონსტიტუციის, რაც არც ისტორიულად, არც თანამედროვე ვითარებით არ არც სხვა რაიმე გარემოებით არაა გამართლებული.

ცნობილია, რომ ისტორიულად აფსუათა ეროვნული გავრცელების საზღვრები გუდაუთის რაიონს არ სცილდებოდა. სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის რაიონები ძველი სამეგრელოს ანუ ოდიშის ნაწილებია, რომელთაც აფსუები დაეპატრონენ თურქი აგრესორების დახმარებით XVIIIს. დასაწყისში. მათ ისარგებლეს ოდიშის სამთავროში დინასტიათა შეცვლის გამო გაჩაღებული შინა ომით. აი, რას წერს ამ ამბების მომსწრე **ვახუშტი ბაგრატიონი: "გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ხმელთა და სტყუვნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე (ე.ი. ენგურამდე) და დაეშენებოდნენ თვით აფხაზნი და არღარა იყო დრანდასა და მოქუს ეპისკოპოსნი"** (ქართლის ცხოვრება ტ.IV, 1973, გვ. 845). მიუხედავად ამ დარბევისა, დღესაც ამ რაიონების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაინც მეგრელებია. მათთან ერთად ცხოვრობენ სვანები, რაჭველები, სომხები, რუსები, ბერძნები, ხოლო აფსუები შეადგენენ 16%, თანაც ამ აფსუების უმრავლესობა იმ პერიოდში ძალად "გააფხაზებული" მეგრელების შთამომავლობაა (სწორედ ამიტომ აქვთ მათ მეგრული გვარები). მაშ, რატომ

უნდა იყვნენ აფსუები გულრიფშის, ტყვარჩელის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიკომ-ქალაქკომების პირველი მდივნები?

ასევე გაგრა, მართალია, საქართველოს ისტორიული ნაწილია, მაგრამ ეთნიურად არ იყო აფსნის ნაწილი, როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. **ნ.ბერძენიშვილი,** იქ ჯიქები სახლობდნენ მეგრელებთან ერთად. აფსუების რიცხვი აქ უმნიშვნელოა და გვიანაა ჩასახლებული, მაგრამ მაღალი თანამდებობები მათ ხელშია.

ამიტომ თქვენი უპირველესი ამოცანაა კრებებზე, წერილებში და პეტიციებში საჯაროდ მოითხოვოთ წამყვან პარტიულ და საბჭოთა თანამდებობათა სამართლიანი განაწილება. მოითხოვეთ ხელმძღვანელი კადრების შერჩევა არა აფსუას ეროვნებისადმი კუთვნილების მიხედვით, არამედ საქმიანი და მორალური ნიშნებით. ყველა სახის არჩევნებში და საანგარიშო კრებებზე აცილება მიეცით სეპარატისტებს, ილაპარაკეთ დინჯად და მშვიდად საბჭოთა კანონისა და პარტიის წესდების შესაბამისად. უნდა გახსოვდეთ, რომ აფსუელი სეპარატისტები არიან კანონის დამრღვევნი და არა თქვენ, რომლებიც ებრძვით მათ ძალმომრეობას. უნდა დაარწმუნოთ თქვენი თავი იმაში, რომ აფხაზეთის ასსრ-ში დარღვეულია ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილების ჩვენში დადგენილი პრინციპები, რომელთაც "ლენინურ ნორმებს" უწოდებენ. შეეცადეთ, რომ სეპარატისტებმა არ გაჯობონ ჭკუით, ეშმაკობით, მოხერხებულობით.

პოლიტიკურ და სხვა სფეროში სეპარატიზმის გაძლიერებას ამჟამად ხელს უწყობს ერთი გარემოება, რომელიც თქვენ უნდა გაითვალისწინოთ.

სსრკ-ში ამჟამად მოღონიერდნენ ზოგიერთი ავტონომიური რესპუბლიკის წამყვანი ერები (დაღესტნელები, ჩეჩნები, ყალმუხები, ჩუვაშები და სხვა), ამიტომ შესაბამის რესპუბლიკებს გაუჩნდათ საფუძველი მოითხოვონ მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი. ისინი მოსახლეობის რაოდენობით და კომპაქტურობით არ ჩამორჩებიან ისეთ მოკავშირე რესპუბლიკებს, როგორიცაა ესტონეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, სომხეთი. მაგრამ რუსებს არ სურთ მათი ტერიტორიის გამოყოფა რსფსრ-გან. ამიტომ მათი უკმაყოფილების დასაცხრომად რუსები იძულებულნი გახდნენ ზოგ რამეში დაუთმონ. აფსუები ხედავენ რა ამას, ცდილობენ ისარგებლონ ხელსაყრელი სიტუაციით და გააძლიერონ თავიანთი სეპარატისტული საქმიანობა _ გარკვეულ ფარგლებში წარმატებასაც მიაღწიეს. ისინი ფიქრობენ, რომ აფხაზეთის ასსრ-ს საქართველოსაგან ჩამოცილებით და რუსეთთან შეერთებით სეპარატიზმის გზაზე კიდევ მეტ წარმატებას მიაღწევენ, რადგან ავტონომიურ რესპუბლიკაში მაშინ მკვეთრად შემცირდება ქართველების რაოდენობა და გავლენა.

ამის საპასუხოდ ქართველებმა უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ აფხაზეთის ასსრ-ს ჩამოსცილდნენ ის რაიონები, რომლებიც ისტორიულად აფსნის არ ეკუთვნოდა და სადაც აფსუათა რაოდენობა მცირეა, კერძოდ, გალის, გულრიფშის, გაგრის, სოხუმის რაიონები და ოჩამჩირის რაიონის ნაწილი: აგრეთვე ქალაქი სოხუმი. უნდა შეადგინოთ წერილები ცალკე რაიონებში. დასახლებულ პუნქტებში და რესპუბლიკის ცენტრში, მოითხოვეთ მათი საქართველოსთან უშუალოდ შეერთება, ხოლო აფსუებით დასახლებული პუნქტებისათვის ნაციონალური "ოკრუგების" შექმნა გუდაუთის რაიონში და ოჩამჩირის რაიონის იმ ნაწილში, სადაც მათი სოფლებია.

ის ამბავი, რომ მოსახლეობის 16% მოაჯდა თავზე დანარჩენ 84%, გახდა წყარო და მიზეზი იმ ათასგვარი უკანონობისა, რაც ხდება აფხაზეთის ასსრ-ში, სსრ კავშირის არც ერთ ეროვნებას, რომელთა რიცხვი არ აღემატება 100000 არა აქვს ავტონომიური რესპუბლიკა. აფსუებისათვის ამ უპირატესობის მინიჭება არის ქართველი ერის სუვერენულ უფლებათა დარღვევის მაჩვენებელი.

III. ეკონომიკის სფეროში

ცნობილია, რომ თქვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკონომიურად წამყვანი, ძლიერი საწარმოო კოლექტივები შედგება არა აფსუებისაგან, არამედ ქართველების, სომხების და რუსებისაგან. ესენია კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი. მაღაროები, ფაბრიკები, ქარხნები, კაპიტალური სამშენებლო ობიექტები. მაშ, რატომ დააჯდნენ თავზე მათ უნიჭო ხელმძღვანელები აფსუათა რიგებიდან? ამ კოლექტივებში აფსუების ანტიქართული ექსცესები (გამოხდომები) სხვა ეროვნებათა წინააღმდეგ უნდა გადავაქციოთ საჯარო მსჯელობების საგნად კრებებზე, სხდომებზე, თათბირებზე. უნდა ამხილოთ მათი კუთხური მიკერძოება, პრივილეგია და პროვოკაცია. უნდა მისწეროთ ამის თაობაზე სისტემატურად ზემდგომ რესპუბლიკურ და საკავშირო ორგანოებს.

IV. ეროვნებათშორისი დამოკიდებულების სფეროში

ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) მრავალეროვანი მხარეა. ქართველებისა და აფსუებს გარდა აქ ცხოვრობენ რუსები, სომხები, ბერძნები, უკრაინელები, ესტონელები და სხვა. აფსუებისაგან ეროვნულ შევიწროებას განიცდიან სომხები, ბერძნები და სხვ. რატომ არ შეიძლება შეეცადოთ მათთან საერთო ენის გამონახვას? ძველთაგანვე ქართველები და სომხები ერთად ებრძოდნენ საერთო მტერს. ახლაც შეეცადეთ დასძლიოთ ეროვნული განკერძოების გრძნობა და ერთად დაირაზმეთ. გამონახეთ საერთო ენა. აგრეთვე სხვებთანაც, რომლებსაც აფსუების დიდკაცობა უსამართლოდ ავიწროებს. საჭიროა თანამშრომლობა სხვა ერის შვილებთან განხორციელდეს კონკრეტულ ვითარებაში, ამა თუ იმ დაწესებულებაში, საწარმოში, კოლექტივში. აფსუების უკანონო მოქმედება უნდა ამხილოთ ყველგან. მრავალეროვანი კოლექტივები უნდა დარაზმოთ უკანონობის წინააღმდეგ.

V. კულტურის სფეროში

სეპარატისტ აფსუების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში შექმნან მანამდე არარსებული "აფხაზური კულტურა", როგორც საპირისპირო ქართული კულტურისა, მოსპონ ამ კუთხეში ქართული კულტურის ხსენება. **დიმიტრი გულიასა** და სხვათა ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა "აფხაზურ" ლიტერატურას, დრამატურგიას, მუსიკას, სახვით ხელოვნებას, არქიტექტურას, მეცნიერებას, ისტორიოგრაფიას, ფილოსოფიას. ამის შესაბამისად ასწორებენ წარსულის ისტორიასაც.

გარდა ამისა, მათი მიზანია, რომ ყველაფერი, რაც ამჟამად სულიერი კულტურის სფეროში იქმნება აფხაზეთის ასსრ-ს ტერიტორიაზე, გამოაცხადონ ქართველური კულტურისაგან განსხვავებული აფხაზური კულტურის ძეგლად და ნიმუშად. ეს

ვრცელდება იქ მცხოვრებ ქართველ, სომეხ, რუს და სხვა მოღვაწეთა ნამუშევრებზე, ნაწარმოებებზე.

გამოდის, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქართველი მუსიკოსები, მოცეკვავეები, მხატვრები, მეცნიერები და სხვა იქ ქმნიან და ამდიდრებენ არა ქართულ, არამედ "აფხაზურ" კულტურას და მეცნიერებას. უფრო მეტიც, გამოდის, რომ იქ მცხოვრები უძველესი და მდიდარი კულტურის მქონე ხალხების შვილები, ქართველები, სომხები, ბერძნები, რუსები, ესტონელები, რომლებიც შეადგენენ იქაური მოსახლეობის 84%, ემსახურებიან მათი კულტურისაგან განსხვავებული, ახალი ეროვნული კულტურის შექმნაში აფსუებს, რომლებსაც ფაქტიურად არც ჰქონდათ ეს კულტურა, ახლა ქმნიან მას და ეს მაშინ, როცა აფსუები მთელი მოსახლეობის მხოლოდ 16% შეადგენენ სამწუხაროდ. ეს პარადოქსი მისგან გამომდინარე ყველა შედეგით ჯერ კიდევ არაა შემჩნეული ჩვენი საზოგადოების კულტურულ წრეებით.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ აფხაზეთის ასსრ-ში იქმნება რესპუბლიკური თუ რაიონული ანსამბლები, საცეკვაო თუ საესტრადო კოლექტივები და სხვა, რომლებიც მხოლოდ აფსუების ეროვნული კულტურის ალმით გამოდიან, თუმცა მათ მონაწილეთა საკმაო რაოდენობას შეადგენს არა აფსუები. ნუთუ ქართულ მოსახლეობას არ შეუძლია შექმნას საკუთარი ეროვნული მხატვრული შემოქმედებითი კოლექტივი?

ამიტომ საჭიროა ჩრდილო-დასავლეთის ქართველებმა (ასევე სომხებმა, ბერძნებმა და სხვ.) მოითხოვონ, რომ მიეცეთ ნება შექმნან საკუთარი მხატვრული შემოქმედებითი კოლექტივები. თქვენ უნდა შეებრძოლოთ აფსუათა ჰეგემონიის დამკვიდრებას ჩრდილო-დასავლეთის კულტურის სფეროში.

ამჟამად სისტემატურად იმართება აფხაზეთის ასსრ-ის კულტურის დღეები საქართველოში. ამას წინათ, **1980 წლის 10-13 აპრილს** გაიმართა ასეთი დღეები ქუთაისში. ქუთაისელებს გააცნეს ე.წ. "აფხაზური" კულტურის მიღწევები, პრესაში ეს მოვლენა ისე იყო დასურათხატებული, რომ თითქოს ავტონომიურ რესპუბლიკაში იქმნება მხოლოდ აფსუათა კულტურა და ამ კულტურას ემსახურება იქ მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი, რომ ეს კულტურა არაა ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილი. არავის არ მოსვლია ფიქრად, რომ ეკითხა _ რატომ გამოდის მოსახლეობის უმცირესობა უმრავლესობის ჰეგემონის როლში? უფრო ადრე მოსკოვში გამოაფინეს "აფხაზი" მხატვრების შემოქმედება. თუმცა მხატვრების უმრავლესობა არ იყო აფსუა.

ამიტომ საჭიროა, თუ გამიჯვნაა, ეს გამიჯვნა ბოლომდე ჩატარდეს. ერთმანეთში არ აურიონ აფსუებისა და არააფსუების შემოქმედება. თქვენ უნდა მოითხოვოთ აფხაზეთის ბიუჯეტით კულტურული ღონისძიებებისათვის განკუთვნილი თანხებიდან იქ მცხოვრებ ქართველებს და სხვა ეროვნულ კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გამოეყოთ კანონიერად მათი კუთვნილი წილი. როგორც ცნობილია, კულტურული სფეროსათვის გამოყოფილი თანხის ოდენობა შეესაბამება მოსახლეობის მიერ შექმნილ მატერიალურ დოვლათს, შემოსავალს, ნუთუ აფსუები იმაზე მეტს აწარმოებენ, ვიდრე თქვენ. იქაური ქართველები და სხვ. მაშ, რატომ ხმარდება კულტურული ღონისძიებებისათვის განკუთვნილი თანხების ლომის წილი აფსუათა კულტურულ ღონისძიებებს? თქვენ, ქართველებმა, კულტურის მუშაკებმა, მოითხოვეთ

თანხების სამართლიანი განაწილება, აფსუათა ჰეგემონიის, ძალმომრეობის აღკვეთა ამ სფეროში. ავტონომიური რესპუბლიკის ქართველმა მუშაკებმა და მეცნიერებმა ხმა უნდა აღიმაღლონ მათი შემოქმედებისა და ნამოღვაწარის არაქართული "აფხაზური კულტურის" ნიმუშად გამოცხადების წინააღმდეგ. მათ უნდა გამოაცხადონ საჯაროდ ყველგან, სადაც საჭიროა, რომ არიან ქართული კულტურის, მეცნიერების და არა "აფხაზური" კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლები, რომ აფხაზეთში მარტო აფსუა სეპარატისტები არ ცხოვრობენ, რომ იქ მცხოვრები ქართველების კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა შემოქმედება ქართულ კულტურას, მეცნიერებას ეკუთვნის.

ამ მხრივ რუსეთის ფედერაციასთან შედარება უადგილოა. რსფსრ წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნების ფედერაციულ გაერთიანებას. ცნობილია, რომ დაღესტანი, ყაბარდო, იაკუტია, ბურიატეთი, თათრეთი და სხვა იყვნენ არარუსული ქვეყნები, რომლებიც სხვადასხვა დროს შეიერთა რუსეთმა. ამჟამად ამ ქვეყნებში მცხოვრები ძირითადი ადგილობრივი ეროვნებანი საკუთარ, არარუსულ კულტურას ავითარებენ. დაღესტანი და ყაბარდო რომ რუსეთი არ არის, სადაო არაა ეს, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო მუდამ იყო და არის ქართული მიწა-წყალი. იქ მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობა მუდამ იყო და ამჟამადაც არის ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილი. თუ ახლა სეპარატიზმი გაჩნდა მოსახლეობის მცირე ნაწილში, აფსუებში, რომლებმაც ხელი მიჰყვეს საკუთარი განსხვავებული კულტურის შექმნას, თქვენ, ქართველმა მოსახლეობამ თავი უნდა დაიცვათ. უნდა შეებრძოლოთ იმის ცდებს, რომ თქვენი, როგორც ძველი, ისე თანამედროვე კულტურა გამოაცხადოთ აფსუათა კულტურის ელემენტად. ნუ გაიძულებენ იმას, რომ იღვაწოთ სხვათა კულტურის შესაქმნელად. თქვენი ბრძოლა ამ სფეროში სამართლიანია.

ამ სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია კადრები, კადრების მომზადება. სოხუმში არსებობს **დ.გულიას** სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის აფხაზური (?) ინსტიტუტი, რომელიც სეპარატისტებმა იდეოლოგიურ შტაბად და კადრების სამჭედლოდ აქციეს. როგორია მის თანამშრომელთა ეროვნული შემადგენლობა? ყოველი 100 თანამშრომლიდან 75 არის აფსუა. მაშინ როდესაც, საცა სამართალია, პირიქით უნდა იყოს! ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ამ ინსტიტუტში ითხზვება ანტიქართული იდეები და თხზულებანი? თქვენ უნდა მოითხოვოთ, რომ ჩრდილო-დასავლეთის ყველა სამეცნიერო დაწესებულებაში კადრების ეროვნული შემადგენლობა შეესაბამებოდეს მოსახლეობაში ეროვნულ თანაფარდობას. ეს სავსებით კანონიერი მოთხოვნაა.

VI. აფსუენთან დამოკიდებულების სფეროში

ისტორიის არენაზე **დ.გულიას, ნ.ლაკობას** და მათ თანამზრახველთა გამოჩენამდე ანტიქართული სეპარატიზმი აფსუებს შორის არ შეინიშნებოდა, თუ ასეთად არ მივიჩნევთ იმ ფეოდალურ შუღლს, რაც არსებობდა აფხაზეთის და ოდიშის სამთავროებს შორის **XVII-XVIII საუკ.** ისევე, როგორც სხვა სამთავროთა შორის საერთოდ. მაგრამ ეს იყო ფეოდალური კინკლაობა, რაც კულტურის სფეროზე არ გავრცელებულა. აფხაზეთის სამთავროს ზედა ფენა ქართულ კულტურას არ თვლიდა ეროვნულად უცხო, მტრულ კულტურად. სეპარატისტული მოძრაობის გარიჟრაჟზე

დ.გულია და სხვები ცდილობენ თავინთ სამსახურში ჩაეყენებინათ როგორც აფხაზეთის ასსრ-ში მცხოვრები, ისე მის გარეთ მყოფი ზოგიერთი ქართველი. ე.წ. "სტალინურ ერაში" ელაქუცებოდნენ ქართველებს და საქართველოს მთავრობას საკუთარი მიზნებისათვის დაბრკოლების ასაცილებლად. ხოლო **1953 წლიდან** იწყება მათი აშკარა მტრული შემოტევა, რაც თანდათან გაძლიერდა და უმაღლეს წერტილს მიაღწია **1978 წლისათვის,** როცა მოითხოვეს საქართველოდან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება.

ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ "აფხაზთა და ქართველთა მეგობრობის განმტკიცების" აუცილებლობაზე. მაგრამ აფსუებს ეს მეგობრობა ესმით, როგორც მხოლოდ მათ სასრგებლოდ წარმართული, არაბალანსირებული და ცალმხრივი ღონისძიება. ასეთ ვითარებაში ხომ არ აჯობებდა შეწყდეს აბსტრაქტული ლაყბობა ამ მეგობრობაზე და ლაპარაკი შემოიფარგლოს კონკრეტული მტკივნეული საკითხების გადაჭრის გზებით?

თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში ხშირად ტარდება სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიება (კონფერენციები, სიმპოზიუმები, თათბირები, საიუბილეო საღამოები, ბანკეტები). სადაც მასპინძლებად გამოდიან აფსუა სეპარატისტთა ბელადები და აქტივისტები, ხოლო სტუმრებად თბილისელი მოღვაწეები. ამ შეხვედრებში ბევრი მხურვალე სიტყვა გაისმის მეგობრობაზე, სიყვარულზე, სიხარულზე, კარგი ხარისხის ქართული ღვინოები ბლომად დაილევა, მოწვეული სტუმრები კარგად გამოძღებიან, გამოთვრებიან და ნაბახუსევი თბილისში ბრუნდებიან, ხოლო ჩრდილო-დასავლეთში ანტიქართული მოძრაობა კვლავ გრძელდება. სეპარატისტები კიდევ უფრო ძლიერდებიან, მდგომარეობა უფრო მწვავდება, იქაური ქართველების შევიწროება მეტ გასაქანს იძენს. ამიტომ, სასურველია ასეთი საზიანო "მეგობრული" კონტაქტები რაც შეიძლება შემცირდეს. იქ მიწვეულ მადააშლილ თბილისელ, ქუთაისელ და სხვა სტუმრებს თქვენ უნდა მისწეროთ ღია წერილები, გააცანით მათ თქვენი გასაჭირი, ამხილეთ აფსუელი სეპარატისტების თვალთმაქცობა და ძალმომრეობა, მოითხოვეთ მხარდაჭერა თქვენს სამართლიან ბრძოლაში. ჩასულმა სტუმრებმა თუ თვალი აგარიდეს, შეარცხვინეთ უსაქციელობისათვის. იცოდეთ, რომ თქვენსკენ არის ქართველი ხალხის სიმპათია.

თუ აფსუებთან მეგობრობა და პურმარილი საჭიროა, იმეგობრეთ და იპურმარილეთ, მხოლოდ იმ აფსუებთან, რომლებიც სეპარატისტები არ არიან, რომლებსაც სწორად ესმით აფხაზური პატრიოტიზმი, აუხსენით მათ, რომ თქვენ მომხრე ხართ არა ძალად აფსუათა გაქართველებისა ან ქართველთა გააფხაზებისა, არამედ მათი მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანასწორობისა.

მოითხოვეთ თქვენს ავტონომიურ მხარეში თანასწორობის პრინციპის დაცვა ეროვნულ სფეროში, ქართველებზე თავდასხმების შეწყვეტა და ა.შ. შეახსენეთ მათ მათი მონათესავე უბიხების ტომის ბედი **XIX საუკუნეში,** რომელიც გაანადგურა ჩრდილოელმა "უფროსმა ძმამ".

იმისათვის, რომ შენიღბონ ქართველების მიმართ მტრობა, დააცხრონ ქართველი ერის რისხვა და ააცილონ საპასუხო ღონისძიებანი, სეპარატისტების ბელადებს თავი მოაქვთ ქართული კულტურის მეგობრებად, მონაწილეობას იღებენ ქართველი მოღვაწეების საიუბილეო საღამოებზე, სხდომებზე, ბანკეტებზე, როგორც თბილისში, ისე სოხუმში, სადაც გამოდიან მოთაფლული სიტყვებით, თარგმნიან ქართველ

მწერალთა ნაწარმოებებს და სხვ. ამას წინათ გამოვიდა აფსუების ენაზე **"ვეფხისტყაოსანის"** მეორე თარგმანი, რაც დაახასიათეს მათი გულწრფელი მეგობრობის დამადასტურებელ ფაქტად (მთარგმნელი **მ.ლასურია,** რედაქტორი **ბ.შინკუბა** და წინასიტყვაობა **შ.ინა-ლიფასი,** ესენი, როგორც ვიცით, არიან სეპარატისტების ბელადები).

თუ გავითვალისწინებთ კონკრეტულ ვითარებას, ყველა ასეთი ღონისძიება არის "დანაელთა საჩუქარი". ტაქტიკური ფანდი, ხერხი ბრძოლისა. სწორედ ამის შესახებაა ნათქვამი: **"ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო".**

თუ აფსუელი სეპარატისტები ქართველი ერისა და ქართული კულტურის გულწრფელი მეგობრები არიან, მაშინ რატომ მოითხოვენ ავტონომიური რესპუბლიკის ჩამოცილებას საქართველოდან და რუსეთთან მიერთებას? მაშ, რისთვის უკუაგდეს აფსუური ენის ქართული წარმოშობის ანბანი და შემოიტანეს რუსული ანბანი, რომელიც თავისი ბუნებით ქართულ ანბანზე უფრო ნაკლებად ეგუება ამ ენას? მაშ, რატომ დევნიან ქართველებს და ქართულ ენას ჩრდილო-დასავლეთით? რატომ ამსხვრევენ **რუსთაველის** ბიუსტებს? რატომ ამახინჯებენ ტოპონიმებს და შლიან წარწერებს კულტურის ძეგლებზე (ბესლეთის ხიდი)?

ამიტომ, ყველა ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შეფასებისას საჭიროა სეპარატისტების მოქმედების პრინციპული განხილვა, საჭიროა მხილებულ იქნეს მათი არაგულწრფელობა, თვალთმაქცობა.

აფსუებთან ურთიერთობის ერთ-ერთი მტკივნეული თემაა ე.წ. "გააფხაზებული ქართველების" პრობლემა. ცნობილია, რომ აფსუებში ამჟამად შეინიშნება ორი ნაკადი. ერთია ჩრდილო-კავკასიური წარმოშობის ჩერქეზთა შთამომავლები, რომელთა წინაპრები არც თუ ისე ძველ დროში ჩამოსახლდნენ საქართველოს ამ მხარეში. მეორეა **XVIII-XIX საუკ.** "გააფხაზებული" ქართველების შთამომავლობა. მეორე ჯგუფში შედის, ერთი მხრივ, ადგილობრივ მკვიდრი (აბორიგენი) ქართველების, უფრო კონკრეტულად, მეგრელებისა და სვანების შთამომავლები, რომლებიც **XVII-XVIII საუკუნეებში** მოექცნენ რა აფხაზეთის სამთავროში, ჩერქეზთა გარემოცვაში, განიცადეს ჩერქეზული გავლენა. მეორე მხრივ აქ შემოდის იმ ქართველ ყმათა შთამომავლობა, რომლებიც **XIX საუკუნის პირველ ნახევარში** საკუთარი ბატონებისაგან თავმობეზრებული გარბოდა აფხაზეთის სამთავროში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან სხვადასხვა მიზეზის გამო. "გააფხაზებული ქართველების" უმრავლესობა წარმოშობით მეგრელია, რადგან ჯერ ერთი მეგრელებით დასახლებული ოდიშის (სამეგრელოს) თითქმის ნახევარი **XVII-XVIII საუკუნეებში** აფხაზეთის მთავრებმა დაიპყრეს, მეორე, იმიტომ, რომ სხვა ქართული პროვინციებისაგან განსხვავებით სამეგრელო აფხაზეთის უშუალო მეზობელია და ცხადია, მოსახლეობის გაცვლა მათ შორის მეტი ინტენსივობით ხდებოდა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ გააფხაზებულთა შორის ვხვდებით საქართველოს სხვა კუთხეთა წარმომადგენლებსაც.

"გააფხაზებული ქართველების" წრეს ეკუთვნის ბევრი ცნობილი პირი, რომელთაც თავი მოაქვთ "აფხაზური პატრიოტიზმით". კერძოდ, **დ.გულია, ა.ჭოჭუა, ი.პაპასკირი, კ.ლომია, მ.ლასურია, პ.ბებია, გ.ძიძარია** და სხვა. გააფხაზებულთა უმრავლესობა ცხოვრობს ყოფილ ქართულ (მეგრულ) სოფლებში _ ლიხნში (ყოფილი ლხინი),

კუტოლში (ყოფ. კვიტაული), ჭლოუში (ყოფ. ჭალა), ტკუარჩალში (ყოფ. ტკვარჩელი), აგუბედიაში (ყოფ. გ.ურიბედია) და სხვა. ზოგმა მოღვაწემ გვარიც კი შეიცვალა. **ჯინჯოლია** გახდა **აჯინჯალი, მარშანია _ ამარშანი, ალანია _ ალანი** და სხვა. ამაზე არსებობს სპეციალური გამოკვლევა პროფ. **ხ.ბღაჟბასი,** რომელსაც ანათემა მოუწყვეს აფხაზეთში.

იმის გამო, რომ მათი დიდი ნაწილი წარმოშობით მეგრელია და მეგრულ გვარს ატარებს, თბილისში და სხვაგან გაჩნდა ხმები: **"მეგრელები გვღალატობენ"** და სხვ. ცხადია, ეს გარემოება საქმეს ართულებს, იგი იწვევს არევ-დარევას თვით ბანაკში _ აფხაზეთის მკვიდრი ყველა მეგრელი საეჭვო ხდება. არამეგრელ ქართველს ძალიან გაუჭირდება მეგრელისა და აფსუას გარჩევა, რადგან არ იცის არც მეგრული, არც აფხაზური. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეგრული ენა აფხაზურზე მეტადაა გავრცელებული "ავტონომიურ რესპუბლიკაში", რადგან მასზე ლაპარაკობს ყველაზე დიდი ეთნიური ჯგუფი _ მეგრელები, რომელთა რიცხვი 160 ათასზე მეტია, აგრეთვე, აფსუების ნახევარმა და ზოგმა რუსმა და სომეხმაც იცის ეს ენა, რადგან მეგრელებთან შერეულად ცხოვრობენ ბევრ დაბა-სოფელში. ნორმალურ ვითარებაში ყველა აფსუა თანდათან გამეგრელდებოდა, რადგან მეგრული ენა აფსუურზე უფრო ადვილსალაპარაკოა, მაგრამ ახლანდელ გამწვავებულ ვითარებაში ეს გამორიცხულია.

ცხადია, საქმე ისე მარტივი არაა, რომ თითქოს მეგრელი, რომელიც ვთქვათ 18 წლამდე ქართველ-მეგრელობდა, 19 წლისა რომ გახდა, ანგარების თუ კარიერისტული მოსაზრებით, "აფხაზობს", ასევე ელვისებური მეტამორფოზა მასობრივად და ტექნიკურად ჩვენს პირობებში გამორიცხულია. გაფხაზებული მეგრელების რიცხვი არავის დაუდგენია, მაგრამ დავუშვათ მაქსიმუმი, ვთქვათ, 80 ათასი აფსუას ნახევარი, 40 ათასი გააფსუებული მეგრელია. მაშინ ქართველ-მეგრელებთან შეფარდება იქნება 1:4-თან. ამიტომ უსაფუძვლოა ბრალდება **"მეგრელები გვღალატობენ".** პირიქით, ეს იქნება ცილისწამება იმათი მისამართით, ვინც ჩვენი ძირითადი დასაყრდენია ჩრდილო-დასავლეთში, ქართველი მეგრელებითაა დასახლებული ავტონომიური რესპუბლიკის ქართული პუნქტების 80%.

ვერაგულია თვით აფსუების პოზიცია. ისინი ცდილობენ წინა პლანზე წამოსწიონ გააფხაზებული მეგრელები, რათა ჩვენს რიგებში შეიტანონ არევ-დარევა, პროფანებში შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის ასსრ-ში მცხოვრები ყველა **ლომია, პაპასკირი, გვარამია, ძიძარია** და **ჭოჭუა** არის აფხაზი.

ამას ემატება კიდევ ერთი სიძნელე, რომელიც სეპარატისტების წისქვილზე ასხამს წყალს: საქართველოში ჩვეულებრივად ამა თუ იმ კუთხის მკვიდრი იხსენიება ამ კუთხის სასახელო, სულერთია ქართველია იგი თუ არა, ასე, კახეთის მკვიდრი ყველა კახელია, სულერთია ის ქართველია, სომეხი თუ ოსი ან ლეკი. ასევე აფხაზეთის მეზობლად ზუგდიდის რ-ში სამურზაყანოელი ყველა აფხაზად იწოდება, სულერთია ის მეგრელი იყო თუ აფსუა. ამის გამოძახილს ჩვენს მხატვრულ ლიტარატურაშიაც ვხვდებით. გავიხსენოთ აკაკის პოემა **"გამზრდელი",** სადაც აფხაზეთში მცხოვრები მეგრელი გლეხი იწოდება აფხაზად. **თედო სახოკიას** ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში ყველა სამურზაყანოელი მეგრელი მიჩნეულია აფხაზად. **კ.გამსახურდიას** რომანში

“მთვარის მოტაცება” როგორც აფხაზად, ისე მეგრელად იხსენიება მეგრელი და ტომით აფსუები და ა.შ.

სწორედ ამ ჩვეულების გამო, ისარგებლეს რა მოსახლეობის მასობრივი უწიგნურობით, **1926 წლის** აღწერისას სამურზაყანოს ბევრი მკვიდრი აფხაზად ჩაწერეს. ამ უწიგნურობით სარგებლობდა **ლაკობა (ლაკოია)** და სხვა სეპარატისტები იქაური მკვიდრი მეგრელების გადასაბირებლად. **1936 წლის “ახალგაზრდა კომუნისტის”** ფურცლებზე აღნუშნულია, რომ **ლაკობა** პირდებოდა ყოველგვარ სიკეთეს ცნობილ მეჩაიეს **ცაცა ქარდავას,** თუ იგი აფხაზად ჩაეწერებოდა. შემდეგში განათლების ეს ბურუსი მნიშვნელოვნად შემცირდა. დღეს სამურზაყანოში კარგად ერკვევიან ქართველისა და აფსუას განსხვავებაში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თუ **1926 წლის** აღწერით გალის რაიონში აფხაზად იწერებოდა 13000 სული, **1970 წელს** მათი რიცხვი დავარდა 500-მდე.

ყველა ქართველმა პატრიოტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ძველად აფხაზს მარტო აფსუას ანუ ჩერქეზული ტომის ხალხს არ უწოდებდნენ. ამ სახელით მოიხსენიებოდა დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ყველა მკვიდრი. ამჟამად კი ამ სახელით მოიხსენიება მხოლოდ აფსუები. დღეს განათლებული ქართველი, აფხაზეთის ასსრ-ის მკვიდრი, სახელი “აფხაზის” ასეთი გადაგვარების გამო, თავის თავს აფხაზს კი არ უწოდებს, არამედ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველს. ძველად სახელები “ქართველი”, “აფხაზი” ერთმანეთს არ უპირისპირდებოდა ისე, როგორც ამჟამად ერთმანეთს არ უპირისპირდება სახელები “ქართველი” და “ხევსური”, “ქართველი” და “მეგრელი”, “ქართველი” და “გურული” და ა.შ. “ქართველი” და “აფხაზი”, როგორც განსხვავებულ ერთა სახელები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ აფსუათა სეპარატიზმის გაჩენის შემდეგ. ასე რომ, სიტყვა “აფხაზი” უნდა ვიხმაროთ აფხაზეთში მცხოვრები ქართველის სახელწოდებად, ხოლო “აფსუა” იმ ტომის სახელწოდებად, რომელიც წარმოიქმნა ჩერქეზთა და ნამდვილ აფხაზთა შერევის შედეგად.

რატომ შეერქვათ აფსუებს აფხაზები? ისინი ხომ თავიანთ ენაზე თავის თავს აფხაზებს არ უწოდებენ? აქ მოხდა, როგორც ჩანს, ისეთი მეტამორფოზა, როგორც პრუსიაში. **XIII საუკუნის დამდეგს** პრუსიაში შეიჭრნენ გერმანელები. მათ გაჟლიტეს ადგილობრივი პრუსების ერი, რომელიც არ იყო გერმანული ტომის ხალხი და თვით დაირქვეს მათი სახელი “პრუსიელი”, პრუსაკი. ასევე დაირქვეს არაბებმა “ეგვიპტელები” ეგვიპტეში შეჭრის შემდგომ. თუ აფსუებს აფხაზობა უნდათ, კეთილ ინებონ და იქართველონ და ილაპარაკონ ქართულ ენაზე და მოეშვან სეპარატიზმს, ვინაიდან “აფხაზი” ნიშნავდა და ნიშნავს დასავლეთელ ქართველს.

VII. საქართველოს მთავრობასთან დამოკიდებულების სფეროში

როგორც ცნობილია, **ნ.ლაკობა** და მისი თანამოაზრენი გასაბჭოების პირველ დღეებშივე შეეცადნენ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის ჩამოცილებას საქართველოსაგან. მათ იმდენი მოახერხეს, რომ **ორჯონიკიძისა** და **სტალინის** მხარდაჭერით ერთი წლის მანძილზე **(1921-1922)** ეს მხარე საქართველოში არ შემოდიოდა. ხოლო შემდეგ საქართველოს შეუერთდა როგორც договорная союзная

რესპუბლიკა, რასაც პრეცედენტი არ ჰქონია სხვაგან, მთელ საბჭოთა კავშირში. ეს გაგრძელდა **1930 წლამდე.** ამ წელს კი იგი საქართველოს შეუერთდა, როგორც ჩვეულებრივი ავტონომიური რესპუბლიკა, მაგრამ სეპარატისტების თარეში ამ მხარეში კვლავ გრძელდებოდა **1936 წლამდე: 1936-1954წწ.** ბოლო მოეღო სეპარატისტების ბატონობას და აფსუების ძალმომრეობას აფხაზეთის ასსრ-ში მცხოვრებ სხვა ერებზე. მაგრამ **სტალინის** გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ სეპარატისტები შეეცადნენ რევანშის აღებასა და ლაკობასდროინდელი მდგომარეობის აღდგენას. ნაწილობრივ კიდეც მიაღწიეს მიზანს.

ამჟამად საქართველოს მთავრობა ქართველებისა და სეპარატისტების კამათში არბიტრის როლში ვეღარ გამოდის, რადგან სეპარატისტები ებრძვიან არა მარტო ჩრდილო-დასავლეთის ქართველებს, არამედ აგრეთვე საქართველოს მთავრობასაც, მთელ ქართველ ხალხს, საქართველოს! ასეთ პირობებში საჭიროა საბჭოთა კონსტიტუციისა და მთელი კანონმდებლობის მაქსიმალური სიზუსტით გამოყენება, მთავრობის მოქმედების სფეროში გათვალისწინება ყველა იმ უფლებამოსილებისა, რისი გამოყენების შესაძლებლობას უშვებს სეპარატიზმის წინააღმდეგ საბჭოთა კანონების კოდექსი.

სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების მანძილზე უკანონოდ იხრება სასწორი სეპარატისტების სასარგებლოდ. ამის დამადასტურებელი ფაქტები თქვენთვის ცნობილია. ამიტომ საჭიროა ავტონომიური რესპუბლიკის ქართველებმა მოითხოვოს საქართველოს მთავრობისაგან კანონების აღდგენა. თქვენ ხშირად უნდა მიმართოთ მოწოდებით არა მარტო საქართველოს მთავრობას, არა მარტო საკავშირო მთავრობას, არამედ მთელ ქართველ ხალხს, რომ არ მიგატოვონ უპატრონოდ, სეპარატისტების საჯიჯგნად.

საქართველოს მთავრობა თავს იმართლებს იმით, რომ აქაოდა აფხაზეთი შევინარჩუნეთ საქართველოს ფარგლებშიო. მაგრამ ეს თავის მოტყუებაა. პირველ ყოვლისა, დღევანდელ სიტუაციაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთი ვერ გაბედავს ამ კუთხის მისაკუთრებას, ამიტომ ღია კარების მტვრევა არ უნდა დავიწყოთ. მეორე, თუ ეს კუთხე საქართველოს ფარგლებში რჩება, იგი არ უნდა გახდეს სეპარატისტების საბატონო.

შემდეგ, თავს იმართლებენ იმით, რომ სეპარატისტებს გარკვეულ წრეებს მხარს უჭერენო ზემოთ, მოსკოვში. ეს მართალია, მაგრამ საქართველოს მთავრობა მოვალეა ყოველი ღონე იხმაროს ამის წინააღმდეგ. გულახდილად უნდა განუცხადოს მოსკოველ თანამდებობის პირებს, რომ სეპარატისტებისადმი მხარდაჭერა იწვევს ქართველი ხალხის მზარდ უკმაყოფილებას და აღშფოთებას, ხოლო ქართველი ხალხი არაა ხელწამოსაკრავი. **14 აპრილმა** ამაში ბევრი დაარწმუნა.

გარდა ამისა თქვენ ყოველთვის მტკიცედ უნდა მოითხოვოთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ხელმძღვანელ თანამდებობებზე არ გამოგზავნონ არაადგილობრივი ქართველები, რომლებიც არ იცნობენ ადგილობრივ ვითარებას, ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან მტერ-მოყვარეებს. ჩამოსული კადრები ვერ მოქმედებენ ვითარების შესაბამისად, თავს ვერ გრძნობენ მხნედ, სხედან ჩემოდნებზე და თვალი

გაქცევაზე უჭირავთ. ამ ოცდაათი წლის მანძილზე **მგელაძის** და **გეთიას** შემდეგ, გასტროლიორი და ჩემოდანისტი ქართველი ხელმძღვანელები სოხუმს ბევრი უნახავს.

ქართული ანდაზა ამბობს: **"ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი მიეწევაო".** ნუთუ ორასათასიან ადგილობრივ ქართველში ვერ გამოიძებნა ისეთი პირები, რომლებიც გამოდგებიან ოლქკომის, ქალაქკომის, რაიონის მდივნებად, მინისტრებად და პრემიერ-მინისტრად? გამოდის, რომ ადგილობრივ ქართველებს არა აქვთ ნდობა, ხოლო აფსუები კი ასეთ ნდობას იმსახურებენ. სწორედ ადგილობრივი და არა გასტროლიორი ქართველები მკვიდრად დგანან მშობლიურ ნიადაგზე, იცნობენ კონკრეტულ ვითარებას, ჰყავთ ნათესავების, ამხანაგ-მეგობრების, ქომაგთა ფართო წრე, სარგებლობენ შესაფერისი ავტორიტეტით და მხარდაჭერით სწორედ ისინი, სულერთია, იქნება ის მეგრელი, სვანი, რაჭველი თუ აჭარელი, უნდა დაწინაურდნენ ქართველებისათვის განკუთვნილ ხელმძღვანელ პოსტებზე. მათ შეუძლიათ თვალი გაუსწორონ სეპარატისტებს, გამოიცნონ მათი ზრახვები და გამონახონ მათთან ბრძოლის ფორმები. საქართველოს მთავრობას უნდა შევაგნებინოთ ყოველი ღონის გამოყენებით, რომ საჭიროა ამ სფეროში პოლიტიკის რადიკალური შეცვლა.

აქამდე საქართველოს მთავრობა მოუწოდებდა ადგილობრივ ქართველებს: თქვენ გაჩუმდით, წყნარად იყავით, ხოლო პრობლემას ჩვენ მოვუვლითო! მაგრამ ასე არ გამოვიდა. საქართველოს მთავრობას უკვე არ შეუძლია ადგილობრივ ქართველებთან კავშირის გარეშე აფსუელ სეპარატისტთა დაშოშმინება. სეპარატიზმი გაძლიერდა და ფრთებს ისწორებს. საჭიროა საქართველოს საბჭოთა და პარტიული ხელმძღვანელები მივახვედროთ, რომ სიტუაცია გაუარესდა ხოლო თუ ვერ მიხვდა, საჭირო გახდება მისგან დამოუკიდებლად, უშუალოდ ქართველ ხალხთან კავშირის დამყარება. ქართველი ხალხის აქტიური ჩაბმა სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აფსუა სეპარატისტებმა წამოაყენეს რა აფხაზეთის ასსრ-ს საქართველოს ფარგლებიდან გამოთიშვის ოპერაცია, განიზრახეს ამის შესაბამისად ისტორიის დამახინჯებაც. ეს სათავეს იღებს **დ.გულიას** ცნობილი წიგნიდან, რომელიც **1925 წელს** გამოვიდა რუსულად თბილისში. ამ წიგნის ძირითადი თემებია: დასავლეთ საქართველოს თავდაპირველი მოსახლეობა აფსუები იყვნენ, გურულები და იმერლები გაქართველებული აფსუებია, ხოლო მეგრელები გარედან, ზღვის სანაპიროდან მოსული უცხო ხალხი გახლავთ. ამ თეზისს ემყარება დღესაც მთელი აფხაზური საისტორიო მეცნიერება **შ.ინალიფას** და სხვათა სახით. თუკი ვინმე გაბედავს და საქართველოში ხმას ამოიღებს ამ აბსურდის წინააღმდეგ, მაშინ სოხუმში სეპარატისტები მოაწყობენ ხოლმე მიტინგს საქართველოს მთავრობის დასამხობად. ასე მოხდა **პ.ინგოროყვას, ნ.ბერძენიშვილის, ხუხუტ ბღაჟბას, ალ. ადამიას** და სხვათა წიგნების გამოქვეყნების შემდეგ.

ცხადია, სეპარატისტების თეორია მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ საქართველოს მთავრობა ამ მიტინგებმა ისე დააფრთხო, რომ ქართველ მეცნიერებს ნებას არ აძლევენ მეცნიერულად გაარჩიონ ეს კონცეფცია. მათ ჯერ არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი (**დ.გულიას, შ.ინალიფას, ტურჩანინოვის** ე.წ. "აფხაზური დამწერლობის მაიკოპისეული ნიმუშის" შესახებ). საქ. კპ. ცენტ. კომიტეტმა აფხაზეთის შესახებ **1978 წლის ივნისის** დადგენილებაში პირდაპირ ჩასწერა, რომ აფხაზეთის ისტორიოგრაფიაში

უშვებენო სერიოზულ შეცდომებს, მაგრამ ვინ უშვებს შეცდომებს, ქართველი თუ აფსუა ისტორიკოსები? ამ კითხვაზე პასუხი არაა გაცემული. მაგრამ საბედნიეროდ ქართველ მეცნიერთა მოთმინების ფიალა აივსო, ისინი ამოძრავდნენ და იმედია, რომ ეს ნაყოფს გამოიღებს. მარტო ის რად ღირს, რომ აფხაზმა "მეცნიერმა" **ზ.ანჩაბაძემ** იმდენი რწმუნება მოიპოვა საქართველოს ოფიციალური წრეებისაგან, რომ "გაასწორა" დიდი ქართველი ისტორიკოსის **ნ.ბერძენიშვილის** გამოკვლევა აფხაზეთზე და თვითნებურად ამოიღო ტექსტიდან უმნიშვნელოვანესი ადგილები, რომლებიც არ მოსწონდათ აფსუა სეპარატისტებს! (არსებობს ამ კუპიურების ტექსტი). მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ხსენებული გამოკვლევის შეტანა **ნ.ბერძენიშვილის** თხზულებათა VIII ტომში. თქვენ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს პატრიოტებს გმართებთ შეისწავლოთ ისტორიული წყაროები და შრომები, სადაც გაშუქებულია თქვენი კუთხის ისტორია და ისტორიული გეოგრაფია. საჭიროა გაეცნოთ **ი.ჯავახიშვილის** ქართველი ერის ისტორიის პირველ და მეორე ტომებს, **პ.ინგოროყვას** წიგნს **"გიორგი მერჩულე" 1954, ვახუშტის თხზულებას,** რომელიც **ს.ყაუხჩიშვილმა** გამოაქვეყნა **"ქართლის ცხოვრების"** IV ტომში. **ვახუშტის** გეოგრაფიის რუქები ცალკე წიგნად არის გამოქვეყნებული **ნ.ბერძენიშვილის** მიერ. **არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს აღწერა", 1938.** ამ წიგნს დაერთვის რუქა სამეგრელოს სამთავროსი **1650 წლის** საზღვრებით, საიდანაც კარგად ჩანს, რომ სამეგრელოში შედიოდა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის თითქმის ნახევარი. **შარდენის "მოგზაურობა საქართველოში",** რომელიც ქართულად სამჯერაა გამოცემული, **ირაკლი ანთელავას** ნარკვევები **XVII საუკუნის** აფხაზეთსა და სამეგრელოზე, რომელიც მან რუსულად გამოსცა, ქართლის ცხოვრების II ტომს, სადაც 349 გვერდზე ნაჩვენებია აფხაზეთისა და სამეგრელოს ურთიერთობა **მე-18 საუკუნემდე**. **თ.ბერაძის** სტატიას **"ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფია"** (იხ. კრებულში საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული ტ.IV, **1971**). ამ ლიტერატურის გაცნობა, დაგარწმუნებთ იმაში, რომ ტოპონიმი "სოხუმი" არის თურქულად დამახინჯებული ქართული სახელი "ცხუმი", რომ "პიცუნდა" არის რუსულად დამახინჯებული ქართული სახელი "ბიჭვინთა", რომ გაგრა არის ასევე უბიხურად დამახინჯებული ქართული სახელი "გაგარი", რომ "ნოვი აფონს" ძველად ერქვა მეგრული სახელი "ანაკოფია", ხოლო ცნობილი ბიჭვინთის ტაძარი ბერძნებს კი არ აუშენებიათ **VII საუკუნეში,** არამედ ქართველებს **X საუკუნეში.** რომ ამ ტაძარს აფსუები დღესაც უწოდებენ აფსუურად დამახინჯებულ მეგრულ სახელს "აუხვამა" ("ოხვამე"). თქვენ დარწმუნდებით იმაში, რომ გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონები **XVIII საუკუნემდე** მხოლოდ მეგრელებით იყო დასახლებული და იქ აფსუების ჭაჭანება არ იყო, რომ ამ რაიონებში ბევრ სოფელს ახლა აფსუას ენაზე დამახინჯებული ქართული სახელი ჰქვია. კუტოლი არის ქართული კვიტაულა, აგუბედია არის გურიბედია, ჭლოუ არის ჭალა, "მარმარ-აბაა" არის "მარმარილოს კოშკი", "ბასლა" _ "ბესლეთი", <u>ხოლო ახლანდელი "აფხაზური" სახელები: აჩიგვარა, აძიუბჟბა, გულრიფში (გულის წყარო) ძველ რუქებზე არაა და გაჩნდა აფსუელთა ჩამოსახლებისა და ადგილობრივ მოსახლეობაში შერევის შემდეგ.</u> (ხაზგასმა ს.საჯ.)

ცნობილია, რომ აფსუები მოითხოვენ ისტორიული ტოპონიმიკის შესწორებას, ქართული სახელების წაშლას და აფსუურის სახელი "აკუა" გაჩნდა **XVIII საუკ.**

ლათინური “aqua”-ს გავლენით (წყალი), ხოლო ქართული “ცხომი” ცნობილია **VII-VIII**ს. სოხუმის ახლომახლო ადგილებს სულ ქართული სახელები ეწოდებათ (ლეჩხობი, ტყუბენი, ბაგრატის ციხე, ბესლეთი, მამათაშ გოლა), რომელსაც ამჟამად ჩრნიავსკის გორას უწოდებენ. მაშ რა უფლებით მოითხოვენ ტოპონიმიკის შეცვლას? საცა სამართალია, პირიქით უნდა მოხდეს. ქართული სახელები უნდა აღდგეს მისი პირვანდელი ფორმით, მათ უნდა ჩამოსცილდეთ შემდეგდროინდელი თურქული, აფსუური, ბერძნული დამახინჯებანი. თქვენ უნდა მოითხოვოთ სწორედ ამ მიმართულებით დაზუსტდეს ტოპონიმიკა.

აფსუები ამტკიცებენ, რომ ძველი აფხაზები და აფსუები ერთი და იგივე ხალხია **შ.ინალიფას** ამის საბუთად მოჰყავს ადგილი ქართლის ცხოვრებიდან, სადაც ნათქვამია, რომ ლაშა აფსართა ენაზე “სოფლის განმანათლებლად” ითარგმანებოდაო (ტ.II, გვ. 58), მაგრამ ეს მაგალითი **შ.ინალიფას** აზრით საწინააღმდეგოს აჩვენებს. აქედან ცხადია, რომ **VII საუკ.** ჯერ კიდევ ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ აფსუებს (ქართულად აფსარებს) და აფხაზებს, ეს ორი ხალხი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში **თამარის** ისტორიკოსი იტყოდა **“აფხაზურ ენაზე ითარგმნებაო”. თამარის** ისტორიკოსი აფხაზებს რამდენჯერმე ახსენებს სხვა ქართულ ტომებს შორის, როგორც ერთ-ერთ ქართულ ტომს (**“აფხაზნი, ქართველნი, სვანნი, კახნი”** და სხვ.) (**შ.ინალ-იფას** მეცნიერული მტკიცებების სერიოზულობა იქიდანაც ჩანს, რომ თავისი მეცნიერული დასკვნების წყაროდ იგი ეშერელ მოხუცს ვინმე **ხიზბას** ასახელებს, რომელმაც მოუთხრო მას, რომ ძველად თურმე **“მთელ დასავლეთ საქართველოში აფსუები ცხოვრობდნენ, რომელთაც ჰყავდათ აფსუა მეფე, 360 ციხისა და ძლიერი არმიის პატრონი”,** კომენტარები ზედმეტია).

VII. ეროვნული ბრძოლის ფორმების შესახებ

თქვენი ბრძოლა ეროვნულ უფლებათა დასაცავად უნდა ატარებდეს ლეგალურ ხასიათს. ეს გამომდინარეობს თქვენი მოძრაობის შინარსიდან. თქვენ არ მოითხოვთ ისეთ რამეს, რაც საბჭოთა ქვეყნის კანონს ეწინააღმდეგება. თქვენი ბრძოლა ძირეულად განსხვავდება აფსუების ბრძოლისაგან. მათი მიზანია ეროვნული უმცირესობის პოლიტიკის გაბატონება უმრავლესობაზე, ქართველების განდევნა ავტონომიური რესპუბლიკიდან, საკუთარი ახალი “კულტურის” ძალად გაბატონება, ქართული ძველი და ახალი კულტურის აღმოფხვრა აფხაზეთში. ყველა ეს მიზანი უკანონოა, ეწინააღმდეგება სსრკ და საქართველოს კონსტიტუციებს, მოსახლეობის უმრავლესობის სურვილს. თქვენ იბრძვით ამ მიზნების ჩაშლისათვის, ამიტომ თქვენი ბრძოლა სამართლიანია.

აქედან გამომდინარე, თქვენ არ უნდა მიმართოთ ბრძოლის დაუშვებელ ხერხებს, ძალადობის აქტებს, როგორიცაა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა და ინდივიდუალური ტერორი, დაშინება, შანტაჟი, მავნებლობა საწარმოებსა და მეურნეობებში. თქვენი მთავარი იარაღია კანონის დარღვევათა აშკარა მხილება, მათი ბნელი საქმეების დღის სინათლეზე გამოტანა. ამის შესაბამისად უნდა იყოს არჩეული ბრძოლის ლეგალური ხერხები. ასეთი ხერხებია წერილები, პეტიციები, განცხადებები, კრებებზე და სხდომებზე გამოსვლა მამხილებელი სიტყვებით, საპროტესტო რეზოლუციების შედგენა, გაგზავნა ზემდგომ ორგანოებში, არჩევნებისას არასასურველი კანდიდატების გაკრიტიკება და გაშავება. სასურველია კრებები მოაწყოთ რომელიმე თარიღთან დაკავშირებით, კერძოდ, **14 აპრილს,** საქართველოს კონსტიტუციის მიღების დღეს, აფხაზ-ქართველი პატრიოტის **გ.შერვაშიძის** ხსოვნის დღეს, გაგრის **1978 წლის** მიტინგის ჩატარების დღეს **(3 სექტ.)** ამ მიტინგის საპატივცემულოდ, რადგან მან გარკვეული როლი ითამაშა ჩრდილო დასავლეთის ქართველების გამოფხიზლებასა და ამოძრავების საქმეში. გაგრის მიტინგმა დაანახა აფსუებს და საქართველოს მთავრობას იქაური ქართველების ძალა. არ იქნება ურიგო, თუ მოახერხებთ საჯარო დისპუტების ჩატარებას აფსუებთან ამა თუ იმ სადავო თემაზე. სასურველია მოაწყოთ კრებები სეპარატისტების დასაყრდენი ბაზების წინ. ეს ბაზებია: აფხაზეთის საკვ. სამეც. ინსტიტუტი, **დ.გულიას** სახლი, აფხაზეთის მუზეუმი, მწერალთა კავშირი და სხვ. სასურველია აგრეთვე "აფხაზური უნივერსიტეტის" ქართველი სტუდენტების მიერ პეტიციის შედგენა, სოხუმელ აბიტურიენტებთან ერთად, ამ უნივერსიტეტში აფსუათა ძალმომრეობის წინააღმდეგ. ნუთუ სოხუმის 40000 ქართველი მოსახლეობიდან 400-500 მსურველი არ აღმოჩნდება, რომ მიიღოს მონაწილეობა ამ პეტეციებში?

თქვენ არ უნდა შედრკეთ ცალკეული მარცხიანი შემთხვევის გამო. ყოველ დიდ საქმეს თან ახლავს სიძნელე, აღმავლობისა და დაღმავლობის მომენტები. ყოველ მარცხზე უნდა ისწავლოთ, შეიძინოთ გამოცდილება. კავშირი დაამყარეთ თბილისელ, ქუთაისელ, ზუგდიდელ, ფოთელ, მახარაძელ, ზესტაფონელ, ჭიათურელ, გორელ, თელაველ, ბათუმელ სტუდენტებთან, მოსწავლეებთან, მოუწოდეთ მათ მოაწყონ სოლიდარობის დღეები, თქვენი სანთელ-საკმეველი არის სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. თქვენი პეტიციები და განცხადებები ხელიდან ხელში უნდა გადადიოდეს. მათ რაც მეტი გაეცნობა, მით უკეთესია. შეეცადეთ პატრიოტულ მოძრაობაში ჩააბათ ყველა საპატიო და ავტორიტეტული პირი, ყველა ნიჭიერი და განათლებული ქართველი, მოძრაობაში ჩააბით ქართველი გლეხები, მუშები, წვრილი და დაბალი თანამდებობის მოსამსახურეები.

თქვენი საქმე სამართლიანია, თქვენ გაიმარჯვებთ.

საქართველოს ჰელსინკის ჯგუფებისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების

საინფორმაციო ჟურნალი "მატიანე" №4

რედაქტორი ზ.გამსახურდია

გაზეთ "საქართველოს სამრეკლო"-ს

რედაქციას

გაზეთმა "საქართველოს სამრეკლომ" ითავა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს იმ სისხლხორცეულ ნაწილში, რომელსაც ცხუმ-აფხაზეთი ჰქვია _ იმპერიათა მიერ ინსპირირებული დენაციონალიზაციის პროცესების ფართოდ გაშუქება და მხილება.

შემთხვევითი არ არის, რომ ეს საქმე ზვიად გამსახურდიას თვითგამოცემითი ჟურნალ "მატიანით" დაიწყო, რომლის მე-4 ნომერი მთლიანად აფხაზეთის საკითხს ეხება.

დიდია ბატონი ზვიადის წვლილი ცხუმ-აფხაზეთში მშობლიური სახოვნების (ეთნოხედის) ე.ი. ნამდვილი აფხაზობის (ქართველობის) აღდგენასა და ამ მხარეში დიდმპყრობლური იმპერიის სახელმწიფო კონსტრუქციათა დემონტაჟისათვის ბრძოლაში. ამ მხრივ მისი სწავლებანი, მითითებები და ინსტრუქციები ნაცადი და დროით დადასტურებული სახელმძღვანელოა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის დღესაც. ამ საქმეში მისი თანამებრძოლები იყვნენ აწ განსვენებულნი: არკადი მარკოზია, ვოვა ვეკუა, სოსო ადამია და მრავალი სხვა, რომელთა უკანდაუხეველი ნაბიჯები ბატონი ზვიადის გვერდით ახსოვს აფხაზეთის ერისკაცობას. სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც დღეს, მაშინაც იყვნენ ორგულები და უმადურები...

არ ყოფილა ეთნოდივერსიულ "ავტონომიაში" ისეთი პრობლემა, რომელზეც ზვიად გამსახურდიას თავისი აწონილი სიტყვა არ გამოეთქვას და სამშობლოს სიფხიზლის სადარაჯოზე პირადად არ დამდგარიყოს.

ამ შემთხვევაში ჩვენ _ აფხაზეთის ეროვნულ-საგანმანათლებლო მუშაკებს გვანცვიფრებს ის ღრმადჩახედულობა ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკის სასკოლო ცხოვრებაში, რითაც იგი გამოირჩეოდა და მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროზე უფრო ქმედითად გვეხმარებოდა თავის დროზე იგი.

1992 წლის აგვისტოს და 1993 წლის თებერვალში ქვემოთ ხელმომწერთაგან ერთერთს, ს.საჯაიას ჰქონდა პატივი დევნილობაში მყოფი საქართველოს პირველი პრეზიდენტისგან ინტერვიუ აერო ("ჭყონდიდელის ძალისხმევა გადაარჩენს საქართველოს", გაზეთი "აღდგომა", 1992წ. სექტემბერი; "საქართველო აზროვნებდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე", გაზეთი "ჭყონდიდელი" №1, 1993წ. მარტი), თუ აქვე გავიხსენებთ პრეზიდენტის მიმართვას 1993 წლის 20 ივლისს აფხაზეთის მოსახლეობისადმი, რომელშიც პირადად გვაფრთხილებდა, რომ სისხლიანი ხუნტის წყალობით დაიწყებოდა აფხაზეთიდან მკვიდრი ქართველობის იძულებითი დეპორტაცია და მოგვიწოდებდა გვხსომებოდა, რომ საქართველოს საზღვარი ფსოუზე გადის, _ თვალნათლივი გახდება ის წინასწარმეტყველური დარიგება, რაც, სამწუხაროდ, ჯეროვნად ვერ ვიგაკვეთილეთ.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით გაზეთ "საქართველოს სამრეკლოს" ცხუმ-აფხაზეთის ასე მოფერებისათვის.

პოლიტიკური მრწამსის გამო უმუშევარი აფხაზეთის პედაგოგიური საზოგადოებრიობის სახელით:

სერგი საჯაია _ ყოფილი სკოლის დირექტორი;

ზურაბ თოფურია _ აფხაზეთის ავტ. რესპ. განათლების სამინისტროს ყოფილი სასკოლო ინსპექტორი;

ალექსანდრე ბაღიშვილი _ პედაგოგი;

ზოია თოდუა _ პედაგოგი;

დავით შონია _ პედაგოგი გაზ. "საქართველოს სამრეკლო", №6, **1998წ.**

≈*≈

მიმართვა

სამეგრელოსა და აფხაზეთის მოსახლეობისადმი

ძმებო და დებო!

ჩვენი ერის მტრებმა განიზრახეს საქართველოს მთლიანობის დარღვევა, მისი კუთხეებად და ტომებად დაქუცმაცება. ისინი ეჭვქვეშ აყენებენ ჩვენს ქართველობას და მომავალ საკავშირო აღწერაში, რომელიც იწყება **1989 წლის 12 იანვრიდან,** სურთ მეგრელები ჩაწერონ არაქართველებად.

მეგრული ეროვნება არ არსებობს. სამეგრელო საქართველოს კუთხეა. არ წამოეგოთ მტრის ანკესზე! არ ჩაიწეროთ ეროვნებად "მეგრელი", ხოლო აფხაზეთის მცხოვრებნი არ ჩაეწეროთ "აფხაზებად". ეს იქნება უდიდესი ეროვნული დანაშაული და ღალატი!

ასე, რომ ეროვნებად უნდა ჩაიწეროთ მხოლოდ ქართველი და მშობლიურ ენად ქართული ენა! ეს წერილი გაავრცელეთ ყველგან! გაუმარჯოს ერთიან საქართველოს!

1988წ. 30 დეკემბერი

ზვიად გამსახურდია

(ვრცელდებოდა პროკლამაციად)

თვითგამოცემითი ჟურნალი "მატიანე",

№4, 1989წ.

≈*≈

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ აფხაზეთში არსებული ქართული ეროვნული პრობლემებისადმი მიძღვნილი

მიტინგის რეზოლუცია

1. საქართველოს მთავრობამ უნდა შეწყვიტოს აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული კამპანიისადმი წაყრუების პოლიტიკის გატარება, რათა არ გამწვავდეს ისედაც დაძაბული ერთაშორისი ურთიერთობა და არ მოხდეს ყარაბაღის მსგავსი ტრაგედია.

2. აფხაზეთის სახალხო ფრონტს თავისუფლად ეძლევა ანტიქართული, სეპარატისტული გამოსვლების უფლება, ხოლო ქართველების მიერ მდგომარეობის ნორმალიზაციის ყოველგვარ ცდას ექსტრემიზმად ნათლავენ, რაც დაუშვებელია.

3. აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას ასევე უნდა მიექცეს საშუალება მიტინგების და დემონსტრაციების თავისუფალი ჩატარებისა, რათა მათ საჯაროდ გამოთქვან თავიანთი სატკივარი.

4. სრული განუკითხაობის ატმოსფეროს ასახვას წარმოადგენს ის უპრეცედენტო ფაქტი, რომ აფხაზეთის საშუალო სკოლებში სასწავლებლად შემოღებულია საგანი _ "აფხაზეთის ისტორია", რომლის სახელმძღვანელო ჯერაც არაა დაწერილი. ე სკი იმის გარანტიაა, რომ ნებისმიერი პედაგოგი აღსაზრდელებს გადასცემს თავის პირად შეხედულებებს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენაზე და არა მეცნიერულად დადგენილ ობიექტურ ისტორიას. ამიტომ მოვითხოვთ გაუქმდეს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს 1989 წლის 19 იანვრის №17 ბრძანება.

5. დაუყონებლივ აღდგეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფაკულტეტზე სტუდენტთა მიღება.

6. ბოლო წლების მანძილზე აფხაზეთში ტარდება არაობიექტური, ტენდენციური საკადრო პოლიტიკა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქართული მოსახლეობა გენოციდის დისკრიმინაციას მოვითხოვთ. აღიკვეთოს ეს მავნე პრაქტიკა, რომელიც ძაბავს ერთაშორის ურთიერთობებს.

7. შეწყდეს აფხაზეთის ასსრ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ანტიქართული პროვოკაციული მასალების პუბლიკაცია, რაც მხოლოდ უნდობლობას და მტრობას აღვივებს აფხაზებსა და ქართველებს შორის.

რესპუბლიკის ქართულ და რუსულ პრესაში კომპეტენტური პასუხი გაეცეს ე.წ. "აფხაზურ წერილს", რომელშიც გაყალბებულადაა წარმოჩენილი ჩვენი საერთო ისტორია და რომელიც პირდაპირ შეურაცხმყოფელია ქართველი ერისათვის.

საქართველოს ტელევიზიით გადაიცეს ლენინგრადელი პროვოკატორის _ **ტურჩანინოვის** გამოსვლის ვიდეოჩანაწერი. ტელევიზიითვე მიეცეს ამ გამოსვლას ობიექტური და კომპეტენტური შეფასება.

გამოვლინდნენ და მკაცრად დაისაჯონ დღევანდელი ყაჩაღური რბევის ინიციატორები და მონაწილენი.

თბილისი 18. 02. 1989

ათიათასზე მეტი ხელმოწერაა

≈*≈

აფხაზეთის ქართველობის მიმართვა

საქართველოს მოსახლეობისადმი

მოქალაქენო!

აფხაზეთის ასსრ კორუმპირებული ხელმძღვანელობა 30 წელია ურთიერთს უპირისპირებს აფხაზ და ქართველ მოსახლეობას. ამის შედეგად ღრმავდება ერთა შორისი კონფლიქტი, რაც უკანასკნელად გამოხატეს ა/წლის 18 მარტს ს.ლიხნში აფხაზთა თავშეყრით. მათ მოითხოვეს საართველოდან აფხაზეთის ავტონომიის გამოყოფა მოკავშირე რესპუბლიკიდან. და ამას ხელი მოაწერა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც.

აფხაზეთის ასსრ სეპარატისტთა დასათრგუნავად მოვითხოვთ:

1. XIX საკავშირო პარტკონფერენციის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ “აფხაზთა წერილის” ავტორთა მიმართ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ქართველი ხალხის შეურაცხყოფის, ცილისწამებისა და ისტორიული სინამდვილის ფალსიფიცირებისათვის.

2. შეწყდეს ეროვნული დისკრიმინაცია: არჩევნები, თანამდებობაზე დანიშვნა, დაწინაურება და სხვა უფლებათა განხორციელება მოხდეს მხოლოდ მოქალაქეთა პირადი ღირსების მიხედვით.

3. საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ უზრუნველყონ საკავშირო პრესაში აფხაზეთის ტერიტორიული კუთვნილების შესახებ მეცნიერული დასკვნების გამოქვეყნება, ხოლო რესპუბლიკურ პრესაში _ “აფხაზთა წერილის” შეფასება.

4. სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდეს სახალხო რეფერენდუმ. _ აფხაზეთში ავტონომიური რესპუბლიკის საჭიროებაზე.

1989 წლის 20 მარტი.

ხელი მოაწერა ათასობით ადამიანმა.

≈*≈

შეხვედრები მოსკოვში

1989 წლის 19 აგვისტოს ქართული კულტურის ცენტრ “მზიურში” მოეწყო მოლაპარაკება მოსკოვის ქართულ სათვისტომოსა და აფხაზეთის სახალხო ფორუმის წარმომადგენლებს შორის.

(ორმხრივი შეთანხმებით მასალა არსად არ უნდა გამოქვეყნდეს)

<u>ქართველები</u>: რაში მდგომარეობს აფხაზეთის კონფლიქტის არსი?

<u>აფხაზები</u>: პრობლემა მდგომარეობს ქართველთა მიერ აფხაზთა ასიმილაციაში, რაც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და ჰქონდა თბილისის აქტიური მხარდაჭერა. მაგ. აფხაზური მონაცემებით **1978-1988 წლებში** ქართულ მოსახლეობას აფხაზეთში შეემატა 35000 ადამიანი ჩასახლების საშუალებით; **ოცდაათიან-ორმოციან წლებში** გალისა და ოჩამჩირის რაიონებში პსპორტების გაცემის დროს გააქართველეს 40000 აფხაზი: გლეხებს არ აძლევდნენ პასსპორტს, თუ ქართველებად არ აღიარებდნენ თავს. გარდა ამისა, უდიდესი დემოგრაფიული დისბალანსი შეიტანა **ლ.ბერიას** მიერ ქართველების იძულებითმა ჩასახლებამ აფხაზეთში. ამასთან ერთად იცვლებოდა ტოპონიმიკა, ბევრი გეოგრაფიული პუნქტების აფხაზური დაბოლოებები იცვლებოდა ქართული დაბოლოებებით, აგრეთვე, მღვდლები აქართველებდნენ აფხაზების სახელებსა და გვარებს ბავშვების მონათვლისას. აფხაზები თვლიან, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია. მათი მონაცემებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასავლეთი საზღვარი 26 მაისს გადიოდა მდ. ენგურზე. აფხაზეთში, რომელიც 26 მაისს დამოუკიდებელი გახდა აგრეთვე, შეიქმნა მრავალპარტიული მართვის პარლამენტური ფორმა, რომელმაც იარსება **აგვისტომდე.** აფხაზები, **აგვისტოში** დემოკრატიული საქართველოს ჯარების შემოჭრას აფხაზეთში, განიხილავენ როგორც ოკუპაციას. ამასთან, აღნიშნავენ, რომ ავტონომიის პირობებში

დამოუკიდებელი საქართველოს მართვის ქვეშ იყო უფრო ფართო უფლებები აფხაზებისათვის, ვიდრე ბოლშევიკების დროს. დღევანდელ პირობებში გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ აფხაზეთში არა აქვთ სრულყოფილი პოლიგრაფიული ბაზა, ტელევიზია მუშაობს მხოლოდ ორჯერ კვირაში და ა.შ. გამოითქვა პრეტენზია, რომ საქართველოს აკადემია არ ეხმარება აფხაზური სახელმძღვანელოების და სწავლების მეთოდიკების შექმნაში. აქედან გამომდინარე, საჭიროა, რომ აფხაზეთს მეტი უფლებები ჰქონდეს. ასიმილაციის დამადასტურებელ საბუთებს მოგიტანთ შემდეგ შეხვედრაზე.

ქართველები: წინა საუკუნის დამლევს და **XX საუკუნის** დასაწყისში, გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზური დამწერლობის შექმნაში, წერა-კითხვის გავრცელებაში; არაერთხელ გამოსულან სიტყვით **ილია** და **აკაკი** აფხაზების მხარდასაჭერად. საქართველოს "სტაგნირებულმა" მთავრობამ შექმნა აფხაზებისათვის პრიორიტეტული სახელმწიფოებრივი წყობილება. სწორედ სტაგნაციის პერიოდში დაარსდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტელევიზია აფხაზურ ენაზე და ბევრი სხვა რამ. **1989 წლის 26 მარტის** არჩევნებში ქართველებმა მხარი დაუჭირეს აფხაზ კანდიდატებს: 17% აფხაზმა მოსახლეობამ ქართველების ხელშეწყობით გაიყვანა 8 სახალხო დეპუტატი (15-დან), ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველობა ლოიალურად იყო განწყობილი აფხაზების მიმართ, და საერთოდ ჩვენი ხალხების დამოკიდებულებაში გაცილებით მეტია პოზიტიური მომენტები, ვიდრე თქვენ გაქვთ წარმოდგენილი.

აფხაზები: დიდი ნაწილი იმ უთანხმოებისა, რომელიც მოხდა ჩვენს ხალხებს შორის, შეიძლება დავაბრალოთ სისტემას, რომელიც არ ინდობს არც ქართველს და არც აფხაზს. დღევანდელი აფხაზეთისა და საქართველოს დამოკიდებულება გამოისახება შემდეგი სქემით: თბილისის პარტოკრატები შეთანხმებული არიან კორუმპირებული აფხაზი პოლიტიკოსების ვიწრო ჯგუფთან, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს აფხაზ ხალხთან და ისინი მართავენ ავტონომიურ რესპუბლიკას. ამიტომ, აფხაზეთს სჭირდება მეტი უფლებების მინიჭება. მეტი დემოკრატია.

ქართველები: თუ ქართველებს აქვთ ტენდენცია მცირერიცხოვანი ერების ასიმილაციისა, რატომ არ მოხდა ასიმილაცია იმ მრავალი საუკუნეების განმავლობაში, რაც ეს ხალხები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ? სად არის გარანტია იმისა, რომ რუსეთში, საითკენაც თქვენ მიისწრაფით, უარესი ასიმილაცია არ მოხდება?

აფხაზები: ჩვენ გიჟები კი არა ვართ, რომ რუსეთში გავიქცეთ, თქვენ გვაიძულებთ, რომ "კომუნიზმის ფორპოსტი" გავხდით ამიერკავკასიაში. სინამდვილეში, ჩვენ გვინდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა ვიყოთ.

ქართველები: "კომუნიზმის ფორპოსტი" ამიერკავკასიაში არა მარტო თქვენა ხართ, აზერბაიჯანიც ცდილობს, რომ ფორპოსტის როლი ითამაშოს. ალბათ, საჭიროა გაგაცნოთ ქართველი ხალხის ურყევი პოზიცია აფხაზეთის შესახებ, რომელიც ორ პუნქტში არის კონცენტრირებული: 1. აფხაზები და ქართველები არიან დღევანდელი აფხაზეთის ასსრ-ს ტერიტორიის მკვიდრი მაცხოვრებლები; 2. საქართველოს რესპუბლიკა თავისი დღევანდელი საზღვრების დაცვით არის ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო.

აფხაზები: ჩვენ მიგვაჩნია, რომ ორაბორიგენული თეორია არ არის მეცნიერულად დასაბუთებული. საჭიროა კომისიის შექმნა, რომელშიც შევლენ ქართველი, აფხაზი, რუსი და საზღვარგარეთის ისტორიკოსები, რომლებმაც ღრმად უნდა შეისწავლონ ეს საკითხი და გააკეთონ სათანადო დასკვნა, რაც შეეხება ერთიან და განუყოფელ საქართველოს, ჩვენ არ გვაქვს გარანტია იმისა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში არ გამოჩნდება ახალი **სტალინი** და **ბერია,** რომელიც ისევ შეავიწროვებს აფხაზ ხალხს.

ქართველები: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში მოისპობა ის სისტემა, რომელიც დღეს უპირისპირებს ხალხებს ერთმანეთს.

აფხაზები: აფხაზების ერთ-ერთი უკმაყოფილების მიზეზი იყო არაფორმალების მტრული რიტორიკა, თუ საქართველო დაადგა დამოუკიდებლობის გზას, არაფორმალები უნდა მოსულიყვნენ აფხაზეთის არაფორმალებთან და გაეზიარებინათ თავიანთი იდეები, მაგრამ ეს არ მოხდა. ამან გამოიწვია აფხაზების უნდობლობა. ლოზუნგები "საქართველო _ ქართველებისათვის", მცირე ერისადმი დამამცირებელი ფრაზეოლოგია პრესაში, ავტონომიის გაუქმების მოთხოვნები, ისეთი წერილები, როგორიცაა ბ-ნ **ზვიად გამსახურდიას** მიმართვა "ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრებ ქართველებისადმი _ ამან შექმნა დაძაბულობა აფხაზებსა და ქართველებს შორის.

ქართველები: **1987 წელს** დაიწერა ქართველების შეურაცმყოფელი წერილი XIX პარტკონფერენციის სახელზე, როცა საქართველოში არაფორმალები, როგორც სტრუქტურირებული პოლიტიკური მოძრაობა, არ არსებობდნენ, ხოლო ბ-ნ **ზვიადის** წერილი გამოქვეყნდა **1989 წელს.**

აფხაზები: XIX პარტკონფერენციის სახელზე დაწერილი წერილი არავისთვის იყო ცნობილი საქართველოში, და ამიტომ, ვერ გამოიწვევდა უკმაყოფილებას საქართველოში.

ქართველები: ჩვენ ეჭვი გვეპარება ასეთ მეთოდში, როცა იმის მაგივრად, რომ მეზობელთან გაარჩიო სადავო საკითხი, იწერება ფარული დასმენა მოსკოვში, ცენტრალურ კომიტეტში. გარდა ამისა, საქართველოდან გასვლის სურვილს აფხაზები გამოთქვამდნენ წინა წლებშიც _ **1957, 1967, 1978წწ.**

აფხაზები: ის გამოსვლები ქართველმა მოსახლეობამ არ მიიღო როგორც შეუარცხყოფა; აფხაზეთში, მაშინ, ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკებები არ ყოფილა.

ქართველები: აფხაზი ლიდერების პუბლიცისტური სტილი შეიცავს ერთდროულად მაღალფარდოვან სიტყვებს, ისეთებს, როგორც სწაფვა ერის კულტურული აღორძინებისაკენ, დემოკრატიისაკენ, ეროვნული თავისუფლებისაკენ და ამავე დროს უხვად შეკაზმულია დემაგოგიური მარქსისტულ-ლენინისტური ფრაზეოლოგიით, რაც გვაეჭვებს ამ წერილების გულწრფელობაში.

აფხაზები: ეს არის ჩვენი ეროვნული სირცხვილი; ამ წერილებს წერდნენ კომუნისტები კომუნისტების სახელზე _ ამით აიხსნება წერილების ეკლექტიზმი.

ქართველები: ჩვენის აზრით, ბევრი რამ რჩება გაუგებარი. მეშახტეების უკმაყოფილება აიხსნება შრომის მძიმე პირობებით, მცირე ხელფასით და ბინების უქონლობით. ყარაბახში არ იყო საკმარისი რაოდენობით სომხური სკოლები,

სახელმძღვანელოები, ეროვნული ტელევიზია, ინგრეოდა კულტურის ძეგლები. ფერგანაში იყო შიმშილი და უმუშევრობა. აქ, აფხაზეთში, ეროვნული ჩაგვრა არ მატერილიარიზირდება, რჩება აბსტრაქტულ სუბსტანციად. მატერიალური დონე ძალიან მაღალია _ თითქმის ყველა ცხოვრობს შესანიშნავ მრავალოთახიან კერძო სახლებში, არის სკოლა აფხაზურ ენაზე, უნივერსიტეტი. ხო მარ ხდება აფხაზი ხალხის ჰიპნოტიზირება მისი დღევანდელი ლიდერების მიერ აფხაზების ეროვნული ჩაგვრის გამო. საჭიროა, რომ ეს ჰიპნოზი მოიხსნას.

<u>დამატება</u>: იყო სიუჟეტი **ოზგანთან** დაკავშირებით. სტუმრებმა გვითხრეს, რომ იგი არის რაიონული მასშტაბის სტაგნაციის პროდუქტი, არავითარი ლიდერი არ არის. ლიდერი არის **ალიოშა გოგუა.** მაგრამ მათ აღნიშნეს, რომ **ოზგანი** შესანიშნავად პატრონობს რაიონს _ შეტაკებები გუდაუთის რაიონში თითქმის არ ყოფილა, გაბედულად დადიოდა სოფლებში და მოუწოდებდა ხალხს შერიგებისაკენ.

ასეთი მშვიდომისმოყვარე ადამიანი ეხლა ყველას სჭირდება აფხაზეთში; გვიკვირს, რატომ უპირებენ მოხსნას ამისთანა საჭირო ადამიანს...

ანჩაბაძე დაახასიათეს, როგორც ქართველი და ქართული პოლიტიკის გამტარებელი; **ხიშბა** დაახასიათეს, როგორც ნოლი.

შეხვედრაში ღებულობდნენ მონაწილეობას მოსკოვის სათვისტომოს დარბაზის წევრები **ა.ქორიძე, ნ.შენგელია, დ.ბერიტაშვილი, ვ.მთაწმინდელი, მ.მერკვილიშვილი.** შეადგინა **დ.ბესიტაშვილმა.**

* * *

სამწუხაროდ, ქართულმა საზოგადოებრიობამ თავის საპროტესტო გამოსვლებში, ნებით თუ უნებლიედ, თავს მოიხვია კრემლის პროპაგანდისტულ-ასიმილატორული კონსპექტები, რითაც ჩდრილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგი _ აფხაზეთის ასსრ ჭეშმარიტების ასათვლელ ცნობიერ ნიშანსვეტად აღიარა.

ეს უკვე აფხაზეთის არაქართულ მიწად ანუ მის გასხვაქვეყნებას ნიშნავდა, რითაც თავისი უფლების მოწესრიგებას ამ მიწის "არამკვიდრის", იგივე "არასატიტულო ერის", საბჭოთა ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ე.წ. მოძმე ხალხის შინაარსში ცდილობდა.

იგი ვერ ამხელდა აფხაზეთში დივერსიული _ ეთნოფაბრიკაციებს და ამის შესაბამისად, არ მოუთხოვია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში დედანი შინაარსის აღორძინება.

აი, ეს იწვევდა გაუგებრობას და ქმნიდა ჩიხურ ვითარებას.

* * *

დასასრულ უნდა აღვნიშნო საქართველოს ეროვნული გმირების **მერაბ კოსტავას** სახლ-მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ **ციცინო მაღლაფერიძის** დახმარება.

თვითგამოცემით მასალების მოძიებაში

ს.საჯაია

≈*≈

მსჯავრი

ნოემბერი. 1997წ.

რუს და ოს აგრესორთა მიერ მამა-პაპურ სახლ-კარიდან გამოდევნილ შიდა ქართლელთა მსჯავრი საკითხებზე: კვლავ გავაჩუქოთ სამშობლოს გული?

<u>ვახსენეთ მაღლით ღმერთი</u>

<u>და დაბლით გერის წმინდა გიორგის მადლი</u>

<u>და განვსაჯეთ ასე:</u>

<u>მოკლეთქმა</u>

საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ კუთხეში _ შიდა ქართლში ქართველ-ოსთა შუღლის იურიდიულად მოსაგვარებლად და რეგიონში სამართლიანი მყარი მშვიდობის დასამყარებლად გასათვალისწინებელია: ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები და სამართლებრივი მხარე.

გადაწყვეტილება უნდა დაემყაროს ორ რეალობას: ისტორიულსა და ამჟამინდელს.

ისტორიული რეალობაა, რომ შიდა ქართლში რაიმე ოსური ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის არსებობა არასოდეს არ უცვნია საქართველოს არც ერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებას: არც მეფეებს, არც 1918-1921 წლების პარლამენტს (დამფუძნებელ კრებას), არც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს: ამგვარ ერთეულს არ იცნობს ისტორია 1922-1990 წლის უცხოური ოკუპაციის დროის გარდა. უფრო მეტიც, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1990 წლის მარტ-ივნისში საქართველოს ტერიტორია რუსეთისაგან ანექსირებულად აღიარა და ბათილად გამოაცხადა ყველა აქტი, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებებით (ე.წ. საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 და 21 თებერვლის, 24 მარტის გადაწყვეტილებანი და სხვა).

ამჟამინდელი სამართალ-პოლიტიკური რეალობაა, რომ შიდა ქართლში იურიდიულად გაუქმებულია ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" და ის, რომ განსახილველი რეგიონის ზოგიერთ რაიონებზე (ცხინვალი, ჯავის რაიონი და ყორნისის რაიონის ნაწილი) ფაქტობრივად ვერ ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქცია, იქ რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნის, ანუ ოკუპაციის შედეგია.

<u>ჩრდილო ქართლიდან დევნილთა</u>

<u>მემორანდუმი</u>

<u>I რა მოვინანიოთ?!</u>

ჩრდილო ქართლში ოსთა ამჟამინდელი აჯანყება თავიდანვე გამიზნული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რაც ოსთაგან ჩრდილო საქართველოს ტერიტორიის მიტაცების ისტორიულ სწაფვაზეა დამყარებული და რუსეთისაგან პროვოცირებული. ამაში სტალინ-ორჯონიკიძე-მახარაძის შთამომავალ რენეგატთა როლი მნიშვნელოვანია.

ქართულ-ოსური ურთიერთობის ტენდენციურად ანტიქართულ წარმოჩენაში იაქტიურეს გია ჭანტურიამ, ირინე სარიშვილმა, ლანა ღოღობერიძემ, გოგი ხაინდრავამ, მამუკა არეშიძემ, ნანა ჯაფარიძემ, კლიმიაშვილმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ვახტანგ

რაზმაძემ, ვალერიან გოგოლაშვილმა, ირაკლი მენაღარიშვილმა, ირაკლი მაჭავარიანმა, სანდრო კავსაძემ, ბადრი ხატიძემ და სხვებმა. მათ ძალღონე არ დაიშურეს ქართველების წინაშე ოსების დანაშაულებათა მიჩქმალვასა და აგრესიულად განწყობილი ოსების წინააღმდეგ ექსცესების განზოგადოებულად ოსთა გენოციდად მონათვლაში.

სოფისტური აზროვნების ცრუ დემოკრატებად დაგეშილთა და აშკარა დეზინფორმატორთა ბაკქანალიას წარმართავს ედ. შევარდნაძე. სკკპ პოლიტბიუროს შემადგენლობაში ყოფნისას ოს-ქართველთა დაპირისპირების ირგვლივ მრავლისმეტყველი დუმილით მხარს უჭერდა ოსთა ამბოხს, ხოლო კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად საქართველოში ჩამოსვლისთანავე პოლიტიკურ ავაზაკს ოსთა თვითმარქვია ლიდერს ტორეზ ყულუმბეგოვს მისი აღმატებულებით მიმართა და სოფელ ძართან ავტობუსის დაცხრილვასთან დაკავშირებით ნაჩქარევად, ყოველგვარი გამოძიების გარეშე ქართველებს დასდო ამაში ბრალი, რაც ყოვლად არალეგიტიმურმა "სახელმწიფო საბჭომაც" გაიმეორა.

შიდა ქართლის პრობლემისადმი შევარდნაძის შემდგომდროინდელი მიდგომა უკვე აშკარად ქართველთა საწინააღმდეგო და ოს-რუს ეთნოდივერსანტთა წინაშე კაპიტულანტურია.

საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისთანავე ოსებთან კონფლიქტი უაღრესად გამწვავდა. ცხინვალს პროვოკაციულად დაუშინეს ზარბაზნებით უმუხტო ჭურვები ("ბოლვანკები"). ლეგიტიმური ხელისუფლების დროს არცერთი საქვემეხო გასროლა არ მომხდარა. ხოლო, როცა ადგილობრივი მამაცი ქართველების თავგანწირული ბრძოლის შედეგად ახლოს იყო რეგიონში სამართლიანი მშვიდობის დამყარება, ე.შევარდნაძემ დაგომისში 1992 წლის 24 ივნისს შესთხოვა ბ.ელცინს სამხედრო დახმარება სამკვიდრო მიწა-წყლისათვის მებრძოლი ქართველების წინააღმდეგ. რაც დაკმაყოფილდა კიდეც და დიდი ხნით გადაიდო ჩრდილო ქართლში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა. ე.შევარდნაძის ამჟამინდელი სწაფვაა ისტორიულ ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა და საერთაშორისოდ მიღებული სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფით იურიდიულად "გაუფორმდეს" მის მიერ კურთხეულ პრეზიდენტ ლუდვიგ ჩიბიროვს ოსთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი შიდა ქართლში, რითაც ბოლშევიკური ძალადობის რეანიმაციას ცდილობს. მსოფლიოში კომუნიზმის, ფაშიზმის, ძალადობის აღმოსაფხვრელად ბრძოლაა გაჩაღებული, ე.შევარდნაძე და ეუთო საწინააღმდეგოს სჩადიან.

აღნიშნული ქმედება მეტად საშიშ პრეცენდენტს უქმნის მსოფლიოს: ტერიტორიულ ერთეულებს მოითხოვენ ალჟირელები საფრანგეთში, თურქები გერმანიაში, გერმანელები რუსეთში, ჩინელები, აფრიკელები აშშ-ში და ასე შემდეგ. ვინ დაუშლის თვითმარქვია "სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველებს აჩაბეთის თუ კეხვის გაერთიანებული რესპუბლიკის მოთხოვნას?

საგანგაშოა, რომ ეუთო და ე.შევარდნაძე უკან არ იხევს, რითაც შიდა ქართლში ოსთა ტერიტორიული წარმონაქმნის შესაძლებლობის "დასასაბუთებლად" სულ უფრო ეფლობიან წინასწარ დაგეგმილი დეზინფორმაციის ჭაობში. ე.შევარდნაძე თავს არიდებს ფაქტებზე დამყარებულ არგუმენტაციას და ქართველებს პათეტიკური

დეკლარირებით მოუწოდებს მოინანიონ ოსების წინაშე. შიდა ქართლელები საგონებელში არიან, რაკი არ იციან, რა შესცოდეს.

რა მოვინანიოთ? ის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ საქართველო რუსეთისაგან ანექსირებულად ჩათვალა და ბათილად გამოაცხადა საქართველოს სსრ ყველა კანონი და დადგენილება, მათ შორის ჩრდილო ქართლში ბარბაროსული ძალადობით შექმნილი ე.წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ"?

ან ის, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ იურიდიულად სრულქმნილი კანონი გამოსცა ამ კომუნისტური სუროგატის გასაუქმებლად? იქნებ გაჩუმებულიყო და დე-იურედ დათანხმებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ოსური სახელმწიფოს არსებობას?

მოვინანიოთ, რატომ ამოიღეს ხმა შიდა ქართლელებმა ოსთა ეთნოკრატიისაგან გასანთავისუფლებლად?

მოვინანიოთ ქალაქ ცხინვალში ოსების მიერ ქუჩებში ხოცვა-ჟლეტის გამო იქ მილიციის კონტიგენტი რომ შევიდა წესრიგის აღსადგენად? (განსხვავებით იმისა, აფხაზეთში ტანკები რომ შეაგრიალეს ქართველების საწინააღმდეგოდ).

მოვინანიოთ ე.წ. "ოლქის" გარეთ მცხოვრები ოსების მიერ თავიანთ ბოევიკებისადმი ფულის შეგროვებისა და ცოცხალი ძალის მიწოდების საპასუხოდ რამდენიმე სოფელში სხვა მოქალაქეთა შორის თითო-ოროლა ოსი მობინადრის გაძარცვა მხედრიონის მიერ, შევარდნაძის დასაყრდენი ძალა რომ იყო?

რა მოვინანიოთ? კრემლის დასმული ოსური ჯანყის თავი ტორეზ ყულუმბეგოვი და მისი დამქაშნი დაპატიმრებულნი რომ იყვნენ და სამართლდებოდნენ ჭეშმარიტი სასამართლო წესით ჩვენებათა გამოსაძალველად წამებისა და ძალდატანების გარეშე?

მოვინანიოთ, ცხინვალიდან და ყორნისის რაიონის სოფლებიდან გადმოდევნილი მოსახლეობა შინ უსაფრთხო დაბრუნებას რომ ითხოვს?

ან ის, რომ ხმამაღლა ვაცხადებთ: შიდა ქართლში ოსური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნაზე დაყაბულება საქართველოს 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის სრულ დაშლას მოასწავებს? მოვინანიოთ, რომ ვლადიკავკაზში მცხოვრები მცირე ქართული სათვისტომო ერთ დროს ალაგირის სათვისტომოსავით რომ არ ამოჟლიტეს? ოსეთში მყოფი ქართველები, ხომ მძევლებად ჰყავთ სამაჩაბლოელი ქართული სოფლების მსგავსად. ისე ვინ დაითვალა, რამდენი ქართველი გადმოსახლდა ვლადიკავკაზიდან. სხვათა შორის 17 წლის გოგონა (მშობლებითურთ) სწორედ ვლადიკავკაზში დააკავეს და ცხინვალში ჩამოიყვანეს, სადაც თვენახევრიანი გაუგონარი ძალადობით სიცოცხლეს გამოასალმეს.

კიდევ რა მოვინანიოთ? ალბათ, ის, რომ ქართველს ქართველობა სურს? შთამომავლობის გასაგრძელებლად იბრძვის? ახლა ვიკითხოთ ვინ მოინანიოს ის, რომ ისტორიაში გაუგონარი თავხედობით და სისასტიკით შექმნილ ე.წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში" ძალით შეიყვანეს 270-მდე ქართული სოფელი?

ვინ მოინანიოს ის, რომ ცხინვალიდან და ყორნისის სოფლებიდან გამოდევნილია ქართველობა, ებრაელობა, სომხებისა და რუსების დიდი ნაწილი. გადამწვარი, დანგრეული და დარბეულ-გაძარცულია მათი სახლ-კარი?

ვინ მოინანიოს, რომ როცა ამჟამინდელი კონფლიქტის მონაწილე ოსები ფაქტობრივად სრულად ამნისტირებულ არიან ოსების მხრივაც, რუსეთის "სამშვიდობო ძალების" მხრივაც და ე.შევარდნაძის რეჟიმის მხრივაც. ქართველებს კი სასტიკად სდევნიან ოსებიც, რუსი "მშვიდობის მაძიებლებიც" და ე.შევარდნაძის რეჟიმიც?

ვინ მოინანიოს, რომ ქართველი გამოდევნილები პირწმინდად განადგურების პირას არიან უშუალო ამოხოცვით გზითაც კი (სასტუმროებში დივერსიული აქტები).

ვინ მოინანიოს შიდა ქართლის მიწაზე მკვიდრი მოსახლეობა რომ გადაშენების გზაზეა?

ვინ მოინანიოს საქართველოს ტერიტორიის დაქუცმაცების გზით რომ სრულდება ქართველთმოძულე ფორმულა "საქართველო უქართველებოთ"?

ვინ მოინანიოს, როგორი ვანდალიზმით დახოცეს ოსებმა და რუსებმა მშვიდობიანი ქართველები, განსაკუთრებით რეგიონში "სამშვიდობო ძალების" ჩაყენების შემდეგ.

ვინ მოინანიოს, რომ ცხინვალში ქართული მოსახლეობა ეროვნულ უმცირესობად იქცა, ახლა კი იქ ეთნიკური წმენდის შედეგად თითქმის აღარ არის?

ვინ მოინანიოს, რომ ჩრდილო ქართლში გავრცელებული მხოლოდ ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს ითვისებენ?

ვინ მოინანიოს ლიახვის ხეობის ქართველობის უტყუარი მოწმის, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის ვანდალური განადგურება.

და ბოლოს ვინ მოინანიოს ცილისწამება, თითქოს ქართველებს ოსების გაყრა სდომებოდეთ? წაიკითხეთ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დოკუმენტები.

საქართველოში კომპაქტურად დასახლებულ ოსებთან მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი მათ არ წააქეზებენ საქართველოს ტერიტორიის მიმართ პრეტენზიებში. სწორედ ამ წამქეზებელმა უნდა მოინანიონ თავიანთი ისტორიული დანაშაული ქართველებისა და ოსების წინაშე.

უფალო შეგვიწყალე!

II. ევროგაერთიანების პარლამენტს, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს, გაეროს ჩრდილო ქართლიდან დეპორტირებულ ქართველთა მიმართვა

რუსეთის იმპერიული წრეების საქმიანობათა და საერთაშორისო ორგანიზაციების აშკარა წაყრუებით საქართველოში მოხდა და მიმდინარეობს ქართველი ერის გენოციდი, რაც თან მოჰყვა საქართველოში ეროვნული ხელისუფლების განდევნას და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ აქ თავის ინტერესებს დამორჩილებული მმართველობის შექმნას.

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ოსებთან და აფხაზებთან პროვოცირებული ომების შედეგად მოხდა ქართველი მოსახლეობის აყრა და განდევნა მათი ისტორიულად სამკვიდრო ადგილებიდან: აფხაზეთიდან და ჩრდილო ქართლიდან.

ამჟამად ახალი "ომის თავიდან აცილების" ცინიკური საბაბით, ამ რეგიონებში ჩაყენებულია რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ჯარი, რომლის ჭეშმარიტი დანიშნულებაა აქ საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის დაუშვებლობა.

რაც შეეხება ევროგაერთიანების პარლამენტის, გაეროსა და ეუთოს ორგანიზაციების მოღვაწეობას ამ რეგიონში, იგი უშედეგოა, რადგანაც მოქცეულია ანტიქართული ძალების გავლენის ქვეშ და ვერ იხილავს საკითხს სამართლიანად ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, პოლიტიკურ და, რაც მთავარია იურიდიულ ასპექტში.

მოვითხოვთ:

1. დაუყონებლივ გავიდეს ე.წ. "სამშვიდობო ძალები";

2. უპირობოდ აღდგეს საქართველოს სახელმწიფო იურისდიქცია ჩრდილო ქართლში;

3. აღნიშნულ რეგიონში არ გამოიყოს დამოუკიდებელი ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული, ვინაიდან ამისათვის არ არსებობს არც ისტორიული, იურიდიული და არც ზნეობრივი საფუძველი.

4. რაკი რუსეთი ისტორიულად საქართველოში ყველა ეთნოკონფლიქტების წამომწყები და წარმართველია, გამოირიცხოს იგი საქართველოს შიგნით მიმდინარე ეთნოკონფლიქტების აღმოფხვრის შესახებ მოლაპარაკებებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი ლაპარაკი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ, არის ლიტონი განცხადება, კონფლიქტის მოგვარების განზრახ გაჭინაურების მცდელობა, რასაც მოჰყვება საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაგეგმილი დაშლა;

5. სისტემატურად გავრცელდეს, დაუყოვნებლივ მოგვეწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია ამ რეგიონში მიმდინარე მოლაპარაკებების მსვლელობის შესახებ;

6. გათვალისწინებული და გამოყენებული იქნეს ჩვენი, ამ რეგიონების ძირძველი მკვიდრი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესები, აზრი და შეხედულებები კონფლიქტის მოსაგვარებლად. აუცილებლად ჩართული იქნას ამ მოლაპარაკებების მსვლელობაში ჩვენი წარმომადგენლობითი დელეგაცია.

მიმართვას და მოთხოვნებს ხელს ვაწერთ:

სულ 900 ხელმოწერა, ხელმოწერა გრძელდება.

* * *

III. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტორი

ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ერთადერთ ირანულენოვან ხალხს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოინათლა ქრისტიანულად, მათ ცნობიერებაში მართლმადიდებლურმა დოგმებმა ვერ მოიკიდეს ფეხი. ჭარბობს კერპთაყვანისმცემლური კულტი (განსაკუთრებით თხისა).

ოსი ხალხის ეთნოგენეზში მონაწილეობა მიიღეს ირანულენოვანმა და ეთნოგენეტიკური ფესვებით ცენტრალურ აზიასთან დაკავშირებულმა სკვითებმა, სარმატებმა და ახალი წელთაღრიცხვის 1 ს.-იდან ისტორიულ ასპერზეზზე გამოსულმა ასებმა (1, 7, 15, 30).

მაშასადამე, ოსები თავიანთივე აღიარებით არაკავკასიური ერია, რომლებიც კავკასიაში შემოიჭრნენ ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ქართველთა მეზობლად და არა ქართველებში.

ოსების სამოსახლო საქართველოსაგან კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი და გვერდითი ქედებით იმიჯნებოდა. იმ დროს ოსები მხოლოდ მთავარი ქედის ჩრდილოეთით სახლობდნენ, საიდანაც საძარცვავად თუ იჭრებოდნენ ქართლში. ასეთი ლაშქრობები, ხანდახან მეტად სერიოზულ ხიფათს უქმნიდნენ მკვიდრ მოსახლეობას (9).

ჩვენი ერის II საუკუნეში მეფე არმაზასპმა სამაგალითოდ დასაჯა მომხდურნი. "განავსნო ციხენი და კარნი მცხეთისანი ლაშქრითა... განვიდა და დაესხა ოვსთა, განთიადის ჟამსა... სძლია და ატოა ბანაკი მათი და მოკლა მეფე ოვსთა და მოსრა ყოველი სიმრავლე მათი" (10).

IV საუკუნეში ქართლში მირიან III-ის მეფობის დროს "...გარდამოვლეს ოვსთა ფეროშ და კავტია და განრყუნეს ქართლი. ხოლო მირიან გარესგარ გარდავიდა ოვსეთს. მოტყუენა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდი, და გარდამოავლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა" (10).

V საუკუნის 40-იან წლებში "მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუონი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე..." ამის საპასუხოდ მალე ქართველებმა თერგის პირას დაამარცხეს ოსნი "...და მერმე განიანინვეს ქალაქნი მათნი, და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხვი" (11).

მე-9-10ს.-დან ჩრდილო კავკასიაში იქმნება ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო ალანია (ქართული წყაროებით "ოვსეთი") საქართველოსაგან მას დაახლოებით 300 კმ-იანი (მარუხის უღელტეხილიდან "არაგვის კარის" კლდეკარამდე გადაჭიმული) სასაზღვრო ზოლი ყოფდა (1, 2, 7, 12).

მე-12-13ს.-ში ოსეთი საქართველოს სამხედრო მოკავშირე და მძლავრი ქართული მონარქიის ყმადნაფიცი ქვეყანა იყო.

ამ პერიოდში მოღვაწეობდა საქართველოს სამეფო კარზე დავით-სოსლანი, რომლის სახელს პოლიტიკურად სასპეკულაციოდ იყენებენ ოსები. დავით-სოსლანი არასოდეს ყოფილა საქართველოს მეფე. იგი იყო მეფეთ-მეფის _ თამარის თანამეცხედრე (10, 33, 35).

მე-13ს.-ში ჯერ მონღოლ-თათრების შემოსევებმა მოუღეს ბოლო მათ სახელმწიფოს. სასტიკად დარბეული ოსთა ძირითადი მასა იძულებული გახდა ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ხეობებში შემოხიზნულიყო. უკვე მე-15-17ს.-ში ოსები ახერხებენ საქართველოს მონაპირე მთის კუთხის _ დვალეთის პირიქითი ნაწილის დაპატრონებას და დვალთა ნაშთების ასიმილაციას, რის შემდეგაც აღნიშნულმა მხარემ "თუალგომის" სახელწოდება მიიღო (1).

მე-13 საუკუნის მე-2 ნახევარში ოსებმა შიდა ქართლში ძალით დამაგრება სცადს, ქალაქი გორიც კი ხელში ჩაიგდეს. ოქროს ურდოდან ლტოლვილი და ილხანთა ნებით საქართველოში შემოსახლებული ეს ოსები საქართველოში მონღოლებს შემოყვნენ. ეს მონღოლთა პოლიტიკის ერთი კერძო ეპიზოდი იყო. მაგრამ გიორგი ბრწყინვალემ (XIVს.) აღკვეთა უცხოტომელთა თარეში. და მას შემდეგ საქართველოში ოსები ბოლო ხანებამდე აღარ ჩანან (1, 2, 5).

მე-14 საუკუნის ბოლოს არენაზე ჩნდება თემურ-ლენგი.

მე-17 საუკუნის დამდეგიდან იწყება ოს-ირონთა მშვიდობიანი და მნიშვნელოვანწილად ყმათა მომრავლებით დაინტერესებული ქართული ფეოდალური წრეებისაგან სანქციონირებული გადმოსახლება ცენტრალური საქართველოს ჩრდილოეთი სექტორის მაღალმთიან ხეობებში (1).

შედარებით მოკლე დროში მდინარეების: თერგის, დიდი და პატარა ლიახვის, არაგვის, ჯეჯორასა და ყვირილას ხეობების სათავეები, აგრეთვე სამაჩაბლოს და საწერეთლოს კუთვნილ ტერიტორიებზე ოსთა კომპაქტური დასახლებებიც გაჩნდა (1, 3, 33, 61). ისინი ქართულ წერილობით წყაროებში "არაგვის, ქსნის, ლიახვის და სამაჩაბლოს ოსების" სახელწოდებით არიან ცნობილი. იმავე საუკუნის შუა წლებიდან ოსებში საბოლოოდ პრორუსულმა ორიენტაციამ იძალა. 1774 წელს ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური თემები ყაბარდოსთან ერთად რუსეთს შეუერთდა, ხოლო მას შემდეგ, რაც 1782 წელს დიგორის ოსურმა თემმაც იგივე ნაბიჯი გადადგა, ოსეთის ქვეყნის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა ფაქტობრივად დასრულდა (1, 8).

მე-18-მე-19ს.-ში ოსური დამწერლობის ფუძემდებლად ქართველი მისიონერები და ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი ოსი მოღვაწეები გვევლინებიან.

1751 წელს ქართველი არქიმანდრიტის პახომის ინიციატივით გაიხსნა ოსური სკოლა მოზდოკში, სადაც სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და სკოლის პირველი მასწავლებლებიც ქართველები იყვნენ. ეს იყო პირველი სკოლა არა მარტო ოსეთში, არამედ მთელს ჩრდილო კავკასიაშიც (1).

ოსთა უშუალო ეთნიკური წინაპრების ქრისტეს რჯულზე მოქცევა ბიზანტიისა და გიორგი მე-3-ის "აფხაზთა მეფის" (922-957წწ.) ერთობლივი ძალისხმევის შედეგია (1). მე-20ს.-ის დასაწყისში იწყება ჯავის რაიონის ოსების გაქრისტიანება. ნიქოზის საეპისკოპოსოდან გასული ქართველი მისიონერების მიერ.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის შემადგენლობაში შეყვანისა და ძალდატანებით ქართული სახელმწიფოებრიობის თანდათანობითი ლიკვიდაციის შემდეგ საქართველოში მცხოვრებო ოსებიც ისტორიული ბედით კარგა ხნით რუსეთის იმპერისთან აღმოჩნდნენ დაკავშირებულნი.

ოსი იდეოლოგები რუსეთის სპეცსამსახურის წაქეზებით საგანგებოდ აუკუღმართებენ გეორგიევსკის ტრაქტატის (1783) სამართლებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, თითქოს მათი და ყაბარდოელი დაქსაქსული ფეოდალების 1774 ნებაყოფლობითი, უპირობო შესვლა რუსეთის იმპერიულ ქვეშევრდომობაში უდრიდეს ქართლ-კახეთის სახელმწიფოს "შესვლას" რუსეთის სამხედრო

სახელშეკრულებო (და არა ფაქტობრივ) მფარველობაში, რათა ამით რუსული პოლიტიკური წრეების საამებლად საქართველოს გასვლა (!) რუსეთიდან "წარმოაჩინონ" არასამართლებრივ და ამორალურ აქტად.

ოსებს აწუხებთ ის, რომ ე.წ. "გაერთიანებული" სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი ვითომც ჯერ კიდევ 1774 წელს შევიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში, მაგრამ რატომღაც გეორგევსკის ტრაქტატის (1783) და ქართლ-კახეთის ანექსიის დროსაც (1801), ეს "ერთიანი ოსეთი" პოლიტიკური ფიქცია იყო და არც არავის მოსვლია თავში მათი "ერთიანობა" (მათ შორის, რუსეთსაც), რაც კარგად ჩანს რუსეთის რუკებიდანაც, სადაც მითითებულია მხოლოდ ერთი ოსეთი (ქედგადაღმა).

გეორგიევსკის ტრაქტატის ოსური "ინტერპრეტაცია" ჯიუტად პროიმპერიულია, ანუ კვერს უკრავს იმპერიის სტრატეგიულ ინტერესებს, რომლისთვისაც საჭიროა, რომ საქართველო თავისი ნებით (ამ ტრაქტატით) უკვე 1783 წელს "შეერთებოდა" დიდ რუსეთს ოსეთის მსგავსად (!).

ის რომ არასოდეს არავითარი ოსური გაერთიანება არ არსებულა, ჩანს 1801 წლამდე ქართლის და ქართლ-კახეთის სამეფოების სახელმწიფო საზღვარზე თვალის შევლებითაც, რომელშიც ძველებურად მოქცეულია ოსთა მიერ ასიმილირებული დვალეთიც კი, (ეს რეგიონი რუსეთის ადმინისტრაციამ მხოლოდ 1862 წელს შეიყვანა თერგის ოკრუგში, ჩამოაჭრა რა იგი თბილისის გუბერნიას (ანუ ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფოს).

არადა რუსულ-ოსური აგრესიის სულისჩამდგმელებმა მშვენივრად იციან, რომ ავბედითად ცნობილი "გეორგიევსკის ტრაქტატი" არის "გამჭირვალე" სამხედრო-მფარველობითი პროტექტორატი, რითაც საქართველომ მიიღო მტკიცე პირობა, რომ მას დაეხმარებოდნენ თურქთა და სპარსელთა მიერ მიტაცებული ძირძველი ქართული მიწების უკან დაბრუნებაში!

ასევე _ რუსთხელმწიფე ქართლ-კახეთის სამეფოს ტახტზე სცნობდა მხოლოდ ბაგრატიონთა უფლებებს და ამის დასტურად ყოველ ახალ მემკვიდრეს ტახტზე ასვლის წინ გაუგზავნიდა შესაფერ რწმუნებებს (რეგალიებს).

რა თქმა უნდა, ამ ტრაქტატით საქართველოს სუვერენიტეტი შეიზღუდა, მაგრამ არ გამქრალა!

რუსეთის სპეცსამსახური და წმ. სინოდი (ვოსტორგოვი) აქვეყნებენ ოს იდეოლოგთა და მეცნიერთა პირველ ფალსიფიცირებულ ნაშრომებს ქართველთაგან სამშობლოდან "გაძევებულ" ოსთა უფლებებზე. ამ დროს ეკუთვნის გატოევის პუბლიკაცია... (118)

ქართველი და ოსი ხალხების ხანგრძლივი და ინტენსიური ურთიერთობების ობიექტური კვლევა გულისხმობს ყურადღების გამახვილებას აღნიშნული ურთიერთობების როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ მხარეებზე. საბჭოური ეპოქის სპეციალურ ლიტერატურაში საგულდაგულოდ აქცენტირდებოდა ქართველთა და ოსთა მრავალმხრივი კონტაქტების მხოლოდ დადებითი ასპექტები, მაშინ, როცა ორი მეზობელი ერის ისტორიული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი სერიოზული წინააღმდეგობების ამსახველი მონაცემების მიუკერძოებელ ანალიზს და ოსთა ცნობიერებაში ძირძველი ქართული მიწა-წყლის დაჩემების იდეის

საფუძვლიან შესწავლას პრაქტიკულად ტაბუ ჰქონდა დადებული. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების თვითნებური მანიპულაციით საქართველოს ფარგლებში ოსთა და ქართველთა დაპირისპირების თითქმის ყველა ფაქტს მაინცდამაინც კლასობრივი კონფლიქტის ელფერი ენიჭებოდა და კვალიფიცირდებოდა როგორც ექსპლოატირებულ ოს გლეხთა შეჯახება მათ მჩაგვრელ ქართველ ფეოდალებთან, ხოლო უარეს შემთხვევაში როგორც სამშობლოსათვის (ე.ი. ოსეთისათვის?!) და ბოლშევიკური იდეალებისათვის თავგადადებული ოსთა ფართო მასების სამართლიანი ბრძოლა ქართველ ფეოდალთა ძალმომრეობის თუ ქართველ ნაციონალისტთა ექსპანსიის წინააღმდეგ (?!), რაც სინამდვილის უხეიროდ გაყალბების ტოლფასია.

საგულისხმოა ფაქტი, რომ ბაგრატიონთა ტიტულატურაში არასოდეს იხსენიება მეფე ოვსთა, ხოლო ერთადერთმა დავით აღმაშენებელმა გაავრცელა თავისი ძალაუფლება "ოსეთზე", ყივჩაღების გამოსატარებლად.

ხოლო გიორგი III-მ თავის ტიტულატურაში შეიტანა მეფე ყოველთა ჩრდილოეთისა (არ იხსენიებს ოსეთს).

* * *

<u>ტოპონიმიკა</u>

შიდა ქართლი არის მტკვრის აუზი ლიხის ქედსა და არაგვის ხეობას შორის. საქართველოს ჩრდილო საზღვრად ითვლებოდა შიდა ქართლის ჩრდილო საზღვარი. ამის გარდა ისტორიულად საქართველოში შედიოდა კავკასიონის ქედის გადაღმა მდებარე: დვალეთი, ხევი, პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი, დიდოეთი. ბუნებრივია, რომ ეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები ქართველებით იყვნენ დასახლებულნი. შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს გადაარქვეს სახელი და სამხრეთ "ოსეთი" უწოდეს (1922 წელი).

შიდა ქართლი საქართველოს ისეთივე კუთხე იყო, როგორიც იმერეთი, გურია, სვანეთი, კახეთი და მესხეთი.

შემდგომში შიდა ქართლში თანდათან სახლდებოდნენ უცხოტომელები. მაგრამ ახლაც კი რაიონების მიხედვით ჭარბობენ ქართველები (41) გამონაკლისი ქალაქი ცხინვალი და ჯავის რაიონია, სადაც ოსები მეტია. ასეთივე სურათია გეოგრაფიულ სახელწოდებათა მიხედვითაც. შიდა ქართლში 1065 ტოპონიმიდან 930 ანუ 87,30% ქართული წარმომავლობისაა, ხოლო 112 ახალი ტოპონიმიდან, რომელთაც ოსური ჟღერადობა აქვთ, 84 ჯავის რაიონზე მოდის, ამათგანაც ბევრს ქართული ფუძე აქვს (41, 46).

ქართულ გეოგრაფიულ დასახლებებზე ტოტალური შეტევა დაიწყო აქ ძალადობით "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" დაარსების შემდეგ, როცა ოსთა ნაწილმა თავის ისტორიულ სამშობლოდ წარმოადგინა ჩრდილო ქართლი და ამის "დასამტკიცებლად" ქართული ტოპონიმკის ოსურით შეცვლა განიზრახა. 1930-იან წლებში ოფიციალურად მოინდომეს ტოპონიმების მასობრივად გადაკეთება, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში თვით ოსებიც კი ვერ შეეგუენ ხელოვნურ სახელწოდებებს. თუმცა რიგ შემთხვევაში ოფიციალურად დააკანონეს სურვილი. წუნარს ხეთაგუროვი შეარქვეს, ოქონას ზნაური, საეჭვო რეპუტაციის მქონე ზნაურ

აიდაროვის, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი იყო, სახელდებით, გიორგიწმინდას ისაკ-ყაუ, ტყისუბანსა ზნაურ-კაუ, დიდხანს სტალინირი ერქვა ცხინვალს (ქრცხილასგან არის წარმოშობილი), ასევე ახალგორს ლენინგორი ეწოდებოდა (44) რაკი ცხინვალის ფუძეს ვერაფერს უხერხებენ, ოსი ექსპანსიონისტები დღემუდამ ცოდვილობენ დაბოლოება მაინც ოსურად აჟღერონ. ამიტომ ამ ქართული წარმოშობის ქალაქს უწოდებენ "ცხინვალ"-ს.

ამრიგად, შიდა ქართლში უძველესი დროიდან სახლობენ ქართული ტომები და ბუნებრივია ტოპონიმებიც ქართულია. მათი ნაწილობრივ ოსურით შეცვლა მოხდა შიდა ქართლის ჩრდილო პერიფერიულ ნაწილში, დანარჩენ ტერიტოიაზე კი ქართული სახელწოდებები დომინირებენ (46, 47).

* * *

<u>მატერიალური სიძველენი</u>

მე-19 საუკუნის ბოლოდან იწყება რუსული ეკლესიის გავლენით და პროპაგანდით რეგიონში ქართველობაზე შეტევა მითვისების მიზნით. შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა და ხუროთმოძღვრების ძეგლები მხოლოდ ქართულია. მეტიც, სხვადასხვა დროს საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა ჩრდილო კავკასიაზე საერთოდ და კერძოდ ოსეთზე ეჭვს არ იწვევს.

ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ შიდა ქართლში ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" ოსები უძველესი დროიდან სახლობენ. ასე რომ ყოფილიყო, რაიმე ნაშთი უნდა დაეტოვათ. მაგრამ ყველაფერი რაც ამოღებულია მიწის წიაღიდან და მეცნიერულად შესწავლილია მიწის ზედაპირზე, მხოლოდ ქართულია.

* * *

<u>ეპიგრაფიკა</u>

მთელი შიდა ქართლის ტერიტორია მოფენილია ქართული: 1. მრგლოვანი _ ასომთავრული (მე-5ს.-დან), 2. კუთხოვანი ნუსხა _ ხუცური (მე-8ს.-მდე) და 3. მხედრული-სამოქალაქო (მე-10ს.-დან) წარწერებით, რომლებშიც დაფიქსირებულია საქართველოში ყველა საწელთააღრიცხვო ხერხები: 1. დასაბამიდან 2. ქორონიკონით, და 3. ქრისტეშობიდან.

ამრიგად, როგორც ამ რეგიონის ეპიგრაფიული ძეგლები მოწმობენ, მასში სახლობდნენ ქართველები და მართავდნენ მას ქართველი ფეოდალები. სახელმწიფო და რელიგიური ენა ქართული იყო.

* * *

<u>IV. გეოგრაფიული ფაქტორი</u>

ოსი მეცნიერების გ.თოღოშვილის და ი.ცხოვრებოვის გამოქვეყნებული მასალა, რომელიც ეხება უხსოვარი დროიდან მე-18 საუკუნემდე ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებს, ადასტურებს რომ ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" შიდა ქართლისთვის, თუნდაც სამაჩაბლოსთვის არცერთ წერილობით დოკუმენტში მე-19 საუკუნემდე არ იხსენიება (7, 41, 42, 46).

რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში "სამხრეთ ოსეთის" მხოლოდ 1860 წლიდან მოხსენიება დასაწყისია ამ ტერმინის ლექსიკაში ხელოვნურად დანერგვისა. ამიტომ აქ გამოყოფის მცდელობა გეოგრაფიულ წინამძღვარს ემყარება.

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე "ოსეთის მხარის (ოკრუგი) დაარსება სამხედრო პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა მხოლოდ და იგი მალე გაუქმდა კიდეც. აი რას ამბობს ოსი მეცნიერი და პოლიტიკოსი ა.გალაზოვი "ცარიზმს ერთი მხრივ არ სურდა, რომ სამხრეთელი ოსები მთლიანად გათქვეფილიყვნენ ქართველ ხალხში, ყოველ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთი უნდოდათ შეენარჩუნებინათ, როგორც თავისებური პლაცდარმი, საიდანაც ზეწოლას მოახდენდნენ ჭირვეულ ქართველ მმართველებზე" (107).

განსახილველი რეგიონი არის შიდა ქართლის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. გარდა ამისა გაცილებით მეტ ფართობს მოიცავს, ვიდრე სამაჩაბლოა. ამიტომ მას ისტორიულ-გეოგრაფიული კლასიფიკაციის გათვალისწინებით ჩრდილო ქართლი უნდა ეწოდოს.

ყოვლად დაუშვებელია ტერმინ "ცხინვალის რეგიონის" ხმარება, რადგან განსახილველი ტერიტორიის ერთობ მცირე ნაწილს აღნიშნავს და არ ჩანს, რომ ის ქართლის შემადგენლობაშია.

საგულისხმოა, რომ გრაფი პასკევიჩი 1830 წლის 23 მაისს სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი გაგზავნილ ოფიციალურ ანგარიშში განსახილველ ტერიტორიას "სამხრეთ ოსეთად" როდი მოიხსენიებს, არამედ "ჩრდილო ქართლს" უწოდებს: "...საჭიროდ ვაღიარე მომეწყო ორი მცირე სამხედრო ექსპედიცია. პირველი მიმართულია ჩრდილო ქართლის ("სევერნაია კარტალინა") ოსების წინააღმდეგ, მეორე თაგაურელების წინააღმდეგ. ქედის ჩრდილო კალთაზე" (ტ.VII "აქტები").

* * *

V. დემოგრაფიული ფაქტორი

ოსთა პირველი დასახლებები გაჩნდნენ "ბუდე დვალეთში". ცნობილია, რომ მე-17ს.-ის მე-2 ნახევარში ბაადურ მაჩაბელმა ოსები ჩამოასახლა დიდი ლიახვის ხეობაში.

ოსთა კომპაქტური საბინადროები იქმნებოდნენ მე-17 მე-18 საუკუნეებში მთიან საქართველოსა და ცენტრალურ კავკასიონზე, სადაც ხელსაყრელი სოციალურ-პოლიტიკური პირობები იყო (1, 9).

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ოსები სახლობდნენ ქსნის სათავეებში, პატარა ლიახვის ხეობის მთიან ზოლში, დიდი ლიახვის, არაგვის სათავეებში, თრუსოს ხეობაში, კუდაროს ხეობის მთიან ზოლში. აგრეთვე მეჯუდისა და რეხულის სათავეებში.

საქართველოს სამეფო ხელისუფლება ცდილობდა შეენარჩუნებინა ოსები, მოექცია ქართული სახელმწიფოს ინტერესების დამცველებად, მაგრამ ეს იოლი როდი იყო. როცა საქართველოს ძნელბედობის ჟამი უდგებოდა, ოსები ზურგში მახვილს სცემდნენ. ამიტომ ქართველ-ოსების ურთიერთობა არა თუ ჰარმონიული და უმტკივნეულო, ზოგჯერ მწვავე და შეურიგებელიც კი იყო. 1815 წელს

დიგორელებმა რუსეთის მთავრობას მისწერეს: "ჩვენ და რაჭველები უძველესი დროიდან ვმტრობდით ერთმანეთს".

მდგომარეობა არც მე-19 საუკუნეში გამოსწორებულა. 1823 წელს გორის მხარის უფროსი ტიტოვი მოხსენებით ბარათში იუწყება, რომ ოსები მუდმივად ძარცვავენ ქართლის სოფლებს, ეს იმიტომ ხდება, რომ ეს ხალხი მოურჯულებელია და მათი ერთადერთი წარმატებული ხელობა ძარცვა-გლეჯაა (...).

ოსური მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მეურნეობა იყო. ოსები ყოველნაირად ცდილობდნენ დასაყრდენი პუნქტები შეექმნათ ქართლში.

ბატონყმობის გაუქმებამ ქართველი მემამულეები აიძულა მუშა-ხელი მოეზიდათ ოსი ხიზნების სახით.

ქართლში ოსთა მასობრივი ჩამოსახლება 1860 წლიდან იწყება. ოფიციალური მონაცემებით 1860 წელს "ჩრდილო ოსეთში" ცხოვრობდა 47 ათასი ოსი, ხოლო ქართლის მთიან რეგიონებში 19 ათასი. 1890 წელს უკვე შესაბამისად 59 ათასი და 52 ათასი. ამ მონაცემებით ოც წელიწადში ჩრდილო ოსეთში 1,2-ჯერ გაიზარდა ოსი მოსახლეობა, საქართველოში კი 2,7-ჯერ. ასეთი ბუნებრივი მატება წარმოუდგენელია, მოხდა ოსეთიდან მასობრივი გადმოსახლება საქართველოში: მათგან 87% "ოლქის" გარეთ დასახლდა, 8% "ოლქში". კომპაქტური დასახლებანი შეიქმნა ქარელის, ლაგოდეხის, ახმეტის რაიონებში, ბორჯომის ხეობაში (109).

მე-19 საუკუნის 60-იან წლებიდან მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ჩნდება ოსთა კომპაქტური საბინადროები. ეს პროცესი მე-20 საუკუნეშიც გრძელდება. თუ 1926 წელს საქართველოში მცხოვრები ოსების რაოდენობა 113 ათ. კაცი იყო, აქედან 65 ათასი ყოფილ ოლქში. ეს იმას ნიშნავს, რომ ოსების დიდი რაოდენობა ჩრდილო ოსეთიდან გადმოსახლდნენ ყოფილ "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც" და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც. ამიტომაა, რომ ქარელის რაიონში ოსები შეადგენენ 15%-ს, ახმეტის რაიონში 11%-ს, გორისა და კასპის რაიონებში შესაბამისად 8% და 12%-ს. ოსთა რიცხვი გაიზარდა თბილისშიც. თუ 1886 წელს თბილისში ცხოვრობდა 314 ოსი, 1922 წელს 1446. ამჟამად 33 ათასია. თვით ცხინვალში ოსთა დაბინადრება მე-20 საუკუნის 20-იან წლებში იწყება. 1886 წელს ცხინვალში არცერთი ოსი არ ცხოვრობდა. 1922 წელს 1152 ოსი აღირიცხებოდა, ხოლო 1989 წლის ოფიციალური აღწერით ქ.ცხინვალის საერთო მოსახლეობის 42333-დან 31537 ოსები იყო. ქალაქის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა ეთნიკურ უმცირესობაში მოექცა (1,109).

ცალკე შესწავლას საჭიროებს "ოლქში" მოსახლეობის ოფიციალური აღწერის უხეში ფალსიფიკაცია, რასაც ადგილობრივი მმართველობა ახორციელებდა რესპუბლიკური ცენტრის წაქეზებით. უამრავი მაგალითებია, რომ ერთდაიგივე ოსებს აღწერდნენ სოფლებშიც და ქალაქ ცხინვალშიც. პირდაპირი ფალსიფიკაციის თვალსაჩინო მაგალითია შემდეგი: 1926 წლის აღწერის ოფიციალურ დოკუმენტებში მითითებულია, რომ სოფ. ვახტანაში, ფრინევში, ყორნისში არცერთი ქართველი არ ცხოვრობდაო(?), რაც მომსწრეთა დამოწმებით ასე არ იყო.

როგორც დავინახეთ, მიუხედავად ჩრდილო ქართლში ოსთა კომპაქტური დასახლებებისა, აქ გადამწყვეტი დემოგრაფიული უპირატესობა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისათვის მათ არა აქვთ.

* * *

VI. ოსური ექსპანსიონიზმი (1901-17წწ.)

ოსთაგან საქართველოს ჩრდილო ტერიტორიის მიტაცების წყირვილი იმდენად დაუოკებელია, რომ ისტორიულ მოვლენათა შორის ფიქსირდება და "ოსიანობის" სახელწოდებითაა ცნობილი.

"ოსიანობის ჭირი" მომძლავრდა XX საუკუნეში, რასაც ხელს უწყობდა 1905 წლის რევოლუცია, რუსეთ-იაპონიის ომი და განსაკუთრებით, მარქსიზმი თავისი ფარისევლური ლოზუნგებით.

ჯერ კიდევ 1902 წელს გაზეთი "ივერია" წერდა, რომ ცხინვალში, ებრაელთა უბანში გაჩენილი გიგანტური ხანძრის დროს ქართველები თუ თავს არ ზოგავდნენ და ეხმარებოდნენ ებრაელებს, ოსური სოფლებიდან ჩამოსულმა ქურდ-ბაცაცათა რაზმებმა მოსახლეობის ძარცვას მიჰყვეს ხელი. გუბერნატორი კი იძულებული გახდა დაეპატიმრებინა ავაზაკები და მათი თაოსანი ოსი მამასახლისი.

1913 წელს საქართველოს უბედურების მომასწავლებელი "პროექტი" დაატეხა თავს რუსეთის საიმპერიო მთავრობამ. გორის ჩრდილო მხარეს ტირიფონის ველზე სამხედრო პოლიგონის დასაარსებლად 40000 მიწადმოქმედი ქართველი უნდა აეყარათ ამ მიწა-წყლიდან.

შემდგომში ოსთა შეიარაღებული გამოსვლების გამომწვევ მიზეზთა შორის ეროვნულ და სოციალურ მოტივებთან ერთად მთავარი ადგილი ეკავა ოს ექსტრემისთა პოლიტიკურ ავანტიურიზმს, რაც ოსთა მოძრაობას ექსპანსიონისტურ ხასიათს აძლევდა.

შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანებისათვის მოძრაობას 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიეცა გასაქანი.

თავდაპირველად სამაზრო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას მოითხოვდნენ. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარისადმი 1917 წლის 10 აპრილს გაგზავნილ წერილში "ოსების წარმომადგენელი" ნიკოლოზ ჯიოევი აღნიშნავდა, რომ დუშეთის, გორის, რაჭისა და ვლადიკავკაზის ოლქის ოსებით დასახლებული პუნქტები ერთ მაზრად უნდა გაერთიანებულიყვნენ, როგორც "...ერთიანი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ერთეული"...

ოსთა უმთავრესი "საზრუნავი" ის იყო, რომ გორისა და დუშეთის მაზრების ოსური მოსახლეობა რევოლუციური ძალების გარეშე რჩებოდნენ.

* * *

VII. ოსური ეთნოდივერსიული ექსპანსიონიზმი (1918-21წწ.)

1918-20 წლებში შიდა ქართლში ოსთა სამი დიდი აჯანყება მოხდა. სამივე აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რაც მთავარია ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" რუსეთის ფედერაციასთან მიერთების ლოზუნგით. ყველაზე ძლიერი მათ შორის

1920 წლის აჯანყება იყო. ნიშანდობლივია, რომ სამივე აჯანყება დროში ემთხვეოდა საქართველოში უცხო დამპყრობლის შემოჭრის საფრთხეს.

1918 წლის მარტში ამბოხება დაიწყო ამიერკავკასიაში თურქეთის ექსპანსიის პერიოდში. 1919 წლის შემოდგომის აჯანყება მოხდა, როცა საქართველოში შემოჭრით იმუქრებოდა დენიკინი.

ამავე პერიოდში ხდება რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ-სამხედრო გააქტიურება ამიერკავკასიაში, ოსებიც არ აყოვნებენ და 1920 წლის 23 მარტს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა "სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და სამხრეთ ოსეთის რევკომის შექმნა". 6 მაისს აღნიშნულმა რევკომმა მიიღო დადგენილება დაემორჩილოს კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბრძანებას და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადოს ჯერ როკის რაიონში, ჩაკეტოს ხეობა, თავი დაიცვას მშრომელი ხალხის მტრებისაგან (ანუ საქართველოს სამთავრობო ჯარებისაგან, რომლებსაც უღელტეხილი უნდა გაემაგრებინათ).

შეუერთდნენ რსფსრ-ს... რაც უნდა აცნობონ მოსკოვსა და დემოკრატიულ საქართველოს.

ისტორია მეორდება: ახლაც 1989-90 წლებში, როცა რუსეთის იმპერიამ ნგრევა დაიწყო ოსი ექსტრემისტები კვლავ აყენებენ "რუსეთთან სამხრეთ ოსეთის მიერთების" ლოზუნგებს.

რუსეთის მზაკვრული ორმაგი თამაში დასტურდება 1920 წლის 16 ივნისის გაზეთ "კომუნისტში" (თერგის საოლქო კომიტეტის ორგანო) დაბეჭდილი სტატიით "აჯანყება საქართველოში", რომელშიც იუწყებიან "სამხრეთ ოსეთის" აჯანყებისადმი რსპ(ბ) ცეკას _ მხარდაჭერას.

დიდი ხნით იყო მიჩუმათებული, რომ ოსი მოსახლეობის ფართო მასებს არაფრად ეპიტნავებოდათ საქართველოში დამოუკიდებლობა და ამისთვის აჯანყება. 1918 წლის ივნისს ა.ფარნიევი აქვეყნებს საგულისხმო ფაქტებს: "...შარშან ამიერკავკასიის ოსების წარმომადგენლობის პირველ კრებაზე 5 ივნისს სოფ. ჯავაში გ.ნ.ჯიოევმა გაუბედავად, გაუგებრათ აღძრა ოსების ცალკე გამოყოფის _ დამოუკიდებლობის საკითხი. კრებამ უარი უთხრა. იგივე ჯიოევმა შარშან ვლადიკავკაზში ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ოსების წარმომადგენლობის პირველ კრებაზე 17 ივნისს აღძრა _ ოსების დამოუკიდებლობის (ცალკე გამოყოფის) საკითხი, კრებამ არც მაშინ მიიღო. 28 მაისს ამავე წელს ამიერკავკასიის ოსების მესამე კრებაზე სოფ. ჯავაში ვ.პ.თედეევმა და ბ.კოჩიევმა აღძრეს ოსების გამოყოფის _ დამოუკიდებლობის საკითხი. ამ კითხვის საბოლოოდ გადასაწყვეტად ამა თვის 15-ში მოწვეულია ოსების წარმომადგენლების მეოთხე კრება. რამდენი მომხრე აღმოუჩნდებათ ბ.ბ.ჯიოევს, პ.თედეევს და ბ.კოჩიევს მე არ ვიცი" (122).

1921 წლის თებერვალ-მარტში, როცა საქართველოს ძალდატანებით სოვეტიზაცია მოხდა, 1920 წელს ჩრდილო კავკასიაში გასული ოსთა შეიარაღებული რაზმები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ.

1921 წლის 6-8 სექტემბერს შესდგა ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" რევკომისა და პარტკომის გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მიიღეს დადგენილება "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" შექმნის შესახებ, რომლის ცენტრი ცხინვალი უნდა ყოფილიყო. ამავე დროს მასში უნდა შესულიყო უამრავი ქართული სოფლები (70).

1921 წლის 31 ოქტომბერს რკპ(ბ) ცეკას კავბიუროს სხდომაზე მიიღეს დადგენილება "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" დაარსების შესახებ.

ამ გადაწყვეტილებამ აღშფოთება გამოიწვია შიდა ქართლის ქართულ მოსახლეობაში (70). 1921 წლის 5 დეკემბერს ცხინვალის ქართული მოსახლეობის კრებამ მიიღო რეზოლუცია: "სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში" ცხინვალის შეყვანის წინააღმდეგ. სოფლების _ დვანის, ნულის, ავნევის მცხოვრებლებმა გააკეთეს განცხადება, რომ პროტესტს აცხადებენ "ავტონომიურ ოლქში" ამ სოფლების გაერთიანების განზრახვის გამო. პროტესტები გამოთქვეს: ძარწემის, ქორდის, აჩაბეთის, კეხვის, არბოს, დიცის, ნიქოზის, დგვრისის, ხვითის, ყელქცეულის, ქემერტის, ქურთის, თამარაშენის, ვანათის, ხუნდისუბნის, მინდარის, თიღვის, ალიბრის, საცხენეთის, ოქონის მცხოვრებლებმა. 1922 წლის იანვარში ქ.ცხინვალში მცხოვრებმა ქართველებმა, სომხებმა და ებრაელებმა მიიღეს დადგენილება, რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ქალაქი ცხინვალი და მისი რაიონი ისტორიულ საზღვრებში დაეტოვათ (70).

ამასთან არის მაგალითები, როცა ოსებიც კი გაემიჯნენ "სამხრეთ ოსეთის რევკომს" და საქართველოს იურისდიქციაში დარჩენას ლამობდნენ (8 სოფელი) (70).

* * *

VIII. ოსური ეთნოკრატიული ექსპანსია (1922-90)

მიუხედავად ყველაფერ ამისა 1922 წლის 20 აპრილს საქართველოს მარიონეტულმა ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა... "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", რამაც კიდევ უფრო გააღრმავა შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობის უკმაყოფილება. გაიმართა საპროტესტო კრებები თიღვანში, ოქონაში, სუბისში, ნაბაკევში, ტყისუბანში, შინდარაში, ნედლათში და სხვაგან, მაგრამ დეკრეტი არ გაუქმებულა და ახლახან დაზუსტებული ცნობებით ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" მოაქციეს 270-ზე მეტი ქართული სოფელი, ერთი დაბა და ერთი ქალაქი.

ყოფილი ე.წ. "ოლქის" ტერიტორიაზე 150-მდე ოსური სოფელია, აქედან 70 ხუთ კომლზე ნაკლებიანი, ხოლო 30 ხუთ კომლზე მეტიანი, ქართული სოფლები კი ყველა ხალხმრავალია.

შიდა ქართლის ქართველი მოსახლეობა დიდხანს არ ემორჩილებოდნენ ამას და შეიარაღებულ წინააღმდეგობასაც კი უწევდნენ. ლეგენდარული ვასო კასრაძის რაზმი "მენშევიკურ ბანდად" მონათლეს, ხოლო საყოველთაოდ ცნობილი ოსი ავაზაკების: ისააკ ფუხაევისა და ზნაურო აიდაროვის სახელები ქართულ დასახლებულ ადგილებს დაარქვეს: _ სოფ. გიორგიწმინდას ისაკ-ყაუ, ოქონას კი ზნაური.

“ოლქის” შექმნას დაანათლეს 70 წლის წინათ სოფ. თაღვაში ქართველთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომლის ჩამდენნი დაუსჯელი დატოვეს. სერგო ორჯონიკიძემ მოიწონა კიდეც ეს ვანდალიზმი(?!)

“ოლქის” პირველივე დღეებიდან დაიწყო უპრეცედენტო კამპანია კლასობრივი გათანაბრების საბაბით, ვისაც ქალაქ ცხინვალში ერთ ოთახზე მეტი საცხოვრებელი ფართი ჰქონდა (ასეთები მაშინ ცხინვალში ძირითადად ქართველები იყვნენ) რაიონებიდან ჩამოხიზნულ ოსებს უსახლებდნენ (ელიოზიშვილებს და მრავალ სხვას) ეს პროცესი გაგრძელდა 30-იან წლებშიც, როცა რეპრესირებულ ქართველთა ბინებს ოს “ბოლშევიკებს” ჩუქნიდნენ (კვინიკაძეების, ყაზახიშვილების, ბედიანიძეების და სხვათა მაგალითები).

“ავტონომიური ოლქის” რევკომის I თავმჯდომარე ვლადიმერ აბაევი აბსოლუტურად გაუნათლებელი იყო. ამას ხელი როდი შეუშლია შემდეგში მეცნიერებათა დოქტორი გამხდარიყო?!

1924 წელს სახალხო კომისარმა ჯატიევმა მოიწვია მეცნიერთა ჯგუფი, რომელშიც არცერთი ქართველი არ ერია. ჯგუფმა დაბეჭდა 300-გვერდიანი “ნაშრომი”. მასში აღწერილია ეთნიკური ვითარება, ქართველი ნახსენები არ არის(?!)

ოსთაგან ჩრდილო ქართლის მიტაცების მეთოდები სულ უფრო მზაკვრული ხდებოდა, 1926 წელს ოსებმა (ტაკოევი) წამოაყენეს წინადადება ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებისა საქართველოს ფარგლებში(?!) რომ დაკანონებულიყო ერთიანი “ოსეთი”, რომლის გამოყოფა საქართველოდან იოლი იქნებოდა.

1933 წლამდე “ოლქის” ხელმძღვანელები მხოლოდ ოსები იყვნენ. მათი მოღვაწეობის დროს გაანადგურეს ქართველთა სასაფლაოები, _ მკვიდრ ქართველთა უფლებების უტყუარი მოწმეები. ცხინვალის შრომა-გასწორების კოლონიის და ფსიქიატრიული საავადმყოფოს გალავნებში დღესაც კარგად იკითხება შიგ ჩატანებული ქართულწარწერიანი ქვები.

1933 წელს “ოლქის” ხელმძღვანელად დანიშნეს “КГБ”-ს ცნობილი აგენტი ისაკი ჟვანია. მის დროს ოსურ ანტიქართულ გაზეთ “ხურიძარს” ქართულენოვანი ანტიქართული გაზეთი “საბჭოთა ოსეთი” დაემატა, რომელსაც იგი პიროვნულად უწევდა კონტროლს, რომ, აქაოდა ოსები არ გაღიზიანდნენო(?!) ასეთი პრაქტიკა “ოლქის” არსებობის მთელ მანძილზე ინერგებოდა; რესპუბლიკის მმართველთა წაყრუებით 1936 წელს საგანგებო კომისია შეიქმნა რეგიონში ქართული ტოპონიმიკის ოსურით შესაცვლელად. ასეთი კომისიის აბსურდულობას ოსი მკვლევარი ზ.ცხოვრებოვაც კი აღნიშნავს.

დემოგრაფიული ბალანსის “გაოსებისთვის” ბარის ქართული სოფლები სტრუქტურულად გააერთიანეს მთის ოსურ სოფლებთან, თუმცა ისინი ზოგჯერ ერთმანეთისგან 30-40 კმ-ით იყვნენ დაშორებულნი. ხერხმა “გაჭრა”, _ მთიელმა ოსებმა მაშინვე იწყეს განცხადებების წერა ბარის სოფლებში სამოსახლო ნაკვეთების გამოყოფის თაობაზე, რაც რასაკვირველია, დაუყოვნებლივ კმაყოფილდებოდა;

ოსთა "გააფთრებას" განსაკუთრებით ქართული კულტურის ტრადიციები, ძეგლები და ენა იწვევდა (იწვევს) თანაც იმდენად ოსურის დანერგვას როდი ცდილობდნენ, რამდენადაც რუსულისას.

1950-51 წლებში ოსებმა პროკლამაციების გავრცელებით მოითხოვეს დახურულიყო ცხინვალის ქართული თეატრი, რომელიც მე-19 საუკუნეში დაარსდა, ოსური სათეატრო დასი კი 1936 წელს, მთავრობის დეკრეტით, ისიც თბილისში გამოზრდილი მსახიობებით დაკომპლექტდა. პროკლამაციების მოთხოვნა იყო აგრეთვე ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული სექტორის დახურვა.

ისრაელში ებრაელების წასვლისას მათ გაყიდულ სახლებს არ უფორმებდნენ ქართველებს.

1989 წელს ცხინვალის თეატრის სცენაზე დაიდგა პატრიოტული სპექტაკლი "ბახტრიონი", ოსებმა ამბოხი მოუწყეს პრემიერას.

სიმახინჯემდე იყო მისული ცხინვალში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის "საქმიანობა". ამ ძირძველი ქართული მიწის მკვიდრ ქართველთა ყოფაცხოვრების ამსახველი ექსპონანტები გაქრა. სამაგიეროდ უხვადაა წარმოჩენილი ოსური "ექსპონანტები".

"სამხრეთ ოსეთის" სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში არცერთ ქართველს არ უმუშავია (არ ღებულობდნენ). ხოლო მწერალთა კავშირის განყოფილების _ 33 წევრიდან მხოლოდ ერთი იყო ქართველი. ოსიანობის იდეოლოგიური მისწრაფების დამადასტურებელია მათ მეცნიერთა ტოტალური სიყალბით აღსავსე "შრომები", აბსოლუტური უმეტესობა ან მოსკოვშია გამოცემული ან... ადგილობრივ, მაგრამ _ რუსულად! საქვეყნოდ უტიფრად აცხადებდნენ, რომ 1991 წელს მიწისძვრამ დაანგრია და დააზიანა ოსური არქიტექტურული ძეგლები (სინამდვილეში კი აქ მხოლოდ ქართული ისტორიული ძეგლებია).

განგებ ამახინჯებენ (არუსულებენ) ქართული წარმომავლობის ტოპონიმებს: _ ქვასათალი _ ქვასათალ! ცხინვალი _ ცხინვალ; ზამთარეთი _ ზამთარეთ; კიდევ უფრო უხვია მათი "გადაოსების" მაგალითები: ნაკრება _ ნაჭრება; ნადარბაზევი _ ნადარვაზ; მარიამ-ჯვარი _ მარიამ-ჟუარ; და მრავალი სხვა. ქალაქ ცხინვალს ერთხანს სტალინირი დაარქვეს, რაც სტალინ-ოსს ნიშნავს (ხედავთ? ყველაფერს ითვისებენ!). წუნარს _ ხეთაგუროვო უწოდეს და ა.შ.

შიდა ქართლში გავრცელებულ ქართულ გვარებს და უბნებს ოსურად წარმოშობილად აცხადებენ: (ცერანთ-უბანი; სალამანთ-უბანი; ყაზახაანთ-უბანი, კასრაანთ-უბანი; კვანჭახაანთ-უბანი; სალამაძეები, კასრაძეები, წერეთლები, ჯაფარიძეები და სხვ.) მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველებზე ხომ ნადირობაა გაჩაღებული: შოთა რუსთაველი, იოსებ სტალინი, გიორგი სააკაძე ოსებიაო. ხოლო რატომ ოსურად არ ლაპარაკობდნენ და წერდნენ ამას არად დაგიდევენ. ახლახან მორიგი სენსაციური "აღმოჩენა" მოახდინეს: იერუსალიმში ჯვრის მონასტერი ოსების აგებულია, ხოლო შოთა რუსთაველის ფრესკა დავით სოსლანიაო სინამდვილეში. როდი სჯერდებიან ქართველებს, არანაკლები უტიფრობით ეპოტინებიან ევროპული ავტორიტეტების წარმომავლობას. ტეტჩერი _ ტოტჩაევიაო, ხოლო სადაც კი ქვეყანაზე "დონი" ან "ირ" იხსენიება, ყველგან წილს თხოულობენ,

“დონი” ოსურია და წყალს ნიშნავსო (ლონდონი, მდინარე დონი, ირლანდია და სხვა...).

ოსთა “მეცნიერულმა” შარლატანობამ ფანტასტიურ ზღვარს მიაღწია. ოსების პრეტენზიებს ქართულ მიწებზე იმით “ასაბუთებენ”, რომ უხსოვარ დროში ამიერკავკასიაში სკვითები, სარმატები კიმირიელები ლაშქრობებს აწყობდნენ, იმ შენაერთებში ოსთა რაზმებიც მონაწილეობდნენო. ამიტომ, რაკი ამ მიწა-წყალზე ოსებმა სისხლი დაღვარეს, აქაურ სახელმწიფოში წილი ეკუთვნითო(???).

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს თბილისში გამოზრდილ ოს ინტელეგენტთა უმადურობა. მრავალ მათგანს მიეცა გასაქანი მეცნიერებაში, ხელოვნებაში, რასაც ქართველთ მოძულეობით უპასუხეს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ოთარ ჯიოევი _ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

კომპარტიის საოლქო კომიტეტის ერთ-ერთმა პირველმა მდივანმა გიორგი ჯუსოევმა 60-იან წლებში კატეგორიულად მოითხოვა: რაკი ოსებს ოლქის მაღალმთიან რაიონებში უჭირთ, ცხოვრება, ტირიფონის ველზე ჩამოვასახლოთო. ამას ნაწილობრივ მიაღწიეს კიდევაც. ექსპანსიონისტთა იდეის ხორცშესხმას რეალური საფუძველი შეექმნა 80-იან წლებში, როდესაც როკის გვირაბი გათხარეს და ჩრდილო ქართლში მცხოვრები ოსები საგზაო მაგისტრალით დაუკავშირდნენ ოსეთს.

“ოლქში” არნახულად ჰყვაოდა კორუფცია. ეთნოპარტიულ ნომენკლატურული ფუნქციონერების თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით. ამან გამოიწვია სამაჩაბლოს ქართველთა მასობრივი ემიგრაცია. პრივილეგილებულ ოსთა ეთნოკრატიის წარმომადგენლები იოლად აიძულებდნენ ხელმოკლე ქართველებს სახლ-კარი და მიწის ნაკვეთები იაფად მიეყიდათ ახალმოსახლე ოსებისათვის. ამის ფაქტები მრავლადაა. ასე გადაიქცა ოსურ სამოსახლოებად ცხინვალს შეერთებული ძირძველი ქართული სოფლები: გუჯაბაური, დგვრისი, მამისაანთ უბანი.

1970 წელს მაშინდელმა თავკაცმა თორეზ ყულუმბეგოვმა ბრძანება გამოსცა... _ გაეჩეხათ ტროტუარების გაყოლებაზე გაშენებული ვაზის თალარები (როგორც სოციალისტურ ყოფაში კერძომესაკუთრებული ბაცილის შემომტანი “სენი”).

ამ მოღვაწის ოჯახი ისედაც ცნობილი იყო გამორჩეული ქართველთმოძულეობით და თალარებიც აბსოლუტურად უმეტესწილად ქართველთა სახლების წინ იყო გაშენებული!..

წამოწყება რამდენიმე აქციის შემდეგ, ჩაშალა მოსახლეობის ერთსულოვანმა წინააღმდეგობამ, თუმცა რამდენიმე აქცია მაინც “მოასწრეს”.

სპორტისა და განათლების სფეროშიც მაქინაციებს მიმართავდნენ, რომ სპორტულ შეჯიბრებებში წინა პლანზე წამოეწიათ ოსები. უამრავ პროტესტებს კი ყურადღებას არავინ აქცევდა. საწვრთნელი ბაზები ხომ ოსურ-რუსული სკოლებისათვის პირველ რიგში კომპლექტდებოდა, განათლების დარგში ქართველთა დისკრიმინაცია ვლინდებოდა როგორც ფინანსურ-მატერიალური ბაზის სხვადასხვაობაში ოსთა სასარგებლოდ, ისე თვით სწავლების პროცესშიც. I ქართული(!) საშუალო სკოლაში მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი... ოსები იყვნენ, ან ცალ გვერდა ქართველები (ან ცოლი უნდა ყოლოდათ ოსი, ან დედა)

ისედაც უღიმღამოდ შედგენილ საქართველოს ისტორიის კურსს ოსი ასწავლიდა ქართულ სკოლაში(?!).

ბოლო წლებში ქალაქ ცხინვალში ვერ "მოიძებნა" ქართველთა საბავშვო ბაღისათვის შესაფერისი შენობა!

საგულისხმოა, რომ 1982 წელს ოსმა "ინტელიგენტებმა" საქართველოს კომპარტიის ცეკას I მდივანს ედუარდ შევარდნაძეს სკკპ გენერალურ მდივანთან იური ანდროპოვთან უჩივლეს _ ე.შევარდნაძემ თავის მარქსისტულ-ლენინურ წიგნში ოსების ბოლშევიკური დამსახურება დააკნინაო, და არც მეტი და არც ნაკლები: "სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის" გაერთიანება მოითხოვეს.

კომპარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომებსა, პლენუმებსა და სხვა შეკრებებზე ხელმძღვანელებისგან წამდაუწუმ გაისმოდა: ხალხო შეიგნეთ, ცოტანი ვართ და გაგვაუქმებენო, საჭიროა სხვა რეგიონებიდან ხალხის ჩამოსახლება, განსაკუთრებით ცხინვალშიო. სიტყვას საქმეც მოჰყვა. სხვადასხვა მაქინაციებითა და ქართველთა უშუალო დისკრიმინაციით ცხინვალში ქართველობა ეროვნულ უმცირესობად იქცა. ამდენად იოლად ბათილდება ის უბადრუკი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი კოსმოპოლიტი ქართველი ცხინვალის "გაოსებას" ურბანიზაციის ბუნებრივ პროცესს უკავშირებს, (რადა ცხინვალის ირგვლივ დიდი უმეტესობა სწორედ ქართული სოფლებია).

ოლქში ქართველი მოსახლეობის სავალალო მდგომარეობას ისიც მოწმობს, რომ საბჭოების და პარტიულ აპარატში ქართველების წარმომადგენლობა ბევრად მცირე იყო, ვიდრე ეს თუნდაც ოფიციალური აღწერის მიხედვით პროცენტული შემადგენლობით ეკუთვნოდა. 1989 წლის აღწერის მიხედვით, რომელიც უხეში დარღვევებით ჩატარდა, ოსთა დემოგრაფიული შემადგენლობის ხელოვნურად გაზრდის ტენდენციით, "ოლქში" 66,2% _ ოსი ცხოვრობდა, 29% ქართველი, პარტიულ აპარატში 140 კაციდან 34 იყო ქართველი, 85 _ ოსი, თვით საოლქო კომიტეტის აპარატში 37 კაციდან ქართველი მხოლოდ 6 იყო _ 29 კაცი ოსი.

საბჭოების აპარატში 277 თანამდებობიდან ოსებს დაკავებული ჰქონდათ 176, ქართველებს _ 49, მომსახურეობის სფეროში 2408 თანამდებობიდან 1500 ოსებს ეკავათ, 631 ქართველებს; ვაჭრობის სფეროში 226 საშტატო ერთეულიდან; ოსებს _ 174, ქართველებს 32. "ოლქის" კულტურის სამმართველოს უფროსი და ხუთივე რაიონული განყოფილებათა გამგეები ოსები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (განსაკუთრებით ოსებით დასახლებულ პუნქტებში) მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები კატასტროფულად დაბალი იყო, სოციალ-ეკონომიურად ოსებს გაცილებით უკეთესი ხელშეწყობა ჰქონდათ, ვიდრე სსრკ-ს ნებისმიერ ეროვნულ უმცირესობას. ნ.კაბისოვას ცნობით: "სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში განათლებასა და კულტურაზე იხარჯება ადგილობრივი ბიუჯეტის 40%. ეს ბიუჯეტი კი ივსებოდა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მუდმივი დოტაციით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყოფილი "სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი" ეკონომიურად პარაზიტული წარმონაქმნი იყო საქართველოს და საერთოდ, სსრკ-ს სახელმწიფოში,

როცა ოსთა ეთნოკრატიისათვის ნაჩუქარი მიწა-სავარგულები უნიკალური ნაყოფიერებითაა სახელგანთქმული!”

ქართველთა ეროვნული მოძრაობის აღმავლობასთან “ერთდროულად”, რა თქმა უნდა, ეს “შემთხვევითი თანდამთხვევა” არ ყოფილა, “ოლქში” დაიწყო ქართველი მოსახლეობის განიარაღება (სამონადირეო თოფებისგანაც კი), რაც ოსებს არ შეხებიათ! პირიქით! ხდებოდა მათი საიდუმლოდ შეიარაღება, რაზეც თვალებს ხუჭავდა რესპუბლიკური მმართველობა.

დაიწყო კონფლიქტის იდეოლოგიური “შეიარაღებაც”. 1987 წელს დაწყებითი სკოლის პედაგოგმა ჩერმენ ბაგაევმა პროვოკაციული წერილი მისწერა სსრკ-ს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, (საქართველოს გარდა) აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფილარმონიებს და კულტურის სამინისტროებს. ამ წერილით იგი ქართველებს(!) ადანაშაულებს ოსური ცეკვების მითვისებაში, რასაც იმით “ასაბუთებს”, რომ საქართველოს ტელევიზიის გადაცემებსა და გაზეთებში არაა მითითებული ზოგიერთი ცეკვის წარმომავლობაო! საქართველოში არასოდეს უარუყვიათ “სიმდის”, და “ხონგას” ოსურობა, თუმცა, ხელოვნებათმცოდნეებს ამის საბაბი ჰქონდათ! მაგ. ცეკვა “ხონგას” თავდაპირველად ოსებიც კი “ქაშკან ქავთს” ანუ ყაბარდოულ ცეკვას უწოდებდნენ. ხოლო “ნარნარი” ი.სუხიშვილის და ნ.რამიშვილის ანსამბლისთვის შეთხზული ეს ქალთა ცეკვა (ი.არბატოვის დადგმა), _ “უცებ” ოსურ ტრადიციულ ცეკვად იქცა! ჩ.ბაგაევი გვიჩიოდა “ცერულის” ირგვლივაც, რომელიც თითქოს ქართველებმა გადაიღეს ოსებისგან და მოითხოვდა ქართველებს ცერზე შედგომა აკრძალვოდათ (თანაც არც კი ახსენდებოდათ, რომ სვანები ქართველები არიან), და ცერებზე დგომის ოსებისგან გადაღება არ დასჭირდებოდათ. ჩ.ბაგაევს უნდა გავახსენოთ აგრეთვე უძველესი ქართული ტექსტიც: “ეს ბიჭი რა კარგად ცეკვავს, ფეხის წვერებზე (ფრჩხილებზე) დგებაო”...

იმ ხანებში მძაფრდება შიდა ქართლში ოსთა ანტიქართული გამოხდები შეიარაღებული აჯანყების პროვოცირებისათვის.

70 წელიწადს მზადდებოდა ჩრდილო ქართლში ამჟამინდელი სისხლიანი დრამა, რომლის ავტორები რუსეთის ვერაგული იმპერიული პოლიტიკის მესვეურნი, ფაშისტური ცნობიერების გაბრიყვებული ოსი ლიდერები და ბედოვლათი კომუნისტი რენაგატები არიან.

* * *

<u>IX. ოს-ქართველთა ამჟამინდელი კონფლიქტის მოკლე ისტორია</u>

ოსური შოვინიზმისა და ეთნიკური დივერსიის ახალი ტალღა აზვირთდა 1988 წლიდან, როცა სსრ კავშირის რღვევა და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობა რეალურად დაისახა.

საქართველოს ტერიტორიაზე 80-იან წლებში პირველი მიტინგი ოსებმა გამართეს ცხინვალში, როცა კატეგორიული სოციალურ-პოლიტიკური პრეტენზიები წაუყენეს რესპუბლიკურ ცენტრს. ამას მოჰყვა კრემლიდან მართული შოვინისტური ორგანიზაციის “ადამონ-ნიხასის” ეთნიკური დივერსიის გამომხატველი პერმანენტული მიტინგები, რომელთა კონკრეტული მიზანი იყო ოს მოსახლეობაში

ჩრდილო ქართლის მითვისების მისწრაფების გაძლიერება. აქციებიდან აძევებდნენ შემრიგებლური განზრახვით მოსულ ქართველებს. განსაკუთრებით მღელვარება გამოიწვია 1988 წელს საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ქართულის გამოცხადებამ. "ადამონ ნიხასის", რომელიც კგბ-ს პოლკოვნიკმა ა.ჩოჩიევმა შექმნა, თეორიული დოქტრინა გარეგნული ზიზილ-პიპილა ინტერნაციონალურ ფარისევლური მანტიის შიგნით ეთნიკური დივერსიის კონცეფციით არის გაჟღენთილი. ამავე პერიოდში აფხაზეთშიც დაიძაბა მდგომარეობა, "ადამონ ნიხასმა" არ დააყოვნა და მისი მეთაურის სახელით მოუწოდა აფხაზებს, ერთიანი ფრონტით ებრძოლათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად.

ამ პერიოდში სამაჩაბლოს ქართველთა ისედაც უუფლებო მდგომარეობა აუტანელი გახდა. ქუჩებში სახიფათო იყო ქართულად დალაპარაკება. მასობრივად გამოაძევეს ქართველები სამსახურებიდან, მაღაზიებში უზღუდავდნენ სურსათის შეძენას, პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებში გულგრილად და უყურადღებოდა ექცეოდნენ ქართველ ავადმყოფებს, მრავალჯერ მოხდა ქართველი მოქალაქეების ფიზიკური შეუარცხყოფა, ქალაქში გავრცელდა ანტიქართული პროკლამაციები, მაგ. ასეთი: "კარგი ქართველი, მკვდარი ქართველია". რესპუბლიკის მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლება აშკარად უძლური აღმოჩნდა ქართველების სასიცოცხლო უფლებების დასაცავად.

ოსი ექსტრემისტები ერთადერთნი იყვნენ მსოფლიოში, რომლებმაც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია დაუფარავად იზეიმეს. დახიეს საქართველოს ეროვნული დროშები, დაარბიეს ქართული მოსახლეობის მშვიდობიანი მანიფესტაციები.

1989 წლის 10 ნოემბერს ცხინვალში ჩასული საქართველოს კომპარტიის ცეკას მაშინდელი პირველი მდივანი ცემა-ტყეპით გამოაძევეს ოსებმა.

ბუნებრივია, ქართველი მოსახლეობა აღაშფოთა სამაჩაბლოში მოძმეთა დაჩაგვრამ, თბილისში გამართულ ეროვნული მოძრაობის მიტინგზე სამაჩაბლოდან ჩასულებმა მოითხოვეს, ცხინვალში მოწყობილიყო სამშვიდობო მიტინგი მკვიდრ ქართველებთან სოლიდარობისა და მშვიდობის აღსადგენად. ასეთი დანიშნულებისა იყო 1989 წლის 23 ნოემბერს ცხინვალის მისადგომებთან გამართული მრავალათასიანი მანიფესტაცია, რომელსაც ცხინვალისაკენ გზა გადაუღობა სსრ კავშირის შინაგანმა ჯარმა და ოს ექსტრემისტთა მცირე ჯგუფმა.

აღნიშნულმა აქციამ შიდა ქართლის ქართველებს თავდაცვისათვის სიფხიზლე ჩაუნერგა და ეროვნული ღირსება გაუღვიძა, ოს ექსტრემისტებს კი ხელი ააღებინა ცხინვალის ქართული მოსახლეობისათვის "ბართლომეს ღამის" მოწყობაზე, 1990 წლის 9 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ. იმავე წლის 20 ივნისს ამ დადგენილებაში შეტანილ იქნა ფრიად მნიშვნელოვანი დამატება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო "აღნიშნავს რა, რომ ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად საქართველოში დამყარებული ხელისუფლება ჯერ არაარჩევითი ხელისუფლება, ხოლო შემდგომ შეზღუდული, ვიწრო კლასობრივ საწყისებამდე აგებული საბჭოები არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო

აცხადებს უკანონოდ და ბათილად ყველა აქტს, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ და სხვა ინსტიტუტებს და ცვლიდა მათ გარეშე ძალაზე დამყარებული პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებებით (ე.წ. საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 და 26 თებერვლის, 24 მარტის გადაწყვეტილებანი და სხვა)" (112).

მიუხედავად მრავალგზის ბარბაროსული დარბევებისა, ცხინვალსა და ქართულ სოფლებში მოეწყო მშვიდობიანი აქციები საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად, თუმცა ქართველი ხალხის შინა და გარე მტრებმა პროვოკაციულად გამოიყენეს ეს და უკიდურესად დაძაბეს ვითარება, ქართველების წინააღმდეგ ფიზიკურ ძალადობაზე გადავიდნენ. ამის პარალელურად ოსი ექსტრემისტი ლიდერები იურიდიულ დესტრუქციასა და "კანონთა ბრძოლას" იწყებენ. 1990 წლის 20 სექტემბერს "ავტონომიური ოლქის" სახალხო დეპუტატთა საბჭომ "ადამონ ნიხასის" აგრესიული წევრების ზეწოლით მიიღო დადგენილება "სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ". საქართველოს და სსრ კავშირის კონსტიტუციათა უხეში დარღვევებით გამოაცხადეს დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი _ "სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა". იმავე წლის 22 სექტემბერს საქრთველოს უმაღლესმა საბჭომ გააბათილა აღნიშნული აქტი, მაგრამ 16 ოქტომბერს ოსმა ექსპანსიონისტებმა შექმნეს აღმასრულებელი კომიტეტი და არჩევნები დანიშნეს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 22 ნოემბერს გააუქმა ეს დადგენილება და გააფრთხილა ამ აქციის მომწყობნი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. "არჩევნები" მაინც ჩატარდა ყოველგვარი კონტროლისა და დაკვირვების გარეშე. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და გააუქმა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი".

კანონში ნათქვამია: "საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-104 სტატიის მე-3 და მე-12 პუნქტის შესაბამისად ადგენს: 1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი..." (43).

ოსი ექსტრემისტები ამ დადგენილებას აგრესიულად შეხვდნენ, მოხდა შეიარაღებული თავდასხმები ქართველ მოქალაქეებზე: 1990 წლის 12 დეკემბერს ცხინვალში მოკლეს ორი და დაჭრეს სამი ქართველი. ამის საპასუხოდ რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ქ.ცხინვალსა და ჯავის რაიონში საგანგებო წესები შემოიღო და იქ მილიციის გაძლიერებული კონტინგენტი შეიყვანა, მაგრამ მეორე დღესვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უხეშმა ჩარევამ და სსრკ პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებამ მთლიანად შეზღუდა წესრიგის აღდგენის მცდელობა. შემდგომში კი საბჭოთა არმიის სადესანტო ძალების ვერტმფრენების საომარმა მოქმედებამ საბოლოოდ გამოდევნა იქიდან მილიციის ქვეგანაყოფები. ამან ადგილობრივ მოსახლეობას შორის ომში გადაზარდა კონფლიქტი.

ძალების უთანაბრობისა და ოსთა მხრიდან ვანდალური მოქმედების წყალობით ქ.ცხინვალისა და ყორნისის რაიონის მრავალი სოფლის ქართული მოსახლეობა

იძულებული გახდა ლტოლვილი გამხდარიყო. ასეთივე ბედი ეწიათ ცხინვალში მცხოვრებ 200-მდე ებრაულ კომლს და ბევრ რუსულ და სომხურ ოჯახს.

სსრ კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობის (რომელთა შორის ედუარდ შევარდნაძეც იყო) მიზანი შიდა ქართლში ომის გაჩაღებისა, წარმატებით დაგვირგვინდა, რითაც დიდი სიძნელეები შეექმნა იმ დროს საქართველოში დემოკრატიული გზით არჩეულ ლეგიტიმურ სახალხო ხელისუფლებას, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა ამ რეგიონში სამართლიანი მშვიდობის დასამყარებლად. ამ მხრივ დიდად ღირსშესანიშნავია 1991 წელს დაბა ყაზბეგში რუსეთის ფედრაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მაშინდელი თავმჯდომარის ბ.ელცინისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის _ ზ.გამსახურდიას შორის შეთანხმება, რითაც მხარეებმა აღიარეს შიდა ქართლში ოსთა ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის გაუქმება და რეალური გზები დასახეს კონფლიქტის სამართლიანად მოსაგვარებლად. მაგრამ საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ იმპერიული შეთქმულებით, რომელშიც, რუსეთის ფედერაციის უკვე პრეზიდენტი ბ.ელცინიც ჩაითრიეს, საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოხდა, რასაც თითქმის დეოკუპირებული საქართველოს რეოკუპაცია მოჰყვა. ეს დასტურდება რუსეთის შეიარაღებული ძალების ორჯერ უცერემონიო ჩარევით საქართველოს საშინაო საქმეებში: 1991-92 წლების პუტჩში ამიერკავკასიის სამხედრო ჩარევა თვით ამ ოპერაციის არაფორმალურმა სარდალმა გენერალმა ბეპაევმა მრავალგზის აღიარა. ხოლო 1993 წელს, როცა უსისხლოდ წარმატებით დაიწყო კანონიერი ხელისუფლების ფუნქციონირების აღდგენა საქართველოში რუსეთის რეგულარული არმიის (300 ერთეულიანი სატანკო დივიზია, სამხედრო-საჰაერო ძალები, საზღვაო ფლოტი 11 გემის შემადგენლობით, სადესანტო ნაწილები) უშუალოდ ჩარევამ ეროვნული გვარდიის წინააღმდეგ კვლავ მოახდინა საქართველოს პერმანენტული დაპყრობა და აქ მარიონეტული ხელისუფლების განმტკიცება, რასაც საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების აღდგენა და ჩრდილო ქართლისა და აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციიდან გამოსვლა მოჰყვა. მარიონეტული ხუნტის მოსვლამ ჯერ არნახულად გაამწვავა ქართულ-ოსური კონფლიქტი, ხოლო 1992 წლის 24 ივნისს დაგომისში დადებულმა ქართველებისათვის სამარცხვინო კაპიტულანტურმა გარემოებამ დიდი ხნით გადასდო რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა, რასაც აქ შემოყვანილი რუსეთის ე.წ. "სამშვიდობო ძალები" განაპირობებენ.

ამან ისე გაათავხედა ოსი ექსტრემისტი ეთნოდივერსანტები, რომ ცხინვალსა და ჯავის რაიონში, აგრეთვე ყორნისის რაიონის ნაწილზე კონტროლი დაამყარეს (რუსი ჯარის მონაწილეობით) და ბუტაფორული "დამოუკიდებელი სახელმწიფოს" "მართვა-გამგეობას" შეუდგნენ. ამას მხარს უჭერენ ეუთო და საქართველოს მარიონეტული რეჟიმი. დაგომისის გარიგება ჩრდილო ქართლის დათმობისა და აფხაზეთში წასაგები ომის დაწყების ნიშანსვეტია. "ჩიბიროვის რესპუბლიკის" შექმნას ხელს უწყობს რუსეთისა და საქართველოს ამჟამინდელი ოფიციოზის პროპაგანდისტული აჟიოტაჟი ქართველების მხრიდან ოსების გენოციდის თაობაზე საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, კომუნისტმა ვ.რაზმაძემ განდევნილ

ზ.გამსახურდიას "ოსების გენოციდი" მიაწერა და ნ.ნათაძესთან საუბარში აღიარა, რომ მან ეს იმ მიზნით მოიმოქმედა, რომ საბაბი მოეპოვებინა სომხეთის მთავრობისაგან ზ.გამსახურდიას გადმოცემის მოსათხოვად. მაგრამ ამ კომუნისტმა ვერ მოიფიქრა, რომ ოსი ექსტრემისტებისათვის "ფაშიზმის" კვალიფიკაცია მიეცა, რასაც ადვილად დაამტკიცებდა მათი მოღვაწეობის მასალებით: ჯერ ერთი იმით, რომ მათ ეთნიკური წმენდა მოაწყეს, მეორეც, იმით, რომ მათი ტერიტორიული პრეტენზიები ფანტასტიური ექსპანსიონისტური რუკებითურთ დამყარებულია რასობრივ მოტივაციაზე და არა იურიდიულზე, პოლიტიკურზე ან თუნდაც ისტორიულზე. ამ მხრივ, უაღრესად ნიშანდობლივია 1991 წლის თებერვალში გაზეთ "იზვესტიაში" დაბეჭდილი ოსი ინტელეგენტების პასკვილი ქართველების წინააღმდეგ, რომელიც რასისტული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი (120). დეზინფორმაცია ტლანქი ცინიზმით გააღრმავა საქართველოში პუტჩის შედეგად ჩამოსულმა ე.შევარდნაძეს ცნობილი დეპეშით ოსთა თვითმარქვია ლიდერის _ ტ.კულუმბეგოვისადმი, რომელშიც ამ თვითმარქვიას "მისი აღმატებულობით" მიჰმართა და ბოდიში მოუხადა იმ ხანებში სოფ. ძართან, რომელსაც ოსები აკონტროლებენ, სამგზავრო ავტობუსზე შეიარაღებულ თავდასხმასთან დაკავშირებით (43).

ამასთან, ყოვლად უცერემონიოდ და ყოველგვარი გამოძიების გარეშე ავტობუსზე თავდასხმა ქართველებს დააბრალა და განზოგადოებული საფუძველი შექმნა ოსთა გენოციდის "დასასაბუთებლად". გარდა ამისა, არის უსაფუძვლო და უტიფარი სხვა ბრალდებები ქართველი ხალხის მიმართ. მაგალითად თითქოს ბორჯომის ხეობიდან განდევნილი და დახოცილი ყოფილიყოს ასობით ოსი ეროვნების ოჯახი, რაც აშკარა სიყალბეა. ბორჯომის ხეობიდან ოსებიც მცირე ნაწილი აიყარა, მათგან ბევრმა ბინის საფასური ადგილზე მიიღო. საერთოდ იმ დროს ფანტასტიკურ ციფრებს გადმოსცემდა რუსეთის ტელევიზია, თითქოს საქართველოდან განდევნილი ყოფილიყოს 180000 ოსი მოქალაქე. მათ ავიწყდებოდათ რომ სულ საქართველოში 160000 ოსი ბინადრობდა(?!).

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ ოსი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი დანაშაულის უდიდესი ნაწილი მოდის საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის თაოსნობით ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგოდ 1988 წელს შექმნილი კრიმინალური ჯგუფებისა და ორგანიზაციების მიერ.

ხოლო არც ქართველთა და არც ოსთა უზურპატორულ მმართველობას კრინტიც არ დაუძრავთ ქართველთა წინაშე დანაშაულობებზე. ხომ ცნობილია, თუ როგორ დახერხეს ოსმა ტერორისტებმა ვიგენტი დათაშვილი, ცოცხლად რომ მოხარშეს რ.ტოლიაშვილი, ცოცხალს ამოაცალეს გული ოქროპირიძეს, ხელფეხი ააჭრეს ე.ხადურს, მანამ კი ცხენის კუდით ათრიეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს ოთხი ახალგაზრდა: მ.მინდიაშვილი და სხვები. აკვანში მოკლეს ჩვილი გ.ნიკორაშვილი, გაუგონარ ავკაცობით მოექცნენ 17 წლის გოგონა გაბუნიას, თვენახევარი ჰყავდათ ცხინვალში და ჯგუფურად ძალადობდნენ მასზე. შემდეგ გაუშვეს, მაგრამ გორამდეც ვერ ჩააღწია ცოცხალმა. ოსმა ტერორისტებმა დაუნდობლად მოკლეს 15 წლის ელიკო ჭულუხაძე და დაჭრეს მისი თანაკლასელი თამრიკო ბაბუციძე.

იმავე ხანებში სოფელ ზემო ოქონაში ტასო ბუზალაძე ოთხმა ტერორისტმა აწამა და შემდეგ საკუთარი სახლი დაუწვეს.

იმ ხანებშივე სოფელ ავნევში მახმუდ და ყარამან სიქტურაშვილები და ყარამანის ძმისშვილი დახოცეს.

მანამადე ოსმა ექსტრემისტებმა დახოცეს ვეფხია თუთარაშვილი და დედამისი. 1991 წლის დასაწყისში ცხინვალში, ბაღების ქუჩაზე სახლში მიუვარდნენ და წამებით მოკლეს ზოია კობალაძე, იმავე ხანს ოსმა ბოევიკებმა მოკლეს რენო სადღობელაშვილი.

1991 წლის ზაფხულში ოსმა ტერორისტებმა ავტომატის ჯერით დაცხრილეს 22 წლის მამუკა ბასიშვილი, რომელსაც მანქანით გორიდან სამშენებლო მასალა მიჰქონდა მიწისძრვისგან დაზარალებულ ხეობაში. ამავე ხანში ოსების ხელით დაიღუპა სოფელ ველების მცხოვრები 56 წლის ვლადიმერ ბედოიძე. 1991 წლის 21 მაისს სოფელ კოდაში, როცა ოსი ტერორისტები რუს სამხედროებთან ერთად ჯავშანტრანსპორტიორებით არბევდნენ ქართულ სოფლებს 31 წლის თემურ იორღანაშვილის სიცოცხლე შეიწირეს.

1991 წლის დასაწყისში ოსმა ტერორისტებმა წამებით მოკლეს ნუგზარ და დათო კასრაძეები.

1991 წლის ზაფხულში ოსმა "ბოევიკებმა" დახოცეს სოფელ ველების მცხოვრებნი: იოსებ კოპაძე და სოსო მარგიშვილი. 1991 წლის ნოემბრის ბოლოს ერედვ-ფრისის გზაზე მანქანით მიმავალი ანდრო (ცაცი) ოქროპირიძე, როლანდ ტოლიაშვილი და აკაკი ცოტნიაშვილი შეიპყრეს ოსმა ტერორისტებმა, სასტიკად აწამეს და ვანდალურად მოკლეს. 1991 წლის 12 მაისს ოსმა ტერორისტებმა ბარბაროსულად აწამეს, დახოცეს და დაწვეს: კობა და მიშიკო ქარელები, ნიკო ოდიშვილი, იაკობ ჩიხლაძე, ვასია ღამბაშიძე და მორის კალატოზიშვილი. 1991 წლის 8 თებერვალს ოსთა ტყვიამ იმსხვერპლა 27 წლის ქემერტელი გიორგი ყაულაშვილი. 1991 წლის 23 ნოემბერს რუსი სამხედროების გასროლილი რაკეტით სოფელ ნიქოზში დაიღუპა სანდრო შალუტაშვილი. 1991 წლის 7 აპრილს ოსებმა მოკლეს ვანათელი მერაბ ჯოჯიშვილი.

ოსი ტერორისტები ცხინვალში 1991 წლის იანვრის თვეში სახლში მიუვარდნენ და დაცხრილეს ჯატიევის ქუჩაზე მცხოვრები ამირან რომელაშვილი, ასევე თავისივე ეზოში ავტომატის ჯერით მოკლეს მამისაანთუბანში მცხოვრები სპარტაკ მიდოდაშვილი. 1991 წლის 3 მარტს ოსი ტერორისტები სახლში მიუვარდნენ და ქართველობისთვის წამებით მოკლეს ოთხი შვილის მამა სიმონ გალეგაშვილი. იმავე წლის 27 იანვარს ოსმა ექსტრემისტმა ბანდიტებმა ალყაში მოაქციეს და გარედან ხელყუმბარები (ლიმონკები) დაუშინეს 8 ივნისის ქუჩაზე მცხოვრებ გოგი მუსხელიშვილის სახლს. გ.მუსხელიშვილმა და მასთან შესწრებულმა მეზობლებმა: გ.ოქროპირიძემ, რომელსაც მანმადე სახლ-კარი დაუწვეს და ვალიკო ხიზანიშვილმა თავდაცვისა და სახლის გადარჩენის მიზნით იწყეს ნასროლი "ლიმონკების" სწრაფად აკრეფა და ეზოდან გარეთ გადაყრა, მაგრამ სახლი აფეთქდა და შიგმყოფები მძიმედ დაშავდნენ. სახლში შემოჭრილმა ბანდიტებმა ცემით ძირს დააგდეს ჯერ კიდევ ფეხზე მდგომი თავსისხლდადენილი გ.მუსხელიშვილი და

ვ.ხიზანიშვილთან ერთად ეზოდან შორს ათრიეს და გადაყარეს. სახლის ეზოში სიბნელის გამო დახოცვას და თრევას გადაურჩა გ.ოქროპირიძე და სახლის პატრონის დედა მოხუცი ელენე ხადური-მუსხელიშვილისა. მოგვიანებით ჩაბნელებულ ეზოში სასწრაფო დახმარების მანქანა გაჩერდა, რომლითაც, სურვილის საწინააღმდეგოდ, ხელგაგლეჯილი გ.ოქროპირიძე საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო მომაკვდავი მოხუცი ქალი ე.ხადური-მუსხელიშვილისა ორ დღეში გარდაიცვალა.

მინდორში გადაყრილი დაზარალებული ადამიანები _ გ.მუსხელიშვილი და ხიზანიშვილი მე-2 დღეს ცხინვალის საავადმყოფოში აღმოაჩინეს ახლობლებმა და თავიანთი მოხერხებული მცდელობით დროულად მოაცილეს იქაურობას და გადაიყვანეს თბილისის საავადმყოფოში, ხოლო გ.ოქროპირიძეს ვეღარაფერი უშველეს. იმავე ხანებში სოფელ გუჯაბაურში ოსები თავს დაესხნენ იქ მცხოვრებ ქართველებს. სასტიკად სცემეს ნიკო, ამირან და ომარ ჭამპურიძეები, ვახტანგ კობალაძე, ნუგზარ ელბაქიძე და სხვები. მძიმედ დაჭრეს ჟურნალისტი გივი ჭამპურიძე და მოხუცი გრიგოლ გუნდიშვილი. გადაწვეს ქართველთა სახლები.

ცხინვალში მუსხელიშვილების სახლის დაწვის პარალელურად და შემდგომ პერიოდშიც ოსი ექსტრემისტების ხელით ზედიზედ იწვოდა: მარო ლურსმანაშვილის, ლუბა და ირაკლი ლაფაჩების, ოთარ ნასყიდაშვილის და ბევრ სხვა ქართველთა სახლებიც, სულ მარტო ცხინვალში 580-ზე მეტი ქართველის სახლია დამწვარ-დარბეული, დაზიანებული, გაძარცული, ხოლო არცერთი ოსისა, გარდა იმ უმნიშვნელო დაზიანებისა, რაც ოსების თითოოროლა ბინას მიადგა პუტჩის შემდგომდროინდელი: ჯერ სამხედრო საბჭოს, ხოლო შემდეგ ე.შევარდნაძის "სახსაბჭოს" მმართველობის პერიოდში პროვოკაციულად ცხინვალზე დაშენილი უმუხტო ჭურვების ("ბოლვანკების") შედეგად.

ზ.გამსახურდიას მმართველობის მანძილზე, რომელსაც ე.შევარდნაძე "პროვინციალ ფაშიზმად" იხსენებს, ქართული მხრიდან ოსური მხრისკენ არცერთი საარტილერიო დაშენა არ მომხდარა.

ოსი ექსტრემისტ-ტერორისტების მიერ ვანდალური აქტებია ჩადენილი ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონშიც. 1991 წლის ოქტომბრის თვეში სოფ. ალიბარში მცხოვრები ხანშიშესული გოგი ნადირაძე საკუთარი სახლის ხანძარში ოსმა ექსტრემისტებმა ძალით შეაგდეს და დაწვეს. ასევე მოიქცნენ სოფ. ხუნდსუბანშიც, როცა მიხეილ და ნადია გაგნიძეების სახლს წაუკიდეს ღამით ცეცხლი, ძალით ხანძარში შეაგდეს და დაწვეს ამ სახლის სტუმარი მაშო როსტომოვი-კობერიძისა. 1991 წლის 24 იანვარს ოსი "ბოევიკების" ტყვიით მოკვდა ნაბაკეველი კაკო მაისურაძე. 1992 წლის იანვარში ზნაურში, ხეთაგუროვის ქუჩაზე მცხოვრებ მარტოხელა 90 წლის მოხუც ქალს _ ლუბა ტრანკაძე-ბაღდინოვისას ოსმა ექსტრემისტმა ქალებმა ჯერ გაუძარცვეს სახლი და მერე დაძინებულს ღამით ცეცხლი წაუკიდეს და სახლიანად გადაწვეს.

1992 წლის 22 იანვარს ხეით-ერედვის გზაზე ოსებმა შეიპყრეს და ბარბაროსული წამებით მოკლეს ბეჟან ხაბარელი. ოსი ტერორისტების მსხვერპლი გახდნენ სიმონა ხადური, ნოდარ ჯანაშვილი. 1992 წლის ბოლოს სოფ. ახალშენში გაავებული ოსი ექსტრემისტების ხელით დაიწვა სახლები. ავტომატების ჯერით დაიცხრილა

სოფლის გზაზე მიმავალი ცოლ-ქმარი ლეო და ეთერ მესხები. იმავე სოფელში ოსმა ექსტრემისტებმა ჯალათურად დახოცეს ვასკა ხუციშვილი, ილიკო სადღობელაშვილი და მისი მეუღლე ელენე მესხი, ისინი ჯერ დაცხრილეს ავტომატების ჯერით და მერე მათ გვამებს ბენზინი გადაასხეს და დაწვეს.

ცნობილია, აგრეთვე რომ იმავ ხანებში სოფ. ახალშენიდან ხუნდისუბნიდან და სხვა სოფლებიდანაც შეიარაღებულმა ოსმა ექსტრემისტებმა ძალის გამოყენებით ბინებიდან გარეკა რამოდენიმე უდანაშაულო ქართველი ქალი და კაცი და ჩაამწყვდიეს ერთად შენობის ერთ სარდაფში დამცირებისა და შეურაცხყოფის მიზნით.

ოსი ექსტრემისტების მიერ ნაწამებ ახალშენელ ბეგლარ კასრაძეს ცხინვალის საავადმყოფოში დიდხანს უწამლოდ და უყურადღებოდ ნამყოფს, გორის საავადმყოფოში დაგვიანებულმა მკურნალობამ ვეღარ უშველა და მალე იქ გარდაიცვალა.

1992 წლის 12 მაისს სოფ. ფრისის მახლობლად ოსმა ექსტრემისტებმა აწამეს და მერე დაწვეს ქართველები: ჩიხლაძე სოფ. ტყვიავიდან, გურამ გოგიშვილი სოფ. ერედვიდან და სხვები. სულ რვა ახალგაზრდა. გაურკვეველ ვითარებაშია მოკლული ცხინვალელი ლუარსაბ დევიძე. ქ.ცხინვალში წამებით მოკლულია მშვიდობიანი მოქალაქე ლ.კახნიაშვილი. კონფლიქტის პერიოდში ოსებმა სოფ. ხეითიდან, ვანათიდან, ქემერტიდან, ძარწემიდან და ახალგორის რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან მრავალჯერ გაიტაცეს ქართველების კუთვნილი ნახირი და ცხვრის ფარა.

ქვემოთ მოგვყავს არასრული სია იმ მშვიდობიანი ქართველებისა, რომლებიც ოსი ტერორისტებისა და რუსი სამხედროების ხელით დაიღუპნენ და აგრეთვე იმ მრავალ მძიმე დანაშაულობათა ნუსხა, რაც მოხდა შიდა ქართლში რუსების ე.წ. "სამშვიდობო ძალების" შემოყვანის შემდეგ.

1992 წლის ივნისში ცხინვალის შესასვლელთან ოსი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა 38 წლის კოტე კასრაძე.

1992 წლის ივნისის თვეში ცხინვალში, ბაღების ქუჩაზე ცეცხლი დაუშინეს დავით მეტრეველს, მისი ძმისშვილი, სულით ავადმყოფი ვაჟა მეტრეველი აწამეს ფსიქიატრიული საავადმყოფოს ეზოში. იმავე წლის ზაფხულში სოფ. ფრისთან მოკლეს ედიშერ კახნიაშვილი. 1992 წლის ივნისში ოსი ტერორისტების მიერ დაგებულ ნაღმზე აფეთქდნენ ზემო ნიქოზელები: გივი კანდელაკი, ზაქრო მჭედლიძე და იაკობ ლომიძე, იმავე ხანებში საკუთარ სახლში მოკლეს გიორგი მეშვილდიშვილი. იმ ზაფხულშივე ოსმა ტერორისტებმა სოფ. ხეითთან მანქანაში ჩახოცეს აჩაბეთელები _ მამუკა პაპელიშვილი და ბიძინა ხაბარელი, აგრეთვე ქურთელი ნუკრი ხაჭაპურიძე. იმ დროსვე სოფ. ქემერტში ოსმა "ბოევიკებმა" საკუთარ სახლში ბარბაროსულად დახოცეს მამა-შვილი ივერი და გელა ხეთაგაშვილები, ხოლო გელას მეუღლე დაჭრეს, რომელიც მცირეწლოვან შვილს გადაეფარა. 1992 წლის აგვისტოში სოფ. ავნევთან ოსმა ტერორისტებმა დახოცეს შვიდი ქართველი (ფარასტაშვილი, ბიჩინაშვილი, გოგელაშვილი და სხვები), რომელთაგან ექვსი საქართველოს "სამშვიდობო" ჯარში მსახურობდა.

1992 წლის 23 სექტემბერს სოფელ აჩაბეთში ოსებმა მოკლეს ბიძინა ხაბარელი. მანამდე ზაურ ხაბარელი.

1992 წლის ნოემბერში სოფ. მამისაანთუბანში ოსების მიერ ვერაგულად დაგებულ ნაღმზე აფეთქდნენ: სოსო კახნიაშვილი, დავით კასრაძე, გია კეკოშვილი, სანდრო მამისაშვილი. იმავე თვეში ცხინვალის მისადგომებთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეურაცხყოფა მიაყენეს და სატელევიზიო კამერა დაუმტვრიეს ჟურნალისტ მაყვალა ოქროპირიძეს. 1992 წლის ბოლოს ცხინვალში დახოცეს ცოლ-ქმარი დათა და ნათელა მეტრევლები და მათი მეზობელი ნუნუ ცაციაშვილი. იმავე წლის დეკემბერშივე რუსმა ჯარისკაცებმა(!) სოფ. ერედვისაკენ მიმავალ გზაზე ავტომატის ჯერით დახვრიტეს იქაურები _ როსტომ და გივი ბერუაშვილები, რომლებიც მანქანით ბრუნდებოდნენ გორის მხრიდან. ამ საქმის თაობაზე ვიჩივლეთ რუსეთის ჯარის სარდლობასთან, მაგრამ დამნაშავეები _ რიგითი მოჟაევი და პრაპორშჩიკი გერასიმოვი "სხვა ნაწილში გადაყვანის გამო"(?!) არ დასჯილან.

1993 წლის იანვარში ხერხემალში მძიმედ დაჭრეს ფეხშველაშვილი, რომელიც ცხინვალის გავლით შინ ბრუნდებოდა. იმავე წლის თებერვალში ცხინვალიდან გამოსროლილმა ტყვიამ ქალაქის შესასვლელთან ადამიანთა ჯგუფში მყოფი ქალი იმსხვერპლა.

1993 წლის მაისის ბოლოს ყორნისის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, სადაც "სამშვიდობო ჯარის" ქართული შენაერთი იყო განლაგებული, ოს-რუსთა კონტინგენტის ჯგუფმა ცხინვალში შეიტყუა ქართული ჯარის ნაწილის უფროსის მოადგილე, მაიორი გელა ლომოური და მისი მძღოლი პავლიაშვილი. ისინი სასტიკი წამებით დახოცეს.

1993წ. დეკემბერში ოსებმა სოფ. ხეითთან ვერაგულად დახოცეს მერაბ ყაულაშვილი, ტატულა ჭულუხიძე, მალხაზ დათაშვილი და ქართლოს კობერიძე.

1994 წლის აპრილში სოფ. ორჭოსანთან, სადაც ოსები ცხოვრობენ, ყელი გამოჭრეს იური მეშვილდიშვილს. იმავე წლის 1 ივნისს სატვირთო მანქანით ცხინვალის გავლისას მანქანაში მოკლეს გია ხმიადაშვილი და მძევლად აიყვანეს კახა დოლიაშვილი, რომელიც შემდეგში საშინელი წამებით მოკლეს. დედამისის თქმით, გვამს ამოკვეთილი ჰქონდა შინაგანი ორგანოები.

1994 წლის 24 ივლისს ცხინვალში შესული ზემონიქოზელი ზურა ლაზარიშვილი მოკლეს თავის მანქანაში. 1994 წლის 25 ივლისს სოფ. ქურთაში შარაგზის პირას მიმავალ ქალს _ ჭულუხიძეს ოსმა დააჯახა ავტომანქანა და მოკლა. იმავე დღეებში ასევე დააჯახეს ავტომანქანა ბაბუციძეს და დააშავეს, არავინ დაუსჯიათ.

1994 წლის 22-23 ივლისს ნიქოზის ნახირს თავს დაესხა შეიარაღებულ ოსთა ჯგუფი. მოინდომეს მწყემსების მძევლად აყვანა და ნახირის გარეკვა. მწყემსებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაშინ ოსებმა დახოცეს 6 ძროხა და 7 დაჭრეს. ამის შემდეგ ნიქოზელებმა მძევლად აიყვანეს ოსი მწყემსი და მოითხოვეს ზარალის ანაზღაურება. ამის საპასუხოდ ცხინვალიდან ნიქოზს მოადგა ხუთზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორი. ე.წ. "სამშვიდობო ჯარის" ქართული კონტინგენტი გაიქცა.

უპატრონოდ მიტოვებულმა ნიქოზელებმა დააბრუნეს მძევალი. ზარალი ზარალად დარჩა.

1994 წლის 26 ივლისს სოფ. ერედვთან ოსმა ტერორისტებმა გაიტაცეს ქართველების კუთვნილი ბენზინით სავსე ავტოსაზიდი. იმავე წლის 29 ივლისს სოფ. არცევიდან მძევლად გაიტაცეს ჩხეიძე და გამოსასყიდად 10 მლნ რუბლი მოითხოვეს. 6 აგვისტოს ოსებმა სოფ. საცხენეთიდან გაიტაცეს 4 ძროხა და 2 ხბო. იმავე დღეს სოფ. თამარაშენიდან ოსებმა დათაშვილების ოჯახს მოსტაცეს ხბო.

ზაფხულის ცხელ დღეებში ოსები ხშირად კეტავენ შიდა ქართლის სარწყავ არხებს. 1992 წლის 20 აგვისტოს ცხინვალში, საკუთარ სახლში თავში კონდახის დარტყმით მოკლეს მოხუცი ქალი მარგალიტა ბურნაძე, რომელსაც ადრე შვილი მოუკლეს სახლის კარწინ. 1994 წლის 20 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე შეეცადა ცხინვალში შესვლას. ქალაქის შესასვლელთან მას გზა გადაუღობა ოსების ტანკმა და უკან გამოაბრუნეს. "რუსმა სამშვიდობო ჯარის" წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ ამ საქმეში არ ერევიან. 1994 წლის 29 აგვისტოს ცხინვალის გამოსასვლელთან ოსმა ტერორისტებმა ბლოკირებული სოფლებიდან მომავალი ავტობუსი გააჩერეს, ხალხი ჩამოსხეს, სასტიკად სცემეს და ლანძღეს, მერე ფეხით გამოუშვეს. ამას უყურებდნენ რუსთა "სამშვიდობო ძალები".

1994 წლის აგვისტოს ბოლოს ოსებმა ზედიზედ ორი ავტომანქანა წაართვეს ქართველებს. 1994 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში ქართველების წინააღმდეგ დანაშაულობათა ესკალაცია მოხდა:

ბლოკირებული სოფლის მცხოვრებლები ტყეში ვერაგულად დაგებულ ნაღმზე აფეთქდნენ და მძიმედ დაიჭრნენ. ისინი თბილისის საავადმყოფოში დააწვინეს.

ასევე ნაღმზე აფეთქდნენ ხეითისა და ვანათის მცხოვრებლებიც. 1994 წლის 18 სექტემბერს ოსებმა მძევლად აიყვანეს და დაატყვევეს ვასიკო მინდიაშვილი. მასობრივი ხასიათი მიიღო ქართველებისაგან ავტომანქანების გატაცებამ, რის აღმოსაფხვრელად არავინ არაფერს აკეთებს, ხოლო როცა, ერთ-ერთმა ოსმა მანქანა დაკარგა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საყოველთაო ძებნა გამოაცხადა.

ეს ნაწილობრივი ნუსხა დადასტურებაა იმისა, თუ როგორ "იცავენ მშვიდობას" ამ რეგიონში მყოფი რუსეთის ნაწილები.

1997 წლის მაისის ბოლოს ოსმა ტერორისტებმა არცევში შეიტყუეს ფლავისმანელი ბესიკ თენაძე, მხეცურად მოკლეს იგი და მისი თანასოფლელებისგან ადეკვატური ქმედების შემდეგ ააფეთქეს ბესიკის და ორი ქართველის საფლავები. რაკეტები დაუშინეს ბესიკის სახლ-კარს და მოკლეს ალბერტ ქოზაშვილი.

1997 წლის 27 ივლისს თამარაშენში ააფეთქეს ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი. აფეთქება მოხდა სამხედრო-პროფესიული ნაღმებით.

ყველასათვის ცნობილია, რომ რუს "მშვიდობის დამამყარებლებს" აქ დაძაბულობა უფრო აძლევთ ხელს, რადგან ისინი საკმაო "გასამრჯელოს" ღებულობენ შფოთიანობისას მოსახლეობის გადაყვანა-გადმოყვანისათვის, აგრეთვე

დიდძალ ფულს იხდიან ქართველები დაღუპულთა ცხედრებისა და მძევლების გამოსასყიდად. ამით ხელს ითბობენ "მშვიდობის მაძიებლები".

ოს ქართველთა კონფლიქტის დროს დაღუპული ქართველების და მათ წინააღმდეგ ჩადენილ სხვა დანაშაულებათა ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი მეტად მცირეა რეალურთან შედარებით, რადგან საქართველოს მარიონეტული მმართველობა ევროგაერთიანების წარმომადგენელთა წაყრუებით არ აქვეყნებს ოფიციალურ ცნობებს, რითაც ჩქმალავს ქართველი მოსახლეობის ნამდვილ გენოციდს.

მდგომარეობის სტაბილიზაციის მოსაჩვენებლად მოხდა ყორნისის რაიონში ჰუმანიტარული დახმარების ეგიდით რამდენიმე კოტეჯის შეტანა. ქართველებს ოსები არ აძლევენ უფლებას თავისუფლად იცხოვრონ ამ კოტეჯებში.

რაც შეეხება ოსი ექსტრემისტი "ხელმძღვანელობის" პრეტენზიას, რომ საქართველომ "სამხრეთ ოსეთს" უნდა გადაუხადოს კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზარალი _ ძირითადად დაზარალებული ხომ სახლ-კარ გადამწვარი და გაძარცვული ქართველობაა. მთლიანი ზარალი უნდა ზღონ კონფლიქტის წამომწყებებმა _ რუსეთმა და ოსმა ჯანყისთავებმა.

განსაცვიფრებელია ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით ეუთოს, მიკერძოებული როლი შიდა ქართლში კონფლიქტის მოგვარების მცდელობაში, მხარი დაუჭიროს კომუნისტური ძალადობის ნაყოფის _ შიდა ქართლში პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულის აღდგენას.

აღმაშფოთებელია ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით მოწყობილ ფორუმებზე (მაგ. ტაბახმელის, ნორვეგიის სემინარები) უპასუხისმგებლო, ძალადობის წამქეზებელი "თეორიული" საფუძვლების შემოთავაზება ქართველ ლტოლვილთა შინ დაბრუნების აღსაკვეთად: თურმე მკვიდრი მოსახლეობის ბინებში ყაჩაღურად შეჭრილი მოძალადეების გამოსახლება ვითარებას დაძაბავს(?!). ამ დროს ქართველთა ბინებში ჩასახლებულ ოსთა საცხოვრებლებში დევნილთა ცხოვრება სასტიკად ისჯება.

გარდა ამისა, თურმე ლტოლვილთა შინ დაბრუნებამდე აუცილებელია მათი და ადგილზე დამხვედრთა შეგნებაში ძირეული "დემოკრატიზაცია", რისთვისაც ნაირ-ნაირ აბსურდულ მეთოდებს იგონებენ: "კომუნის" ტიპის ერთად ცხოვრების საცდელ პოლიგონებს, რელიგიურ მრწამსთა შერწყმას, შერეული ოჯახებისათვის პრივილეგიების მიცემას და სხვა.

უფალო შეგვიწყალე!

ამასობაში "ჩიბიროვის რესპუბლიკაში" გამალებით ხდება შეიარაღება, საფორტიფიკაციო სამუშაოები, ოსი მოსახლეობის ფსიქიკის ფაშისტური დამუშავება.

* * *

<u>X. ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტი</u>

კრემლიდან პროვოცირებული ქართულ-ოსური დაძაბულობა "კანონთა ომში" გადაიზარდა. "სამხრეთ ოსეთის" თვითმარქვია ხელისუფლებამ 1990 წლის 20 სექტებმერს მიიღო "სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის" შესახებ დეკლარაცია, რასაც

საფუძვლად დაუდეს “ოსი ხალხის თვითგამორკვევაზე უფლება”. ამ აქტით ავტონომიური ოლქი გამოაცხადეს “ოსი ხალხის სახელმწიფოებრივ ფორმად”. ამავე დღეს ცხინვალის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება “სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკად ავტონომიური ოლქის გარდაქმნის” თაობაზე.

აღნიშნული აქტებით მაშინდელი სამართლებრივი სტატუს-ქვოს აშკარა დარღვევა ცხადია. იმ დროს საქართველოში მოქმედი კონსტიტუციის თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების განმგებლობაში იყო რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა. საქართველო ამ დროს სსრკ კანონთა უზენაესობას აღარ ცნობდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 21 სექტემბერს გააუქმა ზემოთ ნახსენები დეკლარაცია და გადაწყვეტილება. მაგრამ ცხინვალის მმართველებმა უგულვებელყვეს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოს დადგენილება და 16 ოქტომბერს დანიშნეს ე.წ. “სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები”, რაც ყოველგვარი კონტროლისა და დაკვირვების გარეშე ჩაატარეს კიდეც.

ოსმა პოლიტიკურმა ექსტრემისტებმა ისარგებლეს საქართველოში პოლიტიკური ვითარების გამწვავებით და 1992 წლის იანვარში “მოაწყვეს” ყოვლად უკანონო რეფერენდუმი “სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობისა და რუსეთთან მისი შეერთების” თაობაზე. მათ სულ რამდენიმე დღეში “მოამზადეს” ეს “გამოკითხვა”, რომელიც მიმდინარეობდა კონფლიქტის პირობებში. ხმის მიცემაში მონაწილებდნენ მხოლოდ ოსები.

მოსკოველი პოლიტოლოგების ე.პანინისა და ა.პოპოვის აზრით, აღნიშნული “რეფერენდუმი” გამოდგა “მორალურად გაუმართლებელი, იურიდიულად საეჭვო, პოლიტიკურად უეფექტო” (101).

შიდა ქართლში კონფლიქტის გამწვავება ბევრად იყო განპირობებული იმ დროს საკავშირო ცენტრსა და საქართველოს შორის პოლიტიკური დაპირისპირებებით.

საქართველოში ოსების სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის _ როგორც ტერიტორიული ავტონომიის _ უფლების აბსურდულობა აშკარაა.

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა გვიანი გადმოსახლების ფაქტი იმდენად ცხადია, რომ კამათი მხოლოდ იმაზეა, როდის გაჩნდნენ საქართველოში ოსთა კომპაქტური დასახლებანი.

საქართველოში მცხოვრები ოსები არ მიეკუთვნებიან ავტოხტონურ ტომებს. მათი ისტორიული სამშობლო ადგილი ჩრდილო კავკასიაა და საქართველოში მათ სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის უფლება არა აქვთ. მაშასადამე მათი “რეფერენდუმიც” ფიქციაა.

ასეთ უფლებაში არ შედის სხვა ერის ქვეყანაში უმცირესობის (ადგილობრივი უმრავლესობის) მიერ ტერიტორიული ავტონომიის მიღება. ასეთ უფლებას არ იცნობს არც ერთი საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი დოკუმენტი.

თვითგამორკვევა ხომ ის ძირითადი უფლებაა, ურომლისოდაც შეუძლებელია სრულიად განხორციელდეს პიროვნების ინდივიდუალური უფლება (101). შიდა

ქართლში მცხოვრები ოსების არც ერთი ინდივიდუალური თუ ეთნიკური უფლებები არასოდეს დარღვეულა.

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლერაციის, ადამიანის უფლებების სხვადასხვა პაქტებისა და სხვა მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების, აგრეთვე ეუთოს ადამიანური განზომილებების შესახებ დოკუმენტების თანახმად ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლებები:

_ კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში, რაიმე დისკრიმინაციის პირობებში, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების სრული და ეფექტიანი განხორციელება, პიროვნების არჩევის უფლება, მიეკუთვნოს ამა თუ იმ ეროვნულ უმცირესობას, პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დედაენის თავისუფლად გამოყენება, საკუთარი საგანმანათლებლო, კულტურული და რელიგიური დაწესებულებების შექმნა და მხარდაჭერა. ამ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ საერთო რელიგიური, ეთნიკური თუ ეროვნული წარმოშობის ხალხთან შეუფარხებელი კონტაქტების დამყარება და განვითარება, დედა ენაზე ინფორმაციის მიღება, გავრცელება და გაცვლა, საკუთარი ორგანიზაციებისა თუ ასოციაციების მეშვეობით საერთაშორისო არასამთავრობო დაწესებულებების საქმიანობაში მონაწილეობა. აღნიშნული უფლებებით სარგებლობა შეუძლიათ ინდივიდუალურად, ან მოცემული ეროვნული უმცირესობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად. ეროვნული უმცირესობის სტატუსის კომპონენტია სახელმწიფო ორგანოებში შეუფერხებელი მოღვაწეობა, მათ შორის უმცირესობის თვითმყოფადობის დასაცავად და წასახალისებლად.

არცერთი ეს უფლება საქართველოში მცხოვრებ ოსებს არასოდეს არ წართმევიათ არც მთლიანად და არც ნაწილობრივ, პირიქით. ისინი პრივილეგირებულ მდგომარეობაშიც კი იყვნენ. ამასთან, ადამიანური განზომილებების კონფერენციის ეუთოს კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტში მითითებულია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები "...არ განიხილება, როგორც რაიმე საგულისხმო უფლება მოღვაწეობისა ან რაიმე მოქმედების ჩადენისა გაეროს, საერთაშორისო სამართლის სხვა ვალდებულებებისა ან დასკვნითი აქტის პრინციპების, მათ შორის სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დასარღვევად".

მოყვანილი საბუთების გაბათილება კვალიფიციური განხილვისას შეუძლებელია, რაკი ობიექტურ რეალობას ეყრდნობა. საწინააღმდეგო "არგუმენტებად" ყველაზე ხშირად მოჰყავთ საქართველოში ამჟამინდელი მმართველი რეჟიმის მესვეურთა გამონათქმები, თითქოს ქართველებმა მოუწყეს ოსებს გენოციდი, თითქოს ოსებმა ბრძოლით მოიპოვეს თვითგამორკვევის უფლება, თითქოს საქართველოში უნდა აშენდეს დემოკრატიული წყობილება (თითქოს დემოკრატიული წყობილების აშენებას სჭირდებოდეს ოსებისათვის უკანონო და უსაფუძვლო ტერიტორიული ავტონომიის მიცემა). მსოფლიოში მიღებულ უფლებადაცვით დოკუმენტთა საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში აშკარად თვალთმაქცობასთან გვაქვს საქმე. ქართველთა დისკრიმინაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, რომ როცა ცხინვალიდან ლტოლვილი ქართველები მოელაპარაკნენ ზოგ ოსს, რომლებიც ცხინვალში მათ (ქართველების) ბინებს დაეპატრონნენ, რათა თბილისში მათ ოსების

ბინები დაეკავებინათ, საქართველოს მმართველობის მითითებით, სასამართლეობმა ასეთი ბინებიდან ქართველების გამოძევების ვერდიქტი დაადგინეს. საქართველოში ამჟამად მოქმედი ხელისუფლება არის 1991-1992 წლებში სამხედრო გადატრიალების შედეგად საქართველოს რუსეთის მიერ რეოკუპაციის პროცესში გაბატონებული ხუნტის მემკვიდრე. იგი არჩეულია გაყალბებით, მასობრივი შიმშილობის, პოლიტიკური რეპრესიების, ადგილობრივი არჩევითი ხელისუფლების არარსებობის პირობებში. და ბოლოს, არ არის მართალი, რომ ოსებმა ბრძოლით მოიპოვეს ავტონომია. ამ უკანონო ავტონომიას ერთი საათიც არ უარსებია რუსეთის ჯარების გარეშე და არც იარსებებს მომავალში. ყოველივე ამის გამო საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არ არის უფლებამოსილი კონსტიტუციური შინაარსის საკანონმდებლო აქტები მიიღოს. ამიტომ ხდება ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ფეხქვეშ გათელვა.

რაც შეეხება დასავლეთის ზოგი საერთაშორისო ორგანიზაციათა "თავგამოდებულ" ღვაწლს მსოფლიოში დემოკრატიული წესრიგის დამყარებისათვის, გეოპოლიტიკურ კონიუქტურაზე დამყარებულ მომხმარებლურ მიდგომას უფრო ჰგავს. მათი შეუვალი მოვალეობა საკაცობრიობო ზნეობრივი პრინციპების განუხრელად დაცვა. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის არ ხდება. ეუთო-ს მისია საქართველოში ეწევა კავკასიაში საუკუნობრივი ძალმომრეობის განგრძობის უგულებელყოფას და მეტიც... _ ხელს უწყობს კავკასიაში მადესტაბილიზებელი ძალების მოქმედებას, როცა მათი დამცველი გამოდის. ამის ნათელი მაგალითია კავკასიაში რუსეთის იმპერიული ჩექმის ისტორიულად ერთ-ერთი დეზის _ ოსი ექსპანსიონისტების საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ეთნიკური დივერსიის მხარდაჭერა და ამით რუსეთის დიდმპყრობლური პოლიტიკისადმი იურიდიულად და ფაქტობრივად ხელშეწყობა.

თუკი შიდა ქართლში ოსებს დაუმსახურებლად კვლავ მიანიჭებენ ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივ უფლებებს, ამით დაუშვებენ მეტად საშიშ პრეცენდენტს: უხეშად შეილახება დღეს საყოველთაოდ მიღებული უფლება და დოკუმენტებში დაფიქსირებული ნორმები და ხელი შეეწყობა უმრავლესობათა და უმცირესობათა ურთიერთობაში ე.წ. "მუშტის უფლების" ბატონობას მსოფლიოში. გარდა ამისა სადავო რეგიონში მცხოვრები ქართველებიც ხომ მოითხოვენ თვითგამორკვევას, შემდეგ თითოეული სოფელი და ასე შემდეგ. ამით მსოფლიო სახლემწიფო მოწყობაში ძალმომრეობისა და ძალმომრეობისადმი წაქეზების პრინციპი დასაშვები გახდება.

ქართულ-ოსური კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის, მით უმეტეს მისი შეიარაღებული ძალების ჩაურევლად.

პრობლემის გადაუჭრელობა კი ვერ ითმენს. დეპორტირებული ქართველები, რომლებმაც დაკარგეს სახლ-კარი, ქონება და სამუშაო, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში არიან: ღარიბ-ღატაკებს ათასგვარი სენი დაერიათ, ფსიქოლოგიურ დეპრესიაში იმყოფებიან. გაუთავებელმა დაპირებებმა ხომ მთლად დათრგუნეს ისინი. სასტუმრო "აფხაზეთში" მოწყობილმა დივერსიულმა აქტმა, რომლის შედეგად დაიწვა სასტუმროს ნახევარზე მეტი, დაიღუპა 7 ადამიანი, მრავალი

დასახიჩრდა, უზომოდ შეაწუხა ლტოლვილები და საქართველოში მცხოვრები ნორმალურად მოაზროვნე მოსახლეობაც. საგამომძიებლო კომისიამ თუმცა დაადგინა, რომ ხანძარი დივერსიის შედეგი იყო, მაგრამ განზრახ ჭიანურდება დამნაშავეთა გამოვლინება. ლტოლვილებს მიაჩნიათ რომ ოსვენციმის ტიპის საკონცენტრაციო ბანაკში არიან. ეგ არის მავთულხლართები არა აქვთ გარშემორტყმული. ლტოლვილების საწინააღმდეგო ანალოგიური დივერსიული აქტი მოეწყო სასტუმრო "კოლხეთის" მახლობლად, ხელზე მოვაჭრე ლტოლვილთა შეჯგუფებაში.

მიუხედავად ასეთი სავალალო მდგომარეობისა ქართველი ლტოლვილები ვერ შეურიგდებიან უცხოტომელთა მონობას და მუდმივ შეურაცხყოფას.

ამიტომ "მემორანდუმს" თანდართულ მიმართვაში გადაუდებელი მოთხოვნების გარდა ქართველ-ოსთა შორის მყარი მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად საჭიროა:

1. შემუშავდეს კანონი საქართველოს რესპუბლიკაში ახალ ავტონომიურ წარმოანქმთა აკრძალვის შესახებ, რისთვისაც უნდა მოეწყოს სრულიად საქართველოს რეფერენდუმი.

2. რესპუბლიკის შიგნით რაიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნა ქართველი ხალხის პრეროგატივაა და არა რომელიმე სახელმწიფო თუ საერთაშორისო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისა.

3. რუსეთის ჯარის დაუყონებლივ გაყვანის შემდეგ გამაგრდეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ხსენებულ რეგიონში.

4. კონფლიქტის რეგიონში შევიდეს საქართველოს შინაგანი ჯარები და ძალიან ფრთხილად ნელი ტემპით დაიწყოს ყველა ეროვნების მოსახლეობიდან იარაღის გამოსყიდვის მეთოდის ფართო გამოყენებით ადგილობრივი მოსახლეობის განიარაღება.

5. დაიწყოს გამოძიება კონფლიქტის წამომწყებთა და წამქეზებელთა გამოსავლინებლად.

6. შიდა ქართლში არანაირი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ დაიშვას, ვინაიდან ეს გამოიწვევს კონფლიქტის უსასრულო გაძლერებას და გაღრმავებას. მაქსიმალურად გაიშალოს და განვითარდეს ადგილობრივი თვითმმართველობა და საქართველოს ოსი მოსახლეობისთვის მთლიანად (და არა მხოლოდ ჩრდილო ქართლისთვის), ისევე როგორც საქართველოში არსებული ყველა ეროვნული დიასპორაისათვის, ოპტიმალური პირობები და იურიდიული ფორმა იქნას შექმნილი ფუნქციური (არატერიტორიული) ავტონომიისათვის, კულტურული ავტონომიის ჩათვლით.

7. შიდა ქართლში შენარჩუნებული და გაფართოებული იქნას კულტურული ავტონომიისათვის დამახასიათებელი ატრიბუტები.

სამართლებრივი თავნებობაა ის, რომ თუმცა ამჟამინდელი "კონსტიტუციითაც" კი აშკარაა შიდა ქართლში ოსური ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის ძალით თავსმოხვევის შექმნის მცდელობის დანაშაულობა, რაკი მასში ასეთი წარმონაქმნი მოხსენებული არ არის; 1996 წლის 16 მაისის მოსკოვის ქართულ-ოსურ

მემორანდუმსა და 1996 წლის 31 აგვისტოს ვლადიკავკაზის განცხადებაში მაინც ჯიუტად აფიქსირებენ "სამხრეთ ოსეთს". მის თვითმარქვია "ხელმძღვანელობას" და საქართველოს მმართველობას თანაბარ რანგში აქცევენ. ასეთი ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის ავტორებად გვევლინებიან: ლუდვიგ ჩიბიროვი, ედუარდ შევარდნაძე, ირაკლი მენაღარაშვილი, და სხვები, აგრეთვე ყველაფერ ამას ცრუმოწმე _ ეუთოს წარმომადგენელი დიტერ ბოდენი.

საყოველთაოდ არის ცნობილი საქართველოში ეუთოს მუდმივი წარმომადგენლის _ დიტერ ბოდენის უხეირო და უზნეო მოღვაწეობა. რაც ახლახან თბილისში მასსა და სამაჩაბლოს მკვიდრთა დელეგაციას შორის გამართულმა შეხვედრამაც დაადასტურა.

მწვავე საუბრის თემა იყო ჩრდილო ქართლიდან დეპორტირებულ ქართველთა მემორანდუმი, რომელიც ბოდენს რამდენიმე თვით ადრე გადაეცა ერთ-ერთ ფორუმზე საჯაროდ კატეგორიული მოთხოვნით _ ყურადღებით შეესწავლათ. რაკი მასში ეუთოს მისიისა და საქართველოს რეჟიმის პოზიცია შიდა ქართლში მიმდინარე პროცესებზე რადიკალურად უარყოფითად არის შეფასებული.

თავიდანვე აღვნიშნავთ რომ ამ პრობლემისადმი ბოდენის მიდგომა პრინციპულად უცვლელი დარჩა _ ქართველი ხალხისადმი ეუთოს ყბადაღებული ანტიქართული რეკომენდაციების ფარგლებში. მართალია, ჩვენი შთაბეჭდილებით. ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში ბოლო ხანს გამომჟღავნებულმა შეშფოთებამ გარკვეული როლი შეასრულა საკითხის არსში ეუთოს მისიის გათვითცნობიერებაში. მაგრამ საქართველოს დაშლის მისეული სტრატეგიული კურსი ურყევია. ამიტომ შეხვედრა მწვავე ოპონენტურ ვითარებაში წარიმართა.

ბოდენმა საუბარი იმით დაიწყო, რომ დადებითად შეაფასა მემორანდუმის წარდგენის ფაქტი. აღიარა დოკუმენტის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაწილის დამაჯერებლობა შიდა ქართლში ოსთა ალლოხტონობის (გადმოსახლების) თაობაზე. მაგრამ იქვე მიუთითა, რომ ეს არის ისტორიული რეალობა. ეუთო კი თანამედროვე რეალობას ეყრდნობაო. ამაზე კითხვა დაუსვეს.

ლეგიტიმურია თუ არა 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში არჩეული ხელისუფლება?

მან დაუფარავი უხალისობით დადებითად უპასუხა. მაშინ მას გაახსენეს:

თანამედროვე რეალობაა, რომ კანონიერმა ხელისუფლებამ 1990 წლის 11 დეკემბერს იურიდიულ-სამართლებრივი ნორმების სრული დაცვით გააუქმა "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი".

აქ ბოდენმა ყოყმანის შემდეგ ჩაილაპარაკა: ოსები გამარჯვებულები არიან და ქართველებმა შემდგომი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად მოლაპარაკებისას უნდა დათმოთო. რასაკვირველია, გულისხმობდა ტერიტორიის დათმობას ოსებისათვის დამოუკიდებელი მმართველობის სტატუსის მინიჭებით. პასუხი კატეგორიულად ამომწურავი იყო.

ის, რომ დღეს ოსები აკონტროლებენ ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონს, აგრეთვე ყორნისის რაიონის ნაწილს, შედეგია რუსეთის შეიარაღებული ძალების იქ ყოფნისა, რაც საქართველოს რეოკუპაციის გამო მოხდა შესაძლებელი.

ბოდენმა დემაგოგიურად გაიმეორა მრავალგზის ნახმარი ცრუ არგუმენტი: ჯარმა იქ მშვიდობა დაამყარაო. რითაც უგულებელყო მემორანდუმში მოყვანილი მრავალი ფაქტი რეგიონში "სამშვიდობო ჯარის" ყოფნისას ათობით ქართველი მშვიდობიანი მოსახლე რომ დაიღუპა. ასობით გაიძარცვა, მრავალი მძევლად აიყვანეს ფულის გამოძალვის მიზნით. ბოროტმოქმედების ჩადენაში თვით ჯარის კონტინგენტიც მონაწილეობს.

ამის შეხსენებაზე ბოდენმა პასუხს თავი აარიდა და კონფლიქტის პერიოდში ქართველების მხრიდან "ჩადენილ" დანაშაულობებზე გაამახვილა ყურადღება. მაგალითად მოიყვანა, რომ, ოსების მონაცემებით, ქართველებმა 116 ოსური სოფელი დაწვესო და ქალაქ ცხინვალის ცენტრში საჩვენებელი სასაფლაოა მოწყობილი დაღუპული ოსებისაო.

მას აუხსნეს, რომ ამ "მონაცემებით" ამჟამად საქართველოში თითქმის ყველა ოსური სოფელი უნდა იყოს გა-დამწვარი. რაც იმას ჰგავს, რუსეთის ტელევიზიით რომ გადაიცემოდა: საქართველოდან 180 ათასი ოსი ლტოლვილიაო. როცა ოფიციალური სტატისტიკით აქ სულ 160 ათასი ოსი ცხოვრობს. სინამდვილეში კომუნისტური მმართველობის დროს შექმნილი ანტიეროვნული კრიმინალური ორგანიზაციის _ "მხედრიონის" პროვოკაციული მოქმედების შედეგად დამწვარ-დაზიანებულია ათიოდე ოსურ სოფელში თითო-ოროლა სახლი, რაც საკმარისი აღმოჩნდა ოსი ექსტრემისტი პროპაგანდისტებისა და მათი მფარველი მანქურთი ქართველებისათვის აურზაური აეტეხათ, ქართველებმა ოსების გენოციდი მოაწყვესო. ამავე დროს კრინტს როდი ძრავდნენ ქ.ცხინვალის ქართველთა 580-ზე მეტი სახლ-კარის,

ცხინვალის მიმდებარე სოფლებში და ყორნისის რაიონში აურაცხელ გადაბუგულ გაძარცვული ბინების შესახებ.

რაკი წყალწყალა "არგუმენტებით" ვერაფერს გახდა, ბოდენმა "დაჟანგული ხმალი" იძრო: თქვენმა ე.შევარდნაძემ თქვა: ოსებთან ქართველებმა ბევრი დააშავესო. ხოლო რეპლიკაზე ე.შევარდნაძის რეჟიმი ჩვენთვის არალეგიტიმურიაო. მოკამათემ თავი აშკარად უხერხულ მგდომარეობაში ჩაიგდო. როცა ე.შევარდნაძის მმართველობის კანონიერება "დაასაბუთა". 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სამხედრო საბჭომ იგი "მოიპატიჟა" ქვეყნის სამართავადო. ოპონენტმა არ დააყოვნა და მიახალა: ახლა რომ დაპატიმრებულნი არიანო? რაზეც მოკამათემ ჩაიბურტყუნა: მაშინ ხომ არ იყვნენ დაჭერილებიო. "დაავიწყდა" რომ ჯაბა იოსელიანი იმ დროს ციხიდან გამოიქცა თვითნებურად და თან გამოიყოლა ათასობით სისხლის სამართლის დამნაშავე.

განცვიფრება და აღშფოთება მოჰყვა დიტერ ბოდენის უაპელაციო განცხადებას, რომ "სამხრეთ ოსეთში" მცხოვრები ქართველები მშვიდად უნდა იყვნენ ოსურ სახელმწიფოში. რადგან ოსები თანახმანი არიან, კულტურული ავტონომია უწყალობონო.

ამაზეა ნათქვამი: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო. ხედავთ, რა თვალსაჩინოებით აღორძინდა ჯაყოს სინდრომი. ერთ დროს გაჭირვებული შემოხიზნულები. მიწის, მატერიალური და სულიერი ფასეულობის მიმთვისებლები

“მილიონერის გულმოწყალებით” გვპირდებიან კულტურულ ავტონომიას და ამას “მხარს უჭერენ” მსოფლიო წესრიგის “დამამყარებელი” ორგანიზაციები(?!).

ლაპარაკი იყო სასტუმრო “აფხაზეთში” 1996 წლის აპრილში ჩადენილი დივერსიული აქტის შესახებ, რომლის შედეგად 7 ლტოლვილი დაიღუპა, ათობისთ დასახიჩრდა, ასობით ფსიქიკურად დაავადდა.

ბოდენმა აქცენტი შესაძლო ჰუმანიტარულ დახმარებაზე გადაიტანა და თავი აარიდა კომენტარს ბარბაროსული აქტის ჩამდენთა მიზანზე: ლტოლვილები ძალდატანებით გაფანტონ, რითაც ე.შევარდნაძის რეჟიმს მძიმე პრობლემა ხელოვნურად-ძალადობით მოეხსნება, რაც ეუთოს პროგრამაშიც შედის.

სამაჩაბლოს მკვიდრებმა ბოდენს ისიც აუწყეს, ე.წ. “სამხრეთ ოსეთის ოლქი” ეკონომიურად პარაზიტული წარმონაქმნი რომ იყო თავისი არსებობის პერიოდში, რაც რეგიონის ეთნოკრატიული მმართველობით იყო გამოწვეული.

ბოდენმა ამაზეც დუმილი არჩია, ხოლო მოთხოვნაზე, რომ ოსების მიერ ეუთოში წარმოდგენილი დოკუმენტები ეჩვენებინათ. ცივი უარი თქვა და საერთოდ მან ერთობ ნეგატიურად აღიქვა შიდა ქართლის კონფლიქტის საერთაშორისო გამოძიების აუცილებლობა. რა გასაკვირია, ქურდს ქუდი ეწვის!

ბოდენმა ვერაფრით მოიგერია ოპონენტების ობიექტური არგუმენტაცია. ამიტომ დემაგოგიურ ჭკუის სწავლებაზე გადავიდა: თქვენთან ბევრი ეროვნების ხალხი ცხოვრობს და ქართველები ვერ შეძლებთ მათ მოვლა-პატრონობასო. ამის გამო უპრიანია თქვენთვის ფედერალური სახელმწიფოს მოწყობაო, რაშიც გულისხმობდა არაქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულთა ფედერალიზაციას. ამჯერად ოსებისათვის, აფხაზებისათვის, სომხებისათვის, აზერბაიჯანელებისათვის.

გაოგნებული ოპონენტების კითხვაზე: ქართველებს რაღაო?

ცინიზმით გაიღრიჭა: ქართველები ლამაზები, კეთილები ხართ და ასეთი მოქმედებით დემოკრატიულ სამყაროში დაიმკვიდრებთ ადგილსო. ამ ფრაზამ, რა თქმა უნდა, სასტიკი გაღიზიანება გამოიწვია ბუნებით დინჯ სამაჩაბლოელებში, რაც გაცხარებაში გადაიზარდა და არამკითხე დიდაქტიკოსს მოურიდებლად მიახალეს: თქვენ ჩვენი მტერი ხართო. ბოდენმა თავისი უტაქტობით გამოწვეული უხერხულობის გასაფანტავად უკბილოდ იხუმრა: მე ალბათ ორჯონიკიძეობას დამაბრალებთო, რაზედაც საკადრისი პასუხი მიიღო. დიახ! რადგან ორჯონიკიძემ და სტალინმა თუ კომუნიზმის დროშით დააქუცმაცეს საქართველო, ე.შევარდნაძე თქვენი დახმარებით “დემოკრატიის” ალმით ბოლოს უღებს ბედკრულ საქართველოსო.

ბოდენის უტაქტობა ამით როდი ამოწურულა: თქვენ ზვიად გამსახურდიასავით როკის გვირაბით ოსების გარეკვას ხომ არ აპირებთ საქართველოდანო, რაზეც სამართლიანად მიიღო შენიშვნა: დიპლომატიურ სტატუსს არღვევთ, რადგან სალონურ ჭორიკნობას აყოლილხართო. ისტორიული დოკუმენტები სულ სხვას მეტყველებენ, რომლებზეც ზვიად გამსახურდიაც აწერს ხელს. მასში გარკვევით წერია: ავტონომიურ წარმონაქმნებს ხელს არ ვახლებთო. ხოლო “სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის” ავანტიურისტულმა ხელმძღვანელობამ თვით გაიუქმა “ოლქი”.

დასასრულს ბოდენმა სცადა, ანალოგიის მეთოდით "დაერწმუნებინა" ოპონენტები საქართველოს მისეული ფედერალიზაციის სიკეთეში და თავისი სამშობლოს _ გერმანიის მაგალითი მოიყვანა, რითაც თავი კვლავ ჩაიგდო კომიკურ სიტუაციაში.

უპასუხეს, რომ გერმანიაში ერთი გენეტიკური წარმოშობის ხალხთა კუთხეები გაერთიანდნენ ერთიან სახელმწიფოდ. ამავე დროს გერმანელები ხომ ვერ შეეგუენ აღმოსავლეთ გერმანიაში რუსეთის გავლენას. საფრანგეთს, ინგლისს, ან სხვა უცხო სახელმწიფოს არ შეუხიზნია გერმანიაში თავიანთი ხალხი და შემდეგ არ მოუთხოვია იქ დამოუკიდებელი სახელმწიფო. ან რა ხასიათზე დადგება ბოდენი. ათასობით მიგრანტმა თურქმა რომ დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული მოითხოვის გერმანიაში.

მოკამათემ ვერ მოძებნა პასუხი: აქვე ოპონენტებმა გააფრთხილეს შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში ოსებისათვის სახელმწიფოს მიმცემის მომხრეები, რომ ამით რეგიონში მშვიდობა ვერ დამყარდება. პირიქით სტრატეგიული ნაღმის მუხტი ბევრად გაძლერდება, რადგან მიმტაცებელთა მადა ხომ ჭამაში მოდის; არ დაყოვნდება ოს ექსპანსიონისტთა პრეტენზიები... გორის რაიონზე, შემდეგ მცხეთამდე, კახეთზე, ბორჯომის ხეობაზე და ბოლოს თბილისზე.

ბოდენმა ვეღარ შეძლო მისთვის აშკარად წამგებიან პოლემიკაში მონაწილეობა და უხერხული პირფერობით გამოემშვიდობა ოპონენტებს.

ბოდენმა ფაქტიურად "აღიარა" ეუთოს ნამდვილი მისია საქართველოში.

არ შეიძლება არ გამოვხატოთ აღშფოთება იმის გამო, რომ ერთ რანგში განიხილავენ ორ ერთიმეორისაგან ფუნდა-მენტალურად განსხვავებულ პრობლემას ჩეჩნეთის იჩქერიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ და ორმაგი (რუსულ-ოსური) ეთნოდივერსიული ექსპანსიონიზმის გზით საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტიურად მიტაცებისა და შემდეგ უცხო სახელმწიფოსთან მიერთების მცდელობას.

საქართველოს არასოდეს დაუპყრია შიდა ქართლი, რუსეთმა კი დაიპყრო ჩრდილო კავკასია.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეს კარდინალური განსხვავება თუ არ დაინახეს, საბედისწერო შეცდომას დაუშვებენ მსოფლიო სახელმწიფოთმოწყობაში.

ჩრდილო ქართლიდან დეპორტირებული ქართველები იძულებულნი არიან პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვონ დემოკრატიულ ქვეყნებში (XI თავი, _ ჩრდილო ქართლიდან სახლ-კარ გადამწვარ ლტოლვილთა სია სიდიდის გამო ამოღებულია).

* * *

<u>ე.წ. "სამხრეთ ოსეთი" გიორგი ბოჭორიძის თვალით</u>

გირგი ბოჭორიძე ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი მეცნიერია. მიუხედავად იმისა, რომ მან დიდი ღვაწლი დასდო ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებას. 1937 წელს შემყრობილი და 1939 წელს მოკლული მკვლევარის უმდიდრეს მემკვიდრეობას კარგა ხანს ტაბუ ჰქონდა დადებული,

მაგრამ ყინული გალხვა და ზედიზედ გამოიცა მისი მონოგრაფები _ “მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში”, თბ., 1992; “თუშეთი”, თბ., 1993; “რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები”, თბ., 1993; “იმერეთის ეპიგრაფიკული ძეგლები”, თბ., 1995.

გ.ბოჭორიძემ რამდენჯერმე მოიარა “სამხრეთ ოსეთად” გადანათლული შიდა ქართლი. საგანგებო მოხსენებით ბარათში გამოავლინა და ცხადყო იქაური ისტორიული ძეგლების უნუგეშო მდგომარეობა, ხოლო ცალკე “ცნობაში” დოკუმენტად ასახა “საქართველოს გულიდან გამოჭრილ” (ეს ფრაზა ცნობილ ქართველ მოღვაწეს გრიგოლ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის) “ოსეთში მოქცეული ქართული მოსახლეობის” დევნა-შევიწროება ისეთი ბარბაროსობით, რაც შუასაუკუნეების ჯალათებსაც კი შეზარავდა. არ არის გამორიცხული, რომ ეს “ცნობაც” გახდა გიორგი ბოჭორიძის დაპატიმრებისა და მკვლელობის საბაბი.

ქვეყნდება საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალები გ.ბოჭორიძის პირადი ფონდიდან (№1753, საქ. 36, ფ.12; საქ.4, ფ.60-69).

საბჭოთა ტერიტორიაზე, ვგონებ, არც ერთი მოსახლეობა არ უნდა იყოს ისე აბუჩად აგდებული და საზოგადო მოქალაქეობრივ უფლებას მოკლებული, როგორც ეს ოსეთის ქართველობაა (ხაზგასმა რედ.).

მენშევიკების მიერ მიყენებული შევიწროების ნიადაგზე ოსები აშკარად შურს იძიებენ ქართველებზე. ამას სჩადიან ისინი საბჭოთა ხელისუფლების მთელ სიგრძეზე. მაგრამ აშკარა, პირღია ქართველთჭამიობას ოსები იჩენენ განკულაკების დროს. განკულაკება ოსეთში ისეთი ფორმით მოხდა, როგორც არსად არ მომხდარა: ოსების ნაციონალისტები განკულაკებას კი არ აწარმოაბდნენ, არამედ თავიანთ ფარულ ნაციონალისტურ ზრახვებს ანხორციელებდნენ: ისინი აშკარად ქართველობას ერეკებოდნენ. შემდეგ, განკულაკებულთ ერთი ხელი ლოგინისა და იმის გარდა, რაც ტანზე ეცვათ, სხვა არაფერი დაანებეს და ყველანი შიშველ-ტიტველნი გამოდევნეს; ბოლოს, მრავალი სომეხთაგანი (განკულაკებულნი) უკანვე დააბრუნეს, ხოლო ქართველთაგან კი თითქმის არავინ და სხვა.

ქართული ენა იდევნება ქართულ სოფლებში: მიწერ-მოწერა და სხვა ჯერ რუსულად სწარმოებდა, ხოლო ახლა ოსურად, ქართული კი განდევნილია.

სამართალი მიდგომითია; ყველაფერში აშკარა გადახრა არის ოსების მხარეს. თვალში ამოღებული კაცისათვის სამართალი არ არსებობს. 1929 წლიდან სასამართლოებში საქმის წარმოება, ჩვენების მიცემა და პროცესი ოსურად შემოიღეს, ხოლო ამაზე ადრე _ 1928 წელს, ახალგორში, თედეევის დროს, თვით განცხადებაც კი ოსურად, ან, ყოველ შემთხვევაში, რუსულად უნდა ყოფილიყო დაწერილი; ძლიერ იშვიათი შემთხვევა უნდა დაეშვათ, რომ ქართული განცხადება მიეღოთ.

ქართველ ქალებზე თარეში და აღვირახსნილობა ფართო მასშტაბით სწარმოებდა: ქალებს იტაცებდნენ, აუპატიურებდნენ; თუ ვერ მოიტაცებდნენ, ოჯახს გადაეკიდებოდნენ და აიძულებდნენ ქალის მიცემას.

გადასახადის პირველ ხანებში მარტო ქართველებს ახდევინებდნენ, ხოლო შემდეგ კი აშკარად ქართველ გლეხებს სტვირთავდნენ.

სკოლებს უხსნიან ოსებს, ქართველებს კი იშვიათად. 1921-1924 წლებში ქართველ მასწავლებლებს ექვს-შვიდ თვეს ჯამაგირები არ მისცეს, რის გამოც ბევრი მასწავლებელი იძულებული გახდა თავი გაენებებინა სკოლისათვის და წასულიყო. ამის შემდეგ სკოლაც იკეტებოდა. მოსახლეობა თხოულობდა სკოლას, ეუბნებოდნენ:

"თუ გინდათ ოსურ სკოლაში ატარეთ შვილები, თუ არადა თქვენთვის სკოლას ვერ გავხსნითო".

საერთოდ, ოსური სკოლები ყოველმხრივ უზრუნველყოფილია, ქართული კი უნუგეშო მდგომარეობაშია.

ოსური ენა სავალდებულო საგანია ქართულ სკოლებში (შვიდწლედებში), ხოლო ქართულ ენას ოსურ სკოლებში ადგილი არა აქვს (თუმცა პროგრამაში კი უწერიათ), მითუმეტეს, რომ ოსმა მასწავლებლებმა ქართული ენა არ იციან.

ზოგიერთი ოსი თხოულობდა, რომ მათი შვილებისათვის ესწავლებინათ ქართული ენა, როგორც გამოსაყენებელი საგანი, მაგრამ ამაზე მტკიცე უარი უთხრეს.

წარმოდგენებს ქართულ სკოლებში არავითარ დახმარებას არ უწევენ, რადგან ქართული წარმოდგენები სასიამოვნო არ არის მათთვის.

ქართულ სოფლებში კულტურული მშენებლობის ნასახიც კი არ არის (გადასახადი კი ყველაზე მეტი წილი ამათგან იკრიბება).

მოსამსახურეებად მილიციიდან დაწყებული სულ ოსებს იღებენ. სომხებს უფრო აძლევენ ადგილს, ვიდრე ქართველებს.

ყველა ზემოხსენებულის ფაქტიური მასალა უამრავია ოსეთის ქართულ სოფლებში.

(ცნობები ამოღებულია ს.ს.ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამოცემიდან: საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1930, ტფილისი.).

* * *

<u>ვისია ჩრდილო ქართლი?!</u>

გაეროს, ევროკავშირს, ეუთოს, ელცინს, შევარდნაძეს!

ჩრდილო ქართლიდან ლტოლვილებმა თავი მოვუყარეთ ქართულ-ოსური და ქართულ-ოსურ-რუსული ურთიერთობის 2000 წლის მანძილზე დაგროვილ სამხილებს. დაგანახეთ ამ "სამხილთაგან" ისინი, რომელნიც ლოგიკურად შობდნენ და დღესაც შობენ შუღლსა და სისხლს ქართველთა და ოსთა შორის _ სისხლს, რომლის დაღვრაში ორივე მხარე ადანაშაულებს არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ რუსეთსაც.

გამოვიტანეთ დასკვნა, თუ რატომაა საქართველოში ოსური ტერიტორიული ავტონომია (შეიქმნა 1922 წელს) წყარო ქართული სახელმწიფოს უბედურებისა და რატომ არის დაუშვებელი მისი რეანიმაცია.

ახლა გთხოვთ თქვენ განგვიკითხოთ ჩვენ და განიკითხოთ ჩვენი მსჯავრი.

განურჩევლად იმისა, რომელი სამართლით განგვსჯით, მხარეები არ შეიცვლება! ესენია:

1. საქართველო (შიდა ქართლითურთ) _ კაცობრიობის ისტორიაში მრავალჯერ დაფიქსირებული ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო, რომელიც 1802-17, 1922-1990წწ. რუსეთის იმპერიის მიერ იყო დაპყრობილი, ხოლო 1992 წლიდან

ფაქტიურად რეოკუპირებულია: 1802-17 წლებში შეჩერდა ქვეყნის სახელმწიფოებრივი მექანიზმი, 1922-1990 წლებში საქართველო მაქსიმალურად შეზღუდული სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული სუვერენიტეტის მქონე ქვეყანა იყო, რომელმაც 1991 წელს სამართლებრივად სრულად აღადგინა პოლიტიკური სუვერენიტეტი და სრულად აღსდგა როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მაგრამ თუმცა ძალაშია ქვეყნის სრული დე-იურედ აღიარება, 1992 წლიდან შეიქმნა პრორუსული მარიონეტული რეჟიმი.

2. რუსეთი _ დღეს მხოლოდ ნაწილობრივ დაშლილი იმპერიაა, რომელსაც კვლავ იმპერიული ამბიციები აქვს მეზობლების, მათ შორის საქართველოს მიმართ, ე.წ. "ოსეთი" საქართველოს მიწაზე ("სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" სახელით) შეიქმნა რუსეთის მიერ რუსული ოკუპაციის პირობებში და ამ "ოსეთს" დღემდე ერთი წუთითაც არ უარსებია სხვაგვარად თუ არა რუსული შეიარაღებული ძალების დგომის პირობებში.

3. 1992 წელს ოკუპანტის მიერ უკანონოდ შექმნილი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს კანონიერად გაუქმებული "ოსეთი", რომელიც დღეს ოკუპირებულია რუსულ-ჩრდილო ოსური შეიარაღებული ძალების მიერ და დღეს "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" უკანონო სახელით ფიგურირებს.

"სოაო" წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზმში ძალადობით შექმნილ ტერიტორიულ ავტონომიას, რომლის მესვეურთა პრეტენზიები ემყარება ისტორიული და თანამედროვე რეალობათა უხეშ გაყალბებას. ამ სუროგატული ერთეულის ერთადერთი ამოცანა იყო რუსეთის "მეხუთე კოლონიოლობა". ამავე ფაქტორების წყალობით არსებობს და ამავე ფუნქციას ასრულებს ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" თვითმარქვია "რესპუბლიკა" დღეს.

1990 წლის მარტ-ივნისში საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ რუსეთისგან ანექსირებულად გამოაცხადა საქართველო და ბათილად ცნო საქართველოს სსრ-ს ყველა დადგენილება და კანონი, მათ შორის "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" შექმნის შესახებ.

დღეს შეუძლებელია კონფლიქტის განხილვა საბჭოური სამართლის ნორმებით, მაგრამ აუცილებელია მხედველობაში მიიღოთ, რომ როცა 1990 წელს მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნებით გააუქმა უკანონო "სოაო", იგი დაეყრდნო საბჭოურ კონსტიტუციას და საქართველოს სსრ კონსტიტუციას.

თუმცა სსრკ კონსტიტუციის თანახმად, რომლის უზენაესობას საქართველო აღარ სცნობდა, სსრკ ხელისუფლებას ჰქონდა და საქართველოს უზენაესი საბჭოს ხსენებული გადაწყვეტილების ბლოკირების უფლება, მ.გორბაჩოვმა ვერ გადადგა ეს ნაბიჯი და მხოლოდ მოუწოდა საქართველოს უზენაეს საბჭოს გადაესინჯა თავისი გადაწყვეტილება "სამხრეთ ოსეთის აო"-ს გაუქმების თაობაზე. საქართველოს უზენაესმა საბჭომ თავისი დადგენილება არ გადასინჯა. დღეს სსრკ კონსტიტუცია აღარ არსებობს. ამგვარად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ "სამხრეთ ოსეთის აო"-ს გაუქმების აქტი სავსებით კანონიერი და დამთავრებული

აქტია თვით სსრ კონსტიტუციის ფარგლებშივე, რომელსაც ფიქსირებული ჰქონდა ამ უკანონო პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულის არსებობა.

"სოაო"-ს შექმნისა და მისი რეანიმაციის "იურიდიული" მექანიზმი ნაკარნახევია მხოლოდ რუსული იმპერიული რეცეპტებით, რომლის ანალოგიური თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიას არ ახსოვს.

განა დასაშვებია, რომ დამპყრობის მიერ დაპყრობილი ერის დასაჩოქებლად ეროვნული უმცირესობის გადაქცევა ახალი ტერიტორიული ერთეულის "სატიტულო" ერად და მისი სახლობის ტერიტორიისათვის მისი სახელის მიცემა?

განა შესაძლებელია ამასთან მკვიდრი ერის სახელმწიფოს აეკრძალოს ეთნოდივერსიული ქმედების გაუვნებელყოფა? საქართველოში მცხოვრები ოსების ექსპანსიონისტური ქმედება რომ სამშობლოს ღალატია...

ადამიანის უფლებათა დეკლარაციის საფუძველზე საქართველოში მცხოვრებ ყველა ოსს აქვს ყველა ის მოქალაქეობრივი უფლება (არჩევნებში მონაწილეობა, პიროვნული და ეროვნული დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ა.შ.), რაც გააჩნია ქართველს.

მაგრამ არავითარი "ეროვნული თვითგამორკვევის" პოლიტიკურ ავტონომიაში გამოხატული უფლება საქართველოში მცხოვრებ ოსებს არც იურიდიულად და არც მორალურად არ გააჩნიათ. მაქსიმული, რაც ამ მიმართულებით ოსებს შეუძლიათ მოითხოვონ, არის კულტურული ავტონომია...

სხვანაირი მიდგომა ეწინააღმდეგება მსოფლიო პრაქტიკას და უმცირეოსბათა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს. არ არსებობს ნორმა, რომელიც მოითხოვდა უმცირესობისათვის (ადგილობრივი უმრავლესობისათვის) ტერიტორიული ავტონომიის მიცემას და, მით უმეტეს, ამ ტერიტორიისათვის მისი სახელის დარქმევას. თქვენ გსურთ ჩვენთვის ახალი ნორმის შეთხზვა? ნორმები ხომ უნდა შეიქმნას ყველასათვის _ მთელი მსოფლიოსათვის და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება გამოყენებული ჩვენს მიმართ. ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ დღეს არსებობს საერთაშორისო შეთქმულება ჩვენსა და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ამაში განსაკუთრებით ეუთო-ს მისია სცოდავს საქართველოს ტერიტორიული მოწყობის მისეული აბსურდული ანტიქართული (ანტისახელმწიფოებრივი) "რეკომენდაციებით".

მოგიწოდებთ ნუ შექმნით პერსპექტივაში მსოფლიოს დაშლის პრეცენდენტს. საქართველოს ტერიტორიული მოწყობა უნდა დაემყაროს სრულიად საქართველოს მოსახლეობის რეფერენდუმს და არა ცალ-ცალკე ეთნიკური ჯგუფებისას.

განგვიკითხეთ ზოგადსაკაცობრიობო ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი კატეგორიებით. ხომ ფაქტია, რომ ის ფედერაციები, რომლებიც ეთნიკურ საფუძველზე იყო შექმნილი, სისხლისღვრისა და დაუსრულებელი კონფლიქტების წყაროა. ტერიტორიულ მთლიანობაზე სერიოზული ლაპარაკი ფიქციაა, ხოლო სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა მკაფიოდ არის დაფისქსირებული შემდეგ დოკუმენტებში _ გაეროს "დეკლარაციო საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ და ა.შ. 24.X.1970წ. ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ თათბირის დასკვნითი აქტი

1/VIII.1975წ. ეუთოს თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი. 15/I-1989წ. ეუთო კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტი 29/VI.1990წ. ეუთო ადამიანური განზომილების კონფერენციის მოსკოვის თათბირის დოკუმენტი, 31/X.1991წ. ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პრაღის სხდომაა. 30-31/I.1992წ. ეუთო უმაღლეს დონეზე შეხვედრის დეკლარაცია (“ჰელსინკი-2”) 10/VII.1992წ.

სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭო.

* * *

<u>უკუღმართი როქი</u>

<u>გელა გელაძე</u>

საჭადრაკო ტერმინოლოგიით მკაფიოდ გამოიხატება ცხოვრებისეული სინამდვილის პერიპეტიები.

ჭადრაკში როქის არსი საბრძოლო პოზიციების გადანაცვლებაა საჭირო სტრატეგიული ჩანაფიქრის განსახორციელებლად: ამ დროს უნებლივ მარცხისას სვლას დოყლაპიურად უხეირო (“зевок”), ხოლო თუ განგებ ვინმეს საამებლად არის განცდილი, კოოპერატიული ჰქვია.

საქართველოს ბოლოდროინდელ ისტორიაში ასეთი სვლის ქრესთომატიულად “თვალსაჩინო ნიმუშია შიდა ქართლისა და აფხაზეთის “კონფლიქტების” ურთიერთშენაცვლება ანუ სამართლებრივად და საბრძოლო ბატალიებით მოგებულ ომში ლაჩრულად დანებება და ყოველნაირად წასაგები ავანტიურის წამოწყება.

მას შემდეგ, რაც კრემლიდან მ.გორბაჩოვმა და ე.შევარდნაძემ ეროვნულ ხელისუფლებას და მაშასადამე ქართველ ხალხს ოსები აუჯანყეს, რაც ჯერ სახელმწიფოს დასაშლელად “კანონთა ომის” გამოცხადებაში, ხოლო შემდეგ ქართველებზე უშუალოდ შეიარაღებული თავდასხმებში გამოიხატა. საქართველოს ორჯერ შეეძლო ჩრდილო ქართლში თავისი სახელმწიფოებრივი იურისდიქციის აღდგენა და სამართლიანი ეროვნებათაშორისი მშვიდობის დამყარება.

1991 წლის ბოლოს ქვეყნის დეოკუპაციის პერსპექტივა რეალური გახდა: დაიწყო რუსეთის შინაგანი ჯარის წასვლა შიდა ქართლიდან. მიუხედავად ეროვნულ გვარდიაში კიტოვანის ამბოხისა, პრეზიდენტის ერთგული სამხედრო ფორმირებებისა და ადგილობრივი სახალხო მოლაშქრეთა აქტიურობამ, მილიციის ქვეგანაყოფების სუსტი მობილურობის მიუხედავად, კრახის პირას დააყენა ოსთა ჯანყისთავები, მათი “ბოევიკები” და მფარველები: დააპატიმრეს ოს ექსტრემისტთა ლიდერი ტორეზ ყულუმბეგოვი და ტერორისტთა ბირთვი. მთავრდებოდა მათი სასამართლო პროცესი, ოსურ საზოგადოებაში გამოიკვეთა საქართველოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის მომხრე საღად მოაზროვნეთა ფენა.

ასეთ ვითარებაში ანტიქართული შეთქმულების ინტერფაშისტთა ორგანიზატორებმა დააჩქარეს ქვეყანაში კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალება, რომლის მთავარი მიზანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაშლა იყო.

ქვეყანაში ანტიქართულმა ძალებმა გაიმარჯვეს, მაგრამ რეოკუპაციის ფორსირებამდე ინერციით გრძელდებოდა შიდა ქართლიდან რუსეთის შინაგანი ჯარის გაყვანა. ოსი ექსტრემისტები კვლავ მარცხის წინაშე აღმოჩნდნენ. მიუხედავად

“სამთავრობო ჯარის” ბატალიონის სარდლობის ორჭოფული ქმედებისა, რაც ერთი მხრივ ცხინვალზე ვინ იცის ვისი ქვემეხებით უმუხტო ჭურვების პროვოკაციულ დაშენასა და მეორე მხრივ სერიოზული სამხედრო ოპერაციების უგულებელყოფაში გამოიხატა, ადგილობრივი სახალხო ლაშქრის თავგანწირული ბრძოლების შედეგად გატყდა ოსთა წინააღმდეგობა. ლიახვის მარცხენა სანაპიროზე ცხინვალის დასავლეთი ნაწილი ქართველთა ხელთ იყო, ხოლო მარჯვენა სანაპიროსა და მთლიანად ჩრდილო ქართლის გაკონტროლება ორიოდე დღის საქმე-ღა იყო.

ასეთ “პოზიციაში” გაკეთდა ყბადაღებული “შევარდნაძის როქი”. 1992 წლის 24 ივნისს დაგომისში მოხდა მსოფლიო დიპლომატიაში გაუგონლად დამამცირებელი კაპიტულანტური გარიგება ელცინსა და შევარდნაძეს შორის, რომელშიც ოსი ჯანყისთავებიც მონაწილეობდნენ არაოფიციალურად.

ცხინვალიდან და მისი მისადგომებიდან გამოიყვანეს ქართველი მეომრები და იქ ჩააყენეს რუსეთის ე.წ. “სამშვიდობო ჯარი”, რომელსაც თვალთმაქცურად “შერეული” უწოდეს. ამ რუსულ-ოსური კონტინგენტის შემადგენლობაში არცერთი ქართველი არ მსახურობს. გარედან ძალადობით დაკონსერვდა ოსი მეამბოხეებისათვის სასარგებლო “სტატუს-კვო”, რითაც დიდი ხნით გადაიდო აქ საქართველოს იურისდიქციის აღდგენა და არნახულად გაძლიერდა მკვიდრი მოსახლეობის გეგმაზომიერი ხოცვითა და შევიწროებით მთლიანად შიდაქართლელთა ფსიქოლოგიური დაკნინებისა და გადაგვარების ფაშისტური პროცესი, რამაც გაცილებით მეტი ფარგლები მოიცვა, ვიდრე კონფლიქტის ზონაა.

ორიოდე თვეში კი შევარდნაძემ აფხაზეთში გააჩაღა მსოფლიო სამხედრო ისტორიაში უნიკალური ომი საკუთარი ერის დასამარცხებლად. სამხედრო აქციას წინ უძღოდა უზურპატორული რეჟიმის მეკობრე-ბანდფორმირებებისგან სამეგრელოს რეგიონის აკლება-აოხრება. 1992 წლის 13 აგვისტოს ნაშუაღამევს საქართველოს ტელევიზიამ გადასცა, რომ იწყება ოპერაცია აფხაზეთში “მოკალათებული ქართველი ყაჩაღების” სალიკვიდაციოდ, რაც არძინბას რეჟიმთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. 14-ში დილით ცნობილი გახდა, რომ გალის გავლით სოხუმში შეცვივდნენ თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის მოთარეშეები. შემდეგში მათ შეუერთდა გია ყარყარაშვილის “თეთრი არწივის” ბანდაც. დიდად სამწუხაროდ, ამ გაერთიანებულ ბანდფორმირებაში ათასობით გაუწვრთნელი ჭაბუკი ჩააბეს საზარბაზნე ხორცად. ოპერაციის ჭეშმარიტი მიზანი მაშინვე გამოაშკარავდა, როცა მოლაშქრეებმა გვერდი აუარეს აფხაზთა მთავარ დასაყრდენს _ გუდაუთას და ქართველებით დასახლებულ პუნქტებს (გაგრა, გულრიფში, ლესელიძე) შეუტიეს. ამით ისარგებლეს არძინბამ და მისმა დამქაშებმა და რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელშეწყობით საქართველოსგან განდგომის თავიანთი ავანტიურისტული გეგმის აშკარად განხორციელებას შეუდგნენ. მათ მიახმარეს არაოფიციალური რუსული ბანდები კაზაკთა და “ბოევიკების” და “კგბ”-ს დაქირავებული ჩრდილოკავკასიელი კონფედერატების სახით. 1993 წლის შემოდგომაზე კი რუსეთის არმიის რეგულარულმა ნაწილებმა (სატანკო, საჰაერო, საზღვაო, სადესანტო შენაერთებმა) მთლიანად დაიკავეს სამეგრელო.

სამეგრელოში განთავსებული კანონიერი ხელისუფლების ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფებისა და აფხაზეთ-სამეგრელოს სახალხო ლაშქრის მეომრებმა შეუპოვარი თავგანწირვის მიუხედავად ვერ შეძლეს შინაურ და გარეშე ცბიერ და ძლიერ მტრებთან გამკლავება.

ის კი ცხადია, რომ "მთავარსარდლის" სტრატეგიის ამოცანა _ მთლიანად გაენადგურებინათ აფხაზეთ-სამეგრელოს მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, ვერ შესრულდა.

საქართველოს დაქუცმაცებისა და მაქსიმალურად დასუსტების მიზანი კი მიიღწია.

ასეთი შედეგი "დიდი პოლიტიკოსი _ მოჭადრაკის" კოოპერატიული სვლისა, რომელსაც პოლიტოლოგები "შევარდნაძის წარუმატებელ როქს" უწოდებენ. საქართველოს კი მეტად ძვირად დაუჯდა ეს ყველაფერი.

* * *

<u>შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ</u>

<u>კობა ხარაძე</u>

ტოპონიმები (მათში ოიკონომებსა და ჰიდრონიმებსაც ვგულისხმობთ) შიდა ქართლის ქართულობის ყველაზე წარუშლელი მოწმეა, ამიტომ მთლიანად ვბეჭდავთ ცნობილი ტოპონიმისტის ბატონ კობა ხარაძის მეტად საინტერესო სტატიას "შიდა ქართლის ტოპონიმების წამოშობა და განვითარება", რომელიც მოთავსებულია კრებულში "ოსთა საკითხი".

ტოპონიმია _ ქვეყნის ტერიტორიის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთობლიობა, გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები ძირითადი ერისთვის ისტორიული მემკვიდრეობის არსებითი შემადგენელი კომპონენტია. იგი განიხილება ენათმეცნიერების, ისტორიოგრაფიის, გეოგრაფიის პოზიციებიდან, როგორც კვლევის ობიექტი და წარმოადგენს ბუნების, ასევე მოსახლეობისა და მისი კულტურის წარსული შემეცნების მნიშვნელოვან წყაროს.

ტოპონიმების განვითარება რთული პროცესია, _ განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა; მტრის შემოსევები, დაპყრობები და მათთან ასე თუ ისე დაკავშირებული ეთნიკური ცვლილებები ზეგავლენას ახდენდა ტოპონიმებზე, _ მახინჯდებოდა ან ისპობოდა ძველი სახელწოდებები, მკვიდრდებოდა ახალი და უცხოური. წლების განმავლობაში ბევრი ტოპონიმი ხელყოფილ იქნა, რისი შედეგიც დღეს სახეზე გვაქვს. წარსულში უყურადღებობა და ამ საქმეში დაშვებული შეცდომები დღესაც გამოუსწორებელ დაღად აზის საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებებს. ჩვენი ტოპონიმების დიდმა ნაწილმა რეპრესია განიცადა როგორც უცხო, ისე საკუთარი ხალხისაგან. მიუხედავად ამისა, ქართულმა გეოგრაფიულმა სახელწოდებებმა, ისევე როგორც ქართველმა ხალხმა, დღემდე გაუძლო უამრავ ფათერაკს, მაგრამ ბევრიც შეირყვნა ან გაქრა. სამწუხაროა, რომ ქართულ ტოპონიმებს არათუ ადრე, არამედ დღესაც არ გააჩნიათ მყარი სამართლებრივი საფუძველი. არადა, მთელს საქართველოს ტერიტორიაზე ქართულ მოსახლეობასთან ერთად ჩამოყალიბდა ქართულენოვანი ტოპონიმები. ამის უტყუარი საბუთია ის მრავალრიცხოვანი ისტორიული წყარო, რომელმაც დღემდე მოაღწია.

თავდაპირველად ქართლი ერქვა ქართლოსის (XI საუკინის ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით ქართველ ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქი) საცხოვრებელს _ მთას (შემდგომი დროის არმაზი, ქ.მცხეთის მიდამოები), რომელიც ქართლის ტომის განსახლების ცენტრი, ხოლო მოგვიანებით მეფეთა რეზიდენცია იყო. ბრინჯაოსა და ადრეულ რკინის ხანაში სახელწოდება ქართლმა ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა. დაერთო რა ადგილის მიმანიშნებელი სა-ო პრეფიქს-სუფიქსი, ქართველებით დასახლებულ მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა სახელწოდება ქართლი, ანუ საქართველო. X საუკუნის მწერალი გიორგი მერჩულე "ქართლს" მხოლოდ ეთნოგრაფიულ ერთეულად როდი თვლის, არამედ იგი საქართველოა ყველგან, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება: "ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინ აქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების". თვით ქართლი პირობითად დაიყო _ ზემო, შიდა და ქვემო ქართლად ამ დროიდან "ზენა სოფელი" იქცა შიდა ქართლად. "ზენა სოფელი" კი ელინისტურ ხანაზე ადრეა წარმოშობილი.

შიდა ქართლი მტკვრის აუზს ეწოდებოდა სოფ. ტაშისკართან (ხაშურის რ-ნი) ქ.თბილისამდე, მოქცეული იყო ქედსა და მდ. არაგვს შორის. საქართველოს კლასიკური საზღვრებიდან ჩრდილო საზღვარი ამავე დროს შიდა ქართლის ჩრდილო საზღვარიც იყო. ამასთან, ისტორიულად საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა მხარეები: დვალეთი, ხევი, პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი, დიდოეთი. ცხადია, ეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები ქართველებით იყო დასახლებული. აქედან შიდა ქართლს მიეკუთვნებოდა დვალეთი და ხევი. ხევი დღესაც ქართული რაიონია. თვით ტერმინი ხევი გეოგრაფიულია, რომელიც ძველ საქართველოში ისტორიულ-გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულსაც აღნიშნავდა. დვალეთიც ქართული წარმოშობის სახელია, რომელსაც დართული ქართულში საკმაოდ გავრცელებული სუფიქსი ეთ- დვალ-ეთ-ი. აღსანიშნავია, რომ გვარი დვალი დღესაც გავრცელებულია რაჭაში, ხოლო დვალიშვილი _ ქართლში და იმერეთში. თრუსო და დვალეთი გვიან შუასაუკუნებში გადაიქცა ოსურ დასახელებად, საიდანაც ქართულმა მოსახლეობამ განიცადა მიგრაცია ან ასიმილაცია (თუ განადგურება არა). ზემოთქმულის დასტურია მრავალი წყარო და მათ შორის უნდა დავასახელოთ ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ფუძემდებელი საქართველოში, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო მნიშვნელობის მკვლევარი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი "აღწერა სამეფოსა საქართველოსა". მასში დვალეთი და თრუსო განხილულია როგორც საქართველოს მხარე _ "აღწერა აწინდელისა ოვსეთისა".

საქართველოსათვის შიდა ქართლი (საერთოდ ქართლი) ისეთივე პროვინცია იყო, როგორც კახეთი, იმერეთი, სვანეთი და სხვა. ხოლო ამ ქართულ პროვინციებში მცხოვრები კახელი, იმერელი, გურული, სვანი და სხვ. ქართველს ნიშნავდა ე.ი. თითოეულ პროვინციაში მცხოვრები სხვა ეროვნებას არ გულისხმობდა. თუმცა, საქართველოში რუსთა ბატონობის დროს ზოგჯერ მათ ამ ისტორიული

პროვინციების სახელების მიხედვით ეროვნულობას ანიჭებდნენ, რაც განგებ, ან უვიცობის გამო კეთდებოდა. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

შიდა ქართლის ბუნებრივი პირობები და რესურსები ძველიდანვე ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ადამიანთა მიზიდვისა და დასახლებისათვის. აქ ადამიანის ცხოვრების კვალი უძველესი დროიდან ჩანს, მხარის ლანშაფტის მრავალფეროვნება, მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული კომპლექსურობა, გარეშე მტერთა მოძალება და იძულებითი ზეგავლენა, საუკუნეების მანძილზე ამდიდრებდა და ცვლიდა შიდა ქართლის ბუნებრივ-ისტორიულ პირობებს, რაც ერთობლივად განვითარება-გართულებისაკენ იყო მიმართული. ყოველივე ამის გამო მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა არა მარტო მოსახლეობის ეროვნულ და ეთნიკურ შემადგენლობაში, არამედ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრებში, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაში, გეოგრაფიულ სახელწოდებებში და სხვ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეების მიჯნაზე, როცა ფარნავაზ მეფემ ქვეყანა საერისთავოებად დაჰყო, შიდა ქართლი სპასპეტს დაუმორჩილა და, ამდენად, შეიქმნა შიდა ქართლის საერისთავო. თავის მხრივ, საერისთავო დაყოფილი იყო შედარებით წვრილ ერთეულებად _ ხევებად. მონღოლთა შემოსევების შემდეგ, ისე როგორც მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, აქაც დაიწყო დანაწილება ცალკეულ საერისთავოებად. 1801წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა ეს ტერიტორიაც რუსეთის შიდა გუბერნიების წესისამებრ მოეწყო, შიდა ქართლის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა გორისა და დუშეთის მაზრები. ასე გაგრძელდა 1922 წლის აპრილამდე, როცა ამ მაზრებისათვის და რაჭის მაზრისათვის (დასავლეთ საქართველო) ტერიტორიის ჩამოჭრის შედეგად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ძალადობის გზით შუაგულ ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. უფრო მეტიც, ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად აირჩიეს ქალაქი ცხინვალი, სადაც 1886 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აქ არც ერთო ოსი ეროვნების პირი არ არის დადასტურებული. ოლქის სამხრეთ საზღვარში ასევე მოაქციეს ქართველებით დასახლებული პუნქტები, ხოლო ზოგიერთ ქართულ სოფლებს სალოცავი _ ეკლესიაც კი წაართვეს. ადგილობრივი ქართველი მოსახლეობისაგან 70-იან წლებში არაერთხელ მომისმენია იმის შესახებ, თუ როგორი წინააღმდეგობა გაუწიეს ოლქის შექმნას, მაგრამ ვერაფერი გააწყეს.

ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე, სადაც უძველესი დროიდან ქართველი კაცი ცხოვრობდა, რასაც უცილობლად ადასტურებს მრავალრიცხოვანი ქართული და უცხოური წყარო, მატერიალური კულტურის ძეგლები, ეპიგრაფიკა და, რაც მთავარია, უძველესი დროიდან შერქმეული ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები, ოსთა ნაწილობრივი დასახლების მიხედვით ავტონომიური ერთეულის შექმნა დიდი ისტორიული უსამართლობა იყო და ეწინააღმდეგებოდა ავტონომიის შექმნის საყოველთაოდ აღიარებულ მოთხოვნებსა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ოსთა ერთადერთ სამშობლოს ჩრდილო კავკასიაში ავტონომიური ოლქის სტატუსი ორი წლის შემდეგ, 1924 წლის 7 ივლისს მიაკუთვნეს, ხოლო მოგვიანებით ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შეუცვალეს.

ოსების შემოსვლა საქართველოში ძალადობას ემყარებოდა; ამის ნათელი დადასტურებაა ის უამრავი წყარო, რომლებმაც ჩვენამდე მიაღწია. XIII საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში თათარ-მონღოლთა შემოსევებთან ერთად ოსებიც გააქტიურდნენ. XIV საუკუნის დამდეგამდე ოსთა თარეში ქართლის ტერიტორიაზე გრძელდებოდა: "...იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცვად და რბევად, და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვსად დაიჭირეს ოვსთა ...და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა და აღფხურნა". აქედან კარგად ჩანს, თუ რა ბარბაროსობას სჩადიოდნენ ოსები ქართლში ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, ამიტომ შექმნილა "მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა". ისიც ირკვევა, რომ მეფე გოირგი ბრწყინვალეს მონღოლებთან ერთად ქართლიდან ოსებიც გაუძევებია.

შემდეგში ოსები კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე არაერთხელ გადმოსულან, მაგრამ მათი მუდმივად ჩამოსახლება გაცილებით გვიან მომხდარა. ოსთა ახალშენები კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ მაღალმთიან ზოლში XVII საუკუნის დამდეგიდან შეინიშნება. მიუხედავად ამისა, ოსთა დასახლება შეზღუდული იყო. თვით XVIII საუკუნის დასაწყისშიც ოსები ზემო ჯავაშიც არ ყოფილან. XVII საუკუნის პირველი ნახევარის ვინმე ივანე და ზაქარიას მიერ ქუაბულ და ზაზა მაჩაბლისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში ნათქვამია, რომ "ამოსწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთანაგან, ღმერთი იყოს მოწმე ასრე ამოსწყდა, რომ კაცის ნაშენი აღარ იყო-რა..." მოტანილი ციტატა გარკვევით მიგვითითებს იმაზე, რომ ზემო ჯავაში ოსებს ამოუწყვეტიათ ქართველები და უკაცრიელი გამხდარა იგი. სხვაგვარად მისი გაგება ქართული ენის სრულიად უცოდინარობას ნიშნავს, ან კიდევ, განგებ გსურს ფაქტი გააყალბო. ასეა თუ ისე, ოსმა მკვლევარებმა ეს ციტატა თარგმნეს ისე, თითქოს ზემო ჯავაში ოსები ამოწყვეტილიყვნენ.

XVII საუკუნის ბოლოს თირის ტაძარში (ცხინვალის რაიონი) ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსის შვილის საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერაა: "ქ.ყოვლად ქებულის მეფის არჩილისა და დიდად სახელოვანის ქართლის მეფის გიორგის ძმის, ყოვლად შემკულის ბატონის ლევანის ძე, საქართველოს გამგებელი ბატონი შვილი ვახტანგ ვიყავ სამკვიდროსა მამულსა ჩემსა სოფელსა ამას რაოდენათმე წელთა და მიიცვალა ძე ჩემი პირმშო ბატონის შვილი როსტომ და დავფალ ეკლესიასა ამას შინა სამემკვიდროსა მამულსა ჩემსა. ქრისტეს აქათ ჩქპთ (1689)". როგორც ჩანს, ვახტანგ მეფეს რამდენიმე წელს უცხოვრია თავის "სამკვიდროსა მამულსა". ეს ადგილი კი ჯავასა და ცხინვალს შორის არის მოქცეული.

ახლა ვნახოთ უფრო მოშორებით, დღევანდელი ქარელის რაიონის ტერიტორიაზე როგორ იქცეოდნენ ოსები; სოფელ აბისის ეკლესიის 1754 წლით დათარიღებული

მარმარილოს ფილაზე შემდეგი წარწერაა: "ქ.წყლისაკენ წმინდა გიორგი ხმელისკენ ნათლისმცემელი მონავარ ზ..ბში ორისვე ამშენებელი სოვს ულ...ლს ოსების გადამრეკელი შუაზე ართი კოშკი დგა არვისგან ასაღებელი ჩვენ ზალ მახვილემემ ჩვენს სახულიერთ და ამ სოფლის მოსარჩენთან აღვაშენე ესე ეკლესია ნათლისმცემლის დიდისა დიდებულისა დიდიხნის ლეკისაგან ოსისაგან ხარაბა იყო აღვაშენე მოსახსენიებლათ სულისა ჩვენისა ვინც იხილვიდეთ შენდობა ბრძანეთ ქკს უმბ". კომენტარის გარეშეც კარგად ჩანს, XVIII საუკუნის შუა წლებში ლეკებთან ერთად ოსებიც როგორ აწიოკებდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს შიდა ქართლის ბარის სოფლებშიც.

შიდა ქართლის რაიონებში ოსთა განსახლების ერთ-ერთი ფორმა იყო ერთი ფეოდალის მამულიდან აყრა და უკეთესი ხვედრის საძებნელად სხვა ფეოდალის მამულში გადასახლება. გარდა ამისა, ოსები უკეთესი საცხოვრებელი პირობების საძებნელად სამხრეთისაკენ მოიწავდნენ ხიზნების სახით. ბარის რაიონებში მამულების მიღებისა და დამკვიდრების ერთ-ერთი პირობა ოსთაგან ქრისტიანობის მიღება იყო. მრვალარიცხოვანი იყო აგრეთვე სახასო (სახელმწიფო) გლეხთა კატეგორიაც. სახსო გლეხთა კატეგორიას ჰქმნიდნენ დიდი ლიახვის სათავის რაიონებისა და ნარ-მამისონის აუზში მცხოვრებნი. 1770 წლის აღწერით უკვე მაჩაბლის რვაას სამოცი კომლი ყოფილა. 1772 წელს იოჰან გიულდენშტენტი წერს: "ტამუტა ჩემთვის იყო უკანასკნელი, ანუ განაპირა სოფელი ჯაუკომის რაიონისა, აქ ითვლიან 1000 ოჯახს. ეს მხარე ძველთაგან ექვემდებარებოდა თავად მაჩაბელს. სულ რამდენიმე კვირის წინ მეფემ ეს მხარე ჩამოართვა, რადგან აქაური ოსები ყველგან ჩიოდნენ, ძალიან შევიწროებული ვართო, და გადასცა ბატონიშვილ გიორგის". 1827 წლის სტატისტიკური აღწერილობის მიხედვით გორის მაზრაში 85 საბატონო ყმა ოსი ყოფილა, ხოლო დუშეთის მაზრაში 115. შესაბამისად, ამავე მაზრებში სახასო გლეხების რაოდენობა შეადგენდა 338-ს და 140-ს. საქართველოს დანარჩენ მაზრებში ოსთა დასახლება XIX საუკუნის 20-იან წლებში დადასტურებული არ არის.

შიდა ქართლის ჰიდრონიმებსა ოიკომინებში, როგორც ჩანს, დიდი ცვლილება არ შეიმჩნევა; ეს ცვლილებები უმთავრესად მიკროტოპონიმებში გამოიხატება. მაკრო და საკუთრის ტოპონიმების შედარებით სტაბილურობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აბორიგენ ქართულ მოსახლეობას სხვა ხალხი თანდათანობით შეერია. ასე თანდათანობით შერევის გამო ვერ მოესწრო სახელწოდებების შეცვლა. მთლიანად სახელწოდებების შეცვლა მოხდა იმ ადგილებში, სადაც სხვა ეროვნების ხალხი იკავებდა ნასოფლარებს ან აუთვისებელ ადგილებს, მაგრამ ასეთი ტოპონიმების ლექსიკა ღარიბია და ისინი გამჭვირვალე ტოპონიმებს წარმოადგენდნენ. ამიტომ მათი ეტიმოლოგიური ახსნაც სრულიად ადვილია. ასე მაგალითად, ოსური წარმოშობის სახელები ძირითადად სამეურნეო ხასიათისაა; ტოპონიმების დიდი ნაწილი ერთფუძიანი სახელებია. ხშირია ქართული სახელების გვერდით შესატყვისად მათი ხმარება, რაც უმთავრესად შეიმჩნევა ქსნისა და ფრონეების ზემო ნაწილებში ხმარებულ ტოპონიმებში. ამასთან, ძველი ქართული სახელწოდების საკმაო ნაწილი ოსური მოსახლეობის მიერ თავისებური გამოთქმით ოსური წარმოშობის სახელებად მიაჩნიათ. ამის მაგალითებია: ბრუტ-საბძელი და

ბურ-სამჯელი, ბაგინი და ბაგიათა, დუდეთი და დოდოთი, ზეკარი და ზიკარა, მაღრანდვალეთი და მაღლან-დორი, ხწვე და ხვწე, ქვითკირი და ქვიჭირი, როკი და რუკი, ჟბა და სბა, ბჟისხევი და სბაიდონი, სურნისი და სუნისი და სხვ. თითქმის ყველა სახელწოდება, რომლებიც შეცვლილია, ამ სახით გვევლინება. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი უკანასკნელ ხანებში ოფიციალურად დამკვიდრდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ოფიციალურ საბუთებში უმეტესი მათგანი სწორადაა გადმოცემული. უმეტესობას ვამბობთ იმიტომ, რომ ტოპონიმთა საკმაო ნაწილი თვით საქართველოს სხვა კუთხეებში არაკომპეტენტურობის გამო ხშირად მახინჯდება ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში, რადიოსა და ტელევიზიაში. საქართველოს ტოპონიმებს ისედაც ეყოთ რეპრესიები და კიდევ ვუმატებთ ახალ შერყვნილ და დამახინჯებულ სახელებს.

მდინარე დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში სჭარბობს ოსური გაფორმების სახელწოდებები, დანარჩენ ნაწილში ძირითადად ქართულენოვანი ტოპონიმებია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ სოფელში მთლიანად სხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს. ასე მაგალითად, დღეს მთლიანად ოსური მოსახლეობაა ისეთი ქართული სახელწოდებების სოფლებში, როგორიცაა _ ციხისოფელი, წინუბანი, მამულაანთკარი, ზორბეგაანი, მონასტერი, მსხლები დას ხვ. მთლიანად სახელწოდებების შეცვლა მოხდა იმ ადგილებში, სადაც ოსობა სახლდებოდა ნასოფლარებსა და აუთვისებელ ადგილებში. ასეთი სახელწოდებებია ქართული თარგმანით _ ახალსოფელი, გობოზაანთ სოფელი, ხე-ტყის საზიდი, ტალახიანი, დამწვარი, კორომი და სხვ., რომლებიც ზოგადი ხასიათისაა.

შიდა ქართლის რაიონებში და, მათ შორის, ლიახვის, ქსნისა და სხვა ხეობების შუა და ზემო ნაწილებში, ანუ გვიან პერიოდებში ოსებით საკმაოდ დასახლებულ ადგილებში, გეოგრაფიული სახელწოდებების უმეტესი ნაწილი ქართველური ენების მიხედვით არის წარმოშობილი. აქ გვხვდება ჭანურ-მეგრული (ქართველური ენები) ტოპონიმები. ჯ.გვასალია თვლის, რომ "შესაძლებელია შიდა ქართლი წარმოადგენდა იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც მოხდა წინარე ქართველური ენის დაშლა ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად" (არ ვთვლით გამორიცხულად, რომ სვანურისა და ზანურის მატარებელმა ტომებმა შორეულ წარსულში გაიარეს შიდა ქართლის ტერიტორია და კვალი დატოვეს ტოპონიმიაში)*1 (ჯ.გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1973, გვ. 168.) აქვე მკვლევარი მრავალ სახელწოდებას ასახელებს, რომლებიც მიეკუთვნება სვანურ და ჭანურ-მეგრული წარმოშობის სახელებს; მათ შორისაა _ კუცხოვეთი, კორა, ჩხორეთი, ცხმორი, წიფორი, ჩხუნეთი, გერი, ისროლეთი, ფაჩუნი, ლაფაჩი, საცხუმეთი, ლარგვისი, ლაგური და სხვა (აღსანიშნავია, რომ ყველა ეს სახელწოდება ყოფილი "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" ტერიტორიაზეა გავრცელებული). რაც შეეხება ქართული სახელწოდებების გავრცელებას ამ ტერიტორიაზე, მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებზე განსაკუთრებით მასიური იერიში მიიტანეს ძირძველ ქართულ მიწაზე ყოვლად დაუსაბუთებელი ეგრეთ წოდებული "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის" შექმნის შემდეგ, როცა ოსთა ერთმა

ნაწილმა ისტორიულ სამშობლოდ წარმოიდგინა სამაჩაბლოსა და ქსნის საერისთავოს ტერიტორია; ამ მიზნით, აუცილებელი იყო მომხდარიყო ისტორიული ქართული ტოპონიმების ამოძირკვა შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ ტერიტორიებზე, მათ ნაცვლად კი _ ოსური და ოსური ჟღერადობის ტოპონიმენის ოფიციალურად დამკვიდრება. ცხადია, ის აღარ გაითვალისწინეს, რომ ამ ტერიტორიის ძველი ქართული ტოპონიმები შემორჩენილია უძველეს და მოგვიანო პერიოდის როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში. უფრო სავალალო ის იყო, რომ თვით ქართველებით დასახლებულ ადგილებსაც არაფრად აგდებდნენ, მათთვისაც სურდათ ტოპონიმები შეეცვალათ. უფრო მეტიც, მიმდინარეობდა ქართული მოსახლეობის ასიმილაციაც. მხედველობაში გვაქვს იმ პერიოდში ქართველთა გვარების შეცვლა ოსური ჟღერადობის გვარებით (მაგითად, საფლავის ქვების წარწერები _ 1902 წლის საფლავის ქვაზე ლაზარაშვილია მითითებული, ხოლო 1932 წლის ქვაზე უკვე ლაზაროვი) და ის ფაქტი, რომ ოსების დიდმა ნაწილმა არათუ სახელწიფო ენა _ ქართული შეითვისა, არამედ ქართველთა (იქ მცხოვრებთა) დიდმა ნაწილმა, პირიქით, იძულებით დაიწყო ოსური ენის შესწავლა*1 (კ.ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 33.)

ახლა აღვნიშნავთ ზოგ იმ სახელწოდებას, რომლებიც შერყვნეს ან გადააკეთეს ოსებმა შიდა ქართლის ტერიტორიაზე. ზნაურის რაიონსა და მის ცენტრს ადრე ოქონის რაიონი და ოქონა ერქვა. ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ამ რაიონში არსებულ სოფელ ტყისუბანს ზნაურყაუ შეარქვეს, ხოლო შემდეგში მთელ რაიონს და ცენტრს ზნაურის სახელწოდება. ზნაურ აიდაროვი ითვლებოდა რევოლუციონერად. ჩვეულებრივ, ადამიანის გვარის მიხედვით არქმევენ სახელს ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტს (თუმცა, არც ეს არის გამართლებული), მაგრამ ამ შემთხვევაში სახელი ზნაური უწოდეს, ხოლო მისი გვარი კიდევ ერთ სოფელს დაარქვეს ზემო ქართლში (ბორჯომის რაიონი).

ვინ იყო ზნაურ აიდაროვი? იგი ჩრდილოეთ ოსეთში დაიბადა. მას ორკლასიანი სკოლა ჰქონდა დამთავრებული. სამხედროდან დემობილიზაციის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა და ერთ-ერთ სამჭედლო სამქროში უროსმცემლად მოეწყო. თბილისშივე ზნაურ აიდაროვი ყოფილა ინიციატორი "თბილისის ოსთა რევოლუციური კომიტეტის" ჩამოყალიბებისა, რამაც დააჩქარა საქართველოში ოსების ბოლშევიკური ორგანიზაციის ჩასახვა. აღსანიშნავია, რომ ამ ორგანიზაციის საქმიანობა მარტო ოსი მუშებით იფარგლებოდა. 1918 წლის იანვარში კი თბილისში იშვა ოსების მსხვილი ბოლშევიკური ორგანიზაციის კომიტეტი, რომელსაც "ჩერმენის" სახელი ეწოდა; 1919 წელს, იმ დროს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ახალი შექმნილი იყო, ზნაურ აიდაროვი გუჯარეთის ხეობის (ბორჯომის რაიონი) სოფლებში აწყობს კრებებს, სადაც იგი შეკრებილებს მოუწოდებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ. 1939 წლის 27 ოქტომბერს გაზეთ "ზარია ვოსტოკაში" მოტანილია ე.ნიკიტინის მოგონება ზნაურ აიდაროვზე. ერთ-ერთ კრებაზე მას უთქვამს: "საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასი ასე არ დაგვტოვებს, მოგვეშლება და მისი დახმარებით საბჭოთა ხელისუფლებას დავამყარებთო". 1982

წელს გამოცემულ წიგნში, რომელიც ქართულ ენაზეა დაბეჭდილი, აღნიშნულია: "შემდგომმა ამბებმა სავსებით დაადასტურა ზნაურ აიდაროვის წინასწარმეტყველება, გმირულმა მეთერთმეტე არმიამ ძმური ხელი გამოუწოდა საქართველოს მშრომელებს, დაეხმარა მათ ახალი, საბჭოური წყობილების დამკვიდრებაში". სწორედ ზნაურ აიდაროვისთანა რევოლუციონერებმა ჩასცეს თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკას ზურგში მახვილი. ნიშანდობლივია ისიც, რომ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ თბილისში არ იყო დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება, ჯავის რაიონის ბევრი სოფლის ობელისკზე წარწერები გვამცნობს, რომ იქ უკვე 1918-1919 წლებში ოსების მიერ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

1919 წლის 7 ნოემბერს ზნაურ აიდაროვის ხელმძღვანელობით ოსურმა რაზმმა შემუშავებული გეგმის მიხედვით იერიში მიიტანა ხაშურის რაიონის სოფელ ხცისზე (მტკვის მარჯვენა მხარეზე). ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. სოფელში დაამხეს ადგილობრივი ხელისუფლება, გარეკეს ისინი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. პირველივე დღესვე შექმნეს გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომლის თავმჯდომარედ ზნაურ აიდაროვი დაამტკიცეს. საერთოდ, თუ რა მოიმოქმედეს ოსთა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ეს ცალკე საუბრის თემაა და დაინტერესებული პირი რამდენადმე ამომწურავ პასუხს ზემოაღნიშნული წიგნიდანაც მიიღებს, ასევე ზ.ცხოვრებოვას წიგნიდან, სადაც აგრეთვე აღნიშნულია, რომ ზნაურ აიდაროვი _ სახალხო გმირი, როლის უკვდავსაყოფად დაერქვა გეოგრაფიულ ობიექტს მისი სახელი, ხელმძღვანელობდა საერთო შეიარაღებულ აჯანყებას 1919 წელს ხაშურ-ხცისისა და ოქონის რაიონების ტერიტორიებზე. თუმცა, ორიოდე მაგალითიც საკმარისია იმისათვის, რათა განვსაჯოთ, სხვა ქვეყნიდან მოსული "რევოლუციონერის" მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე. ზნაურ აიდაროვს პატივი მიაგეს "დამსახურებისათვის". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი სახელი ეწოდა რაიონულ ცენტრს და რაიონს, ასევე ქუჩებს ცხინვალსა და თბილისში. რაიონულ ცენტრში დაიდგა მისი ძეგლი. ამ დროს კი, არა მგონია, მის მშობლიურ ჩრდილო ოსეთში რაიმე ობიქტი ატარებდეს ზნაურ აიდაროვის სახელს.

ქართული სოფლების დარბევა-აწიოკებაში უშუალო მონაწილეობისათვის დაერქვა ისაკ ხარებოვის სახელი იმავე ზნაურის რაიონის სოფელ გიორგიწმინდას. ფრონტიდან დაბრუნებულ ისაკ ხარებოვს შეიარაღებული რაზმი შეუქმნია და 1918 წელს მონაწილეობა მიუღია "გლეხთა აჯანყებაში". ორი თვეც არ იყო გასული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებიდან, რომ ისაკ ხარებოვის შეიარაღებული რაზმი დასავლეთ საქართველოს საჩხერის რაიონის სოფლებსაც მისწვდა. აი, ამ "რევოლუციონერის" სახელი _ ისაკყაუ ვუწოდეთ კიდევ ერთ ქართულ სოფელს, ადრე რომ წმინდა გიორგის სახელს ატარებდა (გიორგიწმინდა).

ჩვენ პატივს ვცემთ ოს პოეტს, ოსური ლიტერატურის ფუძემდებელს, კოსტა ხეთაგუროვს, მაგრამ რა კავშირი ჰქონდა პოეტს ცხინვალის რაიონის ძველ სოფელ წუნართან, რომელიც ახლა ხეთაგუროვის სახელს ატარებს?! ეს უძველესი ქართული სოფელი შიდა ქართლის ვაკეზეა, მდ. ტილაინის (ტილი-მტილი ძველ ქართულად

აგარაკს, ბოსტანს ნიშნავდა) ნაპირზე. თვით სახელწოდება წუნარი მრავალ ძველ ქართულ წყაროშია მოხსენიებული, იმ პერიოდისათვის, როცა აქ ოსის ხსენებაც არ იყო. იქვე დგას XIV საუკუნის "ღვთისმშობლის" გუმბათიანი ტაძარი. იგი აგებულია საქართველოს ძნელბედობის დროს, მონღოლთა ბატონობის ხანაში, იმ დროს, როცა მატერიალური კულტურის ძეგლები ნაკლებად შენდებოდა, ხოლო გუმბათიანი ტაძრის აგება თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ჩვენს დროში კი ამ ისტორიულ სოფელს დავუკარგეთ სახელი და 1940 წლის 27 იანვარს ხეთაგუროვოთი შევცვალეთ. ახლა კი, ოსი მკვლევარები ცდილობენ ბგერათა გადაადგილების თუ შეცვლის საფუძველზე ოსური ახსნა მოუძებნონ სიტყვა "წუნ"-ს და ქართულში საყოველთაოდ გავრცელებულ მრავლობით ფორმა "არ"-ს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსი მკვლევარები ბევრ ძველ ქართულ ტოპონიმს არასწორად ხსნიან ოსური წარმომავლობით. როცა ოსებმა ქ.ცხინვალში არსებულ თეატრს 1939 წელს კ.ხეთაგუროვის სახელი მიაკუთვნეს, ესეც არასწორი იყო, რამდენადაც თეატრში მოღვაწეობდა ქართული და ოსური დასები.

არც ძველ დასახლებულ პუნქტს, ახალგორს დავაყენეთ კარგი დღე; ქსნის ერისთავების სამფლობელოს, რომლის დაარსება მეფე ფარნავაზის შვილს საურმაგს (234-162წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მიაწერენ და მას ახალგორი უწოდეს, 1934 წლის ივნისს ლენინგორი დაარქვეს (1990 წელს კვლავ ძველი სახელი _ ახალგორი დაუბრუნდა).

თვით ყოფილი ავტონომიური ოლქის ცენტრი ცხინვალი უძველესი ქართული სახელწოდებაა, რომელიც არაერთ წყაროში XIX საუკუნემდე ქრცხმილვანის სახელით არის დადასტურებული. ცხადია, მის ქართულ წარმოშობაზე დავაც არ შეიძლება, რამდენადაც ქრცხილა-რცხილა მცენარეა და სახელწოდება ნიშნავს რცხილოვანს (მცენარე რცხილის გავრცელების ადგილი); შეადარეთ, გოროვანი, ვაშლოვანი, თხინვალი, თერნალი და სხვ. მოხდა ისე, რომ 30-იან წლებში ცხინვალს სტალინირი უწოდეს, სტალინ-ირ-ი, ე.ი. სტალინის ოსეთი. 1961 წლის 24 ნოემბერს ამ ქალაქს კვლავ აღუდგინეს სახელი ცხინვალი.

ის, რაც წლების განმავლობაში უკანონოდ დავაკანონეთ, ჩვენი დაუდევრობის ბრალია. აი, დაუდევრობის ერთი ნიმუშიც; 1982 წელს ცხინვალში რუსულ ენაზე დაიბეჭდა ლევან ქორთიევის წიგნი. ამჯერად არ შევუდგებით ამ წიგნის განხილვას, თუმცა სალაპარაკო საკმაოდ გვაქვს, მაგრამ გვაკვირვებს წიგნში ნახმარი გეოგრაფიული სახელწოდებების მართლწერა; იგივე ავტორის წიგნი გამოიცა თბილისში საზოგადოება "ცოდნის" მიერ ტექსტსა და რუკაზე როგორც უღელტეხილი, ისე სოფლები "რუკის" სახელით არის აღნიშნული. სამწუხაროდ, წიგნის ქართველმა რედაქტორმა და საზოგადოება "ცოდნამ" ამ შემთხვევაში უცოდინარობა გამოამჟღავნა და "რუკა" "როკად" არ შეასწორა. სახელწოდება "როკი" ქართული წარმოშობისაა და მისი მსგავსი სახელები საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება (როკათა, როკითი და სხვა). როკის უღელტეხილი (ახლა როკის საავტომობილო გვირაბიც გაჩნდა) და სამი სოფელი სწორედ ჯავის რაიონში მდებარეობს და ისიც მის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში. მსგავსად მახინჯდება

ბევრი გეოგრაფიული სახელწოდება, რომელთა ნაწილი ოფიციალურადაც დაკანონდა.

კიდევ უფრო დამაფიქრებელია ქ.ცხინვალში არსებული ისტორიული მუზეუმის ექსპოზიცია. აქ უხვადაა წარმოდგენილი საბჭოთა პერიოდის მასალები. აქვე, ბევრი გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება თავისებურად არის გადმოცემული; ანგარიშს არ უწევენ არც ისტორიას, არც ოფიციალურად დადგენილ წესს. ამის ერთი მაგალითია ტბის სახელი კოზი. სინამდვილეში, ეს არის კარგად ცნობილი ქვედის ტბა, რომელიც წარსულში მდ. ქვედრულას შეგუბებით წარმოიშვა. ამჟამად მას ერთვის და გამოედინება მდ. ქვედრულა, რაჭველების (ეს ტბა ისტორიული პროვინციის რაჭის ტერიტორიაზეა) სიმღერა რომ შეუქმნიათ მასზე _ "ქვედრულა, მოდიდებულა". თვით სოფელი ქვედა ონის რაიონშია მოქცეული (დასავლეთ საქართველო). ბოლო ხანს კი ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე გაშენებულ ოსებით დასახლებულ ადგილს კოზი უწოდეს და ამის მიხედვით მთელ ტბასაც კოზი შეარქვეს, ოსმა მკვლევარებმა კი ოფიციალურ სახელწოდებად აქციეს.

მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადია ქსანი, რომლიც ყელის ტბიდან იწყება. ამ მდინარეს ყველა ქართული თუ უცხოური წყარო ასევე იხსენიებს. ცხადია, ჰიდრონიმ ქსანის წარმოშობა ქართულია, მაგრამ ოსურ ლიტარატურაში გაჩნდა სახელწოდება ჩისანიდონ. გაურკვეულია თუ რა წყაროს ეყრდნობიან ოსი მკვლევარები.

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: "ხოლო ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ჟამური. აწ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალს ჟამურსა არს ციხე, ბერციხედ წოდვილი". სახელწოდებები ჟამური და ბერციხე, ცხადია, მდინარე ქსნის სახელთან ერთად ქართული წარმოშობისაა. თვით მდინარე ქსანი სათავეს ყველის ტბიდან იღებს. დიდი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ის შენიშვნა, რომ ჟამურში, ე.ი. მდ. ქსნის სათავეებში "აწ მსახლობელნი არიან ოსნი", მიუთითებს ბოლო ხანს იქ ოსების დასახლებაზე. სახელწოდება "ბერ"-ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ჭანური ბერ-ი და ქართული ბერ-ა, რაც ცხვრის საწველელს, შემოფარგლულ ადგილას ნიშნავს, სადაც ცხვარს წველიან. ამ ადგილებში კი ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული მეცხვარეობა. ყველაზე უკიდურესი პუნქტი მდინარის სათავეში ყოფილა ბოგინი. ეს სახელწოდებაც ქართული წარმოშობისაა. ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები აგრეთვე გეოგრაფიული სახელები _ ბაგინეთი (ვანის რაიონი), ბაგინეთი იყო სოფელი გუჯარეთის ხეობაში, ბაგინეთი _ მცხეთის ტაძრის პირდაპირ და სხვ. სახელწოდება ბაგინ-ი არის ბომონი, ტაძარი (კერპთა), მსხვერპლის შესაწირი ადგილი წარმართული ხანისა.

ამრიგად, შიდა ქართლში უძველესი პერიოდიდანვე ქართველური ტომები სახლობდნენ და შესაბამისად, ტოპონიმებიც ქართული იყო. მის ტერიტორიაზე გეოგრაფიული სახელწოდებების ნაწილობრივი ცვლილებები მოხდა მხოლოდ უკიდურეს ჩრდილო ნაწილში, სადაც ოსური ლექსიკა გვიან შუასაუკუნეებში აისახა გეოგრაფიულ სახელწოდებებში. შიდა ქართლის დანარჩენ მხარეებში დომინანტობს ქართულენოვანი წარმოშობის ტოპონიმები, სადაც აგებულების მიხედვით გავრცელებულია ყველა სახის სახელები. ხშირია ანტონიმური მსაზღვრელები,

ხოლო რთული შედგენილობის სახელებში მეორე მსაზღვრელ კომპონენტად გეოგრაფიული ტერმინი დასტურდება (გაზ. “საქართველოს” საგანგებო გამოცემა “მსჯავრი”, 1997წ. ნოემბერი, რედაქტორი გელა გელაძე).

სარჩევი

I

1. ედუარდ შევარდნაძის სახელთან დაკავშირებული “დიდი პოლიტიკა”, ანუ ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მიერ კრემლის საშუალებით ორგანიზებული საბჭოთა მაფიურ-კრიმინალური რეპრესიები, დივერსიული ეთნოფაბრიკაციები, ეთნიკური წმენდა და გენოციდი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ე.წ. აფხაზეთის ასსრ);

2. ჟამი გატიალების;

3. წინათქმა;

4. რუსიზმის ნაქუსლარზე ჩაკრილაოსნებული თარიღები (1972-1977წწ);

5. წუთშესვენება ერის ქედდაუღუნავი ვინაობისთვის თვალშესავლებად;

6. ე.შევარდნაძისეული დამჩექმებლობის პირველი ხუთწლედი;

7. ჩაკრიალოსნებული თარიღები;

8. მეორე წუთშესვენება;

9. ე.შევარდნაძის დამჩექმებლობის მეორე ხუთწლედი;

10. ჩაკრილოსნებული თარიღები (1983-1988წ);

11. მესამე წუთშესვენება;

12. ე.შევარდნაძისეული მესამე ხუთწლეული;

13. რუსიზმის ნაქუსლარზე ჩაკრიალოსნებული თარიღები (1988-92წწ);

14. მეოთხე წუთშესვენება;

15. დასკვნითი საფიხვნო;

II სხვადასხვა

1. ბატონო გოჩა!;

2. როდესაც ქვეშქვეშობა გეხელმადლება;

3. “ზღვა, რომელიც შორია”;

4. დროებით ოკუპირებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი), ქართული სა-ზოგადოების მისწრაფებები და “რედისონ ბლუ “ივერია”, ანუ ჭენებით იარ საქართველოს გადაშენებისაკენ!..;

5. ქართული ვინაობის გასახოვნების თავისებურებები ჩრდილო-დასავლეთ საქართვე-ლოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის ნიშანსვეტებში, შთაგონებებსა და გზებში;

III დანართი;

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკ-ის მესამე მოწვევის მეორე სესია;

2. Грузино-абхазский конфликт: 1917-1922;

3. საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე;

4. ვინ ააშენა როკის გვირაბი აფხაზეთში?!.. ;

5. აფხაზეთის ქართველობის პეტიცია;

6. გაგრის მოსახლეობის პეტიცია;

7. თავისუფლება თუ მონობა?;

8. “აფხაზი” გურევიჩები;

9. ღია წერილი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის ასსრ) ქართველობისადმი;

10. სამეგრელოსა და აფხაზეთის მოსახლეობისადმი;

11. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიერ აფხაზეთში არსებული ქართული ეროვნული პრობლემებისადმი მიძღვნილი მიტინგის აფხაზეთის ქართველობის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი;

12. შეხვედრები მოსკოვში;

13. მსჯავრი.

≈*≈